წიგნის გამოცემაში აღმოჩენილი უანგარო ფინანსური მხარდაჭერისთვის, ავტორი ულრემს მადლობას უხდის საქართველოს პარლამენტის წევრს, მომავლის წინაშე სიტყვით თუ საქმით თავგაწირულ პიროვნებას, ბატონ კობა ნაყოფიას

Guri Otobaia

ENGIDUNIA

II

© **GURI OTOBAIA, I EDITION. 06. 09. 2010.**
IBSN 978-9941-0-1638-7

გური ოტობაია

ეგზიდუნია

ბელეტრისტული
მატიანე

II

თბილისი
2010

იოანე-ზოსიმე

ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი

დამარხულ არს ენაი ქართული
დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა
საწამებლად, რაითა, ყოველსა ენასა
ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.
და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე,
და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე
ხქვიან!და ახალმან ნინო მოაქცია და
ხელენე დედოფალმან,
ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და
მართაი, და მეგობრობაი ამისთ ვის თქუა,
ვითარმედ ყოველი საიდუმლო ამასა ენასა
შინა დამარხულ არს. და ოთხისა დღისა
მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინას
წარმეტყუელმან რამეთუ ,,წელი ათასი —
ვითარცა ერთი დღეი'', და სახარებასა შინა
ქართულსა თავსა ხოლო მათჰესსა წილი
ზის, რომელ ასო არს და იტყვის ყოვლად
ოთხ-ათასსა მარაგსა, და ესე არს ოთხი დღე,
და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის
მისთანავე დაფლული სიკუდილითა
ნათლის-ღებითა უფლისაითა,
და ესე ენაი შემკული და კურთხეული
სახელითა უფლისაითა, მდაბალი და
დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ
მოსვლისა უფლისა, და სასწაულად ესე
აქუს: ოთხმეოც-და-ათოთხმეტი წელი
უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსვლითგან
დღესამომდე.და ესე ყოველი, რომელი
წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ,
ესე წილი ანბანისაი.

მამული

„მუმლი მუხასა“ აფხაზეთისათვის!

წერილის თუ საერთოდ, თხზულების სათაურის გამოძებნა რომ გამიძნელდება, მყისვე ფოლკლორს მივაშურებ ხოლმე — ჩემი თაკარა სულის ერთადერთ დამამწყურვალებელს. მიმოვიხედავ გარშემო და სასურველი ფრაზა თუ სტრიქონი თავისით მოცურდება ნისლებით დაყურსული წარსულიდან: ასეთია საუკუნისწინანდელი სასიმღერო ლექსის პწკარედული თარგმანი. აქ ტრუბადური სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებულა: აბა, ერთად, აბა, ერთად, მტერს გავუხლიჩოთ პირი ფართოო, მიუძღვის წინ სახალხო ლაშქარს ვინმე კოლხი მელექსე და ზუგდიდის მოშორებით, სოფელ კოკთან, ნალიმასთან, ბრძოლის ველიც მოიაზრება თურქი ასკერების კუდის ამოსაძუებლად. მაგრამ ვაგლახ, რომ ყოველივე საუკუნის მიღმა მჭეხარებს სულში, საუკუნის მიღმა ამჩქეფარებს ძარღვებში სისხლს, სად არ დაღვრილს, ყორანთაგან სად არ შეხვრეპილს;

აქ კი, ორიათასის მიწურულის საქართველოში, გაუგონარი, ჯერარსმენილი, გაორებაა იგივე ბარდისა, რომელიც შუბით ზელს პურს, შუბით წურავს ყურძენს, შუბზედაყრდნობილი სვამს იზმირულ ღვინოს და თან მეორე ხელით კითარას ამღერებს ოქროსკულულებიან ვენერათა მოსალხენად. არესი და ბახუსი ერთდროულად ასპარეზობს მის სხეულში, დიონისე და მარსი.

გელაზის ქვასავით თხზულება სრულიად საქართველოს უკვდავებაზე — „სუფევა“ — ნელ-ნელა კონტურდება.

29 დეკემბერს „ექსიმელის“ გრანდიოზულ შენობაში აფხაზეთის დევნილი მთავრობის ინიციატივით გამართული შეკრება ფაქტობრივად დაასრულებს სამამულო შიდაპოლიტიკური კრიზისული ვითარების მეორე ეტაპს.

ბატონ თამაზ ნადარეიშვილის აქამდე კამერულად ბობოქარი პოზიცია, აწ ადგილობრივ არჩევნებში მმართველი „მოქალაქეების“ გვარიანი წაფორხილების ფონზე ლეგიტიმურად ფორმდება პარტიის სახით.

დაგმობილია მშვიდობიანი პოლიტიკის წყალობით მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების ჩიხში შესული საქმე და დასახულია bellium - ის, ძალისმიერი პოლიტიკის აუცილებლობის ფაქტორი პრობლემის სამართლებრივად გადაჭრის თვალსაზრისით.

გამომსვლელები: ბატონი ლევან სანიკიძე თუ სხვანი, უცერემონიოდ აღნიშნავენ ხუთწლიან წყლის ნაყვას ე.წ. მშვიდობიანი გზით სამშობლოს დაბრუნების უნაყოფო მეთოდზე დღევანდელი ხელისუფლების მხრივ. არადა, იყო პერიოდი, როცა ყოველგვარი გათვლის გვერდსავლით კონ- ფლიქტში ჩავითრიეთ აფხაზეთის მოსახლეობა; ჩვენ ვუხმეთ პირველად არესს და შესაძლოა წამიწამ ომისთვის თითისწვერებზე შემდგარ აფხაზ სეპარატისტებს სამართლიანობის კოზირები გადავულოცეთ.

ბატონი ლევანის თქმით, უპირობო მნიშვნელობისაა აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის დაბრუნების აუცილებლობა. მომხსენებლის სიტყვების კვალობაზე თავისი არსებობის მანძილზე პირველია საქართველოში სიტუაცია, როცა ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე ქართველი არ ჭაჭანებს. ფეოდალური დაქუცმაცებულობის პირობებში, მართალია, არ გვქონია ერთიანობა, მონოლითური სულისკვთება, მაგრამ იქ ქართველები ცხოვრობდნენ ასე თუ ისე; ქართული ენა, ზნე-ჩვეულება, დავიწყების ნიავ-ქარს არ გახყოლია.ჩვენს სამშობლოს დამპყრობთა უღლიანობის პერიოდშიც არ განუცდია მსგავსი დამაკნინებელი და შეურაცხმყოფელი ტრამვა. მართალია, ვყოფილვართ ძლეულნი ოსმალებისგან, არაბებისგან, მონღოლ-თათრებისგან, მაგრამ ისინი უმეტესწილად ხარკს გვართმევდნენ და თითოეული ოჯახიდან — ერთ მამაკაცს საომრად. ხარკის მოცულობაც ფრიად სიმბოლური იყო. მაგალითისთვის, მონგოლებს ყოველი ათი მოცულობიდან ერთი წილი მიხჭონდათ თურმე, ანუ ათი პროცენტი. ამისთანა ხუმანური ბაჟით დღევანდელი ეროვნული საგადასახადო პოლიტიკაც კი ვერ დაიკვეხნის მეწარმეთა მისამართით. ამიტომაც სანამ აფხაზეთის პრობლემა

მოუგვარებელია, საქართველოს არსებობას რეალურზე რეალური საფრთხე ემუქრება.

გულშიჩამწვდომია რუსთაველის პრემიის ლაურეატის, აფხაზურ-ქართულ კონფლიქტში ვაჟიშვილის დამკარგავი ნოველისტის, ბაბუშარელი რევაზ მიშველაძის გამოსვლა. ალმურიანად ხყვება იგი ოტობაიელებთან შეხვედრისას პროვოკაციით მოტყუებული ხალხის გულისწყრომაზე, უსათვალოდ რომ გამოხეტებულან ენგურს გამოღმა და მებრძოლი სულისკვეთების პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას ხუთი წლით დაგვიანებულად მიიჩნევს.

ომახიანი ჟინით, ცეცხლით დატუმბულა პოეტ ჯანო ჯანელიძის კათედრაზე ამაღლება. აწ აფხაზეთის განათლების მინისტრი თავის დროზე პატრიოტული სულისკვეთების გაზეთებს გამოსცემდა — „ოქროს საწმისს“, „კოლხურ დიადემას“, ახლა კი სრული კრახით დამთავრებას შეარქმევს ოფიციალური ხელისუფლების პოლიტიკას აფხაზეთის პრობლემების „მშვიდობიანი“ გადაწყვეტის გზაზე.

დიმა ჯაიანის პათოსი კი დასრულდება იმით, რომ ზურაბ ჭავჭავაძისა და მერაბ კოსტავას შეფიცული პიროვნება მათი პარტიიდან გამოსვლასაც არ დაერიდება აფხაზეთის განთავისუფლების ფრონტის სასარგებლოდ, ოღონდაც ასეთი ორგანიზაცია რეალურად შეიქმნას.

დათო გულუას პროფესიულ წიაღსვლებში გაჟღერდება პარტიზნების საკუთარი მთავრობისგან კომპრომეტირების აბსურდულობა. ყველა ომს ახლავს პარტიზანული მოძრაობა და ამისთანა სიტუაციაში მამულისთვის გულანთებული ბიჭების თავდადების იგნორირება, ხშირ შემთხვევაში მათი უანგარო პატროფილური ღვაწლის აშკარად დაგმობა, გაუგებარია და ეჭვისაღმძვრელი შინაარსით დატვირთულიო, დაასკვნის.

წარუშლელია, საერთო ძალისხმევით აფხაზთა ტყვეობიდან ახლახან განთავისუფლებული, სამშობლოს ნამდვილი ჯარისკაცის, ოთხგზის დასახვრეტად კედელთან მიყენებულის და მაინც გაუტეხელი რაინდის, რუზგენ გოგოხიას არწივული გამოხედვა.

ფიცხობს რუდიკ ცატავა;

ყარაბაღისკენ მიგვახედებს პოეტი გენო კალანდია, თუ რომელი კუთხის ლიდერი დაუწინაურებია ჭკვიან სომეხ ერს პრეზიდენტად.

დამფუძნებლების შეკრება კენჭს უყრის პარტიის წესდებას და მის ლიდერს, ბატონ თამაზ ნადარეიშვილს, მწვანე შუქს აუნთებს საასპარეზოდ, მაგრამ მოგვიანებით ქუჩაში შემხვედრი პოლიციის ერთ-ერთი მესვეური სამურზაყანოდან, სრულიად ცალსახად მოჭრის ჩემთან საუბარში:

იმას ხალხი არ გახყვებაო. საჭიროა ახალი წინამძღოლი, რომელიც სავალალოდ არა და არ ჩანსო.

წინდებულ პუბლიკაციასაც გალელი ჩინოსნის მომღვენთავი ორჭოფობა ასაზრდოებს. ხვალ, დილის ათ საათზე მომელის ბატონი თამაზი. მანამდე ნაჩუქარ წიგნებს ვათვალიერებ.

„აფხაზეთი ომამდე და ომის შემდეგ“ ჩინებულია პოლიგრაფიული დონით, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი სტატისტიკური მონაცემებია. დემოგრაფიული სურათი თანდათან მკვეთრდება ჩემს თვალწინ.

1897 წელს აფხაზეთის მოსახლეობა სულ 106 ათასი ყოფილა, რომელიც რაღაც ოცდაათ წელიწადში ლამის გაორმაგებულა, ხოლო 42 წლის შემდეგ 311,9 ათასი გამხდარა. ესოდენი სისწრაფით, ალბათ, ბოცვერებიც ვერ მრავლდებიან ბუნებაში. მოგვყავს ასეთი საგანგაშო ციფრები და სრულებითაც არ გვეშინია ოპონენტისგონიერებისა, რომელიც მზამზარეულად მირთმეულ მონაცემებს ფრიად საჩოთირო ინტერპრეტაციით მოგვიბუმერანგებს ხვალ-ზეგ, თუმცა აქ მთავარი სხვაა — აფხაზეთის ედემისმაგვარი ცხოვრების რეტროსპექტივა, რომელიც მკითხველის თვალწინ ელვისებურად ამოილუფხება სისხლშეზავებულ წუმპე-საფლობში.

ამისთანა წიგნებს მოგვიანებით მიუბრუნდება ჩემი განწყობილება, შედარებით სულმოთქმის მერმე, ახლა კი, სამასიათასი ოტებულის ჭირისუფალს ტრაგედიის არითმეტიკისთვის არ მცხელა.

უკვე მეორე წიგნს ვფურცლავ, პირველის ალი-კვალს ტექნიკური თვალსაზრისით, მაგრამ შედარებით მოზრდილს და მსჯელობისთვის ნიადაგის შემამზადებელს. ავტორს თანამიმდევრულად დაულაგებია საკითხები. ისტორიული ექსკურსით დაუწყია. დიდის რუდუნებით ფეხქვეშ მიწას გამოაცლის სეპარატისტულ ქარვასლებს ცნობილი მეცნიერების ნააზრევზე დაყრდნობით. ასაფუძვლიანებს თუ როგორ მკვიდრდება თანდათან „შუა სოფლის“ მაგივრად „აბჟუა“, იგივე მნიშვნელობის სიტყვა აფსუურად. სამაგიეროდ სხვადასხვა ისტორიული მოგზაურ-მეცნიერის 14 თუ 15 რუკა აფხაზ მკვლევართა ნაშრომებში მითითებული არსადაა, მარტივი მოსაზრების გათვალისწინებით: მათში აფსუას ტომი საქართველოს ფარგლებს გარეთაა, დღევანდელი აზერბაიჯანისკენ და უფრო გამამხნევებელი რეალობა — 1621 წლამდე ბიჭვინთის დიდი იადგარის, იგივე დავთრის, მიხედვით

აფხაზეთის მოსახლეობა სუფთა ქართულია; როგორც პოეტი იტყოდა, წვეთიც კი არ ურევია არაქართული სისხლი. მერე და მერე კი შეამღვრევენ და შერყნიან გეგმაზომიერად ჩრდილოეთიდან მოძუნძულებული თეთრი დათვები.

მიხყვები წიგნის სტრიქონებს ფერდობ-ფერდობ და სისხლი გეყინება ძარღვებში: იმდენი ავკაცობა და ბოროტებაა თავმოყრილი ერთად, ვგონებ აფხაზმა სეპარატისტებმა ნაცისტები გვარიანი ხანია უკან ჩამოიტოვეს. კაცთაკვლა ქვემსუბუქი წონის დანაშაულია ჩახმახზე თითის გამოკვრით, წინ უფრო ზორბა, ზონზროხა ბოროტებანი ხვნეშიან საჯოჯოხეთო სხეულებით:

ადამიანის სისხლის ხვრეპა ჩვეულებრივი მოვლენაა, როცა დონორი გაკოჭილია და მისი გადახსნილი ძარღვიდან შეუსვენებლად მოწანწკარებს ვამპირის სანადიმო ნექტარი, შეუშვერს ჭიქას მეორე ათასწლეულის მიწურულის სისხლითმოქეიფე და ილხენს, ბუღრაობს, თითქოს ბროწეულის წვენი უნებებია, ახლახან დაწურული ჯალათის თითებით და ტუჩის კუთხესთან მეწამული არშიებიც იმიტომ დასჩენიაო.

ადამიანის ხორცი ხომ ჩვეულებრივი რეკვიზიტი გამხდარა მათი კანიბალური ყოფიერებისთვის; ჩახოცავენ ღელე-ღელე უმწეო მოხუცებს და მერმე გაშმაგებული ღორების დანაფლეთებულს ძაღლები დაჰყმუიან დილიდან საღამომდე ბალნის ამშლელად.

მიხყვები უბედურებათა აღმართებს, ცრემლი ვერ ახერხებს გამოღწევას სულის საკირეთიდან, ეგრევე ორთქლდება გზადაგზა.

გვარები, ჩემი ლამაზი კოლხური გვარები, რომელიც უცხვირპიროდ მიუთვისებია ქართველების თავზე ზეზეური კალოს დამტრიალებელ მანქურთთა ლეგიონს და მთელის სიგრძე-სიგანით რომ გაანალიზებ ყოველივეს, გინდა ყელში ებრდღვნა პასპორტიდან ეროვნების რკვიზიტის ამომღებ კოსმოპოლიტს, რომელნაირთა ცივსისხლიან კისერზეა 20 ათასი ქართველის მუხანათურად ნაჯიჯგნი სული და სხეული!

,,შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ'' გონებადაუნჯებული კაცის მრისხანების მტევნებად შეკონილი წიგნია, რომელიც ბოლოს და ბოლოს გადაფარავს ინფორმაციულ ყმუილებს შინ თუ გარეთ, რუსეთსა თუ უცხოეთში ზოგადად.

ჩემს ოტობაიელებს ვეძებ ,,გალის რაიონის'' ქვეთავში. ფიჩორელი, ჩემი დედულეთელი თალიკო აქუბარდიადან მოყოლებული, რამდენი დაუხვრეტიათ, რამდენი უწამებიათ ინკვიზიციური მეთოდებით?!

16 წლის აშორტია პარტუკი უჩემობისას გაჩენილი ყრმაა, მაგრამ შოთა ბასარიას ხომ ვიცნობდი, რეზო ბაგათელიას, ვალერი ბოხუას , ვალოდიას ბიჭს?! ორ ავთანდილს, გამახარია იოსების და ორესტის მემკვიდრეებს; ომარს, ჩემი ჯემალის ღვიძლს; ოთარ გოთოლენდიას, ხუტა და არდაშელ აფშილავებს?!

უჭირს ჩემს მეხსიერებას გამოძერწოს, ჩამოაპორტრეტოს მათი განუმეორებელი სახეები. ასაკით უმცროსები არიან ისინი და ამდენად უკუნიდან მიმზერენ კვლავაც საძმო სხეულიდან.

აგერ, დგებია, იგივე დგებუაძე კოკოჩია, ყოყოჩიასაც რომ ეძახდნენ ჩემებურები, მამასავით შეურაცხადი, მაგრამ ტოროლასავით მოწკრიალეხმიანი ჭაბუკი. არ დაინდობენ ჯალათები. ავტომატის ჯერით გამოფატრავენ.

თენგიზ და პლატონ თაკალანძეებს, იგივე პუჭიკო მასწავლებელს, პლატონ ესტატევიჩით რომ მოგვამართვინებდა მოსწავლეებს, ასასტიკებენ წმინდა გიორგის საწამებელი მაშებით;

ვანიჩქა კვარაცხელია, ივანე, ბეგიევიჩი, ენაკვიმატი მაღალმაღალი გამრჯელი კაცი, საკუთარ ფანჯარასთანაა განგმირული ჩუბინის შესაშური დამიზნებით;

ვარდანა კვიტია, დომე და ვანო ქირთბაიები, გენო მორგოშია, ცხენის ძუას რომ გამოაბამენ ბარბაროსულად;

გვაძი ფარულავას, შაქროს, მანუჩარს ავტომატების კონდახების ცემით ჩაკაფავენ;

გაფატრავენ ფაცურიებს, ფიფიებს ... ზარენ ქარდავა, ყურით რომ იჭერდა მოთარეშე ღორებს, საკუთარ სახლშია ნასასტიკები თანამოგვარე პარმენსავით;

კოკი ოყუჯავა, ჩვენი ჯიქადწოდებული კოკი, დახვრეტილია მუხლჩაუხრელობის გამო;

აკაკი შენგელია, ისტორიის მასწავლებელი ჩემი, დანაცრულია საკუთარ ოდა-სახლში; ასევე გოჩა ზურაბის ძე შენგელიაც, ოცდაექვსი წლის ჭაბუკი, დანაფლეთებულია მძვინვარე მხეცისგან;

ვალერიან შონიას ლოგინში ცეცხლს შეუკეთებენ და ზეზეურად ააგიზგიზებენ სამოცდაათს გადაცილებულ მხცოვანს;

მამია და ჭუტა ჩიტაიებს ნადირისთვის შესაშური მეთოდებით აუგებენ წესს;

ზაურ წარაღბაიას მაშებით დააძრობენ ფრჩხილებს, მერმე ყურებს მოაჭრიან და ენასაც ამოზ-

ლეტენ, რათა საიქიოში ვერც წამოლუღლუღება მოახერხოს და შესმენითაც ვერავის გააგონოს ჩქამი;

თამაზ ძაძუას, კოტე ანჩაბაძეს ვაჟს და ბაკვა სახეიშვილს ცალ-ცალკე განგმირავენ სიმინდის მარგვლისას თუ გამოროდებისას.

მჭედელი ნოდარი ჭედიას ვაჟს, ჯემალს, ჭიშკართან ააფართხალებენ არაკაცები;

დახვრეტენ ნიკოლოზ ხარებავას ღუძი შონიას ამხანაგობაში;

ხუფენიებს — დაფენტს, ვაჟა ამბროსის ძესა და ვარადს — დაჯიჯიგნიან, დაანაკუწებენ;

კაკო ჯაპავასა და ავთანდილ ჯაფარიძეზე სომეხი ბოევიკები იმძლავრებენ;

ბონდო ჯინჯოლიას ცოცხლად დაწვავენ მანქანაში;

გმირულად დაეცემიან აფხაზეთის ომში სრულიად ოტობაიის სტუმრები მშვიდობიანობის პერიოდში, ჩემი პერანგის მეგობრები გურამ აღნიაშვილი და ნუკრი ცისკაძე. ერთს ჩეგევერათი მივმართავდით და მეორეს პოდპოიესნით.

ეს არასრული სია ზღვაში წვეთია რეალობასთან შედარებით. ყველაფერს გადაფარავს ვალიკო ღურჯიას, ცაცია ფრენბურთელის, ზურაბ ალფენიძისა და ოთხი შვილის მამის, მამიდაშვილი ბოჩია მეფორიას მწვალებლობა. ფორანზე გამოაბამენ ამ ორს და ნანაღმარ ორმოში ჩახოცავენ უმოწყალოდ მოხრეშილზე კილომეტრობით ნათრევთ.

წიგნში უნებლიეთ შენიშნული კორექტურისთვის თუ ფაქტობრივი შეცდომებისთვის ვერ იცლის ჩემი გონება. ,,რეპი''— რეფია, ალბათ, ,,პიჩორა''— ფიჩორი.

ორჯერ არ აღმოჩნდებოდნენ სასიკვდილო სარეცელზე ვარდანა კვიტია და ზარენ ქარდავა, მაგრამ რა დროს ხარვეზებზე ფიქრია, როცა საკირეთში გადავშვებულვარ თავკისერფეხებიანად?!

ამოიწურა აფხაზ სეპარატისტთა საჯალათო არსენალში დასჯის მეთოდოლოგია, ქართველების ყანყრატოებთან, მაჯებთან, მყესებთან; ყასაბები ვერ აქნიან უკეთესად ბურვაკებს თუ დეკეულებს, ვინემ ეს არაკაცები; კაცჭამიათა კასტა ბოინობს სისხლის სუნით გაჟღენთილ ხაერში.

დიახ, სისხლით გაჯერებულა თხმელიანი, მოჩხრიალე ღელეები, თვით ყველაზე საძაგსუნიანი ჭინჭრიანიც კი და აი, ამისთანა საშინელებათა მამხილებელი წიგნი-კოშმარის ლაბირინთიდან გამოღწეული, არაფერი გასაკვირია, გამთენიიდანვე ბოლთას ვცემდე რუსთაველზე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ფანჯრების სიახლოვეს; მაგრამ იქ უფრო ადრე შერხეულა ფარდები არანაკლებ სულდაღრღნილი გენერლისგან და მეც ინტერვიუერის პოზაში გავრინდულვარ რესპოდენტის წინაშე, აპაპარა საუბარს შიგა და შიგ ადევნებული.

— ბატონო, თამაზ, ახალგამოცემული თქვენი წიგნების ღირსებებისა და აქტუალობის შესახებ, ვფიქრობ, მოვიცლით ოდესმე მეტი გულისყურით, ამჯერად კი მინდა ყურადღება გავამახვილო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილ ფაქტზე: თქვენ თურმე დიდი ალექსანდრეს, იგივე ალი-ბეი შერვაშიძის უშუალო შთამომავალი ყოფილხართ დედის ხაზით, მერი შერვაშიძის შვილიშვილი ... — ეს სახელი და გვარი რატომღაც გალაკტიონთან გადამაფრენს ანაზდეულად. ყოყმანის დრო არ არის და ჩამწერის მქისე შრიალში გულისნადებს რატომღაც ფრთხილად ჩამოვშორდები, — იქნებ გვითხრათ ზოგი რამ თქვენი გენეოლოგიის, ოჯახური გარემოს თაობაზე?

— ნუ, რაც შეეხება ჩემს გენეოლოგიას, — აქ რატომღაც წაიბორძიკებს ყირმიზი სახის, სრული ტანის პიროვნება, — დავიბადე ქალაქ გაგრაში 1954 წელს, რომელიც ბაბუაჩემმა დაარსა.

— პაპათქვენმა? — მოვუქცევ კახურად.

— დიახ, ბაბუაჩემმა, — ძველებური ინერციით გააგრძელებს რესპოდენტი, — ვარლამ შენგელაიამ, რომელიც მერი შერვაშიძის ქმარი გახლდათ.

— მაპატიეთ, გალაკტიონის ,,მერი შერვაშიძე'' ხომ არა? — ვიმარჯვებ ახლა მაინც და ყურადღებით გავადევნებ თვალს მის სალუქ მოძრაობას.

ბატონი თამაზი უჯრიდან გაზეთს ამოიღებს. გადმომიშლის.

ორი მწყაზარი ბანოვანი მომაჩერდება პირველივე გვერდიდან, ორივე არისტოკრატული სიამაყით თავაწეული, თუ ყელგადაგდებული სულაც, მკუთავ შაშვს რომ სჩვევია იმგვარად, ან კიდევ პატეფონის მითაჟამინდელ მემბრანას, ფირფიტიდან უკუგდებულს ტარიელ ჭანტურიასებურად.

მედალიონის ოვალიდან იმზირებიან მოჭიმული ასულები. აქედანვე ვგრძნობ კორსეტების წკიპამდე მისულ დაძაბულობას.

ხელმარცხნივ მერი პროკოფის ასული შერვაშიძეა, 1890 წელს დაბადებული, ლამის საუკუნეს რომ მიატანს მერმე — 1986 წელს აღესრულება ნეტარი მარაზმით. შუაზე გაყოფილი თმა, სახის უფაქიზესად ჩამოძერწილი ნაკვთები, შორსმზირალი გიშრისფერი თვალები, ახმატოვას ცხვირის კონტურები, აშკარად მეტყველებენ იდუმალებით მოცულ მის ბუნებაზე. ირონიული ღიმილის

ლიბრგადაკრული მზერა რაფიელის „სიქსტეს მადონასავით“ ამპარტავნულად უგულებელყოფს ყველას და ყველაფერს. საკუთარ სიმაღლეში თავდაჯერებული თეთნულდის მკერდივით ცივი და უკარებაა, თუმცა შავით შემოსილა, როგორც ელეგია. ნიკაპამდე შეკრული ღილები ასაიდუმლოებენ სპილოსძვლის მიუწვდომელ სანაპიროებს. ასეთია აბაშაში გამოცემული დამოუკიდებელი გაზეთ „რტონის“ თავფურცლის მარცხენა მხარე.

ხელმარჯვნივ მერი ივანეს ასული შერვაშიძეა, ბერძნული ცხვირითა და ბარაქიანი, მსუყე ტუჩებით. ყარყარა ყელი აღმოსავლეთისკენ მიუტრიალებია და მაღალი შუბლი ღმერთმა უწყის, ვის, რომლის მოლოდინში გადაცისკროვნებია. ესეც თავისთავის მცნობია, ჯილა, ეგვიპტური მხრებით, ხერას საცრისხელა თვალებით და გასაოცარი თავისთავადი ლირიზმით, რომელიც სატრფოს დაშორიშორებულ ასულებს აღებეჭდებათ ხოლმე სახეზე მინანქრული სიმკაცრით. ორი წლით უმცროსია თანამოსახელე დედოფალზე ივანოვნა. შორეულ ქვეყანაშიც — მოუსავლეთს რომ ვეძახით ნიშნისმოგებით, წყვილი შემოდგომით ადრე წაფეხმარდდება 1984 წელს. გალაკტიონის შედევრის საიდუმლო კი სამარეში ჩაჰყოლია ორივეს.

თითქოს პირი შეუკრავთო, ჯიუტად, კუშტად, ირონიული ღიმილით უარყოფენ „მერის“ პროტოტიპობას. ქრონოლოგიების მიხედვით კი პროკოფის ასული 1918 წელს დაიწერს ჯვარს ქუთაისში, მთავარანგელოზის ეკლესიაში, გენერალ-მაიორ გიორგი ერისთავზე.

ივანეს ასული ხომ მთელი შვიდი წლით დაასწრებს ხიმენეს ნაკადში შეტოპვას მეტოქე სეხნიას: 1911 წელს ლიხნის საკათედრო ტაძარში დაქორწინდება კონსტანტინე ლაკერბაიაზე, თუმცა წყვილისთვის დაგვირგვინება უბედური გამოდგება, უსამართლობის მსხვერპლი შეიქნება მოყმე და მწყაზარი ქვრივი მეორედაც ცდის ბედს, ამჯერად ჩვენი რესპოდენტის ბაბუაზე, ვარლამ შენგელაიაზე.

მესმის ჩამწერის მუნჯი შრიალი.

ქუთაისში ტრიალებს ორივე მერი, მართალია, გალაკტიონს მათთან შეხების არანაირი ფამა ეშარიშურება ხაერის ლურჯი აბრეშუმებით, თუმცა ასაკით მათი კბილაა, მაგრამ ვინაიდან „მერი“ 1915 წლითაა თარიღდება, უფრო სავარაუდებელია, რომ ლექსის პროტაგონისტობის მეტი პრეტენზია მერი ივანეს ასულს გააჩნდეს.

ვენათხოვრები გაზეთს დასაქსეროქსებლად რესპოდენტს და რუდუნებით შევუდგებით ჩვენი მარათონული დიალოგის აღმართს.

— ეს არის ბებიაჩემი, დედაჩემის დედა, — სალოკი თითის შეხებით მიზუსტებს ბატონი თამაზი, — ისე კი ორივე ცხრაასჩვიდმეტ წელს, პრაქტიკულად რევოლუციის შემდეგ, თავთავიანთ ოჯახთან ერთად წავლენ საფრანგეთში და დარჩებიან იქ. მერი პროკოფის ასული სამუდამოდ ჩამოშორდა სამშობლოს. აი, ბებიაჩემს კი გულმა ვერ მოუთმინა, დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ 37 წელს იძულებული შეიქმნა კვლავ დაეტოვებინა იგი, ვინაიდან დაუხვრიტეს ქმარი ვარლამ შენგელაია. სხვა რაღა დარჩენოდა, სანამ მასაც არ მოსპობდნენ უნდა ეშველა თავისთვის. ყველა ახლობელი გაუჟუჟეს. მაგალითისთვის, აი, ზურაბ ანჩაბიძის მამა, იანურ ანჩაბაძე, მთელი წრე ჩვენი კაცებისა, სუყველა დაუხვრიტეს და სხვა რა ჩარა იყო, მაგრამ იქაც ველარ გაძლო დიდხანს, ემიგრაციაში. ვერც საფრანგეთს დაუდო გული, ვერც — თურქეთს და პოლონეთს. გარისკა და მეორედ ჩამოვიდა. გალაკტიონს ისინი არასოდეს უნახავს. ამბობენ ფანტაზიის ნაყოფი იყო, ლექსი სურათს მიუძღვნაო და ვინ იცის, ასეთია ბებიაჩემის განმარტებანი, ქალის ნათქვამს თუ დაეჯერება.

— გალაკტიონი და სურათი შთაგონების წყაროდ?

— დედაჩემს რომ ვკითხავდი, მეუბნებოდა, ამას უძღვნაო, — მარჯვენა სურათს შეახებს კვლავ სალოკ თითს, — მე რა შუაში ვარო, აიჩეჩავდა მხრებს, ორი მერი შერვაშიძე იყოო.

— ორი მერი შერვაშიძე და ერთი გალაკტიონი, — ჩავილაპარაკებ ჩემთვის, — მართლაც პოეტურია.

— ხო, ორი მერი შერვაშიძე, ერთმანეთის ბიძაშვილები. ახლაც თვალწინ მიდგას შეუდარებელი ბებიაჩემი. ოქროს მედალი აუღია საფრანგეთში სილამაზის კონკურსში, მაგრამ ლექსი რომელს ეძღვნება, ამისი დამტკიცება უკვე წყლის ნაყვაა. შეიძლება ამას უძღვნა, შეიძლება იმას, — გაშლილ გაზეთს მისჩერებია კვლავ, — ეს კაციშვილმა არ იცის. ბებიაჩემის შტო აფხაზეთს გამგებლობდა.

— დიდი მთავრის ჩამომავალი ყოფილა.

— ნამდვილად. მთელს აფხაზეთს განაგებდნენ ისინი. აი, ამის ბაბუა, — ისევ მერი ივანეს ასულის სურათზე მიუთითებს, — გრიგოლ შერვაშიძე სოხუმის პირველი საკრებულოს თავმჯდომარე გახლდათ. რევოლუციის შემდეგ ყველაფერი წაართვეს ბოლშევიკებმა: სახლები, მიწები, ძვირფასეულობა, მაგრამ ღირსებას ვერაფერი მოუხერხეს. თავად ბებიაჩემი გათხოვების შემდეგ საცხოვრებ-

ლად გაგრაში გადმოვიდა, პრინციპში იგი ვარლამ შენგელაიას დაარსებულია. გაგრას წინათ შენ-
გელაევკა ერქვა.

— შენგელაევკა? ძალიან საინტერესოა, — მივაჩერდები სახეზე მეტი ნდობის მოსაპოვებლად.

— დიახ, დიახ. ესეც მნიშვნელოვანი მომენტია. ზოგიერთი მეუბნება:

აი, შენ იძახი, ჩემი წინაპრები აფხაზები იყვნენო; ამოგიჩემებია აფხაზეთს განაგებდნენო, აფხა-
ზეთი ჩვენიაო, ვის სცალია ახლა მაგ ზღაპრებისთვისო. შერვაშიძეების აფხაზობას რომელი უარ-
ყოფს, მაგრამ ბებიაჩემის ქმარი მეგრელი გახლდათ, ისიც თავადური წარმოშობისა. გაგრა საერ-
თოდ მალარიის ბუდედ ყოფილა ცნობილი. ვარლამი ნიკოლოზ მეორეს ახლობელი იყო, ნათესავი.
რუსეთის მეფეს, როდესაც შავზღვისპირეთში უმოგზაურია, ძალიან მოსწონებია აქაურობა. აი, ის
მიწის მონაკვეთი, — კედელზე ჩამოკიდებულ სურათს მანახებს, ფეშენებელურ კოტეჯიანს, მწვანეში
ჩაფლულს...

— ხომ არ იცით თვითონ გაგრა რას ნიშავს ეტიმოლოგიურად? — ჩავერთვები საუბარში.

— გაგრა? არა, ეს ისეთი სახელია, — ხაერში წრეს მოხაზავს, — აი, ხეობასავით არის რაღაც.

— შესაძლოა რუსული „გაგარიდან“ მოდის, ან სულაც ქართული „გაგადან,“ რომელიც ლეღ-
ვნარს ნიშნავს საბას მიხედვით. ბ-ნი თეიმურაზ მიბჩუანი გაგრას სვანურ ტოპონიმად მიიჩნევს და
ნიგვზიანთან აიგივებს. პავლე ინგოროყვას ვერსიით კი გაგრა (გაგარი) წარმომდგარია ძველი
ქართული ქალაქის „გაგის“ სახელწოდებიდან.

— არა, არა მგონია. მაშინ მალავდნენ ამეებს. არც მე დავინტერესებულვარ. აზრადაც არ მომ-
სვლია გამომეკვლია. კომუნისტების დროს ამისთანებზე ფიქრით თავს არავინ იწუხებდა. საერთოდ,
მე ბებიაჩემთან ლაპარაკი მეკრძალებოდა. მე სამსახურშიც არ მღებულობდნენ რიგ შემთხვევაში.
აი, დავუშვათ, სადმე რომ მივიდოდა ჩემი საბუთი, რატომღაც ყოველთვის ცივი უარით მიშორებ-
დნენ თავიდან. მერე და მერე გავიგე, თურმე „კაგებე“ აძლევდა უარყოფით დასკვნას, იმიტომ რომ
შარვაშიძეების შთამომავლად მიმიჩნევდნენ. ხოდა, აი, პრინცმა ორდენბურგსკიმ და ვარლამ შენ-
გელაიამ ითავეს ქალაქის დაარსება. რომ დააკვირდებით გაგრის შენობებს, უფრო გერმანულ და
შვეიცარულ ნაგებობებს წააგავს, რადგანაც იქიდანაა ჩამოტანილი და ადგილზე აწყობილი. შეხე-
დეთ გაგრიფშის სკოლას, — ხელით გახაზავს მერამდენედ კედელზე ჩამოკიდებულ სურათს, —
დასასვენებელი სახლი, უამრავი სხვა შენობა, სულ ევროპული სტილისაა. მოკლედ, ამ ორი გვარი-
დან, შერვაშიძეებისა და შენგელაიების ერთობიდან გამოდინარე, მე რა თქმა უნდა დიდი პრეტენ-
ზია გამაჩნია აფხაზეთზე.

— ალბათ, მონარქისტული პოზიციიდან.

— ხო, ხო, გენეალოგიური ხე რომ ავიღოთ, მე ვარ მათი პირადპირი შთამომავალი, რადგანაც
კაცები არ დარჩნენ, ერთიანად გაჟუჟეს ...

— ეს მეც შევნიშნე თქვენი წიგნიდან „შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ“.

— კაცები ერთიანად გაწყვიტეს. გვარის გამგრძელებელი არავინ დაუტოვეს, დაახლოებით იმგვა-
რად, როგორც ნიკოლოზ მეორეს ოჯახს დამართეს. ერთიანად შეეწირნენ ბარბაროსულ რეპრესიებს.
მართალია, მე ნადარეიშვილის გვარს ვატარებ, მაგრამ ბებიაჩემი ხომ შერვაშიძე გახლდათ, რომლის
სისხლიც ძალუმად ხმიანებს ჩემს ძარღვებში. ცოტა პათეტიკურად გამომივიდა, მაგრამ მიდი და
სინამდვილეს გაექეცი? ამიტომ ვეუბნები ყველას: არა რაღაც თანამდებობა, არა რაღაც პოლიტიკუ-
რი ამბიცია, მე აფხაზეთისკენ მეძახის ჩემი გენი, ჩემი ჯიში, ჩემი ფესვი და რა მნიშვნელობა აქვს ვინ
ვიქნები, რა ვიქნები?! ჩემთვის მთავარია, რომ ჩემი კუთხეა იქ, ჩემი დედულ-მამული, სადაც დავიბადე,
გავიზარდე, სადაც ბებიაჩემი დაიბადა და გაიზარდა, იმისი მშობლები დაიბადნენ და გაიზარდნენ,
იყოს ქართული, ბაჯაღლო ქართული ...

— ამას რა სჯობია, ბატონო, თამაზ!

— და მეორე მომენტიც, მნიშვნელოვანი სხვათა შორის. აი, ბებიაჩემი, რომელიც აფხაზი ქალი
იყო: ოჯახში ჩვენი ყოველდღიური სალაპარაკო ენა მეგრული გახლდათ, აი, იმ აფხაზურ, დიდ
აფხაზურ ოჯახში. ამიტომაც როდესაც ბებიაჩემი ყურს უგდებდა ქართველების და აფხაზების
უთანხმოებებს, როდესაც ესმოდა ლაპარაკი აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე, მის გამოსვლაზე
საქართველოს იურისდიქციიდან, მხრებს იჩეჩდა, ვერ გებულობდა რაზეა საუბარი. ვერაფრით წარ-
მოედგინა აფხაზეთი უსაქართველოდ; როგორ შეიძლება აფხაზი ქართველი არ იყოსო, დაიჩივლებ-
და. მათი სალოცავი ენა ეკლესიაში ქართული გახლდათ, ხოლო ყოველდღიური სალაპარაკო—
ქართულ-მეგრული. მე მახსოვს ძველი თავადი აფხაზები: შამბები, ანჩაბაძეები, მარშანიები, ესენი
ყველა ქართულ კულტურაზე იყვნენ გაზრდილი. ქართული მათთვის ნომერ პირველი ენა იყო. რაც
შეეხება ბებიაჩემს, პოლონური ენაც იცოდა, თურქულიც, ფრანგულიც.

— დიდად განათლებული ყოფილა.

— ხო, პეტერბურგსა და საფრანგეთში ხქონდა განათლება მიღებული. იცოდა მეგრულიც, ცხადია, აფხაზურთან ერთად, მაგრამ მათი ოჯახებისთვის უპირველესი ქართული გახლდათ. აი, ამიტომ მე გენეტიკურად მომდევს, ასე რომ ვთქვა, სისხლხორცეულად დავიცვა ეს კუთხე. ეს არის ქართული მიწა-წყალი, ჩვენი მიწა-წყალი, და უფლება არა მაქვს სხვა გზით ვიარო.

— ბატონო, თამაზ, თქვენ თუ იცით ცოტა აფხაზური?

— არა, მე არა.

— შეუძლებელია იოტისოდენად მაინც არ გესმოდეთ.

უშურველად იცინის.

— რაღაც-რაღაცებს ვიგებ, ბუნებრივია, ისე კი მეტი მონდომება გვმართებდა. აფხაზურის ცოდნა არავის გვაწყენდა, მაგრამ ესეც მესამე ძალის შორსგამიზნული პოლიტიკა გახლდათ.

დავუბრუნდეთ შეკითხვას. რა თქმა უნდა ძალიან შემტკივა გული: დღეს აფხაზეთი განუკითხავად ჩანაგდება. რაც ჩემმა წინაპრებმა გააკეთეს, გააშენეს, შემოიტანეს, ეს ყველაფერი კვდება. ის პარკიც, რომელიც ხუთიოდე წლის წინ გაგრაში სამოთხეს ხგავდა, გავერანებულია, გაუდაბურებული, სარეველამ წალეკა. ამიტომაც მერწმუნეთ, რაც უფრო მალე დავბრუნდებით აფხაზეთში, მით უფრო გადავარჩენთ არა მარტო იქ ჩარჩენილ ხალხს, არამედ — დედაბუნებასაც, ლაპარაკია ტერიტორიაზე, ვინაიდან ეკოლოგიურმა კატასტროფამ შეცვალა წყალი, ხაერი, ხმელეთი. გაბინძურებულია ზღვა, გაკაფულია ხეები, ყველაფერი გააქვთ. კლიმატის გადაგვარების წინაპირობაა. ასე რომ, რაც უფრო ჩქარა გადაწყდება ჩვენი დაბრუნების საკითხი, მით უფრო ეშველება ფლორასაც, ფაუნასაც და ადამიანებსაც.

— რას გვეტყვით ოჯახის წევრებზე?

— მე მეუღლე მყავს სოხუმელი, ლელა ყურაშვილი. გოგო სწავლობს მეოთხე კურსზე უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. ბიჭი იურისტი მეზრდება, ამჟამად მესამეკურსელია. გოგო ახლახან გამითხოვდა. სიძე, გიორგი კერესელიძე, დიპლომატია. ვაჟიშვილი დაოჯახებას არ ჩქარობს, ახალგაზრდობით იმართლებს თავს და მეც ძალას არ ვატან.

— მიმაჩნია, რომ დასახელებულმა წიგნებმა გარკვეულწილად წინ წასწიეს აფხაზური ტრაგედიის კვლევისა და მხილების საქმე, თუმცა საერთო აღიარებით ჩვენ, აფხაზებთან, ყველაფერთან ერთად, ინფორმაციული ომიც წავაგეთ.

საზოგადოებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ აფხაზეთის დევნილი მთავრობისთვის ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები მიზანმიმართულად არ გამოიყენებაო.

ნაცვლად იმისა, რომ ის სახსრები ინფორმაციულ ომს მოხმარებოდა შინ თუ გარეთ, საგამომცემლო საქმიანობას, არნახული, არსმენილი, გაუგონარი გენოციდის გამოაშკარავებას: პრესით, ტელევიზიით, რადიოთი, დოკუმენტური კინოთი ქართულ, აფხაზურ, რუსულ, ინგლისურ თუ სხვა ენებზე, ვიღაც-ვიღაცის საამებლად შექმნილი სამინისტროების მადას შეეწირაო.

ზოგჯერ თქვენი ოპონენტები ისეთ არგუმენტს მოიშველიებენ, ბატონო, თამაზ, ჩააფიქრებენ კაცს.

დევნილ მთავრობას, რომელსაც არ გააჩნია, მიწა, წყალი, ხაერი ცის გაგებით, რაში სჭირდებოდა სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის სამინისტროებიო.

მოკლედ, ანეკდოტის სიტუაციაში ვართ, როცა ცეკაში სომეხი მოითხოვს საზღვაო სამინისტროს გახსნას და ცივ უარს სტკიცავენ:

ზღვა თქვენ არა გაქვთ, გემს სად გაუშვებთო.

ის კი იხტიბარს არ იტეხს, მაშინ აზერბაიჯანელს კულტურის სამინისტრო რაში სჭირდებაო.

მისასალმებელია წლის დამდეგს აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის დაარსება, მაგრამ ოპოზიცია აქაც უამრავ ბრალდებას წამოგიყენებთ, თითქოს ამ პოლიტიკური მოძრაობის შექმნას განაპირობებდეს არა აფხაზეთში გამარჯვების სურვილი საერთოდ, არამედ — ცაიტნოტი, დეპუტატობის მანდატის ამოწურვა.

დავუმატებ ჩვენს მხრივ, იქნებ პარტიის დასახელება სხვანაირად ჩამოყალიბებულიყო, რადგანაც აფხაზეთის წინწამოწევა ჩრდილავს სამაჩაბლოს პრობლემებს, ზოგად პრინციპებს, საქართველოს ბრძოლას ტერიტორიული მთლიანობისთვის ყველა მიმართულებით.

— რაც შეეხება ჩემს წიგნებს, არასდროს მქონია მწერლობისადმი მიდრეკილება თუ სურვილი. მაგრამ მათი დაწერა შექმნილმა ვითარებამ განაპირობა, ვინაიდან ვიგრძენი ერთი დიდი საშიშროება:

არა მარტო უცხოეთში, არამედ თვით საქართველოშიც, არავინ იცის დანამდვილებით თუ რა მოხდა აფხაზეთში, რა უბედურება დატრიალდა ჩვენს თავს. რატომღაც ძალიან ხშირად მიწევს

იმისი მტკიცება, რომ ეს არ იყო ეთნოკონფლიქტი ქართველებსა და აფხაზებს შორის. არ ვიცი საიდან, მაგრამ შექმნილია ისეთი აზრი, რომ აი, ქართველებმა და აფხაზებმა რაღაცა ვერ გაიყვეს, რაღაცაზე ვერ მორიგდნენ, რაღაცაზე წაიჩხუბნენ, ატეხეს ომი, დახოცეს ერთმანეთი და ახლა უნდა შერიგდნენ და გააგრძელონ მშვიდობიანი, საამური ცხოვრება.

მე ჩემს წიგნებში მინდოდა საზოგადოებისათვის მეჩვენებინა, რომ ეს უფრო დიდი პრობლემაა, ვინემ — სამაჩაბლო. საკითხის გულდასმით ანალიზი გვანახებს, რომ ეს მაინც იყო სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი, ინსპირირებული მესამე ძალის მიერ, ანუ რუსეთის სახელმწიფოსგან, რომლის აგრესიის შედეგად საქართველოს განუყოფელი ნაწილი აფხაზეთი დღეს პრაქტიკულად ოკუპირებულია.

ხომ დაიბადება კითხვა: კი, მაგრამ რამ გამოიწვია ეს ვითარებაო? პასუხი ცალსახაა. ყველაფრის თავი და თავი საბჭოთა კავშირის დაშლაა. საქართველო ნებსით თუ უნებლიეთ დაადგა ნანატრი თავისუფლების, დამოუკიდებლობის, დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის გზას და ეს ჩვენ არ გვაპატიეს. ამიტომაც წიგნისთვის შემთხვევით არ დამირქმევია ,,შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ''. დიახ, ეს იყო ტიპიური შეთქმულება, ცბიერებით, მუხანათობით მოწყობილი. ამგვარია სიტუაციის ზუსტი შეფასება, სწორი დიაგნოზი.

დიახ, კონფლიქტი ინსპირირებული გახლდათ რეაქციული ძალების მიერ. ამიტომაც წინააღმდეგობათა ძებნა ქვეყნის შიგნით კი არა, მის ფარგლებს გარეთ დავიწყე და როცა პრობლემას გულისგულში ჩავუღრმავდი, ვფიქრობ, მივაგენი კიდეც. ერთხელ და სამუდამოდ დავადგინე, რომ დაპირისპირება ქართველებსა და აფხაზებს შორის, ძმათამკვლელ ომში გადაზრდილი ეთნიკური კონფლიქტი, ათეული წლების განმავლობაში მზადდებოდა მესამე ძალის მიერ, იგივე იმპერიალისტური რუსეთისგან და აი, 89 წლიდან მათ პრაქტიკულად მიეცათ იარაღის გამოყენების საშუალება.

მეორე მომენტი, ალბათ, გახლავთ ის, რომ როდესაც მე ვიყავი უცხოეთში, დავუშვათ: ინგლისში, საფრანგეთსა თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვხვდებოდი იქ სხვადასხვა კატეგორიის ადამიანს, უნივერსიტეტებში ლექციების კითხვაც მიწევდა და თვალნათლივ ვამჩნევდი, რომ იქაური საზოგადოება აბსოლუტურად სხვანაირადაა ინფორმირებული. გამეფებულია აზრი, რომ თითქოს ქართველები თავს დაესხნენ პატარა, საცოდავ აფხაზებს. ქართველები არიან კაციჭამიები, მოაწყვეს გენოციდი და ვინ მოსთვლის...

— სახაროვის სიტყვებიც მათ წისქვილზე ასხამს წყალს. პატარა იმპერიად ჩვენი მონათვლა დიახაც მისგან მოდის.

— მისგანაც, ბონერისგანაც და სხვებისგანაც. შემდეგ, როდესაც მე ვთხოვე საელჩოს წარმომადგენელებს: აი, მოდით, ერთი ვნახოთ, რა საბუთები არსებობს საერთოდ - მეთქი, წამიყვანეს, ლონდონის, პარიზის, ნიუ-იორკის ეროვნულ ბიბლიოთეკებში და როდესაც მოვითხოვე ინფორმაცია აფხაზეთის შესახებ, გამომიტანეს 4-5 წიგნი, ჩინებულად გამოცემული, ინგლისურენოვანი, აფხაზების დაწერილი, აფხაზების ავტორობით.

— ესე იგი, გვჯობნიან ინფორმაციულ ომშიც, — ვამბობ და მოსაუბრეს თვალს არ ვაცილებ.

— გვჯობნიან რომელია, მიწასთან გვასწორებენ. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც შევა სხვა ქვეყნის ბიბლიოთეკაში და უბრალოდ ითხოვს წიგნს, რათა მეტნაკლებად გაიგოს თუ რა ხდება აფხაზეთში, მათი წაკითხვის შემდეგ იქიდან, ცხადია, ანტიქართველი გამოვა. ამიტომაც გადავწყვიტე რაღაცნაირად გამებათილებინა აფხაზური დეზინფორმაცია, ანტიქართული ჩმახები, ისტორიული სინამდვილის დამახინჯებანი, ტენდენციურობანი. გადავწყვიტე შემექმნა დოკუმენტურ მასალაზე აგებული წიგნი, რომელიც ცილისმწამებლურ ბურუსს რამდენადმე გაფანტავდა. ძალიან გაგვიჭირდა ასეთი წიგნის ჯერ დაწერა, მერე დაბეჭდვა, ბოლოს ინგლისურად თარგმნა და გამოცემა, მაგრამ საერთო ძალისხმევით მაინც მოვახერხეთ და იმ ქვეყნებში, სადაც მე ვიყავი, ან სადაც ჩვენი საელჩოებია, გავაგზავნეთ გარკვეული ოდენობით, რათა ბიბლიოთეკებში ჩაედოთ.

— ესე იგი ,,შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ'' ინგლისურად თარგმნილია, არა? — თანხმობის ნიშნად თავს მიქნევს, — კარგი საქმე გაგიკეთებიათ, ანტიქართულ აფხაზურ პარპაშს წყალი შედგომია რამდენადმე.

— კი, ინგლისურად თარგმნილია. თურქულადაც ითარგმნა ამას წინათ, გავრცელდა თურქეთში და მე მინდა გითხრათ, რომ მანამდე გაორებულ, ვიტყოდი გონებამოწამლულ ლაზებში სასიკეთო როლი ითამაშა ჩვენსკენ მოსაბრუნებლად.

თვალსაჩინოებისთვის ერთ მაგალითს მოვიშველიებ. 94 წელს ინგლისში ყოფნისას შეხვედრა მქონდა ლონდონის უნივერსიტეტში ხიუტთან. მაშინ იქ ჩვენს წინააღმდეგ ერთსულოვანი აგრესია სუფევდა, მაგრამ მეორედ ჩასვლისას დავინახე რომ ადრე ქართველმოძულე ხალხის ნაწილი უკვე

სხვანაირად ფიქრობდა და არ დაგიმალავთ, ძალიან მოხარული ვარ, რომ ამ საქმეში ჩემმა წიგნმა პატარა, მცირე, მაგრამ მაინც საჭირო წვლილი შეიტანა.

ამიერიდან ცოტა სხვაგვარად უყურებენ უცხოეთში დღევანდელ ჩვენს კონფლიქტებს.

მესამე მომენტი გახლავთ ის, რომ ძალიან ხშირად გაიგონებთ პოლიტიკურ წრეებში: რასაც ნადარეიშვილი ხყვება, ეს მისი ფანტაზიის ნაყოფიაო. ეს ყველაფერი შურისძიების გრძნობიდან გამომდინარეობს და არა — რეალური ვითარებიდანო. ამიტომაც მე წიგნს სპეციალურად დავურთე დაღუპულების სია, გენოციდის მსხვერპლთა ჩამონათვალი, რომელიც ხუთი ათასს აღემატება. მეორე იმდენი წიგნს მიღმა დარჩა, კიდევ 5000 ზვარაკი მშვიდობიანი მოსახლე. ფაქტს ვერსად გაექცევიან. ფაქტი ჯიუტია. უთანასწორო ომის შემდეგ, ხუთ წელიწადში 10 ათასი ადამიანია წამებით მოკლული, ორივე სქესისა, მოხუცი, ჭარმაგი, ჭაბუკი თუ ბავშვი. ყველა გვარის გასწვრივ მითითებულია თუ რა ვითარებაში დაიღუპა ესა თუ ის მოქალაქე.

როდესაც ადამიანი უშუალოდ ბრძოლის ველზე კვდება, სულ სხვა ამბავია, ომის კანონზომიერებით რაღაცნაირად „გამართლებული", მაგრამ როდესაც კაცს თავს ჭრიან და ფეხბურთს თამაშობენ, ან მის სისხლს სვამენ ჭიქებით დაჭრილის თვალწინ, ან კიდევ ქართველის ხორცს რომ ხყიდიან ბაზარში ღორისა და საქონლის ხორცის გვერდით, ამაზე მეტი ბარბაროსობა იქნება? როგორ შეიძლება აქ არ ითქვას გენოციდი და ეთნიკური წმენდა არ იყოო?

ამიტომ მე მინდა ყველამ ერთხელ კიდევ გაიაზროს რა მოხდა სინამდვილეში, რა ხდება ახლა, როგორი დაუნდობლობით გვებრძვიან.

შერიგება საჭიროა, მაგისი დროც მოვა. „ვეფხისა და მოყმის ბალადის" ავტორ ხალხს სულგრძელობას ვერავინ გვასწავლის, მაგრამ გენოციდი და ეთნიკური წმენდა არ შეიძლება დავიწყებულ იქნას. ქვეყანაც რომ დაიქცეს ამაზე პასუხისმგებელნი მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ. ყველაფერს რომ მოვეშვათ რანაირ სახელს დავუტოვებთ შთამომავლობას, რა თვალით შევხედავთ წინაპართა ნათელ სულებს, რომელთაც ჩვენი ქვეყანა გმირული თავდადებით მოუტანიათ აქამდე?!

— ინფორმაციულ ბრძოლასთან დაკავშირებით, კიდევ მაქვს ქვეკითხვა, ბატონო, თამაზ. სასიხარულოა თქვენი წიგნების გამოსვლა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ზღვაში წვეთია, ალბათ. კიდევ ბევრია შესაქმნელი. ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა მოვადუნოთ ყურადღება ინფორმაციულ ომში: პრესით, რადიოთი, ტელევიზიით, ბელეტრისტიკით თავისთავად. ბატონო, თამაზ, ოპოზიციონრები კვლავაც კრიჭაში გიდგანან, ალტერნატიული პარტიის შექმნით იმუქრებიან, საბუთად მოიშველიებენ დევნილი მთავრობის მოხელეთა მამონისმოყვარეობას; იმის მაგივრად ქამარშემოჭერილად დადიოდნენ, უარაფრო ხალხმა ხუთ წელიწადში ფეშენებელური ბინებიც შეიძინა, უცხოური მანქანებიც. ასეთებს კი დევნილი მოსახლეობა არ გახყვებაო. საინტერესოა, რამდენ ადამიანს აერთიანებს ამჟამად აფხაზეთის განთავისუფლების პარტია? რა ჰქვია თქვენს პერიოდიკას? უფინანსობის შემწეობით დღემდე არსებული „აფხაზეთის ხმა", იმდენად ხმაიშვიათია და ზეგავლენას მოკლებული, უკურეაქციის შინაარსისაა ფართო მკითხველის თვალში მოვლენათა მიმართ არაოპერატიული რეაქციის გამო.

— თქვენ ძალიან კარგად გადააბით ერთი კითხვა მეორეს, იმიტომ რომ ერთმანეთისგან გამომდინარეობს, ავსებს ერთურთს. დევნილობის პირველ წლებში, როდესაც პრაქტიკულად აღვადგინეთ ჩვენი ხელისუფლება, მას სხვა დანიშნულება არ გააჩნდა, გარდა ერთადერთისა — ყოფილიყო პოლიტიკური სტრუქტურა, სადაც თავს მოიყრიდა იქ, აფხაზეთში, ლეგიტიმურად არჩეული ხალხი, რომელიც გამოძევებულია სამშობლოდან ძალადობის ფაქტორით. დღეს ესენი არიან ლეგიტიმური სტრუქტურები დევნილობაში. ამას რა თქმა უნდა თავისი დადებითი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოსათვის, ვინაიდან უამრავი ხალხი, ვინც ჩამოდის საქართველოში, პრაქტიკულად ყველასთან მე მიწევს შეხვედრა და იმის მტკიცება, რომ მე თვითონ ვარ იქიდან, რომ მე თვითონ გადამხდა თავს ყოველივე. ეს არის სულ სხვა დამაჯერებლობის პოზიციიდან, ვინემ ამას მოიმოქმედებს ვიღაც ძალოვანი ჩინოვნიკი, თბილისელი ამ შემთხვევაში. მაგრამ ჩვენ ვფიქრობდით, რომ ასე ჩვენი უქმად ყოფა აქ არ შეიძლებოდა, და ამიტომაც საკუთარ თავზე ავიღეთ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ დიდი წინააღმდეგობა იყო გარკვეული ძალებისგან. ჩვენ არ შევმდრკალვართ, ქვასავით დავუხვდით სეტყვას, მყარად გადავწყვიტეთ ჩამოგვეყალიბებინა ჩვენი სტრუქტურები, გვქონოდა ჩვენი შემოსავალი, რასაც ძირითადად იმ საქმიანობას მოვახმარდით თქვენ რომ ბრძანებთ, ანუ იდეოლოგიურ ომს, დოკუმენტური, მამხილებელი მასალების გამოქვეყნებას ჩვენთან თუ უცხოეთში. ძალიან ბევრი ადამიანი, თქვენის ხელმძღვანელობით და თქვენის თამადობით, უანგაროდ, ენთუზიაზმით, ტკივილამდე მისული მამულიშვილობით ქმნის აფხაზური სეპარატისტული რეჟიმის სისხლიან ქრონიკებს, მაგრამ ყველაფერს სჭირდება ფული, ყველაფერს სჭირდება დაფინანსება, ყველაფერს სჭირდება გარკვეული თანხები, ამიტომაც ჩვენს ბიუჯეტში ჩავდეთ ისეთი მუხლი,

ე.ი. თანხა, რომელიც გამოყენებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ დაბეჭვდაზე, ამ წიგნების აკინძვაზე და ასე შემდეგ. ჩვენ უამრავი მწერალი და პოეტი გვყავს ...

— ბუნებრივია, მაგრამ აქ საკითხი ცოტა სხვანაირად დგას.

— ხო, მესმის, მესმის. ჩვენ ვლაპარაკობთ უშუალოდ აფხაზეთის ტრაგედიის ამსახველი დოკუმენტური თუ ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებზე. ჯერჯერობით მხატვრული თხზულებებისთვის ვეღარ ვიცლით. გავა დრო და ალბათ, მაგათაც მივხედავთ. მოკლედ, საკითხი ძალზე სერიოზულად დგას. წინა, 97-98 წლებში, ნელ-ნელა დაწყებული საქმე, კაპიკებით, წვეთ-წვეთობით შეკოწიწებული ფეხს რომ ვერ იდგამდა ხეირიანად, უკვე 99 წლის ბიუჯეტში საკმაოდ სოლიდური თანხითაა წარმოდგენილი და იმედია, სასურველი შედეგიც არ დააყოვნებს. რაც შეეხება ჩვენს უწყებებს, რა არის, როგორ არის და რას ვაპირებთ, ესეც მნიშვნელოვანი საკითხია, ესეც ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა. მე მინდა გითხრათ, რომ საერთოდ, ჩვენ პრეცენდენტი ვართ მსოფლიო პრაქტიკაში. დედამიწის ზურგზე უამრავი „ცხელი წერტილია", სადაც დევნილები თავზესაყრელადაა, მაგრამ არ გააჩნიათ ოფიციალური სტრუქტურა.

— გამონაკლისი ყოფილხართ.

— ასე გამოდის. ჩვენ პირველი ვართ, ვინაც ასეთი რაღაცა შევქმენით და დღეს უკვე შეიძლება საუბარი იმაზე, რომ ამ გადადგმულმა ნაბიჯმა ნამდვილად გაამართლა. დღეს ჩვენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გვაქვს 33 სამედიცინო დაწესებულება: საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, საფერშლო პუნქტები და ასე შემდეგ, სადაც დევნილია ექიმი, დევნილია პაციენტი.

არის 52 საშუალო სკოლა საკუთარი მასწავლებლებითა და მოსწავლეებით. არის უმაღლესი სასწავლებლები: დავუშვათ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი 5000 სტუდენტითა და 350 პროფესორ-მასწავლებლით; ქუთაისში არის სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი. იქაც ოთხიათასამდე სტუდენტი სწავლობს. ამიტომაც ჩვენი სტრუქტურების შექმნის იდეის მოწინააღმდეგეთა გასაგონად მინდა ხმამაღლა განვაცხადო:

ჩვენი გადაწყვეტილება ერთადერთი მართებული გახლდათ, ბატონებო-თქო!

ჩვენ ჩვენი ხალხი გარკვეულწილად დავასაქმეთ, ქუჩაში კი არ დავყარეთ ჩვენი ინტელექტუალური სიმდიდრე, განძეულობა, არამედ შევუწყვეთ ხელი მათი ნიჭისა და უნარის გაფურჩქვნას. ისინი წლების განმავლობაში სწავლობენ და იღრმავებენ პროფესიონალიზმს. მაგრამ ეს ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციაა — ჩვენი თეატრი, რადიო, ტელევიზია, რომლებიც ასევე რაღაც იდეოლოგიურ მუშაობას ეწევიან. თუმცა ყოველთვის ვგრძნობდით, რომ მიღწეული საკმარისი არ იყო და ჩვენც რუდუნებით დავიწყეთ ისეთი სტრუქტურების აღდგენა, როგორიცაა: სოხუმის ხელსაწყოთა ქარხანა ქუთაისში. იქ 150 კაცია დასაქმებული. ქარხანა უკვე უშვებს პროდუქციას და გარკვეული თანხაც შემოაქვს ბიუჯეტში; იგივე ითქმის ჩვენს ქიმიურ ქარხანაზე; გაგვაჩნია რამდენიმე პატარა ფაბრიკა.

ჩვენი საავიაციო საწარმო დაახლოებით 200 კაცს აერთიანებს. გვყავს სამი თვითმფრინავი, სამი ლაინერი, რომლითაც სხვადასხვა ქვეყანაში გადაგვყავს ათასობით მგზავრი და რაც მთავარია, ბიუჯეტშიც შემოდის გარკვეული თანხა.

ჩვენ აღვადგინეთ ჩვენი საზღვაო-სანაოსნო. 17 გემი, რომელებიც ფოთსა და ბათუმში არიან დისლოცირებული, თამამად გადასერავენ ოთხივე ოკეანეს. ერთია, რომ ხალხს ხელფასს უხდიან და მეორე — ამგვარი მომენტებით ბიუჯეტი ანგარიშგასაწევად ფორმირდება.

ჩვენი საავტომობილო ტრანსპორტი ათასამდე ერთეულს ითვლის.

დაბოლოს, უმთავრესი, მივეცით საშუალება ჩვენს დევნილებს შეექმნათ კომერციული სტრუქტურები. საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე 108 კომერციული სტრუქტურაა დაფიქსირებული, ზოგი პატარა, ზოგი საშუალო, ზოგიც მსხვილი და უმეტესი პირნათელია ბიუჯეტის წინაშე. ამიტომ როდესაც ჩვენ ჩამოვყალიბდით და ეს სტრუქტურები შეიქმნა, მე უკვე ვლაპარაკობ სამინისტროებზე, უწყებებსა თუ სხვა უამრავზე, გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, საერთო ჯამში ჩვენ 50 ათასამდე ადამიანი დავასაქმეთ, ანუ მთელი დევნილი მოსახლეობის ერთი მეექვსედი, ლამის ოცი პროცენტი.

— ბატონო, თამაზ, თავის დროზე მე დიდად ვიყავი დაინტერესებული დევნილი მოსახლეობის სოფლის მეურნეობაში დასაქმებით. წერილობით მივმართე ბატონ ვალერი ვაშაკიძეს, გავესაუბრე ბატონ ბაკურ გულუას, მაგრამ მათი წრფელი თანადგომის მიუხედავად, ეს საქმე ადგილიდან ვერაფრით დავძარით. აბაშის მაშინდელი გამგებელი მზად იყო გარკვეული ოდენობის ფართობები გადაეცა დევნილებისათვის, თუმცა ბიუროკრატიულ ბარიერებს ვერაფერი ეშველა.

— ძალიან სერიოზული საკითხია. წლეულს ჩვენ ამის გაკეთებას ყოველნაირად შევეცდებით. ჩვენ

ახლა ბიუჯეტს ვამტკიცებთ და სოფლის მეურნეობასთან გვაქვს სერიოზული მიდგომები. ყველაფერს აფერხებდა ტერიტორიული პრინციპი, ანუ როდესაც სოფლის მეურნეობაზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში მიწებზეა საუბარი, სად გამოიყოს იგი, როგორ, რა რაოდენობით. როდესაც ჩვენ ამას წინადადების სახით ვაყენებდით, მაშინ ყველა თავს გვიქნვდა და გვეუბნებოდა: კი, ბატონო, როგორ გეკადრებათ, ყველაფერი გავაკეთოთ, ოღონდ ხალხი დავასაქმოთო, მაგრამ როდესაც ნახეს, რომ არ ვხუმრობდით, მივაღწიეთ საწადელს — აღვადგინეთ ჩვენი სტრუქტურები, უკვე გარკვეული შემოსავლებიც გაგვაჩნია, რომ ჩვენს ხალხს მართლა შესძლებია შრომა, როგორც ამას ბევრი ვერც კი წარმოიდგენდა, დაიწყო აშკარა თუ ფარული წინააღმდეგობანი. როცა ტერიტორია არ გაგაჩნია და მიდიხარ „სხვის“ მიწაზე, მათხოვარს კი არა, წამგლეჯს ემსგავსები, ვინაიდან იმას თავისი პატრონი ხყავს, სრულიად კონკრეტული ინტერესებით და როდესაც საქმე მიდგა უშუალოდ იმაზე თუ რამდენი ხექტარი მიწა გადაცემოდა დროებით სარგებლობაში ერთ სულ დევნილს, რა პრინციპზე აგვეგო შრომის ანაზღაურება, ჩაფიქრდნენ, ზოგს შეეშინდა კიდეც:

არიქა, არ შეგვავიწროვონო.

ადგილობრივმა ხალხმა რაღაც გაღიზიანებული გამოხედვით უწყო თვალთვალი დევნილებს. რავარია, კუთვნილს „ართმევენ“, მის ტერიტორიას „ხელყოფენ“. სამწუხაროა, მაგრამ რეალობა, ძალზე სამარცხვინო ფაქტი.

ზუგდიდიდან მოყოლებული აღმოსავლეთ საქართველომდე ჩვენს დევნილებს გარკვეული წვლილი მიუძღვით რაიონების ბიუჯეტის შევსების საქმეში. სინამდვილეს ვერსად გაექცევი. ჩვენი ხალხი შრომისმოყვარეა, მიწის ერთგული. ის არ თაკილობს არანაირ სამუშაოს და ამიტომაც ნურავინ გაიკვირვებს დღეს თუ ბინა იყიდა რომელიმემ, სახლი შეიძინა, მანქანა, ავეჯი და კარგად ცხოვრობს, უსამშობლოდ ცხოვრებას კარგად ყოფნა თუ დაერქმევა. ეს ყველაფერი თავისი მუხლჩაუხრელი შრომით შეუძენია, თავისი მუყაითობით, გამჭრიახობით, ალღოთი, ნამუსიანი ბიზნესით და ღმერთმა ხელი მოუმართოს სუყველას.

— ამინ! ბატონო, თამაზ! ამინ!

— მაგრამ არის მომენტები, რომელიც წინააღმდეგობას გვიქმნის აშკარად, თან ზოგჯერ გადაულახავსაც. აი, ჩვენ ვართ უტერიტორიო ხალხი. ახლა დავუშვათ, ჩვენი შემოსავალი წელიწადში ყველაფრიანად ექვსი მილიონი ლარია. ეს აღემატება იმ ბიუჯეტს, რომელიც აფხაზებს აქვთ იქ, აფხაზეთის ტერიტორიაზე, აფხაზური ცის ქვეშ. ის თანხები, რომელსაც გვაძლევდა სახელმწიფო, იყო ოთხნახევარმილიონი ლარი. ჩვენ ვეუბნებით სახელმწიფოს: ძვირფასო, არ გვინდა თქვენი მოცემული ფული. არ გვინდა თქვენს კისერზე სამადლო ყოფნა. მოგვეცით ჩვენი კუთვნილი ექვსი მილიონი ლარი. აქედან ოთხნახევარს დავიტოვებთ ჩვენი საჭიროებისთვის და მილიონნახევარს ცენტრალურ ბიუჯეტს დავუბრუნებთ-თქო.

— მერედა, ვერ ხერხდება?

— ამაზე ნაწილობრივ უკვე გავეცი პასუხი, მაგრამ რადგანაც დამატებით მოითხოვთ, უფრო დაწვრილებით გიპასუხებთ. არის უამრავი წინააღმდეგობა. მოგახსენებთ უმთავრესზე. რამდენიმე დღის წინ ვიყავი პრეზიდენტთან. ახლა ბიუჯეტი განიხილება და ერთხელაც დავაყენე მის წინაშე ჩვენი გასაჭირი. მოპოვებულია სიტყვიერი თანხმობა, მაგრამ შედარებით დაბალ ეშელონებში კვლავაც გრძელდება უხეში ჩარევები. არიან ძალები, რომელთაც აბსოლუტურად ხელს არ აძლევთ ნადარეიშვილის გაძლიერება, ხელს არ აძლევთ მოღონიერდეს მისი სტრუქტურები და საერთოდ, ზოგიერთისთვის დამღუპველია ნადარეიშვილის გარშემო ძლიერი ბირთვის შეკვრა, ყველა დევნილის გაერთიანება, რომელიც ადრე თუ გვიან ანგარიშგასაწევ ძალად მოგვევლინება და ამიტომაც, აი, ახლა, როცა გადავდივარ თქვენს მორიგ შეკითხვაზე, ვფიქრობ ყველაფერს ნათელი მოეფინება, თუ რისთვის დავირქვით „აფხაზეთის განთავისუფლების პარტია“.

რესპონდენტი წამიერად იყუჩებს, გამზომავს გამჭოლი მზერით. ეს გამოხედვა არახალია ჩემთვის. ოთხიოდე წლის წინ ზუსტად ამგვარად მარენდგენებდა ბატონი გივის ლომინაძის ჩეკისტური გამოხედვა:

ვფიქრობ არჩევანში არ შევცდებითო, მამუნათებდა სამხარეო გაზეთის არარსებული რედაქციის ზღურბლთან მისულს, მაგრამ მე ხომ ვიცოდი დაბეჯითებით, რომ გური ოტობაიაში არასდროს ეშლებათ საერთოდ, ვინაიდან მე ჯეკ ლონდონის მექსიკელია, რევოლუციისთვის იატაკების მხეხავი წაუყვედრებლად: ხან მოკრივის, ცოცხალი ბალიშია სისხლის მაგივრად ძუით თუ ნახერხით დატენილი, ფიტულის კაცი ელიოტისებურად; ხან კიდევ ეს მანეკენი ფრთებს შეისხამს ხოლმე, რინგის უსასტიკეს კვადრატში შეფრინდება და წარბის შეუტოკებლად ეგებება მომაკვდინებელ დარტყმებს. ამჯერად გური ოტობაიას რევოლუცია აფხაზეთია, ჩვენი სამურზაყანო, ჩვენი განუმეორებე-

ლი შურობუმუ, შემართული მუშტით დახვრეტილი კოკი ოყუჯავა...

არ მითაკილია მე წამით მისი ღირსეული დაბრუნებისთვის ურიკელების თრევა, ტლაპოში ყურყუტი, მომთაბარეობა სამი წვრილი შვილით რაიონ-რაიონ, სოფელ და სოფელ, სამადლოდ გამოწვდილი პური და წყალი;

არაფერი ჩამიგდია საჩოთიროდ: დერეფნებში, ფანჯრის რაფებზე ინტერვიუების გაშანშალება თუ ცეცხლის ხაზზე გასვლა გია გულუას ბეტეერით;

ხმ, როგორ ბრძანა ცხონებულმა? **გაუშვით პაზიციაზე ეს დამთხვეული, თორემ თავს გადაგვჭამსო.**

დიახ, გური ოტობაიასთვის უჩვეულო არ არის ჩერნობილის ასრენდგენიან ველში დაელექტროვება თუ ახლოით განჩხრეკა სანდოობის თვალსაზრისით. ამ საუბარში გადაწყდება ფაქტობრივად გახდება თუ არა იგი პარტიელი. მას ხომ მიუმხრობლობა აურჩევია ცხოვრების კრედოდ, მიუმხრობლობა და მედიატორობა პაპა ბიქტორ ფეტელავასავით — გამმარიგებლობა, ორი ჯიუტი ყოჩის დაზავება, ორი ურთიერთგამომრიცხავი პოზიციის დაახლოება, შეუთავსებლის შეთავსება? ის ხომ თავისთავს ხიდს ეძახის სწრაფმავალ მდინარეზე გადებულს, ხიმინჯებიანს, ტალღათა გრაგნილებში რომ ჩაუწყვია ტლანქი ტორები და ატლანტივით აუტაცია მხრებით გაუგებრობის, უნდობლობის, ერთმანეთთთან იარაღით მიხდომისა თუ ყელზეწაჭერის მომშთობი ასიოდე წყრთა რკინა-ბეტონის კონსტრუქცია. ან უწყინარი დეფიზია, ტირეს ნახევარი, ერთი მნიშვნელობით, ერთი დედააზრით რომ დარაზმავს ხოლმე განსხვავებულ ფონემებს, „მთა-ბარს" სიტყვისთვის, სამშობლოისას. ხან კიდევ ნეიტრალური კედელია, ფილტრი — დადებით და უარყოფით გამოსხივებებს შორის, რომელიც თავისთავში კონავს ერთმანეთის გამომრიცხავ ცნებებს და სენტეციებს.

— აქაც იყო უამრავი შეკითხვა, — გამომარკვევს ფიქრებიდან ბატონი თამაზის თაკარია საუბარი; რაც ჩემს ყურთასმენას გაქცევია წამიერი გადართვის მონაკვეთში, ჩამწერს ზედმიწევნით დაუფიქსირებია და არას ვჩივი, თავი მეარხეინება, — რატომ, რისთვის, რა მიზნითო. ძალიან ბევრი გაღიზიანდა ამ პოლიტიკური პარტიის შექმნით, მაგრამ ჩვენ მაინც ნელ-ნელა, მოზომილი ნაბიჯებით მივემართებით სანუკვარი მიზნისკენ: აფხაზეთის რეალური განთავისუფლებისაკენ.

ეს პარტია ხაერივით იყო საჭირო, წყალივით აუცილებელი. მე, როგორც აფხაზეთის ხელისუფლებას, არ შემეძლო ხელი შემეშალა ბუნებრივი პროცესებისთვის, შემეფერხებინა დროის მოტანილი მოთხოვნილება. განსაკუთრებით ჩემს წისქვილზე ასხამს წყალს აფხაზეთის სტრუქტურებში დღეს ძალზე რადიკალურად განწყობილი პოლიტიკური პარტიის შექმნა. მე თუ ჩემს საქმიანობას უკომპრომისოდ ვეწევი უშიშრობის საბჭოზე, პარლამენტში, მთავრობის სხდომებზე, საერთაშორისო შეხვედრებზე, კონფერენციებზე, სემინარებზე, სხვადასხვა ელჩებთან, აქამდე მაინც ეული მეთქმოდა, ობოლი, უჯარისკაცო გენერალი, და თუ მხარში ამომიდგება ქუჩის ძალა, ხალხის ნება, ფართო საზოგადოებრიობის აზრი და თავისი რადიკალური მოთხოვნებით დაარწმუნებს თითოეულს, რომ ყოველივე ნადარეიშვილის კაპრიზები კი არ არის, არამედ უმრავლესობის, სახალხო შეხედულებაა აფხაზეთის მიმართებაში, მორჩენილია საქმე, ჩასვენებულია უმიწაწყლო ხეტიალის მზე, მაგრამ ამასთანავე ხელი შევუწყვე პრაქტიკულად ყველა პოლიტიკური პარტიის შექმნას დევნილობაში. აქ ძალადობა არ ივარგებდა, მოვლენებს, პროცესებს შიშველი ხელით ვერ შეაჩერებ.

— პოლიტიკური სიჭრელის სენი თქვენც შეგყრიათ.

იცინის.

— აქ საგანგაშო არაფერია. ოცდაექვსი განსახვავებული პლატფორმაა დაფიქსირებული ჩვენთან, მაგრამ არცერთი პოლიტიკური პარტია დამოუკიდებელი არ გახლავთ. დავუშვათ არის აფხაზეთის კომპარტია, მაგრამ სინამდვილეში იგი საქართველოს კომპარტიის ფილიალია. არის აფხაზეთის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, მაგრამ ისიც საქართველოს „ედეპეს" ასლია. ასევეა სოციალისტური, მოქკავშირი, სხვა ბევრი. ამიტომაც მე მგონი შევქმენი წინაპირობა იმისა, რომ ყველას დაენახა აშკარად: ჩვენ არა ვართ ის ხალხი, რომლებიც სულ ფილიალებში ვივლით. აფხაზეთის ხალხს, ჩვენი კუთხის ხალხს აქვს ძალიან დიდი უნარი, გაქანება, ჭკუა, განათლება, ძალისხმევა, რათა პოლიტიკაშიც თქვას თავისი კომპეტენტური სიტყვა. ამიტომაც ეს პირველია, როდესაც ჩამოყალიბდა გაერთიანება, არა კუთხური ნიშნით, ან ფილიალის გაგებით, არამედ სრულიად ზოგადეროვნული ცნობიერებით, რომელიც მთელს ტერიტორიაზე ვრცელდება ნიკოფსიიდან დარუბანდამდის, მამულიშვილობის მოურჩენელი ცეცხლით ანთებული კავშირი, „აფხაზეთის განთავისუფლების პარტია" რომ ხქვია სახელად.

— ბატონო, თამაზ, სწორედ ეს ტერმინი საჭიროებს პატარა კომენტარს. აფხაზეთის მსგავსი პრობლემა ჩვენ სამაჩაბლოშიც მოგვეპოვება. იქნებ დასახელებაში აფხაზეთი კი არ ფიგურირებდეს, არამედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა საერთოდ, ზოგადეროვნული ინტერესი?!

— ვერ დაგეთანხმებით, ბატონო, გური, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე მაინც. ამის თაობაზე ხქონდა საუბარი სხვათა შორის საინიციატივო კომიტეტს...

— მაგრამ ხომ შეიძლება მსგავსი გაერთიანება სამაჩაბლოშიც შეიქმნას? სასიკეთოს რას მოგვიტანს ძალების დაქსაქსვა?

— გიპასუხებთ, გიპასუხებთ. ძალიან სწორი შენიშვნაა, და აი, როდესაც ჩამოყალიბდა, დავიწყოთ დასახელებით, სათაურით. რატომ დაერქვა მას მაინცდამაინც ,,აფხაზეთის განთავისუფლების პარტია''? — მიხარია რომ რესპოდენტი ყურადღებას არ აქცევს მობილურის თუ სამთავრობო ტელეფონების ნაირხმოვან კაკოფონიას, — იყო სხვადასხვა წინადადებანი, აღორძინების, დაბრუნების, სამართლიანობის აღდგენის, შურისგების და რაღაც მაგდაგვარი აქეთ-იქით, მაგრამ მე მაინც ვიყავი მომხრე იმისა, რომ მას აფხაზეთის განთავისუფლების პარტია დარქმეოდა. აქ უკვე იძულებული ვხდები ისევ ადრინდელ შეკითხვას დავუბრუნდე. ჩვენ აფხაზეთის კონფლიქტს, იქ დაბრუნებას თუკი განვიხილავთ, როგორც ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობებს, მაშინ არ არის გამართლებული, რომ მას ერქვას აფხაზეთის განთავისუფლების პარტია. იბადება კითხვა, კი, მაგრამ ვისგან ვათავისუფლებთ აფხაზეთს? აფხაზებისგან? ქართველებისგან? რუსებისგან თუ სომხებისგან?

— ძალზე საინტერესოა საკითხის ამგვარად დასმა.

— ხო, მაგრამ როდესაც ჩვენ უფრო სიღრმისეულ შრეებში გადავდივართ და ვაფიქსირებთ, რომ ეს იყო არა ეთნოკონფლიქტი, არამედ— სამამულო ომი; არა ძმათამკვლელი ბაზალეთი, არამედ— ერთი სახელმწიფოს, ამჯერად რუსეთის, აგრესია მეორეს — საქართველოს წინააღმდეგ, ვფიქრობ მიზანი გამოკვეთილია. მოდი, ვთქვათ გულწრფელად, აფხაზეთში დღეს უამრავი სხვა ეროვნების წარმომადგენელი ბოგინობს, რომლებმაც დაიპყრეს აფხაზეთი, დაუკვირდით: დაიპყრეს, — რესპოდენტი დამარცვლით წარმოთქვამს სიტყვას, —შეიჭრნენ ჩვენს ბინებში, დამკვიდრდნენ შიგ და დღესაც არხეინად ცხოვრობენ.

მიპასუხეთ, ამას განთავისუფლება სჭირდება თუ გუნდრუკის კმევა?! მშვიდობიანად რომც მივბრუნდეთ იქ, ქუჩაში ხომ არ დავეყრებით? იქნებ ხუმანიტარული დახმარების იმედით ვისულდგმულოთ, ვიდრე ახალ საცხოვრებელ სახლებს აგვიშენებენ?! ამიტომაც ჩვენ ვათავისუფლებთ აფხაზეთს დამპყრობლებისგან და ბუნებრივია, ჩვენი პარტიის სახელიც ამ რელობიდან ამოდის, მისი ადეკვატურია, ზედგამოჭრილი, შესაფერისი. აქვე დაუფარავად მინდა გითხრათ, წარმოიდგინეთ, მარტო ამ ემოციურმა სახელმა ათასობით ადამიანი მოიყვანა ჩვენს პარტიაში.

— ფორმა შინაარსს თუ შეესაბამება.

— ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო. დიახ, ემოციურმა სახელმა უამრავი ადამიანი მოიყვანა ჩვენთან, მემარცხნეც, მემარჯვენეც, ცენტრისტიც, ყოფილი ხელისუფლების მომხრეც თუ სულაც დღევანდელი ოპოზიციონერი. ყველა იდეაზე მაღალი სამშობლოს განთავისუფლების იდეაა. ახლა მეორე საკითხზეც მოგახსენებთ, თქვენ რომ ბრძანეთ. სამწუხაროდ საქართველოს დღეს დაკარგული აქვს არა მარტო აფხაზეთი, არამედ — სამაჩაბლოც, მაგრამ არის აქ განსასჯელად განსხვავებული სივრცე.

ორივეგან მოხდა ერთი და იგივე, მსგავსი ხელწერით, მსგავსი სცენარით, მაგრამ დღეს ოსებზე არავინ ლაპარაკობს. ოსეთს არავითარი წარმომადგენლობა არა ხყავს არც საქართველოს პარლამენტში, არც რომელიმე სტრუქტურებში, არც პოლტიკურ პარტიებში. ოსებთან მიმართებაში მოხდა ის, რომ ისინი საქართველომ შეიწოვა სხვადასხვა კუთხეებში, ადგილას, და დღეს თითქოს პრობლემა მოხსნილია. ვიღაცას შეიძლება ხელს აძლევდეს ჩვენი ამდაგვარი ყოფაც: დავიშალოთ, ავითქვიფოთ დანარჩენ საქართველოში; ჩვენც დაგვემართოს ცხინვალიზაცია, ჩვენც შევეჩვიოთ, შევერიოთ საქართველოს დანარჩენ მოსახლეობას და ხანდახან ვიღაცამ შეიძლება ჟესტისთვის გაიხსენოს აფხაზეთი, როგორც გაზეთ ,,კავკასიონის'' ფურცლებიდან გვეუწყებოდა ხოლმე: ,,გახსოვდეთ აფხაზეთი'', თავიდან ზორბა შრიფტით აწყობილი, მაგრამ დროთა მსვლელობაში დალეული და ახლა შეიარაღებელი თვალისთვისაც უჩინარი. ამიტომ მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ამისთანა განურჩევლობისა. პირიქით, ჩვენ გამუდმებით, დღე და ღამ, ყოველ წუთს გვიხმობს ჩვენი ზარი, ჩვენი წინაპრების მივიწყებული საფლავები. ამ მოსაზრებით შევთავაზეთ ცხინვალელებსაც: მოდით, მობრძანდით ჩვენს პარტიაში-თქო და აი, როდესაც ისინი ანგარიშგასაწევად შემოგვიერ-

თდებიან, შესაძლოა სახელის შეცვლა მართლაც დაგვჭირდეს. ჯერჯერობით კი ორგანიზაციული პროცესია, ფორმირების სტადიაში ვართ.

უკვე ჩატარდა კრება მოსკოვში, სადაც 50 ათასი დევნილია თამოყრილი. იქ ათასამდე კაცმა მოიტანა განცხადება. გაწევრიანების პროცესი გრძელდება. ამ დღეებში ტარდება სოჭში, სადაც დაახლოებით 10 ათასი დევნილი ცხოვრობს. დავიწყეთ პირველადი ორგანიზაციების შექმნა სამეგრელოში. კრებები ჩატარდა წალენჯიხაში, ხობში, ფოთში. ჩატარდა ზუგდიდში, სადაც ახალგაზრდული ფრთაც შეიქმნა. საერთოდ, ცნობისთვის, შექმნილია აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის ახალგაზრდული მოძრაობა. გუშინ მაღალ დონეზე ჩატარდა ჩვენი კრება აბაშაში და მინდა გითხრათ, რომ დევნილებთან ერთად ძალიან სერიოზულად წევრიანდებიან ამ პარტიაში ადგილობრივი მცხოვრებლებიც. მაგალითად, აბაშაში ჩატარებულ საორგანიზაციო კრებას 150 კაცი ესწრებოდა და ამ 150 კაციდან 45 აბაშელი აღმოჩნდა, რომლებიც გარკვეული დაკვალიანების შემდეგ უყოყმანოდ გაერთიანდნენ ჩვენთან. ახლა, დავუშვათ, წალენჯიხაში თავმჯდომარედ ადგილობრივია არჩეული, როგორც— მარტვილსა თუ სხვაგან. ასე რომ, პროცესი გრძელდება, დიდი აღმავლობით მიდის. სხვადასხვა კუთხის იმდენი წარმომადგენელი გაწევრიანდა უკვე ჩვენს პარტიაში, ვფიქრობთ, ძალიან ხალხმრავალი ვიქნებით, მაგრამ რაოდანეობა თვითმიზანი სულაც არ არის. მთავარია ხარისხი, ანუ ის რადიკალური მოთხოვნები, რომელიც პარტიის თითოეულ წევრს გააჩნია, რომელიც მე მაქვს, რომელიც აფხაზეთის დევნილ მთავრობას ამოძრავებს.

ახლა აქ არის შეკითხვაში არჩევნების თაობაზე. სწორად შენიშნავთ, ძალიან ბევრია გაღიზიანებული, უწინარესად იმით, რომ ასეთი პარტია შეიქმნა და გაზეთები თუ ოპონენტები მყისვე აყაყანდნენ; მაგრამ არავინ ეხება არსებითს, არავის უთქვამს ჩვენს პარტიაზე ცუდია თუ კარგი მისი შექმნა; რომ აწი მაინც ეშველება აფხაზეთის პრობლემატიკას, ან პირიქით — სულ დაიქცევა; რომ შესაძლოა რაღაც გარკვეული კონსოლიდაცია მოხდეს დევნილობაში და ასე შემდეგ. არა, არა და არა! რატომღაც პირველი დღიდანვე ყველამ ყურადღება მიაქცია მოახლოებულ არჩევნებს, დეპუტატობის მანდატის ამოწურვას, უფუნქციოდ დარჩენას, ხმების მოგროვებას და ა.შ.

აი, შეიქმნა პარტია, რომელიც ხმებს წაგვართმევს ხვალო, შფოთავენ.

ეს შევარდნაძეს ემსახურება, ეს იმას უქიცინებს კუდსო, აზვირთებულან, მე კი ვამბობდი და ვიმეორებ: ამისთანებისგან შორს ვდგავართ. ჩვენ ამეებზე რაიმე პრეტეზია არ გაგვაჩნია. ჯერ ჩვენ ხეირიანად არც კი გვქონია მსჯელობა მივიღებთ თუ არა საერთოდ მონაწილეობას მომავალ არჩევნებში, თუმცა საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიისთვის არჩევნები პირველადი საკითხია და პირველადი არის მათთვის თანამდებობები, პარლამენტში მოსვლა თუ ხელისუფლებაში მოხვედრა.

ბატონო, გური, დამერწმუნეთ, რომ ჩვენ ეს აბსოლუტურად არ გვაწუხებს. მე ამისგან, ღმერთმანი, თავისუფალი ვარ. მე თბილისში თანამდებობა რომც მაჩუქონ, არაფერში მარგია. მე აქ ვიმყოფები, ჩემს დედაქალაქში და ძალიან მიჭირს აქ ყოფნა, იმიტომ რომ ვერაფრით შევეწყვე თბილისს. მე ახლა დანამდვილებით მესმის ცხონებული ბებიაჩემის, მერი შერვაშიძისა, რომელიც ორჯერ ჩამობრუნდა სამშობლოში ემიგრაციიდან და ორჯერვე სასიკვდილოდ მე ახლა მივხვდი ყველაფერს, თუ რატომ არ შეეძლო სხვანაირად, რატომ ვერ ძლებდა უცხოობის სიამეში, რატომ მოეშურებოდა ეშაფოტისკენ.

აგერ, გამიკვესა გონებაში: გალაკტიონის „მერი“ შეუძლებელია სხვაზე დაწერილიყო; ვისაც უცხოეთის ცის ქვეშ არხეინად ეცხოვრება, ან შესაძლოა დალხენით ვერ ცხოვრობდე, ნოსტალგია გაწამებდეს, მაგრამ სასაკლაოდ გადაქცეულ მამულში ჩამობრუნების შინაგანი ძალა არ გყოფნიდეს, იმას „მერი“ არ ეკუთვნის.

მოკლედ, ათასი წელიც რომ გავიდეს, უაფხაზეთობას ვერ შევეგუები. ამიტომაც არც მე, არც ჩემს კოლეგებს და მეგობრებს აღარ გვჭირდება აქ რაღაც თანამდებობები, მაგრამ ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ შესაძლოა ჩვენმა პარტიამ მორიგ არჩევნებშიც მიიღოს მონაწილეობა, ვიღაცასთან ბლოკში თუ ცალკე, დამოუკიდებლად, ამას დრო დაგვანახებს... ღმერთმა ქნას, რაღაც პოზიტიური პროცესები დაიწყოს, ჩვენ ვიყოთ უკვე აფხაზეთში და რატომ არ მიიღებს ჩვენი ხალხი მონაწილეობას არჩევნებში? დავუშვათ, გალში თუ იქნა დაბრუნება, გალიდან იქნება არჩეული დეპუტატი, როგორც მაჟორიტარი, ასევე პარტიული სიით საქართველოს პარლამენტში.

— რათა, როგორც გავიგე, მეტი მოცულობით განხორციელდეს თქვენი პოლიტიკური ნება.

— დროზე შემომეშველეთ. ჩვენი პოლიტიკური ბრძოლა არის იმისთვის, რომ აფხაზეთი, საქართველოს პარლამენტი არ დარჩეს უაფხაზეთოდ, როგორც დღეს უოსეთოდაა დარჩენილი. თუკი არ იქნებიან აფხაზეთიდან წარმომადგენლები, თუკი არ იქნებიან დეპუტატები მაჟორიტარული თუ

პარტიული სიით, ეს პრაქტიკულად გამოვარდნაა საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს ცხოვრებიდან, როგორც ახლა ცხინვალია გამოვარდნილი. ამიტომ ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი არის, რომ ჩვენი წარმომადგენლობა იყოს აქ. ჩვენ მერე აუცილებლად გვექნება კონსულტაციები, როგორ და რაფერ გადავწყვეტთ ყოველივეს. ნოემბრამდე სათანადო დროა. იმედი მრჩებოდა ამ რეზოლუციის მერე, გაეროს მხარდაჭერის, ევროსაბჭოს მხარდაჭერის შემდეგ მაინც გვეშველებოდა რამე, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა და ჩვენც ბოლოს და ბოლოს პოლიტიკურ პარტიად ჩამოვყალიბდით.

ბევრი იღრინება სამწუხაროდ. არის სასწრაფოდ რაღაც ღონისძიებები ცოტა სხვა გზით, თითქოს ხელს ვუშლიდეთ შერიგებას და მშვიდობიანი გზით მსვლელობას, მაგრამ სულ მალე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება.

— პოლიტიკური ორგანო თუ გაქვთ შექმნილი? — ლიანდაგს შევუცვლი საუბარს.

— ჯერ არა, რადგანაც რეგისტრაცია გუშინ გავიარეთ.

— „აფხაზეთის ხმა?"

— ესენი ოფიციალური სტრუქტურაა. ჩვენს პარტიას, რა თქმა უნდა, ექნება თავისი გაზეთი, ექნება თავისი გარკვეული თანხები. ესეც საჭირო არის. ამიტომაც ჩვენ ამეებზე მოგვიანებით ძალზე სერიოზულად დავიწყებთ მუშაობას, ანუ ყრილობის შემდეგ. ყრილობას ჩვენ ვაპირებთ მარტის შუა რიცხვებისთვის, მანამდე კი მორჩება რაიონული პირველადი ორგანიზაციების შექმნა. იქ ავირჩევთ გამგეობასაც, რედაქტორსაც, ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

აბა, ულა!

— ახლა ცოტათი უკან დავიხიოთ ბატონო, თამაზ და თქვენის ნებართვით ახლო ისტორიულ წარსულსაც მოვავლოთ თვალი რამდენადმე.

ზვიად გამსახურდიას მთავრობას ბრალს სდებენ აფხაზების მაამებლობაში, გულისხმობენ კვორუმის საკითხს: 44 პროცენტი ქართველობის დეპუტაცია გათანაბრებული რას ჰქვია, დაქვემდებარებული იყო 17 პროცენტ აფხაზობასთანო.

— აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ 89 წლის 15-16 ივლისის ამბები. მე მაშინ პოლიტიკაში არც ვიყავი. ვცხოვრობდი გაგრაში და ვეწეოდი აბსოლუტურად სხვა საქმიანობას, მაგრამ, აი, ამ წლებმა მე ბევრი რამე დამანახა და ცოტა სხვანაირი თვალით შემახედა მიმდინარე პროცესებს. 89 წლის 15-16 ივლისი ეს ის თარიღია, როცა აფხაზებმა პირველად გამოიყენეს იარაღი ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ. იყო დარბეული ქართული უნივერსიტეტი, ჩვენი თეატრი; ჩამოგლიჯეს ქართული ასოები და ასე შემდეგ. ამას მაშინ 17 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და სადღაც 400 ადამიანი დაშავდა, მაგრამ პრინციპში მაშინ დაიწყო ის, რაც აგორდა 1992 წელს: დარბევები, ქართველების ხოცვა-ჟლეტა, თუმცა 89-ში 92-ისაგან განსხვავებით მთელი საქართველო დადგა ფეხზე.

მე ძალიან კარგად მახსოვს, 50 ათასამდე ადამიანი მოადგა მდინარე ღალიძგას; ხალხი ითხოვდა იქ შესვლას და მაშინ აფხაზეთის ქართველებმა დიდი პატრიოტიზმი, დიდი თანადგომა ვიგრძენით დანარჩენი საქართველოსაგან. მე ძალიან კარგად მახსოვს ერთი გენერლის სიტყვები:

ჩვენ შევცდით. ჩვენ ძალიან ადრე დავიწყეთ და ვერ გავითვალისწინეთ ქართველების ერთობაო. ამიტომ მეორე-მესამე დღეს პრაქტიკულად შემოფვანილი იყო რუსეთის, ზოგადად საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარი, რომელიც ჩადგა ქართველებს და აფხაზებს შუა თითოეულ რაიონში პრაქტიკულად, განსაკუთრებით აქეთ, სამეგრელოს რეგიონთან და ვითომ ყველაფერი დაწყნარდა, მაგრამ მთელი უბედურება გახლავთ ის, რომ ქართველებმა მივიჩნიეთ აგრე, ძალიან კარგად წავიდა საქმეო; თითქოს მოვიგეთ, აფხაზები დავაწყნარეთ, რაღაც შევპირდითო.

— თუ შევაშინეთო.

— ხო, ვითომ შევაშინეთო და გავაგრძელეთ უდარდელი ცხოვრება, დროის ტარება, გრიალი, რესტორანებში შამპანურების ბათქაბუთქი. აფხაზებმა კი, აი, ამ შეცდომების გათვალისწინებით ძალიან სერიოზულად დაიწყეს მზადება რუსებთან ერთად, და ფიქრი 92 წლამდე. პრაქტიკულად 92 წლამდე მათ მიაღწიეს იმას, რომ ქართველი მოსახლეობა ერთმანეთს დაუპირისპირეს ძალზე სერიოზულად. ომის ატეხვის შემთხვევაში ქართველები უკვე ერთმანეთს გვერდში არ დაუდგებოდნენ. აი, თუ გნებავთ ავიღოთ ასეთი უბრალო დეტალი. მე ჩამოვედი სოხუმში 1992 წლის 5 იანვარს. 6 იანვარს იყო დანიშნული უმაღლესი საბჭოს სესია, სადაც არძინბა აირჩიეს თავმჯდომარედ. აი, გაიხსენეთ 1992 წლის 6 იანვარი, რა ხდება თბილისში.

— ქართული ბაზალეთი?

— უარესი. ამიტომ მე დღეს ზოგიერთ ლიდერს, რომელიც ჭკუას გვასწავლის, ვეტყოდი: თქვენ რომ თბილისში არ აგეტეხათ ძმათამკვლელი ომი და თქვენ რომ თბილისში არ ჩაგედინათ ის ტრაგედია, აფხაზეთში ამას ვერავინ გაბედავდა, ვერც— არძინბა და ვეღარც — რუსი, მაგრამ 92 წლის 6 იანვრის შემდეგ, როცა ჩატარდა სესია და ამირჩიეს არძინბას პირველ მოადგილედ, მე საშუალებაც არ მქონდა თბილისში დამერეკა, ან რომც მქონოდა, ვისთვის დამერეკა?

გამსახურდია იძულებული იყო დაეტოვებინა საქართველო. მოვიდა სამხედრო საბჭო, რომელსაც მე არ ვიცნობდი, ან რა ჭირად მინდოდა, ვინც იყო, რომელიც. ამან გამოიწვია ის, რომ მოსახლეობა დაუპირისპირდა ერთმანეთს. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ჩვენს ძალებზე, კაკუბავა იყო პირველთაგანი, რომელიც სდევნიდა ზვიადისტებს... აი, ამან, ყველაფერთან ერთად, ხელი შეუწყო, იქაური ჩვენი მოსახლეობის დაპირისპირებას, ანუ 280 ათასი ქართველი, რომელიც მანამდე იქ ძმურად, ერთსულოვნად, თანადგომით ცხოვრობდა, ერთმანეთს გადაეკიდა, გაიხლიჩა ზვიადისტებად და ანტიზვიადისტებად, პროაფხაზებად და ანტიაფხაზებად, პრორუსებად და ანტირუსებად, ანუ ჩვენი საზოგადოება მინიმუმ 7-6 ნაწილად იყო ერთმანეთთან დაპირისპირებული.

ამიტომაც გულუბრყვილობაა, ან დემაგოგია, მთავარი მიზეზები ვეძებოთ სოხუმში, აფხაზეთში, იგი უნდა ვეძებოთ თბილისში, თავში, თევზზე რომ იტყვიან იმგვარად. თბილისი არის ჩვენი დედაქალაქი და ის უნდა იყოს საქართველოს სიძლიერის გარანტი ყველა რეგიონში. ასე რომ, თბილისში, როცა ქართველები ერთმანეთს დაერივნენ, მე არძინბამ შემომთავაზა ღალატი ჩემი ხალხისა და ქვეყნის წინაშე; თითქოს ჩემი წარსულითა და წინაპრებით უნდა ვმდგარიყავი მათთან:

რა გინდა შენ ამ არამზადა თბილისელებთან, რომლებიც ერთმანეთს ხოცავენ და ჟლეტენო. მაგრამ როგორც ხედავთ ვეღარ მომისყიდეს, ხოლო საერთო სიტუაციის გათვალისწინებით, შემდგომში ვითარება აფხაზეთში უფრო გაღრმავდა. მეორე მომენტი ისევე თქვენი შეკითხვიდან გამომდინარე, გახლდათ აპარტეიდული კანონი. როგორ შეიძლება აფხაზეთში მცხოვრები 280 ათასი ქართველიდან...

— სულ რამდენი დეპუტატი იყო?

— სამოცდახუთი, სამოცდახუთი დეპუტატი. წინასწარ ჩაედოთ საარჩევნო კანონში, რომ 28 დეპუტატი უნდა ყოფილიყო აფხაზი, 26 — ქართველი და 11 — სხვა ეროვნებისა. აბა, დავუშვათ, მე ვცხოვრობ გაგრაში და მინდა ვიყარო კენჭი, სადაც დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ ნურას უკაცრავად. იმჟამინდელი კანონის მიხედვით მე არ შემიძლია იქ კენჭი ვიყარო, რადგან იქ აფხაზის ადგილია. ანდა, აფხაზს, დავუშვათ, რომელსაც უნდა კენჭი იყაროს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იქ ქართველის ადგილია, რუსის ადგილია, სომხის ადგილია, ანუ მე მსოფლიოში ვერ ვნახე ანალოგია, რომ არჩევნები ასე ყოფილიყო დანაწევრებული ნაციონალური ნიშნით. ამისი შემომქმედი უფრო აკაკი ასათიანი გახლდათ. რა თქმა უნდა, თბილისიდან მოდიოდა ყოველივე აფხაზებთან შეთანხმებით. ჩვენ, იქაური მოსახლეობა კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავით ამისა, იმიტომ რომ არ შეიძლება 280 ათას ქართველს ხქონდეს 26 ადგილი და 80 ათას აფხაზს — 28, თანაც ის 11 ისე იყო გაანგარიშებულ-გათვლილი, თერთმეტივე აფხაზის მომხრე უნდა ყოფილიყო. მოკლედ, არჩევნები მაინც ჩატარდა, ვინაიდან თბილისი მოითხოვდა ამას, თბილისიდან იყო ზეწოლა. ჩვენ გვადანაშაულებენ იმაში, რომ ასეთი არჩევნები არ უნდა შემდგარიყო, არ უნდა დაგვეთმო აფხაზებისთვის, მაგრამ ასათიანი, რომელიც სათავეში ედგა მთელ ამ პროცესს, ზუსტად ისე მოქმედებდა, როგორც ადრე კომუნისტები:

აბა, მოვეფეროთ აფხაზებს, აბა, დავუთმოთ, აბა, კიდევ რაღაც მივცეთ, რომ ვითარება არ გაგვიმწვავდესო.

ერთი სიტყვით, ჩატარდა ასეთი, მსოფლიოში უპრეცედენტო არჩევნები, და ვითომ დამცველ მექანიზმად კონსტიტუციაში ჩაიდო პრინციპი: ნებისმიერი საკითხი უმაღლეს საბჭოში შეიძლება გადაწყდეს ხმათა ორი მესამედით, რომელიც ეხება კონსტიტუციურ ცვლილებებს, ანუ უჩვენოდ აფხაზები ვერ აგროვებდნენ სათანადო ხმებს რაიმე სერიოზული გადაწყვეტილების მიღებისას, მაგრამ არძინბამ პირველი სესია რომ ჩაატარა, მაპატიეთ და, ფეხებზე მკიდია თქვენი კონსტიტუციაო, მოგვახალა; სულ არ მაინტერესებს თქვენი საქართველო, აქ მე ვარ კანონი და ჩვენ მივიღებთ ყველა გადაწყვეტილებას უბრალო უმრავლესობითო, ბრძანა და მან დაიწყო კანონების გამალებული მიღება: გამოიფანა საქართველოს იურისდიქციიდან შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროების სამინისტრო, პროკურატურა, საბიუჯეტო, საბანკო სამსახურები და ყველაფერი დაიმორჩილა თვითონ. მოკლედ, მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია, რაც უკვე ნიშნავდა პრაქტიკულად საქართველოდან გამოყოფას...

— როდის ხდება ყოველივე, — ფრაზის დასრულებას არ დავაცლი სულშეძრული.

— ეს ოთხმოცდათორმეტია, ექვსი იანვრის შემდეგ. დიახ, თვითონ მიიღო დადგენილება და შექმნა მონონაციონალური ჯარი, სადაც მარტო აფხაზები მსახურობდნენ, ქართველს იქ საერთოდ არ აჭაჭანებდნენ.

— რას ერჩი, გაუხარებია ქართველი დედების გულები.

რესპოდენტი თავს სიმწრით გააქნევს.

— ასე რომ, ბატონო, გური, ჩვენს თვალწინ დაიწყო სერიოზული მზადება საბრძოლო მოქმედებისათვის. ეს ის პერიოდია, როცა უამრავი ხალხი ჩამოდის ჩრდილოეთ კავკასიიდან, თურქეთიდან, სირიიდან, იორდანიიდან. რუსეთის გენერალიტეტი ფართოდაა წარმოდგენილი.

პრეზიდიუმის სხდომები ტარდება და მე არ მასწრებენ ამ სხდომებს, როდესაც ასე თუ ისე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მქვია. ისინი კი შეუფერხებლად ატარებენ სხდომებს მარტო აფხაზებისა და რუსების შემადგენლობით, ღებულობენ დადგენილებებს, რომლებზედაც ჩვენ წარმოდგენა არ გაგვაჩნია. ამიტომ მაისის თვეში მე გამოვედი აფხაზეთის უმაღლეს საბჭოზე და განვაცხადე:

ვითარება ძალიან მძიმეა, ომი გარადუვალია და ქართველებსა და აფხაზებს შორის სისხლი რომ არ დაიღვაროს, ჩვენ უნდა გადავდგეთ-მეთქი, მოვუწოდე არძინბას. მე კი შევასრულე ჩემი სიტყვა, მაგრამ არძინბამ — პირიქით, უფრო ინტენსიური მუშაობა დაიწყო ამ საკითხების ირგვლივ, რომლებიც აქამდეც ქართველების საზიანოდ და აფხაზების სასარგებლოდ წყდებოდა.

მოკლედ, მაისის თვიდან მე აფხაზეთის რიგითი მოქალაქე ვიყავი და როგორც ყველა მაცხოვრებელი სხვადასხვა პროცესში ვღებულობდი მონაწილეობას.

ჩემს შემდეგ გივი ლომინაძე მოვიდა, დროებითი კომიტეტი შეიქმნა. მერე გოგა ხაინდრავა დაინიშნა სახელმწიფო მინისტრად.

ხელისუფლებაში დავბურნდი 92 წლის 15 ნოემბერს, გაგრის დაცემის შემდეგ, და ვმუშაობდი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ 93 წლის 15 ივლისამდე. აი, ამიტომ, ვითარება, რომელიც მაშინ იყო შექმნილი აფხაზეთში, კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ეს გახლდათ წინასწარ დაგეგმილი სცენარი, ჩინებულად განხორციელებული სპექტაკლი, რაც ჩემს წიგნშიც მაქვს რამდენადმე მინიშნებული: ყველაფერი ხორციელდებოდა მოსკოვის, კრემლის მითითებით. სამხედრო ოპერაციები იგეგმებოდა უშუალოდ გენერალურ შტაბში, გენერალ კოლესნიკოვის ხელმძღვანელობით. პოლიტიკური აქციები იგეგმებოდა უშუალოდ კრემლში სხვადასხვა პოლიტიკური ხელმძღვანელის მიერ. ისინი დღემდე განსაკუთრებულ ყურადღლებას არ აკლებენ აფხაზებს. ე.წ. ეკონომიკური ბლოკადა, შირმაა, ნიღაბი. რუსებისგან აღზევებული აფხაზები ერთგვარი იარაღია საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოშლის გზაზე.

რაც შეეხება თვითონ სამშვიდობო ძალებს, ისინი მე მიმაჩნია საბრძოლო ქვედანაყოფებად, რომლებიც ღებულობდნენ აქტიურ მონაწილეობას აფხაზეთის ოკუპაციაში. ღებულობდნენ აქტიურ მონაწილეობას მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდსა და ეთნიკურ წმენდაში. დღეს აფიქსირებენ ხელოვნურად შექმნილ საზღვარს აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის, და იცავენ იმას, რაც იარაღით დაიპყრეს. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ რუსეთის ,,სამშვიდობო ძალები'' უნდა იყვნენ გაყვანილნი საქართველოს ტერიტორიიდან და მათი ჩანაცვლება უნდა მოხდეს საერთაშორისო კონტიგენტით. ყველა სამხედრო ოპერაციას, რომელიც ჩატარდა აფხაზეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით გალის რაიონში, მიუძღოდა რუსეთის ,,სამშვიდობო ძალების'' გარკვეული ქვედანაყოფები. ისინი არიან უშუალო მონაწილენი იმ ტრაგედიისა, რომელიც დატრიალდა შარშანდელი მაისის თვეში და ჩვენი მონაცემებით, 12 კილომეტრიან ზონაში, მარტო 94 წლიდან დღემდე, ანუ საბრძოლო მოქმედების შემდეგ, გალელებში, მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი არის 2500 ადამიანი, რომლებიც დახვრიტეს, გაუგონრად აწამეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველები იყვნენ და თუ ავიღებთ მონაცემებს 99 წლის 1 იანვრიდან 1 მარტამდე, მსხვერპლი უკვე 25-ს აღემატება. ეს არის აბსოლუტურად მშვიდობიანი მოსახლეობა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო პოლიტიკასთან, არც სამხედრო სტრუქტურებთან, ანუ ის ხალხია, გალში, მშობლიურ ეზო-მამულში რომ გადადის ოჯახის ფიზიკურად გადარჩენისათვის. აი, ვინ მოგვიწყო შეთქმულება, აი, ვისგან სჭირდება აფხაზეთს განთავისუფლება.

— აფხაზეთში ომის წამომწყები ქართული მხარეაო, გაიგონებთ ოპოზი- ციური პარტიებიდან. გამოდის რომ აფხაზებმა აქაც გვაჯობეს სამართლიანობის თვალსაზრისით. ჩვენ ვიშველიებთ ვარაუდებს, თითქოს იმათ ფართომასშტაბიანი გენოციდი ხქონოდათ ჩაფიქრებული — გაგრის ბარბაროსული კაცთაკვლა მთელს ტერიტორიაზე, გალის რაიონის დატბორვა წყალსაცავის აფეთქებით და ვინ

მოსთვლის, მაგრამ ესენი ხომ მაინც ვერსიებია. როგორ ფიქრობთ, გაბედავდნენ კი აფხაზები ქართველების გაჟლეტვას დედაწულიანად, ისეთივე ფართომასშტაბიანი გენოციდის მოწყობას, როგორც ეს თურქეთში დატრიალდა მილიონნახევარი სომხის მისამართით 1915 წელს?!

მისაუბრია ოჩამჩირელ კაცთან, რომლის გვარის დასახელება ამჯერად უადგილოდ მეჩვენება. მისი თქმით, სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებს წახყოლია მშობლიური კერიის მოსანახულებლად. გარკვეული თანხაც გადაუხდია საამისოდ, მეტის შოვნის საბაბით, საკუთარი ნივთების გამოტანას აპირებდა. იქ, მართლაც მდიდრულ გარემოში, ვიღაც პოლკოვნიკი დახვედრიათ გოგოთი და მცირეწლოვანი შვილიშვილით. როცა წარუდგენია ერთმანეთისთვის მომრიგებლებს ყოფილი და აწინდელი მეპატრონენი, ამ უკანასკნელს უთქვამს: თქვენი ნივთებისთვის ხელი არ გვიხლია, გნებავთ გადაგიხდი მათ ღირებულებასო; რაც შეეხება ჩემს აქ ყოფნას, ეს ჯერ კიდევ ხუთი წლით ადრე იყო გადაწყვეტილიო. ახა, ესეც ჩემი ნომერიო, უნახებია რუკა, მისი დანომრილი სახლიც. ინფორმატორის მონაყოლით, აფხაზეთი რომელიღაცა გარიგებას ჩანაცვლებია.

— მე აბსოლუტურად გეთანხმებით. ძალიან სწორი და საინტერესო შეკითხვაა. როდესაც ავადმყოფს წამალს უნიშნავენ, უპირველეს ყოვლისა სვამენ დიაგნოზს, მერე სწორი წამლებით მკურნალობენ. თუ წამალი იქნა მიღებული არასწორი დიაგნოზით, შედეგი ნულოვანი იქნება.

— შესაძლოა უფრო სავალალოც.

— ბუნებრივია, ამიტომაც ნულოვანი შედეგია ჩვენი კონფლიქტის მოწესრიგებაში, ვინაიდან არ ვამბობთ სიმართლეს, ვმალავთ რა მოხდა სინამდვილეში. მე მიმაჩნია, რომ ასეთი რამე უნდა გავაკეთოთ ჩვენ ბოლოს და ბოლოს. მე თამაზ ნადარეიშვილი კი არ მყავს მხედველობაში, არამედ — სახელმწიფო. მე, თავად ამას კარგა ხანია ვაკეთებ ჩემს შეხვედრებზე:

მე მქონია გამოსვლა გაეროს უშიშროების საბჭოზე, მე მქონია გამოსვლა ეუთოს შტაბბინაში, მე მქონია გამოსვლა სხვადასხვა საერთაშორისო სტრუქტურებთან, უამრავ ხალხთან, გენერალურ მდივნებთან, სხვადასხვა კავშირებთან, სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებთან; მე ყველგან ვაფიქსირებ იმას, რაზედაც აქამდე გვისაუბრია, რომ ეს იყო მაინც რუსეთ-საქართველოს ომი და რუსეთის ინტერესების დაცვით, სფეროების გავლენების შენარჩუნების მიზნით იყო განხორციელებული ყველივე **□არსებული ხელისუფლების მიერ, გ.ო.**), მაგრამ, ძალიან ხშირად მეკითხებიან: აი, რა აზრი აქვს თუ თქვენ ამას აყენებთ და ოფიციალური პოზიცია განსხვავებულიაო.

როდესაც მე ჩამოვდივარ გაეროში და ვამბობ, რომ უნდა მიეცეს შეფასება აფხაზეთში ჩატარებულ გენოციდს, ეთნიკურ წმენდას და ვითხოვ ამას გაეროსგან, ჯერ ეს თავად საქართველოს არ გაუკეთებია;

როდესაც მე ვსვამ საკითხს იმის თაობაზე, რომ გაიცეს სანქციები და დაპატიმრებულ იქნან გენოციდის მომწყობნი, ჯერ ეს თავად საქართველოს არ განუხორციელებია;

როდესაც ჩვენ ვიძახით, რომ რუსეთმა ამდენი უბედურება მოგვიტანა და რუსეთის „სამშვიდობო ძალები“ უნდა გავიდნენ აფხაზეთიდანო, ჯერ ეს თავად საქართველოს არ მოუთხოვია.

ამიტომ ხშირად ჩვენ არ უნდა დავაბრალოთ საერთაშორისო ორგანიზაციებს და ჩვენს მეგობარ ქვეყნებს ლოიალობა, თითქოს მხარში არ გვიდგანან.

უნდა ამოვიგდოთ გონებიდან დამოკიდებულება: რას გვიკეთებენ ისინი?! ისინი არაფერს გაგვიკეთებენ, სანამ შენ ოფიციალურად არ მოითხოვ ამას, სახელმწიფოს დონეზე და საერთოდ, მე შემექმნა ასეთი შთაბეჭდილება, როდესაც მიწევდა ყოფნა უცხოეთში, თუკი ჩვენ ერთ დღეს გავმაგრდებით და ფორსირებულად გავალთ ფსოუზე, საღამოს შეიკრიბება უშიშროების საბჭო და მიიღებს რეზოლუციას, სადაც ის მიესალმება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ თვითონ არ გვინდა გავანაწყენოთ რუსეთი, არ გვინდა გადავიკიდოთ ისინი. კი, მაგრამ როდემდე?!

ნადარეიშვილი გიჟია, ნუ აქცევთ ყურადღებას მის ნაბჟუტურალსო, ცდილობენ ჩემს განეიტრალებას;

ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის, ჩვენ ძმები ვართო. აი, როგორ არის საკითხი დასმული, გური, ბატონო. აურაცხელი შეურაცხყოფაა მიყენებული არა მხოლოდ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებზე, არამედ სრულიად საქართველოზე, თითოეულ ქართველზე, 5 მილიონ მოქალაქეზე, ჩვენს მომავალსა და წარსულზე, წინაპართა საფლავებსა და იმ თაობაზე, რომელიც აწი უნდა გაგვიჩნდეს.

ამიტომაც, როდესაც ამბობენ: მართალია, ნადარეიშვილს ასეთი რადიკალური პოზიციები აქვს, მაგრამ „დომ ბეზ ურადლივიხ ნე ბივაეტ“, ყურადღებას ნუ აქცევთ მაგის ქოთქოთს, ჩვენ განუყრელი ძმები ვართო, როგორი ამბავია? არ არიან რუსები ჩვენი ძმები და არც აფხაზები არიან ჩვენი

ძმები ამჟამად. ხვალ შეიძლება გახდნენ, მაგრამ დღეს ამის თქმა არ შეიძლება. ომს აქვს თავისი კანონები და როდესაც ჩვენ ომი წავაგეთ აფხაზეთში, ხშირად მეკითხებიან:

რატომ წავაგეთ ეს ომი, რის გულისთვის, რის გამოო, იცით, პირველ მიზეზად რას ვასახელებ:

ჩვენ ვიყავით ერთმანეთთან დაპირისპირებულნი-მეთქი. ეს არის უმთავრესი მიზეზი და ქართველები ერთმანთის ჯინაზე მიყოლებით ვაბარებდით სოფლებს და ქალაქებს. მეორე და არანაკლები მიზეზი ისიც გახლავთ, რომ ჩვენ ვებრძოდით დიდ მანქანას — რუსეთს, რუსეთის სახელმწიფოს, მაგრამ ჩემთვის ყოველთვის გაუგებარი იყო, როდესაც მე ვიყავი წინა ხაზზე, სანგარში და იქითა მხრიდან მოდიოდა შეიარაღებული აფხაზი თავგანწირული ყვირილით: „სიკვდილი ქართველებს!" მე აქედან მეუბნებოდნენ, რომ „ჩვენ და აფხაზები ძმები ვართო." ესე იგი მე უნდა გამეცა ბრძანება: „ნუ გეშინიათ, ეს ჩვენი ძმები მოდიან ავტომატებით და ნაღმსატყორცნებით, ძმურად მიუშვირეთ მკერდი-მეთქი". ჩვენ ომი წავაგეთ იმიტომაც რომ ომობანას ვთამაშაობდით...

— ალბათ, გენერალიტეტი, თორემ ქართველ ჯარისკაცს ამას ვერ დავწამებთ.

— ნამდვილად, გენერალიტეტი თამაშობდა, აფხაზები კი უფროს -უმცროსიანად თავგანწირვით იბრძოდნენ. ან როდესაც დაიწყეს სოხუმის დაბომბვა, მე გავეცი ბრძანება, რომ დაებომბათ გუდაუთა. არ შეასრულეს ჩემი ბრძანება, რადგანაც მითხრეს, რომ იქ შეიძლება ხალხი დაიღუპოსო. გესმით? სოხუმში რომ ყოველდღიურად იღუპებოდა ასობით ადამიანი, რომლებსაც მე და ჩემი მეგობრები ნაწილ-ნაწილ ვაგროვებდით სანგრებში, ქუჩებში, ნუთუ ეს მსხვერპლი არ იყო, ნუთუ ისინი ხალხი არ გახლდა, ნუთუ ეს ყველაფერი მე მომელანდა? ამიტომ გაუგებარი იყო ჩემთვის ომობანას თამაში სამშობლოს ინტერესებიდან გამომდინარე. უამრავი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო, როდესაც ჩვენ ვასაფლავებდით ბიჭებს, რომლებიც შეეწირნენ აფხაზეთს, საქართველოს დამოუკიდებლობას, სამშობლოს, თბილისში ნაღდი შოუ-პროგრამები იმართებოდა და ჩვენ გვაღიზიანებდა ტელევიზორის ჩართვა აფხაზეთში.

მე რამდენიმეჯერ ვიყავი ჩამოსული თბილისში და ერთხალაც არ მომხდარა ისე, რომ დავმჯდარიყავი თვითმფრინავზე და თავის დროზე გამოვფრენილიყავი. მეუბნებოდნენ: არ არის საწვავი, არ არის თვითმფრინავი, არ არის ისა, არ არის ესა, მაგრამ ვგრძნობდი რომ არ იყო მთავარი — სამშობლოს სიყვარული, თორემ ყველაფერი თავზესაყრელი გვქონდა. ჩემს თვალწინ მიფრინავდა ათობით თვითმფრინავი, მიფრინავდა დუბაიში, მიფრინავდა ლონდონში, მიფრინავდა მოსკოვში, მიფრინავდა სხვა ქვეყანაში დროის გასატარებლად, კომერციული მიზნით. ამიტომ საქართველოში რომ ჩამოვდიოდი, თბილისში, მე ყოველთვის მეგონა ჩავდივარ უცხო ქვეყანაში, სადაც არ იციან რა ხდება აფხაზეთში, და ამ ომის გამაყრუებელ გრუხუნს თუ ტყვიების წვიმას დროებით გამოღწეული ვხვდებოდი პურ-მარილებზე, ქეიფებზე, დროსტარებებზე და მაზიდებდა სამშობლოს სხეულის ღრეობაზე გალაღებულთა ყურება და მეც თავქუდმოგლეჯილი გამოვრბოდი ჩემი ჯვარცმული აფხაზეთისკენ. აფხაზებმა ძალზე სერიოზულად დაიწყეს მუშაობა უცხოეთში სხვადასხვა მიმართულებით. დავუშვათ ამერიკის შეერთებულ შტატებში არის ვინმე კაზამბა, წარმოშობით აფხაზი, მაგრამ უკვე მესამე თაობაა იქ ცხოვრობენ და მიუხედავად იმისა, რომ მას არავინ ცნობს აფხაზეთში, ის მაინც ჯიუტად, ყოველდღე დგას გაეროსთან, ამერიკის სხვადასხვა უწყებასთან, ხელში აქვს რაღაც ბროშურები და ლმობიერი ღიმილით ურიგებს დიპლომატებს, პოლიტიკოსებს. ნუ ასიდან ორმოცდაათი ხომ წაიკითხავს იმ პასკვილებს ქართველებზე?! ორმოცდაათს მაინც ხომ შეექმნება ცუდი წარმოდგენა ჩვენზე, თუნდაც ცილისმწამებლურად შედგენილი ბროშურებით: რა მოხდა აფხაზეთში, როგორ „მოვუწყვეთ გენოციდი პატარა ერს" „პატარა იმპერიალისტებმა". იცით, რა არის ნიშანდობრივი?! აფხაზები მუშაობენ ენთუზიაზმით. მათ ფანატიკურად უყვართ თავიანთი ქვეყანა. არაფერს ერიდებიან რეალური თავისუფლების მოსაპოვებლად, არ თაკილობენ არანაირ სამუშაოს, მაშინ, როდესაც ჩვენს წარმომადგენელს ვგზავნი ზუგდიდში რაღაც საქმის სასწრაფოდ მოსაგვარებლად და მომეცით სამივლინებო ბენზინიო, გამომიშვერენ ხელებს; მომეცით სამივლინებო ხარჯებიო, გამომიწევენ ყელს. არ უნდა შეგვეშინდეს ამისი ხმამაღალი თქმის! ჩვენ ცოტა სხვა ცხოვრებით ვცხოვრობთ ვიდრე აფხაზები. მოწყვეტილი ვართ იმ რეალობას, რომელიც ნამდვილად არსებობს დროსა და სივრცეში. ჩვენ ანგარიშიანობით ვუდგებით ეროვნულ საქმეებს, როცა აფხაზები ფანატიკურად ინაცრებიან მამულისთვის. ამიტომ კაზამბა ქმნის ძალიან დიდ პრობლემას ამერიკაში საქართველოსადმი, რომელიც 24 საათი ანტიქართულ პროპაგანდას ეწევა, 24 საათი გვაგინებს, და ჩვენ, ამდენი უწყება - მახინა: საგარეო საქმეთა სამინისტრო, ამდენი წარმომადგენლობა, ხშირ შემთხვევაში ვერაფერს ვუპირისპირებთ.

— ბატონო, თამაზ, ამიტომაც წამოვჭერი ზემოთ ინფორმაციული ომის გააქტიურების აუცილებლობა. ნუთუ თქვენს სამსახურებს არა აქვთ საშუალება ალტერნატიული საქმიანობით გაანეიტრალოს მათი „მოღ-

ვაწობა“?

— ასეთი რამის გაკეთების უფლება მე არა მაქვს, იმიტომ რომ ჩვენ, აფხაზეთის სტრუქტურებს, კონსტიტუციით გვეკრძალება გვქონდეს თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების სტრუქტურები, მაგრამ მიუხედავად ყოველივესი, ჩვენ მაინც შევძელით რუსეთში დაგვესვა 5 კაციანი ჯგუფი. თურქეთსა და უკრაინაშიც გვყავს თითო წარმომადგენელი. ეგ არის და ეგ. დანარჩენს ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ. არც ამის სახსრები გაგვაჩნია, მაგრამ ადამიანი იმედით ცხოვრობს. თუკი ასეთ ხალხს გავუშვებთ, ისინი უნდა იყვნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაკები. მოკლედ, აქაც პრობლემებია.

— თუკი ყველაფერი ასეა, რატომ გავურბივართ რუსეთთან ომის სააშკარაოზე გამოტანას, ვის ვემალებით?! რუსთველისებურად ხომ ჭირი თავს არ დამალავს, რაც უნდა ვნიღბოთ იგი? ოპონენტები იმასაც გიყიჟინებენ, აფხაზეთის მთავრობა ფარია, შირმა საქართველოს ხელისუფლებისთვისო, ვითომ სამშვიდობო პოლიტიკით დროის გაწელვის საშუალება, ხერხიო, ამიტომაც არის აფხაზეთის მთავრობა ყბადაღებული ქაქანის, მუქარის იქით ვერ მიდის და სიტყვა სიტყვად რჩებაო. ამასობაში საქართველოში ჩამოყალიბდა მილიონერთა კასტა, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს საქართველოში მოჩვენებითი მშვიდობის შესანარჩუნებლად, რათა ხელიდან არ გამოეცალოს სარფიანი სიტუაცია, ისევ და ისევ საკუთარი ხალხის სიდუხჭირის ხარჯზეო! მწარე სიტყვებია, მაგრამ უკვე დროსა და სივრცეში არსებული, და ამდენად — სათანადო პასუხს დაქვემდებარებული.

ესეც რომ არა, თქვენს წიგნებში რატომღაც ასახვა ვერ ხპოვა აფხაზების სიძის, უფალი ხიუტის პერსონამ. მისი გვარი, დამეთანხმებით, საკვირველად ჩამოხგავს კვიტოულელ კიუტებს. ემიგრანტი ხომ არ არის ნეტავ? ის მეცნიერი ინგლისელი, აფხაზეთის ჭირისუფლად გვევლინება უცხოეთში, მეორე ბაირონად ქართველისგან „დაჩაგრული“ აფხაზების ქომაგობის გზაზე. თავიანთი ირლანდიური პრობლემებისათვის ვერ მოუვლია ბედოვლათს და აქეთ არ გვედავება? ამაზე ითქმის: უკუდო ხარები— კუდიანებშიო, ან სულაც — ქაჩალმა ხუჭუჭთმიანს ხვლეპუსობა რომ დასწამა. ხუმრობით, მივათხოვოთ ჩვენც მწყაზარი ასულები გავლენიან ბიძებს, აფხაზეთის პრობლემებს ამ გზით თუ ეშველება?

— თქვენ სწორად სვამთ საკითხს აქ ხიუტის შესახებ. ის ინგლისში მიღებული პიროვნებაა, ცნობილი პროფესორი, რომელსაც აფხაზი ცოლი ხყავს და პრაქტიკულად მთლიანად არის გადასული მის ჭკუაზე. ხიუტი რამოდენიმეჯერ იყო აფხაზეთში, ფლობს ინფორმაციას, მაგრამ მიკერძოებულ ინტერპრეტაციას უკეთებს. ინგლისში სხვანაირდაა. რამდენიც უნდა ილაპარაკო შენ, ქართველმა, ამერიკელმა თუ რუსმა, გნებავს ცამდე მართალმა, იქ უფრო მეტად უსმენენ ინგლისელს, თუნდაც მცდარს, მიკერძოებულს. ამიტომაც როდესაც პროფესორი ხიუტი გამოდის აუდიტორიის წინაშე, რომელიც წარმოშობით ინგლისელია, დიდი ფესვები აქვს ინგლისში, სიმპათიები ყოველთვის მის მხარეზეა. რიგითი ინგლისელის თუ სახელმწიფო მოხელის მხარდაჭერა მას ხვდება წილად, ყოველთვის უფრო მისი სჯერათ. ასეთი წარმომადგენლები ხყავთ აფხაზებს დასავლეთ ევროპაშიც. რუსეთში მათ ჩვენ პრაქტიკულად მოგვიგეს ბრძოლა, მიუხედავად იმისა, რომ იქ ჩვენი დიდი დიპლომატიური კორპუსია და უამრავ ხალხს გააჩნია მეგობრული კავშირები საჭირო პიროვნებებთან. აფხაზებმა მიაღწიეს იმას, რომ რუსეთის ყველა სტრუქტურაში ანგარიშგასაწევ თანამდებობაზე თავიანთი კაცი ხყავთ, დუმა იქნება ეს, სახელმწიფო სათათბირო, შინაგან საქმეთა, უშიშროების სამინისტროები, პროკურატურა თუ სასამართლო, და აკეთებინებენ იმას, რაც აფხაზებისთვის მისაღებია.

ჩვენ კი გვინდა დიდი დემოკრატები გამოვჩნდეთ მსოფლიოს თვალში, ტოლერანტობით გავითქვათ სახელი, დავფარფატებთ ცაში, ბალზე ვსხედვართ, და ტყემალს ვჭამთ. აფხაზები კი უბრალო გლეხური ენით ლაპარაკობენ იმას, რაც მათ უნდათ და უფრო მეტ თანადგომასაც იმსახურებენ. იგივე შეიძლება ითქვას ამერიკაზე, ინგლისსა თუ სხვა ქვეყნებზე. ხშირად ხდება იმგვარადაც, რომ როდესაც ქართველები იკრიბებიან, დავუშვათ რუსებთან ან გნებავთ იგივე აფხაზებთან მოლაპარაკებების დროს და ეს უკანასკნელნი რაღაც პრეტენზიას უყენებენ, ცხადია, გაუმართლებელს, უსაფუძვლოს, როგორც ისტორიულად, ისე — პოლიტიკურადაც, ჩვენი წარმომადგენლები აიწურებიან, წრიალს დაიწყებენ, ფერი წაუვათ:

ნუ რა ვქნათ, იქაურ ქართველებსაა რომ არაფერი შველით, თორემ ჩვენ ძმები ვართ, ერთნიო, დნებიან შაქარივით. იმის მაგივრად რომ დაიცვან თავიანთი ხალხის ინტერესები, ქართველობა, ქართული სახელმწიფოებრიობა უპირველეს ყოვლისა, ხაზი გადაუსვან საკუთარ გულნამცეცობას და წინა პლანზე დააყენონ სახელმწიფო ინტერესები, თმობენ და თმობენ პოზიციებს. ეს ავამდყოფობა სავალალოდ ჩვენ გვჭირს, მაგრამ განუკურნავი არაფერია.

— ერთ-ერთი თქვენი ყოფილი კოლეგა, ბატონო, თამაზ, დაუფარავად ამჟღავნებდა აგრესიას გალელების მიმართ. თავად მამონასმოყვარეობით გაითქვა სახელი. სამურზაყანოელებს ბრალს გვდებდა პასიურობაში, რომ თითქოს ჩვენი ინერტიულობის წყალობით დაგვეკარგოს მზიური აფხაზეთი. ეს ტენდენცია არაერთი მაღალჩინოსნის კონფიდენციალურ საუბარშიც მომისმენია. მე კი ვამბობ: ყველამ თავის მამიდას მიხედოს! მოვეშვათ გალოფობიას, სამურზაყანოელების გაბიაბრუებას. ჩემს ხელთ არსებული მასალები სხვას ღაღადებენ:

იარაღასხმულ გალელებს უკან აბრუნებდნენ შერჩევით დაკომპლექტებული ფორმირებები, აქაოდა, სოხუმს კბილებამდე აღჭურვილი იმდენი მეომარი ვიცავთ, თქვენ ზედმეტი ხართო. თქვენ უმჯობესია ფრონტის ზურგის ფუნქცია იტვირთოთ, სურსათ-სანოვაგე არ მოგვაკლოთო და მიდიოდა კიდეც ინსპირირებული ომის მიმართულებით შემწვარ-მოხრაკული, ფული, დიახ, დიდძალი ფული იარაღის, ტყვია-წამალის შესაძენად. ვიცით ჩვენ მათი გამნიავებლების გვარებიც. მოკლედ, სამურზაყანოელების როლის დაკნინებას აფხაზეთის ჯანსაღ ცხოვრებაში არც ჩემი მიუკერძოებელი შემოქმედება დაუშვებს და მითუფრო — პირუთვნელი ისტორია.

გალელების უმაგალითო მამულიშვილობა ბოლოდროინდელი მოვლენებითაც დასტურდება: არა და არ ტოვებენ იავარქმნილ ნაფუძრებს, წინაპართა საფლავებს, მშობლიური ხის ძირას ურჩევნიათ ყოფნა, თუმცა იქ აფხაზურ-სომხურ-კაზაკური ტყვიით, სახრჩობელითა და ცეცხლით ეგებებიან.

შარშანდელი მაისის დღეებში იარაღს მოითხოვდა იქაური მოსახლეობა, მაგრამ იგი რატომღაც იგვიანებდა, იმისდა მიუხედავად, თითქოს ათასები გახარჯულა საამისოდ, ფართომასშტაბიან ომს ვიცილებდით თურმე თავიდან.

მაშინ გეკითხებით, ბატონო, თამაზ, რას ნიშნავდა ეს ფარსი, დოღი და მარულა ოტობაიაფიჩორის მისადგომებთან? მოსახლეობის სამსაათიანი გადმოსვლა ენგურსგამოღმა გენერალური ომის წინ? მივაღწიეთ კი მასობრივ გამოპანღურებას. ოპონენტები აქაც თავისებურად წარმოაჩენენ საკითხის არსს, თითქოს სამურზაყანოს დოვლათი სხვანაირად ვერ აღმოჩნდებოდა სეპარატისტების ხელშიო, როგორც პირველი გამოდევნის ჟამსო. ორივე შემთხვევაში ისინი იყოფდნენ ამ სიმდიდრესო. მარტო ბოლოდროინდელი სარჩო-საბადებელი ას მილიონ დოლარს აჭარბებს თურმე მათი მარტივი გაანგარიშებით.

— ძალიან საინტერესო თემა წამოსწიეთ. ჩემს საქმიანობაში ეს არის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, როცა ჩემი ოპონენტები, უფრო სწორად მოწინააღმდეგეები, ცდილობენ რაღაც გარკვეული ბზარი შეიტანონ, დავუშვათ აფხაზეთის ხელისუფლებასა, ჩემსა და გალელებს შორის. ამ ხუთი წლის განმავლობაში იყო ამისი უამრავი მცდელობა, მაგრამ ჩვენ ყველგან უშეცდომოდ, კარგად და ლამაზად გავიარეთ.

ჯერ ერთი, მე ჩინებულად მომეხსენება თუ რა არის ისტორიული სამურზაყანო, მშვენივრად ვიცი რა არის გალის პოტენციალი. დარწმუნებული ვარ ის იყო და იქნება საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი რაიონი, განსაკუთრებით სუბტროპიკების, სოფლის მეურნეობის განხრით და ასიათასი ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა გალში, ეს არის ხალხი, რომელსაც აქვს ისტორია, რომელიც არის გამორჩეულად მშრომელი, რომელმაც ძალიან ბევრი გააკეთა საერთო ბედნიერებისთვის და ბევრსაც გააკეთებს მომავალში. ამიტომ გაუზვიადებლად მინდა ვთქვა, რომ გალელებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ სწორედ დღეს, ახლა, იმიტომ რომ ჩვენი დაბრუნება დაიწყება გალიდან და როგორ დაბრუნდება მოსახლეობა გალში, ალბათ, ისეთი იქნება დაბრუნება მერე დანარჩენ რაიონებში. და მჯერა, ღრმად მწამს, რომ ეს ხალხი თავის საქმეს გააკეთებს ისე, როგორც საჭიროა. ანდა ვის შეუტრიალდება აუგად ენა, რომელ ჭკუათმყოფელს:

გალელებს აფხაზეთის ომში მონაწილეობა არ მიუღიათო? შევხედოთ სტატისტიკას. ყველაზე დიდი მსხვერპლი გალელებშია, ყველაზე მეტად განადგურებული გალის რაიონია, ვინაიდან სეპარატისტებმა ბრწყინვალედ იცოდნენ, რომ გალი აფხაზეთის ხერხემალია, როგორც სამეგრელოა საქართველოს ბურჯი.

— სამურზაყანოს აფხაზეთის ბელელი ერქვა ოდითგანვე.

— ცამდე მართალს ბრძანებთ. ამიტომაც განსაკუთრებული სიძულვილით დიახაც გალელებია დახოცილი. განსაკუთრებული სისასტიკით დიახაც გალის ორგანიზაციები, ობიექტები და სახლებია გადამწვარი, რათა მომავალში ქართველებს იქ დაბრუნება ძალიან გაუჭირდეთ.

საერთოდ სამურზაყანო ჩვენს ისტორიაში არის შესული სამშობლოსადმი, საქართველოსადმი განსაკუთრებული სიყვარულით, ერთიანობისათვის, თანადგომისთვის და შეუპოვრობისთვის ბრძოლაში. ასეთი ჭორები, ასეთი პასკვილები ისევ და ისევ მესამე ძალის მოგონილია, რომელიც სულმოკლე, ვირთხა-ადამიანებს ბაცილასავით გადააქვთ ერთი სოროდან მეორეში.

ჭკვიანი და ცბიერი მტერი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა წამოაგორონ გალელებისა და აფხაზეთის დანარჩენი მოსახლეობის ერთმანეთთან გადაკიდება, ისევ და ისევ აფხაზეთის დაბრუნების იდეის გათიშვის მიზნით. მე ძალიან კარგად მახსოვს გალელები აფხაზეთის ომში. იქ თავგანწირვით იბრძოდა გალის ბატალიონი, რომლის ჯარისკაცებსაც მე არაერთხელ შევხვედრივარ. უამრავი გალელი მინახავს ფრონტის წინა ხაზზე. აი, მაიაკის მიდამოებში წინა პოზიციაზე მე და ბატონი ედუარდ შევარდნაძე რომ მივედით, იქ ვიხილეთ გალელი ჭარმაგი კაცი, რომელიც თავის ორ ვაჟიშვილთან ერთად იბრძოდა. როგორ შეიძლება ითქვას გალელებმა არ იბრძოლესო? ეს თემა საპროვოკაციოდ მომზადებულს ხგავს და ყველამ უნდა შევიგონოთ, რომ არათუ ავყვეთ მის ფეხისხმას, არამედ ყოველივე ჩანასახშივე უნდა მოვკვეთოთ.

— ზოგი თანამემამულესგან განსხვავებით მე დიდებულად მაქვს საქმე, ბატონო, თამაზ. ოტობაია კი წამართვა ვითომ არძინბამ: სახლი, კერია, ეზო, შუკა, სამოხიო, მაგრამ სახელს ვერაფერი მოუხერხა, თან წამოვიღე ფსევდონიმად. აქედან ხომ ვერ წაშლის?! — თავზე მივიდებ ხელს გაბრიაძის პერსონაჟივით.

— ნამდვილად! — იცინის სამოქალაქოში გამოწყობილი გენერალი. — ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რომელზეც დღემდე საბოლოო აზრი არ ჩამოყალიბებულა. დასამალი რაა, მინდა გახსნილად გითხრათ, რომ გალის მოვლენები წინასწარ დაგეგმილი პროვოკაციაა და აი, სულ რამოდენიმე ხნის წინათ დაიბეჭდა ინტერვიუ რუსეთის სახელმწიფოს დეპუტატთან, ივაშენკოსთან, რომელმაც, ვიტყოდი, პირდაპირ ბომბი ისროლა: რა იგეგმებოდა გალში და რა უნდა მომხდარიყო შემდგომ, რაც ზუსტად გალთან დაკავშირებით იყო გამოფენებული. აი, ზემოთ ნათქვამი ის მეთოდიც, რათა კიდევ ერთხელ დაერტყათ ქართული მოსახლეობისთვის, კიდევ ერთხელ გადაემსხვრიათ ჩვენი ხერხემალი გალში, ვინაიდან იქ უკვე დაბრუნებული იყო 50 ათასზე მეტი დევნილი, ანუ პარტიზანული მოძრაობაც გალში უფრო ამოქმედდა და ხალხი რა თქმა უნდა, დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ერის ღირსეულ შვილებს, თავგადადებულ, მამაც ადამიანებს, რადგანაც ეს პარტიზანები მართლაც ნამდვილ პატრიოტ ხალხად მიმაჩნია. აქვე აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ გაუმართლებლად მეჩვენებოდა მე მარულების გამართვა იქ. გაუმართლებლად მეჩვენებოდა მე იქ დროშების ჩამოკიდება, თუმცა ამის მიმართ უარყოფითი რეაქცია აღარცერთ ქართველს გამოუხატავს. ბუნებრივია, ეს ყველას გაეხარდა და ჩემთანაც მოვიდა რამდენიმე ჯგუფი, რათა მეც გადავსულიყავი გალში, მიმეღო მონაწილეობა მარულაში, დოღში, მიმეღო იქ მონაწილეობა დროშების აფრიალებაში და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

მე კი ეს ყველაფერი წინდაუხედავ პოლიტიკად მივიჩნიე. ერთი საათით დროშების აფრიალება და ერთი საათით მარულის ჩატარება, თარჩია თუ ტაშ-ფანდურა, ჩვენ სახეიროს ვერაფერს მოგვიტანდა და შეუძლებელია მომავალშიც მოგვიტანოს. მე გავეცი სათანადო პასუხი ჩემს მეგობრებს, ვინაც ასეთი წინადადება შემომთავაზა: რომ მე თუ გალში შევალ, იქ უნდა დავრჩე, იქიდან ჩემი წამოსვლა არ იქნება და რაღაც ღონისძიებისთვის ჩვენ რომც გადავიდეთ სამურზაყანოში, ამით უფრო გავაღიზიანებთ ვიღაც-ვიღაცეებს, იგივე რუსებს, რომლებიც პრაქტიკულად აკონტროლებენ მთელს აფხაზეთს, მთელს გალის რაიონს; გავაღიზიანებთ ადგილობრივ მოსახლეობასაც-მეთქი, რომელსაც ძლივს აღუდგენია ჩამქრალი კერა, და დიდის გამბედაობის ძალისხმევით ეწევა იქ თავის მძიმე ჭაპანს.

ახლა ჩვენი ოპონენტები, ჩვენი მოწინააღმდეგენი დამნაშავეს ეძებენ ქართული მხრიდან: რა მოხდა იქ, როგორ მოხდა და რანაირად.

მე მთელი სერიოზულობით განმიცხადებია: თუ იგეგმებოდა იქ, გალში, მართლა იარაღით შესვლა, ან ძალიან ცუდად იყო დაგეგმილი და მაშინ ასეთი რაღაც არ უნდა გააკეთო, არ უნდა ეთამაშო ადამიანების სიცოცხლეს; და თუ არ იყო იქ დაგეგმილი იარაღით შესვლა და მოხდა ასეთი უბედურება, მაშინ, ჩვენ უნდა ვეძიოთ დამნაშავე აფხაზებსა და რუსებში და უსაფუძვლო ბრალდებებით ერთმანეთს თავს ნუ გადავჭამთ: ნადარეიშვილია დამნაშავე თუ ვიღაც სხვა, არამედ მოვლენას დავარქვათ რეალური სახელი, ვამხილოთ ვინც ეს სინამდვილეში გააკეთა — არძინბამ და მისმა ხროვამ რუსებთან ერთად.

იცით, ხანდახან სასაცილო მდგომარეობაში ვვარდებით ხოლმე ჩვენი გულუბრყვილობის, მიამიტობის თუ ავადმყოფური მოშურნეობის გამო. აფხაზებმა ასეთი უბედურება ჩაიდინეს გალში, ამდენი ხალხი დახოცეს, ამდენი სახლ-კარი გადაწვეს და დღეს შორიდან გვიყურებენ იქედნური ღიმილით, თუ ქართველები როგორ გადავაბრალებთ ერთმანეთს ამ ტრაგედიას; ბედის ირონიაც ამას ხქვია. ამიტომაც ჩვენ შევქმენით აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში სპეციალური კომისია, რომელიც ამ საკითხებს ძალიან სერიოზულად სწავლობს. გავკადნიერდები და ვიტყვი: მე თვითონ მა-

ინტერესებს ვიცოდე რა იყო სინამდვილეში. ძალიან ბევრს არ სჯერა ჩემი ნათქვამისა, რომ ამ საქმის ბაიბურში არ ვიყავი. გალის მოვლენების შესახებ მეც ტელევიზორით გავიგე, როგორც საქართველოს მთელმა მოსახლეობამ.

რა თქმა უნდა, იმწამსვე დავაჯექი მანქანას და სამეგრელოსკენ გავეშურე, ჩავედი ზუგდიდში, შევხვდი იქ დევნილ მოსახლეობას, გადავედით იქით, მდინარისკენ. გადავხედეთ ვითარებას და როდესაც ვნახე ყველაფერი თუ რა დონეზეა შეკოწიწებული, მყისვე განვაცხადე: აქ მარცხი გარდაუვალია-მეთქი და პრაქტიკულად გამოვტრიალდი უკან.

თუკი შესვლა სახელმწიფო დონეზე იყო დაგეგმილი, ცუდია რომ ამის შესახებ მე არაფერი ვიცოდი, ვინაიდან ასე თუ ისე, მე ვარ ერთ-ერთი პირველი, ვინც აფხაზეთში იარაღით დაბრუნებას ითხოვს. მაგრამ ამავე დროს მე უნდა ვიყო ბოლომდე ჩაწვდომილი, რამდენად პროფესიულ დონეზეა მომზადებული ეს ყველაფერი.

თუკი შედიხარ, არ უნდა გამოგაგდონ. აი, ამ მომენტების დასაზუსტებლად, მე მქონდა საუბარი ქვეყნის პრეზიდენტთანაც; მქონდა საუბარი მინისტრებთანაც და დარწმუნებული ვარ, მას უფრო ზუსტი შეფასება მიეცემა, ვიდრე ამჟამად. ჩემდა თავად, მე მას განვიხილავ როგორც პროვოკაციას. მე ხელთა მაქვს ჩემი საგენტოს სადაზვერვო მონაცემები ამასთან დაკავშირებით, რომ ერთ-ერთ თავიანთ სამხედრო შეკრებაზე აფხაზებმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს: ექვსი წელია მათ დამოუკიდებლობა მოიპოვეს, მაგრამ ჯერჯერობით ეს დამოუკიდებლობა არავის უცვნია.

აფხაზებმა დამოუკიდებლობის ცნობას რომ მიაღწიონ, ამისთვის საჭიროა საქართველო დანაწევრდეს და „სამთავროებად" დაიშალოს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში, სხვა რეგიონებთან ერთად შეიძლება ცნონ აფხაზეთი დამოუკიდებლად, ანუ იმგვარად, როგორც ეს მოხდა იუგოსლავიაში. ამიტომაც აფხაზები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა საქართველოს საქმეები აწეწონ, რათა სხვა კუთხეებმაც მოაწყონ იგივე ბუნტი, როგორც ეს არძინბამ მოახერხა, რათა საქართველო გაირიყოს ყოველდღიურობიდან, დარჩეს ისტორიაში, როგორც ამას გაიძახიან ჟირინოვსკები, ზატულინები, და კიდევ სხვა მრავალი: თითქოს უახლოეს მომავალში საქართველო პოლიტიკურ რუკაზე საერთოდ წაიშლება.

იქნება პატარ-პატარა სახელმწიფოები სამეგრელოს სახით, ჯავახეთის სახით, აჭარის სახით და რა თქმა უნდა აფხაზეთის სახითაც.

აი, როგორი სიტუაცია აძლევს ხელს აფხაზებს;

აი, როდის მოხდება მათი აღიარება. საქართველოს დაშლის შემთხვევაში, აი, ეს ავტონომიები იქნებიან დამოუკიდებელი სახელმწიფოები, მაგრამ ჩვენი მტრები ამას ვეღარასდროს ეღირსებიან; ნოგდაუნის შემდეგ ჩვენ საკმარისად მოვითქვით სული და აწი საქართველოს წამოჩოქება არც ისე იოლია.

— დევნილი მოსახლეობა დაიქანცა. გაგრელები, სოხუმელები, ოჩამჩირელებიც კი თანდათან ეგუებიან თავიანთ ბედ-ილბალს. პრიმიტიული აღებ-მიცემობით გააქვთ სული. განსაკუთრებით საგანგაშო სიტუაციაში იმყოფებიან გალელები, ვინაიდან მათ ხელმეორედ დაკარგეს უკანასკნელი დანაზოგები. უმეტესს თავშესაფარი არ გააჩნია, ბოსლებსა და ხიდისქვეშ ათენ-აღამებენ. დიახ, არ მეშინია ამისი გაცხადების, ათასობით ადამიანი პირუტყვულ ყოფაშია. ამ დროს აფხაზეთის მთავრობის ჩახალსტუხებულ-ჩაკომფორტებული ჩინოვნიკები „თანაუგრძნობენ" მათ სავალალო პრობლემებს.

აფხაზეთის მთავრობა ჩამოვიდეს და ჩემთან დაწვეს კარავშიო, აცხადებენ დევნილები. ამისთანა ვითარებაში, როგორ ფიქრობთ გახყვება ხალხი აფხაზეთის განთავისუფლების პარტიას? რა უშლის ხელს აფხაზეთის მთავრობას ზუგდიდსა თუ სენაკში გადასანაცვლებლად?! რას ვერ ველევით, მდგომარეობას, თუ მშობელი ხალხის გვეშინია? კიდევ ერთიც. ახლახან გაეროს მორიგი ასამბლეიდან დაბრუნდა ჩვენი დელეგაცია. იქაურ რეზოლუციებს დიდად აფასებენ ჩვენი პრემიერი, სხვანი და სხვანი. თითქოს ყველაფერში კვერს გვიკრავენ, აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ჩვენს სამართლიან პოზიციას ლტოლვილების უპირობო დაბრუნების თაობაზე, და ვინ მოსთვლის. ცხოვრება კი კვლავინდებურად შამფურისა და მწვადის პოლიტიკით ხრჩოლავს.

აფხაზებს უამრავი მფარველი ხყავთ უცხოეთში, თურქული დიასპორა, ცატუროვი და ძმანნი მისნი რუსეთსა თუ ამერიკაში. ჩვენში გაეროს „ხაეროს" ეძახიან ფიგურალურად თავისი ლოიალობის გამო. შესაძლოა მე საკითხში ნაკლებად ჩახედული ვარ, მაგრამ, ბატონო, თამაზ და იქნებ თქვენ დამისახელოთ, მათ მიერ მოწესრიგებული კონფლიქტი სადმე, რომელიმე კონტინენტზე თუ პირიქით, მათ ხელს აძლევთ ამღვრეული წყლის პოლიტიკა, სადაც თევზის დაჭერა იოლია?!

— დევნილთა მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ძალიან მძიმეა, კატასტროფული. ბოლო წლების განმავლობაში ძალზე იმატა სიკვდილიანობამ, სხვადასხვა დაავადებებმა და უფრო მეტად ეს ყვე-

ლაფერი დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ თუ ნევროზულ მდგომარეობასთან. ხალხის სიკვდილი უფრო მეტად გამოწვეულია სხვადასხვა სტრესებით, ინფარქტებით, სისხლის ჩაქცევებით, რადგანაც აი, ამ უიმედობით ხალხი კარგავს აფხაზეთში დაბრუნების რწმენას, რაც ძალზე მძიმედ მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე. ხალხის უმეტესობა ცხოვრობს საძროხეებში, ბოსლებში, სათბურებში, ღია ცის ქვეშ. ამიტომაც რომელ პირობებზე შეიძლება ლაპარაკი, ადამიანის უფლებათა რომელ დაცვაზე? ხალხი პრაქტიკულად ქუჩაშია გამოგდებული და არც იცის ამნაირი სასჯელი როდის დამთავრდება. ძალიან ხშირად მოიშველიებენ ასეთ მაგალითს, რომ პატიმარი, რომელიც ციხეში ზის, მან იცის თავისი განთავისუფლების თარიღი, ჩვენმა დევნილმა კი არაფერი უწყის თუ როდის დასრულდება მისი მარათონული ტანჯვა-წამება; ან რანაირად შეიძლება კითხო დევნილს, როგორ ხარ შენო? ჩვენმა სტრუქტურებმა, რა თქმა უნდა, გავაკეთეთ შესაძლებლობის მაქსიმუმი. ჩვენი ინიციატივით დავასაქმეთ გარკვეული რაოდენობა ხალხისა — 50 ათასი, მაგრამ დანარჩენი 250 ათასი ადამიანი პრაქტიკულად რომ ქუჩაშია?! აქ არის შეკითხვა თუ რა უშლის ხელს აფხაზეთის ხელისუფლებას, დავუშვათ გადავიდეს ზუგდიდში, ან საერთოდ სამეგრელოში დაიდოს ბინაო. ეს საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია და ერთ პერიოდში მივიღე კიდეც ამდაგვარი გადაწყვეტილება.

— ბატონო, თამაზ, თქვენ ამ კითხვას უკვე ნაწილობრივ უპასუხეთ, როცა ახსენებთ, რომ ფაქტობრივად ლეგიტიმური მთავრობის სახით ხვდებით დედაქალაქში უცხოეთიდან ჩამობრძანებულ სტუმრებს.

— ხო, ჩვენი საქმიანობა უფრო პოლიტიკურია. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ძირითადად პოლიტიკური ორგანოა და პერიფერიაში ჩვენი ყოფნა ყოვლად გაუმართლებელია, მით უფრო რომ საქართველოს პოლიტიკური ცენტრი თბილისია.

აი, ჩემი სამუშაო დღე, ჩემი საქმიანობა, ისეა გადატვირთული სხვადასხვა შეხვედრებით, ფიგურალურად თუ ვიტყვით, თავის მოსაფხანად არ მცალია. საქართველოში რაც კი დელეგაცია ჩამოდის ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, ევროპიდან, ამერიკიდან, ყველასთან მე მიწევს შეხვედრა. მე ვარ საქართველოს უშიშროების საბჭოს წევრი, სადაც უნდა დავესწრო ძალიან სერიოზულ სხდომებს. არაფერს ვამბობ მთავრობის სხდომებზე, პარლამენტის სხდომებზე, სხვადახსვა კომისიის სხდომაზე.

აქ არის განთავსებული საერთაშორისო ორგანიზაციების სხვადასხვა ოფისები: გაერო, ეუთო, ევროსაბჭო, ევროკომისია, ამიტომ ამათთანაც მიდის ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა.

აქ არიან სხვადასხვა ქვეყნების ელჩები, რომლებთანაც სისტემატური შეხვედრები გვაქვს.

პრაქტიკულად აქედან, თბილისიდან, იგეგმება ყველა პროცესი, რაც ჩვენს იდეოლოგიურ ომთანაა დაკავშირებული.

აი, თქვენ წინა შეკითხვაში გაინტერესებდათ, თუ რატომ წავაგეთ ასეთი იდეოლოგიური ბრძოლა აფხაზებთან. ახლა ჩვენ ვცდილობთ ეს ვითარება არსებითად გამოვასწოროთ. უკვე ჩავერთეთ ინტერნეტში, ჩავერთეთ ტელეევროფოსტაში; ჩვენ გვაქვს ფაქსები, უამრავი სხვა საშუალებანი, რომლითაც ნებისმიერ გაფაჩუნებას სამეგრელოში, გალის რაიონში, მყისვე ვაწვდით ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას. ჩვენ ყოველდღიურად ვაგზავნით ფაქსებს გაეროში, ეუთოში, ევროსაბჭოში, ადამიანთა უფლებების დაცვის სამსახურებში, რაც ხშირად საქართველოდან შეიძლება არც გადიოდეს; იმიტომ, რომ ჩვენ მიგვაჩნია, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც იქ დაიჭრება, არაფერს ვლაპარაკობთ უკვე სიკვდილიანობაზე, ეს უნდა იცოდნენ ჩვენთან თანამშრომელმა სტრუქტურებმა. თუკი ავიღებთ გალს, დავუშვათ მარტო იანვრის თვეში, აი, როდესაც არძინბა იძახის, უსაფრთხოების ყოველგვარი გარანტიებიაო და პატიჟობს ხალხს ენგურსგადაღმა, ჩვენი მონაცემებით იმავე გალში დახვრეტილია 25 მშვიდობიანი მოსახლე და ყველას სახელი, გვარი გადაცემულია უშუალოდ გენერალურ მდივანთან გაეროში, ეუთოში და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

იგივე რუსეთის „სამშვიდობო ძალებს", იგივე ნებისმიერ მოვლენას ჩვენ ვაფიქსირებთ იმდენად, რომ ვტეხთ მაშინვე განგაშს და შესაბამისად მოვლენების მიმართ იცვლება აზრიც და როდესაც არის ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ მსოფლიო უკვე სხვანაირად უყურებს აფხაზეთის კონფლიქტს, აქ ჩვენი მოკრძალებული წვლილიც არის უსათუოდ.

მეორე მომენტი გახლავთ ის, რომ თბილისშია განთავსებული ყველა პოლიტიკური ძალა, რომელთანაც ჩვენ ზოგიერთთან ვთანამშრომლობთ და ზოგიერთთან ოპოზიციურად ვართ განწყობილი.

აქ არის პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, ვისთანაც ჩვენ პრაქტიკულად ყოველდღიურად ვწყვეტთ საკითხებს. ამიტომ ჩვენი აქედან წასვლა გამოიწვევს დიდ სირთულეებს და ამას ძალიან კარგად შეიგრძნობს თბილისში განთავსებული 83 ათასი დევნილი, რომელთაც გამუდმებით აგდებენ ბაზრობებიდან, საცხოვრებლებიდან, ან კიდევ ქუჩიდან, სადაც ისინი პურს ხყიდიან. ასე რომ,

ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მომენტი მათი ინტერესების დაცვაა, რათა არავის დავაჩაგვრინოთ გუშინწინ ყოველნაირად უზრუნველყოფილი ინტელიგენტი, დღეს პურის და სიგარეტის ყიდვით არჩენს ოჯახს.

— გამოდის რომ თბილისში მათ გაცილებით უარეს პირობებში უხდებათ ცხოვრება, ვინემ საქართველოს სხვა რეგიონებში?

— რა თქმა უნდა. აქ მაინც ქალაქია და დევნილს საშუალება არა აქვს მიწა დაამუშაოს; თან ხელგამმართველიც არავინ მოეპოვება, არც — ახლობელი, არც — ნათესავი. ამიტომ თავის რჩენის ერთადერთი საშუალება მცირე ბიზნესია, მაგრამ დღეს იმნაირი ვითარებაა, სტუმარი არავის სჭირდება. ყოველ ტერიტორიას ხყავს თავისი ბატონ-პატრონი და უმრავი ადამიანი ცდილობს არ დაუშვას ლტოლვილი სავაჭროდ თავის მონაკვეთზე, ვინაიდან ეს ხელისგულისოდენა სივრცე მისი გავლენის სფეროა. ან ვის აინტერესებს დღეს დევნილმა მაღაზია თუ რესტორანი გახსნას, მაგრამ ჩვენ ძალიან სერიოზულად ვუდგევართ გვერდში ჩვენს ხალხს, არავის ვაჩაგვრინებთ უმიზეზოდ და სტატისტიკური მონაცემებით ასობით ადამიანმა შეიძინა თბილისში ბინა, ზოგმა სახლიც კი აიშენა და მე ამას წამითაც არ მივიჩნევ უარყოფით მოვლენად. პირიქით, რაც უფრო მეტი დევნილი იყიდის თბილისში ბინას, მით უფრო მეტი ჯანსაღი თაობა გაგვეზრდება, უფრო გავმრავლდებით და მოვღონიერდებით. ზოგიერთს ეს მომენტი მოსვენებას უკარგავს და წარამარა აუჩემებია:

ხომ არ დარჩებიან აქ სამუდამოდო, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ დევნილთა პატრიოტიზმში, აფხაზეთისადმი სიყვარულში. ჩვენებურებს ოქროს ხალიჩებიც რომ დაუგო ფეხქვეშ, მოსახლეობის 80 პროცენტი საკუთარი ეზოს ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლას ამჯობინებს უეჭველად. სხვა მაგნიტი აქვს მშობლიურ მიწა-წყალს, განსაკუთრებით აფხაზეთისას. თანაც აფხაზეთის დემოგრაფიული მომავალი დევნილების მხარდამხარ სრულიად საქართველოს საასპარეზოა, შინაური საქმე. ამიტომ, აი, ხალხი, როდესაც თავისი შრომით აღწევს ამას, აქ დასაძრახი არაფერია და ალაბთ, სირცხვილიც არის ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ აი, დევნილმა ბინა იყიდა თბილისში, ან დევნილმა იყიდა მანქანა, ან დევნილმა გახსნა რესტორანი; აქაც არის უეჭველად ჩვენი საქმიანობის არსი, რომ ყველას გავაგებინოთ ერთი ჭეშმარიტება: დევნილი ეს არ ნიშანვს აუცილებლად გაუპარსავ, დაუბანელ და გაუნათლებელ ადამიანს. ისეთი განათლებული ხალხი ნეტავ საქართველოს სხვა კუთხეებშიც მოგვცა. ჩვენი მოსახლეობა აფხაზეთში ცხოვრობდა მდიდრულად. ყველას ხქონდა საშუალება ესწავლა, ეშრომა, ეცხოვრა შინაარსიანად. დევნილი ხელწამოსაკრავი არავის ეგონოს. როლები რომ შეგვეცვალა, დღეს შედარებით გალაღებული ჩვენი თანამემამულე, გაცილებით უმწეო ვითარებაში მოგვევლინებოდა მათ ადგილას, არც ჩვენი ადამიანები იქნებოდნენ ზოგიერთივით გულდახურულები, ზუგდიდელებივით ამოიღებდნენ იმ გულს და უშურველად გაუზიარებდნენ გაჭირვებულ თვისტომს. მოკლედ, ჩვენ შევძელით მაინც აქ, თბილისში, ჩამოგვეყალიბებინა რაღაც და შეგვექმნა პირობები ჩვენი დევნილებისათვის.

— ჩვენი ისტორიის სამარცხვინო ფურცელია ეგ ტერმინი, ბატონო, თამაზ. დევნილი შესაძლოა ნიუანსობრივად სჯობდეს ლტოლვილს, ოტებულს თუ მეოტს, მაგრამ მაინც ფერდობიდან დაგორებულ ქვასავითაა. ჩვენ აქაც სეპარატისტების წისქვილზე დავასხით წყალი, როცა სწორუფლებიანი მოქალაქის პატივი ავყარეთ მათ, არასრულფასოვნების კომპლექსით აღვჭურვეთ. ეს ისტორიული დანაშაულია, დამერწმუნეთ. აფხაზეთიდან გამოდევნილ მოსახლეობას არაფერი უნდა დასჭირვებოდა ხელის გასაწვდენი. საკმარისია მათთვის ,,დევნილის'' ნაცვლად ,,აფხაზი'' გვეწოდებინა, რომ აფსუები ყმუილს მორთავდნენ, როგორც ეს მათ სჩვევიათ ღამღამობით ინფორმაციის გასაცვლელად პაზიციებზე.

— თავისთავად ტერმინი ,,ლტოლვილი'', ,,დევნილი'' დამამცირებელია ადამიანისათვის, რომელიც საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეა. ეს იგივეა, რაც ჩვენი მოსახლეობა დავყოთ ფენებად: ,,ღატაკი'', ,,გაუნათლებელი'', ,,უწიგნური'' და ასე შემდეგ, მაგრამ დამამცირებელ მდგომარეობას თანდათან ჩამოიბერტყავს ჩვენი საზოგადოება.

უფრო სასიხარულოზე მინდა გესაუბროთ, დავუშვათ სოხუმელი ძმების, ტარიელ და ამირან ბიწაძეების მიღწევებზე. ამ, ვისთვის საუკუნე და ვისთვის ხუთი წლის განმავლობაში, ტარიელი ოთხჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი და ამირანი — ერთხელ, კინგბოქსში. პრაქტიკულად ეს მთელი დევნილების მიღწევაა უდიდესი.

ჩვენმა კურტანიძემ ჭიდაობით გაითქვა სახელი, ევროპის ჩემპიონი გახდა, მსოფლიოს პრიზიორი. გასახარი არ არის განა?!

ქეთევან არახამია ავიღოთ, ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ბევრის და ბევრის ჩამოთვლა შეიძლება. ჩვენმა ცარიელ-ტარიელმა ხალხმა შეუძლებელი მოახერხა: ოჯახიც შეინახა, ბინაც შეიძინა, მანქანაც, აიშენა სახლი, სახელი გაითქვა, დაიცვა სადოქტორო, საკანდიდატო, გამოავლინა თავისი ნიჭი სასცენო ხელოვნებით, ვოკალით, დასტამბა წიგნები, თავი ისახელა მწერლობით, თქვენ ხართ უპირველეს ყოვლისა ჩემი ფიქრით, აი, ამათ რიცხვში; მოკლედ, ეს ყველაფერი იმიტომ ხდება ამგვარად, იმიტომ წარმოჩინდება შთამბეჭდავი შედეგებით, უწინარესად ჩვენ რომ ვართ აქ.

აბა, დამისახელეთ ვინმე ცხინვალიდან ან მწერალი, ან სპორტსმენი, ან პოლიტიკოსი, ან ხელმძღვანელი, ან თუ გნებავთ რესტორანის პატრონი და ნებისმიერი სხვა თანამდებობის პირი; განა იმიტომ ნაკლებად ნიჭიერები არიან? ჩვენ უფალმა გონიერების კალთა დაგვაბერტყა და მათ ხელმოცარულობის იღბალი არგუნა? სრულებითაც არა, ბატონო, გური. ცხინვალელები იმიტომაც არ ჩანან არენაზე, ასეთი მხარდაჭერა მათ არა აქვთ საუბედუროდ.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჩვენი საქმიანობა, როგორც პოლიტიკური, ასევე — ეკონომიკური, აქ, დედაქალაქში, თბილისში უფრო გამართლებულია. თანაც ყოველდღიურად გვიწევს ბრძოლა ჩვენი ბიუჯეტისთვის. წუთით თუ მოვადუნეთ ყურადღება, იმას წაგვართმევენ, ამას არ მოგვცემენ, ანუ დღეს გვიხდება ცხოვრება ჯუნგლების წესით: ძლიერი — იმარჯვებს, სუსტი — მარცხდება.

ახლა მეორე მომენტი ჩემს წასვლასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ აი, ასეთი არგუმენტები გამაჩნია, რომ ხელისუფლება მაინც აქ უნდა იყოს, დედაქალაქში, მიზეზთა გამო, მე მაინც შევეცადე სამეგრელოში წავსულიყავი.

ჩავედი, მოვინახულე ადგილი, სადაც ბინა უნდა დამედო და მეაქტიურა. ამ შემთხვევაში დევნილებთან შეხვედრის გარდა შეიძლება სამეგრელოს ხელმძღვანელობასთან ელარჯი მეჭამა და ამით დამთავრდებოდა ჩემი მოღვაწეობა. სხვა მხრივ იქ ჩემთვის საასპარეზო არაფერი იყო. მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ.

როდესაც მე ვჯდები მანქანაში და მივდივარ სამეგრელოსკენ, ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის გაეროსი, და ელჩებიც კი, ამზადებენ საგანგაშო ნოტას, რომ ნადარეიშვილი დაიძრა აფხაზეთისკენო. მე მაქვს რამდენიმე ამონაწერი იქიდან, რომელიც დავუშვათ ჩემს წასვლას სამეგრელოსკენ განიხილავს, როგორც ფეთქებადსაშიში მდგომარეობის ჩამოყალიბებას. ამიტომაც ვითარება, რომელიც იძაბება მერე სამეგრელოში, ყოველთვის ნადარეიშვილის, ვითომ იმისი უშუალო მონაწილეობით ხდება, როგორც იყო პრინციპში გალის მოვლენები, როდესაც ჩვენ ვიყავით ჩასულები დასავლეთ საქართველოში და არაერთი დღე გავატარეთ იქ. გვქონდა შეხვედრები ფოთში, სენაკში, ხობში, ზუგდიდში, მას მოხყვა გალის მოვლენები და რატომღაც ბევრმა ისე აღიქვა, თითქოს ეს ყველაფერი გალის დასაბრუნებლად წინასწარ გამიზნული აქცია ყოფილიყო და მაინც მიუხედავად ყოველივესი, ჩვენ მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება და სამეგრელოში, იმერეთში, აჭარაში, კახეთსა თუ ქვემო ქართლში, პრაქტიკულად ყველგან, ჩამოვაყალიბეთ ჩვენი წარმომადგენლობები, ჩვენი შტაბები, სადაც მუშაობს ხალხი, რომლებიც ღებულობენ ხელფასს და პასუხისმგებელნი არიან ამა თუ იმ საკითხზე.

ახლა, როცა მეკითხებით, რამდენად გახყვება აფხაზეთის განთავისუფლების პარტიას ხალხიო, ეს ყველაფერი თვითონ დევნილებზეა დამოკიდეუბლი და მათ საღ ანალიზზე. მე არავის მოვუწოდებ: აბა, ადექით და მომყვით-მეთქი. ელექტორატმა თავად უნდა გაიაზროს ის პოლიტიკა, რომელსაც მე ვატარებ ამ ხუთი წლის განმავლობაში; უნდა გააცნობიეროს რა შედეგი მოაქვს სამშვიდობო პროცესს და რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ჩვენმა მომავალმა საქმიანობამ.

არავის ეგონოს თითქოს ის ნადარეიშვილს უდგას გვერდში, ან ნადარეიშვილს ემხრობა. ის უდგას გვერდში საქართველოს და ემსახურება საქართველოს ინტერესებს. განა ამ სამშვიდობო პროცესის ხუთმა წელიწადმა არ შეიწირა სამურზაყანოს ორიათასხუთასი მშვიდობიანი მოსახლე?!

ნადარეიშვილმა დაგვაბრუნოსო, გაიგონებთ ოპონენტთა ნიშნისმოგებით ნათქვამს. ასე საქმე არ წავა, რადგანაც თუკი მე ვინმე მიყენებს პრეტენზიებს, ათჯერ მეტი შემიძლია დავუდო წინ კონტრარგუმენტად:

რატომ ჩააბარეთ მაშინ აფხაზეთი?! ვეტყვი მე მათ და ისინიც კრინტს ვერ დაძრავენ, ხმას გაკმენდენ. ყოველ შემთხვევისათვის მე აფხაზეთი არ ჩამიბარებია და ჩემი საქმიანობის დროს მე ვიცავდი მას, როგორც იყო საჭირო. ამიტომაც აი, რაც მოხდა სოხუმში, ნადარეიშვილის თავიდან მოშორებით იყო გამოწეული, ვინაიდან ნადარეიშვილს პრინციპული პოზიცია გააჩნდა, მისი ოპონენტები კი ჩამოდიოდნენ თბილისში და გაიძახოდნენ:

მოგვაშორეთ ნადარეიშვილი და ჩვენ აფხაზებთან შევრიგდებითო. ჰოდა, მეც მომაშორეს იქიდან მაშინ, მაგრამ შერიგება არ გამოვიდა. ამიტომაც ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინოს ჩვენმა ხალხმა, გააკეთოს სწორი ანალიზი, სათანადო დასკვნა, თუ რატომ მინდა მე აფხაზეთში დაბრუნება, რისთვის

ვიბრძვი, რა მოტივით. ჩვენ ამეებზე დასაწყისში ვისაუბრეთ სათანადოდ და მაპატიეთ, ორიოდე სიტ-ყვით კვლავაც რომ გავიმეორო: მე თბილისში არაფერი გამაჩნია, არც — სახლი, არც — კარი, აღარც — ფესვები.

— ბატონო, თამაზ, თქვენ აქაც ჩინებულად დაგედგომებათ, მაგრამ მთავარი მიწის ყივილია, როგორც გოგლას უწერია წნორებზე, ან რაფიელ ერისთავს სამოთხეზე გაუცვლელ სალ კლდე-ებზე.

მედიატორული ორგანიზაციების მოიმედეებს ხავსი მოგვეკიდა. მეც მომდის ინფორმაციები, რომლის მიხედვით მათი მოწესრიგებული კონფლიქტი დედამიწის ზურგზე ჯერ არავის უნახავს. არის უფრო სავალალო ვერსიაც, თითქოს „სამშვიდობო პოლიტიკა" სისხლიანი ბიზნესის, კოლო-სალური შემოსავლების წყაროა.

— მე შორსა ვარ იმ აზრისგან, რომ გაერო, ეუთო, ევროსაბჭო ან სხვა საერთაშორისო ორგანი-ზაცია ჩვენ აფხაზეთს დაგვიბრუნებს. მე ძალიან კარგად მაქვს შესწავლილი მთელი მსოფლიოს ისტორია, განსაკუთრებით ამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში, რაც ეხება კონფლიქტების დარეგულირებას. ბუნებაში არ არსებობს ისეთი ცხელი წერტილი, რომელიც გაეროს ან სხვა საერთა-შორისო ორგანიზაციას დაერეგულირებინოს და არც ჩვენ უნდა გვქონდეს გამონაკლისის იმედი; ილუ-ზიურია, ინფანტილური რწმენა იმისა, რომ ჩვენ აქ ვისხდეთ მუხლზე მუხლგადადებული, გაერო კი მოვა ერთ მშვენიერ დღეს და გვეტყვის:

ქართველებო, მიბრძანდით აფხაზეთში და იცხოვრეთ თქვენს ტერიტორიაზე ბედნიერადო.

ასეთი რაღაცა, ცხადია, გამორიცხულია, არც მოხდება, მაგრამ აფხაზეთის საკითხის დარეგული-რებისას ჩვენ მაინც უნდა ვცადოთ ყველა მიმართულების გამოყენება.

პირველი, ბუნებრივია, არის გაერო, ეუთო, საერთაშორისო აზრი და გარანტიები იმისა...

— შემოდავების საფუძველი რომ მოვსპოთ?

— ხო, რა თქმა უნდა, ამიტომ როდესაც ჩვენ გაეროს ჩავრთავთ ამ საქმეში და აქტიურად ვცდილობთ მესამე ძალის ზეწოლით მიზნის მიღწევას, ეს არის აფხაზეთში ჩვენი დაბრუნებისა მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი მიმართულება. ანუ უცხოელები, ელჩები, სხვა ქვეყნები, საერთა-შორისო ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ ამ საკითხში, ცდილობენ აღარც ერთი მხარე გაანაწყენონ და აღარც — მეორე.

— ჩვენებურად თუ ვიტყვით, არც შამფური შეწვან და არც — მწვადი.

— ეჭვგარეშეა, უცილობლად. ისინი ცდილობენ პატარა საქართველოს გულისთვის არ დაუპირის-პირდნენ დიდ რუსეთს. ისინი ცდილობენ პოლიტიკა გაატარონ ისე, რომ არ იყოს გართულება, იყოს დაკონსერვებული ვითარება, არ იყოს საბრძოლო მოქმედებები, მაგრამ ვის აძლევს ხელს ამ საბრძო-ლო მოქმედებების განახლება თუ არგანახლება, ეს მათ სრულებით არ აწუხებთ.

მათი სადარდელია შედარებით მშვიდობიანი ატმოსფეროს შენარჩუნება, გარეგნულად — კონ-ფლიქტის ზონა, მაგრამ სინამდვილეში — მათი სიცოცხლისთვის ნაკლებად სახიფათო.

მოგეხსენებათ, ხელფასები აქ ძალზე მაღალია. ერთი წელიწადი ითვლება სამ წლად. ნებისმიერი დიპლომატი, რომელიც აქ იმყოფება, თავის ბიოგრაფიაში წერს, რომ ის იყო ცხელ წერტილში, თუნდაც საცივსა და ელარჯზე დაატარებდნენ ყოველდღე. ამიტომ ეს არის გარკვეულწილად მისი მომავალი კარიერის გადამწყვეტი მომენტი.

ამ ხუთი წლის მაინძილზე მე გაეროს გენერალური მდივნის სამი წარმომადგენელი გამოვიცვა-ლე აქ. ზოგი შვეიცარიაშია ახლა, ზოგიც — ნიუ-იორკში და უკვე არც შენი აფხაზეთი ახსოვთ და აღარც — შენი საქართველო. წავიდნენ ისინი და მე ისევ ჩემს უბედურებასთან დავრჩი.

გამოცვლილია ასევე ელჩების მესამე წრე, რომელთაც მე ვუმტკიცებდი: ამნაირად უნად გაკეთ-დეს ყოველივე და არა — ამგვარად-მეთქი. სხვათა შორის წასვლისას, გამომშვიდობების წინ, თით-ქმის ყველა მეუბნებოდა:

ბატონო, თამაზ, თქვენ მაინც მართალი კაცი ხართო, მაგრამ როდესაც თანამდებობაზე იმყო-ფებოდნენ, არავის წამოცდენია მსგავსი რამ. უამრავი ხალხი გამოვიცვალე იგივე რუსეთთან დაკავ-შირებით: საგარეო საქმეთა მინისტრები, თავდაცვის, სხვანი და სხვანი, ვისთანაც მე მქონდა კონ-ტაქტები აფხაზეთის საკითხის გამო და რომელთაც მე ვუმტკიცებდი:

აი, ეს გზა უნდა ავიჩრიოთ-მეთქი, აი, ამ გზით უფრო დავაბრუნებთ ხალხს, დავარეგულირებთ სიტუაციას-თქო.

სადღა არიან, ჩამოშორებულან დიდ პოლიტიკას, დღეს თავის საქმიანობას ეწევიან და აფხაზეთი არც ახსოვთ.

იგივე ითქმის საქართველოზეც: მიყოლებით გამომიცვლია პრემიერ-მინისტრები. შედარებით

დაბლამდგომნი ხომ განუწყვეტლივ მიდიან და მოდიან. ხანდახან უშიშროების საბჭოს სხდომაზე, როცა აფხაზეთის საკითხზე ვსაუბრობ და მინდა ვიღაცას რაღაცა დავუმტკიცო, ვამჩნევ, რომ მე ამას უკვე მესამეჯერ, მეოთხეჯერ ვაკეთებ, ვინაიდან გარშემო სხვა ხალხია. მათ ისევ თავიდან სჭირდებათ ახსნა-განმარტებანი, მხედველობაში მყავს შინაგან საქმეთა მინისტრი, უშიშროების მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, და როცა ვფიქრობ, ორი-სამი წლის მანძილზე ბევრი დავარწმუნე უპერსპექტივო მოლაპარაკებების არსში-მეთქი და მგონია ის უკვე ჩვენს მხარეზეა გადმოსული, გვტოვებს და სანაცვლოდ მოდის სხვა ხალხი, რომელთაც კვლავ ორი-სამი წელი უწევთ იგივეს ცოხნა და მონელება. თუმცა ჯერ კაცი არ შემხვედრია, რომელსაც სერიოზულად ეთქვას:

შენს პოზიციას ვერ გავიზიარებო.

პირიქით, ყველა მეუბნება, შენი პოზიცია მართალიაო, მაგრამ როდესაც ხუთი-ექვსი ქართველი შეიკრიბება, ალბათ, ერთმანეთის თუ ვიღაცის შიშით, ყველას უნდა პიკასოს მტრედად წარმოჩინდეს და თითოეულს მშვიდობიანი მოლაპარაკება აკერია პირზე, რომ სხვა საშველი გამორიცხულია და ასე შემდეგ.

რა თქმა უნდა, გაეროც, ეუთოც, ევროსაბჭოც არის გარკვეული მექანიზმი იმისა, რომ მსოფლიომ ცნოს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა, ცნოს ჩვენი უფლება იქ ცხოვრებაზე, ცნოს ჩვენი დევნილობა, მაგრამ რა უნდა ველაპარაკო გაეროს გენერალურ კომისარს, რომელსაც შევხვედრივარ ჟენევაში და შეკითხვაზე: სად შეიძლება იყოს ადამიანის უფლებებზე საუბარი, როდესაც გადამიწვეს სახლ-კარი, დამიხოცეს ნათესავები და დღესაც არ მიშვებენ უსიკვდილოდ იქ, სადაც დავიბადე და გავიზარდე-მეთქი; მხრებს აიჩეჩს, ხელებს გაასავსავებს დელიკატური ღიმილით. ცხადია, ამ ორგანიზაციებს თავიანთი დატვირთვა აქვთ, მაგრამ ყველაზე მთავარი დატვირთვა თავად ჩვენა ვართ, ქართველები, ჩვენი თანადგომა, ჩვენი ერთიანობა, და უპირველეს ყოვლისა — სამეგრელო, ბატონო, გური, საქართველოს ხერხემალი სამეგრელო.

89 წელს ვერ გაბედეს საქართველოს წინააღმდეგ ხელის აღმართვა აფხაზებმა, ვინაიდან სამეგრელო თავის მოწოდების სიმაღლეზე იდგა. მაგრამ შევხედოთ რა გვარის 2500 ადამიანია სამურზაყანოში დახოცილი მშვიდობიანი პროცესების ფონზე?! ნუთუ ამას გაცნობიერება არ სჭირდება? სამეგრელოს გარეშე ვერ დაბრუნდება აფხაზეთი! თუკი სამეგრელო არ დადგება იმ პოზიციაზე, რომელ პოზიციაზეც 89 წელს იდგა იქაური მოსახლეობა, აფხაზეთის დაბრუნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

— ადრე მართებულად ბრძანეთ გათიშულობის თაობაზე, რომელიც თურმე მესამე ძალის სტრატეგიიდან მომდინარეობს.

— ხო, რა თქმა უნდა, ამიტომ ამ ორგანიზაციებს მე მაინც ვუყურებ, როგორც აღნიშნული კონფლიქტების მოგვარებაში მეორეხარისხოვანს, თუმცა მათი როლი ძალიან მნიშვნელოვანია.

დღეს, როდესაც საფრანგეთში მიდის, აი, სერბებისა და ალბანელების მოლაპარაკების პროცესი, ხუთი დღე კარჩაკეტილნი იყვნენ ისინი და მალავდნენ ამ ინფორმაციას, ჟურნალისტებს არ უშვებდნენ, ყველას ეგონა, რომ მეექვსე დღეს გამოვიდოდნენ პრესასთან და იტყოდნენ: ჩვენ ეს კონფლიქტი მოვაგვარეთო. არაფერი მსგავსი. სიზიფეს შრომაა. დღეს უკვე ჩანს, რომ მხარეები ღრმა ჩიხში შევიდნენ და ვერაფერზე შეთანხმებულან.

ასეთივე მდგომარეობაა ჩვენთანაც. ვერაფერზე მოვილაპარაკეთ და ალბათ, ყოფილ იუგოსლავიაში მაინც იქნება საჭირო მეშვიდე მუხლის ამოქმედება. ჩვენც ზუსტად ეს გვინდა, რათა არ დაგვწამონ ვიღაცეების განადგურება თუ აფხაზეთისადმი ჩვენი ,,იმპერიალისტური'' მიდგომა. აი, აქ არის საჭირო ჩვენი ძალზე სერიოზული მუშაობა. ინფორმაციებს ინფორმაციებზე ვაგზავნით, რათა ტვინი გადავუტრიალოთ ხალხს, ვინაც ხეირიანად არც იცის სად არის საქართველო და აფხაზეთი — მით უმეტეს.

შაგლეგო

— საინტერესო საუბარი გამოგვდის. ჩემთვის გასაგებია თქვენი ზომიერება, და მაინც, ბატონო, თამაზ, აფხაზეთის დასაბრუნებლად რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში? ისევ რუსეთს მივყიდოთ სული თუ ნებიერად მივასვენოთ თავი ამერიკულ-ევროპული ფონდების ყურთბალიშზე, ტრადიციულ მოსაქმეობას რომ გადაგვაჩვევს, მამაპაპურ გარჯას და შრომას, პრიმიტიულ მომხმარებლად გადაქცევას გვიქადის?! რანაირია აფხაზეთში ჩვენი ღირსეული დაბრუნების თქვენეული სტრატეგია და ტაქტიკა?

დავუშვათ წამით და დავბრუნდით აფხაზეთში მშვიდობიანად. როგორ წარმოგიდგენიათ იქ სისხლისმსმელებთან ჩვენი თანაარსებობა, ნიადაგ თავჩაქინდრულად?! ვგონებ, ვაჟა სხვას გვასწავლის ზვიადაურის მეოხებით: აღარ შევეწირები დარლას, ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადაო. მივყვეთ

ცოტნეს, ილიას, ფშაველას გზას თუ საეჭვო რეპუტაციის ხალხისგან ეროვნებაწართმეულმა ქართველებმა მომავლის წინაშე თავები ჩავღუნოთ და გულხელდაკრეფილებმა დავუცადოთ ჩვენს პოლიტიკურ აღსასრულს?!

— ჩვენი სასიქადულო ვაჟა-ფშაველას გამონათქვამს: ღმერთო შეაყვარე ყველა ქართველს საქართველო, ჩვენს ვითარებას შემდეგნაირად მივუსადაგებდი: ღმერთო, ყველა ქართველს მოანდომე აფხაზეთის დაბრუნება - მეთქი.

მინდა გულწრფელად გითხრათ, საქართველოში არიან სერიოზული ძალები, რომლებსაც აფხაზეთის დაბრუნება დღეს არ უნდათ. ისინი უცდიან მომენტს, რათა ეს კოზირი გამოიყენონ საჭიროების შემთხვევაში თავიანთი პოლიტიკური კარიერის განსამტკიცებლად. მე მესმის, რომ პოლიტიკა ისეთი რამეა, სადაც საჭიროა დიპლომატიური თამაშები, ხანდახან ერთი უნდა ითქვას, მეორე იფიქრო და მესამე აკეთო, მაგრამ აფხაზეთი ჩემთვის ვერასდროს გახდება რაღაც თამაშის საგანი და მე საერთოდ მოვუწოდებდი პოლიტიკოსს: აფხაზეთით ნუ ისპეკულიანტებენ. ამიტომ მე მაინც ვფიქრობ ყოველთვის ვთქვა ის, რაც არის სინამდვილეში, თუნდაც ამან პრობლემები შემიქმნას. მე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

გარდა იმისა, რომ მე აფხაზეთთან მაკავშირებს წინაპრების საფლავები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, მე აფხაზეთთან მაკავშირებს უამრავი ადამიანი, რომელთა საფლავები ჩვენ არც ვიცით; ჩემი ბავშვობის მეგობრები, ჩემი მეზობლები ცოცხალი არცერთია. ყველა დახვრიტეს. ყველა საწუთროს გამოასალმეს. მე მეამაყება, რომ ისინი არსად გამოქცეულან და ძვირფასი სიცოცხლე შესწირეს თავიანთ ქვეყანას, მაგრამ მეორე მხრივ, როდესაც მეტყვიან: შურისძიება არ უნდა გამოძრავებდესო, ეს გაუმართლებლად მიმაჩნია. თუკი დღეს კაცს, ამ შემთხვევაში ქართველს, რომელსაც ამდენი აკადრეს და მას შურისძიების გრძნობა გაუქრა, ის ჩვარია, უღირსებო, ფლეგმა...

— ყოველთვის როდი ამართლებს ქრისტეს მცნება: გიყვარდეს მტერი შენიო, უფალი იესო ზოგჯერ მახვილსაც დაწვდება...

— თავისთავად, ამიტომაც მიმაჩნია შეულამაზებლად ვთქვა ის, რასაც თვალნათლივ ვხედავ, რაც უეჭველია ჩემი ანალიზით, ჩემი დაკვირვებით. კონფლიქტის მოგვარების ჩემს მიერ შემუშავებული რამდენიმე ვარიანტი მე არაერთხელ წარმომიდგენია ხელისუფლებაში, საერთაშორისო ორგანიზაციებში;

პირველი და უმთავრესი ჩემთანაც პრობლემის მშვიდობიანი, პოლიტიკური მოწესრიგებაა. არც მე მინდა ორთაბრძოლა. სისხლისღვრა ჯალათის გარდა რომელს ეხატება გულზე; მე ყველაზე მეტად ვიცი თუ რა ჯოჯოხეთია ომი, რა არის მსხვერპლი და რა არის სისხლი, მაგრამ როდესაც აი, ეს გზა არ ამართლებს და პირიქით, აბუჩადაც გიგდებენ, ვფიქრობ, ძალაზე საუბარი საძრახისი არ უნდა იყოს; მითუმეტეს როცა საკითხი ეხება ქვეყნის ინტერესებს, მის ტერიტორიულ მთლიანობას. ძალაზე საუბარი საქართველოს გარდა არცერთ ქვეყანაშია საჩოთირო.

აბა, ავიღოთ, მაგალითისთვის, იგივე ამერიკა; როდესაც ტეხასის შტატში რამდენიმე ათეულმა ადამიანმა შექმნა სეპარატისტული მოძრაობა და გამოაცხადა ტეხასის დამოუკიდებლობა, ამერიკის ხელისუფლებამ მიიღო სწრაფი გადაწყვეტილება; მათ თავს დაასხა უამრავი ტანკი, თვითმფრინავი, ჯარი; გადაწვეს, გადაბუგეს მთელი ის მიდამო სხვათათვის ჭკუის სასწავლებლად. ტყვედ აიყვანეს სეპარატისტები და თითოეულს 99 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ეს ყველაფერი სხვათა შორის ორ-სამ დღეში დამთავრდა. ძალის გამოყენებაზე საუბარი ამერიკაში სასირცხვილო სულაც არ არის საქართველოსგან განსხვავებით;

შევხედოთ ჩვენს მეზობელ თურქეთს. მათ სერიოზული პრობლემა აქვთ ქურთებთან, რომელთა წინააღმდეგ პოლიცია კი არა ჯარი მოქმედებს. აბა, გაბედოს ვინმე ქურთმა სადმე გამოსვლა?! მას სასტიკად გაუსწორდებიან. ძალაზე საუბარი, მისი დემონსტრირება თურქეთშიც სათაკილო არ არის საქართველოსგან გამორჩევით;

თვალი გადავავლოთ ინგლისის ცხოვრებას: შოტლანდია, ირლანდია, რომელი ერთი გაბედავს იქ სახელმწიფოს დამხობას? ხელად ჯარი და პოლიცია დააცხრება, წამსვე მიწასთან გაასწორებენ. ძალადობის ფაქტორი, ძალაზე მსჯელობა ინგლისში აუცილებელი მომენტია, ღირსების საქმეა საქართველოსგან განსხვავებით;

კვებეკი და კანადა, ავიღოთ ბასკეთი და ესპანეთი, ავიღოთ სიცილია და იტალია, აბა, გაბედოს ვინმემ საქმის ისეთ დონეზე მიყვანა, როგორც ეს აფხაზებმა ჩაიდინეს! ვინ არ გამოიყენებს ძალას, კანადა, ესპანეთი თუ იტალია? გამოიყენებენ და მერე როგორ?! ძალაზე საუბარი, არც კანადაშია საჩოთირო, არც — ესპანეთსა და იტალიაში საქართველოს გარდა.

პრობლემის სავარცხლებითა და ზიზილ-პიპილებით მოგვარების ანალოგია მსოფლიოში ძნე-

ლად მოსაძებნია ჩვენს იქით. ეს იუგოსლავიის მაგალითიდანაც ჩინებულად ჩანს, სადაც ძალის ფაქტორის მეტი არაფერი ჭრის.

ისევ ამერიკას დავუბრუნდები. შტატებმა სულ სხვა კონტინენტიდან დაბომბა ერაყი, ვინაიდან ეს მის ნაციონალურ ინტერესებს ეხებოდა.

ნუთუ აფხაზეთი არ შედის ჩვენს ნაციონალურ ინტერესებში? ნუთუ აფხაზეთი არ არის ჩვენი ტერიტორია? იქაურ საფლავებზე სხვა ხალხი მარხია თუ ათასწლოვან ეკლესიებში სხვა ენაზე აღვავლენდით წირვა-ლოცვას? ყველაფრის გათვალისწინებით, გაურკვეველია ჩემთვის, რატომ უნდა იყოს ასეთი დარტმები დღეს ნადარეიშვილზე, როცა იგი პრობლემის გადაწყვეტისას მოიშველიებს საერთაშორისო გამოცდილებას სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების გზაზე?! რა არის აქ გაუგებარი, მიუღებელი, მამულიშვილი თუ ხარ?! მოკლედ, მშვიდობიანი მოლაპარაკებების, სახალხო დიპლომატიით დროის გაყვანის პოლიტიკა, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები, ერთობლივი საწარმოების შექმნა და მისთანანი, ისტორიას ჩაბარდა, ფუჭია, უნაყოფო.

— ბატონო, თამაზ, მეჩვენება, რომ ძალადობის ფაქტორი, ეგრეთწოდებული ომის პოლიტიკა, უწინარესად დაგმობილია ბიზნესის თვალსაზრისით, ცხადია, ვგულისხმობ, მაღალი ეშელონის თითოოროლა წარმომადგენელს, რომლებიც მილიონერებად ქცეულან თვალის დახამხამებაში.

— ესეც არის, რა თქმა უნდა. ომს აქვს თავისი კანონები და ეს კანონები ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს, ვინც მონაწილეობს ამ პროცესში. ომს აქვს კანონი მაროდიორობის; ომს აქვს კანონი ტყვეების აყვანის, მძევლების გაყიდვის, მკვდრებით ვაჭრობის. ეს ჩვენ არ მოგვიგონია, ქართველებს, ეს ისტორიული მოვლენაა, ყოველთვის იყო და იქნება, ვინემ ომის სახსენებელი ჭაჭანებს. ამიტომ ეს შავი მომენტები არავის უნდა გაუკვირდეს, მაგრამ ხომ უნდა დამთავრდეს ბოლოს და ბოლოს ყოველივე?!

აფხაზეთი არამარტო წართმეული ტერიტორიაა, ჩვენი ტრაგედიის სათავე, თუ იქიდან გამოყრილი ჩვენი მოსახლეობის უსასრულო წამება, არამედ ეს არის ძალიან სერიოზული ბერკეტი და მექანიზმი საქართველოს დამოუკიდებლობის შესაფერხებლად, მისი სახელმწიფოებრივი წყობის მოსაშლელად. დღეს ასე ცუდად რომ ვცხოვრობთ, უწინარესად იმიტომ — აფხაზეთია დაკარგული; დღეს რომ ასე ცუდად გამოვიყურებით, უმთავრესად იმისთვის — სამეგრელოა ჩიხში მოქცეული და ვიდრე ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება, ვიდრე არ დავიბრუნებთ აფხაზეთს, ჩვენს დაქცეულ ცხოვრებას ვერც რეფორმები უშველის და ვეღარც — სხვა სახის ღონისძიებები.

თქვენი შეკითხვიდან გამომდინარე, ჩვენ ამთავითვე უნდა მივიღოთ საერთაშორისო გარანტიები და საერთაშორისო დონის დოკუმენტი, რომლის მიხედვით მოგვეცემა ძალის გამოყენების საშუალება, რათა ხვალ და ზეგ არავისგან დასაძრახი შევიქმნათ. ამიტომაც ჩვენ ვიბრძვით ძალიან სერიოზულად, რათა გაერომ ბოლოს და ბოლოს მიიღოს სათანადო რეზოლუცია სამშვიდობო პოლიტიკიდან ძალისმიერ მეთოდზე გადასასვლელად.

— თვითონ აფხაზი ხალხის ბედი, ბატონო, თამაზ? ვგულისხმობ ნამდვილ აფხაზს, რომელთაგან ზოგი ჩვენი სიძეა, ზოგიც — რძალი, ჩვენი ჭირ-ვარამის გამზიარებელი და ხშირ შემთხვევაში ჩვენსავით მაწანწალა?

— მაგაზედაც მოგახსენებთ, მაგრამ ჯერ ეს საკითხი მოვამთავროთ. საქართველოში იდეოლოგიური მუშაობის წარმართვის თაობაზე გვისაუბრია, თუ რა იყო სინამდვილეში, რა არის, და როგორ გვინდა აფხაზეთის დაბრუნება. ახლა მთავარი მომენტი ისევ სამხედრო ფორმირებების, ანუ შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებაა. დღეს საქართველოში სამხედრო-შეიარღებული ძალები უნდა იყოს პრიორიტეტული. არ შეიძლება, რომ მათ ბიუჯეტი შეუკვეცონ. არ შეიძლება, რომ მათ დღეს ფული ხქონდეთ საძებარი, ჩექმები და ტყვია-წამალი. ჩვენი მდგომარეობის ქვეყანაში ნომერ პირველი მიმართულება უნდა იყოს სამხედრო ძალების, შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება. ამასთან, ჩვენ თვითონაც უნდა ვიყოთ მზად, როგორც მორალურად, ისე — შინაგანად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. ქვეყნის ზურგი, ეკონომიკა, ფინანსები, ყველაფერი პრიორიტეტულად აქეთკენ უნდა იყოს მიმართული.

მე დარწმუნებული ვარ, რომ საბრძოლო მოქმედებების გამოყენება აფხაზეთში არც დაგვჭირდება. საჭირო არის მეშვიდე მუხლის პირველი თავის ამოქმედება, ანუ ძალის დემონსტრირება. როდესაც გაერო და საერთაშორისო ორგანიზაციები მიიღებენ ასეთ გადაწყვეტილებას, როდესაც თვითონ ქვეყანაში წავა ასეთი იდეოლოგია და მუშაობა აფხაზეთის დასაბრუნებლად, ეს შექმნის ძალიან რთულ პრობლემებს თვითონ აფხაზეთში, იმიტომ რომ იქ უამისოდაც უმძიმესი ეკონომიკური ვითარებაა, სიდუხჭირე. იგი ამ წლებში არც შვეიცარია გამხდარა, როგორც ამას ხპირდებოდა ხალხს არძინბას გუნდი და აღარც — დამოუკიდებელი სახელმწიფოს პერსპექტივა გააჩნია...

— ამას წინათ ხიუტის რადიოინტერვიუ მოვისმინე. შარშანწინ ყოფილა აფხაზეთში. ისეთი გაოცებულია იქაური ვითარებით, მეტი არ შეიძლება. უკვირს, ბატონო, თამაზ, ამ ხნის მანძილზე რაიმე პროგრესს როგორ ვერ მიაღწიესო.

— ჩვენ არძინბას ოპოზიციას ვუქმნით, პრობლემებს, რათა ამოსუნთქვის საშუალება არ მივცეთ, და როდესაც კუთხეში ნადირივით მივამწყდევთ, არიან ძალები, რომელთაც გამოხყავთ იქიდან და სისხლისმსმელთან მოსალაპარაკებლად სხდებიან მაგიდასთან. მოკლედ, გაურკვეველია ვის წისქვილზე ვასხამთ წყალს.

ჩვენი ოპოზიცია საშუალებას არ გვაძლევს ვითარება გავამწვავოთ იმ დონემდე, რომ თავად აფხაზები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, როგორც ეს მოხდა ჩეჩნეთში. თუმცა უახლოეს ხანში ესეც არ არის გამორიცხული. საკითხი დგას ასეთნაირად: 90 ათასი აფხაზი მოსახლეობიდან დღეს დაახლოებით 35-40 ათასი დევნილია, რუსეთში ცხოვრობს და არც აპირებს დაბრუნებას არძინბას რეჟიმის პირობებში, თუმცა ამას ხმამაღლა არავინ აცხადებს. მეორე მომენტი გახლავთ ის, რომ დანარჩენი 30-35 ათასი აფხაზი, რომელიც აფხაზეთში დარჩა, პრაქტიკულად რუსმა მომაკვდავ ერად გადააქცია. დავუშვათ, გაგრაში ერთი ცისტერნა წამალი არ არის საკმარისი ასე ვქვათ, ახალგაზრდობის დასაკაიფებლად — ყველა ნემსზე ზის, ყველა რაღაც მაფიოზურ სტრუქტურაშია გარეული და ჩვენი ინფორმაციით იქ დღეს ორჯერ მეტი აფხაზი იღუპება ვიდრე ომის პირობებში.

— ახალგაზრდა თაობა მთლად მოწამლულია, ალბათ.

— ბავშვები, რომლებიც ამ კონფლიქტის პერიოდში დაიბადნენ, დღეს უკვე ავტომატით დადიან. როგორ უნდა ჩამოყალიბდეს მისგან ნორმალური ადამიანი, როდესაც 6-7 წლის ასაკის ღლაპი იარაღს დაათრევს, შეუძლია შევიდეს ნებისმიერ სოფელში, დახოცოს ქართველები და პასუხი არ აგოს ამაზე?! რაც შეეხება მოსახლეობას, უკვე იმდენად არიან ერთმანეთთან დაპირისპირებულნი, აი, ამ სხვადასხვა სფეროების განაწილების მხრივ, რომ იქ უკვე კლანური შეჯახებებია. არაფერს ვლაპარაკობ ნაციონალურ ნიადაგზე წარმოშობილ უთანხმოებებზე, როგორიცაა: სომხებთან, კაზაკებთან, რუსებთან.

— ქართულ მიწას იყოფენ პირატები.

— არძინბამ პრინციპში გააკეთა ის, რაც აღარცერთ აფხაზ ხელმძღვანელს მოფიქრებია. მან გადაგვარების პირას მიიყვანა აფხაზი გენოფონდი. ამიტომ, რაც უფრო ჩქარა გაიგებენ აფხაზები ამას და რაც უფრო ჩქარა მიიღებენ რადიკალურ ზომებს, მით უფრო მეტი აფხაზი გადარჩება, როგორც — ფიზიკურად, ისე — მორალურად, ეთნიკური გაგებით.

მომავალ აფხაზეთში, რა თქმა უნდა, ქართველმაც უნდა იცხოვროს და აფხაზმაც სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად, ვინაც პატივს სცემს საქართველოს სახელმწიფოებრიობას, ვინც პატივს სცემს საქართველოს კონსტიტუციას და უნდა საქართველოსთან თანაცხოვრება. ასეთი აფხაზი ძალიან ბევრია და მომავალში უფრო მეტი გამოჩნდება, მაგრამ მთავარი ბარიერი ამ გზაზე არძინბა და მისი გარემომცველი წრეა, რომლებმაც; ფეხით გათელეს საერთაშორისო ფასეულობანი, დანაშაული ჩაიდინეს კაცობრიობის წინაშე და ის დროც მოვა, როცა პასუხს აგებენ მთელი ცივილიზაციის სახელით.

აქედან გამომდინარე, რაც უფრო მეტ ხანს დავჯდები თბილისში, მით უფრო ნაკლები აფხაზი დამხვდება იქ, როცა ჩავალ ადრე თუ გვიან. ამიტომაც, უწინარესად, აფხაზების გადასარჩენად მე უნდა ჩავიდე იქ, რაც შეიძლება ჩქარა; ჩვენ, ქართველები უნდა შევიდეთ, რაც შეიძლება ჩქარა, რათა საერთოდ არ ამოწყდეს ეს ერი; ისევ ქართველებმა უნდა შევინარჩუნოთ ისინი. ჩვენზე უკეთესი მოყვარე მათ დროსა და სივრცეში არ მოეპოვებათ. ამიტომ როდესაც ვსაუბრობთ ძალაზე, როცა ვსაუბრობთ ძალის გამოყენებაზე საერთაშორისო დონეზე სახელმწიფო გარანტიებით, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ძალის გამოყენება არც კი დაგვჭირდება...

— ბატონო, თამაზ, გუშინდელი ინფორმაციით აფხაზეთის დელეგაციაა ჩამოსული. საინტერესოა, გაგიხსენეს თუ არა ამჯერად?!

— ხმ! — ხელებს ფართოდ გაშლის თავაწეული, — როგორც ზემოთ მრავალგზის აღვნიშნე, მე საერთოდ ძალიან სკეპტიკურად ვარ დამოკიდებული, აი, ამ პროცესებისადმი, რადგანაც არ მჯერა, არ მწამს, რომ მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით და მოლაპარაკებით რაღაც საკითხი გადაწყდება, თუმცა ამ ექვსი წლის განმავლობაში მე არ შემიშლია ხელი არც ერთი მოლაპარაკებისათვის. პირიქით, ვგზავნიდი ჩვენს წარმომადგენლებს და ვცდილობდით, იქიდან რაღაც შედეგი გამოსულიყო, მაგრამ შედეგი არის ნული. ამიტომ მე მიმაჩნია, მოლაპარაკებებზე, შეხვედრებზე, საუბარი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განმსაზღვრელი წინაპირობა იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

აი, როდესაც ჩვენ და აფხაზები ვიტყვით, რომ უნდა ვიცხოვროთ ერთიან სახელმწიფოში, რომელსაც საქართველო ხქვია, იქ რა თქმა უნდა, მე მივესალმები ნებისმიერ მოლაპარაკებას; იქ შეიძლება ვიმსჯელოთ უფლებამოსილებათა გამიჯვნაზეც ცენტრსა და რეგიონს შორის, ამ შემთხვევაში — თბილისსა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის. ამის კვალობაზე მოლაპარაკება მე აბსოლუტურად დასაშვებად მიმაჩნია, მაგრამ როდესაც ხდება მოლაპარაკება და ქართული მხარე აფხაზეთს განიხილავს, როგორც თავის შემადგენელ ნაწილს, ხოლო აფხაზები როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ნუ —ჩიხია; ამიტომაც, სიმართლე რომ გითხრათ, არც გუშინდელ, არც იმის ადრინდელ შეხვედრას ყურადღებას არც ვაქცევ, უბრალოდ თუკი შემთხვევით, აი, გაზეთსა ან ტელევიზორში თვალი არ შევავლე, ვინაიდან შედეგი წინასწარ ვიცი, შედეგი — ნულია.

ჩვენ აბსოლუტურად საწინააღმდეგო პოზიციებზე ვდგავართ აფხაზებთან, პოლუსებზე. მე ვერ ვხედავ კომპრომისს. კომპრომისი ჩვენგან შეიძლება იყოს, ვთქვათ, დავთმოთ აფხაზეთი, ჩავაბაროთ აფხაზებს. აფხაზებისგან კომპრომისი არის ის, რომ მათ იარაღით მოპოვებული დამოუკიდებლობა დათმონ და თავი ბაწარში გაჰყონ, კისერი გილიოტინას მიუშვირონ. არც პირველი მხარეა ამის გამკეთებელი და აღარც — მეორე. მშვიდობიან პოლიტიკურ მოწესრიგებას შედეგი არანაირი მოხყვება, თუმცა ბევრი ამბობდა: გადავდოთ პოლიტიკური საკითხი და გადავიდეთ ეკონომიკურზეო; მაგრამ საქმეს ესეც ვერ შველის, ვინაიდან გადავალთ ეკონომიკურ საკითხებზე და უეჭველად დავუბრუნდებით პოლიტიკურს. ერთი მეორისგან გამომდინარეობს, გადაჯაჭვულია ერთმანეთს. ნუ, დევნილთა დაბრუნებაზე ვილაპარაკოთ. რა ხუმანიტარული აქციაა ეს? როცა დევნილი ბრუნდება მდინარე ენგურს იქით, მან უნდა იცოდეს სად მიდის, რას წარმოადგენს აფხაზეთი, დამოუკიდებელი სახელმწიფოა თუ საქართველოს შემადგენელი ნაწილი. ამიტომ ყოველ ნაბიჯზე ჩიხი გვხვდება, ჩიხი და მხოლოდ ჩიხი. გუშინდელი შეხვედრაც ღრმა ჩიხით დამთავრდა.

— ესე იგი დავეხეტებით მინოსის ლაბირინთში.

— ხო. არანაირი გადაწყვეტილება, არანაირი პროგრესი. ასეთი მოლაპარაკებები ხელს უწყობს მხოლოდ იმათ, ვიზედაც ზემოთ ვისაუბრეთ, ვინც დიდ ხელფასს ღებულობს და ვინც მსოფლიოს თუ თავის ბოსებს ანახებს: ხომ ხედავთ, პროცესი მიმდინარეობს, მხარეები დავსხით, რაღაც გადავწყვიტეთ და ასე შემდეგ. მოკლედ, მე ექვსი წლის განმავლობაში მათი გადაწყვეტილი არაფერი მინახავს.

— ახლახან პრესაში გაჟღერდა ასეთი ინფორმაცია, რომ ბატონი ბორის კაკუბავა თქვენ და პრეზიდენტს გასახელებენ მშვიდობიანი მოსახლეობის გალიდან ხელმორედ გამოძევების სულისჩამდგმელებად.

— საქართველოში არიან ძალები, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ რუსეთის დავალებას ასრულებენ. არახალია, ჩემს ირგვლივ მუდამ ასე იძაბება ვითარება ხოლმე, როცა ყველა დევნილის გაერთიანების რეალური შანსი გაჩნდება. ნადარეიშვილის გარშემო თუ დაირაზმება ჩვენი ხალხი, მაშინ ძალიან სერიოზულმა, ანგარიშგასაწევმა ძალამ შეიძლება პროცესები საქართველოს სასარგებლოდ სხვანაირად წარმართოს. აი, ეს აშინებთ აფხაზებსაც, რუსებსაც და კიდევ — ბევრს სხვას, რომელთა დასახელებისგან აქ თავს შევიკავებ. სოხუმში ყოფნისას რუსებმა ორჯერ შემომთავაზეს სხვადასხვა სამსახური, სხვათაშორის ძალიან მაღალი რანგისა.

— არძინბას შემდეგ რუსებს გამოუდვიათ თავი თქვენი სამოღალატეო ნაბიჯისთვის, მაგრამ მაინც შევარდნაძესთან წამოხვედით.

— როდესაც მათ ვერ დამიყოლიეს ასეთ ნაძირალურ გამცემლობაზე, უბრალოდ მომიშორეს თავიდან. აი, რა გახლდათ ჩემი წამოსვლის მთავარი მიზეზი. ისინი დღესაც ვერ ისვენებენ. მათ დღესაც ხელს არ აძელვთ ნადარეიშვილის არსებობა, რომ ნადარეიშვილს გააჩნია რაღაც ძალა, მაგრამ რუსები ამაში ცხადია, გახსნილად ვერ ჩაერევიან; ისინი უნდა ჩაერიონ აქ ისევ ქართველის ხელით, ოპოზციის ხელით და ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთ ოპოზიციაში აღმოჩნდა ჩვენი ბორის კაკუბავა, ადამიანი, რომელსაც მე ვიცნობ ბავშვობიდან; ადამიანი, რომელიც ყოველთვის ებრძოდა კომუნისტურ რეჟიმს, ებრძოდა რუსეთის იმპერიის დამკვიდრებას საქართველოში; ყოველთვის იბრძოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის, ქართული სახელმწიფოსათვის. ამიტომ როდესაც გავიცანი ბორის კაკუბავა, მისი აზრები ჩემთვის გასაგები იყო, მე მას დიდ პატივს ვცემდი, მაგრამ ამჟამინდელი ქმედებები ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. ოდესღაც მე რომ ვიცნობდი და ვეთაყვანებოდი ის ბორის კაკუბავა გარდაცვლილა. ეს ვიღაც სხვა დადის მისი სახელითა და გვარით. ჩემთვის გაუგებარია ვინ არის ეს კაცი, იმიტომ, რომ აბსოლუტურად საწინააღმდეგო აზრები აქვს. ბორის კაკუბავამ რამოდენიმე ხნის წინათ განაცხადა: რუსეთი არის ჩვენი მომავალიო. ის

მწარედ ინანიებს რუსეთთან ადრინდელ ბრძოლებს. მოკლედ, იმპერიის დაუძინებელი მტერი პრო-
რუსული გამხდარა. ის თითქმის ყოველთვის, აი, ახლაც, მოსკოვში იმყოფება. ხშირად ხვდება სხვა-
დასხვა თანამდებობის ძალიან საეჭვო პოლიტიკურ პირებს. მას გაუჩნდა ფული. მე სრული ინფორ-
მაცია მაქვს და არ მინდა ახლა, ამ ინტერვიუში, გადავღალო ჩვენი მკითხველი თუ რა გვარის ხალხს,
რა სპეცსამსახურებს ხვდება და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ჩემთვის ეს ყველაფერი ცნობილია.
კაკუბავა ძალიან ჭკვიანურად გამოიყენეს რუსებმა ამ მხრივ, რათა გალში დატრიალებული ტრა-
გედია დაბრალებოდა არა მათ და აფხაზებს, ვინაც ეს სინამდვილეში მოაწყვეს, არამედ — ქართ-
ველებს ნადარეიშვილის სახით. ამიტომ ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები, როცა წარ-
მოვიდგენ აფხაზებს და რუსებს, რომლებმაც ყოველივე ჩინებულად გათვალეს, ჩაიფიქრეს გალის
ტრაგედია, დღეს შორიდან სიცილით გვიყურებენ და ნიშნისმოგებით ამბობენ:

ესეც შენი ქართველები! ხომ ხედავთ, როგორ თოხლეს, ჩვენს გაკეთებულს როგორ აბრალებენ
ერთმანეთსო.

— ინგლისელებს ემარჯვებოდათ ასე ინდიელების წაკიდება. სიუს ტომის ხალხს კამენჩების
მშვილდ-ისრით ავლებდნენ მუსრს და მერე სიცილით იხოცებოდნენ მათი გაუთავებელი შუღლის
გამო.

— დამახასიათებელი მაგალითი მომაშველეთ. გალის ტრაგედიასთან მე აბსოლუტურად არა-
ფერი მაკავშირებს. მე რამდენიმე განცხადება გავაკეთე, როცა ჩემი სადაზვერვო საშუალებებით
მივიღე ინფორმაცია, რომ გალში მზადდებოდა სერიოზული წმენდა. სხვათა შორის მანამდე არა-
ერთხელ მითქვამს:

კატეგორიული წინააღმდეგი ვარ გალში ხალხის დაბრუნებისა-მეთქი. მითუფრო, როცა იქ უსაფ-
რთხოების არანაირი გარანტიებია. ამგვარი განცხადების გამო ძალიან ბევრი თავდასხმა მომიწყვეს:

აი, ნადარეიშვილი უშლის ხელს ამ პროცესსო;

ნადარეიშვილს არ უნდა ხალხის გალში დაბრუნებაო და ვინ მოსთვლის. მე ძალიან კარგად
მინდოდა მოსახლეობის გალში დაბრუნება, მაგრამ ვიცოდი, რომ ბოლოს ყოველივე ასე სავალა-
ლოდ დამთავრდებოდა. ახლაც რომ დაიწყოს ხალხმა დაბრუნება, გარკვეული პერიოდის შემდეგ
გალის მოვლენები ისევ განმეორდება. ჩემი სადაზვერვო არხით მქონდა ინფორმაცია, რომ მაისის
პირველ რიცხვებში აფხაზეთში შევიდა ტყვია-წამლითა და ტექნიკით დატვირთული რამდენიმე
ეშელონი. მე მქონდა ინფორმაცია, რომ აფხაზეთში შემოვიდა ათეულობით კაცი, რომლებმაც
ჩამოიყვანეს ბოევიკები ჩრდილოეთ კავკასიიდან, რუსეთის სხვა ოლქებიდან, კაზაკები ბოლოს და
ბოლოს. მე მქონდა ინფორმაცია, რომ ხაერით ბომბორის აეროდრომიდან და ზღვით შემოდის
ტყვია-წამალი, მედიკამენტები, საწვავი, აი, ამ აქციისათვის. ჩემთვის ცალსახა იყო, რომ აფხაზები
რაღაცას ამზადებდნენ. ამაზე მე არაერთხელ გავაკეთე განცხადება, თუმცა სადღაც მაინც
ვჭოჭმანობდი, რომ რუსები ამას არ გარისკავდნენ, ვინაიდან ეს ყველაფერი მოხდა 12 კილომეტრიან
ზონაში, რომელსაც აკონტროლებს რუსეთის „სამშვიდობო ძალები“.

იბადება კითხვა, ნუთუ ნადარეიშვილს ისეთი ძალა აქვს, რომ შეუძლია მართოს საქართველოს
სტრუქტურები, შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროების სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო?!

ნუთუ ნადარეიშვილს ისეთი ძალა აქვს, რომ შეუძლია მართოს რუსეთის „სამშვიდობო ძალები“?!

ნუთუ ნადარეიშვილს ისეთი საშუალება აქვს, რომ შეუძლია წარმართოს როგორც ქართული,
ისე აფხაზური მოსახლეობა? ცხადია, მე ამის შესაძლებლობა არ გამაჩნია და შეუძლებელიცაა გამაჩ-
ნდეს.

აქ განსასჯელად უფრო გამოგვადგება ერთ-ერთი დეპუტატის, გვარად ივაშენკოს ინტერვიუ, რო-
მელიც გამოქვეყნდა რუსეთის გაზეთში და ზუსტად მოგვითხრობს იმაზე, თუ რა მოხდა გალში და
როგორ მზადდებოდა ეს ოპერაცია. ასეთი გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, რუსებმა და აფხაზებმა
მიიღეს: ექვის წელი წავიდა მას შემდეგ, რაც აფხაზებმა მოიპოვეს დე-ფაქტო დამოუკიდებლობა,
მაგრამ ეს დამოუკიდებლობა დღემდე არავის უცვნია. მათ რამდენიმე ვარიანტი განიხილეს, თუ
როგორ შეიძლებოდა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება და მიადგნენ ერთადერთ გამოსა-
ვალს, ანუ იმ გზას, რომლითაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს სსრკ-ში შემავალმა რესპუბლიკებმა:
დაშლა, დაქუცმაცება და მათ ბაზაზე შექმნილი დამოუკიდებელი რესპუბლიკები, რომლებიც დღეს
არიან სუვერენული სახელმწიფოები.

მათ მიიღეს ასეთი ვერაგული გადაწყვეტილება: უნდა დაშალონ საქართველო და მის ბაზაზე
შექმნან აფხაზეთის რესპუბლიკა, სამეგრელოს რესპუბლიკა, აჭარის რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის
რესპუბლიკა, კახეთისა, ქართლისა და ასე შემდეგ რესპუბლიკების ბატალიონი საქართველოში.

არის ამგვარი განცხადება აფხაზებისა, რომ მათ უნდა გააკეთონ ყველაფერი საქართველოს დასაქუცმაცებლად, დასანაწევრებლად და ამ დაწევრიანებაში სხვა, დღევანდელ ჩვენს რეგიონებთან, აფხაზეთიც იქნება აღიარებული, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ადრე ნათქვამს ასე დაწვრილებით იმიტომაც ვიმეორებ, რომ წინ უარესობაა მოსალოდნელი, გალის მოვლენები ამისი უვერტიურაა მხოლოდ.

მე დღესაც ვაცხადებ ოფიციალურად, რომ შემდეგი ეტაპი არის სამეგრელო. სხვა საკითხია ვის მოსწონს ეს და ვის — არა, მაგრამ მე ვიცნობ გეგმას, რომლის მიხედვით მომდევნო ეტაპი სამეგრელოა.

თავად სამურზაყანოს მოვლენები გათვლილი იყო შემდეგნაირად: შემოეშვათ საქართველოს შეიარაღებული ძალები გალის ტერიტორიაზე თავიანთი ტექნიკით და მერე დაწყებულიყო მასობრივი დაბომბვა, რაც ზუგდიდში გამოიწვევდა დიდ პანიკას, ხალხის გახიზნვას, ევაკუაციას სამეგრელოდან; აფხაზეთის ვითომ უკონტროლო ორგანოების და სტრუქტურების შეჭრას ზუგდიდის რაიონში, მის დაყაჩაღებას, გადაწვას; მერე რა თქმა უნდა შენაერთების უკან გამოყვანას, მაგრამ შედეგად იქნებოდა ის, რომ შევარდნაძე უნდა გადამდგარიყო. საქართველოში დაიწყებოდა ქაოსი, რასაც მოხყვებოდა საქართველოს დაწევრიანება, ანუ ახდებოდა აფხაზების სანუკვარი ოცნებაც.

ბარაქალა ნადარეიშვილს თუკი ამისთანა გრანდიოზული ოპერაციების წარმართვა შეძლებია! უმჯობესია დიდი თუ პატარა რანგის პოლიტიკოსი საყმაწვილო სენისგან განთავისუფლდეთ, მოვეშვათ ნადარეიშვილის განქიქებას, ნუ დავიწყებთ უსაფუძვლოდ ერთმანეთში დამნაშავის ძიებას, ნუ ვამტვრევთ ღია კარებს ჩვენი მიამიტი საზრიანობით თუ ჭკვიანი გულუბრყილობით!

დამნაშავე ნაპოვნია და მას რუსეთის იმპერიული მანქანა ხქვია სახელად, რომელიც გაბრიყვებული აფხაზის ხელებით გლეჯს ნარს, წითელ ძახველს, შუკშინის ფილმის მიხედვით.

დაბოლოს, ჩემი უმთავრესი არგუმენტი: როგორ შეიძლება მე ვიყო პასუხისმგებელი ერთ სანტიმეტრ მიწაზე მაინც, იქ, სადაც არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია?! აფხაზეთი გალის რაიონთან ერთად ოკუპირებულია დღეს და წართმეული. თუკი ხვალ ოჩამჩირეში მოხდება რაღაც შეჯახება ქართველებსა და აფხაზებს შორის, ან გაგრაში აფხაზები დაეტაკებიან იქ მცხოვრებ მოხუც ქართველებს, ეს არ შეიძლება ნადარეიშვილს გადავაბრალოთ, ვინაიდან მათთან არაფერი აკავშირებს.

— ბატონი ბორის კაკუბავასთან მიმართებაში ჩვენ მოვიძიებთ კვლავაც დამატებით მასალას, თუნდაც პირველწყაროდან, სურათის მეტი სიზუსტით დასახატად, მაგრამ არის ოპოზიციის სხვა კატეგორია, ვგულისხმობ ცალსახად მოაზროვნე პარტიებს, რომლებიც დღევანდელ ხელისუფლებას ხუნტას უწოდებენ და საქართველოს ერთადერთ სამართალმემკვიდრედ საკუთარი თავი მიაჩნიათ. ეს ის ხალხია, 92 წლის 6 იანვარს, იარაღის ძალით რომ დაამხეს; ეს ის ხალხია, თქვენი მთავარი ოპონენტი გააფთრებით რომ სდევნიდა თურმე, იგივე საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმდევრებს...

— აფხაზეთის სინამდვილეში როგორი პოლიტიკოსიც უნდა იყოს იგი, რამდენად ოპოზიციონერი, ჩემზე უფრო რადიკალური მეეჭვება ვინმე მოიძებნოს, ვინაიდან ჩემზე უკიდურესი ბუნებაში არ საერთოდ არსებობს.

ზოგი მოითხოვს იარაღის ძალით დამხობილი ხელისუფლების აღდგენას და დღევანდელს განიხილავს, როგორც ხუნტას; ეს მათი შეხედულებაა, მათი თვალსაზრისი, მათი უზენაესი უფლება, მაგრამ დაგვიბრუნებს კი აფხაზეთს ახალი გაწამაწაია, ახალი ქაოსი, ახალი აურზაური?

იგივე მურმან ბერიამ და დევნილთა კავშირმა უნდობლობა გამოუცხადა საქართველოს ხელისუფლებას, მაგრამ აფხაზეთის საკითხში ჩვენს შორის დაპირისპირებისათვის ბერწი ნიადაგია.

არიან განსხვავებული პოლიტიკური პლატფორმის ძალები, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, რომლებთანაც ჩვენ ვთანამშრომლობთ, გვაქვს ყოველდღიური შეხვედრები. იგივე გერმანე ფაცაცია, ჩვენი ფრაქცია, ისინი — ყველა — აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებია. ჩვენ ვხვდებით ერთმანეთს სესიებზე, სხდომებზე და პრინციპში, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, საჭირო დოკუმენტებს ერთხმად ვღებულობთ.

აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში არიან მურმან ბერიაც, ჯემალ გამახარიაც, გერმანე ფაცაციაც, არიან სხვა პოლიტიკური პარტიებიც: ლემი, სოციალისტები, კომუნისტები, მოქკავშირი, მაგრამ როდესაც აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით რადიკალურ გადაწყვეტილებას ვღებულობთ, იქ არათუ უარყოფითი პოზიცია, თავის შეკავებაც კი ყოვლად გამორიცხულია.

ცხადია, უთანხმოებაც გვახასიათებს. ჩემი მხრიდან ბევრი მდებს ბრალს, რომ მე ვარ შევარდნაძის პოლიტიკის გამტარებელი: ესე იგი ნადარეიშვილი ასრულებს შევარდნაძის დავალებებს. მე გულწრფელობით მინდა ვთქვა, რომ ბატონ ედუარდს არასდროს უკადრებია ჩემთვის: ეს გააკეთე,

ამას გიბრძანებო. ასეთი რამ ჩვენს ურთიერთობაში არასოდეს ყოფილა. პირიქით, როდესაც მე ძალიან რადიკალურად გამოვდივარ და ამა თუ იმ საკითხზე აშკარად ანტიპოდური პოზიცია მიკავია, ის ყოველთვის დელიკატურია:

მე ბატონ თამაზის პოზიცია მესმის და პატივს ვცემ მის თვალსაზრისსო.

მას არასდროს უკადრებია: გადათქვი ესაო, ან დღეს არ შეიძლებაო, ან კიდევ თავი შეიკავეო. ასეთი რამ მე მისგან არასდროს მსმენია. ჩვენ შეთანხმებით როდი ვმუშაობთ, რომ ერთმა იძახოს: მშვიდობიანი მოწესრიგება, მეორემ: ომი. არა, ეს ბუნებრივი პროცესებია. ქვეყნის პრეზიდენტმა ამ შემთხვევაში პოლიტიკური შეცდომაა რადიკალურად დააფიქსიროს თავისი პოზიცია, როგორც ამას ნადარეიშვილი მოიგუნებებს. ის ქვეყნის პრეზიდენტია, შევარდნაძე, მეტი თავდაჭერილობა მართებს. მოკლედ, ოპოზიციასთან ჩვენ კონსტრუქციულად ვთანამშრომლობთ და აი, ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში: დელეგაცია, რომელიც პირადად მე დავაკომპლექტე, იქ ბატონ ჯემალ გამახარიაც იყო, როგორც ექს-პრეზიდენტის მომხრე; იქ მურმან ბერიაც იყო, როგორც დევნილთა კავშირის ლიდერი; იქ პოეტი გენო კალანდიაც იყო, როგორც აფხაზეთის განთავსიუფლების პარტიის წარმომადგენელი. მოკლედ, ვცდილობ ყოველთვის, აი, ასეთი მრავალპარტიული ნიშნით მივუდგე ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას და მერწმუნეთ, ამგვარი დამოკიდებულება უმეტესწილად სავსებით ამართლებს.

ერთადერთი „აუღებელი" ოპოზიცია ისევ და ისევ კაკუბავა და მისი რამდენიმე თანამოაზრეა, მისი რამდენიმე კაცი, რომლებიც აი, „ივერიის"ბუნკერიდან ცდილობენ მსოფლიოს ბედის გადაწყვეტას და ვერა და ვერ შევქმენით ის პირობა, რომ ამ მოდერნისტული ჭურიდან რაღაცნაირად ამოვიყვანოთ ისინი და საღი თვალით შევახედოთ საქართველოში შექმნილ ვითარებას.

ფადაას!

გასრულდა „სუფევას" მორიგი მონაკვეთიც. გადავათვალიერებ ერთხელაც მარათონულ დიალოგს შერვაშიძეების უკანასკნელ მოხიკანთან — აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის უპირველეს ლიდერთან და ვამჩნევ: ნაკლებად ჩავრეულვარ რესპოდენტის სტილისტიკაში;

სათაურის ჟღერადობა როცა მეცოტავება, კიდევ ორიოდე სიტყვას მივაშველებ, ქუდზე კაცის მხმობელი ზარების დამგუგუნებელს:

აბა ულა, მუმლიმუხასა, შავლეგო, აფხაზეთისათვის-მეთქი, გადმოვდგები მდინარე ენგურის ხაბოსთან, ოტობაიას ჩანგრეული ხიდის სიახლოვეს, საიდანაც საავდროდ გამზადებული ღრუბელივით მოცურავს ოციათასი ქართველის სული — აჩრდილი, ყოფნა-არყოფნის ზღურბლზე მოჭოჭმანე მეოცე საუკუნის ხამლეტის წინაშე.

გადახსნილ იარებს მანახებენ სათითაოდ, ყანყრატოსთან, საძილე არტერიასთან თუ მაჯებზე. იქიდან ვამპირების დასამწყურვალებლად უწანწკარია ქართულ სისხლს სად არ დაღვრილს, სად არ შეხვრეპილს ყორანთაგან.

პარტიელობას ვაქილიკებ კომკავშირიდან გამოპანღურების მერმე. ღალიძგას დღეებში ათობით არაფორმალი მესვეური მიგიპატიჟებს თავის ამქარში, მაგრამ გავუძლებ ცდუნებას და მამულის რიგითი მესიტყვეობას ვამჯობინებ. შემდგომშიც უთვალავჯერ მომაზომებენ ხან მემარცხენეთა ტოგა და ხანაც — მემარჯვენეების ანაფორას, მაგრამ გულიდან ამოვარდნილი ქარიშხლები მოუსავლეთში გადაკარგავს მათ სახსენებელს და არ ვიცი ახლა, რას მოვიმოქმედებ, რანაირად გავითავისებ ოტობაიას განთავისუფლებისთვის, ჩემი ჯიქი კოკი ოყუჯავას საფლავის განთავისუფლებისვთის, ჩემი ბოჩია მეფორიას და ბესიკ მესხიას ვარამის განთავისუფლებისათვის შექმნილ პარტიას.

წაუყოყმანებლად ერთადერთხელ აქ შეიძლება, ალბათ, ხელოვანის უარტახო სულმა ღუზა ჩაუშვას-მეთქი, განვსჯი ჩემთვის; და რადგანაც ფილოსოფოსთა ტვინჭყლეტია ნააზრევისგან განსხვავებით, სამშობლო ნებისმიერ ჭეშმარიტებაზე მაღლა დაგვიყენებია, გური ოტობაიაც სულ მალე ამგვარი სიტყვით წარდგება ოტებული დარბაზს წინაშე:

1999 წლის 29 აპრილს აფხაზეთის
განთავისუფლების პარტიის ყრილობაზე
ფრაგმენტულად წაკითხული სიტყვის სრული ტექსტი

მუხლს ვიყრი მარათონული ტფიების ქარ-ცეცხლში მალულად მოთოხნილი შენი ყანების წინა-

შე ჩემო საძვალე ოტობაიავ!

ქედს ვიხრი დაუსრულებელ წეწვა-გლეჯაში იობის მოთმინებით ენგურს გაღმა-გამოღმა მოწოწიალე შენი მრევლის წინაშე, ჯვარცმულო სამურზყანოვ!

თავს ვიდრეკ გაუთავებელ კაცთაკვლაში შენი დამუნჯებული და განძარცული ეკლესიების წინაშე, ცბიერი მტერ-მოყვასისგან მუხანათურად დალახვრულო, საბედიანოვ!

პირქვე ვემხობი შენი ნაგოლგოთარი სულის ტკვილების აქა-იქ გულგრილად მაცქერალი სრულიად საქართველოს მაგივრად, გაუტეხელო, დედააფხაზეთო!პოლიტიკაში რა უნდა მწერალს-მეთქი, ვამბობდი აქამდე ჩემთვის თუ ხმამაღლა; პოლიტიკაში ხომ ერთს ფიქრობენ, მეორეს ლაპარაკობენ და მესამეს აკეთებენ-მეთქი, ვასკვნიდი ჩემთვის თუ საჯაროდ;

მწერალმა კი ერთი უნდა იფიქროს, ერთი უნდა თქვას და ერთი უნდა აკეთოს დიახაც-მეთქი, ვადასტურებდი შინ თუ გარეთ.

ასეთი იყო, ასეთია და ასეთი იქნება ჩემი მიდგომა ხელოვანისა და საპარლამენტო მოღვაწეობის ურთიერთდამოკიდებულებაზე, მაგრამ ხანდახან დგება თურმე მომენტი, წუთი, როცა საკუთარი პრინციპების წინააღმდეგ გიხდება გარკვეულწილად წასვლა, ზოგადის, მთელის ინტერესებიდან გამომდინარე...

პარტიული არ გავხდები მე ოთხმოცდაცხრაში, როცა იმპერიის ტანკები მუხლუხოებით გადაუვლის ჩვენს ჭოველიძეებს და კიკვიძეთ, როცა ალესილი ბარ-ნიჩბებით, ჩერიომუხა-სი-ეს-ით მოხდომილი დაჯავშნილი დივიზიონი ვერაფერს დააკლებს მათ წინააღმდეგ ხელჯოხებით ამხედრებულ შმაგი დოლიძეთა ქედუხრელ სულისკვეთებას.

პარტიული არ გავხდები მე ეროვნულ ფასეულობათა აღზევების ჟამს, კვლავაც შევინარჩუნებ შემოქმედის მიუმხრობლობის პოზიციას, წონასწორობას, პირველი რეფერენდუმის, პირველი თანასწორუფლებიანი, საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში და არც მაშინ, როდესაც ხალხის მიერ, ხმათა უმრაველსობით ხელდასხმულ ხელისუფლებას დემოკრატიის „უქონლობის“ საბაბით ზარბაზანს დაუშენენ ქაშუეთის ყურედან შლემიანი ერის დამაქცევარნი.

მე უფრო ზოგადის, უფრო გლობალურის, უფრო გრანდიოზულის სადარაჯოზე ვიდგომები მთელი ათი წელიწადი სიტყვით და საქმით — მედიატორის პოზიციაზე, შემრიგებლის პლატფორმაზე, რადგანაც დანამდვილებით ვიცი, რომ ეროვნული თანხმობის მიუღწევლად ამაო წყლის ნაყვაა ყველაფერი; რადგან თეორიულადაც და პრაქტიკულადაც გაცნობიერებულა ჩემში ერთი რეალობა: ორი ურთიერთგამომრიცხავი უკიდურესობის დაუახლოებლად, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულების შერწყმის გამორიცხვით, ორივე განზომილებიდან, უვარგისის უკუუგდებლად და სასარგებლოს ამოუტუმბავად ანუ სინთეზის მოუხდენლად, შეუთავსებლის შეუთავსებლად რაიმე პოზიტიურ ძვრებზე ფიქრი ფუჭია.

მაგალითისათვის, ენგურხესის კაშხალი პირთამდე რომ იყოს ზამთარ-ზაფხულ წყლით სავსე და მძლავრ ტურბინებს დღენიადაგ ატრიალებდეს, ჩვენს ფანჯრებში შუქი არაფრისდიდებით აინთება, თუკი ნათურაში პლუსმა მინუსთან არ ითანამშრომლა, თუკი წრედი არ შეიკრა, თუკი უარყოფითი ენერგია დადებითს არ დაუზავდა.

შეხედეთ თქვენს ხელთ არსებულ ბროშურას:* იქ ტიტულზე, გამომცემლობის გრიფზე, მტრედი და ყორანია გამოსახული, რომელთაც თანაბრად, მხარდამხარ მიაქვთ მშვიდობის სიმბოლოდ საქვეყნოდ აღიარებული ზეთისხილის რტო. სხვანაირად არ გამოვა, ბრძოლასთან, ომთან გაიგივებულ უარყოფით ენერგიას თუ არ შევაბამთ უღელში, მშენებლობასთან, ხარმონიასთან გათანაბრებულ დადებით ძალასთან ერთად, ვერ მოვხნავთ საშვილიშვილო ყანას, ვეღარ მოვიმკით პურს ჩვენი არსებისას.

აი, როგორი გახლდათ ჩემი მსოფლგანცდა გასული წლის 28 დეკემბერამდე, მაგრამ მას აქეთ მუტაცია განუცდია ჩემს დამოკიდებულებას ხელოვანისა და კანონშემოქმედების ურთიერთობის თვალსაზრისით და ვხმიანებ კიდეც თქვენი ყურთასმენის მოსაწყენად.

მე უწინარესად მწერალი ვარ, პოეტი. მე დიახაც მევალება მრავალ თანამოკალმესთან ერთად, ერის სულიერი ფასეულობების მემატიანობა, ჟამთააღმწერლობა და რათა ყოველივე მეტი დამაჯერებლობით წარმოჩნდეს მომავლის წინაშე, გამოგიტყდებით: შორიდან, ლაფაროდან, ორღობედან, ვერ ჩავეზიარე სულსა და გულში ჩვენს პოლიტიკურ სიტუაციას. ამიტომაც გადავწყვიტე უშუალოდ პელაგონში მედურთა თავი და ახლა მე იმ პიროვნებას ვგავარ, რომელიც ატომურ სადგურში მიდის რადიაციის ზემოქმედების შესასწავლად და ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ცდას საკუთარ სხეულს, საკუთარ სიცოცხლეს სთავაზობს სალაბორატორიოდ; მაგრამ გჯეროდეთ, ჩემნო, ზოგი პოლიტიკოსისგან განსხვავებით გური ოტობაიას ყოველთვის ერთი ექნება საფიქრალი,

ყოველთვის ერთი ექნება სათქმელი, ყოველთვის ერთი ექნება საკეთებელი: საქართველოსთვის ყველა და ყველაფერი! საქართველო ყველასა და ყველაფერზე მაღლა! სიმართლე ყველგან და ყველაფერში! ზოგი ჭირი მარგებელია თურმე! მიუხედავად ამდენი ტანჯვისა, მიუხედავად ამდენი წამებისა, ამ ექვსწლიან უუფლებო აღმა-დაღმა წოწიალში, როგორც იქნა ვისწვლეთ ერთმანეთის ფასი, ესოდენ რომ გვაკლდა ბრჭყვიალა ნივთების, ძვირფასი ჭაღების და ფუმფულა სავარძლების შეძენას გადაყოლილ ზოგიერთს. ჩვენ ამ ექვი წლის წინათ გვქონდა ყველაფერი: ჩვენი იყო ფეშენებ-ლური ბინები, ჩვენი იყო ცინცხალი მანქანები, ჩვენი იყო ოქრო-ვერცხლი, ბრილიანტი, ჩვენი იყო ხასხასა აუზები და აფხაზეთის სამოთხე ბუნება სულის დასატკბობად, მაგრამ სავალალოდ ბევრს სანაცვლოდ წართმეული ჰქონდა მეობა თვისი. დიახ, ჩვენი იყო თითქოს აფხაზეთი ,,დე-იურე''-,,დე-ფაქტოდ'', მაგრამ ყოველთვის როდი ვიყავით ერთმანეთის ტკივილების მოყურადენი, ერთმანეთის ჭირ-ვარამის გამზიარებელნი, ერთმანეთის მეოხნი უნუგეშობისას.

მართალია, შევეწეოდით ხოლმე ერთურს მატერიალურად, ფინანსურად გადასახური ფულით, მორალური თანადგომითაც, მაგრამ ეს არ იყო უმეტესწილად უანგარო თანადგომა, ნაღდი ქომაგობა, ჭეშმარიტი ნუგეშისცემა. ახლა კი სულ სხვა სიტუაციაა: ჩვენ ვიშვით ერთმანეთის გასაჭირის კოცონ-თა სიმხურვალეში; ჩვენ ვიშვით სამოწყალო ათლარიანი დახმარებების რიგებში სუსხიან დეკემბერსა თუ აგვისტოს პაპანაქებაში; ჩვენ ვიშვით ბაზრობებზე ქარ-წვიმიან ამინდებსა თუ ბოსლებში მაცხოვ-რის დარად; უმრავლესობის გონებიდან გაქრა ავადსახსენებელი მომხვეჭელური ფსიქოლოგია. ჩვენს ტვინს ჩამოსცილდა სლიპინა ქონი, ჩვენს ძარღვებში ძალუმად აჩქეფდა მითაჟამინდელი სისხლი, სად არ დაღვრილი, სად არ შეხვრეპილი ყორანთაგან და ამიერიდან ჩვენი კუთხის მოქალაქე სულ სხვა ფოლადისაა, ცხოვრების ქურაში ზედმიწევნით გამოწრთობილი, საკუთარ მეობაში ძირისძირამდე ჩახედული, საკუთარ ბედისწერაში ზედმიწევნით გაცნობიერებული, სხვისი ჭირი რომ გაუთავისებია, სხვის უბედურებას ცრემლს რომ მიაგებებს გამამხნევებელ დედაბოძად და უკვე ყველაფერია შემზა-დებული შინ, აფხაზეთში, ღირსეული მიბრუნებისათვის: გონებაც, გამოცდილებაც, ურთიერთთა-ნადგომაც, სათანადო გამბედაობაც, თუმცა არ არსებობდა ამ კოლოსალური ენერგიის მაორგანი-ზებელი ინსტიტუტი; კერძო საუბრებში, ჯგუფურ კამათებში იფანტებოდა იგი, მაგრამ დიდია უფლის განგება და აგერ, ამ შემაკავშირებელ ფენომენად მოგვევლინება კიდეც ხელყოფილი სამშობლოს დაბრუნების იდეა — აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის სახით და ჩემს ათწლიან ჭოჭმანსაც ნიადაგი გამოეცლება, ვინაიდან შესაძლოა პარტიას რაღაცნაირად წაადგეს გური ოტო-ბაიას შემაკავშირებელი მოკრძალებული ფუნქცია; ვინაიდან არიან ძალები, რომლებიც ყველა-ფერს აკეთებენ ამ მოძრაობის დასაქსაქმად, ამ ლაშქრის გასათიშად: ერთი ალთასაა, მეორე — ბალთას, მესამეს ჩრდილოეთისთვის მიუპყრია მზერა, მეოთხეს — სამხრეთისკენ, ჩვენ კი ლამის ათი ათასი ქართველს დავკარგავთ ამასობაში, რომელთათვის ვერაფერიშვილია ჩვენი ამბიციური მარ-თალ-მტყუვნობა; რამეთუ სულთათანას ძნელად ხელეწიფება გამოღადრული ყლის თუ გამოფატ-რული მუცლის გამრთელება.

— ბიხვი, — უყვარდა ამგვარად შეხმიანება ჩემს გულთმისან თანასოფ- ლელს, ნოჩო თაკალანძეს, — ტალახიანი გზების გამო ვის შეუძულებია საკუთარი სოფელი, და არც იმ მტვრისა და ბუღის წილ, აგვისტოს დამდეგიდან რომ გამეფდება აქაურობაში,ვინაიდან ჩვენ გაცილებით მეტი მზიანი, ხასხასა და ნათელი დღეები გვაქვს. სოფელი ტალახის, მტვრისა და სინათლის ჯამია! ამიტომ, როცა გულში ვარდს იხუტებ, ეკლისთვისაც უნდა იყო მზადო!

სხვა მაგალითს მოვიშველიებ, უფრო შთამბეჭდავს და ამ მიმართულებით მეტს არ შეგაწუხებთ.

ავგიას თვალების თაობაზე გსმენიათ: ძველ ბერძნული მითის თანახმად, ელადის მეფე ავგიას, უთვალავი რემა ხყავდა და ოცდაათი წლის მანძილზე უზარმაზარ თავლებში იმდენი ფეკალური მასა დაგროვდა, შეაწუხა ქვეყანა ყროლმა, მაგრამ აი, მითიურმა ხერაკლემ გათხარა არხი და ორი დიდი მდინარე — ალფეი და პეი მიუშვა იმ თავლებში. ხერაკლე, რომელმაც ადრე საკაცობრიო გმირობე-ბით ისახელა თავი: მოაკვდინა ნემესი ლომი, დაამარცხა მიწასმოწყვეტილი ანთეოსი, გაანთავისუფ-ლა ზევსის მიერ კავკასიონის მთებს მიჯაჭვული პრომეთე-ამირანი, ა.შ., მკერდზე გადაიტარებს ამ ამაზრზენობას და სამარადისოდ ჩაეწერება კაცობრიობის ისტორიაში უბადლო პატრიოტად, ვინა-იდან არ არსებობს უფრო დიდი თავდადება, ვინემ სამშობლოს დამამცირებელი ტვირთის მიღებაა და რადგანაც საქართველოშიც სადაგი სიტუაციაა, ვფიქრობ, გასაგები უნდა იყოს გური ოტობაიას აფხაზეთის განთავისუფლების პარტიაში ჩემი გაწევრიანება. ეს ისეთივე მომენტია, როგორც საგან-გაშო ზარის ჩამორეკვისას ქუდზე კაცის გამოსვლა. მე ამ დაძახილს აღვიქვამ, როგორც სახალხო ლაშქარში გაერთიანებას, სადაც სამასი არაგველის სული ტრიალებს, ცხრა ძმა ხერხეულიძის ამაყი შემართება ილანდება, სადაც დიდგორის ნათელი გამეფებულა, სადაც ,,შავლეგოს'' და ,,აბა, ულას''

აგუგუნებენ ჩვენი ლომგულები. ვის, რომელ ქართველს შეუძლია წაუყრუოს იმედისმომცემ ამ ლაშქრულს, გულში ჯერაც რომ უხმიანებს მზაკვრული გათიშულობით თუ სხვა რამ ყოყმანით ვერნაპატრონები დებისთვის და დედებისთვის დაუღვრელი სისხლი?!

მე მჯერა აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის, რომელიც ერთ ბირთვად შეკრავს არათუ დევნილ მოსახლეობას, არამედ სრულიად საქართველოს რკინისგულიან ვაჟკაცებს დარაზმავს თავის გარშემო იარაღით წაგვრილი სამშობლოს იარაღითვე მოსაბრუნებელი პათოსით და ამ უზენაეს, საშვილიშვილო საქმეში თუ გამოგვერევიან აქა-იქ ქვეგამხედვარენი, ვითომ პატრიოტები და სინამდვილეში გულნამცეცანი, პარტია გარიყავს მათ! ამბოხებული ზღვაც ხომ ნაპირისკენ მოისვრის ხოლმე მისთვის ფუჭსა და უსაგნურს?! ესეც რომ არა, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: ლანგრებით მორთმეული მშვიდობიანი პროცესებით თუ მივუბრუნდებით ჩვენს კერიებს სამურზაყანოში, სოხუმში, გაგრაში და სამართალდამცავი მექანიზმების ერთობლივი ძალისხმევით დავამყარებთ საზოგადოებრივ წესრიგს, პრობლემა მოხსნილია თითქოს, მაგრამ გეკითხებით, ძვირფასნო: ვინ ვიქნებით ჩვენ იქ, რა სტატუსისანი? რანაირი პერსპექტივით?

ომამდე, იმ გაუგონარ კაცთაკვლამდე, 88 წლის აღწერით აფხაზეთის მოსახლეობის 525161 კაციდან, 45,7 პროცენტი, ანუ 239872 ქართველი გათანაბრებული რას ხქვია, დაქვემდებარებული ვიყავით 17,8 პროცენტს, იგივე 93 265 აფხაზს. გაიხსენეთ აპარტეიდული კანონი. ჩვენ 26 დეპუტატი გვყავდა და აფხაზებს—28. ესე იგი, თითოეული აფხაზი უტოლდებოდა სამ ქართველს და ახლა, ჩვენი საზოგადო გაბახების — ჭიქებით, პეშვებით შეხვრეპილი სისხლის, ფეხმძიმე ქალის წიაღიდან ამოცლილი ჩვილების თუ გაგრაში, სტადიონზე, ქართველთა თავებით გამართული ფეხბურთის მატჩის შემდეგ, როგორ, რანაირად შევეწყობით ჯალათებს?

აფხაზეთში მიბრუნება სამშვიდობო პოლიტიკითაც არ არის გამორიცხული, თეორიულად ეს შესაძლებელია, მაგრამ სეპარატისტული რეჟიმის ჯერარნახულ-ჯერარსმენილ დანაშაულებათა მიტევების, წაყრუების ფონზე, იქნება კი ჩვენი ყოფიერება იქ სახარბიელო?

კანიბალი სეპარატისტი აფხაზების თუ ნაავღანისტარი რუს-კაზაკ-ჩეჩენ-სომეხთა მხარდამხარ ქართველების თანაბარუფლებიანი ცხოვრების პერსპექტივას მე იქ ვერ ვხედავ. მათ გადაწვეს და გადაბუგეს ჩვენი კარ-მიდამოები. რაც ცეცხლს გადარჩენია, თვითონ მიუსაკუთრებიათ და სამოწყალოდ მიბრუნებელებს რომც გამოგვიყონ, თანხები აღდგენითი სამუშაოებისთვის სავალუტო ფონდმა, მსოფლიო ბანკმა თუ სხვა ორგანიზაციებმა, და ავაშენოთ კიდეც იქ მდიდრული კოტეჯები, ვინ ვიქნებითმეთქი, გეკითხებით, რომელნი?! უხერხემლონი და უზურგონი?! თხილის მფერთხავები?! მანდარინის მკრეფავნი?! სამეძაოთა ვნებათაღელვის დამპურებელნი მთვარესავით ასულებით?!

არა შვილოსა! ჩვენ დღეს გაცილებით ბედნიერები ვართ, ვიდრე ვიყავით გუშინ, რადგანაც მაშინ კი ვცხოვრობდით აფხაზეთში უზრუნველად, ვფლობდით თითქოს აფხაზეთს, მაგრამ ბევრს არ გაგვაჩნდა აფხაზეთის მეპატრონე სული, მრავალს არ მოგვეპოვებოდა სამშობლოს დამცავი მუხტის მეობა. დღეს ჩვენ არ გაგვაჩნია აფხაზეთი, მაგრამ სამაგიეროდ მზარდი მამულიშვილური ძალისხმევა შეგვიძენია თითოეულს, სამშობლოს მოერთგულე და დამფასებელი შეგნება და სეპარატისტული რეჟიმის მიმტევებლობით თუ შევალთ აფხაზეთში ქართველების სასიცოცხლო ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე, დავკარგავთ ამ ექვსი წლის მანძილზე დიდის ვაივაგლახით მოპოვებულ განძეულობასაც — ერთმანეთის გამტან, ერთმანეთისთვის თავდადებულ მეობასაც და მაშინ უკვე ნამდვილ პროლეტარად გადავიქცევით, ბოგანოდ, ვისთვისაც სულ ერთია თუ რომელ ენაზე დაიმღერებს, ვისთვის ილოცებს, ვის აუნთებს სანთელს, ვინაიდან უკვე აფხაზეთის მატერიალური თუ სხვა რამ ფასეული საუნჯე სავსებით აფხაზ-სეპარატისტებისა იქნება, ჩვენ კი დანამატად, მეორეხარისხოვნად დავჯუჯავდებით დროთა მსვლელობაში, როგორც მოსამსახურე, პლებსი და მისდაუნებურად დავაკანონებთ მილიონის მესამედი ადამიანის დანაშაულებრივ გაუცხოებას, გააფხაზებას, გამანქურთებას ვაგლახ.

აფხაზეთი დაკარგულიაო, გაიგონებთ აქა-იქ. ვერ დავიბრუნებთო, ყურს მოკრავთ არაიშვიათად, ხელი ჩაგვიქნევია, სასოწარკვეთას მივცემივართ.

ჯერ ერთი, დავიწყოთ იმით, რომ ებრაელმა ხალხმა 26 საუკუნის შემდეგ, ორიათასექვსასი წლის მერმე მოიფარშუბა თავისი აღთქმული ქვეყანა. საამისოდ კი ეგვიპტელების მონობის უღლისგან გამოტაცებული მრევლი 40 წელიწადს უდაბნოში ახეტიალა მოსემ, რათა მონური ფსიქოლოგიით გაჯერებულს იქ ფეხი არ დაებიჯებინა.

მონური სულისკვეთების ადამიანი ვეღარასდროს დაიბრუნებს სამშობლოს, ვინაიდან არავინაა დედამიწის ზურგზე იმდენად მხდალი, როგორც ვაჭარი, ფულის შოვნას გადაგებული. ამის თაობაზე ჩვენს მეუფე- მოძღვარს, რუსთაველსაც, ჩინებულად უწერია. ხოდა, ახალი ხორცით და სუ-

ლით შემოსილმა ებრაელმა ერმა მხოლოდ XX საუკუნის მიწურულს შეძლო სანუკვარი ოცნების განხორციელება: ქანაანში, აღთქმულ ქვეყანაში შესვლა, საფიცარი სამშობლოს მოხვეჭა სისხლის გაღების ფასად და იქიდან მოყოლებული, ფხიზლად დარაჯობს მის მთლიანობას. არაფერს ვამბობ აფხაზეთის ომში დაღუპულ ვაჟკაცებსა თუ მშვიდობიან მოსახლეობაზე, ბომონივით რომ გამოღადრეს ყელები, ამ ხუთი წლის მანძილზე. სამურზაყანოდან ამ ორი გამოძევების პერიოდში, ათი ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქესთვისაა წესი აგებული მათებური ბარბაროსობით. როგორ ფიქრობთ, გავწყდებოდით ამისი ნახევარი, ხელი მამაპაპურად რომ ჩაგვეჭიდა იარაღისთვის?

მაშ, რისთვის დაღონებულხარ ჩემო მრევლო, რატომ შეგპარვია ეჭვი შენს სულს? აქამდე ესოდენ დაფანტულებს, აგერ, მოგვცემია შანსი ერთად დადგომისა აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის გარშემო. ჩვენ აზრთა სხვადასხვაობა ნუ შეგვაშინებს, რადგანაც როცა სახლს ცეცხლი გაუჩნდება, მაშინ თუნდაც წაკინკლავებული ძმები, წყენას ივიწყებენ, განხეთქილებას თვალს უხუჭავენ, თავგამოდებით ცდილობენ მატერიალური დოვლათის გადარჩენას, ერთმანეთს ამოუდგებიან მხარში, გაერთიანებული ძალით ჩააქრობენ იმ ხანძარს; მერმე კი, რაჟამს ყველაფერი მიწყნარდება, შერუჯულ კედლებში დასხდებიან ბრძენკაცი შუაკაცების თანხლებით თუ სულაც განმარტოებულნი და შექმნილი უთანხმოებიდან გამოსავალს უსათუოდ მოძებნიან. ასეთია კაცობრიობის მრავალათასწლიანი გამოცდილება.დაბოლოს, სანამ სიტყვას დავამთავრებდე, ერთსაც შეგეკითხებით: როგორ ფიქრობთ, მაინც რამ გადაარჩინა დალის ხეობა მაღალ სვანეთისა?

მავანი მიპასუხებს: იარაღმაო, სხვანი — ჯარისკაცების სიმრავლემო, ვიეთნი — ვაჟკაცურად დადგომამო და ასე შემდეგ. ყველა სწორია ნაწილობრივ, ცალ-ცალკე, მაგრამ უფრო ნათლად რომ ითქვას, სახალხოდ ვაცხადებ: სიტყვამ ჩემო, ძვირფასებო-მეთქი, სიტყვამ, რომელიც იგივე ღმერთია ბიბლიური სწავლებით.

გვაქვს ჩვენ, ქართველებს ღრმააზროვანი სიტყვები: მრავალჟამიერი, გარდაცვალება, გასისხლმდინარება და ასე შემდეგ. გვაქვს: გენაცვალე, სქანგოლუაფირო, შენიჭირიმე, მაგრამ მერწმუნეთ, ესენი უკვე ფრაზეოლოგიაა ლამის, წინადადების საშენი მასალა, ვინაიდან დაუკარგავთ თავდაპირველი სიბასრე-ფხიანობა, დაბლაგვებულან ხელიხელგოგმანში. ხოდა, როდესაც ცასშეხიზნულ სვანეთს შემორჩენია სისხლით ხორცამდე შემძრავი ფრაზა, ფრაზა რა სახსენებელია, ქართველი ერის არსებობის დევიზი, დროშა, ხიმნი, სახვალიო მოქმედების პროგრამა — დალის ხეობას ბუზიც ვერავინ აუფრინა.

ბუნებრივია, მკითხავთ: მაინც რა სიტყვაა ისეთი, აუღებელ ციხე-გოდო- ლივით რომ აღსდგომია წინ მომხდურ მტერსო?!

ინებეთ ჩემებურნო: **მიშგუ ლადეღ სი!** დიახ, მიშგულადეღსი, ანუ იგივე — ჩემი დღე შენ — დედაქართულად, ჩემი სიცოცხლე შენ, ზოგადეროვნულად და როცა სამშობლოს მისამართით ნაშიშვლებია ეგ სიტყვა: მიშგულადეღსი, საქართველოვ-თქო, დახკარგა ტყვიამ მცხუნვარება. კი გაიარა კაკალ გულში, მაგრამ სულს ვერ მისწვდა ომახიანს და უდრეკელს; დახკარგა პირბასრმა ხმალმა ფხიანობა, დაჩლუნგდა მამულიშვილის კისერთან, ვერაფერი დააკლო ქედუხრელ სულს! დიახ, მხოლოდ და მხოლოდ მიშგულადეღსი, მხოლოდ და მხოლოდ „ჩემი დღე შენ“ გადაარჩენს დღეს აფხაზეთს და მასთან ერთად სრულიად საქართველოსაც!

ასეთნაირი და ამგვარი სიტყვით წარსდგება გური ოტობაია სისხლაფუ- ებული დარბაზის წინაშე სულ ცოტა ხანში, მაგრამ ვინაიდან ჯერაც ვერ გამოვღწეულვარ გენერალთან გამართული დიალოგის მაგნიტური არედან, ისევ თამაზ ნადარეიშვილთან წათოხარიკებული საუბარი წამომეწევა:

— ჩვენი ეროვნული პასპორტი აფხაზებისთვის აფხაზურ ენაზე შეივსება, ბატონო, გური. ხომ გაგვიგონია, კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახიროო, ხოდა, ჩვენი საქმეც ასეთნაირადაა: როგორც ყოველთვის, ვჩქარობთ, ვცდილობთ ისეთ საკითხებზე ვილაპარაკოთ, ისე დავეტოლოთ განვითარებულ ქვეყნებს, ჯერ კოჭებამდეც რომ ვერ ვწვდებით სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით.

ავიღოთ სახელმწიფო მინისტრის პოსტი. რატომ მაინცდამაინც ამერიკის მოდელი ავირჩიეთ, მსოფლიოში ყველაზე განვითარებული და დაწყობილი ქვეყნისა?! გადავხედოთ ჩვენს მეზობლებს: რუსეთს, თურქეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს, ყველას აქვს მინისტრთა კაბინეტი. წლების განმავლობაში ეს წარმონაქმნი იხვეწება. პიროვნებები მიდიან და მოდიან, მაგრამ თვითონ კაბინეტის სტრუქტურა უცვლელი რჩება.

ავიღოთ ეროვნების რეკვიზიტის ამოღება პასპორტიდან. ნუთუ ყველაფერი ისე მოგვიწყია, რომ მარტო ეს დაგვრჩა მოსაგვარებელი, როგორიც უნდა იყოს იგი, მართებული თუ მცდარი? შეგნებულად ხომ არ შევქმენით ჩვენი მოსახლეობის გათიშვის კიდევ ერთი მცდელობა?! მტრის წისქვილზე ხომ არ დავასხით წყალი უნებლიეთ, რომელიც აღიარებას მხოლოდ ჩვენი დანაწევრების, დაქუცმა-

ცების შემთხვევაში აღწევს?

რას ვუშვრებით აფხაზებს? თუ ვინმეს ხგონია, რომ აფხაზები დათანხმდებიან პასპორტიდან თავიანთი ეროვნების ამოღებაზე და დაკმაყოფილდებიან საქართველოს მოქალაქეობის სტატუსით, ძალიან ცდებიან, ეს აბსურდია. მე არ მჯერა კონფლიქტის მშვიდობიანი, პოლიტიკური მოწესრიგებისა, მაგრამ ვისაც ამისი სწამს, უნდა გაითვალისწინოს, რომ ეს კიდევ ერთი, ძალზე სერიოზული დაპირისპირება იქნება ადრე თუ გვიან.

აქვე მინდა შეკითხვა დავსვა, გური, ბატონო, საქართველოს კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, აფხაზეთში — აგრეთვე აფხაზურიო. რა ენაზე იქნება საქმეთა წარმოება აფხაზეთში? ალბათ, ესეც სერიოზული დაპირისპირების ერთ-ერთ კომპონენტად გველოდება ახლო მომავალში. ეს ყველაფერი ზოგადად, მაგრამ ჩემი პირადი შეხედულებით, პასპორტში უნდა გვეწეროს, რა თქმა უნდა, საქართველოს მოქალაქეობა, ხოლო დაბადების თუ პირადობის მოწმობებში — ეროვნულობა.

მართალია, პასპორტისთვის გვეძუნწება ეროვნულობა, მაგრამ მაინც აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის ნიაღვარს ვუერთდები, — ვეხმიანები რესპოდენტს ფიქრში, — რომელიც აღგვის მიწის პირისაგან აფხაზურ სეპარატიზმს და მასთან ერთად არაერთ ანტიქართულ გამოხდომას ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით, დასავლეთით თუ სამხრეთით! და მეტი სიცხოვლით რომ დაებეროს მედიატორობის, გამმარიგებლობის, შუაკაცობის მეჩეჩზე დარიყული გური ოტობაიას ხომალდს სისხლისფერი აფრები, აბა, ულა აფხაზეთისაკენ-მეთქი, დავჭექავ თავაწყვეტით; შავლეგო საფხაზეთოდ-მეთქი, შევეტოქები სამამულე ქარტეხილებს; მუმლიმუხასა აფხაზეთისათვის-თქვა, დავაგუგუნებ წინაპართა საკადრისად და ოციათასი თანამემამულეს ნაზვარაკები სული შარავანდედივით შემომერკალება გამარჯვების საწინდრად.

10.05.99 წ.

ქართველი სამშრალის ალსარება

ომი რა ჯოჯოხეთიცაა ვიცით, სიკვდილი არავის ეხალისება ერთი ბალტიისპირული ფილმისა
არ იყოს, მაგრამ შეგნების, მოვალეობის წყალობით ავისხამთ ხოლმე იარაღს. ასე იყო, არის
და იქნება, ვინემ დედამიწის ზურგზე სახელმწიფოები იარსებებენ.

— შენ როდის მოხვედი სახალხო ლაშქარში? — ვეკითხები ნათესავი დევნილებისაგან გასაყარ საკასავით გადაქცეულ მიმოზა გელენახეს ოჯახში წვეულ რესპოდენტს სულისმოთქმის მერმე. ქართველების ლეგენდარული მეჭურჭლეთუხუცესის მოგვარეა, — იქნებ სხვა ერქვა აფხაზეთში მომქმედ თქვენს შენაერთს?

— სახალხო ლაშქარს ჩვენს დანაყოფს ვერ დავარქმევდი, — გაქვავებული, ნაიარევი სახით მპასუხობს იგი. ტანწვრილია, მაღალმაღალი. სუფთად მოპარსული სახე გასთეთრებია. არაყს ნება-ნება წრუპავს, თითქოს სამუდამოდ განუზრახავს კარბიდის თუ რაღაც ოხრობის მწუთხე გემოს დახსოებაო, — იმიტომ რომ, ამ დანაყოფში ძირითად მასას შეადგენდა კომუნისტების დროინდელ რუსის ჯარში, — მიმოიხედავს, აქაოდა, ატმოსფეროს სანდოობას ამოწმებსო, — სპეცნაზში, ნამსახურები ახალგაზრდები. ოთხი თვის განმავლობაში თითოეული კანდიდატურა უამრავ ტესტირებასგადიოდა, როგორც ფიზიკურს, ისე ინტელექტუალურს. შემდეგ — თვენახევრიანი „სბორები“ რუსის სპეცნაზის ერთ-ერთ დანაყოფში და... აფხაზეთის უსამარ- თლსჯუ ლო ომის ბატალიებში აქა-იქ თერმომეტრივით გაჩრა, — იშვიათად შემხვედრია მსგავსი სინტაქსით მოსაუბრე.

— რამდენი იყავით ბრიგადაში? — ავუბამ მხარს წითლად მოხასხასე კეჟერა მხალის ღლაჭაღლუჭში.

— ჩვენი დანაყოფის ძირითადი დამრტყმელი ძალა ორმოცდაათ ერთეულს შეადგენდა, — არ დამიყოვნებს პასუხს.

— მაინც სად იყავით დისლოცირებულნი? — ვუჩხიკინებ კვლავინდებურად, — მაინტერესებს თქვენი თანამებრძოლების სულისკვეთება, მაროდიორობისკენ თუ გეჭირათ თვალი? სამარცხვინო დაცემამდე მეც არაერთხელ ვყოფილვარ იქ და ჩვენს ბიჭებს საშოვარი როცა შემოელიათ, საკუთარ ხალხს დაერივნენ. აფხაზეთში საიდან შემოდიოდით?

— რაც შეეხება დისლოკაციას, სამწუხაროდ ვერ მოგახსენებ, მიუხედავად იმისა, რომ ახლა აღარსად ვირიცხები — ხელებს იფშვნეტს. ნავთქურა გულმოდგინებით ჭიჭყინებს, გამალებით წვე-

თავს ძაბრში სითხე, როგორც ეს არყის გამოხდისას ხდება ხოლმე, თუმცა ოთახში მაინც დამდეგი თებერვლის გამყინვარებაა, — მარადიორობა მინახავს. ძალიან შემზარავი ფაქტია, მაგრამ მის აღკვეთას ვერც მე შევძლებდი და ვეღარც — ჩემი თანამებრძოლები, იმიტომ რომ ჩვენ სულ სხვა ინსტრუქციებით ჩავდიოდით იქ და საერთოდ, ვფიქრობ, — სიტყვას ეძებს, — ამ ფაქტზე თავის დროზე სამხედრო პროკურატურას უნდა გაემახვილებინა ყურადღება. ჩვენ კი მანდ ჩავდიოდით „სამუშაოდ". შევასრულებდით ბრძანებას და ხაიდა! აფხაზეთში ძირითადად თბილისიდან ჩავდიოდით.

— ხედავ, ვიწერ ამ საუბარს. მთელი სახლეულობა მაცივრებში გავყარე. დროზე თუ ვერ მოვამთავრეთ, შემოგვიცვივდებიან და მერე მეყოლე ვარდივით. რამდენ ხანს დაყოვნდი აფხაზეთში და განსაკუთრებით რითი დაგამახსოვრდა იგი? ომის პერიპეტიები... შთამბეჭდავი მომენტები მინდა გაიხსენო. იყავით თუ არა მზად სამშობლოსათვის თავის დასადებად, როცა იცოდით, სასაკლაოსკენ მიდიოდით, თბილისში კი ამ დროს ტელევიზია შოუ-კონცერტებით ქაქანებდა: დუბაიში, ანტალიის კუნძულებზე დროის სატარებლად ეპატიჟებოდა მასმედია მოსახლეობას? თქვენ როგორ აღიქვამდით ამ მომენტს? შარშანდელი ახალი წელი სად გაატარე?

— მართალი რომ გითხრათ, საერთოდ არ მიყვარს ამ თემაზე დიალოგი, — ამყვება საუბარში შეუდარებელი მეჭურჭლეთუხუცესის შთამომავალი, — მაგრამ ჩემს თავს უფლებას მივცემ და მოგიყვებით ერთ კურიოზულ მომენტს. ეს მოხდა გუმისთაზე. ერთ-ერთი კონტრიერიშის დროს იძულებულნი ვიყავით მე და ჩემს ჯგუფს პოზიცია შეგვეცვალა და ამოვარჩიეთ კერძო სახლი. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ აფხაზებმა დათმეს პოზიციები და სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. სახლი ძალიან არეული იყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ან ოჯახის პატრონმა ვერ მოასწრო წევრების დროზე გაყვანა, ან იქ მარადიორებმა „იმუშავეს".

მოგვწყურდა. დავუწყეთ ძებნა, ეგება რაიმე სითხე გვეპოვა. ამ დროს ჩემს თანამებრძოლს ქალის ჩექმა დავუნახე. დგას და ათვალიერებს. ჩემს კითხვაზე, რას შვრება და რად უნდა ქალის ჩექმა, ეშმაკური ღიმილით მიპასუხა, მეორეს ვეძებო. ჩვენი ბიჭები ძალიან გაბრაზდნენ. ისიც კითხეს, შენ ბიჭო, მარადიორობისკენ ხომ არ აგიღია გეზი, ეშმაკს ხომ არ შეეკარიო. ამის მერე იმ პიროვნებამ, რომელსაც ჩექმა ეკავა ხელში, გაუხსნა ყელი, შამპანურის ბოთლი ამოიღო, თან უჩვეულოდ იკრიჭება და გვეუბნება: მეორე ჩექმაში მეორე ბოთლი იქნებაო. დამიჯერეთ, ომში შამპანურის დალევა არ არის მიზანშეწონილი. მე არა მაქვს ლაპარაკი გაცილებით მაგარ სასმელებსა თუ ნარკოტიკზე, მაგრამ სიმართლეს გეტყვით, თავი ვერ შევიკავეთ და იმ ორი დალოცვილი ჩექმის ყელიდან ამოღებული შამპანურები წვეთის დაუღვრელად დავცალეთ.

რაც შეეხება ვიყავი თუ არა მზად სამშობლოსათვის თავის დასადებად, გიპასუხებთ, რომ მე ჯერ კიდევ აფხაზეთის ომამდე ვიყავი იმ დანაყოფში და თვითონ ეს ფაქტი, რომ მე მანდ საბრძოლველად ჩავედი, უამრავს მეტყველებს; მაგრამ მე აფხაზეთში ჩავედი არა თავის დასადებად, არამედ საქართველოს მტრის გასანადგურებლად, რასაც ჩვენი დანაყოფი შესანიშნავად ახერხებდა. ისიც მინდა გითხრათ, რომ ჩვენ აფხაზეთში დიდი ხნით არ გვაჩერებდნენ. შევასრულებდით დავალებას და ეგრევე შინ ვბრუნდებოდით. თბილისში რაც ხდებოდა, გური, ბატონო, გულს მტკენდა: გულს მტკენდა გახსნილი ბაზრობები, საქართველოს ტელევიზიის გასართობი პროგრამები და ბევრი სხვა, მაგრამ ეს ჩემი განსასჯელი არ არის. მე მაშინ ვიყავი სამხედრო კაცი.

თქვენს შეკითხვაზე, თუ სად გავატარე შარშანდელი, ესე იგი 1994 წლის ახალი წელი, გიპასუხებთ — სახლში. მაგ პერიოდში ვცხოვრობდი მარტო, მაგრამ მინდა აღვნიშნო ერთი ფაქტიც, რომ ბინაში გამოყრუებულის ფსიქიკაზე ძალიან იმოქმედა ამ საზეიმო თარიღმა. ალბათ, დაგებადებათ კითხვა, რატომ ან რისთვისო. გიპასუხებთ: გამახსენდა 1993 წლის 27 სექტემბერი. აგუძერადან სვანეთში მიმავალ გზაზე ვიმყოფებოდით, როცა ჩავიხედე ზემოდან ქვემოთ სოხუმისაკენ და დავინახე ცაზე მოკაშკაშე საზეიმო სალუტები. რუსის ჯარში მაგას „ლუსტრას" ეძახიან. აფხაზები გამარჯვებას ზეიმობდნენ. თბილისში უფრო მეტად გავანათეთ ცა ამასწინანდელ წელს, მაგრამ მებადება კითხვა: ჩვენ რას ვზეიმობდით, ჩვენ რა გვეზეიმებოდა?

— ანაზღაურებას თუ გაძლევდნენ? — ჩავუჯინდები მოხელეთებულ ნასალდათარს, — თქვენ ხომ კანონის ძალით არ წაუყვანიხართ მთავრობას, ხელისუფლებას, ვინაიდან ამისთანა შემთხვევაში სახელმწიფოს სრული მობილიზაცია უნდა გამოეცხადებინა, სულ ცოტა საგანგებო მდგომარეობა მაინც, თუმცა ძალადობით მოსული მმართველობა ვეღარ იზამდა ამას ეროვნული მოძრაობის, ანუ კანონიერი ხელისუფლების დათრგუნვის პირობებში. მოკლედ, მას უნდა გადაეხადა გასამრჯელო, ჯამაგირი. ესე იგი, აფხაზეთში თქვენი მონაწილეობა შეფერილი იყო პატრიოტობით, თორემ სინამდვილეში ანგარებითი გახლდათ: აქეთ სოლიდური ანაზღაურება, იქით მარადიორობით მოპოვე-

ბული ალაფი. ხომ არაფერს ვაჭარბებ? — გამჭოლი მზერით გავხედავ რესპოდენტს. ისიც თვალს მისწორებს სანდოობის დასადასტურებლად. ამასობაში მიმოზა გელენახეს ხიზანი სანათესაო ფეხაკრებით მოტუსულა კარებთან, ოღონდ ირგვლივ სანიმუშო სიწყნარეა.

— იურისპრუდენცია და პოლიტიკა რთული მცნებებია ჩემთვის, — აგრძელებს საუბარს მეჭურჭლეთუხუცესის მოგვარე, — და ამიტომ გეტყვით, როგორც აქამდე აღვნიშნე: მე აფხაზეთში ომამდე ვიმყოფებოდი და ვირიცხებოდი ამ დანაყოფში. ჩემი მუშაობა, რა თქმა უნდა, ანაზღაურებადი იყო, — რატომღაც ნოდარ ნათაძის ლექციები ხომ არ მოუსმენია-მეთქი, გამიელვებს თავში. პირველად ქართულ პოლიტიკაში ბატონმა ნოდარმა შემოიტანა ფორმები: მოსმენადი, შეუქცევადი, მოსწრებადი და ა. შ. — მაგრამ როცა შენს ქვეყანაში ომი იწყება და იცი, რომ შენ ამ საქმეში პროფესიონალი ხარ, ამ სიტუაციაში მებრძოლი ადამიანის პოზიციიდან გამომდინარე, შენ უნდა იყო იქ, სადაც დაკადუკია. რა თქმა უნდა გული მწყდებოდა, რომ აფხაზეთის ომის მერმინდელ თვეებს ვგულისხმობ, — დამიკონკრეტებს თანამოსაუბრე, — მე დამტოვეს ჩემი საყვარელი სამხედრო საქმის გარეშე. იძულებული ვარ მოღვაწეობა კერძო სტრუქტურაში, დაცვის სამსახურში გავაგრძელო ცვლის უფროსად. ეს ხომ ბედის დაცინვაა, ირონია?! ხოდა, ხშირად მიხდება მთვრალი ახალგაზრდის დარბაზიდან გამოთრევა, მაგრამ სამწუხაროდ უმრავლესობა, და მე მაგათში არაფრისდიდებით შევცდები, აფხაზეთში ნაომარი ბიჭები არიან. აქედან გამომდინარე, მებადება კითხვა: ნუთუ ჩვენს ქვეყანაში მუდმივად უნდა იყოს ომი, რომ ეს ლამაზი ახალგაზრდა ქართველები კაცისკვლით იყვნენ დასაქმებულნი თუ თავიანთ არასასიამოვნო მოგონებებს ქვეყნის მშენებლობაში იქარვებდნენ?

— მაინც გაურბიხარ კითხვას, გოგა, — ჩავუჯინდები, — მე ხომ ცეერუს ინსპექტორი ან კაგებეს თანამშრომელი არა ვარ, რომ შენი დოსიე განსაკუთრებული მისამართით გავაქანო. შეიგნე ბიჭო, მწერალი ვარ და მომავლისათვის მინდა გადავარჩინო ეს სახე, ეს წუთი, ეს განცდა. სად გაგიჭირდათ განსაკუთრებით ყველაზე მეტად?

— სიფრთხილეს თავი არ ტკივა, ჩემო გური. უნდობლობის ბრალი კი არ არის ეს, არამედ პროფესიული ჩვევა, პროფესიული სიფრთხილე. ჩვენს სამსახურს ძალზედ ძლიერი ფსიქოლოგები ხყავდა. ჩვენ გვამზადებდნენ არა მარტო ფსიქოლოგიურად, არამედ — ვიზუალურადაც, რა თქმა უნდა სურათებზე. სხვა საშუალება იმჟამად არ გვქონდა. გვიჩვენებდნენ აგრეთვე სლაიდებს დასახიჩრებული სხეულით. ასე რომ, მოგლეჯილი ფეხი, რომელიც „პროტივოპეხოტნაია“ მინას მოაქვს, ჩემზედ დიდ ზეგავლენას არ იწვევდა. ყველაზე მეტად გამიჭირდა არა უშუალოდ ომში, არამედ — სვანეთის გზაზე. ჩვენთან ერთად ბევრი ლტოლვილი მოდიოდა. სურვილი თუ არის უფრო ჩავუღრმავდები ამ თემას.

— რა ბრძანებაა, — ფართოდ გავშლი ხელებს.

— აგუძერადან მესტიამდე ფეხით ვიარეთ. კვება რა თქმა უნდა ორგანიზებული არ იყო. ჩვენი დანაყოფი ყოველთვის თავისი „პაიოკით“ გადიოდა ოპერაციაზე, მაგრამ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო ჩვენ დაგვრჩა სულ ნახევარი ტომარა შაქარი და მეტი არაფერი. მთელი ამ გზის განმათლობაში ვჭამდით შაქარს. ვეტმფრენებიდან ჩამოგდებულ „პრავეზიას“ ვერ და არც ვეკარებოდით, იმიტომ რომ ჩვენს ადგილას თქვენც ყოფილიყავით და რომ ჩაგეხედათ იმ ქართველი მანდილოსნის თვალებში, როცა ის აგროვებდა ამ ჩამოგდებულ კონსერვს თუ პურს, იმის შიშით, შეიძლება ხვალ არავის გავხსენებოდით და სამი მშიერი ბავშვი დახოცვოდა, იგივეს მოიმოქმედებდით უეჭველად. ზუსტად ამ ფაქტმა ძალიან იმოქმედა ჩემზე.

— კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებთან მხარდამხარ თუ გიომია? მართალია, რასაც ამბობენ, თითქოს ისინი ზურგში ესროდენ ბრძოლის დროს შევარდნაძის მომხრე ბიჭებსო?

— აბსურდია ეგ. როცა უფრო საშიში, უფრო დამანგრეველი ძალა გასრესით გემუქრება, ამ შემთხვევაში კერძო ინტერესები ანულირებულია.

— კეთილი. მაშინ იქნებ ის მაინც მითხრა, სოხუმი უმთავრესად რის გამო დაეცა? ასახელებენ უამრავ მაგალითს, მიზეზს, როცა ჩვენს ჯარისკაცებს პოზიცია აღებული ხქონდათ და მოდიოდა ბრძანება ზემოდან, რათა დაეთმოთ იგი მოწინააღმდეგესათვის. რა უნდა ყოფილიყო შენი აზრით ამისი მიზეზი? შიში, არაპროფესიონალიზმი თუ ღალატი? ნუთუ ომი მართლაც გაყიდული იყო?

— პირველ რიგში დავასახელებდი იმას, რომ ქართველებს არ ხყავდათ გაწვრთნილი ჯარი, და ჯარი, რომელშიც დისციპლინა არ არის, მასზე ჯარი არ ითქმის. რაც შეეხება დაკავებულ ობიექტებს და ტერიტორიებს და შემდეგ მის დატოვებას ბრძანების მისვლისთანავე, თავის თავიდან დამოუკიდებლად, კეთილსინდისიერად ასრულებინებდნენ ან აიძულებდნენ რომ შეესრულებინათ. ეს ინფორმაცია ვიცი გადმოცემით, სხვა დანაყოფების ბიჭებისაგან.

— თუკი ასე გრძნობდით ყოველივეს, — გავცხარდები ახლა მე, — რატომ ვერ შესძელით თავი დაგეღწიათ ფრონტის ხაზისთვის, თუ მაშინ დაგხვრეტდნენ საველე წესით, როგორც დეზერტირებს? ყოფილა მსგავსი შემთხვევები?

— მე ჩემს თავზე და ჩემს თანამებრძოლებზე, მიმიხვდი ისევ ჩვენი დანაყოფის ბიჭებს ვგულისხმობ, ამგვარი რამ არ გადაგვიტანია. ჩვენ ძალიან სპეციფიკურ ოპერაციებს ვატარებდით და დიდი ხნის მანძილზე არ ვჩერდებოდით საბრძოლო პოზიციაზე. მაგრამ იმასაც გეტყვი, გური, რომ ბევრი იყო დასახვრეტი მარადიორობის გამო.

— მაშინ რა ვუყოთ ქრისტეს შეგონებას: გიყვარდეს მტერი შენიო? როგორ მოვათავსოთ ერთ ჭურჭელში? შენ ის მითხარი, — მესმის ჩემი სახეყირმიზი დეიდაშვილი ბესო მესხია მოროხროხებს. ახლა იგი რას დაგიდევს ოთახში მოხელთებულ რესპოდენტს, თვითონაც ხომ სრული ორი წელიწადი უომია და ზურგი აქვს, უფლება მოუპოვებია ჩვენს საუბარს დაესწროს, თანაც გაჭირვებით გამოჩხრეკილი არაყიც წრუპოს ნება-ნება, — ომმა ბუნებრივია, დიდი გამოცდილება შეგძინა. რა შემთხვევაში წახვალ ისევ, თუკი სამშობლომ მოგთხოვა? — ვამბობ ამას და მისდაუნებურად წამოვიმართები დეიდაშვილის გამოჩენისთანავე. წარვუდგენ ერთმანეთს, გახრიგინდება სკამი და ჩვენს ოთახშიც კარს გაღმა გარეკილი გელენავების მრევლი წრიალ-წირღოლით შემოცქაუფუნდება. შემოტსუტუსდებიან, დაგვესევიან გვაჩ გელენავას დედაღორის არშინიანი გოჭებივით, ძვაძვალა კიუტს რომ დაეძგერნენ და ლამის გაძვალეს, ისე. ზოგი ყაჩაღანა ნამცხვარს დასტაცებს ხელს, სხვა ონავარი სასუსნავს დაეტაკება, უფრო მოზრდილები სასმისისაკენ წაიწოდებენ მარჯვენას და აირევა მონასტერი.

— დღეს დღეობით, ხედავთ, სამწუხაროდ ფორმა აღარ მაცვია. სხვათა შორის ბევრი იმ ბიჭის მსგავსად, ჩემს გვერდით რომ იბრძოდა, მაგრამ სამშობლომ თუ მიბრძანა და მოითხოვა, მე ხაზს ვუსვამ სიტყვას ,,სამშობლომ'' და არა პოლიტიკოსმა, წავალ და ვიბრძოლებ, თუმცა ბრძოლის მერე, დამიჯერეთ, ყველა მეომარი ფიქრდება: რატომ? დაე, ეს ფიქრები ნუღარ დაემგვანება აფხაზეთის ომის გახსენებას. — მე კი ჩემდა თავადა სადღაც ვეწინააღმდეგები პირველი ქართველი მეჭურჭლეთუხუცესის მოგვარე გოგას ფრაზის გამო, ,,**სამშობლომ თუ მიბრძანა და მოითხოვა**". არ არის აქ ჩემი სული მოწესრიგებული, დაკმაყოფილებული, ვინაიდან როცა სამშობლოს უჭირს, მან კი არ უნდა მოგთხოვოს, ან გიბრძანოს, არამედ, სამშობლოს გასაჭირი იმპულსურად უნდა აღიქმებოდეს, ყოველგვარი ძალადობისა და მითითების გამორიცხვით. ეს განცდა უზენაეს მოთხოვნილებას, ღმერთთან გაიგივებულ პასუხის მგებლობას უნდა უტოლდებოდეს, დაახლოებით იმდაგვარ განცდას, როგორც — სვანურ ფრაზაშია კონდისირებული— ,,მიშგულადეღსი''— ჩემი დღე შენ, ან ,,ფადაას'' — პიროვნული სიფიცხიდან, პიროვნული თავუჟმურობიდან ზოგადეროვნული, ზოგადსახალხო მსვლელობისაკენ დროებით თავჩაქინდრული სამშობლოს ღირსების აღსადგენად-თქო, ვეპაექრები ფიქრებში რესპოდენტს, გვაჩ გელენას გოჭებივით სუფრას შემოსეული მრევლის მოწმე; დაახლოებით იმისთანა სულისკვეთებას, როგორც ამას ჩვენი თაკარი გამოივლის, ჩვენი რუზგენ გოგოხია.

თაკარ!

„კაცი, რომლის წინაშეც ქართველ ერს მამულიშვილური ვალი მარად გადაუხდელი დარჩება“

ჭაბუა ამირეჯიბი

ცა — ფირუზ, ხმელეთ — ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო... შეიძლება ამაზე მეტი სიტყვა იყოს, განსაკუთრებით ჩემთვის? იცით, სად ვიმყოფები, ახლა? ციხე ცოტაა. ციხე ცოტაა, როცა ვერც ცას ხედავ და ველარც — სინათლეს, ჩემთის კი ციხეა მთელი ქვეყნიერება თითქოს, მაგრამ მე ხომ მახსოვს ფერები ჩემი სამშობლოსი? დავიწყოთ ლურჯით... მზე ვერ ერევა მას, გინდა კაშკაშებდეს, ხოლო ზღვას თუ წარმოიდგენ ხომ მთლად ცისფერშია ამოვლებული! ან ბავშვი გამოირბენს ცისფერთვალება და იზეიმე მთელი დღე. კიდევ? ჩემი სისხლია ცისფერი. ასე გამზარდეს. ცისფერს ახლა არა აქვს ფასი, განსაკუთრებით ამერიკიდან, მაგრამ ტრადიციულად როგორ? ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, პირველსა ქმნილსა ფერესო... ვისი სიტყვებია, ნეტავ? არ მახსოვს. მე ზეცისკენ გახედვა მინდა და ამიტომ მოზღვავებულა ასე ჩემთვის ეს ოხერი ფერი.

მახსოვს, ბაბუამ თითით გაიჭრა.

შეხედეო, მითხრა ღიმილით, ცისფერიაო ჩემი სისხლი. ვერ დავიჯერე, ვინაიდან წითელი იყო. მერე ჩემს სულში რომ ვიხედები ამწუთას, შავს ვებრძვი, შავს და უკუნეთს, აფრასავით მექაჩება იგი ზევით და ზევით. თეთრი სისულელეა. სულ მეზობლის სუდარას გაგონებს, მაგრამ მოდი, საგნები შევათვალიეროთ ახლა.

მაქვს გაშტიკინებული ორი შპრიცი. ნებისმიერ მუხთალს ამოვჩიჩქნი თვალს და გულსაც გამოვუღადრავ. მერე? არ მკლებია მე ჩექმები, არც — ფურთხი და წუმპე. მე სამშობლო უნდა ავაშენო აქ და ვნახოთ, როგორ გამიმართლებს.

ქარის შეგრძნება მაქვს. არა, რაღაც ქარის მაგვარია ღრიჭოდან რომ უბერავს საიდანღაც. წვერში მიქიქინებს. მუხლებამდე მცემს იგი. ლამის პირში შემიძვრეს. მეუბნება, მხნედ იყავ, თაკარო! ხო, მართლაც, რა არის ეს თაკარ? თუ არ მეშლება, შუკომდე მიწოდეს. შუკო მეომარი პოეტია. კიდევ არიან ბიჭები, ხობიდან, ფოთიდან, სხვები. თოხლაობენ. მაგათ სიკვდილი არ უნდათ. ამათთვის სამშობლო თაფლია ხაჭაპურზე წასმული. სამშობლო ცოტას აქვს და ის ცოტა ამიერიდან მე ვარ. ხომ ვიცი როგორ გრიალებენ ენგურს გაღმა თუ სულაც აქვე. ამათ უხარიათ სამშობლოს მოპოვება თავიანთი ჭკუით, მაგრამ 300 ათასს რომ დედას უტრიალებ, სად არის სამშობლო? ღმერთო, სად არის შენი სამშობლო? საქართველო დედასავითაა. მაშასადამე შენ ამ სამშობლოს წიაღში ხარ. წიაღში ანუ მუცელში, როგორც ამირანი ვეშაპში. დანაა საჭირო, გაფატრავ და თავისუფლებაა. მეც ხომ დიდ ვეშაპში ვიმყოფები, რომელსაც ბეტონის კედლები აკრავს და ვეძებ ბზარებს, ვეძებ ჭუჭრუტანებს, თუმცა არა, მე აქედან უნდა გავიდე მხრებით და არა — ფეხებით. მე მხრებით უნდა გავაღწიო, გესმით? მეხუთე დღეა პირში ლუკმა არ ჩამსვლია. წყალი კი, წყალს მასმევენ და ბალანდას მომიტანენ მწუთხეს. ვინ არის მისი გადამყლაპავი. ხმელი პური მაქვს ჯიბეში. ქვა ნაკლებად რბილია, ალბათ. ჩავიხუტებ გულში იმის იმედით, რომ ცოტათი დამემორჩილოს.

ჟღარუნია. ჩემი ტანჯვის ახალი ეტაპი იწყება. სინათლეს მაინც ვიხილავ. ესეც ნუგეშია. იქნებ სილაჟვარდეც გამოკრთეს საიდანღაც და მთლად — ბედნიერება.

თითქოს დაკითხვაზე გამიყვანენ.

რა არის დაკითხვა?

ცამეტი ანთებული სიგარეტის შიშინი ტანზე. მოვა მერე სვასტიკების დროც, მაგრამ მანამდე გასავლელი ბევრია.

ახლა? მიუჩვეველი ვარ. ფიცხი. გამოუცდელი.

ბედნიერებაა სამხედრო ტყვე რომ მქვია.

ჩემი შერცხვენა თავად აფხაზის შერცხვენაა. ესე იგი აქ გარანტირებული ვარ ხერხემლიანობით დანარჩენი— მჯიჯგნონ, მაწამონ.

ისე, ერთიც უნდა აღვნიშნო, ნახევრად აფხაზი მეთქმის — დეიდა მყავს მათსას გათხოვილი და დეიდაშვილები. როგორი ერთგულები გამომადგებიან, ვნახავთ მაგასაც, მაგრამ ხომ მყვანან, რომლებიც მიყვარან კვლავინ დებუ რად. წყლის შეგრძნების უნარი დამიკარგავს. ერთი ჭიქა რას ეყოფა სხეულს? მეტს ვინ მოგაშავებს. ცრემლი წამომივა უნებლიეთ. უხ, შენი-მეთქი და ჩავიქრობ წყურვილის ჟინს. სხეული მყავს პატრონად, და კიდევ — ღმერთი. ამას ვხედავ, მაგრამ იმას — ვერა. ეს არის ჩემი სიძლიერე. კედელს ფერი ემატება. ვამჩნევ ათას სისულელეს, ნაჩხაპნებს და კიდევ— ვინ მოსთვლის. კედელი მაინც კედელია, ვერ შეხვალ შიგნით.

მეომარი ვარ და მეტი არაფერი. 191 ბრალდებას მიყენებენ. ჩამოთვლა სასაცილოა: თურმე ვარ ყველაფრის მტვირთველი. ო, დიდო უფალო, მიხსენი-მეთქი, ვიტყვი ხოლმე და გგონიათ საიდანმე შვება გამოკრთება? ბაღლინჯოების ზეიმია. კიდევ რაღაც მწერების. ამისთანები ხომ ოჯახში არ არის. კი არ იკბინებიან, გიძვრებიან ბალანში და ნეტარებენ.

ყვირილია. ალბათ, ამუშავებენ. ეს ჩემთვის არ არის სიახლე. ცრემლი მომსდის დედაძაღლი კაცის გამო, რომელიც სამშობლოს გართმევს და იცინის, ხარხარებს. ამ დროს სად არის ჩემი სული, ჩემი ყოფნა?

მებრალებიან ადამიანები, რომლებიც იარაღს ხკიდებენ ხელს. ესვრი და გესვრიან. მაგრამ მერე? რამ მოაწყო ქვეყანა ასე? ქათმის დაკვლის ყურება არ შემეძლო და აგერ, იარაღს არ ვუმიზნებ ჩემს მოსისხლეს? ისიც ამნაირი განწყობითაა, როცა წესით პურს უნდა ვჭამდეთ გვერდიგვერდ; წაგვისისინეს, მოგვშხამეს და იხტუნე აწი. საუკუნე არ ეყოფა ამ სისხლთადენის შეჩერებას.

ერთი მომტანია. ჯერ სახელი არ ვიცი მისი. ისე, გალელია. აუყვანიათ და ათრევს ბალანდით სავსე ბიდონს, კიდევ— რაღაც რაღაცას. მითხრა ამას წინათ:

არ გეწყინოს რუზგენ, უფლებას არ მაძლევენ რომ საჭმელი მოგიტანოო.

შემეცოდება და არ შევუკურთხებ. თავისიც ეყოფა.

ამ ორმოცდაათ თვეში უამრავ ადამიანს გავიცნობ აფსუების ჯოჯოხეთში: გალავარეზებს, დედლებს, ვაჟკაცებს, მაგრამ ეგ ყველაზე პოდლია. შეეძლოს, თავის გადასარჩენად ყელს გამოგღადრავს.

მე ახლა ვარ კაცობის საზომი და აქედან გამომდინარე — საქართველოს საზომიც. გადავრჩები ღირსეულად? გადარჩენილია ჩემი სამშობლოც!

რა დიდებულია ფიქრი. ბაბუა მახსენდება. თეთრი, თეთრი, როგორც გაქუჩუჩებული ტყემალი.

მოდიო, მითხრა, აი, თითი რომ გაიჭრა.

ზემოთ ხომ გითხარით, და არ ვიმეორებ, მაგრამ მანახებს ბალნიან მკლავს შიდა მხრიდან. შლანგივით ძარღვები აქვს. კი არ ჭიმავს, ისე უბრალოდ აქვს შლანგივით ძარღვები. მე პატარა ვარ და მზერას საკუთარ ძარღვებზე გადავიტან; სად არის ბაბუას მსგავსება?! კი, მოგვიანებით უარესად დამებერება მეც სამშობლოსთვის დასაქცევი სისხლით, მაგრამ მაშინ ხომ არ ვიცი აგრე და ვეტყვი: გტკივა-მეთქი.

გაეცინება.

რა სულეო, უფრო ზუსტად, მუა შურიგე.

ძარღვები-მეთქი, ჯერღვი, მხოლობითში.

შეავლებს თვალს და უფრო გადაიხარხარებს.

ბიჭო, ეს ძარღვი სიბერითაა სავსეო.

სიბერე რაა-მეთქი.

სიბერეო, იტყვის და დაფიქრდება. აი, შენ ხარ ჩემი სიცოცხლეო.

ვერ გავუგებ.

მე როგორ უნდა ვიყო შენი სიცოცხლე-მეთქი. შენ ხომ იქით ხარ და მე — აქეთ-მეთქი.

ხო, მაგიტომო, შენ ახლა მიწაზე ხარ, მე ცაშიო.

გამეცინება.

ცაში ფრინველია, ბაბუ-მეთქი.

ფრინველი გეჩვენებაო. სინამდვილეში მე უფრო დიდ ცაში ვარო.

ეხ, არ ყოფილა ჩემი საშველი. ბებია მეძახის და ვედროთ წყლის მოტანას მთხოვს ჭიდან. ეს ვედრო ცოტა მონჭყრეულია. ყვანტალებს. ზედ წვივებზე მესხმება როცა გაივსება. სანახევროდაც შემიძლია წამოღება, მაგრამ მაშინ მეორედაც მომიწევს წასვლა.

ბები, ბები, კიდევ შემეხმიანება ჩემი სისხლ-ხორცი.

გისმენ-მეთქი. ლაფაროსთან ვდგავარ.

ე, თვალის ჩინოო, შეშა მომიტანე, ხინკიო. რძის ადუღების დროა.

გავვარდები და გავვარდები.

ფიჩხის გროვა დაშამბულია ბალახით. მეშინია, კაცო, იქნებ უნასია ჩამალული-მეთქი. ფეხს გავკრავ, თან ყოველ შემთხვევისათვის ჯოხიც მომიმარჯვებია. არ წამოისისინებს? დედა, როგორ დაიფანტებიან წიწილები. თავებს აციკინებენ და გარბიან, ხოლო უფრო მოზრდილი, სულ ჩაშავებულზურგიანი უყურებს, სანამ ჩირგვში შეძვრებოდნენ. მე ამ წუთას ვიგრძნობ ბებიას სიყვარული რაც ყოფილა. ხოლო დედის სიყვარულს ოჩამჩირეში გავიგებ სრულყოლფილად.

მეტყვის: რუზეგნ, შვილო, ჩვენ ჯანდაბას, ნურაფრის გეშინია, ოღონდ სამშობლოსთვის თვალი არ დახუჭოო.

არ დახუჭო კარგია. მელიმება ახლა ამის გამო. ეთქვა თვალებიო, კიდევ არა უშავდა. მთელი ეს წლები ხომ ცალი თვალის დახუჭვა მიწევდა. იმათაც, ალბათ, როცა მიმიზნებდნენ.

მოვა დრო და ნახევარი ტანი წამერთმევა ტყვიების წყებისგან, მაგრამ ამისთვისაც მოვიცლით. ახლა კი, აგერ, ეს ჩემი გალელი, ჩემი შონხეს თანამემამულე მოჩლახუნობს. შეჩერდება კარმუშკასთან. სულელია. თითქოს ხგონია არ მესმის მის ნაბიჯების ხმა. მოაყურადებს კარებს. სული განაბული აქვს, ხომ თქვა საჭმლის მოცემის უფლებას მიკრძალავენო, მაგრამ ხმა ვინ წაართვა ამ ბედოვლათს? მე მზად ვარ ნებისმიერი ვერაგის დასახვერად. ორი შპრიცი ისე ამიფხიანებია, კარგ ქირურგს შეშურდება. თხუთმეტი დღე ვლესავდი ბეტონის კედელზე.წვერი ნემსივით აქვს. არ დამჭირდება საბედნიეროდ.

აქ, ჩემთან, დღეს და ღამეს საზღვარი არა აქვს. ღამე უფრო შინაური მგონია, მაგრამ სპეციალური კამერის ღამე იკითხე შენ! კაცო, მოძვრება ყოველი კუთხიდან. ღამეს აქვს სხეული და სისხო. მოძვრება სულში თუ შინაგანი შუქი გაკლია წასულია შენი საქმე. მაგრამ ჩემში ხომ უამრავი ნათელი ფერია და ეს ჯაბნის ოხერს!

ენგური. ეს წყალგამყოფია ჩემი სულის და არა მარტო ჩემი სულის, საქართველოსი. ჩვენ შევქმენით უჯიგროთა წყება. ომზე არ მაქვს საუბარი. კაცო, ვყიდულობდით ჭინჭებს, ვყიდულობდით ცემენტს, ვატატურებდით, იმხელა სახლი გავჭიმეთ მე და კიდევ — ჩემისთანებმა, ას კაცს ეყოფოდა. იმათ კი ისწავლეს სიძულვილი და იშოვეს იარაღი. იარაღს მოაქვს ხოლმე სითამამე და ყოყოჩობა. თურმე ერთ ბეწოშიც ჩაეტევა ადამიანი, სამარე რომ ხქვია. მაშ, სად მიფოფორობ?

ძალას ვიკრებ ამ საუბრის გადასარჩენდა. სად არის ქაღალდი. ეს ყველაფერი გონებაში იწერება და იმიტომაა ასეთი, რა ხქვია? დაგლეჯილი, მოვარტყი! დაგლეჯილი. მოვლენ ჩემთან სამშვიდობეების ხელშეწყობით ცოლი და შვილი. გავატან მე მაგათ წერილს და იმასაც დავბეჭდავთ ამ წიგნში, მაგრამ ესეც მომავლისთვის გადავდოთ. ახლა ოკეანესთან მისადგომელ ნაპირს ვეძებ და მიშველე, ღმერთო. არ არის ეს ოკეანე იოლი და მით უფრო — ნაპირის პოვნა.

***

„პერიმერიის", დროებითი მშვიდობიანობის პერიოდში, აფხაზებსა და ქართველებს შორის, რომელიც 52 დღეს გაგრძელდება, საომარი მოქმედებების განახლების დამდეგს, 15 სექტემბერს, დილის საათებში ჩემს გაუფრთხილებლად რაღაც თვენახევრის წინ დანიშნული ბრიგადის მეთაური, თურმე ჩვენს დაუძინებულ მტერს შემოიყვანს ბატალიონში და ბიჭები მეტყვიან:

ჩვენს ტანკებს ელგუჯა თოხაძე და მერაბ ქიშმარია სინჯავენ, ათვალიერებენო.

მე ეს საზარელი ფაქტი ძლიერ ამაღელვებს და თანამებრძოლების დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ არ გავალ, რადგანაც ვიცი, იქ რამდენიმე ადამიანის სისხლი დაიღვრება.

თავიდან ყველაფერ ამას დაუდევრობად, სამხედრო საქმის უცოდინრობად და კიდევ ქართულ დოყლაპიობად მივიჩნევ, ან — ზედმეტ თავმომწონეობად ბანაკში შემოპარული მტრის წინაშე: აი, თითქოს რა გვაქვს, რითი გეომებითო, მაგრამ როგორც მოგვიანებით გაირკვევა და არაერთგზის დადასტურდება, საქმე გვექნება ჩვენი ინკოგნიტო ბრიგადის მეთაურის წმინდა სისხლის სამშობლოს გამცემლობასთან; მე ამას სხვა სახელს ვერ ვარქმევ, რაც გამოიხატება შემდგომში ჩემს მიმართ ჩადენილ არაკაცურ ქმედებებში.

საქმე ის არის, რომ 104-ე, 105-ე და 221-ე სიმაღლეების ვაჟკაცური თავგანწირვით აღებისშემდეგ, მიძახებენ შტაბში. ფეხით გავდივარ 6-7 კილომეტრს მეთაურთა ბანაკამდე, სადაც პირველი ბატალიონის მეთაური ანზორ ქარჩავა, და ასევე ერთ-ერთი შენაერთის მეთაური თამაზ ალანია შემომხვდებიან თანამებრძოლებთან ერთად.

ვეუბნები: რა ხდება, რაზე მიძახებენ შტაბში-მეთქი.

ქარჩავა მეუბნება: შტაბში ჩვენი გამოცხადება მეთაურის ბრძანებაო.

მე ჩავუჯდები მას მანქანაში, გავივლით 10-12 კილომეტრს და გავალთ ცენტრალურ გზატკეცილზე, ტრასაზე, სადაც ჩვენსკენ მომავალი ბრიგადის მეთაური შემოგვხვდება თავისი მანქა-

ნით.

ქარჩავა მანქანას შეაჩერებს. იგივეს მოიმოქმედებს ბრიგადის მეთაური და ეძახის:

ანზორ, მოდი ჩემთანო!

მე არ მიხმობენ, მაგრამ არაფერი გამიკვირდება, ვინაიდან დარწმუნებული ვარ სრულ ინფორმაციას ანზორისგან მივიღებ და შექმნილ სიტუაციაში სათანადოდ გავერკვევი.რა-მოდენიმე წუთს ილაპარაკებენ.შემდგომ ანზორი მოდის ჩემთან და მეუბნება:

უკან უნდა გავბრუნდეთო.

რაზე, რაშია საქმე, ისეთი რა გითხრა-მეთქი.

არაფერი, ასეა საჭიროო.

არადა, მეორე დილით უკვე ტყვარჩელში უნდა გადავიდე. ამ გეგმით ვმოქმედებდით ჩვენ და მოვსჭრი:

ანზორ, შენ წადი, მე ჩემს ოჯახს უნდა დავემშვიდობო, ვინ იცის, რა მოხდება-მეთქი.

თვითონ ბრიგადის მეთაურს გახყვება, მე კი შინისკენ გავწევ ოჯახთან დასამშვიდობებლად: ომია, გამორიცხული არაფერია.

იმ დღეს დედაჩემი ძაბული ცხოვრებაში პირველად დამილოცავს გზას შემდეგი სიტყვებით:

აბა, შენ იცი შვილო, არც თავი შეირცხვინო და აღარც — სამშობლოო.

ვეღარ გავუძლებ დედის ცრემლით სავსე თვალებს. მყისვე უკან გავბრუნდები და იმ ადგილს მივაშურებ, სადაც ჩემი სამივე ბატალიონის ბიჭები მოუთმენლად მელიან. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ დისლოკაციის ადგილზე, ის ბიჭებიც დამიხვდებიან, რომელთაც რამდენიმე საათის წინ აღებული სიმაღლის დამცველად დავტოვებ. კონსერვს არ შეექცევიან მადიანად? გავცოფდები.

რა ხდება ბიჭებო, ხომ არავის შეუცვლიხართ-მეთქი.

გაკვირვებით შემომხედავს ოთხივე.

თქვენი ბრძანებით დავტოვეთ სიმაღლე, უფროსოო.

ვისი ბრძანება, სადაური ბრძანება-მეთქი — სისხლი თავში ამასხამს.

რაციით გადმოგვცეს, რომ რუზგენ გოგოხიას ბრძანებით სიმაღლე უნდა დატოვოთო და იქვე ერთ-ერთ ჩემს თანამებრძოლს შეხედავენ განრისხებულის თვალებით, რადგანაც ინფორ-მაცია უშუალოდ მისგან მოდის.

ვხედავ, მხრებში ძვრებიან, ავტომატს წამოვავლებ ხელს, შევკურთხავ ყველას და ვბრძანებ:

არავინ გამომყვეს, თორემ ყველს მიგახვრეტთ-მეთქი.

მიტოვებული სიმაღლისკენ მარტოდმარტო მივეშურები, მაგრამ მესმის გამალებული ნაბიჯების ხმა. ვამჩნევ, უკან მომყვებიან მოტყუებული თანამებრძოლები, რომლებიც ამ სამხედრო შინაგანა-წესის დარღვევაში უბრალულნი არიან.

მივუყვები აღმართს. ჩემზე უფრო ახალგაზრდა, გულშემართული ბიჭი ბილიკზე გადამისწრებს, თემურ შენგელია, რომელიც დღესაც სასაზღვრო დეპარტამენტის თანამშრომელია, ვიცე-პოლკოვნიკი.

ავალთ თუ არა, მოპირდაპირე მხარეს ადამიანის სილუეტი გამოჩნდება.

რომელი ხარო, შეეხმიანება ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე: და იქიდან მაშინვე მო-დის ავტომატის ჯერი. ყველანი მიწაზე დაეცემიან. მე კიდევ გარინდული ვდგავარ, მოგვიანებით ჩავიმუხლებ თანამებრძოლთა აშკარა უბედურებით რეტდასხმული და ამოვიღრიალებ:

დაგვხოცეს, ბიჭებო! ხედავთ, რა გვიქნეს! აი, რას ნიშნავს ღალატი შიგნიდან-მეთქი!

თემური მპასუხობს:დაწექი, მეთაურო, მე ცოცხალი ვარო.

სხვებიც გაიღებენ ხმას: ცოცხლები ვართ, დაწექი, მეთაურო, დაწექიო, მაგრამ არ წვება შენი ნუზგენი! სიხარულით აღფრთოვანებული მტრისკენ შემოვტრიალდები. ნორჩ თხმელას ამოვეფა-რები.

აფსუებო, ჩვენთან ვერაფერს გახდებით-მეთქი, ვჭექავ და ასეთ მომენტში რუმინული ავტომატის სამი გასროლის ხმა მომესმება და ამასობაში პირიც გამებერება, ცხელი სისხლით ამევსება. მთელი ტანით ვდგები, ბიჭებს სათითაოდ გადავაბიჯებ. ვუმალავ დაჭრილი რომ ვარ, ვინაიდან შეიძლება შემომეშველონ და ესენიც ჩამიხოცონ. ოთხი ნაბიჯის შემდეგ დათვივით ჩავკოტრიალდები ფერ-დობზე და ქვემოთ ჩავეშვები.

იქ უკვე ჩემი თანამებრძოლები მხვდებიან. ჩუმად ვეუბნები ბიჭებს:

მე ჩემით გავალ, თქვენ კი იმათ მიეშველეთ, მტერია ზევით, სიმაღლეზე. ფრთხილად იყავით, ძმებო-მეთქი.

მე კი სამი თუ ოთხი კაცი ამიყვანს, დანარჩენი სიმაღლისკენ გაეშურება.

არ ვიცი რა მჭირს. თურმე ზურგის მარჯვენა მხარე ტყვიას ამოუგლეჯია.

ჩემი მოადგილე ბრძანებას გასცემს: ტანკით წამიყვანონ, რადგანაც რწმუნდებიან სასიკვდილო ჭრილობა მჭირს.

წინააღმდეგობას ვუწვ, თუმცა საველე წესით მეთაურის სიკვდილის ან დაჭრის შემდეგ მის ფუნქციას მოადგილე იღებს და აქ უკვე უძლური ვხდები, უნდა დავემორჩილო ბრძანებას.

მსვამენ ტანკ'ში. მე უკვე ვხვდები: სიმართლეს მიმალავენ, არა — ჩემები, არამედ — ისინი, რომელთაც ეს ბრძანება გასცეს. მიდის ტანკი. გუმანით ვხდები რამდენი მანძილია დარჩენილი ,,კამანდნი პუნქდამტე''. ასეთ მომენტში ჩემს გვერდით მყოფი, ჩემი მეუღლის ბიძაშვილი თენგიზ შონია მეტყვის:

რუზგენ, ნუ გეშინია, არ მოკვდებიო.

მე კი სულ სხვა ეჭვები მიღრღნის სულს: ნუთუ ჩაგვტოვეს?!

მთელი ტანით ამოვიწევი ტანკიდან მეგობრების დახმარებით. თურმე ზედვე მივსდგომივართ დანიშნულების ადგილს. თვალები ცრემლით მევსება; მთელი ხმით ვყვირივარ:

ჩაგვტოვეთ, უნამუსებო! გვიღალატეთ, არა?!

და ვეშვები ტანკის სიღრმეში ილაჯწართმეული და სასოწარკვეთილი.

როგორც შემდგომში ვგებულობ, ჩვენი ინკოგნიტო ბრიგადის მეთაური თურმე ყველაფერში გარკვეულია ტრასასთან შეხვედრისთანავე, მაგრამ უმკაცრესად აფრთხილებს ქარჩავას:

სოხუმი დაცემულია, სიტუაციას მაინც ვერაფერს ვუშველით; გოგოხია ხომ იცი, როგორი შიშტიგინია, უკანდახევა არ იცის, ტყუილუბრალოდ ჩავიხოცებით. ამიტომაც ნურაფერს ეტყვი, თქვენ კი გამოდით უკლებლივო. ადგილზე ერთი კაციც არ გვხვდება. უფრო მეტიც, მთელი ოჩამჩირე დაცლილია, არა თუ მშვიდობიანი მოსახლეობისაგან, თვით — მეომრებისგანაც.

შტაბში ორ უპატრონო ჯარისკაცს გადავეყრებით. ამისი ერთადერთი მხილველი იური ქვაჩახიაა, რომელიც მაშინვე უკან ბრუნდება და ბიჭებს ეუბნება:

აბა, ჩქარა, ქალაქი დატოვებულია, თავს ვუშველოთო!

ყველაზე საუბედურო ის არის, რომ ოთხი ახალგაზრდა მეომარი, მამუკა ქარდავა, გამახარია, და კიდევ — ორი, რაღაც სტრატეგიულ წერტილს რომ იცავდნენ, ჩარჩებიან იქ სამუდამოდ,. არც ცოცხლები ჩანან და აღარც — მკვდრები.

15 სექტემბერს, ომის განახლების წინადღეს, ბრიგადის მეთაურის კაბინეტში შევალთ მე და ჩემი თანამებრძოლი, შემდგომში მეორე ბრიგადის მერვე ბატალიონის მეთაური, იგივე ჩემი მოადგილე. მე მივუჯდები მის მაგიდას, რადგანაც შიგნით არავინ დამხვდება. ვახტანგი კი გვერდში მიდგას. ავტომატი იქვე მიდევს. ასეთ მომენტში კარი ელვის სისწრაფით იღება და ჩემდა გასაკვირად შემოდის მერაბ ქიშმარია, აღმოსავლეთ ფრონტის მეთაური.

ვითომცადა ჭიანჭველები ვიყოთ, აინუნშიაც არ გვაგდებს. სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვება. ამას ემატება ბრიგადის მეთაურის ფეხდაფეხ შემოსვლა. მიეჭრება და უნდა გადაეხვიოს, მტერი ჩაპროშნოს, მაგრამ იგი იმდენად ძლიერია, ახლოსაც არ მიიკარებს ჩვენი ინკოგნიტო ,,ბოევიკის'' ღრანჭებს.

მე ინსტინქტურად ავტომატს ვტაცებ ხელს. ვახტანგ გურგენიძე ზედვე დამაწვება: არ შეცდე, არ შეცდე რუზგენო, ამას მეჩიჩინება. წამომაყენებს. მე კი შერცხვენილი, ავტომატდაშვებული გავდივარ გარეთ და ვხედავ საოცრებას — კართან აქეთ-იქით დგას ავტომატმომარჯვებული ორი აფხაზი. როგორც შემდგომში ირკვევა, ერთ-ერთი გოგოხიათაგანი აღმოჩნდება, რომელიც ორიათას წელს დათო შენგელიას ოჯახს დაეცემა და მშვიდობიან, უმწეო ადამიანებს ამოხოცავს.

მე კი გავრბივარ ქალაქის ცენტრისკენ, სადაც თავს იყრის კოჩარიდან ქიშმარიას მიერ დედაწულიანად გამოდევნილი მოსახლეობა და ვეუბნები მათ:

ჩახერგეთ შესასვლელი, რადგანაც იქ ჩვენი მტერი ქიშმარია უზის ბრიგადის მეთაურს. მე კი ვუძახი ჩემს ბიჭებს: ტანკიანად! თქვენი გამომრეკავი სისხლისმსმელის აყვანას უმტკივნეულოდ მოვახერხებ! ამისი თქმა და ისევ შტაბში ვბრუნდები.

ვუკავშირდები ჩემი ბატალიონის ბიჭებს და ვაძლევ ბრძანებას: ორი ტანკითა და 30 კაცით საჩქაროდ შტაბში მომაშურონ! ამასობაში ჩემს ყოფილ მოადგილესთან, რომელიც უკვე დაწინაურებულია და ბრიგადის მეთაურის მოადგილედ არის აყვანილი აღმზრდელობით დარგში, შევდივარ კაბინეტში და ყველაფერს ვეუბნები შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. მისგან კი ასეთ პასუხს ვღებულობ:

რუზგენ, შენ მართალი, ხარ, ომი ჯერ დამთავრებული არ არის, მაგრამ ამგვარი საქციელის გამო დედაბუდიანად ამოგჟლეტენ, რადგანაც ყველაფერს შენ დაგაბრალებენო; ამოგჟლეტენ, აფხაზე-

ბიც და — ჩვენებიც, როგორც პროვოკატორს, როგორც მშვიდობიანი მოლაპარაკების ჩამშლელსო.

არ ვეთანხმები, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მისი ლოგიკა ჭკუაში დამიჯდება და დამიყოლიებს. იღებს ყურმილს და აფრთხილებს ბატალიონის ბიჭებს: განგაში მოხსნილიაო.

ახლა, რომ ვაკვირდები, იური ქვაჩახიაცა და ვახტანგ გურგენიძეც ცამდე მართლები ყოფილან, განსაკუთრებით — ეს ბოლო, ვინაიდან შტაბში თუ მე ქიშმარიას გავუსწორდებოდი, ყველა ბრალდება ჩემსკენ წამოვიდოდა და ამოჟლეტვა რა მოსატანია, გაუძლებდა კაცი, თვით სამშობლოს მოაღალატედაც შემრაცხავდნენ.

შევხედოთ რა სურათი გადამეშლება გალში, როცა ტყვეობაში აფანიდან ერთ საათში, სპორტულებში გამოწყობილი ქიშმარია აღფრთოვანებული სახით შემოვარდება: თითქოს ოტო სკორცენი ვიყო — მგლებივით გარს მეხვევა რუსობა, ჩეჩნობა, აფსუები; ქიშმარია კი არ კმარობს ამ პრესებს, მანჯღრევს ავღანური სისხლით გასისინებული, ზეიმობს, მჭახე ხმით გახყვირის:

ჩაგიგდეთ ხელში?! ძალიან მინდა შენი სათანადო დამუშავება, მაგრამ შენს ბედზე კარგ ხასიათზე ვარ, ღმერთს უმადლოდეო.

ამასობაში ვეუბნები ჩვენებურად □მეგრულად), ზომაზე მეტად გახუზებული ხარ მერაბჩიკ! რა უნდა დამაკლო უკვე ისედაც იმ ქვეყნად მიმავალ კაცს-მეთქი. ის, რაც თქვენ იკადრეთ, ფაშისტიც არ ჩაიდენდა; მოლაპარაკებაზე მისულს მუხანათურად მიმუხთლეთ, თუმცა ვაჟკაცობით როდის გამოირჩეოდით-მეთქი.

ემწარება ყველას. წამოიშლებიან, რათა ისევ ფეხებით შემსდგნენ, მაგრამ კვლავ გენერალი ქიშმარია დააშოშმინებს თავისანებს. ჩემს მისამართით კი იტყვის ათას როზგსა და ლახვარზე მწარე სიტყვას:

აბა, თქვენ მყავხართ ვაჟკაცობის განსახიერება! ხომ გაიქეცით კურდღელივით ენგურს გაღმა? გენერლები ბეტეერებით და ტანკებით უსწრებდით მშვიდობიან მოსახლეობას. ქალწულებს ჩვენ გვიტოვებდით, კრახებო! იცი, რუზგენჩიკ, რას გეტყვი, ,,პერიმერია'' გახსოვს, თხუთმეტი სექტემბერი, როცა თქვენი მეთაური გუდავაში ხარს მიკლავდა, ხელებს მიკოცნიდა?! იცი, რის გულისთვის? როცა ხაროშნიკობდა, მე მილიციის თანამშრომელი გახლდით, ის კი მანქანით დატასაობდა. თვალს მაშინაც ვერ მისწორებდა. შემოვედი თქვენს ბუნაგში, ვითომ მოსალაპარაკებლად. ამასობაში მე ყველა წერტილი გონებაში დავაფიქსირე, ნაბიჯ-ნაბიჯ გავზომე თითოეული სამიზნე. როგორი არტილერისტი ვყოფილვარო, მომიტრიალდება.

უცებ ვერ მივხვდები, რას მეკითხება.გაკვირვებულ მზერას მივაპყრობ. ის კი იქედნური სიცილით გააგრძელებს:

ხომ ჩავაძალე თქვენი ,,ალკაგოლისტი'' პროკურორი აბაშიძე? სულ ოცდაათიოდე ნაბიჯით შევცდი, თორემ თქვენს ბუნაგს მთლად მიწასთან გავასწორებდი, მაგრამ რაც მოვახვედრე ისიც საკმარისი აღმოჩნდა გამენადგურებინეთ. ეგ შენი შავი მძღოლი ხომ გავაცურე ბაღანასავით. კიდევ იძახი ვაჟკაცობით არ გამოირჩეოდითო? ბედი შენი, დღეს კარგ ფეხზე ავმდგარვარ, რუზგენჩიკ.

ზემოთ ხსენებული აფხაზი ეროვნების ალიკ მიქავა, დედით ადლეიბა, აი, რას ყვება ჩემი ბატალიონის წევრის, იგივე ჩემი თანამებრძოლის, ნუგზარ შონიას ბიძის შესახებ დედის მხრიდან. ფემი, იგივე ფედია ამედოვი, ეროვნებით ლაზი, რომელსაც მეუღლე აფხაზი ხყავდა, დარჩენილიყო იქ და თავისი პროფესიით მუშაობდა, ელექტრომონტიორი იყო. აგრეთვე, ქართველი გურამ მიქავა, რომელიც ჩემი ძმის თანაკლასელია, მეუღლე ხყავდა რუსი, ბრძოლას ახლოსაც არ გაკარებია, მაგრამ ისიც იქვე დარჩა და ემსახურებოდა აფხაზურ საქმეს, ,,აფხაზელექტროს'' უფროსად დანიშნეს. სხვათაშორის აღსანიშნავია, რომ მისი ძმა გია მიქავა აქ არის.

მახარაძის ქუჩაზე აკეთებდა, ბოძზე იყო ასული კიბით. ასეთ მომენტში ხელსაწყო ჩამოუვარდა და ამ უბედურიშვილმა გურამ მიქავას დაუძახა მეგრულად: გურამ, პლოსკოგუბცი ქუმმოჭირინდევა*

ამის გაგონებაზე მოპირისპირე მხარეს მეორე სართულზე ადის ავტომატიანი აფხაზი, რომელმაც გაიგონა ეს გადალაპარაკება, უმალ მოტრიალდება და ღრიალებს:

კტო გავარიტ საბაჩიმ იაზიკომო.

პასუხისთვის არც დაუცდია. შემართა იარაღი და დაუმიზნებლად ესროლა, მოხუცი კაცი კი ჩიტივით ჩამოვარდა ბოძიდან.

ამას მიყვება ალიკ მიქავა, იმასთან დაკავშირებით, რომ გურამ მიქავა, რომელიც მე წარვუდგინე, როგორც ქართველი, მან დაცინვით მითხარ; ის რომ ქართველი ყოფილიყო, თქვენ გამოგყვებოდათ და აქ არ დარჩებოდაო. ესეც რომ არა მამის მკვლელს სისხლს თქვენს მეტი რომელი შეარჩენსო.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ღმერთის სამართლიანი განჩინება არსებობს. მალე წაიღო წერილი, რამდენიმე თვეში აღესრულა: პატარა მდინარეზე თევზაობდნენ თურმე დენით. ერთ-ერთი აფსუა ამოტრიალებული თევზის დანახვისთანავე დასახმარებლად წაწეულა, შევარდნილა მდინარეში და იქვე განუტევებია სული. ქართველი ძმების ღალატი უფალმა არ აპატია არაკაცს. აი, როგორი ინკოგნიტო ბრიგადის მეთაურზეა საუბარი, მაგრამ ეს მთლად ნაკმაზი, აწია მთავარი და საარაკო:

„პერიმერიას" აფხაზური მხარე ცალმხრივად დაარღვევს და უკვე 16 სექტემბრის ალიონზე მირეკავენ:

„გატოვნოსტ ნომერ ადინ!"

ახლა ყველაფერს ვხვდები, რაშიცაა საქმე: ყურმილშივე ვაგინებ ინფორმატორს:დამთავრებულა ომი, რომ გეუბნებოდით-მეთქი?

შტაბში შეხლა-შემოხლა გვიხდება.

ბრიგადის მეთაური ბრძანებას გვაძლევს: ჯარის განლაგების ადგილები დავიცვათო.

მე მაშინვე ვბრუნდები დისლოკაციის ადგილზე და მეკავშირეების მეშვეობით ვიგებ, რომ ჩვენს მოპირდაპირე მხარეს მტერი კანტიკუნტად ისვრის. აშკარად ვხვდები, რომ ეს გამომწვევი მანევრია, რათა ჩვენი ძალები ადგილზე დააჯაჭვონ და ფორსირებულად მომავალი მტერი შეუფერხებლად შემოჭირას ოჩამჩირეში, რისი დასტური გახდება ცაგერაში მომხდარი ინცინტენტიც:

ბატალიონში სულ 70 რეზერვისტი მყავს. აქედან 40 კაცს ვაიარაღებ მაშინვე. ჩემი 4 ტანკი, რომლის სასხლეტები სხვა დანარჩენ ტანკებთან ერთად ქიშმარიას კვალდაკვალ შემოსულ დივერსანტებს განიარაღებული აქვთ და რუსეთის საზღვაო ფლოტისათვის ჩაბარებული, საომარ მოქმედებაში მომყავს. მე, როგორც თანდაყოლილი წინდახედულებით გამორჩეულს, ჩემს თანამებრძოლებთან ერთად, ყოველთვის თუ სადმე დამწვარ ტანკს ვნახავდი, სასხლეტებს ვხსნიდი, და შავი დღისთვის ვინახავდი. აკი, გამოგვადგება კიდეც და ხუთ წუთში ჩვენი 4 ტანკი გამართულია. 40 კაცს გამოვიყვან, ორი ტანკი თან მიგვყავს, გვგონია, რომ მერკულაშია დიდი ბრძოლები, რადგანაც მსხვილკალიბრიანი იარაღის ხმა იქიდან გვესმის. ადგილზე დატოვებულია 30 კაცი და ორი ტანკი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთ საათში უკან უნდა გამომყვნენ.

მივადგებით საქობალიოს, იგივე მერკულას. კანტიკუნტი სროლებია. არადა, მარცხენა მხარეს ცაგერა იწვის. ეს ყველაფერი ხელისგულზეა გადაშლილი. მაშინვე იქთკენ გავეშურებით. მივალთ და რას ვხედავთ: ვეება სოფლის ნახევარი ცეცხლის ალში გახვეულა. მე კი 15 კაცით უკნიდან ვუვლი მტერს, ტანკისტს ვეუბნები: გარკვეული დროის შემდეგ მოგვყვით, რათა მოტორის ხმაურმა აფსუების ყურადღება არ მიიქციოს-მეთქი.

შევდივართ ცაგერაში ზღვის მხრიდან. აფხაზებს თავისიანები ვგონივართ.

ასეთ მომენტში, ჩემს გვერდით მყოფი მეზობელი შენგელია ტყვიით განიგმირება — ეტყობა იცნეს. ამასობაში ჩვენი ტანკებიც წამოგვეწევა. აფხაზები კი გაქცევით შველიან ვითომ თავს, მაგრამ ვაი ისეთ შველას! ქიშმარიას წამოყვედრებული კურდღელები კანფეტებია! აფეთქების ტალღა, ჭურვის გრიალი, ტალახი და სხეულები ერთმანეთშია აზელილი. მათ შორის ქალიც ყოფილა თურმე, ქათქათა მუხლებით გავარკვევთ ამას. სიმინდებში შევარდებიან. მივედევნებით და იქ რვას სულს გავაფრთხობინებთ, მაგრამ უკვე არა დამიზნებით, არამედ ბრმა გასროლით.

მათ შორის ერთი მეცნაურება, გვარად ანუა, რომელი ბედოვლათი ოთხმოც წელს მიღწეულა და ჯიბეები ალუმინის დანა-ჩანგლით ამოვსებია. ვერცხლის მაინც მოეპარა უბედურიშვილს, მაგრამ როგორც ჩანს, ახალგაზრდებმა გადაასწრეს.

ომის ბატალიებში ჩართულს, ენა გამექცევა, თუმცა მთავარზე მოგახსენებთ ახლა: ჩემს ბიჭებთან ერთად გმირი ცაგერელი მეომრები და მათი მეთაური სოსო სილაგაძე, რომლებიც ოთხი საათია ითხოვდნენ შველას და თურმე სულზე მივუსწრებთ, კვლავ მობრუნდებიან საომრად. უკვე გაერთიანებული ძალით, ომახიანი სულისკვეთებით საომარი ტექნიკით კბილებამდე აღჭურვილ მრავალრიცხოვან მტერს კუდით ქვას ვასროლინებთ; 21 აფხაზი და რამოდენიმე ჩრდილოელკავკასიელი მოხალისე რუსებთან ერთად □ვითომ სამშვიდობო ძალების მისიის აღმსრულებელნი, სინამდვილეში ჩვენს წიანაღმდეგ დაგეშილები), სამუდამოდ დარჩებიან ბრძოლის ველზე. ჩვენს მხრიდან ერთი ბიჭი გამოგვეცლება ხელიდან, ოთხი დაგვეჭრება; ავღანეთის კოშმარებს გადარჩენილი გალელი გოდერძი ზაქარაია მაინც და მაინც აქ დაკარგავს ფეხს, თავისი ეზო-ყურის მახლობლად.

ამგვარი საომარი ნადავლით წელში გამართულები, ლამის გამარჯვების ჟინით შეპყრობილები, თამამად მივქრივართ ოჩამჩირის ცენტრისკენ. ჯილდოები რა სათქმელია, მაგრამ ადამიანურ მოპყრობას, სამადლობელ სიტყვას ნამდვილად ველით, მხრებზე ხელის დარტყმას მოწონების ნიშნად, მეომ-

რული სულისკვეთების შექებას.

ნურას უკაცრავად. ჯოჯოხეთიც თურმე აწი მელოდება:

ჩვენი ინკოგნიტო ბრიგადის მეთაურთან ამაყად შევდივარ. საბრძოლო პატაკის ჩაბარება მინდა. ის კი ერთიანად გაფითრებული თავისი ჟარგონული სიტყვებით მომმართავს და ცხვირწინ ქაღალდს მიფრიალებს:

აი, შენი დახვრეტის ბრძანებაო.

შეითხარე-მეთქი, ვაჯახებ და მივტრიალდები გასასვლელისკენ. ის კი განაგრძობს: მართალია, ცაგერლები კი გადაარჩინე, მაგარამ ომის წესები დაარღვიე, დახვრეტაც ამისთვის გამომიცხადებია. ჯანდაბას კანონი, მაინც ძმები ვართ! ახა, ხომ ხედავ, დავხიეო და მესმის ქაღალდის გაფხრეწვის ხმა. ამასობაში ამ ხმას ავტომატის ჯერი შეენაცვლება და გარეთ გავვარდები.

სოსო სილაგაძე გამხეცებული სახით ცხრილავს შტაბის შენობას, მის ინტერიერს. ბრიგადის მეთაურის მოადგილე არტილერიის დარგში. პოლკოვნიკი ნაურ ჯიქია რაღაც მანქანებით გადაურჩება აშკარა სიკვდილს. ხუთი სანტიმეტრით მაღალი ყოფილიყო, თავს წააცლიდა.

ოთხი საათია შველას ვითხოვ და მატყუებთ, ამწუთში მოვალთო, მაგრამ, რუზგენის მეტი ჩემთან არავინ გამოჩენილა. ესაა სამშობლოს დაცვაო, ყვირის მთელი ხმით სოსო სილაგაძე.

ნაურს რას ერჩი, ძმაო, ესროლე იმას, ვინაც ზურგში ლახვარი ჩაგცა-მეთქი, თითს მივაშვერ ბრიგადის მეთაურის კაბინეტს. შენით ხედავდი სულზე მიგისწარით. მერე ლამის გამტყდარი ხალხი შემოგვიერთდით და ერთობლივი თავდადებით ქართული საქმე გავაკეთეთ, მაგრამ ამასობაში ამ ღმერთძაღლს ჩემთვის დახვრეტის ბრძანება გამოუტანია და თუ ვინმეს აქვს სასროლი ,,თავისიანისვთის'' — უწინარესად მე, ძმაო-მეთქი.

გაოცებული მომაჩერდება და მკლავები მოწყვეტით ჩამოუცვივდება.

სალაპარაკოს მეტი რაა, მაგრამ ამჯერად ცხონებული შურა წულაიას ნათქვამს გავიმეორებ: ხემ ბრძანა, ნაჯახი რას დამაკლებდა, შიგ ტარად ჩემიანი რომ არ გაჩროდესო. და სავალალოდ სწორედ ასეთი აღმოჩნდება ჩვენი ინკოგნიტო ბრიგადის მეთაური თავით ფეხებამდე.

***

აფხაზური პატიმრობის მეჩვიდმეტე თვეა. ვზივარ მეექვსე საკანში. მეშვიდე საკანიდან ,,მირეკავენ'', ასე ეძახიან საპატიმროში კაკუნს.

ვინა ხარო.

მე კი მივუგებ, რუზგენ გოგოხია-მეთქი. არა, მთლად ბოლომდე ვერ მოვასწრებ, საკუთარი ადგილ-სამყოფელის დასახელებას, ისე ყვირის:

ცოცხალი ხარ, რუზგენ, შე ღმერთძაღლო?! ყველას მკვდარი გვეგონე! სული როგორ გიდგას, ბიჭოო.

შენ ვინა ხარ, რომელი-მეთქი.

ოთარი ვარ, აჩბა, ომეხ აჩბას შვილიო.

არადა, გამიხარდება, ვინაიდან ჩემი აფხაზი დეიდაშვილის თანაკლასელია.

ბიჭო, შენ მაინც რისთვის დაგიჭირეს-მეთქი.

თბილისში სიმამრი დავასაფლავე ომის დროს და ეს არ მაპატიეს ახვრებმაო, მომდგნენ კარზე და მეუბნებიან:

დაჯექი ქართველო, ბიჭოო. ,,ემვედეს'' საბუთებს ცხვირწინ ამაფარებენ. მოღალატის იარლიყის მოწებება უნდათ და შევუკურთხავ არძინბას სეპარატისტულ ხროვას.ჩემი ნდობის მოპოვებას ლამობს. მთლად ისეთი გულუბრყვილო როდი გახლავარ, მიამიტურად ვენდო, უკვე 17 თვეა, რაც აფხაზური სვასტიკები გამომივლია, მაგრამ კაცს სიტყვით ენდობიან, მით უმეტეს სამი-ოთხი დღეა სიგარეტს და ძეხვეულს მიგზავნის. ერთპირებას გამიელვებს გონებაში: მოწამლული ხომ არ არის-მეთქი, მაგრამ მე მზადა ვარ ამნაირი სიკვდილისათვისაც, ვინაიდან ქრისტიანი კაცი ბაწარში არაფრისდიდებით გავყოფ თავს. ჩემი აღსასრული ქე მაინც იმათ დაბრალდებათ, სამაგიეროდ უფალს პირნათელი მიუვალ.ხოდა, განაბობას რომ ჩემულობს შავი მასტი, ნასეტკა არ აღმოჩნდება?! დაუვერბოვკებიათ. ყოველ ღამე ყასიდად ექიმის შველას და დახმარებას იხვეწება. სადღაც გულის კუნჭულში, ბოლომდე არაფრისდიდებით ვენდობი, მაგრამ მივყვეთ მოვლენების განვითარებას, ღმერთის დაწერილს ხომ მაინც ვერაფრით ავიცდენთ? და უკვე მეოთხე თუ მეხუთე დილით, კარმუშკასთან მივირბენ. როგორც ყოველთვის, სიგარეტის ნაფაზი მომწყურებია, ის კი ალესილი კოვზის ტარით გამოქანდება თვალის გამოსათხრელად, თუმცა მე შინაგანად ყოველთვის მზად ვარ საამისოდ, მყისვე უკუვიქცევი, და მივაფურთხებ კიდეც.

ორმხრივი გინებაა.

ახლა ხვდება საქმე ვერ არის კარგად. დასწრებაზეა. კამერაში გისოსებს მივარდება:ტიურმაო, ყვირის, მიგდეთ ყურიო, ფეხზე წამოაყენებს მთელს ციხეს გამართული რუსულით. იცით, ჩვენთან ვინ ზის, რომელი მხეცი! ჩვენი ჯიშისა და ჯილაგის ამომგდები! ჩვენი ქალების გამაპატიურებელი! ჩემი სახლის დამბუგველი სატანა! ჩემი ბიძაშვილის გამბახებელი, (რომელიც თითქოს ფულის გამოძალვის მიზნით მომეტაცოს, ჩვენი დალილა ხორავას ალალი ბიძაშვილი და ამდენად— ჩემი სისხლ-ხორცი ნონა ანჩაბაძე), — მხეცივით ცოფებს ყრის ეს არაკაცი. — ორი წელიწადია სხვისი სახელითა და გვარით იმალებაო, — ბრდღვინავს,— ჩვენს სამართალდამცავებს დიდ ფულზე უნდოდათ გაყიდვა, მაგრამ ჩვენმა პრეზიდენტმა ყველაფერი შეიტყო და კოვზი ნაცარში ჩავარდნია. რისი სასამართლო, რისი მართლმსაჯულება, აქვე მოვუღოთ ბოლო! აქვე ჩავაძაღლოთ! არ ვაღირსოთ ერთი წუთით სიცოცხლეო.

არადა, ჩემთან ზის შავი სამყაროს წარმომადგენელი, მეტსახელად „ბარსუკი", სოხუმელი კოსტავა და მთელის სერიოზულობით მებუნება:

რუზგენ, ცუდად არის საქმე. შენი ცხოვრება ამიერიდან აქ ვერ წავა. თუ მართალი ხარ, გამოდი რეჟკაზე □იგივე გისოსებზე) და იმართლე თავი ციხის წინაშეო.

სხვა რა გზა დამრჩენია ცამდე მართალ კაცს?! ჩემსას მაინც გავიტან.

ჩემთვის ვერაფრით იქნება სულ ერთი დახვრეტას რის გამო მომისჯიან როგორც სამხედრო ტყვეს თუ კრიმინალს, რომელსაც ათას გამოგონილ სისაძაგლეს მომაწერენ ცრუ მოწმეების შეკოწიწებული ჩვენებებით. სანთელ-საკმეველი თავის გზა-სავალს არ დახკარგავს, სამართალი პურს ჭამს: ველარ ეღირსებიან საველე მეთაურ რუზგენ გოგოხიასგან ქვეყნის გამყიდველის გამოხარშვას და მაინც ქვეყნის პრეზიდენტის ჩაურევლად თავაწეულ თავისუფლებას ვერაფრით ველირსები. ენგურის ხიდიდან დავბრუნდები სამშობლოში. მერიდება საკუთარი გრძნობების გამხელა, არადა, უთქმელობაც საზიანოა — გაუტეხელი ვარ აკვნიდანვე.

ეს ყველაფერი წვეთია გადატანილთან შედარებით, უშველებელი ოკეანეს პატარა ტალღა, თუნდაც ჩვენი ინკოგნიტო ბრიგადის მეთაურის მიმართებითაც და ქაღალდს მიღმა დარჩენილი ზღვა სათქმელი ბოღმასავით რომ არ დამრჩეს ჯავრით გასენილ გულში, ერთი ნიშანდობლივ შტრიხსაც მოვიშველიებ.

ნასედკა ოთარ აჩბას იმწამსვე გაათავისუფლებენ.

ბუნებრივია, მე თავს გავიმართლებ ციხის წინაშე, ყველა ჩაჩუმდება, მაგრამ ადმინისტრაციას რას უშვრები? მთელი მინისტრობა აქ შეყრილა, როგორც — „კაგებე", ისე — „ემვედე". მაფურთხებენ, დამცინიან:

ხომ გამოვლინდა შენი ბრალეულობაო.

კარცერში ჩამაყუდებენ.

იქაური კოშმარების მოყოლა შორს წამიყვანს. ჩვენთვის უფრო საინტერესოა გალელ მურთაზ გარმელიაზე დავძრათ სიტყვა, რომელიც ჩემთან ერთად ზის სოხუმის ციხეში ოთხთვე ნახევარს.

მურთაზი, ცხადია, ზედმიწევნით იცნობს უკვე ჩემს სიმართლეს, ჩემს გასაჭირს.რის ვაივაგლახით სუფთა ხაერზე მოუწევს გასვლა ოთხმოცდათექვსმეტში.ხოდა, სულივით დავბარებ, ჩემი გულის ვარამი ინკოგნიტო ბრიგადის მეთაურთან მიიტანოს, კონკრეტულად კი ის, თუ ნაძირალა აჩბა როგორ მომექცა, თავისი ჭკუით როგორ გადმომაყარა თავზე არარსებული ჭუჭყი და დარდუბალა.

ჩემთვისაც ცნობილია, რომ აჩბას ცოლოურები საქართველოში ხყავს. ხომ განთავისუფლებულა თავისი პოდლური საქციელით. ალბათ, იქითკენ გაუტევს დღეს იქნება თუ ხვალ-ზეგ და ამისი შეტყობინება მინდა. თანაც გულით მწადია, ბოლომდე დავრწმუნდე ინკოგნიტო მეთაურის კაცურკაცობაში, ხომ შეიძლება წმინდა სამხედრო პოზიციიდან აფასებდა ჩემს საქციელს? ცაგერას კი გადავარჩენ სრულ გადაბუგვას, მტერს ერთობლივი ძალისხმევით გავანადგურებთ, მაგრამ სინამდვილეში საბრძოლო შინაგანაწესს მართლაც დავარღვევ. ამას ვერსად გაექცევი. ესაა გულს რომ მიღრღნის. ბოლომდე მინდა დავრწმუნდე, სანამ ჩემს კეფაზე „მაკაროვის" ცხრა გრამიანი ტყვია აყენებულა, ეს ერთადერთი ეჭვი მაინც მომშორდეს გულიდან. ამისთვისაც გავაყოლებ ჩემს სულს, ჩემს უკანასკნელ სათხოვარს მურთაზ გარმელიას:

უფრთხილდით აჩბას, ჩამშვები კაცია-მეთქი.

ხოდა, როგორც მოგვიანებით ველირსები ენგურის შლაგბაუმიდან თავაწეულ დაბრუნებას, და სულსაც მოვითქვამ რამდენადმე, გულს მოვიჯერებ 50 თვით უნახავ თანამებრძოლებთან ყოფნით, უეცრად მეხივით დამარტყამს თავში წლების წინ მურთაზისთვის დანაბარები და

სულმოუთქმელად მივაყრი:

კი, მაგარმ ნახე ის კაცი-მეთქი.

არ მეტყვის რომელიო, ისიც მიმიხვდება უსიტყვოდ ვიზეა საუბარი, მაგრამ ვამჩნევ საიმართლის თქმა უმძიმს. ისევ აქეთ მიფრთხილდება თურმე, იმედების გაცრუების გამო ვებრალებოდი და მაინც მოჭრილად მიმხელს უკვე მოსალოცად მოსულ ინკოგნიტო ბრიგადის მეთაურსა და მის თანმხრებ პირებთან:

აჩბა ამ ოჯახაშენებულის კაბინეტში ვნახეო.

შეიქნება გაწევ-გამოწევა, მაგრამ ჩემთვის უკვე ყველაფერი ცასავით ნათელია, ძაღლის კუდის გასწორება არ იქნება. და მაშინ ვიტყვი მწარე სინანულით: მტერს გული არ გავუხაროთ! სიმართლის დადგენას ყოველთვის მოვესწრებით! ჩავალთ ჩვენს ოჩამჩირეში, დავიბრუნებთ ჩვენების ხელშეწყობითაც დაკარგულ აფხაზეთს და დაგვრჩება თავზესაყრელი დროც მტყუვნის და მართლის დადგენისათვის, ჭეშმარიტების გასარკვევად-მეთქი. არაფერს ვამბობ იმ უეროვნო პასპორტის შესახებ, რომელიც ჩვენს ნასედკა აჩბას გაუჩალიჩდება ოთხი თვის თბილისში გულავის შემდეგ და რომლის გამო, საპასპორტო მაგიდის უფროსის მოადგილე ვაჟა შანავას რვა თვეს ათრევენ პროკურატურაში. წარამარა მებოდიშება:

მაცდუნეს, შენი დამღუპველი კაცისთვის ყალბი პასპორტი მიმაცემინესო. ცხადია, მაღალი ინსტანციიდან გაცემული ბრძანებით. ამას მაშინ მეტყვის, როდესაც საკუთარ პასპორტს გადმომცემს თავჩაღუნული, მე კი სანაცვლოდ ვეამბორები გამოთხოვებისას და თუთაშხიასებურად ვეუბნები: ამაღამ იფიქრე თუ რისთვის გაკოცე-მეთქი. ეგ არის და ეგ. მას აქეთ ჩამივლის ხოლმე თავჩაღუნული. ბევრჯერ მიმიგზავნია ახლოებლი კაცი, მეგობარი, შემეხმიანოს, გული გადამიხსნას-მეთქი, მაგრამ დღემდე დუმს და დუმს, თუმცა, როგორც იტყვიან, დუმილი ყოველთვის ოქრო როდია.

რაც შეეხება ამ ყველაფრის უკუღმართად დამტრიალებელ ოთარ აჩბას, ჩემს გარდა კიდევ უამრავი თვითშემსწრე მოეძებნება დროსა და სივრცეში, აფხაზი კი არა ქართველი, ჩვენი თანამემამულე, თუნდაც გალელი გივი ეხვაია, რომელიც ღვთის შეწევნით ჯერაც მხნედაა და თავისი ცხოვრების მძიმე ჭაპანს ეწევა.

არადა, მახსენდება, როგორი მოკრძალებით მომადგებოდა კარმუშკათან, აფხაზების მიერ საჭმლის დამტარებლად აყვანილი მძევალი და რანაირი სინანულით იტყოდა:

რა ვქნა, რუზგენ, ასე მაქვს ნაბრძანები ციხის უფროსისაგან, შოთა ჯოპუასგან: საჭმელი არ აღირსო იმ სისხლისმსმელს, თორემ აქ ჩაგაძაღლებო. წყალი მიეცი მარტო, დალიოს იმ სულძაღლმა და ქათამივით ღმერთს შეხედოს მაღლა ცაშიო, მაშინ, როცა პოლიციელი სომეხი შავ პურს მაინც შემომიგდებდა აფხაზების შიშით გათანგული და ეგრევე მიხურავდა კარმუშკას.

აფხაზეთის საპატიმროებში ჩავარდნილ ყველა ქართველს, განურჩევლად ასაკისა თუ სქესისა, გოგის ეძახდნენ. თავდაპირველად ჩემთვის გაურკვეველი იყო ეს საერთო ზედწოდება რას ნიშნავდა, რას გულისხმობდა, მაგრამ როგორც მოგვიანებით შევიტყვე ციხის თანამშრომელ საშა გაბუნიასგან, გოგი თურმე ქართველთა დამაკნინებელი სახელწოდებაა. დღემდე ვერ გამიგია მაინც რას გულისხმობდნენ ამ სახელის ქვეშ, თუმცა გოგის დაძახებაზე ირონიული ღიმილი რომ გადაურბენდათ სახეზე, ცხადია. ალბათ, გოგი „ნედადელანის" ტოლფარდი სიტყვაა ქართველების დასამცირებლად. იგივე, რაც ჩვენ გაგვაჩნია ხოლმე რუსების მიმართ „ივანი".

რაფიკ წვიჟბას მძახალი იჯდა ოთხთვენახევარი სოხუმის ციხის იზოლატორში, გვარად ავილოვი, ტყვარჩელიდან. წარმოგიდგენიათ ეროვნებით აფხაზი იყო, თუმცა გვარით და წარმოშობით — აზერბაიჯანელი. ეს კაცი გახლდათ იმ წვიჟბების დის მამამთილი, რომლებმაც, ქართველთა იდეოლოგიური ურჩხული იური ვორონოვი გაასაღეს. როგორც ვიცით, ფული გადაიხადა რამაზ კვარაცხელიამ, რომელიც დღეს ცოცხალი არ არის და ამიტომაც ვბედავთ მისი სახელის ხსენებას, ვინაიდან ეს კაცი ყველანაირად შემკული პიროვნება იყო, ნამდვილი გმირი.

როგორც რამაზი მიამბობს შოთა კვირაია შეპირებია, რომ ქართულ პასპორტს მისცემდა მათ, აქაურ მოქალაქეობას და საზღვარგარეთ გაამგზავრებდნენ, კონკრეტულად — საფრანგეთში, სადაც მისი და იყო გათხოვილი. მაგრამ ეს დანაპირები სამწუხაროდ ვერ შესრულდა. თუმცა დიდი ძალისხმევის შემდეგ მაინც მოხერხდება საფრანგეთში მათი გამგზავრება. როგორც აფხაზები ამბობდნენ, მოვა დრო, ამ დროში ისინი გულისხმობდნენ რუსეთთან შეერთებას, და ამ დროის დადგომის შემდეგ, ადვილმოსალოდნელია მოხდეს მათი ექსტრადაციაო, ანუ მათი დაბრუნება რუსეთის ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ და ყველა პირობის აღსრულება, რაც წესით მათ შეეფარდებოდათ ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობის გამო. ასე, ცამეტ დღე-

ღამეს გავძლებ წკვარამ სიბნელეში თუმცა, რა, ნაკლები პრაჟარკები გადამიტანია გუდაუთაში 170 „სუტკა“ სანამ ეროვნებით აფხაზ, შავი სამყაროს წარმომადგენელ, რაფიკ ცვეიბას, მეტსახელად „აფერისტს“, ჩვენს ციხეში არ გადმოიყვანენ და კაცურკაცურ თანადგომით სულზე მომისწრებს როგორც ადამიანს! ბარემ იმასაც ვიტყვი ბოლომდე, რომ კასიუს კლეივით იარაღს ხელი არ მოჰ კიდა ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად და ბოლომდე შეინარჩუნა ძუძუმტეებთან და ღმერ-თთან პირმართალი კაცის სახელი. ხუთ წელიწადს კი მიუსჯიან, მაგრამ ყველაფერ ამას თავაწეული გადაიტანს, ვინაიდან საკუთარ სინდისთან, ადამიანთან ზოგადად, კრისტალივით სუფთა დარჩება.

აქვე, მადლობის ღირსია, ალბათ, ჩვენი დათო შენგელია, რომელსაც ზუგდიდში ჩამოუყვა-ნია ეს დიდბუნებოვანი ადამიანი და საკადრისად გამასპინძლებია. საუბარში რუზგენ გოგოხიას სახელიც წამოტივტივებულა და ულაპარაკნიათ მთისა და ბარისა, რომ კაცურკაცობა არსად იკარგება, რანაირი ეროვნებისაც უნდა იყოს იგი, მნიშვნელობა არა აქვს ვინ არის, სად გაჩე-ნილა! მთავარია შუბლის ძარღვი მთელი ხქონდეს, ნამუსის ოაზისი შეურყვნელი დახყვებოდეს და ყოველ ცისმარეს პირმართალი ხვდებოდეს ამ უკუღმართი წუთისოფლის დოლაბების ყბაში ხორბალის მარცვალივით მოყოლილი. უამრავი ქომაგობა მახსოვს მისი: განსაკუთრებით დრან-დის ციხიდან გამოგზავნილი სიგარეტები, ჩაი, ათსიტყვიანი წერილები, იგივე „ქსივა“ ჟარგონუ-ლი ენით, და ყველაფრის დამაგვირგვინებელი — ის ზეგავლენა მთელს შავ სამყაროში— აქამდე ზიზღით და ბოღმით მომზირალი ციხე, რაღაცნაირი მიმტევებლობით, რაღაცნაირი დიდსუ-ლოვნებით დამიწყებს თვალთვალს იმ აუტანელი დღეების მხარდამხარ.

ისიც გასაოცარია, რომ აფხაზი ზურაბ გარმელია, რომელსაც სხვათა შორის მურთაზ გარ-მელია ძალიან კარგად იცნობს, ამისთანას მეტყვის ტყვეობის პერიოდში:მოატუყეს ის საცოდავი აჩბა. წარმოიდგინე ბოდიშსაც გიხდის: ღვთის წინაშე შევცოდეო. მაგრამ უფალი მართლაც გენიალური მსაჯულია, არავის მიუტევებს კაცობის გზიდან გადახვევას. ჩემი განთავისუფლები-დან სამი თვით ადრე მანქანაში ჩაცხრილავენ გალეშილი მამის გვერდით, ისე რომ, მშობელი მხოლოდ დილით იხილავს თავის „სასახელო“ ვაჟიშვილს. ახლაც ცოცხალი დაიარება მამამისი და დღემდე, ინანიებს ალაბთ, შვილის ცოდვებს თუ საკუთარს — ლენინის ძეგლის ხელყოფა რომ დამწამა ცრუ ბრალდებით, რომლის წყალობით 75 მუხლს მომაწერენ ერთა შორის შუღ-ლის გაღვივების მოტივაციით. და თუ ძალიან გაინტერესებთ, 285 მუხლს — მშვიდობიანი მოსახლეობის მოქალაქეობრივი უფლებების ვითომდა ბარბაროსული ხელყოფით. ხოლო მათი ართიმეტიკული ჯამი 13 წელიწადს გაუტოლდება და აქედან უკვე ერთი ნაბიჯი დარჩება სიკ-ვდილით დასჯის განაჩენამდე, რომელიც პრაქტიკულად შეკოწიწდება კიდეც, თუმცა არა სა-სამართლო წესით, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებშია მიღებული, კულისებში, კაბინე-ტებში... განა ყველაფერი ჩაეტევა ფარატინა წერილში? ამისთვის არსებობს უფრო ვრცელი ხასიათის ჟანრი, ბელეტრისტიკა, მწერლობა, მისი შემოქმედი ხალხი, რომლებთანაც წლების მანძილზე თანამშრომლობით მოზრდილი წიგნის გამოცემა განმიზრახავს, სადაც ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, ბნელს — ბნელი, ნათელს — ნათელი, მტყუანს — მტყუანი, მართალს — მართალი, მონას — მონა და სამშობლოს რაინდს — სამშობლოს რაინდი. ამ წიგნს ადრე თუ გვიან უსათუოდ იხილავს ფართო მკითხველი და მერე გაიგებს სრულიად საქართველო, თუ ვინ ყოფილა რუზგენ გოგოხია: რომ თურმე 54 თვე მთლად ბუზების თვლაში არ გაუხარჯავს აფხაზური ტყვეობის პერიოდში; რომ თურმე ოთხ კედელს შორისაცაა შესაძლებელი კაცმა გმირობა ჩაიდინო, გაბაწრულმა, მშიერმა, დაღლეტილ-გავერა- ნებულმა, მაგრამ სულით და-უცემელმა, გაუტეხელმა და მომავლის რწმენით აღსავსემ, ისევ საკუთარი შთამომავლობის, თუ ზოგადად მთელი კაცობრიობის უკეთესი მომავლის სახელით.

10.05.99 წ.
17.08.02 წ.

პალიასტომი

გაენათი, ერგუჯარუ,
წიფურია, თაგილონი...

ახა, ილანდება საუბარი „სუფევის“ შუადინეების ნიუანსებზე.

ყველას როდი ანდობ ამ მისიას.

რამდენი განზომილებით აკმაყოფილებდეს უნდა იგი შენს მარათონულ ახირებულებებს?! ან გეგულება კი საერთოდ ვინმე დროსა და სივრცეში შენს გარშემო, მსგავსი ჭაპანწყვეტა დააკისრო?!

გვისწავლია ხორაციუსისგან ეტნაში გადავარდნილ ლიტერატორზე.

პუშკინთანაც შეხვედრივართ მეწაღე მეჯღანუაშვილს, ფერების განაწილებაში რომ აკვალიანებს მხატვარს.

არახალია ყოველივე.

აკადემიკოს რამინ აბლოთიას მე აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის პრეზიდიუმის კულუარებში გამოვეცნაურები.

ინფორმაციული ომისთვის ვიბრძვი თითქოს. სიტყვის პრიმატს ვანიჭებ უპირატესობას: პრესას, რადიოს, ტელევიზიას, როცა ჩვენი გარეგნული დაუდგრომელი მძვირვარება სოფლის თუ მრეწველობის სამინისტროების დაფინანსებით იშუშებს ჭრილობებს.

გაზეთი გვინდა, მაგრამ არ არის ფული.

და ამისთანა ვითარებაში, სამ ნომერს მე დავაფინანსებო, აცხადებს ყრიმალების გასწრივ სახედაღარული კაცი.

შეჭაღარევებულია ზომაზე მეტად.

ახოვანია, ოდნავშეთხელებული ქოჩრით.

საუბარს სადღაც გულის სიღრმიდან იწყებს. ამ დროს ლოგიკის სიმყარისათვის სალოკ თითს გამუდმებით შემართავს კეისრისებურად.

ქვევრის წიაღიდან ამოწეული მისი ხმა თანდათან ხავერდოვან ელვარებას იძენს და გამაბრუებლად გიმორჩილებს შეუვალი არგუმენტაციით.

ფრაზეოლოგია გამოხშირულია სიტყვებს შორის მთვარეულის ბოდიალით.

მოგვიანებით შევამჩნევ: მისი უმთავრესი კოზირი ტრიადის პრიციპებით აზროვნებაა — თეზა-ანტითეზა-სინთეზი.

ჩანს, არისტოტელეს „რიტორიკასაა“ ნაზიარები: ვითარება, მოქმედების გეგმა და ფორმულასავით ჩამოსხმული უეჭველი შედეგი.

ჩვენი სამწლიანი ურთიერთობის მანძილზე სამუდამოდ ჩატვიფრულა მისი სახე ინფორმაციული ხსომიერების ბილიკებზე — უწინარესად, აი, ამ სხარტი და ტევადი ფორმულარებით:

შენახული ოქრო მეტალიაო, იტყვის და მორჩენილია საქმე, წართმეულია სივრცე წინააღდმეგობისათვის.

ყველაზე საშიში ჭკვიანი მტერიაო, დაასკვნის და რა გეთქმის?!

პატრიოტს ერთი სამშობლო აქვსო, გიჭედავს თავში ლურსმანივით.

პატარა ერს დიდი გული აქვსო, ესეც მისი სამეტყველო სალაროდანაა.

სულიერი სიმდიდრე აუწონელიაო, გმოძღვრავს პადრესავით.

თუ წინ მიდიხარ, უკან მოხევაც გმართებსო და იქვე — ნუ შეხვალ გამოსასვლელი თუ არ იციო, გთანგავს ლოგიკის არტახებით.

ზოგჯერ გული უკეთ ხედავს, ვიდრე გახელილი თვალიო, გიმორჩილებს ნელ-ნელა და შინაგანად ოდნავ თუ შეეპაექრები, მსწრაფლ მოგაგებებს ახალ სენტენციას: ჯერ ადამიანობაა და მერე — საქმეო.

ამათი აკონვა წამითაც არ უცდია ჩემს გონებას სამიოდე წლის მანძილზე. ისინი უნებლიეთ, კრიალოსანის მარცვლებივით ჩამომწკრივებულან ცნობიერების რომელიღაცა სიმზე და ლოგი-

კურ წერტილებად ეწვეთებიან ყბედის ღრანჭში გალოღნილ ტირადებს, მონოლოგებს, მრავალსიტყვაობას:

ზოგი კვდება და ზოგიც გარდაიცვლებაო.

ჯერ გზა ნახე და მერე ქარავანიო.

შენდობა მხოლოდ დიდი კაცის ხვედრიაო.

გენიალური უბრალო და გასაგებიაო.

სიმაღლიდან დიდი ადამიანებიც კაცუნებად ჩანანო, და ძნელია ამტკიცო ახლა კერძო საუბარიდანაა ყოველივე თუ დეკლამაციისას მოსმენილი:

ეს ყველაფერი თანდათან ფიჭასავით დაიბეჭდება ჩემს არსებაში და როდესაც მსაჯულის შერჩევის ორჭოფობა დაეუღლება „სუფევის“ არს-არქიტექტონიკას: „რამინ აბლოთია! რამინ აბლოთია!“ დავასკვნი მყარად.

ლამის ნახევარი წელიწადი მიწურულა ნაჭირდიდევი გადაწყვეტილებიდან, ექვსი თვე და კიდევ — კვირათა რკალეული, თუმცა ახლა, როცა უფრო ხელშესახებ არგუმენტს ვეძებ ჩემი საბოლოო განჩინების გასამაგრებლად, უნებლიეთ სიყრმისდროინდელ წლებში გადავეშვები.

ოტობაიირს სემანტიკურობაზე თქმულა ცხადად და ჯეროვნად.

ამწუთას რატომღაც თაგილონი ამოესვეტება ჩემი ცნობიერების ნაკადს. ტბაში ჩაგდებული კენჭივით ნელინელ რომ ივრცობა ტალღა, იმგვარივეა დაახლოებით წინდებული ფიქრის ტრაექტორია:

გაჭედილი ავტობუსით მილახლახებ ოღროჩოღრო თემშარაზე.

გაივლი შვერნიკს, ნაბაკევს.

შემდეგ ენაცვლება თაგილონი პირველი, მეორე, მესამე.

ამას იქით ჭუბურხინჯია, მზიური და გალის ბორცვიანი სანახები.

ოცდათხუთმეტი კილომეტრისაა ეს დამტვრეული გზა-სავალი.

უკანაც იგივე მარშრუტით ბრუნდები, მაგრამ ვინმე ღვთისნიერმა თანასოფლელმა თუ დაგიმგზავრა, მაშინ სრული ათი კილომეტრით მცირდება მანძილი ესე.

გამოცდები რკინიგზის გვირაბს.

გამოაღწევ ხუმუშქურს.

მოიტოვებ უკან ზემო ბარღებს, განახლებას და უარეს შემთხვევაში ნაბაკევში ჩამოხტები, ექვსიოდე კილომეტრის ფეხით გასასვლელად; ან მთლად ჭიშკართან მიხრიგინდები დალოცვილი მძღოლის გულისხმიერების წყალობით.

ამგვარია ჩემი მარშრუტი თვეში ხუთჯერ თუ ექვსგზის, სანამ მთლად დედაქალაქისკენ გავუტევდე.

თუმცა ესეც ხავსივით ჩასაბღაუჭებელი გადარჩენაა პირუთვნელი მსაჯულის ძიების გზაზე.

თაგილონი.

ეს სიტყვა შორეულ ციმბირშიც დაიტყუპებს თავის ომონიმს — „ტაგილ, ტაგილ, ნიჟნი ტაგილ“.

თაგილონი.

მისტიკურობაა ოტობაისავით, დაყურსული და სხეულის დამბურძგლავად შებურუსებული.

გვაჩ გელენას გოჭებისაგან ფერდებშენგრეულ ძვაძვალა კიუტიზე გვითქვამს.

თართაყან ანჩბეიას ბობოქრობაზეც მის ხირხალის ჭიშკართან და შემდგომ, დილასისხამამდე, თაგილონისკენ აბარგების შესახებაც.

მოგვიყოლია ქვაბში ჩანახშირებულ, ქვასავით ქცეულ ღომზეც, რომელიც ვეღარაფრით ეღირსება არშინიან გოჭს მისაყოლებელი ცხარე საწებლითურთ.

თუმცა იქიდანაც რომ გადაიხაფრება სოხუმისაკენ, ვფიქრობ, გვიხსენებია სადღაც და აქ, ალბათ, უწინარესად, აბლოთიების შემართულობაც შენაკადებია მრისხანე ბატონის კუდამოძუებას.

ოტობაია სიღრმისეულის ტოლია, საკუთარ სულში დანთქმულის, მაგრამ თაგილონი?

სამურზაყანოში მეორე სოფელს ვეღარ იპოვით, რომლის ეტიმოლოგია ხელისგულზე არ კამკამებდეს ტობავარჩხილივით.

ნაბაკევი? ნანახირალი ადგილი,

ოკვინორე? საკვერნე არე-მიდამო,

ოქუმი? ქუმელის მოსამკელი ალაგი.

დიხაზურგა? მიწაკუზიანი, შებექობებული ნავსაყუდელი.

ჭუბურხინჯი? წაბლისბონდიანი.

ხუმუშქური? ხუმუს ნაქუსლარი.

წარჩე? წყალთეთრი.

ლეკუხონა? ხეჭრელის კოროში.

ბარღები? ბაღნაროვანი, რაეს მეტობით.

აგუბედია? ბედიას გული აფხაზურად.

სხვანი და სხვანი, ხან სვანური ეტიმოლოგიით გასაშიფრი და ხანაც— ქართულ-აფხაზურით, განსხვავებული ისტორიული ფენის ლინგვისტიკური მისტერია, მაგრამ თაგილონი?

რუსული ათანგელოდან მოდისო, იუწყებიან მეისტორიენი.

კი, ბატონო, წინამორბედი სახელდებანი, წიფურია და ერგუჯარუ მეწყერისთვის გაგვიყოლებია, მაგრამ სად მიგვაქვს მისი შესაძლო ეტიმლოგიურობა — ,,თაქ გინოლ''? ანუ აქ გადავარდა, აქ გადაშენდა, აქ გადაწიაღდა?

რა უნდა გადავარდნილიყო უბატონო მხარეში ძალმომრეობის გარდა?

თაქ გინოლ პატონ-ჭყორალაქ — აქ გადავარდა ბატონ-ყმობა! რა, არ ესადაგება ვითომ შინაარსს?

ამასაც მოვეშვათ.

სამოცდაათიანი წლების მიწურულს ბატონ დამიანე გოგოხიას კაბინეტში ფეხზედგომელას თვინიერად მიმიყურადებია მხცოვანი პეტრე შარიასთვის.

მუქ ჩაის უხმაუროდ სვამდა ის ხანსვიანი და ბერიასთან თანამშრომლობის დეტალებს მოჭუტული თვალით ამოიბერტყავდა მეხსიერებიდან.

მე დავურეკეო უცხოეთში წამგზავრებულს ორად ორი სიტყვა: ზღვაქ გეიოლ — ზღვა ამღელვარდაო.

კატორღის მუხტის შემცველი გამომდგარა ეს ავბედითი ფრაზა პარტიის სამსახურში ჩამდგარი მეცნიერი კაცისათვის.

ნუგზარ შარიას უცხოეთში გადახვეწამ ხომ ქართული კინოს რეპერტუარიდან ათწლეულობით ამოაგდო ,,ენგურის ნაპირებზე'', ,,პალიასტომი'', სხვანი და სხვანი.

მისი თვალხატულა ნესტანი ჩემი თანაჯგუფელი თენგიზ გუდაძის დისწული გახლავთ.

პრეფერანსის მაგიდას მიმსხდარნი ხარბად მივჩერებივართ შერისხული მამის მიერ ასულისათვის საფრანგეთიდან გამოგზავნილ მწირ ჭინჭეულობას.

მოგვიანებით — ციალა არდაშელია, გულწრფელი მეგობრობა ჩვენი და ერთხელაც დიონისეს ქარებით ამჩატებულისათვის ცხვირწინ კარების მომუწვა.

გაივლის დრო-ხანი და დიახაც ციალას ძმა ალეკოს პორტრეტს შევარჩევ კავკასიური რასის ანთროპოლოგიურ ნიმუშად.

მერე ეროვნული თანხმობის დარბაზი და ორი სამურზაყანოელი — ოტობაიელი ჯემალ გამახარია და თაგილონელი მურმან ზაქარაია, სამყაროს პოლუსების შემაკავშირებელი გური ოტობაიას საპირისპიროდ.

ჯარასავით ტრიალებს ფიქრის გორგალი:

თაგილონის ჩაის პლანტაციები.

შუადღე.

წაგრძელებულ, გადაყავრულ ყაზარმაში ჯემწასმული პურით წანაყრება, რომელსაც ერთიანად გამოგიქვითავენ მოკრეფილი ჩაის საფასურიდან.

იქვე მოხუნტრუცდება ჩემი კარის მეზობელი ელიავების, კაფანდარა თინას მაზლი ,,მიანთელი'', ფოლკნერის ქომპსონების ოჯახის ღვთისგან შერისხული ბენჯის ტყუპისცალი შონია და პაპიროსისთვის გამომიწვდის გაფვითლებულ თითებს.

მუშტისხელა თავი გადაუხოტრავს. სქელი წარბები აჯაგვრია.

,,მიანთელი'' ,,დიანთელის'' შესატყვისია მისი სამეტყველო რეპერტუარით, იგივე დედამთილი, სევერ ელიავას თანამეცხედრე კლარას რომ მიმართავს ოტობაიაში ყოფნის ჟამს და უამრავი შტრიხით განიწოვება ჩემს ლიტერატურულ პერსონაჟებში.

მეღიმილება განგებას თავისი ნება- სურვილისამებრ რომ მივუყუნებივარ აბლოთიების კარზე უშეღავათო მსაჯულის პოვნის იმედით.

ამ ყველაფერს თურმე სახეთა ძაფეულების ლაშქარი კემსავდა და აგვირისტებდა ქვეშეცნეულად.

წაეკინძება დღეები დღეებს და თანდათან ბედისწერის გარდუვალობას უფრორე ვირწმუნებ.

ჩვენი შეხვედრები ძველებურად ხანდაზმულია, მაგრამ უკვე გაცვლილა წიგნების წყება და გასაკვირი არაფერია გაღიმილებით დავასკვნა: იმდენად ლიტერატორია ბატონი რამინი, რამდენადაც — ეკონომისტი მე; ამიტომაც გვიიოლდება საუბარი უთარჯიმნოდ.

თებერვლის მიწურულია, მაგრამ ბორიაყი იანვრის გაჯიქებით ბერავს.

რუზგენ გოგოხიასთან შევყოლილვარ საუბარს „აჭარის“ მეცამეტე სართულზე.

მისი მეუღლე შონხე, ჩვენებურია, ოტობაიელი, ჩემი ძმადნაფიცი გურიას ნათესავი.

ორი მიკროკასეტა გამიტენია გულახდილი დიალოგით.

რუზგენი ზეზეურად ეწამა აფხაზების საპყრობილეში.

მყნოსველობის შეგრძნება დაკარგვოდა ჯურღმულების ბნელხვეულებში ნაგვემ თაკარს, როგორც ამას თანამებრძოლები ეძახდნენ ხოლმე.

ბატონ რამინისებურად თუ ვიტყვით, საკუთარ თავზე მეტს მხოლოდ ჭიანჭველა ეზიდება, და ასეთი ლეგენდა, დიახაც რუზგენ გოგოხიაა.

კაცის ზნეობა უცვლელია, ვესესხები კვლავაც მომავალ მსაჯულს სასტუმროს კიბეებზე დაშვებული. მიწიერთ, მოკვდავებს ცოცხალი გმირები რატომღაც, არ გვეპიტნავება, რადგანაც სიკვდილმა უნდა შელიბროს მაინცდამაინც გაუტეხელობის აქსიომა. არადა, ამის თაობაზეც დავკონკრეტდებით რამდენადმე ქვემოთ და ქვემოთ.

შუკო ჯიქია მახსენდება რუზგენის თანამესაგრეებში.

წლობით წოწიალი მაგონდება მის გამოსახსნელად ცოცხალი ადამიანებით, ჯიბით თუ ვექსილებით.

მაგრამ აქაც მართებული აღმოჩნდება მსაჯულად შერაცხულის სენტენცია: წინ მტრისა ნუ გეშინია, უკან „მოყვრისა“ — კი.

მეტროპოლიტენისკენ დავეღირე თითქოს, არადა ვატყობ, თანდათან როგორ შევეზრდები ქარაშოტიან პროსპექტს.

აბლოთიებისას ქვეშეცნეულად აღმოვჩნდები.

გაჩაღებულია მამაპაპური ბუხარი.

იზაბელას მათრობელა სურნელი უკუყრის „უშბათა“ და „ტრიუმფების“ ანტიეროვნულ ლაშქარს.

თოლორაიების ასული, ქალბატონი ნანული, თოლორაიხე, ტაბლას მიგვიჩოჩებს ცეცხლის პირას.

წელშიგამოყვანილი ჭიქისკენ ხელი ბატონ რამინსაც გაექცევა.

საუბარს დასასრული არ უჩანს.

მითოხარიკაობენ ლექსები.

დავთქვამთ ფოთში, ფაზის-ქალაქში დასკვნითი შეხვედრის კოორდინატებს. მანქანით გაცილებას მთავაზობენ, მაგრამ ქვას ავაგდებ და თავს შევუშვერ; თანაც ამ გაწამაწიაში უწინაფრო ქუდი ხელუხლებელი მრჩება საკიდარზე.

ოთარ ჭილაძის შემოქმედების თაყვანისმცემელი ვარ.

„აველუმის“ ავტორმა ერთხელაც მიიპყრო შვედეთის აკადემიის ყურადღება: მეორე ათასწლეულში გადაილახება ნობელიანტთა კანდიდატების ასეულში ქართველი მწერლის მოხვედრის პრობლემა, მაგრამ იმ კათედრაზე ამაღლება, მცირე ერის უსამართლო ყისმათის შემწეობით, მესამე ათასწლეულს გადაელოცება.

სიტყვიერების ალქიმიას ჩვენ ზედმიწევნით ჩავუწვრილმანდებით „სუფევის“ მეთერთმეტე საწმისში „ენა“, ამჯერად კი ჭილაძის პოეზიის ზოგ თავისებურებას მივაჩერდები.

ექვსი ათასწლეულით დასილული თიხის ფირფიტები სულს ამოითქვამენ მის პოეზიაში: ფანტაზია რეალობას გადაეწნება, მოიფარდაგება და მოხალიჩდება მისით ძეხორციელის წრეშიმბრუნავი არსების მივიწყებული ქვიშროვანები.

„დევებით სავსე ქუდიც“ ერთ-ერთი იმ ჯარისკაცთაგანია, რომელიც ხამლეტისებურად საკუთარი თავის ქალადან შეექცევა მითოსური ღვინის ხის ნაჟურს.

თავად პოემის ხერხემალი კი დასესხებულია ქართულ, ზღაპრის სივრცეს, რომელიც ერთგვარი ნაირსახეობაა ალადინის ლამპრისა, ოღონდაც იქაური ჯინის ნაცვლად, ჩვენეულ ფოლკლორში პატრონის სურვილების მხევალი ორი დევია, რომელთაც ჭყინტი ყველითა და სადგისებით ანაყროვნებს ქოსამაქცია ნაცარქექია.

მე ჯადოსნური ქუდი მახურავს, ჩემი ერთგული დევების სავსეო, აცხადებს პოეტი, და სრულიად დამაჯერებლად გეჩვენებათ დოლების ხმაზე გამლღვარი თოვლის თუ კოშკებივით ამაყად მდგომთა, ხატება ასულის მაღალი ფეხების ქარში. დევები იქნევენ კეტებს, მათ მოსწონთ ქარების თამამი მარში, ქალების ცქერა, ყოველივე მიწიერი, თვით მოუაზრებლი აბსტრაქტულის წამატებით, მაგრამ ის, რაც ოთარ ჭილაძეს მოუხელთებია, აბლოთიებისას დამრჩება, მოყავისფრო კაუჭზე მოკონ-

წიალე და დონკიხოტური სითამამით მივუყვები გამსახურდიას გამზირს.

არადა, ცოტა ნამარწუხები წუთი როდი გამოვგლიჯე იმ ქუდით, საყოველთაო სიკეთის მეოხი ფთილებისგვარიანი ტანადობის .

და როგორც ხელი ნაცნობ კლავიშებს, კაცობრიობის ნაფეხურებს ფხიზელი თვალით მიხყვებოდა გური ოტობაიაც, მაგრამ აწ უნავოდ დარჩენილი ნიჩბები თითქოს ხეშეში ხელებია, და დასიზმრებულ ვარსკვლავებს შორის ძინავთ კეთილ დევებს, როგორც ჯადოსნურ მფრინავებს, კამათლებივით რომ ატრიალებენ ალიონებით გაწელილ ქუჩებს, ცერზეშემდგარ ძეგლებს თუ ცოცხალ ადამიანებს.

ადრე საკირეთში ჩავეყუდებოდი ხოლმე ხაბაზივით, ქუსლები რომ უბზინავდა კოჭების გასწვრივ და ბაბაჯანას ქოშები უთვისტომო ფოთლებივით ვალალებდნენ ცაში.

თაფლით გაჯერებული ფუტკარი ჩემი სულიდან მიფრინავდა, რათა უდანაკარგოდ შეენახა საშთამომავლო ნექტარი.

სამურზაყანოში გადავეშვებოდი და უკუღმართ გზაზე დამდგარ თვისტომს თუ მოძალადეს, ცვილივით ჩამოეღვენთებოდა სახეზე ქურუხი შლემი.

მაჯის საათივით ტიკტიკებდა ჩემს ყურთასმენაში ხორბლის თუ სიმინდის მარცვალი გუგულის „კაფე-თესეს“ წამოძახილზე და წიწილივით ამსხვრევდა ყინულის ნაჭუჭს ჯერ კიდევ მხარშეუცვლელი ბელტების ლაშქარი.

მაგრამ, აი, ამოვაღწევ ვარკეთილის მეტროდან, ტკბილეულს ვიყიდი პატარებისთვის, ტაქსების ჯარისთვის ორლარიანს შევინანებ, სამარშუტო მიკრო-ავტობუსს დავემგზავრები.

ჩაბნელებული დასახლება პირქუშს ანატომიას მომახლის.

გავესაუბრები კარის მეზობელს.

მელის ფანჯარასთან ატუზული ცოლ-შვილი.

კორპუსი შეშლია ორს. დაწვრილებით ვაკვალიანებ.

სადარბაზოს გავუპირდაპირებ და ყველაფერი უკუნეთით გადაიგლისება.

მესამე სართულამდე ავღწეულვარ. იქ წამრთმევია გონი ბაშვებისკენ ინერციით წასწრაფებულს.

რაღაც ბლაგვი საგნის ჩარტყმით გავუთიშივართ.

ამოუჩხრიკავთ ჯიბეები.

გააყოლებენ ხელს ჩამწერს, ხელჩანთას.

საბუთებს დილით იპოვის სადარბაზოელი რუსის ქალი. სხვა დანარჩენი აორთქლდება.

მერე იწყება სამოწყალო ხეტიალი მოსკოვის კლინიკებში.

სანკტ-პეტერბურგის დიაგნოსტიკის ცენტრები.

ბოკერიები და ხუბუტიები.

ენცეფალოგრამა.

ტრაპანაცია აღარ დამჭირდება. მაინც რედაქციებისკენ გამირბის გასენილი გული.

„სიცოცხლემისჯილების“ პირველი წიგნის კორექტურაა წასაკითხი.

ნორა ნეიმანი წელიწადნახევარს უკირკიტებს მის ჩახვეულ ბუნებას, ვიდრე მეც ჯვარს არ მაცმევს და, ახა, სიკვდილ-სიცოცხლის შორის ზღვარკიდული, რუსეთის თვალუწვდენელ ტრამალებში პურგასავით ჩვილის ღნავილით იბადება „აბრეჩიონნიე ჟით“.

ელსმენით ვეხმიანები ბატონ რამინს.

— ბოლოს და ბოლოს გვაღირსებ თავს თუ არაო, — მიწყრებასავით შემპარავი სიცილით. — ადამიანი შეიძლება ყველაფერს გაექცეს, მაგრამ — სიბერეს ვერაო, — მოსჭრის მონეტასავით.

— ვეღარც ბედისწერას-მეთქი.

— ეგეც მართალიაო, — დაასკვნის, — მთავარი მაინც მიზანია, შედეგიო. მართალია, მწარედ იკბინება, მაგრამ თაფლის გამო ფასდება ფუტკარი. ეგეც არის, სიტკბო და სიმწარე ნაცადი ძმაკაცებიაო.

— ქუდი ხომ არსად დამიკარგეთ-მეთქი, საუბრის თემას შევცვლი სიცილით.

— აქ გელოდებოდი და ფოთში ჩამოგიტანე, კაცოო.

— ეგ ჩვეულებრივი არ გეგონოს, ბატონო, რამინ, ჯადოსნურია, დევებით სავსე. ხვალ-ზეგ თბილისში ჩამოვფრინდები და უმჯობესია აქეთ გამოამგზავრო-მეთქი.

— რა გაეწყობაო, — ხარხარებს, — თუ სადმე მიდიხარ, ბარემ შენი ქუდი დაიხურეო. ისე, სხვათა შორის, ტყუილი გამჭვირვალეაო, — დაასვამს წერტილს.

სანკტ-პეტერბურგიდან სენაკში ჩამოვფრინდები და ახლა ფოთისკენ მივიჩქარი.

უნივერსიტეტის კარიბჭესთან ჯემალ ჩახავა ჩამიქროლებს მუქი ფერის მერსედესით თუ ბეემ-

ვეთი. დაამუხრუჭებს. უკუსვლით მიახლოვდება.

ნაწვიმარია და ჩემს გამოწკეპილ იერს თვალისჩინივით უახლოვდება, თითქოს პონტონივით მოტივტივე ნაღმი ვიყო მძიმე წყალწყვის გემისათვის.

მახსენდება მისი გულწრფელი ხელგამართვები უმცროსი კოლეგებისადმი.

იუმორითაც შეუდარებელია.

ჟურნალ „კარიბჭეს“ გამოცემს. ჩემი მომავალი მსაჯული სარედაქციო კოლეგის წევრად აურჩევია.

როგორ იყო რომ ნომენკლატურულ ამხანაგების წრეში ითამადა?

— თქვენებურად თუ ჩემებურადო, — წამით შეეშვება სავარცხელზე აწებებული ქაღალდის დუდუკის ხმაზე აჭყავლებას.

— მოგვბეზრდა ჩვენებურად, შენებურად, შენებურადო, — დასცხებენ.

მაშინ ჩამოისხამს ჯემალი დიდრონ სასმურში ნამუსიან ღვინოს და წარბის შეუხრელად იტყვის:

— გაუმარჯოს ამ ჩემს... გვადალასო.

იმედია, გვადალას თარგმანს არ მომთხოვთ ახლა.

სტუდენტების სიმრავლეა.

რექტორის სახელს ვახსენებ და მოწიწებით წარმიძღვებიან.

სამზადისია სტუდენტური დღეებისთვის.

ოდესღაც გაპარტახებულ შენობას პატრონის ხელი დატყობია.

შეთეთრებულია კედლები. შემინულია ფანჯრები. დერეფნები კრიალებს. თვლსაჩინოების სიუხვეა.

ჩვენი კლასიკოსების ბრძნული აზრების პლაკატებია ყოველ ნაბიჯზე: „მამული, ენა, სარწმუნოება“, სხვანი და სხვანი.

საქართველოში დამოუკიდებელი უნივერსიტეტების ცვენაა; პარკეტი, სისუფთავე და კომფორტი ბევრმა იჩალიჩა, ზუგდიდიდან დაწყებული ახალციხით დამთავრებული, მაგრამ ილია ვეკუას სახელობისა ერთადერთია და ისიც — სამშობლოს დასავლეთ კარიბჭესთან — ფაზის ქალაქთან.

მე შემთხვევით ჩამვარდნია ხელში დიდი მეცნიერის იშვიათი ფოტო: დაფასთან დგას გადატკეცილი ქოჩრით და ოდნავმოელამო თვალებით იყურება აუდიტორიისკენ, მის ზარგსუკან კი გვარიანი ტანადობის დამრეცი ფორმულა-შემადგენლობაა.

მოგვიანებით მე ამ ფორმულას წავშლი ფოტოზე კომპიუტერის ჯადოქრობის შემოშველიებით და შემდეგნაირი შინაარსის სიტყვათწყობას განვალაგებ: ქართლს + კახეთი + იმერეთი + გურია + სამეგრელო...= საქართველოს.

შემიძღვებიან ტყავგადაკრული კარს მიღმა მზენათელ კაბინეტში. ამომხედავს სათვალიდან ბატონი რამინი და ლამის ევრიკას შეძახილით აღმართავს თავსზემოთ ხელებს.

ჩაივლის კოლექტივთან გაცნობის პირველი პროცედურა.

დაგვატკბობენ გოგონების ტრიოებისა და კვარტეტების პოლიფონიათ.

გამაცნობენ თანამოკალმე ჭაბუკა ქოიავას.

დამასაჩუქრებენ წიგნებით.

მე კი ახლადშეძენილ დიქტაფონს ელემენტებით ვმუხტავ.

მიკროკასეტები წინ მილაგია ნუმერაციის შესაბამისად: 1,2,3,4,5,6.

ცოცხალ ინტერვიუს „რექტორი“ ხქვია.

ექვსსაათიანი საუბარი ზურგს უკან დაგვრჩება.

სასმელები ხელუხლებელია მაგიდაზე.

ტრეპანაციას გადავურჩი და უშბელების პესტიციდებს მოვაკვლევინებ თავს?!

ექვსსაათიანი დიალოგი საკმარისი აღმოჩნდება შემწვარ-მოხრაკულის მოსამრავლებლად.

კვლავ რამდენიმე ფინჯანი ყავა და ნოყიერი ლუკმა.

გულით უხარია მასპინძელს, რომ ბოლოს და ბოლოს მომიხელთა. აღარსაით ვემეტები გასამგზავრებლად.

სასტუმროში ფეშენებელურ ნომერს მთავაზობს.

— კიდევ ორიოდე კვირით დაყოვნდიო, — მეაჯება.

— ჩამაღწევინე, კაცო ოჯახში-მეთქი, მოვიშველიებ შეუვალ არგუმენტს.

— კი, ბატონო, ჩაგიყვანს მძღოლი თბილისშიო, — მხარზე დამადებს მარჯვენას მამაშვილურად. — მხოლოდ სიფარული იძლევა ძალას, მძიმე ტვირთი ატაროო, — ჩამოძერწავს ფრაზას.

— არა, ჯერ ოთარ ფაცაციას შევუვლი, — ათგზის ვიმოკლებ მანძილს, — მატარებელს გავყვები

იქიდან-მეთქი, — მოკრაძელებულ იერს ვჯერდები.

— ნება შენიო, — მეტყვის და უცებ დაღონდება, თითქოს უკეთესი მასპინძლის საცხოვრისს დავხარბებივარ.

კვირას კვირა წაებმება, თვეს თვე წაებორძიკება.

— როგორ ბრძანდებით ბატონო რამინ-მეთქი, ვეხმიანები ელსმენიდან.

— ნახშირი კედელსო, — შემაგებებს ხელად. — ქუდი ისევ ფოთში ჩამოვიტანეო, — დამასწრებს.

— კარგი გიქნიათ - მეთქი, დავანუგეშებ ჩემი კეთილი დევების უნებლიე მწყემსს. — ახლა მესხეთიდან გირეკავ, ბატონი გიგლა ბარამიძის კაბინეტიდან. ობსერვატორიაში ვიყავი ცოლ-შვილით. თამარ მეფის ძეგლთან სურათები კოლექტიურად გადავიღეთ. აბასთუმნის ობესრვატორიაში ჩემი თანაოტობაიელი კაცისგან აუცილებელი მასალები შემიგროვებია მომავალი რომანისათვის. ვანიჩკა კვარაცხელია ხომ გაგიგონია, ხოდა, იმისი ბიჭია, ოთარი, გიტარის ჯადოქარი თანაც.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენთან როდის გიხილავთო, — მოლარავს.

— ხვალ თელავისკენ მივდივარ, იქ ,,ჯი-ვი-ესის'' პრობლემებს ჩავუღრმავდები. პანკისშიც შევივლი თანაკურსელი ოთარ მეოტიშვილის საფლავის მოსანახულებლად. თუკი მთლად არ დამატყვევეს და გამოსასყიდი ფული კარდაკარ საძებარი არ გახდა, თვის ბოლოსათვის გეახლებით-მეთქი. ჩვენი საუბრები კომპიუტერშია ჩატვითრული ბატონო, რამინ. იმასაც წამოვიძღოლიებ. ქუდი კი კაბინეტში დაიტოვე. გაიცრიცა, ალბათ, ამდენ ხეტიალში-მეთქი.

— ხუმრობას მოეშვიო, — დამიცაცხანებსავით. — ხო, მართლაც, ჩვენი ჯუკა გეძებს, ჩვენი გერონტი კუხალეიშვილი. სულხან მოლაშვილს დაურეკავს შენს თაობაზე. გიზო მიქაძესთვის დაუბარებიათ გურიაში შენი მეგზურობა. ტელეფონი შენ არ გაგაჩნია და მობილური. ჩამოდი, ადამიანო და გიყიდით ბოლოს და ბოლოს. ძუნწი კაცის ჯიბე ყოველთვის გახვრეტილია, მაგრამ ამას რამინ აბლოთიას ვერავინ დასწამებს! ვეღირსებით იმ წიგნს ოდესმეო, — ყვედრებისმაგვარი გაჟღერდება ხმაში.

— გამიგეთ, ბატონო, რამინ, სამი თვით ჩამოვდივარ შემოქმედებითი მივლინებით მწერალთა კავშირიდან. მართალია, ფინანსების თათარაში ჩურჩხელასავით ვეღარ ამომავლებს წივწივაძე, მაგრამ ის დღეები აქეთკენ ვიტრიალებ და მეტს მოვიცლით მომდევნო საუბრებისათვის-მეთქი.

ეგ არის და ეგ.

მართლაც მეოთხე კვირისთავზე ბატონ გერონტი კუხალეიშვილის კაბინეტში ვზივარ.

ფოთში კონცენტრირებული კონტროლის პალატის რეგიონული ბიურო ცერზე დგას.

ჩატანილია ბატონ რამინისათვის განსაქიქებლად 3000 გვერდიანი ,,სუფევის'' საკორექტორო ტექსტის ერთადერთი ეგზემპლარი.

ფოთის საპატიო მოქალაქეს, ღირსების ორდენის კავალერს, გულწრფელად მივულოცავ ამასწინათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევას.

თვალში თვალს მისწორებს.

მამაშვილურია ეს თაფლისფერი გამოხედვა.

— მეტს ვერ დავრჩები-მეთქი, ვებოდიშები გულღია მასპინძლობისათვის აღერებულს — დაბლა გიზო მიქაძე მელოდება, უხერხულია. ვიცი, ვიცი, აბულაძე ხარ ჯიშით და ჯილაგით. ისტორიულ წყაროებს თუ ვენდობით, შენი წინაპრები ლანჩხუთის რაიონიდან ყოფილან. მთავარ გურიელს შემოსწყრომიან. სისხლიც დაუღვრიათ და ფიტილივით გურიაში, აბა, როგორ დაედგომებოდათ?! გამოშურებულან სამეგრელოსკენ, თუმცა იმჟამინდელი შეთანხმებისამებრ დადიანი და შერვაშიძე სისხლის დამნაშავეებს ახლოსაც არ იკარებდნენ თურმე და აი, ვიღაც ზორბა ებრაელი მებორნეც შემოაკვდებათ, როცა აბულაძე ძმებს გადაყვანაზე უარს სტკიცავს-მეთქი. ბევრად კი არ მჯობიხართ, ბატონო რამინ. ეხეტებით ასე გურიასა და აფხაზეთს შორის. ხან ლანჩხუთში მკვიდრობთ აბულაძეების გვარით, ხანაც თაგილონში ებრძვით მიწას აბლოთიებად გარდასახულნი. ახლა მთლად შუალედური ალაგი ამოგირჩევიათ სამოღვაწეოდ, ჩვენი სამშობლოს კარიბჭე შავი ზღვის აკვატორიიდან — ფაზის ქალაქი. ფეტელავა ვიყავი მეც თავის დროზე, ახლა გური ოტობაია გავმხდარვარ. ხოდა, ვიბოდიალოთ აღმა-დაღმა ჩვენი საბედიანოს უკვდავების განთიადების დასატყვევებლად. ასე რომ, ცოტაც მადროვეთ, ბატონო, რამინ, თვალს გადავავლებ შენი წინაპარი აბულაძეების ძვალთშესალაგებს თუ მარან-ოჯინჯალეს. ხელად ჩამოვბრუნდები. ამასობაში ,,სუფევაც'' ჩაკითხული გექნებათ, ალბათ, და მეიმედება, უფრო სწრაფად წავიწევით წინ. ესეც რომ არა, ხომ გიყვარს თქმა: ჯერ სიარული უნდა ისწავლო, რომ გაფრინდეო.

— მოიცა, კაცო, სტუმარია დაბლა? ბიჭო, ე... — წამომეწევა მისი ხმა კიბეებზე, მაგრამ მე უკვე

წვიმიანი გზატკეცილით მივქრივარ ყრმობისდროინდელი ნასაკირალისაკენ, ჩემი გუბაზოულისაკენ თუ წვერმაღალასაკენ, ჩემი ნოდარ დუმბაძის, პოეზიის დედოფალი ანა კალანდაძის ხიდისთავისაკენ თუ გულში ჩასახუტებელი გურიის მთების ხატაურებისაკენ და სანამ იქიდან ჩამოვბრუნდებოდე, ბატონი რამინ აბლოთიაც თბილისს გამასწრებს. ჩავალ დედაქალაქში და გზაში ამცდება.

6-საათიანი ინტერვიუს ფრაგმენტები
ბატონ რამინ აბლოთიასთან

— ბატონო რამინ, ჩვენ შემთხვევით არ გვიხსენებია მარქსის სახელი. მე მის ნაშრომებს სტუდენტობის პერიოდში გავეცანი. ჩემი მსოფლმხედველობის გარკვეული ნაწილი მისითაა ნასაზრდოები. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, დღემდე ვერ ვთავისუფლდები მისი ზეგავლენისაგან. ჩვენ წაკითხული გვაქვს საჭირო ლიტერატურა, გვაქვს გარკვეული წარმოდგენა სამყაროს აგებულების შესახებ. ამ ზაფხულს ობსერვატორიაშიც გახლდით. სხვათა შორის ბოლო დროს ასეთი ტენდენციაა: ბევრი მეცნიერი ჩიხში ემწყდევა, თეოლოგიამდე მიდის, მაგრამ უშუალოდ თქვენი აზროვნების მოდელი გვინდოდა დაგვეფიქსირებინა, რომელიც, ალბათ, ჩვენი საუბრის ერთგვარი შესავალი იქნება.

— როგორც თქვენ ბრძანებთ, მარქსის მსოფლმხედველობიდან გამოსვლა ჭირს, მაგრამ საკითხავია არის თუ არა ეს აუცილებელი?! ჩვენი თაობა კომუნისტების, სოციალიზმის დროს აღვიზარდეთ და ბუნებრივია, ამ ცოდნას სოციალისტურ-კომუნისტური იდეოლოგია ეწოდებოდა. მაშინაც მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია: მარქსის სრული გაგება, მარქსისტული მსოფლმხედვლობის რეალიზება ცხოვრებაში არ იყო ისე, როგორც ამას თავად მარქსი ლაპარაკობდა: მარქსის თეორია ითვალისწინებდა და საერთო ჯამში ჩვენი, აზრი კარდინალურად ამახინჯებდა მის მსოფლმხედველობას. ამახინჯებდა იმიტომ, რომ თავად მარქსს არ ხქონდა შემუშავებული, განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოს გადაზრდა, ტრანსფორმაცია სოციალისტური საზოგადოებისაკენ. ახლა არავის შეუძლია გვითხრას რა არის სოციალიზმი, კარგია თუ ცუდი? და რომ ვიძახით კაპიტალიზმის გზას ვადგივართო, ეს უკან დაბრუნებაა.

სიტყვა დემოკრატია ანტიკური საბერძნეთიდან მოდის, სოციალიზმის იდეებიც. ეს აიტაცეს მარქსისტებმა ყველაზე უფრო პროგრესული თეორია, ყველაზე უფრო მისაღები ხალხისათვის, რომ ყველაფერი საზოგადოებისაა, ფაბრიკა — მუშებს, მიწა — გლეხებს. მაგრამ არც გლეხს ხქონდა მიწა და არც მუშას ფაბრიკა, ქარხანა. პირიქით, უარყოფილი იყო კერძო საკუთრება. მხოლოდ ლოზუნგი ხქონდათ ყველაფერი ხალხსო, ნამდვილად ისე რომ ყოფილიყო, როგორც სოციალიზმის იდეა გულისხმობდა — მიწა— გლეხს, ფაბრიკა-ქარხნები— მუშებს, მაშინ ამაზე უკეთესს რას მოისაზრებდი, მაგრამ შეუძლებელს წავებღაუჭეთ, განუხორციელებელს.

— ყველაფერი სცადეს, ბატონო, რამინ!

— ლენინი ჯერ კიდევ 1917-ში, ოთხი წლის შემდეგ მივუახლოვდებით კომუნისზმსო, იძახდა. აი, სამ-ოთხ წელზე ის ფანატიკურად იყო დაქოქილი და ყოველ შემთხვევაში ხალხს ასეთ განწყობას უქმნიდა; რამოდენიმე წელიწადში კომუნიზმში შევალთ, ყველაფრი საერთო იქნება და აი, მთელი ოჯახი ასე დავხვდებით სოციალიზმს ერთად ვიცხოვრებდით და თანაბარი განაწილებითო. რაღაცა ფანტასტიკური იყო ეს ყოველივე. ამაში თვითონვე დარწმუნდნენ. მიხვდნენ, რომ ეს პრიმიტიულია, არაა დიდი ხნის. ამის შემდეგ იყო სტალინმა ცოტა სხვანაირი გაგრძელება მისცა.

რევოლუცია ძირფესვიანად ცვლის საზოგადოებრივ წყობილებას. აქ, რადგან ადამიანის სოციალური პრობლემა იყო წამოწეული, დაარქვეს სოციალისტური რევოლუცია, თორემ ესეც გადატრიალება იყო, რომელსაც საერთო არაფერი ხქონდა სოციალიზმთან, ეწინააღმდეგებოდა მარქსის თეორიას. ის ამბობდა, რომ სოციალიზმი იმარჯვებს იქ, სადაც კაპიტალიზმი თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწევს და ამის შემდეგ ხდება მისი ტრანსფორმაციაო.

— ლენინმა გააკეთა ეს.

— აი, ვამბობ, დაამახინჯეს, იმიტომ რომ იდეოლოგიას სჭირდებოდა ასე. მაშინ კომუნისტების იდეოლოგია გახლდათ მარქსიზმი. დავა მიდიოდა სოციალიზმის მშენებლობა შეიძლება თუ არა რუსეთში. სტალინი ამბობდა:

კაპიტალიზმის სუსტი ჯაჭვი, სადაც არის, იქ გაწყდებაო. ხოდა სოციალიზმის ლიდერებმაც კოლონიალური სახელმწიფო შექმნეს. ეს არის ჩაგრული ერების სახელმწიფოები და გაწყდა ჯაჭვიც. ისე, სოციალიზმი თავისთავად, კაცობრიობის ოცნებაა.

— თქვენ სტალინის ტომები გაქვთ წაკიხთული? მე თორმეტი ტომი წავიკითხე, მე-13-ე არ გამო-

სულა.

— ნუ ბოლო ტომი არის დიდ სამამულო ომზე. მე-13-ში უნდა ყოფილიყო სოციალისტურ-ეკონომიკურ პრობლემებზე, რომელიც არსად შესულა. ასევე მისი შრომები ენათმეცნიერებაზე, ფილოსოფიაზე. ისინი ცალ-ცალკე იყო გამოსული. ეკონომიკური პრობლემები ბავშვობაში მაქვს წაკითხული, როცა კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვიყავი, შვიდი კლასის შემდეგ საშუალო გალის პირველ სკოლაში დავამთავრე. სწორედ სკოლაში გვავალებდნენ ამ ნაწარმოების წაკითხვას. ამ ეკონომიკურ თეორიაში არის ფუნდამენტური აზრი ჩადებული, მაშინაც ამბობდნენ, და დღესაც რჩება ძალაში. ეს ითვალისწინებდა სოციალიზმის გარდაქმნას. დაინახა მან, რომ საბჭოთა კავშირის ისეთი გზით განვითარება, შეუძლებელი იყო. ომის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. გადასხვაფერდა სოციალურ-ეკონომიური მიდგომები. ხალხის აზროვნება გარდაიქმნა, იმიტომ, რომ ჩაკეტილი საბჭოთა კავშირიდან გავიდა მსოფლიოში. ომმა გახსნა რკინის ფარდა, გინდა თუ არ გინდა ჩვენი ხალხი ევროპაში გავიდა, ნახა ხალხმა კაპიტალიზმი მთლად ისე არ ყოფილა, როგორც აქამდე ვიცოდით.

— ჩინეთი გახყვა.

— დიახ, აი, ჩინეთი გახყვა იმ გზას. ჩვენ კი გვქონდა გარდაქმნის პრობლემა. ბერიამ სტალინი მოკლა და იმავე დღეს გამოუშვა კონეფცია. ეს სტალინის სიცოცხლეში გაკეთდა. ხოდა, იწყება სწრაფი გარდაქმნა, მაგრამ ხრუშჩოვმა და მისმა ბანდამ როცა დაინახეს, რომ კერძო საკუთრების შემოღებას, კოოპერატიულ მეურნეობას, მოკავშირე რესპუბლიკებისთვის გარკვეული თავისუფლების მიცემას, კარგი შედეგი არ მოჰყვებოდა ველიკორუსული დიქტატურისათვის. (ეს არ ჯდებოდა ხრუშჩოვის და მისი გარემოცვის ფსიქოლოგიაში), აუცილებელი გახდა ბერიას მოშორება. ამ დროს შეჩერდა გარდაქმნის პროცესი. მერე იგი გააგრძელა გორბაჩოვმა. ამიტომაც — დასავლეთში ბერია სამართლიანად მიაჩნიათ საბჭოთა კავშირის რეფორმების ორგანიზატორად, პირველ პიონერად.

— ბატონო, რამინ, თქვენ საინტერესოდ მსჯელობთ. შეიძლება ვთქვათ, რომ აი, სოციალიზმის შიგნით იყო სწრაფვა კაპიტალიზმის ელმენტებისაკენო. ამავე დროს კაპიტალიზმში არის ანტისოციალური პრინციპები: ალან დალესის თეორიები ითვალისწინებს უსისხლო ომს ადამიანთა იდეოლოგიის, ზნეობის, მორალის აღმოსაფხვრელად. თქვენ რას გვეტყოდით ამის შესახებ.

— 80-იანი წლებიდან სოციალიზმის დისკრედიტაცია რა თქმა უნდა მოდის ალან დალესის თეორიიდან. ტრუმენი მარშალის გეგმიდან ჩაუყრის საფუძველს ცივ ომს, მაგრამ ეკონომიკური და სოციალური რღვევის თეორიები დალესიდან მომდინარეობს: რაც ჩვენთან 90-იანი წლების ბოლოს ხდებოდა, ამერიკის დაგეგმილი გახლდათ. ასზე მეტი ინსტიტუტი სწავლობდა ევროპაში სოციალიზმის პრობლემებს და უზარმაზარი თანხები იქნა ჩადებული იმისათვის, რომ გაეშიფრათ, გაეშიშვლე- ბინათ სოციალიზმი. კაპიტალისტებმა გაცილებით უკეთესად შეისწავლეს მარქსის მოძღვრება, გაცილებით უკეთესად გამოიყენეს, ვიდრე— ჩვენ. ჩვენ ზედაპირულად ვუყურებდით ამას, რადგან რეალური საფუძველი არ გვქონდა. მარქს, როგორც ასეთი, სოციალიზმის თეორია არ შეუქმნია. მან შეიმუშავა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში რევოლუციით გადასვლის გზა. მაგრამ თეორია სოციალიზმისა, როგორი უნდა ყოფილიყო უკვე გამარჯვებულ სახელმწიფოში, ეს არ ხქონდა და ვერც ლენინმა მოასწრო ამის გაკეთება. სტალინმა გარკვეულწილად დაამუშავა იგი პრაქტიკულად და რაც ააშენა ის თეორიულად იქიდნაა განზოგადოებული. მარქსმა სოციალიზმის გამარჯვების თეორია შექმნა და არა სოციალიზმის თეორია.

— იმედია, ვერ მოასწრო.

— ვერ მოასწრო იმიტომ, რომ ჯერ სოციალიზმმა უნდა გაიმარჯვოს, უნდა იყოს გარკვეული საფუძვლები, უნდა გაანალიზო. ჩვენთან ახლა შემოვიდა საბაზრო ეკონომიკა. ამერიკაში ასწავლიან ეკონომიკურ თეორიას. ჩემს მეგობარ კარლო ღურწკაიას აკვიატებული აქვს, რომ ეკონომიკა უნდა ისწავლებოდეს 3 წელიო. მე წინააღმდეგი ვარ და რატომ, იცით? ეკონომიკსი არის აგებული ამერიკის ეკონომიკის განვითარების მოგების ანალიზზე, როდესაც აქ, ჩვენთან, კაპიტალიზმი არაა და ეკონომიკა ნოლზეა დაყვანილი. ბავშვებს ვასწავლით, როგორია ამერიკაში ეკონომიკური ურთიერთობანი და რომელი კანონზომიერება მოქმედებს. ამას ადგილზე რომ ვერ ხედავს, თვალსაჩინოებას მოკლებულია, რეალურ ცხოვრებას მოწყვეტილი ეკონომიკა არ ხქვია? ეკონომიკა გვინდა?! უნდა ემყარებოდეს ცხოვრებისეულ სინამდვილეს, რეალურ ეკონომიკურ ურთიერთობას. ამიტომ კარლოს ვეუბნები:

არ არსებობს კაცო, ის ეკონომიკური ურთიერთობა და სტუდენტებს ზღაპარს ნუ ვასწავლოთ-მეთქი. ახალ ჩვენს წიგნში გვაქვს ერთი თავი ეკონომიკის ძირითად მომენტებზე, რომელიც შესაძ-

ლებელია გამოვიყენოთ ცხოვრებაში. ის ჩვენი რეალური ცხოვრებიდან გამომდინარეობს. არ შეიძლება ვიყოთ საზოგადოებას მოწყვეტილი. ახლა ჩვენ გარდამავალი პერიოდის რომელიღაც ფაზაში ვიმყოფებით, მაგრამ ხომ არა ვართ უცხოეთს მოწყვეტილი? ამიტომ რაღაც ეკონომიკური საფუძველი უნდა არსებობდეს, რათა გაანალიზო და მიიღო კანონზომიერებად. სანამ გარდამავალ პერიოდში ვჩინდრიკობთ ნაადრევია ამერიკული ეკონომიკა ვისწავლოთ. ისე სხვათა შორის, ეკონომიკური რეფორმა, რომ არ ამართლებს ჩვენთან, ეს გამოწვეულია დღევანდელი დღის გაუთვალისწინებლობით. არ არის გაანალიზებული გუშინდელი ჩავარდნები და მოდელი ავტომატურად გადანაწილდეს. გამართლებული არ არის. ამიტომაც ვიწვნევთ ხოლმე კრახს რეალურ ცხოვრებაში. არ შეიძლება იყო მარტო ეკონომისტი და პოლიტიკას თვალს უხუჭავდე.

— სოციალურად ორიენტირებული.

— რთულია არეულ ურთიერთობაში სწორი დასკვნების გამოტანა. ჩვენ გვჭირდება ეკონომიკური პროგრამა, რომელიც რეალური შესაძლებლობებით და დონით მიმდინარეობს და არა — ილუზიით, ფანტასტიკით. ეკონომიკა — ეს არის რეალური ცხოვრების ანარეკლი, სხვანაირად არ შეიძლება. იქ რა თქმა, უნდა პოლიტიკაც არის, სოციალური სფეროც და ეს ყველაფერი ერთად უნდა გაანალიზდეს. ამიტომაც დღეს ეკონომიკური თეორია განიცდის კრიზისს, ისე როგორც — ეკონომიკა. თუ ეკონომიკა ძლიერია, თეორიაც კარგია, მაგრამ უკეთესი ვიქნებით თუ ამ ეკონომიკურ თეორიაში ჩვენ ავსახავთ ძირითად მომენტებს: როგორ უნდა მოხდეს საზოგადოებრივი განვითარება. ეს ჩვენთან ისწავლება ორას ორმოცი საათი. არც ერთი საგანი არ ისწავლება ორი-ოთხი სემესტრის გარდა, იმიტომ რომ იგი ეკონომიკური ურთიერთობის საფუძველია. იცი ეს საგანი? იცი თეორია? მაშასადამე ეკონომიკას, ორგანიზაციას, მართვას, მენეჯმენტს, ყველაფერს საფუძვლიანად დაუფლებიხარ. ეს რთულიც არის და თავისთავად, დიდი ხნით ისწავლება. ეკონომისტი ვერ გახდები თუ ამ საგანს არ დაეუფლე.

— მარქსისტული თეორია დიალექტიკურია, რომელიც ემყარება დროის, სივრცისა და მატერიის ერთიანობას. ამაზე მინდა დაწვრილებით მესაუბროთ.

— ნუ, ეს ისეთი საკამათო საკითხია... მარქსისტული თეორია მატერიის პირველადობას ეყრდნობა. მარქსი, რა თქმა უნდა, ათეისტი იყო, ასევე ენგელსიც. მათი თეორია აგებულია სულიერის ზედნაშენობაზე. პრინციპული განსხვავება კაპიტალისტურ და სოციალისტურ მოდელებს შორის ეკონომიკის თვალსაზრისით აქედან იკვებება. ჩვენ ახლა კაპიტალიზმზე გადავდივართ, მაგრამ თეორიულად ჯერ კიდევ არა ვართ განთავისუფლებული იმისაგან, რომ მატერია აბსოლუტურად უარვყოთ. რომ აი, სულიერება ყველაფერია, კოჭლი ცხვარივით უკან მოჩანჩალებს. ხალხს ხელფასი უნდა, პენსია უნდა, მაგრამ სულიერებას თუ დავაყენებთ პირველ ადგილზე, მეორადი მაინც უნდა იყოს მატერია და ეს სრულიადაც არ ნიშნავს უარი ვთქვათ საზოგადოების მატერიალურ უზრუნველყოფაზე. თითქოს თავისთავად განაწილდება. უკვე არა ვართ ათეისტები, მორწმუნენი გავხდით. ყოველ შემთხვევაში ამასაც გარკვეული პერიოდი სჭირდება. არც ის მიმაჩნია სწორად, როცა ადამიანი სამოცი წელიწადი ათეისტია და უცბად რომის პაპას გაასწრებს ღვთისმოსაობაში. იმის გულის სიღრმეში მაინც არის ის, რაც სამოცი წლის განმავლობაში ილექებოდა. რა, დღეს მან ყველაფერს გადაუსვა ხაზი ამ ათეისტობის მანძილიდან? ღმერთს ხომ ვერ აუხვევს თვალებს?! ადამიანი ბავშვობიდან უნდა აღიზარდოს სულიერად. აი, რაც უბედურებები ხდება: მკვლელობები, ძარცვა, ყაჩაღობა, სამეგრელოს განადგურება, ძმათა ომი, სამაჩაბლოს და აფხაზეთის დაკარგვა, რა, ამას სულიერი მამა-ღმერთი გეუბნება?! პირიქით, უფალი გვასწავლის: ,,არა კაც ხკლაო''.

ჩვენ უკუღმა ვაკეთებთ. ამის ჩამდენი, ვინც ეკლესიაში დადის, ის ყველა ქრისტიანი არაა. ყაჩაღისთვის სარწმუნოება არ არსებობს. ის ყაჩაღად არის დაბადებული. არც კომუნიზმი ქადაგებდა მოკვლას, ადამიანის განადგურებას. აქაც იყო აგიტაცია. იყო მშვიდობიანი თეორია.

მორალურ კოდექსში ჩამოყალიბებული გახლდათ ათი მუხლი. ეს იქიდან ვიცი, როცა ინსტიტუტში ვმუშაობდი; პროორექტორი ვიყავი იდეოლოგიის დარგში და კომუნისტებმა შექმნეს მორალური კოდექსის ათი მუხლი, იგივეა, რაც ათი მცნება, ოღონდ სოციალურ სისტემას მისადაგებული, სხვა ფორმაციაში გადატანილი. ამ კოდექსით ადამიანი საზოგადოებრივ საკუთრებას უნდა მოფრთხილებოდა, დაეცვა მისი პირადი ინტერესები; საზოგადოება უნდა ამაღლდეს, ცნობიერება უნდა ავიმაღლოთ, ამხანაგური, კაცთმოყვარენი უნდა ვყოფილიყავით, გვქონოდა მორალური, ოჯახური სიმტკიცე. ამას კითხულობდა შეგნებული ხალხი და საზოგადოებაში წინა პლანზე ხუმანურობა იყო წამოწეული. მაგრამ რა ხდება დღეს? უკვე მორწმუნეები ვართ, რელიგიამ საზოგადოებაში თავისი ადგილი დაიკავა, მაგრამ რეალურად სარწმუნოების საკითხი ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე. გავიხედოთ ოკეანის გაღმა. რა ხდება ამერიკაში? იძახიან მორწმუნეები, კათოლიკები ვართო. ისინი ყველგან

არიან. საზოგადოებაში ანტიპოდები ყოველთვის იყო და იქნება...

— საუბარს გადავუხვიეთ, ბატონო, რამინ. ჩვენ თეოლოგიისა და მატერიალისტური მსოფლმხედველობის პრობლემას ასე იოლად ვერ გადავჭრით. თუნდაც ხერაკლიტედან დავიწყოთ. ეს უზარმაზარი მოაზროვნე ასეთნაირად ბრძანებს: სამყარო არის ცეცხლი, რომელიც კანონზომიერად ინთება და ქრებაო.

არისტოტელესაც ხქონდა გარკვეული მატერიალისტური მიმართულებები. მატერიალისტური მიმართულება სულ მოსდგამს კაცობრიობას. მაგრამ გაორების წინაშე ვდგევართ სულმუდამ. გავეცანი იეღოველების ლიტერატურას, კერძოდ ,,შემოქმედს''. იქ ყველა მატერიალურისტური პოსტულატი განიხილება ღმერთის მიერ დაშვებულად. აი, მეცნიერები მიდიან თეოლოგიამდე. იგივე აინშტაინი, სხვები და სხვები, სულ დიამეტრალურად განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევენ. მე მაინტერესებს თქვენეული შეხედულება: კაცობრიობის ხვალინდელი დღე, ცივილიზაცია, ზუსტი მეცნიერებით ივლის თუ მაინც თეოლოგიურ საფუძველს დაეყრდნობა?!

— მე ფილოსოფოსი არა ვარ, მაგრამ ჩემს აზრს მოგახსენებთ. ავიღოთ, აი, იეღოველები. მიმზიდველია მათი ლიტერატურა. ეს ჯერ იყო ბიბლიის შემსწავლელთა წრე, რომელსაც რასელმა ჩაუყარა საფუძველი. ისინი სწავლების პროცესში გადაიზარდნენ სექტად, გარკვეული მსოფლმხედველობა ჩამოაყალიბეს, რომელიც ეწინააღმდეგება მართლმადიდებლურს. და არა მარტო მართლმადიდებლურს: ეკლესიას არ ცნობენ, ეკლესიურ სახემლწიფოს უარყოფენ. ეს მასონურ თეორიაში გადადის. მასონიზმი და იეღოველები ერთი პარტიის წევრები არიან. გარკვეულად შემოგდებულია. მასონების ნარჩევი ფიქრი. ეკლესიამ დაიგვიანა. ამ მხრივ, ამ მიმართულებით აქტიური უნდა იყოს ეკლესიის მართლმსაჯელება.

— აი, ვასილ მკალავიშვილი ებრძვის მხოლოდ.

— არა, ეს რადიკალურია. ეს თავის დროზე, ადრე იყო გასაკეთებელი. ეს სექტა რამდენი ხანია შემოვიდა და თავისი პრეტენზია განაცხადა საზოგადოებაში. იგი ცდილობდა თავისი ადგილი დაეკავებინა. უბედურება ის არის, რომ კორუფციამ აქაც დაისადგურა.

ათასობით დოლარის ღირებულების ლიტერატურა რომ შემოდიოდა, რა, ეს საბაჟო სამსახურებმა არ იცოდნენ? ახლა გაიგეს? ახლა რომ ვებრძვით. ეს, შეიძლება კიდევაც ხელს უწყობდეს მის დამკვიდრებას. სანამ ის გახდებოდა აქტიური და საზოგადოებაში გარკვეულ ადგილს დაიკავებდა, მანამდე უნდა გვეყვირა. ახლა მეეჭვება ჩვენ ეს პროცესი შევანელოთ.

— მე ეს საკითხი საკმაოდ შევისწავლე, ბატონო, რამინ. ეს არის ებრაელი ერის აღზევების თეორია. იეჰოვა, ებრაულად ღმერთს ნიშნავს. იგივეა, რაც ბუდა, ზარატუსტრა, ალახი, მამაღმერთი, დუდოღორონთის, რომ ვეძახით.

— დიახ, დიახ, ეს არის მოციქული ღმერთი.

— რასაც ახლა ებრაელები აკეთებენ გაქრისტიანების გზაზე, ჩვენ განვლილი გვაქვს. იეჰოველები ებრაულად ჭრიან მონეტას, ეს არის, მეტი არაფერი.

— თავისთავად ჩვენ ყველა ქრისტიანი ვართ. ეს იეღოველობა გარკვეული ფორმით მასონური მსოფლმხედველობის მატარებელია, რომელიც სახელმწიფოს მოშლისკენაა მიმართული, ასე ვთქვათ, ყოველგვარი ეროვნულობის წინააღმდეგ. პარლამენტის დადგენილებით ამოღებულია პასპორტიდან ეროვნების რეკვიზიტი. ეს მოხდა ძალიან უცბად. ისე რომ არც საზოგადოებას ჰ ქონდა სულმუდამ გაცნობიერებული და აღარც პარლამენტს, 1999-ი წლის დეკემბერში მიიღეს ნაუცბადევად. მერე რამდენი ხანი დასჭირდება ეროვნული ნიშნების აღდგენას? რატომ? არ ხსნიან. ეს უდიდესი ეროვნული პრობლემა და დანაშაულია. პასპორტში მინდა ვიყო ქართველი, მეწეროს მამა. რა დააშავა მამამ? ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ .

— ამით ხდება პიროვნების დაკონკრეტება, რადგანაც ბევრჯერ მეორდება.

— ეს იეღოველების, მასონების თეორიაა. ევროპაში ხომ არ იციან ეს, მაგრამ ამერიკას ტრადიცია არა აქვს?

— ნამდვილად!

— ევროპას? ევროპას აქვს ტრადიცია. ახლა არის დაპირისპირება ამერიკასა და ევროპას შორის. ატლანტიზაცია ხქვია ამას. ამერიკული მსოფლმხედველობის დამკვიდრება ევროპაში ნიშნავს იმას, რომ ევროპამ დაკარგოს თავისი ინდივიდუალური სახე და ამას ზოგიერთი ევროპელი კარგად აღიქვამს. საფრანგეთი დიდი ტრადიციის სახელმწიფოა და მანდ ძალზე სერიოზულად უდგებიან ანტიატლანტიკურ მიმართულებას. შემთხვევითი არ არის, რომ ნელ-ნელა ხდება პოზიციების დაახლოება ევროპასა და რუსეთს შორის, ჩინეთსა და რუსეთს შორის. ჩინეთს ვეებერთელა ტრადიციები აქვს, დიდი სახელმწიფოა. ხოდა, როდესაც ამერიკა მსოფლიო ბატონობაზე

ფიქრობს, ის დაინტერესებულია შენი ქვეყნით, თავის სასარგებლოდ, რა თქმა უნდა. ის გირეკავს და გეუბნება: თუ თქვენ საპასპორტო რეკვიზიტს შეცვლით, მაშინ კრედიტს არ მოგცემთო. ფაქტის წინაშე გაყენებს. საქართველოში არის ეროვნული სულიერების პრობლემა, სახლმწიფოებრივი ცნობიერების პრობლემა. სამათხოვრო და სხვისი ხელის გამართვა რაში გვჭირდება? ანდა სად მიდის, რომელ სოციალურ ფენას მოხმარდა ეს კრედიტები? მე მოსკოვში ვსწავლობდი და არასდროს მითხოვია ვინმესთვის რამე. ამ სიშორეზე რომ წახვალ, უნდა ისწავლო, უნდა თავი გაიტანო. მყავდა ერთი კარგი მეგობარი ტროვიცკი ბორის ნიკოლაევიჩ. ის ომის დროს დაზვერვაში ნამუშევარი იყო და ქართველები ძალიან ვუყვარდით. ერთხელ ვთხოვე საერთო საცხოვრებელში კუთხე, ოთახი მოეცათ ჩემთვის. ეს იყო და ეს. მერე გამოშვების დროს მითხრა:

ერთადერთი ქართველი ხარ, რომელსაც არაფერი უთხოვია ჩემგანო.

ომის მომხრე საერთოდ არა ვარ, მაგრამ იმ მომენტში სოხუმში ჯარის შემოსვლა საჭირო იყო. თუმცა როცა ჯარისკაცების მოქცევა დავინახე, მივხვდი იდეოლოგიურად ისინი არ იყვნენ მზად აფხაზეთში შემოსასვლელად. ხელად დავასკვენი, რომ დავმარცხდებოდით, რადგანაც ამ ხალხმა კი არ დაგვაკავშირა ერთმანეთს, არამედ განხეთქილება შემოიტანა. ქართველობა გათიშა. მოდიოდნენ, რომ გადავუაროთ აფხაზებსო. არაა ადვილი გადაუარო ერს. შეიძლება იყაჩაღო თბილისში, ქუთაისში, თელავში, მაგრამ სეპარატიზმის დენთით სავსე სოხუმში, აფხაზეთში? არ ხქონდათ ეროვნული ცნობიერება. ერის გადავლის არც მორალური უფლება გაქვს და აღარც — იურიდიული.

აფხაზებს ხქონდათ უამრავი დარღვევა, შეცდომა, მაგრამ ეს არ უნდა ქცეულიყო ჩვენი ჯარის მხრიდან სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლის ქვაკუთხედად. მათ მიზეზები გააღრმავეს ხალხთა შორის და საბოლოოდ აფხაზების თვალში ქართველთა რეპუტაცია დაეცა, აგრესორად მოგვნათლეს. ეს ყველაფერი უკულმართმა ურთიერთობამ გაამწვავა. კორუფცია არ დაწყებულა დღეს. კორუფცია მაშინ ჩაისახა, როდესაც ეროვნული ხელისუფლება მოვიდა, სადაც ისეთმა ხალხმაც მოიყარა თავი, უწინარესად თავის ჯიბეზე რომ ზრუნავდნენ. მერე მთლად კორუფციის მორევში გადავეშვით. ასეთი ერი ვერასდროს გაიმარჯვებს. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ეს არის ერის გადარჩენა - არგადარჩენის საკითხი, მაგრამ იგი ისე ღრმადაა ფესვგადგმული, მეეჭვება რომ მასთან ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდეს. აი, საბაჟოში დგას კაცი. დააშავა? მოხსნი. მოვიდა მეორე. დააშავა? ისევ შევცვალეთ და ა.შ. ეროვნული ცნობიერების უქონლობის გამო ხდება ეს. ეს ქვევიდან ზევით მიდის, პირიქით და ა.შ.

ყველაფერს რუსებს ვაბრალებთ. საქართველო დავით აღმაშენებლის დროს დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფო იყო. ეს არ არის დიდი პერიოდი. 200 წელი რუსეთის მონობაში ხომ ვიყავით, მივეჩვიეთ მის დაქვემდებარებას. ის კანონს გამოუშვებდა ხომ რაღაცაზე. იმ წუთში ქართველები იმ კანონის საწინააღმდეგოს აუცილებლად შეიმუშავებდნენ. არა და არც ერთი რესპუბლიკა ასე არ აკეთებდა. ისე სხვათაშორის ჩვენ ვასწავლეთ რუსებს ბევრი რამ, იმიტომ, რომ ოპონენტური აზრი ჩნდებოდა. ახლაც ასეა, პრეზიდენტი ბრძანებას გამოუშვებს და სანამ კანცელარიიდან გამოვა, უკვე მისი საწინააღმდეგოა შემუშავებული. ეს უბედურებაა. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის მარტო ეროვნული კამპანია. იგი ეროვნული ცნობიერების გამოცდაა, უნდა დავძლიოთ საკუთარი თავი, უარი ვთქვათ ყველაფერზე და თითოეული ქვეყნის სამსახურის სადარაჯოზე დავდგეთ. აი, მაშინ გამოგვივა ნორმალური სახელმწიფო.

აფხაზეთის ომი თბილისში არ იგრძნობოდა, არც— კახეთში, აღარც — ქართლში. სამეგრელოში ომი იყო და თბილისში ნაღდი შოუ-ლატარიები ტარდებოდა. ჩვენი დამარცხება იწყება არა სამხედრო ჩავარდნებით, არამედ მორალური, იდეოლოგიური განათლების უქონლობით. ნებისმიერი ომის მოგება შეუძლებელია თუ ძლიერი იდეოლოგია არა გაქვს. მთავარი შემადგენელი ნაწილი დისციპლინაა. ჯარისკაცმა უნდა იცოდეს რისთვის მოდის და რატომ. ის ვინც ომში საშოვარსა და მოგებაზე მიდის, ეროვნულ საქმეს ვერ გააკეთებს. იქ ქვეყნის ერთგული ბევრი ადამიანი დაიღუპა. ახლა იძახიან ჩვენ დავიბრუნებთო. კი, ბატონო, დაიბრუნეთ!

რუსეთი გვებრძვის და ამიტომ დავმარცხდითო. ჩეჩნეთი ჩვენზე პატარა სახელმწიფოა. რუსეთი მასაც ებრძვის აშკარად და აგრესიულად, მაგრამ ვერაფერს აკლებს. ჩვენ კი რუსეთი ღია ომს არ დაგვიწყებდა, ვერ გაბედავდა და არც მსოფლიო სჭირდებოდა ამისათვის. მაგრამ ჩვენ ჯერ ჩვენი ერთიანობა ვერ ვაჩვენეთ. საქართველოს ერთიანობა უნდა და თუ ეს არ იქნა, არასდროს გავიმარჯვებთ.

დღეს სამშობლოს მეტად უჭირს ვიდრე 1912-13 წლებში, ბატონყმური ფორმაციის დროს. დღეს რამდენი ხანია სახელმწიფოა. მაინც გახლეჩილია. ხოდა, კორუფციამ დაიკავა ყველა წამყვანი პოზიცია ეკონომიკაში და ბუნებრივია, პოლიტიკაშიც, რადგან საქართველოში თანამდებობა გახდა ფულის მოხვეჭის მექანიზმი. ასე იყო კომუნისტების დროსაც. კორუფცია მაშინაც იყო ფულის შოვნის

საუშალება, გზა. ზევიდან უნდა იქნეს დაწყებული კორუფციასთან ბრძოლა. ორი-სამი წელიწადი უნდა ანტიკორუფციული იდეოლოგიის შექმნას. მერე კი მაინც უნდა დავსცხოთ ხელკეტები გასაქერქ ლუფასავით.

კორუფცია მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია, მაგრამ ჩვენი სახელმწიფოს მსგავსი, ვგონებ— არსად. ერთადერთი ჩვენა ვართ, რომელიც კრედიტებს ჭამს, ჭამს ეროვნულ შემოსვალს, ბიუჯეტს. სხვა ქვეყანა გეხმარება, გაძლევს, რათა აღორძინდე და ამას რამოდენიმე კაცი რომ შეჭამს, ის სახელმწიფო ფეხზე ვერ დადგება, დაინგრევა: კორუფცია იტალიაშიც არის, ცნობილი მაფია, მაგრამ იტალია ეკონომიურად ძლიერია; ამერიკაშიც არის მეტნაკლებად, თუმცა იქ თვით პრეზიდენტსაც არ აპატიებენ შემოსავლების მითვისებას. ეს ყველაზე დიდი დანაშაულია, კაცის მოკვლაზე უარესი. შემოსავლის დამალვა იქ არ შეიძლება. ჩვენთანაც ასე უნდა იყოს. ძირითადი ბიუჯეტის შემოსავლის მეტი წილი იმ ხალხის ჯიბეში მიდის, ვისაც თანამდებობა უკავია. ეს თანამდებობის პირნი წილს ბიზნესმენებიდანაც იღებენ, ლობირებას ეწევიან. თუ შენ ლობირებას არ გაგიკეთებენ, ვინმე ,,კრიშა'' არა გყავს, შენი გზა გადაკეტილია.

აი, ეს არის თავისუფლება? აი, ეს არის ბიზნესის დემოკრატია? პარლამენტში არის რაღაცა დადგენილება ამ კუთხით, ის დახვეწას, დამუშავებას მოითხოვს, მაგრამ განხორციელება უწერია თუ არა, ესეც საკითხავია.

ბევრი პრობლემა დაგვიგროვდა ძმისშვილო. ადამიანის ცნობიერება უნდა იყოს სუფთა, წმინდა. მე არ ვიცი არის თუ არა პოლიტიკური სახელმწიფო, მაგრამ პოლიტიკას დიდი როლი რომ უკავია სახელმწიფოში, ეს ცხადია. სოციალიზმის დროს ხომ იყო პოლიცია. ახლა სამჯერ მეტია, ხოდა, უკეთესი პირობები, დისციპლინა გვაქვს თუ რა? პოლიციელს ფულს, ხელფასს თუ ვერ აძლევ, რა ხქნას მან, მისმა ოჯახმა? პირველად უნდა მოხდეს ალაგმვა იმ მაღალი წრისა, სადაც წყდება კორუფციის ბედი. ამის გაკეთება შეიძლება ეკონომიური მიდგომებით. ისტორიული გამოცდილებით საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისათვის დამახასიაათებელი არ არის უქნარას, უნიჭოს მატერიალური სიკეთის მოხვეჭა. ძაღლის თავიც აქ მარხია. როცა უნიჭოების კლანური ბიზნესია გაბატონებული, უნებლიეთ ფეხს იკიდებს კორუფციული რგოლი, რომელიც ჩვენს სულებს ქერეჭიანი ურჩხულივითაა შემოხვეული.

„გვიმარას“ ხელმეორედ დაბადება

ნაადრევი გაზაფხულის სურნელზე მითქვამს, როცა გაკვირტულ ხეებს ცეცლზე შემდგმულ რძიან ჭურჭელსავით მისჩერებია მრავლისმომსწრე მწყემსი.

წინდებულ მარტს, ესხირებს — ნასესხებს — ვიდრე კალენდარი ჩამოაკრილოსნებდეს, ეჭვი ყოველთვისაა ხვავრიელი მოსავლის ჩანასახშივე გასაბედითებლად.

ამ მარადიულ თემატიკაზე პოეტი მურმან ჯგუბურიას სტრიქონები მახსენდება: ჯერ კიდევ წინ არის ჭირვეული აპნისი. ხოდა, ჭრელა-ჭრულათი გამოეფინებიან სერ-ფერდობზე ტყემლები, ნუშები, ალუჩები თუ თურაშაულები. მხოლოდ ერთადერთი არ უგდებს ყურს დედის წინ მორბენალი ფაშატების კუნტრუშს — ვაზი. თავისი დაღლაკნილი სხეულიდან აღარ სუსლწრაფობს გუნება-ხასიათის გამოზეურებას, არ იკვირტება, ვინაიდან ზეთისხილების დაგრეხილი სხეულების მემკვიდრე, მათი შემოქმედი ერივით მარვალჭირნაწყვეტი, არაფრისდიდებით მოტყუვდება ნაუცბადევი წამოთბუნების გამო.

ხოდა, გახლაკნილი ტოტებით, გაჩხინკული ლერწებით ელოდება ჭეშმარიტი გაზაფხულის დადგომას — ვენახი და ზეთისხილი — აი, ჩვენი საღიერი ქმედების ეტალონი!

ჩემი სამუშაო პროგრამა იმღვრევა.

შურობუმუში შემოქმედებითი მივლინების ასერგას დღეს რაღაც ჩამოეციცქნება გაუთვალისწინებელი მარშრუტებით.

ვეღარც მსაჯული რამინ აბლოთია მომინახულებია: გურია-იმერეთი-ქართლი-კახეთი და პირუკუ — კახეთი-ქართლი-იმერეთი-გურია.

კვლავ ცნობიერების ნაკადი: ერგასი ერაგიას ამოატივტივებს ჩემში.

ბატია ჯულუხიძე ტერმინალზეა.

მშენებლობაზე რაღაც გაუთვალისწინებელი მომხდარა.

ვსარგებლობ დროის ვაკუუმით და სუფსის მისადგომებისკენ ვიკაფავ გზას.

ბატონი გერონტი კუხალეიშვილი — საზოგადოდ ჯუკა, მიზუსტებს რელიეფის გაუთვალისწი-

ნებლობით მოსალოდნელ მწარე შედეგებზე, შემდგომ და შემდგომ ტერმინალების ჩამომწკრივებისას შავზღვისპირეთში.

— რამდენიმე ათეული წელიწადი ვემსახურე კოლხეთის მიწას, ხელისგულზე მიწყია მისი კაპრიზებიო, — მეტყვის და იქვე გააგრძელებს, — თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია. ჭალადიდელის სიტყვებიაო, — მიკონკრეტებს და უშურველად მიღიმის ყირმიზი იერით.

ჩვენ ვაზუტსებთ მომავალი შეხვედრის ქრონოლოგიას და კვლავ ბეჟანის საცხოვრისში შევმყუდროვდები.

ბატია ჯულუხიძეს დანა პირს არ უხსნის, თუმცა ჯერაც სადარბაზოელი ფერიების თავზესაყრელი მზრუნველობაა.

— გიყვარდეთ, ხორცეული გაიტანეთო, — იმუდარება.

მხრებში გასაშლელ ერთადერთ კერძეულს სუფრის სიღრმისკენ მიაჩოჩებენ და პურფუნთუშეულის გორაკებით გააუსაფრთხოებენ ჯულუხიძის მხედველობის დასაშოშმინებლად.

— ყველაფერმა ჩემს კისერზე უნდა გადაიაროს, — ბოლოკს ახრამუნებს ბატია ჯულუხიძე და ალბათ, რძით გალაჟლაჟებულ სულგუნად წარმოუსახავს, — ექსპერტი, სასწრაფო, სვარჩიკი, ცინკის სასახლე, სპირტი, ქუთათური ჭირისუფლის მოსაკითხი... ბუშლატაღა ამოხყვა ბულდოზერის კოვშს. ასამდე ტონა სიმძიმის დაშვებისას, ვარდნის სიჩქარე — პ წყალობით, რომელიც 9,8 მეტრწამის ტოლასია, ორკეცდება, სამკეცდება, ოთხკეცდება და ამ გიგანტური რაგვის ქვეშ მომლოდინე ოტროველა ბედოვლათის კვეკვარია თავს რომ დააგრიგალდება, განა დარჩება რაიმე ბუშლატიას მეტი?!

ექსპერტს ოთხომცდათექვმეტ პროცენტიან სპირტს ვახუხებ მათარიდან, პურსაც არ დააყოლებს ისე ჩაირაკრაკებს და დააბრიალებს თვალებს:

სად არის დაზარალებულიო.

ეგ რომ გვაცოდინა, შენ მოგიხმობდით-მეთქი.

სად წავა, ვიპოვითო.

გიგანტურ სიმძმიეს ძვალ-რბილი გაუერთიანებია საწყალისათვის. მარჯვენას იპოვიან მახლობლად ჩაქუჩის მბღუჯავს. ვაი, მის ოჯახს, უბედურს! მეგობრათან მისულიყო სიგარეტის სათხოვნელად, არ გამოეძებნა დრო მაინცდა მაინც?! უსაფრთხოების დაცვის მიზნით ის ტერიტორია წითელი ზოლითაა შემოკავებული.

მემანქანე ვერ ხადავს სიმძიმის დაშვებას. აქ ის აბსოლუტურად უდანაშაულოა. ან ხმას როგორ მიაწვდენ იმისთანა გრუხუნში ზურგიდან შემოჩენილი?! ეგ არის და ეგ. ტერიტორიიდან მოაქვთ მიწა, ასწორებენ და მძლავრი დარტყმებით ტკეპნიან. ტრაქტორი წრიულად მუშაობს. შემდეგ გადაინაცვლებს ახალ მონაკვეთზე და ასე ვითვისებთ კუთვნილ ას ხექტარ მიწას. მთავარი სხვაა, დასპირტული ექსპერტი გუდასავით შეანჯღრევს ბუშლატს, დავრჩილავთ თუნუქის ფურცლებს და მიწამდე თავდახრილები მივადგებით ქუთაისელ ჭირისუფლებს.

მენდომება ყველაფრის შემდეგ მაიას შემწვარ-მოხრაკული?

აი, ამ პასაჟებით ვეხმიანები ელსმენიდან ბატონ რამინ აბლოთიას.

— ამდენი ხანია სამეგრელოში ტრიალებ. გურიაში ხომ იყავი და დარდიმანდულად ჩამიარე. ჯუკასთან საუბრით მოიფხანე გული და მე არ გაგახსენდი. გაქვს სინდისი ამის შემდეგ? ერთი კუთხიდან მაინც არ ვიყოთ, კაცო! სად ხარ ახლა, რომელ ქვეყანასო?

— თბილისიდან გირეკავ, რამინ ბატონო.

— ისევ „თეციდან“ ხომ არა?

— აბა, არშინიანი საუბრების საფასური ვინ მომაშავა? მიიღებდი გაზეთებს, ალბათ?!

— ვის და ვის არ უდგამ ძეგლს, რამინ აბლოთია კი ფეხებზე გკიდია!

— იქნებ პირიქითაა ყველაფერი. ვეღარ გავარკვიე, ილია ერქვა ცხონებულ მამათქვენს თუ ილარიონი? ბაბუასთანათც ასეა: ზოგან ნაუს მეუბნები, ზოგან ნაუმს? ილარიონოვიჩ, კიდევ ერთს გეტყვი: გახსოვს გრანტიანებსა და სტიპენდიანებზე რომ ვსაუბრობდით?!

— ახლახან არ იყო?

— ხოდა, იმ ოთხასოთხმა, რატომღაც მამაშენის დივიზიის ნომერი მომაგონა, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, სიმონ ჩიქოვანი, ილო მოსაშვილი და კიდევ სხვები რომ წვევიან ფრონტის წინა ხაზზე გასულებს. სიმონ ჩიქოვანი მეგრულად გამოლაპარაკებია განათლებულს. მაინც რა მეთოდი გვქონდა? ლექსებს ვუკითხავდით სასაკლაოზე წარგზავნილებს, ვუმღეროდით და ვუროკავდით, იმის მაგივრად, თავად წამოგვევლო ხელი შაშხანებისათვის.

ზუგდიდში გახლდით ამას წინათ.

არის იქ ერთი ყმაწვილი, ბესო ჭითანავა. კაი ხანია ვმეგობრობთ. დიდ საქმეებს აკეთებს. ჩვენი ბავშვები ჩაიყვანა საფრანგეთში. მერე იქაურებს რამდენიმე ათეული ჩვენი ხალხური სიმღერა დაასწავლა. ფრანგული აითვისა საამისოდ. ხოდა, ის ყმაწვილკაცი მკლავს გამომდებს მერიასთან და ამას მეუბნება:

იქნებ ათიოდე წუთი დამითმოო.

ოცი იყოს-მეთქი.

დავუყვებით რუსთაველის პროსპექტს.

იქ, თომა ლოლუას რესტორანთან პატარა სტუდია ხქონია. შემიძღვება შიგნით. ფორტეპიანოს ხუფს ახდის და ყოვლად შეუმზადებელი ჩემს ,,გვიმარას'' არ დაუკრავს, კაცო! ჟრუანტელი დღემდე არ მომცილებია.

სპილოს ჩემთვისაც არ დაუბიჯებია ყურზე.

გიტარას ვაჩხაკუნებ მოფვარულის დონეზე.

საკუთარ ლექსებსაც ვახმიანებ აქა-იქ, ტერენტი გრანელისა და ზოგი ხალხური ნიმუშის მხარდამხარ, მაგრამ მისი ვერსია მართლაც მოულოდნელია. თითქოს სრულიად საქართველოს ინტონაცია შეუკრებია ოჯახაშენებულს, თვით აფხაზურის ამქრობით.

მორჩება სიმღერას და მომაჩერდება თვალებში.

გაოგნებული ვუყურებ. თვალები ცრემლით ამსვებია. ჩავუხვევთ სადღაც და გამოვტყვრებით გვარიანად.

ვის ახსოვს შენი ენცეფალოგრამები, ტრეპანაციები, დამბლები და დარდუბალანი!

ძლივს ჩამოვიტან სულს თბილისში. იქიდან მოყოლებული მრავალ ნიუანსს შეიძენს ,,გვიმარა''— დაიხვეწება, დაწდევდება, ბოლოს პროფესიონალი მუსიკოსის, ქალბატონ ნონა კანკიას ხელშიც გაივლის და მთლად კლასიკურ სიმაღლეებს ეზიარება.

— ახლა როგორა ხარ? ხომ არაფერია საჭირო?

— თქვენ მყავდეთ კარგად, ილარიონოვიჩ! ხუთი წელი დედის ძუძუ მიწოვია. მაგისთანები რას დამაკლებს. ,,სუფევის'' კულმინაციას ვუახლოვ- დები, მგონია. ისე, ცხრა რომანი დამეწერა არ მერჩივნა? მოვკვდი ღობე-ყორე თრევით.

— არა მგონია რომელიმე რომანმა აჯობოს მაგას. ვწერ მე ახლა რეცენზიის მაგვარს. რახან დამიტოვე, ხომ უნდა ვუპასუხო კიდეც?! წერის კულტურა მართლაც დაუბერტყავს შენთვის განგებას. არა, არ გეპირფერები. სამაგისო რა მჭირს. ოღონდ მაქვს ჩემებური დამოკიდებულება , პოზიცია, გნებავს განსხვავებული შეხედულება. ფოთში ყოფილხარ ფრანგო და ერთხელაც არ გაგახსენდი. ჩამიკაკლეს ყველაფერი: ბონდო ჯიქიასთან, ანგული მიქავასთან, კოტე კემულარიასთან და ერაგიასთან გიქეიფია ,,ანკორში''.

— ყოფნით ვიყავი, მაგრამ ქეიფისა რა მოგახსენო.

— მერე და ათი წუთი ჩემთვის ვერ გამოძებნე?

— ილარიონოვიჩ, გამიგე, ელარჯის, შემწვარი წიწილებისა და საცივის ჭამას რა სჯობია, მაგრამ მე გიგანტური საქმე წამომიკიდნია მხრებზე: დღეს ქუთაისში რომ ვარ ორტია იოსელიანთან, ხვალ კვიციანთან ამოვყოფ თავს კოდორში; ზეგ თელავს რომ ვუტალახიანებ კარებს და კამბეჩოვანისაკენ მივიწევი ქიზიყს აგვიტოს ხვატით გადახრიოკებული ალაზნის კალაპოტში; მასზეგ კოხატგორასკენ მივუყვები სანახებს კობა წაქაძესთან ერთად 3000 ლტოლვილი ბავშვის მოსანახულებლად. ახლა თავად განსაჯე, როგორ დავუკვავშირო ერთმანეთს ახალციხე, თელავი, ქუთაისი, ჩოხატაური თუ ფოთი? თან დევებით სავსე ქუდიც თქვენსას დარმჩენია და ყოველგვარი ჯადოქრულის მოუმხრობლად, არ გიკვირს, ამდენსაც რომ ვახერხებ?!

— შენი პოტენციის კაცისაგან არაფერია გასაკვირი. სხვანაირად მომხდარიყო, იმას უფრო გავიოცებდი. ,,დიაგნოსტიკისა'' თუ სხვა პუბლიკაციების შემდეგ სამეგრელოსკენ შენი ასოთხმოცი გრადუსით შემოტრიალება მართლაც გმირობაა, მაგრამ ყველაფერზე კვერის დაკვრას სულაც არ ვაპირებ.

— ვექილად ვერავის დავუდგები, ილარიონოვიჩ. ვგონებ შენეული ფრაზაა: შენდობა მხოლოდ დიდი კაცის ხვედრიაო. რაღა შორს მივდივარ, ქრისტეს მაგალითი მოვიშველიოთ; გოლგოთაზე ჯვარი ავაზიდვინეთ, მაჯებით გავაკარით ზედ, ფერდში შუბი ვაძგერეთ და წყლის ნაცვლად ღრუბლით დასველებული ძმარი ვაწრუპეთ; მანამდე ხომ ია-ვარდი დავუფინეთ გზაზე ეკლის გვირგვინის თამადობით და მაინც ჩვენი ცოდვები უზენაესთან იტვირთა.

ერთი ჭეკლასის პოეტია ზუგდიდში. თავიდან ,,ქეთოს'' წევრი ყოფილა — ქართველი ერის გან-

თავისუფლების ორგანიზაციისა. მოგვიანებით მთლად კომუნისტი გახდა. შეიცვალა დრო და ეროვნული მოძრაობის ლიდერად მოგვევლინა სადადიანოში. მეგობრული სიყვარულით მიყვარდა ეს ოჯახაშენებული და დღესაც ვეთაყვანები ადრინდელივით, მაგრამ შეხედეთ, რას გამიკეთებს ერთხელ?!

დედა გარდაეცვლება და რამდენიმე ამხანაგითურთ სატირალში ჩავაკითხავ. ეზო ვრცელი აქვთ. გამოვჩნდით თუ არა, გამოეყო თავისიანებს და მისასამძიმრებელთა რიგში ჩადგება. დავუხრით თავს მიცვალებულის ხსოვნას და ჩამოვუვლით ხელის ჩამოსართმევად. გავუსწორდებით თუ არა, რატომ მაყენებთ უხერხულ მდგომარეობაშიო, მტკეცს შუბლში ტყვიასავით. ხაერში გაყინული ხელი არ ვიცი სად ჯარდაბაში წავიღო, ვდრუზო შიგ ცხივრში თუ დაცვარული შუბლი მოვიხოცო.

ყველაფერი კი ნეტარხსენებული ედიშერ ჩარგაზიასათვის ჩამორთმეული ინტერვიუს გამო მოხდება წაიკითხავდი „გამგებლის ერთ დღეს".

ამ არაკაცზე წერილი როგორ გამოაქვეყნეო, გამჯორავს.

პოეტია თითქოს, რედაქციაში ეთრეოდა და წერილი ინტერვიუსგან ვერ გაურჩევია. ინტერვიუ ედიშერ ჩარგაზიას კი არა არძინბასაც შეიძლება ჩამოართვა. ეს სულაც არ ნიშნავს ვინმეს დითირამბი უმღერე, აამაღლე ან დაამცირე. ინტერვიუ ორი განსხვავებული პოზიციის კაცის საუბარს ნიშნავს, ან უბრალოდ ამა თუ იმ პიროვნების პოზიციის დაფიქსირებას. ინტერვიუს პინოჩეტსაც ართმევდნენ და ხიტლერსაც, მაგრამ ამის გამო ხააგის სასამართლოზე არავინ წარმდგარა.

გადის გვარიანი ხანი და ისევ ქუჩაში არ შემომეჩეხება ეს ძალად პატრიოტი? დგას ერთ თეატრალთან. საუბრობენ. აი, ახლახან იყო, ბესო ჭითანავამ „გვიმარას" სიმღერა რომ მომასმენინა-მეთქი.

მინდა უპრობლემოდ ჩავუარო. მაგრამ შეხედე, როგორი ახვარია? ხელს მართმევს, ყბასაც მიწვდის საკოცნელად. მერე თეატრალის თვალწინ თავის ამაღლებას ცდილობს და მოწყვეტით მეუბნება:

შენ უფრო საშიში ხარ, ვიდრე რომელიმეო.

ეგ რატომ-მეთქი.

რატომ, ძვირფასო, და ქუჩის ვიგინდარას ეროვნული მოძრაობის ლიდერებს უთანაბრებო.

მივხვდები საქმის არსს. ახლა „როკის" გამო მედავება. ეს ჩემი რომან-ტრიადა „სიცოცხლემისჯილეის" მეორე წიგნია. სამების პრინციპზე აგებული, ტრიადის სულისკვეთებისაა. პირველი —„ბუტუტია" თეზას განასახიერებს, მეორე „როკი" — ანტითეზას და ამჯერად მესამეზე ვმუშაობ, „ლაზარზე". სავალალოდ რომანის მთავარი გმირის პროტოტიპი რეალური პიროვნებაა, თანაც სულდგმული, ჩვენი თანამედროვე. უამრავი ტანჯვა გამოუვლია, თუმცა იდეალურისა არაფერი სცხია, ყოველ შემთხვევისათვის ჭეშმარიტების პოზიციიდან, ვინაიდან ქურდს თუ ქურდულ მასტებს სამშობლო არ გააჩნიათ და შეუძლებელიცაა ხქონდეთ: ციხის კანონები უკრძალავთ მათ ამ გრძნობას, მაგრამ წარმოიდგინე, ჩემი გმირის სწრაფვა სამშობლოსკენ, მისი იდეალებისაკენ, არ არის რისკებს მოკლებული, თუნდაც სიცოცხლის ხელყოფას.

ამაზე გიჟდებიან, რომ ქუჩის კაცს ხელი წამოვავლე და მერაბ კოსტავას გვერდით დავაყენე.

მაშინ მე ვეკიხები იმას და იმისთანა აყაროებს:

სად არიან ახლა ის რაინდები, ოდესღაც მხარს რომ უმშვენებდნენ ნეტარხსენებულ მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას? ერთადერთი გურამ აბსანძის გარდა ყველა ჩინებულად მოკალათებულა, ზოგი პარლამენტში, ზოგიც — ბიზნესში. კი, ბევრი გაიწირება უსამართლო ტყვიისაგან, მაგრამ დრო თავისას გაიტანს და ეროვნული იდეა შირმა, ნიღაბი აღმოჩნდება უმეტესისათვის. მე კი გმირობაზე სულაც არ ვდებ თავს-მეთქი.

მაგისთანებისთვის რომ მეგდო ყური, ხელში თოხი არ უნდა ამეღო, ბარი და ცელი დამევიწყებინა, რელსებზე დავმჯდარიყავი პროტესტის ნიშნად, ეროვნული დაუმორჩილებლობის საწინდრად და ხელი ამეღო საქართველოს მატეანეს შექმნაზე. არა, შვილოსა! არკვიონ, მათ პოზიციები ერთმანეთში. მე იმ ატომგულიდან ვარ, რომელიც ურყოფითად დამუხტულ ელექტრონს დადებითად გაჯერებულ ნეიტრონთან როდი შეამკვდარუნებს, პირიქით,აზავებს ორ შეუთავსებელ განზომილებას. დიახაც ის პროტონი ვარ, ხიდივით რომ აკავშირებს მდინარის ორივე ნაპირს. ეს ხომ იგივე სინთეზია, უფრო მეტიც, მარადიული წონასწორობის პირობა თუ დაუსრულებელი შრომის გარანტია.

ამგვარადაა საქმე, ბატონო, რამინ, ილარიონოვიჩ, და ხედავ რა პრეტენზიებით ამხირებია ჩემი აყარო კოლეგა ზუგდიდის ბაზრის მისადგომებთან?!

რით მემართლებინა თავი გვარიანად ნაბახუსევს? მერეკა კვეკვერია თავში, საამისოდაც არ

მემეტებოდა და შერჩენია ხახვივით ჩემი განქიქება.

დარწმუნებული ვარ იმ ბედოვლათს წაკითხული არცა აქვს ჩემი ,,როკი''. ვიღაცის ნაბეჟუტურალის გამო და ბაშლაყივით გადმოუგდია ენა, ზურგს იფხანს, მაგრამ იმას რატომ არ უშვებს ეს მუცლით მეზღაპრე, რომ მესამე წიგნი ჯერ კიდევ არ გამომიქვეყნებია? ჯერ არავინ უწყის, რა ბედს ეწევა კვეკვე ანთარია თუ როკი ოდიშელა, გნებავთ— სხვები, როგორ გარდაისახებიან, რანაირ ფორმა-შინაარს შეიძენენ.

განა გური ოტობიას ვინმეზე ნაკლებად სწყურია პირმართალი შეხვდეს თავის ბედისმწერალს?! თავად ცაბაოთმა ყველაზე უკეთ იცის ჩემი სატკივარებისა. ამისთვისაც მანიჭებს ენით აღუწერელი წონასწორობის ძალას, თითქოს ჩერნობილის ატომსადგურის სიახლოვეს დავიარებოდე, ან იგივე სემიპალატინსკის თუ ნევადას ატომური აფეთქებების მომაკვდინებელ ველში და თავს იმნაირად ვაჩვენებ ყველას, რომ ურეკის ქვიშროვანებს მივფიცხებოდე. ამას მომავალი დაინახავს-მეთქი.

მსაჯულობაც ამიტომ მითხოვია ილარიონოვიჩ. დამიტოვებია თვეების წინ სამიათასგვერდიანი წიგნი და გულის გასახეთქად არაფერს მეტყვი, ამის გარდა: შენი ქუდი, აგერ მახურავს. ჩამოდი, მინახულე, ელარჯით, შემწვარი გოჭითა და საცივით გაგიმასპინძლდებიო.

— უყურე შენ?! გაღმა შემოდავების ილეთია?! მე ღამეები მითენებია შენს თხზულებაზე, ძმისშვილო, ტვინი მიჭყლეტია მისი გააზრებით, გადამიტანი ფურცელზე ზოგი რამ და არ მომსდგა იასაულივით?!

გუბერნატორზე წერილი უსწრებდა ხობის რაიონისას, მაგრამ შებრუნებით დავიწყებ აზრის გამოხატვას.

შენი ყურადღების ხობის რიაონზე შეჩერება, როგორც საქართველოს უტყუარი წინსვლისა და აღმშენებლობის მახარობელ პირველ მეცხალზე, მისასალმებელია ერთის მხრივ, მაგრამ მაინც მიკერძოებითი მგონია. ბოლოს და ბოლოს ტერმინალზე თუ მიდგება საქმე, ეგ თუ არ ვცდები, ჯერ სუფსაში აშენდება.

გეთქვა, ფოთით იწყება საქართველოს აღორძინება, ან უფრო მასშტაბურით, თბილისითო, კიდევ გასაგებია, მაგრამ მაინცდამაინც ხობი რომ ამოგირჩევია საშვილიშვილო ტვირთის წამომწევ ძალად, ცოტა მომეტებული ხომ არ არის ბოშო? ხომ არ გაიგივებულა სურვილი ობიექტურ რეალობასთან?!

არა, შენ აქ შემოსადავებული უამრავი არგუმენტი მოგეპოვება, ვინაიდან ხობის რაიონის წინსვლა მხოლოდ ტერმინალთან არ გაქვს მიბმული. ასახელებ ენდემური ჯიშების აღორძინებას, მამაპაპური კულტურების წინ წამოწევას. ეს მისასალმებელია. საბაზრო ეკონომიკის მიმართ ალღოს აღებასაც გამოხკრავ ხელს და კომპლექსურად სიახლისკენ შეღერილი რაიონის წამოტივტივებას ცდილობ, მაგრამ ისიც ხომ გვსმენია, ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო? საქართველოს აღორძინების პირველი ყლორტების წარმოჩენა თუ გვინდა, ყოვლად შეუძლებელია ეგ კანონის უზენაესობის დამკვიდრებამდე; სანამ ერი და ბერი კონსტიტუციურ მორალს არ დაექვემდებარება, ნებისმიერი მეცადინეობა ამაო გარჯა გამოგვადგება. საბაჟოების ამოქმედება, კონტრაბანდული საქონლის შეჩერება, რომელიც ყველა უბედურების სათავეა, ჩვენი მთავრობისა და ხელისუფლების უმთავრესი საზრუნავია, ძმისშვილო. ამ უბნის მოუწესრიგებლად, ვერც მრეწველობას ავაღორძინებთ და ველარც — სოფლის მეურნეობას, კორუფცია იპარპაშებს დღენიადაგ და ხობის რაიონში აჭიკჭიკებული მერცხლები ბარტყებს ვერ დაჩეკენ, ან თუ დაჩეკენ, ველარ დაზრდიან, ან კიდევ თუ დაზრდიან, მსუნაგი კატა შეუჭამს, ცენტრიდან თუ რეგიონიდან მომტყვრალი და შეუდგება წყალი ჩვენეული აღმშენებლობის ფართომასშტაბიან პერსპექტივებს. იწერ, კაცო?!

— ხო, ვიწერ, ილარიონოვიჩ!

— ძალიანაც კარგი!

ახლა მეორე შენიშვნა: ფადაასი კოლექტიური მსლველობაა სამშობლოს ღირსების დასაბრუნებლად ღვთაებრივ სვანურშიო, ამბობ. ეს ნამდვილად არ ვიცოდი. მართლაც ასეთნაირადაა?

— ასლან ლიპარტელიანის სვანურ-ქართულ ლექსიკონში ჩოლოური კილოს მიხედვით, ,,ფადაას — საშველად დაძრული ხალხის სიმრავლეა ილარიონოვიჩ; ფადასობ — მშველელთა მსვლელობა, ერთობლივი ძებნა''.

— სიმართლე დავმალო და არ განვაცხადო, მიგნებების დიდოსტატი ხარ-მეთქი, ბრმა და უმადური ვიქნები. მაგრამ სხვა არის აქ მთავარი. თურმე აშენდება ხობში ტერმინალი, ანაკლიაში — ნავსადგური, გუდავასა და ოჩამჩირეში— ტერმინალებიცა და ნავსადგურებიც ერთდროულად და არაფერი გვიკლია აფხაზეთის მშვიდობიან შემოერთებამდე! აი, სად მარხია ძაღლის თავი: კვამლისგან ცეცხლი დავაგზნეთ. აფხაზს ოქროს კოშკებიც რომ აღუმართო და შიგნით თაფლისა და რძის

შადრევნები აუჩუხჩუხო, ვერ შემოიერთებ ეკონომიკური ინტეგრაციით უმტკვინეულოდ. მე ბატონ თამაზ ნადარეიშვილის ძალისმიერ პოლიტიკაშიც ვერ ვხედავ საშველს, ანუ გაეროს ეგიდით, მეშვიდე თუ მერვე მუხლის ამოქმედებით, ძალის დემონსტრირებით, ვინაიდან დროა შევგინოთ: აფხაზები და ქართველები მარიონეტები ვართ თოჯინების თეატრში. ჩვენ კი არ ვქმნით პოლიტიკას, არამედ ვთამაშობთ პოლიტიკას. რაღაც გარდამტეხი ფაქტორი თუ არ დატრიალდა მსოფლიოში, ეს პროცესი დაუსრულებლად გაგრძელდება.

ჩვენ ვიტყვით: ვესწრაფვით აფხაზეთის მშვიდობიანი გზით დაბრუნებასო.

თამაზ ნადარეიშვილი ბრძანებს: არა, ძალისმიერი პოლიტიკით სჯობიაო.

თეიმურაზ შაშიაშვილი იფიცხებს: ფარით ან ფარზეო.

ასლან აბაშიძე დასრიალებს ლაინერებით მოსკოვსა და ბათუმს შუა ინკოგნიტო სამშვიდობო შედეგებით.

აფხაზები იანჩხლებენ: ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ და მხოლოდ თანაბარი სახელმწიფოებრივი ურთიერთობით მოვხსნით კონფრონტაციასო.

გაერო გააჯანჯლებს ან ორჭოფულად დაასვამს რეზოლუციებს ათასჯერ დატრიალებულ დოკუმენტებს, ყამის პოლიტიკით იმოქმედებს: აქეთ გაჭრის და იქით კერავს, არც მწვადს შეწვავს და აღარც — შამფურს. მაგრამ მსოფლიოში საკმარისია, მოხდეს რაღაც თვისებრივად განსხვავებული ბიძგი, სწრაფად და უმალესად ადგილს მიუჩენს ნებისმიერ პოზიციას.

ეს, ნარკვევია თუ ინტერვიუ, ორ პიროვნებას სამუდამოდ დაახსომებს მკითხველს: ბატია ჯულუხიძეს და პატიკო ოჩიგავას.

მათი სახით მრავალი მწერლისთვის შესაშური ფსიქოლოგიური პორტრეტებია გამოძერწილი.

ორივე ტრაბახაა, ორივე ბაქია, მაგრამ ჩემთვის გასაოცრად შთამეჭდავი ოჩიგავას მიერ ბატია ჯულუხიძის მწყობრიდან გამოყვანაა. მოკლედ, მთელი სამეგრელოს სიმდიდრის განმკარგულებელს, კუჭი ბეჟან ნადარაიას ამოლესილი ლობიოთი რომ ეწვის, მყნობელი და მიწის მუშა ოჩიგავა გადაუჯოკრავს.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ბაბაგე, გური, თითქოს მორიგი რომანის მასალებს აგროვებდე, კომბლებს თლიდე და ჭერზე აწყობდე. ბარაქალა შენ!

სამეგრელოს გუბერნატორს „საქართველოს რესპუბლიკის" სამი ნომერი დაეთმო. ასეთი რამ არც შაშიაშვილს ღირსებია, აღარც ბუჩუკურ- სონღულაშვილს თუ მამალაძე-ბარამიძე-გუჯაბიძის მწყობრს.

შენი წერილის კულტურამ განაპირობა ყოველივე. მათ შორის განსაკუთრებული პირველი იყო. დამაჯერებელი, წრფელი. შენს მისამართით დატრიალებულ გულცივობებს ვაჟკაცურად გადააბიჯე, ამაღლდი, გაიმარჯვე წუთიერ ტკბობაზე, რომელსაც შურისძიება ხქვია. აი, მესმის კაცის სიძლიერე.

ჩვენ ბევრჯერ ვცოდავთ, ზოგჯერ უნებლიეთ, ზოგჯერაც — მოფიქრებულად, მაგრამ ხომ არსებობს მონანიების გრძნობა და ამან გადაფარა შენს არსებაში ქვებუდანი სულმოკლეობა. ამფერუმ, ძმისშვილო! შენ გინდა გარშემოვლით, ყველანაირად გაამართლო შენი სულიერი ძვრები, ცდომილება და სანაცვლოდ ამოსწიო მეგობარი კაცის გარემო: ძმა, კვახაბერები დედაშენისათვის. გაცივებულა ოდინდელი კავშირი ხელისუფალსა და მესიტყვეს შორის. მოილიპება ტრუბადურისა და ქვეყნის გამგებლის იღბლიანი თემშარია. რა კარგია, არა? დიახაც ამ თემშარაზე დასტოვებს ერთხელ წუთისოფლის მესვეური ოდესღაც მის რჩეულ მელექსეს და ეს უკანასკნელიც ამხედრდება, აბობოქრდება, სუსხიანი წერილების ქარავანს ჩამოაყენებს.

რა ამაღლებულია, რა დიდებული, როცა შეგირდს, იგივე მომავალს მიმართავ:

ბოღმისგან გონებამოწამლული ველარასდროს შექმნი ფასეულსო და აქვე თავს იწიხლავ, საკითხის ისტორიზმის უვიცობის გამო, რომ მეთექვსმეტე საუკუნეში შეუძლებელია გვარი არსებულიყო. მე სხვა პერიპეტიებზე საუბარი არცა მაქვს.

ბევრს არ შეუძლია ამ მიწისქვეშა დინებების შემჩნევა. ეს ხომ გუბერნატორისა და პოეტის შინაგანი დავის ერთგვარი მოწესრიგებაა, რაღაც დაზავების თუ თანამშრომლობის მოთხოვნილება, ზოგადად ქვეყნის უკეთესი მერმისის სასარგებლოდ, შეუთავსებლის შეთავსებას რომ ეძახი. და მიღწეულია კიდეც, გადალახულია თავდადრეკის, დიადი მიმტევებლობის წყალობით იშვიათი წონასწორობა. ყველაფრის წერტილის დასმა კი, უკეთესია თუ ვიტყვით, უსასრულობის შეგრძნება დიახაც, უეჭველად და ნამდვილად „მხარზე ამბორის მისტერიაა."

ესეც სიახლე აღმოჩნდა ჩემთვის, სამოცს გადაცილებული და მრავალჭირნახული კაცისათვის, გურიიდან სამურზაყანომდე აბულაძეების საგვარეულოდან და სოხუმიდან დაწყებული, თაგილო-

ნის, წიფურიას თუ ერგუჯარუს სალოცავებიდან კვლავ სემეგრელო-გურიას შუალედურ ფოთში, ფაზის-ქალაქში დამკვიდრებულისათვის.

მარცხენა მხარზე ამბორის მისტიკა მეტი შთაბეჭდილებისათვის, მართლაც შეუდარებელია — შენეული ღმერთის გადმოსვლა სასურველია პიროვნების გასამარჯვებლად. ამით ყველაფრია ნათქვამი.

— მაგრამ მოხდა ასეთი გაუთვალისწინებელი რამ, ბატონო, რამინ.

სტუმრად ვარ გუბერნატორთან, აი, იმ „გვიმარას" სიმღერით ეგზალტირებული და აუარო ოდიშარის ყროყინით გათელილი.

სამი მანდილოსანი მხვდება ოჯახში.

სახელდახელო სუფრას გამიშლიან. თავპატიჟს არ დავიწყებ. შეპირებულ საკვოიაჟს გაამზადებს ჩემთვის სათნო ბუნების მილადა. ბონდოს მოლოდინში ვარ. მაგრამ ჩანს, შერჩება გადაუდებელ საქმეებს და წასასვლელად ვემზადები.

ასე დროს, ერთ-ერთი წაკისკისებით მეტყვის:

ვნახოთ რა შემოქმედიცა ხარო. აბა, ერთი სიტყვით თითოეულის ხასიათის ამოცნობას თუ მოახერხებო. სადღეგრძელოდაც ეგ ჩაგეთვლებაო.

გამოვცოცხლდები.

თქვენ წყალი ხართ-მეთქი, ვეტყვი პირველს

თქვენ — ცეცხლი, მივაჩერდები მეორეს.

თქვენ კიდევ — ზეთი.

ამგვარად დასრულდება ჩემი ვიზიტი მეგობრის ოჯახში და ავიბარგები კიდეც ნასახსოვრები საკვოაიჟით, მაგრამ როდესაც გამოხდება ხანი, და იმ ამაღლებული ბუნების დიასახლისის უჩვეულო სიცივეს წავაწყდები მოგვიანებით, მივხვდები, აღარ ჩამომრთმევია მართებულად მოკლედ თქმული გრძელი ფრაზა. ზეთი პირდაპირი მნიშვნელობით აღქმულა, როგორც წყალწყალას ტოლფასი და გულიც მომეწურება.

ლექსს გავასრულებ ამასწინათ ზემოთ მოთხრობილ სიუჟეტზე: წყლითა და ცეცლით გათანგული კაცი, უკანასკნელ ნავთსაყუდელს მისდგომია, თავის სწორუპოვარ დობილ მილადას, რომლისგანაც ღვთიური ზეთი მოჟონავს, იგივე მირონის ბადალი, რათა ნელსაცხებლით საშვილიშვილოდ ეკურთხოს მისი შუბლი, ზეგარდმო ნიჭი, მარადიული ღმერთების ძარღვების ამბროსიით მკვებავი, უკუნითი უკუნისამდე.

— ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, ძმისშვილო: თავის დადრეკაზე მაღალი უნარი არ არსებობს. რაც უფრო მალე დაბეჭდავ მაგ ლექსს, მით უფრო ჩქარა მოგეფონება შენცა და იმ ადამიანებსაც.

მხარზე ამბორის მისტერია

გულახდილი დიალოგის გამართვა მხარის გუბერნატორთან ბატონ ბონდო ჯიქიასთან მხოლოდ მესამე შეხვედრისას მოხერხდება.

რამდენიმე ასტრონომიულ საათს გაგრძელდება ჩვენი გულღია სუბარი. ვიტყვით მთისას და ბარისას.

ქალბატონი მილადას მსუყე სადილსაც შევირგებთ წამიერი შესვენების ჟამს.

საქაღალდეებით გაძეძგილ ჩემეულ პოლიეთილენის პარკების საგვარეულო საკვოიაჟს შემოიშველებს მანდილოსანი.

დამშვიდობების წინ დაახლოებით ამგვარი სიტყვებით დამთავრდება ჩვენი მასლაათი:

— დასასრულს, ერთი რაღაცა უნდა გაგიმხილოთ, ბატონო ბონდო, — თავს ვუნასკვავ პეილოგისაკენ გადახრილ ინტერვიუს, — ჩვენი ხანგრძლივი საუბრის დასაწყისში ორი ნიშანდობლივი მომენტი გადავა: ჭურიის განუმეორებელ ადგილებში სხვა ამპლუაში მყოფი ბონდო ჯიქია რამდენიმე პიროვნებასთან ერთად და კიდევ უფრო ადრე, მისი ცხონებული ძმა ჯამბულის მიერ მარტოხელა დედაჩემის ხვავრიელი მოკითხვა ჭაქვინჯიდან.

— მაშინ ძალიან გთხოვთ, იმ საუბარს ერთი შტრიხიც წაუმატოთ, — უშურველი ღიმილით მეტყვის მასპინძელი, — კონკრეტულად ის, თუ ჭურიაში როგორ შეხვდით ქვეყნის პრეზიდენტს, როცა არავინ გიცნობდათ; მწყემსის როლში როგორ მოევლინეთ კახათელების ფარეხში.

— ამ ეპიზოდზე „სუფევაში" სათანადოდ მიწერია, ბატონო ბონდო, მრავალგზის თანაც, მაგრამ ლათინთა სწავლებით, რადგანაც გამეორება ცოდნის დედაა, ახლებურად წარმოვაჩენ და იქნებ

მოუხდეს კიდეც ჩვენს დიალოგს-მეთქი. როგორც ხედავთ, ვასრულებ კიდეც დანაპირებს.

ჭურია დო ნაბადა რე...

გადაწყდა. შაბათ დილით მივემგზავრებით ჭურიისაკენ.

ერგეტის, ცვანესა და ანაკლიის სანახები ხელისგულზე მილაგია აქაურობაში თვეობით ნაცხოვრებს კახათელ მწემსებთან: იპო ფაჟასთან, ნუგო ბიჭიასთან და ვალიკო ფიფიასთან.

ჭაობიანი კოლხეთის მხცოვანი ტყაჩუ იროდი სართანია, ხომ მთლად ჩემი სულის ბატონ-პატრონი, ჟინი ანთარის, პროტოტიპია უკუნითი უკუნისამდე?!

აგვისტოს მიწურულს ჭურიისაკენ ბონდო ჯიქიას დაძვრა არც ისე იოლი საქმეა — ჩაის კრეფის პიკი, საშემოდგომო სამუშაოებისათვის თადარიგის დაჭერა, ზამთრის შორეული აჩრდილების გაელვება ფარდების იქით... მაინც გადავძალავ. ჩვენს ნამუსიან ურთიერთობას სათანადოდ კვებავს სენაკში გაჩაღებულ ბუხართან წაკითხული ლექსების რემა, და კიდევ — პუბლიკაციები რესპუბლიკურ პრესაში, სატელევიზიო გადაცემები მეკამეჩეობის აღორძინების გულისტკივილით.

მასპინძლები ერგეტის გადასახვევთან გველიან... შეუდარებელი ჯოტო გუგჩია, დაუდგრომელი ნაპო გაბისონია, ლომა კამეჩივით სამამულო უღლის გამწევი სოსო ჯოჯუა.

ნაცნობი ფერებითა და მახლობელი შრიალით მეგებებიან ხუჭუჭა ტყეები.

შორს ისლოვანები ილანდება ფაქიზად დავარცხნილი ლელიანის ზემორე.

მზე ლაჟვარდის კენწეროსაკენ მიიკალთავებს ზეცას.

კახათელების მოტორიანი ნავებით გადავსერავთ ჭურიის წყლებს.

ბერმუხა იროდი სართანიას ძელურთან დავსადგურდებით რამდენიმე საათით.

იფრქვევა მოხარშული ჭყინტი სიმინდის სურნელი.

არშინზე იწელება კირზით მოზელილი მარილნაჭამი ელარჯი.

თვალსაკრებულოში იბანდღება თუთუნისფერ წყალში კოჭებამდე გასაგნებული გრეხილი მუხები ჭყონკაკუტიდან თუ დიდგვიმარონიდან.

უკვდავების წამალი ლაფაროსთან ხარობს, აღარ ვიცით თორემ, — მეგრულად მეტყველებს იროდი სართანია. ორი წელიწადია მოვშორდი და იოტისოდენადაც არ შეცვლილა. იგივე, დღეების მოუპარსავი გაბურძგნილი წვერი; იგივე, გულხელდაკრეფილი პოზა საუბრისას და ფარღალალა ადგილებიდან თამამად მობიბინე ჯაგარი; იგივე, ღვინისფერი თვალების უსასრულობა პასუხის მოლოდინში.

ძაღლის ნაკბენს ძაღლის ბალანი არჩენს, — განაგრძობს მცხოვანი მეტყევე, — საქართველოს უკვდავება მამაპაპური ჯიშების აღორძინებაშიაა, ბაბაგე. ანუ რამაც მოგკლა — მანვე მოგარჩინაო. ჭინჭარისაგან ვეღარასდროს აღმოცენდება ანაგვირილა — ქამენია და ვერც რძიანა შეემეტოქება წიფელას თუ მუხას. საკუთარი თავის გადარჩენის საიდუმლო საკუთარ თავშივე ბინადრობს...

ჭურიის სანახების უმთავრესი სტუმარი მეცხრე ცაზეა.

ის მთიან სამგერელოში გაზრდილა და ჭანჭყრობიანი ადგილებისა ნაკლებად უწყის. ჭაობნარის განუმეორებელი ვრცეულობა მისთვის აღმოჩენაა, სულის ქავილი, დაგუბებული სიყვარულისაგან ლამის რომ აგაბღავლებს კაცს.

იცლება ხერკეებით ლაგვანში წელიწადგამონაცვალი ოჯალეში.

დაზუსტებულია ეკონომიკური მაჩვენებლებით საქართველოს წიაღში მთლემარე პოტენციური შესაძლებლობანი სახვალიო დღეთათვის.

ამ ათასობით ხექტარ მიწაზე კამეჩს მეტოქე არა ხყავს ლელიანების ლაშქრეთში.

კიდევ რამდენიმე თვე და გამოცდილი მეჯოგეები ცეცხლს წაუკიდებენ ჭურიის ისლიანებს. ქარი გაწელავს მათ აბარბანჯებულ სხეულს, რათა ადრე გაზაფხულზე მეტის სიცხოვლით და სიქორფით ამობიბინდეს.

შაშმანის ფარეხისაკენ ვეშვებით.

აქაც უბრალო ადამიანების სიმრავლეა. მამაკაცურია სახელდახელო სუფრა. ლექსები და აზარფეშები.

ბონდო ჯიქია თავაწყვეტილია. ბუკოლიკურ თემებში გახლართული გიორგი მეფეს ეტოლება რამდენადმე.

ერგეტის მეკამეჩეობის კომპლექსის მონახულების შემდეგ ზუგდიდ-ქალაქისაკენ დააღმართებულ თანამგზავრებს — ალიოშა კუტალიასა და მურმან დემურიას, შორის კამათი ჩამოვარდება. დავის საგანი ერთი ჩინებული მეგრული სიმღერის ტექსტია — ჭვენს, თუნს, მერეხანს, მეხი ჭყონსუ

ფელეკანს, ათეჯგურა მერეთ დღას, მინჯე გორუნს ყერე თხას— წვიმს, თოვს, თავსხმაა, მეხი მუხას ხეთქავს, ამისთანა ფარსაგ დღეს, პატრონი ეძებს ბრმა თხასო, ამგვარად მოითარგმნება სტროფი ქართულად.

ნეტარხსენებული მურმან დემურია სიტყვა „მუხას" ორგზის იშველიებს. „ფელეკანს" იგნორირებულია, მაგრამ ტავტალოგიაც აშკარაა და მიუხედავად სამეულის შეპაექრებისა, ჭეშმარიტება ვეღარაფრით დგინდება.

სანათესაოსკენ მივეშურებით. იქ ლექსის იშვიათი დასტაქარი არჩილ რაფავა ტაბლასთან შემოგვიერთდება და შემპარავი ტემბრით გაგვაზავებს: სწორია, „მეხი ჭყონს ფელეკანს", მაგრამ ოთხივეს შეცდომა სხვაგან მოგსვლიათ, ძვირფასებო, გვანუგეშებს იგი, „ცვერე თხას" რაღა მოძებნა უნდა, დამახინჯებულია აქ სიტყვა. უნდა იყოს „ ცევე თხას", რაც წინამძღოლის, მეთაურის სინონიმია. თუკი არვეს მოწინავე ოჩაგა აღმოჩენილია, მაშინ დანარჩენიც ნაპოვნიაო, — დაასკვნის და უკლებლივ დაგვიყაბულებს.

გოგრები და კვახაბერები ჭაქვინჯიდან

ჭურიის შეუდარებელი არე-სივრცის მონახულებამდე, რამდენიმე თვით ადრე, ჯამბულ ჯიქიას გადავეყრები ზუგდიდ-ქალაქში.

ბონდოს ალი-კვალია მისი შუათანა ძმა, ჯმუხი აგებულებისა და ლაჟვარდისფერი თვალებით გამორჩეული.

გამიყრიან ხელ-კავს და შემიძღვებიან „ოდიშის" რესტორანში.

ჩემი უდღეური ლექსები მისი სახლის ბინადარია ბონდოს შემწეობით. მაინც რომ ღმერთკაცად მიგიჩნევენ უკვდავებისკენ მიმავალ გზაზე მოტორტმანეს, საკუთარი სიმაღლე რამდენადაც გვეჭვნულებოდეს?!

ჯერ თებერვალიც არ მიწურალა.

სამურზაყანოში, ოტობაიაში, უარვინოდ დარჩენილი დედის წმინდა თავსაფარი და ცხოვრებისეული მძიმე უღელი დაილოცება ნამუსიანად.

გაირბენს შემდგომ რამდენიმე კვირა და მშობლიურ სოფელში ტომარა პურის ფქვილით ჩაღწეულ მომთაბარე შვილს, ჭიშკართანვე გაღმა შემომედავება გელენახე:

ვუფრთხილდები შენს სახელს, შვილო. ვიფიქრე, ქრთამს მაჩეჩებენ-მეთქი და აღარ შემოვუშვი სახლში, ის ღვთისნიერი ხალხიო.

მაცალე სულისმოთქმა, დედი, — დავუამდები თვეობით უნახავს, რომელი ნომენკლატურის პირი მე მნახე, ქრთამებს რომ შინ მიგზავნიდნენ?!

მივუსხდებით გაჩაღებულ ბუხარს და ყველაფერი გაირკვევა.

ჭაქვინჯის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, კვირეების წინ ჩემს გულღია მასპინძელს რესტორან „ოდიშში", ნეტარხსენებულ ჯამბულ ჯიქიას, პურობის მეორე დღესვე თეთრი სიმინდით დაუტვირთავს ძარადაუხურავი მანქანა; ლობიოთი გავსებული ტომრისთვის ძლივს მოუბაწრავთ თავი; დაულაგებიათ ყუთებით მანდარინი, სამლიტრიანი ქილებით თაფლი; დაუდვიათ პოლიეთილენის პარკებით რძემოწურწკურე სულუგუნები, შუაცეცხლის კვამლით გაჯერებული შაშხი და ბინდისპირზე ზედ კარზე არ მისდგომიან ჩემს საცოდავ დედას?!

გელენახე გარკვეულა საქმის ვითარებაში. ორნახადი არაყი გამოურბენინებია თხილით და ტკბილისკვერებით, მაგრამ ნობათის მიღებაზე ცივი უარი უტკეცია ჭაქვინჯელებისათვის.

— დამკარგავს შვილიო, — ამოსჯდომია გული, — ნუ მიწყენთ, ვიცი მისი ხასიათი, ღარიბები კი ვართ, მაგრამ ვკმარობთ ჩვენსასო, — ამგვარი სიტყვებით იმედი გადაუწურავს მოსაკითხით მოსულის ხალხისათვის.

ახლა ისინიც გაჯიქებულან. ჩამსხდარან მანქანის კაბინაში და გვარიან ხანს ორმხრივი მდურვა გაბმულა გადაულახავ ბარიერად.

ბოლოს ერთს უმარჯვნია, სახელს საუბედუროდ ვერ ვიხსენებ, გამოუტანია არშინიანი გოგრა და მორიდებით უთქვამს დედაჩემისათვის:

ხედავთ, შიმშილით ვიხოცებით, ქალბატონო, ეს მაინც მოგვიხარშეთო.

ღმერთო, დიდებულო, ეს რანაირი გოგრა სცოდნია თქვენსასო, — გაუკვირვებია გელენახეს.

ნამდვილი გოგრები ზემოთ აწყვია, თორემ ეგ რაა სამიოდე მუშტისხელაო.

ცოდვა გამხელილი სჯობია და ჯვარელ ქარდავებს ნაკლებად ეყვარებათ გოგრა, კვახაბერი, ვიდრე — დედაჩემს. ზოგს დილისისხამზე ხარშავს წაუხემსავი, ზოგს ფიცხინიაზე ბრაწავს ნაკვერჩხლ-

ებზე ნავახშმევს. სხვას ნაცარში გაახვევს დიდმარხვისას ან „დუხოვკაში“ მოთუშავს გულის გადასაყოლიებლად და რაჟამს გელენახეს სისუსტე—ნუგბარეული იჩენს თავს ჭაქვინჯიდან, გამყინავი ხმით გადასძახებს მეზობლებს:

ვო, პოპო! გელა, იაშა, მამიაააა!

აივანთან მიაყენებენ მანქანას, კალათებით გადაცლიან სიმინდს და მოგვიანებით მოულხენენ კიდეც შუაღამემდე.

აი, რა სიუჟეტის გადმოტანას შევპირდი გუბერნატორს საუბრის დასაწყისისაკენ.

ჭურიელ მეჯოგეებთან... რომანის სამწყემსად

ეს თემა რამდენიმეგზის გაჟღერუბულა „სუფევაში“. ახლაც იმიტომ ვეხმიანები, რომ გუბერნატორმა მთხოვა, პრეზიდენტის რწმუნებულმა სამეგრელო-ზემო სვანეთისამ.

ვგონებ, ოთხმოციანი წლების სექტემბრის დამდეგია.

მტვრის ბუღით მოქლოშინდებიან მალემსრბოლები კახეთელების ფარეხთან.

შევარდნაძე მოდისო, ბრძანებენ და დავტრიალდებით დიდ-პატარა, მწყემსი თუ მძღოლი, რაიკომის ინსპექტორი თუ მილიციის უფროსი.

მაღალ სტუმრებს მოტორიანი ნავებით წაასრიალებენ ჭურიის განფენილობისაკენ. სუფრა კოპწია ოდაში იშლება ოციოდე კაცზე.

ჭურჭლეულისათვის ამთვითვე უზრუნია დიდ ჯოტოს.

ყველაფერი ცერზეა: ხელსახოცები, დანა-ჩანგალი, ქათქათა სუფრები...

წყლების საუფლოდან ნაშუადღევს მობრუნდება ამალა მხცოვანი ტყაჩუ იროდი სართანიათურთ.

ეს მიწები პარტიზანულად აუთვისებია დიდ ჯოტოს. არვის ჩაკითხებია შინ თუ გარეთ. არავინ შეუწუხებია გამწევი ძალის თუ საწვავის სათხოვრით, თვითონ გაუკაფავთ და მოუთოკავთ ყამირი.

სოციალიზმი გაფაციცებით ეძებს მატერიალური დოვლათის შექმნის სარფიან გზებს. კაპიტალიზმი საცეცებივით შემოაპარებს ყბადაღებულ მის იდეოლოგიას საბაზრო ეკონომიკის ნიშნებს.

ხექტორობითაა გათოხნილი ატმისისხო მარწყვი.

ღობეების კონტურებიდან დავარსკვლავებული ლეღვები შემოგციცინებენ თვალებში. ზღვაურის დაქროლებაზე შეტაროვებული სიმინდები აჭორიკნდებიან ელურბელურით. საშვილიშვილოდ დატყვევებულია ფოტოფირზე ჭურიის ტყეების გამგებელი იროდი სართანია, დიდი ჯოტო და ჩვენი მომავალი პრეზიდენტი, ოფიციალური მოჭიმვებისა და რევერანსების გამორიცხვით.

დიდებული პურობის მწდეობა არ მეთაკილება.

ხვავი და ბარაქა ამჩატებს დაზნექილ სუფრას.

ღვინოს ინებებენ უკლებლივ. გამონაკლისი ქალაქის თავი კლიმენტ ჯანჯღავაა. მწვადს მივართმევ მესმურეებს ნაღდკახელების ყაიდაზე ნაკვერჩხლებიდან ატაცებულს და დაცვარულს აქა-იქ.

არყიან სირჩას ვერ ელევა მარჯვენა, მარცხენა ხელით ცოტა მოიწიეო, მანიშნებს. გადავიზნიქები მისკენ და მოგუდული ხმით მეტყვის:

მაინც რას მწყემსავთ აქო.

აქ კი გათარანდება კიბეებზე თირხონთირხონით და ფანჩატურში მეორეხარისხოვანთა პირობის სასმურებით აალმურებული ჩემი სული.

სადღეგრძელოს მოვითხოვ თვინიერი ქართულით თამადა ივლიანე თოდუასგან. ჯოტო გოგუჩია ვერ ასწრებს ჩემს წარდგინებას სტუმრების წინაშე, ისე დართულია ნება წვერმოშვებული ჭურიელის ასაუბნებლად.

— ძვირფასო, სტუმრებო, — დამებმება ენა, მჭევრმეტყველებით არასოდეს გამოვირჩეოდი, მაგრამ წუთიერი შეყოვნების მერმე, რაღაც შინაგანი ჯადოქარი შემიჩნდება და გავრეკავ ჩემთვისაც საკვირველად, — ძვირფასო სტუმრებო, — ვიმეორებ თავიდან,— აგერ, ბატონი კლიმენტი მთხოვს განვუმარტო, თუ რას ვსაქმიანობთ აქ, რას ვმწყემსავთ, და თქვენი ცოტაოდენი ყურადღებაც თუ მერგო წილად, ვიტყვი გულგახსნილად.

— ბრძანეთ, ბრძანეთო, — გაისუსებიან თანამეინახენი ეგზოტიკური პერსონაჟის მოხელთებით გამახვილებული ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

— დიახ, ბატონი კლიმენტი მეკითხება: რას მწყემსავთ აქო და მეც შეძლებისდაგვარად ვპასუხობ: აი, თქვენისთანა მაღალი ეშელონის პირები, დაბლითანიც, ათასში ერთხელ რის ვაივაგლახით რომ

გამოძებნით თავისუფალ დროს საკარძლებით დამაშვრალი სხეულების გასალაღებლად; ჩვენისთანა ველური ბუნების ბინადართა ცხოვრების მოსახილველად; წელში გაიშლებით მოქანცულობის მხრებიდან გადასაბერტყად, აი, ამისთანა რამეებზე უკვე თერთმეტი თვეა რომანს ვმწყემსავ-მეთქი.

ვიტყვი და დაცლილი ჭიქის მხარდამხარ ჩავხრიგინდები კიბეებზე.

ხუთიოდე წუთიც არ გაივლის და იმ ფარღალალა ფანჩატურს მთავარი სტუმარი, ბატონი ედუარდი მოაკითხავს.

ფეხზედგომილანი განვაგრძობთ ქეიფს.

გამრთლიანდება ერი და ბერი, უფროსი და უმცროსი, თანამდებობა და რიგითობა.მაშინ შემეხმიანება ბატონი ედუარადი:

— მოდი, მომაკითხე და ნებისმიერ დროს მზად ვარ თანადგომისათვისო.

ეხ, რა დრო გასულა მას აქეთ, ორი ათეული წელი მინავლულა სულის საკირეთიდან?!

ესეც ბატონი გუბერნატორის მეორე თხოვნა.

დრო კი გარბის ბაწარაღებით, თითებს შორის წყალივით მიჟონავს; თან მიხყვება ქრონოსს ჩვენი ხუჭუჭა ქოჩრები, აუხდენელი ოცნებების რემა და კიდევ — უთვალავი რამ, ვერსახელდებული ჯერაც.

არ გინდა გარეგანი ფრინველივით იმღერო, რადგანაც იცი, არა მარტო ტკბილი ხმებისთვის გამოუგზავნიხარ ზეცას; რადგანაც გჯერა ცარგვალის დანიშნულს ერი გზრდიდა, სამშობლო გასაზრდოებდა. აწ კი დამდგარა ჟამი უფალთან გასაუბრებისა, მაგრამ ორღობეებში მაცილიც ჩასაფრებულა კენტად თუ წყვილ-წყვილად, ლუწად თუ ჯოგებად და იზეიმებს სიცრუესთან და ცილისწამებასთან დაკავშირებული ათი მცნების შუალედური მუხლები.

გაცივდება ოდინდელი კონტრაქტები ხელისუფალს და მესიტყვეს შორის. მოილიპება ტრუბადურისა და ქვეყნის გამგებლის ილბლიანი თემშარა. დიახაც, ამ თემშარაზე დასტოვებს ერთხელ წუთისოფლის მესვეური ოდესღაც თავის რჩეულ ვინმე მელექსე გური ოტობაიას და ეს უკანასკნელიც ამხედრდება, აბობოქრდება. სუსხიანი წერილების ქარავანს ჩამოაყენებს უდაბნოეთის თაკარა სულიდან. მერე და მერე, ვითარების დაწდევებასთან ერთად, დაცხრება რამდენადმე, მაგრამ ერთს მაინც შემოინახავს თავისი ბორგნეული მეობის დასტურ-ლამალად, შეგირდო ჩემო, წაუბარბაცლობის გაკვეთილად, ოდეს გიყვარდეს მტერი შენიო, ქადაგებ ქრისტეს მოძღვრებით, სინამდვილეში საპირისპიროს მოიმოქმედებ, ჯოჯოხეთის კარიბჭეების თვინიერად დამლაშქვრელს.

დაიმახსოვრე შეგირდო, ჩემო: სამაგალითო გაკვეთილად მომიწოდებია ყოველივე, გამიცვნია და დამიფხრეწია მსწრაფლ, რათა წინამორბედი ოსტატის უნებლიე თუ ნებითი ცდომილებანი გზის მაჩვენებელ ლამპარად გამოგადგეს. დაიხსომე, შეგირდო ჩემო, ბოღმისაგან გონებამოწამლული ველარასდროს შექმნი ფასეულს. ამგვარი შინაგანი შურისმაძიებლური „შემოქმედება“ ველარასდროს ეზიარება საკაცობრიო სიმაღლეებს. სიტყვა „შემოქმედება“ წინწკლებში იმიტომაც მოქცეულა, უფლისეულ საქმეს ავმოენობა არ უნდა ახლდეს წესით. ჩვენს შემთხვევაში კი წინადადებათა და ფრაზების ნაცვლად ნაკვერჩხლები გვცვივა პირიდან, თანაც ბევრგან — ფრიად მიკერძოებითი.

განა მსგავსი გათარანების გამო არ დასაჯა იგი ცაბაოთმა, როდესაც ერთი პიროვნების თუნდაც უსამართლო ქმედებებით ამღვრეულმა, მაწონში აცურავა მისი წინაპარი მწევართა გასალოკად, თანაც რომელ ეპოქაში? — მეთექვსმეტე საუკუნის მიწურულს, როდესაც გვარი, როგორც სოციალური ფენომენი, ჯერაც ფორმირებული არ არის: მამის ძედ იწოდება შვილი, იბნ სინას მისგავსებით — არსუკის ძედ, გახუას შვილად, ჯავახის მემკვიდრედ, რატის პირმშოდ!

ხოდა, გავარვარებულ საკირეთში მოისვრის შენი ოსტატის სიზმრებს უფალთუფალი გამოსაცდელად, შეგირდო, ჩემო — ჭეშმარიტების არეებისკენ მოსაბრუნებლად.

ექვსგზის გამომეცხადება იგი ძილქუშით შეპყრობილს; ექვსჯერ მაიძულებს ჯვარზე გავაკრა უფლის მოთიბული ფავილივით მოწყენილი სხეული და ავხსნა კიდეც შორეული ლაჟვარდებისაკენ ცოდვილი დედამიწიდან ისარივით გატყორცნილი.

აუტანელი, გაუსაძლისი გახდება ეს ხილვანი. ქაჩალ გორად წოდებული გოლგოთის საკაცობრიო თხემი, ლამის ჯოჯოხეთად მექცევა. მერე უმისამართოდ მივემართებოდი უსასრული კიბეებით, სისხლიანი ცრემლი მიღადრავდა სახეს, და სადღაც დაქანცულობის კიდესთან, კედელი ამესვეტებოდა გაუღწევლობის ზღვრად, მიუტევლობის ნიშნად და სიმბოლოდ.

დიახ, ექვსგზის მაიძულებს ცაბაოთი ჯვარზე გავიყვანო სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი მეუფე ჩვენი და უმწეო ხელებიდან მტრედივით აფრენილი ზენაარის განუზომელი სათნოება, წარმკვეთს სასოს ამქვეყნიურს.

მოგვიანებით გავიხსენებ, რომ მეოთხე გამოცხადების დასასრულს კარი გამოებმება მიუღწეველ

კედელს.

მეხუთე მოლანდების ჟამს სახელურიც დააჩნდება იმ შესასვლელს და მხოლოდ მეექვსე გრადაციის პირობებში გავბედავ მორიდებით შევეხო კარიბჭეს. ჩავბღუჯავ სახელურს შინაგანი ხმით გამხნევებული, მაგრამ ამოგლეჯილი გულივით თითებში ამისხმარტალდება და მაშინ გაიღებს ხმას დახშული სივრცე:

გიყვარდეს მტერი შენიო და კარიც მსწრაფლ განიხვნება, თვალისმომჭრელი შუქდიადის გარემოცვიდან შემოცურებული უშველებელი ტორი შიგნით შემიტაცებს. და მივხვდები, რომ არ ვემეტები ზეციერს ბიწიერების დასათრგუნად; არ ვეთმობი ქვენა გრძნობათა დასაურვებლად — ახალ ასპარეზს მიმზადებს სამომავლოს გულნამცეცობაზე საბოლოოდ გამარჯვებულს.

როგორც იქნა დავრწმუნდები შეგირდო ჩემო, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოვიშანთო სულიდან მაცილისეული ხაფანგები და სახუნდარები. დიადი მიმტევებლობის ოაზისში განვიბანო კიდით კიდემდე, ლიზღის და უშელავათო მსაჯულობის სანაცვლოდ, დუხჭირ თანამოძმეთა სადასტაქარო მანტია მოვისხა მხრებზე.ოთხი კაჭალია წელიწადი დასჭირდება ამ მარათონულ კათარზისს. ამიერიდან ამ ცანათელი გადასახედიდან სხვანაირი ელფერი დახკრავს უკვე საგნებს და მოვლენებს.უკვე დარწმუნებული ვარ სულ სხვაგან იმღვრევა აყაყანებული საწუთროს სათავე, კავკასიონის ხერხემლის თუ ოკეანეთა წყების მიღმა.

სხვა სადავეებით იმართება შენი დობადონა, შენი შურობუმუ და აქ შინაური ბელზებლის აღმოჩენა დაახლოებით იგივეა, რაც ტომარაში მჩხავანა კატის ძიება, როდესაც იგი დასახელებულ ხალთაში არ არის.უშედეგოა დასნებოვანებული ჭყონდიდის ტოტებიდან განკურნება, როცა პირშეუკრავი წყლულეთი ფესვებთანაა.ამიტომაც, შეგირდო ჩემო, განწმენდილი გური ოტობაია დგას ახლა რესპოდენტის კარიბჭესთან და ყოველნაირად მომართულა გამოღვიძებული სულის ლაჟვარდებისკენ დასაძრავად.

ოთხი წლის შემდეგ

ოთხი წელიწადი გასრულებულა მას შემდეგ, რაც ჩემს უსაყვარლეს ზუგდიდში, ჩემს შურობუმუში რამდენიმე თვით ჩამოვფუძნებულვარ. კი, დედულეთს იჩქითად ვწვევივარ, საათობით, დღეებით, კვირეებითაც, მაგრამ მიზეზთა გამო, მაინც დედაქალაქში მიწევს ყოფნა. განსაკუთრებით საჭირო ლიტერატურის უქონლობაც მაიძულებს მოვშორდე ოდაბადეს, და აი, როცა ლამის ფინიშზე გასულა ,,სუფევის'' ბედი, იღბალი, კვლავაც სამეგრელოს ნაგაზებს ვაღავღავებღობე-ყორე, ორღობე-თემშარა.

დღეს წვიმიანი ამინდია. ჭირვეულობს კუდამდე მიტყავებული მარტი.

გაზაფხულის ძალუმ შემოტევას ვერ უმკლავდება საკვირველად მერყევი ბუნების თვე. ოჯახში ვწვევივარ ბატონ ბონდოს.უკვე გადავღალე კიდეც სუბრით. ახლა ზერელედ მაინც იცის ,,საქართველოს უკვდავების ფორმულის'' შინაარსი, მისი თანამიმდევრობა და ვგონებ, საინტერვიუოდ განვაწყობ — ორიოდე სიტყვა ბრძანოს იმ ყოველდღიურ პრობლემებზე, რომელთაგან ზოგი მოგვარებულია, ზოგიც კვლავინდებურად იღრინება, და იმედია, საერთო ძალისხმევით ხვალ და ზეგ მათაც ეშველებათ.თავად ბატონი ბონდოს პოეტურ ბუნებაზე აქამდეც გავხმიანებულვარ სათანადოდ, მაგრამ მე სხვას მინდა მეტის ცხოველმყოფელობით ჩავაფრინდე, კონკრეტულად იმას, რომ სერაპიონოვიჩის პიროვნებაში სინთეზირებულია ფრთხილი პოლიტიკური მოღვაწე, ნაცადი სამეურნეო მუშაკი და დოჩანაშვილის კეჟერაძესავით ლიტერატურის მოყვარული კაცი.

— ბატონო, ბონდო, თუკი არ ვცდები, თავიდან ლექსებს წერდით? მოდით, ჩვენი საუბარი სიტყვასთან მიმართებით დავიწყოთ.

— გური, ლექსი არასდროს დამიწერია, მაგრამ საერთოდ ლიტერატურის, ხელოვნების მოყვარული რომ ვარ, ეს, ალბათ, თქვენთვისაც ცნობილია. განსაკუთრებით პოეზია მიყვარს და ასეთი დავრჩები ბოლომდე. როცა ოდნავ თავისუფალ დროს გამოვნახავ, მზად ვარ ჩავუჯდე პოეზიას, განსაკუთრებით ქართულ პოეზიას.

— რატომ გამეღიმა ბატონო, ბონდო, იცით?! მე რომელ რესპოდენდენტათანაც მქონია შეხების წერტილი, განსაკუთრებით ჩვენს კუთხეს ვგულისხმობ, გაჭრილი ვაშლივით ვერ გემსგავსებიან, მაგრამ წაბაძვით — იცოცხლეთ. პოეზიის თქვენეული სიყვარული, მართლაც გადამდებია მთელს სამრევლოში. ახლა სხვანაირად შევხედოთ საკითხს: თუ ღმერთი სიტყვაა იოანესეული სახარების კარიბჭიდანვე; თუკი თავდაპირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა იგი, მაშინ სულ სხვანაირ ინტერეპრეტაციას შევძენთ ჩვენს საუბარს, რადგანაც ამისი

უტყუარი ნიშნები ქართულ ფოლკლორსაც ეტყობა — ვგულისხმობ შელოცვებს და თავისთავად მაგიური ძალის ორიგინალურ პოეზიას.სიტყვას, ბუნებრივია, გააჩნია როგორც დადებითი ისე უარყოფითი ველი და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოფიერების მდინარებისას, იგივე ცივილიზაციის არსებობის თვალთახედვით. გავიხსენოთ შოთასთან თქმული: გველსა ხვრელით ამოიყვანს სიტყვა ტკბილად მოუბარიო. ანუ რას მიგვანიშნებს ყოველივე?! აი, დიდი საუბრისაკენ მივემართებით და შინაგანად რომელ საზღვარზედაც ვართ, ორივეს ჩინებულად გაგვითავისებია — აფხაზურ-ქართული კონფლიქტის საზღვარზე. საამისოდ მომიშველებია ფრაზა: სიტყვითმკურნალობა, ანუ პარაფსიქოლოგია. იქნებ, აი ამ სიტყვის მიმართებამ უფრო გაჭრას ნებისმიერ ჟღამზე, რომელი ნესტრითაც საუბედუროდ მრავლად ვევნეთ ორმხრივ.

— გეთანხმებით. სიტყვა არა მარტო მკურნალია, არამედ შეიძლება მტერიც გაგიჩინოს და მოყვარეც. მე იმასაც ვეთანხმები, რომ სიტყვას ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეუძლია აფხაზებთან მიმართებაში. მე არ ვარ ის კაცი, რომელიც ძალით ამ პრობლემის მოგვარებას მხარს უჭერდეს ან დაუჭერს. აქ საჭიროა სიტყვის ძალა და მშვიდობიანი გზით აფხაზეთის შემომტკიცება.

— ბატონო, ბონდო, რახან ეს თემა წამოიჭრა, ასე იოლად არ მეთმობა, მინდა მეტადრე ჩავუღრმავდეთ. აი, უფრო შორს წავალ, უკან დავიხევ 22 წლით — 78 წელზე მაქვს საუბარი, როდესაც აფხაზურ-ქართული კონფლიქტის პირველი ჩანასახები იჩეკება... მოვეშვათ ამასაც, ,,ლიხნის წერილს'' მივაყურადოთ. ჩვენ დღემდე არ გამოგვიქვეყნებია იგი.დაგვაქციეს. ყელი გამოგვღადრეს და მაინც რა პრეტენზიები ხქონდათ აფხაზებს ქართველების მიმართ, აქამდე არ ვიცით. რატომ ვაკეთებთ ამას? ჩვენი, აი, ამხელა მასმედიის პატრონთ, თავზე ლაფის გადამსხმელების თუ ზეზეურად გამთანგავთა ჭირისუფლებს, ვერაფრით მოგვიხერხებია აფხაზი პოლიტიკოსის წარმოჩენა, რამდენადაც რადიკალური იყოს. მოლაპარაკებების ტომეულების ურმეული მეწყერს მიაქვს. ვერ მოგვიხერხებია იგივე არძინბების, ქიშმარიების, ახუბების თუ სხვათა ალაპარაკება ქართველი ერის წინაშე, რომ არაფერი ვქთვათ რიგით ადამიანებზე.

იცით, ბატონო, ბონდო, აი, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მოედანზე, ძეგლი დგას, ბრწყინვალე, ფერფლისფერ გრანიტში გადაწყვეტილი: სავარძელში დიდებულად მოკალათებულა აფხაზეთის უმთავრესი პოეტის, დიმიტრი გულიას ვიქტორ ივამბასეული მონუმენტი, მაგრამ რად გინდა, სახე მორღვევია, ათაშანგიანის განსახიერებაა, ლუესიანის, ცხვირი მომტვრევია, ტუჩები მოჯიჯგნვია, ისევ და ისევ ჩვენებურთა წყალობით. თუმცა, ჯერხანობით მისი რესტავრაცია აღარცერთ ქართველს მოგვფიქრებია. თითქოს ეს სკულპტურა სხვისი კუთვნილება იყოს. ქრისტესმიერი გზით ვაპირებთ სიარულს და აქვე იეჰოველებს ცხვრებივით ვკრეჭთ, თავებს ვუხოტრავთ, ცხვირ-პირს ვუნაყავთ, იმის იმედით, გავაქრისტიანებთ და კვლავინდებურად მაცხოვრის გზაზე მოვაქცევთო. დამერწმუნეთ, ამგვარი მეთოდებით უარესად დავიქსაქსებით და დავკნინდებით. მე უფრო მარტივად მიყვარს პრობლემებისადმი მიდგომა: თუკი აფხაზურ-ქართული წინააღდმეგობის რამდენადმე შერბილება განმეზრახა, ჯერ ფოტოებზე ამ ძეგლს დავაფიქსირებდი, შემდგომ ჩავუტარებდი რესტავრაციას სათანადოდ, მოვიწვევდი ლიტერატურულ საზოგადოებას, მათ შორის აფხაზეთის მწერლებსაც და ყოველივე ფაქტს საჯაროდ დავატრიალებდი სატელევიზიო არხებით. რამდენიმე ათასი ლარი გაიხარჯებოდა ამ ღონისძიებისათვის, სამაგიეროდ საფუძველს ჩავუყრიდით აფხაზ-ქართველთა ახალ თვისებრივ ურთიერთობას. დამიმოწმებთ, რამხელა რეზონანსი ექნებოდა ამას თავად აფხაზი ხალხისათვის? აი, რანაირ ქმედებებს ვაიგივებ ღმერთთან გათანაბრებულ სიტყვასთან. აი, რას ვეძახი შეუთავსებლის შეთავსებას.

— მართალი გითხრათ, მე ეს ფაქტი არც ვიცოდი, გური, მაგრამ თუკი ასეა, გამათრლება არ გააჩნია. პირიქით, დასაგმობია და დროზე მისახედი.

— დამერწმუნეთ რომ ასეა...

— ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ სიტყვითაც, საქმითაც, უძველესი დროიდან აი, ეს ნამუსიანი დამოკიდებულება რამენაირად აღვადგინოთ.

მყავდნენ და ახლაც ცოცხლები არიან ისინი, ვინც იქითა მხარეს დარჩნენ. თქვენც რამდენი გყავთ. არიან საქართველოში ადამიანები, რომელთაც უამრავი მეგობარი ხყავთ იქ, მაგრამ რატომღაც გავურბივართ მათთან საუბრებს. მე მიმაჩნია, რომ ურთიერთობა უნდა აღვადგინოთ სახალხო დიპლომატიის დონეზე მაინც: ვისაუბროთ, დავსხდეთ, პრობლემები განვიხილოთ. შეიძლება ამა თუ იმ მოვლენის მიმართ ყველას ერთნაირი აზრი არ გაგვაჩნდეს, მაგრამ ერთმანეთის დაუხოცავად, ცივილური ფორმით განხილვას ვინ გვიშლის? ამიტომ ვამბობ, საურთიერთობო სიტყვას, რომელსაც ხალხის ძალა აქვს, საქმეც უეჭველად მოხყვება. აი, ასეთი ვაკუუმია შესავსები; აი, ასეთი სინდრომია გადასალახი.

— ბატონო, ბონდო, თქვენ გუბერნატორი ბრძანდებით და ბუნებრივია, ეს ყოველივე, არამარტო თქვენს ადამიანურ ფაქტორად, არამედ სამსახურეობრივ მოვალეობადაც აღიქმება. ახლახან ტელევიზორის ეკრანიდან გიხილეთ, საბერიოელ ენერგეტიკოსებთან ბრძანდებოდით. იქ რუსლან ქიშმარიც გახლდათ, სხვებიც ვიცანი. ეს შეხვედრა ძირითადად ბატონ გიორგი მიქავას სამსახურს შეეხებოდა, ანუ ენგურსგაღმა არსებულ ელექტრო... ხმ... ტერმინი დამავიწყდა... უზარმაზარი პოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნია.

— სადგური. საბერიოში ელექტროენერგია გამოიმუშავება...

— ამჟამად ენგურხესი გაჩერებულია და ბუნებრივია, მოსახლეობას ვერ აუხსნი, ვერ გააგებინებ დროებითი გაჩერების მიზეზებს, თუმცა ეს ყველაფერი ხომ უკეთესი ნახტომის საწინდარია, რათა ხვალ და ზეგ უფრო მეტი სიმძლავრით ამოქმედდეს? მე უამრავი ენერგეტიკოსისაგან გამიგონია საბერიოელი ბიჭების საქებარი. ჯერჯერობით ვეღარაფრით მომიხერხდა ადგილზე მომენახულებინა ისინი, გამეგო მათი სატკივარი, კაცურად მადლობა მომეხადა თავგანწირული სამსახურეობრივი პასუხისმგებლობის საწინდრად. იმ გაუგონარი ორმხრივი კაცთაკვლის პერიოდში საბერიოელების მთელი კოლექტივი პატიოსნად ემსახურებოდა, როგორც აფხაზურ, ისე — ქართულ მხარეს...

— დიახ, თქვენ ბრძანებთ გიორგი მიქავაზე, რომელიც საბერიოშია, იქ მუშაობს. მართლაც ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ ეს არის გმირული საქმე, გმირული შრომა, თუ შეიძლება მას ასე უწოდო. იმიტომ რომ ბატონი გიორგი ერთი წუთითაც არ გაცლია იმ ობიექტს, დღესაც იქ იმყოფება და ენერგიულად ხელმძღვანელობს თავის გმირულ კოლექტივს.მე ძალიან დიდ მადლობას ვუხდი მას ამისათვის. სხვათა შორის მას აფასებენ არა მარტო ჩვენში, არამედ — იქაც, აფხაზეთში, იმიტომ, რომ ეს არის ძალიან გამოცდილი ადამიანი. ბატონი გიორგი ყველაფერს აკეთებს ელექტროენერგიის შესაძლებლობის ფარგლებში მომარაგების მხრივ: რა საშუალებანიც მის ხელთაა, უდანაკარგოდ მიაწოდოს ხალხს, ქართველებსაც და აფხაზებსაც. რა თქმა უნდა, არის წინააღმდეგობანი, განა ყველაფერი იდეალურადაა?! იქ ბევრზე ბევრი სირთულეა, მაგრამ ბატონი გიორგი არაფერს იშურებს მათ დასაძლევად. მე რამდენიმე შეხვედრა მქონია მათთან, ენერგეტიკის მინისტრთან ერთად, ბატონ დავით მირცხულავასთან, საბერიოშიც, რეჩხშიც...

— რეჩხში რა სიტუაციაა?

— რეჩხში რა არის იცით, იქ ვარდნილხესებიდან დღეისათვის ერთი მუშაობს. დანარჩენზე აღდგენითი სამუშაოებია ჩასატარებელი. სხვათა შორის ენრეგეტიკოსებს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან და აი, ასეთი დამოკიდებულება თუ სხვა სფეროებშიც გაგრძელდება, მე მგონი ეს მხოლოდ სიკეთეს მოიტანს.

— ბატონო, ბონდო, აქამდე გაკვრით კი გითხარით, რომ „სუფევის“ დასკვნით ნაწილს „ფადაასი“ ხქვია-მეთქი. ჩვენს დიდებულ სვანურში ასეთი სასწაული სიტყვა მოვძებნე და სალიტერატურო ქართულში დავამკვიდრე — „ფადაასი“.

ჩვენ გვაქვს, აი, მაგალითისათვის „ქუდზე კაცი“, „მუმლი მუხასა“ „აბ, ულა“, და ასე შემდეგ. თითოეული ეს ფრაზა ლაშქრულის დონეზე მოიაზრებს სამშობლოს დაცვას. „ფადაასი“, „ფადასობა“ კი, როგორც მხცოვანი სვანებისაგან შევიტყვე, დიახაც გახლავთ კოლექტიური მსვლელობა თავდახრილი სამშობლოს ღირსების დასაბრუნებლად, მაგრამ მითითებული არ არის როგორი მეთოდით, ძალით იქნება ეს, შეტევით თუ მშვიდობიანი მოლაპარაკებით. ჩვენ ამ შემთხვევაში „ფადაასს“ ვასინთეზებთ შეუთავსებლის შეთავსების ხელოვნებად. ეს ქრისტესმიერი წესებით მოარული კაცის გზაა. უფალი იესო ფორმულასავით ბრძანებს: გიყვარდეს მტერი შენიო და ჩვენც ასეთი გზებით ვაპირებთ მსვლელობებს ძირძველ საქართველოსკენ — აფხაზეთისაკენ. საბედნიეროდ, ამნაირი ნაბიჯები უკვე გადაგმულია. ესეც სატელევიზიო გადაცემიდან ვიცი. მდინარე ენგურზე ორი ხიდი აგვიშენებია უარაფრობის პირობებში, წალენჯიხის მონაკვეთში.

— კი, ბატონო.

— ცენტრალური ხიდი არის. არის ხიდი შამგონაში. არის ხიდი განმუხურისა. აი, ახლახან...

— დიახ, ხურჩის ხიდიც აშენდა.

— ეს რანაირი ხიდია, ბატონო, ბონდო, პატარა?

— ყოველ შემთხვევაში მანქანებს შეუძლიათ გადასვლა.

— ერთადერთი გვრჩება თურმე, ოტობაიისა.

— მაგასაც ეშველება, ალბათ. მართალია, რთული კონსტრუქციული ნამუშევარია, თანაც სანახევროდ დანგრეული. სხვათა შორის ისიც უნდა გითხრათ, რომ, აი, წალენჯიხაში ხიდები რომ აშენდა, ესენი...

— რა სახსრებით აშენდა?

— ესენი უშუალოდ პრეზიდენტის მხარდაჭერით გაკეთდა. სამუშაოები კი ბატონმა ბორის სალარიძემ შეასრულა.

— ჩინებულმა პიროვნებამ.

— რაღა თქმა უნდა! ხიდები სახელმწიფო სახსრებით აშენდა და, ალბათ, ისიც მოგეხსენებათ, რომ მათ გახსნაზე აქ ჩამოსული იყო ქვეყნის პრეზიდენტი. რა თქმა უნდა ხიდები უნდა ვაშენოთ და არა — პირიქით. რაც შეეხება ოტობაიის ხიდს...

— სულ რაღაც ნახევარი მონაკვეთია დანგრეული...

— მასაც ეშველება-მეთქი, იმიტომ, რომ მართალია, ბიუჯეტიდან მის თანხმებს ვერ გამოვყოფთ, მაგრამ არიან საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებსაც ჩვენ, ყველანაირად დავუსაბუთებთ ამ ხიდის აუცილებლობას და ბუნებრივია, სათანადო თანხებიც გამოიძებნება.

— ბატონო, ბონდო, ჩვენი საუბარი მგონი მიზანმიმართულად მიიწევს წინ. ყველაფერი მაინც ადამიანისთვისაა: ელექტროენერგიაც, ნებისმიერი ფასეულობა, რაც ჩვენს გარშემოა — ჭირნახული თუ ეკოლოგია, წესით მხოლოდ და მხოლოდ მისი ბედნიერებისათვის უნდა ტრიალებდეს. მე აქაური კაცი ვარ და ჩემს მთლიან საქართველოს ვენაცვალე, მაგრამ ოდნავ მეტი გულშემატკივრობა გამაჩნდეს ჩემი შურობუმუსადმი, ვგონებ ცოდვაში არ ჩამომერთმევა. ხოდა, რომ ვაკვირდები, ხალხი მაინც რაღაც თითქოს შინაგან დაძაბულობას მოუცავს; თითქოს რაღაც იმედს მოელის და მაინც ჯერჯერობით წელში ვეღარაფრით გამართულა.წარმოდგენილი მაქვს ახლა რა სიტუაციაშია ზუგდიდის მოსახლეობის სულიერი წონასწორობა —თავად ზუგდიდი მართლაც გმირი ქალაქია. ადგილობრივი მაცხოვრებლის ეკვივალენტური ოდენობა — დროებით გადაადგილებული პიროვნება — ნათესავ-მეგობრებს შეკედლებია; სამსახურიც ნაკლებად მოეპოვება. დადარაჯებულია სახელმწიფოს დახმარებას, რომელიც შიგადაშიგ გვიანდება მიზეზთა გამო. ამისთანა სიტუაციაში თქვენი სიტყვა უფრო კომპეტენტურად და სრულყოფილად დაგვიხატავდა რეალურ სურათს.

— მხედველობაში გყავთ ლტოლვილები — დევნილი მოსახლეობა, თუმცა არც ადგილობრივია დალხენილი, საერთო გასაჭირია და ამაზე — მოგვიანებით. ჯერ ოტობაიის მაცხოვრებლებს დავუბრუნდები, თქვენ ხომ ოტობაიას ფსევდონიმით ბეჭდავთ?

— დანამდვილებით.

— ამიტომაც გაწუხებთ ოტობაიას ხიდის ამბავი. კიდევ ვიმეორებ, რომ ეს პრობლემაც გადაწყდება. ახლა რაც შეეხება დევნილ მოსახლეობას, სამეგრელოში დაახლოებით 115 ათასამდე ადგილნაცვალი პირია, ზუგდიდში რაიონიდან 120 ათასი მაცხოვრებელია და თითქმის ნახევარი ლტოლვილია. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ასეთ პირობებში უცბად 60 ათასი კაცი ყოველნაირად დეპრესირებული და ბუნებრივია, სირთულეებიც იქმნება: ეს არის კომუნალური მომსახურება, ეს არის ინფრასტრუქტურა, ეს არის საცხოვრებელი და ასე შემდეგ. მე უნდა გითხრათ, რომ, აი, 98 წელს, როცა მოხდა ის ცნობილი გალის მოვლენები, მაშინ უდიდესი სირთულეების წინაშე აღმოვჩნდით. ჯერ ერთი, ამ ხალხის განსახლებაზე არ იყო დარჩენილი სკოლა, მეცხოველეობის ფერმები რაღაც გაპარტახებულ შენობებში. დაუმთავრებელი სახლები... თითქოს დავაბინავეთ. რთულია მათი მდგომარეობა, გაუსაძლისი, მაგრამ ჩვენ რას ვაკეთებთ? ჩვენ ვცდილობთ ყოველნაირად ხელი შევუწყოთ ამ ხალხს, და სხვათა შორის მე ბედნიერი კაცი ვარ იმის გამოც, რომ არა მარტო ზუგდიდელი, არამედ სამეგრელოს ყველა რაიონის ადგილობრივი მაცხოვრებელი ლტოლვილებთან მიმართებაში არის ძალიან...

— კორექტული..

— კორექტული! ეს სიტყვაც ვერ მოიცავს ამ დამოკიდებულებას. არ ყოფილა რაიმე გაუგებრობაც კი ამ ლტოლვილებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, თუმცა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს მტრებს ხელს აძლევთ იყოს ყოველივე ისე, რომ ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მაგრამ მე ყოველთვის ვამბობდი და ამჯერადაც ვიმეორებ: ის კაცი, ვინც ხელს შეუშლის, აი, ამ ურთიერთობის ნორმალიზაციას ვეღარაფრით აიცდენს ქვეყნის მოღალატის სახელს და სამუდამოდ მოიკვეთება ერის ცნობიერებიდან.

— ამაზე ორი აზრი არ არსებობს, ბატონო ბონდო.

— დიახ, ქვეყნის მოღალატის სახელს! ნურავინ იფიქრებს თითქოს დევნილი ადამიანები, მიუხედავად გაუსაძლისი პირობებისა, ვინმეს გამოადგებიან არეულობის და დესტაბილიზაციის საშუალებად. ამიტომაც ჩვენი მწირი შესაძლებლობების ფონზე, დევნილების საკითხი შეიძლება საკმაოდ განსხვავებულ ორ სოციალურ მომენტად გავყოთ: ერთია — კომპაქტურად ჩასახლებული დევნილი მოსახლეობა და მეორე — საზოგადოება, რომელიც სოფლებში ცხოვრობს, ზოგი ნათესავთან, ზოგიც — მეგობართან და ასე შემდეგ, იმათ, ვისაც სურვილი აქვთ მიწა გამოიყენონ და უნდათ

მუშაობა სოფლის მეურნეობაში, ჩვენ გარკვეულწილად ხელი შევუწყვეთ.

— საამისოდ არსებობს რაიმე იურიდიული საფუძველი?

— გეტყვით. ეს იქნება დროებით სარგებლობაში. ჩვენ ვაძლევთ მიწას, ვისაც ამისი სურვილი აქვს და სადაც ამისი საშუალებაა. ყველგან არ არის შესაძლებლობა, მაგრამ სადაც სადაგი პირობებია, მაგალითად ხობში, ზუგდიდში, აბაშაში, ისინი ამით ირჩენენ თავს. ხოლო კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების აბსოლუტური უმრავლესობა მაინც ვაჭრობის სფეროშია დაკავებული. და ახლა, ზოგჯერ ამბობენ, რომ, აი, გარე ვაჭრობაა და უნდა აღვკვეთოთო. მე სიმართლე გითხრათ, იქ სადაც დევნილებია დასაქმებული, ცოტა მეუხერხულება ამ საკითხის ხისტად დასმა. მათ ხომ სხვა საარსებო წყარო არც გააჩნიათ?!

— ბატონო, ბონდო, ეს ნიუანსი უმჯობესია უფრო გაცხადებულად გაჟღერდეს. ჩვენ ვამბობთ: დაახლოებით 300 ათასი დევნილი გვყავს ქართველებსო. ცხადია, ეს— ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, კვლავაც მუსირებს ზოგი უწყების ჯიბის სასარგებლოდ, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ მთავრობას, ხელისუფლებას ვეღარაფრით გადაუდგამს ზეპატრიოტული ნაბიჯი გაწამებული მოსახლეობის ადამიანური უფლებების დასაცავად. რას ნიშნავს ლტოლვილი საკუთარ ოჯახში?! ან ვინ მოიგონა მიწის დროებით სარგებლობაში გადაცემა?!

განა საქართველოს ნებისმიერი კუთხის მოქალაქეს თანაბარი უფლებები არ გააჩნია საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ მონაკვეთზე, როგორც ეს ადამიანის სხეულში ხდება?!

განა სისხლის რომელიმე წვეთი შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ გულს ან ფილტვს და ასე შემდეგ; განა სრულიად პიროვნების საკუთრება არ გახლავთ იგი თავისი საკრალური მოცულობით? ასევე უნდა იყოს წესით ქვეყნისა და მისი მოქალაქის ურთიერთდამოკიდებულება, ვინაიდან ქვეყანა სხეულებრიობაა ფართო გაგებით, ხოლო ადამიანი— მისი მამოძრავებელი სისხლი, ნერვი, ძალისხმევა.რას ნიშნავს მიწა-წყლის გადაცემა დროებით სარგებლობაში?მე აქ სხვანაირად წარმოვაჩენ საკითხს:აფხაზეთში მიბრუნების პრობლემის მარტო დევნილების ანაბარა მიტოვება, სიბეცეცაა და ერთდროულად ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაც, ვინაიდან აფხაზეთში ვეღერსდროს ჩავლენ დევნილობაში აწგარდაცვლილი ჩვენი ათასები. და შვიდი-რვა წლის ახალგაზრდასაც აღარაფერი ახსოვს იქაური; არც ქარის სურნელი, აღარც მაგნოლოები, და რიწის მიუწვდლომელი სილამაზე თუ სულაც ჩვენი ამღვრეული ყოფიერება. ჩვენ მათგან შევქმენით აფხაზეთს მონატრებული ბავშვები. ან რამდენი დაქორწინებულა ადგილობრივზე, აქ, აჭარაში, იმერეთში, ქართლსა და კახეთსა შინა?!როგორ, აიყარნონ ახლა ეს წვრილშვილები აფხაზეთისაკენ? აქედან გამომდინარე, ჩვენ ვიყოლიოთ უარაფრო მასა აფხაზეთის დაბრუნების საბაბით და ამისათვის ვტანჯოთ ათასები სისცოცხლის მიწურულამდე, დანაშაულებრივი ქმედებაა ნებისმიერ დონეზე. კი, ძირითადი ბირთვი, ბუნებრივია, დაუბრუნდება თავისი წინაპრების საძვალეებს, მაგრამ აუცილებლად ამუშავდება ჩანაცვლების პრინციპი და შესაძლოა სულ სხვა მამულიშვილმა მოახერხოს იქ დაბრუნება. მოკლედ, რას ვამბობ: დავუშვათ, მოინდომა კაცმა სადმე დასახლება...

— კი, ამას ხელს არავინ უშლის...

— იქნებ ყველას არ ხეოფნის შინაგანი ძალები ისულდგუმლოს უსასრულო იმედების წყებით, და დასახლდეს, იყოლიოს ცოლ-შვილი, უფრო გამრავლდეს. აი, ამ პრინციპების თაობაზე ვიმსჯელოთ.

— ამ სულისკვეთებას ხელს, არავითარი პოლიტიკური ბარიერი უშლის. იმიტომ, რომ ადამიანს სადაც სურს იქ შეუძლია იცხოვროს. მე ახლა ისიც უნდა გითხრათ, რომ ზოგიერთი ამბობს: აი, პრეზიდენტს არ უნდა აფხაზეთში დაბრუნება და ასე შემდეგ. პრეზიდენტს რომ უნდა აფხაზეთში დაბრუნება ისე დღეს შეიძლება ბევრს არც უნდოდეს. პრეზიდენტი ბედნიერი იქნება მაშინ, როცა აფხაზეთი დაბრუნდება. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაც ამ სულისკვეთებითაა. უკანასკნელმა შეხვედრებმა კიდევ ერთხელ განმიმტკიცა ეს რწმენა: ის კი არ არის მთავარი სატკივარი თუ რატომ აგვიანებს სამოწყალო შემწეობა, არამედ ნომერ პირველ თემად ყოველთვის, ყველგან აფხაზეთში დაბრუნებაა. ხოლო რაც შეეხება იმათ, ვისაც, დავუშვათ და ექნებათ საცხოვრებელი, არავინ უშლით ხელს იბედნიეროს სურვილისამებრ. და აქვე, არავინ იფიქროს, აი,დევნილს არ მიეცემა ცხოვრების საშუალება საქართველოს ნებისმიერ წერტილშიო. მე რამდენი დევნილი ვიცი, სახლები იყიდეს ზუგდიდში, სენაკში, კარ-მიდამო მოიწყვეს და სრულიად საქართველოს მხარდამხარ აღაშენებენ ჩვენს ცხოვრებას. შეიძლება მთლიანად ყველა ოჯახი ვერ მიუბრუნდეს აფხაზეთს, მაგრამ რამდენიმე წევრი უცილობლად განაახლებს იქ თავის მამაპაპურ კერას. ესეც არის, ასეთი რამ დასაშვებია და სრულებით არ მეჩვენება საგანგაშოდ.

— ბატონო ბონდო, ჩვენი საუბარი ფაქტობრივად დინამიკური ფაზაა იმ ვრცელი წიგნისა, „სუფევა“ რომ ხქვია სახელად, იგივე „ საქართველოს უკვდავების ფორმულა“ — სიტყვის პირამიდა

შეუთავსებლის შეთავსების მუხტით. ხოდა, სრული ოქტავით ამისთვისაც ვეხები არსე- ბულ სინამ-დვილეს. ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით ბოლო დროს განხორციელებელ რამდენიმე შთამბეჭდავ ნა-ბიჯს, იგივე ხობში, ყულევში, ტერმინალის მშენებლობას, რომელიც წელიწადზე მეტის გაჩაღებუ-ლია და თქვენთან საუბრამდეც გვარიანი დოზით წარმოჩენილა.თუმცა ამას ხომ წინ სუფსის ტერ-მინალი უსწრებდა? მე ამ ჩანაფიქრის გაშიფრვა თქვენგან უფრო მეუპრიანება, იმიტომ რომ თავა-დაც ანგარიშგასაწევი შეხედულება გამაჩნია: დიახაც, არის ფადაასობის ნაპერწკალი ჩადებული, რომ ჩვენ, აი, ამ ზღვისპირა ზოლს გეგმაზომიერად მივუყვებით ხიდეებით, ტერმინალებით, ნავსად-გურებით, რომლის სრულფასოვანი განხორციელების შემდეგ, როცა ჯანსაღ, ლამაზ ცხოვრებას შექმნი, მისდაუნებურად ინდომებენ შენს გვერდით ყოფნას?!

— ძალიან საინტერესო ინტერპრეტაციაა. აი, მაგალითისათვის ყულევის ტერმინალი ჯდება ,,დიდი აბრეშუმის გზის'' კონტექსტში...

— უფრო ხელშესახები დეტალებით, ბატონო, ბონდო...

— შეიძლება დეტალებზე ახლა იმდენი ვერ ვილაპარაკო, მაგრამ ზოგადად მე ერთ რამეს გეტყვი: პრეზიდენტის სამომავლო გეგმები ამ თვალსაზრისით გაცილებით ფართეა... არა მარტო ყულევის ტერმინალზეა საუბარი, საუბარია ანაკლიის პორტის მშენებლობაზეც. ღმერთმა ინებოს და მალე გადაწყდეს აფხაზეთისა და საქართველოს ნორმალიზაციის საკითხი, აფხაზეთის შემობრუნება ჩვენ-სკენ — ხვალ შეიძლება საუბარი წამოიწყოს ოჩამჩირის პორტზე და ასე შემდეგ. ეს საზღვაო აკვატო-რია საქართველომ უნდა აითვისოს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე და სწორედ ეს დევს, აი, იმ აბრეშუმის გზის მომავალ გეგმაში. პრეზიდენტი ყოველივეს, ძალიან იმედიანად უყურებს, და მისი ძალისხმევაც არსებითად აქეთკენ რომ არის მიმართული, ესეც დაგისახელეთ. მეტი რაღა ვქნა? — ხელებს ფართოდ გამიშლის მხარის გუბერნატორი, — ეს ობიექტები, ცხადია, ერთბაშად ვერ აღმო-ცენდება. თანდათან, დროთა ვითარებაში ბევრი სიახლეა მოსალოდნელი. თავად ბრძანეთ სუფსის ტერმინალზე. ახლა მიმდინარეობს ყულევის ტერმინალის მშენებლობა. ფოთშიც შეიძლება ახალი ნავსადგური გაკეთდეს და ა.შ. რა არის ამაში მთავარი ფაქტორი? მთავარი ჩვენი ქვეყნის გეოგრაფი-ული მდებარეობაა, რომელიც ხელსაყრელია საქართველოსათვის და უნდა გამოვიყენოთ მაქსიმალუ-რად.

— ყველაფერი კეთილი, ბატონო ბონდო, აგვიშენებია ტერმინალი, გნებავთ — ორი, გნებავთ — ხუთი, მაგრამ ტერმინალებს არ აშენებენ ღია ცის ქვეშ, ე.წ. რეკვიზიტის დონეზე. თუკი ტერმინალს არ მოეპოვება მკვებავი არტერია, არ გააჩნია ნედლეული, წყალშია მილიონები გადაყრილი. რამ-დენადაც ვიცი, აქამდე არ გარკვეულა ბაქო-თბილისი-ჯეიხანის პრობლემა. კიდევ რა? კიდევ რითი?

— ახლა ვხედავ, თუ რისი გაგება გინდათ ჩემგან, — მოჭუტული თვალებით მიღიმის, — ბაქო-თბილისი-ჯეიხანთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელია. რამდენჯერ იყო ამის თაობაზე საუბარი. ეს ყველამ იცის, ნედლეული საიდან იქნება. თქვენ უფრო გაინტერესებთ, ალბათ, ყულევის ტერმინალის ბედი. მისი დამფინანსებელნი არიან დიდი ფირმის წარმომადგენლები, სადაც რამდენიმე ქართველიცაა, და წარმოიდგინეთ, მათ, ნედლეული შუა აზიაში გააჩნიათ, ანუ გააჩნიათ თავიანთი ნავთობის მოპო-ვების წყაროები. აი, იქიდან ეს ყველაფერი კასპიის ზღვით შემოვა ბაქომდე და ბაქოდან რკინიგზით — ყულევამდე.

— სუფსამდე და...

— არა, არა, სუფსამდე არა. ყულევამდე. სუფსა ცალკეა. ყულევი არ ეხება სუფსის ნავთობს, რომლის შესახებ საუბარია ბაქო-თბილისის-ჯეიხანის ნავთობსადენით, საიდანაც ისინიც ღებულო-ბენ ნედლეულს და მოაქვთ ამ გზით, სუფსამდე.

— ბარემ ახლა ვიტყვი იმის თაობაზე, ბატონო ბონდო, რომ მე წეღან შემთხვევით არ მიხსენებია ,,არა მხოლოდ რეკვიზიტის დონეზე''-მეთქი. კი, ბატონო, შუა აზიიდან შემოზიდული ნავთობით დაიტვირთა ყულევის ტერმინალი, სხვანიც, მაგრამ მე ხომ ვიცი საქართველოს გეოლოგიაში რამ-დენადმე ჩახედულმა დილეტანტმა, ნავთობი კახეთში რისთვის მოიპოვება, ან აგერ, ფოთის მისად-გომებთან, ჭალადიდში, უკვე გერმანული ფირმაა დაინტერესებული ნავთობმოპოვებითი სამუშა-ოებით. როგორ შეიძლება კასპიის ზღვაში ნავთობი იყოს და საქართველოში — არა! აქ ნედლეულის სიიაფეზეა საუბარი და არა — ნავთობის ყოფნა-არყოფნაზე.

— მარტო სიძვირე ან სიიაფე არაფერ შუაშია. თქვენ იცით, რომ ინტენსიური მუშაობა მიდის ახლა ამ მიმართულებით კახეთში, სხვათა შორის ჩვენთანაც. აი, ხობის ტერიტორიაზე დაზვერვითი სამუშაოებია გაჩაღებული, შავი ზღვის აკვატორიაში და ა.შ. ღმერთმა ქნას, რომ ჩვენ ჩვენი ნავთო-ბი იმდენი რაოდენობით მოვიპოვოთ, საქართველოსაც ხყოფნიდეს და გასაყიდიც გვქონდეს. მაშინ გარკვეულწილად ეს ტერმინალებიც დაიტვირთებოდა.

— თქვენი ინფორმაცია გაცილებით სანდო წყაროებსაა დაფუძნებული უეჭველად. შემთხვევით არაფერი ხდება, მით უმეტეს ენერგეტიკაში. შეიძლება ღიად ყველაფერი არ ითქმის და მაინც რატომღაც დარწმუნებული ვარ, საქართველო ზის ნავთობის ტბაზე

— რომ არ ყოფილიყო ნავთობი, მაშინ უცხოური ფირმებისაგან დაინტერესებაც არ იქნებოდა...

— თავს იკავებთ...

— მუშაობენ, რა თქმა უნდა. მე ვერ გეტყვით რა დოზით,მაგრამ ყოველ შემთხვევაში,ნავთობის საბადოები ჩვენთან რომ არის, ეს ცხადია. ის ადამიანები, რომლებმაც დაიწყეს დაზვერვითი სამუშაოები შავი ზღვის აკვატორიასა და ჭალადიდში უქმად დროს არ კარგავენ.

— ,,ტერმინალის მეპატრონენი ხომ არ იბევებენ ჩვენთან არსებულ ნავთობს სამომავლოდ''- მეთქი, გამიელვებს გონებაში, მაგრამ ამ კითხვისაგან რატომღაც თავს შევიკავებ და შევეცდები საუბარს მიმართულება შევუცვალო.ოღონდ დელიკატურობით არ ვაგრძნობინებ დიალოგის მკვეთრი მოსახვევი ხელოვნური გამოდგეს. და ამ ყოყმანით გაწონასწორებული ბუნებრივად დავსძენ,— თქვენი ხელშეწყობით, იმედია, ბატონო ბონდო, იმ ხალხსაც შევხვდები, ალბათ. უკეთ მოგეხსენებათ, დღეს ყველაფერი საკმაოდ კონფიდენციალურია. ინფორმაციის მოპოვება ერთობ ძნელია, იმიტომ, რომ საკითხი როცა ეხება ამა თუ იმ ფირმის, მუშაობას,იქ ტრადიციული გულგახსნილობანი ჩაილურის წყალს გახყოლია.

— მე ნებისმიერ დროს მზად ვარ, ბატონო გური, რომ თქვენთან ერთად ვეწვიო ყულევს, ჭალადიდსაც... სირთულეები ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით გამორიცხე.

— მადლობის მეტი რა მეთქმის, დაპირებისათვის, ბატონო ბონდო, და მაინც ენერგეტიკის პრობლემებზე საუბარი, შეიძლება გამოკვეთილად შეჯამდეს: ვისაც ენერგეტიკული რესურსები გააჩნია, გვინდა თუ არა, პოტენციურად მაღალგანვითარებული ქვეყნის პრეტენდენტია. დაინტერესებათა წრეც, დამეთანხმებით, აქედან საზრდოობს, აქედან იღებს სათავეს. საქართველოს რომ უზარმაზარი პერსპექტივა გააჩნია, ამაში ეჭვის შეტანა სიბეცეა, მით უმეტეს ჩვენისთანა გეოგრაფიული მდებარეობის გათვასწილინებით. მსოფლიოს გზაჯვარედინზე ყოფნა, ათასწლეულობით გამოცდილი აბრეშუმის გზა, სადაც ორჯერ გაუვლია ყმაწვილ და ჭაბუკ იესოს, ცნობილია, მაგრამ ყველაზე დიდი სიმდიდრე, რაც ქართველ ერს , საქართველოს მოეპოვება, მომიტევეთ პროფესიონალმა და უცილობლად ენდემური ჯიშებია, ანუ ის ფაუნა და ფლორა, ამ საქარავნო არტერიის მეოხებითაც რომ ილექებოდა; ისტორიამ რომ გამოსცადა ჩვენს მიწა-წყალზე, ვგულისხმობ იგივე მეცხოველეობას, ძიკი კვარაცხელიას სახელთან დაკავშირებულს: მეარვეობას, მეცხვარეობას, მეკამეჩეობას, მეფუტკრეობას, მევენახეობას, მებახჩეობას, მებოსტნეობას,უნიკალური სამკურნალო თვისებებით გამორჩეულს ჯერ კიდევ მედეას ეპოქიდან. აი, ამ მიმართულებით სამეგრელოში რა ვითარებაა? თქვენ ფაქტობრივად შეგიძლიათ არა მხოლოდ რეგიონის, სრულიად საქართველოს მასშტაბითაც ისაუბროთ, რადგანაც დაგროვილ პრობლემებს მინისტრის მოადგილის პოზიციიდან აგვარებდით წლების მანძილზე.

— ახლა მე მაინც სამეგრელოსთან დაკავშირებით ვიტყვი, და მიუხედავად იმისა, ვიღაცამ შეიძლება ამ გაგანია პოლიტიკურ ორომტრიალშითქვას: რა დროს ენდემურ ჯიშებზე საუბარიაო, მაგრამ მაინც გულწრფელი ვიქნები და ნამდვილად მადლობელი ვარ ინიციატივისათვის, თქვენს ინიციატივას ვგულისხმობ,რომ საუბარი საშვილიშვილო თემაზე გადაიტანეთ. ახლა ენდემური ჯიშები... ენდემური ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ადგილობრივს.

— მე მამაპაპურს ვეძახდი.

— ნაწილობრივ ეგრეც დასაშვებია. ეს შეეხება მცენარეებს და ცხოველებს. მაგალითად, იტყვიან, რომ მეგრული არყი ენდემური ჯიშიაო. სხვაგან არ არსებობს იმისი გავრცელების არეალი, მაგრამ კამეჩი, ვთქვათ, ენდემურია? ეს კიდევ საკითხავია, თუმცა რასაც თქვენ ბრძანებთ, რაც საუკუნეების მანძილზეა შეგუებული, მაგალითად, ძიკი კვარაცხელიას ძროხაზე ამბობდით, არა? წლების განმავლობაში ფიქრობდნენ ამაზე და ადგილობრივ პირობებს შეგუებული ჯიში გამოიყვანა.დიდ კონსტანტინე გამსახურდიას აქვს ნათქვამი, რომ ყველა მოვლენა,რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში იშვა, შეფარდებულია ადგილობრივ პირობებთან და მისი კოპირება, გადმოტანა სხვაგან, სადაც ამისათვის საჭირო პირობების ნაკლებობაა, მიუღებელია და ისეთივეა, ნოვოროსიისკში ლუდმა პირი რომ გამომწვაო.იყო მიმართულებები, მაგრამ იმ ჯიშებმა, რომლებიც სხვაგან ხარობდნენ,ჩვენთან არ გაამართლეს... ამიტომაც მიმაჩნია, რომ კვარაცხელიას ჯიშის პირუტყვის მოშენება უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის სამეგრელოსა თუ გნებავთ გურიაში, აი, ამ დასავლეთში...

— აგერ, ხობშია უკვე სანაშენე...

— ჯონი ფიფიას სანაშენე. ამას რომ აკეთებს ძალიან კარგი საქმეა. ამიტომ, აი, ამ ადგილობრივ პირობებს შეგუებული ჯიშების განვითარებას ჩვენ ყოველნაირად ხელი უნდა შევუწყოთ.მაგალითად, ახლა თქვენ უყურებთ, ალბათ, რომ ჩვენთან სიმინდის ერთი სახეობაა. არადა, კიდევ რამდენი სახეობაა სიმინდისა! გახსოვთ ყვითელი?

— ,,გროზნოს'' ვეძახდით სოფლად.

— დიახ. იყო ღომი. დღეს ღომი საერთოდ არ არი.მე როცა სენაკში ვმუშაობდი მაშინ, ერთ კაცს ხქონდა ოჯახში.

— ღომის ღომს ვეძახდით...

— საკვებს. სხვათა შორის ძალიან კარგია, განსაკუთრებული გემოიანობით გამოირჩევა. ერთი რამ უნდა გითხრა დამატებით, აი, მიწის პრივატიზაციის კანონი, მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა, მე მგონი ძალიან დიდი მნიშვნელობისაა. დარწმუნებული ვარ, რომ მიწის ნაყოფიერება და მისი რაციონალური გამოყენება გაზრდის დოვლათს, ცხოვრებას გააიოლებს.თუმცა, არის ბევრი შემაფერხებელი ფაქტორიც. ახლა თქვენ იცით,რომ სათანადო ტექნიკა, საწვავი, სასუქი, მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა და ა.შ., მაგრამ ეს თანდათან დარეგულირდება უთუოდ. და რახან იგრძნო გლეხმა, რომ მიწის ნამდვილი მეპატრონეა, ყველაფერს გააკეთებს. ცოტა ხელშეწყობა იქნება საჭირო, ხელშეწყობის ფორმები უნდა გამოვნახოთ...

ახლა ბარემღა მივადექით იმას, რის თაობაზე მე თქვენთან არაერთგზის მისაუბრია, ჩაისთან დაკავშირებით. ნუ, ჩაი დასავლეთ საქართველოსათვის, აჭარისთვისაც, ბატონო, ჩემო, ეკონომიკის ერთ-ერთი ბურჯი იყო და იმ პერიოდში მოსახლეობის ყოფა ამით სულდგმულობდა, მეფურად ცხოვრობდა. თქვენ ეს ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, მაგრამ ბოლო წლებში დავკარგეთ ჩაის ბაზარი და მის მიმართ ყურადღებაც შენელდა. ამას დაერთო პოლიტიკური მოტივებიც: ეს მონური კულტურააო,ასე შემდეგ და ასე შემდეგ, თუმცა მე არ ვიცი რატომ არის მონური კულტურა ჩაი და სიმინდი — არა? ვითომ ნაკლები შრომა სჭირდება რომელიმე დარგის სრულფასოვან მოვლას?ჩაი იაპონიაში მონური კულტურა არ არის, არც— ინდოეთში, აღარც— ბირმასა და ცეილონში. მათი ჩაი მთელს მსოფლიოს მოედო.როგორ გავიცნობიეროთ, ბრინჯი და ბამბა ნაკლებად შრომატევადია განა? მე ყოველთვის ვამბობდი და დღესაც ვიმეორებ, რომ გაუმართლებლად მძლავრობდა ჩაის გაშენების დრაკონული გეგმები. ჩაის ისეთ ადგილზე ვაშენებდით, სადაც მისი მოსავლიანობისათვის ხელსაყრელი პირობები არ არსებობდა. ამიტომაც ის ფართობები, რომლებიც დაკნინებულია, რომლებსაც პერსპექტივა არ გააჩნია, უნდა ჩამოიწეროს, სხვათა შორის რამდენიმე ათასი ხექტარი,ხოლო იქ, სადაც ჩაის მოსაყვანად ბუნებრივი პირობებია, ხელაღებით არ უნდა გავანადგუროთ.ჩაის მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე ცვალებადია და ჩვენ , მით უმეტეს, იმის გამო, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გავწევრიანდით, ალბათ, შესაძლებელი გახდება რაღაც დოზით კვოტა მიეცეს საქართველოსაც ჩაის გასასაღებლად.

— ფაქტობრივად ახლა ჩვენთან ყველაფერი ,,მარტინ ბაუერის'' ხელში...

— არა, მარტო ,,მარტინ ბაუერი'' არ არის, სხვა ფირმებიც არიან, მაგრამ დღეს ჭირს ჩაის რეალიზაცია. ჩვენ ჯერ-ჯერობით საბაზრო ეკონომიკას ვერაფრით მოვერგეთ, მე მხედველობაში მაქვს ჩაის მწარმოებლები, ჩაის ფაბრიკის მუშაკები და ხელმძღვანელები, ჩვენი უგერგილიანობაც. გახსოვთ, ადრე რუსეთს ვაწვდიდით, აი, ამ ჩაის. ეს კონტაქტები აუცილებლად აღსადგენია.

— ბატონო, ბონდო, რახან ამ თემაზე ჩამოვარდა საუბარი, იქნებ ბატონი ვალერი კოვალიოვი გაგვეხსენებინა.

— დიახ, ვიცი. მე და კოვალიოვი წლების წინ ერთად ვმუშაობდით ენგურის ცულულოზისა და ქაღალდის კომბინატში.

— ბატონი ვალერი როლერებით მოკრეფილ ჩაის ანიჭებს უპირატესობას, უფრო კონკრეტულად კი — საოჯახო იჯარას, როგორც ეს აზიის ქვეყნებშია.

— დიახ, ჩვენ გვისაუბრია ამის თაობაზე ვალერისთან. რა თქმა უნდა, ყველაფერი დამოკიდებულია ფინანსურ შესაძლებლობებზე, თორემ მისი რაციონალიზატორული წინადადებები უმრავლეს შემთხვევაში მისაღებია. მოკლედ, იმის თქმას ვაპირებ, რომ საბოლოოდ ხელი არ უნდა ვკრათ ჩაის. არც მისი შტურმით ამოძირკვა მიმაჩნია გამართლებულად. ჯერ ერთი, ამისი ამოსაძირკვი თანხაც საძებარი გაგვიხდება. მერე ამას რამდენიმე წელიწადი დასჭირდება და რაც მთავარია, ზოგიერთ ადგილას, სადაც ჩაი ხარობს, სხვა კულტურას ვერ მოაშენებ. ხა და ხა სიმინდი შეიძლება მოიყვანო, ესეც აუცილებელია, თუმცა ქვეყნის სტრატეგიას შორსმჭვრეტელური აზროვნება სჭირდება. თქვენის ნებართვით ერთს მივაბამდი ამ თემას. ახლა შეიძლება ითქვას თხილის გაშენების ბუმია.

— ეს ერთობ საინტერესოა.

— იმიტომ, რომ თხილს მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნილება აქვს. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, უკვე ვუახლოვდებით ორმოცდაათიან წლებს. მაშინაც იყო ბუმი, ოღონდ თხილის კი არა— დაფნისა. მაშინ კოლოგრამი დაფნის ფოთოლი 15 მანეთი ღირდა, მერე — თორმეტი, რვა და ბოლოს, როდესაც მასზე მოთხოვნილება დაიკარგა, კვლავ ამოსაძირკვი გაგვიხდა. თუმცა, ამ ბოლო პერიოდში ისევ გაჩნდა დაფნის აღორძინების სიმპტომები. დღეს თხილის ბუმია-მეთქი, გითხარით. თხილს აქვს მოთხოვნილება ბაზარზე, ამიტომ ჩვენი მიდგომა ასეთია: თხილის კულტურის გაშენებამ ხელი არ უნდა შეუშალოს ისეთი დარგების განვითარებას, რომელიც სასურსათო დანიშნულებისაა: სიმინდი, ბოსტნეული, სოია და ასე შემდეგ. სასიმინდე ფართობები არ უნდა იყოს საამისოდ გამოყენებული. სხვათა შორის ჩემი ანგარიშით სამეგრელოში ახლა სადღაც 7000 ტონა თხილი მზადდება. აი, ამ უახლოეს წლებში ეს ავა 10-12 ათას ტონამდე. ეს ცოტა არ არის. წარმოიდგინეთ, იმ პერიოდში, როცა იწყება თხილის კრეფა, მისი ფასი ლარი, ლარი და ოცი თეთრია. უფრო მოგვიანებით კი მისი ღირებულება საგრძნობლად იწევს და შემოსავალიც ძალიან დიდია.

— ისე, ბატონო, ბონდო, მე რომ კაცმა მკითხოს, ოტობაია ერთადერთი სოფელია სამურზაყანოში, სადაც ჩაის არ აჭაჭანებენ. ზუგდიდში ასეთი კუთხე არც მეგულება. ამაზე სათანადოდ მიწერია „სუფევის“ წინა გვერდებზე.ოტობაიელები თხილსა და სიმინდზე იყვნენ ორიენტირებულნი. მონური კულტურის მოტივაციის გვერდით ამ ორ უკანასკნელს პრიორიტეტი იმიტომაც ენიჭებოდა ჩვენში, რომ სიტყვისთვის, თხილნარი, ეს პრინციპში სოფლის მეურნეობის სხვა დარგების ხელშემწყობიცაა მეურნე კაცის თვალთახედვით. როგორც აკეთელი ქალბატონი ჟოლია მორჩილაძე იტყვის, იქ ქათამს იყოლიებ, ინდოურს, ხბოს, გოჭებს, თავდაბორკილ ცხენს და წარმოიდგინეთ, თვით —მსხვილფეხა რქოსან პირუტყვსაც. ეს არის კომპლექსური მიდგომა ოჯახის თვალსაწიერიდან, რაც სხვა კულტურებთან მიმართებაში ნაკლებად საწმოხუნოა, სამომავლო— ზოგადქართულად.თხილი ფიჩხიცაა ამავდროულად, როდესაც განასხვლს ღობის ყურესთან დააწყობს თადარიგიანი კაცი და შემდგომ მისგან წუკალათი საელარჯო წყლას წამოავარჩხალებს დიასახალისი; თხილის ტკეჩისგან წნავენ კალათებს, გიდელებს და ვინ მოსთვლის, და კიდევ ერთი მომენტი, ბატონო ბონდო: თხილი ეს ხომ შეუდარებელი ჩიჩილაკია, ჩვენი ქვექვერია ნაძვების გადამრჩენი ახალი წლის დღეებში, მაგრამ მთლად ამითაც არ ამოიწურება მისი სიკეთე. საქმეში ჩახედულს ველაპარაკები და ყველაფერი ბოლომდე უნდა გაცხადდეს: თხილი ჯერ-ჯერობით მხოლოდ საკონდიტროდ გამოიყენება ჩვენში, მაგრამ მისი ნაჭუჭი გაცილებით ძვირადღირებულია თურმე...

— მესმის საითკენაც უმიზნებთ, ბატონო, გური, თუმცა იმ დონემდე მისვლა ჯერხანობით ნაადრევია. წელს რაც თხილის ნაჭუჭი იყო, მოსახლეობამ გათბობისთვის გამოიყენა.

— უკვამლოდ იწვის, ღუღუნით. სინამდვილეში მეტს მოველი მისგან. არიან ქვეყნები, სადაც თხილის ნაჭუჭისაგან შეუდარებელი ხარისხის ავეჯს ამზადებენ.

— ჩვენთან ახლა, აქ, ზუგდიდში, ბერძნულ-ქართული ერთობლივი საწარმოა, „კარდიკოს“ ეძახიან, სადაც ხდება ამ თხილის გარჩევა. ჩვენ ვითხოვთ იმას, რომ საბოლოო პროდუქტი აქ გამოვიდეს.

— რაიმე პროგრამა არსებობს საამისოდ?

— არის ამისი პროგრამა. სხვათა შორის, ჩვენთან ბევრი ჩამოვიდა იმისთვის, რომ შევქმნათ ერთობლივი საწარმოები. ჩვენ ვეუბნებით: კი, ბატონო, კეთილი, ოღონდ ვიყოთ ორიენტირებულნი საბოლოო პროდუქტზე, თანაც აქვე რეგისტრირებულნი, ხობში, სენაკსა თუ ზუგდიდში, რათა ბიუჯეტმაც მიიღოს თავისი კუთვნილი სოლიდური წილი. ასეთი მოთხოვნაა არა მარტო თხილისადმი, არამედ — ყველგან. ჩვენ ფილიალების დონეზე ვერ ვიარსებებთ. ამ ფილიალებს ანგარიში, აქ ჩვენთან კი არა, თბილისში ან სხვაგან აქვთ გახსნილი და ის, რაც ბიუჯეტმა უნდა მიიღოს, ირიცხება სათაო ფირმაში, იქიდან ხდება ბიუჯეტთან ურთიერთობა.

— მოჭირნაფილო...

— როგორ ითარგმნოს?

— ალბათ, გარშემოვლით.

— დიდებულია. პროდუქცია აქ იწარმოება, აქ არი, აქ ხდება მისი რეალიზაცია, და ბუნებრივია, აქედან ბიუჯეტი აუცილებლად უნდა ღებულობდეს თავის წილს.

— ბატონო, ბონდო, მერამდენედ ვიმეორებ: ჩვენი ინტერვიუ „სუფევის“ საკვანძო მონაკვეთად მომიაზრებია-მეთქი; ამიტომაც საუბარი უფრო ამომწურავი რომ იყოს, თავს ნებას მივცემ კიდევ ცოტა ხნით შეგაწუხოთ...

— დღეს მე შენს ტყვეობაში ვარ, გური.

— ჩვენ რამდენიმე წამყვან მიმართულებას შევეხეთ, მაგრამ ისევ ადამიანის ფაქტორს მინდა მოვუბრუნდე მაღალფარდოვანი გამომდის, თუმცა ხომ შეგვისისხლხორცებია: ყოველი ფასეული ადამიანისთვის იქმნებაო. მე ჯერჯერობით, საუბედუროდ, ყველა მასალის მოპოვება ვერ მომიხერხდა. საქართველო ხუთმილიონიანია, გური ოტობაია კი — ერთი. ამას წინათ ახალგაზრდობასთან მუშაობის დეპარტამენტში გახლდით, რომელიც ფაქტობრივად ჩვენი ნიჭიერი მოზარდების წარმოსაჩენად და საპატრონოდაა ორიენტირებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ მიმართულებით სახელმწიფო კანცელარიის მუშაობა. პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიის და გრანტის მფლობელი უკვე სამასი ახალგაზრდა გვყოლია. ისიც შევიტყვე, რომ სამეგრელოდანაც ყოფილან ასეთი ბავშვები. თურმე ერთი ხობელია. შეიძლება ზუგდიდინაც არიან. სტიპენდია ერთწლიანი ხელგამართვაა ასი ლარის ოდენობით. ხოლო გრანტი ერთჯერად დახმარებას გულისხმობს ახალგაზრდათა შემოქმედებითი უნარების დასაწინაურებლად. მაინტერესებს მხარის დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი. ხომ არაფერი გაქვთ დამატებით ჩაფიქრებული?

— პრეზიდენტი რომ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ნიჭიერ ახალგაზრდობას, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მან სტიპენდია დაუნიშნა მოზარდებს და ამისთვის სოლიდური თანხა გამოიყო. ახლა მე მესმის ქვეტექსტური შეკითხვა: კონკრეტულად თქვენ რას აკეთებთ ამ მიმართულებითო. გეტყვით გულახდილად — ნიჭიერი ახალგაზრდების სია მხარეში ჩვენ გვაქვს და ვფიქრობთ იმაზე, რომ რამენაირად ხელი შევუწყოთ ამ პროცესს. გამეგება თქვენი კალამბურიც: ეგებ რაღაცა გაკეთდეს ბიუჯეტიდანო. გური, მე ყოველნაირად შევეცდები იმას, რომ ჩვენი გამგებლები, ფოთის მერი, სხვანი, შევკრიბო და მივიღოთ ერთობლივი გადაწყვეტილება. ნიჭიერი ახალგაზრდების პრობლემამ ბიუჯეტში რეალური ასახვა უნდა ხპოვოს. ეს აუცილებელია. შეიძლება დიდი თანხა ვერ გამოიძებნოს, მაგრამ ხანდახან მცირედი ყურადღებაც მთებს დასძრავს ხოლმე ადგილიდან...

— ბატონო, ბონდო, როგორც კი თბილისში დავბრუნდები, ერთხელაც ვესტუმრები დეპარტამენტის ხელმძღვანელებს. მე უკვე სათანადოდ ვიცნობ მათ, მაგრამ საქმე ის არის, რომ წინდებულ პრობლემაზე წიგნს ამზადებენ და ჩემთვის სასურველი ინფორმაცია ჯერჯერობით დახურულია.კომპიუტერშია ჩატვირთულიო, მითხრეს დელიკატურად. აი, გამოვცემთ და ისარგებლეთ მერეო, ქვეტექსტში დატოვეს ეს აზრი. მე სტატისტიკა მჭირდებოდა, სხვა არაფერი: ამ ახალგაზრდების გეოგრაფიული არეალი, მათი მიდრეკილებები. არადა, მწერალთა კავშირში გვესტუმრა ერთი მედიდური ბაღანა, ლექსიც კი წარმოთქვა დაუნჯებულ ხალხში: ,,მიყვარხარ ისე, როგორც კურდღელს უყვარს სტაფილო''. დიახ, სტატისტიკა მჭირდებოდა, თორემ უფრო შორსმიმავალი შეხედულება გამაჩნია ამ პროცესზე. აქ როგორ ხდება: ნუ, გარკვეული ირონიზაცია, საზოგადოება, ადამიანთა ჯგუფი თუ სულაც ინდივიდუალური პიროვნებანი რეცენზიებს აახლებენ ამა თუ იმ მოზარდის შემოქმედებას სტიპენდიის მოსანიჭებლად. შემდგომ, როგორც ამიხსნეს, კომპეტენტური კომისია წარმოდგენილ მასალებს განიხილავს და ხმათა უმრავლესობით, ახა, უკვე 404 ახალგაზრდას მოუპოვებია აღნიშნული ჯილდო, თუმცა ამას, ბატონო, ბონდო, მე ჯერ კიდევ პროცესად ვერ მივიჩნევ. ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა აუცილებელია მოხდეს განათლების სისტემასთან ერთად . ჩვენი ზენიჭიერი ახალგაზრდა, შეუძლებელია მხარეში ორმოცდაათზე მეტი იყოს. ამას იქით უკვე გაბერილი ციფრი იქნება.

— შეიძლება გაცილებით ნაკლები.

— გეთანხმებით, საუბარია 25-30 ახალგაზრდაზე, რომლებიც მართლა უნდა გამოვლინდნენ მეხუთე-მეექვსე კლასიდან და ბოლომდე მივედევნოთ, თორემ ერთჯერადი დოპინგი მხოლოდ სტიმულია ხასიათისა და ადვილი მოსალოდნელია მომდევნო პერიოდში მოზარდი აცდეს სწავლების ჭეშმარიტ გზას. ათი ლარითაც რომ დავეხმაროთ ამისთანა ახალგაზრდას, ეს იქნება მისთვის კოლოსალური ფსიქოლოგიური ენერგიის მომნიჭებელი თანადგომა. თანაც თანხაც დიდი არ არის. აი, ეს მაწუხებს ბატონო, ბონდო! აი, ეს მიღრღნის სულს! ახლა ერთხელაც გადავავლოთ თვალი დასავლეთ საქართველოში ჩემი ყოფნის მიზანს. აღმოსავლეთი მეტნაკლებად მომივლია, შემისწავლია და გადამიტანია კიდეც ქაღალდზე შთამბეჭდავი სახეები, სამახსოვრო მოვლენები, სიდუხჭირე თუ შინაგანი ამაღლების პერსპექტივები. სამეგრელოში ჩემს ჩამობარგებას, ბატონო, ბონდო პირობითად დავარქვათ ,, შემოქმედებითი მივლინება შურობუმუში''. ალბათ, არავინ მიწყენს, ჩემს დედულეთს, შურობუმუ ვუწოდო, იგივე სავანე, სულის განსანთხეველი ადგილი. სურათი პანორამულად დაახლოებით ასეთნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

დეიდა ჟოლია, აკეთი, ჩხაიძეების დიდი ოჯახი და მისივე ნაჯაფარი ხელებით ამოძირკვული ,,წყულფესვი'' ჩაი თხილის სასარგებლოდ.

შემდგომ ხიდისთავი — გურიის ცნობიერების ოაზისი — ანა კალანდაძე, ნოდარ დუმბაძის სახლ-

მუზეუმი, აკაკი ბაქრაძე, ლომი— ზაურ ბოლქვაძე, გუბაზოული, ნაბეღლავი და მამათი, აკაკი ჩხაიძის საქველმოქმედო ხიდი სუფსაზე, სუფსის ტერმინალი;

ვეშვებით დაბლა ფაზისის აკადემიისაკენ.

ხობში წარმატებით ხორციელდება ენდემური ჯიშების აღორძინება.

ყულევის ტერმინალი ჯერ კიდევ დაუსრულებელია, მაგრამ გაიხედე სუფსისკენ და მზამზარეულით მშენებარის წარმოსახვა რა დიდი ბედენაა?!

„ურწმუნო" გურიაში ტაძრების გამალებული მშენებლობა გაჩაღებულა, თუმცა ამ პროცესს არც მისი ტყუპისცალი — სამეგრელო ჩამორჩება, ძამა!

— სენაკში...

—სენაკში, როგორც ბატონ ტარიელ დგებუაძემ ბრძანა, სამარაშნოდ შეიძლება ეკურთხოს კიდეც ტაძარი მრევლისათვის. ეს ყველაფერი, ალბათ, ქველმოქმედების დონეზე კეთდება?

— რა თქმა უნდა, ქველმოქმედების დონეზე. სხვათა შორის ხობშიც შენდება ეკლესია... — გუბერნატორი სიგარეტს გადაწვდება, სანთებელას აწვალებს. ვხედავ საუბრის გაგრძელება უჭირს. მაინც ვაცლი, არ ვერევი მის აზრთა ჭიდილს, — იცით, არის შეხედულება, თითქოს მხარეში არაფერი კეთდება. თქვენ თვითონ ჩამოთვალეთ რამდენი რამე ჩამდგარა მწყობრში. მე, მაგალითად, ყულევის ტერმინალს არა მარტო საქართველოსათვის, ერთ-ერთ უდიდეს მშენებლობას ვუწოდებდი კავკასიაში. დღეს იქ დაახლოებით 400-მდე კაცია დასაქმებული და სხვათა შორის ძალიან სოლიდური ანაზღაურება აქვთ. ასეთი მშენებლობები ოაზისებია მხარეში, მაგრამ ესეც ხომ ბედნიერებაა. ჩვენ ახლა ვფიქრობთ და სერიოზულადაც ვმუშაობთ ხუდონხესის მშენებლობის განსაახლებლად. თითქმის ერთი მესამედი გაკეთებულია, დანარჩენსაც ეშველება საზრიანობას თუ გამოვიჩენთ.

— მქონდა ბედნიერება ამასწინათ ბატონ იური გუგუჩიას შევხვედროდი. დამპირდა, სათავედან მოყოლებული საბერიომდე ჩამოგატარებო. მე მახსოვს პერიოდი, როდესაც ურა პატრიოტიზმით ხუდონხესის მშენებლობა დავაკონსერვეთ. ალბათ, ეს ერთ-ერთი მტკივნეული პროცესი იყო ჩვენი ენერგეტიკისათვის, და რაოდენ სასიხარულოა, თუკი მისი რეანიმაცია მოხერხდება!

— ეს იქნება უდიდესი საქმე. დაახლოებით 600-650 მეგავატი ელექტროენერგია შემოგვემატება. ახლა რომ საქართველოს ამდენი ენერგეტიკული სიმძლავრე გააჩნდეს, წელში გავიმართებოდით. ახლო მომავალში დაიწყება აგრეთვე ენგურის რეაბილიტაცია. საუბარია 34 მილიონ ლარზე. ენგურის სიმძლავრეებს ჩვენ მაქსიმალურად ვერ ვიყენებთ, იმიტომ რომ ბევრი რამეა გასაკეთებელი. კაშხალიდან იმდენი მოცულობის წყალი იკარგება, მარტივი გაანგარიშებით 75 მეგავატის სიმძლავრის მოცემა შეეძლო. რაც შეეხება არაფერი კეთდებაო, აი, მაგალითად ზუგდიდში შესანიშნავი, სარეკონსტრუქციო დავარქვათ ამას, შეკეთების სამუშაოები ჩატარდა ერთ-ერთი საავადმოყოფოში და დღეს საუკეთესო საოპერაციო დაწესებულებაა.

— მაინც სად, რომელს?

— ქალბატონ ნონა წასიძესთან.

— სულ ორდენით რომ მომმართავს გულადის ნაცვლად?!

— სამგზის მონათლული ყოფილხარ.

— მეტსახელების ძვალთშესალაგი ვარ. ერთი ბაბუა ურდუს და უხანეს მეძახდა, მეორე — კულოს, გურ-ფეტელას, ფეტელავების მომავალ ეთნარქს. დანარჩენი თქვენც იცით.

— მე ძალიან გთხოვ, თუ მოინახულებთ, კარგს იზამთ. წალენჯიხაში რამდენიმე სკოლა გაკეთდა, აშენდა სპორტული დარბაზი, თანაც ჩინებული. სხვაგანაც მოვახერხეთ ზოგი რამ. ამით იმას ვადასტურებ, რომ როცა ცუდს იტყვის კაცი, კარგიც უნდა გაგახსენდეს, უნდა შეადარო ერთმანეთს. აბა, პრობლემების მეტი რა გვაქვს?! უამრავი სიდუხჭირეა სამეგრელოში და ისინი რომ გადაგვაწყვეტინა ერთი კვერთხის მოქნევით, ჩვენს ბედს ძაღლი არ დახყეფდა, მაგრამ ხომ გაგიგონია, ააფრინე ალალიო?! რატომ იცინი?!

— ბატონო ბონდო, კვერთხმა ბიბლია გამახსენა... ღვთაებრივ მოსეს უფალმა შთააგონა, რომ დახკარი კლდეს კვერთხი და წყარო გადმოსჩქეფსო. მოსე შეეჭვებულია უფლის ძლიერებაში. უკვე ორმოცი წელიწადია უდაბნოში ახეტიალებს მრევლს და ვერა და ვერ დააბრუნა ქანაანში ისრაელიტიანელები. აი, იგივე ჩვენს აფხაზურ პრობლემას წააგავს ცოტათი, ჩვენი დევნილი მოსახლეობის ბედ-იღბალს. შეწუხდება ეგვიპტელების ტყვეობას გამოქცეული ებრაელობა და არ გვინდა ქანაანი, არ გვინდა აღთქმული მიწა, იქ ეგვიპტელებთან მონობა გვირჩევნიაო, ჭინჭყლობენ. მოსე ბატონო, მოვკვდით ამდენი ხანი ციური მანანის ჭამითო. გაბრაზებულია ყველაფერზე მოსე და მეორეჯერაც დახკრავს კვერთხს კლდეს. უფალი ეტყვის, ნუთუ ჩემი სიტყვა შენთვის საკმარისი არ იყოო და არ

შეიყვანს ქანაანში. მაგრამ არის სხვა მოტივაციაც, უფრო საბუთიერი, რომ მონობაში გაზრდილ ხალხს არ აღირსებს უფალი აღთქმულ ქვეყანაში შესვლას.

— ხედავ, თურმე სიდან მოდის გამოთქმა: ერთი კვერთხის დარტყმით არაფერი კეთდებაო? არსებობს სერიოზული პროექტები, მაგრამ ჩვენს მწირ ბიუჯეტს მათი დაფინანსება არ შეუძლია. ვეძებთ სერიოზულ პარტნიორებს, რომელთაც ძალუძთ ფული ჩადონ ამ საქმეში. ბევრია ჩამოსული, მაგრამ აფხაზურ-ქართული კონფლიქტის მოუგვარებლობით ყოყმანობენ. უნდა გითხრათ რომ ფოთში ფაქტობრივად გადაწყვეტილია თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც 108 მეგავატს გამოიმუშავებს. ფოთს სჭირდება დაახლოებით 15-20 მეგავატი, დანარჩენი ენერგია მთელს ქვეყანაზე რომ გადანაწილდება, რამდენად გაზრდის ჩვენს სიცოცხლის უნარიანობას?გვაქვს მცირე ხესების მშენებლობის პროექტებიც. ესეც უნდა მივიყვანოთ ბოლომდე. ამიტომ მე რისი თქმა მინდა — ჩვენ გვაქვს ხვალინდელი დღის პერსპექტივა და გონიერი კაცი ყოველივეს თუ ჩაუკვირდება, მიხვდება: მართლაც ნამუშევარია თითოეული მათგანი და არა ზღაპრების დონეზე წარმოდგენილი. ამას იმიტომ როდი ვამბობ, რომ ვიღაცას თავი მოვაჩვენოთ, ვიღაცას ვათქმევინოთ: ხომ არ ეთამაშებიან ესენი თავიანთ სკამებსო. არაფერიც! სკამის პრობლემა ჩვენთან არ არის, გური. უბრალოდ გვინდა, რომ რაღაცა დავტოვოთ, რაღაც ისეთი გავაკეთოთ, ხვალინდელ საქართველოს ურყევ საძირკვლად გამოადგეს. ერთი აგური ჩვენც შევმატოთ, სრულიად საქართველოს გულიანად, კაცურად.

— ბატონო, ბონდო, ცოტა ზემოთ შემთხვევით როდი შევეხე ადამიანის ფაქტორს. ჩვენ გვიხსენებია თქვენი დამოკიდებულება პოეზიასთან, სიტყვასთან. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თითქმის საუკუნის შემდეგ ჩამობრძანდა ზუგდიდ-ქალაქში დიდი ილია თავისი მონუმენტური სხეულით. ხოლო საქართველოსათვის თავდადებულ რაინდთა სიმბოლო ცოტნეს ბრინჯაოში ამღერებას ფაზის-ქალაქის შესასვლელთან, ლამის შვიდი საუკუნე დასჭირდა. მართლაც საამაყოა ეს ორივე ფაქტი, მაგრამ მე უფრო მეტად გაოგნებული დავრჩი, როდესაც სრულიად ახალგაზრდა ლოტბარის, ბესო ჭითანავას მამულიშვილური საქმენი ვიხილე მოზარდ თაობაში ხალხური შემოქმედების დაფესვიანების თვალსაზრისით და რაჟამს მის მიერ შექმნილი ახალი სიმღერა „გვიმარა“ მოვისმინე, ერთიანად შემძრა. შევიტყვე აგრეთვე ისიც, რომ ჩვენი ბესო რამდენიმე თვის წინ საფრანგეთში ყოფილა. საამისოდ ფრანგული ენაც აუთვისებია და იქ დიდებული საქმე გაუკეთებია — დაახლოებით ათამდე სიმღერა შეუსწავლებია მათთვის.

სიმღერა რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა ჩვენი სული ასეთი ლაღიო, გამენდო ბრძენკაცის კვალობაზე და უნებურად ნეტარხსენებული ხამლეტ გონაშვილი გამახსენდა. ამ განუმეორებელ ადამიანს ხქონდა ამისთანა ფორმულა: ქართველი კაცის ქცევის ნორმა ჩვენს პოლიფონიურ სიმღერებშია დასინთეზებულიო, რადგანაც პირველიც პირველია, მეორეც პირველია, მესამეც, მეოთხეც, მეხუთეც, მეექვსეც, მეშვიდეც, ანუ საზოგადოების თითოეული წევრი გამსჭვალუ- ლია ინდივიდუალობისა და კოლექტიურობის გასაოცარი ხარმონიითო. აი, ამ მრავალპარტიულობის, აი, ამ დაქსაქსულობის, აი, ამ მრავალმოაზროვნებობის ჟამს ქართულ სიმღერაში ყველაფრის გასაღებია მოცემული, და ამ თემაზე საუბარი, იცით, რატომ წამოვიწყე. ჩვენს ბესოს ხელმძღვანელობისგან არ აკლია თითქოს ყურაღდება, თუმცა ნათხოვარ დარბაზში ამეცადინებს ბავშვებს. ქალბატონი დარეჯან კვარაცხელია უთმობს ხოლმე სტუდიას დიადი მოწოდების აღსასრულებლად. არ მინდა თავის ქებად გამომივიდეს, კიტრად რომ ღირს. სწორედ ამ დღეებში მომასმენინა ჩვენმა ბესომ საკმაოდ გახმაურებული ლექსის სიტყვებზე შექმნილი სიმღერა, ვიტყოდი — უნიკალური ვერსია. სიმღერისა ცოტა რამ გამეგება. სუფრის დონეზე მეც შემოვძახებ ხოლმე ჭერის ასამაღლებელს; მეც მიკომპოზიტორია აქა-იქ, მაგრამ გამოგიტყდებით და გაოგნებული დავრჩები მისი ხელოვნებით.გურული „კრიმანჭულის“, იმერული „ლაშქრულის“, კახური „მრავალჟამიერის,“სვანური „ლილეოს“, აფხაზური „შიშნანის“ ინტონაციები მჭიდროდაა გადაწნული მეგრულ სულთან, მეგრულ თრთოლვასთან და დარწმუნებული ვარ იგი ხიმნივით გაიჟღერებს მალე სრულიად საქართველოს სადიდებლად.

— ბესო ჭითანავას ძალიან კარგად ვიცნობ. შეიძლება ითქვას, მეგობრები ვართ. სხვათა შორის შობა -ახალ წელიწადს ყოველთვის მილოცავს აქ მოსვლით და სიმღერით. ძალიან დიდი მადლობელი ვარ მისი. მეტი მხარდაჭერა რომ სჭირდება, ამას გეთანხმებით. გავაკეთებთ ახლო მომავალში რაღაც საჭირო დახმარებებს. რაც შეეხება ხელოვნებისადმი ზრუნვას, ეს ნებისმიერ დროს აუცილებელი პირობაა და რა ვუთხრა მე იმ მწირ შესაძლებლობებს, თორემ არაფერს დავზოგავთ ამ მიმართებით. ჩვენ, აი რაღაცას ვფიქრობთ და მივაღწიეთ მგონია. თეატრის შენობის სარესტავრაციო სამუშაოები მალე გაჩაღდება. ასევე იცით, კინოთეატრი დაიწვა და მისთვისაც გამოიძებნა თანხები. გარდა ამისა სხვა რაიონებშიც გვაქვს პრობლემები, თანაც თავზე საყრელი. ჩვენ გვყვანან

მხატვრული შემოქმედებითი კოლექტივები, რომლებმაც არამარტო სამგრელოსა და საქართველოში, ქვეყნის გარეთაც გაითქვეს სახელი. რამდენიმე ასეთი მხატვრული ანსამბლი იყო საფრანგეთში და ძალიან დიდი წარმატება ხვდათ წილად. ხშირად ტარდება ფესტივალები ჩვენთან. მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდში თეატრი არ ფუნქციონირებს, ენგურქაღალდკომბინატის კულტურის სახლში ვმართავთ ღონისძიებებს. ხოლო რეგიონში, ფოთისა და სენაკის თეატრების წარმატებებზე საუბარი შორს წაგვიყვანს... ძალიან საინტერესო საქმეს ეწევა მოსწავლეთა სახლი, რომელსაც ასევე ბესოს მოგვარე, ჭითანავა ხელმძღვანელობს. ფოთში სერიოზული მუშაობა მიდის ამ კუთხით, თუმცა ყველგან მოიკოჭლებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. არის შეფერხებები ხელფასების გაცემის თვალსაზრისითაც. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერთ რამეში უნდა დამიჯეროთ, ბატონო, გური, რომ ჩვენ ეს საკითხები ნამდვილად არ წარმოგვიდგენია მეორეხარისხოვან საკითხებად. ამოვისუნთქავთ ცოტას საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით და მათი სასიცოცხლო ინტერესებიც მაქსიმალურად აისახება ბიუჯეტში.

— მე მგონი, ჩვენ საკმაოზე მეტად ვისაუბრეთ, ბატონო, ბონდო...

— ერთი რამ გამომრჩა, გური. აი, როცა სოფლის მეურნეობის საკითხებზე ვლაპარაკობდით, გულს გადავაყოლე და ახლა მაინც აუცილებელია ითქვას იმ მდგომარეობაზე, რაც დღეს ჩვენს ფლორას და ფაუნას სჭირს. ეს განსაკუთრებით ეხება იმ თემას, რომელსაც ხე-ტყის გონივრული გამოყენება ხქვია. თქვენთან ერთ-ერთ საუბარში, მინდა ყურადღება მივაქციო იმ ფაქტს, რომ ადრე ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატში მისი ძირითადი მასალა — ხე, სვანეთიდან შემოდიოდა, მაგრამ როცა ბატონი ოთარ ფაცაცია დაინიშნა დირექტორად, მას მერე ვითარება კარდინალურად შეიცვალა. ამ იშვიათი ორგანიზატორული ნიჭით გამორჩეულმა პიროვნებამ შეძლო მაშინ უარი გვეთქვა სვანეთში ხე-ტყის დამზადებაზე. ეს ძალიან მამულიშვილური საქმე იყო ყველა ასპექტით. ბატონ ოთარს ცელულოზა და ასევე ხე-ტყის გარკვეული რაოდენობა სხვა ქვეყნიდან, რუსეთიდან შემოხქონდა. ეს იყო უდიდესი ნაბიჯი ჩვენში ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის თვალთახედვით. სხვათა შორის მე იმ პერიოდში კომბინატში ვმუშაობდი და მხარს ვუჭერდი საქმისადმი ამდაგვარ დამოკიდებულებას. ახლა იმას კი არ ვამტკიცებ, რაღაც წვლილი მიმიძღვის დასახელებულ საქმეში-მეთქი, მაგრამ ჩემი წილი მხარდაჭერა იყო ნამდვილად. დღეს უსულგულოდ იძარცვება არა მხოლოდ სვანეთის, არამედ სრულიად საქართველოს სამამულო ტყეები. ქარსაცავ ზოლებსაც არ ვზოგავთ და დიზელის საწვავის უქონლობის, ან სიძვირის გამო, გალარულ ნაძვებს შეშად ვიყენებთ. ასე რომ, ხე-ტყეს ხელი მიხყვეს არა მარტო კომერციული მიზნით, შეშადაც. წარმოიდგინეთ, სამეგრელოში 420 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს. ნუ, ვთქვათ, ეს არის დაახლოებით 100 ათასი კომლი. დავუმატოთ ამას დევნილი, აფხაზეთიდან გაწამებული მოსახლეობა. ახლა თითოეულმა კომლმა მარტო 10 კუბამეტრი ხე-ტყის შეშით რომ გამოიზამთროს, ყოველივე კოლოსალურ ციფრს აღწევს — მილიონ კუბმეტრს. ამას ემატება, რაღა თქმა უნდა ის, რაც საზღვარგარეთ გადის მორების სახით. მე სხვათა შორის ერთ-ერთი პირველი ვიყავი, რომელმაც ვთქვი, რომ უნდა აღიკვეთოს მისი გატანა საზღვარგარეთ-მეთქი. რამდენიმეჯერ დავაყენე ეს საკითხი სათანადო დონეზე, მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო ძვრა არსაიდანაა.

გვაწყნარებენ: მოთხოვნებია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდანო და ასე შემდეგ.როცა კანონი შენს წინააღმდეგ მოქმედებს, ხელშეკრული ხარ, ფრთებმოკვეცილი. ის მაინც მოვახერხეთ აგვეკრძალა მორების გატანა საზღვარგარეთ, ხე-ტყე ჩვენთან გადაგვემუშავებინა, და ვგონებ პირველად ჩვენთან, სოფტექტიკას ეძახიან, სოხუმის გზაზე, იქ ხდება ნახევარფაბრიკატების სახით დამუშავება: დახერხვა, გაშრობა და პროდუქციის ამგვარი ექსპორტი. როცა პატარა მოგება ექნებათ, ეს ხალხი ფიქრობს რაღაც დანადგარები შეიძინონ და ადგილზე გამოუშვან, ავეჯია ეს თუ სხვა.

— შეიძლება მათთან შეხვედრა?

— როგორ არა. მუშაობენ იქ მურთაზ ფაცაცია, ირაკლი ჩიქავა, ნაპო გაბისონია. ესენი ნამუსიანი და ცხოვრებისგან გამობრძმედილი ხალხია. ყოველივე იმიტომ გავაკეთეთ, რომ ხე-ტყის მოჭრის ღირებულება მიზერულია. გატანის დროს არაფერი შედის ბიუჯეტში, გარდა იმისა, სადაც იჭრება. სანიხრეს ეძახიან იმ გადასახადს. ჩვენ კი სხვანაირად დავაყენეთ საკითხი, ნახევარფაბრიკატების დონეზე მაინც დავამუშავეთ პროდუქცია და ბიუჯეტშიც საკმაოდ სოლიდური თანხა შემოვატანინეთ. ამას წინათ გადაცემა იყო ერთი, ,,კურიერში'', სამცხეჯავახეთზე და მერე ბოლოს ასეთი რამ მიაკერეს: სვანეთის ხე-ტყის მაფიას ბონდო ჯიქია აკონტროლებსო. ბონდო ჯიქია ცოტა სხვა კაცია. იგი ვეღარაფრით დაიდებს მხრებზე სამამულო ტყეების საუკუნო ცოდვას. მე ყოველთვის ვაყენებდი და ვაყენებ საკითხს, რომ საერთოდ აიკრძალოს ხე-ტყის გატანა საქართველოდან. აღარც მორების დონეზეა ეს საჭირო და აღარც — ნახევარფაბრიკატებისა.

ტყე შეუნახოთ შვილებსაო, გვიანდერძა ვაჟამ, მაგრამ ვინ არის გამგონე?! ანტიხალხური კანონით გადიდგულებულნი არაფერს ერიდებიან. აქ ბევრი უბედურება ხდება, გური. რანაირი კონტროლიც უნდა დააწესო, მაინც იპოვნიან გზას, ხვრელს ჩვენი საშვილიშვილო ტყეების უცხოეთში გასატანად. ბონდო ჯიქიას არავიზე ნაკლებად აწუხებს შთამომავლობის ბედი, რომელიც მიჯაჭვულია ჩვენი ფაუნისა და ფლორის სიჯანსაღეს. ამიტომაც გულახდილად გეუბნები, გპირდები კიდეც, რომ არაფერს დავზოგავ ამ ჯალათური კანონის შესაჩერებლად. ამაზე მიდის საუბრები, კამათი: ამას შეგვიჩერებენ, იმას შეგვიწყვეტენო. ჯანდაბას, შეგვიწყვიტონ! სიცოცხლეზე უკეთესს ხომ ვერაფერს წაგვართმევენ? მომავალზე უმჯობესს ხომ ვეღარაფერს დაგვცინცლავენ? ბოლოს და ბოლოს მე სოფლელი კაცი ვარ, მისი ხაერით მისაზრდოვია და ვიცი ჩვენი უკვდავების სათავე სად ბინადრობს — ჯანსაღ ეკოლოგიაში. ეს შეეხება არა მხოლოდ მთიანეთს, ბარსაც, გნებავთ ჭაობნარსაც. ჭურია დღესაც ჭურიაა, გური. ჩვენ მოგვივლია იქაურობა წლების წინათ და ახლაც თვალწინ მიდგას ზღვისპირეთის განუმეორებელი ლანდშაფტი. ჩვენი გარემოს ინდივიდუალობას, ჩვენი სასიცოცხლო კლიმატის წონასწორობას ხელი არანაირმა მშენებლობამ უნდა შეუშალოს, ყულევის ტერმინალია ეს თუ ანაკლიის პორტი. უკვე შექმნილია კოლხეთის ეროვნული პარკი, სადაც ჩაიდება ინვესტიცია ჩვენი ფლორისა და ფაუნის შესანარჩუნებლად. დაე, უცხოელმაც ნახოს ის სილამაზე და სიკეთე, რაც ჩვენს კუთხეს ახასიათებს. უფრო მთავარი კი ის გახლავთ, რომ ჩვენი შვილების მომავალს სამსხვერპლოსთან არ მივიტანთ ჩვენივე დაუდევრობით თუ წრესგადასული მამონასმოყვარეობით. ბონდო ჯიქია აქა დგას და სხვანაირად აღარ ძალუძს.

მხარზე ამბორის მისტერია

„სუფევაში“ ბევრგან მიწერია პაპაჩემი ბიქტორ ფეტელავას მხარზე ამბორის თაობაზე ერთი ნიუანსის გამოკლებით და ისიც თანადროულად აქ მინდა გამჟღავნდეს.

— საღ-სალამათია ჩემი კულოო,— მეტყვის პაპა ბიქტორი დიდი ხნის უნახავს და ჩვეულებისამებრ მკერდში ჩამიკონავს. ვკითხავ ერთხელ, რას ნიშნავს ყოველივე -მეთქი და თვინიერი ღიმილით გამენდობა.

— მარჯვენა მხარი უფლისეულია, ბაბაგე. ღმერთი აზის ადამიანს ზედ. მარცხენა კი ეშმაკს მიუტაცნია. როდესაც ამ დაუცველ ადგილას გეამბორები ხოლმე, მამაღმერთი გადმოდის ჩემგან და წონასწორდებიო, — გამისწორებს მზერას.

— კეთილი, — მოვეფერები დამაშვრალ მუხლებზე,— მაგრამ საღ-სალამათი რა შუაშია -მეთქი, ჩავეძიები კვლავ.

— ო, საქმეც ეგ არის, ბაბაგე. მარცხენა მხარზე ამბორი ბევრისთვის მალამოა და ბევრისთვის დაქვესკნელება.

— ეგ რანაირად? — არ მოვეშვები მე.

— სრულიად მარტივად, გოლვაფირო. ბედნიერია, ვისაც ეამბორები და თანაც მარჯვენა მხარზე ღმერთი აზის, მაგრამ საკმარისა ამ მხარზე მაცილი ბუდობდეს, რომ უეჭველი მარცხისათვის განწირულია. მარცხენა მხარზე ამბორის შემდეგ გადავა შენი ცაბაოთი იმ პიროვნებაში,მაგრამ მარჯვენა ხომ ეშმაკს დაუპყრია და იწყება გაუთავებელი ორომტრიალი. მერწმუნე, ამ დაუსრულებელ ხელჩართულ ბრძოლას აქამდე ეშმაკის კერძი სავსებით გადახყვება. დააკვირდი ცხოვრებას და თავად დარწმუნდებიო.ეხ, რამდენის გაბედნიერება მიცდია უშურველად და როგორ გახყოლია მერმე ზოგი წყალსა და მეწყერს?ბონდო ჯიქიასათვის კი უკვე მერამდენე თვეა მარცხენა მხარზე მიამბორია, შეუნანებლად გადმომილოცავს ჩემეული ზეციერი და მას აქეთ დგას ბერმუხასავით.

„საქართველოს რესპუბლიკა“,
2001 წ.

ცოტნე დადიანის საუფლოში

შემოქმედებითი მივლინება
შურობუმუში

„ბატონო, ანგული, ნუ გაგიკვირდებათ, რომ ამ წერილით მოგმართავთ თქვენ, და არა

უშუალოდ თქვენს ზემდგომს, ასევე ჩინებულ ქომაგს ქართული მწიგნობრობისა, მხარის გუბერნატორს, ბატონ ბონდო ჯიქიას, რამეთუ ჩვენი სათხოვარი შედარებით მოკრძალებული, კონკრეტული ხასიათისაა: მოგვეხსენებათ, მწერალი გური ოტობაია თქვენი კუთხის შვილია, სამურზაყანოელი კაცი, — ამგვარად იწყებს ჩემს წარდგინებას ხობის რაიონის გამგებლის წინაშე საქართველოს მწერალთა საერთ-ეროვნული კავშირის თავმჯდომარე, ბატონი თამაზ წივწივაძე, — რამდენიმე რომანის, ლექსებისა და პუბლიცისტური კრებულების ავტორი. მისი რომანი-ტრიადა „ სიცოცხლემისჯილი“ ამ ხუთიოდე წლის წინათ ითარგმნა რუსულად და წლეულს ცალკე წიგნად იბეჭდება მოსკოვში. ასევე თარგმანის პროცესშია გ.ოტობაიას მონუმენტური რომანი „როკი“, მაგრამ ჩვენთვის არსებითი ის გახლავთ, რომ დღევანდელ საქართველოში იშვიათად იბოვით შემოქმედს, რომელსაც რომანისტის კალამი დროების განზე გადაედოს და ძირითადი ყურადღება საკუთარი ერის წიაღში მიძინებული ძალების გამოსაღვიძებლად გაემახვილებინოს პუბლიცისტიკის ენაზე.

გ. ოტობაიას ბელეტრისტული მატიანე „სუფევა“ („საქართველოს უკვდავების ფორმულა“) ვრცელტანიანი მხატვრულ-დოკუმენტური ტილოა ქართველი კაცის სულიერ-ხორციელ ბიოგრაფიაზე. აქ მრავალი კუთხე-რაკურსით წარმოჩინდება ჩვენი სამშობლოს ისტორიული წარსული, (მიჯაჭვული ამირანი, აიეტ-მეფე, მედა, ქუჯი, ფარნავაზ მეფე, გუბაზი, დავით აღმაშენებელი, ცოტნე დადიანი, თამარ მეფე, ერეკლე II), გუშინდლობა-დღევანდელობა, (ეკატერინე ჭავჭავაძე, ილია, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ამბროსი ხელაია, ითსებ ჟორდანია, ექვთიმე თაყაიშვილი, გია აბესაძე...), თუ ხვალინდელი დღის პერსპექტივები.

ბელეტრისტული მატიანე „საქართველოს უკვდავების ფორმულა“ მოიცავს ჩვენი ხალხის ყოფირებას სამ განზომილებაში: ენა, მამული, სარწმუნოება და გულმოდგინედ ეძებს ბრძენ წინაპართაგან გაკვალული გზების გენეტიკურ გაგრძელებას საკმარისზე მეტად ჯანღიან სინამდვილეში. ამიტომაც უცილობლად დასაფასებელია გ.ოტობაიას ძალისხმევა ქართველთათვის სამაგიდო, ზნეობრივ-სამართლებრივი წიგნის შექმნის თვალსაწიერით. ამ თხზულებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, სხვა მრავალ საშვილიშვილო ტენდეციასთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თავად საქართველოს მწერალთა კავშირის, ქართველი მწერლების თუ ზოგადად ჯანსაღი ინტელიგენციის უკამბრომისიო ბრძოლას ერთიანი და ძლიერი სამშობლოსათვის.

ეს ყველაფერი ცნობისათვის, ბატონო, ანგული, მაგრამ ჩვენთვის არანაკლებ სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ გ. ოტობაიამ, დიდი ხნის აწონ-დაწონის შემდეგ, ღირსეულთა შორის უფრო ღირსეული ამოირჩია თურმე სანიმუშოდ, სამაგალითოდ და ეს არჩევანიც მიუკერძოებლად თქვენ, ხობელებს, გხვდომიათ წილად.

საქმე ის არის, რომ გ.ოტობაია წლების მანძილზე შემოქმედებითი მივლინებით იყო წარგზავნილი მწერალთა კავშირისაგან ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში: იმერეთსა თუ ქართლში, მესხეთ-ჯავახეთსა თუ კახეთში, და ბევრი ფიქრის შემდეგ, მისი არჩევანი უამრავი კოლორიტული რაიონიდან, მაინცდამაინც ხობზე შეჩერებულა, როგორც საქართველოს უტყუარი წინსვლისა და აღმშენებლობის მახარობელ პირველ მერცხალზე.

ხობის რაიონის წარმატებებს ჩვენც იმედიანად მივადევნებთ თვალს: თქვენ არასდროს ჩაგიგდიათ ცენტრალური თუ ადგილობრივი ბიუჯეტის გეგეშები; განუხრელად აუმჯობესებთ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობებს; მაგრამ საქმეში ჩახედული კაცის დაკვირვებანი შედარებით ხელშესახებია — გ. ოტობაიას მტკიცებით, დიახაც, ხობის რაიონიდან იღებს სათავეს ენდემური (მამაპაპური) ჯიშებისა და კულტურების აღორძინება, როგორიცაა: მეცხოველეობა, მეთხილეობა, სხვანი და სხვანი. ამასთან, თქვენ თანადროულად შეეწყვეთ საძრეწველო საქმიანობასაც — აწარმოებთ ცემენტს, ეთერზეთებს, და რაც ყველაზე შთამბეჭდავია, ხობის რაიონით დანახულია ერთიანი, ძლიერი და დემოკრატიული საქართველოს მომავლის უეჭველი კონტურები.

საგანგებოდ შეჩვერდებით „ტერმინალი-2000“-ის მნიშვნელობაზე ყულევში: XXI საუკუნის დამდეგის ნავთობსაცავი კომუნიკაციების გამართვა თქვენთან, აგრძელებს სუფსაში ჩაყრილი ეროვნული ენერგეტიკის აღმშენებლობის განუხრელ კურსს და როგორც მწერლისგან მიინიშნება — „დროთა ვითარებაში მარაოსავით გაიშლება იგი შავი ზღის რეგიონებისაკენ, ანუ მოხდება აფხაზეთის უმტკივნეულო, ეკონომიკური ინტეგრაცია პოლიტიკური ბატალიებისა და აგრესიების გვერდის ავლით“.

ჩვენ აბსოლუტურად ვეთანხმებით გ. ოტო ბაიას პოზიციას და მივესალმებით სრულიად საქართველოს აღორძინების უმთავრეს მიმართულებად მწერლის მიერ ხობელების მიზანსწრაფული შრომით ტრადიციების დასახვას და რადგანაც ხობში — ცოტნე დადიანის სამშობლოში — გაღვივებული პროცესებით განუზრახავს გ.ოტობაიას „საქართველოს უკვდავების ფორმულის“ დაგვირგვინება, იმედი გვრჩება, სტუმართმოყვარეობით განთქმულ ხალხს არ გაგიძნელდებათ ერთი უპრეტენზიო, მამულისათვის გულანთებული ქართველი მწერლის რამდენიმე თვით ჯეროვანი მეურვეობა-დაკვალიანება“.

ხოდა, ასეა ჩემი საქმე, ამნაირი სარეკომენდაციო წერილით მოვსდგომივარ კარზე ხობის გემგებელს, მაგრამ ვინემ აქამდე მოვაღწევ, მეროჭიკე ბერივით მართლაც უამრავი კუთხე-კუნჭული მომიჩხრეკავს ჩვენი შურო- ბუმუ-სამშობლოსი. საქართველოს თითქმის ყველა რაიონში ქრის დღეს მომავალი აღორძინებისა დამახასიათებელი ნიავი-სიო:

ახალციხე თავს მოიწონებდა თამარ ბაგრატიონის მეფედ ხელდასხმის საკრალური სკულპტურით;

წალენჯიხა თავს აიღერებდა ენგურზე გადებული ხიდებითა და სპორტული კომპლექსით;

ონის რაიონი ,,საირმის'' ულტრათანამედროვე ხაზს შემოგვთავაზებდა განსასჯელად და განსაზოგადებლად;

თელავი ,,ჯი-ვი-ესის'' ფეშენებელურ ნაგებობებს ამოატივტივებდა განახლების სამუმის საწინდრად... მაგრამ ეს ყველაფერი რომ ზღვაშიწვეთია არსებულ შესაძლებლობებთან შედარებით?!

თურქეთის შავი ბაზრის საზეიმოდ კვლავინდებურად გამოშიგნულია ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები;

ჩაის პლანტაციები ტურათა ჩხავილმა და უნასების სისინმა გააჯერა ტანში დამჟრუანტელებლად ზომაზე მეტად;

ხე-ტყე რომ გაედინება მიცვალებულთა პროცესიასავით რეგიო- ნებიდან წითელი მინდვრის გაფრთხილებით და საზოგადო დაქცევის აქილევსურ ნაბიჯებს ვეღარაფრით უბამს მხარს აღმშენებლობის კუს ნატერფალები?

ციცხვმა უკეთ უწყის ქოთნის ავანჩავანისა, და აქედან გამომდინარე, არაფერია გასაკვირი ხობის რაიონის გამგებლის ალაყაფის კარებს რომ ჯიუტად მივდგომივარ, ყინჩად, მიუხედავად ტექნიკური მდივნის ოდნავ გაკვირებული იერისა — სიტყვებით: სტუმრები ხყავს, თათბირია, ბატონო.

გამჭოლ მზერას ვაკმარებ. ამ ცხოვრების ნახევარგზაზე წუთისოფელმა მასწავლა დროის ეკონომია და გერმანული ანდაზისა არ იყოს: ,,გელდ ფერლორენ, ნიხტს ფერლორენ, ლიბენ ფერლორენ— ფილ ფერლორენ, ცაით ფერლორენ — ალეს ფერლორენ''. დიახ, ყველაფერი დაკარგულია დროის მკვლელისათვის, დრო-ჟამის გამჩანაგებლისათვის, ქრონოსის მუხანათურად გამძარცავისათვის უწინარესად საკუთარი გულიდან.

წამოიშლებიან მასპინძლები.

მოვუბოდიშებ შეწუხების წილ ბატონ ანგულის. სარეკომენდაციო წერილს გადავცემ, თან დავსძენ:

გაგებული მაქვს დღეს ერაგია ჩამოდის ,,ტერმინალი-2000''-ის მშენებლობაზე. ჩემი შემოქმედებითი მივლინების პირველი დღე შურობუმუში იქნებ მასთან შეხვედრით დამეწყო-მეთქი.

ბატონი ანგული ოქროსფერჩარჩოიანი სათვალიდან ამომცქერის თვინიერი ღიმილით. ტიტულიან წერილზე უდევს ორივე ხელი და ვერ გაარკვევ ჩემი ვიზიტი ეამება თუ ეხამუშება.

— დღეს თათბირები მაქვს გურიო, — მეტყვის — ტერმინალზე დაცვის უფროსს გაგაყოლებ. იმ მონჯღრეულ გზაზე უკეთეს თანამგზავრს ვერც ინატრებ. დამიმადლი კიდეც, სხვა შენი მშველელი დღეს არავინაო, — დამანუგეშებს და ასე დავშორდები რაიონის გამგებელს დაკვალიანებული თანამშრომლების თანხლებით.

საშუალოზე მაღალია. ჯმუხი აღნაგობის. ხელ-ფეხი გაურბის საუბრისას. მხრები წამდაუწუმ უთამაშებს, სახის ნაკვთები განუყრელ ლაშქრად ახლავს მის ნებისმიერ ფრაზას, თვალები კი მუგუზლებივით უტრიალებს ბუდეებში და როგორი ლმობიერიც მოგეჩვენოთ ბეჟან ნადარაიას უნისონი, მისი დანუგეშება:

ქვეყანა დაიქცეს, ერაგიას მაინც შეგახვედრებსო, თითოეულ სიტყვას გამანადგურებელი მიმიკრიით აქარწყლებს, წირვას გამოუყვანს ბაგეთაგან აფრენამდე, როგორც ნიშანში ამოღებულ ფრინველს ნაცადი მონადირეს დაქუხებული ორლულიანი.

მსგავს ტიპაჟს უამრავს შევხვედრივარ ამ ცხოვრების ნახევარგზაზე, თანასოფლელ გრიშა იზორიადან მოყოლებულს, პეტიკო თოდუას, ენაბრგვილ დათო ჯოხთაბერიძეს, ბატია ჯულუხიძის შეუ-

დარებელ კოლეგას; ჭოტიკა ჭკუასელს, იუმორის მოთავებამდე რომ იფხრიწება ფაჩიკოს გარმონივით; ცხონებულ ოთარ მამფორიას იშვიათი ტემბრითა და მსუნაგ სიცილში გაზავებული ტემპერამენტით, სხვათა და სხვათა; ბატია ჯულუხიძე კი კვადრატში ახარისხებული ბერიკა-მაქციაა, განსაკუთრებით საპოლიგონო გზაზე მოხელთებული კაცისათვის, რომელიც ალალბედზე მიემართება მშენებლობის მოსანახულებლად. თან ჯეროვნად არც იცის, მშენებლობის უფროსი ერაგია დაუშვებს კი ტერმინალის ტერიტორიაზე საერთოდ, ერთობ გასაიდუმლოებული რომ გახლავთ და აქა-იქ განგებადაც ბურუსიანდება მისი ანიაგანი.

— კოლეგები ვყოფილვართო, — მეტყვის მანქანაში ჩაჯდომისთანავე.

— ეგ რანაირად - მეთქი, გავიკვირვებ, — ჟურნალისტიკიდან დაცვაზე გადმოინაცვლე? — ვაფახულებ თვალებს.

— ვერ გამიგეთ, — ამბობს და ინსტინქტურად ქოქავს მანქანას. მობილური ტელეფონის ბუდეს შტეკერს უერთებს დასამუხტავად. სიგარეტს თანამიმდევრულად ფერფლავს მესამედზე ჩამოწეული სარკმლიდან. — კოლეგები მხოლოდ პროფესიული თვალსაზრისით როდი არიან. აი, მაგალითისათვის, პასპორტით მე ზაზა კირთაძე ვარ, მაგრამ ჩვეულებრივ ურთიერთობაში ყველა ბატია ჯულუხიძეთი მიცნობს. თქვენც ასე გჭირთ თურმე, ოდინდელი გულადი ფეტელავა გური ოტობაიად ქცეულხართ. არა ვართ კოლეგები ვითომ?

საუბარი მეგრულ-ქართულად წარიმართება, იმის შესატყვისად — სად და როგორ.

უცნაური ბავშვი ყოფილა. ყველაფერი უკუღმართად გამოსდიოდა. ჩემი თავი მახსენდება, თომა გელენავას ოჯახში უხანეს და ურდუს რომ მეძახდნენ.

ბატიას ცხოვრება მართლაც გასაოცარი იუმორითაა აღსავსე.

წარმოიდგინეთ გუდრონის ქარხანასთან მოგროვილი ფისის უშველებელი ტბორი, სადაც ღორები ილუფხებიან ხოლმე. ხოდა, რაჟამს შუადღის თაკარა მზე რამდენადმე მიდაისდება, ეს ზანგელა მასა თანდათან იწყებს შესქელებას. არის ზოგჯერ მომენტი, რომ ტბაში ღორები გაიჭედებიან. იწყება ჭყვიტინი, ღრუტუნი, ჯგლეთა, მაგრამ ვინაა გამკითხავი, პატრონი?! ერთხელ ჩვენი ბატიაც ამ საფლობის პერსონაჟი გახდება დიახაც, მაგრამ უმჯობესია ჯერ მამამისის ფულის ყულაბაზე მოვყვეთ.ფუთიანი ფიცრებისაგან შეუკრავს. სიფრიფანა ნახვრეტი დაუტოვებია ბანკნოტის ჩასაცურებლად. ამ ვეება გეჯათი აპირებს ონავარი შვილისათვის სიმდიდრის მოგროვებას პროფესიით მძღოლი მზრუნველი მამა. ბატიას მშობელი ბაყბაყ დევებს აჭარბებს ჯაგრიანობაში. ყოველი ასო-სახსარიდან ბალანი მოძვრება, გულ-მკერდი, იღლიები, ბარძაყები რა სახსენებელია, როცა ლამის იდაყვებიდან და ხელისგულებიდანაც მოცოცავენ ისინი. ორი სამართებელი ბლაგვდება მის გაპარსვისას. ამდენივე მაკრატელი ჩლუნგდება. ვეშაპკაცია, მაგრამ ბატიას წამოჩიტების შემდეგ მემკვიდრის დევნა-სირბილში გვარიანად მოუწევს შეფერთხვა. ბატია ჯულუხიძე, როგორც კი მამას დაიფიცებს, მორჩენილია საქმე. ხანდახან ამძაფრებს კიდეც ამ რიტუალს — მამის ძვალს დაეჩემება. ეს უკვე ზეხარისხის ფიცია.

ვალი ვის არ მართებია, ბატია ჯულუხიძეს რომ არ ემართოს, მაგრამ თადარიგიანია, სიტყვის შემნახავი. ესტუმრება ძმაკაცი და ეუბნება:

— შე ოჯახაშენებულო, დამიბრუნებ თუ არა ვალსო.

— მერე და როდის შეგპირდიო, — შეუვალია ბატია ჯულუხიძე.

— არა, არ შემპირებიხარ, მაგრამ ხომ ახსენე: მოგიხერხებ რამესო. დაიფიცე ახლა და ვირწმუნებ შენს სიტყვასო, — ჯიუტობს მევალე.

— მამაჩემის ფეხს გეფიცებიო, — კონკრეტულია ბატია ჯულუხიძე.

— მამის ფეხი რაღად მინდა,— გაჯორებულია მევალე.

— ხაიტ, ყურუმსაღო, მამაჩემი არ დაგიტირია და კიდევ აქეთ მთხოვ ვალის დაბრუნებასო.

მამის ფეხის ამბავი კი შემდეგი გახლავთ:

როდესაც ონავარი შვილის დევნაში ვერანაირ ხეირს ხპოვებს ლომკაცი, დაებზარება ფეხისგულები, ეგზემა განგრენაში გადაეზარდება, დაესევა მუწუკები კოჭიდან მუხლისთავამდე, ხოდა, რაღას იღონებენ რაიონის ქირურგები, მიანარკოზებენ, მოწყვეტენ კვერისთავთან.

დაახელს მოგვიანებით თვალებს ავადმყოფი და მაშინვე ხკითხავს შვილს:

— როგორ არის ჩემი ფეხის საქმე, ბიჭოო.

— არა უშავს, მამიო, — დაუყვავებს ბატია, — აგერ მაქვს შენახულიო.

სიმართლეს ამბობს ბატია ჯულუხიძე; დიახაც საიმედოდ შეუნახავს მშობლის ფეხი, დაუბალზამა. ხოდა, ამ ძვალს მოიშველიებს ხოლმე დაფიცებისას.

— რა ძვალი, რისი ძვალიო, — როცა აუხირდება აბეზარი მევალე, ვიცით რანაირად კუდამოძუებულს მიაბრძანებენ ხობისწყალს გაღმა.

ჯულუხიძეების შტოდან რომ ჩამოუყვანიათ ჩვენი პერსონაჟი, ამის თაობაზე გვიუწყებია ადრე. ღვიძლივით რომ შეყვარებოდათ მშობლებს ჭყლოპინა, უმწეო ჩვილი, გასაკვირი არაფერია. ხოლო ბატია რატომაც შერქმევია, ამას მაინცდამაინც ნუ დაგვამადლით, ჩვენი ფანტაზიის წყალობაა, ვინაიდან მუსიკის გასაოცარი ნიჭი დახყვება ჩვენს გმირს. სწავლით ვერაფრით წაადგმევინებ ბიჯს. რას არ ეცდება მამამისი, რას არ იღონებს, ინტერნატში შეყვანით აშინებენ სულ, მიიყვანენ ზუგდიდ-ქალაქის საზღვართან:

დაწერე ახლავე აღთქმის ბარათიო! ბატიაც, მიაბატიფეხურებს და ისევ თავიდან მეორდება ყოველივე გაფუჭებულ ფირფიტასავით.

ნიჭიერებას ვერავინ დაუწუნებს, მაგრამ მუსიკალურ სკოლაში სიარული, ფორტეპიანო, ვიოლინო და ნოტები თავგზას აურევს.

ხოდა, როდესაც ამხანაგები აქა-იქ ქეთინოობას წამოაძახებენ, გაწიწმატდება გოგონათა ლაშქრის თავბრუს დამხვევი ბატია ჯულუხიძე.

სხვა რა იღონოს, მამის უშველებელ ყულაბას მიაცივებს მზერას ავისმომასწავლებლად. იმხელა გამოსვლია ოჯახკურთხეულს, ლამის საწნახელად ივარგებს; ახლა წარმოიდგინეთ საკაკუტე ლურსმნებით მკვიდრად დაჭაპნილი, გარჭიპული. გაშალაშინებული მაინც იყოს, ხიჭვების ამოძრობას ველარ აუდიხარ მის გადაკოტრიალებისას. ვერსად უპოვი მზის სხივის შემოსატევ ჭუჭრუტანას. ხოჭოები რა სალაპარაკოა, როცა თვით ჭიანჭველებიც უძლურნი არიან ამ საქმეში. იმ სიფრიფანა ჭრილის თაობაზე მოგვეხსენება, ბატიას სამომავლო სიმდიდრის კარიბჭეა. ესეც რომ არა, მამის საყვარელი სკამ-ლოგინია უკვე. ხობის ჭორიკანა გზებზე მიმოსვლებით დაღლილი მშობელი, წამოარხეინდება ზედ, ამოუშვებს კედლების შემანჯღრეველ ხვრინვას და ასე დღე დღეზე ხარბად ყლაპავს ყულაბა ნამყენი თუთის ფოთლისხელა თუმნიანებს, მაგრამ ცხოვრება ჯოჯოხეთია. ბატია ჯულუხიძეს, აგერ, ბიძა აბადია, ისიც მამასავით შოფერი, საჭეს შეზრდილი და მომლხენი. აქეთ მანქანას რეცხავს ბიძია, თანაც ღიღინებს ბატიას ყურების დამცქვეტად:

— დაახვანცალე, დაახვანცალეო.

ბატიას მამას ზოგჯერ ფერდები გახეშეშებია ყულაბაზე წოლით და აი, როცა, ფუმფულა ბალიშში თავჩარგული მაგრად ხირთქინებს, უწვრილეს მავთულს უხვანცალებს იმ ნახვრეტში ბატია. გადმობრუნებული გეჯადან ჯერ ერთი თუმნიანი ჩამოსრიალდება, მერე მეორე და მესამე. ხოდა, ვითომ სკოლისკენ მიეშურებიან ძმისშვილი-ბიძა; გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ხომ მუსიკალური პროგრამებია აქამდე არსებული წესის შესაბამისად, მაგრამ ვინ არის იქითკენ გამხედავი?! ან განა ტყავის ბურთის დევნით გაიოფლიანებს შუბლ-კისერს?! ველარც აუგად იხსენიებს ვინმე; იციან ქალებში დაიარება ცეროდენა ღლაპი. ბატია ჯულუხიძე ჯერ ბავშვია, მაგრამ სოხუმის საარაკო პლაჟი სავსეა ლამაზმანების წვივ-ბარძაყ-თეძოთი. შეექცევა ნაყინს, სიგარეტსაც უსინჯავს გემოს. ცოტა ხანში ქალის ალმურსაც იგემებს. სადღაც შებინდებულზე მუსიკალური განსწავულობა უნდა დამთავრდეს: შოპენის, ბახისა და ბეთხოვენის ჯადოქრულობამ უნდა ჩაინარნაროს. მოაწევენ ოჯახს. ფორტეპიანო მაინც არ ეთმობა ბატია ჯულუხიძეს, ჩააგრიალებს სიმფონიებს, აქეთ ზაფხულის ხვატით გარუჯულა, ნაყინითაც განუგრილებია დამცხრალი ვნებათაღელვა და სხვა რა ენდომება?!

მამამისი ყულაბაზე თუ წამოწოლილა, ოქტავებს ზემაჟორულად დააცხრება.

— რა იყო, შვილო, მეცადინეობ? — ეტყვის ხვრინვათა ქოროებს გამორიდებული მშობელი.

— აბა, რა, — თავდაჯერებულია ბატია ჯულუხიძე და განთავისუფლდება მომავალი დღის დროსტარებისათვის საჭირო თანხის შემნახავი სივრცე-ყულაბა-საწნახელი.

თუკი შეზარხოშებულია მამამისი, ამ დროს მარშებისა და ხიმნების დიაპაზონზე დაუსეტყვავს ყურთასმენას.

— ხაუ, ამოუწყდათ სახლ-კარი! რა სიმსხოზე წერენ თურმეო, — აჯუჯღუნდება და გადაინაცვლებს უსაფრთხობო ოთახში. ეს წუთია და ბატია ჯულუხიძეც დიდი ფსიქოლოგივით დაშაქრავს აკორდებს, დათაფლავს ოქტავებს. იწყება მირაჟის მუსიკა, წაფარფატდება მამამისის ძილი ზევით და ზევით.

დღეს კვირა ემატება, კვირას — თვე. ავსებს ერთი ყულაბას და ამჩატებს მეორე სამომავლო ავლადიდებას, მაგრამ მერე და მერე შინ დაბრუნება მიდაისებიდან გადასამხარდება, თანაც ტაქსისტ მამამისს ყოველთვის როდი ხყავს კლიენტი და მიაკითხავს ერთხელ სკოლაში მემკვიდრეს. აყვანილი შვილი პატარა ამბავია, ბეჩა! ვერაფრით მოიხელთა პირმშო. დაადებს ახლა თავს მუსიკალურისაკენ. ჩაუვლის გუდრონის ტბას და ამ ფისის ტბორზე მოქუფრულად გაუხდიან გუნებას:

— ღმერთმანი, ერთი კვირაა არ გამოჩენილაო.

— რას ხქვია ერთი კვირა? — გაცეცხლდება ბატიას მშობელი.

ახლა მიბრუნდება ისევ გუდრონის ტბორის გვერდსაქცევით სკოლისაკენ. დამრიგებელს ვერ ნახავს, მაგრამ დირექტორი და სასწავლო ნაწილი:

— რა ხდება, კაცო, მთლად მუსიკას უნდა გადააყოლოთ ეს ბავშვი?! ორი კვირაა არ გამოჩენილა, ჩვენ ავად გვეგონაო, — ეტყვიან.

— რას ხქვია ავადმყოფი! რვა საათზე აფრენილია ბიჭი! წაუხემსავად გარბის სკოლისაკენ და გინდათ გამაგიჟოთო. მოვარდება აწი ტაქსების გაჩერებასთან და აქ ყველაფერს ჩაუკაკლავენ ძმაკაცები:

— შენს ძმასთან სოხუმისკენ დახქრის ნიადაგო.

ილორთან შეეფეთება ამფსონებს ბატია ჯულუხიძის გაცეცხლებული მამა. ადგილზევე მოატრილებს საჭეს. გადმოსვამს ბიჭს უკანა სალონში.

— შე შობელნათრევო, — ეუბნება შეზარხოშებულ ძმას, — შენ დიდი ხანია ხელიდან წასული ხარ და ჩემი დამტირებელი შვილიც გინდა შეიწიროო.

მოადგებიან სახლ-კარს. მოხელთებულია ბატია ჯულუხიძე ქეჩოთი და ვერაფრით წარუტაცია თავი მბღუჯავი ტორისთვის. შეგიძლიათ რუსული ლასის მაგვარი კიბის წარმოდგენა? ხოდა, ამ კიბის ბაქანზე დგას ბატია ჯულუხიძე. მოადგება მამა აზუზუნებული სახრეთი მარცხენა მხრიდან და მყისვე ჩამოასწრებს მარჯვენასკენ. ამოქლოშინდება მარჯვნივ და ჩამარცხნიანდება. ეს მეთოდი აქამდეც გამოსდგომია ბატია ჯულუხიძეს შედარებით ნაკლები ანცობების გასანეიტრალებლად. ალბათ, იმ ღამეს დაუსკდება მამამისს ტერფები, რომელიც მერე ეგზემაში გადაეზრდება და ბოლოს ფეხის ამპუტაციითაც დასრულდება, ორნახადი არყით დაბალზამების საწინდრად, მაგრამ ესეც არაფერი, ჩვენ ახლა მოვყვეთ იმის თაობაზე, თუ ბატია ჯულუხიძე რანაირად გაუპირდაპირებს გუდრონის საფლობს. იცის სახრეთი ფერდებაჭრელებულმა ბატია ჯალუხიძემ ამ ზანგელა ტბორის ბუნება ჩინებულად. ხოდა, ჩემო ბატონო, ვითარების სიმწვავით გათარანებული, დედისგან მონაწყევლი: არ ჯობდა შენს მაგივრად გოჭი გამეზარდაო; ჩანთიანად და ახალთახალ შარვალ-ხალათიანად იმ დარდუბალაში გადაეშვება.

უფრო უკეთესს მიყიდიანო, ნუგეშიანდება. დაფხრეწს წიგნებს, შემოიდღლეზს შესამოსელს, შუაგულს უმიზნებს.

— არიქა, თავი არ დაიხრჩოსო, — შიშობენ მშობლები, მაგრამ სექტემბრის მიწურულის მზე გვარიანი ხნის ჩასვენებელია. შესაბამისად გუდრონის მასა თვინიერად იმაგრებს ბატიას ცქნაფა სხეულს, თუმცა, როგორც კი ვეშაპკაცი მოხყვება ფეხდაფეხ, ჩაყურყუმელავდება ყელამდე. არ გინდა ახლა ამ ბაყბაყდევის იქიდან დაძვრა?! ისედაც ხომ გაფისულს უგავს სხეული ბალნისაგან?! ახლა მთლად დევების ხელმწიფეს დამსგავსებია და ჩაიქნევს ხელს სიმწრის ცრემლის ყლაპვით. თავად ბატია ჯულუხიძეს კი წიგნებისაგან გამოცარიელებული ჩანთა ჯერ კიდევ გვარიანად გავსებია სურნელოვანი ფუნჩულებით და რაჟამს აქაურობისათვის ეს იშვიათი ამბროსია, გრილობში მიყუჩებულ ღორებს ეცემა, დაიძვრებიან საფლობისაკენ. გამოუტევენ ღრუტუნ-ღრუტუნით, რადგანაც ბატია ჯულუხიძე უსაფრთხოების მიზნით რამდენიმე ჩაკბეჩილს მათკენაც მოისვრის და მოგროვდება ხალხი გუდრონის ტბორის გარშემო, მოზღვავდება ჯამათი.

— გაზრდილ შვილს ახრჩობენ თავიანთი ხელით ეს დამთხვეულებიო.

იქით დედა იმუდარება:

— არიქა, არ დამეხრჩოს ოჯახის მარჩენალი და ერთადერთი ძეო.

გააუსაფრთხოებენ როგორღაც ნაგუდრონალ კაცებს, მაგრამ ახლა საკითხავია რამდენი ლიტრი სალიარი, ნავთი და ბენზინი დასჭირდება მათ განსპეტაკებას? ამისი ამოცნობა თქვენთვის დამითმია, ვინაიდან ამეები და კიდევ უამრავი რამერუმე ზედმიწევნითაა მოყოლილი ჩემთვის ბატონ ანგული მიქავასგან ნაბოძები შეუდარებელი მეგზურისაგან.

ყულევისაკენ მიმავალი გზის თავისებურებებს მხოლოდ ბატია ჯულუხიძის ბადალი კაცის თანხლებით თუ გაივლი უმტკივნეულოდ.

სავალის ყოველი მტკაველი, თითოეული წყრთა და არშინ-ალაბი იშვიათი ღრმულებით დანაღმულა. მას ყოველ ცისმარე უწევს აქეთკენ სიარული კუს ნაბიჯებით. დახელოვნებულია, დაოსტატებული ნებისმიერი ვარგისი გოჯ-მონაკვეთის მაქსიმალურად გამოყენებაში, ყველაზე ურთულესი რელიეფის რაალის ჩემპიონად ივარგებს, ვირწმუნებ ერთხელ და სამუდამოდ და გულის აჩუყებამდე ვემადლიერები ბატონ ანგულის ამისთანა დიდოსტატი მრბოლელის დამეგზურებისათვის.

რაც შეეხება ენამჭევრული მონაცემებით გადალახულ ბარიერებს და სივრცეებს, ეს ხომ მთლად ფანტასმაგორიის თემაა.

შეეკითხე, ნუ მოგერიდება ცოცხალ-მკვდრისა, ამვლელ-ჩამვლელისა, მტრისა და მოყვრისა, ისეთნაირად დაგირახტავს, იმნაირად დაგიმაჭრიანებს, იმფერ დაგიძმრიანებს, ისე დაშლის და ააკოწიწებს, მუცლის იოგები აკორდიონის ფოლგასავით გიხუჭუჭდება.

დავუშვათ და ჩაეძიე: შენს დარგში როგორ მიგდის საქმე-თქო და მყისვე შემოგეხიდება:

— დაცვა ხუთიანზე მაქვს დაყენებულიო. მარტო ხობს როდი ვგულისხმობ— მთელს სამეგრელოს, ანიაგანიანადო, — თან მეტის დამაჯერებლობით მზერას გაგიშტერებს და იკადრებ უკანდახევას. — სენაკის აეროპორტში ავიაბენზინი რომ მოქუჩდება, ცისტერნებით მომიქვანთალებენ ხოლმეო, — თვითკმარია. — ფოთის ნავსადგურიდან ლაყუჩების გამალებული ფშლატუნით ქანცგაწყვეტილ ზუთხებს მომართმევენ დიდმარხვის წინა დღეებშიო, — გიზუსტდება. — მარტვილიდან და ჯვარიდან, — ცალ-ცალკე რისთვის დავასახელო, ორივეს ერთად შევყრი ბარემ, ვეშაპისხელა მორებს ჩამომიკოტრიალებენ, დამიხერხავენ იქვე საგულდაგულოდ, გამირანდავენ და გამიშალაშინებენ. ცოცხალი ყოფილიყო ცხონებული მამაჩემი, ხო-ხო რამდენ ყულაბა-სკამლოგინს გამოვრანდავდიო. აბა, ჯამია ყველაფერი, ჯამიო. თუმცა, არც აწია გვიანი ხელის გამოღება. ორ ვაჟიშვილს ეხუმრები შენ, თანაც საკუთარი ჯიშ-ჯილაგისას?! რამდენიმე ყულაბა სკამლოგინის გამართვა დიახაც მმართებს ამთავითვე. რატომ და რისთვის თავად დარწმუნდები ესოდენი საგანძურის ამკრეფის დამნახველი.

ვწევარ ეგერ, ჩემთვის, თავქვეშ ხელამოდებული. ხოდა, აი, რას მეუბნება ჩემი ცეროდენა ვაჟიშვილი:

ერთ რამეს გაგანდობო, მეტყვის. ძმაბიჭობს უკვე ჩემთან.

თქვი, მამა შემოგევლოს-მეთქი და ისიც ხელად: გოგო შემიყვარდაო.

მთლად კარგი, მაგას რა სჯობია, მამა გენაცვალოს-მეთქი. ნეკისხელაა, თუმცა მეცხრე კლასში კი დაიარება.

არ კითხულობ მაინც ვისი არისო, მაგულიანებს.

ვისი არის ბიჭო-მეთქი, წამოვიწევი იდაყვზე და გადავწვდები სიგარეტს.

მყისვე დამისახელებს. ჩინებულად მეცნობა, წესიერების განსახიერებაა, მაგრამ რად გინდა იმისთანა ფსიორაა, თუთას ბჟოლისაგან კავის წაუშველებლად წყვეტს. ვხედავ, დაღუპულია ჩემი ღლაპუნიას ცხოვრება.

რატომ ამოირჩიე მაინცდამიანც ასეთი ალვასავით ატყორცნილი, დასჯერებულიყავი შედარებით ტანსრულს, ალუჩასავით ქვექვერიას-მეთქი.

რატომ მამი და როცა ხანდახან კოცნა მომინდება, ის რომ ცოტას ჩამოიხრება, მე კი მთლად თითის წვერებზე შევდგები, ვინ იცის იქნებ გავიტყორცნო სიმაღლეშიო.

მთლად დიდებული, მერე რა ხდება-მეთქი და ალდაჩხირივით მეცემა პირში;

ზუგდიდში ნაყინზე მყავს დაპატიჟებული თხუთმეტიოდე ლარს თუ გამოიმეტებო.

ვტუცავ მყისვე შარვლის ტოტებში ფეხებს, თან ვანუგეშებ, მამის იმედი ყოველთვის უნდა გქონდეს-მეთქი. თქვენით განსაჯეთ ახლა, არ არის ვითომ დრო ჩემს ცხონებულ გამზრდელს ვბაძავდე და ერთიმეორეზე ვაწყობდე ყულაბა-სკამლოგინებს?!

წაჩურჩუნტდა სკოლაში ჩემი დამტირებული შვილი და სიცილ-სიცილით ვუყვები მეუღლეს:

ხედავ, ამ შობელძაღლ ბაღანას, რას მიშვრება-მეთქი. მიდი და ნუ ერწმუნები კვიცის გვარზე მხტომელობის ხალხურ ანდაზას. მოლს არ ამოცდენია და უკვე თხუთმეტ ლარს მცინცლავს შეყვარებულის დასაბმელად-მეთქი.

იმ საძაგელმა მეც იგივე მითხრა შენს გადმობირებამდე, ოღონდ ტანმორჩილ გოგოზეო.

ასეთი შვილები მეზრდება ბაბა ენაცვალოთ, და მიდი, ბატია ჯულუხიძე თუ ხარ, ნუ გამოთლი, ნუ შეკრავ სახვალიო ყულაბა-სკამლოგინს, ყველაფერს რომ მოვეშვათ, სამარადჟამო სასახლე მაინც მექნება მოკვანწილიო, გადაფიჩინდება კაცი.

წალენჯიხა და ჩხოროწყუ გრძელხორთუმა ფუტკრის თაფლით ამარაგებს შიშველი ზურგის მისაშვერად კოხტაგორას მიდამოებში, ცოტნე დადიანის კვალობაზე.

ზუგდიდი, □შიგადაშიგ გალიც კი), თხილს მოაჩხრიალებს შველიყურას ჯიშისას თუ ხარითვალას აღნაგობისას.

აბაშის ანჯერიდან ვაგონებით რომ ჩამოსდის თეთრი და გროზნოს სიმინდი ქატოსთან ერთად კვარაცხელიას ჯიშის ძროხების ჯოგისათვის, მავიწყდება, გვიხსენებია თუ არა, თუმცა უფრო მთავარი ის გახლავთ, რომ ორმოცდაათი მწყემსის ვაივაგლახით შემკრები, ვერაფრით ახერხებს დამატებით ამდენივეს თავმოყრას მილიონი სამუშაო ადგილის ზედმიწევნით მოწესრიგების წყალობით.

ტელევიზორის ანტენა აქვს ცხრამეტნაირი კონსტრუქციის, ხოლო „ჯეოსელის“, „მაგთის“ და კიდევ ბარე ორი ფირმის მობილური, იგივე ფიჭური ტელეფონი — ოთხი თითის გადაჯვარედინებით კვადრატს დაგანახებს უტყუარ თვალსაჩინოებად— დიაპაზონის შესატყვისად დააქვს ორღობედან დაწყებული ტერმინალით დამთავრებული.

შემთხვევით როდია ამდენი ინფორმაციის მენახირე, მაგრამ იმასაც როდი დაგიმალავს ცინცხალი „ზიმების“ პატრონი მამამისი შუბლში რანაირად იტკეცს ხელს ყულაბის გამხსნელი და გვარიანად ასაკოვანი საანგარიშოთი ნეტარებით მიჩოჩებული მრავალწლიან საგანძურეთს. მხოლოდ ამგვარად ამოლუღლუღებას მოასწრებს ის ცხონებული:

— ამას იყო რომ ახვანხვალებდით შენ და შენი სულელი ბიძაო, — ისე წაუფრიალებს ხელიდან ნიავი ყულაბის ფსკერზე ძევალივით შერჩენილ ერთადერთ სამმანეთიანს.

ზღვა ინფორმაციითა გაჯერებული ბატია ჯულუხიძის არსებობა, მაგრამ რომ კვდებოდე, ანგული მიქავას სახელს ცერად ვერ წამოაცდენინებ. მაინცდამაინც თუ ჩააჯინდი:

— როგორი იქნება შენი აზრით უტუ მიქავას შთამომავალი? ჭყონდიდისაგან ვინ უნდა ამოფესვიანდეს შენი აზრითო, შემოგიტევს.

ამ თემატიკაზე საუბრისას მყისვე გამოეცვლება ხმა-იერი. ერთხანობას ყულევის თემშარის ღრმულების დაურვებით მოიჯერებს გულს და მალე ძველებურად გადაეშვება ჩვეულ სტიქიაში.

ისე, კაცმა რომ თქვას, იუმორში ამოვლებულ სიტყვას და ფრაზას გაცილებით საღიერად ვაფასებ ბოლო დროს, ვინემ მენტორულ და გონებდაუნჯებულ ბუყბუყს.

დონ კიხოტი რომელი შეუდარებელი რაინდი იქნებოდა, ყოველივე თარაზული სერიოზულობით ექადაგა და ეკეთებინა?! ანდა გახვრეტილი თეთრის ღირებულებით დაიკვეხნიდა სერვანტესად წოდებული ჩვენი კლდიაშვილის შემოქმედება შემოდგომის აზნაურების მარათონული დიდმარხვების შეუტკბობლად?! მის განუმეორებელ გმირებს — სამანიშვილებს, მორბელაძეთ, სხვათა, ეს გაღვანდალებული იუმორი თუ წახგვარე, პირში ჩალაგამოვლებული თხრობითობა შეგრჩება ხელთ და მეტიც — დოლაბების დაუსრულებელი ღარღალი.

ამიერიდან თუკი რაიმე ფასეულს დავწერ ხობზე, და საერთოდ, სრულიად საქართველოზე, მერწმუნეთ, ყველაფერს ბატია ჯულუხიძის ეშმაკურად მოჭუტული თვალების პრიზმაში გავატარებ. კომპასივით დავაზომებ აქედან გამჭოლ მზერას სხვა კუთხეებისკენ თუ რეგიონებისაკენ. ვთქვათ, სიტყვისათვის: თელავს, ქუთაისს, ბათუმს, გორსა და ცხინვალს თუ სულაც სამურზაყანოულ საბერიოს.

რა გეომეტრიული სხეული შეიკვრება ამ მეცადინეობით, ბლაგვი თუ მახვილკუთხა, თქვენი აბსტრაქციის ამოსაცნობად გამომიმეტებია, ოღონდ ერთში დამეთანხმეთ — ყველგან და ყოველთვის ალმასის სიბასრისა და ფხიანობისა.

მოკლედ, ქამანდის დანიშნულებასაც რომ მივაგოთ იოტისოდენა პატივი, ყველას და ყოველივეს ბატია ჯულუხიძე იცავს და განაგებს, აქვე, ხობიდან დაწყებულს ენგურისპირეთით დამთავრებულს, თუ ფსოუ-ცხინვალის სანახებს ცხად-სიზმრიანა.

ამიტომაც შემოედინება მის ბეღელ-ნალიებსა და ფარეხებში ესოდენი სარჩო-საბადებელი; მორევივით შემოენაკადება აურაცხელი უძრავ-მოძრავი ქონება, სინამდვილეში კი, აგერ, ჩვენთან ზის ახლა გაცნობის კვირაძალზე, ბეჟან ნადირაიას კენტი ლამპით გაჩახჩახებულ ბინაში, აშიშინებული შეშისაგან მხრჩოლავი ღუმელით გაღვანღვალებულ ლოჯიაში; გასულსწრაფებით შეექცევა კარის მეზობელი პართენოვიჩის ამოლესილ ლობიოს, დიაბეტიან ღვინოს მიაყლუპებს შიგადაშიგ, ხორბლისფერი მაიას მოხარშულ კარტოფილს ამარილიანებს ძალუმად და შესაძლოა ყიბისის შქმერულის ტოლფასად სთავაზობს ორგანიზმს გასამხნევებლად; ბეჟანის ხალვათ გარდერობს მიაკითხავს მალიმალ და ხიბულელი ძმობილის კოსტუმ-ხალსტუხით იმოსება გულმოდგინედ, როცა საოცნებო ასულის უკარებლობით აზავთებული ქვეყნიერების შემოვლას იწყებს წკვარამეთი ხობიდან.

თანადროულია აქვე გაცხადდეს ბარემ, თუ ბიძის წათამამებით შავზღვისპირეთის პლაჟებს მიხრუკული ბატია ჯულუხიძე როგორ გადაიკარგება ვორონეჟში.

დიდხანს ვეღარ გაუძლებს შვილის გახანგრძლივებულ სიშორეს მოამაგე გამზრდელი მამა და მდიდრული „ზიმით“ ნასტუმრები, ჩვეული ლმობიერებით გამოუძებნის ბაბაიაგასთან საზიარო ბინას, საპატრონოდ განუმწესებს კუდიან დედაბერს, თუმცა კვირაც არ გამოხდება და ბატია ჯალუხიძე, გვარიანად მომთაბარული ცხოვრების მერმე, ერთოთახიან გარიწკინებულ საცხოვრისს გაიჩალიჩებს ქალაქის ცენტრში.

ქალიშვილები ბატიას აქამდეც ემადლიერებიან: რესტორნებში ერგას დედაკაცსა უტყორცნია

იგი ხაერში ფორტეპიანოს კლავიატურიდან აღლეტილი ,,ბატია დულუხიდზე.... ,,ურას'' ძახილით.

ერთხელ, ორ თანაკურსელ ფერიას შორის წყალგამყოფ ქედად რომ წევს, ისე შეზანზარდება კედლები ფეშენებლური ხატისა. რა საჭიროა სათვალთვალო ჭუჭრუტანაში გახედვა, ან რა ამოცნობა უნდა მარჩენალი მამის გაფისული მკლავების მუჯლუგუნებს; ან კიდევ მეექვსე სართულიდან რანაირად გადაყაროს ანგელოზი ასულები, ფრთები გვარიანი ხანია რომ შემომსხვრევიათ? ხოდა, ეგრევე გამოაღრიალებს კარს ტუჩებზე თითმიდებულის პოზით: ,,ჩუუუო'' განაიარაღებს მარბენალ მშობლებს, თითქოსდა ჩვილს ეს-ეს არის მიეთვლიმოს. ლოჯიასკენ მიხყავს მკლავებში მომწყვდეული მარჩენალები, ხორაგით გაძეძგილი ჩანთებით შებოჭილები ამავდროულად.

— არიქა, დიდი სტუმრები მყავს და თქვენებური ჯუჯღუნით არ გამიქციოთო, — აშანტაჟებს, — მეცადინეობით მისავათებულან მესამე დღეა. ხომ იცით, რა მესიაკონი შვილიცა გყავართ და კიდევ იმათი წყალობით ვაბარებ გამოცდებსო. ერთი გოგო ჩემი პროფესორის ქალიშვილია, ხოლო მეორე— დოცენტისა. თქვენ აქვე დაგიგებთ ლოგინს, მამა ხმელ ყულაბაზე წოლას ისედაც მიჩვეულია. დედა დატრიალდება რამდენადმე, სანამ გამოიღვიძებენ და კიდევ ერთიც, ხვრინვით თავები არ გადაგვხერხოთ, ვიდრე რიგიანად გამოვიძინებდეთო.

დაიძრება ღამე, მაგრამ ერთ-ერთი გამოღვიძებული ქალიშვილი ლოჯიაში რომ შემოანათებს და კოპწია ფეხებით ნაამაგარი მამის ხევარდოვანი სხეულით განაგრძობს სიარულს, თან ბურანიდან რიგიანად ვერგამოღწეული აქა-იქ შეიცხადებს:

— ზაზა, დარაგოი, ჩტო ჟე ეტო ჩუდოვიშეო.

გამოღებული კარიდან დააწყნარებენ:

— ეტო, ნაშ ბატია, ნატაშა, მილაიაო, — აქ მართლაც გაველურდება ჯაგარაშლილი მამა,— ახლა ბატიც გამხადე შე ოჯახქოროო, — იგივე ზაქი ზოგადქართულად და აიკრეფს გუდა-ნაბადს ძირს მომლოდინე ,,ზიმისაკენ'' თავის დედაკაციანად.

ყოველივეს გათვალისწინებით, ცოდვად არ ჩაგვეთვლება ჩვენი საარაკო ჯულუხიძესთვის ბატია დაგვენათლა მარბენალი მამის ხსოვნის გვირგვინად თუ თქვენი მონა-მორჩილის ნათლიმამობის საწინდრად.

ოჩიგავას ყულეკი და ტერმინალი

ისედაც ნელის სვლით მიმავალ ჩვენს ,,ბულდოგს'' რკინის ჭიშკართან, გაძეძგილი ჩანთებით მკლავებდაძაგრულად მომლოდინე მამაკაცთან გაჩერება არ გაუძნელდება.

უკანა სალონში თავსდება ბარგიანად.

ძარღვიანია, მაღალმაღალი, ყირმიზსახიანი და დანაკვთული სახისა.

ვაბოლებთ სამივე. საუბარიც აეწყობა.

ხავერდოვანი ტემბრით გამოირჩევა, აი, ჩელოს რომ ახასიათებს, იმნაირით.

ოჩიგავა ყოფილა გვარად, ვერც ენაძუნწობას დასწამებ.

საუბარი მონადირულ თემას დაიხვევს მაჯაზე. ტყეების გაჩანაგებას წუხს.

— ტყე არ არის, მაგრამ არც ფიჩხის და ნაფოტის ნაკლულობა გეტყობათ მაინცდამაინც. ზამთარ-ზაფხულ ყურებიდან ამოგსდით კვამლი, — ენამწარობს ბატია ჯულუხიძე,— შვლებით გაივსო აქაურობაო, მესმის დარბაისელი ხალხისაგან. კი, მაგრამ სად იმალება ეს შველი ტყეები თუ გაჩანაგებულა? მურთაზ ტურა იქ არ ცხოვრობს, კაცო, თორსაში?

— დიახ, თორსაში ცხოვრობს, — დაუდასტურებს ირონიას ვერმიხვედრილი ყულეველი. ვხედავთ გვარიანად შეზარხოშებულა და ეს უფრორე გვიიოლებს სჯა-ბაასს, — იქ რომ შეხვალ, ხელმარჯვნივ, ბოლოს.

— იმ აბშილავას რა ხქვია, დამავიწყდა.

— ჭიკუ მოკვდა, — თანადროულად ეპასუხება ოჩიგავა.

— ჭიკუ მოკვდა და ეს ჭიკუს ბიჭია ხომ?

— ჭიკუს ბიჭია ზვინ აბშილავა.

— ზვინ აბშილავა? — გაიკვირვებს ბატია ჯულუხიძე.

— მთლად საღ-სალამათი დაიარება.

— კეთილი.

— მე მიცნობენ ისინი ყველა, ორმოცი წელიწადია. შველის სეზონი ცოტა ხანში დაიწყება. ახლა მაკეები არიან. სულ რაღაც ორიოდე თვე და კუნძულიდან კუნძულზე მოჰყვებიან ხტომას. ხოხბის წიწილზე სხარტები გახდებიან, მაგრამ ესენიც თავიანთი საქმის მაესტროები გახლავან.

— ყავს მისწევიხარ შველის დევნაში; ხომ არსად გიდირიჟორია, კაცო?!

— სიმღერით მოგეცათ ლხენა.

— ჯერ სხვადასხვა სიბრტყეზე ვართ, შენ— შეზარხოშებული, ჩვენ — წაუხემსავი. მაინც რა ეღირება ეს ყველაფერი თუ გიყვარდე?

— რა ეღირება და, ხა, ქვეყანა გაწყდეს, ორმოცდაათი, ასი ლარი. გინდა ორასი ვთქვათ.

— კრავის ფასად იშოვება თურმე, — ჩავერევი მე; ნუ დაგვავიწყდება, რომ უკვე კარგა ხანია ხობისწყლის ამომაღლებულ ნაპირს გამოვცდენილვართ, ველობში გავღწეულვართ, საიდანაც ზურმუხტისფერი და ამავდროულად ნისლისმაგვარ ორთქლში გახვეული ტბორი გამოჩნდება. სული წამსძლევს კვლავინდებურად: ნეტავი, რა წყაროა-მეთქი.

— ცხელწყაროს ვეძახით.

— ცხელწყაროს? მაინც რას ნიშნავს? — არ მოვეშვები.

— გაბურღეს, ნავთობს ეძებდნენ და ცხელი წყარო ამოხყვა.

— ახლაც თბილია? — შევუჩნდები.

— მთლად მდუღარეა, გინდა ზამთარი იყოს, გინდა — ზაფხული.

— ვინ იცის, იქნებ სამკურნალოცაა, თავიანი კაცი მრავალი დანიშნულებით გამოიყენებდა. ეს დანგრეული შენობები რისია, რას ემსახურებოდა?

— აქ თევზის კონსერვს ამზადებდნენ. მოდიოდნენ როსტოვიდან, კრასნოდარიდან, საიდან არა.

— თქვენს სოფელში რამდენი მოსახლეა, ბატონო...

— პატიკო, — შემაშველებს ხელად, — ოთხმოცდაათი.

— საშუალო სკოლა თუ გაქვთ?

— როგორ არა, კაცო! უსწავლელად ვინ თქვა გამართული სიარული დუნიაზე?!

— ყულევი რატომ ხქვია? ვგონებ ადრე რედუტ-კალესაც ეძახდნენ.

— ვერაფერს გეტყვით. ახალგაზრდა კი ჩამოვსახლდი ყულევში, მაგრამ არასდროს დავინტერესებულვარ ამეებით. იქით და იქით ტყეები უფროა შენახული, შველიც იქ ბინადრობს უკეთ. იქნებოდეს წესიერი ცხოვრება, აქაურობაში ყოფნას რა სჯობია, მაგრამ წელებზე ფეხს ვიდგამთ და მაინც სიდუხჭირეა.

— ესეც იქიდან წამოსული ცხელწყაროა?

— არა, ეს ხობისწყალია.

ასეთი ცისფერი და თვინიერი ხიდრო-საოცრება იშვიათად მინახავს. რაც თავი მახსოვს ტრასაზე ამვლელ-ჩამვლელს ხობისწყალი დაწმენდილი არ შემხვედრია, ისეთი დაწდევებული მოედნიება ნაპირს გასწორებული, ლამის ჩამოვხტე მანქანიდან და გულში ჩავიკრა მშობელ დედასავით.

— ის ცხელწყარო ხობწყალს უერთდება? — ამოვღერღავ წამიერი დუმილის მერე.

— ქო, პატენი, უერთდება და მისდევს ბოლომდე. თევზსაც ეს შემოიტყუებს ხოლმე აქეთ, ქვირითის დასაყრელად.

— ნადირობა არ მიყვარს, მაგრამ თევზაობის გიჟი ვარ, — ვაგრძელებ ბატია ჯულუხიძის სამარისებურ დუმილში. იცის მიკროფონი ჩართულია და რესპოდენტის სრულყოფილად დაფიქსირებაში არ მეჩრება, — ზღვისპირა ჭურიაში ვარ ნამყოფი, კახათელ მწემსებთან მიცხოვრია თერთმეტი თვე. მენცარკოჩ ირიდი სართანიასთან მიმეგობრია. ჭურია ხობის მხრიდან იწყება მგონი.

— ცამდე მართალს ბრძანებთ.

— აქედან. ხოდა, იქ რომ არხები იყო, დღემდე არ დამვიწყნია, თუმცა ეს რა სასწაულია?! საოცრებაა თურმე ხობისწყალი ქვემო წელში.

— ღორონთიშ შურცალო ენიქვანთ.*

— ეს რა მშენებლობებია? — მივჩერებივარ ახორხილ ალუმინის მილებს.

— აქ ადრე წყლის „ბაშნია“ იყო. ახლა რეზერვუარებს ხომ ამჩნევ, რამდენია, სულ ტერმინალის ხალხის მოტანილია. სახე ეცვლება ადრინდელს, ალბათ, უკეთესობისკენ. აქეთკენ მოეშურება თურმე შველი, ეშინიათ მანქანების ხმაურის. მონადირის წესი სხვანაირია, იქით უნდა სდიო კუდში ტყიურს, გინდა ჭაობში ჩაგითრიოს. ჭიშკართან მომდგარს თოფს ვერ მოუღერებ.

— სხვა ნადირი თუ არის რამე, მგელი, დათვი? — ვაგულიანებ მე.

— არა, მგელი არ გამიგონია, დათვი მთლად რა სახსენებელია. ტურები კი მილიონობით მომრავლდა.

— მართლა, კაცო?! — ეს ბატიაა, სულმა წასძლია.

— ღამით გარეთ რომ დარჩე, გაგძვალავენ. მშობიარე ქალივით კივიან ესენი. ხობის წყლის

შესართავთან დაიდო ბინა ტერმინალის ხალხმა. ადგილობრივი მოსახლეობა აქეთ გადმოასახლეს. სულ თოთხმეტი ოჯახია. პელეტი სახლები წამოუჭიმეს. უწყვეტად აქვთ სინათლე. მუქთად კვებავენ სამჯერ. ამას გარდა ფარაც მისცეს გვარიანად.

— კომპენსაცია, — კვლავ ბატია ჯულუხიძეა.

— 30 ათასი დოლარი მისცეს თითოეულს. გადასახლებული უძახე ახლა მაგათ. თევზაობით ირჩენდნენ თავს აქამდე. ძველებური პროფესია დღესაც არ მოუშლიათ. მოტორიანი ნავებით კვლავაც გაშლიან ბადეს ზღვაში. ხეხილს ახლა რგავენ, თუმცა ბაღნარებით არც ადრე დაეკვეხნებოდათ.

— ციტრუსი თუ იყო აქ, პატიკო, ბატონო?

— ადრე რამდენიც გინდა. მხოლოდ ჩემთან შემორჩა. ჩემს ეზო-კარს თოთხმეტივე სამოსახლოზე არ გავცვლი. აქეთკენ ჩინებული თხილი ხარობს. ვენახიც თვინიერია. ნამყენ ხილს ხომ არაფერი შეედრება.

— დალევით წვეთს არა ვსვამთ, მაგრამ აქეთობისას შემოვიხედავთ თქვენთანაც. ბაღ-ვენახსაც დავათვალიერებთ და ცოცხალი შველის მოხელთების დრო-ჟამსაც დავთქვამთ, — პირდაპირია ბატია ჯულუხიძე. მანქანას ამუხრუჭებს.

— გაიხარეთ შვილებო, სტუმარი ღვთისაა. მე აქ ჩამოვხაბარკდები. ესაა ჩვენი დედაქალაქის ცენტრი.

***

დავშორდებით ენაწყლიან ოჩიგავას და რამდენიმე წუთში ტერმინალის ცენტრალურ შესასვლელსაც მივადგებით.

უჩინმაჩინი უნდა იყო რკინის შლაგბაუმს გაცდე. ვეღარაფერს მშველის პრეზიდენტის პრესსამსახურის საშვი, აღარც პარლამენტის დაცელოფნებული მოწმობა წამადგება, ვეღარც მწერალთა კავშირის მანდატი უკვდავი შოთას გამოსახულებით; სანამ ტერმინალის ოფიციალური ხელისუფლება, ანუ იგივე ხელმძღვანელობა, სპეციალურ საშვს არ გაახლებთ, ვერანაირ ინფორმაციას მოიპოვებ, შეუიარაღებელი თვალით კი აფიქსირე სანახები რამდენიც გნებავს, რამდენიც მოგეგუნებება.

საგუშაგო ჯიხურთან ზღვაური წუის, იმისდა მიხედვით, შენი ყურთასმენა ამ კოკროჭინა შემინული შენობის კუთხესთან რამდენად მიმყუდროებულა.

შორეული გრუხუნი მსწრაფლ მოქროლდება სუსხიანი ქარით.

შორს რიტმულად მოძრაობენ ამწეები.

იქით და იქით შლამს ისრუტავენ სპეციალური დანადგარები გემიდან, გაავსებენ თვითმცლელებს და ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევიან ხობისწყლის საწინააღმდეგოდ. აფართოებენ და აღრმავებენ შესართავს.

შლაგბაუმის სიახლოვეს ატუზულ კოლხური იერის ორ მამაკაცს გამოვესაუბრები. ბიძაძმისშვილი ქვარცხავები აღმოჩნდებიან ხეთიდან. უმცროსი ავთანდილი პირწავარდნილი სპარტაკია დუგლასის განსახიერებით.

— ჩვენთან ტკბილი მანდარინი იცისო, — ბრძანებს, — მაგრამ რად გინდა, ჩაიკეტა სოხუმის გზები და იხალე ახლა თავში. სადაური ხართო, — ჩამეკითხება აქეთ. ვუპასუხებ და მყისვე მომიგებს, — თქვენათანც ჩინებული მანდარინი იცის, მაგრამ უკეთესი თხილია. თხუთმეტი დღეა აქ დავდივარ, ამ შლაგბაუმთან ვარჭვივარ სარივით, სამსახურს ვეძებ, მაგრამ მშველელი ვინ არის? ქალ-ვაჟი მყავს უმაღლეს სასწავლებელში, ჩემო, ბატონო, და იქნებ ერთი წლის ქირა მაინც გადამეხადა აქ დაზოგილი ფულით. სამასორმოცდაათ ლარამდე ანაზღაურებენ თვეში. ტანსაცმელი, ბინა და სამჯერადი კვება უფასოა. პატრონი რომ გამომჩენოდა, სიტყვისათვის, ხომ დამეზოგებოდა წელიწადში სულ ცოტა ოთხიათასი ლარი? მერე და ოთხი ათას ლარს შენ ჩვენს პირობებში ეხუმრები?!

ბატია ჯულუხიძის ხელქვეითი ჩაგვერთვება საუბარში. თავად „გენერალი“ ტერმინალის შემოვლაზეა ორხიდიანი მანქანით. „ბულდოგი“ ჩემთვის დაუტოვებია აქა-იქ მოსასვენებლად. ერაგიას მოლოდინშია ყელა და უშიშროების დაცვის ბიჭებთან თითებით ყლის გამოწევა თავმოყვარეობის შელახვაა.

„აქაც ორხელისუფლიანობაა“, ვასკვნი ჩემთვის. „შიდას ერთი დარაჯობს, გარეთას — მეორე“, ვერაფრით ვიცილებ აკვიატებულ ფიქრს და მისი ხელქვეითი ზემდეგის ჯიხურში შემოპატიჟება უყურადღებოდ მრჩება.

—... ყველაფერს რომ მოვეშვათ, — მოუსწრებს ჩემს ყურთასმენას მოსაუბრის დიალოგის ნაწყვეტი, — ფართოვდება ხობისწყლის შესართავი. ამას გარდა კიდევ არის სხვა მომენტი, ღრმავდება შესართავის წვერო, რათა ტანკერებით მოხდეს ნავთობის გადაზიდვა. ნავთობი ტერმინალში, ბუნებრივია, შემოვა რკინიგზით ფოთიდან და ეს რკინიგზა გაგრძელდება ხეთამდე.

— ხეთამდე რისთვის? — რაღაც იმედისმომცემი აზრი გამიელვებს.

— ალბათ... კი არა ნამდვილად, მოხდეს შავი ზღვის მთელი ზოლის ათვისება — ყველა მდინარის შესართავთან ტერმინალების ქსელის გაშლა. ეს იგივე აფხაზეთის შემოერთებაცაა უმტკივნეულო ეკონომიკური გზით, ანუ როგორც აქ იტყვიან ხოლმე, ეკონომიკური ინტეგრაციით, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს ამ ორ თვითმყოფად ერს შორის დათესილ სრულიად უგუნურ და გაუმართლებელ სისხლისღვრებს. გზა ამჟამად ფოთის მიმართულებითაც შენდება, — აგრძელებს ჩემი ყურთასმენის გასახარად ინკოგნიტო ზემდეგი, — რადგანაც უნდა შემოვიდეს ლიანდაგით ნავთობი რამდენიმე წელიწადში და მერე საითკენ წავა ყულევის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სამუშაოს საძებრად, მათთვის მიგვინდვია. აგერ, სასტუმრო უნდა გაშენდეს, ბატონო, გური. ,,ა, მოუსწრია დაკვალიანება ბატია ჯულუხიძეს", გამკრავს გონებაში,— ახლა, რომ ხედავთ, დროებითია. ამიტომაცაა შეუბათქაშებელი. ორასორმოცდაათი მუშახელი ცხოვრობს იქ ამჟამად, 15-20 კაცი წევს ერთ ოთახში. იჭირვებენ, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ფეხი ისე გაჭიმე, საბანი სანამდეც გწვდებოდესო. დაცვის სამსახურში ჯერჯერობით თოთხმეტი პოლიციელია. ბიჭები თავიანთ მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებენ. უცხო პირთა საშვის გარეშე ტერმინალში შეშვება ბრძანებით აკრძალულია და მოგვიტევეთ ამის გამო. ვიდრე ჩვენამდე მოაღწევდით, ალბათ, შენიშნავდით ბარაკული სტილის სასადილოებს. იქ ყოველ წუთს შეიძლება სწრაფი წახემსება: სოსისი, ერბოკვერცხი, სხვა რამერუმე. საგადასახადო დავალიანებებს ყოველთვიურად ისტუმრებენ. რამდენადაც ვიცი თორმეტ-თორმეტ ლარს, აქვე, სასოფლო საბჭოში. ჯერ კეთილდღეობისა არაფერი გვეტყობა, მაგრამ ტერმინალის მომუშავე პერსონალი კმაყოფილია თავისი იღბლით. აგერ, ქვერცხავებს შეხედეთ, ორ კვირაზე მეტია ყოველდღიურად გვაკითხავენ. ადრე აქ სამუშაო ადგილის მაძებარი უფრო მოზრდილი ჯგუფებიც მინახავს. რატომაც არა? ყოველთვიური ჯამაგირი სამასი ლარი პატიოსნად შეენახებათ უფასო სამჯერადი კვებისა და ძილის პირობებში. ბატონმა ედუარდმა ჭიქა შამპანურით დალოცა ეს ადგილი, აქედან, — ხელს იშვერს ტერმინალის ამწეებისკენ, — დალოცა სრულიად საქართველოს აღორძინება და ვნახოთ, მომავალი რას მოგვიტანს. მეჩვენება თითქოს ქარი ჩადგა, სუსხიც წართმევია მის უჩინარ ხვეულებს ყელ-ყურთან; მეჩვენება თითქოს ხობისწყალი უკან იხევს, ანუ იწყება სათავეებისაკენ ორაგულებისათვის დამახასიათებელი განფენის ჟამი, ეტაპი, ხანა.

სახელდახელო ფაქტები აზუზუნდება ჩემს გადანისლულ თვალსაწიერზე: ტერმინალის მშენებლობიდან, რომელიც ლამის წელიწადია შეწყობილად ხმიანებს, როგორც ცენტრალურ, ასევე ხობის ბიუჯეტში ორნახევარი მილიონი ლარია შესული. ეს მოსახლეობის დონესაც ხომ დაეტყობოდა წესით გარკვეულწილად?! გაჩნდებოდა ადგილობრივი ბიუჯეტის შემავსებელი დამატებითი წყარო. ენდემურ ჯიშებს თუკი მეტი გულისყურით მოვეკიდებით! თხილს, მეცხოველეობას, ფუტკარს, დრო-ჟამისაგან გამოცდილს, შვილივით ნაზარდ ვაზს, მეკამეჩეობას, სხვათა და სხვათა და ყოველივეს მოხერხებულად გადავახურჯინებთ ენერგომატარებლებთან, რომელი სიდუხჭირე დაგვიდგება წინ, რომელი უნუგეშობა და გულგატეხილობა?!

თოთხმეტი ახალმოსახლის მოშანდაკებულ ქუჩას ავედევნები.

ხობისწყლის ტოტის მოშიშვლებული ნაპირი ოღროჩოღროა. აი, სულ ახლახან, დაბისმაგვარ კუნძულს ქმნიდა იგი. ახლა იქ მშენებლობის ნავსაყუდელია.

სუფსის ტერმინალით დაიწყო კოლხეთის □და არა მხოლოდ კოლხეთის, იქნებ სრულიად საქართველოსი მთელს კავკასიასთან ერთად), აღორძინება. იქ უკვე გროვდება აზიური ნავთობი. ეს პროცესი ბუნებრივიც უნდა ყოფილიყო, რადგან არ არსებობს დედამიწის წიაღში აზია და ევროპა, ამერიკა და ანტარქტიდა; ის საერთოა, საყოველთაო, გულში სანუკვრად ჩასაკონებელი მთელს დედამიწასთან ერთად, ხოლო რაც მოიპოვება მის ძარღვებში, ამას ოთხივ კუთხით მიწოდება სჭირდება და აი, მაშინ იჩენს თავს აღმოსავლეთ-დასავლეთი თუ ჩრდილოეთ-სამხრეთი, მაგრამ როდესაც მიწის წიაღიდან თუ სულის ქვესკნელეთიდან ზეამოწეული ნებისმიერი საგანძური გაყოველთავდება, ჩვენც გავალთ ზოგადეროვნულიდან ზოგადსაკაცობრიო აზროვნებაზე და ეს უკვე ნებისმიერი მოქალაქის ჭეშმარიტი ბედნიერების საწინდარია.

აი, წერო აფრინდა ლელიანიდან, მაღალკანჭება.

დამშვიდობების წინ ბატონმა ანგულიმ ბრძანა: მაინცდამაინც ტერმინალში შენი შესვლა თუკი

ვერ მოხერხდება, არაფერია, ყველა საჭირო მონაცემი ჩემს ხელთაა; შენ მწერლის თვალით შეხედე იქაურობას, შენებურად გაისიგრძეგანე და დანარჩენს ეშველებაო.

სულ ასი ხექტარი ყოფილა ტერმინალის ტერიტორია, კვადრატული კილომეტრისა, გეომეტრიულად. მაგრამ თუკი ამ სულისკვეთებამ ხვალ ხეთისკენ გადაინაცვლა, ზეგ— ანაკლიისკენ და მასზეგ — გუდავასკენ, განა ძნელი წარმოსადგენია, ჩვენი უხეირო გაანგარიშებით ოთხას ხექტარს რა გრანდიოზული ჩანაფიქრი ხქონია, რომელიც უნებლიეთ გვიბიძგებს ფადაასისაკენ, ანუ ეკონომიკური აღმშენებლობით საკუთარი მიწა-წყლის შორსმჭვრეტელური მოწყობისაკენ!

ფადაასი კოლექტიური მსვლელობაა სამშობლოს ღირსების დასაბრუნებლად ღვთაებრივ სვანურში. ვიცით ამის თაობაზე წინა გვერდებიდან, მაგრამ იგივე არ არის განა საბერიოს მრევლის ელექტროენერგიით მომსახურება აფხაზურ-ქართული მოსახლეობისათვის?! განა აქ ელექტროენერგიამაც მსგავსი გმირობა არ ჩაიდინა ჩვენი ხალხების უნებლიეთ დაზავების საქმეში? ამისი სულისჩამდგმელი და მოთავე, ხომ დიახაც ბატონი გიორგი მიქავაა, დაუვიწყარი სახალხო გმირის, უტუ მიქავას შთამომავალი?

კიდევ უამრავი ძარღვი მოეპოვება ჩვენს სხეულს მომავლის გადასარჩენად. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, ,,ბაგრატელები'' და ძიკი კვარაცხელიას ლეგენდარულ სახელთან დაკავშირებული მათი რქანაყარი ჯოგი თუ დაფნა, ცემენტი, თხილის პლანტაციები? ნაადრევი გაზაფხულის სურნელი მიღიტინებს ნესტოებში, დაჩქარებული გაზაფხულისა, როცა კაცს კვირტის გამოხედვის გეშინია, ვაითუ უცაბედმა ყინვამ არ დააზროს ყოველივე და ნიავ-ქარს არ გაატანოს სამომავლო სარჩო-საბადებელიო.

დაახლოებით ასეთი შინაარსის შრომის რიტმია დღეს ,,ტერმინალი-2000''-ის ტერიტორიაზე. გრუხუნი. მანქანების მოძრაობა ილანდება შორი სილუეტით.წამოქცეულია ხეები, რომლებიც ხვალ და ზეგ შეშად დაიხერხება; უფრო გალარულისაგან შესაძლოა ბატია ჯულუხიძემ ყულაბა-სკამლოგინიც კი გამორანდოს მამის მიმსგავსებით შვილების მომავლის გადასარჩენად. ჩვენ უკვე მერვე წელიწადია ჯიუტად მივეშურებით აფხაზეთისაკენ; მივისწრაფვით იავარქმნილი მამულისაკენ; მივეშურები დამცრობილი ლარდასკენ, გაძიძგნული დობადონასკენ; მოვილტვით ნამუხაჯრალი აფსნისკენ ფადაასის გზით, ანუ სამშობლოს ღირსების დასაბრუნებლად კოლექტიური აღმშენებლობითი მსვლელობით.

უკანასკნელ სამოსახლომდე მოვღწეულვარ.

ამას იქით სავალი წყდება, თუმცა ჩირგვოვანებში ორიოდე ტრაქტორი მოუსვენრად დათუხთუხებს. აქედან ფოთის მიმართულებაა. ხიდსაც გამართავენ თურმე რკინიგზის შემოყვანამდე და მერე მოსახლეობას ერთი ორად გაუიოლდება.

ყველაფერს სიახლის მძაფრი სურნელი ასდის — ღობეებსაც, ეზოებსაც, სახეხილე მიწის ნაკვეთებსაც, რომლებიც საგანგებოდ გაუსუფთავებია მათთვის ტერმინალის ხელმძღვანელობას.

გეხალისება კოპწია ნალიები, საქათმეები, საღორეები, სადგომები მსხვილფეხა რქოსანი საქონელისათვის.

აივნის მოშორებით ორი დედაკაცი ფრინველს აპურებს. ახალგაზრდა უფრო ადრე შეეშვება საქმეს. კაბის კალთებს დაიფერთხავს და ბაკისკენ გამოუყვება სახელდახელო ტროტუარს.

უცაბედი ინტერვიუსთვის დაყოლიებული რესპოდენტი ნათელა ფიფია აღმოჩნდება. შუახანს მიღწეულია. თმაში ჭაღარა უელავს აქა-იქ. სანდომიანი სახისაა, ყირმიზი, ცხვირის თხელი ნესტოებით, ნაოჭმიპარული შუბლითა და წეღან დალანდული ხობისწყლისფერი თვალებით. მიღიმის ჩამწერის უქმ შრიალს თვინიერად მიჩერებული.

— ფიფიები კიდევ არიან თქვენსას?— დავარღვევ მყუდროებას.

— კი, ერთი ოჯახი, — მეტყვის გაღიმილებით, — დანარჩენი თორმეტიდან თითო მოსახლეა ქებურიები და ოდებაშოღლები, მიქაძე სამია და კიდევ— კაკულიები.

— ახალ ნერჩს გილოცავთ, ქალბატონო, ნათელა ფუძის ანგელოზს. აქვე გაგვიმხილეთ გულახდილად, ძველს თუ მისტირით, ან უფრო მარტივად, სევდას თუ გგვრით ხოლმე?! კერიის გამოცვლა არა მგონია იოლი შესაგუებელი იყოს.

— ვეჩვევით თანდათან მზის ამოსვლას. ცხოვრების პირობები ამჟამად რამდენადმე გაუმჯობესებული გვაქვს. მხოლოდ ბოსტანი და ხეხილი აკლია ჩვენს სიმყუდროვეს. საამისოდ თავად შემოაქვთ ნოყიერი მიწა, თვითონვე გვეხმარებიან მოსწორებაში, ნერგებსაც ჩავყრით, ალბათ, წლეულს და მოესწრებიან ჩვენი შვილები მათ ჩეროებს და დაშაქრულ ნაყოფს. მთელს რესპუბლიკას უშუქობა აწუხებს, ჩვენ კი სისტემატურად გვაქვს იგი.

— სასწაულია, მწერალი კაცი მეთქმის და ლამპის შუქზე მიხდება ჩხაპნა. ხელშეწყობა თვალში-

საცემია, მაგრამ იმის თაობაზე რას მეტყვით, როცა ტერმინალის ამოქმედების შემდეგ ხმაურიც იმატებს, დაირღვევა თქვენი ოდინდელი სიმყუდროვე, იდილია; ნავთობის სუნით გაიჟღინთება ხაერი. უფრო მოშორებით რისთვის არ ამჯობინეთ დასახლება, თუნდაც სოფლის ცენტრისკენ?

— ტერმინალი უცილობლად დიდი მშენებლობაა. ეს წაადგება როგორც ჩვენს რაიონს, ისე— რესპუბლიკასაც. რაც შეეხება ეკოლოგიურ დისბალასსს, არც თბილისში გაქვთ მაინცდამაინც კოჯორის თუ კიკეთის ხაერი, მაგრამ იქიდან აყრაზე ჯერჯერობით არავის აუტკიებია თავი. ესეც რომ არა, ხომ არავის წაუღია აქედან ხობისწყალი თუ შავი ზღვის მარილიანი ხაერი?! რა, ვერ გადასწონის ვითომ ამ ციცქნა მშენებლობის თუნდაც გაჭუჭყიანებულ ხაერს ჟანგბადის ბალონების ოკეანე?!

— ისე ხატოვნად მსჯელობთ, ისე გმართულად, ალბათ, ფილოლოგი ბრძანდებით...

— წიგნების კითხვა მიყვარს, დიახაც. ჩვენი კლასიკოსები... მურმან ლებანიძე, ანა... სწორი საუბრისათვის აუცილებელია დიპლომი?

— შეიძლება საქმეს მოგაცდინეთ და მაპატიეთ. ისე დიდი მადლობელი ვარ. გჯეროდეთ, რომ ჩემს წიგნში თქვენი სიტყვა ხელუხლებლად დარჩება.

ტერმინალის შესასვლელისაკენ უკუმოვიქცევი, გზადაგზა ერთი და იგივე აზრი მიღიტინებს თავში: ,,რას ერჩი. როცა ღირსეული გვარის წარმომადგენელი ხარ, როცა ბულათია ფიფიას ნაშიერი ბრძანდები, ან მართალია თოდუას შთამომავალი გეთქმის, ან კიდევ უტუ მიქავას ფესვის გამგრძელებლად იწოდები, დაგაკლებს ვითომ რამეს კოსმოპოლიტიკური წნეხები და შემოტევანი?! ოდნავი სულისმოთქმა გვჭირდება დღეს ჩვენ, იოტისოდენა, თაგვის კუდისხელა, რათა ისტორიის მარათონული შეჯახებებიდან გამოღწეულებს მეორე სუნთქვა ჩაგვერთოს; აი, ეს მომენტია მტკივნეულზე მტკივნეული და მერე ნებისმიერი წინაღობა გადაილახება, წელში გავიმართებით ერთხელ და სამუდამოდ. მხოლოდ ფადაასის გზით სიარული მიგვიყვანს ამ მდგომარეობამდე, ანუ კოლექტიური შეტევის გეზი სამშობლოს ღირსების გადასარჩენად გონიერი აღმშენებლობით..''

ახალმოსახლეთა შუაწელში ველოსიპედიან ბავშვებს დავლანდავ. მომძვრალ პედალს უჩხიკინებენ. ლითონის ფურცლებისგან შეკრული მაგიდის სიახლოვეს დაწყობილ შეშასთან მორზე მოხერხებულად მოკალათებული ხელით მოვიხმობ სამივეს. მინიატურულ ჩამწერს მიაჩერდებიან.

— დედა, რა პაწუაა?! — წაეტანება ერთი.

— კასეტა სად ეტევა, დამანახე, რა! — მეხვეწება მეორე.

მესამე გაბუსხულივითაა. ვაკმაყოფილებ მათ სურვილს, კვლავ დავმუხტავ და სასაუბროდ განვაწყობ თითოეულს.

— ამ სიშორიდან დადიხართ სკოლაში, ცენტრისკენ?

— არა, აქვეა, ერთ კილომეტრზე, დაწყებითი.

— რომელი კლასელი ხართ, ბიძია? თან გვარებიც მითხარით.

— კაკულია, —მეტყვის კასეტით დაინტერესებული.

— ოდებაშოღლი, — გამიმხელს ხელმოუსვენარი.

— შენ, კაცო, — მივაჩერდები გაბუსხულს.

— ესეც კაკულიაა, — თამამობს მეკასეტე.

— აბა, რა ნიშნები გყავთ? ჩემი კოკა ფრიადოსანია, მაგალითად.

— ჩვენხელაა? — კვლავ კაკულია პირველი ყოჩაღობს.

— ცოტათი უმცროსი, მეორეკლასელია.

— მაშინ ჩვენც ხუთიანები გვყავდა, ახლა გამოგვერია თითო-ოროლა ოთხიანი, თორემ.

მიხვდებით ცეროდენათაგან საუბრის სადავე ვის ხელთაა.

— შუქი უწყვეტად გქონიათ. ტელევიზორი?

— იმათი ფულებით ვიყიდეთ, ვიდეოც.

— რვაას ლარში, — დააკონკრეტებს ოდებაშოღლი.

ბატია ჯულუხიძის ,,ბულდოგის'' მომუხრუჭებით საუბრის ჩამთავრება არ დაგვცალდება.

ვემშვიდობები ბიჭებს. ხუჭუჭა ქოჩრებს ავუჩეჩავ სათითაოდ. საქართველოს სიყვარულს ვუანდერძებ.

ვეშვებით ხობისწყლის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით.

სოფლის ცენტრთან ორ მანდილოსანს შემოვიხიზნავთ, ახალგაზრდას და სანდომიანი სახისას. პედაგოგები აღმოჩნდებიან. უმცროსს ეს-ეს არის სოფლის გამგებლობაც შეუთავსებია.

ორმოციოდე მეტრში ენაწყლიანი ოჩიგავაც შემოგვიერთდება დაჩუტული ჩანთითა და გამოცარიელებული ბოცით. ქალიშვილის საპატივცემლო სუფრის გასაშლელად მოიჩქაროდა და ამი-

ტომაც წაუყრუებდა თურმე ჩვენს სტუმრიანობას.

— წიგნს რა ერქმევა და როდის გამოვაო, — მომანათებს უფრორე აღგზნებულ სახეს. ვეტყვი, ახალ ათასწლეულს ვხსნი მისით-მეთქი.

— მე განახებთ ჩემს ოჯახს, თვალი ზედ დაგრჩებათ. რა არის ხატია რომ მიჯიკავებ? შემჭამა ამან, შემჭამა. დაწყებითი დავამთავრებინე. ნამდვილი კომუნისტია. ვიტყვი რამეს და სულ მიჯიკავებს. რა, დავმალო ათას ოთხასი ძირი თხილი რომ მაქვს? პროფესიით შოფერი ვარ. რაც ბავშვობიდან საჭეს ჩავაფრინდი, ხელიდან არ გამიგდია. მერე სხვებსაც ვასწავლიდი. იმდენი სიკეთე ჩვენ, რაც მანქანა გამიყიდია, ჩემს ხატიას გეფიცებით, ,,ვოლგა'', ,,ნივა'', ,,მოსკვიჩი'', ,,პობედა''...

— კოლეგა, კოლეგა, — წაიღიღინებს ბატია ჯულუხიძე, მაგრამ საკმაოდ თავდამძიმებული ოჩიგავა ამ ტენორულ ეტიუდებს აინუნშიაც არ აგდებს.

— ანგული მიქავა ჩემი საყვარელი კაცია, კოჩანიერ კოჩი. რას მიჯიკავებ ხატია, სიმართლე არ უნდა მათქმევინო?!

უკვე ოჩიგავას ეზო-მამულის ტყვეობაში ვექცევით. წინ მიგვიძღვის რიხიანად. ჩიტივით დაფრინავს წლობით ნაამაგარ მამულში, თანაც ხატიას მუჯლუგუნებისგანაც დაღწეულა. ეგეც რომ არა ღვინოსაგან გვარიანად შებარბაცებულს ბატია ჯულუხიძის ბწკენები რწყილებად ეჩვენება.

— ამ ადგილას, გური, სკუა, ტრიალი მინდორი იყო. ოცდაოთხი წლის ვიყავი, როდესაც აქ დავსახლდი. ერთადერთი ლაფანის ხე იდგა მხოლოდ, ეზოში რომ განახეთ, ის ხე. ღმერთმა შეგვახვედრა ხელმეორედ, არ ურევია ყველაფერ ამაში ღმერთის განგება? ურევია და მერე როგორ? ამ უშველებელ ეზო-კარს ჩემი ხელით მოქსოვილი ,,სეტკა'' არტყია გარშემო. ოცდასამი წელიწადი ვქსოვდი ,,სეტკას''. ერთ დროს დიდი გასავალი ხქონდა! ფული ჩეჩქვივით მქონდა. აქ ყველაფერი ჩემი ხელითაა ჩაყრილი და დარგული. მიწა თაფლივითაა. შვილებს გეფიცები შვიდას ძირზე მეტი ნამყენი მსხალი მაქვს.

— თხილი და დაფნა ერთად იშვიათად მინახავს, პატიკო, ბატონო, — ვეტყვი ღვთიური სიხარულისაგან ამჩატებული.

— ეს მსხლები მე დავთესე და მევე დავამყენი. მე ვარ მყნობელი კაცი. ჩემისთანა ეზო ისტორიაში არ ჩანს.

— სემირამიდას ცაში დაკიდული ბაღების გარდა, — ჩაურტყამს ბატია ჯულუხიძე.

— ჩემისთანა ეზო საქართველოში არ იძებნება საერთოდ. მწკრივებს შორის მიწა ამოვთხარე, ამოვამაღლე, ხეხილსაც მოვაშორე ნესტი და ორმოები კობრებით ავავსე. მე ტონობით დაფნის ფოთოლს ვაბარებდი და ამავდროულად ოცადაათ წელიწადს ვრგავდი და ვამყნობდი ხეხილს: მსხალს, ატამს, ტყემალს, ვაშლს, აბრიკოზს... ტრიალი მინდორი იყო. მწყემსმა დამიტოვა საქონლის ნაკელით გაპატივებული.

შენ გქონდეს, შვილო, ორასიოდე მანეთიც მეყოფა საფასურადო.

აქ ექვსასი ძირი ნამყენი ტყემალი ხარობს. ყველაფერი საარაკო გამიკეთებია. რაც თავი მახსოვს ამათ ვრგავ და ვამყნობ. რომ მკითხეთ დაფნა ამათ შორის რატომ არისო, დაფნა, გური, სკუა, ჩვენი სულის მასაზრდოებელია, ავადმყოფობას არ აკარებს ხეხილს, გემოსაც სხვანაირს აძლევს. მერე მე ანგულის ვუთხარი:

კიდევ გავკაფავ ტყეს და თუთასაც გავახარებ-მეთქი. ოთხიათასი ძირი თუთის ხე ავაშრიალე, სულ ამ ორი ხელისგულისხელა ფოთლებით. მოვიდა მერე ერთი, ნადარაიას თანაშემწე და აბრეშუმის ჭიის გეგმა დამაწერა. გაუჩნდა უკურნელი ავადმყოფობა და მოსრა სრულიად. ახლა აქ ზოგი წითელი, ზოგიც ნახშირივით ტყემლებია, ქურქენწი კი არა, კბილებს სამართებელივით რომ კვეთს, დათაფლული. შარშან რვაასი კილოგრამი თხილი მოვკრიფე. სიმინდის ყანას ახლომახლო არ ვაჭაჭანებ. მე მაგარი კაცი ვარ. ჩემისთანა ეზოს დუნიაზე ვერ იპოვი. ყველაფერი დათვლილი მაქვს...

— თევზების გარდა — იკბინება ბატია ჯულუხიძე. — მიყვარს ამათი მოფერება, გასხვლა.შემოდგომობით, აი, ამ გაშლილ მაგიდებზე ჯდომას არაფერი ჯობია. პირდაპირ ჭიქაში ცვივა თაფლივით ტკბილი მსხალი, პირის დაღება სჭირდება მხოლოდ. ტანს ვიბან კიდევ აუზში ყოველდღე. ამინდს მნიშვნელობა არა აქვს, გინდა წვიმა იყოს, გინდა ყინვა და თოვლჭყაპი. გადავეშვები და ვბათქუნობ. ახლა ფრინველ-პირუტყვისკენ გავიაროთ. სტუმრის ხეირიანი გამასპინძლება თუ გინდა, გქონდეს უნდა საჩვენებლად რაღაც სახიერი. დედაკაცებსაც ხომ უნდა შეუწყო ხელი, ყელში არ უნდა ეცე, გოჭი და ქათამი ამდენ ხანს რატომ არ შებრაწულაო. სხვები ნარდს აყანყალებენ დროის გასაყვანად. ნარდი თურქის მოგონილია. ვაჭრობა უყვართ იმათ, სხვისი ნაოფლარით ხელის მოთბობა. ქართველი კაცი კი მიწისაა. ეს არის ჩვენი ბედისწერა. კაენის ძღვენი არ ინება უფალმა, აბელის ცხვარი კი

ხელად აიტაცა ზეცად. მე როდი ვამართლებ არათუ ძმის, ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლის ხელ-ყოფას, მაგრამ მიწა მარჩენალია ჩვენი და ეფერე მას, ოჯახაშენებულო, დილიდან საღამომდე, გა-ზაფხულიდან ზამთრამდე...

— ვიცი, ვინ ყოფილა შენი წამალი — ხატია და მისი მუჯლუგუნი, — იხტიბარს არ იტეხს ბატია ჯულუხიძე, — ტყემლებს რომ წვერისხელა ხავსი მოუშვია, სამართებელი გამწყდარა თქვენსას?

— მე მაგარი კაცი ვარ, — თავისას დასჩემებია პატიკო ოჩიგავა, — სამი ხექტარი ხეხილია აქ, მაგრამ უფრო მონდომებული ხუთსაც მშვენივრად გააშენებდა. ჯერ კიდევ მერჩის ღონე. იქით ხომ ხედავთ ჯაგნარის ხერხემალს, წლეულს უნდა „გადავაკარჩოვკო". კომუნისტი გოგო მარგუნა ბედმა, მაგრამ ტექნიკას როგორ არ მაღირსებს მშობელ მამას?! სხვა რაღაც მიღიტინებს სულში, გამზრდელ ბებიას გეფიცებით. გადავასწორებ, გადავაბრუნებ, ნერგებს ჩავყრი და წლის ბოლოს კიდევ თუ მინახულებთ, ნახავთ, ენა დირესავით არ მქონია გადებული, ნებისმიერი სიტყვა რომ გადაუვლის, კარგიცა და ცუდიც, ბილწიცა და აუგიც. ნახავთ- მეთქი, ამას რა დიდი მოცდა უნდა! მაგარი კაცი ვარ მე! აუზში მიყვარს ბანაობა ბუნების ნებისმიერ დროს. არ გჯერათ? მომყვით, ახლავე დაგიმტკიცებთ. თქვენც ცოტათი მოხალვათდებით. მეჯიუტებით? ღმერთი არა გწამთ? კეთილი. მოვესწრებით ბაბაია, მოვესწრებით-მეთქი. ახლა აქეთკენ წამობრძანდით, ქოხია, მაგრამ გულღიად დაიტევს თქვენსავით სტუმრებს. რას მიჯიკავებ, ხატია?! შემჭამა ამ ურწმუნო ბაღანამ, ოცდარვა წელიწადია.

გემი ღია ცის ქვეშ

ბატონო იგორ, ხობის რაიონი დასავლეთ საქართველოში უნიკალურია არა მხოლოდ ხალხით, არამედ თავისი ეკოსისტემითაც. აქ ერთმანეთს ჰარმონიულადაა შერწყმული მთა-დაბლობი-მდინარე-ზღვა; ხობის რაიონი უნიკალურია თავისი ისტორიით — ლაზების მეფე გუბაზით, რომელსაც ქრისტეს აქეთ მეექვსე საუკუნეში მუხანათურად მოკლავენ ხობისწყლის პირას ვითომ ჩვენი მოკავშირე ბიზანტიელები რუსტიკეს მესვეურობით; ხობის რაიონი უნიკალურია თავისი განვითარებადი ინფრასტრუქტურით — ყულევის ტერმინალით, ახლად ჩამოყალიბებული ნავსადგურით; ხობის რაიონი უნიკალურია თავისი შემოქმედებითი პოტენციალით, რომელიც ორგანულად დაკავშირებულია მაჟორიტარ გოდერძი ბუკიას სახელთან — ხობში მიყოლებით ჩატარებულ მეგრული სიმღერების საერთაშორისო ფესტივალებთან.

ბატონო იგორ, ახლა ძირითად სათქმელზე: მე პროფესიით კონსტრუქტორი ვარ, გემთმშე- ნებელი. სახელმწიფოსგან დაუხმარებლად, საკუთარი სახსრებითა და ინვესტორების შემოშ- ველიებით დღემდე აშენებული მაქვს ძველი გემის ტიპის ოთხი ხომალდი. მათგან ერთი გაიყიდა, ორი კი წარმატებულად ფუნქციონირებს ქ. ბათუმში. ამ გემებს თორმეტჯერ ესტუმრა უცხოელი საპატიო სტუმრებით ქვეყნის პრეზიდენტი, ბატონი მიხეილ სააკაშვილი. ეს გემები შინაარსიანი დასვენების ერთერთი დაუვიწყარი კერაა მთელს შავზღვისპირეთში.

ხობში, კვლავაც, მდინარე ხობისწყლის პირას, ყულევში, ტერმინალის სიახლოვეს, ვაშენებ საკეცანძებიან ძველ გემს, რომელიც 90 პროცენტით გასრულებულია და ელის ინვესტორის ფინანსურ მონაწილეობას, აგვისტოს მოვლენებმა რომ შეაფერხა.

ბატონო იგორ, ამჯერად ჩვენი მიზანია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაინტერესება გემთმშენებლობით. ერთი გემის აშენება ხომ ერთი სარკინიგზო მაგისტრალის აშენების ტოლფასია. ამისთანა გემს თავისუფლად შეუძლია 20-25 ვაგონის ტვირთის გადაზიდვა ერთ ჯერობაზე. ხობის რაიონი სამეგრელოს ბეღელადაა ცნობილი ოდითგანვე, მაგრამ განუკი- თხაობის წლებში საკონსერვო ქარხნების გაჩანაგების წყალობით, მოსახლეობას დღეს ათას- ობით ტონა ხილ-ბოსტნეული უფუჭდება. ყველაფერ ამას ერთი სატვირთო გემის აშენე- ბისთვის საჭირო 800 ათასი ლარის ჩადება გამოასწორებს რაიონის 2010 წლის ბიუჯეტში. ასეთი გემის საბაზრო ღირებულება 5-6 მილიონი აშშ დოლარია, მაგრამ კონსტრუქტორი და მისი კოლექტივი სამშენებლო თანხაში ვეტევით საქვეყნო საქმის აღორძინების სასარგებლოდ. ასეთი გემი 6 თვეში აშენდება და 1000 ტონამდე ტვირთს გადაზიდავს ერთ რეისზე ნებისმიერი მიმართულებით. მას შავი ზღვის აუზის ქვეყნების ნავსადგურებში უპრობლემოდ შეუძლია ხობის და მეზობელი რაიონების ლამის მილიონი ტონა ხილ-ბოსტნეულის უდანაკარგოდ ჩატანა. ეს წარმოუდგენლად წარმატებული ღონისძიებაა დღესდღეობით მწირი ჩვენი ბიუჯეტის შესავსებად და შემდგომში უფრო თამამი პროექტების დასაფინანსებლად.

ბატონო იგორ, არანაკლებ მნიშვნელობისაა შედარებით მომცრო გაბარი ტების თევზსაჭერი

გემის აშენება ხობელებისათვის. თუკი 2011 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება ასეთი გემის აშენებისათვის საჭირო 700 ათასი ლარი, მაშინ ხობს იმავე წელს ეყო- ლება მსგავსი დანიშნულების გემი, ექნება თევზი, როგორც საკუთარი მოსახლეობისათვის, ისე ქვეყნის სხვა რეგიონებში გასატანად, სამაგიეროდ თურქებისგან საყიდელი არ გვექნება ეს პროდუქტი, რომლებიც ჩვენი წყლების აკვატორიაში ხელშეკრულების საფუძველზე ყოველწლიურად 800-900 ათას ტონა თევზს იჭერენ, მაგრამ ეს მომავლის საქმეა.

დაბოლოს, ბატონო იგორ, მომწიფდა სიტუაცია ხობში, მეგრული სიმღერების საერთა- შორისო ფესტივალს საკუთარი გემი ჰყავდეს. მდინარე ხობისწყლის შუა წელის მცირედი გაწმენდის შემდეგ ამ გემს შეუძლია ცენტრალურ ხიდამდე ამოსვლა და დიახაც აქ, ორივე ნაპირზე მოზღვავებული მაყურებლის წინაშე, წარუშლელად დააქუხოს ჩვენი პოლიფონური საგალობლები. ამ გემს მიენიჭება ქართული ხელოვნებისა თუ კულტურის დემონსტრირების ფუნქცია შავი ზღვის აუზის ქვეყნებში, სხვაგან. ამისთანა გემს შეუძლია უფრო მაღალ რეგისტრში აიტაცოს ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკური იერ-სახე, იყოს მისი ორიენ- ტაციების აქტიური ტრიბუნი. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ბატონო იგორ, სულ რაღაც 900 ათას ლარად ბატონ გოდერძი ბუკიას შეეძლება უფრო შორს გაიტანოს დიდებულად დაწყე- ბული საქმე. გემს სახელად შეიძლება ეწოდოს, ,,ჰოუნანა'', ,,ოდოია'', ან სულაც ,,სანდრა-ელისაბედ რულოვსი'', რომელ ქალბატონმაც საქართველოს პირველ ლედთაგან პირველმა იმღერა მეგრული საგალობელი ბატონ ზურაბ სოტკილავას მხარდამხარ, თუმცა ესეც თქვენი მაჟორიტარის, ბატონ გოდერძი ბუკის გადასაწყვეტია, ჩვენ უბრალოდ საინტერესო იდეას ვაწვდით.

ყველაფრის გათვალისწინებით ერთხელაც ვამახვილებთ თქვენს ყურადღებას შემოთა- ვაზებულ საკითხზე — ხობელებისათვის ასაშენებელ სატვირთო გემზე. ჩვენი თხოვნაა, გამოყოთ კომპეტენტური კომისია, შეისწავლოთ ჩვენი საქმიანობა ბათუმსა თუ ყულევში, და თუ ყოვე- ლივე პერსპექტიული გეჩვენათ, ნურაფერს დავიშურებთ იმისთვის, რომ 2010 წლის ხობის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას სატვირთო გემის ასაშენებელი 800 ათასი ლარი.

ბატონო იგორ, საქართველო ვალდებულია თავისი გემებით დაიპყროს შავი ზღვის აუზი. ამ სახელმწიფოებრივ საქმეში ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინდახედული დამოკი- დებულება განუზომელი მნიშვნელობისაა და მისი უნარიანი ხელმძღვანელების თანადგომის მოიმედეებს, გვჯერა, რომ საერთო ძალისხმევით, ეს საშვილიშვილო საქმე მკვდარი წერტი- ლიდან უეჭველად დაიძვრება.

ვინ ალჩნდეს გმირი?!

„ჟიული შარტავამ ყველამ ცდნება დაძლია და ჩვეულებრივ მოკვდავთაგან სწორედ თავისი სულიერი სიმართლით გამოირჩევაო“, ბრძანებს ბატონი ედუარდ შევარდნაძე ერ- თგან.

თვითონ ჟიული შარტავა უფრო მოკრძალებული აზრისაა საკუთარ პიროვნებაზე: „დასაფა- სებელია ყველა, ვინც ნებისმიერ პერიოდში, განსაკუთრებით რთულ პერიოდში, აკე- თებდა ერისათვის, ხალხისათვის საჭირო საქმეს — ვარ ერთი ქართველი კაცი და მინდა ვაკეთო ის, რაც მე შეშიძლია და რაც მსურს წესიერებისა და კანონიერების ფარგლებში“.

ეს თემა დიდი ხანია მელოდება, თვალსაწიერიდან მიხმობს.

ფრიალო გადასახედიდან გარშემოვუვლი მას, როგორც სკულპტურის დათვალიერებისას სჩვე- ვიათ.

ბევრი ბურუსი და ბუერა-ჯანღი შემომიძარცვავს მიქელანჯელოსი არ იყოს, უამრავი ზედმეტი ნაწილი ჩამომიცილებია სამონუმენტო ლოდის მსგავსად, მაგრამ გამიძნელდება მაინც მისი საბო- ლოოდ გამოქანდაკება, გამოსაჭრეთლება. ისევ ყინჩად დგას მოუკარაბელი და სამომავლო მისტე- რიებით დაყურსული.

არადა, თითქოს გამჭვირვალეა მისი მცნება, არსი, წაყროსავთი ნატიფი და ტობავარჩხილი, ყველაფერი ხელისგულზე რომ გიკამკამებს თვალშეუდგამი სიზვიადიდან ყოველდღიურობაში მომ- დინარე.

არისტოტელე იტყვის ,,პოეტიკაში'': ჩვენ გმირი უნდა ვძერწოთ ისეთი, როგორიც უნდა იყოს სინამდვილეში, რის შესაძლებლობებსაც მოიცავს მისი ბუნება და არა — როგორიც გახლავთ ამა თუ იმ კონკრეტულ მომენტშიო.

მაგრამ როგორ მოვექცეთ თავად თვითნაბადი გმირების რაობას, რანაირად გამოვიხსნათ მათი ხატება პროზაული ყოველდღიურობის მინარევებისაგან; ან რა შემთხვევაში შეიძლება გმირად შევრაცხოთ პიროვნება, რომელსაც უმრავლესობა კერპადაც გაიხდის ხოლმე და აქა- იქ ღვთაების სიმაღლეებამდეც აიტაცებს ზოგჯერ სრულიად მოკვდავს თუ რიგითს?!

ეს ურთულესზე ურთულესი ზნეობრივ-მორალური პროცესია, სადაც არც ისე იოლია ბაჯაღლოსაგან მოოქროვილი ზოდის გამორჩევა, გამოცალკევება.

კაცად ვინა ვთქვათ, ვაჟებო, რომ თქმისა არა გვრცხვენოდესო, წამოისროლებს ვაჟა, თუმცა ეს ფრაზა შემდგომ და შემდგომ ვეღარაფრით გაექცევა განუსაზღვრელობის ჩარჩოებს, რადგანაც ეროვნული წარმოდგენები გმირის თაობაზე ფრიად მიკერძოებითია; შენს მიერ ეტალონად წარმოსახული ინდივიდუუმი, გამორიცხული არ არის სხვათათვის მოძალადის, დამამხობლის ფაქტურით იყოს შერაცხული და პირიქით. ე.ი. ეროვნული კრიტერიუმები, რომლის შესახებ ქვემოთ და ქვემოთ მეტის სიცხადით ვიმსჯელებთ, ხშირად ვერ წაგვადგება სრულყოფილის ნიმუშად.

ვერ ისწავლა მესხმა წერა, ვერა.

სტილისტური დარდუბალანი მოსძალებია ჩვენს ყოველდღიურ ცნობიერებას.

რესპონდენტებისათვის პირში ჩაჩრილმა მიკროფონებმა ვეღარ შეიშნოვეს შემდგომ დახვეწის, დაწდევების მართლზომიერება ჟურნალისტური პოზიციიდან და იშვიათია დღეს პერიოდიკა, რომელიც სამაგალითოდ ივარგებდა.

პარალელს ვავლებ ,,ახალი ეპოქის'' ორ ნომერს შორის □12-14 ივნისი, №45; 3-6 აგვისტო, №60; 2001 წ).

შესაშურია ამ პერიოდიკის დიზაინი.

,,ომეგა თეგი'' აქაც სასწაულებს გვთავაზობს პოლიგრაფიული თვალთახედვით.

ამ გაზეთის რედაქტორი ჩემი ახლო მეგობარია — სიტყვის ჩინებული ალქიმიკოსი — ბატონი თეიმურაზ მეტრეველი.

და მაინც, ამ დიდქართველის გაზეთშიც გამოჟონავს აქა-იქ ცალმხრივობის მამაპაპური სენი — ცალმხრივობის საინდრომი პოლიფონიის სანაცვლოდ:

,,სამეგრელო საეჭვო პირებისა და ბედის ანაბარა�აო'', აცხადებს პირველი გვერდიდანვე პარლამენტარ ხათუნა ხოფერიას მშვენიერ ბაგეთი, №45-ე.

,,სამეგრელოს უსუსური სამხარეო ხელისუფლება ხყავსო'', გვესაუბრება იგივე №45-ე მოქკავშირელი პრიმადონას მეშვეობით.

ცოტა მოგვიანებით კი ეს უსუსურობაც სანატრელი გაგვიხდება, მთლად არარაობაში შევჭყუმპალავდებით:

,,სამეგრელოს ადგილობრივი ხელისუფლება, ფაქტობრივად, არ ხყავსო'', დაასკვნის №45-ე, მოარული ხმებით, საგუბერნატორო სავარძლისაკენ ნებიერად მომზირალი პარლამენტარის მეოხებით.

გადაიფურცლება ორკვირეული და უკვე მე-60-ე ზედმიწევნით იწყებს ადრეგაცხადებული უპატრონობის და უთვისტომობის რეალიზაციას სენაკის მაგალითზე. ამდენ შავ ფერში ერთი სხვისმიერი მაინც გამოგერია, ძმობილო, თეიმურაზ. სადაც სიდუხჭირეს ნიჩბებით წარმოადგენ, იქ იმედისმომცემი აფთიაქარის კოვზით მაინც შემოგეთავაზებინა, რათა მთლად უნუგეშობის კომპლექსს არ გავესრისეთ. სავალალო ათი ამხილე, მაგრამ სანუგეშოს ერთსაც ნუ დაუხუჭავ თვალს, ბიუსტგამქრალი პოსტამენტების გვერდით; ან მაჟორიტარ დემურ გადელიას მამულიშვილური საქმეებისკენ გაიხედე ასფალტის ქარხნის მიდამოებში; კახა რუსიას ხალიჩების კომბინატისკენ; ან კიდევ ცოტა მოშორებით გართული მეცხოველეობის კომპლექს ,,ტყირს'' მიაჩერდი თუ სულაც ნოსირის შესასვლელთან ამოქმედებულ ნაყინის საამქრო ,,რენოჯეს''. მე-60-ე ნომრის მე-11 გვერდი სხვა რამითაც არის ყურადსაღები — მასალა საგაზეთო სივრცის ცენტრში განთავსებულა: ,,დაიგვიანეს, ჯერ არსად ჩანან'', ანუ იგივე ,,მუზეუმი ნახევარ ოთახში''.

მეც შევხვედრივარ ბატონ კალისტრატე შარტავას ორგზის. ჩვენს შორის გამართულ დიალოგს მოგვიანებით შემოგთავაზებთ ნეტარ- ხსენებული ჟიული შარტავას ფენომენის გასახსნელად, ამჯერად კი უმჯობესია ჯერ თავად დეზინფორმაციები მოვიშველიოთ:

მუზეუმი ნახევარ ოთახში

— ხო, ჟიულის უთქვამსო, შენ აქ რა გინდაო. ამბობენ იმ კაცზე, გაუკვირდაო, ახლა ამას შიფრავენ, ვინ იყო, რომელი. უამრავი ვერსია არსებობს მის აღსასრულზე: სად, როგორ, ეს კაცმა არ იცის. ისე

ქალაქის მერი რომაა, გაბისკირია, ვიღაც ქართველ კაცს შეხვედრია, სამხედროს. ხოდა, ჩვენ ყოველ დაბადების დღეს, 27 სექტემბერს, სასაფლაოზე მივდივართ ხოლმე. ეს სამხედრო კაცი შემხვდა და იმან თქვა: გუდაუთამდე რომ მიეყვანათ, დარწმუნებული ვარ არძინბა მაგას არ გაწირავდაო. ჭორებს რას გაუგებ. აქ უფრო ღალატია.

ახლა ჩვენ ხელშესახები მარტო ისა გვაქვს, რომ ტელეფონით გვესაუბრა. აგერ, კიდევ კარავია გაშლილი; ხელს გაიშვერს პარკში გამართულ აქციაზე, — ფირი არსებობს, სადაც ჟიული ელაპარაკება ლოთი ქობალიას და ელიავას. კიდევ, იცით, რა არის შვილო, საერთოდ მეგრულად ლაპარაკი არ ეხერხებოდა.

მე რომ დავიწყებდი ამას: კაი, კაცო, მეგრულად და იმასაც ხმამაღლა ამბობო, გამწყრომია უფროსივით, ამიტომ ყოველთვის ვცდილობდი არაფერი შემშლოდა. ამ საუბარში კი ქართულად ეუბნება, მაგრამ მეგრული კილოთი:

ძმებო, ჩვენ ამაზე მერე ვიდავოთ, ვინაა მართალი და მტყუანიო. ეხლა კრიტიკული მომენტია და ისე ვქნათ, როგორც სამშობლოს ინტერესები მოითხოვსო. შველა გვინდა თქვენი, ქვეყანა იღუპებაო.

მერე ხომ იცი, ზურგი შეაქციეს და მოხდა საშინელებაც.

მე რა მინდა ახლა? რამოდენიმეჯერ მაქვს ეს რესპუბლიკის პროკურატურაში დაწერილი. ახალ-ახალი რომ მოვიდა, მეც თავიდან დავიწყე და აწი მეყოფა: ნუთუ ვერ დადგინდა როგორ მოხდა ამ კაცის მკვლელობა, რა ვითარებაში. კვირაია ამბობს ნაწილს: ნაწილს ის, ნაწილს ეს, შეაჯამონ ოჯახაშენებულებმა და მომასვენონ, დამშვიდებულად გამიშვან სამარეში. ბაბილაშვილი რომ იყო ერთხელ ,ჩამოსულა აქ და ჟიულის სახელობის სკოლა რომაა, დავუბარე დირექტორს: შეახსენე ჩემი განცხადება-მეთქი. ბაბილაშვილს უთქვამს: ოხ, ეს რა კარგიაო, აუცილებლადო და წავიდა. — იქნებ პიროვნულად კი არა, ჟიულის ფონდმა მიმართოს, სენაკის საზოგადოებამ, — უფრო ოპტიმალურ ვარიანტს ვასახელებ, — ამას მოითხოვს ჩვენი მომავალი, ვიდრე ჯერ კიდევ შესაძლებელია ზუსტი სურათის დადგენა. ეს აუცილებელია. მშობლების განცხადებას იქნებ სჯობდეს კოლექტივის მიმართვა-მეთქი.— სწორი ბრძანებაა, მე ამ სიტყვებისთვის მადლობა მინდა მოგიხადოთ, — მეტყვის ბერმუხა, — და ვინც ასე იმსჯელებს, იმათ კიდევ. ეს უფრო მართებულია. ამოდგომა ყველას შეუძლია. აჯანჯალებენ, კაცო. ბევრზე ნაწყენი ვარ. სამი წელი დამთავრდა მას შემდეგ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, სადაც ის სწავლობდა, და სპორტის სასახლე რომაა, პატარა ქვა დადეს: აქ ძეგლი აღიმართებაო, მაგრამ ვის ახსოვს?! გამოიძიონ ეს. შემთხვევით, მოხეტიალე ტყვიას კი არ მოუკლავს, განგებ დახვრიტეს. ამან გული შეაგება, კაცო და თან იძახოდა: აგერ, არიან მოწმეები, მეუფე გინდა თუ სხვა: ღმერთო, მე შემიწირე და ჩემი ხალხი გადამირჩინეო! ა, ბატონო, სიმართლე! ღმერთმა ყველა კარგად ამყოფოს, მაგრამ მისი სახელობის პრემიებს ნიშნავენ და თავად გაურკვეველ ვითარებაში დაღუპულა. გულგრილობაა, უინტერესობა.

— ბატონო, კალისტრატე, რაზედაც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ, უშველებელი საკითხია. პატარა მაგალითს მოვიყვან. ზოგიერთი მწერალი მოფიქრებუ- ლად ამრუდებს ხოლმე რეალობას, თითქოს უკეთესი სიუჟეტის შექმნა ძალუძდეს. აი, გრიგოლ აბაშიძემ შეთხზა ცოტნე დადიანზე რომანი, მაგრამ შენიშვნა მაქვს ჩემებური: გმირის ქმედებაა გაუბრალოებული. ცოტნე უცებ კი არ ჩამოიყვანა ცხენიდან, როგორც ეს მეისტორიეს უწერია, არამედ ჯერ ნოინთან მოსალაპარაკებლად გაამგზავრა და ამით დააკნინა ნამდვილი გმირობა. არ შეიძლება გმირის შინაგანი სამყაროს ხელყოფა. ცოტნე როგორც კი მივა კოხტაგორაზე, ჩამოხტება ცხენიდან და პირდაპირ მეგობრებს მიაშურებს. გაიხდის წელსზემოთ, თაფლს წაიცხებს და თანამოაზრეებში ჩაჯდება. ამან კიდევ ნოინთან სამუსაიფოდ განამწესა, რითაც შეილახა ჭეშმარიტი გმირის ხასიათი. ჩვენს მაგალითზე კი სასურველი იქნებოდა მკვლელობის ნამდვილი სურათის დადგენა.

— სხვანაირად არ ჩამომართვათ, შვილო... იურისტი არ ბრძანებულხარ, მაგრამ მათზე ნაკლებად არ მსჯელობ.

— ყოველ შემთხვევისათვის ხომ შეიძლება მოწინააღმდეგე მხარის ჩართვაც, რუსეთის თუ უცხოეთის მეშვეობით?!

— ეს ამბები რომ იყო, პასტუხოვმა დედამისს და დას უთხრა:

ვინც ეს გააკეთა, ერთ თვეში იმის თავს ჩამოგიტანთ თბილისშიო.

ჩვენ ვიფიქრეთ, თავს თუ არ ჩამოგვიტანენ, მკვლელის სახელს მაინც გაამჟღავნებენ-მეთქი, მაგრამ გაგონილა? პასტუხოვს საერთოდ სძულდა ქართველები, მაგრამ ჟიულიმ იმდენი მოახერხა, თავისი წესიერებითა და კაცობით, შეაყვარა ჩვენი ქვეყანა. კი, თქვა მერე, პასტუხოვმა: სხვანაირი ყოფილან ქართველებიო. აქ მაინც უკაცობა გამოიჩინა. სახეს ღუნავს აქეთ-იქით. მხარს უჭერს ვიღაც-ვიღაცეებს

და ჩემი ჟიული ვის ახსოვს.

— მაგი რთული საკითხია, ბატონო, კალისტრატე. ჯერ კიდევ არ ვიცით, რა სივრცეში ვიმყოფებით. ვითომ თავისუფლები გვქვია, მაგრამ ვერ გავრკვეულვართ ვის დაკრულზე ვცეკვავთ, რომელ განედში ვარსებობთ, რომელ გრძედში. მარტო თქვენთან საუბრით, ბუნებრივია, ამ დიდებული პიროვნების ღვთისმიერ არსს ვერ ამოვწურავთ.

— რასაკვირველიაო, — მყისვე მეთანხმება ბატონი კალისტრატე.

— თვითონ ქალბატონი ფენია სენაკში იმყოფება-მეთქი, ჩავეძიები, — შესაძლოა მასთან გასაუბრებამ რაღაც სხვა კუთხით წარმოაჩინოს ჩვენი გმირი. მე ჟიულის ფენომენზე ბევრი მიფიქრია, ბატონო, კალისტრატე. გმირი ყველა ერს ხყავს, მაგრამ ეგ განსაკუთრებულია. დავუშვათ, მაგალითისათვის, იოსებ ჟორდანიამ იშვიათი კაცთმოყვარეობა ჩაიდინა, როცა ზანგ გოგონას ჟილეტი დაუთმო, და საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა სრულიად უცნობი, თუმცა ეს ადამიანური პოზიციაა, ალბათ, სხვაგანაც მომხდარა, მსგავსი. ცოტნე რომ აკეთებს, ესეც ამაღლებული საქციელია, მაგრამ მე სხვა მომენტზე ვამახვილებ ყურადღებას, როდესაც შენი ქვეყნის მომავალი წყდება, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი იურიდიულად. შენ შეიძლება წახვიდე და მაინც გმირად დარჩე. ვერავინ გისაყვედურებს, ვინაიდან სულ ბოლოს სტოვებ ციხესიმაგრეს, ციტადელს, მაგრამ სამშობლოს კონსტიტუციური საძირკველი რომ არ მოეშალოს, სიკვდილზე განგებ მიდიხარ, რათა მსოფლიოს წინაშე დროსა და სივრცეში დაამკვიდრო შენი მამულის სუფევა. შენ დარწმუნებული ხარ საკუთარ ძალებში, მყარად გწამს, რომ გულის სიღრმიდან ვერაფერს ამოგგლეჯენ. აი, ეს ვერსია მჭირდება მე, როგორც ქართველს, როგორც პატრიოტს, როგორც მწერალს ბოლოს და ბოლოს. ომს თავისი კანონები აქვს და ზვიადაურსაც კლავენ დარლას საფლავზე, ახლა მეორე მხარე წარმოიდგინეთ: ზვიადაურის პოზიცია. ყველაფერი ნათელი რომ არ იყოს...

— სამართალდამცავების მიმართ უკმაყოფილებას გამოვთქვამ, — წამოენთება სახე ბატონ კალისტრატეს.

— ზუგდიდში ერთი არქიტექტორი ბიჭი დახვრიტეს გვარდიელებმა, გიორგაძემ დახვრიტა. იბრძოლეს ჯიქიებმა და მიზანს მიაღწიეს, ააყვანინეს. მე უფრო სამართლიანად მიმაჩნია საზოგადოებამ აღიმაღლოს ხმა. პარლამენტის წინაშე ოფიციალურად უნდა დავაყენოთ ეს, ჟიულის ფონდმა, სკოლამ, მის სახელს რომ ატარებს. რა, არ შეუძლიათ?! აგერ, მუზეუმის დირექ- ტორი ბრძანდებით და რამდენად ზნეობრივია, რომ ჟიულის ექსპოზიცია ვერ იხსნება, რადგანაც ამ სივრცეს ის ხალხია შემოხიზნული, ვისთვისაც ჟიულიმ თავი დადო. პარადოქსია, არა? სად არის მოწიწება გმირის ხსოვნისადმი?! ამაზე მეტი საგოდებელი ცხოვრებაში არ გამიგონია. ამ ხალხს უბინაოდ რომ ტოვებდნენ, უყურადღებოდ, სხვა საკითხია, მაგრამ რამდენადაც ვიცი, მათთვის გამოძებნილია თურმე სივრცე. უბრალოდ აქ არის ეგოისტური მიდგომები, რომ ბაზართან სიახლოვეა, მოხერხებული ადგილი. შეუგნებლობით თუა ყოველივე, მაგრამ განგებ თუ კეთდება, მართლაც ამ ქვეყანაზე საშველი არ ყოფილა. მაინც რას გეუბნებიან?— ოთხმოცდაცამეტში, ეს უბედურება რომ მოხდა, ოთხი თვე არ ჩამოვსულვარ სენაკში,— ამბობს სვენებ- სვენებით თავდახრილი უფროსი შარტავა. ვხედავ მე ტუჩების კანკალს, და კიდევ უფრო უჩინარ თრთოლვას, რომლითაც მუხლისთავებიდან მოყოლებული თმის ძირამდე გაჯერებულა.

—სულ ეს შენობა ხქონდა მუზეუმს? — ვეკითხები.

—ხო, სულ ეს შენობა. 65 წელს გაიხსნა ცხაკაიაში მუზეუმი, ხოლო 1990 წლიდან მოსახლეობის მოთხოვნითა და რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით მხარეთმცოდნეობის მუზეუმად გადაკეთდა. ჩვენ, რაც შეიძლებოდა ძველი ექსპონატებიდან, გამოვიყენეთ, ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ უბედურება რომ დატრიალდა 93-ში, თვითნებურად შემოვიდა ბარკალაიების ოჯახი. მერე ის გავიდა, სხვაგან წავიდა, მაგრამ დაიქირავა თუ არა ბინა, სანაცვლოდ დიხამინჯიას მისცა მწვანე გზა. ახლა დიხამინჯიას უკან კიდევ ცხოვრობს ვიღაც. ცვლიან ერთმანეთს.

— რამდენი ოჯახია სულ?— ვაკონკრეტებ მათ სულადობას.

— ორი ოჯახია, ერთს ორი ოთახი უკავია. მეორეს — სამი,

— დიდი დარბაზი გაქვთ? — არ ვეშვები.

— აგერ, დიდი დარბაზი არის იქ, — მპასუხობს გულგატეხილი, ხელს გაიშვერს სანახევროდ ჩაბნელებული ოთახისაკენ, — ერთს შევუმცირეთ, შეშას და რაღაცას ვაწყობთ იქ. ორ-ორი ოთახი შევარჩინეთ თითოეულს. ექვსი ოთახი იყო სულ. ამ ექვსიდან ერთი დაგვრჩა ჩვენ. ორ-ორი იმათ და ერთი კიდევ— შეშას. ახლა ეს ერთი გავტიხრეთ და როგორც ხედავთ, შვიდი კაცი

ვიჭირვებთ შეძლებისდაგვარად. აგერ, განყოფილებამ გამოყო ოთახი, მაგრამ დაუწუნია ამ კაცს. ქალაქიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებითაა. მე ვუთხარი: თუ საჭირო იქნება, ისეთი ბინა უნდა მივცეთ, ადამიანს ეცხოვრებოდეს, ქათმები იყოლიოს, პირუტყვი, როგორც აქა. ახლა დიხამინჯიებს აქ სრული მეურნეობა გააჩნიათ, კრიახებენ დედლები, ყივიან მამლები, ლოპლოპებენ ინდაურები, ღრუტუნებენ ღორები, მოგვიმრავლდა რწყილი. სკორე-სკინტლის სუნი არ გვაკლია. სარდაფი ჩვენს განკარგულებაში არაა. სივიწროვეში ვართ. მნახველებს ვერ ვხვდებით ,როგორც საჭიროა. ექსპოზიცია ვერ გაგვიშლია. დაახლოებით ისეთ ვითარებაში ვართ, როგორც ჩემი შვილის აღსასრულის დადგენის საკითხი.

— ბატონო კალისტრატე, ნეტარხსენებულ ჟიულის ვაღმერთებ, ამყავს ცოტნე დადიანის დონეზე, უფრო მაღლაც. ცოტნესთან კიდევ იყო გადარჩენის მცირეოდენი შანსი. აქ კი სიცოცხლის მსხვერპლად მიტანაა თვალის დაუხამხამებლად, თუმცა შესაძლოა აურაცხელი ტანჯვით სამშობლოს მოღალატეობრივი ხელმოწერაც დაგტყუონ. ბოლომდე აჯობა საკუთარ სისუსტეებს, გამოსცადა საკუთარი თავი.

მე შემიწირეთ, ხალხი კი გადამირჩინეთო, ეხვეწება ზეციერს. სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დახკარგავს, ბატონო კალისტრატე. ჟიულის გმირობა იმ მუხას ხგავს, რომელიც დღითი დღე იზრდება, დღითი დღე ღონივრდება, დღითი დღე იყრის ტანს.

— შენს პირს შაქარი, შვილო! მსმენია ძველებისაგან, უკვალოდ არაფერი იკარგებაო.

„მართალი გაზეთი“,
2001 წ.

***

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ძმისშვილო, თითქოს ანგარიშს მაბარებდე, — მეტყვის ჩემი მსაჯული, როცა გვარიანი პაუზით საგრძნობლად გავუზრდი დავალიანებას „თეცის“ ელსმენს.

— თავი ხომ არ გეპატარავებათ-მეთქი, ვეტყვი სრული სერიოზულობით. — ჯერ ერთი, თანაპარტიელი ხართ ილარიონოვიჩ, პრეზიდიუმის წევრი. მერე გენერალი ბრძანდებით, ძმები აბულაძეების ღირსეული ჩამომავალი. შეურაცხყოფას არავის შეარჩენთ. სხვა რეგალიებზე ხმასაც არ ამოვიღებ. გავიგე, წიგნი გამოგიცია — „წარსულის ანარეკლი“, ჯანომ მითხრა, ჯანელიძემ.

— აბა, შენს მოლოდინში ძარღვები დამაწყდა. ცხრამეტი დარახტული ცხენი ვერ დაგიჭერს. უკვე ხელი ჩავიქნიე. „სუფევის“ ანალიზსაც მოვრჩი. იქით მიგართვათ, თუ ჩამობრძანდები ამ დღეებში? წიგნსაც მაშინ გისახსოვრებ.

— კიდევ რამდენიმე კვირა მადროვეთ, ილარიონოვიჩ, ახალწლამდე რაღა დარჩენილა. მოვუკრავ თავს ყველაფერს და გვარიანი ხნით ჩამოვფუძნდები თქვენსას. შემწვარი წიწილისა და ელარჯის ჭამას რა ჯობია, მაგრამ ხედავ, როგორ გამწეწა ამ ჯოჯოხეთმა: კინკილა ინფორმაციისათვის ხუთჯერ მივდივარ კაცთან, თხუთმეტჯერ. ასე ვაკოწიწებ წვეთ-წვეთობით. ახლა ტვირთი ცოტათი შემმსუბუქებია: მოვლილი მაქვს კახეთი, ქართლი, იმერეთი, მესხეთი, გურია, სამეგრელო, უმნიშვნელო საუბრები დამრჩენია. იმასაც მოვილევ და ჩიტივით თავისუფალი ჩამოგივალ. დავუყვეთ მერე ბახმაროს მიკლაკნილ-მოკლაკნილ შარაგზას. ჩავუხტეთ ჩვენს სისხლისმიერ გურულ ძმებს. აბულაძეებსაც მოვინახულებთ. იქნებ ხულოსაც მივაწვდინოთ მზერა — მემიშიშებს, ბექირიშებს და ბაწაშებს. იქ მასპინძელი ჩაქველი ზურაბ გორგილაძე ხომ გვყავს?! ჰოდა, გავაღწევთ ფონს. ილარიონოვიჩ, ქუდი ხომ არსად დაგიკარგავს?

— ციგნობას მოეშვი! მგონია გადამემტერა ზოგი. გავიგეთ, წიგნს წერს შენზე გური ოტობაიაო. არ მინდა მოვლენებს გავასწრო, მაგრამ ამხელა საქმე ჯერ ქართველთაგან არავის უკისრია. წიგნი კი არა, ოკეანეა, ბაბაგე. ჟიული შარტავას ფენომენს მინდა ისევ მოვუბრუნდე. შენ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევ მის თავგანწირულ საქციელს, რაც უეჭველად ასეცაა, მაგრამ მაქვს ერთგვარი მოსაზრება, გმირის გამოჩენის მომენტებზე. პიროვნებისა და საზოგადოების ერთმანეთისაგან დაშორიშორება არასდროს მიცდია. პიროვნება უწინარესად საზოგადოების პროდუქტია. სამართლიანად აღნიშნავს არისტოტელე: ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველიაო. გმირიც აქ ცხვება, აქ იძერწება, ძმისშვილო. თუმცა ახლავს ამ პროცესს ორი აუცილებელი მომენტი: პირველი ის არის, რომ გმირის მოვლინებას წინ უსწრებს მის გარშემო შექმნილი ობიექტური წანამძღვრები. ამას ხშირად სოციალურ ფონსაც ეძახიან. უსამართლო სახელმწიფო მანქანის წინააღმდეგ მიმართულ ოძელაშვილებს თუ სისონაი დარჩიას ხალხის გულისწყრომა ამოსტყორცნის ხოლმე თავისი წიაღიდან. ჩემი გურია ამისი სამჭედლოა. ორმოცდაათ ქვეყანას ეყოფა იქაური ფირალები დაჩაგრული

კაცის გულის მოსაფხანად. ერთი თხოვნა მაინც შემისრულე, ფრანგო! მარტოს ნუ გამიშვებ ჩემს სისხლ-ხორცში. შენ უკვე ნაბიჯ-ნაბიჯ მოგივლია იქაურობა. ხომ მპირდები, ადამიანო?

— ქუდი თუ გახურავს ამწუთას, ყველაფერი ახდენილია!

— გეუბნები, ციგნობას მოეშვი-მეთქი. ახლა უფრო მთავარს გეტყვი: დიდი ვერაფრიშვილია აფხაზებმა სოსლანბეგოვი და შამილ ბასაევი ეროვნულ გმირებად თუ გამოაცხადეს. შეხედე, საკუთარი გმირები თითქმის არა ხყავთ. და არც — ჩვენ. გამონაკლისი, ალბათ, მხოლოდ ჟიული შარტავაა. ამისი მთავარი მიზეზი თუ იცი ნეტავ?

— ნამდვილად, არა, ილარიონოვიჩ, — დამაინტრიგებს საკითხის ასეთნაირი რაკურსი.

— სწორედ ეგ მაიმედებს, ბაბაგე, რომ აფხაზებსა და ქართველებს ერთი მომავალი გვაქვს. დავიქანცებით ბოლოს და ბოლოს ამ ქიშპობით, ძიძგილით, და ადრე თუ გვიან სამართალი პურსა ჭამს. მეტსაც გეტყვი, აფხაზურ-ქართულ კონფლიქტს შეუძლებელია გმირების არმია წარმოეშვა, თუმცა საგმირო საქმეები უამრავი ჩადენილა. იწერ, კაცო?

— ვიწერ, ილარიონოვიჩ, ვიწერ, — გამომწვევად ხარხარებს.

— ხომ არაფერი გეეჭვება? წყრომა დამივლის გულში. დიქტოფონს გამოვრთავ, უკან დავატრიალებ და ყურმილს მივადებ:

— ,,საგმირო საქმეები უამრავი ჩადენილა". მართლა, იწერ, კაცო?

— ვიწერ, ილარიონოვიჩ, ვიწერ!

ახლა მთლად გადაფიჩინდება. აქედან ვამჩნევ სეტყვისხელა მარცვლებს როგორ ყრის თვალთაგან კურცხალის სახით. სულს ძლივს ითქვამს. მთელი სხეულით როხროხებს და ყურის ბარაბანი ლამის გამისკდეს.

— შენი აკვიატებული ფრაზა ,,ლაზარეს" მახსენებს, ფრანგო. იცეკვეო, ეუბნება ბრმა და ეს სახიერი მალხაზიც დაიწყებს ბუქნას. მერე, გშიაო, ჩაეკითხება.

ის კი, მშია, მშიაო, ანჩხლობს ცარიელი კუჭის დამსახურებით.

კიდევ არ მოეშვება უსინათლო, აგულიანებს და აგულიანებს საცეკვაოდ და როცა ერთხელაც ჩაეძიება, გშიაო.

არაო, სტკეცს უეცრად ყმაწვილი, და აღაპყრობს ჩინწართმეულ თვალებს ზეცისკენ საპყარი. აი, ეს მომენტი მომაგონა რატომღაც შენმა ,,ვიწერ, ილარიონოვიჩ, ვიწერმა". არ გამეცინა? პირი ამომეკერა?

— მირჩევნია შარტავაზე საუბარი გავაგრძელოთ.

— ხოდა, იმას ვამბობდი, რომ აფხაზურ-ქართულმა კონფლიქტმა, მიუხედავად უამრავი სიტუაციისა, დამაჯერებელი, სამართლიანი გმირი ვერ წარმოშვა. სხვანაირად ნონსენსია, ვინაიდან ძმებს შორის გმარჯვებული შეუძლებელია გმირად ეკურთხოს. ანტიგონე გავიხსენოთ. ტრაგედიის მიხედვით, მეფე კრეონტი ორ ძმისშვილს შორის ერთ-ერთს ეროვნულ გმირად წარმოაჩენს. სანაცვლოდ იმ მეორეს ძაღლების საჯიჯგნად დააგდებს და იქვე ბრძანებს:

ვინც მის დამარხვას შეეცდება, უეჭველი სიკვდილით დაისჯებაო.

ანტიგონე დის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს, მიწას მოჩიჩქნის და სამარადისო განსასვენებელს მიუჩენს, ღვიძლ ძმას, მაგრამ როგორც შემდგომში ირკვევა, ეს მზეზე დაგდებული ცხედარი თუ პატივით დაკრძალული, ორივე ნაძირალა ყოფილა, ქვეყნის მოღალატე და დამამხობელი.

აფხაზურ ქართულ კონფლიქტში გამონაკლისი ერთადერთია და ესეც ჟიული შარავა, ბაბაგე, ვინაიდან ამ ნეტარხსენებულმა, როგორც აფხაზებისათვის, ისე ქართველებისათვის არ დაუშვა ზიარი დედასაქართველოს მიწასთან გასწორება იურიდიულად. მან ორივე ერისათვის გადასდო თავი, სამშობლო შეუნარჩუნა თითოეულს. ახლა მნიშვნელობა არა აქვს ვისგან აღესრულება იგი, გონებამოწამლული აფხაზისგან, დაქირავებული კაზაკის თუ პირსისხლიანი ჩეჩენის ხელით. მთავარი სხვა რამეა, სხვა განზომილება: ჟიული შარტავამ წარბშეუხრელად მიიღო ქართველ-აფხაზთა საერთო მამულის დამანგრეველი ძალა და ორივე ეთნოსს გაუბზარავად შეუნარჩუნა შურობუმუ შენებურად, იგივე მემლექეთი, იგივე ლარდა, იგივე ობადიში თუ დობა დონა. ეს გმირობაზე მეტია, რაღაც კოსმოგონიური, რაღაც ზებგერითი, ლამის მიუწვდომელი რიგით მოკვდავთათვის. ამიტომაც ვინც სინამდვილეს მალავს — უჭკვიანესია, დაბეჯითებით იცის ამ საქციელის დიაპაზონი. მე ჟიული შარტავას ფენომენს სხვანაირ ახსნას ვეღარ ვუძებნი ძმისშვილო! სხვა გმირი აფხაზურ-ქართულ კონფლიქტში გამორიცხულია, ვინაიდან დედის მოკვდინების გამო ჩინ-მედლებს არ იძლევიან, გნებავთ იგი შურისმაძიებელი ორესტე იყოს ელექტრასთან ერთად.

ჟიული შარტავა ურყევი ხიდივით დგას აფხაზურ-ქართული ცნობიერების გადარჩენის გზაზე.

მას თანაბრად უნდა ეთაყვანებოდნენ აფსუებიცა და ქართებიც. მნიშვნელობა არა აქვს რომელი ერის წარმომადგენლისაგან გაყრია ყელში დანა, მე შემთხვევით არ მიხსენებია „ერის წარმომადგენლისაგან“ - მეთქი და არა ერისაგან. გონებაშეტრილებული ყველას ხყავს, ქართველსაც და აფხაზსაც, მაგრამ წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო, გვასწავლის ხალხური ანდაზა, ბაბაგე და ესეც რომ არა, ორპირობა შენდობით არ მთავრდება. ორპირს ყოველთვის მიეზღვება ჭეშმარიტების საწყაოთი; მართლმადიდებლურ ჯოჯოხეთის კუპრებს როდი ვგულისხმობ, აქვე — ჩვენს სხეულში, ჩვენს გარშემოწერილობაში მოცემულს. ჟიული შარტავამ თავისი რაინდული შემართულობით კი მკაცრი განაჩენი გამოუტანა ორპირ ქართველებსაც და აფხაზებსაც. ამ გმირობის სხვანაირი ინტერპრეტაცია უგვანო პრიმიტიულობის მწვერვალია და სხვა — არაფერი.

***

— მომივა გაზეთი და ვიცი, ორ-სამ დღეში უთუოდ შემეხმიანები. საიდან ასწრებ ამდენს? ისევ „თეციდან“ მირეკავ?

— ხო, „თეციდან“, ილარიონოვიჩ. მართალია, სამსახურიდან დაგვითხოვეს, მაგრამ სატელეფონო კავშირით მაინც ვსარგებლობ. სხვა ტელეფონები გამოთიშულია. ჩვენმა თითოეულმა დიალოგმა ორას-ორას ლარს გადააჭარბა და დაადუმეს. ახლა, ლაბაძის კაბინეტიდან გელაპარაკები. ისე კი უსინდისურად მოგვექცნენ. რაღაც კომპენსაციები მოგვაშავეს და დაგვყარეს ქუჩაში. ესეც შენი საბაზრო ეკონომიკა! ჩვენ ჯანდაბას, ილარიონოვიჩ, გავუძლებთ, მაგრამ სხვა რამე მადარდებს, უფრო საშინელი და აუტანელი, რასაც ერთმანეთისადმი გულცივობა, გაუცხოება ხქვია. გაუძნელდება ჩვენს თაობას ამ გოლგოთის გადალახვა. განა სხვა რამემ დაგვაკარგვინა აფხაზეთი?გინდა ერთი წერილი წაგიკითხო? ჩემი თანასოფლელისაა. მამამისი, შოთა ქირთბაია სააფთიაქო სამმართველოს უფროსი იყო აფხაზეთში. მშობელი პროვიზორი მყავდა მეც და ოჯახებით ვნათესაობდით. მართლაც განუმეორებელი გახლდათ ის სულნათელი.

— ვიცნობდი, კაცო, როგორ არა. დიდი ხანი არ არის, რაც გარდაიცვალა.

— ხოდა, მაგისი ქალიშვილია, ლეილა. ერთ შენს ძმაკაცს ეჭირა მასზე თვალი, მაგრამ გვარს არ ვიტყვი. წერილს „ეპიტაფია“ ხქვია.

„ცნობილია, რომ მცირერიცხოვან ერებს გამძაფრებული აქვთ პატრიოტიზმის გრძნობა, დამოკიდებულება ყოველივე ეროვნულის მიმართ.

ზემოთ თქმული ზუსტად მიესადაგება მცირერიცხოვანი გვარების დამოკიდებულებას თავის ფესვების, ისტორიისა და ნათესავ-მოგვარეების მიმართ.

ერთ-ერთი ასეთი გვარია ქირთბაია.

ჩვენი გვარის უხუცესი წარმომადგენლის, ჯამა ქირთბაიასგან ბავშვობაში მომისმენია:

თურმე ერთი აფხაზი დიდებული ინალ-იფა უშვილობის გამო იძულებული გამხდარა ჩვილი აეყვანა. ეს ბავშვი ქართველი ყოფილა. მერე, როგორც უმეტესწილად ხდება ხოლმე, თვითონაც შესძენია მემკვიდრე. მამობილს შვილობილი ცალკე დაუსახლებია და ახალი, ჯერარასებული გვარი, ქირთბაია უწოდებია, რაც ჩვენებურად ქართველიშვილს ნიშნავს.

ამჟამად ქირთბაიები მხოლოდ სამ რეგიონში სახლობენ: გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, გალის რაიონის სოფელ ოტობაიასა და სულ რამდენიმე კომლი — ფოთში. ეს ორი უკანასკნელი ერთმა

შობილი ორმოცი წლისა
და აწ მიწად მგებარე;
გევედრებით ღმერთს მავედროთ
სამოთხეს მკვიდრობარე.

როცა გაოგნებამ ცოტათი გაგვიარა, საფლავს ზედაშე ვაპკურეთ, აფხაზები შემოგვეხვიენენ და კითხვები დაგვაყარეს: აინტერესებთ ეპიტაფია, მათთვის აწ უკვე გაუგებარ ქართულ ენაზე შედგენილი, თუ როგორ ჟღერდა „გასაგებ“ რუსულ ენაზე.

შეძლებისდაგვარად ვეცადე სიტყვები მეთარგმნა, მაგრამ მხოლოდ სიტყვები...

როგორ შემეძლო იმ გრძნობათა პალიტრის, სიამაყის, იმ დიდებულების განცდის თარგმნა, რომელიც ამ რამდენიმე სტრიქონმა განმაცდევინა... ჩვენს მეგზურს მივმართეთ:

ხომ ხედავ, ამ ქვა-ფაქტს, ის ბევრ რამეზე მეტყველებს და არ ეგების ჩვენს შორის, აფხაზებსა და ქართველებს შორის ისეთი ქმედება, რაც ახლა ხდება-მეთქი.

შევამჩნიე, სახე როგორ შეეცვალა. არ ესიამოვნა, მაგრამ სტუმარ-მასპინძლობის ადათს ვერ უღალატა, მანქანამდე მიგვაცილა და საკმაოდ ცივად დაგვეშვიდობა".

„აფხაზეთის ხმა",
№40, 5 ოქტომბერი, 2001წ.

***

— რა ჩინებული წერილი შემომთავაზე, ძმისშვილო. გვარისა და ერის ფუნქციაზე დიდებულად გიწერია შენ „ქურუმებში", ამან კი მთლად ახალი შტრიხით გააძლიერა ადრინდელი შენი დაკვირვებანი და ჩემთვისაც დატოვა სივრცე საანალიზოდ. აბულაძეები ვყოფილვართ ჩვენ. აბლოთიები ვართ ახლა. გენეტიკურად რომ მიუდგე, შეუმოწმებლად გეიშვება ერთის სისხლი მეორეში, მაგრამ ცოტამ იცის ამის თაობაზე.

რამდენჯერ ვცადე შემეკრიბა ეს ხალხი აქეთ-იქეთ, განმეახლებინა დრო-ჟამისგან გახუნებული ჩვენი ხსომიერება.

— ილარიონოვიჩ, გპირდები, ცოტაც მადროვე და უეჭველად ჩავალთ ლანჩხუთში. გურიაზე გამოსაქვეყნებელი ისეთი წერილები მომიგ- როვდა, ყველაზე ფიცხელ ფირალსაც კი თმას ყალყზე დაუყენებს.

— აღდგომა და ხვალეო. ერთს გეტყვი კიდევ და ნუ დამძრახავ: გასაოცარი სურვილი გამჩენია ბედის უკულმართობით გადაწეულ-გადმოწეული გვარების გასასწორებლად. რა შეიძლება ამას ეწოდოს? გარანდვა? არა! ერთ სისტემაში მოყვანა? ხელოვნური მეჩვენება.

— იქნებ რეკონსტრუქცია.

— აგაშენა ღმერთმა! უკეთეს სიტყვას ვერ ინატრებ, თუმცა ვამჯობინებდი რესტავრაციას. ხო, რესტავრაციას. წარმოგიდგენია ახლა ერთი დედაბოძის გარშემო რომ დაჯარდებოდნენ თოდუები, თორდიები, თოდრიები და თორდუები; ბერაძეები და ბერიძეები ბერიშვილებთან ერთად; გამისონიები და გაბისონიები; პაპასქირები და პაპაშვილები. მოკლედ, ამით ორ კურდღელს დავიჭერდით.

ჯერ ერთი, სისხლით ნათესავს თვისტომს დავუბრუნებდით. მეორეც ზოგადეროვნულის პრინციპს დავუქვემდებარებდით მათ თანაარსებობას. აბა, შეხედე, როგორ არის საქმე?! ბერია და ბერაია იდენტური რომ არის, ამას წყალი არ გაუვა. აქ მთავარია, რომელს ავირჩევთ წამყვანად, განმსაზღვრელად. გვინდა ბერაია დაგვიწინაურებია და გვინდა — ბერია, ორივე შემთხვევაში გიორკეცებთ სანათესაოს, მაგრამ აქ არ შევჩერდებოდი, ძმისშვილო, ვინაიდან ამ მეგრული გვარის ეჭვმიუტანელი სისხლხორცია ბერაძე-ბერიძე იმერეთსა და ბერიშვილი კახეთში. ბოლოსართები აია, ავა, ძე, შვილი, ური, იანი და კიდევ სხვა მრავალი, ხომ გვარების მაწარმოებელია კუთხეებისდა მიხედვით, რომელიც თესავს ჩვენს შორის განსხვავებულობის სინდრომს და რომელსაც სვალალო შედეგამდე მივყავართ ხშირად აფხაზური მაგალითისა არ იყოს. აფხაზები რა ხანია შესდგომიან ქართული წარმოშობის გვარების გადასხვაფერებას. ახლა ისინი პასპორტში ბერაიას ნაცვლად ბერაას წერენ, ამით ჩვენ სხვა წარმომავლობის ერი ვართო აცხადებენ.

მე კი პირიქით, შვილამდე ან ძემდე დავამრგვალებდი ყველა გვარს და მოვსპობდი მათ შორის კინკლაობის უსაფუძვლო ნიადაგს.

შევხედოთ სტატისტიკურადაც. აგერ, ხელთ მაქვს კრებული. ბერიძე — 24797, ბერაძე — 4567, ბერიშვილი — 4107, ბერაია — 3312, ბერია — 1698, ბერიანიძე — 190, ბერნაძე — 98, ბერანიძე — 29, აქ ყველაფერი ნათელია. გამოდის რომ საქართველოში ფონემა წამყვანი „ბერიძეა", ამიტომ დანარჩენსაც მის ყაიდაზე გავფორმდები, რის შედეგად მივიღებდით ორმოცათასამდე ბერიძეს, ანუ ამდენივე თვისტომს, ნათესავს, ჯიშ-ჯილაგს და განსხვავებაც მოისპობოდა.

ეხ, რას არ მივედ-მოვედები? მეტყვიან ოპონენტები: კუთხეების მოჯალაგუა უნდაო, რომელმაც აქამდე შეინარჩუნა ჩვენი ინდივიდუალიზმი, სახელმწიფოებრიობა. იქნებ ასეც იყო, სათუთი საკითხია. იწერ, კაცო?!

— ვიწერ, ილარიონოვიჩ, ვიწერ.

— მასალები ყელამდე მოგიგროვდა, მაგრამ პუბლიკაციებს ვერ ვხედავ რატომღაც.

— გენერლის წოდების მინიჭებას გილოცავ!

— ხო, ამიერიდან სხვანაირად უნდა მელაპარაკო.

— გავიგე, შენი თენგიზი პარტიზანებთან ყოფილა გადასული ენგურს გაღმა. ხომ ჩამობრუნდა

მშვიდობით?!

— მე არ მინახავს, მაგრამ ნანულმა დამირეკა, ყველაფერი წესრიგშიაო.

— მოკლედ, იბრძვით მთელი ოჯახით. ფარაჯა გოჩასაც არ გაუხდია თურმე.

— აბლოთიები ხომ იცი, აბულაძეების გვარისაა, ბაბაგე!

— თენგიზი ,,ბი-ბი-სი''-ს კორესპონდენტია ისევ?

— გახლავს. ზურაბ სამუშაიასთან უსაუბრია. ზურაბი სხვანაირი კაცია. შენც ხომ გილაპარაკია მასთან?

— სამსაათიანი ინტერვიუ ჩამოვართვი. გასაშიფრია მხოლოდ. თავდამსხმელებმა ეგღა შემარჩინეს.

— რატომ მიმალავდი აქამდე? რამხელას გადარჩენილხარ, კაცო?!

— მეთქვა, შეიცვლებოდა რამე? გული მოგიკვდებოდა, მაინცდამაინც შენგან წამოსულს რომ შემემთხვა. არადა, რამდენს მეხვეწა ქალბატონი ნანული, მანქანით გაგამგზავრებთო. ეტყობა გამოსაშვები სისხლი მაწუხებდა. ილარიონოვიჩ, ბატონ თამაზ ნადარეიშვილთან ვიყავ გუშინწინ. რაღაც ახალი გაზეთის გამოცემა დააპირეს ბიჭებმა. რედაქტორობა მთხოვეს, მაგრამ მე შორს დავიჭირე თავი. ,,სიცოცხლის გზა'' ხქვია. მერჩივნა ,,ფადაას'' გვეწოდებინა, იგივე კოლექტიური მსვლელობა თავდახრილი სამშობლოს ღირსების დასაბრუნებლად.

— დროებით.

— ხო, დროებით თავდახრილი სამშობლოს ღირსების დასაბრუნებლად, მაგრამ ნაპო მილორავას წამოწყებულს გური ოტობაია ვერ გამოეკერება.

თამაზი ისევ თავისას აწვება:

ხალხმა დაკარგა რწმენა აფხაზეთში მშვიდობიანი გზით დაბრუნებაზეო, აცხადებს კვლავინდებურად. პარტიზანების შიშით სოხუმიდან ხალხი გარბისო, ბრძანებს. ბრძოლაში დაღუპულია აფხაზთა გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, ვინმე ასლანძიაო. დაახლოებით ასამდე მსხვერპლს ასახელებს. იცით, ყველაფერზე უფრო რა მიხარია?! ნადარეიშვილმა, როგორც იქნა, პრიორიტეტულად იდეოლოგიური ფრონტი, ინფორმაციული ომი დაასახელა. სამი წლის წინათ ჩემს მიერ ყლის ჩახლეჩვამდე აძრახებულს ასეთნაირად ჩამოაყალიბებს:

ჩვენი მომავალი წლის ბიუჯეტი სულს სხვა თვალით იქნება დანახული და გაიზრდება ხარჯები იდეოლოგიური მუშაობის გასაუმჯობესებლადო. ახალი ტექნიკით გავალთ ეთერში. გავაძლიერებთ ბეჭდვით ორგანოებს. უფრო ინტენსიურს გავხდით საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონტაქტებს და წარბშეუხრალად წარვმართავთ სხვა სახის მნიშვნელოვან ღონისძიებებსაცო.

საინტერესოა, ხქონია თუ არა თენგიზს შეხვედრა ჰიუტთან და კაზამბასთან? ეგენი ხომ აფხაზთა პირველი რუპორები არიან?!

— წარმოიდგინე, გური, რომ პოზიციები შეიცვალეს იმათაც. აფხაზების სიძე ხიუტი შარშან სოხუმში იყო ჩამოსული, კაზანბა კი საქართველოში გახლდათ ამასწინათ. მათ ფაქტობრივად ზურგი შეაქციეს არძინბას სისხლიან რეჟიმს, ვინაიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოს ილუზიები გაქრა, საქართველო კი თანდათან ფეხს იკიდებს საერთაშორისო არენაზე. ამას გარკვეულწილად 11 სექტემბრის ტერაქტმაც შეუწყო ხელი.

გახსოვს, გეუბნებოდი, რაღაც უნდა შეიცვალოს საერთაშორისო მასშტაბით, რათა აფხაზეთში ქართველების დაბრუნებას რეალური ნიადაგი შეექმნას-მეთქი.

ედუარდმა დაასწრო მოვლენებს, უფრო ზუსტად კი ხელად აუღო ალღო და მისი ვიზიტი ვაშინოტონში, ამისი ნათელი დასტურია. დარწმუნებული ვარ ამიერიდან ახალი ეტაპი იწყება აფხაზურ-ქართულ ურთიერთობაში. გამორიცხული არ არის რომ ამ პროცესმა, რუსეთის ზეგავლენა ნაწილობრივ შეინარჩუნოს კავკასიაში, ოღონდ შტატების დომინანტობის პირობებში.

მართლდება შენი პროგნოზი სამწვერა ნერვის თეორიასთან დაკავშირებით, ანუ საქართველოს ტერიტორიის გამოცხადება რუსულ-ამერიკული ბიზნესის პარიტეტული საქმიანობისათვის.

— ბატონო, რამინ, იმ შეხვედრისას ამისთანა კითხვა დავუსვი ბატონ თამაზს:

რას იტყვით-მეთქი გია არსენიშვილის ხელისმოწერაზე? იმ დოკუმენტის მიხედვით ხომ ომის პროპაგანდა კანონით ისჯება-მეთქი.

გაიცინა, ხელები ფართოდ გაშალა და აი, რა მითხრა:

არანაირი გამართლება აქვს ასეთ დოკუმენტსო. ადრეც იყო მსგავსი ხელმოწერები, რომელიც მერე ბუმერანგივით დაგვიბრუნდა უკანო. ერთ-ერთი დოკუმენტით აფხაზეთში დაბრუნება ეკრძალება მოქალაქეებს, რომელთაც იარაღი ხქონდა ხელში აღებულიო. ეს ხომ წმინდა წყლის სისულელეაო. გამოდის რომ აფხაზეთში უნდა დაბრუნდნენ მშიშრები, ლაჩრები და მოღალატეები,

ვინც ომის ბატალიებს გაექცა, იგივე ორგულები, დეზერტირებიო. არსენიშვილი განათლებული, ერუდირებული პიროვნებაა, მაგრამ მაინც ფიზიკოსია, ქვეყნის პოლიტიკას კი ჭეშმარიტი დიპლომატები უნდა ქმნიდნენო.

მან მოაწერა ხელი დოკუმენტს, ჩემი, თქვენი, სუფელას დაჭერაზე, რადგანაც იქ შავით თეთრზე წერია, რომ თუკი ვინმე შეეცდება პროპაგანდა გაუწიოს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას აფხაზეთში, იმის წინააღმდეგ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმეო. მაშინ აღვძრათ სისხლის სამართლის საქმე ბუშზე, რომელიც ცალსახად აცხადებს, რომ ის ძალას იყენებს ავღანელ ტერორისტებზე. წარმოგიდგენია, მუჭა ტერორისტებს თვითმფრინავებით ებრძვის.

აღვძრათ სისხლის სამართლის საქმე პუტინზე, რომელიც ძალას იყენებს ჩეჩნეთის წინააღმდეგ. კი, ბატონო, ჩემზეც, რადგანაც სეპარატისტული რეჟიმის დამხობას მოვითხოვ გაეროს მეშვიდე მუხლის ამოქმედებით, ანუ ძალის დემონსტრირებით და არა — აფხაზი მოსახლეობის გენოციდითო.

პარლამენტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება: დოკუმენტები, რომლებიც აქამდე ცხვირში გვირტყამენ აფხაზების გულის გასახარად, ძალას კარგავენ. უკრაინის შემოყვანა გვინდა, მაგრამ აფხაზები იძახიან: არაო, ვინაიდან ჩვენი ხელმოწერებით ორივე მხარემ უნდა მისცეს თანხმობაო. ასეა საქმის ვითარება. ამიტომაც საჭიროა მსგავსი დოკუმენტების დეზაუირებაო. და მაინც მიუხედავად ყველაფრისა, ნადარეიშვილმა მორატორიუმი გამოაცხადა...

— ესეც პოლიტიკურ ნაბიჯად მიმაჩნია, ძმისშვილო. აქეთ ასლან აბაშიძე ჩაერთო სამშვიდობო მოლაპარაკებებში, თუმცა, როგორც საქმის ვითარებიდან ირკვევა, ეს ინიციატივა რამდენიმე ხნით ადრე შაშიაშვილს წამოუწყია. შაშიაშვილს საერთოდ ბედი არ სწყალობს. ასლანი უფრო პატივშია რატომღაც. იქით რუსეთმა ბომბები ჩამოყარა კოდორის ხეობაში: ტერორისტებს აფარებთ ხელსო, უფრო სწორად ტერორისტებთან შეკრულხართ და მათი მეშვეობით აპირებთ მამა აბრაამის ბატკანი არძინბას ხალხის გაჟუჟვასო. დააცალა სხვებს. აი, გაივლის ნახევარი წელიწადი და დაინახავ, თუკი ამერიკა-რუსეთის დონეზე, არ მოხდა რაიმე პრინციპული შეთანხმება კავკასიის საკითხთან დაკავშირებით სიტუაცია კვლავაც იგივე დარჩება. ზურაბ სამუშიას როდის შეხვდი? საინტერესოა, რა გითხრა, რა გელაპარაკა?

— რამდენიმე თვის წინ იყო, ამ ბაკქანალიის აგორებამდე. მომხიბლა თავისი ერუდიციით. გავშიფრავ ნასაუბრებს და ამ დღეებში დავბეჭდავ. ვინიცობაა, ვერ მომიხერხდეს ეგ, ,,თეცის'' სატელეფონო ქსელს რა გამოლევს?!

— ხა-ხა-ხა! — შორიდან ვხედავ როგორ თახთახებს მთელი სხეულით. ასე ემართება უშურველი სიცილის დროს ჩემს პირუთვნელ მსაჯულს. იმდენად გადამდებია ეს როხროხი, ფილტვებიდან მჭახედ ამოღწეული განცდის ეს ბაბანი, უნებლიეთ ჯიგრებში ათასი ხვითო ჩაგისახლდება, იღლიებში ცხრაასი ბელზებელი გჯგვლემს და ფეხისგულებზე ოცჯერ მეტი ჯოჯოხეთის მაშხალა მოგჯდომია ფრჩხილების გულისწამღები ღლაბუცით.

— ხა-ხა-ხა! არ ერჩივნათ დაეტოვებინეთ სამსახურზე? წკვერემშა გითალუანთ თქვა თე ,,იტერას''.* იტიროს მერე რამდენიც უნდა! შენ მაინც რას გერჩოდნენ, შემოქმედ კაცს? ვინმეს ამძიმებდა სამი მცირეწლოვანი შვილის მამის ლუკმა? გაფორმებული ხყავდით თუ მართლაც მუშაობდი?

— მესამე კლასის მეთუნუქე მერქვა, ილარიონოვიჩ. სახურავებზე დავძვრებოდი თითქოს და ვარსკვლავებს ვკრეფდი ,,ახალი ქართველების'' სკივრებისათვის. მოგვცეს კომპენსაცია და გამოგვაპანღურეს. გახსოვთ, რომ ბრძანეთ, საქართველო ღია სივრცედ უნდა გამოვაცხადოთ რუსულ-ამერიკული კაპიტალის კონკურენციის გზაზეო. ვეჯიბრებით ახლა გასაჩუქრებაში, ვის უფრო იაფად მივაჩეჩებთ ჩვენს ენერგომატარებლებს, ჩრდილოეთს თუ სამხრეთს. სამწვერა ნერვის თეორიასაც ამას ვარქმევთ ქართული ვარიანტით.

რადიკალურად განსხვავებული მეჩვენება პარლამენტარ ჯანსუღ ეზუგბაიას პოზიცია:**ხელისუფლების ერთი უმაღლესი წარმომადგენელიც, თვით პრეზიდენტის ჩათვლით მზად არ არის იმისათვის, რომ აფხაზეთის საკითხებში რაღაც გადაწყვეტილება მიიღოს. ხელისუფლება, რომელიც ფიქრობს აფხაზეთის დაბრუნებას, მან პირველ რიგში საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაზე უნდა იზრუნოს. ხდება კი პირიქით: ყოველ წელიწადს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი მცირდება. 1993 წლის სექტემბრიდან 1994 წლის ივნისამდე ჩვენსა და აფხაზებს შორის სამშვიდობო ძალები არ მდგარა...**

დააკვირდით ამ ფრაზას, ბატონო, რამინ: **სამშვიდობო ძალები არ მდგარაო**.

ამ 8 თვის მანძილზე გალის რაიონში ადამიანის დაღუპვის ფაქტები ბევრად ნაკ-

ლებია დაფიქსირებული, ვიდრე რუსეთის სამშვიდობოების ჩაყენებიდან. მათი იქ „მოღვაწეობის“ 7 წლის განმავლობაში 1700-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქეა დაღუპული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისინი, ესე იგი რუსები, ბატონო, რამინ, იცავენ არძინბას რეჟიმს და არა — მოსახლეობასო. სამშვიდობოების მიერ ჩადენილი 180 ფაქტია უკვე დაფიქსირებული პროკურატურის მასალებში:სანამ მივიღებდით დადგენილებას სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონიდან გაყვანის თაობაზე, გაიმართა ჩვენი შეხვედრა პრეზიდენტთან; ჩატარდა პარლამენტის ბიუროს სხდომა, გამოითქვა განსხვავებული აზრიც, უფრო სწორად — შიში, რომ სამშვიდობოების გაყვანის შემდეგ მათ ვინ უნდა ჩაენაცვლოსო. მე ვგრძნობ, რომ არ შეიძლება მათი ჩანაცვლება, დსთ-ს სახელმწიფოს ჯარით უკრაინასი იქნება ეს თუ ნებისმიერის, ვინაიდან რუსეთს ყველასთან მიუწვდება ხელი და ზეწოლის ჩვეული ფორმებიც ზედმიწევნით შეუმუშავებია. ამიტომ თუ ჩაენაცვლა ვინმე, ის მხოლოდ საერთაშორისო შენაერთი უნდა იყოს და გაეროს მანდატით მოქმედებდესო. თუ ეს არ მოხდა, იქ უნდა დადგეს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, „სპეცნაზი“ და სხვა შენაერთები. მაშინ შეგხვედავთ ერთმანეთს თვალებში ქართველები და აფხაზები. ერთი-ორი თვეს, ბუნებრივია, იქნება მენტალური დაძაბულობა, მერე ყველაფერი დალაგდება. დაიწყება რეალური საუბარი და ნამდვილი სამშვიდობო პროცესი. მოკლედ, აუცილებელია რუსის მოშორება. და რაც მთავარია, აფხაზეთიდან სამშვიდობო ძალების გაყვანა გუდაუთის ბაზის გაუქმებამდე უნდა მოვახერხოთ, რათა სარეაბილიტაციო ცენტრის მოწყობა არ მოიმიზეზონო. თუკი ყოველივე ამგვარად არ წარიმართა, ჩვენმა ხელისუფლებამ გაეროში უნდა შეიტანოს განაცხადი საქართველოს გარკვეული ტერიტორიის ოკუპირების თაობაზე და მოითხოვოს მისი დეოკუპაციაო.

ამგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებს არსებული რეალობისადმი ჩვენი ჯანი, ჩვენი ჯასუღ ეზუგბაია. მაგრამ აქაც არ მიმაჩნია საკითხი ამოწურულად. ჯერ ვერ მივაგენი პიროვნებას, რომელიც პოკერის მაგიდასთან ფლეშროიალს ფლობდეს და სტრიტებით არ ბლეფობდეს.

— ოოო, იქამდე ძნელია მისვლა, ბაბაგე.

— მივალ, ილარიონოვიჩ, მივალ. ხომ წაიკითხე ,,მხარზე ამბორის მისტერიაში'' რანაირ ფაქტს ვიშველიებ ჭურიაში პრეზიდენტის ყოფნის თაობაზე. კლიმენტს როგორ გავუბუქებ კლიმატს და იროდი სართანიასა თუ ჯოტო გუგუჩიასთან დაპორტრეტებული ქვეყნის პირველი პირი, დახმარებისთვის ხელის გამოწოდებას რანაირად აღმითქვამს? გინდათ, სამუშაოს ჩანაწერის პირველი კასეტის მეორე მხარე მოგასმენინო?

— ჯიბით რომ დაატარებ, ოქროს ფონდისაა?

— გუბერნატორის საკვოტაიაქით დამაქვს ხოლმე ,,სუფევას'' მასალები, ილარიონოვიჩ და სადაც მომიხერხდება მუშაობაში ჩავეფლობი: ჩაწერის პირობებია? ვიწერ. კორექტურის დროა? ვასწორებ. გაშიფრის მოცალეობაა? ვშიფრავ. ასერგას ფორმიანი წიგნი, აბა, ციდან კი არ ჩამოვარდებოდა?!

— ამიერიდან არასდროს გისაყვედურებ, რატომ არ მნახულობ-მეთქი. ტყუილად არ გიწოდებია შენი თავისთვის კაზანბა!

— ილარიონოვიჩ, არ ვიცი შენმა თენგიზმა როგორი ინტერვიუ ჩამოართვა ბატონ ზურაბ სამუშიას, მაგრამ თუ გაინტერესებს, ჩვენი საუბრის დეტალებში გაგარკვევ. გესმის თუ არა კარგად?

— უკეთესად ვერც ინატრებ.

— ხოდა, აი, რას მეუბნება: უნდა დანიშნულიყო მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარედ ქართველიო, მეუბნება იგი, ამ დროს ჩვენს პოლიტიკურ ელიტაში, ჩვენს დეპუტაციაში აღმოჩნდა ბზარი, რომელმაც სამწუხარო კვალი დატოვა.

დეპუტაცია იყოფა ორ ნაწილად, ერთნი არიან ლომინაძის მომხრეები, მეორენი — მესხიასი. ეს ორი ვერ მორიგდება ერთმანეთში და ამ დროს პოლიტიკურ ილეთს იყენებს ვლადისლავ ანრძინბა: ვინაიდან მას 28 დეპუტატი ხყავს, ხმათა უმრავლესობა მის მხარეზა და ნიშნავს ზარანდიას.

მოდი, ამას ლოგიკურად შევხედოთ; რამ განაპირობა... ზარანდია დანიშვნა, როცა მოლაპარაკება უნდა წავიდეს ქართველებში, მაგრამ ჩვენ ერთმანეთი დავხოცეთ და დეპუტაცია რომ მიხვდება თავის დანაშაულს, დატოვებს სესიას — პარლამენტს გარეთ აღმოჩნდება.

არძინბას ეს მომენტი გამოსაყენებლად ხქონდა და თავისი პოლიტიკური გამჭრიახობით პირწმინდად მოუგო ჩვენს დეპუტაციას. განაწყენებული დეპუტაცია პროტესტის ნიშნად დატოვებს თუ არა სესიას, ერთ-ერთი უზენაესი საბჭოს დეპუტატი არღვევს კანონს. მე ვგულისხმობ ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს ლომინაძეს, რომელიც უბრუნდება თავის კაბინეტს.

იბადება კითხვა კი, მაგრამ რა სამართლებრივი ნორმით?

მე ისიც მახსოვს, ვლადისლავ არძინბამ ორჯერ მოუწოდა ქართულ დეპუტაციას სესიაზე მობრუნება, მოუწოდა ლომინაძეს კაბინეტის დატოვება და ასე შემდეგ: ვეებერთელა შეცდომა იყო საერთოდ აფხაზეთის გაყოფა ორ ნაწილად. მოდით მოვლენებს დავარქვათ თავისი სახელი: რას ჰ ქვია მილიცია, ქართული და აფხაზური.

აფხაზეთი სუფთა მეგრული დიალექტით შექმნილი აფხადან მომდინარეობს და მე სრულყოფილად ჩამოგიყალიბებთ ამას. არაკანონიერი, არასამართლებრივი გადაწყვეტილებით აფხაზეთის მილიცია იყოფა ორ ნაწილად: აფხაზურ და ქართულ მილიციად.

ამას წინ უსწრებს ის მოვლენებიც, რომ გუდაუთა-ათონის რკინიგზის მონაკვეთზე დაიწყება კრიმინალური მოქმედებების გამძაფრება. მე მაქვს დაწვრილებითი ინფორმაცია ბატონ თენგიზ სიგუასგან. ამ პერიოდისათვის განკუთვნილი მეზობელი ქვეყნებისათვის, რასაც ხქვია სომხეთი და აზერბაიჯანი, უკვე შეადგენდა 13 ტრილიონ რუბლს, რაც იმ პერიოდისათვის მილიონი დოლარია და იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც გადატრიალებით მოვიდა, ამხელა ვალის დაწოლა ყოვლად აუტანელი იქნებოდა.

იმ ვალს ეშველა მერე-მეთქი, ვეკითხები მე.

გარკვეული ვალის გადახდა მოუწია საქართველოსო, განაგრძობს ისევ ბატონი ზურაბი, იმიტომ რომ ვალი— ვალია. საერთაშორისო სასამართლო ყოველთვის დაავალდებულებს იმ სახელმწიფოს, რომელიც არ იხდის, ვერ შეასრულებს განრიგის პირობებს. ამიტომ შენ გაქვს გადასახდელი. მე მქონია საუბარი პრემიერ-მინისტრ სიგუასთან, სადაც გარკვეული ზომები იყო მისაღები და ერთ-ერთი მოტივი აფხაზეთის რკინიგზის მაგისტრალის გაკონტროლებაა. დოკუმენტურად არსებობს ეს პირობები, უნდა შესულიყო იქ გარკვეული ძალები, რომელსაც უნდა გაეკონტროლებინა იგი. იქვე არის ინფორმაციაც, იმის შესახებ, რაც იმ პერიოდისათვის სახელმწიფო საბჭოსა და აფხაზეთის ლეგიტიმიურ მთავრობას შორის ხდება — თვალები უფართოვდება მოსაუბრეს — აფხაზური პოლიციის გაყოფის შემდეგ აჩადარაში განლაგებულია საბჭოთა კავშირის მერვე პოლკი, რომელსაც გააჩნია თავისი ტექნიკა. და როცა მოხდება მილიციის გაყოფა ქართულ და აფხაზურ მხარეებად და ქართული დეპუტაცია დატოვებს თუ არა სესიას, ეს პოლკი გაყვანილი იქნება აჩადარადან. ამ პერიოდისათვის აფხაზურ მხარეს ოფიციალურად ლეგიტიმური ხელისუფლება ხქვია. და მას გადაეცემა ის ტექნიკა, რა ტექნიკაც ამ მერვე პოლკს გააჩნია. ამით უკვე შეიარაღებებს მოიპოვებს აფხაზური მხარე. აი, ეს ბალანსები თანდათან ირღვევა.

მაგრამ ამ ბალანსების დარღვევა მიზანმიმართულად ხდებოდა ჩვენს საწინააღმდეგოდ-მეთქი, სიტყვას ვაწყვეტინებ რესპოდენტს.

ეს სამზადისი პროცესი იყო, მშვიდად განაგრძობს სამუშია, აფხაზეთის მხარე ასე ემზადებოდა. და აფხაზურ ელიტაში, მათ მოსახლეობაში სუფევდა განწყობა, რომ დადგება ის დრო, როცა არცერთი ქართველი აფხაზეთში, არ იქნება. და აი, უკვე შემდგომში დატრიალდება მოვლენები: სახელმწიფო საბჭოს ჯარი შემოვა აფხაზეთის ტერიტორიაზე. გამოივლის იგი გალს, ოჩამჩირეს და იქიდან გასვლის შემდეგ პირველი შეტაკება მოხდება ოხურეისთან, სადაც ქართველი პოლიციელები დაიხოცებიან. ესეც პროვოკაციაა. ამის მერე ვლადისლავ არძინბა ყოველ ხუთ წუთში სატელევიზიო გამოსვლას აკეთებს, ახდენს აფხაზეთის მოსახლეობის მობილიზაციას.

ვის მიმართ? ეკითხება თავისთავს ჩვენი ზურაბი და იქვე პასუხობს: აი, ამ ჯარის მიმართო.

ესეიგი ტექნიკურად გამოიყენა-მეთქი, ჩავერთობი კვლავ.

ილეთი საჭიდაო ტერმინია, მაგრამ აქ პოლიტიკური ილეთი იყო, რომელიც არძინბამ მშვენივრად გამოიყენა. ახლა რაზეა საუბარი? მომაჩერდება სახეში, ქართული შენაერთი განლაგდება თუ არა ტურბაზასთან, დაიწყება მოლაპარაკება აფხაზეთის მთავრობასთან. არძინბა არ გამოცხადდება. ამ დროს ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ის საუბრობს რუსეთთან, მიმდინარეობს კონსულტაციები და რუსეთისგან არძინბა ღებულობს გარკვეულ გარანტიებს.

ესეც დაუშვებელი შეცდომა იყო, რომელიც ჩვენმა პოლიტიკურმა ელიტამ ყლაპა. ქართული პოლიტიკური ელიტა მიუდგა ამ საკითხს იმ კუთხით, რომ მე ვარ სახელმწიფო, ჩემია ეს ტერიტორია და მე მეკუთვნისო. იურიდიული თვალსაზრისით თუ შევხედავთ, მართალი ხარ, რომ ნებისმიერ ადგილას, თუ სახელმწიფო ვარ, მაქვს იმისი უფლება მოვახდინო ჩემი ჯარის გადაადგილება. მართლაც, სახელმწიფოს, პრეზიდენტს, რომ დაჭირდეს თავისი შენაერთის გადასროლა კახეთისკენ, კახეთის გუბერნატორი დაუდგება ამას წინ? ეს სამართლებრივი იდეა იურიდიულად თანდათან ირღვევა, მაგრამ არძინბა პოლიტიკურად ამას მშვენივრად იყენებს ჩვენს საწინააღმდეგოდ.

ეხლა რა არის?

არძინბასთან შეხვედრა ვერ მოხერხდება, თავს აარიდებს, იმიტომ რომ მას გარკვეული ინსტრუქციები აქვს მიღებული მოსკოვიდან და დაიწყება აფხაზური მოსახლეობის სრული ევაკუაცია გუმისთის იქით. გარკვეული ნაწილი კი დარჩება გუმისთის აქეთ. ფაქტია, რომ აფხაზურმა მხარემ იმ წუთსავე აწია რაც ხქონდა და რაც შეეძლო, იმიტომ, რომ ომისთვის ემზადება. და საუბარი იმაზე, იქნება თუ არა ომი, ეს არაპროფესიონალური დამოკიდებულებაა შექმნილი ვითარების ანალიზით.

დამისახელე წინაპირობები, გურიო, მომმართავს ბატონი ზურაბი, თუ რა ხდებოდა, როგორ ემზადებოდა აფხაზური მხარე.

გუდაუთაში დისლოცირებულია აფხაზეთის შენაერთები, ვეუბნები მე, მოსახლეობა ევაკუირებულია, და ბარემ მერმინდელ პერიოდზეც ვისაუბროთ-მეთქი.

ბატონი ბრძანდებიო, ღიმილით მიქნევს თავს. რა ხდება ახლა შემდგომ? ის ხდება, რომ თავდაცვის მინისტრი, იგივე სახელმწიფო საბჭოს წევრი, — სახელმწიფო საბჭოში შედიან: შევარდნაძე, კიტოვანი, სიგუა, იოსელიანი, უფროსობა მოკლედ, ამ საბჭოს უფლებამოსილებები განუსაზღვრელია. რეზოლუცია შინაგანი ჯარის შეყვანაზე აფხაზეთში, ამ ხალხში, ამ ელიტაში გაიცემა ხმათა უმრავლესობით. დღეს არც ერთი, აღარც მეორე და მესამე უარყოფს ამას. განისაზღვრება დღეც. მაგრამ ყველაფერი დანიშნულ ვადაზე ადრე მოხდება. ამას სიგუა თავის გამოსვლაშიც აფიქსირებს. ასე რომ, პიროვნულად კიტოვანი შეიყვანს, იოსელიანი, შევარდნაძე თუ სიგუა, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

თქვენ იცით, რომ სამი-ოთხდღიანი მოლაპარაკება არ შედგება იმ პერიოდისათვის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან. სახელმწიფო საბჭო აინუნში არ ჩააგდებს ამ მომენტს და ჩვენების შენაერთი ხაზარაშვილის ხელმძღვანელობით გუმისთასაც კი გადალახავს. შემდგომ მოდის ბრძანება ყარყარაშვილთან იგი გამოიყვანს შენაერთს და განალაგებს გუმისთვის გასწვრივ. ყველაფერ ამაზე პასუხისმგებლობას იღებს შევარდნაძე. მოტივი კი ის გახლავთ, რომ თუ ჩვენ გავაგრძელებთ წინსვლას გუდაუთის მიმართულებით, მაშინ რუსეთი ჩვენს საწინააღმდეგოდ გამოიყენებს ხაერს და დაბომბავს თბილისს.

ეს მოტივაციები ხშირად მეორდება თავის გასამართლებლად-მეთქი, შევაშველებ სიტყვას მე.

ხო, ეს მოტივაციები მეორდებაო, იტაცებს ჩემს ფრაზას ზურაბ სამუშია. სამ სექტემბერს ხდება ოთხმხრივი შეხვედრა და ხელი მოეწერება დოკუმენტს. ამას თვით პრემიერ-მინისტრი სიგუა ხელმძღვანელობს, რომელიც აწვება რუსულ მხარეს: არანაირ შემთხვევაში მონოეთნიკური ჯგუფის შექმნა! უნდა დაშალოს აფხაზურმა მხარემ თავისი შენაერთები! დაუბრუნდეს არჩეული მთავრობა სოხუმს და გააგრძელოს მუშაობა. მე საერთოდ მინდა გამოვყო ეს ხელშეკრულება, იმიტომ რომ კიდევ არსებობს სხვა შეთანხმებანი. ერთ-ერთი ხელშეკრულებაა, რომელიც რაღაცნაირად მისაღებია ქართული მხარესათვის. დანარჩენი კაბალურია. ამიერიდან სიგუა გასულია თამაშიდან, გადამდგარია, გამოყვანილია სოხუმიდან და ჩამოსულია შევარდნაძე.

ხოდა, რამდენად მართალია ეს გადაწყვეტილება-მეთქი. ბატონო, რამინ, ახლაც მაჟრუანტელებს მისი არეული შემოხედვა. მე თავს ვუქნევ დასტურის ნიშნად, მაგრამ არ ვიცი რის გამო ვეთანხმები. ის კი ერთიანად აფორიაქებული განაგრძობს:

თუ გახვედი უნდა გახვიდე ბოლომდე. მივიღეთ კი ისეთი შედეგი, რომელიც დამამცირებელია ქართველებისათვის.

ნუ, დავუშვათ გავსულიყავით-მეთქი, ვაღვივებ ინტერესის ჭიას, რა შედეგს მოგვცემდა მაინც?

გასვლა იმ შედეგს მოგვცემდა, ჩემო გური, მხარზე დამადებს მარჯვენას, რომ, ფსოუზე იმ პერიოდისათვის დესანტია გადასხმული. გაგრას აკონტროლებს ქართული მხარე. გუდაუთა არის ერთადერთი ბუდე და გუდაუთაში დაყენდებოდა ჯარი. გავიდოდა პირდაპირ საზღვრამდე და ჩაიკეტებოდა საზღვარი. გამიგეთ ახლა, უკან გაგრის ტრაგედიაა.შემდგომ — სოხუმის უბედურება. მოგვიანებით, აგერ, ამხელა რეგიონის ტკივილი — ავტონომიური რესპუბლიკის გენოციდი. ეს ყველაფერი არ დატრიალდებოდაო.

მაგრამ განა რუსეთი ვერ მოახერხებდა პროვოკაციას სხვა მხრივ-მეთქი.

მე ახლა სათუოდ ვაცხადებ ამას, ვარაუდის დონეზეო, აელეწება სახე. სტრატეგიულად კვლავ შეცდომაა დაშვებულიო. ისევ გამჭოლი მზერა, ისევ გარინდებული პოზა, ისევ ხაერში გაყინული ხელები.

რამდენად დაბომბავდა რუსეთი დამოუკიდებლად აღიარებულ სახელმწიფოს, თუნდაც თბილისსო; მეკითხება აქეთ. რა, ომს გამოუცხადებდა რუსეთი საქართველოს სახლმწიფოს ასე ღიად?! მაშინ გვეცოდინებოდა და დაფიქსირდებოდა, მაგრამ არაფერი მსგავსი! სიტყვა, მარტო სიტყვა

ისმის. ეს ვეებერთელა თემაა და მგონია მის სათავეებთან ჩვენ ვეღარასდროს მივალთ, იმიტომ რომ შედეგი სხვა გვაქვს. აი, ეს იყო ომის დაწყება. ამან უკვე სამწუხაროდ გამოიღო ის ნიადაგი, რომ სამი სექტემბრის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ამ ოთხ მხარესთან, თითოეულმა ერთდროულად იწყო მისი იგნორირება. ვის მიერ? აფხაზური მხარის მიერ. ეს უკვე ომის მსვლელობაა, ომის პერიოდია, რომლის შესახებაც გარკვეული მოსაზრება გამაჩნია.

ომმა შეიძლება ნგრევის გზით მშვიდობა მოიტანოს-მეთქი, შევუცვლი საუბარს კალაპოტს. ერთი პატარა ნიუანსი მაინსტერებს: კონკრეტულად, აფხაზეთის ომის პერიოდში მშვიდობიანი მოსახლეობის უკან მიბრუნება ვის მოაფიქრდა? რამდენად გამართლებულია საგანგებო მდგომარეობის დროს ორომტრიალში მშვიდობიანი მოსახლეობის ჩართვა საზარბაზნე ხორცად-მეთქი.

ხელს იმტვრევს შინაგანი კმაყოფილებით. ვგრძნობ სათქმელი ათიანში მოვახვედრე.

3 სექტემბრის ხელშეკრულება აფხაზურმა მხარემ დროის გაწელვის ტაქტიკით გამოიყენაო, აგრძელებს. ახლა ამას ბრმაც შენიშნავს. ის იწყებს სამზადისს. აფხაზური ელიტა რუსეთის დახმარებით აყალიბებს მოძრაობებს, ჩადიან რა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, სადაც მოუწოდებენ ადგილობრივ დამნაშავეთა სამყაროს აფხაზეთში ჩამოსვლას ეთნიკური უმცირესობის გადასარჩენად. საამისოდ შეპირებულია სოლიდურზე სოლიდური გასამრჯელო. ეს ყველაფერი ხდება რუსეთის საზღვარზე, ფირიც გაგვაჩნია სამხილ მასალად.

ჯოხარ დუდაევის პერიოდში, როცა ის ხელმძღვანელობს ჩეჩნეთს, დაფიქსირებულია მათი მხარე, როგორ ამზადებს მებრძოლებს აფხაზების დასახმარებლად. ყველა სამგზავრო სამარშრუტო მანქანას აწერია: „ნა სოხუმი", თუ როგორ მოდიან და როგორ ეწერებიან ისინი აფხაზურ გვარდიაში.

ეს დუდაევს ექვემდებარებოდა-მეთქი, ჩავერთობი ისევ.

ყველა დუდაევს ექვემდებარებოდაო, მომიგებს მსწრაფლ. იყო შემოთავაზება აფხაზების მხრიდან, რომ თუ დაგვეხმარებით ქართველების განდევნაში, თქვენი ნებაა მოხვიდეთ და იცხოვროთ ნებისმიერ ადგილას აფხაზეთის ტერიტორიაზეო. იმ პერიოდისათვის ჩამოხყავთ საერთაშორისო ტერორისტი შამილ ბასაევი, რომელიც სათავეში ჩაუდგება აფხაზეთის უკანონოდ ჩამოყალიბებულ სისტემას, რასაც თავდაცვის სამინისტრო ხქვია. აფხაზეთს არ ხქონდა თავდაცვის სამინისტროს ჩამოყალიბების უფლება მოქმედი თუ წინა კონსტიტუციით, მაგრამ ის უკვე ფაქტობრივად იმართება გარკვეული ძალების მიერ რუსეთიდან. შემდგომში ჩამოხყავთ სოსლანბეკოვი, რომელიც თავდაცვის მინისტრი ხდება და უშუალოდ მისი პირველი მოადგილე შამილ ბასაევია. უფრო მეტიც, თუნდაც ომის დამთავრების შემდგომ ორივე მათგანი არის აფხაზეთის ეროვნულ გმირად წოდებული.

მოიცა, მოიცა, აფხაზეთის გმირებად-მეთქი.

ხო, აფხაზეთის გმირებადო, მიკონკრეტებს ბატონი ზურაბი.

მე, როგორც ადგილობრივ მაცხოვრებელს, შემიძლია მოვნათლო ჩვენი, თუნდაც კანონიერად არჩეული მთავრობა, კრიმინალურად, გნებავთ ტერორისტად. არავის ხქონდა თავისი მაცხოვრებლის წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციების წარმოების უფლება, რომლის მსხვერპლი გახდა 30 ათასამდე ქართველი, ხოლო დაახლოებით 200 ათასი დევნილია, გამოძევებული მამაპაპური მიწა-წყლიდან.

არსებობს დოკუმენტები იმის თაობაზე, რომ ოთხმხრივი ხელშეკრულება ოთხჯერვე ირღვევა და ყოველთვის აფხაზების მხრიდან:

1993 წლის 3-4 იანვრის შემოტევა;

იგივე თუნდაც რუსეთის გენშტაბში დაგეგმილი 15-16 მარტის ოპერაცია;

იგივე 4-5 ივნისის ოპერაცია და ბოლო 16 სექტემბრის ბატალიები, რომლითაც საბოლოო წერტილი ესმება აფხაზეთის დაკარგვას.

აი, ეს მთლიანობაში და კიდევ — შემდგომ მათი გაგრძელებანი ბეცი გამყიდველური პოლიტიკით, რომელსაც საერთო ჯამში ძალადობის გზით შექმნილ კრიმინალურ რეჟიმს, ჩვენი მთავრობა, დოყლაპიობის გარდა ვერაფერს დაუპირისპირებსო.

დაქირავებული ბოევიკების ჩამოყვანის შესახებ მომიხსენებია. მოკლედ, ეს არის ხააგის სასამართლოს კომპეტენციის დანაშაულებანი და როდის დადგება მისი განხილვის დრო, ღმერთმა უწყის, მაგრამ ეს სარჩელი ზურაბ სამუშიას უკვე შეტანილი აქვს იქ.

მაინც როდის აღძარით საქმე, ბატონო ზურაბ-მეთქი, ვეკითხები მე.

ორი წლის წინო, მპასუხობს რესპოდენტი, და იქვე გააგრძელებს: მოკლედ, ჩვენი უკანდახევის შემდეგ ფრონტის წინა ხაზი აღმოჩნდება გუმისთა. 3 სექტემბრამდე დაიწყება 23 ბრიგადის ჩამო-

ყალიბება, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა გააჩნია და ფაქტობრივად დაკომპლექტებულია მისით. ეს ბრიგადა აყვანილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რიგებში. მას ხელმძღვანელობს შეუდარებელი გენო ადამია, რომელიც მოახერხებს იმ პერიოდისათვის 4 ბატალიონის შექმნას. თანდათანობით ეს რიცხვი 8 ბატალიონამდე გაიზრდება და თავისი მთლიანი შენაერთით ბრიგადად დაკომპლექტდება. ახლა საინტერესო არ არის როგორ განლაგდება ეს ბრიგადა ფრონტის ხაზზე ბატალიონებად? ზღვიდან, მხედველობაში მაქვს გუმისთის შენაერთი რკინიგზის მაგისტრალამდე, ჩაბარდება მეექვსე ცალკეულ სატანკო ბატალიონს. ეს ჩემი ბატალიონია. რკინიგზიდან დაახლოებით შუა... იმამდე... ჩვენი ზურაბი საჭირო სიტყვას ვერ პოულობს, ილარიონოვიჩ, ჩაბარდება მეორე ბატალიონს, რომელსაც ხელმძღვანელობს მუგბანიანი. მეორე ბატალიონიდან გაგრძელებას ხპოვებს მესამე ბატალიონი. მისი ობიექტი ხიდია. მესამე ბატალიონს ვეკუა მეთაურობს, პირველს დათო ღვინჯილია. შემდგომ არის მეშვიდე ბატალიონი სურმავასი და იმისი გაგრძელებაა სიგუას მერვე ბატალიონი. მეხუთე ბატალიონისაა — ტამიში-ახალდაბა. გამოდის რომ ჩვენ არ გვყავს მეოთხე ბატალიონი. ის შენაერთში საერთოდ არ ყოფილა. ამის გარდა თვით ბრიგადას გააჩნია თავისი სპეცდანიშნულების რაზმი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში იძახებენ. აქ გენოს ბიჭია, ადამიასი. ეს გახლავთ მთელი სოხუმის გამაგრება. ამ დროს, ილარიონოვიჩ, ზურაბი ქაღალზე მიხაზავს ბატალიონების განლაგებას. ხელწერაზე ვატყობ მხაზველობა ფრიად ემარჯვება — ის ფიზიკოსია, მეცნიერ-მუშაკი. რაც შეეხება მეხუთე ბატალიონს, მისი მეთაური ვარჩეს შენაერთია, გურამ დადვანის ხელმძღვანელობით და მთლიანად აკონტროლებს სოხუმის მიმდებარე ტერიტორიას. ამის გარდა კიდევ გვყავს ჩვენ საზენიტო-საარტილერიო შენაერთები, რომლითაც 23 ბრიგადა იცავს სოხუმს 13 თვის მანძილზე. ოთხი ძირითად შემოტევიდან, ბრატ, სამს მოვიგერიებთო, დარცხვენით მიმხელს ზურაბი, მაგრამ სექტემბრის თვის ბოლოშემოტევის მოგერიება ყოვლად შეუძლებელია, რადგან 93 წლის 24 ივლისს ხელი მოეწერება ისევ კაბალურ გარიგებას, — აფხაზეთის ტერიტორიიდან მძიმე ტექნიკის გაყვანას. და მოხდება მშვიდობიანი მოსახლეობის წინდაუხედავი დაბრუნება. აი, ეს პერიოდი უკვე მიგვანიშნებს იმას, რომ სექტემბრისთვის, როცა ქართული მხარე პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას, საქმეც შავად წაგვივა. მეორე მხარე, რომელსაც აფხაზური ხქვია, მძიმე ტექნიკას გაიყვანს ათონის იქით, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთი საათის მანძილზე საწყის ადგილს დაუბრუნონ. ეს განაპირობებს სექტემბრის თვეში ფორსირებულ შეტევებს, რომელიც დაიწყება მასობრივი დაბომბვებით, იერიშებით, რაც სისრულეშია მოყვანილი მოწინააღმდეგის მხრიდან, იმიტომ, რომ ჩვენ უკვე მძიმე არტილერია არ გაგვაჩნია, ფრთამოჭრილ არწივს ვგავართ. ხოლო ფოთში გადასროლილი ჩვენი ტექნიკის უკან გადმოტვირთვა ტექნიკურად შეუძლებელია, ვინაიდან კოდორი გადაკეტილია. ვეღარ გაარკვევ: ვყლაპეთ, ანკესს წამოვეგეთ თუ განგებ მოვიმოქმედეთ ყოველივე! ასე, რომ სოხუმი მთლიანობაში ალყაში აღმოჩნდება. მოსახლეობას, ბრატ, ერთადერთი გზა დარჩება: გოლგოთის გზა, იგივე საკენი-ჭუბერის გზა, გასაქცევი გზა საკუთარი გენერალიტეტის ახლომხედველობით დაქცეული ქვეყნიდან.

ამ დროს ბატონი ედუარდი სოხუმშია-მეთქი, ვეკითხები სულშეგუბებული.

კი, კი, ედუარდი სოხუმშიაო, მპასუხობს ყრუდ, ქვევრიდან ამოძახებულის მსგავსად. გახსოვს ჩანაწერები, როცა ის პირდაპირ გადის გრაჩოვთან, ჟიული შარტავასთან ერთად? როგორ ეხვეწებიან აკაკი ელიავას, შემოვიდეს თავიანთი შენაერთებით და გაგვამაგროს?! ეს არის სოხუმის დაცემის ერთადერთი და მთავარი მიზეზიო, მოსჭრის გაფითრებულის სახით.

ხოლო შემდგომში იცით, რომ 27 სექტემბერს, დაახლოებით 19 საათისათვის სოხუმი აღებულია. ოცდაათში დილის 9 საათისათვის ენგურის განაპირას უკვე აფხაზური მხარე დგას. რაც შეეხება 27-დან 30-მდე, აფხაზები ფეხით გამოივლიან მიტოვებულ ტერიტორიებს. მოკლედ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ სოხუმის დაცემით აფხაზეთი მთლიანობაში ჩაბარებულია. სტრატეგიული თვალსაზრისით თუ მივუდგებით, მაშინ მივხვდებით, რომ ჩვენ აქ ვეებერთელა სამხედრო დეფიციტსაც განვიცდით. თუნდაც იმით, რომ პირველიდან ვეღარ გაკეთდება მეორე ეშელონი და მმართველობა ამ უკანასკნელზე ვერ გადმოინაცვლებს. ჩვენ გუმისთაზე მტერს ამდენი ხნის მანძილზე წარმატებულად ვიგერიებდით, შეგვეძლო ანალოგიურად სადღაც კელასურის მიდამოებში შეგვექმნა მეორე ფორპოსტი და მოწინააღმდეგის ფორსირებული სვლა შეგვეფერხებინა. მაგრამ ყველაფერი ეს უკვე შეუსრულებადია. დაპანიკებულია ჯარი, დაპანიკებულია მოსახლეობა. ჯერ დაპანიკებული მოსახლეობა დააპატიმრებს ჯარს, ხელ-ფეხს შეუკრავს. ყველა საკუთარ ოჯახის უსაფრთხოებას მიაჩერდება, კერძოობითი გახდება სახელმწიფოებრივი საქმე. ისიც შეცდომაა, რომ იმ დროისათვის მოსახლეობა ბრუნდება. ხელშეკრულებით გარანტია არანაირია. წინა სამი მსგავსი შეთანხმება უგულებელყოფი-

ლია, ფეხითაა გათელილი და ნუთუ არ კმარა ჭკუის მოსახმობად, მეტი სიფრთხილისათვის? მე საუ-ბარი მქონდა ჩვენს რუზგენ გოგოხიასთან, ვეჭრები საუბარში, თითქოსდა არსებობდა უკანდახევის პოზიციების დათმობის ბრძანება. გური, ბრატ, გამისწორებს მზერას, ერთ რაღაცაში მინდა დავა-ფიქსირო ჩემი პოზიცია. როცა ასეთი რანგის მეთაურები, საუბრობენ, მაშინ უნდა ვაღიაროთ ერთი რამ: თუ იყო ბრძანება, ჩვენ უნდა დავაკონკრეტოთ ამ შემთხვევაში ბრძანების მოტივი. მოდით, ყველაფერს პასუხისმგებლობის დონეზე მივუდგეთ. დამარცხებული ჯარის ზოგიერთი წარმომადგე-ნელი იძახის: იყო უკან დახევის ბრძანებაო. მე როგორც ზურაბ სამუშია, ვაცხადებ: ჩემთან ასეთი ბრძანება არ მოსულა, მაგრამ თუ აცხადებს ვინმე მსგავს რამეს, ხომ იყო შემოჭრა მოწინააღმდეგის მხრიდან გადაცემებზე, ჩვენს სატელეფონო საუბრებზე?! გახსოვთ, ალბათ, ერთ-ერთ მომენტში აფხა-ზი შეეცდება ჩვენს დიაპაზონზე დაჯდომას და იძახის სამედიცინო დახმარებას! მივლენ ჩვენი ბიჭები და ყველას ამოხოცავენ! დივერსია იყოს ეს, ჩვენი არაპროფესიონალიზმი. როცა საუბრობს ზოგიერთი ბატალიონის მათაური, რომ მე მქონდა ბრძანებაო, მას, ბატალიონის მეთაურს, უშუალოდ ბრძანება უნდა მიეღო, ამ შემთხვევაში ბრიგადის შტაბიდან, იგივე ბრიგადის შტაბის უფროსისგან, ან ბრიგა-დის მეთაურისაგან. თვითონ ბრიგადის მეთაურს ეს ბრძანება უნდა მიეღო კორპუსის მეთაურისაგან, ან საერთოდ, ფრონტის ხელმძღვნელისაგან.

ბატონო, ზურაბ, ისევ ჩავერთვები საუბარში, მოდით, პატარა რეზიუმე გავუკეთოთ ჩვენს დიალოგს: საომარი მსვლელობის სურათი დახატულია. ვიცით რა სიტუაციაა, მაგრამ უმთავრესად მაინც რამ განაპირობა ჩვენი ასეთი მარცხი-მეთქი.

მე გეუბნებით, — ქორივით შემართულია ზურაბ სამუშია, — თუ არა ტექნიკის გაყვანა აფხაზე-თის ტერიტორიიდან, სხვა მიზეზს ვერ ვპოულობ. კიდევ ვიმეორებ, სანამ ბოლო შემოტევა მოხდე-ბოდა, იყო სამი უდიდესი შტურმი, ერთ-ერთი მათგანია 15-16 მარტის, რომელიც რუსეთის გენშ-ტაბში დაიგეგმება, მაგრამ ჩვენ მაინც მოვახერხებთ დაცვას და სოხუმელები სხვა თანამოძმეებთან ერთად, მტერს კუდით ქვას ვასროლინებთ. მაგრამ, გური, ბრატ, გაგანია ომში ქაღალდომანია, მიგვიყვანს ამ სავალალო შედეგამდე: უიარაღოდ დარჩენილი ჯარისკაცი ტექნიკის წინაშე ნულია. ტყუილია ახლა იმღერო: ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდაც ხისაო. თანამედროვე ომი კოლექტიური ფსიქოლოგიისაა, და არა — ინდივიდუალური, როგორც ამას ადათ-წესი გადმოგ-ცემს შორეული წლებიდან. ავტომატიანი კაცი ტანკის წინაშე, ვიმეორებ: ნულის ტოლია. აგერ, სოსო ელიავაც დამემოწმება, რომელსაც აფხაზეთის ომის კომპიტერულ ტვინს ვეძახდით. — ჩემი ოტობაიელი კარის მეზობელი თანხმობის ნიშნად თავს მიქნევს.

ყველა ინფორმაციას ჩვენ ვღებულობდით ოპერატიული სამსახურიდან, — აგრძელებს ზურაბ სამუშია, მე ახლა ჩემს მეგობარს თუ გადავულაპარაკებდი, ჩვენგან ეს ინფორმაციები აქედან მიდი-ოდა, ვინაიდან ბრიგადას თავისი დაზვერვა, თავისი სამსახურები გააჩნია. ისინი აწვდიდნენ ინფორ-მაციას ბრიგადის შტაბს, რომელიც შემდეგ ჩვენთან აღწევდა. ჩვენ ვიცოდით როდის იწყებოდა იერიში; ჩვენ ვურეკავდით იმათ, ვაწვდიდით ინფორმაციას: მოგვაშველე ეს, მოგვაშველე ის. მოკ-ლედ, ეს იყო მაღალ დონეზე ორგანიზებული 23-ე ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქარ-თველოს დიდი ლეგენდა, ჩვენი გენო ადამია.

27 სექტემბრის ამბები ვიცით, მაგრამ ისიც გაგვეგება, რომ ოფიციალური შტაბის წარმომად-გენლობა, იგივე მეორე გმირის მეთაურობით იქ დარჩება. ამ დეტალზე კაცურად მომიყვი-მეთქი, ვუმზერ თვინიერად და ისიც დაუზარლად სულ სხვა მიმართულებას მისცემს საუბარს.

კი, ბატონო, ჩემი მონაკვეთით ვიხელმძღვანელებო, ამყვება ორნახადი არაყივით. სხვა მონაკვეთს მე ვერ ვაკონტროლებდი და ყურმოკრულით რისთვის შეგაწუხო?! მე ვაკონტროლებდი ტერიტორიას ზღვიდან რკინიგზის მაგისტრალამდე. ესე იგი 16 სექტემბერს, როცა კოდორში და-იწყო მოძრაობა და გადაიკეტა, პირველი გასროლა აქ მოხდა. რამდენიმე საათში უკვე დაიწყო შემოტევა. ამ დროს ხიდზე დგას რუსეთის სამშვიდობო ჯარები, ასევე ჩვენი და აფხაზების — კბილებამდე შეიარაღებული სამასამდე კაცი. მან იერიში მიიტანა, აი, ამ ადგილზე, რასაც ხიდი ხქვია. ხიდზე აყვანილია ყველა ქართველი და ისინი შემოვლენ თუ არა, გაიშლება მთელი ფრონტის ხაზი. მე ერთი ასეთი რამ მოვახერხე: მოვახერხე იმიტომ, რომ მეორე ეშელონი მქონდა მომზადებული წინას-წარ სამხედრო თვალსაზრისით და მეექვსე ცალკეული სატანკო ბატალიონის მეომრები ჩასაფრდნენ მეორე ეშელონში.

ჩვენ 27 სექტემბრამდე დავყავით მეორე ეშელონში. სავალალო ის იყო, რომ ჩვენ გვერდით მყოფი ბატალიონები დაიძრნენ, აიყარნენ, დავრჩით მარტოდმარტო. ვერ გაუძლეს ამ შემოტევას. ხოდა, 27 სექტემბერს, როცა მე დაცვის ბიჭისთვის გამოვიძახე სამედიცინო დახმარება „კობრა“, ის სამი საათის დაგვიანებით მოვიდა. მე ვხედავ „კობრას“ ჩემს შტაბში,დაცხრილულია. ეს კი იმის

მაუწყებელია, რომ სოხუმი დაცემულია, უკვე შემოსულია აფხაზური მხარე. მოდი, ამას აფხაზურ მხარეს ნუ დავარქმევთ, უფრო ზუსტია მოწინააღმდეგე ვუწოდოთ და ჩვენ ნახევრად ალყაში ვიმყოფებით. ამის შესახებ ჩვენ ჯერ ინფორმაცია არ გაგვაჩნია. სოხუმი აღებულია. შტაბმა გადაინაცვლა უკან, აგუძერაში. შტაბი ფაქტობრივად არ არსებობს და ინფორმაციას ვერავის ვაწვდი. ერთადერთი ვხვდები იმას, რომ ალყაში ვართ. ყოველივეს კი ,,კობრას'' დაცხრილული მანქანით ვასკვნი. ,,მაიაკის'' მოსახვევთანაა დაცხრილული. როცა მე ბრძანებას გავცემ ჩემი სადაზვერვო სამსახურის უფროსს: გაარკვიეთ რა ხდება ჩვენს უკან-მეთქი, ესენი დაზვერვის მონაცემებით მომაწოდებენ ინფორმაციას: ალყაში ვართო. სხვას რას მოიმოქმედებ ექსტრემალურ სიტუაციაში: მოვიწვევ ყველა მეთაურს და ჩავუტარებ თათბირს. თან ვეუბნები:

ბიჭებო, ჩვენ ალყაში ვართ. მოდი, ეს ჩვენი ალყაში ყოფნის პერიოდი არ დააფიქსიროს მეომარმა, თორემ პანიკა ატყდება. ამიტომ დაღამდება თუ არა, ღამის 11 საათზე მოხსენით ყველამ თქვენ-თქვენი შენაერთები და შევიკრიბოთ, აგერ, შტაბში, მაიაკის ბოლოს, სკოლასთან. აქედან დავიწყოთ გარღვევა და გავიდეთ სამშვიდობოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გათენდება თუ არა, ჩვენ ამოგვხოცავენ. ტყვია-წამალს ჩვენ ვერ გვაწვდიან. არანაირი კავშირი ცენტრალურ შტაბთან. შტაბი კავშირის დამყარებას ვერ ახერხებს და ასე შემდეგ... ამ ოპერაციას შევასრულებთ 11 საათზე. მოვხსნი ყველა შენაერთს და ჩემებთან ერთად წამოვალ ზღვის სანაპიროთი. მოვალთ წითელ ხიდთან და აქედან შევნიშნავ: მთავრობის სახლის წინ მიდის სალუტები. გამარჯვებას ზეიმობენ. ბოღმა. ცერზე კბენა. ცრემლი. ისინი იმ ღამით ნაბიჯს არ გადაადგამენ. ელოდებიან გამთენიას. ირიჟრაჟებს თუ არა მთელს ქალაქს მოედებიან და ამოვლენ ხიდზე. აი, ესაა ძირითადი მომენტი. ჩვენ გამოვალთ ბნელში, 27-ში და 28-ში 12 საათის შემდეგუკვე ვართ მდინარე კელასურთან . ჩვენ არც ჯარი გვინახავს. ყველა გასულია, ჭუბერის მისადგომებთან დგანან. ეს არის პანიკა და არა მართვა. ეხლა უფრო მეტს გეტყვით: ჩვენი შენაერთი რომ ჩააღწევს კელასურის ხიდთან, ველოდები ვინმე მოვა და ამ დროს დაახლოებით იქნება ღამის 1-2 საათი, გამოჩნდება თავდაცვის მინისტრი გია ყარყარაშვილი. მოიყვანს სამხიდიან კამაზს, და აქვე — ამწეს. ჩვენ ამით მოვახერხებთ მდინარე კელასურზე ხიდის გადაკეტვას. ესე იგი ბარიკადს, რომ ტექნიკა არ წამოვიდეს. ხოლო ერთ-ერთ ადგილს ვტოვებ მსუბუქი მანქანის გასასვლელს. დანარჩენი ჩაგმანულია. ველოდებით, იმიტომ რომ ყარყარაშვილი იტყვის: მე ეხლა მინიონებს გამოვგზავნიო. დავნაღმოთ ეს წინა ხაზი. სამას კაცს გაძლევ და ვიწყებ თავდაცვასო. რატომ ვერ შეასრულა, ამას თვითონ ყარყარაშვილი გასცემს პასუხს. გამთენიამდე მე არც მემინიონე მინახავს და აღარც — 300 მეომარი.

ისე, მებრძოლი კაცი ნამდვილად იყო — მეთქი, ვიცავ გენერლის მუნდირის ღირსებას.

კიო, მიდასტურებს ბატონი ზურაბი, მისი ხელმძღვანელობით ჩვენ გადავლახავთ მდინარე გუმისთას, უშუალოდ მისი ხალხი გააკეთებს ამას. ადგილობრივები ჯერ კიდევ არ არიან მომზადებულები. მისი მონაწილეობა ბევრგან მინახავს, ვერავინ იტყვის ყარყარაშვილი მხდალიაო. ვინც იტყვის, ის არაკაცი იქნება. ახლა ფაქტი, რაც ჩემს უკან ხდება უცნობია. იქნება ღამის ორის თხუთმეტი წუთი. დადგომას აზრი არ აქვს. ჩვენ ავალთ სიმაღლეზე, ბაღმარანის შესახვევთან და იქიდან დავიწყებთ ხიდის კონტროლს. ჩვენს მიერ გადამალულ მძიმე ტანკს გადავაგზავნით კარიერთან, საიდანაც მე კონტროლზე ავიყვან მას. მეორე ტანკს დავაყენებ თხუბურთან, კაშტატკას. სამი კაცი უცებ გამოვა, ესვრის, მერე უნდა დაიმალნონ, იმიტომ რომ ტანკის ღია ცის ქვეშ დაყენება ყოვლად გაუმართლებელია. მე ვხედავ მაღლობიდან, რომ სოხუმის ტრასაზე, გამოჩნდება მანქანა, მოუხალოვდება ამ ბარიკადას, გვერდიდან აუვლის ღიად დატოვებულ ასაქცევს და შეხყვება ხიდს. მე ბინოკლიდან ვხედავ ყოველივეს. ეს გენერალ ადამიას მანქანაა. გადაჭრის ხიდს, წავა და რამოდენიმე მეტრში დამეკარგება, გაქრება თვალთახედვიდან, რადგან იქ კელასურის მოსახვევია. ოცი წუთის შემდეგ იქიდან მოდის ჯავშანტრანსპორტიორი. ეს უკვე აფხაზური მანქანაა, რომელიც მთელი სიჩქარით მოექანება. ნახავს თუ არა ამ ბარიკადს, ის კელასურის ინსტიტუტის ასახვევთან სახლს ამოეფარება და დაიწყებს ჩვენსკენ სროლას. ეს ყველაფერი დაცვის ბოლო აკორდებია. აშკარად ვხედავ, ჩვენი აქ დგომა უაზროა და ვიწყებ უკუსვლას ჩემი სოფლისკენ, სადაც ოჯახი მელოდება. შევალთ თუ არა უცებ ვიყვან ჩემს შვილებს, ნათესავებისას, ჩავისვამ მანქანაში და მინდა გოლგოთის გზაზე გავაღწიო. უკან ვბრუნდები დიოსკარიასთან, მაჭარკაში. აქ უკვე აფხაზები დგანან. უკვე ის გასასვლელიც დაკეტილია ჩვენთვის . ერთადერთი გზა, რომელიც შემდგომში დაგვრჩება, ეს არის ოჯიბინეს კოდორის ხიდის ზღვიდან რამოდენიმე მეტრში. და იქ მოვახერხებ ბავშვების გადასხმას. ვბრუნდები უკან მეორედ, ვიყვან 28 კაცს, ვჩქარობ ჩარჩენილი ოჯახის წევრების გამოყვანას. დრანდაში აფხაზებია. ვერ ვახერხებ ამას და ჩამრჩებიან, ჩამრჩებიან სამუდამოდ.

ნუ, ჩვენ ორასი წელი არ გვიომია სამშობლოს ტერიტორიაზე -მეთქი, ვაყოვნებ ზურაბის გამა-

ლებულ საუბარს, ილარიონოვიჩ. ათასი გამოუცდელობაა. დაცემულია აფხაზეთი, მაგრამ აწი იწყება მეორე — შინაგანი ომი: უზარმაზარი ხალხის მასა გამოვა ენგურს გამოღმა, ათასი დანგრეული ოჯახი, ათასი უბედურება. ჯარისკაცს ეს ომი არ წაუგია. იგი გენერალიტეტმა ჩააფლავა, ჩვენმა პოლიტიკურმა გულუბრყვილობამ. საკენით ვერ წამოხვედით — მეთქი, ვეკითხები.

ვერა, ოჯიბითო, მპასუხობს. ხიდი უკვე აფხაზებისაა. გადავცურავთ ამ მდინარეს. რა ხდება 30 სექტემბრის შემდეგ? ჩვენ მოვახერხებთ იმ ბატალიონების, იმ მეომარი ბიჭების მობილიზაციას და დავიწყებთ ბრიგადის აღდგენას ქუთაისში. მე ჩამოვალ სპეციალურად თბილისში. ცენტრალური ტელავიზიით ვაძლევ განცხადებას, რომ ყველა ის მეომარი, ვინც აფხაზეთში იბრძოდა, გამოცხადდეს ქუთაისში. ორ დღეში ჩვენ მოვახერხებთ დაახლოებით ერთი ბატალიონის აღმართვას.

ბატალიონს ჩვენ ვეძახით სრულყოფილ... მაგრამ რესპოდენტი არ დამაცლის და ფრაზას თვითონ დაასრულებს:

სრულყოფილ ბატალიონზეა საუბარი. სატანკო ბატალიონი იწყება 380-388 კაცით. არის მეორე მოტომსროლელი ბატალიონი — 480 კაცი. არის გაძლიერებული ბატალიონი 520 კაციანი და ასე შემდეგ. მე გეუბნებით, დაახლოებით ერთი ბატალიონის დონეა უკვე ქუთაისში. ქუთაისიდან ჩვენ მოგვივა ბრძანება და დისლოკაციის ადგილს შევიცვლით. ხონში დაიწყება სოხუმის ბრიგადის აღმართვა. ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ჯიშკარიანს, არტილერიის 23-ე ბრიგადის ყოფილ უფროსს, ჩვენს მეთაურს, ზარანდიას და მე. აღვმართავთ ბატალიონს. ყველანაირად მზადა ვართ ომში ჩასართველად, განმანთავისუფლებელ მოძრაობაში ჩასაბმელად. ამ პერიოდისათვის კოდორის მიმართულებით გაირღვევა ბრიგადები და ახალი საშიშროება ჩნდება, რასაც კოდორსი ხეობის დაცემის საფრთხე ხქვია. მე ამ დროს მივმართავ სახმელეთო ჯარების უფროსს გენერალ ყურაშვილს, რომ გთხოვთ, მომცეთ ბრძანება და ჩავერთვები ამ ომში-მეთქი, რაც დაუყოვნელივ შესრულდება და მთელი ჩემი პირველადი შენაერთით, 256 კაცით, გავეშურები კოდორისაკენ: მთლიანი დაჯგუფების მეთაურად დავინიშნები.

აკაკი გასვიანი ამბობს, ისევ შევეხიდები რესპოდენტს, ჩვენ ვიყავით, ვიდრე მომისწრებდნენო.

მე გეუბნებით ოფიციალურ დონეზე, დოკუმენტალურადაც, რომ არის ყველანაირი ჩანაწერი თავდაცვის სამინისტროს არქივში: „კოდორის დაჯგუფების მეთაურად ინიშნება ზურაბ სამუშია“... მაქვს ამისი ბრძანება და ამონაწერი. მოვახერხებთ იმას, რომ ჩასვლისთანავე აჟარაში გავაკეთებთ შტაბს. ჩვენამდე იქ ასულია ოჩამჩირის ბატალიონი რუზგენ გოგოხიას ხემლძღვანელობით. შევცვლი მას და დავიწყებ ჩხალთიდან სოხუმის მიმართულებით ტერიტორიების გაწმენდას.

იქ რა დონის შეტაკებებია-მეთქი, წამსძლევს კვლავინდებურად სული.

გეტყვითო, მშვიდია ზურაბ სამუშია, უკვე ომის ამპლუაშია და აწეწილი ძარღვები დაწყნარებია. სოფელ ქვაბჩარასთან ბრძოლებში მოწინააღმდეგის სომხურენოვანი მოსახლეობაა ჩართული. უწინარესად ეს განადგურდება და გავანთავისუფლებთ ჩხალთას, ქვებჩარას, ლოჯის, აჩანთხარას, და ზემო ლავას, ყველაფერი ჩვენი ბიჭების სიმამაცის წყალობაა ადგილობრივ მონადირე ბატალიონთან ერთად. იმ პერიოდისათვის მონადირე ბატალიონს ხელმძღვანელობს ემზარ კვიციანი, გულფოლადი კაცი. 94 წლის ივლისის ხელშეკრულებით სამშვიდობო ძალებია შემოყვანილი და იმავე წლის აგვისტოში ჩვენთან, აჟარაში, გადმოყვანილია ურალის ბატალიონის ერთ-ერთი ნაწილი. ჩვენ იძულებული ვხდებით თავდაცვის მინისტრის ბრძანება შევასრულოთ და გამოვალთ იქიდან 94 წლის 10 სექტემბერს. შევასრულებთ მინისტრის ბრძანებას. გამოვიყვანთ ჯარს და უკვე 13 სექტემბერს დავწერ პატაკს — გამოვალ თავდაცვის სამინისტროს რიგებიდან. ეს იმის გულისთვის, რომ თავდაცვის მინსიტრი, როგორც შენაერთს, გამოგვიყვანს და წყალში ჩაგვიყრის ამდენ სისლისღვრას ამდენ ქედუხრელობას. თანაც შემოყვანილია სამშიდობო ძალები: ჩვენ ვასრულებთ სახელმწიფო პროგრამას და თქვენს აქ ყოფნას იგი არ ითვალისწინებსო, მოტივაცია ამგვარია. შევეწინააღმდეგები: მე ვარ ადგილობრივი. აქვე ვცხოვრობ, ამ რაიონში და რატომ უნდა გამომიყვანოთ-მეთქი. თქვენ გაქვთ აგერ, ოთხი ხელშეკრულების მაგალითი, რომელთაგან ერთიც არ შესრულებულა. რა გარანტია გაქვთ, რომ ესეც დანარჩენივით არ დაირღვევა-მეთქი. ამ საუბარს ესწრება იოსელიანი, იმდროინდელი პრემიერ მინისტრი ფაცაცია, თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია; რუსეთის მხრიდან ესწრება პასტუხოვი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე პოლგრანიევი და აფხაზური მხარედან — სოსლანბეკოევი თავისი ხროვით. აი, ამათ შევეწინააღმდეგები და შემდეგ მე, როგორც თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელს, აღარ შემიძლია ამ სისტემის მინისტრის ბრძანების შეუსრულებლობა. შევასრულებ მის ბრძანებას და სამ დღეში მის რიგებსაც დავტოვებ.

რჩება ერთადერთი გზა, ლოგიკურად მივსდევ საუბრის შინაარს, ილარიონოვიჩ, პარტიზანუ-

ლი მოძრაობა-მეთქი.

მადლიერად შემომხედავს, და კვლავ აუჩქარებლად გააგრძელებს:

აი, აქედან იწყება უკვე წინააღმდეგობის მოძრაობა, იგივე ,,თეთრი ლეგიონი''.აქვე მოგახსენებ, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს რაიმე სტრუქტურები: ესოდენ გაბერილი კი არა, საუბარია 93-94-95 წლებზე. არ არსებობს აფხაზეთის უზენაესი საბჭო თავისი საგადასახადო და კონტროლის პალატით თუ შინაგან საქმეთა სამინისტროთი. ამიტომ ცოტა არ იყოს ეს და მისი ჩამოყალიბების პროცესი, გარკვეულ პოლიტიკურ ვაკუუმსაც გვაძლევს.ესეიგი როგორც მოგეხსენებათ 94-ის 13 სექტემბერი ეს ის თარიღია, როცა მე ვტოვებ ოფიციოზს და გავდივარ მისი რიგებიდან. შემდგომ იწყება ახალი მოძრაობა, რომელსაც სახელად დაერქმევა აფხაზეთის წინააღმდეგობის კომიტეტი. იგი დგას საზოგადოებრივ საწყისებზე და მის ძირითად მიზნებსა და ამოცანებში ჩაიდება ის, რომ თუკი საქართველოს დაემუქრება საზღვრის რღვევის პროცესი, ჩვენ ნებისმიერ ადგილას მობილიზაციას ვუკეთებთ და ვქმნით ეროვნულ ლაშქარს. ხო, ხო, ამას ჩვენ ჩავდებთ წესდების ფარად. ჩვენ ყველანაირი საფუძველი გაგვაჩნია ამ კუკუმალაობისათვის. ამას თვით პარლამენტი და მისი თავმჯდომარეც არ უარყოფს, ვინაიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე ჯერჯერობით და საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება. ყოველივე კი იმის მიმანიშნებელია, რომ დარღვეულია ქვეყნის საზღვარი, ხელყოფილია ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა და გახსნილია გზა უფრო გაბედული მოქმედებისათვის მტრის ზურგში. ყველაფერ ამას დიდ ამაგს დასდებს ირაკლი ბათიაშვილი. მოძრაობასაც იგი შეურჩევს სახელს, ,,თეთრ ლეგიონად'' მონათლავს. უკვე გვაქვს საამისოდ სრული იურიდიული უფლებამოსილება: შევქმნათ მოსახლეობისაგან ეროვნული ლაშქარი.

მაინც რას ნიშნავს ,,თეთრი ლეგიონი''-მეთქი, ჩავეძიები ილარიონოვიჩ.

,,თეთრი ლეგიონი'' ისტორიული სინამდვილეა, გური, ბრატო, განმარტავს ალდაჩხირი კაცი. საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდში, დიახაც ეს მოძრაობაა პირველი ეროვნული ლაშქარი. ჩვენ პირველები ვართ, მაგრამ აფხაზეთის დაბრუნების საკითხი უფრო გლობალურია, ათასი ძაფითა და საცეცით მიერთებული მსოფლიო პრობლემებს და ,,თეთრი ლეგიონის'' ძალისხმევა აქ ისეთ პროპორციაშია, როგორც ჭიანჭველა — სპილოსთან.

ვაკის პარკის არჩევნების კარუსელი

— ფინიშის სწორზე გავდივარ, ბატონო რამინ. შემიგვიანდა დარეკვა, მაგრამ მომიტევებ მოუცლელს.

საქართველოს ორ რეგიონში მაჟორიტარული არჩევნებია დანიშნული — ვაკე-საბურთალოსა და ბაღდათში.

პერიფერიულ იმერეთში ლორთქიფანიძე გამოკვეთილა, მაგრამ აქ, საქართველოს ცნობიერების ეპიცენტრში, თბილისში, საწუთრო ეტნასავით ბუყბუყებს.

სააკაშვილს თარსად მონათლული 13 ნომერი ხვდომია წილად და დარწმუნებული ვარ, გამარჯვებაც მის ხელთაა.

ამაოდ ეპაექრებიან მცირეტირაჟიანი პერიოდიკით რეფორმატორების სულისჩამდგმელს ,,ლიტერატურული საქართველო'', ,,მართალი გაზეთი''თუ სხვანი და სხვანი. არაფერს შველის გაღმაოკეანური ქარავანის მსვლელობას ძაღლების ღავღავი პატროფილური ინტერესების ორღობედან.

სააკაშვილთან ჭიდილში თვით დავით სალარიძეც დამარცხებულა ორიოდე წლის წინათ და ახლა, იუსტიციის მინისტრის პოსტიდან ექსტრავაგანტური გადაგომის შემდეგ, მიხეილი, მიშიკო კავკასიური ცარცის წრიდან, უმეტოქო რეიტინგით შემოსილა ალენ დალასის დოქტრინით გამოსუქებული ახალგაზრდობის თვალში.

ყველაფერი კი მას-მედიაზე შეტევის ინსცენირებით აგორდება, ილარიო- ნოვიჩ.

,,რუსთავი-2''-ს ფინანსური საქმიანობის შემოწმების მოტივაციით მიადგებიან პროკურატურიდან. მასმედიის ხელშეუხებლობა რეფორმატორების კოზირია.

საეთერო სივრცეს ეგენი აკონტროლებენ და დაიწყება წკავწკავი:

გვიშველთ, გვაქცევენო!

ათასამდე გულშემატკივარი კი მოგროვდება მათ ოფისთან, და ამის თაობაზე გულისტკივილით იტყვის ბატონი რეზო შავიშვილი: ქომაგი ძალზე ცოტააო, თუმცა ციებ-ცხელება რომ გვემართება პრესის კანონის მიღებაზე, ესეც რეალობაა.

მღვრიე წყლებია ირგლივ და ღორჯოების დაფჩენილი პირები ჟანგბადის შესასუნთქად. განუკითხაობა, ტალახი, სროლა, ცილისწამებანი და მოჩვენებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრა

შელახული ღირსების დასაცავად. მილიონებს ითხოვენ, დამრგვალებულს, მაგრამ ჯიბე ამობერტყილი ჯერ არავის უნახავს.

„რუსთავი-2“-ის რევიზიონიზმი ფრიად წაადგება ქუჩის მივიწყებულ ვნებათა ღელვას.

გამოშურებულან ტრანსპარანტებით სკოლის მოსწავლეები. თინეიჯე- რებით — ახალგაზრდობით იქმნება სიმრავლე, თორემ მათ მამებს და დედებს მიტინგობანას მწარე გაკვეთილები გვარიანად უწვნევიათ: სულ იმის ცდაში არიან, როგორმე მჭადი და ლობიო მოიხელთონ თვლებამოღამებული შვილების დასანაყრებლად.

პოლიტიკურ მოთხოვნებს არ ახლავს ათი წლის წინანდელი ეიფორია და ზღვარსგადაცილებული ისტერიკა, რადგანაც ერთხელ დამწვარს ხელმეორედ ვერ მოუკიდებ.

მოითხოვენ მთავრობის გადადგომას სრული შემადგენლობით.

პრეზიდენტიც ამათ ამქარშია მოყოლიებული, ოღონდაც შედარებით მოზომილი და ფრთხილი ინტონაციით.

რუსთაველის პროსპექტი ხალხით გაიჭედება მართლაც მოედნიდან ძეგლამდე.

რეზო შავიშვილის სიგნალი ამუშავდება.

ძირითადი თავსმეხი ძალოვანებზეა, კახა თარგამაძეზე, ვახტანგ ქუთათელაძესა და გია მეფარიშვილზე.

შინაგან საქმეთა მინისტრი ბეჭებზე დადებას შეხპირდა მასმედიას და საკუთარ ილეთზე წამოეგება კისრულით.

წარბშეუხრელად დათმობენ ისინი სავარძლებს.

ჟესტი ვაჟკაცური გამოსდით, ოღონდ ეს არის, ყველა გია მეფარიშვილის საბოლოო სიტყვას მიყურადებია:

აბა, რას იტყვის გენერალური პროკურორიო. და აქ გასაოცარი სპექტაკლი გათამაშდება. პირიდან აცლიან სიტყვას მიკროფონთან ასვეტებულ პიროვნებას. ვერ გადაუწვყვეტიათ კენჭი უყარონ მის გამოსვლას თუ არა.

აკი, გადადგომაში ყველას ჟვანია გადაუჯოკრავს, მოიხსნის უფლებამოსილებას, და ვინაიდან ქვეყანა უხელისუფლოდ არ ეგების, რეგალიებს გაუმყარებს პრეზიდენტს.

დასაშვებია სპიკერის ქმედების ამგვარი ინტერპრეტაციაც.

ამასობაში პრეზიდენტი დაასწრებს კათედრაზე გასული გენპროკურორის საბრალდებო სიტყვას და მთავრობას დიდიან-პატარიანად დათხოვნილად გამოაცხადებს.

თვალებით ზომავენ ერთმანეთს მეფარიშვილი და ჟვანია.

რისი თქმა გნებავდათ, რომ ყველაფერი პარლამენტიდან იყო ინსცენირებულიო? კბილეში გამოსცრის ქვეყნის მეორე პირი და წავა მსვლელობა ახალი სპიკერის ძიების გზაზე. მაგრამ ამ ყველაფერსაც კუს ნაბიჯით უსწრებს მაჟორიტარული არჩევნები, ილარიონოვიჩ, და ბარემ ამასაც მოვიქცევ ცნობიერების ჩეროში. ზვიად გამსახურდიას უტოლებენ პროფესორ ალასაინხეს ვაჟიშვილს, რომლისთვისაც „**შეგრული ენის შეგინება, იგივე დედის ჰატივაყრის ტოლფასია**“. ცისფერი ეკრანიდან ვუთვალთვალებ მოვლენების განვითარებას.

სარიშვილ-ჭანტურიას ორი ნაშვილები ბოკვერი უმშვენებს მხარს საარჩევნო პლაკატზე.

გოჩა ფიფია ხელისგულზე მოთავსებულ ჭუკივით ბაღანას გვთავაზობს მომავლის ბურჯად და იმედად.

ჟორჟოლიანს თანადგომას უცხადებენ „მრეწველები“ და მის პრეტენდენტს თურმე ჯიპით დასდევს კუდში ბატონი დავით სალარიძე: ზედამხედველობას არ აკლებს თანაგუნდელის უმთავრეს კონკურენტს, როგორც ამას განუხრელად გვაწვეთებს ყურში „რუსთავი-2“.

ჯაბა იოსელიანი კულუარებიდან თირავს კარუსელის ტრიალს. ეს წუთია ჩამოსულა კოდორიდან. ვერავინ დასწამებს მას წარბშეუხრელობას, მაგრამ იქაურობა როს სანდოდ მოუგულვებია, გამოშურებულა კიდეც ვაკის პარკისკენ .

ვაკის პარკის არჩევნების კარუსელი, ილარიონოვიჩ, ძალების ერთგვარი მოსინჯვაა პრეზიდენტსა და ჟვანია-სააკაშვილს შორის.

მზიანი 21 ოქტომბერი სამუდამოდ დაუშვებს ფარდებს სააკაშვილის კონკურენტებისათვის.

უმაქნისია „ედეპეელების“ პიკეტები საარჩევნო კომისიის ალაყაფის კარებთან.

აღებულია ბარიერები შტურმით .

ვერაფერიშვილია ჯონდი ბაღათურიას არგუმენტები, რომ საარჩევნო უბნებში აქა-იქ ყუთები მოუპარავთ დღისით, მზისით, თარგამაძის ხელქვეითების თვალწინ თუ სულაც მათი ხელშეწყობით.

სარიშვილი-ჭანტურია ზოილურ ბოღმას ანთხევს ქალაქის მერის თავზე და ძველუბრად რუსთაველის გადაკეტვით იმუქრება, თუკი ზოდელავა სამ დღეში არ გადადგება. ირინა სწორედ ზოდელავას მიიჩნევს სააკაშვილის მფარველად, ვინაიდან, როგორც ამტკიცებს, მომხდარა გაუგონარი გარიგება: ვინიცობაა მაჟორიტარულ არჩევნებში სააკაშვილი გავა, თურმე ეს უკანასკნელი კენჭს არ იყრის ქალაქის მერობაზე, მაგრამ მუქარა მუქარად დარჩება, ვინაიდან კვირაძალი ძლივს გაივლის და გახლეჩილი „ედეპეელების", თვალების ბრიალისათვის ვეღარავინ მოიცლის — წინ უფრო შთამბეჭდავი მოვლენები აგორებულა — ალან დალესის დოქტრინებით გათვითვინებული ჭუკების ჩიჩაყვებით, ნამეხარ-ნაგრიგალარი მთავრობის სახლათან.

სააკავშილს მოუსწრია უკვე ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას საფლავის მთაწმინდაზე მონახულება.

გამარჯვების პატაკი „შავლეგოს" რაინდისთვის ჩაუბარებია.

ფაქტობრივად ოფიციოზის რედაქტორსა და ყვითელ პრესას შორის ზომიერ, წელგამართული პერიოდიკას დიოგენის ლამპით ვეძებ, რომელიც პოლიფონიურად დაუთმობდა დრო-სივრცეს ქართველ საზოგადოებრიობას, თუმცა — უშედეგოდ: ან ალჩუა შედეგი, ან კიდევ— თოხანი. შუალედური, ორი უკიდურესობის დამზავებელი პოზიცია კი შარშანწინდელი თოვლივით გამქრალა ამ ვულგარულ კაკოფონიაში.

კონსერვატორები ხელგამოღებით აქილიკებენ იუსტიციის ალაყაფის კარებთან სამავზოლიუმო ჭრელ ჯიხურებში გაკვეხებული გუშაგების ცვილისფერ იერს, სამასკარადო თეთრსამოსელიან პატრულებს.

რეფორმატორები „დარდუბალათი" და „ახალი ვერსიითი" ისტერიკულად ახვანცალებენ პრეზიდენტის თხემზე ლერწმის გუნება-ხასიათის კუშტულს, უგზოობისა და უმომავლობის ანტენად: თუკი შენს მეზობელს დაუგვიანეს თოთხმეტი თვის პენსია, იცოდე რომ განსაკუთრებული არაფერი არ ხდება, რასაც ხედავ შენი ქვეყანა, შენი სამშობლო — საქართველოა, დილ-დილაო, აბა, დელა და...

აღვირახსნილი სექსის პროპაგანდა ჩუტყვავილას მოხდამდე და მენსტრუაციის ციკლების მოძალებამდე ათაყვანებს ჩვენს მოზარდ თაობას.

გულისგამაწვრილებელია რეკლამები პამპერსების, პაკეტებისა და პრეზერვატივების საჭიროებაზე, იმ სასქესო ორგანოების დაბოლოებებისათვის, რომელთაც ჯერაც ვერ ღირსებიათ რიგიანად წელში მომაგრება.

ოციათასი ლარის მაძიებლებს ასი ლარი განაღდებული აქვთ ხორცსაკეპში გატარებული კითხვებით დუტა სხირტლაძის შოუდან. პირველი ხუთეული ამოცანის სირთულე დაახელობით ასეთია:

რა ხქვია ოთხფეხა ცხოველს, რომელიც თაგვის შეხრამუნების შემდეგულვაშებს აცმაცუნებს ნებიერად , და სულ მიავ-მიავის კნავილით იკლებს აქაურობას? აქლემი? ვირი? ცხენი? კატა?

ოფიციალური ტელეარხების უნიჭო რეკლამები სამაიებითა და ხორუმებით, ნახირ-ნახირო იძახის რუსთავორელების ქმედითი დიზაინის ჯოგს გამოდევნებული, რომელიც გაღმაოკეანური სუბკულტურის კავკასიაში უპრობლემო დამკვიდრების მრავალნაცადი ღონე-სახსარია.

მასმედიასაც ამისთვის აკონტროლებენ რეფორმატორები! სანამ ტერაქტში ეჭვმიტანილი აბსანძე თავის კანდიდატურას მოხსნიდეს ვაკის-პარკის მაჟორიტარული არჩევნების კარუსელიდან, ვიდრე სარიშვილი-ჭარტურია-იოსელიან-ჟორჟოლიან-ფიფიას და სხვთა, გამარჯვების იმედი უფხაკუნებთ გულში, მერუსთავენი სოციალოგიური გამოკვლევა „დეას" მონაცემებით, აფრენამდე გამარჯვებულად აცხადებენ სააკაშვილს. არას დაგიდევენ ტენდენციურ ჩარევებს ელექტორატის ცნობიერებასა თუ თავად კომისიის მერმინდელ ქმედებებზე. ეს სტილია აქტიური გამარჯვების პათოსისა, მაკიაველისეული დოქტრინისა: მიზანი ამართლებს საშუალებას.

აბსანძისა და მისი თანამოაზრეების გაქცევას გადახყვება იუსტიციის მინისტრი ხეცურიანი.

აბსანძისა და მისი თანამოაზრეების ხვრელში ძრომიალი მოიყვანს იუსტიციის მინისტრად სააკაშვილს.

რამდენიმე მსგავსი მცდელობა გამოვლინდება მერმე მიხეილის ალღოიანობის საილუსტრაციოდ.

რუსთავის ციხე მის ასაშენებლად გამოყოფილი თანხის მეათედით აღიმართება. დემონსტრირებულია ყაირათიანობის საშვილიშვილო მაგალითი.

ილიას ნათლით შემოსილი შუბლი განუყრელად დამკვიდრდება სანგვინიკური ტემპერამენტის მინისტრის კაბინეტში, მისი სვარძლის ზურგს უკან.

აქამდე შემოქმედებას რომ უწუნებდნენ ერის უგვირგვინო მეფეს ბერძენიშვილები თუ სხვანი, მინისტრყოფილის მფარველ ანგელოზად. მეხამრიდ ძალად მოგვევლინება მოოქროვილი ჩარჩოთი.

პარლამენტში ვარ, ილარიონოვიჩ.

რა ესაქმება აქ პიპას? ვეკითხები ჩემს თავს კანონმდებელთა დარბაზის ალიაქოთით შეცბუნებული. ტელეკამერის გვერდით მოყუჩებულა, ,,ნაუშნიკებით'' სმენადახშული ოპერატორის გვერდით. აქვე არის ჯურხა ნადირაძის ძმა ელდარი, დავითაშვილის მუშტების მოსაგერიებლად ბუდას სკულპტურის ხელებით რომ აღიმართება. სულმნათი ჯურხა პიროვნება იყო, ხასანაც ფოლადიასაა, არც თვითონ გამოიძერწება მთლად სპილენძისა?

ვხედავ ჯემალ გამახარიას, უდრეკლობის განსახიერებას, იმისი პირდაპირი ჩამომავალია, ვინც ჯაგარა ტანს მუგუზლით შამოიტრუსავს და პაპაჩემი ბიქტორის სამედიატორო გახდება საუკუნის მიღმა.

ვამჩნევ აბრალავს, ვახტანგ რჩეულიშვილს, ,,ბორჯომს'' რომ მიაშუშხუნებს მოხუნტრუცე პუპუზას.

სპიკერი ახალია. ეს ციებ-ცხელებაც ზურგსუკანაა.

ტელეკომპანია ,,რუსთავი-2'' აქაც ,,დეას'' გამოკვლევებით წინასწარვე გამარჯვებულად აცხადებს კაპადოკიელის ერთმოსახელე სეხნიას და როდესაც კონკურენტები— ჯემალ გოგიტიძე და ვაჟა ლორთქიფანიძე ფინიშის სწორზე ჩამორჩებიან რეფორმატორების კანდიდატურას, სააკაშვილი-ჟვანია ვნებათაღელვას ვერ დამალავენ: პარლამენტში ზედმიწევნით შენარჩუნებულია მათი სულისკვეთება.

22 ნოემბერია, ეროვნული ტრაგედიის აგორების ათი წლისთავი.

წუხანდელი შეპირებისამებრ ალეკო კარტოზია უპასუხებს ოპონოაციას, განსაკუთრებით სააკავშილს, რომელიც ლამის კორუფციის ოკეანეში აყურყუმელავებს განათლების მინისტრს და ულვაშების საწიწკნად გვარიან დრო-ხანს მიუბოძებს.

დაბრუნებულა დევნილი ინჯია.

ზეზვა ღუღუნიშვილი მობილურით დაიარება, ოთხ მწკრივა მერხებიან დარბაზში, მაგრამ მაინც სიხალვათეა.

ლაგვილავა და ჩხოროწყუს მაჟორიტარი მეორე მიკროფონთან მუსაიფობენ. გალერეადან ტატამებივით მოჩანან მელოტი თხემების წრეები.

რეგისტრაციისათვის მობრძანებას ითხოვს სპიკერი ბურჯანაძე — უეროვნო პასპორტის შემოქმედი.

ჯიბეებში ხელებჩაწყობილი გიგი წერეთელი მავანს ებაასება, ზურგით გასაგნებულა ჩემი მხედველობის არეში, ისე რომ, პოზიციას არ იცვლის მეთორმეტე წუთია.

ზოგი სპიკერს მისჩერებია მეორეკლასელი ბავშვივით გასუსული.

ბევრი სავარძელზე შემოტრიალებულა, ბარმენისას რომ ჩამოხგავს უცხოური ფილმებიდან და ამგვარად ერთვება მუშაობაში.

მობრძანებულა ბერმუხა მუხრანი და დიდოსტატი კონსტანტინეს მკლვევარ სიგუას მეზობლობაში მოკალათებულა.

დევნამოხსნილი კაკუბავა უშიშროების ყოფილ მინიტრს, ,,თეთრი ლეგიონის'' ნათლია ბათიაშვილს ებაასება.

იურა მათურაშვილს დაბადების დღეს ულოცავენ. ხვალ გიორგობაა, ქრისტეს რაინდის დღე.

აგერ, ბოლო ჭანჭიკადმე მოშვებული მიხეილ ნანენიშვილიც.

ვაჟა ლორთქიფანიძე მესამე მწკრივის ბოლოსაა დათო მაღძარისა და ბათიაშვილს შორის.

ხაზარაძისა და წერეთლის გერემოცვაში სპიკერობიდან გადამდგარი შენგელიაა ყავისფერი კოსტუმით.

ახა, დევნილი ელიზბარ ჯაველიძეც მუხრანის სიახლოვეს.

კორტასარის ,,სამხრეთის შარაგზა'' მახსენდება რატომღაც მანქანების კოლონა რომ დაიძრება მრავალსაათიანი პიკეტის შემდეგ და დროებით ურთიერთობაგაჩაღებულ მძღოლებს შორის დაირღვევა ეფემერული დიალოგი, მოიშლება წამიერი წესრიგი.

კაკუბავა უკვე ჭიპაშვილთან თათბირობს . ამ უკანასკნელს ვესტუმრები მე თვეების წინ ფეშენებელურ ოფისში ტაბიძეზე და აჭარის ლომთან ვიზიტისათვის განაცხადს დავუტოვებ, მაგრამ ვის დაკარგვია გური ოტობაია, როცა იქ მეისტორიედ თეიმურაზ ქორიძე კურთხეულა?!

ჯანსულ ჩარკვიანს მოუხდია ხევსურული ქუდი. ბოლო დროს იგი დიდ პატივშია სვანურის სანაც-

ვლოდ, თვალსაც იტაცებს და გონებასაც. ლევან სანიკიძეს ბაძავენ.

კარტოზია კათედრაზეა.

ფურცლავენ ტიტულიან ქაღალდებს. აქ ნაკლებია პარლამენტის დამღა, შეპესეთა ცვენაა ფერადი, ბრჭყვიალა ემბლემებით.

მიშველაძეს საკუთარი ,,100 მწერლის გაზეთისათვის'' დაუყრდნია მარჯვენა, როცა მესამედი ძლივს შემოჯარვია მის სანოველო სივრცეს და მათ ბელეტრისტულ დიდებულებას ეხმატკბილება წარმოსახული დარბაზიონიდან.

გოჩა ჯოჯუა გალახულია ალავიძეს მიერ და ქალაქის პოლიციის ექსშეფს ვირის აბანოებში თავი რომ არ უკრან, კარდიოლოგების ლაშქარი დახვევია სასწრაფო დახმარების სამსახურიდან.

შემოდის სპარტანულად აღკაზმული დიდი ტედი, ლევან თედიაშვილი, ოლიმპიური და მსოფლიო ხალიჩების რისხვა, სმოკინგში, წითელი ყელსახვევით.

სპილოს ჩვენსას, ოთარ ჭითანავასაც, წითელი სვიტრი აცვია.

თევდორაძეც მოტეულა. მეშვიდე მიკროფონთან მყუდროობს.

ჯემალ აჯიაშვილი, სიმონ, ებრაული პოეზიის მაჯადოქრებელი ქართულად, კლეტჩატნი კოსტუმით გამოცხადებულა. მახსენდება მისი ფოტო ქუჩის წიგნების გამყიდველ ბიჭებთან როსტომ ჩხეიძის ,,ჩვენი მწერლობის'' მიხედვით.

სად არის პატიაშვილი? ვეკითხები საკუთარ თავს. პრეზიდენტობისათვის ზომავს ნახტომებს, მაგრამ ფეხი სოიას ზეთზე უცურდება სულ.

არავინ უსმენს კარტოზიას და მის მტკიცებულებებს: უგულოდ მიჩერებული ტელეკამერები იჭერენ მხოლოდ.

მინდა პიროვნება დავინახო, რომელიც ილიას პროფილის თუ ვერა, მისი ანაფორის სიზვიადით მაინც გადაეფარება სამშობლო მთების წუხილთა უდასასრულო მშობიარობას.

სად არიან სააკაშვილი, ჟვანია-მეთქი, მიხურს გონება.

დატოვა პოსტი ორივემ და ახალი სივრცეებისათვის ისწორებენ ფრთებს.

აჭარაში 45 სკოლა ავაშენეთო, კალატოზობს კარტოზია, სამეგრელოში სამიო, იმერეთში, ბორჯომში, კახეთში. ბევრზე ბევრიო, მაგრამ მომხსენებელი ალთასაა და დარბაზი— ბალთას.

მსოფლიოს ყველა უბედურებას საქათველოში მოუყრია თავი-მეთქი, გამიელვებს გონებაში, თითქოს პანდორას ყუთისთვის ეს ეს არის ხუფი აუხდიათ და იმედის ამოღწევამდე დაუხურავთ მყისვეო.

რომან გვენცაძე პირველ მწკრივშია. მახსენდება მისი პერსონა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაზე ნარიყალას მისადგომებთან. მაგონდება პატიმარს დადევნებული რანაირად გამართავს ხელჩართულ ბრძოლას ცეცხლსასროლი იარაღით, როგორ დაჯაბნის მოწინააღმდეგეს, მერე ზურგზე მოიკიდებს დაჭრილს, ტრასაზე გამოაღწევს და საავადმყოფოში სისხლსაც კი გადაუსხმას თვისტომს ქრისტიანული აღმსარებლობით.

ლეკიშვილი ფერფლისფერი კოსტუმით, ჟილეტითა და ჟღალი ხალსტუხით ზურგშექცეულია სპეკერატისაგან.

ასათიანი ქურქით და შავი სვიტრით მოზვინებულა.

დარბაზში მოსათმენად ცივა, მთლად ისე ვერა, ინდაურის უკან- ალივით ალურჯებდეს ყოველივეს, მაგრამ ბეჟუაშვილის ,,თეცი'' დამდგარა, და ზორბა კედლებიდან სულ ცოტა ხანში ნაცადი სპელოლოგისათვის სამყოფი სტალაგტიტებითა და სტალაგმიტებით დაიმშვენებს იერსახეს.

,,თეცთან'' ერთადერთი ლაბაძის ელსმენის საჭიროებით დავიარები. ხვალ-ზეგ შესაძლოა ისიც გამოირთოს საჟენობით და მილობით გამართული საუბრების წყალობით უშეღავათო მსაჯულთან და გოზალიშვილის კაბინეტში მომიწიოს გადანაცვლებამ.

გასახეთქი ჩემი თავი, ილარიონოვიჩ. მეგდო ყური შენთვის! რა მრჯის აქ, ამ ყიამათ დარბაზში? არ მერჩივნა ფეშენებელურ სასტუმროში გადამეყვანა ცოლ-შვილი?! შემწვარი წიწილი, ელარჯი და საცივი მენება ასგზისშემოთავაზებულისამებრ?

ახა, სააკაშვილ-ჟვანია მესამე მწკრივის პირველ მერხზე განთავ- სებულან წარჩინებული მოსწავლეების კვალობაზე.

ზარი წესრიგისაკენ მოუწოდებს დარბაზს. პარლამენტში პირწავარ- დნილი პატრიარქატია, მიუხედავად სპიკერი მანდილოსნისა.

ლომინაძესაც ზოლებიანი წითელი ხალსტუხი შეუნასკვავს. წუხელ ნადარეიშვილს კბენდა ტელეეკრანიდან ბოლოდროინდელი მერყობების წილ. ვგონებ, სამართლიანადაც.

გოგორიშვილი მოგოგავს.

თენგიზ ჯგუშია ეს ეს არის შემობრძანდება წითელ პერანგზე ზოლებიანი ხალსტუხით და არ იცის ხეირიანად ვის მიეყრდნოს, შევარდნაძეს, გამსახურდიას თუ სულაც აბსტაქტულ იქსს..

დარბაზში წითელი ხალსტუხი დომინირებს ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარების“ პერსონაჟის მიბაძვით ხამაკიდან.

სპიკერი შეცვლილა. ახლა გიგი წერეთელი განაგებს ბირჟასავით აზუზუნებულ დარბაზს. საუბარია 60 მილიონიან კრედიტზე.

მობრძანდება პარლამენტის სილამაზის დედოფალი ხოფერია და ეგრევე ქრება თვალსაწიერიდან შებინდებული იმერეთის ციცინათელასავით.

გოგორიშვილი ინჯიას ეჭუკჭუკება კმაყოფილის იერით და სულაც არ ნაღვლობს ვინ დანიშნა ამასწინათ საარჩევნო ბიულეტენები.

მოსწავლეთა გადამზადებაზე მსჯელობს მომხსენებელი, აქეთ კი ილიას პოზით გარინდულა ნაბორჯომალი გრიგალაშვილი.

მისი „ახალი საქართველო“ დადუმებულა გარკვეულ დრომდე, დაუკეტავს ოფისი კოსტავას 14-ზე. რას ერჩი, ქირას კეთილსინდისიერად იხდის, აღარც ელექტრონი ეხარჯება სახელმწიფოს გამორთული ღუმელების თუ კომპიუტერების წყალობით.

გაივლის, ალბათ, დეპუტატობის ხანა და ჩვეული ენერგიით აამუშავებს მასმედიის ბაგედადუმებულ მანქანას. ჯერ კი პირში წყლის დაგუბების პერიოდია.

კაკუბავა გამშპარა.

არ არის მაჟორიტარი პავლიაშვილი, ალბათ, თავის ელექტრორატს დასტრიალებს თავზე ჩაილურსა თუ იორმუღანლოში.

აღარც კეისარივით თითის მოციკინე გერმანე ფაცაცია ჩანს.

მოსაწევად გამოვალ ფოიეში.

პარლამენტის კვორუმი აქ აფუტებს პაპიროსს, აქ აფუილებს სიგარეტს ფუთობით, საქმიანი დიალოგებით.

„კორუფციასთან ბრძოლა არ შეიძლება იყოს მიზანი. ჭეშმარიტების დაყოფა სფეროებად: აქეთ სუფთა, იქით ჭუჭყიანი, სიბეცეა. ასეთი უსინდოსობის წინააღმდეგი ვარ მეო“, გამომყვება გალერეადან კარტოზიას ნაბრძნობი.

მოსულა ვან ბაიბურთი, რომელიც ერთადერთი გამოექომაგება რუსეთის ბაზების დანარჩუნებას საქართველოში.

ხმალაძე ლორთქიფანიძესთანაა. მიმოცვლაა ადგილებს შორის.

პეტრე ბერაიას ხალსტუხი ქამარს ზევით ტივტივებს.

„კარტოზიას ხყავს თაღლითზე თაღლითი მოადგილეები, თორემ თვითონ მაშა აბრამის ბატკანიაო“. ჯაიანის დანახვას სვეტი მიშლის, ტოტორიკის სახით წარმოვისახავ პარლამენტარ არტისტს.

ვარ ყველაფერსა და ყველაზე მაღლა.

სიორიძე მეორე მწკრივშია და სპიკერყოფილ ედვარდ სურმანიძეს ესაუბრება.

პირველ მიკროფონთან ტოტორიკი ბობოქრობს.

მალე მეორედან სააკაშვილი ამძვინვარდება.

მოსულა უხუცესი ვახტანგ ბოჭორიშვილი.

შარაძე პლაშჩიანად ჩაფლულა ქაღალდებში და, ალბათ, გუროვს ეპაქერება ფიქრებში.

ადამია ჯინსებშია.

სააკაშვილი გოჯისხელაზე თმობს პოზიციას განათლების მინისტრის სასარგებლოდ და ჩვენ არ წარმოვსახავთ კარტოზიას ურჩხულადო, აცხადებს, მაგრამ სადღეგრძელოები ძმარაო, დასძენს იქვე. საუბარია მთავრობის გადადგომაზე. მე თავად გადავდექი. აქ მთავარზე მთავარია, უჭერს თუ არა ახალგაზრდობა მხარს შევარდნაძის პოლიტიკას სწავლა-აღზრდის დარგში, გნებავთ პოლიტიკაშიო. სხვაგან უკაკუნებს ბოლო დროს ეროვნული ლიდერების ჩეროს შეფარებული მიხეილი.

ფიქრიას ჩიხრაძე მეშვიდე მიკროფონთანაა.

ბათიაშვილი — მეხუთესთან.

რჩეულიშვილი— მეორესთან.

დათო სალარიძე გულხელდაკრეფილია გულდათუთქული ჭირისუფალივით.

მობრძანებულა კემულარია ხობისწყლის ლერწმოვანებიდან.

ვინ თქვა, რომ ჭკუის სწავლება საჭირო არ არისო, ხმას იმაღლებს ბოჭორიშვილი. ლობირება ეჭვს იწვევსო, ბრძანებს. უნდა დავუჭიროთ მხარი პატიოსან ადამიანსო, დაასკვნის.

თუ ასეა, დავაბრუნოთ ზურაბ ჟვანია, სააკაშვილიო, შემართულია დავითაშვილი. არ ვარ მოროზოვი, მატროსოვი, ბარემ იეღოველები და სხვა სექტები ავაღორძინოთო.

გრიგალაშვილი შემტყდარა.

ათესილა მრავალი

ჟვანია მეექვსე მიკროფონიდან კათედრაზე ადის სპიკერის ხელმარჯვნივ:

საკითხი ფართეა და სერიოზულიო, აცხადებს იგი, ვინემ კარტოზია ან აქამდე დანიშნული ძალოვანი მინისტრები. მათ ავანსად ჩაიბარეს ურთულესი უბნები. ლამის საგანგებო მდგომარეობაში ვიმყოფებით და ჩვენ არ გვაკმაყოფილებს აქ წარმოებული პოლიტიკა. პრეზიდენტმა 1 ნოემბერს გადააყენა მინისტრთა კაბინეტი სრული შემადგენლობით და გაუგებარია, მათი უდანაკარგო დაბრუნება სამი კვირის თავზეო. ვინ არის ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი? კითხვიანი მზერით თვალს მოავლებს დარბაზს მწვანეების ყოფილი ლიდერი. ამგვარი მიდგომებით კრიზისი უკიდურესობამდე გაღრმავდება. 6 წელიწადში მე დიდი სიყვარული ჩავდე პარლამენტის მუშაობაში. მაშინ არავინ მექომაგებოდა, როცა მარჯვნიდან და მარცხნიდან შპილკებს მესროდნენო. თუმცა საჭიროების შემთხვევაში ერთ საათში გადავწყვიტე ყველაფერი ცოლთან თათბირის შემდეგ და გადავდექიო.

რატომ მიიღეთ მაშინ თავდაცვის მინისტრიო, ბრაზობს ჯაველიძე მეოთხე მიკროფონიდან.

გუშინ მე არ მიმიღია მონაწილეობა კენჭისყრაშიო, პასუხობს ჟვანია.

კოდორი საომარი მდგომარეობის წკიპზეა.

საუბრის დამთავრების შემდეგ ხელისზურგით გახკრავენ მიკროფონს, თითქოს ეუბნებიან: წადი, შენიო!

პარლამენტი თამაშობსო, აცხადებს მანანა ნადირაძე.

კარტოზია არ ჩადგა მაფიოზების მწკრივში და იმიტომ ევნება. აქ არსებითი 60 მილიონიაო, დაასკვნის.

მეშვიდე მიკროფონთან ადა მარშანიაა, ჩემი ტრიადა „სიცოცხლემისჯილების" მეორე წიგნის, გმირის მორდუს, ვერა მარშანხეს ძმისშვილი, ოდიშელიასაც რომ უძგერებს გულს მალიმალ.

რაღა კარტოზიაზე გაგეხსნა სინდის-ნამუსიო, ამუნათებს ჟვანიას აფხაზი ქალბატონი. მთავარია ჩვენ მივიღოთ ახალი საარჩევნო კანონიო და მობუზულის იერით გაეცლება მიკროფონს.

საბოლოო სიტყვას ამაღლობელი გამოძერწავს:

მინდოდა ფრაქციის კენჭისყრის მონაცემები მეჩვენებინა. როგორც თანდათან ირკვევა, სტუდენტების გამოსვლა აქედან ყოფილა მართული, მაგრამ ეს არ ნიშნავს ჩვენ ხელს ვკრავთ დასავლეთს. დღევანდელი კანდიდატურა აბსოლუტურად მისაღებია, იგი ჩამოყალიბდა უნარიან ორგანიზატორად. კარტოზია ერთადერთია, ვინც ხმალშემართული ცდილობს მოსპოს კორუფციის წყარო. ჩვენი ფრაქციის 13-იდან 12-მა დაუჭირა მხარი. ერთმა თავი შეიკავაო, მოსჭრის.

ჟვანია ლამის გახკივის:

მე კარტოზიას წინააღმდეგი არა ვარ, არამედ — არსებული მინისტრთა კაბინეტის მთლიანადო. მე ჩემი მითქვამს და დანარჩენი თქვენ იცითო.

კამათია, როდის გაიმართოს კენჭისყრა, ახლა თუ საღამოთი.

გიორგაძე თეთრი ქურთუკით ასაფრენადაა მომზადებული.

რაპირისტი გოგელია ელეგანტურია, როგორც ყოველთვის და ფიქრებში წასულა.

ამოღწეულა დარბაზში ეტლით გია ყარყარაშვილი; ოდესღაც ქორ-შევარდენი დაუბეჩავებია ჯერაც გაუხსნელ თავდასხმას.

ფოიეში ვხვდები ვალერი ვაშაკიძეს. თაბაშირშია. ხერხემლის მალის ოპერაცია გადაუტანია, ვერაფრით ვინახულებ, მაგრამ გამახსენდება, აღარც ჩემი ბედოვლათი თავისქალა გახსენებია ვინმეს თვეების წინ, და გულზე მომეშვება.

თანაკურსელი გია მათიაშვილი გვარიანად გასლიპინებულა, კარტოზიას მოადგილეა უმაღლეს სასწავლებლების განხრით, ჩემი მსაჯულისა და მისი ორასეული კოლეგის კურატორი, დიახაც ის პერსონა, რომელიც თურმე ღვთისნიერი კარტოზიას წახდენილი ქვეშევრდომია თურმე.

წითელმაუდიანი სავარძლებია.

წითელი ფერი სჭარბობს ბუღაძის ტილოებზე პარლამენტის ფოიეში იატაკიდან ჭერამდე.

მერხებიც წენგოსფერს დაიკრავენ ალმაცერი მზერისათვის.

მუხრანს ყბები არ გაუჩერებია, საღეჭ რეზინს წირვას გამოუყვანს სტრიქონებივით.

ყოფილი გენერალი, წვეროსანი ყარყარაშვილი, ნაღვლიანია და მოქნაფული.

მაგონდება სოხუმის აეროპორტი, ორხიდიანი მანქანით რომ წამოგვეწევა ზურგზე პურმოკიდე-

ბულებს. დაგვიმგზავრებს და ისე ჩავაღწევთ წითელ ხიდამდე, კრინტიც არ დასცდება.

ხელახალი რეგისტრაციაა. დარბაზში ისევ მოგროვებულა 208 დეპუტატი. 27 საპატიო მიზეზით განთესილა.

კვორუმი — 105-ია

დიახ, მე ავსახავ მესამეათასწლეულის გარიჟრაჟის ქართლოსიანთა სუფევას, მაგრამ ოპონენტი კვირტიას გასაგონად განმიცხადებია:

გუნდრუკს როდი ვუკმევ მას! სარკე თავს არ იწუხებს მაყურებლის ქირურგიული ოპერაციებისათვის; არც პლასტიკური ჩარევებისთვის გაირჯება მაინც და მაინც და აღარც კოსმეტიკა-გრიმაჟების გამო ეღიმილება მიუკერძოებელი ბუნების წყალობით.

ეყრება კენჭი კარტოზიას კანდიდატურას, მსაჯულო ჩემო, და 112 ხმით მიღებულია გადაწყვეტილება.

კიდევ რამდენიმე კვირა გადაგორდება მესამეათასწლეულის პარმაღთან, არსენიშვილის ნაცვლად სახელმწიფო მინისტრის პოსტს ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე დაიკავებს და უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტის ძალისხმევით ზედმიწევნით რესტავრირებულია ძველი მთავრობა. მოხსნილია ცინცხალ თხიერთა, იგივე ტიკების საჭიროებას, ვინაიდან ძველ ღვინოებს, ძელგს თუ წაძმარებულს, ახალი ჭურჭელი აღარ ჭირდება, რამეთუ ახალი ღვინოს დეფიციტი უკუაგდებს ხალხმრავალი კასრ-ქვევრთა განხეთქვის საშიშროებას.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, თაგილონელო ჩემო, რეფორმატორების ხავერდოვანი გადატრიალების უნიათო მცდელობები ოსტატურადაა მოგერიებული ზამთარმოწეული ლომის დამაშვრალი ტორით.

— სულგანაბული გისმენდი, ძმისწულო, არსად შემიწყვეტინებია. მამის საფლავს გაფიცებ, ნუ დამიმალავ, ნაწერიდან მიკითხავდი თუ ისე, ზეპირად, როგორც ლექციაზე ხდება.

— ილარიონოვიჩ, ჩემი წახდენა თუ გინდა დარბაზში სიტყვაზე გამიხმე. ორატორობით ვერასოდროს დავიკვეხნიდი. გეხსომება გამოსვლიდან მეოთხე თავი:

უთხრა მოსემ უფალს: გევედრები, უფალო! მჭევრმეტყველი კაცი არ ვყოფილვარ არც გუშინ, არც გუშინწინ და არც მას მერე, რაც ლაპარაკი დამიწყე შენს მორჩილს. ბაგემძიმე და ენამძიმე ვარ.

უთხრა უფალმა: ვინ მისცა ბაგე ადამიანს, ვინ ბადებს მუნჯს ან ყრუს, თვალხილულს ან ბრმას, თუ არა მე, უფალი?

ახლა წადი და მე ვიქნები შენს ბაგესთან: გასწავლი რა უნდა თქვა.

უთხრა მოსემ: გევედრები, უფალო, სხვა ვინმე გაგზავნე.

განურისხდა უფალი მოსეს და უთხრა: განა შენი ძმა არ არის ლევიანი აარონი? ვიცი, რომ ლაპარაკით ის ილაპარაკებს. ახა, მზად არის იგი შენს შესახვედრად, დაგინახავს და გულით გაიხარებს.

ელაპარაკე და ბაგეში ჩაუდე სიტყვები; მე ვიქნები შენს ბაგესთან და მის — ბაგესთან. გასწავლით რა უნდა გააკეთოთ.

ის ილაპარაკებს ხალხთან შენს ნაცვლად, ის იქნება შენთვის ბაგე, ხოლო შენ ღმერთი იქნები მისთვის.

ხელში გეჭიროს ეგ კვერთხი, რომლითაც სასწაულებს მოახდენ.

ბატონო, რამინ, აარონ, ძმაო, დაიხურე ქუდი და შეუდექი ლაპარაკს.

— ოთახში პლუს ოცდახუთია, ძმისშვილო. ქუდიღა მაკლია ახლა ოფლის მოსადენად! რაც მე ჩანაწერები მომიგროვდა, დილამდე საუბარს ეყოფა. ჯობია ისევ ზეპირად ვილაპარკო. აგერ, მოვიჩოჩე შენი „სუფევა“, შპარგლაკაც გვერდით მიდევს, ჩავიჭვრიტები ხანდახან, გეგმასავით გამომადგება მოყოლისას.

დაუფარავად უნდა გითხრა, ბაბაგე, რომ ერთადერთი პიროვნება ხარ, ვინც ცხოვრებაში შემხვედრია და თანაბრად ერკვეოდეს ეთიკის, ესთეტიკისა თუ თეოლოგიის საკითხებში. ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, მითუმეტეს — ასეთი ახალგაზრდისაგან. ამ სიტყვის პირამიდით, ამფერუმ, ძმისშვილო, შეჯამებულია და ხშირ შემთხვევაში, გადაწყვეტილიც, ფილოსოფიის ურთულესი საკითხები. მაგრამ წიგნის ლაიტმოტივად დიდი ილიას ფორმულა რომ აგიჩრევია — „მამული, ენა, სარწმუნოება“ — არქიტექტურულ ნაგებობასავით კრავს საძირკვლიდან გუმბათამდე.

ჩვენ არა ვართ განებივრებული მსგავსი თხზულებებით. უწიგნურს ვერავინ დამწამებს და არც იმისი თქმის შემეშინდება, რომ შესაძლოა მთლად გამონაკლისთანაც გვქონდეს საქმე.

უმთავრესი ღირსება ამ ნაწარმოებისა, ალბათ, და უეჭველად, ჩვენი გავლილი ცხოვრების გაანალიზებაა და მასთან ერთად, უზარმაზარი მასალის მოშველიების ფონზე — მცირე ერის ბედიღბალი გიგანტი იმპერიების გარემოცვაში.

,,სუფევაში'' ჩინებულადაა დახატული გუბაზ მეფის დროინდელი კოლხეთიდან მოყოლებული, ერეკლე II-ის პერიოდის საქართველოს ყოფიერება თუ სულაც სადღეისო ვითარებანი.

წინ წყალი, უკან — მეწყერი, აი, საქართველოს არსებობის მრავალათასწლოვანი სინამდვილე.

ჩვენი სახელმწიფოებრივი აზროვნება ყოველთვის მიჯაჭვული იყო შედარებით კეთილ მტერთან დამოყვრების იძულებით ფაქტორებს, რადგანაც აბსოლუტურად დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მას არასდროს ღირსებია.

ამიტომაც საქართველო ყოველთვის სულიერად ახლო ნათესავთან ამჯობინებდა კოალიციას, გნებავთ, ეს კოალიცია ასიმილაციის მომაკვდინებელი ბაცილის შემცველი ყოფილიყო ჩანასახშივე.

ჩემზე დამანგრეველი შთაბეჭდილება მოახდინა ჩინგიზ აიტმატოვის რომანის ნაწყვეტმა, რომლისთვისაც სავალალოდ ვეღარ მოვიცალე და მხოლოდ წარმოდგენილი მონაკვეთით მიხდება საუბარი.

ღმერთო ჩემო, როგორი წინასწარმეტყველური შთაგონებითაა დანახული ჩვენი გაორებული ბუნება — მოვალეობისადმი პედანტური ერთგულება ჩვენი და პასუხისმგებლობის ფანატიკური მოთხოვნილება. ერთის მხრივ პირნათლად შეასრულებს დავალებას ჩეკისტი სანდრო — მოსპობს, გაანადგურებს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, მაგრამ ამავდროულად იცის: ჩადენილია საშვილიშვილო დანაშაული ეროვნული ცნობიერების წინაშე და თვითონაც იქვე მოისწრაფებს სიცოცხლეს.

საინტერესოა, მაინც რამ განაპირობა ,,პლახაში'' ქართული ნოველის ჩართვა? ორგანულია?

— ილარიონოვიჩ, ,,პლახა'' მრავალპლანიანი რომანია, მაგრამ ორი სიუჟეტი შეიძლება ჩართულად მივიჩნიოთ. პირველი ჩვენებური ტრაგედიაა და მეორე უცხო პლანეტელებთან კონტაქტი, ცოტა მოფანტასტიკურო, თუმცა — მისაღები ბელეტრისტიკის კანონებით. დაუვიწყარია საიგებზე ნადირობა, მათი ფლოქვებით გადათქერილი მგლის ლეკვები, ძუ აკბარი, რომელიც ყარანარის ერთგვარი ნაირსახეობაა წინამორბედი რომანიდან ,, ი დოლშე ვეკა დლილას დენ''. აითმათოვი ერთადერთი მწერალია საბჭოეთის სივრცეში, რომელიც პოლიფონიურად აღიქვამს სამყაროს, თანაბარი სიფაფარულით შეყრის თავის შემოქმედებით ტილოზე მატერიალურს თუ სულიერს და, ალბათ, დასახელებულ ნაწარმოებში ქართული ამბის გაჩენის უმთავრესად მიზეზიც ეს გახლავთ. მერედა, მიაქცევდით ყურადღებას, ილარიონოვიჩ, ერთმანეთს გადაკიდებული ხალხი, ექვსი და მეშვიდე, მამაპაპურმა საგალობლებმა კი შეიყოლია დიდხანს ესთეტიკური ტკბობის ბანგით, თუმცა ტრადიციული ხარმონია ვერ უმკვლავდება კლასობრივი შუღლის ლენცოფას და დიდებული მწერალიც ამას მისტირის. თორემ სხვა მხრივ, ქართული ნოველა, სრულიად ამოვარდნილია რომანის ფაბულიდან.

— გასაებია, გასაგები. ერთი რაღაცაც მინდა აღვნიშნო: შენ ,,სუფევაში'' თვალის დაუხამხამებლად ესესხები ავტორებს, ციტატებით კი არა, მთელი პასაჟებით. ამით ერთგვარად აძლიერებ შენეულ კონცეფციას და აღწევ კიდეც მიზანს — სამუდამოდ დაახსომო მკითხველს ესა თუ ის მომენტი. ამგვარი ჩანართი უამრავზე უამრავია. ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას: ,,სუფევა'' სრულიად საქართველოს წიგნია, კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი, რაც ხალხურობის ელფერით ამდიდრებს ნაწარმოებს, საზოგადოებრივი თანამშრომლობის პროდუქტის კვალობაზე. ჩემთვის ნიშანდობლივია შენი მომრიგებლური პოზიციაც დადებითსა და უარყოფითს შორის, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის, სიკეთისა და ბოროტებას შორის. შენი შეუთავსებლის შეთავსება უმადური გარჯაა ყველგან და ყოველთვის, მაგრამ — აუცილებელი უკეთესი მომავლის სახელით და ფამილარობაში რატომ ჩამომერთმევა თუკი გულწრფელად განვაცხადებ: შენ ხარ ხიდი მდინარის ორი ნაპირისა, ურომლისოდაც მათ ერთმანეთთან საუბარი აღარასდროს შეეძლებათ თავიანთი ცალხმრივობის გამო. ამ პათოსითაა გაჟღენთილი მთელი წიგნი პირველი გვერდიდან ბოლომდე.

მართალია, ენათმეცნიერებაში მე შედარებით მოვიკოჭლებ და ვეღარც ეზოთერიის ცოდნით დავიკვეხნი მაინც და მაინც, მაგრამ შენეული პოზიცია აბსოლუტურად მისაღებია ჩემთვის: დიახაც ურაპატრიოტიზმია ყველაფრის ჭიპად და საწყისად ქართული ცივილიზაციის მიჩნევა. სამშობლოს მოჭარბებული სიფაფარულიდან შოვინიზმამდე ერთი ნაბიჯია. იქიდან კი კაცთმოძულეობამდე — გოჯზე ნაკლები. ნებისმიერი თავმომწონეობა, რომელიც ლახავს დანარჩენი ერის

ინტერესებს, ანტიადამიანურია და ამდენად, საზიანო კაცობრიობის პროგრესისათვის. მე მიხარია, რომ ამისთანა მოაზროვნეს შემახვედრა განგებამ, რომელიც ეგოისტური ნაციონალიზმით, ღვთით რჩეული ერის პოზიციიდან კი არ აფასებს საგნებს და მოვლენებს, არამედ ზოგადკაცობრიული კრიტერიუმებით ახარის- ხებს სასარგებლოს და მავნეს. ეს ტენდენცია, მართალია, მამულიშვილობიდან ამოზრდილი ინდივიდის თავაწეული პოზიცაა, თუმცა ამავდროულად — სრულიად პლანეტის, ყველა ერისა და ეროვნების ინტერესების გამზიარებელიც.

ნიშანდობლივია, თხზულების მოქმედების ეპიცენტრად ოთხმოცდაათიანი წლების ცნობილი მოვლენების შერჩევაც. შენ მიუკერძოებლად ცდილობ ეროვნული მოძრაობის შუქ-ჩრდილების წარმოჩენას. საამისოდ არ ერიდები მამხილებლობის მწვავე სუსხის მოშველიებას. პარადოქსული სიტუაციაა: ვინც ქვეყნის გულშე- მატკივარია, მისი ხვალინდელი დღისთვის მოწადინებული, გამოუცდელია ცხოვრებისეულ საკითხებში, უჭირს სახელმწიფოს მართვა. ხოლო ამ საქმეში ჭიპმოჭრილი ხალხი, წითელი ინტელიგენციაა ეს თუ პარტოკრატია, ეროვნულ ფასეულობებს არად დაგიდევს. და ბუნებრივია, ვერ შედგება სასურველი დიალოგი ურთიერთგამომრიცხავი სულისკვეთების საზოაგდოებრივ ფენებთან.

ადრეც ვთქვი და ახლაც თამამად ვიმეორებ, რომ ,,სუფევა'', მიუხედავად თავისი დოკუმენტურობისა, ნამდვილი მხატვრული ნაწარმოებივით იკითხება. ყოველ შემთხვევისათვის ჩემი მესამე მიბრუნება ამ წიგნთან ესთეტიკური ტკბობის მოთხოვნილებითაა ნაკარნახევი. ნებისმიერ რომანს დაამშვენებდა ხობელი ბუკიას ქალი, ფიჩორელი ბიქტორ ფეტელავა, საირმელი ალისტორე ნერგაძე და ცოლქმარი მესხიები. ეს თხზულება განსაკუთრებულია ,,სუფევაში'', მაგრამ იქამდეც მივალთ.

შენი სტილი უკვე გასაგებია ჩემთვის. შენ პიროვნებების გარშემო შეამჭიდროებ ხოლმე უზარმაზარი მოცულობის სათქმელს, რათა ხელიდან არ გაგექცეს მკითხველის ინტერესი, ყურადღება. ერთი ადამიანის ირგვლივ მოუყრი თავს უამრავ პრობლემას, და ეს ყოფითი, თითქოსდა საყველპურო ამბები წყალივით შეუფერხებლად მიედინება მერე მკითხველის ცნობიერებაში. ამას ვეძახი მე მწერლის გამარჯვებას. გური ოტობაიას რომ არაფერი შეექმნა აქამდე, ან შექმნას მომავალში, ამ სიტყვის პირამიდითაც მშვენივრად დაიმკვიდრებს თავს უშეღავათო მკითხველის თვალში.

წარუშლელია ჩემთვის ,,საქართველოს უკვდავების ფორმულა''. აქ უვერტურასავით გაელვებულიცაა და შეჯამებულიც უმთავრესი შტრიხები, რომელთაც აქამდე მოგვიყვანა, როგორც ერი, სახელმწიფო: ქორწინების ინსტიტუტია ეს, კვება, ენდემური ჯიშების ტრადიცია თუ სხვა მრავალი. მარაოსავით გაშლილი ,,ფორმულა'' მარწუხივით შემოგეჭ- დობა მეოთხე წიგნში და მთლიანობაში მოცემულია ჩვენი ეთნოსის სახვალიო მოქმედების ფართომასშტაბიანი პროგრამა. მომხიბლა შენი ძუძუმტეს ტივტივას თეორიამ. ზემოთ აღვნიშნე, რომ ნებისმიერი პიროვნება შენ ლაკმუსივით გჭირდება მოვლენათა ანალიზისათვის-მეთქი. ეს მეთოდი კანონზომიერია მთელს თხზულებაში, მაგრამ ერთ რაღაცას დავაკვირდი და გამართლება ვერაფრით მოვუძებნე. თითოეული ნაწარმოები ექვს-ექვსი თავისაგან შედგება. გამაგებინე, ძმისშვილო, ასე რატომ ეთამამები სახიფათო ციფრს ბიბლიურად? შემთხვევითობაა თუ გააზრებული აუცილებლობა?!

— ბატონო, რამინ, აარონ ძმაო, თხზულების სული და გულისთვის ჩაგივლია ხელი და მიკვირს, პასუხს რისთვის ვერ პოულობ? თუმცა თავად აცხადებ: ენათმეცნიერებისა და ეზოთერიის საკითხებს ნაკლებად ვაქცევ ყურადღებასო. ჩემი ამოსავალი წერტილი, ილარიონოვიჩ, ბიბლიაა, დაბადება. აბა, გავიხსენოთ, რამდენი დღე-ღამე ქმნიდა უფალი სამყაროს? დამეთანხმები ექვს დღეს. ამ შემთხვევაში დღე ღამესაც მოიცავს, იგივე ,,სუტკას'' რუსულად. გვაქვს ჩვენ ამ სიტყვის იდენტური მცნება ,,ჟამი'', მაგრამ ამჯერად იგი სხვა ნიუნასის მატარებელია და თავიც მოვარიდე. დაიხ, ექვს დღეს ქმნიდა უფალი სამყაროს, ხოლო მეშვიდე დღეს იგი დაისვენებს. ბიბლია დიდი ეზოთერული წიგნია. მას ჩინებულად ესმის არითმეტიკის ანი და ჰოე, ანუ ათწილადების ბუნება. ნებისმიერი ნატურალური რიცხვის 7-ზე, 13-ზე, 91-ზე თუ კიდევ სხვა მრავალზე გაყოფისას, ვღებულობთ მთელს და მძიმის შემდეგ ექვსნიშნა პერიოდს. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. რიცხვების თეორიაში 6 ჩამკეტია, ზღვარი, დასასრული და ახალი ფაზის დასაწყისი. თუ გავითვალისწინებთ ყველაფერს, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ნებისმიერი ექვსი მოქმედების შემდეგ საჭიროა პაუზა, წუთშესვენება, სულის მოთქმა. სხვანაირად პიროვნება გადაიწვება. მე მყარად მწამს, რომ ბუნების მოვლენებიც არსებითად ამ კანონს ემორჩილებიან, ოღონდ ამ წუთას მტკიცებულებათა უქონლობის გამო მიჭირს ამისი დაბეჯითებით დასაბუთება. ადამიანის მოქმედების დიაპაზონი ექვსისა და ერთის პროპორციაა, და რადგანაც მივუხვდი დასახელებულ კანონზომიერებას, წიგნებიც ექვს-ექვს ნაწილად დავყავი. ვფიქრობ, არაფერი დამიშავებია.

— საკამათოა, თუმცა არის ამაში ლოგიკის მარცვალი. პირველი წიგნის თავებს „ბორჯი“ ხქვია, იგივე დრო. სხვაგან მოძრაობაა წინ წამოწეული— „მართუ“, მორევი ჩვენებურად, რომ- ელიც უეჭველად გადაიზრდება ქმედებაში —„ფადაასში“. ახლა ჩემთვის ცხადია შენი ქვეტექსტური ჩანაფიქრი — ყველაფერი გაცნობიერებული დინამიზმისკენ მიგყავს. ეს მისასალმებელია, ძმისშვილო. მაგრამ უფრო იმ ფაქტმა აღმაფრთოვანა, რომ ყველაფერს დაილექტიკური განვითარების ჭრილში განიხილავ. თვითონ ბიბლიაც წმინდა სისხლის მატერიალისტური მსოფლმხედველობით შექმნილი წიგნია, რომელიც სამყაროს გაჩენას დიალექტიკური პრინციპებით აცნობიერებს. აბა, გავიხსენოთ დაბადება: უფალი პირველ დღეს გააჩენს ცას და მიწას. მიწა იყო უდაბური და უსახო. თქვა მერე უფალმა, იყოს ნათელიო და იქმნა ნათელიც. ნათელსა და ბნელს იმთავითვე განაცალკევებს, და დროის ამ მონაკვეთში გაწეულ სამუშაოს ღმერთი პირველ დღეს უწოდებს. ჩვენს ენაზე თუ გადავიყვანთ, სამყაროს შექმნის პირველ ფაზას. ამას მოსდევს ხმელეთის — მყარის გამოცალკევება თხიერისაგან — წყლისაგან. ღმერთმა ჩინებულად იცის, რომ სულიერი არსება უწყლოდ ვერაფრით შეიქმნება, ან თუ შეიქმნება, შემდგომში ვერ ისულდგმულებს. და დროის ეს ხანგრძლივობა მონათლულია მეორე დღედ. მოგვიანებით უფალს მოეწონება მყარად და თხევადად შექმნილი დედამიწა. ახლა თესლის აღმოცენებას შეუდგება. ჯერ ბალახს დათესავს მყარზე, შემდეგ — ნაყოფიერ ხეს თავთავიანთი გვარის მიხედვით. აქამდე თანამიდევრულია მაცხოვარი. ეს უკვე მესამე დღეა, მაგრამ ანაქრონიზმიც ხელად ამოტივტივდება, უფრო ზუსტად კი, მხოლოდ ამიერიდან ახსენდება მას ცის მანათობლების შექმნა: დღის გამაგებლად მზის აღმოცენება ცაზე და ღამისა — მთვარის. ვარსკვლავებსაც ამ მეოთხე დღეს მისცემს დასაბამს შემოქმედი. თუკი მოცემულ პატარა ლაფსუსს სათვალავში არ ჩავაგდებთ, უფლის მუშაკობა თავიდან ბოლომდე დიალექტიკურია. დააკვირდი, როგორ მეცნიერულად უდგება საქმეს: აფუთფუთდეს წყალში სულდგმულიო, აცხადებს. ჯერ თევზებით აავსებს ოკეანეებს, ზღვებსა და ტბებს, შემდეგ მცურავებს დაუდებს საფუძველს და მხოლოდ მერე მიანიჭებს მათ ფრენის ძალმოსილებას; ბიბლიური კვირის მეხუთე დღის მიწურულს შეიქმნება ფრინველები. გაივლის საღამო, გაივლის დილა და ახლა უფალი უფრო რთული საქმიანობის წინაშე აღმოჩნდება — ამჯერად რიგი პირუტყვის წარმოქმანისაა. მოავლენს ქვემძრომს, მიწის მხეცებს თავთავისი გვარის მიხედვით. თუმცა მთავარი საქმიანობა ჯერ კიდევ წინაა. ამ უზარმაზარი სამუშაოს დასასრულს შექმნის იგი კაცს თავის ხატად, თანაც ორბუნებოვანს, რადგანაც ადამი თავისთავში მოიცავს მდედრულ საწყისს მამრულთან ერთად. და აქ დასრულდება მისი ექვსფაზიანი გარჯილობა შენებურად. მეშვიდე დღეს უფალი ანტრაქტს აცხადებს. ხოლო მომდევნო კვირის პირველი დღიდანვე, მიწის მტვრისგან შექმნილი ადამიანის სრულყოფითაა დაკავებული. მისი კეთილდღეობისათვის შეუქმნია ედემის ბაღი აღმოსვლეთით. ადამის მოწყენისათვის გამოაცალკევებს კაცის სხეულიდან მარადქალურ საწყისს, ნეკნისგან აღმოაცენებს იგი ევას, ძეხორციელის სევდათა გასაქარვებლად.

მოკლედ, დიალექტიკური თვალსაზრისით თუ მივუდგებით უფლის მუშაკობას, ყველაფერი უმარტივესიდან ურთულესისაკენ მიემართება, თევზიდან ადამიანისაკენ. აქ თეოლოგია და მატერიალისტური მოძღვრება სრულ შესაბამისობაშია. შენ ზედმიწევნით მოგეხსენება ამის თაობაზე, ძმისწულო, ამიტომაც მეცნიერული თვალსაწიერით „სუფევა“ მყარ ნიადაგზე დგას. შენ არანაკლებ ერკვევი თეოლოგიის საკითხებშიც და მკრეხელობაში თუ არ ჩამომერთმევა, უპრიანია, ალბათ, შენს შეგირდს — ჩვენი ცხოვრების მომავალს, გნებავთ აღდგინებულ ლაზარეს, გურუს ენით ელაპარაკო, მასწავლებლის ენით, ხელდასხმულის პასუხისმგებლობით.

ყველაფრის დამტევი შენი შეჯამებებია. ისინი ერთგვარი რგოლია, გადასასვლელი პლატფორმები ერთი წიგნიდან მეორეში, ძმისშვილო, და მაინც აფხაზეთის პრობლემა წამყვანია მთელს ნაშრომში. ყოველი სტრიქონი, ყოველი ფრაზა, ყოველი მონაკვეთი ამ რეალობითაა გაჯერებული, ნასაზრდოები. „ჯიმაგედან“ მოყოლებული აფხაზური თემა ლახვარივით ტრიალებს თითოეულ ფურცელზე, ეძებს ოპტიმალურ გზებს ღირსეულად იქ ჩვენი მიბრუნებისათვის. საამისოდ უზარმაზარი მასალაა მოშველიებული: ბელეტრისტული ინტერვიუები, ნარკვევები, რეპორტაჟები და ვინ მოსთვლის, მაგრამ კონცეფცია მაინც გაორებული ხასიათისა მეჩვენება, ვინაიდან არძინბას რეჟიმის ძალადობის ფაქტორით დამხობის მომხრეც ხარ და ერთდროულად — აფხაზი ერის ქართველებთან ძმურ კავშირში შემდგომი თანაარსებობისა.

ომისა და მშვიდობის ერთ სიბრტყეზე დალაგება დღემდე ვერავის განუხორციელებია, თვით ბუმბერაზ ლევ ტოლსტოისაც კი. პირველს მეორე მოსდევს ყოველთვის, თუმცა არის მინიშნებები ომით დაკარგული სივრცის ეკონომიკური ბერკეტებით შემომტკიცებისა. ეს მოსაზრება მე თავის დროზე გაგიკრიტიკე, ვინაიდან სანამ სეპარატისტული რეჟიმი ბოგინებს აფხაზეთში, ილუზიაა

ჩიხში შესულ ჩვენს დაპირისპირებაში ეკონომიკური ინტეგრაციით რამე დადებითი ძვრების მიღწევა.

სეპარატისტული რეჟიმი ჩაბღაუჭებულია აფხაზეთის დამოუკიდებლობას, აფხაზეთის ცალკე სახელმწიფოებრივ არსებობას. ამ ბერკეტის გამოცლით, ანუ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაში მისი მოქცევით პოლიტიკური არსებობის ნებისმიერი ფორმით, არძინბას რეჟიმი განწირულია, ვინაიდან მათთვის ერთადერთი და მთავარი კოზირი დიახაც ეს ათწლიანი თავისუფლებაა. იქ სხვა ძვრები არსაიდან ჩანს. ნარკობიზნესმა და უუფლებობამ წელში გაწყვიტა აფხაზი ერი. ერთადერთი სალაპარაკო არძინბას რეჟიმს მოჩვენებით დამოუკიდებლობა გააჩნია და ისინიც, მერწმუნე, ცოცხალი თავით არ დათმობენ თავიანთი არსებობის ერთადერთ გარანტიას.

როგორც ჩანს, აქ კიდევ მრავალი ჭკვიანური სვლის გაკეთებაა საჭირო. ამასთან მე თავის დროზე აღვნიშნე, რომ საჭიროა მსოფლიო სიტუაციისათვის დადარაჯება. ამჯერად მთელს დედამიწაზე ახალი პოლიტიკური რუკა იხატება. ამისი იმპულსი, გვიხსენებია, ნიუ-ორკში 11 სექტემბრის ტერაქტია. მარტივად რომ ვთქვათ, მართლაც ხელსაყრელი პირობები შექმნილა აფხაზეთის პრობლემების უმტკივნეულო გადაწყვეტისათვის, მაგრამ საკითხავია, ვისი რეიტინგი გადასძალავს ამ პროცესს, რას შეთავაზებთ რუსეთს და რას დაადებს კავკასიაში ტორს ამერიკის შეეთრებული შტატები. ყველაფერი ამ ორი ძალის გაწონსწორებაზე იქნება დამოკიდებული. აქვე გასარკვევია რა სტადიაზე იმყოფება ჩვენი პლანეტა შემეცნების თვალსაზრისით. მივყვეთ მოვლენების განვითარებას ქრონოლოგიურად. ბერლინის კედლის დანგრევა, ორად გათიშული კორეის, და უფრო გლობალურ ასპექტში, აქამდე ორ დაუძინებელ მტრის — საბჭოეთს და შტატებს სრული გასაქანი მიეცა ზედმეტი ღირებულების მაქსიმალური ამოქაჩვისაკენ. დღეს ამერიკის შეერთებული შტატები მშვიდობის დესპანის სტატუსით კონცენტრაციას ახდენს სრულიად დედამიწის ბუნებრივი რესურსებისა და გამალებულად მიმდინარეობს სამუშაო ძალის ექსპლუატაცია, როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე — დანარჩენ მსოფლიოში. ჩვენ გვქონია ასეთი სიტუაცია ორი ათასწლეულის წინ, როცა რომის იმპერია მშვიდობის მტრედის იარლიყით მთელი ქვეყნიერების დაპყრობას შეეცადა და სადაც კი მახვილი მიუწვდინა, მუსრი გაავლო ტომებს, ხალხებს, ეროვნებებს. ზუსტად რომანიზაციის აღზევებისა და დაცემის შედეგია ევროპის მთელი რიგი ქვეყნები: გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, თვით ინგლისიც კი. ძუ მგლის მადა დაისახეს იმათ სიმბოლოდ, თანამედროვე ორთავიანი არწივების თუ ხუთქიმიანი ვარსკვლავების მსგავსად. პოეტები უმღერდნენ და ამართლებდნენ რომის მილიტარისტულ მიზნებს.

ყველა გზა რომისკენ მიდისო, მკვდირდებოდა ადამიანების ცნობიერებაში რომის უძლეველობისა და ყოვლისმომცველობის მითი.

დავიწყებას მიეცა ბერძნული ცივილიზაციის თავისუფლებისმოყვარე სულისკვეთება. ვირგილიუს მარონი, რომელიც რამდენადმე ჩახედული გახლდათ კრეტა-მიკენური კულტურის უპირატესობაში, იარაღის ძალმოსილებას ანიჭებს უპირატესობას და ეროსავით გირახუნებს თავში: რომი საყოველთაო მშვიდობის გარანტიაა იარაღის წყალობითო. ეს საუკუნეები, ვარ-მაინც ბოლოს ყველაფერი საქართველოს ორიენტაციის საკითხთანაა თავმოყრილი. მეასედ, მეათასედ ამოტივტივდება ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბლის პრობლემა. ქართული მწერლობის ბრძოლა კოსმოპოლიტურ ძალებთან ამ კითხვაზე პასუხის გაცემის ერთ-ერთი ნათელი სურათია.

ცალკე მსჯელობის საგანია, ძმისშვილო, თუ საითკენ მიდის ტექნოკრატიული მსოფლიო.

ჩვენ ყველაფერს მართლმადიდებლობის პრიზმიდან ვაფასებთ, მაგრამ რელიგიურ ასპექტში დედამიწისეული ცივილიზაცია უამრავ აღმსარებლობად დაქუცმაცებულა და ჯერჯერობით ეკუმენიზმი ვერაფრით ახერხებს საერთაშორისო რელიგიურ კონსენსუსს. მასონიზმი და იეღოვას მოწმეთა საქმიანობა ჩვენი მსოფლმხედველობით გაიგივებულია რელიგიურ დივერსიებთან, მაგრამ სინამდვილეში ღმერთის მცნება მაინც ბოლოს და ბოლოს ერთ განუყოფელ ძალამდე დაიყვანება ნებისმიერი მრწამსით და ამის ნიადაგზე საზოგადოებრივი აშლილობანი ვერაფერ სასიკეთოს უქადის ჩვენს ხვალინდელ დღეს.

კაცობრიობა ესწრაფვის მარტივ, გამჭვირვალე ურთიერთობებს. ჭეშმარიტებას არ აინტერესებს გართულებები. ის ფორმულასავით უბრალოა და ცხადი. გართულებები ადამიანის მოგონილია და არა — ობიექტური რეალობისა. მსოფლიო რა ხანია კოსმოსისკენ იყურება, სასწაულებს ელის იქიდან, ამოსობაში დედამიწის რესურსებს კატასტროფულად ვანიავებთ. თითოეულის სიცოცხლის წყაროს ვფლანგავთ უზომოდ, უანგარიშოდ. იმის მაგივრად გამუდმებულად ვეძებდეთ ალტერნატიულ ენერგეტიკულ მიმართულებებს; განუხრელად ვმუშაობდეთ მზის ენერგიის, ატომური სიმძლავრეების ასამოქმედებლად, ამოვწრუპეთ მიწით წიაღიდან მილიარდწლეულობით დაგროვილი ქვანახშირი და ნავთობი. ჩვენ საბაზრო ეკონომიკის აღვრახსნილი კონკურენციის წყალო-

ბით თვითმკვლელობამდე მიგვყავს მთელი კაცობრიობა. გასაქცევად გვიჭირავს ცისკენ თვალი და ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დავაყენეთ ჩვენი უნიკალური დედამიწა. ნუთუ გონიერების ნატამალი არ შეგვრჩენია?! აკი, უფალი ბრძანებს: შევქმნათ ხატად და სახედ ჩვენდაო. თუკი ღვთიურის ნაპერწკალი ურევია მის გაჩენისას, სად არის მაშინ უფლისეული გონიერება? ნუთუ რამდენიმე ასეული ოჯახის ეგოიზმს უნდა გადახყვეს მთელი ცივილიზაცია?! თუმცა რას ერჩი, ღმერთი გარკვევით მიგვანიშნებს: ხატად და სახედო, ესეიგი ასლია, რომელიც დედნის იდენტური ვერასდროს იქნება, მსგავსებაა ოდენ, მინაბაძი და ეშმაკისეული ბორძიკობებიც აქედან მოდის.

შენ ეს საშიშროება მთელი სიმძაფრით შეგიგრძვნია, ძმისშვილო: საქართველოს პრობლემები წინმოლოდინესთან შედარებით აბეზარი რწყილებია დრაკონების ლაშქარის ფონზე. ეროვნული წინააღმდეგობანი მეორე პლანზე გადაიწევს, როცა საყოველთაო კატასტროფის რეალური საფრთხე მომწიფებულა; ამიტომაც გაგებით უნდა მოვეკიდოთ ჩვენ გლობალიზაციის სახელით ცნობილ პროცესებს, რომელიც ხშირ შემთხვევაში იძულებით უხუჭავს თვალს სამართლიან ეროვნულ ინტერესებს და ძალადობის ფაქტორით აღმოფხვრის ხოლმე მამულიშვილურ პარტიკულარიზმს.

დარწმუნებული ვარ ეს პროცესი ხვალ და ზეგ მეტი სიმძაფრით დადგება დღის წესრიგში, ვინაიდან მსოფლიო არ აპატიებს მცირე ერებს ტრომბის სინდრომს თუ ღობეების პრაქტიკას. კაცობრიობის ცნობიერება ადრე თუ გვიან ზედმიწევნით დაექვემდებარება ზიარი ჭურჭელის პრინციპს და მსოფლიო წყლების მსგავსად ერთ ნიშნულს, ერთ დონეს დაემორჩილება! კაცობრიობის ცნობიერება დაემსგავსება ოკეანეთა ბუნებას, ხოლო სახმელეთო სიმაღლეები: ხიმალაი, კავკასია, პირინეი თუ აპენინი დარჩება ჩვენი ეროვნული ინდივიდუალიზმის ძეგლად. სხვანაირად მსოფლიოს პერსპექტივა არ უწერია. მე არ მინდა აქ ვიხმარო სიტყვა ასიმილაცია ან კიდევ ეროვნული თავმოყვარეობის უფრო დამაკნინებელი, გოგლიმოგლი, მაგრამ გაივლის ოცამეერთე და ჩვენს წინამორბედს სასაცილოდ მოეჩვენება ჩვენი კერპთთაყვანისმცემლური წარმოდგენები ეთიკურ თუ ესთეტიკურ ფასეულობებზე.

თავგადაკლული მსწრაფველობით, ინდივიდუალური ხელწერითა და ხასიათით მიექანებიან მდინარეები ზღვებისკენ, ოკეანესკენ, თუმცა როგორც კი მიაღწევენ იმ ყოვლისმომცველ ოაზისს, ამ მსვლელობებს თუ აღნაგობა-ხასიათებს მნიშვნელობა ეკარგებათ, ვინაიდან თავქარიანი თერგის წყალი უპრობლემოდ შეერთებია გულდინჯი განგის ტალღებს და საკამათოც არაფერია: ორივე ახალი ნიშან-თვისებით იწყებს ცხოვრებას. ასეთია გარდუვალი სინთეზის ბუნება. მაჯის საათის საამური წიკწიკის უკან ასობით, ათასობით დეტალის დახვეწილი ურთიერთკაშირია, მაგრამ ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს მათი მექანიზმის იდუმალებაში პედანტური ჩხირკედელაობა. ჩვენ მაჯის საათს ვღებულობთ დროში ორიენტაციისათვის და მორჩა. ამგვარადვეა საქმე ადამიანთან მიმართებაშიც. მილიონობით უჯრედი და ათეულობით ორგანიზმი შეხმატკიბილებულად ემსახურება ნებისმიერი პიროვნების ზოგადი სახის წარმოჩენას და ესაა თუ ის ორგანო მხოლოდ მაშინ გაგვახსენდება, როცა იატროგენული დეფექტებია. სხვა შემთხვევაში აურაცხელი ნაწილაკის თანამშრომლობით ამოძრავებულ ინდივიდს არაფერში ეპიტნავება რომელიმე მათგანის კაპრიზები. თუკი უხეში პარალელი არ გამომივა, ერები და ეროვნებანი მხოლოდ მსგავსი ხარმონიით გადაირჩენენ თავიანთ ინდივიდუალიზმს, ზოგადისადმი, კაცობრიული ფასეულობებისადმი ერთგული სამსახურით. ამ პროცესის უტყუარი ნიშნები უკვე გამოჩნდა — ოცდამეერთე საუკუნის სასწაული — კომპიუტერი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრი მეთქმის და უამისოდაც ნათელია ჩემთვის ინტერნეტის დიაპაზონი მსოფლიო აზროვნების ინტეგრაციაში. ჩვენ არავინ გვაიძულებს ამ პროგრამებში შესვლას და თანამშრომლობას, მაგრამ თუ მოიწადინებ, ინფორმაციის დამუშავება უნდა შეგეძლოს მიღებული წესებითა და კანონებით. შენს მიერ მიწოდებულ ფოტომასალას თარგმნა არ სჭირდება, თუმცა აზრის გაგებინების სურვილი თუ გაგიჩნდა, ინგლისურით უნდა სცადო მისი გაჟღერება. აქეთაც რომ მიიღო საჭირო მასალა, კვლავ ამ ინგლისურის ელემენტარული ცოდნაა საჭირო. ახლა ზოგიერთი ერი საერთოდ ამრეზით უმზერს კომპიუტერს და მის სასწაულებს, მაგრამ მითხარი, ძმისშვილო, რომელი უფრო დაწინაურდება, მხოლოდ საკუთარ თავისებურებებს ჩამბღაუჭებული თუ ვინც გასცემს და მიიღებს ამავდროულად?

ადრე თუ გვიან იზოლირებული ერები აღიგვებიან მიწის პირისაგან, მაგრამ საერთო ფერხულში ჩაბმულებს განვითარების გრანდიოზული პერსპექტივა ელოდებათ მომავალში. ცივილიზაციისათვის ფეხის აყოლას ჩვენ არ ვეძახით გადაგვარებას, ასიმილაციას, ათქვეფას. ჩვენ გონივრულ მიდგომებზე ვმსჯელობთ, რომელიც დანარჩენი მსოფლიოსგან იღებს დაწდე- ვებულ ფასეულობებს: ფერს, ბგერას, გრაციას, რაციოს.

შენი „სუფევა“ მთლიანობაში ამ ტენდენციითაა გამსჭვალული, ძმისშვილო, მაგრამ კონკრეტიზაციაზე მეტად აბსტრაგირებას ვისურვებდი, განზოგადოებებს, ფორმულარებთან მიახლოებულ დამოკიდებულებებს საგნებისა და მოვლენების შეფასებისას.

მართალია, ხიპერშეჯამების დასკვნითი აკორდები ჯერ კიდევ არ მოგიწოდებია, და სავარაუდებელია, ყველა აქცენტი, ყველა პოსტულატი იქ იყრიდეს თავს, იქ მთლიანდებოდეს, შეკუმშულობით კატეგორიის დონემდე იქ აჰყავდეს. ამით მკითხველიც მოიგებს და საკვლევი ობიექტიც. შენ ხომ „სუფევა“, იგივე საქართველოს უკვდავების ფორმულა, საკუთრივ საქართველოსათვის არ მოგიაზრებია? შენ ხომ ზოგადკაცობრიულის ჭრილში განიხილავ ჩვენი არსებობის ჩავარდნებსაც და ამწვერვალებასაც?! მაშ, მეტი გაქანება, განზოგადებულს და კრებსითს, ძმისშვილო, როგორც საყოველთაო გადარჩენის ერთადერთ გარანტიას.

ხიდები საქართველოს აღდგომისათვის

მედიტაცია დილის ექსპრესში

ფაზის-ქალაქისკენ სამზადისს დილაუთენია დავიჭერ.

მიმართულება პრიორიტეტულია და დათრთვილული შემადგენლობაც პირველი ლიანდაგიდან გადის.

29 მარტია დღეს. ბილეთიც იგივე ნომრით შემხვედრია.

ხალხმრავლობაა.

ასეთი ექსპრესი ზუგდიდისაკენაც გავა ორმოციოდე წუთში, მაგრამ ამჯერად ზღვის სურნელება მომნატრებია და ესეც რომ არა, ხვალ ქვეყნის პრეზიდენტი ჩაბრძანდება ფოთში.

წაგრძელებულ მაგიდას იმთავითვე დავისაკუთრებ. ამოვალაგებ ჩანთიდან საქართველოშემოვლილ თაბახებს და სამუშაო განწყობილებას ვიქმნი.

სათანადო სამსახურების შემწეობით ჯერჯერობით ველარაფრით ვახერხებ ბატონ ედუარდთან ბელეტრისტული ინტერვიუსათვის შეხვედრას და ასე, გარე-გარე, წვეთ-წვეთობით ვაკოწიწებ ჯვარცმული საქართველოს აღსადგენი აბსტრაქტული ხიდების არქიტექტორის ურთულეს პორტრეტს შინ თუ გარეთ.

სამოცდაათიანი წლებიდან ფერადოვნდება იგი ბახმაროს გზასავით დახვეული ხაზებით. ხან აღმართია და ხანაც — დამრეცი. უცხოეთში პატივით მიღებულს შინაური მასმედია საფრთხობელად წარმოსახავს ანიდან ხოემდე, მაგრამ ეს ხომ აისბერგის კუშტულია, კონცხი, სოციალური ფონით ნასაზრდოები?! უმთავრესის ამოცნობა მწადია, უძირითადესის, სამშობლოს სახვალიო ორიენტაციასთან რომაა მიბმული და ყველა ტკივილის მოშუშებას გვპირდება.

გადაიჭედება ვაგონი ჭრელა-ჭრელა მგზავრებით და ბიძგიც შეიგრძნობა.

შთაგონებული სახეების ქარავნებია გარშემო. მხოლოდ ონავრებს ვერ აოკებენ ჩვენეული შეჭირვების არტახები.

სალონში ჩინებული სისუფთავეა.

ბატონი აკაკი ჩხაიძის სამსახურს ახალ ყაიდაზე გადაუკეთებია რონოდა: გაკრიალებული მინები მთელია ყველგან. საბედნიეროდ, დღისით, მზისით ქვებს არ უშენს გულის მოსაფხანად გაწამებული ნახევარი საქართველო და გახარებს მისი უვნებლობა.მაღალსაზურგეებიანი სავარძლები ხასხასა მაუდის ქსოვილით შეფუთნილა. მავნე ხელს მათი დასახიჩრება აქაც მოცარვია.

ვაგონის ცენტრში ორი ტელევიზორია გამოწეული მაგიდების თავსზემოთ.

დავიძრებით და აქოთქოთდებიან ისინი აქამდეც მობეზრებული ტრილერებით, ბოევიკებით თუ ვესტერნებით.

მე ჩემი ჯოჯოხეთი „სუფევა“ ლანდივით დამყვება მამულის ღობე-ყორე. სადაც მომიხერხდება, ვხვეწ, ვავსებ, ვრანდავ და ახა, ასერგაცს თაბაცს გადაცილებულის ბოლო სადგური თუ ნავსაყუდელი დაბეჯითებით ვიცი: დიახაც ფაზის-ქალაქია, ფოთი— სცილას და ქარიბდას შორის გათანგული სამშობლოს სწორუპოვარი კარიბჭე, ბჭისკარი ზოგადად, ტრიუმფალური თაღი.

ერთი სემანტიკისაა ეს სიტყვები, საკუთარი მეობის ერდოსთან ცივილური ურთიერთობის გარანტად აღმოცენებული სახელმწიფოებს შორის.

„რკინის ფარდა“... სიზიფოსის აღმართით... კედლით ბოლოს და ბოლოს, ჩინურით თუ ბერლინურით, ჭეშმარიტების დატყვევება ფუჭი მცდელობაა. სამეგრელოში იტყვიან: წყარ ნაწყარს დო შარა ნაშარსიავა, ანუ გზა ნაგზაურს და წყალი ნაწყალევსოო; ხოდა, რაკი სანთელ-საკმეველი

თავის წავარნებს არაფრისდიდებით დახკარგავს, ჩვენც ამ ეჭვმიუტანელი ხალხური სიბრძნის იმედით მივუყვებით დილის ექსპრესს საქართველოს მომავლის მიმართულებით.

კაცობრიობას ოდითგანვე ამუხრუჭებდა კედლის ანუ ხელოვნური წინაღობის ,,ფილოსოფია''. გალავანია იგი, გაბევრებული მანძილი თუ გაწელილი დრო, პერანგივით თანდაყოლილი ბარიერებია ადამიანისათნიშნად და დედაკაციც ეგრევე კორპს კბილებით ჩააფრინდება. ჩამომისხამს სურნელოვან ყავას. უსიტყვოდ გადავიღებ. ფულს არც მეკითხება. ალბათ, ჩამოვლისას გავსწორდებით.

მაგიდის მოპირდაპირე მხარეს თეთრთმიანი მანდილოსანი მოკალათებულა შვილიშვილებითურთ. გოგო-ბიჭი მადიანად ილუკმება კარაქწასმულ პურს, რომელსაც ზემოდან ჯემის თხელი ფენა მოსდებია.

ყმაწვილი ჩემს გვერდით ბუღრაობდა დილიდანვე, თუმცა დიდედამ დაუცაცხანა, სავარძლების სახელურები აკრიფა და ბებიას სიახლოვეს იკლავს ახლა ონავრულ ჟინს.

გახუნებული ჩანთების სიმრავლეა.

ბოლო ათწლეულმა კარდინალურად შეცვალა ქართველი კაცის თადარიგი. იოანე ზოსიმეს გულთმისნური სიტყვები, აი, ამ პერიოდს მიესადაგება ზედმიწევნით: დღეი ვითარცა წელი ათასიო, ბრძანებს ის კურთხეული, და ჩვენც დიახაც ამ ათ წელიწადში გავირბენთ ასი წლის სავალ თემშარას, გავირბენთ არაქათის გამოცლამდე. თანაც მსწრაფველობაში გზადაგზა გვეფანტება სამაჩაბლო, აფხაზეთი, მაგრამ მთავარი მიმართულება მდინარის სიჯიუტით მიარღვევს საუკუნოვანი კედლების სიმრავლეს და ამისი დაუნახაობა დალტონისტის მეტს რომელს მოუხერხდება, ყვითელი პრესის მხარდამხარ?!

ტყემალზე ვზივართ გრამატიკული ცთომილებით და ბალს შევექცევით.

საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებისკენ ორიენტაციას ეროვნულმა მოძრაობამ დაუდო სათავე.

რუსეთის იმპერიიდან გამოღწევის ერთსულოვანმა ძალისხმევამ ვაის მიჩვეულები უის შეგვყარა — თვალსა და ხელს შუა გაქრა სოციალური გარანტიები: უფასო სწავლა-განათლება, სამედიცინო მომსახურება, შედარებით მუხლმაგარი საშუალო ფენა. ეროვნული სიმდიდრე ელვისებურად გადანაწილდა ორ უთანასწორო ფენაზე კოლოსალურად განსხვავებული პროცესებით — ასეული ოჯახის ხელში მოქცეულა ქვეყნის უძრავ-მოძრავი ქონების მამითადი, დანარჩენი საქართველო კი შიმშილის ტრამალიდან მოგვყმუის და გვაყრის ქოქოლას შოკური თერაპიით მისავათებული.

აგორებულია საუბარი პრეზიდენტის ნათესაური კლანის ანტიეროვნულ ხასიათზე, მაგრამ ვივიწყებთ ქრესტომათიულ დებულებებს პოლიტეკონომიის ფუძემდებლებისაგან: კაპიტალმა, ბიზნესმა, ფულმა ჩვენებურად, ეროვნულობა არ იცის. მეწარმის ხელგაშლილობანი სოციალური მიმართულებით იძულებითი მომენტია გაცილებით მეტის ამოსაგებად.

მართალია, კაპიტალისტური ურთიერთობანი პიროვნული უნარების მაქსიმალური გამოვლინების უბადლო არენაა, სოციალისტური სისტემის ხელოვნური გათანაბრებისაგან განსხვავებით, მაგრამ ისიც გამოცდილია, რომ კერძო-მესაკუთრული ჭურჭელი ვიდრე პირთამდე არ გალიპლიპდება, მისგან აღარაფრით გადმოიპკურება საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლო. პირთამდე აღვსებამდე იმ საწნახელში მბორგავი ბადაგეული სავსებით მიუწვდომელია რიგითი ადამიანებისათვის. მხოლოდ ნამეტი ჩქერალები, მხოლოდ ნამეტი ჭავლებია სოციალურ მოთხოვნილებათა ყამირების დამაწყურვალებული. აი, რომელი მომენტიდან აღიძვრიან ქველმოქმედებისათვის სარაჯიშვილები, ხოშტარიები, ჯოხთაბერ- იძეები, ჭყონიები, ოქუაშვილები თუ თოფაძენი.

ეს მედალოსნის ერთი მხარე, მაგრამ რატომ, რისთვის ენდობა კაცობრიობის მილიარდელთა ექვსასეულ ოჯახს ფხიზელი გონების საზოგადოება? გამჭრიახი ოპონენტი არავის ეპიტნავება. თევზის დაჭერა ხომ მღვრიე წყალშია გაცილებით მოსახერხებელი და ილანდღვება კიდეც ჩვეულებრივი ხალხის ცხოვრება აღვირახსნილი სექსის პროპაგანდით, კოშმარებისა და სენსაციური თემების ფრიალით; ინდივიდუალიზმის, მანიაკური მიდრეკილებების გაღვივებით პიროვნებაში; ნარკომანიისა და სოდომური ცოდვების უცხვირპირო ლეგალიზებით, რათა პლებსს მოხერხებულად მართავდეს ხელისუფალი. აი, ხელოვნური კედლების წყება და ჯგრო, რომელთაც დროთა ვითარებაში მიყოლებით წააყირავებს ხოლმე ჭეშმარიტების მოსართავებით დარახტული ხიდის ფილოსოფია.

შეხედავ იშვიათი დიზაინით დასტამბულ დედაქალაქის ცნობარებს და მთლად ცხრა ნომერი ტლუ თუ არ ხარ, ყველაფერი ნათელი შეიქმნება შენთვის: ამ ათ წელიწადში თურმე თამამად ამოგვირჩევია სამერმისო ცხოვრების წესი და ნირი. აქვე ზოგ-ზოგის გასაგონად ყასიდად ვიძახით

წარამარა:

დროა „ნატოს“ ბლოკში გავწევრიანდეთო. თვალის ასახვევად ვხმიანებთ, თორემ სინამდვილეში წარმატებულად გაგვივლია მიმიკრიის, მუტაციის ეტაპი საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის მიმართულებით. ინდმეწარმეობით, შეპესეებით ერთხელ და სამუდამოდ არჩევანი გაკეთებულია — **Alea jacta est!**

ჩვენი ცხოვრების ყაიდა ზედმიწევნით მისჩერებია ევროპულ ფასეულობებს და რუსეთის სამხედრო ბაზების მიწისქვეშეთში ძრომიალი დიდი ვერაფერი ბედენაა — სამაჩაბლო, აფხაზეთი, პანკისი, უმნიშვნელო შემაფერხებელი რგოლებია ამ გრანდიოზულ მსვლელობაში.

მიქრის დილის ექსპრესი „თბილისი-ფოთი“ და ამგვარი ფიქრებით გაბრუებულს, ჩემი „სუფევის“ დაგვირგვინება მეც ფაზის-ქალაქით გადამიწყვეტია, „დიდი აბრეშუმის გზის“ ორიენტირით, „ტრასეკათი“ — ევროპა-კავკასია-აზიის საშვილიშვილო მაგისტრალით და ყოველივე ამის ეპიცენტრში უღრუბლო ცაზე მეხივით მოვლენილი დათო ქანთარიათი.

თვეების წინანდელ ინტერვიუს მოვიჩოჩებ საკორექტუროდ:

— დიდი ხანია, ბატონო დათო, თვალს მივადევნებ თქვენს მუშაობას კოლორიტულ წალენჯიხაში. მიუხედავად გაკეთებული უამრავი საქმისა, პრობლემები მაინც არის. გუბერნატორმაც ილაპარაკა ამის თაობაზე, მაგრამ ყველაფერზე უმჯობესია თავად ისაუბროთ: მდინარე ენგურზე გადებული ხიდის ისტორია მაინტერესებს. რანაირად მოხდა ეს, რა სახსრებით, დროის რა მონაკვეთში; ვინ მგზავრობს მისით და ასე შემდეგ.

— დიდი პატივისცემით ვარ გამსჭვალული თქვენი პიროვნებისადმი. ოთხმოცდაცამეტში როცა მოვედით აქ, ოპოზიცია „ჩაწიხლულ სამეგრელოს“ ეძახდა. ამ „ჩაწიხლულ სამეგრელოში“ ყველაზე მეტად გამოირჩეოდა წალენჯიხა. აბსოლუტურად დანგრეული ეკონომიკა გვერგო მემკვიდრეობით: გადამწვარი სახლები, გადამწვარი სკოლა-ინტერნატი, სტადიონი, ხუთი-ექვსი ადმინისტრაციული შენობა. მე თვითონ გავიტანე მათი ნანგრევები ქალაქის ტერიტორიიდან. გახსოვთ „მხედრიონის“ თავდასხმა 92 წელს? როგორი უნდობლობა სუფევდა, რანაირი უნუგეშობა? მაგრამ დრო დიდი მკურნალია თურმე. ბოლო პერიოდი ცოტათი თვალში გამოვიხედეთ, მშენებლობები გავაჩაღეთ. წარმოიდგინეთ, იუბილეებისთვისაც კი მოვიცალეთ. გავიხსენეთ ჩვენი რაიონის ღირსეული ადამიანები. ჩავატარეთ ეგნატე ფიფიასადმი მიძღვნილი ასი წლის იუბილე, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტიც გამოეხმაურა. კიდევ ერთხელ მოეფერა სამეგრელოს ოპერისა და ბალეტის თეატრიდან.

აქ, ჩვენთან, წალენჯიხაში რამდენიმე ობიექტი გავხსენით. ეს იყო ბავშვთა განყოფილება ეგნატე ფიფიას სახელობის საავადმყოფოში. ნიკოლოზ შენგელაიას სახელი მივანიჭეთ ახლადგახსნილ კინოთეატრს. რამდენიმე სკოლა აღსდგა ამ პერიოდში. სპორტკომპლექსის თაობაზე იცით, ორი გაკეთდა. მშენებლობები ახლაც მიმდინარეობს მსოფლიოს საინვესტიციო ფონდის დახმარებით. წარმოგიდგენიათ, გადაბუგულ წალენჯიხაში არანაკლები მცხუნვარების ღონისძიებები ტარდება. — ღიმილით შემომხედავს და მაჯის საათისკენ გაექცევა მზერა. ვგრძნობ დროის პრობლემა აწუხებს და ჩაურევლად ვასაუბრებ, — ხიდების მშენებლობას განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩემს ცხოვრებაში. ეს არის მართლაც სტრატეგიული და ეკონომიკური დანიშნულების ხიდი მდინარე ენგურზე, რომელიც წალენჯიხას ენგურსგაღმა სამ სოფელთან აერთებს. მეორე ხიდი მდინარე მაგანაზე გაიდო, ისიც სტრატეგიულია და ორ რაიონს აკავშირებს ერთმანეთთან — წალენჯიხას და მესტიას. რაც შეეხება პირველ ხიდს, ეს არის 200 მეტრიანი. ხშირად ამბობენ, რომ ენგურს გაღმა აფხაზეთიაო. არ არის ეს გამონათქვამი სწორი. მარტო წალენჯიხის რაიონს ენგურს გაღმა სამი სოფელი აქვს: ფახულანი, ჭალე და მუჟავა. ფახულანელ გლეხს 45 კილომეტრი უნდა შემოეარა ამ ხეობისთვის და ამგვარად მოხვედრილიყო ზუგდიდსა თუ წალენჯიხაში. ანდა ხშირად ფახულანელი კაცი გადადიოდა გალში და იქ სახლდებოდა. საბერიოში ჩადიოდა, გალის ადმინისტრაციული ცენტრი უფრო ახლობელი იყო მისთვის. ეს იმ დროს და იმ პირობებში, როცა უპრობლემო იყო ყველაფერი, როდესაც ტრანსპორტი მოძრაობდა და გალი ჩვენს იურისდიქციაში გახლდათ, ეკონომიკა ხყვაოდა. მოკლედ, ასეა თუ ისე, ვერ გრძნობდა ამას ფახულანელი კაცი თუ ნებისმიერი ენგურს გაღმელი, მაგრამ ახლა, როცა ეს ტერიტორია დროებით სეპარატისტების ხელშია, გაუჭირდა ხალხს. 94-ში გალის პირველი მოვლენების დროს 10 ათასი კაცი გამოვიყვანეთ მე და ჩემმა რაიონმა. ოჭაკეს მთებიდან გადმოვიყვანეთ. იმ ხიდის ადგილას მაშინ საცალფეხო, დაკიდული, ჯაჭვებიანი ხიდი კონწიალებდა, მაგრამ კომუნისტებს დაწყებული ხქონდათ ამ ახალი ხიდის მშენებლობის სამუშაოები. საძირკველები, ბურჯები ჩადებული გახლდათ. ბატონმა ვალერი ჭანტურიამ ბევრი ჯაფა, ოფლისღვრა შეალია ამ საქმეს, თუმცა ათასი ობიექტური მიზეზის გამო მისი

დასრულება ვერაფრით მოახერხა. რამდენიმე ბოძი ჩვენც დავამატეთ. საჭიროებამ დაგვანახა, რომ ამ ადგილას ხიდი აუცილებლად უნდა გაკეთებულიყო. მე ვთხოვე პრეზიდენტს. მან ჩაინიშნა ეს და თავისი ფონდიდან გამოხყო თანხები, დაავალა დეპარტამენტს, ბატონ ბორის სარალიძეს და სულ მოკლე ხანში, 2-3 თვეში ხიდიც მწყობრში ჩადგა. ეს იყო 1998 წელს. პრეზიდენტი თვითონ ჩამოვიდა გახსნაზე. წვიმდა იმ დღეს. მიუხედავად უჟმური ამინდისა, 10 ათასი კაცი მაინც მოვიდა, არა მარტო წალენჯიხის მცხოვრებლები, არამედ ჩამოვიდნენ საბერიოდან, გალის რაიონიდან. სიტყვით გამოვიდა მაშინ გალის რაიონის ერთ-ერთი მაცხოვრებელი. ამ ხიდით გალის და წალენჯიხის რაიონები გაერთიანდა.

სამუშაოების პროცესში სოფელს მორიგეობა ხქონდა დაწესებული, თუ მუშებისთვის პურ-მარილი ვის მოეტანა. 4-5 ოჯახი იყო კვირაში. ლეხუკონისა და საბერიოს მკვიდრებიც ჩაერთვნენ ამ ფერხულში. ორჯერ დაკლეს ხარი საბერიოსა და ლეკუხონის მცხოვრებლებმა. იქ ერთი ყოფილი თავმჯდომარეა, გვარი არ მახსენდება, ლეკუხონელია მგონი, ღურწკაია თუ გოგოხია. ეს კაცი ხელმძღვანელობდა იმ სოფლებს, რომ მუშებისთვის ყურადღება მიექციათ. გალის და წალენჯიხის ორ-ორი სოფელი მონაწილეობდა პურ-მარილით და მუშახელით. რაც იმ საერთო სიდუხჭირის დროს გლეხობას რაც გააჩნდა, ალამართლად გამოხქონდათ. მე დეტალებს იმიტომ გიყვებით, რომ უმთავრესად ხალხმა ივარგა და გახსნის დღეს განვაცხადე კიდევაც:ასეთი პრაქტიკა დაგვიმკვიდრდა: იქ, ახალციხეში, გაიყვანეს წყარო და პრეზიდენტის წყარო შეარქვეს-მეთქი. ჩვენ ისტორიამ შემოგვინახა თამარის ხიდი და გადამეტებულს არაფერს ვიტყვი, თუ ამ ნაგებობას ედუარდ შევარდნაძის ხიდს დავარქმევთ, რათა ისტორიას და მომავალ თაობას ლეგენდასავით შემორჩეს-მეთქი. ზოგი წინადადებით შემოვიდა, პრეზიდენტის ხიდი დავარქვათო, მაგრამ პრეზიდენტის ხიდი მაინც ზოგადია, ედუარდ შევარდნაძის ხიდი კი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, უზუსტესად ესადაგება მის ხასიათს, როგორც ახალი აზროვნების დამამკვიდრებელს, ქვეყნის მომავალთან ჩვენი დღევანდელობის აბსტრაქტული ხიდებით დამაკავშირებელ პიროვნებას-მეთქი.

ვერავინ შემომედავა. რა ვიცი, დღეს ამ ხიდმა დაამტკიცა ის, რაც მას უნდა მოეტანა ხალხისათვის: დანიშნულია პირდაპირი რეისები ზუგდიდიდან, წალენჯიხიდან. სამარშრუტო, მიკროავტობუსები დადის. დიდი მანქანებიც გადადის ამ ხიდზე. მართალია, კრიმინალური სამყაროსთვისაც ხელსაყრელი გახდა ეს ხიდი. ერთხელ ბონდო ჯიქიამ უთხრა პრეზიდენტს:

რა ვქნათ, ბატონო პრეზიდენტო, კონტრაბანდამ დაიწყო მიმოსვლა, მაგრამ არა იმდენად, რამდენადაც აქეთ, დაბალ ზონაშიაო.ახლა ვაკონტროლებთ მას. ჩვენი პოლიციის პოსტი გაიხსნა და შეწყდა თავნებობა. აღარ გადმოდის უკვე იმდენი აღურიცხავი საქონელი, კონტრაბანდა, რაც იმ ტერიტორიიდან შემოედინებოდა. ხალხი გახარებულია, ხალხი მადლიერია ამ დიდი ღონისძიებით. ეს თაობებს გადაეცემა და მე მინდა, სანამდე ხიდის საჭიროება არ მოიშლება მსოფლიოში, კურთხეულად იყოს ჩვენი სამშობლო.

— მაგ ხიდით გადადის საბერიოში გიორგი მიქავას ხალხი? — არ მეთმობა დასახელებულ ნაგებობასთან განშორება.

— კი, ამ ხიდითაც. ოცარცეს ხიდითაც გადიან. სხვათა შორის მაგათ არა აქვთ პრობლემები. გიორგი მიქავას ხალხი მართლაც რომ გმირია. ენგურხესი ერთი წუთითაც არ გაუჩერებიათ. დიახ, ამ ხიდით სარგებლობენ. ამ ხიდით სარგებლობს ყველა მიმსვლელ-მომსვლელი და როცა აფხაზეთი დაბრუნდება, უწინარესად — ამ ხიდითაც. ამიერიდან უფრო ახლოა წალენჯიხისათვის გალის რაიონი, საბერიო. ჩვენ ამ ხიდით ვივლით, ვიდრე ოცარცეს ხიდით. ჩვენი და მესტიის რაიონებისთვის ასე უფრო მოხერხებულია. რუხი, ზედა სოფლები: ზედაეწერი, ჩხორია, ჭკადუაში, ამ სოფლების მცხოვრებლებისათვის ეს ხიდი პრაქტიკულად გალის რიაონში გადასასვლელად გაცილებით ხელსაყრელია.

— მაგანას ხიდი, ბატონო დათო?

— მაგანას ხიდი იყო აწ განსვენებული თემურ ფიფიას ზრუნვის საგანი და ოცნება. ამიტომაც მისი სახელი სრულიად სამართლიანად დავარქვით ამ ხიდს. მაგანაზე ესაა მესამე ხიდი. ბაბუაჩემი გახლდათ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ჯვარში, ვლადიმერ ქანთარია, როდესაც იგი 1932 წელს ბერიას დავალებით აშენდა. მოგვიანებით გერმანელებმა ააშენეს ჯაჭვებიანი ხიდი. ისტორიული ხიდია ისიც. არჩევნების დროს ამ ხიდზე მქონდა ატანილი პრეზიდენტის პლაკატი და ხუმრობით ვუთხარი ბატონ ედუარდს:

ბატონო პრეზიდენტო, თუკი უკეთეს ადგილას არის ასეთი პლაკატი მთელს საქართველოში, თავს მოვიჭრი და გადავდგები-მეთქი.

— თავს თუ მოიჭრი, მერე გადადგომა არ დაგჭირდებაო, — ძალზე თანადროული და მოსწრებული იუმორი აქვს ჩვენს პრეზიდენტს. მაგრამ რაც მართალია მართალია, პლაკატი ნამდვილად

ორიგინალურ ადგილას აღვმართეთ. ისე ლამაზად ჩაჯდა იგი იმ რელიეფში — ხიდის თავზე, რომ შევნიშნე პრეზიდენტს რამდენჯერმე თვალი მისდაუნებურად გაექცა მისკენ. ეს იყო პირველი თამამი განაცხადი მისი ცხოვრების უმთავრესი შტრიხების წარმოჩენისა ანუ— ხატი ხიდების შემოქმედი კაცისა, რომელიც დღევანდელობას დიდის ძალისხმევით აკავშირებს წარსულთან და მომავალთან.

მერე ენგურხესის მშენებლობა დაიწყო 1961 წელს. ეს ჯაჭვებიანი ხიდი უკვე დროის მოთხოვნებს ვერ პასუხობდა. აუცილებელი გახდა ახალი ხიდის მშენებლობა, რომელიც აშენდა 1960-61 წლებში. კაშხალი ჩვენს ტერიტორიაზეა იცით. ეს ხიდი არეულობის დროს, 92-ში დაინგრა. ახლაც ყურში ჩამესმის მაშინდელი გრუხუნის ხმა.

ჯვარში ვიყავი ჩამოსული ორი დღით, თბილისში ვმუშაობდი და სახლში დავყოვნდი ერთხანს. აფეთქების იმისთანა ხმა აქამდე არ გამეგონა. ზემო ჯვარში ვცხოვრობ, ეს ხიდი კი ქვედა ჯვარშია. ისეთი სიძლიერის ზათქი გაიღო, სახლები ზედა ჯვარშიც კი შეაზანზარა. იმღამესვე ჩამოვედით ბიჭები. ვნახეთ, ვიღაც არამზადებს აუფეთქებიათ, მაგრამ ბოლომდე — ვერა.

— როგორც ოტობაიას ხიდი, — ვსარგებლობ შემთხვევით.

— ის გაცილებით მასიაურია. წამოვედით დაძმარებულნი. სახალხო დოვლათი ხელყვეს, ხალხის მომავალი ფიგურალური თქმით. ორ საათში ისევ განმეორდა გამაყრუებელი ხმა. ახლა უკვე მეორე მხრიდან, მაგრამ როგორც მერე შვნიშნეთ, ვეღარც იმან დააკლო რამე. ბოლოს შეეშვნენ. თეთრი „ნივა“ მოძრაობდა თურმე. ახლომახლო სახლების ფანჯრებს მინები არ შეარჩინა. იმისთანა გამაყრუებელი ხმა ხქონდა. მოგვიანებით ბომბებიც ვერ მოერია იმ ხიდს. კერკეტი კაკალი გამოდგა. მაგრამ მერე და მერე წყალმა ჩარეცხა, მოარყია გვერდებში და ჩააწვინა. უკვე იქ გავლა საშიში იყო სიცოცხლისათვის. ჩვენმა საგზაო სამმართველომ დროის რაღაც მცირე მონაკვეთში საკუთარი ძალებით დროებით მიმოსვლა აღვადგინეთ ამ ხიდზე. შემდეგ ამ დანგრეულ ხიდზე სვანეთიდან პრეზიდენტმაც გამოიარა მანქანით. ორი დღის განმავლობაში ფრენა ვერ შედგა და პრეზიდენტმა იქვე დაავალა ბორის სარალიძეს: ეს აუცილებლად უნდა გაკეთდესო.

მერე დეპარტამენტმა თავისი სახსრებით აღადგინა მაგანას ხიდი, ამჯერად — თემურ ფიფიას სახელობისა. სხვათა შორის, ფრიად უნიკალური და თანამედროვე ნაგებობაა. მადა ჭამაში მოდისო, თქმულა და მაშინ განაცხადა პრეზიდენტმა:

დროა მეორეც გაკეთდესო და ვიტყოდი, ისიც ფორსირებულად, ელვის სისწრაფით დასრულდა. მშენებლობაზე ძირითადად ჩვენი გამოცდილი ხალხი მუშაობდა, თბილისიდანაც ჩამოვიდნენ, მაგრამ წალენჯიხელებისათვის დასახელებული მშენებლობა რიგით მესამე გახლდათ, და, აბა, ტოლს რომელს დაუდებდნენ?!

ეს ყველაფერი 1999 წელს დაემთხვა. საპრეზიდენტო არჩევნების დროს გავხსენით იგი და ბატონმა ედუარდმა იქაც დაგვდო პატივი თავისი ჩამობრძანებით. ამიტომ იყო ოპოზიციამ ჩაიქირქილა ორღობეში:პრეზიდენტი წალენჯიხაში ერთი და იმავე ხიდის გასახსნელად ორჯერ ჩამოვიდაო.

ამისთანა სისულელე ვის გაუგია?

არა, ბატონებო, სამი ხიდის გახსნაზე მხოლოდ ორჯერ ჩამობრძანდა ქვეყნის პრეზიდენტი-მეთქი, ვიმეორებ ყველას გასაგონად.

— დაახლოებით რა მოცულობის სამუშაოებზეა საუბარი? — არ ვეშვები მე მაჯის საათს მერამდენედ მიჩერებულს.

— გეტყვით ამასაც. როგორც ადგილობრივმა, ისე ცენტრალურმა ბიუჯეტმაც ისარგებლა ამ მშენებლობიდან. ენგურის ხიდზე დაახლოებით მილიონი ლარი დაბანდდა. კიდევ ორ ხიდზე — 3 მილიონამდე. დეპარტამენტის თანხები იყო თავიდან ბოლომდე. დიდი საქმე გაკეთდა ნამდვილად, ყველაფერს რომ მოვეშვათ, დასაქმდა ადგილობრივი მუშახელი, ჩვენი საგზაო სამმართველო, მშენებლები... წყლის სიღრმეში ბოძები უნდა ჩაესვათ. მდინარის ქვევით 40 მეტრზეა ჩასმული ეს სოლები და აღნიშნული სამუშაოები ენგურხესის ძველმა, გამოცდილმა ხალხმა აწარმოა. მთელი რაიონი მადლიერებით იხსენებს მათ. ველით უკეთესობას.

— ხვალაც ამ დღის არის, — შევიპირებ საუბრის გასაგრძელებლად დროის პრობლემით აფორიაქებულს.

მას აქეთ ლამის წელიწადი გაირბენს და ახა, წალენჯიხის გამგებელთან შეწყვეტილი საუბრის გასაგრძელებლად დილის ექსპრესით ფოთის მერთან მივემგზავრები ფაზის-ქალაქს.

ლიანდაგზე დადებული თავი

საღამოს ხუთის ნახევარია.

რკინიგზის სადგურში ორი მეგობარი მხვდება. პირველი შედარებით ახალშეძენილია, ერთობ საინტერესო პოეტი და პროზაიკოსი — ჭაბუკი ქოიავა. ხოლო მეორე — ეროვნული მოძრაობის გამოუსწორებელი ფაზისელი კოლორიტი თამაზ პაჭკორია. ლიტერატურული სალონი „ორნატი“ გაუხსნიათ ბიჭებს — ხნული სულხან-საბას მიხედვით და ფინანსურ დახმარებას ელიან ქალაქის ნაბოიკოტარი ახალი მერისგან.

რკინიგზის სადგური ორივე მეგობრისათვის ფრიად მახლობელია: ჭაბუკი ქოიავა აქვე ცხოვრობს, ოროთახიან ბინაში. თამაზი კი კვირეების წინ თავგამოდებულად იწვა ლიანდაგზე უცხორაიონელი კაცის ქალაქის მერად დანიშვნის საპროტესტოდ.

სხვა რაიონელი... ეს ფოთელების განწყობილებიდანაა, თორემ ჩემთვის საქართველოს მომავლის ნებისმიერი მეციხოვნე, შავ დღეთა შემამსუბუქებელია ღვიძლი ძმის კვალობაზე.

ბატონ დავით ქანთარიას თბილისშიც უამრავჯერ შევხვედრივარ. წალენჯიხასა თუ ზუგდიდში — თავისთავად. ეს გოლიათი კაცი დაბა ჯვარშიც მინახავს გამგებლობის პერიოდში, უსახელო გორაზე ეკლესიის საძირკვლის გათხრისას, თორნიკე ფიფიას გვერდით; დიდი სამამულო ომის გმირის, მელიტონ ქანთარიას ბიუსტის გახსნაზეც მიხილავს იგი მეზღვაურული ტორტმანით და მათ ოჯახში პურ-მარილიც მინებებია;

ვწვევივარ მოციცქნულ ბინაში წენდიხის ცენტრში სამხარეო გაზეთის რედაქტორობის ჟამს და გარკვეული ზურგისქარი მიგრძნია პერიოდიკის გამოცემისას. მაგრამ ჩემი მიუკერძოებელი კალამი დღემდე ვალშია დარჩენილი მისი მუხლჩაუხრელობის წინაშე. ბევრის გაფაჩუნებას გაათმაგებულ პატივს მივაგებ ავანსად და ჩემი თემურ ფიფიას სისხლ-ხორცის მართლაც საარაკო გამძლეობა რატომღაც ყოველთვის უყურადღებოდ მიმრჩება. იქნებ შემომინახავს განგება?! თუმცა ქანთარიებისაგან გური ოტობაიას არაფერი ესაყვედურება: ისინი ხომ ჩემი რომანების („სიცოცხლემისჯილეი“, „როკი“), მშფოთვარე გმირები არიან აწ და მარადის, ერთი მომენტის გათვალისწინებით: მათში ქანთარიების საგვარეულო ანთარიებად იწოდება, როგორც კოლხური წარმართული ღვთაების, ჟინი ანთარის უშუალო ჩამომავლები.

თავად ქანთარიების გვარის მეტამორფოზას, კონკრეტულად კი ამ სახელდებაში ასო-ნიშანი „ქან“-ის გაჩენას, „ქ“-ს წანამატს, რელიგიური მისტერია ესაძირკვლება სათანადო წყაროების მიხედვით. „ქ“ ჯვარის სიმბოლო, მზის სადღეღამისო ბრუნვის ხატი რომ არის ეზოთერული წიაღსვლებით, დიდ საიდუმლოებას არ წარმოადგენს წიგნიერი ქართველისათვის.

დააკვირდით ნეტარი და უწმინდესი ილია მეორის ხელმოწერას:„ ილია-II“. ჯვარი აქ და ყველგან „ქან“-ის სემანტიკით კათალიკოს-პატრიარქის შინაარსისაა. როგორც ჩანს, საუკუნეების მიღმა ანთარიების მოდგმასაც დაახლოებით თანაბარი ტვირთი უტარებია ჩვენი სულიერების გადასარჩენად. კერპთაყვანისმცემელი, ქურუმი და მოგვი ანთარია დროთა მსვლელობაში მართლმადიდებელ ქ-ანთარიად კურთხეულა და ამ გვარში ამნაირად შესინთეზებია ქრისტიანობა წარმართულ მსოფლგანცდას.

მარტი იწურება. ბრიალებენ და ჩახჩახებენ ალუჩები, ატმები.

ცრის ფოთისთვის დამახასიათებელი გულმოდგინებით.

მეგობარი უამრავი მყავს ფაზის-ქალაქში:

ნავსადგურის უფროსი წლების წინ, ვალერიან გეგიძე, ვალერიან მიხაილოვიჩი, ნათელშია და აღარ შემომეგებება იშვიათი ბარიტონით: „ნუ ზემლიაკ, გური ძამა, გაასწორე ქვეყანა?“

მე კიდევ კინოფილმი „რაიკომის მდივნის“ პერსონაჟ ლუკასავით ხელებს გავასავსავებ გაურკვევლობის ნიშნად.

გვიან შევიტყობ ბატონ ვალერი გეგიძის მოულოდნელ გარდაცვალებას და აქამდე ვალში ვარ ძირით თაგილონელი კაცის საფლავის წინაშე.

დიახ, მეგობარი უამრავი მყავს ფაზის-ქალაქში:

თემურ დოლბაიას, ჩვენს კლინტონას, კალმით ნახატმა ასულებმა მოუსწრეს;

ნაბადაში ძველებურად ჭრიალებს მაკალათიების ოჯახის ჭიშკარი;

ნინოშვილზე სიყრმისდროინდელი დაი დაფუძნებულა — თამილა ნარსია, ესართიების სათნო რძალი;

ბაზრის სიახლოვეს ბატონი რამინ აბლოთია მკვიდრობს, ილია ვეკუას სახელობის სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი და ჩემი ბელეტრისტული ნაბიჯების პირუთვნელი მსაჯული.

მარლენ ფაცაცია დაგრიალებს ქათქათა ჯიპით სამეგრელო-გურიაში, სულ უბენზინობას წუწუნებს და კოლხეთის ეროვნული პარკის მესვეურობა არაფრით ბეზრდება.

შეუდარებელია როხროხა ზურაბ ჯგუბურია, ბოდლერის პოეზიის მაჯისცემას მიყურადებული დღემოსწრება და ჩემი უმწეო შემოქმედების ომახიანად განმკითხავი აქა-იქ.

კიდევ უამრავი და ბევრზე ბევრი — გვაძაბიები და მალაზონიები, ჭურღულიები და ხომერიკები... მე ხომ წლების მანძილზე ნაღდი ფოთელივით მიტრიალია ფაზის-ქალაქში!

მაინც ქოიავებისას ვრჩები.

საუბარია ლიტერატურულ პროცესებზე, ეზოთერიაზე, პოლიტიკაზე.

შიგადაშიგ ჩამეღიმება ხოლმე. ამას თანადროულად შენიშნავს თამაზ პაჭკორია და მორიდებით მეტყვის:

— გაგახსენდა რამე?

— ისეთი არაფერი, — გავუსწორებ მზერას, — მაგრამ შემიტყვია „რეიცაზე" დადო თავი გოგია უიშვილივითო და...

წამოყირმიზდება. პატიოსნების განსახიერება თუ ვინმე შემრჩენია შორეული წლებიდან, უეჭველად ეგეც არის.

წინა ხელისუფლების დროს ქალაქის მეორე პირი იყო. სუფთად და ვაჟკაცურად გაუძლო ცხოვრებისეულ გამოცდებს. კვლავაც გახუნებული პიჯაკით დაიარება. არადა, სამი შვილის რჩენა როგორი იოლი საქმეა გარიყული ადამიანისათვის, მეც მომეხსენება რამდენადმე.

— კონკრეტულად დათოს წინააღმდეგ როდი ვილაშქრებდი, — მიხსნის საპროტესტო აქციის მოთავე, — მაგრამ მოგვბეზრდა ფოთელებს ჩამოსულების თავკაცობა.

— რატომ ძმაო, მთლად აქაური არ გყავდათ ახლახან?

— კი, ფოთელი, მაგრამ... — წინადადებას არ ამთავრებს, — ისე ალალმართალი გულის კაცია დარჯანია.

ეგზალტირებულია თამაზი და ენად გაკრეფილს თვინიერად ვუსმენ.

— ორი დიდი ძალაა ადამიანში, გური, ცნობიერება და ინტელექტი, — არაყს ჩამოარაკრაკებს ჭიქაში. მოუახლოვებს გრაფინს ჩემსას, ჩააპკურებს ორ-სამ წვეთს. განახლებისა იყოსო, მებოდიშება თითქოს, — ცნობიერება უფრო მაღალი რანგია, კოსმოსურ ასპექტში გადის. მომავალი ეპოქა, რომელიც XX საუკუნით მთავრდება, ინტელექტს ეყრდნობა, მისი ძალით მოიწევდა ჩვენამდე, მაგრამ ამოწურა თავისი შესაძლებლობა და ჩიხში მოექცა.

XXI საუკუნე ცნობიერების, სიბრძნის, ნათელსმენისა და ნათელხილვის საუკუნეა. ინტელექტი იძულებული გახდება დაემორჩილოს ცნობიერებას. ცოდნა სიბრძნეს დაემორჩილება. დადექი ცნობიერების მხარეს, სიბრძნის და სინათლის მხარეს, გური, თუ გსურს მარადისობა იხილო.

— აბა, სად ჯანდაბაში ვაყუდივარ? — გავიოცებ მე.

— ადამიანი ისწავლის, გური, ჩააღწიოს საკუთარ გენში და სურვილისამებრ შეცვალოს კოდი, ბედისწერა.

— ვითომ? — წარბებს ავიზიდავ.

— ხო, ხო, ნამდვილად. ის ისწავლის წინაპართაგან გადმოყოლილი ნეგატიური კოდისგან განთავისუფლებასაც. გამოღვიძებული სული იქნება ამისი შემოქმედი. დღეს სულს ძინავს, ან სანახევროდ მთვლემარე მდგომარეობაშია.

ფიქრები სხვა მიმართულებით გამიტაცებს: დათო ქანთარიასთან წლის წინანდელი დიალოგი გამახსენდება:

„— ხელოვნების დიდი ტრფიალი ბრძანდებით, ბატონო დავით, — ვასრულებ საუბარს წასასვლელად გამზადებულ რესპოდენტთან, — ჩემი თვალით მიხილავს თქვენი გასაოცარი ცეკვა: მთა რომ დაიძრას უცებ, როგორი სანახავია? მაგრამ მერე და მერე როლში რომ შეიჭრებით, უზუსტესად შეასრულებთ ილეთებს და ორმაგი ტრიალიც არაჩვეულებრივი გამოგივათ, გულში გავივლებ: „სიცოცხლემისჯილების" გმირებად ანთარიები თურმე შემთხვევით არ ამირჩევია-მეთქი.

— ცეკვით ბავშვობიდან ვცეკვავდი ჯვარშიო, — სულსწრაფობს, — მეშვიდე კლასამდე ჯვარის საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. მერე გადავედი თბილისში, კომაროვის სახელობის სკოლა-ინტერნატში. იქ დავამთავრე ფიზიკა-მათემატიკური. პატარობიდანვე ტექნიკური დარგების მიდრეკილებისა ვიყავი და ინჟინერ-ეკონომისტი მოწოდებისამებრ გავხდი. რაც შეეხება ხელოვნებას, ახლოს მოდიოდა ჩემთან ქართული ფოლკლორი. ბავშვობაში ხშირად მაკითხებდნენ ლექსებს, თუმცა ეს არ ყოფილა გულიდან ამოხეთქილი განცდა. პოეზიისადმი ნოსტალგია ათასში ერთხელ დღესაც შემახსენებს თავს. სუფრაზე ძალიან მიყვარს მოლხენა. ბატონი ბონდო ჯიქია, როცა ლექსებით ბუხუნებს ხოლმე და მე ჩემი მთიულურით ავზვირთდები, ვავსებთ თითქოს ერთმანეთს. ამას წინათ მე და ლადო კახაძემ მთიულური შევასრულეთ დოლისა და აკარდიონის თანხლებით. ტელევიზიითაც

აჩვენეს, გაზეთებშიც დაიბეჭდა. რაც შეეხება წიგნს, ქართველ კაცს ,,დათა თუთაშხიაზე'' უკეთესი რა მენდომება?

ქანთარიებზე წერსო, მეუბნებიან შენზე, მაგრამ ის რომანები ჯერ ხელში არ ჩამვარდნია. ალბათ, მისახსოვრებ ოდესმე. მყავს მეუღლე და ორი შვილი. ბიჭი, გიორგი ქანთარია, ასევე ცეკვავს, თოთხმეტი წლისაა. გოგონა — თერთმეტის. ახლა ველოდებით მესამეს.''

— მისმენ? — წამიჯიკავებს მხარზე თამაზ პაჭკორია, — შემთხვევით არაფერი ითქმის, გური.

— გისმენ, კაცო, — შემიწუხდება სახე, — ნათელმხილველივით მსჯელობ და მაინც თავი ,,რელცზე'' დაგიდვია.

გამჭოლ მზერას მესვრის. ძნელია ახლა გარჩევა, შემეცნებითია ეს ისარი თუ ქვეცნობიერი.

— მაგისთვისაც მოვიცლით, — მოლბება ხელად, — მოსახდენი მაინც მოხდება, ძმაო. მდინარე იდინებს. იქნება დაბადება, იქნება სიკვდილი. სიფარულს სიძულვილი შეუტევს. სიცოცხლეს საფრთხე ჩაუსაფრდება. მოხდება განსაკუთრებულიც: სტუმრები გვეწვევიან ზეციდან, გამოღვიძებას შეეცდებიან ჩვენსას. თვალებიდან ლიბრს ჩამოგვაცლიან, აგვეხილება სინათლე, და იქნება მარადიული სიფხიზლე. და იქნება მარადიული ნეტარება. მერე მოიკუნტება ბოროტება. მერე მიეცემა სიტყვას ფასი. მერე ჩავწვდებით დუმილის ფასს.

— ბიბლიის ენით მესაუბრები, და მაინც ჩემო, თამაზ, თავი ,,რელცზე'' დაგიდვია. ვისთვის და რისთვის ძმობილო? დათო ქანთარია ხომ ორგანიზატორული ნიჭითაც ცხებული პიროვნებაა და ინტელექტუალურითაც ამავდროულად. უკეთესი რომელი გეგულებოდა?

— იქამდეც მივალთ, გური, — ვაკვირდები, ბუდიონის ულვაშში ჭაღარა გამორევია, — ამჟამად ერის დიდი ნაწილი მძინარეა, მთვლემარე მდგომარეობაში. ეს ლოდინისა და სიზანტის ავადმყოფობაა. ერის მთავარი მახასიათებელი: ურთიერთმზრუნველობა და ურთიერთგატანა, წარმოუდგენლად გამქრალა.

— ამაზე თავიდან უნდა გვეფიქრა, ბაბაგე, — რატომღაც ხმა შემეცვლება, — აბა, სხვა რას მოველოდით საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობისაგან?

— ეროვნული მთავრობა ახერხებდა ძალთა დაბალანსებას.

— სანამ დინების წინააღმდეგ მოცურავედ შეგვრაცხავდნენ.

— ხო, დავეჯახეთ საერთაშორისო ჟანდარმის ინტერესებს. ახლა ქართველი ერი ბრბოდ ქცეულა. როგორ გადავრჩეთ? — თვალში ჩამაშტერდება ძმობილი, — როგორ მოვახერხოთ ტომით ქართველებმა, რომ კვლავ ვშვათ საკუთარი თავისგან ერი? ეროვნული ენერგია აგონიაშია, გური. საქართველოში რა ხანია მოქმედებს ერის დაძინების კარგად გათვლილი მექანიზმი: ,,მართალია, დღეს გვიჭირს, მაგრამ ხვალ...'', თუმცა ხვალე არასდროს ხქონია სიზანტეს. სიზანტის ხვალე — სიკვდილია.

— ეს ყველაფერი ცნობილია, ჩემო თამაზ. შენ ის მითხარი, ხსნა სად არის, სად არის საშველი? — ჩავაჟინდები.

— რა ეშველება დაშინებულ, გაზარმაცებულ, უმუშევარ და უსაქმურ საქართველოს?! — ჭერისკენ აღაპყრობ მზ ერას, — არც ისე იოლია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და მაინც ღმერთისკენ სწრაფვა მიმაჩნია კაცობრიობის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად, ოტობაიელო, თუმცა დღეს ადამიანები მზად არ არიან მაცხოვართან ურთიერთობისათვის... — იყუჩებს ერთხანს და ისევ გააგრძელებს, — მალე დადგება დრო, როცა სამყარო უფრო გახსნის თავის საიდუმლოებას. ადამიანის გონება უფრო ძლიერი გახდება.

— ეს მომავალში, მაგრამ დღეს როგორ მოვიქცეთ? აგერ, შენ ,,რელცზე'' თავის დადებასაც არ ერიდები უკეთესი მერმისის სახელით. მერე და, გამოიღო ნაყოფი?

— თანაც როგორ! — ხელებს ფართოდ გაშლის, — შენ რომ ირონიით მოიხსენიებ, იმ ,,რელცაზე თავის დადებამ'', ერთიანად მოჭიმა დიდი და პატარა. ზარების დარისხების, სიფხიზლის ტოლფასი ქმედება გამოგვივიდა. როგორც არასდროს, დღეს გვჭირდება ჩვენ ტოტალური მობილიზაცია გადარჩენისათვის, რათა როგორმე გამოვიდეთ სიზანტის, ლოდინის მდგომარეობიდან. ერის ,,ტვინი'', რომელიც დღეს უძლურ პოზიციაშია, ხელგაწვდილია, ან კლანის ლაქია, ხსნას თავის თავში იპოვის ხვალ. ღმერთთან ყოფნა, მატერიალური დოვლათის მოპოვება — ეს ორი მიმართულება ერთ მთლიანობაში უნდა წარმოჩინდეს. მიუღებელია ჩემთვის დებულება: ,,ჩვენ პატარა ერი ვართ''. ამ აზრის გაბატონება ერის დაკნინებაა. პატარა ერსაც შეუძლია მასშტაბური აზროვნება და ქმედება. ჩვენ მასშტაბური აზროვნების ერი ვართ! ჩვენ მასშტაბური გენეტიკური ენერგიის მატარებელი ერი ვართ. ჩვენ ,,ოქროს საწმისელები'' ვართ, გური, ,,ვეფხისტყაოსანი'' ერი. ქართველი უნდა იყოს ყველგან, სადაც კი სულიერი სიმდიდრეა; სადაც კი მატერიალური დოვლათის წარმოებაა; სადაც ოქროა, ფინანსია, წიაღისეული; ამ მასშტაბს მთელი ერის ტოტალური მობილიზაცია სჭირდება! — ცოტაც

და ჩვენი თანამეინახე ლამის ტრიბუნაზე ამაღლებულს დაემსგავსოს. ეს არის თმა არ ეწეწება ქარის მოწოლით და აღარც ოვაციები აზანზარებს ცარგვალს. ისედაც წავიწროვებულ მაგიდას ორივე ხელით დაყრდნობია, სალოკს ათამაშებს და მიუხედავად მაღალფარდოვანი მეტყველებისა, წრფელია და მეტად საყვარელი.— იქნებ რამეზე მიგვითითოს საქართველოს იავარქმნილი ფლოტის ფონზე ხმელეთით შემოსაზღვრულ სომხეთის საზღვაო ფლოტის არსებობამ, — ჩემს დასტურსაა დადარაჯებული და მეც თავს ვუკანტურებ თანხმობის ნიშნად, — ამასთან, გთხოვ, ერთხელაც გაიაზრო მსოფლიო მასშტაბით დარაზმული ებრაელი ერის ცხოვრება! — მენტორულია ლიანდაგზე თავის დამდები ძმობილი. უცებ გული ვერ მომითმენს და მაჯაზე ვწვდები მიწაზე დასაშვებად.

— კი, მაგრამ დათო ქანთარიამ რა დააშავა, ქრისტიანო? — ვცხარობ აშკარად, — ,,რელცაზე'' თავი არ დაგიდვია შენ, როცა გემებს ვანიავებდით; ,,რელცაზე'' თავი არ დაგიდვია, გემთსაშენი და ნახევარი ფოთი რომ გავასხვისეთ; არ დაგიდვია თავი ,,რელცაზე'', როცა ქუჩის დარდუბალა ყანყრატომდე მოვიდა და მიყრუებულ ადგილებში ხეპატიტი გაიფურჩქნა. დიახაც შენეული პროგრამის აღმასრულებელი გამოგიგზავნა თურმე ზეციერმა და ეშმაკი შეგიჩნდა ნეკა თითით უარს რომ გათქმევინებდა? რისთვის, რომლისთვის კაფავდი ბილიკებს მაგ ,,რელცაზე'' თავის დადებით, თუ გიყვარდე?

წამოენთება, მაგრამ ტინივით ვდგავარ მეც და ღიმილ-ღიმილით დაცხრება.

— აკი, გითხარი, ბოდიში მოვუხადე-მეთქი. იყვნენ ჩამოსულები წალენჯიხიდან; კაცის მკვლელიაო, ამტკიცებდნენ. კაციჭამია და ქვეყნის მფლეფავიაო გვარწმუნებდნენ. ამანაც დიდი ზეგავლენა იქონია. ცხადია, ადგილობრივი ძალებიც არანაკლებ აქტიურობდნენ, მაგრამ საბედნიეროდ ყველაფერი დროულად გაირკვა და როგორც თავად აღნიშნა ჩვენთან შეხვედრისას, საქმით დაამტკიცა თავისი უტეხი ბუნება, მტკიცე ხასიათი. მოქალაქეთა მიღების დღეს წამითაც არ აცდენს. შიოს მარანად ქცეულ ქალაქის ბიუჯეტს ვეება ბოქლომი დაადო, და მის უნებართვოდ იქიდან თეთრიც ვერავის მიაქვს. ავგიას თავლად ქცეული უბნები გაასუფთავა ძუძგი და ბრელოსაგან. მოიყვანა შუქი და წყალი.კოხტავდება ჩაოხრებული შენობები. თვენახევარში მეტი რა გაეკეთებინა? ამიტომაც მეყო გამბედაობა, ბოდიში მომეხადა საჯაროდ. აი, სად ვნახე პირველად შერწყმული ძალა და სიბრძნე. გააგრძელებს ამნაირი შემართებით და სხვისი სახვეწარი რა გვჭირს, ჩვენ თვითონ ავირჩევთ ქალაქის მერად. არადა, ,,რელცების'' მეტი რა გვატიალია თავების დასადებად?! ეტყობა, უყივლა ენამ ჩემს ძმობილს.

ხმელეთზე ჩაძირული ფლოტი

30 მარტის იმედიანი დილა-სისხამია.

ცაზე აქა-იქ კიანთებენ ღრუბლის ფთილები.

ალიონიდანვე გამოვემშვიდობები ჩემს გულღია მასპინძელ ქოიავებს და ფაზის-ქალაქის ცენტრისაკენ ტაატით დავადგები გზას.

ქრის ზღვაური სიოდ.

ხიდს გადავჭრი სამეგრელოს მოედნისაკენ.

ქალაქის შუაგული მაინც უფრო ქვემოთაა, დიდი ნიკო ნიკოლაძის გეგმილის შესაბამისად, საკათედრო ტაძართან. ქალაქის თორმეტივე ქუჩა სულიერების ამ ციტადელთან შეიყრება სრულყოფილების სიმბოლოდ.

ფოთი სრულიად საქართველოს შემკრები ქალაქია. ყოველივე ამას სადღეისო ტოპონიმებიც მიუთითებენ არსებითად: სამეგრელოს მოედანს აკაკი წერეთლის პროსპექტი ემეზობლება, რომელიც ორგანულად ერწყმის გურიის ქუჩას... დიახაც საქართველოს მიკრომოდელია ფოთი, ერთიანი სამშობლოს ხატ-ავგაროზი დედა-თბილისის მსგავსად.

ამიტომაც სრულიად გასაგებია ქვეყნის პრეზიდენტის განსაკუთრებული ყურადღება ამ ორი ქალაქის მიმართ.

თბილისი მაგნიტივით იზიდავს საერთაშორისო ორიენტაციებს, შორეული ჩინეთიდან ხომალდივით დაძრული ,,დიდი აბრეშუმის გზის'' კლაკნილს ევროპული ფასეულობებისკენ; მაქსიმალურად იერთებს შუააზიური მზის მცხუნვარებას რახათლუკუმის წებოვანი სიამტკბილობით მთვრალი; კავკასიელი ენების, ერებისა და ხალხების მისწრაფებებს თვითგამორკვევისაკენ ეკონომიკური ინტეგრაციების მეოხებით; ზედმიწევნით ითავსებს ტრასეკას — ევროპა-კავკასია-აზიის, იგივე ,,აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიანი ენერგეტიკული დერეფნის'' პროექტებს — ,,ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ძირითადი სატრანსპორტო ნავთობსადენისა'' და ,,ბაქო-თბილისი-ერზუმის სამხრეთკავკასიური გაზსადენის სისტემის'' მიმართულებებს.

აქ უპრიანია მცირეოდენი ლირიკული გადახვევა:

,,ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის'' მშენებლობის ხელშეკრულების ინვესტორთა ჯგუფის სახელით უკვე ხელმოწერილია უდიდესი ნავთობკომპანიებისაგან — ,,სტატოილი'' (ნორვეგია), ,,რამკო'' (დიდი ბრიტანეთი), ,,იუნოკალი'' (აშშ), ,,იტოჩუ ოილ ექსპლორეიშენ'' (იაპონია), ,,თურქიშ პეტროლიუმ'' (თურქეთი) და ,,დელტა ხესი'' (საუდის არაბეთი).

აზერბაიჯან-საქართველო თურქეთის პარლამენტების მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიხანის საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციის შემდეგ, ამავე პროექტის პარტნიორებისგან სამივე ქალაქში დასტურის ძალისხმევით დაიბეჭდება იგი და ამგვარად, 2,4 მილიარდი დოლარის პროექტს მწვანე შუქი აენთება.

საგაზაფხულო სამუშაოები 2004 წელს დასრულდება და იგი წელიწადში 50 მილიონ ტონა ნავთობს გაატარებს დასახელებული მარშრუტით. მაგრამ საკითხავია, რატომ მაინცდამაინც კავკასიის ეს მონაკვეთი აირჩევა ტრასეკას საუკუნის პროექტის (კლინტონი) განსახორციელებლად? კასპიის ზღვის ბუნებრივი სიმდიდრის სატრანზიტოდ ყველაზე მოკლე და გაცილებით იაფი გზა სპარსეთის ყურემდე ხომ ირანის გავლითაა? თუმცა შეერთებული შტატების მთავრობა ზურგს შეაქცევს მახმადიანური სამყაროს კაპრიზებს გამობმულ ენერგომატარებლის ორდინარს და შედარებით ძვირ მარშრუტს ამჯობინებს ხალხური სიბრძნის კვალობაზე: შორი გზით იარე და შინ მშვიდობით მიდიო.

ტრასეკას პროექტის განხორციელებაში დასავლეთს აღარც რუსეთი წაადგება ოპტიმალურ სივრცედ, კერძოდ — ყაზახეთის ნავთობის სატრანზიტო ქვეყნად.

არსებობს ტრასა ყაზახეთიდან ნოვოროსიისკამდე, რომელიც 28 მილიონი ტონა ნავთობის გატარებას ითვალისწინებს წელიწადში და მისი სულისჩამდგმელებია ,,შევრონი'', ,,ბკ ამოკო'', ,,ლუკოილი''. აქ რუსეთის მთავრობის აქციათა 24 პროცენტია, ხოლო ყაზახეთისა — 19 და ყველაფრის შეჯერებით, მაინც ეკონომიკურად გაუმართლებელი ჩანს ზემორე პროექტის არსებობა შედარებით ძვირი და რთული გზით — ტანკერებით ბაქომდე, ხოლო იქიდან რკინიგზით ბათუმის, სუფსის, ფოთის თუ ყულევის ტერმინალებამდე, მაგრამ კვლავაც ხალხური სიბრძნის მოშველიებით, ბაქო-თბილისი-ჯეიხანის პროექტი დიდად მნიშვნელოვანია როგორც სტრატეგიული, ისე უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით. მერამდენედ აღსდგება ცნობიერებაში მეგრული ანდაზის გენიალურობა: წყარ ნაწყარს დო შარა ნაშარსიავა, ანუ ,,დიდი აბრეშუმის გზა'' ამჯერად ევრაზიის დერეფნად გარდაისახება: ბაჯაღლოს, ტკბილეულს, ხალიჩებს და აბრეშუმს ეპოქის მოთხოვნილების ,,შავი ოქრო'' — ნავთობი შეცვლის. ამასთან ერთად, ტრასეკას მიმართულების უპირატესობას ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორის, სტანისლავ ზაპასნიკის აზრით, სხვა გარემოებაც მოუმართავს ხელს:

კასპიის ზღვის ნავთობის მარაგი თითქმის ამოწურულია. ახლა მეტი ყურადღება ეთმობა სპარსეთის ყურის საბადოებს, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ მართლაც კოლოსალური მოგების წყარო შეიქმნება, და ამ პროექტით დაინტერესებული მხარეები ნემსს მიაბნევენ ნაჯახის მოსახსნელად.

,,ყველაზე ფრთხილი გაანგარიშებით, — აღნიშნავს ზაპასნიკი, — 2015 წლისთვის შეერთებულ შტატებში ნავთობზე მოთხოვნილება დაახლოებით 48 პროცენტით გაიზრდება. ზოგი ექსპერტი 100 პროცენტიან ზრდასაც ვარაუდობს, რაც გაცილებით ახლოა სიმართლესთან. შესაძლოა ამ დროისათვის გამოიძებნოს ენერგიის რაღაც ალტერნატიული წყარო, მაგრამ როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, სიახლის გამოგონებიდან მის მასობრივ გამოყენებამდე არანაკლებ 40 წელი მაინც უნდა გავიდეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ნავთობზე ფასი გაიზრდება, გამოიწვევს ინფლაციას და, შესაბამისად, შეაფერხებს ეკონომიკის განვითარებას. აი, ამ მიზეზით უნდა აიხსნას ასეთი ცხარე ბრძოლა კასპიის ნავთობის საბადოებისა და ტრანსპორტირების მიმართულების ამოსარჩევად''.

ამ ვარაუდს ირანში აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ხეიდარ ალიევის ამასწინანდელი სკანდალური ვიზიტიც მოწმობს.

ჯერ ერთი, ირანში კასპიის ზღვას მაზანდარის ტბად მოიხსენიებენ სამგზის. მერედა, უმთავრესი, ირანის პრეზიდენტისაგან კატეგორიულად გაესმევა ხაზი კასპიის ნავთობის განუკითხავ განკარგვას მის გარშემო მცხოვრები ხუთი სახელმწიფოს ერთობლივი შეთანხმების მიუღწევლად. ისაუბრებენ იქ სომხეთ-აზერბაიჯანის მიმართებითაც, რომ ეს ორი ქვეყანა ისრაელ-პალესტინა არ გახლავთ და ირანი აქ ძალზე კორექტული იქნება. დავუმატოთ ყველაფერს ირანში ალიევის ვიზიტთან დაკავშირებით 200 სომხის ორდღიანი შიმშილობა და მივიღებთ პირდაპირ პასუხს შექმნილი ვითარების თაობაზე.

გამოდის, რომ ამერიკა თავს ტყუილუბრალოდ სულაც არ იზღვევს სამომავლოდ, უკეთ შეუფერხებელი ეკონომიკური მსვლელობის სინუსოიდას აღაშენებს აბსტრაქციაში და თანაც — წარმატებულად.

აი, ყველაფრის გათვალისწინებით უახლოეს ხანებში აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების გარანტად რისთვისაც დავსახეთ ზემორე ,,დიდი აბრეშუმის გზა'', ,,ევრაზიის დერეფანი''— ანუ თანამშრომლობა, ინტეგრაცია დაპირისპირების სანაცვლოდ.

ამერიკა რომ დამატებითი ენერგომატარებლების გამალებულ ძიებაშია, ამას საქართველოს ტერიტორიაზე გაშლილი დაზვერვითი სამუშაოების მიმდინარეობაც ადასტურებს, გუბერნატორ ბონდო ჯიქიამ ირიბად რომ მოიხსენია ბელეტრისტულ ინტერვიუში. უახლესი ინფორმაციით კი ამერიკის ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობკომპანიის ,,ანადარკოს'' გემმა შავ ზღვაში სეისმური კვლევა გააჩაღა. წინასწარი მონაცემებით ივარაუდება, რომ შავი ზღვის შლეფზე 600 მილიონი ტონა ნავთობია: ამასთან დაკავშირებით, შემთხვევითი არ გახლავთ, რომ ,,ანადარკო'' შავი ზღვის აკვატორიის 89 ათას კვადრატულ კილომეტრზე ნავთობისა და გაზის მოპოვების ექსკლუზიური უფლებამოსილებით აღიჭურვება და მიუხედავად იმისა, რომ ჭაბურღილების გამართვა ზღვაზე 5-7 ჯერ ძვირია ხმელეთთან შედარებით, □5 მილიონი დოლარი ჯდება), ,,ანადარკო პეტროლიუმ კორპორეიშენ'' სულ მალე ფოთიდან დაიწყებს ამ კვლევა-ძიებას და ბათუმში დაასრულებს პროგრამის შესაბამისად, სადაც ზემოთხსენებული ზღვის შლეფზე არსებული ნავთობის ერთი მესამედი მაინცაა ნავარაუდევი.

ეს ყველაფერი იმის მაუწყებელია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სტრატეგიული თვალსაზრისით ზვერავს საქართველოს ტერიტორიას, როგორც ხმელეთზე, ისე ზღვის სიღრმეში და მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, იგი წყალში რომ არასდროს ყრის მილიონებს, ისტორიითაცაა დადასტურებული.

გამოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენც დროული თადარიგი გვმართებს, სათანადო შემზადება გვჭირია კარზემომდგარი მომავლის შესატყვისად, რომელიც დანახულია უფრო გამჭრიახი თვალით და ლამის მუქთად წადინობს აურაცხელი სიმდიდრის დასაკუთრებას.

აი, რა მიმართულების, რა წყალქვეშა დინებების მაორგანიზებელია ჩვენი დედაქალაქი თბილისი.

ხოლო ფოთი □დასავლეთ საქართველოს სიმბოლური განსახიერება), უამრავი არტერიით, აურაცხელი არტერიოლითა და კაპილარით განიტოტება შავი ზღვის აუზის ქვეყნებისაკენ: თურქეთისკენ, ნორვეგიისკენ, დიდი ბრიტანეთისკენ, უფრო შორს — იაპონიისკენ და ამერიკის შეერთებული შტატებისკენ, რომელიც ,,ევრაზიის დერეფნის'' სახელდებით, ერთა შორის ეკონომიკური დაახლოების ნიშანსვეტად გვევლინება XXI საუკუნეში.ქრისტესაც ამ გზაზე გამოუვლია ორიათასს მიღმა, მაგრამ — ჯერ კიდევ ყმაწვილს, ჯერ კიდევ უწვერულს და თიხის ჩიტების დამაფრთიანებელს, თუმცა ,,ევრაზიის დერეფანი'' პატრუქის უკანასკნელი ელვარებაა ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროს შენაცვლების ზღურბლთან.

თავად ნაზარეთიანელი გახყოლია ,,დიდი აბრეშუმის გზას'' აღმოსავლეთისაკენ, გაუვლია შორაპანი. ნუნისის მთათა კომპლექსაც წვევია უცილობლად ბერთაკლდის სიახლოვეს. გადაუსერავს ევროპულ-აზიური ცივილიზაციების გზაჯვარედინი არმაზი, მცხეთა, სტუმრებია ლომისფერ თბილის-ქალაქს და ასე, მტკვრის მდინარებას ადევნებულს, კოლხეთის ალბანეთის გავლით, ყარაყუმის დუნებით, თაკარა აულებში აქლემის რძე — კუმისეულით დამწყურვალებული ტიბეტამდე ჩაღწეულა, იგივე ტიბუეთამდე. □ტიბეტი და ტფილისი ხომ იდენტური სემანტისკისაა საერთო ,,ტიბ'' — თბილ ძირის არსებობით)?!

უფრო ადრეულ პერიოდში ამ ორდინარს არგონავტების რაზმეულიც მოსდგომია იაზონის მეთაურობით, რათა ქართველთათვის წარეტაცათ ვერძის ოქროცურვილი ტყავი, იგივე კირბი, კირბისი, კირიბიში, კრავისა და მათი ერთობლიობა — კირბისები, კირბიშები, კირიბი- შები, კრავისანნი — საკაცობრიო ცოდნის წიგნი განსანათლებლად. □აქვე შემთხვევით როდი კრისტალდება მედეას ვერბალურ ეზოთერიაში ,,შუალედური'', ,,მეკავშირე'', ,,მედ'' ძირის გამოძახილით) .სტრაბონიც გამოშურებულა ამ სასიცოცხლო კალაპოტისაკენ. მისი პერიოდის ფაზის-ქალაქი დუღდა და გადმოდუღდა თურმე. რიონზე ასოც ხიდს ჩაუვლიდა ფელუკებითა და მსუბუქი ხომალდებით გამოშურებული ვაჭარ-სოვდაგართა დასი. დღეს კი რედუქციის მიმართულება აურჩევია ფაზის-ქალაქს, აწინდელ ფოთს თავის ტანმძიმე რიონიანად — წაგვრილი დიდების დაბრუნება; წარხოცილი ხსოვნის რეპლანტაცია, მიზანმიმართული ჩანერგვა კონგენიალური გეოპოლიტიკის შემწეობით.

30 მარტის იმედიანი დილა-სისხამია.

სამეგრელოს მოედნიდან გავცქერი ფაზის-ქალაქს.

პოსტამენტზე ამაყად შემართულა ხუნეზე ამხედრებული მხარბეჭიანი ცოტნე — ერთიანი საქართველოს მოაზრება მოფსასისადმი თავდადებული გენიის ზოგადსაკაცობრიო ბურჯებით.

ფოთში მერობის დროს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ბატონ ნუგზარ ნადარაიას, ამ მონუმენტის დადგმითაც მადლიერად მოიგონებენ ფაზისელები... წლების მანძილზე თვით დედაქალაქში მიუწვდომელი იდეა □საზოგადოება „ცოტნეს“ ძალისხმევა დღემდე იგნორირებულია; ჯუნი მიქაუტაძის ძეგლს აქამდე ამაოდ ელის მარჯანიშვილის მოედანი.) ფოთიდან აღსრულდება სრულიად საქართველოს ეროვნული თავმოყვარეობის ქვაკუთხედად.

დიახ, სულით ხორცამდე ფოთელია ნუგზარ ნადარაია და ამ ერთადერთხელ ფაზის-ქალაქში ზედმიწევნით მოერგება ერთმანეთს ადგილობრივი უნარიანი კადრი და უნიათობით ჩამოზვინული პრობლემების მთაგრეხილი, მაგრამ არის განკერძოებული შემთხვევებიც:

დიდი ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმს ახლაც თვალის ჩინივით უფრთხილდებიან სამეგრელო-გურიის სამეზობლო იმერეთში, თუმცა ახალჯიხაიშლობას იოტისოდენადაც არ შეუშლია ხელი ამ იშვიათი კომერციული გამჭრიახობით ცხებული პიროვნებებისათვის, არქიტექტორ-ალმაშენებლად მოვლენოდა სიდუხჭირის თუ რეალურ ჭაობში დაძირულ ფოთს. არავის წაუყვედრებია მისთვის გარმიანელობა, არაფაზისლობა, და, ცხადია, რომელი ჭკუათმყოფელი გაბედავდა ხმის ამოღებას: უცხო კუთხის შვილი დაგვინიშნეს მესვეურადო!

ბატონ ბაკურ გულუასაც ნაკლებად უონავრია ყმაწვილობის ჟამს ფაზის-ქალაქის ქუჩაბანდებში, ნაბადას უბნასა თუ მდინარე ფიჩორის ძეწნოვანებში, მაგრამ, ვგონებ, ჩხოროწყუელობას წამითაც არ შეუფერხებია იგი პირველ კაცად მოვლენოდა ფოთის სინამდვილეს საშვილიშვილო საქმეებთან ჭიდილისას—საბჭოეთის სივრცეში პირველად ფოთში მოიცლიან საბაზრო ურთიერთობის დასამკვიდრებლად — წყალქვეშაფრთიან ხომალდ „კოლხიდას“ თუ სხვათა შემოსავლების მოგების ნაწილი ადგილზე დარჩება „ფოთის ექსპერიმენტის“ სახელით და, ბუნებრივია, „რელცაზე“ არავინ დადებს თავს მისი „უცხოობის“ გამო.

თბილისში დაბადებულ და გაზრდილ ვანო ზოდელავას, ღირსეული ასულის, ნანა ჟვანიას მემკვიდრეობის საწინდრად, ფოთელები ავანსად მიუბოძებენ საყოველთაო ნდობის მანდატს და არც ამჯერად უმტყუნებთ ალღო — ბატონი ივანე ზოდელავას სახელდებით გააცილებენ დედულეთში დაღვინებულ დისწულს უფრო დიდი ასპარეზისკენ და აქაც არავინ წაიგდებს ყელს ლიანდაგისკენ.

უმადურობა იქნება, ალბათ, განაცხადო; ადგილობრივებს არ გამოსვლიათ ხელიდან შთამბეჭდავი საქმეებიო. ბატონ რომან მელიას სახელთანაა დაკავშირებული ფოთის საწყალოსნო-სათხილამურო კომპლექსის მშენებლობა და ევროპის ჩემპიონატის ჩატარება ეროვნული ხელისუფლების ზეობის ჟამს, მაგრამ შეიცვლება პოლიტიკური კლიმატი, ეკონომიკური მასშტაბები, დიაპაზონი, მიმართულებანი და უძრაობით გათანგულ ფოთში დავით ქანთარიას მერად მოვლინება, დროით ნაკარნახევ უზუსტეს სვლად აღიქმება გონიერ ქართველში ქვეყნის ხელისუფლისაგან.ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ფოთი სრულიად საქართველოს კოლექტიური გარჯის განსახიერებაა. მას თანაბრად აღაშენებდნენ მეგრელები, გურულები, იმერლები, ქართლელებისა და კახელების მხარდამხარ და აქ პარტიკულარული ნიშნით ხელმძღვანელის ძიება წმინდა სისხლის ვიწროპარტიული, ახლომხედველური დამოკიდებულებაა საკადრო პოლიტიკასთან.

საშვილიშვილო საქმეთა კეთებისას წინამძღოლი ყოველთვის გარედან მოსული სჯობს, ვინაიდან თვით იესო ქრისტესაც კი აღარავინ შეიწყნარებს ხოლმე შინაურობაში, მშობლიურ ნაზარეთში. ამასთან, იშვიათია ქვეყანა, რომელსაც სტერილური ეროვნული სისხლის ხელმწიფე ესვას ტახტზე მართლმსაჯულების აღმასრულებლად.

გადავხედოთ რიურიკებისა და რომანოვების დინასტიებს რუსეთში; გადავხედოთ ბურბონებისა და ბონაპარტეების წარმომავლობას საფრანგეთში; თვალი შევავლოთ ბაგრატიონების ჩამომავლობას საქართველოში. ეს ხალხი, როგორც წესი, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით მოვლენილა ხოლმე საჭიროების შემთხვევაში ერის შემწედ და მეოხად.

შინაური მიჩვეულია საკუთარ ოხშივარს, მოდუნებულია და გათანგული პრობლემათა სიახლოვით; თვალთახედვა შელიბრვია საგანთა ჭირვეული მეზობლობით როცა ხერაკლეს ერთ-ერთი გმირობაა ჩასადენი, ოდეს ავგიას თავლები ყურისძირას ყიამყრალობენ თავიანთი ოცდაათწლიანი ამაზრზენობით.

ჩამოსული მესვეურის ყურადღება ყოველთვის ბასრია ადგილობრივთან შედარებით თვალწინმდებარეობის გამო მობლაგვებული მანკიერებისადმი. ამ კატეგორიის ხელმძღვანელთა „განსხვავებული“ წარმომავლობა ერთგვარი გამუდმებული სიფხიზლის წინაპირობაა შეჩვეულ ჭირად ქცე-

ული წინააღმდეგობის გადალახვისას, ვინაიდან კრიჭაში მდგომი ოპოზიცია ნებისმიერ წაბორძიკებაზეა დადარაჯებული ფრაზით: სხვისი ჭირი, ღობის ჩხირიო. ხოდა, ეს შინაგანი წინააღმდეგობა ზედმიწევნით უზრუნველყოფს ჩამოსული ლიდერის მოჭიმულობას, მის სალტომორტალეს — გადაახტეს საკუთარ თავს და შესაძლებელზე სამჯერ მეტი მოიმოქმედოს.დაახლოებით ამგვარი სურათია დავით ქანთარიასთანაც. იგი ფოთში მერად ყოფნის 100 დღეში ყველა რეკორდს მოხსნის საასპარეზო ქალაქში ფინანსური თუ სოციალურ-ფსიქოლოგიურად ჩაოხრებული სიტუაციის გამოსასწორებლად:

თვეობით ჩაწკვარამებული ნათურებიდან შუქი გამოკიანთება;

ჟანგისგან მოშთობილ ონკანებში წყალი აჩხრიალდება;

წყალსადგურის სისტემაში ლაბორატორიისათვის გამოიძებნება სახსრები სასმელი წყლის საანალიზო მოწყობილებათა შესაძენად და მშვიდ ძილს მიეცემა წვრილშვილი ფაზისელი;

დარიგდება თვეობით გაუცემელი ხელფასები, პენსიები;

ადამიანურად დაელაპარაკებიან უპოვართა და ქვრივ-ოხერთა დასებს;

ელვისებურად აიმართება ხარაჩოები ქალაქის მუსიკალური სკოლის, სკოლა-ლიცეუმის, პოლიკლინიკის პარმაღებთან;

მოწესრიგდება სველი წერტილები და ხელსაბანები საბავშვო ბაგა-ბაღებში;

სოლომონ მორბელაძის მსგავსად ათი წელიწადი ჯაგლაგით მოჩინდრიკე სასწრაფო დახმარების სამსახურს ორი რეანიმაციული მანქანა გადაეცემა და კარდიოლოგია სულზე მიუსწრებს ფაზისურ ინფარქტებს;

არაფერს ვამბობთ ხერაკლეს ერთ-ერთი გმირობის შესადარ ძალისხმევაზე ავგიას თავლებთან მიმართებაში, რადგანაც ემწარება ზოგს ხიგიენური ქინაქინა ესე. ხოლო ჩემი თანასოფლელი მარადმწვანე პარლამენტარი, რომელიც ბათუმის ბოტანიკურ ბაღში გადანერგილა „აღორძინების“ ეგიდით და მელიას საქომაგოდ ჩასულა ფოთს, მხოლოდ ამ კონკრეტული საქმის შემსრულებლად შერაცხავს დავით ქანთარიას, თუმცა დიდია უფლის განგება და საბედნიეროდ, ყველაფერი მისი ნება-სურვილით წარიმართება.დიახ, ორი განსხვავებული მუშაობის სტილი დასჯახებია ფაზის-ქალაქში ერთმანეთს: დახვავებული პრობლემების მარათონული კანონშემოქმედებით მკურნალობა და ხერაკლესეული ქედის დაუზარლობა გადასათრევი დარდუბალას წილ; ზორბა, „რანტავოი“ ჩექმები და ჯვარელი მწყემსების ბრეზენტის მოსასხამი რომ ჩამოხყოლია წალენჯიხიდან, საქართველოს აღსადგომი ხიდების დამტევ გულთან ერთად.

კვლავ ცოტნე დადიანის ძეგლთან ვდგავარ.

ფაზისურმა ცოტნემ, როგორც აქამდეც მითქვამს, შეძლო ირაოები მოეშლევინებინა ზევსის არწივისათვის და ინდოევროპიდან მოხდომილი მისი ნისკარტ-კლანჭი მოშორებულია კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანის ღვიძლს, რითაც დანახულია თანამშრომლობის გასაოცარი პერსპექტივები თუნდაც საწინააღმდეგო ძალასთან-მეთქი.

დიდი რუსთაველიც ამას ადასტურებს: ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელიაო, ძერწავს სიტყვის ჯადოქარი პოეტი. „ძლევაი“ ამ შემთხვევაში როდი ნიშნავს საბოლოო განადგურებას, გაცამტვერებას, არამედ აღიქმება, როგორც დაურვება, დამორჩილება, დაქვემდებარება საერთო საქმის სასარგებლოდ. ეს იგივეა, რაც ჭკვიანმა გლეხმა დილაუთენია შემოჩენილი ეშმაკი უღელში შეაბა ლაბა ხარის ტოლისდამდებად და ათი ქცევა მიწა ახნევინა არაქათის გამოცლამდე.

ზოგადკაცობრიული პრობლემების გადაწყვეტისას მე გაცილებით შორს მივდივარ და ბიბლიური წარმოდგენებიდან ამოფრენილ მშვიდობის მტრედს ლეშისმოყვარე ყორანს დავუწყვილებ ხოლმე ზეთისხილის რტოის მოტანის ჟამს, ვინაიდან დადებითი ენერგია □I), გოჯსაც ვერ წადგამს უარყოფითთთან □—), თანამშრომლობის გამორიცხვით. ერთმანეთს ჯიუტი ყოჩები უპირისპირდებიან მხოლოდ მორევში გადასაჩეხად, გამჭრიახი გონების ხალხი, ერები და ენანი კი გამოსავალს სინთეზურ აზროვნებაში ხპოვებენ ყოველთვის — ორი ურთიერთგამომრიცხავი პოზიციიდან საუკეთესო ნიშან-თვისების ამოკრეფით და შერწყმით; შეუთავსებლის შეთავსების დასტაქრობით. პრობლემებთან სხვანაირი დამოკიდებულება, წყლის გულმოდგინე ნაყვაა როდინ-ფილთაქვით, სიზიფოსის ამაო გარჯაა მწვერვალისკენ ლოდის აგორების უშედეგო გამოცდილებით.

ცოტნეს მონუმენტიდან სარკესავით ბრჭყვიალებს ახლა ოდესღაც საკათედრო ტაძრის ოვალური გუმბათი. აქ ამჟამად ხშირად ფუნქციამოშლილი თეატრი განთავსებულა, მაგრამ, მოდით, მოვლენებს გავუსწროთ და კონტექსტში დიალოგის ფრაგმენტები შემოვიშველიოთ ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარესთან, ბატონ მოგელი ტყებუჩავასთან:

— ჩვენ ვართ კლასიკური, სუფთად ჩამოყალიბებული ხელისუფლება, — განმიმარტავს რესპო-

დენტი. ჩვენი ამგვარი სიახლოვე „შორეში“ ჩასახულა, დედაქალაქიდან წვეული სტუმრების საპატივცემლოდ დათო ქანთარიას გაშლილი სუფრის მერმე. თავად პურისჭამა კი ზღვაურთა სახლში „ორნატელების“ ლიტერატურულ საღამოს მოხყვება. აქ „მართალი გაზეთის“ რედაქტორი, პოეტი ვახტანგ ხარჩილავა, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი, მწერალი ზაურ კალანდია და კიდევ — მონამორჩილი თქვენი, ხელოვნებით დაინტერესებულ ასამდე ფაზისელს გულწრფელად მოუთხრობენ საკუთარი შემოქმედების ნიუანსებზე. დამხდურები თავიანთ ლექსებს წაიკითხავენ. ბოლოს კი ყოველივე მეორე განყოფილებით დასრულდება ტრადიციისამებრ — დესერტაციით.

ხოდა, ამ ჩინებულ სუფრაზე გამო ვეცნაურები მოგელი ტყებუჩავას.მეტყვიან, ვალერი გეგიძის დისშვილიაო და ასოთხმოცი გრადუსით შემოვტრიალდები თავიდან ცხვირაბზეკილად მიჩნეულს მიმართ. დამაინტრიგებს ამ ორ ინდივიდს შორის ნათესაური, გენეტიკური ძაფების გამოვლინება და, ცხადია, აღნიშნული ინტერვიუც მიხაილოვიჩისადმი ოდინდელი პატივისცემის ასპექტიდან მომდინარეობს, თორემ 30 მარტს, პირველ თუ ოთხ მაისს, მოგელის ტყებუჩავა ჩემთვის ერთობ უღიმღამო ხელისუფალია, რომლის ქალაქი ხერაკლეს პაციენტია ავგიას მიმართებაში.

— ჩვენ, საკრებულოს, ზემდგომი ორგანო აღარ გვყავს, პრეზიდენტია იგი თუ პარლამენტი, — განმიმარტავს ქალაქის კანონმდებელი ფაზისელი, — ჩვენი საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები მხოლოდ და მხოლოდ კანონია, — რესპოდენტის ცნობით, ასეთი კანონი 300-ზე მეტი გამოუციათ ფოთში, თუმცა ამის შესახებ მოსახლეობამ ნაკლებად უწყის თურმე, ვინაიდან ქანთარიას წაკაპიწებული ხელებისგან განსხვავებით, იგი დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ გამოჩნდება ხოლმე.მოგვიანებით მეტს შევიტყობ, დათო ქანთარიას წინააღმდეგ ფახიფუხი აუგორებია და „რელცაზე“ დადებული თავების ინსპირატორადაც მომევლინება, თუმცა პურობაზე, ვალერიან მიხაილოვიჩის ხსენების შემდეგ გასაოცარი იდილიით მოვუშინაურდებით ერთურთს.

გამომიტყდება, დათოსთან მიღწეულია შეთანხმება და თუკი მერის პოსტი არჩევითი გახდება, იგი შეპირებისამებრ კენჭს არ იყრის, სხვაგან, უფრო უკეთეს ადგილას გადავა და აი, მაშინ, შენი დახმარება უთუოდ დამჭირდებაო.

დამატებით ინფორმაციასაც მომაწოდებს სანგვინიკური მანერების კანონშემოქმედი: ვალერიან გეგიძეზე წიგნის დაწერა განუზრახავს ფოთის ნავსადგურს და სათანადო ავტორს ეძებენ რა ხანია. ჯემალ ჩახავამ მთხოვა შუამდგომლობა ინაიშვილთან, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებო.

ეგ არის და ეგ, თუმცა მოგვიანებით ბანქოს მორიგი დასტაც გაიხსნება პოკერის მაგიდასთან და უამრავ ბლეფს ნათელი მოეფინება. აღმოჩნდება, რომ ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ფოთის ნავსადგურის უფროსთან ვერ არის მთლად სახარბიელო დამოკიდებულებაში. აქ სულ სხვა წყალწყის ფსონებია ჩამოსული. ამასთან, დაირღვევა ბატონ დათოსთან გაფორმებული სიტყვიერი კონტრაქტი. ეს უკანასნელი შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე იძულებული შეიქმნება კენჭი იყაროს ფოთის საკრებულოს შემადგენლობაში გასასვლელად, რათა მერმე პრეზიდენტმა ყოვლისშემძლე კალთა გადმოაფაროს, ოღონდ უკვე — ხალხისგან რჩეულს.ყველაფრის გათვალისწინებით ხუხულასავით დაიშლება ჩვენი საეგებიო გარიგებაც — სოლიდურად დაფინანსებული წიგნის შეთხზვა გეგიძეზე და სანაცვლოდ მხარდამჭერი ინფორმაციული მომსახურება ფოთის მერობისკენ წაბიჯებისას.

მოგვიანებით შევიტყობ იმასაც, რომ სუსხიან სტრიქონებს გამომიქვეყნებენ მეზღვაურთა სახლში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე, დაახლოებით ამისთანა შინაარსისას:

გური ოტობაიას წაკითხული მეგრული ლექსი „გვიმარა“ დარბაზში ვერავინ გაიგო ავტორისა და ფოთის მერის მეტმაო.

მოკლედ, მთელის გაქანებით ჩავერთვებით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ფოთში, მაგრამ უმჯობესია მოვუბრუნდეთ წამოწყებულ საუბარს:

— ქალაქის მერს ხყავს ზემდგომი, რომელთა წინაშეც ანგარიშვალდებულია იგი. ესენი გახლავან — საკრებულო და პრეზიდენტი, მაგრამ მერი დღეს წარმოადგენს არა მარტო აღმასრულებელ ხელისუფლებას საკრებულოში, არამედ — სახელმწიფო მმართველ ორგანოსაც. იქმნება დისბალანსი, თუმცა ვიმედოვნებ, ახალი კანონი ყველაფერს მოაწესრიგებს, — ბატონი მოგელი გამომცდელად მომაჩერდება. დიდრონი თვალები აგზნებით უელავს. ნეტარხსენებული ბიძის ტემპერამენტი უეჭველად ახლავს ფრიად ერუდირებული დიშვილის ქოლერიკულ მეტყველებას, — ეკლესიისა და თეატრის გარშემო შექმნილი ბაკქანალია განვიხილოთ.

წლების მანძილზე სულ განქიქების საგანი გახლდათ საკათედრო ტაძრის დაბრუნება, ამ კონკ-

რეტულ შემთხვევაში — ფოთის ეპარქიაზე. ამის საშუალება და უფლება მიეცა ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, — წამით შეყოვნება, ამოწმებს ყურადღებით ვუსმენ თუ არა, — ჩვენ მივიღეთ ნორმატიული აქტი, გამოვეცით ისტორიული დეკრეტი ბოლო 100 წლის მანძილზე და დავუბრუნეთ მეპატრონეს საკათედრო ტაძარი, ანუ დღევანდელი შენობა, სადაც თეატრია განთავსებული; დავუბრუნეთ იმ განსაზღვრით, რომ აშენდეს ახალი თეატრი და არსებული ფოთის ეპარქიას დარჩეს. ქალაქის ამჟამინდელი სახელმწიფო თეატრი მომავალში სტატუსს შეიცვლის, მუნიციპალური გახდება, თუმცა დღემდე სხვის შენობაში ბინადრობს.

ძალიან დიდი კეთილი ნება გამოხატა ეპარქიამ, როცა მოგვცა საშუალება თეატრის აშენებამდე დასს აღნიშნულ შენობაში ებინადრა. აქ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და შევქმენით მშენებარე დირექცია. გარკვეული თანხები უკვე გათვალისწინებულია ბიუჯეტში: თეატრს ტერიტორია რუსთაველის ქუჩაზე დავუთმეთ. ფოთის სინამდვილეში უკეთეს დაგილს ვერც ინატრებ. აქეთ — თეატრი, მერიისა და საკრებულოს შენობა, სასტუმრო „კოლხიდა“, იქით — ეკლესია, საკათედრო ტაძარი. მოკლედ, სულიერების მთელი ანსამბლი ცენტრალურ მოედანზე ერთად შეიყრება. ასე რომ, აღსდგება დიდი ნიკოს დროინდელი სქემა ქალაქის მოწყობისა და თორმეტი მოციქულის სიმბოლო — თორმეტი ქუჩა ძველებურად დაირაზმება საკათედრო ტაძრის გარშემო.

დაახლოებით ასეთნაირად დამელაპარაკება დღეების შემდეგ ბატონი მოგელი. დახვეწილი მანერებისაა და აქა-იქ სიფიცხის შტრიხებით გაჯერებულიც. ჩამთრევი, ელეგანტურია მისი საუბარი, მაგრამ ჯერ კიდევ 30 მარტის გარიჟრაჟია და კაბინეტური კანონშემოქმედების აკვიატებას უმწეო ცალმხრივობად მივიჩნევ ა-ხეპატიტის დარდუბალას ამლაგმავ დათო ქანთარიას სანდვინიკურ ძალასთან შედარებით.

— ზოგი ჭირი მარგებელიაო, იტყვიან, — საუბარს აღელვებულად განაგრძობს რესპოდენტი და სულში ღიმილის სიო მიქიქინებს, ოღონდ ეს არის, თავს ვიოკებ რამდენადმე სტუმარმასპინძლური ეტიკეტის წყალობით: დიახ, ორი სტილი დასჯახებია ერთმანეთს ფაზის-ქალაქში: კანონების შექმნას გადაყოლილი ბუკვაიდობა, სწრაფმკერებისა და კომპიუტერულ ფაილებში დებულებათა დამამწყდეველი, ხვალინდელ-ზეგინდელი თუ მასზეგინდელი მოვლენების ასარწყავი პინა-სასწორისთვის ზრუნვა აფთიაქარის გაფაციცებული მზერით, როცა, აგერ, ყურისძირას ინფექციური ბაცილა გარისინებულა ნაგავსაყრელიდან.

— არეულობის პერიოდში ქალაქკომის შენობა დაიწვა, — მესაუბრება რესპოდენტი, — გაიხსნა ქუთაისის ქუჩა, დღეს უკვე ჭანტურიას სახელობისა. მოკლედ, ვფიქრობ, ქალაქის გეგმილი აწი მაინც არ დაირღვევა. ჩვენ უკვე გავაკეთეთ თეატრის ექსკლუზიური პროექტები. მომავალში ადმინისტრაციული შენობის პროექტსაც მოებმება თავი. მათი ავტორები კი თბილისის საპროექტო ინსტიტუტის ახალგაზრდა არქიტექტორებია. მათ თავიანთი ვერსია შემოგვთავაზეს და სავარაუდოა ტენდერიც გამოცხადდეს.

— შენობა რამდენ სართულიანია? — ვეტყვი დადინჯებით, როცა შინაგან ვნებათაღელვას რამდენადმე დავძლევ.

ჩემს პირისპირ მოკალათებული ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე მაგიდას გადაწვდება და პროექტს გადამიშლის. მართლაც შთამბეჭდავი ძეგლია. თანამედროვე არქიტექტურული აზროვნება ორგანულად შერწყმია ტრადიციულს.

— იგი არ დაარღვევს ქალაქის იერსახეს, — განაგრძობს ბატონი მოგელი, — პირიქით, მთელს ანსამბლში ორგანულად ჩაჯდება. შენობა სამსართულიანი იქნება. აქედან 29 მეტრი თეატრს დაეთმობა. ამგვარად იმიტომაც არის დაგეგმილი, რომ სცენას თავისი მოთხოვნები აქვს. ტერიტორია ცალ-ცალკე ორივეს ხყოფნის. ის ქუჩა, როგორც არის, შეუერთდება ამ რკალს: ფარნავაზ მეფისა, ჭანტურიასი, კოსტავასი... და ასე, თორმეტივე გეომეტრიული სიზუსტით, რადიუსისებურად თავს მოიყრის საკათედრო ტაძრის ირგვლივ.

— მაგრამ თავად საკათედრო ტაძარი? — ჩავეძიები რესპოდენტს, — იმასაც ხომ დაჭირდება გარკვეული სამუშაოები რესტავრაციისათვის?

— როგორც სპეციალისტები ამბობენ და თვითონ მეუფე გიორგი ბრძანებს, მათ უკვე შეათანხმეს სინოდთან, ილია მეორესთან და ძირითადად არ საჭიროებს რაიმე სერიოზულ არქიტექტურულ ჩარევებს. რაღაც ნიუანსებია, რომელიც მოწესრიგებადია. მაქვს ნახატი, თუ რანაირი სახე უნდა მიიღოს ტაძარმა, — ბატონი მოგელი კმაყოფილი იერით მაჩვენებს ამ პროექტსაც, — აქ თითქმის 90 პროცენტით არაფერი იცვლება. უბრალოდ რემონტია გასაკეთებელი, გამოსაცვლელია სახურავი. გასამართია კედლები და ინტერიერი. შენობას დღეს აწვიმს, თუმცა ჩვენს ბიუ-

ჯეტში გარკვეული თანხები დაგვიმტკიცებია. ყველამ უნდა გაიგოს, რომ ამისი შეუსრულებლობა დანაშაულია. ამას არც საზოგადოება გვაპატიებს და აღარც — აქამდე იობის სულგრძელობით გამორჩეული უფალი ჩვენი იესო.

ასეთნაირად დავასრულებ საუბარს ბატონ მოგელი ტყბუჩავასთან, მაგრამ ჯერ კიდევ 30 მარტის ლაქლაქა ალიონია და სამეგრელოს მოედნიდან ვუთვალთვალებ საკათედრო ტაძრისკენ გალარულ ქუჩას, შექოჩრილ ხეებს თუ გამთენიის ბაზრის ქოლერიკულ ფუსფუსს.

ჩემი პირუთვნელი მოძღვარი, ჩემი თანგილონელი რამინ აბლოთია, თბილისს წაბრძანებულა. ნიკრისის ქარებს დაურევია ხელი გენეტიკურად მოხეტიალე აბულაძეების შთამომავალისათვის და ჭაჭებში მობევრებული შლაკებისგან განთავისუფლებას აპირებს თურმე ლაური მანაგაძის ურო-ლოგიურ ცენტრში.

ქალაქკომის შენობის ადგილას ახლა იშვიათი მოლი ხასხასებს. აქ დასასვენებელი ადგილი მოუწ-ყვიათ ფოთელებს ნაგებობის ცოკოლიანად დემონტაჟის შემდეგ. რამდენიმე მონჯღრეული მერხი და რეკვიზიტია თვალის მოსატყუებლად.

საკათედრო ტაძართან ეპარქიის მრევლი შეყრილა. ცერისსისხო სანთლები იღვენთება. ხელს აფა-რებენ, ზღვაურის მოწოლისაგან იცავენ. აღმართულია ჯვრები თავსზემოთ. ზოგი ოქროსფერია, და-მუშავებული ლითონის ბრჭყვიალით გამორჩეული, ზოგიც — შავი, ხისგან გამოჩორკნილი, ბენზინ-ში გახსნილი გუდრონის სითხეში ამოვლებული.

ეგზალტირებული მართლმადიდებლობა მხურვალე ლოცვით გამოსთხოვს მაღალ ღმერთს თე-ატრალებისაგან მისაკუთრებულ ეკლესიას, ღია კარს ამტვრევენ თურმე: ეგერ, მოგელი ტყბუჩავას სამსახურს მიუღია ნორმატიული აქტები მათი უფლებების დასაცავად და აწი თანხებია ბიუჯეტში მოსაკრები მერია-საკრებულოს შენობის დროზე მოსამთავრებლად, დათო ქანთარიასებური რკი-ნის ნებითა და ხელით კვლავაც, თორემ ცარიელი ალილურია რისი მაქნისისა?!

ნავსადგურისკენ დაველირები.

უკვე რიონის ხიდზე ვარ.

ანტიკურ ხანაში ასოცზე მეტი ამგვარი ნაგებობა აკავშირებდა თურმე მდინარის მარჯვენა ნა-პირს მარცხენასთან. ბრტყელძირიანი გემები კი უპრობლემოდ მიმოცურავდნენ ამ ასოცი კამარო-ვანის ქვეშ დღევანდელ ქუთაისამდე, მაშინ კუტაიას რომ ეძახდნენ მთელს ანტიკურ სამყაროში და მის იქითაც — საირხეს სანახებისკენ.

დღესაც გოროზია კოლხეთის დედამდინარე, იქნებ — სრულიად საქართველოსიც. მტკვარი ხომ თურქეთში აიდგამს ფეხს და აზერბაიჯანში ჩავალალდება მინგეჩაურის წყალსაცავის გავლით: ად-რე ანიდან ხოემდე ქართლოსიანთა სივრცის აღმავსებელის, არც სათავეა დღეს ჩვენი და აღარც — შესართავი.

რაღაცნაირად პირქუში და გაჯავრებული მეჩვენება ამ მოცრიატე განთიადის ფონზე რიონის ზვიადი ტალღების სიზულუქე.

მერიასთან დაცვის ბიჭებია.

ნაგვის მანქანა მიუყენებიათ ზედ ალაყაფის კარებთან და კუთხეში მიხერგილ დარდუბალას ნიჩბით ტვირთავს ვიღაც ხანშიშესული ფარაჯიანი კაცი. მძღოლიც იქვეა. ახლახან შებათქაშე-ბულ კედლებს ათვალიერებს დარდიმანდულად და სიგარეტს აფუილებს არხეინად.

უამრავი შენობა-ნაგებობა მოკოხტავებულა სადღეისოდ. ბევრი ჯერ კიდევ ხარაჩოებშია და აბსტრაქციაში მრავალზე მრავალი ბალავარი იჭრება სამერმისოდ.

ტაატით ავედევნები ტროტუარს ნავსადგურის მიმართულებით.

გაივლის რამდენიმე კვირა და აქამდისაც ტკბილსალმიან პეტრე ბერაიას გულღიად გავესაუბ-რები ფოთის პრობლემებზე.

„მე პასუხისმგებელი ვარ ჩემს ქალაქზეო“, ამგვარი დასახელების წიგნი დაუსტამბავს მაჟორიტარ დეპუტატს, რომელსაც ხმების გაყალბებაში უჩივის ბატონი რომან მელია და საკონსტიტუციო სა-სამართლო პეტრე ბერაიას ლეგიტიმურობას წალმა-უკუღმა ატრიალებს დღემდე. ეს კრებულიც აწეწილი ვითარების გამოძახილია უცილობლად, ერთგვარი ანგარიში ელექტორატის წინაშე. გამო-ცემა ძირითადად საგაზეთო ინტერვიუებს შეუკონავს, რომელთაგან რამდენიმე რესპუბლიკური პე-რიოდიკის ფურცლებზე მიხილავს.

პარლამენტის მეოთხე სართულზე მიპატიჟებულს ბატონი პეტრე სხვა გამოცემითაც დამასაჩუქ-რებს, საზღვაოსნო პრობლემებთან დაკავშირებულ ნორმატიულ აქტებს მომაყრის და შემდგომში ქართველი პოსეიდონის უშურველი ტროფეი ცხოველ ინტერესს აღმიძრავს მეტი გულისყურით ჩავუღრმავდე შავი ზღვის აკვატორიის მხარგაშლილობას.

აკი, ჩემს ყურთასმენამდეც მოფაჩუნებულა ფრიად სახამუშო რეალობა — ქართული ფლოტის პირწმინდად დაძირვა ეროვნული პირატებისგან.

დიახ, ჩვენ ხმელეთზე ჩაძირული ფლოტის გულდამწვარი ჭირისუფლები ვართ უკლებლივ, თითო-ოროლა უძღები შვილის გამოკლებით:

დაკარგულია სტაბილური სატვირთო ბაზარი, სამეურნეო კავშირები;

გაზრდილია გემების მოცდენები;

ვაჭრობის ლიბერალიზაცია საზღვაო სატრანპორტო სექტორს ქაოსითა და უკონტროლობით შემუსრავს. მოხდება მისი მაქსიმალური დეგრადაცია და გემების მნიშვნელოვანი ნაწილი საეჭვო არგუმენტაციით ჩამოიწერება, რათა შემდგომ უშუბლისძარღვოდ გაიყიდოს ჩალის ფასად.

ასე და ამგვარად, მიყოლებით გასხვისდება ოცდაათიოდე წლის 42 გემი: „თამარი", „შოთა", „მედეა", „ფალიაშვილი", „მახარაძე", „ბაგრატიონი"... ამ გიგანტების გვერდით ქორჭილა ტანკერები სათქმელადაც არ ღირს, ხოდა, ჩვენი სანაქებო ფლოტი ჯართის ბედს გაიზიარებს უცხვირპირო ჩინოვნიკების წყალობით ანძა-კიჩო-ღუზიანად.

გასაგებია კოროზია. მოსათმენია ჟანგარო და დაბეხრეკება ევქსინიონის მლაშობებით, მაგრამ რაღა ერთბაშად, ხელის ერთი მოსმით გამოუყვანენ წირვას ჩვენი სასიქადულო გემების ქარავანს? ნუთუ ეროვნულობის ძარღვი სინდის-ნამუსისა ამოზლეტილა ჩვენი პითეკური შუბლებიდან? იოლი გამდიდრების ცდუნებით შემოჩენილი ბელზებელი მუჭში მოიმწყდევს ბიწიერ სულს ზოგიერთისას და მათი ხელდასხმით ხმელეთზე დაიძირება ორიათას ტონას აღმატებული გემების წყება: „ნინო", „თამარი", „შოთა", „ფალიაშვილი"... მათი თითოეული ტონაჟი გაყიდულია 167, 194, 217, 320 დოლარად, როცა ნებისმიერის თუნდაც საჯართო ფასი შვიდას ათას დოლარამდე მერყეობს, ხოლო საბალანსო ღირებულება — მილიო ნახევარ დოლარს აღემატება.

აი, ფიგურალურად სად მიესადაგება ჩვენს სიტუაციას სიტყვა „პალემსესტი". ასე ეძახიან ხელმეორედ შესრულებულ წერილობით ეტრატს, რომლის თავდაპირველი ტექსტი გულმოდგინედაა გადაფხეკილი და სრულიად საპირისპირო შინაარსით იკითხება ოდესღაც თვისტომი მამლუკივით.

დიახ, პალემსესტივითაა ჩვენი გემების ავანჩავანი და აწ ხმელეთზე ჩაძირული ფლოტი ჭირისუფლებს გულხელდაკრეფის მეტი რაღა დაგვრჩენია ქვითინგარეული დვრინის მხარდამხარ?! თუმცა ვერავინ დამარწმუნებს ახლა, რომ მართლაც ჯართისთვის გაწირულა მათი სიმრავლე, მარტენის ღუმელში გადასადნობად და სინამდვილეში კვლავაც მსოფლიო წყლებზე არ დაცურავენ გადანათლული სახელებით, მაგრამ ისევ დავით ქანთარიასნაირთა პრინციპულობის გვეიმედება!

ბატონ პეტრე ბერაიას წიგნისგან თუ სადისერტაციო ნაშრომისგან შევიტყობ ფოთის ნავსადგურის 27 მილიონ ლარად პრივატიზაციის მითქმა-მოთქმის აბსურდულობასაც. დაინტერესებულ პირებს 30 წლის განმავლობაში მოსურვებიათ პორტის არენდით აღება და სანაცვლოდ 150 მილიონი ლარის შემოსავალს გვპირდებიან წელიწადში, როცა თავადვე ხელეწიფება 250 მილიონი ლარის შემოტანა სახელმწიფო ხაზინაში დროის იგივე მონაკვეთში. აქ არსებული სხვაობა — 100 მილიონი ლარი — საყველპურო არითმეტიკითაც ირკვევა თუ ვის ჯიბეში სანავარდოდ ისწორებს ფრთებს.

— თუკი მაინცდაიმაინც ქვეყნის მერმისზე გვეთუთქება გული, ნავსადგურს ჯერჯერობით მოვეშვათ, ფოთის უნიკალურ გემთმშენებელ ქარხანას მივხედოთო, — გვაგულიანებს ბატონი პეტრე, მაგრამ მისი ინვესტორი „დარლინგუორთ ლიმიტედი" თურმე მთლად გოგოლის „მკვდარი სულების" ამქრისაა, რომლის ასავალ-დასავალი ზესიმძლავრის ოპტიკური ხელსაწყოებითაც ვერ იძებნება დედამიწის ზურგზე. სამაგიეროდ ამ უჩინმაჩინი ინვესტორის უკან უცოდველი გამომეტყველებით გატრუნულან წლების წინანდელი მრეწველობისა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროები „ზოგიერთი გავლენიანი პირის" თანხლებით.

100 ათას დოლარად გასხვისებულა ქარხანა, რომელსაც სტაპელზე არაერთი წყალქვეშაფრთიანი ხომალდი „კოლხიდა" დაუმზადებია აღნიშნულ თანხაზე 15-ჯერ მეტი ღირებულებისა.

დიახ, ხმელეთზე ჩაძირული ფლოტის გულდამწვარი ჭირისუფლები ვართ ჩვენ უკლებლივ, კამეჩის შუბლტყავიან მავანთა გამოკლებით და აქ დავით ქანთარიასნაირთა უდრეკლობის გამორიცხვით, სრული გაცამტვერება გველის!

მოკლედ, სულისშემძვრელი ინფორმაციის ოკეანეში გადამიძახებს ბატონი პეტრეს მოკრებილი მასალის გაანალიზება, თუმცა ეს ყოველივე 30 მარტის მერმინდელი სიცხადეა. ჯერ კი ზერელე წარმოდგენების რიალით მივლაყუნობ ნავსადგურისკენ სანატრელი ზღვის მარილით გაჯერებული ხაერის ჯასაყლაპად და აქვე ფოთის პრობლემებზე ომახიანად ვაფხიანებ მომავლის პერსპექტივებს: თურმე სადა ხარ! ტყემალზე გასული მადიანად შევექცევი აბსტრაქტულ ბალღოჯს.

ქვეყნის პრეზიდენტის თვითმფრინავი საათნახევრის დაგვიანები დაეშვება ოდესღაც გაკრიალებული ფოთის აეროპორტის შამბმორეულ ასაფრენ ბილიკზე.

მოვლენები კალეიდოსკოპულად წაეწყობა ერთმანეთს.

ფაზის-ქალაქში წინადღით ჩამოსული ფეხს ველარაფრით ავუბამ პრეზიდენტის დაცვის თუ პრესსამსახურის ჯავშანზე მტკიცე და არითმეტიკული სიზუსტით გაანგარიშებულ მსვლელობებს.

დაათვალიერებს ხელისუფალი სანაპიროს გასამაგრებელ კონტურებს. მოინიშნავს გასადები ხიდების ადგილმდებარეობას.

კუდში მივყვები ესკორტს, მაგრამ მთავარი სტუმარი უკვე ნავსადგურისკენ მიქრის, დიდი ნიკო ნიკოლაძის ფუძენაცვალი ძეგლისკენ.

რის ვაივაგლახით ჩავაღწევ იქამდე, თუმცა ახლა ბატონი ედუარდი ხმელეთზე დაძირული ფლოტის ფენიქსივით ფერფლიდან აღდგომის მახარობლად მოვლენილ მიწახაპია გემ „ნიკო ნიკოლაძეზეა". იგი პირველი მერცხალია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. მიწახაპიას წყალწვა 844 ტონაა, სიგრძე— 44 მეტრი და სიგანე — 11. შეუძლია ზღვის ფსკერი 15 მეტრომდე დააღრმაოს.

ნავსადგური აკვატორიის გასაწმენდად მილიონნახევარ ლარს ხარჯავდა ყოველწლიურად, მაგრამ ააგო პორტმა გემი საკუთარი სახსრებით და ამიერიდან შინაური საქმის მოსტუმრების შემდეგ, სხვა ნავსადგურებსაც მიეხედება ფინანსურად წელში გასამართად.

აქ მასპინძლობას არავინ უთმობს არისტოკრატიული აღნაგობის ჯემალ ინაიშვილი. თავაწეულია ნავსადგურის უფროსი.

აქაური ტერიტორია თვალშისაცემად დამშვენებულა ბოლო წლების მანძილზე. გხიბლავს სავაჭრო ობიექტების სიკოხტავე და ევროპული სტანდარტების დონის სასტუმრო „ანკორი".

პირნათელია პორტი ქვეყნისა და ქალაქის ბიუჯეტებთან:

აწი ტყბუჩავამ და ქანთარიამ იმტვრიონ თავი, თუ როგორ გადაანაწილებენ მოკრებილ თანხებს სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად;

ეს რომან მელიამ და პეტრე ბერაიამ უფრიალონ ერთმანეთს ცხვირწინ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებანი, თუ რომელს მოუგროვებია 365 ხმით მეტი და ვისზე ითქმის მაჟორული აკორდებით: „ლეგიტიმური მაჟორიტარი".

ბატონ ჯემალ ინაიშვილს სხვა საზრუნავიც თავზესაყრელად მოგროვებია.

ფოთის ნავსადგური საბორნე მოწყობილებით ემსახურება მომძლავრებულ ტვირთბრუნვას.

მარტო 1999 წელს 148-ჯერ შემოსულან გემები □ბათუმითურთ), თურქეთიდან, მალტიდან, კვიპროსიდან და კამბოჯიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან □იქნებ სულაც სახელნაცვალი, გადაღებილი ხომალდები, დრომონ- პალემსესტები, მამლუკ-ოჩხომელურანი, მანქურთ-ფელუკანი, მეხსიერებაწაშლილი, ამნეზიაშეყრილი გემები ჩვენი), რომელთა საეთო დედვეიტი □გემის სრული ტვირთმზიდობა), 131 623 ტონას აჭარბებს.

ფოთის ნავსადგური შეუფერხებლად აწარმოებს დღეს იმპორტ-ექსპორტს. საქართველოს რკინიგზის გერგილიანი მუშაობის წყალობით თანადროულად მიეწოდება სასიცოცხლო ტვირთი მამასისხლურად წაკიდებულ სომხეთს თუ აზერბაიჯანს, და მაინც მთელი გულისყური ტრასეკას პროგრამისკენაა მიპყრობილი, სამომავლოდ ასაგები ტერმინალებისკენ, რომლებიც ერთიათად გაზრდიან ფოთის ნავსადგურის საერთაშორისო მნიშვნელობას.

პირმართალია ბატონი ჯემალ ინაიშვილი წინამორბედი კოლეგის ხსოვნისადმი. გასაკუთრებული პატივი მიესართება ვალერი გეგიძის სამარადისო სამკვიდრობელს, ოჯახს. სოლიდური პენსიები დაენიშნება ქალიშვილებს. გადადებულია თანხა მიხაილოვიჩის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის შესაქმნელად. აი, ამ მომენტსაა რომ დამიფიქსირებს ინტერვიუს პროცესში ბატონი მოგელი ტყბუჩავა, მაგრამ მე ხომ საკმარისზე მეტად მიწერია „სუფევაში" ფოთის შეუდარებელ ნავკოსალარზე?! ესეც რომ არა, პუბლიცისტურ ჟანრში რაიმე ფასეულის შექმნას თუ დაეღირება გური ოტობაია, უწინარესად ფაზის-ქალაქს მიაჩერდება ფართო სპექტრით, დიდი ნიკო ნიკოლაძიდან მოყოლებული, დავით ქანთარიათი დამთავრებული.

ვალანიან მიხაილოვიჩთან შეხვედრის უკანასკნელი წუთები გამახსენდება რატომღაც. სამეგრელოსთან გამომშვიდობების წინ ფოთში შევივლი მეუღლეთურთ.

გეგიძეს ფრანგი სტუმრები ჩამოსვლია.

სომეხ ბუღალტერს უშურველად გამოუზოგავს ულუფა-ულუფა ნაწყალობევი დახმარების ბოლო შხეფები.

მეტყვიან, პორტშიაო და მადლობის მოსახდელად გამოვშურებულვარ მისკენ.

— ნუ, ზემლიაკ, გური ძამა, გაასწორე ქვეყანა? — აროხროხდება ყურთასმენაში მისი ხმა გაფრე-

ნილ ქოჩორთან თუ ხალსტუხთან ერთად. — ეგ მენიკი ვინღაა, „აკკერმანის“ ყოდვას რომ აპირებს და ქვაშიხორში გადატანას ითხოვს ჩემი წინაპარი იაგორასგან?

— ხო, იყო ერთი ტრიპაჩი ვინმე, — შევაშველებ მე და მყისვე მივხვდები, რომ მიხაილოვიჩს მთლად რიგიანად ვერ მიუდევნებია თვალი წლების წინათ ნასახსოვრები წიგნისთვის. ჯერ ერთი, იაგორა გეგიძეს როდი შეეკითხება ხსენებული ქალბატონი, ეს მანქანა მომყიდეთო, არამედ — თავად ავტორს, ბოროზდინს. მერედა, მენიკი მეხუთე თავში საკმარისზე მეტად ცოცხლდება მემატიანე ჩინოვნიკისაგან. ესეც რომ არა მენიკი გემის ყიდვაზე კი არა ძრავაზე მიანიშნებს კაპიტანს.

„ოდიშში ერთი უმშვენიერესი ადგილთაგანია მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირი; მის გაყოლებაზე მიდის მთელი რიგი ვაზებით დაფარული ქედებისა, რომელთა ძირშიაც ბატონიშვილებს თავიანთი სამოსახლოები გაუმართავთ და ერთი მათგანის ახლოს მდებარეობს ნანგრევები ძველის ქალაქის ეასი, ჯერ ისევ ხეროდოტეს მიერ რომ არის მოხსენიებული; შემდგომში იმავე ქალაქს სტრაბონი არქეოპოლისს ეძახის. ახლა კი ამ ნანგრევთ ქართულად ნაქალაქევი ხქვიან. არქეოლოგის ხელი ჯერ არ შეხებია ამ ჭაღარა სიძველეს და როცა მომავალში დაიწყებენ აქაურობის გათხრას, უეჭველია, აქაც იმდენს რასმეს იპოვნიან, როგორც იპოვნეს და ხპოულობენ მიტრიდატის მთაზე ქურჩში; ჯერ-ჯერობით კი ტურისტის ყურადღებას იპყრობს აქ კარგად შენახული ტაძარი იუსტინიანეს დროის 40 მოწამის სახელობაზე, მშვენიერ ფრესკებიანი და საიდუმლო გვირაბიანი მდინარისაკენ; ამ გვირაბს თაღები უზარმაზარი თლილის ქვისები აქვს, რომლის შენობა ცხადად მოწმობს მისს ძველის-ძველობას.

ნაქალაქევიდან 9—10 ვერსის მანძილზე, ტეხურის დაყოლებაზე, მდებარეობს სავაჭრო დაბა სენაკი და იმის იქეთ ერთიოდ ვერსის სიშორეზე სასახლეა კნეინა მენიკი დადიანისა, აფხაზეთის მთავრის მიხეილ □ხამუთბეი) შარვაშიძის ცოლისა, რომელსაც გაეყარა და სხვა შეირთო. სასახლის დიასახლისს, კინაღამ მთავრის ოჯახის მანდილოსანს, ეძახდნენ უგანათლებულეს მენიკის; სწორედ ამ მენიკის სასახლეში ბრძანდებოდა სტუმრად თვითონ დედოფალი □ეკატერინე ჭავჭავაძე, გ. ო.), **რომელმაც აქედან გაატანა კოლუბიაკინთან მიქაძეს წერილი;.**

მენიკის სასახლე ორსართულიანი იყო, გრძელ და განიერ ტერასიანი, რომელიც ტეხურზე გამოდიოდა, ხოლო უკანიდან ედო ვრცელი ეზო, სადაც ცათამდე აშვერილი იყო ასწლოვანი ჭადრები, მუხები და კაკლისხეები; ეს ხეები იქაურობას სქელ ჩრდილსა ხფენდა, აგრილებდა და გაქათქათებულ მზის სხივთაგან იფარავდა ადამიანს. ამ ვრცელ კარმიდამოს იქით იწყებოდა სოფ. შხეფი, გორაკის ძირას გაშლილი, ამ გორაკს კონუსის სახე ხქონდა და თავზე წამოდგომოდა ნანგრევები დიდის კოშკისა, დადიანების ძველებურ ციხისა, რომელსაც სქლად ხფარავდა სურო.

როცა დედოფალი სადმე წავიდოდა, სულმუდამ თან ახლდა კარის ამალა, რომელიც, როგორცა, ვსთქვათ მოაწყეს თვით მენიკმა და განსვენებულმა მთავარმა. ამ ამალაში ყველაზე უფროსი იყო სახლთუხუცესი, ამას რამდენიმე თანაშემწე ყყავდა, მერე მოსდევდა მთელი გროვა თავადიშვილების გვაროვნების ლამაზ ყმაწვილებისა, რომელთაც ჭრელ-ჭრელი ტანისამოსი ეცვათ და კოხტა იარაღში იყვნენ ჩამსხდარნი. ამ ყმაწვილებს შინაყმები ერქვათ და მთავარს ემსახურებოდნენ, მათში ყოველ დღე ორ-ორი მორიგეობდა, მოახსენებდნენ სტუმრებისა და მთხოვნელების მისვლას და მათვე გადასცემდნენ სიტყვიერად მთავრის ნაბრძანებს; სუფრაზე ჭურჭელი უნდა გამოეცვალათ და მთავრისთვის ღვინო მიერთმიათ,. ეს ახალგაზრდობა საუცხოოდ იყო გაწვრთვნილი, ზრდილი, მარდი და ნატიფი მიხვრა-მოხვრისა, თითქმის ყველანი ლაპარაკობდნენ რუსულს, უმეტესობა მათგანს მარტვილის სასულიერო სასწავლებელში ესწავლნა; მეტად მოხდენილად ცეკვავდნენ და სასიამოვნოდაც მღეროდნენ ხოლმე მეგრულ სიმღერებსა. თავადები დიდ ნადიმებს რომ გამართავდნენ, იმ მომღერალთა გუნდს ცალკე სუფრას მიუსვამდნენ და პირველ თავ საჭმლიდანვე შემოსძახებდნენ სიმღერას, თითქო ორკესტრიაო. ამ შინაყმებს გარდა კნეინასთან მუდამ იყვნენ მდივანი, მოლარე და მოძღვარი. ყველა ამათ სასახლეში თავიანთი ულუფა ეძლეოდათ და ბინა. სამზარეულო იყო ევროპული და აქაური; ევროპული სამზარეულოს გამგედ იყო chet de cuisine, შვეიცარიელი, My salomon pfenige. მოსამსახურე ქალთა შტატს მეთვალყურედა ყყავდა მოხუცი ქალი, ძიძა კნეინისა. ეს შტატი შესდგებოდა ძიძებისა და მოახლეებისაგან, უმთავრესად აზნაურ ქალებისაგან. ცხოვრება მეტად ნირშეუც-

ვლელი იყო: ყოველ დილას კნეინა და მისი შინაყმანი წირვას ისმენდნენ, 12 საათზე საუზმე იყო, მერე იწყებოდა მოხსენებები და სტუმრების დახვედრა, საღამოს 5 საათზე სადილობდნენ, 6 საათზე მწუხრის ლოცვაზე მიდიოდნენ. საღამოს შინაყმებს თავთავისთვის გაუშვებდნენ და კნეინა თავისიანებთან რჩებოდა. მარხვას უეჭველად იანხავდნენ და დიდ დღესასწაულებში ჩვეულებრივ მობრძანდებოდა ჭყონდიდელი და სწირავდა დიდის ზეიმით. ერთ ადგილიდან მეორე ადგილას გადასვლის დროს დედოფალს მეტად მშვენიერი ამალა ახლდა, რომელიც ახლა, აქაურ სტუმართმოყვარეობის ძალით, კნეინა მენიკის ხარჯზე იყო...“

ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

და რადგანაც ლამის ასერგასი წლის წინანდელ ამბებს შევხიდულვართ, მიწახაპია „ნიკო ნიკოლაძის“ გამოჩენა ფოთში, იქნებ სადაგი სიტუაციისათვის დაგვეტოლებინა?!

„ყველას სიხარული აუწერელი იყო, — მოგვითხრობს ბოროზდინი, — **გეგმა კიდევ მოგვცა სალამი ზარბაზნის საშუალებით, ხოლო ნაპირიდან ყველამ „ურა“! შებღავლა ხმამაღლა. და როცა გემი ნავსადგურს მიადგა, ერთი წამის განმავლობაში მოცვივდა აუარებელი ხალხი, კიბე ჩამოუშვეს და გემის კაპიტანი ნაპირად გამოვიდა. ყველამ გულში ჩაიხუტა, როგორც სასიხარულო სტუმარი და მალე გადმოგვცა შემდეგი დაბეჭდილი განცხადება:**

„შავისა და აზოვის ზღვების სხვადასხვა ადგილებს და კავკასიას შორის სავაჭრო ურთიერთობის განსავითარებლად მენავეობისა და ვაჭრობის რუსის საზოგადოებამ განიზრახა გახსნას გემების მიმოსვლა რიონზე, პირველად ფოთიდან სამტრედიამდე, და ამ მიზნით ინგლისში შეუკვეთა ორთქლმავალ გემის აშენება, რომელიც მზად უნდა იყვეს ახალი სტილით ივლისის პირველისათვის. ახლა—კი, იმისათვის რომ უფრო დავაჩქაროთ მენავეობის დაწყება რიონზე, რუსის საზოგადოების მენავეობა-ვაჭრობის მთავარ კანტორის განკარგულებით რიონზე მოვიდა გემი„აკკერმანი“, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგება მიმოსვლას და მანამდე დარჩება ამ მდინარეზე, სანამ ამ მიზნისთვის შეკვეთილი გემი არ მოვა ინგლისიდან. ამიტომ იმათ, ვისაც უნდა სამგზავრო ბილეთები ან თავის საქონლის გაგზავნა სჭირიათ, შეუძლიათ ამის შესახებ განუცხადონ ფოთში, ხოლო სხვა ადგილებში — თვით გემის კაპიტანს“.

ამგვარად გემი „აკკერმანი“ მხოლოდ მახარობელი იყო ნამდვილ რიონის გემის მოსვლისა. საზოგადოებას პირველი მგზავრობა საშიშად მიაჩნდა, გემის მართვა მიანდო გამოცდილ კაპიტანს, ბ. ზაბოლოტინს, რომელიც ფოთიდან გამოვიდა დილის 9 საათზე, დიდი სიფრთხილით უვლიდა იმ ადგილებს, რომელიც ძირიანად ამოვარდნილ ხეებით იყო გაჩხერილი, და ოდნავად არ დაბრკოლებულა და არსად გაჩერებულა ისე, საღამოს 7 საათზე ორპირში იყო. გემი აქ სამი დღე-ღამე იყო და მაისის 27-ს ისევ უკან დაბრუნდა ფოთში: ზედ ისხდნენ: ნ.ა. მილუტინი, მ.პ. კოლუბიაკინი, ქუთაისის გუბერნატორი ნ.ა. ივანოვი და კარგი მოზრდილი საზოგადოება, ქუთაისიდან ჩამოსული. რეისმა მშვენიერად ჩაიარა და 7 საათის მგზავრობის შემდეგ ჩვენ უკვე ფოთში ვიყავით, სადაც ჩვენ მოგვეგება პორტის უფროსი კატაევი, ათასეულის კომანდირი კორზიგნი და ინჟინერი ლიალინი, ქ. ფოთის მშენებელი.

ჩვენი მხარის ცხოვრებაში დიდი ამბავი იყო „აკკერმანის“ გამოჩენა. და ცნობისმოყვარენი გროვა-გროვა მოისწრაფოდნენ ყველა მხრიდან ორპირში, რომ ენახათ გემი, მისის ცქერით დამტკბარიყვნენ. ამ მხარეს რაღაც ცხოველმა სიომ დახბერა, რომელთანაც პირველი გემის მიმოსვლა ჩასახულ სავაჭრო მოძრაობით გვიპირებდა დაკავშირებას.

ყოვლადის ქების ღირსია ბ. ზობოლოტინი: ყველას მეტად თავაზიანად და ალერსიანად ეპყრობოდა, და ცნობისმოყვარენი, რომელთაც გემის დათვალიერება უნდოდათ, — ასეთები კი აუარებელნი იყვნენ აქაურ მცხოვრებს შორის, — თავისუფლად მოდიოდნენ, და უკან კმაყოფილებს ისტუმრებდა.

მათ შორის ერთხელ ვიღაც დიდის გვარის მანდილოსანი მოვიდა, აუარებელი მასალა ახლდა და კაპიტანს თარჯიმანის პირით შეუთვალა — თუ შეიძლება, გემი დაგვათვალიერებინეთო. კაპიტანმა სთხოვა — მობრძანდითო და დასახვედრად ფრაკი ჩაეცვა და თეთრი გალსტუკი გაეკეთებინა. ეს გახლდათ ჩვენის მკითხველების ნაცნობი კნეინა მენიკი, რომელსაც თავისი განუმეორებელი ალისფერი საწვიმარი ეჭირა, სირმით ამოკერილი. ჩვენს მხარეში პირველად მოსული ბ. ზაბოლოტინი ძალიან გააკვირვა თავისი

დიდებულობით მენიკიმ და ამანაც დიდის მოწიწებით სულ დაწვრილებით დაათვალიერებინა გემი. კნეინა ორთქლის მანქანას პირველად ხედავდა და მის ნახვა ძალიან გაუკვირდა. როცა დათვალიერებას მორჩნენ, მისმა ბრწყინვალებამ თარჯიმანს უბრძანა შემდეგი კითხვა გადაეთარგმნა კაპიტნისათვის.

— ერთი ხკითხე, ვინ უფრო მეტი ოსტატია: ეს, ვინც ამ მანქანას აკეთებს, თუ ის, ვინც საათებს აკეთებს-თქო?

კაპიტანი ჯერ ისევ ფიქრობდა, თუ რა ეპასუხნა, ისე კნეინამ უფრო დააფიქრა იმით, რომ სურვილი გამოთქვა — ეს მანქანა მომყიდეთ, ქვაშიხორში უნდა გადავიტანოვო.

კაპიტანი ძალიან შესწუხდა, რომ იძულებული იყო უარი ეთქვა. თან დასძინა თუ გნებავსთ, ამნაირსავე მანქანას სხვას გამოგიწერავთო.

— განა შეიძლება ასეთივე იშოვნოს კაცმა?

— შეიძლება, თქვენო ბრწყინვალებავ.

— მაშ უეჭველად დაიბარეთ და ქვაშიხორში გადმოაგზავნეთ ჩემთან.

— ბატონი ბრძანდებით, თქვენო ბრწყინვალებავ.

მერე კნეინამ დიდკაცურათ თავი დაუკრა და ამალიანად შინისაკენ გაემართა.

ორმა დღემ გაიარა ამის შემდეგ, ისე ბ. ზაბოლოტნი შემხვდა და მიამბო ამ ვიზიტის ამბავი და მკითხა, მართლა უნდა ავასრულო კნეინას შემონაკვეთი საქმე, თუ არაო. მე, რა თქმა უნდა, არ გავაკეთებინე, და ავუხსენი, რომ კნეინა ასეთ მსხვილ-მსხვილს იმიტომ ლაპარაკობდა, რომ უნდოდა გაეკვირვებინეთ თავის დიდკაცობითა - მეთქი".

აი, საუკუნენახევრის წინანდელი ისტორიული სინამდვილის რანაირ ფურცლებს შემომატყუებს „ცნობიერების ნაკადი" ფოთის ქუჩაბანდებში სრბოლისას ქვეყნის პრეზიდენტის ესკორტის კვალდაკვალ.

ბატონი ედუარდის ვიზიტი ფაზის-ქალაქში ჩინებულად გამართულ მეზღვაურთა სახლში სრულდება. ამ ინტერკლუბის მოსაწყობად ფოთის ნავსადგურს 190 910 დოლარი დაეხარჯება, მაგრამ ძვირადღირებული სიამოვნება გატყვევებს. გნუსხავს ექსტერიერის დახვეწილობა, ინტერიერის ხაროვნება და დიზაინი საბილიარდოთი თუ 100 კაცისთვის გათვლილი დარბაზით.

ბრიფინგზე ჟურნალისტები პრეზიდენტის ვიზიტს ფოთში დავით ქანთარიას ზურგის გამაგრებად მონათლავენ, თუმცა ხელისუფალი ჩვეული იუმორით ამგვარად დაამთავრებს საუბარს:

— რაღა დროს ზურგის გამაგრებაა, როცა ნახევარი ფოთი აუშენებიაო.

P. S.

14 მაისია — ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ციებ-ცხელების შუაწელი.

თვეების წინათ წალენჯიხის გამგებელთან დაწყებული ბელეტრისტული ინტერვიუ, მოგვიანებით ფოთის მერთან განახლებული დიალოგი, ვატყობ, დღესაც ველარაფრით დამისრულდება.

დავითი დააფიქსირებს თავის პოზიციას არჩევნებთან დაკავშირებით და განზე გადგება, მაგრამ აზვირთდება საზოგადოებრივი აზრი: პირველი და მეორე საშუალო სკოლები, ქალთა კონსულტაცია, საავადმყოფოები, სატყო მეურნეობა, ქორეოგრაფიული სტუდიები, ქალაქის ინტელიგენცია... წერილობითი თხოვნით წარსდგებიან მის წინაშე, რათა რამენაირად გადალახოს უხერხულობის მომენტით ნასაზრდოები გადაწყვეტილება და ფოთელების სახელით დადგეს ფაზის-ქალაქის ხვალინდელი დღის სადარაჯეზე.მხარდამჭერი ახალგაზრდების ჯგუფებია საარჩევნო შტაბის დერეფანში.თვითონაც 35 წლისაა. 9 წელიწადი იგამგებლა წალენჯიხის რაიონში. 3 ხიდი ააშენა იქ საქართველოს აღსადგომად და 29-ზე მეტი ობიექტი.ფოთში 100 დღე ითავკაცა, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება ბიბლიურ ასერგასს. ახლა ადგილობრივი თვითმმარველობის არჩევნებში კენჭს იყრის, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი 59 ნომრით.ჯინსის შარვალ-ხალათი აცვია. მალთაყველ ელექტორატს შეხვედრია და აქ მომლოდინე ბიჭებთან მოსვლა ამიტომაც დაგვიანებია.

— 5 ათასი ლარი დაჯდა ჩემს წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქცია, — გვეუბნება შეკრებილებს, — მე კი 3 ათას ლარად ჩემს ოპონენტებს ცხვირწინ გაუდაბურებული ტყე-პარკი ეკალბარდისგან გავუკაფე. უკვე ფაზისური შრომის ფერხულის აზარტში შევსულვარ, ძმებო, და გადასაჭრელი პრობლემების კასკადს ასე იოლად ვერ დავეხსნები. გადავწყვიტე ბილბორდს, იგივე საარჩევნო აჟიოტაჟს ჩვენებურად, ზურგი შევაქციო. საარჩევნო კამპანიაში შიშველი ხელებით ვერთვები, „რანტავოი" ჩექმებითა და ბრეზენტის მოსასხამით.

ამ 100 დღის მანძილზე ათასობით გაჭირვებულ ადამიანს შევხვდი საორშაბათო მიღებაზე.

ბევრს შევუმსუბუქე მდგომარეობა. გაცილებით მეტის მეურვეობას 2 ივნისის შემდეგ ვაპირებ. საარჩევნო ბატალიებისათვის გასახარჯ თანხას ფოთის ჭირ-ვარამს მოვახმარ, თბილისში მიწისძვრით დაზარალებულ თუნდაც ერთ ოჯახს დავაყენებ ფეხზე. ასეთია ჩემი ცხოვრებისეული კრედო, ჩემი არჩევანი, ჩემი ასპარეზი და ლელო, და იმედია, ბრძენი ფოთელების თანადგომით ყველა დაბრკოლებას გადავლახავ.

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ამაზე ითქმის. ეს არჩევნები ჩემთვის ფასდაუდებელია მრავალი ასპექტით: უწინარესად იმისთვის, რომ სრულიად ფოთის სატკივრებს ზედმიწევნით გავცნობივარ გზადაგზა. აქამდე ამისი საშუალება ნაკლებად მქონდა სადღეღამისო 24 საათის უკმარისობის გამო. შევდივარ ოჯახებში, უბნებში, კორპუსებში, წარმოება-დაწესებუ- ლებებში. გულღიად მიმასპინძლდებიან ზეზეურად. ამას ვერ იარტისტებ. მე აშკარად ვგრძნობ რიგითი ფოთელების ალალმართალ სიყვარულს, ნდობას და რწმენას ჩემში, და დამიჯერებთ, ალბათ, რომ ამ ასთოთხმეტ დღეში ნამდვილ ფოთელად ვქცეულვარ, ჭეშმარიტ ფაზისელად.

სხვა რა ჩარაა. ამ განწყობილებით, ამ რწმენით ვემშვიდობები ბატონ დავით ქანთარიას, რომ 2 ივნისის შემდეგ კვლავაც მოვუბრუნდები ფოთის მერთან გაწყვეტილ საუბარს, ოღონდ უკვე სხვა რანგის და ხარისხის მესვეურთან — ხალხის მიერ ხელდასმულთან და ძირისძირამდე ჩავედევნები ნაფლეთ-ნაფლეთ შეკოწიწებულ სულთახდომას ჩვენსას.

ვისი სული გსურს?

არის ამგვარი სახელწოდების საყმაწვილო თამაში სამეგრელოს სოფლად:

ორ ბანაკად გაყოფილი ქალ-ვაჟების ერთ-ერთი მხარე დასახელებული ფრაზეოლოგიით შეეხმიანება მოპირდაპირეს.

იქიდანაც დაუკონკრეტებენ სასურველ პიროვნებას.

ახლა ეს უკანასკნელი გამოქანდება ჩაჭიდებული ხელების გასაწყვეტად და თუ ცოცხალი კედლის გარღვევა მოუხერხდა, სუსტი რგოლის წყვილეულიდან წალალავს რომელიმეს გამარჯვებულის იერით. არადა, დაიტოვებენ იქვე ნადავლის კვალობაზე და გრძელდება ასე, ვიდრე უმცირესობაში მოყოლილი რაზმეული განუყოფელ ერთეულამდე დაკენტდებოდეს.

განსხვავებული შინაარსისაა საქართველოს მრავალ კუთხეში ძალთა დაბალანსების ძველკოლხური მისტერია.

არჩევანი მეო, იტყვიან ნამდვილქართველი კახელები.

არადანი მეო, შეეპასუხებიან გულქართული გორელები.

სამაჩაბლო მეო, აიფოფრება ფაფახიანი ჩიბიროვი.

აფხაზეთი მეო, გამოკვესავს ალესილ სახეს არძინბა.

აჭარა მეო, ბუხუნებს ლომისებურად მემედ აბაშიძის შთამომავალი ბათუმიდან.

თხრილის ჩხრიალო მეო, ხელს გამოიღებს ,,არგო ხოლდინგ ჯორჯია''.

ელექტრონის ბრიალი ჟვანია-სააკაშვილიანად მეო, ყოჩაღობს ,,პეტერსონ ბენქლაფი'' ,,ჯი-სი-ჯითურთ''.

საფერავი მეო, ომახიანობენ ,,ჯივიესელები''.

დაზღვევა მეო, გულფიცხობენ ,,ალდაგელები''.

სუფსის ტერმინალი და ფოთი მეო, წაწანებენ გურულები და მეგრელები ერთხმიანად თუ ცალ-ცალკე. დანაწილებულია ნეოლითის პერიოდის ხმელეთი წიაღისეულ-სამარხიანად.

დაყოფილია წყალშენაკადი მტკვარ-არაქსის აუზიდან მოყოლებული შავი ზღვის აკვატორიით დამთავრებული. დაიღლიავებულია ოზონიანი თუ გაიშვიათებული ჩვენი სახაერო სივრცე. დათითოღერებულია მამულის სიზმრები აწმყო-წარსულ-მომავლიანად. ერთადერთი საწყალი გური ოტობაია ვერავის მიუსაკუთრებია უკვდავების მეტს.

მეო, მეო, მეო, გაისმის ქვეყნის ოთხივე კუთხით და იშვიათია ბაგე, რომელსაც ,,საქართველო ჩვენ ნებისმიერი კუნჭულ-მოსაქცევითო'', წამოცდეს; ,,საქართველო ჩვენ თითოეული ბონდ-ბეწვის ხიდით, ყოველი ამაღლებულ-ჩადაბლებულითო,'' აღმოხდეს გულიდან, ,,სრულიად შურობუმუთი, მემლექეთით, დობადონათი, კრებსითით და განზოგადოებულითო,'' რომ დაე ღირს გასასტიკებით, რომელიც საპინრწონო არჩივად გვიცოდვილებია აქამდე საზღვარ-საზღვარ, ჯიბე-ჯიბე, ბანკი-ბანკ, ვინემ შარშანწინდელი თოვლივით ხელში არ შემოგვდნობია.

„დიდი აბრეშუმის გზის“
ქარავანი წინასაარჩევნო ღავღავში

აქსიომაა: ადგილობრივი თვითმმართველობის 2 ივნისის არჩევნები საქართველოს მაგისტრალურ ორიენტირს ვერანაირად შეცვლის განსხვავებული პროპორციების გამო, თუმცა იმნაირი აჟიოტაჟია ირგვლივ, გეგონება ქვეყნის პრეზიდენტის ტახტ-გვირგვინისთვის ვაჩხრიალებდეთ კენჭებს.

საქართველოს საერთაშორისო ფუნქცია განსაზღვრულია ტრასეკას საუკუნო პროგრამით, „ევრაზიის დერეფნის“ მესიანური პერსპექტივით, რომლის სულისჩამდგმელი და შემოქმედი ვაჟას დაჭრილი არწივის შესადარი სამშობლოს მესვეური ედუარდ შევარდნაძეა.

ეს ძალისხმევა არამარტო ქართველი ერის, არამედ უეჭველი და გარდუვალი რეალობაა სრულიად კავკასიის სანუკვარი ოცნება მისანდობელ მყოობადიანად. ხადა, ნებისმიერი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც უგულებელყოფს ჩვენს სამშობლოში მოახლოებული საყოველთაო ბედნიერების ჯერაც ბუნდოვან ნიშნებს, ან უმეცარი მოკეთეა მზერადახშული ახლომხედველობით, ან კიდევ — გარკვეული ძალებისაგან მზაკვრულად დაქოქილი დუშმანი მეხუთე კოლონიდან.

გვიმტკიცებია და კვლავაც ვადასტურებთ, რომ ტრასეკას პროგრამა წარმმართველი და პრიორიტეტული ღერძია ჩვენი ქვეყნის მერმისისა ნებისმიერი სპექტრით, ეროვნულია ეს, ლოკალური; კოსმოპოლიტური, გლობალიზაციის სახელითაც რომ იხსენიება უკვე თანამედროვე მსოფლიოში, თუ სულაც — პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური, ამ ლელოში მამოძრავებელი ენერგია დიახაც ბიზნესის ლოკომოტივია, ანუ ის ფინანსური ინტერესები, რომელიც ფორსმაჟორული რისკებისგან თვალდახუჭვით ჩადებულა დასახელებულ პროექტში და შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტის გარანტიითღაა მიბმული თვინიერად საქართველოს კაცობრიული ფუნქციის შემადგენლობა XXI საუკუნეში უპრობლემო სუფევას.

შეხედეთ: ჩრდილოეთ ატლანტიკის ალიანსთან რუსეთის მიჩოჩება ნათლად მეტყველებს სოციალისტური იდეალების ფარ-ხმალის დაყრას, საბოლოო განიარაღებას □პრინციპით: ჩათრევას ჩაყოლა სჯობია), საბაზრო ურთიერთობის წინაშე. და ყველაფრის გათვალისწინებით, ძნელი დასაჯერებელია ოკეანის გაღმიდან „მოქკავშირის“ რომელიმე განაყარმა უფრო ეფექტური ინსტიტუტის იმპორტი მოახერხოს საქართველოსათვის, ვინმემ ყველაფრის განმსაზღვრელი ტრასეკას მიმართულება. მაშ, სად მარხია ძაღლის თავი? მაშ, რატომ ვატანთ ბაღანას ნაბან წყალს?

„დაბადება“, თავი მეცხრე.

20. დაიწყო ნოემ მიწის მუშაკობა და გააშენა ვენახი.

21. შესვა ღვინო, დათვრა და გაშიშვლდა თავის კარავში.

22. დაინახა ქამმა, ქანაანის მამამთავარმა, მამის სიშიშვლე და შეატყობინა გარეთ თავის ორ ძმას.

23. აიღეს სემმა და იაფეთმა სამოსელი, მოისხეს მხრებზე, უკუსვლით მივიდნენ და დაფარეს მამის სიშიშვლე. პირი უკან ხქონდათ მიქცეული და მამის სიშიშვლე არ დაუნახავთ.

24. გამოფხიზლდა ნოე ღვინისგან და შეიტყო, როგორ მოეპყრა მას უმცროსი ვაჟი.

25. თქვა: წყეულიც იყოს ქანაანი! თავისი ძმების მორჩილთა მორჩილი იყოს!

ასეთნაირად გვიხატავს ძველი აღთქმა ბიბლიური ნოეს გარდატეევებას.

მამის სიშიშვლის დამნახველი ქამი შერისხულია მშობლისგან, განდევნილია ქანაანიდან და მის სამკვიდრობელს იაფეთი დაპატრონებია, ხოლო სემი ხომ ისრაელიტიანელთა უმეტოქო მესიაა ისედაც.

„ევრაზიის დერეფნის“ დაკანონებამდე ქვეყნის პრეზიდენტი ვეღარაფრით ელეოდა „მოქალაქეთა კავშირს“, როგორც საყრდენ ძალას. მაგრამ ბედი ქართლის გარდაწყვიტა თუ არა ირაკლის გულმან, კვლავ ამაღლდა ხელისუფლის მიუმხრობლობამდე და ოდესღაც უმრავლესობის მორჭმულთა პარტია სინდიყვით დაიშალა, განიტოტა, გასამნაწილდა — „ნაციონალისტებად“, „ახალმემარჯვენეებად“ და „მოქალაქეებად“, მაგრამ ქარაგმებს მოვეშვათ და ჩვენეულ რეალობას გავუსწოროთ მზერა.

ეროვნული მოძრაობის ქურუმების, ილია ჭავჭავაძისა და გამსახურდია-კოსტავას მემკვიდრედ თავის გამოცხადება, მოითხოვს არათუ ზებუნებრივ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, არამედ ელემენტარული ეთიკის ნორმების დაცვასაც საჩოთირო წარსულის ხსომიერების მხარდამხარ.

სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს, ნაციონალისტურ, □ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა), იდეალებს აფრიალებდე ათასების თვალწინ და ჯიბეში კოსმოპოლიტური, უეროვნო პასპორტი გედოს.

არც პრეზიდენტთან კონფრონტაციული დამოკიდებულებაა მაინცდამაინც შვებისმომგვრელი თორმეტწლიანი პოლიტიკური ბატალიებით გადაქანცული მამულისათვის.

„თბილისი შევარდნაძის გარეშეო", ქოთქოთებს „ნაციონალისტების" მამასისხლად ტირაჟირებული წინასაარჩევნო პლაკატი. რომ არაფერი ვთქვათ სტილისტურ ცდომილებაზე, რომ მსაზღვრელი „გარეშე" კალკია, რუსიციზმი — „**ÁÅÇ**" ფაქტობრივად იმპიჩმენტის გამოცხადებაა ქვეყნის პირველი პირისადმი დედაქალაქის მასშტაბით, თუმცა აქა-იქ დაუკონკრეტებია სკიპტრისმაძიებელს, რომ იგი ებრძვის არა მხოლოდ პრეზიდენტს, როგორც ასეთს, ადამიანს ამ შემთხვევაში, არამედ — სტილს მის მუშაობისას.

ამასთან „ნაციონალისტური" მოძრაობა, რომლის ადეკვატური შინაარსი მემარცხენეობაა, რამდენადმე გამაგრებულია ჟვანიას კორპუსის სინოდური ფლეშებით, ორი ტყუპისცალი მსოფლმხედველობის ერთი პლატფორმა.

ამ სიამის ტყუპმა ენერგიამ შეძლო წლების მანძილზე ქართველი ერის თვალწინ განეხორციელებინა დემოკრატიის სახელით შეფერილი გაუგონარი მუტაციები ჩვენს კანონშემოქმედებაში, მაგრამ აქ ამაზე შეჩერება მეზედმეტება, რამეთუ ყველამ იცის, არაერთხელ დაწერილა და გროშივით გაცვეთილია უკვე. გაუგონარი გულუხვობით მიღებულია ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობის კანონი და მერე სად? ლამის საგანგებო ვითარების საქართველოში!

კაცთაკვლის ბარბაროსულ აქტს თვით უკვდავი ბიბლია ებრძვის მეექვსე მცნების ზოგადსაკაცობრიო შეგონებით: „არა კაც ხკლაო", მაგრამ როდესაც ქვეყანაში განუკითხაობის ზეიმია, საკუთარი თავის თუ კლანის უსაფრთხოების გარანტად სიცოცხლის ხელყოფის წინააღმდეგ გალაშქრება, სახელმწიფო სისტემის მოშლის უმთავრესი წინაპირობაა.

ამას ერთვის უფრო ქმედითი ღონისძიებანი ქვეყნის ეროვნულობასთან დაკავშირებით.წარმოგიდგენიათ, ნაციონალისტურ ლოზუნგებს ამოფარებული „მემარცხენეები" უეროვნო პასპორტებით დაგრიალებენ წამდაუწუმ ეროვნული რეკვიზიტებით თავმომწონე ქვეყნებში და თვალსაც არ ახამხამებენ სამშობლოს ტოტალური გამანქურთების წილ. ის კი არა სრულიად დამამცირებელ ფორმულარებსაც გვთავაზობენ განურჩეველ უწონადობაში მოსროლილი ჩვენი ვინაობის განსასაზღვრად — „ეროვნება ქართული".

ეროვნება არა აქვს ცხოველოსო, დაგვიბარა ზვიად გამსახურდიამ.

ცხოველს მოეპოვება გვარი, ოჯახი, რიგი, კლასი და ტიპი, მაგრამ — არა ეროვნულობა. პირიქით, მისი აღნაგიანობა რომელიმე ნაციის სახელთანაა დაკავშირებული.

მაგალითისათვის: არაბული ცხენი, კავკასიური ნაგაზი, ქართული ფუტკარი, უკრაინული ღორი, ამერიკული სექვოია, ბრაზილიური ყავა და ასე შემდეგ. იგივე რიგისაა ჩამონათვალის სხვა ნივთების წყება: ჩინური ფაიფური, ხალიბური ფოლადი, ჩეხური ბროლი, იტალიური კერამიკა, დაღესტნური ჭედურობა, სპარსული ხალიჩა და ვინ მოსთვლის. მაგრამ საკითხავია, როდის და რა პერიოდის შემდეგ გამხდარა ჩვენი მოსახლეობა ნივითი, საქონელი თუ ცხოველი? რატომ, რის გულისთვის არ გვიტოვებს ეს ხალხის ადამიანურობის წმიდათა წმიდა მონაპოვრებს? თანაც სრულიად კონფრონტაციულია მრავალეროვან საქართველოს თავს მოახვიო ისედაც ოღროჩოღრო ფორმულა — „ეროვნება ქართული".

რაც შეეხება ბოლო დროს გამოკვეთილ ტენდენციას, ანუ სომხობის პრიორიტეტულად წარმოსახვას „ნაციონალისტების" მიერ, საშიშზე საშიში მიმართულებაა, ვინაიდან საქართველო თუკი რაიმემ გადაარჩინა ათასწლეულების მანძილზე, უწინარესად — ტოლერანტობამ, ქვეყნის მკვიდრი ყველა ეროვნებისადმი ხუმანურმა და მიუკერძოებელმა დამოკიდებულებამ. ჩვენ არაფერს გვარგებს სომხების გულში ჩახუტება რუსების, აზერბაიჯანელების, ქურთების თუ სხვათა ხელისკვრის ხარჯზე.

თევზი თავიდან ლპებაო, თქმულა და ყოველგვარი სიმყრალის მასაზრდოებელი ჟვანიაssაკაშვილის ტანდემურობით დაბლოკილი პრესის კანონი მგონია. თავისუფალი მედიის ხელყოფის მოტივაციით გზა გაეხსნა აღვირახსნილ განუკითხაობას: რატომაც არა, ახვანცალებენ პრეზიდენ-

ტის თხემზე კუშტულისმაგვარ ქოჩორს ,,დარდუბალანი'', ,,ვერსიები'', კიბლორჩხალასებური უკუსვლებით გახყავთ თბილისის არენიდან ,,დიდი აბრეშუმის გზის'' უბადლო შემოქმედი და, ღირსებაშელახულმა, ადამიანურად ზოგჯერ ხმა თუ აღიმაღლა, ეს უკვე თავისუფალ პრესაზე თავდასხმა ყოფილა.დავამატებდი ყველაფერს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ,,ნაციონალისტების'' ზეწოლის მეთოდს ელექტორატზე და ცხადზე უცხადესი გახდება გერმანული ნაციონალდემოკრატების რედუქცია საქართველოში. □ჩვენებურებში რამდენადმე შენიღბულია ნაცისტების აბრევიატურა სიტყვების ჩამატეით და ამ მეთოდით ნაციონალ-დემოკრატიის ეშმაკური დაშორიშორებით. თავად განსაჯეთ: ,,ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატიული ფრონტი'').

ხოდა, მერიის მმართველებსა და თბილისელებს შორის ფორმდება ხელშეკრულება 175 მილიონ ლარზე; გაცხადებულია ამ თანხის გახარჯვის სოციალური გეზი. მაგრამ დავუშვათ და სულაც არა ვარ ამ ხელშეკრულების სუბიექტი?! მაშინ, მაშინ რანაირად ეშველება ,,ნაცებთან'' უკონტრაქტო ჩემს ცხოვრებისეულ პრობლემებს?მოკლედ, კონფრონტაციული პერსპექტივებია ნებისმიერი რადიუსით.

ქვეყნისთვის მთავარი სარფთხე ის გახლავთ, რომ ნაციონალური მოძრაობა პირდაპირ თუ ირიბად უპირისპირდება ,,დიდი აბრეშუმის გზის'', ,,ევრაზიის დერეფნის'' საშვილიშვილო კონცეფციას და ჯერ-ჯერობით წამოჩოქებას თუ ვერა, შეფერხებას მაინც ცდილობს მისას ქვეყნის პრეზიდენტის თბილისიდან გაძევების უხამსი და ტუტუცური მოწოდებით, თუმცა ტრასეკათი დაძრუნლ ენერგოსიმძლავრეების ქარავანს წინასაარჩევნო ღავღავისათვის არ სცხელა.

გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვისო, აცხადებენ ,,ნაციონალისტები'' □ჩვენ ამ თემას მალე მივუბრუნდებით უფრორე გამოწვლილვით), მაგრამ საკითხავია, ვის ინტერესებს მოემსახურება ანიდან ხოემდე უეროვნო საქართველო, აბორიგენი, ძირძველი ქართული მოსახლეობის ინტერესებს თუ მეხუთე კოლონისას?!

წარმოგიდგენიათ, თხუთმეტი ამერიკელი კონგრესმენის □არავინ უწყოს რომელ ინტერესებს ლობირებენ ისინი კავკასიაში) თითისქნევით შეფუცხუნებულები ფიანდაზად ვეგებით ეროვნული უმცირესობების ხელოვნურად შეკოწიწებულ პრეტენზიებს, რომლებიც სისხლს არაფრისდიდებით გაიღებენ მოყვასისათვის, არც სამშობლოს დასაცავად იმსახურებენ ჯარში საჭიროების შემთხვევაში, პირწავარდნილი დეზერტირების წყბაა ,,იეხოვას მოწმეთა'' 144 ათასი ზეციური გამგებლით და დანარჩენი 5 მილიარდი გოისთვის პირწავარდნილი პლანტატორია არმაგედონის □აპოკალიპსის) ჟამს;

ილია ჭავჭავაძეს ვეჯიბრებით ეროვნულობაში!

ზვიად გამსახურდიას ვეტოქებით ღვთისმშოსაობაში!

მერაბ კოსტავას ვაჭარბებთ დაუმორჩილებ- ლობაში!

უკუნეთია? ბნელა?

,,ახალმემარჯვენეებიც'' ფაქტობრივად ,,მოქკავშირის'' თავდაპირველი განაყოფია, მაგრამ ,,ნაციონალისტების'' რეაქციული მემარცხენეობისაგან განსხვავებით, მათი წინასსარჩევნო პროგრამა ნასაზრდოებია პროფესიონალიზმისა და ეროვნული თავმოყვარეობის იშვიათი წონასწორობით.

,,ახლები'' უარს აცხადებენ ძვირადღირებულ ბილბორდზე და საარჩევნო აჟიოტაჟისათვის გამოყოფილ თანხებს მიწისძვრით დაზარალებულ თბილისელებს გადასცემენ.

მრავალთაგან გამორჩევით, მათი ლიდერი გაჩეჩილაძე, ყოველგვარ უკანდასახევ გზას მოიჭრის და გამომწვევად დატოვებს პარლამენტს, მაგრამ ქალაქის საკრებულს თავმჯდომარის სავარძლის მაძიებელი კანდიდატებიდან მხარს ერთიც არ აუბამს;თავს იზღვევენ. როგორც მოგვიანებით ირკვევა, არც თუ ისე უსაფუძვლოდ: ადგილობრივი თვიმმართველობის არჩევნები ფორსირებულ გამარჯვებას ვერავინ მოახერხებს. სააკაშვილის თქმით კი, რადგანაც უმრავლესობაში არ არის, პარლამენტს მიუბრუნდება, საკრებულოს თავკაცობას კი ,,მოქკავშირის'' მარჯვენა ფლანგს უთმობს; თუმცა აქ წამოისვეტება ახალი დილემა: მოწინავე პოზიციაზე გასული ,,ლეიბორისტების'' სიის მეოთხე წევრი ტყბუჩავა, სრულიად ლოგიკურად შეეჭვდება ტაბახმელის სუფრასთან მანკიერ გარიგებაზე, თორემ რანაირი ლოგიკით უნდა დაეთმოს თავმჯდომარეობის პოსტი შვიდმანდატიან ,,მემარჯვენეებს'' თხუთმეტიანთან ,,ლეიბორისტებთან'' შედარებით?!

,,მემარჯვენენიც'', უამრავი სხვა პოლიტ პლატფორმის მსგავსად, პრიორიტეტულ მიმართულებად მრეწველობის განვითარებას მიიჩნევენ □არადა, ყველგან და ყოველ დროს ჯანსაღი საზოგადოების საფუძველთა საფუძველი ჭეშმარიტი კანონიერების უზენაესობაა), მაგრამ თავს როდი იკლავენ კონტრაბანდული სპირტით დამზადებულ უსანდომო ,,მერთა'' თუ ათასი ტოქსიკური სუროგატის

წარმოებით. მევენახეობის აღორძინებას მიაპყრობენ მამულიშვილურ მზერას. ჯერ-ჯერობით ყურძნის უნიკალურ ჯიშებისათვის იცლიან, თუმცა დარწმუნებული ვარ, ხვალ-ზეგ „რქაწითელსაც“ მიხედავენ.ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ახალ ღვინოებს ახალ ტიკებში ასხამენ ბიბლიას სწავლებით, რათა ძველი თხიერი არ განიხეთქოს მაჭრის აბორგებისას.

საქართველოს ორიენტაციის შემოქმედი ილია ჭავჭავაძე გახლავთ. მას ესტაფეტა ჩინებულად ჩამოართვეს ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, შავჩოხიანელებმა, ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ. ხოდა, ამ ეროვნული გმირების დროით ნაკარნახევ არჩევანს, გაგიკვირდებათ, კონკრეტული გასაღები ქვეყნისგან შერისხულმა ედუარდ შევარდნაძემ მოარგო „დიდი აბრეშემის გზის“ სახით, და ცის გახსნასავით მოვლენილი მიმართულებიდან გადახვევა არავინ უწყის აწი როგორი სავალალო შედეგების მიმტანია ისედაც გაპარტახებული ქვეყნისათვის.

„ახალამემარჯვენეები“ აქაც კორექტულნი არიან. ისინი დელიკატურად აკრიტიკებენ ხელისუფლების საშინაო პოლიტიკის სუსტ მხარეებს, □რომელთაც გააჩნიათ ობიექტურ-სუბიექტური მიზეზები), მაგრამ სანდო მომავალთან ხიდივით გადებული „დიდი აბრეშუმის გზის“ მნიშვნელობის დაუნახაობა, წაყრუება თუ იგნორირება, უმადურობასთან ერთად, დანაშაულიცაა უშელავათო მერსმისის წინაშე.

და ბოლოს, მთავარზე უმთავრესი: თუკი „ევრაზიის დერეფანი“ აგვირჩევია სამშობლოს სახელმწიფოებრივი მოწყობის ხერხემლურ სტრატეგიად, თუკი საბაზრო ეკონომიაზე გადასვლა დაგვისახავს წინსვლისა და წარმატების უტყუარ საწინდრად, მაშინ კეთილი ვინებოთ და აბორჯებულად □დეზორიენტირებული) ნუ ვიარებით, მოვიკლათ დარდი წარსულის ხელნაკრავ გარანტიებზე, ზემეტი ღირებულების შხამგარეული შარბათით გალიპლიპებული თასი თვალისდაუხამხამებლად დავცალოთ და კულტივირებული კაპიტალიზმის მანკიერების სოციალისტური მეთოდებით განქიქებას მოვეშვათ ერთხელ და სამუდამოდ.

ეროვნული მოძრაობის
მეორე ფორპოსტი (II)

ამ სიტყვების ავტორი ნეტარხსენებული მერაბ კოსტავაა.

თბილისის როლსა და მისიაზე გვითქვამს.

მისი ეკონომიკური ჯოხის მეორე ბოლო ფოთში მთავრდება, ხოლო პოლიტიკური დასასრული ამ ორკაპისა სადადიანოშია, ოდიშში, ზუგდიდ-ქალაქში კონკრეტულად; დროებით დაკარგული ტერიტორიების, აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაბრუნების უებარი წამლის რეცეპტი უცილობლად ტრასეკას პროგრამასთანაა.

დავიღალეთ ამაო ბუყბუყებითა და ფახიფუხით, კაკუბავაა ეს სპორტის სასახლეში დევნილთა ათ-ათ ლარად ნაყიდ საგანგებო ყრილობიანად, თემურ შაშიაშვილის ფორუმი „გიორგობიდან გიორგობამდე“, ასლან აბაშიძის დესპანობა რუსეთ-ვილაიეთსა თუ თამაზ ნადარეიშვილის „ოჩენ ხარაშოსავით“ აჩემებული გაეროს მეშვიდე-მერვე მუხლების ამოქმედება — საერთაშორისო ძალის დემონსტრირება და ამ მეთოდით სეპარატისტული აფხაზეთის შემომტკიცება.

ნებისმიერი ძალისხმევა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პომპეზური ყლყლაობა მგონია მე „ევრაზიის დერეფნის“ რეალობასთან შედარებით: წარმატებული ბიზნესი და კონფრონტაცია შეუთავსებელი მცნებებია. აქედან გამომდინარე ჩვენს სახელმწიფოებრივ მონოლითურობას „დიდი აბრეშუმის გზის“ მიზანდასახულობის გაუთვალისწინებლად გამუდმებული კრახი ელის ნებისმიერი მიმართულებით.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კუთრი წონა დედაქალაქის შემდეგ, მთელს საქართველოში აღარსადაა ისეთი მძიმე და დაძაბული, როგორც ზუგდიდში.

აქ უკვე იარაღიც გაჩხარუნდა ელექტორატზე ზეწოლისა და დაშინების ფაქტორად!

დაცხრილულია ქალბატონ ნაზი არონიას ბინა.

გაჭრილია ტყეში ორმოცდაათამდე კაცი.

უკიდურესი დაპირისპირება იგრძნობა ყოველ ორღობეში, ქუჩასა თუ საარჩევნო უბანში.

იშვიათ ეგზემპლარ ტაქსისტს შევხვდები იმ კვირაძალს.

„მერსედესის“ უკან ასაკეც სკამზე ზის ძვალკანა მხცოვანი. აქეთ შემეხმიანება:

იაფად და უსაფრთოხოდო.

დავემგზავრები და იმ საათნახევრიანი მსვლელობით ნამდვილად არ ვიზარალებ. ბევრ საარჩევნო უბანს შემოვივლი.

თორნიკე ჯგუშია გარიდებია საარჩევნო ბაკქანალიას, მაგრამ ოდიშური ხმების გადანაწილების მაკონტროლებლად მაჟორიტარი ძმა თენგიზი მოუვლენიათ თბილისიდან და განსაკუთრებული გააფთრება 43 ნომრიან ვახტანგ ცხადაიასთანაა.

ეს ახალგაზრდა კაცი საკრებულოს თავმჯდოარეობაზე ეპაექრებოდა თორნიკე ჯგუშიას. იყო პერიოდი, როცა ვახტანგ ცხადაიამ დაჯაბნა მეტოქე, დაეუფლა კიდეც საკრებულოს რეკვიზიტებს მრგვალი ბეჭდითურთ, მაგრამ მოწინააღმდეგებმა მოასწრეს ახლის ჩამოსხმა და მიუხედავად სასამართლო პროცესებისა, ძალაუფლების განხორციელებას ვეღარაფრით ეღირსა.

მოსახლეობის გარკვეულ ფენაში დღეს ვახტანგ ცხადია დაჩაგრული კაცის განსახიერებაა და ამ მიმართულებით კანონშემოქმედების თუ ქალაქის თავის რეგალიების განვრცობა ახალი ესკაცალიციის მომასწავებელია. ხოდა, საკითხისადმი სახელმწიფოებრივი მიდგმით, დღევანდელ სიტუაციაში ზუგდიდს უკეთესი კანდიდატები არა ხყავს მესვეურთა პოსტებზე რაიონ-ქალაქად, ვინემ ბატონები — ნუგზარ ანთელავ და ტარიელ ქანთარია.

ბატონი ნუგზარი პრეზიდენტის განკარგულებით დაინიშნა ზუგდიდის მერად არჩევნებამდე ორიოდე კვირით ადრე.

დავით ქანთარიასგან განსხვავებით მას გაცილებით ნაკლები დრო არგუნა განგებამ იქ დაგლერტებული ათწლიანი ჭაობის გასაწრეტად, თუმცა მოკლე დისტანციითაც მოსახლეობა იმედიანად აალპარაკა.

ნუგზარ ანთელავა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატია, ეთნოგრაფი, ქართლოსიანთა წესჩვეულების ფრიად წიგნიერი პიროვნებაა. გამორჩეულია განსაკუთრებული პრინციპულობითა და სახელმწიფოებრივი აზროვნებით. მან უკანდახევა არ იცის პრობლემების მოძალებისას. საზოგადო გამოცდილებაც გააჩნია — წლების მანძილზე კურირებდა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეს და თანაც — წარმატებულად. ხასიათდება მოსმენის გასაოცარი უნარით. აზროვნების მოდელით სინთეზურ მიდგომების წყობისაა, ორი ურთიერთგამომრიცხავი დებულებიდან საუკეთესო ნიშანთვისების ამომკრებია და მათი ხარმონიული შეერთებით ახალი რეალობის შემქმნელი.

ჯანსაღი ტრადიციებს ხომ უფრთხილდება და უფრთხილდება მომეტებით.

გნებავს წინ გაიძღოლიე, გნებავს უკან მიიდევნე, ორივე შემთხვევაში დაზღვეული ხარ წარმატებისათვის: წინ დამეგზურების პირობებში უეჭველი გამარჯვება გელის შორსმხედველი თვალისა და ღობლიანი ქუდბედობის წყალობით. უკან მოდევნების ჟამს კი დაცული ხარ მავანის ავსიტყვისაგან თუ ლაჩრულად ნაშიშვლები დანისაგან.

ბატონი ტარიელ ქანთარიას კაიკაცობა ზუგდიდელებს არ ესწავლებათ, მაგრამ მაქვს პატივი, მეტი გულგახსნილობით ვილაპარაკო კოლორიტულობით გამორჩეულ ოდიშელ პიროვნებაზე — იგი სადადიანოს პირველი მეცენატია, ქველმოქმედებითა და თანადგომით ცნობილი არა მარტო ზუგდიდ-ქალაქში, არამედ—მთელს საქართველოში.

მისი ცხოვრებისეული დევიზია მწყურვალისათვის წყლის მიწოდება, მშიერისათვის პურის გაზიარება. დიახაც მეპურე კაცია ტარიელ ქანთარა, პურის ბელელის გამგებელი, მისი მოპოვებისა და გამოცხობის მესაიდუმლე. დარწმუნებული ვარ ყველაფერს მოიმოქმედებს იმისათვის, რომ საქართველოში მზამზარეული ფქვილი კი არა, ხორბალი შემოდიოდეს, ან ადგილზე იწარმოებოდეს იგი და ხშირად კახეთში დაზვიუნლ ხორბლის გორებს ხანძარი არ უჩნდებოდეს. ყოველნაირად შეეცადოს, რათა სამშობლოში დაიფქვას ზანდური ხორბალი და ნარჩენებისაგან ახალი დარგების განვითარებას შეეწყოს ხელი, როგორიცაა: მეცხოველეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა.

ტარიელ ქანთარია ფერდინანდ ჟღერიას და საშა ეგუტიას კაცურკაცობის გზის გამგრძელებელია ზუგდიდ-ქალაქში, მედიატორობის, შემრიგებლური პოლიტიკის გატარებელია შინ თუ გარეთ.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ეს ტანდემური ძალა, ბატონების — ნუგზარ ანთელავასა და ტარიელ ქანთარიას მამულიშვილური შემართება, ქვეყნის შემდგომი აღმშენებლობის გზაზე შესაბამისობაშია პრეზიდენტის შორსმჭვრეტელურ ხედვასთან, ,,ევრაზიის დერეფნის'' პრიორიტეტთან, თუმცა თბილისშიც, ფოთშიც და ზუგდიდშიც შესანიშნავად უწყიან რისთვის გარდუწყეტია ევროპული ფასეულობებისკენ ქართლის ბედი გულს ირაკლისას.

ამგვარი მედიტაციით შემოვივლი ზუგდიდ-ქალაქს.

მგზავრობისას, ,,მერსედესის'' მძღოლი კუკურის ენაწყლიანი საუბრიდან, ერთადერთი ნიშანდობლივი შტრიხი დამამახსოვრდება:

— ადგილობრივ არჩევნებში ბოჩიას ბიჭს ვუჭერ მე მხარს, — მეტყვის დარდიმანადულად, — ხშირად გამოვჩნდები იქ ჩემი ,,მერსედესით''. რამდენიმე სტუმარიც გავურონიე უფულოდ, მაგრამ

ცოლი ნაზი არონიას მივუგზავნე. ქალი ბუნებით ჭერმეტყველია ყველა. არ გავჩერდი აქ და ახლა ერთი შვილი ბადრი ზარანდიას მივუჩინე თანამზრახველად, ხოლო მეორე — სოსოს ბეჭვაიას. რომ შემომეფანტა ოჯახის წევრები და საარჩევნო ყულაბისათვის არ მეყო, ბაღანებს ხომ არ ჩამოვარიგებდი და იზორიას დეიდაშვილი გადავულოცე, არდიას — მამიდაშვილი. არ გამოვა ზუგდიდში სხვანაირად ხმის მიცემა ერთი ოჯახიდან.

— დღეს რომ ყველა კანდიდატის შტაბბინასთან გიხილეს შენი „მერსედესით“? — მრავალკუდიანი მძღოლის კედელთან მიმწყდევას ვლამობ, მაგრამ გაგონილა!

— მნახეს და უკეთესი. ოჯახის წევრები ხომ მიმიგზავნია სათითაოდ, ახლა ჩემი გამოჩენა უფრო გააღრმავებს თანადგომის წარმოდგენას მათში. აბა, როგორ გინდა შენ ზუგდიდში შვიდიდან ერთი ამოარჩიო?

ამ საათნახევარში ათ ლარზე მეტის მიტასავებია, მაგრამ ხუთსაც მშვენივრად ვაკმარებ. იმითაც მადლიერია.

— ყოველთვის ამ კუთხესთან ვდგავარო, — დამიწინდავს თავისი ჭკუით სამომავლოდ.

ჩაშლილი არჩევნების შემდეგაც მისი ქაქანის წერა შევიქმნები.

— მაგრა დაეხარჯათ ფული ბიჭებსო, — მომაჩერდება მუქი სათვალიდან, — ქალაქის შემოსასვლელი გადაკეტილი ხქონდათ ვახტანგ ცხადაიას მომხრეებს. გუშინდლამდე ჩემი ვაჟიც ტრიალებდა იქ. დაინიშნა ახალი არჩევნები და ამოვისუნთქეთ მძღოლებმა.

— ისევ ძველებური მეთოდით გააგრძელებ არჩევნებში მოღვაწეობას? — ჩავეძიებ ყასიდად.

— აპა, — მომიგებს მკვირცხლად და სიჩქარეს გადართავს. — მე ადრინდელივით ბოჩიაევიჩს ვემხრობი. ცოლი ნაზი არონიასთან დაიარება. ერთი შვილი ბადრი ზარანდიას აკითხავს ისევ, მეორე — სოსო ბეჭვაიას. ყურადღებას არ ვაკლებ იზორიას და არდიას. ამბობენ, შეიძლება ახალი კანდიდატებიც გამოჩნდნენო. მობრძანდნენ ბატონო, არც ისინი იზარალებენ ჩემი ოჯახისგან. ბიძაშვილების მეტი რა მყავს. აპა, ერთს მიმხრობილს დაგედგომება ზუგდიდ-ქალაქში, სადაც საკმარისია ფეხი გარეთ დაგრჩეს და ეგრევე მოგაჭრან?!

ვიმეორებ ეს საუბარი თერთმეტი ივნისისაა.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ბატალიები თითქმის ყველგან ჩამცხრალა. მხოლოდ ზუგდიდი ყაყანებს — ეროვნული მოძრაობის მეორე ფორპოსტი.

ლეიბორისტულ პარტიას 25,97 პროცენტი მოუპოვებია, ანუ 68 455 ხმა და შესაბამისად 15 მანდატს დაუფლებია დედაქალაქის საკრებულოში;

ნაციონალურ მოძრაობას 24,23 პროცენტი გაუნაღდებია, 63 842 ხმა და 14 მანდატი მოუხვეჭავს;

„ახალი მემარჯვენეები“ 11, 63 პროცენტს დაეუფლებიან, 30 654 ხმას მოინადირებენ — 7 მანდატს.

ზურაბ ჟვანიიას გუნდი 7,41 პროცენტს დაიიღლიავებს, 19 521 სულს მიისაკუთრებს — 4 მანდატს;

„მრეწველები“ 7,27 პროცენტს გაუპირდაპირებენ, 19 171 ხმას მოიხელთებენ — 4 მანდატს;

ბლოკი „აღორძინება“ 6,43 პროცენტს დაიგემოვნებს, 16 952 ამომრჩეველს მონუსხავს, 3 პორტფელით შეაღწევს საკრებულოში;

ბლოკი „ერთობა“ 4,08 პროცენტს მოიხვეჭს, 10 751 სულს დაეპატრონება საარჩევნო კარუსელის თამაშში, 2 მანდატს დაყაბულდება, ხოლო დანარჩენი პარტიები, თანადგომანი, კავშირები თუ ფორუმები, გაყალბებული არჩევნების გალავანს მიღმა დარჩებიან ღრენა-წკმუტუნ-ღავღავით.

„რანტავი“ ჩექმებისა და ბრეზენტის მოსასხამის წყალობით დავით ქანთარია ფოთში 3000 ხმით გაუსწრებს ბათუმსკენ მომზირალ მელიას.

ჭკადუაშელები ნუგზარ ანთელავას გამოუცხადებენ ერთსულოვან ნდობას ზუგდიდის რაიონის გამგებლად, ხელმეორედ მოვლინების იმედით.

მაგრამ, მოდით, ამჯერად ცხრა დღით უკან დავიხიოთ და 2 ივნისის კოკისპირული წვიმით აკრიახებულ თბილისს მივადევნოთ მზერა.

სამარშრუტო ტაქსით დავეშვები რუსთაველის პროსპექტიდან ძველი თბილისისაკენ.

ქუჩებზე გადაჭიმულია წინასაარჩევნო ტრანსპარანტები.

სააკაშვილის ბილბორდი პლაკატისაგან განსხვავებით ამჯერად მოზომილია, „ნაციონალური მოძრაობა — ეროვნული ფრონტიო“, გვაუწყებს და 34 ნომრის შემოხაზვას გვეაჯება. აქ რატომღაც გაუჩინარებულია პრეზიდენტის თბილის-ქალაქიდან გაძევების მოწოდება. არადა, „საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლას ან დამხობას, საქართველოს ტერიტორიული მთლია-

ნობის დარღვევის, ეროვნული შუღლისა და მტრობის, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირების მოწოდებას □75,2). მართლაც, ,,თბილისი შევარდნაძის გარეშეო'' რომ გამოჭენდები, გვაქვს პატივი ვიკითხოთ, ძალადობის კიდევ რომელი ფორმა შეიძლება არსებობდეს? ამგვარი დევიზი განა პირდაპირი მოწოდება არ არის პრეზიდენტის დამხობისკენ მორალური იარაღით—სიტყვით, ოღონდ დედაქალაქის მასშტაბით? საქართველოს წარმმართველ პულტში — თბილისში მოშლილია ქვეყნის პირველი პირის კანონიერი სუფევა და იგი გამოცხადებულია უხელისუფლო ქალაქ-სახელმწიფოდ. ასე რომ, 74 მუხლის მე-3-ე პუნქტის შესაბამისად, ცენტრალური საარჩევნო კომისია უფლებამოსილია გააუქმოს ,,ნაციონალური მოძრაობის'' რეგისტრაცია; მაგრამ თავის მხრივ ცენტრალური საარჩევნო კომისიაც არღვევს კოდექსს და რეგლამენტის გათვალისწინებით 30 დღით ადრე კი არა, საათის სიზუსტით ვერ უზურველყოფს ამომრჩეველთა სიების გამოქვეყნებას. თუმცა რომელ სიებზეა საუბარი, როცა ქვეყანაში მოქალაქეთა აღწერები 1988 წლის შემდეგ არ ჩატარებულა?! ცენტრალური სტატისტიკური სამმართელო კი ამ სფეროში კუს ნაბიჯებით ეჯიბრება აქილევსს, იმდენს ვაგლახობს, იმდენად ითრევს ფეხს, საკუთარი ოჯახის მონაცემების ადგილზე მიტანა გაგვიხდება საჭირო გამსახურდიაზე, მრავალთა მსგავსად; მაგრამ თებერვალი ხბერავსო, მარტი კაბას ხკერავსო, აპრილი გამალებით სახნის-საკვესს ფერავსო, გვისწავლია დედაენიდან და ჩამომწკრივდება თვეების წყება, სანამ სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებს ვეღირსებოდეთ, უკან მოგვრჩება საპარლამენტო არჩევნები თვით საპრეზიდენტოს ამჭრობით. ეს გაურკვევლობა, ეს მღვრიე წყალი ხელს აძლევს დიდსა და პატარას, საქმეს უიოლებს დიასახლის-ხათუნებს, რათა წიწილები შემოდგომის ნაცვლად გაზაფხულზე გადაითვალონ, მირკანის დამდეგს თუ იგრიკას მიწურულს. საქართველოს მოსახლეობის საბოლოო ციფრი კი განგებ და მიზანმიმართულად არაფრით ცნობიერდება, ვინაიდან ხელისგულზე წარმოჩინდება მაშინ მილიონი სამუშაო ადგილის მოძიება უცხოეთში მრეცხავებად, ძიძებად, მტვირთავებად თუ მეძავებად პროფესიით ექიმებისგან, ინჟინრებისგან, პედაგოგებისგან, ტექნოლოგებისგან.

პუტინის განცხადებით თურმე ამ ციფრის ნიუანსებითაა ნაკარნახევი სავიზო რეჟიმი, მაგრამ ვინ გამოიკვლია რამდენი ჩვენი მოქალაქე შეკედლებია ხოლანდიას, გერანიას, ამერიკის შეერთებულ შტატებს? ეს ხომ ყინულზე მიწერილი მონაცემებია არეული ეროვნული დავთრების წყალობით? ხოდა, ვართ საარაკო გაურკვევლობაში კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე.

ამიტომ გასაკვირი არაფერია, რომ საარჩევნო კოდექსი ირღვეოდეს როგორც ცენტრალური კომისიისაგან, ისე საარჩევნო ობიექტებისაგან.

საარჩევნო ოლქის თავზე ტკარცალებენ პროსპექტის სიგანეზე გადაჭიმული ტრანსპარანტები საბილბორდო მოწოდებით დილასისხამიდან შებინდებამდე.

მხოლოდ მე-5-ე უბანში მოხერხდება მათი ჩამოხსნა და ისიც თქვენი მონა-მოჩილის მითითებით. სხვაგან კი სრული განუკითხაობაა. ელექტორატს საარჩევნო უბანში შესვლამდე ღიად, პირდაპირ მიეთითება სკიპტრისმაძიებელთა ნომრები — 34, 35, 40.

34 ,,ნაციონალური მოძრაობის'' დამღაა, მათი ლიდერის ასაკის იდენტური ციფრი.

ამგვარი დამთხვევა ,,ახალმემარჯვენეებთანაცაა'' — 38, გაჩეჩილაძის ხნოვანების შესატყვისია თურმე იგი. მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ წვიმიანი ამინდით შეფუცხუნებული ელექტორატი ჭრელი ქოლგების სიმყუდროვიდან მოხერხებულად აფიქსირებს საარჩევნო სუბიექტის ვინაობას და მიდი — მოვდივარ.

ვინ არის განმკითხავი საარჩევნო სტენდების გაფორმებაზე. დარღვეულია აქ პარიტეტული მიდგომები: **„სტენდები უნდა იყოს იმ ზომის, რომ ყველა საარჩევნო სუბიექტი საარჩევნო პლაკატების გამოფენისას უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი პირობებით“ □75,4)** . სინამდვილეში კი ,,ახალმემარჯვენეების'' გარდა ნებისმიერ პარტიას მოპოვებული აქვს ექსკლუზიური, ერთპიროვნული ავტონომია თავისი გუნდის წარმოსაჩენად.

ნაკლებად მიექცევა ყურადღება სახელმწიფო ტელევიზიის უსასყიდლოდ გამოყოფილი საეთერო დროის 3 საათიან სივრცეს, სკიპტრისმაძიებელ პარტიებში ქრონოსის თანაბრად გადანაწილების თვალსაზრისით.

ხოლო კერძო ტელეკომპანიები ,,რუსთავი-2''-ის მეთაურობით ხომ ,,ნაციონალური მოძრაობის'' სამუტრიბოდ მუშაკობენ სრული სვლით.

ის კი არა შემუშავებულია ელექტორატზე ზეწოლის გასაოცარი მეთოდი ინტერაქტიული გამოკითხვების სახით, რომელიც ალიონიდანვე ,,ნაციონალური მოძრაობის'' ფორსირებულ გამარჯვებას ეჩიჩინება საარჩევნო უბნებისკენ მიმავალ ელექტორატს.

საარჩევნო კოდექსს ამის თაობაზეც ხელი დაუბანია: **„არჩევნებთან დაკავშირებული საზოგა-**

დოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოკითხვებისას უნდა მიეთითოს ორგანიზაცია ან პირი, რომელმაც ჩაატარა გამოკითხვა, გამოკითხვის ჩატარების თარიღი, გამოკითხულთა რაოდენობა, გამოკითხვის ჩატარების მეთოდი, კითხვების ზუსტი ფორმულირება და შესაძლო სტატისტიკური ცდომილება“, ვკითხულობთ შავით თეთრზე, თუმცა დაუკონკრეტებელია კვლავაც თუ რამდენად მიზანშეწონილია არჩევნების დღეს ყურში უტენიდე ელექტორატს: ინტერაქტიული გამოკითხვით ექვსიათასმა ამომრჩეველმა უპირატესობა ,,ნაციონალურ მოძრაობას'' მიანიჭაო.

უკვე მორჩენილია საუბარი არჩევნების ობიექტურად ჩატარების რეალობაზე. უკვე საარჩევნო ოლქებთან მოფრიალე ნორმებიც დამატებითი დარღვევაა სასურველი ხმების მოპოვების გზაზე, ვინაიდან ელექტორატი წინდაწინვეა დაქოქილი მოსამხრობად.

ხედავ, ძმაო, ინტერაქტიული გამოკითხვით არჩევნები პირწმინდად მომიგია და თავში ფრჩხილისხელა ჭკუა თუ გიჭყავის, შენც ჩემთან დადექი! 175 მილიონ ლარზე ტყუილად გაგიფორმე ხელშეკრულება? ესეც ელექტორატზე ზეწოლის კოდექსით დაგმობილი ნიმუშია: ,,საარჩევნო სუბიექტებსა და მათ წარმომადგენლებს ეკრძალებათ... **(ამომრჩეველები, გ.ო.)** დააინტერესონ ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით. 73,9) ამგვარი ქმედებისთვის საარჩევნო სუბიექტებს სასამართლოს გადაწყვეტილებით რეგისტრაცია უუქმდებათ, მაგრამ ამეებისთვის ვის სცალია დღევანდელ საქართველოში?!

ჩემი დამკვირვებლის მოწმობის ნომერი 343-ია.ლამის ,,ნაციონალურ მოძრაობას'' ვენათესავები პირველი ორი ციფრით—იმათ ,,34'' ხვდომიათ წილად, მე — ,,343''. მე-5-ე ოლქიც შემთხვევით არ ამირჩევია.დღეს ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თბილისის ყველაზე ინტერნაციონალური უბნის საარჩევნო განწყობილება. საარჩევნო ოლქის თავმჯდომარედ სიყრმისდროინდელი მეგობარი მომევლინება — თემურ პატეიშვილი.

ჩვენს დაახლოებაზე სხვაგან მითქვამს და აქ დაკონკრეტება უადგილოდ მეჩვენება, მაგრამ დილიდანვე გამიძნელდება მასთან დასაუბრება.

უბნიდან უბანში დარბის.

იქ ვიღაცას ძველი პასპორტით არ უშვებენ არჩევნებში; სხვაგან ორმოც ბიულეტინიან მოქალაქეს გამოიჭერენ; უფრო შორს ელექტრონი გამორთულა; ნაშუადღევს ყოველი ეს წვრილმანი ზედმიწევნით მოწესრიგებულია, მაგრამ დასალაპარაკებლად მაინც ვეღარაფრით მოვიხელთებ. ქოლგების სიმრავლეა 89 საშუალო სკოლის ფოიეში.

მოდიან წყვილ-წყვილად, ჯგუფურად.

ამომრჩეველი შედარებით ზრდასრული ასაკისაა.

კანტიკუნტი საუბარია ქართულად სომხური აქცენტით.

თბილისში სამოცდაათიანი წლებიდან ვარ.

სამეგრელოს მიყრუებულ სოფელში გაზრდილი ყმაწვილისათვის ყოველთვის გაუგებარი იყო ჩემთვის დედაქალაქის კოსმოპოლიტური მიდრეკილებები. ამას მოგვიანებით ჩავწვდები, უნივერსიტეტის წლების შემდეგ, განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის ფენომენის გასისხლხორცების მერმე.

ზემელი იყო ჩვენი სათავყრილობო.

კაზარიანის სახლში ვიკრიბებოდით დღემოსწრება, ჯემალ პაჭკორიას მოციცქნულ ბინაში, ზურა ჯაშის და გვათუების მეზობლად.

,,ობლებში'' ვეყარენით კათხა ლუდზე, ან ზელემხანას ,,ყაზბეგში'' ჩავეშვებოდით ნაბახუსევზე.

თბილისური ინტერნაციონალიზმი ძირისძირამდე ამოუცნობია დანარჩენი საქართველოსათვის, განსაკუთრებით დასავლეთით განფენილი ეთნოსისთვის — იმერელისთვის, გურულისთვის, სვანისთვის თუ მეგრელისთვის, ვინაიდან მათთვის არაბუნებრივია განსხვავებული ტრადიციების ხალხთან თანაარსებობის საუკუნოვანი გამოცდილება.

თბილისის ფსიქოლოგიასთან მჭიდრო კავშირშია ქართლი და კახეთი, ვინაიდან ამ კუთხეებსაც მრავლად განუცდიათ ასიმილაციების, შერწყმის და შესინთეზების ურთულესი პროცესი.

თბილისის ფსიქოლოგია მახლობელია ამერიკელი ხალხისათვის, რამეთუ თავისუფლებისა და დემოკრატიის მექად წოდებულ შტატებს მისხალ-მისხალ, ნაბიჯ-ნაბიჯ, სტადიონებითა და მილებით დაუძლევია რასობრივი დისკრიმინაცია საკუთარ თავში.

ამ ქვეყანაში კანის ფერმა დიდი ხანია ჩამოიშორა არასრულფასოვნების კომპლექსური შეზღუდულობანი, რადგანაც წარმატებული ბიზნესისათვის სირეგვნეა წინააღმდეგობანი ანთროპოლოგიური თუ ეროვნული ნიშნით.

ამერიკა ამიტომაც ცდილობს მათი პოლიტიკისთვის ნოყიერი ნიადაგის, შექმნას მთელს მსოფლიოში, მათ შორის — კავკასიაშიც, საქართველოსა და ჩეჩნეთის თამადობით.

მაგრამ მოვლენის ამნაირი ინტერპრეტაცია მთლად სამართლიანად ვერ აღიქმება, ვინაიდან ამერიკის პოლიტიკა ჩვენში უწინარესად შემოდის სომხური დიასპორის ინტერესების სასარგებლოდ.

ამაზე დიდი ხანია ქაქანებს საეთერო მასმედია თუ ყვითელი პრესა.

თბილისური ფსიქოლოგიის კოსმოპოლიტურობის უყტუარი სამხილი აფხაზეთის ომის პერიპეტიებია, როცა ლაბრასთან, გუმისთასთან, ტამიშთან ორმხრივად იღვრებოდა მონათესავე ხალხის სისხლი, დედაქალაქში კი გაქანებული შოუები იმართებოდა, კისკისი და ტკარცალი არ სცილდებოდა ცისფერ ეკრანს, დუბაისა და ანტალიაში ეპატიჟებოდნენ ტურისტული ფირმები სამხრეთული მზისგან თავმობეზრებულ თბილისელებს.

კოსმოპოლიტურობის ჩუტყვავილა ოც საუკუნეზე მეტია დედაქალაქს ღრღნის და დღემდე ვერ მოუნელებია. ტოლერანტობა ქართული სახელმწიფოსათვის აქილევსის ქუსლია ზღვარსგადასული აღმსარებლობის წყალობით.

თურქეთში მილიონობით ქურთის ავტონომიურ მოთხოვნებს ფედერალური ჯარი ებრძვის, ხოლო საქართველოში „ჯავახკი" ფრთებს ისწორებს მესხეთში ქვეყნის შემდგომი დანაწევრობისათვის.

ქართველი ინტელიგენტი გამოუსწორებელი ხუმანისტური მიდრეკილებებისაა კვლავაც თავისი ორასეული ნუცა-გიგოს უნივერსიტეტით, განუხრელად ესწრაფვის ფილოლოგობას, დიპლომატობას, რეჟისორობას, სამართალმცოდნეობას და დოყლაპიური ფუქსავატობით აინუშიაც არ აგდებს საბუნებისმეტყველო დარგების უკაცრიელობას; არაფერს ვამბობთ საყოფაცხოვრებო მომსახურების ფართო სპექტრზე, სადაც ძირითადი შემავსებელი ძალა დიახაც განსხვავებული ეთნოსია — სომხები, ქურთები, აზერბაიჯანელები, რუსები...

მაგრამ თავკომბალა ქალაქში გალმაოკეანური თუ კავკასიონს იქითა მხარდაჭერებით წელში მომაგრებული მეხუთე კოლონა უკვე მეორეხარისხოვან სარბიელს უკადრისობს და აშკარად ცდილობს პოლიტიკურ არენაზე გამოსვლას.

ამისი ნათელი დასტური ჟვანია-სააკაშვილის ფენომენია.

პირადად ჩემთვის ეთნიკური წარმომავლობა უმნიშვნელო კრიტერიუმია ადამიანის ზოგადსამყაროისეულ ფასეულობასთან შედარებით.

აღფრთოვანებით წაგვიკითხავს ჩვენ თავის დროზე უოლტ უიტმენის „ბალახის ფოთლები", სადაც ნებისმიერი ერი, ხალხი და ენანი ერთ სიბრტყეზეა განლაგებული თანასწორუფლებიანობის უზოგადესი პრინციპით.

აქამდე იმერ-ამერად რომ ვიწოდებოდით, აწ უპრიანია იმერ-ამერიკად მოგვიხსენიონ.მოითესლება და მობორიაყობს საქართველოსკენ ტოქსიკური დოზით კოსმოპოლიტური იდეებით ალესილი არასამთავრობო ორგანიზაციები: თავისუფლების ინსტიტუტები, მასმედია, იეხოვას მოწმეები უარაფრო მოსახლეობის მატერიალური მოსყიდვებით.ეს გაუგონარი ინტერვენციაა თავისუფლების ეგიდით.

ხკითხავენ მოგვიანებით აჭარის ლომს სააკაშვილის ფენომენზე და ბატონი ასლანი სრულიად ცალსახად განაცხადებს, რომ მიხეილის პოლიტიკურ პლატფორმას არაფერი აკავშირებს ეროვნულობასთან, უფრო ნაციზმის ნიშნების მატარებელია და ამასთან საშიში ორ ცხენზე ჯდომის პრაქტიკით, ანუ რუსულ-ამერიკული სომხური ინტერესების ლობირებითო.

ჟვანია-სააკაშვილის არაქართველობაზე აქამდეც გაჟღერებულა სამამულო პრესაში. პირველს ზანაზან ანტონიანად მოიხსენიებენ, რომელიც თითქოსდა მესხეთში მოღვაწე ნახევარძმებს პოლიტიკური ხელშეუხებლობის ატმოსფეროს უქმნის.არის საუბარი სააკაშვილის სააკიანცობაზეც, მაგრამ მიხეილის ბალნეოლოგიური კურორტის გენერალური დირექტორი მამა ნიკას განცხადებით: „ძალიან მიკვირს როცა ჩვენი გვარის სომხურ წარმომავლობაზე საუბრობენ. კარგი, რა, სირცხვილია. მე არ ვიცი, ვინ ვარ და ვისი შთამომავალი?! მე ვარ დიდი საზოგადო მოძვაწის მიხეილ სააკაშვილის შვილი, უძლიერესი იურისტის, ნიკუშა წერეთლის და გრიგოლ აბაშიძის შთამომავალი. ყოველ შემთხვევაში, ექვსი თაობა, რომ არ ყოფილა სომეხი, ეს ნამდვილად ვიცი".

მართლაც ამაზრზენია მოვლენების ამნაირი პროვინციალიზმით განხილვა.

დავუშვათ და ყოფილიყო მიხეილი მამით სომეხი, დაიქცეოდა ქვეყანა?

ეს ქოლერიკული ხასიათის ყმაწვილი დედით ხომ ალასანიაა? ისრაელიტიანელისთვის დედით ებრაელობა განმსაზღვრელი თუა ეროვნულობის დადგენისას, ჩვენ რა ეშმაკი გვიწყრება?! არის ზოგჯერ ამისთანა ტენდენციაც: უცხოტომელი ქართულ მენტალიტეტს ესწრაფვის, ქართულ

სულიერებაში დამკვიდრებას ცდილობს. შესაძლოა მეჯღანუაშვილია პროფილით, მაგრამ პროტოიბერიული ჩამომავლობისკენ იყურება.

თავის შეუხედავ ასულს ბარაქიანი მზითვით ათხოვებს სუფთა სისხლის ჩამომავალ აზნაურშვილზე, გაკეთილშობილება სწადია. დავგმოთ ეს ტენდენცია? დავცინოთ, გავაქილიკოთ ჩვენდა საზიანოდ?!

ქაჯობის გამოვლინების მწვერვალად მიმაჩნია სტერილური ქართველის ძიება პოლიტიკაში, მეცნიერებაში, გნებავთ—მწერლობაში.

მთავარი კრიტერიუმი ყველგან და ყოველთვის ამა თუ იმ პიროვნების მოღვაწეობის შედეგია, პროდუქტი და არა— საკუთრივ გვარიშვილობა!

არაფერში მეპიტნავება მე დავით აღმაშენებლისა და შოთა რუსთაველის პაპისპაპანი დედის თუ მამის ხაზით. ჩემთვის უმთავრესი და უძირითადესი საზომი დიდგორია, ძლევაი საკვირველი, ,,ვეფხისტყაოსანი''.

უკიდურესი პროვინციალობის გამოხატულებაა ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილის ფენომენის გააზრება სანათესაოს სიცოცხლის ხევარჯეულით. აქ განმსაზღვრელი ფასეულობა ,,მგზავრის წერილებია'', ,,კაცია ადამიანი'', ,,ქვათა ღაღადი'', ტყვიით გახვრეტილი შუბლი თუ ,,ქართველი ერის ისტორია''.

— მეგრული ენის შეგინება ჩემთვის დედის შეგინების ტოლფასიაო, — აცხადებს სააკაშვილი ლებანიძის გახმაურებული ლექსის საპარლამენტო განხილვისას.

შვილის პოლიგლოტობის თაობაზე მამაც შენიშნავს: შესანიშნავად ფლობს თითქმის ყველა ენასო.

ეს ბუნების ნაბოძები ნიჭია. შესაძლოა მთლად ნიკო მარი არ ვიყოთ, მაგრამ როგორი საქმეა ხოხოლს უკრაინულად დაელაპარაკო, რუსს— რუსულად, ამერიკელს — ,,ცეცხლოვანი სისწრაფის დახვეწილი ინგლისურით'', როცა ჩვენი 235 პარლამენტარის ოთხმოცი პროცენტი ენას ძლივს აბრუნებს ქართულად.

მიხეილი სტალინივით 21 დეკემბერსაა დაბადებული, დილით, 1967 წელს, ასე რომ, ეროვნული ტრაგედიის დღეებში იგი საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტია კიევში და მასთან დაკავშირებული ცოდვებისგან — განწმენდილი, უბრალული. ესეც ქმნის დაპირისპირების ერთგვარ წინაპირობას.

მაგრამ ეროვნული ხელისუფლების შეფასებისას ,,ნაციონალური მოძრაობის'' ლიდერს ხყოფნის სითამამე განაცხადოს:

„უზენაესი საბჭოს მუშაობა არ იყო იდეალური. დროის გადმოსახედიდან შეიძლება უკეთესად მოჩანდეს ის ხარვეზები, რომელიც დაშვებულ იქნა, ხოლო მსჯელობა მათ შესახებ, ალბათ, ახლა უფრო ადვილია, ვიდრე მაშინდელ კონკრეტულ სიტუაციაში ორიენტირება. და მაინც, ვფიქრობ, რომ ქართველი ერის მაშინდელი ერთიანობის პირობებში, ტრაგიკული შეცდომები რომ არა, სასწაულების მოხდენა შეიძლებოდა. დღეს ბევრი მაშინდელ ხელისუფლებას რადიკალიზმს დებს ბრალად, მაგრამ ვფიქრობ, რომ ზოგიერთი მიმართულება რადიკალიზმი უფრო რიტორიკის დონეზე იყო, ვიდრე რეალურ პრაქტიკას ასახავდა“.

სხვაგან უფრო მკვეთრია სააკაშვილი:

,,**მართალია, რომ ჯერ კიდევ თანამდებობაზეა ის ხალხი, რომლებიც გამოვიდნენ ძველი რეჟიმიდან და ისინი გარკვეული ეჭვის თვალით გვიყურებენ. ისინი ბრალს გვდებენ არა მარტო რადიკალიზმში, არამედ აგრეთვე პროდასავლურ მსოფლმხედველობაში. ჩვენ არ უარვყოფთ ამას. ჩვენთვის პროდასავლურობა არის არა ტაქტიკის, არამედ ფასეულობის საკითხი“**. — გამოკვეთავს თავის პოზიციას და კვირაში ორჯერ დაფრინავს ვაშინგტონსა თუ სტრასბურგში.

გიჟის ხალათსაც ბობოქარი ტემპერამენტის გამო მოასხამენ ზოგჯერ კოლეგები. პრეზიდენტ გამსახურდიას პიროვნების შეფასებისას სააკაშვილი გამოაცალკევებს დადებითს უარყოფითისგან და ბოლოს ფორმულასავით ბრძანებს: ,,**საქართველოს პირველი პრეზიდენტის ცხოვრებაში ქართველთა მომავალი თაობებისათვის ბევრი რამ იქნება მისაბაძი, განსაკუთრებით საშშობლოს თავდავიწყებით სიყვარულში, რის გამო მას შუდამ ექნება განსაკუთრებული როლი ჩვენი ერის ისტორიაშიო“.**

შედარებით დაკონკრეტებულია სააკაშვილი ედუარდ შევარდნაძის მისამართით: **,,თუ გავითვალისწინებთ ამჟამინდელი ისტორიული სიტუაციის განსაკუთრებულობას — სწორედ**

ახლა მოგვეცა უნიკალური შანსი, საბოლოოდ გავთავისუფლდეთ იმპერიის მარწუხებიდან. რეალურად დაიწყო ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამოყენება. ამოქმედდა აბრეშუმის დიდი გზა. შეიძლება თქვენ ჩემგან განსხვავებულად აფასებდეთ საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტის პიროვნებას, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: სრულიად აშკარაა, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის ფიგურა და მისი დღევანდელი პოლიტიკა საქართველოს მტრების დიდ გაღიზიანებას იწვევს □არასდროს იქნება პატიებული ის როლი, რომელიც შევარდნაძემ ითამაშა იმპერიის დანგრევაში), რადგან ისინი კარგად გრძნობენ, რომ ძალზე ახლოა დრო, როცა საქართველო რეალურად მოექცევა ევროატლანტიკურ სივრცეში და მათთვის ეს უკვე მიუწვდომელი გახდება. ისინი კარგად ხედავენ, რომ სწორედ პრეზიდენტია რეფორმების განხორციელების მთავარი გარანტი და ამიტომ პრეზიდენტის ინსტიტუტი ჩვენგან განსაკუთრებულ მოფრთხილებას საჭიროებს".

ამგვარად პასუხობს მიხეილ სააკაშვილი გაზეთ „ახალ თაობაში" ტარიელ ფუტკარაძის შეკითხვებს 1990 წლის 29 ოქტომბერს არჩეულ უზენაეს საბჭოსა და 1995 წლის 5 ოქტომბერს ხელდასხმულ საქართველოს პარლამენტის გაანალიზებისას.

მაგრამ გაივლის ექვსწელიწადნახევარი და ტერიტორიულზე მეტად ეროვნული მთლიანობის მაღიარებელი, საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილი 2 ივნისის საარჩევნო ბილბორდში თბილის-ქალაქიდან პრეზიდენტის სახსენებელს გადააშენებს — „თბილისი შევარდნაძის გარეშეო", მოეფინება დედაქალაქის ღობეყორეს ტირაჟგამოუცხადებელი მართლაც აღმაშფოთებელი ფაქტებია მოხმობილი დასახელებული პერიოდიკის სპეციალურ გამოცემაში, □№18,30.05.2002) შემაძრწუნებელი, ძარღვების ამშლელი და ჭკუიდან შემრყევი „მოაზროვნე ქართველებისათვის" და თუ აქ გახმაურებული ფაქტების 2 პროცენტიც კი სიმართლის მატარებელია, დამდგარა დრო ზარების დარისხებისა წმინდა გიორგის სამას სამოცდახუთივე სამლოცველოში. დამდგარა ჟამი ქუდზე კაცის მოხმობისა, „აბა ულასი" და ფადაასობისა საკუთარი ჯიშ-ჯილაგის გადასარჩენად, ვინაიდან არაფერია ქვეყნისთვის ისე დამაქცეველი, როგორც შარბათში მზაკვრულად შემოპარებული სამსალა; ვინმემ ცხვრის ქურქში გახვეული მგელი; ვიდრე ნაციონალური მოძრაობის ნიღბებით მოსიარულე კოსმოპოლიტური დივერსია. და, ბუნებრივია, ლამის ვიბღავლო უჭირისუფლო ქვეყნის მომავლით სულშეჭირწუნებულმა: **კმარა-მეთქი, ქართველებო, ჭვავის ყანაში თამაში! წინ თვალმიუწვდენელი უფსკრულია, რომელიც ჩვენს მრავალათასწლოვან ცივილიზაციას მიწის პირისაგან სრული იავარქმნით ემუქრება! კმარა - მეთქი, ქართველებო, უზნეო კანონების ზეიმი! დეზავუირება ჩვენი შთამომავლობის მოღალატურ ხელშეკრულებებს! დროა სახრე და ცხრა მათრახი გადაეწნას უსაფრთხოების კომიტეტს ლუსტრაციის კანონის დასაჩქარებლად! დროა ცხვირ-პირი დაესუსხოს პარლამენტის იდეოლოგიურ სამსახურებს პრესის კანონის დაუხანებელი მიღებისათვის! დროა გამოცხადდეს ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების ნაციონალიზაცია! დროა გაუქმდეს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის უარმყოფელი კანონი გარკვეულ დრომდე!**

ში'ში შეიქმს სიყვარულსაო, ბრძანებს რუსთველი და აქ გამსახურდიას ვარდების სროლით, შევიგნოთ ერთხელ და სიმუდამოდ, ხადესის ბნელხვეულებისკენ, სამარისკენ, საგულდაგულოდ მივაცილებთ თურმე ჩვენი შთამომავლობის მყობადს! **ლუსტრაციის კანონი-მეთქი, ბატონებო! კმარა აჯაფსანდალ მეირთხანში ათწლიანი ვალალი, სადაც სინათლისაგან ბნელი ვერ გამორჩეულა, ბოროტისაგან კეთილი ვერ გამოცალკევეუბულა, მტყუვნისგან მართალი ვერ გამოაშკარავებულა, ავისმომასწავებელი ბუნიობაა, სწორის და მრუდის თავზარდამცემი განუკითხაობა! ლუსტრაციის კანონი-მეთქი, ბატონებო, ჩქარა!**

შეხედთ, ვინ არ ჩემულობს საქართველოს ხვალინდელი დღის გადარჩენას, რომელი აქცია და სადაური ყრილობა.

აგერ, ხელთა მაქვს მიმართვა სრულიად საქართველოსადმი, რომელიც თურმე 1 მილიონ 670 ათასამდე ამომრჩევლის ნების გამოხატულებაა ხელმოწერებით სიებში „სიცოცხლის წიგნისათვის", □იქნებ სიტყვა „სიცოცხლე", „წითელით" შეგვეცვალა და ამით უფრო ნათლად დავხატავდით ჩვენს სამერმისო პერსპექტივას?)

ფრიად დაუჯერებელი, ერთობ განსაცვიფრებელი ფაქტი მომხდარა ჩვენს სინამდვილეში — 1 მილიონ 670 ათას პიროვნებას დაუფიქსირება თავისი პროტესტი თუ ძალისხმევა შემდეგი მოთხოვნით: **„ვაღიარებ რწმენით საქართველოში ქრისტეს მეორედ სულით და სიტყვით მოს-**

ლვას, და ვაცხადებ: აღსრულდეს უფლის ნება; თანახმა ვარ „მეფე“ — პრეზიდენტი ჩამოვიდეს □ნებით) ტახტიდან, მის ადგილზე დაჯდეს „ღმერთის წარმოგზავნილი“ და მოსული სიტყვით შეეუდგეთ ახალი ყოფითი ცხოვრების შექმნას!“

ჯერ ერთი და საინტერესოა, ჩვენმა სასძლომ, იგივე აკაკი ჯორჯაძემ, როდის აქეთ მოახერხა 1 მილიონ 670 ათასი ხელმოწერის შეგროვება, როცა არაოფიციალური ცნობებით ვაცხადებთ, რომ საქართველოდან მილიონზე მეტი ზრდასრული მოქალაქე საშოვარზე მგელივითაა გასული მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეშიო; როცა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დღემდე ვერ შეუკოწიწებია ჩვენი ბიოლოგიური არსებობის დოკუმენტი; როცა ოფიციალურად მილიონებს ვყრით ამ საქმის თავის მოსაბმელად; ჩვენ კი მეტროპოლიტენის შესასვლელებში ნახევარწლიანი მუშაკობით, რანაირად ვირწმუნოთ, მეფისტოფლის რომელი ბუხხალტერიით, დასახელებული ციფრის — 1 მილიონ 670 000 ხელმოწერის სანდოობა?!

რა მოვიმოქმედოთ, რომელ წყალში გადავვარდეთ, როცა ყავლი გასვლია სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის გადაწყვეტილებათა ულტიმატუმებს და 2002 წლის 18 აპრილის 24 საათიც შესრულებულა, ქვეყნის პრეზიდენტს კი რატომღაც საჭიროდ არ უცნია დამორჩილებოდა წამოყენებულ ულტიმატუმს. როცა ხელმოწერების სიებით ,,სიცოცხლის წიგნისათვის'' თუ თავად ყრილობის დადგენილებით პრეზიდენტის უფლებამოსილება შეჩერებულია და იგი დიქტატორადაა გამოცხადებული.

არჩევნების მომდევნო დღეს მიხეილ სააკაშვილი მთავრობათა სასახლესთან რომ მოუხმობს ელექტორატს, ,,სიცოცხლის წიგნის'' შემოქმედნი თავიანთი 1670 დელეგატითა და 33 კაციანი აღმასრულებელი საბჭოთი პარლამენტის წინ გამოვლენ მეგაფონებით აქციის ასაგორებლად, მაგრამ ვერაფრით დამიჯერებთ, 1მილიონ 670 ათასი ხელმოწერის შემგროვებელი ,,მძლეველი'' და მისი სულისჩამდგემელი ,,სასძლო'' ადრეული ეზოტერიკული პუბლიკაციის ,,მეტი სინათლის'' ბრდღვიალის შემოშველიებით 67 კაცის შეკრებას ძლივს მოახერხებს.

და უცებ გამიელვებს გონებაში: ხომ არაფერ კავშირშია ,,ნაციონალური მოძრაობისა'' და ,,სიცოცხლის წიგნის'' პატროფილური პარამეტრები? ხომ არ განასახიერებს აკაკი ჯორჯაძის ეროვნული ყრილობა იოანე ნათლისმცემლის მსვლელობას უდაბნოსა შინა ქრისტესთვის ბილიკების განსამზადებლად? კალიისმჭამელი ღვთისმოსავი ცნობილია, მაგრამ ვინ არის უზენაესი? რომელია მაცხოვრის კვართის და ჯვრის მტვირთველი საქართველოს გოლგოთადქცეული თავისუფლების გზაზე? და აქ სანამ ყრილობის დადგენილებით 1670 დელეგატს სრული ხელშეუხებლობა დარღვევია ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, ისევ საარჩევნო ბატალიების დასკვნით აკორდებს მივადევნებ მზერას:

15 მანდატიანი ნათელაშვილი მზადაა საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი სააკაშვილს გადაულოცოს მათთვის სასურველი ულტიმატუმების გაზიარების კვალდაკვალ. ამასობაში კიდევ ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია მოასწრებს პრეზენტაციას ბათუმის ქუჩაზე — ,,ეროვნული თანხმობისა და სიმართლიანობის აღდგენის კავშირი''.

გონებაამღვრეული მოძმის 9 ტყვიამ ვერაფერი დააკლო ეროვნული მთავრობის ფინანსთა მინისტრს, ბატონ გურამ აბსანძეს;ვერც ხუთი წლის პატიმრობამ გატეხა წელში პრეზიდენტისთვის მოწყობილი ტერაქტის ორგანიზების ბრალდებით;სამშობლოდან მრავალწლიანი წანწალი და უსახლკარობა ხომ მოშუშებულ იარასავით ყრუდ ფეთქავს ჯერაც სიზმრიდან ცხადში და პირიქით.

— ეროვნული თანხმობითა და სამართლიანობის აღდგენით გადავარჩენთ საქართველოსო, — აკურთხებს ახალ მიმდინარეობას ბატონი გურამი. ამ მიმართებით გარკვეული ოფლისღვრა უწვნევია იოანე მარუშიძის გამოუსწორებელ ძეობილს,ბატონ ბაკურ გულუას.ყოფილა იმედისმომცემი მიღწევები, მაგრამ შემდგომ და შემდგომ მიჩუმებულა ახალი რეფორმატორების ზეწოლის წყალობით.

ჩემთვისაც მოულოდნელია ,,ეროვნული თანხმობისა'' და ,,სიმართლიანობის აღდგენის'' ურთიერთგამომრიცხავი პლასტების შეერთება—კიდეც ვეუბნებით არსებულ ხელისუფლებას: ვითანამ შრომლოთო და თანაც თოკ-ბაწარეულის საჭიროებას ამოვიჩემებთ ჩამოხრჩობილის სახლში.წამოგვყვება ვითომ ამისთანა პირობებში ხოფების მოსასმელად ოპონენტური ძალა? იქნებ გური ოტობაია უფრო მართებულია არსებულ დილემასთან სინთეზური მიდგომების გამოისობით ,როცა ზეთისხილის რტოის მარადიული ტარების საქმეს თანაბრად დააკისრებს მტრედის და ყორნის წყვილ ნისკარტს ერთი მიმართულებით,როგორც დადებით- უარყოფითი ენერგიის ზოგადკაცობრიული იდეალების სამსახურში ჩაყენების გარდუვალ წინაპირობას; როგორც შეუთავსებლის შეთავსების აფთიაქრულ მეცადინეობას და სხვა საყვედურისთვის ბაგეს დაიმდუმარებს უფრო დიდი მისიის

აღსრულების სახელით.

— ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატიული ფრონტიო,— დაიარება ქუჩა-ქუჩა მიხეილ სააკაშვილი;,,თბილისი შევარდნაძის გარეშეო‘‘,ბობოქრობს და ავი- წყდება შვიდი წლის წინანდელი სიტყვები,ოდეს იგივე შევარდნაძეს ,,აბრეშუმის დიდი გზის‘‘ შემქმელად და იმპერიის დამანგრევლად წარმოსახავს. აქაც ნიველირებულია ოქროს შუალედის ღვთაებრივი პროპორციები, ურომლისოდ გაძნელდება საშვილიშვილო სულიერი შენადნობის მიღება წარმატებული ყოფიერების დედაბოძად.

— ჩვენ საპარლამენტო არჩევნებისთვის ვიკრებთ ძალებსო, — აცხადებს ნათელაშვილი, — რათა უმრავლესობაში მოსულებმა იმპიჩმენტი გამოვუცხადოთ პრეზიდენტს და მოვახდინოთ ხავერდოვანი რევოლუცია. ჩვენი მიზანია ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია დავუბრუნოთ ეროვნულ კალაპოტს და ზედმიწევნით ავლაგმოთ ,,ეიესთელასების‘‘, ,,პეტერსონ ბელქნაფების‘‘ თუ სხვათა ქართველი ხალხის მძარცველური მოღვაწეობაო, — ამხელს დაურიდლად.

იქნებ ქვეყნის პრეზიდენტის მისიაც ეს გაუგონარი მსხვერპლშეწირვაა მომავალთან სანდო ხიდების გადების ეზოთერიით, ბურჯებში ზურაბივით საკუთარი თავის ჩაშენების საშვილიშვილო მისტერიით?!

და მაინც სული აქავლებულია მომრავლებულ კითხვათა დასაკმაყოფილებლად: ვისი სული გსურთ, ბატონებო? ვინ იქნება ,,ღმერთის წარმოგზავნილი‘‘?

***

მაღალ ზევსს ვფიცავ, ილარიონოვიჩ, ხელოვნების მფარველ ცხრავე მუზას, რომ თუ რამენაირად ეს გაჭირდიდებული ,,სუფევა‘‘ დავასრულე, ჟურნალისტის კალამს აღარასდროს გავეკარო!

გუშინწინ ფიჭური ტელეფონით შევეხმიანები დაუდგრომელი ქანთარიების შთამომავალს. თითქოს გამოიძებნება დრო და სივრცე ჯვარცმული ბელეტრისტული ინტერვიუს მოსამთავრებლად. დილის ექსპრესით მერამდენედ ჩამოვხაბარკდები ფაზის-ქალაქში, მაგრამ სად არის ხალხის რჩეული თავკაცი? ბარისახოში დისლოცირებული თანაქალაქელ ქვეითთა ბატალიონის მებრძოლების მოსანახულებლად წასწრაფებულა ნავკოსალარ ჯემალ ინაიშვილთან, კომპანია ,,ჩენერალ ენერჯის‘‘ გენერალურ დირექტორთან, ბატონ გიონენ სინისთან, მოადგილე ნუგზარ კაჭარავასთან თუ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად სოლიდური მოსაკითხით ხელდამშვენებული. ყველაფერ ამას ჯერაც დაუმონტაჟებელი ვიდეო მასალიდან შევიტყობ, რომელიც ესეს არის ტელეკომპანია ,,ფაზისის‘‘ გადამღებ ჯგუფს ჩამოხყოლია ქალბატონ ლეილა კაკულიას ხელმძღვანელობით.

ქველმოქმედურ საქმეში შეძლებისდაგვარად აუყოლიებიათ დიდი თუ პატარა საწარმოო ორგანიზაციები — როგორც კალმასობის ჟამს სჩვევიათ ჩვენს წინაპრებს კალოზე პურის ჩამოთხოვა ეკლესიის სასარგებლოდ — შეუკოწიწებიათ ფქვილი და შაქარი, ხორცი და მაკარონი, ხილი და სიგარეტები და ალალმართლად მიურთმევიათ სამხედრო-საველე სწავლების, ,,კახეთი — 2002‘‘-ის მონაწილე თვისტომისათვის, რომლის ძირითადი მიზანი ანტიტერორისტული ღონისძიებათა პრინციპების შეთვისებაა და სახელმწიფო საზღვრების დაცვის საბრძოლო ნიუანსების ზედმიწევნით გასიგრძეგანება.

სულისშემძვრელია მარტოხელა, უმწეო მოხუცთა, ინვალიდთა და შეჭირვებულთა სახელით ხევსურეთში ჩასული ნობათი ფარატინა კოლექტიური წერილით:

„ჩვენო ძვირფასო შვილებო და შვილიშვილებო, გლოცავთ და უფალს ვევედრებით თქვენს ჯანმრთელობას, ვალმოხდილად, უკლებლივ დაბრუნებას მშობლიურ კერაზე. ჩვენ, არაფრისმქონე მარტოხელა, მიუსაფარ მოხუცებს, ინვალიდებს და შეჭირვებულებს, რომლებიც უფასო კვების სასადილოთი ვარსებობთ, მეტი რა გაგვაჩნია — გიყოფთ და გიწილადებთ ჩვენს მწირ ულუფას, გიგზავნით 20 კილოგრამ ლობიოს, 5 ყუთ თევზის კონსერვს □240 ცალს), 2 ტომარა პურის ფქვილს და 2 ყუთ □10 ლიტრ) ზეთს.

ღმერთმა შეგარგოთ.

გთხოვთ, თავს გაუფრთხილდეთ, სამშობლოს ღირსეულად ემსახუროთ და შინ მშვიდობით დაგვიბრუნდეთ.

გაიხარეთ ჩვენო შვილებო, ჩვენო სამშობლოს ერთგულო დამცველებო“!

მიდი და ნუ აქვითინდები.

ვიდეო მასალიდან ვუმზერ სიყრმისდროინდელ სანახებს. სტუდენტობის ჟამს სულ ფეხით დამივლია ჟინვალი, დუშეთი, ბარისახო, მუცო, ანატორის აკლდამები. ლიქოკელებს, არაბულებს და

ჭინჭარაულებს ვხლებივარ კურდღლებზე სანადიროდ. ერბოში გახუხული 33 ნაოჭიანი ხინკალი მინებებია ალისფერთმიანი ხევსური ასულების ფანდურთა ჟღრიალში. რეალურ კადრებს გარდასული სიჭაბუკის წლები ენაცვლება სულის გაუხუნარი საპროექციოდან.

ანანურის ქონგურებში გახირულა ლაჟლაჟა მზე.

ვხედავ საქართველოს საზღვაო თავდაცვის ფოთელ ქვეითთა ბატალიონის ბიჭებს, თავხოტორათ, ღვედივით მოქნილებს და აწურულებს ამავდროულად ვიდეო კამერის წინ.

ვამჩნევ ღონისძიების ადგილზე ხელმძღვანელ საზღვაო ძალების სარდალს, გენერალ გიგლა ირემაძეს.

მაოცებს ხაკისფერ ფორმაში გამოწყობილი თავდაცვის მინისტრის, ბატონ დავით თევზაძის ესოდენ უჩვეულო ენაგაკრეფილობა.

სატვირთო მანქანებიდან თანაქალაქელების მხარდამხარ ყუთებს ცლის მოხალვათებული დათო ქანთარია.

საერთო ფერხულში ჩართულ, ,,ჩენერალ ენერჯის'' მესვეურს, კორაი გიონენ სინის უაქცენტო ინლისურით თარჯიმნობს ელეგანტური ნავკოსალარი ჯემალ ინაიშვილი და ამ საერთო გაწამაწიაში, მზე კრუხივით ეშვება მთებში, გელოვანისებურად.

დიახ, გარე-გარე დავსდევ მოუხელთებელი რესპოდენტის ნაფეხურებს.

მოტორიანი ნავით მახეტიალებენ პალიასტომზე. კვირეების წინ კუნძულ კოლიმბარზე ჩაყრილ ათასობით მარადმწვანე ნერგს მანახებენ. მიმიძღვიან ბოგვერაძის მორჯული ძელურისკენ.

ჯელაფრის ორგანიზატორი, ადრე დავით ქანთარიას ქალაქის მერად დანიშვნის საწინააღმდეგოდ ლიანდაგზე თავის დამდები თამაზ პაჭკორიაა; საკრებულოს 15 წევრს შორის ვერ მოხვედრილა, მაგრამ მაინც მათთან ტრიალებს. აქვე არიან ,,აღორძინების'' ლიდერი მერაბ ასანიძე და მისი თანაგუნდელი რამაზ ლაშქარავა.

მათი მტკიცებით ფაზის-ქალაქის საკრებულოში დღეს სამაგალითო პოლიტიკური კონსენსუსია.

მერაბ კაკულიას მგზნებარე სიტყვებში გადაიშლება პალიასტომის სშემოგარენის, ზოგადად ფოთის გრანდიოზული პერსპექტივები საერთაშორისო ტურიზმის თვალსაწიერით.

გონებაში ამომიტივტივდება უშეღავათო მსაჯულის, ბატონ რამინ აბლოთიას სიტყვები:

— დათოს დიდი ხანია მე ვიცნობ, ძმისშვილო, — მიხასიათებს ქალაქის მერს საბედიანოელი კაცი — ჯერ კიდევ იქიდან, როცა აფხაზეთი იკარგებოდა და ათასობით ადამიანი ითხოვდა შველას. დიახაც, მაშინ გამოჩნდა მისი ეროვნული და მოქალაქეობრივი ხასიათი; მაშინ გამოჩნდა მისი უსაზღვრო ძალისხმევა, რაც შეიძლება მეტი იძულებით გადაადგილებული განეთავსებინა წალენჯიხის რაიონში და შემდეგშიც ყოველთვის გამოირჩეოდა მათდამი განსაკუთრებული ყურადღებით.

იგი ვერ ეტევა ადამიანურ მასშტაბებში. კვირის საქმეს ერთ დღეში აღასრულებს. ჩვენი სადღეღამისო 24 საათიანი ასტრონომიული დრო მისთვის ერთი ბეწო 60 წუთია. დირიჟორივით ყურს უგდებს ყველა ინსტრუმენტს და ხელად იქ გაჩნდება მშველელად, სადაც ჩონგურის სიმი გაწყვეტილა, სადაც ხობოის კლავიში მოფოლხვებულა, სადაც ვიოლინოს ხემი მობოშებულა. ძნელია ფეხი აუწყო მის ნაბიჯებს, მაგრამ სხვანაირად წარმოუდგენელია იავარქმნილი სამშობლოს აღორძინება''.

თამაზ პაჭკორია მთლად უკიდურესია, აფრასავით ტყლაშუნობს ზურგს უკან მისი გამყივანი ხმა:

„ოტობაიელო, ვატყობ თვალი დაადგი ჩვენი ქალაქის მერს, როგორც შენი მომავალი რომანის პროტოტიპს. გუმანი არა მგონია მღალატობდეს, ვიცი რა შენი ინტერესი ენერგიული პიროვნებების მიმართ და სწორედ რომ მათი წიაღია შენი შემოქმედებითი სწრაფვის ამოსავალი. ამასთან შენი ცნობისწადილი ჩვენი ქალაქისადმი, აქ მიმდინარე ქვედა დინებებში სიღრმისეული გარკვევის მცდელობა ჩემგან ზემოთ თქმულისა დასტურია უთუოდ.

ფინანსური ძალა ფოთში, გური ძმაო, ძირითადად ჩამოყალიბდა სამოქალაქო ომის დროსა და არეულობის პერიოდში. ბევრმა ისარგებლა ამღვრეულ წყალში ხელის ფათურით და დიდძალ მატერიალურ სიმდიდრეს დაეპატრონა — საოკეანო თევზჭერის გემებს, ქარხნებს და ფაბრიკებს დოვლათითურთ, მიიტაცა ქალაქის ტერიტორია ნაწილ-ნაწილ. ამ ათი წლის მანძილზე ძირითადად ბიუჯეტი წარმოადგენდა ხელისუფლების სტრუქტურებში მომუშავე კერძო პირების გამდიდრების წყაროს. ქალაქის კეთილდღეობისათვის მოკრებილ 9 მილიონიანი ბიუჯეტიდან დაახლოებით 3-4 მილიონი მათ ჯიბეში მიდიოდა. დათომ უმოკლეს დროში შეძლო ამ აღვირახსნილობის

ალაგმვა. წელზე ქამარი მჭიდროდ შემოაჭერინა ყველას და არაფერია გასაკვირი, რომ დღეს შეუფერხებლად რიგდება ხელფასი, დახმარება, პენსია. წინააღმდეგობა, პრობლემები კვლავაც უამრავია, მაგრამ მოსახლეობას ხვალინდელი დღის იმედი ჩაესახა და აქედან დათო ქანთარიას ცოცხალი თავით არავინ გაუშვებს.

ადრე, აქ, პალიასტომზე, უნიკალური ზუთხსაშენი გვქონდა, რომელმაც განაცვიფრა თურქეთიდან ჩამოსული 15 გუბერნატორი. ფოთი უმოკლეს დროში უნდა გახდეს თევზპროდუქტების მწარმოებელი ქალაქი. დიდი პერსპექტივები აქვს ჩვენში ტურიზმის განვითარებას. იგი უნდა იქცეს სათავგადასავლო ტურიზმის მაგისტრალად სვანეთისკენ, ხევსურეთისკენ. ნებისმიერი ადამიანი, მით უმეტეს ხელისუფლების წარმომადგენელი, პატიოსანი კაცი უნდა იყოს წესისამებრ. სამწუხაროდ პატიოსნების არსი არ ესმის საზოგადოების ნაწილს. პატიოსნება უპირველესად ადამიანების დახმარებაა. რაც მეტია დახმარება, მით მეტია პატიოსნების ხარისხი. ფოთი უახლოეს ხანში უნდა იქცეს სპორტის, ტურიზმის, შემოქმედთა და ხელოვანთა ქალაქად. ჩვენი დათოს ენერგიული მოღვაწეობა გვაიმედებს ყველას, რომ ხვალ-ზეგ უფრო გავიმართებით წელში, უკეთესად დავაპურებთ ოჯახს და რაც მთავარია, პოლიტიკური კინკლაობიდან გადავალთ პოლიტიკურ თანამშრომლობაზე, რომლის პირველი ნიშნები აშკარად ეტყობა დღევანდელი საკრებულოს მიზანმიმართულ საქმიანობას“.

რეპორტაჟი მიკროავტობუსიდან
ბელეტრისტული ინტერვიუს სანაცვლოდ

თავსხმაა.მერიის სადარბაზოდან მიკროავტობუსში შევლაგდებით და ბუღი აგვივა ტანზე.ფოთის მედიას ქალიშვილების სიმრავლე ეტყობა. საკრებულოს ბიჭებიც აქ არიან. დათო ქანთარია წინა სალონში მოკალათებულა მეგზურის კვალობაზე. ქალაქის მერისთვის ეს რიგით მეოთხე შემოვლაა ჟურნალისტებთან ერთად. ჩემს ჩამწერს ვერავინ ეცილება მესვეურთან სიახლოვეში. დათო ენამწარობს. ხუმრობის ხასიათზეცაა, მაგრამ პილპილმოყრილ მადლსაც არ იშურებს ოპონენტი რეპორტიორების მისამართით.

— გური, ძვირფასო, — მომმართავს ყველას მაგივრად, — გამოიწიე ფანჯრიდან, ძროხამ არ გირქინოს. ზუგდიდს ორჯერ აღემატებოდა ფოთი მოხეტიალე ძროხების რაოდენობით, მაგრამ ათასობით ტონა ნაგავი რომ გამოვაცალეთ პირიდან, რამდენადმე გაგვინაწყენდნენ, წარმოიდგინეთ პროტესტის ნიშნად ზურგი შეაქციეს ქალაქს, პალიასტომისკენ გადაინაცვლეს. ამ საშვილიშვილო საქმეში კოლექტიურად აუბეს მათ მხარი ღორებმაც და ახლა ეგზოტიკის მოყვარულ უცხოელებს იქ უწევთ ფოტოაპარატის ჩხაკუნი. აქ რა სურსათიც იყო გასულ თვეს, ყველას გახსოვთ, ალბათ, — მოუტრიალდება რესპოდენტი მიკროავტობუსის მრევლს, — ბულდოზერით გადავფხიკეთ გაოხრებული ასფალტი, მოავაშანდაკეთ, ბორდიურები ამოვიყვანეთ, აქამდე გაუქმებული ქუჩა ქალაქის რიტმში ჩავრთეთ. გახსოვთ, გორებად ეყარა საშენი მასალა, მაგრამ მოვინდომეთ ერთობლივად და მოგჭამა ჭირი ყოველდღიურმა პოლიგონმა. ხედავთ, როგორ თქლაშუნებს წვიმა, თუმცა წყალი არსად ჩერდება. გასუფთავდა არხები და სამაგალითო კოლოთსაშენიც გაიყოლა თან.

— ფოთში გაქვთ ასფალტის ქარხანა? — ჩავერთვები მე.

— ორი თვის წინ დავიწყეთ ფოთში ასფალტის ქარხნის მშენებლობა. გვარიანი სიმძლავრისაა, 1000 ტონიანი. ჩვენ იქ დავნიშნეთ ადგილობრივი კადრი, ჭანტურიაა გვარად. მე, წალენჯიხის ხაერი თუ არა აქვს ჩაყლაპული, ისე კადრებს ახალსაც არ ვაჭაჭანებ. სულელი ხომ არ გგონივართ? ან ბაბუაჩემის ბიძაშვილი უნდა იყოს, ან კიდევ რაღაც ამის მსგავსი. რატომ უნდა ვენდო, მაგალითად, ფოთელს? გადამთიელი არ მირჩევნია? დედაქალაქელ ბატონ ჯემალ ინაიშვილს არ ვეხები, ჩემსავით მიყრუებული სოფლიდან ჩამოთრეული? ცნობისათვის, აი, ტუღუში, სვანიძე ყოფილან ბაბუაჩემის მამიდაშვილებია ბებიაჩემის მხრიდან. ძვირფასო, ჟურნალისტებო, აი, აქ, ამ კუთხესთან მე ახალდანიშნულთა გენეალოგიურ სტენდს მოვაწყობ. ხომ უნდა გაგიიოლოთ საქმე? რომელი მერგება ცოლოურობიდან, ვინ სიდედრ-სიმამრის რეკომენდაციითა დამკაში გასული, ვინ კიდევ — სამეგობრო წრიდან?

აგერ, საკრებულოს წევრები სხედან, ბატონო, გური, ხუთი-ექვსი კაცია. ყოველ ნახევარ წელიწადში მე მათ ვაბარებ ანგარიშს ვიზუალურად, მარტო სიტყვის რახრახით არა, ფაქტებით. დავიამხანაგებ ხოლმე შენს კოლეგებსაც, ყვითელი თუ მწვანე ფურცლებიდან, მაგრამ წარმოგიდგენია დალტონისტი ფოტოაპარატი მოუმარჯვებია ზოგიერთს — თეთრს შავად აფიქსირებს, წითელს —

ლურჯად.

— ეტყობა პირდაპირ ნეგატივს ბეჭდავენ, — მხარს ავუბამ მეგზურის სარკაზმს.

— გამორიცხული არ არის, გური. ერთმა მშვენიერმა რედაქტორმა თვალში ამომიღო. გამადიდებელი შუშით ეძებს ჩემს მხედველობაში ბეწვს და ისეთი სიმძლავრის ოპტიკური საშუალება მოუმარჯვებია, დირედ მოგეჩვენება უწყინარი ღინღლი მისი გაზეთის შუშაბანდიდან.

ხედავ, ბორდიურები აღმსდგარა თავიდან ბოლომდე, ასფალტის ახალი საფარი დაგებულა მთელ მონაკვეთზე. ეს ქუჩა ფაქტობრივად გაუქმებული იყო, გადაკეტილი. გეგიძის ქუჩიდან ჩვენ ავგიას თავლები მოვაშორეთ. სასწაული წყალდიდობა რომ იყო, პეშვისხელაც კი არ დამდგარა. მართლაც კარგი ნამუშევარი გამოვიდა. ეს ყველაფერი რასთანაა დაკავშირებული, ყველამ იცით. აქ იყო ფოთის ბიუჯეტში გაწერილი არშესრულებული სამუშაო და ფული ოსტატურად ათვისებული გახლდათ ჯიბის სასარგებლოდ. ყოფილი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე მოხერხებულად ართმევდა თავს ამ სისაძაგლეს: ამას ჩაგისვამ, ამდენ პროცენტს მომცემ. ამაზე სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას, მაგრამ არა ისე, როგორც მეექვსე განყოფილება შევიდოდა, ხელი ხელს გაბანდა და მიაფუჩეჩებდნენ ყოველივეს. ქალაქის მერი მთელი სიმკაცრით მოითხოვს სამართლიანობის დადგენას კონტროლის პალატასთან ერთად. ჭორი არ გეგონოთ, ძვირფასო, ჟურნალისტებო. ქუჩას რომ ავიწროვებს, იმ პერიოდში დადგმული უკანონო სახლია. წამოვიდა ტრაილერები. მოძრაობა აღსდგა. ნიკოლაძისა და აღმაშენებლის ქუჩები ერთმანეთს დაუკავშირდა. აქ დარჩა ორმული შეკეთება.

ასე გავივლით გორგასლის ხიდამდე.

— ახლა მარჯვნივ წადი, — ხელით მოუხაზავს გზასავალს მიკროავტობუსის მძღოლს ჩვენი ენამწარე მეგზური, — დარბაზში შევიდეთ. ყველაფერს ამ წელს ვერ გავწვდებით. სამომავლოდ საკანალიზაციო სისტემასაც მოვაგვარებთ. ფოთში საკანალიზაციო სისტემა არ არსებობს და ფეკალური მასა რიონში ჩაედინება.

აქ ყველას გახსოვთ რა იყო, ქეთი, ხომ გაჩვენეთ დეტალურად, ერთი თვის წინანდელი დილით, მაგრამ ჩემდა საკვირველად „24 საათის“ სარეკლამო რგოლის კლიენტივით შეიკრიჭა სადალაქოში. გაოცება ვერ დამიმალავს, ამ თქვენს ჩამწერს ყურები ბამბით აქვს გამოტენილი თუ რაიმე ლოგოპედური პრობლემა შეყრია? მერე ციფრებს რომ იღებთ ძვირფასებო, გასაოცარია, ერთი ნოლიანი საიდან შემოგემატებათ ხოლმე, თითქოს შაქარყინული ან კიდევ მარმელადი აგეწაპნოთ ვინმესთვის! მე აღვნიშნე, 800 ლარად იყიდება აპარატი-მეთქი. ზოგმა დაწერა 8000-ადო. მერე საიდანღაც 5200 დოლარი გამოტყრა. სხვა გზა არ არის, უნდა ვიყვირო, როგორც ჩანს: 800 ლარი-მეთქი. ნუთუ 800 ლარია შეჭმული ჩვენამდე და გადაყრილი მუთაქებისკენ? მარჯვნივ მიიხედეთ. გეხსომებათ რა კოშმარიც იყო, „ქვიშის კარიერის გენერლები“ გინახავთ, ალბათ, ტოლსაც ვერ დაუდებდა ჩვენს რეალობას. რაც შეეხება ამ შენობას, ფოთის ბიუჯეტმა გააკეთა ყოველივე სულ რაღაც 180 000 ლარად. ქეთი, საყვარელო, საჯაროდ ვაკონკრეტებ: თვრამეტს ოთხი ნული ახლავს. მარცხენა მხარეს შეხედეთ, ზევით-მეთქი, კაცო, გაიშპაკა, მთელი ამბები. გადაიფარა იტალიური გადასახურით. აგერ არის ჭანტურია ოლეგი. კარკასი იყო აქ და სხვა არაფერი. ამის იქით ახალი მშენებლობაა. გაივლის ორიოდე თვე და ფოთს ჩინებული სპორტის სასახლე ექნება. მომყვით, მომყვით. ეს გასახდელია. ეს საშხაპე; დიდი ოთახი გამოვიდა. 20 კაციან გუნდს ეყოფა. ზუსტად ანალოგიური გავხსენი წლების წინ წალენჯიხაში. პროვინციული გამოცდილება გამომადგა ქალაქად. აქ ჩატარდება ყველა სახის სპორტული ტურნირი — ჭიდაობა, კრივი... ევროსტანდარტია. კუპრეიშვილისნაირებისთვის ვზრუნავ, 24 საათი რომ სცემდნენ საკრებულოში.ივლის სექციაზე, სათანადოდ დაეუფლება ტრადიციულ თუ აღმოსავლურ საომარ ტექნიკას და ხმასაც უბატონოდ ვერავინ გასცემს.

— მალთაყვაში რომ აპირებდით სპორტული კომპლექსის გაშენებას, რა ბედი ეწია იმ იდეას? — გავიხსენებ მე თვეების ადრინდელ დიალოგს.

— გადაიწია, გური. შორსაა მელკუდასავით. კერძოა უკვე. მუქთად ჩაიგდეს ხელში და ის ხალხი გვებრძვის ახლა „რიჟა“ პერიოდიკით. ნახევარი ქალაქი შეუსყიდიათ და ჩვენ კუდის მოსაქნევს არ გვიტოვებენ. იატაკის მასალა შეძენილია. 8 სანტიმეტრიანი ფიცრები დაიგება. მუნიციპალური ტერიტორიები განუკითხავადაა მისაკუთრებული. ისევ მანქანაში ჯდომა სჯობია. აი, ეს შვიდი სახლი აღსდგა. დაახლოებით 40 000 ლარის სამუშაოები ჩაუტარდა. ოთხიანი ოთხი ნულით ჟურნალისტებო! აგერ, შემოვლით გზაზე გავედით. ახლა სამივე ხიდის რეაბილიტაცია მიმდინარეობს ფოთში. ეს კაპარჭინასია. კომუნისტების დროს დაიწყო, მაგრამ მერე არეულობამ ისიც შეაჩერა. ამჯერად კუვეიტის პროგრამით ვასრულებთ სამუშაოებს. ტექნიკა ჩამოიყვანა ბორის სალარიძის ხალხმა. მუშახელი ძირითადად ადგილობრივია. რა ვქნა, ამდენი ნათესავი არ აღმომაჩნდა, ძმაო, წალენჯიხის კონტიგენტით ვეღარ გავწვდი ფოთის მზარდ მოთხოვნებს. აი, ასფალტის ქარხანა

სხვაა, ბებიაჩემი იყო ჭანტურია და ამისთანა მომენტს ხელიდან გავუშვებდი?

თქლაშუნა წვიმას შევასწრებთ მშენებარე კორპუსში. ოცდაათამდე მუშახელი სხვადასხვა სამუშაოს ასრულებენ განსხვავებული რიტმით. ერთნი უშველებლ ხარაჩოებზე ასულან და ჩაჟანგებულ ჭერს ათეთრებენ პულვერიზატორით. შენობის მარცხენა მხარე ახალგაფენილი ზეწარივით ქათქათებს, მარჯვენა კი ჯერაც კუპრისფერია. სხვები წაგრძელებულ მერხებს აგებენ მაყურებელთათვის. იქით კომპრესორი ქოთქოთებს. დამაბრმავებელ ნაპერწკლებს ყრის ელექტროშემდუღებელი აპარატი — „სვარკა“.

— შენმა კოლეგებმა უკეთ უწყიან, გური, ქალაქის შემოვლა მასმედიის ფაზისურ კორპუსთან ერთად, უკვე მეოთხედაა. დავიარეთ ფოთი თავიდან ბოლომდე და შაყირი დაიწყეს, ბოლოს მაინც რესტორნით დამთავრდებაო. ეგონათ, ამბავი დამახვედრეს დილაუთენია, წალენჯიხიდან ბებიამ ხოზო კვერები გამოგიგზავნაო და იქნებ გვეშველოს რამე. ესეც ჩვენი გაოხრებული საქვაბე. აქ სათავგადასავლო ფათერაკებს ეძებდნენ ტომ სოიერის კბილა ბიჭები. უფროსები სხვა რამითაც ერთობოდნენ, როცა პატარებს დაიფრენდნენ ფეხის დაბაკუნებით სამოქალაქო ნაგავსაყრელიდან. ჩაბანძებული ტექნიკა დავჭერით და წარმოგიდგენია, 20 ტონა ჯართი გამოვიდა. 3000 ლარი ამოვიღეთ იქიდან და ესეც ამ საქმეს მოვახმარეთ. კარგად დაიხსომეთ, სამიანი სამი ნულით. ბაბუაჩემის ნათლული ყოფილა ცომაია და ის უნდა დავნიშნო ახლა მე აქ ერთპიროვნულ უფროსად. სხვათა შორის ჯონი ფიფია ჩემი ქვიშილის, იგივე ქვისლის კარის მეზობლის ძუძუმტეა. 35 წელიწადია ფოთში ტრიალებს, ზუსტად იმდენი ხანი, რამდენსაც ხვალ-ზეგ მოვიყრი, ზოგიერთი რიჟა გაზეთის ყმუილს თუ გადავურჩი. მათი პერიოდიკა 60 ათასი ლარითაა დაფინანსებული, გური. ტენდერი გაიმართება ახლა სექტემბრის ბოლოს და ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს იქ, ძიკი კვარაცხელია თუ ჯარნაზ არქანია. აი, ყმუილი მერე ნახე.

შეხედე, რა მშვენიერი შენობაა. ჩვენი სასამართლოსია, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, ერთი წლის წინათ დაიწყო მისი მშენებლობა, მაგრამ როდესაც თავზე დაადგები, ესეც კაცობაა; თითქოს სხვისი დაწყებული სამქე შენ არ უნდა გეხებოდეს. არის ადამიანების კატეგორია, რომლებიც, „საძირკველი ჩემს დროს არ ჩაყრილა და თავი რატომ უნდა შევიწუხოო“, აცხადებენ ხმამაღლა, მაგრამ მე დავით ქანთარია ვარ და ჩემი, სხვისი ვინ გაყო? ფოთის განვითარების 20 წლიან პროგრამას ახლა ეჭრება ბალავარი. როცა იგი დასრულდება, მე შეიძლება ბაბუა ვიყო, მაგრამ ჩემმა შთამომავალმა ზურგი უნდა შეაქციოს მას, აქაოდა, სხვის მიერ არის წამოწყებულიო?

მარცხნივ, მარცხნივ გაიხედე, ექვსი თვის წინ აქ ტრიალი მინდორი იყო. ახლა, აგერ, ასფალტის ქარხანა შენდება, რომელიც დღეში 1000 ტონას გამოუშვებს. აქაურობა სულ ფეხით დამივლია. აქ ადრე რკინიგზა გადიოდა. იმათ შეისყიდეს ეს ტერიტორია. უკვე გერმანული დანადგარებია ჩამოტანილი. ახლა, აქეთაც შეავლე მზერა. ეს ადგილობრივი უსახელო ტბაა. ამაზე ნუკრი ტუღუშის სიტყვები მახსენდება, რომ საქართველოში ვერ იპოვით მეორე ქალაქს, რომელსაც ერთდროულად მდინარეც ესაზღვრებოდეს, ტბაც და ზღვაცო. ფოთს აქვს ასეთი გეოგრაფია. ფოთი ამავდროულად არის რთული განლაგების ქალაქი. მაგას ქანობი არ გააჩნია, ამიტომაც, როცა ხშირი წვიმებია, ქალაქი მთლიანად იტბორება. აქედან ჭკუის კოლოფებმა ტრანსფორმატორი მოხსნეს და სხვა ადგილას გადაიტანეს. ახლა 2500 ლარად მავთული შეგვიძენია, ოცდახუთი ორი ნოლით, მეგობრებო. გამოყვანილია ხაზი ერთი კილომეტრიდან, ახალი ტრანსფორმატორი დაიდგა და წყალსაქაჩიც ამუშავდა — სატუმბი სადგური.

ფოთი იტბორება, დავიღუპეთ, მოწვიმაო, ასავსავებს ხელებს მოსახლეობა, მაგრამ რა მექნა, წვიმას ტაშტს შევაშველებდი თუ „ლახანკას?“ სიტყვის გატეხვაზე ჩამომიგდეს ლაპარაკი. ჩემს კაცობაზე რომ გაბედავს ხმის ამოღებას ზოგ-ზოგი, ხომ უნდა დაუნგრიო ცხვირ-პირი?

აღრიალდა ქანთარიაო, ანჩხლობენ უწესო დიაცებივით. დავაღრიალებ მე მაგათ.წალენჯიხაში იცის ბევრმა, რომ ტყვიას ვუშვერდი მკერდს. იურისდიქცია აღსდგა იმ რაიონში. ზუგდიდიდან წალენჯიხამდე აღწევა დიდ გამბედაობას მოითხოვდა. წალენჯიხაში ერთი დღეც არ მიცხოვრია მე, მაგრამ, როცა დამავალეს და პრეზიდენტის აპარატიდან გამომიშვეს, უყოყმანოდ ვდურთე თავი გაგანია ორომტრიალში. ცხრა წელიწადი მართლაც ცხვირით ვხნავდი მიწას და ესენი ახლა რიონისპირა პარიზიდან გადამიკრავენ სიტყვას, პარენ დერევიანნიო. პროვოკაციაზე მოდიან, ზედვე მასკდებიან, ცალ-ცალკე თუ ერთად. ამ საარაკო ცოლ-ქმარმა მთელი ფოთის ხელისუფლება აბურთავა პირადი ცხოვრების მოწყობის მიზნით. აგერ, შენს უკან ზის მათი წარმომადგენელი. გადმოდიან გაუგონარ შეურაცხყოფაზე. დედას არ მაგინებენ, თორემ სხვას არაფერს მაკლებენ. ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ რამენაირად ხელი დამსტყუონ. ჩემი რა ბრალია, ძმაო, ქალაქში ავტორიტეტი თუ არა აქვთ, ხალხი ნდობას თუ არ გამოუცხადებთ? მეზობლები გამარჯობას არ ეუბნებიან. უბანში იკაიფა, ვენები 055-ზე გადაიდღლიზა.

ჟურნალისტის სამართლიან კრიტიკას მე უაღრეს პატივს ვცემ. პირში ძრახებას, ობიექტურ მხილებას რა სჯობია, თავში ჭკუა თუ გიჭყავის, მაგრამ პიროვნულ შეურაცხყოფას არავის შევარჩენ, გინდა ბაბუაჩემი წამოდგეს სამარიდან!

გაუთლელიაო, წერენ ჩემზე, პარენ დერევიანნიო, ხაი და ხუიო, ასარსალებენ ენას ჩემი ძალადოპონენტი თანამეცხედრენი.

აი, ქეთი, რომ წერს მთელი ლენინგრადის ქუჩა წყლით იფარებაო, ეს ობიექტური კრიტიკაა, საქმიანი, ჩინოვნიკს ადგილიდან დაგძრავს, გამოგასწორებინებს ნაკლს. ამ ქვიშის კარიერაზე რომ მიგანიშნებს, ამასაც საქმისადმი გულისტკივილი აღძრავს, მაგრამ დათო ქანთარია და უმოძრაობა?! დავით ქანთარია და გაუთლელობა?!

თვალსაწიერზე ექსკავატორები არხს ასუფთავებენ. არხი კაცის სიმაღლის ლერწმითაა დაფარული. ქვა-ღორღი იყრება ტალახიან თვითმცლელებზე და ასე მიიწევიან წინ უსახელო ტბის მიმართულებით.

სამეურნეო სამსახურის უფროსი ბადრი იოსავას ხალხი ჩართავს წყალსაქაჩს და სამი მილიდან ნაკადი დგაფუნით გადაეშვება მდინარე რიონში.

— ქუჩების გაკეთებას წყალსაწრეტების მოწესრიგება სჯობია, — მიხსნის ხმამაღლა ბადრი იოსავა. ასე თუ არ მოიქეცი, ქუჩებში წყალი დადგება და ხელისგულივით მოსწორებულიც რომ იყოს, წახდება, გაფუჭდება. არხი ოთხ წელიწადში ერთხელ აუცილებლად უნდა გაიწმინდოს. ხედავ რამხელაზე მოაქვს წყალი? ოთხი წყალსაქაჩიდან ამჟამად სამი გამართულია, გასაკეთებელი დარჩა შავი ზღვის ქუჩის ბოლოს. როგორც კი ყველა ამუშავდება, ჭაობად ქცეული ფოთი სულს მოითქვამს, თვალში გამოიხედავს, კოლოების წუილისგან დახშული ყურთასმენა დაყუჩდება. ასეთი თითო დანადგარი 25 ათასი დოლარი ღირს, — განმიმარტავს ბადრი იოსავა, მაგრამ იქვე ჩაერთვება ერთნაირად გალუმპული ქალაქის მერი:

— 25 სამი ნულით, ჩემო ჟურნალისტებო. დატბორვის პრობლემა ძალიან სერიოზულადაა ფოთში, გური. შტაბის უკან მუდმივად იტბორება. ეს არხი ოცი წელია არ გაწმენდილა. ქალაქის შემოვლისას ორჯერ მიხდება ტანსაცმლის გამოცვლა. გადაბმული წვიმების დროს აკაკის ქუჩაზე ერთი მეტრი წყალი დგება. ახლა ორი ძრავა გადამწვარია, მაგრამ მოვაგვარებთ იმასაც. აი, გავედით კონსტანტინე გამსახურდიაზე. პენტაგონი ნაკლებად დაინგრა 11 სექტემბერს, ვიდრე ეს ქუჩა თვეების წინათ. მანქანა რა მოსატანია, ფეხით ვერ დადიოდა მგზავრი, ძაღლი და ღორი არიდებდა თავს. მივაწექით და მეცხრე სკოლის ეზომდე შევიყვანეთ მოასფალტებული გზა. დღეს თუ ხვალ რკალზე მიმავალი ყველა გზა ხელისგულივით კრიალა გახდება. თავიდან ცელით ვამუშავებდი აქ ხალხს. ახლა ცოტა ქალაქის იერი მიიღო. წალენჯიხაში მე ტროტუარები ფილებით მოვფინე. ქუჩები ასფალტის საფარით შევმოსე. იქ გადავაშენე ეკალ-ბარდი და აქ გავაჭაჭანებ? ხოდა, მეძახიან სელსკი პარენს, ნოლ ნოლ ერთი თუ რომელია?! აქ მუშათა დასახლებაა. საწყალი მეთევზეები დაიჭერენ 2 კილოგრამ თევზს და საგადასახადო ბოჩოლას ფასს ახდევინებს. ეს კაპარჭინას ხიდია. ამისთანა წალენჯიხაში სამი ამიშენებია. ცოტას გავითლები და მეტს მოვაბამ თავს.ხომ გაგიგონია დიდ ხეს დიდი ნაფოტო ცვივაო?! ახლა ბავშვთა საავადმყოფოში შევიაროთ. იქ დირექტორი ნანი ქანთარიაა. კიდევ კარგი თადარიგი დროულად დავიჭირე და ხუთიოდე წლის წინათ დავანიშნინე მთავარ ექიმად ვერტიკალურ სამსახურებს თორემ თავს სულ გადამჭამდნენ. თადარიგს არაფერი სჯობია. წალენჯიხის პრაქტიკა გამომადგა. იქაურ საავადმყოფოს რომ ვაკოხტავებდით, ავეჯი თბილისში შევუკვეთეთ და აგერ, სამ ფერში გადაწყვეტილით გავაწყვეთ გაკრიალებულ შენობაში. ეს ბიჭუნა რა გვარისაა? — ეკითხება მედპერსონალს ქალაქის მერი.

— ალექსანდრე ოჩიგავაო — პასუხობენ ისინი. — ხილი უჭამია ბევრი და ალერგია დამართნია. წვეთოვანიც ამიტომ დაგვიყენებიაო — უხსნიან.

— ხო, ოჩოიგავა სიძის მხრიდან მენათესავება. აბა, ყველას როდი შემოესვლება აქ, ესეც ჩაწყობითაა. საავადმყოფოს რემონტი ჩემს ჩამოსვლამდე იყო დაწყებული, მაგრამ უსახსრობის გამო მინელდა სამუშაოები. ახლა ნათესავი რომ დავლანდე არენაზე, სხვა საავადმყოფოებს გავაკარებდი სახსრებს? ყველაფერი აქეთკენ გადმოვქაჩე და ილხინე გულო!

— წამობრძანდით, ტრამვატოლოგიური განყოფილება დავათვალიეროთ, — გვეპატიჟება მეორე სართულისკენ ქალბატონო ნანი ქანთარია.

— ჩვენ აქ ვიქნებით ბიძაშვილო, — შეეპასუხება ქალაქის მერი, —გურის აჩვენეთ, უხარია გურის ასეთები.

ცერზე დგას ყველა განყოფილება. იქით ინკუბატორიც ხქონიათ.

— პატარა რა გვარისაა, — ვეკითხები ოჯახის დიასახლისს.

— ალასანიაა, — მომიგებს ხელად. — ჩვენი ბავშვთა განყოფილებაა 4 პალატით. ავეჯის 22 კომპლექტია, — ფრინავს მთავარი ექიმი, — ეს რეანიმაციული განყოფილებაა. უიმე, დათო გვტოვებს, — ლამის შეიცხადებს ყირმიზი ქალბატონი და აჩქარებულად მიმიძღვის გასასვლელისკენ.

სადილად არავინ მოგვართმევს ,,ანკორში'' წალენჯიხურ ხოზო კვერებს, მაგრამ ზომიერად დანაყროვნების მერმე, ქალაქის მერის ოპონენტი პერიოდიკის მსტოვარ კორესპონდენტთან განმარტოებული, ვკითხავ მენტორულად კოლეგას:

— როგორი ამინდია დღეს?

— წვიმს საშინლად, — ამტვრევს ღია კარებს ყმაწვილქალი.

— მიხარია, რომ ამინდს ადეკვატურ სახელს უძებნი.

— რატომ, ბატონო, გური, წვიმა ხომ წვიმაა?

— იმისთვის ჯახაიხევ, ბებიაჩემის ფესვო, რომ თქვენი ნავსაყუდელი გაზეთიდან დავით ქანთარიას არამხუტული საქმეები ხეჩუას თუ მითაგვარიას ნაცოდვილარს უფრო ხგავს. ცაბაოთთან თავაწეულად თუ განგიზრახავს შესვლა, შვილო, მიეც კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმრთისა. სხვანაიარად იცოდე, სინათლისკენ მიმავალი გზა სამუდამოდ იხშება.

საქართველოს
გზა თავისუფლებისაკენ

მეგზური ენვერ გოგუაძე

— აქ გზაგასაყარია, ბატონო, ენვერ? — ვეკითხები მანქანის უკანა სალონში ჩემს გვერდით მოკალათებულ შეუდარებელ მეგზურს, ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს, ენვერ გოგუაძეს. მოცქნაფულია, ქოჩორშეთხელებული, რკინისფერი სახისა და უდაბნოსფერი თვალებით. საუბრისას მზერას გარიდებს, შორეთს მისჩერებია, თითქოს იქიდან ამოაქვს ის სანახები, როგორც სათლით ჭიდან წყალი.მძღოლი ამჯერადაც ვახტანგ მიშველიაა, თავისი ბეხრეკი ,,კადილაკით'' დამაქროლებს მამულის კიდით კიდემდე.

ჩემს გვერდით მთელი კვირის მანძილზე გულღია მასპინძელი გიზო მიქაძე მოკალათებულა. ტანბრგე და სიტყვაძვირი. მძლეოსანი კაცია ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მრავალჭიდში. ბიჭს სპორტს მაინც არ აკარებს, დედის გემოვნებით იზრდება მათი ქალ-ვაჟი, ცეკვავენ. ახლახან იტალიის ფესტივალიდან მედლებით მკერდდამშვენებულები ჩამოსულან.ჩემს მოპირდაპირე მხარეს სკამის საზურგეს მისვენებია თაგილონელი რამინ აბლოთია. დღენიადაგ დევნილობაშია ეს ოჯახდალოცვილი. ჯერ იყო და მისი წინაპრები აყრილან თერჯოლიდან, ზესტაფონიდან და გურიაში ჩამოფუძნებულან. აბულაძეები ნაღდი იმერლები რომ გახლავან, ამას წყალი არ გაუვა. თერჯოლაში ათასამდე სული მოსახლეობს, ზესტაფონში— შვიდასამდე, მაგრამ გამოყოფია ამ მრავალრიცხოვან თემს რამდენიმე თავაღერილი. დავიწყნიათ მეზობლის კრინით შემოძახებული:

გურიაში რა გინდოდა, თუ სიკვდილი არ გინდოდაო, და დამკვიდრებულან სადღაც ნასაკირალს მოშორებით, შუხუთში. თუმცა იქიდანაც მოუწევთ აბარგება. ბატონი შემოაკვდებათ გოროზ ძმებს და სამეგრელოს გავლით, ვიღაც ზონზროხა ებრაელი მებორნის დაზღვარაკების შემდეგ, აბლოთიების გვარით, ყოფილ წიფურიაში, დღევანდელ თაგილონში დამკვიდრებიან.გურიაში ჩემი მესამე ჩამომგზავრებაა.პირველად სტუდენტობის პერიოდში ვესტუმრები აქაურობას პროფესიული დახელოვნების კვალობაზე, საწარმოო პრაქტიკასაც რომ ეძახიან სამოცდაათიან წლებში.მეორედ — თვენახევრის წინ.ამჟამად კი ბატონი რამინის დაჟინებული თხოვნით გამოვშურებულვარ გურიაში.

აგორებულ ქვასავითაა ჩემი მსაჯული. მიატოვებს თავისი ხელით შეკოწიწებულ დიდი ილია ვეკუას სახელობის სოხუმის უნივერსიტეტს, ფილიალებს, იქაურ ლექცია-სემინარებსდა ძირისძირის ძიებაში დაინთქმება ცხოვრების კენწეროსაკენ დაძრული მეცნიერი.

— ხო, ძიმითიდან მიემართება გზა, ორ ტოტად იყოფა. ერთი შედის ძველ ისტორიულ, ძიმითის განაყოფ თემში, რომელსაც ადრე ერქვა შათირი. ეკლესიაა ამ ადგილებში, მეტად საინტერესო, წმინდა კვირიკეს სახელობისა. ისიც ძიმითის ეკლესიადაა მიჩნეული, მაგრამ ცხრაათასთხუთმეტში დაიწვა და გაოხრდა მერე და მერე.

— ეკლესიებს არც შემდგომ დადგომია კარგი დღე, — ვერევი საუბარში მე, — ცხრაასჩვიდმეტიდან მოყოლებული, გადაიბუგება და გავერანდება სრულიად გურიის საყდარ-მონასტრები.

მკვირცხლ მზერას მესვრის, მაგრამ არ არის ამ გამონაპერწკლებაში რისხვის ნატამალი. სიფხიზლეა მხოლოდ, ადამიანის სულს რომ აფხიანებს ათადან და ბაბადან.

— ხო, რა არ იყო. გახსოვს ლექსიდან, ალუდას ვაჟმა ზარი დათოფა.

— როგორ, არა. მირზასია. „აონ“. ერთი სტრიქონი ჩამრჩენია იქიდან მომეტებით: „და მზე კრუხივით ეშვება მთებში“.

— რევილუციის პერიოდში რომელიმე კუთხის მომეტებული დადანაშაულება ეკლესია-მონასტრების ხეროსტატისებურ შემუსვრის საქმეში. უსამართლო ცოდვა-ბრალიანობაა. ტაძრებს ხაზარებივით ანგრევდნენ ოციან წლებში ფშავ-ხევსურეთში, ქართლსა და კახეთში, იმერეთსა და სამეგრელოში; ბუნებრივია — გურიაშიც.

— სხვაგან რაღაც-რაღაცა მაინც შემოგვრჩენია, ენვერ. აი, გურიაში კი ყველაფერს ცოკოლამდე დავიყვანთ!

— კარგი, კარგი. მოვედით მაინც. ჩამობრძანდით, ცოტათი მხრებში გავიშალოთ.

თხილი ხეებივით ატყორცნილა ფერდობზე. გარეგნობით მურყანს წააგავს იგი, თხმელასავით გვიგვილებით ყვავილობს, ქათმის ბიბილოსავით ჩამოშვებული წყვილი ყვავილედით. ძირები გახმობია აქა-იქ, მაგრამ ახალი ამოუყრია ბოლქვის ფუტუროეთიდან.შინაური ფრინველების კრიახია: ქათმები, ინდაურები, თეთრი იხვები ბექობის კოჭებთან. გადაფერდილ ბოძებზე შესკუპებულ სკასაც მოხკრავს კაცი თვალს ეზოს სიღრმეში.

შევარდნაძეების მამული მომცრო ქედით შემოზღუდულა, და ბუნებრივია, ქარი ნაკლებად ერჩის ხეხილს. ამიტომაც შენარჩუნებულა ლიმონი, გრეიპფრუტი, მანდარინი. ტრიფოლიატა და დაფნა არხეინობენ, მხარში ნებიერად გაშლილან. იმათ ვეღარაფერს აკლებს დასავლური ყინვა.

აგერ, პატარა ჯორკო.აყვავებულა კოინდარი. იაია და ენძელა იჭვრიტებიან მუხლისქვემოთ ტალახიანი მესერის ზოლიდან.

იქით პირწავარდნილი ჯაგნარია და ბარდების ხლართი. ზემოთკენ ხეების სილუეტი ჩანს, სუროშემოვლებული და ძველი სავარცხელივით კბილებჩამსხვრეული.ხილნარში ნაკლებია ჯერჯერობით მდელო.

ოდა-სახლი მშვენიერია, ორსართულიანი, გალაქული ფიცრებით შემოჭედილი. უკანა კედლები შიფერით შემოურაგვავთ. ეტყობა, აქედან უფრო ეძალება გურიის მთებიდან დაძრული სუსხი და ბორიაყი.

ფილები... ფილები...

გვერდითა კოტეჯი თუნუქითაა გადახურული, მაგრამ გასრულება ვერ მოუსწრიათ.

— ნუგზარისაა, — განმარტავს ენვერ გოგუაძე, — უნდოდეს სამ კვირაში გააკრიალებდა, თუმცა სად სცალია სააქეთოდ?

ვხედავ კუნძზე დარჭობილ, სრიალტარიან რუსულ ნაჯახს.

შევავლებ თვალს და მყისვე რასკოლნიკოვი ამესვეტება თვალწინ.

ასე, ყოველი ნივთი რაღაცას ამოატივტივებს ჩემში, თუმცა ამაზე — ოდესმე, მეტი მოცალეობის ჟამს.

ახორხილია შეშა. ნაკუნძარები. იქით, ჩრდილოეთით, ხავსს მიძალებული სამი ალვის ხეა; კიბემიდგმული წყლის აუზთან — დაფნა და შქერი.

ვაშლის ტოტი ჩამომტვრეულა, მაგრამ მაინც აყვავებულა. აგერ, ლეღვი, გადაწვენილი, ქრისტეს სხეულივით გალეული და მძლეთამძლე.

ბომბორა ნაძვების ძირას პატარა სათავსია, ალბათ, სასიმინდე ან სხვა რამისთვის გათვალისწინებული. მის უკან კიდევ ნაადრევად აყვავებული მსხლის ხეა.

ისევ თხილნარი.

თხილი გურიაში გასაოცარი ტანახოვნობით გამოირჩევა.

ლერწმები ისარივით სწორია. ლარი ტოლს ვერ დაუდებს. ძირები მომპალა, მაგრამ ახალს ამოუფეთქავს.

იქით სუროს მოუშვია ბებერი ხეჭეჭური და ახლა ძირს გასრიალებულა ბიბლიურ არსებასავით.

გვიმრებსაც ვხედავ, ჩარუხებულს და კოტიტას.

ასაკოვნება ეტყობა შევარდნაძეების ეზოს, ხანსვიანობა და პრეისტორიულობა.

ფეიხოა შედარებით ახალი მოშენებული ჩანს. იქით კიდევ მეიერის ჯიშის ლიმონებია.შეუქუჩებიათ შემოდგომური ფოთლები და დაუწვავთ. მოწყენილან გიგანტი ხეები. მარჯვნივ, აი, ვაზი გადაწვენილა. როგორც მოგვიანებით შევიტყობთ — ჩხავერი და საოცრად დაგრეხილ პატარა ტყემალს შემოხვევია ლაოკოონის მახრჩობელასავით.

სახლ-მუზეუმის კიბეებზე მწვანე, დაფოთლილ ხალათში გამოწყობილი ქალბატონი შეგვიძღვება.

თვალშისაცემ ადგილასაა გამოფენილი პრეზიდენტის დედის ფოტო, გახუნებული, მაგრამ უტყუარი ნაცნობი ნაკვთებით.

— მეზობლები რა გვარისანი არიან? — ვეკითხები მუზეუმის დირექტორს თუ მომავლელს.

— პატეიშვილები...

— სულ რამდენი და-ძმანი, ქალბატონო?

— სამი ძმა და ერთიც — და.

— ქალბატონ ვენერას ვიცნობდი, ბუღალტრად მუშაობდა ჩვენთან.

— ხო, ცხონებული. ნათელში არის ახლა თავის უფროს ძმებთან ერთად.

კედელზე გადიდებული ფოტოებია გამოფენილი. ღიმილიანი პოზები ბეიკერთან, სულეიმან დემირელთან, ალიევთან და კუჩმასთან. აფხაზეთის ომის ამსახველი სურათები.

— ხელით გათლილია ეს ფიცრები? წაბლისაა, არა?!

— ვგონებ წაბლის. მეზობლებზე რომ მკითხეთ, მაჭარაშვილებია წინ, ედუარდის მამიდაშვილები. აქეთ — პატეიშვილებია.

— ის ნაგებობა რა დანიშნულებისაა? — არ ცხრება ჩემი ცნობისწადილი.

ფართე აივნიდან ვუმზერ ეზო-კარს.

— ბეღელია, სასიმინდე.

— თქვენ თავად ქალბატონო?

— მე მაია მქვია, ღლონტი.

— დაბლა რომ დედაბერია?

— ის ამ ოჯახშია რამდენი ხანია. აქ ცხოვრობდა წლების წინ ედუარდის ბიძა და მისი მოსამსახურე იყო. დარჩა მერე და ვუვლით საცოდავს.

— რამხელა მსხლებია? რა ჯიშისაა, ხეჭეჭურები?

— ხო, ხეჭაეჭურებია. გვიან შემოდგომით მწიფდება.

— კაკ ველიჩატ, გასპაჟა? — ვეკითხები დაბლა ჩასული ბებრუხანას.

ხმა აუთრთოლდება, თითქოს მახლობელი ბალალაიკას სიმებს შეეხნენ ან კარტოფილის სანთელივით გარანდული არყის ტყიდან ქალწულობის დროინდელმა სიომ დაქროლაო.

— რა მხრივ არის საინტერესო მამათი? — მივაჩერდები ცნობისმოყვარე მზერით ენვერ გოგუაძეს.

— რა მხრივ, ბატონო, ჩემო და აქ არის ნაპოვნი ნეოლითური ხანის სადგომები, 8-7 ათასი წლის წინანდელი. ახალი ქვის ხანის პერიოდია ჩვენებურად, — მიღეჭავს, — იქიდან ამოღებულია ქვის, კაჟის იარაღები, ობსიდინები, სახვრეტები. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ყველაფერი იმის მაუწყებელია, რომ აქაურობა ოდესღაც კულტურული ტომებით ყოფილა დასახლებული. ამის თქმას კი აღმოჩენილი იარაღების დახვეწილობა გვაბედვინებს. იშვიათია საქართველოში მხარე, სადაც ამ დონის ნივთიერი კულტურის ძეგლები მოიპოვებოდეს. აი, ყველაფერთან ერთად, მამათი საინტერესო რატომაცაა.

— ახლა საითკენ მივდივართ?

— აკეთში, ბატონო?

— აბულაძეები თუ არიან იქ? — გვერევა საუბარში რამინ აბლოთია.

— აბულაძეები შუხუთში გამიგონია. შეიძლება აკეთშიც იყვნენ, მამათშიც, იქაურ ხალხს უფრო ეცოდინება. კალანდაზე ვსაუბრობდით, მგონია?

— მგონია კი არა, ნამდვილად, — ვუდასტურებ მე.

— მოგეხსენებათ, კალანდა საერო დღესასწაული იყო. რასაც დაიბედებდა კაცი იმ დღეს, მთელი წლის განმავლობაში მეორე კალანდამდე გახყვებოდა. მაშინდელი გურიის მოსახლეობა 88 ათას სულს შეადგენდა, კომლად კი 8 ათასი კომლი იყო. კომლი, როგორც წესი, და როგორ აუცილებელი, გოგია უიშვილიც კი კლავდა ღორს, ე. ი. იმდროინდელ გურიაში 8000 სული ღორი მაინც იკვლებოდა. კომლში ყველაზე ნაკლები 7 სული უნდა ვიანგარიშოთ, ხოლო იმდროინდელი მონაცემებით თითოეულ სულზე 2 ქათამი იკვლებოდა, მინიმუმ 14 ქათამი მაინც. ახლა გადაამრავლე ეს ციფრი 88 ათასზე და მიხვდები, როგორი ღონიერი ყოფილა აქაური სოფელი.

მთელ წელიწადს მუშაობდნენ იმისათვის, რომ კალანდას ახალი ტანსაცმელი ხქონოდა ყველას. უნდა ხქონოდა თითოეულ ოჯახს თოფის წამალი, შელდუხს რომ ეძახიან. ისვრიან იმ დღეს და თუ არ ხქონდა, მისი უმთავრესი ზეიმი უფერულდებოდა.

შობის საღამოს, კალანდის მოსვლამდე ოჯახის უფროსი მიდის მარანში, დიდ საწნახელზე ცულის ყუას უკაკუნებს და იძახის: ა, აგუნა, აგუნა, ჩამოიარეო.

— ღვინის ღვთაება იყო, — აზუსტებს ვახტანგ მიშველია.

— ღვინის ღვთაება-დედაა. დანარჩენი ახყვებიან, ახლა, ო, აგუნაო, თან ოჯახის უფროსს ზურგზე მოსმული ხყავს ძალიან ბუთხუზა ბიჭი, რომელიც მერე ვენახზე ხელებით დაეკიდება. ესაა მოთხოვნის სიმბოლო. ამისთანა ბუთხუზი მტევანი უნდა მოისხას ვენახმა, აი, როგორც ეს ბიჭია, ხელმოკიდებული, ხარდანში და ამას ეს რომ იტყვის, მარტო ერთ ოჯახში კი არა, მთელს გურიაში იწყება ერთდროულად ეს აგუნა. ერთი მეზობელი რომ იტყოდა: ო, აგუნა, აგუნა ჩამოიარეო, აი, მერე მეორე აუბამდა მხარს, მესამე, მეოთხე და გადაივლიდა მთელს გურიას, მთელი გურია აგიზგიზდებოდა აგუნას სიმღერით.

— საოცარი რამ იქნებოდა, — აღტაცებას ვერ ვმალავ.

— ფარსაგი. სადაც უნდა ემღერათ ეს აგუნა, ყველგან ფიგურირებდა ორი სოფლის სახელი: აგუნა, აგუნა ჩამოიარე, ბახვს და ასკანას გამოიარეო. ჩვენს ეზოში ყურძენი, მტრის ეზოში ფურცელიო. ახლა საინტერესოა, რატომ ამბობდნენ ბახვს და ასკანას, რით იყვნენ გამორჩეული. იყო ერთი ამისთანა ცნობილი აგრონომი...

— ეს რა კოპწია ხიდი აუშენებიათ? — ვიტყვი მე გადასახვევთან.

— კოპწიაა, მაგრამ უკვე მერამდენე წელიწადია გიჟმაჟი სუფსა ვერაფერს აკლებს. ახლა ხომ ღელესავით მოჩხრიალებს?! გაწვიმდება მთაში და გადაირევა მაჭარივით. სუფსა გურიის დედა მდინარეა. იგი იხსენიება ანტიკურ წყაროებში.

— მაშინ როგორ იწოდებოდა? — ვაწყვეტინებ მოსხლეტილ საუბარს.

— მოგოროს, მოგოროს, გური, ძამა, — მეტყვის გაცისკროვნებული სახით, — მე ვეძახი სუფსას მოგოროსს. ეხ, ჩემო ძამა, როცა გურიის მთებში გაავდრდება, ეგ ჩვენი სუფსა მოგორავს კი არა მოაგორგოთებს ქვეყნიერებას. რამდენი ხიდი დაუნგრევია, დედაბუდიანად ჩაუქვესკნელებია ზღვაში, მაგრამ, აგერ, საბედნიეროდ მერამდენე წელიწადია ურყევ ბურჯებზე დგას და ამვლელ-ჩამვლელს კაკო ჩხაიძის თავს ალოცვინებს განურჩევლად.

— ინჟინერის გვარია? — ვეჭრები ისევ.

— ინჟინერიც ეგ არის, ძამა, დამფინანსებელიც და სულისჩამდგმელიც. რკინიგზის დეპარტამენტის უფროსზე მოგახსენებ, ბატონ აკაკი ჩხაიძეზე. მართალია, დრინის ხიდისგან განსხვავებით, თაღები არა აქვს ამას ქარის საშვიტინებელი და ჯინების დამმალავი, მაგრამ აღარც ჩვენი სუფსაა— დრინა და აქაური მაცხოვრებელიც— მუსულმანურ-ქრისტიანული რელიგიებით გათიშული. ერთ-ერთი უდიდესი ქველმოქმედებაა, თუკი გურიაში ოდესმე ვინმეს გაუკეთებია. გაპარტახდებოდა ხიდი სუფსაზე და ეს ორი სოფელი ხშირად თვეობით ვერ უკავშირდებოდა ერთმანეთს.

— აქ რომელი სოფელია ახლა? — ვეხმიანები იშვიათ მეგზურს.

— აქეთა მხარეს ნაგომარია, სუფსის მარცხენა სანაპირო ნაგომარელებისაა. მარჯვენა მხარეს არის აკეთი. აკეთი ისტორიული სოფელია, ბატონებო. აქ მკვიდრობდა გურიის თავადთაგან ერთ-ერთი გამორჩეული გვარი — თავდგირიძეები. ეგენი მესხეთიდან წამოვიდნენ, როცა სამცხე-ჯავახეთი თურქებმა დაიპყრეს. გურულები და მესხები ეთნიურად ერთი ხალხია. ჰოდა, ვინც მუსულმანობა აღიარა, დარჩა იქ, მესხეთში, ხოლო ვინც არა — წამოვიდა ქობულეთის მხარეში, და იქ დასახლდა. მაგრამ თათრებმა ქობულეთს რომ მოაწიეს, ვინც გათათრდა, ქობულეთში დარჩა, არადა, ამ აკეთში გადმოვიდა.

მამუკა თავდგირიძე იყო ამათი წინამძღოლი. მამუკა წამევიდა ოთხასი მხედრით და მერე გურიელმა ეს ადგილები უბოძა. საგვარეულო ეკლესია აქვთ. აკეთის ეკლესია ძალიან საინტერესოა. მაგათ XVI საუკუნეში განაახლეს აკეთის საყდარი, გადააკეთეს თავიდან. იმ აკეთის ეკლესიაში ესვენა თეთროსნის ხატი, რომელიც ადრე ღვთისმშობლის ეკლესიაში ინახებოდა, ქობულეთის რაიონის სოფელ გვარაში და ამათ წამოიღეს, როგორც საძვალეში, ძირითადი ხატი და წლის გარკვეულ დროს ყველა თავდგირიძე, მათ შორის მუსლიმანებიც ჩამოდიოდნენ აკეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში და ერთდროულად ზეიმობდნენ გვარის, თუ იმ თეთროსნის ხატის დღესასწაულს.

***

დიოსკურია... პალიასტომი...ატლანტიდა... განსხვავებული ხარისხის სამი საფლობია, სამი ჩასაქცევი.

პირველის თაობაზე გვითქვამს, წარმოგვიჩენია. აი, პალიასტომი კი სრულიად საქართველოს ცნობიერებაში შემოსულა, როგორც უძირო რამ სტიქია, ხადესის ტოლფასი განზომილება, მაგრამ ბოლომდე გაუცნობიერებელი.

გაივლის ხანი და გურიის ხვეულბილიკებზე ვახტანგ მიშველიას დანჭყრეული „გაზ-24“-ით ხეტიალისას ჩემი უმეტოქო მეგზური ენვერ გოგუაძე იშვიათი დამაჯერებლობით მეტყვის:

— ბერთის ოთხთავის მინაწერში მოხსენიებული დარჩია, — მიხსნის გზადაგზა უბადლო მესვეური, — იმთავითვე უნდა მივიჩნიოთ ჯუმათის მთავარანგელოზის მონასტერთან დაკავშირებულ პირად. ამ მონასტრის წინამძღვრად, თუ მნიშვნელოვან სასულიერო მოღვაწედ ან ერთ-ერთ, ჩვენთვის ჯერეთ უცნობ ჯუმათელად.

გვარ-სახელი დარჩია „ქრონოლოგიური თვალხედვით“, ისეთივე ძველია, როგორც თვით ჩვენთვის ჯერეთ უცნობი და იდუმალი ქალაქი პალიასტომის ლეგენდა. პროფესორი იოსებ მეგრელიძე გვაუწყებს, გური, ძამა,—მხოლობითში მომართვა ვახტანგსაც გულისხმობს, მაგრამ ის კოლეგაა და მენტორული ტონი ჩემვთან უფრო გასავლიანია,— რომ ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა „პალიასტომის ტბაში“ ასახულია შესანიშნავი თქმულება ამავე ტბის, ჯუმათის მონასტრისა და გვარ დარჩიას შესახებ, რასაც მწერალი ლეგენდას უწოდებს:

„ახლა, რომ ტბაა, იმ ადგილას უწინ თურმე ხმელეთი იყო; ზედ ხალხი იდგა და ამ ხალხს „პავლია ტომს“ ეძახდნენ. ერთ დღეს ხმელეთმა ძირს დაიწია, ერთ ადგილს მიწა დაირღვა, უცბად წყალი ამოვარდა დედამიწიდან და მთელი სოფელი დაფარა. აქაური ხალხი და ყოველივე სულდგმული დაირჩო. მხოლოდ ერთმა დიაკვანმა მოასწრო, გაიტაცა მთავარანგელოზის ხატი, აიტაცა ჯუმათის მთაზე, და იქ შემდეგ ამ ხატს ეკლესია აუშენა. დიაკონიც, გვარად დარჩია, დეკანოზად დააყენესო. ჯუმათის მთაზე ეკლესია □მონასტერი), დღესაც არსებობს. ხალხი გვარად დარჩია, დღესაც ცხოვრობს სოფელ ჯუმათში და ბევრი მათგანი სასულიერო წოდებისაა“.

გური, ძამა, გავიხსენოთ შუამდინარული წარღვნის მსოფლიო მითოსი, მითოსი ათარხასისისა. ათარხასისი — კაცი ქცეული ლეგენდად. ათარხასისი — კაცთა მოდგმისა და კულტურულ ფასეულობათა გადამრჩენელი, მოკვდავი ზიარებული უკვდავებასთან, ფართოდ განხმული სასმენელი კაცთა მოდგმისა. ათარხასისი — რომელსა ესმინა და ეუწყა ხმა ღვთისა.

— ესე იგი, დაახლოებით იგივე, რაც ნოეა ჩვენი ცივილიზაციისათვის.

— ხო, უეჭველი ნასესხობაა. გილგამეშიანის ეპოსი გვამცნობს, გური, ძამა, რომ სიბრძნის ღმერთის — ენის სასწაულმოქმედებით წარღვნას გადარჩენილი ათარხასისი ხომალდი ნიცირის მთასთან იქნა შეჩერებული, რომელ მთასაც ირანული ეპოსის ლელუელები ქანიფას უწოდებენ.

— მოიცა, რა ეშველებათ სომხებს და მათ არარატს — გამეღიმება უნებლიეთ — იოანის ვეშაპს, ან კიდევ გივი ალაზნისპირელს, რომელიც ნოეს კიდობანს სტაციონარულს უწოდებს და ბერთაკლდის ახლოს ნუნისთან განამწესებს?

— მადროვებ, ქრისტიანო? — ყველრებით სავსე თვალებით ამომხედავს ენვერ გოგუაძე, ჯერ მე, შემდეგ ვახტანგ მიშველიას, თითქოს ტაქტს იჭერსო, ხელს შემართავს დირიჟორის მსგავსად და გააგრძელებს,— ნიცირის მთა ამ შემთხვევაში მთაა ხსნისა და გადარჩენისა. ათარხასისის ის ხომალდ-კიდობანის სახელიც ნიცირია-ძირიდან, მზიდან: „ნაცარე ხსნა“ იღებს სათავეს, რაც აქადურ ენაზე ელიფე-ნიცირს — ხსნის ხომალდს შეესატყვისება.

შუამდინარული წარღვნის მითოსის გმირები გააუკვდავეს მესოპოტა- მიურმა ღმერთმა. მათ პიროვნებათა სახით გადარჩა კაცთა მოდგმა, გადარჩა ცივილიზაცია. ბერძენი ავტორის — პოლიპისტორის თხზულების ერთ საინტერესო მინიშნებაში „მომავლის გადარჩენის საიდუმლო“ ამგვარი რამაა მოთხრობილი: კრონოსი გამოეცხადა სიზმრად ღმერთების რჩეულ ქსისუთროსს და აუწყა, რომ დაისიოსი XV დღეს წარღვნით გაანადგურებდა კაცობრიობას, რის გამოც მან უბრძანა ქსისუთროსს ჩაეწერა უწინარესი, შუა და უკანასკნელი ამბები და სიპარაში— მზის ქალაქში ჩაემარხა. მერმე აეგო ხომალდი, აეყვანა მასზე თავისი მოდგმა და მოყვასნი, დაეტვირთნა ხომალდი საჭმელ-სასმელით, აეყვანათ ოთხფეხნი და ფრინველნი, და როცა ყველაფერი მზად იქნებოდა, გამგზავრებულიყო კითხულსს.

საით მიემგზავრებიო, რომ კითხავდნენ, უნდა ეპასუხა: ღმერთებთან მივდივარ, რათა სიკეთე გამოვითხოვო ხალხისათვისო.

ღმერთებთან მიმავალი, ხალხისათვის სიკეთის გამომთხოვი ქსისუთროსი ღმერთებისავე ნებით თავის მოდგმასთან ერთად გადაურჩა წარღვნას. გადარჩენილები მივიდნენ ქალაქ ბაბილონში. ამოთხარეს მზის ქალაქ სიპარაში დაფლული ჩანაწერები. ამ ჩანაწერების პოვნითა და მიგნებით გადარჩა კაცობრიობის კულტურული ფასეულობანი, გადარჩა თავად კაცობრიობა, ხელმეორედ დაირწა ცივილიზაციის აკვანი.

— დღევანდელი ბიბლია, კარგად დავიწყებული ძველია, ენვერ — ვაწყვეტინებ ჩემს უბადლო

მეგზურს.

— აბა, ცივილიზაციებს ვინ მიაშავა ახლის გამოგონების თავი, ძველის გადამღერებაა ყველა, ოღონდ საკითხავია, რომელია თავდაპირველი და უწინარესი?! მსგავსი მოტივია ასახული პალიასტომის ლეგენდათა ვარიანტებშიც. ერთი მათგანის მიხედვით „... ცოდვილის ქალაქის, პალიასტომის დაღუპვისას უნდა გადარჩენილიყო ანდრია პირველწოდებულის ხატი □აქ ისმის ექო იმ ტრადიციისა, რომლის მიხედვითაც კოლხეთში პირველად ანდრია მოციქულმა იქადაგა ქრისტიანული სარწმუნოება), სხვაგვარად რომ გამოვთქვათ, ამ ხატის სახით უნდა გადარჩენილიყო მასში განსახიერებული ქრისტიანული რელიგია, რომელიც ქალაქისა და ეკლესიის ფიზიკური განადგურების შემდეგ სხვა ადგილას უნდა დაწესებულიყო. აქაც ვხედავთ შუამდინარული ათარხასისის ორეულს, ვინმე კიკოს □თავად სახელი მოწმობს მის ერთადერთობას), რომელსაც სიზმარში ესმა გაფრთხილება, რომ ქალაქი დაიტბორებოდა; ისიც ესმა, რომ ხატი სხვაგან, სახელდობრ, შემოქმედში უნდა წაეღო თავად მას და იქ დაესვენებინა.

თქმულების სხვა ვარიანტის მიხედვით, პალიასტომში არსებული კულტი მის მსახურებთან ერთად ატანილ იქნა იმ არემარის უმაღლეს ადგილას, ჯუმათის მთაზე, სადაც დღესაც დგას მთავარანგელოზის საყდარი. ეს გორა შეიძლება მივიჩნიოთ შუამდინარული წარღვნის ნიცირად, გური ძამა, ანუ ხსნის მთად.

ჯუმათის მთა გურიის მხარის მითოსურ საკვირველებათა ნიცირია, გური. ჯუმათის მთავარანგელოზის საყდარი და მისივე მოსახელე ხატი გურიის მხარის კულტურულ ფასეულობათა გადარჩენის გამოვლინებაა, ხოლო პალიას ტომის მოდგმათა შორის უფლის ნებით გადარჩენილი დიაკონი დარჩია შუამდინარული ათარხასისისა და მზის ქალაქ სიპარაში დაფლულ საიდუმლო ჩანაწერთა ხელმეორედ აღმომჩენი კრონოსის რჩეულ ქსესუთროსის ანალოგია.

— იქნებ პალიას კი არა, ენვერ, არამედ — პოლიოსის, — ჩავეჩხირები კვლავინდებურად და დავიმსახურებ კიდეც წყრომიანი მზერის ნაპერწკლებს.

— პალიასტომის ტბის წარმოქმნისა და იქ ნაქალაქარის სახით არსებული ძველი ცივილიზაციის დაღუპვის შესახებ, აი, რას მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილი,

„კვალად ფოთის სამხრით, ზღვის კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა დიდი. ამ ტბიდან შესდის ზღვას მდინარე ამისივე. აქედან შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბასა შინა განსვენებისათვის. იპყრობნის თევზნი სხადასხვანი მას შინა ურიცხვნი. ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან“.

პალიასტომის ტბის მიდამოებში ნაქალაქარის არსებობა, მიუხედავად ამ საკითხის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულებისა, რეალურია და უეჭველი. არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ პალიასტომის ტბის ფსკერზე ზღვის შესართავთან, ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ეგრეთწოდებულ „ნატეხებთან“, „ახალ ბათუმის ხიდთან“, მდინარე ოხორინასა და მალთაყვის სრუტის შესართავში მრავლად დაადასტურა სიძველენი. ტბის სამხრეთ ნაწილში „ნაეკლესიართან“ თავი იჩინა III-VIII საუკუნეთა ნამოსახლარმა, დიდძალმა კერამიკამ, კრამიტისა და აგურის მასალამ, ამფორებმა, ქვევრების, ქოთნების, ჯამების, ლუთერდების წითელლაკიანი თეფშების ნატეხებმა. ტბის ფსკერზე ადგილობრივი წარმოების კერამიკასთან ერთად, გვხვდება უცხოური ნაწარმი, ძირითადად მცირეაზიური და ჩრდილო შავიზღვისპირეთისა, რაც აღნიშნულ რეგიონებთან სავაჭრო ურთიერთობების უტყუარი დადასტურებაა. ტბის ფსკერზე აღმოჩენილია სამარხი, ამფორა, ადამიანის ნეშტის ძვლებით, ბორინჯაოს სამი მშვილდსაკინძი, ერთი ქინძისთავი, მინის სასმისები... ფრინველ-ცხოველთა ძვლები, ბიზანტიური-ოცნუმიანი მონეტა, 565-578 წლებში მოღვაწე იუსტინე კეისარისა. ადრე ადგილ „ნაეკლესიართან“ მიგნებულია შუასაუკუნეების კედელი. „პალიასტომის“ ძველი ნამოსახლარის სახით. საქმე გვაქვს ბიზანტიური ხანის, პროკოპი კესარიელის და აგათია სქოლასტიკოსის თხზულებებში აღწერილი ფასიის ნაშთებთან. არ არის გამორიცხული, რომ პალიასტომის თიხ-ტორფოვან ქვედა ფენებში, რომლის ზემოდან ხსენებული სამოსახლო აღმოჩნდა, ძველ ფაზისსაც მივაკვლიოთ. აქ ძველი წელთაღრიცხვის IV-II საუკუნეებში არქეოლოგიური მასალა დადასტურდა, შავლაკიანი ანტიკური ჭურჭლის ნატეხი და როდოსული ამფორის ქუსლის სახით. მოგვეპოვება სხვა ცნობებიც.

— მაგალითად? — ჩავერთვები აზარტული საუბრით გაბრებული.

— საქართველო უძველესი ქვეყანა რომ არის, ამაზე არ დავობენ, გური, ძამა. ქრისტიანობას ჩვენს სამშობლოში პირველად ანდრია მოციქული იქადაგებს. მას თან ახლავს მოციქულები ათორმეტთაგან — სიმონ კანანელი და მატათა. მატათა, საეკლესიო-საისტორიო გადმოცემისა თუ პროფესორ თამაზ ბერიძის თანახმად გონიოშია დაკრძალული, ხოლო სიმონ კანანელი — ნიკოფსიაში, რომე-

ლიც ეგრისის □ლაზეთის) საზღვარზე მდებარეობდა. XIV-XV საუკუნეშებში სიმონ კანანელის წმინდა ნაწილებს ნიკოფსიიდან ანაკოფიაში □ახალი ათონი) გადმოასვენებენ.

I-III საუკუნეებში საქართველოში ქრისტიანობა ძალზე გაძლიერდება. არქეოლოგები, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში მრავალი ქრისტიანული თემის არსებობას დაადასტურებენ; ამიტომაც შემთხვევითი არ არის საქართველოს წარმომადგენელი ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე, ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრების მუშაობაში, რომ მონაწილეობს.

326 წელს, გური, ძამა, ქართლის სამეფოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდება. დაახლოებით იმავე დროს ქრისტიანობა სახელმწიფო სტატუსს დასავლეთ საქართველოში, ეგრისის □ლაზეთის) სამეფოში მიიღებს. სამწუხაროდ, საისტორიო წყაროები არანაირ ცნობებს გვაწვდიან ეგრისის სამეფოს საეკლესიო იერარქიაზე. ამგვარი ხასიათის ცნობები მხოლოდ VII საუკუნიდან ჩნდება. იქიდან მოყოლებული საქართველოს ქართული ეკლესია კონსტანტინოპოლის პატრიარქს ემორჩილება. VII საუკუნის კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ კათედრათა ნუსხაში მოხსენიებულია ,,ეპარქია ლაზიკისა''.ფასიდის სამიტროპოლიტოს ექვემდებარება ოთხი ქალაქი, ესე იგი ოთხი საეპისკოპოსო: როდოპოლისის, საისინის, პეტრას, ზიღანევის, აგრეთვე აბაზგიაში — სებასტოპოლის არქიეპისკოპოსი. სებასტოპოლის, ანუ დღევანდელი სოხუმის არქიეპისკოპოსი, საფიქრებელია, საკუთრივ აფხაზეთისა და აფშილეთის მწყემსმთავარი იყო. ფასიდი იგივე ფაზისია — დღევანდელი ფოთი, როდოპოლისი — ვარციხე, საისინი — ცაიში, პეტრა კი დღევანდელი ციხისძირი. ზიღანეოსი მოხსენიებულია ერთ თარგმნილ ხაგიოგრაფიულ ნაწარმოებში,რომელსაც ,,ორიენტოსისა და ძმათა მისთა მარტვილობა'' ეწოდება. მისი სინაქსარული რედაქცია ეკუთვნის გიორგი მთაწმინდელს. აქ ვკითხულობთ: ხოლო წმინდა კვირიკე მოვიდა საეგროისა ქვეყანასა, ადგილსა რომელს ეწოდების ზოღანეოს. ხელნაწერში ამ სტრიქონების გასწვრივ ველზე მიწერილია: გუდაფასა იტფის ზიღანეოსადო. ასე რომ, ბიზანტიური ზიღანეოსი ქართულ გუდაფას, დღევანდელ გუდავას შეესაბამება. აღსანიშნავია, ისიც, რომ ,,მემატიანე ქართლისას'' ცნობით, გუდაფიდან საეპისკოპოსო კათედრას სრულიად საქართველოს მეფის ბაგრატ III-ის ხანაში XI საუკუნის დასაწყისში, ამ მეფისავე აგებულ ბედიის ტაძარში გადაიტანენ.

ბერძენ-სპარსელთა ომის ისტორიის გადმოცემისას, როდესაც საბრძოლო მოქმედებები ფაზისის მახლობლად მიდიოდა, აგათია სქოლასქიკოსი ასახელებს, ქრისტიანელთა შორის ძალიან განთქმულ ტაძარს, რომელიც ქალაქს ბევრად არ იყო დაშორებულიო. ეჭვსგარეშეა, სწორედ ეს ტაძარი გახლავთ ლაზიკის სამიტროპოლიტო კათედრალი, რომელიც ფოთის მახლობლად, ალბათ, პალიასტომის ტბის პირას იდგა.

1650-1655 წლებში, გური, ძამა, იმერეთის სამეფოში ელჩობის დროს რუს დესპანებს — ნიკიფორე ტოლოჩანოვს და ალექსი იევლიევს ქუთაისის საკრებულო ტაძარში, რომელიც ქუთაისის მთავარეპისკოპოსის რეზიდენციას წარმოადგენს □დღეს ბაგრატის ტაძარი) აჩვენებენ ,,ადგილობრივი ქართული ღვთისმშობლის ხატს'', მდიდრულად შემკულს და მოუყვებიან ლეგენდას ამ ხატთან დაკავშირებით: წინათ ღვთისმშობლის ხატი ციხე-პალიასტომის საკრებულო ტაძარში იდგაო. საყდრის მთავარეპისკოპოსმა სილიბისტრომ ამ ხატის შთაგონებით ჩვენება იხილა. თითქოს სიზმარში მას ღვთისმშობელმა უთხრა საკრებულო ტაძარში შესულიყო, ყოვლადწმინდა ხატი აეღო და ციხე-ქალაქ პალიასტომიდან, რადგანაც ხსენებულ ციტადელს წყალში ჩაძირვა მოელისო. ამის შემდეგ ღვთისმშობელი მთავარეპისკოპოსს ორჯერ გამოეცხადება და იგივეს აუწყებს, მაგრამ არც ახლა დაიჯერებს... ღვთის ნება აღსრულდება ამ ციხე-ქალაქზე და იგი ხალხითურთ ჩაიძირება, ხოლო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი ღვთის ბრძანებით ამ წარღვნისაგან დაცული იქნება, თავისთავად, უხილავად, ღვთის განგებით; იგი ციხე-ქალაქიდან ხაერში მიცურავს. როცა მთავარეპისკოპოსმა ასეთ სასწაულს იხილავს, მიირბენს, დაეცემა სასწაულებრივი ხატის წინაშე, და რაჟამს შეეხება, ყოვლაწმინდის ხატი მის ხელებში მიესვენებს... კიდევ გამოეცხადება სიზმარში მთავარეპისკოპოსს ღვთისმშობელი და ამ უწმიდესი გამოსახულების ქუთაისის ციხე-ქალაქში გადასვენებას უბრძანებს. მთავარეპისკოპოსი იმ ხატს ქუთაისში მოასვენებს და საკრებულო ტაძარში მოათავსებს''.

პალიასტომის ტბის პირას მდგარი საკათედრო ტაძრით, გური, ძამა, ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე თედო ჟორდანიაც დაინტერესებულა; როგორც იონა მეუნარგიასადმი 1910 წლის 4 დეკემბრით დათარიღებულ წერილიდან ირკვევა, ამ საკითხზე ორი სტატია გამოუქვეყნებია გაზეთ ,,ზაკავკაზსკი რეჩ''-ში: ფოთის ზღვისაგან დაღუპვის ამბავი მითოლოგია როდია, არც პალიასტომის ღვთისმშობლის ხატის ამბავია ,,სიტყვის მასალად'' ხმარებული, რადგან უსაბუთოდ არას ვწერო.

ცხადია, ამ ლეგენდაში, გური, ძამა, ასახულია IX-X საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში მიმდინარე საეკლესიო რეფორმა, რომლის დროსაც დასავლეთ ქართული ეკლესია საბოლოოდ ჩამოშორებულა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და შეერთებია დედაქართულ ეკლესიას. უმთავრესი აქ ის გახლავთ, რომ ლაზიკის სამიტროპოლიტო კათედრალი ფოთიდან ქუთაისშია გადატანილი.

არქეოლოგები ძველი ციხე-გოჯის ტერიტორიაზე გამოავლენენ საქართველოში დღემდე შემორჩენილ ერთ-ერთ უძველეს ეკლესიას, რომელიც IV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. აქვე ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე V-VI საუკუნეების რამდენიმე ტაძარია აღმოჩენილი, ამიტომ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ IV-VI საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრი ეგრისის □ლაზეთის) სამეფოს დედაქალაქი ციხე-გოჯი, იგივე ბერძნული არქეოპოლისია.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს უძველესი საეკლესიო ცენტრი ბიჭვინთიდან, ციხე-გოჯში გადმოინაცვლებს. VIII საუკუნიდან დასავლეთ საქართველოს მწყემსმთავარს ფაზისის □ფოთის) მიტროპოლიტი წარმოადგენს. ხოლო სამიტროპოლიტო ეკლესია პალიასტომის ტბის პირას პალიასტომის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარია. ქუთაისის პალიასტომის ღვთისმშობლის ხატი გვიან, შუა საუკუნეებში ამ ხატის განახლებული პირია უცილობლად. საკუთრივ პირველი პალიასტომის ღვთისმშობლის ხატი XI საუკუნის დასაწყისში ფოთიდან ძველ ქუთაისში, ახლადაგებულ ეგრეთწოდებულ ბაგრატის ტაძარში გადმოიტანენ. ასე, რომ გური ძამა, ქუთაისის სამიტროპოლიტო კათედრა ფაზისის სამიტროპოლიტო კათედრის უშუალო გაგრძელებაა.

ქუთაისის სამთავარეპისკოპოსოს დაარსების შემდეგ მის მთავარეპისკოპოსს საქართველოს მეფის კურთხევის დროს ყველაზე საპატიო მისია — მეფისათვის გვირგვინის დადგმა დაეკისრება. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით ქუთათელი ერთიანი საქართველოს მეფის მაკურთხეველიცაა და მესაფლავეც. სწორედ მთავარეპისკოპოსი ანტონ ქუთათელი დაადგამს თავზე გვირგვინს ყველა ქართველისათვის სათაყვანებელ თამარ მეფეს. საფიქრებელია, რომ ამ საპატიო მოვალეობას ქუთათელი მთავარეპისკოპოსი მემკვიდრეობით ფაზისის მიტროპოლიტისაგან მიიღებს, რომელიც VII-VIII საუკუნეებში ამ ფუნქციას ასრულებს ეგრისის □ლაზეთის) მეფეთა-პატრიკიოსთა კურთხევის დროს.

— ვარაუდებს რა გამოლევს, — ჩავილაპარაკებ ნახევარხმაზე, მაგრამ მისი მახვილი სმენა მსწრაფლ დააფიქსირებს საორჭოფო განწყობილებას და ჩვეული სიფიცხით გააგრძელებს:

— საქართველოს კათაოლიკოსი 1149-1160 წლებში, გური ძამა, ნიკოლოზ I გულაბრისძე, გულისტკივილით წერდი: **„ბერძენთა შორის დღესაც იხილვების ესევითარი საქმე, რამეთუ რაიცა რაიმე უცხო და საკვირველი საქმე საცნაურ იქმნას, მყის ჟამსა შინა მეყვსეულად აღსწერენ, და ესრეთ სიმტკიცედ და სახსენებლად მრავალთა ნათესავთათვის ძეგლად წარუწყმენდლად დაუტეობენ. ხოლო უკეთუ საღმრთოითა მოქმედებითა, გინა თუ ხატთაგან იქმნეს რაი, ნუთუ ჯვარისა, ანუ თუ სხეულსავე შორის ოდენთაცა არა რაის დაუტოვებენ აღუწერებლად და არცა ვიდრემდე მისცემენ უფსკრულსა დავიწყებასა. ხოლო ვითარცა მრავალგზის ვთქუ, ესე ვითარისა არიან ნათესავნი ქართველთანიო“**.

ამ სენის გამოა, გური ძამა, იოლად რომ ვივიწყებთ წარსულს და არ ვიცით იმ საუნჯის ფასი, დღემდე რომ სასწაულებრივად შემოგვრჩენია.

მომრავლდება წერილები პალიასტომის იდუმალ ყისმათზე. აი, რა ვერსიას გვთავაზობს თეა პაიჭაძე გაზეთ „მრევლში“:

...ერთ-ერთი ასეთი საუნჯე პალიასტომის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატია. მისი სახელწოდების წარმოშობა დღეს სადაო გამხდარა: ზოგი მას მიაწერს გურიის ციხე-ქალაქს პალიასტომს, ზოგი კი თერჯოლის რაიონში არსებულ ქალაქ თუ სოფელ ბალიასტომს, მაგრამ ერთი რამ უდაოა — ამ ხატის ისტორია გვამცნობს, თუ როგორი სასჯელი აღესრულება მოუნანიებელი ურჯულო ცხოვრების შემთხვევაში და რაოდენ ყურადსაღებია ეკლესიის ხმა, წმინდა მამათა გაფრთხილება.

ჯერ კიდევ 1105 წელს რუის-ურბნისის კრების მონაწილე ქართველი მამები აფრთხილებდნენ თავიანთ ერს, რომ სოდომგომორულ უსჯულოებებს ბოლო თუ არ მოეღებოდა, კაცთათვის ღვთისაგან სამსახურებლად გაჩენილი ნივთები თავის ბუნების საწინააღმდეგოდ შეიცვლიან ბუნებრივ ძალას და უცხო ცოდვის აღსაგველად უცხო ქმედების უნარს შეიძენენ: ...მიწა მყარი, მტკიცე და მასზე დამყარებულ სხეულთა მტვირთველი ვეღარ იტვირთავს მათ საძაგელ სიბილწეს, პირველად შეძრავს საფუძველს... და მიწაში ჩააქცევს მათი მაღალი კოშკებისა და ტაძრების სიმაგრეს... წყალი... მათი ნეშტის აღსახოცავად მოედინება მათეული ქვეყნის მიწაზე, უფრო კი მათ საფლავად ქმნილ ჯოჯოხეთზე ისე შეცვლილი ბუნებით სხვა წყლებისაგან, როგორც ისინი აჭარბებენ სხვა

ადამიანებს წრეგადასული სიბილწითო.

სწორედ პალიასტომზე აღსრულდება ეს წინასწარმეტყველება თვალნათლივ. გადმოცემით პალიასტომის ტბის ადგილას წინათ მოსახლეობა ყოფილა, ხოლო ბატონიშვილი ვახუშტი პირდაპირ წერს: ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგანო.

1928 წელს, გიორგი, ძამა მეთევზე ხიონაკი ტბაში აღმოაჩენს გათლილ ქვებს ნახატებით. 1951 წელს მეთევზე პ. კვაჭაძე ტბის მალთაყვის ყურეში იმ ადგილას, რომელსაც ადგილობრივნი მცხოვრებნი ,,სათამაშოს'', ,,ნასაყდრალს'', ,,ნაქალაქარს'' უწოდებენ ფსკერზე შენიშნავს ნაგებობას და ფოთის მხარეთმცოდნეობქის მუზეუმს აცნობებს.მოეწყობა მყვინთავთა ექსპედიცია, მიაღწევენ დანიშნულ ადგილს და იპოვიან კიდეც ფსკერში ჩარჭობილ, ხის დიდი მორებით სალტეშემორტყმულ ნაგებობას. მთლიანად ძეგლი კონუსის ფორმისაა. მისი დიამეტრი ფსკერზე 40 მეტრია, როცა მყვინთავები ამ კონუსის თავზე ავლენ, წყალი წელამდე წვდებათ. ტბის მახლობლად ვ. გაგუა იპოვის აგრეთვე გათელილ, გაპრიალებულ ქვებს, წისქვილის ქვის ფრაგმენტს, მრავალნაირი მოხატულობის კერამიკული ჭურჭლის ნამტვრევებს, ადრეული ბრინჯაოს ხანის ნივთებს, უძველეს ფულს, მძივებს და ცხოველთა ძვლებს.

— გვიმსჯელია ამის თაობაზე,—ვახტანგ მიშველია ფიქრებში დანთქმუ ლივითაა, ყოველ შემთხვევისათვის ასე მოეჩვენება უცხო თვალს, მაგრამ ნაკვთების მოძრაობით ენვერ გოგუაძის სხარტი მეტყველების თანამონაწილეა, და ეს დუმილიც დანამდვილებით ვიცი, საუბრით ტკბობის ხიბლიდან იკვებება.

— გამეორება ცოდნის დედააო თქმულა, გური ძამა. ვაგრძელებ წერილის ციტირებას: სტრაბონი აღნიშნავს, რომ ფაზისზე მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხების ემპორიონი, რომელიც შემოფარგლულია მდინარით, ტბითა და ზღვითო. ეს აღწერილობა ზედმიწევნით შეესაბამება თანამედროვე ფოთის გარემოს. მაგრამ სტრაბონის ცნობით ქალაქი ფაზისი უშუალოდ ტბაზე არ გადის. ტბა მახლობლად მდებარეობს. ესე იგი უშუალოდ ქალაქს არ ეკვრის. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ფოთის მახლობლად პალიასტომის გარდა კიდევ ორი ტბა, შესაძლოა სტრაბონი სწორედ რომელიმე მათგანზე საუბრობს.

— გამოდის, რომ პალიასტომის ტბის წარმოშობის საეკლესიო გადმოცემა გურიაში მომხდარ ფაქტს აღწერს, — დავაკონკრეტებ.

— დიახაც ეგრეა, გური, ძამა. კორესპონდენტიც ამას გვიდასტურებს: მოსკოველი ელჩების ივლევისა და ტოლოჩანოვის აღწერილობანში ვკითხულობთ, რომ ამ ხატის შესახებ საკრებულოს საყდრის ხუცესი, მღვდელ-მონაზონი გაბრიელი და მისი შვილები, სეხნია და სიმონი გვიამბობენ:წინათ ღვთისმშობლის ეს ხატი გურიაში იმყოფებოდა და ციხე-ქალაქ პალიასტო მის საკრებულო ტაძარში ესვენაო. იმ საყდრის მთავარხუცესი სილიბისტრო ხატის შთაგონებით ჩვენებას იხილავს. სილიბისტრო თვით გაბრიელ ხუცეს-მონაზონის შორეული წინაპარი და ნათესავია. თითქოს, სიზმარში ვბრძანებ ყოვლადწმინდა ხატი აიღოს და პალიასტომის ციხე-ქალაქიდან გამოიტანოს, რადგან ციხე-ქალაქს წყალში ჩაძირვა მოელისო. მთავარხუცესი სიზმარს არ დაუჯერებს. ამის შემდეგ ღვთისმშობელი მთავარუხუცესს ორჯერ გამოეცხადება და იგივეს აუწყებს, რომ ციხე-ქალაქი ჩაიძირება, და ხატი გამოიტანეო. მთავარხუცეს არც ახლა დაიჯერებს, და არც სხვას გააგებინებს ამის შესახებ. ურწმუნო თომაა. თვით მთავარუხუცესი ციხე-ქალაქის გარეთ ცხოვრობს სხვა საყდრის მახლობლად. აღსრულდება ღვთის ნება ამ ციხე-ქალაქზე და ხალხითურთ ჩაიძირება იგი, ხოლო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი უფლის ბრძანებით იმ წარღვნისაგან მოიზღუდება, თავისთავად, უხილავად, ცაბაოთის განგებით ციხე-ქალაქიდან ხაერზე მიცურავს. როცა მათი ნათესავი მთავარუხუცესი ასეთ საოცარ და ენით გამოუთქმელ სასწაულს იხილავს, დაეცემა სასწაულებრივი ხატის წინაშე, ცრემლით იწყებს ვედრებას მოწყალების მისაღებად და ცოდვების მისატევებლად და როცა შეეხება მისი უწმინდესობის ხატს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი ხაერიდან დაიძრება და გრძნეულივით მიესვენება ხელებში ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

— მიკვირს, ერთი და იმავე ციტატის განსხვავებულად წარმოჩენას რანაირად ახერხებ? — ენავმწარობ გაფუჭებულ ფირფიტასავით დატრიალებული ამბით თავმობეზრებული.

— ნუ სცოდავ, ბალღო! — უკომპრომისოა ენვერ გოგუაძე, — სასწაულებრივად გადარჩენილი პალიასტომის ხატი გრძნეულია და ნუ განარისხებთ ზეციერს! —უკვე ორივეს თანაბრად მოგვმართავს ჩვენი მეგზური.

დღეს, როდესაც, გური, ძამა, მიწისძვრებით, მეწყერებითა და წყალდიდობებით უზენაესისაგან საქართველო არაერთხელაა გაფრთხილებული, განსაკუთრებით სწორედ პალიასტომის ღვთისმშობლის ხატის წინაშე ვედრება გვჭირია ყველას, რათა სულისა და სხეულის მომწყვლელ ცოდვა

აგვარიდოს და თუკი მაინცდამაინც სასჯელს ვერაფრით ავიცდენთ, იქნებ განსაცდელის ჟამს მაინც არ მოგვაკლოს შემწეობა და მფარველობა.

მივადგები ამ თავს და უნებურად ჩემი იშვიათი მეგზურის როდინდელი დაკვალიანება ამომიტივტივდება მეხსიერებიდან. ამიტომაც უკეთეს სათაურს ვერც შევურჩევ, ვინაიდან სადღეისოდ, დიახაც, პალიას ხალხი ვართ ჩვენ, წარღვნას გამოღწეული ხალხი, ცნობიერების ახალ ველობში დასახლებული და ჭაპანწყვეტით შებმული უთანასწორო ჭირ-ვარამს. დიახ, პალიასტომი კატასტროფას გადარჩენილი საზოგადოების იდენტური ცნებაა, რომელიც დიდის ვაებით იკიდებს ფესვს სიპ ქვაზე და ენითუთქმელი შეუპოვრობის წყალობით ახალ ნაფუძარში, ახალ ნერჩს იმკვიდრებს, ახალ კერიას აღანთებს და ახალ დედაბოძს შეუყენებს წუთისოფლის ტლანქზე უტლანქესს მხრებს.

15 სექტემბერია. ზურგს უკან გვრჩება ფოთის ნავსადგურის საზეიმო განწყობილებანი; გემების ბარიტონი, მოსწავლე ახალგაზრდობის თაიგულები, სახელდახელო კონცერტი, ტრანსპარანტები. საბორნე მოწყობილობიდან მიყოლებით გამოდიან „მერსედესები". ამნაირი კონსტრუქციის ტრაილერები ჩემს თვალებს ჯერეთ არ უხილავს. მანქანები ჩურჩხელასავით თვალისმომჭრელ ნიკელში ამოვლებულა. მე და ვახტანგ მიშველია დავემშვიდობებით ოფიციალური ზეიმის სულისჩამდგმელ ადამიანებს, ქალაქ ფოთის მერს, ბატონ დავით ქანთარიას, საქართველოს უბადლო ნავკოსალარს ბატონ ჯემალ ინაიშვილს; სტუმრებს თბილისიდან, მეზობელი რაიონებიდან. ფაზის-ქალაქს კოლონის დაძვრამდე დავტოვებთ.

ღონისძიების არსშიტრანსპორტის მინისტრის, ბატონ მერაბ ადეიშვილის ინფორმაციიდან გავრკვეულვარ მთავრობის სხდომაზე :

ეს ხუმანიტარული ტვირთი „დიდი აბრეშუმის გზაზე" პირველია. აქციის მთავარი მიზანი მრავალნაცადი დერეფნის საიმედობაში მსოფლიოს დარწმუნებაა; რომ მას ავღანეთის, ცენტრალური აზიის მიმართულებით ალტერნატივა არ გააჩნია. აქცია ხორციელდება ევროკომისიის დუილა დეფალასიოს ტრანსპორტის დარგის, ევროკავშირის ტრასეკას პროექტის ექსპერტთა ჯგუფის მხარდაჭერით. ბრიუსელში აღებული სტარტი გამოივლის ცენტრალური ევროპის მთელ რიგ ქალაქებს: შტუტგარტს, ვენას, ბუდაპეშტს, ბელგრადს, სოფიას; აგერ, ფოთში, ბორნის წიაღიდან ქარავნის გაჩენის სცენებს თავად შევსწრებივართ. ამას აქეთ კოლონა გადასერავს საქართველოს, ბაქოს, თურქმენბაშს, აშხაბადს, ტაშკენტს, ბუხარას, სამარყანდს, ტერგეზს და 30 სექტემბერს ქაბულში ჩააღწევს კიდეც.

აქციას ორმოცამდე ჟურნალისტი ასდევნებია. ისინი მსუბუქი ავტომანქანებით მოხყვებიან ავღანეთისთვის განკუთვნილი ხუმანიტარული ხორბლის კოლონას. ამ აქციით მსოფლიოს ერთხელაც დავანახვებთ დერეფნის სიცოცხლისუნარიანობას. ასე რომ, აქ ეკონომიკურ მნიშვნელობას ერთიორად აჭარებს პოლიტიკური შინაარსი. მოკლედ, თანამედროვე ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, აქცია სარეკლამო ხასიათისაა. ღონისძიება თავისი პატრონაჟის ქვეშ აუყვანია ქვეყნის პრეზიდენტს. ძალოვანი სტრუქტურები წელებზე ფეხს იდგამენ, რათა „აბრეშუმგზელებს" , სადაც უნდა მოუწიოთ გაჩერებამ, ფოთშია ეს, წყალტუბოში, ქუთაისში, მცხეთასა თუ თბილისში, ბუზიც ვერავინ აუფრინოს. მათი სიმყუდროვის დარღვევა ვერავინ გაბედოს ისტორიული ძეგლების დათვალიერებისას, თუ ჩვენეული სინამდვილის შესწავლის ხანმოკლე, მაგრამ წარუშლელ წუთებში.

რესპუბლიკის მოედანზე აქციის დამაგვირგვინებელი ფაზაა გათვალისწინებული. ყველა გზა რომისკენ მიდისო, იტყვიან და ღონისძიების მთავარი მასპინძელი მაინც ქრისტიანულ-დემოკ- რატიულ კავშირს და მის ლიდერს, ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძეს ეთქმით. მათი ცენტრალური ოფისი ხომ ცადაზიდულ თაღებში განთავსებულა რესპუბლიკის მოედანზე. მინისტრი აქციას ფიგურალურად პრეზიდენტის ათწლიანი პოლიტიკის ხორცშესხმის პირველ ყლორტებს უწოდებს. ცხადია, ევრაზიის დერეფანი მარტო მილსადენი არ არის, არც — რკინიგზა და ავტოტრანსპორტი; ის უწინარესად ინფრასტრუქტურაა, ინფორმაციის გაცვლა, რენტაბელური აღებმიცემობა, ტურიზმი... ავღანეთის ხუმანიტარულ ტვირთზე მუშაობა პრეზიდენტის დავალებით სულ რაღაც ერთი წლის წინათ დაწყებულა ტრანსპორტის სამინისტროში. ხოდა, შედეგად საქართველოს ისტორიაში პირველად 9 სექტემბერს საოკეანო-სანაოსნო კონტეინერი შემოვა ფოთის პორტში ამერიკის დროშით. იგი 300-მდე კონტეინერით ჩამოიტანს ხუმანიტარულ ტვირთს სამხრეთ კავკასიისათვის, ცენტრალური აზიისათვის და ავღანეთისათვის.

ბატონ ადეიშვილის სიტყვებით ეს აქცია, დიახაც, უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან ამერიკას გადაუსინჯავს ადრინდელი დისლოკაციის ადგილები. აქამდე ამისთანა გემები იზმირის პორტში შედიოდა თურქეთში, გერმანიის ბრემენხაუენის ნავსადგურში და რუსეთიდან ტაშკენტის გავლით ავღა-

ნეთში მიემართებოდა. ამიერიდან ფოთის პორტი ხდება უმსხვილესი გადამანაწილებელი დისტრიბუტორი პირდაპირი დანიშნულების ტვირთებისათვის. ყველაფერ ამას საფუძველს ისიც შეუმზადებს, რომ დღეს უკვე მოგვეპოვება საერთაშორისო კონვენციებთან სათანადოდ მორგებული კანონმდებლობა, რომელიც ადაპტირებულს ხდის ნებისმიერი გადამზიდის საქმიანობას საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან. გადამზიდავი კი გახლავთ უმსხვილესი ამერიკული ფირმა ,,პონტიუმ ბლონდი''. უკვე ფოთის პორტის პარამეტრები სრულფასოვნად პასუხობს ნებისმიერ თანამედროვე მოთხოვნებს. ადრე 35 ათასი ტონის წყალწყვის გემის შემოსვლა ნავსადგურში შეუძლებელი იყო, მაგრამ დღეს ყველა პრობლემა მოხსნილია. ეს ბარიერი შესაბამისი ტექნოლოგიური პროცესებით მოგვარებულა და ცხადია, კონტიენერიც წარმატებულად დაიცლება. მოკლედ, ფიგურალურად თუ ვიტყვით, ,,დიდი აბრეშუმის გზა'', ევრაზიის დერეფანი, ტრასეკა — მოსხლეტილად, მკვდარი წერტილიდან დაიძრება, ამოძრავდება დედამიწის უმთავრესი სახმელეთო არტერია, მასულდგმულებელი სიო დახბერავს დახშულ ფილტვებში დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და პირიქით, რადგანაც ეკონომიკური სუნთქვა — ინტეგრაცია — ევროპასაც სჭირდება, აზიასაც, აფრიკასაც და ამერიკასაც ავსტრალიის მხარდამხარ.

ბოლოს მინისტრი პათეტიკური აკორდით დაასრულებს საუბარს, რომ ტრასეკას პროგრამაში აქტიურად ჩართულა ოფიციალური პეკინი, რათა მსოფლიოს ტვირთები ჩინეთისკენ შებრუნდეს. აღინიშნება იმის შესახებაც, რომ ტრასეკას პროგრამას მაგნიტივით მიუზიდავს განსხვავებული ორიენტაციის ქვეყნები: ამ საქარავნო ბუმში მარტო ავღანეთის აყოლიება რად ღირს? არაფერს ვამბობთ ირანის დაინტერესების თაობაზე და გახტანგ მიშველია და მე არ დავუცდით ,,მერსედესის'' ფირმის კონტეინერების ქარავნის ადგილიდან დაძვრას.

რამდენიმე საათით ზუგდიდ-ქალაქში გავქროლდებით. თბილისისკენ უკანმობრუნებულები ,,ქარავნელებს'' ქუთაისთან წამოვეწევით. ღამეს რიკოთზე გავათენებთ კოცონთან, ბოშა ასულების ცეცხლოვანი გიტარების ჟღრიალში. ,,ტრასეკელების კორტეჟს'' მცხეთის მისადგომებთან ერთხელაც წამოვეწევით ,,გაზ-24-ის ხანდაზმულ ძაგძაგში. ეს არის და ეს, თუმცა ადრინდელი ურთიერთობისგან განსხვავებით ურთიერთობა სიტყვამწირი ჩამოგვიყალიბდება. ალბათ, ამოვწურთავთ ერთმანეთს გადაბმული სამკვრიანი მასლაათით და დადგება მრავლისმეტყველი სივრცის უჩუმარი განსჯის დრო-ჟამი.

თავში ფრაგმენტულად მიბრუალებს გზის ფილოსოფია. ,,სიტყვის კონის'' ჩინებული განმარტებით **„გზა არის ზომიერი კაცთა სავალი, ხოლო „შარა " ვრცელი, და ბილიკი — ვიწრო, ხოლო ქაშანი — შამბნართა ზედა გატკიცული სავალი და წავარნა — კლდეთა ზედა ვიწრო რაშე ნადირთა წარსავალი".** გზაკაული ზემო იმერულში დაკლაკნილი, მიხვეულმოხვე- ული თემშარაა, ზუსტად ისეთი, როგორიც ჩვენი ანოტაციის მაგივრად წარმოჩენილა პირველივე გვერდიდან იური შაქარიშვილის ფოტოხელოვნებით.

„გზაი მიმზერსო", იტყვიან გურულნი, „ გზა მიცქერის, გზის გავლა მელისო;"„განამზადეთ გზაი უფლისაიო", ბრძანებენ ოთხთავის შემოქმედნი: იოან, მათე, მარკოზ და ლუკა.მაგრამ გზა არ არის მხოლოდ მანძილი, მონაკვეთი ორ წერტილს შორის, არამედ იგი ხერხიცაა, ილეთიც, მიზნის მისაღწევად მომარჯვებული საშუალებაც, რომელიც ყოველთვის როდია სამართლიანი. **„გული მისცეს გულისათვის, სიყვარული — გზად და ხიდადო"**, განგვაწყობს საამწუთისოფლოდ სიტყვის მამფალი რუსთველი და აქ აკალთავებულია დაბრკოლების გადალახვის ყველა სახსარი, ღონე; რომ ფიზიკურ და სულიერ სიშორეებს, გნებავთ მიწიერ ურთიერთჰიდილს, ერთადერთი უზენაესი კაცთმოყვარეობა ანიჭებს სრულყოფილების უზადო ფორმას, თორემ სხვა მხრივ ადამიანიდან დაწყებული ქვეყნიერებით დასრულებული უამრავი ხრამი და უფსკრულია მართალი აზრის საზიანოდ.

აქ ისევ ამოტივტივდება შეუდარებელი ვაჟას ფრთიანი ფრაზა: სიტყვაი მაუდის გზიანიო, ანუ ჭეშმარიტების მაძიებლობა სათანადო მეთოდების იგნორირებით არარაობაა.

მზისქვეშეთში ძნელად იპოვით ცნებას, რომელიც გზის ფილოსოფიას გაქცეოდეს. უკიდეგანო შინაარსს იტევს ადამიანური გაგება ცაბაოთთან, როგორც მინიატურაში, ხატში მოქცეული უსასრულობა. ირმის ნახტომის ჩვენეულ თანავარსკვლავედსაც გააჩნია თავისი ტრაექტორია კოსმოსის ვრცეულობაში — ,,მალოჩნი პუტ'' და ისიც კანონზომიერ ბრუნვასთანაა წილნაყარი.

გზის აღნაგობას ემორჩილება სინათლის სწრაფვა 300 000 კილომეტრით წამში. გზის გაგებით დატვირთულა პლანეტა დედამიწის ტრიალი მზის თუ თავისი ღერძის გარშემო. გზასთანაა გადანასკვული უძრახველი სიცოცხლისა და სახელოვანი სიკვდილის ავანჩავანიც. მოკლედ, გზაც ერთგვარი კროსინგოვერია ადამიანის ფიქრისთვის, ცხოვრებისთვის, არსებობისთვის ბოლოს და ბოლოს; კიდევ

რამდენი გრანდიოზული და ლიფსიტა მოვლენა.

— წყნარ ნაწყარს დო შარა ნაშარსიავა, იტყვიან სამეგრელოში, ანუ წყალი ნაწყალევ ალაგას და გზა ნაგზაურ ადგილასო, ბრძანებს დაუნჯებული ხალხი და შორეული ჩინეთიდან ევროპის უკიდერესობამდე წამოკლაკნილ მიმართულებას გასაოცარი გამართლება ეძებნება ,,დიდი აბრეშუმის გზის'', იგივე ევრაზიის დერეფნის თუ უფრო კომპაქტურად — ტრასეკას— საუკუნის პროექტის სახით, ქვეყნის პრეზიდენტის ძალისხმევით ფენიქსივით ფერფლიდან აღდგენილს, თუმცა აბრეშუმის გზის ელესტიკურ სპირალხვეულს ჯერ კიდევ ჭაბუკობის წლებში ვეზიარები.

ბიშკულის რაიონში ვარ. პეტროპავლოვსკის მხარეში ერთ-ერთ აულში ეროვნული დღესასწაულზე მოვხვდები. იმათ წესად ხქონიათ სტუმრის ჯაგლაგ ცხენზე ამხედრება და ამგვარად გაჯიბრება დასანიშნ ასულებთან. გაქანებული მარულაა. მერანზე აფრენილი დალალწნული ქალიშვილი გამომენთება. ჯოხი მოუმარჯვებია საძგერებლად. დაგეწევა, გიბიძგებს ზურგში, ძირს ჩამოგაგდებს და დაგისაკუთრებს თავფეხიანად. უცებ არსად გაიქცე! ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტებს არ შეხყმუვლო! ხელად კობო აბეს ქვიშის ორმოში აღმოჩნდები. მოგეხსენებათ, როსინანტის პატრონი სიმწრის როგორ ოფლში ვცურავ. ხუთიოდე წუთში დამეწევა უდაბნოეთის დედოფალი და უნებლიე ზედსიძობის ხიფათს რომ გადავურჩე, მუცელქვეშ მოვექცევი ბეხრეკს. ვიწროთვალება მწყაზარმა რა იცის ჩემი წინაპრების ანიანგანის — ისინი გაწუილებულ ისარს სინიბით დაეწეოდნენ და ფრთას მოაძრობდნენ ხოლმე ახლის გასამართად; ან ჩიკაგოს როდეოს როგორ ახდიდნენ სახურავს მეცხრე ცაზე ასატაცებლად ემიგრანტი გოგოხიას მოთხრობილისამებრ. ჩანს, ცათამბჯენების პრაქტიკასაც იქიდან ეყრება საფუძველი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სამჯერ შეეცდება ასული ჯაგლაგიდან ჩემს ჩამოგდებას, მაგრამ სამივეჯერ საწადელი რომ გაუცუდდება, მხრებჩამოყრილი მიბრუნდება თავკაცებთან, წაერთმევა ყურმოჭრილი თანამე- ცხედრის შოვნის შანსი და მაშინ მიფეშქაშებენ კიდეც გაწბილებული ქალწულის ალისფერ ქურანას, ამნაირი სიტყვებით:

— რა გაეწყობა, ჩხაიდზის ჯილაგის ყოფილაო.

ვერაფერს მივხვდები. ან ტაიჭი რა ჭირად მენდომება შუააზიის ქვიშახვატს გამოკერებულს? იმასღა დავაკონკრეტებ, რომ ვინმე გურჯი აკაკი ჩხაიძე სარკინიგზო საქმეებს განაგებს აქეთკენ. ცხენების დიდი ტრფიალია. კი მოიახლოვებს ულაყისმაძებარი ქალიშვილის ჯოხიან ხელს, მაგრამ მერმე ფიცხლად გადაიტაცებს უნაგირიდან, თან ყაყაჩოების მოტაცებას იწყებს უბელო მერანზე ამხედრებული და სათავყრილობო ადგილას რომ მიუბრუნდებიან თაიგულს ერთიანად გაუბრუებია უდაბნოეთის დედოფალი. თუმცა საამისოდ ვის სცხელა კუმისს თუ ჩელიმის ოხშივარს მიძალებულს?!

ამასობაში ათწლეული შეტრიალდება ცის კაბადონზე და ახლა ტიუმენის ტყის მჭრელებთან ისევ ამოტივტივდება აკეთელი კაცის სახსენებელი:

— ჩხაიდზის ჯილაგის ყოფილაო, — იტყვიან, როცა ფიჭვებს მიყოლებით მივაწვენ ერთმანეთზე ელექტროხერხით.

სულ რაღაც სამიოდე წლის წინ კი ყველაფერი გაცისკროვნდება ჩემთვის. ჰოდა, არავის ეწყინება, მაინცდამაინც აკაკი ჩხაიძის სახელთან ვაიგივებდე ,,დიდი აბრეშუმის გზის'' შეუპოვრობას. ალბათ, ამისი წყალობაცაა, რომ აბრეშუმგზელი ვარ თავადაც. ამ მოძრაობის პრეზენტაციის დღეს ენგურსგაღმა საბერიოში ვიმყოფები, ენერგეტიკული პრობლემების შესასწავლად და იქიდან ვაფრენ დეპეშას მობილურით: თქვენს გვერდით მიგულვეთ-მეთქი, ჩემო აბრეშუმგზელებო!

ამდენი პოლიტიკური კაკოფონიის შემდეგ თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ არ არსებობს საქართველოში უფრო პატრიოტული თაოსნობა, ვინემ — დიდი აბრეშუმის გზის სემანტიკა. ყველაფერს რომ მოვეშვათ, ეს გზა თავად იესო ქრისტეს სულ ცოტა ორჯერ მაინც გადაუსერავს იქით-აქეთ; პირველად სრულიად ყრმას, ტიბეტელ მოგვებთან გასაწვრთნელად გამგზავრებულს, და მერე ზრდასრულს, უკანმობრუნებულს ორაგულის მსგავსად, როცა სიკვდილითა სიკვიდილის დასამარცხებლად მოეშურება მშობლიური ქანაანისკენ.

ასე რომ, ვინც კი ,,დიდი აბრეშუმის გზის'' გრძნეულებას მინდობილა, ბედის ნებიერია, გნებავთ ქვეყნის პრეზიდენტი იყოს იგი, რიკინიგზის დეპარტამენტის მესვეური, რიგითი მესიტყვე გური ოტობაია თუ სულაც ყვითელფორმიანი მეისრე. ხოლო ოდეს უფლისეულ თემშარაზე შეეცდები სასიცოცხლო ძალების ამოქმედ- ებას ხალხის საკეთილდღეოდ, დაცული ხარ ნებისმიერი ტოქსიკური ზეგავლენებისაგან, თუნდაც გოგიჩაიშვილის ,,60 წუთიდან'' მოწვეთავდეს ანჩარის ჟინიანობით. უდაბნოს ხვლიკის — ვარანის ჯიშისაა ამ გზაზე შემდგარი ნებისმიერი პიროვნება, რომელიც გიურზას 60 კბენას უძლებს წარბშეუხრელად და იქამდე ეტოქება მოწინააღმდეგის თავნებობას, ვინემ ხერხემალში არ გადაკვნეტს მამულისთვის შემართული.

დიახ, კლასიკური გაგებით ბიზნესი ნეიტრალურია. ფულს სამშობლოს საჭიროებანი ნაკლებად აინტერესებს, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, გარეგნულად, თორემ არიან ადამიანები, რომლებიც საეთერო აღებმიცემობაში სარჩულიანად როდი გაყიდულან; არც 10 ნეკერჩხლის ხის დეკორატორი ქერათმიანი ქალბატონივით კაპასობენ, რომელი ხეებიც სამოთხის ვაშლებს მოისხამენ მოგვიანებით და ცოტა ხანში თვით ნოეს საკიდობნე ურთხელზე ძვირადღირებული აღმოჩნდება რკინიგზის დეპარტამენტის უფროსისათვის, მაგრამ ვამბობდი და ვიმეორებ: 16 აგვისტოს ურეკში — ,,დიდი აბრეშუმის გზის'' კროსინ- გოვერი ,,იმედის ქალაქთან'' ყირამალა შეატრიალებს პრეზიდენტის ხატოვან გამოთქმას — სამეგრელო — საქართველოს ხერხემალი.

სამეგრელო ისტორიული სამართლიანობით საქართველოს საძირკველი უფროა, ამ სახელმწიფო მანქანის არქიტექტურული ანსამბლის ქვითკირი, ბალავარი. ხოლო სადღეისო ვითარებით ჩვენი ქვეყნის სხეულებრიობის ხერხემლის ფუნქციას ვერანაირი კუთხე დაიჩემებს, მით უფრო ჩიხში შესული სამეგრელო. ამ აღნაგობის დედაბოძად, იგივე ხერხემლად, ისევ და ისევ ,,აბრეშუმის გზის'' იდეის ,,იმედის ქალაქთან'' გადანასკვულობა თუ გამოდგება. ამიტომაც გამოვაცხადებ 76 დღით ადრე დამთავრებულად 2 ნოემბრის არჩევნებს საქმიანი ხალხისათვის.

ბრტყელ-ბრტყელი საუბრების დრო დასრულებულა. რუსთველი ჭიანჭველად წარმოსახავს თავის თავს, ჩვენი დემოკრატი დედოფლის რეიტინგი კი ძალზე მაღალია მისივე სიტყვებით. გვირგვინის მაძიებელი ესოდენ გაფხორვაში რომაა მთლად, დაგვირგვინებული რას იზამს. ან რა ვუყოთ ,,ახლების'' ერთადერთობას, პოლიტიკანობის თემშარაზე ხუნტრუცისას?! **მეღვინეობა დაივიწყეს ოჯახაშენებულებმაო,** იტყვის მოსწრებულად პრეზიდენტი, და გაქანებული სალოსი იქნები არ დაეთანხმო. ყველა ბლოკს და პარტიას საქართველოს ნათელი მომავლის ერთადერთ შემოქმედად დაუსახავს თავისი პერსონა. არადა, უკვე დავერიეთ ერთმანეთს ხელკეტებით ქვემო ქართლში, იმერეთში, სენაკში.

,,ნაციონალების'' რევანშიზმი შედეგს გამოიღებს. 380 უეროვნო პასპორტის კონტრაბანდა საარჩევნო ყუთებისკენ დროზე განბაჟდება ,,ხელისუფალთა'' მიერ და აქ მიხეილის მომხრეებს ხუთჯვრიანი დროშების მონიავება ვერაფრით მოხოცავს სიმწრის ოფლს. უკვე რეალობას ვერსად წაუხვალ, გნებავთ სახურავებზე გაგიყვანია ალქაჯების სრული ამალა ცოცხების უსასრულო რიგით. ამიერიდან საზოგადოების თვალში გაკოტრებული ხარ, პოლიტიკური ლეში, რომელიც ხელისუფლებაში მოსასვლელად უკადრებელს იკადრებ თურმე. საფლავებიდან წამოყრი წინაპართა ვალმოხდილ ჩონჩხებს დმანისელი ,,ხომო გეორგიკუსის'' მეთაურობით და საორნოემბრო არჩევნების პარმაღს მიაყენებ, ოღონდ სამეფო გვირგვინს დაეუფლო, საიმპერატორო ტახტსა და სკიპტრას. მაგრამ ხალხი ზურგს შეაქცევს გრანტების ქერის ორმოში გამოსუქებულ თორიას ვირთხებს, რადაგანაც საზოგადოებას თავის გადარჩენის უმთავრეს ნიშანსვეტად სიტყვის და საქმის ერთიანობა მიუჩნევია: მისანდობლად ის ძალა ეგულვის, ვინც ,,დიდი აბრეშუმის გზისა'' და ,,იმედის ქალაქის'' გენურ შეჭიდულობას მიყრდნობია; ამასთან მამულის სხეულს წვეთწვეთობით აცლის ტოქსიკურ ნესტრებს აულაგმავი ეთერეთიდან.

ჩვენს გაჭირვებულ ყოფას მიყურადებულს, აკირა კუროსავას ჩინებული კინოლენტი ,,დოდესკადენი'' მახსენდება. ჩვენს ეკრანზე განსხვავებული სათაურით გაბრწყინდება იგი — ,,პოდ სტუკ ტრამვაინიხ კოლიოს''. არის იქ ერთი შეურაცხადი პერსონაჟი, რკინიგზელის ყვითელ ტანსაცმელში გამოკრული, რომელიც გამუდმებით ერთი და იმავე მოძრაობით მიაქანებს უჩინარ შემადგენლობას. მემანქანეა თითქოს და ასე უთავბოლოდ დააქროლებს ხაეროვან ვაგონებს. მეტროპოლიტენის სადგურ ,,ახმეტელის თეატრით'' ვისაც ერთხელ მაინც უსარგებლია, უეჭველად შეამჩნევდა იმ იაპონური კინოსურათის გმირის ტყუპისცალ საქართველოს მოქალაქეს; კვახისხელა თავის ქალითა და შავტუ- ხა იერით გაგიჭირდება ამ იშვიათი ეგზემპლარის ეროვნულობის დადგენა. პასპორტით ხომ ისედაც გარანტირებული აქვს კოსმოპოლიტური ალიბი. ,,ჩანის'' გამოთქმა უჭირს, ლოგოპედიური შეფერხებების ნიმუშია. უფრო პანტომიმური მოძრაობები ემარჯვება.

— ამირან შალიკაშვილის აბიტურიენტად ივარგებს:

— ,,გოგიტაიშვილი, სამოცი წუთიო'', დაიღრიჯება და მიაკივლებს ორთქლმავალივით მგზავრებს ყურისძირას . აბსტრაქტული კინოკამერა შეუდგამს მხარზე, სადგურის ფოიეს კედლებს აწყდება. გადასაღები მოედნის სივრცეს იფართოებს ობიექტივისათვის. შორი ხედების დატყვევება სწადია. — ,,გოგიტაიშვილი, სამოცი წუთიო'' — დაიღრიჯება და ამნაირად ასურათხატებს ესკალატორებიდან ამომავალ თუ ჩამავალ მოქალაქეებს. ეტყობა ,,ნაციონალების'' ლაშქრიდანაა და სახურავებზე ბობღიალისას სადღაც ფეხი დასცდენია სოლოლაკის უბანში. უფალმა უწყის, მამაზეციერმა. უფრო მახვილგონივრული ,,ტრიბუნა'' საარჩევნო კომისიის სამი კანდიდატურის ფოტოს ბეჭდავს კაბადონზე და აქვე ამაზრზენი კალამბურით აბიაბრუებს ქვეყნის პირველ პირს: **პრეზიდენტმა საშში ერთი უნდა**

აირჩიოსო. დიახ, ამისთანა ვირეშმაკობებში უხდიან სოლიდურ გასამრჯელოს ჩვენს გამოსარეგვნებლად გადმოსროლილი ფულიდან. წარმოგიდგენიათ, 20 თეთრად ყიდის 50 თეთრის ღირებულების გაზეთს?! გვახსოვს, ალბათ, ფრაზა „სამში უპირატესის" თაობაზე, ხოდა, უკლებლივ მიიღებენ იმას ზოგზოგები მრავალნაცადი პრინციპით: კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმრთისა. დიახ, კლასიკური გაგებით ბიზნესს ნაციონალური ხასიათი არ გააჩნია. მაგრამ არიან პიროვნებანი, რომლებიც ამ სფეროს ეროვნული შინაარსით ტვირთავენ, თავიანთი ხალხის ქომაგად გვევლინებიან და დიდძალ კაპიტალს ქვეყნის სასიკეთოდ მიმართავენ ხოლმე.

— ტრასები საგრძნობლად გამოკეთდა,— იტყვის ვახტანგ მიშველია.

— აბა, 25 მილიონი აშშ დოლარის ქუვეითურ სესხს ეხუმრები-მეთქი, შევაშველებ.

— ბორია სალარიძის სამსახური მოწოდების სიმაღლეზე იყო ყოველთვის, — მომახლის უკმეხად.

— ახლა პარლამენტში მოდის მაჟორიტარად.

— მოდის და ძალიანაც კარგი.

— ერთი, ნათელაშვილს დაუგდე ყური? **„საქართველოს თავზე ჩამოწვა ახალი ღრუბელი. ეს გახლავთ შევარდნაძის მაჟორიტარ დეპუტატთა კორპუსი, რომელმაც ჩვენი ძარცვით დააგროვა დიდძალი ცოდვიანი ფული იმისთვის, რათა ადამიანებმა იყიდონ სადეპუტატო მანდატი და შევარდნაძიზმი მონარქულ სისტემად გადააქციონ".**

ახალი აზროვნების ეპოქა

10 წლით დაგვიანებული გამოხმაურებაბ-ნ ედუარდ შევარდნაძის ესეისტურ წიგნზე „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად“.უშეცრების კედელთა რღვევა საკაცობრიო ხიდის ბურჯებისათვის

განგება ასე ინებებს: მეორე ათასწლეულის მიწურულის უამრავ სამამულო სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენას უშუალოდ, პირდაპირ თუ ვერა, ირიბად მაინც შევეწიაღო.

ოთხმოცდათერთმეტის აგვისტოს დამდეგიდან მოსკოვში ვიმყოფები მეუღლესთან ერთად ცუგრუმელა მარიამითურთ.

სად არის რუსის ოდინდელი სულგრძელობა?ოხრავენ. თვალს გარიდებენ ურთიერთობისას რიგითი ადამიანები თუ ნომენკლატურის პირები.

პირველ ღამეს გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის მორიგე-ადმინისტრატორის ლოგინზე გავათენებთ სამეული.

თავად ბათუ დანიელიასგან გულღიად მონათლული მასპინძელი სკამებზე მოკალათდება ბუზღუნით.

გამქრალა ძველებური თავაზიანობა.

კითხვიანი მზერით მოგაჩერდებიან საყიდლების რიგში მოქალაქენი თუ დახლიდარნი: ნუთუ მართლაც ზურგი შეგიქცევიათ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობისათვისო.

და მეც გამზადებული პასუხი ხელთა მაქვს: რომან-ტრიადა „სიცოცხლემისჯილის“ □„Î áðè÷åí - í ûé æèòü“), პირველი წიგნის პწკარედული თარგმანის ერთი ეგზემპლიარი ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ თანამემამულე რედაქტორისათვის, ბატონ ალექსანდრე ებანოიძისათვის დამიტოვებია, მეორეს — იღლიაში ამოჩრილს დავატარებ ქუჩა-ქუჩა.

გამომცემლობა „მერანის“ რუსული თარგმანის განყოფილების გამგე, ქალბატონი მაია ბირიუკოვაც, იქ დამხვდება, მწერალთა კავშირში, პოვარსკაიას 52-ში, მაგრამ ქართული ბელეტრისტიკის საქმეს უკვე სომეხი კოლეგა განაგებს და მივლინების ფარატინა მოწმობა ძაღლუმადურად დადასტურდება დაწესებულების ბეჭდით.

კოლექტიურად ვეწვევით თანაოტობაიელი შონხეს, მამა ზოიას ტავერნას კომსომოლსკაიაზე.

გაიცვლება მისამართები, სურვილები და მიზნები.

აფეთქდება საბჭოური შამპანურები.

საოცარ ეფექტს მოახდენს იმერული საცივი და მეგრული ელარჯი.

კითხვების წყებას კი მაინც დასასრული არ უჩანს:

— საითკენ?

— ვისთან?

და ეჭვმიუტანელ პასუხად — სუფთად გადაბეჭდილი „Î áðå÷åí í ûå æèòü“.

ბეზუხოვის ქალაქში ქართველებს ჯერ საელჩო არ გაგვაჩნია. წარმომადგენლობას ვჯერდებით სტატერტსკაიაზე.

ჩვენც იქაურ სასტუმროში დავბინავდებით ომახიანი მივლინების ბარათისა და სენაკელი ადმინისტრატორის ბადრი ცომაიას წყალობით.

ნაცნობი სახეებია ფოიეში, კაფეში: ბუბა ხოტივარის და ნინელი, ჯემილა მესხია... თავისუფალი საქართველოს სუსტი სქესის დელეგაციას ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე მეთაურობს.

მოსკოვური კვირა უხვად შემოგვთავაზებს ქალაქის ღირსშესანიშნაობებს: პუშკინის გალერეა, ზოოპარკი, ოქროსგუმბათიანი ეკლესიები, თეატრები: ანანიაშვილი და სოტკილავა. ოსტანკინო. წიგნის მაღაზიებშიც შევეხეტებით აქა-იქ „ბუმ“-ის და „ცუმ“-ის კავკასიური ჯგლეთების მხარდამხარ.

სამადსამი წაგნი წამომყვება იქიდან მოსკოვური პუტჩის წინადღეს — „Ï î ýòèêà Àðèñòî òåëÿ“, ვ.ი. ზახაროვას რედაქციით, 1885 წელს მიხაილ ზემკევიჩის ტიპოგრაფიაში დასტამბული ვარშავას; არაბულიდან აკად. კრაჩკოვ- სკის გადმორუსულებული „Êî ðàí“ და ედუარდ შევარდნაძის „Ì î é âû áî ð“, დაცელოფანებული, უნაკერო გამოცემა. პირველ-ორს ბუკინისტურში შევიძენ თვითმფრინავის ბილეთის მეოთხედ ფასად, ხოლო მესამეს — ზედვე არბატზე, კვლავაც გამომცდელი და კითხვიანი მზერით.

ჩამოვბრუნდები უჩინარი ვეზუვისაგან აფორიაქებულ თბილისი-პომპეიში და მოვლენები კალეიდოსკოპიური სისწრაფით წაეწყობა ერთმანეთს.

მხოლოდ ახლა, ათი წლის მერმე ვირწმუნებ ხომეროსის გენიოსობას: ნებისმიერი ტროა მეათე წელიწადს ილეწება.ასე დაემართება გური ოტობაიას გულგრილ დამოკიდებულებასაც „ჩემი არჩევანის“ მიმართ.

„პოეტიკას“ სამგზის წავიკითხავ ამ ათი წლის მანძილზე; ერთხელ ძვირადღირებული რუსული ტექსტით და ორჯერ— სერგი დანელიას მიერ დედნიდან გადმოღებულით; „ყურანსაც“ მივადევნებ თვალს, განსაკუთრებით 1905 წელს გამოცემულ ტატიშვილისეულ თარგმანს, მაგრამ აი, „ჩემი არჩევანისკენ“ ნაბიჯს ვერაფრისდიდებით გადავდგამ.

ჩაჭვრიტინება, გადაკითხვანი, სათვალავში არ ჩაიგდება.

ჩემი ტენდენციური მცონარობისა არ იყოს, ქართული პოლიტიკური სიჭრელე, მისი უნიადაგო დაქსაქსულობა, ამ მართლაცდა ჩინებული წიგნისადმი ზერელე და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების უტყუარი შედეგი მგონია.

მე კიდევ არა მიშავს რა, თურმე ინტუიცია მფარველობს ოთხმოცდაათიანი წლების მოვლენათა შეფასებისას:

„არის გზა ბატონ ზვიადის მიერ არჩეული, — ვწერ 1992 წელს ესეისტურ მატიანე „სუფევი“-ს პირველ წიგნში „მეიროხანი“, **— რთული, ეკლიანი, უსისხლო, მაგრამ უთვალავი წინაღობის გადალახვის მერმინდელი — გზა ორმოცწლიანი ხეტიალი მოსესი უდაბნოსა შინა: წყურვილი და შიმშილი, ციურ მანანათა ეფემერული ცვენა, სამაგიეროდ საკუთარი მეობის, თვითმყოფადობის შემნახავი ულტრანაციონალური ბათოსი, კოსმოპოლიტური წარღვნის სანაცვლოდ.**

არის გზა შევარდნაძისეული, გზა მსოფლიო პროცესებთან გადაჯაჭვული, გზა მატერიალური კეთილდღეობის მოხვეჭისა უმცირესთათვის, ეროვნულის დაკნინების ხარჯზე.

თუკი დავუშვებთ, რომ ბატონი ედუარდი მხოლოდ თანამდებობისათვის ჩაბრძანდა მოსკოვს და მას არანაირი ქართული მისია უწიოკებდა სულს, ეს უწინარესად თავად საქართველოს ტრაგედიაა, მაგრამ მწერლური ალღო მალაბარაკებს: უთუოდ შევარდნაძის ძალისხმევის შედეგიცაა ევროპის ქვეყნებისაგან რუსული ბორკილების უმტკივნეულო შეხსნანი, რამაც თავისთავად ახლებური სტრუქტურები წარმოშვა შინ, საბჭოეთში — ამ კატასტროფულად დამშეული, კვადრატში ახარისხებული დრაკონის წიაღ.

ან ქართულ ეროვნულ მოძრაობას ესოდენ მშვიდობიანად, ესოდენ ტრიუმფალურად მოუხერხდებოდა კი სახელმწიფო მმართველობაში მოსვლა, რომ არა დამანგრეველი რეფორმატორული ღონისძიებანი უმაღლეს ეშელონებში?!

ეს ყოველივე ხგავდა ერთგვარ შურისძიებას ცენტრის მისამართით წლების მანძილზე დედა-საქართველოს მიზანმიმართული დაბეჩავების წილ, და თუ შევარდნაძის პიროვნება, როგორც ასეთი, სხვანაირ ახსნას ექვემდებარება, იგი ჩემთვის არარაობასთან წილნაყარი კარიერისტია; მაგრამ დარწმუნებული ვარ მის ფენომენზე მთელი წიგნი დაიწერება, რომელ უნართაგან ხომეროსის რჩეული გმირის, ოდისევსისა არ იყოს, უმთავრესი — ცბიერი გამჭრიახობაა“.

და ცოტა ქვემოთ:

„საქართველოს თავისუფლებისათვის ასპარეზი ვრცელია და არა მხოლოდ სადღეისო, მრავალი წანააღმდეგობისა და დაბრკოლების გადალახვის მერმინდელი, საერთო ძალისხმევის სფერო.

შევარდნაძისეული ახალი პოლიტიკური აზროვნების ანტურაჟს პლუს ზვიადისეული სანგვინიკური პარტოფილია — აი, ჩაწკვარამებული ჩვენი დღევანდელობის სწრაფი გაცისკროვნებისა და გაგეშებული უფსკრულიდან ერის ამოღწევის უებარი მალამო,

რომ არა პიროვნულში გადაზრდილი ბედი ქართლისა და კიდევ — მოურჩენელი ჭირი კაცობრიობისა: „აქა ვდგავარ და სხვანაირად არ ძალმიძს.“

ხო, მწერლურ გუმანს გავყავარ თურმე სცილას და ქარიბდას შორის, როცა 1998 წელს გამოქვეყნებულ რომან-ტრიადა ,,სიცოცხლემისჯილების'' მეორე წიგნში ,,როკი'' ვადასტურებ:

„იქიდან მოყოლებული საქართველოს დესპანმა კრემლში ვიშეგრადელი დიდი ვეზირის, სოკოლის, მსგავსად ხიდის აშენებას მიხყო ხელი უნდობლობით გათიშულ მსოფლიოში. ვინ იცის, რამდენგზის გადაუფრენია საშშობლოს მარადთოვლიანი მწვერვალებისათვის, მაგრამ ისე გაქაჩა საქმემ, ერთხელ ვერ მოიცალა მამულში ჩამოსასვლელად. ეს იყო ფარული ომი სცილასა და ქარიბდას შორის მოქცეული დობადონა-ხომალდის მშვიდობიანი ნავსაყუდელისათვის“. და იქვე, ათიოდე სტრიქონის მოშორებით: **„განგებამ ისე მოაწყო, რომ ქართველის აღმართული გალავანი** □კედლის გაგებით, გ.ო.) **, ქართველსავე უნდა დაელეწა“,** საკაცობრიო ხიდის ბურჯებისათვის- მეთქი, დავამატებდი ახლა.

ვიმეორებ, მწერლური შინაგანი კომპასი მიმიძღოდა წინ ახალი პოლიტიკური აზროვნების სიღრმეებში აბსოლუტურად ჩაუხედავს. ათი წელიწადი მოთმინებით მიცდიდა თურმე ,,ჩემი არჩევანი'' მიყრუებული თაროდან და თვინიერი ღიმილით უთვალთვალებდა ინტუიციაზე დამყარებული მწერლის ბელეტრისტულ ზიგზაგებს.

ახლა, ამ ათი წლის შემდეგ, ყოველი ქვეტექსტისა და ნიუანსის ჯეროვნად გათავისების მერმე, ლამის ვიხარხარო ჩემს უმწიფრულ, პიიტიკურ* ჩხირკედელაობაზე და არანაკლებ მეცინება ქართველ კრიტიკოსთა მერკანტილური ლიდერომანიის გამოც.

აბა, სხვანაირად როგორ აღვიქვათ ერთი ფორსმაჟორული ქართული სინამდვილე და ასერგასი პოლიტიკური პლატფორმა ,,ლებედ, შუკა ი რაკის'' ორიენტირით?

რამდენმა ვნებათაღელვა გადაგვივლის თავზე გრუხუნ- გრიალით და ამ ათი წლის მანძილზე ერთხელაც ვერ მოხერხდება არსებულ ძალთა პრაგმატული კოორდინაცია.

რანაირ დევიზს არ წამოვისვრით; რანაირ სულისკვეთებას არ წამოვწევთ სააშკარაოზე შეკავშირების მაგნიტ-დუღაბად, მაგრამ შედეგი მაინც ნულის ტოლია. გამსხვილდებოდნენ პარტიები ბლოკებად მოახლოებული არჩევნების დღეებში 7 პროცენტიანი ბარიერის გადასალახავად და საეგებიო შედეგის მიუხედავად, მყისვე დაიშლებოდნენ მარტივ მამრავლებად.

ახლაც, ამ ვანდალური აქტის შემდეგ, რომელიც თავისუფლების ინსტიტუტში დატრიალდება, დღისით, მზისით □ღია საზოგადოებათა და ორგანიზაციების საქმიანობაზე ქვემოთ უფრორე გამოწვლილვით ვისაუბრებთ), თითქოს ერთი სულისკვეთებით შეყრის პოლიტპარტიების მეტ წილს ეროვნულ-დემოკრატების სათავო ოფისში რუსთაველზე, თუმცა დარწმუნებული ვარ, გაივლის ცხელი აგვისტო და მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების სწორზე არავის ეხსომება რამიშვილის დაბუშტული თვალი, როგორც შარშანდელი თოვლივით მიივიწყებენ ,,რუსთავორელების'' პორტალთან გამართულ ბაკქანალიას, ვითომცდა სიტყვის თავისუფლების ხელყოფის საბაბით.

რისი მადასტურებელია ყოველივე ზემოთქმული?

უწინარესად იმისა, ბატონებო, რომ ჩვენი პარტიების უმეტესობას არ გააჩნია პოლიტიკური ნება ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის მამითადში თავის თავზე აიღოს ერთპიროვნული პასუხისმგებლობა.

დღეს საქართველოში ძნელად იპოვი პოლიტიკურ ძალას, რომელიც თამამად განაცხადებდა: ,,არის ასეთი პარტიაო''.

ეს ასერგასი პოლიტორგანიზაცია ფაქტობრივად სახელწოდებითღა განსხვავდება ერთმანეთისაგან, თორემ სინამდვილეში არსით, პროგრამებითა და წესდებებით გაჭრილი ვაშლივით ხგვანან ერთურთს.

მაგალითისათვის: ეროვნულ-დემოვრატებს, ტრადიციონალისტებს, სოციალისტებს თუ ლეიბორისტებს ერთი კალკირებული ხელწერა გააჩნიათ — ეროვნული თვითმყოფადობისათვის ზრუნვის პრიმატი, სოციალური გარანტების ფონზე. იგივე ითქმის ყველა დანარჩენ პოლიტგაერთიანებაზე პანტელეიმონ გიორგაძის ახალი კომპარტიელებით დაწყებული სააკაშვილ- ჟვანიას ნაციონალურ-დემოკრატიული მოძრაობით დამთავრებული.

მაშინ, სად არის წინააღმდეგობა? რატომ ვერ ახერხებენ შინაარსით მსგავსი პარტიები ესოდენ გარეგნული განსხვავებულობის დაძლევას, საერთო დედააზრის გარშემო დარაზმვას?

აქ საკითხი მარტივია და გამჭვირვალე. ყველა პარტია ძალას იკრებს და იმედოვნებს მოახლოებულ არჩევნებში დამოუკიდებლად გადალახოს 7- პროცენტიანი ბარიერი. ამ მომენტით ისინი

უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში 12 პიროვნების გაყვანს ახერხებენ, მაგრამ ოდეს რაღაც გამსხვილებულ კოალიციას წაებღაუჭებიან და ერთობლივი პლატფორმით წარსდგებიან ელექტორატის წინაშე, ახალი მოკავშირეობის პირობებში დაირღვევა პარტიის წევრთა თანამიმდევრობა, და რაც მთავარია, აქამდე ლიდერები რიგითებად მოგვევლინებიან. სიტყვაზე, 10 პოლიტპლატფორმის გაერთიანების შემთხვევაში პარტიული სიების პირველი ათეული ამ პოლიტორგანიზაციათა თავმჯდომარეებისაგან ჩამოყალიბდება. მეორე ათეული უკვე მოადგილეებს ჩამოამწკრივებს და ასე შემდეგ. ამისთანა არითმეტიკა კი ხელს არ აძლევს უწინარესად თავად პარტიათა ლიდერებს. ამ გზით ნაკლები შანსი გააჩნია არა თუ მეათე, თუნდაც მეხუთე კაცს სასურველ სივრცეში მოსახვედრად.

არის მეორე, არანაკლებ ანგარიშგასაწევი და უტყუარი რეალობა: ამისთანა გამსხვილების შემთხვევაში, ცხადია, პოლიტიკური პასუხისმგებლობის მუხტიც იზრდება ქვეყნის მერმისზე, რაც ფაქტობრივად ყულფში უნებლიეთ თავის გაყოფის ტოლფასია. მათთვის გაცილებით მომგებიანია ორღობედან უღავღავონ ავად თუ კარგად მოარულ სახელისუფლო პოლიტიკურ ქარავანს, ვინემ უშუალოდ შეეზიარონ ამ მსვლელობას საშვილიშვილო ტვირთის გადაადგილებაში და ამგვარად, ოპოზიციური დამოკიდებულებით, შედარებით იოლია მოსახლეობის თვალში თანაგრძნობის მოპოვება, ქვეყნისთვის გულდამწვარი ჭირისუფლის იმიჯით სუფევა, რაც სასურველი პრეტენდენტის ილუზიით მოსავს ამა თუ იმ წინამძღოლს.

არის მესამე და კიდევ უფრო ხელშესახები სიცხადე: ასერგას პოლიტპლატფორმად დაქსაქსულ ჩვენეულ სიჭრელეს არაფერში ეპიტნავება ერთ ძლიერ ბირთვად ჩამოყალიბება. ჯერ ერთი, მათ ხყავთ მოკრძალებული რაოდენობის ელექტორატი საარსებო სივრცედ. გააჩნიათ გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა, როგორც ადგილობრივი მეწარმეობიდან თუ აღებ-მიცე- მობიდან, ისე — უცხოეთის სხვადასხვა მიზანმიმართულების ოფისიდან. მოეპოვებათ პრივილეგირებული მდგომარეობა საზოგადოებაში; გააჩნიათ კეთილმოწყობილი კაბინეტები, მყარი სავარძლები, ტრიბუნა. სხვა რა ენდომება ქართველ პიიტიკოსს? იგი თავისი მსოფლმხედველობის რკალში პირველია, დაწინაურებული, პატარა მეფე, პატარა ხელისუფალი და ჯანდაბამდისაც გზა ხქონია საქართველოს მომავალს, დემოკრატიას და თავისუფლებას. მას მარადოპოზიციონრობა უჯობს. ასეთი მიდგომები უფრო გასავლიანია. თავი, დაე, სახელისუფლო პარტიამ იმტვრიოს. ამიტომაც მიმაჩნია ყველაზე პერსპექტიული ,,მოქალაქეების'' ამასწინანდელი რეანიმაციული ნაბიჯები. მართალია, ჯერჯერობით მათ **მკვდრებისაგან აღმართულ კედელს** უწოდებენ ფიგურალურად, მაგრამ გუშინ პანკისში 400 მაცხოვრებლის ამ პარტიაში გაწევრიანება და წესრიგის აღდგენისათვის გაკეთებული განცხადებები ჯვარცმული ხეობიდან, ბევრზე ბევრის მიმანიშნებელია.

ახალი პოლიტიკური აზროვნება ხომ კედლების რღვევით მოაბიჯებს საკაცობრიო ხიდის ბურჯებში ჩასაშენებლად და ამ ხიმინჯებში ლიბო-ბალავრად მკვდრებს ჩავატანთ თუ ცოცხლებს, ნაკლებ მნიშვნელოვანია. მთავარია მიმართულების დასახვა, რომელთაგან უმთავრესი სხვებისგანაც ბევრჯერ ამოქარქაშებული ეროვნული თანხმობაა, ოღონდ აქ უფრო დელიკატური მიდგომებია ტერმინის დაზუსტების თვალსაზრისით: თანამშრომლობა ძლიერი საქართველოსათვის.

განა იგივე ტენდენცია არ გაბატონებულა პარლამენტშიც?

აქაც გაძნელებულია უმრავლესობის დაჯგუფების პროცესი გარკვეული კონცეფციით.

თავის დროზე მე მაჟორიტარული საქართველოს პრიორიტეტს ვასახელებდი ქვეყნის გადარჩენის უტყუარ გარანტად, მაგრამ ჩვენში ყურისმგდებელი ვინ არის? თვით ,,ჩემი არჩევანის'' პოსტულატებია უგულებელყოფილი და გური ოტობაიას დილეტანტური გამოხდომები ვის ენდომება?!

ნაკლებად მოფიქრებია ვინმეს, მაინც რისთვისაა დანაწევრებული ჩვენი პარლამენტი ათკაციანი ფრაქციების ქოროდ?

ამ ერთუცნობიანი განტოლების ამოხსნა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს საღად მოაზროვნე ადამიანისათვის, ვინაიდან კვლავაც ვერსად გავექცევით მერკანტილურ მიდგომებს: მინისტრების, გავლენიან თანამდებობის პირთა დანიშნვები სტილია ჩვენი პიიტიკური ცხოვრებისა და აქ ფრაქციული აზროვნება, დიახაც, ზედმიწევნით შეესატყვისება ჩვენს მიწიერ მოთხოვნებს:

,,ბიძიკო, გინდა პორტფელი? ჩემგან ათი ხმა გარანტირებული გექნება, მაგრამ ხომ გაგიგონია, ხელი ხელს რომ ბანსო?'' და ამ საორღობო გარიგებებში უღვთოდ იწირება ფართომასშტაბიანი ეროვნული მიზანდასახულობები.აი, რატომ და რის გულისთვის მეღიმილებოდა დასახელებული ხალხის მარათონული მოღვაწეობაზე და ახლაც აი, რისთვის ვიცინი თავშეუკავებლად ,,ჩემი არჩევანის'' წაკითხვის შემდეგ მათ პიიტიკურ ვირეშმაკობებზე.

ისინი, ყველა თუ არა — უმეტესი, ყევრული წყევლის სუბიექტია ზედმიწევნით: ,,შენით არ

გაცოდინა და სხვისთვის არ დაგეჯერებინოსო".

როგორი საქმეა, უკვდავების წამალი ზედ ყურისძირას ხარობდეს და ხეპრული უსურვილობით თუ უცოდინრობით ვერ წყვეტდე?!

დიახ, ათი წელიწადია ქართულ პიიტიკურ აუდიტორიას „ჩემი არჩევანი" სტუმრებია თანამედროვე მსოფლიო პროცესების, ახალი პოლიტიკური აზროვნების გასაცნობიერებლად, მაგრამ სავალალოდ გამომცემლობა „მერანის" საფირმო მაღაზიაში უმაღლეს თაროზე განუთავსებია იგი დახლიდარს და ვეჭვობ, კიბის მოუშველიებლად მყიდველი რამენაირად შეწვდეს იმ ნიშნულს. აბა, სხვანაირად როგორ გავიგოთ, ამას წინათ დედა- ქალაქში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის ბილბორდი — „თბილისი შევარდნაძის გარეშე"!

პრეზიდენტის იმპიჩმენტის გამოცხადებით ხელისუფლებაში ფორსირებული მოსვლა ჩაფუშვიათ იმათ და გაღმაოკეანური საარჩევნო თანხების წუწურაქული მოხმარების გასანეიტრალებლად, ააგორებენ კიდეც ტრადიციული შემოდგომის ნაცვლად გაგანია ზაფხულში წიწილების დათვლის პრაქტიკას.

ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტებს ფართოდ ვუღებთ კარებს, ღმერთმა უწყის, ვის მიერ და რა მიზნით დაფინანსებულებს და ამ დროს ფეხით ვთელავთ ქვეყნის პრეზიდენტის არა თუ კონსტიტუციურ უფლებას იყოს სახელმწიფოს განსახიერება კანონით ბოძებულ ვადაში, არამედ თავდაჯერებულად ჩაუშესკუს ტრაგიკულ ფინალსაც აღვუთქვამთ წლის მიწურულს.

სანამ საქართველოს გადამწყვეტ ბრძოლას დააპირებდე, ბიძიკო, ჯერ შენი მასწავლებლის ახალი აზროვნების ავანჩავანში გაერკვიე, ჩაუღრმავდი ბაბუას ტოლა კაცის ერგასწლიან პოლიტიკურ გამოცდილებას, და კვირაში ცხრაჯერ არ გაგიხდებოდა საწანწალო ოკეანის თუ კავკასიონს გაღმა - გამოღმა სამოქმედო შპარგალკებისათვის. იქ ისე ხელშესახებად გამოკვეთილა მსოფლიოს ახალი წესრიგის ძირითადი მახასიათებლები, რომ უმეცრებით თვალდავსებულსაც გააგნებინებს გზას მაღალი პოლიტიკის ურთულეს ლაბირინთებში.

არაფერს ვამბობ ყვითელი მედიის აღვირახსნილ კამპანიაზე პრეზიდენტის დასამცრობად. პრეზიდენტის განქიქება თურმე მათი წარმატებული ბიზნესის სარფიანი წყარო ყოფილა. თუკი მაინცდამაინც წმინდა მოგებაზეა საუბარი, უკეთეს არეალს გასწავლით, ძვირფასებო: მიადექით გუთნებით მამა-პაპათა საძვალეებს, ამოკრიფეთ სამარხებიდან წინაპართა ჩონჩხები, გამოქლიბეთ მათგან კოჭები და უგორეთ ერთმანეთს ზვიოსთან ერთად „ალუჩა-თოხანის" ჟარგონული ფრაზეოლოგიით. (ამაზე მოგვიანებით ქვემორე).

— შევარდნაძემ დაღუპა ბიჭებიო,— მახსენდება ადგილობრივი არჩევნების დღეს №5 ოლქში, 89-ე სკოლის შესასვლელთან მოსმენილი დიალოგი ორ მხცოვანს შორის, — ხეზე ასვა „პადიომნი კრანით" ჟვანია-სააკაშვილი, ისე რომ ჩამოსვლა არ უსწავლებია და არიან ახლაც ზედ განგების ძალით შერჩენილები. ქაქანებენ, იჭინთებიან და კიდეც კარგად გვაქვს საქმეო.

ფენიქსივით ფერფლიდან აღმსდგარი „მოქალაქეების" ყრილობაზე მაჩუქებენ „ჩემს არჩევანს". დღემდე არსებული ასერგასი პოლიტპარტიიდან ყველაზე ოპტიმალურ პროგრამას, დიახაც, ის ფორუმი შესთავაზებს საქართველოს ელექტორატს — „თანამშრომლობა ძლიერი საქართველოსათვის". თანამშრომლობა აქ ეროვნულ თანხმობასთანაა გაიგივებული, რომელიც ჩვენი საზოგადოების უმთავრესი აქილევსის ქუსლია; თანამშრომლობა თუნდაც დაპირისპირებულ ძალებთან, ერის და ბერის სახელით; ერთი მიმართულებით მსვლელობა არსებული პოლიტიკური კონფრონტაციის პირობებში, შეუთავსებლის შეთავსება. ახალი აზროვნების მთელი საიდუმლოებაც ამ სულისკვეთებაში განფენილა. „მოქალაქეები" თავიანთ ენდშპილს პანკისის ხეობიდან დაიწყებენ, სადაც 400-ამდე ადამიანი ერთპიროვნულად გაწევრიანდება მათ პარტიაში და დარჩენილი ქვიშის ხალხური ფილოსოფიით აპირებს განახლებული პარტია სრულიად საქართველოს ჭირ-ვარამზე პასუხისმგებელი პოზიციის აშენებას.

თანაქმედება „ცივი ომისა" და „ცხელი მშვიდობის" გონგს შუა

მისახსოვრებენ წიგნს „მოქალაქეთა" ყრილობაზე და წაკითხვასაც არ გადავდებ. თაროდან მომზირალ რუსულ გამოცემასთან დაუტოლებლად ერთი ამოსუნთქვით ჩავამთავრებ ლამის 20 თაბახის მოცულობისას და რადგანაც შემდგომ სათანადო დროის პოვნა გაძნელდება, ბარემ აქვე გადავძახებ მისი გადმოქართულების მოთავეს:

შუკშინის მოთხრობებისადმი მიძღვნილი აღმაფრენის თარგი პროფესიონალიზმი რომ ჩაგექსო-

ვა, ძმობილო, ზოგი სტილისტური ცდომილება თავიდან აგვცილდებოდა - მეთქი — ერგასამდე ორმაგი უარყოფა და, რაც მთავარია, აღარ გვექნებოდა ,,გაისარჯა'' გაირჯას ნაცვლად; არც — ,,ლიდერად თვლიდნენ'' მართებული ,,ლიდერად მიიჩნევდნენ''-ის მაგივრად; დავუსხლტებოდით ,,ზოგადსაკაცობრიო... ადამიანურ ღირებულებებს'' ფასეულობების'' სასარგებლოდ; აგვშორდებოდა აჩემებული ,,თანმიმდევრულად'' ,,თანამიმდევრულის'' მოშველიებით; ,,წმინდა ძროხა'' საკრალური ენით ,,წმინდა ფურია''; ,,თვისობრივად'' — ,,თვისებრივი'' წიგნიერი პოზიციიდან, თუმცა უგუნურებაა, ავტორს ვუსაყვედუროთ მათ გამო. ეს ყველაფერი ხომ რუსული დედნიდან მისი გადმოქართულების პირველი მცდელობის ნაყოფია, რომელთა გასწორება, არ გაძნელდება, ალბათ, დროთა ვითარებაში.

ამასთან ერთად, შ.პ.ს. ,,საარის'' ნაჩუქარ სინიბსაც უნდა გავუსინჯო კბილი, ვინაიდან უნაკერო წიგნი, ,,ბეზშვეინნისაც'' რომ ეძახიან ძველი პოლიგრაფისტები, ვეღარაფრით ეთანაწყობა წებოს მომჭირნეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი მაგალითისამებრ, ფურცელ-ფურცელ დაიფანტება პირველი გადაშლისთანავე.

რაც შეეხება სხვა ატრიბუტებს, დათვური სამსახური მგონია ხელმწიფის ტოლი ავტორის თხზულების ურედაქტოროდ და უკორექტოროდ დასტამბვა, მით უფრო, როცა ორთოგრაფიული შეცდომების დივიზიონია ჩამომწკრივებული. თუმცა ყველაფერ ამას თავაწეული გადასწონის ,,ჩემი არჩევანის'' იშვიათი ბუნებრივი თხრობა, რომელიც ქმნის გასაოცარი დასწრების ეფექტს. მკითხველი მსწრაფლ ჩაქანდება მოქმედების შუაგულში და ისეთი ელვისებური სისწრაფით გაირბენს მთელს ასპარეზს, როგორი სულმოუთქმელობითაც დაწერილა.

ბევრი მსგავსი დანიშნულების ნაწარმოებისგან განსხვავებით ,,ჩემი არჩევანის'' უმთავრეს ღირსებად, პროფესიონალი მწერლისთვის შესაშური დროის, ადგილისა და მოქმედების ერთიანობა მიმაჩნია, რომელსაც გააჩნია მოქნილი ფარული ხერხემალი ,,ახალი პოლიტიკური აზროვნების'' კონცეფციის სახით.

ფილოსოფიური სიღრმეების თვალსაწიერით კი იგი გამართულია და შეჯერებული ცნობიერების გიგანტ მკვლევართა მონაპოვრებს, რაც მთლიანობაში ეპოქალურ ხასიათს ანიჭებს ,,ჩემი არჩევანის'' ათწლიან სუფევას და ზომიერად მოტოვებულ სათქმელით აისბერგის მსგავსად ინარჩუნებს ახალი სივრცის გამოჩენის ცხოველ მოლოდინს.

ავტორი გულღიად მიუთითებს წიგნზე მუშაობის პერიპეტიებს. მადლიერებით მოიხსენიებს ხელგამმართველ ხალხს ამ უშეღავათო არენაზე — თანაშემწეებს და თანამოაზრეებს — თეიმურაზ სტეპანოვს (მამალაძე) თუ სერგეი ტარასენკოს, მაგრამ ისინი რამდენადაც სავარაუდებელია, ლანდი მწერლის მოავალეობას უფრო ასრულებდნენ, რამეთუ მთავარი მოტორი თავად მთხრობელის მსოფლშეგრძნებაა, რომელიც ათწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა პატარა საქართველოდან ვრცელ პლანეტამდე და მოვლენათა ოპტიმალური გადაწყვეტის კარნახით მიიწალდავდა გზას ზოგადკაცობრიული ფასეულობებისაკენ.

მიმაჩნია, წიგნი შემთხვევით არ წარმოდგენილა 10 თავად, რადგანაც ზემოთაც მიხსენებია, დიახაც, ცხრა წელიწადის შემდეგ, მეათეს, ეცემა ტროა ხომეროსისებურად და იდეის კეთილ ზეგავლენად თუკი ვაღიარებთ მოშველიებულ ნუმეროლოგიას, აქაც ათ მონაკვეთში უნდა აღმოცენდეს ახალი მსოფლიოს არქიტექტურული ნაგებობა, რომელიც ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი ნაწილების ურთულესი სიმბიოზია.

ქართული გამოცემისთვის ავტორს მოუშველებია ,,ფიქრიანი პაუზები'' დიდი დიალოგების დროს, სადაც გათიშვების მიზეზად თვალმარგალიტი საქართველოა დასახელებული გიგანტური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების გვერდით და ის გარდუვალი ბედისწერა, რომელიც ,,ახალი აზროვნების'' საერთაშორისო განხორციელებას შეიძლება მოხყოლოდა მისი ქვეყნისათვის.

ამ პარამეტრებით თუკი მივუდგებით, საქართველო და მსოფლიო განხილულია, როგორც ცივილიზაციის შემადგენელი ორი პოსტულატი, ორი პოლუსი, ნაწილიდან მთელამდე, ცალკეულიდან კერძომდე და უფრო მეტიც, ღიად თუ არა, მინიშნებებით მაინც იხატება ამ გლობალურ პროცესში მცირე ერების შემდგომი ბედი: **ეს წიგნი კლიტის ჭუჭრუტანა როდია, რომ იქიდან ავტორის პირადი ცხოვრების წვრილმანები ათვალიერონ, არამედ იგი გასაღებია კარის გასახსნელად და უფრო ფართო ხასიათის მოვლენათა დასანახავად.**

თუკი ეს ყველაფერი სადაგად შეგვინიშნავს წიგნის რამდენიმე გზის წაკითხვის მერმე, ჩვენც მივყვეთ ,,არჩევანის'' პასაჟებს იმ შინაგანი გრადაციის, დინამიზმის მხარდამხარ, რომელიც მიზეზ-ში-შედეგობრივი მეთოდოლოგიით ლაგდება განსაზოგადოებლად შედარებით ფართო აუდიტორიისათვის, რამეთუ მსგავსი ხასიათის ნაწარმოები თითებზე ჩამოსათვლელი თუ შექმნილა წიგნიერ

მსოფლიოში;

სტალინის ცამეტივე ტომი წამიკითხავს, მაგრამ იგი მთელ თავის კონცეფციას ,,დიალექტიკურ მატერიალიზმში'' მოაქცევს და მაინც ვერ გაემიჯნება საკითხისადმი მეცნიერულ დამოკიდებულებას, თუმცა ცნობილია საქვეყნოდ აღიარებული მისი ლაკონური სტილი, თუნდაც ,,ყინული დაიძრა''-დან მოყოლებული.

ჩვენ გავცნობივართ მარკუს ავრელიუსის ,,ფიქრებს'', სადაც განჩარჩოებული მიმართებებია ადამიანისა და საზოგადოების უმთავრეს ფასეულობებზე;

გავცნობივართ ლაო ძის ,,დაო დე ძინს'';

ნიკოლო მაკიაველის ,,მთავარს'';

ჩაგვიხედია ჩერჩილის მემუარებში, მაგრამ ,,არჩევანი'' განსხვავებული მიზანდასახულობის თხზულებაა, სადაც პიროვნული ბიოგრაფია შესისხლხორცებია საყოველთაო ბედ-იღბალს და უპრეტენზიო თხრობის მეოხებით ჩვენს თვალწინ აისბერგულად იძერწება უფსკრულისაკენ დაქანებული კაცობრიობა, რომლის შეჩერება უკვე არანაირ ძალისხმევას ხელეწიფება, არც უპირატესობას ფლოტილიაში, სატანკო შენაერთებში, აღარც ატომბირთვულ მარაგში, ვინაიდან ყველა და ყველაფერი კარზე მომდგარი კატასტროფის ლუკმაა; და თუ გაცხადებულს პუნქტობრივად გავაანალიზებთ, აღმოვაჩენთ, რომ ავტორი თითქოსდა ფრიად პროზაულ თემას წარმატებულ მეგზურად გამოუძებნის ლოცმანს ჰამლეტის ყოფნა-არყოფნის დიაპაზონით, თუმცა ყველაფერზე რიგისობის მიხედვით.

„ჩანაფიქრის ახსნა“

ბატონი ედუარდი ,,არჩევნებზე'' მუშაობას 1990 წლიდან შედგომია იდეის სახით, როცა დასავლეთგერმანულ გამომცემლობა ,,როვოლტს'' ნებართვა უთხოვია საგარეო პოლიტიკის საკითხებზე კრებულის გამოცემის თვალსაწი- ერით.

,,**ნათქვამია, ადამიანმა სიცოცხლეში რამდენიმე საქმის მოგვარება უსათუოდ უნდა მოასწროსო: ხის დარგვა, სახლის აშენება, ბავშვის გაზრდა, წიგნის დაწერა**'' და პიროვნება, რომლის ცხოვრება სულაც არ ყოფილა მოვლენებით ღარიბი, შეიგრძნობს ხაზების უწყვეტობას და თავიდან გამოივლის ცხოვრების მთელ გზას.

ცხადია, პოლიტიკური ცხოვრება შვებულებაში არ გადის, ამიტომაც დღის წესრიგში დგება სამი გლობალური კითხვა:

,,პირველი: გვინდა თუ არა ჩვენი ქვეყანა იყოს ცივილიზებული სახელმწიფო, რომელიც თავისი მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფს ყოველმხრივ ღირსეულ არსებობას, უმაღლესი სტანდარტების შესატყვისად დაიცვას მათი მოქალაქეობრივი თუ ადამიანური უფლებები.

მეორე: გვინდა თუ არა თავი ვიხილოთ მოწინავე ქვეყნებს შორის, ვიყოთ მოწინავე ეროვნული სიმდიდრით, მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევებით, მოქალაქეთა და ხალხთა ღირსეული და სრულყოფილი დონით.

და მესამე: გვინდა თუ არა ვიცხოვროთ ისეთ ვითარებაში, როცა საქმით დარწმუნებული ვიქნებით, რომ შეგძლებთ ჩვენთვის მშვიდობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. დავძლევთ ყველა გასაჭირს, რომელიც ამჟამად არსებობს, ჩვენს წინაშე, ან მომავალში შეიძლება წარმოიქმნას''.

დასვამს, აი, ამ პოსტულატებს ,,არჩევანის'' ავტორი და თავიდან რამდენადმე აბსტრაქტული, გაცვეთილი მოგეჩვენება, რადგანაც ახალი პოლიტიკური აზროვნების მოდელი უფრო ხელშესახებ სიცხადეს მოითხოვს, ვიდერ ძველი ადამიანის ახლებური აზროვნების შესაძლებლობაა; მყისვე ამოტივტივდება სახელმწიფო მტრებისადმი ხელის შეწყობის პირდაპირი თუ ირიბი ბრალდებიანი; აგრეთვე რესპუბლიკათა სეპარატიზმი და ,,სანიტარული კორდონის'' ფუნქციის დაკარგვის რეალობა.

გაეცნობი აღნიშნულ დებულებას და მაშინვე გაცნობიერდება ადამიანის ზოგადკაცობრიული მონაპოვრის კლასიკური განმარტება: ,,**კულტურისა და პასუხისმგებლობის გარეშე თავისუფლება იქცევა ანარქიად, ანარქია კი გვემუქრება ქაოსით, რომლის მოთოკვაც ერთ მშვენიერ დღეს შეუძლებელი გახდება.**'' აქვე მოშველიებულია ვიქტორ ეროფეევის შესანიშნავი ნათქვამი; ,,**თავისუფლება ცივილიზებულ დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა არაფერია თუ არა მოწესრიგებული ნება.**“

თითქოს თანდათან ვუახლოვდებით თავისუფლების უფრო კონდიცი- რებულ განმარტებას, რომელიც ოცნებაა ელინისტური საბერძნეთისა თუ მსოფლიო წესრიგის ტონისმიმცემი რომისათვის:

თავისუფლება შეგნებული აუცილებლობაა. ეს იგივეა, რაც **„გქონდეს პირზე მოდებული ანკესი, რომლის მოშორებაც ჩვენს პირობებში სიკვდილს უდრის“**. ანუ არსებობს მარადიული ძაფი პასუხისმგებლობისა პიროვნების პოზიციიდან საზოგადოებისადმი, რომელიც უჩინარი კომპასივით ჩეროებში აქცევს მის ქმედებებს უმრავლესობის პოზიციიდან.

აქედან გამომდინარე, მე როგორც მოქალაქე, კრებითის შემადგენელი ნაწილი, გაოცებას ვერ ვმალავ ქვეყნის პრეზიდენტის მაზოხისტური მოთმინებით „ჩვენი ეზოდ“ ტრანსფორმირებული „დარდუბალას“ წამხედურობების გამო, რომლისთვის ერთგან უნიჭო უწოდებია ბატონ ედუარდს, მაგრამ ახლა მე მკითხეთ, მის მაყურებელს, მაძლევს კი ხელს ასეთი უნიათო პრეზიდენტის ყოლა ქვეყნის გამგებლად, რომელიც გაქანებული მექრთამეა, ცრუპენტელა, ათასი თოკიდან გამომძვრალი და კიდევ, ვინ მოსთვლის, ლამის გააპანღურონ ამ ეზოდან?!

კი, ბატონო, არსებობს სიტყვის უფლება შალვა რამიშვილის ხელშეუხებლობის მეხამრიდად; არსებობს უფლება პრეზიდენტისა — ტოლერანტობა, შემწყნარებლობა გამოუცხადოს მის წინააღმდეგ მიმართულ ნებისმიერ კრიტიკას, მაგრამ რა დააშავა ჩემი კატეგორიის ხალხმა, რომელსაც ასევე უფლება გააჩნია ხყავდეს ქვეყნის იდეალებთან გაიგივებული პრეზიდენტი, როგორც სამართლიანობის და ადამიანურობის ეტალონი?! ჩვენს შემთხვევაში, ხომ მიწასთან გასწორებული აღმოჩნდება სულ ცოტა 50 პლუს 1 პროცენტი ელექტორატის კონსტიტუციური უფლებები შინაური თუ საერთაშორისო მასშტაბის დამნაშავე პრეზიდენტს კიდევ ორ წელიწადს ატანით.

ლეონიდ ვოლინსკის მიდგომები არქიტექტურული პრობლემებისადმი, თითქოსდა ერთგვარი ნუგეშია პოზიციის თვალსაზრისით ფუტურუმ დროის უპირატესობით პრეზენსთან, ანუ უფრო ხელშესახებად თუ ვიტყვით: **უფლება არა გვაქვს ანგარიში არ გავუწოთ ადამიანს; ის თუ ანათებს ხელს ნუ შევუშლით, ვისარგებლოთ მისი სინათლით, მაგრამ წყვდიადის დამამკვიდრებელი თუა, შევძლოთ ამაში ირგლივ მყოფთა დარწმუნება და საკუთარი სურვილით მის გამოთიშვას ყოველნაირად მოვერიდოთ.** თუმცა რა ქნას მორიელმა, რომელიც კუს ბაკანზე შესკუპებულა და ამავდროულად ტოქსიკური ნესტარით გვჭყიპავს? არ ჩაყურყუმელავდეს ჩქერალში განსაბანად? არ მისცეს თავნება მდინარის დინებას უმადური მგზავრი ესე და აქ უნებურად აღმოცენდება ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის ურთულესი დისხარმონია. თუმცა ჯერ თავად სახელმწიფოებს შორის დამოკიდებულებებია გასარკვევი, რათა აშენდეს უსაფრთხო, თანასწორუფლებიან კონგლომერატთა კოალიცია.

„სახლი და სამყარო“

მქონია ბედნიერება გურიის ცოცხალი მემატიანის, ბატონ ენვერ გოგუაძის თანხლებით, პრეზიდენტის სიყმაწვილის ადგილებში ვყოფილიყავ და მოუჭიმავად გავსაუბრებოდი იქაურ მაცხოვრებლებს, ამ კარდინალურად განსხვავებულად შეფასებულ პიროვნებაზე: უცხოეთში ლამის გენიოსად შერაცხულსა და შინ, საქართველოში, ქვეყნის მაოხრებელთან გაიგივებულზე; პიროვნებაზე, რომლის ოცდაათწლიანი მოღვაწეობის პრაქტიკას, 2002 წლის 29 სექტემბერს ეროვნული უბედურების დღედ გამოცხადებას უქადიან. შესაძლებელია კი ასეთი კარდინალური შედეგები მოგვცეს ახალი აზროვნების იდეების ერთგულმა ჯარისკაცმა პატროფილიის სიძულვილის ასპექტით?

მისაუბრია პატეიშვილებთან, მაჭარაშვილებთან, ღლონტებთან. მათი გაუბედავი ორაზროვნებით მოვმსპარვარ და საკაცობრიო იდეალების პოზიციიდან როცა შემიფასებია პრეზიდენტის მოღვაწეობა, თვალები იმედიანი მზის სხივით ავსებიათ.

გვისაუბრია ცინცხალი მაგალითებით ნაწილისა და მთელის ურთიერთთანაფარდობაზე; უამრავი თვალსაჩინოება მომიშველებია კლასიკური სინამდვილიდან, ვთქვათ, ფაუსტური პრობლემა რომ გახლავთ — საზოგადოების გადასარჩენად არხია გასათხრელი, მაგრამ ცოლ-ქმარის ბაღში გაუვლელად შეუძლებელია მისი გალარვა; ანუ მარტივად რომ განვაცხადოთ, ათასების ხსნა გამორიცხულია მშვენიერი წალკოტის გაუჩანაგებლად და რომელ პოზიციაზე დადგებით-მეთქი, შევკითხებივარ. ყველას უკლებლივ უმრავლესობის კეთილდღეობა აურჩევია და ამით ჩვენს შორის დავის საგანი გამქრალა.

წიგნის ავტორიც ამას ქადაგებს; **„არ კმარა ხმა გქონდეს, ეგ შენი ხმა სხვათა ხმებს უნდა შეუფარდო, უამისოდ არაფერი გამოვა“**, ანუ მისდაუნებურად წარმოიშვება კანტის მრავალერთიანობის პრობლემა, რაც სხვა არაფერია, ვინემ ნაწილისა და მთელის ურთიერთშეხამების სიდიადე, შეუთავსებლის შეთავსების ალქიმია.

აღორძინება, რენესანსი ყოველნაირად შეუწყობს ხელს ინდივიდუალური უნარების დაწინაურე-

ბას, პიროვნების განუხრელ ფორმირებას კოლექტიური ფსიქოლოგიის იგნორირების ხარჯზე. იგივეს მოიმოქმედებს ამერიკული საზოგადოებრივი იდეოლოგია ლამის ავადმყოფური ინდივიდუალიზმის ქადაგებით, როცა ქართული პოლიფონიას სასწაულებისათვის მიუღწევია ინდივიდუალურისა და კოლექტიურის ხარმონიზაციის თვალსაზრისით. ამას ჩვენ პრობლემისადმი სინთეზურ მიდგომებს ვეძახით ანუ ტრიადის პრინციპებიდან გამომდინარე თეზა — ერთხმიანი ინდივიდი, უნდა გადაიზარდოს მის აბსოლუტურ დაპირისპირებულებაში, მრავალხმიან გუნდში, ქოროში— ანტითეზაში, და შემდგომ, მესამე ფაზაში უნდა მოხდეს მათი სინქრონიზაცია, პოზიციების დაახლოება, ორივე მომენტიდან სასარგებლო ტენდენციების აღება, სადაც დიალექტიკური პროცესი გაჩაღებულა სინამდვილის შესაქმნელად, ანუ სინთეზის რეალობა, ,,ჩაკრულოს'' მსგავსად ღია კოსმოსში რომ მიილტვის დღესაც ქართლოსიანთა სულიერი წონასწორობის სიმბოლოდ.

ეს თავი განსაკუთრებულად გამორჩეულია სულიერი ფასეულობის კონდიცირებული გადმოცემით, სადაც მახვილგონივრულადაა შენიშნული ყველა ძირითადი მახასიათებლის ორგანული კავშირი სიცოცხლის საწყისთან ,,დედასთან''; მისალმების ტრადიციულ კულტურა — ,,გამარჯვების'' სემანტიკასთან, თუშურ ქუდთან, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მუზარადის სარჩულია და ყველაზე უმთავრესთან ქართველი კაცისთვის — ვაზის ფილოსოფიასთან, ამოსავალი წერტილი რომ გახლავთ ნოეს ნაშიერი იაფეტიანელებისათვის.

ნაწარმოების ეს თავი გამოირჩევა ავტორის კალეიდოსკოპური შეფასებებით, რეაქციით, ერთგვარი რეტროსპექტივით ჩვენი ცივილიზაციის უმთავრესი შტრიხებისადმი პოლიტიკური ეტაპების გათვალისწინებით. და რადგანაც ,,სუფევაში'' თქვენს მონა-მორჩილსაც ხქონია შესაძლებლობა იგივე გზა გაევლო, ოღონდ ბელეტრისტის პოზიციიდან, მსგავს დასკვნებამდე მივსულვართ — საქართველოს ყოველთვის, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ორ ალტერნატიულ პოლიტიკურ ძალას შორის უხდებოდა ყოყმანი, და მისი ფიზიკური არსებობა ამ არჩევანის სისწორეზე ყოფილა დამოკიდებული ნიადაგ. ქართველი კაცისთვის არასდროს დაუკარგავს მნიშვნელობა კითხვას: ვისთან? რომელთან? და აქედან გამომდინარე მამისგან სათანადოდ დაკვალიანებული ყმაწვილი, ზედმიწევნით ეუფლება ,,ჩხავერის'' დაკრეფას, ფუტკრის მოვლას, გუთნის მიდევნებას, სვრელის გატანას, ფოსტალიონობასაც კი, ჯანგატეხილი ბიძის სასარგებლოდ და ეს შეხიდება უმოკლესი გზით ათი წლის ბიჭუნასთვის ინფორმაციის ათვისების აურწყავი წყაროა, გზადაგზა, ხანმოკლე შესვენების პერიოდებში.

როგორც სხვაგან და არაერთგზის მიწერია, ჩვენ ავტორს პრაგმატიკული სინამდვილე გასტყორცნის მოვლენათა შუაგულისკენ ალქიმიკოსის დანიშნულებით, რადგანაც, დიახაც, საქართველოში ეყრება საფუძველი ,,ახალი პოლიტიკური აზროვნების'' შეურყეველ პოსტულატებს, იგივე აბაშის, ფოთის ექსპერიმენტებით, შეეჭვებებით სოციალისტურ ფორმულაში: თითოეულისგან შესაძლებლობის მიხედვით და თითო- ეულს — გამომუშავების შესაბამისად; რადგანაც ეს დევიზი უამრავ მანკიერებას მოიცავს თავისთავში ინდივიდის განსხვავებული უნარების ხელოვნური გათანაბრების წყალობით, რაც განსაკუთრებით ქართულ სინამდვილეშია თვალშისაცემი, რამეთუ მომღერალთა გუნდში ჩამდგარი, როცა საამისო უნარი ხელგეწიფება, თანდაყოლილ ორ ნიშნულს მისჩერებიხარ გაფაციცებით: შენი ინდივიდუალური ხმისა და კოლექტიური მრავალხანგიანობის კანონზომიერ შეთანაწყობას.

ამიტომ, ბევრი ნიხილისტისგან განსხვავებით, რომელთაც საქილიკო თემად უქცევიათ ავტორის განათლების თავდაპირველი ბაზა — ფერშლობა ბეითლობის გაგებით, ხელოვნურად ივიწყებენ მის ხუმანიტარულ განსწავლულობებს, აღარ გამკვირვებია მიხეილ გორბაჩოვისაგან ან საგარეო საქმეთა მინისტრად, ზუსტად საქართველოს წიაღში ნაშობი ფენომენის დაწინაურება, რადგანაც ამ უკანასკნელ შემთხვევაში მსოფლიოს სულიერების პოლიტიკური რუკა ვაშინგტონში კი არ დაიხაზა, ან — მოსკოვში, არამედ — ამ ხელისდადება ქვეყნის წიაღში, დედასაქართველოში, მისი მრავალათასწლიანი გამოცდილების მიზეზ-შედეგობრივი მიდგომებით ნებისმიერი განსახილველი პრობლემისადმი, და უფრო ხელშესახებად თუ დავკონკრეტდებით, მსოფლიოს ხვალინდელ დღეს ტონუსს, დიახაც, ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო აძლევს, ვინაიდან ამ საკრალურ სიტყვებში ოცი საუკუნით ადრე დაწერილა ლოცმანის, კომპასის, მიმართულების, გეზის საკრალური ფუნქცია, დანიშნულება.

და ალბათ, საგრძნობია ჩემი მწერლისეული დამოკიდებულება განსახილველი თემის კონკრეტულობასთან, ვინაიდან ეს ყველაფერი შედარებით ადვილი აღსაქმელია რიგითი მკითხველისათვის, ხვალ-ზეგ რომ გადაშლის ამ წიგნს და გური ოტობაიაზე არანაკლებ დაუღონდება გული უწრფელესი სიტყვების გამო:

„ჩემი საბოლოო არჩევანი განპირობებულია ჩემი ცხოვრებით, ყველაფრით, რაც

მასშია კარგიცა და ავიც: განპირობებულია ჩემი სახლის, ჩემი ოჯახის, ჩემი ხალხის ცხოვრებით, ხალხისა, რომელიც დღეს შეიძლება არ მწყალობდეს, მაგრამ ურომლისოდაც სიცოცხლე არ ძალმიძს...“ და რაოდან სევდისმომგვრელია პერსპექტივა, რომელსაც ბედისწერა დაგანათლის — იარო აუცილებლობით ნაკარნახევ გზაზე, მსოფლიო პროცესებისათვის შარბათ-მალამოდ რომ აღიქმება გლობალური თვალთახედვით და ქინაქინად ძლივს ჩამოგერთმევა საფიცარ სამშობლოში. თუმცა უფრო ხელშესახები პრაქტიკაც არაერთი გვქონია ნაზარეთიანელიდან მოყოლებული, რომელსაც არათუ შეუნდობენ, ჯვარზედაც გააკრავენ, სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველს და ვინაიდან კლასობრივი ბრძოლის ამოცანები და ინტერესები ზედმიწევნით უგულებელყოფენ ეროვნულ გრძნობებს, ვეღარც მისი და სატრფოს ოჯახი გაექცევა თითიდან გამოწოვილი რეპრესიების ტალღას: წმიდათა წმინდა გრძნობა კარიერის მაცდუნებელ მირაჟზე მეტია, აქაც გულის კარნახის სამართლიან არჩევანს მიენიჭება უპირატესობა და საბოლოოდ მონეტასავით მოიჭრება ავტორის უკომპრომისო ხასიათი რომაული სენტენციის კვალდაკვალ — ქვეყნიერებაც რომ დაიქცეს, მართმსაჯულება უნდა აღსრულდეს.

დანარჩენი პასაჟი უმაღლეს იერარქიის კიბემდე მიღწევისა, ქრონოლოგის საქმეა, მეისტორიისა და არა — ბელეტრისტის. ჩვენთვის უმთავრესია კარდინალური შტრიხების დანახვა და შედარებით ხელმისაწვდომი კომენტარები, ვინაიდან **„ეს წიგნი კლიტის ჭუჭრუტანა კი არ არის, რომ იქიდან ავტორის ცხოვრების წვრილმანებს ვუთვალთვალოთ, იგი გასაღებია კარის გასახსნელად და უფრო ფართო ხასიათის მოვლენათა დასანახავად “.** ჩვენთვის ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გლობალიზაციის პრობლემები და ამ ჭრილში დაბალანსებული პატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის პროპორციები, რომელიც ათასი ძაფით უკავშირდება პიროვნების თავისუფლებიდან დაწყებული სახელმწიფოებრივ მონაპოვრებს, ეროვნული თვითმყოფადობის გავლით მსოფლიო წესრიგისკენ, ზიარი ჭურჭლის პრინციპის კვალობაზე. ასე რომ, დიახაც პოლიფონიურად, დიახაც ტოლერანტულად მოაზროვნე საქართველოს შვილის მოსვლა მსოფლიოს არქიტექტურის გენპროექტთან, ობიექტური რეალობით უფროა ნაკარნახევი, ვინემ მიხეილ გორბაჩოვის პიროვნული ახირებულობებით. ,,გენსეკას'' უეჭველ დამსახურებად ჩამოერთმევა, ალბათ, თანადროული რეაქცია შევარდნაძის სიტყვებზე: **„ყველაფერი დალპა. ყველაფერი უნდა შეიცვალოს“.** და ბედისწერასავით ნიშანდობლივია თითქოს ამ მისიის განხორციელება დიპლომატიური კრეისერის წყალწყის გრომიკოს ნაცვლად რიგითი ნავის, გნებავთ ოჩხომელურას, ოღონდ მოტორიანის — შევარდნაძის დაწინაურება.

„ახალი აზროვნების
კურსის შესავალი“

ჯერ კიდევ 94 წელს გამომცემლობა ,,მერანის'' მხატვარს, ბატონ სპარტაკ ცინცაძეს თავზე დავადგები და მეგობრულად ვთხოვ ემბლემის შექმნას ,,ერთი ბელეტრისტის ტრიბუნისთვის''.

— იდეა! — გამისწორებს თვალს პროფესიონალი.

— მტრედსა და ყორანს ერთი მიმართულებით მიაქვთ ზეთისხილის რტო, — არ დავაყოვნებ პასუხს.

— გასაგებია, გასაგებიო, — მიმიხვდება ეროვნული წიგნის გაფორმების მეტრი, — ზეგისთვის გამომიარეო, — დამიკონკრეტებს და დათქმულ დღეს ამნაირ ემბლემას დამახვედრებს:

გეხსომებათ ბიბლიიდან:

თავი მერვე

6. ორმოცი დღის შემდეგ გააღო ნოემ სარკმელი, კიდობნისთვის რომ ხქონდა დატანებული.

7. გამოუშვა ყორანი; მიფრინავდა იგი და უკანვე ბრუნდებოდა, ვიდრე დაშრებოდა წყალი დედამიწაზე.

8. გაუშვა მტრედი, რომ გაეგო — თუ დაიკლო წყალმა მიწის პირზე.

9. ვერ იპოვა მტრედმა ბრჭყალის მოსაჭიდი და უკანვე მოუბრუნდა კიდობანში, რადგან ჯერ კიდევ იდგა წყალი მთელს მიწის პირზე; გაიწოდა ხელი ნოემ, აიყვანა იგი და შეიყვანა კიდობანში.

10. შვიდ დღეს კიდევ იცადა და ხელახლა გაუშვა მტრედი კიდობნიდან.

11. დაბრუნდა მტრედი საღამოჟამს და, ახა, ზეთისხილის ნედლი რტო ეჭირა ნისკარტით. მიხვდა ნოე, რომ დამწყდარიყო წყალი დედამიწაზე.

12. შვიდ დღეს დაიცადა კიდევ და მტრედი გაუშვა, აღარ მობრუნდა იგი მასთან.

ღვთაებრივი ბიბლია ზეთისხილის რტოის მოტანას, რომელიც ზოგადად მშვიდობის დამყარებასთანაა გაიგივებული, მტრედს უკავშირებს, ყორანი კი გამოთიშულია ამ საკაცობრიო საქმისგან, თუმცა მრავალგზის წარიგზავნება ისიც მსგავსი მისიით.

უკანასკნელ მონაცემებზე დაყრდნობით სამყაროს საწყისთა საწყისი სამი ტოლძალოვანი ერთეულისაგან შედგება: პროტონებისგან, ელექტრონებისგან და ნეიტრონებისგან. პროტონები და ნეიტრონები ქმნიან ატომგულს. ხოლო ატომგულისა და ელექტრონებისაგან ყალიბდება ატომები. პროტონები და ელექტრონები ატომგულში თანაბარი რაოდენობისაა. აქვე აღსანიშნავია, რომ პროტონი დადებითი მუხტისაა, ელექტრონი — უარყოფითის და ნეიტრონი — ნეიტრალური;

თუკი სამყაროსაგან მოუწყვეტლივ არ გვინდა ჩვენი პლანეტის და მის წიაღში აღმოცენებული ცივილიზაციის განხილვა, მაშინ საფუძველსმოკლებული არ იქნება შემდეგი განცხადების გაკეთება:

ატომგულისთვის დამახასიათებელი ზედმიწევნით ნიშანდობლივია თავად საზოგადოებისათვის, სახელმწიფოებისათვის, ოჯახებისათვის და მისი უმცირესი ნაწილაკის — ადამიანისთვისაც. ყველაფრის გათვალისწინებით ჩვენ სამ ენერგიასთან გვაქვს საქმე, უარყოფითთან, დადებითთან და ნეიტრალურთან. უარყოფითს ხშირად აგრესიულს ვუწოდებთ, დადებითს — ხუმანურს და ნეიტრალურს — შუალედურს. ადამიანებიც ამ კლასიფიკაციას ექვემდებარებიან უხეში დაჯგუფებით.

საითკენ მიგვყავს საუბარი?

დიდი სამამულო ომის შემდეგ მსოფლიოს გადანაწილება ორ ანტაგონისტურ ბლოკად — სოციალისტურ და კაპიტალისტურ სამყაროდ, დროთა ვითარებაში კრიტიკულ წერტილს მიაღწევს.

ცივი ომის ტრუმენისეული დოქტრინა რეალური საფრთხეს შეუქმნის დედამიწის არა მხოლოდ რომელიმე კუთხეს, ან კონტინენტს ცალკე აღებულს, არამედ — სრულიად პლანეტას მზის სისტემაში, როგორც ასეთს. ერთი უხერხული წაბორძიკება და ადვილმოსალოდნელი შეიქ- მნება ელვისებურმა ატომურმა ომმა დედამიწაზე ჯაჭვური რეაქციის ხასიათი მიეღოს და საერთოდ ამოვარდეს აქამდე არსებული წესრიგიდან, გაქრეს როგორც ციური სხეული, მიიტაცოს მზემ და ენით აღუწერელი ანარქია შეეტანოს მოწესრიგებულ სისტემაში.

მეოცე საუკუნის მიწურულის საკაცობრიო ცოდნას არ გაძნელებია მოსალოდნელი უბედურების ნათელი წარმოდგენა და აქედან გამომდინარე, გარდუვალი საფრთხისაგან სუნთქვაშეგუბებული მსოფლიო ფიქრს დაიწყებს თვითგადარჩენისათვის, რათა რამენაირად აიცილოს მუხანათურად ჩასაფრებული კატასტროფა. ამ შემთხვევაში ეროვნული პრობლემები, სოციალური უთანასწორობანი, ადამიანის უფლებების პარამეტრები და სხვა, შედარებით მეორე ხარისხოვანი რანგის აღმოჩნდება, რამეთუ კონფრონტაციის შემდგომი განვითარება, ესკალაციის მორიგი გაღრმავება, რაიმე პრაქტიკული ნაბიჯის გადაუდგმელად, საუკუნო დაქვესკნელებას უქადის ნებისმიერი სულისკვეთების სახელმწიფოს: ფაშისტურს, დემოკრატიულს თუ ნეიტრალურს პოლიტიკური წყობით; ტროპიკულს, სუბტროპიკულს თუ ეკვატორულს — გეოგრაფიული მდებარეობით; ზემდიდარს, წელგამართულს თუ უღარიბესს, მატერიალური ნიშნით.მოკლედ, სასწორის პინაზე აგდებს ყოველივე ფასეულს, რაც კაცობრიობას აქამდე შეუქმნია, და რისი შექმნა დაბედებია მომავალში მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში. აი, ამ უკიდურესი დაპირისპირებულობის რეალობა დროის მოთხოვნილების კარნახით მოვლენების შუაგულში გადაისვრის „ჩემი არჩევანის" ავტორს — მრავალათასწლოვანი მიწიერი გამოცდილების ქვეყნის წიაღის პირმშოს.

ამიტომაც არავის გაუკვირდება, რეფორმატორული დებიუტის პირობებში მის ძალისხმევას ოპოზიცია გამოეხმაუროს თეზისით: „**ახალი აზროვნება ძველი წყობის დასანგრევად თითქოს ვარგა, მარგამ ახალი წყობის შესაქმნელად გამოუსადეგარიათ**".

არადა, დადგება ჟამი, როცა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში უნივერსალური ფორმულის მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. საჭირო გახდება მტრის ხატის მიზანმიმართული განიარაღება, თუმცა საამისოდ ორიათასწლოვანი სენტენცია მაცხოვრის გაცხადებულის სახით: გიყვარდეს მტერი შენი, ჯერაც ვერ პოულობს გულითად აუდიტორიას. დღის წესრიგში დადგება გადაისინჯოს კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული კონცეფცია პროლეტარიატის დიქტატურის მანიფესტთან მიმართებაში, რომელსაც ულტრაანტაგო-

ნისტურ ხასიათს შესძენს ლენინი ჯოხის გადახრით და სტალინი მთლად კლასიკური აღნაგობის დონემდე აიყვანა სოციალისტური სისტემის ტრანსფორმირებით.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჯერჯერობით მსგავსი მასშტაბის პრობლემას, არათუ ქართული ბელეტრისტიკა, თვით მსოფლიო სიტყვაკაზმული მწერლობაც კი არ შეხებია. ამ მონუმენტურ გზაზე ოდენ შხეფების დიაპაზონისაა ბატონ რეზო ჩხეიძის კინოლენტის პათოსი, როცა რუსი ჯარისკაცის კლდეში გადასაჩეხად გამზადებული სატვირთო მანქანის ბორბალს ხეჭეჭურის ნერგებს მიაშველებს ბაბუა-შვილი- შვილი სამშვიდობოზე გაღწევის ფაქტორად. ჯერ არ მომწიფებულა საამისოდ საკაცობრიო მწერლის გონება-მეთქი, მინდიადან მოყოლებული ფაუსტითურთ, ვინაიდან აქამდე ესე ცალსახად არასდროს წამოჭრილა საყოველთა კატასტროფისა და ინდივიდუალური კეთილდღეობისკენ სწრაფვის — ხედონიზმის მიზეზ-შედეგობრივი დილემა. რამდენადმე მიუახლოვდება ამ თემატიკას ამირეჯიბის აბსტრაქტული გმირი თუთაშხა, როდესაც თავისივე დაშნით მოიკვეთს მარცხენა მკლავს და დასანთქავად მიუგდებს ურჩხულს. და ასე განმეორდება უამრავჯერ თანამზრახველებთან ერთად, სანამ დრაკონს ხახიდან გამომდინარე ცეცხლი არ გაუნელდება, არ დასცვივა ბრჭყალნი და მხეცის დინგი კაცის სახედ არ გარდაექმნება; ვიდრე მეტყველებითა კაცებრითა იტყოდეს იგი: **„არღარა ვარ მწყურვალი სისხლითა, არღა მიძს სურვილი ჭამად კაცთაო“.**

ეს ბოროტების ძლევის ზექრისტიანული მორალის მიმდევრობაა, მაგრამ ცოტაზე ნაკლებია ცივილურ მსოფლიოში ნაწარმოები, რომელიც ეროვნულ ცხოველმყოფელობას, სამშობლოს კეთილდღეობას ზოგადკაცობრიულ ინტერესებს სწირავდეს ზვარაკად, ერის საყოველთაო წყრომის მოსახვეჭად, თუმცა კი თავად ერისვე უკვდავებას განაპირობებდეს მშობელი ხალხისთვის გარკვეულ დრომდე გაუცნობიერებელი ქმედება ესე.

პრომეთე ღვთიურ ცეცხლს მოსტაცებს ღმერთებს ადამიანთათვის და ამისთვისაც ეკორტნება ღვიძლი ზევისის არწივისაგან და აქ თითქოს მოხაზულია საკაცობრიო იდეალი, მაგრამ რანაირი სიმწვავით წარმოჩინდება სურათი, თუკი იგივე ამირანი ადამიანებს წაართმევს ცეცხლს ღმერთის კერიის გასაჩაღებლად, რომ მერმე იმ ცაბაოთმა ღვთაებრივ ქურაში თიხისგან გამოწვასუკვდავებასთან წილნაყარი მათი სხეულები? მიუტევებენ კი ამისთანა ვითარებაში მშობლიური წიაღიდან გამოსულ პრომეთუსას აუტანელი სიცივით გათოშილი თანამოძმენი, მით უფრო, როცა არ იციან, რა მიზანსწრაფულობას მოხმარებია მათი კერიიდან მოტაცებული ცეცხლის მცხუნვარება —ისევ და ისევ თანამოძმეთა უკვდავებას, რომელიც ფაქტობრივად ადამის ნაშიერის ედემის ბაღში მიბრუნების ტოლფასია?

ვგონებ, საკითხის ამნაირად დასმა დღემდე არავის უნებებია, ეროვნული მოძრაობის ლიდერებიდან დაწყებული შალვა რამიშვილის ,,დარდუბალა'' - ,,ჩვენი ეზოთი'' დამთავრებული და სრულიად ბუნებრივია, დიდი შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობის გადალახვის შემდგომ იბადება ირაციონალური მსოფლმხედველობა: მშვიდობიანი თანაარსებობა, როგორც კლასობრივი ბრძოლის სპეციფიკური ფორმა. — **„თუ კაცობრიობას დღეს გადარჩენა მხოლოდ მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში შეუძლია, თუკი მას არ ძალუძს თავისი მომავლის უზრუნველყოფა პერმანენტული კონფრონტაციის პირობებში, მაშინ დასკვნისთვის ცის გახსნასავით იღება კარები, რომ ორი სისტემის დაპირისპირება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ჩვენი ეპოქის წამყვან ტენდენციად**''.

წიგნში ფორმულასავით იკვეთება ამ სულისკვეთების გაფორმების იშვიათი ვერბალური სახე — ,,თანაქმედება'', რომელსაც ვერავინ გამოიყენებს მისი ათწლიანი არსებობის მიუხედავად, ვერც— ეროვნული ფრთა ,,თანხმობის'' შინაარსით, და ვეღარც — ,,მოქალაქეთა'' ფენიქსივით ფერფლიდან აღმდგარი ყრილობა ,,თანამშრომლობის'' სემანტიკით. თანაქმედება გაცილებით მეტია, ვიდრე ერთ განზომილებად შეკრული თანხმობა და თანამშრომლობა.

„იდეალისტის აღსარებები“

აკი, ვახსენე, ,,არჩევანის'' ავტორი იშვიათი თანამიმდევრობით გამოირჩევა-მეთქი. აქ უპირატესობა მინიჭებია არა მოვლენების ქრონოლოგიურ დალაგებას, არამედ — მიზეზ-შედეგობრივ პრინციპს, რომლის ნათელი დასტურია ,,მშვიდობიანი თანაარსებობის'' ცნების თანდათანობით გახუნება სწრაფმავალი დროის კარნახით და ახალი ტენდენციების გამოკვეთა საერთაშორისო ასპარეზზე, როგორიცაა: პარტნიორობა, თანამშრომლობა, ურთიერთგაგებისა და თანაქმედების უნივერსალური პრინციპით. მასში თავმოყრილია სამყაროს შენარჩუნებისა და გარდაქმნის უდიდესი პოტენციალი, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერ შუღლს — კლასობრივს, ეროვნულსა თუ

რელიგიურს, რაც შემდგომ და შემდგომ აღწევს ახალ თვისებრივ საფეხურს — კაცობრიობის ზოგადადამიანურ მსოფლგანცდას.

ამ მხრივ მსოფლიო ანალოგი არ ეძებნება ში ვაჟას ,,სტუმარ-მასპინძელს'', ოდეს ალხასტაიძის ძმისმკვლელი ზვიადაური, სტუმრის ვერდამცავი ჯოყოლა და კიდევ — ყელში დანაგაყრილი კაცისთვის ცრემლისმფრქვეველი აღაზა ერთად სხედან ცნობიერების ზეფირებში და მარადიულ ფასეულობებს აღუვლენენ საგალობლებს ცრუ საწუთროს გასარანდად უზადო ზესთასოფელში. იგივე მიმართებებია პირტიტველა მოყმის მშობლის ქმედებაში, როდესაც შვილმოკლული ვეფხის გამჩენელთან მისასამძიმრებლად გაეშურება თავად მგლოვიარე დედა. ასეთი მაგალითები თითზე ჩამოსათვლელია, როგორც ეროვნულ, ისე ზოგადკაცობრიულ ბელეტრისტიკაში და სამყაროისეული ანთოლოგიის შედგენას თუკი მოვიწადინებთ, აღმოჩნდება, რომ უამრავზე უამრავი დასახელების პრემიის ლაურეატი, თვით ნობელიანტების მხარგაშლილობით, მარგინალურ წარმოჩენასაც ვერ ეღირსებიან ამგვარ წიგნში.

ეს კონცეფცია ფორმულის დონეზეა გამოკვეთილი ,,არჩევანის'' პასაჟში: **„შვიდობა და უსაფრთხოება თუ არის თანამედროვე მსოფლიოს პანორამაში უმთავრესი მიზანდასახულობა, მაშინ ზოგადადამიანური და ეროვნული ინტერესების ხარმონია მისი იდეალური კომპოზიციაა“.**

რენესანსიდან მოყოლებული ადამიანი ყველაფრის საზომია. ამ კონცეფციის გასაზიარებლად ავტორს უამრავი წიაღსვლა მოუშველებია, რომელთაგან დამაგვირგვინებელი მნიშვნელობისაა დიალექტიკის მამის ფრაზა: ,,**ყველაფერი ნამდვილი გონივრულია; ყველაფერი გონივრული — ნამდვილი“**, რომელიც ერთგვარად გადააფასებს მაკიაველისეულ დოქტრიანს — ,,**მიზანი აპართლებს საშუალებას**'', რადგანაც ვიწროვდება მიზანდასახულობათა ოდესღაც ჭრელი სპექტრი და ნელ-ნელა ქრება უწინდელი განსხვავებანი.

ეს არ უნდა აღიქმებოდეს პრიმიტიული ასიმილაციის, ათქვეფის, იგივე აჯაფსანდალის თუ გოგლიმოგლის ვულგარულ ნაზავად, ვინაიდან საკაცობრიო მიზნების დაახლოება სპობს უნდობლობის უჩინარ კედლებს, გნებავთ — ხილულს ბერლინურის თუ კორეულის სახით; წააყირავებს მათ გამთიშველ, განმაცალკევებელ ხასიათებს და ანიჭებს ხიდის ფუნქციას ხალხებს თუ ეროვნებებს შორის უპრობლემო მიმოსვლისათვის. თუმცა ამ საკაცობრიო მონაპოვრებს უსწრებს აურაცხელი ხუმანისტური იდეა აღორძინების პერიოდიდან, რომელსაც ბოლოს და ბოლოს ფიჭური ტელეფონის, კომპიუტერული სასწაულის რეალობა ხელშესახებად აქცევს მეორე ათასწლეულის მიწურულს. და უკვე მართლაც ანაქრონიზმად გვეჩვენება ჩინეთის დიდი კედელი ინფორმაციული ნიაღვრის შემაკავებელ მექანიზმად. საამისოდ ხვალ და ზეგ თვით სახელმწიფო შლაგბაუმებიც უმაქნისია, რამეთუ უფალი იესო ბრძანებს:**„ არა არს დაფარულ, რომელ არა განცხადნეს“**, და თუ ყოველივეს ვირწმუნებთ, ყურადსაღები გახდება დებულება, რომლის მიხედვით, თვით ადამიანის სხეული, კორპუსი მისი, უძლურია საიდუმლოს, ანუ ინფორმაციის შესაჩერებლად. და როდესაც მოუმზადებელი გონება ეჯახება ზოგადკაცობრიული იდეალების ჯერ კიდევ ბურუსიან არეებს, ჩნდება ათასგვარი რეაქცია ქანაანისკენ მიმართულ ორმოცწლიან გზაზე ციური მანანის ერთფეროვანი მენიუს დასაძლევად; ისახება უამრავი განსხვავებული მუხტის ,,ალ-ქაიდა'', როგორც ახალი აზროვნების რგოლების ლოგიკური კავშირიდან ამოვარდნის წინაპირობა, საკაცობრიო ჯაჭვის დაშლის პარტიკულარული მუქარა, სადაც წაყრუება, რეალური საფრთხის დავიწყება საყოველთაო კატასტროფის იდენტურია. ამიტომაც, როგორც არასდროს, საჭიროა ,,**ძველისძველმა ჩვეულებებმა და ტრადიციებმა არ გამოიწვიონ კაცობრიობისათვის სახიფათო გადახრა ანგარებით დამძიმებული ვიწრო ეროვნული ინტერესებისაკენ**''.

მსოფლიო პრობლემებისადმი ,,არჩევანის'' ავტორის მსგავსი დამოკიდებულების შედეგია უეჭველად ბარათების წყება ,,ცივი ომის'' დასასრულსა და ,,ცხელი მშვიდობის'' ზღურბლზე გასაოცარი თანადგომის შტრიხებით, თუნდაც სუზან ბეიკერის წერილი: **„ჩვენ ვტირით და ვლოცულობთ თქვენთვის“.**

„ჩვენ ბურთს მთელ
მოედანზე მივაგორებდით“

„მილეულ ცეცხლზე უფრო ნაღვლიანი სანახაობა არ არსებობს, ნაკვერჩხალი იღველფება, ღველფიდან ერთხანს შენამდე აღწევს სითბო, მაგრამ წუთები გადის და სიცივე აგიტანს. ბედნიერებაა ამ დროს შენს გვერდით თუ არის ადამიანი, რომელსაც

შეუძლია ცივი ფერფლის გაქექვა, სასწაულით გადარჩენილი ნაპერწკლის მონახვა და ალად მისი აბრიალება“.

დამეთანხმებით, ნებისმიერი ცნობილი ბელეტრისტი მოაწერდა ხელს ამ სტრიქონებს.

მსგავსი პასაჟები მრავლადაა „არჩევანში“, ყმაწვილობის სისხამიდან ჭარმაგობის შუადღეთა წარმოჩენის მხარდამხარ: ბრესტში ძმა აკაკის საფლავის ქვასთან გარინდებაა იგი, „ფიქრიანი პაუზები“, წამიერი გამოთიშვები თვალ-მარგალიტი სამშობლოს მომავლის გამო დიდი დიალოგების დროს გენშერთან, თუ მომშთობი სინანული, ოდეს მემლექეთი შენი არათუ სათანადოდ, იოტისოდენადაც არ გწყალობს საკაცობრიო სარბიელზე საყოველთაოდ პატივმიგებულს, თუმცა კი მამულის საქმეების მკეთებელს ათასწლეულების მერმინდელი გადმოსახედიდან.

ბედის ირონიაა — ლამის რაგინდარა პიიტიკო- სების და თავისუფლების სუროგატ ინსტიტუტთა ხელის ბიჭების საქილიკოდ ქცეულხარ, სინამდვილეში მომავლის თვალსაწიერით გალაკტიონის სიტყვების პერსონაჟი: **ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა.**

ხოდა, ათი წლის დაგვიანებით მხოლოდ მწერლური ხერხების ანალიზისთვის როდი აგვიღია ხელში ეს წიგნი ჩვენც, არამედ იმ ცინცხალი ცნობიერების, მსოფლიო აზროვნების იმ ახალი სისტემის საერთაშორისო რეზონანსის გამოსააშკარავებლად, რომელიც ავად თუ კარგად ენის წვერზე აკერია პატროფილსაც, კოსმოპოლიტსაც ნეიტრალ-ინდიფერენტულის ლონდრე- ობით და მიუხედავად „არჩევანის“ თხუთმეტ ქვეყანაში ფრიად სოლიდური ტირაჟებით გამოცემისა, საკაცობრიო პრობლემების ავანჩავანში მაინც ნაკლებად გარკვეულა ფართო საზოგადოება იქითაც და აქეთაც.

აკი, ვახსენეთ, ძნელია ნაზარეთიანელის კონგენიალური სენტენციის არათუ აქტიური მიმდევრობა, თვით — პასიური პრიმიტიული გაზიარებაც-თქო:

„თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: გიყვარდეს მოყვასი შენი და გძულდეს მტერი შენი.

ხოლო მე გეუბნებით თქვენ: გიყვარდეთ თქვენი მტერნი; დალოცეთ თქვენი მაწყევარნი; კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავ მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის.

რათა იყოთ თქვენ შვილნი მამის თქვენის ზეციერისა, ვისაც თავისი მზე ამოხყავს კეთილთა და ბოროტთათვის და წვიმას უგზავნის მართალთაც და უსამართლოთაც.

რადგანაც თუ გეყვარებათ თქვენ მოყვასნი, რა იქნება თქვენი საზღაური? ასევე არ იქცევიან მებაჟენიც?

ანდა თუ მოიკითხავთ მხოლოდ თქვენს მოძმეთ, უჩვეულოს რას სჩადიხართ? განა ასევე არ იქცევიან წარმართნიც?

მაშ იყავით თქვენ სრულყოფილნი, როგორც სრულქმნილია მამა თქვენი ზეციერი“. (მათე, 5.44-48.).

და აი, აქ პირველად წამოტივტივდება უფლის ხატად შექმნილი ადამიანის საზრისი საწუთროს გზაზე, მიახლოვება სრულთან, სრულქმნილთან:

მართლაც, თუკი კეთილს და ბოროტს განსხვავებული საზომით მიუდგები; თუკი კლასობრივი ანტაგონიზმით ახარისხებ მდიდარს და უქონელს; თუკი მიკერძოებით განარჩევ ლამაზს და გონჯს, ამაღლებულს და მდარეს, გენიოსს და სალოსს, მაშასადამე სრულყოფამდე ბევრზე ბევრი გკლებია, მებაჟისაგან არაფრით განსხვავდები და აღარც ახალი პოლიტიკური აზროვნების ორდენის წევრი ყოფილხარ.

ჩვენთვის ეს მონაკვეთი საინტერესო ორი ქვეთავითაა: ნდობის ფაქტორის მოხვეჭით კონფრონტაციულ ძალებს შორის და „პოლიტიკურ დისიდენტთა პრობლემით“, ანუ ადამიანის, პიროვნების თავისუფლების საკითხით ზოგადად.

არ გამოვედევნები მთხრობელის მარათონულ შეხვედრებს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერებთან, პოლიტიკოსებთან და დიპლომატებთან. მათი ჩამონათვალი ძალზე გრძელია და განსხვავებული სიხშირე-ქრონომეტრაჟისა, მაგრამ, რადგანაც ჩვენი მისია აღემატება სტატისტის მშრალ ბუხჰ ალტერიას და ორ სამყაროს შორის თანაქმედების მწვერვალებს მისჩერებია, მივყვეთ ისევ ავტორის ხატოვან დაკვირვებას:

„... **ამერიკულ ფეხბურთს მოვიშველიებ. მასში, როგორც მითხრეს, არის თამაშის ორი ვარიანტი: ბურთს წინ გატყორცნი და, თუ გაიმარჯვე, ერთბაშად ათ იარდს იგებ, ან კიდევ მოგიწევს ბურთი ხელით წაიღო და სივრცეს თითო იარდით დაეუფლო.**

ჯორჯსაც (შულცი, გ.ო.), **და მეც სულ, აი, ასე მიგვქონდა საერთო მიზნისკენ საბ-**

ჭოთა და ამერიკული ურთიერთობის „ბურთი“.

ანუ ჩვენთვის გასაგებ ენაზე თუ გადავიყვანთ სპორტიული ჟინით გაცოცხლებულ სინამდვილეს, თვალში გვეცემა განუხრელი თანამიმდევრობის რეალობა, რომლის უტყუარი სურათი ეტევა ლათინურ ფრაზაში: **ქავა გუტტა ლაპიდეთ — წვეთი ხვრეტს ქვას**. უფრო ხელშესახებად კი წვეთის გამუდმებული ვარდნა ერთ წერტილში, ბოლოს და ბოლოს იწვევს ათასჯერ მკვრივი სხეულის გარღვევის პრეცენდენტს. და ამ კაცობრიულ მისიას, მართლაც რომ, გმირულად გაართმევს თავს საბჭოთა დიპლომატიის კრეისერს ჩანაცვლებული უბრალო ნავი, მოტორიანი თუმცა. ყველასთვის წარმოუდგენელი წარმატების საწინდარი კი თავად ავტორის ცნობიერების, შინაგანი რესურსების მონოლითურობაა; ერთხელ არჩეული პრინციპების □და არა ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისა, როგორც ქვემოთ დავინახავთ), ლამის პედანტური ერთგულება.

ათასი ჯურის ლინზით მოწმდება ახალი აზროვნების დესპანის ნდობის ხარისხი ავღანური და ქუვეითური ექსცესების ფონზე, როცა მეორე ათასწლეულის ისტორიის დასკვნითი აკორდები „ატომური მელნით იწერება“; როცა სპარსეთის ყურეში კრიზისის დასასრული მოინათლება მსოფლიო წესრიგის ამერიკული ხანის დადგომის გარიჟრაჟად; როდესაც უფერულია საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების გზაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი და დღის წესრიგში დგება პოლიტიკური ნებელობა ახლო აღმოსავლეთში **„ტერიტორიების მშვიდობაზე გადასაცვლელად“**.

ათასი ჭუჭრუტანიდან და სათვალთვალო მექანიზმიდან აკვირდებიან „არჩევანის“ შემოქმედის პოლიტიკურ გულწრფელობას, რომელიც გვინდა თუ არა, არსებითად დამოკიდებულია შენი წარმომჩენი ქვეყნის ფსიქოლოგიურ მთლიანობაზე, ძალთა თანაფარდობაზე უმაღლეს ეშელონში — ბირთვული თვითგანიარაღების ურთიერთგამომრიცხავი პოზიციებით, და ალბათ, მსოფლიოს მერვე საოცრებად ივარგებს მალტაზე შეხვედრების კვალდაკვალ ხმელთაშუა ზღვის ქარიშხლის ზათქში უჩუმრად მიცვალებული „ცივი ომის“ ცხედრის გაპატიოსნება „ცხელი მშვიდობის“ ზრდასრულად გაჩენის საწინდრად.

დიპლომატიური სასწაულის ორ წინადადებას მოვიშველიებ საანალიზო სივრცის სამერმისო კომპასად:

გორბაჩოვი: **„საბჭოთა კავშირი არ აპირებს ამერიკის შეერთებული შტატები თავის მოწინააღმდეგად მიიჩნიოს“.**

ბუში: **„შეგიძლიათ გაითვალისწინოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არასდროს დაეშუქრება საბჭოთა ქვეყანის უსაფრთხოებას“.**

ეს განცხადებანი სადღეისო ვითარების გათვალისწინებით ნაკლებად მიიჩნევა დიპლომატიურ ჟესტად და მანერად, რადგანაც სრულიად გამჭვირვალედ აირეკლება პოლიტიკურ სარკეებიან დარბაზში ორმხრივი განიარაღების, სახელმწიფოებრივი ინტერესების ზედმიწევნით დაახლოების ყოველდღიური პრაქტიკა.

რადგანაც ახალი აზროვნების რეანიმაციული ძალისხმევა დიალექტიკურად გამართლებული ღონისძიება აღმოჩნდება ცხრაასჩვიდმეტი წლის რევოლუციით გათიშული მსოფლიოს თანაქმედი მისწრაფებების ცივილიზაციად ჩამოყალიბების გზაზე 74 წლის შემდეგ;

ვინაიდან ულმობელი „რკინის ფარდებითა“ და გერმანულ-კორეული ბეტონის კედლებით გადატიხრული კაცობრიობა, სასაზღვრო ზოლების მავთულ-ხლართებითა და თავისუფალი ხმა-სიტყვის დამხშობი მექანიზმებით, ცენზურის ნაჯახ-მაკრატლით ლამის ერგასნახევარი წლით გახლეჩილი დედამიწის რესტავრაცია სპარტაკ ცინცაძის შექმნილი ემბლემა-პლაკატის მიზანსწრაფულობით, სადაც ბიპოლარული ქვეყნიერების გაუბზარავი მომავლის რწმენა — მსხმოიარე ზეთისხილის რტო — თანაბარი ექსტაზით დაუძრავს მკვდარი წერტილიდან მტრედისა და ყორნის თანაქმედ მსწრაფველობას ერთი მიმართულებით, გარდუვალ კატასტროფაზე ახალი აზროვნების არქიტექტორთა მცირე ჯგუფის კოლექტიური თავდადებაა და სხვა — არაფერი.

„ევროპის დაბრუნება“

ენათმეცნიერები სიტყვას „აზიას“ შუმერულ „ასუ“-ს უკავშირებენ, იგივე აღმოსავლეთს; □ცხოვრობს ჩვენში „აფსუა“ ტომი ჩამოსულის გაგებით).

აფრიკა „აფრია“-ს — „უყინვოს“ წარმომავლადაა მოჩნეული მათგან, მაგრამ არის განსხვავებული შეხედულებაც, რომლის მიხედვით აფრიკა ბერბერული ტომების სახელიდან „აფრიგებიდან“ მომდინარეობს.„ავსტრალიუსი“ სამხრეთია ლათინურად. ამერიკა ჩვენს თვალწინ მოინათ-

ლა გუშინწინ იტალიელი ამერიგო ვესპუჩის იშვიათი ალღოიანობის წყალობით. მაგრამ რა არის ევროპა, რა საკრალურ შინაარსს ასაიდუმლოებს იგი?

„hew“ და „rope“ ინგლისურში „ჭრას“ და „თოკს“ შეესაბამება. ანუ ბედისწერის ბაგირის ამწყვეტელი ხალხის სინონიმიაო, ამტკიცებს ჭილყვავივით მომრავლებული ეზოტერიკების რიგი.

ათეულობით ვერსიას შორის ფრიად საინტერესოა ჩვენთვის „ყვერ“ □ყბერ), „ივერ“ □იბერ) ძირებში „ევრ-ოპეს“ და „ევრ-იკას“ ფეთქვა, მაძიებლის თუ აღმომჩენის მნიშვნელობით. მაგრამ ეტიმოლოგიური ვარაუდები ენათმეცნიერული მირაჟებია ოდენ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის გზაზე.

სხეულის ნებისმიერი მონაკვეთი მთლიანად ორგანიზმის შემადგენელი ნაწილია ხომო საპიენსისათვის ანთროპოლოგიის პოზიციიდან. და თუ დედამიწას უფრო მსხვილ ბიოლოგიურ ერთეულად მივიჩნევთ, მაშინ თვალნათელი გახდება ადამიანის რაციოს, გონების პარალელები ჩვენი პლანეტის ევროპეიდულ ნაწილთან, სადაც ნულოვან წერტილს გრინვიჩი აითვლის და თავისი გეოგრაფიული ბუნებით, ეკოსისტემით, ცივილიზაციათა შეჯახების ეპიცენტრია ათასწლეულების მანძილზე.

ამ სოციალურ-პოლიტიკური ქურახანიდან სიბეცეა ტიბეტური, ეგვიპტური, შუმერული ეთნოგენეზის ამოგდება. ისინი მდინარეთა მსგავსად ისწრაფოდნენ დამრეცი ვრცეულობისკენ, ვაკე ადგილების დერეფნებისკენ, სადაც მთებიც განედურადაა განლაგებული და ჰავაც განსაკუთრებით ოკეანურია, ანუ — ოაზის-კონტინენტი საკაცობრიო ხუმუსის მნიშვნელობით.

აფრიკიდან ხომო საპიენსის მიგრაციას ორი მიმართულებით განიხილავენ ანთროპოლოგები — აზიისკენ და ევროპისკენ. შემდეგ ხდება ევროპული ცივილიზაციის, იგივე პროტოიბერიულის, გნებავთ ეგეოსურის შეჯახება ინდო-ტიბეტურ, არიულ ტალღასთან, რომელიც კავკასიონის ქედს მიაჯაჭვავს აბორიგენულ მოსახლეობას პრომეთე-ამირანის მითოლოგიური საბურველით. იგივე ითქმის ტროას ომზე ზღვა ხალხსა და ბერძნების გაერთიანებულ ლაშქარს შორის, ცხრა წელიწადს რომ ვერ ამარცხებენ მათზე ათჯერ მცირე ილიონელებს. მხოლოდ მეათე წელიწადს დაილეწება პრიამოსის სასახლე, მაგრამ ყოველივეს იმისთვის მოვიშველიებთ, ერთხელაც მოვხაზოთ გონებაში აფრიკიდან გამოშურებული ადამიანის სიცოცხლის სამკუთხედის აღნაგობა: ერთი კათეტი ევროპაში დასცემს კარავს, მეორე — შორეულ ტიბეტში „დიდი აბრეშუმის გზის“ ბუნებრივი ორდინარით, და მხოლოდ მერმე, ათასწლეულების შემდეგ ხიმალაებიდან კავკასიონის გასწვრივ ხიპოთენუზის მსგავსად გაილარება იგი თეთრი რასის გამოსაქანდაკებლად.

ძნელია განსხვავების პოვნა ბურთულის მექანიკურ მოძრაობას, წყლის ბუნებრივ დინებასა და ადამიანის გონივრულ ქმედებას შორის, ვინაიდან, სამივე შემთხვევაში მაქსიმალური სასიცოცხლო არეალი მოიპოვება მინიმალური დანახარჯებით.

გარკვეული თვალსაზრისით დღევანდელი ამერიკის საზოგადოება იმეორებს ინდოევროპული ტალღის ექსპანსიას პოსტკოლუმბურ სივრცეში განსხვავებული მეთოდებითა და მასშტაბებით.

ამგვარი მუხტის მატარებელი უჯრედი საქართველოშიც მოიძებნება გურიის სახით. იქ არსებული ტოპონიმები დღესაც ზედმიწევნით ამჟღავნებენ კოლხურ ბუნებას, მაგრამ მისი ამჟამინდელი ჭირისუფალი სმენადახშულია მათი ჟღერადობის წინაშე; გურულს აქამდე არ ესმის თუ რას ნიშნავს: „ბახმარო“ □მთის კაცი), „ოჩხამური“ □სათევზაო), „ლანჩხუთი“ □საძრო- ხე) და ა.შ. იგი მხოლოდ სვანურ-მეგრულით იშიფრება, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფის ჩამოყალიბება მაღალი ძაბვის პროცესში.

გურიის მოსახლეობა არსებითად ძლიერი გენეტიკური კოდის მატარებელი ინდივიდებისგანაა შეკრული, რამეთუ მეზობელი იმერეთ-სამეგრელოდან მეამბოხე სულისკვეთების პიროვნებებს აძევებდნენ ან თავად გამოურბოდნენ ბატონ-ყმობის ძალმომრეობის უღელს ხელისგულისოდენა თავისუფლების მოპოვების იმედით, რის შედეგადაც სათანადო დროის შემდეგ, მივიღებთ ფეთქებადი ტემპერამენტის თემს და ეს ყველაფერი შედარებით ხელშესახებად იქაური ფანტასმაგორიულ სიმღერებშია დასინთეზებული — „ხასანბეგურაში“, კრიმანჭულის დაძაგრულ მოძახილში, სადაც სული ამქვეყნიურ არტახებს მიმოლეწავს, როგორც თავისუფლების აბსოლუტური მოთხოვნა; თუმცა როდესაც ხელოვნების ფორმებით ძნელდება სოციალური უთანასწორობის ზღუდეთა გარღვევა, ხან ჩიკაგოში გარბის როდეოზე, ცირკში საჯირითოდ და ხანაც ფირალად გაიჭრება ტყეში ბოროტებისთვის კიდურების დასამოკლებლად.

მოკლედ, როდესაც ერთ სიბრტყეზე განვიხილავთ ძლიერი გენეტიკური მასალის კრებითობას, გურია-ევროპა-ამერიკა ლამის იდენტური ეთნოგენეზისის სიდიდეებია განსხვავებული სხეულებრივი პარამეტრებით.

ხოდა, არაფერია გასაკვირი თუ ჩვენი ავტორისთვისაც „ევროპის სარკმელი“ „ამერიკის აღმოჩენამდე“ გაცილებით დიდი ხნით ადრე გაიღება დედა-საქართველოში, მშობლიურ გურიაში.

ხოლო რაც შეეხება ცივილიზაციის ბუნებრივი გზით განვითარების შემაფერხებელ ბარიერად ბერლინის კედლის აღმართვას შუაგულ ევროპაში, სასურველი შედეგი არ მოხყვება როგორც სოციალისტური, ისე კაპიტალისტური სამყაროსათვის. პირიქით, ერთი ეროვნული ცნობიერების ადამიანების გაორება კულმინაციას მიაღწევს. წვეთწვეთობით გუბდება ახალი კატასტროფა, რომელიც არავინ უწყის, რა დიაპაზონს მიიღებს საერთაშორისო მასშტაბით.

ავტორი უშუალოდ მონაწილეობს ე.წ. თანამეგობრობის ქვეყნებში გორბაჩოვის ვიზიტებში. ბერლინის კედელი ნელ-ნელა გაუიგივდება ანტიკაცობრიული წინაღობის სამხილ მასალას, რომელსაც დღისით, მზისით ურიების რახუნით ანგრევენ ორივე მხრიდან. ხშირად ძვირფას სიცოცხლესაც თმობენ ამ მონსტრის დალეწვის ცხოველი ჟინით შეპყრობილნი. და უკვე აღარ გამოვა საბჭოეთის ტახტისმტესაგან ორი ბატონის მსახურება, სადაც წინამორბედნი ორმაგი სტანდარტით ერთდროულად ქმნიან წყლულსაც და მალამოსაც; ერთდროულად ათავისუფლებენ ხალხებს ფაშიზმისაგანაც და „**დავიდე ეტ იმპერიას**“ ფორმულით შუაზე ხლეჩენ გერმანელი ერის წუხილს, სიხარულს, სიზმრებს თუ იმედებს. თუმცა ბუნება მკაცრია და იგი მხოლოდ დროის გარკვეულ მონაკვეთში ემორჩილება მისთვის გამოჭედილ ხუნდებს და არტახებს, ვინაიდან ცხოვრების დიალექტიკა სპირალური განვითარების შინაარსისაა და მასთან ჭიდილში უძლურია ნებისმიერი კედელი, ნებისმიერი ზღუდე.

თავად გერმანელ ერს არ ხყოფნის ძალისხმევა ბერლინის კედლის დასანგრევად, მაგრამ უკვე მის შინაგან ამბოხებას ფეხს უბამს 56 წლის უნგრეთი, 68 წლის ჩეხოსლოვაკია, 79 წლის ავღანეთი, 89 წლის თბილისი და ბუნებრივია, საყოველთაო ჩათრევას ჩაყოლა სჯობია.

ამიერიდან გერმანიის კედლის ბზარებიდან გაერთიანების გზაზე დამდგარი ევროპა იკვეთება. თუმცა სახელმწიფო არ არის უწყებების ჯამი, რომელთაგან თითოეულს „**თავისი გეზის გადაღუნვა**“ შეუძლია. ჭეშმარიტი პატრიოტი მოქმედებს, მაგრამ ამავდროულად შემმუსვრელია დუმილი, როცა ბრესტში დაღუპული ძმის საფლავის ქვასთან თავდახრილს ნიშს გიგებენ, თითქოს მის სისხლს გაყვედრიან, თითქოს მისი ხსოვნის ღალატს წამოგაძახებენ ბერლინის კედლის დალეწვითა და გერმანიის გაერთიანების დაშვებით. ხოდა, ბუნებრივია, ახალი აზროვნების საგარეო პოლიტიკა გაამწვავებს შინაგან სიტუაციას, რაც თვით საგარეო პოლიტიკასაც შეუქმნის სერიოზულ დაბრკოლებებს

ოტავიდან არხიზამდე.
მძიმე დღეები გზის ბოლოს“

თითქოს პარადოქსულია, მაგრამ ახალი აზროვნების სტრატეგია და ტაქტიკა კარდინალურად განსხვავდება ტოლძალოვანი პროცესებისადმი ნაირგვარი დამოკიდებულების ხელწერით: თვალშისაცემია მოქმედების აქტივიზაცია გახლეჩილი გერმანიის გამთლიანების მარათონში დასავლეთით, როცა აღმოსავლეთში მსგავსი ვითარების კორეის მიმართებაში რამდენადმე მინელებულა გათიშული ქვეყნის დიპლომატიური რეანიმაციის დაუშრეტელი ძალისხმევა.

არიული სისხლის ნაციის წარმატებულად შეკავშირების შემდეგ ფეხს მოიკიდებს სრულიად საპირისპირო ხასიათის მოვლენები:

რამდენიმე სახელმწიფოდ დაიყოფა მართლმადიდებლური იუგოსლავია;

ავტონომიურ წარმონაქმნებად დაქუცმაცდება ქრისტიანობის ბურჯი, ღვთისმშობლის წილხვდომილი საქართველო;

მიწის პირისაგან აღიგვება მუსულმანური იჩქერია;

ბომბავენ ფუნდამენტალურ ავღანეთს... ძნელი გასაგებია კათოლიკური გერმანიის გაერთიანების სტრატეგია რატომ უნდა იყოს მართლმადიდებლური იუგოსლავია-საქართველოს დანაწევრების ტაქტიკა?

მაგრამ ევროპის შუაგულში ჯერ კიდევ ბარბაცებს ბერლინის კედელი. მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო მსოფლიოს XVII ჩემპიონატს ფეხბურთში, რომელიც ნაწილობრივ მოიცავს კორეას და ოთხი წლის შემდეგ მთლიანად წარმოაჩენს ერთსულ და ერთხორც გერმანიას, როგორც კლასობრივი ანტაგონიზმის იდეოლოგიაზე სრულფასოვანი გამარჯვების სიმბოლოს.

აქედან გამომდინარე სრულიად აშკარაა, რომ ახალი პოლიტიკური აზროვნება ისწრაფვის კლასობრივი გათიშულობის აღმოსაფხვრელად ნებისმიერ კონტინენტზე, აზიაა იგი, აფრიკა, ამერიკა-

ავსტრალია თუ ევროპა; და ამავდროულად განუხრელად ილტვის ნაციონალური ნიშნით გამოკვეთილი სახელმწიფოების მიზანმიმართული დაშლისკენ, განურჩევლად რელიგიური აღმსარებლობისა, მუსულმანურია იგი, ბუდისტური, ზოროასტრული თუ სულაც — მართლმადიდებლური. მოკლედ, მიმდინარეობს კლასობრივად გაყოფილის რედუქცია და ნაციონალურად შეკრულის დემონტაჟი, დაშლა.

ამჯერად დასკვნითი ნაწილის საანალიზოდ გადავდოთ თუ ახალი აზროვნებისთვის რა საფრთხეს შეიძლება წარმოადგენდეს კლასობრივი განსხვავებულობის მოსპობა სახელმწიფოებრივ დონეზე და საპირისპიროდ — ნაციონალური მონოლითურობის მორყევა მთელს პლანეტაზე დეპატროფილიის დამკვიდრების ნიშნით.

ბერლინის კედლის თემა ნომერ პირველ პრობლემად იტრიალებს საერთაშორისო არენაზე, ვინაიდან იგი ზესიმძლავრის მუხტისაა სრულიად დედამიწისათვის, რამეთუ 1941-1945 წლებში, სულ რაღაც მესამედი საუკუნის მანძილზე, ორჯერ იფეთქებს იქედან მილიონობით ადამიანის შემწირველი ორომტრიალი. ეს უკვე მეფისტოფელის ქაჯურ არითმეტიკას აღემატება და ზედმიწევნით ენათესავება ტრუმენის კალმისტრის წვერით წაშლილი ქალაქების — ჰიროსიმა-ნაგასაკის — საერთაშორისო ტრაგედიას.

თან ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ბერლინური ტიხარის მოშლის მხარდამხარ გამალებულად მიმდინარეობს საბჭოეთის სივრცეში "პერესტროიკისა" და "გლასტნოსტის" დამაგრება სოციალისტურ ნიადაგზე, საბაზრო ეკონომიკის ნერგის ჩაყრა მისთვის ხრიოკ და მიუდგომელ ადგილას. ამგვარი მცდელობა კრახით დასრულდება ერთხელ „**HEP**-ის" — ახალი ეკონომიკური პოლიტიკის სახით, რომელსაც სულ რამდენიმე წელიწადში ყასიდად მიშვებულ აღვირს დაუმოკლებენ და ჯიბეებსაც გამოუფერთხავენ ფარვანას სიხარულით მოზეიმე სიცოცხლესთან ერთად. თუმცა პრობლემის ეკონომიკური ანალიზი ნაკლებად აინტერესებს „არჩევანის" ავტორს; მისი უშრეტი ენერგია დილემის პოლიტიკური მოწესრიგებისკენაა მიპყრობილი და ამ ჭრილში განიხილავს წინმხვედრი პროცესების შუქჩრდილოვან კასკადს, რომელიც მთელი ევრაზიის სივრცეზე დრაკონივით გაწოლილა.

თითქოს დამანუგეშებელია გენშერის სიტყვები, რომლის შესაბამისად უამრავი წინააღმდეგობის გადალახვის მიუხედავად, შეიქმნება აწ და მარადის ევროპული გერმანია და არა — გერმანული ევროპა.

მოვლენის ფეხდაფეხ იქმნება ოტავის ექვსეული, რომელმაც ბერლინის პირქუში კედელი ფარღალალა ტრიუმფალურ თაღად უნდა გარდაქმნას, რათა ამ ღია სივრცეში შეუფერხებლად გაიაროს ცივილური მსოფლიოს მძიმე შემადგენლობამ ლიან უნგ ანიდან მოყოლებული „დიდი აბრეშუმის გზის" ოაზისების კრიალოსნებით; აბსტრაქტულმა მიმართულებებმა ვაშინგტონიდან თუ კანბერიდან, იოხანესბურგიდან თუ მახლობელი პარიზ-მოსკოვიდან. აი, როგორი დანიშნულების ტრიუმფალურ თაღად უნდა გადაკეთდეს ბერლინის კედელი „ჩქაროსნული დიპლომატიის" ხორუმებით.

ექვსეული გულმოდგინებით აზუსტებს თანაზომიერ სარკოფაგს ბერლინის კედლის ზეზეური ცხედრისათვის და აქვე,კოსმოსურ სიმაღლეზე ატაცებული გერმანიის შეპირაპირების ორიენტაციითაც დაინტერესებულა: კვლავაც გახლეჩის სინდრომით შეპყრობილი ივლის დუნიაზე თუ — თავისთავში მთლიანი და მშვიდობის მისიის რეალიზაციით გაჩახჩახებული.

ოპოზიციური საბჭოეთი და მასთან ერთად სოციალისტური ბანაკის კონსერვატორული ზედა ეშელონი, დაუფარავად გამოხატავს წყრომას გერმანიის კარზემომდგარი გაერთიანების გამო. საამისოდ ექვსეულს ორი გერმანიის საზღვარზე დამატებითი დივიზიის ჩაყენებას სთავაზობენ, როცა იქ უკვე ნახევარმილიონიანი არმია თავმოყრილა კოლოსალური სატანკო შენაერთებით. ეს ხომ აშკარად მესამე მსოფლიო ომის დასაწყისია და აქედან გამომდინარე — კაცობრიობის უეჭველი დასასრულიც.

გენშერს არ გამორჩება მხედველობიდან „არჩევანის" ავტორის „გასალკდევება". 89 წელი პიკია გერმანიის გაერთიანების გზაზე. ხოლო 90 წლის 13 თებერვალი — მწვერვალთა მწვერვალი დიპლომატიის კრეისერს ჩანაცვლებული მოტორიანი ნავისთვის : „ორს პლუს ოთხის" მექანიზმი ბებიაქალად იქცევა, ოდეს ჭინთვებით გათანგული ბერლინის კედლისგან ტრიუმფალური თაღის გაჩენის ჟამი მოაწევს. და აქ სრულიად ლოგიკური ეჭვები ჩამომწკრივდება ბატონი ედუარდის წინაშე, რადგანაც „**საგარეო პოლიტიკური პრაქტიკა უნდა განვიხილოთ განვითარებაში, როგორც პროცესი, რომელსაც ყოველ გარკვეულ მომენტში გარკვეული ამოცანები აქვს და რომელსაც მისი მონაწილე, თავისთვის საჭირო შედეგისკენ წარმართავს**".

მთავარი პოსტულატი მაინც საერთოევროპული უშიშროების სინქრონიზაციაა ახალ სტრუქტურათა ფორმირებისათვის. ეს პროცესი ნელ-ნელა იქითკენ გადაიზრდება, რომ ჩვენი ავტორი უმცირესობაში აღმოჩნდება, ვინაიდან დაუფარავად ასახელებს ნაციონალური კომპლექსის აღზევების ალბათობას, რომელიც გადაჯაჭვულია ჩვენი ისტორიის ტრაგიკულ ფურცლებთან: გაერთიანებული გერმანიის აღმოჩენა ნატოს შემადგენლობაში ძალზე შელახავდა საბჭოეთის უშიშროების ინტერესებს, დაარღვევდა ძალთა შეფარდებას ევროპაში. ალბათ, საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულებაც გარკვეულწილად დააჩქარებს თავად ნატოს ტრანსფორმაციას.

პოლიტიკას შესაძლებლობის ხელოვნებად ასახელებს ,,არჩევანის'' ავტორი, რომელიც გაუგონარი კონსენსუსის წინაპირობას შეუქმნის ულტრათანამედროვე ტექნიკის ყაზარმად ქცეულ გოეთეს სამშობლოს და უკვე 90 წლის ივლისში შეიქმნება კიდეც პოსტამენტი იშვიათი ფასეულობის აზრის მონუმენტისათვის: **„დაუშვებელია და შეუძლებელიც საკუთარი უშიშროების აშენება სხვა ხალხების გათიშვის ხარჯზე“**. ამიერიდან ახალი აზროვნების რელსებზე გადაყვანილ მსოფლიოს არაფერში გამოადგება იულიუს კეისრის ქრესტომათიული დოქტრინა ერთა გახლეჩის პრიზმით, მათზე ბატონობის შესანარჩუნებლად.

ამ დიპლომატიურ უღელტეხილს მოსდევს უმაღლეს დონეზე შეხვედრები მოსკოვში, ჩრდილოეთ კავკასიაში, არხაზში, ,,მინვოდში'' — მინერალურ წყლებში, და ბუნებრივია, გზადაგზა დაგროვილი კითხვები სათანადო პასუხს მოითხოვს უკვე რამდენადმე არაპოპულარული დესპანისაგან. მაგრამ როგორ გინდა უპასუხო ამისთანა ბრალმდებელ სენტენციებს?

,,**გერმანიის გაერთიანებაზე დათანხმებით თქვენ „წააგეთ“ 1945 წლის გამარჯვება**;'' და იქვე: **„რა გარანტიები არსებობს, რომ გერმანია ისევ არ დაიწყებს ომს“?**

ამისთანა ინტრიგანული თუ მსუსხავი სიმართლის შემცველი კითხვებისათვის ,,არჩევანის'' ავტორს ყოველთვის მოეძებნება არესის ისარივით სწრაფი პასუხი, რომლის შინაარსი სწორედ 1945 წლის გამარჯვებაა — მსოფლიოს ახალი აზროვნების ქვაკუთხედი; დიახაც 1945 წლით დანარცხებული დროშების ხერგილსა და 27 მილიონი მსხვერპლის ჩონჩხზე დგას დღეს ევროპული სტაბილურობა თუ მსოფლიო წესრიგი საერთოდ. ეს არსებითი, მაგრამ ამიერიდან ჩნდება იმისი საშიშროებაც, რომ **„ჩვენ ადამიანთა უფლებათა სფეროშიც უკან დახევა გვემუქრება, რადგან აქ პრობლემები სულ უფრო და უფრო გადაინაცვლებს პოლიტიკურ თავისუფლებათა სიბრტყიდან სოციალურ და ეკონომიკურ უზრუნველყოფათა სიბრტყეზე“**. აქედან კი ისახება ინტელექტის განსაკუთრებული წყობის ჩამოყალიბების პერსპექტივა, რომელიც შებორკილი არ იქნება ტოტალიტარიზმის უნიფიცირებული დადგენილებით. ეს ყველაფერი კი შეუცდომლად ქმნის საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის მასობრივ მარშრუტს და ცხადია, წყალში ყრის ,,არითმეტიკული ამოცანების'', სტატისტიკურობას, მის მოუქნელ და მოუხეშავ სხეულს.

„ევრაზია“. დავივიწყოთ წარსული, მივეგებოთ მომავალს“

ჩვენ ზემოთ მინავლულ ბუხარს ვასახელებდით საკუთარ თავთან დარჩენის უებარ საშუალებად, მით უფრო, როცა შეშის შემკეთებელი კეთილისმყოფელიც აღმოგაჩნდება ახლომახლო, მაგრამ სივრცეებს გამოკერებულ დესპანს ვინ დააცლის ნაღვერდლის ქექვას და იწყება ათსაათიანი ფრენების ციკლი აღმოსავლეთისაკენ: ვიზიტები იაპონიაში, ჩინეთში, ვლადივასტოკში. და ეს, ლამის ნახევარი დღე-ღამე, ცაში გამონასკვული პიროვნებისთვის განსჯის, ანალიზის უნიკალურ საშალებად ქცეულა.

პროგნოზებს ირონიით მოიხსენიებს ,,არჩევანის'' ავტორი. ფუტუროლოგია მისეული წიაღსვლებით დიდ პრეტენზიას აცხადებს ზუსტ მეცნიერებათა უცთომლობაზე, მაგრამ ყველაზე ზესრულყოფილი გათვლებიც კი ფარ-ხმალს დაყრის ხოლმე მოულოდნელობით აღსავსე ცხოვრებასთან შეჯახებისას.

და მაინც ერთადერთი განზომილების აბსოლუტურობაში წამითაც არ იჭვნეულობს ჩვენი საუბრის ადრესატი, რომელიც აქამდისაც ომახიანად ჟღერდა: — **ადამიანი!**

კაცობრიობას უკვე საკმაოზე მეტად აუყრია ტანი, იმისათვის, რომ საღიერად გააცნობიეროს ბუნებრივ ზღვართა უკანასკნელ მიჯნებთან მიახლოება. იწურება სასიცოცხლო მნიშვნელობის მრავალი რესურსი და აუცილებელი ხდება საკუთარი მოღვაწეობის ბევრი სფერო გლობალურ დონეზე დარეგულირდეს. ამიტომაც არის, რომ ,,არჩევანის'' ავტორს, მის ვიზიტს საგნებთან და მოვლენებთან არჩეული პოზიციიდან იოტისოდენად გადახვევის უფლება არა აქვს, მიუხედავად

იმისა, რომ ზოგადკაცობრიული ფასეულობათა რიტორიკა ყოველთვის როდი შეესაბამება ეროვნულ ინტერესთა რეალურ მოთხოვნებს.

ამ ასპექტში ხელშესახებად გამოიკვეთება, რომ ამერიკასთან ურთიერთობის გაუმჯობესება აკეთილშობილებს დამოკიდებულებას თვით იაპონიასთან. ამისი ნათელი დასტური კი რუსი სოკოროპიშინის იაპონელი მედიკების მიერ სიკვდილისთვის ხელიდან გამოგლეჯაა. სხვანაირად ეს იუჟნოსახალინსკელი ბიჭუნა განწირულია იმ მრავალი თანატოლი საბჭოელი მალხაზის თუ თვით იაპონელი ონავრის მსგავსად, რომელთაც საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა აუმღვრეველი პრაქტიკა ოსანას ხმებით გულხელდაკრეფილი მიაცილებს პერსეფონეს უშორეს გზებზე.

აღმოსავლეთის საკვანძო პრობლემა კამბოჯაა. აქ ვიეტნამის სამხედრო ძალების ყოფნა ძაბავს ნორმალიზაციას რეგიონებს შორის. წლების მანძილზე გართულებულია ურთიერთობანი ჩინეთთან, მაგრამ დენ სიაო პინისთან შეხვედრის წინ საბჭოეთის დესპანს გაუმართლებს და აქამდე დახშული კარის რაზა დაემორჩილება.

ჩინეთის, ამ მართლაცდა გიგანტი ქვეყნის, აღორძინება ხომ უწინარესად დენ სიაო პინის სახელთანაა გაიგივებული. ეროვნული აღმშენებლობის შემოქმედი მასპინძელი არ მალავს ორი ქვეყნის ახლო წარსულში არსებულ ნათელ ფურცლებს და წყლის ამღვრევის მომენტებზეც ჩერდება ტაქტიანი სიფრთხილით.

— ახლა ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთო, — ბრძანებს დენ სიაო პინი, — წარსულს ბოლო უნდა მოვუღოთო, — დაასკვნის, — მაგრამ, ამ ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელია ვიცოდეთ თავად ჩვენი წარსული, თუმცა ეს არ უნდა ხგავდეს მასში ქექვას და ბუდრაობას, არამედ წარსულის ცოდნაც გარკვეულწილად ზღვარდებულიაო, — მოსჭრის და ჩვენი დესპანიც მყისვე მიაგებებს ჟორესისეულ მაქსიმას:

— წარსულიდან ფერფლი კი არა ცეცხლი გვჭირდებაო.

საუბარი შემდგომ იქითკენ გადაიხრება დანაღმული ქვეტექსტებით, რომ „არჩევანის" ავტორი ცალმხრივი დამაჯერებლობით განაცხადებს:

— ვიეტნამი კამბოჯიდან ჯარებს თავადვე გამოიყვანსო.

ჩინელი პოლიტიკოსი ნეიტრალურია, მეტიც, დაეჭვებით შეათვალიერებს მოსაუბრეს და ბოლომდე შეინარჩუნებს აღმოსავლელი დიპლომატის წონასწორობას.

ამას მოხყვება პეკინში ტანიან მენის მოედანზე მომხდარი ტრაგედია, რომელიც ერთხელაც შეძრავს პროგრესულ მსოფლიო ძალმომრეობის ველური აღნაგობით, რომელიც ეს-ეს არის ყინულზე მოსიარულეთა სიფრთხილით ჩავლილი დიალოგის სათუთ და სუსტ ყლორტებს რამდენადმე დააზრობს უცაბედად მოქარბუქებული სუსხით.

ევროპელები სულ ტყუილად თავმომწონეობენ დანარჩენი მსოფლიოს წინაშე მაღალი აზროვნების არსებული მოდელით, ვინაიდან ყოველი ახალი კარგად დავიწყებული ძველია. ამჯერადაც იდენტურად გალარულა საქმე, რამეთუ ყოველგვარი ევროპულის ფუძეთა ფუძე უწინარესად დიახაც აზიურშია საძიებელი, იქაა მყარად ფესვგადგმული და კეთილისმყოფელი ნასესხობით გადმონიაღვრებული დასავლეთით, თვით ხარზე ამხედრებული ევროპს გამოსახულებიდან მოყოლებული, ბუდა შაკია მუნის ზოგადკაცობრიული ზეგავლენებით ქრისტიანობის სამად სამ სიტყვაში დატეულ ზემოწამეობრივ საზრისზე: **გიყვარდეს მტერი შენი.**

აღარც ახალი აზროვნების შინაგანი ენერგია აღმოჩნდება მთლად ხასხასა ხალიჩა მსოფლიო დიპლომატიის თემშარაზე, ვინაიდან მისი ხავერდოვანი ბუსუსები უკვე 1954 წლიდან ითელება „პანჩა შილას" პრინციპებით მოარულ ინდოეთ-ჩინეთის ფეხქვეშ, რომელიც ფაქტობრივად მშვიდობიანი თანაარსებობის 5 ძირითად პრინციპს უიგივდება ჩვენებურად.

აკი, გაცხადდება კიდეც მოგვიანებით, პრომეთეს, იგივე ამირანის ნასესხობა თუ არა, მსგავსება მაინც ინდოევროპულ პრომეთუსასთან. სხვანაირად წარმოუდგენელიცაა.

Evrope შემთხვევით სულაც არ არის ფენიქსისა და პარიმედეს ასული, რომლისგანაც ზევსს სამი ვაჟიშვილი შეეძინება — მინოსი, რადამანთოსი და სარმედონი. აქედან, ჩვენთვის, ქართველებისთვის, პირველი ორი შედარებით სისხლხორცეულია. თუმცა მთავარი ის გახლავთ, რომ უძალადობის ფსიქოლოგია მთელი 36 წლით ადრე მოლაპარაკების მრგვალ მაგიდაზე გადაეშლებათ ახალი აზროვნების სულისჩამდგმელებს, რომ არა მტვერწაყრილი სიბრძნის რეალობა. და აი, აქ, ამ 10 საათიან გონსასეირო სივრცეში, მთელი სიმძაფრით შემოცურდება „დიდი აბრეშუმის გზის" თითქოსდა ბალახმოკიდებული კალაპოტი, რომელიც ათასწლეულების მანძილზე შეუდრეკლად ხმიანებდა ომებისა და ძალმომრეობის პირობებში, ქონებრივი უთანასწორობის სიპირქუშეში, როგორც საყოველთაო ხსნისა და გადარჩენის სიმბოლო — მთავარი არტერია.

„ისტორიის წმინდა აბრეშუმის ძაფი გარდიგარდმო კერავდა დროისა და მანძილის სივრცეებს“. ევრაზიულ არეალს სამყაროთა სამყაროდ წარმოგვიჩენს ახალი აზროვნების ეპოქა და ჩვენი დესპანის გონებაში ილარება კიდეც ტრანსევრაზიულ კავშირთა პროექტების ხორცშესხმის ნიუანსები.

აქამდისაც გვისაუბრია, რომ საერთაშორისო დაპირისპირებას, მეორე მსოფლიო ომის ლოგიკურ ფინალს იმპერიალიზმთან სოციალიზმის ფორსირებული გამარჯვებით, მხოლოდ გერმანიაში, შუაგულ ევროპაში როდი აღუმართავს გათიშულობის გოროზი კედელ-მოლოქი. იგივე უნდობლობის და საუკუნო იზოლაციის ნაგებობა კორეის ნახევარკუნძულზეც აღსვეტებულა, დანარჩენ მსოფლიოში იდეოლოგიური მუხტის იმპორტით ჩვენს სულებს დადებით-უარყოფით ენერგიათა დაუნდობელ არენად რომ აქცევენ და ხელისგულისოდენა ნიადაგს გამოაცლიან ფეხქვეშ თანამშრომლობისა და თანაქმედების პერსპექტივას, სინთეზური ცნობიერების საზიანოდ.

ხოდა, ამ 10 საათიანი ფრენების მონუმენტურ გარინდებებში დაპურებული სულის არეები კაცობრიული ბედ-ილბლის განჩხრეკის გადასახედიდან, ზედმიწევნით ეწაფება ვილამბერგის კონფერენციებს, კუალა-ლუმპურის „მრგვალ მაგიდებს“, ახალზელანდიურ სიმპოზიუმებს, ვლადივასტოკის შეხვედრებს და ვინ მოსთვლის.

აქვე თვალნათლივ საგნიერდება „ეკონომიკური ცივი ომის“ დამატებითი თავსატეხები ისედაც უკიდურესობამდე დაჭიმული მსოფლიოსთვის: როცა ადამიანის არსებობა შიმშილით სიკვდილის ზღვარს მიატანს, მას უკვე არაფერში ეპიტნავება შენი ფოლადისკბილება მავთულხლართები, ქვიშის დავარცხნილი ზოლები დივერსიული ნაფეხურების დასაფიქსირებლად, აღარც — თავად გერმანულ-კორეული კედლების გამსრესავი გამთიშველობა. საყოველთაო შიმშილისათვის არარაისია ნებისმიერი ნიშნულის უღელტეხილის ცათამბჯენობა ფრჩხილისოდენა სიცოცხლის მოპოვების თუნდაც მცირეოდენი შანსით და ცალსახად იკვეთება სრულიად პლანეტის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის გარდუვალობის აუცილებლობა, რათა თითოეული კონტინენტი, ყოველი ქვეყანა და რეგიონი დაუხანებლად ჩაერთოს ურთიერთხელსაყრელ ეკონომისტ- მწერლისთვის და კიდევ მეტადრე უმწიფარი სცენარისტ-რეჟისორისათვის მოიცლის ერგასიიოდე წუთით.

მრავალს ვისაუბრებთ ხელოვნების დანიშნულებაზე, მის ნეიტრალურ თუ მიკერძოებით პოზიციებზე.

მე ამ პერიოდისათვის ორი თემა მიღიტინებს სულში: მისჯილი სიცოცხლის რეალიზაცია და ძმები ივერიელების თვითმფრინავი: ანტისახელმწიფოებრივი ქმედებისათვის ორ ვაჟიშვილს უხვრეტენ უბედურ დედას.ქვეყნის კანონმდებელს მუხლებში ჩაუვარდება სასოწარკვეთილი მშობელი და უზენაესისაგანაც მოწყალებას მიიღებს — ამოირჩიოს ორიდან ერთ-ერთი ძე. უბედური დედის კოშმარებიც ამ წუთიდან იწყება. მის თვალწინ ნელ-ნელა ცოცხლდება მემკვიდრეთა განსხვავებული ხასიათები, განსხვავებული ტემპერამენტით გავლილის თითოეული გზა, მაგრამ რადგანაც გამჩენელისთვის ორივე შვილი თანაბარია, ვერანაირად გააკეთებს არჩევანს. და წარმოიდგინეთ, უკვე თავაწეულია აქამდე სულშეძრული მანდილოსანი, ვინაიდან ამოიშანთება სულიდან ანტიადამიანური ცდუნებანი, და განცალკევების მომაკვდინებელ კედელს არანაირად გაავლებს ღვიძლებს შორის; ამაყად ეგებება მათ მონოლითურ აღსასრულს, თავადაც გაუბზარავი და მთლიანი დედა.

ვატყობ, რაღაცნაირად იხიბლება ჩემი მასპინძელი, საქებარ სიტყვებსაც არ იშურებს, რომელიღაც სიუჟეტთან ნათესაობასაც ასახელებს, და უცებ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იტყვის:

— ბატონ ედუარდის იმედი მაქვსო.

გაოცებას ვერ დავფარავ. ჩემთვის გაურკვეველია რა ესაქმება ხელოვანის სულს სახელმწიფო მოხელესთან, მით უფრო სათაყვანებელ თენგიზ აბულაძეს, „ვედრებისა“ და „ნატვრის ხის“ სწორუპოვარ შემოქმედს; აქამდე წიგნიერ სამყაროში არსებულ ლიტერატურულ მასალას პლასტიკის, სინთეტიკის ენაზე რომ ააჟღერებს მთელი კაცობრიობისათვის.

გამოხდება ხანი და სამგზის ვიხილავ „მონანიებას“, მაგრამ რეჟისორთან მოსმენილი ფრაზა უნდობლობის ბარიერად დამაწვება გულზე. შემდეგ, მოგვიანებით, გარკვეული პერიოდის მერმე, ჩავწვდები როგორი სახელისუფლებო ზურგის ქარები კვებავდა თურმე ამ ჯვარცმული ფილმის ეკრანზე გამოჩენას. ხელმწიფის ნავში ჩაჯდომის უხერხულება დამღასავით გამყვება მაინც. ახლა კი, „არჩევანის“ 10 წლის დახანებით გაცნობისას გაირკვევა ჩემთვის, რომ ხელისუფალის სამაგალითო თავდაუდებლად შეუძლებელია მისი არათუ განხორციელება, თვით — ფიზიკური გადარჩენაც.

საქართველოდან შევარდნაძის წამოსვლის შემდეგ სათანადო უწყებებში დგება საკითხი კინოლენტის ერთადერთი პირის მოსპობის შესახებ. რეჟისორი ამიერიდან არაფრად დაგიდევს მის

მიმართ გაცემულ სანქციებს მოსათვინიერებელი ხალათის პერსპექტივით და ,,მონანიების'' ვიდეოასლზე დაიჭერს თადარიგს. ეს მომენტი კი უკვე ახალ ბრალდებას ააგორებს ანტისაბჭოური ქმედების შტრიხებით, ლამის სამშობლოს ღალატის შემცველი კვალიფიკაციით.

და აი, აქ ჩვეულებისამებრ კვლავაც არ დააყოვნებს ,,არჩევანის'' ავტორი, და თითებით ყელგამოწეული მიუჩოჩდება გორბაჩოვს: **„მე ბევრი ვინმეს ვალი გამომყვა შინიდან, მაგრამ ახლა ყველა ვალის დაბრუნება არ ძალმიძს, თუმცა არის ერთი ვალი, რომელიც უსათუოდ უნდა დავაბრუნო, რადაც უნდა დაჯდეს და თქვენ შეგიძლიათ ამაში დამეხმაროთო.“**

ცხადია, გორბაჩოვიც არ დაახანებს ,,მონანიების'' ნახვას და ამ მართლაც იშვიათი ექსპრესიულობით გამორჩეულ ფილმს მწვანე შუქი აენთება ფართო აუდიტორიისაკენ, როგორც საბჭოეთში დამკვიდრებული ახალი აზროვნების ესთეტიკურ ნაყოფს.

ამას ყველაფერს 1986 წლის 26 აპრილის ჩერნობილის ტრაგედიაც დაესართება და დღის წესრიგში დადგება ,,სიმართლის გაკვეთილების'' წყალწყის წარმოჩენის რეალობა, თუმცა მალე გაირკვევა ყოველივე და ფორმულასავით გამოიკვეთება აფორიაქებული საზოგადოების დასაშოშმინებლად: **„ჩვენ კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით იმათ, ვინც სოციალური ინფორმაციის დოზირებისთვის იბრძვის; სიმართლე არ შეიძლება იყოს „მეტისმეტად ბევრი“!**

ამასობაში ჩერნობილის ატომური სადგურიდან ამოფრქვეულ ცეზიუმს და სტრონციუმს სასაცილოდ არ ეყოფა ,,ჯოჯოხეთის წრის'' ოცდაათკილომეტრიანი რადიუსი, უკიდეგანოდ მიექანება ჩრდილოეთის ციალისაკენ პოლარული ღამეებისთვის ძილის დასაფრთხობად თუ შავი ზღვის აუზის ქვეყნების ოქროქვიშოვანი პლაჟებისაკენ და წარმოიდგინეთ, თვით გური ოტობაიას ბოსტანშიცჩ შეაღწევს ენდემური კიტრ-პომიდვრის ტრადიციული პარამეტრების სამგზის გასაზრდელად.

ახა, თვალსაჩინოდ ამოტივტივდება ,,ეკონომიკური ცივი ომის'' საშიშროებაზე არანაკლებ საგანგაშო საფრთხე — თურმე სამშვიდობო მიზნების ატომბირთვსაც ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით მოფრთხილება სჭირდება; თურმე ადვილმოსალოდნელია, გარდაქმნილი ბუნების პირმშომ ერთ მშვენიერ დღეს შური იძიოს ენგელსის თქმულებისამებრ ზედმეტი, ჩხირკედელაობის დასტურად.

ახლა უკვე თეორიულადაც და პრაქტიკულადაც საჩინოვდება ,,კლასობრივისა'' და ზოგადადამიანურის ურთიერთდამოკიდებულების წონასწორობის გარდუვალობა:

ჩერნობილის დღემ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობა — სიცოცხლე — ელვის უსწრაფესად დააყენა „კლასობრივ შეგნებაზე მაღლა“. ამიერიდან დაგროვილი მასალა ქმნის ეჭვმიუტანელ წინაპირობას უფრო თამამი არგუმენტისაკენ: „ჭეშმარიტება, მართალი ინფორმაცია, რომელიც დანაწილებული და გამოზომილი არ იქნება კლასობრივი, კასტური, კლანური, ეროვნული ნიშნებით, საკვანძო საკითხია პოლიტიკის ზნეობრიობის და უზნეობის გასარკვევად.

ასეთია ახალი პოლიტიკური აზროვნების ექსზორტიორის რეკომენდაციები პატროფილურ ტენდენციათა მომხრეთათვის თუ გლობალიზაციის მიმდევრებისთვის კოსმოპოლიტური მიდრეკილების დასაბალანსებლად.

ჩვენთვის, ბელეტრისტი ხალხისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ,,არჩევანის'' ავტორის დამოკიდებულება მასმედიის კოორდინატებისადმი:

„ძალაუფლების მონოპოლია არის ინფორმაციის, მისი შექმნისა და გავრცელების საშუალებათა და წესთა მონოპოლია. ძალაუფლების მონოპოლიაზე უარის თქმა, თავის მხრივ, იწვევს პლურალიზმს — მათ შორის, აზრთა, შეფასებათა, იდეათა ინფორმაციული პლურალიზმის დამკვიდრებას. უბედურება ის არის, რომ პოლიტიკური მონოპოლიზმის ძალმომრეობის წლები ხელს არ უწყობენ მაღალ პოლიტიკრ კულტურას, რომელიც შეიძლება ხასიათით ცენტრიდანულ და არსით კონფრონტაციულ შეხედულებათა სხვაობის გადაყვანას ნორმალური, ცივილური, კონსტრუქციული საზოგადოებრივი დიალოგის კალაპოტში. მოჩვენებითობაა, როცა ადამიანს „იდეური“ შეუთავსებლობის კედლით გაემიჯნებით, მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ის თქვენგან განსხვავებულად აზროვნებს“.

აქვე მახვილგონივრულადაა შენიშნული ისიც, რომ ნაციონალ-შოვინიზმის ხუმანიზმზე გამარჯვება ტირანებს გზას უხსნის ძალაუფლებისაკენ, მაგრამ დანახულია ის რეალობაც, რომელიც ავტორის თქმით ,,ნაციონალ-პატრი- ოტები'' მოიმარჯვებენ ხოლმე კომუნისტური რეჟიმის

არსენალიდან. სხვაგვარად მოაზროვნეთა დევნას, ეროვნულ უმცირესობათა დათრგუნვას, საკუთარი შეცდომების სხვათათვის გადაბრალებას, უპასუხისმგებლობის მითიური მტრებისთვის დაკისრებას, ,,ერის მტრების'' ფანტომის ჩამოყალიბებას და ა.შ.

ჯელაფრის გათვალისწინებით, უკვე ჩემთვისაც დღესავით ნათელი ხდება, თუ რა წინააღმდეგობა ამოკედლებულა ახალი აზროვნებისა და ეროვნულ მოძრაობის უძირითადეს პოსტულატებს შორის. რატომ, რის გულისთვის შესძახებენ გამსახურდიას ოკეანის გაღმიდან დინების საწინააღმდეგოდ მოცურავეს, ან რა მოტივაციით შეუქნევენ თითს კავკასიიდან ამერიკის პრეზიდენტს.

წერილების ნაკადი კი კვლავინდებურად არაგვივით მოედინება ,,არჩევანის'' ავტორის მისამართით. ამ ფოსტის ზოგადი პასუხი ნიქსონის ფრაზაშია მოქცეული:

„გარდაქმნის პოტენციალი იფლანგება ერთმანეთის დადანაშაულებასა და დაუფარავი პირადი მტრობის ატმოსფეროში.“ აღმოჩნდება, რომ ადამიანების მეტი წილი შებორკილია საკუთარი წარსულით. როდესაც ვესწრაფოდით მონობისგან გათავისუფლებას, სინამდვილეში სერვილიზმის მორევში ვყურყუმელაობდით, ჭეშმარიტება კი მხოლოდ ერთადერთი კრიტერიუმით მოიპოვება: ,,ეკლიანი გზით ვარსკვლავებისაკენ''. და რადგანაც საზოგადოებრივი ფორმაციის შეცვლა პიროვნებათა პოზიციიდან ფრიად შენელებული მსვლელობისაა, ისინი კი მოითხოვენ სწრაფქმედობას, ბუნების დაწესებული დროის შეკუმშვას დაკანონებული მოვლენების მომწიფების გზაზე, ყოველნაირად აღვივებენ რევოლუციურ დრაკონებს სასურველი სოციალური ფონის მოსაპოვებლად, სამაგიეროდ იძენენ კი პიროვნების სუვერენიტეტის გათელვას გილიოტინის ცელისმაგვარი სივილით.

ახალი აზროვნების მარცვლები, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, კაცობრიობის ნიადაგში დიდი ხნის წინათ ჩათესილა, თუმცა ღივი მხოლოდ ახლა გამოუტანია. რატომ? სვამს კითხვას ,,არჩევანის'' შემოქმედი და იქვე პასუხობს, რომ ჯელაფრის ავტორი თავად დროის მოტანილი სიტუაციაა — გონების პრობლემა კი ჯელგან და ყოველთვის ბატონობდა. შესაძლოა ბუნებამ ურჩხული შვას, როცა ლეთარგია ისეთივე ხანგრძლივია, როგორც ჩვენშიო.

სტრიქონ-სტრიქონ მივსდევ ,,არჩევანის'' პასაჟებს მერამდენედ და სინდისის ქენჯნას იოტისოდენადაც არ განვიცდი პლაგიატობის ბრალდების ასაცილებლად — წინწკლების მოშველიებას ფრაზათა, სენტენციათა გამოცალკევების საჭიროებით.

უკვე პარალელები ეძებნება მარათონულ 10- საათიან ნავიგაციის პერსონაჟს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, მოსეს 40 - წლიან ხეტიალთან უდაბნოსა შინა, რათა მონობაში შობილთ ახალი ფსიქოლოგიის თაობა შეენაცვლოს იორდანეს უპრობლემოდ გადასალახავად; რათა თავაწეულნი დაუბრუნდნენ თავიანთ ქანაანს, თავიანთ აღთქმულ მიწას.

მაგრამ ისიც ცხადია, რომ გარდაქმნის ესოდენ გაწელილ ქრონომეტრაჟს არც მალემსრბოლი ცხოვრება დაუცდის, არც ახალი აზროვნების ეგიდით მოქმედი საბჭოური ზედა ეშელონი და აღარც — ლამის პარიებად — უუფლებოთა დასებად ქცეული მოსახლეობის მეტი წილი.

უკვე აშკარად იკვეთება დისკომფორტი, შეუთავსებლობა სახელისუფლებო რგოლებსა და საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის. ვეღარაფრით მოხერხდება ცენტრალიზებული ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის შეთანა- წყობა თავისუფალ თვითრეგულირებად საბაზრო ურთიერთობასთან და ამიერიდან ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ახალი აზროვნების თანამიმდევრული მოტორიანი ნავისთვის მოჭრილია უკანდასახევი ბილიკები და უკვე სრულიად აშკარად მწიფდება გადადგომის მკვეთრი კონტურები. ამ გადაწყვეტილებას მოგვიანებით 89 წლის აპრილის მოვლენებიც წარუმატებს უკანასკნელ წვეთებს იობის მოთმინების გადმოსანთხევად.

შემოთავაზებული ანალიზი ზედმიწევნით პრაგმატულია, გამოხშირული ყოველგვარი ემოციური ფონისა და სანტიმენტალურობისაგან. დასახელებულია 9 აპრილის ტრაგედიის 6 ძირითადი მიზეზი, რომელთა ერთ მწკრივში დარაზმვა თვალნათლივ აცხადებს შემდეგნაირ სურათს:

მომიტინგეთა რაოდენობა და შემადგენლობა, თავისი შინაარსით გამორიცხავს დაშლისთვის ძალის გამოყენების რამენაირ აუცილებლობას, მით უფრო ისეთ მეთოდებს, რომლის მსგავსი დაუშვებელია ნებისმიერი ნორმით. პირად საუბარში რატომღაც გულდასმით მიიჩქმალება ქიმიური საშუალებების გამოყენების ფაქტი, და რაც არსებითია, გენერალი გადააჭარბებს თავის უფლებამოსილებას. ადგილობრივი პარტიული და სახელმწიფოებრივი ორგანოები კი, როგორი გადაწყვეტილებაც უნდა მიიღონ, თავდაცვის სამინისტროს სანქციის გამორიცხვით, ვერაფრით განახორციელებენ და ამდენად, ინსპირირებულ კაცთაკვლაში მხოლოდ მათი დადანაშაულება, ცალმხრივი შეფასების მნიშვნელობისაა. !გათამაშდება ტრაგედია და იგი მომაკვდინებელ დარტყმას მიაყენებს გარდაქმნას საერთოდ და ამიტომაც ეს ტრიუმფი ,,არჩევანის'' ავტორისაგან პიროსის გამარჯვებას

ემსგავსება რამდენადმე.

იმავე წლის 24 დეკემბრის მთავარი სამხედრო პროკურორის თანამოხსენება დიამეტრალურად დაუპირისპირდება საპარლამენტოს და ტრაგედიის მსხვერპლთ აწ გადატანილი სიკვდილი არ ეკმარებათ, საბრალდებო სკამებზე დასხამენ დიდპატარიანად.

ერთი ჯაჭვის დაახლოებით სხვადასხვა რგოლებად შეიგრძნობა ,,მონანიება'', ჩერნობილი, 9 აპრილი, რომელთა მთაგრეხილი სრულიად საკმარისი აღმოჩნდება გარდაქმნის უღიმღამო დინების ჩანასახშივე მოსაშთობად. და რადგანაც ,,არჩევანის'' ავტორს აღარ სურს ყინულის მორენად გადაქცევა საზოგადოებრივი ვნებათაღელვის მყინვარების გადაადგილების შემდეგ, თვითონ მიიღებს საბედისწერო გადაწყვეტილებას, ლამის უჩვეულოს საბჭოეთის სინამდვილისათვის: ეს თარიღი კი 1990 წლის 20 დეკემბერია.

დიპლომატიურ კრეისერს ჩანაცვლებული მოტორიანი ნავის ღუზის ჩაშვება ვერშემდგარი გარდაქმნის ბურუსიან ზღვაში, ვერ საგონებელში ჩააგდებს გორბაჩოვს; რამდენიმე წუთს კონტროლიდანაც კი გამოიყვანს აბსოლუტურად გაუგებარი ჟესტების ფონზე. ბოლოს, ინტელექტუალური კომპასის მომარჯვების მერე დააკონკრეტებს იგი: ,,არასდროს გაპატიებო'', მაგრამ ავანსცენაზე ჯერაც ახალი აზროვნების თანამიმდევრული დესპანის ბენეფისია:

„პოლიტიკა შესაძლებლობის ხელოვნებაა და ჩემი პროფესიული მოღვაწეობით მე საკმარისად დავამტკიცე, რომ კომპრომისების მეთოდს ვემხრობი, მაგრამ არ შეიძლება კომპრომისი თვით პოლიტიკის, მისი არსის, მისი წმინდა მიზნის ხარჯზე“.

მოშველიებულია კვლავაც ხაველის ტრიადა, რომელიც დაახლოებით იულიუს კეისრის ცხოვრების გააზრების სემანტიკისაა, ,,ტუ კვოკვე, ბრუტეს'' □შენც, ბრუტუს?) აღნაგობით, თუმცა უფრო მიზნიერია ,,მონანიების'' დედაბრის დიალოგის მოტანა ვიღაც მესამეხარისხოვან პერსონაჟთან.

როცა ბებრუხანა ტაძრისკენ მიმავალ გზას იკითხავს, პასუხად წინდებულ ქუჩას ტირანის სახელობით გააცნობენ და მაშინ დედაბერს არანაირად ააღელვებს ყოფითი რეალობის დიქტატორით მონათვლა, სამაგიეროდ უფრო მნიშვნელოვანს აიტაცებს მისი მარაზმული გამომეტყველება: **„რა საჭიროა ქუჩა, თუ ის ტაძრისკენ არ მიდისო“.**

91-ის აგვისტო.
„აჩრდილები“ სამზეოზე გამოდიან.

,,აჩრდილი დადის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისაო'', ამგვარი სიტყვებით შეაჭიდებენ საერთაშორისო პროლეტარიატს უკლასო საზოგადოების აშენების ხაეროვან ციტადელს, კაცობრიული ყოფიერების გიგანტი მკვლევარები, მარქსი და ენგელსი, და ბუნებრივია, ,,არჩევანის'' ავტორიც ასოციაციურად, წარმოსახვითი მონსტრის სატანური გაზმორების რეგალიებზე მიუთითებს უსათუოდ წიგნის ქვესათაურში, თუმცა 1991 წლის 19-21 აგვისტოს მოვლენები სულაც არ გახლავთ რაღაც მითოლოგიური კონფიგურაციის ურჩხული, არამედ ზედმეტი პოლიტიკური წესიერების შემწეობით წვეთ-წვეთობით გამოჯეჯილებული რუდიმენტია, დიქტატორულ მსოფლიო ხეგემონიას დადარაჯებული სალახანა. მოკლედ, ისტორიის ბედის ბორბალის უკუღმა დატრიალება უფლის ნაწყვეტ ადამიანს კი არა, თავად სრულქმნილ მაცხოვარსაც ვერხელეწიფება სამყაროს ექვსდღიანი გამოჩარხვის მერმე.

მე-10-ე თავი, ექსპრესიული თვალსაზრისით მთელი თხზულების მშვენებაა, ღირსება; შეუსვენებლივ მიგაქანებს ეპილოგის დამაგვირგვინებელი ფაზისკენ და ფორსირებული სტილით დასწრების წარუშლელ ეფექტს ქმნის.

საუბარია იმ დღეებზე, როცა ვნუკოვოს აეროდრომიდან მოსკოვს დავმშვიდობებივართ სამნი. რომან-ტრიადას პირველი წიგნის პწკარედული თარგმანი ,,დრუჟბა ნაროდოვში'' დამიბინავებია. მოგვისწრია წითელ მოედანზე მანდილოსანი ფოტოგრაფის ობიექტივიდან გამოჟივჟივებული ჩიტების გუნდის დაჭერა. მისამართიც დაგვიტოვებია იმ ბაბაიაგასთვის, თუმცა ,,ისტორიული'' სურათების დასტა ,,მთვარის მოტაცების'' მებორნისა არ იყოს, ჭირს მოგვჭამს სამუდამოდ, არავინ იზრუნებს მისი გამჟღავნება-დაფიქსაჟებისათვის, მით უფრო — დაკვალიანებისათვის ადრესის შესაბამისად.

საუბარია იმ დღეებზე, როცა რომისგან განსხვავებით, მოსკოვისკენ სიარულს უკვე მრავალი გზა წაუყრუებს და აღარც სოციალისტური ბანაკის მექა იწუხებს თავს მაინცდამაინც ხელიდან გასხლტომილი პრივილეგიების დაბრუნებით; როცა ,,რკინის ფარდის'' აწევა სპექტაკლივით გათამაშებული დანარჩენი მსოფლიოს დანახვაზე, საბჭოეთის გამოქვაბულში 74 წლიანი ყურყუტით თვალდავსებულ

მოქალაქეებს დაარეტიანებს გარემომცველი სამყაროს ცათამბჯენების ფეიერვერკებში ბრჭყვიალით ტორტმანი, □რომელიც ყოველთვის როდია ოქრო), და მამონას კერპის ცხვირწინ დასკუპება სამაგონის ბრუალით გაბანგულ ვასილ ივანიჩს ზღაპრული განძის მოხელთების ინფანტილური ილუზიებით გარინდავს.

19 აგვისტოს დილასისხამზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ეუწყება ქვეყნიერების ერთ მეექვსედ სოციალისტურ რეზერვაციას.

გამართლდება აქამდე პროგნოზების ოპონენტი მოტორიანი ნავის შეუნელებელი თუხთუხი, **„აუმუშავდება ტვინის ყოველი უჯრედი, გამოუთავისუფლდება კუთვნილი არხებიდან თითოეული ნაწილი და ახალი ენერგიით დაიმუხტება, რომელსაც ადრინდელ კავშირებთან არაფერი აერთებს“.**

დევნის კამპანია ,,გეკაჩეპემდეც'' შეახსენებდა თავს საგარეო საქმეთა მინისტრს, მაგრამ სულ ცოტა ოცი წლით დაგვიანებულია მოღერებული მუშტით თუ ტყვიით ედუარდ შევარდნაძის დაშინების პროცედურები — არჩევანი გაკეთებულია — **ალეა იაქტა ესტ** — წილი ნაყარია — მთავარი სათქმელი ბოლომდე გაცხადებულა. თუმცა გამორიცხული არაფერია და ყოველ შემთხვევისათვის სტეპანოვ-ტარასენკოსთვის დატოვებულია ზეპირი ანდერძი.

ჩემეული გამოცდილებისა არ იყოს, ახალი აზროვნების დესპანის მფარველი ანგელოზიც მისი უდიდებულესობა ინტუიციაა. ეს გრძნობა ლამის უცთომელია უმეტესი ადამიანისათვის, ათასჯერ სანდო, ვიდრე ცივი გონების ანალიზ-განსჯაზე აგებული ვარაუდთა ცათამბჯენები.

რის ვაივაგლახით მყარდება კავშირი ბორის ელცინთან.

,,**ეს ფაშიზმიაო“**, დაასკვნის ორივე.

გალინა სიდოროვას მიაქვს ელცინის მიმართვა რუსეთის მოქალაქეებისადმი.

— რა დაემართა შევარდნაძესო,— კითხულობენ საფრანგეთის საელჩოდან.

არ წყდება ტელეფონების ზარი ,,კომსომოლსკაია პრავდიდან'', ,,იზვესტიიდან'', ქართული გაზეთებიდან, ამერიკული ტელეკომპანიებიდან.

ტვერსკაიაზე ხალხი ასფალტზე წვება. პრეზიდენტი გორბაჩოვი ავანსცენაზე არ ჩანს. მის გამომზეურებას ვერაფერს შველის შვებულების მოტივაციით წაკულისება, ნობელის პრემიის კომიტეტის შვედური ჯილდო-არმაღანითურთ.

ვლადისლავლევისა და მინასბეკიანის მტკიცებით, გორბაჩოვი მოკლულია ან დაპატიმრებული.

ადამიანთა მასისგან თანდათან ყალიბდება ხალხი და ცნობიერი საზარბაზნე ხორცით ჩაიხერგება ტანკის მუხლუხოები.

ახალი აზროვნების დესპანი აღელვებული უკარნახებს ,,ფრანც პრესის'' კორესპონდენტებს სიცარიელეში ძახილს მორზესეული SOS-ის სასოწარკვეთილებით.

ხაზზეა კაზიმირა პრუნსკენე.

— რით დაგეხმაროთო, — ჩამოეკიდება ელსმენს ტეტჩერის ლიტოტესი პერესტროიკელი ლედი.

— მსოფლიოს მხარდაჭერა გვჭირდებაო, — მიაგებებენ აქედან.

— თქვენ მხნედ იყავით მანდო, — აგულიანებს საბჭოეთის ჭაში ჩარჩენილებს, საზღვარგარეთ გასაფრენად გამზადებული პრუნსკენე და გადასარჩენი თოკის გამოგზავნას ხპირდება.

,,იზვესტიის'' სტამბის მუშები ხელის საბეჭდ დაზგებზე ააწყობენ რუსეთის მთავრობის დოკუმენტებს.

მოწოდების სიმაღლეზეა ინფორმატიკის ტექნოლოგია, ,,სი-ენ-ენი'', გლასტნოსტელებისგან, აქამდე რამდენადმე იგნორირებული ,,ვზგლიადის ბიჭები''

ელცინი ტანკზეა.

ბარიკადებია კალინინის ხიდთან.

აპრილის პირუთვნელი მსაჯული სობჩაკი ტრიბუნიდან არ ჩამოდის პეტრე დიდის ქალაქში.

ტელეფონს აწყდებიან ბრიტანეთის პრემიერი ჯონ მეიჯორი, ხანს-დიტრიხ გენშერი, ჯიმ და სუზი ბეიკერები.

შევარდნაძე ღია ეთერში გადის:

„ჩვენ მომსწრე ვართ ვულკანის ამოფრქვევისა. იგი კარგა ხანია იძლეოდა გამოღვიძების ნიშნებს. ჩვენ შევესწარით სახიფათო გადმონთხევას ჭუჭყისა, რომლითაც უნდა დაასამარონ ჩვენი დემოკრატია და თავისუფლება.

დიქტატურა, ჩრდილოვანი ხელისუფლება, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი, საბრძოლველად გამოიჭრა.

ეს დემოკრატიის დასასრული და სამოქალაქო ომის დასაწყისია. ეს გამალებული შეიარაღების განახლება და „ცივი ომია.

გვინდა თუ არა ეს ყოველივე?

არა! ამიტომ მოდით, გავერთიანდეთ, წინ აღვუდგეთ დიქტატურას და დავაშხოთ იგი!“

,,არჩევანის'' ავტორის წინაშე აღმართული სტიქია ასწილ განსხვავდება სამშობლოში, სტადიონთან თუ შუა რუსთაველზე აგორებული სიტუაციებისაგან. აქ უკვე არენაზე გამოდის კონცეპტუალური დაპირისპირება და კრაველის ქუდიც ჩამოფხატულია წარბებამდე ამოვარდნილი ქარიშხალის დამხვედრ ძალად.

ყველაფერი თავს იყრის მდინარე მოსკოვის კრასნაია პრესნიას სანაპიროზე მდებარე თეთრი მარმარილოს შენობასთან, რომელიც კრემლისაგან განსხვავებით დემოკრატიის, კონსტიტუციური ხელისუფლებისა თუ ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტის დაცვის ცენტრად იქცევა.

,,თეთრი სახლი'' მთელი კაცობრიობის წინ ციხე-სიმაგრედ გარდაიქმნება.

ახალი აზროვნების დესპანს გვერდიდან არ სცილდებიან ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე საგალაევი, მისი მოადგილე ფოფხაძე, ,,აბაშის ექსპერიმენტის'' თავკაცი მგელაძე.

ტრასირებული ტყვიების კვალი მიკაწრავს ზეცას.

არბატის უბანში აფეთქების ზათქი ვულკანივით ამოხეთქავს და კვამლის თეთრი ბოლქვები ავარდება ცაში.

აქა-იქ მოტორიანი ნავის ხალიბურ დაუდგრომლობას მელანქოლიაც გაუჯდება. მთელს დედამიწას მოავლებს მზერას ათრთოლებული ძარღვებით:

— ჩემო ძვირფასებოო, — ჩურჩულებს იგი ყველასაგან უჩუმრად, — ჩემო საყვარელო ადამიანებო, ქართველებო, რუსებო და სომხებო, ლიტველებო და ლატვიელებო, ებრაელებო და უზბეკებო, უკრაინელებო, ვინც უნდა იყოთ, იცოდეთ, როგორ მიყვარხართ! მადლობელი ვარ თქვენი იმის გამო, რომ ხალხის ნაწილად მაგრძნობინეთ თავიო, — ჩურჩულებს, მაგრამ მალე წვიმიანი გარიჟრაჟი გაცრიატდება, ,,თეთრი სახლიდან'' ნისლი გადაიყრება და აქამდე ტყვექმნილი გორბაჩოვიც საზოგადოებას დაელაპარაკება, თუმცა უკვე დაგვიანებულია დემოკრატიის მატარებელზე შეხტომა. შემადგენლობა მთელი სისწრაფით ჩაიხრიგინებს და აბსტრაქტულ ბაქანს შერჩება საბჭოური მახინას ჟანგიანი დეტალები, ხრახნები და ქანჩები, მილიონების გახვრეტილი შუბლები და გაძვალტყავებული ნეკნები თხემხალიანი გორბაჩოვითურთ.

ქვეყნის პრეზიდენტი უფრო ადრე დათმობს რეგალიებს, ვიდრე 8 პუტჩისტი 18 ბრიუმერის დღეების რედუქციას შეეცდებოდეს.

— დიქტატურა გვიახლოვდებაო, — აფრთხილებს გამუდმებით ახალი აზროვნების დესპანი გორბაჩოვს, მაგრამ ის უკანასკნელი აღშფოთდება.

— როგორ გეკადრებაო, — ბანზე აუგდებს სიტყვას, — როგორ შეგიძლია ამისი გაფიქრებაც კიო.

მაგრამ გაფიქრება რა მოსატანია, როცა ბედის ნებიერს სრული 72 საათი დაატუსაღებენ და სიკვდილის ფართო თვალებში მთელი სიმძაფრით ჩაახედებენ.

იქნებ უფრო ადრე დაიწყება პრეზიდენტის გაორება?

ამგვარი რამისაგან არც მისი კოლეგა დაიზღვევა კავკასიაში: როცა თვითონ 3 ,,სუტკა'' ცხრაკლიტულის ბინადარია, ეროვნულ გვარდიას სტატუსს შეუცვლის და ლამის შინაურ პატიმრობას გამოხკრავს ხელს.

ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური საქართველოს ,,დე- იურე''- ,,დე-ფაქტო'' თავისუფლება კარზე მომდგარა, მაგრამ გორბაჩოვისეული ყოყმანი გამსახურდიასთვისაც როდი აღმოჩნდება უცხო ხილი: კონსტიტუციურ კოსმეტიკას დავჯერდებით; სოციალისტური გარანტიების დაკარგვის შიში გაგვთანგავს — საბაზრო ეკონომიკის ჯუნგლების კანონი შეგვძრავს; თითს შევუქნევთ ბუშს, ჯერაც რომ ვერ გადაუწყვეტია ჩვენი აღიარება; კავკასიური სახლის მოდელს დაღირებულნი ვერანაირად ვთავსდებით მსოფლიოს მალტისეულ წესრიგში, და მოვინათლებით კიდეც დინების საწინააღმდეგოდ მოცურავედ, რომელიც ერთგვარი სიგნალი აღმოჩნდება ეროვნული ხელისუფლების დასაშტურმად სულ რაღაც ოთხიოდე თვის შემდეგ; თუმცა ჯერ ისევ 21 აგვისტოა.

აქამდე ვერანაირ ხუნტას რომ ამჩნევს გორბაჩოვი, აგერ, ბატონო, თავისი თვალებით იხილავს 72- საათიანი ტუსაღობის ჟამს რაისა მაქსიმოვნასთან ერთად და გამართლდება სავალალოდ მოტორიანი ნავის კრეისერული ინტუიცია.

სულ წყალში ჩაყრილა გორბაჩოვისგან შექებული მინისტრის სახელგატეხილი მოადგილის თავზე ხელის გადასმები.

ზოგიერთი თანამოაზრის მსგავსად მარშალ ახრომეევსაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაუსრულდება.

არადა, არის პერიოდი, როცა ევროპიდან დემობილიზებული, წესით ჯარისთვის განკუთვნილი ათასობით ტანკი ურალს იქით გადაიმალება და სერგეი ფიოდოროვიჩი თავისი მემორანდუმებით ყოველნაირად შეეცდება შევარდნაძის პროტესტის გაფერმკრთალებას, თუმცა კი ადრე საუბარში ამისთანა ფრაზაც წამოცდენია გენერალს კოლექტივიზაციის პერიოდში დაღუპულ მამაზე:

— ... მე მაინც არა ვარ ამის გამო ნაწყენი საბჭოთა ხელისუფლებაზე, რადგან კოლექტივიზაცია ისტორიული აუცილებლობა იყო, — და აქ საბოლოოდ დაასკვნის ახალი აზროვნების დესპანი: **მოვალეობის გრძნობა ზნეობაზე მაღლა თუ დგას, შემზარავიაო.**

ახრომეევი მიმტევებელია მამის შარშანწინდელი თოვლივით გაუჩინარებისათვის; დიადი მიზნების აღსრულების სახელით მზად არის სოციალისტური სურამის ციხის კედელში მშობელ ფიოდორთან ერთად ჩააშენოს დედა მარუსია თუ და-ძმა რუსლან და ლიუდმილა, მაგრამ ედუარდს საამისოდ რომ არ ემეტება რუსული ენის მასწავლებელი ამბროსი და აღარც სიმამრი რაჟდენ ცაგარეიშვილი ათასებთან ერთად?

აი, განსხვავება სად იჩენს თავს მოვალეობის პედანტურ აღსრულებასა და ზნეობრივ პოლიტიკას შორის.

გორბაჩოვი კი 19 აგვისტომდე უკვე „სოიუზის" სულისკვეთების ტყვეა. იგი მეტისმეტად შემწყნარებელია, შეიძლება ითქვას, გულგრილიც კი, როცა ახალი აზროვნების მონაპოვრებს მის თვალწინ დაურიდლად სპობენ, ფეხით თელავენ. რკინისებურ თავშეკავებას იჩენს ყოველგვარი ეჭვისადმი, მოახლოებული დიქტატურის საშიშროებას რომ უხსენებენ. დიქტატურა კი, როგორც ზემოთ დავინახეთ, ნაციონალისტურ-შოვინისტური იდეალების რეალიზაციით იბადება არა კვერცხის სახით, არამედ — ფეხადგმული იქედნეს წიწილივით მოტანტალე.

პოლკოვნიკი დეპუტატების ჭინთვები შედეგს გამოიღებს: გორბაჩოვს 72 საათი აყურყუტებენ განუყრელ თანამეცხედრე მაქსიმოვნასთან ერთად საშვებულებო აგარაკზე: სანაცვლოდ პლოტნიკოვის შესახვევიდან „თეთრ სახლამდე" თავგანწირული ბარიკადის სულისკვეთება გაჭიმულა მომავლის ხსნად და იმედად. აღარც ელცინს შერჩენია სალოკი თითი სიყრმიდანვე 18 ბრიუმერელის დასაცაცხანებლად — ოყიან რუსულ მუშტად შეუკრავს კურდღლებივით მოკანკალე სიფათების გასარუმბებლად.

„მალტელი რაინდების" გილიოტინაზე გაყვანა აღარ დასცალდება დერჟიმორდა გენერალიტეტს, არ დასცალდება პარტიული ინკვიზიციის მოწყობა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პრეზიდენტი „გეკაჩეპეს" წკიპზე რომაულ არდადეგებზე გასულა თანამესაგრე რაისა მაქსიმოვნათურთ.

იქნებ ხედავდა კიდეც სერგი მიხაილოვიჩი მის გარშემო პუტჩის რკალის შემარყუჟებას; იქნებ შედრკება ბოლო წუთს საბჭოეთის დემონტაჟის შიშით და აწმოხვეჭილი რეგალიების ნებაყოფლობითი დათმობით მსოფლიო ბატონობის გზაზე? იქნებ გარკვეულიც კი იყო რამდენადმე შეთქმულთა გეგმებში და ეს წაყრუებაც უკანასკნელ გაბრძოლებას ეფარდებოდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელით?

განა ცოტა იყო შემთხვევა საფრანგეთიდან მოყოლებული, როცა ჭინჭრიანი შეკითხვებით კედელთან მიმწყდეული გამოუსწორებელ ვექილად დასდგომია სოციალურ გარანტიებს? განა მისი ბრალი იყო, სოციალიზმს მარქსის დოქტრინისაგან განსხვავებით ლენინი ერთ სახელმწიფოშიც განსახორციელებლად მიიჩნევს, თუნდაც ყველაზე ჩამორჩენილში, და ჯაჭვის რგოლი გაწყდება იქ, სადაც ყველაზე სუსტია — პირდაუბანელ რუსეთში, სულ რაღაც ორსაუკუნენახევრის წინათ პეტრე დიდი ზორბა ნაჯახებით რომ დასდევს მუხლებამდე წვერჩამოშვებულ ხალხს ბალანის მოსაკვეცად? განა მხოლოდ მისი ბრალი იყო, რომ კომუნიზმის ფორმულად დასახელდება საბჭოთა ხელისუფლების განუყრელი კავშირი მთელი ქვეყნის ელექ- ტრიფიკაციასთან? ჯოხი იმთავითვე გადაიხრება: იმთავითვე მოერგება საკუთარი ასპარეზის ქრონომეტრაჟი ქვეყნის ბუნებრივი განვითარების ოდოშღერს და შედეგიც არ დააყოვნებს: ვერ გაუმკლავდება სოციალისტური სახელმწიფო, როგორც შიდა, ისე გარეშე ძირგამომთხრელს. „რკინის ფარდა" საკმარისი არ აღმოჩნდება უამრავი ხვრელის ფონზე წყალქვეშა დივერსიულ დინებათა შესაკავებლად. ცხადია, თორიას ზემონუმენტური კასრი აჯობებდა, რათა შიგნით მომწყდეულმა ვირთხებმა ბოლომდე შეახრამუნონ ერთმანეთი კლასობრივი ნიშნით, თუმცა ამისთანა რემინისცენციული პრაქტიკა არანაირად მოუხერხდება სამეულის რეპრესიების ღრანჭში მოყოლილი ხალხის ნებას და მარქსის პოლიტიკურ

დოქტრინას ოთხერგასი წლის თავზე დაუბრუნდება მოხუცი სანტიაგოს თევზივით გამოხრული საბჭოეთი და მასთან ერთად არანაკლებ კბილებაკაწკაწებული მსოფლიო — სოციალისტური იდეალების განხორციელება კაცობრიობის სანუკვარი ოცნებაა, მაგრამ მის სარეალიზაციოდ საჭიროა მთელი პლანეტის ეკონომიკურ-სულიერი ენერგიის ერთმიმართულებიანი დენადობის ქსელში ჩართვა, ზიარი ჭურჭლის პრინციპით თანდათანი, ევოლუციური გადასვლა ქონებრივი თანასწორობისაკენ, საშუალო ფენის აბსოლუტურ უმრავლესობაში მოქცევა და მისთანანი...

ასე და ამგვარად, ორმაგი სტანდარტი, ორ ცხენზე ჯირითი, რეალიზმით გახუნებულ გზაზე, წამითაც არ წაადგება გორბაჩოვს, აღარც მის ალიკვალ ალიენდეს თუ დინების საწინააღმდეგოდ თავაღერილ გამსახურდიას კავკასიიდან.

თანამიმდევრულობა და მხოლოდ თანამიმდევრულობაა ნებისმიერი პიროვნების და მასთან ერთად, დელეგირებული ქვეყნის თუ პრობლემის გადარჩენის შანსი.

ყველაფრის ნათლისმომფენი , ყველაფრის ჭეშმარიტების ძალით წარმმართველი ისევ შევარდნაძის 20 აგვისტოს „ძახილი სიცარიელეშია", რომელიც ფრანგი ტელერეპორტიორის ულის გროსეს მეშვეობით გასრიალდება ეთერში, და რომელიც უკვე ნაკლებად ხგავს მოტორიანი ნავის ხრინწიან ხმიანებას, არამედ დროთა მსვლელობაში კრეისერად გარდასახულის ბუბუნის ტოლფარდია.

„1991 წლის 19 აგვისტოს, □ დააკვირდით აქ სამი 19-ის თავმოყრის საკრალურობას, გ. ო.), **მოვლენები მოულოდნელი არ ყოფილა, — შეხღაღადებს ღია სივრცეს SOS-ის თავგანწირულობით კრეისერად გარდაქმნილი მოტორიანი ნავი, — მე და ჩემი მეგობ- რები ამას წინასწარ ვვარაუდობდით და პროგნოზსაც ვიძლეოდით. მეც და ისინიც ამის შესახებ პრეზიდენტს ვაფრთხილებდით პირად საუბარში, ქვეყანასა და მსოფლიოს კი — ღიად, ყრილობათა ტრიბუნიდან, გაზეთების ფურცლებიდან და ტელეეკრანებიდან.**

ახლა, როცა ჩვენთვის უცნობია პრეზიდენტ გორბაჩოვისა და მისი ოჯახის წევრთა ბედი, ჩვენ თავს ვიკავებთ და ვარაუდს არ გამოვთქვამთ იმის შესახებ, თუ რამდენად იყო პრეზიდენტი გარკვეული შეთქმულთა გეგმებში. ჯერჯერობით კი, ცხადია, მხოლოდ ერთი რამ: ჩრდილოვანი ხელისუფლება, რომელიც მოქმედებდა კანონიერი ხელისუფლების გვერდის ავლით და მის საპირისპიროდ, — ეს ანტიკონსტიტუციური იატაკქვეშეთი, რომლის არსებობის შესახებ ჩვენ არაერთგზის აგვიტეხია განგაში, — ამჟამად აშკარად მოქმედებს, ამასთანავე, იგი, როგორც ეს არაერთხელ ყოფილა ჩვენს ისტორიაში, პრეტენზიებს აცხადებს თავის მოქმედებათა კანონიერებაზე.

არაფერია ქვეყნად დაცილებული კანონს, ვიდრე ეს ქმედებანი. კანონის მიხედვით, საგანგებო მდგომარეობის შემოღება შესაძლებელია უმაღლესი საბჭოს აქტით და აუცილებელია იმ კუთხის სრულუფლებიან ადგილობრივ ხელისუფალთა თანხმობა, სადაც იგი უნდა გავრცელდეს. იმის მცდელობა, რომ უკანონო აქცია დაკანონდეს წინა რიცხვით, სხვა არ არის რა, თუ არა ქვეყნისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის მოტყუება. პარლამენტს არ შეუძლია მიიღოს საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებანი სატანკო ქვემეხებისა და ავტომატების ლულებქვეშ.

თუ პრეზიდენტს არ შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობანი, იგი ვალდებულია უშუალოდ, პირდაპირ და თავისუფლად, დემოკრატიული ინსტიტუტების მიერ საშართავ პირობებში, აცნოს ამის შესახებ ხალხს და თვითვე დანიშნოს ძალაუფლების გადაცემის პროცედურა.

მე კარგა ხანია არა მაქვს პირადი კონტაქტი მ. გორბაჩოვთან, მაგრამ მაინც ვამტკიცებ, რომ მისი ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობა არ არის ისეთი, რომ წართმეოდა თავის ფუნქციათა და უფლებამოსილებათა შესრულების საშუალება. გადაღლილობა, ბუნებრივია, არის იმ ტვირთის გამო, რომელიც მხრებზე აწვა პრეზიდენტს, მაგრამ გადაძაბვა სულაც არ არის დაბრკოლება ტელევიზიასა და პრესაში მისი მკაფიოდ ჩამოყალიბებული განცხადებისათვის. ამ მხრივ მას არასდროს შეუზღუდავს თავისი თავი, სხვათა შორის, თვით მისთვის საბედისწერო შვებულების წინაც კი.

ამიტომ საუბარი შეიძლება მხოლოდ იმაზე, რომ ის თვითონ კი არ ამბობს უარს, არამედ მას ეუბნებიან უარს, აიძულებენ უარი თქვას: უარს ათქმევინებენ სწორედ ის ღამეული შეთქმულნი, რომელთა უმრავლესობა მანვე აიყვანა ხელისუფლების მწვერვალზე.

საუბარი შეიძლება მხოლოდ კანონიერი პრეზიდენტის აღმაშფოთებლად უკანონო, ანტიკონსტიტუციურ გადაყენებაზე, იმ აქციაზე, რომელიც ვერასგზით თავსდება სამართლისა და მორალის ჩარჩოებში. ძალაუფლების ჩამგდები ჯგუფი პრეზიდენტის სახელით ცდილობს ამ აქციის „კურთხევას“ და ილუზიის შექმნას, თითქოს პრეზიდენტის ინტერესების დაცვასა და ხელისუფლების მემკვიდრეობითობას ემსახურებოდეს ეს ყოველივე...

მე ვამტკიცებ: იმის მიუხედავად, თუ მომავალში რა განცხადებას გააკეთებენ მ. გორბაჩოვი და მისი გადამყენებელი ხუნტა, ავადმყოფია არა პრეზიდენტი, არამედ ხუნტის მოქმედებებში აშკარად იჩენს თავს იმ ძველი სენის სიმპტომები, რომლის განკურნებაც გარდაქმნამ იკისრა.

ეს არის კულისებში ხალხისგან დაფარულად ორგანიზებული შეთქმულება, არასასურველი ლიდერების თავიდან მოშორებისა კანონსაწინააღმდეგო მეთოდებითა და ცრუ საბაბით. მლიქვნელობა და ორმაგი სტანდარტი, ორგულობა ხალხთან ურთიერთობისას, მტრის ხატის ჩამოყალიბება და ხალხის მასების წაქეზება ხუნტისათვის არასასურველი თუ მათთან შეგუებული პირების მიმართ...“

აქაც შეურყეველი აღმოჩნდება კრეისერად გარდასახული მოტორიანი ნავის ინტუიციაზე დამყარებული დოქტრინა: **დაუმარცხებელია მხოლოდ ის პოლიტიკა, რომელიც ზნეობრივია.**

სიცარიელეში ძახილის
რევერსული მხარე

ლირიკული ინტერმეცო საქართველოს
ზეზეური გმირის, რუზგენ გოგოხიას
მეომრული სულისკვეთების ფონზე

თითქოს რამდენადმე მოვუნასკვავ თავს მსოფლიოს დიპლომატიის კრეისერად გარდასახული ერთი მოტორიანი ნავის ესეისტურ თხზულებას, ზომაზე მეტი ქრესტომათიულობითა და მოჭარბებული პერიფრაზებით, რათა ფართო მკითხველმა უკეთ ეგრძნოს ახალი აზროვნების შიშველი თუ ფარული წახნაგების ალმასური სიბასრე. დიახ, ჯერხანობით შინაარსობრივ პარამეტრებს დავჯერებულვარ, ექსკურსიამძღოლის უმადური შრომა მიტვირთავს, მაგრამ ამიერიდან წინ მთაგრეხილების კასკადია გადასალახი, თიკანაძის ფოტოზე რომ აღბეჭდილა იმგვარი: გუბეს გადაახტება მოქალაქე და იქაურ სარკეში ჯადოსნურად ირეკლება აბსტრაქტული რეალობა — ურბანისტული ხედი ამ სალტომორტალესი იგივე აისბერგის სემანტიკა, რომლის ჭეშმარიტი პროფილი მხოლოდ მესამედითაა ზედაპირზე ამოშვერილი, დანარჩენი — უკიდეგანო წყლით დაფარულა.

დაახლოებით ამნაირი თემშარა მომელის აღნიშნული ნაწარმოების რევერსული მხარის წარმოჩინების გზაზე და ამ დროს, სათანადო მეცნიერული თუ დოკუმენტური წიგნებით გარშემორტყმულს, ტელეფონის გაბმული ზარი არაფრისდიდებით დამეხსნება. ჯალაბი ცოლოურებში დამითხოვია მთელი კვირით აფთიაქარის სასწორით ასარწყავ სინამდვილეს შეჭიდებულს და ამ დროს ელსმენის კაკოფონია მწყობრიდან გამომიყვანს.

მაინც წამსძლევს სული, ყურმილს ჩამოვხსნი.

— სად დაიკარგე, ადამიანო? — მესმის რუზგენ გოგოხიას გათარანებული ხმა, — ბინა გამოგიცვლია. მობილური გამოგირთავს. სად გვემალები, ძმობილო?

ვეტყვი მისამართს.

ორმოციოდე წუთში ზეზეური გმირი თავზე დამადგება.

მერამდენე კვირაა მოწყვეტილი ვარ რეალურ ვითარებას.

,,იმელის'' შენობასთან დევნილთა აქცია აგორებულა.

ყვითელი პრესის ტიპიურ წარმომადგენელს — ,,რეზონანსს'' დამიდებს წინ და ,,წაიკითხეო'', მეტყვის აგზნებული.

10 აგვისტოს 215-ე ნომრის მეშვიდე გვერდი მთლიანად აფხაზეთის პრობლემას ეძღვნება.

ავანსცენაზე ბატონი თამაზ ნადარეიშვილია, დათო შენგელია, ჯონი უბერია, ჯემალ გამახარია, რუზგენ გოგოხია, ინკოგნიტო რესპოდენტები, მაგრამ ფარულ დინებაში მაინც ყველგან ქვეყნის პრეზიდენტი იგულისხმება სტრიქონ და სტრიქონ.

დამთავრებულა აფხაზეთის დაბრუნების ბათუმური ეტაპი. ჩვენ დიდი ფახიფუხით შევკრებილ-

ვართ სპორტის სასახლეში წელიწადის დამდეგს ბატონ ასლან აბაშიძისათვის დევნილთა ნდობის მანდატის გადასაცემად, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მედიატორულ მცდელობას პრაქტიკულად არანაირი შედეგი მოხყვება. მთელი საქართველო გაფაციცებით მისჩერებოდა „აჭარის ლომის" შემრიგებლურ ძალისხმევას, თუმცა მასმედიისათვის ფარატინა ინფორმაცია არ გამომეტებულა ლამის ნახევარი წლის მანძილზე.

ახლა კი დამდგარა ბატონ თამაზ ნადარეიშვილის ფორსირებული მსვლელობის ჯერი — დასრულებულა აფხაზებთან მშვიდობიანი ყბედობის ათწლედი, ჩასვენებულა აფხაზურ-ქართული დიპლომატიის უდღეური ღლაბუცი. ამიერიდან არენაზე შედარებით პრაგმატული კონცეფცია გამოდის, რომელიც მეათე წელიწადია 300 ათასი დევნილის თავკაცი ქადაგებს: **მშობლიური მიწა-წყლის დაბრუნება ძალისმიერი პოლიტიკით, ძალის დემონსტრირება საერთაშორისო ინსტიტუტების ეგიდით მშვიდობის დასამყარებლად.**

ბატონ თამაზ ნადარეიშვილის პლატფორმა სამ ძირითად ქვაკუთხედს ეყრდნობა:

პირველი: სამართლიანობის აღდგენა აფხაზეთში, ანუ საერთაშორისო სამართლის სუბიექტების — არძინბას სისხლიანი რეჟიმის — საბრალდებო სკამზე დასმა;

მეორე: ქართველების რაც შეიძლება სწრაფად შესვლა აფხაზეთში, რათა იქაური მატერიალური და კულტურული ფასეულობანი სრულებით არ აღიგავოს მიწის პირისაგან; ამასთან, რამდენადმე ეშველოს თავად განადგურების პირას მისულ აფხაზ ერს, მის გენოფონდს, ნარკობიზნესსა და ათას მამაძაღლობაში ჩათრეულს.

და მესამე: სამართლებრივი სივრცის შექმნა, როგორც აბორიგენი ქართული მოსახლეობისათვის, ისე — აფხაზისათვისაც; განუხრელი აღდგენა ოდინდელი ნათესაური კავშირებისა, რომლის ნათელი მაგალითი გახლდათ ბატონ თამაზის უშუალო წინაპარი, გალაკტიონის შედევრის პროტოტიპი მერი შერვაშიძე, აფხაზების მთავართა უკანასკნელი შთამომავალი, ვარლამ შენგელაიას თანამეცხედრე, დიდედა თამაზ ნადარეიშვილისა.

გაზეთის გვერდის მეხუთე სვეტზე გაატარებს სალოკ თითს ნახევრად რუზგენ გოგოხია.

უკვე მეორედ ვკითხულობ: **„რუზგენ გოგოხია: აქ არიან ყველა კუთხიდან დევნილთა წარმომადგენლები. ჩვენ ვერთიანდებით აფხაზეთის წინააღმდეგ. სხვა გამოსავალი არა გვაქვს.**

სისხლისღვრა ჩვენ არ გვინდა. არის კაცი, რომელიც ფიქრობს აფხაზეთზე და მეომრები მას ვუჭერთ მხარს.

10 ათასი კაცი შეიკრიბა აფხაზეთში წასასვლელად. არ შეიძლება ვენდოთ იმ ხალხს, დღეს ერთს ლაპარაკობენ, ხვალ— მეორეს.

ჩვენმა პრეზიდენტმა შეიგნოს, რომ სანამ რუსეთია ამ საკითხის მარეგულირებელი სუბიექტი, შედეგი არ იქნება. ისევ ჩვენ უნდა შევიდეთ აფხაზეთში, ჩვენი სისხლი უნდა დაიღვაროს.

ჩვენ მოვუწოდებთ ჯემალ გამახარიას, ხელს ნუ გვიშლის, ნუ ადანაშაულებს პარტიზანებს ყაჩაღობაში. სწორედ გამახარიას მიერ გამოთქმულ ცრუ ბრალდებებს მოხყვა დევნილთა მასობრივი გამოსვლები, როგორც თბილისში, ისე — დასავლეთ საქართველოში.

ჩვენ გვეუბნებიან, აფხაზეთში დაბრუნება არ გინდათო. საინტერესოა, მაშინ ვის უნდა აფხაზეთში დაბრუნება, ვალერიან გელბახიანს?

მე ჩემი შვილის საფლავი მელოდება სოხუმში.

აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა პარლამენტის ხელში არ არის, ჩვენს ხელშია.

ვის ვაძლევთ აფხაზეთს: სომხებს, რუსებს, აფსუებს?

შევარდნაძეს არ უნდა დაბრუნება. მან გაყიდა ჩვენი მიწა-წყალი.

აფხაზეთი ამ უსუსურმა აფსუებმა კი არ წაგვართვეს, წაგვართვა დიდმა რუსეთმა, რომელსაც დღეს ასლან აბაშიძე უჭერს მხარს.

— ეს არის სულ? — ვეკითხები აპილპილებულ ადამიანს, — აქაც „კვირის პალიტრის" ხელწერაა, როცა შეძენილ იარაღს ასლან აბაშიძის ან შევარდნაძის ტერაქტისთვის განკუთვნილად ასახელებდა დეპუტატი გოგიტიძე. კალიგრაფია ორივეგან ერთნაირია, თაკირ, ძმაო: პრეზიდენტის მოწინააღმდეგედ გამოხყავხართ, რომელმაც აფხაზების 46 თვიანი პატიმრობისგან ერთპიროვნულად გამოგიხსნა.

აი, ასეთი უმადურიაო, გიტევენ ქვეტექსტურად. მაგრამ კორესპონდენტი თამთა ქარჩავა თავისი ნესვისფერი პერიოდიკით ჟურნალისტურ ეშმაკობას მიმართავს, ციტატას დასაწყისში წინწკლებს დაუს-

ვამს, ბოლოში კი რატომღაც ავიწყდება მისი დახურვა. ამით უნებლიეთ ამჟღავნებს ბელეტრისტულ იწილო-ბიწილოს, რომ მისეულია, მის მიერ შეკოწიწებული.

— აფხაზების ოთხნახევარწლიან კოშმარებს გავუძელი და ამ „გაზეთჩიკების" უძვლო ენამ შეიძლება გამაფრენინოს, — ფიცხობს რუზგენ გოგოხია, — წარმოგიდგენია, კაცს ისეთ რამეს მოგაკერებენ, აზრადაც არ მოგსვლია.

სამიოდე წლის წინათ მე ქვეყნის პრეზიდენტს მესამედ არჩევას აღვუთქვამდი ჩემი თანამებრძოლების სახელით, თუნდაც საამისოდ ჩვენს კონსტიტუციას სათანადო კორექტირება განეცადა, ვინაიდან, აფხაზეთის დაბრუნების ყველა სადავე ბატონ ედუარდის ხელშია...

— სათანადო მომენტისთვის. „ჩემი არჩევანი" არ წაგიკითხავს და მაინც ცამდე მართალს ბრძანებ, — მივაგებებ გათარანებულს, — მშვიდობიანი პროცესი ჯერ კიდევ არ ამოწურულა სრულფასოვნად.

— ეგ როგორ? — გაიოცებს ბატონი რუზგენი.

— როგორ და ჩვეულებრივად.

— აკი, ათი წლის შეხვედრები არ გამოგვადგა?! დარჩა კიდევ გამოუყენებელი მეთოდი, ხერხი?

— დარჩა, თაკარ, ძმაო, — წიგნის დაფანტულ ფურცლებში ვბუდრაობ, — არის აქ ასეთი ფრაზა: ტერიტორიის გადაცვლა მშვიდობაზე.

— გარკვევით მითხარი რას გულისხმობ? — მიმზერს ერთიანად დაჭიმული.

— ჩვენი სამშვიდობო მოლაპარაკებების კულმინაცია კიდევ იტოვებს ერთ უკიდურეს ქმედებას, წინადადებას: მივცეთ აფხაზებს საშუალება ჩვენი ტერიტორია განიხილონ თავის ქვეყნად, ანუ სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტის შექმნის შანსი, რასაც აგრერიგად ესწრაფვიან, ოღონდ სანაცვლოდ მათ უნდა დაიცვან სამი ძირითადი პირობა უყოყმანოდ:

პირველი, მთელი დევნილი მოსახლეობის უპირობო დაბრუნება;

მეორე, საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით ქართული მოსახლეობისათვის თანაბარუფლებიანი ცხოვრების პირობების შექმნა: ყველა ადამიანური უფლების დაცვა.

დაბოლოს, მესამე, არჩევნებში მოპოვებული ხმათა შესაბამისად თავიანთი ქვეყნის მოწყობა.

არსებობს სამშვიდობო პროცესის ამგვარი ვერსიაც, მაგრამ ეს აქტიც სრული კრახისთვისაა განწირული, ვინაიდან აფხაზები, როდესაც სახელმწიფოს გამოაცხადებენ და მის უფლება-მოვალეობებს აღიარებს ცივილიზებული მსოფლიო, ისინი კვლავაც უმცირესობაში აღმოჩნდებიან. ვინაიდან 46 პროცენტი ქართველის შემოსვლის შემდეგ, პირველსავე არჩევნებში ისევ ქართული მხარე მოექცევა ქვეყნის სამართავ პულტთან. ამგვარი მშვიდობა რისთვის ენდომება სეპარატისტ აფსუას. მათ სჭირდებათ აფხაზეთის აღიარება მსოფლიოსაგან ქართველების გამოხშირვით, უქართველებოდ, ვინაიდან ქვეყნის გაძღოლის რესურსი მათ აბსოლუტურად ამოწურეს.

ასე რომ, სამშვიდობო პროცესის უკანასკნელი სტადიაც დაშრეტილად მიიჩნიე, თაკარ, ძმაო.

რჩება ერთადერთი ფაქტორი, საერთაშორისო ინსტიტუტების სახელით მოქმედება ძალისმიერი ღონისძიებების დემონსტრირებით მშვიდობის დასამყარებლად. ისე რომ, ამ ღონისძიებამ არანაირად უნდა შეაფერხოს „დიდი აბრეშუმის გზის", და ნავთობსადენის მაგისტრალების საუკუნის პროექტები. ამჯერად ეს ორი ფენომენია შესაბამისობაში მოსაყვანი.

დაიღალა რუსეთ-უკრაინა-მოლდოვა-ბელო- რუსია-ბალტიის- პირეთი ამიერკავკასიასთან გათიშულობით. ამის ატანა უკვე ეკონომიკური თვალსაზრისით ყოვლად შეუძლებელია. აფხაზეთი იგივე ათწლიანი ტრომბია შავი ზღვის აუზის ქვეყნებისათვის განურჩევლად სიდიდისა და განვითარების დონისა. ამდენი ხეპრული ყეყჩობა აფხაზების მხრიდან უკვე ყელში ამოუვიდა არათუ ევრაზიას, არამედ — მთელს მსოფლიოს.

სოხუმში შვილის დაკარგვა როდის მოასწარი? სამი ტომის სამყოფი მასალა მოგიწოდებია ჩემთვის, და ამის თაობაზე არაფერი დაგცდენია.

— ხომ გეუბნები, ამ გაზეთჩიკების ვერაფერი გამიგია-მეთქი. ამისთანა ღმერთძაღლის მნახველი არა ვარ. ბედნიერი ვიქნებოდი აფხაზეთში სოხუმსა თუ სადმე ვაჟიშვილის საფლავი მეგულებოდეს, როგორი ალესილი ჟინი მაქვს ახლა იქ დასაბრუნებლად და ხომ გამიათკეცდებოდა ყოველივე ამის შემდეგ?! წაიკითხეს ჩემმა ასულებმა ეს მონაკვეთი, გური, ძმაო, და იცი, რას მეუბნებიან:

რითი ვართ ვაჟებზე ნაკლები, მამიკოო. აკი, ისრაელში ქალებსაც იწვევენ ჯარში მამაკაცების მხარდამხარო. მამი, მართალია, ვაჟიშვილი არ გყავს, მაგრამ ვაჟკაცივით გულადი ქალიშვილები გარგუნა ღმერთმაო. ჩვენ ქალთა ბატალიონს შევქმნით, იცოდეო. ფეხმძიმობა რომ არა, აკი, აფხაზეთის ომისკენ მიიწეოდა ჩვენი სპიკერი, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე. ჩვენი დეპუტატი კი, ოლია ნაგარნინა სნაიპერ ქალთა ბატალიაონის შესაქმნელად ამაოდ დაშვრა, უბინაო და უპოვარი თავად. მამი, რითი ვართ სხვებზე ნაკლებიო. კინაღამ ვიღრიალეთ ამის გამგონემ.

ხატი, რჯული, ჯერ არ ყოფილა აქცია, სადაც ვაჟიშვილი მეხსენებინოს, მით უფრო სოხუმში მომლოდინე მისი საფლავი, ვინც საუბედუროდ ცხოვრებაში არ მეღირსა რანაირად ვახსენებდი, მაგრამ ეგრეც ყოფილიყო საქმე, მე მაინც მრავლობითში ვიტყოდი ამას, იქ ჩარჩენილი ძმისშვილების საფლავების სახელით. თუმცა მსგავსი გამოხტომებით ეგენი ამდაბლებენ ჩემს შინაგან მსწრაფველობას აფხაზეთისაკენ, თითქოს, პიროვნულ გრძნობებზე ვახურდავებდე საქვეყნო საქმეს. ჩემთვის უმთავრესი, გური, ძმაო, აფხაზეთის ტერიტორიაა ზოგადად, თაგილონიდან ნიკოფსიამდე, ბედიის მონასტერი, სადაც ბაგრატ III განისვენებს, სადაც ჩვენი ღვთაებრივი წინაპრების სულები ტრიალებს და არა — საგვარეულო, თუმცა გარკვეულწილად პატივმისაგებელი ისიც. ჩემთვის ჯერ სახელმწიფო აზროვნებაა მთავარი, მასთან მიერთებული ნებისმიერი ბილიკი და სხივი, და რასაა ესენი რომ ბჟუტურობენ? ჩემთვის საქართველოს მთლიანობაა ძირითადი, გური, ძმაო, როგორც ტერიტორიულად, ისე — ფსიქიკურადაც, საზღვრების შემომტკიცება, სახელმწიფო ძლიერებისათვის ბურჯების ჩაყრა და ამავდროულად კონსენსუსი, თანხმობა ნებისმიერ პოლიტიკურ გაერთიანებას შორის, ერთი მიზნისკენ ხელი ხელჩაკიდებული მსვლელობა.

— ამას თანაქმედებას ეძახის ბატონი ედუარდი, კორესპოდენტის „მტკიცებით" მიწასთან რომ გაგისწორებია. რომელსაც თითქოს არ უნდა აფხაზეთის დაბრუნება. მეტიც, მთლად მოუკრეფავში გადაგისროლა და მიწა-წყლის გამყიდველადაც კი გამოგაცხადებინა. აი, პრესის კანონი რომ იყოს, ამ ბრალდების გამო უჩმვლებდი „რეზონანსელებს" და ერთი ბატალიონის აღჭურვილობის ფულსაც გამოხკრავდი ხელს.

— მეშინია ისეთი რაღაც არ ჩამადენინონ, „რეზონანსის" თუ მისთანათა ბღავილის რეზონანსმა ქვეყანა გადააყრუოს.

მხოლოდ იმისთვის როდი ვუხრი ქედს ქვეყნის პრეზიდენტს, რომ აფხაზების ტყვეობიდან გამომიხსნა. ბუნებრივია, ეს ბევრ რამეს მავალდებულებს, როგორც კაცს, როგორც ადამიანს, მაგრამ სამშობლო ბატონ ედუარდისადმი პატივისცემაზეც მაღალია და საერთოდ, ჩემს სიცოცხლეზე — სავსებით, თუმცა როდესაც აფხაზეთის დაბრუნების ყველა სადავე ამ პიროვნების ხელშია მომწყდეული, მიდი და ბოლომდე ნუ უერთგულებ!

ახლა ჩვენ ბატონ თამაზ ნადარეიშვილისაგან გონივრულ ნაბიჯებს ველით, ანუ ვუცდით მთავრობის ახალი შემადგენლობის გამოცხადებას. აფხაზეთის სტრუქტურების ახლებური ბირთვის ბრძოლისუნარიანობაზე ბევრად იქნება დამოკიდებული ჩვენი ხვალინდელი დღის პერსპექტივა. ძველებურ უღიმღამობას და განუკითხაობას ჩვენ არ დავუშვებთ. აფხაზეთის დევნილი მოსახლეობა 10 წელიწადია საგანგებო მდგომარეობაშია, და მისი მეთაური ბირთვიც დროა საკუთარი მრევლის შესაფერისად იმოსებოდეს, სმოკინგებითა და ხალსტუხებით კი არ დაიარებოდეს სამსახურში, შეხვედრებზე, არამედ — საველე მუნდირით, ფარაჯით. ამასთან სრულიად სამართლიანი მიმაჩნია ჩემი ქალიშვილების განცხადება და დროა დევნილი მოსახლეობის ქალთა კორპუსისაგან შეიქმნას ბრიგადები, რომლებიც შეასრულებენ არა მხოლოდ მედდებისა და მეკავშირეების ფუნქციებს, არამედ — აქტიურ მეომრებად ჩაეწერებიან ჩვენს საძმოში.

აი, ამას გავყვირი, რაც აფხაზთა ტყვეობიდან გამომიხსნა ბატონმა ედუარდმა გაუგონარი ძალისხმევით; აი, ამას ვქაქანებ კაკუბავა-გამახარიათა საქილიკოდ რა ხანია— მიდი, მესამედაც აირჩიეო, მამასხარავებენ თავიანთი ჭკუით. ხოდა, ზეციერო, ისეთი რა შეგცოდე, ამ გაზეთჩიკების იქედნური ყბედობისაგან ვეღარაფრით დაგიხსნივარ?

— ჯემალ გამახარიას მრისხანების ახალი ტალღა აუგორებია. რას გააწყობ, მისი სტილია, ჩაყოლას ჩათრევას ამჯობინებს. მე გარკვეულ პატივს მივაგებ ამ პიროვნების ნიჭსა და უნარს. აქამდე არავის უთავებია აფხაზეთზე ცხრაასგვერდიანი წიგნის გამოცემა. აქ ყველა ისტორიული დოკუმენტია მოშველიებული სათანადო კომენტარებითა და განმარტებებით. თანაც წარმოგიდგენია, რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნს, რომლის თანაავტორი ბადრი გოგიაცაა, მათი ვინაობა ოთხ ენაზეა წარმოდგენილი თხზულების დასასრულს - ქართულად, ინგლისურად, ფრანგულად და გერმანულად. თავად რუსული აინუნშიაც არ ჩაუგდიათ. ამით მინიშნებულია ნოველირება რუსეთის იმპერიალისტური სულისკვეთებისა, თუმცა ვიმეორებ, თავად „აფხაზეთი-საქართველოს ისტორიული მხარე" რუსული ენითაა გამართული - იქაურმა ჭრელმა მოსახლეობამ უკეთ რომ გაიგოს ჩვენი ასავალ-დასავალი.

ჯემალი ჩემი თანასოფლელია. აქამდეც უამრავ ადგილას მიწერია ამაზე, როგორც თანაოტობაიელზე. ნეტარხსენებული ნაპო ხუფუნიას შეუდარებელმა მოწაფემ შეუძლებელია პარტიზანების მთელი არმია განუკითხავად დაადანაშაულოს ყაჩაღობაში. აქ რაღაც გაუგებრობა იქმნება ჩვენი მაგალითისა არ იყოს: ჯოხის გადახრა, ფერების გამუქება ყვითელი პრესისთვის ჩვეული მანერებით.

რაც შეეხება რუზგენ გოგოხიას, ჩემი შემოქმედების ერთ-ერთი ბურჯთაგანია მიწაზე ფეხით მო-

სიარულე გმირის თვალსაწიერიდან. ამისთანა იშვიათობა არათუ ქართულ სინამდვილეში, დედამიწის ზურგზეც ძნელადმოსაძებნია, ალბათ. წარმოგიდგენიათ, 46 თვე დახვრეტას ელოდებოდე დილა-საღამო, ყოველ წუთს სიკვდილს შეხყურებდე თვალებში, ოღონდ სულ ერთი ფრაზა ამოგღლიტონ პირიდან: ,,აფხაზეთის ომის მიზეზი ედუარდ შევარდნაძეა, რომელიც ვერაგულად თავს დაესხა მშვიდობიან მოსახლეობას და მიწასთან გაასწორა ჩვენი საუკუნოვანი ტრადიციებიო''.

ედუარდ შევარდნაძის ფრჩხილისოდენა საძაგებელი სიტყვისთვის, სულ ერთი ფთილა ლაფის სროლის გამო, რუზგენ გოგოხიას თვითონ აფხაზები გაათავისუფლებდნენ კოშმარული ტყვეობიდან, ენგურიდან თუ არა, ფსოუდან მაინც გამოუშვებდნენ, ოღონდ არა ასეთ თავეწეულს, ასეთ ომახიანს, არამედ — ფეხქვეშ გათელილს, გამტყდარს და დაცემულს საკუთარ სულთან. მაგრამ ჩვენმა ზეზეურმა გმირმა ეს ტყვიების, სახრჩობელების, კამერაში შემოგზავნილი ,,გალავარეზების'' სიმრავლეში არ მოიმოქმედა 46 თვის მანძილზე და როგორ ხგონიათ თამთა ქარჩავას თავის მოყვითანო გაზეთიანად, აქ ამ მშვიდობიანობაში გადავიდოდა კაცურ სიტყვას და ჯოჯოხეთიდან გამომხსნელს დაუწყებდა უკადრისი ტალახის სროლას? იქნებ მკითხველი არ ენდოს ხელმოცარული გური ოტობაიას წიაღსვლებს. აგერ, მამფალი მწერლის სიტყვები ინებეთ, უნიკალურ შვიდტომეულზე წარწერილი:

„ბატონ რუზგენ გოგოხიას,
კაცს, რომლის წინაშეც ქართველ ერს
მამულიშვილური ვალი მარად გადაუხდელი დარჩება“

ჭაბუა ამირეჯიბი,
თბილისი, თებერვალი — 2002 წ.“

— პარადოქსია ყოველივე თაკარ, ძმაო, შენს ნახევრადმშიერ პარტიზანებს მიხედე, — ვეუბნები მხარზე ხელის ტყაპუნით და მივაცილებ კიბეებზე ოდნავ დამშვიდებულს. — მიხარია ფერზე რომ მოსულხარ. ესეიგი ცოტათი სისხლიც მოგმატებია, ამას რა სჯობია, იქიდან გამეხებული ტყვია რომ გეძგეროს, გვარიან ხანს იწანწკარებს მისი ნაკვალევიდან. ცამდე მართალს ბრძანებ, ძმობილო, პარტიზანული მოძრაობა მტრის ღრმა ზურგშია გასაშლელი და არა — გალის რაიონშიო, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობა აფხაზ სეპარატისტებს უსაფრთხოების გარანტად ხყავთ ამოფარებული პირსისხლიან სახეებზე. ასე იყო ათადან და ბაბადან მოყოლებული. პარტიზანულ ომს მტრის ზურგში აჩაღებდნენ ყველგან და ყოველთვის და არა — საკუთარ სამლოცველოებთან თუ საბუდართან.

ბატონ ავთანდილ ჯორბენაძის თანადგომასაც რომ ბრძანებ, ესეც მისაღებია, ვინაიდან, ფენიქსივით ფარფლიდან აღადგინა სახელისუფლებო პარტია და ცხელი წერტილებიდან დაუწყო კურთხევა, ნატუსალის სურნელში გაფერვა ხალიბური ,,აბა ულას'' მსგავსად. იმასაც შთამბეჭდავს აცხადებ, ჯანდაცვის მინისტრის გამყრელიძის გაცხადებულისამებრ მედიკამენტების გატანას რომ გეგმავ მთელს აფხაზეთში, განურჩევლად ეროვნებისა, ქართველია, აფხაზი, სომეხი თუ რუსი; ჩვენს დალილა ხორავას შემოამხანაგებას აპირებ თურმე ამ საბედისწერო გზაზე, და იარე თაკარ, ჯიმა აფხაზეთისკენ-მეთქი, შენი ძმისშვილების საფლავებისკენ იარე, ძმაო. ყიამყრალების წკაფანი მეცივღომე ფინიების უგულო ღავღავად ჩააგდე მომავლისკენ დამიზნებული ქარავნის დარად. დამასრულებინე ეს ჯოჯოხეთი ,,სუფევა'', ჯიმა, მეც ხომ შენი ჯილაგის ვარ. მეც ხომ შენი იდენტური სისხლი მიჩქეფს გულის აუზში. მაშ, ტყუილად დაგადგებოდი თავზე ოპერაციისას მედიკოსის ხალათითა და ჩაჩით? იარე-მეთქი აფხაზეთისკენ, ოღონდ ახლავე ნუ აიბარგები, დამაცალე სტრიქონის ჩამთავრება, რათა თვალნათლივ გაირკვეს, ვინ საიდან სუნთქავს, რომელ ცხენზე ზის ან რომელ ძალას აღუვლენს გუნდრუკს, — ყველგანმსუფევ მეუფეს ჩვენსას, ცაბაოთს, თუ უბედურებათა მამად შერაცხულ უკულმართ მაცილს, ბელზებელს, ეშმაკს ვულგარულად, რომელიც უზნეობის ფსკერზე ამოგაყოფინებს თავს, ოღონდ ხელი ერთხელ შეახებინე, ოღონდ საუბრის თანასწორად ერთხელ გაიხადე. ხოდა, მიხყევი-მეთქი საშვილიშვილო საქმეს, თაკარ, ძმაო, სამარადჟამისო სივრცეს, ამასობაში იქნებ საკადრისად მოვამთავრო ახალი აზროვნების ეპოპეის დასკვნითი ნაწილი, რომლისთვის ,,სიცარიელეში ძახილის რევერსული მხარე'' მიწოდებია და სამართებლის პირზე გავლას მპირდება უშეღავათო წუთისოფლის შესამეცნებლად ფეხშიშველად დაძრულ პირუთვნელ მემატიანეს.

რედაქციისაგან:

12 აგვისტოს, როდესაც ბატონები, გური ოტობაია და რუზგენ გოგოხია აღნიშნული მასალის

გამოქვეყნების თხოვნით გვეწვივნენ, გაზეთ ,,რეზონანსს'' გუშინდელ ნომერში უკვე გამოექვეყნებინა თავისი გასწორება-მობოდიშება იმ პუბლიკაციის გამო, რომელსაც ესოდენ აღუშფოთებია ჩვენი სტუმრები.

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ჩემს წერილს უკვე ვეღარ გადავაკეთებ და, თუ პატივს დამდებთ, კარგი იქნება, სარედაქციო მინაწერით გააცნოთ იგი მკითხველსო, — გვთხოვა ბატონმა გურიმ.

ვასრულებთ მის თხოვნას და სრულად ვბეჭდავთ გაზეთ ,,რეზონანსის'' 12 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ მასალას: ,,მეომართა აქცია შერიგებისკენ იყო მიმართული''.

„გასწორება

„რეზონანსის" 2002 წლის 10 აგვისტოს ნომერში გაიპარა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, შეშვიდე გვერდზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „მე ჩემი შვილის საფლავი შელოდება აფხაზეთში", მეომართა მიერ გამოთქმული აქციის მიმდინარეობისას აფხაზეთის განათლების მინისტრის ჯანო ჯანელიძის სიტყვები გადაბმულია მეომართა კავშირის თავმჯდომარის, რუზგენ გოგოხიას გამოსვლის შინაარსზე.

„რეზონანსი" განმარტავს, რომ შემდეგი ტექსტი არ ეკუთვნის რუზგენ გოგოხიას. (ეს სანოტარო სიზუსტითაა მოხმობილი, ზემოთ ჩვენს მიერ წარმოჩენილი ტექსტი, ბოლოში დავიწყებული წინწკლების წამატებით, გ.ო.)

რედაქცია წუხს დაშვებული შეცდომის გამო.

როგორც „რეზონანსთან" საუბარში მეომართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ, ჯანდრი უბირიამ განაცხადა, მეომართა მიერ იმელის შენობასთან ჩატარებული აქცია მიმართული იყო აფხაზეთისა და აჭარის ხელისუფლების წარმომადგენელთა შერიგებისაკენ. „ჩვენ არ გვსურს, ქართველთა შორის დაპირისპირება გაღვივდეს და ჩვენ ამ დაპირისპირების იარაღად გამოგვიყენონ" — აცხადებს უბირია".

აი, როგორ ყოფილა საქმის ვითარება. შეუძლებელია გური ოტობაია შეცდეს მსგავს წვრილმანებში.

მიუშვერია მინიატურული ჩამწერი აქციის მონაწილეთა საინფორმაციო წყაროსთვის ბედნიერს და ერთი ტემბრის მეორისაგან გამოცალკევება დავიწყნია. მაგალითისთვის, სადაც ჯანო ჯანელიძე ასრულებდა სიტყვას იქ კორესპონდენტს წყალგამყოფ ელემენტად უნდა ეკარნახა მიკროფონისთვის: ,,რუზგენ გოგოხია'' და მერე დაეტყვევებინა ტექსტი. აქ კი გადაება ერთმანეთს ლამის თანაბარი ტემპერამენტის მეტყველება რიტორიკის პოზიციიდან. თუმცა ერთი ვერ გაითვალისწინა ჩვენებურმა მედავითნემ: მიუხედავად ტემპერამენტის იგივეობირობისა მათი პილიტიკური პლატფორმა კარდინალურად განსხვავებულია: პირველი აფხაზეთში დაკრძალული ვაჟიშვილის საფლავისკენ მიისწაფვის, სრულ უნდობლობას უცხადებს ქვეყნის პრეზიდენტს და მოვლენების ამგვარად გაგრძელების შემთხვევაში, გამორიცხული არ არის მემკვიდრის წმიდა ნეშტი ენგურსგამოღმა გადმოასვენოს; ხოლო მეორეს ვაჟიშვილი საერთოდ არ ღირსებია ზეციერისგან, ვაჟკაცური ხასიათის სამი ასეულის მამაა, ყველა საფლავის დასაბრუნებლად ამხედრებულა მთელი შემართულობით, თანაც ამ გზაზე დიახაც ქვეყნის პრეზიდენტი მოუჩვევია კონფლიქტის მოწესრიგების მთავარ ფიგურად.

აი, რანაირად შეუერთებია ერთმანეთისთვის ორი ურთიერთგამომრიცხავი, შეუთავსებელი პოზიციები ჩვენი კორესპონდენტის ზერელე პროფესიონალიზმს, მაგრამ როგორც იტყვიან: დაზსუსტებანი კმარა და თან — საქმე.

თეოლოგია

ღმერთი კი შექმნის სამყაროს ექვს დღე-ღამეში, ვახტანგ ძმობილო, მაგრამ თავად ,,6'' მათემატიკური გაგებით პერიოდია და იციან ყოველივე მემლექეთის მოგვებმა.

ჰოდა, კი შექმნის სამყაროს ღმერთი ექვს დღე-ღამეში, მაგრამ დავუკვირდეთ: ადამიანს — სულ ბოლოს. ეს ხომ ახირებულობა არაა. იგი ლოგიკური წერტილია ცაბაოთის შესაქმისა — ხატად და სახედ დააასლოს მსგავსი. თავდაპირ- ველად: ადამი ორბუნებოვანია, ორვალენტოვანი. მოგვიანებით იზრუნებენ ევასთვის, მაგრამ ესეც არ წარმოადგენს ღვთიურ მუშაკობაში უზადობას. არის კიდევ სათანაელი, ანუ ადამიანთა სამყარო სამ ტოლძალოვან სიდიდედ განიყოფა. ვგონებ, საკმარისია ჩვენი მეცადინეობა თეოლოგიის ხაზით.

მატერიალიზმი

ამბობენ და მართალიცაა, სამყარო დროის, სივრცისა და მატერიის ერთიანობაა. არ გვცალია ახლა ფაქტების მოშველიებისთვის. დავეყრდნოთ ბოლოდროინდელ აღმოჩენებს: ობსერვატორიული, ფიზიკური, ქიმიური, გნებავთ, ბიოლოგიური დაკვირვებებით, მარსზე სიცოცხლე ყოფილა — არხები და კიდევ სხვა ატრიბუტები.

რომ არა ახალი მსოფლიო აზროვნება, ვახტანგ ძმობილო, არავინ უწყის, შესაძლოა ჩვენი ლაჟვარდი დედამიწა ატომური კატასტროფით დაგვეღუპა. გვაქვს, ჩვენ ჩერნობილის გამოცდილება, სხვა მრავალთან ერთად, მაგრამ სად არის ბატონი ედუარდის ახალი აზროვნება გაგებული? შევხედოთ: ეს პიროვნება საკუთარ თავს სამშობლოში ნაკლებად მიღებულს უწოდებს.

რატომ? ავხსნათ, ძმასავით საყვარელო.

სამყაროში მოქმედი ნებისმიერი პროცესი გადაიკვეთება ადამიანთან. ჩვენ ტყუილად გვეუბნებიან, თითქოს არა გვაქვს ვარსკვლავურ გამორემომ- ცველობათა ზეგავლენები. სამყაროში გალაქტიკის მხარდამხარ ყველაფერი გარბის, უფრო სწორად — მოძრაობს. ამიტომაც ეძახიან მას ,,მობილე ინ მობილეს'', ანუ მოძრავს მოძრავში. დავაკვირდეთ ადამიანს. თითქოს ხომ დამთავრებული კორპუსისაა, მაგრამ რამდენი მილიონი უჯრედი ხვანცალებს მის წიაღში, ოღონდ ერთის სამსახურში — რაციოს სამსახურში.

ჩვენ ახლა ვიმყოფებით გაფართოების 1/4 ფაზაში, ანუ დიდი აფეთქების შემდეგ სამყარო 12 მილიარდი წლისაა.

სამყარო არ არის აგებული ისე, როგორც ადრე გვეგონა. მას განსაზღვრავს ატომის მშენებელი სამი ენერგია: ელექტრონი, პროტონი და ნეიტრონი.

აქ სულ ტყუილია, თითქოს პლუს მინუსი შეუერთდება და შუქი აინთებაო. შუქი აინთება იმ შემთხვევაში, თუ ნეიტრალური ძალა დააკავშირებს მათ.

ადამიანი

ნუ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ადამიანს რაიმე ზედმეტი ნერვი გააჩნდეს, ვიდრე — სამყაროს.

ადამიანის კორპუსის გამართვას მილიონობით წელი დასჭირდება აფრიკიდან ბოლნისამდე. გაიმართება მისი შუბლი ნიკაპთან მიმართებაში — შეიქმნება მართკუთხეოვნების სიმეტრია, მაგრამ რატომ აქვს ოთხი კიდური ამ კორპუსს? მთელი საიდუმლოც იქ არის:

ტერფი განსაზღვრავს მის წონასწორობას.

ხელის აღნაგობა — შემოქმედებით უნარებს, უკეთ, არსობის პურის მოპოვების სახსარს. ამაზე მითითებულია: ,,შრომამ შექმნა ადამიანი'', მაგრამ ახსნილი არ არის — რატომ? — იმიტომ, შეგირდო, ჩემო, რომ თითების რეცეპტორები სტიმულიზებულია ამ პროცესში, ანუ თითებიდან შექმნილია კოლოსალური გონება. ასევე, ფრანგული ხუმრობისა არ იყოს, ტერფის მეოთხე თითი თუ არ უსწრებს დანარჩენს, ბერძნულად არ მიიჩნევა, ანუ იდეალურს არ მიუახლოვდება. ამისთანა ,,სახეობა'' კი განსაკუთრებით ევროპაშია კონცენტრირებული. რასიზმს არ ვქადაგებ, მაგრამ რეალობას ვერსად გავექცევით — ჩვენს მიერ დახატული ადამიანი ფერის განურჩევლად უახლოვდება სამყაროს. ნუ დამწამებ, თითქოს ქადაგად დავმდგარვარ, მაგრამ დააკვირდი ჩემეული აზროვნების მოდელს და აქ ყველა წყაროა ქვეტექსტურადაა მოტანილი.

ადამიანიც ხომ იგივე სამყაროს მიკრომოდელია, ანუ ახასიათებს სამი განმსაზღვრელი ძალის თანამშრომლობა: ელექტრონის, პროტონისა და ნეიტრონის. ამას მიუხვდება შტაინერი, თუმცა — თეოლოგიურად, როცა ქრისტეს ჯვარცმას ხსნის: ქრისტე — შუაში, ხოლო აქეთ იქით — ორი დამნაშავე, არავინ უწყის რამდენად, მაგრამ მაინც რაღაც ბრალეული.

ადამიანს აქვს სამყაროს შემოშვების ,,6'' სისტემა და არა ,,5'', როგორც ამას ამტკიცებენ: ფერის— (მხედველობა განსაკუთრებულია), სმენის, შეხების, გემოვნების და ყნოსვის. დავივიწყეთ აზროვნება, რომელიც ამ ,,5''-ის სინთეზის შედეგია.

შევხედოთ კიდევ ერთ საოცრებას — ,,46'' გენის მატარებელია ადამიანი. ეზოტერიკულად — ,,10''-ის.

საზოგადოება

მორგანი დააპურებს მარქსისტებს იროკეზების თუ პატუა ენების მქონებელი ხალხის ცხოვრებით, სადაც თითქოს პირველყოფილი კომუნა არსებობს მდედრის პრიმატით. ქალის სექსუალური ძალა,

ანუ შობადობა იგივე იარაღია და იმიტომ. დაიქსაქსება დედამიწის კონტინენტები ადრე მითითებული გაფართოების შედეგად □გონდვენა) და დაცილდებიან ერთმანეთს ტომები, ხალხები. ვიგონებთ ხალიბურ იარაღს. ამას მოსდევს ბორბალი, ანუ ხმლის გადაქცევა სამშვიდობო ძალად. კონგენიალურია! ადამიანებს აღიზიანებთ წარმატებულობა მათი და ართმევენ ამ წარმატებულობებს. კანიბალიზმია, მაგრამ რეალური. ადამიანები იგონებენ კოლოსალურ ომებს და ესეც კანიბალიზმია ტროადან დაწყებული ავღანეთით დამთავრებული.

ყველა პატარა თუ დიდ ერს უნდა არსებობა დროსა და სივრცეში. ერი არაფერია გარდა ატომისა, უჯრედისა სამყაროს მასშტაბით.

დედამიწის პოლიტიკური რუკა აშენებულია ამ გაგებით.

მაგრამ გაგვეცინება: დედამიწის, ანუ სამყაროსეული სიმდიდრე ზოგს მეტად შეხვდება, ზოგს — ნაკლებად. ხმალი, ბორბალი, ატომი ამისი ქვაკუთხედია. დაუჯერებელია: სადღაც ევრაზიაში ამოქაჩული ნავთობი მხოლოდ ევრაზიამ მოიხმაროს. მზე სხვანაირად შვრება: ფანტავს სხივებს და მორჩა! აქედან გამომდინარე, ვახტანგ, ძვირფასო, დავეჯახებით ახალი აზროვნების მოდელს. რომ არა ეს გონგახსნილობა, დედამიწას მარსის კატასტროფა ელის.

ახლა პუნქტობრივად: პარიზის კომუნა პირველი წაღლაბუცებაა, მიუხედავად ჩემი დიდი სიმპათიისა, რაღაც რეალური აზრის მიმართ. მოვა უარესი გადახრა პოლიტეკონომიის ენაზე: არ დაუჯერებენ ბოლშევიკები მარქსის მოძღვრებას და ერთ სახელმწიფოში შეეცდებიან სოციალისტური ქვეყნის შექმნას „რკინის ფარდებით.“

რა რეალობას დავეჯახებით 74 წლის შემდეგ?

აქ არავინ ითვალისწინებს ერთ გასაოცარ გაორებას: არსებობს საზიარო სხეულში, ანუ ერთ დედამიწაში ორი განსხვავებული სისტემა, თავიანთი კოლოსალური ატომური ენერგიებით. ამ კოლოსალურ ენერგიებს სჭირდება შენახვა, თორემ შეიძლება მოვიდეს ვინმე მანიაკი და ბუთქოს.

ახლა მეორე უბედურება.

ამ ორივე საზოგადოებას ხყავს შინაური მტერი, ფიგურალური გაგებით მეხუთე კოლონა. ეს მეხუთე კოლონები ყველაფერს აკეთებენ ერთი აზროვნებისთვის, მაგრამ იმ ორ სახელმწიფოს არა აქვს ერთმანეთის მიმართ სოლიდარული დამოკიდებულება და წარმოგიდგენია, ბერაია-მიშველიავ, ორი სისტემის სახით იბრძვის ოთხი ორგანიზმი. ეს ხომ აუტანელია. ამას არანაირი ფული ეყოფა, არანაირი მსოფლიო კაპიტალი.

გაუნათდება გონება კაცობრიობას, როდესაც მიხვდება, რომ ერთი გზით უნდა იარონ. შეიძლება ეს ერთი გზით მსვლელობა დიდებული მაინცდამაინც სულაც არ არის, მაგრამ კატასტროფას ყველაფერი სჯობს. ეს ჩადებულია ახალ მსოფლიო აზროვნებაში. გადავა ყველა ლიანდაგიდან შემადგენლობათა წყება ერთი ჭკუისკენ, კაპიტალის ჭკუისკენ, ვინაიდან მსოფლიო იგრძნობს გარდუვალ კატასტროფას. ამის შემოქმედი, ცხადია, ვერ იქნება მარტო ჩვენი წიგნის ავტორი, მაგრამ იგი ამოწურავს სულიდან ამ თეორიას კონცენტრირებულად. ამ დროს მიუღებელია საკუთარ სამშობლოში! სად გექნებოდა სამშობლო, კოსტას ნაშიერო, თუ მსოფლიო წესრიგი დაიღუპებოდა?

სინთეზი

ახალი აზროვნების თეორია სინთეზურია.

ამას ჩვენ მარტივად დავასაბუთებთ. განვიხილოთ ორი ასპექტი:

სახელმწიფო კაპიტალი და პიროვნული კაპიტალი.

რას ნიშნავს პირველი?

გროვდება სახელმწიფო ხაზინაში სიმდიდრე და იგი ბრუნავს ხალხისთვის.

გროვდება კერძო ჯიბეში კაპიტალი და სახელმწიფო ბერკეტებით ვალდებულია ეს ჯიბე გაუზიაროს ხალხს.

დისპროპორციაა გარეგნული მაჩვენებლებით, თორემ ორივეს შეუძლია სასიკეთო საქმეების შესრულება.

წავიდეთ წინ. ექვსასამდე ოფიციალური მილიარდერი ხყავს მსოფლიოს დღეს. ყველაფერი აქვთ უკვდავების გარდა.

აქეთ ტრილიონერი სახელმწიფო წინამ- ძღვრობს მეორე სამყაროს, რომელსაც ჩამობმულია ათასობით მიმსაკუთრებელი.

ნაკლებად ადარდებთ მათ ადამიანების მომავალი.

აი, სად მოუძებნიან ჭკვიანი თავები მსოფლიოს გადარჩენას ახალი აზროვნების სახით, იგივე

სინთეზური მიდგომებით, შეუთავ- სებლის შეთავსების აფთიაქრობით — ნაციონალური ქვეყნებისა და გლობალური პროცესების ერთი მიმართულებით წარმართვით.

ტყუილია ნებისმიერი ეროვნული მოძრაობა, რომელიც იჩემებს სრულყოფილების მიღწევას მხოლოდ ნაციონალური ფასეულობებით. სრულყოფილებისთვის შენ ნაწილი ხარ. ე.ი. ვერ აღივსები მთავარი ინტერესის გაუთვალისწინებლად. ანუ ვერ აღაშენებ დიად სხეულს. ზედმეტი ბარგი გქვია მოწინააღმდეგე კონცეფციისგან სინათლისაკენ მსწრაფველს. ჩასაფრებული ხარ შლაგბაუმივით ყოველ გადასახვევთან და ამით გინდა შენი ერი არჩინო, როცა ეს სიმდიდრე საყოველთაოა. მაგრამ არსებობს მეორე სიცხადეც: მაშ, მსოფლიო უნდა აითქვიფოს და გაერთმნიშვნელიანდეს? ესეც ხომ მეორე უკიდურესობაა? აი, აქ მოძებნილა ოქროს შუალედი ნაციონალურსა და კოსმოპოლიტურს შორის.

ვერ გაიხარებს ერი, რომელიც არ ითვალისწინებს ამ ორი სიდიდის შეთანხმებას! ვერ გაიხარებს მსოფლიო, რომელიც არ ითვალისწინებს ნაწილებით მთელის შექმნის რეალობას!

თავად სინთეზი რაა?

მიმართავენ მას ფილოსოფოსები: ხეგელი, მარქსი:

კვერცხი—არწივი—კვერცხი.

თითქოს მარტივია, მაგრამ ჩავუღრმავდეთ.

პირველ კვერცხსა და მეორე კვერცხს შორის გაირბენს შინაგანი გარდასახვის გასაოცარი ფაზა და შეუძლებელია ისინი ერთმანეთს დაემსგავსონ. ანუ, მეორე უფრო რაფინირებულია. ეს სამება მონაკვეთია. ხოლო ამისთანა მონაკვეთების ჯამს ვეძახით ხოლმე სპირალს.

ჩვენი მსოფლიო მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეში გაივლის თეზა-ანტითეზის ფაზას. თეზა კაპიტალიზმია. ანტითეზა ამ შემთხვევაში — სოციალიზმი. გარდახდილია ორი განსხვავებული ბუნების გამოვლინება. ამას ბიოლოგიაში დომინანტურს და რეცესიულს ეძახიან. დომინანტური ნიღბავს თავისთავში რეცესიულს.

ამიერიდან უნდა დაიწყოს ახალი მსოფლიოს აშენების ერა, მაგრამ მთლად ისე ვერა, როგორც უამრავ ეროვნულ მიდრეკილებას ხგონია, ან გლობალიზაციის მაგისტრებს — სოროსების თამადობით; იგივე სახელმწიფო თუ ოლიგარქიულ მონოპოლიებს. სიმართლეს არ უყვარს მიკიბვ-მოკიბვები. კაცობ- რიობა ახალი აზროვნების მეოხებით სწორი მიმართულებით ისწრაფვის, თუმცა — უამრავი წინააღმდეგობის გადალახვით.

ქონება

გავლებულია საზღვრები ხმელეთზე, ზღვებზე, მაგრამ ხაერზე ჯერ კიდევ არ დაგვიწესებია იგი სუნთქვის ბარიერად. არიან ქვეყნები, სადაც წყალი იყიდება, მაგრამ ჯერ ხაერს არ ვყიდით. მიწაც, წყალიც, ხაერიც საერთოა — კაცობრიობის.

მსოფლიო იბრძვის და მიაღწევს კიდეც სიკეთის შექმნას მარქსის გზით, ანუ სოციალიზაციის გზით, როგორც ამას თანამედროვეთაგან ყველაზე თვალსაჩინოდ ბატონი ნოდარ ჭითანავა მიუთითებს. მაგრამ მიდი და დაამყარე წესრიგი სიღარიბეს და სიმდიდრეს შორის. ერთს არაფერი გააჩნია — გაბოროტებულია; მეორეს ყველაფერი აქვს და მაინც ვერაგობს. არადა, უერთმანეთოდ არ შეუძლიათ ამ სიმდიდრის შოვნა. თან როგორი საქმეა, უპოვარს არ უნდა გადმოგდებული. ის მეორე კი იძულებით გადმოაგდებს.და მივა აქ სწორ დასკვნამდე ახალი აზროვნების თეორია: **სოციალიზაცია, მარქსისეული სოციალიზაცია. წყალი თანდათანობით ჩავა ჩასავალს.**

საფრთხე

წყლის დინების შეჩერება არაფერს შეუძლია.

ტყუის ნაციონალიზმი ცალკე.

ტყუის გლობალიზაცია განმარტოებით.

სიმართლე ახალ აზროვნებაშია, შეუთავსებელთა შეთავსების ალქი- მიაში — სინთეზში. როგორ? რა გზებითა და მეთოდებით?! ინებე, ვახტანგ, ძმობილო: მსოფლიო სწორი გზით წარმართულა, მაგრამ გეზის გამრუდებები შემო- პარვია ორივე მხრიდან, როგორც ნაციონალური მოძრაობიდან □რელიგიური მინარევებით), ისე — გლობალურიდანაც.

გვაქვს სიტუაცია — ერთიანი დედამიწა, ერთიანი პოლიტიკური წყობა და ამავდროულად ინდივიდუალურისკენ ხელშეწყობა გადახრების თვალთახედვით.

ექვსასი მილიარდერი ბინ ლადენებს ვერ დაიჭერს.

მოეძებნებათ მათ თავიანთი კამიკაძეები არტემიდათა ტაძრების შესამუსრად. ცისქვეშეთში კეთილგანწყობით თუ გინდა იცხოვრო, მაშინ აღიარე: **გარდაუვალია ნაციონალური უჯრედის შენარჩუნება გლობალიზაციის ასაშენებლად. ვაკონკრეტებ: ნაციონალური სიმდიდრეები და ფასეულობანი — საერთო კაცობრიულის შექმნას!**

მოდელი

მსოფლიო, დედამიწა არ შეუქმნია ადამიანს.

დედამიწამ შექმნა ადამიანი.

ცივილიზაციებს არ შეუქმნიათ დედამიწის მშვენიერება.

დედამიწამ შექმნა ცივილიზაციათა მშვენიერება.

ქონებრივი პრიორიტეტისკენ თანდათანობითი კომპრომისია ჩვენი ხსნა.

ეს ჩადებულია ახალ აზროვნებაში, ცოტათი შესწორებებით, რომლის საფარს შეხიზვნიან სოროსები და ღია საზოგადოებანი...

მიიღე ერი ქვეყნიერების მშენებელ ელემენტად.

აღიარე სამყაროსეული კანონი ნაციონალობის გადასარჩენად.

ყველაფრის გათვალისწინებით, სინთეზური მსოფლმხედველობის ახალი აზროვნება აერთიანებს ამ ორ, მოცულობით, შინაარსით განსხვავებულ სიდიდეს, და პლუს, ქმნის ახალს — ნაციონალურ-გლობალურ სამყაროს.

მცირენი ვერ გაწვდებიან უშველებელს და ასიმილირდებიან, მარქსი გეგმილით.

ანუ, მოხდება ნაწილისა და მთელის შერწყმა, როგორც ეს სინამდვილეშია მთელს სამყაროში. არ დაიკარგება ქართული სული და მასთან ერთად უამრავი ქვეყნის სული, მაგრამ ისინი დაემორჩილებიან საერთო, წესსა და წესრიგს. ამას თვითონ ცხოვრება მოიტანს ადრე თუ გვიან.

საჭიროა? ჩამოიხრებიან!

აუცილებელია? ამაღლდებიან!

ინტერესების შეუთავსებლად დაგვლუპავს ხიპერნაციონალიზმით ტანტალი თუ ხიპერგლობალიზაციით ტუსტუსი.

ხსნა დანახულია „არჩევანში“ — ახალ აზროვნებაში, ამ ორი სიდიდის ჭკვიანურ, ბრძნულ შეთანაწყობაში.

მსოფლიოს ხვალინდელი დღის მოდელი საქართველოა.

იგი მის სიმღერებშია დალექილი. შვიდი კაცი რომ დაჯდება პურობაზე, უსიმღეროდ ხმაური შეიქმნება.

შვიდი ხმა რომ ქარქაშ-სატევარსავით ეთავსება ერთმანეთს, უკვე შვიდი კი არა, ერთია.

ეს არის ქართული ბუნების გენიალობა, შეუთავსებელთა შეთავსების ქვაკუთხედი და ვიაროთ, მშობლიური ბუნებისაკენ, ოტობაიის ჩრდილოეთ პროვინციის ბინადარო, ძმადნაფიცო! ხომ გახსოვს ვეფხის დედაი საითკენ მიეშურება? ორი მტერი იყო იქ, იმ დედის მისვლამდე. მივა და, მიუხედავად დატრიალებული ტრაგედიისა, ერთად იქცევიან, რადგანაც ბრძანებს: ... **იქნება ვეფხის დედაი ჩემზედ მწარედა ტირისაო.**

,,არჩევანში'' ზედმიწევნითაა დახატული XX საუკუნის ცივილიზაცია.

ალბათ, გაგრძელდება იგი-მეთქი, დავსაკვნი ნაწარმოების ჩამთავრების შემდეგ და ჩემი ვარაუდიც გამართლდება, ვინაიდან რამდენიმე თვეში ,,ვარდების რევოლუციის'' ჟურნალისტების შეკითხვაზე:**საითკენ წავა პრეზიდენტი, შინისკენო**, იტყვის ბატონი ედუარდი, მემუარების საწერადო, დასძენს იქვე. მოკლედ, ასეა ჩვენი საქმე, ვახტანგ, ძმობილო. სხვებისა რა მოგახსენო, მაგრამ ჩემთვის აისბერგიდან ჩანს პირამიდა; აისბერგიდან ჩანს ოკეანე; აისბერგიდან ჩანს ,,ტიტანიკი''; აისბერგიდან ჩანან ადამიანებიც და პოლიტიკური პროგნო- ზები ვიკმარისოთ. მერწმუნე, ჯერ კიდევ მრავალი თხზულების ანალიზი მოგვიწევს გზადაგზა, გაკრეისერებული ოჩხომელურასი იქნება იგი თუ სულაც — გრძელნაბიჯიანი მიხეილისა, რომელ- თაგან ზოგი გარედან ბროწეულვით გაკრია- ლებულ ატლასს გვპირდება და არავინ უწყის შიგნიდან რანაირი მარცვლით დაიტენება, მკუხეთი თუ დაშარბათებულით. ყოველ შემ- თხვე- ვისათვის სოციალური გარემო იმნაირად მიმსგავსებია გასაყრლად მომწიფებულ სკას, რომ გამორიცხული არაფერია ანიდან ჰოემდე ...

**„ფიქრები წარსულსა
და მომავალზე“**

ამგვარი სათაურისაა „ვარდების რენვოლუ- ციის“ მესამე წელს გამოსული, ბატონი ედუარდის მეუარების ვრცელტანიანი წიგნი. თხზულებას ჭაბუა ამირეჯიბის წინასიტყვაობა ახლავს და ბოლოთქმად ვაჟიშვილი პაატას მსოფლგანცდა დართვია დროის, წუთისოფლის, საწუთროს რაობაზე, თავისთავად ინტელექ- ტუალური და წიგნიერი კაცის ნააზრევი.

გამიმართლებს ვარაუდი: ჯერ კიდევ მრავალ ნაწარმოებს ვიხილავთ-მეთქი ბატონი ედუარ- დისაგან, ოღონდ ერთიცაა, ლამის საწიგნედ გამზადებული „ეპოპეა“ ვერაფრით მიმიწვდენია ექს- პრეზიდენტისათვის. ამ გზაზე ორივე ბონდო ძირმომპალი ბონდივით ჩამექცევა — სამეგ- რელოს გუბერატორი ჯიქია თუ „საქართველოს რესპუბლიკის“ პასუხისმგებელი მდივანი მძინა- რაშვილი. ისევ ხმელ კოპიტად წოდებულ ჭაბუას მივანდობ გაჯანჯლებული მისიის აღსრულებას და ქალატონი თამარის შეხმი- ანებით მიუვა კიდეც ადრესატს „სუფევიდან“ ამონარიდი თვალთა- ხედვა ჩემი. ექსპრეზიდენტის რეაქცია კორეს- პონდენტის სტილისაა. თითქოს უსიტყვოდ მეუბნება ბატონი ედუარდი: ეგერ, გამომიცია თვრამეტლარიანი წიგნი და თუ გაინტერესებს, იბელეტ- რისტე გეთაყვაო. არ გეყოფა სამასალედ? ინებე, ბატონ არმაზ სანენბლიძის საორშაბათო ინტერვიუები „ასა- ვალდასავლიდანო“.

მეტს ხელჩასაჭიდს მოველოდი ეროვნული ხელისუფლების დამარცხების თაობაზე. მოხმობილია ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას სახოტბო წერილი მის გამდივნებასთან დაკავშირებით. ზომიერი ორჭოფობებია ყოველ მოსახ- ვევთთან. საქართველოში 7 მარტს ჩამოსულს ნაკლებად ახსენდება ჯაბას „მე ჩამოვიყვანე“, „ჩემი მეგობარია“.

გუდაუთური დაპირისპირებისას ჯოხი კოტოვანზე გადატყდება, ვინაიდან აფხაზეთის რკინიგზის გაკონტროლებას, როგორი ტრაგე- დიაც მოჰყვება, სამასი ათასი დევნილია მოწმე და კიდევ — ორმოცი ათასი გამოჭრილი ყელი, ნაჯიჯგნი კალთა თუ ნატყვიარი მკერდი.

არის მინიშნება იმპერიალისტური ძალები საგან ზვიად გამსახურდიას მართვადობის შესახებ.

ორაზროვანი ნისლის საბურველშია მოქცე ული „ვარდების რევოლუ- უციის“ ძირითადი მიზეზები. სოროსის სიმპათია-ანტიპათია საბუთად ნაკ- ლებად გამოადგება საქმის არსში ჩაუხედავს და მაინც ძირითადი აქცენტები გადასროლილია რუსეთ-საქართველოს ურთი ერთობის საკვანძო მომენ- ტებზე. ეს პრობლემა მთელი სიცხადით ნაკლებადაა გაშუქებული ცნობილი მიზეზებისმ გამო. ოთხმოცდაათიან წლებში გამომზეურდა საქართველოს ანექსიის ჭეშმარიტი საბუთები, რომელსაც ჩვენსც ვაქვეყნებთ „სუფევის“ პირველ ტომში. ამ მიმართებით შედარებით ამომწურავია ბატონ გიორგი გაჩეჩილაძის მონუმენტური ესე „საქართველოს სახელმწიფოებრიობის კონცეფ- ციისათვის“, სადაც მისხალ-მისხალაა გაანა- ლიზებული რუსული იმპერიის დიდმპყრო- ბელური სიავნე საქართველოს დასაჩაჩანა- კებლად. ნაჩვენეყბია ჩვენს დასაჩმორებლად როგორ აღაზევებდა რუსული იმპერია სომეხ ვაჭრებს უპროცენტო სესხებით. ეს მომენტი ცარიზმის მოხელე ბოროზდინსაც წამოცდება ერთგან. იმპერიის უსამართლო და მსახვრალი ხელი ოსი ჯაყოს ხიზნებად გვაქცევს ოდესღაც მხრებში გაშლილ ხევისთავებს რას გვერჩოდა?! რას გვემართლებოდა? ჩვენ ხომ მეურვეობა ვთხოვეთ და არა დამონება?! სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველო ნაწილ- ნაწილ გავერანდება და მერე ფთილა-ფთილა შემოი- ერთებს, თითებით ყლგამო- წეულს. თანაც გასაბჭოების შემდეგ ბევრგან ავტონომიის უფლებებს ხელუხ- ლებლად დასტოვებს წითელი ჟამი, რათა საჭიროების შემთხვევაში თავის სასრგებლოდ აამუშაოს ნელი მოქმედების დინამიტები.

უწერიათ ამის შესახებ სხვებსაც, მაგრამ ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ წარმო- ჩენილი, განსაკუთრებულია. იგი ხომ იმპერიის მარჯვენა ხელად მოიაზრებოდა 31 წლის მანძილზე, რუსიფიკატორული პოლიტიკის განმვრცობად შინ თუ გარეთ. დაახლოებით მსგავსი სურათია, როგორც გიორგი სააკა- ძესთან, რომელიც პირველსავე შესაძლებ- ლობისას უგანებს მუსულმანურ სამყაროს და ეროვნული ღირსების სადარაჯოზე დადგება კვლავაც.

მოხმობილია ათობით, ერგასობით, ასეულობით უტყუარი, შემზარავი ფაქტი, როცა ბრძოლის ველზე მტრის პირისპირ გასულ ქართველობას მოღალატურად გაეცლება მოკავშირე რუსის მხედრობა და სასიკვდილოდ გასწირავს ისედაც გენოციდამდე მისულ ერთმორწმუნე ქვეყანას. მეცნიერის ნათქვამი ერთია, მწერლის დახატული მეორე, მაგრამ მსოფლიო მნიშვნე- ლობის პოლიტიკოსის მიერ უკიდურესი სიმწვავით წარმოდგენილი ნარკვევი რუსული იმპერიის გაუტანლობის სიმბოლოდ, წარუშლელია, ზრდადი რეზონანსის მსოფლიო მასშტაბით.

დიახაც, ამიტომ სრულიად სამართლიანად შენიშნავს ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი მემუარების

წინასიტყვაობაში: იქნებ რუსეთ-საქართველოს ურთიერთვობისადმი მიძღვნილი თავი ცალკე ბროშურად გამოიცეს დიდი ტირაჟითო. ბატონ ედუარდს საბოლო ვერდიქტი გამოაქვს ველიკორუსული იმპერიალიზმისათვის და წმინდა გიორგის სიჩაუქით აძგერებს გრძელტარიან შუბს ურჩხულის ტოქსიკურ ხახას.

გამახსენდება აფხაზეთის ომისმ პერიპეტიები. სოხუმის დაცემის წუთები, წამები, როცა სასოწარკვეილი ედურადი მთელი კაცობრმიობის გასაგონად გასძახებს ეთერს: დიახ, რუსეთი გვებრძოდა და რუსეთი გვებრძვის ამ უთანასწორო ორომტრიალში, რუსეთი და სხვა არავინო.

ეს პრელუდია ყოფილა ოპერისა ცამეტი წლის წინათ, ჟურნალი, სრულმეტრაჟიანი ფილმი, აგერ, აეკრანდა ეჭვმიუტანელი ფაქტებითა და სულის- შემძვრელი განზოგადებებით.

ბატონი ედუარდის უკომპომისო დასკვნით — დარჩენილია ერთადერთი გამოსავალი: ვინაიდან და რადგანაც ორასი წლის მანძილზე საქარ- თველო ერთხელაც ვერ იგრძნობს თანაბარ- უფლებიან პარტნიორობას რუსეთის იმპერი- ისაგან, პირიქით, ყოველთვის გაიწირება, ყოველ- თვის ევნება მის ამბიციურობას, მის სიტლანქეს და მოუხეშაობას, ნაანდერძებია ხსნის დაუხან- ებელი სახსარ- საშუალება — წინ ევროპული ფასეულობებისკენ! წინ ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ! ამგვარია ჩრდილოეთიდან მზის ამომყვანი პოლიტიკური მოღვაწის საბოლოო მსჯავრი, თუმცა ჯერაც ოთხმოცდაათიანი წლებია, ,,ვარდების რევოლუციამდე'' უნიათოდ მოიზლაზნება მსოფლიო საოცრება ჩინეთის კედლიდან მოყოლებული დიდი აბრეშუმის გზა დასიცხული ქარავნის ტაატით. მაგრამ, როგორც იტყვიან, თან — საქმე.

უზნეობის ქვიშის საათი: ,,866''.

დილის ექსპრესი ,,თბილისი — ზუგდიდი'' სადადიანოში შებინდებულზეა.ზურგს უკან მრჩე- ბა ტრივიალური ვიდეოკადრები: გივი ბერიკაშვილის ,,იუმორინა'', კავეენის ბიჭები: პანტომიმით გა- ნასახიერებენ ისინი საკაშვილს, თევდორაძეს, ბარამიძეს, თევზაძეს თუ ბატონ ედუარდს. მუსიკა შეწ- ყვეტილია, მაგრამ ეს უკანასკნელი ლადო გუდიაშვილის სიმსუბუქით მესამე წრეს უვლის და პარტერიც გარინდულა.

ცნობიერებაში უნებურად სპორტის სასახლის წინ აღმართული ტრანსპარანტი შემოიჭრება — ,,866'' გივი თარგამაძის საბილბორდო პანოს ფონზე.

თურმე ნუ იკითხავთ, 866 დღე დარჩენია შევარდნაძეს თავისი მარათონული პრეზიდენტობის გზაზე და ამ უზნეობის ქვიშის საათს სფინქსის გამოუცნობი გარინდებით მისჩერებია საბურთალოელთა პო- ტენციური მაჟორიტარი ანტიკორუფციული კორპუსიდან.

,,866''. საკრალურობის მთელი სპექტრი, სრული ოქტავა: 2 ჩვეულებრივი წელიწადი და კიდევ 136 დღე ნაკიანის ასაშენებლად. ,,866''. გამოაკლებ 200-ს ამ სიმრავლეს და იოანეს გამოცხადების ,,666'' შეგრჩება ხელთ უბედურებათა მჩხიბავს. მაგრამ ესეც არაფერი, რამხელა რეზერვი გააჩნია ქვეყნის პრეზიდენტს, რამხელა არსენალი, დღეების რაოდენი ესკადრილია — ჩამოიმარცვლება 716 და 150 მაინც ხელუხლებლია კაცობრიული გონის ნოეს კიდობანში შესამყუდროვებლად. გნებავთ 777 ჩამო- ღვენთოს, 800, 860, 6 დღე ხომ მაინც შენახულა ცაბაოთურ საქმეთათვის?

არადა, მემარცხენეთა გაქანებულ ბუჰხალტრებს რატომღაც არ აღუნუსხავთ ბაქო-თბილისი- ჯეიხანის დაბალავრების მრგვალი თარიღები, 1001-ია იგი თუ 999. არც ტერმინალების დასაძირ- კვლებისთვის მიუდევნებიათ მაინცდამაინც თვალი სუფსაში, ყულევსა თუ ფაზის-ქალაქში; აღარც პანკისის დაშოშმინება ჭაშნიკებია ბევრად მათ ვარსკლავთმრიცხველურ გუნება-ხასიათს. მემარც- ხენეთა მოხასხასე წინამორბედის მიერ ჩაჩუმებული ხუდონხესისკენ მივემართები;

ცისფერ ჩაფხუტიანთა სამშვიდობო ძალებში დავანებული მათიანების დივერსიებით გაძვალტ- ყავებული ენგურხესის თაღოვანი კაშხალისკენ მივეშურები, ჯონი ჭანიას და ნეგუს აკობიას იობის მოთმინების ხალხისკენ; წყალში დაძირული ვარდნილხესებისკენ. საბერიოსკენ მივისწრაფვი გიორ- გი მიქავასა და ლევან მებონიას გმირი ბიჭებისკენ, რომელთაც ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა უმაღლეს საფეხურამდე აუტაციათ, თვალი გაუსწორებიათ თავს ზემორე წამომართული დამოკლეს ორლესულებისთვის და პიროვნული მამაცობის უმაგალითო გამოვლინებით შეუთავსე- ბელი შეუთავსებიათ — იმპერიალისტური ძალებისგან მამასისხლად წაკიდებულ აფხაზ- ქართველობას თანაბრად შეუნარჩუნებენ სამამულო ენერგეტიკის ბურჯს, სრულიად ახალ თავ- ფურცელს ხიდრომშენებლობაში, განუმეორებელსაც, ალბათ, მომავლის თვალსაწიერიდან— ,,ენგურხესს''— მერვე საოცრებას; თუმცა ამავდროულად პატივაყრილსაც ყოველი მეხუთე მეხუ- თეკოლონელისაგან.

რომაელებს ხყავდათ ერთი დაქოქილი ორატორი, რომელიც თავის ნებისმიერ გამოსვლას სენატში, □გნებავთ ვირების ყროყინს გამოსარჩლებოდა იგი თუ ბატების ყიყინს), აკვიატებული ფრაზით ამთავრებდა: კართაგენი უნდა დაინგრესო.

ჩვენი მემარცხენეების □ნაციონალისტების) არმიაც პატარა ციცერონებია ჟვანია-სააკაშვილიდან დაწყებული რადიოსადგურ „ასერთელების" „თავისუფალი" ხმებით, რამიშვილთა უკბილო „დარდუბალებით", ცქიტიშვილების „ახვერსიებით" და „რუსთავორელებით"; კიდევ სხვა მრავალი მოქამელეონო პერიოდიკით, იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელნი ხუჭუჭთმიანი ზვიო ბლიაძის „კავენელების" მსგავსად უმთავრეს სენტენციას საუბრის თავში გადმოიტანენ ხოლმე და ქვეყნის პრეზიდენტს ცინიკური ტონით უხსენებენ ფერშლობას ბეითლობის ქვეტექსტით. არადა, სამყაროს შემოქმედს უსარგებლო შრომად არ მიუჩნევია მთელი მეხუთე დღე და მეექვსეს ნახევარი თევზების, ფრინველების, ქვეწარმავლებისა თუ ნადირ-საქონლის გაჩენა. პირიქით, ტკბებოდა კიდეც მათი სიმრავლითა და მშვენიერებით — **„დაინახა ღმერთმა, რომ კარგი იყო"**, □დაბადება, თავი პირველი, 25). მოკლედ, მემარცხენეთა ქილიკს დასასრული არ უჩანს გაზეთების ფურცლებიდან, ცისფერი ეკრანიდან თუ ავანსცენიდან:

2003 წელი ოპტიმისტი „ახვერსიის" თვალით გიგოლას ნაცვლად ბეკეკას რქებით გადააყირავებს „კეპეესესის" მანდატიან ედოს. ცოტა მოგვიანებით მიშა მშვილდაძესთან ინტერვიუში იმავე გაზეთის მე-13 გვერდზე ვკითხულობთ:

„პრეცენდენტი, რომ შევარდნაძის □ლანძღვის, გ.ო.) გულისთვის არავის იჭერეენ, შედგა. დღეს იმაზეა შეჯიბრი, ვინ უკეთ გალანძღავს შევარდნაძეს. ამიტომ ჩვენ უფრო კატეგორიულები გავხდით. თუმცა საწყალი შევარდნაძე ორივე შემთხვევაში ილანძღება და უნდა ითქვას, რომ სულაც არ არის საწყალი". და იქვე, ოდნავ დაშორებით IV სვეტის მიწურულს:

„ — ექსპერტებმა გამოიკვლიეს შევარდნაძისა და აბაშიძის ფოტოები და დაასკვნეს, რომ ეს ერთი და იგივე პიროვნებაა. ამან ნათელი მოხფინა, თუ რატომ არ ჩამოდის აბაშიძე თბილისში. გაირკვა ისიც, რომ შევარდნაძე საღამოობით საიდუმლო რეისით მიფრინავს ბათუმში, იცვლის გარეგნობას და იკუზება. მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით სასიამოვნოა აჭარაში ერთპირონული მმართველობა, ვიდრე თბილისში ოპოზიციისა და სხვათა გამოხდომების ატანა, შევარდნაძე თბილისში გაცილებით მეტ დროს ატარებს, რადგან ბათუმში ჩაკუზული ძალიან იღლება". □„ავ", №76, 23 დეკემბერი, 2002 — 6 იანვარი, 2003).

წაკუზვაზე ურცხვად საუბრობენ „ასერთელები" და იქვე გვთავაზობენ სტარტისთვის, შტურმისთვის გამზადებულ პოზას, მაგრამ ავიწყდებათ ერთი უბრალო ჭეშმარიტება, რომ სტარტი ნებისმიერი დისტანციის სირბილში წაკუზვით იწყება. მათ შვიდეულს ეს კოლექტიურად შეუდარებელი გამოსდის.

მოკლედ, ყველგან და ყოველწამს ყვედრების საგნად ქცეულა პრეზიდენტისთვის მისი ჭაბუკობისდროინდელი ფერშლობა ბეითლობის სინონიმად.

მე კი მიმაჩნია, რომ ბედნიერი იქნებოდნენ ეს ოთხფეხნი, □სტარტში მყოფი წაკუზული პიროვნება, ერთგვარი ოთხფეხია), ქვეყნის პრეზიდენტი შტუდირების ადრეულ დონეზე დარჩენილიყო, ვინაიდან მაშინ სადაგ აუდიტორიას შესატყვისი მეთოდებით ემკურნალებოდა; უპრეტენზიო პაციენტს აიბოლიტის თანაგრძნობით მიეხედებოდა; ტყიურს წარმართული ღვთაება ჟინი ანთარისებური გულმოწყალებით მიეყურადებოდა; თუმცა ჩვენდა სასიხარულოდ, ქვეყნის პრეზიდენტი ცოტათი გაზრდილა ჭაბუკობის მერმე, ლამის ოთხმოცს მოიყრის სადაც არის და ამ რვა ათეული წლის მანძილზე ბეითლობის მხარდამხარ უამრავი მეცნიერება მოუწურთნია □უდიპლომოდ), ხეროდოტეს პროფესიის მხარდამხარ, სამყაროს უმაღლესი კატეგორიის — ადამიანის შესამეცნებლად. მაგრამ ჩვენ ამჟამად ზოოლოგიაზე საუბარს გვერდზე გადავდებთ და არსებითად ენერგეტიკის პრობლემებით შემოვიფარგლებით, რომელიც თანაბრად სჭირდება, როგორც ტყვექმნილ მხეცებს, ზოოპარკის და ჯიშსაშენთა ეგზემპლარებს, ისე „ასერთელებს", „რუსთავორელებს" თუ „ახვერსიელებს" უეროვნო სამშობლოს გულდამწვარ ჭირისუფლებთან ერთად, გური ოტობაიას წამატებით.

ალბათ, იშვიათია ერი, რომელსაც თავისი მრავალათასწლოვანი არსებობის მანძილზე ესოდენ სრულყოფილად აეთვისებინოს შეუთავსებელთა შეთავსების მეთოდოლოგია, როგორც ქართველს. თვით ტერმინი „ქართველი“ ამ ღვთაებრივი მეცნიერების ვერბალური დასტურია, ვინაიდან მასში დასინთეზებულია, ერთის მხრივ, ქართის ტომის პრიმატი, პირველადობა, წარმმართველი ძალის სემანტიკა და მეორეს მხრივ, ქართას — ბაკის, წრის, გვირგვინის, შარავანდედის, ანუ სრულფასოვან საქმეთა ცოდნის ეზოტერიკული პრეტენზია. აქედან გამომდინარე, პრომეთეს, ამირანის შთამომავლებს, ალბათ, კადნიერებაში არ ჩამოგვერთმევა შეუთავსებლის შეთავსების შემოქმედ ერად გამოგვეცხადებინა თავი.

დავიწყოთ უმარტივესით. ნებისმიერ ჯოხს ორი ბოლო გააჩნია და მისი წვეროები □პოლუსები) ლამის ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ფილოსოფიური ასპექტით, მაგრამ გაჩნდება წრის, ბორბლის მოთხოვნილება და დარბილებულ რკინას მიანიჭებენ კიდეც დისკოს ფორმას, რათა მანძილი მეტის მოხერხებულობით დაიძლიოს;

არიან სამამულო მკვლევარები, რომლებიც ოქროს საწმისს, იგივე ცხვრის ოქროცურვილ ტყავს, ბერძნები რომ წაგვართმევენ გრძნეული მედეას მეოხებით, ოქროს მონეტად წარმოსახავენ, ეტალონად □მ. სიჭინავა); მოკლედ, ქართულ ცივილიზაცია წრიულ აღნაგობას, წრებრუნვას, დაუქვემდებარებს სულიერი ფასეულობის უამრავ წახნაგს:

— პალეოგრაფია □დამწერლობა — ასომთავრული — წრფისა და წრეწირის სინთეზი);

— პოლიფონია □სიმღერა, სიმთქღერა — სოლოს და ქოროს ხარმონია:

— ქორეოგრაფიას □ცეკვა, როკვა — ხორუმი, ფერხული — სახელმწიფოებრივი სიფხიზლის სიმბოლო, დაცული საზღვრების, გალავნის მინიშნება); მოგვიანებით ღვთაებრივი ხომეროსი, დიახაც, წრიულ პრინციპზე ჩამოაქანდაკებს თავის უკვდავ „ილიადას“ და „ოდისეას“ — ზოგადკაცობრილ დრამებს 24 სიმღერად, სადაც I-ის თემატიკას იმეორებს 24 -ე II-ისას — 23 -ე მე-12-ისას — მე-13-ე... ესეც ერთგვარი გამოძახილია ინდოევროპელების მიერ კავკასიური რასის ეზოტერიკული კულტურის იღბლიანი ათვისებისა.

ქართველი იმით უკვდავობდა მიწყივ, რომ მან ზედმიწევნით იცოდა უკიდურესად დაშორებული ფასეულობების შერწყმით ახალი რეალობის დამკვიდრების საიდუმლოება და აღუვლენდა კიდეც უფალს ცეცხლს დისკოსმაგვარ კერიაზე;

გეჯაში, გამოღრუტნულ მორში ამწყდევდა სკას თაფლის მოსაბევრებლად;

აჯვარებდა შორ პოპულაციებს ხიბრიდული ჯიშების მოსამრავლებლად — გამოხყავდა კაბადოკიური სინიბები, ვაზის სახეობები— ოჯალეში, რქაწითელი;

ხეკატეს ბაღში აღმოაცენებდა კატაბალახას და შავგიორგას, ახასხასებდა ხოდაბუნებზე ხორბლის განსაკუთრებულ ჯიშებს — ზანდურს...

მართლაც გასაოცარია გენეტიკა: 46 გენიანი ხომო საპიენსის წყვილეულების შეერთებისას ხდება მათ გენებს შორის გასაოცარი თანამშრომლობა, უვარგისი უბნების გაცვლა, ჩანაცვლება, შედარებით ცხოველმყოფელის მაქსიმალური გამოვლინებისათვის. დაახლოებით იგივეა შეუთავსებელთა შეთავსების ფილოსოფიაც სოციალურ-პოლიტიკურ ჭრილში, მაგრამ ჩვენთან თუ დანარჩენ მსოფლიოში, ძალიან ცოტა ვინმე დაიკვეხნის სამყაროისეულ ამ ცოდნით.

ამ ასპარეზზე დავით აღმაშენებელს თუ ამოეღება ხმა თამამად, როგორც ახალი სინამდვილის დამამკვიდრებელს, როცა საუკუნეობით დაკარგულ თბილისს შემოიერთებს და საჯალათო კუნძისკენ განსამწესებელ ვაჭართა წყებას ოქრო-ვერცხლს მიაგებებს საჩუქრად; ხოლო გუშინ თუ გუშინწინ ქართლოსიანთა ყოფიერების იავარმქმნელთ სამლოცველოებს აღამართინებს მართლმადიდებლური სიონის გარშემო.

ჩვენ ვექილად ვერ დავუდგებით ქვეყნის პრეზიდენტის მოღვაწეობის ზიგზაგებს, მაგრამ ახალი აზროვნების ანალიზისას, გარკვევით მივანიშნეთ, რომ ფერშლის პროფესიიდან იგი დროთა ვითარებაში უმაღლესი ფასეულობის, ზოგადკაცობრიული მიზნების სამსახურამდე ამაღლებულა და ამისი ნათელი დადასტურებაც სწორედ განსხვავებული აზრის უიშვიათესი შემწყნარებლობაა. პრეცენდენტი, რომ შევარდნაძის განქიქების გამო არავის იჭერენ, უფრო ტოლერანტობის მიმანიშნებელია, ვინემ — საზარელი კომპრომატების შიშით პირში წყლის დაგუბება. იგი ჯიუტად მიუყვება ერთხელ არჩეულ გზას — დიდი აბრეშუმის მაგისტრალის სრულფასოვან განხორციელებას.

ზემორე ვახსენეთ, ძირითადად ენერგეტიკის პრობლემებით შემოვიფარგლები-მეთქი, როგორც კაცობრიობის უმთავრესი ქვაკუთხედით, მაგრამ ბარემ აქვე განვმარტავ თავად სინათლის წყაროს შემადგენელ 3 ძირითად ელემენტს: პროტონებს, ნეიტრონებს და ელექტრონებს, სადაც პირველი

და ბოლო დადებით-უარყოფითი მუხტისაა, ხოლო ნეიტრონი— კარდინალურად განსხვავებული მათი აგებულების დამაბალანსებელია, ანუ ნეიტრონის შემაკავშირებელი ძალისხმევის გაუთვალისწინებლად, ვეღარასდროს ითანამშრომლებს დადებითი უარყოფითთან, ვეღარასდროს დაუახლოვდებოდა ერთმანეთს მათი ანტიპოდი ინტერესები და შუქიც არასდროს გამოსხლტებოდა კაცობრიული სუფევისათვის.

ეს თეორიის მსგავსად, ძვირფასებო, მაგრამ ენერგეტიკული პრობლემების ანალიზისას, შეუძლებელია თვალი მოვარიდოთ საქართველოს გეო-პოლიტიკურ განლაგებას დედამიწაზე და სადღეისო ვითარებას მის გარშემო.

ჩვენი პიიტიკოსების მიერ ქართულ-რუსული, ქართულ-ამერიკული ინტერესების განხილვისას რატომღაც სრულებით იგნორირებულია ქართულ-სომხური ფაქტორი, რომელიც ჩვენის ღრმა რწმენით, ყველა სადღეისო წინაღობის სათავეა უცილობლად.ბაგრამიანის ბატალიონი გვებრძოდა ჩვენ აფხაზეთში, ხოლო სამურზაყანოში ისინი მეტის მძვინვარებით ატარებდნენ სადამსჯელო ოპერაციებს, ვინემ თავად აფხაზები.

სამშვიდობოების სახელით, დიახაც, სომხური შენაერთი ,,იცავდა'' ენგურხესის თაღოვან კაშხალს და, დიახაც, მაშინ გაიყვლიფება იგი კუდის რიკამდე — უკიდურესობამდე გაძარცულია თითოეული მანქანა-დანად- გარი, პულტი;

გავიხსენოთ მთიელთა კონფედერაციის მესვეური შანიბოვის მუქარა მწერალ ნაირა გელაშვილის ინტერვიუდან: ფრთხილად იყავით, ე, მანდ, ქართველები, თორემ თბილისს ერევნად გადაგიქცევთო;

მოვიგონოთ ისტორიული ლორე, სომხითი, ჭანეთი, რომელიც შეწოვილია და შესისხლხორცებული ჩვენი მითოსური ძმისშვილების მიერ.

საქართველოსთან თანაარსებობის სულისკვეთება ჯერ კიდევ ლეონტი მროველის ქართლოსისა და ხაოსის ძმობის ზღაპრულ პასაჟებშია ჩადებული სამომავლო მოქმედების ორიენტაცია-კომპასად.

გავიცნობიეროთ ილიას ,,ქვათა ღაღადისი'' და მსოფლიოს ბიბლიოთეკების წიგნთსაცავები, სადაც სომხური გამოცემები ქართულ ხუროთმოძღვრულ თუ სხვა ფასეულობებს დაურიდლად ჩემულობენ.

თვალი მივადევნოთ დაწყებითი კლასების ხაიასტნურ პრაქტიკას, რომელიც მოწაფეებს ადრეული ასაკიდანვე შთაუნერგავს ფრიად ამბიციურ პატროფილიას: კავკასია სომხეთის მთიანეთია; კავკასია ველიკი არმენიაა.

გავიაზროთ როგორი დიასპორა ხყავთ სომხებს რუსეთში, ლიბანში, ამერიკის შეერთებულ შტატებში; მათი უმდიდრესი კაცი კირკ კერკორიანი 6,4 მილიარდის მფლობელია ფორბსის სიით.

მე ვერავინ დამწამებს კაცთმოძულეობას, მით უმეტეს არმენოფობიას, ამ მართლაც გასაოცარი ცხოველმყოფელობით გამორჩეული ერისა. მათ ამაზრზენ ტრაგედიას მისტირის მეოცე საუკუნის გიგანტი პოეტი, უოლტ უიტმენი ,,ბალახის ფოთლებით''. ჩვენც თავაწეულად სოლიდურნი ვართ ამ საკითხში. მაინც სად არის გორდიას ნასკვის სათავე?

სომხეთი მუსულმანურ გარემოცვაშია. ჯერჯერობით საფრანგეთმაღა ცნო 1915 წლის სომხური გენოციდი თურქეთში. მილიონ ნახევარ სომეხს გამოჭრეს მაშინ ყელი ვამპირული ჟინით და შეუძლებელია ამნაირი ბიოგრაფიის ერს გამომუშავებული არ ხქონდეს ეფექტური თვითშენარჩუნების მეთოდები. სომხები საქართველოს შემთხვევით არ წარმოსახავენ უსაფრთხობის ნავსაყუდლად. არც ისე ხელწამოსაკრავი ოფლი და სისხლი ურევია ჩვენს უკუღმართ ისტორიას მათი ეთნოსისაგან ათასწლეულების მანძილზე. დიახაც საკუთარი სასიცოცხლო ინტერესები ფოკუსირდება არმენოფილურ საქართველოში. მის თავზე ხომ დამოკლეს მახვილივით ხკიდია ჯერაც ავადმოსაგონარი გუშინდელი ყარაბაღი?

ყველაფრის გათვალისწინებით, სომხეთი არაფერს დაერიდება, რათა ქართულ პოლიტიკას მისი სასიცოცხლო ინტერესები კვებავდეს, ,,პეტერსონ ბენქლაფის'' ოფისიდანაა წამოსული ეს რეკომენდაციები თუ უმაღლესი სასულიერო საქურუმოდან, დღითი დღე თვალშისაცემი ხდება ქართული პოლიტიკის არმენიზაცია. ეროვნულობის მუხტის შერბილების მიზნით შემოგდებულია ჩვენში კოსმოპოლიტური პირადობის მოწმობა. ქართული გვარ-სახელების შირმით პოლიტიკურ სარბიელზე მკვიდრდებიან არმენოფილი ტიპაჟები და როდესაც აქა-იქ სომხობას უხსენებენ ჟვანიებს და სააკაშვილებს, გაწიწმატებული ბატონი ვან ბაიბურთი შაროიანებთან შესაძლო ჩამომავლობას წამოსძახებს გურამ შარაძის გვარს.

კაცთმოყვარეობა ბუნების უდიდესი ჯილდოა, მაგრამ მე ვერანაირ ერს მივანიჭებ უპირატესობას ქართველის წინაშე. სხვისმა ბრწყინვალებამ, მონოლითურობამ თუ მისაბაძმა უამრავმა უნარ-

თვისებამ ჩვენ არ უნდა დაგვანაჭუჭოს არასრულფასოვნების კომპლექსით. ჩვენი ჩვენი უნდა ვშვათ მყოობადი.

თანამედროვე არენაზე მე ვერ ვხედავ მეორე პოლიტიკოსს, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტის დონეზე გაუცნობიერებია საქართველოს ორიენტაციის საკითხი. ჩვენ მიზანმიმართულად მივესწრაფვით ნატოს ბლოკში გაწევრიანებას და ამავდროულად ხელს არ ვკრავთ ,,ესენგესთან'' კავშირებს. ანუ იქმნება ნეიტრალური შინაარსის შემცველი სივრცე რუსულ-ამერიკული ინტერესებისათვის □სადაც, ცხადია, მართლზომიერად გათვალისწინებულია სომხური ინტერსებიც), უკეთ ვემგვანებით სრუტეს, რომელიც ორ ოკეანეს შეამთლიანებს ზიარი ჭურჭლის პრინციპით. ვემსგავსებით ბეწვის ხიდს, რომელიც უნდობლობის მდინარით გათიშულ ორ ნაპირს აახლოებს ერთმანეთთან.

ენერგომატარებლების გასხვისება ბოლოს და ბოლოს ერთ რეალობამდე მიგვიყვანს: ,,ე-ი-ესთელასის'' დამოკიდებულება ქართული სინამდვილისადმი აშკარად წინდაუხედავია — დიდძალი თანხები გადაიქაჩება უცხოეთის ბანკებში და თითიც კი არ ტოკდება ადგილობრივი პრობლემების შესამსუბუქებლად. ამიტომაც შემთხვევითი არ უნდა იყოს ლეიბორისტების ლიდერ ნათელაშვილის თავგადაკლული მეცადინეობანი ქართული მოსახლეობის სადარაჯოზე სოციალური პარამეტრებით.

აქვე, თანდათან ცნობიერდება ჯანსაღი ქართული ბიზნესის წინააღმდეგ გაჩაღებული ჯვაროსნული ლაშქრობები, კონკრეტულად კი ბატონ აკაკი ჩხაიძის მისამართით აგორებული ბაკქანალია. მისი სეხნია გოგი- ჩაიშვილის ,,60 წუთის'' ყბადაღებული მტკიცებულებანი საპნის ბუშტები აღმოჩნდება ოდენ ბოლოდროინდელი ჟურნალისტური გამოძიებებით □რ. ჯალაღანია). მაგრამ შეხედეთ ინფორმაციული დაინტრიგების პროპორციებს. ,,რუსთავი-2'' ნახევარი საქართველოს მასშტაბით წასცხებს ჩირქს რკინიგზის დეპარტამენტის უნარიან მესვეურს და მხოლოდ მეასედით თუ მეორმოცდაათედით აღვუდგენთ რეპუტაციას ამ მართლაცდა ჩინგიზ აითმათოვის ყარანარის ენერგიის კაცს.

ბიზნესს, როგორც ასეთს, პატროფილურობა სრულებით არ ახასიათებს. მისთვის მთავარია მაქსიმალური მოგება. ამიტომაც იტყვიან ხოლმე: ქურდს სამშობლო არ გააჩნიაო. □ჯიბისაა იგი თუ კაპიტალის), მაგრამ ინკოგნიტო მეწარმეთაგან განსხვავებით ქართული ყოფიერებისთვის უამრავს გაიღებდნენ მამულის წიაღიდან აღმოცენებული სარაჯიშვილები, ძმები ზუბალაშვილები, ხოშტარიანი თუ სხვანი. იგივეს მოიმოქმედებს ბატონი აკაკი ჩხაიძეც თავისი ქველმოქმედებით ქართლში, კახეთში, იმერეთში, გურიასა თუ სამეგრელოში. ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს პრეზიდენტის ლოიალური დამოკიდებულება ეროვნული ოლიგარქიის ჩამოყალიბების გზაზე, ვინაიდან თანაბარ პირობებში ისინი კონკურენციას ვერ გაუწევენ ოკეანესგაღმიდან, ხშირად კონტრაბანდული წესით მოძალებულ ბიზნესს. როცა საშუალო ფენა ძლიერია და ქვეყანა სუსტი, საშვილიშვილო საქმეთათვის სახელმწიფო ობლიგაციებს ბეჭდავს და ხალხისგან სესხულობს ფულს. და რადგანაც საამისო ქრონომეტრაჟი ამოწურვია პრეზიდენტის მოღვაწეობის ენდშპილს, იგი ოლიგარქიულ უმცირესობისკენ აკეთებს აქცენტებს მამულიშვილურ საქმეთა განსახორციელებლად.

ახლა მთლად ისეთი ყუმები ნუ ვიქნებით, თითქოს ერთ აბსტრაქტულ საცავში კონცენტრირებული ეს კაპიტალი, მხოლოდ მავანთა ვილების და გარდერობის შეძენას ხმარდება. ის ჩვენი ვერსიით საქვეყნო საქმეების მდინარებაშია არსებითად მიშვებული, თორემ სამლარიანი სადღეღამისო მივლინებით ვერანაირ პოლიტიკურ ამინდს შექმნიდა მენაღარიშვილის სამსახური პენტაგონში პანკისური შტურმების შესაჩერებლად რუსეთისგან. ასე რომ, სავარაუდებელია პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების ვადამდელი შეწყვეტის ,,ქართული'' მემარცხენეული კაკოფონია ხუდონხესის შეჩერების იდენტურია თავისი ფორმა-შინაარსით.

ბრმა იარაღივით ხელზე დახვეულ ქართულ მასმედიას, დარწმუნებული ვარ, ჯეროვნად გაცნობიერებული არცა აქვს სუსხისა და ცინიზმის პრეცენდენტი, რომლის გულისთვის არავის იჭერენ თურმე. ისინი პრორუსულ პოლიტიკას აყვედრიან შევარდნაძეს, სანთლებს უნთებენ, ან უზნეობის ქვიშის საათებს აღუმართავენ 866 თუ 833 დღის ბოლომდე ჩამომარცვლას, მაგრამ არ ითვალისწინებენ უმთავრესს და უძირითადესს, რომ ამერიკის ფორსირებული შემოსვლა საქართველოში, ამავდროულად აფხაზეთ-სამაჩაბლოს სრული ამპუტაციაა. რუსულ ინტერესებს წინ არაფრისდიდებით აღუდგება ამერიკული პოლიტიკა □გავიხსენოთ შტატების მიერ წაქეზებული ჩეჩნეთი მარტოდმარტო როგორ შერჩება თეთრი დათვის მძვინვარე ხახას), მით უფრო თუკი ბიზნესის ენაზე მორჯულდება ბლოკირებული ტერიტორიები, სანქციები მოეხსნება და მაგისტრალები ამოქმედდება. ამისთანა შემთხვევაში საქართველო ზედმიწევნით გაიზიარებს ქურთისტანის ბედ-იღბალს, როცა მის სახელმწიფოებრიობას განსხვავებულ ულუფებად დაიტაცებენ თურქები, ქუვეითი, სხვანი და სხვანი. თვი-

თონ, აბორიგენი ქურთები კი მოძალადეთაგან დევნილნი აღმოჩნდებიან საკუთარ სამშობლოში და ოდესღაც ასურეთად წოდებული შუამდინარეთი, იგივე შუმერი თუ ფინიკია, წარმოუდგენლად დანაფლეთდება ტიგროსსა და ევფრატს შინა; დაახლოებით მსგავს სიტუაციაში ჩავარდება, როგორც ცხრაას ორმოცდახუთის გერმანია, თუმცა განსხვავებით ამ უკანასკნელს მსოფლიო პოლიტიკის, ახალი აზროვნების ძალისხმევით, რედუქციის შანსი მიეცემა და წარმატებითაც გამოიყენებს თავზე დაბერტყილ ზენაარულ სიკეთეს. რაც საეჭვოა უახლოეს საუკუნეებში მოუხერხდეს საქართველოზე ათწილ მრავალრიცხოვან ქურთისტანს და ბუნებრივია, ვეღარც ჩვენს სამშობლოს შეეძლება მერმე ძალადობით დახლეჩილის რამენაირი გამთლიანება.

რაღა შორს მივდივართ, დღეს არავინ ფიქრობს: რუსეთის მიტაცებული ბიჭვინთის დაბრუნებაზე; თურქეთის წაგვრილი ლაზისტანის შემოკავშირებაზე; აზერბაიჯანის აწაპნილი საინგილოს განთავისუფლებაზე; სომხეთს შერწყმული ლორეს სადაურობაზე.

გაივლის ათწლეულები და შემდგომშიც არავინ აიტკივებს აუტკივარ თავს აფხაზეთზე, სამაჩაბლოზე. ამას მოხყვება მორიგი შევიწროებანი სამხრეთით ახალქალაქში, მარნეულში და თანდათან რუსეთს დაემეზობლებიან თურქეთი, სომხეთი თუ აზერბაიჯანი, ქართული სახელმწიფოებრიობის აორთქლების ხარჯზე. და თუ ქვეყნის პრეზიდენტს პირში წყალი დაუგუბებია □რასაც პრეცენდენტს არქმევენ ნებსით თუ უნებლიეთ უცხო ქვეყნების ინტერესთა დუდუკზე მოცეკვავე პერიოდიკანი, დაუსჯელობის სინდრომს) ერთხელაც გამიცხადებია: დიდი პოლიტიკა ღია თამაშის აღნაგობის სულაც არ გახლავთ. ,,მგელი, მგელის'' ძახილი, ეს ორღობეს პიიტიკოსთა სტილია.

ქართულ პოლიტიკაში დღეს უმთავრესი სიცხადის დამკვიდრების აუცილებლობაა. ამღვრეული წყლის სინდრომი, მოსაშლელია ერთხელ და სამუდამოდ. **არაფერი დაშავდება ქართულ პოლიტიკაში თუ მოვლენ ეთნიკური ნიშნით განსხვავებული პიროვნებანი, მაგრამ არა გამოგონილი ბიოგრაფიებითა და გულისამაჩუყებელი ლოზუნგებით, არამედ — სრულიად ნათელი, გამჭვირვალე მიზანსწრაფულობებით — საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინსვლისთვის მზრუნველი სიტყვით და საქმით, როგორც აშას თავის დროზე ჩინებულად ახერხებდნენ საიათნოვები, განჯელები, ახუნდოვები...**

ლომი შუაგულ ზამთარში

სახელდახელოდ ანალიზდება საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური მიმართვა პარ-
ლამენტისა და ხალხისადმი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ.

ვიდრე დასახელებულ თემაზე საუბარს დავიწყებდეთ, მინდა წიგნის პარმაღის გამოსა- ხულებას ჯეროვნად მივაქციოთ ყურადღება. ,,საქინფორმის'' ფოტო-არქივში აღმოვაჩენ მას ,,კრიმანჭულის'' სათაურით. ახლახან, გურიაში ყოფნის დროს, მის ზუსტ კოორდინატებსაც დავადგენ: ბახმაროს თემშარა აღუბეჭდავს ფოტო-კორესპონდენტ იური შაქარიშვილს. ახლებუ- რად მონათლულ სურათს ბელეტრის- ტული მატიანე ,,სუფევის'' საანოტაციო სივრ- ცეში გამოვიტან — აი, საქართველოს გზა თავისუფლებისაკენ-მეთქი და იქვე ლუკას სიტყვებსაც მივაშველებ სახარებიდან: **„სუფევ- ისა მისისაი არა იყოს დასასრულ“.**

მორჩა, ეკურთხა, ამიერიდან მითითებული ხატი ჩვენი გმირთაგმირი სამშობლოს მრავალათასწლოვანი არსებობის უტყუარი კარდიოგრამაა.

გასაოცარი ისიც არის, რომ ნეტარხსენებულ ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმში ხიდისთავსა შინა, დიახაც, ამ ფოტოთი იხსნება ექსპოზიცია: ჩანს, ერთნაირად გვიგრძვნია საქართველოს რაობა დროსა და სივრცეში ,,მარადისობის კანონის'' შემოქმედსა და ხელმოცარულ მის კოლეგას.

ჯერ კიდევ დაუსრულებელი წიგნის ანოტაციას არაფრისდიდებით გავუქურდავდი, არაფრისდიდებით გამოვიტანდი სააშკარაოზე, რომ არა პრეზიდენტის საქართველოს მოსახლეობისადმი 12 მაისის გონებადაუნჯებული ,,მიმართვა'', როგორც ჩვენი ყოფიერებისა და პერსპექტივის უტყუარი დიაგნოზი მრავალნაცადი დასტაქრისაგან.

,,მიმართვის'' მთავარი ფასეულობა იოანე ნათლისმცმელისეული ალღოიანობაა, როდესაც ბრძანებს: განამზადეთ ბილიკები უფლისათვისო.

ამ შემთხვევაში ქვეყნის პრეზიდენტისათვის მაცხოვარი, იგივე საქართველოს მომავალია, საქართველოს ხვალინდელი დღე, რადგანაც „დიდი აბრეშუმის გზის" რეალობით ჩვენი სამშობლო ფენიქსივით აღიდგენს ფუნქციას მსოფლიო წესრიგში.

ეს არ არის მხოლოდ დერეფნის ილუზია, შუშაბანდის სინდრომი, არამედ ქართლოსიანთა პერანგივით თანდაყოლილი ბედისწერის — გზაჯვარედინის — ურთიერთგამომრიცხავი დისხარმონიულობის, შეუთავსებლის შეთავსების მაქსიმალური განხორციელების გარდუვალობაა.

„მიმართვის" ამოსავალ პუნქტად, დიახაც ამ საშვილიშვილო მონაპოვარს მივიჩნევთ, და როგორი ღავღავიც უნდა შეიქმნას ოპონაციამ მის გარშემო, დარწმუნებული ვარ, ქარავანი მეტი სიცხოვლით ივლის ნაცადი მიმართულებით ხვალ და ზეგ.

და რადგანაც საკაცობრიო მნიშვნელობის ფუნქცია მოუპოვებია ჭირთათმენით ჩვენს ქვეყანას, პრეზიდენტი თანამიმდევრულად ასახელებს არჩეული კურსის განხორციელების ტაქტიკურ და სტრატეგიულ მიმართულებებს.

ყველაფრის თავი და თავი სამშობლოს ფსიქოლოგიური მთლიანობაა, იგივე ეროვნული თანხმობა, ეროვნული შერიგება, ურთიერთმიტევება, ურთიერთთანალმობა, გნებავთ, შეთანხმების დონეზე.

ამ უძირითადეს დებულებას მხარს უმაგრებს ქვეყნის ორიენტაციის საკითხიც, რომელიც ყოველთვის იდგა ქართველი ერის წინაშე, გუბაზ მეფის პერიოდიდან მოყოლებული, ერეკლე მეორის მიერ ქართლის ბედის გონივრული გადაწყვეტით თუ სადღეისო სცილასა და ქარიბდას შორის გაღწევის მიზანმიმართული მცდელობებით: მოხსნილია ალტერნატივა — პროდასავლური თუ პრორუსული სახელმწიფო პოლიტიკის ქვაკუთხედად დასახელებულია არა რომელიმე ეკონომიკური სივრცე, არამედ — პრაგმატიზმისა და მიზანშეწონილობის პრინციპი. და აქედან გამომდინარე საქართველო ნებისმიერი პლატფორმისთვის გამოცხადებულია ცივილურ ფასეულობათა დემონსტრირების ასპარეზად. ამგვარი მიმართება ამოზრდილია უცილობლად დიალექტიკური კანონზომიერებიდან: არა მერყობა ალტერნატიულ სიდიდეებს შორის; არა მომხრობა რომელიმე კონკრეტულთან „ან—ან" პრინციპის გათვალისწინებით, არამედ ორივე პოსტულატიდან საუკეთესოს მიღებას, სიცოცხლისუნარიანის გათავისება, სინთეზის თემშარაზე დადგომია.

ასეთი რამ პირველად ხდება ცივილიზაციის ისტორიაში.

დანახულია საქართველოს ფუნქციის წარმატებული განხორციელების უმთავრესი შიდა და გარეგანი ბერკეტები — ნაციონალური კონსენსუსი და ქვეყნის ორიენტაციის თვალთახედვით, განსხვავებულ ინტერესებს შორის შემაერთებელ ხიდად, გზაჯვარედინად ყოფნის მიზანსწრაფულობა.

ეს ყველაფერი სტრატეგიულად, მაგრამ „მიმართვაში" პროფესიონალის თვალით კრიალოსანივითაა ასხმული ტაქტიკური რგოლები ამ მარათონული პროცესისა: პრესის, იგივე სიტყვის მართლზომიერების აუცილებლობა კანონიერების ფარგლებში: განუკითხავი დემაგოგიის ნაცვლად — შეგნებული აუცილებლობა ჭეშმარიტი თავისუფალი აზრის საწინდრად;

პრეზიდენტი არ მალავს ლიბერალური პოლიტიკის სუსხს საზოგადოების დიფერენციაციის ფაქტორად, მაგრამ რადგანაც არჩევანი გაკეთებულია, რადგანაც საბაზრო ურთიერთობისაკენ რუბიკონი გადალახულია, ამ კერძო ინტერესთა სტიმულირების ფონზე, რამდენიმეგზის მოშველიებულია ფრაზა „სოციალურად ორიენტირებული", როგორც მარქსი მიუთითებდა თავის დროზე.

გაშიშვლებულია ჩრდილოვანი ეკონომიკის მომაკვდინებელი შხეფები;

გამომზეურებულია ეკონომიკური დივერსიები აულაგმავი კონტრაბანდის სახით და კიდევ ათასი წვრილმან-მსხვილმანი, რასაც ლოგიკურად მინისტრთა კაბინეტის შექმნის აუცილებლობამდე მივყავართ.

ოპონაციის ისტერიკები, დიახაც, ამ შესაძლო თერაპიიდან იღებს სათავეს.

მართლაც, ვის, რომელ „ჭკუათმყოფელს" ენდომება, კონსტიტუციის ახალი რედაქციით უფლებანაჭარბი პრეზიდენტი, რომელიც მედიატორია საკანონმდებლო და აღმასრულებელ ფრთებს შორის; მეტიც, პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის რამდენიმეგზის გაუსვლელობის შემთხვევაში, კანონით პარლამენტის დათხოვნის უფლება მონიჭებია, თუმცა თავად პრეზიდენტიც ექვემდებარება პარლამენტისაგან იმპიჩმენტის ვერდიქტს. ჭეშმარიტად, ვის, რომელ მამულიშვილს აწყენდა ამგვარი ინსტიტუტის ფორმირება, დღემეხვალიე პოლიტიკანის გარდა, ვისაც პარლამენტარის პოტფელი 50 ათას დოლარად არ შეუძენია და ხელმეორე არჩევნებში მხარდაჭერის არანაირი გარანტია გააჩნია ელექტორატისაგან; რამეთუ ხალხის ნდობის რეგალიების მოხელეთების შემდეგ დავიწყნია საზოგა- დოების სატკივარი და არსებითად საშოვარს გადაგებულია დღისით თუ ღამით?!

ამ კატეგორიის ხალხი აშკარად თუ ფარულად არაფერს დაიშურებს საქართველოს ძლიერი პრეზიდენტის, ძლიერი პარლამენტისა და ძლიერი ხელისუფლების აღსაკვეთად. მაგრამ შევხედოთ როგორია მოსახლეობის რეაქცია კანონიერებისადმი; როგორია მათი გულისძახილი პასუხისმგებლობის ამაღლების თვალსაზრისით დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე?! ხმა ღვთისა და ხმა ერისა მკვიდრად თანაზომიერია წინდებული „მიმართვით".

კორუფციის ალაგმვას მოითხოვენ ნაღდკახელები; კონტრაბანდის აღკვეთას გვიკიჟინებენ გულქართლელები; ჩრდილოვანი ეკონომიკის მიბოჭვას შემოგვძახებენ ზრდილობით ქებული იმერლები;

გადარჩენის, უკვდავების წამლის საკუთარ თავში პოვნას გვეჩიჩინებიან გონებამკვირცხლობით გამორჩეული გურულ-მეგრელები...

თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ერთი რეალობაც: თხმელნარის პატრონი წაბლის ოდას ვერაფრით აიშენებ. გინდა თუ არა, შენი საცხოვრისი თხმელის მასალისაგან შეიკვრება დირედან კუნწუხომდე. არ ახასიათებს თხმელას ძელქვის თუ მუხის სიმტკიცე, მალე იჩრჩილება და ასეთი ნაგებობა საშვილიშვილოდაც ვეღარაფრით ივარგებს. რა ქნას, როგორ მოიქცეს ხურო? საიდან იშოვოს დროგამძლე მასალა თხმელის ტყის მფლობელმა? საიდან შემოიტანოს წაბლის ფიცრები, როცა საამისოდ არც სახსარია და ღონე? და აქ იმარჯვებს ცხოვრებისეული გამოცდილება, ანუ პრინციპი: რამაც მოგკლა, მანვე გადაგარჩინოს. სხვა გზა, როცა გადაიწურება, აიღებს ამ თხმელის მორს ნაცადი დურგალი და წყალში ღრმად დაძირავს ორ-სამ წელიწადს, რათა მოჭრამდე მისითვე გაჟიჟინებული, მოსხეპვის შემდეგ წყალმავე განაკაჟოს, სიმტკიცე და ცხოველმყოფელობა შესძინოს.

დაახლოებით იგივეს ისახავს მიზნად პრეზიდენტის ამას წინათ შემოთავაზებული „მიმართვაც". და კიდევ ერთიც, წერილის სათაურად შემთხვევით არ დავსესხებივარ პიტერ ოტულის მიერ განსახიერებულ ამერიკული კინოლენტს. იქაც მსგავსი სიტუაციაა — უთანხმოება გამოუცდელ, მაგრამ ჯან-ღონით სავსე ახალუხლებსა და მრავალნაცად, მხცოვან მეფეს შორის, თუმცა ლომი ნებისმიერ ასაკში ლომია. განსაკუთრებით პატრუქის უკანასკნელი სიკაშკაშით ნათების ჟამს და სრულებით უძლურია მის წინაშე მოახლოებული იანვრის სუსხი, ვინაიდან ჯანსაღ საძირეზე დაუმყნია მომავლის კვირტი და ხაბარდა-მეთქი ნებისმიერ წუწუნს სამშობლოს საკეთილდღეოდ!

„სრ", № 118, 2001 წ.

ფორსმაჟორული „დარდუბალა "

„ფორს-მაჟორული" ფრანგული სიტყვაა და ქართულად გადაულახავ დაბრკოლებას, თავიდან აუცდენელ ვითარებას ნიშნავს, მიხეილ ჭაბაშვილის ლექსიკონით.

„დარდუბალა" ჩვენებური კილო-თქმაა, რომელიც „ეროვნებით ახალი გურულის „ნორდიელი" □ხიტლერული გერმანიის ოფიციალური იდეოლოგია), „ჭეშმარიტი არიელი „ხალხის შოკირებისა" და „სტერეოტიპების მსხვრევის" დიდოსტატის, ბატონ შალვა რამიშვილის მულტსერიალის სახელწოდებაა, დიდ უბედურებად, ვაივაგლახად, წარღვნის თანატოლ დაქვესკნელებად რომ ითარგმნება დედაქართულში.

ასე რომ, „ფორს-მაჟორი" და „დარდუბალა" სინონიმებადაც წაადგებიან ერთმანეთს, თამამად შეიძლება საზიარო უღელში მათი შებმა, ოღონდ საკითხავია, რომელი, რანაირი ურემი გაუძლებს მერმე ამ სავერანე წყვილეულის წრესგადასულ თავნებობას?!

პირველის შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიები პასუხს არ აგებენ ტვირთის ბედ-იღბალზე, ხოლო მეორე პრესის აღვირახსნილი განუკითხაობის შემწეობით, წვეთ-წვეთობით ზეზეურად კლავს ქვეყნის პრეზიდენტთან ერთად ეროვნულ ფასეულობებს — სიცოცხლის ხელყოფის პრაქტიკა კანონით აკრძალულ სახელმწიფოში.

მაგრამ სანამ ჩვენეულ ფორსმაჟორულ სიტუაციაში გავერკვეოდეთ, ჯერ გაზეთ „ახალი ვერსიის" ნორდიელ-არიელის ინტერვიუზე ვიმსჯელოთ რამდენადმე □№2,23-30 ივლისი, 2001, „ისინი გონებრივ პენსიაზე უნდა გავიდნენ").რადიო 105-ის სამხატვრო ხელმძღვანელის ბატონ შალვა რამიშვილის ფართომასშტაბიანი რეზონანსი გოგი გვახარიას „ფსიქოში" ერთსაათიან დიალოგს მოხყოლია, თუმცა ჩვენს „ახალ გურულს" სრულებით არ აინტერესებს, „იქნება თუ არა დადებითი იმიჯი ქართველთა გულებში". იმას და მისთანებს ხომ საქართველო, ქართველობა ეცოტავებათ. მათთვის მთავარი შოუ-ბიზნესია — ეროვნული ფასეულობანი— საცოხნად, ანუ უარეს შემთხვევაში ოთხ კედელს შორის

გასაიმასქნებლად.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ბავშვის მონაწილეობა მათთვის ზედმეტი ბარგია. უპირატესობას თვითგანათლებას ანიჭებენ. ასე უფრო შეენახებათ თურმე ადამიანური უფლებები, რადგანაც მთელი მსოფლიო დღეს სხვა პრიორიტეტებს აღიარებს, ხოლო ილიას ფორმულა — „მამული, ენა, სარწმუნოება", მოძველებულია და კარდინალურ გარდაქმნას ექვემდებარება.

პრესის კანონიერების „ჩარჩოში მომწყდევას" შიშით შეხკანკალებენ ესენი, ვინაიდან ამისთანა შემთხვევაში „ტოტალური რეჟიმის დაბრუნებას" ვარაუდობენ და აქედან გაქცევის მეტი აღარაფერი დარჩებათ.

მათი მტკიცებით, თურმე საქართველოში ვერ დაასახელებთ „ვერც ერთ ხელოვანს, მეცნიერს, მწერალს □**მწერალი ქართველებს მათი მტკიცებით თითქმის არ გვყავს, გ.ო.),** ნებისმიერ ადამიანს, რომელმაც წარმატებას მიაღწია სინდისთან კომპრომისის გარეშე". ამიტომაც ადამიანის უფლებების დაცვის სადარაჯოზე გამოშლილი ქვისმთლელი ოსტატების ეს კასტა, გონებრივ პენსიაზე გასვლას გვირჩევს, გამიჯვნას აქტიური მდგომარეობიდან და მათნაირი ყუმების ანტიეროვნული საქმეების წაყრუებას.

გზა დაგვიცალეთო, ხაბარდაო, გვეუბნებიან დელიკატურად.

„**მე ვამაყობ**", რომ „**ნონკონფორმისტებმა დაწვეს გამოჩენილ მწერალთა სურათები, გათავისუფლდნენ მათი სტერეოტიპებისაგან"** და „ასეთმა აქციამ ყოველგვარი აყალმაყალისა და სკანდალის გარეშე" ჩაიარაო.

მაგრამ ეს ბედნიერნი აქვე იმასაც ამჟღავნებენ, „რომ ზოგადად მწერლობას ნაკლებად იცნობენ", „წიგნის კითხვის დროც არ ხქონიათ, რადგან უფრო პრაქტიკულად მუშაობდნენ", „უფრო იოლად მისაღებ ინფორმაციას" ეწაფებოდნენ, „ვთქვათ, ელექტრონულ მედიამ გადასძალათ და წიგნი მიივიწყეს".

მოგვიანებით ჩვენ ამ ოკეანედალეულებს უფრო ზედმიწევნით განვჩხრეკთ, რათა მათი ნათქვამის ნახევარი უკეთ გავიგოთ, ხოლო გაგებულ მეორე ნახევარს არასწორი ინტერპრეტაციის სუფევა მოვუსპოთ და ერთობლივად განვაცხადოთ ერმაც და ბერმაც: ეს ყველაფერი ფორსმაჟორული შემოტევაა ზოგადკაცობრიული ცნობიერების მატარებელი ქართველი კაცის მისამართით.

„დარდუბალას" ხუთსაათიანი გადაცემის პერიპეტიებზე საუბარი, „რუსთავი-2"-იდან სხვათათვის დაგვითმია, გამოჩნდებიან ამისი სპეციალისტებიც. ჩვენ ერთ გარემოებას მივაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას:

მულტსერიალის პერსონაჟებს ოთხი თითი გროტესტის ნიშნად რომ ხქონიათ, თავად მისი შემოქმედი შვიდკაცას სერობიდან გვეუწყება, თუმცა საკითხავია ახლა, დავით აღმაშენებელს და ერეკლე მეფეს ცერამპუტირებული ხელებით რისთვის დაატარებენ ორღობე-შარა, მათი დადებითი იმიჯი რომ მოშალონ ქართველების გულში? გაქანებული კომბინატორობის წლებში ამათ ხომ არ დაუპატიმრებიათ ნორდიული ხასიათის პროდიუსერის მშობელი მამა?!

სცილას და ქარიბდას შორის, რუსეთსა და შტატებს შიგან მომწყდეული პრეზიდენტის ელასტიკური პოლიტიკა დაცინვის საგანი სულაც არ არის. ქართველების ბედ-იღბალი ორ ფორსმაჟორულ ძალას შუა მერყეობაა ათადან და ბაბადან მოყოლებული. პრეზიდენტის თხემზე კუშტულისმაგვარი ქოჩორის მიმორწევა ლერწამის მსგავსად, იქნებ არ იყოს ქირქილისა და ტაკიმასხრობის თემა. იქნებ საჯილდაო ქვაა, მონომახის ქუდი, ამ ალტერნატიულ ვითარებაში შედარებით საშვილიშვილო არჩევანის გაკეთების გზაზე?! იქნებ ამ იშვიათი პოლიტიკური სვლების, ელასტიკურობის შედეგია ოკეანის გაღმიდან თბილისი ბელგრადივით რომ არ დაბომბილა თუ საქართველო იჩქერიას მსგავსად მიწასთან არ გასწორებულა!

ახლა კი დროა მეტი სიცხადით დავაკონკრეტოთ ჯგუფ „სახეს" პროდიუსერისნაირთა პროფილი.

თაობათა შორის პოლემიკა, შეხლა-შემოხლა არახალია.

შუასაუკუნეობრივი რენესანსი, იგივე აღორძინების ხანა დანტე ალიგიერის თამადობით ომს უცხადებს ინკვიზიციურ დოგმატიზმს, გონდახშულობას და პიროვნულ თავისუფლებას კოლექტიური სერვილიზმის, მონობის არტახებს შემოამსხვრევს, მაგრამ თავად რენესანსი სადმე მოუსავლეთში როდი გაქცეულა ადამიანური ფასეულობების ძიების გზაზე; ისევ ანტიკურ მემკვიდრეობას ჩაეჭიდა, ისევ მითიური ოქროს ხანა გაიხადა ეტალონად, ნიმუშად. ასე რომ, რენესანსის მიერ ადამიანის „მეს" ინდივიდუალური მსოფლგანცდა არ მოწყვეტილა ანტიკურ ფასეულობებს, ხომეროსის და ვირგილიუს მარონის ღვთაებრივ სიმაღლეებს.

მეცხრამეტე საუკუნემ ქალამნებით გადალახა მარადმრბოლი, მოღრიალე თერგი, კლდენი რომ

ბანს ეუბნებიან და ფრაკში გამოწკეპილი დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ „გაყრის“ პერსონაჟი დიდებულიძეების იპოქონდრიულ მეოცნებეობას არ გადახყოლია.

„აქ ბესედკა გაკეთდებაო“, გიჟ-ვრაცუულად რომ თხზავენ ხაეროვან წალკოტებს, პიტერული სულისკვეთება ზოგადეროვნულობამდე დააწდევებს ილიას თაობა, უკიდურესობამდე აითვისებს ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი სამშობლოსთვის საჭიროს, აუცილებელს და დანარჩენ ბალასტს, მოდურს, რაზუერისა და გიზოს თარგზე გამოჭრილს, თერგის მჩქეფარებასვე გააყოლებს.

ცხოვრების კანონზომიერებიდან გამომდინარე, არ დარღვეულა გენეტიკური კავშირი მითოსური კოლხეთისაგან ტრანსფორმირებულ საქართველოს სულიერებაში.

რაც შეეხება გაღმაოკეანურ მიდრეკილებებს, ვითომცდა გლობალიზაციის პრიორიტეტების აღიარებას ქვისმთლელთა დევიზით: ძმობა, ერთობა, თავისუფლება, ხელდასხმულია დანარჩენი ერების იავარქმნის ხარჯზე აწ და მარადის ღვთით რჩეულის სასუფევლად, როგორც უფლისეულ ფენომენადაც დასახავენ ისრაელიტიანელებს რასელის იეჰოვას მოწმენი.

ერთა შერწყმის ფორსმაჟორული კომუნისტური სახადი ისტორიას ჩაბარდა.

გლობალიზაციის უტოპიურ ფორსმაჟორულ შტურმსაც პატარა ერების მისამართით იგივე ბედი ელის ადრე თუ გვიან, ვინაიდან ღმერთის დაწესებულს ადამიანი კი შეაფერხებს გარკვეულწილად თავისი უგუნურობით, მაგრამ ვეღარაფერს შეცვლის საბედნიეროდ.

გლობალიზაციის ფორსმაჟორულ მსოფლიო სინდრომს ყველაფერთან ერთად სოციალური, საბაზრო ურთიერთობის ბაცილაც კვებავს ანგარიშგასაწევად.

სადღეისო სტატისტიკური მონაცემებით სრულიად დედამიწის, მთელი ცივილიზაციის მატერიალური კეთილდღეობა 600 ოჯახის ხელში რომ მოქცეულა, სავალალო რეალობაა.

ექვსასეული მილიარდერის კასტას თვითგადარჩენის დაუცხრომელი ინსტინქტი კარნახობს ალენ დალესის დოქტრინებით, ეგოისტური და კაცთმოძულე მსოფლმხედველობის აღვირით ათრიოს დანარჩენი მსოფლიო. ყველაფერია დაშვებული საამისოდ: ბიბლიურად სათაყვანებელი მშობლების სათნოების სახლებში გამომწყდევა; და-ძმას შორის სექსუალური ორგიები; სოდომისა და გომორის წყეული გაუკუღმართობების მიუწვდომელ, სათაყვანებელ ცისფერში შემოსვა და კაცობრიობის ისტორიაში მისი გაუგონარი ლეგალიზაცია ქორწინების ინსტიტუტით; სხვა უამრავი წვრილმანი, როგორიცაა: კაცთა კვლა ნარკომანიით, ტყვიით, სექსით; სიტყვით ხომ სათქმელადაც არ ღირს.

სამშობლო, პატრიოტიზმი, ეროვნულობა, მამულიშვილობა ადამიანის საუკუნო შეჩვენების ერთადერთი მეხამრიდია წუთისოფლის თემშარაზე. გაღმაოკეანური ფარული იდეოლოგია რიგით მოქალაქეებამდე დაიყვანს Davide et impera-ს ვერაგულ კონცეფციას. ადამიანები დღითი დღე კარგავენ საზოგადოებრივი მთლიანობის შეგრძნებას, იკეტებიან საკუთარ მეობაში, უკიდურეს იზოლაციაში ექცევა პიროვნული თავისუფლების მაცდუნებელ ანკესებს წამოგებული ძე ღვთისა; თანალმობა, ტოლერანტიზმი, კაცობრიული ფასეულობებისათვის თავდადება, მწუთხე რუდიმენტად, უმაქნის მემკვიდრეობად აღუქვამს და რაღა გასაკვირია, რუსთავიორელების, გრანპრიელი რეზონანსელების, გამოთაყვანებული „ა ტალანტების“, ძლივს ფეხადგმულ ახვერსიელების თუ დარდუბალელების მსგავსად ათასწლეულობით დაკრისტალებულ ეროვნულ თვითმყოფადობას ბალავარს ცინცლავენ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში ეროვნული რეკვიზიტის მოშლით, ნიხილიზმის, არასრულფასოვნების კომპლექსის განსაკუთრებული პროპაგანდით, ერის თავკაცების ტალახში თრევით ქირქილისა და ძგვლემა-ღმეჭვის ფონზე.

ეს ყველაფერი უანგარო კონცეფცია რომ იყოს, რამდენადმე მოზომავდა სათქმელს წიგნიერი კაცი, მაგრამ როდესაც მათ ქმედებაში ბიბლიური ოცდაათი ვერცხლი ჩხრიალებს, გრანტების სახელით შენიღბული საზღაურით აპარტახებენ წინაპართა წმიდათა წმიდა ძვალთშესალაგებს, მომავალი თაობის საბუდართან ერთად, აქ უკვე დუმილი აურწყავი დანაშაულის ტოლფასია.

ამიტომაც მანამედ გვერდები ნუ ეტკინებათ, სანამ ნორდიული ხასიათის რეფორმატორების მიზანთროპულ ამბიციებს წავუყრუებდეთ.

ადამიანების უფლებების დაცვა უზენაესია, მაგრამ როგორ მოიქცეს კუ, რომელსაც მორიელი თავისი ბუნების კვალობაზე ბაწარაღებით კბენს?! არ ჩაყურყუმელავდეს მორევში? არ გაატანოს მისი სახსენებელი წყალთა ტრიალს? არ განიბანოს დაგესლილი სხეული ჯანსაღი შთამომავლობის უკვდავების სახელით?!

დიახ, ფორსმაჟორული შტურმია დღეს ქართული ცნობიერების წინააღმდეგ ოკეანედალეულთა მხრიდან: ვეღარ განხორციელდება საუკუნის წინ კომედია „ გაყრის“ პერსონაჟების პიტერული ბესედკების გაშენება; აღარც ნორდიული მანქურთების ბოგინობას უწერია დიდი ხანი, ვინაიდან

ქართულ სულიერებას ათასწლეულების მანძილზე უამრავი უცხოტომური გამოხდომისთვის დაუბ-ლაგვებია ცხვირ-პირი ეროვნული ფასეულობების ფარ-შუბის შემწეობით. მისით გამრავლებულა და შენარჩუნებულა ღმერთებისგან ამირანის მოტაცებული ღვთიური ცეცხლი, ასომთავრული ჩვენი, ფერხული და ხორუმი — სიფხიზლის სიმფონია, მიწიდან კოსმოსისკენ გაბმული ჩვენი პოლიფონიური სულის აღტკინება — მზის საგალობელი, ,,ლილეო'', ,,ოდოია'', ,,მრავალჟამიერი'', ,,ჩაკრულო'', ,,კრიმანჭული'', ,,ვეფხისტყაოსანი'' თუ ,,ბალადა ვეფხისა და მოყმისა.''

ძვირფასებო, ვეღარ დავუყრით ჩვენს მარგალიტებს ღორთა, რამეთუ ფეხით შესდგნენ მას და გასთელონ იგი, ღვთიური ბიბლიის სწავლებით.

„საქართველოს რესპუბლიკა“,
№185, 27 ივლისი, 2001 წ.

გენური შეჯიდულობა

კროსინგი გადაჯვარედინებაა ინგლისურად. კროსინგოვერს კი წყვილ-წყვილი ქრომოსომების უბნების ურთიერთგაცვლას ეძახიან გენეტიკაში, რომელსაც თან ახლავს ამ გადანასკვული გენების წყალობით გამოკვეთილი ნიშანთვისების ზედმიწევნით შენარჩუნება, როგორიცაა: შეფერილობა, აღნაგობა, ცხვირის მოყვანილობა, თვალების ოვალი და ასე შემდეგ. კროსინგოვერის შედეგად ხდება შეჭიდული გენების ტანდემური გადასვლა ახალ ინდივიდში. კროსინგოვერი ჯიშის, ჯილაგის თავისებურებათა შენახვის ბიოლოგიური გარანტიაა.

ქართული ენის გრამატიკიდან გვისწავლია ხარმონიული ჯგუფების შესახებ, როგორიცაა: თხ,ფხ,ცხ, ძღ, წყ, ჭყ, ტყ და სხვ. აქაც ერთგვარი ფონეტიკური კროსინგოვერია, ბგერათა შეჭიდულობა. როგორც წესი, ისინი არ გაიკვეთება გადატანის დროს, ან წინა სტრიქონზე რჩება გაუთიშველად, ან — მომდევნოში გადავა ხელუხლებლად. დაახლოებით ასეთია კროსინგოვერიც.

კროსინგოვერი ჩვენეული ტრადიციით მრავალნაცადი ხურჯინია, გადანასკვული ხალთა, რომელსაც მოხერხებულად შემოიგდებენ ხოლმე უნაგირზე მეცხვარეები. დოჭრილი შვილის მაძებარი ჯარისკაცის მამა გიორგი მახარაშვილი ხომ სანტა კლაუსივით დააბოტებს მისით ომით გაპარტახებულ ევროპაში?!

კროსინგოვერის პრინციპს ექვემდებარება მთვარის და დედამიწის სინქრონული ტრიალი მზის გარშემო.

კროსინგოვერის შინაარსისაა სულის და ხორცის ერთიანობა, სანამ ინდივიდი ცად ამაღლებოდეს, ან კიდევ ჯოჯოხეთში ჩაქვეს კნელდებოდეს ნებისმიერი თეოლოგიური სწავლებით.

კროსინგოვერის ბუნებისაა ქართველისათვის მშობლიურ მიწასთან კავშირი ლეონიძის წნორების მსგავსად, ურომლისოდ სიცოცხლის დასესხება ლამის უაზროა მამულისგან გაწირულისათვის.

კროსინგოვერის პრინციპი ასულდგმულებს დღე-ღამეს, სიკვდილ-სიცოცხლეს, სიკეთე-ბოროტებას, მტრედსა და ყორანს, რომელთაც თანაბრად დავაკისრეთ ზეთისხილის ტოტის ოდისეა საკაცობრიო მშვიდობის დასამკვიდრებლად.

კროსინგოვერის ხასიათისაა ,,იმედის ქალაქის'' აღმოცენება ანტიკური კოლხეთის მემკვიდრე ურეკში ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის თაოსნობით, როცა ვითომ უეროვნო და უსამშობლო კაპიტალი საშვილიშვილო საქმეების აღორძინებას ხმარდება გამჭრიახი გონებით, თუმცა ყველაფერზე თანამიმდევრულად.

,,სჯობს, აანთო ერთი სანთელი,
ვიდრე განუწყვეტლივ
წყევლო სიბნელე''

დეკემბერ-იანვრის პუტჩის შემდეგ საქართველოში ,,ჩამოყვანილ შევარდნაძეს □ჯაბა იოსელიანი) ლაღი ასპარეზისათვის ერთობ ხრიოკი ნიადაგი დაუხვდება. ამიტომაც, ბუნებრივია, იგი იძულებული შეიქმნება დაეყრდნოს ,,კორუმპირებული ინტელიგენციის'' ნაწილს და არაქართულ მოსახლეობას, ,,საიდუმლო ავტონომიის'' სულისკვეთების გვარნაცვალ ,,ქართველობას''. და რამდენიმე წელიწადი დიდზე დიდი ფსიქოლოგიური ომი გაჩაღდება. პრეზიდენტი ბრძანებს ერთგან: **„ჩემი მოტყუება არც ისე იოლიაო“** და მართალიცაა, მას შემოქმედებითად აუთვისებია პოლიტიკური თამაშის ყველა ნიუანსი. ერთი შეხედვით ბატონი ედუარდი თამაშობს მეხუთე კოლონის თამაშს, მაგრამ

სინამდვილეში ყველა ნერვით და მიზანსწრაფვლობით ქვეყნის მომავლისთვის იბრძვის თავგადაკლულად. მან იცის ამ უთანასწორო ბრძოლაში უამრავი მტკივნეული დარტყმის მიღება მოუწევს, მაგრამ ცისქვეშეთში დიადი მიზნებისთვის ხავერდოვანი გზებით არავის მიუღწევია. მთავარია ფუნქციის მოპოვება, რომელიც თუთაშხიას საქართველოს ფაქტობრივად დაუკარგავს ისტორიული უკულმართობით და პირუტყულ მდგომარეობას თვინიერად შეგუებია კრამერის ბიზონებივით ფილმიდან ,,დალოცეთ ცხოველები და ბავშვები''. ბატონი ედუარდი თანამიმდევრულად შესდგომია სანუკვარი მიზნის განხორციელებას — დამოუკიდებელი საქართველოს აშენებას ,,დიდი აბრეშუმის გზის'' ხერხემალის გარშემო. აქ მის მახვილ თვალს არაფრით გამოეპარება ჩინური სკედებით ეროვნული მოძრაობიდან შემოწრიალებული, ,,ხუდონხესის'' დამამხობელი ჟვანია. ეს პიროვნება იშვიათი ხიბრიდული ეგზემპლარია ქართულ სინამდვილეში. იგი ეროვნული ნატურით სამვალენტოვანია — ერთდროულად ებრაელიცაა □დედა-გოლდბაუმი), სომეხიც □მამა— ანტონიანი) და ქართველიც □აღზრდა, ზედნაშენი — მამინაცვალი ბუსა ჟვანია) და ერთობ საიმედო კომპანიონი შეიქმნება საინვესტიციო წრეებისთვის ევროპიდან თუ ამერიკიდან. დიახაც ჟვანიას იშვიათი პიროვნული უნარების წყალობითაც დაიძრება საქართველოსკენ დახმარებათა შთამბეჭდავი ქარავნები. დაიბეჭდება ერთგან ,,სომხეთის ამერიკული დიასპორის, ,,პეტერსონ ბენქლაფის'' სათავო ოფისში 3 თვით წაგასტროლებული მიხეილ სააკაშვილის ბატონ ედუარდთან გაცნობილება □,,მართალი გაზეთი''). აქ უცნაური არაფერია. სომხეთის ლობთან სიახლოვე ქართველ პოლიტიკოსს უხერხულებას იოტისოდენადაც არ უნდა უქმნიდეს, თუკი ეს უკანასკნელი საქართველოს ინტერესებს ემსახურება და საჭიროდ მიიჩნევს მეზობელი ქვეყნის ცხოვრების წარმმართველის ძალისაგან რაიმე სასარგებლოს გამოტანას. აქედან გამომდინარე ,,ბურჯანაძე-დემოკრატების'' თანამშრომლობა სომხეთის ლობთან □ბრეგვაძე) არაფრისდიდებით წამოგვესვეტება წინ პანაცეად. მე რომ კაცმა მკითხოს, პრიორიტეტად სომხებთან ურთიერთობას გამოვაცხადებდი მიხეილის მსგავსად, ვინაიდან ამ ქმედებით ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ მოვხსნით ამ ორ მონათესავე ეთნოს შორის დასადგურებულ უნდობლობას სინდრომს. ამ ქმედებით ჩვენ გავანთავისუფლებდით საქართველოს მოქალაქე სომხებს იძულებითი მიმიკრიებისაგან, გვარნაცვალობისაგან, უეროვნო პასპორტებით მოროვებულ სამოქალაქო გარანტიებს, ვინაიდან საქართველოს სინამდვილეში სხვა ეროვნების მოქალაქეს უჭირს პოლიტიკაში წელგამართული მოსვლა. ხოდა, რადგანაც ჩვენი მითოსური ძმები ამ საქმეს მაინც ართმევენ თავს ფარული ქმედებებით, ჩათრევას ჩაყოლას ვამჯობინებდი, სათანადო ნიადაგს შევუქმნიდი მათ გაუნელებელ სწრაფვას უმაღლესი ეშელონებისკენ! აი, სად იზეიმებდა კროსინგოვერის, გენური შეჭიდულობის საუკეთესო ტრადიციები სახელმწიფოებრივი მიდგომებით. პოლიტიკური ბლოკი: ,,ბურჯანაძე-დემოკრატები'' ფაქტობრივად ამ იდეის შენიღბული, ფარული ხორცშესხმაა. მაგრამ დავუბრუნდეთ საუბრის ძირითად ხერხემალს.

განაცხადებს ერთხელ ქვეყნის პრეზიდენტი სამხრეთ საქართველოში: ,,გამრავლდებიან ისინი, გავმრავლდებით ჩვენცო''. ხოდა, გამჭვირვალობის პირობებში არავის დასჭირდება საქართველოში უეროვნო პასპორტის გამოგონება, არც ,,ხუდონხესის'' მშენებლობის შეჩერება და ენგურხესის თაღოვანი კაშხალის გაძარცვა კუდის რიკამდე. სამაგიეროდ აღარც სომხეთის ლობთან სიახლოვეს წამოაყენდრიან რომელიმეს. წავა ჩვეულებრივი რიტმით ცხოვრება, რანაირადაც აქამდე მოგვიღწევია სომეხ-ქართვე- ლობას ურთიერთგატანისა და ურთიერთთანადგომის ძალისხმევით. ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების უმთავრესი აქილევსის ქუსლი, დიახაც, გამთანგავი გაურკვევლობაა, იძულებითი ნიღბიანობა, კონიუნქტურის გამო არსებული სიმართლისთვის თვალის დახუჭვა და ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთისათვის ძარღვების ამშლელი წამოძახილები ეროვნული მემკვიდრეობის გამო. საორნოემბრო პოლიტიკურ სპექტრში უკვე არსებითად ფოკუსირებულია ძალთა დაჯგუფებანი კონკრეტული პიროვნებების გარშემო: ლორთქიფანიძე: ,,მოქალაქეები'' - ,,ეროვნულ-დემოკრატები'' - ,,სოციალისტები'' და კიდევ არაერთი პროფესიული კრებითობა; ბურჯანაძე: ,,დემოკრატები''; გოგიტიძე: ,,აღორძინება''; სააკაშვილი: ,,ნაციონალისტები''; ნათელაშვილი: ,,ლეიბორისტები''; აბსანძე: ,,ეროვნულები'', თოფაძე: ,,მრეწველები''; გამყრელიძე: ,,ახალი მემარჯვენეები''; აქ ყველგან შედეგი ნავარაუდევია პიროვნული ავტორიტეტის გათვალისწინებით, მაგრამ ორი პოლიტფიგურა ჩრდილში მიმდგარა თითქოს — შევარდნაძე და ჟვანია. ისინი აისბერგის მსგავსად ორი მესამედი წყლით დაფარულან; საარჩევნო არენაზე კვლავ მეორე ხარისხოვანი სახეები ტივტივებენ, თავად ესენი კი საქართველოში არსებული პოლიტიკური ატომბირთვის ეპიცენტრში მკვიდრობენ ამ ორი ურთიერთდაპირისპირებული ვითარების მამოძრავებელ მუხტებად.

მრავალთაგან გამორჩევით მხოლოდ ჟვანიას აუთვისებია ბატონი ედუარდის პოლიტიკური კულტურა და წმინდა წყლის თავის მოტყუებაა უკეთესად ვინმეს შეეძლოს ახალი აზროვნების მამამთავ-

რის აზიური დიპლომატიის ელასტიკურობის იმიტირება, ვინაიდან ნაციონალისტ-ლეიბორისტული ხისტიანობისაგან განსხვავებით მხოლოდ ჟვანიასთვისაა ნიშანდობლივი გარინდების თეორია.

ბატონმა ედუარდი ლამის არაფრისაგან შექმნის ოლიგარქიული საქართველოს. □რომლის დანგრევას უცერემონიოდ ცდილობენ ნათელაშვილი და საკაშვილი. პირველი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის საძირეს მიჩურინის გულმოდგინებით გადაამყნობს სოციალიზმის კეთილშობილურ კვირტებს. ხოლო მეორე სრული დემონტაჟით ექადნება შევარდნაძის კლანს, რათა ,,ოლიგარქების მისაკუთრებულმა საქართველომ'' ნაციონალიზაციის შემდეგ '' უმტკივნეულოდ გადაანაცვლოს ,,პეტერსონელების'' ხელში იგი). ქართული პოლიტიკის მაცოცხლებელი მთავარი ძარღვი ერთადერთს, ბატონ ედუარდს, დაუხვევია მაჯაზე, რათა ეს ძარღვი ნეიროქირურგის მენცარულობით ორგანულად შეუერთდეს ქვეყნის საკაცობრიო ფუნქციას — დიდი აბრეშუმის გზას, გაზის, ნავთობის მაგისტრალებს, ტრასეკას პროგრამებს, რომელსაც ზურგს უმაგრებს მსხვილი ბიზნესის საპლანეტო ინტერესები. ხოლო ჟვანიას ქართული მენტალიტეტის შესაცვლელად მასმედიაში დაბანდებული სახსრები ადრე თუ გვიან ოთხ კედელს შორის მოხმარებული გარჯილობა აღმოჩნდება, ვინაიდან გეორგიანელების ცნობიერების გარდაქმნა უფრო ხანგრძლივ პერიოდში და შედარებით მწვავე ფორმებით, თვით მუსულმანურ სამყაროს ვერ მოუხერხდება, ქართულ ეთნოსში ათასწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული დამცავი მექანიზმების წყალობით.

გური ოტობაიას მიკერძოებას ვერავინ დასწამებს. იგი არც გამსახურდიას მეხოტბე ყოფილა ეროვნული ფასეულობების ეი- ფორიულ წლებში, აღარც შევარდნაძის მედადაფე პატრიოტული სულისკვეთების ნიველირების ჟამს გაცხოვე- ლებული ქვეყანატაციობის პირობებში და მით უფრო ჟვანიას მეგუნდრუკედ ივარგებს ახლო მომავალში. მას მედიატორული ფუნქცია ებოძება ზეციერისაგან, ბალანსის, წონასწორობის მცოდნე- ობა თეთრისა და შავის თანაქმედების გზაზე; კეთილისა და ბოროტის თანამშრომლობის ხელოვნება, უარყოფითი და დადებითი ენ-ერ გიების. აკი, საამისოდ კორექტივებსაც შეიტანს იგი ბიბლიური წარღვნის ასერგასდღიან მისტიკაში, როცა ნოეს კიდობნიდან გამოშვებულ ყორანს და მტრედს ერთდროულად გაუჩრის ნისკარტში ზეთისხილის მშვიდობის რტოს კაცობრიობის უპრობლემო მომავლის გარანტად. სხვანაირი მომავალი მსოფლიოს უბრალოდ არ გააჩნია. სამშობლო არა სათავისოდ, არა ახლომხედველური ეგოიზმით, არამედ — ზოგადკაცობრიული ზიარი ჭურჭლის საზეიმოდ; სამშობლო — მსოფლიო პროცესების მხარდამხარ, დედამიწისეული მასშტაბების მომწესრიგებელ და წარმმართველ უჯრედად, მუხტად!

16 აგვისტოს ურეკში ,,იმედის ქალაქის'' პრეზენტაციაზე მიმავალი პრეზიდენტი ცოტა ხნით ფაზის-ქალაქში შეჩერდება, სადაც მდინარე კაპარჭინაზე ახლად გახსნილი 224 მეტრის სახიდე გადასასვლელს ცხოველი სადარ ხერხემალს, ათავისუფლებს ამ მწვალებლობისაგან სულის უსაზღვროებას და დავით აღმაშენებლის გენიალურ პატროფილიას უბრუნდება, სადაც ნაბდისგაშლა მიწაზე თანაზიარი უფლებამოსილებით აღიმართებიან სინაგოგა, მეჩეთი, მართლმადიდებლურ-კათოლიკური თუ სომხური ეკლესია-მონასტრები. ედუარდ შევარდნაძის კონცეფციაც ამ ყაიდისაა, ვინაიდან ბიზნესმა არ იცის ეროვნული ნიშნები და აქ საგრძნობლად შერბილებია წახნაგები ცნებას: ,,ჩვენ'' და ,,ისინი''; ვინაიდან 2 მილიონი წლის ,,ხომო გეორგიკუსის'' კბილებდამძვრალი ყბაც გასაოცრად მიუთითებს მშობლებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ქვის ხანის საქართველოში.

ყველაფრის გადამფარავი კი მაინც იმედის ქალაქის პრეზენტაციის ენდშპილში ბადრი პატარკაციშვილის თქმული სიტყვა მგონია, რომელიც ფენიქსივით ფერფლიდან აღმსდგარი ანტიკური ქალაქის გეგმილს მოიზომავს სხეულზე სამომავლო არქიტექტურულ კონტურებად, სადაც თანამედროვე აზროვნების ბიზნესურ გზაზე პატრიოტობა მხოლოდ რომანტიკოსებისა ბრწყინვალე წარსულით ტკბობა როდი გახლავთ, არამედ ჯანსაღი რეალობით აჯამებს კაცობრიობის გავლილ გზას და საერთოდ ამოაგდებს სამეტყველო არსენალიდან გრამატიკულ გაგებას — ,,ისინი''.უცხო სხეულის, შორეული ტრადიციების შეგრძნება შემოესალტება ზოგადკაცობრიულ ნაცვალსახელს —,,ჩვენ'' და ყველა წინააღმდეგობას მოუშლის ლიბოს საუკუნო თანაქმედებისათვის:

***

დიახ, ამ სიტყვებით დასრულდება 2 ნოემბერის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში ,,იმედის ქალაქის'' პრეზენტაციაზე 16 აგვისტოს. გაირბენს რამდენიმე კვირა და სახელისუფლებო ბლოკის სიაში №1 კანდიდატდ ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძის დასახელებაც ამის ნათელ დასტურად მომეჩვენება. დედაქალაქის ქუჩებში ,,ბურჯანაძე-დემოკრა- ტების'' ფორსირებული ბილბორდის კვალობაზე ჯერჯერობით მათ ბლოკის საარჩევნო ნომერი არ უზის, გაურკვეველია რიცხვითი მნიშვნელობა, უს-

წრებს მოვლენებს. ხოდა, მესიაკონური გამოხედვის ნინო ქალბატონის დემოკრატიულ ამალას, ვეჭვობ მოუხერხდეთ ასეულ ათასობით პლაკატზე სასურველი ნომრის გამოცხადება. მოკლედ, ოპოზიციის ესოდენი ჭაპანწყვეტის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ საორნოემბრო არჩევნებში შევარდნაძის ოლიგარქიულ საქართველოს კონკურენციას ვერცერთი ბლოკი გაუწევს. გარეგნული ბრწყინვალება და ლამაზსიტყვაობა ვერაფრით გადასძალავს მოვლენის მკაცრ რეალობას, მაგრამ უმჯობესია ისევ ბადრი პატარკაციშვილის,, სიტყვას'' მოვუბრუნდეთ, რომელიც თავისთავად მართლზომიერი ქართულის ზეიმია.

„ჩვენ გაგვიმართლა დღესაც, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტად მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ბრძენი და გამოცდილი პოლიტიკოსი — ედუარდ შევარდნაძე მოგვევლინა. მან გამოიყენა ქვეყნის გეოპოლიტიკური სიტუაციის ყველა უპირატესობა. უკვე დღეისათვის მან მიაღწია ჩვენი ერისთვის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიზანსო“... ბრძანებს, და ჩამოთვლილია ხუთი უმთავრესი ქვაკუთხედი: სახელმწიფოს რეალური პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რომელიც უზრუნველყოფილია ევროატლანტიკური სივრცეში ჩაშენებით უსაფრთხოების გარანტად; ამასთან, ცხადლივ დანახულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ინტერესების ყველაფრის განმსაზღვრელი პრაქტიკული ბალანსი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე.

დედამიწის გეოპოლიტიკურ სურათს თუ დავაკვირდებით, გნებავთ პრეისტორიულს, გზა, როგორც ასეთი, დიახაც ,,დიდი აბრეშუმის'' ორდინარს ემთხვევა, იმ შორეულზე შორეული გონდვანას პირობებშიც, როცა ევროპა-აზია-აფრიკა-ამერიკა-ავსტრალია ერთ მთელს წარმოადგენდა. მილიონი წლების მანძილზე ეს კონტინენტები თანდათან დაშორდებიან ერთმანეთს ტერიტორიულად, იქამდეც კი, რომ მეთექვსმეტე საუკუნეში ამერიკა ხელახალი აღმოსაჩენი გაგვიხდება, მაგრამ თავად გზას, თავად მსოფლიო ცივილიზაციის აკვნის სამიმოსვლო საშუალებას, გოჯითაც არ გადაუნაცვლებია ხიმალაი-კავკასია-პირინეი-ალპების კოჭებიდან. იგი მიუყვებოდა და მიუყვება კაცობრიული სუფევის არტერიას ასეულ ათასი წლებიდან მოყოლებული და სრულიად ნათლად შეიძლება დავასკვნათ, რომ ,,ხომო საპიენსი'' წარმოუდგენელია აფრიკაში ჩასახულიყო და მერე იქიდან მოხფენოდა მთელს დედამიწას. თუმცა მოვუბრუნდეთ ბადრი პატარკაციშვილის გამჭრიახ გამოსვლას, რასაც აგრერიგად მოკლებულა ჩვენი საყველპურო სინამდვილე:

— **„ამერიკა ძლიერია, მაგრამ — შორეული, რუსეთი სუსტია, მაგრამ ახლო მყოფი... საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის საფუძველი — ბალანსია, ქვეყნებს შორის ურთიერთობის ბალანსი“** და ამ დოქტრინას ბუნებრივად მიებმება საშინაო ცხოვრების აქილევსის ქუსლები:

— **„ამისთვის პრობლემაზე მაღლა დგომაა საჭირო. ეს მხოლოდ მოქალაქეობრივ ინიციატივას შეუძლია, რომელიც ქვეყნის ყველაზე შემოქმედ ძალებს გააერთიანებსო,“**— განმარტავს ბიზნესმენი და აქ პირველად გაჟღერდება ქართულ პოლიტიკაში აწ ჩვენთვის საკმარისზე მეტად განხილული ბატონ თამაზ ბუთხუზის თეორია კრისტალის შესახებ წიგნიდან: **„გაახელ თვალებს — იქნება გვიან“.**

პატარკაციშვილი მაქსიმებით ასრულებს თავის გამოსვლას. იგი პატრიოტიზმის გრძნობის ნაკლებობას ჩივის პატროფილიით განთქმულ საქართველოში, რომელსაც ათასი თავისუფლების ინსტიტუტით უტევენ ოკეანის გადაღმიდან. გლობალიზაციის სასტიკი ჯუნგლებიდან შუქურასავით მართლაც იმედივით აკაშკაშდება ეს სიტყვა: **„გადარჩება მხოლოდ კორპორაციული სტრუქტურა, გუნდიო“**, აცხადებს პატარკაციშვილი **„უნდა გაგვაერთიანოს არა სიამაყემ წარსული სიდიადის გამო, არამედ დღევანდელმა პატრიოტიზმმა. საერთოდ კი საჭიროა, ჩვენ თვითონ აქ, და ახლა, გავაკეთოთ კონკრეტული საქმეები, რაც მიიღწევა ეფექტიანი ადგილობრივი თვითმმართველობითო“.**

თავის დროზე დეურბანიზაციას რომ მოითხოვს ნეტარხსენებული აკაკი ბაქრაძე, ამიერიდან სოფლისკენ მობრუნებული მოქალაქის გარკვეულ წინააღმდეგობას დაახვედრებს კანონი ძალით ხელშეუხებელ ნაკრძალად, დაცულ ტერიტორიებად გამოცხადებულ საქართველოში. ჩვენ მამაპაპური ტყეები უნდა შემოვუნახოთ შვილებს, ჭაობიც, მთაც და კორდიც, მაგრამ გონივრული მოხმარების საფუძველზე, ენდემური ჯიშების დაწინაურებით და ტრადიციული მიმართულებების განახლებით, რომელიც თანდათან მიიზიდავს ტურისტსაც და ,,დიდი აბრეშუმის გზით'' დაძრულ ენერგომატარებლებსაც. **„თუკი ოქროს პოვნა გვსურს, იქ უნდა ეძებო, სადაც ის არის“**, ანუ მატერიალურ პროგრესს მეწარმეები ესაჭიროება, 20 პროცენტია იგი თუ 30, დაბოლოს, ფასეულობათა დევალვაციის საწინააღმდეგოდ წამოწეულია სამართლიანობის პრიციპი საბაზრო ეკონომიკის ანაბანადან: ფასი **„ქმნის შესაძლებლობას, შანსს“**, და რადგანაც ათას კილომეტრზე მოგზაურობა

ერთი ნაბიჯით იწყება: ტურიზმის მშენებლობა გადაჯაჭვულია ,,დიდი აბრეშუმის გზის'' ტრადიციებთან. აქვე საბანკო ინდუსტრიის გაფართოებით კავკასიაში, ღვინის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებით მსოფლიოს ელიტარული ბაზრებისათვის, წმინდა გიორგის ხელშუბი ღრმად ჩასობია ქერეჭიან მკერდში უცხო ქვეყნის დივერსიულ ხაფანგებს: როცა საკუთარი მეობა თავადვე დაგეყუდნება, როცა ტურიზმის გაშლით ეკოსისტემას მოუფრთხილდები — ტყეს შეუნახავ შთამომავლობას, მაგრამ ამავდროულად ტრადიციულ დარგებს და კულტურებს გეგმაზომიერად განავითარებ არსებობის გარანტად, სატანას აბარგების გარდა არღარა დარჩება. ჩვენ ინკვიზიციური მეთოდებით არაფრისდიდებით დავზაფრავთ მეხუთე კოლონის რუპორ ,,მეხუთე ხელისუფლების'' ვერაგულ ზრახვებს, მხოლოდ ტოქსიკურ მასალას ამოვაცლით მორიელს და ისევ მისი მომაკვდინებელი ნაკბენის მორჩენის სამსახურში ჩავაყენებთ. დიახ, 16 აგვისტოს გადაწყვეტილია 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ბედი — განსაზღვრულია საქართველოს სამომავლო მიმართულებები, რომელიც ბიზნესის საიმედო ხელშია.დიახ, 2 ნოემბრის მერმინდელი საპარლამენტო სივრცე, დარწმუნებუ ლი ვარ, სრულიად განსხვავებულად დაალაგებს საგნებს და მოვლენებს.

***

ვიკამათებთ აქ ბეწოს მე და ვახტანგ მიშველია პოლიტიკური სიწრფელის თაობაზე, თუ ვისთანაა მეტი ხარისხით ეს განცდა: სააკაშვილთან? ბურჯანაძე-ჟვანიასთან? გამყრელიძე-გაჩეჩილა- ძესთან? პატიაშვილ-ჭაჭიასთან? აბსანძე-ბურჭუ- ლაძესთან? თოფაძესთან? აბაშიძესთან თუ შალვასთან?

ამდენი გრიგალის შემდეგ ო, ხენრის ნოველა ,,უკანასკნელი ფოთლის'' პერსონაჟ გოგონას ვემსგავსებით, რომელსაც ერთადერთი შანსი დარჩენია და ისიც — სიკვდილი. და აი, დავის მამის მეგობარი მხატვარი ფერწერულ ტილოს შეუქმნის ამხანაგის მომაკვდავ ასულს, ფანჯარაზე აუკრავს უკანასკნელი ფოთლით განათებული ტოტის პორტრეტს, რამეთუ უთქვამს განწირულს: **ესეც ჩავმოწყდება და მოვკვდებით**. თავად მხატვარი უამურ ამინდში ტილოს შექმნისას გაცივდება და გარდაიცვლება კიდეც, თუმცა, დახეთ, საოცრება!: უკანასკნელი ფოთოლი იმედის კონცხივით ჯიუტად განაგრძობს არსებობისათვის ბრძოლას და სიცოცხლეზე ხელჩაქნეულ გოგონასაც თვალებში გამოახედებს. ჩვენი საქმეც დაახლოებით ასეა: შევარდნაძე წელიწადნახევარში მიდის დიდი პოლიტიკიდან, გივი თარგამაძის ბუხხალტერიით — 549 დღეში და რამდენიც უნდა იქაქანონ რუნზგენ გოგოხიამ თუ გური ოტობაიამ: მესამედაც ავირიჩოთო, ამას უკვე ვერაფრით მოახერხებენ კონსტიტუციის ძალისხმევით. სხვა რამე მაღონებს — რაც უფრო უახლოვდება ბატონი ედუარდი უფლებამოსილების შეწყვეტის თარიღს, მით უფრო ბრძენდება, მით უფრო დაღვინებული, ძელგი ხდება. რომის პარკინსონიან პაპს, პავლე მეორეს, ბალდახინით დაარბენინებს კათოლიკების ფარეში დივიზიონი და მაინც თვინიერად მიუგდებს ყურს — გონების სიმაღლის გამო მესამედი მსოფლიო. ლამის პროფესორ დოუელის თავია, რომლის რაციონალური შესაძლებლობანი თვალს გახუჭვინებს ნებისმიერ ადამიანურ სისუსტეზე. აქ კი პირიქითაა საქმე: განაყარი ახალუხები მაკედონელის სულსწრაფობით ჭინჭყლობენ.

ალექსანდრე ფილიპეს სამხედრო წარმატებებით ცხვირჩამოშვებულია: მთელი მსოფლიო დაუპყრია მამამისს და საასპარეზო არაფერი რჩება. პრეზიდენტის გაკეთებული საქმის დამხანველი და მთქმელი რომ მოიპოვებოდეს სკიპტრის მაძიებელთაგან, არაფერს დავიჩივლებდი, თავად ფავორიტებიც მოიგებდნენ ერთიასად: გამყრელიძეც! სააკაშვილიც! ჟვანიაც! ბურჯანაძეც! ნათელაშვილიც და ცხადია, აბაშიძეც!

თვეების წინათ მხოლოდ ქალბატონ ნინოს მეტყველებაში დომინირებდა მოწიწება პრეზიდენტის პიროვნებისადმი და ყველაფერ ამას ბატონი ედუარდის საგარეო პოლიტიკის მასშტაბებით ამართლებდა, მაგრამ დალია ოკეანე და იმისთანა გაკაპასებული ჩამოგვივიდა შტატებიდან, ვგონებ დანარჩენი კონკურენტები საგრძნობლად ჩამოიტოვა თინეიჯერული ,,კმარას'' ფონზე.

დიახ, არა ხყავს ჩვენს ფავორიტულ სივრცეს გაწონასწორებული ლიდერი, რომელიც სულ ცოტა დელიკატურ წინდახედულებას მაინც გამოიჩენდა და ეტიკეტის დაცვით იტყოდა: ბატონი ედუარდის ოლიგარქიული აზროვნება მნიშვნელოვან კორექტირებას მოითხოვს სოციალიზაციის ასპექტით საშუალო ფენის ასაღორძინებლადო, მაგრამ ააფრინე ალალიო, თქმულა. არავის გააჩნია ამისი პოლიტიკური ნება. სხვისი უბედურების ხარჯზე, ამ შემთხვევაში შევარდნაძის სისტემის დემონტაჟით, განუზრახავთ ფავორიტებს საქართველოს ნათელი მომავლის აშენება, რასაც საზოგადოებისთვის ზრუნვა შეიძლება ეწოდოს პოლიტეკონომიის ენაზე, თუმცა ამ ასპარეზზე ამორჩეული ინსტრუმენტი რატომღაც ყოველთვის აბჯარივით ჟღარუნებს: პაპავას პაპალური ეკონომიკური პროგრამა ბურჯანაძის ფეთქებადი ულტიმატუმებით; სააკაშვილის უედუარდო საქართველოს ნაციონალიზაცია 5 -ჯვრიანი დროშების ტკრციალში; თოფაძის აკვიატებული მრეწველობა, რომელიც კანონის

უზენაესობის აღუდგენლად ვეღარაფრით გადაარჩენს საქართველოს; ნათელაშვილის 120 მანდატი გაქანებული სოციალიზმის დასამყარებლად; ჟვანიას მრავლისმეტყველი დუმილი, რომელიც ყოველთვის როდი არის ოქრო, თუ აბაშიძის მენტორული ტონით არჩევნების წკიპზე გალავანს მიღმა წკიპურტით მოსროლილი სანდრო ბრეგვაძე — გვაფიქრებინებს, რომ ტახტისმაძიებელთა სექსტეტი არსებული ვითარების ობიექტურად შეფასების პროცესში რევანშისტული მიდგომებით ცდილობს მოსახლეობის გულის მონადირებას, მაგრამ თავად ხელისუფლების საფრთხობელასთან გაიგივებული იმიჯი მოსყიდული მედიისგან პოლიტიკური შეუთავსებლობის შედეგი მგონია, ვინაიდან სტრატეგიულ ომში საშინაო პრობლემები დახვავებულა მთავრობის უნიათობის „სამხილად".

2,6 მილიარდი აშშ დოლარის დახმარება შემოსულა საქართველოში გრანტების, კრედიტების სახით 10 წლის მანძილზე და პოლიტიკური ინტერესები იქამდე გადაუკვანძავს ერთმანეთისათვის ღვთაება მამონას სახსენებელს, ლამის დამკვირვებლების ლაშქარმა **„აგვაშენოს ან გადაგვასახლოს"** (ე. შევარდნაძე).

არის ჩვენში ამნაირი გამოთქმა: შონე მაძირაფუქ ეჭოფუა — სვანეთი დამთვალიერებელმა აიღოო. ბეიკერების, მაკკეინების, შალიკაშვილების, ტალბოტების თუ სხვათა ვიზიტები ხალხის თვალში ოპოზიციის ქომაგობად აღიქმება, სინამდვილეში კი იმ 2,6 მილიარდი დოლარის ქვეტექსტური ლობირებაა სამომავლო საქმიანობისათვის, რომლის ნაწილი უკან წაუღიათ" „გაცოცხლებული ფულის", „გარეცხილი კაპიტალის" უმწიკვლობით. ნაწილი იმ თანხისა თავად ქართველ ახალუხებს განუკარგავთ ძველგაზრდათა მხარდამხარ და მართლაცდა ციცქნა საქართველოში მომხდარა გასაოცარი გენიური შეჭიდულობა რეციპიენტ-დონორს შორის. ასე რომ, როდესაც „დემოკრატიის" სახელით არჩევნების გაუყალბებლად ჩატარებაზე გვიცაცხანებენ გალმა ოკეანეთიდან, თანაც ოპოზიციის დამარცხების შემთხვევაში სრული იზოლაციითაც გვემუქრებიან, ეს ჟესტი ახალუხებისთვის თანადგომაა, ერთგვარი სამომავლო ბიზნეს-პარტნიორის წაბმა.

მაჟორიტარული საქართველოს დადებით მომენტებზე გვისაუბრია.

ბატონი ბორის ცოცხალაშვილის „რიგითი საშუალო სტატისტიკური ამომრჩევლის მცდელობაა" „24-საათელების" გვერდიდან გამიჯნოს მსხვილ კაპიტალთან გაიგივებული პროპორციული და მაჟორიტარული არჩევნები. ხალხის თვალში პირველი უარყოფით ემოციებს იწვევს თურმე, მეორე კი — დადებითს, ვინაიდან ლიდერ-ლოკომოტივის წყალობით გათრეული დეპუტატების ჯგრო ხალხისკენ არაფრისდიდებით გაიხედავს. ხოლო მაჟორიტარი, ქრისტეს ფეხის მკვნეტელიც რომ იყოს, პირისპირ დარჩენილა რეალური ელექტორატის წინაშე და გამოსავალი არა აქვს გაექცეს თავის ორღობეს, სამოხიოს, კუთხეს თუ არეალს მთლიანობაში. აქ ვალდებულება კონკრეტულია. ალბათ, ამისათვის განაცხადებს წერილის ავტორი, რომ ეს ბაქიბუქი რაიმე სენსაციურ შედეგებს ვერ გამოიღებსო: „ახლად არჩეულ პარლამენტში არ იქნება დომინანტი უმრავლესობა, ანუ გადაწყვეტილების მისაღებად პარლამენტარებს, ძალაუნებურად მოუწევთ საერთო ენის გამონახვა, თემატური ან კოალიციური უმრავლესობის შექმნა". მაჟორიტარებისათის განკუთვნილ 75 მანდატს ობიექტური მიდგომებით ოპოზიცია-ხელისუფლებას შორის ამგვარი პროპორციით თუ გავანაწილებთ — 20:35-თან, მთელს საპარლამენტო სივრცეში შემდეგი სურათი გამოგვივა — სახელისუფლებო ძალები 52-35 — 97, პლუს ამას „მრეწველები" — 12 და„იოლკი ზეიოლნი "—12, სულ 111დუპუტატი გამოგვივა, მაგრამ ეს არ არის უმრავლესობა 118. ხოლო ოპოზიციის პერსპექტივები ამნაირად მევარაუდება: „ბურჯანაძე-დემოკრატები" — 24, „ნაციონალები — 24, „ახლები" — l2", „ლეიბორისტები" — 24, და კიდევ 20 მანდატი მაჟორიტარული არჩევნებიდან 104. არ არის ხელწამოსაკრავი ძალა, თუმცა უმრავლესობა კვლავაც შესაკოწიწებელია. რაც შეეხება „აღორძინებას" იგი იყო და იქნება მაბალანსებელი ენერგიას ესიიდან სესიამდე. ატომგულის ბირთვის მსგავსად „აღორძინება" ნეიტრონის ხასიათით მოგვევლინება. პროპორცია 111:104 ყოვლად უუნაროა ამ ნეიტრონული გამნზომილების გაუთვალისწინებლად. ამნაირი ყაიდის და შინაგანი წყობის პარლამენტი საქართველოში ჯერეთ არ ყოფილა და შეუძლებელიცაა განმეორდეს, ვინაიდან ფილოსოფიური სწავლებით ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ არ შეისვლება.

ადრე ქვეყნის პრეზიდენტი მიუმხრობლის პოზიციიდან დააკვირდება პარლამენტის საქმიანობას. ხოდა, დაიწყებენ ბახალასავით ფრთების გასწორებას „მოქკავშირის" განაყარი ახალუხები. თავპირისმტვრევით გადაეშვებიან ბუდიდან „ახლები", „ნაციონალები", დემოკრატები" და ვაშლისჯვრის ოფისი იქობამდე გამოცარიელდება, პარტია ლამის თავიდან გაუხდება დასაფუძნებელი ფილარმონიაში ჯორბენაძის ყრილობას. და ახლა, თანამიმდევრულად რომ ვაანალიზებ ყველაფერს, „მოქკავშირის" დანგრევის ინიციატორი თავად პრეზიდენტი მეჩვენება; როცა ხორბალს და ღვარძლს თანაბრად დასცალებია დათავთავება, როცა გამორჩევა მკის პერიოდში გაჩაღებულა პოლიტიკური ინტე-

რესების მიხედვით. ,,მემარჯვენეების'', ,,ნაციონალების'' თუ ,,დემოკრატების'' ოპოზიციონრობა ერთადერთ შალვა ნათელაშვილს არ ხყოფნის სასაცილოდ. ამ განაყარ ახალუხებს მხოლოდ იგი მიიჩნევს შევარდნაძის ფსევდოოპოზიციად, რომლებიც ლეიბორისტების ლიდერის ქოლერკიული მძვინვარებით, ერთ ტომარეშია ჩასაყრელი და მდინარისათვის გასატანებელი.

ქვეყნის პრეზიდენტი მაღალი მგრძნობელობის სეისმოლოგიური სადგურივით დროულად აღიქვამს მოსალოდნელ პოლიტიკურ ბიძგებს, რომლის მკვებავი ძირითადი მუხტი საქართველოში შემოსული 2,6 მილიარდი აშშ დოლარია, სადაც ფინანსური დახმარების მნიშვნელოვანი მასა გადანაწილებულია ენერგეტიკულ მიმართულებებსა და არასამთავრობო სტრუქტურებს შორის. ხოდა, ოდესღაც შეხმატკბილებული ,,მოქკავშირის'' ოფისი, 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნების თადარიგის გამო კრაზანის ბუდეს დაემსგავსება.

ამასობაში ატომგულის გახლეჩის კვალდაკვალ პროკრუსტეს სარეცელზე ერთდროულად იკრიჭება და იწელება კიდეც უცხო ძალების თარგზე გამოჭრილი ქართული ყოფიერება. პრეზიდენტს წყალში ჩაცვენილი საკუთარი ეთნოსისთვის ზურგი შეუქცევია თითქოს, თითქოს არაფერს მოიმოქმედებს მისი გადარჩენისათვის, სინამდვილეში ჯერ მთავარი ბასტიონებია ასაღები — სტრატეგიული მიმართულებანი, რომელიც აბსტრაქტულ მაშველ რგოლადაა გადმოგდებული წუთისოფლის ცოფმორეული მორევისაკენ ,,დიდი აბრეშუმის გზის'' საუკუნოვანი პროექტით. მაგრამ ასწლიანი პერსპექტივა პრაქტიკულ მოხმარებას რანაირად შეიძენს წამების, გნებავთ თვეების განზომილებით?! მოკლედ, აღორძინების მალამო-წამალი ნაპოვნია — ფუნქცია მსოფლიო თანამეგობრობაში, რომელიც გარეგნულად უჩინარია და გარკვეული პერიოდი ჩვენი არსობის პურად ძნელად აღსაქმელი.

მე უნარი მოგანიჭეო, გეუბნება ქვეყნის პრეზიდენტი ქარაგმულად; გაანძრიე ხელი და ნაშველები ხ არო, შთაგაგონებს უსიტყვოდ; საქართველოში იქნებიან მდიდრები და არ იქნებიან ღარიბებიო, გიკიჟინებს. მართალია, საშუალო ფენის სიღატაკის ხარჯზე შექმნილა ოლიგარქიული საქართველო სახელმწფიო პოლიტიკის გასატარებლად, რამეთუ კომფორტითა და საცივით უზრუნველყოფილ ჯირკვლების სამშობლოში შეუძლებელია საშვილი- შვილო საქმეების წარმართვა. მილიონ მოქალაქეზე გადანაწილებული მილიონი ლარის მყიდველობითი უნარი ორი პურია ქვეყნის ხაზინის პოზიციიდან, როცა იგივე მილიონი ხორბლით დატვირთულ გემებს მოგვიმრავლებს ნავსადგურში ქამარმოჭერილი ადამიანის თვალთახედვით. ჩვენი საცოდაობა კი ჩვენი დილეტანტიზმია, რომელიც როყიო ბრალეულობებსაც გვაბედვინებს ზღვარსგადასული უცოდინრობის წყალობით, თორემ როგორ, რანაირად, სად და რა შემთხვევაში შეფასებულა პოლიტიკური ნაბიჯები ზნეობრივი კრიტერიუმებით? ეს იგივეა, რაც ოქრო მეტრული საზომით არწყა, ან აბრეშუმის თოფები — კილოგრამებით.

იტყვის ნიკოლო მაკიაველი □,,24-საათელების'' პერსონაჟი ცოცხალაშვილი ,,ხელმწიფედ'' რომ თარგმნის ბაჩანა ბრეგვაძის ჩინებულ ,,მთავარს''), მიზანი ამართლებს საშუალებასო, და აქ წერტილი დაესმება საზოგადოების მხედველობას მორგებულ ფერად სათვალეებს, ვინაიდან შეუძლებელია კავკასიელმა სტალინმა კრემლში შეაბიჯოს და მერმე მომეტებულად დაშვრეს ,,ტურფა ქვეყნის'' გასაფურჩქნად; ან ღვიძლი შვილი იაკობი გენერალ ფონ პაულუსს ამჯობინოს. წარმოუდგენელია დაუშვებელია ალექსანდრე მაკედონელი გორდიას ნასკვს მთელი ცხოვრება გასახსნელად მიუსკუპდეს და მარაზმული სიცოცხლის კენწეროზე გადაავლოს თვალი სალაშქროდ აზიას;

ინფანტილური გულჩვილობაა ვარდები დაუშინო ზარბაზნებით წამოსულ ოპოზიციას და აღარც ონელი გლეხის ცოდნით დაეკვეხნება ხელისუფალს, რომელიც სახელმწიფოს ფორმირების პროცესში, ჯერ საშუალო ფენისათვის ეცმევა ჯვარს და შემდეგ ოლიგარქიულ ინტერესებს დაუწყებს კუდში დევნას.

ხიტლერის თავბრუდამხვევი კარიერა ოლიგარქიულმა გერმანიამ მოდღვიბა და არა — საშუალო ფენის უზალთუნების ჩხრიალმა.

ქვეყნის პრეზიდენტი პოლიტიკური ჭადრაკის დაფასთან შეუდარებელი გროსმაიტერია, რომელთან პაექრობაში, ჩვენს სადეპუტატო სამაიას: გაფრინდაშვილ-ალექსანდრია-გურიელს ნამცეცისხელა შანსიც არ უყავით ძაღლუმადური ყაიმისთვისაც კი. ვინაიდან დღევანდელ საქართველოში არავინ უწყის უკეთ შეუთავსებლის შეთავსების ალქიმიის თაობაზე, რომელსაც უბირნი ,,ბალანსის თეორიასაც'' ეძახიან ქინქლისხელა ჭკუით. ამ ნალის შეჭამადის შედეგი აღნაგობით ვერდასაკვეხნი, მაგრამ გონიერებით შეუდარებელი მითოსური კენტავრია, იგივე ცხენკაცი, ოჩოკოჩი თუ ოპოპინტრე. ჩვენეული სიტუაციაში ამისთანა ქირურგია შევარდნაძეს კი არა კინოლენტ ,,ილბლიანის'' რეჟისორ კუპრიგს გაუჭირდება, სადაც საცდელ ადამიანს ხბოს ფეხები მიეკერება დაუნდობელ ბიზნესში საკუნტრუშოდ, თუმცა სირბილში შეჯიბრებისას თვით ფეხმარდი აქილევსიც უძლურია როსინანტზე ამხედრე-

ბული დონ კიხოტის წინაშე და ეს პეგასი შევარდნაძის ყაიდის პოლიტიკოსისათვის ორი ურთიერთგამომრიცხავი განზომილების შეერთებაა, დაახლოებით იგივე, რაც ენათმეცნიერებაში — მასდარი: „დედაშვილობა“, „მრავალჟამიერი“, „გასისხლმდინარდა“; ამ შემთხვევაში — ხალხის სიდუხჭირისა და ოლიგარქიული მორჭმულობის მარადიული მოქიშპეობა, რომელიც აუცილებელი პირობაა საქართველოსათვის საუკუნოვანი მეხამრიდის მოსაპოვებლად. ეს იგივე ქინაქინაა სიცხიან ბაგეთათვის, რომელსაც, ცხადია, სასუსნავი ურჩევნია შვებისმომგვრელ მწარეს. და რადგანაც იცის ხელისუფალმა თანაბარ პირობებში ქართული ბიზნესი კონკურენციას ვერაფრისდიდებით გაუწევს გამოჯანდაკებულ პეტერსონულს, არაფერს თაკილობს მისი მიზანმიმართული ფორმირებისათვის. ჯერ კოლოსალური გამოცდილებაა დასაგროვებელი, ჯერ მანანსავით ციდან ჩამოცვენილი მილიონების ქართაში თავმოყრაა სასწავლი, მათი გახედნვისა და ჯირითების ჟამიც მოაწევს ადრე თუ გვიან ფიცხელი მარულების მხარდამხარ.

ჩავლილია აგლუტინაციის პერიოდი, იგივე კროსინგოვერული ფაზა — მსგავსის მსგავსთან შეწებების პროცესი: არასამთარობოთა შტურმის მიუხედავად, მამულიშვილურ განცდად დაგუნდავებული, ეროვნული ფსიქიკა მერყევი ნებისყოფის მეხუთე კოლონაში გადაბარგებულა და ამიერიდან ტურფა საქართველოში ძალდაუტანებლად გამოვლენილია მარადარსებული კოსმოპოლიტური ელექტორატი. ასე რომ, „ბურჯანაძე-დემოკ რატების“, „ნაციონალების“, „ახალმემარჯვენეების“ მართული სულისკვეთებით მოზელილია შერბილებული პატრიოტული განცდის ქართული ცომი, რომლისგან არავინ უწყის როგორი პური გამოცხვება, კუტი თუ დედო.

ბოლნისურ ინციდენტს დააკვირდით: 380 აზერის პასპორტი შეუქუჩებიათ „ნაციონალებს“საარჩევნო სამოვარის მოსადუღებლად და როდესაც ფაქტზე წაასწრებენ, მოსალოდნელი გართულებების გასაქარწყლებლად მთელი ბატალიონით მიუხტებიან კარზე გამგებელ ჯაფარიძეს. აღარც წიხლებს და ქოთებს დააკლებენ ამ ყირმიზი სახის მუშვანს და ლუფასავით ნაჟეჟი პიროვნება: „შე სომეხო“ რომ შეაჩვენებს მამიდაშვილს ჩემსას, მყისვე ეროვნებათა შორის შუღლის გაღვივებად ჩამოერთმევა ბაიბურთების ამალიდან. მაგრამ ტრადიციით არავინ კილავს ცურტაველის პიტიახშს კრავივით შუშანიკის თესლ-ტომის გინების გამო. ეს ყველაფერი ლიტერატურათმცოდნეობაში რელიგიური დისკომფორტის დონეზე შეფასებულა.

მოკლედ, ქვეყნის პრეზიდენტსი მთავარი კოზირი გამუდმებით მოვლენათა დასწრებაა და ბლოკის პოლიტიკური დირიჟორიც თავად არის ანიდან ხოემდე ტრაგიკომიკური გაყრების შემდეგ.

პაპავას პაპალური ეკონომიკური პრგორამა ვითომ ზომიერად ჭკვიანურობით გაჭრილი ტაქტიკაა: აი, მილიონ სამუშაო ადგილს ხომ გპირდებოდნენ „მოქკავშირელები“ გუშინწინ, გუშინ, □თითქოს „მემარჯვენე“-„მემარცხენე“-„დემოკრა- ტები“ ციდან მოვლენილნი იყვნენ და ბრალდებათა კუპრის ქვაბში თავადაც არ ეყურყუმელავო ყელამდე? ამ ასპექტით შალვა ნათელაშვილის პოლიტიკური ფიგურა მართლაც უმწიკვლოა და კიდევ — სამთვიანი გამყრელიძე), ხოდა, ის მილიონი მუშახელი ხელისუფლების უმაქნისობით უცხოეთში გადახვეწილა ლუკმა-პურის საშოვნელად, ან მოჯაშუშო არასამთავრობო სტრუქტურებში გადაბარგებულა. ჩვენ კი „ერთად, ცოდნით და პატიოსნად“ ათი წლის მანძილზე მნიშვნელოვან გარდაქმნებს მივაღწევთო.

განა სხვას გვიკიჟინებენ „ახლები?“ **„100 ათას კაცს დავასაქმებთ 900 დღეშიო“** და გამორიცხული არ არის 1001-ე ღამეს შეხარაზადას გალამბული ზღაპრებივით განახორციელონ კიდეც დენაციონალური „საქართველოს“ თვალში გამოხედვინება. თუმცა შევარდნაძე სხვანაირად მოქმედებს: ერთი მილიონი ადგილიო, ბრძანებს. ამასობაში 100-წლიანი ფუნქციით აღჭურვავს ქვეყანას და სამშობლოდან გადაკარგულ იმ მილიონ მუშახელს საუკუნოვანი ასპარეზის ნიადაგს უმზადებს პრინციპით: საქართველოში იქნებიან მდიდრები და არ იქნებიან ღარიბები. ანუ უპერსპექტივო საშუალო ფენის ჩამოყალიბება სტრატეგიული დანიშნულების უქონლად, უფუნქციო სუფევით საბაზრო ეკონომიკის მსოფლიოში, ათი, თხუთმეტი წლის შემდეგ ისევ არევს მონასტერს, კვლავაც გასაქცევი შეექმნება მოსახლეობას დედასამშობლოდან და აწ — უკან მობრუნების არანაირი პერსპექტივით.

ასეთია ლამის არარაობიდან გამოყვანილი მამულიშვილური ვითარება, მაგრამ ჩვენ ხომ მშიერმუცელა მდგომარეობის მონები ვართ მიწყივ, ქამრის შემოჭერის მაგივრად, დღევანდელ კვერცხს თოხლოდ რომ გადავუძახებთ სტომაქში „კმარა, თქვენ ხართ სენი, დაგვეხსენითოოს“ მამალაყინწური ხრინწინით. მე კი მითქვამს და ვიმეორებ: **ძვირფასო, სოროსელებო, კმარა თქვენი თინეიჯერული კუნტრუშ-კმარა-მეთქი!** მაგრამ მოვუბრუნდეთ მაჟორიტარობის თემას. სულიკო პავლიაშვილს საგარეჯოს მოსახლეობა კონკრეტული საქმეების გამო შეიყვარებს. იგივეს ვიტყრდი დემურ გადელიასა და გოდერძი ბუკიაზე. ახლა როგორ ხგონია მავას, განა ვინმე დაეტოლება ბო-

რის სალარიძეს ზესტაფონში, ნიკო ლეკიშვილს — ონში, თუ ნანა პატარკაციშვილს — ყვარელ-ში? საზოგადოებას ნაკლებად ეპიტნავება პაპავას პაპალური პროგრამები, რომელთა უმრავლე-სობა ხაეროვანი კოშკებია ოთხი წლის სასრულს (იხილე გივი ჯავახიშვილის პუბლიკაცია „ლიტერატურულ საქართველოში", 2003 წ.).

„მრეწველები" პარლამენტში 20 მაჟორიტარის გაყვანას გეგმავენ. მუსიკის ენაზე ეს იგივეა, რაც ფორტეპიანოს „მეხუთე სიმფონიის" შესასრულებლად მიუჯდე და სამი ოქტავის იქით გადასვლა აგეკრ-ძალოს. დამერწმუნებით, როგორი ბეთჰოვნური მძვინვარება გამოგვივა! პარტიას, რომელსაც დოდან დომდე აღარ ძალუძს მაჟორიტარული სივრცის გადაფარვა და პროპორციული ხაი-ხუის ლოკომო-ტივის იმედითაა გალურსული, გუნდი არ ეთქმის. ამიტომაც გასაკვირი არაფერია შევარდნაძის „მძიმე არტილერიისადმი" ლეიბორისტი ნათელაშვილის რეაქციაში: რომელ 120 დეპუტატზეა საუბარი, როცა 12 რჩეული რაღაც პოპულისტური ნიშნით შეგიკოწიწებია? თავად შალვასთან, მის ერუდიციასთან და პიროვნულ სისუფთავესთან ენა აუგად არავის მოუტრიალდება. ბოლოს და ბოლოს ჩემი სიყრმის ძმობილი ვახტანგ მიშველიას თანადამფუძვნელია, მაგრამ გარდასულია ერთხელ როგორ შედეგს მოგვიტანას მრგვალი მაგიდის ჩინებულ ლოკომოტივს ცარიელი ვაგო-ნებით გამობმულმი ეშელონის ჩამოდგომა?

ახლა შევხედოთ პრეზიდენტის პოზიციას. რეფერენდუმის ერთადერთი კითხვით მიაპყრობს იგი მზერას საქართველოს მოქალაქეებს: გვჭირდება თუ არა საქართველოში 150-ზე მეტი დეპუტატიო და დარწმუნებული ვარ, ამ თემას მეტი წილი საქართველო დადებითად გამოეხმაურება. შევარდნაძე დამატებით კიდევ ორ კონგენიალურ სვლას გააკეთებს პოლიტიკურ საჭადრაკო დაფასთან: პირველი ის გახლავთ, რომ 1999 წლის პარლამენტი ფეხის ფრჩხილიდან თხემამდე გაკოტრებულია მინიშნე-ბით თუ ცალსახად; გამოკვეთილია მისი ანტიქართული ხასიათი და აწი ჯერი საქართველოს გონება-დაუნჯებულ აქტიურობაზე ხკიდია. რინგზე მიღებული უამრავი დარტყმისაგან შევარდნაძის გუნდი ბევრგზის წაიფორხილებს, ნოგდაუნშიაც ჩავარდება ნებაზე მიშვებული სანქცირებული ოპოზიცი-საგან, თუმცა მითქვამს და ვიმეორებ: შუააზიური ხვლიკის — ვარანის გამძლეობისაა იგი-მეთქი, რომელიც გიურზას 60 კბენას უძლებს გასაოცარი სიცოცხლისუნარიანობის წყალობით. არჩევნე-ბამდე 24 დღით ადრე ე.წ. შავ პიარს აუგორებენ ბურჯანაძე-ჟვანიას. ელექტორატის მოსასყიდად გამეტებულ ხუთდოლარიან არმაღანს, რუსეთში ვიზიტისას სპეცსამსახურების წარმომადგენლებ-თან შეხვედრის გახმოვანებაც დაემატება, რომელიც რამდენადმე დამძიმემდება ჟვანიას სინქრო-ნული ვიზიტით სტრასბურგში. და აქ მოწმენდილ ცაზე მეხივით გავარდება თურქი მესხების რე-პატრიაციის თემა. ამ თეზას გვერდით ამოუსკუპდება „ჯავახკის" ულტიმატუმები პოლიტიკური პარტიების მისამართით: მხარს დავუჭერთ იმას, ვინც 1915 წელს სომხების გენოციდს აღიარებს თურქეთშიო. ბუნებაში არაფერი იკარგება და მათ მიერ წამოსროლილ ფრაზებს რომელი ჭკუათ-მყოფელი გაატანს მესხეთურ ნიავს: ჩვენ არავის ვენდობით ჟვანიას მეტსო.

გაგვახსენდება თვეების წინ პარლამენტში აგორებული ფარსი, როცა აზერბაიჯანელი და სომეხი დეპუტატები ერთმანეთს აუხტებიან სხდომათა დარბაზში და ამას მოხყვება გენოციდის საკითხი. ჟაკ შირაკი მოხერხებულად გამოიყენებს სომხეთის 600 000 ფრანგულ დიასპორას არჩევნების წინათ გენოციდის აღიარებით. ჩვენთანაც მსგავსი რამ გათამაშდება. მართალია, ქალბატონ ნინოს ეყოფა პოლიტიკური წონასწორობა გენოციდის თემა განავრცოს, თანაბარი აღმსარებლობით წამოუდგება, როგორც სომხების კაცთაკვლას თურქეთში, ისე — აფხაზურ, ოსურ თუ აზერბაიჯანულ სასაკლაოებს. ხოდა, აი, აგერ, საპარალმენტო არჩევნების მამითადში უნასივით ასისინდება თურქი მესხების რეპატრი-აციის საკითხი ჯავახეთის მკვიდრი სომხების შესავიწროვებლად. აქვე დამოკლეს მახვილივით ჩამოეკი-დება „ბურჯანაძე-დემოკრატების" თავზე ჭანტურია-სარიშვილის მაკომპრომატებელი მასალა პოლი-ტიკური გასამრჯელოს ცალსახა ბრალდებით.

ქრთამი კი ჯოჯოხეთსაც ანათებს. მოკლედ, როცა დასახელებულია ტომრები რუსული რუბლების სათავყრილობოდ, დაქცეულ საქართველოში არც ისე ძნელია ჯოჯოხეთის პოვნა. დახკარი ბარი მიწას და „ლიმონათის ჯოს" მსგავსად ყოველი გოჯიდან ნავთობივით ამოხეთქავს იგი.

არჩევნების ციებ-ცხელება თანდათან ავადმყოფის აგონიას ემსგავსება, რომლის დროს სიმართლე, ტყუილი და ნაბოდვარი ალუფხულია ერთმანეთში გარემომცველთა დეზორიენტაციისათის.

ნუგზარ მოლოდინაშვილის გამოჩენა ეკრანზე ერთგარი შვებაა, როგორც ჩემთვის, ისე — გონებაში ჩავარდნილი ელექტორიატისათვის. მისი რკინისებური ლოგიკის წინაშე თიხის კერპებივით ილეწებიან ხაერით დატუმბული ოპონენტები. მარგველაშვილის ფრანტულ იერს კოტოკივით გადაუვლის ეს სან-გვინიკური ტახი, როგორც თავის დროზე ონორე დე ბალზაკს ეძახდნენ პარიზელი მეტრები. ცოტა ადრე ხომ სახელისუფლებო ბლოკში ლორთქიფანიძის №1 წევრად დასახელება რუსეთის მიერ აბაში-

ძის ჩანაცვლებად მოინათლება ყვითელი მედიისაგან — მეხუთე ხელისუფლებისაგან. ლორთქიფანიძე მართლაც მრავალნაცადი პოლიტიკოსია. მის მხრებზე გადაუვლია შუა აზიაში სამოცდაათი წლების შრომით სემესტრებს. მის კისერზე უხრიგინია გამყინვარებული რუსულ-ქართული პოლიტიკის შემადგენლობათა ბორბლებს, რომელსაც ერევნამდე ჩაუღწევლად ძარცვავენ წივწივაძის მიერ ბერმუდის სამკურთხედად მონათლულ სამეგრელოში.

დიახ, ასეულ ათასობით იბეჭდება პაპავასეული პაპალური პროგრამა, როცა სახელმწიფო ბლოკს ჯერ რგოლიკიც ვერ დაუტრიალებია საარჩევნო ჭი- ნთვების კრიმანჭულში. არ არის ფული. არ არის მატერიალური რესურსი, რაც თავზესაყრელად აღმოაჩნდებათ ,,ბურჯანაძე-დემოკრატებს'' და ცხადია, რეაქციაც არ დააყოვნებს.

ორ ნოემბრამდე 26 დღე დარჩენილა. თბილისს დამკვირვებელთა ახალი ნაკადი ესტუმრება. ბატონ ედუარდს ძარღვები მშვილდის ლარივით დაჭიმვია, რომელსაც გამოხკრავ თითს და მაშაშვილის ლექსის ლირიკული გმირის მიხედვით, ჩანგის ხმას გაიღებს. ეს წუთია და რატომღაც ,,ეროვნულების'' მიერ ,,ცესკოში'' საარჩევნო სიების მთელი 30 წუთით დაგვიანება გამახსენდება, თუმცა დევდარიანის გუნდი სულგრძელობას გამოიჩენს და აბსანძის პარტიას ჩემთვის გაუგებარ ცაიტნოტს □ლუწი რუსთაველიდან კენტ რუსთაველამდე მოღწევას ლამის 4 წელიწადი შეეწირება), თვალს დაუხუჭავს. გულზე მოეფონება ყველას, რადგანაც თავიდან ავიცილებთ პედანტობას, დოგმატიზმს , და სამტრედიის მაჟორიტარ გიორგაძის პრეტენზიებს ნიადაგი გამოეცლება: კაცი ინტერპოლის ძებნილია, პრეზიდენტის ტერაქტის ორგანიზატორობაში ეჭვმიტანილი და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოეშურება იმუნიტეტის მოსაპოვებლად.

ქართული პარლამენტი ხომ გისოსებიდან თავის დაძვრენის უებარი საშუალებაა! ამას ზედ დაერთვის ბურჯანაძის სატელეფონო საუბრის გახმოვანება ეჭვმიტანილ იგორთან და მაინც გასარკვევია ჩემთვის, სად არის უთანხმოების მთავარი რგოლი? სახელისუფლებო ბლოკის ბოლოდროინდელი პოლიტიკური ვექტორი საგრძნობლად გადაიხრება ჩრდილოეთისკენ. თითქოს კომპასის მაგნიტურ ენას მიკერებულა ჩვენი ყოფიერების პე- რსპექტივა. საითკენაც უნდა აყურყუტო იგი, როგორაც უნდა აჟღვლიმო და აციბრუტო, მაინც ჩრდილოეთისკენ აციკინებს პაწუა ენას.

ასლან აბაშიძის პრორუსულობის ამოსაცნობად რაიმე გამადიდებელი ლინზები სავსებით უადგილოა. ამას აფხაზეთის დაცემის დღეს მისი ერთპიროვნული მიპატიჟებაც ადასტურებს სეპარატისტული სოხუმისგან. ადრე გახმოვანებულ ფრაზასაც გავიხსენებ რუსული პრესიდან: ,,ონ სუკინ სინ, ნო ნაშ სუკინ სინ''. ხოლო კვარაცხელიას ყავრისსისქე ჟურნალიდან მოტანილ ფრაზას თურმე არასწორად განვმარტავთ ზემორე: ,,რუსეთი მოდიოსო''. რუსეთი არსად წასულა გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ, მეგობრებო, ახა, 202 წელიწადია.თ ხოდა, იმას ვჩირთიფირთობ, რომ რუსეთი არსად წასულამეთქი. აქედან გამომდინარე ნიანგის ცრემლების ღვარღვარად მეჩვენება გოგუაძის შეძახილი: **„ვერნიტე ბნე ბაიუ რასიუო“**. რომელ დაბრუნებაზეა საუბარი, ბატონებო?! ბრუნდება იგი,რომელიც წაბარგებულია შენგან და არა ყურთბალიშზე თვინიერად მხვრინავი; ვისაც არხეინად ამოუსასთუმლია სამხედრო ბაზები, აფხაზეთ-სამაჩაბლოსი. ტერიტორიები. რომელ დაბრუნებაზეა საუბარი, როცა 202 წელიწადია თეთრი დათვის კვალობაზე დატორილ შენს სხეულს ნეშომპალას მიაყრის ჩვენი დათუჩა უფრო მადისაღმძვრელი დამძორიანებისათვის? მარტივად რომ ვთქვათ, ვერანაირი გამართლება ეძებნება არსებულ ვითარებას:

რუსოფილია აბაშიძე. გავიხსენოთ რანაირად უმტრობს სანდრო ბრეგვაძეს ენაი მისი, როცა ბურჯანაძეს სომხეთის ლობთან კუდის ქიცინს წააყვედრის პრეზიდენტის მანტიის მოპოვების გზაზე;

რუსოფილია ბლოკი ,,ახალი საქართველოსათვის'' — ზოგი აშკარა □რჩეული- შვილი, ლორთქიფანიძე პატარკაციშვილითურთ), ზოგიც — ფარული (ნადარეიშვილი სადოქტოროს მოსკოვში დაიცავს და არა — კემბრიჯსა თუ სტრასბურგში); ,,რაოესი'' სარფიანად დაიიღლიავებს ,,ეიესთელასელებისგან'' მუქთად მოპოვებულ ელექტროსიმძლავრეებს საქართველოში. და ამისთანა გურმანობის ხელსაყრელ ვითარებაში, განგაშის ზარებს ვურისხებთ არჩევნებამდე 24 დღით ადრე ბურჯანაძე-ჟვანიას ტანდემურობას, დავერბოვკების თაობაზე რუსული სპეცსამსახურების მიერ, არ არის განა გასაკვირი?! რაღაც გარიგებების სანაცვლოდ დასახელებულია კოლოსალური ოდენობის ფინანსური დახმარება, რომლითაც საარჩევნო მთაგრეხილის უმაღლესი მწვერვალის დალაშქვრას შესდგომიან ჩვენი მოწონებულნი. განა ამაზე არ ითქმის: ქაჩალმა ქაჩალს სიქაჩლე გაუქილიკაო?! და მაინც 2 ნოემბრის მერმინდელ საქართველოში საპარალმენტო კერძეულობის მთავარი სანელებელი ასლან აბაშიძის ძალისხმევა მეგუნებება, ვინაიდან აშკარა უპირატესობის მოპოვება გაუჭირდება, როგორც ოპოზიციას, ისე — პოზიციასაც. და აი, აქ გაჩაღდება გაუგონარი ვაჭრობა უპირატესობის მოსაპოვებლად.

აბაშიძის ბოლოდროინდელი საარჩევნო სიების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისი სიმპათიები ბურჯა-

ნაძისკენაა საგრძნობლად გადახრილი, ვიდრე შევარდნაძის ფავორიტი ლორთქიფანიძისკენ, ვინაიდან „აჭარის ლომი“ სანდრო ბრეგვაძის პოლიტიკური სივრციდან ფაქტობრივი ამოგდებით ქვეტექსტურად დაამტკიცებს ქალბატონი ნინოსადმი აშკარა თანადგომას; აქ ბრეგვაძის გემბანს იქით მოსროლა გამორიცხული არ არის ერთგვარი თავდაზღვევის ინსტრუმენტიცაა, რათა უშუალოდ „აღორძინების“ ლიდერის მითითებულად არ გაიშიფროს 2005 წლის პრეზიდენტობის მაღალრეიტინგიანი კონკურენტის აკრძალული ილეთით გზიდან ჩამოცილება. ამას დაემატება ჭანტურია-სარიშვილის სენსაციური განცხადება არჩევნების სწორზე, რომლის შესაბამისად ბურჯანაძე-ჟვანია რუსეთის სპეცსამსახურებთან კუდგადაბმული აგენტებია. ინგა გრიგოლიას „ღამის მზერა“ დღითი დღე ძალას იკრებს. ამას ინტერაქტიული ზარების ოდენობაც ადასტურებს; რაც შეეხება თავად გრიგოლიას ქოლერიკულ ტემპერამენტს, იგი 19 დღის მიცვალებულსაც წამოაგდებს ფეხზე ჭარბი ემოციური ფონით. ყველაფერს ემატება ჩვენთვის ესოდენ ნანატრი ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, დაპირისპირებულ მხარეთა შორის თემიდის გულქვა მიუმხრობლობა. გრიგოლიას კომენტატორული სახე კვლავაც მოითხოვს მრავალი დეტალის ჩამოძერწვას რიტორიკის პოზიციიდან. განსაკუთრებით ეს ეხება მრავალსიტყვაობას, თემის წარდგინების პროცესში მოვლენებისადმი გადასწრებას — ანუ ფიგურალურად: ჯერ დავიხოცეთ და მერე ვიქორწინეთ. თუმცა ჩემთვის მთავარია იყოს ცეცხლი და მისი მოთვინიერება ყოველთვის მოესწრება ესთეტიკური ლაგმებით.

9 ოქტომბრის „ღამის მზერა“ მართლაც ჩინებულზე ჩინებულია საკითხის ამომწურავი ანალიზით, მედიატორული წონასწორობით. შარაძე ბრალმდებლად გვევლინება. პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეს თურმე ახლოსაც არ გაიკარებს სპიკერატი თურქი მესხების პრობლემების დალაგებისას. ღოღობერიძე-ჟვანია-სააკაშვილი-ბურჯანაძე ყველაფერს იღონებენ იმისთვის, რომ სტრასბურგში შარაძის სახსენებელი არ გაჭაჭანდეს. აქამდისაც მრავალნაცადი ხერხებით, ვგულისხმობ უეროვნო პასპორტს, მამაწართმეულ პირადობის მოწმობას, სახელმწიფო ენის უქონლობას, პრესის კანონს მოკლებულ სამშობლოს, კანონმდებლობის სივრციდან ამოვარდნილ მართლმადიდებლობას, საქართველოს ევროკავშირში გაერთიანება 400 000 თურქი მესხის ჯავახეთში კომპაქტურად განთავსების ვალდებულებად დაუჯდება, თანაც იმისთანა კონტიგენტისა, რომელიც დემონსტრაციულად უგულებელყოფს თურმე (შარაძე) საქართველოს სახელმწიფოებრიობას და ჯერ კიდევ „მამაპაპურ“ საზღვრებს ვერგამოცდენილი, მესხეთს თურქეთის საფაშოდ აცხადებს. ეს საკითხი 14 წელიწადია შავი ღრუბელივით დაეხეტება საქართველოს ცაზე და დღე-დღეზე წარღვნით გვემუქრება ქართული ფასეულობების ამრეზული იგნორირებით. არადა,ა საქართველო არანაირადაა ვალდებული კომუნისტების მოკვეთილი 80 000 თურქი მესხის სანაცვლოდ 400 000 ანტისახელმწიფოებრივი ბაცილა აზეიმოს ჩვენი საბოლოო დასამარების ხაჩკარებად. სავაროვების ზეპირი მუქარები 14 წელიწადია ყურთასმენაში გვეწვეთება ფარეხის გარშემო მოწრიალე მგლების ხროვასავით და ამ კალოზე მამულიები, ღოღობერიძეები, თუ სხვანი და სხვანი უხვად გალეწავენ საქართველოს მომაკვდინებელ ღვარძლს ღვთაებრივი ხორბლის ნაცვლად. თანაც დემოკრატების მესვეური ლამის დაუძვრეს პასუხისმგებლობას ნემსის ყუნწში გატეული აქლემის მსგავსად. თურქი მესხების საკითხს იგი პრეზიდენტის პრეროგატივად მიიჩნევს, პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილად. ის კი ავიწყდება ბედნიერს, რომ მთავარი და გადამწყვეტი მაინც პარლამენტია, ვინაც რატიფიკაცია მოახდინა, ვინაც მწვანე შუქი აუნთო საქართველოში თურქი მესხების მოსელჯუკებას.

არ მოეწერა ხელი კანონისათვის პრეზიდენტს, ფაქტობრივად განაყარი ახალუხების სამიზნე შეიქნებოდა. აი, კაცო, აბოჟირჟებოდნენ. აი, პიროვნება, რომელიც ნანინატრ ევროკავშირში გაწევრიანებას გვიბლოკავსო. ხოდა, შევარდნაძის ვიზირებულ დოკუმენტს ფორსირებულად მიეცემა მსვლელობა ანტიქართული სულისკვეთების პარლამენტში. თანაც ყველა ეს ანტისახელმწიფოებრივი კანონი ისე ოსტატურადაა შემოპარებული, რომ დავითაშვილის ოყიანი მუშტის გაელვებაზე ცხვირის აბზეკვას ძლივს მოასწრებენ ნადირაძე-მიშველაძენი. საქართველო მანქურთული პარლამენტის მიერ მიზანმიმართულადაა გადაყვანილი დენაციონალიზაციის რელსებზე, რათა ისედაც ჭრელი დემოგრაფიული აღნაგობის ქვეყნის პროფილს ბაბილონის გოდოლის შინაარსის საკანონმდებლო ბაზა შეეფარდოს.

წარმოგიდგენიათ, როგორი კურიოზებია ირგვლივ? ეროვნების რეკვიზიტის ამპუტირებულ პირადობის დოკუმენტის საქართველოში დაკანონებულია სახელმწიფო ენის ვაკუუმი. ეთნიკურად მოზაიკურ საქართველოში არ არსებობს აზერბაიჯანელების სომხებთან საურ- თიერთობო შუალედური ენა; ამჯერად მათთვის საბჭოური რუსულია საკონტაქტო საშვალება, რადგანაც კანონის ძალით ქართულს ეს უფლებამოსილება ჩამორთმევია, თანაც სად?! 78 წლის საქართველოში! 9 აპრილების გეორგიაში! 26 მაისების გურჯისტანში! 14 დეკემბრების ხაიასტნაში.

გასაოცარია ჟვანიას ლოგიკა „ღამის მზერაში“: როცა საუბარია პრეზიდენტის მიერ საქართვე-

ლოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ხელმოწერილ ენის, რელიგიის, პრესის კანონებზე, სხდომათა დარბაზში უმრავლესობა ვერაფრისდიდებით კოწიწდება და როგორც წესი, ყოველთვის განწირულია თაობათა თავის სამტვრევად; ხოლო თურქი მესხების ანტიქართული რეპატრიაცია, ეროვნული პარკებისა და დაცული ტერიტორიების დაკანონება, ფორსირებულადაა მიღებული. ნუთუ არ კმარა სამხილ მასალად? დიახ, კმარა-მეთქი, ძირგამომ თხრელი მავნებლობა თინეიჯერულ კამარას ერთხელაც დასესხებით. თუმცა, როგორც იტყვიან,თან — საქმე.

მარაო და კარუსელი

7 ოქტომბერია. დამკვირვებლების ახალი ნაკადი გვესტუმრება შტატებიდან — მაკკეინი, ტალბოტი, ჯონ მალხაზ შალიკაშვილი. ბრიფინგია პრეზიდენტთან. ბატონი ედუარდის რკინის ნერვებს აქა-იქ აექლიბება ფეთქებისმაგვარი ნამცეცები. ოპოზიციის თავგასულობას საზღვარი დაუკარგავს.

— სად გაიზარდენო, — იტყვის პრეზიდენტი. — ოჯახში ამისთანებს როგორ ისწავლიდნენ, არც — ეზოსა და ქუჩაში. მაინც საიდან აუთვისებიათ უხამსობის ამნაირი დარდუბალაო? — რჩება ერთადერთი დაწესებულება, სადაც მეფენი თავისი ფეხით დადიან. დამკვირვებლების კვარტეტი გადაღლილია ქართული ჩაშვებებით. პრიმიტიული თავის მართლებებია მარჯვნიდან და მარცხნიდან. არსებითზე არავინ საუბრობს.

ჟვანია ირონიით მოიხსენიებს 25 წლის ასაკის ყმაწვილის მიერ ხუდონზე ჩატარებულ ორიოდე აქციას, რომელსაც ქართული ენერგეტიკის დანგრევა მოხყოლია თურმე. თანაც გაოცებით მიმოიხედავს გარშემო:- 16 მილიონ კილოვატ ენერგიას ვაწარმოებდით წელიწადში და სად არის ახლა ეს სიმძლავრეები? რატომ ამის თაობაზე არაფერს იტყვიანო. ,,ამასობაში მისი ოჯახური იდილია ,,ართი კოჩიქ ქუმორთუდოს'' იმღერებს მეგრული სულისკვეთების ხაზგასასმელად, მაგრამ მეგრული პატროფილიის უმთავრესი ქვაკუთხედი სახელმწიფოებრივი აზროვნებაა — ,,ქართლ-კახეთი-იმერეთი-გურია და სამეგრელო'', ყველა ჩვენი სამშობლოა როა, საყვარელი საქართველო. ან კიდევ დაახლოებით ამნაირი შემართულობა — ,,ხა, მშვილდი და ხა, ისარი, ლარი დაწყდეს ლამის არი, ჩვენ ვინ მოგვცა გასაწირი საქართველო საფიცარი! ხა, მშვილდი და ხა, ისარი, ლარი დაწყდეს ლამის არი, ორგულა? ძმაც რომ იყოს, ქორწილის დღეს მიუსწარი!''

საქართველოში ყოფნა-არყოფნის ვითარებაა და პრეზიდენტს დერეფნებში გამოკრული ფურცლების თაობაზე ეკითხებიან, რომელიც გარკვეულ სართულებზე ფოტოაპარატისა და კინოკამერების ჩხაკუნს კრძალავს. ესეც შენი სიტყვის თავისუფლების ხელყოფა! დემოკრატების ანჟელიკა დესტაბილიზაციის საფრთხეს ლანდავს სრულიად საქართველოში და უშიშროების საბჭოს გაფართოებულ სხდომას მოითხოვს. დღითი დღე ალტერნატივასავით იკვეთება ქალბატონი ნინო.

ხობში კობზონის ჯგუფის სამდღიანი ზეიმია .

გოდერძი ბუკიას თაოსნობით არჩევნების წკიპზე ხალხური სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდება.

სოტკილავაც ჩამოვაო, მიმტკიცებენ.

პოლიტიკით გაჯერებულა ხეივანი და ქუჩა, ოროღბე და თემშარა, დერეფანი და შუშაბანდი, მიკროორაიონი და კვარტალი, ოთახი და ლოგინი.

საუბრობენ ზედმეტ 600 000 ამომრჩეველზე. გოგოლის მკვდარი სულები აქეთკენ გამოშურებულან დივიზიონების სიმწყობრით ხელისუფლების დასახმარებლად; მაგრამ აგერ, არა გაქვს ოჯახქორო, სიები? აღწერის მასალები? გადაამოწმე, იანგარიშე, გამოაკელი, მიამატე, სულ რომ თავს აციკინებ მამა აბრამის ბატკანის უცოდველობით, ერთხელ იქნება მწყემსის კომბალი მოგეხათქუნება ნაპატიებ დუმაზე, რადგანაც შენი შემწეობითაც წაღლეტვია მოსახლეობას ის მილიონები თუ ათასები. თუმცა არა და არა! ცალ კარში თამაშია.

ოპოზიცია დაქსაქსული ძალებით უტევს მუშტივით შეკრულ ტროას, და აღარც ხის ცხენის გამომგონებელია ვინმე. ტილბოტებისა და მაკკეინების მისიები ნაკლებად ივარგებენ ამ მიმართებით. ისევ ინტერაქტიული გამოკითხვების საცოდაობაა. ტელეკომპანიები უსირცხვილოდ აფრიალებენ საზოგადოებრივი აზრის გამომზეურების აპრობირებულ მეთოდს და უტიფრად გვთავაზობენ ოპოზიციაპოზიციას შორის ფორმულასავით დამკვიდრებულ თანაფარდობას — 75:25. თანაც საჯაროდ აქილიკებენ დავითაშვილის მსგავსად გლდანის გამგეობაში გაჩაღებულ გადმორეკვებს. თურმე ხელისუფლებას საგანგებოდ დაუვალდებულებია ხელქვეითები დღედაღამ ტელეფონის ციფერბლატი ატრიალონ ციგანი არღანჩიკივით. ვითარებას ამნაირად თუ იყნოსავ, დააყენე ამომცნობი აპარატები, ბემურაზო, და შავი თუ თეთრი უმალ გაირკვევა, მაგრამ მე უფრო მათიანების გაათკეცებული სიმრავლით გაბე-

რილი მგონია უფასო ზარების ათასეულები. ერთი და იმავე აბონენტი 19-ჯერ რომ დაგიფიქსირდება ეკრანზე, იბღავლე, შესძარი ცა და მიწა, თუმცა მგონი პირიქითაა საქმე. ან რანაირად უნდა გერწმუნო შე მართლაც ოტროველავ, როცა ჩემი ხალხის გასარჯნელად მილიონებს გიჯიბავენ; როცა იღლიაში კიტრი გაგჩრია და პომიდორიაო იძახი? თეთრზე შავიაო, ყეფ და წითელზე ყვითელიო, კნავი? მხოლოდ მრეწველები შეახსენებენ ,,დემოკრატიული'' აშშ-ს ემისარებს საარჩევნო მაქინაციების სადაურობას; რომ ეს ტრიუკები მათთან მოჩხიბული მონეტები უფროა... წაუყრუებენ ამისთანა პწკენებს მარაოებითა და კარუსელებით ქებული სტრატეგიული ჩვენი ძმები, სამაგიეროდ ქართული სამზარეულო აღაფრთოვანებთ ფრიად.

თავის დროზე ,,არაფორმალობის'' ატაცება დაგვაქცევს ჩვენ. ,,არაფორმალობა'' მინისტრობაზე გასავლიანი გახდება ერთი პერიოდი და ახლა ტოლფარდოვანი ბუმია, ოღონდ — ,,არასამთავრობოების'' ეგიდით. ქალბატონი ჩიქოვანი თავისუფლების ინსტიტუტიდან საინტერესო დაკვირვებას შემოგვთავაზებს გრიგოლიას ,,ღამის მზერაში'':

— ბურჯანაძე განსაკუთრებულ პირობებშია ჩაფენებულიო. ჯერ ერთი თავის სათვისტომოს მარტოკა წარმოადგენს ერთპიროვნულად, მეორე — ერთადერთი ლიდერია საარჩევნო ბლოკთანგან, რომელიც მაჟორიტარადაც იყრის კენჭსო წივწივაძის კვახჭირის მიდამოებში; თუმცა სამიოდე კვირაც და, აგერ, ჩამოუსახლდება მაჩაბლის ცამეტიდან მეთხუთმეტე ნომრად ,,ლოზუნგების ქვეყნის'' ავტორი და არკვიონ მერე ერთმანეთში ვის უფრო მეტი სოკო უჭამია.

ჟურნალისტების საორშაბათო ბრიფინგია პრეზიდენტთან-მეთქი, მიხსენებია. აფხაზეთის ტელევიზიის პირველ სტრუნას ცხვირი ჩამოუშვია, ვეღარ გაუფანია საარჩევნო სიებში ლეგიტიმური აფხაზეთის ლიდერს მეოთხე კანდიდატად, თუმცა გენერალი ორკვირიანი სიხშირის საეთერო სივრცის ამორძალისთვის თავს რაფერ მოიკლავს, პრინც ოლდენბურგისა და ხოშტარიას გაშენებულ გაგრის სამფლობელოების დაბრუნებაზე ყამასავით ამოუშვიშვლებია გაეროს მეშვიდე მუხლის ამოქმედება — ძალადობის ფაქტორი.

სულ მალე პარლამენტარი ჯანსუღ ეზუგბაია დემონსტრატიულად დატოვებს სახელისუფლებო ბლოკის პერიფერიულ მწკრივს. ო, სანკტა სიმპლიციტას! ო, წმინდა უბრალოებავ! მაინც გაურკვეველი რჩება ბრეგვაძის ჭონიასაით შეჭმა ,,აღორძინების'' კასრში: ასე უმოწყალოდ რისთვის გაიწირება ერთგული ჯარისკაცი სანჯაყის თავკაცისაგან? იქნება მიუთითებენ რაიმე არსებითს ქოლინტონის ქვისლები? ან სტრასბურგში ჟვანიასთან შეხვედრისას შეიკმაზება რუსეთუმული უხა?!

— არ გვინდა ეს უცხოელებიო, გაწიწმატდება ერთგან პრეზიდენტი, როცა მარნეულის მოსახლეობა თბილისს მოაწყდება. ფული პირწმინდად გადაუხდიათ, საუკეთესო მაჩვენებლებით თავმომწონეობენ მთელს რესპუბლიკაში და ირლანდიელი მენეჯერების ცინიზმს საზღვარი წაშლია — სათბობ-ენერგეტიკის ახალ მინისტრთან შეხვედრისას შემომიცურდება გონებაში ეს სიტუაცია. იური გუგუჩიას გაფართოებულ უფლებებს მიანიჭებს ბატონი მამუკა ნიკოლაიშვილი და ერთგვარ შვებასაც ვიგრძნობ მისი ეროვნული პოზიციის გამო, რომელსაც წინამორბედი აბსოლუტურად მოკლებულია. სხვანაირ შემთხვევაში, ინვესტიციების ბუმის საქართველოში ენგურხესელებისათვის 10 მილიონი ლარი ზღვაში წვეთია და ისიც — სანატრელი.

ასეთი გამჭვირვალე პრეზიდენტი არასდროს მინახავს. ასაკოვანია თითქოს, ოთხმოცს მტანებული, მაგრამ ჭაბუკური ენერგიით სავსე, მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორივით მონოტონურად რომ აზანზარებს გარშემო ყველაფერს.

თავის დროზე ეროვნული ხელისუფლების ციხე-სიმაგრეში უცხოური სამსახურები ,,ტროას ცხენის'' სახით ,,არაფორმალობის'' სინდრომს შემოგვიგდებენ, რომელიც ჩინებულად შეასრულებს თავის დანიშნულებას, ვინაიდან ყველა უბირი და შარახვეტია ჯართივით აეწებება გამსახურდიას ზესიმძლავრის მაგნიტურ არეს. მოკლედ, ამ იდეას ჩაბღაუჭებული მრევლისაგან უსაშველო გაზავებით საბოლოოდ გაწყალწყალავდება ეროვნული ნამუსიანი ღვინო. ახლაც მსგავსი სიტუაციაა. ახლაც ,,არასამთავრობოები'' შემოგდებულა ,,ტროას ცხენად'' ჩვენი სამშობლოს მერამდენე დამხობის გზაზე. დღეს ფაქტობრივად ,,არასამთავრობოების'' ქოლერის ალაგმვა ნომერ პირველი პრობლემაა ერისგან და ბერისგან.

ნიკოლაიშვილთან სამეგრელოს რეგიონის წარმომადგენლების შეკრებას დავუბრუნდეთ. ირლანდიელი მენეჯერები ხეოფსის პირამიდის მუმიასავით სხედან. თარჯიმანი აქა-იქ ოსტატურად გამოტოვებს ხოლმე უხერხულ ფრაზებს. ,,თუთაშხიას'' გვერდებიდან გადმოსული ბეზარაშვილია, რომელიც დედა ეფემიას და დათას შორის დაჭიმულ უთანხმოების სიმს ოთხთავის დოგმებით მოაფოლხვებს ხოლმე კონსენსუსის მისაღწევად.

— თქვენ ამჯერად საკითხისთვის მომზადებულები არ ხართო, — დელიკატურია მენეჯერების მიმართ ჩვენი მინისტრი და იქვე დასძენს უთარგმნელ ფრაზას: — მოვკვდე თუ ამათ ენერგეტიკის ინჩიბინჩი

იცოდნენო.— ცხადია, თარჯიმანი ამ წინადადებასაც გამოტოვებს ნაცადი დიპლომატიით, ჩემი საყველპური ინგლისურის კვალობაზე.

მაშინ დაძრავს ხმას ხობის გამგებელი მიქავა:

— დამიდევით, ბატონებო, ხელშეკრულება. მე წინასწარ გადაგიხდით სამი თვის ელექტროენერგიის თანხასო.

გაუხარდებათ მენეჯერებს. გამოცოცხლდებიან.

— ხო, წინასწარ გადაგიხდითო,— არ ცხრება უტუს შთამომავალი ანგული მიქავა,— მაგრამ შუქის მოწოდებაც სტაბილური უნდა იყოსო,— დაასკვნის.

დაყაბულდებიან ირლანდიელი მენეჯერები. და მაშინ ირონიით დააკონკრეტებს მინისტრი, რომ — ესენი ძმაო, ენერგეტიკაში მთლად ყუმები ყოფილანო, ვინაიდან ჩვენი სისტემის უცოდინარი მართლაც გაუფორმებდა ხობის გამგებელს ხელშეკრულებას აღნიშნული პირობებით, და პირწმინდად გაკოტრებდაო.— აღმოჩნდება, რომ სენაკისთვის და ფოთისთვის შუქის მიუწოდებლად, ხობის ელექტროსისტემაში თურმე ვერანაირად შეხვალ შეხვალ ხობი განმხოლოებული არ არის და როცა რეგიონის სხვა ობიექტებს უთიშავენ ელენერგიას, აქ ხობიც ავტომატურად გამოირთვება. ნაგოლგოთარი გონება ისევ ენგურხესზე გადამისვრის. თებერვლის მიწურულია. კაშხალში წყალი თითქმის დაცლილა. იქ, კიბეებით დავეშვებით მე და სიყრმის მეგობარი ვახტანგ მიშველია. იქ გამოვენთებით მზერით ფოტოაპარატის ობიექტივიდან გამოფრენილ ჩიტებს. ორმოცვერსიან გზაზე კი უამრავ თემას გავაანალიზებთ იქით-აქეთ და ამათთაგან სამახსოვრო უწინარესად ენერგეტიკის პრობლემებია, რომელსაც მძივებივით ასხმია დანარჩენი მსხვილმან-წვრილმანი ყოველდღიურობა, თუმცა ყველაფერზე — რიგისობის მიხედვით.

დათმობა ძლიერთა ხვედრია

თეზა

სტრატეგიული საქართველო აშენებულია; ჩვენი სამშობლო აღჭურვილია საერთაშორისო ასწლოვანი ფუნქციით; კლინტონის მიერ „საუკუნის პროექტად" სახელდებული „დიდი აბრეშუმის გზა" ფეხს აიდგამს. ქარავანი დაიძრება და ამიერიდან ეს საშვილიშვილო მონაპოვარი ცეცხლზე შემოდგმულ რძესავითაა მოსაფრთხილებელი; მის განუხრელ წინსვლას ხელი არაფერმა უნდა შეუშალოს, თუნდაც ოპოზიციის ქედმაღლურმა გნიასმა.

დათმობა ძლიერთა ხვედრია. კომპრომისი ბრძენის თანდაყოლილი თვისებაა, ვინაიდან თავქარიან ცალმხრივს მამაზეციერისაგან წართმევია დროული უკუდგომის უნარი და იგი ადრე თუ გვიან თვითვე შეეყრება სნებას. სტრატეგიული საქართველო აშენებულია. 13 წელიწადია ვესწრაფვით ჩვენ ამ სანუკვარ დღეს. უამრავ სისხლის და ცრემლის ნაკადულს გავილებთ მის აღსასრულებლად. თვალს დავუხუჭავთ ჩვენს ნებაყოფლობით მძარცველობებს; წავუყრუებთ თავს მოხვეულ შიმშილს და სიცივეს; დავთმობთ ტერიტორიებს; ეროვნული ფასეულობების გარკვეულ ნაწილს ვუმსხვერპლებთ მოსყიდული მას-მედიის გაჩაღებულ უთანასწორო ინფორმაციულ ომს.

მიგვითითებენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მეგობრები: **მოაწესრიგეთ ურთიერთობანი რუსეთთანო** და ჩვენც შემხვედრ ნაბიჯებს გადავდგამთ გუშინწინ აფხაზეთში ტფილით დაპირისპირებული მეზობლისკენ. დაიბადება სრულიად ახალი თვისებრიობის მსოფლმხედველობა ჯვარედინული კონცეფციის სახელით, რომელიც ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალის მიმართულებით საქართველოში გადაკვეთს „დიდი აბრეშუმის გზას" და პირველად კაცობრიობის ისტორიაში ვიწრო ეროვნულ ინტერესებს ზედმიწევნით შეერწყმება სრულიად დედამიწის გლობალური მიზანსწრაფულობები.

სტრატეგიული საქართველო აშენებულია. ეს არ არის მხოლოდ დერეფნის, შუშაბანდის ორპირი ქარის წელკავი. ან მხოლოდ მილსადენის სინდრომი ეკოლოგიური თავსატეხებით, არამედ, უწინარესად, ასწლიანი სამშვიდობო გარანტიები რეგიონში. დღეს უკვე სახელმწიფოს ზარბაზნები კი არა, კაპიტალური დაბანდებანი უქმნიან უსაფრთხოების უტყუარ პირობებს; ყოველი დოლარი თუ რუბლი, რომელიც ჩაიდება ჯვარედინული კონცეფციის პროგრამაში, მეხამრედივით დაგვიცავს გარეშე თუ შინაური კონფლიქტებისაგან; გამოათავისუფლებს ქვეყანაში კოლოსალურ სამხედრო ხარჯებს მძიმე სოციალური ფონის გასაუმჯობესებლად. ამასთან, ჯვარედინული კონცეფცია პოლარული ორი მსოფლიოს კეთილგონივრული დაახლოების უტყუარი წინაპირობაა მინიატიურაში, უჯრედ-საქართველოში.

ქვეყნიერების ისტორიაში პირველად, დიახაც, ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულა ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის გრანდიოზული აქტი, მოძებნილია ათწლეულების მანძილზე გახლეჩილი მსოფლიოს თანაქმედების ფორმულა და ამ საშვილიშვილო პერსპექტივის წყალში ჩაყრა ჭირვეულ ოპოზიციასთან საერთო ენის ვერგამონახვის გამო, დანაშაულებრივია ერის თუ ბერის სახელით.

ანტითეზა

ხელისუფლება ბირთვია, ოპოზიცია — მთელად ვერშემდგარი ნაწილების ჯამი. სტრატეგიული ომის მოსაგებად ხელისუფლება თვალს უხუჭავდა ტაქტიკურ დანაკარგებს. ლიბერალური მიდგომებით ჩამოყალიბდება ოლიგარქიული საქართველო საშუალო ფენის გაღატაკების ხარჯზე, მაგრამ ბრძანებს პრეზიდენტი ურეკში „იმედის ქალაქის" პრეზენტაციაზე: **საქართველოში იქნებიან მდიდრები და არ იქნებიან ღარიბებით.** ეს ხელისუფლების პრიორიტეტების მიმანიშნებელია — განუხრელი ბრძოლა სოციალიზაციისათვის, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, რაც ოპოზიციის ანჩხლობის საფუძველთა საფუძველია უმთავრესად.

სტრატეგიული საქართველოს აშენების გზაზე 2.6 მილიარდი აშშ დოლარის კრედიტ-გრანტები შემოვა ჩვენს ქვეყანაში, რომელთაგან ყველა ფინანსური ინტერესი როდი შეესაბამება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, მაგრამ ხელსაყრელი საინვესტიციო ფონის შესაქმნელად ოფიციალური თბილისი თვალს უხუჭავს მათ მერკანტილურ მიზნებს; როცა სახლი იწვის და შიგნით მწყურვალი კაცი გამომწყდეულა, წყალს ჭიქით კი არ მიურბენინებენ, არამედ — ვედროებით მიასხურებენ, რათა ვიხსნათ ადამიანის სიცოცხლე შენობასთან ერთად. წყურვილი ცოტას მოიცდის. ჩვენ, ცეცხლმოკიდებული საქართველოს მწყურვალ მოქალაქეებს, ამ უჩინარი ხანძრის ჩაქრობით საუკუნო ფუნქცია მოგვიპოვებია და აწი შიდა პრობლემების მოწესრიგება ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებულ ოპოზიციასთან კონსტრუქციული თანამშრომლობის ხელოვნებაზე ჰკიდია.

დათმობა ძლიერთა ხვედრია. თავიდანვე არანაირი წინააღმდეგობაა „ახალმემარჯვენეების", „მრეწველების" თუ „ლეიბორისტების" პლატფორმებში პოლიტიკური კავშირის შესაკრავად, მაგრამ ეგოისტური ახლომხედველობით ვერ ვაჯობებთ ერთპიროვნული მმართველობის ჩანასახშივე მცდარ ცდუნებას და მივიღებთ კიდეც ქვეყნის მმართველობიდან ჯანსაღი ძალების განთესვის მოურჩენელ ჭირს. ყველაფრის მიუხედავად მადლობა თითოეულს ქვეყნისთვის კრიტიკულ ჟამს მაღალი სახელმწიფოებრივი აზროვნების გამოვლინების გამო!

ოპოზიციის მეორე ნაწილი სოროსის ანტიეროვნული ტოქსიკონებით გამოსუქებული ეგზითპოლების აღიარებას მოითხოვს; მოითხოვს მოსყიდული „პარალელური დათვლის" შედეგების ლეგალიზაციას. უკვე მთელი მსოფლიო ლაპარაკობს სოროსის დაპირისპირების თაობაზე ბუშ-უმცროსთან და პირველობის მოწადინე ნაციონალური მოძრაობა მაინცდამაინც ამერიკის პრეზიდენტის მოქიშპე ძალას შეეკვრება სახელისუფლებო რეგალიების მოსაპოვებლად. თუ მსაჯი მოსყიდულია რინგზე, გნებავს გიორგი კანდელაკს შერკინებიხარ, უცილობლად მოიძებნება შენი ჩემპიონობის საფუძველი, მაგრამ დათმობა ძლიერთა ხვედრია, მით უფრო, როცა საფრთხე ემუქრება საერთაშორისო ფუნქციამოპოვებული საქართველოს მომავალს.

ოპოზიციის მეორე ნაკადი უფრო კატეგორიულია — 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაუქმებას მოითხოვს საერთოდ. მათი მიზანი ერთუცნობიანი განტოლებაა: რამენაირად შენარჩუნდეს სტატუს კვო; საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები დაემთხვას ერთმანეთს დროსა და სივრცეში; უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არანაირად მოვიდეს გონებაფხიზელი ეროვნული ძალები და ამგვარი უმრავლესობის ვაკუუმით შენარჩუნდეს ანტიეროვნული თუ ანტიადამიანური კანონების წყება, რომელიც ქვეყნის მფლეფელი ზოგი საერთაშორისო ფონდის საქართველოში პარპაშის ერთადერთი ბერკეტია.

„ბურჯანაძე-დემოკრატების" ტაქტიკა პოლიტიკური ტაიმ-აუტია შექმნილ სიტუაციაში, რათა პარლამენტში მოსულმა ჯანსაღმა ძალებმა ანტისახელმწიფოებრივი კანონების დეზავუირება ვერ მოახდინონ; ვერ შეძლონ ჩვენს პირადობის მოწმობებში მამის სახელის, ეროვნების რეკვიზიტის აღდგენა; არ მიენიჭოს ჩვენს მართლმადიდებლობას დომინანტის ფუნქცია; არ მიებოძოს ჩვენს ენას სახელმწიფო სტატუსი; არ აღემართოს შლაგბაუმი ჯართის, ხე-ტყის თუ იაფფასიანი მუშახელის განუკითხავ გადინებას ქვეყნის ტერიტორიიდან — ტრეფიკინგს, მაგრამ დათმობა ძლიერთა ხვედრია. მით უფრო, როცა სტრატეგიული ომი მოგებულია; როცა საქართველო საუკუნოვანი საერთაშორისო ფუნქციით აღჭურვილა; როცა ინსპირირებული დესტაბილიზაციით საფრთხე ექმნება მსოფლიო თანამე-

გობრობის კეთილ განწყობას საქართველოსადმი.

სინთეზი

სტრატეგიული საქართველო აშენებულია. მოპოვებულია ასწლოვანი საერთაშორისო ფუნქცია. ელიტარული მსოფლიო მხარში გვიდგას. ამერიკული და რუსული ინტერესები საქართველოში გადაკვეთილა. აქ ჩასახულა, აქედან აუდგამს ფეხი ჯვარედინულ კონცეფციას, როგორც მთელი პლანეტის მოქმედების სახვალიო პროგრამას.

მაშ, რატომ არ უნდა დაუთმოს ძლიერმა სუსტს?! მაშ, რატომ არ უნდა მოინახოს კომპრომისული ვარიანტი თუნდაც საკამათო სიებით, გოგოლის მკვდარი სულებით, ორ ძიძას შორის ნაგვემი არჩევნების გასაბათილებლად?!

მართალია, ამგვარი მოთხოვნა მორიგი ტვირთია ისედაც გაწამებული ჩვენი მოსახლეობისათვის, სამაგიეროდ ხელისუფლების სახელმწიფოებრივი აზროვნება დროთა ვითარებაში დავა მისი კანონიერი ამომრჩევლის ცნობიერებამდე. როცა მყარი საძირკველი ჩაყრილია, მაშინ კედლების აშენებისათვის ყოველი შრომა საშვილიშვილო ენერგიით იმუხტება. ამის გარანტი კი ბატონ ედუარდის ლამის სამასხროდ ქცეული ხანმოყრილობაა, ყელში ამოყვანილი კანონიერი პრეზიდენტობის თვრამეტთვიანი ვადა!

დათმობებს ამისთანა სიტუაციაში ხელისუფლების მხრიდან, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე „ნაციონალების" სასარგებლოდ გონივრულ უკუდგომას, ახლავს ერთი სერიოზული საფრთხე — ხელისუფლების უზურპაცია ადრინდელი გამოცდილებით. ჰოდა, ამ საშიშროების გასანეიტრალებლად იქნებ არსებულმა პარლამენტმა უზრუნველყოს ქვეყნის პრეზიდენტის უფლებამოსილების გაფართოება.

დაბოლოს, ყოველივე მიუღებელი თუ აღმოჩნდება მხარეებისთვის, იქნებ ერთხელაც გვეთხოვა ბეიკერისთვის საქართველოში ჩამობრძანება და კომპეტენტური მედიატორული სიტყვის თქმა. ასეთი გადაწყვეტილება არ უნდა იყოს დამამცირებელი ვინმესთვის. 2 ნოემბრის არჩევნები ხომ, დიახაც, ბეიკერის ფორმულით განხორციელებულა?! ამას გვიკარნახებს ისტორიული გამოცდილება, თუ კაცობრიობის შემოქმედი ვაშლი რანაირად გადაიქცევა ტროას ათწლიანი ომის საბაბად და ილიონის იავარქმნის მუხტად.

საქართველოსთვის ყველა და ყველაფერი!

საქართველო ყველაფერსა და ყველაზე მაღლა!

დათმობა ძლიერთა ხვედრია, მით უფრო, როცა სტრატეგიული საქართველო აშენებულია და ჯერი ტაქტიკისაა იმედის ქალაქის პრეზენტაციაზე გაცხადებულისამებრ: **საქართველოში იქნებიან მდიდრები და არ იქნებიან ღარიბები!**

15. 11. 2003 წ.

P. S.

არის დილემა: მთავრობას სახელმწიფო ფუნქციის მოპოვების გზაზე ხელიდან გაექცევა მონგოლოიდური ტროიკას სადავეები.

გამრავლდებიან ესენი?! იბარტყებენ ისინიც! გამდიდრდებიან ესენი?! აივსებიან ისინიც!

ახლა, მართალია, მოპოვებულია ძირითადი ასწლოვანი სტრატეგია „დიდი აბრეშუმის გზისა" და ტრანსკავკასიის მაგისტრალის შეპირაპირებით, მაგრამ პირწმინდად წაგებულია ტაქტიკური ბრძოლა შინ, საკუთარ ხალხთან. დარღვეულია ორომტრიალის ცნებაში პროპორციული მიდგომების პრინციპი — **6 : 4**-თან, სადაც „ექვსი" პრიორიტეტია და „ოთხი" ამ პრიორიტეტის მშენებელმომხმარებელი საზოგადოება. ამჯერად თანაფარდობა ამ თვალსაწიერით შეესაბამება წონასწორობას **8 : 2**-თან.

წინააღმდეგობა წავიწროვებულია ჯოხის ბოლოებისკენ.

ცენტრიდანული ძალები სახიფათო აკუმულაციას განიცდის.

სტრატეგიულ მონაპოვრებს ჩაქოლვას უქადის ტაქტიკური დანაკარგები, რაც ფაქტობრივად საქართველოს უფსკრულში გადაჩეხვას ნიშნავს, თავად დედამიწის ცივილიზაციის დაჩლუნგების წინაპირობაა, ვინაიდან ვერ განიკითხოს დანარჩენი მსოფლიო ქართული ეთნოსით, ზოსიმესეული წინასწარმეტყველებით. ამიტომაც ხელისუფლება ვალდებულია თუნდაც უპირატესობის დათმობის

ფასად მიაღწიოს უმთავრესის გადარჩენის რეალობას, ფუნქციის შენარჩუნების სიცხადეს. როცა მშიერი კაცი იხრჩობა მდინარეში, უფრო მთავარი მაშველი რგოლის მიწოდებაა, ვინემ — ბუხანკა პურისა. როცა მწყურვალი ადამიანი ცეცხლის ენებით გარემოცულა, უძირითადესი ხანძრის ჩაქრობაა, ვიდრე მისი დამწყურვალება. ეს პროცესი ჩავლილია. გამოყვანილია ნაპირზე დამამხვრჩალი. გამოხსნილია ცეცხლიდან დასანაცრად გამზადებული. თუმცა ყურადსაღებია ისიც, რომ ეს პიროვნებანი გემოთმოყვარე და სითბოს მაძებარი გახლავან თავიანთი ბუნებით. აქვე იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ცეცხლის და წყლის პრიმატი არსად გადაშენებულა ჩვენი გარემომცველობიდან, უბრალოდ მათი ჩარჩოები მიმოვწიეთ დროებით. ჩაქრობილია ცეცხლი. გამოვტაცეთ მდინარეს ძეცდომილი, მაგრამ იგი მშიერიცაა და მწყურვალეც ერთდროულად. აი, როგორი საქართველოა ჩვენს წინ 2 ნოემბრის არჩევნების მოლოდინში. რა მოვიმოქმედოთ? ეს მონაპოვრები ვანაცვალოთ ახლა ჩვენი ნამარხულები კუჭის მაქსიმალურ ზეიმს? სიბეცეა, ჯანმრთელობისთვის საზიანო, ჯეკ ლონდონის ორცხობილების მუთაქაში მჩურთავი ოქროს მაძიებლის ცხოველური თადარიგი. ყველაფრის გათვალისწინებით 2 ნოემბრის არჩევნები ფაქტობრივად საქართველოს მომავალი პრეზიდენტის კბილების გასინჯვაცაა და აქ რომელიმე ძალის გამარჯვება გარედან ჩაურევლად, შინაგანი რესურსებით, ყოვლად წარმოუდგენელია.

არც ისა ვარგა...

გამგებლის ერთი დღე

ანუ ინტერვიუ, რომელიც
ნახევარი წელიწადი მზადდებოდა...

აფხაზთაგან ანტიქართული გამოსვლების დღეებში, როცა ამ ორ ღვიძლ ძმა ერს შორის სახელმწიფოებრივი ბზარი ჯერ კიდევ არ ჰგავდა უფსკრულს, როცა მორდუს ხელით განგმირული ვოვა ვეკუას სხეული თბილი იყო ჯერაც, ხოლო აფსუა-სეპარატისტების დასასჯელად ზუგდიდლების თაოსნობით სრულიად სამეგრელო მიბობოქრობდა ღალიძგასაკენ, ორმოცამდე პარტიის წარმომადგენლით გარემოცულმა, აწნეტარხსენებულმა მერაბ კოსტავამ, ბრძანა სასტუმრო ,,ოდიშში'': ზუგდიდი ეროვნული მოძრაობის მეორე ფორპოსტია თბილისის შემდეგო, ბრძანა და იქიდან მოყოლებული სამეგრელოს ისტორიულმა ეპიცენტრმა ლამის გადააჭარბა დედაქალაქს საჯარო გამოსვლებითა და მღელვარებებით.

უმართავმა ბრბომ ძალაუფლება იგდო ხელთ. გაიწმინდა ქალაქი პროლეტარიატის ბელადების ძეგლებისაგან. იმ დღეებში დაიტაცეს იარაღი აქტიურმა, მაგრამ ეროვნული ინტერესებისათვის ნაკლებად თავის შემწუხებელმა პირებმა. სახალხო საქმის სახელით ძვირადღირებული მანქანები მიისაკუთრეს მავანთა.

ქალაქკომის მდივნები შეძრწუნებულნი უმზერდნენ ამბოხებულებს. მერე ერთმა, მთლად უფროსმა, ,,ფანჯრებს მოშორდით, არიქა, აქეთ არ დაგვიმიზნონო,'' ამოთქვა კუთხეს მოფარებულმა და ჩემთვის ცასავით ნათელი შეიქმნა, რომ კომუნისტების ოდესღაც იარაღით მოპოვებული ხელისუფლება სრულიად უმტკივნეულოდ, სრულიად უწყინრად გადადიოდა უფრო აქტიური ძალის ხელში, რომელიც თავისთავს ეროვნულს უწოდებდა. და შემდგომში, როგორც მოვლენების განვითარებამ დაგვანახა, თურმე იოლად მოპოვებულს ადვილადაც თმობენ. ზუგდიდის ბედი ქართველი ერის იღბალია მთლიანად, ზუგდიდი და რუსთაველი ორი, ერთი საშვილიშვილო ტრაგედიის ურღვევი რგოლია და მაინც თბილისისაგან განსხვავებით ზუგდიდი საქილიკოდ იქცა პრეზიდენტის ერთგულების გამო ათასი ხელმოცარული მოპოეტო-მომწერლო-მორეჟისორო გვამისაგან, რომ არაფერი ვთქვათ მოძმეს ხელითვე ნაჯიჯგნ-ნაწამებ უბიწო მის სხეულზე, მაგრამ ნათქვამია, წყარ ნაწყარს დო შარა ნაშარსია და ბარაქალა შენ დედულეთო, ჩემო, ვისაც საქართველოს ხერხემლობა განგესაზღვრა აწ და მარადის ეროვნულ მისიად. მოკლედ, მავანთა ჯინაზე ვერ გამოიჩეკა სამეგრელოსაგან საქართველოს გამცემი, ქართველთა საერთო ინტერესების დამამხობელი ისკარიოტელი.

პრობლემები კი პრობლემებადვე დარჩა. პირიქით, გაფუჭებული გაპარტახდა უფრო. ეროვნულმა დაუმორჩილებლობამ, რომელიც ცხადდებოდა ჩვენი მშვიდობიანი ბრძოლის ტაქტიკად, დაგვიტოვა. ათასობით გატყვებული სახნავ-სათესი და გაჯაგნარებული ჩაის პლანტაცია, კუდის რიკამდე გაძარცვულ-გატყავებული წარმოება-დაწესებულებანი, აფეთქებული ხიდები, დანჯღრეული გზები, მითვისებული საზოგადოებრივი პირუტყვი და ფრინველი, განუკითხაობა ყველგან და ყველაფერში.

თითქოს და საკუთარი პრობლემები აკლდათ, ასიათასამდე ცარიელ-ტარიელი მეზობელი მოადგა კარზე სამურზაყანოდან ზუგდიდს. არც ცილისწამება დაუშურებია მისთვის ავნებს, როცა თითქოს ზუგდიდი პოლიტიკური მოსაზრებით უკუაგდებდა გაჭირვებაში ჩავარდნილ თვისტომს. დრო დიდი მკურნალია. ნელ-ნელა ბურუსი გაიფანტა და მიხვდა მთლად უბირიც კი, რომ ფრონტის ხაზით გათიშული კოდორს იქითა მოსახლეობა ვერაფრით მოხვდებოდა ზუგდიდში ჯოჯოხე-

თურ ყიამეთში საკენის ულელტეხილის გაუვლელად. ქართველებს ბედმა არგუნა წილად საკუთარ გოლგოთაზე აზეითებით მოეხვეჭა ცხოველი სული, — მკვდრეთით აღმდგარიყო ფენიქსისამებრ მერამდენედ. ვიდრე ჰუმანიტარული ტვირთი ცხრა ზღვას და ხელს გამოივლიდა, რათა ულუკმა-პურო ლტოლვილამდე მიეღწია, ოდესღაც ხელგაშლილ ზუგდიდელს ღომითა და ლობიოთი უხ-დებოდა ოცი-ოცდაათი-ორმოცი უთვისტომო სტუმრის გამოკვება. პოლიტიკური შეხლა-შემოხლა კვლავინდებურად გრძელდებოდა. გალელები ზუგდიდლებს ადანაშაულებდნენ აფხაზეთის დაცე-მაში.

— თქვენ რომ ზვიადისტობა მოგეშალათ და საერთო მტრის წინააღმდეგ დროულად აგესხათ იარაღი, ამ დღეში არ ჩავცვივდებოდითო, — უმტკიცებდნენ ისინი.

ზუგდიდლები თავის მხრივ ათასგვარ არგუმენტს მოიშველიებდნენ აფხაზეთის ომის ინსპირი-რების თაობაზე. გაქცეული ფრინველს დიდი ფრთები საერთოდ და საზღვარი არ ჰქონდა სამურზაყანოელების ყბადაღებულ აჩემებას დაკარგული სიმდიდრის გამო.

— გამსახურდიას რომ მიტინგი არ ჩაეტარებინა გალში და არ დაეშოშმინებინა მოსახლეობა: აფხაზები ხელს არ გახლებენო, რომელი ჭკუათმყოფელი დარჩებოდა შინ, სოხუმის დაცემამდე, სავსე ოჯახებს ვინ დაუტოვებდა თხაპარია აფსუებსო.

ზუგდიდლები თავის მხრივ წარამარა წაიწიწმატებდნენ ხოლმე:

— ამდენი თუ გქონდათ ოჯახიშვილებო, რატომ ერთხელ არ გამოაჩინეთ მშვიდობიანობის დროს, აფხაზებისათვის ინახავდითო.

თავის მოსახლეობაზე ორჯერ მეტ ლტოლვილს აპურებდა ზუგდიდი, მაგრამ ამ ორი რაიონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კამათი კამათად დარჩა, ბული ორგანიზაციები ზუგდიდში აქა-იქ ლტოლვილებსაც გაიხსენებენ და მათ ყოჩივით შემართულ მანქანებს „მერსედესებისა“ და „დაცუნების“ თანხლებით ხან განმუხურში იხილავთ და ხან კიდევ — ხურჩასა თუ ერგეტაში. იხვნება მიწები. კვლავინდებურად კვამლი ამოდის ბუხრების ყელიდან და რაც მთავარია, შუქი, მასულდგმულებელი შუქი, დღითი დღე ემატება საკმაოზე მეტად ამღვრეულ საწუთროს ჩვენსას. ასეთი ქალაქი, ასეთი რეალობა ჩაიბარა ერთი წლის წინ ზუგდიდის მკვიდრმა, ბატონ ედიშერ ჩარგაზიამ, მაგრამ მტკიცე ნებისყოფის წყალობით ზუგდიდში დღეს ათი ტრილიონი კუპონის (დაახლ. სამი მილიონი დოლარი,) პროდუქციაა წარმოებული, დაახლოებით იმდენივე, რამდენიც სათაფლანებულ ქუთაისში. ჩვენს მიზანს სრულებით არ შეადგენს ედიშერ ჩარგაზიას ხოტბის შესხმა თუ მისი ღვაწლის დაკნინება, ჩვენ ზუგდიდ-ქალაქის, მისი მკვიდრი მოსახლეობისა და ხიზანი ასი-ათასი სამურზაყანოელის ბედ-იღბალი უფრო გვაინტერესებს საქართველოს ხვალინდელობის თვალ-საწიერიდან.

მაშ, ასე, დილაა, კვირა. გამგებლის მისაღებს ჯერ მთხოვნელების რიგი არ მოსდგომია. კაბინეტში ორნი ვართ, მე და ბატონი ედიშერი. ის ოთხი წლით მეუმცროსება და მიუხედავად ამ ინტერვიუ-სათვის გვარიანი სამზადისისა, ჩვენი საუბარი მაინც ოფიციალური ელფერისაა.

მახსენდება ბატონ ოთარ ჭითანავასთან სტუმრად ჩამოსული ევტუშენკოს სიტყვები, რომელ-საც სოხუმის დაცემის ორი კვირის თავზე აგარაკი დაუწვეს გულირიფშში. ზუგდიდის გამგე-ბელთან შეხვედრის შემდეგ ცნობილმა რუსმა პოეტმა გულღია საუბრისას ერთადერთი ეპითე-ტით შეამკო ძველი სადადიანოს ქალაქის თავი — „ვლასტვუიუში“. რკინის ნებისყოფის, მტკიცე ხელის პოლიტიკის გაუტარებლად ნებისმიერ ქვეყანაში რაიმე ფასეული რომ არ შექმნილა, აქსი-ომაა. დავით აღმაშენებელს ბაღვაშებისათვის თავები რომ არ დაებალთა, თურქ-სელჯუკებს თბი-ლისიდან ვეღარაფრით განდევნიდა და ვერც საქართველოს სახელმწიფოებრიობას განავრცობ-და ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. ვუმხელ ჩემეულ მოსაზრებებს გამგებელს და თანაც ორი კურ-დღლის დაჭერას ვლამობ. ჯერ ერთი, მინდა ვაღიარებინო: მისი მოღვაწეობა ძირითადად სამარ-თალდამცავი ორგანოების ქმედითუნარიანობაზეა დამოკიდებული. რომ არა ძალადობის ფაქ-ტორი, ზუგდიდში სიტუაციის ფლობა არც ისე იოლია. თანაც მინდა ტაქტიანად გავუმხილო გულისნადები — ყოფილი ხელისუფლების ფობიას რა არსებითი ფაქტორები ასაზრდოებენ მას-ში.

— ბატონო, ედიშერ, გაზეთ „ოდოიას“ შეხედულება წუთისოფელზე წესით ნათელი უნდა იყოს თქვენთვის. ჩვენ ხომ სამყაროს, ყოფიერებას, ზოგადად ადამიანს ამ უკი-დეგანო ოდაბადეში განვიხილავთ, როგორც დადებით-უარყოფითის, სინათლე-სიბნელის, ბოროტისა და კეთილის, უმრავლესობისა და უმცირესობის, პოზიციისა და ოპოზიციის ერთობლიობას. როგორ იზიარებთ ჩვენს შემრიგებლურ, მედიატორულ პოზიციას პო-ლიტიკური ურმის გადაბრუნების შემდეგ? ჩვენ ხომ ამ უნტერვიუსათვის მთელი ექვსი

თვეა ვაკოწიწებთ მასალებს, ვიჩხრიკებით აქტივის კრების ოქმებში, კარებს ვუტალახიანებთ ნაცნობ-უცნობს?

ქველმოქმედებით განთქმული ერთი ღვთისნიერი ნათესავის პანაშვიდიდან ვბრუნდებოდი. თქვენც ბრძანდებოდით იქ — ნეტარხსენებული არჩილ რაფავას გასვენებას ვგულისხმობ. ორი მშვენიერი მანდილოსანი გახასიათებდათ გზადაგზა. როგორც დავასკვენი თქვენი თანაკლასელები გახლდნენ. საოცარი ბიჭი იყოო, უწყინარი, ბეჯითი და სწავლას გადაყოლილი. ვინ იფიქრებდა ასეთი შეუპოვარი და დაუდგრომელი თუ დადგებოდაო. რანაირად დაგვიხატავდით თქვენეული ყმაწვილკაცობის დღეებს?

— თანაკლასელებს გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონიათ ჩემზე. მიმაჩნია, რომ ჩემმა ყმაწვილკაცობამ და შემდგომმა პერიოდმაც ერთობ უფერულ პირობებში ჩაიარა, ვცხოვრობდი ჩვეულებრივი მშვიდი ცხოვრებით მეგობრების, ახლობლების, ოჯახის გარშემო. იმ დროს თითქმის ყველგან სიმშვიდე სუფევდა და მუშაობის ნორმალური რიტმი ხალისიანი ცხოვრების საშუალებას იძლეოდა. შემდგომ ყველაფერი აირია, აუცილებელი გახდა მაქსიმალური მობილიზებით მტყუან-მართლის გარჩევა. მართალი კაცის გვერდში დადგომა და დაცვა, თუნდაც სიცოცხლის ფასად თავგანწირვა საქართველოსათვის, ჩემი ზუგდიდის გადასარჩენად. მე არ შემეძლო უარი მეთქვა, წინ აღვდგომოდი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას ჩემი გამგებლად დანიშვნის შესახებ. არ მინდოდა შერცხვენა, გაწითლება მათ წინაშე. მე ხომ უზარმაზარი პასუხისმგებლობა დამეკისრა. შიშით საქმე არ გაკეთდებოდა. შერცხვენილად ზუგდიდიდან წასვლას სიკვდილი მერჩია, მაგრამ ვერ ვიფიქრებდი თუ ასე გამამხნევებდნენ, გვერდში ამომიდგებოდნენ ზუგდიდლები. ყოველი დღე ჩემთვის ახალი იმედის და რწმენის მომცემი იყო. ასე მოვედი დღემდე, მადლობა მათ ამისათვის.

— გამოდის რომ ცამდე მართალი ყოფილა „ანდრეი რუბლევის“ შემქმნელი ტარკოვსკი, როცა 14-15 წლის ყმაწვილს ზარები ჩამოასხმევინა მონღოლ-თათართაგან გაპარტახებული ეკლესიისათვის. იმ ყმაწვილმა სინამდვილეში არც კი იცოდა ზარების ჩამოძერწვა, მამამისი იყო ამის დიდოსტატი, მაგრამ რადგანაც მშობელი გარდაცვლილი ჰყავდა და სოფელში ვერავინ ითავებდა ამ საქმეს, ისე ყმაწვილმა გამოიჩინა ინიციატივა, დარაზმა საზოგადოება და ხალხმაც თვითონვე გამოავლინა საკუთარ წიაღში დამარხული ცოდნა. ამტკიცებთ, რომ ადამიანის ხასიათის ფორმირება ყმაწვილკაცობის ჟამს ხდება ხოლმე?

— არავინ იცის როდის იფეთქებს ადამიანში მთვლემარე ენერგია. ზოგი შესაძლოა ყმაწვილობის ჟამს ჩამოყალიბდეს მამაკაცად, ზოგი — სიჭარმაგეში, ზოგი კიდევ — სიკვდილის წინა დღეს. არიან ადამიანები, რომელთაც საერთოდ არ ძალუძთ საკუთარი მეობის დამკვიდრება უნიათო, უნებისყოფო ხასიათის გამო. ყველაფერი დამოკიდებულია გარემოსა და პასუხისმგებლობაზე. მე ისეთი წნეხის ქვეშ მომიხდა წლების განმავლობაში მუშაობა, ისეთი გამოცდილი და მომთხოვნი ადამიანების ხელმძღვანელობით, რომ არ შეიძლებოდა კაცად, მამაკაცად არ ჩამოვყალიბებულიყავ. ასეთი ადამიანების დეფიციტი ჩემს ცხოვრებაში არ მქონია. ამიტომ უნებისყოფო, მოშვებული, უპრინციპო, დამთმობი მათ გვერდით ვერ გაჩერდებოდი, გაირიყებოდი. საქმის ღალატი არ შემიძლია. დესპოტი ვარ საკუთარი თავის მიმართ და არც სხვას დავუთმობ რაიმე არასწორ ნაბიჯს. შეიძლება ამაში შეცდომაც დავუშვა,მაგრამ უშეცდომო ადამიანები არ იბადებიან, სხვები ჭკუას ისწავლიან, უფრო მობილიზებულნი იქნებიან.

— რომელი რომანი წაიკითხეთ უკანასკნელად და როდის? ვინ არის თქვენი იდეალი?

— კითხვა ძალიან მიჭვარს. თავისუფალ დროს კითხვით ვერთობი. პრესა, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა ერთნაირად საინტერესოა. ამ ბოლო პერიოდში კიდევ ერთხელ დავუბრუნდი რომან ,,დათა თუთაშხიას'' და ბევრი რამ ახალი აღმოვაჩინე, ცხოვრებისეული. ხოლო რაც შეეხება იდეალს, ასეთი შეკითხვა 1973 წელს სკოლადამთავრებულთა საკავშირო საქალაქო შეკრებაზე რომ დამისვეს, მე ასე ვუპასუხე: ,,საქართველოს ისტორიიდან — დავით აღმაშენებელი, თანამედროვეობიდან — ბატონი ედუარდ შევარდნაძე.'' მე აზრი არ შემიცვლია.

— თქვენს სამოსახლოსთან სადღეღამისო მორიგეობაა. როგორ ეგუებიან ამას ოჯახის წევრები, რამდენად მისაღებია მათთვის ეს გასამხედროებული ცხოვრება?

— სადღეღამისო მორიგეობა არ მიმაჩნია საჭიროდ. ჩემი თავის იმედი ყოველთვის მქონდა. მიუხედავად ამისა პოლიციის მოთხოვნას დავემორჩილე, მათ მეტი ინფორმაცია გააჩნიათ. პოლიციის მითითება ყველასათვის კანონი უნდა იყოს, ხოლო მე — მაგალითის მიმცემი. ოჯახიც ამ აზრისაა.

— რისი გეშინიათ ყველაზე მეტად?

— ღალატი, უსამართლობა და მონობა საშიშია არა მარტო ერთი ადამიანისათვის, არამედ —

მთელი ერისათვის. სამივე ერთად აღებული კი საშინელებაა. ღალატს და უსამართლობას ქართველებმა ჯერ ვერ დავაღწიეთ თავი, ხოლო მონობისაგან ვთავისუფლდებით ნელ-ნელა ბატონ ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტის მეშვეობითა და დამსახურებით. რომ არა ბ-ნ ედუარდის ძალისხმევა და მსოფლიო ავტორიტეტი, საქართველო ვერ გადარჩებოდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ვერ გახდებოდა სრულუფლებიანი სუბიექტი. არ გვაღიარებდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, მსოფლიო; შედარებით უმტკივნეულოდ ვერ გადავიდოდით თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე; ვერ გადავიტანდით შიმშილს; შრომის რიტმს ვერ დავუბრუნდებოდით.

— ქართველი წარმართიც იყო, ქრისტიანიც, მაჰმადიანიც, კომუნისტიც. კონკრეტულად რომელ სარწმუნოებაშია საქართველოს უკვდავება?

— საქართველოს უკვდავება ქართველთა ერთიანობაშია.

— ზუგდიდში თქვენი ერთწლიანი მოღვაწობის მანძილზე ფაქტობრივად კომუნისტური იდეოლოგიის რესტავრაციას მოევლინეთ ქომაგად: დაესწარით კომპარტიის კონფერენციას; მწვანე შუქი აუნთეთ ბერიასა და სტალინის ქუჩების სახელდებას, როცა თვითმარქვია უწოდეთ იარაღის ძალით დამხობილ ხელისუფლებას. აპატიმრებთ მათი გაზეთების რეალიზატორებს არარეგისტრირებული პრესის გავრცელების მოტივით. იქნებ აგვიხსნათ, სად, რა დროს, რა ასპექტში შესცოდეს უზენაესელებმა, რაში ვერ ეთანხმებით მათ პრინციპულად და რომელ დადებით მომენტთა დასესხება შეიძლება მათი მოღვაწეობიდან?

— მე მჯერა, რომ წარსულის განქიქებას, მის მწვავე, არასწორ, უმართებულო კრიტიკას არასოდეს მოუტანია კარგი შედეგი. წარსულის ყველა დროს თავისი დადებითი მხარეებიც ჰქონდა ხარვეზებთან ერთად. მე კომუნისტური რეჟიმის პერიოდში მომიწია ფეხის ადგმამ. მიმუშავია პარტიულ ორგანოებში. რაც ღირსეული იყო ამ რეჟიმისათვის, მისი ხაზის გადასმა და უარყოფა არ შეიძლება. თუ ხელმძღვანელი ხარ და გიყვარს შენი რეგიონი ყველა პარტიის მოსმენა უნდა შეგეძლოს, ამავე დროს უნდა შეგეძლოს სასარგებლო, დასაბუთებული და რაციონალური წინადადებების გაზიარება და შესრულება. ამის მაგალითს პირველ რიგში სახელმწიფოს მეთაური გვაძლევს.

ბატონო, გური! თქვენთვის ხომ ჭეშმარიტებაა ის, რომ ყოველგვარი უკანონობა საფუძველშივე უნდა აღიკვეთოს. არა ერთი გაფრთხილების მიუხედავად თუ ვრცელდება უნებართვოდ აკრძალულ ადგილებში, არარეგისტრირებული, ცილისმწამებლური პრესა, პოლიციამ თავისი ფუნქციები უნდა განახორციელოს — აღკვეთოს უკანონობა. აი, ასეთი სახელმწიფობრივი წესრიგის მომხრე ვარ და ვიქნები ბოლომდე. დასამალი არ არის ისიც, რომ ყოფილ ხელისუფლებაში ბევრი დამსახურებული, ავტორიტეტული, აღიარებული და პატივსაცემი პიროვნება იყო. ყოფილი ხელისუფლება დაადგა ასეთი პიროვნებებისაგან განწმენდის გზას, არ უსმენდა მათ დასაბუთებულ რჩევებს. ყოფილმა ხელისუფლებამ თავისი თავი თვითონ დაიმხო კარჩაკეტილობით, კონფროტაციით, დიალოგზე უარის თქმით, მოწოდებებით მოსახლეობის შეიარაღებისაკენ, უკანონო დაპატიმრებებით, ერის გახლეჩით, აფეთქებებითა და ასე შემდეგ. დამხობილი ხელისუფლების არსებობის კულმინაციური მომენტები იყო ე.წ. ,,ჯვაროსნული'' ლაშქრობა ხობის, სენაკის, აბაშის, მარტვილის, სამტრედიის, ქუთაისის და ბოლოს ჩვენი უმშვენიერესი და ულამაზესი დედაქალაქის თბილისის ასაღებად. ამ დროს კი აფხაზეთში ქართველ ვაჟკაცთა სისხლი უმოწყალოდ იღვრებოდა. აფხაზეთის დაცემის ხარების დაკვლით აღნიშვნა ყოვლად გაუმართლებელი და საზიზღარი ფურცელია ჩვენს ისტორიაში.

დადებითი ტენდენცია იყო თავდაპირველი იდეა ერთიანი, დამოუკიდებელი, სუვერენული და ბედნიერი საქართველოს აშენებისა, რომელსაც მთელი მოსახლეობა უჭერდა მხარს. ამ იდეას სათანადო მეთოდების გამოყენების გარეშე განხორციელება არ ეწერა და კრახიც განიცადა.

— თქვენ ერთი წლის წინ, აქტივის კრებაზე განაცხადეთ, რომ ექსპრეზიდენტს შეფიცული სამას ოთხმოცი პიროვნებისგან მხოლოდ ნახევარი თუ გადმოვიბირეთო. როგორ არის დღეს საქმე, მოხერხდა სრული გადმობირება? თქვენ გჯერათ იმ ხალხის, რომლებიც შეხედულებებს ცხვირსახოცივით იცვლიან?

— ბატონო, გური! ჯერ ერთი, გადმობირებაზე საუბარი არ ყოფილა. აქ საუბარია შერიგებაზე, გაერთიანებაზე, უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარებაზე, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა დაშლაზე, რათა მისი წევრები დაბრუნებოდნენ საკუთარ ოჯახებს და ჩაბმულიყვნენ შრომის ფერხულში. დღეის მდგომარეობით რაიმე გართულებას ადგილი არა აქვს. წინააღმდეგობის გაწევა ამ მოთხოვნილებისადმი აზრდაკარგულია. მე მჯერა იმ ადამიანების, რომ-

ლებიც შეცდომაში იყვნენ შეყვანილნი, მოინანიეს და გააკეთეს სწორი დასკვნები. ბევრი მათგანი უკვე იღვწის ზუგდიდის აღორძინებისათვის. ამასთან ჩვენ არავის ვთხოვთ მრწამსის შეცვლას. ეს მათი პირადი საქმეა. მთავარია ამ მოტივით ხელი არ შეეშალოს ქვეყნის აღმშენებლობას.

— საინტერესოა რომელ პოლიტიკურ დაჯგუფებას ეკუთვნით, მატერიალისტი ხართ თუ ღვთისმოსავი და რომელი ძალების გამარჯვებაა სავარაუდებელი მომავალ არჩევნებში?

— მე ვეკუთვნი იმ პოლიტიკურ წრეებს, რომლებიც ქვეყნის აღორძინებაზე ფიქრობენ, ხოლო მომავალ არჩევნებში გაიმარჯვებენ საღად მოაზროვნე ძალები.

— **თქვენი საჯარო გამოსვლებიდან ამოკრეფილ ფრაზებს შეგახსენებთ:**

„ახლა სწორედ ის დროა, როცა კადრები წყვეტენ ყველაფერს"?

„ქუჩას და მიტინგს არ შეუძლია მოსახლეობის გამოკვება";

„დეიდეოლოგიზაცია არ ნიშნავს ახალგაზრდობასა და მოსახლეობაზე დემაგოგიურ ზემოქმედებას".

„ჩვენი მიზანი იყო რაც შეიძლება სწრაფად დაგვეყენებინა ფეხზე ზუგდიდის სახალხო მეურნეობა. გამოგვეყვანა ტერორიზებული მოსახლეობა შოკის მდგომარეობიდან, ორად გათიშულ საზოგადოებაში დაგვენერგა ერთიანი საქართველოს იდეა და თვითმარქვია (გ.ო.) ხელისუფლებისათვის დაგვემტკიცებინა რომ მათ მიერ არჩეული გზა დამღუპველი იყო ჩვენი ქვეყნისათვის."

ეს სიტყვებიც თქვენია:

„უსაფუძვლოდ როდი ხუმრობენ რუსეთში, ტაიგაში ხის კენწეროზე ქარიშხალია, ქვემოთ კი სიწყნარეაო";

„არ არსებობს იმ იდეაზე ძლიერი, რომლის დროც უკვე დამდგარია".

„არა უშავს, მიწოდონ დიქტატორი, უმკაცრესი დისციპლინა, უმკაცრესი მოთხოვნილება, დარღვევებზე, მოშვებულებებზე უმკაცრესი ოპერატიული რეაგირება — აი, ჩვენი სარბიელი."

აქ ჩამოთვლილ თქვენეულ ფრაზებს ერთი დედაარსი აერთიანებს — თქვენ ძალაუფლების, ძალისმიერი პოლიტიკის ხაზის მომხრე ხართ სახელმწიფოებრივი საქმეების გაძღოლისას, რაც ცხადია, დიამეტრალურად ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს და თვით საბაზრო ეკონომიკასაც კი, როდესაც მწარმოებელი აბსოლუტურად დამოუკიდებელია ყაზარმული შებოჭილობისაგან. ბიზნესის განვითარებისათვის არსებობს საგადასახადო ორგანოები და მძაფრი კონკურენციის რეალობა.

„როცა რაღაცას გპირდებიან ხარ მისი შესრულების მოლოდინში, ხოლო როცა გადაჭრით გადაწყვეტილად უარს გეუბნებიან, ეძებ და იპოვი კიდეც სხვა გამოსავალს", **ესეც თქვენი საუბრებიდანაა ამონარიდი. რანაირ კომენტარს გაუკეთებთ ამ ფრაზებს?**

— შეიძლება თქვენს მიერ მოტანილი ზოგი ფრაზა გაცვეთილად მოგეჩვენოთ, ზოგიც პათეტიკურად ჟღერდეს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ღრმად ერუდირებული, კომპეტენტური, პასუხისმგებლობის მქონე, დამოუკიდებლად მოაზროვნე და გადაწვეტილების მიმღები, შრომისმოყვარე მუშაკების გარეშე როგორც სახალხო მეურნეობის სფეროში, ისე პოლიტიკაშიც არ გადაწყდება არცერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი. ამასთან ერთად უნდა მოვეშვათ ქუჩაში უსაქმურად დგომას და მიტინგებს, ჩავერთოთ შრომის ფერხულში. უნდა ვიღვაწოთ იმისათვის, რომ საზოგადოება არ გაითიშოს, იყოს ერთიანი, მონოლითური ორგანიზმი, რომელიც საკუთარ თავს თვითონ მოუვლის. ჩვენ არ უნდა დავემსგავსოთ „საძოვარზე მიშვებულ ნახირს". ჩვენ არ უნდა ვიყოთ „საშოვარს გადაგებული, გათითოკაცებული..." დემოკრატია არ ნიშნავს უკანონობას, უწესრიგობას, ქაოსს. არც საბაზრო ეკონომიკა ნიშნავს ნებისმიერი ადამიანის სურვილზე სიარულს. ყველაფერი ეს გარკვეულ ჩარჩოებში უნდა იქნას მოქცეული. თუ ადრე ბევრი სიკეთე სახელმწიფოს ხარჯზე მოდიოდა, ამიერიდან ჩვენმა შრომამ უნდა მოგვცეს რეალური შემოსავალი, როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ ბიუჯეტში. ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებმა უნდა დააფინანსოს ადგილობრივი ღონისძიებები. ასეთ პირობებში უმკაცრესი მომთხოვნელობა, უმკაცრესი დისციპლინა თუ გადაგვარჩენს. ამის გარეშე ვერ მოვსპობთ სხვისი მოიმედეობას, რაც რასაკვირველია, არ ნიშნავს საგადასახადო სამსახურებისათვის ხელის შეშლას, მათ ფუნქციებში ჩარევას, ან მწარმოებლის შებოჭვას, პირიქით, ეს ნიშნავს თავისუფალ, ახლებურ აზროვნებას და მიდგომას საქმისადმი. სხვანაირად ჩვენ ხალხი არ გამოგვყვება.

— და მაინც, ზუგდიდის ხელისუფლებამ დაუშვა ენგურსგაღმა მისეულ ტერიტორიებზე — განმუხურში, ხურჩაში აფხაზების თარეში. თქვენ ზუგდიდში ობიექტების შემოვლა ერთობ გახასიათებთ. განმუხურში თუ იყავით ნეტავ? აგერ, მაგალითად,

ჭაფანძეების ოჯახში ჩატანილი ჰუმანიტარული ტვირთი პარტიზანების უშუალო ჩარევის წყალობითღა დანაწილდა ოპერატიულად. ეს სოფლები ფაქტობრივად ბედის ანაბარაა მიტოვებული. გვაინტერესებს აგრეთვე შეხვედრიხართ თუ არა გალის რაიონის ხელმძღვანელს? რა სტატუსი აქვს მას ახლა?

— ზუგდიდის განაპირა სოფლებმა განმუხურმა და ხურჩამ ძალიან მძიმე პერიოდი გადაიტანეს, ვაჟკაცურად გაუძლეს გაჭირვებას, რისთვისაც მათი მოსახლეობა გულწრფელ მადლობას იმსახურებს. ამჟამად უკვე ეს პერიოდი გადავლილია. ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოებისა და სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელებთან ერთად შევხვედრივარ განმუხურისა და ხურჩის მოსახლეობას იმ პერიოდში, როცა იქ ტყვიების ზუზუნი გაისმოდა. განმუხურისა და ხურჩის მცხოვრებლები განსაკუთრებული მადლიერებით გაიხსენებენ რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, ბატონ ოთარ ფაცაციას, სხვა ხელმძღვანელებს შინაგან საქმეთა, უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროებიდან, მათ ქვედანაყოფებს, რისთვისაც მადლობა მათ. აქვე გაცნობებთ, რომ ჰუმანიტარული ტვირთის განაწილებაში ზუგდიდის გამგეობა არ ჩარეულა და არც ერევა. გალის რაიონის ხელმძღვანელს რუსლან ქიშმარიას არაერთხელ შევხვედრივარ. მას ჩემთვის პრობლემა არ შეუქმნია. სასიამოვნო გასახსენებელია ისიც, რომ იმ საშიშროების პერიოდში აღდგენილ იქნა განმუხურის სატრანსპორტო ხიდი, ხოლო ამჟამად მიმდინარეობს ხურჩის ხიდის მშენებლობა.

— ბატონო ედიშერ, 1857 წლის 25 ოქტომბერი, შეტად ბედნიერ დღედ მიაჩნია სამეგრელოსათვის, სენაკის მაზრის უფროსს წლების მანძილზე, უფალ კონსტანტინე ბოროზდინს, ავტორს წიგნისა „სამეგრელო და სვანეთი“, როცა სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე პეტერბურგს გაიხმეს, ხოლო რეგიონში მოსახლეობის პირობების „შემსუბუქების“ მიზნით რუსეთის მმართველობა დამკვიდრდა. შეიძლება თუ არა რაღაც პარალელის გავლება იმდროინდელ და დღევანდელ სამეგრელოს შორის?

— კონკრეტულად რომელ ასპექტში, სოციალურში, ზნეობრივში?!

— ერთშიც და მეორეშიც. ასორმოცი წლის წინ უძღები სულის თავად-აზნაურობა თუქსუსებად ჰყიდდა ჩვენს ოქროსთმიან ბიჭუნებს ირანში. ძაღლებში ცვლიდნენ ადამიანებს. მაგალითად, ლამბერტის მიხედვით თავადმა ჭილაძემ 12 მღვდელი გააპარსვინა და თურქებს მიჰყიდა, რადგანაც მის ეკლესიაში არავინ დადიოდა სალოცავად უკვე, რომ არ გაეკოჭათ და უცხოეთში არ აღმოჩენილიყო ხელად. შვილებს დღესაც ჰყიდიან თურქეთში საგასტროლოდ წასული ორსული დედები... ლტოლვილი ფეხმძიმენი. პირველთაგან სამუდამოდ იკარგება ჩვენი გენი, ხოლო მეორენი საშობიაროს ზღურბლთან, ვთქვათ და ოთხ კილოგრამიან ჩვილში ოთხ მილიონ რუბლს იჯიბავენ ჯანმრთელობის კერის მესვეურთა ხელშეწყობით. რა მიგაჩნიათ ბატონო, ედიშერ, ჩვენი ზნეობრივი გადაგვარების სათავედ, ნუთუ ხელმოკლეობა და სიდუხჭირე მხოლოდ?

— ბატონო, გური, პირდაპირ უნდა გითხრათ, მადლობა ღმერთს, რომ საქართველოში ზნეობრივად გადაგვარდა ქართველთა მხოლოდ უმცირესი ნაწილი, რომელიც ანგარიშგასაწევი არც არის. ზნეობრივი გადაგვარების ერთ-ერთი ხელშემწყობი მიზეზი უპრინციპო, სუსტი ნებისყოფის ადამიანებისათვის, რასაკვირველია, ხელმოკლეობა და დუხჭირი ცხოვრებაა, მაგრამ ხომ გახსოვთ „ჭირსა შიგან გამაგრება“... ეს ძლიერ ადამიანთა სახელმწიფო პრინციპია. ზნეობრივი გადაგვარებისაკენ უპრინციპო და სუსტი ნებისყოფის ადამიანებს უბიძგებს შრომისადმი ალერგიული დამოკიდებულება, განცხრომისა და ფუფუნებისაკენ ზედმეტი ლტოლვა. სიამაყის გრძნობით მევსება გული, როცა ადგილობრივ მოსახლეობას ვხვდები და საუბრისას ირკვევა, რომ უკვე რამდენი ხანია ოჯახში ჰყავთ 5-6 სული ლტოლვილი და მათ მიმართ საყვედურის სიტყვები არ დასცდებათ. ან კიდევ რომელ ზნეობრივ გადაგვარებაზეა საუბარი, როცა მარტოხელა მრავალშვილიანი დედები მთელი სიწმინდით ზრდიან თავიანთ შვილებს უკიდურეს სიღარიბეში. ცალკე აღსანიშნავია ლტოლვილი და აფხაზეთის ომის გამო დაქვრივებული დედები, რომელთაც ერთი წუთით არ უფიქრიათ ოჯახის შეურაცხყოფაც კი, არა თუ შვილების გაყიდვა და ამით სარგებლის მიღება. ასე რომ, თქვენი მოსაზრების საწინააღმდეგო მტკიცებების უსასრულო მოყვანა შემიძლია. მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო ზნეობრივად არ გადაგვარდება. ამ მიმართებით დაუვიწყარია ერთი მომენტი „დათა თუთაშხიადან“: „ზნეობა უმდიდრესია სულიერ ღირსებათა შორის“. ეს ქართველზეა ნათქვამი.

— დავუბრუნდეთ ბოროზდინისდროინდელ სამეგრელოს. მისი მთავარი დადიანი ერთპიროვნული მონარქი გახლდათ თავის სამფლობელოში, რასაც ვერ ვიტყვით სახელ-

მწიფოს მეთაურის რწმუნებულის ძალაუფლებაზე სამეგრელოს რეგიონში. როგორია თქვენი ურთიერთდამოკიდებულება ბატონ გივი ლომინაძესთან? საშხარეო კოლეგიის სხდომებზე ჩვენ უფრო თქვენს მოადგილეებს ვხვდებით რატომღაც...

— როგორც გამგებელმა სახელმწიფო მინისტრი, დასავლეთ საქართველოს დროებითი საგანგებო კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე, ბატონი გივი ლომინაძე გავიცანი 1993 წლის 6 ნოემბერს სენაკში. ამის შემდეგ მეორე დღეს მოხდა ჩემი წარდგენა ზუგდიდის საზოგადოებრიობასთან. ბ-ნ გივი ლომინაძემ თავის სამსახურთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა სამეგრელოში დღეს არსებული სიტუაციის შექმნაში. ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის თითოეულ თანამშრომელთან ერთად ბევრი ღამე თეთრად გაუთენებია და მიმაჩნია, რომ გვაქვს ნორმალური დამოკიდებულება დღესაც, როგორც სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულთან. სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის ძალაუფლება უზარმაზარია, მაგრამ დღევანდელი საქართველო და მისი კუთხე სამეგრელო არ არის ბოროზდინის დროინდელი, ხოლო ბ-ნი გივი თავისი გამოცდილებით, უდიდესი ერუდიციითა და სამეგრელოსადმი სიყვარულით ვერ იქნება კონსტანტინე ბოროზდინი. სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის ადმინისტრაციის კოლეგიის სხდომები ტარდება უმეტესად ზუგდიდსა და სენაკში, ასევე — ფოთში, აბაშაში, ხობში.... მოკლედ, სხდომები მხოლოდ სენაკში არ ტარდება. ამ სხდომებზე მოადგილეთა დასწრება აუცილებლად მიმაჩნია, რათა მათ იგრძნონ პასუხისმგებლობა საკურატორო დარგებისადმი, რათა ისინი შემდგომ მოგვევლინონ შემოქმედ ხელმძღვანელებად და არა სტატისტებად, მეთვალყურეებად. ასეთი იყო ჩემი ხელმძღვანელების ჩემდამი დამოკიდებულება. ჩემი მოადგილეები რესპუბლიკურ თათბირ-სემინარებსაც ესწრებიან. ასე გამზარდეს. ეს ჩემი მუშაობის სტილია.

— ვეღარ შედგა ჟენევაში პოლიტიკური კვარტეტის კონცერტი. ოთხთა უშედეგო, მარათონული მოლაპარაკებით იმედგაცრუებული სამეგრელოსა და აფხაზეთის ქართულმა დეპუტაციამ გასული წლის 1 დეკემბერს სენაკში საფუძველი ჩაუყარა ახალ კავშირს, ალიანსს. ხომ არ იცით რა ამოცანებს ისახავს მიზნად ეს გაერთიანება „თანადგომა“? ამბობენ იმასაც, რომ თითქოს ერთხელაც უნდა სცადონ სამეგრელოს ფაქტორის ამოქმედებაო. განა ცოტაა ფაქტი, როცა სრულიად საქართველოსათვის ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება ქართლელობა, კახელობა, იმერლობა, გურულობა, რასაც ვერ ვიტყვით „მეგრელის“ საჯაროდ წამოტივტივებაზე. დასავიწყებელია განა თითებიდან გამოწოვილი გახმაურებული „მეგრელთა საქმე“? გრიგოლ ორბელიანს ხიბლავდა მეგრელის სიმკვირცხლე. კოლხეთში ჩამობრძანებულ ილიას საქართველო დახვდა სამეგრელოს სახით, ხოლო ბატონ ედუარდ შევარდნაძემ ამას წინათ გარკვევით განუსაზღვრა სამეგრელოს ადგილი საქართველოს სხეულში — ხერხემლობა, ეპიცენტრობა, მამოძრავებელ ღერძად ყოფნა. რას გვეტყვით თქვენ?

— სრულიად ვეთანხმები საქართველოს შემადგენლობაში სამეგრელოს ადგილის ბ-ნ ედუარდ შევარდნაძისეულ განსაზღვრას. აქ მართლაც დასამატებელი არაფერია, მაგრამ ამასთანავე ვერ დავეთანხმები ჟენევის ოთხთა შეხვედრის თქვენეულ შეფასებას, ხოლო სადეპუტაციო ფრაქცია ,,თანადგომის'' მიზნებსა და ამოცანებზე უფრო დაზუსტებით, ალბათ, ამ ფრაქციის ხელმძღვანელობა მოგახსენებთ. აქვე მინდა შევნიშნო, რომ დღევანდელ პირობებში გამორიცხულია სეპარატიზმის აღორძინება. ამიტომ მთლიანად ვეთანხმები ,,მშვიდობა ყოველთა''-ს 1995 წლის იანვარ-თებერვლის ნომერში პარლამენტის წევრის ქ-ნ ნანა დევდარიანის სტატიაში გატარებულ აზრს: ,,დღეს საქართველო სწორედ იმან უნდა გააერთიანოს, რაც მუდამ თიშავდა და აქუცმაცებდა მას: ნათლად გამოკვეთილმა კუთხურობამ''.

— ბატონო, ედიშერ, დღევანდელი ხელისუფლების ოპონენტები ბერტოლ ბრეხტის „კავკასიურ ცარცის წრეს“ ახალი ინტერპრეტაციით წარმოაჩენენ და მას „კავკასიურ ცეცხლის წრედ“ წარმოსახავენ. რამდენად წელგამართული ხვდება კავკასია XXI საუკუნეს?

— წრე ცარცისაა იგი თუ ცეცხლისა, მაინც წრეა, დახშულის, ჩაკეტილის სინონიმი. სწორედ ამ ლიბანიზაციას, ნაჭუჭში ჩაკეტვას უკიჟინებდნენ გამსახურდიას და მის გუნდს. სწორედ ამ სეპარატიზმის მსხვერპლად იქცა გროზნო. როგორც ჩანს, არასწორი დასკვნებია გამოტანილი ქართული 9 აპრილების, აზერბაიჯანული იანვრების თუ აფხაზური სექტემბრებიდან. მართლაც, მოვლენების განვითარებამ რამდენადაც დაგვანახა, კავკასიური ამბოხი რუსეთის ჰეგემონიის გადასაგდებად ვერც ამჯერად შედგა. ატომის საუკუნეში კამიკაძეობად მიმაჩნია თავისუფლებისათვის ÀÊÌ -ით ხელში ბრძოლა გიგანტური იმპერიების წინააღმდეგ. ჯუჯა ერები რა საკითხავია, როცა მძლავ-

რი გერმანიაც კი კუდის ქიცინით მიაცილებს რუსეთის სამხედრო მანქანის ურჩხულს სამშობლოსაკენ, ჩვენ კი ბედოვლათნი თარხვანტიებით* ვეკვეთეთ ბაყბაყ-დევს. კი, ბატონო, დასაფასებელია იჩქერიის თავგანწირული სულისკვეთება, მაგრამ ვინ აგებს პასუხს ათასობით ჩამქრალ სიცოცხლეზე, მათ გაუბედურებულ წუთისოფელზე? როგორც ჩანს, კავკასია ნაკლებად იყო მზად თავისუფლებისათვის, რადგანაც თავად რუსეთში არ არის ჯეროვნად მომწიფებული ჰუმანიზმის იდეები. სუსტი იმ შემთხვევაში დააღწევს თავს ძლიერის ზეგავლენას, თუკი ამისათვის ძლიერის დასტურიცაა მიღებული. რუსეთთან კეთილმეზობლური, თანასწორუფლებიანი ურთიერთობა საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. მისი უარყოფა არ შეიძლება. ათეული წლობით გამოცდილი კავშირები უნდა შენარჩუნდეს.

— ბატონო, ედიშერ, იცნობთ თუ არა თქვენ შანიბოვის ინტერვიუს მწერალ ნაირა გელაშვილთან?!

— დიახ! დიახ! ეს ინტერვიუ მრავალი ასპექტით არის ჩვენთვის საინტერესო. პირველი იმით, რომ მთიელთა კონფედერაციამ თურმე ქართველები საუკუნო სირცხვილისაგან გადაგვარჩინა, როცა აფხაზების გამოსარჩლებით თურმე არ მოგვცეს პატარა ერის გენოციდის საშუალება. აფხაზეთი კი მათ შავი ზღვისაკენ გასასვლელად რომ სჭირდებოდათ, რატომღაც დაიმალა. შანიბოვს არც ის გაუმხელია თუ ადეღეელებმა რისთვის მოითხოვეს ტერიტორიის გაცვლა აფხაზებთან ფიზიკური დამეზობლების მიზნით. ერთი სიტყვით, საშვილიშვილოდ დაგვავალდებულა თავისი ჭკუით. მეორე ის გახლავთ, რომ გუშინწინ გამოქვაბულიდან გამოსულ პოლიტიკანს ეყო თავხედობა ,,ვეფხისტყაოსანის'' ერს მენტორული ტონით გაგვსაუბრებოდა, აბუჩად აეგდო ჩვენი ისტორიული ფლაგმანობა კავკასიაში, გაეკილა ჩვენი ,,ღვთიური ჩამომავლობა'', ჩვენი ,,თვითშერაცხვა'' მსოფლიო ცივილიზაციის მჭედელ და მესია ერად. ამისთანებზე უთქვამს აკაკის ,,როცა თქვენ ტყეში ბოდიალობდით, ჩვენ ბიბლიას ვთარგმნიდითო''. არ ვიცი რა ვქნათ, შანიბოვების შიშით ვერ უნდა დავძრათ კრინტი აიეტ მეფეზე, მედეაზე, ოქროს საწმისზე, და კიდევ ვინ მოსთვლის. და ბოლოს, მესამე არსებითი, როდესაც შანიბოვი მთლად მოუკრეფავში გადავიდა და კორესპონდენტის პირით გვარიანადაც შეგვემუქრა: თუკი ქართველები ჭკვიანად არ იქნებით, თბილისს ერევნად გადაგიქცევთო.

— რა შეიძლება ვივარაუდოთ თბილისის ერევნად გადაქცევაში?

— ალბათ, იგივე, რაც სოხუმის გასომხებაში. აფხაზეთის დაცემით ჩვენ თავიდან ავიცილეთ კავკასიური ომი, რომელიც შესაძლოა უფრო ფართომასშტაბიანი ტრაგედიის, მესამე მსოფლიო ომის იმპულსიც კი გამხდარიყო. საცა არა სჯობსო, გვასწავლის რუსთაველი და ჩვენც, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც გავეცალეთ. ჩემთვის უფრო სხვა რამ არის გაუგებარი: მწერალ ნაირა გელაშვილის პოზიცია. ეს სამახსოვრო შემოქმედი, რომელიც ბოლო დროს ბელეტრისტიკაშიც ავარჯიშებს კალამს, რატომღაც იოტისოდენადაც არ შეეცადა რესპონდენტისათვის დაეკონკრეტებინა თუ თბილისის ერევნად გადაქცევაში რას გულისხმობდა. უცხოობაში თუ ვერა, შინ ხომ მაინც შეეძლო ეს მოემოქმედებინა? თავსატეხად დაგვიტოვა ორაზროვანი ფრაზა.

— ბატონო, ედიშერ, არც ის იქნება ინტერესმოკლებული თუ რატომ ჩნდება ჩვენს ტერიტორიაზე კომპაქტური სომხური, აზერბაიჯანული, ბერძნული და ა.შ. დასახლებანი. ეს პრობლემა დიდი ხანია თურქეთში მოხსნილია. 5 თუ 7 მილიონი ლაზი ისე მიმოფანტულა მთელს თურქეთში, რომ სამიტინგოდ კი არა ნათესავებს წვეულებაზე შეკრება ვერ მოუხერხებიათ. აქედან გამომდინარე უღიმღამოა მათი პატრიოტული სულისკვეთებაც.

— ჩვენთვის დამალული არ არის სომხური ეკლესიისა და მათი საზღვარგარეთული დიასპორის მეცადინობა ჰაოსის ჯილაგის დასაფინანსებლად, ოღონდაც რამენაირად მოიკიდონ ფეხი ქართულ მიწაზე. სომხეთის ამერიკული თუ ლიბანური დიასპორების ოცნება დაუცხრომლად მუშაობს ,,ველიკი არმენიას'' შესაქმნელად, რაც მთელი კავკასიის ათვისებას გულისხმობს მისი მკვიდრი მოსახლეობის: ქართველების, აფხაზების, ჩეჩენ-ინგუშების და კიდევ მრავლის გაქრობის ხარჯზე. საგულისხმო ფაქტია კ.ბოროზდინის ცნობაც: მეფის რუსეთი სომეხ ვაჭრებს შეღავათიანი სესხით უმართავდა ხელს გალოთებული ქართველი თავად-აზნაურობის გასაკოტრებლად, მათი მამულების ხელში ჩასაგდებადო. აკი, ამასწინათ გიჟ-ვრაცუებს მწარე სიმართლე გვტკიცა შუბლში ერთმა ჰაიასტანელმა ,,ფილოსოფოსმა'', რომლის მიხედვით ცვეტოვები და ასტაფეევები მამა აბრამის ბატკნებად წარმოგვესახება. ,,თქვენ ქართველებს ჯერ ჭაჭის დალევა გიყვართ, მერე კი ჭუჭუს მიიღებთო'', სამი თითის კომბინაციით გვემუქრება ჰაიასტანელი ძმა.

— მოკლედ, გვემუქრებიან მარჯვნიდან და მარცხნიდან.

— გონს თუ არ მოვეგებით, ჩვენი მომავლის პერსპექტივა ფრიად დაღვრემილ ფერებში მეხატება.

Fama*I

საღამოსპირია. მეგობრის მამის გასვენებიდან მოგვაცილებს აბაშის სანახები, ბატონებს: ოთარ ჭითანავას, ტარიელ ქანთარიას, ოდიკ ქუხილავას და თქვენს მონა-მორჩილს. სენაკის გადასარბენთან ავტოინსპექტორი გაბმულად გვიშვიტინებს ჭრელი ჯოხის წრიული ტრაექტორიით. სათვალთვალო პუნქტს გამომცდარნი უკუსვლით ნელ-ნელა ვუახლოვდებით შეცბუნებული ქუჩის მომწესრიგებლის ცხენისმაგვარ პროფილს. აგვწონ-დაგვწონის, შეგვათვალიერ-შემოგვათვალიერებს, მერე გვარიანად გონს მოსული ბორდიურთან შეყოვნებული ორი კურტიზანის დამგზავრებას გვთხოვს ყველის ვაჭარივით გაკრეჭილი. შევმჭიდროვდებით. სტუმრები სოფელ კოკში, სახელგანთქმულ ნალიმასკენ მიემგზავრებიან ნათესავთან. პრესის თანამშრომლების კვალობაზე ჯეირნები სიტყვაუხვნი ჩანან. საფუძვლიანი გამოცნაურების შემდეგ პოლიტიკასაც გადასწვდებიან. სასაუბრო არენაზე მოულოდნელად ამოტივტივდება ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგებლის სახელი: ედიშერ ჩარგაზია.

— მე დავანიშვნინე, — მაისის ვარდივით გაფურჩქვნილი ოდიშელი ბანოვანი ერთიანად იბრალებს გამგებლის დაწინაურებას და მეტი დამაჯერებლობისათვის კულულებს უკუიყრის.

— მართლა?! — გავიოცებთ ყასიდად. თურმე ყოველივე პრელუდიაა, განცვიფრებანი აწი იკითხე!

— მის ადგილზე ამჟამად ეს და ეს პიროვნებაა დანიშნული, ცხადია, ჩემივე რეკომენდაციით. ბრძანება დაწერილია უკვე, მაგრამ ბატონი ედიშერისათვის შესაფერისი ადგილი ჯერჯერობით ვერ მოიძებნა....

— როგორც ჩანს, მთლად მაღლა უმიზნებთ, — შევაპარებ სარკმელს მიჭეჭყილი.

— თქვენისთანა ქალბატონის სურვილებს რომელი იუპიტერი დაუდგება წინ? — ბუხუნებს ბატონი ოთარი და მოხდენილად წონის კოლხი მადონას ბიბილოდან ჩამოშვებულ მომნუსხველ საყურეს.

— ბაჯაღლოა, ამა და ამ მინისტრის ნაჩუქარი, — ხმას ინაზებს ვარდისფერბიბილოიანი.

ხობის მისადგომებთან ცოტახნით ვყოვნდებით ფინჯან ყავაზე უკაცრიელ კაფეში. გურიის ფარშავანგისაგან განსხვავებით ოდიშელ ფერიას ზომიერების გრძნობა ღალატობს შამპანურის მესამე ფუჟერის შემდეგ. ფეხზე წამოგვყრის ხან ერთი, ხან მეორე, რა თქმა უნდა მისგანვე აღზევებული აწ ნეტარხსენებული პიროვნების საპატივცემულოდ. თვალებიდან ისეთნაირად ყრის
ცეცხლს, მზად არის ჩვენს შესანთქმელად. ერთიანად დაპყრობილნი მორჩილად ვცლით სასმისებს და მერმე ოჯახებში მიღწევამდე მრავალზე მრავალ ადამიანს ავტყორცნით ოლიმპოზე და მოვასრიალებთ ლეთაში მისი მგზნებარე მასლაათით აღტკინებულნი.

Fama II

გალის რაიონის მოსახლეობის ბარბაროსული წმენდის დღეებშიც სადადიანოში გახლავარ და ტრაგედიის უშუალო მონაწილე უამრავი ადამიანისაგან ვაკოწიწებ ურჩხულის გაუგონარ ნამოქმედარს, რომელთაგან ამჯერად ჩემთვის უფრო ყურადსაღები ერთი ოტობაიელი დედაკაცის მონათხრობია. ის შვილებითურთ იმყოფებოდა სამურზაყანოში გავერანებული ოჯახის მისახედად. თურმე მისი გვარდიელი ვაჟიშვილიც დაპატიმრებულთა შორის აღმოჩენილა. მერე მილიციის შენობაში შემწყდეულს, სველი წერტილის საჭიროების მერამდენე მომიზეზებით დრო უხელთებია და გაქცეულა. წვალებით გადმოულახავთ ათეული კილომეტრის მთაგორიანი სამეგრელო. სრბოლაში ლანჩგამომძვრალ ფეხსაცმელებს მანახვებს, მაგრამ აფხაზების მჯიღებისაგან თავპირგასიებულ ჭაბუკზე უკეთეს საბუთს სად ვიპოვი?

— სამასზე მეტი ქალი შევიყარენით მილიციის შენობასთან, — მომითხრობს კისრის ძარღვებდაბერილი მანდილოსანი, — შევჩქვიფდით, ჩამოკონკილნი, წივილ-კივილითა და შიშისაგან მუხლებმოკანკალენი, თუმცა ახლობლების მოსალოდნელი უბედურება გამბედაობას გვმატებდა და ბოლოს და ბოლოს ქიმშარია იძულებული გახდა ჩვენი ღავღავისათვის ყურადღება მიექცია. გამოვიდა სამხედრო ტანსაცმელში გამოწკეპილი, მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი, ჟღალწვერიანი. მაშინვე გავისუსეთ.

— აფხაზური თქვენთვის ჩინურია, — ამბობდა იგი რიხიანად, — არც რუსული გეყურებათ საცოდავებო და ისევ მეგრულად გეუბნებით, რომ ვისაც პარტიზანებთან კონტაქტი არ დაუმტკიცდება და აღარც ჩვენს წინააღმდეგ უომია იარაღით ხელში, უკლებლივ გავანთავისუფლებთ. და-

ნარჩენს? — ქიშმარიას მიბაძვით თვალებს ივიწროვებს ქალი, — თქვენს წინაშე დავხვრეტთ ასაკისდა განურჩევლადო, — ამ სიტყვებზე ისევ წივილ-კივილი ავტეხეთ. ქიშმარია გაწყრა, გაწიწმატდა. ეტყობა გლოვის ზარი გუნება-ხასიათს უშხამავდა და ჩვენც სანდო იარაღს მანამდე არ შევეშვით, სანამ ავტომატების კაკანმა კრუხებივით არ დაგვფანტა.

— რანი ხართ ეს მეგრელები უბედურნო! აფხაზებმა ,,ვეფხისტყაოსანიც'' კი გამოგიქვეყნეთ მეგრულ ენაზე, თქვენ კი კვლავ წყეული ქართისკენ* გიჭირავთ თვალი. ნუთუ არასდროს შეგაწუხებთ უმოწყალოდ გათელილი მეობა?! ზუგდიდიდან გამოგზავნილი ორი მანქანა ფქვილი სალაპარაკოდ აქციეთ. ჩვენთვის კი არ გვინდოდა, თქვენს ჩასახეთქად. რომ მოძვრებით კალიასავით, მუქთად ხომ არ გარჩენთ აფხაზები მეგრელებს?! დაიხოცებოდით შიმშილით და ამასაც გენოციდში ჩამოგვართმევდით მერეო.

— როგორ, როგორ თქვა ქიშმარიამ, ზუგდიდიდან გამოგზავნილიო?! — ჩავეძიები მე.

— ხო, ზუგდიდიდანო.

— ზუსტად მითხარი, ხომ იცი, სტატიისათვის მჭირდება, ინფორმაციას შენი გვარით გამოვაქვეყნებ-მეთქი.

თავზე ხელს შემოირტყამს.

— მაგი არ ქნა, თორემ ნათესავებს ამომიხოცავენ აქედანაც და იქიდანაცო.

— მაშინ სიტყვასიტყვით გაიხსენე, ქიშმარიას უნდა განვუცხადო ზეგ ოთხმხრივ შეხვედრაზე-მეთქი.

— ორივე შვილი მომკვდომოდეს, ჩემი ყურით თუ მომესმინოს, მე სროლის დროს თავგზა ამებნა, არც კი მახსოვს მოედანზე როგორ აღმოვჩნდი. ეს ამბავი მეზობლის ქალმა მითხრა. ნამდვილი ალქერქუა* მისგან ტყუილი არ იქნებაო, — დაასრულებს და ნოტიო ცხვირს მაჯაზე შეიხოცავს.

Fama III

ფრიად პრესტიჟული უწყების საშვს მიფორმებენ. ფოტოა ჩასაკრავი, სარეგისტრაციო და საქმე მიჭიანურდება. კადრების განყოფილებაში დროის მოსაკლავად ახალ ფოსტას ვათვალიერებ სანდომიანი ქალბატონის ნებართვით. ილუსტრირებულ ჟურნალს წაღმა-უკუღმა ატრიალებს იგი, მერე თვალს თვალში მიყრის და ხმაპარვით მეუბნება:

— აი, თურმე რატომ ელოლიავებიან. ისეთი პიროვნების ნათესავი ყოფილა და რატომაც არა?!

— ვინ, რომელი-მეთქი.

— თქვენი გამგებელი, ჩარგაზია, — მპასუხობს ნიშნის მოგებით, — ყოვლისშემძლე მაგორადვაჟას სისხლი და ხორცია თურმე, რომელიც საარსებო ლუკმა-პურს აწვდის ასიათასობით ლტოლვილს. ოთარ ჩარგაზია, ხარე კრიშნას ხელმძღვანელია ÑÍ Ã–ეს ქვეყნებში და მოსკოვიდან მართავს მთელს ევრ-აზიას. ბოლო დროს, განსაკუთრებით მუსულმანურ სამყაროს ჩაეხუტა, ჩეჩნეთიდან ლტოლვილებს ქომაგად მოევლინა და როგორც ირკვევა, არც აფსუა სეპარატისტების მიმართ არის გულგრილი მაინცდამაინც.

— მერე და ზუგდიდის გამგებელი რა შუაშია? — ვეკითხები გაოცებული.

— იმ შუაშია ჩემო კარგო, რომ ზუგდიდში ერთობ მომრავლდნენ რელიგიური სექტები. ფეხებში გებლანდებიან ბუდისტები და იეღოველები, მათი ლიტერატურა. იმათ ყოვლისშემძლე სუკი აფინანსებს. ხედავ, როგორ გვიტევენ შემოვლით? — თვალწინ მიფრიალებს გადაშლილ სტატიას ქალბატონი ჟურნალ ,,რელიგიიდან''.

— მერე და სად ,,ხარე კრიშნა'' და სად ზუგდიდის გამგებელი? თქვენი გვარი ქალბატონო?

— უიმე, უიმე, გამახსენდა, ბავშვი მყავს ბაღიდან გამოსაყვანი! მაპატიეთ, მეჩქარება! — ფაცურობს და ხელჩანთას ეპოტინება.

1995 წ.

რა ხდება აბაშაში?!

ანუ დაწერეთ განცხადება,
ბატონო!

ეს ამბავი იმდენად გახმაურებულია, გვარების დაუსახელებლადაც ეცნაურება ყველას მთელს საადიანოში, მაგრამ ჩვენ მაინც ინკოგნიტოდ ვამჯობინებთ მისი პერსონაჟების წარმოჩენას.

ერთ-ერთი ნომენკლატურული თანამდებობის პირი ეს-ესაა შეუდგა მასზე მინდობილი სამუშაოს შესწავლას და მოსახლეობასთან კონტაქტში შესვლას, მაგრამ საკმაოდ ენაკვიმატსა და მოხერხებულ მძღოლს ვერაფერი მოუხერხა. ხან მართვის ტალონი გაუხვრიტა პატრონს სიჩქარის გადამეტებისათვის, ხან უკმეხად შეუბრუნა სიტყვა საზოგადოდ, ხანაც უპუნქტუალობის გამო გააწითლა ზემდგომი ხალხის წინაშე. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს დამარტოხელებულს მანქანის სალონში პირდაპირ მოუჭრა:

— ჩემო, კარგო, კმარა რაც გაგიძელი, ჩვენი ერთად მუშაობა არ შეიძლება.

მძღოლმა არც აცია და არც აცხელა, თვალები მოწკურა და უტიფრად მიახალა:

— მერე და და დაწერეთ განცხადება, პატენი!

ამ სიგრძის ანეგდოტური იერით შეფერილ ამბავს არაფრისდიდებით მოგიყვებოდით გაჭრილი ყველივით რომ არ ჰგავდეს აბაშის გამგეობის თავმჯდომარის, ბატონ სოსო ჭანტურიას ყისმათს, რომელსაც, დაწერეთ განცხადება, ბატონო, უბღვერენ დაკვალიანებული ხელქვეითნი.

აბაშის რაიონის ცხოვრების წარმოსაჩენად ვრცელი საგაზეთო სტატიის მომზადება მქონდა განზრახული, განსაკუთრებით საქვეყნოდ გაბაქიბუქებული „ანჯელის" კრახის გამო — 1400 ჰექტარი მიწიდან ცხრაას ოთხმოცდაათი ტონა სიმინდი ძლივს რომ მოიწიეს. დითირამბებისთვის და ტაშფანდურისათვის განწყობილი ნამდვილად არ ვიყავი, მაგრამ რედაქციაში გეგმაზომიერად რომ იწყეს მოქალაქეთასაჩივრებმა დენა, თანაც ერთი და იმავე სტილითა და ხელწერით, გუნება-განწყობილება შემეცვალა და გადავწყიტე საკმაოდ ლმობიერი ტონით ვსტუმრებოდი აბაშის გამგებელს. არც მედიატორობა მწადდა, თუმცა ამ წერილების კილო მაფიქრებინებდა უახლოესი წლების სინდრომით ხომ არ მოვახდენდით ისედაც გათანგულ საზოგადოებაში დესტაბილიზაციას. აბაშის რაიონში იმ დღეს სამხარეო ადმინისტრაციის თავკაცს, ქ. ზუგდიდის მერს ბატონ ბონდო ჯიქიასაც ელოდნენ. ვჩქარობდი, ინიციატივის ხელიდან გაშვება არ მსურდა და თანამშრომლობითა და მომჩივნებით სავსე გამგებლის კაბინეტში ჩემთვის ხელსაყელი პოზიცია დავიკავე. აბაშის გამგებელი ინტერვიუზე დამთანხმდა, იმ პირობით, რომ თუ ამ ვაკხანალიაში მოვასწრებდი სასურველი პასუხების მოპოვებას.

ბრალდება პირველი:

— ბატონო, სოსო, — უცერემონიოდ დავიწყე, — აბაშის მშრომელებისა და ინტელიგენციის სახელით შემოსულ საჩივრებში, რომელსაც 81 ადამიანი აწერს ხელს, ოთხი თქვენი მოგვრეა — ირაკლის შთამომავლნი, ჭანტურია, 35 — კაჭარავა. გვაინტერესებს, რა დაუშავეთ თქვენს სისხლ-ხორცს მაინც? თუ აქაური მოსახლეობა ამ ორი გვარისაგან შესდგება?! აქვე პირდაპირ გვიპასუხეთ ბარემ, ვინ იყო თქვენი მეზობელი, რომლისაგანაც ნაკვეთი გიყიდიათ და სანაცვლოდ მისთვის ბინები შეგიძენიათ რუსთავში?!

— ჰმ.. ჯერ კიდევ საკითხავია ის ხელმოწერები შეესაბამება თუ არა სინამდვილეს, მერედა საინტერესოა, **არიან თუ არა ისინი რაიონის ჭეშმარიტი ინტელიგენციის წარმომადგენლები.** როცა ჭანტურიები და კაჭარავები აწერენ ხელს საჩივარს, ამით იმის თქმა უნდათ, შეხედეთ, თავისიანებმაც გასწირეს და თქვენ რაღას უცდითო. მამით ჭანტურია რომ ვარ ამას მტკიცება არ სჭირდება, დედით კი სწორედ კაჭარავა გახლავარ. ცხადია, აბაშაში იქნებიან ჩემზე განაწყენებული ადამიანები, ვინაიდან იმ ავადმოსაგონარ წლებში ჩემი პოზიცია აშკარად გამოვკვეთე ერთ ფრაზაში „მე გვერდში ვუდგევარ **კანონიერ ხელისუფლებას და მის მეთაურს".** მაშინ აბაშის სინამდვილეში ერთეულები ვიყავით, რომლებიც სიკვდილს თვალებში შევყურებდით, ხოლო ის ხალხი, რომლებიც ახლა მიჩივიან, მაშინ ჩირგვებში ისხდნენ. ისინი შენატრიან ჩვენს დამარცხებას, მაგრამ ჩვენს გვერდით რომ უმეტესობა დგას, ამისი დასტური საპრეზიდენტო არჩევნებში ბატონ ედუარდ შევარდნაძის ტრიუმფალური გამარჯვებაც იკმარებს. საკვირველი ის არის, განაწყენებული ხალხი, ამ ხელისუფლების წინააღმდეგნი რომ იყვნენ და არიან კვლავაც, ამ ჩვენს ხელისუფლებაში გვიჩივიან. სხვა ძალები რომ მოსულიყვნენ, წარმოდგენილი მაქვს, მე აბაშაში კი არა, **საქართველოშიც არ დამედგომებოდა** და ბუნებრივია, სახლის აშენებაზე ფიქრიც არ დამჭირდებოდა. ოთხი შვილის მამა ვარ. უფროსი 16 წლისაა. ძველი მამისეული სახლი 1959 წელსაა აშენებული, ხისა, ბოკონმორყეული და როცა ჩვენი მეზობელი კაცი სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად, გაფართოების მიზნით, როგორც ცალკე კომლად გამოყოფილი პიროვნება, სწორედ მისი ნაკვეთით დამაკმაყოფილეს საკრებულოში. რაც შეეხება განაშენიანებული ხეხილის ღირებულებას, მე მართლაც გადავუხადე იმ მოქალაქეს, იმდენად უმ-

ნიშვნელო თანხა, რომ რუსთავში არათუ ბინების ყიდვას, **რუსეთში თვითმფრინავით გამგზავრება-ჩამოსვლას თუ ეყოფოდა.** აქ ჩემი სახლის და ბინების ყიდვის პრობლემა არც დგას დღის წესრიგში, რადგანაც განაწყენებული ხალხის ერთი ჯგუფი, რომლებიც ჩემზე გაცილებით უკეთ ცხოვრობენ, ყველაფერს კადრულობენ, რათა მოსახლეობაში უნდობლობა დათესონ, როგორც ჩემი ისე ხელისუფლების მისამართით.

ბრალდება მეორე:

— დამეთანხმებით გულდინჯი გაანალიზება სჭირდება ისეთ ბრალდებებს, როგორიცაა ქარსაცავი ზოლების გაკაფვა, ელექტროენერგიის უკმარისობა, ლტოლვილებსა და მოსახლეობაში დაშვებული უხეში შეცდომანი. უხეშობა წამოგვცდა და შეგახსენეთ, რომ თითქოს თქვენ ერთობ უშვერი სიტყვებით უმასპინძლდებით გაჭირვებულ ხალხს, სერიოზული ბრალდებაა, მაგრამ იქ, საჩივრის წერილში სიტყვა სიტყვით წერია: ,,ჩვენს იდეა-ფიქრს არ წარმოადგენს მისი დაჭერაო''. ,,იდეა-ფიქრი'' არ ვიცით რა ჯანდაბა-ჯარხანაა, მაგრამ ,,იდეა-ფიქსი'' გასაგებია, რაიმე აკვიატებული აზრი, რომელიც ობიექტური სინამდვილით კი არა, პიროვნული ახირებულობითაა გამოწვეული. გადაუწერია განცხადება ვიღაც ბედოვლათს, თან შეცდომით. საჩივრებში უამრავი ბრალდებაა წამოყენებული თქვენი მისამართით, როგორიცაა: პურის ფქვილის უკანონო განაწილება, სასუქის ზედმეტ ფასებში გაყიდვა თუ ფერადი ლითონის ჯართის სახით გატანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. ასეთი ბრალდებანი ნებისმიერი რაიონის გამგეობის თავკაცს შეიძლება წამოვუყენოთ, განსაკუთრებით იმ პერიოდის მოღვაწეთ, რაჟამს ცასა და ხმელეთს ,,მხედრიონი'' აკონტროლებდა, მაგრამ როცა შავით თეთრზე წერენ: სოსო ჭანტურია სეპარატიზმის წამახალისებელია, ეთნიკურ-კლანურ მეთოდებს იყენებს საკადრო პოლიტიკაშიო, ვერ უნდა იყოს მთლად რიგიანი საქმე?

— სახლის მშენებლობის თაობაზე დამრჩა კიდევ სათქმელი, ვერავინ გაბედავს აბაშაში, რომ საშენი მასალა მე ამ ხუთი წლის მანძილზე თუნდაც ერთი აგურიც კი მიყიდია. აკი მოუწერიათ თქვენთვის, იმიტომაც გაგვიხარდა გამგებლად მისი დანიშვნა ყველაფერი ნაშოვნი რომ აქვსო. თუ ყველაფერი ნაშოვნი მქონდა გამგებლობამდე, რატომ ვერ ავიშენე სასახლე ამ ხუთი წლის მანძილზე გამგებლობის დროს? მათ ჯინაზე სასახლეს კი არა ქარვასლას ავიშენებ, ოღონდ ქვეყანა მყავდეს დღეგრძელი. ნუთუ ვერ შეიგნო ხალხმა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე ვართ გადასული და კომუნისტური, სოციალისტური დევიზები უკვე ოთხ კედელს შორის მოსახმარი ღირებულებებია?! ვერ შეიშნოვეს, ბაბაია, თეთრი, მზამზარეული პური და მოიპოვონ აწი საკუთარი ჭკუითა და გამჭრიახობით. არავინ მოგვართმევს ლანგრებით გახვრეტილ ლარიანსაც კი. ჩვენ არ გაგვიგონია ამერიკის მოსახლეობის ყმუილი გასული საუკუნის მანძილზე. რასაც ჩვენ ხელის ერთი მოსმით გაკეთებას ვლამობთ, იქ რამდენიმე თაობის უშრეტი ენერგიის გაფლანგვა-დაშრეტვა დასჭირდა. მოკლედ, საშენი მასალა გამიფუჭდა, აგურს ხავსი მოედო, ცემენტი გამიქვავდა, ბლოკმა დაშლა იწყო ნესტისაგან და წვიმისაგან. ფიცრები აიფრაკა, გამიფუჭდა მამასისხლად შეძენილი პარკეტი და ვინ მოსთვლის, და ყველაფერი რატომ თუ იცით?! დღედაღამ ბალიშზე რომ არ დავდევი თავი, ყანებსა და პლანტაციებში რომ ვეგდე, ცხვირპირი რომ დავუნაყე მრავალ მუქთახორას და ქვეყნის დამაქცევარს! ახლა რაც შეეხება მორიგ ბრალდებას, არ ვიცი წერილის ავტორებს როგორ ესმით ეთნიკური ნიშანი, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად შემიძლია დავამტკიცო, რომ აბაშის მოსახლეობის 100 პროცენტი ქართველია, ფეხის ფრჩხილიდან დაწყებული თავის თხემით დამთავრებული.

— ამაზე გალაკტიონი იტყოდა, ჩემში წვეთი არ არის, წვეთი არაქართულიო...

— აგაშენათ ღმერთმა, ნაღდ-ქართულია სრულიად აბაშის მოსახლეობა და აქედან გამომდინარე საკადრო პოლიტიკასაც საფუძვლად დაედო ერთადერთი პრინციპი: დავაწინაურეთ ისინი, ვინც გვერდში ედგა აბაშის რაიონის გაჭირვებას. როგორც გამგებელს, ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ადამიანი თავისი პოლიტიკური შეხედულების გამო არასოდეს დამიჩაგრავს, თუკი რაიმე სერიოზული, ანტისაზოგადოებრივი დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი.

ბრალდება მესამე:

— ბატონო, სოსო, იქნებ კომენტარი გაუკეთოთ ძველი აბაშელების საჩივარს. ისინი მოითხოვენ იმ მიკროავტობუსის დაბრუნებას, რომელიც ერთადერთი სამიმოსვლო საშუალება ყოფილა თქვენსა და დასახელებულ სოფელს შორის. თქვენ კი წაგირთმევიათ თურმე და მიგიციათ პოლიციისათვის. რატომ არ უბრუნებთ კუთვნილს, რას ერჩით საწ-

ყლებს?

— ძველ აბაშაში, როგორც რაიონის ყველა სოფელში, მგზავრების მიმოსვლა ნორმალურად წარმოებს ავტო-სატრანსპორტო გაერთიანების გრაფიკის შესაბამისად. ხოლო რაც შეეხება მიკროავტობუსს, გარკვეული პერიოდი მანქანის მძღოლსა და სოფლის გამგებელს შორის იყო კონფლიქტური სიტუაცია მის პრივატიზაციასთან დაკავშირებით და დროულად რომ აღგვეკვეთა რაიმე გაუთვალისწინებელი ინციდენტი, საკრებულოს ბალანსზე არსებული ტრანსპორტი სახელმწიფო მართვის განყოფილებასთან შეთანხმებითა და კანონის სრული დაცვით გადაეცა აბაშის შინაგან საქმეთა განყოფილებას, რითაც გაუთავებელ ორმხრივ დავას საფუძველი გამოეცალა.

ბრალდება მეოთხე:

— მეიდნელებს აქვთ პრეტენზიები იმის თაობაზე, რომ რა მოხდებოდა დღე-ღამეში ორი საათით მაინც გამოგვიყონ ელექტროენერგიაო. თუკი ეს განხორციელდებოდა აბაშისაკენ მომდინარე სასმელი წყლის დაქლორვა მაინც მოხერხდებოდაო. გამოდის, რომ თქვენი მოსახლეობა დაბინძურებულ წყალს სვამს?

— ენერგეტიკული კრიზისის პირობებში არათუ მეიდნელებს, მთელ აბაშას არ მიეწოდება ელექტროენერგია თვეობით. აბაშელების სამართლიანი მოთხოვნა: გარკვეულ პერიოდში მოგვეწოდებოდეს შუქი, მიუხედავად ჩვენი პრინციპული მოთხოვნისა, ლიმიტით გათვალისწინებული ელექტროენერგია აბაშის მომხმარებლამდე გრაფიკის შესაბამისად არ მოდის. აქ აუცილებლად ცოდავენ ელენერგიის მომარაგება-გასაღების სენაკის განყოფილების მესვეურებიც. მათ მიმართ ჩვენი დამოკიდებულება ცალსახად გამოვხატე სამხარეო ადმინისტრაციის გაფართოებულ სხდომაზე. ღამის 3-5 საათზე მოწოდებული ელენერგია მოსახლეობას არ სჭირდება. ეს ისეთი წყალობაა, ვთქვათ და მძინარე მშიერს საჭმელი შემოუტანო ოთახში, და ისევ აალაგო ხელუხლებელი კერძები. უმაქნისო ელენერგიისათვის თანხის ამოღება მოსახლეობიდან ჩვენ ნამდვილად გაგვიჭირდება. რაც შეეხება მეიდნელების ტერიტორიაზე განთავსებულ წყალსაცავს და მის დაქლორვას, ჩვენ აუცილებელ სამუშაოებს ვახერხებთ ელენერგიის ავტონომიური მომარაგებით, ასე რომ, აბაშელებს გაბინძურებული წყალი ერთი წუთითაც არ მიუღიათ. სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და აბაშაში დღეს ბევრი ოჯახია ავტონომიურ კვებაზე. ენერგეტიკული კრიზისის პირობებში, ალბათ ჭკვიანური იქნება ორიენტაციის აღება ავტონომიური კვებისაკენ, ეს შეესაბამება იმ საზოგადოებრივ ფორმაციას, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ.

ბრალდება მეხუთე:

— რატომ მოხდა „ანჯერისა" და მეიდნელების მიწაზე თანაბარი გადასახადის დაწესება, სად ყომრალა მიწები და სად — ქვა-ღორღიანი ფართობები?

— ამ ბრალდების გასაბათილებლად შემდგომს მოგახსენებთ, ჩვენი ოპონენტები ერთობ უმეცარნი გახლავან, რადგანაც მიწის კადასტრის პრინციპებიდან გამომდინარე მიწაზე გადასახადს აწესებს არა გამგებელი და გამგეობა, არამედ სათანადო სამსახურები. ისე კი ცნობისათვის, „ანჯელის" მიწების ერთი ჰექტარის გადასახადია 25 აშშ დოლარის შესაბამისი ლარი, ხოლო მეიდნელთა — 22,5 ანუ ორდოლარნახევრით ნაკლები, ნუთუ ეგ სხვაობა არ არის, მაგრამ აქაც საბაბის ძებნასთან გვაქვს საქმე. ერთმაც და მეორემაც სიმინდის მოსავალი დააბინავა, ძირითად მასას კი მიწის გადასახადი ჯერ კიდევ გადახდილირა აქვს. გოჭნახევრის ღირებულებაა სულ, მაგრამ გლეხკაცი ისე გათავხედდა, თუ კანონი არ ამოქმედდა, შესაძლოა აქეთ მოგვთხოვოს გადასახადი მიწებისა, ასეთი უკუღმართია კაცის ბუნება.

ბრალდება მეექვსე:

— ბატონო, სოსო, ჩვენი განსაკუთრებული მსჯელობის საგნად გვინდა ვაქციოთ 1996 წლის 12 იანვარს ეწერში ჩატარებული კოლმეურნეობის წევრთა კრება, უკეთ იმ კრების ოქმიდან ამონაწერი, რომლის მიხედვით თქვენც ბრძანებულხართ იმ კოლმეურნეობაში... 18 პოლიციელის თანხლებით.

— ჯერ ერთი, მე მივედი სოფლის ყრილობაზე, მერე — 1993 წლის გადაწყვეტილებით არათუ ეწერში, მთელს რაიონში კოლმეურნეობებმა რეორგანიზაცია განიცადეს და მათ ბაზაზე შეიქმნა აგრო-

ფირმები. ყოფილი განაწყენებული თავმჯდომარე და მისი ამყოლნი ამღვრევენ წყალს. ხალხს გვიმხედრებენ. ყრილობა ჩაშალეს და ჩვენც კონფრონტაციულ სიტუაციას თავი ავარიდეთ. ამჟამად საქმეს სამართალდამცავი ორგანოები იკვლევენ. ეწერლებისათვის თავზე არავის მოუხვევია რა ფორმით იარსებებდნენ, ოღონდ ეს უნდა იყოს კანონთან შეჯერებული, რომელსაც თვითმარქვია თავმჯდომარე არ ცნობს, არ ცნობს აგრეთვე ჩვენს მიერ დანიშნულ ადგილობრივ ორგანოებს. ეგენი ისეთი ყუმბი არიან, არც რაიონის ხელმძღვანელობას დაგიდევენ რამედ და არც — რესპუბლიკისას. გაოცებას იწვევს ბატონ ტოტოჩიას საქციელი იმის თაობაზე, რომ ხალხს ჰპირდება მიწის გადასახადისაგან განთავისუფლებას, ტოტოჩია ამას მოახერხებს იმ შემთხვევაში თუკი თვითონ მოეპოვება იმდენი თანხა, რომ მიწის სავარგულებზე გადასახადისაგან გაანთავისუფლოს თავისი მრევლი. ეს საკითხი სამთავრობო დონეზე ბევრჯერაა კომისიურად შესწავლილი, მაგრამ ტოტოჩია თვით ამ დასკვნებსაც უგულებელყოფს და ურწმუნო თომასავით მოითხოვს კოლმეურნეობის რეანიმაციას. გამომდინარე აქედან დღევანდელ ხელისუფლებას ვერ ეგუება და მისტირის წარსულს. არ ვიცი რამდენ ხანს მოუწევს ლოდინი, ვინაიდან მე ჯადოქარი არა ვარ ქვეყნიერებას სტალინი მოვუვლინო.

ბრალდება მეშვიდე:

— ბატონო, სოსო, ვის მიერ ხართ თქვენ დანიშნული აბაშის გამგებლად, პუტჩისტების, იოსელიანისა თუ კანონიერი ხელისუფლებისა?

ამისთანა შეკითხვისათვის პასუხი ერთადერთი აქვს ბ-ნ ს. ჭანტურიას, რომ იგი ერთადერთი გამგებელია არა მარტო სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, არამედ მთელს საქართველოში, რომელმაც ყველა რეკორდი მოხსნა და მეხუთე წელიწადია რაიონს ხელმძღვანელობს. ს. ჭანტურია არ არის ამბიციური. უხეში კი რამდენიც გინდა, მაგრამ მისი თქმისა არ იყოს, როცა ქვეყანა ყელში აპეურწაჭერილ კამეჩს ემსგავსება, ,,ოთარაანთ ქვრივის'' კვალობაზე ხომ უნდა აუჭრელო მხართეძოზე მიგდებულ მეურმეს გვერდები სახრეთი?! სოსო ჭანტურიას უხეშობის ამბავი ყველასათვის ცნობილია. ამის თაობაზე იციან მაღალ ეშელონებშიც, მაგრამ საქმისადმი თავდადება, მოყვასისადმი სიყვარული გადასწონის თითოეულ მოურჩენელ მანკს.

გასახსენებლად სამიოდე წლის წინანდელი ფაქტიც კმარა: დაცარიელებულ გამგეობაში ერთიანად დაშინებული და გაოფლილი ყმაწვილკაცი მისულა გამგებელთან. გვარიც უკითხავს, როცა დაუდასტურებია გამგებელს, სულისმოუთქმელად უთქვამს თავისი გასაჭირი. თურმე ჯვარიდან ჩამოსული ექსპრეზიდენტის მომხრენი ,,მხედრი- ონელებს'' დაეტყვევებინათ, თვითონ რაღაც მანქანებით დაუღწევია თავი პატიმრობისაგან დაკითხვასა და დაკითხვას შორის. სცოდნია აქაური გამგებელი გვარად ჭანტურია რომ იყო და ამიტომაც მოაკითხა ჯვარელი ექვსი ჭანტურიადან ერთ-ერთმა.

ექვსი კაცის დახსნა, თანაც ,,მხედრიონის'' კლანჭებიდან არც ისე იოლი საქმე იყო მაშინ. ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი და თურმე გამგებელსაც ზედ მიახვრეტდნენ დატყვევებულებს, მაგრამ სოსო ჭანტურიას იხტიბარი არ გაუტეხია, ჯიქურ მივარდნილა ჯვარელ მოგვარეებთან, ,,გამოუკითხავს'' მათი ვინაობა, მერე თქვენი ასე და ისეო გაუთათხავს ექვსივე. წიხლებითა და პანღურებით გამასპინძლებია სათითაოდ. მე მომანდეთ ესენი, მე ვიცი და ჩემმა კაცობამო, გაუგდია წინ და ასე გამოუტაცნია მათგან თავისი ჯიში და ჯილაგი. დიახაც არაორდინალური პიროვნებაა სოს ჭანტურია, ბალზაკის იერით, მაგრამ მოყვასისადმი თავდადებული გულით.

,,ანჯერის'' პროგნოზების ჩაფუშვის გამო დასძენს, რომ დილეტანტობამ და კლიმატურმა პირობებმაც თანაბრად დაგვაზარალესო. პრაქტიკამ ერთ რამეში დაგვარწმუნა, რომ ასე ფართო მასშტაბური მიწის მოვლა ნებისმიერ სააქციო საზოგადოებას გაუჭირდება. გამგეობას გადაწყვეტილი აქვს მომავალში მრავალი სააქციო საზოგადოების შექმნა ,,ანჯერის'' მიწების ათვისების თვალსაზრისით, თანაც საკითხისადმი ამდაგვარი მიმართება მიგვანიშნებს იმ სიტუაციას, როცა მიწის მონოპოლია ერთი კოლმეურნეობის ხელში იყო მოქცეული, ასე რომ, ხშირ შემთხვევაში მთელი ფართობი დაუმუშავებელი რჩებოდაო.

აი, ასეთნაირად იმართლა თავი აბაშის გამგებელმა. ცხადია, ჩვენ არ დავჯერდებით მხოლოდ ერთი მხარის პასუხებს, აღნიშნული საკითხის შემსწავლელად გამოყოფილია კომპეტენტური კომისია, რომელიც უახლოეს ხანებში წარმოადგენს სათანადო დასკვნას. სასურველია გამგებლის სიტყვები იმ შემოწმების მასალებს დაემთხვეს, მაგრამ როგორიც უნდა იყოს დასკვნა, უსათუოდ ვაუწყებთ ჩვენს მკითხველებს აბაშაში შექმნილი ვითარების ობიექტურ სურათს. ამას მოითხოვს აბაშისა თუ რეგიონის ფართო საზოგადოება, და ბოლოს, მარტივად რომ ვთქვათ, უბრალო ჭეშმარიტება — თემიდას სასწორის პრინციპები.

პრეზიდენტის იდეა
ხორცშესხმულია და მაინც...

სიყრმისდროინდელი მეგობარი, რესპოდენტი ჩვენი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე სიჭინავა, ინტელექტუალური გარემოცვის ტიპიური წარმომადგენელია: პედაგოგების ოჯახში აღზრდილი, მეცნიერი ძმების ტოლისდამდები, საქვეყნოდ აღიარებული ჩიქავების სიძეკაცი, სამი ბოკვერა ვაჟიშვილს მწყემსავს და თითოეული უკვე რესპუბლიკური მნიშვნელობის კონკურსის ლაურეატია; ესეც რომ არა, ახლაც მიჩხრიალებს ყურში სტუდენტობისჟამინდელი ტანდემობით ღვინოამოწრუპული ბოთლების სიმრავლე სასაუზმე გროშებისათვის.

მოკლედ, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ალექსანდრე სიჭინავა თეორეტკოსთა კოხორტის ღირსეული ოფიცერია-მეთქი და აქვე მეტის გულღიაობით დავსძინო: პერანგის ძმაკაცი ჩემი, იშვიათი პრაქტიკული ალღოიანობითაც გამოირჩევა. ამის ნათელ დასტურად წინდებულ ინტერვიუც გამოგვადგება.

რაც შეეხება პუბლიკაციის წარმოჩენის არენას, დიახაც ,,ლიტერატურული საქათრველოს'' საზურგისქაროდ განწესებულა იგი, იმ ანბანური ჭეშმარიტების გათვალისწინებით, რომ სწორედ ლიტერატორთა გაზეთია დღეს უამრავი ჭვალნაკრავი პრობლემის გამოუსწორებელი ჭირისუფალი და აქედან გამომდინარე, იქნებ შემოთავაზებულ სიტუაციასაც სხვათა ბედნიერთა იღბლიანობის წყალი გადმოესხას სრულიად საქართვლოს ფენიქსივით ფერფლიდან აღსადგომად-თქვა.

— ბატონო, ალექსანდრე, როგორც სანდო წყაროებიდან შევიტყვე, ჩხოროწყუში თქვენი გამგებლობის პერიოდში, კონკრეტულად კი, 1996 წლის 30 იანვარს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს შეხვედრიხართ, სადაც რაიონის მრავალ პრობლემასთან ერთად თურმე ბუნებრივი წიაღისეული სიმდიდრის გამოყენების საკითხიც განხილულა.

— აქ დასამალი არაფერია. საუბარში პრეზიდენტისათვის ცნობილი გახდა, რომ ჩხოროწყუს რაიონში არსებობს მყარი საწვავი მასალის, ე.წ. ლიგნიტის (ქვანახშირის), ადგილობრივი მნიშვნელობის საბადო და აქ მისთვის ჩვეული სწრაფი რეაგირების უნარით შემოგვთავაზა იდეა — ჩაის ფაბრიკაში ექსპერიმენტი ჩაგვეტარებინა ლიგნიტის გამოსაყენებლად.

— მას შემდეგ ოთხი წელიწადი მიწურულა. მიზეზთა გამო შენ ჩხოროწყუდან გადმოგხვეწეს და მეცნიერულ მოღვაწეობას დაუბრუნდი. ეს საკითხის ერთი მხარეა, მაგრამ ჩემთვის მეტადრე საინტერესოა თუ რა ბედი ეწია თავად ექსპერიმენტს?!

— გეტყვი. პრეზიდენტის იდეას ინგლისის მთავრობის დახმარებით ხორცი შეესხა და რომ არა ზოგი სუბიექტური მიდგომა, (ამის თაობაზე გვექნება მსჯელობა მეტის დაუნჯებით, გ. ო.) იგი აქამდე პრაქტიკულადაც განხორციელდებოდა. თუმცა უმჯობესია საუბარს თანამიმდევრულად მივყვეთ.

ჩხოროწყუში დაბრუნებისთანავე, გურიშ ჭირმა, შევკრიბე ჩაის ფაბრიკის ხელმძღვანელები, ინჟინერ-ტექნოლოგები და გულდასმით გავაცანი პრეზიდენტის იდეა. წარმოიდგინეთ, როგორ შეფუცხუნდა ყველა, მოსვენება დაჰკარგეს. დღე-ღამეს ვასწორებდით. ერთობლივად ავწონ-დავწონეთ ყოველი წვრილმანი და მისი სისწორე სათანადოდ დავასაბუთეთ. მოგვიანებით გავიანგარიშეთ ექსპერიმენტისათვის საჭირო ხარჯები. პროგნოზებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — ჩვენ საქმე გვქონდა ქვეყნის რეალური აღორძინების მნიშვნელობის იდეასთან. ამ აღმოჩენამ გაორმაგებული ენერგია მოგვანიჭა. ჩაის ფაბრიკა ,,თაიგულში'' დავშალეთ ერთი საცეცხლური და ჩვენი გეგმის შესაბამისად გადავაკეთეთ. ექსპერიმენტის დაწყების შესახებ მოვახსენეთ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციასაც და სულ რაღაც ორ კვირაში ჩავატარეთ კიდეც პირველი ცდა, რამაც ჩვენი თეორიული დასკვნები ნაწილობრივ გაამართლა.

— რატომ ნაწილობრვ, — ჩავერთვები საუბარში.

— იმისთვის, გურიშ ჭირმა, რომ საჭირო 95 ტემპერატურის ნაცვლად მხოლოდ 65 გრადუსის მიღება შევძელით, სრული 30-ით ნაკლების აუცილებელი ტექნოლოგიური პროცესისათვის და გამიგებ ალბათ, უნებლიეთ ფრთები ჩამოგვაწყდა. მივხვდით: ჩვენი დონე ამ საქმეს ბოლომდე ვერაფრით მიიყვანდა.

— გამოდის რომ პრობლემა პრობლემად დარჩენილა. ნუთუ ასე მალე დაყარეთ ფარ-ხმალი?!

— როგორ გეკადრებათ, — წარბებს შეყრის ნაგამგებლარი ძმობილი, — ნაწილობრივმა მარცხმა გადაგვაწყვეტინა ბატონ თემურ შაშიაშვილისათვის მიგვემართა. გავამზადეთ წერილი და პირადად მე ჩავუტანე ქუთაისში პრეზიდენტის პირველ რწმუნებულს იმერეთის მხარეში. თხოვნა კონკ-

რეტული გახლდათ — შემოეშველიებინა ჩვენთვის ტყიბულის მეშახტეები, მათი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი.

— ბატონი თემურის ენთუზიაზმი საქვეყნოდ ცნობილია. იმედია, ინიციატივით გამორჩეული გუბერნატორი პრეზიდენტის მამულიშვილურ იდეას, პათეტიკურად თუ ვიტყვით, დროშასავით აიტაცებდა.

— ასეც მოხდა. ერთ მშვენიერ დღეს დაგვირეკეს ქუთაისიდან. ამისათვის თავად ბატონ თემურს ეზრუნა თურმე. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსთან არსებული გაეროს ენრგეტიკული პროგრამების თანამშრომლებად გამოგვეცნაურნენ. მათი უშუალო ხელმძღვანელი, ქალბატონი ნელი ვერულავა, ჩხოროწყუში დაუყოვნებლივ ჩამოსვლას და ექსპერიმენტის ჯეროვან დათვალიერებას იხვეწებოდა. ამაზე თქმულა: კამეჩის დასჯა უნდოდათ და ტლაპოში დაფლესო. ჩამობრძანდნენ. დავხვდით. ნახეს ყოველივე, ექსპერიმენტის თეორიული სისწორე დაადასტურეს. შეგვაქებ კიდეც, რამაც მარტივად თუ ვიტყვი, უჩინარი ფრთები შეგვასხა. ხოლო, როცა შეიტყვეს, ჩვენი წამოწყება პრეზიდენტის იდეა გახლდათ, სიხარულისგან ცას ეწივნენ მთლად, ვინაიდან ამ მიმართებით საქმეს იმთავითვე მწვანე შუქი ენთებოდა.

ქალბატონი ნელი ამასწინებზე ჟენევაში ბრძანებულა თურმე, სადაც მონაწილეობა მიუღია ქვანახშირის ეკოლოგიურად სუფთა წვის აპარატების გამოფენაზე. იქ წარმოდგენილი აპარატები ძირითადად ინგლისური წარმოებისა ყოფილა. აღმოჩნდა, რომ ინგლისის მთავრობას საქართველოსათვის ოთხი 300 კილოვატიანი სიმძლავრის ასეთი აპარატი გადაუცია საჩუქრად.

— მაინც რას წარმოადგენს ეს საცეცხლური? ალბათ, გვარიანად ზორბაა.

— პირიქით, პირიქით, გურიშ ჭირმა, 300 კილოვატიანი საცეცხლური ერთობ კომპაქტური აგებულებისაა, პატარა მოწყობილობა, ხელით მომსახურებისათვის მოხერხებული. მისით ქვანახშირის წვისას კვამლი საერთოდ არც შეინიშნება. გამონაბოლს დაკარგული აქვს უსიამო სუნი, ვინაიდან მავნე მინარევები მთლიანად იფერფლება. აღნიშნული ხელსაწყო ნაცარქექიაა, ბაყბაყდევთან შედარებით, რომელსაც ბრიტანული ქარხანა აშველი □„ფთრცუდდ“) აწარმოებს ხოლმე. ზოგჯერ მათი სიმძლავრე 2500 კილოვატამდე აღწევს, თუმცა აქვე მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ ბრიტანული ქვანახშირი ძირითადად დაბალნაცრიანია.

— ეს რაღას ნიშნავს, — დავინტერესდები.

— შვიდპროცენტიანია, ანუ ყოველი ტონა ქვანახშირიდან 70 კილოგრამი ნაცარი რჩება საცეცხლურში. ქართული ქვანახშირი 37 პროცენტიანადაა მიჩენული, ანუ თითოეულ ტონიდან 370 კილოგრამი ნარჩენი გროვდება საცეცხლურში და ერთიმეორეზე თუ დავაბალანსებთ, აღმოჩნდება რომ 300 კილოვატიან საცეცხლურზე ნაცრის გამოტვირთვა ჩვენს პირობებში □3X300 კვტ) 900 კილოვატიანი საცეცხლურის ეკვივალენტური იქნება ბრიტანეთის კვალობაზე. ეს რაც შეეხება მოწყობილობის ტექნიკურ მხარეს, პარამეტრებს, მაგრამ გულგასახარი ის გახლდათ, რომ ინგლისელი ექსპერტები ჩვენს ექსპერიმენტს იმდენად თანამედროვე ხელსაწყოებით დასტრიალებდნენ, გაოცებისაგან პირი დავაღეთ, თუმცა მთავარი შემოწმების ჩინებულად ჩავლაა.

გაირკვა, რომ წვა ეკოლოგიურად სუფთად მიმდინარეობდა. ნაჩუქარი იმ ოთხი საცეცხლურიდან ბრიტანელებს ორი თბილისის 36-ე საშუალო სკოლაში დაენერგათ, დანარჩენი კი უქმად ხქონიყოთ დღემდე. ხოდა, ჩვენც დავუკავშირდით ინგლისის საელჩოს, გავაცანით ჩვენეული ცდაბედისმონახევრეობა.

როგორც შემდგომში შევიტყვეთ, ამის თაობაზე ინგლისის ელჩს საქართველოში, ბატონ სტივენ ნეშს, ბევრი უცინია: ღია კარებს რისთვის ამტვრევდით, თავს რად აკლავდით ველოსიპედის გამოგონებასო. მოვახსენეთ პრეზიდენტის იდეის თაობაზეც და ამან ვითარება მყისვე ჩვენს სასარგებლოდ შეატრიალა. სულ რაღაც ორიოდე კვირაში ინგლისის მთავრობისაგან ოფიციალური ნებართვა მივიღეთ ხსენებული აპარატის მასობრივად დანერგვისათვის.

— თქვენთვის გაუსროლია „ავროორას“.

— მაშ-მაშ! აქედან მოყოლებული დავუკავშირდით გაეროს ოფისს ჟენევაში, მივიღეთ დასტური ჩხოროწყუში ორი ექსპერტის გამოგზავნის შესახებ აპარატის დასანერგად.

— რისთვის გაგეღიმა? ნათქვამში სასაცილოს ვერაფერს ვპოულობ.

— ჩხეიძის „ნერგები“ გამახსენდა, მიშიკოს წიწმატობა: რატომ არ წარმოთქვამენ ინგლისელები იმგვარად, როგორც წერენო, თუ პირიქით. წარმოიდგინეთ, რა დღეში ვარდებიან ბრიტანელები ჩვენი რაიონის დასახელების წერისას! „ჩხოროწყუ“ ოთხ ისეთ თანხმოვანს აერთებს, ინგლისურად მითი ჩაწერა ათამდე ასოს მოითხოვს. ახლა გამოთქმას არ იკითხავ? მოიმტვრიეს ენა, მაგრამ „ჩხოროწყუ“ ვეღარაფრით წარმოთქვეს გამართულად. „ჩხოროკუ“, ჩოროკუო“, ყლაპავდნენ ბგერებს. ეს

ყველაფერი სახალისოდ, სერიოზულად კი ინგლისელებისათვის პრეზიდენტის იდეა ახალი აღმოჩნდა. მათი ქვანახშირი და საცეცხლური ჩაის მრეწველობასა თუ საერთოდ, კვების განხრით, აქამდე არ გამოყენებულა და გურიშ ჭირმა, მენდე, საქმეს ინტერესით მოეკიდნენ.

ძირითად ხარჯებს გაერო და ინგლისური მხარე კისრულობდა. ადგილზე ჩავრთეთ ენერგეტიკის სამინისტროს წამყვანი სპეციალისტები თუ მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ გ. შანშიაშვილის ღვაწლი. გვერდში ამოგვიდგა ეკონომიკის სამინისტრო ბ-ნ ვლადიმერ პაპავას ხელმძღვანელობით. ზოგი რამის გადაკეთებამ ნამდვილად მოგვიწია: გაიჩარხა საცეცხლურის ახალი დეტალები და მოსცილდა ძველი. მათი დამზადება და ჩხოროწყუში ტრანსპორტირების დაფინანსება იტვირთა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების სამინისტროს ხელმძღვანელობამ. ასე რომ, უკვე ნოემბრის მიწურულისათვის გაეროს ექსპერტების თანხმობით დავიწყეთ კიდეც საცეცხლურის დანერგვა ჩხოროწყუს №1 ჩაის ფაბრიკაში. ეს საცეცხლური ჩხოროწყუელებს ინგლისის მთავრობამ უსახსოვრა. იგი ამ ქვეყნის ქვანახშირის ექსპერტებმა მარკ კრუიზერმა და კოლინ ვაიტხედმა თავად ააწყვეს. 1996 წლის ბოლოსათვის ამ მიმართულებით გაეროს პროგრამა საქართველოში მთავრდებოდა. დრო ძალიან ცოტა რჩებოდა და ინგლისელი ექსპერტები დღე-ღამეში 20 საათს მუშაობდნენ. რაიონის მოსახლეობას ანციფრებდა მათი მუყაითობა, მუხლჩაუხრელი გარჯა.

— წარმომიდგენია დაოდვილი მოსახლეობის სიხარული.

— ენით ვერ აღწერ. ღვთისგან და კაცისგან დავიწყებულ ჩხოროწყუში ინგლისელების ჩამოსვლამ და მუშაობის გაჩაღებამ უზარმაზარი ეკონომიკურ-პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა, რაც შემდგომში სტაბილურობისა და აღმავლობის საწინდრადაც მოგვევლინა. ჩხოროწყუელების თქმით, ამისთანა გულწყვილი შრომისოყვარეობის თუნდაც ნახევრით ჩვენს ქვეყანას ედემის ბაღად გადავაქცევდით.

— საცეცხლური კარგი, მაგარმ ნედლეული? ნედლეული სად იშოვეთ?!

— აქ ტყიბულელი მეშახტეების მხარდაუჭერლად, ცხადია, ფონს ვეღარაფრით გავიდოდით. ექსპერიმენტისათვის საჭირო ოდენობის ქვანახშირი სწორედ იმათ გამოგვიგზავნეს საჩუქრად, ცხადია, გუბერნატორის ზურგისქარებით. ტყიბულის ქვანახშირის ტრანსპორტირების ორგანიზატორი, გამგებლის მრჩეველი ბ-ნ ო. ფიჩხაია წამოჭარხლებული მიმხელდა: ოღონდ ჩვენს ქვანახშირს მუშტარი გამოუჩნდეს და ორმოცდაათ ლარად ღირებულ ტონას ჩხოროწყუელებს ოცდაათად მოგცემთო.

მეშახტეები თავადაც გვესტუმრნენ, ვინაიდან ჩხოროწყუში საცეცხლურის გამართლება მათ ინტერესებშიც შედიოდა, დღის წესრიგიდან ისხნებოდა ესოდენ უსაშველო პრობლემა უმუშევრობისა. ყოველდღიურად გვიკავშირდებოდა ელსმენით ბატონი დავით ზუბიტაშვილი. შეგვპირდა 50 აპარატის შეძენას ინგლისიდან, მაგრამ...

— რატომ შეყოვნდი? ,,მაგრამ'' რა? ჩემთვის მაინც გაუკრვეველი რჩება თუ რამ გაიძულათ ექსპერიმენტის წამოწყება?

— ეხ, გურიშ ჭირმა, არ მინდა ხმამაღლა საუბარი დამწამონ. ჩაის გადამამუშავებელ მრეწველობაში დიდი წინააღმდეგობები იყო შექმნილი. პირველ რიგში ეს შეეხებოდა ჩაის პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვან ზრდას, რაც თავის მხრივ, თხევადი საწვავის, მაზუთის სიძვირესთანაა დაკავშირებული. ამასთან ერთად, ბოლო პერიოდში იგი ძნელი საშოვნიც გახდა და ჩაის კრეფის სეზონის დაწყება ხშირად გვიანდებოდა. უხეში ნედლეულისგან კი, ბუნებრივია, მხოლოდ უხარისხო პროდუქცია მიიღება, იკარგება ასობით ტონა ნედლეული და საწარმოთა სიმძლავრეების უმნიშვნელოვანესი ნაწილი გამოუყენებელი რჩება, ნადგურდება... საბოლოოდ კი ქვეყნის ეკონომიკა ზარალდება. ამასთან დაუსაქმებელია ათასობით ადამიანი.

— ეს ყველაფერი ცნობილია. მე სხვა რამ მაინტერესებს: ნუთუ საცეცხლურის წარმატებით გამოცდის შემდეგ მაინც არ გამოჩნდა სინათლე გვირაბის ბოლოს?

— მაგაზეც მოგახსენებ. ქვანახშირის ეკოლოგიურად სუფთა წვის ინგლისური მესამე აპარატი ჩვენში 1996 წლის ნოემბრის მიწურულს დამონტაჟდა, საწარმო გამოცდის გავლა კი მხოლოდ 1997 წლის გაზაფხულში მოხერხდა. პირდაპირ უნდა ითქვას, ექსპერიმენტების შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია მივიღეთ. აქვე, ერთი ტონა მაზუთი შეცვალა ტყიბულის ამდენივე წონადობის ქვანახშირმა. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, გურიშ ჭირმა: ტონა მაზუთი ადგილზე ჩატანით ჩაის ფაბრიკებს 185 ლარი უჯდებოდათ. დღეს შესაძლოა მეტიც ეხარჯებოდეთ. ხოლო ერთი ტონა ქვანახშირის ტრანსპორტირება საქართველოს ნებისმიერ რაიონში 90 ლარს ვერ გადაცდება. ამ მაჩვენებლების მიხედვით მარტო საწვავში თითქმის 100 ლარის ეკონომია მივიღეთ. პლუს ელექტრო-ენერგიის და სხვა ხარჯების შემცირება. როდესაც ვკითხეთ ინგლისელ ექ-

სპერტს მარკ კრუიზერს, რას იტყვით ჩვენს მაჩვენებლებზე-თქვა, ხელები ფართოდ გაშალა;

არ ვიცი ქართველები რენტაბელობის ხარისხს რა პრინციპებით აფასებთ, მაგრამ ჩვენთვის 5 ცენტიც უზარმაზარი მოგებაა. ასე რომ, თუ განვაზოგადებთ ყოველივეს, ამ ექსპერიმენტით შესაძლებელია ჩაის პროდუქციის თვითღირებულების სულ ცოტა განახევრება მაინც. ჩხოროწყუს რაიონში მისი გამოყენება 1000 ტონა პროდუქციაზე გაანგარიშებით, ყოველწლიურად 100 000 ლარამდე ეკონომიას მოგვცემს. ახლა უფრო ფართო მასშტაბებში თუ განვავრცობთ, საქართველოში ხომ 130-მდე ჩაის ფაბრიკაა, მისახვედრებელია ქვეყნისათვის როგორ კოლოსალურ მოგებას ვაფერხებთ ნებით თუ უნებლიეთ. ყველაფერს რომ მოვეშვათ, შეგვენახება საშვილიშვილი ტყე, ამასთან გაცოცხლდება ტყიბულ-შაორის და ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოები. მოხდება რეგიონების ეკონომიკური ინტეგრაცია.

— ასეთი მიდგომები აფხაზეთის მშვიდობიანი გზით დაბრუნების ერთგვარი ქვაკუთხედიცაა.

— თავისთავად. საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ჩაის ფაბრიკები ქვანახშირს ზაფხულში მოიხმარენ. თვის ამ პერიოდში კი ტყიბულის შახტები უმოქმედოა დღესდღეობით, რაც თავის მხრივ ქალაქის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე უარყოფითად მოქმედებს. დაბოლოს, ყველაფერს რომ მოვეშვათ, ინგლისური წარმოების საცეცხლურის გამოყენება შესაძლებელია გათბობის სისტემებისათვის, საკონსერვო, ცემენტისა და კირის წარმოებებში, სასათბურე მეურნეობაში, მოკლედ, ყველგან, სადაც კი პროდუქციის წარმოებისათვის მაღალი ტემპერატურაა საჭირო, მაგრამ აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ექსპერიმენტს იმთავითვე ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის. რომ საწვავად მაზუთს ქვანახშირი არ სჯობია, მაგრამ ისიც ხომ გვსმენია: ფეხები ისე გაჭიმე, სანამდე საბანი გწვდებოდესო.

— ხო, როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო. მოწინააღმდეგისა მე მკითხე, ვარკეთილის მაცხოვრებელს. აქ ელექტრო-ენერგიას იმისთვის უთიშავენ მოსახლეობს ნავთის და ხე-ტყის ბიზნესს გასაქანი შეუქმნან ხელოვნურად. ალბათ ქვანახშირთანაც მსგავსი სიტუაციაა. ჩანს, თქვენი საცეცხლური ნავთობის ბიზნესთან დაკავშირებულ კომპანიების ინტერესებს ლუკმა-პურს ართმევს და შლაგბაუმები იმთავითვე იყო მოსალოდნელი. ესეც რომ არა, „მარტინ ბაუერის" ინტერესებიც ილახებოდა, ალბათ, ნაწილობრივ თქვენი ექსპერიმენტით. ნამდვილი პატრიოტი, ჭეშმარიტი მამულიშვილი რაციონალიზატორ-გამომგონებლის ვალერი კოვალიოვის სტყვებით, „ბაუერელები" ქართული ჩაის დასასამარებლად არიან თურმე ჩამოსულები, რეალური კონკურენტის დამუხრუჭების, მოსპობის მიზნით.

— გამორიცხული არაფერია, მაგრამ ამჯერად სხვაზე ვისაუბროთ.

— გასაგებია, გასაგები. მაინც როგორია შენეული დასკვნები საცეცხლურის სარგებლიანობასთან დაკავშირებით?

— **ჯერ ერთი**, გურიშ ჭირმა, ტყიბულ-შაორისა და ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოებში 500 მილიონ ტონა მარაგს ვარაუდობენ. ეს კი დამეთანხმები, უდიდესი ეროვნული სიმდიდრეა და მისი გეგმაზომიერი გამოყენება, დიახაც რომ მამულიშვილური საქმე მგონია;

მეორე და, გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები, რაც საპრეზიდენტო პროგრამების შესრულებას შეუწყობს ხელს არსებითად;

მესამე და მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ ქვანახშირის გამოყენების შემთხვევაში, იმპორტირებული ენერგორესურსების საზღვარგარეთ შესაძენი თანხები საქართველოშივე დარჩება, რაც შეაჩერებს ინფლაციის პროცესებს, საიმედოდ გაამყარებს ლარს;

მეოთხე პარამეტრით, საგრძნობლად შემცირდება პროდუქციის თვითღირებულება;

მეხუთე სიკეთე ის არის, რომ ქვანახშირის მრეწველობას ადგილზე, ქვეყნის შიგნით, გაუჩნდება მუდმივი სამომხმარებლო ბაზარი.

მეექვსე და არსებითი მომენტია: ქვანახშირის ეკოლოგიურად სუფთა წვის აპარატებს, რომლის გამოშვების ექსკლუზიური ანუ უპირატესი უფლება საქართველოს ინგლისის მთავრობამ აჩუქა, (ეს უფლება გააჩნია დიდუბეში მდებარე ქარხანა „პროგრესს"), დამზადდება ჩვენში და ამ დარგშიც გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები, აღორძინდება შესაბამისად ახალი იფრასტრუქტურები.

დაბოლოს, მთავარზე უმთავრესი **მეშვიდე** — ქვანახშირის ეკოლოგიურად სუფთა წვის აპარატების გამოყენება ტყვარჩელის მეშახტეებს აიძულებს ბაზარი ჩვენთნა ეძებონ. მოხდება უნებლიე ინტეგრაცია და რაც გარდაუვალია — აფხაზეთის ნებაყოფლობითი ეკონომიკური შემოერთება, რომლიდან პოლიტიკურ ერთიანობამდე ერთი ნაბიჯია.

— ყველაფერი დიდებული, მაგრამ ნუთუ თავად პრეზიდენტი არ დაინტერესებულა მისგან წა-

მოსული იდეის ბედ-იღბლით?

— მაგაზეც გეტყვი. ქვეყნის პრეზიდენტის მითითებით, 1997 წლის 24 იანვრის მეჩაიეობისადმი მიძღვნილ თათბირსა და 24 იანვრის მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, ექსპერიმენტის შედეგების შესაფასებლად შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი.

— აშენებულხართ და ეგ არის.

— ქვაც მაშინ წამოგვეწია აღმართზე. ექსპერიმენტის მოწინააღმდეგეები ყველაზე რთულ პრობლემად საცეცხლურიდან ნაცრის გამოტანას მიიჩნევდნენ.

რა ჭირი მოვუხერხოთ ყოველი ტონა ქვანახშირიდან დარჩენილ 370 კილოგრამ ნაცარსო. ეს ხომ ქვის საუკუნეში მიბრუნებაა პროგრესის სანაცვლოდო.

ასე რომ, პრეზიდენტის ხორცშესხმული იდეა, გურიშ ჭირმა, ნაცარქექიების მცონარობა-ორჭოფობითაა შეჩერებული.

თავად ინგლისელები კი ამ პრობლემას სხვანაირად უყურებენ. მარკ კრუიზერი გვწერს: „ნაცრისა და წიდის გამოტვირთვა აღნიშნული საცეცხლურიდან არის ძალიან მარტივი □ადვილი) ამოცანა და საჭიროებს 5-10 წუთს, საყოველთაოდ ცნობილი იარაღის, „ხვეტიას“ ანუ სკრეპერის საშუალებით. ინგლისში ამ სამუშაოს საქვაბეში მეთვალყურე, დამლაგებელი ქალებიც კი ასრულებენ... ჩაის საშრობი კალორიფერის წინ თქვენს მიერ შემოთავაზებული ლითონის შახტის □ხაერსავალის) მოწყობა უზრუნველყოფს ჩაის პროდუქციის დაცვას ნაცრის მტვრისაგან. ნაცრის გამოტვირთვა საცეცხლურიდან არ არის მომწამლავი პროცესი ჯანმრთელობისათვის, ვინაიდან ნაცრის მტვერი არ კლასიფიცირდება, როგორც მომწამლავი ნივთიერება. 5.09.97 წ.“

— ეს დასკვნა დროზე რომ მოგვსლოდათ, ალბათ, გაუგებრობასაც ნიადაგი გამოეცლებოდა. უეჭველია, კომისია სხვანაირად იმსჯელებდა ექსპერიმენტის ბედ-იღბალზე.

— სხვა გადასახედიდან რომ ვუყურებ საგნებს და მოვლენებს, მეეჭვება, გურიშ ჭირმა. თავიდან მეგონა უმეცრებასთან გვქონდა საქმე, მაგრამ სიტუაციის გულდასმითმა ანალიზმა დამანახვა რომ ყოველივე ქვეყნის შეგნებული მავნებლობაა. დიახ, საბოტაჟი, სამშობლოს ინტერესების იგნორირება საკუთარის სასარგებლოდ. დღითი დღე დავრწმუნდი, რომ პრეზიდენტის ხორცშესხმული იდეის გამარჯვება-განხორციელება უწინარესად იმას არ აძლევს ხელს, ვისაც აშკარად თუ ფარულად ეროვნული ეკონომიკის დასამარება განუზრახავს, მაგრამ ცხოვრებს ლოგიკა ადრე თუ გვიან ყოველგვარ ბურუსს გაფანტავს, ამხელს, გამოაშკარავებს ნებისმიერ მავნებლურ ქმედებას თავსმოხვეულს ჩვენი სინამდვილისათვის. პრეზიდენტის ხორცშესხმული იდეის ცხოვრებაში განსახორციელებლად ყველა პრობლემა დამშია მოყვანილი:

ინგლისელები მზად არიან ჩამოვიდნენ და დაგვეხმარონ; ბრიტანეთი ლიგნიტის ქვეყანაა, ამიტომაც გამოიგონეს ქვანახშირის ეკოლოგიურად სუფთა წვის აპარატები და დღეს მთელი ინგლისი მოიხმარს ეროვნულ საწვავს. თუკი მიბაძვაზეა საუბარი, რაღა მავნე და საზიანო ფეხისხმას ავყვეთ? ვენდოთ დროით გამოცდილს, ეკონომიკურად გამართლებულს და მამულიშვილურს ამავდროულად.

საქართველოში ძნელად მოიძებნება ჩაის დარგის პეციალისტი, რომელიც ჩხოროწყუში არ ჩამოსულა ექსპერიმენტის საკუთარი თვალთი სახილველად. უამრავი პიროვნების აღფრთოვანება შავით თეთრზეა დაფიქსირებული. ამ საკითხზე ბევრი იმსჯელა მასმედიამ. მამათიდანაც ჩამოგვაკითხა ჩაის ფაბრიკის დირექტორმა მექვაბიშვილმა. ინგლისური, უმოქმედო აპარატის დანერგვა უნდოდა თავისთან, თუმცა არ ვიცი, მოახერხა თუ არა ეგ.

ნახშირის დეპარატმენტი თავზე გვევლებოდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. გვნახულობდნენ სამინისტროების წარმომადგენლები, მათ შორის თვით ძალისმიერებიც კი და მაინც პრეზიდენტის ხორცშესხმული იდეა დღემდე ადგილიდან არ იძვრის.

ამ საქმისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ გაეროს სამშვიდობო ძალების ოფიცრები. ისინი დღეში ორჯერ მაინც ჩამოდიოდნენ ჩხოროწყუში და საათობით ესაუბრებოდნენ იქ მომუშავე ექსპერტებს, რასაც ცხადია, ჩვენ არავინ გვითარგმნიდა. მაგრამ მერე და მერე ფანდი ვიხმარეთ, თარჯიმანი შევაპარეთ უცხოელებს და ძირფესვიანად შევისწავლეთ მათი საუბრის ავან-ჩავანი. აი, რას ეუბნებოდნენ თურმე ექსპერტებს:

„რაიონი სტაბილურია, შეგიძლათ მშვიდად იმუშაოთო“.

ვფიქრობ, ყოველივე ჩვენი საქმიანობის უდიდეს შეფასებად გამოდგება. რამდენადაც ვიცი, გაეროს წარმომადგენლები ამ აპარატს დღესაც კითხულობენ და ნახულობენ. იმ პერიოდში ინგლისის მაშიდელი ელჩისგან, ბატონ სტივენ ნეშისგან ამდაგვარი შინაარსის წერილი მოგვივიდა:

„მადლობელი ვართ ჩვენი მთავრობის ნაჩუქარი აპარატის გამოყენებისათვისო“, მაგრამ რო-

გორც ზემოთ ვთქვი, საგანგებო კომისიის უარყოფითმა დასკვნამ წყალი გადაასხა ყველას და ყველაფერს, ვიტყოდი, დანაშაულებრივმა დასკვნამ-მეთქი, თუმცა ექსპერიმენტმა თავისი გასაკეთებელი მაინც გააკეთა — სამუდამოდ დაამეგობრა ტყიბულელი და ჩხოროწყუელი ფეხბურთელები.

— ფეხბურთელები რა შუაშია?

— ერთ საღამოს მომახსენეს: ტყიბულიდან ექსპერიმენტის სანახავად ავტობუსით ხალხია ჩამოსულიო. გვიანი იყო და სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც არ გამხარებია. ჩემთან შეხვედრას ითხოვდნენ. აღმოჩნდა, რომ ტყიბულის ფეხბურთელების გუნდს წალენჯიხაში უთამაშია, იქ არ დარჩენილან და ჩხოროწყუსკენ გამოშურებულან ექსპერიმენტის სანახავად.

დავანთეთ ცეცხლი, აგიზგიზდა ქვანახშირი. მეშახტეებსაც მეტი რაღა ენდომებოდათ. დასცხეს ყიჟინა. მომდევნო კვირას ჩვენ უნდა ჩავსულიყავით ტყიბულში და იქ უნდა გაგვემართა კალენდარული მატჩი ფეხბურთში. დასამალი არაფერია, მათი გუნდი ჩვენსას მთელი თავით აღემატებოდა მომზადების დონით, მონაცემებითაც, მაგრამ სტუმრებმა შემოგვფიცეს:

ნურაფერს იდარდებთ, მოგაგებინებთო.

საქმე ის გახლავს, რომ გამარჯვების შემთხვევაში ვუერთდებოდით იმ 9 ჯგუფს, რომელიც აღმოსავლეთის ამდენივე გუნდთან ერთად იასპარეზებდა, ხოლო იქ დაწინაურებული ავტომატურად გადადიოდა I ჯგუფში.

ტყიბულელების ვაჟკაცური ფიცის ამბავმა ეტყობა საიდანღაც მაინც გაჟონა. ატყდა ტელეფონების ქაქანი თბილისიდან:

თქვენ თამაში ჩაგიწყვიათო. მატჩს ვიდეოკამერათი გადავიღებთ და თუ რაიმე შევამჩნიეთ, ვაი, თქვენი ტყავის ბრალიო.

ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს რაიონს. შედრკნენ ჩხოროწყუელები და მთხოვეს ტყიბულში წავყოლოდი. რა გაეწყობოდა. ჩავედით. ადგილობრივი ხელისუფლებიდან მხოლოდ საგადასახადო ინსპექციის უფროსი დაგვხვდა, ისიც საოცრად დატერორებულ-დაშინებული. სამაგიეროდ სტადიონმა მეშახტეების მთელი არმია შემოგვაგება უშანგი გურეშიძის მეთაურობით.

ცენტრალურ სტადიონზე არ გვათამაშეს. ეს მილეთი ხალხი სადღაც უვარგის მოედანზე შეგვყარეს. ვიდეოკამერიანებმა ისედაც შეფუცხუნებული ფეხბურთელები მთლად ბრინჯივით დაგვიბნია. ამინდმაც გვიმუხთლა. ჟინჟღლავდა. ხანაც სტადიონი მკვრივი ნისლით იფარებოდა. ძლივს მოვნახეთ დასაჯდომი მერხები მე და უშანგმა, მაგრამ სანამ დავსხდებოდით, პირჯვარი გარდავისახე და ტყიბულის ცხრაჯვარის ხატს შველა შევსთხოვე.

მსაჯმა ჩახბერა სასტვენს, დაიწყო თამაში და ორ-სამ წუთში ტყიბულელთა კართან იმნაირი ბურუსი ჩამოწვა, ვიდეოკამერიანებმა ყურები ჩამოყარეს — ბურთის დაფიქსირება რას ხქვია, თითს ვერ მიიტანდნენ თვალთან.

ამასობაში ხელი გამოიღეს ჩვენებმა და ზედიზედ ორი ბურთი შეაგდეს კეთილისმსურველი მეტოქის კარში.

დარწმუნებული ვარ ექსპერიმენტმა გაგვამარჯვებინა. ახლაც იმ აღტკინებით დავიარები. მჯერა ბოლოს და ბოლოს სანთელ-საკმეველი თავის გზა-სავალს არ დაკარგავს, ჩვენს ექმპერიმენტსაც მოხედავს ტყიბულის ცხრაჯვარის ხატი, დღეს თუ ხვალ-ზეგ მასობრივად დაინერგება იგი საქართველოს მრავალ კუთხეში, როგორც ქვეყნის აღორძინების, ჩვენი ეროვნული ეკონომიკის აყვავების უტყუარი გარანტი. მგონი ამით ყველაფერია ნათქვამი, გურიშ ჭირმა, პრეზიდენტის იდეა ხორცშესხმულია და მაინც...

P.S. ...და მაინც გვარნაცვალ მტერს თუ სულნაღრძობ მოყვარეს არაფერი შველის ბატონო, თამაზ; იქნებ თქვენმა გაზეთმა კვლავაც იტვირთოს მედიუმის საპატიო როლი, იქნებ საქართველოს უკვდავების ფომრულის ერთ-ერთი კომპონენტის განხორციელება — ინგლისური საცეცხლურის სადაგი დანერგვა ჩაის წარმოებაში — მკვდარი წერტილიდან დაიძრას. ამ რწმენამ!

ამ წვამ მიგვიყვანა „ლიტერატურული საქათრველოს“ კარიბჭესთან, როგორც იმედის უკანასკნელ კონცხთან და დანარჩენი მიუკერძოებელი მომავლის საქმეა“.

19. 02. 2000 წ.

კოლხი ფერმერი

დინასტია გრძელდება

ვის, რომელს არ წაუკითხავს ქართული ხალხური ზღაპარი „კომბლე“?! სამი ცხვარი ხყავს კომბლეს და თვალისჩინივით ელოლიავება თითოეულს, მაგრამ ამ წერილში ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი კოლორიტული პერსონაჟის მოხმობა შემთხვევით არ დამჭირვებია. თავის საქმეში თავდაჯერებულ კომბლეს ჩვენს კოლხურ სინამდვილეში მოეძებნება საბედნიეროდ პროტოტიპი.

ჯონი ფიფია წარმოშობით ჯვარელი კაცია, პაპა ბაგრატივით ძვალმსხვილი და ახოვანი. ღვინოს ჩაფებით ნთქავს. ოხუნჯობაც უყვარს მეჯოგეთა კვალობაზე. ზღაპრის პერსონაჟს იმითაც მოგვაგონებს ჯონი ფიფია, სულ მოულოდნელობითაა სავსე მისი ცხოვრება. წუთისოფელმა ასწავლა — ნემსს მიარჭობს და ნაჯახს მოხსნის. ნადირობის ტრფიალია პაპა ბაგრატივით. დათვებთან ფათერაკის საძებრად დააბოტებდა მთა-მთა, ჯერ ბაბუასთან, მერე ერთადერთი შვილი ბაგრატი წამოისწრო და ცხენ და ცხენ გაუტევენ აქა-იქ მესტიის რაიონისაკენ, გვანდრასკენ, სადაც მათი ნახირი ბუღრაობს ზაფხულობით.

პაპა ბაგრატი, მამა — ჯონი ფიფია და შვილიშვილი — ბაგრატ უმცროსი სამებასავითაა შეკრული დროსა და სივრცეში. პეპერას ხელობა ბადიშს ზედმიწევნით აუთვისებია. მარყუჟს ისე ოსტატურად განასკვავს და ქამანდს ისე მოხერხებულად ჩამოაცვამს კისერზე ულაყს, რომ მოყურადე ცქერით ვერ გაძღები. მეოთხე კურსის სტუდენტია ბაგრატ უმცროსი. იურისპრუდენციას წარჩინებით ეუფლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არ თავმომწონეობს მამამისის მონაგარით. არც მშობლის მანქანებისკენ მიუწევს გული და აღარც — სხვა რამ სიკეთისაკენ.

თემა, რომლის გარშემო ჩვენ ამჯერად უნდა ვისაუბროთ, თანაბრად ეხება ჯონი ფიფიასაც და მის ვაჟიშვილსაც, ამიტომაც გავასწარით ცოტათი მოვლენებს; მაგრამ — არაფერი, ფირმა „ბაგრატის“ პრეზიდენტი შვილია და მშობელი მამა — ვიცე-პრეზიდენტი. მოკლედ, ვერ გაუგებ სად იწყება პირველის საქმიანობა, როგორ გადადის მეორეში და რანაირი უკუგებით უბრუნდება მამულს. თუმცა, უმჯობესია ყველაფერზე თანამიმდევრულად...

ძიკი კვარაცხელია და ეროვნული მეჯოგეობის კრიზისი

ათიოდე წლის წინათ ძიკი კვარაცხელიას მიმდევრობა ფრიად უტოპიური რომ იყო, ამას ბევრი ცოდნა არ სჭირდება. გვახსოვს ნიკიტას პერიოდი, როცა ერთ სულ ძროხაზე მეტს ვერც იყოლიებდი კაცი. საქართველოში ჩამობრძანებულ ნიკოლოზ II-ს ძიკი კვარაცხელიამ ასი რჩეული, ერთნაირი შეფერილობის ალაწოდარქებიანი ხარი რომ მიუგზავნა საჩუქრად, ესეც ისტორიის კუთვნილებაა.

არავისთვისაა დამალული, ჩვენი ქვეყნის სამოცდაათწლიანი ეკონომიკური სტრუქტურა — საზოგადოებრივი ინტერესების განუხრელი დაცვა — ძირისძირში ახშობდა პიროვნულ ინიციატივებს. უფრო მეტიც, კერძო უნარები და მიდრეკილებანი სახელმწიფო მანქანის გაჯორვის ობიექტი ხდებოდა. ადგილობრივ კლიმატურ პირობებს საუკუნეობით შეგუებულ კულტურებს უგულებელყოფდა. სწორედ იმ პერიოდს ემთხვევა საქართველოში მეცხოველეობის კომპლექსომანიით შეპყრობა. მარილისათვის სხვენზე ძროხების აყვანას მივყავით ხელი.

კოლექტიურ ფსიქოლოგიას დროთა ვითარებაში ჩამოსცილდა ფანატიზმი, რომელიც ადრეულ პერიოდში გრანდიოზულ მშენებლობათა მამოძრავებელი მუხტი გახლდათ ადამიანთა ინდივიდუალიზმის ხელყოფის ხარჯზე და როგორც მოსალოდნელი იყო, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებასთან ერთად, საქართველოშიც გაჩნდა ფერმერული მეურნეობის აღორძინების შანსი. ეს პროცესი ჯერჯერობით ჩანასახოვან ფორმაშია, განსაკუთრებით სამეგრელოს რეგიონში, რომელიც ოდითგანვე განთქმული იყო მეკამეჩეობით, მეცხენეობით, მეძროხეობით, თხების არვეთი, კოლტით, მეფუტკრეობით, მეაბრეშუმეობით... ენდემური ჯიშების გაძევება სამამულო მეურნეობის არენიდან გარკვეულწილად იმპერიალისტური ჩრდილოეთის გეგმაზომიერი ქმედება გახლდათ გეორგიანელებში მიწის სიყვარულის მოსაშლელად და აქედან გამომდინარე, ურბანისტული მიდრეკილებების გასაღვივებლად, მაგრამ საქართველო ამიერიდან შეკვეთილი რეცეპტებით ვეღარ ივლის — ჩვენი ქვეყნის მერმისი ისტორიული გამოცდილების მიმართულებისაა თანამედროვე მიღწევათა მართებული გაზიარების ფონზე.

დიდი ჯოტო (II)

სოფლის მეურნეობის პრობლემებთან სიახლოვე ჩემი პროფესიის კაცისათვის უცხო არ არის. წლების მანძილზე მრავალ კოლორიტულ პიროვნებას გავცნობივარ. მათ შორის ყველაზე გამოკვეთილი მაინც საქვეყნოდ ცნობილი ჯოტო გუგუჩიაა. კახათის კოლმეურნეობის აწ ნეტარხსენებულმა თავმჯდომარემ პირველმა დაარღვია ლამის ტაბუდადებული კერძომესაკუთრული სულისკვეთების ჩამხშობი ბარიერი და უძრაობის პერიოდში ზღვისპირა ჭურიის უმაქნისი მიწები პარტიზანულად აითვისა.

პარტოკრატია ვერ ბედავდა ჯოტო გუგუჩიას აშკარა შებოჭვას, ჯოტოსთან კამათი არ იყო იოლი საქმე; იცოდნენ, თუ დასჭირდებოდა, რკინის ქალამნებს ჩაიცვამდა, მაგრამ ამ საქმეში ვიდრე ქვეყნის მაშინდელი მეთაური, ბატონი ედუარდ შევარდნაძე, არ ჩაერია, ბუნებით გერგილიანი კაცის მუხლჩაუხრელობას გასაქანი ვერაფრით მიეცა. ბატონმა ედუარდმა თავად მოინახულა ჭურის მიწები. გულისყურით დაათვალიერა ნაბდისხელა კუნძულები და ლერწმოვანები. თვალი შეავლო ტლაპოებში დაძირულ კამეჩების ჯოგს.

იმხანად მე კახათელების სტუმარი გახლდით, რაღაც კალმისმიერს ვაცოდვილებდი. დაუვიწყარია ჩემთვის ბატონი ედუარდის მოსმენის კულტურა. კახათელი მწყემსების ჩიქორთულ საუბარს, სულცხონებული, მხცოვანი მეტყევის იროდი სართანიას ბუხუნს, ისეთი ყურადღებით უსმენდა, თითქოს რუსთაველის თეატრის სპექტაკლს ესწრებაო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბატონი ჯოტო გუგუჩიას თაოსნობისთვის მწვანე შუქი ინთებოდა იმ წუთიდან. კახათელების ინიციატივა იმჟამად ლამის მთელს ზუგდიდში განზოგადდა და თითქმის ყველა მეურნეობა-კოლმეურნეობამ ჭურიის ჭაობიან შემოგარენში მიყოლებით გაიჩინა ბოსტნები და ყანები, მაგრამ ეს იყო ინიციატივა ინიციატივისათვის. ადვილი მისახვედრია იქ მოწეული ჭირნახული ვის ჯიბეს, რა საქმეებს ხმარდებოდა, თუმცა კახათელების ბაგა-ბაღსა და სკოლას უფასოდ რომ კვებავდა, მთელმა საქართველომ უწყის. მიუხედავად ყოველივესი, ჯერ კიდევ იმ უძრაობის წლებში, როგორც ზუგდიდის რაიონში, ისე მთელს რეგიონში, გაჩნდა წინაპირობა კერძო ინტერესების აღსაზევებლად.

ათი წლის წინანდელ ამბავს ვყვები: მაშინდელ „ახალგაზრდა კომუნისტში“ წერილი გამოვაქვეყნე მეკამეჩეობის პრობლემებზე. ამ ჭირ-ვარამს ჩემზე ადრეც გამოხმაურებიან ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის აღორძინებით დაინტერესებული სპეციალისტები თუ შემოქმედნი— ბატონები: ნიკო ყოჩიაშვილი, ელბერდ ბატიაშვილი. დღემდე დაუვიწყარია ჩემთვის ნოდარ წულეისკირის „ნოე.“ მეკამეჩეობის პრობლემის შეძლებისდაგვარად შესწავლამ დამანახა, რომ საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის წყალობით ათეულ ათასობით სული კამეჩის შენახვა შეუძლია 25 ათას დიდი და პატარა მდინარის ხეობაში, ისე რომ, კამეჩის გამოსაკვებად მხოლოდ სამოოთხი თვის საკვებია საჭირო. სხვა დროს იგი თვითონ მოიძიებს საზრდოს ჭალებსა თუ მიუვალ ჭაობნარ ადგილებში.

გაზეთის რედაქტორი პაატა ნაცვლიშვილი შემხვდა რედაქციის კიბეებზე.

— ბატონი ნოდარ ჭითანავა გიბარებსო, — გადმომცა. არ გადამიდვია შეხვედრა ამ ფრიად ერუდირებულ ადამიანთან. თითქმის საათნახევარს ვისაუბრეთ. რას ვიფიქრებდი სხვადასხვა დროს დაბეჭდილი ჩემი პუბლიკაციები წაკითხული თუ ექნებოდა. აქეთ შემახსენა ნარკვევები: „ერთი გაფრენით მეტი“, „ენგური — ცის მდინარე“, „ორი ოტობაია“.

ბატონი ნოდარი განსაკუთრებით მეკამეჩეობის პრობლემების ჩემეულ გაშუქებას მოეხიბლა. გამაცნო მინისტრთა საბჭოს დადგენილება აღნიშნული დარგის აღორძინების თაობაზე, პერსპექტიული გეგმები, რომელსაც მთავრობა და ხელისუფლება სახავდა ენდემური ჯიშების აღდგენა-გამრავლებისათვის. მერე ცნობილმა მოვლენებმა ცუნამივით გადაუარა ჩვენს ყოფა-ცხოვრებას, ცნობიერებას და ქვეყნის ტერიტორიაზე განთავსებული მეცხოველეობის კომპლექსებიდან ბეტონის კარკასებიღა შემოგვრჩა. პირუტყვი ან უყურადღებობით დაიღუპა, ან გაიტაცეს ეროვნული საქმეების „საჭიროებისათვის,“ ან კიდევ თავად მისმა „პატრონმა“ ხალხმა შემუსრა უკლებლივ და ქვეყანა შიმშილის ზღვარზე აღმოჩნდა.

„ბაგრატელები“

სწორედ რომ თავგზააბნეულობის, ძმათა შორის სისხლისღვრის ცნობილ წლებში, ჯონი ფიფიამ ჩვეული ფხიანობა გამოამჟღავნა და ლამის დაქცევის პირას მისული მეცხოველეობის კომპლექსი შეიძინა — მიწები არენდით აიღო და მეპატრონედ მოევლინა ხობის რაიონში, რიონის მარცხენა სანაპიროზე, პატარა ფოთის მეციტრუსეობის მეურნეობის ტერიტორიაზე განლაგებულ მეცხოველეობის კომპლექსს. ამ დროს, იმ არეულობის ჟამს, ჯონი ფიფიას სახელმწიფოსაგან ფერმა რომ არ

შეესყიდა, დღეს უკვე სამეგრელოში მომქმედი კომპელქსი აღარც გვექნებოდა. შემოიარეთ მთელი კოლხეთი და „ბაგრატის“ ფერმის გარდა ამომავალი კვამლი სადმე იხილოთ, მხედველობაში თუ არ ჩავაგდებთ უკიდურესი ხელმოკლეობის გამო ზოგან დამკვიდრებულ ლტოლვილებს, კალამს გადავდებ.

დიახ, ერთადერთმა, ჯონი ფიფიამ, შეძლო გადაერჩინა ეროვნული სიმდიდრე, ცხადია, როგორც საკუთარი ინტერესების, ისე — ხალხის საკეთილდღეოდ.

შვილის თანადგომა სწორედ ამ წლებში იგრძნო ჯონი ფიფიამ. წაქეზების მიზნით ფირმის პრეზიდენტად მემკვიდრე დანიშნა. თვითონ მოადგილეობას დასჯერდა. არ დაზარებია მამა-შვილს მკლავების წაკაპიწება. აქ ციფრების მოშველიება უადგილოა. მთავარია საკითხისადმი მიმართება, რომ ნებისმიერ საქმეს მესაკუთრე, პატრონი სჭირდება, საკუთარის უპირატესობის გრძნობა.

ბოროტებას არასდროს სძინავს. ჯერ კომბინირებული ქარხნის ეზოში განთავსებული კანტორის სასტუმრო „დაეწვა“ ჯონი ფიფიას. მერე ტფვიით დაცხრილეს ძმათა შესარიგებლად წასწრაფებული. ავტომატის მთელმა ჭდემ გაუარა სხეულში. ჩაის პლანტაციებით გააღწია ტრასაზე. სისხლისაგან დაცლილმა „საკუთარი თავი თვითონ მიიყვანა საავადმყოფომდე“. გადასასხმელ სისხლს ვერსად შოულობდნენ. მრავალრიცხოვანი და-ძმის პატრონი თვალებს ვერ ახელდა, თუმცა ყოველი ჩურჩული ჩაესმოდა ყურებში.

„თუ სასიკვდილო ვარ, რაღა ცხვირჩამოშვებული აღვესრულოო“, გაუვლია გუნებაში, ძალა დაუტანებია თავისთვის, გაუხელია თვალები.

ჯერ ერთ ძმას შეუთავაზებია სისხლის გადასხმა.

თავი გაუქნევია უარის ნიშნად.

— მაგას ძილი უფვარს და ძილისგუდა ცხოვრებას სიკვდილი მირჩევნიაო.

ჩაბჟირებულა მედპერსონალი.

ახლა მეორე ძმას გაუწვდია მარჯვენა. კვლავ იუარა თურმე ჯონი ფიფიამ.

— ამ ბედოვლათმა ხვიშტირიკები იცის სიმთვრალეში, აყალმაყალი და ტლინკების ყრა. როგორ უნდა ვიცხოვრო მერე მე, ღვინის ტრფიალმა კაცმა, ან საქმეები რანაირად მოვაგვარო უპურმარილოდო, — და აცრემლებულ ნათესავებსა თუ მედპერსონალს მუცლები ხელებით დააკავებინა.

— მხოლოდ დას, მოამაგე დას დავესესხები სისხლსო, — უხუმრია ჯონი ფიფიას, სანამდვილეში მთელი ჯილაგის თანადგომით სულდგმულობს დღესაც...

სიკვდილ-სიცოცხლეს ებრძოდა და მოსანახულებლად მოსულ მისი ფარეხის მწყემსებს უცაცხანებდა:

— ჯოგი როგორ მიატოვეთ, უპატრონოდო?!

თითქოს ენას ეყივლოს ჯონი ფიფიასთვის: მენახირეთა გულგრილობით, სხვათა მოიმედობით დარჩენილ ფერმას 70 სული საქონელი დაეღუპა უწყლობისაგან თუ უვარგისი საკვებით.

— საცოდაობა იყო იატაკზე დაყრილი ბოჩოლების ცქერა, რომლებიც მკვდარ დედებს გულსაკლავად შებღაოდნენო, — იტყვის მოგვიანებით ჯონი ფიფია. ვერც იმ ბოჩოლების გადარჩენა მოუხერხდა მეგრული ჯიშის ჯოგის აღდგენისათვის თავდადებულს. თითქოს უნუგეშობამ დაისადგურა „ბაგრატელების“ ფარეხის ყოველ კუთხე-კუნჭულში, მაგრამ ჯონი ფიფიას არ სჩვევია წინააღმდეგობათა გამო უკან დახევა. მას „კომბლე“ მშვენივრად წაეკითხა ბავშვობაში, და ისიც კარგად იცოდა, კომბლების თლა და ჭერში შეწყობა არსებულ ვითარებასთან შეუწყნარებელი ბრძოლისათვის თადარიგს, მზადყოფნას რომ ნიშნავდა.

— ერთ პირობას ლამის გავტყდი, რადგანაც ბაბუა ბაგრატის ნასახსოვრები ჯოგიდან თითოოროლოლა დამრჩაო, — განაცხადებს მერე ჯონი ფიფია, მაგრამ სადღაც წიგნიდან თუ გაზეთიდან ამოკითხული გახსენებია, რიჩარდ ლომგულს რომ შეემთხვევა ციხე-სიმაგრეში გამომწყვდეულს:

ამბოხებული ფეოდალები ვერაგულად შემოწყობიან ინგლისის მეფის ციხე-გოდოლს. ილევა საკვები. ერთგული ხელქვეითნი დახოცვია ქვეყნის ერთიანობისათვის დავით აღმაშენებელივით ხმალშემართულ მეფეს. თითქოს საშველიც არსაიდან ჩანს. ხოდა, წევს რიჩარდ ლომგული ბნელ სენაკში, მზის სხივები ძლივს აღწევს ისედაც ვიწრო სათოფურებიდან. წევს მოთელილ თივაზე და სულ ის უტრიალებს თავში, საწუთრო როგორ მოისწრაფოს: მეფეს ხომ მშვენივრად მოეხსენება, რანაირი წამებით ამოხდიან სულს გაავებული ფეოდალები?! ასეთ განცდაში მყოფმა ხელმწიფემ ობობას ქსელი დალანდა ციტადელის მიყრუებულ კუთხეში. გონებაამღვრეულმა მეფემ ორლესულით გაკვეთა იგი, როგორც ბოროტების სიმბოლო და ისევ მწარე ფიქრებს მიეცა. მოგვიანებით რომ მიხედა საკნის კუთხეს, თავზარი დაეცა: ობობას ისევ გაება ქსელი და მსხვერპლს

დადარაჯებოდა. მეფემ კვლავ გაუწყვიტა, კვლავ მოუშალა ბუდე და ახლა ცხოველი ინტერესით მიაჩერდა მწერის საქციელს. არ გასულა თხუთმეტიოდე წუთი, რომ ბაბაჭუამ ისევ აღადგინა ქსელი და ამ მომენტმა გასაოცარი ენერგიით აღავსო მეფე.

როგორ უნდა მაჯობოს მწერმა, რომელსაც სამჯერ დავუნგრიე ბუდე და სამჯერვე განაახლაო და ფერფლიდან ფენისქსისამებრ აღსდგა რიჩარდ ლომგულის მოჭოჭმანე სული.

— ეს ეპიზოდი გამახსენდა მყისვე საზარელი სურათის შემსწრესო, — გაგვიმხელს წრფელად ჯონი ფიფია და კვლავ დაიკაპიწებს მკლავებს.

მთელი სამეგრელო შემოიარა ძიკი კვარაცხელიას ჯოგის სახელით ცნობილი მეგრული ჯიშის ძროხების აღსადგენად. ყველგან გვერდიგვერდ დახყვებოდა ვაჟიშვილი ბაგრატი.

მეგრული ძროხა, რომელიც ღია წაბლისფერი შეფერილობისაა უმეტესად, რაღაცნაირად გოროზი მკერდითა და რიხალი რქებით გამორჩეული, ზოგი წალენჯიხაში მოიძიეს, ზოგი— მარტვილსა და ჩხოროწყუში, სხვანი — გურიაში, სადაც ძიკი კვარაცხელია ჯოგს აძოვებდა თურმე ზაფხულობით. ამ მომქანცველ საქმეში არც პროფესიონალი მეჯოგეების მხარდაჭერა კლებია მათ. ჯონი ფიფია დიდი მადლიერებით მოიხსენიებს გამოცდილი მწყემსების: გურამ ფირცხალავას, გულა თოდუას, ჭიჭი კვარაცხელიას, მამია შანავას, ჟორა ჩიქოვანის, გერმანე თოლორდავას უანგარო თანადგომას, ამაგს. ჯოგის განახლებისას ზოგს ძროხა გაუცვალეს, ზოგისგან იყიდეს, ერთმა სულგრძელმა მწყესმა ჟეჟე მიქავამ წალენჯიხის რაიონიდან ორი უშობელი და თორმეტი ცხვარი აჩუქა და დროთა ვითარებაში „ბაგრატის“ სანაშენე ფირმას ას სულზე მეტი მეგრული ჯიშის ძროხა მოუგროვდა. მიუხედავად გამოცდილ მეჯოგეებთან გამუდმებული ტრიალისა, ჯონი ფიფიამ ჯერაც არ იცის სელექციის „ანი“ და „ხოე“ ზედმიწევნით, მაგრამ ტრადიციის კვალობაზე ის ნახირში არაფრისდიდებით გააჭაჭანებს ჭრელს, შავი შეფერილობისას თუ რქებმოკაუჭებულ ეგზემპლარს. ან გაცვლის სასურველ სახეობაში, ან დაკლავს საქმის სასარგებლოდ. ჯონი ფიფიამ არც ინბრიდიისა და აუტბრიდინგის შესახებ უწყის მაინცდამაინც რამე, ანუ ახლო და შორი შეჯვარების თაობაზე, თუმცა, ის ინტუიციით გრძნობს შექმნილ ვითარებას. მხოლოდ რჩეული, მხოლოდ თვალგასახარი ინდივიდები დააბოტებენ მის ჯოგში.

— საქონელი ისე უნდა იყოს შეხორცებული, ზურგზე კვერცხიც რომ დაადო, არ ჩამოვარდესო, — უყვარს თქმა ჯონი ფიფიას. მან იმთავითვე უარყო ხელოვნური განაყოფიერების მეთოდი და რამდენიმე ბუღას მიანდო ჯოგის გამრავლება-გაკეთილშობილების საქმე. ჯონი ფიფია ნებისმიერი პოპულაციისათვის ბუნებრივი გარემოს შექმნის მომხრეა. სადგომი მშვენირი აქვს „ბაგრატის“ სანაშენე მეურნეობას, მაგრამ წვიმიანი ამინდიც რომ იყოს, ნახირს არაფრით შემოაყვანინებს ფარეხში.

— ძროხამ უკეთესად იცის მისთვის შესაფერისი ადგილის გამოძებნაო, — დაასკვინს და გნებავთ ერწმუნეთ, გნებავთ — არა!

— ხელოვნური კვება, ფუფუნება აზარმაცებს ჯოგს და უკარგავს არსებობისათვის ბრძოლაში აუცილებელ ნიშან-თვისებებსო, — აცხადებს. ამის სამაგალითოდ ხშირად შემოიშველიებს ასობით ფრთა ინდაურს, ქათამსა თუ იშვიათი პოპულაციის იხვს, რომლებიც სწორედ რომ ველურ პირობებში იკვებებიან სიმინდის ფართობებში. ორჯერ გაითოხნა ის სავარგულები, შეტაროვდა სიმინდი და აღნიშნული ფრინველების გუნდი ველურებივით დამკვიდრდა შიგ. მართლაც გასაოცარი სანახავია მარაოსავით გაშლილბოლოიანი იხვი, როგორი სიმარდით შეახტება ხოლმე ტანმაღალი სიმინდის ტაროს და რანაირი სიმსუბუქით დაეშვება მიწაზე.

უკონფლიქტო საქმე არ არსებობს

ოცი ხექტარი მიწის ფართობი 1998 წლამდე არენდით აქვს აღებული „ბაგრატის“ ფირმას ხობის რაიონის პატარა ფოთის მეციტრუსეობის მეურნეობისაგან. პატარა ფოთელებს გაჭირვებამ, ხელმოკლეობამ და სიმართლეს თუ ვიტყვით, უნიათობამაც გააყიდინა მეცხოველეობის კომპლექსი. ახლა, როცა „ბაგრატელები“ მოლონიერდნენ, მეურნეობის ხელმძღვანელობას და მათ ხიზნებს შორის შავმა კატამ გაირბინა. ისინი ვერ ეგუებიან მეურნეობაში წარმოქმნილ ახალ სტრუქტურას, რომელსაც შთამბეჭდავი მაჩვენებლები აქვს ამ ბოლო ორი წლის მანძილზე.

პატარა ფოთის მეციტრუსეობის მეურნეობაში დღეს ციტრუსს სანთლითაც ვერ იპოვის კაცის თვალი. ძვირადღირებული სათბურები ახა, უკვე მესამე წელიწადია დინოზავრების ჩონჩხივითა ახორხილა, მაგრამ ციტრუსების განახლებისათვის არავის უზრუნია.

უსახსრობის გამო იმ სათბურებში ციტრუსების განახლება თუ ვერ მოხერხდა, უქმადგდებისათ-

ვის გასწირავდა განა მეურნე კაცი? ლობიოს დათესვას მაინც რა ღონისძიება სჭირდებოდა?! განა სარის მაგივრობას ვერ გასწევდა კარკასი?! სახნავ-სათესი ათჯერ მეტი ერიცხებათ პატარა ფოთელებს, ვიდრე ,,ბაგრატელებს'', მაგრამ სიმინიდის მოსავალი თანაბარი მოიწიეს.

საზოგადო სექტორი ჩაფიქრებულია კერძოობის გერგილიანობით, რომლის მიღწევების ფონზე მისი საქმიანობა უბადრუკზე უბადრუკად გამოიყურება; ამიტომაც იმატა ბუზღუნმა ხიზნების მისამართით რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე:

— ფართობებს გვიოხრებს ჯონი ფიფიას ნახირიო!

— ბამბუკის ნარგავებს გვიჩანაგებენ ჯონი ფიფიას ძროხებიო!

— არენდით გადაცემულ ტერიტორიაზე ხეების გამოხშირვის საშუალებას არ გვაძლევს ,,ბაგრატელების'' თავკაციო.

— ჩვენ არავინ გვცნობს უფროსებად, დიდი და პატარა ჯონი ფიფიას სტუმარია. ბარემ აიღეთ და ჩვენი მეურნეობაც ჯონი ფიფიას ფირმას მიუერთეთო!

დაახლოებით ასეთი ხასიათისაა პატარა ფოთელების პრეტენზიები, მაგრამ ხობის რაიონის ხელმძღვანელობას თვალები და ყურები ჯიბეში როდი უწყვია და ორი კოლექტივის დაპირისპირება არაფრით დაუშვა.

მიუხედავად გამგებლის პოსტზე ხანმოკლე მუშაობისა, ანგულ მიქავამ მართლაც რომ ენერგიული კოლექტივი შექმნა. თავად წლების მანძილზე აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეს, ჩინებულად მოეხსენება, რა შრომატევადი საქმეა მეცხოველეობა, რამდენ ოფლისღვრასა და მუხლჩაუხრელ გარჯას მოითხოვს.

ხობის რაიონი მეცხოველეობით განთქმული იყო ყოველთვის, არა თუ სამეგრელოში — მთელს საქართველოში. ამ სასიქადულო საქმეში ანგულ მიქავას და მისი დღევანდელი თანამზრახველების წვლილიც ურევია. ისინი ერთი მიმართულებით — მეცხოველეობის თუ სხვა ენდემური ჯიშების სწრაფი განახლება-აღორძინებისათვის აზროვნებენ. თანაც პატარა ფოთელებთან ,,ბაგრატელების'' შერიგების არა ერთი და ორი საბაბი მოეპოვება ხობის რაიონის გამგეობას.

როცა მთელს რეგიონში დაქცევის პირამდეა მისული მეცხოველეობის დარგი: გამოცარიელებულია საზოგადოებრივი კომპლექსები და ფერმები, გაოხრებულია შენობა-დანადგარები, მექანიზაცია, ამისთანა სიტუაციაში სამაგალითოდ და მისაბაძად ერთადერთი ფერმაღა ფუნქციონირებს, მართალია, კერძო საკუთრების ტიპისა, მაგრამ მთელს რეგიონში მეგრული ჯიშის ძროხის აღორძინებისათვის მოწადინებული — სანაშენე ფერმა, კიდევ ამ უკანასკნელს შეუქმნას ბარიერები?! აქ ურთიერთგაგება, პატარა ფოთელების თუ ,,ბაგრატელების'' ინტერესების დაახლოება, აუცილებელი პირობაა.

ოდეს სხვები იჯიბავდნენ, უსულგულოდ ანადგურებდნენ საზოგადოებრივ საკუთრებას, ჯონი ფიფია კარდაკარ დადიოდა მთელს დასავლეთ საქართველოში და რუდუნებით აკოწიწებდა სანაშენე ჯოგს.

მალე იგი ხობელების წინაშე ახალი ინიციატივით წარსდგა: ორი წლის ვადით უფასოდ გადასცა სახელმწიფოს ორმოცდაათი სული სანაშენე პირუტყვი შენობა-ნაგებობებითურთ, რაც დაახლოებით 75 ათასი დოლარის ღირებულებისაა. ამ ორ წელიწადში, როგორც ჯონი ფიფია ხპირდება რაიონის ხელმძღვანელობას, ჯოგის სულადობას ორას ერთეულამდე გაზრდის ქვეყნის სასარგებლოდ და რადგანაც იციან, ჯონი ფიფიას სიტყვა და საქმე განუყოფელია, რაიონის ხელმძღვანელობამ ,,ბაგრატელებს'' პატარა ფოთის ტერიტორიიდან დამატებით კიდევ 50 ხექტარი მიწა გამოუყო, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ფერმის პირუტყვის გამოსაკვებად. აქვე ,,ბაგრატელები'' ვალდებულებას კისრულობენ, რძის ნაწარმით თუ სხვა პროდუქტებით შეღავათიან ფასებში მოემსახურონ რაიონის ბაგა-ბაღებს.

ამჟამად ,,ბაგრატის'' სანაშენე ფერმის ორივე სექტორს ორი მამაკაცი და ამდენივე ქალი უვლის. მათთვის არ არსებობს ,,ჩემი'' და ,,შენი'' საქმე. ფერმა მომარაგებულია პურის ფქვილით, კარტოფილით, შაქრით, შეშით. დანარჩენ საკვებ პროდუქტს თვითონ აწარმოებენ. თითოეული მუშა უზრუნველყოფილია თბილი ტანსაცმლით, საწვიმრებით, მყუდრო სათავსით და რაც მთავარია, საკმაოდ სოლიდური ანაზღაურებით. სხვანაირად გამოცდილ მწყემსს ვერ დაინარჩუნებ. არც მათ ოჯახებს აკლია ყველი და რძე.

სანიმუშო წესრიგი სუფევს ირგვლივ. აქაური ღობე ღობეს ხგავს და ფაცხა — ფაცხას, რომლის ოჯინჯალე დახუნძლულია შებოლილი ყველითა და შაშხით.

როგორც მეგრელ კაცს სჩვეოდა, ყოველ კუთხეში ჩვენი წინაპრების სავალალოდ აწ მივიწყებულ შრომის იარაღებს შეხვდებით: ჩოგნებია ეს, ხაპები, ტაბაკები თუ კირზები და სარსები.

ზაფრანების ასხმებს ნივრის გალები დამეზობლებია; დერგების, ქოთნებისა და ქვევრების სიმრავლეა. შუა ცეცხლზე ნაჭა ხკიდია და ზედ ქვაბი თუხთუხებს.

ქალები მამაკაცებივით დაჯენებენ ცხენებს და საჭიროების შემთხვევაში არც ორლულიანი თოფების დაქუხებისა ერიდებათ. საკუთარი წისქვილით ფქვავენ სიმინდს. ორმოცდაშვიდ ოჯახ ფუტკარს უვლიან მოცალეობის ჟამს, რომელიც გაისად 200 სკამდე გაიზრდება. ეს ფუტკარი მუხურის გრძელხორთუმას სახელითაა ცნობილი, რომელიც სამშობლოში — ჩხოროწყუს რაიონში — ფაქტობრივად ამომწყდარია. ვინ იცის, ხვალ-ზეგ მეგრული ჯიშის ფუტკარი იქნებ ,,ბაგრატელების'' ფერმიდან გავრცელდეს მთელს რეგიონში?!

კავკასიური ჯიშის ხბოსტოლა ძაღლები ისე აღავღავდებიან უცხო კაცის ფეხის ხმაზე, უნებლიეთ მუხლები გეჭინჭრება.

ჯონი ფიფიასათვის ყველგან და ყველაფერში მთავარი ხარისხია, ხარისხი და არა მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლები.

მე შევესწრები შვიდი წლის იშვიათი სილამაზის ცხენის დაჭედვის სცენას. ყოველ ლურსმანს სათითაოდ გასინჯავს ჯონი ფიფია, რვა-რვა სამსჭვალით ამოაკრავენ ნალები გავამომრგვალებულ ულაყს, ვიდეოკამერით დააფიქსირებს მთელ შრომატევად პროცესს.

— ჯერ ნალებს კარგად შეეგუოს ცხენიო, — ბრძანებს ჯონი ფიფია და მამის უნებართვოდ თავად ფირმის პრეზიდენტი არ იკადრებს გულფიცხი რაშის შეკაზმვას.

გასაოცარი ოსტატობით ნაკეთებ უნაგირს, სამასზე მეტი ვერცხლის სამკაული რომ ამშვენებს, ნაშუადღევს დაადგამს დილაუთენია დაჭედილ მერანს ბაგრატ-უმცროსი. გააჭენებს მერე ნაპატივებ ქურანას, ნაბდისგაშლა ადგილზე ციბრუტივით დაატრიალებს ბედაური მამის გულის გასახარად.

სამი წლის მწყემსი — ლადო ზარქუა

ამ დღეებში ,,ბაგრატელების'' ფერმა სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის თავკაცს, სახელმწიფო მინისტრს, ბატონ გივი ლომინაძეს მოუნახულებია. მართალია, მამა-შვილი ფიფიები ფერმაში არ ყოფილან, მაგრამ გულღია მასპინძლებს როდი შეეშლებოდათ სტუმრის საკადრისი დახვედრა?!

ბატონ გივის ფეხით შემოუვლია ფერმის შემოგარენი, სიმინდის უხვი მოსავლით სავსე ნალიაშიც შეუხედავს; დაუთვალიერებია სახბორეები, მწყემსების სადგომები, ზემოხსენებული ფაცხა თუ საფუტკრეები. მორალური და მატერიალური მხარდაჭერა აღუთქვამს მეჯოგეებისთვის. მერე თავად ჯონი ფიფიაც მოსულა და სწორედ სახელმწიფო მინისტრის ვიზიტის შედეგია ,,ბაგრატელებმა'' 50 მეგრული ჯიშის ძროხა ორი წლის ვადით უფასოდ რომ გადასცეს სახელმწიფო სექტორს. პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ სიმართლეს სად გაექცევით: სახელმწიფოს აძვალტყავებს ზოგი, ჯონი ფიფია კი იქით უმართავს ხელს ქვეყნის მომავალს!

წვიმიანი დილაა. ,,ბაგრატელების'' ოდა-სახლში ვათენებ ღამეს. ელსადენი მოუპარავთ. ტრანსფორმატორი გაუძარცვავთ. მერე ჯონი ფიფია გამწყრალია, დარჩენილი მავთული და ის ტრანსფორმატორი ფერმის ტერიტორიაზე შემოუტანია, შეაკეთა და ,,ათიოდე დღეში ფარეხს საკუთარი სინათლე ექნება.''

ვიფიქრებ, მეჯოგეებს ადგომას დავასწრებ-მეთქი, მაგრამ მოვტყუვდები. წერილის ბოლოსთვის შემონახული მთავარი პერსონაჟი — სამი წლის ლადოც კი, ფეხზე დამიხვდება.

ეს ოქროსთმიანი ბავშვი ფარეხის იუნგაა, მამით კოლხი და დედით — რუსი. ჯერ კიდევ სრულიად ჩვილს შემოიფარებს თავისთან ჯონი ფიფია. მარტოხელა დედას ხელფას დაუნიშნავს. უფასოდ აცმევს და აჭმევს პატარა მწყემსს. ცეროდენა ლადო ხომ ჩამოყალიბებული მეჯოგეა უკვე.

დილის ექვსი საათისთვის ადგომას ვერავინ დაასწრებს ვერცხლისწყალივით მოძრავ მალხაზს. შემოახვევენ პოლიეთილენის საწვიმარს და ჯინჯილებიანი ნაგაზებით გარშემორტყმული მოთმინებით დაუცდის ფურების ჩამოწველას. მერე თხილის წკნელით ნაყანარისკენ გარეკავს ხბოებს. უკვე თავისუფლად ლაპარაკობს რუსულად და მეგრულად.

,,დიდი სტუმრისთვის'', ბატონო გივი ლომინაძისათვისაც, კი არ დაუთმია ჯონი ფიფიას სკამი პატარა მწყემსს. ვერც სხვა ნივთებს შეავლებ ხელს.

ურიკას მიაჩოჩიალებს საჩეხისკენ, შეშას უკეთებს ჩამქრალ ღუმელს. ,,ბაგრატელების'' თვალისჩინია. რძე ფრიად უყვარს ცეროდენას, მაგრამ ჯონი ფიფიას მოტანილი ,,ფანტა'' ქვეყანას ურჩევნია.

— ხანტა პინიოშ? ხანტა თიმიღიო? — ამ კითხვებით შეაბობღდება მეურვე კაცს და კარგი ბიჭი ხარ ხელცარიელი მიუხვიდე, ან სხვა რამ სასმელი შეატყუო.

ამ დღეებში, როგორც ჯონი ფიფიამ ბრძანა, მოზარდს დაბადების მოწმობას აუღებს. მშობელი მამის უკითხავად აღუდგენს კუთვნილ ღირსებას და ქვეყანას მოევლინება სრულუფლებიანი მოქალაქე — გულთმისანი მწყემსი — ლადო ზარქუა.

შთაბეჭდილებით დატვირთული ვემშვიდო- ბები ,,ბაგრატელების'' ნავთსაყუდელს. თან მომყვება მათი უსაზღვრო სითბო, სტუმართმოყვარეობის მადლი და განსაკუთრებით პატარა ლადოს ალერსიანი თვალები, რომლებშიც მთელი დუნია ჩაეტევა თავისი ოღროჩოღრო გზებითა და წესჩვეულებებით.

1995 წ.

ნალის შეჭამადი

ანუ კარგ ყმად ვინა ვთქვათ, ვაუებო?!

წინდებული წერილისათვის უკეთესი სათაურის მოაზრება, ალბათ, შეუძლებელია, ვინაიდან ორივე პარამეტრით კაკალ ათიანშია მორტყმული, ათიანში და არავითარ შემთხვევაში სხვაგან. და თუ დამაჯერებლობისათვის საბუთების მოშველება დამჭირდა, ხა, ბურთი და ჰა, მოედანი! მაგრამ, მოდით, ჯერ წერილის სახელწოდების ავანჩავანში გავერკვეთ რამდენადმე და მერმე თავადაც გაგვიოლდება გზის გაგნება.

ერთხელ ნაგვიანებ მგზავრს წუწურაქი ქვრივის ალაგესთან შემოაღამდა და დიასახლისმაც ცალყბად შეიპატიჟა შინ, — სტუმარი ღვთისა, ოღონდ ქვახარშია დედაკაცს შიმშილით მისავათებული კაცის დაპურება არც უფიქრია. მაგრამ სტუმარი ყუმი როდი იყო, ათას თოკგამოვლილი გახლდათ. იგუმანა დედაკაცის უკურნებელი სენი სიძუნწისა და სასხვათაშორისოდ ხკითხა:

— ქალბატონო, ხომ არ მომყიდი შენი ბუხრის ცეცხლს?!

— ეგ როგორ?

— როგორ და ნალის შეჭამადით გაგისტუმრებ. როდესმე გიჭამია ნალის შეჭამადი?!

— ნალის შეჭამადი? — ყური ცქვიტა დირსიკ* დედაკაცმა, — არა, მაგრამ რად გინდა, ოჯახში ქათმის სანისკარტო რომ არაფერი მომეძევება?!

— მაგაზე ნუ სწუხხარ, მთავარია ქვაბი გქონდეს. ცეცხლი ხომ ისედაც გიზგიზებს. იმედია, სადმე კუთხეში ცხენის ნალიც აგდია და წყალიც აღმოგაჩნდება.

დიასახლისმა შვებით ამოისუნთქა, თან ცნობისწადილმაც შეიპყრო და ხელად დაფაცურდა. უმალ მოარბენინა ქვაბი, შეჟანგული ნალი და წყლთ სავსე დოქი.

სტუმარმა ნალი კერიიდან გამოქექილი ნაცრით კარგად გახეხა და ნაჭაზე ჩამოკიდებულ ქვაბში ჩაუშვა. წყალი მალე წამოკვარჩხალდა.

— აი, წამოდუღდა კიდეც! — გამოცოცხლდა სტუმარი, — შეჭამადიც ლამის გახაზირებულია, ოღონდ სამი თავი ხახვი მომიძებნე სადმე, ორი კბილი ნიორი და ერთი კონა ოხრახუშიც მოაყოლე, ხო, ერბოს და მარილის წამოღება არ დაგავიწყდეს!

დიასახლისი მსწრაფლ მოფრატუნდა. მონუსხული მისჩერებოდა ჯადოქარ სტუმარს. პატარა ამბავია? ცეცხლს ყიდულობს კაცი ნალის შეჭამადით! გაფაციცებით უმზერს თუ როგორ დაკეპა სტუმარმა ხახვი, ნიორი და ოხრახუში და ერბოსთან ერთად გადაუძახა ქვაბში.

— მორჩა? — ჩაეძია გულისფანცქალით.

— თითქმის, — ღიმილით უთხრა სტუმარმა, — ოღონდ შენ ახლა სამზარეულოში იქნება ხელისგულისოდენა ხორცი მოიძიო, არა უშავს, თუ ძვლიანი იქნება. ერთი ხუთი ცალი კარტოფილიც მთლად დახატავდა ნალის შეჭამადს.

ღუბაძგარა* დედაკაცმაც ხელად მოარბენინა ყველაფერი.

— დამთავრდება ბოლოს და ბოლოს ნალის შეჭამადის სამზადისი?!

— როგორ არა, ოღონდ თაგვის კუდისხელა საქმე დაგვრჩა მოსაგვარებელი — ნახევარი ქილა ბრინჯი და ერთი ცალი წიწაკა! ჯამებისა და კოვზების მოტანაც არ დაგავიწყდეს. პური და ხელადა ღვინო — თავისთავად.

და სხედან ახლა წუწურაქი მასპინძელი და გაპუტული ეშმაკისმაგვარი სტუმარი სუფრასთან. ნაყიდია აგიზგიზებული ცეცხლი ნალის შეჭამადით.

დიასახლისის სული ზეიმობს... თურმე რა ძალა ხქონია ნალის შეჭამადს: სასწაული მოახდინა

უარაფრო ოჯახში, სადაც ნისკარტით ასაკენკიც კი არაფერი მოიძებნებოდა.

დაახლოებით ამგვარია ჩვენი ძირითადი სასაუბრო თემის ხასიათი, ოღონდ — თანამედროვეობის ჭრილში, რომლის პერსონაჟიც სტუმრის პოზიციიდან, ჩემი სიყრმისდროინდელი მეგობარი, სოფელ ნარაზენის მკვიდრი, საქართველოს კონტროლის პალატის სარევიზიო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თემურ თოდუა გახლავთ. ხოლო ქვაწვია დედაკაცი — თავად ცხოვრება ჩვენი — კოლხური სინამდვილე, ოცდამეერთე საუკუნის გადასახედს მიახლოებული, მაგრამ იქამდე ხელმოკლე, იქამდე გაქუცული... თუმცა მოდი, თავად შევხედოთ რეალობას, ოდესღაც ხელგაშლილი კუთხის საწუთრო ნუთუ ისე დაძაბუნებულა, ქათმის კი არა, ჩიტის სანისკარტოც ვერ იჩხრიკებოდეს ბეღელ-ნალიაში?!

თემურ თოდუას სიყრმიდან ვიცნობ, პერანგის ამხანაგები გვეთქმის. სტუდენტობის დროსაც ერთი თეფშიდან გვიჭამია ზიარი ლუკმა.

აგვისტოს მიწურული ერთობ უხვნალექიანი გამოდგა კოლხეთისათვის.

თავსხმას თავსხმა გადაება. აპოპორდა ღელეები, აიფაფრა მდინარეები: ენგური, ჯუმი, ჩხოუშია, კუჩხობონუ... განსაკუთრებით ხობისწყალმა აიშვა თავი. ტაროსში აქამდეც გიჟმაჟს ემსგავსებოდა ხოლმე, ახლა მთლად გადაირია. ერთი შეხედვით უთვინიერესი და უკამკამესი მდინარე, ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით აფანთქალდა, დორბლი მოიყენა, მორევები დაატრიალა, სადაც კი მისწვდა, პირწმინდად მოშალა დამბა თუ ჯებირი. ხიდებს ძირი გამოუთხარა. მიწასთან გაასწორა ყანები, სავარგულები. ოჯახები აუწიოკა მარჯვენა თუ მარცხენა სანაპიროს მცხოვრებლებს. მოითარეშა წალენჯიხა, ზუგდიდი, ხობი. ზოგან კაქტუსის სათბურები მოშალა. აქით გზები მოკბიჩა, სხვაგან მსხვერპლად ყმაწვილის სიცოცხლეც შეიწირა, გლეხკაცის სარჩო-საბადებელი შავი ზღვის ქვესკნელში დანთქა.

ცუდ დღეში ჩავარდა ქალაქ ზუგდიდის მერია, ამ ცოტა ხნის წინათ დანიშნული მისი თავკაცი. სტიქიის თავნებობამ ძილი წაართვა ლერი ჭითანავას. თითქოს ესღა აკლდა მოძმის ხელით რამდენიმეგზის ნაძარცვ და ნაჯიჯგნ ოდიშს, რომელიც მწირი ლუკმით უშურველად კვებავდა და ასაზრდოებს ასიათასამდე ლტოლვილ მოძმეს.

ზარალის საერთო მოცულობა დაახლოებით ხუთ მილიონ ლარად შეფასდა. მაგრამ, მე შენ გეტყვი და, სახელმწიფო ხაზინა ისეა გალაღებულა, საჭირო თანხის მესამედის გაღება შეეძლოს?!

ააფრინე ალალიო, ნათქვამია. ხოდა, დაუდექი სტიქიის მძვინვარებას შიშველი ხელებითა და ცარიელი ენთუზიაზმით! ვისი მხარდაჭერის იმედი უნდა იქონიო, ადგილობრივი მეწარმისა, რომელიც მუქთად გახდა კაპიტალის მფლობელი?! ბევრი გუშინდელი საწარმო-დაწესებულების დირექტორი, ხელის ერთი მოსმით რომ დაისაკუთრა სახალხო დოვლათი, იქამდეა გაწუწკებული, კაპიკს ვერ გააგდებინებ ხელიდან. გამუდმებით ითხოვენ სესხებს საქმიანობის ასაღორძინებლად, გრძელვადიანს, ნაკლებპროცენტიანს, არადა, თავსაც არ იწუხებენ მიდგნენ-მოდგნენ, სახელმწიფომ უნდა მიართვას დაღეჭილი ლუკმა. მათი იმედით, ბუნებრივია, ვერც ჩვენი ეკონომიკა წაიწევს წინ და ვეღარც დანგრეული გზებისა და ხიდების განახლებაში გაშლი ხელს.

მოგვიანებით შევიტყობ, რომ ჩემი სიყრმის მეგობარი თბილისიდან ნარაზენში ჩასულია ცოლშვილითურთ. ამას რუბენ ბეჭვაიას ოჯახში წვეულს მეტყვიან, სანამდე მისაღწევად შვიდკილომეტრიან გზას ლამის გავიხუთმაგეგ.

მასპინძლები მომეხალისებიან დანჯღრეულ თემშარაზე გამოჩინდრიკებულს და აი, მაშინ მამცნობენ:

ხობისწყლით წაღებული გზის მონაკვეთის აღდგენას ოჯახაშენებული თემურ თოდუა ხელმძღვანელობს, აგერ, მერამდენე დღეაო, მამცნობენ და ჩემს დაოკებას გულღიად მორთმეული პურმარილი ვეღარ შეძლებს.

მზე ჯერ კიდევ არ ჩაქანებულა დასალიერზე. წვიმს გადაუღებლად და მაინც ადამიანთა სიმრავლეა. ხობისწყალი დამცხრალა. ნარაზენელებს ქვა-ღორღის გორები დაუხვავებიათ, კალაპოტის შუაგულში ხელოვნური ნაპირი შეუქმნიათ მდინარის სრბოლის შესაოკებლად და კუთხეში მოუმწყდევიათ. აწ ნაკლებად საშიშია ხობისწყალის სითამამე, მაგრამ რასაც მზერა უწინარესად შეეჩეხება, დაახლოებით ასორმოცდაათი მეტრის სიგრძის უშველებელი ხრამია. კვირის წინათ აქ ჩინებული სამანქანო გზა გადიოდა, მაგრამ სტიქიის პარპაშმა ძირი გამოუთხარა, გამოშიგნა, მოსრა სავალი, დაანამცეცა ორი წლის წინათ ისევ თემურ თოდუას თაოსნობით ხელისგულივით მოშანდაკებული ასფალტის საფარველითურთ და შავი ზღვის გრაგნილებში მოაშთო.

ოთხი ოჯახი ხაბოსთავზე მომწყდეულს დამსგავსებია. სურათი დაახლოებით ისეთივეა, როგორც მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მეტეხის გაყოლებაზე შეფენილი სახლებისა. ავანსცენიდან

გადმოხყურებენ ისინი სოფელს, თითქოს ქანდარაზე შესკუპებულანო. აგერ, ხელისგაწვდენაზე მოსჩანს ზუგდიდის წარმტაცი სანახები, მაგრამ ახლა ოდიშის მთავარ ქალაქამდე რომ მიაღწიო, ოცდაათი კილომეტრი მაინც უნდა ივაგლახო ხეცერის, ურთის ოღროჩოღრო გზებით, რომელიც პოლიგონად გამოადგება დავით გარეჯთან დისლოცირებულ საარტილერიო ბატალიონს.

საერთოდ კოლხეთის გარიწკინებული გზები წარსულს ჩაბარდა. ბორის სალარიძის სამსახური როგორღაც მოახერხებს ცენტრალური მაგისტრალის შეკეთება ცხენისწყლამდე. იმდენს იქნევენ წერაქვს მისი მუშები, იმდენს აგორავებენ „კატოკს" უცნაური გეომეტრიული აღნაგობის ღრმულებზე, რომ ბოლოს და ბოლოს ნიკო ლორთქიფანიძისეულ საბნებს დაემსგავსება ჩვენი გზატკეცილი, მაგრამ ამისათვისაც მადლობა. რაც შეეხება შიდა სამიმოსვლო გზებს, აქ საქმე ჯოჯოხეთურადაა, ინიციატივა კი არსაიდან ჩანს, არც ქვემოდან და ბუნებრივია, აღარც — ზემოდან. ამის თაობაზე თემურ თოდუა იტყვის:

მოხერხება განგებით დაებედა თემურს.

ყმაწვილობიდანვე გამოირჩეოდა განუმეორებელი ორგანიზატორული უნარით. სტუდენტობისას ათასი ჯურის მიდრეკილებისა და შეხედულების ჯეელები, თემურის გარშემო ირაზმებოდნენ განურჩევლად; თემური არიგებდა ქალიშვილის გამო წაკიდებულ ყოჩებს; თემური აწესრიგებდა სამეგობროს ყველა წვრილმან თუ მსხვილმან პრობლემას.

მერე ჩვენი გზები გაიყრება. მე ციცაბო ბილიკებით მომიწევს წუთისოფლის იწროებში წოწიალი. არც თემურის გზა-სავალია მაინცდამაინც ია-ვარდით მოფენილი, მაგრამ ყველგან ღირსეულად ატარებს მართალი კაცის სახელს.

სამეგრელოში „მხედრიონის" მძვინვარების პერიოდში თემური გადი ლომაიასთან, თოდუებთან, ბეჭვაიებთან მუშტივით შეკრავს სოფელს. მართალია, თუთაშხიასებურად სხვის საქმეში არ ჩაერევიან, მაგრამ არც თავიანთი კერიის ნაცარს მოუჩხრეკინებენ ვინმეს. ხოლო როცა ოდნავი ამოსუნთქვის საშუალება მიეცემა ქვეყანას, როცა კრიმინოგენური ვითარება რამდენადმე მიწყნარდება კოლხეთში, თემური გაუბედურებული გზების მშენებლობას მიხყოფს ხელს და რაღაც თვენახევარში ორმოებით და ღრმულებით დაღრღნილი, ერთ დროს სანაქებო თემშარა ჯერ მოიხრეშება, მერე მთლიანად ასფალტის საფარით შეიმოსება. აქ მას ძმასავით დაუდგება მხარში სენაკის რაიონის დეპუტატი, მაჟორიტარი დემურ გადელია. ხოდა, ამ გზას არ დახარბდება გადარეული ხობისწყალი?!

— ხომ დარჩები ამაღამ? — მეკითხება შეწუხებული. როცა თანხმობის ნიშნად თავს დავუქნევ, სახე გაეხსნება და საქმეს მიუბრუნდება.

მზე უკვე ეფარება ნარაზენის ხუჭუჭა გორაკებს, წვიმაც უფრო იძალებს, მაგრამ მძიმე ტექნიკა შეუსვენებლივ ღმუის ხობისწყალის კალაპოტში. ბულდოზერები ქვა-ღორღს აქუჩებს და მძიმედ დაღოღავს ხრამის ფსკერზე. ნაწარღვნალი სურათის შემსწრე უნებლიეთ გავიფიქრებ, ნუთუ მართლა ამ უფსკრულის ამოვსებას აპირებენ-მეთქი.

მოგვიანებით გავარკვევ, თემურ თოდუა ზუგდიდის მერიის ხელმძღვანელობას შეხვედრია და დაუფარავად გაუმხელია:

სანამ ნარაზენის ჩამოშლილი გზის მონაკვეთს არ აღვადგენ, სოფლიდან ფეხს არ მოვიცვლიო.

მერს, ლერი ჭითანავას, ასეთი თაოსნობის საწინააღმდეგო რა უნდა ხქონოდა?!

ნეტავ ყოველ სოფელს გამოუჩნდებოდნენ მსგავსი ინიციატორებიო, უთქვამს.

სიტყვას საქმით დაამტკიცებს თემური. მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს იანურ მიქავას ტექნიკის მოშველიება სთხოვს. მთავარია თუნდაც ერთი ბულდოზერის ამუშავება ჩაღრანტული გზის მონაკვეთში, თორემ მერე და მერე, „ნალის შეჭამადის" კვალობაზე, გაუჩენელს გააჩენს.

ამრიგად, ჯერ ერთი ბულდოზერი გამოიძებნება, ორი უკვე შეეგულვებინა მეზობელ რაიონში, მერე მეორე, მესამე, მეოთხე გამოიჩხრიკება. ამასობაში თვითმცლელები და ექსკავატორებიც გამოჩნდება. პირადი კონტაქტები თავისას გაიტანს და უარაფრო კოლხეთში, სადაც ქათმის სანისკარტოც კი არ იძებნება, ვის ბენზინს დაესესხება, ვის — გაწყვეტილი გვარლის სანაცვლოს. ორ ბულდოზერს ადგილზე შეაკეთებენ საკუთარი ძალებით. მიკროავტობუსის ყველა მძღოლს, რომელიც კი ნარაზენის გზით დადის, ფულს შეაგროვებინებს:

— ბიჭებო, ახლა ამოგვიდექით მხარში, თორემ თუ ზამთარმა მოგვისწრო, მაისამდე მოვწყდებით ქალაქს. ამასობაში ის მოზოგილი ფულიც შემოგეხარჯებათ და, ღმერთმა უწყის, მერე საერთოდ ეშველება თუ არა ჩვენს გზას ორ-სამ წელიწადს. ახლა გაიჭირვებთ, სამაგიეროდ ერთი-ათად ამოიღებთ ახლო მომავალშიო, — და შეგონება გაჭრის.

ავმოენენი ხომ ყველგან და ყოველთვის ჩასაფრებულან და ზოგი ცდის თემურ თოდუასა და ქალაქის მერს შორის განხეთქილების ვაშლის გაგორებას, მაგრამ ლერი ჭითანავა ისეთი გულუბრყვილო როდი გახლდათ, თეთრი და შავი ერთმანეთისგან ვერ გაერჩია.

საქმე ის არის, რომ თემურ თოდუა ლერი ჭითანავას ერთადერთი კონკურენტი იყო ქალაქის მერის პოსტზე. მთავრობამ, ხელისუფლებამ ამ უკანასკნელის კანდიდატურას დაუჭირა მხარი, როგორც ზუგდიდის რაიონის პრობლემებში უკეთ გარკვეულს □ის ხომ წლების მანძილზე ქალაქის მერის პირველ მოადგილედ მუშაობდა, თანაც თემურის საბუთებს გარკვეულმა ძალებმა შლაგბაუმი აღუმართეს ქვეყნის მესვეურისკენ) და ახლა მართალიას ნაშიერის თაოსნობა თითქოსდა, გარკვეულწილად, „მისი ავტორიტეტის საზიანოდ მოქმედებდა“.

— შენ მთავრობას მიჩერებიხარ ხელებში. თემურ თოდუას შემხედვარე გახვრეტილ თეთრსაც არავინ გაღირსებს. იტყვიან:

ამათ თურმე ადგილზევე მოეძევებათ რესურსები. რა დახმარება, რის დახმარებაო, არაფრისგან საოცრებებს ახდენს: სამტრედიაში ბიტუმს შოულობს, სენაკში ასფალტს ხარშავს, ზუგდიდში „კატოკს“ ჩალიჩობს და მთელს გზაზე ასფალტს აგებს. თქვენ კი კომისიის გადაწყვეტილებებს უცდით, ვიდრე სახელმწიფო დახმარებას არ გიბოძებენ, აღდგენით სამუშაოებს ვერ წამოიწყებთ. ხომ არ დაიჩრდილება ხალხის თვალში შენი ავტორიტეტი თემურ თოდუას მეცადინეობის ფონზეო? — ეჩურჩულებოდნენ.

მაგრამ ბატონმა ლერიმ ჩინებულად უწყოდა, მის წილ სახელს ვერავინ ჩამოაციცქნიდა კვნიტი მარილისხელასაც. ესეც არ იყოს, თემურ თოდუა რა, საკუთარ ეზო-სახლს დახფოფინებდა თავზე? განა ნარაზენის გზის გაუქმება, რომელსაც ათობით სოფელი გამოკვანძვია და ზუგდიდ-ქალაქის ერთ-ერთი სასიცოცხლო არტერიაა, ისევ ზუგდიდლებს არ ავნებდა?! ქალაქს პროდუქტი მოაკლდებოდა, მოსახლეობა გაწამდებოდა. შესაშური რა სჭირდა ლერი ჭითანავას, რომელსაც ისედაც ფართო ასპარეზი აქვს მამულიშვილურ საქმეთა საკეთებლად?! ხოდა, ავმოენებს ხმა გააკმენდინა. პირიქით, თემურს საკუთარი ხალხი მიაშველა. ქალაქის მერს ისედაც თავზესაყრელი პრობლემა უფრთხობს ძილს: სტიქიისგან დაზარალებული 900 ოჯახი ტყაიაში, დარჩელში, შამგონაში, ოდიშში... ათეულ ათასობით ლტოლვილის უნუგეშო ყოფა-ცხოვრება, უგზოობა, უშუქობა, ჯიუტი კოოპერატორები, მოსაკრებლები მარწუხით რომ უნდა ამოგლიჯო ჯიბიდან.

როცა ქალაქის მერისგან მორალურ თუ მატერიალურ მხარდაჭერა იგრძნობს თემურ თოდუა, სტიქიის ნაბობოქრალს უფრო თავდაუზოგავად შეებმება.

სამ დღეს დავყოვნდები ნარაზენში. სამ დღეს ვუთვალთვალებ მუშტად შეკრული ნარაზენელების თუ კოლხიდელების საქმიანობას: ვალიკო თოდუა, თავკაცი ბორის ლომაია, შვიდი შვილის მამა ბორის ბეჭვაია, რუზგენ ნარსია, ფელიქს კვარაცხელია, სხვანი და სხვანი ჯარასავით ტრიალებენ თემურ თოდუას გარშემო და მაინც, მთელი დაძაბულობა მექანიზატორებზე მოდის: მუყაითი შრომით თავს ისახელებენ ორდენ მებონია, როლანდ ჯიქია და გია მაქაცარია. ესოდენ დატვირთვას და ტემპს ვერ უძლებს მოძველებული მანქანები, საჭიროა შეკეთება, ნაწილების შოვნა და თემურიც მყისვე ფიჭურ ტელეფონს მოიმარჯვებს; ხან თბილისს ელაპარაკება, ხან — ფოთსა და ზუგდიდს.

ასეთ ვითარებაში დავტოვებ ნარაზენს. წაღებულ გზას ჯერ კიდევ სანახევროდ არ შეუკრავს პირი და კვირისთავზე რომ მოვბრუნდები, ჩემს გაოცებას საზღვარი წაერთმევა — გზას ოდინდელი მდგომარეობა აღუდგენია; ატალახებული მიწა ჯერ კიდევ ფამფალებს ფეხქვეშ, მაგრამ კოლხური ჭინჭყლი ამინდის მიუხედავად მანქანას უკვე შეუძლია ზედ გავლა. ქვა-ხრეშის წამომართულ გორაკებს მიღმა მიიკლაკნება აბურტყუნებული ხობისწყალი, ცისფერი, როგორც მითიური კოლხეთის სული.

ყველანი ღელის პირას გამართული ტრაპეზისაკენ მივემართებით. ნარაზენელებს მაგიდები გამოუტანიათ, სუფრა გადაუფარებიათ. პურ-მარილი მამაკაცურია, პეწსა და ლაზათს მოკლებული, მაგრამ — ყუათიანი. შემოდგომის ბოლო აკორდებია. მაჭარი ჯერაც არ დაწურულა, თუმცა რთველს კარგი პირი უჩანს. წლეულს სიმინდის უხვი მოსავალია მოსალოდნელი მთელს კოლხეთში. კახეთშიც პურის ხოდაბუნებმა ბარაქიანად დაიბერტყა კალთები.

თემურ თოდუას ინიციატივით თითოეულ მექანიზატორს თითო ტომარა პურის ფქვილს მიუგზავნიან ოჯახებში. ეს მათი თავდაუზოგავი სამსახურის ჯილდოა. მალე შთამბეჭდავ გასამრჯელოს მიიღებს ყველა. ამის გარანტი კი „ივანიჩია“, მისი კაცური სიტყვა და „ნალის შეჭამადის“ მომზადების უბადლო ოსტატობა.

აგერ, მერიის ხალხიც გამოჩნდება მაღალ-მაღალი ლერი ჭითანავასა და მისი განუყრელი, დაუდგრომელი თანაგუნდელის, თენგიზ შანავას წინამძღოლობით. იციან, რომ აქ ღვინის სმას არ

შეხყვებიან, მაგრამ თითო ჭიქის დალევა აუცილებელი პირობაა. ადღეგრძელებენ დედა-სამშობლოს, მის მომავალს, მის წინსვლას; აკურთხებენ უდროოდ დაღუპულ სისხლ-ხორცს, ჩვენი სამშობლოს მთლიანობას.

მართალია, ნარაზენს კი გამოუჩნდება პატრონი ,,ნალის შეჭამადის'' დიდოსტატის სახით, მაგრამ დაზარალებული სხვა სოფლებიცაა მისახედი. ნეტავი იქაც წამოყოფდნენ თავს თემურ თოდუას ბანის მიმცემი ბიჭები. მთავარი თურმე პირველი ნაბიჯია. ეს ნარაზენის მაგალითითაც დადასტურდა. მთავარი ინიციატივის გამოჩენაა, დანარჩენი თავისით მოვა, ხალხის გენია გაუჩენელს გააჩენს. აურაცხელი ენერგიაა შემალული მის თითქოსდა მობოშებულ ძარღვებში; მთავარია გაძღოლა, გულის დანახვება ხალხისთვის და როცა პიროვნება და საზოგადოება ერთ მუშტად შეიკვრება, რომელი სტიქია დაუდგება წინ შეთანხმებულ მოქმედებას?!

იანურ მიქავას აქამდე შორიდან ვიცნობდი, როგორც ერთ-ერთ ღირსეულ ოდიშელს, ლეგენდარული სახალხო გმირის, უტუ მიქავას შთამომავალს, მაგრამ ნარაზენში ყოფნისას რამდენადმე დავუახლოვდები სიტყვაძვირ და ფუტკარივით მომუშავეს. ბევრ რამეს შევიტყობ მისგან ჩვენი კოლხეთის ჭირ-ვარამზე. შევიტყობ, რომ თვალსა და ხელს შუა გვეკარგება წლების მანძილზე სიმწრის ოფლით მოპოვებული მიწები ხობის თუ ზუგდიდის რაიონებში. უკვე რამდენიმე ათასი ხექტარი მიწა წაგვართვა სტიქიამ, კვლავ დაჭაობდა. მელიორაციული სამუშაოების შეწყვეტამ, ბოლო წლებში მეურნეობის მოშლამ, გამოუსადეგრად აქცია ოდესღაც სიმინდის ყანებით აღაღანებული სავარგულები. ბატონი იანურ მიქავა ერთი წუთით არ მოშორებია საერთო სატკივარს. ოჯახი დაივიწყა, აქ ათენებდა და აღამებდა. ძმასავით ედგა მხარში თემურ თოდუას და სტიქიასთან მებრძოლი შტაბის წევრებს.

იტყვის ამის თაობაზე თემური:

— ჩვენი ენთუზიაზმი ფუჭი ფაფხური იქნებოდა, იანურ მიქავა და მისი ხელმძღვანელობის თავდაუზოგავი მხარდაჭერა რომ არაო. — განსაკუთრებული სიყვარულითა და მოწიწებით საუბრობს იგი მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის უფროსის თენგიზ ჩიკვაიძისა და მისი მოადგილის, წარმოშობით კოკელი კაცის, ომარ ნარმანიას მისამართით...

— არავინ დაიჯეროს, რომ საქმის მესამედსაც კი გავართმევდით თავს, ეს ხალხი რომ არა, — გამენდობა ერთხელ, — მე არ ვიცი როდის გადაიხდის ამ ამაგს ჩვენი ნარაზენი, ზუგდიდი. დაახლოებით ასი ათასი ლარის სამუშაოების ლომის წილი მათი მორალური და მატერიალური ხელგამართვითაა. ამ უარაფრობის ჟამს, სწორედ რომ დაუფასებელია უშურველად გაღებული ყოველი ლარი. მათი თანადგომის შემხედვარეს საერთოდ დამიბრუნდა რწმენა ცხოვრებაზე, ადამიანებზე. ახლა აღდგენილი გზის მონაკვეთზე დამბების აღმართვას რომ ვაპირებთ, სწორედ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის იმედითაა. აქამდეც მათი უანგარო მხარშიდგომის შემწეობით ხელოვნურ კალაპოტში მოვამწყდიეთ ხობისწყალი, აღვადგინეთ დანგრეული გზის მონაკვეთი, მექანიზატორებზე გავეცით პირველი გასამრჯელო და თუ საქმის დაგვირგვინებას ბედი უწერია, ალბათ, ისევ და ისევ, ბატონების — თენგიზ ჩხიკვაძისა და ომარ ნარმანიას ფასდაუდებელი თანადგომითო.

მადლიერებით ვემშვიდობები თანატოლს, იმის იმედით, რომ სტიქია ვერ იმძლავრებს ნარაზენის გზაზე, ვერც — ზუგდიდის შემოგარენში; ვემშვიდობები გულმართალ თოდუებს და ლომაიებს, ბეჭვაიებს და ბერიშვილების, იანურ მიქავას ლომგულ ბიჭებს, ზუგდიდს, მერიის ხალხს; ვემშვიდობები ერთადერთი რწმენით, რომ ურთიერთდაყოლის ნიჭზე უკეთესი საუნჯე არაფერი უბოძებია განგებას ადამიანებისათვის და კიდევ — ,,ნალის შეჭამადის'' მომზადების უნარი, როცა საკუჭნაოში ქათმის სანისკარტო მარცვალიც არ იძებნება.

დიახ, ხსნა ყველგან არის, და რადგან ხსნის გზა ისევ და ისევ ჩვენს გამჭრიახობაზე, ჩვენს ინიციატივასა და მონდომებაზეა დამოკიდებული, ამაოდ ვიცქირებით მაღლა ციური მანანების მოლოდინში; ნურც ინვესტიციებისა და კრედიტების იმედით ვაპირებთ ჩვენი კუთხე-კუნჭულის აღორძინებას, რადგანაც ღმერთმა გვასწავლა წყალწაღებულთ: გაანძრიეთ ხელი და ნაშველები ხართო.

P. S.

ორ სექტემბერს ნარაზენის გზაზე მიმავალი სამარშრუტო ავტობუსები უკლებლივ ჩერდება განახლებულ თემშარაზე. ხანდაზმულები ჩამოდიან, მამაშვილურად მხარზე კოცნიან თემურ თოდუას.

— ასე, შვილო, ცხონებული დიდი ვანო თოდუას მემკვიდრეს რა უფლება გქონდა ზურგი შეგექცია სოფლის სატკივრისათვის?! ხომ თქმულა, ,,კვიცი გვარზე ხტისო''.

თემური კი ფერად სათვალეს ირგებს უნებლიეთ მოწოლილი ცრემლის შესანიღბად.

1997 წ.

კაცი — აისბერგი

ბატონი თემურ თოდუა პროფესიით ინჟინერია, ეკონომისტი. ამჟამად მუშაობს საქართველოს კონტროლის პალატის სარევიზიო დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ. ყყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.

ბატონი თემური სამეგრელოს მკვიდრია, ზუგდიდელი, ხშირად ეწვევა მშობლიურ კუთხეს, ასე რომ, პრობლემებში ძირეულად ერკვევა.

ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესსმოკლებული არ იქნება ბატონ თემურ თოდუას საუბარი მწერალ გური ოტობაიასთან.

— საქმეში მეტნაკლებად ჩახედულმა ადამიანებმა იციან, რომ სიყრმის მეგობრები ვართ, ერთი პერანგის ხალხი. ხშირად გვიწევს ტანდემური საუბარი რესპუბლიკური პრესის ფურცლებიდან, მაგრამ ცოტამ თუ უწყის, რანაირ უხერხულ რესპონდენტთან მიხდება ძმაკაცობა. ნუ მიწყენ სიმართლისათვის და ნამდვილი აისბერგი ხარ, რომლის მეათედი ძლივს მოჩანს წყლის ზედაპირიდან, დანარჩენი — დაფარულია.

მეუბნებიან სამეგრელოში, დედაქალაქში, სხვაგან, კეთილმოსურნენი თუ გულღრძონი: შენი თემურის პოზა სირაქლემისააო; ასახელებს პრობლემებს, აანალიზებს, ჩინებულად სხვათა შორის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ ვითარებას, დასახავს გზებს მათ გადასაჭრელად და რატომღაც თავს არიდებს კონკრეტულ პიროვნებათა საქმიანობის შეფასებას საჯაროდ, რომელთა ღვაწლმა ლამის კატასტროფამდე მიგვიყვანაო. მიმხელენ იმასაც, რომ ნუთუ ვერ მოიძებნა ისეთი ადამიანი, რომელიც მის მამულიშვილურ გულისთქმას ქვეყნის პრეზიდენტს მიუკერძოებლად მიაწოდებდაო. აკი, თავის დროზე კოლექტიური წერილი - მიმართვაც მომზადდა ბატონი ედუარდის სახელზე, სადაც ათობით ჭკუადაუნჯებულმა პატრიოტმა გამოუცხადა ნდობაო...

— უხერხული შედარება გამოგივიდა, თითქოს მეათედს ვამჟღავნებდე მხოლოდ, დანარჩენ ცხრა მეათედს ვმალავდე, როცა ჩემი ცხოვრების საჭე მყარად მიკავია ხელში: ვიცი სად ჩავუშვა ღუზა, ვის ნაპირს მივადგე. ეგ შედარება სხვამხრივაც შეუფერებელია, ვინაიდან ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები გახსნილი; დასამალი, შესანიღბი ღმერთმა მაშოროს. დაინტერესებულ პირებს კი ამთავითვე ვუმხელ: ჩემგან სენსაციურ გაცხადებებს ნუ მოელიან, განსაკუთრებით ადამიანების შეფასების თვალსაზრისით.

იტყვიან, ჩამოხრჩობილის სახლში თოკზე არ საუბრობენო და რაღა მაინცდამაინც მე უნდა დავარღვიო ეჭვმიუტანელი ეს აქსიომა? ამ შემთხვევაში ტრადიციით გადმოცემული კოლხური დელიკატურობა სირაქლემის პოზად ნაკლებად ჩამომერთმევა, ალბათ, გამგები ისედაც გაიგებს.

შევხედოთ ქრისტეს დამოკიდებულებას რეალობისადმი. ვინ არ იცის, გზისპირას დაგდებული ძაღლის ლეშს სუნთქვაშეგუბებული ჩაუვლის მისი თორმეტივე მოციქული, ხოლო ჩამორჩენილი უფალი ჩვენი — იესო, იხილავს რა ამაზრზენ მძორს, უკან მოუხმობს მეგობრებს ამგვარი სიტყვებით:

შეხედეთ, რა კარგი კბილები ხქონიაო. დღეს სიკეთის დანახვა იკითხე შენ, თორემ, ლეში და მძორი იმდენია, ყორნების ერგასი დივიზიონი ვერ აუვა.რაც შეეხება ქვეყნის პრეზიდენტის მისამართით შედგენილ კოლექტიურ წერილს, იყო ასეთი რამ, თუმცა, როგორც ყველგან, ისე სამეგრელოშიც არიან ძალები, რომელთაც ასპარეზზე ჩემი გამოჩენა ხელს არ აძლევთ.

— საინტერესოა რატომ, რა მოტივით? შენ ხომ წლების წინ, უპარტიო კაცმა, დიდი თანაგრძნობა გამოუცხადე პრეზიდენტს. სამეგრელოში მის ტრიუმფალურ გამარჯვებას არჩევნებში ხომ შენი ლომის წილიც ურევია?

— იცი, მაქსიმალიზმს ვერ ვიტან. მაქსიმალიზმმა დაგვაქცია ოთხმოცდაათიანი წდებიდან მოყოლებული. დღესაც იგი გვაჩანაგებს ყველა პარამეტრით. ბატონ ედუარდს თანაგრძობა თუ გამოვუცხადე, აქ უჩვეულო არაფერია. შეიძლება გემი, განსაკუთრებით ათბალიანი შტორმის დროს, გამოუცდელ კაპიტანს ჩააბარო?

— ბატონო, თემურ, სამეგრელოში ბოლოჟამს პროცესები ისე განვითარდა, რომ ,,შემორიგების''

პოლიტიკის პერსპექტივა ეჭვქვეშ დადგა...

— ვერ დაგეთანხმებით. ჯერ ერთი, შემოსარიგებელი სამეგრელოს დანარჩენ საქართველოსთან არაფერი სჭირს... საუბარია ხალხზე, ვინც უკმაყოფილოა არსებული ხელისუფლებისა, ხოლო უკმაყოფილების მიზეზი მოუგვარებელ სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებშია. დღევანდელი გადასახედიდან თითქმის ყველა პოლიტიკური უთანხმოება, სოციალური ან ეკონომიკური სფეროდან იღებს სათავეს... ესეც რომ არ იყოს, ბევრი ცდილობს სამეგრელოთი აპელირებას, ყველას პოლიტიკური ქულები, ამომრჩეველთა, ელექტორატის მონუსხვა აინტერესებს, ხოლო კუთხის ბედი, ერთეულებს თუ მიაქვთ გულთან... რაც შეეხება ბოლო ჟამინდელ პროცესებს, მათი საბოლოო შეფასება ჯერ ნაადრევია. ერთი რამ ცხადია, პროვოკაციათა ჯაჭვი გაგრძელდება: სამეგრელოდან მთელ ქვეყანას მოიცავს დესტაბილიზაციაო. ალბათ, ამაზეა გათვლილი ყოველივე... ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, რამაც მოგკვლა, იმან გადაგვარჩინოსო — გასაღები კვლავაც სამეგრელოს ფენომენშია.

სამეგრელოში იმდენი სატკივარია დაგროვილი, რომ ეკონომიკური ბერკეტების გაძლიერებისა და განსაკუთრებული ღონისძებების გაუტარებლად, ყოველგვარ წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია.

— მაინც რას საჭიროებს სხვა კუთხეებისაგან გამორჩეულად სამეგრელო?!

— განსაკუთრებულ ღონისძიებებში, უწინარეს ყოვლისა, რწმენის აღდგენა იგულისხმება. როდესაც ერთი ძმა მიიჩნევს, რომ მეორემ აწყენინა, ერთ-ერთს უნდა ეყოს ძმობის მადლი და თუნდაც აღიარებით, მამაპისეული კერიის გახსენებით დათმოს, მიუტეოს. სამეგრელო დღემდე ურყევად დგას ზოგადეროვნულ პოზიციებზე და ამის დასტურად ჯიხაშკარელი ტერორისტებისადმი გულგრილობაც იკმარებს. საკმარისია, დაიძრას ეკონომიკური პრობლემის მოგვარება, საკმარისია მოსახლეობამ რეალურად იგრძნოს ცენტრალური ხელისუფლების თანადგომა, რომ უამრავი ურთიერთსაპირისპირო პოზიცია ავტომატურად გამოირიცხება.

— თებერვლის ტერაქტმა საგრძნობლად გამოაფხიზლა ჩვენი ხელისუფლება, განსაკუთრებით — სამეგრელოსი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების თვალსაზრისით. სამწუხაროდ, კონკრეტული წანადადებების, ეკონომიკური აღმასვლის უმტკივნეულო მეთოდებს არავინ გვთავაზობს.

— საკითხის ამგვარად დასმა ცალმხრივი მიმაჩნია. ერის გამთლიანების იდეა გაცილებით ადრე ჩაისახა, მაგრამ მიზეზთა გამო, გასაქანი არ მიეცა. გეხსომებათ, ბატონი ედუარდის ჯერ კიდევ როდის გაცხადებული ფრაზა ზვიად გამსახურდიას ჩამოყვანის თაობაზე, მაგრამ გარკვეულმა ძალებმა არ დაუშვეს ორი განსხვავებული ხელწერის პოლიტიკური მოღვაწის გაერთიანება. დარწმუნებული ვარ, ახლაც ის ძალები ამღვრევენ წყალს, თორემ საქმე გაცილებით კარგად იქნებოდა. ნებისმიერი ხასიათის ეკონომიკური ემისიის, ან სოციალური პოლიტიკის დახვეწამდე, აუცილებელია, სწორედ მორალური ასპექტების მოგვარება... იმპერიისაგან კავკასიაში დათესილი შუღლის ელემენტების აღმოფხვრა ქართულ ცნობიერებაში. ამის შემდეგ გადაწყდება იგივე აფხაზეთის და სამაჩაბლოს პრობლემებიც... მერე კი შესაძლებელია ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვაც.

— მაშ, თქვენ რეალურად მიგაჩნიათ ერის გამთლიანების პერსპერქტივა?!

— ალტერნატივა არც არსებობს, მხოლოდ საჭიროა ვაჯობოთ პიროვნულ ამბიციებს, საჭიროა მეტი, გაცილებით მეტი ორმხრივი მიმტევებლობა. ერთმანეთის ჟლეტის უფლება არა გვაქვს.

დარწმუნებული ვარ, ამ პროცესებს ხვალ და ზეგ მეტი რეზონანსი ექნება. შესაძლოა, საჭირო გახდეს გარკვეული კორექტივების შეტანა კონსტიტუციაში საარჩევნო კანონთან დაკავშირებით. თანაც, ბოლოს და ბოლოს, დროა ხელისუფლებამ გარკვეული შეფასება მისცეს 1991-1992 წლების მოვლენებს.

— უფრო კონკრეტულად?

— საქართველოს დე-ფაქტოდ განთავისუფლებას ორი ძირითადი ძალა ჩემულობს: ყოფილი ხელისუფლება და დღევანდელი მთავრობა,რომელთაც რიგ საკითხზე კარდინალურად განსხვავებული შეხედულებები აქვთ. თუკი ქვეყანაში არსებულ ყველა პოლიტიკურ ძალას მოქმედების თანაბარ პირობებს არ შევუქმნით, კონფრონტაცია მერე და მერე უფრო გაღრმავდება. ზემოთ, რწმენის ფაქტორი ვახსენე. ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია ეროვნული შერიგების გზაზე, ვინაიდან გულგატეხილმა ადამიანებმა რეალურად თუ არ ირწმუნეს ჩვენი, ყოველგვარი კეთილი ნება ფარატინა ქაღალდზე დაფიქსირებული მირაჟი აღმოჩნდება.

— ბატონო, თემურ, მაინტერესებს, უარაფრო სამშობლოში, მაინც როგორ წარმოგესახებათ საერთო სიდუხჭირიდან გამოსვლა?

— უკაცრავად, რატომ ასეთი უიმედობა?! ვახსენე, ეროვნული ფსიქიკის გამთლიანებას გარკვეულწილად რწმენის ფაქტორი განსაზღვრავს-მეთქი. უახლოეს ხანებში, რაიმე სერიოზული ინვესტიციების თუ გრძელვადიანი სესხებისა და კრედიტების იმედი არ უნდა ვიქონიოთ, რადგან ჯერაც

არა ვართ საამისოდ სტაბილურნი. უჭირს სახელმწიფო ხაზინასაც, მაგრამ ხსნა არის. ხალხის თქმით, ძაღლის ნაკბენს ძაღლის ბალანითვე კურნავენ, ანუ, როგორც უკვე გითხარით, რითაც მოვკვდით, მანვე უნდა გადაგვარჩინოს. ესე იგი, გამოსავალი ისევ ადგილზე მოიპოვება უჩინარი რესურსების სახით.

სიტყვამ მოიტანა და გადაწყვეტილი მაქვს, ამ სეზონიდან, ჩემს მშობლიურ ნარაზენს უწყვეტად მივაწოდო ელექტროენერგია. გაგიკვირდებათ, კი, მაგრამ საიდანო? გამოვნახეთ გზა, წინასწარ გადავიხადოთ ელექტროენერგიის საფსური. დიახ, ჩვენს სინამდვილეში უამრავი ფარული რეზერვია, რომლის მაქსიმალური გამოვლენა წლობით გაჩერებულ ეკონომიკას აამოქმედებს. ძლიერი ეკონომიკა კი, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უპირველესი გარანტიაა.

— ისეთი შთაბეჭდილება მექმნება , რომ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის — სამაჩაბლოს პრობლემები ქვეყნის შიგნით ამ განსაკუთრებული ღანისძიებების გატარების შემთხვევაში უფრო სწრაფად მოგვარდება...

— აგაშენათ ღმერთმა! ჩემი კონცეფციის უკეთესი შეფასება გამორიცხულია. განა, დასახელებული რეგიონების პრობლემა, პირდაპირ კავშირში არ არის ქვეყნის ეკონომიკასთან?!

— გამიგონია ომს სიძულვილი იგებსო. ჩვენს ხელისუფლებას კი აფხაზეთის კონფლიქტისათვის ჯერ პოლიტიკური შეფასებაც არ მიუცია.

— ომს გააჩნია. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი არასოდეს ყოფილა ეთნიკური. აფხაზი ჩვენთვის არც ყიზილბაშია და აღარც — მონღოლი. ამდენად, აფხზეთთან კონფლიქტიც ვერასდროს შეიმოსება დიდგორის მანტიით. ოდინდელი აფხაზები ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც მე და თქვენ. სამეგრელოში კარგ, დარბაისელ კაცზე იტყვიან — აფხაზივით კაციაო. ამიტომაც მაქსიმალურად უნდა ვისარგებლოთ ხალხური დიპლომატიით: შერეული ოჯახები, მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრება და ტრადიციული ერთიანობა — აი, სამკუთხედი, რომელმაც აფხაზეთი უნდა დაგვიბრუნოს.

— საზოგადოებრივი აზრი თქვენისგან კარდინალურად განსხვავდება.

— სწორედ საზოგადოებრივი აზრის მართებულად ჩამოყალიბებისათვის დაგვჭირდება მშვიდობიანი თანაცხოვრების პრინციპებზე აგებული ეროვნული იდეოლოგიის დამკვიდრება.

უნდა სრულიად ამოქმედდეს ანტიკორუფციული მუშაობა. ეს ხალხს რწმენას დაუბრუნებს. მათ უნდა დაინახონ, რომ მანკიერება ხელისუფლებისაგან კი არ მოდის, პირიქით, იგი ებრძვის კორუფციას. არ შეიძლება, არძინბას გუნდის აზრი მთელი აფხაზი მოსახლეობის აზრად მივიჩნიოთ...ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი სამეგრელოა. მას განსაკუთრებული სტრატეგიული დანიშნულება აკისრია და ამ კუთხეში შექმნილი პოლიტიკური ამინდი ბევრად განსაზღვრავს აფხაზეთ-საქართველოს პრობლემის მოგვარებას.

უკიდურესობა, მაქსიმალიზმი ღუპავს ქვეყანას, ადამიანებს. ვენდოთ, დრო-ჟამისგან გამოცდილ შეგონებას, რომ ჭეშმარიტება ზომიერებაშია, ოქროს შუალედში.

— ეტყობა, შენგან მკითხველის დამაინტრიგებელი ინტერვიუს ამოქაჩვა, მე კი არა, თვით ყოვლისშემძლე იური როსტსაც გაუჭირდება. ამოგიჩემებია, ოქროს შუალედი გადაგვარჩენსო. რომაული სენტენცია ,,აურეა მედიოკრიტას'' ადამიანური ქმედების ეტალონად მიგიჩნევია...

— ზომიერება სულაც არ არის ხელწამოსაკრავი. ახალგაზრდობაში ფეხბურთს ვთამაშობდი და ურთულეს სიტუაციებში წყალში თევზივით მონავარდეს ყოველთვის პენალტის დარტყმის მეშინოდა. აღარ მკითხავ, რისთვის? თამაშის პროცესში მეკარე ბურთის მოძრაობის მიხედვით იცვლის მდებარეობას, ხან ერთ ძელთანაა, ხანაც—მეორესთან, ამიტომაც კარის სივრცე აქა-იქ უყურადღებოდაა მიტოვებული. გოლიც ამიტომ გადის ბურთის ტრაექტორიის სწრაფი შეცვლის შემდეგ, მაგრამ პენალტის დროს, როგორც წესი, მეკარე ცენტრში დგას. ამ შემთხვევაში მისი შანსი ორმოცდაათი-ორმოცდაათზეა, ცოტათი მარცხნივ მიიწევა? იმ კუთხეს კი დაიცავს, მაგრამ გოლსაც ვერ გადაურჩება. ასეთი შედეგისაა მარჯვნივ გადახრაც. მხოლოდ ცენტრში გამოსვლის შემთხვევაში ეძლევა მეკარეს ბურთის მოგერიების შანსი სანახევროდ. ცხოვრებაშიც ასეა, სხვათა შორის...

— ოცდახუთი წლის წინანდელი ამბავი გამახსენე უნებლიეთ, უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსში, ჟურნალისტიკის კათედრის კინო-დარბაზში გამართული სეანსი.

— ,,ანდრეი რუბლევი'' ?!

— ხო, სწორედ, ეგ. მახსოვს, ლამის ძალით წამოგიყვანეთ, ქეიფის მაძებარი ძმაბიჭები ,,ზემელიდან''. ჩვენ მაშინ კინოს თეორიას გვასწავლიდა იშვიათი სახიერებით გამორჩეული ტატა თვალჭრელიძე. ტარკოვსკი იმხანად აკრძალული ხილი იყო და მოციცქნული დარბაზი გადაჭედილი დაგვხვ-

და. ფეხზემდგომნი ბოლომდე ჩავედევნეთ ფილმს. გაოგნებული გამოვიშალენით რუსთაველზე. განსაკუთრებით „ზარებმა“ აგვაღელვა.

— ეგ მართლაც განუმეორებელი იყო. ბევრი კინოსურათი მინახავს მანამდეც და მის მერეც — „გადაჯაჭვულნი“, „ამაღლება“, მაგრამ „ანდრეი რუბლევმა“ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. თითქოს უჩვეულო არფერია: მონღოლ-თათრებს გაუპარტახებიათ ეკლესია-მონასტრები, დაულეწიათ ზარები, გაურყვნიათ ერი, და აი, მათი სახსენებლის გადაშენების შედეგაც, არავინაა იმ ზარების განმაახლებელი, ვინაიდან მისი ჩამოსხმის მესაიდუმლე ოსტატი გარდაცვლილია. ერთი პირტიტველა ყმაწვილი ითავებს მჭედელი მამის მაგივრობას. შემოიკრებს ხალხს, დიდი და პატარა დაფაცურდება და რის ვაი-ვაგლახით ჩამოასხამენ იმ ზარს,ასწევენ სამრეკლოზე. სულგანაბულია ყველა და აი, როცა ჩამოხკრავენ, ახალგაზრდა გულამოსკვნით აქვითინდება.

დიალოგში ირკვევა, რომ თურმე არც მას სცოდნია ზარის ჩამოსხმა, დაიბრალა უბრალოდ მამის პროფესია, მაგრამ რადგანაც ითავა, ენდნენ ოსტატის მემკვიდრეს, სინამდვილეში კი თვითონ ხალხმა მოაბა თავი საშვილიშვლო საქმეს. მთლად ხელმოცარულს, უცხოს, სოფელი არაფრისდიდებით ახყვებოდა, მაგრამ ოსიტატის შვილს ენდნენ, დაუჯერეს.

— მგონი მტკივნეულ ადგილამდე მივედით. მიუხედავად ერუდირებული, წიგნიერი მესვეურებისა, ჩვენი ძირძველი კუთხის — საქართველოს ხერხემლობა რომ განესაზღვრა აწ და მარადის — საქმე წინ არა და არ მიიწევს. შენ, როგორც ჩინებული წინაპრების ჩამომავალს, ღირსეულ სპეციალისტსაც თავად, ვიცი ჩამოყალიბებული გაქვს საქართველოს დედო-ზარის, ანუ მომავლის გამოძერწვის მოდელი. სად არის ამისი საიდუმლო დაფარული და რამდენად შესაძლებელია მისი განხორციელება რეალურად?

— არ მინდა ქადაგად დავდგე, მაგრამ ექსკურსი მაინც აუცილებელია. ჩვენ ურთულესი პერიოდი გამოვიარეთ. მოვლენებმა ელვისებურად გაასწრო ახალი ცხოვრებისათვის ადამიანების ფსიქოლოგიურად შემზადებას. ჩვენ მიჩვეული ვიყავით მზამზარეულ გარანტიებს ხელფასის, პენსიების, უფასო სწავლებისა თუ სამედიცინო მომსახურების სახით. მიჩვეული ვიყავით გათანაბრებასაც — ნიჭიერს, სიცოცხლისუნარიანს და ხელმოცარულ-უგერგილოს — ერთნაირი არშინით.

„შოკურმა თერაპიამ“ ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი მართლაც სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. დროის უმოკლეს მონაკვეთში გამოიკვეთა ორი სოციალური ფენა — მდიდარი უმცირესობა და ღატაკი უმრავლესობა. საშუალო ფენა, რომელიც წესით, ბურჯია ქვეყნისა, მიზერულია. ამ რეალობას ვერსად გავექცევით. ჩვენი ანალიზის საგანიც ეგ არის.

პრივატიზაციის პროცესში უამრავმა ადამიანმა დააყრდნო ტორი საწარმოო საშუალებებს, მაგრამ ერთ სინამდვილესაც ვივიწყებთ, კონკრეტულად იმას, რომ იურიდიულ პირსა და სახელმწიფოს შორის არსებობს გარკვეული ანგარიშვალდებულებანი. კონკრეტულად კი, პრივატიზაცია უმთავრესად ითვალისწინებდა კერძო ინტერესების სტიმულირებას, ინიციატივების გამოვლინებას ისევ ხალხის საკეთილდღეოდ. სინამდვილეში კი სულ სხვანაირი სურათი დაიხატა: სიმბოლური თანხებით მოპოვებული წარმოება-დაწესებულებანი დღემდე გაჩერებულია. სახელმწიფოც ამიტომ ღაფავს სულს. იქ, ხელშეკრულებაში უამრავი პუნქტია, რომელიც მეწარმეს გარკვეულწილად ავალდებულებს სახელმწიფოს წინაშე, განსაკუთრებით მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით. ვთქვათ, სიტყვისთვის, პირველ წელს, რომელიმე ქარხნის ან ფაბრიკის ხელმძღვანელობას 50 მუშახელი რომ უნდა დაესაქმებინა, მეორეს — 100, მესამეს — 300 და ასე შემდეგ. ისინი ფაქტობრივად ისეთი დატვირთვით „მუშაობენ“ ხუთი წელიწადია, მხოლოდ საკუთარი ოჯახი ხყავდეთ უზრუნველყოფილი. აი, მთავარი დამანგრეველი ტენდენცია ჩვენი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა.

სამეგრელოს ბიუჯეტის შევსება ნორმალური დამოკიდებულებით, არა ტერორისა და საკადრო პოლიტიკის გატარებით, არამედ სამართლიანი მომთხოვნელობის გაძლიერების საფუძველზე, სავსებით რეალურია. მეტსაც გეტყვით, მარტოოდენ ზუგდიდში არსებული ფარული რეზერვებითაა მოსახერხებელი მხარის ბიუჯეტის ფორმირება, მაგრამ ეს პროცესი დღეს უმეტესწილად სუბიექტური ფაქტორებით დამუხრუჭებულია.

— მეც მქონია მათთან საუბარი, თითქოს ინიციატივიანი ხალხია, მაგრამ სესხებს არ გვაძლევს სახელმწიფოო, ჩივიან, ხოლო უკრედიტოდ, ცარიელი, შიშველი ხელებით საქმე როგორ დავძრათ ადგილიდანო, ასკვნიან.

— ვთქვი და ვიმეორებ, ყველაფერი მომთხოვნელობის ფაქტორზეა დამოკიდებული-მეთქი. პრივატიზებული ობიექტის პატრონს, როდესაც ეცოდინება, ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, კვლავაც ეძლევა შანსი იყოს წინამძღოლი მასზედ მობარებული და არა ნაჩუქარი საწარმოსი, მაგრამ ძველებური წაყრუების, გულგრილობის ან ეგოისტური დამოკიდებულების შემთხვევაში,

ხელშეკრულებითვე გათვალისწინებული მუხლის შესაბამისად ჩამოერთმევა და უფრო ინიციატივიანს გადაეცემა, მერწმუნეთ, დაფაცურდება, ხელს გამოიღებს, ნემსის ყუნწში გაძვრება და საშვილიშვილოს საქმეს აუცილებლად დაძრავს მკვდარი წერტილიდან.

არის მეორე მომენტიც, რომელსაც პრესის ფურცლებზე ჩრდილოვან ეკონომიკას ეძახიან, სინამდვილეში კი სახელმწიფოს მასშტაბური გაქურდვა ხქვია. ასეთი კატეგორიის ხალხის მუშაობას წუნს ვერ დაუდებ, ოფისი გაკრიალებულია, მომსახურება იდეალური, მათ მიერ წარმოებული პროდუქცია სანიმუშოა, მოგვარებულია დასაქმების პრობლემები, სხვა მრავალი კომპონენტიც უმთავრესის გამოკლებით — სავალდებულო გადასახადებს თავს არიდებენ, თითქოს სახელმწიფო ჯადოქარია, ბიუჯეტის ფორმირებისათვის აუცილებელ სახსრებს ციდან წყეტდეს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, სოციალური უკმაყოფილების მომძლავრებაც. ზემოთდასახელებული ორივე მომენტის კანონიერი მოთხოვნის საფუძველზე ამოქმედების შემთხვევაში, ჩვენი ბიუჯეტი არათუ შეივსება რეალურად, არამედ გაორმაგდება კიდეც დროთა ვითარებაში.

— 15 ნოემბერის არჩევნები მოახლოვდა. ქვეყნის ეკონომიკის კარდიოგრამა საგანგაშოა. როგორ ფიქრობ, ეს ფაქტორი ზეგავლენას იქონიებს ძალთა თანაფარდობაზე?

— ჩვენ ამოსავალ წერტილად სადღეისო ვითარება ნაკლებად გამოგვადგება, ორიენტირი პერსპერქტივისკენ უნდა მივმართოთ; უფრო ნათლად რომ ვთქვათ, იმ გზისკენ, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტმა აირჩია საქართველოს აღსაშენებლად.

კი, ბატონო, ჩვენ შეგვიძლია პრიორიტეტულ დარგად დავასახელოთ სოფლის მეურნეობა. აქ უამრავი რეზერვია ენდემური სახეობების აღორძინების თვალსაზრისითაც, მაგრამ მერე რა? განა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე გაიყვანს საქართველოს საერთაშორისო არენაზე თანაბარუფლებიან პარტნიორად? ვერა!

ჩვენ შეგვეძლო და შეგვიძლია პრიორიტეტი მივანიჭოთ მსუბუქ მრეწველობას, მძიმე მეტალურგიას, ტურიზმს, ეს ყველაფერი ცალმხრივობაა, ანუ დამატებითი, შემავსებელი ნაკადები უმთავრესი დინებისა, რომლის წამოწყებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ვერავინ წაართმევს.

ორი კონგენიალური სვლა გააკეთა მან თავისი ხანგრძლივი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე ჭადრაკის ენით.

პირველი, მესამე მსოფლიო ომის თავიდან აცილების რეალობაა, როცა სოციალისტურ და კაპიტალისტურ ანტაგონიზმს საფუძველი გამოაცალა და ცივილიზაციის განვითარებას ბუნებრივი პროცესი აღუდგინა.

ძალადობა დაგმობილია ქრისტეს მიერ, ვინაიდან ბოროტების დათრგუნვა ბოროტებითვე და ამ გზით რაიმე ფასეულის მიღწევა, განუხორციელებელი მომენტია. მსოფლიოს სოციალიზაცია მშვიდობიანი პროცესებითაც შეიძლება თურმე, როგორც ეს მარქსს წარმოედგინა და რისი თვალსაჩინო მაგალითია ჩინეთი, დასავლეთ ევროპა. ამ სვლას მე სამი ძახილის ნიშნით ჩავწერდი საჭადრაკო დაფასთან. რას მეტყვი, ეს გლობარული ჩანაფიქრი არ ვრცელდება ვითომ თვით საქართველოზეც, როგორც დედამიწის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილზე? ვთქვათ, პოლიტიკოსმა ააყვავა საშობლო, რძე გადასდის თავზე მის მოსახლეობას, მაგრამ გარშემო, დანარჩენ მსოფლიოში, უკიდურესად დაძაბული ვითარებაა, კონფრონტაციული სიტუაციაა, შენ კი მის განსამუხტავად თითსაც არ ანძრევ. ამასობაში ორი გიგანტი დაეჯახა ერთმანეთს, ხომ წყალში ჩაცვენილა ჩვენეული ყოველი გარჯა, მეცადინეობანი , ჩვენი უზრუნველი ცხოვრება? მასშტაბურ აზროვნებას ეწირება, ხაზს ვუსვამ, დროებით, კონკრეტული ინტერესები, მაგრამ სულ მალე პირველის გაჯანსაღება ამოატივტივებს მეორესაც.

— ჩვენს სადღეისო ვითარებას გულისხმობ? ხალხი უკმაყოფილოა ქვეყნის პრეზიდენტის თუ მისი გარემომცველი გუნდის მოღვაწეობით, თუმცა უცხოეთში ბატონ ედუარდს მსოფლიო რანგის პოლიტიკოსს, დიდს, ახალი აზროვნების შემოქმედს და ვინ იცის, რას უწოდებენ. მოსახლეობა შიმშილის ზღვრამდე მისულა. არც ისე ივარგებს, ზოგადს ზვარაკად შევწიროთ კერძო, ამ შემთხვევაში საქართველო. რომელი ერი გაიგებს ამას სწორად, როცა შენი საარსებო დრო და სივრცე რაღაც აბსტრაქტულს ჩაენაცვლება?!

— ჯერ მეორე სვლაზე არ მომიხსენებია, რომელიც შემადგენელი ნაწილია პირველისა. დიდ პოლიტიკას მაშინ აქვს გამართლება, როცა ერის ინტერესებიც გათვალიწინებულია პროგრესისკენ. ჩვენ ახლა ბაში-აჩუკის სიტუაციაში ვართ, როცა ტოტზე გახლართული მიმინოს ხირიმით განთავისუფლებას მოიწადინებს ბაქრაძეების მოყმე. ესვრის, მიმინო კი კვლავაც ფართხალებს იმ ტოტებში და გაგიცუდდა ნიშანიო, უსაყვედურებენ. ბაში-აჩუკი კი თავდაჯერებულად მიუგებს:

ბატონო, მიმინო ორივე ფეხით იყო გახლართული იმ ტოტზე და ორ თასმას ერთი ტყვია როგორ მიუდგებოდაო.

პრეზიდენტის მოღვაწეობა მსოფლიო ინტეგრაციის პროცესით რომ შემოფარგლულიყო, მაშინ ნამდვილად დაიმსახურებდა საყვედურს, მაგრამ შეხედეთ, როგორი შთამბეჭდავი სვლაა მოძებნილი ჩვენი მდგომარეობის ქვეყნისათვის?!

ევრაზიის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველოს ტერიტორია ყოველთვის იყო დავის საგანი ზეგავლენათა მოსაპოვებლად და ახლა, ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე, დიდი აბრეშუმის ისტორიული გზის აღდგენით თუ ნავთობსადენის მაგისტრალის მშენებლობით ჩვენს სამშობლოს ახალი სარბიელი ელოდება ახლო მომავალში და მის იქითაც.

იტყვიან ხოლმე, რომ ნავთობსადენის ყოველწლიური შემოსავალი რამდენიმე ათეული მილიონი დოლარიაო, და ამ მათხოვრული თანხის გულისათვის ღირდა კი საეროდ რუსეთისთვის ზურგის შექცევა, ცხოვრების ამერიკული წესის აღიარება ეტალონადო.

არიან ასეთი ავყიებიც, სხვის თვალში ბეწვს რომ ეძებენ და საკუთარში დირეს ვერ ხედავენ. ნავთობსადენი ჩვენი ქვეყნის არსებობის სტრატეგიაა ასწლეულების მანძილზე. შემთხვევით როდი დათბა ჩრდილოეთი საქართველოს მიმართ და შემთხვევით როდი მოლმობიერდა აფხაზური სეპარატიზმი, ვინაიდან ,,მიხვდნენ'', რომ ნავთობსადენი კავკასიელი ხალხის ნამდვილი თავისუფლებაა, თითოეული ერის წინსვლის და აღმშენებლობის გარანტი. სხვანაირად არც შეიძლება, ვინაიდან მშენებლობა, რომელიც მილიარდობით დოლარს მიიზიდავს, გარანტირებული უნდა იყოს საყოველთაო უსაფრთხოებით. დღეს მსოფლიო პროცესებს ატომური იარაღის ქონა კი არ განსაზღვრავს, ასეთი უამრავი ქვეყანაა, თუმცა სულს შიმშილით ღაფავს, არამედ მსხვილი კაპდაბანდებანი. ასე რომ, საერთაშორისო არტერიებში ჩართულ საქართველოს ბუზსაც უბატონოდ ვერავინ აუფრენს. ამასთან, ნავთობსადენი გარანტიაა უამრავი ინფრასტრუქტურის განვითარებისა, ტურიზმია ეს, სოფლის მეურნეობა თუ მსუბუქი მრეწველობა.

აი, ჩემი ღრმა რწმენით არა მხოლოდ საქართველოს, მთელი კავკასიის სწრაფი დაწინაურების მიმართულება, გზა, შანსი. აქედან გამომდინარე, ხალხის ორიენტაციაც სრულიად ცალსახა უნდა იყოს არჩევანის გაკეთებისას, მაგრამ საკითხავია, როგორ, რანაირად მიგვაქვს მოსახლეობასთან ეს ტენდენციები, გამრუდებულად თუ დამაჯერებლად. როცა საზოგადოება ძირეულად გაერკვევა ქვეყნის პრეზიდენტის ზედმიწევნით მამულიშვილურ შორსმჭვრეტელობაში, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება ერეკლე მეფის გადაწყვეტილებას, თავის დროზე ერთადერთს, სწორსა და მართებულს, ხალხის თვალში ოპოზიციის გაუთავებელ ქაქანსაც ნიადაგი გამოეცლება.

მონტაჟი:
,,დილის გაზეთი'', 13 აპრილი, 1998 წ.
,,ლიტერატურული საქართველო,'' №44,
30 ოქტომბერი-6 ნოემბერი, 1998 წ

სილაჟვარდე

„ვარდების რევოლუციის“ შავ-თეთრი
რეტროსპექტივა, ანუ ვარდი „ñè ë à-ში.

მეამბოხე მას-მედიას ლამის სამი-ოთხი წელი- წადია ხელზე დაუხვევია მშვენიერი ბგერათწყობის სიტყვა ქართულში — **„ვარდი.“** ,,კმარა **ვარდნა“** მოგვიანებით ,,კმარა შე **— შარდნა —** ძე''-დ გადაისახება. ისე ვარდი ადამი- ანის ეკვივალენტურია ეზოტერიკული რწმუნებით — ეკლიანი ღერო ,,ჰომო საპიენსის'' ხერხემალს შეესატყვისება, ხოლო კოკორი — თავის ქალასო. გვინახავს ჩვენ შუკშინის ჩინებული ,,წითელი ძახველი'', სადაც ეშმაკის მათრახად წოდებული ასკილის მოპოვება ეკლიან ძირზე წაუბღაუჭებლად თითქმის შეუძლებელია; თუმცა იესო მაცხოვართან იგი მთლად გვირგვინად შეითხზება გოლგოთის ხრიოკი თხემის საუკვდავოდ.

„ÒÐÎ É ÊÊÀ ÁÎ ÐÇÀß ÁÅÆÈÒ“

— ამ ბოლო დროს რუსეთი, იცი, როგორ შეიცვალა?!— თვალში თვალის გასწორება უყვარს ჩემს ძმობილს. პალტოებით ვსხედვართ მონჯღრეულ ,,გაზ-24''-ის უკანა სალონში. კიდევ რამდენიმე კვირა და მანქანას ბედნიერი ნათესავი დაისაკუთრებს. ამიტომაც უფრთხილდება ნებისმიერ ორმოს. — თუ ვინმეს სულ მცირეოდენი ტვინის განძრევის უნარი ჰქონდა, დასახლდა, მხრებში გაიშალა.

— ალბათ, მოსკოვში, თორემ პერიფერიები იქაც სულს ღაფავენ-მეთქი, ვავიწროვებ განზოგადოებულის საზღვრებს შეუნიღბავი კბენით;.

— მოსკოვი მთლად ჩემპიონიაო, — აიწყვეტს. — ახლა, ერთბაშად ათ წელიწადში გიგანტური ქვეყნის მასშტაბით სასწაულების მოხდენა მართლაც წარმოუდგენელია, მაგრამ მე სულისკვეთებაზე მოგახსენებ: ამ სამოცდაათი წლის მანძილზე დაგროვილმა ენერგიამ იხუვლა, გაანგრია გათანაბრების სოციალისტური ჯებირი. არაფერს ვაჭარბებ. ჩადიან თითივით გალოკილები ევროპაში, აფრიკაში, ჩინეთსა და ავსტრალიაში და სასწაულებს ახდენენ, ჰაერიდან წყვეტენ ფულებს. რატომ გეღიმება, რაა აქ სასაცილო?

— რატომღაც ვაჟა გამახსენდა და იმიტომ-მეთქი.

— სად ფშაველა და სად რუსული ბიზნესი? — დაუნდობელია ვახტანგ მიშველია.

— თავი ნუ გადამჭამე, ყველაფერი ჰაერის ბრალია-მეთქი.

— იტყვი ახლა რაღაც შენებურსო;

— რანაირად აგიხსნა, ქრისტიანო, ნაწარმოები არ მახსენდება, მაგრამ აქვს ვაჟას ერთ-ერთ პატარა პოემაში ამისთანა სტრიქონები: იმ ცოდვა-ბრალის სურათი, რაც იმ ერთ ღამეს მომხდარა, შაუნახია ჰაერსა, სცოცხლობს და როდი მომკვდარაო.

— ჩემმა ,,ჰაერმა'' რაღა მაინცდამაინც ეგ მოგაგონა? — მაძგერებს მუშტს. — ვითომ რითი არის ნაკლები: ,,ჰაერი ლურჯი აბრეშუმია,'' ან... ჰაერი... ჰაერი... ვერაფერს ვიხსენებ... ორქიდეები ეცემა ნილოსს. შენ როგორ ამბობ, შაუნახია ჰაერსაო?! ნამდვილი აინშტაინია დალოცვილი. ხო-ხო, შეხედე: რაც იმ საღამოს მომხდარა, შაუნახია ჰაერსაო, ანუ ერთხელ დატრიალებული არასდროს გაქრებაო, გულადი ძვირფასო, გულადი, დარაგოი, — მხარზე გადმომხვევს ხელს. სტუდენტობის სახელით ეგ ერთადერთი მომმართავს სადადიანოს საამხანაგოდან და კიდევ — თანაკურსელების წყება, — შენ კარგად იცი, ვისი მოწაფეც ვიყავი. ცხონებული შოთა მესხიას ოჯახის კარი სულმუდამ ღია იყო ჩემთვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საამისოდ ბევრი რამ მშველოდა — ობლობა...

— შესახედაობაც-მეთქი, — მისი შეთხელებული ქოჩრის ანიავება ღიმილს მომგვრის უნებლიეთ — ჰო, ალენ დელონი ვიყავი, — შემომეხიდება, — მაგრამ ხუმრობას მოვეშვათ და იმის თაობაზე ვისაუბროთ, რომ კურსზე იმთავითვე დავწინაურდები. ამას წაუმატე ზუგდიდელობა, ყმაწვილკაცისათვის დამახასიათებელი გულწრფელობა, ერთგულებაც, ცხადია. აქვე იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ბატონ შოთას ვაჟიშვილი არ ჰყოლია. მისი ავადმყოფობის პერიოდში მე ლექციებს მივატოვებ

და ,,ლეჩკომბინატში'' გადავბარგდები. ესეც სიმართლეა, თუმცა ყველაფერს მოვეშვათ და უმთავრესზე ვილაპარაკოთ. ზღვა საარქივო მასალას გადმომიშლის ცხონებული. დიახ, საქართველოს ისტორიის დახურული ფურცლები მზამზარეულად გადმომელოცება, გულადი ძვირფასო, გულადი დარაგოი. დიდი ივანე ჯავახიშვილის რევიზიასაც იქიდან დავიწყებ. მას, როგორც ჩანს, გარკვეული ანტიქართული ძალები მართავდნენ მთელი ცხოვრება. მოკლედ, არსებითი ის გახლავთ, რომ საქართველოს ჭეშმარიტი ისტორია, ჯერეთ არ დაწერილა. ბერიადან მოყოლებული ამ პროცესს მიზანმიმართული შლაგბაუმები აღემართება და ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, ისტორიოგრაფიის, ანთროპოლოგიის პოზიციიდან, ზედმიწევნით მიიჩქმალება ქართული ეთნოსის ნამდვილი არსი. ამ კუთხით შეუდარებელი გივი ჯავახიშვილია. თუმცა არ ვიცი ახლა რასა იქმს. ქართული ეთნოსი პროქრისტიანული თუ წარმართული პერიოდის ცივილიზაციების ერთადერთი გასაღებია, რომელიც მიზანმიმართულად გაბუნდოვანდება თუ გამრუდდება ველიკორუსული მიდგომებით. რუსეთის მუზეუმები გამოტენილია ამისი სამხილი მასალებით, ახლოსაც ვინ მიგაკარებს თორემ! ტურჩანინოვებს, ტატიშევებს, ვორონოვებს, სხვათა და სხვათა, მშვენივრად მოეხსენებათ საქართველო სინამდვილეში რა ფასეულობების მემკვიდრეა. მე ის წლები რევოლუციური აღტკინებით ვნთქავდი ზღვა ინფორმაციას და გენიოსი მასწავლებლის ასულების ფეხაკრეფით მიმოსვლას ჩემს გარშემო არაფრად დაგიდევდით. მერე აღესრულება სულცხონებული და ესეც მთლად ამომაგდებს კალაპოტიდან. მაგრამ ამბოხებული კაცის ბუნება დღემდე არ გამნელებია. სტუდენტობის შემდეგ, როგორც ბატონ შოთას მოწაფეს, მისი პატარა მტრები მე მომიტრიალდებიან, ჩემზე იყრიან ჯავრს. ერთადერთი, ვინც მექომაგება, ისევ გივი ჯავახიშვილია, თუმცა ერთი რას გახდება ათასის წინააღმდეგ? საკანდიდატო თემას არ დამიმტკიცებენ. ამრეზით დამიწყებენ თვალთვალს და მეც კანსტანტინოვნასკენ გავუტევ, მაგრამ იქ რა სასიკეთოს მოვიმკიდი?! მივდივარ ფაცაციასთან ,,ბუმკომბინატში'' და ადგილი არ არის. მივდივარ ივლიანე თოდუასთან რაიკომში და ვერც იქ ჩააგდებ სადმე ნემსს. ვეახლები ნოდარ შარტავას ჯვარში, მაგრამ სად არის შტატი? ჰოდა, ამისთანა ვითარებაში, გულადი ძვირფასო, გულადი დარაგოი, რასკოლნიკოვივით რეპეტიტორობას მივყოფ ხელს. იქით, ტიტე მალაშხიას ფეზეოჩნიკებს დავუწყებ შტუდირებას მარქსებითა და ენგელსებით. პერსპექტივა გადაეწურება ჩემს რევოლუციურ სულისკვეთებას.

კლინ კლინომ ვიშიბაიუტო, იტყვიან რუსები და ვეღარ- სად აღმოვაჩენ ასეთ სოლს, გიმნკალუქ საორღობო ურთიერთობებში.

— გაიხეშები-მეთქი, ჩავერთვები.

— ჰო, გავიხეშები თუ გავხეშეშდები, — მყაბულდება ინსტინქტურად. — ერთხანობას პოლიტიკოსობასაც ვცდი, მე ლეიბორისტული პარტიის დამფუძნებელი ვარ ზუგდიდში, მაგრამ მომდევნო ვიზიტისას ჩვენს შალვას საერთოდ დავავიწყდები. ასეთი კანი დამყვება. საქართველოს ვგავარ — ყველას უანგაროდ გადავუხსნით გულს და ბოლოს ვირის ფლოქვებით ვიწიხლებით ორივე.

ენგურჰესელების საცოდაობამ მთლად ჩამაქნევინა ხელი ჩვენს მომავალზე. 10 მილიონი ლარი ვერ გვიშოვია თაღოვანი კაშხალის სარემონტო სამუშაოებისათვის! არადა, ფარები რომ ჩამოწყდეს, მთელს სამეგრელოს შუაგულ ზღვაში ამოგვაყოფინებს თურმე თავს: განა ტყუილად გადავიხვეწები სამშობლოდან? წავალ უკანმოუხედავად, ტუდა გდე გულიაეტ ლიშ ვეტერ და — ია. მოკლედ, იმას ვამბობ, გულადი ძვირფასო, გულადი დარაგოი, რომ კაპიტალს საზღვრები არ გააჩნია. საზღვრები აქვს ატომს, მოლეკულას, ადამიანს, სახელმწიფოს, პლანეტას, სინდისსაც კი, მაგრამ — არავითარ შემთხვევაში ფულს, ბიზნესს, ქონებას. მერე და როგორი ენერგიული თაობა წამოვა?! კომპარტიის მილიონებს უცხოეთის ბანკებისკენ რემასავით გაირეკავენ იგივე ჩერნომირდინები, ხოდორკოვსკები, აბრამოვიჩები, ბერეზოვსკები, ჩუბაისები, სხვანი და სხვანი. კოლოსალურ თანხას ხვეტავენ. შოულობენ ცოტაა — პირდაპირ ჰაერიდან წყვეტენ მილიონებს. რანაირად იტყვის ვაჟა? რაც იმ საღამოს მომხდარა, შაუნახია ჰაერსაო. თითქოს შვეიცარიის ბანკია, თითქოს ხეოფსის პირამიდის სარკოფაგია, ან კიდევ პროზექტურის ჰერმეტიული საცავი. მოკლედ, ძმობილო, ჰაერს მილიონები დაუკონსერვებია, ოღონდ შენ მოწყვეტის შნო აღმოგაჩნდეს.

ოსტაპ ბენდერი გეხსომება ,,თორმეტი სკამიდან'' და იგი ახალ რუსებთან ცხვირმოუხოცელ ბაღანად მოგეჩვენება, მაგრამ საზღვარზე ვამბობდი და ბარემ ეგ მოვისტუმროთ. ქართული საზოგადოების ილუზია ის არის, რომ ვითომ სახელმწიფო გაგვაჩნია, სრული ატრიბუტიკით: საბანკო სისტემით, სახელისუფლებო და საკანონმდებლო ორგანოებით, სასამართლოებით, პოლიციით, მაკონტროლებელი და საბაჟო სამსახურებით, და მაინც ქვეყანა კორუფციას წაულეკავს. რუსეთში სხვანაირადაა. იქ სახელმწიფო გადასახადის დამალვას არავის აპატიებენ. მე სუნამოს ბიზნესში ვტრიალებ და ათასებს მართმევს ბიუჯეტი, მაგრამ ამეებს წამითაც არ გავურბივარ. პირიქით, იქით ვასწრებ მოვლე-

ნებს, ვინაიდან ბიზნესისათვის სახელმწიფოს წინაშე მოვალეობის მოხდის შემდეგ იწყება ნამდვილი ასპარეზი. ჩვენ კი საბაჟოები „შეპესედ“ ვაქციეთ. რიკოთიდან დავიწყოთ, რამდენი მანქანა აივლ-ჩაივლის დღე-ღამეში?! გადაამრავლე თვეებზე და ნახე რამხელა ციფრი გამოგივიდეს. ახლა, გეკითხები: შედის კი მისი ხუთი პროცენტი ქვეყნის ხაზინაში? — ერთხანობას გამომცდელად მომაშტერდება, მერე — მეეჭვებაო, — გააგრძელებს თვითვე, — ასეა ყველგან, აჭარაში, წითელ ხიდთან, ერგნეთთან, ჭუბურხინჯთან, ფოთთან.

„ქართველიო“ , „ქართულიო“, „საქართველოო“ ამოგვიჩემებია „ოჩენ ხარაშოსავით“ სულმუდამ, რომელიც სხვათა წინაშე ჩვენი უპირატესობების შეუნიღბავი ხაზგასმაა. ეს მომენტი ძარღვების ამშლელად აღიზიანებს ნებისმიერ უცხოელს. აკვიატებული „ჩვენ“ ქვეტექსტურად ნიშნავს „თქვენ ბითურები ხართო“. ამას კი მოსდევს შინაგანი პროტესტი და ზიზღი. ებრაელებს შეხედე: ყველაფერს დელიკატურად აკეთებენ, ყველაფერი ბიზნესის ენაზე გადაჰყავთ, ყველაფერს ფულის ენაზე მოჭრიან, სადაც მოშლილია საზღვარი „სამშობლოსა“ და „დანარჩენ მსოფლიოს“ შორის. ოკეანეში ჩაღვრილი წყალივითაა, ზედმიწევნით დაიყვანება „იგიმდე“, რომელიც უზენაესი ღმერთია სბალშოი ბუკვოი. „ჩვენო“, ვიძახით ქართველები რამდენიმე ათასწლეულია და გავდიოდით თითქოს ფონს. „ჩვენო“, ვკიოდით მთელი ცხოვრება და რის ვაივაგლახით ვინარჩუნებდით თვითმყოფადობას, მაგრამ აწი რას ვაპირებთ, როცა არავის აინტერესებს ეგ ჩვენი „ჩვენ“? როცა შეუფერხებლად შემოდის საქართველოში კაპიტალი შტატებიდან, რუსეთიდან, ჩინეთიდან, იაპონიიდან და პირს გვიკუპრავს?

ენგურჰესი რუსებმა აგვიშენეს სამოციან-სამოცდაათიან წლებში, ძმობილო. განგებ გაბერილი ხარჯთააღრიცხვით თვალში გამოიხედავს კალოშების საქართველო. ახლა რომ იჭაჭები, „ჩემიაო“, ყოფილიყო ამერიკის, ხომ გბუთქავდა?! გბუთქავდა, ძვირფასო, და ფეხებსაც ვერ მოჭამდი. მაგრამ რუსს უყვარს მზიური საქართველო, არ ემეტება სასხვისოდ, რადგანაც ბიზნესის მოლიპულ გზაზე შემდგარი პატარა ქვეყანა დაღუპულია. ეროვნებით ქართველი მე რუსული პასპორტის წყალობით დავრჩენილვარ და არა — ვითომცდა მშობლიურით.

გივი ჯავახიშვილი ვახსენე და ჯერ კიდევ როდის ჩინებულად აქვს ახსნილი ჩვენი ისტორიული ლტოლვა რუსეთისკენ. სხვათა შორის ეს მსწრაფველობა თამარის ეპოქით არ ამოიწურება მხოლოდ. გამყინვარების პერიოდიდან მოყოლებული, საქართველოს თვალი სულმუდამ ჩრდილოეთისკენ ეჭირა. გიორგი რუსის ზედსიძობა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა ჭკვიანი მეცნიერის თვალთახედვით, ვინაიდან დავით აღმაშენებელის შვილიშვილი კიევის რუსეთის რძალი ხდება რამდენიმე ათეული წლით ადრე. ჩრდილოეთის ძალებზე დაყრდნობის პრაქტიკა უამრავია ჩვენში. რუსეთი საქართველოსთვის კავკასიონის ქედივით უღალატო ზურგია, ძვირფასო. მთავარია ჩვენ სამხრეთიდან თბილისისკენ მცოცავ საზღვრებს ნუ მოვაკლებთ ფხიზელ მზერას. რუსეთს მონგოლთა პირსისხლიანი ურდოს შეჩერება არ გაძნელებია ორი საუკუნის მანძილზე და ჩვენ ვისი ტიკი-ტომარა ვაგდივართ?!

— საქართველომ არიული ტალღა გაანეიტრალა ათასწლეულების მიღმა-მეთქი, ვეტყვი ძარღვებაშლილი.

— სრული სიმათრლეა, — დამყაბულდება თანამგზავრი, — მაგრამ პრომეთე-ამირანს ისევ ჰერაკლე იხსნის ელინური მონობის ჯაჭვისაგან და არა — ვინმე ბარბაროსი. რუსეთი სალამანდრაა ნებისმიერი აგრესორისათვის, გულადი ძვირფასო, გულადი დარაგოი, და ამისი უგულებელყოფა არანაირად გვარგებს. ისევ გივი ჯავახიშვილს მოვიშველიებ: მონგოლი როგორც წესი, სამი ცხენით ლაშქრობდა. უშველებელ ძროხას დაკლავდნენ, ხორცის მთლიან მასას ისე დაამუშავებდნენ, საკუთარ ბუშტში ეტეოდა. ეს ერთი თვე უნდა ემყოფინა მეომარს, მაგრამ როცა მარაგი გამოელეოდა, იმ სამი ცხენის არტერიიდან მიყოლებით წოვდა სისხლს. თანაც მოსვენებული ტაიჭით უპრობლემოდ აგრძელებდა მსვლელობას. ჩვენ ვინ მოგვასიკვდილა სამი დარახტული მერანი, გულადი ძვირფასო, გულადი დარაგოი, როცა პლატონ სამანიშვილის ბეხრეკით ძლივს დავჩანჩალებთ დუნიაზე?

— მამული, ენა, სარწმუნოება-მეთქი, ვიტყვი უნებლიეთ.

— საინტერესო ჰიპოთეზას წამოისვრი ხოლმე, — გამოცოცხლდება ჩემი ძმობილი. — რანი ხართ ეს ოტობაიელები?! როგორ ეტყვის ის თქვენებური ნოჩო თაკალანძე პაპაჩემ კოსტას? ოტობაიის აღმოსავლეთ პროვინცია ჩინეთიაო, არა? ჩრდილოეთ პროვინცია — რუსეთიო, სამხრეთ პროვინცია — ამერიკა და დასავლეთ პროვინცია, ვგონებ — გერმანია, მერმანია თუ ფრანციაო. ოტობაიური ჰიპერბოლებით თუ ვიმსჯელებ, საქართველოს აღმოსავლეთ პროვინცია პლანეტა მზეა, ძვირფასო, ჩრდილოეთ პროვინცია — პოლარული ვარსკვლავი, სამხრეთ პროვინცია სამხრეთის ჯვარის თანავარსკვლავედი და დასავლეთ პროვინცია ირმის ნახტომის გალაქტიკა თორმეტივე ზოდიაქოთი. მთვარე ხომ

ოტობაიის სამზადის ოჯინჯალეზე ჰკიდია დღემოსწრება შებოლილი ყველივით. ალბათ, ამიტომაც გეცოტავა გვარი ფეტელავა, ჯიმაგე და ფსევდონიმად „ოტობაიას“ სტაცე ხელი, მაგრამ სულ ტყუილად, ძმობილო. თქვენებური მიდგომებით ფეტელავა ოტობაიაზე ომახიანი გამოდის. ახლა ამ სიტყვის თითოეული პროვინციის დასახელება გამიძნელდება, მაგრამ დასავლეთი იაფეტთან რომ არის წილნაყარი, წყალი არ გაუვა.

— უყურე შენ, სემიტური ჩამომავლობის კაცად არ მაქცია უცებ გაქანებული მეგრელი? სხვათა შორის ნოჩო თაკალანძე ბაბუაშენ კოსტას უპირა- ტესობას უმტკიცებდა იმ პროვინციებით, აქაოდა, ამეებთან ჩემპიონ სოფელს, ნაბაკევი ისედაც როგორ დაატოლეო. ბიქტორ ბაბუა იტყოდა ხოლმე: ფეტერები ვართ ჩვენო. გერმანელი ფეტერები მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს გერანის პლანტაციებს ამუშავებდნენ თურმე მარტვილში, სენაკსა და ზუგდიდში. ნარაზენიდან და სალხინოდან რკინიგზით გამოჰქონდათ შენი ბიზნესის უბადლო ნედლეული. ალბათ, წაეღლაბუცა რომელიღაც გომბიოს ჩემი წინაპარი და დამიტოვა კიდეც სემიტური გენი თავის სამტვრევად. ამ თვალსაზრისით შენ გაცილებით უკეთეს პოზიციაში იმყოფები, იზლერ, ძმაო. სახელს ხომ ყვერულს მოგაკერებენ პატარაობიდან ნამყენ მიშველიას, მაგრამ ბერიას სისხლის მჩქეფარება არ დაგაყენებს ზუგდიდ-ქალაქში და შოთა მესხიას არქივებში გაბუდრავებს ერთხანობას. იქ შენ საკმარისზე მეტ სამხილ მასალას იპოვი ბერიებთან თავმისაყრდნობლად, მაგრამ ორმოცდაცამეტის სუსხი — ასო-ნიშანი „ანით“ გაზრდის შენს გვარს, ბერია ბერაიად გარდაისახები, მოკლედ, როგორც ისტორიული ფოლიანტები ღაღადებენ, ეგ ჩვენი ლაუს ბიჭი კვარაცხელიას ბუშია თურმე. ვართ ბარიბარში ახლა?! — გავუსწორებ მზერას.

გადაფიჩინდება. ხელს გადმომხვევს მხარზე.

— ხუმრობას მოვეშვათო, — დასერიოზულდა უცებ, — ეტიმოლოგიური ძიებებიდან შინაგანი ბუნების კუთრ წონას დავუბრუნდეთ, გულადი ძვირფასო, გულადი დარაგო, იგივე შტაინერის **პიროვნულს, უპიროვნოს და ზეპიროვნულს.** ორიოდე თვის წინათ „მერანში“ შეძენილი ბროშურის მიხედვით ოქროს საწმისი ტროას ცხენის ბაბუა გამოდის. ჰელე და ფრიქსე ზურგზე შეასხდებიან იმ გრძნეულს. ჰელე ზღვაში დაიხრჩობა, ამიტომაც ეძახიან შავ ზღვას ჰელესპონტს. მეორე ტყუპისცალი გადარჩება. ჰელიოსის ჩამომავალ აიეტ მეფეს მიართმევს საჩუქრად ოქროს მატყლიან ვერძს, რომელსაც მსხვერპლად შესწირავენ კოლხები უზენაეს ღვთაება ჰელიოსს, ხორცს — ხორცად იგემებენ, ხოლო ოქროცურვილ ტყავს სამისნოს შესასვლელთან, სიბრძნის კარიბჭესთან ტანაყრილ მუხაზე ჩამოჰკიდებენ, ოღონდ მას მერე, რაც ერის წიაღში ოთხი ათასი წლით მიძინებულ კაცობრიულ სიბრძნეს გადაიტანენ მასზე. მარტივად რომ ვთქვათ, კოლხეთი ბერძნულ სატყუარაზე წამოეგება, ატლანტიკურ სიბრძნეს ცხვრის ტყავზე აამეტყველებს. მოგვიანებით ჩამოივლიან არგონავტები იასონის მეთაურობით და აიეტ მეფეს ოქროსმატყლიანი ცხვრის დაბრუნებას მოსთხოვენ. აქ კი თავზარი დაეცემა ჰელიოსის მემკვიდრეს:

არ გაატანს არგონავტებს ოქროს საწმისს და ომი გარდუვალია. წაიღებენ ტყავზე გაცხადებულ საიდუმლოს ბერძნები და დამარცხებასაც ვერსად გაექცევი. მოკლედ, წინ წყალია და უკან — მეწყერი; ყელში— დანა, მუცელში — სამართებელი. მონგოლის სამ ცხენს მოვაყოლეთ ყველაფერი. ხედავ, საიდან იღებს სათავეს რუსული სამცხენიანი მარხილი? ტროიკა ბორზაია ბეჟიტ, კალაკოლჩიკ ადნაზვუჩნი, უტამიტელნო გრემიტ. დიახ, სამცხენიანი მარხილით მიისწრაფვის კაცობრიობა ნებისმიერი ასპექტით.

სამცხენიანი მარხილია ატომგული თავის პროტონით, ელექტრონითა და ნეიტრონით. სიცოცხლე მორიგეობით წოვს სისხლს თითოეულისაგან, რათა უვნებლად გააღწიოს სამშვიდობოს. სამცხენიანი მარხილით იბასრება ჩვენი სულები, როცა თვინიერად მივენდობით მამა ღმერთს, ძე ღმერთსა და სულიწმინდას;

სამცხენიანი მარხილია კაცობრიული ცნობიერების სპირალური განვითარების გზაც, იგივე ტრიადა: თეზა, ანტითეზა, სინთეზის ერთობლიობა; აქაც მომთაბარე მონგოლის მსგავსად თანამიმდევრულად იხვრიპება სისხლი თითოეული ფაზისაგან;

სამცხენიან მარხილსაა დამგზავრებული ქართველი კაცის ბედ-იღბალიც უხსოვრობიდან — ვენახს, პოლიფონიასა და ასომთავრულს;

სამცხენიანი მარხილით მიეხეტება ჰომო საპიენსი მარადიულობისაკენ პათეტიკური ოტობაიურით: პიროვნულით, უპიროვნოთი და ზეპიროვნულით. ადამიანი თავისი არსით, გულადი ძვირფასო, გულადი დარაგო, ფიზიკური, ეთერული და ასტრალური აღნაგობისაა...

— განაგრძე, კაცო-მეთქი, თვალებს არ ვახამხამებ.

— ჰოდა, პიროვნებას სამკუთხედი შეეფარდება, ძვირფასო, იგი სამკუთხედივით საკუთარ თავშია ჩაკეტილი ეგოიზმის წყალობით. უპიროვნო ითქმის კაცზე, რომელიც წრფეს ჰგავს, იგივე

სინათლის სხივს, არც კუთხე გააჩნია და აღარც ხელმოსაჭიდი სიბლაგვე.მისი აურა ჯერაც არ არის მკვეთრად ყვითელი. ფერები ბგერების მსგავსად აღმავალი ხაზით მიელტვიან ზეცნობიერს, დო-რე-მი-ფა-სოლ-ლა-სი-ს თანამიმდევრობით — მწვანე-ლურჯი-ყვითელი-წითელი. ზეპიროვნული წრფის, სამკუთხედისა და სამი წრეწირის ერთობლიობაა, რომელიც ერთდროულად ატევს ფიზიკურს, ეთერულს და ასტრალურს ქინძისთავის წვერზე. ამას კი შტაინერის მთარგმნელი ბელქანია ,,ჰოყოფას'' ეძახის, როცა ძლიერი ყვითელი თანდათან გადადის მაჟორულ ბგერებსა და ფერებში; როცა ხალისიანი განწყობილება იმორჩილებს ყოველგვარ ცხვირჩამოშვებულს; როცა მძაფრი ყვითელი აურა მოელვარე წითელში გადაიზრდება. გალაკტიონი მომაგონდა უცებ: ელვარე და ლოფერი, იყო ცხრა ოქტომბერი. ამის ნათელ სურათს ამომავალი და ჩამავალი მზე ხატავს ყოველდღე ჩვენი თვალებისათვის მოქმედების პროგრამად. დღეს ტაბიძე არაფრით მეხსნება: მე გიყურებ როგორც ოქროს ჩამავალ მზეს, ჩამავალს... სიცოცხლის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა... ქართული პოლიტი- კიდან რაღაც ჰამლეტის დანიის სურნელება შეიგრძნობა, გულადი ძვირფასო, გულადი დარაგოი, იუგოსლავიაში რომ იფრქვეოდა სულ ახლახან, ჩეხოსლო- ვაკიაში. პარფიუმერია ჩემი პროფი ლისაა, ძმობილო! გავჩუმდები და გავჩუმდები. დადუმდება ვახტანგ მიშველიაც. სამცხენიან მარხილზე მე სამიოდე წლის წინათ გამომიქვეყნებია წერილები ,,საქართველოს მოძრავი ეკლესიის'', ,,სამწვერა ნერვის თეორიის'' თუ ,,კოსმოსური წესრიგის მატრიცის'' სათაურებით, სადაც ქართული კაცის ყოფიერება ეროვნულ სინიბთან ერთად რუსულ-ამერიკული ტაიჭებით აპირებს მომავლისაკენ გაქროლებას. ხან ერთი ბედაურის არტერიას დაეწაფება მხედარი ამ მომქანცველ გზაზე და ხანაც — მეორე-მესამისას, მაგრამ უმტკიცე ახლა ახირებულ მეგობარს მთლად ქვევრში არ ვზივარო! პრიმიტიული საბუთები რა სიკეთის მომტანია ბაჯაღლო დუმილის ფონზე?

ქართულ-რუსული ეკონომიკური ფორუმის ჯვარისებრი კონცეფცია

ჩემი მეგობარი შუკო ჯიქია წაიჩასტუშკებს ერთგან: ხონარ მიდგაშა მეიჩამ, მუ თეშა დო მუ თიშა, კენჭის მითინს ვენუცოთა საარჩევნო ყუთიშაო — ხმა ვისთვისაც გინდა მიგიცია, გინდა ამისთვის და გინდა — იმისთვის, კენჭს აღარავის ჩავუგდებ საარჩევნო ყუთშიო. ასე კაფიაობდა ბიჭი გუშინწინ თუ გუშინ, მაგრამ აგერ, არჩევნების წკიპზე, ოდესღაც ედეპეელი დაივიწყებს დაქადნებულ ნეიტრალიტეტს და ,,აღორძინების'' ნადურში დურთავს თავს.

ახლა შუკო ჯიქია ამნაირად რომ მოიმოქმედებს, ქართველ თუ არაქართველ მოსახლეობას პოლიტიკური ბოიკოტი რანაირად მოვსთხოვოთ? დღეების წინათ სახელისუფლებლო ბლოკს ამრეზით რომ უმზერდა, გამორიცხული არ არის ჩამომტვრეული წიწმატის ტოტიდან, დიახაც, მის ყულაბაში მოადინოს ზღართანი თავკისერფეხიანად.

ბლოკი ,,ახალი საქართველოსათვის'' ძალას იკრებს არჩევნების ენდშპილი.

შემთხვევით არ გაჟღერდება, რომ ,,ჩვენ საარჩევნო ბილბორდი ბოლო თხუთმეტი დღისთვის გავთვალეთო''. დღეს 16 ოქტომბერია და კანცელარიის სხდომათა დიდ დარბაზში 13 წლის მანძილზე პირველად ჩატარდება ესოდენი მასშტაბის პოლიტიკური ღონისძიება.

კი იტყვიან აქა-იქ, ბიზნესს საზღვრები არა აქვსო, მაგრამ კლასიკური ფორმულით ასეც განმარტებულა: ცნობიერებას ყოფიერება განსაზღვრავსო. მოკლედ, ოტობაიის ჩრდილოეთ პროვინციის 64 სტუმარს მეტად შინაურულ გარემოს დაახვედრებს ცამეტწლიანი დიპლომატიური სუსხით დაზაფრული საქართველო. ამისი ნათელი დასტური მომხსენებლის შევარდნაძისეული ფრაზის მოშველიებაა: რუსეთთან ურთიერთობა კი სჯობია სიცივეს და შიმშილსო. 51 მნიშვნელოვანი პროექტი წარედგინება ფორუმს, რომლებიც უწინარესად პრაგმატული მოსაზრებებითაა საინტერესო.

შევარდნაძე სწრაფი რეაგირების დიდოსტატია-მეთქი, გამიმხელია და ახლაც ბატონი ედუარდი აზერბაიჯანელ ერს 12 სტადიონით დაასწრებს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების მილოცვას.

ასევე მოიქცევა პუტინიც. სხვათა შორის, პუტინი ბევრს სწავლობს შევარდნაძისაგან და ერაყის საკითხებში სრულ მხარდაჭერას გამოუცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციას.

ოფიციალური ვაშინგტონის თანადგომაში კი ედუარდი პირველთაგანია, ვინაც საკუთარი ქვეყნის სივრცეს შესთავაზებს საომარი მოქმედებისათვის. ახლა ურემი გადატრიალებულია და გერმანია-საფრანგეთი-რუსეთი პროცესებს კუდში მისჩანჩალებენ.

დედამიწა ძალზე ვიწროა იმისათვის, რომ ბირთვული იარაღი ავსტრალიელთა სათამაშო ბუმერანგად გადაიქცეს. ჭირს მოგჭამს ცეცხლთან თამაშის ზოროასტრული გაგება. უკვე ამ იარაღის მფლობელებს სამხრეთ კორეაც მიემატება და ირანში შემთხვევით არ გაჩაღდება პოლიტიკური ვი-

ზიტები შესაძლო ცეცხლის მოსათვინიერებლად.

ამერიკელები ხაზგასმით მიგვითითებენ თვეების წინათ: დაარეგული- რეთ ურთიერთობა რუსეთთანო. დარეგულირებას ქალბატონი ნინო ბურჯანაძე და ჟვანია მთლად ძირისიძირამდე ჩაყოლად აღიქვამენ თურმე: ,,როგორც ადრე, თქვენ უნდა იყოთ ხელმისაწვდომი ჩვენთვისო''. სახელისუფლებლო ბლოკი კი გუშინწინდელ ოპონენტებს აფხაზეთში, სამაჩაბლოში, პანკისში, ფართოდ გაუღებს კარს თანასწორუფლებიანი პარტნიორობისათვის, ოღონდ აშკარად, გამჭვირვალედ და არა ამ დღეებში გახმოვანებული სკანდალური კუკუმალაობით. ამიერიდან რუსეთი მიერთებულია საქართველოს ელექტროსისტემას.

არაფერი დაიმალება ევრაზიის დერეფნის მისამართითაც, ღიად გაცხადდება თავდაპირველი წინააღმდეგობანი, მაგრამ ახლა, როცა ,,დიდი აბრეშუმის გზას'' ფეხი აუდგამს და ზოგადკაცობრიული ინტეგრაციის ქარავანი დაძრულა, ორღობიდან ქოფაკების ღავღავს, სასცენო რეკვიზიტის მნიშვნელობა ენიჭება ოდენ, დეკორაციის შინაარსი, რომელსაც მოქმედების ცვლილების კვალობაზე კულისებში გადაყრიან ხოლმე.

დაახლოებით 4 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის ეკონომიკურ თანამშრომლობას გეგმავს რუსეთი საქართველოში და იგი ტვირთბრუნვის 17 პროცენტით მეორე ადგილზეა თურქეთის შემდეგ. ხვალ და ზეგ ამ ციფრის გაათმაგება, გნებავთ — გაასმაგება არანაირი სირთულეა — შეუფერხებლად გავა რუსეთის სივრცეში ეკონომიკურ ჩიხში მომწყდეული ჩვენი ჩაი, ციტრუსი, ცემენტი; ენგურჰესი 300 დესანტს მიიღებს უახლოეს დღეებში.

ფორუმს წამითაც არ ჩრდილავს ტრანსპორტის მინისტრის ხანჯალივით ნაშიშვლები აფხაზეთ-სამაჩაბლოს პრობლემა, და გამოითქმება მოსაზრება, რომ აღარც რუსეთს წაადგება საქართველოს ზურგს უკან გაჩაღებული ეკონომიკური მოტივაციით შეფერილი ნაბიჯები: ზღვის აკვატორიის, რკინიგზის მაგისტრალის აღდგენის ცალმხრივი ქმედებები ჩვენს ჩაუკითხავად.

ეს წუთია და სანგვინიკურ წითურს ყელში ბურთი გაეჩხირება — ჟირინოვსკის ვგულისხმობ, რომელსაც სიქა გაძვრომია საქართველოს ცხვირწინ მუშტების ქნევით:

— თქვენი პერსპექტივაო?! — უვიწროვდება თვალები ქოლერიკულ შოვინისტს, — აფხაზეთი ხომ აგაცალეთო! სამაჩაბლო ხომ აგწაპნეთო! აჭარას დღითი დღე გართმევთო! თურქ მესხებს მოგიქსევთ თავ-ბედის საწყვლელადო! სამხრეთ საქართველოში წყლებს აგიმღვრევთო! მოკლედ, თქვენი მამა და დედა, ყოფას გიტირებთ ნებისმიერი პარამეტრითო!

ჰოდა, გაცილებით ენერგიული სააკაშვილი რომ ებრდღვნება ყელში წითური ყვერების შთამომავალს, ბდღვირს ადენს.

— რომელი თქვენიო, — მისდგება მიშა, ჩვენი მიხა, ჩვენი მიქაელ უდრეკელი. დებატებში ჩართული დასცხებს და დასცხებს წითურ სემიანელს რუსეთიდან. რინგის კუთხეში მიიმწყდევს კანდელაკის ოსტატობით, — თქვენო? — ხაფხაფებს ჩვენი ჯილა, — დაგავიწყდათ რა დროში ხართო. ახლა ყველა ჩვენი მეგობარია: თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ამერიკის შეერთებული შტატებიო. კი გინდათ ჩვენი გაწეწვა, მაგრამ ვერ მოგართვეს ჭირიმეო, — და გამოუსახავს ჰაერში სამი თითის კომბინაციას.

ფორუმზე გულწრფელი სიხარულით გაჟღერდება ქართული კულტურის დღეების ანშლანგით მიმდინარეობა მოსკოვში. ბარტერული გაცვლაა. ჩრდილოეთისკენ ქართული ხელოვნების იმპორტია. სამხრეთით რუსული ეკონომიკის იმპორტი. უამრავ მიმართულებას დაედება სათავე და ვინ იცის, იქნებ ,,დრუჟბა ნაროდოვში'' გაჩხერილ ჩემს რომანსაც ეშველოს რამე?! ახლა რანაირად მოგიტრიალდება ენა: კენჭს არავის ჩავუგდებ საარჩევნო ყუთშიო?

აზერბაიჯანში მამლებს დაყივლება ვერ მოუსწრიათ და ილჰამ ალიევს გაპრეზიდენტებას პირველი ბატონი ედუარდი მიულოცავს. ამ დღეებში ახალი პრეზიდენტის ემისარი ბულბულ-ოღლი ჩამოივლის მარნეულში იადონური საგალობლებით და შენი სააკაშვილის მანქანის შენჭყრეული ფერდი თუ საქარე მინა ვინ ოხერ-ტიალას გაახსენდება?! რომელი ერთი მოიგონებს გამგებელი ჯაფარიძის მონგრეულ ღრანჭს თუ ნაციონალების მაჟორიტარობის კანდიდატი მურალხანოვის დატუსაღებულ ვაჟიშვილს?!

ამნაირია, ვახტანგ ძმობილო, ხალხის ფსიქიკა. ყრუდ მფეთქავ იარას ახალი ჭრილობა აქარვებს ხოლმე. ასევეა დადებითი ემოციებიც. გააჩნია რომელს რომელი მაჟორული განწყობილება ჩაენაცვლება

ბურჯანაძე-დემოკრატების მრავალმილიონად ღირებული ბილბორდის ფახიფუხი ფორუმის საშვილიშვილო მნიშვნელობით გადაიფარება. ჩამოვა 64 პიროვნება რუსეთიდან და შენი პომპეზური პლაკატების კუდაბზიკობა ნიავ-ქარს გაჰყვება.

ისე, მელიმილება ეზოტერიკაში გვარიანად ნაჭყუმპალავებს: ნებისმიერი საარჩევნო ბლოკი თავიანთი დევიზით სახელისუფლებოთა სამსახურშია, მის წისქვილზე ასხამს წყალს. პირველი ნომერი, ერთიანი, ,,1'', ხომ მათ ესკლუზიური უფლებით მოუპოვებიათ და დანარჩენიც სულ ამ ციფრის ხოტბადიდებაში ა: ,,ერთად ავაშენოთ საქართველოო'', ,,ძალა ერთობაშიაო'', თანაც ვინც სიტყვა ,,საქართველოს'' ებღაუჭება, ისინიც სახელისუფლებოთა უნებლიე მოთაყვანენი არიან. მეგრული ,,ართ'' დედაბოძივით მთავარ საყრდენად შესდგომია მათ სავარძლის მაძიებლობას.

ფორუმი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ქართულ-რუსულ 202 წლოვან თანაარსებობას, და ყველაფერზე სასიხარულო ის გახლავთ, რომ ძალდაუტანებელი უშუალობთ შემოცურდება მალამო სიტყვა: ,,მოგვენატრეთო''.

ვაჭრობის პალატის ინიციატივები დიდ პერსპექტივებს წარმოაჩენს. ასევე რეალურ ნაყოფს გამოისხამს ვახტანგ რჩეულიშვილის მრავალწლიანი ძალისხმევა. იღადავე აწი რამდენიც გინდა: ეგენი 7-პროცენტიან ბარიერს ვერაფრით გადალახავენო.

მეგრული ფოლკლორის სალაროდანაა: მწიფეს ესროდნენ და მკვახეს ხვდებოდაო.

ამ ხალხის ლოგიკის ვერაფერი გამიგია. თავზე ნაგავს აყრი ადამიანს. ჯერ თბილისიდან, მერე მთლად საქართველოდან აძევებ ქვეყნის პრეზიდენტს, ქურდების უსტაბაშს ეძახი და ბრიალა 5-ჯვრიანი დროშების შესაკერად 42 ათასი ლარი პენსიის მოხმარება გიხსენონ, ცოდვაა? ან ბურჯანაძის მამას 25 მილიონი ლარის ვალის დაბრუნებას რომ შეახსენებენ, პიარ-კამპანიაა? იგივეს არ ჩაეკითხებიან ,,კოკა-კოლას'', სხვათა და სხვათა? ან ეგრეც რომ არ იყოს, შე კარგი დედმამიშვილო, გაქანებულ კაპიტალიზმში გიტუცავს ფეხი, ბუნების კანონისთვის დაგიქვემდებარებია შენი ყოფიერება და ,,კმარას'' თინეიჯერებით აპირებ ლელოს გატანას, როცა არშინიანი მხარ-ბეჭის ,,ბორჯღალოსნები'' ვერაფერს გახდებიან უშეღავათო ავსტრალიურ ორომტრიალში?!

ჯვარისმბრი კონცეფციის კომენტარები

პოლიტიკა თამაშის ხელოვნება თუ არის, იგი ამჯერად სრულფასოვან ენდშპილშია გადაზრდილი.

სამ ძახილის ნიშნიან სვლას ახორციელებს ოფიციოზი მეფით და საპასუხოდ სამ პლუსიან სვლას შესთავაზებს ოპოზიცია ლაზიერით.

რუსეთის ფაქტორის ამოქმედება ფაქტობრივად ხერხემალში გადაამსხვრევს არჩევნების ბედს და მათ შორის 2005 წლის პრეზიდენტის იღბალსაც: ძალთა თანაფარდობა გრიგოლიას ინტერაქტივით 19 : 81-თან ოპოზიციის სასარგებლოდ.

ამასობაში ჩირგვებში გაიკვეხება აზერბაიჯანული მუსავატური მოძრაობა.

გაჟღერდება მათი ლიდერი ისა გამბარის ჰაიკური წარმომავლობა, რომელიც გამორიცხული არ არის ყარაბაღის პერსპექტივით, მართულია გაღმაოკეანური სომხური დიასპორისაგან.

რუსულ-ქართული ეკონომიკური ფორუმის მეორე დღე სასტუმრო ,,მერიოტში'' ამოწურავს თავისთავს.

შეიქმნება ამ მოძრაობის მუდმივმოქმედი კომისია და საქართველო შეიძენს ,,კოსმოსურის წესრიგის მატრიცაში'' ნავარაუდევისამებრ ჯვრის აღნაგობას ჩრდილოეთ-სამხრეთის გეგმილით, რომელიც საბოლოო ჯამში ,,ტრასეკას'' დერეფნით დახაზავს კოორდინატთა სისტემის მოდელს. ეს მომენტი პატარკაციშვილის ,,იმედის ქალაქის'' დაბალავრებით რამდენადმე გამაგრდება და წინდებული ფორმულით გაფორმდება არსებითად.

მოკლედ, ამერიკელების მინიშნებები რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების თვალსაზრისით ფორსირებულად წარმოაჩნეს მოვლენებს.

შევარდნაძის ომი ამ ათწლიან გამყინვარებაში თეთრების პოზიციური უპირატესობით გადაიდება, ვინაიდან ახალი აზროვნების შემოქმედი არ დაუშვებს უფუნქციო საქართველოს მათემატიკურ მიერთებას რუსეთთან, არ დაუშვებს სატილიტი ქვეყნის იმიჯით მიმატებას რუსეთის ეკონომიკურ სივრცესთან. ჯერ სრულფასოვანი პარტნიორის მუხტს შეიძენს ,,დიდი აბრეშუმის გზისა'' და ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალის შეპირაპირების მოთავე სახელმწიფოს პროფილით და ამიერიდან პროექტების წყება თანაბარუფლებიანი სუვერენობითაა გარანტირებული ნებისმიერი მიმართულებით, თუმცა ძალზე ცოტაა ამისი დამნახველი და მით უფრო — მთქმელი.

პრეზიდენტის ,,კულუარული ნაბიჯები'' თანდათანობით ძალას იკრებს.

რუსი წარმომავლობის გერმანელი მოკრივის, რიჩარდ შნაგერის კანდელაკის მიერ სპორტის სა-

სახლეში დანოკაუტება, ისევ საქილიკო აქილევსის ქუსლად გასაღდება „რუსთავორელებისაგან", აქაოდა, მოწინააღმდეგე ჭეკლასელია, სავარჯიშო ბალიშიო, მაგრამ ბლოკი „ახალი საქართველოსათვის" წარმატებული ფინიშის სულისკვეთებით ამეტყველებულა უკვე და აქ შესადავებელი არაფერია.

ოპოზიციის კოზირები კვლავაც საარჩევნო სიებია — განგებ თუ ცდომილებით აღრეული დავთრები.

ხვალ საკუთარი უფლებამოსილების გადამოწმებას ვაპირებ. ხვალ რჩეულიშვილთან მიმელიან საინტერვიუოდ, თანაც ოპოზიციის ფლეშებსაც შემოვივლი.

მიკერძოებას ვერავინ დასწამებს გური ოტობაიას ამ საშვილიშილო პაექრობის მამითადში. შეუძლებელია მისთვის უფლის მარჯვენა და მარცხენა ანგარებითი ცალმხრივობით დაიხატოს, რადგანაც უღლის ორივე ნახევარი აუცილებელ განზომილებად მიუჩნევია უდასასრულო თანაქმედების გზაზე. სხვანაირი დამოკიდებულებანი თითქმის მოულოდნელიცაა ქართული ბუნების გათვალისწინებით. ჩვენ ხომ ჰიბრიდული გენოტიპი ჩამოვყალიბებულვართ მრავალათასწლიანი სოციუმის პირობებში და აქ საარსებო სივრცეში ჩამოქანდაკებული სიდიდის აუთვისებლად ფუჭი, მცდელობაა განტოლების შექმნა. შევრდნაძე ჯვარედინული კონცეფციით დამში მოიყვანს უფუნქციო სამშობლოს საუკუნოვან გარანტიებს, რათა საქართველო სამომავლო გარიგებებში არ აღიქმებოდეს მიწის უბრალო ნაჭრად, მონაკვეთად; არ აღიქმებოდეს მეორეხარისხოვან დანამატად. ეს მომენტი უმთავრესზე უმთავრესია ოლიგარქიული სახელმწიფოს მშენებელი კაცისათვის. ამიერიდან ძირითადი აქცენტები სოციალიზაციის მიმართულებითაა მოსალოდნელი, სადაც მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ოპოზიციასაც დაკისრებია, როგორც სამამულო უღლის გამწევ ერთ-ერთ ძალას.

„ღამის მზერა" არსებული უთანხმოების წარმოჩენას დესპანი ღოღობერიძის სამხილი საბუთების წარდგინებით შეუდგება. რეჟისორი ქალბატონის სიტყვებით, თურმე იგი კვლავაც პრეზიდენტის ერთგულია, აღარც მისი პორტრეტი ჩამო უხსნია კაბინეტიდან და შარაძისაგან გაცხადებული ბრალდებები თურქი მესხების რეპატრიაციასთან დაკავშირებით, თურმე თითებიდან გამოწოვილი უმწიფობაა. აქვე ითქმება იმის თაობაზეც, რომ კრასნოდარის მხარეში არნახულად ავიწროვებენ დევნილებს. თითქოს განუკითხავად აძევებენ დაკავებული ტერიტორიებიდან, მაგრამ გაცხადდება მთავარიც: საქართველო მიიღებს თურქ მესხებს ახლო მომავალში, ოღოდ — არა კომპაქტური დასახლების პრეტენზიებით, არამედ — ეტაპობრივად, საქართველოს დემოგრაფიული ინტერესების შესაბამისობაში მთელს ტერიტოორიაზე განსათავსებლად.

კინოკამერის ნოსტალგიით შეპყრობილ ლანა ღოღობერიძეს წიგნიც გამოუცია და დაღლილობის მომთენთავი კილო თანგავს მის ყოველ ფრაზას, ავადხსენებული „ერის მოღალატის" რესტავრაციის გამო.

ბურჯანაძის რეიტინგი ათბალიან სისტემაში ძველებურად მერვე-მეცხრე ნიშნულთანაა.

ჩრდილელი SOS-ის განწირულობით კივის ვაკის პარკის კარუსელიდან: — ტელევიზიის პირველი არხიდანაც კი ხელისუფლება ჩემს კონკურენტ გაჩეჩილაძე-ნადირაძეს უწევენ რეკლამასო, — მაგრამ ვინ არის გამგონე?

საბაზრო ეკონომიკაა, ბაბაგე! საამისოდ თადარიგი დროულად უნდა დაგეჭირა ფინანსთა სამინისტროში ყოფნისას! არადა, არჩვენების ცერბერული მადა ნაფოტივით გამოგრიყავს ნაპირზე.

ყოველთვის თავშეუკავებლად მეცინება ორი ანეკდოტის გამო:

პირველი გაჩაღებულ კერიასთან ძუკუს ხმამაღალი ნატვრა: დადიანის გონება მომცა, შერვაშიძის სილამაზე და კიდევ — ჯაკა საქანიას ადრეკილიო;

მეორე ის გახლავთ, რომ კახეთში მოხვედრილი ჩვენი გმირი კინაღამ ჭერს აანგრევს შეყრილი წაბლისფერი წარბებით, ვირთან ზოოფილით გახვითქული მიხოს მნახველი: — დიი, თხა ხომ არ ჰ გონია, ოჯახსქორსო.

ჰოდა, ასეა ჩვენი საქმეც. მაჟორიტარობის უამრავ კანდიდატს არჩევნების გაღმა-გამოღმა სამივე ნიშან-თვისება წაშლია ნაცარქექიასავით ბუხართან მიცუცქულს. თანაც მსგავსი წარმომავლობის მოწინააღმდეგეს ქაჩლობით, მელოტობით აბიაბრუებენ თავადაც ხვლეპუსანი.

მაგარი ყოფილა, ბაბაგე, ჩვენი ოღრაში გრიგოლია.

ჯერ ერთი, პრეზიდენტს ასმაგად წაამწარებს სამსახურიდან გაძევებას ეთერის დაუთმობ ლობის გამო.

მერე, აგერ, ხელისუფალის კარის პოეტს ცხვირწინ დაულაგებს „მოღალატის" თუ „შეთქმულის" მაკომპრომიტირებელ მასალებს „ღამის მზერაში" მოწვევით. ხომ გაგიგიათ: ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ დააოკებსო. გაიწევს აჯილღა გრიგოლია და ბურლაკების მკერდით გაიტანს

სრულიად საქართველოს ყოველდღიურობით გაპოხილ ცნობიერებას.

რაც შეეხება თავად ჯვარისებურ კონცეფციას, ჩვენ იგი თავის დროზე წამოგვიწევია, როგორც შეუთავსებლის შეთავსების საბოლოო პროდუქტი, და ორმაგად სასიხარულოა ჩემთვის, რომ ქართული პოლიტიკის სტრატეგია ბელეტრისტის დაფიქსირებულ მიმართულებას ირჩევს სამი წლის დაგვიანებით.

ჯვარისებური კონცეფცია, აღმოსავლეთ-დასავლეთის შეპირაპირება ჩრდილოეთ-სამხრეთის ინტერესებთან, საქვეყნოდ ცნობილი სვასტიკაა — ნებისმიერი კაცობრიული ფასეულობა ამ უგენიალურეს ფორმულამდე დაიყვანება საერთოდ. გნებავთ პოზიცია-ოპოზიციის შუღლი, იგივე კენტავრისტიკის მასალაა და არსებობის უფლებას მხოლოდ პრეზიდენტისეული თანაქმედებით მოიპოვებს.

ჯვარისებური კონცეფციის ტოლფარდია ნებისმიერი ურთიერთგამომრიცხველი ცნების დაწყვილება, ერთ ულელში შებმის მცდელობა, კროსინგოვერის — გენური შეჭიდულობის მაგალითისამებრ. ასე რომ, შეუთავსებლის შეთავსების თეორია ოპოზიციასაც და პოზიციასაც თვალნათლივ მიანიშნებს მათთვის ნებადართულ კონტურებზე, რომლის არცნობა თუ გადამეტება სრული კატასტროფაა ორივესთვის.

სამოცდაათიანი წლების მიწურულს ხუხულებიან სტუდქალაქთან ვაკეში მომცრო ტანის მონგოლოიდს გამოიჭერენ ბიჭები და გვარიანადაც თეთქავენ. როცა სამცხენეულით მოხეტიალე ურდოელის უნიათო შთამომავალი, ბნედიანივით იღლაკნება მიწაზე, რომელიღაცა დაიყვირებს: არიქა, არ აუშვათ, კარატისტი იქნება, დაგვხოცავსო და მთლად მიასიკვდილებენ. მოგვიანებით უბედურიშვილი ჩუქჩა შერჩებათ ხელთ.

ასეა ერაყის საქმეც. ატომურ ბომბებს ჩხიბავსო და ბუთქავს ამერიკა ბაღდადს, მაგრამ, როგორც გაირკვევა, არ ჰქონია იმ ბედოვლათს ბირთვული იარაღი, და არის ახლა მართალ-მტყუვნის ძიება, ვისი შემოგდებულია ეს ანკესი! თუმცა ნიშანდობლივი ის გახლავთ, რომ თვეების წინათ ერაყის გარშემო შეკოწიწებულ უთანხმოებას თანდათან აეხდება ფარდა ტრაგიკომიკური ფინალით. ამერიკის ინიციატივას მთელი მსფოლიო აუბამს მხარს. მოწონებულია მისი რეკონსტრუქციის პროგრამები. ინიშნება არჩევნები ახალი აზროვნების კულტივირებისათვის. ეს სელექცია ფაქტობრივად საქართველოს შემდგომ ბედ-იღბალსაც განსაზღვრავს უცილობლად.

„ე- ი- ეს თელასელების“ ჩანაცვლება „რაოესით“, ვგონებ, აქედან იკვებება. ქართული კულტურის ტრიუმფს მოსკოვში ეს მუხტი ასაზრდოებს. სანაცვლოდ თბილისი გულღიად სტუმრობს ეკონომიკური ინტეგრაციის დიალოგს. წამოწეულია ჯვარედინული კონცეფცია, რომლის მიხედვით „დიდი აბრეშუმის გზის“ **x**-ღერძი თბილისში გადაკვეთს ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალის **y**-ღერძს, და როდესაც გადაწყვეტილია უჯრედის, ატომგულის პროპორციები, მერე ძნელი ასაშენებელი არ არის სრულიად დედამიწის გეოპოლიტიკური ვითარება. დიახაც, საქართველოდან საწყისდება შეუთავსებლთა შეთავსების გრანდიოზული ექსპერიმენტი — იგნორირების ნაცვლად ნაციონალურ ფასეულობებს მჭიდროდ გადაეინასკვება ზოგადკაცობრიული ინტერესები და დაპირისპირების მაგივრად მყარი ნიადაგი შემზადდება მათი შემდგომი თანაქმედებისათვის; ანუ ფორსირებულად შევდივართ ახალი აზროვნების აქტიურ ფაზაში.

ყველაფრის გათვალისწინებით, შეუძლებელია სასწორზე შევაგდოთ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ალბათობა. ლოგიკის მიხედვით აქ წარმართველი იმპულსი, დიახაც, შევარდნაძისეული თანაქმედებაა. ოპოზიცია სიების გაყალბების პინკ-პონგით შესდგომია მდინარის ამღვრევის ნაცად პრაქტიკას, და თვალსა და ხელს შუა გვეცლება სოციალიზაციისაკენ ორიენტირებული საქართველოს აშენების შანსი ზოგადეროვნულისა და ზოგადკაცობრიული ფასეულობების სინთეზით.

ქართული ყოფიერება აქამდე სრულიად მარტივი კონცეფციით მოღწეულა: თათარიც დედის შვილია.

ამერიკას საუკუნეზე მეტია დაუძლევია რასობრივი წინააღმდეგობანი.

ახლა ჩვენში კულტივირებულია ეროვნული ინტერესების შერბილების ფართომასშტაბიანი ფრონტი, რომლის მეოხებით მეხუთე კოლონის ძირგამომთხრელურ საქმიანობებს მოხსნია „მტრის“, „მოღალატის“ სტატუსი და განუხრელად ხორციელდება, „ყივჩაღის“, „უცხოს“, „შეუთავსებლის“ ანექსიოდური თვითდამკვიდრება ქართულ მიწაზე, ქართულ ცნობიერებაში. მაგრამ ეს ტენდენცია დიდხანს ვერ ივლის შენიღბულად და როგორც კი სახიდან მასკა ჩამოეცლება, დომინანტი კვლავაც ქართული ფასეულობები დარჩება, ვინაიდან კოლხურ-იბერიულს ათასწლეულების მანძილზე გამოუმუშავებია ეტალონის, იდეალის, ნიმუშის აღნაგობა.

ჰოდა, მხოლოდ დაწდევებულის, მხოლოდ გამოცდილის განზოგადოებით გადაიშლება მომავალში შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის ჭეშმარიტი სარბიელი: მსოფლიო ზურგს შეაქცევს ოდესმე

იმპერიების მასკულტურით პატარა ერების განადგურების პრაქტიკას და სამერმისოდ მხურვლედ აიტაცებს ქართულ პოლიფონიურ საგალობლებს; გონებადაუნჯებულად ჩაუღრმავდება ქართველი კაცის ცხოვრების წესს, კულინარიას, ქორწინების ინსტი- ტუტს, ვინაიდან სხვა შემთხვევაში ხელში შემოგვადნება სრულყოფილებისაკენ დამიზნებული ,,ჰომო საპიენსის'' დიალექტიკური განვითარების დოქტრინა.

ქართული ეთნოსი უამრავი მანკიერის გამოხშირვით გაუტოლდება ნიმუშს, ხატს, და იოანე ზოსიმეს მესიანისტური ფრაზაც იქნებ ამისი ნათელმხილველობაა: ყოველ ერს მი მართულება ქართველი ხალხის მეშვეობით მიეცესო. მაგრამ ამ მომენტმა თავად ქართველ საზოგადოებაში არანაირად უნდა აღმოაცენოს რაიმე განსაკუთრებლობის სინდრომი — პატივმოყვარეობა.

ჩვენ ი ეთნოსი მკაცრი თვითკონტროლის მეოხებით შემონახულა აქამდე, რადგანაც ათასწლეულების მანძილზე გარდახდილია ჯვარედინული, კროსინგოვერული თანამშრომლობა წარმართულ-ქრისტიანულ ფასეულობებს შორის. ანუ ყოფიერების ჰორიზონტალური სპირალი სისხლხორცეულად გადაჭდობია სულიერების ვერტიკალურ მიმართულებას და მათი თანაქმედებით შექმნილი კუთხის მსწრაფველობა ოქროს კვეთის ბუნებისაა (382 : 618) წუთისოფლის ზიგზაგიან თემშარაზე — ქართველი კაცის ყოფიერება იყო, არის და იქნება მისაბაძი მაგალითი დანარჩენი მსოფლიოსათვის თვითნაბადი თუ ღვთითნაბადი წონასწორობით, თავისი საშუალო არითმეტიკულობით, მაქსიმალურსა და მინიმალურს შორის ოპტიმალურზე ოპტიმალური შუალედურობით.

აქედან გამომდინარე ჭკვიანი მსოფლიო უჯრედიდან, საქართველოდან თუ შეუდგება პლანეტის მაჯისცემის აშენებას, პირველი პულსი უცილობლად ცხოვრების ქართული წესია, დროთა ვითარებაში აქა-იქ წაბორძიკებული, შელახულშერყნილი, მაგრამ შინაგანად მაინც დაუმარცხებული. აი, რისი დასინთეზება უნდა გახდეს 2 ნოემბერის შემდგომი საქართველოს და, ბუნებრივია, სრულიად მსოფლიოს აღმოცენების წინაპირობა: ოლიგარქიული საქართველოდან მედიოკრატიული საქართველოსკენ! ოლიგარქიული მსოფლიოდან შუალედურ-ქონებრივი მსოფლიოსკენ! საქართველოში იქნებიან მდიდრები და არ იქნებიან ღარიბები. მსოფლიოში იქნებიან შეძლებულები და არ იქნებიან უპოვარნი, ანუ უფრო გამოკვეთილად — უპერსპექტივო მსოფლიოდან კაცთმოყვარე მსოფლიოსკენ! ატომბირთვული მსოფლიოდან კოსმონავიგატორული მსოფლიოსკენ! პარტიკულარული, იგივე საზღვრებით დაქამრიან- ებული მსოფლიოდან, ღია საზოგადოებისაკენ! ხალვათი და უშუალო ურთიერთობებისაკენ, რადგანაც ფასეულობები წდევდება არა პეტრე დიდის ნაჯახებით, არამედ ბუნებრივი პროცესებით, რომელსაც დაუწესებს ენგიდუნიას გენიოსის გონება, კაცობრიული სული.

ამ მიმართულებას დაადგებიან საუკუნის დამდეგს სოციალიზმის ცალმხრივი ბელადები პროლეტარიატის დიქტატურის შემოშველიებით, მაგრამ ბუნების კანონები გამოძევდება მათი აღმშენებლობითი ჰეროიკიდან და სამოცდაათწლიანი გულყრების შემდეგ, აგერ, ჩვენს თვალწინ დაიმსხვრევა კიდეც, თიხის ფეხებზე შემდგარი კოლოსალური იმპერია.

ახალი აზროვნების დოქტრინა საქართველოში აიდგამს ფეხს ორი ათასის სასრულს და მესამე ათასწლეულის დილასისხამზე ჯვარედინული კონცეფციის სახით, რომლისთვისაც ,,სამწვერა ნერვის თეორია'' გვიწოდებია თავის დროზე, იგივე კროსინგოვერი — გენური შეჭიდულობა, შეუთავსებლთა შეთავსების ალქიმია — სიმდიდრის გაწონასწორება სიღარიბესთან, პატრიოტიზმის გაჯერება კოსმოპოლიტური ფასეულობებით; გალავნების, ჯებირების, კედლების მსხვრევა თანაქმედების საწინადრად ხიდების, დერეფნებისა და შუშაბანდების ახმიანებით; ასეთია XXI საუკუნის მოთხოვნები ნაწილისა და მთელის ჰარმონიზაციის ანაბანადან. ყველაფრის გათვალისწინებით 2005 წლის არჩევნებზე შეუძლებელია საქართველოში გაპრეზიდენტდეს ადამიანი, ვისთვისაც დახურული აღმოჩნდება ახალი აზროვნების კრიტერიუმები; ვისთვისაც ინდის ხურმად აღიქმება შეუთავსებლთა შეთავსების ალქიმია; ვისთვისაც ჩინური დამწერლობად წამოისვეტება ნაციონალურისა და კოსმოპოლიტურის თანაფარდობა; ვისთვისაც აკრძალულ ხილად დაიგულვება პიროვნულის, უპიროვნო და ზეპიროვნულის დიალექტიკა — ინდივიდუალური თავისუფლებისა და საზოგადოებრივი აუცილებლობის თანაფარდობა, მათი გაუხლეჩავი ბმები, მათი ურთიერთგამსჭვალულობა, ურთიერთგადანასკვულობა, როგორც ეს ახასიათებს ჩვენს მამაპაპურ ხურჯინს, იგივე გენური შეჭიდულობის ცოცხალ მაგალითს სამამულო ეთნოსალაროდან.

ბურჯანაძე — დემოკრატიის მარკიზა,
გნებავთ — სახელმწიფოს ბურჯი

ინტერაქტიული გამოკითხვებით ოპოზიციის რეიტინგი 70-75 პროცენტებში მერყეობს, ხოლო

პოზიციისა — 25-30 შუა. ამ თანაფარდობას ჭკვიანურად აანალიზებს სააკაშვილისაგან „უტიფარ დედაკაცად“ მონათლული ჭანტურია-სარიშვილი, რომ ახალუხების გაწიწმატება, დიახაც, ხმათა ამ სამი მეოთხედიდან იქოქება, რომელსაც 10-12 პარტიაზე თუ გაყოფ გაბრდღვნილი ჩიტისხელა სადილი გერგება მამაპაპური ღრეობისათვის ყელშეღერილს. ხოლო ელექტორატის ერთი მეოთხედი სეგმენტი სახელისუფლებო ბლოკს ისედაც გაუნაღდებია მოკრძალებულ ხემსად.

ოპოზიცია ვერაფრით მოთოკავს ამბიციებს და აშკარად გამოკვეთილ ლიდერს შესაციცინებს თვალებში. არადა, ჩაილურის წყლები დაულევია ოთხმოცდაათიანი წლების გარდახდილ გამოცდილებას: სრულიად სამურზაყანოს მოსახლეობა 90-93 წლებში მომეტებით რომ ბობოქრობს გამსახურდიას სამკალში, 94-ში უკვე შევარდნაძისათვის კაკანებს, ვინაიდან მშობლიურ კერიაში დაბრუნებას მხოლოდ მისგან გამოელის და აჰა, ამ ათი წლის შემდეგ, ენერგიული სააკაშვილი ეიმედება ერთადერთ ხსნად.

აგერ, უშიშროების მინისტრი გამოუქვეყნებს კიდეც ჩვენს მარკიზას თუ ჟანა დ ძარკს რეზიდენტობის შემცველ მასალებს, რომელზეც შავით თეთრზე წერია: „ჩვენთან ახლო უნდა იტრიალო, როგორც ადრეო“, მაგრამ მერე რა? ხალხის თვალში უფრო გაზრდის ბურჯანაძის რეიტინგს პასკვილი ესე და ვერც მოლაშვილის კომპრომატები უშველის საქმეს, სადაც დემოკრატების დედოფალს მამის 25-მილიონიანი სახაზინო დავალიანების რეალობა საარჩევნო შავ პიარად გასაღდება.

იტყვის პრეზიდენტი ერთგან: როგორი პარტიაა, რანაირი ალიანსი „ბურჯანაძე-დემოკრატები“, აქეთ ერთი და იქით— მრავალიო, მაგრამ ვერავინ აანალიზებს კარგად გათვლილი პრაქტიციზმის სახვალიო ელვარებას. აქ, დროშის შავ-თეთრ ფონზე სრულფასოვნადაა გამოკვეთილი როსტევანის ძე-ასულის ფლაგმანობა, ლამის ტოლძალოვანი ეგზოტიკურობა, როგორიცაა: „ანჟელიკა— ანგელოზების მარკიზა“, ან „ჟანა დ‘არკი — ჯვაროსნების დედოფალი.“ ამგვარი გამორჩეულობა ხალხის თვალში თხზავს გმირის, მესიის მესიჯს, რანაირადაც არაერთგზის გვეუწყება დასახელებული ტიპაჟების ცხოვრებიდან. რაც შეეხება თავად პოლიტიკური გაერთიანების ფორმულას, ისიც უჭკვიანურესადაა მოფიქრებული:

„ბურჯანაძე-დემოკრატები“ ერთ სტრიქონში როდი იკითხება, არამედ წილადის სახით, პროპორციით: ბურჯანაძის შეფარდება დემოკრატებთან უდრის შვიდსო, რაც უცილობლად თანაფარდობის შინაარსის შემცვლელიცაა, განსაკუთრებით, როცა ეს წილადი გატოლებულია 7-თან. ამონახსენი მარტივია: ბურჯანაძის კუთრი წონა დემოკრატებისათვის გაიგივებულია შვიდგზის აღმატებულ ძალასთან, რაც ფაქტობრივად ღვთაებრივია ეზოტერიკული სწავლებით.

აქეთ სააკაშვილის დამანგრეველ სულისკვეთებას მხარს აუბამენ სხვა ოპოზიციური ძალებიც და ჩვენი კომენტატორი-ჯილა გრიგოლხე ბევრს შეეცდება რესპოდენტებს პირიდან ამოგლიჯოს სიტყვები: „პუტჩი“, „ბუნტი“, „რევოლუცია“, „გადატრიალება“, თუმცა ისინიც მთლად ხეპრეები როდი არიან, ღორჯოებივით წამოეგონ სამტრედიელის ანკესებზე; ჰოდა, გაჭენებული ცინიზმით მიწასთან ასწორებენ პრეზიდენტის მარაზმულ ხელისუფლებას: რომელი ბრძანება შესრულებულა მის დროსო.

აქეთ 180 გრადუსით შეიცვლება „აღორძინების“ გემბანიდან მოსროლილი კაკუბავას პოლიტიკური კურსი და 110 ათასი დევნილის ნდობის მანდატს დემონსტრატიულად ამოაცლის ჯიბიდან „აჭარის ლომს“. ვისკენ მიმართავს აწი ამ საარჩევნო ენერგიას ღორების მაქინაციაში ნათრევი ბორისი, ძნელი სათქმელია. თუმცა მის გულწრფელობას თუ ვერწმუნებით, ხელისუფლების წისქვილის ღარს არაფრისდიდებით მიეჩქეფება ნაკადი იგი დოლაბების დასატრიალებლად. ჰოდა, შესაძლოა 110 ათასი ხმა კოლტში შეღწეულ ლეგიონის მშფოთვარებასავით გადაიხაფროს ზღვაში კბოდედან ღერასენელთა მხარეს.

უხსენებენ დევდარიანს იეჰოველობას. განსაკუთრებით გურამ შარაძეს მიაცივდება ჩვენი რჩეული წამყვანი „ღამის მზერიდან“, აქაოდა, იქნებ რაიმე არსებითი გამოვსტყუო მის ბაგეებსო, მაგრამ გაგონილა? უბილბორდო გურამ შარაძე — შაროიანი ვან ბაიბურთისებურად, ცხრა ნომერი ონელი გლეხი როდია, შევარდნაძეს პოლიტიკის ანაბანა ასწავლოს და არჩევნების სწორზე მისი გამგებელი თემიდა გადაიმტეროს?! მოკრძალებულად ბრძანებს მაჟორიტარის პორტფელის მაძიებელი: ჯერ ნანა დევდარიანი არჩევნებში არ გამომიცდია, პირველად ვხედავო. მოკლედ, გაეცლება საცა არა სჯობს.

ამასობაში პრეზიდენტი მიყოლებით გაჭრის ხიდის ლენტებს კაპარჭინაზე, და იქ უშველებელ მილში შეყუჟული ბავშვები უბოროტოდ აჟივჟივებდნენ კინოკამერის წინაშე: გვცივა, გვცივა, იგვიანებს შევარდნაძე, ბაბუ იგვიანებსო.

პრეზიდენტი ბოლოს და ბოლოს გასდებს დრინაზე ხიდს დიდი ვეზირი სოკოლის მიმსგავსებით და

ამ ფინიშს გამორიცხული არ არის რამდენიმე რადისავი შეეწიროს მსხვერპლად. ძელზე თუ არ გაისმება წარმართული გონდახშულობით, პოლიტიკურ არენიდან მაინც მოიკვეთება გულის მოსაფხანად.

არჩევნებამდე 15 დღეღა რჩება.

გოგიაშვილის სატელევიზიო პროგრამა ,,ერთი სავარძელი'' მთელი აზარტით დაარკინებს ქართული პოლიტიკის ორ მოზვერს — სააკაშვილ-ნათელაშვილს და ანგარიში ლამის თანაბარია: 50, რაღაც — 49, რაღაცის წინააღმდეგ.

აქეთ ,,ღამის მზერაში'' რაინდული კვარტეტი გამოკერებია თავიანთი უდანაშაულობის პრეზუმფციის მტკიცებულებებს.

მიდის აღვირახსნილი ბრალდებები კორუფციაში ჩაფლულობის თაობაზე, არადა, როგორც დავრწმუნდით, სამხილი მრავლადაა: მილიონები დალექილა ამ ვაჟბატონების ჯიბეებში და კიდევ ყოფნით გამბედაობა წმინდანობის აივნებიდან თათხონ ერთმანეთი. მხოლოდ ჯონდი ბაღათურიას წაქეჯნის სინდისი რამდენიმე, და საარჩევნო სივრცის უზნეობის სწრაფვას დაარქმევს ლეგიტიმურობისაკენ, თუმცა თავად რომ მოხეტიალე რაინდია, ჰომეროსის მომთაბარე კლდეები, იგივე გელების სტროუნჰენჯი, ავიწყდება? ჯონდი ბაღათურიას ტიპაჟი ნათლად ადასტურებს მის მიერ შემოვლილი პარტიების უბადრუკ ერთგვაროვნებას და თახსირობასაც ამავდროულად. ვერსად იკიდებს ფეხს, თუნდაც 7-6 თვეს, აგორებულ ქვასავით. ამიტომაც არც დოლარისფერი მწვანედ მობინავე ხავსი ედება სხეულზე: ჯერ ედეპეელია, მერმე ამღორძინებელი, ახლა ლეიბორისტი გამხდარა, ხვალ შეიძლება ნაციონალებში გადაინაცვლოს. მოკლედ, მისი პოლიტიკური ხტომები თვით ოლიმპიელ ბრუმელს შეშურდება მუხლის ამოგდებამდე, პირწავარ- დნილი ფიგარაა, პოლი- ტიკოს-ბედუინი!

გაქანებული პაექრობაა, თუ ვის ეთქმის შედარებით პატიოსანი.

ცოტნე ბაკურია ვეღარაფრით ეხსნება დაზეპირებულ ფრაზას ,,პირის ამორეცხვასთან'' დაკავშირებით. უკვე მესამედაა ,,ღამის მზერის'' სტუმარი და აკვიატებული ,,ამორეცხვებით'' ლამის ზიდება დაგვრიოს. აქვე საშიშია უფრო სიღრმისეული არ გამოუვიდეს ასფურცელასთან ღლაბუცი, თორემ ადვილ მოსალოდნელია, საზოგადოების თვალწინ თავკისერფეხიანად გადმოინთხეს გადაყლაპული ქვეყნიერება.

მთავრობა უამრავი ასპექტით დადანაშაულდება, განსაკუთრებით ახალუხების უანგარიშო გაგულავებისათვის.

ინტერაქტიულ ფანჯარაზე გამოტანილია კითხვა: რა ფულით ფინანსდება პარტიების წინასაარჩევნო კამპანია: ბიუჯეტიდან მოპარული ფულით? ბიზნესმენების ფულით? თუ შემოწირულობებით?

,,ახლები'' 900 ლარს ასახელებენ; ,,ბურჯანაძე-დემოკრატები'' — 134 571-ს; ,,ნაციონალები'' — 139 296-ს; ხელისუფლება — 300 000-ს, და წარმოიდგინეთ, არავინ წითლდება ცისფერი ეკრანის ჩარჩოში.

ინტერაქტივი კი ამგვარი პროპორციით განალაგებს საზოგადოებრივ აზრს ფინანსურ ზურგის ქართან დაკავშირებით — 76,6 პროცენტი პოზიციისაა და 18 — ოპოზიციის. დასმულ შეკითხვაში ოსტატურადაა გამოტოვებული ჩვენი საარჩევნო ბილბორდის ხელგაშლილობის — უცხო სამსახურების ფული, იგივე მეხუთე კოლონას დივერსიული თანხები, სარიშვილი-ჭანტურია რომ გაახმოვანებს და თავზე რეტს დაასხამს ბარე ორ-სამ პოლიტიკოსს. დეკლარირებული ჰქონია ხარჯები თითოეულ პარტიას თუ ბლოკს პირველი ნომრიდან ოცდასამითურთ; ,,მემარჯვენეებისათვის'' ეს ციფრი ანტიკორუპციულ ბიუროზე 576 000 ლარი გახლავთ; სხვას 670 000 ლარი გაუმეტებია საარჩევნოდ. ვიღაცას ბიზნესმენების წყალობით გადაუფრენია გუგულის ბუდისათვის.

— ჩვენ ცენტიც არ წაგვიღია ბიუჯეტიდანო, — გულდინჯია თამაზ გიორგაძე.

უკვე არავინ ამბობს კაპიკს. კოღუაშვილიცა და სხვებიც ბირჟის ჭიპმოჭრილი ბროკერივით უგლაჯუნებენ დოლარებს, სტერლინგებს, ევროებს.

— ჩვენ დავხარჯეთ ზუსტად იმდენი, რამდენადაც ნებისმიერი პოლიტიკოსის მანქანაც არ ღირს. 33 000 ხარჯავს ბილბორდზე ყოველდღიურად ნებისმიერი პარტია , რათა ერთი ათასად ამოიღოს არჩევნების მერმეო, — იკბი- ნება გიორგაძე.

— რა ამოიჩემეთ ინჯიაო,— ქოთქოთებს ბაღათურია.

შემომწირველები ვერ ბედავენ თურმე ვინაობის გამხელას, დაბეგვრის თუ რეკეტიორების შიშით. ესენი კოლექტიურად მოდიან ხელისუფლების დემონტაჟის რწმენით, მაგრამ სად არის სათანადო რესურსები და უმართსამართის აპარატები?

წინა არჩევნები 1 მილიონი დამჯდარა მაჭავარიანის მტკიცებით. იგი ქოლერიკული მშფოთვარებით გაიოცებს ზოგიერთი პოლიტიკოსის წამხედურებას და იქვე დასძენს: წარმოადგინონ ტელეკომ-

პანიებმა საბილბორდო დანახარჯების ნუსხა, მაგრამ რომელი ერთია საამისოდ იქ შემსვლელი, კონ-ტროლის პალატა, საგადასახადო თუ ყვითელი მედიაო? თანაც პანტიკო თორდიას აბიაბრუებს ხუთლარიანი არმაღანებით და აქვე პოლიტიკურ დებატებში იწვევს დელიკატურად. თუმცა ქართუ-ლი ავიაციის მამა თავაზიანი მენტორულობით განერიდება ენერგიაჭარბ კაცთან საეკრანო პო-ლემიკას. ვოლტერის სუსხს ესესხება თამაზ გიორგაძე და ლასოებს ააზუზუნებს ჰაერში: ერთი წელი-წადია მინისტრობისათვის თავი დაუნებებია ჩვენს მიშას და ცენტები საიდან ექნება მილიონების პატ-რონსო. თბილისში, საქართველოში ადგილი არ დარჩენილა, სადაც ,,ბურჯანაძე—დემოკრატები'' არ მიწებილიყვნენ კედელ-კედელ. შავი ფული ამათ საიდან? ამათ აქვთ თეთრი ფულიო. რესპოდენტი გიორგი მედიდურად გადახედავს საარჩევნო ველობს და ხელისუფლებისაგან კუდის რიკამდე გაძ-ვალტყავებული ქვეყნის აღმაშენებლობას ჩემულობს ხალხის მხარდაჭერის იმედით.

აქ გამოიჭერს პოლემიკაში ოპონენტს თამაზ გიორგაძე, საკუთარ ცოდვილობასაც გაურევს საფანელად ნაზუქების გამოცხობას: კი, ყველაფერი წავართვით მოსახლეობასო, აღიარებს მყვლე-ფელობას ყასიდად, მაგრამ შენც ხომ იყავი 5-6 წლის მანძილზე. შენც ხომ ანგრევდი ყველაფერ-სო.

გიორგი კი ამაყობს სააკაშვილით, რომელიც დაუნდობლად ამხელდა თითოეულს საკუთარი თავის გარდა.

ბაკურია ბათუმში ჩამოსვლით უცაცხანებს სეპარატისტი აფხაზებისათვის სახელმწიფოებ-რიობის მიმბოძებელ ბერძენიშვილს, რომელსაც უთოს შეკეთება არ ემარჯვება, მანქანის ტარება არასდროს უცდია, ცოლისათვის მისდღემში არ უღალატია ჟურნალი ,,პირველის'' მიხედვით და ჰარი პოტერის ჯადოსნური ჯოხით ხელეწიფება დეფორმირებული ლეგიონი სულის ელვისებუ-რად შეკეთება კავკასიელი ფიურერის რეიტინგით.

— ფაშებს და ფიურერებს მოვეშვათო, — ცდილობს გრიგოლია სიტუაციის შერბილებას, მაგრამ მისი ტემპერამენტის ქალსაც გაუძნელდება ოთხმხრივი დავიდარაბის ალაგმვა.

თვალნათლივ ვხედავ მუჭა-მუჭა ნაშიშვლები ლაფის ტრაექტორიას, რომელიც ერთი კუთ-ხიდან მეორეში უმოწყალოდ მოისროლება მოწინააღმდეგეთა სახეების წასაშლელად.

ყველაზე მდიდარ პარტიას მაინც ვერაფრით გამოავლენს კვარტეტი. კოღუაშვილი მართებულად წარმოთქვამს სიტყვა ,,ფასეულს'' დანარჩენის აკვიატებული ,,ღირებულების'' ნაცვლად. შავ ფულადაა მონათლული წამოყვედრებული თან- ხა, რომელიც ბიუჯეტიდან ხალხამდე ვერაფრით მიღწეულა, თუმცა შავი ფული უამრავი ხასიათისაა. გაივლის 24 საათი და ახლა ხუჯაძეს ეთმობა ეთერი მყინვარწვერის ორგზის დამლაშქრავი გია თორთლაძის თუ ცაიტნოტელი პარლამენტარის, ამირხანაშვილის თანაგუნ-დელობით. ეს უკანასკნელი მემუარული ხასიათის ,,შოკოლადის სავარძლის'' სიტყვაკაზმულობას შეჭი-დებია, თანაც ყურადსაღებ მაქსიმად გაახმოვანებს კოლეგათა მუშტი-კრივის სამზარეულოს: პარლამენ-ტში ჩხუბი გარეგნულია, ამომ რჩევ ლის წინაშე პოპულარობის მოსახვეჭად, თორემ სინამდვილეში იმ ჭიდილის შემდეგ დავა ყოველთვის ქეიფით მთავრდება რესტორანშიო.

ხუჯაძე არა ჰგავს ყანყრატოსთან ჰალსტუხის გამნასკვავს, კირკოროვს ედრება რამდენადმე, ხალვათი სტილის ბაღანაა, თუმცა ალპინისტი თორთლაძე გვარიანად მოჭიმული. საამისოდ კომპლექციაც უმარ-თავს ხელს, ხერგიანის ბადალი კლდის ვეფხვია, თითით შეუძლია ქარაფებზე ჩამოეკიდოს და ჯიხვების თავგანწირულობით გადაფრინდეს კლდიდან კლდეზე. მისგანვე დაისმება საკითხი მაჟორიტარის გაწვე-ვის უფლებამოსილების თაობაზე.

ამირხანაშვილი გარბის იქიდან, საითკენაც თავგაკ- ლულად იჩქარიან კაკულია-ხუჯაძე-თორთლაძე.

ლერმონტოვის გოეთედან გადმოღებული ლექსი გახსენდება — ჩამოვარდნილ და მაღლამყოფ ფოთლებს შორის საუბარი: მოიცა ცოტა, ჩამოხვალ შენცაო!

— შალვა ჩემო, საფარელოს, ვემღერები ნათელაშვილსო,— ღადაობს ეთერი, ისე რომ მურმანიც ავიწყდება და აბესალომიც.

საკუთარ ნაკლოვანებაზე მსჯელობენ მოანეკდოტენი. გაბუსხულია მეგრელი. ყველა რაღაცას დაიბრალებს, ყველა რაღაცით წაიწყმედს სულს და ეგ ერთადერთია ხეოფსის პირამიდის მუმიასავით უცოდველი. ჰოდა, აუხირდებიან: რა ხდება, რას გაჩუმებულხარ, არაფერი გაქვს საჩოთიროო და ჩვენი ბედოვლათი ძუკუც უმალ დაკუსავს თვალებს: რატომ გენამცვალე, ვინ მოგახსენათ, ერთ ნაკლი მეცა მაქვს და უნაკლობა ჰქვია ამ ნაკლსო.

თორთლაძე არქეოლოგიც ყოფილა კინოდოკუმენტალისტობასთან ერთად.

პარლამენტმა დაკარგა ღირსებაო, შეთანხმებულია ოთხეული.

მე კი გაცილებით შორს გავტყორცნი სიტყვას:

ფასეულობების ამნაირი ტოტალური დევალვაცია ათასწლეულების მანძილზე ნაშენებ ქართულ

ხასიათს ჯერეთ არ განუცდია. რომელ ერთს შერჩენია სინდის-ნამუსი პარლამენტს რომ ავუხირდეთ: საქართველოს ორღობეებში მოჭილყვავებულ უნივერსიტეტებს, თუ მედიდური ნაბიჯით მოსრიალე სნობებს მეტროპოლიტენის სადგურების მისადგომებთან აკადემიკოსების ტკიცინა-ტკიცინა დიპლომებით?!

— შოკოლადის სავარძლის ხალხია ეგენიო.— გამოსცრის კბილებში ამირხანაშვილი, — ნუ აჰყვებით პრეზიდენტისეული რეფერენდუმის ხმას პარლამენტის წევრების შემცირებასთან დაკავშირებით, თორემ იმისთანა ჯიშ-ჯილაგის მუდოები ვართ, უმრავლესობას ვერანაირად შევკრებთ, გნებავთ დოლარებს ხონჩით არიგებდნენო. თორთლაძე მაინც თავისნათქვამაა, ყველგან უკითხავად მიდის პარლამენტში, რადგანაც აფხაზეთის ომში გამგზავრება არავისთვის შეუთანხმებია. რაც შეეხება მესამე მოწვევის საკანონმდებლო ორგანოს, ისეთნაირად დაფანტულა, ისეთნაირად წაბენტერებულა, ერთმანეთისათვის დამშვიდობება ან 177 კანონ-პროექტის მიღება რა მოსატანია, თვით ეროვნული ჰიმნიც არ დაუკრავს სახელმწიფოს თავმოყვარეობის საწინდრად. თუმცა რომელ ეროვნულ სიამაყეზეა საუბარი, რომელ პატრიოტიზმზე?! აქ ხომ შექსპირის სონეტის სივრცეა მთელი სიგრძე-სიგანით „რადგან“ და კიდევ — სვანური გენიალური „ბილებას“ სულიდან ჟანგიანი ლურსმნების ამომზლეტავი მარწუხები: მდინარე აღმა მიედინება, მზე ჩრდილოეთით ამოდის ცაზე, ერთი ნიბლია ამარცხებს ლაშქარს, უჩუმრად სხედან დედაკაცები.

სააკაშვილი კალამბურის დიდოსტატად მოგვევლინება ამ დილაუთენია, თუმცა „ფაშა“ მრავალგზის გაჟღერებულა ლევან მამალაძის მისამართით: აჭარაში ფაშაა და ფაშიზმიც აქედან იწყებაო.

ხომ გვილაყაფნია ზემორე სულიერ ინფლაციაზე?! მასმედიაც ამ ყაიდისაა. დიპლომიანი თაობით დაჯორგილა საქართველო, მაგრამ სად არის ცოდნა?! ტელეარხების შემოსევაა, გაზეთების შტურმი. სიმართლე, ობიექტური აზრი კი კვლავინდებურად ჩირგვებში მიმალული კურდღელივით ჭყლოპინობს. სიმართლე მაშინ გამობარჩხალდება მთელი სიმძაფრით, როცა ქვეყნის დამანგრეველ იდეებს შლაგმბაუმი მოსცილდება; როცა საყოველთაო გადაგვარებას და გახრწნილობებს ამოვაყირავებთ საუკუნოვანი სამარხებიდან თითოეულის წარსაწყმედად.

მაინც ინგა გრიგოლიას ვწყალობ. კიდევ ეს ხმაურიანი დედაკაცი იტაცებს სულსა და გულს ცარიელი კასრების დარად. ეკრანზე მიზანმიმართულად ენაცვლებიან ერთმანეთს კემულარია, ბარამიძე, კაკუბავა, ბათიაშვილი და გოგიტიძე. ინტერაქტიული გამოკითხვის სასწორის პინაზე ამგვარი დილემა შეგდებულა: ვინ არის აჭარულ ინცინდენტში დამნაშავე? აბაშიძე? სააკაშვილი თუ ორივე ერთად?

ფინალისაკენ ეს ორთაბრძოლა დაზუთხული ანგარიშით დასრულდება — 65 : 35-თან, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ გრიგოლია გულწრფელად მოიბოდიშებს სანჯაყელი თვისტომის წინაშე, რადგანაც ზარები ვერ მიღწეულან იქამდე ამ სოციოლოგიურ კუკუმალობაში. თურმე „ღამის მზერა“ ჯერ-ჯერობით იმერეთამდე ფარავს საეთერო სივრცეს. „რუსთავორელებს“ მაინც უჯოკრავენ, რომლებიც თბილისის პერიმეტრს ვერ გამცდარან ტოქსიკური ვიბრაციების გამო. რაც შეეხება რაიონებს, ქვესადგურებით ახერხებენ მოსახლეობის ამბოხებას. აკი, ტყუილად როდი მოიზიდავენ ბრიტანულ ინვესტიციებს გოგიჩაიშვილის 60-წუთიან განდაგანისათვის.

500-კაციანი ამალა დაძრულა დავითაშვილის თანხლებით ბათუმს.

— აჭარა ასლან აბაშიძის გარეშეო, — ააფრიალებენ ხუთჯვრიან დროშებს ჩოლოქიდან მოყოლებული და გვარიანი ძიძგილის მერმე ხუთფანარიანი უპეებით გამოასწრებენ სანჯაყლების ეზოებსა და ლოგინებში შეცვენილი „ნაციონალები.“

ჩვენი ცოტნეიდელი ხობის მკვიდრი, კერ- კეტი კაკალი კემულარია კი გაოცებით მიმოიხედავს გარშემო, აქაოდა, ქუჩა, ეზო, მოედანი როდის აქეთ მონათლულა ლოგინადო.

ედუარდს ყველაფერი უსწავლებია ამ ხალხისათვის, მაგრამ მისი ცოდნის აბსოლუტური ბანკი სპექტობრივად დანაწილებულა განაყარ ახალუხებში:

დრანგ ნახ ფატერ-ს „ნაციონალები“ დაესესხებიან;

თოჯინების თეატრის პრაქტიციზმს — ქვანია, ჩექმებიანი კატის თუ წითელქუდას სიუჟეტებით მშვენიერ საყმაწვილო სპექტაკლს ასცენიურებს მაყურებლის წინაშე, თავად კი ჩრდილშია, არასდროს წარმოჩინდება ბეგის ჩალმა-ულვაშით ჟურნალ „პირველიდან“;

„ახლები“ მეამბოხე-მშენებლის საშუალო არითმეტიკულით წარმართავენ წინასაარჩევნო ბილბორდს და მთელი გეიმებით აგებენ „კონკურენტებთან“, ვინაიდან დემოკრატების ანჟელიკასა თუ ჟანა დ,არკზე სხვები ჰყვებიან, სხვები ირჯებიან, ესენი კი თავად დასდგომიან ვექილებად თავიანთ 900-დღიან აღმშენებლობას;

თანაც საეთერო დროის სარეკლამო სივრცე მახვილგონივრულადაა ჩაყენებული „დემოკრატე-

ბის“ სამსახურში, ვინაიდან ყველა კლიპი „7“-ის გარშემო ტრიალებს: „07“ მანქანების რეკლამაა ეს, თუ სხვანი და სხვანი.

ბატონ ედუარდის უმეტესს მოწაფეს რაღაც ნაწილი აუთვისებია „ამ ბუმბერაზი ოსტატისაგან,“ (სამთავრობო მას-მედია), თუმცა მთლიანობაში რომ წააგავდეს ვინმე, იშვიათობაა.

ფახიფუხობს ერთი და მორჩა. იმის იქით არანაირი კოზირი ფხაკუნობს სპორტული ბრიჯის მაგიდასთან. ხაფხაფი მისი უმთავრესი ჯადო-თილისმაა, ოპონენტის ბებერაზე ფეხის დაჭერის საყმაწვილო სენი, რომელიც თვით ლენინსაც არ ეშლებოდა პლეხანოველებთან პოლემიკისას. ჰარაკირის მეთოდებით მიხდომაა კარზე; კამიკაძეობის ელემენტით გამსჭვალული გამოწვევაა, რომელსაც ხან ბოლნისელი მუშვანი ჯაფარიძე ემსხვერპლება და ხანაც — „აჭარის ლომი“ ასლან აბაშიძე.

„ნაციონალების“ ბათუმში მოლაშქრეობას სავსებით დაემთხვევა კაკუბავა-ბათიაშვილის აზრები.

— ამგვარი ქმედებებით ნუ დავკარგავთ აჭარასაცო, — ბრძანებს ბორისი და ყველაფრის დამაგვირგვინებლად გოგიტიძის მიერ გაჟღერებული სპეცნაზის სამზადისი ივარგებს, რომლის გასანეიტრალებლად უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაა მოწვეული ბათუმ-ქალაქში.

— აი, ჩვენ მოვდივართო, — ჰაიჰუობენ ნაციონალები, — აი, ჩვენ მოვდივართ და წელიწადნახევარს, ვერ დავაცდით შევარდნაძის კლანს ქვეყნის მფლეფელობასო, — იფხრეწენ ტანზე ყველაფერს.

თვალების დაბუშტებაზე მომიხსენებია.

ბერძენიშვილი ძნელი მოსახელთებელია ქალაქში. გასასვლელთანღა მოუხერხებენ ჩოლოქურს.

რევანშიზმის ინტეგრალური მიმზიდველობით აპირებენ „ნაციონალები“ სახელმწიფო რეგალიების დაუფლებას და ამ გზაზე არავინაა ხმის ძვირად დამძრავი.

— დაგვიჭირეთ ბატონებოო, — გამომწვევია ცოტნე დადიანის ჩამომავალი კემულარია, — აბა, რანაირად მოვიქცეთ, როცა კახეთში მეზვრიშვილი არ გვიშვებს, ქვემო ქართლში — მამალაძე და აჭარაში — აბაშიძე? რა ვქნათ, კიდევ წელიწად ნახევარი ვუთვალთვალოთ შუა რუსთაველიდან ნაძირალა შევარდნაძის □ეს ეპითეტი 16 ნოემბრის საპროტესტო მიტინგიდანაა), მიერ ქვეყნის საბოლოო დაქვესკნელებასო.

— ფაშიზმი აჭარის ფაშისაგან იწყებაო, — ათამაშებენ სიტყვას ბელეტრისტის შესაშური ელასტიკურობით. ის კი დავიწყნიათ ბედნიებს, რომ ფაშიზმი, დიახაც, ნაციონალ-დემოკრატების ჩონჩხიდან წარმოსდგება ჰუმანიზმის ტაძარ გერმანიაში და შემდგომში როგორი ჰარმონიული ცხოვრება გაუჩაღდება სრულიად კაცობრიობას, უწყის ბუჰენვალდისა და დაჰაუს გაზის კამერებიდან ცად ამაღლებული მილიონობით ადამიანის სულმა.

ინგა გრიგოლიას სტილი გამოკვეთილია. საკმარისია რაიმე ხორკლიანი სიტყვა წამოცდეს რესპოდენტს, რომ მაშინვე ჩააფრინდება და იქამდე დაწნეხს, იქამდე დაწურავს, სანამ სასიცოცხლო უკანასკნელი წვენი შერჩენია.

ეს მაჟორული კორესპოდენტი მრავალი ათეული კოლეგისაგან იმიტომაც ამომირჩევია, რომ ზესიმძლავრის რეაქტორის ზეგავლენების მხარდამხარ, იშვიათი იმპროვიზაციის უნარითაც გამოირჩევა. მართალია, აქა-იქ ლაფსუსებიც გაეპარება მართალსიტყვაობის პოზიციიდან; თავიდან გამოუფრიალდება მეტყველებისას კრებითი სახელის მრავლობით რიცხვთან შეთანაწყობა, მაგრამ სხვა რამ არის ხიბლიანი მისი მდუღარებიდან — სუსტი კონტურებით მოხაზული დიალოგის ჩარჩო, რომელიც მერე და მერე ვირტუოზული სპექტაკლივით ათას შენაკადს შემოიჯერებს და სასურველი თემებიც ალმასის ფხიანობით აციაგდება.

მოკლედ, ყველაფრის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ ჟურნალისტიკაში, კონკრეტულად კი კომენტატორის პროფილით, მას ქართულ სივრცეში ბადალი არა ჰყავს. გრიგოლიას არ აინტერესებს თუ რა შედეგი მოჰყვება თბილისში მოუზომავ ფრაზას ბათუმში, ან როგორი ბუმერანგული სივერაგით გვედრუზება თავში შუა რუსთაველზე. საარჩევნო ფსიქოზი უკვე ეტიკეტს არაფრად დაგიდევს. ინტერაქტიული ანალიზი კვლავინდებურად ამოჩემებული პროპორციით — 65 : 35-თან დამაჯერებლობს ოპოზიცია-პოზიციას შორის ჩამოყალიბებულ თანაფარდობას, მაგრამ ვერანაირად ვერწმუნები ამ დაფასოებულ რეალობას, სანამ თითოეული ზარის წარმომავლობა მაგიდაზე არ დამილაგდება.

პოლიტიკა თამაშის ხელოვნებაა, იტყვიან ხოლმე. მე უფრო შორს გავწევ ამ მასდარის საზღვრებს და მას შეუთავსებლის შეთავსების ხელოვნებასთან გავაიგივებ, იგივე ირაციონალურ განზომილებასთან — „ ო “-სთან, ურომლისოდ ვერანაირად გაიჭრება კოსმოსში ხელოვნური თანამგზავრი.

აბა, დავაკვირდეთ თუ რანაირი გამჭრიახობით შეუნიშნავს პოლიტიკოსის წახნაგები ჩემს სიყრ-

მის მეგობარს და თანაპერანგელს, ჩინებულ ლოტბარს და მეწიგნეს □„კვამლის სინდრომი“, „წინ, წინაპრებისკენ“!) თემურ ჭკუასელს, იგივე ჭოტიკას სტუდენტური მეტსახელით □**„საქართველო — „ოქსების“ აღლუმის ქვეყანა,“** „კვირის პალიტრა“, 6-12 ოქტომბერი, 2003 წ.)

პუბლიკაციაში ხელისუფალისათვის აუცილებელ 19 ნიშან-თვისებას გამოჰყოფს კოლეგა, მაგრამ, მოდით, ჯერ სათაურის ქვეტექსტში გავერკვეთ.

იქსი გასაგებია, უცნობი განზომილებაა, მაგრამ რა არის „ოქსი“? შიშველი მეფე თუ დაფარული ცაბაოთი? „იქსი — საერთოდ უცნობია, ოქსი — ნაცნობ-უცნობი, — განმარტავს წერილის დასაწყისშივე ავტორი, — ანუ ადამიანი, რომელსაც ვიცნობთ, ისიც კარგად გვესმის, რასაც ხმამაღლა ამბობს, მაგრამ სინამდვილეში რას ფიქრობს, იმას მამაზეციერსაც არ უმხელს და აბა, ჩვენ როგორ გავიგებთო“.

ამ კომენტარის შემდეგ, ალბათ, ზედმიწევნით გაიოლდება სტატიის დედაარსის აღქმაც: **„პარად-ოქსების ქვეყანა“**, ანუ ოქსების აღლუმის ქვეყანაა ჩვენი სამშობლოო, ჟირაფივით აჭრელებული მთებით, სადაც მატარებელი მიჰქრის ბინდებით. შემდგომ უსაშველო საწნახელივით დაემხობა წიფის გვირაბი და რიტორიკული შეკითხვაც გაბზარავს უკუნეთს ციცინათელასავით: თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათო. ეჰ, სად არის შიშის გრძნობა უხორცო-უსხეულოსათვის?!

პუბლიკაციაში ჩვეულებისამებრ გამოტანილია მაქსიმა: „ირგლივ ყველგან სააგიტაციო პლაკატია, მისაყუდებელ ადგილსაც კი აღარ ტოვებენ. ყველა ხე, ყოველი ბოძი, ყველა ჯიხური და კედელი „დედისერთა ღიმილით“ დაგვცქერის. ნაჩვევი სახეები ნაცნობი დაპირებებით. ეს ღიმილიც ხომ სტანდარტულია. ფიქრობენ, ალბათ, ასე უფრო მომგებიანიაო, თორემ, წესით და კანონით, ღვთისმშობლის ხატივით, ცრემლები უნდა სდიოდეთ დროდადრო ღიმილდაკარგული სამშობლოს მაცქერალთო“, — აცხადებს ჩვენი ჭოტიკა. მაგრამ უმთავრესი თავად ხელისუფალის პოლიტიკური აბჯარ-საჭურველია წუთი-სოფლის გარდერობიდან:

1. ასაკი — ანუ ცხოვრებისეული გამოცდილება; გამოცდილება, რომელიც ერთიანდება ასაკთან, გამოცდილება წლების სიუხვის უკუყრით პრიმიტიულია. ანგელოზი მოცარტი ვირტუოზია, მაგრამ „ილიადას“ და „კაპიტალს“ მხცოვანი ჰომეროს-მარქსი განასრულებენ.

2. აზარტი — გამუდმებული მოქმედებისა და ბრძოლის დაუოკებელი ჟინი;

3. ენერგია — რომელიც უგულებელყოფს სიტყვას „დავიღალე“;

4. შიშის ძლევის უნარი — საცოდავია შიშისგან გაფითრებული ლიდერი;

5. სიდინჯე და აუჩქარებლობა — აი, ამისთვის არის საჭირო შემზარავი ლოდინის ხელოვნება, ლოდინის უნარი;

6. თავშდაბლობა — არასდროს უნდა უვლიდეს გვერდს თავის ხალხს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს პოზა;

7. ოპონენტების პატივისცემა — უნდა შეეძლოს აბსოლუტურად მიუღებელი აზრის შეწყნარება მსუბუქი იუმორით და არა — დაცინვით;

8. გაწონასწორებული ოპტიმიზმი — ეს არის დანის პირზე სიარული იმედიანი ხვალინდელი დღის ჩასანერგად;

9. სიმართლე — ხალხთან მისვლის არ უნდა ეშინოდეს და მით უფრო — უსიამოვნო თემებთან;

10. საშართლიანობა — ლიდერისათვის კანონის წინაშე არ უნდა არსებობდეს მიკერძოება, უნდა გამოირიცხოს ნაცვალსახელი „ჩემი“;

11. გლობალური აზროვნება — ესაა უტოპიური იდეების ამოუწურავი მარაგი და დროდადრო მისი საჯაროდ გამოცხადება, როცა საამისოდ ჰუმუსი მომზადებულია;

12. ანალიზის უნარი — იგი ერთგვარი წინასწარმეტყველიცაა, განჭვრეტს პროცესებს;

13. დუმილის ხელოვნება — საჭიროა დრომდე საიდუმლოს გაუცხადებლობა, რადგანაც ორღობის მოლაყბეობამ შეიძლება ზიანი მოუტანოს ქვეყანას;

14. ადამიანის შერჩევის უნარი — მომაკვიდენებელია პრინციპი: მთავარია მე ვბრწყინავდე, და ჯანდაბამდის გზა ჰქონია ნიჭიერსა და ერთგულს!

15. დიპლომატიის თანდაყოლილი ნიჭი — რუსთველური კონცეფციის ერთგულება: ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმისა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების;

16. შესახედაობა — პოლიტიკაში აფასებენ ფიქრიან სახეს, სანდომიან ღიმილს, მსუბუქ იუმორს, ენერგიის მარაგს. აპრეხილი ულვაშით ზეაწეული ტუჩები მუდმივად სულელური გამომეტყველებისთვისაა განწირული; ცხადია, ანთროპოლოგიურ მზითევსაც დიდი ძალა გააჩნია ამ თვალთახედვით;

17. ღირსება — შენმა ხალხმა არ უნდა შეგამჩნიოს, რომ ღირსება დაკარგე. შეურაცხყოფილი არ ნიშნავს ზნეობაგამოცლილს;

18. თავგანწირვა — უნდა შეგეძლოს თქმა: მებრალვის ხალხიო, დიმიტრი თავდადებულის მსგავსად;

19. ღირსეულისათვის გზის დროულად დათმობა — აი, რანაირ პოლიტიკურ სამკაულებს მოითოხვს ხელისუფალის პორტრეტიო, — შთაგვაგონებს ჩვენი ჭოტიკა და რომ მიმოიხედავ გარშემო, თანაც გრიგოლიას ,,ღამის მზერიდან'' ჩააშტერდები საყელპურო ღლაბუცს, თავს ბევრად ვერ დაინუგეშებ სახვალიო პრეზიდენტის ინაუგურაციის მოლოდინით.

როგორც ოთხთავიდან გვეუწყება: მრავლად არიან ჩინებულ და ცოტანი რჩეულ. და ამ პრეტენდენტობის თემშარაზე, ნიშან-თვისების 19 ეტალონი არათუ მონომახის ქუდი, მთლად ჰიპერბოლური მიუწვდომლობა აღმოჩნდება ბევრზე ბევრი პიიტიკოსისათვის, თუმცა ყველაფერზე — რიგისობის მიხედვით.

ლირიკული ინტერმეცო
საორნოემბრო არჩევნების
ბატალიებზე ზივზივაძისებურად

ჩვენი პატრიარქის ხელდასხმულობაში შეეჭვება გაქანებული მკრეხელობაა უცილობლად. ყველაფერს რომ მოვეშვათ, ბატონ ედუარდს ,,გიორგი ძლევამოსილს'' უწმინდესი და უნეტარესი დაანათლებს ჯერ კიდევ მეორე ათასწლეულის მიწურულს და სასტიკად დაარღვევს მისი ზეციერი მშობლების უცხოური სახელებისადმი გამახვილებულ მიდრეკილებას შვილების ნათლობისას. პატრიარქის მჭვრეტელობის ეკრანი თქვენს მონა-მორჩილთან შედარებით გაცილებით მასშტაბურია. თავად დარწმუნდით, როცა ძლევამოსილს მიაშველებენ მასდარად □მსაზღვრე- ლად) ქრისტეს მხედარს, გზები შეეკვრება აწ შეფალავნებულ პოლიტი- კურ ცვლას, მიქაელ უდრეკელია ეს, ზურაბ ჰიპოსელი, შალვა ჰელიოსისძე, ნინო გაწონასწორე ბული, თუ სულაც — მოლაშქრე იგორი.

გური ოტობაიას დიაპაზონი ამისთანა სიტუაციაში ვერანაირად გადაუსწრებს არდაზიანის შესაძლებლობებს, ვინაიდან პერსონაჟის კვალობაზე, ჯღანს ვერაფრით გაქცევია და სულ გარემომცველი ორღობულით უწევს ნათლიმამობა.

პირველს უდრეკელობას იმიტომაც დავან- ათლი, რომ აითმათოვის მანქურთსაც შეძრავს მისი დაუდგრომელი ეროვნული ხუთჯვრიანი დროშების დამკვიდრების გზაზე.

მეორე ნამდვილი რიშელიეს ჩამომავალია, რუხი კარდინალის მანტიით მოჩუმჩუმალავე, თანაც ცხენისწყალს ჩემი მოსუსტებული მეხსიერებით, ვგონებ, ჰიპოსი ერქვა შორეულ წარსულში.

მესამე აიეტის მამასთან ნათესაობას ამჟღავნებს თავისი მშვენიერი გვარის სემანტიკით — აქვე სულ ელექტრონის პრობლემებზე დარბის სასამართლოებსა თუ სტრასბურგებში და ლამის ათი წელიწადია ნათელ მომავალს ჰპირდება საქართველოს ჟინვალჰესიდან მოყოლებული ენგურჰესით დამთავრებული;

მეოთხე თმით შეკონილი ვაზის ჯვრის მტვირთველი ნინო კაპადოკიელის ალიკვალია შესა- შური სიდინჯით;

მეხუთე მოსახელე წინაპრის ხასიათს ამართლებს კიევის რუსეთიდან, ოღონდ — მხოლობით რიცხვში.

აქვე წინადადებით შემოვდივარ უმაღლესი იერარქიების წინაშე, რათა მომავალმა პარლამენტმა განუხრელად გააგრძელოს ძველის უკიდურესობამდე აპრობილებული პრაქტიკა — რახან უამრავი კანონი მამულიშვილობის ჩაქოლვის მოსესეული გარანტიებით უზრუნველყოფილა, □მაგალითისათვის ეროვნული გმირის მინიჭების ბედნიერება), არაფერი დაშავდება თუ ჩვენ, უენონი და უმამონი, უეროვნონი და ურწმუნონი, პატივს მივაგებთ მეზობელი ქვეყნების საგანძურებს და მათთან შემდგომი ურთიერთობის უკეთ დახვეწის აუცილებლობით, შემოვიღებთ ქართველებისთვის: ,,სომხეთის ეროვნული გმირის'', ,,აზერბაიჯანის ეროვნული გმირის'', ,,თურქეთის ეროვნული გმირის'', ,,რუსეთის ეროვნული გმირის'', ,,ისრაელის ეროვნული გმირის'', ,,ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული გმირის'' და ასე შემდეგ, ვისაც კი იოტისოდენად ვეწებებით საზღვრით თუ სულით. მაგრამ ჯერ ერთი საა რჩევნო განტოლების სისრულეში მოყვანა მოვასწროთ, როგორიცაა: ბურჯანაძის : დემოკრატებთან ტოლია შვიდის.

ამ მათემატიკური წონასწორობის გასარკვევად უამრავი რიცხვის შემოშველიება ივარგებს, მაგრამ ჩვენ პარლამენტის მისაღები კანონების ოდენობას დავსჯერდეთ — 177-ს. ეს დავალიანება ძირითადად დემოკრატების მარკიზაზე მოდის და პროპორციის წონასწორობას თუ აღვადგენთ, გაირკვევა, რომ ბატონ ზურაბ ჟვანიას მხოლოდ 25,2 ანტიქართული კანონი მიუღია მისდროინდელ

პარლამენტში.

არანაკლებად საინტერესო სურათია თავად 2 ნოემბერის არჩევნების მონაცემებშიც. ისინი ოფიციალური მაჩვენებლებით მეხუთე ადგილზე გავლენ და მეშვიდე ცას ეწევიან სიხარულით. მიუხედავად სახელისუფლოებისაგან დატრიალებული შავი პიარისა — 7, რაღაც პროცენტს დაიჯავშნავენ და არსებული თანაფარდობის წილადობილას თუ მივენდობით, გაირკვევა რომ პარტიული სიით გასული 12 დეპუტატიდან 10,5 პორტფელი ბურჯანაძისეულია და 1,5 — დემოკრატებისა.

თამაზ წივწივაძესთან ყველაფერი ნათელია. შეიყვანენ ერთხელ კონგრესში და კვირისთავზე დაიშლება. ჩასვამენ სახელისუფლებოთა სიაში მეთხუთმეტე რაპირად და აქაც ხმელეთის ხუთბალიანი ბორძიკობებია.

სააკაშვილი ბობოქრობს, ეგზითპოლებით ნაბოძები პირველობის ლეგალიზაცია სწყურია. საამისოდ არაფერს ერიდება — უცერომონიოდ მოითხოვს პრეზიდენტის გადადგომას. სკამიანად უპირებს გატანას კანცელარიიდან. მეტროპოლიტენის თავისუფლების მოედნის სადგურის კიბეებიდან ასძახებს ამბროსის მემკვიდრეს: გადადექი, გადადექიო, მაგრამ გაგონილა? პრეზიდენტი ყურსაც არ იბერტყავს. ამასობაში სააკაშვილი ცენტრალური საარჩევნო კომისიისკენ მიაწოწიალებს ჯერ 25-ად გამოცხადებულ, მერმე 40 ათასად გახმოვანებულ მიტინგს.

მჯდომარე აქციას უწყობს სახალხო დამცველის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებით გაძლიერებულ პერსონას.

ამასაც არ კმარობს, ცოცხალ ჯაჭვს შემოავლებს კანცელარიას სიმბოლურ დრაკონად, თითქოს ამირანი გადაყლაპაო, თუმცა გულმავიწყობა სენია, რომელსაც ვერაფრით დაეხსნები და მამლის გამოსაწმენდი ჯაყვისხელა ცივი იარაღიც კი საკმარისია გაიფატროს ექსტრემალური ზემოქმედების ჯავშანი.

შემდგომ ამისა ერთწუთიანი სარესპუბლიკო რეზონანსის მოპიპინებით დაიხშობა პრეზიდენტის საორშაბათო რადიო-ინტერვიუ ნატო ონიანთან. შევარდნაძე წამიერად უღალატებს ჭოტიკა ჭკუასელისეული დოქტრინას სიდინჯე-აუჩქარებლობის ასპექტით და, მანამდე გვერდები ნუ აუდგება ოპოზიციას, სანამ არ გადავდგეო, წამოთარანდება, თუმცა მალედვე აღიდგენს ცხრამეტნიშნიან პოზას იდეალური პოლიტიკოსის პორტრეტისათვის.

ჩვენთვის გონსასეირო ზოგიერითი ბლოკის საარჩევნო ქაფქაფია, დიახაც, სარიშვილი-ჭანტურიას მინიშნებებით, რომელი ხალხი კვლავაც ორ ფეხზე დაიარება საქართველოს ფარგლებს გარეთ, ოქროცმული კბილების გაღიმილებით. მაგრამ მოვეშვათ 2 ნოემბრის ჯერაც საჭოჭმანო არჩევნებს და გავარკვევთ 2005 წლის საქართველოს პრეზიდენტის, ვისთვის შოკოლადის სავარძელი და ვისთვისაც — გაბარდული ეკლისა. ცხადია, კანონიერად ჩამოგვშორდება რამიშვილებისაგან დარდუბალაში ნათრევი ქვეყნის პირველი პირი, მაგრამ ხომ უნდა გამოიძებნოს ყოჩი უმესვეურო ფარისათვის?

ვის ჩავუყენებთ თავში ტაძრისკენ მიმავალ კრებულს? მიქაელ უდრეკელს რომ მივანდოთ სარქლობა, უამრავი კიბის დამზადება დაგვჭირდება და ამ გამალებულ პროცესში ,,მწვანეების'' დაცულ ტერიტორიებს წირვას გამოვუყვანთ. თანაც უკვე ჭერიც არ გივარგა მაინცდამაინც კატაჩასმული გუდის ჩამოსაკიდებლად. რას შვრები მერე? აგვიბოჟირდება ცხვარი და გადმორეკვები ვერაფერს უშველის ,,მაგთიკომის'' ოფისიდან, გადაგვეჩეხება ერთხელ და სამუდამოდ. არა, ვერ გაამართლებს აქ მიქაელ უდრეკელიო, ჭოჭმანებენ.

გინდა მწვანე ანაფორა გიფრიალებია, მაინც რამდენს გამოკვებავ რუხი კარდინალის აბსტრაქტული კინთებითო, ზომავენ ისინი საპრეზი- დენტო სივრცეს.

აქეთ ჰელიოსიძეს მიაჩერდებიან გამოთაყვა- ნებულის იერით. აიეტის კოლხეთში უამრავი ერკემალია, მაგრამ ოქროცურვილი ჰელესპონტიდან გამოჩნდება ტროას ცხენივით, თუმცა გამოგვადგება რო? არგონავტებს წარუტაციათ საწმისი იგი ეროვნულ ფასეულობებთან ერთად. ახლა რა გარანტია გვაქვს იმ 5 მილიონიდან 5 პროცენტს ზეზეურად არ გაგვაძრობენ დახუჭუჭებულ სამოსელს?! არა, არ ივარგებს ჰელიოსიძის სარქლობაო, დაუყვლეპიათ თვალები.

დემოკრატების მარკიზასთანაც ებრალვით ხალხი და მოხეტიალე კიეველის მოსახელესთანაც.

,,აჭარის ლომთანაც'' საგრძნობი სივიწროვეა; იქ ერთი სრუტეა, ხელფეხშეკრულ კუპრეიშვილს ჯერაც რომ არ გადაუცურავს, სამაგიეროდ პანღურების წყება გამოგვტყორცნის შამპანურის ბოთლის მობუთქუნე საცობივით.

სხვას რას იღონებ ყურმისადევნებელს? ექვსიანიძეც მოწყენითაა, ვინაიდან გაუგონია, ჭყონდიდელს ამ მიდამოებში გამოუწრთვნია ყმაწვილობიდანვე აღმაშენებლად წოდებული დავით ბაგრატიონი და იქნება მეც გამოვკრა ხელი შაჰინ-შაჰის ხალათსო, მაგრამ სად არის ხალათი? ზურაბაშვილის

კლიენტებს მიუსაკუთრებიათ უკლებლივ და ცარიელ-ტარიელზე დარჩენილა მთელი სამემკვიდ-რეო.

კიდევ ვინო, რომელი, თავს იმტვრევს პრეზიდენტის მაძიებელი ჭორელების დასტა? შედარებით წვრილფეხობა სათვალავშიც არ ჩაიგდება; ვის ძაღლების გნიასი აყრუებს; ვის სამი მილიონი წლის მზაღო და ონისე ჰყავს აღმოსჩენი ,,ჰომო გეორგიკუსის'' დამუზეუმების შემდეგ.

ვინ, რომელიო, იკვნეტენ ფრჩხილებს.

თამაზ წივწივაძეც მშვენივრად შეითავსებდა ამ საქმეს, დასაწერი ახალი წიგნების წყება რომ არა, სახურავებისა და ლიფტების განხრით; თანაც ,,გვადი ბიგვას'' მსგავსად ტყირპლი აწუხებს ცოტა და კიდევ გოგიჩაიშვილის მტკიცებულებებით ბნელში აპირებს დაყუდებას □მწერალთა კავშირი ხომ უმეტესწი-ლად ჩაწკვარამებულია), ორი მოსაზრებით, პირველი — დალაი ლამას ანაფორას უმიზნებს ზოგადკაცობ-რიულ სატიბეტოს; მეორე, ამ ბნელში მყოფობის პერიოდში რაღაც მილიონების ამოქმედება განუზრახავს სოკოების მოსაშენებლად. ორი კურდღელი მოიხელთება ერთდროულად: მსოფლიო მოძღ-ვარის სახელი და სოკოს ფიბიშური კერძეულის უწყეტი ნაკადი. აქედან გამომდინარე, რა ჭირად ენდო-მება მონომახის ქუდში მოყვანტალე თავი კვახჭირელ ძმობილს? თანაც თავადური წარმოშობისაა თურმე ნოდარ ხვედელიძის მტკიცებით: სულ ცოტა აფხაზეთის მთავრების ჩამომავალი მაინც არისო და უშელავა-თო კონკურენტი გასჩენია ნადარეიშვილს. ხვედელიძის დაჟინებით რომელიღაცა ნეტარ წინაპარს ახ-ლაც მკერდზე ადევს საფლავის ქვა წარწერით — ,,წივწივაძე — შერვაშიძე'', და ამდენ საზოგადო ტვინის ჭყლეტაში, ევრიკა-მეთქი, შევძახებ უცებ. თვითმარქვია მიწოდეთ რამდენიც მოგეპრიანოთ. რა, ფსევდონიმის ამორჩევა გამძნელებია?! გური ოტობაია რითი არის ვითომ ზემოთ ჩამოთვლილებზე ნაკლები, მეტი თუ არა?!

თანაც კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია არფერში მეპიტნავება ვახტანგ მიშველიას გადამკიდეს, თუნდაც თარსი მარცხიანობის გამო პატარა კახის ხელმწიფობის ენდშპილში. ჰოდა, სულაც აფხაზეთ-ში გადავისვრი სატახტო ქალაქს, იგივე სამურზაყანოს ოტობაიაში და ჩემს მოსკოველ ძმობილს თვალ-ნათლივ დავანახებ თუ ვისი აღმოსავლეთ პროვინციაა ჩინეთი; რომლის ჩრდილოეთ გუბერნიობით თავმომწონეობს რუსეთი; რატომ ელტვიან ოტობაიელების გარეუბნელობას დიდი ბრიტანეთი, გერმანია-მერმანია თუ ესპანეთ-საფრანგეთი; რისთვის მოაჩოჩიალებენ ბაწარაღებით ,,ნატოს'' ბლოკს ჩემი სამოხიოსკენ რესპუბლიკელ-დემოკრატები სოროსის ,,კამარელების'' ჟინით თეთრი სახლიდან, თუმცა ყველაფერზე — რიგისობის მიხედვით.

საპარალმენტო არჩევნების წრიული ცეცხლი

ზესტაფონში მაჟორიტარ მუმლაძეს ოჯახს დაუტერორებენ. ასევე კრწანისის ტრასაზე პრეზი-დენტის კორტეჟს ასაფეთქებელ მოწყობილებას დაუხვედრებენ განსჯის საგნად, რომელსაც საბედნი-ეროდ ტერაქტის კვალიფიკაცია აშორდება.ქობულეთში დარბეულია ,,ნაციონალების'' ოფისი.

სამტრედიაში ,,ეროვნულები'' რკინიგზის მაგისტრალს გადაკეტავენ — სიების გამოქვეყნებას ით-ხოვენ და კიდევ — ერთ ადგილს ცესკოში , რომელსაც ხელისუფლება-აღორძი- ნება-მრეწველები წა-ართმევენ დაკომპლექტებისას.

სოციალისტების პირველი ლედი — მაია რჩეულიშვილი მეგაპოლისს აშენებს საკაძის მოედანზე, რომლის შემოსავლის 10 პროცენტი უპატრონო ბავშვების მომავალს მოხმარდება და ამისთანა ჰაიჰ-უის შემდეგ ასლარიან მოსაკითხს ძლივს აკმარებენ უთვისტომო მოზარდებს. თანამედროვე კვარ-ტალი ორი თერთმეტსართულიანი სახლით 2005 წელს დამთავრდება. დახმარების მეასე აქციის გაბა-რიტი კი თურმე ტომარა ფქვილი, ფოჩიანი კანფეტები და დოღრიალა სიმღერები ყოფილა ლელა წურწუმიას შესრულებით.

საინტერესო წინადადებას შემოიტანს მამალაძე, რათა პარლამენტს შეეზღუდოს განუსაზღვრე-ლი უფლებები: მუდმივი პენსია, მაღალი ხელფასი, იმუნიტეტი — ხელშეუხებლობის გარანტი, რის გამოც ავტორიტეტები თავპირისმტვრევით მოწყდომიან არჩევნებს.

გენერალ ნადარეიშვილის მიერ რუსეთის ვერაგული პროგრამა — საქართველოს 7 სახელმწი-ფოდ დანაწევრების მოდელი — ჯერ კიდევ როდის გახმოვანდება: ქართლად, კახეთად, სამეგრელოდ, აფხაზეთად, ოსეთად, აჭარად და თბილისად. ამგვარი მასობრივი სეპარატისტული პოლიტიკის გა-რეშე აფხაზეთი სახელმწიფოებრიობას ვერასდროს მოიპოვებს საერთაშორისო აღიარებითო, ბრძანებს მაშინ, ბატონი თამაზი, და აჰა, ეს გეგმაც ბელეტრისტული ინტერვიუს შვიდი წლის თავზე უამური სიზმარივით აცხადდება. თურმე საქართველოს სხეულის შვიდივე სეგმენტს სახელმწიფოს

სტატუსი მიენიჭება და — საკუთარი ფულიც მოიჭრება, მაგალითად, სამეგრელოში — კოლხური თეთრი, აჭარაში მემედური დინარი, თბილისში აზერბაიჯანული მანათი თუ სომხური დრამი.

ხოდორკოვსკი დაჭერილია. პუტინი არ ხუმრობს.

სწორედ მისი ზეგავლენებით მოინათლება ჯემალ გოგიტიძის გალაშქრება პატარკაციშვილის წინააღმდეგ, აქაოდა, ქორწინების სასახლეს, ცირკს და მისთანებს გვართმევსო. ამასთან გაუგებრად წაეყრუება საქველმოქმედო საქმიანობებს არქეოლოგიაში, სპორტში, მედიცინაში, ,,იმედის ქალაქის'' პერსპექტივებს ბოლოს და ბოლოს. ყოველივეს ოლიგარქიული აზროვნებისადმი განსხვავებული მიდგომებით ახსნის რჩეულიშვილი 18 ნოემბრის ,,ღამის მზერაში'', თუმცა ჯერ 27 ოქტომბერია.

წივწივაძე ძველებურად აკალამბურებს პრეზიდენტის ,,გადავლებს'' ქვეყნის მეორე პირისადმი. აქამდე ჭორად გასაღებული ფამა ნელ-ნელა ფრთებს ისხამს, რომ ვითომ ბურჯანაძის გვარი ,,ბორჯღალიანისაგან'' მომდინარეობს და ქართველ მორაგბეებს ორიგინალურობაში მრისხანე მეტოქე გამოუჩნდებათ გაფარჩავების ფონზე.

ამერიკის ელჩი მაილსი რკინის ქალამნებს ჩაიცვამს და მიზანმიმართულად ჩამოუვლის ოპოზიციურ ოფისებს. პირველი მასპინძლობა ,,ლეიბორისტებს'' და ,,ახლებს'' ერგებათ. რიჩარდ მაილსი თანამოსახელე ლომგულის მძვინვარებით იმუქრება, რომ არჩევნების ტოტალური გაყალბების შემთხვევაში ყოველგვარი კავშირი შეწყდება საქართველოსთან.

სახელისუფლოები ცხინვალის უნივერსიტეტელებს ხვდებიან გორში. რექტორი ახალაია თანადგომას აღუთქვამს ბლოკის პირველ სტრუნა ლორთქიფანიძეს, თანაც ორი მაჟორიტარის ადგილს გამოითხოვს სამაჩაბლოელთათვის და კიდევ — სარწყავი სისტემის აღდგენას. თუმცა დავუბრუნდეთ წივწივაძის კალამბურს პრეზიდენტის ,,გადავლებთან'' დაკავშირებით, რასაც ბილბორდის ელვისებური ცვლილება მოჰყვება ,,ბურჯანაძე-დემოკრატე ბისაგან''.

ადრე ,,ერთად, ცოდნით, პატიოსნებით'' რომ აპირებდნენ საქართველოს აშენებას სამების ტაძრის ხარაჩოებიანი ქონგურებიდან, აწ ,,ჩვენი სახლი მხოლოდ აქ არისო'', დაკონკრეტდებიან და სატახტო ქალაქ მცხეთის ჯვარს მიაჩერდებიან ბოლო სადგურად. ვექტორი ზომიერი ოჩნობიდან უკიდურეს დაუმორჩილებლობისკენ გადაიხრება: მოვდივარ მეფედ, მოვდივარ ხელმწიფედო, აცხადებენ ქარაგმულად დემოკრატების ანჟელიკა თუ რიშელიე.

ხელნაწერი სიები ელექტრონულ ვერსიაზე გაცილებით სანდოაო, ირწმუნება ჰელიოსიძე ნათელაშვილი.

— თუ ხალხი თავის თავს სიებში ვერ იპოვის, მთავრობას უნდა მიადგეს კარზეო, — აბსოლუტურად ზუსტია მიქაელ უდრეკელი და ერთხელაც ხრიალ-ხრიალით დატრიალდება ჩინური მაქსიმა: ძალზე ძნელია კატის პოვნა ბნელ ოთახში, განსაკუთრებით — როცა იგი იქ საერ- თოდ არ იმყოფება.

პრეზიდენტი მშვიდადა: ბუზის აქლემად გადაქცევას შეეცდებიან დესტაბილიზაციის ასაგორებლადო, — ბრძანებს. ეგზითპოლები კი კვლავინ დებურად ძალაში რჩება — მედიას უფლება ენიჭება არჩევნებიდან მერვე საათზე გამოაქვეყნოს სოროსის ფონდის დაფინანსებული სტატისტიკა. სააკაშვილის რევოლუციური პათოსი მცირე ბიზნესს 2 წლით ათავისუფლებს ბეგარისაგან. ასევე გადასახადს უნახევრებს მძღოლების კორპუსს, ხოლო მიწის რენტას საერთოდ ამოაგდებს ბიუჯეტის სტომაქიდან.

როგორ და რანაირად არ ცდილობენ ელექტორატის გადმობირებას.

აქეთ ,,ნაციონალები'' თითის ქნევას არ ჯერდებიან და ჩამობრძანდები თბილისშიო, დაექადნებიან გოგიტიძეს, მაგრამ გაივლის 21 დღე და ,,აჭარის ლომის'' ცოლისძმა, ათასობით სანჯაყელს მოუყრის დედაქალაქში თავს, თანაც როგორც ,,მემარცხენეები'' აცხადებენ — კბილებამდე შეიარაღებული 700-ამდე უკანონო ძალოვანითურთ.

ამასობაში უშიშროების მინისტრი ხაბურძანია დაარღვევს პრეზიდენტის დაწესებულ ვადებს და საორჭოფოდ გაახმოვანებს ბურჯანაძის უცხო ქვეყნის თუ ქვეყნების სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის საკითხს. რის გამოც შიგადაშიგ გაფხუკიანდება სარიშვილი-ჭანტურია, ეგ არის და ეგ. სამაგიეროდ ,,გამწარებით'' ეკბინება ბურჯანაძის სომხურ წარმომავლობას ბაყაყის კბილებით.

ჩემთვის კი, როგორც რიგითი მოქალაქის- ათვის თუ საზოგადოდ — მწერლისთვის აბსოლუტურად უმნიშვნელოა პიროვნების ეთნიკური მემკვიდრეობა. სხვანაირი მიდგომებით თურქეთში პოლიტიკურ არენაზე ვერასოდეს დაწინაურდებოდნენ ლაზები. მთავარია სახელმწიფო ინტერესების ზედმიწევნით განხორციელება და არა — უბადრუკი ჩიჩქნა გენეტიკურ ფენილებში.

უნდობლობის აღმძვრელი ერთადერთი განსხვავებული ეროვნების ხალხის თავგადაკლული მიმიკრიაა.

ბიოსამყაროში პოპულაციას არაფრად ეპიტნავება მსგავსი კუკუმალობა. მართალია, იგი ჩინებულად ახერხებს ბუნებასთან შეხამებას შესაბამისი ფერისცვალებით, რასაც სახეობას არსებობისთვის

ბრძოლის უშეღავათო კანონი კარნახობს, მაგრამ ამიერიდან კენიელს სულაც არ ეხამუშება ხუჭუჭი თმისა და გიშრისფერი ღაწვების გამო. მშვენიერი ყველა რასაშია: ნეგროიდულშიც, მონგოლოიდურშიც და ევროპეიდულშიც. ამისი დასტური კი შარშანდელი მის ამერიკაა. ადამიანის უმთავრესი საგანძური, აურწყავი ფასეულობა — რაციოა, გონება, სულიერების პროდუქტი, მისი აზროვნების ნაჟური და არა — შუასაუკუნეობრივი ჩარჩოები — მელანინის პროპორციები დერმაში.

კოლეგა უიტმენზე მეტი აღმსარებლობით მივჩერებივარ მე ნებისმიერი ერის თუ ეთნიკური ჯგუფის განუმეორებლობას ცისქვეშეთში თავისთავადობის სრული უფლებამოსილებით. ებრაელი, სომეხი, თურქი, რუსი, ჩემი ტოლერანტული სულის ალმასის წახნაგებია საამქვეყნო სარბიელზე. ამ მიმართებით უფრო კონკრეტული ბატონი გივი ჯავახიშვილია, რომელიც პრეზიდენტზე ენერგიულად გადაუვლის პაპავას პაპალურ პროგრამას ,,ლიტერატურულ საქართველოში'', თუმცა მეტი სამახსოვრო მასთან დიალოგში საქართველოს ისტორიაში აღორძინების 800-წლიანი ამპლიტუდაა და მერამდენედ დასაბუთდება ქართული ხასიათის სამყაროისეული მატრიცულობა; რომ იგი ათასწლეულების მანძილზე კოსმოსური 8-იანების სიხშირითაა ნასაზრდოები და, დიახაც, აქედან იწვართება მისი პოლიფონიური სინქრო- ნიზაცია, მისი ქორეოგრაფიული რიტმიკა — ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა; იგივე რუსთველის კოსმოგონიური შაირით მეტყველება; თუმცა მივყვეთ მოვლენების მდინარებას და იმის თაობაზეც ვთქვათ, თუ არჩევნებამდე 5 დღით ადრე როგორ წამოტივტივდება კენჭისყრის 2 კვირით გადადების რეალობა.

— არჩევნების გადადების შემთხვევაში ბრძოლა მაინც წაგებული აქვს ხელისუფლებასო, — უშეღავათოა ქალბატონი ნინო.

რიჩარდ მაილსი კი მთლად გაშიშვლდება — უკვე დესპანივით კი არა, სახელმწიფო მინისტრივით მოსდებია საქართველოს პოლიტიკურ კულუარებს.

არჩევნებზე პასუხისმგებელი ,,ცესკოა''კონსტიტუციურად. ელექტროვერსია ვერ ამართლებს საქართველოს სინამდვილეში.

— კომპიუტერული დონე ჩვენ არ გვაქვსო, — იძახის ნანა დევდარიანი. საარჩევნო უბნებს საშუალება მიეცემა ხელით შეასწოროს სიები და მრგვალი ბეჭედი დღლიზოს ზედ დასტურლამალის საწინდრად. — გადადების ლოგიკა არისო,— აცხადებს ობმუდსმენი, მაგრამ რამდენად მართებულია მშობიარე ქალის პრეტენზიები, რომელიც შვილის გაჩენას უარობს?! ქალბატონ ნანას მუქარებით ვერ მიიმხრობ. გავიხსენოთ ვისი გორისაა, დევდარიანია ბოლოს და ბოლოს. კომისიის თავმჯდომარე მრავალთაგან ლეიბორისტებს მოიხსენიებს მეტი სიმპათიით , რომელსაც მისი მტკიცებით სტაბილური ელექტორატი ჰყოლია.

— ამომრჩევლებს თავგზას უბნევენ ნაკლებად შანსიანი პარტიებიო, — დაასკვნის. — არეულობა ყველგან და ყოველთვის დამღუპველიაო, —გვმოძღვრავს.

ეს არის და შემოცურდება კორესპონდენტის კითხვა: **ვის მეტი აქვს გაყალბების შანსი, და პასუხიც მოჭრილია: არავის! რადგან მე ვარ და ჩემი ნაბადიო. ადგილობრივ არჩევნებში რატომ არ დაიწყო არეულობაო?** შეუბრუნებს კითხვას რესპოდენტი ჟურნალისტს და ამჯერად ეს დაინტერესება ღიად დარჩება:

— დაზუსტდება სია. ცდომილება ყველგანაა. ყველა პოლიტიკური პარტია ხელს უნდა გვიმართავდეს, რათა ვადებში პირნათლად ჩავეტიოთ. ჩვენთან კი საქმე პირიქითაარ, —ყამასავით მკვეთრია დევდარიანი.

პრეზიდენტთან არაერთგზის უსაუბრია თურმე არჩევნების გადადების თაობაზე, მაგრამ ბატონი ედუარდი კატეგორიული წინააღმდეგია. არავინ იზიარებს პასუხისმგებლობას სიების ცვლილებაზე. ამასთან ქალბატონი შეშფოთებულია თითოეული პარტიის განწყობით, რომ ისინი მზად არიან მანიფესტაციებისათვის.

— ვინმე რომ დარჩეს 7 პროცენტს მიღმა, შეუჩნდება ხალხს და ქუჩაში გამოიფანსო, — მოსჭრის ნანა, — ყველაფერი კი ბაქოს სცენარის განხორციელების საწინდარი გახდებაო, — დაასკვნის.

— ნათელაშვილ-ბურჯანაძე-სააკაშვილის პოპულარობა თბილისს ვერ სცილდება, — ამგვარია რჩეულიშვილის შეფასებით სამეულის რეიტინგი. — ოპოზიცია ბევრად მომგებიან ვითარებაშიაო, — აცხადებს. — განაყოფია ჟვანია-ბურჯანაძე, სააკაშვილი. სახელისუფლოა მიხეილი და ნინო. ოპოზიცია ივიწყებს ხელისუფლებაში ყოფნის 7-წლიან ვადას და ხელს იბანს ყველაფერზე. 42 მილიონი სესხი აქვთ აღებული. არ ვადასტურებ რომ ჩაიჯიბეს, მაგრამ ხუთჯვრიანი დროშები ხომ ააფრიალეს? მერედა, სადღაა ამდენი ტარი და ქსოვილი? მათ არა აქვთ ხელისუფლების შეგრძნებაო, — მკაცრია ბატონი ვახტანგი. — თბილისში ხმები გაეყოთ. ჟვანიას 7 პროცენტი ჰქონდა ბურჯანაძის აბრად გამოყენებამდის, შემდეგ ეს მაჩვენებელი 15 პროცენტს გადასცილდა. ახლა სააკაშვილს უჭირს.

რკინიგზის გადაკეტვა ვერ უშველის აბსანძეს, ვინაიდან ეს ხმები მათ შორის გადანაწილდება. რომ გაერთიანებულიყვნენ, მაშინ 20-30 პროცენტს გადააჭარბებდნენ, მაგრამ ადგილებზე ვერ შეთანხმდნენ და საფრთხეში ჩაიგდეს თავიო, — ტაილერანობს სოციალისტების ლიდერი. — ახლა გადავამრავლოთ რესპუბლიკის მასშტაბით. ეს ხალხი აჭარიდან ნულ პროცენტს ელის. ამდენივეს — სამცხე-ჯავახეთიდან, მარნეულიდან, კოდორიდან და როცა წიწილების დათვლის ჯერი დადგება, აღმოჩნდება რომ თბილისში ინკუბატორის ბატონ-პატრონ კრუხს საქართველოს მასშტაბით ძლივს 5-7 შერჩენია აბეზარი ქორების წყალობით. მე ვუთხარი პრეზიდენტს, რატომ ხართ გაჩუმებულიმეთქი, — ბუნებრივ კილოს არ თმობს ბატონი ვახტანგი, — ეროვნული უმცირესობები მეტი ერთგულია პრეზიდენტის, ხელისუფლებისა, ვიდრე შეჭირვებული დანარჩენი ელექტორატი. აქ კუჭის სინდრომს გადასძალავს მშვიდობიანი ცხოვრების პრიმატი. ასევე იყო ზვიად გამსახურდიასთანაც. პრეზიდენტი უწინარესად ვალდებულია ეროვნულ უმცირესობებს ქვეყანაში ნორმალური ცხოვრების გარანტიები შეუქმნას. იციან მათ ეს ამბავი და ამიტომაც ემხრობიან ლამის ასი პროცენტით. არჩევნების შედეგების დროს კი ციფრებს ვერ დაახარისხებ ინტელექტუალური მიდგომებით, სად მეტი პატრიოტიზმია და სად ნაკლები პრაგმატიკულობა. ლუბა იყო გადასარევი, როგორც ყოველთვის, — აგრძელებს რჩეულიშვილი. — ძიძიგური ბოიკოტს რომ უცხადებს რუსეთს, ან ქვეყნის მთავარ არტერიას კეტავენ ,,ეროვნულები'', ვისი ჰგონიათ ეს სახელმწიფოო, —აღშფოთებას ვერ მალავს სახელისუფლო ბლოკის ლიდერი და იქვე მოსხლეტს ფრაზას, — ასაყენებელია სათითაოდო, — და მყისვე მობოჭავს, რომელიც სინამდვილეში შემცველია შინაარსისა: წასაბრძანებელი სადაც ჯერ არს.

ლეიბორისტების ლიდერს, შალვა ნათელაშვილს, მთელი საქართველო მოუვლია ბათუმიდან ლეჩხუმამდე. პარლამენტის პირველი ტური გაარკვევს თუ ვინ დარჩება უმრავლესობაშიო, გულთმისნობს. ლეიბორისტები ხომ 120- მანდატიანი კორპუსით მოსვლას იმედიანობენ, მაგრამ არჩევნების მიწურულს, ზღურბლზე გადმობიჯვებას იუარებენ ,,ახლებისა'' და ,,მრეწველების'' პარლამენტში შემოთრევის გამო, რაც პოლიტიკოსის მტკიცებით ,,ლეიბორისტების'' პროცენტების ხარჯზე მოხდება.

— მდიდარს არ ვებრძვითო, — აკონკრეტებს ბატონი შალვა, — სანამ ის კონტროლირებადია, მაგრამ როცა ხელისუფლებაში მოვა, მერე მასთან გამკლავება შეუძლებელია. ქვეყანას მართავს საშუალო ფენა და არა — ოლიგარქიული აზროვნებაო, — სიცხადე შეაქვს არსებულ ვითარებაში ლეიბორისტების ლიდერს. — შეხედეთ, დაპატიმრებულია ხოდოკოვსკიო,— ნიშნისმოგებით მიგვახედებს ოტობაიის ჩრდილოეთ პროვიციისკენ. — მდიდარი, ბუნებრივია, უნდა იყოს. ისინი პირნათლები უნდა იყვნენ ქვეყნის ბიუჯეტის წინაშე და ხელისუფლებაშიც არაფერი ესაქმებათ. მდიდარი მორჩილია, ფაქიზი, დელიკატური, მაგრამ როცა მოიტაცებს ფეროს, მადნეულს, ფოთს, ავიაციას და თან პარლამენტიდან დაუწყებს ლობირებას ქვეყნის მფლეფელობას, მორჩენილია საქმეო, — ელგუჯასავით ანთებულა ჩვენი დუშეთელი.

30 ათასზე მეტ ადამიანს შეხვედრია შალვა შავი ზღვიდან ლაგოდეხამდე. აზერბაიჯანელებს ცხვარი დაუკლავთ, 50 თათარი წაჰყოლია ეკლესიაში და ქრისტიანული წესით მონათლულან.

მსგავსი სტუმართმასპინძლობით თავმომწონეობს მიხეილიც. ის ხომ პოლიგლოტია და აზერბაიჯანულადაც რომ გაესაუბრება მოსახლეობას, ახლა იმასაც მიართმევენ ხონჩებს, შერბეთს და ქიშმიშიან ფლავს;.

მე კი გულწრფელად მეტირება მთელი ამ პროცესის ფხიზელი თვალით მოყურადეს: რა გულუბრყვილოა ადამიანის ბუნება?! თითქოს ხალხის ნებას მართლაც კრებდეს რაიმე ჭურჭელი სამართლიანობის პირობით! მე უშურ- ველად მებრალება ეს გულანთებული ახალუხები, რომლებიც ეროვნული მოძრაობის ჟინით ლამობენ ფონზე გაღწევას და უგულებელყოფენ იმ მუტაციას, რომელიც ამ ათი წლის მანძილზე განუცდია ჩვენს სამოქალაქო ფსიქიკას — შიშველი პატრიოტიზმი წინასწარვეა განწირული ამ ორომტრიალში, ვინაიდან მოსახლეობის უმეტესი ფენა ნაკლებად ეთანაწყობა ბაჯაღლო ფასეულობებს. მე ალალმარ- თლად ვეხმიანები მათ მეცადინეობას მძიმე სოციალური მდგომარეობის გამოსწორების გზაზე, მაგრამ ხომ არსებობს ობიექტური გალავნებიც, რომელთა გადალახვა ცარიელი ენთუზიაზმით პოლიტიკური ახლომხედველობაა.

ნათელაშვილი პირველად ახსენებს მარკირების ნიაუნსებს, რომელიც თავიდან იუგოსლავიაში გამოცდილა.

— ბარიერს გადალახავენ სახელისუფლოები, ,,აღორძინება'' და ტაქტიკური მაჟორიტარებიო, — მარჩიელობს შალვა, — მათ, გამოსუქებულ ,,ოპოზიციასთან'' ერთად. ჰქონდათ ქართველი ხალხის პატრონობის შანსი, მაგრამ ხელიდან გაუშვეს ეს მომენტი და ახლა ჯერი ჩვენზეაო, — პროგნოზობს, — 30-წამიანი საეთერო დრო ოთხიდან ექვსიათას ლარამდე ჯდება. ჩავაყენოთ ეს ფული

ხალხის სამსახურში-თქო, გავიძახით რა ხანია, მაგრამ ყურისმგდებელი ვინ არისო, —ბობოქრობს ლეიბორისტების ლიდერი, — „რუსთავი-2“ 14 მილიონითაა დაფინანსებული. ეს ტელეარხი ამათი დროშა და რუპორია, მაგრამ ჩვენ მაინც მოვალთ 120 მანდატითო, — ბორგავს, — შევარდნაძის ოლიგარქიულმა საქართველომ მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება საერთაშორისო ფუნქციის სახით. დასრულდა უმთავრესი ეტაპი, ახლა საჭიროა საშუალო ფენის საქართველომ მოახდინოს შიდამეურნეობრივი რეორგანიზაციაო, — ფორმულასავით ძერწავს კოლხების სიძე, — კანდელაკმა გაიმარჯვა შნაიდერთან, დაიცვა ჩემპიონის ტიტული და დამარცხდა სახელისუფლოებთან, დაემონა, მიეყიდა მათო, — ენამწარეა ჩვენი შალვა.

ბურჯანაძე მეგრულად უკეთესად იშიფრება, ვიდრე სალიტერა- ტურო ქართულით. ბურჯი ხიდის საყრდენი ბოძია, სიმძიმის მტვირთველი, მოძრაობის მიმნიჭებელი სხვათათვის, ზოგადეროვნული ცნობიერებით, მაგრამ მეგრულში უფრო შთამბეჭდავია ამ გვარის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა. „ბურჯონა“ ცხენისწყალს იქითა საქართველოსთვის ნიადაგ მკლავმოუღლელის ეკვივალენტურია და მართლაც თვალშისაცემია ამ პიროვნებასთან ენერგიული შრომის პათოსი გარკვეული მიმართულებით.

არჩევნების ექსპრესი დაძრულა და აწი მისი შეჩერება დანაშაულებრივია.

ოლიგარქიული საქართველოს შემოქმედი ვალდებულია გაუგონარი გარდასახვით გზა გაუხსნას საშუალო ფენის საქართველოს, რითაც ლუმპენიზებული ქვეყანა თანდათან ამოვა მდიდრული კლანის ზიზღიდან, მაგრამ, როგორც იტყვიან — თან საქმე.

ბილბორდი თუ პოლიტიკური ბრკოლის ვარდისფერი ტატამი

ჯერ „ბურჯანაძე-დემოკრატების“ საბილბორდო იერცვლილებანი ამოვწუროთ, მერე სხვა თემებისთვისაც მოგვრჩება დრო.

გლდანის რაიონის შუაგულში ელვისებურად შეიცვლება ორმაგპროფილიანი ტრანსპარანტი ქალბატონი ნინოს შთაგონებული გამოხედვით, მაგრამ მისი წინამორბედი კონსტიტუციის მოედანზე, კვლავაც შენარჩუნებულია ხელისუფლების პანოს გვერდით, სადაც „გავერთიანდეთ ახალი საქართველოსათვისო“, ღაღადებს სარეკლამო თვალსაჩინოება ყმაწვილის უმანკო თვალებით.

დემოკრატების პირველ პანოზე სამების ტაძარია გამოსახული და იგი „ეკონომიკური გარდატეხის“ პარამეტრებს მიაპყრობს მზერას, ხოლო მეორე — საქართველოს სახელმწიფოებრიობის უმაღლეს ნიშნულს მისჩერებია — მცხეთის ჯვარს და შეუფარავად ქადაგებს: ჩვენი სახლი მხოლოდ აქ არისო. თანაც „აქ“ ნაცვალსახელს მტკიცებულებად მცხეთის ჯვარი აზის უტყუარ გვირგვინად.

ქალბატონი ნინოს მიმზიდველ ღიმილს ხალხის წიაღიდან ამოკრეფილი სახეები უმშვენებენ გვერდს. ადრე ზვარი, პორტი და ინდუსტრია თუ იყო საომარი ლელო, ახლა დედაენიანი ბავშვია მთავარი ფასეულობა და ბელეტრისტულად რომ გაიშიფროს ეს მეტამორფოზა, 180 გრადუსით შეტრიალდება მათი სამერმისო მოქმედების „დემოკრატიული“ პროგრამა: ოღონდ ხელისუფლებაში მოვიდეს ჭიაურელისაგან თამარ-მეფესთან გატოლებული ბურჯანაძე და ზურგშექცეული 177 კანონის მხარდამხარ, მოსალოდნელია სახელიმწიფო ენის, გაუქმებული ეროვნების რეკვიზიტის, ბლოკირებული პრესის, რელიგიის კანონების თუ სხვათა დაგვირგვინება, რითაც უმალ მოიხვეჭს სახელს ხალხში, როგორც თვალსაჩინო რეფორმატორი. ეს ყველაფერი სამომავლო ქვეტექსტებია. სხვა მხრივ „ბურჯანაძე-დემოკრატების“ ბილბორდზე სამების ტაძრის თუ ჯვრის მონასტრის გამოჩენა, აქამდე ნიველირებული ეროვნულ ფასეულობათა რეანიმაციის წინაპირობად თუ მონიშნულა, ბარაქალა ჩვენ!

პირადად მე თაყვანის ცემის მეტი არრა დამრჩება ამ პიროვნებისადმი, მაგრამ კვლავინდებურად თუ გაგრძელდება უეროვნობა, უმამობა, უენობა, უპრესკანონობა, ურწმუნოება, ოტობაიას ჩრდილოეთ პროვინციის მორიგ 7 ყულფამდე 7 ნაბიჯია, რომელიც დისკრიმინაციული დასეგმენტებით — ქართლად, კახეთად, აჭარად, სამეგრელოდ, აფხაზეთად, სამაჩაბლოდ და საკუთრივ თბილისად დაგუნდავებით მოიაზრებს ჩვენი სახელმწიფოებრიობის სამუდამო დაჯურღმულებას. აქამდე კი მსუყე ნიადაგი შემზადებულა დახლეჩილ ეროვნულ ფსიქოლოგიასთან შესაგუებლად. ხოლო თავად ნაწილები, იმ მიმართულებით დაიწყებენ ენაგადმოგდებულ თოხარიკს, საიდანაც უკეთესი საძოვრები ხასხასებენ. მაგალითისთვის, აჭარა-სამეგრელო-აფხაზეთს მეტი ლტოლვა რუსეთისაკენ გამოარჩევს და ელენთასავით მიეწებებიან კიდეც მის გოლიათ სხეულს. ასევე ოტობაიის ჩრდილოეთ პროვინციას მიემაგნიტება სამაჩაბლო-ქართლი; მესხეთს სომხეთი ჩაიხუტებს მკერდში; ქვემო ქართლს

აზერბაიჯანი უყონაღებს 2 მილიონი წლის ნამარხ მზია-ზეზვაიანად.

დარჩება ვითომ საქართველოსაგან რამე ხელშესავლები? კი, როგორ არა — ქიზიყ-მოკვეცილი კახეთი, მტკვრის გარდიგარდმო აღმოცენებული თბილისი, მცხეთა და კიდევ — ძაღლის გადმოგდებული ენის მსგავსი იმერეთის შუაზოლი, რომელსაც ზღვისკენ გასავლელი არც სამხრეთით ექნება და აღარც — დასავლეთით. საქართველოს სახელმწიფოებრიობა სამუზეუმო ექსპონატად დათაროვდება მილიარდერ კოლექციონერთათვის და მათ სამყაროისეულ როლს ცივილიზაციის მშენებლობაში, წერტილი დაესმება სხვათაგან მიტაცებით.

ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძის რწმუნებით, გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების ინდაურის ჭუკივით გამოსუქებული ეგზითპოლები თავად ამერიკაშია უკუგდებული უკვე.

— აკრძალვების მომხრე არა ვარო, — აცხადებს დაფავებით. — მე გამოქვეყნებულ შედეგებს უფრო ვენდობიო, — ირწმუნება. — იმდენი ექსპერტი ჩამოსულა, იმდენი არასამთავრობო სუბიექტი ჩემულობს არჩევნების ზედამხედველობას, რომ მაღალი ხარისხის შედეგებს მოველიო, —მოსხლეტს სიტყვას. — ჩვენს აღმასრულებელ და კანონმდებელ ხელისუფლებას გაფართოებული უფლებები მინიჭებია: ძლიერი პრეზიედნტი, ძლიერი პარლამენტი.

— მერე შედეგიო, — იკითხავს და თვალებს მაღლა აღაპყრობს ხელისუფალთა ბლოკის პრიმა კანდიდატი. — თითქოს ყველა ანგელოზია და ერთი კაცისკენ ხელის გაშვერაღა დაგვრჩენია. ასეთი დამოკიდებულება ხომ აბსოლუტურად აბსურდულია. 2 ნოემბრის არჩევნებით არაფერი მთავრდება. პირიქით, აღმშენებლობითი საქმიანობა კვლავაც გაგრძელდება. 10 ათასმა ოჯახმა ბუნებრივი გაზი მიიღო საგარეჯოში, კახური გაზი. გვქონდა კახური ღვინო, ამას ეროვნული აირიც დაემატა. ქართულ ტერმინალებში უდიდესი სიმდიდრეა. ტერიტორიული მთლიანობა მოგვარდებაო, — ქულების ჩასაწერად როდი ახმოვანებს თურმე ბატონი ვაჟა. — ამასთან ჩვენ ტერიტორიული მოწყობა უნდა განვახორციელოთ კანონის დონეზე. გუბერნატორები, გამგებლები ფაქტობრივად უუფლებონი არიან, მაგრამ დაინერგება არჩევითობის პრინციპი და გვეშველებაო, — განმარტავს. — ხელისუფლება თავის დროზე დაიყო პროპორციით 1 : 4-თან. ახლა პოზიციაში მეოთხედია, ოცდახუთი პროცენტი, ოპოზიციაში სამი მეოთხედი, სამოცდათხუთმეტი პროცენტი და ამ თანაფარდობის პირობებში სრულიად გაუგებარია ხალხის რისხვა ერთ პიროვნებაზე, შევარდნაძეზე რისთვის მოდის, როცა პასუხისმგებელი თითოეული მათგანიაო, — ასრულებს საუბარს.

— მადლობა სამეგრელოს და სამტრედიის მოსახლეობასო, — ფიცხია კვლავინდებურად იმერეთის გუბერნატორი შაშიაშვილი. იგი დამამცირებლად მიიჩნევს შინაგან საქმეთა მინისტრის ინტონაციას: ,,ჩვენ რომ არა'', როცა აქციის განეიტრალებას საკუთარი ძალებითაც მშვენივრად მოახერხებენ, ღამის ორის ნახევარზე შეთანხმდებიან თურმე, და მოპიკეტენი დღის თორმეტის ნახევარზე დაიშლებიან. თუმცა საქართველოში გასაკვირი რაა? — ჩვენ გავიწაფენით სხვათა გაკეთებული საქმეების მითვისებაშიო, — ფეთქდება დროდადრო პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთის მხარეში. — უფრო დიდი უბედურება გველის წინო, — ფოლადი რეკავს შაშიაშვილის ხმაში. — ზოგიერთი ტელეარხი პოლიტიკური ბრექებით გამოიტანს ეგზითპოლის მაჩვენებლებს, რომელიც ფაქტობრივად მათ პოლიტინტერესების შესაბამისობაში იქნება. ამის შემდეგ ობიექტური შედეგები როცა არ დაემთხვევა არასამთავროების მოჩმახულ მონაცემებს, ამას ხელზე დაიხვევს ჩვენი მოწონებული და აგორდება კიდეც დესტაბილიზაციაო, — ბატონი თემურის მდუღარება მეც გადმომესხმება: საარჩევნო სიებში ჩვენი მამების გამოხმობა ბალახმორეული საფლავებიდან ერთგვარი კეთილშობილური მისიაა უცოლობლად, ირონიულად გამკრავს გონებაში, ვინაიდან მათი სახელები ხომ მერამდენე წელიწადია წაშლილა ჩვენი პირადობის მოწმობებიდან და ამგვარად, ეფემერულად მაინც აუღდგენიათ საუკუნო შეჩვენების ათწლიანი პრაქტიკა. გასაკვირი ის არის, რომ საარჩევნო სიების ამამღვრეველ პოზიცია-ოპოზიციას არაფრისდიდებით, გაახსენდებათ ფრანგი ქალბატონის ხორცით შემოსილი მზიას და ზეზვას ორ მილიონწლოვანი გამოხედვა; ამერიკისთვის მიზანშეუწონელი ეგზითპოლების გამოქვეყნება □დროის სხვადასხვა სარტყელის საბუთით), საქართველოსთვის სრულიად კანონზომიერი ჰგონია შტატების დესპან რიჩარდ მაილსს. მათთვის საფრთხილო, საქართველოსთვის ნუგბარეულად მიუჩნევია ჰაიკებით გარემოცულ ელჩს. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რათა ხელისუფლება აიძულონ ოპოზიციისა თვის სასურველი არჩევნების ჩასატარებლად.

— უთანხმოების მიზეზი დესტაბილიზაციის აკვიატებაა, — განმარტავს მაია ნადირაძე.

აზერბაიჯანი ქართული არჩევნების გენერალურ რეპეტიციადაა წარმოსახული.

დათო კოღუაშვილის თქმით, — ეგზითპოლს შტატებში ატარებდა ,,მიუს სერვისი''. ,,სი-ენ-ენი''; ,,ეი-ბი-სი''. ,,ასოშეიტედპრესი'' ბუშს მიემხრო, როცა ფლორიდაში დამარცხდა: ეგზითპოლის გამოქვეყ-

ნებამ სახიფათო შედეგები მოიმკო უკრაინაშიცო, — გვებაასება.

ვაკა გორგილაძის მიხედვით, ეგზითპოლს არ აინტერესებს შედეგი, არამედ — პროცესი. რა აზრი აქვს ეგზითპოლს არჩევნებიდან 8 საათის შემდეგ? ეს იგივე თივის დაყრაა ბოჩოლას მოჭრილი თავისთვის, პოლიტიკური ბრექების საფუძველი ოფიციალურად დამარცხებული მხარისათვის.

ეგზითპოლი ერთგვარი წასისინებაა, ზუსტად იმისთანა სიტუაცია, როდესაც ხელჩართულ ომში მებუკე-მენა- ღარეთ გამარჯვებული ხელმწიფე თავებს დააყრევინებს დატყვევებული მეომრების ღირსეული დაფასების ფონზე.

— ამათ რას ერჩოდიო, — აუხირდებიან ნაზირ-ვეზირები, — წუღა-მესტის ჭვინტიც არ გასვრიათ სისხლის ნიაღვრისაგანო — და ხელისუფალიც ამგვარად ბრძანებს:

— იმიტომ ძვირფასებო, რომ მხარეებს კაცთაკვლისკენ აქეზებდნენო.

ფიგარო ბაღათურია მკვეთრად განარჩევს ნინო ბურჯანაძისა და „ჟვანია ბანდიტის" რეიტინგებს. ქოლერიკულად გადაფარავს ზურაბ ცქიტიშვილს თუ ბეჟუაშვილს და ვერაფრით ენდობა „მოქკავშირის" განაყარი ახალუხების ჭირისუფალ ეგზითპოლებს, რადგანაც „ოპოზიციური იარლიყითაა კულტივირებული ქართულ საარჩევნო სივრცეში".

ლევან გაჩეჩილაძე ზოდიაქოთი კირჩხიბი ყოფილა — მაქსიმალისტი, თუმცა ვაკის პარკის კარუსელში დაზუთხული „ბევრი ლექსებიდან" გურამიშვილის „სწავლა-მოსწავლეთა" სტროფებიღა შემოხსომებია.

გოგი თოფაძე ჩრდილელის მხარდამჭერია და შეეწირება კიდეც ამას.

ჩრდილელის ქომაგია სალარიძეც, რის გამო ულტიმატუმებს წაუყენებს გრეჩიხა „ბურჯანაძე-ჟვანიას," და სანამ ბლოკიდან გაურიცხავთ სახელისუფლოთა კანდიდატის მეოხი სალარიძე, საერთოდ გაეცლება არჩევნებს „დემოკრატებში ოსტატურად ჩანერგილი სალარიძე".

მეშვიდე ბლოკში სამი სპიკერია — სამი მეორე პირი, თუმცა ქაჯეთის ციხის ასაღებად სამი ლომგულის ერთობაა საჭირო.

თორდიას პიარკომპანიაში „ნაციონალების" გაელვებას ხელისუფლების მორიგ ტრიუკად ახმოვანებს პოლიტიკური იუველირი ჟვანია. აქ ნაგულისხმევია მაისაშვილის გამოჩენა 31-ე საავიაციო ქარხანაში და ვარაუდები „ბოინგის" ერთობლივად გამოშვების პერიპეტიებზე. „ნაციონალების" საარჩევნო თვალსაჩინოებიდან გაირკვევა, რომ უზენაესელი მაისაშვილის ამერიკელი მეუღლე ბეიკერის ფონდის თანადამფუძნებელია და ბუნებრივია, მაჟორიტარობის კანდიდატს რისთვის დაუპირისპირებდნენ სახვალიო კომპანიონს?!

იბადება კითხვა: ემსგავსება თუ არა 2003 წლის სიტუაცია 1990 წლის პოლიტვითარებას? პასუხი ორამონახსნიანია: კიცა და არაც.

გაივლის დღე-ღამე და სალარიძე შამპანურის საცობივით ამობათქუნდება სახელისუფლებოთა საარჩევნო სიიდან. ამით კიდევ მომგებიან ქულას ჩაიწერენ „ბურჯანაძე-დემოკრატები".

ფლორიდაში პირწმინდად წააგებს ბუში. საარჩევნო კარუსელით თავბრუდახვეულ ელექტორატს საარჩევნო მარაოთივე მიუნანავებენ, მაგრამ გულშელონების კომადან რომ გამოიხსნას ქვეყანა, ბუთქავს და ბუთქავს ერაყს. ესეც შენი დემოკრატიული ორანჟერიის სრულფასოვანი სურნელი. გალოთდება ჰიტლერელების ფინანსისტი პაპის ჩამომავალი ბუშ-უმცროსის ოპონენტი გორი, თუმცა ისევ „დემოკრატების" ბილბორდს მოვუბრუნდეთ.

ძველი იერისაა ტრანსპარანტები კონსტიტუციის მოედანზე, ვარკეთილში, მეტრომშენში.

გლდანელებისთვის საგანგებოა შექმნილი — „ჩვენი სახლი მხოლოდ აქ არის", აქ, მცხეთის ჯვრის მონასტრის საგვირგვინო არილქვეშ. ნაცვალსახელი „აქ" ცხოვრებისეულ ერთ ანეკდოტს შემახსენებს:

კომპარტიის ცეკას მდივანია მავანი. მწერალთა კავშირის თავმჯდომარე — ბავანი და ბუნებრივია, აწურულად დაიარება მელექსე კაცი ასაკით უმცროს ხელისუფალთან, მაგრამ შეტრიალდება ვითარება და ამჯერად საშვილიშვილო გამოცემის დირექტორ ბავანს მოადგილედ, დიახაც, რომ ფუნქციონერ მავანს დაუნიშნავენ. თავაზიანია მასპინძელი.

— მოდი ჩემთან, მავანჯან, შენ იქ, კაციჭამიებში, რა გინდოდა?! აქ არის შენი ადგილი, აქ, ჩემთან, ჩემს გვერდით. მიდი, მაცივრიდან „ბორჯომი" გამომიტანეო! აი, რანაირ სიტუაციას შემახსენებს ნაცვალსახელი „აქ". მოკლედ, „ბურჯანაძე-დემოკრატების" „აქ" სულ ცოტა ანჟილიკას მესვეურობას ჰპირდება ქალბატონ ნინოს, თამარ მეფის სკიპტრა-გვირგვინს თუ ვერა.

იკამათებენ წინასაარჩევნო პროგრამებზე. გაირკვევა რომ პაპავას პაპალურითაა ნასაზრდოები თურმე სახელისუფლებოთა პლატფორმაც, რომელსაც პოლიტიკური ანგარიშსწორებით უბიაბრუებს ვიცე-სპიკერატის ანტანტა-ბლოკი. მეგრელის კრემლში წამხედურება მახსენდება:

— კეპეში მიმიღეთო.

— რატომ კეპეში და არა კეპეესესშიო, — გაიოცებენ იქ.

— იმიტომ, გენამცვალე, რომ ესესში უკვე ვიყავიო, — ამგვარი აღნაგობისაა ამათი ლოგიკა ძირის-ძირამდე ჩადევნების შემდეგ.

— დაიწყებოდა ბრძოლა კორუფციასთან და ყოველთვის იგებდა კორუფცია. ამიტომაც წამოვედით მოქალაქეთა პარტიიდან. თავზე დაამხო თურმე მიშამ პაპავას ეკონომიკური გაეროციდები. ახლა ამათი ლოცმანია, — აშკარად იჯაბნება ზოიძე. უთანასწორობაა ტემპერამენტებს შორის.

— ესე იგი პლაგიატიზმი სახეზეაო, — შემოაგდებს განხეთქილების ვაშლს გრიგოლხე.

— თქვენ არ იყავით მთავრობაში? — ფიცხობს მაჭავარიანი. — ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ წამოვედით.

— ჰო, წახვედით, როცა საქაფავი მოქაფეთ, წასახვეტი წახვეტეთო, — კი არ აჰყვება პოლემიკაში ოპონენტს ზოიძე, არამედ უფრო დელიკატურია და ,,პრობლემები შექმენითო'' მოიშველიებს დავარცხნილ ფრაზას, თუმცა ინტრიგანობას, ჭორებსა და სენსაციურ განცხადებებს ჩასაფრებული ელექტორატის დანარკოტიკებული გონება, გაცილებით მეტი დოზით მოითხოვს ოპიუმს დღითი დღე მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. აქ არტისტიზმი ნაკლებად გასავლიანია. აქ მაყურებლის თვალში ზრდილობაზე მეტად უხამსობა ფასობს. ამიტომაცაა რომ მოსაუბრე კვარტეტიდან ერთდროულად ბაბანებს ოთხივე.

— თქვენ ჩაშალეთ პარლამენტის მუშაობა!

— რა, თქვენ არ გაიტანეთ ბიუჯეტი?

— სეკვესტრი? — კითხულობს ზოიძე. — არის წინსვლა ტრანსპორტში. ყოფილა საქართველოს ტრასა ასეთი ოდესმე?

— გზა დეკორაციაა. სიღარიბის დაძლევის პროგრამა ფარსია, — უტყლაშუნებენ მათრახს სახელისუფლოებს.

— მაშინ რატომ გადარიცხეს 3 მილიონი თურქეთში? — დამწვარზე მდუღარეს ასხამს რჩეულიშვილი. — წლების მანძილზე ორივე ლიდერი მაღალ თანამდებობაზე იყო: მებაჟე თუ გადამხდელი. სულ ცოტა 30 პროცენტს იჯიბავდნენ. ლობირებას უწევდნენ ანტიქართულ პოლიტიკას. პასუხისმგებლობას კი ოსტატურად გაურბიან. — დაასკვნის, — ერთია: ჯერ წადი ციხეში, სასჯელი პირწმინდად მოიხადე და მერე იპოლიტიკოსე! შავი და თეთრი ტრიკო აბანოში გამოჩნდება.

ბუშ-უმცროსის უსტარი
რჩეულიშვილის მოთარგმანებით

არჩევნების პაექრობას თბილის-ქალაქობა დაესაძირკვლება;

არჩევნების დუღილს დაემთხვევა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ინაუგურაცია;

არჩევნების ფინიშს უგანებს ბურჯანაძის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრა ქუთაისში სახელმწიფო მანქანით სარგებლობის თაობაზე;

არჩევნების მიწურულს აღევლინება ცად ბაკურ გულუას ვაჟიშვილი დავით — დანიის პირწავარდნილი პრინცი ჰამლეტი საქართველოდან;

არჩევნების წკიპზე მიყოლებით ჩადგება მწყობრში საცხოვრებელი კორპუსები ვარკეთილში, სხვაგან; მოედნები, სამედიცინო დაწესებულებები, სასტუმრო ,,თბილისი-მარიოტი'';

არჩევნების მიწურულს მობილიზებულია პოლიცია, უშიშროების სამინისტრო.

ხელისუფლება საარჩევნო უბნებიდან პოლიციელებს გამოიყვანს ოპოზიციის ზეწოლით, სამაგიეროდ ქუცნაშვილის მტკიცებით საარჩევნო უბნებში თბილად მოკალათებულან კრიმინალები; სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის, გაუპატიურებისათვის ნასამართლები პირები;

არჩევნების ფინიშზე ქვეყნდება სოციოლოგიური გამოკითხვის მონაცემები, სადაც 21 პროცენტით პირველობას არავის უთმობენ ლეიბორისტები; ნაციონალებს 10 პროცენტი აქვთ, დანარჩენი ვერცერთი გადალახავს შვიდლარტყიან ბარიერს;

არჩევნების სასრულს დამახასიათებლად ინესტრებიან რესპუბლიკის მასშტაბით ეთერის დიაპაზონის გაზრდაზე უართქმული ,,რუსთავორელები''.

აქამდე რებუსული ,,კმარა ვარდნა'' თურმე ,,კმარა შე-ვარდნა-ძე'' ყოფილა და იშიშვლებენ კიდეც წასისინების ჭანგ-ბრჭყალებად.

ამასაც არ დასჯერდებიან, ერთობ ამაზრზენ ტრიუკს მიმართავენ: სახელისუფლებო ბილბორდზე ანგელოზი ბაღანას სახეს ჩამოფხრეწენ ვიზუალური საშუალებებით და მიყოლებით ჩაუნაცვლებენ ბლოკის პირველდუჟინეულის გამოფიტულ გამომეტყველებებს;

არჩევნების კენწეროზე ცელივით გაისივლებს ასლან აბაშიძის განცხადება, რომ იგი მზადაა რეფერენდუმის ჩასატარებლად თუ მისი შედეგები მიუღებელი აღმოჩნდება. რეფერენდუმი საბოლოოდ გაარკვევს ურთიერთობას ცენტრსა და რეგიონს შორისო. რბილად რომ ვთქვათ, მამალი სეპარატიზმია. ყველაფერი ორგანულად ერწყმის ოტობაიის ჩრდილოეთ პროვინციიდან გაჟღერებულ გეგმილს, სადაც საქართველო გაფხრეწილია 7 პოლიტიკურ ერთეულად, 7 სახელმწიფოდ. ,,აჭარის ლომის'' განცხადება ამ აბსტრაქტული ანექსიის პირველ ყლორტებად აღიქმება საერთო დაძაბულობის ფონზე.

თავის დროზე საქართველოს მაფშალია სოტკილავა ოტობაიელობას იცოტავებს, და ერთ-ერთ ინტერვიუში, სოხუმელი ვარო, დაეღირება შედარებით პრესტიჟულ დედულეთს. დღეს უკვე რუსეთის მოქალაქეა და ამისთანა იადონის ბილბორდში მიწვევა თურმე ანტიკოსტიტუციურია, როცა ბრალმდებელ მხარეს დაავიწყდება ,,ლოკომოტივის'' სტადიონზე თვითონაც როგორ მიუპატიჟია უცხოური ვოკალურ-ინსტრუმენტული პოპჯგუფი. სიტუაცია მართლაც სკანდალურია. უქოჩრობის ბრალდებებით თავმოტვლეპილები თათხავენ ერთმანეთს.

ილჰამ ალიევის ინაუგურაციაზე პრეზიდენტი შევარდნაძე ერთადერთი უმაღლესი რანგის სტუმარია ორასეულიდან და, დიახაც, იგი დაულოცავს პოლიტიკურ სარბიელს მეგობრის ვაჟიშვილს. გარეგნულად არ ჩანს საპარლამენტო არჩევნების დიდღელვაში შთანთქმული მომავლის სიმეტრიის ღერძი. ეს ყველაფერი ურეკში აილანძება ,,იმედის ქალაქის'' პრეზენტაციაზე. პატარკაციშვილი ერთხელაც შეახსენებს თავს ელექტორატს, როცა მისი კოლეგა ხოდორკოვსკი დაკავებულია რუსეთში; როცა ჩუბაისს დღე დღეზე ელის დაპატიმრება; როცა ბერეზოვსკი თავგანწირულად ამხელს აშშ-ს გაზეთების პირველ გვერდზე პუტინის დემოკრატობანას.

აქ კი ნერვები უმტყუნებს ,,აღმოსავლურ-დასავლური დივანის'' ავტორ კოტეტიშვილს (არსენაზე წამოჭიმული მისი ოთხსართულიანი სასახლე გაწყვეტილი შუბლის ძარღვის უტყუარი თალსაჩინოებაა), და თითს შეუქნევს პატარკაციშვილს ყელში ძვალგაჩხერილი ხიხინით: პოლიტიკას მოეშვი, საქველმოქმედო საქმეებს მიხედეო.

გაუგონარი ზეწოლაა ქუთაისის სასამართლოზე.

— ზღვარსგადასულ უსამართლობას შეუძლია ხალხის ქუჩაში გამოყვანაო, — თვალებს კუსავს ჟვანია. ძვირადღირებული სამოცდღიანი ბილბორდი წყალში ეყრებათ და გაწიწმატებულია. 1 დღე 70 ათასი ლარი ჯდება თურმე. ჰოდა, 60 X 70 ქე არის 3,2 მილიონი საორღობო არითმეტიკითაც. ახლა 14-ზე თუ გავყოფთ თანხის ამ მოცულობას, დაახლოებით 1228 571 პენსიონერს გამოახადებს თვალში მთელი თვის მანძილზე.

— ორი ვარიანტი არსებობსო, — განმარტავს ჟვანია, — ან არ დაითვალონ ბიულეტენები ათასობით დამკირვებლის თვალწინ, ან — ძალადობაო.

— კანონის დარღვევა კანონის დარღვევაა, — ირონიულად. — ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი თანაბარია. მთავრობის გადადგომის მოთხოვნა, უპერსპექტივოა. ასევე უზნეოა ეგზითპოლებით დაწინაურებული ,,ნაციონალების'' გამარჯვებულად აღიარება ხელისუფლების მიერ. მიდის ბრძოლა ძალაუფლების გასაფართოებლადო, — ბრძანებს სარიშვილი-ჭანტურია და კდემამოსილად ჩაეზღრასტება ,,ღამის მზერელების'' აჯილღა კომენტატორს.

— 07 პროცენტი გვარგუნეს შალველებმაო, — ირონიულია თოფაძე. — ლამის ბონდელებად გვაქციოსო, — ენამწარობს, — საქმე ის არის, რომ როგორც ნათელაშვილის პოლიტპლატფორმით, ისე სააკაშვილის საარჩევნო პროგარმით, ბატონ გოგის ჯიბეების ამოტრიალება ელის, მოხვეჭილ ქონებას — ნაციონალიზაცია და ზოგიერთს — აქა-იქ ლუდის კასრში ბანაობაც.

— ამერიკელები, სავალუტო და მისთანათა ფონდები შეშფოთებულნი არიან შექმნილი სიტუაციითო, — განმარტავს თოფაძე. — მოსულიყვნენ 5 ნოემბერს, როცა ყველაფერი დაეწყობოდა, სხვა ამბავია, მაგრამ გრძნობენ ისინი, რომ მათი ზეგავლენების შესუსტება ვერ წაადგება ოპოზიციის წარმატებას. ძლიერი საქართველო არავის უნდა. სავალუტო ფონდი ანგრევს ქვეყანას. ეროვნული ხელისუფლება მათი განუკითხავი პარპაშის დასასრულიაო, — ამგვარად გახსნის ფრჩხილებს ,,მრეწველების'' ლიდერი და 6,08 პროცენტით დარჩება კიდეც საკანონმდებლო სივრცის მიღმა.

,,ნაციონალებს'' ბედი სწყალობთ: 5-ჯვრიანი დროშების მესვეურებს საარჩევნო სიაში მე-5-ე ადგილი შეხვდებათ. ასე რომ ციფრი 5 მათი ავგაროზია ადრინდელი 13-ისაგან განსხვავებით.

— ჩვენი სიძულვილის საფუძველი დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევაა, — აცხადებს სააკაშვილი. თუმცა ლეიბორისტებიც იგივეს სასტიკობენ მეტი დამაჯერებლობითა და უფლებამოსილებით.

31 ოქტომბერია. რუსთავში უკვე გადადებულია არჩევნები. გაყალბებული სიების ბაკქანალია გრძელდება გაჩეჩილაძის მიერ. ,,მოქკავშირი'' პირველად ,,ახალმემარჯვენეებს'' დაუნგრევიათ და ამ მონაპოვრებს არავის უთმობენ.

დღითი დღე იკვეთება ხიდჩანგრეულობის რეციდივი.

კუდიანების არულს ,,დიოვ ნანას'' ხმაზე ალოტბარებს ,,უცნობი''. ტელეარხების გაუკონტროლებელ სეიფებში ილექება რეკლამებით მოხვეტილი ფული. სამართლიანობის აღდგენას ეჭიდებიან პატიაშვილ-ჭაჭია.

ბურჯანაძე სოლიდარობას უცხადებს ბარამიძეს, როცა ხვალ შესაძლოა თავად გახდეს ქუთაისში საგულშემატკივრო.

ავთანდილ მარგიანი ,,სად თხლე და სად ერეკლეს'' კალამბურით აპირებს საქართველოსთან გახმიანებას.

იმ ჟანრშივე ლუდით შესვამენ ხელისუფლების სადღეგრძელოს ,,ლომისელები''.

ჯვარისებრი კონცეფცია ახალი ხილია ძველი პოლიტიკოსებისათვის. ამის თაობაზე შთამბეჭდავად თქმულა, მაგრამ საჭიროდ მივიჩნევ ,,საქართველოს რესპუბლიკითაც'' შევეხმიანო შედარებით ფართო მკითხველს და რამდენიმე დღის დაგვიანებით გამომიქვეყნებენ კიდეც ანალიტური ხასიათის წერილს: ,,დათმობა ძლიერთა ხვედრია''.

ჯერ კი ზოდელავა თბილის-ქალაქობას ულოცავს მოსახლეობას. ბატონ ვანოს დიდრონი თვალები უხამხამებს გაოცებისგან. თბილისობა 1975 წლიდან ტარდება თურმე, და უჩვეულოს ვერაფერს ხედავს, რომ საპარლამენტო არჩევნები ჭირნახულის ტრადიციულ ზეიმის დაემთხვევა.

— 15 ნოემბერს რომ ყოფილიყო არჩევნები, თბილისქალაქობას 14-ში ჩავატარებდით? რამდენიმე საკრებულოს წევრი გამოვიდა და თბილის-ქალაქობა არავის გახსენებია. გლდანელებს წყალი მივაწოდეთ. სურსათი მაგრად გაიყიდა. ბარაქა, გოგი. გაიხსნება 16 სართულიანი სახლი, საცხოვრებელი კორპუსები: ყიფშიძეზე, ფალიაშვილზე, ბარნოვზე. რაც კარგია, საკრებულოსია? ახლა მიუმატეთ ამას სკვერები, მოედნები, რუსთაველის თეატრი, ღვინის სახლი, დიდი სავაჭრო ცენტრი დიღომში, სასტუმრო თავისუფლების მოედანზე... პაკეტის 51 პროცენტი ჩვენია; სამი სამედიცინო პოლიკლინიკა, სადაც 120 ექიმი დასაქმდება; მიწისძვრით დაზარალებული სამასი ოჯახი დავაკმაყოფილეთ საცხოვრებელი ფართით, ისე რომ, ფედერალური ბიუჯეტიდან შეპირებული 4 მილიონიდან თეთრიც არ მიგვიღია.

ჯვარისებრი კონცეფცია საწყალი გური ოტობაიას სამწვერა ნერვის თეორიაა, იგივე შეუთავსებლთა შეთავსების ალქიმია. ეს მიდგომები ერთადერთი თანაქმედების შემოქმედი კაცის ბლოკს გაუთავისებია ჯერხანობით. საქართველოში პრაქტიკულად გადაკვეთილია რუსულ-ამერიკული ინტერესები, (ჩინეთის არნახული აღორძინების შიშით), რომელიც სრულიად ახლებური ბალანსის მომასწავებელია თვისებრივად, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

ბატონი გივი ჯავახიშვილი ბრძანებს ერთგან საქართველოს უსაფრთხოების სარტყელზე და ეს მეხამრიდები უცილობლად ჯვარისებრი კონცეფციაა. მისი მტკიცებით ჩვენ გაცილებით ნაკლები საფრთხე გვემუქრება ჩრდილოეთიდან, ვინემ — სამხრეთიდან. საქართველოს ერთგულ მოკავშირედ კიევის რუსეთი ჰყოლია პერმანენტულად. როცა ჩვენში ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოთხოვნა იფეთქებდა ხოლმე, ჩრდილოეთთან მოკავშირეობით განვიახლებდით სისხლს. თუკი შევთანხმდებით, რომ ქართული ხასიათი ღვთაებრივი რვიანის — სამყაროისეული რიტმიკის ხელშესახები თვალსაჩინოებაა, დანარჩენ მსოფლიოს არაფერში წაადგება გეორგიანულ უჯრედთან დაპირისპირება ასიმილატორული შემოტევებით; პირიქით, დანარჩენი მსოფლიოს გლობალური ინტერესების სრულყოფილი რეალიზაციისათვის, დიახაც, ქართული ეთნოსის დასესხება მართებს გადარჩენის უტყუარ პირობად, როგორც ეტალონის, მატრიცის განვრცობას კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

შტაინერი შეუფარავად მიანიშნებს ლუმერიული ცივილიზაციის, იგივე კოლხურ-იბერიული სამყაროს — ქალდეას მისტერიებზე; რომ ატლანტიკური კაცობრიობა ჩვენეული კროსინგოვერის ნაყოფია; ციკლოპთა კენტი მხედველობა ცნობიერ-სიფარულისმიერის გაორების შედეგია და მხოლოდ ათასწლეულების მერმე მოხერხდება მისი დალუწება, მისი განყოფა, მისი დაახლოება ბუნებრივ მდგომარეობასთან სქემით: პროტონი-ნეიტრონი-ელექტრონი. მაგრამ საკითხი რომ არ გაგვიბუნდოვანდეს, მთავარი ფაქტორი მაინც ფრიქსეს ოქროსმატყლიანი ცხვარია, იგივე კირბი — კირიბი, რომელიც ლამის ტროას ცხენის ფუნქციას იტვირთავს ქალდეველი ქურუმების სამყაროისეული ცოდნის გამოაშკარავების გზაზე.

ღმერთებისათვის ღვთიური ცეცხლი წაურთმევია ამირანს. ეს ხომ იგივე მარადიული სიბრძნეა, მაგრამ პრომეთისაგან ინდოევროპულ ტალღას ვერაფრით ამოურთმევია კაცობრიული საიდუმლო.

მოგვიანებით ზევსის არწივს მოაშთობს ჰერაკლე, როცა ქალდეური ინფორმაციის ბანკი გაიხსნება ოქროს საწმისის მოტაცებით.

უკვე ამირანის საჭიროება ცხადზე უცხადესი შეიქნება, ვინაიდან მოხელთებულ ფორმულას წამკითხავი სჭირდება, ეზოტერიკული ჩანაწერების სპეციალისტი, და ამისთანა სუბიექტი მონობის დამამცირებელი ჯაჭვებისაგან გამოსახსნელი ამირანია — ქართული ეთნოსის კრებსითი სახე. სხვანაირად, არიული ტალღა, ანუ დღევანდელი ინდოევროპული რასა მთელი დედამიწის პასუხისმგებლობით, ვერაფრით ამოხსნის ქალდეურში, პროტოიბერიულში — ქართულში □ქართა წრის, გვირგვინის, ხელდასხმულის სიმბოლოა) შენახულ ატლანტურ სიბრძნეს.

აიაში ტროას ცხენის ფუნქციით შეგზავნილ ოქროს საწმისზე გვითქვამს, რომელიც მსხვერპლად შეეწირება ჰელიოსს, იგივე უზენაეს ღვთაება (ჰ)ელის □ვლ.ალფენიძე), და განხორციელდება უფლისეული ცოდნის ღვთიურ მასალაზე გადატანა, გადანერგვა, გადამარგალება □მარგალი სიტყვასიტყვით დამრგველის ეკვივალენტურია). და ჩამოეკიდება მუხის კენწეროზე. გაიხსენეთ კოლხების მიერ მიცვალებუ- ლის დაკრძალვის ტრადიცია. გარდაცვლილს ისინი ხარის ტყავში გახვევდნენ, (რადგანაც ცხვრის ტყავი საამისოდ გამოუსადეგარია), მომშვილდულ კენწეროზე დაკიდებდნენ და მსხვერპლად მიართმევდნენ ჰელიოს-მანათობელს.

აქვე ისიც შეიძლება ითქვას, რომ დედამიწის ზურგზე არავინ ენათესავება ებრაელს ბიოლოგიურ-თეოლოგი- ურად, როგორც კოლხი, მეგრელი. ეს ორივე ეთნოსი ზედმიწევნით ყირმიზია, ხშირად წითურობისკენ მიდრეკილი და კიდევ უმთავრესი — ორივე ამ ხალხს ერთიანი ღმერთი მოეპოვება სულმისაყრდნობელ ძალად; როგორც იეღოვას, იაჰვეს მიენდობა ბოლომდე იუდეველი, ისე დუდოღორონთს, იგივე მამაღმერთს ელოცება კოლხის სული.

— დუდო ღორონითი, სქან ოროშ გოლვაფროო,* — იტყვის მეგრელი და ამ რიტუალში არაფრისდიდებით გაახსენდება მართლმადიდებლური სამების ბოლო ორი იპოსტასი — ძე ღმერთი და სულიწმიდა.

დანარჩენი ტექნოლოგიის საქმეა.

აპოლონიოს როდოსელისაგან გამოწვლილვით შეგვიტყვია, თუ როგორ და რანაირად დაიბრუნებენ ბერძნები ტყუპისცალი და-ძმის ოქროსმატყლიან ვერძს, ოღონდ უკვე სამყაროისეული ცოდნით გამდიდრებულს. ახლა ეს ცხვრის ტყავი მართლაც ნებისმიერ საწმისს აღმატებია თავისი საკრალურობით, მენდელეევის პერიოდული სისტემის მნიშვნელობისაა თანამედროვე ქიმიკოსთათვის. მოკლედ, ოქროს საწმისი ატლანტიდის, ქალდეას, კოლხეთ-იბერიის სიბრძნის დანარჩენ მსოფლიოში განფენის მზაკვრული ხერხია, ტროას ცხენივით საცდუნებლად გადმოგდებული ანკესი და ამგვარი ვერაგობით განსრულდება კიდეც ფარული სიბრძნის გახსნა.

აბა, შემთხვევით როდი იტყოდნენ ელინთა ისტორიკოსები: კირბები — ოქროს საწმისი — ეს პირდაპირ არ უნდა გავიგოთ, რანაირადაც ზოგიერთი შთაგვაგონებსო, არამედ ეს იყო ცხვრის ტყავზე ნაწერი წიგნები იმის თაობაზე, თუ ქიმიის მეშვეობით როგორ მოეპოვებინათ ოქრო და ვერცხლიო. როცა ციცქნა ჭაშნიკი ამას მეტყველებს, თავად ინფორმაციის აურწყავი აუზიცაა სავარაუდებელი და არაფერია გასაკვირი, რომ ქართული ანბანის, ქართული ასომთავრულის მიხედვით ნოდარ ხვედელიძე 114 ქიმიურ ელემენტს აფიქსირებს უკვე თავთავიანთი ატომური კუთრი წონით. დიდი ცოდნა უეჭველად არსებობდა, რომელიც განიბნევა, დაიკარგება დროთა ვითარებაში და ახლა მისი რესტავრაცია მხოლოდ ქართული ეთნოსის საშუალებითაა მოსახერხებელი, ვინაიდან ერთადერთ სამხილ მასალად ხუთიოდე მილიონი გადარჩენილა — კაცობრიობის სულიერ-ფიზიკური უჯრედი, პალადიუმი, ეტალონი, მატრიცა.

ახლა ჩვენს სიტუაციასთან გადავჯვარედინდეთ.

გადაჯვარედინებას ჩვენ კროსინგოვერსაც ვეძახით — გენიურ შეჭიდუ-დულობას, ხურჯინს. შეგახსენებთ პასაჟს 1999 წლით დათარიღებული წერილიდან ,,კოსმოსური წესრიგის მატრიცა'': აბზაცებს იქით საუბარია ახალი მიმართულების მშენებლობაზე, რისი წყალობით ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდება ატლანტიკა-ჩრდილოეთ ყინულოვანისა და ინდოეთ-წყნარი ოკეანეების ცივილიზაციათა მომრიგებელ ენერგიად, მედიატორად, შუამავლად, შეუთავსებლთა შეთავსების ალქიმიკოსად, ვისთვისაც უმთავრესი კრიტერიუმი საკუთარ თვითმყოფადობაში დაკრისტალურებული კაცობრიული ფასეულობის გაცემის, გაღების, განთესვის აუცილებლობაა საყოველთაო სინქრონიზაციის სახელით.

„საქართველო მართლაც დაემსგავსება ჯვარს, რომლის ჰორიზონ ტა ლ- ური X-ღერძი — „დიდი აბრეშუმის გზა“, „ნავთობ- სადენია“, იგივე ხიდის სიმბოლიკა თვისებრივ-შინაარსობრივად განსხვავებულ ორ მსოფ- ლიოს შორის; ხოლო რაც შეეხება ვერტი-

კალურ Y-ღერძს, აქ ჩრდილოეთისა და სამხრეთის სულიერების ცისარტყელა დაეჭდობა გეზისშიშცეშ სიდიდედ და სინთეზური მიდგომების მეოხებით, შეუთავსებლის შეთავსების ხელოვნებით, საქართველოს პრზიცია სალამანდრასავით ნიშუშად წაადგება მსოფლიოს გლობალური კონფრონტაციების ჩასაცხრობად, რეალურია იგი თუ ჰოტენ- ციური... ორივე ვითარებაში საქართველო გააშართლებს თავის სახელ-დანიშნულებას, ღვთისშშობლის წილხვდომილი ქვეყნის მისიას, ვინაიდან მოგვევლინება, როგორც ენერ-გომატარებლებისა და სულიერ ფასეულობათა ხიდ-არტერიების პლაცდარმი, გზაჯვარე-დინი, ჯვარი, რომელიც თავისთავად ორი ძელის ერთობლიობაა, ორი განზომილების კვინ-ტესენცია, მესამე — სრულიად განსხვავებული თვისებრიობის — ბორჯღალის საზეიმოდ: ეკონომიკურად ძლიერი და სულიერად ჯანსაღი მსოფლიოს საწინდარი“.

ეს პუბლიკაცია სამი წლის წინათ დაიბეჭდება ქართულ მედიაში და ირონიულად გამეღიმება სახე-ლისუფლებო ბლოკის პლატფორმაში რომ ვიხილავ. პარლამენტარი ჯანსუღ ეგზუგბაია სატელეფონო საუბარში მიხსენებს ერთგან ,,სამწვერა ნერვის თეორიას'' და ახლა, როცა 31 ოქტომბერს რჩეულიშვი-ლი ერთხელაც დააზუსტებს ჯვარედინული კონცეფციის რაობას, ერთგვარ შვებას ვიგრძნობ: ან მე, გური ოტობაია, გამოვდივარ სახელისუფლებო ბლოკის თეორიტიკოსი, ან კიდევ უარეს შემთხვევაში, მე გური ოტობაიას სამი წლით ადრე გამომიცნია ,,დიდი აბრეშუმის გზის'' იქს-ღერძით ტრანსკავ-კასიის იგრეკ-მაგისტრალთან შეპირაპირება.

დადებითი ემოციების მომნიჭებელი იმიტომაც არის ჩემთვის ეს მომენტი, რომ საქართველოში ბოლოს და ბოლოს გამოჩნდება პოლიტიკური აზროვნების მოდელი, რომელიც თანდათან შესაბამი-სობაში მოდის სამყაროს რეალურ სურათთთან, დედამიწის პოლიტიკურ მოთხოვნებთან შეწონასწო-რებულ მიმართებებთან. დანარჩენი ოცი თუ ოცდაორი ბლოკი მოკლებულია ამ საკეტურებს. მათთვის მთავარი პარლამენტში მოსვლაა. რაღაც დეტალებით, რაღაც ფრაგმენტებით განუზრახავთ ქართვე-ლი ხალხის დამწყურვალება. მატერიალური დოვლათის შექმნის მექანიზმებს განიხილავენ, როცა ცეც-ხლმოკიდებული დედამიწის ხომალდზე მოკალათებულხარ და პლანეტის სამერმისო ყოფნა-არყოფნა სათუოა, როგორც განსხვავებული ფასეულობების ინდივიდ-კოლექტივების ერთადერთი ნავსაყუდლი-სა მზის სისტემაში.

საქართველოს ფუნქცია ყველგან და ყოველთვის ზოგადკაცობორიული მისიაა, ხშირად ცნობიე-რი, აქა-იქ იმპულსური □ნოე, ამირანი, სტალინი, გამსა- ხურდია) და დარწმუნებული ვარ უახლოეს ათწლეულში ამ ლიანდაგზე გადავა მთელი მსოფლიო.

ანეკდოტი მახსენდება. მეგრელს კახეთში წაიყვანენ ლბილი ,,ლასების'' გამოსასწორებლად. გა-მოხდება ხანი და როცა კითხავენ მასწავლებელ მიხოებს: დააზუთხეთ თუ არა მართებული საუ-ბარიო;

— როგორ არა პატენიო, — შეეხმიანებიან იქიდან ჩემი ჯაგარა კახელები.

ამგვარი სულისკვეთებით მოქართველოვდება კაცობრიობა უახლოეს პერიოდში, ვინაიდან ეს პროცესი ერთხელ და სამუდამოდ დამუშავებულა უჯრედის, მატრიცის, ეტალონის დონეზე; ერთ-ხელ და სამუდამოდ გარდახდილა საქართველოში ნაწილისა და მთელის შერწყმა, დაზავება, რისი უმეტოქო მტკიცებულება ჩვენი პოლიფონიური საგალობლებია, ჩვენი ანთროპოლოგია, ჩვენი ქო-რეოგრაფია, ჩვენი ტოლერანტული დამოკიდებულება უცხო ეთნიკური ჯგუფებისადმი.

საქართველო მსოფლიოსთვის მზამზარეული პროექტია გლობალური, გალაქტიკური პრობლემე-ბის გადასაწყვეტად. აქედან გამომდინარე, მესამე ათასწლეულის პლანეტის მაჯისცემის ინტეგრაციული ათვლა უკვე დაწყებულია საქართველოდან.

ბლოკი ,,ახალი საქართველოსათვის'' სულაც არ ნიშნავს რაღაც სინორჩეს, ან სიქორფავეს ზღაპ-რული ელემენტებით, არამედ არსებული სიმდიდრის თვისებრივად განსხვავებული ჭრილიდან წარმო-ჩენაა, რომელიც ახლად დაწურული ღვინის მსგავსად, დაუხანებლად მოითხოვს ახალ თხიერს (ტიკი), ახალ ჭურჭელს, რაც ,,ახალ მსოფლიო წესრიგს'' გულისხმობს თავისთავში.

პიიტიკოსების გუშინწინდელი წყება კარგა ხანია მდინარე ლეთას დავიწყების ტალღებს მისცემია.

გუშინდელი არავის ახსენდება დღეს, ხოლო დღევანდელი ხვალ და ზეგ გაჰყვება მასქურის მოქ-როლვას ბაბუაწვერას ბულულივით. გური ოტობაიას კი აქვს პატივი მესამე ათასწლეულის მიწუ-რულს თუ მეოთხის დამდეგს ფანდური ჯიუტად უჩხაკუნოს თავისი ხალხის უკვდავებას და მასთან ერთად სრულიად მსოფლიოს ჰარმონიზაციასაც: ოდეს ადამიანი საგრძნობლად მოუშინაურდება კოსმოსს და შესაძლოა დიდი დათვის თანავარსკვლავედსაც ესტუმროს შთაბეჭდილების გასაზიარებ-ლად თუ ახალმოსახლეობისათვის, ვინაიდან სწორედ ეს ხომლეული მიგვიჩნევია ადამიანის სიმეტრი-ის მასაზრდოებელ სამ-ოთხედ, 3-ისა და 4-ის ერთობლიობად; რომელიც ტარიელ ჭანტურიასებუ-

რად, ცაზე გდია, როგორც ჩარუ-სე.

გური ოტობაიას, რომელსაც უფლის კონგენიალური ფრაზა ამოუტვიფრავს სულზე გზის მაჩვენებელ შუქურად: გიყვარდეს მტერი შენიო, რანაირად შეხედავს აუგი თვალით ,,ბურჯანაძე-დემოკრატების'' კრებსითობას?! ან რაში არგია მათ მიმართ აგორებული უცხო ეთნიკური მემკვიდრეობით სპეკულაცია? განა თავად დიდი აღმაშენებელი არ ჩამოავაკებს თბილის-ქალაქში ჰაიკების ნაკადს?! თუმცა შემიხსენებია გამგონეთათვის: ქართველზე უკეთესი განზომილება თავად სამყაროს ვერ მოუფიქრებია აქამდე, ვინაიდან მასში ზედმიწევნით გაწონასწორებულა ყოველი ზოდიაქოლური ნიშანთვისება კაცთმოყვარეობის პრიმატით. და რამდენსაც შევეცდებით ამ სამყაროისეული მონაპოვრების უგულებელყოფას, სასიკეთოს არაფერს ჩავიდენთ გონდახშულობის მეტს, რომელიც თვითლიკვიდაციის უგუნური დამოკიდებულებით უარს აცხადებს კაცობრიობის კენწეროზე ქართული ეთნოსის ნიველირებით.

ცივილიზაციის მაჯისცემიდან ქართველის ამოგდება ჩვენს გალაქტიკაში მზის დაშრეტის ტოლძალოვანია. ირმის ნახტომის გალაქტიკას შესაძლოა არაფერი დაეტყოს ობსერვატორიული გაგებით, მაგრამ როგორი დღე გაუთენდება მის გარშემო მოძრავ პლანეტებს დედამიწის თამადობით, ადვილი წარმოსადგენია. აქედან გამომდინარე, ჩვენ კი არ უნდა ავყვეთ რამერუმეთა ანტისამყაროისეულ ილუზიებს და არ ავუმღვრიოთ საქართველოს საარსებო წყლები, არამედ ყოველნაირად შევეცადოთ მათ დაწდევებას. ეს პროცესი სისხლხორცეულია თითოეული გარშემო მყოფისათვის, ვინაიდან უწინარესად მათთვისაა სასიცოცხლო მნიშვნელობის.

ვაგრძელებ მედიტაციებს საქართველოს კაცობრიული ფასეულობის თვალსაწიერით: მე რანაირად მომიტრიალდება ენა ამ ჭაბუკური შემართულობის მაჭარ-პოლიტიკოსების მიმართ, როგორიც სააკაშვილ-ნათელაშვილია, მაგრამ გაჩერდე, კვლავაც ცოდვის მტვირთველი შევიქნები, რამეთუ მათი რევოლუციური პათოსი ოლიგარქიული საქართველოს მოსპობით და საშუალო ფენის მოდღვების დაპირებებით, უტოპიური კულინარიაა კაპიტალისტური გარემომცველობის პირობებში.

ჩვენ შტურმებით ბიჯსაც ვერ წავდგამთ სოციალიზაციისაკენ ოლიგარქიული მსოფლიოს ჩაუკითხავად.

აქ ქონებრივი დონეების დაბალანსება ზიარი ჭურჭლის პრინციპით, ევოლუციური თანაქმედების პირმშო უფროა, ვინემ ხელის ერთი დაკვრით პირამიდების აღმართვა ქვიშატალღოვან უდაბნოში. ასე რომ, ეს პარტიაინკები რომც მოხორხოცდნენ ხელისუფლებაში შთამბეჭდავი ოდენობით, მათ არ გააჩნიათ უმართსამართის ის იარაღი, რომელსაც ჯვარედინული კონცეფცია ჰქვია — კროსინგოვერის მაჯისცემა გენური შეჭიდულობით; შეუთავსებლთა შეთავსების ალქიმია ახალი აზროვნების თანაქმედებით. თუმცა ჩვენთვის თითოეული პიროვნება სამყაროს განუმეორებელი სამკაულია — სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. მოკლედ, ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც დღემდე გადადგმულა, სინამდვილეში მომავლისთვის მუხლჩაუხრელი რუდუნია დროსა და სივრცეში.

ხუთჯვრიანი დროშების ალყაში

მართალია, 5-ჯვრიან დროშებს ააფრიალებს საპარალმენტო არჩევნების ნუსხაში 5-ნომერხვდომილი მიხეილ უდრეკელი; მართალია, ბილბორდზე წარამარა შეცვლიან სამონასტრო ციტადელებს ბურჯანაძე-ჟვანია, ხან სამების ტაძარი აიზიდება იქ შევარდნაძესთან სულიერი კავშირის დასტურლამალად და ხანაც — ჯვრის მონასტერი — ხელმწიფობის პრეტენზიით; მართალია, იშვიათ შუალედურობას იჩენენ ,,მემარჯვენე''- ცენტრისტები და უკიდურესი გაწიწმატების ჟამს ავიწყდებათ, რომ მათი მორჭმულობის პირველი ფსონის ჩამომსვლელი ბატონი ედუარდია, მეტიც ,,ახლების'' ოლიგარქიული ხერხემლის თითოეული მალა შევარდნაძისგან გამოწურულა საინვესტიციო ჭაჭიდან. თვით ლეიბორისტული აზატის მოღვაწეობა ქვეყნის პრეზიდენტის გაუგონარი ტოლერანტობიდან იკვებება, საზრდოობს, და საორნოემბრო არჩევნების პოტენციურ სივრცეს გროსმაისტერის ინტერესით თუ ჩაუჟინდები, აღმოჩნდება, რომ ბატონი ედუარდის აუდიტორია ბოლომდე არ ნაწვრთნილება ჯუმბერის გულისხმიერებით; ბოლომდე არ უსწავლიათ ოსტატის პოლიტიკური თამაშის ყელა ხერხი და საშუალება; უმთავრესი უმართსამართი იარაღის აუთვისებლად მოცილებიან გამზრდელს, თუ თავად სანსეის მოუშორებია ხალასი ნიჭის დამოუკიდებლობაში გამოსავლენად. სხვანაირად იგი ბოლომდე გაეხსნებოდა რჩეულთ, ხელდასხმულებს ხეზე ძრომიალის კატისებურ მანერებს მიუბოძებდა; ჯვარედინულ კონცეფციას არაფრისდიდებით მოიტოვებდა ყველაფრის განმსაზღვრელ ბოლო აკორდად, დიახაც, საკაცობრიო მნიშვნელობის ეს თეორია წარმომესახება ხელოვანი კაცის მარადიჭვნეული ინტუიციით. ამ ჯვარედინული კონცეფციის შესახებ ახალუხებმა არაფერი უწყიან, თუმცა

კი გური ოტობაიას წერილები სამი წლის წინათ გამოქვეყნებულა ქართულ პერიოდიკაში. დიახ, უმეტესწილად ისინი პიიტიკოსები უფრო არიან, ვინემ პოლიტიკური მოღვაწენი, რადგანაც არაფერს კითხულობენ პერიფერიულს და ცინცხალ ნააზრევს რაში დაგიდევენ.

მე სამი წლის წინათ ამომიხსნია ,,დიდი აბრეშუმის გზის'' პროცესში ჩრდილოეთ-სამხრეთული მაგისტრალის აუცილებლობა, რათა საქართველოს სინამდვილეში ეკონომიკურ-სულიერ ფასეულობათა წრედი შეიკრას; რუსეთის გაქანებული ქოქოლას ვითარებაში ამოვიკითხავ მათი დაუხანებელ მონაწილეობას შევარდნაძის გეორგიანულ მისტერიაში; მაგრამ ნუ გადავუსწრებთ მოვლენებს და ბარემ ისიც ვაღიაროთ, რომ საქართველო ესოდენ მოკლე დროში მოახერხებდა კი ამხელა დიაპაზონის სტრატეგიული სივრცის მოპოვებას? შევარდნაძე მაღალი რეიტინგის წყალობით გენიალურად მოარგებს საქართველოს გეოპოლიტიკურ უპირატესობებს მსოფლიო მოთხოვნებთან. აქ ბიზნესვეშაპებისთვის თუ ბიზნეს-ღლავთათვის საჯილდაო ქვად შეთავაზებულია ,,დიდი აბრეშუმის გზის'' ათასი წახნაგით რაფინირებული პროექტი ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შესაქმნელად და მთელი 8-10 წელიწადი კაპიტალცვენაა საქართველოს დამეხილი ციდან.

აჰა, მოპოვებულია ლამის საუკუნის მაგისტრალის ბერკეტები; ,,მერსედესის'' კრიალა ავტომანქანებით გაგზავნილია პირველი ტვირთი ფოთის კარიბჭიდან ავღანეთის მიმართულებით; ჰოდა, ამისთანა ვითარებაში უწყინარ ცარგვალზე მეხის გავარდნასავით გაჟღერდება სასტუმრო ,,მერიოტის'' დარბაზში ჯვარედინული კონცეფციის თაობაზე, რომელიც ფაქტობრივად კავკასიური მათლაფის მოდუღებაში რუსების სრულფასოვანი მონაწილეობაა.(აშშ-ს ხელს არ აძლევს რუსეთის დასუსტება კავკასიაში კოლოსალურად მზარდი ჩინეთის ფონზე).

ახლა კი შეფუცხუნდებიან სრულიად მოულოდნელი განცხადებით რეტდასხმული საინვესტიციო სუბიექტები და ხალხის გულისწყრომის ასაგორებლად ყველაზე რეალური საფუძველი ისევ საორნოემბრო არჩევნების კანონიერება გამოტყრება; თუმცა ჩრდილოეთ პოლუსიდან სამხრეთისკენ უკვე ღონივრადაა გავლებული ხნული აბსტრაქტული იგრეკ-ღერძის აღმოსაცენებლად და რამდენიც უნდა იჩირთიფირთოს მაილსმა ოპოზიციის კარდაკარ, უფრო სამოგებო საფანელს ვერსაიადან დაქოქავს.

წესით, ფლორიდული საარჩევნო გამოცდილების უფლისწულმა ბუშ-უმცროსმა, საერთოდ არ უნდა დაძრას ხმა არჩევნების სამართლიანობაზე, ისე, როგორც ჩამოხრჩობილის ოჯახში თოკზე საუბარს გაურბიან.

ეგზითპოლებს ებღაუჭებიან? ინებეთ, ბატონებო, თქვენი ,,რუსთავორული'' ეგზითპოლები მიკერძოებული არჩევნების სამახსოვრო კადრებად!

ორი ნოემბრის საარჩევნო ტატამის ბედი გაცილებით ადრე გადაწყდება საქართველოში, კენჭების ჩხრიალამდე 75 დღით ადრე ურეკში, ,,იმედის ქალაქის'' პრეზენტაციაზე საკრალული მინიშნებებით.

ამიერიდან უფრო ხელშესახებად გამოიკვეთება ჩემთვის ქვეყნის პრეზიდენტის აისბერგული აღნაგობა: **იგი მაქსიმალურად გამოიყენებს „ციცი ოშის“ განშუხტვისას მოპოვებულ რეიტინგს საშშობლოს ფუნქციის მოსა- პოვებლად. საამისოდ შეუფერხებლად დაწინაურდება ოლიგარქიული აზროვნება — იგივე თოფაძე-გაჩეჩი- ლაძენი, ბურჯანაძე-ჭყონიები, ინჯია-ჩხაიძენი, სხვანი და სხვანი, რათა გიჟ-ვრაცუებად მონათლულმა უხეირო ქართველებმა ფული იშოვონ, მაგრამ ოლიგარქიული აზროვნების დიქტატი ბატონ ედუარდს უფრო თამაშის მშვიდი ატმოსფეროს დასამკვიდრებლად სჭირდება. სხვანაირად კომპანიონები არ ერწუმნებიან საინვესტიციო გარემოს უსაფრთხოებას და ამ პროცესში, როგორც სასურველი მიზნის იშვიათი პერსპექტივის ქვეყანას, ლამის წამლეკავად მოაწყდება გრანტებისა და კრედიტების ნაკადი. ჯერ ეს ნიაღვარი უცხოური კაპიტალისათვის უკონკურენტო ბიზნესმიმართულებაა ყამირ არეალში, მაგრამ აი, „დიდი აბრეშუმის გზის“ პროექტის ამოქმედებიდან, ხმას ამოიღებს დარიალის უღელტეხილი, თერგის ღრიალით ხატოვნად, იგივე ჯვარედინული კონცეფცია, და აქამდე უმეტოქო ატლანტურ-ევროპული ბიზნეს-გარემოც დაფაცურ- დება.**

აი, უმთავრესი რეალობა. აი, ბატონ ედუარდს რისთვის და რის გამო დასჭირდება ოლიგარქიული საქართველოს გასცენიურება, თორემ იშვიათია დედამიწის ზურგზე პიროვნება, რომელსაც სიცოცხლის კენწეროზე მაინც გულით არ სწადდეს მშობლიური ქვეყნის აღორძინება, წინსვლა. დიდი ვეზირი სოკოლიც გასდებს ხიდს დრინაზე ივო ანდრიჩის რწმუნებით, მიუხედავად ორმხრივი გააფთრებული წინააღმდეგობისა მუსულმანურ-ქრისტიანული მსოფლმხმედველობის გადასაჯვარედინებლად, შეუთავსებლთა შესათავსებლად, კროსინგოვერისათვის.

ჯვარედინული კონცეფცია, რომელიც აბსოლუტურად უცნობი აღმოჩნდება ,,მოქკავშირის'' განაყარი ახალუხებისათვის, უსიტყვოდ ასახელებს ამ იდეის სულისჩამდგმელ ფიგურასაც — ასეთი პიროვნე-

ბა მხოლოდ გარეგნული რეცესიულობითაა ვაკანტური. სინამდვილეში კი ჩვენეული ვერსიით ათასწ-ლეულობით დაკონსერვებულ ქართულ ბუნებაშია საძიებელი, იგივე 4 ათასი წლით მიძინებულ ეთნოსში, რომლის მეშვეობით მთელი მსოფლიო განიკითხება იოანე-ზოსიმეს მესიანისტური წინას-წარმეტყველებით — იგივე ,,კრიმანჭულსა'' და ,, ლილეოში'', ,,ჩაკრულოსა'' და ,,ოდოიაში''; იგივე მრა-ვალერთიანეობის პრინციპში, თანაქმედებაში, შეუთავსებლთა შეთავსების ალქიმიაში, ყველაზე უმთავ-რეს არგუმენტში ამწამიერი მიდგომებით — ქალის პროტოქართულ კულტში, ქალის ფენომენის დაწი-ნაურებაში მატრიარქატული მემკვიდრეობით, ათასწლეულობით ადრე, ვიდრე ამას ცივილური მსოფ-ლიო მოიაზრებდა — დედაბოძში.

ნებისმიერი ეჭვმიუტანელი სულიერი ფასეულობის მსაზღვრელი სიტყვა ჩვენებურად ,,დედაა'': დედასამშობლო, დედამიწა, დედასამყარო და ასე შემდეგ. ამ ტრადიციას გაცილებით ხნიერი ფესვები მოეპოვება კოლხურ ლექსში, სადაც ჩვენი პლანეტა ამგვარად მეტყველებს: ბჟა დიდა რე ჩქიმი, თუთა — მუმა ჩქიმი, ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი — და დო ჯიმა ჩიქიმი — მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი, სავსე-სავსე ვარკვლავები — და და ძმაა ჩემიო, აცხადებს ვაჟასებურად სულჩადგმული ჩვენი ერთადერთი სამყოფელი დედამიწა. იგი თავისი მდებარეობით სიცოცხლის ფორმულაა კოსმოსურ სივრცეში. უფ-რო ხელშესახები თვალთახედვით კი — კაცობრიობის უკვდავების გარანტი და წინაპირობა ჩვენი სამ-შობლო, ჩვენი დობადონა, ჩვენი ლარდა და ოდაბადე.

დედამიწას გოჯისხელა საზღვარი არ გააჩნია სხეულზე ქართველი კაცის კოსმოგონიით და ამავდრო-ულად სავსებით მიუსაკუთრებია იგი, როგორც ნივთი, როგორც განძი, როგორც საზრისი. ანუ წარ-მატებულად გარდახდილა ნაწილისა და მთელის სინთეზი; მიღწეულია უჯრედისა და სრულიად სხე-ულის არქიტექტონიკის სინქრონიზაცია. აქედან გამომდინარე მესამე ათასწლეულის მსოფლიოსათ-ვის ჯვარედინული კონცეფციით შეთავაზებულია შემდგომი თანაარსებობის თუ თანამოღვაწეობის ქართველური მოდელი, სადაც დიდ ქვაბში ვერჩატეული განზომილება პატარაშიც მშვენივრად თავსდება; სადაც პატროფილური განცდა ჩინებულად ბინავდება კოსმოპოლიტურ მისწარფებებში და აბსოლუტურად გამორიცხავს ძლიერისაგან სუსტის დაურვებას, გრანდიოზულისაგან ცეროდე-ნის გასრესვას, არამედ ორივეს მიუჩენს ოპტიმალურ ადგილს მსოფლიო წესრიგის მისაღწევად.

ყველაფრის გათვალისწინებით ბატონი ედუარდის ხის კენწეროზე სასეირნო ბოლო ილეთად შე-მონახული ორი ძელის დატრიალების საიდუმლო, ჯერხანობით მხოლოდ გური ოტობაიასათვისაა გაცხადებული და ისიც — სტერეომეტრიული კონტურებით, რომელიც ვიზუალურად 8-ბოლოიან გეომეტრიულ სხეულს — ბორჯღალს წარმოქმნის, □და არა ეზოტერიკული ცდომილებით შვიდკუდი-ანად გამოსახულს თავისუფალი საქართველოს გერბზე) ამ რიტმულობით გაწონასწორებულ მსოფ-ლიოს, პოლიფონიური საგალობლებივით უკიდურესად თანაზიარს განსხვავებული ენერგიების ჭიდილისას, როგორი ვიბრაცია-მუხტისანიც იყვნენ ისინი; რანაირი ბეღელ-ხაზინისა თუ არსენალ-ციტადელისა. ეს ყოველივე დაახლოებით ზიარი ჭურჭლის თეორიაა, რისთვისაც აგრერიგად იკლავენ თავს ენგელს-მარქსები თუ ლენინ-სტალინები; რის გამოც ესოდენ აქტიურობენ საკაშ-ვილ-ნათელა- შვილი თუ ბურჯანაძე-ჟვანია; ანუ უფრო კონკრეტულად საშუალო ფენის აბსოლუ-ტიზაცია: როცა ქვეყანაზე იქნებიან მდიდრები და არ იქნებიან ღარიბები; როდესაც საწუთროში იმოღვაწებენ ჭკვიანები და ასპარეზის საშუალება არ წაერთმევათ რიგითებს; რაჟამს სასწაულებს მოახდენენ გენიოსები და ქვების სროლას არ დაიწყებენ სალოსები. ამგვარია ჯვარედინული კონ-ცეფციის ბორჯღალად გადაქცევის პერსპექტივა უახლოეს პერიოდში.

ეს სამერმისო სვლები 31 ოქტომბრის შუაღამით ფიქსირდება ქაღალდზე და რანაირი ზიგზაგი-თაც დაიხაზება მომავალში ქართული საზოგადოების შინაგანი ენერგიის ბალანსის კარდიოგრამა, გარდუვალობის ნიშნითაა ცხებული, ვინაიდან სხვანაირად წყალში ჩაიყრება არათუ საქართვე-ლოს განუხრელი აღზევების რეალობა, არამედ თვით ჰარმონიული მსოფლიოს აშენების აქსიომაც. ეს იგივეა, რაც ენდემური ,,კოლხუს ალნუსებისა'' და ,,იბერიკუს ქვერქვუსების'' ბატონ-პატრონებმა, ზურგი შევაქციოთ ავსტრალიურ ევკალიპტს, ამერიკულ სიმინდს, ჩინურ ტუნგოს და ჩაის; თავიანთი უცხოური წარმომავლობის გამო უკლებლივ გავაძევოთ ისინი ჩვენი ეკოსისტემიდან.

საქართველო ძლიერი იმითაც არის , რომ დიდის ხელოვნებით ახამებს ერთმანეთთან შეუთავ-სებელ განზომილებებს. მოვა პერიოდი, როდესაც სრულიად მსოფლიო თავაღერილი შეიკრიბება მრგვალი მაგიდის გარშემო და სიტყვა ,,სამშობლოს'' მეტ საკრალურობას მიანიჭებს — პატროფი-ლურ განცდებს ,,დედამიწას'' ჩაუნაცვლებს მომავლის სახელით.

POLI , POLI , EGZITPOLE

ალან დალესისა და ჯონ რედტკლიფის ბალღამ-სამსალათა ჭაშნიკისას ჩვენ თავბრუალით ვიგემებთ პატარა ერების იავარქმნის მზაკვრულ პროგრამებს ახალგაზრდობის გათახსირების პრიორიტეტით, აულაგმავი პრესის ფონზე.

ბეჭდური პროდუქციის მხარდამხარ განსაკუთრებული ადგილი საეთერო მედიას ეთმობა. აკი, პროლეტარიატის ბელადიც მიანიშნებს ერთგან კინოს უსაზღვრო როლის თაობაზე მასების მართვის საქმეში.

ჰოდა, ცივილიზაციის სემოფილი ლუციფერები გულუხვად დაფინანსებულ თავიანთ სანდო ინსტრუქტორებს იმთავითვე აპროგრამებენ მასმედიის აღვირების ხელში ჩასაგდებად. ეს სადავეები, ოპოზიციას რომ მოუბღუჯავს ახლა საზოგადოების ცნობიერების სამცხენიანი მარხილის სანავარდოდ, ბრმათათვისაც თვალშისაცემია.

ხელისუფლების ჩაჩქან-მუზარადი, ცენტურიონების ფარი და მახვილი, ძალადობის ფაქტორად აღიქმებოდა ყველგან და ყოველთვის, როცა ათასწილ დამანგრეველ დივერსიებს ლამბავს სულში ცისფერი ეკრანი, რადიო-ტალღა თუ საგაზეთო სვეტი.

ორი თვეა თვალს მივადევნებ ,,ღამისმზერელების'' მეტამორფოზას და დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ ამ ტელეარხის პოლიტიკურ კონტურებს ჩხარტიშვილის ბატონკაცობა აშკარად დაეტყობა. ახალი მეპატრონე ექსცენტრიული გრიგოლხეს ვულკანურ ტემპერამენტს ყველასათვის უჩინარ თვინიერების ჟილეტს მოარგებს და იმდენს მოიმოქმედებს ეს ჟილეტი არჩევნების სასრულს, რომ ქვეყნის პრეზიდენტს იქით მიეახლება, ოღონდ კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში კი არა, საგურამოში.

კრწანისი ავად დაცდილი ვერბალური ცნებაა ქართველი კაცისათვის, მაგრამ ისტორიას არ უყვარს ასლები, ტრაგედიები ყველგან ფარსის სახით განახლდებიან ხოლმე, რამეთუ გვსმენია: ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ არაფრით შეისვლებაო.

პირადად ჩემთვის თავისი ადამიანური სულგრძელობით ორმაგად ამაღლდება ეს მოჭარბებული ვნებათაღელვის კომენტატორი. მართლაცდა, ისეთი რა მოხდა? რომელიღაცა გადაცემის დროს ქვეყნის პრეზიდენტი ხაზზე გამოვა კონსტიტუციით მონიჭებული აზრის გამოსახატავად, ხოლო ეტნასავით ფეთქებადი ჩვენი ინგა, საინფორმაციო წყაროს დაუხშობს.

რამდენად სამართლიანად მოიქცევა ამ შემთხვევაში კოლეგა, განსასჯელად ომბუდსმენი დევდარიანისათვის მიმინდვია, თუმცა შემდგომ, სიტუაცია მთლად ჩაბანძდება და მშფოთვარე ჟურნალისტს სამსახურიდან დაითხოვენ.

ჩვენ ხომ ჩვენი პატრონყმური ფსიქოლოგიით ხელისუფალთა მოთნეობის დიდოსტატები გვეთქმის უკლებლივ?! კაცობრიობის დამანგრეველი განუყრელი სენი, დიახაც, სერვილიზმია და პრეზიდენტის გარემოცვა გრიგოლიას უსულგულოდ მოისვრის პირველი ტელეარხის გემბანიდან.

გაიხსენეთ 2 ნოემბერის არჩევნებზე პირადი დაცვის სამსახური როგორ ჩამოაშორებს პრეზიდენტს შინაგანი მოკრძალებით ისედაც უკუმდგარ ელექტორატს თუ მომსახურე პერსონალს. ეს გაფაციცებული ყურადღება ერთგვარი ჟესტია ხელმწიფის წინაშე: ხედავ როგორ გიფრთხილდები?! მოკლედ, გრიგოლხეს სამსახურიდან დათხ- ოვნით პირველი არხი პრეზიდენტს დაუამდება: აი, როგორი ერთგული ვარ! არადა, ადამიანური პოზიციიდან ჩვენი ინგა გაცილებით გულწყვილია კაცობრიული ფასეულობების მიმართ, ვიდრე სახელისუფლებო ტელევიზიის ,,ტროიკაზე'' ამხედრებული მესვეურობა.

ქვეყნის პრეზიდენტთან გრიგოლიას ინტერვიუს ფრაგმენტსაღა მივუსწრებ. ორი დღის შემდეგ სრულფასოვნად აღდგება ჩემი საგურამოში გამართული დიალოგის თითოეული სახსარი, მაგრამ იმ წუთას ჟურნალისტების მოლერწმეობაზე საუბარი ამნაირად დაკონკრეტდება: ეს შენ ნაკლებად გეხება, შენ პრიმა ხარო და გონებაში იქვე წავამატებ მსაზღვრელს — ,,დონა, პრიმადონა''. დიახაც, ჩვენს თვალწინ ჩამოიძერწება გრიგოლიას მოქალაქეობრივი სახე, როგორც საარჩევნო სივრცის მინიატურული სინჯი.

ერთხანობას რამდენჯერმე ვცდი სტუდიაში ვეახლო მომხიბვლელ კომენტატორს. მოვიმარჯვებ კიდეც კალამს, ჩამწერს და ობიექტივს მოხიბლულ გულთან ერთად, თუმცა სპორტის სასახლემდე სამგზის მიღწეული, სამივეჯერ უკან მოვბრუნდები. დარწმუნებული ვარ, როგორც კი ჩემს უჩინარ მზერას დაიგულ-

ვებდა წამყვანი, ერთგვარ ბორკილს შესძენდა მის სილაღე-ბუნებრიობას გამუდმებული დაჟინება ესე. გრიგოლია ხომ დიდხანს ტკეპნის ქართული ტელეეკრანის გუმბათი ჯულიეტა ვაშაყმაძის გალარულ წავარნებს, მაგრამ დროთა ვითარებაში შინაგანი ქოლერიკულობით გადაასწრებს კიდეც, მართლაც-და, მშვენიერ-ამაღლებულ წინამორბედს.

ჰოდა, მეც დრომდე ინკოგნტობას ვამჯობინებ.

2 ნოემბრის ღამით მთელი ხუთი საათი იწვის კომენტატორი მაყურებლის წინაშე ეკრანიდან ფეხის მოუცვლელად. ფინჯან ყავას მოყლუპავს და ეგ არის. ჭკუადამჯდარ ბევრ პოლიტიკოსს მოხვდება თვალში მისი შესაშური ჟურნალისტური წონასწორობა, ოქროს შუალედი (382 : 618), თუმცა უმჯობე-სია მოვუბრუნდეთ წიწამურიდან საგურამომდე გალამბულ დიალოგს.

ბატონი ედუარდის მთავარი კოზირი კვლავაც რკინის ნერვებია. ხელს დაარტყამს მაგიდას ქვეყნის პრეზიდენტი:

— ხმა მიეცით იმ პიროვნებას, რომლის სინდისიერებაში ეჭვი არ გეპატიებათ. ჩვენ უნდა დავუმტკი-ცოთ მთელს მსოფლიოს, რომ სამართლიანი არჩევნების ჩატარება შეგვიძლიაო.

დასახელდება ბუშის წერილი, სადაც შავით თეთრზე დაფიქსირებულა საქართველოს ჭეშმარიტ დემოკრატიულ ქვეყნად გახდომა. იმსჯელებენ ძალადობის ფაქტორზეც, რათა ზეწოლა გამოირიც-ხოს, როგორც ხელისუფლების, ისე — ოპოზიციის მხრიდან.

— შევიტანე წინადადება პარლამენტში მოსყიდვების საწინააღმდეგოდ, — ბუნებრივია პრეზიედ-ნტის კილო, — მაგრამ ბურჯანაძის გუნდი საამისოდ ვერ მოიცლისო, — დაასკვნის გულისტკივილით იქვე. — სისხლხორცეულად ვარ დაინტერესებული გაუყალბებელი არჩევნებით, როგორც პრეზიდენ-ტი, ისე ადამიანი, სხვანაირად ჩვენთვის ტრაგედია იქნებაო, — გულწრფელია ბატონი ედუარდი და როგორც მოვლენების განვითარება დაგვანახებს, განხეთქილების ვაშლის ფუნქციას დასავლეთთან, დიახაც, არჩევნების ტოტალური გაყალბების მექანიზმი შეასრულებს.

,,ვარდების რევოლუციის'' შემდეგ იშვიათი პროფესიულობით ახსნის ქალბატონი მანანა გიგინეშვილი ყბადაღებული სიების წარმომავლობას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საყოველ-თაოდ აღიარებული ნუსხა განგებ და მიზანმიმართულად იჯიჯგნებოდა ოპოზიციისაგან კომპიუტერუ-ლი მანიპულაციებით; უსულგულოდ უპატიურდებოდა დასავლეთისგანვე ლამის ნიმუშად მიჩნეუ-ლი სიები; ფაილებიდან ჯალათის ნაჯახით ისხიპებოდა კორპუსები, ეზოები, უბნები. წყლების ამღვრე-ვის ნაცად ხერხს ოსტატურად გამოიყენებს დასავლეთი მისი უმეტოქო ძლიერების შემოქმედი კაცის წინააღმდეგ. გიორგობის დღეს გიორგი ძლევამოსილის გაწირვით ოლიგარქიული მსოფლიო საბო-ლოოდ გააშიშვლებს თავის შეუწყნარებლობას ორჭოფი ქვეშევრდომების- ადმი.

,,ახალი აზროვნების'' ექსპრესის გადაბრუნების შემდეგ შევარდნაძე ბრიტანულ გაზეთ ,,Daily Tele-graph''-ს სულისშემძვრელ დიალოგს გაუმართავს, რაც ფაქტობრივად უმადური დასავლეთისათვის სილის გალაწუნებაა მისი მორჭმულობის შემოქმედისაგან.

ბატონ ედუარდს ჩინებულად მოეხსენება ვაშინგტონის როლზე ,,ვარდების რევოლუციაში''. იგი შეცბუნებული შეახსენებს მსოფლიოს ,,ცივი ომის'' პერიპეტიებს, და მის უმთავრეს ფაქტორს ამ საშვი-ლიშვილო განიარაღებაში.

,,მე შეერთებული შტატების პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხარდამჭერი ვიყავიო'', განაცხა-დებს პრეზიდენტი და ვერაფრით გაუკრვევია ფინიშის სწორზე ზურგს რისთვის შეაქცევენ. ,,რა მოხდა აქ, ამის ახსნა არ შემიძლია'', კი გაახმოვანებს ბატონი ედუარდი, მაგრამ მან ზედმიწევნით უწყის ჯეკსონის ,,გაფართოების თეორიის'' შესახებაც, რომელიც პოლიტბიუროს კონსერვატორულ აზროვ-ნებას სრულიად უსაფუძვლოდ განაქიქებს ახალგაზრდა თაობის რეფორმატო რული ძალისხმევის დასა-წინაურებლად.

აქ უმთავრესი კაზუსი ჯვარედინული კონცეფციაა, ,,დიდი აბრეშუმის გზის'' ჩრდილოეთ-სამხრეთ მაგისტრალთან შეპირაპირების შევარდნაძისეული კურსი, რომელიც შიშის ზარს დასცემს შეერთე-ბულ შტატებს რუსეთთან გათანაბრებით და ერთგვარი სატყუარა აღმოჩნდება ფრაზა: დაარეგული-რეთ ურთიერთობა რუსეთთანო. თუმცა უმჯობესია მოვლენებს ნუ გადავუსწრებთ და ისევ წინდებულ მასლაათს მოვუბრუნდეთ.

— რას ნიშნავს თქვენთვის ეს მძიმე თორმეტი წელიო, — ჩაეძიება რესპოდენტი და აქ პრეზიდენტისაგან რესტროსპექტულად ჩამოითვლება ჩვენს თავზე ,,დატრიალებული წისქვილი''. ალბათ, უნდა ეთქვა: წისქ-ვილის დოლაბის ქვაო, მაგრამ ასოკირკიტობას მოვეშვათ. — მე ხომ ხელახლა დავიბადეო, — ჭკვიანურ თვალებს მიაპყრობს შვილისტოლა ჟურნალიტს მხცოვანი პოლიტიკოსი. — მე ხომ კომუნისტი ვიყავი რწმენით, მაგრამ შემდგომ დავრწმუნდი, რომ ეს იდეოლოგია მსოფლიოს დაღუპავდა. დასავლეთის და აღმოსავლეთის კონფლიქტში ამ მომენტიდან ჩავერთე. მენდობოდნენ და ეს დიდი მიღწევაა. მართლაც

კარგი ურთიერთობა გვქონდა. თუ ენდობით ერთმანეთს, ისე უნდა ვენდოთ, როგორც შევარდნაძესო, მამა-ბუშის სიტყვებია. მისტერს სმაილსს მეძახდნენ.

— საიდან წამოვიდა ეს ნდობა, — უმთავრეს ძარღვს ჩაეჭიდება ინგა გრიგოლია.

— ღიმილი კარგი საქმეა, — ამბობს პრეზიდენტი მსუბუქი იუმორით, — მაგრამ მთავარი მაინც ანალიზია;

— თქვენს ღიმილში ქვეტექსტებს კითხულობენ, — კომპლიმენტებს არ იშურებს ჩვენი ინგა.

იშვიათია ჟურნალისტი, რომლის სიტყვა ესოდენ მნიშვნელობას შეიძენს ქავეყნისთვის. სანამ კონსესუსის შესაძლებლობაა პოზიცია-ოპოზიციას შორის, გრიგოლხე მოწოდების სიმაღლეზეა „ღამის მზერელების" სტუდიაში. მხოლოდ გიორგობის „ვარდისფერ" დღეებში ჩამოსცილდება იგი განწირულ სიტუაციას.

აქ უკვე პირველობას არავის უთმობენ „რუსთავორელები". ისინი პროფესიონალურად მიძვრებიან მოვლენის უკიდურეს ხვრელებში. აწონილ-აზომილია თითოეული პოლიტიკოსის ნაბიჯი, ჩახველება, ხელის ტრაექტორია თუ თვალის გუგათა გაფართოება-შევიწროვებანი.

„რუსთავი-2"-ის პრიორიტეტი სრულიად აშკარაა მეამბოხეთა სულისკვეთების დასამკვიდრებლად თითოეულ მონაკვეთზე. ყოველი ფრაზა საამისოდაა ალესილ-მომახული. მოგჭამს ჭირს გრიგოლხეს ნეიტრალიტეტი. ნებისმიერ ქმედებაში ჟურნალისტური ოპერატიულობა გადაჯაჭვულია სამეთვალყურეო სამსახურების ტექნიკურ აღჭურვილობას. კინოკამერის ობიექტივი დაივიწყებს მოპასუხე მხარეს. იგი ყლამდე ჩაეფლობა განაყრი ახალუხების პათოსსა და დინამიზმში. ახლო ხედებით მხოლოდ „ვარდების ორდენს" წყალობს, როცა ხელისუფალთათვის შორეული რაკურსიც დამადლებულია.

— გორბაჩოვი გაიხსენებს ბიჭვინთის საუბარს, — ღვთაებრივი შუქი აცისკროვნებს პრეზიდენტის დიალოგს, — ყველაფერი დალპა-მეთქი თავიდან ბოლომდე. თვითონ გორბაჩოვმაც შეიძლება არ იცის რა გააკეთა.

— თქვენ გააკეთებინეთ? — აიტაცებს კითხვას მახვილი კუთხით გრიგოლია.

— არა, კანონზომიერებამ, — კონკრეტულია ქვეყნის პრეზიდენტი.

— ამბობენ, რომ თქვენ იყავით გარიგებული ამერიკელებთანო, — გაბედულია ჩვენი ჯილა.

— მე გარიგების კაცი არა ვარ,— მყისიერია ბატონი ედუარდის რეაქცია, — მე ანალიზი მაძლევს საშუალებას დასკვნები გავაკეთო. ეს ეხება ყველას, გენშერსაც, მამა-ბუშსაც, შულცსაც. რეიგანმა წამოაყენა კოსმოსის ათვისების გეგმა. ამას შეძლებდა ამერიკა, მაგრამ ჩვენ რა გვექნა?! ქამარი მოგვიჭირა? — მოსაუბრეებს ჭიქისთვის ხელი არ უხლიათ ჯერეთ, — საბჭოეთი ამას ვერ გაუძლებდა. ქამარი უკვე იმდენად შეიკრა, რომ ლამის ხერხემალს შევეზარდეთ. და მაშინ ჩავუნერგე ჩემს თავს, რომ ამ ხალხში კლასობრივი მტრები არ დამენახა. ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდი, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები უნდა განთავისუფლდეს კლასობრივი ბრძოლის ურთიერთობებისაგან, — ყურში მეცემა ტავტალოგია — „ურთიერთობის" წინადადებაში ორგზის გამეორება, მაგრამ საუბრის, მნიშვნელობით აღტკინებული ამეებს ყურადღებასაც არ ვაქცევ. — გავიაზრე, რომ სხვანაირად ყოველივე ნიშნავდა მსოფლიო ომს და პლანეტის მოსპობას. ამან ააფორიაქა გენშტაბი. ლიგაჩოვი ბობოქრობს: არ ჰქონდა უფლება ანტიმარქსისტული, ანტილენინური განცხადებისაო. სამხედრო არისტოკრატია განრისხებული იყო ავღანეთიდან ჯარების გამოყვანით. 85 წელს შეჰპირდა გორბაჩოვი ავღანელებს, მაგრამ მერე შეშინდა. ფრაზა გამოყვანის შესახებ ამოუღია.

ვუთხარი: ვიტყვი-მეთქი. ვერაო, მიბღვერს, მაგრამ ხომ იცოდა ჩემი ხასიათი და 15 წუთში მირეკავს: დარჩაო, დამანუგეშა. — პრეზიდენტის ჩვეულ აზარტშია, თუმცა დიპლომატის ჭოტიკასეული ოქროს კვეთა, ოქროს შუალედი (382 : 618), წამითაც არ ტოვებს — სამხედროები გამდიდრდნენ: ფული, ოქრო, ნარკოტიკი. ვერ ელეოდნენ უზრუნველ მდგომარეობას.

— ქუდბედი იყავით. მაინც რანაირად გიმარ- თლებდათ მამათელ ბიჭს? — თანადროულია კორესპონდენტის დამოკიდებულება საუბრისადმი. მოდუნდა მაყურებლის ცნობიერება გროშივით გაცვეთილი თემის ტრიალით. გრიგოლიას გაფაქიზებული შინაგანი სმენა ლოცმანობს ტრივიალურ მასლაათში, ნაცადი ფსიქოლოგივით აღიქვამს ინფორმაციის მომხმარებლის მაჯისცემას.

— ეს არის შრომისმოყვარეობა, — მოკრძალებულად აფასებს ქვეყნის პრეზიდენტი, წესით, თვითნებად უნარებს.

სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას შევიტყობ მის ნამდვილ სადაურობას: ასკანიდან ყოფილან თავდაპირველად. რაღაც კონფლიქტის გამო მამათში გადმოსახლებულან. ბავშვობაში ქუსლი დაუზიანებია და მისი მონოტონიური სიარულიც თურმე იქიდან იკვებება. ფეხბურთის თამაშს, ასკინკილას გაურბოდაო, ინფორმატორმა, თანაც თვითვე განაქიქებს ჭორსა და ნამდვილს:

— აქა-იქ გაიგონებ ხალხში, რომ სოკოლოვსკები არიანო. გურიაში ბევრი რუსული გვარია, მაგრამ გადაკეთება არავის უკადრია. გეხსომებათ გოგოლი დუმბაძის ,,საბრალდებო დასკვნიდან''. შევარდნაძის მტრებს ამგვარი ჩმახებით უნდათ მისი უცხოური წარმომავლობის დანერგვა ქართულ ფსიქიკაში. რაც შეეხება სისხლს, ბატონ ედუარდს საგრძნობლად ურევია იგი, მეტისია, ჰიბრიდული გენეტიკის — ბებია მამის მხრიდან ბერძენი ჰყავდა. ხოლო დიდედა დედის მხრიდან — ებრაელი.

არ ჩამიხედია იმ კაცის პასპორტში, თუმცა რა, ეროვნულობას აღმოვუჩუნდი იქ თუ მამის სახელს?

ყველაფერზე მეტად მხცოვანი გურულის ნათქვამიდან ქუსლის ამბავი ჩამებეჭდება გონებაში.

ჩვილ აქილევსს უკვდავების წყალში განბანენ ბებიაქალები. ამ პროცედურის დროს ქუსლით უჭირავთ იგი და, დიახაც, იმ არეს მოაკლდება ჯავშნის საფარველი.

შევარდნაძის ქუსლის რეალობა ყველაფრის განმსაზღვრელ ფაქტორად მენიშნება. მისი ფორსირებული აღმასველების სათავეთა სათავე ამ უბოროტო ზადიდან საწყისდება უცილობლად.

— დიახ, შრომისმოყვარეობა: თოხნა, წიგნების კითხვა, წერა, — განაგრძობს რესპოდენტი, — მამა მისწორებდა ხოლმე. შრომა, შრომა და მხოლოდ შრომა, დანარჩენი არავინ მყოლია.

იაფფასიანი საყურეები უბრწყინავს ჩვენს ინგას. მაკიაჟისთვის საგულდაგულოდ მოუცლია. აქამდე კამერა მის სახეს ამნაირი სიახლოვით არ აფიქსირებდა. ამისთვის, ჩანს, პრეზიდენტთან სიახლოვეც იზრუნებს. ფრთო შუბლი გონიერებას ასხივოსნებს, ,,ჰომო გეორგიკუსის'' კენწეროა ორიათასის მიწურულს. ისე, ყვრიმალები ამასაც გაურბის ჰორიზონტალურად. ტერფით თხემამდე იმპროვიზაციულია. არანაირი ,,შპარგალკა'', არანაირი გეგმილი, მის წინაშე ხომ კაცი — მატიანე მოკალათებულა — მატერიკი, რომელსაც ყველა მხრიდან ვერ მიუდგები.

— ცოდვა თუ ჩაგიდენიათო, მეკითხებით? — პრეზიდენტი იყოყმანებს წამიერად, — მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და უცოდველი კაცისა რა ვთქვა. გორბაჩოვთან მუშაობისას მე ყველაფერი არ გამიცხადებია მისთვის. ესაა ჩემი ცოდვა. დავმალე, რადგანაც თუ ვიტყოდი, რომ საბჭოთა კავშირი დაიშლება-მეთქი, დავცილდებოდით.

ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლა? სოციალისტური კორუფციის გარდა იყო ნარკომანიაც. კორუფციას ვერაფერი დაძლევს ამ სისტემის გარდა, რადგანაც თავისუფლების სისტემაა, სინდისის, პიროვნების, ბიზნესის. მილიონ ორასიათასმა მიიღო მიწა. ბიძინა ივანიშვილს შევხედოთ. 130 000 მე გადავურიცხე პრეზიდენტის ფონდიდან, დანარჩენი მან მიხედა. რუსთაველის თეატრს, თუმანიშვილის თეატრს ის აკეთებს. ვამაყობ სამების ტაძრით. ეკლესიები მრავლად შენდება, ტაძარი ერთია, რომელიც საუკუნეებს, ათასწლეულებს გაუძლებს. ცოტა მე ჩავრიცხე, დანარჩენს ეს კაცი იხდის. არ არის პატრიოტიზმი? წამოვლენ ბიზნესმენები, — მოყლუპავს სითხეს პრეზიდენტი, ინგას ჭიქა კი კვლავინდებურად ხელუხლებელია.

ქრთამის შემოძლიების ფაქტს უარყოფს ბატონი ედუარდი. შინაგან საქმეთა მინისტრობისას მომხდარა ასეთი ამბავი: ჩემოდნით ფული მიუტანიათ მისი ერთი ახლობლისათვის, ოღონდ საქართველოდან წასულიყო. ეს ქრთამი თურმე მის დაწინაურებას ხმარდებოდა: მისთვის სჯობია, ერთად ცხოვრება არ შეგვიძლიაო, მაგრამ დარჩება შევარდნაძე სამშობლოში და იმ ხელგაშლილ პიროვნებასაც მოუწევს ვირის აბანოში ყურყუტი.

— რა გაღიზიანებთ? — მაყურებლისათვის განსაკუთრებულ თემას ნელ-ნელა უახლოვდება კორესპონდენტი.

— უზრდელობა. რომ არა რკინის ნერვები, ვერ მოვითმენდი ამდენ უხამსობას. ხალხი მომწიფდეს უნდა. ასეთი ცხოვრება არ ვარგა. ასეთი ხალხის კრიტიკას მომავალი არა აქვს. მომავალი აქვს ჩვენს ეროვნულობას. ბევრი მაქვს საწერი. დავჯდები და დავწერ. ესეც საქართველოს კუთვნილებაა.

უკვე მომწიფებულია განშორების წუთი და გრიგოლიაც როგორღაც გარისკავს:

— მაინც რა ჯილდოა ჭანტურიასთვის განკუთვნილი?

დიდსა და პატარას ეს კითხვა უღრღნის სულს — ვის დაასახელებს შევარდნაძე მემკვიდრედ. ამ გამოცანას პასუხი ნაწილობრივ გაეცემა 1999 წლის 9 აპრილს პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს. იქ მიხეილ სააკაშვილის თეთრჩოხიან პატარა ედუარდს ჩვეული ხუმრობით წაეთამაშება ხელისუფალი: აი, ეს იქნება ქვეყნის მომავალი პრეზიდენტიო.

მაშინ დამკვიდრებულ ჟესტად ჩაატარებენ მესვეურის ორაზროვან ფრაზას, ვის განეკუთვნება ეს სიტიყვიერი ანდერძი, ანგელოზ შვილს თუ თავადური სისხლის ჩამომავალი მამას, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, ახალი აზროვნების ბაირახტარი დიპლომატიურია:

— ჩვენ გიგანტური საქმე გავაკეთეთ. ამისი ძირითადი კოორდინატორი მე ვარ. სხვანაირად დიდი ფული დატრიალდებოდა. გია ჭანტურიამ კი ღირსეულად გაართვა თავი. —საკითხი მაინც ღიაა.

ისევ იდილიური გარემო იმძლავრებს, — ნათესავების ქმედებაზე პასუხს ვერ ვაგებ. მთავარი ჩემთვის ჩემი ოჯახის სიწმინდეა. მე მომხრე ვარ ყველანი თანაბრად დაისაჯონ, გნებავთ შევარდნაძისა თუ ჩალაღაჯისა. შური კი არ ვიძიოთ, კანონიერად მოვსთხოვთ პასუხი. რომ არა ნანული, ვერაფერს შევძლებდი. ქალიშვილი, ვაჟიშვილი... ჩვენი ურთიერთობა უნიკალურია. მეუღლისათვის არაფერი დამიმალავს და კიდევ — ორი თანაშემწისათვის.

— ღალატი? — კორესპონდენტი ცაიტნოტშია. მალხაზ ზაუტაშვილი უკვე მიკროფონების განიარაღებას შესდგომია.

— ღალატიც არის და ღალატიც. თქვენ ხომ ჩვეულებრივი ჟურნალისტი არა ხართ?!

დაახლოებით ამგვარია ინგა გრიგოლიას ინტერვიუ ქვეყნის პრეზიდენტთან საგურამოს იდილიურ გარემოში.

2 ნოემბრის საპარალმენტო არჩევნებიდან ნაშუადღევს დავბრუნდები. გლდანის 53-ე საარჩევნო უბანში ეგზითპოლებით თავს არავინ იწუხებს. ეს კუთხე, მრავალი პერიფერიულის მსგავსად, მივიწყებულია მედიისგან. ყვითელნისკარტა კალმები და მოლაღურისფერი ობიექტივები შედარ- ებით თვალშისაცემ ადგილებს სწყალობენ. მეუღლესთან ერთად უპრობლემოდ შემოვხაზავ ხუთიანებს და სარეფერენდუმო ,,დიახს''. შემო- ვხაზავ ხუთიანებს-მეთქი, კი ვამბობ, მაგრამ გაცხადებული უფრო დამაჯერებელი რომ იყოს — ,,ნაციონალურ მოძრაობს'' და საკაშვილს. ამ გულგახსნილობას არავინ მაძალებს, მით უფრო — პოლი- ტიკური ურმის ამოყირავების წლისთავზე, მაგრამ სხვანაირად რიგითი ელექტო- რატის ფსიქოლოგიური სახე წარიხოცება, წაიშლება. ჩემი გადახრა ხუთიანებისკენ ეზოტერიკული მომენტების გარდა, უცილებლად ქვეყნის სოციალური ვითარ- ებითაც იყო შეფიქრიანებული, ანუ პრეზიდენტის ლიბერალურ-ლოიალური ეკონომიკური პოლი- ტიკით შექმნილი ოლიგარქია, რომელიც საშუალო ფენის დაჩმორიკების ფასად გაფხორილა (აქამდე რაღაცნაირი გამართლება ეძებნებოდა ჩრდილოვანი ეკონომიკით მოხვეჭილ კეთილდღეობას — ,,დიდი აბრეშუმის გზის'' საშვილიშვილო პერსპექტივით წაეყრუებოდა ხალხის ნაროფლარით თვალსა და ხელს შუა მილიონრებად ქცეულ შემოდგომის აზნაურებს) და ქვეყნისთვის სასიკე თოს არაფერს მოიმოქმედებდა, ადრე თუ გვიან დაემხობა, გაიწირება-მეთქი.

მივაბიჯებთ ტროტუარზე ცოლ-ქმარი მგზავრების სიმეჩხრეში. რატომღაც სიტყვა ,,მაგთი'' ამეკვიატება. მომხიბლავს სატელევიზიო რგოლი: სახეიერი მწყემსი პირდაპირი მნიშვნე- ლობით გაიგებს სიტყვა ,,გადმორეკეს'' და ცხვრის ფარას არ მოაყენებს შუა რუსთაველს?! თვალწინ გამიცრიატდება მათ მიერ გამოცემული თხზულებანი: გურამ ასათიანის ოთხტომეული, ჭაბუა ამირეჯიბის შვიდტომეული, ძმები კალან- დიების სამტომეული, დიდებულია. და მაინც ნამცეცია ყოველივე მთისხელა ნაზუქებიდან-მეთქი, ვიფეთქებ საარჩევნო კაბინაში თაგვის კუდისხელა დროის მონაკვეთში გალაღებული ოლიგარქების მისამარ თით.

ორი ნოემბრის არჩევნებში ნაციონალების გამარჯვება ჩემი შინაგანი ხმით მრავალმხრივ გამართლებულია: ოლიგარქიულმა ბირთვმა ვერაფრით აღასრულა მატრიცის, ლოცმანის ფუნქცია სამშობლოს გადარჩენის გზაზე, ვიმშვიდებ თავს. ამასთან საპარლამენტო არჩევ- ნებში ენერგიული ძალის გამარჯვების შემდეგ მეიმედება, კარდინალურად შეიცვლება შიდა- სამეურნეო მოქმედების ტაქტიკა. ყურადღების ცენტრში მოიქცევა სოციალური გარემო, ვინაიდან საყოველთაო კორუფციის ჭაობიდან ამოღწევა რაიმე ქმედითი ეკონომიკური პოლიტიკის გაუტარებლად ყოვლად წარმოუდგენელია. საქარ- თველოში გამეფებული მძიმე სოციალური რეალ- ობის პირობებში. ერთ საშუალებას კიდევ ვცდი-მეთქი, ვესესხები აკაკის. ,,ნაციონალური მოძრაობა'' თუკი მართლაც იტვირთავს, გნებავთ ეროვნულ, გნებავთ — სახემწიფოებრივ მისიას, კრიზისი უმოკლეს ხანში დაიძლევა, არადა, ხავსი მოგვეკ- იდა უმოქმედობისაგან დიდს და პატარას, დამარ- ცხებული კაცის ფსიქოლოგიამ დაგვაჩა ჩანაკა...

ფორმულა ყველგან ფორმულაა: აქლემი უფრო გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი დათმობდეს ერთხელ ნაგემებ ნუგბარეულს, ნებაყოფილობით ალაგმავდეს უძღებ მადას. სხვანაირად მშიერი რვაფეხა არაფრით მიაცხრება საკუთარ საცეცებს და თვით ავთვისებიანი კიბოს ბაცილა არანაირად დაუპირისპირდება მის მასაზრდოებელ ორგანიზმს მოსასპობად, რაღაც- ნაირად დაარეგულირებს მოჭარბებულ მიდრეკი- ლებებს, თუმცა ვარაუდები ვარაუდების წილ და უფრო შემაშფოთებელი ის გახლავთ, რომ 2 ნოებრის არჩევნების პანორამა გვაფიქრებინებს, რომ ფულიანი ქართველი მართლაც უგუნურია. იგივე უნიათო შვილია, რომელსაც დედა ჩუქნის ფარნასას მამისაგან საშოვარზე წარგზავნილს და როცა ცეცხლში შეუყრიან ნაჯაფარს, ფრჩხილებით გამოფხოტნის ნაკვერჩხლიდან ოფლნაპკურებ გასამრჯელოს. ამგვარი შინაგანი წყობის არავინ აღმოჩნდება პრეზიდენტის გარშემო, ვინაიდან მისი ლიბერალური პოლიტიკის წყალობით ამ ხალხს ციური მანანები აცვივა თავზე და ლამის უჭკუოდ ანიავებს ცხოვრებისეული სიჭიროებისათვის; ფეშენებელურ კოტეჯებს დახარბდება, ბრჭყიალა საგნებს და სასუსნავს;

არავის აღმოაჩნდება სულში მომავლის წინაშე პასუხისმგებლობის მუხტი; გამართლდება ისტორიული გამოცდილება — წყლის მოტანილს წყალივე წაიღებსო.ოლიგარქიული საქართველო არაორგანული ნამყენი აღმოჩნდება ქვეყნის გაჯანსაღების გზაზე, სიცოცხლის უნარიანი ვეღარ გამოდგება ვინაიდან საშუალო ნიჭის ხალხის უკონკურენტო ტრიალია ბიზნესში.

აქედან ერთ მნიშვნელოვან დასკვნამდე გოჯის- ხელა მანძილია: კაპიტალის მოცულობა კი არ ქმნის ოლიგარქიულ აზროვნებას, არამედ თვით ამ რესურ- სების მოპოვების პროცესი. თავისთავად მატერიალური სიუხვე არაფრის მეტყველია. ვინმე ფანტიაშვილს გეიტსის თუ კირკორიანის მილიარდებიც რომ დაულაგო წინ, ასერგასი დღის შემდეგ მაინც გალოკილი თითივით დარჩება კომერციული უნარების დეფიციტის წყალობით, დაახლოებით ისეთივე უპოვარი, როგორც ,,ვარდების რევოლუციის'' მძიმე გასხვლების შემდეგ. სიმბოლურად, დიახაც, ამ პერიოდს დაემთხვევა რუსთაველის ჭადრების გაკრეჭვა და საქართველოს ოლიგარქიული ბირთვი პროსპექ- ტის გაჩხოტილ ჩინარებს დაემსგავსება ანტიკორ- უფციული ქარტეხილის შემდეგ — მიყოლებით დააპატიმ- რებენ ჟორდანიას, მირცხულავას, ჩხაიძეს, ნუგზარ გოგიას ტყუპის- ცალი ომარის ნაცვლად, ჭიჭიაშვილს; გაცემულია სანქცია მამალაძის დასატუსა ღებლად; ავიწროვებენ მოლაშვილს, იაკობიძეს; უტევენ ასლან აბაშიძეს ,,კმარე ლებით''. იკვეთება ქვეტექსტები შედარ- ებით მაღალი ნიშნულისკენ, მაგრამ, როგორც იტყვიან, თან — საქმე.

დაძაბულობა ტელეეკრანიდან ითესება, თორემ გარშემო ჩვეულებრივი ფაციფუცია. მე ხომ დამკვირ- ვებლის სტატუსიც მომიპოვებია თავიდანვე და აკრედიტაციაც.

ისევ ინგასთან გასაუბრებას ვამჯობინებ. უკვე ნაშუადღევს სრულიად საქართველო ბობოქრობს.

ჩემი მიზანია მიახლოებით მაინც ამოვიკითხო გრიგო- ლიას შინაგანი ომი, მისი არჩევანი. ჯოხის ერთ ბოლოს მე განვასახიერებ, მეორეს — თავად კომენტატორი. მაინც ვის მიემხრობა იგი, გაცვეთილ ცოცხს, ქვიშას რომ მოაყოლებს აქა-იქ, თუ ახალს, ქუჩა-ქუჩა მობორიალეს?! რომელი ძალისგანაა მოსალოდნელი ჰერაკლის მოვლინება ავგია-წუთისოფლის გასაპატიოსნებლად?

ტელეკომპანია ,,მზეში'' მესვეურად ჩხარტიშვილის მოსვლის შემდეგ მუშაობას რომ გააგრძელებს ჩვენი ინგა, აქ გარკვეულწილად გამოკრთება თავისუფალი პრესის ჰეგზამერტით გაწყობილი ხერხემლის ელასტიკურობა. ამასთან, ქვეყნის პრეზიდენტს რომ ეახლება საგურამოში, პრიმადონასავით მოჭიმული, ესეც ერთგვარი მინიშნებაა. დიახაც, ინგა გრიგოლიაა ახლა ჩემთვის ქართველი ხალხის კრებსითი სახე, აღმართ-დაღმართი, შუქ-ჩრდილი, ყოყმანი ,,ჰოსა'' და ,,არას'' შორის. საზოგადოების ნაწილი 2-3 დღის წინათ ამაოდ ეძებდა საკუთარ პიროვნებას საარჩევნო სიებში. იგი უმეტესწილად იქ მამაწაგვრილ ვინა- ობას ნახულობდა, უეროვნოს და უპიროვნოსაც შიგადაშიგ. მაგრამ ჩამოშრიალდება 48 საათი ქვიშის ძაბრიდან და გრიგოლიას ,,ღამის მზერის'' ტაბლოზე კვლავაც ჩამოეკიდება იჭვნეული კითხვა: იპოვეთ თუ არა თქვენი თავი საარჩევნო სიებშიო.

აქ პაწა ლირიკული გადახვევა მოვიშველიოთ.

უცხოურ კაპიტალს არასამთავრობოების წკავწკავი ბიზნესის უსაფრთხოებისათვის სჭირდება. ეს იგივე გენერალ მოლას მიერ ალყაშემორტყმულ მადრიდში ანტისახელმწიფოებრივი სულისკვეთებით შეგზავნილი მეხუთე ბასტიონია. არასამთავრობოები, მეხუთე ხელისუფლება თავისუფალი პრესის მაცდური იარლიყით, უცხო ძალებს ჩაუმონტაჟებიათ ჩვენში პოლიტიკური ზეგავლენების შესანარჩუ- ნებლად, რომლის საბოლოო მიზანი მუქთა კაპიტალია ეროვნული ფსიქოლოგიის გაცამტვერების ხარჯზე. ზემორე გვიხილავს ჩვენ ენერგეტიკოსების ფინანსური დივერსიები მოსახლეობის გასაღატაკებ- ლად. მას-მედიის ყვითელბაირაღიან ფრონტს თავიანთ მოკლე ბოსებიანად, უმეტეს შემთხვევაში გაცნო- ბიერებული აქვთ ეს მიზანსწრაფულობები, აღებმიცემობის პრაქტიკიდან გამომდინარე, მაგრამ რიგი- თებს, ჩუნჩო ბარაბანჩიკებს და გრიგოლიებს, საეჭვოა ძირისძირამდე ესმოდეთ საკითხის ჭეშმარიტი არსი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეროვნული ხელისუფლება ერთგვარი მეხამრიდია უცხოური კაპიტალის დრაკონული მადის ასალაგმავად. მართალია, ფულმა ეროვნულობა არ იცის — არც საზღვარი და ნათელ-მირონი, მაგრამ პატრიოტული განცდა რამდენამდე ამუხრუჭებს ქვეყნიდან სასი- ცოცხლო რესურსების განუკითხავ გადინებას და შიდა ბაზრის მეტნაკლები დაცვით, ახერხებს მამუ- ლიშვილური საქმეების გაძღოლას საფრანგეთის მაგალითისამებრ.

ახლა თავად ინფორმაციის ბუნებაც გავაანალიზოთ: Veni, vidi, vici-ო, აფრენს რომში ცნობას კეისარი — მივედი, ვნახე, გავიმარჯვეო, მიმართავს იულიუსი სენატს პონტოს მეფე ფარნაკის დამარცხების თაობა- ზე, და რანაირ დაწნეხილადაც მოგეჩვენოთ ფრაზა სტილისტურად, შინაარსით აისბერგის მაგვარია. ინ- ფორმაცია, საერთოდ, შეუძლებელია აბსოლუტურად ობიექტური იყოს. როცა კინოკამერით უწყინარ რე- პორტაჟს ვუჩვენებთ ხოლმე, სულ უბრალო რაკურსიც კი სუბიექტურია. აქ ფაქტი თავისთავად ვერაფრის- დიდებით წარმოჩინდება.

გავიხსენოთ აკუტაგავას ნოველა ,,უსიერ ტყეში'', აკირა კუროსავას მიერ შემდგომ ,,რასომონის'' სახელწოდებით დაეკრანებული:

ბამბუკების ტყეში ცხენზე ამხედრებულ ცოლს მიუძღვის სამურაი. გზაზე ყაჩაღი დახვდება. გადამალული იარაღით მოხიბლავს, ვიწრობში შეიტყუებს, გაკოჭავს და მის თვალწინ ქალს გააუპატიურებს. მოგვიანებით სამურაის მოკლულს ნახავენ. ამ სცენას ოთხი პიროვნება განსხვავებულად, ლამის ურთიერთგამომრიცხავი შტრიხებით გადმოსცემს.

ამით მწერალ-რეჟისორი ხმამაღლა განაცხადებენ ობიექტური რეალობის არარსებობას. იგივეს მეცადინეობს აინშტაინ-თაგორის 1914 წლის დიალოგი, როცა მეცნიერს ობიექტური ჭეშმარიტების დამტკიცება სწადია, ხოლო რაბინდრანათი სუბიექტურს დასდგომია ვექილად.

შტაინერი ამ პრობლემას სამსაფეხურიანად წარმოგვიდგენს. იგი ოსტატურად განიხილავს ადამიანის სამ მდგომარეობას — პიროვნულს, უპიროვნოს და ზეპიროვნულს:

,,უმრავლესობას ჰგონია, რომ სხვა უყვარს, სინამდვილეში კი საკუთარი თავი უყვარს სხვაში. სხვაში განზავება ხომ მხოლოდ საკუთარი ეგოიზმის დაკმაყოფილებაა''. ასე რომ, გრიგოლიას სულიერი გარდასახვა თავისუფლად შემიძლია მთელ ქვეყანას მოვარგოთ და მწარე ღიმილით უკუვაგდებ ნებისმიერ ეგზითპოლს, სამამულოა იგი, ევრაზიული თუ სულაც — ამერიკული. ყველაზე ჯანსაღი ეგზითპოლი ჩემთვის ინგა გრიგოლიას არჩევანია — ხელისუფლების მრისხანე ოპონენტის წვეთ-წვეთობით მისვლა საბოლოო გადაწყვეტილებამდე.მაგრამ გავაგრძელოთ მსჯელობა ინფორმაციის ობიექტურობაზე. პრესის თავისუფლების აქილევსის ქუსლიც ხომ არსებითად აქ სულდგმულობს, ამ დაუცველ ალაგას?!

იულიუს კეისარი მოიხილავს თუ არა ფარნაკ პონტოელის ლაშქარს, მირეგვ-მორეგვავს და გაასწორებს მიწასთან. მორჩა, ფერის ნაათასალსაც არ გაიმეტებს ტრიუმფატორი იქ დატრიალებული სისხლიანი ქარტეხილების გადმოსაცემად. მოწინააღმდეგის ძლევამოსილებას ყასიდად გააუბრალოებს. მრისხანე მტრის მორჭმულობას გაატრიზავებს საკუთარის დასაშარავანდადებლად. მოკლედ, ისე იოლად დაითრგუნება დუშმანი, როგორც დანისგან — ცვილი. თანაც სენატში ითქმება ეს სიტყვები, მრავალი თავმოციკინე პოლიტიკოსის გასასრესად. ფრაზა სინამდვილეში ატომური მუხტის შემცველია და სიტყვასიტყვით ნიშნავს: ხომ ხედავთ გოროზ ფარნაკ პონტოელს რა დღე დავათენე — მივედი, ვნახე, ვძლიე და თქვენ რომელი ტიკი-ტომარა მიგდიხართ, სკიპტრისკენ რომ გაგირბით აქა-იქ თვალიო. აი, რანაირი ქვეტექსტისაა კეისრისეული veni, vidi, vici, მაგრამ ჩვენეული ვითარება ზემოთ ხსენებული ფორმულის უბადრუკ მინაბაძადაც ვერ გამოდგება:

აჭარაში ჩადიხარ, ნახავ და უკუიქცევი; მარნეულისკენ მიეშურები, მოიხილავ და უკუგაგდეებენ; ზუგდიდში ჩასწრაფდები, თვალს ჰკიდებ და ,,დაგცხრილავენ'', აქვე დაფნის გვირგვინებსაც ეპოტინები სასენატოს! ამფერუმ, ალალია შენზე დანათლული უდრეკლობა!

ორად ორი პოლიტფიგურაარ გამოჩნდება 2 ნოემბრის არჩევნებზე სრული პროფილით — შევარდნაძე და ჟვანია, მაგრამ ზეოსტატის გულისხმიერ შეგირდის დახვეწილი ხელოვნება ძლივს ეკმარება შვიდპროცენტიანი ბარიერის გადასალახავად.

,,ეკონომიკური გარდატეხიდან'' ,,ჩვენი სახლი მხოლოდ აქ არისო,'' დაინეს- ტრებიან ,,დემოკრატები'' მეშვიდე ხარისხის პედესტალიდან, თუმცა მერე რა, ადრინდელ ზვრიან-ვენახიან პლაკატს ხრიოკი პანო თუ შენაცვლებია ,,ციგანი არღანჩიკებითა'' და დიდი სამამულო ომის ვეტერანი ხალხის დაჯინჯილებული მკერდით, მაინც მოლიპულზე არიან, და ქაჯეთის ციხის კოჭებთან სამი სპიკერის თათბირის მიუხედავად, ციტადელი ჯერაც ურყევია.

ბევრი რესპოდენტისგან განსხვავებით სახელისუფლებოთა ბლოკის წარმომადგენლებს ორგზის ჩაეზდრასტება ინგა გრიგოლია, თანაც სრულიად ძალდაუტანებლად — სარიშვილ-ჭანტურიას და რჩეულიშვილს, ქვეცნობიერად, უნებლიეთ და ბელეტრისტული მზერისთვის საგრძნობლად მორბილდება ჯოხის მეორე ბოლო წრეწირის შესაკრავად. თუმცა სიტყვა გაგვირბის და 3 ნოემბრის ღამეს მამლის მესამე დაყივლებაზე სამი ეგზითპოლი ჩამოსრიალდება ეკრანიდან.

დაიმსხვრევა მრავალი პოლიტიკური ბლოკის ფახიფუხი — წინანი უკან და უკანანი — წინ. დარღვევები ფეხებში ებლანდებათ უცხოელ დამკვირვებელთა ექვსასეულს თუ ადგილობრივთა დივიზიონს, მაგრამ ერთია წკავწკავი-ღრენა და მეორე — ქარავნის შეუფერხებელი მსვლელობა.

ჩვენ პოზიცია-ოპოზიციის შორის სტატისტიკური პროგნოზის დროს ერთი დეტალი გამოგვრჩება — აფხაზეთის წიწვოვანი დეპუტაცია — 12 მანდატი, რომელთაგან სულ ცოტა 11 სახელისუფლებოა და სირჩა არყის გამომეტების შემდეგ ის მეთორმეტეც — ნომენკლატურული ამქრის თვინიერი ბინადარი. ასე რომ ,,მრეწველები'' რომც გამოეთიშნონ არჩევნების მარათონს, სახელისუფლებო ბლოკი მაინც აგროვებს უმრავლესობისათვის აუცილებელ ხმებს ,,აღორძინებასთან'' კავშირში.

სანჯაყლები ,,ნაციონალებთან'' პოლიტიკურ ალიანსს არაფრისდიდებით გააბამენ: ვისაც ლოგინში შეცვენია ,,მემარცხენეული ჩუტყვავილა'', ქარიზმატულ ქავილებს უცილობლად განერიდება. და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ოპოზიციურ ძალებს შორის წინააღმდეგობა უკიდურესად დაძაბულია, □ლეიბორისტების მიერ საკრებულოში ,,ნაციონალებისათვის'' პრიორიტეტის დათმობა, ვერანაირ სიკეთეს მოუტანს ნათელაშვილის პარტიას. აქედან, მოსალოდნელია, რომ ეს ძალა ბოლო წამს კვლავაც სახელისუფლებო ბლოკისკენ გადაიხაროს). გამართლდება ჩემი ვარაუდი: ამ არჩევნებში აჭარა საჭის ფუნქციას შეიძენს-მეთქი. შესაძლოა პარლამენტს ქალბატონმა ნინომ უხელმძღვანელოს პრეზიდენტის გაჟღერებულის შესაბამისად, მაგრამ საკვანძო საკითხებში ტონის მიმცემი კვლავაც ,,აღორძინება'' იქნება-მეთქი.

ეგზითპოლების სამი ნაკადი ურთიერთგამომრიცხავ რეალობას წარმოაჩენს. აქედან ორით პირველ ადგილს სამთავრობოები მოიპოვებენ — 23 ქულა. საპირისპიროა ამერიკული ჩხირკედელაობა. აქ ყველას — ,,ბურჯანაძე-დემოკრატების'' ბლოკი უსწრებს 31 პროცენტით.

განსაკუთრებული არასამთავრობო ,,სამართლიანი არჩევნების'' შედეგებია, რომლის მიხედვით ლიდერის დაფნის გვირგვინი ,,ნაციონალებისაა.'' მოკლედ, ამ აჯაფსანდალი სინამდვილის გადასახედიდან, მართლმადიდებლური კაცთმოყვარეობით მივაჩერდები ახალუხების პოლიტიკურ სპექტრს და ავისმომასწავებელი ღრუბელივით აღვიქვამ მათ ქოლერიკულ დემარშებს.

მამიდაშვილად მომინათლავს საკაშვილი ჩვენი და აქედანვე შემიხსენებია ამ ენერგიული კაცისათვის, რომ ოლიგარქიული საქართველოს ნაჯახის მეთოდით დემონტაჟი მიწასთან გაასწორებს ისედაც პარტახ ჩვენს სამშობლოს.

,,ლეიბორისტების'' კაკოფონიასაც ყავლი გასვლია ბეიკერის საქართველოში ჩამოვიზიტების და ექსკლუზიური მასპინძლობის გამო. ნათელაშვილის ელგუჯასავით ეროვნული აღტკინება, დიახაც, სჭირდება ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას, მაგრამ სხვა მომენტების იგნორირებაც არაფრით იქნება: ედუარდ-ჯეიმსის უმაგალითო მეგობრობა; აგერ, ბიზნეს-ინტერესებიც ამოტივტივებულა ,,ნაციონალების'' ბილბორდიდან. ახლა გაქანებული თავცხელიანობა უნდა გაბედნიერებდეს, რომ შუაქუჩიდან ირატრატო: ბეიკერი ჩემის ძალისხმევით ჩამობრძანებულა საქართველოში საარჩევნო კომისიის პროპორციის დასადგენადო. არაფერს ვამბობთ ,,დიდი აბრეშუმის გზის'' შეპირაპირების თაობაზე ტრანსკავკასიურ მაგისტრალთან, რომლის წყალობით თანაქმედების უპრეცენდენტო პერსპექტივა გასჩენია რუსულ-ამერიკულ კაპიტალს.

თავისი სახელმწიფოებრიობის მანძილზე ჯვარედინული კონცეფცია ქართული პოლიტიკის ერთადერთი საშვილიშვილო მონაპოვარია საერთაშორისო მასშტაბით, სადაც უკუგდებულია ალტერნატივა ,,ან'' — ,,ან'' და სანაცვლოდ ალაყაფის კარები ფართოდ გაეღება ორივე ქვეყნის შეუფერხებელ თანამშრომლობას. საქართველოს მაქსიმალური განზოგადოებით მსოფლიო, დიახაც, შეძლებს თავისი ჭეშმარიტი სახის არათუ განსაზღვრავს, თვით — კვლავწარმოებასაც. ქართველი თავისი გაწონასწორებული აღმსარებლობით, ალტრუიზმითა და კაცმოყვარეობით, ღირსია ნიმუშად დაისახოს სრულიად დედამიწის მომავალმა-მეთქი. ამგვარი განწყობილებით მივეშურები ინგა გრიგოლიას სტუდიისაკენ და ნაკლებად მანაღვლებს ზურგს უკან მოტოვებული საარჩევნო ბაკქანალია:

ქუჩებს, სკვერებს და მოედნებს, ბოძებს თუ გალავნებს ჯერაც შერჩენიათ აქა-იქ დაჭენებული ღიმილის ნაშთი ხელყოფილი პლაკატებიდან. მოგვიანებით საამისოდ ,,კმარელები'' მოიცლიან საზოგადოებრივი სანიტარიის სახელით და ჩვენს ღაზოებს მსუჟ ლუკმას გამოაცლიან პირიდან. გაკრეფილია პროსპექტის გარდიგარდმო მოტკლაცუნე ზეწრების რიგი. კვლავ ყოფითი რეკლამების მაჯისცემას მიუტაცნია ქალაქი. მარტოკა ,,დემოკრატების'' პანოდან სულშიჩამწვდომად იმზირება ნინო ბურჯანაძის მრავლისმთქმელი გამოხედვა: ,,ჩვენი სახლი მხოლოდ აქ არის''.

პოლიტიკური ბრიჯი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში

როცა საჭადრაკო მატჩის გადადებული პარტიის ამოხსნაზეა საუბარი, ბუნებრივია, თითოეული სვლა ბოლომდე მიდევნებას მოითხოვს, და თუნდაც ერთი შესაძლებლობა გამოგრჩენია ათასიდან, ამონახსნი სრულფასოვნად ვერაფრით მიიჩნევა; ხოლო ჩვენეული სიტუაციის უკეთ აღსაქმელად ქვემორე ანალიზი არაფრით გვაწყენდა:

ჯერ ერთი, გავიხსენოთ, ბატონი ედუარდი გაეროს ასამბლეაში წინადადებას წამოაყენებს განვითარებადი ქვეყნებისათვის სახელმწიფო ვალების ჩამოწერის თაობაზე. გაცხადდება ამგვარი რამ მაღალი ტრიბუნიდან, თუმცა აღნიშნულ მიმართულებას მსოფლიო რატომღაც არათუ

წაუყრუებს, პირიქით, დაიბომბება ავღანეთი, ერაყი...

მეორე, ბატონი ედუარდი სულ ახლახან სინდისის საქეჯნელ ცოდვას გაანდობს საგურამოში ინგა გრიგოლიას: მე გორბაჩოვისთვის არ გამიმხელია, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა პერესტროიკა-გლასტნოსტის ვანკა-სტანკასო, ვინაიდან გულის გადახსნა საბჭოთა კავშირის დემონტაჟს გასცემდა და ამის მერე ურთიერთ განშორება მოგვიწევდაო.

მესამე, ქვეყნის პრეზიდენტი საჯაროდ განაცხადებს ერთგან, რომ მისი მოტყუება ძალზე ძნელია, □თუმცა პრინციპში შესაძლებელი ,,ვარდების რევოლუციის''გულუბრყვილო ანალიზით), ანუ გამგონეთათვის მინიშნებულია: ხელდასხმული ვარ, ზიარებულიო, სადაც თავის დროზე ოდისევსიც ჩასულა ჰადესს მომავალ-წარსულის მოსახილველად.

ამიტომაც დაანათლავენ ბატონ ედუარდს გიორგი ძლევამოსილს დაუმარცხებლობის გარანტად. ჰოდა, ამისთვის მოუწყობენ კიდეც ვარდების ცვენას 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე და მომავალი პრეზიდენტის ინაუგურაციაც 25 იანვარს დაესინქრონება დაბადების დღის სწორ- უპოვარ არმაღანად.

მეოთხე, პოლიტიკური კვარტეტის მოლაპარაკება შემთხვევით არ შედგება კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში. ამ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენეული ამონახსნისათვის. თათბირის ადგილად კრწანისის არჩევას კანცელარიის, პარლამენტის თუ საპატრიარქოს ნაცვლად, ორი საკრალურობა ახლავს: ერეკლეს უკანასკნელი ომის სავალალო პერსპექტივა და ოჯახის, უფრო ჩაწვრილმანებით — ლოგინის მნიშვნელობა.

მხოლოდ ოდისევსმა და პენელოპემ იციან მათი საწოლის წარმომავლობა. მისი გადაადგილება ყოვლად შეუძლებელია. როცა მრავალნაწამებ, ზომაზე მეტად იერნაცვალ ლაერტიდს საწოლის სხვაგან გადატანას სთხოვს ერთგული ცოლი, დიახაც, ოდისევსის საუბრიდან გაირკვევა, რომ ტრიალ მინდორზე მდგარ უშველებელ მუხას საწოლის სიმაღლეზე გადასხეპენ, ლოგინის პოსტამენტად დაამუშავებენ და მერმე ნელ-ნელა შემოშენებია ფუმფულა საბან-ლეიბი, მუთაქა-ბალიშები თუ გოროზი სასახლის სვეტები კოჭმზიდი თაღებითურთ.

თუკი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციას ანალოგის მნიშვნელობას მივანიჭებთ, საქართველოში ერთადერთი ისღა დარჩენილა კონფიდიციალური საუბარისათვის უსაფრთხო გარემო.

მეხუთე, ოფიციალური თბილისის სახის დასადგენად უკვე არსებობს რამდენიმე სავარაუდო ხატი, რომელთაგან **A** ვარიანტი ყველაფერს ბუნებრივ პროცესად მიიჩნევს, ანუ შევარდნაძესა და მის შეგირდებს შორის მართლაც არსებობს პოლიტიკური თუ ბიზნეს-ინტერესებზე აგებული კოლიზია; 2 ნოემბრის არჩევნებამდელი თუ მის მერე დატრიალებული მოვლენები თავისთავადია, უტყუარი. მაგრამ მოიძიება ნათელაშვილისეული **B** ვერსიაც, რომელიც მოჩვენებითად ასახელებს კავკასიაში აგორებულ პოლიტგახლეჩას და საპასუხოდ შევარდნაძესაც, სააკაშვილსაც, ბურჯანაძე-ჟვანიასაც მემორანდუმის ტექსტს უგზავნის სათითაოდ პოლიტიკური არენიდან გადაშენების ულტიმატუმით.

ამწამიერი ანალიზის წინ ერთხელაც შევახსენებთ მკითხველს ამერიკელების ვიდეოფილმს ბიბლიურ სიუჟეტზე, სადაც შთამბეჭდავადაა წარმოჩენილი მსოფლიო წარღვნის სურათი. იქ განგებაა დაშვებული გადახრები კანონიკური ტექსტიდან, ანუ გადასინჯულია ნოეს კიდობნის როლი სიცოცხლის გადარჩენის საქმეში. კადრში ჩართულია ვინმე ჩინელი, რომელიც თვითნაბადი ნიჭიერების წყალობით სამარადისო სიკვდილს აიცდენს ებრაელი ნათელმხილველის მხარდამხარ.

ამისთანა ინდივიდი კავკასიურ ცეცხლის წრეშიც მოიძებნება ჭაობანი არეების მოთვალიერების შემდეგ: კამეჩი — გური ოტობაია — სიღრმისეული შინაგანი ხმა თვალუწვდენელი წიაღიდან.

აქვე გასათვალისწინებელია ნაწარმოების პერსონაჟთან მიდგომის მწერ- ლისეული კლასიკური პოზიცია: ჩვენ გმირი უნდა ვძერწოთ არა ისეთი, როგორიც, სინამდვილეშია არამედ, რანაირიც უნდა იყოს საერთოდ, რისი შესაძლებლობაც ხელეწიფება გარემოს □ჰორაციუსი).

მეორე ათასწლეულის მიწურულის ოლიგარქიულ მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების ვალების ჩამოწერის აუცილებლობას შეახსენებს ბატონი ედუარდი. ცხადია, აქ ქართუილი 2,6 მილიარდი აშშ დოლარის ინიექციაცაა ნაგულისხმევი, მაგრამ დემოკრატიის მექა ვაშინგტონი რატომღაც წაუყრუებს ,,მსოფლიო პოლიტიკოსის'' ტოლერანტობას და რაღაც ექვსიოდე თვეში დაიწყება კიდეც ვაშლიჯვარის ოფისის რღვევა: ჯერ გამყრელიძის ,,მემარჯვენეები'' გაემიჯნება ,,მოქალაქეთა კავშირს'', მერე — ,,დემოკრატები'' და ,,ნაციონალები''. ადგილზე დარჩება ნაცრის გარემო ასვეტილი გამურული ბუხრით.

შევარდნაძე ის პიროვნებაა, რომლის მოტყუება ძალზე ძნელია, თითქმის შეუძლებელი. ის ხელდასხმულია; თამაშის პრინციპის გათვალისწინებით მან ჩინებულად უწყის დუმილის ფასი, იმდენად პროფესიულად, რომ თვით კვარცხლბეკზე ამომტყორცნელ გორბაჩოვსაც არ გადაუშლის საბჭოეთის დანგრევის

პერიპეტიებს. ჰოდა, რკინის ფარდა-გალავნების დემონტაჟის ერთ-ერთი ოსტატთაგანის სული სოციალისტური ბანაკიდან — სრულიად კანონზომიერად აღშფოთებულა საერთაშორისო კაპიტალის უმადურობით. წარმოგიდგენიათ, იგივე სოროსებს და ფორდებს, იგივე როკფელერებს და ექვსასამდე თანამესაგრეს, გასაოცარი ცხოველ მყოფელობის ჩაჩქანს მიუბოძებს კრიზისული ბიზნეს-ინტერესების მეხთატეხაში: თუკი საბჭოთა კავშირთან ცივი ომის საწარმოებლად 350 მილიარდ დოლარს მხოლოდ აშშ აბანდებს სამხედრო კომპლექსის ხარჯებისათვის, ახლა გადაიანგარიშეთ სოციალისტური სისტემის შიშით დანარჩენი კაპიტალისტური სამყაროს მობილიზებული მილიარდები! ეს კოლოსალურზე კოლოსალური ფინანსებია, რომელიც უქმად იკარგება ჰაერში. საუბარია ტრილიონებზე. მოკლედ, საბჭოეთის დემონტაჟით მსოფლიოს უზარმაზარი კაპიტალი გამოუთავისუფლდება გასაფართოებლად. მხოლოდ კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში ნაჭარბი 600 მილიარდი აშშ დოლარი დაგროვილა ქვეყანაში და უცებ რაღაც 2 მილიარდის ჩამოწერას ითხოვს ყოველივე ამის შემოქმედი მისტერ სმაილსი — ღიმილის შევარდნაძე საკუთარი სამშობლოს უკეთ მოსაწყობად, თუმცა გულგრილი დუმილითაა გასტუმრებული.

კაპიტალისტური სისტემა კვლავაც გამოავლენს თავის უმადურ დრაკონულ ხასიათს: ბიზნესმა არ იცის დანდობა — ეროვნულობა, რელიგიური და ნათელმირონული დამოკიდებულება; ვერც მეგობრობით დაიკვეხნის მაინცდამაინც. ბიზნესი ბიზნესია დევიზით: მოგება — ყველაფრის ფასად, და ვაშლიჯვარის ოფისი დაიშლება კიდეც მარტივ მამრავლებად. მაგრამ როცა ზედმიწევნით კონფიდიციალური საუბრისთვის დასხდომაა საჭირო, პოლიტიკური ოთხეული მოსასმენი აპარატურისაგან სტერილურ კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში იკრიბება და არა — ,,ცეერუ-კაგებეს'' ყურებით დაყურსულ ალაგას. აქ უმთავრესი კოზირი პოლიტიკური ვექტორის რუსეთისაკენ თანდათანი გადახრაა ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალის ამოტივტივებით ,,ტრასეკას'' განედად.

იქმნება ჯვარედინული კოალიცია და იუველური დახვეწილობით თამაშდება თაობათა შორის მამასისხლური შეუთავსებლობის სცენა. ამ ჩანაფიქრით ედუარდი შურს იძიებს მამონის ღვთაების უმადურ ქურუმებზე.

მას ამ წარმოდგენაში დიდი ნიჭიერებით ცხებული პარტნიორები შემოუკრიბავს, რომლებიც ჩინებულად ასრულებენ მათზე გაპიროვნებულ როლებს. სოროსებს, სხვათა და სხვათა, წყალში ჩაეყრებათ ადრე თუ გვიან ,,კმარელების'' გამოსასუქებლად თუ ,,სამართლიანი არჩევნებისთვის'' მოხვეტილი მილიონები. ეს ვაშლიჯვარულ-კრწანისული ოფისების ბრიჯი გამსჭვალულია ურთიერთშეთანხმებლური ქმედებებით, რომლის საბოლოო მიზანი საქართველოს ინტერესების მაქსიმალური უსაფრთხ ოებაა. ასე და ამგვარად, წინდებული რეალობით კონგენიალურად მოგეჩვენება 2 ნოემბრის გარშემო შექმნილი სიტუაცია: არჩევნები გაყალბებულად ცხადდება ოპოზიციის მიერ. სააკაშვილის მიზანი მკვეთრია: ან ,,ნაციონალების'' აღიარება გამარჯვებულად, ან კიდევ — პრეზიდენტის უპირობო გადადგომა.

ბურჯანაძე-ჟვანია, როგორც თავიდან, შედარებით ზომიერები არიან. ისინი არჩევნების შედეგების ბათილად ცნობას სჯერდებიან და ხელმეორე არჩევნების ჩატარებითაც კმაყოფილდებიან.

ნათელაშვილი ვაშლიჯვრის ოფისის ოთხივე პარტნიორს მემორანდუმის ტექსტს დაუგზავნის ქართული პოლიტიკიდან გადაშენების პერსპექტივით.

აბაშიძე მერანს დააგელვებს მთელი კავკასიის პერიმეტრით.

სხვები ფარასავით ავჩერებივართ სხვენზე ატანილ გუდაში ჩასმულ ვითარებას.

მალე ვაშლიჯვარულ ტროიკას — ჟვანია-სააკაშვილი-ბურჯანაძეს, მთელი სერიოზულობით დაუპირისპირდება სეპარატისტული ტროიკა — ხაჯიმბა-კოკოითი-აბაშიძე, მაგრამ გვსმენია ზეპირსიტყვიერებიდანაც: ქრთამი ჯოჯო- ხეთს ანათებსო და საქართველოზე უკეთეს გარემოს სად იპოვის მამონა ჩვენი მორღვეული, მამაძაღლი სახეების ასაბრიალებლად?

„ვარდების რევოლუციის“ შავ-თეთრი კოორდინატები

ესთეტიკოსები ქართულ პოეზიაში უფრო კეთილშობილ რითმას ვერაფრით პოულობენ, ვინემ — ,,სილაში ვარდი'' და ,,სილაჟვარდე''-ა. შედარება უსახურ პლაგიატობაში თუ არ ჩამოგვერთმევა უფრო ამაღლებული რევოლუ- ციასაზოგადოებრივი ინტერესების დაჯახების არენაზე, არათუ საქართველოს, თვით კაცობ- რიობის ისტორიას არ ახსოვს, ალბათ; 25 დეკემბრის თბილისური ვარდების საგა რამ- დენიმე ბალით გადასწოინის მის წინამორბედ ნებისმიერ კოლეგას და აღარც თამამ განცხადებას მოვერიდები: რუსთაველის პროსპექტი სრულიად სამართლიანად აჰყრის რეგალიებს ერთმოსახელე აკადემიურ თეატრს დრამა- ტურგიის განხრით. იგი ჩინ-მედლებს ჩამოარ- თმევს

რობერტ სტურუას (კომიკურია, გენიალ- ური შოთას განმაქიქებელი რუსთაველის დასს ხელმძღვანელობდეს), როცა მარათონული დრამებით წარსდგება ხალხის წინაშე, თანაც — სრულიად უფასოდ, სამშაურიანიც რომ არავის გაეხარჯება;

არადა, ყველა — დიდიც, პატარაც, ვინც იმ ბატალიებში ჩართულა, რიგითი ტარიელ ჭანტურიაა თუ მხედართმთავარი მიხეილ სააკა- შვილი, ემოცია ერთგვაროვ ანია, ერთმნიშ- ვნელოვანი: ფანტასტიკური! მსგავსი სიტუაციის გამო წამოცდება ნიკანდრო ქილიას ორმხრივი სროლების შემდეგ: — დიდუ, რა იყო ეს?! ამისთანა ვითარება აღფრთოვანებას ვერ დაამალვინ ებს ეთერში დილა-სისხამზე მიწვეულ ლექსო თორაძეს:

— ეს გახლდათ ტრიუმფი, რომელმაც შევარ დნაძის სახელი უფრო აიტაცა ცაშიო, — და მართლაც გასაოცარი სიტუაცია იქმნება თავის- თავად, როცა 16 თვის ნაღდ ფულს (შევარდნაძის პრეზიდენტობის ვადა), სამოცი თვის თამასუქში (სააკაშვილის საალბათო პრეზიდენტობის ხანა) უყოყმანოდ იდება ფსონი; როცა რეალური და მაძიებელი დანის პირზე პაექრობენ არსებობი- სათვის და ძნელზე ძნელია მათ შორის ნამდვილის განსაზღვრა, ჭეშმარიტის დადგენა, ანუ როგორც თავში გვიხსენებია პირწავარდნილი მეიროხანია, ბუნიაობა, სინათ- ლისა და სიბნელის ერთმანეთში აღრევა, თუმცა ყველაფერზე — რიგისობის მიხედვით.

* * *

ვარდი საერთოდ პოეზიის ეტალონად სახ- ელდება შირაზის წალკოტებიდან მოყოლე- ბული. მას თავდავიწყებით ეტრფიან ბულბუ- ლები, მაფშალია-იადონები, და თავად პოეტებიც ზეზეურად იფერფლებიან მისთვის, თუმცა სულ დაშარბათებული კოლიზიები გამოსდით ვარდ-ბულბულიანის მომღერალ ავტორებს. იქ ნაკლებია დრამა. იქ სანთლითაა საძებარი ანტი- გონეს სიშმაგე, მედეას მძვინვარება, ჰამლეტის შფოთი, მონტეგ-კაპულეტის თავგანწირული სიყვარუ ლი, ვარდების ლესბოსური ამბროსიები საფოსთვის, (რომლით დატენილ ბიდონებს დაასწრაფებს კონტინენ ტიდან კონტინენტზე ჩემი ძმობილი ვახტანგ მიშველია), მაგრამ როგორი ამაღლე-ბულიც მოგვეჩვენოის მისი გამაბრუებელი სურნელება, ევროპული ტრაგედიების სიბასრეს ვერასდროს გადაუს წრებს თუნდაც ეკლების არენაზე მოუწიოს შიშველი ტანით კოტრიალმა.

ეკალი ვერასდროს გაუთანაბრდება დანიის პრინცის შხამში ამოვლებულ ორლესულს თუ მონტეგის სამსალით სავსე შუშას. ეს წინასწარ გამოცხადებული კაპიტულაციაა ევრაზიული ნირვანისათვის, რასაც აგრე რიგად ვესწრაფვით აკვნიდანვე და ახლა, ამ თეატრალური მაქციაობის მეორმოცე დღეს, უკეთ, მიქაელ უდრეკელი გაპრეზიდენ- ტების მერმე, გონების თვალით თანამიმდევ რულად აღვიდგენ ექვსი კვირის წინანდელ ფერებს და საახეებს, და ნაკლებად მესაყვედურება იმის გამო, თუ რეპორტაჟული წყობით ვერ დავატრიალებ აწ გარდახდილ რეა- ლობებს — ჰაერის მიერ შენახული იმ ერთი ღამის თავგადასავლებს.

საქართველოს ჭეშმარიტ თავისუფლებასთან ოთხჯერ მოუწევს თვალის გასწორება ცხრაას ჩვიდმეტის 26 მაისიდან მოყოლებული და ოთხივეჯერ განსხვავებულია მათი ელვარება:

ნოე ჟორდანიასთან მწვანე ფერის სიჭარბეა, სადაც პრიორიტეტი თითქოს ქართულია, მაგ- რამ მაინც ოტობაიის დასავლეთ პროვინციებს — ინგლის-გერმანია-საფრანგეთის ხელებს მიჩერებული ფარეშია, საკუთარ თავში დახშული ეფემერული ინექციის პაციენტი.

პირველყოფილი სიმწვანე კვლავაც ევოლუც- იური აღმასვლებით გადაიზრდება ლურჯში, რაც დამახასიათებელია საერთოდ ეროვნული მთავრობებისათვის, გულუბრყვილობამდე გულ- წრფელი სთვის, თუმცა დილეტანტისთვის ამავდროულად, პოლიტიკურ არენაზე გამოცდი- ლების უქონლობის გამო. ამას დაუპირისპირდება მკვეთრი ყვითელი, ბიზნეს ინტერესებით გაჯერე- ბული შევარდნაძის ათ წლიანი მამითადი;

დაბოლოს, ყოველივე გადაიზრდება ზედმიწევნით ალისფერში, მკვეთრ წითელში, რაც მიხეილ სააკაშვილის დიალექტიკურ მოვლინებასთანაა დაკავშირებული; მაგრამ ეს არ გახლავთ ნაუცბადევი, იჩქითი ცდაბედის- მონახევრეობა, ვინაიდან საკმაოზე მეტი ხანი იწრთობა პოლიტიკურ ქურახანაში ფრაზა: „საქართველო შევარდნაძის გარეშე“. მედალიო-ნის ერთი მხარეა, ავერსი, ალჩუ; თოხანი და რევერსი კი სხვა გახლავთ: მსოფლიო თანამეგობ- რობა წამითაც არ უკარგავს დამსახურებებს მისტერ სმაილსს — ღიმილის ბატონკაცს, მაგრამ ვეღარც მისი უნიჭო და უგერგილო გარემოცვის მადის კაპრიზების ატანაც შეუძლია; მსოფლიო თანამეგობრობა დაიღლება ამ იწილობი-წილოსაგან და „ვარდების შავ-თეთრი რევოლუციის“ უმტკივნეულო ბურანიც სწორედ ეს დილემაა, თორემ მსოფლიოს იმპერიალიზმს არ გაძნელებია ერევანში პარლამენტის ამოჟუჟვა თუ ბაქოს ქუჩებში მოქალაქეთა ზედახორები კბილების ღრჭიალით.

ქართული სინამდვილისათვის სრულიად ახალე- ბური სმოკინგი იკერება, რომელიც შუალედურია იუგოსლავიურ-ბალტიისპირულ გადატრი- ალებებს შორის. მეტიც, აქ გაცილებით გაფაქიზებული წახნაგის სიტუაციებია, რომლის მთავარი კონტურები წარმოსახვითია, ხოლო რეალურში მისი განხორციელება დიდ რეჟისო- რულ ძალისხმევას მოითხოვს, განსაკუთრებულ პოლიტიკურ გამჭრიახობას, და არაფერი დაშავდება თუკი ყველაფერ ამის უკან ბატონ ზურაბ ჟვანიას მოვიაზრებთ, როგორც რობერტ სტურუას უმაგალითო კოლეგას — ქართულ ელიტას, იგივე მჭედლებს, გაჩეჩილაძის სიტყვებით, ეყოფათ ძალა ახალი ჯაჭვი გამოკვერონ ამირანის კიდურებისათვის, რადგანაც მუქთად ნაშოვნი მილიონების მიუხედავად, მას არ ეყოფა პოლიტიკური ნებელობა ისევ სიცოცხლის უნარიანობისათვის დააბანდოს ამ ფინანსების თუნდაც ნაწილი მაინც, მიზერული, ვინაიდან სახელის- უფლებო ბლოკი ცარიელ-ტარიელი წარსდგება 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების მარათონში; უკეთ, არავის უნდა მუქთად ნაშოვნი ათასების გაღება. ის კაპიტალი უცხოეთის ბანკების სეიფებში თითქოს უსაფრთხოდ განთავ- სებულა და აქლემი უფრო გაძვრება ნემსის ყუნწში, ვინემ გუშინ ბოგანო სოვდაგარი მის განიავებას მოიფიქრებდეს; თორემ გაბუქებული საპარლამენ- ტო არჩევნების მართებულად ჩატარება რა დიდი ბედენაა? ყოველ შემთხვევისათვის, ასეულ ათასობით მკვდარი სულის შემოხეტებას მაინც ხომ აღკვეთავდა საარჩევნო არენიდან, რაც უმთავრესი საბაბი გახდება „ვარდების რევოლუციის“ ასაგორებლად?! ამიტომაც სრულიად ლოგიკუ- რად განუდგება შევარ- დნაძე ამ ბლოკის ინტერესებს და დიდ-პატარიანად შუა ზღვაში აღმოჩნდებიან ისინი, მოსწრებული ჟურნალის- ტური შტრიხებით, „კარგი იყო არ გაგვეცან თავიდან, შუა ზღვაში გადაგვყარე ნავიდანო“. დიახაც, იმსახურებენ ისინი ამ გადახაფრვას. აკი, იფეთქებს ერთხელ პრეზიდენტი ჭირვეული გუბერ- ნატორების მისამართით: „ჯანდაბამდის გზა გქონიათო“.

კოლოსალური თანხა დაუგროვებია ქართულ ოლიგარქიას და იმდენად გაწუწურაქებულა, რომ ჯიბეში არავინ იყოფს ხელს ტიტანიკის გადასარ- ჩენად. ამირანის თავისუფლების აღსაკვეთად სხვანაირად ვერც გამოიჭე- დებოდა მონობის მორიგი ჯაჭვი, რომელიც შესაძლოა მართლაც ტრაგიკული აღმოჩნდეს სრულიად საქართველოს- ათვის, თუმცა ყველა- ფერზე — რიგისობის მიხედ ვით.

საპარლამენტო არჩევნების სანდოობის გაწყალწყალა ვება არანაირი პრობლემაა ოპო- ზიციური ძალებისათვის, ანუ ნიადაგ შევარ- დნაძის ავტორიტეტს ამოფარებული კლანი, საკუთარი მომავლის გადასარჩენად იოტისოდენა წინდახედულებას მაინც გამოიჩენდა, მაგრამ უნიათობა ყველგან უნიათობაა და ცხოვრების- ეული გამოცდილებით ინიციატივიან ძალას რანაირად გაუმკლავდება ერთი კაცის პრი- მატი,შევარდნაძე კი არა გნებავთ იულიუს კეისარი იყოს?!

ქართული ოლიგარქია პირწმინდად რომ წააგებს პოლიტიკურ ასპარეზს, ამას თვალ ნათლივ მიუთითებს მაკაკას სინდრომი: აფრიკის კონტინენტის რომელიღაც სარტყელზე მაიმუ- ნებს ამნაირი მეთოდით იჭერენ: მორში დატანებულია ხვრელი, რომელშიც სატყუარა კაკალი ყრია. იქ მაკაკას მტევანი თავისუფლად ეტევა, მაგრამ ჩაებღაუჭება კაკალს და საქმეც წახდება. სარჩო მოხელთებულ მაკაკას სიხარბე ღუპავს. იმდენი ჭკუაც საიდან სამუდამო ბორკილად შემოთავაზებულ სასუს- ნავს შეელიო და ნებაყოფლობით მოიქსოვება კიდეც მონობის ზურმუხტისფერი მანტია. დაახლოებით იგივე დღეში ჩაცვივდება ქართული ოლიგარქია — ჩაბღუჯავენ მილიონებს და ვერანაირად ელევიან მერმე ამ ნუგბარეულს. არადა, ეგერ, ჟორდანიას 4 მილიონს უხსენ- ებენ ყულაბაში დასაბრუნებლად, მირცხულავას გული რეჩხს უყოფს, ჩხაიძეს ულტიმატუმის ენით ელაპარა- კებიან, ეს — ახალი პრეზიდენტის ინაუგუ რაციამდე, შემდგომ და შემდგომ უფალმა უწყის, როგორი აკრძალვების სერიალი გაიჭიმება?! მოკ- ლედ, ყველაფრის გათვალისწინებით, გამარ თლდება ფრთიანი გამონათქმი: ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო.

ხოლო თუკი რომელიღაცა ხეობის რომე- ლიღაცა ფერდობს ჯიშტის თოვლივით შერჩე- ნია ფეშენებელური კოტეჯი, ან კიდევ ამ ათწლიანი გამდიდრების ჟამს ნაგემები ნეტა- რება, გამსხლტარა ოთხ კედელს შორის, და კვლავაც ცარიელ-ტარიელია ქართული ოლიგარქია, საქვეყნო საქმეებისგან აქამდეც გარიყული. ამიტომაც გასაკვირი არაფერია, როცა გაიძახიან, წესით მის სივრცეს, გაღმა ოკეანური ძალა დაუფლე ბიაო; აკი, „კმარ- ელების“ შეფი სერიოზულ პრეტენზიებს აცხადებს საქართველოს რკინიგზაზე! აბა, მთლად, ქართული დემოკრატიისათვის მოიკლავდა თავს ყველი ჯორჯიო!

მიბნეულია ნემსი ნაჯახის მოსახსნელად, ანუ გაკეთებულია განაცხადი „დიდი აბრეშუმის გზის“ ქართული მონაკვეთის პრივატიზაციაზე. ეს მომაკვდინებელია ჩვენი პერსპექტივისათვის, მაგრამ რეალობას ვერსად გაექცევი. სასათბურე მდგომარეობის მიუხედავად ქართული ოლი- გარქია უუნარო აღმოჩნდება კოლეგა მეზობ- ლებთან ჭიდილში. 10 წელიწადია მათი ყანა არ იბეგრება; 10 წელიწადია მათი ზვარი არ ყადაღდება; 10 წელიწადია მათი ტვირთი არ განბაჟებულა, თუმცა

კომერსანტული ფხიან- ობაც ისეთივე ნიჭიერებაა, როგორც — მხედართმთავრული თუ ბელეტრისტული. ჰოდა, წყლის მოტანილი წაუღია კიდეც ნიაღ- ვარს.

წამოცდება ერთგან შევარდნაძეს: ამერიკამ მიღალტაო, მაგრამ ვერ იქნება მთლად სწორი ეს განცხადება; ცხადია, ამერიკაც განუდგება მისტერ სმაილსს, მაგრამ უფრო კონკრეტულად, დიახაც, ის ძალა, ვისაც ეროვნული მთავრობის დემონტაჟი მოუხდენია, ბატონ ედუარდისთვის ბალასტი გარემოცვა ჩამოუშორებია, (რომლის უმთავრესი მიზანია სარგებელი, გამორჩენა), და აქედან გამომდინარე, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, გაუჭირდება ყოფილ სახელისუფ- ლებო ბლოკს რაიმე პოლიტიკური პლატფორმის შეკოწიწება, რამეთუ ამ ასპარეზზე უცოდველი ერთადერთი ლეიბორისტული პარტია დარჩენილა, რომელსაც კალთამადლიანი დედაკაცისათვის ქვის დაკარების უფლება დარჩენია მოსეს კანონით.

ახლა მცირეოდენი ულუფას თეოლოგიასაც ვუწყალობოთ: სამყარო, ღმერთი, გრანდი ოზული კომპიუტერია თანამედროვე ენაზე, სადაც ხდომილი, მხდომარე და მოსახდენი ერთდრო- ულად აწყვია ფაილებში. მათი თანამიმდევ რობა ნაკლებადაა დამოკიდებული თავად ობიექტისა თუ სუბიექტის ნება-სურვილზე. მთავარია ფაილების შიფრის ცოდნა. რამდენადაც მეტი ფაილის კოდი მოგეპოვება მომხმარებელს, იმდენად მეტის გამოხმობა ხელგეწიფება სამივე დროიდან ერთბაშად, მეყსეულად.

ქრისტეს შეეძლო ამგვარი ფაილის გახსნა: გიყვარდეს მტერი შენი.

კახელს შეუძლია ნამუსიანი ,,რქაწითელის'' დაწურვა და ,,ჩაკრულოს'' დაგუგუნება.

სვანს მოსდგამს ბაბილონის გოდოლის აღმართვა ცისკენ, კოშკების სახით და ,,ლილე ოს'' შემოძახილი;

მეგრელს ემარჯვება ღვთიური ცეცხლის ,,ოქროს საწმისებზე'' დარგვა — საიდუმლო ენით ჩაწერა და ,,ხორუმების'' სიფხიზლით თვალის მიდევნება სამშობლოს მომავლისადმი.

გური ოტობაიაზე კი შეუთავსებელთა იშვიათი შემთავსებელიაო, ითქმის. მას რამდენადმე ეხერხება ჰაერში შენახული ფაილების გაცოცხ- ლება — მომხდარია იგი, მიმდინა- რეობს ახლა თუ განხორციელდება ახლო მომავალში.

ამიტომაც, როცა გარდასულს აწარსებულის მნიშვნელობით ვაცოცხლ- ებთ, იქვე ჩავუდგამთ სულს მოსალოდნელსაც, რამეთუ გვერდიგვერდ მათი ერთდროული არსებობა დაშვებულია გრანდიოზული შემოქმედის მიერ ერთხელ და სამუდამოდ. ამისთვისაც განაცხადებს იგი: შევქმნათ ხატად და სახედ ჩვენდაო; ამისთვისაც არ გაუძნელდება **მას** ექვს დღე-ღამეში მილიარდობით ურთიერთგამომრიცხავი საგან-მოვლენის დალაგება თანამიმდევ რობით. და რადგანაც უფალზეა საუბარი, ნაკლები წინააღ- მდეგობა არსებობს იეჰოვას მოწმეებსა და მართლმადიდებლებს შორის რელიგიურად, რომ არა მათი განსხვავებული სახელმწიფოებრივი აზროვნება.

რასელის მოძღვრების მიმდევრები მსოფლიო მოქალაქეობას აღიარებენ. ისინი ეროვნული სახელმწიფო ების ბალავრის მორყევის ინსტრუ- მენტებია მთელს დედამიწაზე ებრაელი ხალხის პოზიციების აბსოლუტი ზაციისათვის, როცა მართლმადიდებლობა თავის პარტიკულარულ გარშემოწერილობას სჯერდება, არავის უვარდება ბინებში და-ძმების წყვილეულით და ამა თუ იმ ქვეყანას განიხილავს მიკროაღნაგობიდან უდასას- რულო ცაბაოთის სხეულის მშენებელ უჯრედად.

აქ წინააღმდეგობა ნაკლებია-მეთქი თეოლოგი- ურად, ვინაიდან რასელელები განაკა- ცებენ ქრისტეს და მას მამაუფლის უდიდეს მოციქულად აღიარებენ ადრინდელი ,,ჯვარს აცუ იგის'' სანაცვოდ. მართლმადიდებლობა კი ძე ღმერთს მამა-ღმერთის თანაზომიერ განზომილებად შერაცხავს სულიწმინდის თანასწორუფლები ანობით და ეთაყვანებიან კიდეც მის ორბუნებიანობას. ამიტომაც გავემიჯნებით ჩვენ ერთმორწმუნე სომხებს, როგორც დიოფიზიტები.ეს ყველაფერი იმისთვის მომიშველებია, რომ 7 იანვრის სიონური მოვლენები, ერთხელაც აღმაფრთოვანებს თავისი ყოფითი მნიშვნე- ლობით: მე იქ თავდაბურულს ვიხილავ რულოვ- სების ასულს. როგორც შემდ გომში შევიტყობ, მართლმადიდებლური წესით მონათლულს. ჩვენ, რელიგიურ აღმსარებლობას ვუცხადებთ ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ მოქმედ ნებისმიერ კონფესიას, მაგრამ პრეზიდენტის თანამეცხედრე მართლმადიდებელი რომ გვყავდეს, მგონი ვართ ამისი ღირსი მართლმადიდებელი ქართველები.

ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲠᲫᲐᲚᲘ

Clever daughter in law

ᲛᲔᲡᲘᲐᲙᲝᲜᲘ ᲜᲝᲡᲐ

ორი პიროვნება იმსახურებს მზის ქვეშეთში ჩვენგან განსაკუთრებულ თაყვანისცემას: პირველი ქრისტიანობისათვის თავდადებულ შუშანიკია, გამაზდეანებული ვარსქენის სადიზ- მის მიუხედავად, ბოლომდე რომ უერთგულებს სულის ციტადელს, ქვითკირივით მტკიცედ დადგება მამა-პაპური ეგზისტენცის სადარაჯოზე; და მეორე — ასევე სათნოებით გაბრწყინ- ებული ჩვენი ამღვრეულ ყოველდღიურობის სალმობიეროდ, სანდრა ელისაბედ რულოვსია, ალექსანდრა.

რულოვსი ჩვენეული გაგებით მესაჭეობასთან იგივდება. აკი, განაცხადებს ერთგან ქალბა- ტონი სანდრა: მე ვიქნები მისი (**სააკაშ- ვილის, გ.ო**.), თვალი და ყურიო.

დიდი ბედნიერებაა ეს, ვინაიდან ათ წელი- წადზე მეტია, არათუ პრეზიდენტის თანამეცხ- ედრე, რიგითი პარლამენტარიც კი ძვირადღირებული ,,ბეემვეებიდან'' და ,,მერსედესებიდან'' არ ჩამობრძანებულან. ათ წელიწადზე მ ეტია დავიწყებიათ მათ ჯგლეთები ავტო ბუსებში , წიოკობანი მეტროპოლიტენის სადგურებში. ჰოდა, რა ხანია ამ ადგილებში ჯეირანივით დაიარება ჩვენი უცხოტომელი რძალი, რათა ფართო საზოგადოებამ ერთხელ და სამუდამოდ აღიაროს მისი სწორ- ფერის ჭეშმარიტი კავშირი ხალხის გულისთქმასთან.

ოთხგზის შემეფეთება ქალბატონი სანდრა მეტროპოლიტენის სხვადასხვა სადგურში. სულ ბოლოს ,,დელ ისთან'' გამოვესაუბრები დაცვის ბიჭებით გარემოცულს:

— მიხეილის წიგნი არ იყიდება მაღაზიაში-მეთქი.

— კი, არის, ოღონდ მოძებნვა უნდაო, — მეტყვის გამართული ქართულით.

ორი საუკუნეა მამულის სივრცეში ბინადრობენ ჩვენი რძლები ჩრდილოეთ-სამხრეთიდან თუ აღმოსავლეთ-დასავლეთიდან და დღემდე ვერ შეუკოწიწებიათ საყველ- პურო ქართული. ეს კი რაღაც თორმეტიოდე წელი- წადში სრულყოფილად დაეუფლება ჩვენი დედა-ენის მომხიბვლელობას.

გავიხსენოთ, კუნძული ტექსელი, ოტობაიელი დათიკო ბჟინავა, ზუგდიდელი პოკრო გახარია. ტექსელი ფაქტობრივად მეორე სამშობლოა ჩვენთვის, ვინაიდან ასობით ქართველი დადებს თავს იქ ფაშიზმის წინა- აღმდეგ ბრძოლაში და ეს მითიც, ეს ჰეროიკაც უთუოდ ხიბლავდა ნიდერლანდელ ასულს, როცა ბედისწერა კავკასიისკენ მოაქროლებდა ღვთაება ოდინის აფრებით.

სანდრას გამოარჩევს განსაკუთრებული სხივმოსილი აურა, რომელსაც სავალალოდ მედიუმის მეტი ძნელად თუ შენიშნავს. თავად თუ არა ხარ ამ ულტრა-ტალღების შემნრძნობი, ჩვეულებრივი ბანოვანივით ჩაგივ- ლის გვერდით სინამდვილეში ღვთაებრივი.

— ჩქიმ დიანთელ მარგალ ოსური რე, — იტყვის ერთგან სანდრა და ქალბატონ გიული ალასანიათან ერთად სრულიად სამეგრელოსაც მოხიბლავს ხელის ერთი მოსმით. სიტყვას გააჩნია გამათა განსაკუთრებ ული გამოსხივების უნარი, რომელიც საღსალამათ ხეს უცილობლად მოაბეხრეკებს ამოჩემებული ,,გახმი, გახმის'' შეძახილით. ამიტომაც გაცხადდება იოანესთან: **პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთისა თანა და ღმერთი იყო სიტყვაი იგიო.** სიტყვა იგივე ჰაერის მიერ მკვიდრად შენახული ინფორმაციაა, რომელიც სცოცხლობს და აღარასოდეს კვდება, ვაჟას სწავლებით. აქედან გამომდინარე, სიტყვას შეუძლია უსხეულო სახელმწიფოების აშენება და კუნთმაგარი იმპერიების მიწის პირისაგან აღხოცვა, თუკი იგი სამართლიანია, ტკბილ-სასარგებლოდ შეკმაზული. მაგრამ სანდრას ფენომენი მართლაც რომ ფანტასტიკურია. ამას მიუთითებს მისი თავგა- დაკლული მეცადინეობა სვანურის ასათვის- ებლად. ჯეროვნად შეუსწავლია ქართული, ჩაღრმავებია მეგრულს, ახლა სვან- ურს მისდგომია კარზე. კიდევ რამდენიმე წელიწადი თმადათოვლილ მახვშებთანაც გაბამს იგი დარბაის- ლურ მუსაიფს, რადგანაც სანდრა — დაქუცმა ცებული ქართული სულიერების შემკრები მაგნიტია შორეული ნიდერლანდიდან იბერიაში უფლის განგებით მოვლინებუნილი. ჰოდა, თუ ვაჭარბებ, მიძრახეთ, რამეთუ მილიონიან თბილისში იშვიათად მოიძებნება მოქალაქე, რომელიც ,,მეგრელების ჭიკჭიკს'' არ გაეღიზიანებ ინოს ბოლო ათი წლის მანძილზე, ,,მაფშალიების მომრავლებ- აზე'' არ დაეჩივლოს საჯაროდ. დაეტოლეთ-მეთქი სანდრას, ძვირფასებო, მაგრამ როგორ? რანაირად? რა მანქანებით? სიყვარული ხომ უფლის კარნახია, ზეციერის მომადლებული ნიჭი, ცაბაოთის ხელდასხმა. **(გ. ოტობაია, „სუფევა“, ტ. III. თბ., „ ერთი ბელეტრისტის ტრიბუნა“, 2003 წ.; ჟურნალი „კირბისი“, №1, 2005წ.).**

სულ რაღაც ორიოდე წელიწადი და ჩვენი გულთმი- სანი რძალი სულის შემძრავ წიგნს შემოგვთავეაზებს — **„იდეალისტის ნაამბობი“** (თბ., გამომცემლობა **LINK,** 2005).

არდნას სვოლურ — პირველი ლედის გვარ-სახელის შებრუნებული წაკითხვაა — იგი თურმე შენმთხვევით არ უმიზნებდა მწერლობას ამნაირი ფსევდონიმით. დარწმუ- ნებული ვარ, პოლიტიკური ნასკვები რომ არა, ჩვენი სანდრა უკან მოიტოვებდა შარლოტა ბრონტეებს თუ სელმა ლაგერლეფებს.

საქართველოს დაატარებს თან ყარყარა ყელით, ანუ მისი ფორმის კულონს.

— ჩემს ხართან ერთად ვეწევი მძიმე უღელსო, — აცხადებს. გაბანგულია სიტყვა „მეუღლის“ შინაარსით.

მის მახვილ მზერას არაფერი გამოეპარება კოლხეთის მწვანე სამკუთხედიდან დაწყებული, ფლამანდიელი ძმე- ბისგან იატაკამდე მუცელგამობერილი საწოლებით დამთავრებული.

ზღვის პირას ქვიშაში ქართულ ასოებს თხზავს, ხოლო მოგვიანებით, კოლხეთის შუაგულში, ხობში, ძველ ხიბულაში, პარლამენტარი ძმები კემულარიების საარაკო ოჯახში, დუჟინობით ნთქავს მეგრულ ფრაზებს და წინადადებებს.

— გავარდებოდა მიმყუდროებულში, სად მე ჩეროში მიიკუჭებოდა, ხელში შეგატო ვებდა დაზნექილ სუფრას და ანგი თანგიშ მანგი რენეია (ასლი დედანთან სწორია) იზუთხ- ავდა ანდაზებს და ფრთიანი გამოთქმებს, — გაამხელს მორიდებით ბატონი ვიტალი.

იხილავს გულისწორს, ჩვენს მიხეილს, და უკანასკნელი გროშებით ამერიკაში ჩააკითხ ავს.

დედამისის სამუშაო დაზგაზე ქართული მუშამბა აფარია.

ბებია ბელგიელი ჰყავს.

უფროს ვაჟიშვილს ბაბუის საპატივცემლოდ (დედის მხრიდან) დაარქმევენ ედუარდს. ამით ორი კურდღელია დაჭერილი — პოლიტიკა და დედულეთი. ამგვარი ყისმათი მხოლოდ ფენომენთა ბედისწერაა. სისხლით ხორცამდე კათოლიკეა, მაგრამ, როცა სიყვარული მსხვერპლს მოს- თხოვს, პროზალიტობას შეეგუება — ელისაბედის ზედწო- დებით შეუდგება მართლმადიდებლური ტაძრის თაღს.

„მინდა საქართველოს დედოფალი ან გმირი გავხდეო,“ მისწერს დედას ერთსართულიანი ამერიკიდან, სადაც უმრავლესი ნიუ იორკელის მსგავსად, სარეცხი მანქანა არც მათ ბინაშია.

„ჩემთვის მეშვიდე ენა მეგრულია, რომელიც ქართულს ჰგავს. მეგრულად ერთი მილიონი ადამიანი, ანუ თითქმის ყოველი მეხუთე ქართველი ლაპარაკობსო.“— გადაწვდება ეროვნულ დემოგრაფიას.

ფისუნია საარტიე და larie ან larie koek იუმორით აგავსებს („ლარი“ მათებურად უაზრობას ნიშნავს, ლარი-კოეკი კი — უაზრობა-ნამცხვრის კომპოზიტია მისი ახლო ნათესავის მიხედვით) არაფრისდიდებით ეხსნება. დოლარიც ხომ ამ სემანტიკაში ტრიალებს, თუმცა მისი საჭიროება გაცილებით მეტია.

წიწიბურა მოხალული ბრინჯი ჰგონია, რომლითაც ევროპაში მუთაქებს ტენიან თურმე.

კითხულობს ჯეიმზ ბარბანოს „წართმეულ ბავშვო- ბას“, ნახულობს ფარაჯანოვის „მივიწყებულ წინაპარ- თა აჩრდილებს“, ხოლო **მესოსისე თვთონაც სოსის ჰგავს, ოღონდ — თმიანს.**

მართლაც იშვიათი რძალია, დედამთილის დამფასე- ბელი, გაანაწყენებს ერთხელ, თუმცა მსწრაფლ აღიარებს საკუთარ შეცდომას. ბიზანტოლოგი გიული ხომ ის პიროვნებაა, რომელსაც „შეუძლია ბავშვებს თამაშ-თამაშით გადასცეს ცოდნა.“

ამჟღავნებს ცდომილებებსაც, როცა „ზვიადის ეროვ-ნულ გვარდიას ხალხს აძარცვინებს;“ არც ჯაბა იოსელიანი ყოფილა ოდესმე ფოლოსოფოსი. პიესებს კი წერდა აქა-იქ, ბულვარულს, მაგრამ რას ერჩი, „ ეს ქალი თეთრი მერნით ხომ არ მოიტაცეო,“ ეტყვის მიხეილს ჩვენი „ლომომ პოდპოიასნი“ ნიუ იორკის 116 ქუჩაზე და შარებიც გაილამბება.

უმი კვერცხის მოვლა მთელი კვირის მანძილზე იგივეა, რაც ცეცხლზე შემოდგმული რძის მიყურადება. უახლოვ- დება მარია გულეგინას, რომელიც „ტოსკაში“ მღერის და ნახევრად სომეხია. ვანილიანი იოგურთი ენატრება. არადა, მე ნამყოფი ვარ ჯალაღონიების ფერმაში, რომელიც ჰ ოლანდიელებმა ააშენეს თეკლათში, და რომე- ლიც სანდრას ინიციატივით გასრულებალა თურმე.

ნანობს გრიგოლ აბაშიძის გაცნობას რომ ვერშეძ- ლებს. დიდბებია თამარის ძმაა, „ლაშარელას“ ავტორი, მამას რომ ჩააკითხავს ციმბირში. სამაგიეროდ ქართულ საფლავებს ყურადღებას არ აკლებს ჩვენი მესიაკონი ნოსა მოუცლელი ჭირისუფლების ჯინაზე.

ტიპიური ჰოლანდიური საჩუქარი ფულია თურმე. არ მალავს სანდრა თავისი ერის პრაქტიციზმს, რომელმაც ჭაობნარი ქვეყანა, (ჰოლანდია ტყიანს ნიშნავს, ხოლო ნიდერლანდი — ჭაობიანს), წალკოტად აქცია, მსოფ- ლიოში ერთ-ერთ მოწინავე ერად, თუმცა კვადრატულ კილომეტრზე მოსახლეობის სიმჭიდროვით პირველია მსოფლიოში — 463 კაც 1 კვ. კილომეტრზე.

„რატომაა ყველაფერი ებრაელების ხელშიო“, უკვირთ კი

„ქართული სუფრა ერთი და იმავე სიტყვების კარეუ- სელია, რაც დაზეპირების საშუალებას აძლევს ამ ენის უცოდინარსო, " ყურს გვიწევს მოსათმენი ირონიით. კეთი- ლი ღიმლით ამოგვიქექავს ზღურბლზე ხელის ჩამორ- თმევის ტაბუებს, საპნის ხელიდან ხელში გადაცემის აკრძალ- ვებს. არ მალავს საკუთარ წაბორძიკებებსაც — მომჭირნე ზელანდიელი მეტროს ჟიტონებს მოიმარაგებს მისი გაძვირების შიშით და აი, კურიოზიც — პლასტმასის წითლით შეცვლიან.

ამჩნევს რაჭაში მივანებულ სინაგოგას. რამდენიმე ებრაელი ჯერაც ცხოვრობს იქ. ესიყვარულება „სილამაზის ელექსირ წყაროებს," და არც ნახევრად დანგრეული სანტორიუმის ეზოში მჯდომარე ცხვირმოტეხილი ძია სტალინისთვის იშურებს მიმტევებლურ მზერას..

„მიცვალებულის დაკრძალვა არ შეიძლება ქრისტეს გაცემისა და ჯვარცმის დღეებშიო, " გადასწვდება ეთნო- ლიგიურ შრეებს.

ბევრია საუბარი საქველმოლქმედო ორგანიზაცია **„SOKO"**-ზე, სადაც ასოები თანამიმ- დევრობით შეესა- ბამებიან — ლურჯს, წითელს, შავს და მწვანეს — თავგადასავლებს, სიყვარულს ქართველ მამაკაცთან, ქრისტიანულ ფასეულობებს და იმედს.

ჩვენი ჭკვიანი რძალი შეუდარებელი სპორტსმენია: ფრენბურთელი, ალპინისტი, მოთხილამურე, პარაშუტისტი. კმაყოფილია ყოველდღი- ურობით და აღტკინ- ებულმა ლამის შესძახოს: **წამო, შეჩერდიო,** რადგანაც უკვე ჰარმონიულად უთავსებს ერთმანეთს: ოჯახს, მეგობ- რებს, სამსახურს...

ჰონებერგში ასობით ქართველია დასაფლავებული. დათიკო ბჟინავა ხომ სასწაულით გადაურჩება სიკვდილს. ორმაგ კედელში იმალება, რომელსაც აქა-იქ „შტიკ-ნოჟს" გაუტარებენ ხოლმე ფრიცები, გვერდზე ჩაუვლის ბრიტვასავით ლითონი, პერანგს გაეხახუნება.

ჰოლანდიის უმაღლესი წერტილი 321 მეტრი ა არდე ნების ქედზე. ზეიდერზეს (სამხრეთის ზღვა) ყურე 33 კილომეტრის ჯებირის აგების შემდეგ დახშულ მტკნარ წყლიან ტბად გადაიქცევა. მთავარი მდინა რეებია: რაინი, მაასი და შელდა. ამაყობენ ფოლკლორით, სკრეპე რებით, დიხტერებითა და მენესტრელებით. ნიდერლან- დელების პირველი ბეჭდური ორიგინალური ძეგლია ფონ ფელდეკეს (1250 წ.) „რეინარდის სიმღერა" და „რაინიკე მელა" საქვეყნოდაა ცნობილი მწერალი ერაზმ როტერდამელი, მსოფლიო მნიშვნე- ლობის რომანისტი დეკერი (1820- 1887), მიკროს კოპის გამომგო- ნებელი ლევენჰუკი, ფერმწერი ჰარმენს ვან რეინ რემ ბრანტი. პირველი უნივერსიტეტი ჰოლანდაში დაარსდა ლეიდენში 1575 წელს. 41 864 კვ. კილომეტრის ნიდერლანდია თექვსმეტ მილიო- ნამდე ადამიანს მოითვლის, რომელთა შორის 600 ათასი ფრიზია, 150 ათასი სურინამელი, 220 ათასი თურქი, 165 ათასი მაროკოელი, 50 ათასი ინგლისელი და გერმანელი, 20 ათასი ბელგიელი, ათასობით ქართველი დევნილის სტატუსით და სამარადისო განსასვენებლით ჰონებერგში.

ქვეყნის მთავარი პირია დედოფალი ბეატრისაა (1980). ნიდერლანდი სამეფო საქართველოს კურირებას უწევს გაეროში. ჰოლანდიას ხუთი კუნძული აქვს, ტექსელი, ვლილანდი, ტერსხელინგი, ამელანდი და სხირმონიკოგი, მაგრამ განსაკუთრებული ჩემთვის ტექსელია, რომე- ლიც ზღაპრულ მხარედ შეზრდია ჩემს ყმაწვილურ წარმოდგენებს.

ყველგან თავისთავადია ჩვენი ჭკვიანი რძალი. უქმროსაც კი არ უჭირს, ვინაიდან საკუთარ თავთანაა. ამაყობს მეუღლით, რომელსაც ანგარიშს უწევენ უკვე. „ამნაირი პიროვნება ბევრი არ ჰ ყოლია საქარ- თ ველოს — სტალინი, ბერია, შევარდნაძე."

„სიკვდილით დასჯა სამჯერ აიკრძალება საქართველოში: თამარის დროს, 1918—21 წლებში და კიდევ — მიშას მოღვა წეობისასო."

სანდრას ზოგჯერ მფრინავ ჰოლანდიელსაც უწოდებენ და მთლად უმიზეზოდ არა, კაპიტან დე დეკერის ხომალდი ხომ მისი ქალაქი ტერნეზენიდან აიღებს გეზს?!

დიახ, ის უკვე აქ არის, აქ, საქართველოში „ქარის ყველა მიმართუ- ლებით," სადაც „ხეებს ძირში ბენზინს უსხამენ მოსასპობად." მოგზაურის გული უცემს — ვან დერ პულებისა და რულოვსების ნამდვილი შთამომავალია .აკი, ძმაც პროფესიონალი მოგზაური გამოადგა — ეხბერტი.

მისი ფავორიტი მიშა 2000 წლის გმირია, თუმცა მეტი დასა- დაფნავი თვითონაა.

ნიკუშა წერეთლის საფლავს დაეძებს და პორულობს კიდეც.

აბასთუმანის ობსერვატორიისთვისაც მოცლის. იქ ჩემი ოტობაიელი ოთარ კვარაცხელიას ლექციებს მიუგდებს ყურს უქარო მთვარესა თუ გალაქტიკებზე. ვახშმადაც მიიწვევს თურმე თავისი 33 წლისთავზე ჩემი თანასოფლელი ვანიჩქაევიჩი.

„სიყვაული არის დრო და დრო სიყვარულიაო," ფორმულა- სავით გამოკვეთავს ალექსანდრა. იშვიათი იუმორით გამოირჩევა: „ბილ ლადენის თავში ბუში ორჯერ მეტ ფულს იხდიდა, ვიდრე საქართველოს ბიუჯეტში იდოო."

„ვარდისფერი მითი კი ზვიადისგანიბადებაო,“ შენიშნავს სამარ- თლიანად.

სმოკინგის არჩევისას გამყიდველი ფრანგი ეტყვის:

— საქორწილოდ გსურთ?

და პასუხიც ხელად მზადაა:

— დიახ, საქართველოს მომავალთან საქორწილოდ.

ქალურია. აღკაზმულობისათვისაც იცლის აქა-იქ. ვარდის ფურ- ცლობის ნიშანს გაურბის შეძლებისდაგვარად. დაუშრეტელი ენერ- გიისა მისი მეუღლეა, რომელიც მომდეოვნო კონცერტზე გაუტევს და იქ ნინო სუხიშვილს აიტაცებს ხელში.

იკითხავენ: რას იტყვის პირველი ლედიო და კვლავაც ჭკვიანური ფარზა: „არ შეეშინდა?!“

იქიდანაც ფამილარული კონტრარგუმენტი:

„როგორ შემეშინდებოდა, როცა მის ხელში მთელი ქვეყანაა?!“

ჩვენი მიხეილი მერე და მერე მრავალ ბარონესას აიტაცებს ხელში ბუმბულივით, მომღერალსა თუ მოციგურავეს, მაგრამ მთავარი დედაბოძი მაინც სანდრა ელისაბედ რულოვსია, საქართველოს პირველი ლედი, ჩვენი ჭკვიანი რძალი, ჩვენი მესიაკონი ნოსა.

— თავი მაღლა! — შესძახებს საკუთარ პიროვნებას საქართველოს დედო- ფალი ტერნეზენიდან, — მხნედ გასწიე უღელი! საქართველოს გაუმ არჯოს! — მშვილდივით მოზიდულია ნიადაგ. ამასობაში მეორე ბიჭიც მოევლი- ნება ქვეყნიერებას, ნიკოლოზი — **„Made in GEORGIA“**. თუმცა მოვეშვათ ლირიკულ გადახვევებს და არსებული სინამდვილის- კენ გადმოვინაცვლოთ.

***

ჩვენ ნების მიერ პოლიტიკურ კვანძს საქართველოს თავისუფლების შემადგენელ ნაწილად ვაღიარებთ. ზოგჯერ იგი ქარივით ლაღია, სწრაფ მავალი; ხანაც — დახვეული, აბურდული, ხელფეხშეკრული, მაგრამ ობიექტური რეალობით განსაზღვრული. ჩვენ თავისუფლების შემად- გენელ ნაწილად მივიჩნევთ მეექვსე საუკუნის ლაზიკაში განვითა- რებულ მოვლენებს — ქვეყნის ბიზანტიის მეურ- ვეობის ქვეშ დარჩენას, ვინაიდან ორი ბოროტებიდან ამოირჩევა ნაკლებად საზიანო — ტრადიციებით მსგავსი ბიზანტიელები განსხვავებული ადათ-წესის სპარსელების სანაცვლოდ. ეს მომენტი ჩვენ თავისუფლებისკენ სწრაფვის ნიშნით აღგვიქვამს.

იგივე ფასეულობისაა ერეკლე მეფის ჭოჭმანი ორ გამთანგავ ძალას შორის, მაგრამ გეორგიევსკის ტრაქტატს (იმისდა მიუხედავად რუსეთი არაერ- თგზის გვიფლიდებს და მძვინვარე მტრის ხახას შეგვატოვებს ვერაგულად), მაინც ეძებნება გამართლება. ერის თავისუფლებას ჩვენ განვი- ხილავთ, როგორც მუდმივად მფეთქავ მაჯას, როგორც მარად მედინ წყალს; იგი მდინარესავით მიიკლაკნება და ანაბეჭდსაც იმგვარს ტოვებს, რანაირი წინაღობაც დახვდება გზაზე. აქედან გამომდინარე, „ვარდების რევოლუციაც“ საქარ- თველოს თავისუფლების ერთ-ერთ რგოლად გვესახება, გნებავთ — ტრიპლეტად გენეტიკური სპირალიდან.

სააკაშვილის სანგვინიკურ ქმედებებს მესამე ათასწლეულის დამდეგიდან მოყოლებული, ყოველთვის ახლავს ხელდასმხმული ნება. აქამ- დისაც შემთხვევით არ გაჟღერდება „პეტერსონ ბენქლაფის“ სათავო ოფისში მისი წარდგინება ბატონი ედუარდისათვის. ასეთი რამ არახალია თანა- მედროვე პოლიტიკაში.

აქვე ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ თავის პირველ ვაჟიშვილს ედუარდს დაანათლებს მიხეილი და ინაუგურაციის დროს შევარდნაძეც სააკაშ- ვილის მალხაზისკენ გაიშვერს ხელს მრავლის- მეტყველად: „აი, ეს იქნება ქვეყნის მომავალი პრეზიდენტიო“. ფრაზა ორაზროვანია, მაგრამ მიმხვედრისათვის საკმარისი. მამა-შვილი ხომ განუყოფელ მთელად მოიაზრება კაცობრი ული სულით, მუხა — რკოში. ხოლო რაც შეეხება სააკაშვილისთვის უმაღლესი რეგალიების გადაცემას დავით აღმაშენებლის საფლავთან, ახლავს ფრიად შთამბეჭდავი მუხტი — სამეფო დინასტიასთან გამწყდარი ძარღვის ნეიროქირურგია.

ქვეყნის პრეზიდენტი დაიღლება სახელის- უფლებო ბლოკით. მისი ძალისხმევა ქართული ოლიგარქიის შექმნის გზაზე ჩიხში შევა, ვინაიდან ამ ძალას ქინქლისხელა ჭკუა არ აღმოაჩნდება თავში ძალა-უფლების შესანარჩუნებლად. იგი მცირე- დსაც არ გაიმეტებს საარჩევნო ორომტრიალში გასამარჯვებლად.

გავიხსენოთ სოროსის სიტყვები: მეეჭვება ქართულ ოლიგარქიას იმდენი მოეგროვებინოს, რომ სერიოზული წინააღმდეგობა გაგვიწიოსო. ქართული ოლიგარქია არჩევნებში იოლი გამარ- ჯვების პრაქტიკას მიენდობა, გაყალ ბებათა უსინდისო გამოცდილებას; ამას მივუმატოთ საარჩევნო კომისიის მიერ ელექტორატის ხმების მიკერძოე ბული გადათვლა, მაგრამ აქ ოპოზიცია უკვე მრავალნაცადი ფავორიტია და ორმაგი გაყალბების ქარ-ცეცხლში ასი წლის მიცვალე- ბულებიც კი წამოიმართებიან მივიწყებული საფლავებიდან. ყველაფერ ამას ერთიათად ამძიმებს უკიდურესად დამძიმებული სოციალ- ური ფონი. ხალხის ფართო მასები იმედგაც- რუებულია შევარდნაძის საშინაო პოლიტიკით. ისინი არაფრად დაგიდევენ ხვალინდელ ქათამს, იგივე „დიდი აბრეშუმის გზის“ საუკუნოვან პროექტს,

რომელიც ჩვენი ქვეყნის ასწლოვანი ფუნქციაა საერთაშორისო არენაზე და აგორდება კიდეც მასობ რივი მღელვარობები სოფლად თუ ქალაქად.

ოპოზიციონრების მოქმედება ყველგან კორექ- ტულია: არავითარი საბაბი ძალოვანებთან დაჯახებისათვის. მთელი ამ პროცესების მართვის ბერკეტები ჟვანიას ხელში მოქცეულა. იგი მონიტორიდან ტელერეჟისორივით კარნახობს ლიდერებს ოპტიმალურ სვლაგეზს. სულ ორიოდე დღით განთავისუფლდება პარლამენტის მიმდე- ბარე ტერიტორია ოპოზიციური მანიფეს ტაცი ებისაგან და ამასაც თავის სასარგებლოდ გამოიყენებენ კოალიციის მესვეურები.

აჭარის მოსახლეობის მიერ მოედნის დაკავება იმეორებს თავის დროზე პრეზიდენტ გამსა- ხურდიას მხარდასაჭერად რაიონებიდან ათასების ჩამოყვანას, მაგრამ ეს აქციაც აუცილებელი კომპონენტია ქართული პოლიტი- კიდან შავ-თეთრი შევარდნაძიზმის ვარდის- ფერებით გასაცილებლად. ვინაიდან პარლა- მენტის წინაც ოპოზიციური ძალები თუ იბობოქრებს, ედუარდს გასასვლელი მოეჭრება, ეგზალ- ტირებული ბრბოს ტყვეობაში აღმოჩ- ნდება და აქ კატასტროფა გარდუვალია.

ბოსტონს არ უსვამს იმდენი ჩაი, რასაც ჩვენი მიხეილი ამ დღეებში ინებებს. ჯერ ერთი და მარნეულში აზერბაიჯანელებთან დამოყვრდება იგი წელში გამოყვანილი ჭიქით. აქ ორიოდე წინადადებას გადაულაპარაკებს მიქაელ მება- ირაღე თათრულად აქამდეც სათანადოდ ეგზალტირებულ მრევლს და ნდობის ფაქტო- რიც სავსებით მოხვეჭილია.

ჩვენს პიიტიკოსებს ეს ბარიერი დღემდე ვერ გადაულახავთ. ნათელაშვილი და გამყრელიძე გაქცეული ინგლისელის მობრუნებას კი მოახერხებენ ჟესტიკუ- ლაციის მოშველიებით, მაგრამ ისეთნა- ირად ვერა, როგორც სააკაშვილის ,,ცეცხლოვანი ინგლისური''. იგივე დღეში არიან ბურჯანაძე-ჟვანია, ხოლო ბატონი ედუარდის პოლიგლო- ტობა ხომ სიმწრის ოფლის თემაა?! ენის ფაქტორი მისთვის ყოველთვის იყო აქილევსის ქუსლი. მიხეილი ამ თვისებით უცილობლად ენათესავება პრეზიდენტ გამსახურ- დიას, თუმცა მსგავსება სხვა ნიშნითაც უამრავია: ტემპერამენტი, ქოლერიკული ხასიათი, ელიტარული წარმომავლობა. არის განმასხვა ვებელი შტრიხებიც, როცა ალექსანდრა რულოვსით ყველა წინამორბედს გადასწრებს მიხეილი, ოდეს დანაწევრებული ქართული სულიერების სალამანდრად მოგვევლინება თანამე- ცხედრე მისი.

ექიმის შეცდომა კონკრეტული პაციენტის- ვთისაა საბედისწერო.

პოლიტიკოსი კონკრეტული საზოგადოების საზიანოდ უშვებს მომაკვდინებელ შეცდომას, რომელსაც ათწლეულები ძლივს მოაშუშებენ ხოლმე.

აბსტრაქტული მომავლის მისამართით მწერლის წაბორძიკება, მისი კალმის ციდა ცდომილება, თაობათა სულის საუკუნო გოლ- გ ოთაა. წარმოგიდგენიათ, რუსთაველს ექადაგა: ,,სახელოვანსა სიკვდილსა სიცოცხლე მეტობს ნაზრახიო'', რანაირად გამრუდდებოდა ქართველი კაცის ეთნიკური სახე?!

გარკვეული დროის მანძილზე აჰყვებოდა ამ ,,ჭეშმარიტებას'' საზოგად- ოება, მაგრამ შემდგომ და შემდგომ ხალხივე გადააფასებდა როგორც ცდო- მილსს, უვარგისს. ან რანაირი იქნებოდა ქართველი კაცის ტოლერანტიზმი თუკი ამგვარ სენტეციას დაესესხებოდა რუსთველს: ,,რასაცა გასცემ სხვისია, რას არა — თავისუფლებაო''. ჰოდა, გავხდებოდით კიდეც გობსეკური სულისკვეთების წუწურაქები, თუმცა მთლად სამჭკუაშვილის ფანტაზიაც არ არის საქებარი ქმედება. ამიტომაც მწერალს ევალება წარსთქვას კიდეც ათასწლე- ულების მასაზრდოებელი სიტყვა, თუმცა მანამდე დიდი ოფლის ღვრაა საჭირო სათქმელის სათა- ნადო ფორმა-შინაარსის გადმოსაცემად.

პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია დაცულია აჭარლების მიერ.

სააკაშვილი დასავლეთ საქართველოში გაეშურება თანამზრახველების შესაგროვებლად. მიდის თავის მართლებანი ელექტორატის შემადგენლობის თაობაზე, რომ ხმების რაოდენობა მათემატიკური სიზუსტით იანგარიშება და არანაირი მნიშვნელობა ენიჭება ვის რომელი ექომაგება. ნაკლებად ინტელექ- ტუალური არქართული მოსახლეობის თანადგომა თურმე პრეზიდენტობის გარანტიაა, ხოლო ვაკე-საბურთალოელთა მამულიშვილ- ური ვნებათა- ღელვა — კნინი.

თავის დროზე პრეზიდენტი გამსახურდიაც შეეცდება ელექტორატის დანაწევრებას: ვაკე იმას უჭერს მხარს, საბურთალო-ავლაბარი კი ამასო და რარიგ სავალალოდაც დასრულდება ეს დიფერენ- ციაცია, ვუწყით. აქაც დაახლოებით მსგავსი ინტონაციით შევეცდებით ხმათა გადანაწილებას; ვიტყვით, რომ ხელისუფლებას არაქართული მოსახლეობა ემხრობა პრეზიდენტთან ყოფნის გამოო და ერთობ უსუსური ძალისხმევის მატარებელი გამოჩნდება სრულიად საქართველოს თვალში.

ეს მომენტი რატომღაც ყურადღებიდან გამორჩება ოპოზიციას, მაგრამ ერთი რამ ცხადია, თბილისში უკვე ორი მიტინგი ქოთ- ქოთებს რუსთაველზე ერთდროულად, პარლა- მენტთან და მერიასთან.

პარლამენტთან აჭარლები იხანგრძლივებენ სიცოცხლეს სათქმელ გამოლეული მიტინგით, ანუ 24 დეკემბრის ლეგიტიმაციას (რითაც ახლად- არჩეული პარლამენტი უნდა აღიჭურვოს, ბათუმური კორდონი მთავრობათა სასახლეს- თან ძირითადად ამ მისიითაა დაკავებული), ქაჯეთის ციხედ წოდებული. კანცე-ლარია გამოცარი- ელებული შეეგებება — ოფიციოზის ციტადელი პეტრე მამრაძისა და გიორგი ისაკაძის ამარაა მიტოვებული.

ესეც ხელისუფალთაგან ოპოზიციის სახრავად გადაგდებული ერთგვარი ძვალია, რათა მოწი-ნააღმდეგე რამდენადმე შეიქციოს და როგორმე მოასწროს ახლადარჩეული პარლამენტის კურთხევა. უკვე საათზე მეტია კვორუმის შეკრებას ელოდება პრეზიდენტი, მთელი საქართველო.

ხელისუფლება მორიგ ცდომილებას აირიდებს და პალამენტს კანცელარიაში ან კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში კი არ შეკრებს, არამედ კუთვნილ ადგილას, რათა მის ლეგი- ტიმურობას ვერავინ წამოაძახოს.

არადა, პარლამენტს 4 შესასვლელი გააჩნია, 4 ალაყაფის კარი, რომელთაც ლერწამივით მერყევი ადამიანები იცავენ.

ჩვენ ტელეეკრანიდან შევესწრებით სააკა- შვილ-ნარჩემაშვილს შორის წამიერ გარინ- დებას ჩიტაძეზე.

არა!

აქედან პარლამენტში შესვლა შეუძლებელია, მაგრამ ხომ არსებობს კიდევ 3 კარიბჭე და ერთ-ერთი ველარ „გაუძლებს" ოპოზიციის თინეიჯერულ შემოტევას: „კარ განიღების თავადა", როგორც ეს ხევსურულ ლექსშია.

აქ მე უნებურად მომიწევს ჭოტიკა ჭკუასელის საპრეზიდენტო ნიშან-თვისებათა განვრცობა სააკაშვილისათვის, ვინაიდან მისი ფენომენი 19 ჩამონათვალში ვერ ეტევა.

20. ენების ცოდნა;

21. ჩაის სულმოუთქმელად დაცლა, როცა ატმოსფეროში დენთის სუნი ტრიალებს;

22. გორდიას ნასკვის გაკვეთა ალექსანდრე მაკედონელისებურად და კვერცხის წვერზე შეყენება ნაპოლეონ ბონაპარტის მსგავსად, როცა საამისოდ კირკი- ტისთვის აღარც სიტუაციაა და მით უფრო — განწყობილება;

23. მებაირაღეობა — საკუთარი მონეტის მოჭრა, როგორც ეს 5-ჯვრიანი დროშებით აღესრულება.

მაინც რას წარმოადგნს ბ-ნ გურამ შარაძის (პარლამენტარ ვან ბაიბურთის ეპითეტით: „შაროიანი") დაწუ ნებული ეს ბაირაღი?!

ჯერ ერთი ჰერალდიკათა წიგნში ეროვნული ხელისუფლების დროს მოხვდება იგი. ვიწიწ- მატებთ შემდგომ: ცდომილებითო.

მერმე — ებრაულიაო, გავაჟღერებთ მეხუთე კლასის სახელმძღვანელოში, მაგრამ მაშინ ჩვენი ჟღალი დროშა რაღაა, ჰიტლერის ულვაშის შესადარი შავ-თეთრი ღიობით?! თანაც თავდა- პირველ ვერსიაში, თურმე თეთრი ფერი ზევით ყოფილა მოქცეული და შავი — დაბლა, ჟორ- დანიასეულში კი — პირიქითაა. მაინც რა ეზოტერიკული შინაარსის შემცველია იგი? არანაირის, ვახტანგ ძმობილო, სრული სიმუნჯეა, გაქანებული უმეტყველობა. ამ დროშას სოციალისტური გაცილებით სჯობია თავისი შრომის პათოსით. ახლა შევხედოთ თუ რას წარმოადგენს 5 ჯვრის სიმბოლიკა: თეთრი ფერი ასათვისებელი სივრცეა, დაუწერელი დაფის სემანტიკა. თეთრი ფერი, როგორც კოლორი, ბუნებაში საერთოდ არ არსებობს, მაგრამ დააკვირდით, როგორ დამკვიდრებულა მის ფონზე ზეგარდმო უზენაესობა — წითელი! — თეთრი ფერი ქრისტეა და ხუთი ჯვარი კაცობრიული ჭრილობებიო, — ამტკიცებენ თეოლოგები.— 5-ჯვრიანი დროშა ოთხთავით დადასტურებული ქრისტეს ცხოვრებაარ, — განმარტავს ეზოტერიკ-მათემატიკოსი ბუკია. გვისაუბრია შტაინერი- სეულ თანაფარ დობაზეც ფერების იერარქიაში — მწვანე-ლურჯი-ყვითელი-წითელი, ანუ ეს უკანასკნელი აბსოლუტურია, ზღვარკიდულობა.

ახლა დავკონკრეტდეთ, რა შინაარსის შემცველია თავად სიმბოლიკები?

ჩვენი 5-ჯვრიანი დროშა მართლმადიდებლურ-კათოლი- კური წონასწორობის გამოხატულებაა, სადაც დომინანტი მართლმადიდებლობაა, მეტიც — იგი გვევლინება, როგორც ღერძი, კოორდინატთა სისტემა, და მის ღონიერ ფრთებს თვინიერად შეყუჟვია დანარჩენი კონფესიები. რადგანაც 8-ბოლოიანი ჯვარი ზედმიწევნით მართლმადიდებ ლურია, ხოლო ტარტაროზად მიჩნეული წელ- წვრილი — მასონური. მაინც რა დივერსი- ულობასთან გვაქვს საქმე? ისეთი რა ცდომილებაა ნეტავ, რომ პროფესორი შაროიანი სიფითრემდე მზვობრობს?!

არც ჩვენი სარწმუნოების სათავე ქრისტეა მაინც და მაინც ტომით ქართველი, ებრაე- ლების მიერ უარყოფილი შვილია იგი, იუდეევ- ლების ჯვარცმული სისხლ-ხორცი, მაგრამ ამის გამო არავის

მოგვიშლია ანალოგი- ასთან სულის დაყრდნობა და კერპთაყვანისმცემლური განთესვა ჩვენი მრწამსიდან.

სააკაშვილისგან 5-ჯვრიანი დროშების აღმარ- თვა, შესაძლოა ერთგვარი სიგნალია გარკვეული ბიზნეს-ინტერესების მისამართით, მაგრამ გავიხსენოთ აღმაშე- ნებელის ანისად წალაშ- ქრება, სადაც ,,1500 ქართველი კვდება, არა თავისთვის, არამედ — სხვისთვის''.

ნაბოდვარია ეს სტრიქონები, ვინაიდან 1500 ქართველი სინამდვილეში საკუთარი მერმისისვთის დასდებს თავს, რამეთუ დიდმა დავითმა ჩინებულად უწყის, რომ სომხეთის გაძლიერებით თავად საქართველოსთვის შეიქმნება უსაფრთხოების გრძნეული კედელი, რომელიც კოლოსალურ ენერგიას გამოუთავისუფლებს სახელმწიფოს სხვა საჭიროების გასაძღოლად. და თუ ეს ეკონომიკური კროსინგოვერი მსგავს შინაარსს გულისხმობს, სათაკილო არაფერია, ვინაიდან სომხეთი დღეს აღზევების ფაზაშია, საქართველო კი ჯერაც უკიდურეს დეგრადაციას განიცდის თხუთმეტ წლიანი შინაგანი ქანცგაწყვეტი- ლობის გამო და სანამ სრული კათარზისი გაგვაბრწყინებდეს, ნაღდის მაგივრად ურაპატრიო-ტიზმს უწევს კნავილგა- რეული ჟფა.

სააკაშვილი პირველია კავკასიაში, რომელიც უპრობლემოდ ახერხებს ყველა პოლიტიკური ბერკეტის ხელში ჩაგდებას, ყველა საზოგადოებ- რივი სადავის მობოჭვას, და მისი აღმასვლა წარმატებული იქნება მანამდე, სანამ გარემოცვის ზეგავლენებით დაკომპლექსდებოდეს.

აქვე ლმობიერად მეღიმილება ზოგიერთი ქართული ნათელმხილველობის აჩხაბაჩხაზე. ზემოთ ნახსენებ მწერალ ჯორჯაძეს, იგივე ჩვენს თეოლოგიურ სასძლოს, აწ ნამდვილი რძლები შეენაცვლებიან ჟურნალისტურ-ფილოლოგიური პროფილით, თანაც ამ დალოცვილებს იქამდე გახსნიათ ,,მესამე თვალი'' — (რუდიმენტული, ციკლოპური მზერა რუდოლფ შტაინერი მიხედ- ვით), რომ სამი განსხვავებული საგნიდან შედარებით დაწინაურ- ებულის შემჩნევა შესაშურად ემარ- ჯვებათ. ქალბატონი კავსაძე უფრო შორს მიდის: სააკაშვილს ათწლიანი მოღვაწეობის არეალს უჯავშნავს მამულში და შეერთებული შტატების 47-ე პრეზიდენტადაც ასახელებს ზეგარდმო ნიჭის წყალობით. მაგრამ უმჯობესია ოლიგარქიულ თემას მოვუბრუნდეთ.

როგორც აღვნიშნეთ, სასათბურე გამოცდილება ვერა- ფერში წაადგება შევარდნაძის კლანის კონკურენტუნარიანობას.

მართალია, ლიბერალური პოლიტიკით ისინი დიდძალი ფულადი რესურსის მოპოვებას მოახერ- ხებენ, მაგრამ ადმინისტრაციული ბერკეტების ამოქმედების ვითარებაში ბრინჯივით დაიბნევა თითოეული და უმტკივნეულოდ შეიშნოებს სირაქლემის გამოცდილ პოზას.

ჩვენ გარკვეულწილად ვამართლებთ ბატონ ედუარდის ოლიგარქიულ აზროვნებას საქართვე- ლოს საუკუნოვანი ფუნქციის მოპოვების გზაზე, მაგრამ აღმოჩნდება, რომ უკონკურენტოდ, ოფლის მოუდენლად მოპოვებულ კაპიტალს, მომავალი არ უწერია. გაქვავებულ თანხას კაპიტალი არც ეთქმის, მიწაში ჩამარხული ოქროა, დაკარგული საუნჯე პატრონისთვისაც და საზოგა- დოე ბისთვისაც. ასეთი ხალხი ჯადოქრის მიერ ვეფხვად გადაქცეულ წრუწუნას მომაგონებს სულხან-საბას არაკიდან, რომელიც შიშით ძრწის ტრადიციული მტრის — კატის წინაშე.

ქართული ბიზნესისათვის კი ტრადიციული კონკურენტი სომხეთის შარა- გზაა, მითოსური საძმო. მაგრამ ახლა ბარემ იმის თაობაზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა, თუ სხვანაირად შეძლებდნენ კი საზოგადოებაში დამკვიდრებას, გნებავთ ,,ნაცი ონალები'', გნებავთ — ,,ლეიბორისტები'', რომ არა მკაცრი ხელის პოლიტიკის პრიორი- ტეტები?! საზოგადოებაში სოციალური ფონი მართლაც კატასტროფულია. ფული ერთად- ერთი ბაზრობებზე ტრი ალებს და სრულიად სამართლიანად ისინიც აილაგმება დროთა ვითარებაში.

მოკლედ, ამისთანა სიტუაციაში რომელ ძალას შეუძლია მდგომარეობის თავის სასარგებლოდ შეცვლა, თუნდაც — ფრჩხილის- ოდენად, თუ არა წინამორბედის კრიჭაში ჩამდგომს?! ,,ვარდების რევოლუციის'' მძიმე გას- ხვლები ცხოვრების ლოგიკითაა ნაკარნახევი და არა — პიროვნული სიმპათია-ანტიპათიით.

ხალხის ფართო მასებს ახალი სანახაობა სჭირდება. ნებისმიერი საზოგადოება ხომ გარკვეულწილად კინოლენტი ,,ჩიკაგოს'' ასლია, რომელიც მსწრაფლ ივიწყებს ტრივიალურ სცენებს და თვალ-ყური სულ ცინცხალი, სულ დარახტული ჭორხარბებისკენ გაუმახვილებია. ამიტომაც ,,ნაციონალურ'' ტალღას უკვე არაფერში ეპიტნავება შენი ოლიგარქიული აზროვნება.

მედიაში გაჟონავს ინფორმაცია იმის თაო- ბაზეც, რომ საქართველოს რკინიგზისათვის თუ ,,დიდი აბრეშუმის მაგისტრალისთვის'' თურმე სოროსს დაუდგამს თვალი. მაგრამ ეს ყველაფერი მორიგი საგაზეთო სენსაცია მგონია იმ რეალო- ბასთან, რომ კავკასიური პრობლემების არსიდან გამომდინარე უნგრელი ებრაელი, ,,პოდსტავნოე ლიცო'' უფროა, ვინემ სარფას გამოდევნებული კომერსანტი. აქ

ბიზნეს-ინტერესის ხასიათის გათვალისწინებით, იუგოსლავური მაგალითი ნაკლებად გამოგვადგება. სამხრეთის სლავთა შიზოფრენიას — გახლეჩას, სხვა საფანელი კვებავს, ხოლო კავკასიურ ცეცხლის წრეს — სულ სხვა. აქედან ძნელი ამოსაცნობი არ არის სოროსის გოლფი თუ კეგლი. იგი ამჯერად შედარებით ინტელექტუალურ ბიზნეს-ინტერესს ემსახ- ურება, რომლისთვისაც ,,დემოკრატიული არჩევნების'' მართებულად წარმართვა ,,კმარე- ლების'' თინეიჯერული კუნტრუშობებით, არც ისე მორგებული ნიღაბია გაცილებით ფართო მიზნების განსახორცი ელებლად. და ეს ინტერესები უეჭველად გადანას- კვულია იმ ძალასთან, ვინაც 12 წლის წინათ ეროვ- ნული ხელისუფლების დემონტაჟს განახორ- ციელებს საქართველოში; ვინც ედუარდ შევარ- დნაძეს ჩამოიყვანს აღზევებულ მამულში და რომელიც იუველირულად წარმართავს ,,ვარდების რევოლუციას''.

აქ ლოგიკის ჯაჭვის დარღვევა ლამის გამორი- ცხულია, რადგანაც ეს სამივე რგოლი ერთმ- თლიანის ორგანული შემადგენელი ნაწილია და არსებითად მუსულმანური ექსპანსიით ჩაფიქ- რებული სომხეთისათვის მეხამრიდების მშენებ- ლობებს ემსახურება ქვეყნის ტერიტორიის გარეთ.

სხვანაირად წარმოუდგენელია, ვინაიდან ქართულმა სულმა ვეღარაფრით ისწავლა აღმოსავლური სენტეცა: ,,წყალი თავისით ჩავა ჩასავალს''.

ჩვენ მაინც და მაინც თვითმფრინავი უნდა მოვიტაცოთ, რომ ამერი- კელების თვალში გმირებად შევიმოსოთ;

მაინც და მაინც ხელკეტები უნდა დავსცხოთ ჯავშნის ბაკნიან რუსეთს, რათა იგივე შტატელების თვალში მეამბოხე ერის იმიჯით წარვსდგეთ;

მაინც და მაინც ზარბაზანი უნდა ვბუთქოთ მძინარე გოლიათს, რათა მაზოხისტის ექსტაზით ვუთვალთვალოთ შემდგომ საკუთარი ხორცის და სულის თვითგვემას.

ამ დროს თვინიერად ითმენს და თავის მწარე პურსა სჭამს სომხეთი. თვინი-ერად უცდის სამეგ- რელოს ტერიტორიაზე სანტიაგოს თევზივით შეცქვიფნულ შემადგენლობებს. მოუთმენლად ელის ფოთის ნავკოსალარი გეგიძის ტერმინალებში დაყოვნებულ ტვირთს; სიმწრის ოფლით მისჩერებია პრემიერი ფაცაციას გადაკეტილ გაზს და ვინ მოსთვლის... ამისთანა ვითარებაში ყარაბაღს პირწმინდად გაასუფთავებს უცხო თესლისგან გუშინ სპიტაკის მიწისძვრით იავარქმნილი ჰაიასტანი და აგერ, გულის ფანტასტიკურ ოპერაციებს აკეთებს უკვე. თანამემამულე ბავშვებისთვის უფასოა მომსახურება, ხოლო ქართველ თამუნია ტიბუას ორმოცდაათ პროცენტიანი შეღავათი გაეწევა. ამიტომაც ედიშერ ჩარგაზიას ვიღაც სომეხი პოლიტიკოს-ბიზნესმენის მოტანილი ოდინდელი სიტყვები, მეტის ავისმომასწავებლობით მენიშნება ამ წუთას: თქვენ ახლა ჭაჭას ყლურწავთ, ძვირფასებო, მაგრამ მალე ჭუჭუს მიილებთო; ან იგივე შანიბოვის ფრაზა ნაირა გელაშვილის ინტერვიუდან: ჭკვიანად იყავით, ე, მანდ, ქართველები, თორემ თბილისს ერევნად გადაგიქცევთო. არ მოვიშლით წრეგადასულ გიჟვრაცუობებს, ვახტანგ, და მივილებთ კიდეც შეპირებულს: გადაგვიქცევენ! მოვა ჟამი და ჩვენ სამარ- თლებრივი ასპექტიდანაც განვიხილავთ ყველაფერ ამას, მაგრამ ამჯერად უფრო მართებულია ,,ნაციონალების'' თუ ,,ლეიბორი სტების'' გამარჯვების შემთხვევაში მოსალოდ ნელი ვითარება ვივარაუდოთ.

ყველა სამართლებრივი არგუმენტი მათ მხარესაა:

ისეთი მოლოქი რამეა ეგ შენი ,,დიდი აბრეშუმის გზა'', რომ გურამ პეტრიაშვილის ,,შად რევნის'' მსგავსად სრულიად საქართველო გადაჰყვება: ანუ ილაჯი გადაეწურება საზოგა- დოების ფართო ფენებს და დარჩება ცარიელი ტრუბა უქართველო საქართველოში.

როცა მსგავსი ბრალდებით აესვექტება წინ სახელისუფლებოებს ერთიცა და მეორეც, ენას გაკმენდ, კონტრარგუმენტებს ვერსაიდან მოტან.

კითხავენ ნათელაშვილს ერთგან:

— პარლამენტის სესიაზე რატომ არ მოხვედიო, — და მწარე ირონიით უპასუხებს:

— რა, საკუთარ პანაშვიდზე მივსულვიყავიო.

დიახაც, პანაშვიდი აღმოჩნდება ,,ლეიბორის- ტებისთვის'' თუ მრავალი პოლიტმოძრაო- ბისთვის ,,ვარდების რევოლუციის'' შავ-თეთრი კულუარები.

არის ამ ქვეყანაზე ერთი გუდიანი კაცი, რომელსაც უძირო ჯიბეები ჩაუკერებია შარ- ვალში, ერთი მარჯვნივ და მეორეც — მარცხნივ. დიახაც, იმხელაა ეს ჯადოსნური სათავსი, რომ 235-235 კაცს იტევს აქეთ-იქით, ანუ სულ 470 პარლა- მენტარს. ამიტომაც მნიშვნელობა არა აქვს რომელ ჯიბეში იარხეინებენ ისინი, მარცხენასა თუ მარჯვენაში, იქამდე მოთვინიერებულან თავიანთი ჯინის გულმოწყა ლებით, რომ მზად არიან ოთხივე ხელი აუწიონ 5-ჯვრიანი დროშების თუ 177 კანონის კოლექტიურ რატიფიკაციას. თუმცა მოვუბრუნდეთ ჩვენს მთავარ საკვნე- სელს: ,,ნაციონალურ'' მოძრაობას უკვე უკან დახევა არაფრით შეუძლია და ნათე- ლაშვილმა რამდენიც უნდა იძახოს:

— მე არ ვითანამშრომლებ ძალასთან, რომელიც ნიუ-იორკიდან კირაკოსიანის („ლეიბორისტს“ ეშლება, უნდა ეთქვა კირკორიანი, გ.ო.) ოფისიდან იმართებაო, — რა ბედენაა ჩვენთვის, რიგითი ქართველებისთვის, რომელ კულინარიით შევიჭმევით, ნიუ-იორკულით თუ ლონდონურით?

ჩვენთვის სამახსოვრო ის უნდა იყოს სამისდღემშიოდ, რომ სომხები თავად იზრუნებენ ეროვნული უსაფრთხოებისათვის და ოლიგარქიული საქართვე- ლოს აწ წინწკლებში მოხსენიებული პოლიტიკა, ბუფერულ ზონად წაადგება ჩვენს კარის მეზობელს.

ზემორე თქმულის გათვალისწინებით მოსალიდნელია რეპრესიების ტალღაში სამთავრობო რეზიდენციის საკვამურებიც მოჰყვეს აივნების მხარ- დამხარ, ვინაიდან ახლო მომავალში არავის გაახსენდება „ვარდების რევოლუციის“ უეკლო ბუნება ხელშეუხებლობის გარანტად.

ყველაფერი კი ფრიად უმტკივნეულოდ ჩაიფარცხება საწუთროს თვალსა- წიერზე, ვინაიდან გუშინ არაფრის მქონებელი ხვალაც ცარიელ-ტარიელი აღმოჩნდება.ის სახსრები საქართველოს მომავალს გოჯისხელად მოხმარებოდა, ერთგვარი სინანული შეგვძრავდა თითოეულს, მაგრამ ქარის მოტანილი, გინდა ქარს წაუღია და გნებავს — მეწყერს.

ქართველი ხალხის ბედნიერებაა თუკი „ნაციონალების“ ინტერესები ჩვენი სამშობლოს მიზანდასახულობებს დაემთხვევა დროსა და სივრცეში, მაგრამ კომპასის ისარი თუკი სამხრეთისკენ გადაიხრარა საგრძნობლად, ბაზელის ვარდებით დაფორაჯებული ჩოხა-ახალუხი ვერაფერში წაადგება გრძელ- ნაბიჯებიან მიხეილს და აღარც დავით აღმაშენებლის საფლავთან მუხლმოყ- რილის ფიცი გადაწვდება საპრეზიდენტო ათწლეულს ლიანა კავსაძის ნათელ- მხილველობით. თუმცა უმჯობესია კვლავაც 24 დეკემბრის ბატალიებს მოვუბ- რუნდეთ და გადაუჭარბებლად ვთქვათ: არის თუ არა ყველაფერი ქილიას შეცხადების ასლი: „დიდუ, რა იყო ეს“?!

ერთხელაც დამიკონკრეტებია: განსხვავებულია შევარდნაძისეული რაქათლუკუმით ნასაზრდოები ოლიგარქიული აზროვნება და თურქეთში 1 500 000 სომხის გამოღადრული ყელით შექმნილი კირკორიანის ოლიგარქიული პატროფილია.

ამ შემთხვევაში მდიდართა ქართული კლანი სამუცლისგვრემო წარმოდგენებს ვერაფრით გამცდარა, ვინაიდან მატერიალური სიკეთე ციურ მანანასა ვით ლამის თითის გაუტოკებლადაა მოხვეჭილი, როცა სომხური ბიზნესი დატუმბულია მამულიშვილური ცეცხლით, იგივე თავგანწირუ- ლობით, რასაც პოპულაციებს შორის არსებობის- თვის ბრძოლის მწარე სინამდვილე საჭიროებს ჯიშ-ჯილაგის გადასარჩენად.

ქართულ რეალობას გააჩნია წინაპირობა: აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ მაინც შექმნას მატრიცა — ერის მონოლითურობის განმსა- ზღვრელი ბირთვი, ატომგული, დედაბოძი თუ ფუძის ანგელოზი ეთნოლოგიური ტრადიციით; მაგრამ ჩვენი და-ძმების გენოციდს საერთაშორისო რეზონანსი ვერ მიენიჭება და ზვიადაურის მოხროტინე ხორხივით დაუტირებული დაგვრჩება დარლას შეუწირველი ათასების სულისკვეთება.აქვე გასათვალისწინებელია ის სიცხადეც, რომ ეროვნული მთავრობის ქართველის ხელითვე ჩამოგდების შემდეგ (აქ ლომის წილი გვარნაცვალ მეხუთე კოლონას მიუძღვის, იგივე მჭედლების კასტას ამირანის მითიდან), იმავე ძალის მიერ სანქცირებულ შევარდნაძის 12-წლიან მმართველობას, საეჭვოა რაიმე ქმედითი ცვლილება მოეტანა ჩვენს ქვეყანაში, რადგანაც მისი მოქმედების დიაპაზონი იმთავითვე იყო პირობადებული ჯაჭვის აწყვეტამდე, ანუ რეალურ თავისუფლებამდე.

პირველი პრეზიდენტის მსგავსად ედუარდ შევარდნაძეც მიენდობა პიროვნულ უნარებს (საერთაშორისო ავტორიტეტს) და სამშვიდობოზე მისით გაღწევას მოიწადინებს, მაგრამ პოლიტიკა ხომ თამაშის ფილოსოფიაა და ვარდისფერ სურვილებს ბაღლინჯოსავით გასრესს საწუთროს შემზარავი სიცხადე.

სხვის საომარ ლელოზე ჩვენ ვერასდროს განვახორციელებთ წარმატებულ ეროვნულ პოლიტიკას. ეს მომენტი წინასწარვეა მარცხისთვის განწირული, რასაც იმპერიის წინააღმდეგ თავად გამსახურდიას გაბრძოლებაც ადასტურებს.

ახლა, ამდენი ნიჰილისტური ჭოჭმანის შემდეგ, დაიბადება კითხვა: კი, მაგრამ ნუთუ არა აქვს დასასრული ჩვენს ბიოლოგიურ დეგრადაციას?

აქ ფორმულა დახატულია ამირანის მითის მიხედვით, სადაც გმირთა გმირი ჰერაკლე მოაშთობს ზევსის არწივს და პროტოიბერიულ საქართველოს ისევ დამპყრობელი ინდო-ევროპული რასა მიანიჭებს თავისუფლებას, ანუ არსებობის სადაგ პირობებს. მაგრამ ვინ არის თავად ჰერაკლე? გაგიკვირდება, ვახტანგ ძმობილო — არმენიული პრიორიტეტები ქართულ პოლიტიკაში, რამეთუ ჩვენი მითოსური ძმები უჩვენოდაც მშვენივრად ახერხებენ თავიანთი ეროვნული ინტერესებისათვის ჰუმუსის შექმნას მეტისური წარმომავლობის ქართველებით. და აქ მართლაც გიჟ-ვრაცუა უნდა იყო ეს „უჩინარი“ დინებები ვერ აღიქვა.

არმენულ პრიორიტეტებთან სიახლოვე, ანუ ქართული სახელმწი- ფებრიობის მოწყობა ჩვენი უახლოესი სამხრეთელი მეზობლის ინტერესების შესაბამისად გადაარჩენს საქართველოს, კავკასიას თუ მსოფლიოს ზოგადად:

1 .რუსეთს ხელს აძლევს ძლიერი სომხეთი, რადგანაც ერთადერთი უღალატო კომპანიონია მისთვის, როგორც კავკასიაში არააბორიგენი ეთნოსი და აქედან გამომდინარე, მათი მეშვეობით ჩინებულად წარმართავს საკუთარ პოლიტიკის მთელს რეგიონში;

2. ამერიკას ხელს აძლევს ქართველ პოლიტი- კოსთაგან არმენოფილური ხედვა, რადგანაც სომხური გენი თავად დღევანდელი ამერიკის მშენებელი უჯრედია, რომელსაც ზურგს უმაგრებს მატრიცას მფლობელი ეთნოსის მონოლითურობა;

3. პროსომხური პოზიცია არბილებს საქარ- თველოში ეთნიკურად ჭრელი საზოგადოების პოლარიზაციას;

4. ერთადერთი, ვისაც საქართველოში არმენო- ფილური პოლიტიკა აღიზიანებს, თურქეთ- აზერბაიჯანია, მაგრამ მოვა დრო, როცა საფრანგეთის მსგავსად, მთელი მსოფლიო აღიარებს 1915 წელს სომხების გენოციდს თურქეთში, და მაშინ სრულიად ახლებურად დალაგდება ძალთა შორის ბალანსი არათუ კავკასიაში, არამედ — მთელს დედამიწაზე.

5. ჩვენ ამ ქმედებით, ანუ ქართული პრიორიტეტის მხარდამხარ სომხურის დაწინაურებით, არც ეროვნული თავმოყვარეობა შეგველახება და პრაგმატიკული მოსაზრებითაც ,,შერეკილების'' ურმით მთვარეზე გაფრენას მიწაზე მყარად სიარულს ვამჯობინებთ.

აი, ამ სინამდვილიდან თუ გავაანალიზებთ ,,ვარდების რევოლუციის'' შავ-თეთრ კოორდინატებს იგი სრულიად კანონზომიერად მომზადებულა და განხორციელებულა კიდეც, უწინარესად ქართველი ერის სასიკეთოდ.

თუკი გეგულებათ ვინმე რომის პაპზე კათოლიკე, აღავლინოს განსხვავებული მესა! აი, რა მუხტი კვებავს პარლამენტში ,,ნაციონალების'' გაცნობიერებულ შეჭრას და პრეზიდენტის დიაბეტური ჩაის ბოლომდე ამოხვრეპას სიმწრის ოფლში მცურავი სააკაშვილისაგან, თორემ გვიხილავს ჩვენ მიხეილის გალაღებული იერი პრემიერ ჯორბენაძის კაბინეტიდან რიჩარდ მიალსის თან ხლებით, როცა ქვემოთ, პარლამენტის კოჭებთან, ,,ნაციონალ-დემოკრატიული'' მიტინგის შუაცეცხლია გაჩაღებული. არის კიდევ სხვა რეალობაც:

ის, რაც სომხისთვის იდეალურია, როგორია თავად ქართველის ათვის?! ანუ რა დოზით შეიძლება დიაბეტური ჩაის მოხვრეპა, რათა ანტისახელმწიფოებრივ პლატფორმაზე არ გადაგითრიოს?!

ჩვენ, ქართველები, ინდოევროპული ტალღისაგან 4 ათასი წელია ამირანის ვითარებაში ვიმყოფებით, ვართ კავკასიონის ქედს მიჭყლეტილები, ანუ ვიმყოფებით გენოციდის ზღვარზე, ფიზიკური განადგურების პირას და აქ ნებისმიერი პოლიტიკური ნაბიჯი ფუჭი მცდელობაა სიტუაციის გამოსასწორებლად, სანამ მატრიცის ჩამოყალიბების გზას არ დავადგებით; სანამ სული არ შეგვიწუხდება იავარქმნის გარდუვალი რეალობით და შინაგანად არ ვიტყვით უარს გემოთმოყვარეობაზე. აი, მხოლოდ ამ მომენტიდან დაიწყება ქართველი კაცის შინაგანი რესურსების მობილიზაცია პანიკიდან გამოსაღ წევად. აი, მხოლოდ ამის შემდეგ გავიცნობიერებთ კოლექტიურ თანხმობას ერთიან მომავალზე. მანამდე კი ყოველთვის უთავბოლო ბოდიალი გამოგვივა ლაბირინთში არიადნეს გორგალის უქონელთ, მინოტავრის სადილ-ვახშმის მსუყე კერძეულებს.

თავად მატრიცა რასაც ნშნავს, ამის თაობაზეც ვიმსჯელებთ მოგვიანებით საკითხის შესაფერისად, ოღონდ ახლა ,,ვარდების რევოლუციის'' ლაჟლაჟა იალქნებსაც მივადევნოთ ჯეროვანი მზერა.

შემოიჭრება პარლამენტის სხდომათა დარბაზში ,,ნაციონალების'' ბირთვი და ერევნის პარლამენტის გუშინწინდელი სასაკლაო ერთიანად დააჟრუან- ტელებს მთელს დარბაზს.

კვორუმი შეკოწიწებულია. ,,ლეიბორისტები'' გაცლიან მოსალოდნელ ინცინდენტს ნათელაშვილის სიტყვებით: საკუთარ პანაშვიდზე ხომ არ მივი- დოდიო. ხოლო ფიგარო ბაღათურიას მტკიცებით: მათ საქციელს არსებითად შეუფერხებია პრეზიდენტი, რათა უკანონო პარლამენტის ხელდასხმა ვერ მოახერხოს. ლოგიკა გაუგებარია: ამ შემთხვევაში ,,ლეიბორისტები'' მეამბო- ხეთა პადდელნიკებად გვევლინებიან, ვინაიდან მოფიქრებული დაყოვნებით ,,ვარდების რევოლუციაზე'' აპკურებენ თანამოაზრეობის ციურ ნამს. თუმცა არსებითი ის გახლავთ, რომ აგორებულ ვნებათა ღელვას შთამბეჭდავი ფინანსური ზურგის ქარები მიასწრაფებენ სკიპტრა- გვირგვინისკენ. ამ თადარიგში გადმობირებულია სამთავრობო სტრუქ- ტურების ლამის მთელი სპექტრი ნარჩემაშვილ-მოლაშვილის გამოკლებით.

წარმოგიდგენიათ, პრეზიდენტის გადადგომის მეორე დღესვე სახელის- უფლებო გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა'' პრეზიდენტის ფაქსიმილეს ამოაგდებს კორექტურასავით პერიოდიკის

პროფილიდან, რომელიც დილის გამმხნევებელი ტვინის ვარჯიშების დაწყებას ამ გაზეთის წაკითხვით ურჩევს ელექტორატს. გააქრობენ და გავხევდები: ვინ გაიძულებდა ფრაზის სარკმელთან აფრიალებას?! ან თუ ყველას დასანახად ასწიე, ასეთი სულსწრაფობით რისთვის გადააშენე, ბემურაზო?! სად არის შენი ჟურნალისტური თავმოყვარეობა, ან ღვთიური ეთიკა თუ მამაპაპური ღირსება?! მაგრამ მივყვეთ იმის ჩვენებას, თუ რამდენად თანადროულია აისისფერი ,,ვარდების რევოლუციის'' ხასიათი.

გვითქვამს, პარლამენტის წინ ეგზალტირებული აჭარული დელეგაციაა შეყრილი-თქო, მაგრამ მას არ გააჩნია სპექტაკლივით ორგანიზებული რევოლუ- ციის აღკვეთის ძალა. ამგვარი უნარი ერთადერთ კაცს აღმოაჩნდება მთელს საქართველოში, ჯემალ გოგიტიძეს და კიდევ ნაწილობრივ — მრავალგზის გვემულ რჩეულიშვილს. უამრავი მუშტი მოხვდება და სილა გაეწნება თითოეულის ბეჭებს, თხემს თუ ყვრიმალებს, მაგრამ ამგვარიბარიკადებით პრეზიდენტისათვის შექმნილია სიცოცხ- ლისთვის უსაფრთხო დერეფანი კრწანისის სამთავ- რობო რეზიდენციამდე.

და იტყვის ერთიანად გადაფითრებული ედუარდი: აჭარლები რომ არა, უეჭველად მომკლავდნენო.

ეს განაცხადი უკვე ეთერული ფანტაზიის ნაყოფი სულაც არ გახლავთ, არამედ რეალური ვითარების გამოძახილია, რამეთუ გამწარებული ხალხი არაფრად დაგიდევს თხემზე კუშტულივით მოხვანცალე ჭაღარას; შენს საერთაშორისო ავტორიტეტს; ,,დიდი აბრეშუმის გზაც'' მუცლის სავარცხელია მისი ყიამყრალი ყოფიერებისათვის, ცხადია, ოლიგარქიული აზროვნების თამადობით. დავიწყებულია პური ჩვენი არსობისა, მაცოცხლებელი შუქი — თვალის ჩინი ჩვენთა თუ მომავლის რწმენა — ცაბაოთი, უფალი, მეუფე ყოვლიარის. ჰოდა, ამისთანა ვითარებაში ედუარდის გადათქერვა, გოგიტიძის ქოთები თუ რჩეულიშვილის ალიყურები, მცირე შურისძიების შემცველი ეკლებია ბრბოსთვის ,,რეგინა როზასი.''

***

თავისუფალი საქართველოს პირველი მეთაური (,,უმაღლესი წარმომადგენელი საქართველოს რესპუბლიკისა'', 1919 წლის 21 მარტი), (1868-1953) 85 წელს იცხოვრებს და სიცოცხლეს ემიგრაციაში დაასრულებს. დასაფლავებულია ლევილში.პირველ განათლებას ნოე ჟორდანია ოზურგეთის სემინარიაში მიიღებს. შემდეგ იგი ცოდნას გაიღრმავებს თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1891 წელს ნოე ჟორდანია პოლონეთში მიმემგზავრება და სწავლას განაგრძობს ვეტერინარულ ინსტიტუტში:

— ვეტერინარობა არ მაინტერესებდა, — განაცხადებს იგი მოგვი- ანებით, — არც მინდოდა და თუ შევედი ამ ინსტიტუტში — იმიტომ, რომ იქ გვიღებდნენ სემინარიელებს, ისიც პირველი ხარისხით დამთავრებულთ და ვფიქრობდი ამ შემთხვევით სარგებლობას ჩემთვის საინტერესო განათლების მისაღებად.

ნოე ჟორდანია ამ წლებში გაიჟღინთება ,,სრული რევოლუციური'' პათო- სით. იგი კლასობრივი პოზიციიდან აფასებს საზოგადოებრივ მოვლენებს: ,,ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორს ახალს, ერთი მეორის მოწინა- აღმდეგე წოდებას, ანუ კლასს ერთის მხრით — ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მეორის მხრით — მუქთახორა ბურჟუა — კაპიტალისტები.პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი დასაკუთ- რება ამ შრომის ნაყოფისა. აი, სად ტყდება ხიდი ჩვენში და ზოგან კი კარგა ხანია ჩატეხილიცაა. აი, სად ირღვევა უფსკრული და ბევრნი კარგა ხანია გარღვეულიცაა. ამ უკუღმართობის დასამარ- ცხებლად არის, ერთის მეცნიერის სიტყვით რომ ვთქვათ, ორსულად ახლანდელი ჟამთა ვითარება, ამ მშობიარობის დასაჩქარე ბლად და გასაად- ვილებლად იღვწიან და უნდა იღვწოდნენ კიდეც საუკეთესო წარმომადგენელნი ახალი თაობისა!''

XX საუკუნის გარიჟრაჟზე მთელი ევროპა, ცივილიზაციის პრობლემას მოუცავს, მარქსის- ტული იდეების ზეგავლენებია ყველა სფეროში და ილია ჭავჭავაძესთან პოლემიკებიც აქედან დაისადგურებს.

ბატონი ნოე ჟორდანია კასტროვის ფსევდო- ნიმით აქტიურად ქადაგებს მარქსისტულ იდეებს. ის ბევრს მოგზაურობს ევროპაში: იტალია, რუსეთი, შვეიცარია... რუსეთის იმპერიის დამხობა საფუძველი შეიქნება კავკასიის თვითმმარ თველობის კომისარიატის შესაქმნელად (1917 წ. ნოემბერი, რომელიც 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმში გადაიზრდება და 1918 წლის 26 მაისის დილამდე გასტანს, ხოლო უკვე 17 საათსა და 10 წუთზე შეიქმნება ეროვნული მთავრობა. 1921 წლის 7 მაისს რუსეთ-საქართველოს შორის დაიდება ხელშეკრულება, რომელშიც ,,აშკარა იყო მოსკოვის ორი ტენდენცია — ერთი პოლიტიკური და მეზობლური, მეორე — იმპერიალისტური''.

მართლაც, როდესაც რუსეთს ბაქოს ნავთობი დასჭირდება, 1921 წლის 11 თებერვალს ინსპირირებას მოუწყობს თავისუფალ საქართველოს ,,ბორჩალოს სომხეთის აჯანყებით'' და უკვე 25 თებერვლისათვის თბილი- სის თავზე წითელი დროშა აფრიალდება ღორეშელი სერგოს ძალისხმევით.

,,სუვენერობა ერის, ბატონობა დემოკრატიის, დამკვიდრება სოციალიზმის — აი, ჩვენი მიზანი, აი, რისთვის ვიბრძვით ჩვენ''-ო, აცხადებს ქვეყნის პირველი მეთაური ჟორდანია წიგნში ,,რჩეული ნაწერები''.

,,ერი მორალური პიროვნებაა. მას აქვს თავისი ეთიკა, თავისი დისციპლინა, თავისი კალაპოტი, რომლისგან ამოვარდნა მას ღუპავს. ის იძულებულია ამოვარდნილ ისტორიულ გრიგალს პირისპირ დახვდეს, გული მიუშვიროს და შეებრძოლოს. მას არ შეუძლია დამალვა, გაქცევა, გადახვეწა. ამ ნიადაგზე მაგრათ მდგომი, ის აძლევს სავალ კალაპოტს, სამუშაო ხაზს მოწინავე მებ- რძოლთ, მედროშეთ და წინამძღოლთ.მისი მეთაურია მხოლოდ ის, ვინც ამ კალაპოტში რჩება, მისი დროშაა მხოლოდ ის, რომელიც მის ტანჯვა-ვაებას აღბეჭდავს. ხალხი თავის თავს ვერ გადაუხვევს, ეს მისი ბუნებაა. კერძო პირი კი მოკლებულია ამ სტიქიას, მისი გზაკვალი განუსაზღვრელია, უსწორ- მასწოროა...რაც უბედურება თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას წარსულში და დღეს,სწორეთ ამ მიზეზით აიხსნება. მუდამ ხალხს მოსწყდებოდა მთელი წყება წყალწაღებული ადამიანებისა და მათ მოევლინებოდა ბატონათ და მტანჯველათ უცხო ძალასთან დაკავშირებით. ისინი მირბოდნენ წინათ ჯერ სპარსეთში,შემდეგ რუსეთში თავიანთი ეგოისტური ინტერესების გასამარჯვებლათ ქართველი ერის ხარჯზე, ასე მირბიან მოსკოვის კარზე დღესაც ამ დაბეჩავებული ერის ნაძირალები''.

და რადგანაც ნოე ჟორდანიას მთავრობა ვერ მოახერხებს არჩევანს რუსეთ-სპარსეთ-თავისუფლებას შორის — თავად აღმოჩნდება დევნილი.

,,აღორძინება პირველათ იწყებს საზოგადოების დანაწილებას ეროვნული ნიშნებით. ეს მიმდინარეობა იურიდიულ სფეროში იხატება რევოლუციებით, გამოღვიძებებით ხალხის, როგორც დემოკრატიის და ერის, როგორც ნაციონალური ერთობის''

და მაინც პირველი თავისუფალი საქართველო ჭურულას უსუსურ- ობით შეეზვარაკება გარედან ინსპირირებულ ძალებთან ჭიდილს და ფარვანას ერთ- დღიანი უმწეობით აბრიალდება ველიკორუსული იმპერიის საჯოჯოხეთო კოცონზე. იგი ნოეს მტრედივით ვერსად მოიკიდებს ბრჭყალს საფრანგეთის გარდა და პოლონეთის მთავრობის შემწეობებით გააქვს თავი. საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლის ცხოვრება არაფრით გამოირჩევა დევნილი თანაგუნდელების არსებობისაგან, თავად მოჰყავს კიტრი და პომიდორი, ბავშვები დასასვენებლად ვერ წაუყვანია, ფრაკი ვერ გამოუცვლია, უწყინარი ბეკეკას რძით საზრდოობს, გერგილიანობის ნატამალი არ აღმოაჩნდება, რაც მოჭარბებულად დაბერტყია თავზე ახლახან ყელგამოღადრული მილიონნახევარი თანამოძმის პატრონ სომხურ დიასპორას. მილიონებად ღირებული ეროვნული საგანძური თან წარუტანია და ვერანაირად მოუხერხებია მისი გამომზეურება, მისი გათვალსაჩინოება მსოფლიო საზოგადო- ებრიობისათვის, ბიზნესის დატრიალება ამ გზით. გამუდმებულ შიშშია არავინ წაართვას და ხელუხლებლად დაუბრუნებს ათწლეულების მერმე დამამხობელ ხელისუფლებას. რომ გარბოდი, სად გარბოდი? რომ მიგქონდა, სად მიგქონდა? ან თუ წარიტანე, რატომ ვერ მოახერხე ამ საუნჯის მემკვიდრემ ეროვნული სულის გაათასკეცება და მძლავრი ემიგრაციული მოძრაობის შექმნა? უკან მიდევნებული ლამპარიო, ითქმის ამაზე, მაგრამ პრაგმატისტობას ვერ მოსთხოვ იადონ ერის. ნოე ჟორდანია ქართველებს ხან სამიათასწლიანი ისტორიის ხალხს ეძახის, ხანაც ორიათასიანს, მაგრამ სამართლიანად შენიშნავს იგი ჩვენს ვასალურ დამოკიდებულებებს ,,დაწყებული ჩინგის ხანიდან არ შეუცვლია საქართველოს საარსებო საკუთარი შენობა და თავისი ნაციონალური წესები არ შეუტანია. ყველა ისინი კმაყოფილდებოდნენ გადასახადების აღებით, ახალი ხარკის გაწერით''. ასევე მოიქცევა მისი თქმით ქართველების მეფე მირიანი, ეროვნებით სპარსი, რომელიც გაქრისტიანების შემდეგ სავსებით გამოეთიშება სპარსეთს. ამ წერილში განსაკუთრებით ყურადსაღებია ნოე ჟორდანიასრეცეპტები ქართველი ხალხისადმი:

1. მან უნდა შეინახოს თავისი ნაციონალური სულისკვეთება და ნებისყოფის სიმაგრე.

2. არ იცნოს მისი დღევანდელი ეკონომიკური წყობა თავის წყობათ და მისაღებათ.

3. მას დაუბირისპირის მუდამ დამოუკიდებელი საქართველოს მიერ მიღებული და გატარებული სოციალური საფუძველი.

4. ის დღეს ემორჩილება უცხო ძალას, მუშაობს მისი ბრძანებით. მაგრამ სულიერათ, აზროვნებით მას ეთიშება და თავისუფალი საქარ- თველოს დროშის ირგვლივ გროვდება.

5. ის იბრძვის იმ მიზნით, რომ მიმდინარე ხანაში გააფართოოს თავისი საკუთარი სამუშაო შესაძლებლობანი, თავისი საკუთარი მიწის რაოდენობა და თავის რჩენის საშუალებანი დამოუკიდებლათ მთავ- რობისა. (როგორ, რა მანქანებით? გ.ო.)

6. სახელმწიფო ეკონომიკის საგანია ერის სხვილი საკუთრება და არა კერძო წვრილი მეურნეობა, ხელოსნობა და აღებმიცემობა.

7. რაც შეიძლება მეტი უფლება პიროვნებას, ხალხს, ნაკლები უფლება სახელმწიფოს და მის აგენტებს.“ (ალბათ, შინაურ საქმეებში, გ.ო.).

ასეთია ემიგრაციაში მყოფი საქართველოს უმაღლესი წარმომად- გენლის, ნოე ჟორდანიას აბსტრაქტულ-პრაგმატისტული ნაზავი, ერის სამომავლო პროგრამა-რაკომენდაციები ლევილიდან. მისეული პოლიტიკური ხედვა გამიჯნავს სახელმწიფო და კერძო საკუთრებებს, სტრატეგიული მიმართულებებს ხელისუფლება განაგებს და პრაქტიკულად არ ერევა ადამიანის თავისუფლების საკითხებში მცირე ბიზნესიდან მოყოლებული. წარმოვაჩენთ ჩვენ საქართველოს სამი მესვე ურის შინაგან წყობას და იმ გარემო პირობებს, რომელიც აპოხიერებს მათ მოღვაწეობას და რომლის მიხედვით ჟორდანია ათასი კილომეტრის მოშორებით განისვენებს ლევილში, გამსახურდია ასეულობით კილომეტ რის იქით დაკრძალულა იჩქერიაში მომავლის თავის სამტვრევად, ხოლო შევარდნაძე აქვეა, თავის სახლში, სამებისეული ტაძრის დასრულებასაა დადარაჯებული, და იბადება კითხვა, მაინც რა არის ის მუხტი, რომელიც თითოეულ ხელისუფ- ალს უბიძგებს საკუთარი ეთნოსის შინაგანი მეობის შენარჩუნებისკენ, ინდივიდუალური სახის შენახვისაკენ, თუნდაც საამისოდ ხელაღებით გასხვისდეს ტერიტორები?! მაინც რა ჯადო-თილისმაა ეს ნაციონალური ინდივიდუალიზმი, რომელიც გუბაზ მეფიდან მოყოლებული უმთავრეს ფასეულობად ქცეულა ქართველი ხალხისათვის — ჩვენი ადათ-წესები, ცხოვრების ჩვენეული ნირი?! რა განსაკუ თრებული მუხტი იდუმალებს ამ უსხეულო საუნჯეში ესოდენი თავგანწირულობით რომ დავფოფინებთ თავზე? არც გაგანია კოცონზე გასვლას ვუშინდებით მისი გულისავთის ქეთევან დედოფალის მსგავსად და აღარც 60 000 ყელს უძნელდება თემურ ლენგის მახვილით გამოღადრვა?!

რა არის სიკვდილზე უფრო საზარელი ქართველი ეთნოსისათვის, რომელიც ყველგან და ყოველთვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე გაფთრებული იცავს თავის ინდივიდუალიზმს. ქონება წაგვრილია. სახლ-კარი გადაბუგულია. ცხვარ-ძროხა წარეკილი. მამულები მიტაცებულია და მაინც ამაყად ეგებება სიკვდილს პროტოიბერიელი თავისთავადობის შესანარ- ჩუნებლად. მართლაც გიჟ-ვრაცუები ვართ თუ მთელი საიდუმლოც აქ იყრის თავს?! განსაკუთრებული რაა ქართველი კაცის სულის ავტონომიაში? შვილივით ზრდი ვაზს. წურავ გიჟმაჟ ღვინოს ქვევრებში საბობოქროდ. მღერიხარ ,,ლილეოს“ — მზე ჰელიოსის საგალობელს; ციბრუტდები ხორუმ-ფერხულებით და წარმოდ- გენაც არა გაქვს, რომ შენი ქორეოგრაფია სამყაროს მოძრაობის მიკროსქემაა.

იკვებები სასთუმალთან მოშინაურებული მცენარეებით, უკვდავების წამალი ყურისძირას გაგიხარებია.

ერთქორწინებას სჯერდები, ვინაიდან ადამის განყოფის შემდეგ მრავალ ქალში ვერ თავსდება შენი ცალუღელა ბიოველი. არაფერი იცი ამის თაობაზე და მაინც თამამად ეგებები ყოველგვარ ჭირთათმენას გაუცნობიერებელი საჭურჭლის გამგებელი.

პირწავარდნილი წარმართი ხარ!ყველაფრის გათვალისწინებით ჩვენ არ უნდა გაგვიძნელდეს სააკაშვილის ფენომენის დატოლება თავის წინამორ ბედებთან და განსაზღვრა იმისა თუ რანაირი კუთრი წონისაა მესვეურობა ესე. ჟორდანიას დარად ჩვენს მიხეილს თანამეცხედრე უცხო მიწის შვილი ჰყავს. სანდრა რულოვსი ინა კორენევას ტყუპისცალია. ნოეს მეუღლე პროფესიონალი რევოლუციონერია, რომელსაც 1905 წელს ბაქოში დაატუსაღებენ და მხოლოდ ციხის ექიმის, ივანე ელიაშვილის, დახმარებით გამოიხსნიან პატიმრობიდან. კორენევა მართლაც უმაგალითო მეუღლეობას გაუწევს საქართველოს უმაღლეს წარმომადგენელს, ოთხ შვილს გაუჩენს (უფროსი ვაჟი ანდრეიკა გარდა- ეცვლებათ, შემდეგ ემიგრაციაში ყოფნის დროს, ქალაქგარეთ, სან-მარიში ამუშავებს მიწის ნაკვეთს და იქ მოწეული ლობიო-სიმინდით ასაზრდოებს ოჯახს. აბა, ხელმწიფე მეუღლეს როგორ აკადრებს მიწაზე თოხის დაკარებას?) ინა კორენევა იხსენებს სინანულით, თუ როგორ სიდუხჭირეში უხდებათ ცხოვრება. გამოსაცვლელი კაბაც კი არ მოეპოვება საქართველოს პირველი ლედის გარდერობს. პენსიონერებს უვლის და ამ მოტივაციით მცირეწლოვან ბავშვებსაც აიმარქაფებს ხოლმე, და მაინც ყველაფრის მიუხედავად მხოლოდ დედისეულ შინაგან ხმას ენდობა თურმე მისი ნოე.

ხანდახან წუთისოფლის საზრუნავით გაქაჩუ- ლი კორენევა რომ აუხირ დება ხოლმე თავის მბრძანებელს: ბევრი რამ შეუძლია შენს პატარა საქართველოსო, ნოეს მზა რეცეპტივით ამოუშიშვლებია ამნაირი ფრაზა: ,,ათენა იყო მხოლოდ ერთი ქალაქი, მაგრამ მან შექმნა ცივილიზაციაო“, და აქ უნებურად წამოცდება ჟორ- დანიას ერთი უმთავრესი დებულება: ცივილიზაციის მშენებლობის უძირითადეს პირობას — მატრიცას, საქართველო ვერაფრით განახორციელებდა წითელი რუსეთის ზეწოლის პირობებშიო.

და ვეღარც გამსახურდიას მოუხერხდება ამ მატრიცის შექმნა იგივე გამთანგავი პრესების წყალობით.

შევარდნაძეც ვერანაინრად განასრულებს საშვილიშვილო მისიას რიკოშეტული, არეკვლითი პოლიტიკით, თუმცა ოლიგარქიული აზროვნ ება ოდენ საშუალება აღმოჩნდება საქართველოს საუკუნოვანი ფუნქციის შესაძენად და მომწიფდება სივრცე კონგენიალური სინთეზის განსახორციელებლად, როცა წარუმატებლად გარდახდილია თეზა-ანტითეზას ფაზები ახალი თვისებრიობის გამოსადნობად.

სააკაშვილი ემსგავსება ტემპერამენტით გამსახურდიას, მასავით ქოლერიკულია და, ალბათ, შეიძენს მომავალში შევარდნაძის ოდისევსისეულ ცბიერებას, გველის ჭკუას, რკინის ნერვებს ოპონენტური აზრის მოსასმენად.

იგი ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტია ამიერკავკასიაში და ვგონებ — ევროპაშიც. თავის წინამორბედ თანამემამულე კოლეგებს ხომ საგრძნობლად ჩაუქი აასწრებს უმაღლეს პედესტალამდე ასვლას:

ჟორდანია 50 წლის ასაკში გაპირველკაცდება;

გამსახურდია 48 წლის გაპრეზიდენტდება;

შევარდნაძე 43 წლის გამდივანდება ცეკაში და 63 წლისა მოისხამს პრეზიდენტის მანტიას.

ამ თემშარაზე სააკაშვილს მართლაც განსა- კუთ რებული უპირატესობა გააჩნია თითოე- ულთან, 36 წლის ასაკში მოუხრის მუხლს დიდი დავითის უმეტოქო ნათელს და ბაზელის დავარდულჩოხიანი შეჰფიცებს კიდეც მეფე-ხუცესის მაგიურ აჩრდილს სინდისიერების სადარაჯოზე დგომას. იგი თითქოს შევარდნაძის სარკისებური წაკითხვაა : 36 — 63. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სააკაშვილი 21 დეკემბერსაა დაბადებული, მშვილდოსანია სტალინივით.

მიხეილი ბუნებით ფატალისტია. მოვლენების ორთაჭიდილში თითების გადაჭდობით შეუძლია სასურველ შედეგს დაუცადოს. ამასთან ,,ვარდების რევოლუცია'' გიორგობის დღეს დაემთხვევა (თუ დაამთხვევენ), და მისი ინაუგუ- რაციაც 25 იანვარს მთვარესავით აესვეტება დასაბნელებლად ოსტატის დაბადების დღეს. სააკაშვილი გამსახურდიას ემსგავსება ენების ცოდნით, ზვიადი ინგლი- სურის დიდი სპეციალისტია. თვალშისაცემია მისი პოეტური თარგმანები. ამასთანავე სომხურიც ემარ ჯვება გამსახურდიას და ავარიულიც. მაგრამ ყველაფერს გადაწონის მისი ესთეტიკური აზროვნება და რაც ჩვენთვის განსა- კუთრებულია — ეზოტერიკული ხელდასხმულობა.

ამ მიმართულებით სააკაშვილს უამრავი სიახლე ელის კვლავაც, აღმაშენებ- ლის საფლავთან მუხლმოყრილი ფიცით ფაქტობრივად უხილავი ნეიროქირურ- გიით აღსდგება საქართველოში მონარქიული პრიმატი. დაახლოებით იგივეს მოიმოქმედებს შევარდნაძე, როცა ინაუგურაციის შემდეგ მწერალთა ნავსაყუ- დელს მიაკითხავს მაჩაბლის 13-ში.

თავად სააკაშვილიც საკრალურს მიყურად- ებული ინდივიდია. გავისხსე- ნოთ, დედაქადაქის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევისთანავე მთაწმინდას მიაშურებს იგი და მერაბ კოსტავას საფლავთან დახრის თავს.

მსგავს შემთხვევაში მხოლოდ გამსახურდიას არ სჭირდება ძეხორცი- ელთან მიახლება, ვინაიდან მისი სული ცაბაოთის სრულ გამგებლობაშია.

სააკაშვილი თავისი ნატურით, გამსახურდიას მსგავ- სად, იბერიულ-კოლხური ეთნოსის გენეტიკური განხორციელებაა, ფარნავაზ-ქუჯის ტიპიური შთამომავალი — მამით ქართლელია და დედით მეგრელი, ასე რომ, მიხეილი ფაქტობრივად გამსახურდიას აუხდენელი ოცნებების პოტენციური ხორცშესხმაა.

,,ვარდების რევოლუციას'' გამოარჩევს უამრავი გამდინარე და შემომა- ვალი ნაკადი, რომელთა შორის განსაკუთრებული ასლან აბაშიძი ფიგურაა, ,,აჭარის ლომი'' სეპარატისტულ ხმალს ქარქაშში ჩააგებს და თავისი რეზიდენციის თავზე ხუთჯვრიან დროშას აღმართავს წამით (აქ ჰილარის ძმების ზეგავლენა უტყუარია. აკი, ,,დიდი აბრეშუმის გზის'' საუკუნის პროექტად მომნათლავი ბილ კლინტონი საჯაროდ მოუწოდებს ცივილურ მსოფლიოს საქართველოს თანადგო- მისთვის; როცა ,,დემოკრატების'' პოზიცია ამნაირია ჩვენი ქვეყნის მიმართ, სავარაუდებელია, რომ ბუშ-უმცროსის ბედი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში გადაწურულია .

ჯერ ერთი, მას ფლორიდის ხმების სტატისტიკა აქილევსის ქუსლივით გაჰყვება მთელი ცხოვრება გორისთვის შეწერილი ხელისუფლების სიმბოლოდ;

მერე ქუვეიტის შეთითხნილი ბრალდებებით ექსპანსია გამზადდება უცილობლად ადრე თუ გვიან. უკვე ხუთასამდე ამერიკელი მკვიდრად ბინად- რობს ცინკის სარკოფაგში და კიდევ ნოემბრამდე უფალმა უწყის სანამდე გადა- ასლდება მათი რიცხვი მაცილის მარცხიანი ხელით.

აქ საარჩევნო რეიტინგის ამაღლება კოსმოსური ოდისეით ნაკლებად ეფექტური მგონია იმ რეალობასთან შედარებით, რასაც ამერიკელებისთვის დამამცირებელზე დამამცირებელი სახელი რომ ეკლიანდება მსოფლიო ჟან- დარმის შინაარსით. ვინაიდან კლინტონის მმართველობისას დატოვე- ბული ნაჭარბი ნახევარი ტრილიონი დოლარი ტრუბაშია გამძვრალი ავღანურ-ერაყულ ბატალი ებისას.

მოკლედ, აღმოსავლეთის ენერგორესურსების ერთპიროვნული ბატონ- კაცობა შტატების მიერ ჩრდილოეთის მოლიპულ-ყინულიანი გზით მინავარ- დობს გაურკვეველი მომავლისაკენ. ყველაფერ ამას ჩინებულად აცნობიერებენ ,,დემოკრატები'' და მათგან უმთავრეს პლაცდარ- მად საქარ- თველოს აღიარება ,,რესპუბლიკე ლების'' ხაბარდას უნდა მიგვანიშნებდეს პოლიტიკურ არენაზე სულ ცოტა 10 წლით მაინც!

საქართველოს როლი ამ პროცესების გეგმაზომი- ერად წარმართვაში კოლოსალურია, მედიატორული, შეუთავსებლთა შემთავსებელი მუხტი, საყოველთაო ჰარმონიზაციის გარიჟრაჟი დედამიწის მასშტაბით. აქ მართებულად გადაჭრილი პრობლემები უწინარესად ტრომბის მოხსნას ნიშნავს სომხეთისთვის. ეს კი თავისთავად კავკასიის გაწონას წორებული პოლიტვითარების მომასწავებელია და თავისუფლდება თანაქმედების სივრცე მძინარე გოლიათთან — რუსეთთან.

,,დიდი აბრეშუმის გზის'' პრიორიტეტის შენარჩუნებით სააკაშვილი ცალსა-ხად ამჟღავნებს შევარდნაძის სულიერ მემკვიდრეობას სტრატე- გიულ ასპექტში,რომელიც რეცესიულადაა გადაჯაჭვული გამსახურდიასეული საქართველოს პროპლანეტურ მისიას და მეიმედება, ტაქტიკური ანტიკორუფციული მსვლელ- ობებით, ეროვნული თანხმობის დაწინაურებით, ჩიხში შესულ პრობლემებს დღითი დღე მოენასკვება ასფურცელა თავი.

,,ვარდების რევოლუციას'' დამატებით ახლავს კიდევ ერთი გამარ- თლება:

სააკაშვილის გაპრეზიდენტება ლამის თვრამეტი თვით დააჩქარებს დემოკრატიულ პროცესებს საქართველოში, უწინარესად რუსულ-ამერი- კული ბალანსის თვალსაზრისით. მისი მოვლინება უმაღლეს იერარქიაში, ლამის წელიწად ნახევრით მოსინჯულ მშვიდობიან თანაცხოვრებას დაახვედრებს ჩრდილოეთ-სამხრეთს შემდგომი მსოფლიო პოლიტიკის შესამუშავებლად და განსავრცობად. საამისოდ კი თვალსაჩინო სარბიელი თავად საქართველოშია ექსპერიმენ- ტივით აგორებული ეროვნული თანხმობის მიღწევის გზაზე, საზოგადოების გახლეჩილ-დანაფლეთებულ ფსიქიკაში. ერი, ეროვნება ხომ კლასიკური განმარტებით კოლექტიური პასუხისმგებლობაა ერთობლივ მომავალზე!

საერთაშორისო ასოციაცია ,,კავკასია: ეთნიკური ურთიერთობები. გეოპოლიტიკის'' თავმჯდომარის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის და ფილოსოფიის დოქტორის მეცნიერებათა დარგში, ბატონ ლევან ურუშაძის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ:

,,სამართალმემკვიდრეობის საკითხთან დაკავშირებული ვაკუუმის საბოლოოდ შესავსებად მეტად მნიშვნელოვანი იქნება 2004 წლის 28 მარტის არჩეული ახალი პარლამენტის მიერ ოფიციალურად დადასტურება იმისა, რომ იგი არის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამართალ მემ- კვიდრე. თავის მხრივ, ანალოგიური დადგენილება უნდა მიიღოს დევნილი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რის შემდეგაც უზენაესი საბჭო დაასრულებს თავის მოღვაწეობას. ვფიქრობთ, ზემოთქმულს ძალზე დიდი მნიშვნელობა ექნება იმის თვის, რათა ბათილად იქნეს გამოცხადებული ე.შევარდნაძის რეჟიმის მიერ ან ამ რეჟიმის თანხმობით დადებული ყველა ანტისახელ მწიფოებრივი და ანტიქართული შეთანხმება''. (,,ეროვნული თანხმობა'', №2, 30 იანვარი — 9 თებერვალი, 2004 წელი).

ბატონი ლევან ურუშაძე საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას პრეს- სამსახურის სპეციალური კორესპონდენტია 1991 წელს და რადიოსადგურ ,,თავისუფალი საქართველოს'' პოლიტიკური მიმომხილველიც. ასე რომ, ჩვენი ეროვნული ტრაგედიის გამოუს წორებელ ჭირისუფალს ერთხელაც დავესესხებით ჩვენთვის მნიშვნელოვანი ორი მომენტის შეფასებას: **„ამრიგად, 9 აპრილმა მოიტანა ზვიად გამსახურდიას ზეობის ხანმოკლე, მაგრამ მნიშვნე ლოვანი ხანა, ხოლო ამ ხანამ შექმნა მყარი,რეალური საფუძველი „ვარდების რევოლუციის“ განხოციე ლებისათვის“.** და იქვე წინარე სვეტის მეზობლობაში:

„ჩემთვის ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ მაშაზეციერი დროის ასეთ მცირე მონაკვეთში საქართველოს მოუვლენდა ქვეყნისათვის თავგანწირულ მეორე ადამიანს. მიხეიშლ სააკაშვილი, ლიდერის გამოკვეთილი თვისებებით დაჯილდოებული, საქართველოს გარეშე და შინაური მტრების შეურიგებელი და, დიახაც, ემოციური ოპონენტი, სათავეში ჩაუდგა საქართველოსათვის დაბრუნების მოძრაობას. იგი, თანამოაზრეებთან ერთად, მიდიოდა საქართველოს იმ ცხელ წერტილებში, სადაც წინასწარ იცოდა, ფიზიკური ანგარიშსწორება არ აცდებოდა. ეს იყო

თავგანწირვა იმ აკრძალული ადგილების გამოსავლენად, სადაც ჩვეულებრივ მოკვდავს ფეხის დადგმა ეკრძალებოდა. მიხეილ სააკაშვილმა ნოემბრის დღეებში საქართველოს მოსახლეობა ალესილი დანის პირზე, ბეწვის ხიდზე ატარა და ყველგან ის იდგა წინ. თავგანწირვა იყო პარლამენტის შენობაში შესვლაც, რასაც საქართველო, მსოფლიოსთან ერთად, სუნთქვა შეკრული ადევნებდა თვალს. საქარ- თველოს მოსახლეობამ დაიჯერა ახალი ლიდერისა და უყოყმანოდ დადგა მის გვერდით".

ამგვარად ასინთეზებს მოვლენებს ლევან ურუშაძე, ამნაირი მართებუ- ლობებით აღადგენს ჩატეხილ ხიდს პროცესებს შორის ეროვნული ცნობიერებისკენ. წერილიც სრულიად გამოკვეთილი ორიენტაციით დაუსათაურეებია — „ზვიად გამსახურდიადან მიხეილ სააკაშვილამდე", მაგრამ ვითარების ამნაირ განხილვას იოტისოდენადაც არ იზიარებს „ლეიბორისტების" ლიდერი ნათელაშვილი. მისი ბობოქრობის მოტივები გასაგებია ჩემთვის, როგორც ადამიანისათვის და მაინც გაუგებარია ამდენი უარყოფითი ენერგიის გამოფრქვევა, როცა სახელმწიფოს შესადუღა- ბებლად თავის დახრა გვმართებს ერთმანეთის წინაშე დიდ-პატარას. ნათელაშვილს ჯერ კიდევ საკრებულოს თავმჯდომარეობის უკადრისობის პერიოდში აეწაპნება თვალსა და ხელს შუა საქართველოს რიგით მესამე პრეზიდენტობა. ცხოვრებისეული გამოცდილებით, ვინც მცირეს უკადრისობს, გრანდიოზულს ველარასდროს ეღირსება. მე რამდენჯერმე ვყოფილვარ ლეიბორისტების ოფისში. ავსულვარ მონჯღრეული კიბეებით ჩემს ძმობილთან, ვახტანგ მიშველიასთან ერთად. ორსაათიანი ინტერვიუ შემითავაზებია ბატონი შალვასთვის ბელეტრისტული მატიანის კოლორიტული ფიგურის ხორცშესასხმელად, მაგრამ ეს მეცადინეობა დღემდე ვერაფრით მომიხერხებია; გულს ბოლომდე მაინც ვერაფრით ამოვიბერტყავ. საშიშ ატმოსფეროს ვლანდავ გარშემო და ამ პროცესების ზედ- მიწევნით გაშუქებას ვლამობ მომავალ თაობათათვის, მაგრამ შალვა სტრასბურგშია პარიზის გავლით და კვლავ ჩამეფუშება გულახდილი დიალოგის თადარიგი. მას-მედიის პესტიციდებით ვიკვებები:

„მინისტრთა კაბინეტი ეს არის შევარდნა- ძისტულ-სოროსული კორუმპირებული მთავ- რობა, რომელიც საქართველოს დაღუპავს. ეს ის მთავრობაა, რომლის დიდი ნაწილი ნორმალურ ქვეყანაში აქამდე უკვე ციხეში იჯდებოდა. სიმართლე გითხრათ, მიხეილ სააკაშვილისაგან უკეთესს არც ველოდი, მაგრამ... საქმე ისაა, რომ მინისტრთა კაბინეტი საქართველოს რეალურმა პრეზიდენტმა ჯორჯ სოროსმა წარმო ადგინა გენერალურ გუბერნატორ სააკაშვილისა და პირველი ვეზირის, ზურაბ ჟვანიას ხელმოწერით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენმა ქვეყანამ დამოუკი- დებლობა დაკარგა". ამნაირ განაჩენს გამოუტანს „ვარდების რევოლუციის" მთავრობას ბატონი შალვა ნათელაშვილი, თუმცა აქამდეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: მშფოთვარე მამიდაშვილი მეტი საიმედოა მძვინვარე სიძეზე. ესეც რომ არა, აჩემებული 220 000 ლეიბორისტის დემარშებს ვერ გადავაყოლებთ ეროვნული გამრთლინებისკენ დაძრულ საქართვარელოს. თანაც ეს „220 000" მთლად საკრალური კრებული რომ არ ყოფილა ინტერ-პრესის ცნობით?! — „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" პოლიტიკური მდივანი და თბილისის საკრებუ- ლოს მდივანი ზურაბ ჟვანია ორი დღის წინათ გაცლია შალვა-მესვეურს საგარეო თუ საშინაო კურსის უთანხმოების გამო.

„**ჩემი ნაბიჯი კარგად მოფიქრებულიაო**, — აცხადებს ზურაბ ჟვანია, — **ეს პროცესები კი** (ვარდების, გ.ო.), **რევოლუციამ დააჩქარაო"**, მაგრამ ლეიბორისტული გრძელი როქი რატომ- ღაც არ აისახება ნათელაშვილის გამოსვლებში და მათი ერთობა კვლავაც 220 000-ია, როცა ელემენტარული ბუხჰალტერიით 219 999 უნდა იყოს. ახლავს ნათელაშვილის ანჩხლობებს სხვა უფრო დამაფიქრებელი მიდრეკილებანი, რომ დანარჩენი საქართველო, 3 780 001-ია იგი თუ 4 780 001, დასაჭერია და ვირის აბანოში საყურყუტო; რომ მთავრობა გამოტენილა სოროსელებით, რათა ალექსანდრე ლომაიას გახარჯული მილიონები დემოკრატიის ბაირახტარმა ჯორჯმა საქართველოს რკინიგზითა და ფოთის პორტით აინაზღაუროს; სოროსის გიმნაზისტებს ეძახის იგი თავდაცვის მინისტრს, გელა ბეჟუაშვილს, იუსტიციის მინისტრს, გიორგი პაპუაშვილს, ეკონომიკის მინისტრს, ირაკლი რეხვიაშვილს; ხოლო ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვის მინისტრებს, ორ თამარს — სხულუხია-ლებანიძეს ამერიკის სპეცსამსახურების თანამშრომლებს უწოდებს, რადგანაც „ისინი მუშაობდნენ საერთა შორისო ორგანიზაცია „იუსაიდში", რომელიც ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურს წარმოადგენს". ამასაც არ კმარობს ბატონი შალვა და ახლა ეროვნული მთავრობის გაუწყვეტელ ერთ-ერთ შუბლის ძარღვს, ბატონ გურამ აბსანძესაც გადაწვდება, „...მან საქართველოდან გაქცევის შემდეგ არც თუ ისე მცირე თანხა წაიღო, რითაც მოსკოვში დიდი ბიზნესი წამოიწყო". მივალთ კი ამისთანა მამასისხლური დამოკიდებულებებით ტაძრამდე?! მეეჭვება, მით უფრო, როცა წინ გადაუდებელზე გადაუდებელი ეროვნული თაეხმობის დილემაა გადასაჭრელი; როცა ერთი მიმართულებითაა ზეთისხილის რტოს შესაყენებელი მტრედი და ყორანი; როდესაც თანაქმედების

ულელშია შესაბმელი უარყოფითი და დადებითი ემოციები, იგივე ბოროროტება და სიკეთე, ელექტრონი და პროტონი, მინუსი და პლუსი, შალვა და მიხეილი, გნებავთ მიხეილ სააკაშვილი და შალვა ნათელაშვილი. სხვანაირად ტაძრამდე მისვლა რა მოსატანია, ჩეჩმამდე ვერ მივასწრებთ ეროვნულ მუცლის გვრემებს, ვახტანგ, ძმობილო.

საქართველოს პროგრესული პარტიის ლიდერი ვაჟა ჟღენტი ხომ მთლად მოუკრეფავში გადასულა:

,,ბევრ რამეზე მიგვანიშნებს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის აღიარება: **„ბოლიკვიასა და საქართველოში კარგად ვიმუშავეთ“**.რაც უნდა გასაკვირად მოგვეჩვენოს შეთქმულების თანამონაწილედ საქართველოს საპატრიარქოც მოგვევ- ლინა ილია მეორეს თავკაცობით...ახლად არჩეული პარლამენტის პირველ სხდომაზე არ ბრძანდებოდა. მისი საჯარო გამოსვლები აშკარად ავანტუ- რისტების წისქვილზე ასხამდა წყალს. ყველაფერ ამისთვის სააკაშვილმა პატრიარქს უდიდესი მადლობა გადაუხადა.

საერთოდ, პატრიარქს ერის სულიერ მამად გამოცხადების ტრადიცია უნდა მოიშალოს. არც ერთ ქვეყანაში და არც ერთ ეპოქაში პატრიარქებს ერის სულიერ მამებად არ მოიხსენიებდნენ. მით უმეტეს, როცა საბჭოთა კავშირში პატრიარქებს კრემლი ნიშნავდა“ — ამგვარი დაღვარჭნილი სტილის ვერდიქტს გამოუტანენ ჩვენს უწმინდესსა და უნეტარესს. მე კი ამისთანა ვითარე ბაში ათი ცნების მე-5-ე მუხლისკენ გამექცევა ხოლმე მზერა. მაგრამ მოვუბრუნდეთ საუბრის ხერხემალს და ვთქვათ თარაზული მიუკერძოებლობით, რომ სააკაშვილის გუნდს დიდი პერსპექტივები ელის ახლო მომავალში. მიხეილი ხომ ინაუგურაციამდე მოასწრებს ისტორიის ჩარხის შემოტრიალებას არა მხოლოდ კავკასიაში, და ვინ უწყის, იქნებ ახალგაზრდა პრეზიდენტის ცეცხლოვანი ინგლისურით უფრო მაღალი ტრიბუნიდან გადაწვდეს სრულიად დედამიწას ქართული ეთნოსის ზოგადკაცობრიული მისია.

როგორც ვახსენე, ზვიადის კავკასიურ ოჯახს და საკუთრივ ქართულ მისიას — მსოფლიო განიკითხოს, განანათლოს, დაასინქრონიულოს გეორგიანული ეთნოსით, არათუ უტოპიურად, ლამის ანტიმეცნიერ- ულადაც კი ელვარებს, როგორც დანარჩენი ქვეყნიერებისათვის, ისე თავად საქართველოს მოქალაქე ებშიც. ამიტომაც და უფრო ამისთვის უფლისვე ნებით, საქართველოს მოევლინება ფიზიკური მიმზიდველობა ბიზნეს-ინ- ტერესების სტიმულისათვის, რომელიც ერთგვარი ქინაქინაა კაპიტალის ციებ-ცხელებით გათანგული მსოფლიოსთვის განწმენდა-განკურნების გზაზე.და როდესაც განხორციელდება ეს მისია, ანუ რაჟამს ეზოტერიკული ქვეტექსტის მოჩრდილვით თავს დაიმკვიდრებს მატერიალური ასპექტი, ჩამოეც- ლება კიდეც სარბიელს. მართალია, თავად ,,დიდი აბრეშუმის გზა“ დარჩება წარმმართველ სტრა- ტეგიად, მამოძრავებელ ხერხემლად, მაგრამ ამიერიდან ქართული სულიერების აღზევება ამ ენერგომატარებლებს აეტვირთება უჩინრად, რეცესიულად, ფარულად, რათა ქართული ეთნიკური ფასეულობებით ძალდაუ- ტანებლად განხორციელდეს სამყაროისეული სინქრონი ზაციის მისია: ამითა ენითა (ეთნოსით) განიკითხოს, განიწმინდოს, დასინქრონულდეს კაცობრიობა სრული.

გამსახურდიას ამგვარი დეკლარირება ფილარმონიაში, ცხადია, გააღი- ზიანებს დანა- რჩენ მსოფლიოს, გამორჩეულობის ფანტას- მაგორიად აღიქვამს სინამდვილეში წამლად და მალამოდ მიგებებებულ შარბათს და ბუნებრივია, შეძახილიც არ დააყოვნებს:დინების წინააღმდეგ მოცურავე! თუმცა უფლის განგებას წინ არაფერი უდგას და იგივე ქართული ჯიშის მიერ ტაქტიკური ცვლილებით ქართული ეთნოსი სრულიად მსოფლიოსთვის სალამანდრა- სავითაა ზვარკად მიტანილი. ამასობაში სარბიელზე წამოტივტი ვ- დება წმიგდა გიორგის ინიციაცია, მისი სულიერი ავტონომიის ნათელფენა მთავარანგე ლოზი მიქაელის სახით. ამჯერად კი ერთმოსახელე ჩვენი პრეზიდენტი მატერი- ალური ხიბლის სულიერ ჭეშმარიტებასთან შერწყმით, ანუ შევარდნაძისა და გამსახურდიას ფენომენების სინთეზით დაამკვიდ- რებს ახალ რეალობას, საყოველთაო სინქრონი- ზაციას.

ეს საკრალურობა განსულიერდება კიდეც 25 იანვარს სააკაშვილის ინაუგურაციით, ანუ შევარდნაძის პოლი- ტიკური ლიკვიდაციის დღეს დაიბადება საქართველოს ახალი პრეზიდენტი, ახალი აზროვნება ჩაენაცვლება ზვიადის ზედმიწევნით ეზოტერიკულ და ედუარდის ზედმიწევნით მერკანტილურ განზომილებებს — ქართული მისიის საყოველთაო განფენისათვის მოვლენილი ორივე საწყისის ალქიმიური შეთანაწყობით. ორი უკიდურესად განსხვავე- ბული მიმართულების შეთავსებით, თანაქმედებით. მაგრამ ჯერ პრეზიდენტ გამსახურდიას ფილარმონიასეულ ლექციის შრეებს ჩავწვდეთ და მედალიონის ავერსრევერსით გაცილებით ხატოვნად გამოიკვეთება ჩვენეული ინტერპრეტა ციების არსი.

შევარდნაძის გადადგომა სულაც არ არის ვულგარული გადაყენების მომენტი, რადგანაც აქ არსებითად გაცხადდება ძალაუფლების უფრო მაღალ რეგისტრში გადაცემის მისტერია, რამეთუ

სააკაშვილის ფენომენი გამსახურდიას თეზა-ვითარების და შევარდნაძის ანტითეზა-სინამდვილის შემაჯამებელი სიცხადეა — სინთეზ-ფაზა. რომ ყველაფერი მართლაც რუსთაველის ქუჩაზე ვარდბულბულიანის ჰანგებით როდი სალბუნდება პლებეური ყურთასმენი- სათვის, არამედ შედარებით მაღალ ზეფირებში ილამბება მსოფლიოს შემდგომი ბედ-იღბლის დასამონუმენტებლად. სააკაშვილის ზენაარული კურთხევა გელათში დავით აღმაშენებლის საფლავთან, იგივე მეფე-ხუცეს იოანეს სულთან, იგივე ფაირეფიცის გრაალურ მემკვიდრეობასთან, შავ-თეთრ ვაჟთან, თუმცა როგორც იტყვიან — თან საქმე.

დასახელებული მოსაზრებანი შეიძლება ვრცელი გამოკვლევის ანასხლეტად ვივარაუდოთ, რომელიც წიგნის პარმაღიდანვე შამოანათებს სათაურით: ,,ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი'' და მხოლოდ ნატეხია თვითნაბადი ზოდისა. აქ კი რუდოლფ შტაინერისათვის დამახასიათებელი ზეპირი გამოსვლაა აუდიტორიის წინაშე. ჯერ მხოლოდ 1990 წლის 2 მაისია. ჯერ ,,სიესისა'' და ,,ჩერიომუხას'' ტოქსიკური სუნი ტრიალებს თბილისის ქუჩებში. ჯერ არ გარდახდილა გრანდიოზული რეფერენ- დუმები. ჯერ კორუმპირებულ ინტელეგენციას წყალი არ შეყენებია მოჩვენებით პედესტალებთან. ჯერ ბაყბაყდევი რუსეთისათვის ბეჭები არ დაუსადგისებია ნაცარქექია საქართველოს ცის სიმძიმის წარმოსაჩენად. ჯერ არ კურთხეულა ქვეყნის პირველ პრეზი- დენტად გამსახურდია ზვიად.

ჰოდა, აღნიშნულ გამოსვლაში იკვეთება ფანტასტიკური პიროვნე- ბა,რომელიც ქართული სულის მისიის მღაღადებელია იოანე ნათლის- მცემლის მსგავსად, იგივე საპლანეტათაშორისო სალამანდრას მაუწყებელი, ხარდარიოსად — სენის მშთანთქმელად რომ იწოდება ბერძნულში, ხეთუფა ლად, ხეცხოველად — სვეტიცხოველად ჩვენებური გაგებით.

ნებისმიერ ადამიანში ბჟუტავს ღვთის ნაპერწკალი, ოღონდ საჭიროა მისი შემჩნევა და ხელის შეწყობა კაცობრიული ცეცხლის გასაღვივებ- ლადო, ბრძანებს ერთგან ნოე ჟორდანია და ასეთი ნაპერწკალი კოცონად აღმოცენე ბულა 7 ათასი წლის თავზე მოგვების მიერ მიძინებულ საქართველოში გამსახურდიას სულის სახით, მაგრამ იგი ვერაფრით გადაეცემა დანარჩენ მსოფლიოს, რად განაც არ არსებობს საამისო ინსტრუმენტი, რომლითაც მოხდება მისი მოსმენა, გაცნობიერება სრული ქვეყნიე რებისაგან. არ მოიპოვება ჯერეთ ის ლერწამი, რომლის მეშვეობით გადაეცემა იგი მამონას მოთაყვანე პლანეტას. ამგვარი უმართსამართის იარაღიც მოგვიანებით გამოჩნდება შევარდნაძის ,,დიდი აბრეშუმის გზის'' კომერციული ციებ-ცხელებით. ამ ქინაქინასაც გავლეჭავთ ჭეშმარიტი მიზნების მისაღწევად და მოულოდნელი არაფერია თუკი განსულიერდება ხელისუფლების უმტკივ- ნეულო ჩანაცვლება, როგორც ფარნავაზით ქუჯისა — როგორც მაღალი სულიერი მემკვიდრეობის მატარებლით ტრივი- ალურისა. დაახლოებით იგივე განხორციელდება ,,ვარდების რევოლუციითაც'', თუმცა ყველაფერზე — რიგისობის მიხედვით.

სოროსის ძალისხმევა დემოკრატიული მსოფლიოს შექმნის გზაზე აუცილებლად მოითხოვს გააზრებულ დამოკიდებულებას და არა სადღეისო საორღობოს.მის მიერ საქართველოს ექსპერიმენტულ უჯრედად გამოცხადება ამ მარათონში, იქნებ სულაც არ იყოს ხელწამოსაკრავი შემთხვევითობა?! დემოკრატიული ძალისხმევა ათიოდე წლის წინათ სინდიყივით დაშლის ათასი პლასტით ჭრელ იუგოსლავიას, მაგრამ სავალალოდ იქიდან ვერანაირი ზოგადკაცობრიული პური გამოცხვება მსოფლიოს დავრდომილი სულის სალმობიეროდ. მხოლოდ ქართული მესიანისტური ფასეულობების ზიარების შემდეგ აღიდგენს იგი ჭეშმარიტ სახეს, როგორც თუთაშხა გმირის გაღე- ბული ხორცით იერნაცვალი მხეცი. მხოლოდ და მხოლოდ ამ ჩანაცვლების შემდეგ შეიძენს ეს მოძრაობა სამყაროისეულ მნიშვნელობას, მაგრამ მიხსენებია, წარმმართველი მუხტი ქართული მიატრიცა იქნება უეჭველად, როგორც კოლოსალური ენერგიის სინქრონიზაციის პირობა უკიდუ- რესობებს შორის.

საქართველოს რიგით მესამე პრეზიდენტი არაორდინალურია ინაუგურაციის წინა დღეს. ღვთისმშობლის სახელობის გელათის საკათედრო ტაძარი სავსეა ხალხით და 5-ჯვრიანი დროშებით. სემიტურ 4 ჯვარს ცენტრალური 8-ბოლოიანის ფრთებქვეშ ტრანსფორმაცია განუცდია, შერბილებულა მათი წელში ჩავიწროებული პროფილი. არადა, თავდაპირველი ვარიანტი ჯობია, ვინაიდან ადრინდელი ფორმით 4 ტოლფერდა სამკუთხედის ერთობას გამოხატავს წვეროებით შეტყუპებულს. მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ საქართველოს არსებობის მანძილზე პირველად საგნიერდება პრიმა წინაპრის ნათლის წინაშე ქედის მოხრა და აღსაყდრება. ჩემთვის გაურკვეველია ჯერეთ, რამდენად ცნობიერია ეს ყველაფერი მიხეილისათვის, რამდენადაა მზად მისი ნებელობა ზვიადის სულიერი განფენილობის სამემკვიდრეოდ.

უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი სამივე პრეზიდენტის მაკურთხებელია, დიახაც.უფლისეული ღვთიური ალი გამსახურდიადან მოყოლე- ბული გამოივლის შევარდნაძის ბორგნეულ შუბლს და სააკაშვილის ბობოქარ მეობაში დამკვიდრდება, ანუ სამგზის შეირკალება სხივი და ზევსის არწივის ირაოდ მოიხაზება საქართველოს ცაზე და სანამ გამსახურდიას ეზოტერიკულ პელაგონში გადა- ვეშვებოდეთ ცხრუკეთელი ჭაბუკის ვნებათა- ღელვას მივადევნოთ მზერა:

— აქ იმყოფება საქართველოს უდიდესი მმართველის, ყველაზე დიდი ქართველის, დავით აღმაშენებლის სული, — ცამდე მართალს ბრძანებს სააკაშვილი: მართლაც უდიდესია იგი ქართველთათვის და სრულიად დედამიწისთვისაც, ვინაიდან ერთადერთი მეფეა, რომელ მტერთაგან დაუმარ- ცხებელს, შინაური სულის ცდომილებები აყრიას იარაღს სინანულის საგალობლებით. — მე მინდა ვუთხრა მას, საქართველოსთვის თავგანწირულ ყველა გმირს: დღეს საქართველო დანაწევრებულია, დღეს ქართველი ხალხი დამცირებულია, — აქ აღდგენილია კავშირი დროთა შორის, ოდეს აღმაშენებლის სული, ზეციური საქართველო წარმოდგენილია მატერიალურ განზომილებად. ამისთანა ასტრალურ შრეებთან მხოლოდ ხელდასხმულებს მიესვლე- ბათ — ზოგიერთებს შეიძლება უნდათ, რომ საქართველო საერთოდ აღარ არსებობდეს რუკაზე. მე მინდა ყველას ვუთხრა, აქ ჩვენს დამსწრეებს: ისინი ამას ვეღარასდროს მოესწრებიან, — პრეზიდენტს მეტყველებაში ლაფსუსი გაეპა- რება: ორმაგი უარყოფა, ტრადიციული მზითევი ჩრდილოე- თიდან, კალკი, რომელიც გასაოცრადაა რაფინირებული ,,რუსთავი-2''-ის სტილისტიკაში, — საქართველო არსებობდა, საქართველო არსებობს და საქართველო ყოველთვის იარსებებს. საქართველო არ მოკვდება. ჩვენ ყველამ ერთად ვთქვათ, ერმაც და ბერმაც, მთავრობამაც და ყველა ადამიანმა, მოქალაქემ, ყველამ ყველაფერი უნდა გადავდოთ გვერდზე, უნდა მოვემზადოთ, უნდა გავერთიანდეთ, უნდა გავძლიერდეთ, უნდა აღვადგინოთ საქართვე- ლოს ერთობა და მთლიანობა. ეს არის ჩემი ცხოვრების მიზანი. — პრეზიდენტი ცამდე მართალია, როდესაც საქართველოს სამივე დროში არსებულ ორგანიზმად განიხილავს. ფიზიკური აწმყოა, ეთერული — წარსული და ასტრალური — მომავალი, მაგრამ არსებობს უფრო გრანდიოზული კრებითობა, სადაც სამივე დრო ნემსის წვერზეა დატეული — მეიროხანი და ამის შესახებაც გვეუწყება გზადაგზა. როგორც გამსახურდიას ეზოტერიკაში ვიხილავთ, ქართული მისტერია უკიდურესობამდეა დაკნინე- ბულ-დამცირებული მსოფლიოს მასშტაბით, კავკასიონის ქედსაა მიჭეჭყილი, ან ბასკეთს შერჩენია და კიდევ — ირლანდიურ სულისკვეთებას, მაგრამ მაინც იტუმბება რეანიმატორული ენერგიით, — მე უნდა ვუთხრა ყველას, ამისთვის უნდა მოიჭირონ ქამრები, უნდა გაიჭირვონ. ჩვენ ამისთვის უნდა ვიმუშაოთ დღეც და ღამეც. ამისთვის უნდა ვიმუშაოთ ქალაქებსა და სოფლებში. ჩვენ ამისთვის უნდა ვიმუშაოთ მთელი მსოფლიოს დასანახავად და ხმის მისაწვდენად, იმისთვის რომ ვუთხრათ: ჩვენი ერი იმსახურებს ბევრად უკეთეს მომავალს. ჩვენი ერი არავის დასაჯიჯგნი არ არის. საქართველო, ქართველი არის უნიკალური ერი, რომელსაც უზარმაზარი წვლილდი აქვს შეტანილი მსოფლიო ცივილიზაციაში, — მე ვკითხულობ პრეზიდენტის გამოტოვებულ სიტყვებს, და სრული უფლებამოსილებით აღვადგენ მას ,,საქართველოს'' შემდეგ ,,ქართველის'' სახით, — მე მინდა ვუთხრა ყველას, რომ ჩვენ, ყველას, მიუხედავად ეროვნებისა, გვაერთიანებს სამშობლოს სიყვარული. დავითის საფლავზე ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვთქვათ: საქართველო მოემზადება! საქართველო გაერთიანდება! აღიდგენს თავის მთლიანობას, თავის ერთობას, შეიკვრება ისევ ერთ ძლიერ სახელმწიფოდ. მე მინდა თქვენი დახმარება ვითხოვო ამ საქმის განხორციელებაში. მე მინდა ყველა ერთად დავდგეთ და ყველანი ერთმანეთს დავუდგეთ გვერდში. — პრეზიდენტი ეგზალტირებულია. მისი სტილისტური ცდომილებები გარკვეულ რედაქტორულ ჩარევებს მოითხოვს და ჩვენც შეძლებისდაგვარად აღვასრულებთ ამ მოვალეობას. — დიდი მადლობა მის უწმინდესობას! დიდი მადლობა ყველას. მე ვარ ამ მიწის შვილი. აქ არიან ასევე ჩემი წინაპრების სულები, ჩემთან ერთად, — ეს უკვე სამყაროისეულ სამგაზომილებიან დროში — მეიროხანში გამრთლიან- ებულის პროგრამაა, — და მე მინდა მათ ვუთხრა, რომ ნამდვილად არ შევარცხვენ. მე მინდა ქართველ ერს ვუთხრა მადლობა და ყველას, ვინც მობრძანდით აქ!''

ასე და ამგვარად დაასრულებს აღთქმას მიხეილ სააკაშვილი — ჯერ კიდევ 1990 წლის 2 მაისის ფესტივალზე ფილარმონიაში წაკითხული ლექციის პერსონაჟის, მიქაელ მთავარანგელოზის პროტოტიპი, იგივე წმინდა გიორგის მეომრული სულისკვეთება ზვიად გამსახურდიას მჭვრეტელობებით.

გამსახურდია ელიტარული აუდიტორიის წინაშე თანამიმდევრულად აყალიბებს ,,ქებაისადმი'' მიძღვნილი წერილის პათოსს, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, გაცილებით ვრცელი მონოგრაფიის

ანასხლეტია და უკუღ- მართი ბედისწერის წყალობით ვერ ეღირსება საბოლოო სახით ჩამოქან-დაკებას.

მომხსენებლის ძირითადი მიზანი დასავლელი მრავალ- რიცხოვანი სტუმრის ეგზალტირებაა,ანუ მონუსხვა იმ პოზიციის ჩვენებით,რომელიც საქართველოს მესამე ათასწლეულ'ში ეკავა ქრისტემდე. ამის თაობაზე პრეზიდენტი სააკაშვილიც მიანიშნებს ევროპული ტურნედან, სადაც საქართველოს უძველეს ევროპელ ერად განიხილავს, ხოლო ფრანგებს, ინგლისელებს, ანუ თანამედროვე დასავლურ ცივილიზაციას ამ კონგლომერანტის ზედნა შენად. გამსახურდიას მიზანი კი საუკუნოვანი დეზინფორმაციის გაფანტვაა დარბპზის წინაშე, რომლის ცნობიერება წარფენილია საბჭოთა იდეოლოგიური დიქტატის მრავალწლიანი ბატონობით.

ქართული ეთნოსის როლი ტაბუირებულია წლების მანძილზე. ინფორმაციული ჰიპნოზი პროტოიბერიულ რასაზე ეროვნულ მეცნიერებასაც ნუსხავს და გამსახურდია დელიკატურად არ ასახელებს კონკრეტულ გვარებს, თორემ შინაურულ ატმოსფრო'ში ზომაზე მეტადაა ,,პატივი მიგებული'' ფსევდოინ-ტელეგენციის ამ ტიპის წარმომადგენ ელთათვის. ხოლო ივანე ჯავახიშვილის, ნიკო მარისა და ვილჰემ ჰ უმბოლტის გამოკვლევები იბერთა ეთნოგენეზის სფერო'ში, ქართველი ერისათვის არასრულფასოვნების კომპლექსის ჩასანერგად. აქგამსახურდია სტალინის ცნობილ თეორიასაც გადაწვდებაერის თაობაზე, რომლის მიხედვით ქართველი ერი თურმე X1X საუკუნე'ში ჩამოყალი ბებულა, რადგანაც მანამდე ეკონომიკური ურთიერთობები არ გაგვაჩნდა თურმე. ხოლო ებრაელებს საერთოდ არ მოეპოვებათ ერის სტატუსი, ვინაიდან ჯერ კიდევ არ აღუდ- გენიათ თავიანთი ქანაანი, ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებიათ ისრაელის სახელმწიფო და რადგანაც უტერიტორიო ხალხად იწოდებიან, მოკლებულნი არიან ერის გაგებას. მეტიც, მათ ერთიანი ენაც არ გააჩნიათ და ამდენად, ხალხად მოიხსენიებენ ბრბოს შინაარსით. მაგრამ გამსახურდიას არ სცალია მსგავსი ჩაწვრილმან- ებისათვის.

მომხსენებელი მიზანმიმართულად განმარტავს ვილჰემ ჰუმბოლტის გამოკვლევებს ბასკური ენის სფერო'ში. პირინეის ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობის ვინაობის გარკვევისას იგი ერთ შეურყეველ დასკვნამდე მივა, რომ სამხრეთ ევროპის: პირინეების, იტალიის, ხმელთა შუა ზღვის კუნძულების პირველადი ავტოქთონური მოსახლეობა იბერიული წარმომავ ლობისაა. ამ მოსახლეობას უწოდებენ პროტოიბე- რიულს. მათგან გამომდინარეობს გვიანდელი ევროპული მოსახლე-ობა.მეცნიერებაში მიღებულია აგრეთვე ტერმინი — ხმელთა შუა ზღვის რასსა, მედიტერიანული რასსა, ანუ მედიტერიანული მოდგმა. ამ მოდგმის აღსანიშნავად, რომელიც კავკასიური რასსის იდენტურია, არის აგრეთვე ტერმინები: პალეოკავკასიური რასსა, ანუ უძველესი კავკასიური რასსა, რაც ურთიერთის იდენტურია. საუბარია იმ მოსახლეობაზე, იმ მოდგმაზე, რომელიც სახლობდა პირინეის ნახევარ- კუნძულიდან ხმელთაშუაზღვის აუზში, ბალკანეთზე, თანამედროვე საბერძნეთში, კავკასიასა და ინდოეთის თანამედროვე ტერიტორიაზე. აგრეთვე მცირე აზიასა და პალესტინაში,ენა ამ რასისა ჰუმბოლტის ციტირებით ერთი ძირითადია უამრავი განშტოებით, რასაც თანამედროვე გაგებით იტევს ტერმინი ,,პროტო- იბერიული''.

ჰუმბოლტის მოსაზრებებს მომხსენებელი აძლიერებს ნიკო მარისა და მიხეილ წერეთლის გამოკვლევებით, რომლის მიხედვით დასტურდება გენეტიკური ნათესაობა სუმერუ ლსა და თანამედროვე ქართულს შორის. იგივე შეხედულებებს იზიარებს ღაფანციანი, რომლის მიხედვით, მცირე აზიის მოსახლეობის დიდი ნაწილი მიეკუთვნება ამ მოდგმას — მესხები, იგივე მოსოხები, აწ გურიის მკვიდრი ხალხი, კაპადოკიელები, კოლხები, ტაოხები.

დღეს ეს ზღვა ხალხი ჰომეროსის ბრძანებით ლოკალიზებულია პირინეულ იბერიაში, ბრიტან-ულ იბერიაში ირლანდიელების სახით, კავკასიაში საკუთრივ — ქართველები. დანარჩენი მეორე ათასწლეულიდან ინდოევ! როპული რასის ექსპანსიით განიცდის ასიმილაციას. ამისი ,,შემოქმედები'' კი ხეთები გახლავან.

მომხსენებელი წამოსწევს ფურნეეს და რისმაგ გორდეზიანის მიგნებებს ,,ილიადა'ში'' მოხსენიე- ბული ტომების ეთნოგენეზისის თვალსაზრისით. თავის დრო'ზე ჩვენც განსაკუთრებულ ყურადღებას მივაგებთ ამ მართლაც და, ფორმისა და შინაარსის ეტალონ პოემას. აქ კი ვიტყვით იმას, რომ ტროა, ზღვა ხალხი, იგივე პროტოი ბერიული რასაა, რომლის დამხობას თავგადაკლული ცდილობს ბერძენთა გაერთიან-ებული ლაშქარი აგამემნონის მეთაურობით. ელინური სამყარო ახალმოსულია. იგი გააფრთებით იბრძვის ძველის მისტერიული სიბრძნის, პალადიუმის მოსაპოვებლად. პალადიუმი ლათინური სიტყვაა. იგი დროებითი საშუალებაა ინდოევროპული მოდგმისათვის — პალიატივი, რადგანაც მისი შემოქმედი აბორიგენული მოსახლეობაა, იგივე პროტოიბერიული რასა. პალადიუმი ქიმიური ელემენტია პლატინის ჯგუფისა და საკრალური მნიშვნელობით გრაალის თასს უტოლდება, ფილოსოფიურ ქვას, ოქროს საწმისს ბოლოს და ბოლოს, კირბებს, რომელიც წაგვრილია იასონ-მედეას სატრფიალო კავშირების ძალისხმევით, მაგრამ ვერანაირად ხერხდება მისი გაშიფრვა, ვერანაირად ხერხდება მისი ამოცნობა,

წაკითხვა, არადა, იმოდენაა პალადიუმის გასაიდუმლოებული ინფორმაციული ფაილის გატეხვის ჟინი, ტროას ათწლიანი ტრაგედიაც კი არაფრად უღირს სრულიად საბერთნეთს. პროტოიბერიული რასა მეორედაც მოტყუვდება ცბიერი ხეთური შთამომავლობისაგან; მეორეჯერაც წამოეგება მათ ანკესზე და შეაგორებს კიდეც ილიონის კარიბჭეში საგოგავებზე შეყენებულ ხის ცხენს. შემდგომ იქ დატრიალებული ცოდვა-ბრალის აღწერით არ შეგაწყენთ, მაგრამ ეზოტერიკული ცოდნის გახსნა მაინც ვერანაირად მოხერხდება. ელენე მშვენიერის მოტაცება ადრე მათ მიერ წაგვრილი მედეას გამო შურის ძიების საბაბით, პრიმიტიული არგუმენტებია რეალური მოტივაციის შესანიღბად. მთავარი საბაბი პროტოიბერიული რასის სიძლიერის სიმბოლო პალადიუმის, იგივე მატრიცის ხელში ჩაგდებაა, უკეთ უკვე მოპოვებული ოქროს საწმისის ამოცნობა, წაკითხვა, მაგრამ საამისოდ შამპოლიონის გაქანების ხალხია საჭირო და ჩაფლავდება ტროას ომი ბერძნების სრული კრახით — პალადიუმის საიდუმლო ისევ იავარქმნილ პროტოიბერი ელებთანაა.

გამსახურდია მიანიშნებს აქილევსის პელაზგურ, ე.ი. ქართველურ წარმო- შობას. აქვე გამხელილია შელინგის საბიზმის თაობაზე, რომელიც ნათელხილვითი სიბრძნის მატარებელი განზომილებაა და კვლავაც პროტოიბერიული და ხდება ნათელმხილველური კულტურის აზროვნებით კულტურაზე გადაყვანა. საერთოდ გამსახურდიას მიხედვით ელინური ღვთაების მეტი წილი ამოზრდილია პროტოიბერიული ნიადაგიდან, როგორც მაგალითისა- თვის, ქრისტიანული ტაძრები წარმართული სალოცა ვების ნაფუძრიდანაა აღმოცენებული. აქ ლარი გავლებულია ზევსსა და მუხის კულტს შორის. ჰაერა იგივე ჰერაა, ჰერაკლეს მშობელი დედა.

საერთოდ ,,ჰანით'' გაფორმებული სიტყვები უწინარესად ღვთიურ ძალას, უმაღლეს სუბსტანციას უკავშირდებიან. გავიხსენოთ ჰელიოსი, იგივე ელი (ვლ.ალფენიძე), რომელსაც შეესაყვედურება ქრისტე აღსასრულის ჟამს, ელი, ელი ლამა საბაქთანიო — უფალო ჩემო, უფალო ჩემო, რისთვის მიმატოვე მეო, და რომელიც კრებითი სახელია გაკოლხებული, გაიბერიებული ხეთურ-ინდოევროპული რასისა — ელინიზებული მოდგმისა).

იგივე სურათია დემეტრესთანაც. დე, დი, იბერიული წარმოშობის ფუძეა, მატერ, მეტერ დედის ეკვივალენტიური ინდოევროპულად. და აქ ხდება ორი ფუძის შერწყმა, სინთეზი, ანუ დედა-ქალღმერთის დიფუზია, დაახლოებით მსგავსი პროცესია, როგორსაც შეიძენს ყველასთვის საყვა- რელი ,,მრავალჟამიერი'', რაც ქართული ,,ბევრის'' — ,,მრავლის'' და სომხური, იგივე ხეთურ-ინდოევროპული ,,ჟამის'', დროის, ხანის კონსოლიდაციის შედეგია. ასეთი მიმართება უამრავია ერების ცხოვრებაში, რომელთაგან განსაკუთრებული პრომეთეს ფენომენია.

მომხსენებელს ლექციის დროს ავიწყდება ,,ქებაიში'' მოტანილი პრომეთუსას თაობაზე, და კიდევ უამრავი განშტოება განზე რჩება დროის სიმცირის გამო, რომელიც მითოსური, ქვეტექსტური სახეა პროტოიბერიული მოდგმისა, ქართველების თავს დატეხილი უბედურობების კასკადისა.

ზემორე ვახტანგ მიშველიასთან საუბარში ჩვენ გავარკვევთ პრომეთეს განთავისუფლების მოტივაციას ჰ ერაკლეს მიერ. ჰერაკლე ხომ ელინიზებული გრეკია, ნახევრად ქართველი და ნახევრად ინდოევროპელი, იგივე მეტისი, მაგრამ მხოლოდ დედულეთის სიყვარულის ან მშობ ლიური ეთნოსის სიბრა- ლულის გამო ვერათრით აიხსნება ამირანის მონობის ჯაჭვისაგან ახსნა. აქ მთავარი არგუმენტი ისევ შტაინერისგანაა შენიშნული — პროტოიბერიული შიფრი საიდუმლო წიგნისა, პალადიუმისა, ფილოსოფიური ქვისა, გრაალის თასისა თუ ოქროს საწმისისა — წერილსვეტების, რომელზეც ძველი კოლხები სამკუთხა დაფებზე წარწერილ კანონებს აღმართავდნენ. ჰოდა, აქამდე ვერაფრით ამოუკითხავს გრეკს პროტოიბერიული სიბრძნე. ვერ ახორციელებს ჰერაკლე მეცამეტე გმირობას ამ სიბრძნის მოპოვების გზაზე — ვერაფრით ამოუცვნია უმთავრესი საიდუმლო, მატრიცა, უჯრედი, რომლითაც მერმე იოლია თვით გოლიათი სხეულის აშენება, როგორც ამას XX საუკუნეში მიაღწევენ ბიოლოგები ,,დოლის'' კლონირებით. მითოლოგია დუმს იმის თაობაზე თუ რა ბედს ეწევა მონობის ჯაჭვისგან ახსნილი პრომეთე. ამირანი არ გახლავთ პრომეთეს არქაული სახელი. იგი გუშინდლის წინანდელია ოდენ. თავად პომეთუსა კი, მომხსენებელს რომ ავიწყდება ზეპირ გამოსვლაში, ზღვა ინფორმაციით ატივტივებულს, ვედებსა და უხსოვრობაში იკარგება. ,,პრომეთეო'' ძველბერძნულად წინასწარმეტყველია, ხოლო მისი ძმა ,,ეპი-მეთე(ო)'' — განსჯისმიერი აზროვნება. პრომეთე გრძნეულია, გველის მჭამელი მინდია, მედეას მისტერიალების მკვებავი ენერგია.

მაშინ რატომ ქრება მისი სახსენებელი მითოლოგიის არენიდან ჰერაკლეს მიერ განთავისუთლების შემდეგ? ზევსის არწივი ხომ მოკვდინებულია, ინდოევროპელთა ძლიერების სიმბოლო? უკვე ხომ არ იბრჭყალება და ინისკარტება ამირანის ღვიძლი? არც ყურშას სჭირდება მონობის ჯაჭვის გამუდმე- ბული ლოკვა დასათხელებლად და აღარც მჭედლებს — მეხუთე კოლონას, რაღაც ნაფლეთად დარჩენილი პროტოიბე- რიული რასისათვის ხელახალი გამოფოლა დება?

რატომ დასრულდება პრომეთეს ისტორია ასე მოსხლე- ტილად? რატომ გაეხვევა დავიწყების ბურუსში მისი მერმინდელი ყისმათი? იქნებ უფრორე იმის გამო, რომ ჰერაკლეს მიერ მონობის ჯაჭვიდან ახსნილი ქურუმისაგან ვერანაირ ინფორმაციას ამოშანთავენ პალადიუმის, ოქროს საწმისის თაობაზე? ვინაიდან უხეში ძალისათვის არ ეგების ზეგარდმო საიდუმლოთა გახსნა, ეს იგივეა, რაც გიჟს ატომური ბომბის სამართავი პულტი ჩაუდო ხელში და თვინიერად მიადევნო თვალი საყოველთაო კატასტროფას ჰიროსიმასა და ნაგასაკის გამოცდილებით.

ამიტომაც პრომეთეს მიჩუმათებული ცხოვრება გაცილებით მეტი გმირობაა, ვინემ ჰერაკლეს თორმეტივე ერთად შეკონილი. დიახაც, მეტი გმირობაა, ვინაიდან ღვთიური ცეცხლით გაბრწყინებულს, ვისაც სისტემაში მოუყვანია კაცობრიული სული, სამყაროისეულ სინქრონიზაციას ზიარებია, ქვეყნიერების გასაღები ხელვა აქვს, შემდგომ ამისა ნაკლებად გათვითცნო- ბიერებულ კოლეგებს — ქურუმებს და მოგვებს, ოქროს ვერძის ტყავზე გადაუხაზავთ იგი მატრიცის დანიშნულებით. გადაუხაზავთ უკომენტაროდ და წარტაცებულა კიდეც ცბიერი გრეკისგან იასონის თაოსნობით. მაგრამ შიფრი? შიფრის წაღება დავიწყნიათ ბერძნებს საიდუმლო წერილის წასა- კითხად. თანაც ეს შიფრი მხოლოდ პრომეთესთანაა და მასაც ვერ ამოზლიტენ პირიდან რაიმე სანუგეშოს.

ჰოდა, გაივლის ათასწლეულების წყება, რათა ვინმე ფეტ — ელ — ავაში, იაფეტის უწყინარ შთამომავალში, იგივე ფეტერების ძეში აღორძინდეს იგი სამიათასის დამდეგს, 31 მარტის მიმწუხრზე.

პრომეთე იაპეტოსის მემკვიდრეა, იგივეა რაც ია-ფეტი, შვილი-ფეტისა, ნოეს უფროსი ვაჟი და ქართველების ეთნარქი. თავად პრომეთეს მითს თორმეტიდან ერთ-ერთი ვერსიით, გამსახურდია სხეულთან მიჯაჭვულ და სხეულიდან გაღწეულ აზროვნებას უწოდებს.

აქ ამირანის დატყვევების ძირითად მოტივებსაც შიფრავს ხელდასხმული. კონკრეტულად კი პრომეთეოსი და მისი ქურუმები როგორ მოატყუებენ ბერძნების უმთავრეს ღვთაება ზევსს სამსხვერპლო ხარის დანაწილე- ბისას, რომლის მიხედვით ძვლები და ქონი კონრიდს ერგება, ხოლო საუკეთესო ნაწილები აბორიგენი მოსახლეობის კრებსით სახეს — პრომეთეს.

— იაპეტოსის ძეო, — თითქოს შერიგებია დამარცხებას ინდოევროპელების უზენაესი ღვთაება, — უკეთილშობილესო ყველა მეუფევა შორის, ყველაზე დიდო მცნობო მომავლისა, მეგობარო, რად დაანაწილე ხარი ამგვარად? — ამნაირი გალისტკივილით შეეხმიანება იუპიტერი ჩვენს პროტო იბერიულ გამოცდილებას.და გასაკვირი სულაც არ არის, ამ მიმართებით ნიადაგ ამახვილებდეს ყურადღებას ზევსი შელახული ღირსების გასამრთელ- ებლად.შეხედე, რადგანაც პრომეთე დატყვევებულია, ბერძნებს არ გაუჭირდებათ კოლხების ორგზის მოტყუება: ჯერ შეჩეჩებული ოქროს საწმისით წაართმევენ პალადიუმის, სიცოცხლის ხის ფორმულას, ოღონდ სფინქსის გამოც ანაზე ასჯერ თავსატეხს. პალადიუმის საიდუმლოს დაუფ- ლების ჟინი იმდენად ცხოველია ინდოევროპულ რასაში, რომ ათი წელიწადია გალავანს უმტვრევს ტროას, ილიონს (იქნებ ელიონს. ელ — უფალი, იდენ- ტურია ონ-ისა — ო-სი. ,,ელიონი'' გამოგვივა, როგორც ,,ღვთაება ონი, ღვთაება წრე''. ამ შინაარსს ჰ-ელი-ო-სიც ამჟღავნებს. ილიონი ფაქტობრივად უფლის სამყოფლის თანაზიარია და ორმაგი ფუძით ხაზგასმულად ადასტურებს ცაბაოთის ძლიერებას — ,,ელი — **O**'', ,,ელი — ონი''.) გამსახურდია ღვთიურ ცეცხლს სრულიად სამართლი ანად აიგივებს ზეპიროვნულ ,,მესთან'', რომელიც თვისებრივად აღემატება სამყაროს შემადგენელ ნაწილებს: მიწას, წყალს, ჰაერს, ცეცხლს. რადგან მხოლოდ მასში ხორციელდება ფერების აღმასვლა სრულყოფილი მუქწითლისკენ და აქ ორგანულად უკავშირებს მომხსენ- ებელი ჰერაკლეს ინიციაციასს ,,ელიოზს'' — მიწევნადს, მოვლინებადს, წინასწარ განჭვრეტადს. ამას განახორციელებს ქრისტე — სასუფევლის დაურვების ძალისხმევით. მომხსენებელი ჰერაკლეს ქრისტესთან აიგივებს, ანუ ჰერაკლეს მიერ კვერთხით წყლის აღმოცენება მიიჩნევს ქრისტიანობის წინასახედ. მსგავსი პასაჟი მოსესთანაც იკითხება. ქრისტი ანობის წინამორ- ბედად წარმოჩინდება არგონავტების მოგზაუ რობაც კოლხეთში, რადგანაც ოქროს საწმისის ინიცი- აცია სულიერ მეცნიერებაში სახელდებულია ,,კლასიკურ გრაალად''.

ფილოსოფიური ქვაც ამ წრეში ტრიალებს და მისი ძიება ცნობიერების განვითარების გარკვეული დონის ძიებაა. წრიული განვითარების კაცობრიობას, შეუძლებელია რომელიმე კოსმოსურ ცივილი- ზაციასთან ჰქონოდა კავშირი. სიცოცხლე დედამი- წაზე მხოლოდშობილს უფრო ჰგავს და ამისთანა შემთხვევაში, ნებისმიერი სიბრძნე განჭვრეტითაა, ზუსტი ხელსაწყოებით ჯერაც დაუდასტურებელი.

გამსახურდია ,,არგოს'' ეგრისის ცივილიზაციას უკავშირებს ეტიმოლო- გიურად. ეს იგივეა, რაც კოსმოსურ ეკიპაჟს ,,მარსი'' ვუწოდოთ იქაური პრობლემების მოსაპოვებლად. ,,არგ'' ძირისა და ,,მეგრ'', უფრო ზუსტად ,,მ-არგ-ალ''-ის ნათესა- ობაც არ არის ძნელი წარმოსადგენი. მარგალს ჩვენ ვუწოდებთ საიდუმლოებათა შემნახველს, მწიგნობარს, თიხის ფირფიტებსა თუ პაპირ- უსებზე ასო-ნიშნების

დამრგველს, პრომეთე-ქურუმის შთამომავალს, მემკვიდრეს, ტომს, ენას, რომლის მეოხებით განიკითხება, განიწმინდება მსოფლიო.

იგივე ილანდება თეზეოსის მისტერიებშიც. მისი ჩასვლა მინოსის ლაბირინთში, მინოტავრის მოკვლაც შედარებით ძველი პროტო იბერიული კულტურის ათვისების მიმანიშნებელია. თავად მინოსი კოლხების სიძეა. მას ცოლად ჰყავს აიეტის და პასიფაე. აიეტს მეორე დაც ჰყავს, მამაკაცის ხმით მოსაუბრე კირკე, ცირცეა, მაგრამ მოვუბრუნდეთ არგონავტებისაგან ჰერაკლეს ჩამოშორების მოტივა ციას. იგი სხვა მიმართულებით მიეშურება პირინეის იბერიაში ჰესპერიდების ბაღნარიდან ვაშლების მოსაპოვებლად. ვაშლი რა საკრალურობის ხილიცაა, ამის თაობაზე ბიბლიიდან გვეუწყება, დაბადებიდან. ვაშლი იგივე ხეცნობადის იდენტურია — აპფელ, ეფლ, ამასთან ანგარიშგასაწევია გამსახურდიას დაკვირვება ორფეოსის წარმომავლობაზე. იგი პელაზგია და ამავდროულად ეაგრის შვილი. ასევე შთამბეჭდავია გერმანე კონსტანტინ- ეპოლელი პატრიარქის შუასაუკუნეობრივი ძეგლის მოშველიება — ,,სასწაულნი მთავარანგელოზთაგანი'' ,სადაც კოლხეთში არგონავტების ლაშქრობაა აღწე- რილი. აქ მათ გამოეცხადებათ ,,ცით მოვლენილი ძლიერებაი საზარელი'', ანუ მიქაელ მთავარანგელოზი და გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს. მომხსე- ნებელი აქვე მიუთითებს გერმანე პატრიარქის კოლხობას, ლაზობას, ქართველობას.

ლექციის შესაბამისად იასონი პინდარეს მეოთხე ოდაში მოხსენიებულია ,,ვეფხისტყაოსნად''. იგი არა მხოლოდ ოქროს საწმისის მომპოვებელია ბერძენთათვის, იგივე დაფარული ცოდნის შემცველი ტყავისა — კირბებისა, რომლის მთავარი გასაღები პრომეთესთანაა, არამედ ვეფხვის ტყავითაც იმოსება, როგორც ამას ახერხებდნენ მისი წინამორბედი ეგვიპტელი ქურუმები. ტროელი პარისიც ვეფხისტყაოსანია. ვეფხვი წილნაყარია დიონისეს კულტთან, მეღვინეობის საწყისთან. ვეფხვის ტყავს იაფეტური კაცობ- რიობის, კავკასიური რასის ტოტემურ სახედ აცხადებს მომხსენებელი. იასონი ვეფხისტყაოსნად რომ გვევლინება, ამით მინიშნებულია კოლხური ძლევამოსი- ლების დაუფლება, მაგრამ ვეფხისტყაოსნობა მაინც არ ნიშნავს ოქროს საწმისის საიდუმლო ფაილების ბოლომდე ცოდნას კომპიუტერული ენით. ის მხოლოდ პრომეთესთანაა — ამირანთან და კიდევ — ვიღაც ქუდბედთან ათასწლეულების მერმე.

იაფეტური მოდგმა მარის ტერმინია. პარალელურად მოგვეპოვება ქამიტური და სემიტური მოდგმები.

ნოე ასახავს ატლანტიკურ, წარღვნამდელ კაცობრი- ობას. იაფეტი და მითოლოგიური იაპეტოსი იდენტური ცნებებია. ამის თაობაზე თქმულა. ამასთან ეს ტყუპისცალი დაკავშირებულია იუპიტერთან, რომელიც თეთრი რასის განმსაზღვრელია. მერკური კვებავს შავს, ნეგროიდულს; ვენერა — წითელს, ხოლო მარსი — ყვითელს, იგივე მონგოლოიდურს.

მომხსენებელი სულის მოთქმას არ აცლის აუდიტორიას. ინფორმაცი- ული აისბერგებით დატენილი მისი ფრაზები გრგვინვა-გრიალით მიგვაქ- როლებენ ცნობიერების მომნუსხველი წრეებისკენ. წარმართული პერიოდიდან მყესიერად ქრისტიანულ საქართველოში გადმოვეშვებით. გაანალიზდება ორი მოციქულის, ანდრია და სიმონ კანაანელის ფენომენი. ანდრია პირველწოდებულია, სიმონი ყველაზე ბოლოს მოვლინებული და ამდენად, წრედიც შეიკვრება. ისინი ასახიერებენ ალფას და ომეგას, ანსა და ჰოეს, დასაწყისსა და დასასრულს. და აქ ბუნებრივად ამოტივტივდება ჩვენთვის ფრიად წინასწარმეტყველური მომენტი: ,,რა როლი აქვთ ქართველური მოდგმის ხალხებს ქრისტიანობის განვითარებაში, კერძოდ, მიქაელური ქრისტიანობის განვითარებაში და რატომ ეწოდება საქართველოს გეორგია?'' დასვამს ამნაირ რიტორიკულ შეკითხვას ზვიად გამსახურდია. მსგავსი დიაპაზონის შეკითხვები მრავლად წამოვა დარბაზიდან, მაგრამ ამ წუთას, ამ მომენტში, მოპასუხე თითქმის არავინ მოიპოვება ცის ქვეშეთში და უწინარესად ევროპელების გასაგონად გადმოლაგდება ეზოტერიკული უზალთუნების წყება. რეაქცია ცალსახაა: თავგასული! ბაქია! დინების აღმა მოცურავე!

განსხვავებულია ქართველური განწყობილება: თურმე მონები არ ვყოფილ- ვართ! თურმე ჩვენით იწყება თეთრი რასა! თურმე დაგვადგება საშველი ადრე თუ გვიან!

მიქაელ მთავარანგელოზის პარალელები ნაყოფიერების, ამინდის, ჭექა-ქუხილის მცველი ღვთაებაა. ძველ ინდოეთში მას ენათესავება ინდრა, მესოპოტამიურში — მარდუქი, პალეოკავკასიურში — ტარჰუ. იგი გაიგივე- ბულია ვეფხვის ტყავით მოსილ რაინდთან. ამიტომაც გასაკვირი არაფერია თუკი აბრამ ბაზელი ვარდებით დაფორაჯებულ ჩოხას მიართმევს ,,ვარდების რევოლუციის'' სულისჩამდგმელ საკაშვილს, დაახლოებით იგივეს, რაც ვეფხვის ტყავია ტარიელისათვის. ეს ბრძოლით მოპოვებული ნადავლია.

მოკლედ, მიქაელი არის პროტოქართული რასის სული- ერი ასპექტი; ფიზიკურს, ხორციელს — წმინდა გიორგი განასახიერებს. ხოლო ორივე ერთად — მიქაელ-წმინდა გიორგი — ქართული მისიის სულიერ-ფიზიკურ ასპექტს.

ქართველური ჯილაგის უმთავრეს ქალღმერთად მომხსენებელი ,,მირიონიმს'' მიიჩნევს, რაც მირიად სახელიანს ნიშნავს. მისი დიდი ქანდაკება იდგა ფაზის-ქალაქის შესას- ვლელთან და დემეტრედ იწოდებოდა, ადგილის დედის, დედაბოძის, ფუძის ანგელოზის მნიშვნელობით. ქართული მოდგმისათვის ,,მირიონიმი'' იგივეა, რაც ფიჭისათვის დედაფუტკარი, ცენტრალურ უჯრედში რომ გამოჩეკილა კოლექტიური მონდომების ძალისხმევით და ფაქტობრივად განსაზღვრავს ოჯახის წარმატებულ არსებობას. ქრისტეს განსაკუთრებული სიმპათიებიც ალმა მატერისადმი, ალბათ, აქედან საზრდოობს. მოციქულები წილს რომ ყრიან საქართველოში საქადაგოდ, ეს უკანასკნელი ღვთის მშობელს ერგება. სულიწმინდის მისიაც აქ დავანებულა. ამიტომაც სამების ხასიათი — მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა განხილულია როგორც უფლის განყოფა ღმერთ-მამაკაცურ, მასკულინურ და ღმერთ-დედაქალურ, ფემინურ ასპექტში. გრაფი- კულად ფიჭაში იგი ამგვარადაა წარმოდ გენილი — ეს იმნაირი ფაზაა, როცა უფალი ორბუნებოვან ჰადამს განყოფს ადამ-კაცად — ადამად და ადამ-ქალად — ევად.

თავად სულიწმინდის მისია დაკავშირებულია სანქტი- ფიკაციასთან, განწმენდასთან, კაცობრიულ კათარზისთან. ამიტომაც მოიხაზება იოანე-ზოსიმესთან მაქსიმა: ქვეყნიერება განიკითხოს ამით ენითაო, ანუ მოდგიმითო. ანუ მიქაელ-გიორგის მისიამ სულიერი აზროვნების მაქსიმალური განვითარებით უნდა დათრგუნოს უნივერ სალური ძველი, იგივე მატერი- ალიზმი, უნივერსალური ბოროტება. მიქაელური ქრისტიანობა, გიორგია- ნული ქრისტიანობა ერთი და იმავე მოვლენის ორი განსხვავებული ასპექტია. ე.ი. უნივერსალური გველის დამორჩილება ღვთისმშობლის ძალისხმევით, დრაკონისაგან განთავის უფლება დედამიწისა ქრისტიანო ბაში მთავარი მისტერიაა. აქ სოფია, მარიამი, დემეტრე, ჰერა, ერთი რიგის ნაირსახეობაა კოსმოსური სიბრძნის სახით.

საქართველოს სულიერი მისია ყველაზე შთამბეჭდავად სვეტიცხოვლის ტაძარშია არეკლილი. ყველა დანარჩენი მონასტრისაგან განსხვავებით მხოლოდ აქ აღმართულა საკულტო სვეტი. ორი სვეტი არსებობდა იერუსალიმში, სოლომონის ტაძარში, რომელიც ორივეგან სამოთხეში დასახელებული ხე-ცნობადისა და ხე-სიცოცხლის სიმბოლიკაა. ოღონდ სოლომონის ტაძარში იგი განყოფილია, გამიჯნული, ხოლო სვეტიცხოველში — შერწყმული. სოლომონის ტაძარი მისდევს ბიბლიის იმ ვერსიას, როცა ადამი განტოტვილია კაცად და ქალად, ხოლო სვეტიცხოველი აღიარებს ადამის თავდაპირველ მდგომა- რეობას, ერთმთლიანობას.

ალბათ, ამის გამოც ქრისტიანდებოდნენ იუდაიზმის მიმდევრები ადრეულ სტადიაში. ამასთან სვეტიცხოვლის სამხრეთ კედელზე გამოსახულია წმინდა გიორგი ლომთან და ვეფხვთან ერთად.

მრავალძალის ბარიელიფზე წმინდა გიორგი დრაკონს ან თავადს კი არა, ვეფხვს გმირავს. ეს სიმბოლოა ქვენა ინსტიქტებზე ადამიანური ,,მეს'' გამარჯვებისა.

ასევე ძალზე ხშირია მართლმადიდებლური მონსალვატი, რაც ქრისტიანო- ბასთან გრაალის კულტის შერწყმაა ფაქტობრივად. დასავლეთში კათოლიკური ეკლესია ებრძოდა ეზოტერიკულს, ხოლო საქართველოში ერთ მთლიანს წარმოადგენდა და ამისთვისაც უწოდებდნენ ჯვაროსნები დავით აღმაშენებელს მეფე-ხუცეს იოანეს. ჩვენ კვლავაც ვუწვრილმანდებით ამ პასაჟებს, რადგანაც სამახსოვრო მოვლენის მუხტის მატარებელია.

ვოლფრამ ფონ ეშენბახს შექმნილი აქვს პოემა ,,პარციფალი''. მეფე-ხუცესი იოანე პარციფალის ნახევარძმის ფაიერფიცის ძეა, რაც სიტყვა-სიტყვით ,,შავ-თეთრ ვაჟს'' ნიშნავს. პარციფალი დასავლეთის განსახიერებაა, რომელიც გრაალის თასს დაესაკუთრება, ხოლო ფაიერფიცი აღმოსავლეთ-დასავლეთის სინთეზური აზროვნების სიმბოლიკა, აღმოსავლური ტამპლიორობა. და როგორც პერსონაჟები, მოქმედების ადგილიც აქ მხოლოდ მინიშნებებითაა რუსთაველის მსგავსად: კავკასიის მთიანეთს შეესაბამება ტაბრონიტი, რომელიც დაკავში რებულია ტაურუს, იგივე კუროს კულტთან — ჯვაროსნულად ხომ საქართველოს გადატანით სულიერ ინდოეთსაც ეძახდნენ. ამიტომაც მომხსენებელი ფიტარეთს მიიჩნევს ამ შინაგანი მისწრაფების გამოხატულებად, როცა აღმოსავლეთ-დასავლეთი შეირწყა, შესინთეზდა, შედუღაბდა ერთ მთელად. მაგრამ ეს ყველაფერი ოდენ ეზოტერიკაში განხორციელებულა, თანაც შუა საუკუნე- ების ჯვაროსნულ ეპოქაში, მეფე-ხუცესი იოანეს — დავით აღმაშენებლის ზეობის პერიოდში. ამიტომაც გასაკვირი არაფერია, როცა ეზოტერიკით გაბრუებული დარბაზის მესვეურ გამსახურდიას მიოგვიანებით ოკეანის გაღმიდან დინების წინააღმდეგ მოცურავედ მონათლავენ, როგორც საქართვე ლოს მსოფლიოს ჭიპად გამომცხადებელს.

სინამდვილეში ბატონი ზვიადი უზარმაზარი ინფორმაციული ბანკის მოჭარბებული გახსნით ერთიანად დაშოკავს დამსწრე საზოგადოებას, როგორც შინაურს, ისე — უცხოს და უჩვეულო არაფერი მოხდება — განელდება მის მიმართ ზღაპრული ბიზნეს-ინტერესი — ესენი სახრავს არაფერს გამოიმეტებენო.

აქ შევარდნაძის ძალისხმევაზეც მომიხსენებია და მის მიერ წარმოებული ლიბერალური პოლიტიკის ასპექტებზეც დამიძრავს ორიოდ სიტყვა, მაგრამ ბარემ ისიც გავითვალისწინოთ, როგორ, რანაირად შეიძლებოდა სულით ხორცამდე არ შეძრულიყო ყოველივე ამის მემკვიდრე და ერთ-ერთი მეპატრონე მიხეილ სააკაშვილი?! რომელსაც ყმაწვილკაცობიდანვე დაებედება ცოდნის მაღალი მწვერვალების დაპყრობა. თანაც წიგნიერი დედის სულიერი კომპასით იმართება მიწყივ და მოგვიანებით მთლად ამნახატ რულოვსხესაც გადაეყრება სათადარიგო თვალ-ყურის მომნიჭებლად.

როგორ, რანაირად შეიძლება ყოველივე ამის გამცნობიერებელ მიხეილ სააკაშვილს, იგივე მიქაელური მისიის გენეტიკურ მატარებელ კაცს, პირველი ფიცი მეფე-ხუცეს იოანეს საფლავთან არ დაედო და დავით აღმაშენებლის გენიისათვის არ მიემართა მეობის კვარ-ჩირაღდანი, ეროვნული სულის ასაბრიალებლად?!

ამიტომაც როგორი სიტილიზებაც უნდა განიცადოს ხუთჯთრიანი დროშის ოთხმა ჯვარმა ქართული ეკლესიისაგან, ვითომ სემიტური ხაზების შესარბილებლად, თავად ჯვარის წინწამოწევა ,,ოტარიდელებისა'' არ იყოს ,,დიდი აბრეშუმის გზის'' თუ ქართული მისიის განხორციელების პერსპექ-ტივით გრანდიოზულზე კოლოსალური შანსია ჩვენი ქვეყნისათვის სიდუხჭირის ჭაობიდან ამოსაღწევად. მიხეილ სააკაშვილის გენეტიკური კავშირი ქართულ მისიასთან, ეზოტერიკულ-სიმბოლისტური შინაარ სიდან თანდათან პრაგმატიკულ ქმედებაში გადაიზრდება, როგორც მიქაელ მთავარანგელოზის მჭვრეტელობითი გენია ცხადლივაა გამოხატული წმინდა გიორგის აქტიური ცხოვრებისეული პოზიციით, ანუ უნივერსალური ბორო- ტების ხორციელი დაურვების პრაქტიციზმით, თუმცა როგორც იტყვიან, თან — საქმე.

ეროვნულ მთავრობას მოღვაწეობის წამოხრჩობილ პერიოდში მსგავსი ნაბიჯი რომ გადაედგა დასავლეთისკენ, ჯერ ერთი ნაკოლებად ერწმუნებოდნენ; მერმე იგი დისკრედიტებული აღმოჩნდებოდა მომავლის წინაშე, მეტიც — დანაშაულებრივი. რჩება განსხვავებული ძალა, ვინც ყველაფრის მკისრებელია, რომელმაც უნდა ითავოს იუდას ამბორყოფა, უნდა იკისროს საქართველოს მომხიბვლე-ლობის დანერგვა დასავლეთის ბიზნეს-წრეებში, საქართველოს სასურველი რეპიციენტის ილუზია, რომლისგან ერთი გრამი სისხლი ათ კილოგრამ სადონოროს მოისხამს მომავალში და ითავებს კიდეც ამ მისიას ედუარდ შევარდნაძე, გაცნო- ბიერებულად თუ გაუცნობიერებლად. ამიტომაც აღიარებს იგი სინა- ნულით ,,არჩევანში'' საკუთარი ფენომენის ხელმოცარვას სამშობლოში, თუმცაკი მისივე სიტყვებით, ეროვნული ინტერესებისათვის არასდროს უღალატია. შევარდნაძის ლიბერალური პოლიტიკა ოლიგარ- ქიული საქართველოს შექმნის გზაზე სხვა მომენტითაც აიხსნება: ალექსანდრე მაკედონელი იცრემლება მამა — ფილპეს სამხედრო წარმატებებით ძარღვებაშლილი:

— დაიპყრო მთელი მსოფლიო და სარბიელს არაფერს მიტოვებსო. აგერ ბატონო, ხელოვნურად თუ უფლის განგებით, ავგიას თავლების ჯროა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ივარგე, ჰერაკლე თუ ხარ!

იქნებ მეშლება რამე შეგირდს, მოწაფეს, მაგრამ რა ხელი აქვს ცდომილებას ოსტატთან, თანაც ბატონ გიორგი გაჩეჩილაძესთან?!

„მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა ის, რისი გაკეთება ვერ შეძლო ჩემმა მეგობარმა, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ. საქმე ის არის, რომ თბილისი არ გახლავთ ის ცენტრი, რომლის გარშემოც ჩამოყალიბდა დანარჩენი საქართველო. მოსკოვმა თავის გარშემო შემოიკრიბა პროვინციები და ასე ჩამოაყალიბა რუსეთის სახელმწიფო. ქართული სახელმწიფო ყალიბდებოდა საპირისპირო გზით. პროვინციები ქმნიდნენ ცენტრს, რომელსაც გამუდმებით ეუფლებოდნენ დამპყრობლები. ამიტომ საქართველოს ეროვნული ენერგია ძალიან ხშირად იფლანგებოდა დედაქალაქის დასაბრუნებლად. 1989-92 წლებში, როცა საქართველოს ბედი წყდებოდა, მე გავანდე ზვიად გამსახურდიას საქართველოს ისტორიის ეს თავისებურება და მან მოუწოდა ხალხს, ჩამოსულიყვნენ რაიონებიდან. მახსოვს, როგორ იცინოდნენ ე.წ. „სვეტსკი"თბილისელები, პროვინციებს უძახიანო... მიხეილ სააკაშვილმა არათუ იხმო საქართველოს პროვინციები თბილისში, არამედ თვითონ წავიდა და ჩამოიყვანა. ამას ის ვერც ერთ წიგნში ვერ წაიკითხავდა. ამას მას ვერავინ ეტყოდა. ეს არის მისი გენეტიკური ინფორმაცია. მან ფანტასტიკური ნაბიჯი გადადგა. ამიერიდან ნებისმიერ, ვინც პროვინ- ციიდან დედაქალაქში ჩამოვიდა და რუსთაველის პროსპექ ტზე უკეთესი ცხოვრების მოთხოვნით დადგა, საქართველოს სახელმწიფოებრივი გარდაქმნის უშუალო მონაწილე გახდა. ეს ერთი მაგალითიც კმარა იმისთვის, რომ ვთქვათ, მიხეილ სააკაშვილმა გადაშალა საქართველოს ისტორიის ახალი ფურცელი."

სააკაშვილს მართებულად მოუნიშნავს ინტე ლექტის პრიორიტეტი ნებისმიერ ფასეულო ბასთან შედარებით, რომლის დასტურია მისი ინაუგურაციის დღეს დადებული ფიცი ქართველი ხალხის წინაშე:

ალსაყდრება — ინაუგურაცია

მიხეილ სააკაშვილის სიტყვა, წარმოთქმული ფიცის დადების საზეიმო ცერემონიალზე.
თბილისი, იანვარი, 2004 წელი.

— მე მივესალმები ქართლს, კახეთს,იმერეთს, სამეგრელოს, სვანეთს, გურიას ,აფხაზეთს, აჭარას, მცხეთა-მთიანეთს, რაჭას: სამცხე-ჯავახეთს, შიდა ქართლს.

მე მივესალმები სრულიად საქართველოს, მე მივესალ- მები საზღვარგარეთ მცხოვრებ ყველა ქართველს, მივესალმები ყველა სტუმარს — კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება!

ეს არის ადგილი, სადაც საქართველოსთვის თავდადე- ბული გმირები თავს სწირავდნენ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებ- ლობისთვის. აქ დაეცნენ იუნკერები, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რათა არ დაეშვათ ბოლშევიკების მიერ საკუთარი სამშობლოს დაპყრობა და საქართველოს გათიშვა მსოფლიო პროცესებისაგან ათწლეულების განმავლობაში. აქ დაიღუპნენ გმირები, რომლებიც იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებ- ლობისათვის 1989 წლის ცხრა აპრილს. სწორედ აქ მოხდა მათთან უსასტიკესი ანგარიშსწორება საბჭოთა ჯარებისა და ტანკების მიერ. მე მინდა, ვთხოვო ყველას, თხუთმეტ წამიანი დუმილით მივაგოთ პატივი მათ ხსოვნას.

ეს ახალგაზრდები შეეწირნენ თავიანთ ოცნებას საქართველოსათვის. დღეს ჩემი და ჩვენი ვალია, ეს ოცნება ვაქციოთ რეალობად. ჩვენ უნდა განვახორ- ციელოთ ეს ოცნება იმით, რომ საქართველო ვაქციოთ ერთიან, სტაბილურ, დემოკრატიულ, თავისუფალ და ძლიერ სახელმწიფოდ. წითელი ხიდიდან ფსოუმდე, სარფიდან დარიალამდე (ხედავთ, აქაც ჯვარი მოიხაზება, გ.ო.), **საქართველო უნდა იქცეს ქვეყნად, სადაც ყველაზე დიდი სიმდიდრე იქნება ცოდნა და განათლება, სადაც უმთავრესი პრიორიტეტი იქნება სწორედ ჩვენი შვილების განათლება, სადაც ხალხი იქნება კონკურენტუნარიანი გლობალიზაციის პირობებში, რომელიც შეიცავს საფრთხეებს, მაგრამ, ამავე დროს, პატარა ერებს, რომელთაც აქვთ საშუალება, განათლება, კულტურა, ბრძოლის უნარი, აძლევს უნიკალურ შანსს, დამკვიდრდეს საერთაშორისო თანამეგობრობაში.**

საქართველო უნიკალური კულტურის ქვეყანაა. ჩვენ არა მხოლოდ ძველი ევროპელები ვართ, ჩვენ უძველესი ევროპელები ვართ (**გავიხსენოთ ზვიად გამსახურდიას ლექცია ფილარმონიაში 1990 წლის 2 მაისს, გ.ო.**), და ამდენად, საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უკავია ევროპულ ცივილიზა ციაში. საქართველო უნდა იქცეს დემოკრატიის მოდელად, სადაც ყველა მოქალაქე იქნება თანასწორი კანონის წინაშე, სადაც ყველა მოქალაქეს ექნება თანაბარი შესაძლებლობა, მიაღწიოს წარმატებას და მოახდინოს თავის საშუალებათა რეალიზაცია. საქართველო უნდა იქცეს თავისუფალი, განათლებული და ამაყი ადამიანების სამშობლოდ.

საქართველო არის სახლი როგორც ყველა ქართველისათვის, ასევე საქართველოში მცხოვ- რები ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენ ლისათვის. საქართველოს ყველა რუსი, აფხაზი, ოსი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ებრაელი, უკრაინელი, ქურთი — თითოეული მოქალაქე, რომლის- თვისაც საქართველო საკუთარი სამშობლოა, არის ჩვენი ქვეყნის უდიდესი საგანძური და სიმდიდრე.

საქართველოს უნდა ჰყავდეს ქმედითუნარიანი და ხალხის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა. მთავრობა, სადაც ყველა მოქალაქეა წარმოდ- გენილი და თითოეული ქართველის ხმა შეისმინება. აქამდე ხალხი უსმენდა მთავრობას. დადგა დრო, მთავრობამ ძალიან ყურადღებით უსმინოს ხალხს. აქამდე მთავრობა იცავდა თავს ხალხისაგან. დადგა დრო, როცა მთავრობამ უნდა დაიცვას საკუთარი ხალხი და თითოეული მოქალაქე. აქამდე ხალხი ისჯებოდა მთავრობის უნიათობით და ჩვენ დავამტკიცეთ ამ მოედანზე სულ ცოტა ხნის წინათ, რომ დგება მომენტი, როდესაც ხალხი დასჯის მთავრობას გამოჩენილი უნიათობისთვის და სამშობლოს სიყვარულის არქონისთვის.

ქართველი ერი ყოველთვის იყო გონიერი ერი. დღეს, როგორც არასდროს გვჭირდება გონიერება. **ჩვენი მთავარი სიმდიდრეა არა ოქრო და ნავთობი, არამედ ჩვენი ნიჭიერება, ინტელექტი, უნარ-ჩვევები, განათლება, განათლებული ადამიანები. საქართველო უნდა იქცეს ქვეყნად, რომელიც ისწავლის, როგორ გამოიყენოს თავისი ბუნებრივი უპირატესობები. ჩვენ გვაქვს**

ეკონომიკური პოტენციალი, გვყავს განათლებული კადრები, რომლებსაც შეუძლიათ, არ ეზარებათ, უყვართ მუშაობა, როდესაც სამუშაო საინტერესოა და როდესაც აქის საშუალება ეძლევათ.

ჩვენ გვაქვს უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიული მდებარეობა, ჩვენ ვართ კულტურული გზაჯვარედინი, სადაც კულტურები ერთმანეთს ხვდებიან; ჩვენ გვაქვს სრულიად უნიკალური თვალწარმტაცი ბუნებრივი პირობები და მე არ მინახავს არც ერთი უცხოელი, ერთხელ მაინც რომ მოხვედრილიყო საქარ- თველოში და ერთი შეხედვით არ შეყვარებოდა ჩვენი ქვეყანა და ჩვენი სამშობლო. ეს არის უზარმაზარი და გამოსაყენებელი რესურსები და ჩვენ ამ რესურსებს აუცილებლად ავამოქმედებთ, რათა საზოგადოება ფეხზე დადგეს, რათა ჩვენს გაჭირვებას ეშველოს, რადგან გაჭირვება და სიღატაკე ქართველი ერის და მისი ისტორიის, მისი კულტურის, თითოეული ადამიანის, საზოგადო- ების თითო- ეული წევრის შეურაცხ ყოფაა.

ჩვენმა ერმა დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს, რომ გადამწყვეტ მომენტში მას ყოველთვის შეუძლია თავისი ღირსების დაცვა, ღირსეული თანაარსებობა და მეგობრული შეჯიბრება მსოფლიოს მოწინავე ერებთან. დადგა დრო, როცა ჩვენ, ქართველები არ უნდა ვიყოთ მხოლოდ სხვების იმედზე, დადგა დრო, როცა იმას კი არ უნდა ვკითხულობდეთ, თუ რას გვიკეთებს მსოფლიო, რა დახმარებას გვიგზავნის, თუმცა ყველაფერ ამისთვის ჩვენ მადლობელი ვართ, არამედ **დადგა დრო, როცა ჩვენ უნდა ვიკითხოთ, საქართველო რას გაუკეთებს მსოფლიოს და რა წვლილი შეუძლია შეიტანოს მსოფლიოს განვითარებაში**. საქართველო იქნება სტაბილური მოკავშირე ყველა მისი მეგობარი ქვეყნისა. საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს როგორც საერთაშორისო პასუხისმგებლობის ქვეყანა, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული წევრი, როგორც ქვეყანა,. რომელსაც მიუხედავად ურთულესი გეოპოლიტიკური ვითარებისა და მდებარეობისა, ერთნაირად კარგი ურთიერთობა აქვს ყველა თავის მეზობელთან, ამავე დროს, არ ავიწყდება საკუთარი კუთვნილი და რამდენიმე საუკუნის წინათ დაკარგული ადგილის დაბრუნება ევროპულ ოჯახში, ევროპულ ცივილიზაციაში. როგორც უძველესი ცივილი- ზაციის ქრისტიანულმა ქვეყანამ, ჩვენ ეს ადგილი აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ. ჩვენი კურსი არის ევროპული ინტეგრაცია. დროა, ევროპამ საბოლოოდ დაინახოს და დააფასოს საქართველო, გადმოდგას ჩვენსკენ ნაბიჯები და, ამ მხრივ, ჩვენ პირველი ნიშნები უკვე ნამდვილად გვაქვს სახეზე. შემთხვევით არ ავწიეთ დღეს ევროპის დროშა, ეს დროშა საქართველოს დროშაც არის იმიტომ, რომ გამოხატავს ჩვენი ცივილიზაციის, ჩვენი კულტურის, ჩვენი ისტორიის არსს და ჩვენი მომავლის პერსპექტივას და ხედვას.

ამავე დროს, ჩვენ მადლობელნი ვართ და ვაფასებთ იმ დახმარებას, რომელიც წლების განმავლობაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაგვიწია, მაშინ, როცა საქართველოს ყველაზე მეტად უჭირდა, მაშინ, როდესაც ჩვენ ყველაზე მეტად გვჭირდებოდა მეგობრის ზურგი, მეგობრის ხელი, ამერიკა დადგა საქართველოს გვერდზე. როგორც ევროპულმა ქვეყნებმა რომელსაც ამერიკა დაეხმარა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, არ დაივიწყეს, ჩვენც არასდროს დავივიწყებთ ამას და ქართველი ხალხი მადლიერების გრძნობას თავის მომავალ თაობებს გადასცემს.

ამავე დროს, ჩვენ მშვენიერი ურთიერთობები გვაქვს ჩვენს მეზობლებთან და ჩვენ გვინდა ძალიან კარგი ურთიერთობები გვქონდეს რუსეთთან. საქართველოს არ სჭირდება რუსეთი, როგორც მტერი. ჩვენ გვჭირდება რუსეთი, როგორც მეგობარი. ჩვენ გვჭირდება რუსეთი, როგორც მოკავ- შირე, როგორც ძლიერი პარტნიორი და მე მინდა, ქართველი ხალხის სახელით დღეს რუსეთს გავუწოდო მეგობრობის ხელი და მინდა, ეს მეგობრობა ჩამოყალიბდეს და განვითარდეს.

მიზნის მისაღწევად წინ დიდი სირთულეებია, საქართველოს დიდი წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს. ჩვენ ერთად უნდა ავაღორძინოთ ჩვენი ქვეყანა, ავაშენოთ ჩვენი და ჩვენი წინაპრების ოცნების საქართველო. საქართველო ძლიერ იყო, როდესაც იყო ერთიანი. ჩვენ უნდა გავერთიანდეთ იმისათვის, რომ გავძლიერდეთ, უნდა ავაშენოთ ადამიანის უფლებები — ძლიერი დემოკრატია, ჩვენ უნდა ამოვძირკვოთ კორუფცია. ჩემთვის ყოველი კორუმპირებული თანამდებობის პირი, დღევანდელ ეტაპზე ეროვნული ინტერესების მიღალატეა. ჩვენ ამოვძირკვავთ კორუფციას და შევცვლით სისტემას, რომელმაც კორუფციის მანკიერი წრე წარმოქმნა.

უნდა შევქმნათ ისეთი სამართლებრივი სისტემა, სადაც ყველა ადამიანს, პრეზიდენ- ტიდან დაწყებული და უბრალო მოქალაქით დამთავრებული, ერთნაირად მოეკითხება პასუხისმგებლობა კანონის წინაშე. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ხელისუფლების რეფორმირება და ჩამოვაყალიბოთ რეალური თვითმმართველობა, ქვეყანა, სადაც ნებისმიერი პროფესიონალი, პატიოსანი ადამიანი იპოვის თავის ადგილს და შეძლებს ქვეყნის აღმშენებლობაში მონაწი ლეობას.

ჩვენ უნდა შევქმნათ ძლიერი არმია. დღეს და გუშინ მოვიარე სამხედრო ნაწილები, ამ მხრივ ძალიან ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. ჩვენ უნდა ავაღორძინოთ ქართული მხედრული სული, რომელმაც გაგვაძლებინა საუკუნეების განმავლობაში. ჩვენ უნდა ავაღორძინოთ ამ სფეროში დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალის ტრადიციები, ჩვენი გმირების — სამასი არაგველის და ბევრი სხვა გმირის, დიდგორის გმირების ტრადიციები. სხვანაირად საქართველო ვერ დადგება ფეხზე, როგორც სახელმწიფო შეიარაღებულ ძალებს ზრუნვა სჭირდება არა მხოლოდ პრეზიდენტისა და მთავრობის მხრიდან, არამედ თითოეული ქართული ოჯახის მხრიდან თითოეული ქართული ოჯახის ღირსების საქმეა, დავეხმაროთ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს და შევქმნათ ძლიერი ქართუ ლი არმია. მე მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ის თავდადება, რომელიც ბოლო თვეებში დროებითმა ხელისუფლებამ გამოიჩინა. მინდა მადლობა ვუთხრა ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, რომელმაც ეს პროცესი მშვენივრად ჩაატარა. მიუხედავად ცუდი პროგნოზებისა, მიუხედავად იმ საუბრებისა, რომ ახალი ხელისუფლება ვერ შეძლებს ქვეყანაში სიტუაციის შენარჩუნებას, ჩვენ მოვახდინეთ სტაბილიზაცია. მინდა ყველა ადამიანს, ვინც ამაში დაგვეხმარა, სახელმწიფო აპარატის ყველა წარმომადგენელს, ყველა მოქალაქეს დიდი მადლობა ვუთხრა.

მე მჯერა იმ ახალი, განათლებული, ენერგიული და პატრიოტი თაობის, რომელიც შეკრული გუნდით მოდის საქართველოს ხელისუფლებაში და ამავე დროს მიმაჩნია, რომ ყველა თაობას, ბებიაჩემისა და ბაბუაჩემის თაობას, კიდევ აქვს შანსი, ჩემი მშობლების თაობას კიდევ აქვს დიდი შესაძლებლობები იმისათვის, რომ დადებითი წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში. და თაობათა ხიდი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩატყდეს, ამ ხიდის გამრთელება არის ერთ-ერთი მთავარი საწინდარი ახალ- გაზრდა თაობის წარმატებისა.

მე ვხდები ამაყი ხალხის პრეზიდენტი, ხალხისა, რომელიც იმედით შეჰყურებს მომავალს, ვინც ნატრულობს ჩვენი ოცნების საქართველოს, ჩემი ოცნების საქართველოს, და მე მზად ვარ ვემსახურო ჩემს ხალხს, რათა ის უფრო ამაყი იყოს, იმისთვის, რომ გავამართლო მისი ყველა იმედი და ავაშენოთ საქართველო, რომელზეც ვოცნებობთ ჩვენ და ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები. დადგა მძიმე, დაუღალავი შრომის დრო. ერთ დღეში არაფერი არ მოვა, მხოლოდ პრეზი- დენტი ყველაფერს ვერ გააკეთებს, მაგრამ ხალხი, ყველა ერთად, ხელდა- კაპიწებულნი შევძლებთ, რომ საქართველო დავაყენოთ ფეხზე. თუ ვიმუშავებთ დღე და ღამე, მართლაც მივაღწევთ ძალიან სერიოზულ წარმატებას. მე ამაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ ამას სჭირდება მუხლჩაუხრელი შრომა, უზარმაზარი ენთუზიაზმი, დიდი ოპტიმიზმი.

ბოლო მოვლენებმა გამოათავისუფლეს უზარმაზარი ენერგია, რომელიც ქართველ ერშია. უზარმაზარი იმედი, იმედის ნაპერწკალი, რომელიც არის ყველა ქართველის თვალში, დღეს, როგორც არასდროს, უნდა გადაიზარდოს პოზიტიურ ენერგიაში. ჩვენი შვილებისათვის პოზიტიურ ენერგიაში, რათა შევუქმნათ მათ ბევრად უკეთესი საქართველო. ისინი იმედის თვალით შემოგვყუ- რებენ. ჩვენი შვილების თვალებში ჩავიხედოთ და მივხვდეთ, რას ელიან ისინი ჩვენგან და რამდენად კატასტროფული და ცუდი იქნება ჩვენგან მათი ნდობის არგამართლება.

დღეს მე ვხდები საქართველოს პრეზიდენტი. ჩემს პრეზიდენტობას მე ვუძღვნი საქართველოს თავისუფლ ბისათვის დაღუპულ გმირებს, ჩემს პრეზიდენტობას მე ვუძღვნი ყველა გაჭირვებულ ადამიანს საქართველოში, ჩემს პრეზიდენტობას მე ვუძღვნი საქართველოს მომავალ თაობებს, იმ ოცნებას, რომელიც მათ აქვთ და ამ ოცნებების ახდენას. ჩემს პრეზიდენტობას მე ვუძღვნი საქართველოს გამრ თლიანებას და გაძლიერებას.

ღმერთი იყოს ჩვენი სამშობლოს — საქართველოს მფარველი!"

ასეთი და ამგვარია მამულის საკურთხეველთან პრეზიდენტ სააკაშვილის სულის ზვარაკად მიტანის აღთქმულებანი, მაგრამ ჩვენც ჩვენეული სივრცე გვიცდის კონკრეტული დაპირებებით, თუ რა ფასეულობას შეუმზადებს გრანდიოზულ მსოფლიოს ციცქნა საქათველო, რომელიც მხოლოდ მის წიაღშია დაკრისტალებული.

„გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსათვის"

ამ განკიდეზე მუშაობისას უნებლიეთ მეგობარი პოეტის — აპოლონ ადონიას გადაყვითლებული ფურცლები შემომიცურდება მაგიდაზე. არც კი ვიცი, თუ საიდან ამომყვება იგი, მაგრამ — იმდენად თანადროულად, როგორც მაშველი რგოლი მიუსწრებს წყალშიგაჭირვებულს.

„ეს, რამდენი ხანია, რაც გულდასმით ვიჩხრიკები ძველსა და ახალ ლექსიკონებში, დიდი ენების სიტყვიერებაში, მსოფლიო სიმბოლიკების ილუსტრირებულ ენციკლოპედიებში და არსად ჩანს გველშემოხვეული კალმის სემანტიკა. ამ სიმბოლიკის ძიების სურვილი კი გამიჩნდა, როცა უნებლიეთ წავიდუდუნე ვაჟა-ფშაველას შემდეგი სტრიქონები:

მადლობელი ვარ მშობლისა,
ჩემი გაჩენის, გაზრდისა,
და თუ ცოდვები მომჭარბდა,
ვამხელ და გასამხელია,
იგივ მარჯვენა და კაცივ,
იგივ კალამი მჭრელია,
დაჩლუნგებულა, დამდგარა,
შემოხვევია გველია,
ასე ყოფილა მგოსნისა,
თუ მადლი გამოელია.

ბურუსიანი განთიადი იდგა. რიჟრაჟის სინათლეში ამოდიოდა ჩვენი უბედური პლანეტა, მკრთალად, ბაცად, როგორც ნეგატივი მავლინებელში. მოხდა ცნობიერების გაღვიძება, იელვა და გველშემოხვეული კალმების ლეგიონებმა ამოხეთქეს უფსკრულებიდან, გადათქერეს მთელი დედამიწა! აცეკვდნენ, ასხმარტალდნენ, გადააბნელეს თავის ტვინები გველშემო- ხვეული კალმების ლეგიონებმა. სიცრუისა და ცბიერების უნაპირო ოკეანეები დააყენეს გველშემოხვეული კალმების ლეგიონებმა. მერე და მერე დაეწყვნენ ჯარისკაცულ მწკრივებად, ბოროტების ჯარისკაცებად დაეწყვნენ... და ჩადგნენ კაცობრიობის ზომბირე- ბისთვის გამართულ ინტელექტუალურ კაკაფონიაში.

გველშემოხვეული კალმები წრიპინებენ და წრიპინებენ დღე და ღამე მსოფლიოს ცენტრებსა და პერიფერიებში, გემებსა და თვითმფრინავებში, საელჩოებსა და სამინისტროებში, საპრეზიდენტოებსა და საპარლა- მენტოებში... გველშემოხვეული კალმები არ ისვენებენ დღე და ღამე.

სწრაფად ვითარდება ლიტერატურის ახალი დარგი ჟურნალისტიკა, რომელიც დაღუპავს მსოფლიოს — ეს გურჯიევია, გიორგი გურჯიევი — დრო — საუკუნის დასაწყისი. ახლა საუკუნის დასასრულია და გველშემოხ- ვეული კალმებისაგან დაღუპული პლანეტის სახე გამოიკვეთა. სიცრუის რესპუბლიკა — საქართველო — წინ მიუძღვის ამ დაღუპვისაკენ დაქანებულ პლანეტას. გველშემოხვეული კალმის სიმბოლიკა უნდა შემოეშატოს საკაცობრიო სიმბოლიკების ჯგროს. გაქრობის ჯვარი და გველშემოხ- ვეული კალმები, უნდა დავაყენოთ სადმე სივრცეში.

ბედნიერია ის მწერალი, რომელსაც თავისი კალამი საფლავში არ ჩასძახებს: ყალბი იყავ და ყალბად მაჟღერებდიო! ეს კი, ისევ ვაჟაა, ვაჟა- ფშაველა! ღვთის კაცი! ქართული სულის უდაბნოში გაფოთლილი ხე, მსხმოიარე, სიმბოლო! გველშემოხვეულია ერის კალამი და მის უკან გველშე- მოხვეული კალმებით შემომესრილა უბედური პლანეტა ჩვენი!"

ამგვარი კალმების უსიერიდან მოვაშურებ სააკაშვილის სტატიების კრებულს. წიგნი 2001 წელსაა გამოცემული და სრულიად ცალსახად ირეკლავს ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრე- ბული ორი ძირითადი მიმართულების ჭიდილს: პროდასავლური თუ პრორუსული. ასე რომ, მიხეილ სააკაშვილი „ვარდების რევოლუციამდე" შიშველი ხელებით როდი მოსულა. იგი სრულიად გააზრებული საყრდენებით წარსდგება ერის წინაშე, სადაც ამერიკელების შეძახილი: დაარე- გულირეთ ურთიერთობა რუსეთთან, სხვათაგან გამორჩევით ამნაირად აღიქმება — დაარეგუ- ლირეთ ურთიერთობა რუსეთთან პროამერი- კულის სასარგებლოდ.

მიხეილ სააკაშვილის პუბლიკაციების უმეტე- სობა გაზეთ „საქართველოშია" განთავსებული. ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგიდან ქართვე- ლი მწერლისა და პუბლიცისტის, ბატონ ნოდარ გრიგალაშვილის პერიოდიკა, მართლაც იქცევა ოთხმოცდაათიანი წლების საზოგადო- ების პოლი- ტიკური ორიენტაციის ძიების ლაბორატო- რიად. ამ მიმართებით დღემდე ახსოვს მკითხველს ბატონების: გოგი გაჩეჩილაძის თუ როსტომ ჩხეიძის ეროვნული სულისკვეთების პოზიციები. და როდესაც გულდინ ჯად ჩავიკითხავ სააკაშვილის „ბრძოლას", უამრავ სულიერ ნათესაობას აღმოვაჩენ წინდებულთან. მოგვიანებით „ჩვენს მწერლობაში" გამოქვეყნებულ „ეროვ- ნულ კონცეფციაში" ბატონი გოგი დაუფარავად ჩამოაყალიბებს ეჭვმიუტან- ელ ერთ ჭეშმარიტებას: არ შეიძლება ენდო პარტნიორად ქვეყანას, რომელიც ხუთგზის თუ ექვსგზის ჟელს გამოგჭრის უცერემონიოდო.

დღემდე მიგუგუნებს ყურებში ბატონი გოგის სიტყვები ხუთწუთიან სატროტუარო დიალოგიდან: — სააკაშვილი ბევრად უკეთესი ყმაწვილკაცია, ვინემ ამას ზოილური ქართული მას-მედია

წარმოსახავსო. მან გაცილებით მეტი იცის საქართველოს ხვალინდელ დღეზე და ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია ჩვენი ქვეყნისთვის, თუკი ასპარეზი დროულად მიეცემაო.

ოსტატის სიტყვა გულისხმიერი შეგირდისათვის ოქროა რჩეულ, და იქიდან მოყოლებული ცხოველი ინტერესით მივადევნებ თვალს ამ მართალაცდა ექსცენტრიული პოლიტიკოსის უთანასწორო ბრძოლას თვითდამკვიდრებისათვის. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ,,გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსათვის'' გაჯერებულია ელიტარული საქარ- თველოს ყველაზე მოწინავე ფენის სულიერი წინააღმდეგობით აუტანელ ვითარებასთან.

სააკაშვილის თხზულება ნიადაგის ერთგვარი შემზადებაა ,,ვარდების რევო- ლუციისათვის'', ასე რომ მიხეილის სინქრონიზაცია გელათის საკა- თედრო ტაძარში, გაცილებით ადრე მომწიფებულა ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგიდან გრიგალაშვილების, ქურდიანების, ჩხეიძეების, გაჩეჩილაძეთა გრაალის საძმოში და ოდეს ხუთჯვრიანი დროშა სახელმწიფო სიმბოლოდ აღიმართება საქართველოს თავზე, აღარ გამიკვირდება მსუბუქი ცრემლის მოძალება ახალგაზრდა პრეზიდენტის თვალებში, და ყველაფრის გათვალისწინებით დიდი უმადურობაა მის ფიცში შეეჭვდე:

„დღეს მე ვხდები საქართველოს პრეზი- დენტი. ჩემს პრეზიდენტობას მე ვუძღვნი საქართველოს თავისუფლები- სათვის დაღუპულ გმირებს, ჩემს პრეზი- დენტობას მე ვუძღვნი ყველა გაჭირვებულ ადამიანს საქართველოში, ჩემს პრეზიდენ- ტობას მე ვუძღვნი საქართველოს მომავალ თაობებს, იმ ოცნებას, რომელიც მათ აქვთ და ამ ოცნებების ახდენას. ჩემს პრეზიდენ- ტობას მე ვუძღვნი საქართველოს გამრთლია- ნებას და გაძლიერებას''.

პრეზიდენტის ფიცის დადების საზეიმი ცერემონიალზე VI სექტორზე ვიმყოფები ჯიბის დეპუტაციის გარემოცვაში. აქ, ამ კათედრალზე დატრიალებულა ქართველი ხალხის და ჩემს წინაშეც ბოლო 15 წლის პოლიტიკური ბატალიები. განსაკუთრებით აქ შემომეშველება ვაჟა-ფშაველას ,,მონადირის ნაამბობის'' სტროფი: **,,იმ ცოდვა-ბრალის სურათი, რაც იმ ერთ ღამეს მომხდარა, შაუნახია ჰაერსა, სცოცხლობს და როდი მომკვდარა**''. დიახ, სცოცხლობს, უკეთ სუფევს მისი ჩვენება ხორციელად, ფენა-ფენად, შრეებად და უნებლიეთ ენაკვთება 36 წლის კაცის ინაუგურაციას.

ქუჩა, მოედანი გადაჭედილია ხუთჯვრიანი დროშებით. ამერიკულს 6-6 თეთრ-წითელი ზოლი ამშვენებს 50 ხუთქიმიანი ვარსკვლავის თანხლებით. ებრაულზე გვიმს ჯელია, მთლად ეზოტერიკული ჭიპია, სიბრძნის კარიბჭე, ოღონდ უცნობია სემიანელებისათვის მისი შინაარსი. ინგლისური დროშაც ერთგვარად ენათესავება ქართულს ფერების სიმსუბუქით, თანაც პირწავარდნილი ბორჯღა ლია იგი, მოძრაობაში მოყვანილი ჯვარი და ამ ცეცხლისფერი იალქნების ფონზე თვალნათლივ ვამჩნევ გადასხეპილი ჭადრების რიგს თავისუფ- ლების მოედნის მიმართუ ლებით. აქ ერთგვარი გენური შეჭიდულობა იქმნება გადაბასრული ჩინარებისა ალისფერ დროშებთან გალაკტიონი- სებური აღტკინებით: თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა!

ათასობით ადამიანია გარშემო. უმეტესი სრულიად უცნობია თითქოს და მაინც — ახლობელი. აქა-იქ სათაყვანებელ სახეებს დავლანდავ — ჯემალ შონიას, ანზორ აბრალავას, ელიზბარ ჯაველიძეს, გოგი გაჩეჩილაძეს და თვალი უნებურად ისევ პრეზიდენტისკენ გამექცევა.

ჩაამთავრებს სააკაშვილი ფიცს და კვლავ მისი წიგნის წიაღისკენ გადავეშვები. ამიერიდან ჩემი სულიერი აღტკინების მიტაცება არც საზეიმო ზარის მოგუდულ გუგუნს ძალუძს და აღარც ტონობით ვარდის ცვენას ვეტმფრენებიდან: **ვარდის ფურცლობის ნიშანი არის და დრო ახალი ჰაეშანისა,** დაბარებულივით მესტუმრება გოგლას სტრიქონები.

ჩემი დამოკიდებულებაც მიხეილის თხზულე- ბისადმი ,,ცნობიერების ნაკადის'' სტილისაა, ამიტომაც შესაძლოა ნაწარმოების თანამიმდევ რობა ბევრჯერ დაირღვეს, მოსალოდნელია დამაგვირგვინებელმა აკორდებმა უვერტიურისკენ გადმოინაცვლონ და — პირიქით, მაგრამ ამგვარი გადასმები არახალია, საქართველოს ორიენტაციის პრობლემა ოკეანეა და ფიქრის დოლაბი განურ- ჩევლად ჩამოფქვავს მეორეხარისხოვანს თუ უმთავრესს.

საქართველო მართლაც პატარა ქვეყანაა, მაგრამ ქვეყნის ფართობი და რიცხოვნობა, ავტორის სიტყვებით, ნაკლებად განსაზღვრავს მის გავლენას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. დღევანდელი ვითარება გარკვეულწილად ჩამოჰგავს 80 წლის წინანდელ მდგომარეობას, იმ განსხვავებით, რომ მაშინ პირველი მსოფლიო ომი ახალდამთავ რებულია და საქართველო- სთვის არავის სცალია. დღეს რუსეთი ფაქტობრივად ხერხემალში გადამსხვრეული მონსტრია და ამერიკა მეტი ფორიაქით მიადევნებს მზერას ჩინეთის მზარდ ეკონომიკურ აღმავლობას. 80 წლის წინანდელი სიტუაციის შემდეგ ნამდვილი ანაქრონიზმია საქართველო-თურქეთის ე.წ. ყარსის ხელშეკრუ- ლებაც, რომელიც ვერაფრით მიიჩნევა ,,**ქართული დიპლომატიის დიდ გამარჯვებად**'', პირიქით, უფრო

ანექსირებული ქვეყნის იძულებითი კვერის დაკვრაა უმომავლობაზე: **ჩაყოლა ჩათრევის სანაცვლოდ**. ხელშეკრულების მეექვსე მუხლიდან: ,,**ოსმალეთი თანხმდება დაუთმოს საქართველოს სუვერენიტეტი ბათუმის ნავსადგურზე და ქალაქზე და იმ ტერი- ტორიაზე, რომელიც შედიოდა ბათუმის ოლქში, იმ პირობით, რომ მოსახლეობა ამ ადგილებისა ისარგებლებს ფართო ადგილო- ბრივი ავტონომიით ადმინის- ტრაციულის მხრით, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული თემის კულტურულ და სარწმუნეობრივ უფლებებს და რომ მოსახლეობას მიეცემა საშუალება, დაადგინოს ისეთი საადგილ მამულო კანონი, რომელიც ეთანხმება მის სურვილებს**''.

აქ სიტყვა ,,სუვერენიტეტი'' დამოკლეს მახვილივითაა ჩამოკიდებული აჭარის მოსახლეობის თავზე, როგორც თურქული ნების კარნახი საუკუნე- ობით ნაჯიჯგნ ტერიტორიაზე ხელსაყრელ მომენტამდე. მაგრამ სააკაშვილი აბსურდულად მიიჩნევს ამგვარი კონტრაქტის მართლ ზომიერებას იურისპრუდენციის პოზიციიდან, ვინაიდან იგი დამონებული ქვეყნის იძულებითი თანხმობაა და ყველაფრის გათვალისწინებით ,,ყარსის'' ხელ- შეკრულება რვა ათეული წელიწადია ყარს მონური ფსიქოლოგიის გარიგებად. ავტორი დასახელებულ პაქტს უწოდებს რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებას, როგორც სინამდვილეშია, ვინაიდან მასში საზვარაკო კურატივით თოკითაა მითრეული დაპყრობილი ქვეყნის ხელისუფ- ლება და მსგავსი კონტრაქტი საერთაშორისო სამართალში ბათილადაა მიჩნეული. ყარსის ხელშეკრულებას დენთის სიფრთხილით ეკიდება თვით ეროვნული ხელისუფლება, როდესაც იგი თვალს მიადევნებს ჟორდანიას ხელისუფლებას, მაგრამ მიხეილი შეუვალია და მომავალ პარლამენტს მეტი გონიერებისკენ მოუწოდებს, ვინემ ამას 1992 წლის კანონშემოქმედება მოიმოქმედებს — განმეორებით დააკანონებს 80 წლის წინანდელ ნებაყოფლობით მონობას. არადა, გადაწყვეტი- ლების მიღებისას კორექტული მოსაზრებები დამღუპველია ერის მომავლისავთის, ვინაიდან ყველგან და ყოველთვის უზენაესი ეროვნული ინტერესებია.

სააკაშვილის გამოკვეთილი მამულიშვილობა წითელი ზოლივით გასდევს მის გაუბზარავ ხასიათს, იგი ყველგან შეუპოვარი ორთოდოქსია გამსახურ დიას მსგავსად და ნაკლებად ემხრობა შევარდნაძის აღმოსავლურ ორაზ- როვნებას. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია სააკაშვილის ფენომენის განხილვა, როგორც საკუთრივ გამსახურდიას თუ შევარდნაძის მემკვიდრისა, რამეთუ სრულიად ახლებური ხელწერა გამოარჩევს ყველგან და ყველაფერში. ,,ვარდების რევოლუციის'' შემოქმედი კაცის ბუნებაში გაცილებით მეტი ეკლებია, თურმე, ვიდრე ეს კეთილშობილ ,,როზა დამასკეანას'' სჩვევია საერთოდ: მწვავე სტატიები თორმეტი წელიწადია ქვეყნდება გრიგალაშვილის ,,საქართველოში'', როცა ირგვლვ ნატუსალი ხრჩოლავს და ავტომატების კაკანია დილა-საღამო; როცა მართლისმთქმელს ვერაფერს შველის დარახტული მერანი და თავაწეული მხედრის ქურანიანად გასაღება ხუთი შაური ფასობს.

მართალია, ჩვენს პრეზიდენტს კოკოიეთი დაჭერით ემუქრება ცხინვალში გამოცხადების შემთხვევაში, მაგრამ სააკაშვილი სამაჩაბლოში გაცილებით ადრე ჩააღწევს, როცა იქაურ გარიგებებს ეროვნული ინტერესების ღალა- ტის კვალიფიკაციას მიანიჭებს. ხოლო აფხაზურ-ქართულ კონფლიქტს ცალსახად დაარქმევს რუსეთ-საქართველოს ომობანას, რომლის მიხედვით ,,**საქართველო საერთაშორისო პოლიტიკის უმწეო ობიექტია**'' და რუსეთის საოკუპაციო ჯარებისათვის სამშვი- დობო სტატუსის მინიჭების ფასად შევიძენთ კიდეც ოქროს ჯაჭვებს ამირანის გვემული კიდურებისათვის.

იმპერიასთან დამოკიდებულებაში არასრულ- ფასოვ- ნების კომპლექსით დაავადებულ დიპლო- მატიად მონათლავს წინამორბედი პრეზიდენტის მოღვაწეობას ჩვენი მიხეილი და აქვე რომაელი მოზარდის სითამამით შესძახებს: ,,**ყველაზე მეტი საფრთხე რუსეთიდან მოდისთ**''.

ზემოთ გვიხსენებია ,,ჩვენს მწერლობაში'' გიორგი გაჩიჩილაძის ეროვნული უშიშრობის კონცეფციის ზარები, რომელსაც სრული ათი წლით უსწრებს სააკაშვილის მოსხლეტილი სიტყვა და იოლდება ოსტატ-შეგირდის გენეტი- კური შეჭიდულობის დადგენა. ამიერიდან მაინც ვერ წააყვედრიან ქართული დიპლომატიის მეტრის გულისხმიერ მოწაფეს პროვინციულ ფაშიზმს, რამეთუ ხელისგულზე ულაგია მსოფლიო პროცესების ყველა კვანძი და გზაჯვარედინი.

სავარაუდებელია, რომ უწინარესად ამ ოაზისიდან იკვებება სააკაშვილის უკომპრომისობა ეროვნულ საკითხებში. ქვეყნის უმაღლეს ეშელონში იგი, ჩანს, ქუჩური ვნებათაღელვიდან ნაკლებად მოხეტებულა.კიევის უნივერ- სიტეტში იურისპრუდენციის დაუფლების შემდეგ, სააკაშვილი ნიუ- იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის ამერიკის კონგრესის სტიპენდიანტია. მოგვი- ანებით — ვაშინგტონის დოქტორანტი. აქეთ საფრანგეთში სტრასბურგის ადამიანთა უფლებების საერთაშორისო ინსტი ტუტის დიპლომატია. შემო- ივლის ნორვეგიის, შეერთებული შტატების პრიმა საადვოკატო ფირმებს. ვერც სამშობლოში ეტყვით ხელმოცარულს:

ჯერ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარეა. მერმე იუსტიციის მინისტრი; არის მაჟორიტარი დეპუტატი თბილისის №2 საარჩევნო ოლქიდან; განაგებს ფრაქცია ,,მოქალაქეთა კავშირს''; აირჩევა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად; გახლავთ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე; 1997 წელს ქართული მედია და არასამთავრობოები ერთხმად აღიარებენ წლის ადამი ან ად.

ახალგაზრდა კაცის ელვისებური კარიერის მთაგრეხილზე უმაღლესი ნიშნული მაინც ,,ვარდების რევოლუციის'' მწვერვალია, რომლის ამომავალი მნათი დღითი დღე მიისწრაფვის ზენიტისკენ მძიმე გასხვლების მხარდამხარ. და კვირის წინათ მეხუთე იზოლატორის საკნის დუეტს უკვე გვარიანი ამალა შესდგომია **„გალიაში მჯდომი ბულბულე ბის“** დასაგუგუნებლად.

სააკაშვილ-ნათელაშვილის ფენომენში ყოფილი ხელისუფლება ყოველთვის მოიაზრებდა ოლიგარქიული საქართველოს დასამარების საფრთხეს. და მიხეილის გამარჯვებით შეიქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ნაკლებად საზიანოა დაწინაურებული, მაგრამ ეს უკანასკნელი მთლად კერკეტი კაკალი აღმოჩნდება. ანტიკორუფციული სერობის მადა უკვე 20 მილიონ ლარს ედავება ადეიშვილს. მოურიდებლად უკაკუნებენ ჩხარტიშვილის და სიორიძის კაბინეტის კარებზე. ინერგება მოსაზრება ქართული ოლიგარქიისადმი რევანშისტული შეტევის თაობაზე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებისა და ბიზნეს-ინტერესების მიერ. თუმცა ამავდროულად ნიადაგი მზადდება სუფთა პოლიტიკოსის, ჩვენი ჰელიოსიძის გასანეიტრალებლადაც, რომელიც კვლავაც შეუპოვარია და გულწრფელი ნოსტალგიით დასტირის მობლუკუნე-მოფამფალებულ შევარდნაძის ხელის- უფლების ცეცხლოვანი ინგლისურით მოსხაპასხუპე სააკაშვილით ჩანაცვლებას.

მართალია, არ არიან სტუდიებში ლუბა, ხოფერია და ინგა გრიგოლია, მაგრამ ნათელაშვილი ამჯერად ,,კავკასიის'' მოკრძალებული დიაპაზონის ეკრანიდან ესაუბრება საქართველოს. ამოყრილია საარჩევნო სიებიდან შოუმენები და შოუფრაუები, თვით გუდამაყრელი ჩოხელიც არსად ილანდება თვალსაწიერზე. პიიტიკოსების გარშემო კონცენტრირებულია ლეიბორის- ტული ტალღა. კვლავაც შეურიგებელია ნათელაშვილი, რომ მოფოლხვებული შევარდნაძის სანაცვლოდ სიცოცხლით აღსავსე ამბროსო ვიჩი მოვლინებია ქვეყანას, თუმცა იმასაც ვერ ხსნის რატომ ხეხავს ციხის კედლებს მისი სანათესაოს ნახევარი. მძახალ გურამ ახვლედიანს ჯაგარა კიწმარიშვილი ჩანაცვლებია, რომელიც შუაგულ ზამთარში ფთილა თოვლს არ გამოიმეტებს კვერცხისხელა გუნდას შესაკრავად. სოროსელი ლომაია განათლების სამინისტროში მოკალა- თებულა, რათა იუგოსლავიური გამოცდილებისამებრ მართლმადიდებლობის ანაბანა ამოაგდოს ზოგად- საგანმანათლებლო პროგრამიდან. ხოლო რეხვიაშვილს ირანში კოსიგინის ძალისხმევით აშენებული ქარხანა, მთვარეზე მავალ რობოტებს რომ აწარმოებდა, გაუყიდია და როდესაც კორესპონდენტი აწრიალებყული თვალებით მამის ცოდვებს შეურბილებს ქარ-სუსხის ობიექტ მინისტრს, ნათელაშვილი დაუნდობელია, **რატომაც არაო,** გულფიცხობს, **უცხოეთში სასწავლებელი ფული კი არა, ტროლეიბუსით სამგზავრო თეთრები არ უჭყავის უშეტესსო**. ბრძანებს. მოკლედ, მის შემხედვარეს ,,ახალი რაინის გაზეთის'' დინამიტი მარქს-ენგელსის სიჭაბუკე გაგახსენდებათ. ერთი სიტყვით, ნათელაშვილი ვერანაირ დასკვნას გამოიტანს ცამეტწლიანი საარჩევნო პრაქტიკიდან. ძველებურად გალოკილი თითივითაა, მარტოდ მარტო მიათრევს ალმართზე საქართველოს გადარჩენის სიზიფის ლოდს.

ამასობაში კოკო გამსახურდია გამოჩნდება სარვამარტო არჩევნების არენაზე. მათი სიის პირველ ათეულში მერაბ ჩუხუას შევიცნობ მხოლოდ, რომელიც ჩინე- ბული ენათმეცნიერია და გროზნოშიც ახლავს ქვეყნის პირველ პრეზიდენტს.

დაწყვილდებიან ,,ახალი მემარჯვენეები'' და ,,მრეწველები''. ჯერ ძნელია მათი დევიზის განსაზღვრა, თუ რა პრიორიტეტი გადაარჩენს საქართველოს, მაგრამ თოფაძე პირველია საარჩევნო სიებში. სხვები იმდენად დაუფეთებია ,,ვარდების რევოლუციის'' ვიბრაციას, რომ საეჭვოა კვლავინდებურად ასე დათითოკა- ცებულებმა შაჰის ხალათს გამოჰკრან ხელი.

დომხალია თავად სამთავრობოებშიც. ,,ვარდების რევოლუციის'' გამაბრუ- ებელ სურნელს იმნაირად გაულაღებია მათი ტრიუმფული სულის- კვეთება, რომ ზოგ ლიდერს ოთხს ადგილს გაუმაქნისებენ და ზოგს — **8** პორთფელს მიართმევენ საჩხკვიმამიდა შვილო ფრაქციის დასაბალანსებლად და ამ დროს ეკლის გვირგვინიღა შემორჩებათ აწ დაფურცლული როზალიებიდან ,,ეროვნული თანხმობის'' მოკავშირე- ობისთვის; ისე რომ, ჯერეთ მემორანდუმის ტექსტი ხელმოუწერელია პრეზიდენტისაგან. გოგი გაჩეჩილაძემ კი იძახოს რამდენიც ნებავს: **ერი კოლექტიური პასუხისმგებლობაა ერთობლივ მომავალზეო,** ვის, რომელს ეხატება გულზე შენი თანაქ-მედება, შენი თანამოსაგრეობა, შენი კონსოლიდაცია!

ბუშს ეამაყება სააკაშვილთან მეგობრობა, მაგრამ იყო პერიოდი, როდესაც იოსელიანსაც აღაფრთოვანებდა შევარდნაძესთან პურობა ერთი გობიდან. სრულიად ამერიკა მოხიბლულია ჩვენი

მიხეილით. რულოვსხე ერაყში დასახიჩ- რებულ ჯარისკაცებს მოინახულებს სამხედრო ჰოსპიტალებში, ამასობაში სააკაშ- ვილი პაუელის თანხლებით გრძელი ნაბიჯებით მოივლის მთელს ბროდვეის, ისე რომ ბოლო ნავთსაყუდელი მაინც სოროსთანაა, ,,ვარდების რევოლუციის'' ოლიგარქიულ ყულაბასთან.

მოსალოდნელ სიტუაციას აქამდეც გუმანობს სააკა- შვილი და ამიტომაც მართავს მიყოლებით სახელდახელო ბრიფინგებს ჯიბის პარლამენტარების მისამართით, რათა შემოყრილ კანონ-პროექტებს უჭოჭმანოდ უყარონ კენჭი. მერე რა თუკი ცოტათი თურქმენბეშური გამოსვლიათ იგი დემოკრატიულ თერძებს, სადაც ფაქტობრივად იგნორირებულია პარლამენტის უფლებამოსილებანი და სპიკერი პრეზიდენტის შემოსალაწუნებელი, გასატყეპი ბიჭებია ,,უფლისწული და მათხოვრიდან''. მეტიც საპარლამენტო ქვეყნიდან ლამის დიქტატორულ სახელმწიფომდე ავმაღლდეთ ელვისებურად. და ,,საქართველოს კონსტიტუცია'' ამჯერად სააკაშვილის ტანზე მორგებული აბრამ ბაზელის ვარდებით დაფორაჯე- ბული ჩოხა-ახალუხი უფროა, რომლის სამასრეებში ქილების ნაცვლად თვინიერად აწყია ტყიის სტრიქონებად ჩამოსხმული ,,მშობლიური კანონ- შემოქმედება''. ჰოდა, ერთგვარი პროკრუსტეს სარეცლის ღამისთევა გვიხაზირ- დება სამომავლოდ რუსთაველის პროსპექტის ჭადრების მსგავსად, რომელთაც ,,ვარდების რევოლუციის'' მძიმე გასხვლის ობიექტად მოვნათლავ თვეების წინათ.

ერთი სიტყვით, ქვეყნის ძირითად კანონს ძნელად მიუწვდება ტოტები სააკაშვილის სწრაფმავალ მაჯა- კოჭებამდე. მაგრამ ამ ბარიერსაც უმტკივნეულოდ გადალახავს ჩვენი აჯაფსანდალი დღევადლობა ჯიბის პარლამენტის წყალობით, ვინაიდან 26 თებერვალს უფლებამოსილება შეუწყდება და ალაჰმა უწყის მერე რა ეშველება ყოველთვიურ ფულად დახმარებას თუ პენსიას 750 ლარის ოდენობით.

სააკაშვილის ფენომენს მოვუბრუნდეთ. მთავარზე მთავარი დაბრკოლება სიმართლის ბოლომდე უთქმელობაა, შამფურისა და მწვადის ფილოსოფიაზე ზურგის შექცევა, უპიროვნო გაორებების უკუგდება ერთხელ და სამუდამოდ. ამასთან ერთად, მიხეილის გაპრეზიდენტებიდან ორი კვირის თავზე აშკარად თვალში საცემია მას-მედიისა და არასამთავრობოების გნიასი აქამდე გალალებული სუფევის რამდენადმე ალაგმვის გამო. აქ ცოტაოდენი ჩაღრმავება არაფრით გვაწყენს. იქმნება სიტუაცია, როცა შევარდნაძის რეჟიმი თავისუფალი სიტყვის ჭირისუფლობით, დემოკრატიის მაღალი ხარისხით, ოსტატურად ახერხებს ოლიგარქიული ზანდუკების ოქროებით გამოტენას, მაგრამ ახლა ვითარება კარდინალურად შეუცვლია ,,ვარდების რევოლუციას'', დიახაც, ამ თავისუფალი მედიის განუკითხავი ჭენებით გაუმარჯვია დოლში, თუმცა მერე რა? ,,**202**'' ყვითელი ხალათის პერსპექტივამდე ჩემულობს ოდისევსობას — ციკლოპი შევარდნაძის დაბრმავებას, თუმცა გამოადგება რო? ყურისმგდებელი ვინ არის?!

კაშპიროვსკი გოგიჩაიშვილი მერამდენე თვეა საქართვე- ლოდან შემტყდარა. მოშორებია ცხაურებიან ,,60 წუთს'' მისი მომნუსხველი მზერა, სამაგიეროდ თავად ცხრაკლიტული არსად გადაშენებულა, დაყუდებულა კვლავაც ქარ- თული ოლიგარქიის სათავყრილობოდ.

ნატო ონიანს არაფერში წაადგება პრეზიდენტ შევარდნაძესთან დაგემოვ- ნებული საორშაბათო ინტერვიუები და ახლა ,,ტაიმ-აუტის'' მსვლელობას შლაგბაუმს აღუმართავენ ყანდიაშვილის უსაშველო ,,რა ხდებას'' მხარდამხარ.

სამთავრობო ტელეარხის შეფმზარეული ლეონიძის განმარტებით, თურმე ახალი ფორმატი მზადდება და აქამდე არსებული პროგრამები შეუსაბამობაშია დროის მოთხოვნებთან. ამ ორი ჟურნალისტის მიმართ ზედამხედველური ეშვების გამობზინება პოლიტიკური კონიუქტურითაც გამართლდებოდა მაყურებლის თვალში, მაგრამ საკითხავი: **რა დააშავეს „ვარდების რევოლუციის" ვიოლინო-სერპანტინმა „ლამის კურიერმა" თუ თეიდას სასწორის ეტალონმა მიუმხრობლობით —„ლამის მზერამ"**? ხოფერია-გრიგოლიამ მაინც რითი გააღიზიანეს მეამბოხე ხელისუფლება?!

გაცილებით ღიმილისმომგვრელია ჩემთვის 6 თებერვლის ,,ახალი თობის'' წერილი სათაურით: ,,სააკაშვილმა რაიკომის მდივნის ეპოქა დააბრუნა''. პუბლიკაცია გაჯერებულია არასამთავრობოების მხრების აჩეჩვითა და ხელების ფშვნეტით, წყალში ჩაყრილი სამომავლო იმედების გამო: ,,გაგვაწ- ბილეს, მოგვატყუეს, გაგვაცურესო'', თავს აციკინებენ ისინი ახალი ხელისუფ- ლების აივნებისკენ, მაგრამ ვინ არის გამგონე?!

,,ეკონომისტთა ასოციაცია'', სამოქალაქო კულტუ- რის საერთაშორისო ცენტრი'', ,,კივიტას გეორგია'', ,,მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითა რების კავკასიური ინსტიტუტი'', ,,საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი'', ,,გაეროს ასოციაცია'', ,,ალტერნატივა'' სასტუმრო ,,მარიოტში'' იკრიბებიან და ერთობლივად ადანაშაულებენ ხელისუფ ლებას ჯერ კიდევ რევოლუციამდე ხელმოწერილი დოკუმენტის ,,ათი ნაბიჯი თავისუფლებისაკენ'' ღალატში ვარდოსანიძეთა მხრიდან. ეს ყველაფერი ნაკმაზია მოსალოდ- ნელთან შედარებით.

გური ოტობაიას პროგნოზები არასდროს ქარწყლდება. უკვე გადაკეტილია ასობით არასამთავ- რობო ორგანიზაციისათვის ჰუმანიტარული ჟანგბადი უცხოეთის ფინან- სური წყაროებიდან, ვინაიდან ამ

უკანასკნელებმა თავიანთი მისია შეასრულეს და ჩვარივით მოისროლეს კუთხეში: ხაბარდა! გზა უნდა დაცალონ რამიშვილის შეძახილის მსგავსად! ყმუილი აწი დაიწყება! უფრო სერიოზული გაცბუნებისკენ მიანიშნებენ კობა დავითაშვილი, ზაქარია ქუცნაშვილი თუ გუბაზ სანიკიძე. პირველი ვერაფრით შეგუებია ქვეყნის კონსტიტუ- ციის პრემიერ-მინისტრის მხრებზე მორგებას. აქამდე ფრანგულ მოდელად მისი გასაღება თურმე ფარსია და უფრო რუსულ-თურქმენულის აჯაფსანდალი ეთქმის. პარლამენტის გამოწმენდას ედრება წიგნიერი ენით და დაყვერვას — ვულგარულით აღნიშნული ცვლილებანი, რომლის შემდგომ ტოროში ვერასდროს გამოფეთ- დება იგი მატადორის წითელი ნაჭრების ფრიალზე დესფილირებისათვის. მარტივად რომ ვთქვათ, იმ ტოტსა სჭრიან, რომლზეც იკარუსის ვარდისფერი ფრთებით ასკუპებულან.

— ჟვანია დემოკრატიის დასასრულის დასაწყისის ინიციატორიაო, — აცხადებს კობა დავითაშვილი.

ქუცნაშვილი დიქტატურის მოსვლად და დემოკრატიის დასამარებად მიიჩნევს ხალხის ზურგს უკან შემუშავებულ ,,ამ გასაიდუმლო- ებული შინაარსის ტექსტს'' და ვინც ამ ვარიანტს მიემხრობა, 1999 წლის შეუკრებავად შერაცხული პარლამენტიდან, ,,მთელი ცხოვრება თავჩაღუნ- ულმა უნდა იაროსო'', კატეგორიულია სოციალის- ტების გენმდივანი ზაქარია, მაგრამ ცივი მჭადიც შაქარიაო, თქმულა. განსაკუთრებით როცა შიმშილის აჩრდილი ილანდება უფუნქციო მომავლიდან; ჰოდა კიდეც გააიმასქნებენ ხელისუფალ თათვის სასურველი ჯიბის პარლამენტარები და წარმოიდგინეთ აღარც თავს ღუნავენ სინდისის საქენჯნელად.

რომ არა ასეთი კანონები, ,,ვარდების რევოლუციის'' ტალღამ საიდან გამოჩხრიკოს ჩურეკები მოსახლეობისათვის?! ერთადერთი გზა ისევ ოლიგარ- ქიული საქართველოს გამოწურვა და გამოწურბელებაა. მეწარმეობა ხომ კვლავინდებურად ჩამკვდარია ქვეყანაში:

წაღებულია ჯართი. გატანილია ხე-ტყე.

უცხოეთიდან სერიოზული ინვესტიციები მოსალოდნელი არ არის აშშ-ს მომავალი პრეზიდენტის არჩევამდე. სოროსის ფრთამ, ანუ დემოკრატებმა ბუშის დამარცხება თუ მოახერხეს, მერე ,,ვარდების რევოლუციას'' თავი ქუდში აქვს, მაგრამ ნოემბრამდე კიდევ სრული 10 თვეა, 40 კვირა, 300 დღე და როგორ გინდა ამ ხნის მანძილზე მოსახლეობა გუდაში ჩასმული კატით შეიქციო?! კი აცხადებს ჯორჯ სოროსი, აქამდე ექსპერიმენტების ლაბორა- ტორიად სახელდებულ საქართველოს მინისტრებს სოლიდურად დავაფი- ნანსებო, მაგრამ 14 მინისტრის უზრუნველყოფა გაწვდება 5 მილიონ გამოპირცა- რიელებულ სტომაქს?! აქ ისევ ძირითადი ხსნა შიდა რესურსების ამოქმედებაა სანახაობრივ მიმზიდველობასთან ერთად, პრაქტიკული ღონისძიებით ოლიგარქიული აზროვნების დამხობისაკენ.

,,ტრიბუნა'' შემთხვევით არ გააჟღერებს ,,მემკვიდრეებისაგან'' შევარდნაძის დაპატიმრები- სათვის მზადყოფნას. საამისოდ მოშველიებულია თვალსაჩინოება: პრეზიდენტ გამახურდიას დადანაშაულება (**აბსურდული, გ.ო**.) სამშობ- ლოს ღალატში; აზერბაიჯანის პირველი პრეზიდენ- ტის აიაზ მუთალიბის დევნა; სლობოდინ მილოშევიჩის ჰააგის საერთაშორისო ტრიბუ- ნალში თრევა: ჟაკ შირაკის, სილვიო ბერლუსკონეს თუ ჰელმუტ კოლის გართულებები მართლმსაჯუ- ლებასთან ფულადი ჯარიმებით დაწყებული თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიებ ებით დამთავრებული.

„ვარდების რევოლუციის'' მიზეზებს შედარებით ხელშესახებად აცნობი- ერებს საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი ფინეთიდან; იგი აღფრთოვანებულია პოლიტიკურ გვამად მონათლული შევარდნაძის სცენიდან გატანით, მისი რეჟიმის დემონტაჟით. მთავარ მიზეზად გუგუშვილი 1993 წლის პოლიტიკურ პროცესებს ასახელებს, როცა შევარდნაძის ხუნტას სერიოზული პრობლემები შეექმნება კანონიერ ხელის- უფლებასთან და აქ ამერიკის თხოვნით რუსეთი უცერემონიოდ მიეხ- მარება — უკრაინის ექსპედიციური კორპუსის, ბალტინის მეთაურობით. სტამბოლის შეთანხმებით რუსეთს თავისი ჯარები 1995 წელს უნდა გაეყვანა საქართველოდან, მაგრამ ხელი ხელს დაბანს და რუსეთის ბაზები კიდევ 10 წლით შენარჩუნდება ქვეყნის ტერიტორიაზე.

ამასობაში ამერიკის შეერთებული შტატები აფართოებს თავისი მოქმედების არეალს აღმოსავლეთისკენ. თურქეთი ერაყის ომის დროს თავს მოიმკვდარუნებს, და ფაქტობრივად ზურგს შეაქცევს ამერიკულ ინტერესებს. ამასობაში პუტინ-შევარდნაძე ფოთში დადებული ხელშეკრულების კიდევ ათი წლით გახანგრძლივებას წაეყომარებიან და ამერიკაც აწრიალდება. პიროვნული გარანტიების ინსტიტუტის ამოქმედებით ბეიკერი და შალიკა შვილი ულტიმატუმს წაუყენებენ ჩვენს პრეზიდენტს. ხედავთ, რანაირ აღნაგობამდე ჩამოვა ბეიკერის საარჩევნო

პროპორციების ნამდვილი არსი და რადგანაც შევარდნაძის ძალებს აღემატება რუსეთის შემოტევის შეჩერება, გააცილებენ კიდეც ვარდისფერ გზაზე.

რაც შეეხება გუშინდელი რევოლუციური ქარაშო ტების სურნელს, სატელევიზიო ეთერის ხახიდან მოიფრქვევა იგი რედტკლიფ-დალესის დოქტრი- ნებითაც და მივიღებთ კიდეც ,,სახალხო მღელვარების შესახედაობის'' ვნებათაღელვას, რომელიც სულაც არ გახლავთ ეროვნული ასპექტის ჯანჯი.

სააკაშვილის პიროვნებისადმი ექს-პრემიერი გუგუშვილი თავშეკავებ ულია. მხოლოდ უცხოეთის ვალების ცნობას წამოუყენებს პოლიტიკურ ბრალდებად, სხვა მხრივ, იმედიანად უმზერს ამ ენერგიულ ყმაწვილკაცის მერმისს. არც მისადმი დაუღალავ მხარდაჭერას წამოაყვედრის საზოგადო- ებას, თუკი ეს უკანასკნელი შეძლებს მეორე ეშელონისაგან მოღალატეების ჩამოფერთხვას. თანაც ზვიადის ფენომენთან ვერაფრით გაუთანაბრებია ჩვენი მიხე- ილი გუგუშვილს, თუნდაც იმიტომ, რომ პირველი პრეზიდენტი ხალხის უზენაესი ნებით მოსული ლიდერია, ხოლო მესამე — ვარდისფერი პუტჩის ფინთიხებით: **„ზვიად გამსახურდია უდრის საქართველოს დამოუკიდებლობას და ამით რუსეთის კომუნისტური იმპერიის დანგრევას. სააკაშვილი უდრის...** — აქ ხმა უწყდება პოლიტიკურ დევნილობაში მყოფ ექს-პრემიერს — **რას? ეს დრომ უნდა გამოაჩინოსო“.**

არადა, თავად დრო, ხანი, ერთობ ურთიერთ გამომრი- ცხავი ინტერპრე- ტაციებით აღავსებს ქართულ სინამდვილეს, განსაკუთრებით საკონსტიტუ- ციო ცვლილებების თვალსაწიერით, სადაც ამნაირი გაგებაც გაცრიატდება: ახალი ხელისუფლების მიერ დემოკრატიული ბერკეტების შეზღუდვამ (ამისკენ რამსველდი ოფიციალურად მოუწოდებს ,,ვარდების რევოლუციას''), შესაძ- ლოა საბოლოოდ გული გაუტეხოს შეერთებულ შტატებს საქართვე ლოზე, დასავლეთსაც ბატონო; აკი, ნათელაშვილისაგან ჩაშვებულ მიხეილს ახლოსაც არ გაიკარებს ჟაკ შირაკი პრეზიდენტობის დებიუტში. ყველაფრის გათვალის- წინებით, თანამეგობრობისაგან მივიწყებული საქართველო ისევ რუსეთის საჭირისუფლო შეიქნება ათწლეულების მანძილზე და ახდება ლიანა კავსაძის ესენგეური რეზერვაციის ნათელმხილველობა.

ექს-პრემიერი გუგუშვილი ეროვნულებსა და ნაციონალ-დემოკრატებს შორის გალამბულ ურთიერთობებს დიპლომატიური წონასწორობით წაუყრუებს, თუმცა ეროვნული ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებით ცალსახად მინიშნებულია ყველა კენწერო: **„რომელი საქართველოს უფლებამონაც- ვლეები არიან ისინი?** — დასვამს რიტორიკულ შეკითხვას ბატონი ბესარიონი, — **შევარდნაძის რეჟიმის? გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების? არც ერთის უფლებამონაც- ვლეები არიან?! მაშინ რატომ აღიარებენ შევარდნაძის ანტიხალხური რეჟიმის განსამტკიცებლად მის მიერ დასავლეთისგან სესხად მიღებულ და გაფლანგულ მილიარდებს?“**

ამავდროულად ახალი ხელისუფლება გუგუშვილის ლოგიკით არ იზიარებს რუსეთის ჯარების საოკუპაციო სტატუსს, ჩეჩნეთის რესპუბ- ლიკის დამოუკიდებლობას.აქვე მკვეთრად მიჯნავს ექსპრემიერი ,,ნაციონა- ლურს'' ,,ეროვნულისაგან''. თანაც განსხვავებულია კორუფ ციის წინა- აღმდეგ ბრძოლა გულწრფელია თუ მმართველი კლასის შიგნით პირვე- ლობისთვის ბრძოლა.

„მე ვუცდი როდის მისცემს სააკაშვილის ხელისუფლება პრინციპულ და სწორ შეფასებას გამსახურდიას ხელისუფლების დამხობას, განდევნას. როდის დაიწყებს პუტჩისტებისა და მათი დამქაშების, საქართველოს წინააღმდეგ 1991-1993 წლების შეთქმულებაში მონაწილე ორგანიზაციებისა და კერძო პირების გასამართლებასა და, შესაბამისად დასჯას... მაგრამ იზამს? დაიწყებს კი? (დართავენ ნებას? გ.ო.). **ჩემთვის ნებისმიერი რეჟიმი, რომელიც არ ცნობს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ლეგიტიმუ- რობას და მისი განდევნის კრიმინალურ ხასიათს, მტრული რეჟიმია, რომელიც უნდა დაემხოს, რათა აღდგეს კანონიერება“.**

ამნაირად მრისხანებს ექს-პრემიერი გუგუშვილი ფინეთიდან, მაგრამ მსგავს ღონისძიებას განახორციელებს კი თავად ცაბაოთიც სრული სამართლიანობით, როცა ძარღვების აუტოკებლად ერთ ჭურჭელში განათავსებს აბსოლუტურად დაუცველ სუსტს ძლიერის საჯიჯგნად? საუბარი შეიძლება იყოს სიმბოლურ რეანიმაციაზე (ლევან ურუშაძე), მაგრამ რანაირად შეხვალ ერთსა და იმავე მდინარეში ორგზის?! ან რა მოუხერხოს ჩვენმა უზენაესმა ღერბეთმა კაენის მანკიერებას უდანაშაუ ლობელის მისამართით, საკმარისია განა ცოდვიანი ნიშნის დაღდასმა შუბლზე ღვიძლი ძმის სიცოცხლის გამოსას ყიდად?! ზნეობრივ-ფილოსოფიურ ჭრილში ჩვენი ექს-პრემიერი უამრავ ჩიხში მოექცევა და ჭელსინკიდან ქვეითად გამოშურე ბული უფრო ჩქარა მოაღწევს ჩვენამდე, ვინემ იმ ლაბირინთს დაეხსნებოდეს. კანონის სწორხაზოვანი აღსრულების შემთხვევაში ნახევარს თუ არა მესამედ საქართველოს მაინც მოუწევს საჯალათო კუნძზე თავის დადება სამართლიანობის საზღაურად. კი, ბატონო, მოიმოქმედებ ამასაც სინდისის

დასამშვიდებლად, მაგრამ სად წაუხვალ უფრო მომზღვლელ შეგონებას: გიყვარდეს მტერი შენი?! რანაირად იარსებებ ამ ორი დილემით გათანგული?!

მართალია, ექს-პრემიერი ღიად არ გმობს ,,ეროვნულებისა'' და ,,ნაციონალების'' თანაქმე- დების მართლზომიერებას, მაგრამ მიმხვედ- რისთვის ქვეტექსტში ინიღბება უარყოფითი დამოკიდებულება ამ ალიანსის მიმართ (,,მიმომხილველი'', 26, 01 — 02,02,2002 წ.).

საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი, ბატონი გიორგი გულბანი გაცილებით კონკრე- ტულია. ისიც ჰელსინკიდან ეხმიანება ახალგაზ- რდა პრეზიდენტის პირველსავე სამუშაო დღეს ქაშუეთისკენ გადადგმულ ნაბიჯს ერის კონსო- ლიდაციისათვის. ავბედით დღეებში ხომ ეს ტაძარი გადაიქცევა ოცდაათ ვერცხლიანი ოპოზიციის არსენალად?!

ავტორი მიესალმება პრეზიდენტის კეთილ ნებას და იქვე ცალსახად შენიშნავს იმ შეუსაბამობას, რასაც ,,ეროვნული თანხმობის დეკლარაცია'' შეიცავს თურმე. ურთიერთ გამომრიცხავია მისი აზრით ფრაზები: ,,**საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა**'' და ,,**შინაგანი და გარეგანი ანტიეროვნული ძალები**''.

ავტორის რწმუნებით პუტჩისტები დაუპირის- პირდება მთელს ერს და არა რომელიმე ორგანიზაციას თუ პოლიტიკურ ძალას. ამგვარ კონფრონტაციას ხოტბას ასხამდა თურმე მერაბ მამერდოვის დოქტრინა: ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღალია. და იქვე უბედურებათა ჩამონათვალის კვალდაკვალ გამოიძერწება შეხედულება: გაუგებარია, ამ გარეწრებთან თანხმობა რად უნდა გვჭირდებოდეს ქართველ ხალხსო. ასე რომ ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელს ეჩოთირება შევარდნაძის რეჟიმით რეპრესირებულებისათვის განთავისუფლების ფაქტს ამნისტია დაერქვას. ისინი მობოდიშებას იმსახურებენ და არა შეწყალებას, როგორც სამართლიანობისათვის მებრძოლი პატრიოტებიო. დეკლარაციის თანაავტორად მოხსენიებულ, 1990 წლის 28 ოქტომბრის საყოველთაო დემოკრატიული არჩევნებით მოსულ ხელისუფლების წარმომადგენლების მისამართით რესპოდენტი სრულიად კონკრეტულია:

,,**უზენაესი საბჭოს წევრების ერთი ნაწილის აზრი საგულისხმოა, მაგრამ გროზნოს სესიებში მონაწილე დეპუტატები მოცემული საკითხის განსახილველად არ შეკრებილვართ. ამდენად, ზემოთ ნახსენები საგულისხმო აზრი ოდენ კერძო პირთა ერთი ჯგუფის აზრიაო**'', ხისტად მოჭრის ბატონი გიორგი, ანუ ონელი გლეხის დონეზე თუ დავახურდავებთ, უჩვენოდ ნუ იმღერებთ, დაგვიცადეთ სანამ ყველა შევიკრიბებოდეთ და ერთობლივად გადავწყვეტდეთ რაიმე ფასეულს. მანამდე კი ლოღნეთ ყბაში გაჩრილი ძვლებიო.

დაახლოებით იგივე ვითარებაა, მეფაშატე ძუკუ რომ დამართებს მემუტ- რუკე მიხოს: ზის ბაზრის შესასვლელთან სტომაქაყმუვლებული მეგრელი და ძაღლისთვის ართმეულ ძვალს იზომებს პირში. ჩამოივლის შიმშილით არანაკლებ შეწუხებული კახელი და უჩვეულო სურათს რომ იხილავს, ერთი- ანად აიმღვრევა:

— ჯო, რეებს მიქარამო.

— მიქარვას ეძახი შენ ჭკუის სწავლებას? — შეუპოვარია ძუკუ. იკამათებენ, ივაჭრებენ და რის ვაივაგლახით დაუთმობს მეფაშატე ძუკუ სიბრძნის ძვალს მეჩოჩორე კახელს. უკვე ნაშუადღევს ამოცქვარუნდება სარდაფიდან ძუკუ და რას ხედავს, ისევ კბილებში არ გაუჩრია ძვალი ოფლში გახვითქულ მიხოს?! თავდაღმართისკენ წასწრაფებულს მოეწევა უიღბლო მუშტრის ხმა:

— ჯო, მგონი შენ რაღაც მომატყუეო.

მოწკურავს თვალებს ძუკუ და იტყვის დამაჯერებლად:

— აკი, გეუბნებოდი, ჭკუის მასწავლებელია ეგ ძვალი-მეთქი. ხედავ, რა ჩქარა დაგეტყო მისი მადლი. აი, მაგალითად, რაჭველს სამი კვირის თავზე მოაფიქრდა შენი შეკითხვაო, — მაგრამ მოვუბრუნდეთ ჩვენეულ ენგიდუნიას.

ნირწამხდარი ოპოზიციის ძვლისმიერი სიბრძნე ორ დებულებამდე დაიყვანება:

პირველი ბრალდებით, ახალი ხელისუფლება ზედმიწევნით გაყიდულია, უკეთ ,,დავერბოვ- კებული'' უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ, უფრო კონკრეტულად კი ,,პეტერსონ ბენქლაფის'' ოფისისაგან, რომელსაც მენცარულად წარმართავს სომხეთის ლობი და ყველაფერ ამას ფინანსურად უზრუნველყოფს მსოფლიოს №56 კომერციული თავი კერკ კირკორიანი და არა — კირაკოსიანი, როგორც ამას ნათელაშვილი ცდომილობს საეთერო გამოსვლებში), და **ნებისმიერი ანტიქართული დივერსია ჩვენი სახელმწიფოებრიობის მოსაშლელად ამ გამცემლური გარიგების შედეგიაო.**

მეორე ინტერპრეტაციით ,,ვარდების რევოლუცია'' თავად ,,მოქკავშირის'' წიაღშია ჩასახული და ერთგვარი მაზოხისტური თვითგვემით გარკვეულ ხარკს გაიღებს უფრო არსებითის გადასარჩენად.

დაბოლოს, რჩება მესამე — გური ოტობაიას ეზოტერიკული წიაღსვლებიდან ამოზიდული, როგორც ზეპიროვნულიდან პიროვნულისკენ მსწრაფველი მისტერია; როცა გამსახურდიასეული პროტოიბერიული სულიერების მისსია დინების აღმა მსვლელობად მოინათლება დასავლეთისაგან და საქართვე ლოს კაპდაბანდებებისათვის მიმზიდველ ად წარმოჩენის საქმეში შევარდნაძის მიერ გათამაშდება უკიდურესად ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, რასაც ემსხვერპლება კიდეც ოლიგარ ქიული საქართველო მეორე პრეზიდენტის მმართველობის 552 დღე-ღამითურთ.

თუმცა მთავარი ხერხემალი კვლავინდებურად შენარჩუნებულია — ,,დიდი აბრეშუმის გზის'' საუკუნოვანი პროექტი და ამავდროულად დავით აღმაშენებლის საფლავთან მუხლის მოყრით გამრთლი- ანებულია ზოგად- კაცობრიული ქართული მუხტი ქვეყნიერების სინქრონიზაციის საქმეში. აქ გასათვალისწინებელია აგრეთვე შირაკის მიერ სააკაშვილისათვის ზურგის შექცევა. მიხეილი პროარმენული ფენომენი რომ ყოფილიყო, 600 000 ფრანგი დიასპორელისათვის სომხური გენოციდის კვერდამკვრელი თურქეთში, არაფრით გაეცლებოდა ,,ვარდების რევოლუციის'' სულისჩამ დგმელ ახალგაზრდა ქართველ პერსპექტიულ მესვეურს.

ამიტომაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს ექსპერიმენტულ სივრცედ დამსახავი სოროსის პოზიციის მოშველიებაც ოფიციალური ვაშინგტონის მისამართით. ამას წინათ გამოცემულ თხზულებაში ,,**ამერიკული უპირატესობის საპნის ბუშტი**'', მეცენატობით განთქმული დემოკრატი ერაყში ბუშის შეჭრას ამერიკის საერთაშორისო პოლიტიკის კრახად მიიჩნევს: **„ამერიკასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის ასეთი ღრმა უფსკრული არასდროს ყოფილა,** — აცხადებს იგი, — **11 სექტემბრის მოვლენების თვითმიზნური გამოყენებით, აშშ-მ შეიძლება თავისი დომინანტობა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი შეცდომების წყალობით დაკარგოს**".

ამასთან სოროსი აბსოლუტურად გახსნილია თავიანთი ზესახელმწიფოს მისიის წარმოჩენისას: **„ტერორიზმის წინააღმდეგ ომის ჩვენი ეროვნული სტრატეგიის ცენტრალურ ნაწილად გამოცხადებით, ჩვენ, როგორც მსოფლიოს წამყვანი ქვეყანა, აღებულ პასუხისმგებლობაზე უარს ვამბობთ. აშშ ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია იტვირთოს წინამძღოლობა იმ პრობლემებზე, რომელთა გადაჭრაც კოლექტიურ მოქმედებას მოითხოვს: მშვიდობის შენარჩუნება და ეკონომიკური პროგრესი, გარემოს დაცვა და ა.შ. ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკა ველარაფრით ახერხებს ბირთვული იარაღის წარმოების შეჩერებას ჩრდილოეთ კორეაში, საიდუმლოდ მოქმედებს ირანი, ავღანეთის პუშტანტურ რაიონებში თალიბანი გადაჯგუფებას ახორციელებს. მოკლედ, ამერიკა მაგრადაა გაქაჩული. იგი ვიეტნამურ ჭაობში ჩაფლულა, საიდან გამოსვლასაც ვერანაირად ახერხებს, რადგანაც ომის შეწყვეტა ფაქტობრივად აღმოსავლეთის დაკარგვის მომასწავებელია და იმ ნავთობისაც, რომელიც ამერიკის ეკონომიკის მთავარი სისხლია.**

არადა, 2003-2004 წლებში წყალში ჩაიყრება 160 მილიარდი ამერიკული დოლარი. აშშ არა მხოლოდ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ცენტრორია, არამედ გლობალიზაციის მთავარი მამოძრავებელი ძალაც... თუკი რომელიმე ქვეყანაა მსოფლიო წესრიგზე პასუხისმგებელი, ეს არის აშშ".

ამიტომაც ბუშის საომარი მოქმედებისათვის ერთპიროვნულად მიგებე- ბებული შევარდნაძე გასაკვირი არაფერია, კრწანისის სამთავრობო რეზიდენ- ციის ბუხარს მიფიცხებული წერდეს მემუარებს ,,ჩემი არჩევანის'' მეორე წიგნის გასასრულებლად; თუმცა საქართველოში ,,ვარდების რევოლუციის'' უზადო უვერტიურა უფრო შორსმიმავალი განაცხადია ბუშის ექსპანსიური პოლი- ტიკის აღსაკვეთად მსოფლიო მასშტაბით და ყველაფერზე დაყრდნობით, გამორიცხული არ არის მიხეილ სააკაშვილის ფენომენი სამივე ვერსიის ელემენტს შეიცავდეს პატროფილია-კოსმოპოლიტიზმის დასაზავებლად.

***

ჯერ არ დამთავრებულა პრეზიდენტ სააკაშვილის ერთკვირიანი ვოიაჟი ამერიკაში და მისი გრძელი ნაბიჯებით საკმარისზე მეტად გაჯერე- ბულა ქართული მედია. მაგრამ სანამ ბუშის ადმინის- ტრაციის ბაბაიაგა ჯოხიანი ქალი მერის კაპრიზებს გამოქცევია ჩვენი მიხეილი, პრობლემები აქაც მოგვიგროვდება უხვად: ჰკითხავენ ერთხელ სამეგრელოში გლეხებს: როგორია თქვენი ახალი მთავარიო, და აყაყანდებიან ისინიც ჩვეული საორღობე მიჯღარკულ-მოჯღარკულით: ადრინდელი გენამცვალე, ღომში შებოლილ ყველს ჩაგვახარშინებდა ხოლმე, დარბილდებოდა ყველი და ინებებდი ხალისით, მაგრამ ხომ გვრჩებოდა სურნელოვანი წვენი?! ახალმა კი ოჯინჯალეზე ჩამოგვაკიდებინა ციდის სისქისანი — შორიდან უმზირეთ და ღომიც ბლომად მიატანეთო .დაახლოებით მსგავს სიტუაციაში ჩაცვივდებიან ცამეტწლიან სუსხში გამოვლილი ,,ეროვ-ნულები'' 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების ზღუბლზე...

***

ჟურნალისტთა ფედერაციის შეხვედრებსაც ცოტა დუღაბი როდი ჩაუსხამს ეროვნული თანაქმედების ხიდის ბურჯებისათვის ბაკურ გულუას თაოსნობით, მაგრამ ბიბლიური გამოცდილებით: არის ქვების შეგროვების დრო და არის ქვების სროლის დრო. ადრინდელი მეცადინეობა ნოყიერი ნიადაგის მომზადებად წაადგება დღევანდელ ვითარებას. არადა, ბევრია ხელისუფლებაში ნანინატრი ერთიანობის ჩაშლის მომხრე. მარტო საარჩევნო სიების პარადოქსი რად ღირს?!

,,დღეს ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის საკმაოდ რთული ჟამი დგას, — ვკითხულობთ პრეზიდენტისადმი მიმართულ, ეროვნული თანხმობის ერთერთი ლიდერის, ბატონ თამაზ კერძევაძის წერილში, — **დარწმუნებული ვართ ჩვენი ერი ამ გამოცდასაც ღირსეულად გაუძლებს. განუზომლად დიდია თქვენი როლიც და ტვირთიც მოვლენების შემდგომ განვითარებაში. ჩვენ არა მარტო ხმა მოგეცით, ბატონო, პრეზიდენტო, არამედ — ჩვენი გულის ნაწილიც მოგიძღვენით. იგივეს მოვითხოვთ თქვენგანაც — თქვენი გულის ნაწილიც ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს!**

ახლა მოკლედ იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ამ წერილის მოგზავნა.

როგორც მოგეხსენებათ, ნოემბრის რევოლუციის შემდეგ თქვენი ერთ-ერთი პირველი გამოსვლა ეროვნული თანხმრობისაკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი იყო. შეიქმნა და საჯაროდ გამოცხადდა „ერ- ოვნული თანხმობის დეკლარაცია.“

ამასთან ერთად, ეროვნული თანხმობის კავშირისა და ნაციონალური მოძრაობას შორის მოხდა შეთანხმება, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ერთობ- ლივი სიით მონაწილეობის თაობაზე. პირადად თქვენგან მივიღეთ გარანტიები: საერთო სიაში ჩვენი ძალისხმევა იმგვარად დამკვიდრდებოდა, რომ „ეროვნულებს“ საშუალება გვექნებოდა მომავალ პარლამენტში მინიმუმ ფრაქციით მაინც წარმოვჩენილიყავით.

რა სიტუაციაა დღეს? — კითხულობს წერილის ავტორი და იქვე პასუხობს — **აღმასრულებელ ხელისუფლებაში პრაქტიკულად ერთადერთი(?!) წარმო- მადგენელი გვყავს; დამამცირებელი პატიმრობიდან ჯერ ერთი თავისუფლება აღკვეთილიც არ გათავისუფლებულა და რაც აღმაშფოთებელზე აღმაშფოთ- ებელია, მომავალ პარლამენტში ერთი წარმომადგენელიც არ გაიჭაჭანებს ჩვენგან. რაც შეეხება ბატონ მერაბიშვილის მიერ შემოთავაზებულ ორ ადგილს, ეროვნული მოძრაობის შეურაცხყოფად, მეტიც — დისკრეტიდაციად მივიჩნიეთ სახრავად გადმოგდე ბული ძვალი ესე და სრულიად სამართლიანად უარი განვაცხადეთ მასზე. აღარ გვგონია ეს შემოთავაზება შემთხვევითი იყოს. პირიქით, მავანმა ჩინებულად უწყის ეროვნული ძალების გადამწყვეტი როლის შესახებ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ფორმირების საქმეში და თავისი მოკლე ჭკუით ვარაუდობს, რომ პროვოკაციულ გამოხდომას ჩვენც ადეკვატური სულსწრაფობით ავუბამთ მხარს, მაგრამ ავიწყდებათ იმ ბედნიერებს — ეროვნება არა აქვს მხოლოდ ცხოველს და „ეროვნულების“ პატროფილური თვითშეგნება გაცილებით მეტია, ვიდრე ამას დესტრუქციული ძალები ვარაუდობენ:**

ჩვენ ვერ დავუშვებთ კავკასიურ ცარცის წრეში ჩაყენებული მიშიკოს გაგლეჯას მისი დაუფლების მოსურნე დედინაცვალის მსგავსად. რა გამოდის? მავანს ხელისუფლებაში „ეროვნულები“ ეზედმეტება, არ უნდა თანამშრომლობა იმ ხალხთან, რომლებიც თქვენი ერთ-ერთი (თუ არა ერთადერთი) დასაყრდენი უნდა გახდეს ახლო მომავალში. მით უმეტეს მრავლადაა ღირსეული და საუბედუროდ ათასობით წევს მიწაში, რომლებიც საარჩევნო სიაში მოხვედრილ მრავალს მთელი თავით აღემატებიან, როგორც პოლიტიკური აზროვ- ნების კულტურით, ისე — მამულიშვილური მუხტით.

ბატონო, პრეზიდენტო, თქვენ ჩვენ პირობა მოგვე- ცით, თანადგომა აღგვითქვით და ეს ფაქტი უფრო ძვირფასია თითოეული ჩვენგანისათვის, ვინემ საარჩევნო სიების დახლიდარული ბულალტერია. ჩვენ აქამდე გვახსოვს თქვენი კრედო: „სიტყვის გატეხვას სიკვდილი მირჩევნიაო“.

დაბოლოს, ზოგი ჩვენს ადგილას ვაჭრობას დაიწყებდა, განსაკუთრებით, როცა გახშირებულია შემოტევები უცხოეთიდან და ალტერნატიულ ეროვნულ ძალებს შეუფერხებლად ვეპატიჟებით კარზემომგარ არჩევნებზე; როცა ყველაფერი კეთდება ეროვნული თანხმობის ლიდერების ჩამოსაშო- რებლად პოლიტიკური ასპარეზიდან, ფხიზელი სახელმწიფოებრივი აზროვნების განსადევნად უმაღლესი საკანონმდებლო

ორგანოდან, მაგრამ გვერწმუნებით, ალბათ, რომ იქნება თუ არა გათვალისწინებული ჩვენი მოთხოვნები, დღევან- დელ ოპოზიციასთან ჩვენი რაიმე ფორმით თანამშრომლობა გამორიცხულია. ამის მოსურნენი მრავლად არიან უმაღლეს ეშელონში თუ სხვაგან, მაგრამ გვითქვამს და ერთხელაც ვადასტურებთ: „ვარდების რევოლუციის" მათრობელა სურნელი ერთიანადაც რომ მიითვისონ მავანთა, ჩვენ ეკლის გვირგვინითაც კმაყოფილი ვიქნებით, ოღონდ ეროვ- ნული კონსენსუსი საბოლოოდ დამყარდეს საშობ ლოში, ურომლისოდ ნებისმიერი მეცადინეობა ამაოდ გაფლანგული დროა, მეტიც — მავნებლობა, რამეთუ კლასიკური განმარ ტებით, ერი კოლექტიური პასუხისმგებლობაა ერთობლივ მომავალზე".

ამნაირი სულისკვეთებით დახვდებიან ,,ჯოხიანი ქალის'' ქოქოლას გამოღწეულ მიხეილ სააკაშვილს ,,ეროვნულები'', მაგრამ შინაგანი წინააღმდეგ ობა უამრავი მიმართულებით კვლავაც დაუძლეველია.

,,დუმს ბაბე''

ისევ ,,ეროვნული თანხმობის'' ერთ პუბლი- კაციას ვუბრუნდებით: **„რუბიკონი გადალახ- ულია, იმოქმედე, საქართველოვ!"**

ჯერ ერთი, რუბიკონის გადალახვის სემანტიკა ჩვენეულ ვითარებას ნაკლე-ბად წაადგება, ვინა-იდან ეს ტერმინი თავისთავში შეიცავს საზოგადო ებრივი ნორმის წინააღმდეგ წასვლას, ძალის დემონსტრირებას ზნეობრივ პრინცი პებზე. ეროვნულ თანხმობას კი არაფერში არგია ზნეობ- რივი ფასეულობების უგულებელყოფის ხარჯზე მოპოვებული სამართალი. სამართლია ნობ ის ჯილდოს უსამართლო მეთოდებით ვერ მოიმკი.

მეორე და, უფრო არსებითი — ეროვნული მონაპოვ- რების დაქვესკნე- ლებაში შემოქმედებითი კავშირების, განსაკუთრებით კი ქართული მწერ- ლობის დადანაშა ულებაა.

ყოფილი პოლიტპატიმარი, პოეტი და დრამატურგი ედემ კვირტია ეროვნული ტრაგედიიდან ათორმეტი წლის შემდეგაც ცეცხლის ენებს აფრქვევს ცოდვილი თუ ცდომილი კოლეგების მიმართ და უშეღავათო ვერდიქტს გამოუტანს ეროვნული უბედურების უშუალო მონაწილე თითოეულ ხელოვანს:

„არავინ იფიქროს, რომ ის, რაც 1991-92 წლების მიჯნაზე მოხდა, მარტოოდენ შევარ დნაძე-სიგუა-ითსელიანი-კიტოვანის ბრალი იყოს. ყველა ერში მოიძებნებიან მათნაირი და უფრო უარესი წარმომადგენლები, მაგრამ არც ერთ ეპოქაში, არც ერთ ერს არ ჰყოლია (სტილი ოპონენტისაა, გ.ო.**) ისეთი და იმდენი სულგა- ყიდული მწერალი, ე.წ. ინტელიგენცია, როგორიც და რამდენიც საქარ- თველოს მწერალთა და სხვა ე.წ. შემოქმედებით კავშირში აღმოჩნდა. სწორედ მათ: ჩარკვიანებმა, ამაშუკელებმა, წივწივაძეებმა, ამირეჯიბებმა, მამარდა- შვილებმა, ლორთქიფ- ანიძეებმა (მათდა სამარცხვინოდ და ერის საუბედუროდ, ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა) და სხვებმა და სხვებმა შეამზადეს ნოყიერი, უფრო სწორად მყრალი ნიადაგი სისხლიანი სამხედრო-კრიმინალური გადატრი- ალებისათვის და არა მარტო შეამზადეს, იარაღით ხელში (იგულისხმება ავტომატი და არა კალამი) გამოვიდნენ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, რისთვისაც შევარდნაძის მადლობაც დაიმსახურეს. ნიშანდობლივია ისიც, რომ უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1977 წელს, სწორედ მათ მისცეს ერთსულოვნად ხმა ზვიად გამსახურდიას გარი- ცხვას მწერალთა კავშირიდან, სწორედ მათ, ხელკეტებიან-ავტომატებიან-ნიღბებიან მხედრიო-ნელებთან ერთად, გამორეკეს მწერალთა კავშირის რიგებიდან 1992 წლის მარტში მუხრან მაჭავარიანი, ელიზბარ ჯაველიძე, მამუკა წიკლაური, ჯემალ შონია, ზაურ მოლაშხია და სხვები; ხოლო ჯაბა ითსელიანი, რომელმაც არაერთი სისხლის კალო დაატრიალა თბილისსა და საქართველოს სხვა კუთხეებში, ტაშის გრიალით მიიღეს მწერალთა კავშირის საპატიო წევრად... ამის დავიწყება და პატიება შეუძლებელია. მით უმეტეს, ისინი დღესაც ვერ მოსულან გონს და არა ერთ მათგანს არ სურს (**სტილი კვლავაც ოპონენტისაა, გ.ო.**) აღიაროს თავისი დანაშაული, არადა, პატიება და თანხმობა შეუძლებელია აღიარებისა და მონანიების გარეშე. ზოგიერთები დღესაც კი პროვოკაციულად კითხულობენ, თუ ვინ ისროლა პირველი ტყვია... მე მათ ვპასუხობ: ზვიად გამსახურ- დიას და ეროვნულ ხელისუფლებას, საქართველოს პირველი ტყვია სწორედ ზემოთ ჩამოთვლილმა (და ჩამოუთვლელმა) „ინტელიგენტებმა" ესროლეს თავიანთი ცილისმწა მებლური, პროვოკაციული და ბინძური წერილების გამოქვეყნებითა და სატელევიზიო გამოსვლებით!**

მე ათი წელიწადი ამაოდ ველოდებოდი ჩემი ყოფილი მეგობრებისა და კოლეგების მხრიდან აღიარებას იმისას, რომ დანაშაულად თუ არა, შეცდომად მაინც ჩაეთვალათ მათ მიერ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ გამოსვლა და შევარდნაძის მადიდებელი საქარცხვინო წერილების გამოქვეყნება, მაგრამ ამაოდ. ის კი არადა, ერთ-ერთი კოლეგათაგანი იყო მათ შორის, ვინც ქაშუეთის ეკლე- სიიდან ზარბაზნებს ისროდა, დღესაც ნანობს, რომ ზარბაზნებით ვერ დაანგრია მთავრობის სასახლე, ხოლო როცა ზვიად გამსახურდიას სიკვდილი გაიგო, კმაყო- ფილებით იღიმოდა.

მე საკმაოდ ლმობიერი კაცი ვარ, მაგრამ ასეთი რამის პატიებას ვერ შევძლებ... ეს იმას არ ნიშნავს, რომ წინააღმდეგი ვიყო ეროვნული თანხმობისა, პირიქით, მივესალმები... 2002 წლის აპრილიდან, როცა დაფუძნდა ეროვნული თანხმობისა და საქართლიანობის აღდგენის კავშირი, მე ამ კავშირის წევრი ვარ და ჩემი შესაძლებ- ლობის ფარგლებში გარკვეული მუშაობაც გამიწევია...

ეროვნული თანხმობის კომისიამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიაღწიოს იმას, რომ ობიექტური, ყოველმხრივი საქართლებრივ-პოლიტიკური შეფასე- ბა მისცეს 1991-92 წლების მოვლენებს, რათა მთავარი დაშნაშავენი დაისაჯონ...“

ამავე ინტერვიუდან შევიტყობთ ჩვენი ედემის თორმეტწლიანი დუმილის მთავარ მიზეზს, რომ საქართველოში შევარდნაძის სისხლიანი რეჟიმის ბოგინის საპროტესტოდ პირში წყალი დაუგუბებია და რადგანაც რუბიკონი გადალახუ- ლია, სანთელივით მართალი, კორსეპონდენტ ზაირა ბილიხოძის თქმით, თვით ტაბუირებული შემოქმედების ასაღორძინებლად ყველა ბარიერი მოხსნილია.

რუბიკონი გადალახულიაო, უხარია ჩემს ოზურგეთელს მეგობარს, მაგრამ როგორც ქვემოთ დავინახავთ, ძალზე ჩვენი მდგომარეობის ქვეყანაში ცოტაა საკუნტრუშო. ვფიქრობ, შევთანხმდით, რომ ,,რუბიკონის გადალახვა“ უსამართლო წინააღმდეგობის სინონიმად ნაკლებად გამოდგება. მაგრამ ხომ არსებობს განცდა, რომელიც ამ ტერმინის მიღმა სულდგმულებს და ჩვენც იმ საზომით ავრწყათ ჩვენი ვითარება: შევარდნაძის რეჟიმი ალაგმულია! ყველა ძალისხმევა — ეროვნულ კონსოლიდაციას!

დაახლოებით ამის თქმას ლამობს ჩვენი ზაირა, როცა უშურველად სისხლიან რუბიკონს წაავლებს ხელს ეროვნული თანხმობის ეტალონად. მაგრამ უფრო სიღრმისეულად ჩავხედოთ მოვლენებს და ძირისძირამდე გავერკვეთ, არის კი სრულფასოვნად დემონტაჟებული გუშინდელი მოძალადე ხელისუფ ლე ბა?! ბიოლოგიის კანონები პოლიტიკურ სიტუაციასაც ხშირად ესადაგება, განსაკუთრებით ერთი ასპექტით: როცა ესა თუ ის ნიშანი გამოვლინდება ინდი- ვიდში, მომდევნო თაობაში ადრინდელი თვისება თვალს მიეფარება, მიიმალება მის წიაღში, მაგრამ სავსებით როდი ქრება, ადრე დომინანტური რეცესიული ხდება და შესაფერის ჟამს ისევ ამოტივტივდება პიროვნებაში.

ეს პროცესი უასარულოა ,,ჰომო საპიენსის“ დიალექტიკური ფორმირების გზაზე. ანუ იმის თქმას ვაპირებ, რომ კომუნისტურ-ნომენკლატურული პარტოკრატიის შობილი ოლიგარქიული საქართველოს ხელის ერთი მოსმით მიწის პირისაგან წარხოცვა ობივატელის გულდამშვიდებაა ოდენ.

ედემი საკმაოდ ლმობიერი კაცი ყოფილა და მე — ათგზის აღმატებული, როცა იგი ნოტაციებს მიკითხავდა ზუგდიდის ქუჩებსა თუ თბილისის ბულვარ- ებზე და თვინიერად მიწევდა აბსოლუტურად უსამართლო საყვედურების მოსმენა: არ ყოფილა ედემი ჩემს საცხოვრისში, როცა ორი ავტომატის ჯერით იცხრილებოდა ჩემი ბავშვების ციდამტკავლა ლოგინები 1992 წლის 6 იანვრის სისხამზე; არც მაშინ დამილანდავს იგი, რაჟამს 200 000-იან მიტინგებს მიყოლებით ხვრეტდნენ ხუნტელები ცირკის მისადგომებთან თუ მტკვრის სანაპი როზე; არც დარჩელის სიახლოვეს მომიკრავს თვალი თამაზ ხუფენიას მეზობლობასა თუ გერგაიას ხალხის გარემოცვაში ხობის ჩანგრეულ ხიდთან. არაფერს ვამბობ სოხუმის დამეწყრილ ცაზე, ლაბრასთუ გუმისთასსი სხლიან წვიმებზე. მისი თორმეტწლიანი დუმილი მისაღებია ჩემისთანა მიამიტი კაცისათვის, მაგრამ ხუნტის დანაშაულებრივ რეჟიმამდეც რომ იმუწავდა პირს და ჯიუტად ასაიდუმ- ლოებდა ფასეულ სტრიქონებს?! როგორც ჩანს, ყველა სამკალი მომავლისთვის გადაუნახავს წუთისოფლისგან მრავლად ნაგვემ კაცს, მაგრამ კოვზმა უკეთ უწყის ციცხვის ავანჩავანისა და უფრო პოზიორობა მგონია მსგავსი განცხადება: ,,პროტესტის ნიშნად შემოქმედებით მუშაობას ვწყვეტ!“

აგერ, ბატონო, თურმე რუბიკონი გადალახულია და იმოქმედე, გახსენ თორმეტი წლით და დუმებული ბაგე! თუმცა სავალალოდ ჩქამი არ ისმის.

ედემ კვირტია სრულიად სამართლიანად ჩამოამწკრივებს ძმათამკვლელი აშლილობის მონაწილე ზოგ კოლეგას და დანარჩენს ფრჩხილებში მოამწყვდევს ჯინივით — **„(და ჩამოუთვლელნი)“** და ვინაიდან ჯადოსნურ ბოთლში ზღაპრულ ტყვეობას ტალახიან ორღობეში პროზაული ხეტება მიჯობს, გამოწვ ლილვით დავატრიალოთ ჩვენეული თორმეტ წლიანი ჯოჯოხეთი.

დიდზე დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის გახლდათ ეროვნული ძალების მოსვლა ხელისუფლებაში უსისხლო რევოლუციით, საყოველთაო დემოკრა- ტიული არჩევნებით, რეფერენდუმით, მაგრამ რევანშიზმის ბაცილას ეს კარგიც ვერ გაექცევა, განსაკუთრებით მას მერე, როცა უზენაესი საბჭოდან გააძევებს 65 ნაკომუნისტარ დეპუტატს — თანაქმედების ნაცვლად კონფრონტაციის გზას დავადგებით. 400 000 კომუნისტის მოკვეთა პოლიტიკური სარბიელიდან ფარ- ულ ფორმაში, რეცესიულ მდგომარეობაში გადაიყვანს ოპონენტურ ძალას და სამართლებრივი მიდგომებით ხერხემალში გადამ- სხვრეული მოწინააღმდეგისაგან მივიღებთ ალტერნატიულ მოპაექრეს.

არა და სადაგ სიტუაციაში ალექსანდრე მაკედონელი ხმლით როდი გამოვა აჯანყებული მრევლის წინაშე, არამედ — მათრახით, თავს არ გაუყადრებს ამბოხე- ბულ სერვილიზმს.

,,სულგაყიდულებს'' რომ ეძახის ჩვენი ედემი, ციდან არ ჩამოცვენილა ისინი მანანასავით, არამედ ჯერ ცარიზმის თვითმპყრობელური მანქანა და შემდგომ მოდერნიზებული ველიკორუსული საბჭოური დიქტატურა გულმოდგინედ ჩეკავდა მათგან ათწლეულობით მეხუთე კოლონის ერთგულ ჯარისკაცებს, იგივე მანქურთეს ჩინგიზ აითმათოვის შემოქმედებიდან.

ერის ცნებას, ერთობლივ მომავალზე კოლექტიური პასუხისმგებლობით ხსნის, ჩემი უმეტოქო ოსტატი გოგი გაჩეჩილაძე. და შევხედოთ აბა, რამდენად აკმაყოფილებს დასახელებულ მოთხოვნას ქართული სინამდვილე.

მონონაციონალური ქვეყანაა სომხეთი და ამდენად, ერის გაგება კავკასიაში მხოლოდ აქ ჰპოვებს ადეკვატურ შინაარსს:

სომხეთს საკუთარი ჰყავს პრეზიდენტი.

სომხეთს საკუთარი ჰყავს პარლამენტი;

სომხეთს საკუთარი ჰყავს მწიგნობარი და გუთნისდედა.

სომხეთს საკუთარი ჰყავს ვაჭარი, მეწაღე, ელექტრომონტიორი, მეეზოვე თუ მეჩეჩმე. ანუ მოხარშულია ეროვნულ წვენში თავკისერფეხიანად.

ახლა შევხედოთ საქართველოში რა ვითარებაა:

დიდი დავით აღმაშენებელი, აქაოდა, ქართველებს აღებმიცემობა არ ეხერხებათო, ხალხს ჩამოასახლებს სასომხეთიდან.

— ცოცხალი ხალხია, ვაჭრობას ჩინებულად გაუძღვებიან თბილისშიო. — იტყვიან მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს მეგრელებზე დედაქალაქში , მაგრამ — მერე მეგრელებს ვინ გაასახლებს აქედანო, — შეეპასუხებიან ნახევარ ხუმრობით. ხოლო მოგვიანებით ქართში გამოჩენილი დევნილების არმიას ,,მაფშალიურ ჟღურტულს'' გაუკილავს ქილვა- შებიანი ამაშუკელი.

ერის ცნება და მონონაციონალური დემოგრაფია აბსოლუტურად შეეუთავ- სებელი განზომილებებია. კუთხურობის სინდრომსაც ამიტომაც დაელოცება მწვანე გზა ჩვენს ფსიქიკაში. და ეს ავტონომიებიც, სწორედ რომ ველიკორუსული პოლიტიკის გამოჩეკილია საქართველო ში. ამერიკელებისაგან განსხვავებით ცარიზმმა კი არ მოსპო ჩვენში ინდიელების ძლევამოსილება, არამედ უცხო თესლის სინდრომი შეჰყარა ჩვენს უზადო სხეულს და იმდენად გვავაგლახა ლია-წუმპეში, რომ საკუთარი ყროლი, ვახტანგ მიშველიას საკომერსანტო ,,შანელად'' გვეჩვენება უკვე. ქართველობას ეროვნული სახელმწიფოს აშენება სწადია, არადა, გაურკვეველი წარმომავლობის მესვეური მიუძღოდა მიწყივ; საქართველო ეროვნულობაზე დებს თავს, სისხლსაც ღვრის საამისოდ, და ამ დროს საჩოთირო რეპუტაციის პარლამენტი უწესებს კანონებს; ქართველ კაცს ტოლერანტობით მოაქვს თავი, არადა, ქუჩას ქურთი უხვეტავს, ქალამანს აისორი უბანდღავს, ტრანზისტორს სომეხი შეუკეთებს, მწვანილს თათარი მოართმევს, საზღვრებს რუსი უკონტრო- ლებს, ბაზრებს კულაშელი ებრაელი უწესრიგებს.

კი, მევენახეობას მისდევს სოფლად მიხო და სიმინდის უხვი მოსავლით იწონებს თავს ძუკუ, მაგრამ ქალაქს ეს სარბიელი გადამთიელ ისათვის გადაულოცავს, მისი შვილები რეჟისორობით და პოეტობით გადიან ფონზე.

ხოლო ქვეყანას, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი მეწაღე და მეჩეჩმე, არ მოეპოვება საკუთარი მემწვანილე და მეკურტანე, არ მოეძევება საკუთარი დალბანდი და თერძი, მხოლოდ პოლიფონიისა და ქორეოგრაფიის შემწეობით აპირებს სამშვიდობოზე გაღწევას, ქვიშაში თავჩარგული სირაქლემაა და სხვა არაფერი.

აი, რანაირი პოზიციიდან უნდა მივუდგეთ ჩვენ 1991-92 წლების შიდა პოლიტიკურ აშლილობებს.

ასე რომ, ,,სულგაყიდული მწერალი, ე.წ. ინტელიგენცია'' ქართული ეთნოგენეზის პროდუქტი ნაკლებადაა. იგი ამ ეთნოსის დასაქცევად კოლბში გამოყვანილი ერთგვარი ველიკორუსული ბაცილაა, რომლისთვის ღიმილის მომგვრელია მკერდში საბაგუნებელი შენი ქართული ფასეულობანი და გამუდმებით იმის ცდაში არიან, კვანტი როდის გამოგსდოს, დანა როდის ჩაგცენ ზურგში. მაგრამ ამის

თქმასაც ვერიდებით ჩვენი ტოლერანტული ბუნებიდან გამომდინარე და ქართულ ქურქში გახვეულ მტერს სულგაყიდულს ვარქმევთ, როცა სინამდვილეში, მეხუთე კოლონის ტიპიური წარმომადგენელია, აშკარაზე ათასგზის საშიში ფარული მტერი.

ამის და მხოლოდ ამის საზეიმოდ გაქრება ჩვენი პირადობის მოწმობიდან ეროვნების რეკვიზიტი მამის სახელითურთ, რათა ზედმიწევნით შერბილდეს გვარნაცვალი ქართველის, ანუ იგივე მეხუთეკოლონელის ანტისახელმწი- ფოებრივი სახე;

ამიტომაც ილუზორული გულდამშვიდებაა, როცა ერის პოზიციიდან ვცდილობთ ქართული დემოგრაფიული ვითარების მკურნალობას.

ერი მართლაც გახლავთ კოლექტიური პასუხისმგებლობა ერთობლივ მომავალზე, მაგრამ ეს ფორმულა ნაკლებად მიესადაგება ქართულ სინამდვილეს თავისი ეთნიკური სიჭრელის წყალობით.

ამ შემთხვევაში მოშველიებული განმარტება სომხეთისთვის უფროა ზედგამოჭრილი.

საქართველო თავისი ეკონომიკურ-პოლიტიკური შინაარსით ამერიკული თუ კანადური საზოგადოების ნაირსახეობაა და ეროვნულ თანხმობამდე ჩვენში სამოქალაქო თანხმობაა მისაღწევი, ანუ ურთიერთობის გარკვევა მეხუთე კოლონასთან, რომელიც 1968 წლის აღწერით საზოგადოების 29 პროცენტს შეადგენდა და სადღეისო ვითარებით, ალბათ, 40-საც აჭარბებს.

ადამიანების კრებულს, მწერლებისგანაა იგი თუ დახლიდრებისაგან, ტყუილად ვეძახით ჩვენ „სულგაყიდულს", ვინაიდან მათ არაფერი სჭირთ საღალატო, ისინი მიზანმიმართულად, იშვიათი ერთგულებით განახორციელებენ ბედისწერით მონიჭებულ მისიას — საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოშლას თავიანთი უპრობლემო სუფევისათვის. მოკლედ, რუბიკონის გადალახვამდე ჯერ ნაადრევია „ჰოპლას" დაძახება:

გათიშულია საქართველო კუთხეებად; გათიშულია საქართველო ავტონომიებად; გათიშულია საქართველო პარტიებად; გათიშულია საქარ- თველო ეთნიკურად; გათიშულია საქართველო მიზნებით, პერსპექტივებით და ამისთანა ვითარებაში „ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის" სამკალი ფრიად არს.

სამოქალაქო თანხმობის მიუღწევლად წყლის ამაო ნაყვა გამოგვივა ნებისმიერი პოლიტიკური ღონისძიება. და უფრო საღიერად რომ ვაანალიზებ ჩვენი ქვეყნის სამერმისო ბილიკებს, ალბათ, ანაქრონიზმად მოგვეჩვენება თავად ტერმინი „საქარ- თველო", „ქართული", „ქართველი", რამეთუ მსგავსი პიიტიკოსობის წყალობით ადვილმოსალოდნელია უმცირესობაშიც კი აღმოჩნდეს ჩვენი ეთნოსი და უკვე ჩვენს მიერ მოჭრილი მონეტა ვერც „კოლხური თეთრი" იქნება და ვეღარც — „ქართული ლარი", არამედ სულ სხვა ჟღერადობის სახელ-ტერმინი წამოტივტივდება დროის მოთხოვნით; ამიტომაც ყველაზე უპრიანი მგონია წინდებულ „ეროვნულ თანხმობას" სრულიად ლოკალური შინაარსი მივანიჭოთ — საკუთრივ ქართველ თათვის შემრთლიანების მნიშვნელობა და არა — ზოგადსახელმწიფოებრივი.

ქართველების ერთობაზე ამ ისტორიული ეტაპის პერიოდში ბევრად იქნება დამოკიდებული თავად ჩვენი ქვეყნის, სახელმწიფოს სახვალიო ინტერესები. მაგრამ მოვუბრუნდეთ ედემ კვირტიას დამოკიდებულებას „სინდის გაყიდ- ული კოლეგებისადმი". კავშირის ერთ-ერთი აქტიური წევრი შეუწყნარებელია საზოგადოების ამ ფენისადმი.იგი ჯიუტად მოითხოვს დღემდე „გონს მოუსვლელი" მრევლისგან დანაშაულის აღიარებას, პატიების ჟესტს, ურომლისოდ მიტევება შეუძლებელია თურმე.

მაშ, რა ვუყოთ ქრისტეს შეგონებას: გიყვარდეს მტერი
შენი?! ან კიდევ: მედიატორები შესარიგებლად რომ მიდიან მოქიშპე- ებთან, იქ მართალ-მტყუვნის გარკვევას კი არ შეუდგებიან, არამედ — ხელს ჩამოარ- თმევინებენ ერთმანეთისათვის, გადააკოცნინებენ და ჩამოხრჩობილის სახ- ლში თოკის უხსენებლად ჩაფარცხავენ შუღლს.

„ახლა მთავარია თუ როგორ იმუშავებს ეროვნული თანხმობის კომისია, — აცხადებს მოშველიებულ „რუბიკონში" ყოფილი უზენაესელი, ამჯერად კავშირის პრესსამსახურის უფროსი ზურაბ წულაია, **— ყოველივე მათ- განი, ვინც იწვნია ეროვნული ხელისუფ ლების დამამ- ხობელი ხუნტის მიერ დევნა-შევიწროვება, აფხაზეთის ომის საშინელებანი, ვინც დევნილია საკუთარ საშლბლოში და ვისი ადამიანური უფლებები შელახულია, ყველას უდიდესი იმედი გვაქვს, რომ კომისია, რომელსაც თვითონ დევნილი და მრავალგზის ტყვიადახლილი და იღბლად გადარჩენილი გურამ აბსანძე ხელმძღვანელობს, აუცილებლად ნაყოფიერად გააგრძელებს მუშაობას დიდი ეროვნული ურთიერთშეთანხმების მისაღწევად. უფრო კონკრეტულ გეგმებზე 7 თებერვალს, ეროვნული თანხმობისა და სამარ- თლიანობის აღდგენის კავშირის მე-11-ე ყრილობაზე ვიმსჯელებთ. რომლის მუშაობაშიც, როგორც შევიტყვეთ, საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი მიხეილ სააკაშვილი აპირებს მონაწილეობის მიღებასო, —** ასრულებს საუბარს სიყრმის მეგობარი ჩემი, მაგრამ მოვლენები

იმნაირად ვითარდება, რომ აღთქმულ ყრილობებს ვერანაირად ვეღირსებით, როგორც ,,ნაციონა-ლე ბისაგან'', ისე — ,,ეროვ- ნულებისგან''.

სწრაფი რეაგირების პრეზიდენტი კი გამოაღწევს თეთრი სახლიდან ჯოხიანი ქალბატონის ქოქოლას, მაგრამ საქართველოში კვლავაც კრილოვის ,,გედი-კიბორჩხალა-ქარიყლაპიას'' სინდრომია.

პოლიტიკური სამეულის საარჩევნო სიების პროპორციებს გაბუტულად გაექცევა ,,დემოკრატების მარკიზა'' და როგორც მას-მედია გამოჩხრეკს ინფორ მაციას გულის შუაცეცხლიდან, შესაძლოა ,,ნაციონალების ჟანა დ'არკად'' წარმო- ჩინდეს ჩვენი ნინო.

არადა, მიყოლებით ამოუყრიან კანდიდატებს სიიდან:

გიორგი ხელაშვილი ოქსფორდის უნივერსიტეტის ფილოსოფიის მაგისტრია საერთაშორისო ურთიერთობებში. გახლდათ ოქსფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორის ასისტენტი; მონტერეის საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესწავლის ცენტრის მეცნიერ- თანამშრომელი.ამჟამად თბილისის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთი- ერთობათა კათედრის მასწავლებელია, მაგრამ გამოადგებარო? გამო- ძევებულია მოედნიდან.

მამუკა კუდავა საგარეო საქმეთა სამინისტროს აშშ-ის, კანადისა და ლათინური ამერიკის დეპარტამენტის დირექტორია, ნატოში საქართველოს ელჩის მოადგილე, სახელმწიფო მართვის ქართულ-ამერიკული ინსტიტუტის მაგისტრი, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის მაგისტრი საერთა-შორისო პოლიტიკის სფეროში, მონტერეის საერთაშორისო სწავლების ინსტიტუტის მკვლევარი, თუმცა უშველის რამეში? უცერემონიოდ ისვრიან ბორტიდან.

მარინე კვაჭაძე იურიდიულ მეცნიერებათა დოქ- ტორია, პროფესორი, სოროსის ფონდის სამარ თლებრივი რეფორმების კომისიის თავმჯდომარე, საარბრიუკენის უნივერსიტეტის სტაჟიორი, ნატოს სამეცნიერო სტიპენ- დიანტი, მაგრამ ააფრინე ალალიო, თქმულა.

ნინო ლაგვილავა ბირმინგემის უნივერსი- ტეტის მაგისტრია, საქარ- თველოს გაეროს განვითარების პროგრამის ქალთა რეგიონული ცენტრის პროექტის კოორდინატორი, ბარენცის ჯგუფის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების პროექტის მენეჯერი, თუმცა ყურყუტებს ყიამეთში საარჩევნო სიების მიღმა.

სტატიის ავტორი რეზო შატაკიშვილი ცინიკურია ,,ნაციონალების'' მიმართ, იგი ქვეტექსტში ტოვებს ღირსეული ახალგაზრდების საპარლა- მენტო არჩევნების სიიდან გაძევების მოტივაციას — ამირანის სინდრომს — ჩემზე უკეთესი ახლომახლო ნუ გაჭაჭანდება. და ამის საილუსტრაციოდ სუსხიანი მათრახით გადაწვდება ბერძენიშვილ-ხარაზს, რომელთაგან პირველი (28) ვარდების ბაღის მეწალკოტედ ჩაუმონტაჟებია დასავლეთს რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე, თანაც არავის უცემია რესპუბლიკელი ძმისაგან განსხვავებით; ხოლო ხარაზისთვის ხელი არ შეუშლია უდიპლო-მობას სიაში მე-14-ე ნომრით მოსულიყო, **საშუალო განათლების სიმწიფის ატესტატი შეტი გასავლიანია „ნაციონალ-დემოკრატიულ“ ფრონტზეო**, ენამწარობს ჯერაც თავისუფალი მედიის ჯარისკაცი. (ქრონიკა, №9, 1-7 მარტი, 2004 წელი, **„ვინ არ ჩაუსვეს სიაში ნინო ბურჯანაძეს“**).

ეროვნული თანხმობა უმთავრესია საქართველოს სახელმწიფოებ რიობის გზაზე. იგი ლამის მატრიცის მნიშვნელობისაა ჩვენი წარმატებული მომავალის ათვის, მაგრამ ილუზორიულია მხოლოდ ეროვნული თანხმობით მოგვარდეს ათასწილად დაქუცმაცებული ქვეყნის აღმშენებლობა. ამიტომაც არაფერი დაშავდება, თუკი კავშირი ეროვნულ თანხმობას კონსენსუსის პირველ ეტაპად გამოაცხადებს, რომელიც საფუძვლად დაედება უფრო მნიშვნელოვან ეტაპს — სამოქალაქო თანხმობას.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბირთვი, ბუნებრივია, დიახაც, ქართული ეთნოსი იქნება, მაგრამ ამავდროულად ზედმიწევნით მოუწევს მას ჩვენი ავტონომიური წარმონაქმნების ინტერესთა გაზიარებაც — აფხაზების და ოსების სურვილების გაცნობიერება;

აქვე ქართული დიპლომატია ისწავლის მომავალში სხვა ეთნიკური ჯგუფების მისწრაფე- ბათა გათავისებას—დისკრიმინაციულია ისტო- რიული დამოკიდებულება: **შენ ინალბანდე, ხარაზე და იმეეზოვე, მე კი ვიბარლა- მენტარებ სულის საცხონებლადო.**

აი, რანაირი ტკბილ-მწარე ნყოფი გამოუსხამს ეროვნული ცნობიერების ახლომხედველურ ტაქტიკას! ერთი სიტყვით, სანამ ადეკვატური მკურნალობა არ გაეწევა მომძლავ- რებულ სენს, რაიმე პოზიტიური შედეგი გამორიცხულია.

პიროვნული თანხმობით იქმნება ოჯახი; ოჯახების თანაცხოვრებით ღონიერდება სოფელი და ქალაქი; სოფლების და ქალაქების ერთიანობით მტკიცდება მხარე; მხარეების თანადგმით აღშენდება ქვეყანა.

ეს სქემა ყველა დროის სახელმწიფოებრიობის ფორმულაა, რომელიც ხატოვან თეზისამდე დაიყვანება: **ერი კოლექტიური თანხმობაა ერთობლივ მომავალზე.**

მაგრამ აქ დასაკონკრეტებელია, რანაირი დემოგრაფიული შემად- გენლობისაა ესა თუ ის ქვეყანა. ზემოთხსენებული ფორმულა მორგებუ- ლია მონონაციონალური სომხეთისავთის, გნებავთ აზერბაიჯანისათვის, გნებავთ თურქეთისათვის, რომელიც ცეცხლით და მახვილით შეძლებს ქრისტიანი ლაზების თუ სომეხი ჰამშენების გამაჰმადიანებას; მათი ადამიანური უფლებების ყელგამობასვრით მოახერხებს მონოლითური ერის სტატუსის მოპოვებას, მაგრამ როდემდის მახვილითა და ცეცხლით?

სად ჯანდაბაში მიდიხარ, როცა მსოფლიო სამართლებრივი დედამიწის მშენებლობას დაიწყებს?!

საფრანგეთი ვერაფერს უხერხებს 5 მილიონ მუსულმანს.იგივე დღეშია გერმანია. საქართველოს ვითომ ტოლერანტული ეროვნული გამოცდი- ლებაც აქ სულდგმულობს: **შენ იმემწვანილე, იმეკურტნე და იჩეჩმე, მე კი ვიმუტრიბებ და ვიმუშაითებ ვეზირობის კვალდაკვალო.** ამგვარი მენტალობისაა ცივილური ევროპა თუ ტრადიციული ფასეულობების მეხოტბე საქართველო, მაგრამ ძველი წარმოდგენები გამოუსადეგარია ახლებური პრობლემების გადასაჭრელად. ასე რომ ეროვნული თანხმობა, დიახაც, გადაუდებელია ჩვენი ქვეყნის შემდგომი აღმავლობისათვის, ოღონდ — როგორც საწყისი ეტაპი, ბალავარი, დედაბოძი თუ მატრიცა.

აი, ეროვნული ძალების კონსოლიდაციის შემდეგ უნდა დაიწყოს უფრო ფართომასშტაბიანი მოძრაობა სამოქალაქო თანხმობისათვის, ქართული ეროვნული ფასეულობების შეჯერებით სხვა ეთნიკურ სიმაღლეებთან. **წინა- აღმდეგ შემთხვევაში არანაირად გამოგვივა კოლექ- ტიური პასუხისმგებლობა ერთობლივ მომავალზე** და აქედან გამომდინარე მონოლითურ სახელმწი- ფოსაც ვერასდროს ჩამოვაყალიბებთ. ეს ყველაფერი ცხადი, მაგრამ რა შუაშია აქ „რუბიკონის" რესპოდენტის ბობოქრობა ცოდვიანი თუ ცდომილი კოლეგების მისამართით: ეროვნული ტრაგედიის სამართლებრივი შეფასება, **„რათა მთავარი დამნაშავენი დაისაჯნონ..."**

ძნელია არკვიო რა შინაარსს ატევს ედემ კვირტია აკვიატებულ მრავალ- წერტილში, თუმცა ჩემეული გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, ნიადაგ თავჩაღუნულს გელის ცხოვრება.

გეხსომებათ, ადრე ინკოგნიტოდ მოხსენიებული ოპონენტი, რანაირად დამიმუნათებს მხედრიონელ ჩარგაზიასთვის გამართმეულ ინტერვიუს. პუტჩიანელთან დალაპარაკებას მოღალატეობაში მართმევს იგი, მაგრამ ხომ ვახსენებ იქვე: **მე რეზიდენტი ვარ საკუთარ სამშობლოში-მეთქი. ატომური სადგურთან მიუსვლელად ვერაფრით გავარკვევთ ანტიადამიანურ რადიაციულ გამოფრქვევებს-მეთქი.** ამ ვიბრაციისაგან გვარიანად დასხივდება ჩემი სხეულიც, მაგრამ იქამდე ვერა, საღი აზროვნების უნარი წამართვას და სისხლიც გამიწყალწყალოს სამშობლოს გადარჩენის გზაზე.

იმ ინტერვიუში ზუგდიდის გამგებელი ედიშერ ჩარგაზია მოზომილად გააშიშვლებს თავის თავს, მეტიც — დაურიდლად წარმოაჩენს პარტოკრატიულ სიმპათიებს კომუნისტურ იდეალებზე, ძლიერი ხელის დიქტატზე და შეძლებისდაგვარად გამარკვევს თუ რანაირი საშუალებით ვიმოქმედო მომდევნო რაუნდში სასურველი შედეგის მისაღწევად.

დაახლოებით სადაგი სიტუაციაა, როცა რომან „როკის" პროტოტიპად შავი სამყაროს წარმომადგენელს ამოვირჩევ. რომანი 1989 წლის პოლიტიკური ბატალიებით სრულდება და ნათლად მივანიშნებ ეროვნული ლიდერების გვერდით რანაირად მკვიდრდებიან ცხოვრების ჯურღმულიდან ამოტყორცნილი ტიპაჟები. ღალიძგას დღეებში ეს პერსონაჟი კოსტავას გვერდით დგას თავაწეულად. ამით ცალსახად მინიშნებულია ეროვნული მოძრაობის სხეულს განუკითხავად შემოკედლე- ბული უამრავი არამკითხე.

ჩარგაზიას ინტერვიუს გამო ხომ გამჯორავს ჩვენი ედემი. ახლა როკი ოდიშელიას ეროვნული მოძრაობის გვერდით დაყენებისთვის მთლად ჯვარზე მაცმევს, თითქოს რაიმე უჩვეულოს ვიგონებდე და ეროვნულ მოძრაობას იმნაირად არ ვასურათხატებდე, როგორც ეს სინამდვილეში წარიმართება — ჭეშმარიტი მიზანდასახულობის ბირთვში უამრავი ტოქსიკური ბაცილის შეღწევით.

— საშიში პიროვნება ხარო, — დამცოფავს, მაგრამ რანაირად ავუხსნა უშეღავათო კოლეგას: **დამაცადე ძმობილო, ტრილოგიის მესამე წიგნის ჩამთავრება, სადაც შენი მოწონებული ხალხი წირვას გამოუყვანდეს ჩვენს ეროვნულ მთავრობას-მეთქი.**

კოლეგის ათწლიანი ბაგემდუმარების მაგალითი მე ვერ წამადგება შემოქ- მედებით ნიმუშად. ცხრაასი ჰერაკლე ვერ დაასუფთავებს ავგიას თავლას იმ საჯინიბოში მიუს ვლელად. ვისაც სამშობლოს პოლიტიკური ჰიგიენის ბედ-იღბალი აინტერესებს მზად უნდა იყოს ნებისმიერი ტვირთის

მისაღებად; ჯეკ ლონდონის „მექსიკელის“ მსგავსად არ უნდა ერიდებოდეს იატაკების ხეხვას რევოლუციისათვის და არა კრივის ცოცხალ ბალიშად დგომას.

ჩემეული კრედო დიდი კონსტანტინეს დევიზიდანაა ამოზრდილი: **ბრძენი უნდა იყო და სულელივით დადიოდე, ოსტატი იყო და ხელმოცარულივით ირჯებოდე,** ვინაიდან სხვანაირად გაგიჭირდება სამამუ ლო საქმის განხორ- ციელება მჩხავანა კატას.

აი, ძირითადად ამ ბრალდებების წყალობით დედის გასვენებაზე მისულს ხელს არ ჩამომართმევს ედემ კვირტია, მაგრამ მაშინაც უხმოდ გადავყლა- პავ ყელში მობჯენილ ცრემლს, ვინაიდან არსებობს უფრო მაღალი ფასეუ- ლობა, რომელიც ნიავ-ქარს გაატანს ჩვენს პიროვნულ გულნამცეცობებს და შეუფერხებლად გამოქმედებს იმ ხერხებით და მეთოდებით, რომელიც შენი სამშობლოსათვის აუცილე- ბელია აქ და ამ დროს.

ყველაფრის გათვალისწინებით, მრავალ- გზის პრემირებულ კოლეგათა წყებას, მე თორმეტი წლით ბაგედადუმებული დერვიში ედემ კვირტია მირჩევნია, ცხადია, მაქსიმალისტური კატეგორიულობის გამოხ- შირვით, თუმცა, როგორც იტყვიან, თან — საქმე.

ესე იგი შევთანხმებულვართ, რომ ეროვნული თანხმობა უწინარესი პირობაა ქართული სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად. ამ შემთხვევაში ეროვნული კონსოლიდაცია დაუხანებელი ღონისძიებაა ჩვენი ქვეყნის არქიტექტურული ნაგებობისავთის. დავთქვამთ ერთი მიმართულებით ნიჩბების მომსმას საზიარო ოლაჭკანდერში მსხდომი მგზავრები. ჩვენ ახლა ზემორე მოხსენიებულ კრამერის „გადაჯაჭვულნის“ კინოგმირებს ვემსგავსებით რამდენადმე ეროვნულ ფასეუ- ლობებს შიგნით. იძულებითია ჩვენი თანაქმედება. ამ ერთობას ქართული ეთნოსის იავარქმნის რეალობა კვებავს თხემით ტერფამდე. ჰოდა, მივუსხდებით ნიჩბებს განსხვავებული შინაგანი წონასწორობის ქართველები, მაგრამ გენეტიკურად მონათესავენი მაინც, ერთი ძლიერი მუხისგან დანაფოტებულნი ულმობელი დროებისაგან. თუმცა ჩვენს ოჩხომელზე მგზავრი უამრავია, მემწვანილედან დაწყებული თერძ-ხარაზ-ნალბანდით დამთავრებული. თვალს გაფაციცებით მიადევნებენ ისინი შინაგანად დაპირისპირებულ, მაგრამ გადარჩენის აუცილებლობით შეკავშირებულ მსწრაფველობას სანუკვარი ნაპირისკენ.

გვტრუსავს მზე. აქა-იქ მისტრალი დაქროლებს ატლანტიდიდან და ზოგჯერ ცუნამიც შემოეშველება აზიის უკიდურესობიდან, მაგრამ მოხრჭიალე ხოფებისკენ ნაბიჯის გადმომდგმელი არავინაა.

გვეცლება სიქა. ამასობაში თანდათან გვიყალიბდება ხომალდის მოწესრი- გების განცდა.

ანძაზე ხუთჯვრიან დროშას აღვმართავთ აღმსარებლობისა და ტოლერ- ანტობის სიმბოლოდ. მრავალ საყურადღებო ბრძანებულებას გამოაქვეყნებს გემის წოწოლა კაპიტანი მიხეილ უდრეკელი.

მათ შორის განსაკუთრებულია ეკიპაჟის თითოეული წევრის თანაბარუ- ფლებიანი პასუხისმგებლობა კიდობანის გადარჩენაზე. და ნაბიჯ-ნაბიჯ, მტკაველ-მტკაველ დაიძრება ჩვენსკენ უნდობლობით გასენილი არაქართული მოსახლეობა, რადგანაც სამართლიანი სახელმწიფოს მოქალაქედ შეიგრძნობს თავს და მეტიც ქართული ხუთჯვრიანი ბაირაღის ქვეშევრდომობით გადაწყვეტს საკუთარი ეთნიკური ინდივიდუალობის შენარჩუნებას.

პოეტიზებული ეს ავანსცენა საქილიკო სულაც არ არის გონიერი ქართველის პოზიციიდან. ვინაიდან, ვისაც მონონაციონალური სახელმწიფოს შენარჩუნება აღარ შეუძლია, ანუ უნარი არ შესწევს საკუთარი დალაქითა და მეეზოვით, საკუთარი თულუხჩითა და მევაჟინეთი, საკუთარი კახპითა და მამათმავლით მოემსახუროს საკუთარ სხეულს, ნებავს თუ არა მოზაიკურ დემოგრაფიას შეიძენს ადრე თუ გვიან, სადაც აღმოსავლეთიდან აღმომხდარი მზე უკვე რომელიმე სეგმენტის საკუთრება ნაკლებად იქნება, არამედ გაჩნდება თანაბარი მოთხოვნილება მაღალ სულიერ მატერიებზე და აქ ნებისმიერი პედალირება ეროვნული ნიშნით, სადღეისო ვითარების გაუარესებულ რეციდივად მოგვიბ- რუნდება ახლო მომავალში.

ხოლო რაც შეეხება მწერალთა კვაშირში შექმნილ ბაკქანალიას, მთლად უმიზეზოდ არ აზუზუნებულა ქვები მისი გალავნებიდან. ამ გაწამაწიას „მიმომხილველის“ უშეღავათო მამხილებლობა დაუდებს მღვრიე სათავეს და კომუნარების ბაღში სამაგალითო სიფიცხით დაიბუგება კიდეც კუდიანების არულზე პუპუზას ნაკომენტარები „ვეფხის ტყასოსანი“ თუ სიტყვაკაზმუ- ლობის წამაცდურებული თვალპატიოსნება.

ერთი მხრიდან უზენაესელების მომხრეები ესვრიან ტომეულებს ცათამ- ბჯენ ჭიაკოკონას და მეორე მხრიდან პუტჩიანელების დამქაშები სტყორცნიან სქელტანიან გამოცემებს, სუპერებიანს თუ დაცელოფანებულს.

,,მარტი-92''-ის ამალაც იმისთვის გამოცხადდება ქართული სიტყვიერების გახლეჩის აღლუმზე, რომ თავაწეული გაეცალოს მოძალადე ხელისუფლების შემწყნარებელი მწერლების კრებულს. თუმცა გაივლის 12 წელიწადი და დუმილზე აღთქმამიცემული კვირტიას მსგავსად, ვერც განზემდგომი ,,მირკანელები'' თუ მერმინდელი ,,ომეგელები'' შექმნიან ქვეყნიერების ასაძრახებელ ფასეულობებს და ვეღარც — მაჩაბლის 13-ში მოზოზინე ,,ოტარიდელ''- ,,ბახტრიონელები'' მრავალი პუჭურა-პუჭურა ლიტჯიხურის წამატებით.

ჰოდა, კალაპოტიდან ამოვარდნილ ქართულ მწერლობას 12 წელიწადია დავიწყნია თავისი ტრადიციული მოვალეობა — ერის წყლულის გათავისება, ერის ბედით თუ უბედობით სულდგმულება.

მართალია, ჭეშმარიტი მწერლობის დანიშნულება გაცილებით მეტია, ვინემ ეთიკური პრობლემების კვლევა. ამის თაობაზე ცხადლივ მიუთითებს ესთეტიკური აზროვნების მწვერვალი ჰეგელი. ლიტერატურის ნორმისა და ნიმუშის ეტალონი ,,ილიადა'' ნაკლებად იმტვრევს თავს ბერძნული სამყაროს თუ ზღვის ხალხის — პროტოიბერიული, აბორიგენული მოსახლეობის სოციალურ-ეთიკური პრობლემების ანალიზით. მისთვის მთავარი ფასეულობა ადამიანთა ხასიათების დაურვებაა შემჭიდროებულ დროსა და სივრცეში. აქედან, ამ ნიშნულიდან აცოცხლებს ჰომეროსი ატლანტიკური ცივილიზაციის ნამუსრევის თვითდამკვიდრების ალეგორიულ სურათს.

სხვათა შორის, ჰომეროსის პროტოტიპს ნაწარმოებში ვიზუალურადაც ვპოულობთ.

გაგვახსენდება სასიძოების სცენა ითაკაში, ოდისევსის სამეფო რეზიდენ- ციაში. იქ ბრმა აედი კითარაზე აჟღერებს სევდიან საგალობლებს და წარუშლელად ძერწავს ილიონის იავარქმნის პასაჟებს. დიახ, სასიძოების ამალაშია ჰომეროსი, ანუ პენელოპეს მთხოვნელ-მოძალადეთა ამქარ- ში, თუმცა ამის გამო არავის უსაფუძვლურებია მისთვის, რატომ თანამეინახობდი უკეთურებთანო.

ნიშანდობლივი ისიც გახლავთ, რომ ლაერტიდი ოდისევს-ტელემაქე უკლებლივ ამოხოცავენ თავგასულ სასიძოებს და სიცოცხლეს მხოლოდ ერთადერთს შეუნარჩუნებენ — ბრმა აედს, ხელოვანს ზოგადად, რომელიც მოვლენების სრულფასოვანი აღქმისათვის ხანდახან იძულებულია მტრის ბანაკშიც შეიპაროს ლიტერატურულ მსტოვრად.

მოკლედ, ჰომეროსს დიდად გაუმართლებს ედემ კვირტიას მრავალმხრივი სიშორის გამო, თუმცა ირონია ვიკმაროთ და შუბლშეჭმუხნი ლები მივა- ჩერდეთ იმ სინამდვილეს, რასაც ქართულ ფასეულობათა გაუგონარი დევალ- ვაცია ჰქვია.

თორმეტი წელიწადია ჩვენი მწერლობა ბუზანკალ შეჩენილი ჯოგივით დაშლიგინებს ტყე-ღრე, ტლინკებს ყრის და ირქინება, ანაკლიის კამეჩებივით ამერიკულ წესზეა მიშვებული, ველურ მეთოდზე — არ იწველება მამაპაპურად, და ბუნებრივია, მარილნაჭამი თუ შებოლილი სულუგუნიც იშვიათობაა.

მართლზომიერი კრიტიკა მომსპარა. ამ დროს მოლითი და ზესტაფონი ვერაფრით გაუყვიათ წივწივაძე-დოიაშვილ-ბრეგაძეებს;

,,ასი მწერლის გაზეთს'' საოთხკედელშორ- ისოდ ეცილებიან ერთურთს დავლიანიძე-იობაია-მიშველაძენი.

ო, სანკტა სიმპლიციტას!

ო, წმინდა უბრალოებავ!

27 თებერვალს მაჩაბლის 13-ში კი ჩატარდება კალმოსანთა რიგგარეშე ყრილობა 311 დელეგატის კვორუმით და კი გამესვეურდება ,,გულანელი'' მაყვალა გონაშვილი სიტყვაკაზმულობის მთავარ ოჯახში უკლებლივ ყველა მწერლის თავმოყრის საშვილიშვილო პასუხისმგებლობით, თუმცა სამკალი კვლავაც გაცილებით მეტია, ვინემ ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება. ჩემდა თავად, არანაირ მეცადინეობას დავაკლებ მე ამ სამამულო საქმის აღსრულებას — კოლეგათა კარდაკარ სიარულს პაპაჩემი ბიქტორ ფეტელავას კვალობაზე; უმართებულო თუ ჭეშმარიტი საყვედურების შეწყნარებას ნაკლებად უფლებამოსილთაგან; არც მწერალთა კვაშირის დღევანდელ ხელმძღვანე- ლობას მოაკლდება გური ოტობაი- ასგან სათანადო მუგუზლების შეჩიჩხინება ნაკისრი ვალდებულების პირნათლად აღსრულების გზაზე, რათა უმოკლეს ვადაში ღირსეულად მომზადდეს სამამულო მესიტყვეთა სრულფასოვანი ყრილობა; რათა მომავალი ახალი წელი თითოეულმა შემოქმედმა თანაბარი ექსტაზით ვიზეიმოთ ბელეტრისტიკის მშობლიურ ჭერქვეშ — მხცოვანმა თუ ახალგაზრდამ, ქალმა თუ კაცმა, ხელდას- ხმულმა თუ ხელმოცარულმა, გამორჩეული თავმჯდომარის წინამძღოლობით.

„ვარდების რევოლუციაˮ
სულზე მოუსწრებს „ენგურჰესსˮ

დღევანდელი ჩემი პათოსი განსხვავებულია ,,საქართველოს რესპუ ბლიკაში'' წლების წინათ დაწყებული წერილების ციკლის ,,შეუთავსებ ელთა შეთავსების''(,,ქართული ენერგეტიკის დედაბოძის'') №3, 6, 40, 41, 48, 55, 2003 წ., ,,საქართველოს რესპუბლიკა''), სტილისტიკისაგან. ადრე ამაოდ შეღავღავებდნენ ისინი ეგნერგეტიკის ,,ასაღორძინებლად'' შემოსული მილიონებით დასაპალნებული გრანტების ზოზინში უგულისყუროდ მოტო- ვებულ ენგურჰესს.აწ სხვაგვარადაა საქმე, აწ სხვა შემართების ძალიმსხმევაა ქვეყნად.,,ტაიმაუტი ენერგოქაოსის დასასრულამდე'' — ამნაირად სათაურდებოდა ბოლო პუბლიკაცია. მასალები, დიახაც, უამრავი მოეპოვებოდა ავტორს ფულის გასათეთრებლად ქცეული ენერგო-სამორინეს სამხილად, თუნდაც სტატისტიკის დონეზე, მაგრამ რუსთველზე უფრო მამაცი ვერ აღმოჩნდა და გაეცალა საცა არა სჯობს! ამ მისიამ ,,ვარდების რევოლუციის'' მხრებზე გადაირა არსები- თად ანიდან ჰოემდე და იხსნა მწერლის კისერი ეშაფოტების პატივდებისგან

ბილიკი და თემშარა, ბნელი თუ ნათელი, ვინაიდან მათი ჰარმონიზაციის — თანაქმედებით მკვრება საერთო ინტერესები: სანამ საქართვე- ლოში მაცხოვ- რებელ თითოეულ ეთნიკურ ჯგუფს არ გაეხსნება გზა სახელმწიფოებრივ სტრუტიუ- რებში მოსახვედრად, ყოველთვის იბოგინებს არასრულფასოვ ნების სინდრომი. ამ პრობლემის მოხსნა ჭყონდიდელის უბადლო მოწაფე დავით აღმაშენებელმა ფეოდალურ ხანაში მატერია- ლური თუ სულიერი ფასეულო- ბების ზიარი ჭურჭლის პრიზმიდან დანახვით. ამ დილემას მოვხსნით ჩვენ 21-ე საუკუნის გარიჟრაჟე სახელმწიფოებრივი აზროვნების პრალენეტარუ- ლი ნიშნით სააკაშვილის მესვეურო ბის ჟამს.

ამ წერილს ვწერ საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩვენი ერთწლიანი ცხოვრების შემაჯამ- ებელი გამოსვლით შეძრული.

არა, იღბალი ყოველთვის გვწყალობდა ქართველებს, რამეთუ განსაცდლის ჟამს მშველელს უსათუოდ მოგვივლენდა უფალი.

არ არის ეს ობივატელის ცმუკვა თუ ლიქნიას მუცელზე ხოხვა.

ალბათ, ძნელია დღეს მსოფლიოში არათუ 36 წლის პრეზიდენტის, არამედ ორგზის უხნესის მოძიება, რომელიც ესოდენი ერუდიციით განსჯიდეს საშინაო თუ საგარეო მოვლენებს; ესოდენი პათოსით უბრუნებდეს საქართველოს დიდი დავითის დროინდელ ფასეულობებს ათასწლეულის მერმე — **ძალა ერთობაშია**.

აქ გამორიცხულია მეტნაკლებობით განი- ხილებოდეს იაია და მუხა, ბილიკი და თემშარა, ბნელი თუ ნათელი, ვინაიდან მათი ჰარმონი- ზაციით — თანაქმე- დებით იკვრება საერთო ინტერესები: სანამ საქართველოში მაცხოვრებელ თითოეულ ეთნიკურ ჯგუფს არ გაეხსნება გზა სახელმწიფოებრივი სტრუქტ- ურებისკენ ყოველთვის იბოგინებს არასრულფას ოვნების სინდრომი. ეს პრობლემა მოხსნა ჭყონდიდელის უბადლო მოწაფე აღმაშენებელმა ფეოდალურ ხანაში მატერიალური თუ სულიერი ფასეულო- ბების ზიარი ჭურჭლის პრიზმიდან დანახვით. ამ დილემას მოვხსნით ჩვენ 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე სახელმწიფოებრივი აზროვნების პრალენეტა- რული ნიშნით სააკაშვილის მესვეურობის ჟამს.

***

გამაოგნებელია ჩემთვის საქართველოს სინამდვილეში დაგროვილი გმირული მაგალითების პრეზიდენტისეული ნუსხა. რამდენ უცნობ თუ ნაკლებად ცნობლ პიროვნებას წარმოგვიდგენს ბატონი მიხე- ილი 1 საათის მანძილზე?! ვამჩნევ ეკრანიდან თავის ქიცინებს, კიეკრი ხოთა კანტურებს და ირონიულ მიმიკრიებსაც, მაგრამ საერთო აპლოდისმენტების მხარდამხარ აღფრთოვანებისაგან სული ეგუბება სრულიად საქართველოს.

სულ მოველი, სულ მოველი , რომ ქვეყნის პრეზიდენტი ბოლო აკორდად ენგურჰესელების უმაგალითო გმირობას მოიშველიებს-მეთქი დამაგვირგვი- ნებელ ფაქტორად, მაგრამ იმედი გადამეწურება. რატომ? რის გამო? რის გულის- ათვის? ამგვარი კითხვები მომეძალება ეკრანს მიჩერებულს. განა ,,ვარდების რევოლუ ციის'' პირველი ნაკადი წალენჯიხიდან, ენგურ ჰესიდან არ იხუვლებს თბილისისაკენ საყოველთაო შვების დასამკვიდრებლად?! წყენაც მომერევა თითქოს. თუმცა ყველაფერზე რიგისობის მიხედვით

***

სისხამი.

ზუგდიდის რკინიგზის სადგური.

დილით ხაში და ზედ — ლავაში.

ჯონი ჭანიას მრავალნაცადი ,,ნივით'' ჯვარში ვართ უკვე.

კაშხლის უფროსს განგებ არ ვესტუმ- რები.ოჯახში. ვიცი დადიანების ასულს ჩინებული საუზმე-სადილი ექნება გახაზრე ბული, მაგრამ ისიც გამეგება, რომ მთელი დღე მომიცდება მერმე.ჩემი ისედაც აშკარა ცაიტნოტში ვარ.

სადღაა შენი მიღრეცილ-მოღრეცილი გზები?! ასფალტი აგაქროლებს თაღოვან კაშხლამდე თუ ავი თვალის გასასკდომად აწვართულ კანტორამდე. იქ ნეგუს აკობიას მერამდენედ გადაელოცება ჩემი თავი დასაკვალიანებლად.

ადრე თქმულისამებრ ნეგუსი უხუცესი ენგურჰესელია. კლდეების ცოცვაში ჭიპი აქვს მოჭრილი. მეკლდეურთა ბრიგადას მესვეურობდა და პოპულარობით ტოლს არ უდებდა ჰიმალაის თუ კილიმანჯაროს დამლაშქრავ ალპინისტებს.

იწყება შეხვედრები კოლექტივის წევრებთან.

მოკლე დიალოგები.

სხარტი შტრიხები.

აქა-იქ ტირადებიც იელვებს და ფრაზეოლო- გიაც.

ეკა სხილაძე დამკვირვებელთა ჯგუფის ახალი წევრია. მამაისი თეკმურ სხილაძე თაღოვან კაშხალში განისვენებს აწ და მარადის. აქ არის მისი სასაფლაო.

ლუიზა ქარდავა კადრების განყოფილების უფროსია. აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებსაც გადავწვდებით — ჩვენს განუყრელ თანაცხოვრებას წარსულსა და მომავალში. ნაციონალური მოძრაობის ეიფორიით აბრიალებს თვალებს.

ჟონარა აკობია მატერიალური პასუხისმგებელია ტექნიკურ მოწყობი ლობებზე.

წარუშლელია საუბარი დირექციის იურიდიულ მრჩეველთან გიორგი ვეკუასთან.

ჩემი ადრინდელი მეგზური რუბენ შელია თბილისში გადაბარგებულა, ისე რომ ნაჩუქარი თოფი კვლავაც ბრეზენტში შეხვეული მელოდება კვაწაწას გამოქვაბულში, სადაც ველური თაფლი ჟონავს ზამთარ-ზაფხულ.

ჩემი ძირითადი ინფორმატორი ნეგუს აკობიაა. ჯონი ჭანია გამირ- ბის. ამას დიდი მიხვედრილობა არ სჭირდება. ხან დაცვის უფროს ვეკუას ელაპარაკება, ხანაც ფიჭურ ტელეფონს მიიკრავს ყურზე და ქარის მიმართულებით მიაბრუნებს სახეს. ცუდადაა საქმე: დადიანების შთამომავალი თანამეცხედრე გავუნაწყენე, ორი ვაჟიშვილის დედა.

ნეგუს აკობიას ,,ვარდების რევოლუციის'' მედროშესაც ეძახიან კაშხალზე..

საწარმოო განყოფილების უფროსის, გიგლა სამუშიას თქმით, სააკაშვილმა დიდი და პატარა ენგურჰესელი, ჯვარელი, წენდიხელი ზოგადად, ხელის ერთი მროსმით გამოცვალა, ახალი სული ჩაუდგა, ახალი ხორცი და ძვალი. ნეგუსიც ამ კატეგორიისაა.

დილასისხამიდან აღმართ-აღმართ დავქრივართ მთავარ ინჟი ნერის, ბატონ ლევან ჭანტურიასგან, ნათხოვარი მანქანით.

ასულს გამაცნობს ნეგუსი, რომელიც რომანს წერს თურმე რუსულ ენაზე.

მთავარი ინჟინერი ლევან ჭანტურია ბობოქრობს.

ნახევარ საათს მაინც დავყოვნდებით კოკროჭინა ჯიხურში რომლის კედლები კურტიზანი ქალების ფოტოებითაა შეწებილი. ყოველი მხრიდან წყალი მოთქლიშინებს.უკვე ბათინკები ვერაფერს შველის მუხლებამდე მოჩოჩებულ ნაკადს.

— ისე მეტის ღირსი ნამდვილად ვართო, — მომადვენებს დენის აკობია. ნეგუსის ძმაა. იმ ოთხთაგანია, რომლებიც სამი ათეული წელია ენგურჰესზე ტრიალებენ.

ავაღწევთ ბორის გაბედავას ტურბინებამდე. ადრე საღეებავით მესერს რომ ვერ აფერადებდა მთავარი მექანიკოსი, გადაურუხებია ტურბინები, ისე რომ ქათქათა ქოჩორისათვის წვეთიც არ გამოუ მეტებია. გასაოცარი ხალხია ენგურჰესელები.

18 თვის სახელფასო დავალიანება დაუტოვა წინა ხელისუფლებამ და ახალმა პრეზიდენტმა ერთ წელიწადში კაპიკ-კაპიკ რომ აუნაზღაურა თითო- ეულს კუთვნილი გასამრჯელო, გვეგონა კანცელარიასთან დაეყრებოდნენ მადლობის მოსახდელა, მაგრამ ასეთი ეშმაკობები შორსაა მათი

უმწიკვლო ბუნებისაგან. ეთაყვანებიან თავია.ნთ პრეზიდენტს და მორჩა, ამნაირად გააქვთ წუთისოფლის ლელო.

— სიტყვის კაციაო, — გეტვიან დაჟინებული მზერით მოშტერ ებ ულნი.

— მიყრუებულში ვართ, — სვენებ-სვეებით ამბობს ბატონი ბორის გაბედავა. — თქვენც დაგვწყეთ ბოლო დროსო, — ერთგვარი საყვედური გამოჟონავს მის კილოში.

ვანახებ ,,კირბისში'' გამოქვეყნებულ მის ფერად ფოტოებს და მადლიერებით გაიბადრება.

მემწე ანატოლი გოგოხიას გავემსაუბრები..

აქაც სამაგალითო ხასხასია.

ავაღწევთ გაკრიალებულ ცენტრალური ოფისამდე.

სადაც ადრე წლების წინათ თხები ზამთრობ- დნენ მარაკად გადაქცეულ ნაგებობაში, ახლა ავეჯიდან დაწყებული ფარდებით დამთავრებული, ყველაფერი ქათქათებს. ორმოცი მილიონი ლარის ზეგეგმიური ელექტრო ენერგია აწარმოეს თურმე ენგურჰესელებმა შარშან, თუმცა ამის თაობაზე პირველად მესმის.

— როგორ, რანაირად-მეთქი და მიხსნის ნეგუს აკობია სათანადოდ.

— მერედა სად ხართ-მეთქი, ვფიცხობ. კაცი ასანთის ღეროს ორად აპობს, მეორე — ოთხად, ამგვარი ეკონომიით გააქვთ თავი და ეკრანიდან არ ჩამოდიან. ლამის ჯეიმს ბონდად წარმოჩინდნენ. თქვენ კი რას შვრებით-მეთქი.

— მას-მედიასთან კონტაქტები გვიჭირს, — იღრუბლება ნეგუს აკობია.

— თქვენი თავის მტერი თქვენ ყოფილხართ-მეთქი.

— პრეზიდენტის ადმინისტრაციის აპარატს, სამინისტროს სისტემატიუ- რად ვაყენებთ საქმის კურსში...

— კი, მაგრამ სამადლობელი წერილი თუ მიუგზავნეთ პრეზი- დენტის-მეთქი.

— არა, — გულწრფელია ნეგუს აკობია.

— ერიჰა! — გავვცეცხლდები.

აი, სად დამრეტავს პარლამენტის საგაზაფხულო სესიის გახსნაზე ბატონი მიხეილის გამოსვლაში ენგურჰ ესელების პრობლემებისადმი ერთგვარი წაყრუება. როცა საქვეყნოდ წარმოაჩენ რიგითების გმირობებს, და ნამდვილი გმირული სულისკვეთებით გაპოხიერებული კოლექტივი გამოგრჩება თუ გამოტოვებ, რაღაცაშია საქმე-მეთქი, ამნაირად განვსჯი.

— ჩვენ თავს არ ვზოგავდით ბატონი მიხეილისათვის, — უელავს თვალები ნეგუს აკობიას, — მე ახლაც შენახული მაქვს ,,ვარდების რევოლუციის'' დროინდელი ხუთჯვრიანი დროშა. ერთერთი დემონსტრაციის დროს, ჭყლეტაში ვიღაცას ხელიდან გაუვარდება. ავიტაცებ და მას აქეთ ჩემთანაა. ჩვენ აქ 6000 კაცს გვუკეთეთ მობილიზაცია. ავტობუსებით, ტრანსპარანტებით დავეშვით დადათბი- ლისისაკენ. ჩვენ ბატონ ბრეზიდენტს ნამდვილად გავუმართლეთ. ჩვენ ყველას ვუმართლებდით, რადგან ენგურჰესელს უკანდასახევი არაფერი დარჩენოდა. ჩვენ ღამეებს ვათენებდით თბილისის ქუჩებში, სუსხიან ქარში, მშივრები, მაგრამ მიჩვეულები ვიყავით ამნაირ პირობებს. ყინვა, თოვლი და შიმშილი ჩვენი განუყრელი მეგობარი იყო წლების მანძილზე. დიახ, უკანდასახევი არაფერი გვქონდა. ღმართმა გვაშოროს და მცირედი კატასტროფის შემთხვევაშიც კი ჩვენი კუთხისაგან აღარაფერი დარჩებოდა. წინაპართა საფლავებიანად ზღვაში ჩაგვხვეტავდა წყლის კოლოსალური ნაკადი!

— ვიცი ყველაფერი რუბენ შელიასგან-მეთქი.

— რუბენი თბილისშია, ჩვენ კი აქ დავრჩით, ჩვენს უბედურებებთან. ეს სამხერხაოები დაუყოვნებლით თუ არ დაექვემდებარება სახელ- მწიფოებრივ ინტერესებს, ენგურს მკვდარი მდინარის ბედი ელის ცხადია, თევზის თვალსა- ზრისით. ერთი სიურპრიზი მაქვს შენთვის შემონახული — გამოსარკვევია ენგურჰესის თაღოვან კაშხალში არსებული გრუნტის ქიმიური შემადგენლობა, რამდენად, როგორ შეესაბამება იგი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, როგორც სასუქი...

— არის ჟენევაში მსგავსი პრაქტიკა, იქ ირეცხება ეს შლამი და ვენახში შეაქვს ფერმერს.

— მაცალე! იქ სხვა სიტუაციაა, აქ — სხვა. ჩვენს მაგალითზე საკუთარი კონსტრუქციის მცირე გაბარიტიანი მიწახაპია გემით, როგორიც ''ნიკოლა- ძეა''ფოთში, შევუდგებით გრუნტის ამოღებას და გაყიდვას. ამით დარეგუ ლირდება კაშხალის აუზი, წყლის დებეტით მოტანილი შლამი თანდათან დაიწევს დაბლა და ენგურყჰესის სიცოცხლის ხანგრძლივობა საპროექტო 100 წლიდან მარადიუ ლისკენ გადაიზრდება.

— საინტერესოა .

— ამასთან გადაუდებედ საქმედ გვეჩვენება ენგურჰესის კაშხალს გადმოეცეს წალენჯიხის და მესტიის რაიონების სატყეოს კუთვნილი ფართობები საკურატოროდ, რათა უფრო ეფექტური გავხადოთ

ეკოლოგიური თუ სასოფ- ლო-სამეურნეო საქმიანობა. ახლა ენგურყესის თაღოვანი კაშხალის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული სამხერხაოა განლაგებული, რომლებიც დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით ამ ნახერხს პირდაპირ მდინარეში ყრიან და ამ ვანდალური ფაქტის წყალობით ენგურზე თევზი ამოწყდომის პირასაა მისული.

— სტიქსი, ლეთა.

— დიახ, ლეტაა ყოველივე. არადა, აქ თავისუფლად მოშენდებოდა ათობით, ასობით ტონა თევზი, მით უფრო როცა გეყოლებოდა საკუთარი მიწახაპია გემი. ამასთან მოსაწესრიგებელია ქვირითის ყრის პერიოდში ენგურზე ამოღწეული თევზის მდინარე მაგანაზე გადასროლა არხის ან წყალსაქაჩის მეშვეობით. ამისი განხორციეოლება ენგურჰესელებს ნამდვილად შეგვიძლია საკუთარი ძალებითაც.

— განაგრძეთ, განაგრძეთ, — აყვანილი ვყავარ უკვე.

— ენგურყესის თაღოვანი კაშხალი, კომერცი- ალურად რომ მიუდგეს თავის საქმიანობას, საკუთარი შემოსავლების ათჯერ, ოცჯერ და ოცდა- ათჯერაც შეუძლია. დამატებით მას უნიკალური ხელსაყრელი პირობები გააჩნია ფუტკრის ევაკუაციისათვის, იგივე მიწახაპია გემ-კატარღით. მდინარის სათავისაკენ შესაძლებელია სკების ტრანსპორტირება ღალიანობის პ ერიოდში ძვირფასი თაფლის მოსაპოვებლად ზამთარ-ზაფხულ დარაც მთა- ვარია, დარეგუ- ლირდება ხე-ტყის გაუგონარი ჩეხვა, რითაც რამდენადმე შენარჩუნდება ეკოლოგიური წონასწორობა, თორემ დროთა ვითარებაში, თუკი ენგურჰესის კაშხალის შემოგარენში უსულგულოდ განადგურდება ტყის საფარველი, წყლის დებეტიც კატასტროფულად შემცირდება და ენგურჰესს მოაკლდება უმთავრესი მასურდგმულებელი ენერგია — წყალი. საქმისადმი ამდაგვარი დამოკიდებულებით ენგურჰესი გამოავლენს სახელმწიფოებრივ მიდგომებს ასრებული პრობლემებისადმი და იგი უკვე ელექტროენერგიის მწარმოებელი ორგანიზაციიდან გადაიქცევა მსხვილ სასოფლო-სამეურნეო კომპლექსად.

— მერედა, რას უცდით, ვის ემალებით ხალხო, — აღმომხდება ანაზდად.

— დაწყებული გვაქვს ასეთ პროექტზე მუშაობა გრანტის მოსაპოვებლად, მაგრამ გინდა დადიანებს გადავურჩეთ ამაღამ, ორივე, დროზე წავედით, ძმაო!

არ გამომივა ფიცი-ფიცილი ჯონი ჭანიას სასიმამროში, თუმცა იციან სასმელს გავურბივარ. აკი, დამიფიცებია ერთხელ: უწინამც მზე დამლევია, სანამ სამშობლოს ღირსეულად არ დავიბრუნებთ, ღვინოს თუ გავეკარეო-მეთქი. ასე გამიცხადებია ორი წლის წინათ ბატონ ლევან მებონიასთან საბერიოში. გაგონილა!

ოჯახის მახვში საგვარეულო ალბომით შემიქცევს. ნარდსაც ავაჟღა- რუნებთ. პოეზიის ტრფიალი აღმოჩნდება. შვილიშვილების სიმრავლე ახალისებს ვაჟიშვილის ტრაგიკული აღსასრულით გულგანგმირულ კაცს.

ნადირობის კუმირია თურმე. ვუხსენებ რუბენ შელიას ნაჩუქარ თოფს კვაწაწიდან და ჩაბჟირდება სიცილით. სხვა რა ჯილდო მექნება მწერალ კაცს და ვუსახსოვრებ ლექსების წიგნის სასიგნალო ეგზემპლარს. თანაც რამდენიმეს რომ წავუკითხავ, გაცამტვერდება დადებული აღთქმა — დიდი დიასახლისიც მოაკითხავს სუფრას. ასეა ჩვენი საქმე და მივგრიალდებით კიდეც საათნახევრის დაგვიანებით მატარებელგაცლილ ზუგდიდის რკინიგზის სადგურში. ეს სცენები, ეს საუბრები უნებლიეთ ამომიტივტივდება გონებიდან პრეზიდენტის სიტყვით ჩაფიქრებულს. აქვე მას-მედიიდან ამოკრეფილ ფრაზებ საც გადავწვდები მოგვიანებით.

ბატონი სერგეი ბაღაფში უპერსპექტივოდ მიიჩნევს აფხაზეთის ,,სახელ- მწიფოს''საქართველოს სხეულებრივ მთლიანობაში განხილვას. ამასთან პრეზიდენტ სააკაშვილთან თბილ დამოკიდებუ- ლებასაც არ მალავს და დამაჯერებლობით დაასრულებს ბოლოს: მას სხვანაირად არ შეუძლია საკითხის წამოყენება სახელმწიფოებრივი პოზიციიდანო, თუმცა მაშინ საბჭოთა კავშირიც უნდა აღვადგინოთო. ბაღაფში არც ისე უცხოა ქართული გვარსახელებისათვის — გვახსოვს ჩვენ აღმაშენებლის პერიოდის ბაღვაშები. ესეც რომ არა თბილისში განსწავლულ კაცს ჩინებულად მოეხსენება, რომ აფხაზეთი საბჭოთა კავშირამდე, მეფის თუ კიევის რუსეთამდე, კოლხეთის, იბერიის, ერთიანი ეროვნული ფსიქიკით შეკრული პროტოქართული მიწა-წყალია.

მაინც სად იმალება მთავარი ძარღვი-მექი, გამკენწლავს მერამდენედ. ენგურჰესის გმირული შემართების კოლექტივის შრომას თანაბარი სიმსუ- ყით დაიგემოვნებენ აფხაზ-ქართველი ენერგეტიკოსები. რომ არა პრეზიდენტის პიროვნული ძალისხმევა, ენგურჰესის კაშხალი განწირული იქნებოდა კატასტროფისათვის, ვინაიდან 18 თვის გაუცემელი ხელფასის მოლოდინით გაწამებული ხალხი, მათ მიერ ხელდასხმულისაგანაც გულგრილობას, იგნორირებას რომ დაინახავდა, ამოეწურებოდათ უკანასკნელი მასულდგმუ- ლებელი ენერგია და წყალსაცავიდან მიყოლებით იფეთქებდა სტიქია. ჯერ ჩამომწყდარი ერთი სარქველებიდან, მერე — მეორიდან

და მესამიდან, შემდგომ — მეოთხიდან, მეხუთიდან და ზვირთების მთაგრეხილებით მოისრე- ბოდა სრულიად სამეგრელო აფხაზეთითურთ. დიახ, პრეზიდენტის ძალის- ხმევამ მიანიჭა ხალხს გაუგონარი ენერგია, კვლავაც ინვესტიციების მოლოდინში შიშველი ხელებით შეჭიდებოდა თავზესაყრელ პრობლემებს. თამასუქები განაღდებულია. მაშ, რატომ დაიგვიანა გმირობის შემცველმა ინტონაციამ პრეზიდენტის ხმაში. გულმავიწყობაა?! დაუფასებლობის გამო შურის ძიება?! თუმცა ასეთი რვმ ხომ წარმოუდგენელია ხელდასხმული პიროვნებისაგან-მეთქი, ვიჭყლეტ ტვინს. კიდევ უამრავი შრე, უამრავი წიაღი მოითხოვს განჩხრეკას.

,,რა მოხდებოდა, თაღოვანიი კაშხალის ხალხს რაბი აეწია და ენგურჰესი გაეჩერებინა?! — ვეკითხები ჩემს თავს და იქვე ვპასუხობ — ჯერ ერთი სრულიად საქართველოს მოაკლდებოდა 60 პროცენტით მასაზრდოებელი ენერგო- რესურსი, მაგრამ ამავდროულად აფხაზები მთლად ცარიელ-ტარიელზე დარჩებოდნენ. ჩვენ ორმოცი პროცენტს მაინც გამოვქექავდით ღადარიდან, ხოლო ისინი სულ გალოკივლი თითს დაემსგავსებოდნენ და ამისთანა ვითარებაში, დავიჯერო სამურზაყანოში განთავსებულ 40 ათასამდე მოსახლეობას ისევ არ გამოაბუნძურებდნენ ისინი, დანით ყელგამოუღად- რულს თუ არა, დაპანღურებულს მაინც?! არადა, ენგურჰესი ქართულ-აფხაზური გენური შეჭიდულობის ერთადერთი ნათელი წერტილია, სადაც პოლიტიკური ინტერესები მოთოკილია სტაბილური თანაქმედების სასარგებლოდ. იდეალურ სუფევამდე სამყაროს სამი სტადია აქვს გასავლელი.პირველი წყლის ბუნებაა, რომელმაც ოდესღაც ერთიან გონდვანას გაბნეული კონტინენტები აღმოაჩინა, ერთმანეთი ამპოვნინა; მეორე— ეკონომიკური ხასიათია, რომლისკენაც გამალებით მიისწრაფ- ვის კაპიტალის მსოფლიო. აქედან გამომდინარე, დღეს ,,ენგურჰესს'' განსა- კუთრებულზე განსაკუთ- რებული მისია აკისრია, საქართველო-აფხაზეთის პრობლემის მსოგ- ვარებაში; მესამე უკვე სახელმწიფოებრივი აზროვნებაა პლანეტარული შინაარსით: თავის დროზე დრინის ხიდმა შეაკავშირა მუსულმანურ-ქრისტიანული იუგოსლავია, მაგრამ მეოცე საუკუნემ დააქუცმაცა იგი, დაასინდიყა, რათა ეკონომიკური ძაფებით შეეკერა.

გვყვანან ჩვენ პოლიტიკური მეტრები, ბატონები: გოგი გაჩეჩილაძე, ოთარ ხუფენია, ლადო თათარიშვილი, და სხვანი, რომლებიც მომ- რავლებულ საკითხებს ერთ ფოკუსში აქცევენ და ეს ერთი ფოკუსი ეკონომიკური ინტეგრაციაა, სახელმწიფოებრივი აზროვნება პლანეტარული ნიშნით, რადგანაც დედამიწის ნებისმიერ ქვეყანას, ერს თუ ეთნოსს კარზე მოსდგომია ზოგადკაც ობრიული კრიზისები და ამ გადასახედიდან ბატონ მიხეილ სააკაშვილს ენგურჰესის კოლექტივიდან თითო-ოროლას გამორჩევა პრიმიტიულად ჩამოერთმეოდა; პრეზიდენტი ელის თავის დროსა და ადგილს. ეს დრო და ჟამი კი დღითი დღე მკვეთრდება. დღითი დღე ნიშანდობლივი ხდება ,,ვადების რევოლუ- ციის'' მსწრაფველობა უთრო მძაფრი და მრისხანე ფერისაკენ. გუშინწინ იყო ვარდისფერი თბილისი. გუშინ განარინჯფერდა სრულიად კიევი. ხვალ გამორიცხული არ არის იგი ხასხასა წითელში გადაიზარდოს, დაგლერტებულ მეწამულში — რუსულ ბედისწერაში. ბატონი მიხეილი ხალხის ინიციატივებს ელის. ამ შემთხვევაში, ენგურჰესე- ლების დაგვიანებული სამადლობლისა და აღმაფრთოვანებათა დემონსტრი რებად ერთ პერსონას წარმოგიდგენთ მეშვიდე კასეტიდან — სოსო ციმენტიას.

ჩვენ ფოცხოში ჩასვლის პირველ დღეს გავესაუბრებით ერთმანეთს. დამქანცველია მასთან ლაპარაკი. საწნახელში ჩაგდებულ მტევანს ემსგავსები. ფიზიკის მასწავლებელია ბატონი იოსებ, ნიჭი-ერებით დატენილი. სამოცს მიტანებულა. ,,ვადების რევოლუციას'' ქომაგად ედგა ჯვარსა თუ თბილისში. ის ბოლომდე ეგზალტირებულია, დაავადე ბული ბატონ მიხეილის ფენო- მენით. რუსულის ენის ჩინებულად მცოდნეს როცა სააკაშვილის ცეცხლოვანი ინგისური მოუსმენია მაღალიტ ტრიბუნიდან, ცივ ქვაზე შემდგარა და დაუთიცია: ერთ წელიწადში ინგლისურს ვისწავლიო.

კასეტაში უამრავი პასაჟი მრჩება საანალიზოდ, რომელთაგან ერთადერს წარმოვაჩენ ახლა — პოეზიას:

DTID, CTITD THE PRTZIDENT OF GEORGIA
MISHAL, MAIKL SAAKASVILY

Your name is Greitly name,
Fest namt and middk name,
Kast nam are sutntime,
Shortly name it is stim!
Youre name is meniy man,
You name are ftrenli man,

This is nfme jastliy man,
Our Prezident getleman!
Here naim a fain weiiov,
He goes af hight, above,
yure ntitiv Gorgia is willi,
Mishel, Maik, Saakasvili!

05. 12. 2004 yare,
Soso Tsimentia

— წელიწადში მეც ვისწავლი-მეთქი.
— შენ გერმანული გცოდნია და რატომაც არაო.
— არა, სვანურს-მეთქი.
ხელს ჩამოვართმევთ ერთმანეთს.
მერეც დამეძებს სამასპინძლოდ, მაგრამ დადიანების მოხელეთებულს რას მიპოვის.
დადმდგარა დრო ჩვენი ხანგრძლივი საუბრის დაკვარცხლბეკებისა.
ბატონო პრეზიდენტო, ბატონო მიხეილ, ქვეყნის ინტერე- სებიდან გამომდი- ნარე, იქნებ შემუშავდეს სათანადო ფორმა-შინაარსის პროექტი, რომე ლიც გამორჩეულ კოლექტივებს, წარმოება-დაწესებულებებს საქართველოს გმირი კოლექტივის სტატუსს მიანიჭებს. არც ისე შორეული წარსულიდან გვახსენდება — გმირი ქალაქები... მაგრამ ჩვენს შემთხვევაში კოლექტივისათვის გმირის წოდების მინიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ერთობლივი აზროვნების, მონოლითური ფსიქიკის შესამუშავებლად. უკვე მთავარი სათქმელიც შორს არ მრჩება — ასეთი კოლექტივი, ალბთ, უცილობლდა მოგინიშნათ თქვენთვის, მაგრამ ზედმეტ მოკრძალებაში რომ არ ჩამოგვერ- თვას, ჩვენი ჟურნალის სახელით, ჩვენი თანამოსაგრეების სახელით საქართვე- ლოს გმირი კოლექტივის მატარებული ორგანიზმის პირველ მერცხლად, დიახაც, ქართული ენერგეტიკის დედაბოძი — ენგურჰესის უმამაცესი და მკლავმოუღ- ლელი კოლექტივი დაგვისახელებია, რომელიც როგორც ზემორე ფრაგმენტულად დაგვინახავს, თქვენით აღფრთოვანებული ინგლის- ურსაც სწავლობს და მალე სვანურადაც გააბამს ბაასს დიდვარუ- ებთან. ეს ყოველივე შინაგანი ბედისწერაა ბატონო მიხეილ, ამისთანა შანსი მილიონი ნიჟარიდან მხოლოდ ერთადერთს ეძლევა ცხოვრებაში ჯადოსნური მარგალიტის აღმოსა- ცენებლად. ქართველი ერის შეკავშირების ტოტალური ღონისძიება ასეთნაირად წარმოგვესახება. თქვენ უკეთ უწყით, როგორც ხელდასხმულმა, თუმცა ყველაფერი ცაბაოთისაგანაა ნაკარნახევი — აუწყვეტია ათასწლეუ ლების ბორკილები ამირანს, ნოეს ბადიშ პრომეთუსას, აფხაზების აბრსკილს თუ ჯვარელლაკადელთა არამხუტუს სრულიად ცივილიზაციის სინქრო- ნიზაციის საწინდრად, და იარონ, იარონ, იარონ,**ღვთაება გრანტის შვილები**

კაპიტან გრანტის შვილებზე ჟიულ ვრენი წერდა. ჩვენი პერსონაჟი განსაკუთრებული წარმო- მავლობისაა — უსხეულო მამონას აღნაგობის, რომელსაც სულიერსავით ეთაყვანებოდნენ ახლო აღმოსავლეთში ათასწლეულებს მიღმა და დღეასც არანაკლები ციებ-ცხელებით გაუთანგავს სრული პლანეტა.

თუმცა რომ არა საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებათა ქარავანი, ქართული სახელმ- წიფოებრიობა აქამდე სულს ვეღარაფრით მოიტანდა.

მთავარი დონორი ჩვენი ქვეყნისათვის ამერიკის შეერთებული შტატებია, **1 მლრდ. 200 მლნ.** აშშ დოლარი).

დემოკრატიისა და თავისუფლების მექას კვალში მისდევენე: მსოფლიო ბანკი, **640 მლ**ნ აშშ დოლარი); საერთაშორისო სავალუტო ფონდი, **470 მლნ** აშშ დოლარი); ევროკავშირი, **70 მლნ** ევრო); ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, **250 მლნ** ევრო).

არანაკლებ შთამბეჭდავია მეგობარ ქვეყანათა ზურგსქარები გერმანიიდან **378 მლნ** გერმანული მარკა); იაპონიიდან **80 მლნ** აშშ დოლარი); ნიდერლანდებიდან **60 მლნ** აშშ დოლარი); თურქე- თიდან, **30 მლნ** აშშ დოლარი); შვედეთიდან **4,4 მლნ** აშშ დოლარი). დიდი ბრიტანეთიდან, **1 მლნ** ფუნტი); ჩინეთიდან **5 მლნ** აშშ დოლარი); კუვეიტიდან, **25 მლნ** აშშ დოლარი);.

სულ ამ თანხის არითმეტიკული სიდიდე **2 მილიარდ 666 მილიონი** აშშ დოლარია, რაც სადღე- ისო კურსით 06.09.2003 წ.) **5 მილიარდ 785 220 ათას** ლარს უტოლდება, ანუ ჩვენს სეკვესტრირე-

ბულ 5 წლის ბიუჯეტს.

შემოსული თანხის ძირითადი მასა 4 მიმართულებით მოედინება, რომელიც საბოლოოდ ორ პატრონამდე დაიყვანება — სახელისუფლებო და ოპოზიციურ ძალებამდე.

— თევზის ჩუქებაზე უკეთესია კაცს თევზის ჭერა ასწავლოო, იტყვიან ბიზნესის სამყაროში და ღვთაება გრანტის ქართველი თინეიჯერები იქამდე შეისისხლხორცებენ საბაზრო ურთიერთობის ამ ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ ახლა სრული ნიხილიზმი დასადგურებულა ჩვენი ეროვნული ფასეულობების მიმართ: ილიას პოეზია პრიმიტიულია; ვაჟას და აკაკის არა უშავთ რა. ქვეყნის პრეზიდენტი ,,ჩვენი ეზოს'' ნაგავსაყრელზე იქექება დღემოსწრება და ამაოდ ეძებს ბიუჯეტს ცარიელ ვაგონში. კონფუცისა არ იყოს, მართლაც ძნელია შავი კატის პოვნა ოთახში, განსაკუთრებით, როცა იგი იქ საერთოდ არ იმყოფება.

გრანტი მაინც განსაკუთრებული მოვლენაა ტექნიკურ თუ ფინანსურ დახმარებათა შორის. აქ სამი მომენტია ნიშანდობლივი.

პირველი, ინვესტორის გაქვავებული კაპიტალის ამოძრავებაა. შენეული სივრცეა მხოლოდ, ტერტორია და წილობრივი მონაწილეობაც. ფულს თავად დონორი განკარგავს საჭიროებისამებრ: ასაქმებს საკუთარ სპეციალისტებს. შემოაქვს სამშენებლო მასალები, დანადგარები. ადგილობრივს ქვიშას მოიხმარს და კიდევ — წყალს.

მეორე ის გახლავთ, რომ საკუთარი ქვეყნის ჯიშები დაბინავდება შიგ, ამ შემთხვევაში ურქო ფურები, როგორც ეს სენაკის რაიონის რძის საწარმო ,,ტყირის'' მაგალითზეა.

და ბოლოს, ამას მიედევნება პროდუქციის წარმოების თავისებურება — ოდესღაც სულუგუნის გადაზელვით განთქმული მალანია თუ ჯალაღონია, ამიერიდან ნიდერლანდურ ყველს აწარმოებენ, რომელიც ძვირადღირებულია, მაგრამ მომგებიანიც ამავდროულად და გრანტის სამივე მომენტით ნიდერლანდია მკვიდრად იკიდებს ფესვებს შუაგულ თეკლათში.

დღეს ლამაზი თვალებისათვის არავინ გაიღებს გახვრეტილ შაურიანს. მსოფლიოს საინვენსტიციო სივრცეში გაბატონებულია დოქტრინა: ნემსის მიბნევა ნაჯახის მოსახსნელად.

რამ შეჭამა ვენახი?!

1997. 08. 21 — 06. 30. 2002. **15** მილიონი აშშ დოლარი გადმოისროლება მსოფლიო ბანკისაგან საქართველოში კერძო სექტორის განვითარების ხელშესაწყობად. ჩამოყალიბდება **7** კომერციული ბანკი. შემდგომ სასოფლო-სამეურნეო კვლევის დასანერგად, **7,6** მლნ აშშ დოლარის ფინანსურ მხარდაჭერას აღმოგვიჩენენ ფერმერული მეურნეობის გასაშლელად; **95,130 000** აშშ დოლარი გამოეყოფა ირიგაციისა და დრენაჟების განვითარების პროექტს, რომელიც მიმდინარეა და კიდევ 10 წელიწადს იმოქმედებს; მიწის მართვის პროექტს **2,4** მლნ აშშ დოლარი მოხმარდება. არის წვრილმანი შხეფები — **210 000,269000,400 000** მემცენარეობისა და მეცხოველეობის განსავითარებლად გვალვით დაზარალებული მოსახლეობისათვის. ამას მოსდევს **9 946 000** აშშ დოლარი გრძელვადიანი სესხი დახმარებისა და აღორძინების საქმიანობისათვის; **27** მილიონი აშშ დოლარი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის IFAD); **9 200 000** საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა, რომელიც ქვემოთ დანახულისამებრ კოსტავას პროსპექტს ძნელად გასცდება; **342 900** ევრო გამოიყოფა თბილისის მიმდებარე რაიონებში სახელმწიფო მეურნეობის რესტრუქტურიზაციისათვის; **2 170 000** ევრო ხორცის, რძის პროდუქტების, ბოსტნეულის და საქონლის საკვების გაუმჯობეებისათვის; **3 300 000** ევრო კომპლექსურად ,,მოხმარდება'' საქართველოს სოფლის მეურნეობას. **3 700 000** ჩაიდება სოფლის მეურნეობის რეფორმისათვის კავკასიის რეგიონში; **1 500 000** ევრო საცდელი კერძო ფერმერული ცენტრების ჩამოსაყალიბებლად. **1 399 220** აშშ დოლარი გამოიყოფა სოფლის მეურნეობის თავისუფალი ვაჭრობის ხელშესაწყობად დსთ-ს ქვეყნებში; **260 000** მევენახეებს, **244 000** მეხილეებს, **372 000** მცირემასშტაბიანი ირიგაციისა და დრენაჟის სისტემებს; **190 000** მავნე მწერებთან ბრძოლას. **270 ათასი** სოფლის მეურნეობის სექტორში სპეცმომზადების სამუშაო სიმძლავრეების შექმნას; **110 000** მეთესლეებს, **395 000** გვალვის შედეგების რეაბილიტაციას. **49 114 213** აშშ დოლარის მხარდაჭერას აღმოუჩენენ სასწრაფო სასურსათო დახმარების სახით დევნილებს და სხვა დაზარალებულ ჯგუფებს WEP); **1 745 000** აშშ დოლარი მიექარწყლება კავკასიის მაგისტრალურ-ტექნიკური სრულყოფის საკონსულტაციო რგოლს; **1 000 000** ევრო საკრედიტო ორგანიზაციების დაარსებას; **300 000** ევრო სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტის მართვას; **18**

000 000 აშშ დოლარი 4 ეტაპად განქარდება საქართველოში კვების პროდუქტების წარმოების ზრდაში იაპონელებთან, რომელიც, ახა, 2002 წელს დასრულებულა კიდეც უმრავლესთაგანივით, მაგრამ კვლავაც და კვლავინდებურად ეკალ-ბარდში იხრჩობა ჩაის პლანტაციები სამეგრელოში, ხეხილი — ქართლში, ვენახები — კახეთში; კვლავაც ნასესხები სალიარკით ხნავენ გლეხები სოფლად მამაპაპურ სავარგულებს; კვლავაც გაპარტახებულია ფერმები, საფუტკრეები, თევზსაშენი, მეაბრეშუმეობა, ჯანდაბა და დოზანა! დაახლოებით **240 მილიონი** აშშ დოლარის ინვესტიცია არც ისე ხელწამოსაკრავი წყალობაა ჩვენისთანა გაპარტახებული სოფლის მეურნეობისათვის, მაგრამ არის აქ ერთი „მაგრამ", რომელზეც ქვემოთ უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ.

მთელი ქვეყნის ელექტრო ფიკაციას მინუს ჯანმრთელობა და სიმშვიდე, სამხედრო ბაზებს ჩანაცვლებული ბანკების სასარგებლოდ

არანაკლები დოლარცვენაა ენერგეტიკოსებთანაც: **52 მილიონი** აშშ დოლარი დაიძირება წყალში ელექტროენერგიის რეაბილიტაციისათვის; **52 მილიონი** აშშ დოლარი —ენერგეტიკის სტრუქტურული გარდაქმნისათვის; **9 630 000** ენერგომატარებლების ტრანზიტის ინსტიტუციონალური მშენებლობის პროექტს მიესამართება; **27 000 000 —** ელექტროენერგიის ბაზრის მხარდაჭერას; **55 000** ენერგეტიკის სისტემებს, **25 000** მცირე ხესებს; **12 500 000** ელექტროენერგიის განახალებადი ენერგეტიკული რეჟიმების ათვისებას; **1 430 632** ევრო ენერგეტიკული სექტორის სტრუქტურული რეკომენდაციების მხარდაჭერას — ნოუ-ხაუს. **200 000, 399 000, 500 000, 27 120** ევრო შეეშხეფება ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავებას; **488 472** ევრო თბოელექტროსადგურის შეძენისა და მონტაჟის დაფინანსების შესწავლას; **1 100 000** სისტემების ოპერატიულ დაგეგმვას; **1 639 800** ენერგოსისტემის საიმედობისა და ეკონომიკურობას დსთ-ს ქვეყნებში; **1 300 000** ევროს დახმარება გაეწევა სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს; **2 000 000** ევრო მოყუჩდება ენერგოეფექტურობის ცენტრის შესაქმნელად; **1 430 632** ევრო გაიბრწყინებს ციცინათელასავით ენერგეტიკის სექტორის სტრუქტურული რეფორმის მხარდასაჭერად; **18 100 000** აშშ დოლარს დავიიღლიავებთ ენერგეტიკის რესტრუქტურიზაციისათვის **(EBRD)**; სესხი მოხმარდება ხიდროკასკადისა და გარდაბნის თბოსადგურის **3 300** მეგავატის ბლოკის რეაბილიტაციას.

წინდებულ სტატისტიკას ნუ გავიგებთ, როგორც ლურჯი თვალების ჟუჟუნისთვის აღმოჩენილ თანადგომას, ან მისი მოსახლეობის ჭირისუფლობით გულზე ხელების დაკრეფას. აქაური კროსინგოვრული, გენური შეჭიდულობის დამოკიდებულება უცხოელ და ქართველ ენერგეტიკულ კლანებს შორის მკვეთრადაა გაცხადებულ ერთ ქართულ ანადაზაში: „ხელი ხელს ბანს", „ძმაო ძმითა ხარ ძლიერი", თუ სულაც „ბევრი ვეცადე შენთვისა, ძლივს მოვახერხე ჩემთვისაო". დიახაც, ასეა საქმე. მეც მთავაზობდნენ წლების წინ რუსეთის სივრციდან, კერძოდ, მაგადანიდან 3 მილიარდ რუბლს მხატვრული ფილმის შესაქმნელად, მაგრამ ამ წინადადებაზე ვერაფრით დავითანხმებ კინოსტუდია „ადამ და ევას" თავკაცებს ბაბლუან-ხოტივარს, ვინაიდან ინვესტორები გაღებული თანხის ადეკვატური მასის დაბრუნების ზუსტ თარიღს ითხოვდნენ და, ცხადია კინოფილმის ჩავარდნის შემთხვევაში რომელი შეაკოწიწებდა 3 მილიარდ რუბლს, სცენარისტი, პროდიუსერი თუ რეჟისორი?! ცხელი ლულისათვის შუბლის მიშვერას კი ვერავინ გარისკავს სალოსის მეტი. ზემოთ ჩამოთვლილი დახმარებების მეტი წილიც მსგავსი ხასიათის მხარდაჭერებია. მაგალითისთვის ნიდერლანდები სენაკში, თეკლათში, მეცხოველეობის ფერმის გამართვაში შეეშველებიან ალანია-ჯალაღონიას ბიჭებს. საამისოდ ფულსაც გაიღებენ თანადაფინანსების პირობებში. გაივლის ხანი და ამ ფულს სპეციალისტების ამალა ჩამოხყვება ხოლანდიიდან გრანტის ასი პროცენტით ასათვისებლად. აგურსაც და ცემენტსაც ნიდერლანდიდან ჩამოიტანენ, ცხადია, აპარატურის მხარადამხარ. „თეკლათელები" ქვიშას მიაშველებენ აქა-იქ, წყალს და კიდევ — ნივრის ქერქად ღირებულ ოფლს. ამისთანა დახმარებას ეძახიან უცხოეთში გრანტს. ჩამოიყვანენ ხოლანდიელები სენაკში ურქებო ძროხებს და ხელშეკრულებისამებრ სულ მალე სულუგუნის ნაცვლად მათი ეროვნული პროდუქციის წარმოება გაჩაღდება შუაგულ სამეგრელოში. ასეთია გრანტის ერთი სახეობის არსი. მაგრამ არის ინვესტიციების წყება, სადაც დონორი მხარის ინტერესი მაქსიმალურადაა გათვალისწინებული. გააჩნია ინვესტორს და გარიგების ნიუანსებს. თითქოს მოღწეულია შენამდე ფინანსური დახმარება, თუმცა სინამდვილეში იმ თანხის ნახევარი, მესამედი თუ მეოთხედი უკან უბრუნდება ხელის გამმართველს. ამიტომაც ამ ფინანსური წრეებისთვის ყოველთვის ის პიროვნებაა სასურველი, რომელიც ბიზნესის დაუწერელ კანონებში

გამოცდას ხუთიანზე ჩააბარებს. გულუა რაღაცაში რომ წაიკოჭლებს, ჩამოალაბორანტებენ. სამაგიეროდ ერთი შეხედვით მოუხეშავი, სინამდვილეში კი ზედმიწევნით ელასტიკური მირცხულავა „რაოესის“ საქართველოში ჩამონტაჟებამდე ტკიპასავით შერჩება ქართულ ენერგეტიკას. აქ ძნელი წარმოსადგენია თაფლის ამწონავს თითები ნექტარით არ დაეგლისოს. მედიტაციებს, განსჯებს მერეც მოვასწრებთ. ახლა კი სტატისტიკას მოვუბრუნდეთ.

30 000 000 აშშ დოლარი სესხი გადაეცემა „ეიესთელასელებს“. მკვდარი მკვდარს აეკიდაო, ამაზე ითქმის. ჩვენ ინვესტორი წელგამართულობის იმედით შემოვიყვანეთ და არა უკუდო ხარის ცარიელი ენთუზიაზმის საცქერლად. დახმარებების წყება კი მოდის და მიდის — **5 900 000, 5 500 000, 15 000 000** აშშ დოლარი ენერგეტიკისათვის(USAID). კერძო საწარმოთა მხარდაჭერის, კრიზისის შედეგების შემცირებათა მოტივაციებით გამაგრდება, **5 000 000, 10 300 000, 7850000, 815 000, 9 500 000** აშშ დოლარი. აქვეა **9 400 000** აშშ დოლარი (1998) სოციალური შემამსუბუქებელი პროფილაქტიკებისათვის თუ ფეხმძიმე და მეძუძური ქალების გასაჯანსაღებლად. ამასთან ერთად საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFG) მენიუ ჭრელია: მინისა და მინერალური წყლების კომპანიას **3 160 000** აშშ დოლარს უსახსოვრებს სანტა კლაუსივით. ქსნის მინის ტარის ქარხანას **8 800 000** აშშ დოლარს (1998) დააბერტყავს მხარზე; საშუალო საწარმოებისათვის სესხის გაცემის პროგრამის განსახორციელებლად **TBC** ბანკი **5 300 000** აშშ დოლარით გალაღდება. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო **(USAID)** მიზანში შედის მოქალაქეთა მონაწილეობა არასამთავრობო ორგანოების ქსელის გაშლაში, დამოუკიდებელ ტელეჟურნალისტებთან თანამშრომლობა, და სრულყოფილად უზრუნველყოფს მათ ტექნიკური აღჭურვილობებით, სარეიტინგო პროგრამებით. აქვე სოლიდური ხონორარითაც წაახალისებს ხოლმე მათ პოლიტიკური მოვლენების შესახებ მაღალი დონის საინფორმაციო გადაცემების მომზადებისათვის (1997) — **2 600 000** აშშ დოლარი გაიღება ქართველი მოსახლეობის გასაბრუებლად. ეს თანხა მომდევნო 1998 წელს **3 400 000**-მდე გაიზრდება. ხოლო 1999 წელს ინვესტიციის ნიშნული **3 720 000** მიურაკუნებს. „უსაიდელები“ გარემოს დაცვის, მაუწყებლობის შესახებ კანონებში დახმარების პროგრამა „მესამე“ ანუ არასამთავრობო სექტორის განვითარებაში, დიდ და პოზიტიურ როლს შეასრულებენ — **4 450 000** აშშ დოლარი (2000) — აქ ფოკუსირებულია 4 მიმართულება: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ადამიანთა უფლებების დაცვის ორგანიზაციების ჩამოყალიბება, საზოგადოების ნდობის გაზრდა პოლიტიკური პროცესებისადმი; **20 430 000** აშშ დოლარით ჯანდაცვის პროგრამების ათვისების პარალელურად მიმდინარეობს ადგილობრივი მთავრობის ხელშეწყობა, რომელიც ფაქტობრივად ოფიციალური ხელისუფლების ალტერნატივაა გარემოს დაცვის მოტივაციით და მასმედიის წასისინებით მოაზროვნე ცნობიერებაზე. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერათა მოცულობანი შემდეგი განზომილებებისაა: შავი ზღვის საერთაშორისო ბანკს **1 000 000** აშშ დოლარი გადაეცემა; „აბსოლუტბანკს“ **4 400 000** ევრო; გაერთიანებულ ქართულ ბანკს — **7 500 000** აშშ დოლარი; „საქართველოს ბანკს“ — **7 000 000**. დახმარების ხასიათი შერეულია — ფინანსურ-ტექნიკური. „ევროპული ბანკი“ **10 000 000** აშშ დოლარს გაიღებს „ბორჯომის“ მინისა და მინერალური წყლების კომპანიისათვის. თბილისის ბაზარი კი კვლავინდებურად დაპყრობილია დაქმიკატებული დარდუბალათი. **10 მილიონია** მოზიდული ქარელის მინის ტარის რეკონსტრუქციისათვის თურქ კოლეგებთან სათანამშრომლოდ. ამასთან საქართველოს ღვინისა და ალკოხოლური სასმელების კომპანიას **(GWS) 5 000 000** აშშ დოლარს დაითრევს. ალბათ, ამ ციფრების შემხედვარეს, არ უნდა გაგვიკვირდეს, შეგირდო, ჩემო, თუ რისთვის ატყდება ხოლმე თავპირის მტვრევა საპარლამენტო არჩევნების ენდშპილში; აქედან გამომდინარე არც პუპუზასთვის შესხმული „ბორჯომი“ უნდა გაოცებდეს, გულისხმიერო მოწაფევ, და აღარც მიშველაძის ყურისძირას გაზუზუნებული დავითაშვილის მუშტი. აქ ყველაფერი თაფლით სავსე კასრთან ყოფნას ნიშნავს უსუსურ ჭიანჭველასათვის, რომელსაც სულხან-საბას არაკის მიხედვით თავის წონაზე სამჯერ მეტის ატვირთვა ემარჯვება ნებისმიერ სულდგმულისგან განსხვავებით; გამონაკლისი ადამიანია და განსაკუთრებით ქართველი პარლამენტარი, ხშირად რომ სამგზის თუ მეტადრე გადაუჯოკრავს ხოლმე ლებანიძისეულ ჯგიჯგიტიას. ან კიდევ გაოცებამ წარბი რისთვის უნდა შეგითამაშოს საპარლამენტო არჩევნების მოროდში შაქრის, ფქვილის ტომრებითა და მაკარონის ყუთებით დასაპალნებული ბედის მაძიებლების მხილველს? დიახაც სარფიანია დღეს ქართულ პოლიტიკაში ყოფნა: მდგომარეობა, პედესტალი, სავარძელი, ძალაუფლება, ზეგავლენა, ნატვრის თვალი, უჩინმაჩინის ქუდი თუ მფრინავი ხალიჩა, თუმცა განვაგრძოთ ნუსხათა ნუსხეული:

ჩირაგის ადრეული ნავთობის ტრანსპორტირების რეგიონალური პროექტი **200 000 000** დოლარითაა შეფასებული 1999 წლიდან. მისი მიზანია კასპიის ზღვაში ჩირაგის ოფშორული პლატფორმის განახლება, ჭაბურღილები, მილსადენები, მათ შორის 2 არსებული ნავთობსადენის შეკეთება. ასე-

ვე თვალმიუწვდენლად გალარულია საკრედიტო ხაზი აშშ დოლარის ოდენობით „**TBC**“-ის, „თბილ-კრედიტბანკის“, „ინტელექტბანკის“ მცირე ბიზნესის ხელშესაწყობად. ხოლო საქართველოს მიკრო-საფინანსო ბანკს □**MBG**) **10 900 000** ევრო ჩამოუცვივა ციდან. ეფეშქაშება ცოტაა, ქერის ორმოში ჩაეყუდებიან თავკისრიანად. ამ გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი სესხით (წლიური 2 პროცენტი) , ქართველი მოსახლეობის უძრავ-მოძრავს მოხვეტავენ ოდესღაც დედაგაღლეტილები. უკვე მათ მიერ გაცემული კრედიტების წლიური განაკვეთი 24 პროცენტია და დამერწმუნებით, ამისთანა ზღაპრულ გარემოში მოხვედრილი ადამიანი მართლაც ყოველნაირად გონებადახშული უნდა იყო — ქვის ხანის თუ არა, დმანისის „ხომო გეორგიკუსის“ მოუხეშაობის მაინც, რომ ბიზნესის უშეღავათო არენაზე უგერ-გილობის გამო ჩაფლავდე, გაიფცქვნა, ჩამობეხრეკდე! გაცილებით მეტი ინვესტიცია ეფეშქაშება შპს „**JSC CHANNEL ENERY POTI PORT**“-ს — **13 300 000** ევრო, ნავთობის რეზერვუარებისა და ტერმინალის მუშაობის გასაჩაღებლად. ამ მონაკვეთში ჩვენი ჩამონათვალი კალეიდოსკოპურია, მაგრამ მკითხველი არ უნდა დაგვექანცოს, თან იმასაც შევახსენებთ, რომ აღნიშნული თანხები 1979-2002 წლებ-შია ათვისებული ზედმიწევნით. პარალელურად მიმდინარეობს ადგილობრივი მთავრობის ხელშეწ-ყობა, რომელიც ფაქტობრივად ხავერდოვანი რევოლუციის სარჩულია პოლიტიკური გაგებით — **1 000 000** ევრო □1997), **2 000 000** ევრო □1998). ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (**NDI**) და განათ-ლების განვითარების აკადემია (**AEP**) თბილისის საკრებულოს ასოციაციის ეროვნული და რეგიონუ-ლი ლიდერებისავთის **800 000** აშშ დოლარს გადმოისვრის. 1999 წელს ურბანული ინსტიტუტი (**UI**) მიწის პრივატიზაციისათვის, ფოთის პორტის რეკონსტრუქციისათვის ჯერ **2 600 000** აშშ დოლარს აბანდებს, მოვგიანებით — **3 500 000.**

გერმანია აქტიური დონორია საქართველოსათვის. გენშერის ქვეყანა მრავალჯერ გაგვიმართავს ხელს ბერლინის კედლის დემონტაჟისათვის. 1993-2001 წლებში გამოყოფილია ფინანსური დახმარე-ბა **297 350 000** გერმანული მარკის ოდენობით. ასევე დასახელებულ წლებში ამ ქვეყნიდან შემოსუ-ლია **52 380 000** გერმანული მარკის ტექნიკური დახმარება. ეს კოლოსალური ციფრია ჩვენისთანა მოციცქნული ქვეყნისათვის, მაგრამ ღორმუცელობით განთქმულებსაც აოცებს ჭიანჭველისხელა სა-ქართველოს უძღები მადა. ზღაპარ „ნახევარწიწილას“ გაუმაძღრობა მიგვიქარავს, იქით გორასა წიხლს რომ ხკრავს და აქეთ გორას ძვრას უზამს. ან უფრო ხატოვნად: ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ჭალას ჩიტი ჩამკვდარიყო, დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში არ კმარიყო. საყოველთაო გაკვირვებას იწვევს ამ ველური ხალხის სტომაქის გაბარიტები. აქ წმინდა გიორგისა და ამირანის საკვირველი მადიანობა სასაცილოდაც არ კმარა საბაზრო ეკონომიკის მსოფლიოსათვის: ცოტა კაცია ამირან, ცოტა სმა-ჭამა ეყოფა, სადილად ბუღა კამეჩი, ვახშმად არც სამი ეყოფა. წმინდა გიორგი ხარებს ნთქავს. ჩვენი ნუვორიში ქართველები კი პირის ერთი დაღებით ყლაპავენ ფარას, ნახირს, კოლტსა და რემას. ენერგე-ტიკის რეაბილიტაციის პროექტისათვის მსოფლიო ბანკი **52 000 000** აშშ დოლარს გადმოაპნევს 1997-2000 წლებში. მიზანი თითქოს გამჭვირვალეა — სურამის ციხესავით დაუსრულებელი „თბილ-სრესის“ სიმძლავრეების, გენერაციის გაზრდა, კომერციალიზაცია, პრივატიზაცია, მაგრამ სად არის „თბილსრესი“ და მისი ბლოკები? დემონტაჟებულია და ჯართად გაყიდული. ენერგეტიკის სტრუქტუ-რული გარდაქმნის პროექტი **25 000 00** აშშ დოლარს გამოხკრავს ხელს 1999-2002 წლებში სავალუ-ტო ფონდიდან, სოციალურად დაუცველი ფენების მიმართ მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მაგ-რამ ქართველი კაცი კვლავაც ცივი მჭადითა და ლობიოთი გადის იოლას. ენერგომატარებლების ტრანზიტის, ინსტიტუციონალური მშენებლობის პროექტი **9 630 000** აშშ დოლარს მოითლის ეჩო-თი, რომლის დასრულების ფაზა 2005 წელია; შუქი კი კვლავინდებურად მკაცრი გრაფიკითაც სა-ნატრელია სრულიად საქართველოში. ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტი **27 400 000** აშშ დოლარს ჩამოაჩხრიალებს ბამბასავით 2001 წლიდან და ეს ჩხრიალი 2006 წლამდე გაგრძელ-დება სათანადო დოკუმენტებით, მაგრამ სად არის სტანდარტული სიხშირე?! გადაეთუთქება მოსახ-ლეობას უთო, მაცივარი, ტელევიზორი, ნერვები. გაეროს განვითარების პროგრამით ენერგეტიკის სისტემებს 1996-1998 წლებში **55 000 000** აშშ დოლარი ჩამოუქარავნდება მზის თბური დანადგარე-ბის დამონტაჟებისათვის. **25 000 000** აშშ დოლარი შემოანათებს ჩვენში მეტეორივით დაბრკოლებე-ბის მოსახსნელად მცირე ხესების განვითარებაში და გარემოში თბური ბაზების ემისიის შესამცირებ-ლად. ტყვიის შემცველი ბენზინის ხმარებიდან ამოღების სახელმწიფო პროგრამა **335 130** აშშ დო-ლარს შეიწოვს. აქ კვლავ ფიგურირების №9 ენერგობლოკის მართვისა და ავტოსტაბილურობის სის-ტემის რეანიმაცია 1995-1999 წლებში 2 ეტაპად, რომელიც **30 000 000** გერმანულ მარკას შესანსლავს. ამასთან სველ წერტილებში ჩაირეცხება **13 000 000** გერმანული მარკა №10 ენერგობლოკის რეაბი-ლიტაციისათვის. ესეც არაფერი, **40 000 000** გერმანული მარკა მერამდენედ წაენაყება „თბილსრე-სის“ იმავე №10 ბლოკის აღდგენას, რომელიც იური გუგუჩიას თქმით, ქარისთვის გატანებული მილი-

ონებია. „ენერგეტიკა-4“ **14 500 000** მარკას მოაქუჩებს „თბილსრესის“ პოლიგონზე — აჯამეთის, ზესტაფონის, ქუთაისის ელექტროქსელების რეაბილიტაციის მოტივაციით. „ენერგეტიკა-5“ **25 000 000** გერმანულ მარკას უმიზნებს ქართული ენერგეტიკის ფსკერმორღვეულ ხომალდს თანადაფინანსების პირობებში და კიდევ **63 500 000** გერმანულ მარკას ვარციხესის 4 კასკადის მკვდრეთით აღსადგენად, მაგრამ ქართული ენერგეტიკა განა მართლაც მითიური ფენიქსია, რომ უარაფრობიდან აღიდგინოს დაფერფლილი სხეული? ამასობაში „საქართველოს მიკროკრედიტბანკი“ 1997-2002 წლებში **8 300 000** გერმანულ მარკას დაიგემოვნებს მცირე და მიკრო კრედიტების გასაცემად, საფინანსო ინსტიტუტების დასაარსებლად თუ კერძო პირებისათვის. აქედან **3 300 000** გრანტია, დანარჩენი — სესხი. ხომ არ გემცხეთება, შეგირდო ჩემო, საქართველოს შეღრუბლიანებული ციდან უცხოური ინვესტიციების თქლაშუნი? ამიერი- დან გამიჭირდება ნათელაშვილებისა და ხოხმა მიტუების დამსახურებად მივიჩნიო ეს ჯადოსნური საინვესტიციო ატმოსფერო. რომ არა ბატონ ედუარდ შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტი, თითსაც რომელი გაატოკებდა სიდუხჭირის ჭაობში ჩაყურყუმელავებული ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად? ძია სემი, პაპა ჰანსი, თუ დიდედა სელმა? ან იოტისოდენად შეიწუხებდა თავს მსოფლიოს რანგის პოლიტიკოსი ბეიკერი ქართული არჩევნების ბუღალტერიის ბალანსის შესაკრავად პროპორციით — 10+5+1. რაში იპიტნავებდა პრიმა მედიატორი მანხეტენისხელა ქვეყნის საყველპურო პრობლემებს, რომ არა ედუარდ შევარდნაძის სავარძლის ურყევლობის რეალობა? თუმცა შალვას და კიდევ მისთანა ყუმებს, თავიანთი დამსახურება ხგონიათ ბეიკერის ჩამოვაკება. ხოი, წარხოცილო საზრიანობავ! საარჩევნო კამპანიაში წარმომადგენლის ყოლა გამოკვეთილად დააფიქსირებს ერთხელაც ამ ინსტიტუტის გადამწყვეტ როლს ხმათა უდანაკარგო აღრიცხვიანობაში. თითქოსდა დაპურებულია ოპოზიციის მადა. ხოლო სააკაშვილისა და ნათელაშვილის პოლიტიკურ ჭინთვებს ახლავს საქართველოს მერმისისათვის ფრიად დამაფიქრებელი კონტურები: ნათელაშვილის სასამართლო პროცესებით შტურმებს „ეიესთელასელების“ წინააღმდეგ „რაოესელების“ აღმოცენება მოხყვება ზურგს უკან გადაგდებული სავარცხლიდან. მიშიკო მოშლიგინებს რტონაყარ რქებზე გამონასკვული ხუთჯვრიანი დროშებით. ნათელაშვილიც არანაკლები ქოლერიკია. საუბრისას ერთს რომ საპამპერსო დუჟი ერევა, ტუჩები ეღრიცება, მეორეს, მაგრამ ორივე მწერლური უცდომელი ალღოიანობით სანქცირებული ოპოზიციაა, უფრო ორგანიზებული ძალისაგან მართული, რომელსაც ახალი აზროვნების შემოქმედი ხქვია სახელად. ამ ვაჟბატონებს პაწუა წვერები რომ მიაწებო ნიკაპზე, იგივე „პოდბარადოკი“ რუსულად და „ბჟაკე“ მეგრულად, ხიტლერს თუ ვერა დონ კიხოტის ან ლენინის ჰაბიტუსს გამოხკრავენ ხელს სამომავლოდ: კონსტიტუციურად საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაში, გაკაპიტალისტებულ საქართველოში, სოციალიზმის ბუღს აყენებენ. ნაციონალიზაციით აშინებენ ოლიგარქებს და იმავე ნაციონალიზაციის ილუზიით მოისყიდან ელექტორატის მიამიტ ბუნებას; მაგრამ ეს ჭკუის კოლოფები წამითაც არ უფიქრდებიან ერთ გარდუვალ რეალობას — მსოფლიო კაპიტალის პლანეტა რამდენად მოითმენს სააკაშვილ-ნათელა- შვილის სოციალისტური მოდელის პუწკპშფ-ას?! ხომ მიაკერებენ მყისვე შუბლზე დინების საწინააღმდეგო მოჭყუმპალავე ტყუპის დამღას? ამ ბრალდებას თავის დროზე მათზე გაცილებით ნიჭიერი და ზნეობრივი გამსახურდიაც ვეღარ გადაურჩება ორკვირიანი პუტჩის დასამხობად. ან როგორ გინდა საბაზრო ეკონომიკის დიქტატის პირობებში სოციალური თანასწორობა აღადგინონ ამ მართლაც და ვრაცუა-ლენინებმა?! მათი პროგრამები ოკეანის გაღმა და კავკასიონს იქით ილამბება დაქცეული საქართველოს ბოლომდე გასაპარტახებლად. ჩამოართმევს დაგროვილ მილიონებს ნათელაშვილი ქართველ ოლიგარქებს და კაპიტალისტური მსოფლიოს ზეწოლით სოციალური თანასწორობის საარჩევნო კოვზი ნაცარში რომ ჩაუვარდება, მისდაუნებურად ლეიბორისტული იარლიყის ოლიგარქები დაიკაპიწებენ ხელებს ეროვნული სიმდიდრეების დასატაცებლად; გაცილებით მტკივნეულია ქართული ეთნოსისათვის სააკა- შვილის გამარჯვება, ვინაიდან ამ შემთხვევაში ეს სიმდიდრეები „საიდუმლო ავტონომიას“, „გვარნაცვალ საქართველოს“, „გაქართველებულ“ უცხოტომელებს გადაელოცება სამომავლოდ ჩვენი ჯიშ-ჯილაგის იავარქმნის საწინდრად.

თუმცა ისევ ენერგეტიკას დავუბრუნდეთ. „ფონდი სიცოცხლისათვის“ გრინვიჩის ნულოვანი მერიდიანიდან აწკარუნებს ზარებს ახალგაზრდობის ყურთასმენის გასამრუშებლად მასტურბაციის შტრიხებით. იგი, როგორც კერძო პირებთან, ისე ერთობლივად საქმიანობს სამოქალაქო განათლების მიმართულებით, რომელიც ფაქტობრივად მთავრობის ბურჯების ამოშლაა საორნოემბრო საპარლამენტო არჩევნებში. ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება ფინანსდება ვანის რაიონში. ასევე ხელ-ფეხი შეეხსნება რელიგიის თავისუფლბას დემოკრატიისა და სამართლის სექტორში ტექნიკური დახმარებებით. ფინანსდება ტელევიზია და რადიო „ფარვანა“, ჟურნალისტური გამოძიება „60 წუთის“ სკოლა 2002 წლის იანვრამდე. მიზანი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების

ხელშეწყობაა ადგილობრივ მედიაში იმ ნიჭერი ჟურნალისტების წარმოჩენით, რომლებსაც შეეძლებათ პოლიტიკური სისტემის მანკიერი მხარეების ზედმიწევნით გამოვლინება. დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი დაფარავს 2 კამერის შეძენის ხარჯებს. ამ მონაცემებში ფულადი სახსრები არსადაა ნაჩვენები. ჩამონათვალის ფონზე ეტყობა იმდენად ზორბაა მისი მოცულობა, კრებულის გამომცემლები გახმოვანებისაგან თავს შეიკავებენ. დავ- თარში **11 000 000** გაურკვეველი აშშ დოლარია, ევრო თუ გერმანული მარკა — აისბერგის წვეროსავით ბზინავს იგი, ხოდა, ველარაფრით დაადგენ კლეტკებიდან მომზირალი გოგიჩაიშვილის ადგილმდებარეობას, საპატიმროდან გვეღადავება თუ თავად ჩვენ, მოქალაქეებს, მიგვიჩნევს კორუფციის ცხაურის ტყვეებად. თუმცა ერთი რამ ცხადია, წლების მანძილზე, თვიდან თვემდე, კვირიდან კვირამდე თავსლაფი დაეღვარცოფება ქართული ცნობიერების დედაბოძ სიტყვაკაზმულ მწერლობას, ჩვენი სულიერი წონასწორობის ქვაკუთხედ ეკლესიას, განათლების სისტემას, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებს, ისე რომ, დასახელებული წუნწუხის დატევა უკვე თვით ჩონჩორიკით განთქმულ ავგიას თავლებსაც გაუძნელდებათ.

იაპონიის საზღვარგარეთთან თანამშრომლობის ფონდი (**OECF**) ენერგოსისტემის რეაბილიტაციის პროექტის განსახორციელებლად **45 000 000** აშშ დოლარს მოლალავს 1998-2004 წლებში არაშენდად წოდებული გარდაბნის ელექტროსადგურის დასაქვესკნელებლად. ამასთანავე თვალში საცემია „ეიესელებისთვის" სხვადასხვა დროს სამგზის ნაფეშქაშები **30-30 მილიონი** აშშ დოლარი. კეფაზე ბალნის წამომშლელია ამ სფეროში შემოსული ინვესტორის გაღლეტილობა. ოფშორულ სივრცეში **1000** დოლარად შპს (**LTD**) დაუფუძნებია ამ ჭკუათმყოფელს დრაკონული მოქმედების ნიღბად და ხვეტავს უცხოეთის ბანკებიდან გრძელვადიან, ლამის ნაჩუქარ მილიონებს ქართველი ერის სახელით. თავის დროზე სტალინიც ყელგადაგდებული იხვეწებოდა ინვესტორების შემოსვლას საბჭოეთში მიმზიდველი გარანტიებით, მაგრამ ქართული სინამდვილე ხომ აკვადრატებული სასწაულია მთლად. მკვდარი მკვდარს აეკიდაო, ამაზე თქმულა. მეტიც, მოდიან პროლეტარი ინვესტორები და კანში ვერჩატეულები გვტოვებენ ძვალტყავად ქცეულებს, გალანდულებს. ასპარეზზე სასამართლოების ყაყანით გამოსუქებული ინვესტორების გაძევების პრეროგატივა ლეიბორისტების ხელთაა. ხოდა, იმდენს გაიჭაჭებიან ისინი ბეიკერის საქართველოში ჩამოყვანის პრეცენდენტით, ძლივს 1 ადგილი გაუჩალიჩდებათ საარჩევნო კომისიაში გოდერძი ჩოხელის დაძმარებულ იერთან ერთად. მე კი, შეგირდო, ჩემო, სამშობლოსათვის დასაღვრელ სისხლს არაფრისდიდებით გამოვუშვებ ჩემივე ხელით. ამას ადრე თუ გვიან ჩინებულად მოახერხებენ ჩემი აბსტრაქტული მტრები „ფარული ავტონომიიდან", რომელთა სიყვარულს აკვნიდანვე ჩამინერგავს სიკვდილითა სიკვდილის მძლეველი უფალი იესო.

ფოთის პორტსა და „მიცუბიშს" შორის 1999 წლის 18 ივნისს ხელი მოეწერება კონტრაქტს: ა) ფოთის პორტში ახალი საკონტეინერო მშენებლობის გასაჩაღებლად, რომელი პროექტის ღირებულება **150 000 000** აშშ დოლარია. ბ) ფოთის პორტის მე-15 ტერმინალის რეკონსტრუქციაც ფრიად სოლიდური მოცულობისაა — **60 000 000** ამერიკული დოლარი. ეს ფინანსური მხარდაჭერა 10 წლიანია. წლიური საურავი — 2 პროცენტი. ამასთან ძირითადი თანხის 85 პროცენტს იაპონიის მხარე გაიღებს — **210 000 000**-ს, დანარჩენ 15 პროცენტს— ჩვენ, ქართველები — **26 მილიონს.** ამ ექვსნულოვანი ციფრების კორიანტელში ერთი ტრივიალური ანეკდოტი მახსენდება. მატარებლის კუპირებული ვაგონით მგზავრობენ ოთხნი: მეგრელი ზედა საწოლზე წამოწოლილა, ხოლო დაბლითანი — გურულები — აზარტულად თამაშობენ „ჩერეს". ბანკში გაქცეულ მანეთიანებს ჩამოდიან და მეგრელის „ასაყვანად" მილიონერებად მოაქთ თავი: „ორი მილიონი ჩემი", „ხუთი მილიონი ჩემიო". ყელში ამოუვა მეგრელს ეს აუტანელი გაბრეყვები და მოწუკურული თვალებით ეტყვის თანამგზავრებს: „პელიციილინზე თამაშობთ, ძამა?" არა, აქ უკვე პელიციილინზე როდი გაჩაღებულა ქართული ბანქო. აქ რეალური კაზინოა, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ნამდვილი სამორინე შოკური თერაპიისათვის ნიშანდობლივი პრინციპებით, ფორმულით — ვინ-ვის! ეგრე რომ არ იყოს, მოლენინო ნათელაშვილი პირველ რიგში მილიონერ ინჯიას ამოხკრავდა ჭიტლაყს სოციალური სამართლიანობისთვის მებრძოლი პარტიის რიგებიდან მოსასრიალებლად, რათა ქესეტა გოდერძი ჩოხელს წელგამართულს შეძლებოდა გუდამაყრელი დედაბრების ფეხბურთის მატჩის მაგვარი კინოლენტის გასცენიურება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წვლილი საქართველოში **470 000 000** აშშ დოლარია, რაც ძირითადად გამოყენებულია სახელმწიფოს საგადასამხედელო ბალანსის მხარდასაჭერად. მსოფლიო ბანკის კისერზე მოდის **640 00 000** აშშ დოლარი, საიდანაც სადღეისოდ **460 მილიონი** აშშ დოლარია დაგემოვნებული. ამ ბანკიდან ტრანსპორტელებს **38 000 00** აშშ დოლარი დაექუდბედებათ, ჯანდაცვა **19 700 000** აშშ დოლარს შეიშხაპუნებს ძარღვებში, სოფლის მეურნეობის სექტორი **15 000 000** მოიჭირნახულებს, კულტურა და განათლება **4 500 000** აშშ დოლარით ჩაიკოკლოზინებს ყელს,

ენერგეტიკა — **68 400 000**-ით ჩაიყორავს მუცელს, სასამართლო რეფორმა **13 400 000** აშშ დოლარით შეიქმნის უდანაშაულობის პრეზუმპციას, კერძო სექტორი 15 მილიონ აშშ დოლარს გაძვალავს კუდის რიკამდე. ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში გაეროს სააგენტოების მეშვეობით 1997-2001 წლებში (გაიხსენეთ ეს პერიოდი ვისი ზეობის ხანაა — ჟვანია-სააკაშვილისა) **30 000 000** აშშ დოლარს გადმოისვრიან ფერად ტივტივებიან ანკესებად უეროვნო სულების მისატაცებლად. გაეროს მსოფლიოს სასურსათო პროგრამა **2 300 000** აშშ დოლარის ეკვივალენტურ მოწყალებას გაიღებს ჭამაში მოსული ჩვენი მადის დასაკმაყოფილებლად. სოფლის მეურნეობას **36 200 000** აშშ დოლარს ჩაახეთქებს დაფჩენილ პირში. თანაც ფორმულირებას არ იკითხავთ? ,,ერთგვარად ირიბად უწყობენ ხელს ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდასა და სტაბილიზაციას''. ასევე საინტერესოა ჩინეთის დიდ კედელს გადმოღწეული **3 700 000** აშშ დოლარის სესხი, რომლის ათვისება 2006 წელს დამთავრდება და დაფარვის ვადა 2011-2021 წლებია. განსაკუთრებულია კუვეიტის გზების რეაბილიტაციის **პროექტი 25 000 000** აშშ დოლარის ოდენობით, რომელსაც სინდიყივით დაშლილი მეასფალტე ფირმები ნაჭერ-ნაჭერ ითვისებენ დარჩელის გადასარბენიდან მოყოლებული წითელი ხიდით დამთავრებული. ამ ხელისგამართვებს მიღმა ძირითადად სახელისუფლებო სტრუქტურები მოიაზრება. ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი გაზიმზიმებულია, აღარც გალაკტიონის პათეტიკური სტრიქონების მოშველიება დაგვჭირდება: **„რევოლუციურს, ჯერ არ ნახულს, ჯერ არ გაგონილს, ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებასო,"** მაგრამ როგორც უთვალავჯერ გვიჩვენებია, შენდება ხიდები ენგურზე, ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე; არშინობით, მტკაველ-მტაველ ასფალტდება საქართველოს ცენტრალური გზები თანამედროვე სტანდარტების დონეზე; და დედაქალაქის დანგრეულ გზებს რომ უსაყვედურებს ბორია სალარიძეს ნიადაგ ჩასაფრებული გრიგოლია, სააკაშვილისკენ მიუთითებენ სამართლიანად. მწყობრში დგება მეცხოველეობის კომპლექსები სენაკში, ბოლნისში; ორიგინალური აღნაგობა ენიჭება მინის ტარას; წელში იმართება ჯანდაცვის სისტემები დედაქალაქსა თუ პერიფერიულ საქართველოში: დიაგნოსტიკური ცენტრები, კარდიოლოგიური კლინიკები, ღუდუშაურის სახელობის ტრავმატოლოგიური ცენტრი; სენაკში, ზუგდიდში წლობით დავიწყებული ჩაის დაფასოებას შევუდგებით ამერიკელებისათვის; სენაკშივე ხალიჩების ფაბრიკას პროფილს შევუცვლით და მეღვინეობის მიმართულებას მივანიჭებთ; ახლებური შინაარსით იტვირთება მკვდრეთით აღმდგარი ქართული მრეწველობა, რომლითაც სამშობლოს გადარჩენა განუზრახავს მელუდე თოფაძეს. ,,ჯივეიესელები'' წითელი ჯიშის ყურძნისგან დამზადებული ოქროსმედალოსანი საფერავებით ახერხებენ კახელი მევენახის ცნობიერების შეცვლას კომერციულობისკენ; ქუთაისსა და დედაქალაქში ახლებურ სულს ჩავბერავთ მანქანათმშენებლობას, სამამულე ტრაქტორებს, სახაერო ლაინერებს. მიყოლებით აღმოვაცენებთ ტერმინალებს ყულევში, ფოთში, სუფსაში; ვაწყობთ მილსადენებს აზერბაიჯანული გაზ-ნავთობისათვის; საქართველოს ისტორიაში ვქმნით პირველ მიწახაპია გემ ,,ნიკოლაძეს''; საფუძველს ჩავუყრით კოსმოსური აპარატურის წარმოებას; აილაგმება კრიმინოგენური სიტუაცია; პურის გამთანგავი რიგები მოიხსნება თბილისის ქუჩებში, ის კი არა ეროვნული ხორბალის ლობირებისთვისაც მოვიცლით, რასაც ძუძუმტე ხუფენაშვილი შიდა ბაზრის დაცვას ეძახის. დაჭერილია ლარის კურსი. თავიდან ავიცილებთ 115-ლარიანი ხელფასის მაცდურ მომხიბვლელობას ,,საიდუმლო ავტონომიის'' მესვეურისგან ის კი არა, პირიქით, სეკვესტრირებულია ბიუჯეტიდან ის ზედმეტი თანხები, რომლისგან საარჩევნო ხმების გამოჩეკას იმედიანობს მავანი შემოდგომის დასასრულს; დაგვირგვინებულია ,,ტროას'' პროგრამა კახეთში; საკაცობრიო მნიშვნელობის აღმოჩენას ვიზე- იმებთ დმანისში: **2 000 000** წლის ,,ხჰომო გეორგიკუსის'' ქვედა ყბა მოედება ნიჩაბს, რომელი ნამარხი ეგზემპლარი ანთროპოლოგიურად ბევრად არ ჩამოუვარდება ჩვენი საპენსიო ასაკის ხალხის მდგომარეობას, ვინაიდან ეს უკბილო, მოფამფალებული ბერიკაცი საზოგადოების სრული თანადგომით სარგებლობს თურმე, გამორჩეულ პატივში ხყავს დიდოჯახს, თემს; აღარავინ წნავს მისთვის გოდრებს ხრამში გადასაჩეხად. დიახ, **2 000 000** წლის წინანდელ კავკასიაში არაფერი აქვს ბიბლიას ადამიანისათვის თავში სარაკუნებელი: ,,პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსაო''. ასე შემდეგ და ასე შემდეგ. თითქოს მოკრძალებული ჩამონათვალია ყოველივე აქ მოხმობილი ინვესტიციების უსიერში, მაგრამ არსებულს, რეალურს ვეღარსად გავექცევით. ახლა შევხედოთ მეორე არტერიით 1999-2002 წლებში შემოსული ეკონომიკური სიმძლავრეების განკარგვის საქმეს, რა ,,ქველმოქ- მედებას'' ხმარდება, რა აღმშენებლობას და ჭაპანწყვეტას? გვისაუბრია ,,ხუდონხესის'' დამარხვაზე. ეს გაცილებით ადრე გაითვლება ,,ფარული ავტონომიის'' სამართავი პულტიდან. არაფერს ვამბობთ ეროვნული პრიმატის იგნორირების თაობაზე ქართულ პასპორტში. მშობლიური ენის წართმევის გამო თავს რომ იკლავდა შუარუსთაველზე 78-ის ახალგაზრდობა, დღეს მასტურბაციის გაღმაოკეანურ გაკვეთილებს ეუფლება სოროსის წასისინებული ,,კმარას'' ხელცთუნებით. ეს ყველაფერი ნაკმაზი: ერთობ განსაცვიფ-

რებელი ფორმულირება შეუმუშავებია ასეულობით ანტიქართული კანონის შემოქმედ პარლამენტს: „ეროვნება ქართული“, რომლითაც ქვეტექსტურად მინიშნებულია ჩვენი ეთნიკური ერთეულის გარდუვალი დეკადანსი. ჩვენი ეროვნული ცნობიერება უსულო განზომილების, ჯოგის შინაარსის სივრცეშია მოსროლილი ნახმარი ჩვარივით.

□**NIS**) რეგიონალური გარემოს დაცვის საერთაშორისო სამეთვალყურეო საბჭოზე დასწრებისათვის გაუბედავი ნაბიჯებით ვიწყებთ ფეხის ადგმას — **34 494** ევრო. ეს მსვლელობა თანდათან მეტი ომახიანი შეიქმნება — **54 5000** ევრო — საერთაშორისო გარემოს დაცვის სატრეინინგო კონფერენციაში პარლამენტის მონაწილეობის მისაღებად. მალე მოწყალების ულუფა ერთ ციფრსაც წაიმატებს — **180 000** ევრო ევროპის გარემოს დაცვის საგენტოსთან თანამშრომლობისათვის. 1996-1997 წლებში შავი ზღვის გარემოს დაცვის ტასისი პროგრამის I-II ფაზისათვის **1 590 719** ევროა გაჩალიჩებული. 1997-1999 წლებში გარემოს დაცვის საერთო პოლიტიკის შემუშავება, აგერ, **4 817 686** ევრომდე ახუნტრუცდება უცებ. გარემოს დაცვის განხორციელება ახლად დამოუკიდებელ სახელმწიფოში□**NIS0)**, □მაგრამ დასადგენია, რა?) **3 360 000** ევროს ჩაიტკბარუნებს. ახალი დამოუკიდებელი ქვეყნისთვის გათვალისწინებული გარემოდაცვითი პოლიტიკა და ეროვნული გარემოდაცვითი სამოქმედო პროგრამა □**NEAP**) **1 300 000** ევროს გამოსწუწნის მასონური ძვლისგან, რომელიც უკვე მიმდინარე წლის თებერვალში სრულფასოვნად ათვისებულა. ეკოლოგიური ცნობიერების დამკვიდრებას და გარემოს დაცვის საინფორმაციო საშუალებების განვითარებას □იგივე მასმედია) **2 896 964** ევრო მიეფარცხება 1997-1998 წლებში. New Rec, დახმარება საქართველოში □I) **375 000** ევროს ტოლფარდია, რომელიც **II** ფაზაში **1 699 970** ევროს თასმას გადაევლება. ახალი რეგიონალური გარემოდაცვითი ცენტრის დაარსება საქართველოში □**Nev Rec**) — **3 383 000** ევროთი აიწურება საინვესტიციო დერეფანთან, თუმცა მალე შავი ზღვის გარემოს დაცვის პროგრამას **18 405** ევრო მიელამუნება; წყლის მიწოდების მართვას **93 360** ევრო დააწვიმს; კანონმდებლობის სრულყოფას **30 750** ევრო მიესწრაფმკერება (**FSF**). გარემოს დაცვის კონფერენციას **30 329** ევრო წაედესერტება. მოვილევთ ეკოლოგიურ ღლაბუცებს და უფრო შთამბეჭდავ საინვესტიციო ტალღებს ავაგორებთ ჰ ორიზონტზე: ეკოლოგიურ ცნობიერების დამკვიდრებას და გარემოს დაცვის საინფორმაციო საშუალებების განვითარებას □იგივე მას-მედია) **2 896 964** ევრო მიესილება. კვლავ **Nes Rec** — დახმარების პროგრამები საქართველოში — ჯერ **37 5000** ევროთი დაგვამწყალობნებს, შემდეგ დაცული ტერიტორიებისათვის **1 699 970** ევრო დაიჯავშნება. მსოფლიო ბანკიდან ტყის გაშენებას და რეკონსტრუქციას □როცა ამ ორგანიზაციების ზეწოლით და წაქეზებით გაუგონარი მასშტაბებით ნადგურდება ჩვენი მამაპაპური უღრანები), **15 700 000** აშშ დოლარი მოეფრქვევა. იგივე მიმართებებია: ვაშლოვანის ტყეპარკის, ლაგოდეხის, ბაწარას ნაკრძალების, დავით გარეჯის დაცული ლანდშაფტის □**EV**) გაჯანსაღებას **8 700 000** აშშ დოლარი მიეშხაპუნება. აქვე ყურადსაღებია ვაშლოვანში გათვალისწინებული 6 მეგავატიანი ხიდროელექტროსადგურის ბლოკირების მცდელობები მწვანეთაგან, როცა ლაგოდეხის მაჟორიტარობის ერთ-ერთი პრეტენდენტის ბატონ ლაშა ნაცვლიშვილის თქმით, თურმე იქ ხუთიოდე ხე მოიჭრება მხოლოდ. ზავი ზღვა, გარემოს დაცვა, მეტყევეობა, დაცული ტერიტორიები **700 000** ევროს აიკალთავებს □1995-1996). შავი ზღვის ეკოლოგიური პროცესების შესწავლა, **32 590** ევროს გამორიყავს საქართველოს კუნძულზე; შავი ზღვის საკანონმდებლო პროექტი **23 333** ევროს; გარემოს დაცვის კანონმდებლობა და პოლიტიკა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოში **50 000** ევროს მოჭანგავს. შავი ზღვის დაბინძურების მონიტორინგის ზრდა □**NIS**) **149 236** ევროს მოიმწყვდევს კლანჭებში; პროექტის მომზადებისა და შეფასების შესწავლა **1 274 526** ევროს დაახაფანგებს; გარემოს დაცვის სამოქმედო პროგრამის სემინარები **95 000** ევროს მოაშთობს. შავი ზღვის გარემოს დაცვის კონცეფცია **110 000** ევროს შემოინაკადებს. შავი ზღვის სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი □1998-2001) **5 700 000** აშშ დოლარს მონიჩბავს. ამაში შედის კოლხეთის ეროვნული პარკი, ქობულეთის ნაკრძალი, სადაც პრეზიდენტის ხელმოწერილი კანონით (2000) ვერანაირი მანქანით შეხვალ, ნებისმიერი საქმიანობა გეკრძალება, თევზჭერით დაწყებული შეშის დამზადებითა და მესაქონლეობით დამავრებული. მომზადებულია უკვე პროექტი კანონში ცვლილების შესატანად, სადაც ადგილობრივ მაცხოვრებელს ხვნა-თესვის გარდა პრიმიტიული საქმიანობის ნება ეძლევა. ათიოდე ეკოლოგიური ოაზისი საქართველოში, რომელთაგან მარტო კოლხეთის ეროვნულ პარკში **44 313** ხექტარია მოქცეული □**15742** ხექტარი ზღვის აკვატორიაა), და არსებითად ამ სივრციდან საქართველოს მარჩენალი გლეხიკაცის გამოძევებას ემსახურება, ჟვანიასეული „მწვანეების“ მეორე ხუდონიზაციაა ჩვენი სახელმწიფოებრიობის მოსაშლელად, მაგრამ მოვლენების კვალდაკვალ ინვესტორები უკვე თვით ხუდონსაც დაადგამენ თვალს და ეკოლოგიურ ოაზისებსაც მიზანმიმართულად გამოვიყენებთ, ალბათ, საქართველოში ტურიზმისა და ენდემური ჯიშების ურთიერთშეთანხმებული მოქ-

მედებით. ფოთის პორტის რეკონსტრუქციისა და ტვირთზიდვის რეორგანიზაციის მხოლოდ შესწავლას **472 831** ევროს ტექნიკური დახმარება გაეწევა. სანაოსნო უსაფრთხოების ღონისძიებებს ფოთსა და ბათუმის პორტებში **1 000 000** ევრო ამოუსხმარტალდება მოსროლილი ბადიდან. საქართველოს პორტებში ახალი სატერმინალო საშუალებების ტექნიკურ-ეკოლოგიურ შესწავლას **1 500 000** ევრო ჩაუცვივა ცარიელ ტრიუმებში. საზღვაო კავშირს ფოთი-ილიჩოვსკის **15 000 000** ევრო გაუჩახჩახდება თვალწინ ილიჩის ნათურასავით. შავი ზღვის გარემოს მართვის პროგრამა **50 000** ევროს დაკვამპავს. **620 000** აშშ დოლარი შეეყრება ცერცვად გარემოს დაცვის სამინისტროს შესაძლებლობათა გაფართოების კედლებს □1998-2002). **875 300** აშშ დოლარი აქროლდება მშრალი და ნახევრადმშრალი ეკოსისტემის კონსერვაციისათვის □1999-2002). ტასისისა და შავი ზღვის გარემოდაცვითი პროგრამებისათვის **979 204** ევროა დაიალქნებული. ახალი გარემოდაცვითი რეგიონალური ცენტრის დაარსების ხელშეწყობა. **383 000** ევროთი იზეიმებს ახალმოსახლეობას. მდინარე მტკვრის მართვა, რომელიც ფეკალური მასის ფეხადგმული ავგიას თავლაა, **4 000 000** ევროს დარახტავს შთამომავლობის ,,კმარას'' საჭიხვინებლად. ახალი გარემოდაცვითი რეგიონალური მექანიზმისათვის, **4 250 000** ევროა მიჭახნაკებული: ინტელექტუალური საკუთრების დაცვას ჯერ **300 000** ევრო დაუსეიფდება, შემდგომ — **2 500 000.** აღარც მასმედიაა დავიწყებული საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსარგალების გზაზე: **120 000** აშშ დოლარის დახმარება გაეწევა ჩვენი ყურთასმენის გასარუმბებლად რადიოსადგურ ,,მწვანე ტალღას''. შვიდი არასამთავრობო ორგანიზაცია დაფინანსდება **10 000 — 10 000** აშშ დოლარით მამულის საძირკვლის მოსაშლელად. ჟურნალისტთა კადრების მოსამზადებლად, ქართველი ხალხის გამოსაბენტერებლად 1995-1996 წლებში **154 112** ევროა გაღებული. მოგვიანებით იგი **200 000** ევრომდე გაიზრდება. გარდამავალი ქვეყნების მედიის დასაპურებლად **250 000** ევრო შექუჩდება. ჟურნალისტთა ტრეინინგის პროგრამა **196 078** ევროს დაისაკუთრებს. ტასისის სახელმწიფოთაშორისო პროგრამების ეგიდით მიგრაციის სფეროში, ფაცერები დაეგება არასამთავრობო ორგანიზაციათა მომძლავრებას — **199 998** ევრო. დემოკრატიისა და მშვიდობის პროგრამა **151 805** ევროთი შეასწავლის ფართო აუდიტორიას შავის თეთრად წარმოჩენის იშვიათ ტრიუკებს; კვლავ ტასისის პროგრამების ციკლია: **499 868** ევრო**, 3 200 000** ევრო, **2 500 840** ევრო, **5 000 000, 139 000** ევრო □1998-1999). ამ მიმართულებით შემდგომ და შემდგომ უფრო გაბევრდება არასამთავრობო სექტორების მეშვეობით ქართული ცნობიერების მაქსიმალური დეგრადირების საქმე: **1 999 955** ევრო, **27 000 000** ევრო, რომლის ნაწილი 2001-2002 წლებშია გაიმასქნებული და საბოლოო გაიმასქნება 2005 წელსაა ნავარაუდევი. დასახელებულ კრებულში 6 მსგავსი ხასიათის პროექტის დაფინანსების ფულადი მოცულობა საერთოდ მითითებული არ არის. სავარაუდებელია, რომ ერთობ ზორბა მოცულობა გააჩნია მისაჩუმათებლად. ღმერთმა უწყის კიდევ რამდენი რჩება კრებულის მიღმა, მარგინალურ ველზე შემოვლითი, ირიბი გზით მიღებულ-განაღდებული, ჩაჯიბული შვილობილი ფირმების ანგარიშზე დალექილი საბანკო ოპერაციებით?! ყველაფრის გათვალისწინებით თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ მილიონი სამუშაო ადგილი მართლაც გაგვიჩალიჩებია მოსახლეობისათვის, ოღონდ არასამთავრობო ოფისებში გასალაღებლად. მასმედია ამ მხრივ თვალშისაცემად პრივილეგირებულია. 16 გვერდიანი **A**-3 ფორმატის გაზეთი არათუ 20 თეთრად, 50-ადაც რომ გაიყიდოს ტირაჟის 100 პროცენტით, იგი გაწეულ ხარჯებს სანახევროდაც ვერანაირად აინაზღაურებს. იბადება კითხვა: მაშ, საიდან, რა მანქანებით ახერხებენ ეს გამოცემები განუწყვეტელ სეირნობებს პრესის გამავრცელებელი ჯიხურების დახლებზე, მეტროებში, სათავყრილობო ადგილებზე, ქუჩებში? ან ვინ მიაშავა მათ ფული სახელმწიფო პოლიტიკისადმი გააფთრებით აყფეფბული ტელეკომპანიების ცერბერული მადის დასაკმაყოფილებლად?! ,,ღამის მზერის'' წამყვან ინგა გრიგოლიასთან საუბარში სახელმწიფო მინისტრი უნებლიეთ გააჟღერებს **52 მილიონი** დოლარის მოღვარძლებას თავისუფალი სიტყვის იმიჯით შემოსილი ტელეარხების აღვირახსნილობის წყაროდ. ეს თანხა ,,ცოტა მეტი ხომ არ არისო'', ბრძანებს ბატონი ავთანდილ ჯორბენაძე და კინელოგიური მიდრეკილებების ჟურნალისტს ჩვეული ომახიანი ნირი შეეცვლება. მეტი სიფერმკრთალე მიეძალება ამ ნიჭიერი კომენტატორის ღაწვებს ლევან მამალაძესთან დიალოგში, როცა ზედმიწევნით დაუსაბუთდება სიტყვის თავისუფლებას მოფარებული ტელარხების ანტისახელმწიფოებრივი ქმედებანი. ,,ახვერსიელები'' თავზე ნაგავს უპრობლემოდ აყრიან ქვეყნის პრეზიდენტს. ,,24-საათელები,, მამფალ რუსთაველს ლაფში ათრევინებენ კომედიანტ სტურუას და საშექსპირო დაფნის გვირგვინით ამკობინებენ თამარ დედოფლის წამბილწველ, მოძრაობა ,,კმარას'' აქტივისტ ლაშა ბუღაძეს. ,,რუსთავორელებისა'' და სხვათა დამსახურებების თაობაზე გვითქვამს...

***

ამგვარი ინფორმაციით გულგასენილი დავიარები წალენჯიხის რაიონში.

ბეტონის ქარხანასთან შუქრი ქირიას ფეშენებლური კოტეჯი იავარქმნილა.

იქ ახლა კამაზების სიმრავლეა. ხრეშით იტვირთება თვითმცლელები და მიყოლებით დაწალიკ-დებიან ფოთის ტერმინალის მიმართულებით.

ფოცხოში ხელმეორედ მოვიპოვებ საჭირო ინფორმაციას ენგურხესელებისგან. თაღოვანი კაშხ-ლის ძაგძაგსაც ვესტუმრები მერამდენედ.

სანუგეშოს ვერაფერს ვეტყვი ჯონი ჭანიას ბიჭებს. ისინიც ნირწამხდრები დამემშვიდობებიან.

ახლა ჩემი მეგზური ყირმიზი სახის რუბენ შეილიაა, დათა თუთაშხიას პროტოტიპის, შიკუს , მოგვარე. ორხიდიანი მანქანით მივუყვებით კაშხალის გასვწრივ წაკლაკნილ გზას. რუბენი მონადი-რე კაცია. ისეთი სხარტი ენით დაუჯილდოვებია განგებას, პეროვის პერსონაჟები მიმიქარავს. დას-ჭირდეს, ფეხის გულსაც კი უპრობლემოდ მოიფხანს მისით. ორლულიანს მიფეშქაშებს სიტყვით, მაგრამ ენგურსგაღმა გამოქვაბულში შეუნახავს იგი, ბრეზენტის ნაჭერში საგულდაგულოდ შეხვე-ული.

— გინდა ფუტკარი გყოლია და გინდა ავადმყოფი, — სხაპასხუპით ამბობს რუბენი და საჭეს ჩაფ-რენილს ღმუილით მიხყავს მანქანა ბეტონის გზაზე, — მისი გამრავლება სწრაფად ხდება. აფხაზეთი ომი ხომ იცი, იქ ერთი მთაა, თეთრზე თეთრი, ფრიალო. ომამდე აფხაზეთში მეფუტკრეობა კარგად იყო განვითარებული, მაგრამ როცა იქაურობა ჯოჯოხეთს დაემსგავსა, ფუტკარმაც თავს გაქცევით უშველა. აქ, კამაწაწას გამოქვაბულებს შეეფარა. ახლა თაფლი გამოდი კლდიდან. ჩემი თვალით მი-ნახავს ყოველი. ტონობით დევს იმ მთაზე თაფლი. წარმოგიდგენია, 5 კილომეტრის სიგრძისაა და-ლოცვილი. აი, საშენო თოფსაც იქ ვინახავ.

ერთხანობას მეფუტკრე კოჩია ქარდავაზეც ვისაუბრებთ, რომელიც წლების წინ გარდაცვლი-ლა და ახლა ხუბერში მისი მეუღლე და შვილები განაგრძობენ. საშვილიშვილო საქმეს.

უკვე ჯვარიდან მეთვრამეტე კილომეტრზე ვართ, სადაც ჯოღორნაშურა შეერევა ჯალარს და თვალწარმტაცი ჩანჩქერი ჩნდება.

— თევზი ამას იქით ვერ მიდის, — მიხსნის ისევ რუბენ შელია გამალებული საუბრით, — ზევით წასვლა რომ შეეძლოს, მაგანის სათავესთან, დაახლოებით 42 კილომეტრში ტობავარჩხილამდე ააღწევს, მაგრამ მაგისი პირობები არა აქვს. ხელის წაშველება საჭირო, დაიჭირო უნდა და გადა-ალახვინო ჩანჩქერი. გადაუჭარბებლად გეტყვი, სამი წელიც საკმარისია, თევზი თმასავით მოხშირ-დება. იქ ტყობაჩის ნაკრძალია, არაჩვეულებრივი, საოცარი ადგილი. პარმენ როგავა იყო მაგის ხელმძღვანელი. კომუნისტების დროს საკუთარი თანხებით ირემი, გარეული ღორი მოაშენა. მალე ისე მომრავლდნენ, ისე მოშინაურდნენ, ხელით ვაჭმევდით საჭმელს. ახლა მხოლოდ ოთხი ღორია და ორი ირემი, თუ ისინიც არ ამოხოცეს. ტობავარჩხილი უნიკალური ტბაა. ჯვარიდან ოცდამერვე კილომეტრზეა. მაგანას ტოტი გამოდის იქიდან. სიგრძე კილომეტრნახევარია, სიგანე კილომეტრი. სიღრმე არავინ იცის. ისეთი ცივია, წყალქვეშ ვერცერთი არსება ვერ ძლებს. ეს არის სუბალპურ ზონაში, ზღვის დონიდან 3500 მეტრზე, გამსახურდიას დროს იყვნენ იაპონელები, გერმანელები. წყლის სინჯი გააკეთეს. მე ნავებით შევიყვანე ისინი. წყალი ლაბორატორიული გამოქვლევის შემდეგ არაჩვეულებრივი გამოდგა. ხოდა, გამოთქვეს სურვილი, რომ ამ წყალს გამოიყვანდნენ სპეციალური მილებით, სამი წლის განმავლობაში რეალიზაციას გაუკეთებდნენ და ამის 30 პროცენტს რაიონს და უტოვებდნენ. მაგრამ მერე ქვეყანა აირია, და მას აქეთ ვართ კიდეც ჭაობის ფსკერზე, განუკით-ხაობის ხახაში. ხელშეუხებელი მარტო კვაკვა დარჩა. სხვაგან უსულგულოდ განადგურდა ტყე. წაბლის ნასახი არ დარჩა ქუაუჩაში, ტყავაშაში, ყველა მოხერხებულ ადგილას აკეთებს სახერხს. სვანეთის ტერიტორიაზე მოქმედი სახერხი 50-იდან ასამდეა, სულ კერძო. ჯვარში თხუთმეტია, კვალის დაფარვის მიზნით ნახერხს პირდაპირ ენგურში ყრიან რითაც თევზი პირწმინდად განად-გურდა. რანაირი მეთოდით არ იჭერენ თევზებს, დენით, პილიკანით, დინაპიტით. თუ რომელიმე თევზმა გაქცევით თავს უშველა, ის მაინც ვერ გამრავლდება. ენგური კალმახით იყო განთქმული და დღეს ამ ნახერხების თუ გაუმაძღარი ბრაკონიერების წყალობით თევზი განადგურებულია.მთელი ორი დღე შემომატარებს რუბენ შელია წყალსაცავის მიდამოებს.მომდევნოლ პარასკევს წალენჯი-ხის რაიონის გამგეობის შენობასთან დაკავშირებით.

— წალენჯიხაში 12 სოფელია, ყველა კოლორიტული, ცნობილი ხალხის ობადიში, მაგრამ ჯვარი გამორჩეულია, ვინაიდან თაღოვანი კაშხალი აქ არის გაშენებული, — ამბობს რაიონის გამგებელი რო-ბერტ კაჭარავა, — თავიის სპეციფიკიდან გამომდინარე წალენჯიხა შეიძლება ენერგეტიკოსთა რაიონადაც ჩაითვალოს. ჩვენ მცირემიწიანი მხარე გვეთქმის, რადგანაც არსებული ტერიტორიის 70 პროცენტი ტყეს უკავია. ჭანის წყლის სათავეებში უღრანები მართლაც უსულგულოდაა გაჩეხილი. ადრე საქვაბეები ნახ-

შირზე მუშაობდა. ეს ყველაფერი მოიშალა. ახლა საბავშვო ბაგა-ბაღები, სკოლები, 9 000 ოჯახი შეშით თბება, რაც უმძიმეს ტვირთად აწვება ტყეს. ტყეს თავისი ფუნქცია უნდა დაუბრუნდეს, ხის მოჭრა კვლავაც გაგრძელდება, მაგრამ — კანონიერად. წალენჯიხაში არის ერთი, ორი ისეთი სახერხი, რომელიც ენგურის პირასაა გაშენებული. ასევეა წყალსაცავის ქვემოთაც, შენი მეგზური მონადირის მოგვარეს რომ ეკუთვნის. ხოდა, რომ დამალონ თუ რამდენი ხე-ტყე მუშავდება, ნახერხი მთლიანად მდინარეშ იყრება. ასეა საქმე და კატასტროფულად ნადგურდება თევზი. რაც შეეხება თავად თაღოვან კაშხალს, 70 პროცენტით ავსებს იგი ჩვენს ბიუჯეტს. ჩვენ იქიდან ყოველთვიურად მარტო ქონების გადასახადი 80 ათასი ლარი გვეკუთვნის, მაგრამ ცენტრიდან ვეღარც ისინი იღებენ კუთვნილ ფულს, და აქედან გამომდინარე, ჩვენც ცარიელ-ტარიელზე ვართ. ენგურხესის უნიკალური კაშხალი ჩვენს ტერიტორიაზეა და რაიონმა უნდა გამოიყენოს მისი პოტენციალი ამასწინათ პრეზიდენტს იდეა შევთავაზეთ და დაგვთანხმდა, რომ რაიონმა მიიღოს ელექტროენერგია თვითღირებულებას პდლუს 1,2 თეთრად. ასეთი იაფი ელექტროენერგია კარგი გარანტია იქნება ინვესტორების მოსაზიდადა, აღდგება ინფრასტრუქტურა და შიმშილის ზღვრამდე მისული მოსახლეობა შვებით ამოიოსუნთქავს.

საუბრის მიწურულს ქვემოთ მომლოდინე მამა-შვილი შანავები გამახსენდება.

— ჯერ კიდევ ოთხმოცდათხუთმეტში დიდი წარმატება ვუწინასწარმეტყველე მოჭადრაკე ბიჭუნას. მე ამას ანთროპოლოგიური მონაცემებით ვსაზღვრავ ხოლმე. სურვილი ერთია, მაგრამ ასეთი მწირი ბიუჯეტით როგორ გინდა მოხეთქილ გენიას ხელი გაუმართო? — ვეტყვი და გამომცდელა მივაჩერდები გამგებელს.

— კოკა შანავასთვის მეორე წელია ხონორარის სახით ყოველთვიურად 150 ლარი მაქვს დანიშნული. ბიუჯეტის ასიგნებიდან გარკვეული თანხაა ყოველთვიურად 150 ლარი მაქვს დანიშნული. ბიუჯეტის ასიგნებიდან გარკველუი თანხაა გამოყოფილი. ამგვარი საუბრებით დავეშვებით კიბეებზე.სიმაღლეში წასულა წალენჯიხელი მოჭადრაკე. სხეული შემოუბერტყავს. პროფილი ღვთაებრივ შთაგონებას დაუშარავანდედებია. ამ რვა წელიწადში უამრავი ბარიერი გადაულახავს. ესპანეთში გამართულ შარშანდელ ტურნიის დეტალებზე ჩავეძიები.

— ძლიერი შემადგენლობა იყო, — გენიოსის შთაგონება აულანძავს სახეს, — მე ვიყავი 22-ე სასტარტო ნომრით. თავიდან საქმე კარგად ვერ აეწყო. მესამე პარტიაში დავმარცხდი. აუცილებლად მჭირდებოდა სამი ბოლო პარტიის მოგება. ვხვდებოდი სამ უძლიერეს მოჭადრაკეს. ძალების მაქსიმალური მობილიზებით გადავლახე ეს საზღვარი. ბოლო მეთერთმეტე პარტიაში რუს ალექსეევს ვაჯობე, რომელიც დიდოსტატია და 250 ფუნტით აღემატებოდა ჩემს რეიტინგს. ყველაფერმა მაღალ დონრეზე ჩაიარა. სასტუმრო ხუთვარსკვლავიანი გახლდათ. სათამაშო პირობები— იდეალური. ესეც რომ არა, იქ ხომ ბასკეთია და სამშობლოს კედლები ცოტას ნიშნავს განა?!

— ხო, სისხლის ყივილმა იცის ეგრე, — მეცხრე ცაზე ვარ სიხარულისგან, — ისევ გულიკო ხარჩილავამ დაგაფინანსა?

— ამჯერად არა. საქართველოს ჩემპიონობა მოვიპოვე იმ წელს და აქედან საგზურით გამიშვეს. მატჩი 11 ტურად ჩატარდა, სულ ცამეტი დღე დავრჩით ბარსელონაში.

— შენი რეიტინგი დღითი დღე იზრდება და მერწმუნე, შვილის წარმატებასავით მახარებს, ვუღიმი მსოფლიო ჩემპიონს 16 წლის ვაჟთა შორის.

— მჯერა, — გულწრფელია ჭადრაკის ლაკადელი გენია, — თქვენმა გზის დალოცვამ ჯერ კიდევ რვა წლის წინ შემასხა ფრთები. საქართველოს ახლანდელი ჩემპიონატი მე ბრწყინვალედ ვითამაშე. შვიდიდან შვიდი ქულა მქონდა. ბოლოს ორი პარტია ყაიმით დავამთავრე და პირველ ადგილზე უმტკივნეულოდ გავედი. ბატონმა როინ მეტრეველმა უნივერსიტეტში უგამოსცდოდ მიმიღო, საერთაშორისო ეკონომიკურ ფაკულტეტზე. ქვეყნის პრეზიდენტმაც თავისი სახელობის პრემია დამინიშნა.

— ჯერ სად ხარ, — ვაქებებ დამსახურებისამებრ, — კიდევ ორი-სამი წელიწადი და მთელი საჭადრაკო სამყარო შენს ფეხრთით აღმოჩნდა. შენ ხომ ლაკადელი ხარ, ძმისშვილო, მსოფლიოს მერევე საოცრების — ენგურხესის თაღოვანი კაშხალის პირმშო და მემკვიდრე!

ქართული ენერგეტიკის დედაბოძი

დაბა ჯვარამდე ჯაბახანა ტაქსით მოღწეული, ორხიდიან „ნივაში“ გადავჯდები და ორიოდე წლის წინათ გალარული ხიდით ფოცხოსკენ წაკლაკნილ გზას დავადგებით.

თაღოვანი კაშხალის პერსონალი მაქსიმალურად მობილიზებულია. წლებს თავისი გაუტანია მაინც, ხუჭუჭი თმა შემოდგომის ქარებს გახყოლია. წერწეტი სიარული დაზმორებულა. თითივით

გალოკილები დაწვრილშვილებულან.

მიყოლებით ჩავიწერ ენგურხესის — მსოფლიოს მერვე საოცრების შემოქმედი ხალხის საუბრებს.

კლდეზე მცოცავთა ბრიგადის ხელმძღვანელის, ნეგუს აკობიას იერი და მიმოხვრაღა მეცნაურება იმ ერგასეული დამხდურისაგან.

უნიკალური თაღოვანი კაშხალისკენ მივემართებით. იქ გადავიღებთ სამახსოვრო ფოტოებს. ხოლო ამ წერილის შეპირებული მონაკვეთისათვის შ.პ.ს. „ენგურხესის თაღოვანი კაშხალის“ დირექტორ ბატონ ჯონი ჭანიას მონათხრობს შემოვიშველიებ, როგორც ყველაზე კომპაქტურს და მიზანმიმართულს საგაზეთო მოთხოვნილებით.

— გვარი ჭანია რამდენადმე ახლობელია ჩემთვის, როგორც შემოქმედისთვის, მწერლისთვის, რადგანაც ჩემი წიგნები მისნაირი ხალხით დასახლებულა.

— თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დავამთავრე 1979 წელს □ახლახან — უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობა), მას შემდეგ ვმუშაობდი ენგურხესის კაშხალის მშენებლობაზე, სხვადასხვა ობიექტზე. დედ-მამა პენსიონრები არიან. მყავს ერთი ძმა. მხატვარია, დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. მოღვაწეობს მოსკოვში. მყავს მეუღლე, დარეჯან დადიანი. ორი ვაჟი — თენგიზი და ჯონი. ვცხოვრობთ ჯვარში, ენგურხესის თაღოვანი კაშხალის სიახლოვეს. ვიყავი სამთო ოსტატი. შემდეგ — სამუშაოს მწარმოებლად, უბნის უფროსად ვმუშაობდი ენგურხესის თაღოვან კაშხალსა და ხუდონხესის მშენებლობებზე.

კაშხალის მშენებლობის პერიოდში, 89-ში აშშ-ში მიმიწვია ფირმა „როტეკმა“, რომლის დანადგარებს ჩვენ ვუწევდით ექსპლუატაციას. ამერიკელებიც დაინტერესდნენ ექსპლუატაციის პერიოდში გამოვლენილი დადებითი თუ უარყოფითი მხარეებით. მოვახსენე ჩემი დაკვირვების შედეგები და, წარმოიდგინეთ, რომ ჩემი შეთავაზებით მექანიზმებში რამდენიმე ცვლილება შეიტანეს.

სამუშაოდ დარჩენა შემომთავაზეს, მაგრამ იმ დროს ამეებზე ფიქრიც ზედმეტი იყო. საქართველოში მე ჩემი საქმე, ჩემი გეგმები მქონდა.

86-ში ჩერნობილის ატომური სადგურის ავარიის დროს ჩვენი მშენებლობის ტრესტის მმართველმა მიხეილ ცისკარიშვილმა მოსკოვიდან დეპეშა მიიღო: სამ დღეში უნდა გადაგვეტანა ამერიკული დანადგარი ჩერნობილში.

— რატომ? ჩემთვის რაღაც ბუნდოვანია.

— იმიტომ, რომ ამ მოწყობილობით იქ უნდა დაგვებეტონებინა პირველი რიგის სარკოფაგი. ტრანსპორტირება უმოკლეს დროში მოხერხდა. მე ვიყავი პირველი ქართველი, ვინც ქალაქ ჩერნობილში ჩავიდა.

ჩვენი მოწყობილობა ადგილზე დამხვდა. შევუდექით მუშაობას, და ის კედლები დავაბეტონეთ.

უკრაინის მთავრობამ დაგვაჯილდოვა მედლით „ატომური ელექტროსადგურის ავარიის ლიკვიდაციისათვის“. დეზაქტივაციის შემდეგ უკან ჩამოვიტანეთ ჩვენი დანადგარი და გავაგრძელეთ ხუდონხესზე მუშაობა.

— ბატონო ჯონი, ხუდონხესზე ვიყავი და ვიცი, რომ ათობით მილიონი მანეთის სამუშაოები იყო იქ ჩატარებული, ეროვნული მოძრაობის ერთმა ფრთამ, ძირითადად, „მწვანეთა პარტიამ“ მის წინააღმდეგ გაილაშქრა და მშენებლობა დავაკონსერვეთ.

— 89 წლისთვის ხუდონხესზე კარგი ტემპი გვქონდა აღებული, მშენებლობის მიწის სამუშაოების 90 პროცენტი დამთავრებული იყო. ორი წელიწადი მუშაობა ამ ტემპით რომ გაგრძელებულიყო, ხუდონხესის ნაწილობრივ ექსპლუატაციაში გაშვებას მოვახერხებდით... და ზამთრის პირობებშიც კი ენერგოდეფიციტი მოიხსნებოდა, ზამთარშიც ელექტროენერგიას საზღვარგარეთ გავყიდიდით.

— ხუდონხესზე ჩატარებული სამუშაოები ნუთუ, მართლაც, წყალშია ჩაყრილი?

— თუ გაგრძელდა მშენებლობა, ადრე გაკეთებული წაგვადგება. მაგრამ, ცხადია, დიდხანს მისი ასეთი სახით დატოვება არ შეიძლება: კლდის მასივი, რომელიც გაშიშვლებულია და ერთგვარად იცავს ბეტონის საფარს დაშლისა და კოროზიისაგან, ირეცხება, ფუჭდება. ამიტომ სასურველია, რაც შეიძლება მალე გაგრძელდეს მშენებლობა. უბეტონოდ ფილტრაციული წყლები ჟონავს და ეს უარყოფითად მოქმედებს მოშიშვლებულ ნაწილზე.

მიწისქვეშა სამუშაოები თითქმის დამთავრებულია: წყალმიმღები, სამანქანო დარბაზი, გამწოვი მილი, საამშენებლო გვირაბი დღესაც ფუნქციონირებს, შეიძლება პატარა რემონტი დასჭირდეს. დაკონსერვების წინ ძირითადი სამუშაოები თითქმის დამთავრებული იყო, რჩებოდა მარტო ტურბინების მონტაჟი და წყალმიმღების, სამანქანო დარბაზის დაბეტონება.

— „ხუდონხესი“ თუ არის რაიმე იურიდიული პირის სახით დაფუძნებული?

— კი, როგორ არა. იგი ეკუთვნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „საქენერგოგენერაციას“. ხუდონხესის დირექცია არსებობს დღესაც და მისი დირექტორია ზურაბ ფიფია.

— მოდით, ახლა ენგურხესს დავუბრუნდეთ.

— ენგურხესი თავისი პარამეტრებითა და განლაგებით უნიკალურია. ეს არის სათავე ნაგებობა, რომელსაც ხქვია ენგურხესის „თაღოვანი კაშხალი“ და ათი კილომეტრი გვირაბი, რომელიც წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე გადის, ხოლო დარჩენილი ხუთკილომეტრიანი გვირაბი და თვით ენგურხესის ძალოვანი კვანძი, ვარდნილ-1, ვარდნილ-2, ვარდნილ-3, ვარდნილ-4 განლაგებულია გალის რაიონში. თაღოვანი კაშხალი ძალოვან კვანძს დაშორებულია 28-30 კილომეტრით. შემდეგ მოდის გალის ვარდნილხესები, წყალსაცავითურთ, ხელოვნური არხით, რომელიც უერთდება შავ ზღვას. ვარდნილხესების დირექტორია ალფეზ შელია, ხოლო ენგურხესის დირექტორი ლევან მებონიაა. ვარდნილხესების კასკადის 3 სადგური, სამწუხაროდ, ჩაძირულია. ეს გამოიწვია აფხაზეთის ტერიტორიაზე საომარმა მოქმედებამ, პერსონალი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა სამუშაო ადგილი, და ამის გამო სამი სადგური წყალქვეშ აღმოჩნდა.

— დაიტბორა? — ჩავეკითხები რესპოდენტს.

— დაიტბორა ცოტაა! სამანქანო, სადაც აგრეგატებია განლაგებული, წყალსაქაჩების გაჩერების შედეგად წყლით აივსო.

— რა ეშველება? — ჩავეკითხები კვლავ.

— ისევ აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში მოქცევა და სარემონტო სამუშაოების ჩატარება. ან მანამდე აფხაზებთან ერთობლივად ტექნიკური პრობლემების ლიკვიდაცია.

— რამდენად შესაძლებელია ეს?

— ტექნიკურად ეს შესაძლებელია, თუ იქნება დაფინანსება. თუმცა, დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი: ათი წელია, რაც წყალქვეშ არის მოქცეული. იქ ზოგი დანადგარი მწყობრიდანაც იქნება გამოსული, შეიძლება დაჟანგულიც იყოს...

— აფხაზებთან, რამდენადაც ვიცი, ენერგეტიკოსებს კარგი ურთიერთობა გაქვთ.

— ენერგეტიკოსებს შედარებით ნორმალური ურთიერთობა გვაქვს იმ მხრივ. ექსტრემალური პირობების მიუხედავად ავარიების შემთხვევაშიგადავდივართ იქ და ერთმანეთის თანადგომით ხდება ავარიების ლიკვიდაცია. ელექტროენერგიის რაოდენობას 40 პროცენტამდე ითხოვს აფხაზეთის მხარე. ეს განუხორციელებელია, ამდენს ვერ მოიხმარენ. დიდი ნაწილი მაინც საქართველოსკენ უნდა იყოს მიმართული.

— ამ დღეებში ერთ-ერთი ტელეარხის გადაცემაში მივუსწარი ენერგეტიკის პრობლემაზე საუბარს. სათქვენოდ გამოყოფილ 45 მილიონ დოლარსა თუ ლარზე იყო მსჯელობა...

— ევროპა გვპირდება სესხს 37 მილიონ 800 ათასი დოლარის ოდენობით ენგურხესის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის განხორციელებისათვის. გვპირდებიან სხვა კრედიტსაც იგივე დანიშნულებით. ესაა გრძელვადიანი სესხი კარგი პირობებით, 15-წლიანია. ტენდერი იყო გამოცხადებული, რომელშიც სხვადასხვა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის, გერმანიამ, თურქეთმა, ავსტრიამ და რუსეთის სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებმა. ამ შემთხვევაში ჩვენ შევჩერდით რუსეთის სამშენებლო ორგანიზაციებზე, რომლებიც თავის დროზე ენგურხესის მშენებლობაზე მონაწილეობდნენ.

— თუ არ ვცდები, 1997 წელს სადერივაციო გვირაბსაც ჩაუტარდა რემონტი.

— მართალია, მდინარე ოლორის გადასასვლელ მონაკვეთზე, საიდანაც ხდებოდა წყლის დიდი რაოდენობით გაჟონვა. საჭირო შეიქნა სადგურის გაჩერება, შიდა მხრიდან ცემენტის ინექცია, ბზარის შეკეთება და გვირაბში სარქველების რემონტი. ასეულობით კუბური მეტრის ბეტონი დავაგეთ ძირის ნაწილზე. თითქმის 100-პროცენტიანი შედეგი მივიღეთ, მილიონამდე თანხა დაჯდა ყოველივე. ესეც ოპერატიულად გაკეთდა. დიდი ხნით გვირაბის გაჩერება იწვევს სადგურის გაჩერებას, ამიტომ მობილიზებულ იქნა მთელი რიგი სამმართველოები და საქმეს ჩინებულად გავართვით თავი.

მიწისქვეშა სადგური მიწის ზედაპირიდან 100 მეტრით ქვევითაა. სადერივაციო გვირაბი — 15,5 კილომეტრი სიგრძის, დიამეტრით 9,5 მეტრი, უზარმაზარი ნაგებობის კომპლექსია, სადაც წნევა 16 ატმოსფერომდე აღწევს. სადგურის ავარიულ რეჟიმში გაჩერება მყისიერად იწვევს წნევის ცვლილებას, რაც უარყოფითად მოქმედებს გვირაბზე. თითქმის ოცდახუთი წელია, რაც ექსპლუატაციაში შევიდა ენგურჰესი, არადა, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა ჩაუტარდეს სარეაბილიტაციო სამუშაოები, დიდი თუ მცირე, თუმცა ცნობილი მიზეზების გამო საამისოდ ვის ეცალა?!

— ვიცი, რომ დიდი ძალისხმევა დაგჭირდათ, „თაღოვანი კაშხალს“ სხვა სამართლებრივ სივრ-

ცეში მოსაქცევად

— ეს აუცილებელი იყო ოპერატიული ხელმძღვანელობისთვის, ამიტომ დაისვა საკითხი, რომ „თაღოვან კაშხალს“ მეტი უფლება მისცემოდა, ფილიალის სახით თუნდაც. ჩვენი წინადადება ბევრმა აღიქვა, როგორც სეპარატისტული, მაგრამ მხარი დამიჭირეს გიორგი მიქავამ, „საქენერგოს“ ეკონომიკურმა სამსახურებმა, გამოცდილმა ინჟინრებმა. გადაწყდა, რომ ცალკე შექმნილიყო ენგურხესის ოპერატიული სამსახური. ცალკე ჩამოყალიბდა ენგურხესის „თაღოვანი კაშხალის“ დირექცია. ეს ყველაფერი 94-ში მოხდა. პირველი დირექტორი გავხდი მე; 99-ში ჩვენ ვიყავით სახაზინო საწარმო. მერე დღის წესრიგში დადგა მისი შპს-დ ჩამოყალიბება. ენგურხესი დაფუძნებულია თბილისში, „თაღოვანი კაშხალი“ კი წალენჯიხის რაიონშია.

— ეგ რატომ?— სულის მოთქმას არ ვაცლი.

— აფხაზეთში ჩვენი იურისდიქცია რომ ხორციელდებოდეს, ენგურხესის დირექცია, ალბათ, გალში იქნებოდა, მაგრამ ამჯერად წალენჯიხის რაიონში მისი დაფუძნება ყოველნაირად გამართლებულია: მშენებლობისას რაიონი ეკონომიკურად ძლიერი იყო, ახლა იქ არაფერი ფუნქციონირებს. რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის შემავსებელი ერთადერთი ორგანიზაცია ენგურხესის თაღოვანი კაშხალია. ყოველწლიურად 400-500 ათას ლარს ვამატებთ წალენჯიხის ბიუჯეტს.

— ბატონო, ჯონი, რამდენადაც ვიცი, მილიონი ლარი გერგებათ და 8-9 თვის ხელფასი გაუცემელია.

— სამწუხაროდ, პერმანენტულად დგება ხოლმე ჩვენი დაფინანსების პრობლემა. პრობლემა არის ელექტროენერგიის საფასურის გადახდაშიც და, აქედან გამომდინარე, არის დავალიანება ელექტროსადგურების მიმართაც. ბუნებრივია, გამონაკლისი ვერც ჩვენ ვიქნებით. ჩვენთან საშუალო ხელფასი 150 ლარია. ხვალ და ზეგ რომ ველოდებით სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ეს პროფესიონალი ხალხი დიდ საქმეს გაგვიკეთებს. ჯერჯერობით რაღაცნაირად ვახერხებ მათ შეჩერებას, მაგრამ თუ წავიდნენ, მათ შემცვლელს გარკვეულ პერიოდში ვერ ვიშოვით.

ჯვარს ერგო წილად, რომ სწორედ აქ აღმართულიყო მსოფლიოში უნიკალური კაშხალი. ხალხიც დიდი სიხარულით შეხვდა ამას. მაგრამ ახლა, ამ წლების სიდუხჭირემ, ადამიანებიც შეცვალა. იშვიათად დაინახავ ქუჩაში გაღიმებულ მხცოვანს თუ ჭარმაგს... ხუდონხესის მშენებლობის დაწყება იქნება არამარტო ჩვენი ინდუსტრიის გაძლიერება, არამედ მორალური გაჯანსაღების საწინდარიც. ამის შესაძლებლობა არის: შენარჩუნებულია ცემენტის ქარხანა, რომლითაც წლების წინათ აშენდა ენგურხესის კაშხალი. ეს იყო სამასმარკიანი ცემენტი „კამა“. ენგურის ხიდროტექნიკურ ცემენტს ეძახდნენ. მისი თვისებები უნიკალურია. ასე რომ, ქვეყანაში ყველა წინაპირობა არის იმისთვის, რომ ხუდონხესის მშენებლობა გაგრძელედეს.

— მაინც რამდენ მუშახელს მიიზიდავს ხუდონი?— მივაყრი სხაპასხუპით.

— ხუდონხესის მშენებლობა დაასაქმებს 10-12 ათას ადამიანს. გარდა საკუთრივ ხუდონხესისა, მდიდარი ინფრასტრუქტურაა მოსაწყობი. გზებია მოსაწესრიგებელი, კვების, კულტურული დაწესებულების ობიექტები. მშენებლობა პიკს რომ მიუახლოვდება, შეიძლება დაიწყოს საუბარი ტობარხესზე და იმ კასკადის განხორციელებაზე, რომელიც იმთავითვე ჩადებული იყო პროექტში. მე მჯერა ენგურხესის მომავლის.

ელექტროსადგურის დირექტორები ლევან მებონია, ავთო შელია და მე პრეზიდენტის ბრძანებულებით, ღირსების ორდენებით დაგვაჯილდოვეს. ეს ყველაფერი ჩვენი საქმიანობის ავანსია და, დამერწმუნეთ, ფარ-ხმალის დაყრას არც მომავალში ვაპირებთ.

SOS: ენგურჰესი მზადაა... კატასტროფისათვის

პალიასტომი რაც არის, გაგვიცხადებია — პავლიას ტომის წარღვნილი ადგილსამყოფელი, რომელსაც გაურკვეველი კატასტროფა უფსკრულში დანთქავს მითოსური გადმოცემებით. პალიასტომი დაახლოებით ენგურხესის წყალსაცავი აუზის პარამეტრებისაა, ოღონდ განსხვავებით ზღვის დონესაც ემორჩილება იგი და აღარც ჩვენს თავზეა გილიოტინასავით ჩამოკიდებული. პალიასტომის ფსკერზე წვერგაბებღილი ბოგვერაძედან მოყოლებული, აკვალანგები თუ მეთევზენი, დღესაც პოულობენ ბერძნული წარმომავლობის ამფორებს, მარმარილოს საფეხურებს თუ სფინქსის ღიმილით გაჯერებულ თავის ქალებს პრეისტორიული სამარხებიდან. პალიასტომის, გნებავთ „ტიტანიკის“ ყისმათი ფუფუნებაა სამეგრელოს განსაცდელთან შედარებით, ვინაიდან იმ ორისგან რაღაც ნივთიერი მაინც დარჩენილია — აისბერგით შენგრეული ფერდი თუ ლამინარიით გასლიპინებული კედლები. აი, სამეგრელოს ბედი კი გაცილებით ტრაგიკულია ენგურხესის კაშხალზე ავარიის

შემთხვევაში, რადგანაც იმ უმართავი წყალსაგდები 4 სარქველის მოწყდომის ალბათობა, წამში 2000 კუბმეტრის ნაკადის დარტყმის ტალღა, მოასარგალებს ჩვენს სახსენებელს. შემდგომ 6-7 მეტრის ნიაღვრის ცათამბჯენები ელვაზე უსწრაფესად ჩაგვაღწიებს შავი ზღვის ბნელხვეულებში აფხაზეთ-აჭარიანად. ესეც შენი პალიასტომის მასშტაბური პერსპექტივა უძღები შვილების თუ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მართული ჩინოვნიკებისგან მომადლებული წლობით, მაგრამ ყველაფერზე რიგისობის მიხედვით.

წლის მიწურულს ენგურხესზე ორგზის ხანგრძლივად ყოფნამ; იქაურ ხელმძღვანელებთან, ცნობილ სპეციალისტებთან თუ რიგით ადამიანებთან გულახდილმა დიალოგებმა? ერთიანად საფრთხე გავიცნობიეროთ დიდმა და პატარამ, გამგებელმა და მაჟორიტარმა, გუბერნატორმა და მინისტრმა, ერმა თუ ბერმა. ჩვენ კი გაუცემელ ხელფასებსა და პენსიებზე ვჭიჭყინებთ, უშუქობას და უგზოობას მივსტირით, შუარუსთაველიდან ვქოთქოთებთ დრაკონული ტარიფების გამო, როცა დედაწულიანად ენგურხესთან უნდა ვეყაროთ ყველა და გადაუდებელ პრობლემებს ვაკლავდეთ თავს.

კლდის ვეფხვად წოდებული ნეგუს აკობიას მტკიცებით, ჩვენი უბედურების სათავე „მწვანეების" მიერ ხუდონხესის მშენებლობის შეჩერებაა. ჯანდაბას წყალში გადაყრილი 154 მილიონი რუბლის სამუშაოები! □იური გუგუჩია), ჯანდაბას 700 მეგავატის ენერგიაზე ზურგის შექცევა! მაგრამ იცოდა ჭევიანმა მტერმა, რომ ხუდონხესის გასრულება უწინარესად ენგურხესის თაღოვან კაშხალზე სარემონტო სამუშაოების უპრობლემოდ წარმართვას მოასწავებდა და ისარგებლეს კიდეც ჩვენი დოყლაპიობით: დავაკონსერვეთ ეროვნული ენერგეტიკის დედაბოძის — ენგურხესის — სარეზერვო-სათადარიგო ნაგებობა ხუდონხესი. ეროვნული მოძრაობის სახელით შეინიღმა მაშინ ეს ყველაფერი, ეკოლოგიური უსაფრთხოების საბაბით, მაგრამ ახლა რისთვის გავჩუმებულვართ კარზემომდგარი კატასტროფის სიმწიფის ფაზაში? დღეს სხვაგან ქრის მათი გონება. მათი სარბიელი ბორჯომის ხეობის მომავალს აბნელებს, როგორც დამაჯერებლად გვეუწყა ყოველივე ბ-ნ ნუგზარ მოლოდინაშვილის გამჭრიახი წერილიდან: „მწვანე" შეტევა ბაქო-თბილისი-ჯეიხანის მილსადენის პროექტზე" □„სრ", №317-318, 2002 წ.). უკვე ეჭვს არ იწვევს ქოჩლაძეების „მწვანე ალტერნატივის" და სხვათა ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა სომხეთის ინტერესების სასარგებლოდ.

„გაძარცულია კაბელები, სპილენძი; წაღებულია ალუმინის კარ-ფანჯრები. სომხებით დაკომპლექტებული სამშვიდობოები რომ იდგნენ, იმათმა არაფერი დატოვეს. ერთი ხაზის კვებაღა გვაქვს ჯვარიდან. თუ ისიც მოიშალა, ან ორი საათით გამოირთო, ჩაიძირება სატუმბი სადგური. როცა ჩაიძირება, მერე ახლოს ვერ მიხვალ, ამოქაჩვა კი ძნელია. ყველაფერი მოშლილია. მისასვლელი გზები გაფუჭებულია. აქაურობის „მოსასვლელად" რუსებს სომხები ხყავდათ დაქირავებული. ვის რას ეტყოდი? ვინ იყო ჩვენი გამკითხავი?" □ბორის გაბედავა).

„ენგურხესი დღე-ღამეში მილიონ ორასი ათასი ლარის ელენერგიას გამოიმუშავებს. ჩვენი დირექცია ყოველთვე უნდა ღებულობდეს 220 ათას ლარს. სინამდვილეში ვიღებთ 30-40 ათას ლარს. ამ 220 ათასიდან 78 ათასი ქონების გადასახადია, ბიუჯეტს უნდა დავუბრუნოთ. წელს ჩვენ მილიარდ 700 მილიონი კუბმეტრი წყალი დავღვარეთ. რატომ? ენგურზე ერთი აგრეგატი გაჩერებულია. წლების განმავლობაში მის რემონტს 3 მილიონი დოლარი სჭირდებოდა. რომ აგვემუშავებინა იგი 14 დღეში აინაზღაურებდა თავის თავს. არ ტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები, სიღრმეული ფარების შენობაში ექვსიდან 2 მოქმედებს. თუ რადიკალური ცვლილებები არ მოხდა, ეს ხესი 2-3 წელიწადში გაჩერდება. ენგურის ელენერგია 0,4 თეთრი ჯდება. „თბილგრესისა" — 10. თბოელექტროსადგური, ბუნებრივია, გვჭირდება, მაგრამ ასეთი ძვირი? სჯობია დენი უცხოეთიდან ვიყიდოთ. აქ თვითნებური ვაჭრობაა. იტყვია,, საწვავი 40 დოლარად კი არა, 80-ად ვიყიდეთო და უმტკიცე მერე. აი, ენგურხესის გამომუშავებული ფული მეტწილად იქ ტრიალებს. ელექტროენერგიის დეფიციტი მათ ხელს აძლევთ. ეს არის ეკონომიკური საბოტაჟი ქვეყნის წინააღმდეგ. ვინც დღედაღამ მუხლჩაუხრელად მუშაობს, იმას 9-12 თვის ხელფასი არ აუღია, არადა, ზოგ-ზოგები მილიონებს იჯიბავენ ჩვენი ექსპლოატაციის ხარჯზე. სახელმწიფოებრივი მიდგომაა საჭირო" □ნეგუს აკობია)

.

„გარედან ლამაზია კაშხალი, მტერს თვალს უბრმავებს, მაგრამ შიგნით ყველაფერი ისე ჩაოხრებულა, მოწყობილობები იმისთანა ცუდ დღეშია, ხარობს მტრის გული, ზეიმობს. 78-ში რომ გაუშვეს კაშხალი, მას მერე რემონტი საერთოდ არ ჩატარებულა. კაშხალი ბოლომდე დამთავრებულიც არაა. საგანგაშო მდგომარეობაა საკეტ ფარებ-

თანაც. მათ აქვთ ხვრელი და ორი ფარი. ხოდა, ეს არ მუშაობს. მიიღეს გადაწყვეტილება, მოეჭრათ იგი, ბეტონით ამოევსოთ. ერთი მხარე უშვებს წყალს წნევით. ეს დამანგრევლად მოქმედებს კაშხალზე. სანამ ეს მიმწოლი ფარი არ იქნება, რემონტი ვერ ჩატარადება. მუშა ფარებს გაუკეთდათ რემონტი, მაგრამ ბოლომდე ვერ კეტავს, იმ ფარებიდან წყალი მაინც ჩამოდის. თუ ასე გაგრძელდება, უსულგულო დამოკიდებულებით, შეიძლება მომავალ წელს იგი ვერც გავაღოთ. წყალი შეიძლება სტიქიურად გაიგსოს და გადმოიღვაროს. იყო ჩამოსული ჩვენთან რუსი სპეციალისტი. 10 წუთიც ვერ გაჩერდა იქ, იმისთანა ვიბრაციაა. მართლაც ვითარებაა: ერთი ვერ კეტავს, მეორე წყალს უშვებს, ორი ჩავარდნილია, დაგვრჩენია 2 ფარი, რომელსაც ჩვენ ვაკონტროლებთ. წყალგამშვები 4 ფარიდან ორია მუშა. ხუთჯერ მეტი დატვირთვით მუშაობენ ისინი. 20-25 წელიწადია კაცი არ მისულა რკინასთან, ჟანგი ჭამს ყველაფერს. კოროზიასთან ბრძოლას ყოველწლიურად 25 ტონა საღებავი სჭირდება. იცის ჩვენთან გადაბმული წვიმები, შვიდდღიანი, ათდღიანი, მეტიც. ფარი იმიტომაა საჭირო, რომ წყლის მასას რეგულირება უნდა. ჩაკეტვითაც ვერ ჩაგვიკეტავს, ვინაიდან შეიძლება სულ მოწყდეს. მერე კატასტროფას წინ აღარაფერი დაუდგება. ჯვარში 5-10 მეტრის წყალი დადგება, კაშხალის მიერ გაშვებული გრიგალი, სანამ წყალი მოვა, წალეკავს ყველაფერს. დებეტის პიკის დრო თუ მოხდა ყოველივე, ზღვის დონე 5-6 მეტრით აიწევა, მარტო დასავლეთ საქართველოს კი არა, თურქეთსაც ავნებს, ვაკონკრეტებ, თუკი ოთხივე სარქველი მოწყდა და იქიდან დაგროვებულმა წყალმა იხუვლა". □ბორის გაბედავა).

შ.პ.ს. „ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის" მთავარი ინჟინრის, ბატონ **ლევან ჭანტურიას** სიტყვებით, მათ ყოფას თამამად შეიძლება ეწოდოს: „ცხოვრება ნისიად". მათ ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული ენგურჰესის უფროსთან, ბატონ ლევან მებონიასთან და გამომუშავებული 30 მილიონი ლარის 17 პროცენტი მათია. ეს 5 მილიონი ლარი სრულიად საკმარისია პირველადი სამუშაოებისათვის. მთავარი, დაუხანებელი, იმ 4 წყალსაგდების რემონტის ჩატარებაა, რათა ნორმატიული, დადგენილი გრაფიკით მოხდეს წყალსაცავის აწევა და დაწევა. ბრტყელი, ავარიული ფარები შესაკეთებელია. ერთი გარემონტებულია 99-2000 წლებში, მეორე ისევ დარჩენილი, არადა, დემონტაჟია საჭირო, რომელიც დიდ თანხას არ საჭიროებს — გაწმენდას და შეღებვას. ეს უკანასკნელი ახლა აღდგენილია და იმედისმომცემიც. უგროვდებათ ვალები თვიდან თვემდე და ცხოვრობენ ნისიით. ზოგჯერ სამუშაოზეც აგვიანდებათ, ვინაიდან ღომი ლობიოზე უფრო ჩქარა იხარშება. საგზლად ესენი უნდა წაიძღოლო. აბა, სამსახურში ხმელი პურის გამტეხავი არავინაა. თუმცა ყველაფერს მოითმენს ლაკადელი კაცი, ოღონდ ენგურჰესის პრობლემებს ეშველოს! ოღონდ ენგურჰესის მიმართ მიზანმიმართული დისკრიმინაციული დამოკიდებულება შეწყდეს!

განა მთლად უსაშველოდაა საქმე? ენგურჰესის 10 დღის გამომუშავებული ენერგიის საფასურია საჭირო აუცილებელი სამუშაოებისთვის, 8-10 მილიონი ლარი, რომელიც ღმერთმა უწყის, ვის ინტერესებს ჩაენაცვლება ზემოთ და ზემოთ. ორიათასის მიწურულს ენგურჰესი პრეზიდენტმაც მოინახულა, სახელმწიფო მინისტრმაც — რამდენიმეგზის და პარლამენტის თავმჯდომარემაც, მაგრამ ჯერჯერობით საქმე ადგილიდან არ იძვრის. მისი რეაბილიტაციისათვის გამოყოფილია რამდენიმე უცხოური გრანტი და კრედიტი, მაგრამ გულგრილობის სინდრომს დასასრული არ უჩანს. ვერაფრით იძებნება შემსრულებელი ფირმები. მიდის გარიგებანი, ამასობაში კი კაშხალზე დასადგურებულ ვიბრაციას ყვავებიც კი შორიდან შეხყრანტალებენ შეჯანღული ციდან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ენერგეტიკის ლობს — მეცნიერს, გუბერნატორს და ჟურნალისტს, 100 ათასი დოლარით აჯილდოებენ ყოველწლიურად თითოეულს, ბატონი იური გუგუჩიას რწმუნებით.

ლობი ახალი ტერმინია ქართულ სინამდვილეში, ლობიობასთან არაფერი ესაქმება . იგი კულისების, კულუარების ეკვივალენტურია ინგლისურში და ამა თუ იმ მხარის ინტერესების დაცვას გულისხმობს კონგრესში ვიწრო მნიშვნელობით. ფართო გაგებით კი იგივეა, რაც მეოხი, მხარდამჭერი, ქომაგი.

ლობი ჩვენს მეზობელ ქვეყანას საუკეთესო ხყოლია „მწვანე ალტერანტივას" სახით;

თავიანთი ლობები ხყავთ იეღოველებს პარლამენტსა თუ მთავრობაში — კანონი. ჯარში ალტერნატიული სამსახურის თაობაზე, ამისი ნათელი დასტურია:

ლობებმა გადააშენეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობიდან მამის სახელი და ეროვნულობა;

უცხო ქვეყანათა ინტერესების ლობირება საქართველოს საზიანოდ ფრიად მოჭარბებულია დღეს. ლობი ხყავს ყველას და ყველაფერს, მხოლოდ ქართული ენერგეტიკის დედაბოძს — ენგურხესს — არ მოეპოვება იგი. ხოდა, სანამ გვიან არ არის, ვიდრე თაღოვან კაშხალზე კატასტროფა დატრიალებულა და მთელი დასავლეთ საქართველო პალიასტომად ქცეულა, ნუ დავიშურებთ ენგურხესის გამომუშავებული მილიონებიდან რაღაც მიზერულ თანხას მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის!

ზავი „ენგუხრესის“ ქალისხმევით

გალუმპული გამოვდივარ დისკური საკეტების შენობიდან, გადაქერქილი თხემი მეწვის, მაგრამ სამედიცინო პროცედურისათვის ნამდვილად აღარ მცხელა.

გაივლის ორმოციოდე დღე და ბატონ ლევან მებონიასგანვე შევიტყობ მეტეხის ტაძრის სიახლოვეს:

— დათო ქანთარიას დახმარებით მყინთავები ჩამოვიყვანეთ ფოთიდან. საკუთარი ძალებით შევაკეთეთ დაზიანებული №1 აგრეგატი და 255 მეგავატის სიმძლავრით მუშაობს 31 დეკემბრიდანო.

ჩემი წამოსვლის კვირისთავზე გაუსრულებიათ საშური საქმე, თუმცა ჯერ ბელეტრისტული მასალების მოკრების მამითადია და მეც ღობე-ყორეს ვედები.

გულდამძიმებული მოვინახულებ საბერიოს სანახებს. ირგვლივ ელიოტისებური ნაცრის გარემოა. აქა-იქ ბუხრების ალიბჭენი ასვეტებულან უბედურების უტყუარ სტელებად. ვეღარ შევივლი რენალდ დგებუაძის ოჯახში; ვერც ჯიმშერ კვირკველიას — ჩირქალის — სამოსახლოს შევძახებ ჩვეული ომახიანობით. ზედგამოჭრილი სიპარტახეა ქვემოთაც, ბარის მიმართულებით; — ლეკუხონა— ჭუბურხინჯი, თაგილონი თუ სულისდგმა ოტობაია საკუთარი ფერფლიდან აიმართებიან ფენიქსივით. ხოდა, ამ ამტუტებულ სივრცეში, ამ გადარუჯულ არე-მიდამოში, საბერიოს ელსადგური ერთადერთი ოაზისია, სადაც ტყვიას ფოთოლიც არ გაუკაწრავს ჯერეთ. ითქმება ამის თაობაზე ერთგვარი სიამაყით და უშედეგო მოლაპარაკებათა ათწლეულით ძარღვებაშლილს, სწორად ჩამომერთმევა, თუკი აფხაზურ-ქართული თანაარსებობის ქვაკუთხედად, დიახაც, ენგურხესი გამოვაცხადო!

ამჯერად სამანქანო დარბაზს დავუტრიალდები. იქამდე ჩამითრევს, იქამდე გამიტაცებს ბლიცინტერვიუები ზეზეურ გმირებთან, რომ მასპინძლებს სახელდახელო სუფრა ჩამწარდებათ. ჩვენს მოლოდინში ჭირისუფლებივით უსხედან აოხშივრებულ სადილს და სამურზაყანოული ადათისამებრ, პირს არაფერს აკარებენ. მივეახლები წვეულებას და მყისვე იზაბელათი აფერადებული ბოცაც გამოჩნდება, თუმცა ქაფქაფა ადესას გამაბრუებელი სურნელისაგან თავს შორს დავიჭერ.

— ძმებო, სანამ სამშობლო სრულფასოვნად არ დაგვიბრუნებია, უწინამც მზე დამლევია, ღვინოს ტუჩი თუ დავაკარო-მეთქი და შეფუცხუნებული თანამეინახენიც მხრებს ჩამოყრიან. მალევე ავიშლებით. ტუსტუსით ამედევნება ჭიქა ღვინით ენადგაკრეფილი მხცოვანი ენერგეტიკოსი, გერშენზონ ბორის აბრამოვიჩი. პატარაობიდანვე დაობლებული სასომხეთში გათხოვილ დას გაუზრდია. იქიდან მოყოლებული, ხან უკრაინაში მოხვედრილა, ხანაც — ბელორუსიასა თუ ვოლგისპირეთში, მაგრამ ათასი წეს-ჩვეულების შემთვისებელს, ფესვი ვერსად მოუკიდია დაგორებული ქვის მსგავსად. გულის უშორეს კუნჭულიდან მოყურებია აღთქმული ქვეყნის თავანკარა ძახილი, თუმცა ბებერი ძვლები ვეღარაფრით წამოუკრავს, ვნებული შუბლის გოდების კედელზე მისაყრდნობად.

იშვიათი უშუალობის შესანარჩუნებლად დიქტაფონი გამომირთავს, მაგრამ მეხსიერებაც არანაკლები მიზიდულობის მოუმადლია ჩემთვის განგებას და მიყოლებით ილექება ცნობიერებაში ქაოსური ფრაზების, წინადადებათა თუ ტირადების თავაშვებული რემა.

,,მეორე ფარსმან სპარსი‘‘, გამიელვებს გონებაში.

კვლავ გამორჩეულ პერსონაჟებს ვესაუბრები. სამხრობამდე გაგვიგრძელდება საბერიოელი ენერგეტიკოსების ათწლიანი თავდადების მატიანის აღდგენითი სამუშაოები. ,,ცისფერჩაფხუტიანების‘‘ შლაგბაუმთან მიხეილ მოსაშვილის საპროექტოს ხალხის ულუკმაპუროდ ლოდინის ხსენებით დამძრავენ ადგილიდან, თუმცა ყველაფერზე თანამიმდევრულად.

ლევან მებრონია:

შ.პ.ს. „ენგურჰესის“

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე□□ □□□□□□ □□□□□□□

(ფრაგმენტები თბილისური დიალოგიდან!)

— გეტყვით, რომ საბერიო და მიმდებარე სოფლები, რეჩხი, ლეკუხონა, ფართონახევი თუ სხვა, აფხაზეთის თავდაპირველი შემოსვლისას ოთხმოცდაცამეტში, სამურზაყანოს ზღვისპირა სოფლებისგან განსხვავებით გადაურჩა მასობრივ გადაწვას და აოხრებას. ეს ყველაფერი ენგურჰესის გამო მოხდა. როდესაც აფხაზები მოვიდნენ და ნახეს, რომ ეს არის სადგური, რომელიც ელექტროენერგიას აძლევს აფხაზეთს, მის გარეშე იქ უშუქობა დაისადგურებდა, გონს მოეგნენ. სიმართლე უნდა ითქვას, იყვნენ თავგამოდებულებიც, რომლებიც თავს არ ზოგავდნენ, რათა ჩვენთვის უსიამოვნებები აეშორებინათ. გამუდმებით ჩამოდიოდნენ ლევან ლაკერბაია, ხუტა ჯინჯოლია, სერგი ბაგაპში და ყველაფერს აკთებდნენ სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ზოგიერთი ჩვენი თანამშრომელი შეეწირა უმართავ სიტუაციას — გზაზე მიდიოდნენ, დაიჭირეს და დახვრიტეს. თავი სიმამაცით წააგეს. სადგურზე გაჩერებულიყვნენ, ხელს არავინ ახლებდა; წინა ღამეს პარტიზანებმა აფხაზები მოკლეს იქ და შურისძიების მიზნით ესენი დახოცეს.

გალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რუსლან ქიშმარია ხშირად მოდის ჩვენთან. ჩინებულად იცის მეგრულიცა და ქართულიც. თავგამოდებით გვეხმარება. მოუგვარებელ ბევრ საკითხს გვიწყვეტს. ხშირად ვტოვებთ ჩვენთან. როდესაც ჩამოდიან ხელმძღვანელები თბილისიდან, ზუგდიდიდან, ვაწყობთ ენგურჰესში ასეთ შეხვედრებს. ბოლოს ყველაფერი ტრადიციული სუფრით მთავრდება. უკვირთ რუს სამშვიდობოებს:

აფხაზები და ქართველები თუკი ასეთ პატივს სცემთ ერთმანეთს, ჩვენ რაღა საჭირონი ვართო.

ოთხმოცდაცამეტის ნოემბრიდან დაიწყო პირველი კონტაქტები აფხაზ ენერგეტიკოსებსა და ქართველ კოლეგებს შორის. ამისი მოთავეები იყვნენ სადგურის მაშინდელი დირექტორი, ბატონი გიორგი მიქავა, ზუგდიდიდან იური გუგუჩია, თბილისიდან — იური ჭედია. იმ დროს აფხაზური მხრიდან ჩამოსული გახლდათ ხუტა ჯინჯოლია. კონფლიქტური სიტუაციები ფეხქვეშ გვებლანდებოდა. ვერაფერი შველოდა საქართველოში მომავალი ხაზების გამორთვას. მერე ეს ყველაფერი ნელ-ნელა გამოსწორდა და დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ენერგეტიკა ერთადერთი სფეროა, სადაც დაპირისპირებულ მხარეებს შორის სრული თანამშრომლობაა. იმასაც ვერ ვიტყვით, რომ თითქოს ყველაფერი იდეალურადაა, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ გავერიდოთ პოლიტიკურ მომენტებს. ყურადღებას მხოლოდ და მხოლოდ ელექტროენერგიის გამოშვებაზე ვამახვილებთ. საქართველოში ენერგიის სხვა წყაროებიც მოგვეპოვება. აი, აფხაზეთში კი ენგურჰესის გარდა არაფერი არსებობს. ასე რომ, ელსადგურის ნებისმიერი სატკივარი მათთვისაც ყურადსაღებია. თანაც არც ისე ადვილია 400 კაცის ჩანაცვლება. ესენი გახლავან რეჟიმპულტის მართვის ინჟინრები, მართვის ავტომატიკის, სარეაბილიტაციოს, ტურბინის, გენერატორის სპეციალისტ ინჟინრ- ები, რომელთა მსგავსს ვერსად იპოვი, თითს იჭრიდე. ორივე მხარეს შეგნებული აქვს ეს. პერიოდულად ვხვდებოდით ენგურჰესში ერთმანეთს აფხაზი და ქართველი ენერგეტიკოსები საერთო პრობლემების განსახილველად, განსაკუთრებით — ზამთრის სეზონის წინ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბატონ გიორგი მიქავას როლი ენგურჰესის შენარჩუნების საქმეში. მართლაც ყოველმხრივ შემკული პიროვნებაა. ენერგეტიკაში ხომ თითებზე ჩამოსათვლელი თუ დაეტოლება უმწიკვლოებითა და პროფესიონალიზმით: უმუშავია ტყვარჩელში, ,,თბილსრესის'' დირექტორად; მერე — ,,საქენერგოს'' მთავარი ინჟინრის მოადგილედ. ოთხმოცდაცამეტის ტრაგედიას საბერიოში შეეგება. აფხაზები გალში რომ შემოვიდნენ, მთელი სადგური მომენტალურად დაიცალა. და აი, აქ სრულიად ახალი შტრიხებით წარმოჩინდება გიორგი მიქავა — შეუდარებელი ვაჟკაცობითა და გასაოცარი პასუხისმგებლობის გრძნობით ქვეყნის წინაშე. ის დირექტორი გახლდათ, მე — მთავარი ინჟინერი და ცხადია, თანაბრად გვაღელვებდა სადგურის ბედი.

რას აპირებო, მითხრა გადაჭრით.

დანამდვილებით არ ვიცი. თქვენ რას აპირებთ-მეთქი.

მე აქედან ფეხს არ მოვიცვლიო.

არც მე ვარ წამსვლელი-მეთქი.

შენ არავის დააძალო და ვინც თავისი ნებით დარჩება, დარჩესო, ასე ბრძანა.მე და შენ ვიქნებით აგერ, გვერდიგვერდო.

ელსადგურს პირველ დღეს შვიდი კაცი შემოვრჩით, ასე გაგრძელდა 5-6 დღეს. შვიდი კაცი ვიყავით — დირექტორიც, მთავარი ინჟინერიც, მართვის ფარის მორიგეც, მონტიორიც, მოკლედ, 400 კაცის სამუშაოს წარბშეუხრელად ვასრულებდით. ოცი დღე დასახლებაში არ ჩამოვსულვართ. კაბინეტებში გვეძინა რიგ-რიგობით. ამაოდ გვიცდიდა საბერიოში კეთილმოწყობილი კოტეჯები, ბინები. მერე ნელ-ნელა თანამშრომლები შემოგვემატნენ. მალვით, ტყე-ტყე მოდიოდნენ. ეს უფრო დიდი გმირობა იყო, ვინმემ სადგურზე დარჩენა, ვინაიდან გზებზე მაშინ აღვირახსნილი განუკითხაობა მძვინვარებდა. ჩვენ ხომ გარეთ არც გამოვსულვართ, ელსადგურში ვიყავით ჩაკეტილები. ერთ თვეში დაახლოებით ორმოცდაათამდე კაცი შევგროვდით. და იქიდან მოყოლებული, სადგურს პერსონალის ნაკლებობა არ დატყობია, მაგრამ ვიმეორებ, ყველაფრის თავი და თავი, მაინც ბატონი გიორგი მიქავა გახლდათ. ასეთ ეპიზოდსაც მოგიყვებით. ჭლოუში ერთ ოჯახში მოვხვდი. ოჩამჩირის რაიონია, სუფთა აფხაზური სოფელი. ბუნებრივია, აფხაზებს სტუმრის პატივისცემა არ ეშლებათ. სუფრა გაშალეს. მეზობლებს დაუძახეს, ჩემზე ცოტათი უფროსს.

ოჩამჩირეში ვცხოვრობდით და მეუღლე მომიკლეს ქართველებმა, 30 წლის ქალიო. დამრჩა ორი მცირეწლოვანი შვილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველთან სასაუბროდ არ დავჯდე, ერთი ჭიქა ღვინო არ დავლიოო. აფხაზმაც მოკლა უდანაშაულო ქართველი და გაამწარაო. შენ მაინც უნდა მოხვიდე ჩვენთან, ერთად დავსხდეთ და ბოღმა თუ ვარამი თანაბრად გავიქარვოთო. ამ ვაებას ჩვენს შთამომავლობას მოუწესრიგებლად თუ დავუტოვებთ, ჩვენც გავქრებით და ჩვენთან ერთად — თქვენცო.

მე მგონი ეს ჭკვიანი კაცის ნათქვამია, საღი გონებით ნათქვამი.

რაც მოხდა, ჭკუის სასწავლებლად უნდა გვეყოს. შვილების მომავლის მოსპობა აღარც ერთ მხარეს გვეპატიება მომავლის თვალსაწიერიდანო.რუსეთი და გერმანიაც ომობდნენ. დრო დიდი მკურნალია და შერიგებულან. ისინი შორიშორს არიან. ჩვენ ახლოს, ყურისძირას და მეტი წინდახედულება გვმართებსო. ჩვენი თაობის ხალხი, ვისაც ქართველებთან უცხოვრია, ძალიან დიდი ნოსტალგიითა და მოლოდინით ველით მათ დაბრუნებას. მაგრამ ძნელია ახალგაზრდობასთან საერთო ენის გამონახვა და იობის მოთმინება, დიახაც, აქ არის საჭიროო.

იური გუგუჩია.
საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის
სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის
გაერთიანების დირექტორი.

ბატონი იური გუგუჩიას ფენომენზე ჩვენ ენგიდუნიას პირველ წიგნში თვალშისაცემად მოვყევით., როცა შუქრი ქირიას ზღაპრულ კოტეჯში ვცხოვრობდი რამდენიმე თვეს და ენერგეტიკოსების განსაკუთრებული ყურადღებით ვიყავი გარემოსილი. აქ კი გბნუკითხაობის პერიოდის საშეგრელოს სინამდვილით გათანგულ ერუდიტთან გამართული ვრცელი ინტერვიუდან ამონარდსღსღა გთავაზობთ. დანარჩენი მასალისთვის იქნებ მოვიცალოთ როდესმე.

— არ შეიძლება ენერგეტიკა იმართებოდეს ზუგდიდში ცალკე, ქუთაისში ცალკე, გორში ცალკე და ასე შემდეგ. ენერგეტიკა ერთი ცენტრიდან იმართება ყველგან და ყოველთვის. ჩვენც თამაშის ამ აღიარებულ წესებს უნდა დავექვემდებაროთ არსებითად. ენერგეტიკა გახლავთ ერთადერთი დარგი, რომელიც ავად თუ კარგად აგრძელებს საქმეს. ენერგეტიკოსები, საინჟინრო პოტენციალი ყველაფერს აკეთებენ, რაც ადამიანზეა დამოკიდებული. აქ არ არის ნორმირებული სამუშაო დღე. აქ არ არის გამიჯნული, საშიში და უსაფრთხო სამუშაო. არ არსებობს სიძნელე, რომელთა წინაშე ენერგეტიკოსები შედრკნენ. ამისი უამრავი მაგალითია ჩვენს რეგიონში. ძალიან ხშირად სიცოცხლისათვის ფრიად საშიშ ვითარებაში, აფხაზეთთან დაკავშირებულია ეს თუ ურთულეს გეოლოგიურ-კლიმატურ პირობებთან, უმაგალითო პიროვნული მამაცობის წყალობით. ნახევრად უხელფასო ხალხი შეუძლებელს ვახერხებთ. არადა, დივერსია ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. დაუდგენელია ვის ინტერესებში შედის ეს და ვის წინააღმდეგაა მიმართული. საერთო ჯამში — ხალხის, სახელმწიფოს წინააღმდეგ. როგორც იქნა მოვახერხეთ რუსეთიდან ელენერგიის დიდი ოდენობით იმპორტი. ეს 500 კილოვატიანი ხაზი ნახარის უღელტეხილით გადადის სტავროპოლის მხარეში. სულ 410 კილომეტრზეა იგი გაჭიმული და აქედან ჩვენს ტერიტორიაზე თითქმის მეოთხედია დამონტაჟებული. იმისთანა რთული რელიეფია, სხვანაირად ვერ მიუდგები. რა ქნას ახლა სახელმწიფომ,

ყველა ანძასთან თოფიანი კაცი დააყენოს? აი, სადაც დაზიანებები ხდება, ჩვენი ჯიშ-ჯილაგი ცხოვრობს უმეტესწილად სავალალოდ.

ახლა შევხედოთ რა სიტუაციაა ვითომ კონფრონტაციულ მხარესთან.

გაწყვეტილია ყოველგვარი ძაფი აფხაზეთთან. არადა, ენგურხესის ძალოვანი კვანძები განლაგებულია იქ, სადაც ჩვენი იურისდიქცია სამწუხაროდ არ ვრცელდება. თავიდანვე ჩვენ შევეცდებით დიალოგის გამართვას. აფხაზებიც შემხვედრ ნაბიჯს გადმოდგამენ და ამ დარგში შეხების წერტილები გამოიკვეთება. ეს ის დროა, როცა ორივე მხარე უკიდურესად დაპირისპირებულია. მოშლილია ყოვლეგვარი კონტაქტი ორ ნაპირს შორის. თუ პერსონალი ელსადგურს დატოვებს, არის აშკარა საშიშროება საერთოდ ენგურხესის დაღუპვისა. ოთხასამდე კაციდან მხოლოდ შვიდიოდე შერჩენია პოსტს ფეხის მოუცვლელად. ზეზეურად სძინავთ მთელი თვე, მაგრამ როდემდე მოახერხებენ ასეთ მდგომარეობაში ენგურხესის ექსპლოატაციას? მშველელი არსაიდან ჩანს. შეიძლება შვიდი კაცით ამხელა ნაგებობის გაძღოლა?

მოვნახავ რაღაცნაირ საშუალებას. ომი დამთავრებულია. დევნილები რის ვაი-ვაგლახით გამოღწეულან. ახლა რომელს ახსოვს ენგურხესი იქითაა თუ აქეთ?

შიშს დიდი თვალები აქვსო, იტყვიან და შვიდი კაცის მეტს საბერიო მიუტოვებია.

ასეთ დროს, ამისთანა სიტუაციაში, პირველი შევეხმიანები აფხაზ კოლეგებს. დიდი არაფერი, გამგებლის მოადგილე ვარ, ენერგეტიკის გაერთიანების ხელმძღვანელი. სხვა მაინც არავინ ჩანს აფხაზებთან დიალოგის მოთავე. თბილისიდან მხოლოდ დირექტივები მოდის და კიდევ — თხოვნის ზარები. გართულებულია მიმოსვლა რიკოთს გაღმა-გამოღმა. ხოდა, დავთქვამთ შეხვედრის დროს ენგურის აფეთქებულ ხიდზე. ათი მეტრის მანძილზე ვდგავართ პირისპირ. ვდუმვართ ჩვენ, გაჩუმებულან ისინიც. იქიდან სამნი მოსულან, ჩვენგანაც ამდენივეა — ლერი ჭითანავა, გია ხუბულავა და თქვენი მონა-მორჩილი. ისევ გაღმელები დაძრავენ ხმას:

სანამდე ვიყოთ ასე დაშორიშორებულნიო. წამობრძანდით ჩვენთანო, შემოგვთავაზებენ. გადავხედავთ ერთმანეთს და უხმოდ დავყაბულდებით. არ შეიძლება ამისთანა სიტუაციაში შედრკე; უკანასკნელი ქალაჩუნაც რომ იყო, უნდა გაუძლო მამულის სახელით. ჩაგვსხამენ ავტომანქანებში და გავუტევთ სოხუმის მიმართულებით. ჩვენ პირველები გავივლით გზას, რომელიც 300 ათას კაცს გამოუღწევია სულ რაღაც გუშინ. მარჯვნივ თუ მარცხნივ ოტებული ხალხის ნაკვალევია. ყველაფერი უპატრონოდ ყრია, ტექნიკა, საოჯახო ნივთები. ამაზრზენი სურათია. გავივლით გალს. ეჭვის ჭია გვიღრღნის გულს თითოეულს: სად მივყავართ ამ ხალხს-თქო. რომელიღაც სოფელში შეუხვევენ და ერთ-ერთ ოჯახს მიგვაყენებენ. მოუწყვიათ აქ შესანიშნავი პურ-მარილი. მანამდე სპეციალურად სასაუბროდ გამართულ მაგიდასთან დაგვსხამენ. ძალზე რთული დიალოგია. მართალია, სამკვდრო-სასიცო- ცხლოდ დავპირისპირებულვართ, მაგრამ ნათქვამია: ჩამოხრჩობილის სახლში თოკზე არ საუბრობენო და ჩვენც ენერგეტიკის პრობლემებზე მსჯელობით შემოვიფარგლებით. ვლაპარაკობთ იმის თაობაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ენგურხესის ხიდროკვანძი, როგორც აფხაზებისთვის, ისე — ჩვენთვის. არის აქ ენერგეტიკაში მეტნაკლებად გათვითცნობიერებული პიროვნება, რომელიც თავის დროზე „ტყვარჩელსრესის" დირექტორად მუშაობდა. შევთანხმდებით, რომ ენგურხესს დავტოვებთ პოლიტიკის გარეშე; რომ დაპირისპირება ენგურხესს არ შეეხება; რომ საქმე გვაქვს ურთულეს ნაგებობასთან, რომელიც მოითხოვს მაქსიმალურ ექსპლოატაციას და პერსონალის აბსოლუტურ უსაფრთხოებას. გაჭრის გულწრფელი დამოკიდებულება. ყოველივე თავის შედეგს გამოიღებს. ორივე მხარე ღირსეულად მოიქცევა. გვიან ღამით დავბრუნდებით ზუგდიდში. იქ ერთი ვაიუშველებლია, ალიაქოთი: სად არის ეს ხალხი? სად წაიყვანეს? რა ბედი ეწიათ და ასე შემდეგ. ქალაქის გამგებელი ედიშერ ჩარგაზიაა. ხიდთან დაგვხვდებიან. გვკოცნიან „მოუსავლეთიდან დაბრუნებულებს." ასე მიეცემა დასაბამი ორ მხარეს შორის მჭიდრო თანამშრომლობის პრაქტიკას ენერგეტიკის სფეროში. ენერგეტიკა აქაც უსწრებს დანარჩენს და დღესაც სამაგალითოა ყველასთვის — როდესაც ახერხებ ინტერესების დამთხვევას, მიდიხარ რაღაც შეგნებულ დათმობაზე, კომპრომისზე, მოპირდაპირე მხარეც წინდახედულია. ელსადგური ოთხასამდე სპეციალისტს უყრის თავს მიმდებარე რაიონებიდან — ზუგდიდიდან, ჩხოროწყუდან, წალენჯიხიდან. მათ ვახტური მეთოდით უწევთ გადმოსვლა და პერსონალის უსაფრთხოების გამორიცხვით, ენგურხესი დაღუპულია. თუმცა გონიერება კვლავაც გაიმარჯვებს უმეცრებაზე და ეს უნიკალური ობიექტი ამაყად თავაწეულია დღეს, როგორც აფხაზი, ისე — ქართველი ერის სასახელოდ; გაძარცვული, აქა-იქ გაოხრებულიც, მაგრამ ჩვენი მომა-

ვალი თაობების თანაცხოვრების უკვდავ ძეგლად აღმართული.

გაივლის ორი ათეული წელიწადი და სულ სხვა ამპლუაში წარვსდგები ბატონი იურის წინაშე. ამჯერად ენერგეტიკის პრობლემებს გამთმშენებლობის საკითხები ჩაენაცვლება ,,ზღვის შვილების'' საერთო სატკივრებით, მაგრამ რადგანაც ჰორაციუსის გამოუსწორებელ მოწაფედ მიმიჩნევია თავი, ისევ მის ტირადას დავესესხები: აქ უნდა ითქვას ის, რაც უნდა ითქვას ახლა, დანარჩენი გადაინახოს სხვა სიტუაციებისთვის, სხვა, უფრორე დალხენილი დღეებისთვისო და თავს ზემოთ ძალა არ არის.

ჯეირან აროენია:

ელსადგურის მთავარი ინჟინრის მოადგილე

— აფხაზეთში ომის აგორებას ,,ტყვარჩელსრესში'' შევხვდები მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. ცნობა რომ მოვა საქართველოს ჯარის შემოსვლის თაობაზე, აფხაზ მოსახლეობაში სასოწარკვეთის, ფსიქოზის სიტუაცია შეიქმნება. ისეთი აგიტაციაა გაჩაღებული, რომ თითქოს ცოცხალს არავის დატოვებენ. იშველიებენ საუკუნის დამდეგს, როცა მსგავს გენოციდს მოუწყობს აფხაზებს მენშევიკური საქათრველო. შვიდი-რვა თვე დავრჩები იქ, ასეთნაირად ეგზალტირებული ხალხის გარემოცვაში. მერე ჯანმრთელობა გამიუარესდება, ჩამოვალ თბილისში და ვთხოვ ,,საქენერგოს'' მაშინდელ უფროსს, ბატონ იური ჭედიას, კვლავ აფხაზეთში დამაბრუნოს.

იქ დავბადებულვარ და წესით იქ უნდა ვიყო-მეთქი.

წამოვალ ენგურზე.

უკვე ოცადაათ სექტემბერს, რაც დატრიალებულია გალის იქით, გალშიც დატრიალდება. დილით, გარიჟრაჟზე, მოსახლეობის ოთხმოცი პროცენტი ენგურსგაღმა გაიხიზნება.

ოჯახი აქ მყავს.

ვეუბნები მეუღლეს და ბავშვებს, წადით-მეთქი.

კი, მაგრამ სადო, მომაჩერდებიან კითხვითვე.

წადით სადაც გნებავთ, ოღონდ აქაურობას მოშორდით-მეთქი.

ბატონ გიორგი მიქავას ავტორიტეტის იმედი გვაქვს ყველას.

საჭმელს მოსახლეობა გვაწვდის. ისინიც ოჯახებში თითო კაცი დარჩენილა. ათი დღის მერე ხელის გამმართავი არავინ შეგვრჩება. წაბლითა და კარალიოკით გაგვაქვს თავი. მაგრამ სადგურს ერთი წუთითაც არ ვტოვებთ. განკარგულება გვქონდა ,,საქენერგოდან'', რომ გავცლოდით იქაურობას და წამოვსულიყავით. მაგრამ სიკვდილის შიში გდავლახეთ, და დავრჩით ადგილებზე,სხვანაირად საქართველოს ეს უნიკალური ნაგებობა დაეკარგებოდა.

— აფხაზებსაც-მეთქი, ჩავერთვები.

— ცხადიაო, — დამიდასტურებს, — ეს იქნებოდა ორმხრივი ტრაგედია. ჩვენი დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ვხედავთ ამას. თუ რას ნიშნავს ენგური საქართველოსათვის, რას ნიშნავს აფხაზეთისათვის და საერთოდ, საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ხალხისთვის.

სოხუმის დაცემის დღეს თუ მივიჩნევთ ენგურხესის გმირული მატიანის ათვლის წერტილად, ენერგეტიკოსებთან ჩვენი ურთიერთობა ერთი წუთითაც არ შემწყდარა. ეს კონტაქტები, ეს თბილი დამოკიდებულება დღემდე არ შეცვლილა. რაც შეეხება აფხაზების შემოჭრას ჩვენს დასახლებაში, აქ სადამსჯელო რაზმი არ შემოსულა. აქ შემოვიდა ათკაციანი ჯგუფი, რომელთაც ჩვენი დაცვა ხქონდათ დავალებული. ისევ თავისიანებისგან გვიცავდნენ, რათა ვინმე გადაწეული არ მოგვხდომოდა კარზე და შეურაცხყოფა არ მოეყენებინათ. ასე გავლევთ პირველ ათ დღეს. მერე აირევა მონასტერი. შემოვლენ სხვადასხვა ჯურის დაჯგუფებები, განსხვავებული მიზნებითა და მიდრეკილებებით და მაშინ დაგვეღუპება კიდეც ერთი თანამშრომელი.

გვიჭირდა მორალურად, ფიზიკურადაც, სიცოცხლის შენარჩუნების საფრთხე იყო. მართალია, ჩვენ ავტომატით არავინ დაგვსდევდა, მაგრამ ნებისმიერ დროს შეიძლებოდა სიტუაცია შეცვლილიყო და ამ მოლოდინის ქვეშ გამუდმებით ყოფნა არც ისე იოლი აღმოჩნდა. ვერც კი გაიგებდი ვისი გასროლილი ტყვია გიმსხვერპლებდა. აფხაზი ენერგეტიკოსები თავს არ ზოგავდნენ, მაგრამ სიტუაციას უკვე ისინიც ვერ აკონტროლებდნენ.

ახლა ვითარება გაცილებით სტაბილურია.

თვენახევარში ჩამომიბრუნდება ცოლ-შვილი, მაგრამ ისევ თბილისისკენ გავისტუმრებ. არაფე-

რი მუშაობდა სკოლის ჩათვლით და ბავშვების გაველურებას მარტოობაში ყურყუტს ვამჯობინებ.

აფხაზ ენერგეტიკოსებთან ერთად ხშირად მოგვიკითხავენ რაიონის ხელმძღვანელებიც, ქიშმარია, ლომია, ქალაქის მერი. ამ ათი წლის განმავლობაში 15-20 ტონამდე საწვავი მოგვცეს — დიზელი და ბენზინი. ჩვენი ვალი ადევთ ათეულობით მილიონი დოლარი, მაგრამ ვინ არის მაგის გადამხდელი?! როდესაც წლების წინ საკითხი დადგა სადგურის რეაბილიტაციაზე, პროექტს აფხაზური მხარეც გაეცნო. მათ თავიანთ პარლამენტში მიიღეს სათანადო დადგენილება, რომ ეს აუცილებლად განასახორციელებელი საქმეა. ევროპა ითხოვდა ამნაირ თანხმობას. ინვესტორს, მყარი გარანტია სჭირდება, რომ ეს ფული არ დაიკარგება. მიღწეულია ასეთი შეთანხმება და დღე დღეზე ველით „ფოინთ-სიმენსის" მოსვლას.

შუქი აფხაზურ მხარეს 24 საათის განმავლობაში მიეწოდება, მაგრამ ოჩამჩირე, სოხუმი, ის არ არის ოდესღაც რომ გვინახავს. მე ჯერ ობიექტი არ შემხვედრია, სადაც აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდეს.

ძალიან ამაღელვებელი შეხვედრა მქონდა ტყვარჩელელ კოლეგებთან. დამინახეს და დაიწყეს ტირილი. ადამიანს თვალებში შეატყობ ეწყინება თუ გაუხარდება შენი ნახვა. ქალაქის იერი აღმაშფოთებელია. სიდუხჭირეა ყოველ ნაბიჯზე. ორი ქართული ოჯახი ვნახე იქ. იტანენ ერთმანეთს. ვისაც საშუალება ხქონდა სადმე წასულიყო, გაკრეფილია ყველა, თვით აფხაზებიც. იქ ჩამკვდარია წარმოება-დაწესებულებები. ქარხანა-ფაბრიკები არ მუშაობს. გაჩერებულია გრესიც. იქაური თბოსადგური ქვანახშირზე მუშაობდა. ომის დაწყების პერიოდში უკვე ხდებოდა რეკონსტრუქცია და გადახყავდათ გაზზე. მოწყობილობა ჩამოტანილი იყო უკლებლივ. გაზის ხაზი მოყვანილი გახლდათ სადგურამდე. ხოდა, რაღაც წელიწადში, 93-ის ბოლოსთვის, ერთ-ერთი ბლოკიც ამუშავდებოდა. მაგრამ ომმა გრიგალივით გადაგვიარა თავზე და ყველაფერი ჩაკვდა. სადგურის მოწყობილობა, რომელიც ყოველგვარი კონსერვაციის, მოვლა-პატრონობის გარეშე დარჩება, იღუპება თავისთავად. შიდა და გარე კოროზიას მწყობრიდან გამოხყავს მეტალო-კონსტრუქციები, იფშვნება გამხმარ თიხასავით. ისევ „ენგურხესმა" გადაგვარჩინა ორივე ერი, აფხაზებიცა და ქართველებიც.

ნაშირუა ჯიმალეფი — ტყუპისცალი ძმები

რევაზ და თამაზ გვაგვალიები 79 წლიდან არიან სადგურზე. გვერდიგვერდ უმუშავიათ სხვადასხვა თანამდებობაზე, სამანქანო დარბაზში ცვლის უფროსებად, უფრო მაღლა და მაღლა სამსახურის იერარქიულ კიბეზე. ნიადაგ განუყრელად დავლენ და სულიც ამის შემწეობით უდგათ. განა ტყუილუბრალოდ თქმულა: ძმა ძმისთვისო, შავი დღისთვისო?

— პირველი დღე მაინც წარუშლელია,— ენაუხვი უფროსი რევაზი გამოდგება, თამაზი დასტურის ყაიდისაა, ღიმილით უქნევს თავს ტყუპისცალის გაწონასწორებულ მსჯელობას. — არის ამისი ტელეფონოგრამა, თუ როგორ გვემოქმედა ბლოკირების საშიშროების შემთხვევაში.

— ტელეფონოგრამა საიდან იყო-მეთქი, ვაკონკრეტებ საუბარს.

— ჭედია აწერდა ხელს, — მეტყვის დინჯი გამომეტყველებით და დაბარებულივით თამაზის თავის კანტურიც ნოტარიუსის ბეჭდის ძალმოსილებას იძენს, — მორიგე დისპეტჩერმა გადმომცა. ის ოპერატიული ჟურნალი დღემდე შენახულია. ყდაზე აწერია ტექსტი, რადგან მაშინ თაბახიც არ მოგვეძევებოდა. ძირითადი აზრი ასეთია: ენგურხესის ბლოკირებისას როგორ გაგვეჩერებინა სადგური. რანაირად მოგვეხდინა ხალხის ევაკუაცია დისლოკაციის ადგილზე — ჯვარში, მაგრამ საბედნიეროდ მართვის ფარზე დავრჩით ბიჭები — გიორგი მიქავა, გია ხუბუა, ჯეირან არონია, ლევან მებონია, მე და ჩემი ძმა. გადავწყვეტთ ერთობლივად: სათითაოდაც რომ დავეხოცეთ, სადგურს არაფრისდიდებით გავაჩერებდით. ვარდნილხესებთან, პირველ გალში ერთადერთი პიროვნებაა დარჩენილი — შოთა სანაძე და ყოველ ხუთ წუთში ვურეკავთ ერთმანეთს: რა ხდება, რა ამბავია;

ახა, გალშიც შემოვიდნენო, გვეხმიანება გაუგონარი ვაჟკაცობის კოლეგა. სროლები და ერთი ვაიუშველებელიაო.

ჩვენს ზემოთ, მეშვიდე სართულზე, ასასვლელია და გვინდა ყველაფერი საკუთარი თვალით ვიხილოთ. ლევანი ლიფტში გაიჭედება. ძლივს გამოვიყვანთ იქიდან მე და გია. გადავიხედავთ მერე ქვემოთ და ვამჩნევთ: ფეიერვერკებშია გახვეული მთელი მხარე.

მეორე დილა ჩვეულებრივ გათენდება. შემოვლენ არაოფიციალური წარმომადგენლები და იწყებენ მოროდიორობას. უდიერად შეიჭრებიან სახლებში და გააქვთ ყველაფერი.

სადგურიდან ჩემს სახლამდე ხუთი კილომეტრია. ჩავაღწევ იქამდე. არავინ დამხვდება და მოვბ-

რუნდები. აქეთკენ რომ დავადებ თავს, მოსახვევია ერთი, ხოდა, ათიოდე მეტრის სიშორიდან დავინახავ — ქეიფობენ. რა ჭირად მენდომება ახლა ამათთან შეყრა, მაგრამ გზა რომ აუქციო, გესვრიან. გავუპირდაპირებ მოპურმარილე აფხაზობისკენ.

სადღეგრძელო თქვიო, მომაჩეჩებენ ჭიქა ღვინოს.

რუსულად ვიტყვი რაღაც ლიტერატურულ ფრაზებს, დავლევ და უკანმოუხედავად გამოვბრუნდები. არ მესვრიან ზურგში.

მომდევნო დღეს ბეჭედს და ქურთუკს წამართმევენ ხეტიალის მახრაშეჩენილს. შემდეგ — ჯემპრს. ლევანი მაჩუქებს თავისას. ტანსაცმელი იმნაირად მომერგება, როგორც სარს — ქოთანი.

სხვათა შორის ბატონი გიორგი მიქავა წარამარა გვამშვიდებს: ეს მოროდიორობა დიდი-დიდი სამი დღე გაგრძელდესო და მართალიც გამოდგება. მაგრამ ჯერ ყველაფერი იძარცვება, ყველაფერი იფხიკება: ოქრო, ტყავი, მანქანა; მერე — ლურსმანი და ნახმარი წინდებიც კი.

ბებიაჩემი მახსენდება. ოთხი წელია გარდაიცვალა ცხონებული. ერთი სანიშნე შარვალ-კოსტუმი მქონდა დარჩენილი. ბებიას წინდახედულება გამოუჩენია და ლეიბის ქვეშ შეუნახავს. იმასაც მიწვდებიან, იმასაც აღმოაჩენენ.

გამწარდება ქალი თურმე.

გეყოფათ ახლა, რაც თქვენ რევაზის გაუკეთეთო და წაართმევს. გაეცინება მომხდურს. ას წელიწადს მიღწეული დედაბრის აფოფრვა გადააფიჩინებს ყველას. მერე 93-ში სახლს დამიწვავენ. ხეტიალს მაინც არ მოვიშლი. ბინაში ვცხოვრობ ახლა. დავქორწინდები ყველაფრის ჯინაზე. უფროსი გოგო სამი წლისაა, პატარა — ერთის. ჩემი ძმა ხომ მთლად ბაბუაა.

— უფროსი რომელია თქვენში-მეთქი, სათითაოდ მივაჩერდები ტყუპს და დათქმულებივით ისევ რევაზი გააგრძელებს თამაზის თავის კანტურის ფონზე, — მე, მე, ნახევარი საათით. უერთმანეთოდ წუთითაც არ გვიცხოვრია. ერთად ვსწავლობდით, ერთად ვშრომობდით. დღეს აქ ჩვენი ყოფილი ლექტორია ჩამოსული — გიორგი მახარაძე. საგნის ნახევარს თამაზი ამზადებდა და მეორე ნახევარს — თქვენი მონა-მორჩილი. ბევრჯერ გავაცურებთ ასე. ერთხელ ბატონი გიორგი აბარგდება თავისი ადგილსამყოფლიდან, წინა მერხზე გადამჯდართ შუაში მოგვიკალათდება. ჭეშმარიტების დადგენას ცდილობს. ჩვენი ცოდნის საფუძვლიან გამოკვლევას ლამობს, მაგრამ მივაყრით პასუხებს ერთობლივად და თავის ტრიალისაგან კინაღამ კისერი მოწყდება საწყალს; თამაზი და რევაზის, რევაზი და თამაზის ძახილში, ლამის სული ამოძვრება. მეტრიკულებშიც ,,ფრიადებს'' ფარხმალდაყრილი ჩაგვიწერს მიყოლებით, ისე რომ, ბოლომდე ვერ გარკვეულა რომელი რომელია, ვის მეტი მიაკუთნა, ვის — ნაკლები.

სტუდენტობის პერიოდია. კახეთში ვიმყოფებით რთველზე. საღამოთი პურ-მარილს გაგვიშლიან მასპინძლები. თამამად ვიღაც ბეხლეწი კაცია. მოპასუხედ მე ამომირჩევს, ალბათ, ფიქრობს: მოცქნაფულს მალე მოვუგრეხ კისერსო, მაგრამ შუა სმის შემდეგ შემენაცვლება თამაზი და გავასვენებთ საკაცით სუფრიდან.

აფხაზების შემოსვლის პირველი დღეა. ღამის თორმეტი საათი გადასულია. ბატონი გიორგი მიქავა მარტოა მართვის ფარზე.

ადით კაბინეტში, მოისვენეთ-მეთქი, ვეტყვი, მაგრამ გაჯიქდება: მარტო არ დაგტოვებო. ამ დროს გარეთა კარებს უბრახუნებენ. გავიხედავ და ,,ბეტეერი'' არ მოგვსდგომია?! შემოვლენ ოთხი თუ ექვსი. შავი ფორმები აცვიათ. ავტომატები საომარ მზადყოფნაში მოუჯანიათ. ჩართული გვაქვს ტელევიზორი.

უნდა წავიღოთო, მოსჭრიან.

ხომ ხედავთ, ჩართულია-მეთქი.

მერედა, გამორთვას რაღა უნდაო, ილიმნჭებიან. ხვალ ან ზეგ დაგიბრუნებთო. ოთხმოცი ტელევიზორი გვაქვს შტაბში □ზვიად დგებუაძის ოჯახში დაბანაკებულან), ვიდეოს ყურება გვინდა, მაგრამ იმ ოთხმოციდან ვიდეოს ერთიც არ აჩვენებსო. წაიღებენ და მოტანა ვის გაახსენდება. ტყვარჩელში თუ სადღაც გააქანებენ. ათი დღის მერე არძინბაც შეიტყობს ამ ამბავს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ოქუმელი ზარანდია, დააბრუნებინებს თავიანთი ხელით. იკარუსით მოვლენ. კონსერვებს და პურის ფქვილს მოგვიტანენ.

ის პერიოდია, ყველაფერი რომ ამოგვეწურება და ბატონი გიორგი სადგურზე შემოხეტებულ გოჭს დაედევნება, დაიჭერს, დავკლავთ, შევბრაწავთ და სულს რამდენადმე მოვითქვამთ.

ზარანდია ხუმარა კაცი გამოდგება. გაუგია ფარზე ტყუპისცალი ძმები რომ დავრჩენილვართ. შეუტყვია ისიც, რომ ორჯერ წაგვართმევენ მსგავს ჩასაცმელს. შემდეგ ერთად, გვერდიგვერდ რომ გვიხილავენ გაღლეტილებს, შეეცოდებით და დაგვიბრუნებენ ორივეს.

ეგ რა მოსატანია-მეთქი, ვიქაჩლებ თავს. სტუდენტობის პერიოდია, ქრონიკული უფულობის ხანა. წვერი ორივეს მოსაპარსი გვაქვს, მაგრამ სად არის საამისო თანხა? ისევ მე ვიმარჯვებ და პარიკმახერს ვაგულიანებ, რაც შეიძლება მაგრად ამოფხიკე თმა, მშობლებს იმისთანა უკუღმართი გავუჩენივარ, თუკი ზერელე ნამუშევარია, წვერი ორმოც წუთში ამომდის-მეთქი.

დააჭყეტს თვალებს. ააფხიანებს სამართებელს. ლამის კანი ამატყავოს, მაგრამ რაღაც საათში წვერამობიბინებული თამაზი რომ მიუვა, თვალები გადმოეკარკლება.

ეს ვინ ყოფილა, კაცოო, ხვნეშის და ატყაპუნებს სამართებელს ტყავის ქამარზე.

მოგვიანებით მიუხვდება დალაქი ჩვენს ციგნობას და ცალ-ცალკე თუ შევდივართ, საგანგებოდ დაგვიტოვებს ნაკაწრს ნიკაპსა თუ ლოყაზე, ხომ გაგვიგონია, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას განახებო.

ვიცინით ჩვენც და იცინიან აფხაზებიც.

ამგვარად მივათრევთ წუთისოფელს, გური, ძმობილო. სულ გვერდიგვერდ ვართ თამაზი და მე. ტყვიაც ამიტომ გვერიდება ხოლმე და წარმოიდგინე, თერთმეტი თვის ხელფასიც, მაგრამ ყველაფერზე რიგისობის მიხედვით.

ტაიმ-აუტი
მენერგოქაოსის გათრევამდე

,,ბონდო ჯიქიას შვილი გაიტაცეს. სამეგრელოს გუბერნატორს 3 მლნ. დოლარს სთხოვენ. ზაზა ჯიქია გამტაცებლებმა საკუთარი მანქანიდან ჩამოსვეს''. □,,ახალი თაობა'', 16-20 მარტი, №73, 2003 წ.) .,,ეჭვობენ, რომ თავად ზაზა ჯიქიას ფინანსური მდგომარეობა გამტაცებელთა ინტერესს არ უნდა წარმოადგენდეს — იგი არ არის ჩართული რაიმე სერიოზულ ბიზნესში, ფირმა ,,მარტინ ბაუერი-თბილისის'' მენეჯერად მუშაობს და მის სამსახურებრივ შემოსავალს საშუალო თუ შეიძლება ეწოდოს. შესაბამისად გამტაცებლებს გუბერნატორის შემოსავლების იმედი უნდა ხქონდეთ, თუმცა, ზუგდიდელები ამბობენ, ბონდო ჯიქიასაგან სამი მილიონის, □გაურკვე- ველია რომელი კურსით, აშშ დოლარით თუ ლარით, გ.ო.) მოთხოვნა ნაკლებად რეალურიაო. □,,24 საათი'', №73, 16 მარტი, 2003 წ.).

,,მოიტაცეს ზაზა ჯიქია
როგორც „ინტერ-პრესს სარწმუნო წყარომ ზუგდიდიდან აცნობა, ბონდო ჯიქიას შვილის გატაცების შესახებ თავად გამტაცებლებმა ტელეფონით აცნობეს და შვილის დაბრუნების სანაცვლოდ 10 დღის ვადაში 3 მილიონი დოლარი მოსთხოვეს''. □,,საქართველოს რესპუბლიკა'', №69, 16 მარტი, 2003 წ.). მე ვერავინ გამაკვირვებს ყვითელი პრესის სენსაციური მასალებისადმი მანიაკური მიდრეკილებებით, მაგრამ ამისთანა სიტუაციაში სოლიდურ გაზეთს მეტი სიფრთხილე მართებს — მთლად რაგინდარა სააგენტოს იმედზე ნუ დარჩება; უზნაძის ქუჩაზე, გრიბოედოვის ძეგლის სიახლოვეს ჩახტომა, არც ისე ძნელია საკუთარი ინფორმაციის მოსაპოვებლად.

მაინც რას ნიშნავს თურმე ,,ინტერ-პრეს- ისგან'' აგორებული 3 მილიონი დოლარი? ვის ინტერესებში შედის იგი? არათუ ბონდო ჯიქიას, ჭაქვინჯიდან მოყოლებული თბილისის წამატე- ბით მრავალათასიან საჯიქიოს 3 მილიონი დოლარი ერთობლივად ვერ შეუკოწიწდება და ვეღარც სამეგრელოში იპოვის ვინმე ამ თანხის მფლობელებს. ლამის ჩვენი კუთხის ბიუჯეტის ნახევარი მართლაც წარმოუდგენელია რომელიმე სეიფში არხეინად თვლემდეს. აქ მიზანი შავი ძაფით შეკერილი თეთრი ზეწარია:

— ხომ ხედავთ, როგორი გუბერნატორი ხყავს სამეგრელოს? რახან ბანდიტები სამ მილიონ დოლარს სთხოვენ შვილის გამოსასყიდად, ესე იგი დაუგროვებია თურმე წლების მანძილზე პრეზიდენტის რწმუნებულს. 3 მილიონ დოლარს ისეთ კაცს სთხოვენ, რომელსაც 5-7 მაინც მოეძევება ყულაბაშიო. აი, სად მარხია ძაღლის თავი. ,,ინტერ-პრესის'' ინფორმაცია პოლიტიკური რადიაციის შემცველი პასკვილია, რომელიც განუკითხავად გამოტყორცნის თავისი რეაქტორიდან მოსახლეობის ფართო ფენებში ვითომდა აღვირახსნილი კორუმპირებულობის ჭაობში ჩაძირული პიროვნების მამხილებლურ ცნობას.

ბონდო ჯიქიას ნამუსიან ქართველობას ვექილობა არ სჭირდება. მე ახლა განსაკუთრებით მის სახელმწიფოებრივ აზროვნებას შევეხები, გაწონასწორებელი, აუმღვრეველი პოლიტიკოსის შტრიხებს, რომელსაც ძირისძირამდე გაუთავისებია საქართველოს სახელმწიფოებრიობის კოლ-

ხეთის ბურჯებზე საიმედოდ აღმართვა, ოდეს ქუჯის და ფარნავაზის კოალიციით საკრალურად შედუღაბებულა ამერ-იმერის ერთიანობის დედაარსი.

არ გამოვედევნები ბონდო ჯიქიას პოეზიისადმი განსაკუთრებულ გაფაქიზებულ გრძნობებს. ქართული ლექსის ოკეანეა ეს დენდი. ზეპირად შეუძლია წაგიკითხოს თავები ,,მთვარის მოტაცებიდან'', ,,დიდოსტატის მარჯვენიდან'', ,,დათა თუთაშხიადან''. ათწლიან ჩიხში მომწყდეული სამეგრელოს გუბერნატორია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობის ნახევარზე მეტი დევნილი შეკედლებია და დღემდე ნამუსიანად იყოფენ ძირმწარე საწუთროს.

ბონდო ჯიქია იმ ფესვსვიანი კუთხის გუბერნატორია, რომელსაც ათადან და ბაბადან მოყოლებული შეუთავსებელი შეუთავსებია; ზოგიერთი მხარისგან განსხვავებით, არ მოითხოვა რაღაც განსაკუთრებულ პრივილეგიებ, თუმცა ფრონტისპირა რეგიონი ეთქმის, რამეთუ მისთვის უმთავრესი სახელმწიფო აზროვნებაა — ერთიანი საქართველოსათვის წვა-რუდუნი სიტყვით თუ საქმით.

დეკემბრის მიწურულია. მხარის რწმუნებული ბონდო ჯიქია ბატონ იური გუგუჩიას სავარძელში გადაბრძანებულა. კაბინეტი სავსეა რეგიონის ენერგეტიკის პასუხისმგებელი პირებით. ხოდა, 1300 მეგავატიანი ენგურჰესის ბატონ-პატრონ, ჩაბნელებულ სამეგრელოს, ერთპიროვნულად მიაწოდებს კუთვნილ 170 მეგავატს შობის ღამეს.

არ ილევა ხვეწნა-მუდარის ინტონაციები მობილურში: ,,ორმოცი მეგავატი მოგვეცი'', ,,ოცდაათი'', ,,ოცი'', მაგრამ იშვიათი აუმღვრევლობით ცნობილი ბონდო ჯიქია შეუვალია, მყარად უჭირავს ხელში ჯვარიდან ერთადერთი ხაზით მომავალი ელენერგიის სადავეები და მავანთა ჭკუით დაბალ ღობედ ქცეულ სამეგრელოს უდანაკარგოდ მიუშუქებს კუთვნილ 170 მეგავატს.

— ბედის ირონიაა სწორედ, — ვიტყვი ყველაფერი ამის შემსწრე, — 1300 მეგავატის ავარიული ენგურხესი რაგვივით დაგვმხობია თავზე და ჭრაქისხელა შუქი დიდი შეღავათია ჩვენთვის. ალბათ, ამაზე თქმულა მჭედელს დანა არ ხქონდა-მეთქი.

— სამი ტურბინაღა მუშაობს ამჯერად,— დამიკონკრეტებს დისპეტჩერის ფუნქციის შემთავსებელი გუბერნატორი, — პირველი ავარიულია. მესამე ათი წელიწადია გაჩერებულა. სულ ცოტა 700 მეგავატი მაინც გამოიმუშავება საბერიოში, მაგრამ აქედან 7 ძლივს გვემეტება ზუგდიდისთვის და 12 — სამეგრელოსთვის. თუმცა ეს არ ნიშნავს ორღობეს ფეხისხმას ავყვეთ, და საუბარი ულტიმატუმის ენით დავიწყოთ... ისე, მოგეცა ლხენა, ყოველნაირად ცდილობენ სამეგრელოს მოსახლეობის წონასწორობიდან გამოყვანას, მაგრამ ჩვენი ხალხი უარესი განსაცდელისას არ ამღვრეულა და ვერც ოდესმე მიაღწევენ მისგან უძღები შვილის გამოძერწვას. დღეს თავისუფალ ეკონომიკურ ზონას მოითხოვს ზოგი კუთხე, მთიანია თუ ზღვისპირა, პრივილეგიებს, შეღავათებს, ჯერ საკუთარი და შემდგომ — დანარჩენი საქართველოს ასაღორძინებლად. მსგავსი უპირატესობებისთვის ჩვენი სიტუაცია იქნებ გაცილებთ სადაგი იყოს — ფრონტისპირა მხარე გვეთქმის ბოლოს და ბოლოს, მაგრამ სამეგრელო განსხვავებული ფენომენია, მისთვის უმთავრესი სახელმწიფო აზროვნებაა, ზოგადეროვნული ფასეულობანი. ქუჯის და ფარნავაზის ეპოქა გავიხსენოთ. აი, იქიდან მოყოლებული, კოლხეთის სამთავრო საქართველოს სახელმწიფოს ჯერ კიდევ აბსტრაქტულ შენობას საფუძველშივე ჩაეშენება ქვათაკირად საკუთარი მეობის იგნორირების ხარჯზე. ეს შინაგანი კულტურა ყოველთვის გამოარჩევდა ჩვენს კუთხეს და გასაკვირი არაფერია, პროვოკატორებს კოვზი ნაცარში თუ ჩავარდნიათ.

აი, ამაღამდელი ჩემი ქმედებაც იძულებითია, უარესის თავიდან ასაცილებლად გადადგმული ნაბიჯი. გამორიცხული არ არის ამ პერმანენტულ უშუქობას მოხყვეს მასობრივი საზოგადოებრივი მღელვარებები ჩვენში. ზოგი პოლიტიკური გაერთიანება უკვე საამისოდ ქოქავს ხალხს. მივლენ ფართან და გადაუკეტავენ დანარჩენ საქართველოს სინათლის ძირითად წყაროს. ან კიდევ მთლად უკიდურესი: საერთოდ გამორთავენ ენგურხესს, შეუწყდება დენი, როგორც აფხაზებს, ისე — დედაქალაქს, მთელს ქვეყანას. რა გამოვა ყოველივე ამიდან? — მომაჩერდება შეჭმუხნილი შუბლით.

— ატყდება ვაიუშველებელი, — ავიტაცებ ხელად.

— დედა შვილს ვერ აიყვანს ხელში. გაჩერდება საბერიოში ელსადგური და მერწმუნე, რამდენიმე საათში აფხაზური მხარე შტურმით აიღებს აქამდე ნალოლიავებს, ვინაიდან ჩვენგან განსხვავებით, ისინი აბსოლუტურად ენგურზე არიან დამოკიდებულნი. ხოდა, საკმარისია იქ თმის ერთი ღეროც კი ჩამოუვარდეს რომელიმე მუშახელს, რომ დაპანიკებული კოლექტივი ენგურს გამოღმა გამოიხიზნება. ამას მოხყვება სადამსჯელო ოპერაციების მოხშირება სამურზაყანოში და ყველაფრის განჭვრეტით, ოთხმოცდაცამეტის სექტემბერი სანატრელი გაგვიხდება. დადუმდება მანქანა-დანადგარები და გამოჩნდებიან ძალები, რომლებიც ადრინდელივით მილიონობით დოლარის ღირებულების

სპილენძს უცხოეთში გააქანებენ. ქვეყანას მომავლის პერსპექტივა წაერთმევა. საერთაშორისო დონის ყველა შეთანხმება, ყველა მოსალოდნელი ინვესტიცია ნიაღვარს გახყვება. იციან ამის თაობაზე სამინისტროში; მშვენივრად მოეხსენებათ ისიც, რომ ჩვენ არაფრით დავუშვებთ ქართველი ერის ზურგში დანის ჩაცემას და მიგვივიწყეს საერთოდ. თუმცა ჩასაფრებულ დუშმანს რა გამოლევს და გაუგონარი იგნორირებით გაწამებულ კუთხეში მოვლენები უფრო მეტად რომ არ გართულდეს, მივეცი კიდეც ენგურხესის გამომუშავებული ენერგიიდან კუთვნილი 170 მეგავატი მშობლიურ კუთხეს.

— კავკასიის ცარცის წრეში მოქცეულებს ვგავართ, თითქოს.

— უმჯობესია ვთქვათ ენერგეტიკულ ცეცხლის წრეშიო. გურშა ვაჩნაძის სიტუაცია სანატრელია. ამ მომაკვდინებელ რკალში საქართველოს მომავალია მიშიკოსავით ჩაყენებული და ბოროტი ადამიანები უღვთოდ თავიანთკენ ექაჩებიან. მხოლოდ სამეგრელოა ხელფეხჩამოყრილი, ვინაიდან მას, ერთადერთს, აღარ ძალუძს სამშობლოს მერმისის დანაფლეთება, რაღაც განსაკუთრებული სტატუსების თუ პრივილეგიების წყალობით. თუმცა ყველაფერს აქვს საზღვარი, ისევ და ისევ ზოგადეროვნული ინტერესების გათვალისწინებით და აუცილებელია ენერგეტიკაში შექმნილი ბაკქანალია მართვის მიზანშეწონილ სინქრონიზაციას დაექვემდებაროს! ,,ლებედ, შუკა ი რაკის'' იგავი მოხდილი საყმაწვილო სენია. და რადგანაც რომისა არ იყოს, ყველა გზა ენერგეტიკისკენ მიდის, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მიდგომები, დიახაც, აქ გვმართებს მომეტებულად დიდ და პატარას. შევძლებთ ენერგეტიკული განუკითხაობის მოთოკვას? მოვახერხებთ ენერგეტიკული პროცესების მართებულად წარმართვას? ესე იგი, ყველა პრობლემა მოგვიგვარებია: აფხაზეთშიც ღირსეულად დავბრუნდებით, კორუფციასთან ბრძოლასაც მოვიგებთ მშრალ ანგარიშზე და კონტრაბანდულ წარღვნასაც ავიცილებთ თავიდან.

ასე დასრულდება შობის ღამეს ჩვენი დიალოგი.

მას აქვთ ვერ ვიხილავ სალაპარაკოდ. ამხელა უბედურება დასტყდომია თავს და სანუგეშო სიტყვით ვერ შევხმიანებივარ, მარცხენა მხარზე ვერ მიამბორია ჩვეულებისამებრ.

რაც შეეხება 3 მილიონი დოლარის ფანტასტიკურად არარეალურ ,,ფოსტად'' გაჟღერებულ ინფორმაციას, გარკვეული პოლიტიკური კონიუნქტურა მგონია. სხვანაირად ვერაფრით მოხერხდება პრეზიდენტის ერთგულის სამსახურიდან ჩამოცილება. არავინ უწყის, ეს გაურკვეველი ვითარება როდემდე გასტანს. ეს დღეები ბონდო ჯიქია ვერ მოიცლის სახელმწიფოებრივი საქმეებისთვის, უფრორე — მორალურად. ხომ იტყვიან: 3 მილიონი დოლარის საზღაურად შვილმოტაცებულ კაცს რა ეგუბერნატორებაო? ხოდა, ისედაც სვეგამწარებულ სამეგრელოში პრობლემებს პრობლემები წაემატება. წამოვა სულ სხვა ორიენტაციის გუბერნატორის ჩანაცვლების წინადადება და ამგვარი ღონისძიებით გარკვეული ძალები ბრძოლას მოგებულად დაიგულვებენ. ჩვენ კი საღი აზროვნების იმედი გვრჩება კვლავაც, რომ მალე ნათელი მოეფინება ყველაფერს და ზაზა ჯიქია მშვიდობიანად დაუბრუნდება ოჯახს. ეს ნუგეში ასულდგმულებს წესიერ საქართველოს. აქვე დავსძენთ იმასაც, რომ დროებით ვწყვეტთ ენერგეტიკული პრობლემისადმი მიძღვნილ წერილების სერიალის პუბლიკაციას; წუთშესვენებას, ტაიმ-აუტს, ვაცხადებთ წლების მანძილზე დაგროვილი ურთიერთგამომრიცხავი ენერგოვითარების ზედმიწევნით გამოკვლევამდე.

სამეგრელო სულზე მოუსწრებს „ვარდების რევოლუციას“

ლეგენდა კეთილშობილ დაფნაზე

დაფნა

სურნელება ძველისძველი
ექსოვება ნიავებს,
პოეზიის ლაჟვარდ ცრემლით
სველი დაფნის ფოთოლი.
და ოცნება მოგონებას
იით მოაიავებს,
როს მეომარს შუბლს უმშვენებს
ნელი დაფნის ფოთოლი.
ნილოსის გველს უარესი,
მისი შხამი იავებს,
უფრო მძაფრად დაწურული
მწველი დაფნის ფოთოლი.
და ხანჯალით ხშირად ფარულ
მიზანს ულოლიავებს,
ოდეს ხედავს პოეზიას
ნელი დაფნის ფოთოლი.

გალაკტიონი

— საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის რეგიონულ სტრუქტურებთან აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ხელშეწყობით ჩამოყალიმბდა ბიზნეს-საკონსულტაციო ქსელი „საქართველო“ ქვეყნის ექვს რეგიონში: თბილისში, თელავში, გორში, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში. ქსელი განსაკუთრებულად ფოკუსირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითა- რების ხელშეწყობაზე; კლიენტებ- თან მისი ურთიერთობა ემყარება კვალიფიციურ სერვისს, მჭიდრო კავშირებსა და ნდობის ფაქტორს. დღესდღეობით იგი სრულიად საქართველოში აღიქმება, როგორც ორმხრივი წარმატების გარანტი.2006 წლის 10 მარტს ზუგდიდის რეგიონული სავაჭრო-სამრეწ ველო პალატის ბაზაზე ჩამოყალიბდა ბიზნეს-საკონსულტაციო ცენტრი — „ზუგდიდი კონსალტინგი“, რომლის მიზანია 3 წლის განმავლობაში მოკლე და გრძელვადიანი მიზნების თანხვედრა საბაზრო მოთხოვნებთან; წარმატებული და კონკურენტუნარიანი საკონსულტაციო ბიზნესის განვითარება საკუთარი კადრების პროფესიული ზრდით; კლიენტების მიზანმიმართულიმოზიდვა და შენარჩუნება, რათა რეგიონში დამკვიდრდეს პრესტიჟული ბიზნეს-ატმოსფერო. მიმდინარე წლის 10 აგვისტოს ისტორიული სადადიანოს ცენტრში შედგა ზუგდიდის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და „ზუგდიდი კონსალტინგის“ ოფისის პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო საზოგადოების ფართო სპექტრი: ბიზნესმენები, საერთაშორისო და არასამთავრობო სექტორის წარმომავგენლები,საბანკო და საფინანსო სამსახურის მუშაკები, საგადასახადო და საბაჟოს თანამშრომლები, მას-მედია. ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუმრები თბილისიდან: აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გენერალური დირექტორი ამიერკავკასიაში, ბატონი **ბობ უილსონი,** ამავე დაწესებულების ეკონომიკური სამსახურის უფროსი, ბატონი **დეივდ გოზნი**, პროექტის განვითარების სპეციალისტი, ბატონი **რევაზ ორმოცაძე**, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ხელმძღვანელი, ბატონი **დენ**

ბერკშაია, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ბატონი **შოთა მაქაცარია**, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის განვითარების მენეჯერი, ბატონი **საბა სარიშვილი**, პალატის მენეჯერ-კონსულტანტი, ბატონი **მამუკა წოწერია**, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის პირველი ვიცე-გუბერნატორი, ბატონი **ალექსანდრე ახვლედიანი**, ამავე სამსახურის ვიცე-გუბერნატორი, ბატონი **ერეკლე ჯაფარიძე** და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები. პრეზენტაცია გახსნა ზუგდიდის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა, ,,ზუგდიდი კონსალტინგის'' დირექტორმა, ბატონმა **იური წოწერიამ**. მან მოკლედ ისაუბრა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ, რომლის ბაზაზეც შეიქმნა ბიზნეს-საკონსულტაციო ცენტრი ,,ზუგდიდი კონსალტინგი'' და დამსწრე საზოგადოებას გააცნო ცენტრის მიერ ერთი წლის მანძილზე გაწეული საქმიანობის შესახებ. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ,,ზუგდიდი კონსალტინგმა'' თავისი არსებობის მოკლე პერიოდში კონსულტაცია გაუწია რეგიონის 500-ამდე იურიდიულსა თუ ფიზიკურ პირს; 80-ზე მეტი ტრეინინგი ჩაატარა ბიზნესის დაგეგმვისა და მართვის საკითხებში, რომლის მონაწილეთა რაოდენობამ 1200-სს გადააჭარბა. გადამზადდა 30 ბუხჰალტერი. ,,ზუგდიდი კონსალტინგი'' უკვე თანამშრომლობს 20-მდე ბიზნეს-ორგანიზაციასთან და მათ წარმატებულად სთავაზობს მომსახურების წლიურ საკონსულტაციო პაკეტს. ბატონ იური წოწერიას თქმით, ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა მომსახურეობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 86 797 ლარი. ისინი მიზნობრივ — ქალაქის ბუკლეტისა და რეგიონის ბიზნეს-მეგზურის გამოცემასთან ერთად — ეწევიან საქველმოქმედო საქმიანობასაც. კერძოდ, მაცხოვრის კარის ეკლესიის გადასარჩენად გაღებულია 1750 ლარი; შესაძლებლობის ფარგლებში ხელს უმართავენ მეცნიერთა და შემოქმედთა კავშირს, ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციას; ფინანსურ მხარდაჭერას აღმოუჩენენ ხოლმე სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმოკლე თანამშრომლებს და ა.შ. პრეზენტაციაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ამიერკავკასიაში, ბატონმა ბობ უილსონმა. საპატიო სტუმარმა დადებითად შეაფასა ,,ზუგდიდი კონსალტინგის''გაწეული და მიმდინარე მუშაობა, აქვე თვალნათლივ განსაზღვრა უახლოესი მომავლის პერსპექტივები თუ ამოცანები. ბატონებმა ბობ უილსონმა და იური წოწერიამ საზეიმო ვითარებაში გადასცეს სერთიპიკატები ,,ორისის'' საბუხჰალტრო პროგრამის პირველ კურსდამთავრებულებს. ასევე დაუვიწყარი საჩუქრები გადაეცათ საპატიო სტუმრებს, ბატონებს: ბობ უილსონს, დევიდ გოზნის, დენ ბერკშაიას. — შ.პ.ს. ,,ეთერზეთების'' თანამშრომლების მიერ საგულდაგულოდ მოწნული დაფნის გვირგვინები. ,,ზუგდიდი კონსალტინგის'' შექმნა მეტად მნიშვნელოვანია რეგიონში ბიზნესის კულტურის ასამაღლებლად. ამასთანავე კონსალტინგი მოწადინებულია მაქსიმალურად უზრუნველყოს პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების რეალიზაცია. სტუმრებმა და მოწვეულებმა კმაყოფილება გამოთქვეს პრეზენტაციასთან დაკავშირებით. ისინი იმედის თვალით უყურებენ სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და კონსალტინგის მომავალ საქმიანობებს და აღტაცებას ვერ მალავენ, რომ ისტორიულ სადადიანოში ყოველი კეთილდღეობის სათავე — ჯანსაღი ბიზნესი — დღითი დღე პრესტიჟული ხდება.ჩვენი საუბარი ბიზნესის განვითარებაზე სამეგრელოში შედარებით სრულყოფილად რომ წარმოჩნდეს, ერთი ფრაგმენტის მოშველიება უცილობლად მოგვიწევს გამოსაცემად გამზადებული ექვსტომეული ,,სუფევიდან''. **ბატონი იური წოწერია იმხანად ენგურჰესის მესვეური გახლდათ და მისი დაჟინება რომ არა, ქართველი ენერგეტიკოსების გმირული რუდუნი თეთრ ლაქად დარჩებოდა დასახელებულ წიგნში. დიახაც, იური წოწერიას უნდა ვუმადლოდე სრული ექვსი თვე ლონდონელი დენდიკით რომ ვიცხოვრე ბატონ შუქრი ქირიას ფეშენებელურ კოტეჯში საერთო ყურადღებით გარემოსილმა. დაუვიწყარია ჩემთვის იმ სინამდვილესთან, იმ სახეებთან და ფერებთან შეხება:** ,,ჯა დუდგიმე მინმირთუ დო ჩხვიჩხვეფს ფაჩუნს — თავდაყირა დგება ხე და ფესვებს ფანტავს''. **ეს ხატი ხუდონის მისადგომებთან აფეთქებების მხილველს ჩამეხისტება გონებაში. როგორც ყოველ უბირს სჩვევია ხოლმე, თავდაბირველად მეც ორლობის ფეხისხმას ავყვები და ენგურჰესს სამეგრელოს თავზე დამოკლეს მახვილივით ჩამოკიდებულ კატასტროფას შევარქმევ, მაგრამ შემდგომ და შემდგომ კარდინალურად შეიცვლება ჩემი დამიკოდებულება ენგურჰესისადმი: თვითონვე გამოვუტან განაჩენს საკუთარ ახლომხედველობას — ენერგია გვინდა, დარბაზები გაჩახჩახებული გვწადია, მაგრამ — არა საკუთარი წიაღიდან, არამედ — რაღაც აბსტრაქტული მიღმეთიდან მოვლენილით. ამის თაობაზე თანადროულია ანდაზა ერთ მეზობელ ხალხზე: შთა გაკეთებას რა უნდ, დაისხი და დალიე, დაისხი და დალიეთ!— ბატონო იური, ბაბაჩემი ბიქტორის**

გადმოცემით, ჩვენ თამაკონელები ვყოფილვართ, მარტვილის რაიონიდან. მისი ბატარაობის პერიოდში ზუგდიდში ჩამოსახლებულან და თარგამულში დამკვიდ- რებულან. თქვენს სოფელს დღეს ოქტომბერი ჰქვია, მაგრამ თარგამული გაცილებით ესთეტიკურია და საკრალურიც. მისივე რწმუნებით ჩვენი წინაპრები გერანის კულტურის წარმოებას მი- სდევდნენ თურმე სადადიანოში. ასე რომ კოლეგები გვეთქმის. თქვენი ბიზნეს-ინტერესები უკვე ნაწილობრივ ცნობილია მკითხველისათვის, მაგრამ უფრო ხელშესახების, გაცილებით შთაბეჭდავის გაგება გვსურს.

— უპირველესად დავიწყებ სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და „ზუგდიდი კონსალტინგზე" საუბრით. ექვს რეგიონში დაფუძნდა იგი, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე. ეს გახლავთ კორპორაციული მეწარმეთა გამაერთიანებელი ბიზნეს-ორგანიზაცია, რაც შეიძლება მაღალი ბრენდისა და იმიჯის მქონე, ყველაზე უძველესი, ბიზნეს-საერთაშორისო ორგანიზაცია. აქედან გამომდინარე, როგორც საქართველოს, ასევე დამოუკიდებელი რაიონული ორგანიზაციები გაერთიანებულია საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის სივრცეში. ასევე შავი ზღვისპირეთის სავაჭრო-სამრეწველო სტრუქტურებში. ჩვენი უმთავრესი მიზანი გახლავთ რეგიონის რესურსული პოტენციალის გამოვლენა, ეკონომიკაში მისი მაქსიმალური გამოყენება, მეწარმეობის განვითარება და ეკონომიკის აღორძინება. ჩვენი უმთავრესი საზრუნავია ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეების ერთმანეთთან დაკავშირება, ორმხრივი ინტერესის სინთეზის შექმნა. აგრეთვე ჩვენი განსაკუთრებული სტრატეგიაა სამამულო რუსურსული პოტენ- ციალი — უძვირფასესი ნედლეული გავყიდოთ არა ნედლეულის, არამედ— პროდუქციის სახით, რათა მივიღოთ მაქსიმალური უკუგება. ჩვენი პრიორიტეტები მთლიანად მოიცავს აგროსექტორს. მას გააჩნია თავისი წრიული, კომპლექსური ბიზნეს-საქმიანობის საშუა ლება, ნიადაგის დამუშავებით დაწყებული, აგროპროდუქტების წარმოებით, მისი გადამუშავებითა და მზა პროდუქციის გამოშვებით, მარკეტინგი და რა თქმა უნდა ევროპისა და მსოფლიო ბაზარზე გასვლით ჩვენი მაღალი იმიჯის ხარისხოვანი პროდუქტის ადგილის დასამკვიდრებლად. ამ მიზნების მისაღწევად კი არსებობს სტრატეგია, მეთოდები, ფორმები. ეს გახლავთ პერიოდული გამოცემები, როგორც რეგიონის, ისე რესპუბლიკის მასშტაბით ჩვენს პროდუქციაზე. დღეს ინფორმაცია ყველაზე ძვირადღირებულია ბიზნესში. მიუხედავად საინტერნეტო ქსელის თუ თანამედროვე კომუნიკაციების სიმრავლისა, ბეჭდური პროდუქცია განსაკუთრებულია. ამიტომაც გაავწყვიტეთ გამოგვეცა მაღალპოლიგრაფიული კულტურით გამორჩეული გზისმეკვლევი ბიზნესმენებისა და ტურისტებისათვის. (შემდგენელი — ბატონი **რევაზ ცაავა**, რედ.) საერთო ძალისხმევით ამ საქმეს ჩინებულად გავართვით თავი — ახლა ჩვენს ხელთ არის ფერადი, ილუსტრირებული ჟურნალი სამ- ეგრელოს შესახებ, სადაც შეძლებისდაგვარად ასახულია მისი ღირსშესანიშნაობანი, ასახულია რესურსულ-პოტენციური პრიორიტეტები ბიზნეს-სივრცეში. თამამად ვიტყოდი, რომ ფრიად მაპროვიცირებელი დოკუმენტია, რომელმაც თანაბრად უნდა დააინტერესოს, როგორც ადგილობრივი, ისე — ტურისტად თუ მეწარმედ ჩამოსული სტუმრები. ტურისტი რატომღაც გართობის ცნებაასთანაა გაიგივებული, მაგრამ ბევრ შემთხვევაში დათვალიერება, ხიბლი შემ- დგომში ბიზნეს-ინტერესის გაღვიძების საწინდარი ხდება. ჟურნალი სამენოვანია — ქართულ- რუსულ-ინგლისური. სასიხარულოა, რომ ჩვენი სავაჭრო-სამრეწველო პალატის მონიტორინგის, ანუ შესწავლისა და შეფასების შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების სარეთაშორისო განვითარების მისიამ ამიერკავკასიაში მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ გაითვალისწინოს ჩვენი გამოცდილება, ფუნქციები პარტნიორულ მეწარმეებთან და საგრანტო პროექტით დაფუძნდა კიდეც ბიზნეს-საკონსულტანციო ცენტრი „ზუგდიდი კონსალტინგი".

— აბის თაობაზე ზემოთ სათანადოდ დაკვალიანებულა მკითხველი. ახლა უფრო თანადროული ბიზნესის ესთეტიკაზე საუბარი მგონია. ინფორმაციის როლზეც ვიმსჯელეთ ნაწილობრივ. იგივე ითქმის ბიზნეს-სივრცეზე, რაც ფაქტობრივად მსჭვალავს ინფორმაციის შინაარს. თქვენს მიერ დასტამბული

ჟურნალის ავტორებთან ერთად დასახელებულია ბატონი ტარიელ ქანთარია, მაგრამ ჩემდა საკვირველად მის ბიზნესურ მოღვაწეობაზე ფრჩხილისოდენა ინფორმაცია ვერსად მოვიძიე. ბატონი ტარიელი 11 სახეობის პროდუქციას უშვებს მცირე საწარმოთი, რაც ძალზე ცოტამ თუ უწყის სადადიანოში. კლასიკური ანდაზის სიტუაციაა: მჭედელს დანა არ ჰ ქონდაო. სამეგრელოს რეგიონში უამრავ მეწარმეს ვიცნობ, რომლებიც სიამოვნებით განათავსებდნენ ინფორმაციას პრესტიჟული პუბლიკაციის ფურცლებზე:

— უწინარესად თავად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი.

ჩვენ წელიწადზე მეტია ვფუნქციონირებთ, რათა მეწარმეები აღვჭურვოთ ბიზნეს-საქმიანობის თანამედროვე დონით, მაგრამ ძველი მენტალიტეტი ვერაფრით მოვიშალეთ. არადა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, პირველი რაც არის, ბიზნეს-მენეჯმენტი და მარკეტინგული კვლევებია. ბაზრის მოძიების ურთულესი პროცესი მისი შედეგებით.

ეს ყველაფერი ნაკლებად ეხება ბატონ ტარიელ ქანთარიას, ვინაიდან იგი გამუდმებულ ძიებაშია, ვერცხლისწყალივით ტრიალებს და არც ჩვენგან აკლია მორალური თუ ეკონომიკური მხარდაჭერა. იგი უწინარესად წარმატებულია თავისი ხალასი პროდუქციით. ასევე ჩვენი სისხლხორცეული მიზანია ძველი ტექნოლოგიების, დარგების შეწონასწორება ახალთან, ტრადიციულის შენარჩუნება და ახლის ათვისება. უნდა გითხრათ პრიორიტეტებზე. ეს გახლავთ ჩაის შენარჩუნება იმდენი დოზირებით, იმ რაოდენობით, რომ მან მონაწილეობა მიიღოს კვლავინდებურად ჩვენი კუთხის, ზოგადად სრულიად საქართველოს ეკონომიკურ კარადაში. ზოგიერთი სპეციალისტისა და ჩინოვნიკის სკეპტიციზმის მიუხედავად ჩაის კულტურა კვლავაც იტყვის თავის სიტყვას ეროვნული სიმდიდრის დაგროვების პროცესში. მართალია, არსებობს მარცვლეული კულტურები, არსებობს მეცხოველეობა, შემოდის კივი, ფეიხოა, ტემპადგანვითარებადი თხილი, მაგრამ მე, როგორც დაფნის ბიზნესში დაკავებული პიროვნება, მაინც ერთ-ერთ პრიორიტეტად მივიჩნევდი და მივიჩნევ ყველაზე საიმედოს, ყველაზე ერთგულს, ყველაზე ამტანს და გამტანს თავისი საშემოსავლო პოტენციით — დაფნას სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, დასავლეთ საქართველოში ზოგადად. იმიტომ რომ იგი არის ნებისმიერი ბუნებრივი პირობების დროს ერთგული კულტურა, რომელიც, ყოველწლიურად გლეხს აძლევს ოჯახის საბიუჯეტო შევსებაში ძალიან დიდ შემოსავალს. მით უმეტეს, როცა დღეს მის ფოთოლზე დამზადებულმა

ეთეროვანმა ზეთმა მსოფლიო ბაზარზე ავტორიტეტთან ერთად ძალიან დაიფასა თავი.

— ბატონო იური, დაფნის კულტურით კოლხეთში ყველაზე უფრო ხობის რაიონია ცნობილი. იქ ძმებ კემულარიებს აქვთ მსგავსი ტიპის საწარმო.

— სამეგრელოში, ხობში არის კემულარიების საწარმო, რომელიც ტრადიციულად ეწევა დაფნის დამზადებას, მის დაწნეხვა-დაფასოებას. განსხვავებით ამისა, რაც მე გამაჩნია, საქართველოში ერთადერთი ეთერზეთოვანი კულტურების გადამამუშავებელი საწარმო და ორიენტირებულია, როგორც ჭარბრესურსიანი დაფნისა და ევკალიპტის რეგიონი. უკვე ათი წელიწადია ჩვენ ევროპის ბაზარს ვაწვდით დაფნის ეთეროვან ზეთებს და გვაქვს მზარდი მოთხოვნები. რახან ჩემს საწარმოს შევეხეთ, იგი უნარჩენო ნედლეულზეა ორიენტირებული. ეს გახლავათ დაფნის წარმოება, დაფასოება-დაწნეხვა, ხოლო არაკონდინციური დაფნიდან, ანუ ანარჩენებიდან მაღალფასოვანი ეთეროვანი ზეთის წარმოება. სწორედ ამ ტექნოლო- გიურმა პროცესმა მოხიბლა ამერიკის შეერთებული შტატების სააგენტო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით. მან თავისი პროექტით განახორციელა ჩვენი ეთერზეთების ქარხნის რეკონსტრუქცია, გაფართოება, ტექნიკური ხაზების სრულყოფა კომუნიკაციების აღდგენით, ასე რომ: დღეს ჩვენ უკვე გვაქვს წარმოების სრულყოფილი ციკლი.

— თქვენ თითქმის ყველაფერს ეხებით დაფნის ფოთოლზე, ბატონო იური, და მაინც უამრავი საინტერესო ფაქტი განზე გვრჩება: მაგალითად, დაფნის გვირგვინზე სიტყვას არ ძრავთ, თანაც ზუგ- დიდელი კაცი. ამბობენ, მისი გვირგვინით ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულ ნონა გაფ- რინდაშვილის თბილისის აეროპორტში სადადიანოს დელეგაცია დახვედრია კაკა ყვანიას მეთაურობით. გალაკტიონის სტრიქონები მახსენდება: „ნელი დაფ- ნის ფოთოლი“. პოეზიისა და ორთაბრძლების რჩე- ულთ დაფნის გვირგვინებით შეამკობდნენ ხოლმე: ჰერაკლეს, იულიუს კეისარს, ალიგიერს, გაგარინს, გაფრინდაშვილს...

— როდესაც უმაღლესი სტუმრები მივიღეთ ჩვენი საწარმოს პრეზენტაციაზე, ხედავთ აქ მათ ამსახველ ფოტოებს, ეს ბობ უილსონი გახლავთ, ამერიკის შეერ- თებული შტატების საერთაშორისო განვითარების მისიის გენერალური დირექტორი ამიერკავკასიაში, სწო- რედ ამ გვირგვინით დავ- ასაჩუქრეთ. წარუშლელი იყო რეაქცია. კინალამ გადაირია. ჩვენ გვაქვს წინადადება მთავრობისა და ხელისუფლებასადმი, რომ ტრადიციად დამკვირდეს თითოეული ეროვნული მნიშვნელობის პიროვნების დაფნის გვირგვინით დაჯილდოება. ჩვენ ამ დაფნის გვირგვინებს უსასყიდლოდ დავამზადებთ მათ- თვის. ჩვენი საწარმოს პრეზენდაციაზე ყველა დიდი სტუმარი ამნაირი გვირგვინი დასაჩუქრდა. სხვათა შო- რის რამდენიმე წლის წინათ გაჩენილმა პრობლემამ განადგურების საშიშროება შეუქმნა დაფნას.

— მაინც რა პრობლემაზეა საუბარი?

— მოგახსენებთ. 2-3 წელიწადია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველომ დამოუკიდებ- ლად გადადგა ნაბიჯები, როგორც სხვა პროდუქცია! ნედლეულის გასაღებისათვის, ისე დაფნის ფოთ- ლისა და მასზე დამზადებული ეთეროვანი ზეთის გატანაზე ევროპისა და მსოფლიოს ბაზარზე. საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა საქართველოს ეთერ- ზეთების კონ- ცერნი, შემავალი სოფლის მეურნეობის სამინისტროში. თავის მხრივ, ფუნქციონირებდა საკავში- რო კონცერნიც, მაგრამ ინფორმაციის სიმწირე მაინც შეინიშნებოდა. ახლა მე ვეწევი აქტიურ პროპაგანდას დაფნის ინდუსტრიის განვითარებაზე, რომელ- საც იზიარებს სოფლის მეურნეობის მინისტრი, ბატონი **კონსტანტინე ცისკარიშვილი.** ეს ახალგაზრდა კაცი ძალიან პროგრესულად მსჯელობს ყველა დარგის განვითარების ოპტიმალურ პერსპექტივებზე, მათ შორის ჩვენს რეგიონში. მან სწორად დაინახა დაფნის ინდუსტრიის განვითარების საუკეთესო საშუალებები და აუცილებლობა, ეკონომიკის განვითარებაში მონაწილე აქტიური რესურსებით და მისგან დამზადე- ბული პროდუქციით. მე მეწარმე ვარ და ჩემს დარგს ყოველთვის გავუწევ პროპაგანდას, მაგრამ ამას მარტო ჩემი მოსალოდნელი შედეგებისა და მიღწევადი მიზნე- ბისათვის როდი ვაკეთებ. გეუბნებით, რომ დარგი, რომელიც გამუდმებული ფასდაკლებებისა და დაბალი ღირებულების გამო, დაკნინებული იყო რამდენიმე ათეული წლის წინათ, ნელ-ნელა წელში იმართება. თქვენ წარ- მოიდგინეთ, კილოგრამი დაფნა გახურე- ბული სეზონის დროს, როცა ჭარბი რესურსია, დოლ- არზე დაბლა არ ჩამოსულა. გეხსომებათ, კომუნ- ისტების პერიოდში რამდენჯერ აიწ-დაიწია მისმა ფასმა, ამ სუბიექტურმა ზიგ-ზაგებმა საწადელს მიაღ- წია — კეძო მესაკუთრეს სურვილი ჩაუკლა და ამოა- ძირკვინა დაფნა, მის ადგილას თხილი გააშენეს განუ- კითხავად. ახლა თხილომანიამ მოიცვა დასავლეთ საქარ- თველო. ამას ემატება სადღეისო კივომანია და ვინ მოთვლის. „მანია“ ნებისმიერი დამღუპველია, მით უფრო — აგროსექტორში. სოფელი ოტობაია თხილის სამშობლოა და ამ კუ- ლტურას მეტოქე არა ჰყავს თქვენთან, მაგრამ ყველა ფარ- თობზე მისი მექანიკური გავრცელება გაუმართლებელია უცილობლად. იქაც არის უეჭველად ნიადაგობრივი სხვაო- ბები. ოქტომბერი კი, ჰო, თარგამული, ნიადაგით მოზაიკურად არის მისადაგებული თხილის განვითარებას. მაგრამ ყვე- ლაფრის მიუხედავად მასობრივად აჩეხეს დაფნა და მივიღეთ რა? საერთო სიდუხჭირე. თხილი სპეციფიკური კულტურაა და ძალიან ფრთხილად უნდა მოვეპყრათ მის განაშენიანებას. მე მგონი ცოტა ნაადრევად მოუვიდა სამეგრელოს მოსახლე- ობას დაფნასთან გაბრძოლება და თხილით ჩანაცვლება. ამიტომ ჩვენ გლეხებს კონსულტაციასაც ვუწეთ შეგნებულად, არასამთავრობო ორგანიზაციებსაც ვიყენებთ, სათანადო რეკო- მენდაციებსაც ვაწვდთ. გამოდის ამერიკელების მიერ დაფი- ნანსებული აგრონომიული დარგის ჟურნალი „აგროინფო“, სადაც ყველა პრიორიტეტია წარმოდგენილი, დაწყებული დამუშავებიდან, მისი მოვლა-პატრონობით დამთავრებული. ჩემი ღრმა რწმენით, იქ, სადაც არაფერი ხარობს, და თქვენ ახსენეთ ხობი, კირქვიანი ადგილი, ქვაზე ამოდის დაფნა, და არაჩვეულებრივ, უნიკალურ პროდუქციას იძლევა. მსოფ- ლიოში არსებობს უამრავი, 300-ზე მეტი სხვადასხვა სახის დაფნის კულტურა. არ გაინტერესებს მაინც რა ღირსებით გამოირჩევა ადგილობრივი? ჩვენს დაფნას კეთილშობილი დაფნა ჰქვია, „ლავრა ბლაგაროდნაია“ რუსულად. განა ჩვენ რაიმე კომპოზიტს ვუკეთებთ ფოთოლს ან მის ზეთს?! ან რომელი ჭკუათმყოფელი გაპატიებს ქიმიურ ჩარევას?! ეს არის ნატურალური, რომელიც ფართოდ გამოიყენება პარფიუმერ- იაში, კოსმეტიკასა და კვების მრეწველობაში. ახლა გამოიკვეთა დაფნის რაფინირებული, მეორედ გაწმენდილი, ვაკუუმირებული ზეთის გამოყენება არომათერაპიაში. ეს გამოცდილია უკვე ამერ- იკაში. ჩვენი ორივე პროდუქცია — პირველადი და მათი სტანდარ ტებით გამოშვებული, გაიგზავნა ამერიკაში და მათი ლაბორატორიისგან ძალზე დიდი შეფასება დაიმსახურა.

— ისტორიიდან ცნობილია ჩვენი ველური დაფნა შქერი, მისი ყვავილის მათრობელა თაფლი. ამნაირი საკვებით გაუმასპინძლდნენ ჩვენი წინაპრები მომხდურ ბერძნებს, ანტიკურ ხანაში, დაათვრეს მისით და ერთიანად ამოჟუჟეს.

— შქერზე განვითარებულია სხვა- დასხვა ჯიშის დაფნა. ძალიან კარგად ხარობს იმერეთში. გეგმაზომიერად გაშენებულ პლანტაციებში შემოტანილი ნერგებით სპეციალურად გამოყ- ვანილია თავისი მახასიათებლებით დაფნის უნიკალური ჯიში. არის დაფ- ნის ჯიშებთან მიდგომა, რომლის მიხ- ედვით, იგი აუცილებლად უნდა იჭერდეს ევროსტანდარტებს ზომებში, სიგრძე-სიფართესა (8-10— 4-5 სმ.) და ფერში. მაგრამ ასეთი დაფნა გამიზ- ნულია დაფასოებისათვის, სუპერ- მარკეტინგების მეშვეობით გასაყიდად, სადიასახლისო სამზარეულოში გამო- ყენებადი ნედლეული, მაგრამ, როგ- ორც მეწარმეს, მე პარალელურად მჭირდება არასტანდარტული ფორმატის დაფნაც, რომლის შემადგენ- ლობაში გაცილებით მეტია ეთერ- ული ზეთის შემცველობა. არის დაფ- ნა იუგოსლ- ავიაში, თურ ქეთში, მაგრამ ჩვენს ნედლეულზე წარმო- ებული ზეთი ჯერ კიდევ საბჭოთა პერ-

იოდიდან მოყოლებული, განსხვავ- დებოდა ხარისხით და აქედან გამომდინარე— ფასითაც. მიზეზი ერთად- ერთია — მისი უნიკალური წარმო- მავლობა — კეთილშობილება. არანაკლებ საინტერესოა დაფნის დეკორატიული სახე. შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, იტყვიან. საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს რაღაც ძალად გამოყვანილი ჯიშები. არადა, დავაკ- ვირდეთ ძველ ეზოებს, ლამაზად გაკრეჭილ ცოცხალ ღობეებს. მათ თვალ- თვალს ხომ არაფერი ჯობია. აი, ამ დანიშნულებითაც მე ვურჩევდი ჩვენი რაიონის, ქალაქისა და რეგიონის სპეციალურ სამსახურებს მაქსიმალურად ჩაერთოთ იგი პარკებისა და სკვერების განაშენიანებაში. საბედნიეროდ, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო გლეხობას არ ჰქონდა საშუალება გამოეყენებინა ისეთი საწამ- ლავი, რომელიც შემდგომ ასახვას ჰპოვებდა გასატანი პროდუქციის შემოწმების დროს. ხშირად მოდიან ჩემთან უცხოელები, განსაკუთრებით ამერიკელი ექსპერტები, რათა შეამოწმონ სად უნდა შევიძინონ გამო- საშვები პროდუქციისათვის ნედლეული. ისინი ერთ რამეში მყარად დარწმუნდნენ, რომ ადგილობრივი დაფნა აქა-იქ დაავადებულია რაღაც მწერებისგან, მაგრამ არა — ქიმიურად. ეს დიდი მნიშვნელობის ფაქტორია. ჩვენს კეთილ შობილ დაფნას დღეს დაზიანე ბული აქვს გარეგნული იერ-სახე, თუმცა უასშველო არაფერია. ისინი ხალისით გვთავაზობენ რეცეპტებს, რომელიც ევროპის, მსოფლიო სანედლეულო ბაზრისათვის მისაღებია. გარდა ამისა, ისეთი კომპანიისათვის, როგორც ჩემია, წელიწადში დაფნის 3000 ტონა ნედლი მასა სჭირდება, როგორც დაფასოებადაწნეხვისათვის, ისე — ზეთის გამო- საშვებად, ალბათ, ძნელი იქნება კერძო სექტორიდან ერთგვაროვანი ნედლეულის მიღება. ამიტომ თუ გინდა მსოფლიო ბაზარზე გახვიდე, ჩვენ გვაქვს ვებგვერდი, ელ-ფოსტა, გაგვაჩნია საინფორმაციო ქსელი, რომლითაც ცნობენ ჩვენს კომ- პანიას და ჩვენი უამრავი პოტენციური პარტნიორი გვეკითხება: გვაქვს თუ არა სანედლეულო ბაზა. მოკლედ, ნებისმიერ წარმოებაში ორი ძირითადი ფაქტორია წამყვანი: **პირველი** — ხარისხი, თვითონ ნედლეული და **მეორე** — ნედლეულის გადამუშავება. წარმოება ყველა მახასიათებლით ეფექტურია, როცა საკუ- თარი სანედლეულო ბაზა გაგაჩნია. ამისთანა შემთხვევაში ყოველთვის ცდილობ მოგება ბოლოს კი არ გამო- იჭირო, არამედ — ნედლეულის დამ- ზადებისთანავე მისი უდანაკარგო წარმოებით: ეს გახლავთ პლანტაციის მოვლა-პატრონობა, ნედლეულის უნარჩენო გადამუშავება და შემდგომში — პროდუქციის სახით რეალიზაცია. თუ ამ პროცესს წარმატებულად მართავ, ესე იგი ნამდვილი ბიზნესმენი ხარ, დაახლოებით ისეთი, როგორც ეს კეთილშობილ დაფნას ეკადრება.

მესიჯები უბატონო ნარაზენიდან

საქართველოში რამდენიმე კუთხეზე იტყვ- იან უბატონოს — ქიზიყსა და სვანეთზე. საბედნიეროდ ორივე მხარე მომივლია თავის დროზე. ორივეგან მინებებია უშურველად შემოთავაზებული ჭერი, კერია, პურ-ღვინო. ყოველივე ამის თაობაზე გამოწვლილვით მიწერია სხვა- გან, და აქ სიტყვის გაგრძელება უადგილოა, მაგრამ ერთი უბატონო საადამიანო ჩვენი სინამდვილიდან აქამდე მიცდის თვინიერი მიმტევებლობით — **სოფელი ნარაზენი** და აქ მეტის დახანება ნამდვილად აღარ ძალ მიძს. ნარაზენის ეტიმოლოგიური შინაარსი არ მოიცავს რაიმე საკრალურ სიბრძნეს, იგი თავისი აგებულებით „ზედაზენის“ ეკვივალენტურია, სადაც მთავარი აქცენტი „ზენზე“ მოდის, ზეგანზე, ვაკე ადგილზე, ეტიმოლოგიურად ნარაზენი ამაღლე- ბულ-ტაფობს ნიშნავს.

ჩემი ერგასხუთწლიანი სიცოცხლე სავსეა აურაცხელი უჩვე- ულობით, რომელსაც შემთხვევითს ველარაფრით დაარქმევ, მით უფრო — ბოლოდროინდელი მოვლენების ანალიზის შემდეგ. ყოველივე მაღალი ღმერთისაგან დასაზღვრული მგონია და ამ გადასახედიდან ვეხმიანები უბატონო ნარაზენის ერთ-ერთ მეციხოვნეს, ბატონ ბორის ლომაიას უკომპრომისო წუთისოფელს.

ჩვენი ნამუსიანი ნაცნობობა ოთხმოციანი წლებიდან იწყება. იმ ხანად მე ნომენკლატურული მივლინებებით ვირჩენდი თავს და სინდისი იოტისოდენადაც არ მქეჯნიდა ლიტერატურული ხალტურებით საზრდოობის გამო. მისარგებლია მწერალთთა კავშირის შემოქმედებითი მივლინებით, რომლის მიზანი იყო ხუთწლედის მხარდამხარ შთამბეჭდავი ადამიანების ლიტერატუ- რული გამოკვერვა. მისარგებლია საქართველოს ალკკ ცკ-ის ფინანსური წყალობებით, რომელიც დამკვრელურ სულის- კვეთებებს აქეზებდა. ამას ზედ დაერთო პროფესიული განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ გამოცხადებული კონკურსი, რომელიც მაღალმხატვრული ნაწარმოების გამოვლენას ისახავდა მიზნად. მეც ვისარგებლე სიტუაციით და ბატონ სერგო რიგვავას ნდობა მოვიპოვე მიმზიდველად შედგენილი გეგმა-პროექტით. გამიფორმეს შემოქმედბითი მივლინება ზუგდიდის რაიონში. ლამის წელიწადს მიხდიდნენ საკმაოდ სოლიდურ თანხას შეკვეთილი რომანის

გასრულების საბაბით. ბატონ ტიტე მალაშხიას №62 „პეტეუში“ მეძინა. თავს მეხვია წერწეტი გოგონების ამალა. ფურცლების გადათეთრებაში შემაშველებდნენ ხელს. ვსაზრდოობდი უფასოდ ყუათიანი რაციონით. იმ ხანად ბატონი ბორისი სამეცნიერეო-მეთოდური ცენტრს მესვეურობდა სისტემაში. ჩემს სამივლინებო ხარჯებს, დიახაც, ის განაგებდა. თავდაპირველად მომთხოვა მატარებლის ბილეთები, სასტუმროს ქვითრები და ა.შ. მაგრამ მსგავსი რეკვიზიტების უქონლობით რომ ავიწურე და დავალიანებისგან თავის დაღწევა გამიძნელდა, მოძებნა იურიდიულად მყარი არგუმენტები:

— შემოქმედებითი მივლინება სხვანაირ მიდგომებს საჭირო- ებსო, — გაამართლა ჩემი დაუდევრობა და საქმე გამიიოლა. მივლინების თანხას უკვე ზუგდიდში ვიღებდი ყოველთვიურად. ბუნებრივია, 10—11 თვეში რანაირად გამოვაცხობდი სქელტანიან რომანს პროფესი- ული ორიენტაციით დაინტერესებულ ახალგაზ- რდობაზე, მაგრამ „სიცოცხლემის ჯილის“ დაბადებას ეს მივლინება რომ დაედო საფუძ- ვლად, აშკარაზე აშკარაა.

ბატონი ბორის ლომაია, მუდამ ომახიანი, როხროხა, წელგამარ- თული კაცის რეპუტა- ციით დადიოდა სადადიანოში და ერთობ ამაზრზენია ჩემთვის ბოლო დროს მის გარშემო წარმოქმნილი წკმუტუნ-წკავწკავი, რომელსაც ნიადაგ ჩასაფრე ბული „ასავალ დასავალი“ დაქოქავს ორღობე-შარა, თუმცა ნათქვამია, ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო და მავანთა ზოილური პუბლიკაციები რაღა ჩემი განსაქიქებელია.

ჩემთვაის სხვა რამ გახლავთ ნიშანდობლივი — ბატონი ბორისი ყოველთვის ინიციატივიან პიროვნებად მესახებოდა იმ წლებშიც კი, როცა მისი ოპონენტი მიშა ლომაია ერთობ გამორჩეული ადამიანური მხარდაჭერით მანებივრებდა. მე ბატონების: საშა ეგუტიას, ჯოტო გუგუჩიას,ოთარ ფაცაციას მიმეტებული ყურადღებით ვიყავი გარემო- სილი ნიადაგ და მიშა ლომაიას თანადგომასაც ეს მომენტი განაპი- რობებდა. მსმენია მათ შორის წამოჭრილ უთანხმოებებზე, რომელიც უწინარესად მართვის, ხელმძღვანელობის სტილს და საქმიანობის ნიუანსებს შეეხებოდა, ამასთან პირველობის ეროვნულ სინდრომსაც ითავსებდა უცილობლად. ნარაზენი ხომ შეუდარებელია ზუგდიდის რაიონში. ტრადიციურად დარჩელიღა თუ გაუწევს მას მეტოქეობას მამულიშვილობის ასპექტით, და არაფერია გასაკვირი, რომ ეს ორი სოფელი, უფრო სწორედ თემი, ეს ორი ტანდემი გადაარჩენს სადადიანოს ნამუსს ოთხმოცდაათიან წლებში. „მხედრიონის“ თავნებობის პერიოდში მე დარჩელელ ბიჭებთან დავიარები იარაღის საშოვნელად. მაშინ მხოლოდ თამაზ ხუფენიას გააჩნია ავტომატი გადაბმული მჭიდეებით. სხვები — ყორშიები, კოდუები, თოდუები, აბსანძეები, ბიგვავები, სხვანი და სხვანი ორლულიანი თოფები აპირებენ მომხდურის მოგერიებას. ამაო გამოდგება ჯავშანტრანსპორტიორების შესაჩერებლად ხიდების აფეთქებები. შეუფერხებლად გადმოლახავს კბილებამდე შეიარა- ღებული კროიმინალების ხროვა მდინარეებს, არხებს, შლაგბაუმებს და ღრიანცელებით მოედება მთელს სამეგრელოს. დარჩელელების შემართება იმ პერიოდში უმაგალითოა. მაშინ 27 ოჯახი გადაიბუგება

იქ მსახვრალი ხელით ქედუხრელობის გასაქარწყლებლად. ისტორიულად დარჩელის სიახლოვეს გამართულა დიდი სისხლისმღვრელი შეტაკება სამეგრელოს სახალხო ლაშქარსა — „უტუს ანტლერიასა“ და ომერ ფაშას ასკერებს შორის. სადადიანოს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე წარუძღვება იმ ლაშქარს ნალიმასკენ და გაერთიანებული ძალით კუდით ქვას ვასროლინებთ დუშმანს. მაგრამ თვისტომს ვერ გავუმკლავდებით დარჩელში, ვინაიდან მოფვასის ქურქში შემძვრალმა მტერმა უკეთ იცოდა ჩვენი ავანჩავანი, ჩვენი ბუნება, ჩვენი ხასიათი — რომ მოძმეს ძნელად თუ გავიმეტებთ სასიკვდილოდ, თუნდაც უკადრებელს ჩადიოდეს.

აი, ნარაზენში კი განსხვავებული სცენარით წარიმართება ყოველივე. ზუგდიდში ალაფი ალაფს მისდევდა დედაქალაქის მიმართულებით. ჩამოდიოდნენ ჯაბახანა ჟიგულებით და „მერსედესებით“ ბრუნდებოდნენ უკან. ჩამოდიოდნენ ოთხი ავტომობილით და ორასით უბრუნდებოდნენ თბილისს. უნიტაზებს აცლიდნენ ბარძაყებიდან მოქალაქეებს. ოთახში დამონტაჟებული ძვირფასი კარადები რომ ვერ გაიტანეს ბინებიდან, დალეწეს ავტომატის კონდახებით. ქურდს სამშობლო არ გააჩნიაო, თქმულა. ამ საბედისწერო თემას მე რომანიც კი მივუძღვენი „როკის“ სახელწოდებით, რომლის მთავარი გმირი თითქოს დადგება ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე, მაგრამ მომენტი აღმოჩნდება ეს პატროფილია, იმპულსი, ვინაიდან დამნაშავეთა სამყარო საშუალებას არ მისცემს მამულიშვილურ გზაზე შემოხეტებულ პიროვნებას შეუფერხებლად აკეთებინოს ერის საქმე და ისევ მავნებლობის ჭაობში ჩაეშვება. განაბი, ავტორიტეტი, „კანონიერი ქურდის“ სინონიმია და საქმის დიდი ცოდნით ვცადე დამეხატა ამ კატეგორიის ხალხის გადაგვარება, გაუფასურება, დევალვაცია მესამე რომანში. ქურდული ფსიქოლოგიის ხალხი მხოლოდ ჩეჩნეთში მოახერხებს საშვილიშვილო საქმის გასრულებას, როცა დანაღმულ ველზე 27 ავტორიტეტი რიგ-რიგობით გადადგამს საბედისწერო ნაბიჯს უმწეო

შთამომავლობისთვის უსაფრთხო ბილიკის გასკვალავად. ასეთი რამ მართლაც იშვიათობაა. ამ ფენომენს შეიძლება დავუწყვილოთ გადი ლომაიას საქციელიც, როცა სამეგრელოში მოღვარცოფებული „მხედრიონის“ შეკავებას საკუთარი მკერდითღა შეძლებს. აქ ჰერაკლეს მკერდი გაგვეხსენდება უნებლიეთ, როცა ავგიას თავლების გაწმენდას მოიგუნებებს, არხებს გათხრის და წყალს მიუშვებს საჯინიბოებში, თავად სხეულით აეფარება იმ წუნწუხ-დარდუბალას, ამაზრზენ ნაკადს კედელს გაანგრევინებს და უფსკრულში დანთქავს საუკუნოდ. დიახ, გადი ლომაიას წყალობაა ნარაზენი, მისი მიმდებარე სოფლები გაუგონარ ძარცვა-გლეჯას რომ გადაურჩება. ჩემთვის დღემდე გაურკვეველია, როგორ, რა ვითარებაში, ვისთან და რომელთან შედგება საუბრები ნარაზენის ხელშეუხებლობის თაობაზე, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — გადი ლომაიას ავტორიტეტმა მთელი სოფელი იხსნა დამამცირებელი გაწეწვისაგან. სამეგრელოში სასიძოებად ჩამოსულ ხალხს აქეთკენ არც კი გამოუხედავს, და გასაკვირია, განა ბატონი ბორისი ჯაბა იოსელიანის საფლავიდან ამოღებით რომ იქადნება დღესაც. ეს ყველაფერი ჟესტი უფრო მგონია, თორემ ხომ ცასავით ნათელია, იმ ჯაბასთან საერთო ენის გამოუნახავად, „მხედრიონის“ შეკავება თვით დარჩელელებსაც არ გამოუვიდათ ჩანგრეული ხიდებით თუ შლაგბაუმებით.

ნარაზენელებზე მე ადრეც მომიმართავს კალმისტარი. მაშინ ჩემი ნარკვევის „ნალის შეჭამადის“ გმირი, მისი მკვიდრი, ბატონი თემურ თოდუა გახლდათ, გადი ლომაიას ძმადნაფიცი, და სულის თანაზიარი, მასავით უდრეკელი და ქედუხრელი ივანიჩი — მოვარდნილმა წყალმა რომ წაიღო კოლომეტრნახევარი გზა და უმოკლეს დროში, თითქმის უარაფრო სოფელმა თვალის დახამხამებაში აღადგინა საერთო ძალისხმევით. საფიქრალი უამრავლი მქონდა ინტერვიუსათვის ლომაიებისაკენ დაძრულს. ბატონ ბორისის ოჯახის მიგნება არ გამჭირვებია. იქ მამაპაპისეული სახლის გვერდით ფეშენებელური კოტეჯიც აღმართულა, მაგრამ მაინც ხის სახლში ვამჯობინებთ განმარტოებას. ავუხსნი ბატონ ბორისს ჩემი ინტერვიუს მიზანსწრაფულობას — ნარაზენში მივიწყებული, მიგდებული მიწების ათვისება რომ უთავებიათ. ზოგან თხილის პლანტაციები გაშენებულა 100, 200 ჰექტარზე. სხვაგან კივის კულტურას ანაყოფიერებენ 1000 ჰექტარზე. ჩაციებულ მუკუზანს მომართმევს. კალმახით მიმასპინძლდება. ალვასავით ავარდნილ შვილიშვილებთან ერთად დაუჭერია სოფლის მდინარეში. ინტერვიუზეც დამთანხმდება, ცხადია, და სამომავლო თანამშრომლობის კონტურებიც გაიხაზება. მე ხომ განათლების მინისტრი მისი ვაჟიშვილის რეფორმებს ზოგადკაცობ- რიული ფასეულობების სიმაღლიდან ვაანალიზებ საუნივერსიტეტო გარდაქმენების წარმოჩენისას. თერგდალეულების ისტორიულ პერიოდთან ვაიგივებ მათ გამოსვლას ცხოვრების ასპარეზზე. ვადასტურებ ეროვნული რეკვიზიტების ერთგვარ შერბილებას პლანეტარული ცნობიერების სასარგებლოდ. ვადასტურებ ჩინეთის დიდი კედლის ანაქრონიზმს, დრომოჭმულობას, რომელი ნაგებობა ერთადერთიღა მოჩანს თურმე მთვარის სიშორიდან, ვინაიდან კომპიუტერის ათასწლეულმა არნახული გასაქანი მიანიჭა ადამიანის უნარების დედამიწისეულ ცნობიერებას, რომელმაც ძალუმ გვიბიძგა ქრისტეს ფასდაუდებელი XI ცნებისაკენ — **გიყვარდეს მტერი შენი**, რომელმაც აშკარად წარმოშვა ვაჟა-ფშაველას სტრიქონების გაცხადების რეალობა: „**რაც იმ ერთ ღამეს მომხდარა, შაუნახია ჰაერსა**“, ანუ ყოველი ჩვენი ქმედება, თითოეული ჩვენი ნაღვაწი წარმოჩენილია სამომავლოდ მატერიალურ სიდიდედ, ეთერულ სივრცეში წარუშლელ ხატად აღბეჭდილ განზომილებად და რამდენიმე ათწლეულის თუ საუკუნის შემდეგ კაცობრიობას ჭეშმარიტად მიეცემა მისი წაკითხვის საშუალება, რუდუნებით გაშიფრულ შუამდინარე- თულ თიხის ფირფიტების მსგავსად. აღმოჩნდება რომ ბატონი ბორისი იმ წარმატებული ბიზნესმენის თანამოსგრეა, ვინც დიდ მამულიშვილურ საქმეს წარმართავს აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოში; ვინც ჩვენი სარედაქციო საბჭოს წევრია დაუსწრებლად და მიზეზთა გამო შეხვედრა დღემდე ვეღარაფრით მოგვიხერხებია. სწორედ ბატონი გურამ დადუანი ხელმძღვა- ნელობს ნარაზენში, ხეცერაში კივის, თხილის პლანტაციების გაშენებას გავერანებულ ფართობებზე. მიწის მოცდენის გამო საქვეყნო ზარალი — თავისთავად, ეკალ-ბარდად ქცეული ჩაინა- რები, უნასებისა და ტურების საკრებულო ადგილი ადამიანის სამსახურში ჩამდგარა კვლავინდებურად. ყველაფერს დავუმატოთ „ასავალ დასავალის“ პასკვილური პუბლიკაცია, რომელშიც დაუმსახუ- რებლად ნასროლ ტალახს გამწარებული იგერიებს ჩვენი პოტენციური რესპოდენტი. დილის მატარებელს დავემ- გზავრები ზუგდიდისკენ. ადგილი სამი დღით ადრე 31-ე შემირ- ჩევია მგზავრებით გადაჭედილ ვაგონში.

აქ მოხერხებული მაგიდაა და პროფესიული მუშაობისათვის უკეთეს სიხალვათეს ვერც ინატრებ. ქალბატონების ჭორიკანაობის ამბავი არახალია. ეტყობა ამათ სვანური ლექსისაგან განსხვავებით ჯერაც არ დადგომიათ სულისშემგუბველი წუთი — **„ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ, უწუქრად სხედან დედაკაცები“**. ფქვავენ და ღერღავენ მთისას, ბარისას. ვისი სახე არ გაიელვებს ამ ვერბალურ

მოზაიმკაში — ზოგ მანდილოსან პარლამენტარს მკრეხელურ ანონიმურ წერილს ამოუშვიშვლებენ ლექსადწყობილს. სხვას ფეხბურთის გუნდს დააშლევინებენ.

ბატონ ბორისის ოჯახსაც ესტუმრება ზეპირი ინფორომაციების გატყლარჭული მეტყველება.

— აბა, რა გეგონა შენ?! გამოუსწორებელი კონგრესმენია თურმე, — ამტკიცებს ფაშფაშა. კონგრესმენი ამათ ენაზე იეღოვენლს ნიშნავს. — მაშ, რა იქნებოდა, მეუღლე ჰყოლია ებრაელი. იმიტომაც გადასდით თავზე ყველაფერი, ბანკი, ინვესტიციები, კრედიტები. ფერზე არ ეტყობათ,

ნახე როგორი წითურები არიან?!აქ კი ყლში მომაწვება აქამდისაც გვარიანად წამოყვინჩილებული ბოღმის ბურთი. განგმირავ მზერას ვესვრი ერთსაც და მეორესაც, მაგრამ ნურას უკაცრავად, თითქოს რწყილებია, ან სულაც უმტკივნეულო ქინქლი გვიანი შემოდგომისა. ეშმაკობას ვიხმარ. დავაძრობ აკრედიტაციის ბარათებს, სახელმწიფო კანცელარიისას, პარლამენტისას, ტუზებივით გავშლი მაგიდაზე. შემდეგ ვიშიშვლებ ,,პანასონიკის'' ფირმის ჩამწერს, გავაჩხაკუნებს კასეტას რამდენიმეგზის. ,,Ðàñ, ðàñ'', შევუმოწმებ ფხიანობას. დავაჭერ ღილაკს და წითელ შუქზე შევაცურებ მათ აღერღილ მადას საუბრისას.

— კი, მაგრამ ცხადაიები, როდის აქეთ გამხდარან ურიები?! ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ, ჟურნალისთვის გამომადგება.

ცივი წყალი გადაესხმება აქამდე ჩვენს ენაფხანია ქალბატონებს, მოკუმავენ პირებს, მომუწავენ ტუჩებს და წვრილ-წვრილი თვალებით მიაჩერდებიან გივი ბერიკაშვილის ,,იუმორინას'' ტელევიზორის მოლიფლიფე ეკრანზე. აი, რანაირი სიტუაციები უსწრებს ჩვენს მარათონულ საუბარს ბატონო ბორის.

ჩანართი:

ს. ფ. №15 ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს
მოქ. გენადი ნადარაიას (მცხ. ზუგდიდის რ-ნი, ს. ნარაზენი)
ახსნა-განმარტება გაზეთ ,,ასავალ-დასავალის''
2007 წლის 11-17 ივნისის ნომერში ჯაბა ხუბუას წერილის გამო

მივიჩნევ, რომ ჯაბა ხუბუას ხელმოწერით დაბეჭდილი სტატია ,,კახა ლომაიას მამა შეგივიდეს ოჯახში'' ცილისმწამებლურია, ხოლო მისი ავტორ-შემკვეთები უნდა გაირიცხონ საზოგადოებიდან.

მე ბატონ ბორისის ახლო მეზობელი და თანამოაზრე გახლავართ. სამარცხვინოა, რომ მისი მებრძოლი სულისკვეთება გაზეთში დაყვანილია ,,ანონიმშიკობამდე''.

,,მხედრიონელებმა'' მას დაუცხრილეს სახლი, დააყაჩაღეს და წაართვეს ავტომანქანა, არაერთხელ გადაქექეს მეურნეობის დოკუმენტაცია, შეკოწიწებული დოკუმენტებით მოხსნეს მეურნეობის დირექტორობიდან, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე 3-ჯერ ჩასვეს ზუგდიდის ციხეში. მიზანი ერთი იყო — ნარაზენიდან, ზუგდიდიდან გაეძევებინათ ხელისუფლებისათვის უხერხული პიროვნება. მიუხედავად დევნისა, ბორის ლომაიამ წარბი არ შეიხარა, მიაღწია 3-ჯერ დაპატიმრების უკანონობის იურიდიულ შეფასებას, გატაცებული სამსახურებრივი ავტომანქანის ამოღებას სოფ. ლამისყანიდან (კასპის რაიონი), სამსახურში აღდგენას განაცდურის გადახდევინებით (ს.ფ. №13), ასევე 1998 წელს ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვებას, გლეხებისათვის კუთვნილი მიწების გადაცემას, საქართველოს პარლამენტისა და სასამართლო ინსტანციებში 5-ჯერ განხილვის შემდეგ (ს. ფ. №№ 14, 4, 5), მოვალედ, მისიჩნევ სასამართლოს მოვახსენო ერთი შემთხვევის შესახებ, რომლის მომსწრე მე გავხდი.საბოლოოდ უზენაეს სასამართლოში მიწისსაქმის მოგების შემდეგ ბატონი ბორისი თანასოფლელებთან ერთად ავტობუსით ბრუნდებოდა. ნარაზენის მიწაზე როცა დავდგით ფეხი, მან მანქანა გააჩერა, გადმოვიდა, ემთხვია ნარაზენის მიწას და დალოცა შემდეგი სიტყვებით: **„ჩემო ჯიგრებო! დამილოცნია თქვენთვის ეს მადლიანი მიწა, სასიკეთოდ მოგახმაროთ იგი!“** ეს იყო 2000 წლის 23 სექტემბერს. ბატონი ბორისი ჩინებული ორატორი, დაუდეგარი ენერგიის, ფანტაზიის პიროვნება გახლავთ, ჩაის ეკონომიკის გამოჩენილი ექსპერტი. მე სულ მის გვერდით ვიდექი და კარგად მახსოვს თუ როგორ მიაღწია მან ბატონ მიხეილ სააკაშვილის და ბატონ ზურაბ ჟვანიას ჩამოყვანას ნარაზენში (იმხანად ოპოზიციის ლიდერები იშვიათად სტუმრობდნენ სოფლებს).

მაქვს პატივი საქალაქო სასამართლოს წარუდგინო ბატონ ბორის ლომაიასადმი ბატონ ზურაბ ჟვანიას წერილის ტექსტი: **„ძვირფასო ბატონო ბორის, დიდი ინტერესით გავეცანი თქვენს წერილს და მადლობას გიხდით მხარდაჭერისათვის. თქვენსავით ავტორიტეტული და გამოცდილი ადამიანების თანადგომა ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია. სიამოვნებით ვიღებ თქვენს მიწვევას სოფელ ნარაზენში წინასაარჩევნო შეხვედრის თაობაზე, სადაც სხვა პრობლემებთან ერთად**

კონკრეტულად ვისაუბრებთ წერილში დასმულ ყველა საკითხთან დაკავშირებით, რომელთა მოგვარება, ვფიქრობ, მტად აქტუალური და საშურია. რაც შეეხება ჩაის კულტუ რასთან დაკავშირებულ პრობლემებს და დარგის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს, ის მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ჩვენს საარჩევნო პროგრამაში. კიდევ ერთხელ გისდი მადლობას თანამშრომლობისა და თანადგომისათვის.

საუკეთესო სურვილებით, ზ. ჟვანია".

ბარემ აქვე დავძენ, რომ მთავრობის თავმჯდომარედ ყოფნისას ბატონმა ზურაბ ჟვანიამ მიაღწია ჩაის აღორძინებისათვის 7 მილიონი ლარის გამოყოფას .

ბორისის სახლში ჯაბა იოსელიანი არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო. მოკლედ, ბატონი ბორისი ნარაზენისათვის აღიარებული, თავდადებული კაცია. მისი ავტორიტეტის ნიმუშია ქველმოქმედებით სოფელში მართლმადიდებლური ეკლესიის მშენებლობისათვის თანხების მიძიება; ზუგდიდი — ნარაზენი — ძვ. ხიბულა — ახ. ხიბულა — ზუბის 24-კილომეტრიანი გზის თითქმის დამთავრებული მოასფალტება. ჩვენს ქვეყანაში რელიგიური აღმსარებლობის კონსტიტუციური თავისუფლება ლეგიტიუმურს ხდის იეღოველობას, მაგრამ სასაცილოა ბორის ლომაიას იეღოველობა. იგი სულით და ხორცით მართლმადიდებელია. ამის დასტურია სანახევროდ აშენებული ნარაზენის მართლმადიდებულური ეკლესია. ბატონი ბორისი მისაბაძია პიროვნულადაც. მასთან რჩევისათვის სისტე- მატიურად მოდიან ნაცნობ-მეზობლები. წესით პიროვნების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად გაზეთის წარმომადგენელი სოფლის თავკაცთან, დეპუტატთან უნდა ცდილობდეს შეხვედრას. ამ შემთხვევაში უფალი ჯაბა ხუბუა არც ცდილა ბატონ ბორისთან, ან ხალხის რჩეულ გოდერძი თოდუასთან შეხვედრას. იგი ყოფილ გამგებელ ზამორ ჯანჯღავას ეწვია. ფერი ფერსაო!

გ. ნადარაია,
2007 წლის 11 ივლისი,
ს. ნარაზენი.

ნარაზენის თემის სინამდვილიდან ვილაპარაკოთ. აქაური მოსახლეობის ძირითადი საარსებო წყარო ათწლეულების წინათ იყო ჩაი, ციტრუსი, თხილი და მარცვლეული კულტურები. მესაქონლეობის განვითარების მხრივ ნარაზენს არ გააჩნია მოხერხებული ადგილ-მდებარეობა. ჩაის პლანტაციებმა მოსპო საძოვრები და ახლა, როცა ჩაის ბაზარი წართმეულია, მომსპარი, სახალხო მეურნეობის სხვა დარგები გაჩაჩანაკებული, ტუნგოს, კორდატას კულტურა უსარგებლო რეკვიზიტად აყუდია ფერდობ და ფერდობ; რაჟამს ქობულეთში მოშლილია ტუნგოს ნაყოფის ზეთსახდელი ქარხანა, მაინც რა აუცილებლობამ მიგვიყვანა თხილისა და კივის კულტურების გაშენებამდე. თუ ისევ ბუმია?! იგივე მოდის მისამართით ფეხის აყოლა. აკი, თავის დროზე ჩვენ გამოვიარეთ დაფნის ბუმი, ,,მეიერისა'' და ,,მამფორიას'' ლიმონების ბუმი, გამოვიარეთი კომპლექსომანიის ბუმი. რა არ ვცადეთ, რას არ მივედ-მოვედეთ?! მაინც ცარიელ-ტარიელნი ვართ, უარაფროები, ბოგანონი, პროლეტარები, გაღლეტილები — მარტივად. როგორია თქვენეული ხედვა?! რანაირად მივედით ჩვენ თხილისა და კივის კულტურების გაშენების აუცილებლობამდე?!

ერთი ენდემური ჯიშია, ადილობრივ პირობებს შეგუებული, მეორე — უცხო. სად არის აქ შუალედი, სად არის მართლზომიერი ხსნა?! სად არის დაუნჯებული გონება, რომელიც დღითი დღე ქრება მხრებიდან, უთაო მხედრებს ვემსგავსებითმაინ რიდის შემოქმედებიდან.სანამ საუბარს გავშლიდეთ, ბატონო ბორის, რამდენიმე ურთიერთ- განმსაზღვრელ რეალობას შეგახსენებთ ბევრისმცოდნეს.

პირველი ორაგულებია. ამ სახეობის თევზების გუნდი ოკეანეში ბინადრობს, მაგრამ ქვირითს მშობლიური მდინარეების სათავეებში ყრიან, ტოფობისათვის აბსოლუტურად უსაფრთხრო ადგილია. გადმოლახავს თევზების ქარავანი ათასობით კილომეტრს. მიფართხ- ალებენ თავთხელებში, კუდს შეატრიალებენ პროპელი ორივით და ჩანჩქერეს აღმა მიჰყვებიან, ლოდებზე ეჩეჩქვებათ დამდოვრებული სხეული. მაინც ეწევიან საწადელს. მაინც მიანიჭებენ სიცოცხლეს თავიანთ ჯიშ- ჯილაგს, რათა ჯანსაღ შთამო მავლობას დაუდონ სათავე. ეს გენეტიკური კოდია, შთამომავ- ლობის ყივილი. სხვანაირად სრული გაბედითებაა, ზედმიწევნითი იავარქმნა.

მეორე ტარკოვკის ფილმია — „ანდრეი რობლოვი". ამ კინოლენტის ერთ-ერთ ნაწილს — ,,ზარები'' ჰქვია. მონგოლ-თათართა ბატონობის ბოლო წლებია. რუსეთი დაღლილია მათი ორსაუკუნოვანი ბატონობით. გაიბრძოლებენ უკანასკნელად და გადაიგდებენ კიდეც მონობის ჯაჭვს. ახლა ეკლესიაა ასაღორძინებელი. საჯინიბოდ ქცეულ ტაძარს განაახლებენ, მაგრამ ზარი არ გააჩნიათ, დალეწილია. მისი ჩამოსხმის მესაიდუმლე მტერს შეკვდომია. მემკვიდრე დარჩენია იმ ოსტატს და აი, ეს ყმაწვილი ითავებს კიდეც ზარის ჩამოდნობას. გასრულდება შრომატევადი საქმე, გუგუნებს ზარი

და ყრმა ტირის ხალხისგან მროშორებით — გაირკვევა, რომ მან ზარის ჩამოდნობისა არაფერი იცოდა, ყველაფერი ხალხმა მოიმოქმედა თურმე, ბიჭი უბრალოდ საქმეს გაუძღვა და საზოგადოება თავად გაასრულებს საკუთარ წიაღში კოდირებულ საქმეს.

მესაშე თხმელებია, შურყანი. დასავლეთ საქართველოში, კონკრეტულად კი სამეგრელოში ეს მცენარეა გაბატონებული ყველგან და დაფუძნების მოსუნე ხელმოკლე კაცი წაბლის ხის ოდას ვერაფრით წამოჭიმავს, ვერც — მუხისას, თხმელას უნდა დასჯერდეს. მაგრამ თხმელის ფიცარი მდარე საშენი მასალაა, ადრე იჩრჩილება, ადრე ლპება ავდართან ჭიდილში. რა ქნას ახლა მეურნე კაცმა?! როგორ აუშენოს ქესეტამ შთამომავლობას საშვილიშვილო სახლი?! და აქ სამყაროისეული სიბრძნე გაამარჯვებინებს წინააღმდეგობასთან ჭიდილში. აგვისტოში მოჭრილ თხმელას წყალში დაძირავენ ორ-სამ წელიწადს, რათა ბუნებით შეძენილი ჭარბტენიანობა გამოიფერთხოს ორგანიზმიდან. ამის შემდეგ ასეთი თხმელის ხე მუხაზე ძლიერი ხდება, ძელქვასავით ქედუხრელი. შორი გზით შემოვუარე საქმელს, ბატონო ბორის, მაგრამ სხვანაირად როგორ დამენახვებინა ჩემი სატკივრები, ჩემი საწადელი?! ათასობით ჰექტარი ჩაის პლანტაცია უქმად აგდია წლობით. კაციშვილი არ არის მისკენ გამხედავი. მოიშალა მეცხოველოების კომპლექსები. მეკამეჩეობა ძრომდეა დაყვანილი. შეიმუსრა ენდემური ჯიშები. ვმართავთ ბაზრობებს ჩხოუშიას მისადგომებთან, ვაჩხრიალებთ თხილს სეზონიდან სეზონამდე და მორჩა. აი, ამ სიტუაციიდან გამოსავალს თქვენისთანა გონებანათელი პრაქტიკოსისაგან ველი, ვისთვისაც თეორია დიდი ხნის წინათ გათავსებულა ზიგზაგიან საწუთროში ხეტიალისას.

მოხდება იმგვარად, რომ ნარაზენში მშენებარე ხარების სასწაულმოქმედ ეკლესიაში, მე, გური ოტობაია, ავუნთებ პირველ სანთელს ჩემს გადი ლომაიას, ჩემს ბუხუნა მიშა ლომაიას, ახლახან ცად ავლენილ მოხოს ჩემსას, თოდუას, ეკლესიის ნათელი ხომ განუზომელია, რომელიც თავის დროზე ყველას შეგვიმყუდროვებს უსაყვედუროდ! მომაკითხავენ ნარაზენელები გოროზ სასომხეთის ტუფის ქვის ლოდებთან გარინდებულს. თავდაპირველ მასპინძლობას თამაზ ბერიშვილი დაიჩემებს, მაგრამ მე მალედვე ლომაიებისკენ დავეღირები. ბატონი ბორისი ნარდის გაქანებულ ჭახაჭუხშია მახა თოდუასთან. მეორე თანამოსაგრე თოდუა უნაბის ხეზე გადასულა და იქ კრეფს მუმიის ხელებივით დამჭკნარკანიან ნაყოფს.

ნარდს აშლიან მასპინძლები, იმისდა მიუხედავად ანგარიში 4:5-ია თოდუა ბიჭის სასარგებლოდ. სახელდახელოდ იშლება მამაკაცური სუფრა — სალათი, ყველი, ძეხვი, პური, ხასხასა ღვინო და კეთილი გული. ბატონი ბორისი ძველებური შემართულებითაა. სამოცდაათს მიტანებულა, მაგრამ არანაირი უკანდახევა. იქნება ომი?! ოთხი თოფის პატრონია, ტყვიას ტყვიაში აჯენს. წარმოდგენილი მაქვს ახლა ,,ასავალ დასავალის'' ოცდაათიოდე თანამშრომელი სხვა წვეულ კოლეგებთან, როგორ დღეში ეყოლება დაუპატიჟებელ სტუმარს, წარმოდგენილი მაქვს მათი თითების ტკაცატკუცი და შეშმუშვნები მერეხივით მოხეთქილი სტიქიის წინაშე. ჩვენი საუბრები უსისტემოა. ჯერ სადღეგრძელოების თანამიმდევრობით მივეხეტებით. იცინიან ბატონ გურამ დადუანთან დასაქმებული ბიჭები, განსაკუთრებით ნარდში დაწინაურებული მახა ყოჩაღობს. ყველაფერში მჯობნის გიორგევიჩიო, ქილიკობს, აი, ყანა დათესა და ჯერ კოკორიც არ ამოუყრიაო.

— კაცი ისეთ დროს უნდა ჩამროვიდეს სოფელში, როცა ძალ-ღონე ერჩის, აბა ჩამოწერილები ვის რაში სჭირია, ვისაც ჭამა, სმა და გვიშტიბი არ შეუძლია (ვგონებ მიგვიხდით ,,გვიშტიბის'' ნიუანსებს), ეგდოს თავისთვის. აი, სულ მალე საპატიო სტენდს გავმართავთ და სათითაოდ ავამაღლებთ იქ იმ პიროვნებებს, რომელთაც სოფლს დიდი ამაგი დასდეს. პირველი ჩვენი გადი ლომაია იქნება. მან ერთადერთმა შეძლო ცოფიანი ,,მხედრიონის'' ამაყი მკერდით შეჩერება. არ ვიცი რა ჯადო გაუკეთა ჯაბას და მის ბიჭებს, მაგრამ სოფელს ჯავშანივით გადაეფარა. მეორე ჩვენი თემურ თოდუაა, ივანიჩი. ათწლეულის წინათ ნარაზენის ცენტრალური გზის მონაკვეთი მან, ერთადერთმა, აღადგინა ორგანიზატორული თვალსაზრისით და ამაგი სხვას მიაწერა რომელიღაცა ჟურნალისტმა. საერთოდ ნარაზენს პრესის ხალხი არ სწყალობს.

— რატომ, ხომ დაიბეჭდა თემურზე ვრცელი სტატია ,,საქართველოს რესპუბლიკაში''?!

— არ წამიკითხავს, სავალალოდ.

— რა, შენც პრეზიდენტი ხომ არა ხარ, — წაეოხუნჯება კვლავ თოდუას ბიჭი მახა.

— მე ვიყავი თავიდან ჟურნალისტი, ფილოლოგიური ფაკულტეტი დავამთავრე, მამაჩემის წყალობით რუსულს სრულფასოვნად დავეუფლე. ოთხი წიგნი გამომიცია, მათ შორის რუსული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის საკავშირო მნიშვნელობით. ახლა იკადრებენ დასერიოზულებას სუფრის წევრები.

— მე მეშაყირებით თქვე ცინგლიანებო?! რომელი ერთი წაგი- ყოლიეთ ,,ასავალ დასავალში'' როცა მათრიეს?! მარტო მივედი და იქ დახვედრილებს 25 ათას ლარსაც შევაწერდი, მაგრამ მინისტრი შვილის მამა ვარ და თავი შევიკავე. მოკლედ, იმას გეუბნებით, რომ იმ საპატიო დაფაზე აკადემიკოს

ფრიდონ თოდუას სახელი ამოიტვიფრება წარუშლელად. 10 ათასი ლარად ღირებული აპარატურა გვისახსოვრა. აი, კაცი! აი, ჩვენებურების პირველ მოსარჩლე! იმ დაფაზე ამოიტვიფრება ბატონ გურამ დადუანის გვარ-სახელიც. ჩვენი სასახელო სიძეა. თავიდან მოკრძალებით მოვიპატიჟეთ. შევთავაზეთ წინადადებები, საიდან, რით დაგვეწყო. ვიღაცამ, ეკლესიაო, თქვა და თვალის დაუხამხამებლად 21 ათასი დოლარი დადო. ვნახავთ დილით ერევნის ტუფის სახერხ დანადგარს, სულ მისი შეძენილია. უკვე დამზადებული აქვს ხარების სახელობის ეკლესიისათვის ჩუქურ- თმებიანი კაკლის ხის კარები. მისი წყალობაა ასტრახანში ზარები რომ ჩამოისხმება. სხვა მრავალი რამ შემოგვაშველა. მეუფე გერასიმეს მიერ კურთხეული ჩვენი ეკლესია ახლა მშენებლობის შუა ფაზაშია. იგი ნარაზენის ყველაზე მაღალ ნიშნულზე აღიმართება — ვგონებ 264 მეტრია ზღვის დონიდან. იქ სტელაც არის აღმართული ეროვნულ დროშასთან ერთად. მალე ბეტონი ჩაისხმება და წავა სიმაღლეში. სოფლის ცენტრში შემოსულ სტუმარს პირველ რიგში ეკლესია უნდა შეეგებოს სათნოების სიმბოლოდ. აი, კდემამოსილება რომ მოაკლდა ჩვენს ცხოვრებას, იმიტომაც ჩავცვივდით ამისთანა დღეში. ჩემს ვაჟს ამათ კანალიზაციის კაცი დაუძახეს, მერედა, ვის?! ადამიანს, რომელმაც თბილისის მე-9-ე საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდრომექანიზაციის ფაკულტეტზე ჰიდრომექანიზაციას დაეუფლა, მოსკოვში გააგრძელა სწავლა და იქ საკანდიდატო დისერტაცია საარაკოდ დაიცვა. უცხო ენებს დაუფლებია. ესენი იაფფასიანი ტრიუკებით ცდილობენ ხალხის დაბრმავებას. მართალია, პრეზიდენტს არ უნდა წამოცდენოდა „ქართულ პრესას არ ვკითხულობო", მაგრამ მან იქვე ბრძანა: „ქართულ სინამდვილეს დაიჯესტებით ვეცნობი და ვკითხულობ უცხოურ პრესასო". მას არ დააცალეს აზრის დასრულება, ანუ შინაურ საქმეებზე ინფორმი- რებული ვარ უკიდურესად დაწნეხილი ინფორმაციით, ხოლო უცხოურ მას-მედიას თავად ვეცნობი მსგავსი სამსახურის უქონლობის გამოო. აბა, აიღოს ახლა 200 ყვითელი გაზეთი კაცმა და მთელი დღე-ღამე მათში ჩხირკედელაობას შეალიოს?! პრეზიდენტის უმთავრესი მიზანი საქართველოს გაერთიანებაა. მთელი ძალისხმევით ამ პროცესშია ჩართული, ამ ურთიერთობებში. მიმდინარეობს უჩინარი ომი საქართველოს გამთლიანებისათვის, „ნატოსკენ" სწრაფვა, თურქეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია და პრიორიტეტი ამ ვექტორს ემსახურება. მეტსაც გეტყვით, მე სახალხო ფრონტის წევრი ვიყავი ეროვნული მოძრაობის დებიუტში და ახლა, სადაც ზვიადის ბიუსტია ზუგდიდში, იქ ჩვენ ლენინის ძეგლი წავაყირავეთ ბულდოზერით.

ამის გამო ფეხები ვერავინ მოგვჭამა. მე ვიყავი პირველი ინიციატორი ზუნდიდის ქალაქისა და რაიონის გაერთიანების, ჯერ კიდეთ პარტკომობის პერიოდში, რაიკომის მეორე მდივანი გახლდით და ბუნტარობას მაშინაც ვახერხებდი. ამ ორ-ორმა უწყებამ, ორმა საგადასახადომ, ორმა მილიციამ და პროკურატურამ, ამ ტყუპ-ტყუპმა სტრუქტურებმა გამოხრა ისედაც დაქცეული ჩვენი ბიუჯეტი. სახალხო კრებას ვიწვევ ამის თაობაზე. ამ დროს დარბაზში ორ ავტომატს ააკაკანებენ ჩემს დასაშინებლად. მაგიდის ქვეშ როდი შევძვრები ზოგიერთივით! წამოვდგები, გამოვალ სცენაზე და ომახი- ანად ვიტყვი შეკრებილებში: მოდით, ხალხო, კენჭი ვუყაროთ ზუგდიდის რაიონის ერთიანობას- მეთქი. ჩემი წინადადება ასი პროცენტით გავა. შემდეგ ბატონი ნოდარ ჭითანავას მეშვეობით ხალხის გადაწყვეტი- ლებას მივუგზავნით ბატონ ზვიად გამსახურდიას. ისიც დათანხმე- ბულა თითქოს, მაგრამ შეხმიანებია ვინმე მანდილოსანი და უთქვამს, თუკი დაგვჭირდება ზუგდიდს ორად კი არა ოთხადაც გავყოფთო. ჩვენი უძლურების მთავარი სათავე ქვეყნის ერთიანობის უქონლობაა. ჩვენ გვიჭირს მონოლითის აშენება. აი, ამ პრობლემას ებრძვის ბატონი მიხეილი და დიდი ბედენა 200 ყვითელი გაზეთის კითხვაში თუ არ ათენ-აღამებს.

აქ მე ალტერნატივას ვერ ვხედავ. დადუანის ბიჭები გაიკრიფებიან დაკრეფილი უნაბით. დილის ცხრა საათზე ეკლესიასთან შეხვედრას დავთქვამთ.

ავალაგებთ სუფრას. მეც შევეშველები ზომიერად. სახე უღაჟ- ღაჟებს ბატონ ბორისს. უხარია ჩემთან მუსაიფი. ნარაზენელებთან წლების მანძილზე უღალატო ურთიერთობამ სრული ნდობით აღმჭურვა მის წინაშე.

კვლავ ბატონ გურამ დადუანის გარშემო ვსაუბრობთ. 12 ჭრილობა მიუღია აფხაზეთის ომში. ამჟამად „**US Basalt Technjljgy Grup Inc**"-ის პრეზიდენტია. ჰქონია აგრეთვე მეორე ფირმა — „დანი". ტარიელიც რქმევია ამ უნიკალურ კაცს ოფიციალურ სახელად, მაგრამ ყველა გურამით იცნობს. ბაზალტი გასაოცარი თვისების მადნეულია თურმე, ტექნოლოგიური გადამუშავების საფუძველზე მისგან ტყვიაგაუმტარ, ძალზე მოხერხებულ და მჩატე ჟილეტებს ამზადებენ. ნეტავ სრიულიად საქართველოსთვისაც მოახერხებდეს ერთი უშველებელი ჟილეტის შეკერვასო. ბაზალტისაგან სხვა სამეურნეო დანიშნულების პროდუქ- ციასაც აწარმოებენ თურმე, მგრამ ამ პიროვნების ნამდვილი სახე სოფლის მეურნეობის პრობლემებით გატაცებაა. მეუღლე ჩვენებური ჰყოლია, ქვარცხავების ქალი.

ორი შვილის მამაა. სოხუმის სიახლოვეს, ვარჩესთან ცხოვრობდა ბერიას დროს დიდი სვანეთიდან ჩამოვაკე-ბ ული. ჩამოიყვანეს ერთხელ ბატონი გურამი ნარაზენში, დაათვალი- ერებინეს მისი თვალწარმტაცი სანახები, მოხიბლეს, მონუსხეს აქაურობის პირველყოფილი მშვენებით და ერთიანად შეძრულ კაცს ხეცერის მეჩაიეობის მეურნეობაში 400 ჰექტარი გაოხრებული ჩაის ნარგავები შეაძენინეს. აი, საქმეც აქედან წარიმართა მეტი ენერგი- ულობით. ამჟამად დასახელებულ ალაგას 90 ჰექტარზეა გაშენებული კივი, ფეიხოა და თხილი. ნერგები ძირითადად ნოსირიდანაა მოტანილი, ხარჩილავების ოჯახიდან.

— ვარ ნამყოფი მათთან, — ვიტყვი უცაბედად, — ვიცნობ ბატონ ნოდარს.

— ახ, ჯოღორიასთანაც მოასწარი კაცო, მისვლა?! გადამრევ პირდაპირ! როგორ ახერხებ ამდენს?! დიდი უბედურება შემთხვევია. თერთმეტი წელიწადი მოუხდია პატიმრობაში. მერედა, იცი რისი გულისთვის? ვალი მართებია ვიღაც ბედნიერს მისი. მიუკითხავს აწურულს. შვილის საფლავის გასაკეთებლად მჭირდებაო, უთქვამს, მორიდებით. იმას ენა გადმოუღია, ნამთვრალევი ყიამყრალია ზოგი, მივაიმასქნე იმ შენს საფლავსო, დაუყრანტალებია და რეკა თურმე თავში ნაჯახის ყუა. მე უარესს ვიზამდი. ჩემს შვილს სიტყვა ,,ბავშვის'' წარმოთქმა შეეშალა ერთ სატელევიზიო გამოსვლაში და ამის გამო კინაღამ ჯვარს აცვეს. არ შევარჩინე იმ ენამყრალებს შვილის გაბიაბრუება. ხარჩილავების მიერ გამოყვანილმა ნეგებმა ასი პროცენტით გაიხარეს. სხვები გაგვიხმა სანახევროდ. სოფლის მეურნეობაში ფულის ჩადება უტოპიად მიიჩნია მრავალ ბიზნესმენს ჩვენს პირობებში. თუმცა პრეზიდენტმა ხომ გააშენა განმუხურში საერთაშორისო ბანაკი. ამით მთელს ქვეყნიერებას დაანახა თავისი ძალისხმევა. იბჟუტურეს, იყაყანეს ზოგიერთებმა, მაგრამ იქაურობას თითი ვერავინ დააკარა. აკი, ვამბობდი მისთვის მთავარი პრიორიტეტი ქვეყნის მთლიანობაა-მეთქი და არა 200 გაზეთის ჩაბულბულება. დაქუცმაცებული ქვეყანა ვერ განახორციელებს სრულფასოვანი სახელმწიფოს ფუნქციებს. ათასი ხვრელიდან მოძვრება კონტრაბანდა, ბიუჯეტს ვერ ართმევ თავს. აი, თურქული პროდუქციის შეზღუდვის მიზნით ცაიშის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთი შეიძინა ბატონმა გურამ დადუანმა, სადაც თერმული წყლებია, 96 ^{0}-ს აღემატება მისი ტემპერატურა. იქ ჩინელებიც ჩამოლაგდნენ. ისინი კანონის ძალით მოქმედებენ, ღობეები ააშლევინეს მოსახლეობას. ჩვენი გურამი, ბატონი ტარიელი, სულ სხვა ბუნებისაა, მიმტევებელი, ეროვნული ხასიათის. იმის გარშემო ჩვენ ვაპირებთ სასათბურე კომპლექსის გაშენებას, სადაც 100 ათასი ტონა ხილ-ბოსტნეულის მოწევას ვვარაუდობთ. აი, ამ აქტის შემდეგ გაუჭირდებათ ახლა გალაღებულ ჩვენს კონკურენტებს.

ჯერ ერთი, განუბაჟებლად შემოაქვთ პესტიციდებით გაჭყპილი პროდუქცია.

მერე და გაზზე გამოყვანილი ბოსტნეული რა უნდა იყოს! ჰოდა, ჩაესვენება დასავლეთ საქართველოში არაეკოლოგიური საქონელის გულავი. ამასთან ჩაის ფაბრიკის რეკონსტრუქციით ჩვენ ვაპირებთ ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი ქარხნის ათვისებას. 350 მუშახელი დასაქმდება აქ. დიახ, სოფლის მეურნეობაში ფულის ჩადება რისკიანი საქმეა, რისკი არ აკლია ჩვენს გურამს. ბატონ ტარიელს წარმატებული ბიზნესმენი ძმა ჰყავს მოსკოვში. გაუგია პუტინს ჩვენი წამოწყებული სექმეების შესახებ და ანგარიშები გაუყინა. ამიტომაც ზოგიერთი მუშახელის დროებით დათხოვამ მოგვიწია, მაგრამ ყველაფერი მალე განახლდება. გურამი სქურის ხეობაშიც შევიდა. უნიკალური ,,ლუგელას'' ჩამოსხმა მისი ხელშეწყობითაა. მოკლედ, თავგანწირვის გარეშე ჩვენ ვერაფრით წავიწევით წინ. რეზიდენტი ხომ სწირავს თავს საგარეო პოლიტიკის მოგვარებისათვის. ქვეყნის შიგნით გურამისნაირი ხალხია საჭირო.

მთელი ცხოვრება ზვიადის მომხრე ვიყავი. ბატონი გოგი გაჩეჩილაძე ჰყავდა მრჩევლად. ეთქვა ერთხელ, იყავით თქვენ ხომეინივით იდეოლოგიური ლიდერი, პრემიერად ბატონი ედუარდი ჩამოვიყვანოთო.. არაფრით ქნა თურმე.

— თუ არ აქნევინეს.

— რა მნიშვნელობა აქვს. ვჩხრიკეთ, ვჩხრიკეთ და გამოვჩხრიკეთ კაი ჩიტი! ახლა ათასი პრობლემაა მოსაგვარებელი. მიხსენებია ოთხი თოფი მაქვს-მეთქი, ტყვიას ტყვიაში ვაჯენ, მაგრამ მშვიდობიანად მოგვარებულ საქმეს არაფერი ჯობია. აი, კარგი ლექსი აქვს ნიშნიანიძეს, აფხაზეთში ქორი წიწილს რომ მოიტაცებდაო, ჰყვება ერთი ფუნქციონერი და გაიჭედება, დაავიწყდება სტრიქონი, ჰაუ, ჰ აუ-მეთქი მივაშველებ აქედან, აიმრიზება, გუდა-ნაბადს აიკრავს. ჯაბას საფლავის ხელყოფა რომ ვახსენე და გუგეშაშვილი აიფოფრება მამალი ინდაურივით, მე თუ ვერ შევძლებ ამას, მომავალი თაობები იზამენ. არ შერჩა ავკაცობა ორჯინიკიძეს, ფილიპე მახარაძეს, ერთის ძეგლმა იმდენი კვერცხი შემოითქვლიფა, მთელს საბურთალოს გამოაძღობდა ტაფამწვარით, ხოლო მეორე ჩამოასრიალეს მთაწმინდიდან... სახელი ღვინოს ჰგავს, იბუტბუტებს მაჭარი, იგიჟმაჟებს, მერე დაწყნარდება, თუ ნამუსიანია, დაწდევდება, აკამკამდება, არადა, უჟმურს, დაძმარებულს არაფერი ეშველება, საარჯ

ქვაბში უკრა უნდა თავი.

გვესტუმრება მზიანი სისხამი უბატონო ნარაზენში. გავეთა- მაშებით წლინახევრის ნაგაზს. ეკლესიისკენ დავეშვებით. რომ მეგონა სანთლის პირველი ამგზნები ვარ ნარაზენში-მეთქი, მანახებს უამრავ შერუჯულ, სანთლით გაგლესილ ადგილს დაუსრულებელი ეკლესიის ქონგურებთან. მოსწავლეებს აქ შემოსვლა უხარიათ თურმე და ამიტომაც გაჩნდა სასურსათო მაღაზიაში ჩამოქნილი სანთლები. მანახებენ 18 მეტრის ჭას. განსაკუთრებული წყალია თურმე. დაადგამენ გვიმს და ბევრი ისარგებლებს მისით. გალავანიცაა შემოსავლები ეკლესიის ტერიტორიისათვის. საღვთო ადგილი მიუკარებელი უნდა იყოს პირუტყვისაგან. დამატარებს სოფლის ცენტრში.

მანახებს მისი მოგვარე ოპონენტის ფირნიშს. მანახებს მისი დამსმენი კოლეგის ნაავკაცარს — გადაჭრილ ნაძვის ხეებს, რომლებიც სახლში გააქანა გაურკვეველი დანიშნულებისათვის. მანახებს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას გამოგზავნილ აპარატურას. მანახებს მეტალოპლასტმასით აფერადებულ სკოლის ფანჯრებს. წითელი ავტობუსი შეუძენია გაერთიანებული სკოლის მოსწავ- ლეებისათვის, ორასი-სამასი მეტრია სკოლამდე,მაგრამ ბავშვებს უხარიათ ახალ ავტობუსში ჩაჯდომა და ფეხს არ იცვლიან მის გამოჩენამდე. კიდევ უამრავია მოსასაწრები, კიდევ უამრავია გასაკეთებელი.

გავიმეორებ ორაგულებზე შეთხზული დოკუმენტური ფილმის ფინალს, ოკეანიდან მშობლიური მდინარის სათავეებისაკენ დაძრული თევზები რამდენ წინაღობას გადალახავენ, რამდენ თავთხელში იფართხალებენ, რამდენ ჩანჩქერს აედევნებიან, მაინც ეწევიან საწადელს, მაინც უსაფრთხო ალაგას დაყრიან ქვირითს და გამოჩეკავენ ლიფსიტებს. მერე მშვიდად, თავდაჯერეულად დაიხოცებიან უკლებლივ. პირველი საზრდოც მშობლებია ახალგა- მოჩეკილი თაობისათვის, რათა კვლავაც დაეშვან ოკეანისკენ, კვლავაც იდგაფუნონ მრისხანე ტალღების გრეხილებში და ასე მარადის, და ასე მიწყივ.

ნიავივით ამჩატდება ბუმბერაზი კაცი. გაირინდება. ვგრძნობ რომ შვილიშვილები გაუელვებს თვალწინ, სამი ახმახი ვაჟი და ერთიც — ქცნაფა ასული. ბიჭებთან ხომ უთევზავია პაპას. ხომ გამმასპინძლებია მისით პირველი სტუმრიანობისას. მომნუსხეო, მეტყვის და მოუჭუტველად გაუსწორებს თვალებს ამობრდღვი- ალებულ მანათობელს.

ხარჩილავების საანმრბეები

დედაქალაქიდან მომავალი სანამ სენაკის შემო- სასვლელ ხიდს გამოცდებოდე, არის იქ ერთი კოპწია სოფელი — ნოსირი. სირიელი მამები ლოცულობ- დნენ ამ მიდამოებშიო, იტყვის უხუ- ცესი ხალხი, თუმცა ისტორიული ფოლიანტების უქონელს, მიჭირს დაბეჯითებით რისიმე მტკი- ცება. ჩემი მიზანი გაცილებით მარტივია — რეალურში დავინახო წარ- სულის სილუეტი და აქედან ვცადო მისი მონუ- მენტური სხეულის აღდგენა. ამასთან, სოფელ ორსან- ტიაში, ბესელიებისას ყოფნის დროს შემიტყვია ჯოღორია ხარჩილავას შესახებ.

— კივის ნამდვილი მეურნეობის ნახვა თუ გინდა, ხარჩილავებს ესტუმრე ნოსირშიო, — უთქვამს ბატონ რემიკოს. — ნერგები მისგან შემიძენია წლების წინათ. აი, ნამდვილი მეურნე ხალხი! — მოუჭრია და თვალი თვალში გაუსწორებია დამაჯერებლობის საწინდრად.

კოლორიტული ადამიანების მაძებარს ხარჩილავების გვარის რამდენიმე პიროვნება შემხვედრია სადადიანოში: თანამოკალმე ჩემი ვახტანგი ობუჯი- დან. დღესაც მიჟრიალებს ყურში მისი სტრიქონები:

უკანასკნელად ჩაქრა ვარსკვლავი,
უკანასკნელად ჩაქრა კაშკაშით,
შუბზე ამაგეს და დროშასავით
ამაფრიალეს უცხო ლაშქარში.
ვის გაჰყვა ჩამი ერთგული ძაღლი,
ან ვის უნათებს ცოლი მზიანეთს?!
ჩემს ძვლებს გაჟვერილ თივაზე დაყრილს,
ვისი ურემი მიაჭრიალებს.
ქვეშ ვის უგია ჩემი ნაბადი,
დევის ტყავივით ტანს რომ შეხვია,
მტრის გუთნისდედა, ალბათ, მარაბდას

ხნავს და ჩემი ძე მისი მეხრეა.
სამარადისო სხვამ დაიტოვა,
მე მტკვრიან ბინდში უნდა ვიარო,
ცა — ნათხოვარი ლურჯი მინდორი, —
უფლისგან ღამე სახეტიალოდ.
ჩემი ფიალა აწ ვინ დასცალოს,
ნორჩი ვენახი ვინ გამიხაროს,
ანდა უმზეომ და უვარსკვლავომ,
რით გავითენო, რით დავიღამო.
ვის ერდოზე ჰყეფს ერთგული ძაღლი,
ან ვის უნათებს ცოლი მზიანეთს?!
ჩემს ძვლებს გაჟვერილ თივაზე დაყრილს,
ვისი ურემი მიაჭრიალებს.

ვსტუმრებივარ გულიკოს ხარჩილავას საცხოვრის ს წალენჯიხის რაიონში, სოფელ ჯგალში. ბევრისთვის გაუმართავს ხელი მოსკოველ ბიზნესმენს. ჟურნალ ,,აიას'' მფარველობდა წლების მანძილზე. აშენებდა ეკლესიებს. პატრონობდა გზებს და მრავალ უპოვარ ადამიანს. მისაუბრია ელ-სმენით შეუდარებელ მის ასულთან, ნინოსთან. აბსტრაქ- ტული კინოლენტის მთავარ გმირად დამისახავს პრო- ვინციის ღარტაფებში ჩარჩენილს.

ბოლოს და ბოლოს თანაკლასელი მყავდა, ვალერი, რომელსაც ფოცხვერივით ვერაფრით მოიხელთებდი ჭიდაობისას. პოეტური სტრიქონები მიმიძღვნია მამა- მისი ჭიჭასთვის:

შეუბღალავი სახელი. აი, ზოგადკაცობრიული მორალის მთა- ვარი საჯილდაო ქვა! მაგრამ ეს ყვე- ლაფერი წლების წინათ ჩავლილი რეალობებია. ახლა კი, აგერ, ხარჩი- ლავების კერიას მივსდგომივარ ნოს- ირში. ოჯახში უფროსი თაობის ხალხი დამხვდება. შვილიშვილები სკოლიდან არ დაბრუნებულან ჯერეთ. ზაზაც სანერგეში ტრიალებს თურმე. გულ- ღიად გამიმასპინძლდებიან. გამოვეც- ნაურებით. ჯოღორია ხარჩილავა რკინის ფერია, ძვალკანა. გავუმხელ ჩემეულ მიზანს.

— კეთილი, — მეტყვის უშურ- ველად, — ოღონდ ფოტოზე მე ნუ გამომაჩენ, წავიდა ზიმზიმის დრო. მეხამუშება ამნაირი თავპატიჟი. ზემ- ოთ მოხმობილ ლექსს ვიტყვი საყელ-ყელაოდ. ესეც ვერ მოგვიტანს რაიმე შვებას. უფრო მოეძალება სევდა. მერე გავაცნობიერებ თოკისა და ჩამოხ- რჩობილის ოჯახზე თქმულ ანდაზას. თურმე კაცი შემოკ- ვდომია ჩვენს ჯოღორიას. რუსთავის კოლონიაში რუზგენ ხასაიას და გადი ლომაიას გვერდით მოუხდია სასჯელი. კიდევ რამდენიმე ფრაზა და გასაოცრად გარდაისახება მოჟამული კაცი. დასახელებულთაგან ერთი მამიდაშვილის მეუღლე იყო, სიძე, ხოლო მეორე — სტუდენტობის მეგო- ბარი. მევალესთან შელაპარაკებას მოჰ ყოლია ყოველივე. ფულის დაბრუნება შეუხსენებია მორიდებით, შვილის წლისთავი მოახლოვდა, საფლავი მაქვს დასასრულებე- ლიო. ის უბედური კი ნაღვინევი ყოფილა და საფლა- ვიანად შეუკურთხებია ჯოღორიასთვის. იფეთქა თურმე მამობრივმა სიამაყემ და ყუით გაუქანა ნაჯახი.

ამით ამოიწურება ჩვენი საუბარი თალხ ფერებზე. ფართოფარფლიან ცილინდრს დაიხურავს და სხარტი მოძრაობით გამიძღვება წინ.

ხარჩილავების სამოსახლოს ჰექტარზე მეტი ფარ- თობი უკავია. ვენახი. აუზი. ბოსელი. სასიმინდეები. ტალა- ვერი და ტალავერი. მის წიაღში შესულს ნოტიო ჩრდი- ლი დაგეფინება, გნებავთ ქვეყანა ხვატისგან იწვოდეს.

თავდაპირველად შვილიშვილები მოგვაკითხავენ მეურნეობის თვალთვალით გართულებს. სოფიკო უფრო- სია, ნოდარი — ნაბოლარა. მოგვაკითხავენ და დაძარღვული ბაბუაც უმცროსებს გადააბარებს ჩემს ცნობისწადილს.

— კივი ნესტის მოყვარული მცენარეა, — დიდი აგრო- ნომივით მიხსნის ბიჭუნა, — ჩვენ მერამდენე წელიწადია მისი ნერგები გამოგვყავს. აქაური ხარჩილავები ნერგების გამოყვანით ვართ ცნობილი. ადამიანი რასაც მოინდომებს, ყველაფერს შეძლებს. მაინც ბაზარზე ვართ დამოკიდებული. მსურველი ბევრია, მაგრამ ყველას კი არ აქვს საშუალება დიდი რაოდენობით შეიძინოს. არც ჩვენ გავატანთ ვინმეს ნაჯაფარს მუქთად. ჩვენი ნერგები წელიწადის ნებისმიერ დროს შეიძლება გადაირგოს, ვინაიდან პატარა ბუდეებ- შია ჩათესილი და იქვე აღმოცენებული. გადატანისას ფეს- ვების სისტემა არ უზიანდება. თან ხარჩილავების მამუ- ლის მიწა მიაქვათ, და ამიტომაც ხარობს ყველგან ასი პროცენტით.

— რა გამოიწვია მაინც კივის ასეთი ბუმი?

— ძალიან სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის. ხილ- ადაც კარგია, დიდი რაოდენობით შეიცავს სხვადასხვა ვიტამინებს.

— ნაყოფიერებით როგორია?

— ეს მალააზის მცენარეა. „კივი" ჩიტის სახელია, რომ- ელიც მის ნაყოფს ეტანება. აი, მაგალითად, როგორც ლეღვს — მოლაღური.

— მელეღვიასაც ეძახის დიდი კონსტანტინე.

— ეგენი ჯერ არ წამიკითხავს. „დიდოსტატის მარ- ჯვენას" გავდივართ ახლა, თუმცა მელეღვია არსად შემ- ხვედრია. თავად მცენარეს სახელი არ ვიცი. ბევრი ვეძებე ჩვენს ბიბლიოთეკაში, მაგრამ — უშედეგოდ. აი, მიყიდიან კომპიუტერს, მერე ინტერნეტში მოვძებნი საჭირო ინ- ფორმაციას.

— ინგლისურს გასწავლიან?

— სოფო მჯობნის, მაგრამ გაქცეულ ჩილდრენს მეც მოვაბრუნებ.

— ჩვენს სუბტროპიკულ ჰავას როგორ ეგუება კივი?

— მშვენივრად, მაგრამ ნაყოფი, მაგალითად, ირანში გაცილებით მსხვილია თურმე, იმიტომ რომ შხამ-ქიმ- იკატებს უკეთებენ. ამასთან ხდება გადარჩევაც. უცხო- ეთში ორჯერ-სამჯერ ძვირი ღირებულა კივი. მამამ მოი- არა თურქეთი, სხვა ქვეყნებშიც იყო. ჯერ ჩემი გასტრო- ლებისათვის ვერავინ მოიცალა. გავიზრდები და ეგეც არ იქნება პრობლემა. აგერ, მამიკოც მოგრიალდა. სან- ერგეში მეგონა და გაზზე წასულა. ერიჰა, პურის ფქვილი და შაქარი მოუტანია. მივეშველო. ტონაზე მეტი ყურძენი გვაჩუქა ბატონ გურამ დადუანმა. მეორე დღეა კოღოს ბზუილმა ყურთასმენა წაიღო.

— კახეთში თუ ხარ ნამყოფი?

— საქართველოში ბევრგან. მინახავს კახელების საწ- ნახელი, რაჭველების ლორი და ხვანჭკარა. იმერლების ღვინო მჩატეაო, იტყვიან, მაგრამ ჩვენ, მეგრელები, მჩატე ღვინოს უფრო ვეტანებით. სხთვათა შორის ღვინო კივის- განაც გამოდის. — დიდი მსმელივით მელაპარაკება ღლაპი. ერთიანად მომნუსხა. გადავინაცვლებთ მოშორებით განთავსებული სანერგეებისკენ და გაოცება მერე დამე- უფლება. საჭეს თავად უზის. მამა შუაში მოკალათებულა, მე — სარკმელთან.

— ნარაზენში ძალიან კარგია პირობებია კივისთვის, — იხელთებს დროს ზაზა ხარჩილავა, — თავად გურამზე თუ ვიტყვით, რაც ფული იშოვა, სულ სოფლის მეურ- ნეობაში ჩადო. დღეს ძალიან ცოტა აბანდებს ფულს სოფლის მეურნეობაში. გურამი შეყვარებულია მიწაზე, ჰაერზე. გურა- მივით, რომ მოექცეს კაცი ბუნებას, საქართველო საარაკოდ აყვავდება. ხალხი იპარავს და უცხოეთში მიაქვს, გურამმა კი ჯაგნარი გაკაფა და კივის პლანტაციები გააშენა. ადამიანს, როდესაც ბუნება უყვარს, კაციც უყვარს, კაცობრიობაც.

— ფინანსურად როგორია, კივი?

— რა თქმა უნდა უფულოდ არაფერი ხდება. ჩვენ ვცდილობთ ერთმანეთს გავუგოთ. ნარაზენში ჩვენი ნერგების ნაწილია მხოლოდ. სხვებისგანაც შეიძინეს. ვერცხლისფერი ნაძვი ჩვენი სიამაყეა. ძალიან კარგად ეგ- უება ყველანაირ პირობებს. ქალაქის გამწვანებაში გამო- იყენება ძირითადად. ჰ აერიდან ისრუტავს ტყვიის შემ- ცველობას, რომელიც კიბოს აჩენს. მაგრამ ძალიან ნელა იზრდება. მე რომ კაცმა მკითხოს, მთელს ნოსირში გზის პირებზე ამ ნაძვს დავრგავდი.

— კაკლის ხე არ ჯობია?

— კაკალი ჩვენთან კერკეტი იცის. — ჩაგვერთვება ნოდარ-უმცროსი, — ქვაზე უნდა დარგო, მთავარი ფესვი სიღრმეში რომ არ გაიქცეს. მერედა, მარადმწვანე ფერი თვალს უხარია. აქ ძირითადად ხურმის ნერგებია. ხურმა ლარივით იზრდება, ამის ჩირს არაფერი შეედრება. ბები- ას გახმობილი ჩირი რბილია და ტკბილი. ხურმას საზამ- თროდაც ვინახავთ ხოლმე. ბაბუა საარყედ ჩაყრის რეზ- ერვუარში ხის ურეებით დაჩეჩქვილს.

— დაუზარელი ბაღანაა, მამა ენაცვალოს, — მეტყვის შებინდებულზე ოჯახს გამომშვიდობებულს ზაზა ხარჩი- ლავა. — ჩემზე უკეთესად იცის რომელ ფართობში რამ- დენი ნერგია ჩაყრილი. ფულის ყადრს მიეჩვია ჩემგან გან- სხვავებით. კომპიუტერისთვის აგროვებს. დიდი ხნის ნაყიდი ექნებოდა, მაგრამ ოჯახის საჭიროებამ მოითხოვა და გვასესხა გაისამდე. მაინც ბევრია გასავალი. მყავს კლი- ენტები და ნაყოფი თვითონ მიაქვთ. რახან მეურნეობას მივსდევთ, ნათესავ-მეგობარს ჰგონია, ფული თავზე გადაგ- ვდის. ხელს გაუმართავ და დაიკარგებიან. ზურგს შეაქცევ და ისედაც დაგემდურებიან. ჩვენი ბანკირი ეგ არის და კიდევ — მამაჩემი ჯოღორია. თევზები მოვამრავლეთ აუზ- ში. გვესტუმრე ამხანაგებიანად, ნახე როგორ მოიქნიოს სასროლი ბადე. სკისკენ მიუწევს გული. ხომ ცეროდენაა და ტექნიკაში გაიწაფა. აგერ, ავტოსადგურიც. აქვე

მივაყენებ მანქანას, ასე უკეთესად აჩერებენ მარშრუტკები.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ (II)

— ბატონო ალექსანდრე ჩვენი ჟურნალის საახალწლო ნომერი საპრეზიდენტო არჩევნებს დაემთხვა. ჩვენ აქამდე ოთხი ნომერი გამოვეცით და ყველგან სათანადო ყურადღება მივაქციეთ ბატონ მიხეილის ფენომენს, მის დაუოკებელ სწრაფვას საქართველოს რეალური თავისუფლებისაკენ.

ჩვენ უამრავი ასპექტით განგვიხილავს ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა, საქართველოს ორიენტაციის საკითხი: გუბაზ მეფე და ბიზანტია-ირანს შორის არჩევანი; ერეკლე II და რუსეთ- სპარსეთი. ახლაც მსგავს სიტუაციაში ვიმყოფებით: რუსეთი თუ ამერიკა, ევროპული ფასეულობები?! იქნებ ამ უმთავრესი ქვეკუთხედიდან შევდგომოდით საუბარს.

— ჩვენ ყურადღებით მივადევნებდით თვალს ,,კირიბიშს'' — იგივე ოქროს საწმისს. მიხარია, რომ თქვენი უმთავრესი პლატფორმა სახელმწიფოებრივი აზროვნებაა. ამ თვალსაზრისითაც მრავალმხრივ საინტერესოა თქვენი პერიოდიკა. ეს ზოგა- დად. გასულის საუკნის მიწურულს სრულიად საქართველოსთან ერთად სამეგრელომაც მეტად დუხჭირი ცხოვრება გამოიარა. გულთან მისატანია თითოეული ავტორის მოსაზრება. ყველა ქართველს ერთი შურობუმუ გვაქვს,

ერთი სამშობლო და აქ პროფესიონალი თუ რიგითი მოქალაქის პოლიტიკური დასკვნები ჩვენს საწუთროზე ზედმიწევნით ემთხვევა ჩვენი გუნდის პლატფორმას, მიდგომებს. თვრამეტი წელდიწადია ნელ-ნელა ვიმართებით წელში... ქვეყნის მესვეურის პიროვნულ ღირსებებს დიდი მნიშვნელობა აქვს

ამ გარდაქმნებისას.

— პრომეთე იყო მითოლოგიური წარსულიდან ხალხის პირველი ქომაგი, მან იმდენი სიბრძნე ჩამოუტანა ოლიმპოდან ადამიანებს ღვთიური ცეცხლის სახით, რომ მიწისგან გამოძერწილი კაცობრიობა დასახლდა, დოვლათი მოამრავლა, ქალაქები აღაშენა. ამან გადარია ზევსი და მიაჯაჭვა კიდეც უფლის საკეთებელ საქმეებში ჩარეული ტიტანი პიტალო კლდეს.

— საქმეც ეგ არის. პიროვნების როლზე ბევრი თქმულა. დასამალი არაფერია, პიროვნებები ქიმნიან ეპოქებს, რადგანაც მასები, როგორც ფუტკრები ყვავილებს, ისე ეტანებიან მართალ სიტყვას.

ეს სიტყვა კი ორჯერ ორი — ოთხია. აქ გამომ- გონებლობა, აბსტრაქცია არაფრისმთქმელია. კარგი ჭის მთხრელისთვის ზედმეტი ბარგია თარაზო, მისი ხელის გულია ყველა სახის ინსტრუმენტი. ბედნიერია ერი, ვისაც ასეთ პოლიტიკოსს არგუნებს ბედი. ბევრის მთქმელია შუაღამე ჭრაქით მიმავალი ბრმა მოხუცი, თქვენი ჟურნალის პუბლიკაციიდან, რათა გადარეული ახალგაზრდები აქეთ არ დაეჯახონ. აქ გასაოცარი ლოგიკაა: ბრძენი ვალდებულია ნიშნები გაავლოს ზნეობრივსა და უკეთურს შორის, რათა არ მოხდეს ფასეულობათა აღრევა. თქვენი ავტორები სახელმწიფოებრიობის უქონლობას მიიჩნევენ ჩვენი სამშობლოს აქილევსის ქუსლად. ის საუბრები ათი წლის წინანდელია, მაგრამ ჩვენ დღეს უფრო მკაცრ ოპონენტებთან გვიხდება თვალის გასწორება, არგუმენტების მოშველიება.

ორი პრეზიდენტისა და ოთხი მოწვევის პარლამენტის

ზიგ-ზაგიანი პოლიტიკური მემკვიდრეობა გაუნაღდებელი თამასუქებივით გადმოეცა

ბატონ მიხეილს. საცერი არავის გამოადგება ღვინის ამოსღებად. არც დამტვრეული დოქი თუ ალად-ალაგ გახვრეტილი მათარა. სანამ იმ ბზარებს არ ამოგოზავ, ღვინო გაგექცევა ჭურ- ჭლიდან. დაახლოებით

ამას ჰგავდა ჩვენი ბიუჯეტი.

მე პრეზიდენტის დაცვაში ვიყავი ჯერ კიდევ ოპოზიციაში ყოფნის დროს და ბევრი ვიცი მისი დიაპაზონის შესახებ. უფრო განათლებული პიროვნგება დღევანდელ საქართველოში ნაკლებად მეგულება. ამასთან, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ

იგი შარავანდედიანია და მართლმადიდებ- ლური ეკლესიის მიერ — ხელდასხმული, ანუ გახსნილი აქვს ყველა დაბეჭდილი საიდუმლო წერილი. ჩვენი ქვეყანა ფსკერმონგრეულ ხომალდს

ჰგავდა. პირველი შეტევა ამიტომაც განხორციელდა აჭარის მიმართულებით, რომელიც ფაქტობრივად არაკონტროლირებადი იყო ათწლეულების მანძილზე. თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომელზეც თქვენც მსჯელობთ ზემოთ, არაფრისდიდებით გალის- ხმობს

სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან ამოვარდნას. ეკონომიკ- ური პრიორიტეტები ამა თუ იმ რეგიონისათვის, პირველ რიგში მთლიანი ქვეყნის აღორძინებისთვისაა მოაზრებული და არა — იზოლაციისათვის, არა კარჩაკეტილობისათვის. ასე ფიქრობდა დენ სიაო პინი ჩინეთში, როცა ამ გიგანტ ქვეყანას 11 ერთეულად ყოფდა. პრეზიდენტისა და მთელი ჩვენი გუნდისათვის მთავარზე მთავარი სწორი ორიენტირის პოვნა იყო, თანასწორუფლებიანი პარტნიო- რობა ყველასთან, რუსეთია ეს, ამერიკა თუ თურქეთი. ჩვენ, ტერიტორიული მთლია- ნობის დარღვევის პირობებში, შესაძლებ- ლობის მესამედითაც კი ვერ ვახერხებთ ქვეყნის ნორმალურად მართვას. თხილის ნაჭუჭისათვის, რომელზეც თქვენ იქ მსჯელობთ, ბუნებრივია, ოდესმე მოვიცლით, ახლა კი საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის კვალობაზე, მოვლენებისადმი თანადროული რეაგირება გვმართებს. სანამ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში არ აღსდგება ჩვენი იურისდიქცია, ვერანაირ სახელმწიფოებრივ პოლიტიკაზე ვიმსჯელებთ. ჩვენ, მართალია, მივაღწიეთ და მივაღწევთ მომავალში წარმატებებს ქვეყნის გარკვეულ უბანზე, გარკვეულ დარგში, მაგრამ სანამ ორგანიზმი დანაწევრებულია, მასშტაბური აღმავლობის იმედი ნაკლებად უნდა ვიქონიოთ.

— გვადარებდნენ კიდეც ბალზაკის შაგრენის ტყავს ამავე დასახელების რომანიდან. სკულპტურაში ტორსი ჰქვია ჩვენი აღნაგობის სხეულს: მოკვეთილია თავი და კიდურები. მხოლოდ ტანი დარჩენილა და — დაუღალავად მფეთქავი გული.

— ქვეყნის პრეზიდენტს ოპოზიცია სრულიად უსამართლოდ წამოაძახებს ხოლმე უცხოეთში მოგზაურობებს. არადა, ყველას გასაგონად ვამბობ: ჩვენთვის უმთავრესი პრიორიტეტი ქვეყნის მთლიანობის აღდგენაა-მეთქი.

ამ პრობლემის გადაუჭრელად კუს ნაბიჯებით ვივლით გამუდმებით, როცა აქილევსის სიწრაფე გვმართებს. საპარლამენტო არჩევნების მოახლოებამ ნათელი მოჰფინა ძალთა განლაგებას საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში. აგორდა ანტისახელმწიფოებრივი კამპანია, თითქოსდა დემოკრატიის დეფიციტია ჩვენში. მქონდეს საშუალება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე, გარკვეულწილად შევზღუდავდი მას-მედიის აღვირახსნილს ქმედებებს, რომელიც გეგმაზომიერადაა მართული მეზობელი ქვეყნების ინტერესებით. აქ ლომის წილი რუსეთისაა. მე უამრავი მასალის მოშველიება შემიძლია საილუსტრაციოდ, თუ რანაირ პოლიტიკას ატარებდა რუსეთი საქართველოში. გავიხსენოთ ბოროზდინი, მეფის რუსეთის მოხელე სენაკის მაზრაში. რუსეთის ხაზინა ჩვენს მითოსურ მოძმე ხალხს თურმე უპროცენტო სესხს აძლევდა ქართველი თავად-აზნაურობის გასაკოტრებლად, მათი მამულების ჩალის ფასად ხელში ჩასაგდებად. ბატონი გოგი გაჩეჩილაძის გამოკვლევებით, რუსეთს შუაგულ ომში მარტოდმარტო ათგზის, ასგზის მივუტოვებივართ მრისხანე მტრის წინაშე. ვერ მოიშალეს მათ ქედმაღლური დამოკიდებულება საქარ თველოს მიმართ და ჩვენც იძულებული შევიქენით ტოტალური გენოციდის თავიდან ასაცილებლად რაღაც ქმედითი ნაბიჯები გადაგვედგა ქვეყნის უსაფრთხოებისათვის. ამისი ნათელი დადასტურებაა წარმატებული პროექტები: დიდი აბრეშუმის გზა, ნავთობსადენები, ბაქო-ყარსის ავტობანი, რომელიც შეუფერხებლად გაგვიყვანს ევროპაში. რუსეთი გაბოროტებულია. მიხვდა — ხელიდან ეცლება კავკასია, ვინაიდან ამ სივრცეში საქართველო გზაჯვარედინია და ავტონომიებში ჩადებული ნელი მოქმედების ნაღმებით ცდილობს ჩვენს საბოლოო დასამარებას. მაგრამ ეს არ მოხდება ჩვენი ხელისუფლების პირობებში, ვინაიდან ჩვენ შორს ვართ ფერად-ფერადი ილუზიებისაგან. ხიშტითა და ჩექმებით წამოსულ მტერს ჩვენ ვარდების სროლას კი არ დავუწყებთ, არამედ უკვე შეგვწევს უნარი საკადრისი პასუხი გავცეთ ნებისმიერ გამოხდომას.

დილის თერთმეტი საათია. მობილურზე მირეკავს ვიღაც ნაცნობი ენგურსგაღმა სოფლიდან, განმუხურიდან: რუსების ალყაშია მოქცეული საერთაშორიოსო ბანაკიო. ჩვენ ამ ბანაკის გამართვით თვალნათლივ გამოვავლინეთ ჩვენი ქვეყნის სწრაფვა ტერიტორიული მთლიანობისკენ. იგივე ნაბიჯებია გადადგმული კოდორის ხეობის მიმართულებით. რუსები პროვოკაციაზე მოდიან, არაფერს ერიდებიან საამისოდ. არ გამოდის ორ ცხენზე ჯდომა, ორი სტანდარტი. დიახ, მირეკავს: რუსების ალყაშია მოქცეული ჩვენი ბანაკიო. მთელი ადმინისტრაცია დავიძარით იქითკენ ბატონ ზაზა გოროზიას მეთაურობით. განმუხურის ხიდთან სამშვიდობოები არ გვიშვებენ ჩვენს ტერიტორიაზე. საათზე მეტ ხანს გაგრძელდება მოლაპარაკება. ნელ-ნელა მივიწევით ჩვენი ბანაკისაკენ. იქ ათობით ჯავშან-ტრანსპორტიორი და კბილებამდე შეიარაღებული ხალხია თავმოყრილი. სახეზეა სამშვიდობოების უფლების აშკარა გადამტება. როცა ბანკის დამცველმა მცირერიცხოვანმა რაზმმა წინააღმდეგობა გაუწია ცისფერჩაფხუტიანებს, გაკოჭეს, არაადამიანურად ცემეს. კიდევ კარგი, ბანაკში უკვე დამსვენებლები არ იყვნენ. იქ მხოლოდ მომსახურე პერსონალი იყო განთავისუფლებული და

ხუთი სამხედრო პირი, ვისაც ტერიტორიის დაცვა ევალებოდა. რუსებს, ცხადია, უნდოდათ გაეგოთ, რაიმე სამხედრო საიდუმლო იარაღს ხომ არ ვინახავდით ბანაკში. დაძაბულობამ პიკს მიაღწია,

რადგანაც ჩვენმა შენაერთებმა ზღვიდან დესანტი გადმოსხა და რუსი ცისფერჩაფხუტიანები ალყაში მოვაქციეთ. შევატყობინეთ ყოველივე ქვეყნის პრეზიდენტს. მანაც დაუყოვნებლად გვითხრა, რაც შეიძლება საუბარი გაწელეთო. და, აი, ყველასდა საკვირველად წინ მოუძღვის მთავრობის წარმომად- გენლებს. ჩვენ თავიდან ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით და საკუთარი გამბედაობის წყალობით ვაკავებდით არასასურველ სტუმარს. ახლა თავად რუსები გარბიან პოზიციიდან, სამშვიდობოს გაღწევა უნდათ, მაგრამ სააკაშვილი რომ გამოჩნდება, ყველა გავშეშდებით, მტერიცა და მოყვარეც. გრძელი ნაბიჯებით მოუყვება სანიმუშოდ დაგებულ გზატკეცილს ჩვენი პრეზიდენტი. ეს სამუშაოები სენაკურმა ფირმა „არქეოპოლისმა" შეასრულა (პრეზიდენტი **დეშურ გადელია**). მსგავსი გზატკეცილი არათუ აქაურობას, დასავლეთ საქართველოს არ ახსოვს.

მოდის ბატონი მიხეილი, თამამი, ბობოქარი. მოგვიანებით ოპოზიცია უკადრებელს იკადრებს: ყველაფერი შეთანხმებული იყო რუსეთის მხარესთანო, იტყვის. მე მის დაცვაში ვიყავი ოპოზიცი- ონერობის

პერიოდში და ხომ ვიცი, როგორი თავგადადებულიცაა. ოპოზი- ციამ ფრთები გაშალა რუსების უკუნონო ქმედებით: მიდით, მიაწექითო, მისცეს სიგნალი. ახლა თავს იკატუნებენ. რისი აგენტურა, რისი გამცემლობაო. ჟურნალისტებს ველაპარაკებით ტელეფო ნითო. კარგი არგუმენტია, ღმერთმანი! განსაკუთრებით ძმები გამსახურდიების დიალოგი გაწელილ გადატრიალებაზე: ასიათასი კაცი გყავდათ და რას უცდიდით აქამდე. აწი დაგვიანებულია, ტოო. ან ძმები ბერძენიშვილების ბობოქრობას დაუდგება წინ რამე დამოუკიდებელი საქართველოს აშენების გზაზე?! ერთი ჩვენს კლასიკოს მწერლებზე იყო მწყრალად, ხოლო მეორე აფხაზებს ფეშქაშად

მიართმევდა დამოუკიდებლობას. ჩვენმა ხელისუფლებამ დროზე იზრუნა საბიუჯეტო სახსრების მიზანმიმართული მოხმარებისათვის. ამისი დასტურია ზუგდიდის მერიისა და საკრებულოს შეთან- ხმებული საქმიანობა. დიდადაც რომ უნდოდეს რომელიმეს ხალხის ფულით გამდიდრება, ერთი მეორის დასტურის გარეშე გახვრეტილი შაურიანს ვერ გახარჯავს. შესაბამისად პასუხისმგებლობაც ორმხრივია. მარტო დაჭერებით და ციხეში ჩასმით საქმეს ვერ გამოვასწორებთ. განიავებულ თანხას არაფერი ეშველება, მით უფრო — მოცდენილ დროს, ჩაგდებულ საქმეს. ათლარიანს

ვერ ახურდავებენ თქვენი ჟურნალის რესპოდენტები. მწარე სინამდვილეა, მაგრამ ფაქტი. ან სად არის ჩაბნელებული ქუჩები, ქალაქები, სოფლები?! ელექტროენერგია, როგორც არასდროს, საბედნიეროდ რა ხანია დეფიციტური არ არის მთელს საქართველოში. თქვენებურ ტერმინს თუ მოვიშველიებ, „ამისტობას" და „იმისტობას" ვგულისხმობ, ჩვენ მონოლითისტები გამოვდივართ, რაც უწინარესად ქვეყნის მთლიანობას გულისხმობს. ეს მიგვაჩნია საფუძველთა საფუძვლად. მასზეა აშენებული მერე ერის ფსიქიკური და ეკონომიკური მთლიანობა. პრეზიდენტმა საქართველოში ნონგრანტად გამოაცხადა გენერალი ჩობანი. იმ პირობებში, იმ სიტუაციაში რომ არა მიხეილ სააკაშვილის პიროვნული სიმამაცე, შესაძლოა ლოკალური კონფლიქტი მასშტაბურ დაპირისპირებაში გადაზრდილიყო. მოკლედ, გადავრჩით რუსებიცა და ქართველებიც.

— ბატონო ალექსანდრე, აქ სადაო არაფერია, მაგრამ ოპოზიციის მიერ ხელისუფლების მიმართ ბოლო დროს წამოყენებულ ბრალდებებს გონიერი ქართველი გულგრილად ვერ ჩაუვლის:

1. ოპოზიციური ტალღის აგორების შემდეგ რისთვის გაახსენდათ აკადემიკოსებისათვის სოლიდური გასამრჯელოს გადახდაო;

2. პრეზიდენტმა ასაკობრივი საბაბით დათხოვილი ათასები მხოლოდ ახლა გაიხსენა; ქვეყნის მართვა ბიჭბუჭებს ჩაუგდო ხელში და პროფესიონალებს ჩარეცხილები უწოდაო.

3. მიზანმიმართულად მოშალეს ეროვნული ფსიქიკაო. სანიმუშოდ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის სასოწარკვეთილ ეპისტოლეებს მოიშველიებენ.

4. დღეს ცხოვრების წესად იქცა ეროვნული სიმდიდრეების გასხვისების პრაქტიკაო. ამ პროცესს ჰიპერმასშტაბურს უწოდებენ დღევანდელ საქართველოში. ოპოზიციის მტკიცებით ჩვენი ხელისუფლება დამსგავსებია ჩარჩს, რომელსაც ყველაფერი აუქციონზე გაექვს გასასყიდად ბებიების საგულდაგულოდ გაუთოებული ნიფხავებით დაწყებული, მონდომებით გაპოხილი ბაბუათა ძველებით დამთავრებულიო. გამოიძებნება ინვესტორი. გამოქვეყნდება საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა რომელიღაცა პერიფერიულ გაზეთში და ჩალის ფასად გადაეცემა გაურკვეველი ვინაობის ინვესტორს სახალხო დოვლათიო. აქ ფარული გარიგება აშკარაა, მაგრამ მიდი და გაბედე ამისი ხმამაღალი გაცხადება! ვირის აბანო სანატრელი გაგიხდება კუკიის ბექობს თუ არ დურთე თავიო! გასხვისების ჭაკლები ზუგდიდ-ქალაქსაც მოსწვდომია ბოლო დროს. მართალია, აქ ნაკლებია

თვალწარმტაცი უძრავ-მოძრავი ქონება, მაგრამ ცაიშის სანახებს მაინც გამოკრეს კბილი ჩინელებმა. ესეც რომ არა, დადიანის სასახლე, რომელიც წლების მანძილზე ჯიჯგნეს კომუნისტებმა — ჯერ სტადიონის ტერიტორია ჩამოაჭრეს, მერე მეოთხე სკოლის, ინდუსტრიული ტექნიკუმის. ახლა ბოტანიკურ ბაღსაც შეუტიესო.

გაყიდვა ჩვენი კუთხისათვის არ ყოფილა უცხო ხილი. ამის თაობაზე მიუთითებენ ბოროზდინი, არქანჯელო ლამბერტი. იტალიელი მისიონერის რწმუნებით, ვინმე თავად ჭილაძეს თორმეტი მღვდელი გაუკრეჭია და ისე მიუყიდია თუქებისთვის. ქმარი ყიდდა მეუღლეს, ხოლო შემოსული თანხდიდან ნაწილს სიჩუმის საფასურად მიაშავებდა ცოლოურებს. გასხვისების ტალღა განსაკუთრებით კულტურისა და ხელოვნების მუშაკების საკუთრებებს დაატყდა თავზე რისხვად. ყველაზე დაბალი ღობე დღეს ერის უგვირგვინო მეუფე — შემოქმედი ხალხია. ამას წინათ გადავშალე ადგილდობრივი გაზეთი „ზუგდიდი“ და გავიგე, რომ „საჭადრაკო სკოლა-ნონა“, „სამხატვრო სკოლა“, „მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“, არაპროფესიული (სამროყავარულო) თეატრი „ჩხორია“, მუსიკულარი პირველი, მეორე და „საგუნდო“ სკოლები საგადასახადო წესით რეგისტრაციაში გატარებულან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. იბადება ეჭვი, ხომ არ ემსგავსება ყოველვე ბურვაკის საკალანდოდ გამოსუქების პროცედურას?! — ჩასაფრებული კაცი ყოველთვის მანკიერს ებღაუჭება ხოლმე. არ უნდა დაინახოს კოლოსალური ძვრები, რომელიც დღითი დღე მკვიდრდება ცხოვრებაში. ჟურნალის წინა ნომრებში თქვენ საუბრობდით გადაღებილ ფაიფურის ქარხანაზე და მორჩა. სინამდვილეში რამდენი ახალი საწარმო გაიხსნა რეგიონში. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ მცირე ბიზნესის აღორძინებას.

ბატონი ტარიელ ქანთარია კოლორიტული ზუგდიდელი კაცია. ის სახელისუფლებო შტოშიც საქმიანობდა ერთი პერიოდი. გააჩნია დიდი სამეურნეო მოღვაწეობის პრაქტიკა. ადგა და მცირე ბიზნესს მიჰყო ხელი. მოძებნა ინვესტორი. საათივით ააწყო საკონსერვო საქმიანობა. დღეს

11 დასახელების პროდუქციას უშვებს. ჩვენთან ბიზნესმენობა მოდაშია შემოსული. ყველა წარმოება-დაწესებულების ყოფილი დირექტორი მისი კანონიერი მფლობელია ამჯერად, მაგრამ წარმოებები მაინც გაჩერებულია. მათ ხელშეკრულებით ევალებათ საწარმოოს ეტაპობრივი ამოქმედება, მუშა-ხელის გარკვეული ოდენობით დასაქმება, მაგრამ ამისი შნო და მარიფათი რომ არ მოსდგამთ, კრუხივით ასხედან პრივატიზებულ ობიექტებს. თავს ნაკლებად იწუხებენ ასეთები. ჩვენ მოგვჩერებიან ხელებში, როდის მივართმევთ გრანტებს და გრძელვადიან სესხებს, მაშინ, როცა თავად უნდა დარბოდნენ ოფლის მოდენამდე. ათობით პროექტი უნდა ჰქონდეს თითოეულს, რათა ერთმა მაინც გაამართლოს. ინტერნეტში უნდა ეძებდეს პარტნიორებს და ასე შემდეგ. ბატონ ტარიელ ქანთარიასავით ინიციატივიანი ხალხი ცოტაა დღევანდელ სამეგრელოში, მაგრამ თანდათან ვეჩვევით საერთაშორისო სტანდარტებს, საერთაშორისო მოთხოვნებს. გაიშალა თხილის ბიზნესი. ჩამკვდარი მეფუტკრეობა წელში იმართება ჩხოროწყუს რაიონში, სოფელ მუხურში. რეგიონში ენდემური ჯიშის მეცხოველეობის აღორძინებას მესვეურობენ ბატონები: ჯონი ფიფია და გოდერძი წურწუმია. ესტუმრეთ სოფელ ნოსირში ხარჩილავების ოჯახს და თქვენი თვალით იხილავთ თუ რა შეუძლია თურმე ხელების წაკაპიწებას!

შეიხედეთ წლობით გავერანებულ ზედაეწერში.

იქ აღორძინების გზაზეა დამდგარი სრულიად უსამართლოდ მოძულებული ჩაის კულტურა. როცა თანასოფლელებს გამოღვიძება შეატყო ჩინებულმა მამულიშვილმა, ბატონმა ვაჟა თორდიამ, ეკლესიის მშენებლობა წამოიწყო. უკვე გადახურულია და სადაც არის ზარსაც ააგუგუნებენ. სტატისტიკა შორს წაგვიყ- ვანს. ვიდრე ოპოზიციის მიერ ზემოთ წამოყენებელ ბრალდებებს გავცემდე პასუხს ერთ საწარმოსაც წარმოგიდგენთ. სენაკის რაიონ- ში, სოფელ თეკლათში ოდესღაც ჩინებული მეცხოველეობის კომპლექსი იყო. იმ არეულობის წლებში პარტახად იქცა განუკითხა- ობის გამო. დანადგარები თურქეთში გაიზიდა ჯართად. დარჩენილი ფიცარ-ფიცარ დაშალეს და შინ წაიღეს. საქონელი დაკლეს და ბაზარში გაყიდეს. აი, ამისთანა ნაცარტუტად ქცეული წარმოების აღორძინება ითავეს წლების წინათ ძმებმა მამუკა და კახა ალანიებმა. დიდი ჯაფა დაადგათ ინვესტორის მოძებნის გზაზე. თვით საქართველოს პირველი ლედი, ქალბატონი სანდრა-ელისაბედ რულოვსიც

კი შეაწუხეს და ჰლანდიელების გრანტით ჩინებულ მეცხოველე- ობის კომპლექსს ჩაუყარეს საფუძველი.

ეს წარმოება ამჟამად რძის პროდუქციის წარმოებითაა დაკავე- ბული. მათ მიერ წარმოებულ არაჟანს მეტოქეობას ვერავინ უწევს რეგიონში. ის კი არა თბილისშიც კი ჩააქვთ თავიანთი

პროდუქცია. რამდენი ერთი ჩამოვთვალო: შეიხედეთ ხარჩილავების ოჯახში ნოსირში. მათ კივის, ხურმის, ვერცხლისფერი ნაძვის ნერგები გამოჰყავთ და გასამრჯელოც ფრიად სოლიდური აქვთ. ვინც დაუზარე- ლია, წელში მომაგრდა სოფლად, მაგრამ ამისი დამნახავი ძალიან ცოტაა. მომავალში გაცილებით მეტის გაკეთება განგვიზრახავს: ვაპირებთ ენგურჰესის მეხუთე აგრეგატის ამოქმედებას; ხუდონ- ჰესზე სამუშაოების განახლებას; საკონსერვო ქარხნის გასრულებას ცაიშში (**გურამ დადუანი**), რომლის პროდუქციას კონკურენციას ვერ გაუწევს უცხოური ხილ-ბოსტნეული; ნავსადგურის ამოქმედებას ანაკლიაში; ბიზნეს-ცენტრის აშენებას („სანი''), თხილის ნაჭუჭის ნედლეულზე ძვირფასი ავეჯის მწარმოებელი ფაბრიკის გახსნას და ვინ მოსთვლის. მაგრამ ვიმეორებ, ჩვენთვის უმთავრესი მიზანი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. ყველა ძალისხმევა აქეთკენაა მიმართული. დანარჩენისათვის ვიცლით შეძლებისდაგვარად. ჩვენ უკვე კარგად გაწვრთნილი არმია გვყავს. ადრე წვევამდელები ათასი მაქინაციით თავს არიდებდნენ ჯარში სამსახურს. დღეს ეს პრობლემა მოხსნილია. მეტსაც გეტყვით, სამშობლოს დაცვის გრძნობამ ფართო მასშტაბი შეიძინა მოსახლეობაში და რეზერვისტების გადამზადებას ვერ ავუდი- ვართ. ჩვენი შენაერთები თანამედროვე მოთხოვნების დონეზეა აღჭურვილი. ახალგაზრდები წარმატებით ეუფლებიან საბრძოლო წეს-ჩვეულებებს. შენაერთებში ჩვენ შევიტანეთ ფიზიკური წრთობის ახალი ელემენტები, რაც აღმოსავლური ბრძოლის ტრადიციების ათვისებას გულისხმობს. ამ საქმეში ტოლს არავის უდებს ზუგდიდელი ენთუზიასტი ლაშა შელია. იგი ,,კარატე-დო''-ს ინსტრუქტორია და სრულიად უსასყიდლოდ წვრთნის ჩვენს რეგიონში განთავსებული შენაერთების ჯარისკაცებს. მაგრამ ლაშა შელიას მიზანი გაცილებით მეტია. იგი ადრეული ასაკიდან ამეცადინებს მოზარდებს კონტაქტური კარატეში.

ჩვენი თაობა მიეჩვია გულგატეხილობას, თავდახრილ სიარულს. ,,ვარდების რევოლუციამ'' თავის თავზე აიღო ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური წრთობის საქმე. ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო, გვასწავლიან ანტიკური ხანიდან მოყოლებული.

დღეს ზუგდიდელი ნორჩი კარატისტების მიღწევები არნახულია. გვყავს 12 წლის მსოფლიო ჩემპიონი სპორტულ კარატეში გიორგი კვარაცხელია. მწვრთნელი გახლავთ ყურაშვილი. და მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ლაშა შელიას მოღვაწეობა. წლეულს სექტემბერში მათ თურქეთის საერთაშორისო ტურნირში სამი ჯილდო მოიპოვეს — ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო.

აი, ახლახან თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატში სამი ოქროს მედალი აიღეს ლაშას აღზრდილებმა. თავად მწვრთნელს კი უმაღლესი კატეგორიის ტიტული მიენიჭა. ახლა მინდა ოპოზიციის ბრალდებებს მოვუბრუნდე. ცდომილებებს უამრავს დაუძებნის ჩასაფრებული თვალი ჩვენს ოთხწლიან მოღვაწეობას. საკადრო პოლიტიკით დავიწყოთ. ჩვენ კარგად მოგვეხსენება გამოცდილი სპეციალისტების როლი ნებისმიერ საქმიანობაში, მაგრამ ახალგაზრდული ენერგიის დაწინაურებით ჩვენ ვცადეთ მეომრული სულისკვეთების დამკვიდრება ყველგან და ყველაფერში. რევოლუციურ გარდაქმნებს ენერგია სჭირდება. ნათქვამია, ახალ ღვინოს ახალ ტიკებში ასხამენო. ბუნებრივია, აქ ჯოხის გადახრა არაფრით ივარგებს. უამრავზე უამრავი ადამიანია ასაკობრივი მოტივაციით სამსახურიდან დათხოვილი, რომელთა გამოცდილების გაზიარება ბევრად წაადგებოდა გულანთებულ თაობას გამოცდილების შეძენის თვალსაზრისით. იყო შეცდომები განათლების სფეროში ჩატარებული რეფორმების გზაზე, მაგრამ ათწლეულობით დამყაყებულ ამ სისტემას სისხლის გადასხმა რომ სჭირდებოდა, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ყველაფერს ხომ ერთბაშად ვერ გაწვდებოდა წვეთ-წვეთობით მზარდი ჩვენი ბიუჯეტი. შეიქმნა საამისო პირობები და შედეგმაც არ დააყოვნა. ყველამ ვიხილეთ პრეზიდენტის შეხვედრა ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებთან. ბოლოდროინდელმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ჩვენში საერთაშორისო რეზონანსი შეიძინა. ბევრი ვილაპარაკეთ დმანისის, ვანის გათხრების მნიშვნელობაზე. გაცილებით მეტი მსჯელობის საგანია, ამას წინათ სოფელ ცაიშში დასრულებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები. იქიდან ამოღებულმა მასალებმა გასაოცრად გააფართოვა ჩვენი წარმოდგენები მითოლოგიურ კოლხეთზე. მეტიც, უტყუარი არგუმენტები დაეძებნა ოქრომრავალი კოლხეთის არსებობას. უზუსტესი გეომეტრიული აღნაგობის სამკაულები ნათლად მეტყველებენ ჩვენი სამშობლოს დიდებით მოსილ წარსულზე. სულიერების ჩაკვლას გვაბრალებენ, როცა ქვეყნის პრეზიდენტი დღე და ღამ ქართული ცივილიზაციის უპირატესობებზე ღიად ლაპარაკობს ევროპულთან შედარებით. ჩვენ ქართველები ვართ, პირველი ევროპელებიო, აცხადებს გამუდმებით. სად არის აქ ეროვნული სულისკვეთების დაკნინება?! ეროვნული მეობის ჩამქოლავ ხელისუფლებას რისთვის დასჭირდება ათასების გადაყრა მიწის წიაღში მთვლემარე ჩვენი სხივმოსილი ისტორიის გასაცოცხლებლად?! რომ არა არნახული სულისკვეთება, ,,რუსთავი -2''-ის კორესპონდენტი რეგიონში, ერთი კაფანდარა ასული ემა გოგოხია, ვერაფრით დაეტაკებოდა კბილებამდე შეიარაღებულ რუსის ჯარისკაცს და ვერანაირად გამოსტაცებდა ხელიდან კინოკამერას. ეს კინოკამერა

სამშვიდობოებისა იყო, ომს რომ თესავენ გამუდმებით. მათ მიერ გადაღებული ვიდეო-მასალა დიდად წაადგა ჩვენს პარლამენტს მათ მხილებაში მთელი მსოფლიოს წინაშე. განმუხურში აგორებულმა ინცინდენტმა სიგნალი მისცა ოპოზიციას თავისუფალი ქმედებებისკენ. საამისოდ დაიქოქა მათი რუპორი „იმედი". კლანჭები გამოაჩინა პატარკაციშვილმა და საეჭვო ვითარებაში დაგროვილმა მისმა ფულმა. რუსეთმა ძებნა მოუხსნა მანამდე კანონგარეშედ გამოცხადებულ პიროვნებას. ოპოზიციამ ისტერიკები გამართა რუსთაველზე. პარლამენტის არჩევნების ვადა დაიხვია ხელზე — პოლიტპატიმრების განთავისუფლება და სიტყვის თავისუფლება. მერე მთლად მოუკრიფავში გადავიდნენ, პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვეს. უფრო სწორად გაამჟღავნეს ის უმთავრესი, რის გამოც ძილი ჰქონდათ გამტყდარი. რუსეთისათვის გადაულახავი ბარიერი სააკაშვილის ფენომენია. რა დამამცირებელ აქციებს არ მიმართავენ ისინი, რა პასკვილურ წერილებს არ აქვეყნებენ გაზეთებსა და ტელევიზიაში, რა დაუფარავი გესლით ილესავენ ენას „გოსდუმის" დეპუტატები. დიახ, სააკაშვილის ფენომენი და მისი გუნდის რკინისებური ხასიათი კავკასიონის უღელტეხილივით გადაულახავ წინაღობად ასვეტებიათ წინ. რუსეთს ორასი წელიწადი არ ეყო ქართველი ხალხის წინაშე ნდობის მანდატად. მან საბოლოოდ ამოწურა ეს ვადა და ამიერიდან იგი პოლიტპარტნიორად აღარ გამოგვადგება. ვიყოთ ბატონო, კეთილმეზობლური, ეკონომიკური თანამოსაგრეები. ჩვენ პატივს ვცემთ ყველა კონსტრუქციულ წინადადებას, მაგრამ ნათელაშვილის მაქსიმალიზი რომელ ჩარჩოში გინდა ჩატიო?! ეს პოლიტიკოსი საკუთარი პიროვნების მეტს ვერავის ხედავს საქართველოში პრეზიდენტობის ღირსს. თურმე საკუთარი თავის მეტს ვერავის ანდობს ამ საპატიო მისიას.

არადა, დაავიწყდა ოჯახაშენებულს ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ როგორ თანამშრომლობდა შევარდნაძის ხელისუფ- ლებასთან, იურიდიულ კომიტეტს განაგებდა პარლამენტში ბოლოსდა- ბოლოს. ნათელაშვილის ქოლერიკულ ხასიათს ინგლისური ლეიბორისტული სტერლინგები კვებავს უხვად. ხალხს არაფერი ავიწყდება. არც ხაინდრავას აფხაზეთში მოღვაწეობაა მტვრით დაფარული. ჩვენ მათ უცხოეთის სპეცსამსახურებისგან მართულებს ვეძახით. ამას ეროვნულ ღალატს უწოდებდა პირველი ხელისუფლება. ეს გახლავთ ტიპიური კონცეფცია, რომლის არსი გამოიხატება შემდეგში — **რუსეთის გარეშე წარმატება არ უწერია ჩვენს მომავალს.** ამისთანა ხალხს მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთუმეები შეარქვეს. მომიტინგეების დაშლისას იყო ცალკეული შემთხვევები, როცა შეილახა რიგითი მოქალაქეების ადამიანური უფლებები, ხელჯოხები მოხვდა მრავალს სიფათსა და კინკრიხოზე, მაგრამ როცა გადაშენებას გიქადის რუსული იმპერიის მეხუთე კოლონა, დაყრილ ქოქოლას და დაშენილ ქვას ვარდების სროლას ვერ დავუპირისპირებთ.

„ვარდების რევოლუციამ" დიდი მისია აიღო თავის თავზე — პირველ რიგში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, შემდგომ დანარჩნი — ეკონომიკური თუ სულიერი აღმავლობები, და ამ გზაზე ჩვენი წამოჩოქება არც ისე იოლია, როგორც ეს ზოგ-ზოგებს მიუჩნევიათ. სააკაშვილმა ერთი წლით შეიმოკლა თავისი უფლებამოსილება. ასეთი რამ იშვიათად ხდება პოლიტიკაში. იგი ბევრი წინამორბედივით სავარძელს როდი შეჰკანკალებს. ძლიერი საქართველოს დამკვიდრების სახელით მოიმოქმედებს ყოველივეს. აი, ამისთანა მიდგომებს ვეძახით ჩვენ სახელმწიფოებრივ აზროვნებას და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას ეწევა. დარწმუნებული ვარ, მიუხედავად პრეზიდენტობის მსურველების რეკორდული რაოდენობისა (22!) მეორე ტური არ შედგება. 5 იანვარს სწორ არჩევანს გააკეთებს საქართველოს მოსახლეობა — ისევ „ვარდების რევოლუციის" მესვეურს გამოუცხადებს ნდობას. ჩვენ ასე გვჯერა. ჩვენ ასე გვწამს, ვინაიდან აქა ვდგვარათ და სხვანაირად აღარ ძალგვიძს.

P. S.

ნათქვამია, აღდგომა და ხვალეო. ჩვენ გულწრფელად თანავუგრძნობთ გაურკვევლობაში ჩავარდნილ ათასებს, ვექომაგებით დათხოვილ კოლეგებს, მაგრამ ერთსაც შევახსენებთ ნებისმიერ პიროვნებას: თავისუფლება უწინა რესად შეგნებული აუცილებლობაა და ამ ქვაკუთხედიდან მთავარი ფასეულობა — სახელმწიფოებრივი აზროვნებაა.

აქედან გამომდინარე 5 იანვრის საპრეზიტდენტო არჩევნები შეულამაზებლად ისტორიული მომენტია ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენ მიჯაჭული ამირანის შთამომავლები ვართ. ჩვენ ჯერჯერობით ჯიშ-ჯილაგის ფიზიკური გადარჩენისთვის ზრუნვა გვმართებს. ამ გზაზე ჩრდილოელმა მეზობელმა ბევრჯერ დაგვიმტკიცა თავისი ველიკორუსული ამბიციები, ბევრჯერ შეგვატოვა ხელში მარტოდმარტო გააფთრებულ მტერს. დამდგარა

ახალი აზროვნების ეტაპი. აქ ამერიკის როლი განუსაზღვრელია. „ნატოს“ ბლოკში ინტეგრაცია, ევროპული ფასეულობებისკენ ძალიუში სწრაფვა ასაზრდოებს ამ ლტოლვას და დიდია უფლის განგება!

მაჟორიტარული
საქართველოს აპოლოგია(2)

მაჟორიტარი ფრანგული სიტყვაა და ჩვენებურად უმრავლესობას ნიშნავს. არჩევნების ეს სისტემა ყველაზე მეტად მორგებულია ფუძის ანგელოზის, ნერჩის მჭიდრო კავშირს საზოგადოებასთან. ამდენად მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვება გაუჭირდება კაცს, რომელიც მიუხედავად სხვა რეგიონში პოპულარობისა, ახალ მთვარესავთი გამოანათებს ხოლმე მის ქუჩებში, არ უჭირისუფლია მისი ჭირ-ვარამისათვის, მით უფრო, ისეთ კოლორიტულ ქალაქში, როგორიც სადადიანოს ცენტრი ზუგდიდია.

ჩვენი ბუნების გათვალისწინებით, საქართველო გაცილებით პრობლემური იქნება საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში, რადგანაც ქართული ხასიათი ნაკლებად ეთანაწყობა გუნდურ მმართველობას. საპრეზიდენტო ქვეყანა რამდენადმე უახლოვდება ჩვენთვის ტრადიციულ მონარქიულ წყობას, მაგრამ, რადგანაც სააკაშვილის გუნდს მყარად გადაუწყვეტია „ნატოში“ გაწევრიანება, ამას კი ჩრდილოეთი ციებიანივით შეჰკანკალებს, ხომ უნდა გამოიძებნს ბერკეტები მის შესაფერხებლად? ოპოზიცია არც მალავს თავის ზრახვებს, უმრავლესობაში მოსვლის შემთხვევაში იგი საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკად გამოაცხადებს, პრეზიდენტის პოსტს გააუქმებს და უმართავ სიტუაციას შეუქმნის ქვეყანას — სამოქალაქო ომს. აი, რა დილემის წინაშე დგას დღევანდელი საქართელო, სამეგრელო, ზუგდიდი, რომელმაც მხურვალედ დაუჭირა მხარი არჩევნებში დღევანდელი პრეზიდენტის კანდიდატურას.

ფრიდონ თოდუა, მიუხედავად მრავალი მიმზიდველ წინადადებისა, აქტიური პოლიტიკ ისგან ყოველთვის შორს იჭერდა თავს, მაგრამ როცა დადგა კრიტიკული მომენტი, მან ფასდაუდებელია როლი ითამაშა ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებში შტაბის ხელმძღვა- ნელის სტატუსით, სადაც დამაჯერებლად მოუგო კიდეც ოპოზიციას ურთულეს პირობებში.

ამჯერად საქართველოს პრეზიდენტის უშუალო თხოვნით ფრიდონ თოდუა კვლავაც აგრძელებს პოლიტიკურ მოღვაწეობას. იგი დასახელებულია ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად და დარწმუნებულია ბოლომდე მიიყვანს ერთხელ დაწყებულ საქმეს — უმრავლესობაში სამართლიანად მოვლენ ევროპული ფასეულობე- ბისათვის თავდადებული ადამიანები, რომლებიც ყველაფერს გააკეთებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური აღმავლობისათვის.

ოთხმოცდაათიანი წლებიდან ვიცნობ ბატონ ფრიდონ თოდუას. ჭაბუკური იერის ჩამოვიდა იგი სამშობლოში 21 მეცნიერთან ერთად პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თხოვნით. ოცმა ვერ გაუცლო უმძიმეს პიროებებს, ხელად გაეცალნენ სირთულეებს. მხოლოდ ერთადერთი ბატონი ფრიდონი დარჩა გავერანებულ მამულში და სრულიად შავთმიანი ჭარმაგი, რაღაც ათიოდე წელიწადში თვალსა და ხელს შუა შემოგვათეთრდა.

ვინც მის კაბინეტში ერთხელ მაინც ყოფილა, დამემოწმება, რომ იმდენი ჯილდო-სიგელის, იმდენი ფოტოსა თუ სავიზიტო ბარათის მნახველი უმალ გაოგნდები. ბატონი ფრიდონი მართლაც რომ მსოფლიოს რანგის მეცნიერია ჩვენი კუთხიდან. იგი რადიოლოგიის ფუძემდებელია, როგორც სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ათობით გამოგონების, ხუთასამდე ნაშრომის ავტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველ ვიცე-პრეზიდენტს, უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების საპატიო დოქტორს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, ყველგან პატივს მიაგებენ და მაინც უმთავრესი აღიარება ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრა ფიების ინსტიტუტიდანაა — იგი დასახელებულია 2003 წლის პლანეტის საუკეთესო ადამიანად საზოგადოების წინაშე დიდი პოფესიული მოღვაწეობისა და კეთილშობილური დამოკიდებულე ბისათვის. ამ გადასახედიდან სულ ერთი ნაბიჯია უმაღლეს მწვერვალამდე — ნობელის პრემიის ლაურეატობამდე.

ბევრჯერ შევთავაზე ბატონ ფრიდონს წიგნი შემექმნა მასზე. ჯერ ადრეაო, ყოველთვის დელიკატურად ამარიდა თავი. მაგრამ ბოლო ორი წელიწადი ოჯახური პირობების გამო ისე დავუახლოვდი, იქამდე ჩავუღრმავდი ამ მართლაცდა იშვიათი ერუდიციის ადამიანის ცხოვრების

წესს, კალმისკენ შეუთანხმებლად გამეცქა ხელი, და აჰა, რა ხანია რომანი-ტრიადა „სიცოცხლემისჯილების“ შემაჯამებელი მესამე წიგნის გმირად იძერწება.

ბატონი ფრიდონი ჩვენი ჟურნალის — „კირბისის“(ოქროს საწმისი) საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარეა მისი დაარსების დღიდან.

მე მაოცებს ამ ადამიანის გემოვნება, პოლიტიკური სიტუაციის შეფასების უნარი, თუმცა ხშირად უყვარს თქმა: პროლიტიკაში ნაკლებად ვერკვევიო. ეს ყველაფერი რიგითების პროვიცირებისთვის მოგონილი ხერხია.

აწ გვარიანად ასაკმოყრილს, გამოცდილსაც ამავდროულად, მასზე უკეთ ვერავინ მასწავლა შეუთავსებელი საგენებისა და მოვლენების ჰარმონიაში მოყვანა.

ამასთან ბატონ ფრიდონ თოდუას განზრახული აქვს უამრავი საინტერესო პროექტის განხორციელება ზუგდიდის რაიონსა თუ სრულიად სამეგრელოში: უწინარესად იგი ნოვაციებს წაახალისებს განათლების სისტემაში — ყველაფერს გააკეთებს ჩვენი კუთხის ზენიჭიერი გენოფონდის გამოსავლენად და მათი მეურვეობისათვის ადრეული ასაკიდანვე; განზრახული აქვს მემორანდუმის გაფორმება თურქეთის ერთ-ერთ რეგიონთან — შემოქმედებითი კავშირების დამყარება ჩვენს სისხლხორც ლაზებთან; საქართველოს დიასპრის მესვეურების შეკრება სადადიანოში — სამეგრელოს ლობის არჩევა; სამეგრელოს აღორძინების ფონდის დაარსება;

დასაქმების პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა და ვინ მოთვლის.

სხვანაირი ფრიდონ თოდუა მე ვერ წარმომიდგენია. ომერ ფაშას ასკერების წინააღმდეგ ამხედრებული სამეგრელოს სახალხო ლაშქარის მესვეური მართალია თოდუას შთამომავალის კვალობაზე, დღემდე ღირსეულად უტარებია ნამუსიანი კაცის სახელი; და რადგანაც ჯანსაღი ფესვებიდან აღმოცენებულა, თავად არის ბრწყინვალე მეცნიერი და მოქალაქე, თავად არის ჩინებული მეუღლე და მამა, თავად არის ორი ფენომენი შვილიშვილის შეუდარებელი ბაბუა და ეგეც რომ არა, რუსთაველის თქმულისამებრ, ყოველ მოსახვეჭელს სახელის მოხვეჭა ურჩევნია სიყრმითგან.

ფრიდონ თოდუას არა თუ ზუგდიდის რაიონში, სრულიად სამ ეგრელოში ალტერნატივა არ მოეძებნება, როგორც მეცნიერს, როგორც მოაზროვნეს, როგორც ადამიანს, გნებავთ — როგორც მაჟორიტარობის კნდიდატს. და კიდევ ერთიც: წინა მოწვევის საპარლამენტო არჩევნებში დეპუტატობის ზოგიერთმა კანდიდატმა ჩემი ლექსი „გვიმარა“ თავის საარჩევნო პროგრამაში ჩართო ჩემს უკითხავად და უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა. ამჯერად ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ვინც ამ ლექსის შინაარსს ყველაზე მეტად უპატრონებს ბატონ ფრიდონ თოდუაა, მის საარჩევნო კამპანიას ეძღვნება იგი მთელი არსებით, ხოლო გონებადაუნჯებულ ზუგდიდელებს ჩემგან არ ესწავლებათ ვინ უკეთესად უწამლებს მათ სატკივრებს, რომელია დღეს სადადიანოს სინამდვილეში ისეთი პიროვნება, ვინც წინაც წაიძღოლიება და უკანაც მიედევნები წარბის შეუხრელად.

შუკა-შუკა, შარა-შარა...
ნარაზენი...დიდინეძი...ხურჩა

ლამის თვენახევარს გასტანს ბატონ ფრიდონ თოდუას საარჩევნო კამპანია. 32 სოფელს და ქალაქის ქუჩა-ბანებს ნაბიჯ-ნაბიჯ შემოვივლით.

სად სამას ადამიანთან გიწევს საუბარი, სად

ორათე ულთან. ყველა აუდიტორიას სათანადო გულის- ყურს მიაპყრობს სადდიანოს ნდობის მანდატის მაძიებელი. არადა, ეს ნდობის მანდატი უამრავ დეპუტატს ჩააბარა ელექტორატმა. გაინაღდეს პრტფელები და მერე ვის ახსოვს შენი დარდი და ჭირ-ვარამი?! ფრიდონი სხვა ჯილაგისაა.

საპარლამენტო არჩევნებში ფორსირებული არჩევნების შემდეგ ოთხიოდე თვეც არ მიწურვილა და ლამის ოთხმოჯერ იტიალა ზუგდიდელების ქელეხსა თუ ქორწილში, ვლაქენობასა თუ ბომბათცვენაში.

ყველა დარბაზი დაუვიწყარია. ყველა მოედანი სამახსოვროა. ნდობით აღჭურვილი პირების

გამოს-ლები გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეს. ყოველთვის განსხვავებული ფრიდონ თოდუას ორატორიაა.

ამომრჩევლების სათხოვარი მოზომილია, ისინი სულ მცირედს ითხოვენ, ნორმალურ სამანქანო გზას, ავადმყოფობის სამკურნალო სახსრებს და პატიმ- რების შეწყალებას. ახალსოფლელებს მთავრობამ ზედ სოფლის ცენტრამდე დაუგო ასფალტი და იქ დანა ხარის კუდზე გადატება. შვიდასი-რვაასი მეტრო დარჩენილა სასოფლო ხიდიდან. აიღებს თავის თავზე ბატონი ფრიდონი ამ მონაკვეთის გასრულებას. სამეგრელოს გზების უმეტოქო ალამდარი ბატონი დემურ გადელია არჩევნებამდე ორი

კვირით ადრე შეასრულებს ამ სამუშაოებს. დიდი ნეძში შლაგბაუმის მოსპობას რაღაც საათები დასჭირდება — არც მწვადი შეიწვება და არც შამფური, გაკეთდება პესმაგვარი დანად- გარი, სადაც მხოლოდ სამარშრუტო ტაქსები ეტევიან, დიდი მანქანები იქ ვერ გააღწევენ. ეს ყველაფერი ხელმრუდი ხალხის ბლოკირებისათვის გახლათ მოფიქრებული. იტყვის კიდეც ერთი თანასოფ- ელელი, რა წყალში ჩავვარდე ბატონო ფრიდონ, წვრილშვილის მარჩენალი ერთპადერთი ძროხა მომპარეს ამას წინათ და ჩემს დღეში ახლო-მახლო სოფლებში სამასზე მეტი პიროვნება

რა არის სულ იპოლიტოვიჩს რომ იძახნან, ნინას არაფერი გაუკეთებია უნთვის?!

მზე მთის კალთებს ეფარება,
ეზოს მწუხრი ეპარება
და ჩრდილები ხეთა.
ფერად ნისლში იძირება,
აივნიდან იმზირება,
მოწყენილი დედა.

ქალბატონ ნინა ცხადაია-თოდუას ფოტოს აღსა- ბეჭდად წვეულს, რატომღაც ალექსანდრე საჯაიას ეს აკარა სტრიქონები მოშაგონდება უცაბედად: ზის აივანზე ნაჯაფარი დედა და სევდიანად გაჰყურებს სივრცეს, რომელიც მისი სახელოვანი შვილის პატა- რაობის სურათებითაა გაჯერებული: პირველად ამოჭ- რილი კბილი, პირველი გაუბედავი ნაბიჯები, ბაგა-ბაღი, სკოლა... ნეტარებით მაშინ ყოფილა სავსე, ოდეს მშობლის თვალსაწიერზე ტრიალებდა რჩეული პირ- მშო. მერე და მერე მრავალი ლანდი ჩადგება მათ შორ- ის: კავკასიონის მარადთოვლიანი მწვერვალები, შორე- ული რუსეთის უდასასრულო ტრაქალები.

ბატონი ფრიდონი თავის საარჩევნო გამოსვლებ- ში ხშირად მოიგონებდა ერთ ეპიზოდს:

საბჭოეთის სივრცეში რადიოლოგიის დამნერგავი მეცნიერი სახელმწიფო პრემიაზეა წარდგენილი. მალე დაჯილდოების ცერემონიალი შედგება კრემლის სვე- ტებიან დარბაზში. ქალბატონი ნინა ზუგდიდშია და მოსკოვიდან ელსმენით ეხმიანება მშობელს:

— სანერვიულო არაფერია, მაგრამ ერთი თხოვნა უნდა შემისრულო, უნდა გამოეწყო საზეიმოდ, შენე- ბური დახვეწილი გემოვნებით და სასწრაფოდ ჩემ- თან ჩამოხვიდე. აქ შეხვედრა მაქვს ამხანაგებთან, მინდა შენც მახლდე. — ქალბატონი ნინა მესიაკონია, რას გამოაპარებ თუ რანაირ შემთხვევაში ეძახიან მშობლებს კრემლში, მაგრამ მოვლენებს არ ასწრებს, თავს იკატუნებს.

აგერ, ხალხით გადაჭედილ დარბაზშია კოლხი ქალბატონი, ყირმიზის სახის, ფრესკიდან ჩამოსულ ანგელოზის ალი-კვალია. სამოსელიც გემოვნებით შეურჩევია ძმისშვილს, ქალბატონ ელისო ცხადაიას. უამრავი სიგელისა და ჯილდოს პატრონია ჩვენი ნინა. „ზუგდიდ-ვაჭრობაში“ ტრიალებს რაც თავი ახსოვს და ამ სფეროში ჩინ-მედლის მოპოვება განსაკუთ- რებული პატიოსანი ცხოვრების გარეშე ყოვლად გამორიცხული იყო. ავანსცენაზე პერესტროიკა-გლასტნოსტის რაინდი მიხე ილ გორბაჩოვია და იქიდან ეპატიჟება პარტერიდან მეცნიერების სხვადასხვა დარგში სახელმოხვეჭილ ადამიანებს. აჰა, კვარცხლბეკისკენ უხმობენ მის ვაჟიშვილსაც გამოკვე- თილი „იპოლიტოვიჩით,“ გადასცემენ დიპლომს, მედალს, ჩაასურათებენ.

ამაყი ნაბიჯებით უახლოვდება მემკვიდრე და თავისი ცხოვრების შემაჯამებელ აღიარებას უშურ- ველად უსახსოვრებს რელიკვიასავით: ყველაფერი შენ გეკუთვნის, დედა, ყველაფერი სულ შენი დამ- სახურებაა!“

ქალბატონი ნინა ბედნიერების მწვერვალზეა. თვა- ლებიდან ღაბაღუბით ჩამოსდის ცრემლი. მკერდში მაღალ შუბლს ახუტებს საქვეყნოდ აღიარებულ პირ- მშოს, თანაც ქვითინგარეული ხმით ეუბნება:

— მუ რე, ნანა, ირო იპოლიტოვიჩის იძახუნან, ნინას მუთუნ ვავკეთებუნო სქანდა?

გეკადრებათ, ქალბატონო, ნინა! ღირსეულ შვილებს ღირსეული დედები ძერწავენ მხოლოდ! აქაზე 3800 წლის წინანდელი „ფესტოსის დისკოც“ მეტყველებს ცხადლივ, რომელზეც ღვთაება ნენანას საგალობელია ამოტვიფრული, იგივე ნერჩის, დედაბოძის, გნებავთ — ფუძის ანგელოზის ფენომენი, პროტოქართული ჯიშ-ჯილაგის უტყუარი წარმატების საწინდარი, კოლხ-იბერთა უკვდვების სიმბოლო!

ორ ძიძას შუა

დავით გურამიშვილზე უკეთ არავინ უწყის კახელების აღმა ხნული და ქართლელების დაღმა ფარცხული საქართველოსი, მაგრამ არც სადღეისო ზუგდიდშია განსხვავებული ვითარება. ორ ძიძას შუა ყოფნამ მოინელა წლების მანძილზე სრული სადა- დიანო. ბირჟაზე გამოსულს ჩავლილ მეგობრისადმი გულშემატკივრობა ვერ გამოგიხატავს ხმამაღლა, ვინაიდან შესაძლებელია, შენთან მოსაუბრე მავანის მოწინააღმდეგე გამოდგეს და ხათაბალაში გაეხვიო. ორ ძიძას შუა ვიყავით სწორედ. მარჯვენას ყური ვერ მოეფხანა მარცხენის უკითხავად და — პირიქით. აი, რანაირი სადადიანო ხვდა სამაჟორიტაროდ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპირკერს, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას. მაგრამ მე ყოველთვის მჯეროდა მისი ალღოიანობის. თვეობით ვიტრიალე მის საარჩევნო ბატალიებში და ბოლომდე დავრწმუნდი, რომ რკინისებური მოთმინების წყალობით მთავარ, სახელმწიფოებრივ გზაზე დააყენებდა სხვადასხვა სივრცეებისკენ მსწრაფველ პირვნებებს, რომელთა ამბიციებმა ძვირადღირებული უამრავი დრო შეიწირა საზოგადოების საზიანოდ. ბატონი ფრიდონის ამ უნარიანობის შემდგომ გაშლაზე ჰკიდია ახლა, აგერ — ზედა ფოტოებზე ხალხის ტალღაში მომწყვდეული წითელპალტოიანი დარჩელელი გოგონასი თუ თეთრყაბალახიანი მისი შვილიშვილის ხვალინდელი ყისმათი. სხვანაირად ვერასდროს გააღწევენ ისინი პროვინციული ეგოიზმის შმორიდან. სხვანაირად ვერადროს მიუვა თავთავის ნავსაყუდელს ჩვენი ეკლესია-მონასტრების მიტაცებული სიწმინდეები. სხვანაირად ყოველთვის სანახევრო ღიმილს დავსჯერდებით — სანახევროდ ჩამორთმეულ ხელს და სანახევროდ გატეხილ პურს. სხვანაირად ცალყბად მოგვიწევს გამუდმებით ყანაში გასვლა და რაგბის მოედანზე ლელოს გატანა. სხვანაირად სანახევროდ მოგვიწევს გამუდმებით „ოდოიას“ დაქუხება თუ „ხორუმის“ მუსლჩაუხრელობა. სხვანაირად სანახევროდ მოგვიწევს საშუდამო განსასვენებლისათვის ძვირფასი ნათესავების მიბარება და თვით უკვდავებაც სანახევროდ მოგვაშავდება საგალალოდ. ამიტომაც და მხოლოდ ამიტომ ტრიალებს ბატონი ფრიდონი ქელეხსა თუ ქორწილში, ლაქერნობასა თუ საზოგადო შეკრებებზე. ამიტომაც მოითხოვს იგი თითოეული ზუგდიდელისაგან ერთიანი მომავლის სადარაჯოზე დგომას, ჩვენი დათითოკაცებული ავადსახსენებელი სენის აღმოფხვრას. დიდია მისი ძალისხმევა ამ გზაზე და შედეგიანი. დღევანდელი საქართველო, სამეგრელო საოპერაციო მაგიდაზე გაყვანილ პაციენტსა ჰგავს, სადაც ოპერაციის ნებისმიერი წევრი: ასისტენტი, ანესთეზოლოგი თუ სხვა, აუცილებელი კომპონენტია. ცხადია,

ამ საქმეში მთავარი პერსონა თავად ქირურგია, მაგრამ

დამხმარე ძალა მასაც სჭირდება. თქვენ ფრიდონი გქვიათ ჩვენო მაჟორიტარო, უღალატო მეგობრობის განსახიერება. ჩვენი იავარქმნილი სამშობლო უწინარესად „უჩვენოდ ვით იმღერეთოს“ კომპლექსმა გათანგა. მრავალათასიანი ამომრჩეველი უწინარესად ამ სენის განკურნებას მოითხოვს. თქვენ უკვე ბევრი მოახერხეთ გუნდური თანამშრომლობის სასარგებლოდ. საერთო ინტერესები თანდათან იმარჯვებს ვიწრო-პიროვნულზე. თქვენც ხომ ეს გნებავთ, რაცა ოთხი წლის შემდეგ მხრებგაშლილად უნდა გაიაროთ სათაყვანებელ ჭადრების ხეინებში და ხალხმაც სიყვარულით მოგდევნოს ზურგს უკან: „ჩვენი იპოლიტოვიჩია, ჩვენი ნინა ცხადაიას ბიჭი, ჩვენი ფრიდონ თოდუა.“

„ბაია“ და ბაიელები

ბაია საკრალური სიტყვაა. იგი თავისი პირდაპირი მნიშვნელობით ბავშვის, ჩვილის, პატარას ეკვივალენტურია, მაგრამ ამავდროულად ბაიას აქვს რამდენიმე დატვირთვა და ამასზე ღირს საუბრის გაშლა. მეგრულში ბაიას იტყვიან თვალის გუგაზე, საჭვრეტელ წერტილზე. მას ჭურჭულიც ჰქვია ჩვენებურად. აქ არ გვინდა წერილი გადავტვირთოთ ოფთომოლოგიური ტერმინოლოგიით. ბაია თვალის ჩინია ღრმა შინაარსით. თვალის ჩინს კი როგორი მოფრთხილება სჭირდება ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით, ძნელი მისახვედრი არ არის. დიახაც, იგი გახლავთ გონიერი ცივილიზაციის ზრუნვის უმთავრესი საგანი. ბაია ყვავილიცაა ამავდროულად. გვახსოვს ჩვენ მეგრული ფოლკლორიდან:

აია რე, ბაია რე,
ბაიაშ წორი თანაფა რე,

ქირსე რენ დო კალანდა რე,
წაკურთხია დიდი დღა რე.

ბაია ბერძნული წარმოშობისაა, ყურეს ნიშნავსო, ამტკიცებს ბევრი. გეკადრებათ, ბაია, ესე იგივე ოქროს საწმისს — კირბების ნავსაყუდელს გულისხმობსო, იძახიან სხვები. ცნობისთვის „ბაიოს“ პატარას ნიშნავს ბერძნულში, პატარა ვერძს, იგივე კრავს, კირიბსო, დასძენენ.

არც ერთი და აღარც მეორე, ბაია, პირველადს, უმთავრესს, ყოველივეს საწყისს, წინარე საბადისს ეტოლებაო, არ ილევა ვარაუდები.

ერთი სიტყვით, როგორიც უნდა იყოს წყაროები ბაიას წარმომავლობის თაობაზე, ერთი რამ ცხადია, ყოველ მათგანში რაღაც განსაკუთრებული, რაღაც ამაღლებული, რაღაც უკვდავი აზრია ჩაქსოვილი. სინამდვილეს კი სულ სხვა განზომილებანი ასაზრდოებენ, სულ სხვა კანონზომიერებანი წარმართავენ და ჩვენც, დიახაც, იმ მასშტაბებზე, იმ გაქანებაზე ვისაუბრებთ გზადაგზა, რომელიც თვალშისაცემად მოგროვებია საფეხბურთო კლუბ „ბაიას.“

ორი ათეული წელიწადია ზუგდიდს, სამეგრელოს მშვიდი ძილით არ უძინია. გასაქანი წაერთვა მის ცინცხალ უნარებს. ყველგან ჩახია, ყველგან თვალისთვის უხილავი შლაგბაუმები აღმართულა ეკონომიკური ბარიერების სახით. უცხოელი ინვესტორები დაუფარავად არიდებენ თავს აქ ფულის დაბანდებას — მიზეზი ერთადერთია — რისკის ფაქტორი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მრავალგზის წამოვწიეთ კუთხის აღორძინების რამდენიმე საინტერესო პროექტი, ამას რაიმე გამოხმაურება არ მოჰყოლია, როგორც ხელისუფლების, ისე — საქმეში ჩახედული ხალხის მხრიდან. ინიციატივა ინიციატივად დარჩა. „ბიზნეს-კურიერის“ წამყვანი

გოგიჩაიშვილი მენტორული ტონით მიაწოდებს საზოგადოებას ზუგდიდში განხორციელებულ სახელმწიფო გრძელვადიან სესხებზე, მისამართებსაც მიუთითებს მეტი

დამაჯერებლობისათვის, მაგრამ ამისთანა წყალობა არც ჰოლანდიელების გაშენებულ მეცხოველეობის ფერმას მიუღია სენაკში — „ტყირს“, არც რესპუბლიკის საუკეთესო ფერმერს გოდერძი წურწუმიას და აღარც ზუგდიდში არსებულ დაფნის გადამამუშავებელ უნიკალურ ქარხანა „ეთერზეთებს.“ სახელმწიფო პროგრამა გრძელვადიანი სესხების ეგიდით ლიხს აქეთა საქართველოს ნაკლებად სწყალობს. კომერციული ბანკების საქმიანობაზე მოგვიხსენებია. ბოლო დროს სამეგრელოში მიყოლებით აღმოცენდა ყველაზე პრესტიჟულ ადგილებში მათი ფეშენებლური ოფისები, მაგრამ მოსახლეობისათვის შეთავაზებული მოსახურება, რბილად რომ ვთქვათ, მტაცებლურია. ისინი საქმიანი წინადადებით მისულ კლიენტებს უწინარესად მყარ გარანტიებს სთხოვენ ოქრო-ვერცხლის სახით, თანაც ეს მომსახურება გაუგონარ პროცენტულ კაბალას შეიცავს — 36,6 38 40 პროცენტი წელიწადში. ცხადია, ამნაირი სესხით ნორმალური ბიზნესის წარმოება გამორიცხულია. თანაც არანაირი შეღავათი დროის, ვადაგადაცილების თვალსაზრისით. გაივლის ერთი თვე და დღე რომ არ დაგაგვიანდეს მეანაბრემ ოთხი ხელი და ფეხი უნდა გამოიბა პროცენტების დასაფარად. ფულის საკეთებლად ჩამოსულან გალების ქვეყნიდან „სოსიეტე ჯენერალი“ თუ ადგილობრივი კომერციული ბანკები, რომლებმაც ორიათასი წლის დამდეგიდან შეღავათიანი უცხოური კაპიტალით დააფუძნეს თავიანთი კომერციული დაწესებულებანი — წლიური საურავი 2 პროცენტი და ამისთანა იაფ ინვესტიციებს ისინი ოცჯერ ძვირად აჩეჩებენ ხელში სამეგრელოს გაჭირვებულ მოსახლეობას. ასე თუ გაგრძელდა ხვალ და ზეგ ჩვენი ხალხი კომერციული ბანკების ყბაში აღმოჩნდება, საიდანაც რაიმე საშველი არა ჩანს.

თავის დროზე რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა საჯაროდ დაასახელა ჩრდილოეთში თავმოყრილი ქართველების ოდენობა — 700 000 კაცი. მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობისა ქართული დუხჭირი ცხოვრების ხელგამმართველი, დიახაც, ჩვენი რუსული დიასპორაა. ჩვენ პირადი კონიტაქტები გვაქვს უამრავ წარმატებულ ბიზნესმენთან, რომლებიც ეტაპობრივად ჩამოდიან სამშობლოში და მრავალ წინადადებას წამოაყენებენ ხოლმე, მაგრამ აქაურ სინამდვილეს უმეტესი თავქუდმოგლეჯილი გაურბის — უმთავრესს მიზეზად დასახელებულია ჩინოვნიკების კლანი, ნომენკლატურა, რომლებიც დაურიდლად

ხელს ყოფენ სხვის ჯიბეში და წილში ჩაჯდომას მოითხოვენ — მერე მე რა?! აი, ამ კატეგორიის ხალხის მორალი. მათ რბილი სავარძლები დაუთრევიათ განგების თუ სიტუაციის წყალობით და ახლა ერბოს მოსახდელად არაფერს დაგიდევენ. იცოდა ეს ყველაფერი სადადიანოს მკვიდრმა, ენერგიულმა პიროვნებამ, ბატონმა ზვიად სიჭინავამ და მიუხედავად სკეპტიკური ხალხის პესიმიზმისა, ზუგდიდური სპორტის განვითარებას მიჰყო ხელი. ზუგდიდის „დინამო“, რომელიც „მგლებად“ მოუვლენია ვიღაც უხეირო ნათლიმამას, და არაფრით ჩამოჰგავს როლმულუსის დამბურებელ ტყიურს — სულ ცხვარივით დაბუნჩულებს მოედანზე, აღარც ოდესმე გაცხარებას აბირებს სერიული წაგებების შემდეგ, გაოხრებული დახვდა წინამორბედი ხელმძღვანელების გაუმაძღრობით: გავერანებული ბაზა, დაქსაქსული კადრები, მომსპარი ტექნიკა, შელახული რეპუტაცია — ეს ყოველივე ერთობ უნუგეშო პერსპექტივას ქმნიდა კუთხის სპორტული ცხოვრების ასაღორძინებლად გულანთებული კაცისათვის, მაგრამ ნათქვამია, საშობლოს ხსნა მისი შვილების ხელთაა და ბატონი ზვიადიც ფუტკრის რუდუნით შეუდგა გულში ერთხელ ჩაჩნეული მიზნის განხორციელებას...

— ბატონო ვალერი, ჩვენი თაობის ხალხი, თქვენ „ბლოხინს“, „ლოხას“ გეძახდათ. ჩვენ ძალიან თბილი ურთიერთობა გვქონდა სასტუმრო „ოდიშიდან“ მოყოლებული. სასაცილოა — სახელითა და გვარით არასდროს მომიმართავს. გაძახარდა თქვენი ყოფნა აქ. საფეხბურთო კლუბ „ბაიაზე“ თანდათან ბევრი მასალა მომიგროვდა. მართლაც სასწაულია ამ უნუგეშობის ჩიხში მომწყვდეულ სამეგრელოში ოაზისივით აღმოცენებული თქვენი სივრცე. ლაშის დაუჯერებელია ბატონ ზვიად სიჭინავას ფენომენი, მისი ინვესტიციები, მისი ქველმოქმედება. მინდა წარმოუდგეთ მკითხველს და ისაუბროთ იმ ფუნქციებზე, რა ფუნქციაც ამ წუთას გაკისრიათ.

— დღესდღეობით მე მეორე ლიგის გუნდს ვხელმძღვანელობ ,,ბაიაში'', სადაც დასავლეთის ჯგუფის თამაშები ტარდება. საფეხბურთო კლუბი ,,ბაიას'' დაარსების დღიდან ვიყავი მისი მთავარი მწვრთნელი წლების განმავლობაში. მართლაც ყველასთვის მოულოდნელი წარმა- ტებები მოვიპოვეთ. 1992 წელს დაბადებულთა მთავარი მწვრთნელი ვიყავი. მის მერე ვთამაშობთ ჩვენ მეორე ლიგაში, სადაც მოვიპოვეთ პირველი ადგილი და გადავედით მეორე ლიგაში პროფესიონალთა შორის. ამჯერად მთავარ მწვრთნელად ჩამოყვანილია გერმანიიდან ფეხბურთის ჩინებული სპეციალისტი ბატონი ჰერბერტ ცანკერი რომელიც მთლიანობაში ხელძღვანელობს ,,ბაიას'' სამწვრთნელო შტაბს. ჩვენ მხარში ვუდგევართ. ვაკეთებთ მაქსიმუმს გუნდებთან ერთად. კლუბი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. დღითი დღე მძლავრდება, ფესვებს იდგამს, როგორც დიდი გუნდი, ისე მოზარდები, ჭაბუკები და ბავშვთა ფეხბურთი მთლიანობაში. რაც შეეხება წარმატებებს, პირველივე დღიდან ,,ბაიას'' მიღწევები მთელმა საქართველომ გაიგო. ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევით წინ. ჩვენთვის ტიტულები არ არსებობს, ჩვენთვის ერთადერთი განზომილებაა — მოედანი და ბურთი. მომავალ წელს ჩვენი გუნდი უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს. ეს განცხადება ცარიელი სიტყვები არ გეგონოთ, გულის დასამშვიდებელი ბაქი-ბუქი. ამას ჩატარებული თითოეული მატჩის ანალიზი გვალაპარაკებს.

— შაინც რამდენ გუნდზეა საუბარი? რამდენი ბავშვია თავმოყრილი თქვენთან და რამდენი მწვრთნელი ხელმძღვანელობს მათ?

— დაწყებული მთავარი მწვრთნელიდან, ბატონ ჰერბერტ ცანკერიდან, ,,ბაიას'' საფეხბურთო კლუბში ბრძანდება 13 პროფესიონალი მწვრთნელი. მათგან აბსოლუტურად ყველამ გაიარა **C** ლიცენზია, **B**. ახლა რამდენიმე მწვრთნელი მიემგზავრება თბილიში **B** ლიცენზიის ასაღებად. **A**-ზეც გავდივართ. მოკლედ, მაგარი მწვრთნელები გვყავს კლუბში. რაც შეეხება გუნდების რაოდენობას, ერთი გუნდი გვყავს პირველ ლიგაში, რომელიც პირველ ადგილზე იმყოფება და უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად ვემზადებით. არის მეორე ლიგაში გუნდი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ და დღესდღეობით მეორე ადგილზე ვიმყოფებით. ასაკის მიხედვით ჩვენ სამი ასაკის გუნდი გვყავს. საქართველოს ლიგაზე თამაშობენ ეს ბავშვები. საქართველოს პირველობა არის უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. ეს ჭაბუკები არიან 1991-1992, 1993-1994 და 1995-1996 წლებში დაბადებულები.. აი, ამ სამი ასაკის ხალხია ჩვენში თავმოყრილი. როგორც ვთქვი, კლუბი ჯერაც ჩამოყალიბების სტადიაშია, მაგრამ უკვე გარკვეული წარმატებები მოვიპოვეთ სამივე ასაკის მოთამაშეთა შორის: მეორე ადგილზე ერთი, მეოთხეზე მეორე, მეხუთეზე მესამე. სამივე გუნდი თანდათან შედის აზარტში და უკეთესი მაჩვენებლების იმედი გვაქვს ყველას. თავბრუდამხვევი მიღწევები ხელის ერთი მოქნევით არ მოდის,

ეს ნაბიჯ-ნაბჯ უნდა გაკეთდეს, ამას წლები ჭირდება, გუნდი ხომ ცოცხალი ორგან- იზმივითაა და საქმის დამში მოყვანას გარკვეული დრო სჭირდება. ჩვენ ეტაპობრივად, ჩვენი პროგრამის მიხედვით ვმუშაობთ და წარმატებებსაც როგორც აქამდე ვაღწევდით, მომავალშიც მივაღწევთ, ოღონდ გაცილებით უკეთესს.

— დიდი რუსთაველი ბრძანებს... ზღვათაცა შესდის და გაედინებისო. თქვენთანაც იგივე პროცესი მიმდინარეობს, ალბათ, თუ არიან პრივილიგირებული ტიპები, რომ ესლაც გავლენიანი მამიკოების წყალობით ხელს ვერავინ ახლებს. მაინც საიდან ხდება ახალი ძალების მოზიდვა. აი, სპორტსკოლები მოშლილია, მარტო მომრავლებული სტადიონების იმედზე ვერ იარსებებს პროფესიონალური ფეხბურთი. მე ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ როლანდ მაქაცარიასთან მქონდა ამის თაობაზე საუბარი. იქაც უამრავი პრობლემაა, როგორც ტექნიკური, ისე ფინანსური. აი, თქვენს პირობებში რანაირად ახერხებთ ამ ყველაფერს?

— ჩვენ გვყავს მწვრთნელი სელექციონერი. ეს პიროვნება, ყოფილი ფეხურთელი ჯონი მალანია, სხვათა შორის ძალიან დახვეწილი სპეციალისტია. იგი დაუსრულებელ მოძრაობაშია, მიემგზავრება საქართველოს ნებისმიერ კუთხეში და სულ ნიჭიერი ფეხბურთელების ძიებაშია. იმდენი იარა, იმდენი იხეტიალა, უკვე რამდენიმე იმედისმომცემი ფეხბურთელი ჩამოიყვანა ოზურგეთიდან, ფოთიდან, ქუთაისიდან. აი, ამ პროგრამით გრძელდება მუშაობა და ვაგრძელებთ კიდევაც. ჩვენი რეგიონი, ჩვენი კუთხე — სამეგრელო ზოგადად, ნიჭიერი ფეხბურთელებითაა სავსე. ამას მეტი მუშაობა და სელექციები სჭირდება. ვიმეორებ, ჩვენ დაკომპლექტების სტადიაში ვიმყოფებით დღეს, ესე იგი, ნებისმიერ ასაკში გვჭირდება ხალასი ნიჭის ფეხბურთელები. აქ სერიოზული შეცდომის დაშვების არც საშუალებას გვაძლევენ და აღარც მორალური უფლება გვაქვს. აქ სელექციები უნდა წავიდეს უმაღლეს დონეზე. ჩვენთან გადასახადი არ არის. არავინ არაფერს იხდის. თვით თბილისშიც და სხვა რაიონებშიც ბავშვები იხდიან 20-დან 60-ლარამდე. ჩვენთან პირიქით: ჩაცმა, მგზავრობა, კვება უფასოა. ამისთანა პირობებში ჩვენც თავაწეულები ვართ სხვებთან შედარებით და თამამად ვეძებთ, თამამად ვიზიდავთ ჭეშმარიტ ტალანტიან ფეხბურთელებს, რათა მეტი პროგრესი გვქონდეს. მხოლოდ ამისთანა ვითარებაშია მოსალოდნელი დიდი წარმატებები.

— რბილად რომ ვთქვათ ეს ბავშვები გუნდის კისერზე სხედან, გუნდის კმაყოფაზე არიან?!

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. დაწყებული ექვსწლიანებიდან, ყმაწვილებიც, დიდებიც, არაფერს იხდიან, ჩაცმა, მგზავრობა, კვება ბატონ ზვიად სიჭინავას წყალობით უფასოა და როგორც ზემოთ მომიხსენებია, ყველაფერი მიდის პროგრამის მიხედვით.

— ბატონო, ვალერი, რახან სელექციაზე ჩამოვარდა საუბარი, საინტერესო დეტალი უნდა გაგაცნო. არის ერთი თხუთმეტი წლის ბავში, რომელიც კლუბ „ამირანში“ თამაშობდა თბილისში რამდენიმე წელიწადს. მაგრამ რადგანაც მისი ასაკი გარდატეხის პერიოდს მიუახლოვდა, მშობლებმა ოჯახში ჩამოიყვანა ამჯობინეს. ამწუთას ეს მოზარდი თამაშობს საფეხბურთო კლუბ „გაგრაში“. ზურაბ ჭანია წვრთნის. თავიდან თქვენთან მოყვანას ვაპირებდი, მაგრამ თავად საზოგადოება „ზუგდიდელის“ ხელმძღვანელობამ ხელები გაასავსავა შუამავლობაზე. არ გაჭრა სიგელებმა და თასებმა. იმისთანა უკარება გერმანელი მწვრთნელი ჰყავთ, უმჯობეისია თვითონ ეახლოთთო. ჰოდა, რადგანაც მორიდებულმა მშობლებმაც ვერ მოაბეს თავი „ბაიას“ ხელმძღანელობასთან დაკავშირებას, ქე არის „გაგრაში“. სოფელი ოტო-ბაია ხომ გაგიგონია, ჰოდა, იქიდანაა, ჩემი კარის მეზობელი. თავდამსხსმელია. თამაშის საკმაოდ მაღალი კულტურით გამოირჩევა, ყოველ შემთხვევისათვის, ამას მეტყველებს აქამდე მოპოვებული მისი ჯილდოები. გუშინ ველაპარაკე მის მწვრთნელს და იცით რა მითხრა?! ნამდვილად არ მოველოდი ასეთი ტექნიკა თუ ექნებოდათ. ჩინებულად ფლობს ბურთს, მაგრამ ეგ არის ორ ტაიმს ვერ ქაჩავსო. მას ჰქონდა 20-25 დღიანი წყვეტა აქტიურ ფეხბურთთან, მაგრამ დროის ეს მცირე მონაკვეთიც კი საკმარისი აღმოჩნდა გასაზანტებლად. მაინტერესებს ის სელექციონერი ჯონი მალანია როდის შეიხედავს „გაგრაში“ თუ შორ მივლინებებსაა დაჩვეული და შინაური მღვდელებისთვის ვერ იცლის?

— გეკადრებათ! ჩვენი მიზანი ნათელია — **ყველა ღირსეული ბავშვი „ბაიაში!“**. ,,ამირანში'' იქნება ეს, ,,გაგრასა'' თუ სხვა განდში ყველაფერს დაწვრილებით გავიგებთ და თავად მივიღებთ გადაწყვეტილებას. დღეიდან ამ ბავშვზე მე თვითონ დავიწყებ მუშაობას.

— ისე, აშორტიაა გვარად. ოტობაიიდან. თავის დროზე ჩვენს სოფელში ფეხბურთი

ფასობდა. ისე „ბაია“ და ოტობაია ერითმება ერთმანეთს.

— კი, ბატონო, პრობლემა არ არის. დავაკვირდებით. ყველა ღირსეული უნდა იყოს ჩვენს კლუბში. არავინ დაიჩაგრება. არავის აქვს უფლება, არც მწვრთნელს, არც ვინმეს, რაღაცით უკმაყოფილო იყოს ჩვენს კლუბზე. პირიქით, ყველა ხელს შევუწყობთ, მაქსიმუმს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ბოლომდე შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლინება, რათა აქედან დაფრთიანდეს, დიდ ფეხბურთს აქედან ეზიაროს.

— ფეხბურთის გულშემატკივრობაზე გასაგებია... გვინახავს კინოლენტი „ფეოლა“ და ა.შ. მაგრამ ენთუზიაზმი ერთია და ცხოვრება — მეორე. ბატონი ზვიად სიჭინავას თავგამოდება ზუგდიდური ფეხბურთის ასაღორძინებლად ფანტასტიკურია, ლამის დაუჯერებელი, თუმცა კონკრეტული სინამდვილე თავისას მოითხოვს, ოჯახი, შვილები, ყოველდღიური საზრუნავი. ამ კუთხით როგორ არის თქვენი მწვრთნელების მდგომარეობა?

— ბატონმა ზვიადმა თავიდან მოიწვია ორი მწვრთნელი და იქიდან დაიწყო მწვრთნელთა კორპუსის გაზრდა. თანდათან მეტი მასშტაბით იზრდება, როგორც მწვრთნელების, ის მოზარდების ჯგუფები. ამიტომ, ჩვენ ნებისმიერი მწვრთნელი ვიმყოფებით ,,ბაიაში'' და ვემსახურებით ბატონ ზვიადის წამოწყებულ საქმეს, ზუგდიდის, საქართველოს ფეხბურთს. ამ შემთხვევაში ნებისმიერი ჩვენი მწვრთნელი დღევანდელი ანაზღაურებით კმაყოფილია, მაგრამ ვიმეორებ, აქ არ არის საუბარი ათასებზე. აქ არის საუბარი იმ თანხაზე, რომლითაც დღევანდელ პირობებში ოჯახი შეიძლება არჩინო. ახლა დაკონკრეტებას ნუ მომთხოვ, ეგერ არის ბუღალტერია.

— ბატონო, ვალერი, ჩვენ ძველი ნაცნობები ვართ და გადაუჭარბებელი გულწრფელობით გეტყვი, მე საერთოდ ყველა ენთუზიასტ ადამიანს, ვინც ჩვენი კუთხისთვისაა თავდადებული, შეშიძლია ფეხქვეშ გავეგო. ერთადერთი ასეთი პიროვნება დავინახე ზვიად სიჭინავა ჩვენს კუთხეში. მე მას ინტერნეტით გამოვესაუბრე და მისმა უბრალოებამ გამაოგნა. ამ კაცმა დიდ საქმეს ჩაუყარა საფუძველი და იშედია, ხვალ და ზეგ ზუგდიდური ფეხბურთი ნამდვილად იქუხებს. კიდევ რას დაამატებდით?!

— მე მართლაც შემიძლია შვეპირდე ბატონ ზვიადის, რომ სასწაულებს მოვახდენთ: აქამდე 1992 წელს დაბადებულთა შორის 7 ჩვენმა ჭაბუკმა ითამაშა საქართველოს ნაკრებში. ერთი ირაკლი შეყილაძე უკვე არის იტალიის ,,ემპოლიში''. მეორე ნიკა ძალამიძეზე მოლაპარაკებები მიდის ისევ იტალიის ერთ-ერთ გრანდ კლუბში. მოკლედ, ყოველგვარი მონაცემი არსებობს იმისათვის, რომ ჩვენმა ჭაბუკებმა მართლა ითამაშონ საქართველოს პირველ ნაკრებში ჩვიდმეტ წლამდელებმა, ოცდაერთ წლამდელებმა. ქართველი სპეციალისტები აღფრთო ვანებულები არიან იმ ფაქტით, რომ ამდენი ბიჭია ერთი და იმავე გუნდიდან, ,,ბაიას'' გუნდში აიდგეს მათ ფეხი, აქ ეზიარნენ ფეხბურთის ანბანს და კაცურ კაცობას. კიდევ მეტი მონდომება იქნება წლების მანძილზე, რათა რაც შეიძლება მეტმა ბაიელმა ითამაშოს საქართველოს პირველ ნაკრებში. ამას ჩვენ უეჭველად გავაკეთებთ! ისეთი ენთუზიაზმია კლუბში დანერგილი, რომ სხვაგვარად ფიქრის უფლებაც არა გვაქს. ეს ყველაფერი უეჭველად ასე მოხდება!

— ბატონო როლანდ, წარმოუდგინეთ თავი მკითხველს. ჩვენ წინ ვრცელი საუბარი გველის. შორეული წლებიდან მინდა დავიწყოთ, უკეთ ზუგდიდური ფეხბურთის ფესვებიდან, იმ გამოჩე- ნილ ფეხბურთელებს მივაგოთ თუნდაც მცირედი პატივი, რომლებმაც ეროვნულ ჩემპიონატებში არაერთხელ გვასახელეს. მერე სხვა თემებიც ბუნებრივად წაეწყობა.

— კი, ბატონო, მე დავიბადე ზუგდიდში, ჩემს საყვარელ ქალაქ ზუგდიდში. ასე რომ, მე ვარ ,,კარონნი'' ზუგდიდელი. ეს ყველაზე მეტად მეამაყება. პირველი ნათლობა ფეხბურთში მივიღე ალექსანდრე, ალიოშა დიდიშვილისაგან. მე ვიყავი ახალგაზრდებს შორის საქართველოს ჩემპიონი. ეს პირველი ჩემპი- ონობა იყო. სურათი აგერაა, კედელზე გამოკრული, 1967 წელს, სკოლებს შორის. შემდეგ ზუგდიდის ,,დინამო''. 1973 წელს გავხდით საქართველოს ჩემპიონები. მერე სამსახურეობრივი მოვალეობა სხვაგან მქონდა, ვიყავი ,,სპორტლოტოს'' ზუგდიდის განყოფილების უფროსი, ჰოდა, საქართველოს ,,სპორტლოტოს'' შემადგენლობაში სამჯერ გავხდი საქართველოს ჩემპიონი მინი- ფეხბურთში. ორი წელი ზედიზედ ვიყავი საუკეთესო ფეხბურთელად აღიარე- ბული, ამისი დამადასტურებელი საბუთები ყელამდე აწყვია, მაგრამ მაგეებისთვის ვის სცხელა. ამჟამად ვარ ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ვცდილობთ, თავზესაყრელ საქმეს თავი გავართვათ შიშველი ხელებით. ვემზადებით 2009 წელს ზუგ- დიდის ფეხბურთის 90 წლის იუბილის უმაღლეს დონეზე ჩასატარებლად.

პირველად ზუგდიდის ისტორიაში 1919 წლის 20 მაისს შედგა შეხვედრა რუსეთის საჯარისო ნაწილებ- თან და პირველი გამარჯვებაც იქ მოვიპოვეთ ანგა- რიშით **2:1**-ზე. გამაჩნია ფეხბურთელთა სახელები, გვარები. შეხვედრა შედგა დღევანდელი სტადიონი რომ არის იქ. მაშინ ეწოდებოდა მიურატის მოედანი, მიურატიშ მინდორი.

— დადიანების რეგალიებს ყველამ გამოჰკრა თითო კბილი, მაგრამ ეგ ცალკე თემაა.

— ჰოდა, აქ შედგა შეხვედრა და როგორც მოგახსენეთ, ჩვენებმა გაიმარჯვეს. იმის შემდეგ სხვადასხვა თაობები შეიცვალა და პირველი ვინც ზუგდიდიდან თბილისის დინამოში გადავიდა იყო გივი ხოჭოლავა. მას მიჰყვა ბორია სიჭინავა, ჩვენი ბორისი, მერე ზაურ ბულია, ალიოშა ჩიჩუა... იგი უდიდესი ფეხბურთელი იყო. ფეხბურთელების ვიწრო წრეში ცნობილია ერთი ფაქტი: როდესაც ბერია დაიჭირეს, საქართველოს ნაკრები ეთამაშებოდა რუსეთს. ბერიოვ- შინას პერიოდია, ბერიოვშინამ წალეკა მთელი საბჭო- ეთი. დაემუქრნენ თურმე ბიჭებს, თუ მოიგებდნენ, ყველას დახვრეტდნენ. ჩვენებმა პირველი ნახევარი არ გაიტანეს გოლი. ჰოდა, მერე მწვრთნელი რომ მივიდა მათთან, ატირებული ბიჭები ნახა. უთხრეს, არ შეგვიძ- ლია ასეო, დაგვხვრეტენ და დაგვხვრეტონ, მაგრამ გოლს მაინც გავიტანთო. მწვრთნელმა მიუგო თურმე, თქვენ თუ ამ განწყობითა ხართ, მე ეს მაღელვებს, და ძმებო, დავაი, ბარემ ერთად დაგვხვრიტონო! გავიდნენ სათამაშოდ ჩვენები და ალიოშა ჩიჩუამ სამი გოლი გაიტანა, სამით ნოლზე მოვუგეთ რუსეთს. ასეთი პირ- ოვნება იყო და გარდაიცვალა ნაადრევად ტრამვით გაწამებული, დიდ ფეხბურთს უნებლიეთ ჩამოშო- რებული. ზუგდიდს აქვს თავისი ტრადიციები. ოთარ გაბელია წავიდა თბილისის „დინამოში“ ზუგდიდიდან, სოსო ჭედია, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი იყო. მურთაზ ხურცილავა აქედანაა წაყვა ნილი თბილისის „დინამოში“

— ექსტრა ფუტბოლი უწოდეს.

— უდაოდ უმაღლესი რანგის ფეხბურთელი იყო, კამეჩის ძალა და ამტანობა ჰქონდა. ზუგდიდიდან გადავიდა თბილისში შავგულიძე, რომელიც გალელი, სამურზაყანოელი გახლდათ. ზუგდიდს დიდი ტრადიცია აქვს, დიდი საფეხბურთო ტრადიცია და ახლა მიხარია, რომ ამ საერთო გაჭირვების პერიოდში ჩვენი ფეხბურთის საშველად ბატონი ზვიად სიჭინავა ჩამობრძანდა, დააფუძნა საფეხბურთო კლუბი „ბაია“.

— ბატონო, როლანდ, ჯერ იქნებ ზუგდიდის საფეხბურთო ტრადიციები ამოგვეწურა, მერე გადასვლაც ბუნებრივი გამოგვივა.

— დღეის მდგომარეობით ზუგდიდს ჰყავს უმაღლეს ლიგაში საფეხბურთო კლუბი „მგლები“, რომლის მთავარი მწვრთნელი თავად გახლავარ და რომელსაც ძალიან უჭირს ფინანსურად. რატომ გაგეცინათ?

— რამდენიმე თვის წინათ მე დავესწარი ერთ მატჩს, მოწინააღმდეგე არ მახსოვს, წვიმიანი ამინდი იყო. მგონი ზუგდიდლებმა გაიმარჯვეს. დიქტორის გამოცხადებულზე მეცინებოდა, უტეკვენ „მგელებიო“ ქოთქოთებდა მიკროფონში, „მგლები“ ვერაფრით ამოშაქრა ოჯახაშენებულმა. მერე და არის კიდევ ერთი სოფელი ზუგდიდში, დიდი ნეძი. დისშვილი მყავს იქ, გვასალიას ბიჭი პაოლო. იცით, რა მითხრა, ტყუილად გვეძახიან დიდნეძსო, ვინაიდან ჩვენთან ერთი ძირი კაკლის ხეც არ ხარობსო. უფრო მოზომილ ნათლიმამას ვამჯობინებდი.

— სახელწოდებას ეშველება. გური, მოხდა ისე რომ, გუნდმა მეშვიდე საპატიო ადგილი აიღო შარშან. გვითხრეს, გაკოტრდით, გუნდი არ ხართო. ასეთ დროს ჩვენ ჩავერთეთ. ყველა იმედი რომ გადაიწურა, გულშემატკივრებმა შემოგვიტიეს, რას უცდით, გულზე ხელები რისთვის დაგიკრეფიათ, ქენით რამეო და ჩვენც დავტრიალდით. შევაწუხეთ საზოგადოება „ზუგდიდელი,“ მისი თავმჯდომარე ბატონი ოთარ ფაცაცია, მთლიანი ზუგდიდის საზოგადოება, მივმართეთ გუბერნატორს, ბატონ ზაზა გოროზიას, სახელმწიფო კანცელარიას, პირადად ქვეყნის პრეზიდენტს და ამდენმა სირბილმა შედეგი გამოიღო. ზუგდიდს ნება დართეს ეთამაშა საქართველოს პირველობის ჩემპიონატში. ის თანხა, რაც ამჟამად გუნდს გააჩნია, ძალზე მიზერულია. წარმოიდგინეთ 200 000 ლარი 2 მილიონი ევროს წინააღმდეგ, 200 000 ლარი ერთი მილიონი აშშ დოლარის წინააღმდეგ. გულშემატკივრებს უნდათ ყველა ვარიანტში მოიგო და აქ ჩვენს სამზარეულოში რა ამბავი ტრიალებს, ნაკლებად აწუხებთ.

— მისასალმებელია: მესამე ადგილზე ყოფილხართ, რომელიღაცა გაზეთში მოვკარი თვალი.

— არა, უკვე მეექვსეზე გადმოვინაცვლეთ. გუშინ გვქონდა თამაში ბოლნისში. **2:2**-ზე ითამაშეს ბიჭებმა, მაშინ როცა მატჩის მოგება შეიძლებოდა. თამაშით კარგად ითამაშეს, მაგრამ თერთმეტმეტრიანი დაგვინიშნეს, რომელიც მსაჯმა გამოიგონა. მერე რომ ამოიწურა დრო, ყველაფერს

აკეთებდა ეს არამზადა მსაჯი როგორმე წაგვეგო, სრული შვიდი წუთი დაამატა. ასეთ გარემოცვაში გვიხდება ბრძოლა. ბატონი ზვიადი ბრძანებს: **ღმერთმა ნუ ქნას სამეგრელო, ზუგდიდი მარტო ჩემი გუნდის იმედზე იყოსო.** პროფესიონალური ნათქვამია. ყველა კლუბს გააჩნია თავისი ხელწერა და ეს დაამტკიცა საფეხბურთო კლუბმა ,,ზუგდიდმა,'' რომელიც გახდა 1994 წელს დაბადებულთა შორის იმერეთის თამაშების ჩემპიონი. პირველობა არავის დაუთმო აჭარაში დიმა ზედანიას სახელობის საერთაშორისო ტურნირში. ამას წინათ კი საფეხბურთო კლუბმა ''ზუგდიდმა'' მონაწილეობა მიიღო ოთხთა ტურნირში, რაც ნიშნავს სამეგრელოს, იმერეთის, გურიისა და აჭარის საფეხბურთო კლუბების ჩემპიონთა შეხვედრას. აქაც არნახელ შედეგებს მივაღწიეთ — ჩვენმა გუნდმა დაუმარცხებლად მოიპოვა პირველი ადგილი. 1994 წლიანთა ხუთი მოზარდი საქართველოს ნაკრების კანდიდატურაა. ამ კლუბს აფინანსებდა შ.პ.ს. ,,სანი'', ბატონების სერგო გვარამიასა და სოსო კეიდიას ხელმძღვანელობით, რისთვისაც მადლიერი ვართ ამ ხალხის და ბუნებრივია, არაერთი პიროვნება დაინტერესდება სამეგრელოს ფეხბურთით. ბატონი ზვიადი ხომ გვყავს და გვყავს.

— მგლები თქვენ კი არა ისინი ყოფილან ბატონო როლანდ.

— არის საშუალება და აქვე მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ზაზა გოროზიას უანგარო თანადგომისათვის; მადლობა მინდა გადავუხადო სამხარეო პოლიციის უფროსს, ბატონ გუნავას, გვერდით დაგვიდგნენ ორივე. ჩამოვიყვანეთ იმედისმომცემი ორი უკრაინელი ფეხბურთელი. კვების დარგში გვეხმარებიან, მაგრამ ხშირად ის მიზერული თანხაც იგვიანებს რატომღაც. უკვე მესამე თვეა, რაც საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობას თანხა არ მიუღია და ფეხბურთელებს ნასესხები ფულით ვაკავებთ. მე ოპტიმისტი ვარ. მაქვს უფლის შეწევნის რწმენა და მოველი ცის გაბრწყინებას, სპონსორს, რომელიც წელში გაგვმართავს ეკონომიურად. სხვანაირად ძალზე ძნელია გუნდის უმაღლეს ლიგაში დაჭერა. მაგრამ ჩვენ გულშემატკივრებს ვპირდებით, რომ უბრძოლველად არავის დავუთმობ იოტისოდენასაც. ყოველ მატჩში იქნება ნამდვილი უკომპრომისო ბრძოლა და ყველას დავუმტკიცებთ, რომ ზუგდიდს შეუძლია შემტევი თამაში.

— ბატონო, როლანდ, რახან სპონსორობაზე ჩამოვარდა საუბარი, ბატონ ოთარ ფაცაციას გვარ-სახელი გაჟღერდა ზემოთ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სიჭაბუკის წლებში ბატონი ოთარი ფეხბურთსაც თამაშობდა.

— ბატონ ოთარს, როგორც ფეხბურთელს არ ვიცნობ, მაგრამ აი, როგორც საზოგადოება ,,ზუგდიდელის'' თავმჯდომარე სხვა ამბავია. მან გუნდის დაბრუნებაში დიდი წვლილი მიიღო. საზოგადოება ,,ზუგდიდელის'' პირველი ოფიციალური წერილი გუბერნატორის სახელზე, დიახაც, ჩვენი კლუბის ჭირ-ვარამი გახლდათ. მერედა, მისმა ადამიანურმა კონტაქტებმა მეტი გააკეთა და დღეისთვის გუნდი რომ არის, ეს უწინარესად ბატონი ოთარის დამსახურებაა.

— სპონსორობაზე ვაგრძელებთ საუბარს, ქველმოქმედებაზე. ეს ღვთით მომადლებული ნიჭია. მე ის პიროვნება ვარ, სამეგრელოში ერთი პატარა ნიავის გაფაჩუნება ერთობ ამაფორიაქებს ხოლმე. სააქისოდ მე ექვსტომეული ბელეტრისტული მატიანე „სუფევაც“ კი შევქმენი, სადაც ჩვენი მრავალტანჯული საქართველოს ბიოგრაფიაა ასახული 6000 წლის მანძილზე. აქ განსაკუთრებით ხაზგასმულია ჩვენი კოლხეთის ცხოვრება და დღევანდელი სამეგრელოს გაუსაძლისი ყოფა. მე ფეხბურთზე ამ წიგნში ცოტა ადგილი შქონდა დათმობილი, ისიც ფაზისურ ფეხბურთზე, „პირველ მერცხალზე,“ მშვენიერი ფილმიც გვინახავს, „აბა ულათი“ რომ მივაცილებთ ტალახში ამოგაგნულები გამარჯვებულ ინგლისელ ფეხბურთელებს. ვიყავი დღევანდელ სტადიონზე. შევხვდი იქ თანამშრომლებს. მომცეს ფოტო-მასალა, მაგრამ ჩემდა სასირცხვოდ ის ფოტოები წამეშალა კომპიუტერში. „ბაიელებიც“ იგივე დღეში ჩაცვენილან და დავრჩით ასე ცარიელ-ტარიელი. გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ შევიხედე ამ სტადიონის ხალხთან. მიმასწავლეს „ბაიას“ ოფისი. ამჯერად არ გადამიდვია მათთან სტუმრობა. პირდაპირ გაოგნებული დავრჩი ბატონო, როლანდ, იქაური სივრცით, იმ სიტუაციით, რაც დღეს ამ კოლექტივში ტრიალებს. ირგვლივ ხარაჩოებია, საშენი მასალა, ამწეები, თვითმცლელები. აქეთ გაჩაღებული წვრთნები ხელოვნურსაფარიან მოედნებზე. მშენებლობა და ვარჯიში გადანასკვულია ერთმანეთს. გულის გასახარია ბაიელების ოფისი, სისუფთავე და სიფაქიზე, თავაზიანობა, გემოვნებით შერჩეული ავეჯი და მათი პეწიანი განლაგება. კომპიუტერიზაცია ყოველ ნაბიჯზე. მართლაც სასწაულია უკვე გაკეთებული, ტექნიკურ აღჭურვილობას ვგულისხმობ, მის მოხმარებას. ყველა ფეხბურთელზე გახსნილია ბარათები, ჩატვირთულია მათი ფოტოები და მონაცემები. ოფისში ზოგი ჩემი ნაცნობიც აღმოჩნდა. მოგვიანებით საშუალება მომეცა ინტერნეტით დავლაპარაკებოდი ბატონ ზვიადს. ეს ის კაცია, მომიტევეთ თქვენს ფუნქციებში რომ ვიჭრები, რომელიც რაღაც ზებუნებრივი ენერგიის წყალობით სასწაულებს მოიმოქმედებს, ზუგდიდურ ფეხბურთს კვარცხლბეკზე რომ ატყორცნის

და ლამის ხრიოკზე, ლამის უდაბნოს სიტუაციაში ოაზისს ქმნის საფეხბურთო კულტურის სახით. ეს ის კაცია, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ბავშვმა ქუჩაში უსაქმურად არ იბორიალოს, არ მოცდეს, დაეუფლოს საკუთარ თავს...

— მინდა გითხრათ, რომ უპირველესად ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია. ქვეყანას სჭირდება ჯანსაღი ჯარისკაცი. აი, ბატონი ზვიადი მარტო ფეხბურთის საქმეს როდი აკეთებს ამით, ამით აკეთებს იმას, რომ საქართველოს ჰყავდეს დამცველი, ერთგული გუშაგი...

— მეციხოვნე.

— იყოს, ბატონო მეციხოვნე, დიდებული სიტყვაა. აკეთებს იმას, რომ საქართველოს ჰყავდეს ჯანსაღი ჯარისკაცი, ისეთი, რომელიც გამოადგება სამშობლოს, მამულს. აი, ჩვენ უბრალოდ რომ ავიღოთ აფხაზეთის მოვ- ლენები, ჩემი ხელმძღვანელობით გამოცხადდა მობილიზაცია. შეიქმნა სპორტული ბატალიონი ,,ლაზი'', რომელიც იბრძოდა შრომაში, პირველ მაისში, კინდღში, ტამიშში, აძიუბჟაში. თავიდან 60 კაცი წავედით. მერე 40 და არ მოგვეცა იმისი საშუალება მობილიზაცია მთლიანად მოგვეხ- დინა, თორემ რატომ ხუთჯერ მეტი არ დავდგებოდით სამშობლოს სადარაჯოზე?! უფრო იმიტომ რომ ჩვენ როგორც კი ჩავედით აფხაზ- ეთში, უარი გვითხრეს იარაღზე. თქვენ წარმოიდგინეთ, მსახიობი წყვეტდა ამას, თეატრის რეჟისორი. ასე განგვიცხადა: **ეს ზუგდიდელები რომ მოვიდნენ, ახლა აფხაზეთს რომ გაანთავისუფლებენ, მერე ჩემს პრეზიდენტს შეუტევენ თბილისში, შევარდნაძესო.** მოკლედ, ამ დონეზე იყო მაშინ საქმე.

— გასაგებია, გასაგები...

— ამით რა ს ვამბობ, იცით, აი, ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია-მეთქი, და ის ლამაზი ადამიანები, ის სპორტსმენები მე რომ შევკრიბე და წავიყვანე, სწორედ მსგავს ანგელოზებს ზრდის ბატონი ზვიადი. უპირველესად ზრდის საქართველოს შვილებს, მამულიშვილებს, ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას, ჯანსაღს, გამჭრიახს, რომელიც მოწყვეტილია ქუჩისაგან. ქუჩა კარგი გაგებით კარგია, არც დედის კალთებს გამოკერებაც ივარგებს, მაგრამ როცა ამდენი უსაქმურობაა, უმდენი უმუშევრობა, აი, ქუჩა გახდა ყოველგვარი სიავის სათავე. ბატონი ზვიადი, რომ ჩამობრძანდა ზაგდიდში და საფეხბურთო კლუბი ,,ბაია'' ჩამოაყალიბა, ბევრი ირონიით იცინოდა, ცოტას სჯეროდა, რომ საქმეს აქამდე მიედევნებოდა. დღეს ,,ბაიას'' გუნდები ჰყავს პირველ ლიგაში, მეორე ლიგაში, სამასამდე ბავშვი მეცადინეობს იქ და შეჯიბრებებში ღებულობს მონაწილეობას. იცით, რა ქნა ამ ღვთისნიერმა კაცმა?! აი, ზუგდიდის მოზარდ თაობას ინექცია გაუკეთა, გამოაცოცხლა მოდუნებული, გამოაფხიზლა საღათას ძილით შეპყრობილი. ბატონი ზვიადის მოსვლამ ზუგდიდელ ახალგაზრდებს სიჯანმრთელე, სიხალისე და ადამიანურობა შეჰმატა. არის სტადიონი, რომელიც 18 500 მაყურებელს იტევს. მას ექნება სასტუმრო, სპორტსმენთა დასასვენებელი, ხელოვნურსაფარიანი მოედნები, სავარჯიშო მოედნები, აუზი, კორტები, სხვადასხვა სახის მოედნები და როგორც თქვენ ბრძანეთ, უმაღლესი დონის ბაზა. ეს მარტო ფეხ- ბურთი. ახლა სხვაგანაც შევიხედოთ. კაცი, რომელიც დედის გამორთმეული ფულით წავიდა მოსკოვში, განსაკუთრებული ფხა გამოიჩინა, ალღო აუღო ბიზნესს, იშოვა ფული, მაგრამ ზოგიერთივით საკუ- თარ ნაჭუჭში კი არ ჩაიკეტა, სახლში მოაქვს, კაცო, აგერ, ზუგდიდში მოაქვს, თავის გასაცოდავებულ ქალაქში მოაქვს. არ ვიცი ამას რა ვუწოდო. ზვიადი ჩემთვის წმინდანი კაცია, ბატონო გური. ამ კაცმა იმუშავა, იშრომა, საკუთარი რისკის ფასად და დღეს თამამად შეიძლება ითქვას, ზუგდიდში ფეხბურთს მიხედასავით. მორჩა რა ამ საქმეებს, ახლა ათი არაბ- ული ბედაური შეიძინა, აქ ჩამოჰყავს და ზუგდიდში საცხენოსნო სპორტის განვითარება განუზრახავს. ჯერხანობით ეს საქმე იმიტომ ითრევს ფეხს, რომ იქ დევნილები ცხოვრობენ, მაგრამ პროგრამა არის და ყველაფერი მალე მოწესრიგდება.

— იპოდროში?

— იპოდრომი, ალბათ, თბილისს არა აქვს ისეთი, ზუგდიდს რომ ჰქონდა.

— ტერიტორიულად სადღაა?

— აგერ, რუხში, დღეს იქ დევნილები არიან. მაგრამ ზემოთ ნახსენები პროგრამის შესაბამისად ყველას მისცემენ საჭირო კომპენსაციას, დააბინავებენ, ისინიც გაიხარებენ, ბოლოს და ბოლოს ადამიანურ ცხოვრებას ეღირსებიან. აბა, თავლაში ცხოვრება რა გასახარია?!

— ისე, ქრისტე ბაგაში დაიბადა.

— იქ სხვა ეზოტერიკაა, თანავარსკვლავედზეა თურმე საუბარი და არა კონკრეტულ ბაგაზე. მოკ- ლედ, ყველაფერი უმაღლეს დონეზე გაკეთდება და მე მჯერა ზვიადი ამას გააკეთებს, რახან ერთხელ თქვა. ამასთან აკეთებს ჭადრაკის სასახლეს, საჭიდაოს და ვინ მოსთვლის.

— ნონა გაფრინდაშვილის სასახლეს?

— ახლა ის ნონასი არ არის, იქ რუხაძეა, ნონას სახელი შერჩა სიმბოლურად. არ არის მისი სახელის

საკადრისი შენობა. ბატონი ზვიადი გააკეთებს მაგა- საც, მთლიანად ყრუ დარბაზის წამოჭიმვას გვპირ- დება. ეს კაცი არის მოვლენილი ზუგდიდისათვის, რომ ჩვენი ქალაქი გამოაჯანმრთელოს, ზუგდიდს დაუბ- რუნოს ოდინდელი სახე და ღირსება. თქვენ წარმო- იდგინეთ სულიერ აღზრდაზეც ფიქრობს, კაცო, ეკლე- სიის აშენებას ვგულისხმობ.

— ეს ეკლესია რეალურია?

— რეალური. ჯერ საუბრებია, არის პროექტი, ჩაის ფილიალი რომ იყო იქ. სხვა პროექტებიცაა. ვნახოთ ვისი აჯობებს, მაგრამ, რაც მთავარია, ამას ბატონი ზვიადი გააკეთებს, რახან ერთხელ თქვა.

— ბატონო, როლანდ, როგორც თქვენი საუბ- რიდან შვეიტყვე, ბატონი ზვიადი არა მხოლოდ ფეხბურთით შემოიფარგლება, არამედ — მთლი ანად ზუგდიდის სპორტის სატკივრებით. საჭად- რაკო კლუბი, საცხენოსნო სპორტი. ერთი დეტალი მინდა აღვნიშნო: მხედრის პრობლემა ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად შეიცავს პროფილაქტი- კურ მომენტსაც, აჯანსაღებს ხერხემალს, კურ- ნავს წინა ჯირკვალის ანთებას, პროსტატსაც რომ ეძახიან, ვინაიდან ცხენს ადამიანზე ორი გრადუსით მეტი ტემპერატურა აქვს და მისი სიმხურვალე ნამდვილ მამაკაცად აყალიბებს. გარდა ამისა, მეცხენეობით საერთოდ ცნობილი იყო ჩვენი კუთხე და ღმერთმა ქნას, ბატონი ზვიადი ჩემს წინაშე იხატება, როგორც კოლხეთის მომავ- ლისთვის გულანთებული პიროვნება.

— ახლა როგორაა საქმე. ბატონი ზვიადი ბრძან დება საზოგადოება ,,ზუგდიდელის'' თავმჯდომარის პირველი მოადგილე. თავმჯდომარეობაზეც ჰქონდა მას პრეტენზია, უფრო სწორად ხალხს უნდოდა, მაგრამ მას ამეები არაფერში სჭირდება, და როგორც სჩვევია, თავი შორს დაიჭირა. როცა თავმჯდომარის პოსტზე ხალხმა ბატონი ოთარ ფაცაცია აირჩია, პირველ მოადგილედ მისი კანდიდატურა მე წამო- ვაყენე. რა თქმა უნდა ერთხმად ავირჩიეთ. ახლა ბატონი ზვიადი კურირებს მთლიანად სპორტს. არა, ნამდვილი ზუგდიდელია, დოგაფილ ყაზაყ რე. დარწმუ- ნებული ვარ ჯერ ამ დარგს მიხედავს, მერე სხვების- თვისაც მოიცლის. აბა, სხვანაირად როგორ გინდა?! ბატონი ზვიადი აქ ცხოვრობს, აქაური კაცია, აპირებს მერე ჩამოფუძნებას, თავის ქალაქში.

— ამას წინათ გაზეთ "ზუგდიდელში" ამის- თანა განცხადებას წავაწყდი: იგი მიზნად ისა- ხავს სამეგრელოს 100 ღირსეული შვილის გამოვ- ლინებას, შემდეგ ამ ასი პიროვნებისაგან დასახ- ელდება სამეგრელოს დიდი ათეული. მე ეს პრობლემა 15 წლის წინათ გადავჭერი ჯერ გაზეთ „ოდოიაში" (1994), მერე ბელეტრისტულ მატია- ნეში „სუფევა" (2004). თქვენი შეხედულებით ბატონი ზვიადი მოხვდება ამ ათეულში?

— მაზე უკვე მიდის მუშაობა. გუშინ გვქონდა საზოგადოების აღმასკომის სხდომა, სადაც განვიხ- ილეთ დიდი ათეულის პრობლემა. იქ იყო საუბარი, რომ განსაკუთრებით ტრადიციული ოჯახები გაგვე- თვალისწინებინა. მაგრამ ჩემი მოთხოვნა იყო დარ- გობრივი მიდგომებით გვეხემძღვანელა. ამისთანა შემთხვევაში უხერხულობებსაც ავიცილებდით თავი- დან და ძნელი გასარკვევი არ არის, მაგალითისთვის, სპორტის დარგში ვინ გვყავს წარმატებული 5 კაცი, ასევე მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში და ასე შემდეგ. მერე ვერავინ შემოგედავება **მე რატომ არ მოვხვდი ამ სიაშიო,** იმიტომ რომ 5 კაცში, ათში უცებ გამოჩნდება ღირსეული. ბატონ ზვიადს არ უყვარს რეკლამები. მე შევთავაზე ერთხელ, ხალხთან საუბრის შემდეგ, ზუგდიდის საპატიო მოქალაქე გამხდარიყო. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ჯერ ისეთი რა გამიკეთებიაო. ოთარ გაბელია იყო საპატიო მოქალაქე, ჭედია, იყო, ბორია სიჭინავა იყო, ხოჭოლავა იყო და ამათ გვერდით რომ დასახელდა ბატონი ზვიადი, ხალხს უნდოდა ასე, საზოგადოებამაც მთლი- ანად მოაწერა ხელი, მაგრამ ყველაფერი ამაო ცდა გამოგვივიდა. მაგას დიდი გეგმები აქვს, ამიტომ რამ- დენსაც მეტს მოვეფერებით, მეტ ფრთებს შეისხამს. თვითონ არ მოითხოვს რაიმე რეკლამას, არც ვინმეს დახმარება სჭირდება სითბოს გარდა. აი, თქვენ რომ ითავეთ, ზვიადზე რომ ხართ აღფრთოვანებული, ამაზე უკეთესი ჯილდო მისთვის არ არსებობს.

— თითქმის ნახევარი საათი ველაპარაკე ბატონ ზვიადს. დომენტიც რქმევია. არ ვიცი რომელი ურჩევნია მიმართვისას. დიქტოფონი მქონდა, მაგრამ საუბრის ჩაწერა ვერ შევკადრე ჯერ კიდე უცნობ პიროვნებას, ჩუმად როგორ ჩამერთო. საბედნიეროდ მეხსიერებას არ ვუჩივი, თითო- ეული სიტყვა გონებაში ჩამეჭედა. მისი პირვე- ლივე სურვილი იყო, რაც შეიძლება ნაკლები თქმულიყო მასზე, რიგით ადამიანებზე მესაუბრა. მაგრამ მოგეხსენება, მე ჯერ ჟურნალისტი ვარ, მწერალი— მერე ვარ და აქ შეფასებებს ვერსად გავექცევი. ქება-დიდებაზე, ხოტბაზე არ არის საუბარი, არსებული რეალობის შეულამაზებე- ლი გადმოცემა გვაქვს მხედველობაში. ეს უწინ- არესად ხალხს სჭირდება, უიმედო, უნუგეშო ხალხს, რომელსაც წკვარამ ღამეში შუქურასავით მოევლინა ეს პიროვნება. თანაც საკმაოზე

მეტად დაგროვილ ფაქტებს ზუგდიდის სინამდვილეში ვერსად გაექცევი. ახლა თქვენ მრავალი შთამ- ბეჭდავი ინფორმაციით შეავსეთ ჩემს ხელთ არსე- ბული მასალები ბატონ ზვიადზე. ბუნებრივია, ეს მასალა მთლიანობაში თუ ვერ განვათავსე ჟურნალში, ექვსტომეულ „სუფევაში“ ხომ მაქვს ადგილი თავზესაყრელად?! ჰოდა, იქ მივუჩენ საბუდარს. კომენტარებისგანაც ვერავინ შემ- ბოჭავს, ვინაიდან მე ვარ ის ადამიანი, რომელიც ჩვენი მოზარდი თაობის ხვალინდელი დღის ძიე- ბას არის გადაყოლილი, უამრავი პროექტი შემიქ- მნია საამისოდ, წარბის შეუხრელად წყალი უნა- ყავს, მწვერვალზე სიზიფის ლოდი აუგორებია, რათა უკანვე ჩამოქსვესკნელებულიყო. საკუთა- რის ქვეყნის ფანატიზმამდე მისული სიყვარ- ულის გარეშე მთებს ვეღარაფრით დაძრავ ადგი- ლიდან. ბატონი ზვიადიც ის კაცია, გრანდიოზულ მასშტაბებს რომ ეჭიდება და ქუდბედის მსგავ- სად საშვილიშვილო საქმეებში უფალიც უმარ- თავს ხელს.

— ამ საარაკო ქველმოქმედებასათან ერთად ბატონი ზვიადი უშიშარი ადამიანია საერთოდ. თქვენ წარმოიდგინეთ, რუსეთში, ასეთ აწეწილ ვითარებაში, ასეთ გაუსაძლის პირობებში, მისი სახლის თავზე საქართველოს დროშა ფრიალებს. დიახ, უშიშარი ადამიანია-მეთქი, კაცი, რომელიც მთლიანად იხარჯება საქართველოს სიყვარულში. ღმერთო, ყველა ქარ- თველი ასეთ სიყვარულში დახარჯულიყოს! ბედნი- ერებაა, როცა დაბერდები კაცი, როცა გადაავლებ თვალს შენს ცხოვრებას, რა მაქვს, რა გამიკეთებია ჩემი სამშობლოსთვის, ჩემი ქალაქისთვისო, და ბედნიერად გაიზმორები თუ ამოგყვა რამ იმედისმომცემი მეხსი- ერების სკივრიდან. ბიზნესზე ვერაფერს გეტყვი. ეს მისი პირადი საქმეა. აი, უშიშარი ადამიანი რომ არის, სხვა საქმეა, არაფერი მბოჭავს, ხელ-ფეხი მაქვს შეხ- სნილი. ხოლო რაც შეეხება პირადად ჩემს ცხოვ- რებას, მარტივზე მარტივია, აი, ხელისგულზე რომ არიო, იტყვიან ისე. შვილი მყავს მშენებელ-ინჟინერი. იურისტი იყო, მაგრამ ჩემს ზვიადისტობას მისი კარი- ერა შეეწირა. მოგახსენეთ აქამდისაც, რომ ვიყავი სპორტული ბატალიონ „ლაზის“ მეთაური. ვიბრძოდი აფხაზეთში. ვიყავი ეროვნულ მოძრაობაში და მიხარია დღესაც, ვარ ბატონ ზვიადის იდეის გამტარებელი.

— ესე იგი ორი ზვიადი გყოლიათ ეტალონად.

— ასე გამოდის. ნიღბით არასდროს მივლია. მერაბ კოსტავას დედა და ჩემი ბებია ალალი დეიდაშვილები იყვნენ.

— ნეტარხსენებული ოლღა დეშურია?

— ხო, ქალბატონი ოლღა, ჩხოროწყუდან, ხაბუ- მედან. ბატონ ზვიად გამსახურდიასთან კიდევ ბევრი რაღაც მაკავშირებდა. მაქვს მისი ნაჩუქარი ნივთიც.

— იმის ნაქონ ნივთს ვინ არ ინატრებდა?!

— როცა დამავალა ლტოლვილები ჩამოიყვანე ჭუ- ბერიდანო, მაშინ მითხრა, **დიდი იარაღი არ წაიღო ბიჭოო.** აი, ბიჭოს ხუთი, ათი შეხვედრის შემდეგ გეტყოდა გემრიელად. რა ვიცი, პატარა იარაღი მაქვს-მეთქი. **შენს ძმას ხომ აქვს, დეპუტატს? ის იარაღი შენ აიღე და მე მივცემ სანაცვლოს. ამას კი გჩუქნიო.** დრო გავიდა. ძვირფასი რელიკვიაა, მაგრამ სახლში ვერ შემინახავს. ისეთი დროა, იარაღის შენახვაზე თავზე ხელს არავინ გადამისვამს, ან სულაც რომ წამართვან, ალბათ, მოვკვდები. სამოცი ათასი ლტოლვილი ჩამოვიყვანე ჭუბერიდან. ერთი მესამედი ჩემი საწვავი იყო, მეგობრების, ნათესაობის, მეზობ- ლების, ყველგან დავრბოდი და ისე ჩამოვიყვანე ეს გაწამებული ხალხი. ბატონმა ზვიადმა მაშინ მადლობა გამომიცხადა საჯაროდ. არავის ეგონა ასე სამარცხ- ვინოდ გამოვიდოდით აფხაზეთიდან. მე ვნახე მაღალ- ჩინოსანი ხალხი, რომლებიც თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ, ხალხი უკან მისდევდა: **გაჩერდით მაინც, ჩვენ მაინც გაგვიყვანეთო,** ემუდარებოდნენ, მაგრამ ვინ იყო ყურის მგდებელი. გახსენებაც კი მზარავს. მეუღლე ექიმია. შვილიშვილები იზრდებიან, ერთი სკოლაშია, მეორე ბაღში. მიდის ცხოვრება. მე ახლა ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვარ ზუგდიდში და შემიძლია თამამად განვაცხადო: **საქარ- თველოს ფეხბურთი სწორი მიმართულებით არ მიდის. ახალკაცის პოლიტიკამ დაღუბა ქარ- თული ფეხბურთი. ჯერ საქმე უნდა დაიწყოს ბავშვთა ფეხბურთით, როგორც ამას ბატონი ზვიად სიჭინავა აკეთებს. უნდა დაიწყოს ეროვ- ნული ჩემპიონატით. ამის შემდგომ უნდა იზრუნო ნაკრებზე. რაც ნაკრებსა და მის მწვრთნელებზე თანხა დაიხარჯა, კეთილსინდისიერად გადანა- წილებულიყო დანარჩენზე, დღეს საქართველოში ფეხბურთი აყვავებული იქნებოდა, მაგრამ ააფრინე ალალით, თქმულა.** აი, როგორაც შეიძლება თურმე: თბილისი ჩამოდის ზუგდიდში და მაინცდამაინც იმან უნდა გაიმარჯვოს, იმიტომ რომ ფავორიტია, დედა- ქალაქის გუნდია, ახალკაცის გუნდი. კაცს ას ლარს რომ ვერ მისცემ, მერე რაზეა საუბარი?! ყველა მეუბ- ნება, ოთხი წელიწადია ხელფასი არ აგიღია და მუქთაზე რა გამუშავებსო. ამისთანა ცნობისმოყ- ვარესათვის

პასუხი ყოველთვის მზა მაქვს: ჩემი მისია ეგ არის ძმაო-მეთქი. შემეძლო — სპორტსმენი ვიყავი, რაღაც პატარა გავაკეთე, მერე ეროვნულ მოძრა- ობაშიც ჩემი წვლილიც შევიტანე. იყო აფხაზეთის ომი, იქაც ვიბრძოლე, ისე რომ, მტრისთვის ზურგი არ მინახებია. როცა მოვხუცდები, პირველი ჯგუფის სისხლი მაქვს და დონორად მაინც ხომ გამოვდგები?!

— ლაშაზი საუბარი გამოგვდის. ჩემმა კარის მეზობელმა, აშორტიას ბიჭმა დაგვაკავშირა. თქვენი წყალობით „გაგრის“ გუნდში თამაშობს ჯერჯერობით, მაგრამ ხომ ვიცი სინამდვილეში „ბაიასკენ“ მიუწევს გული. დავუკავშირდები სელექციონერ ალანიას და იქნებ მისი ვარჯიშ- ისთვის თვალი შევავლებინო. ფოტო, რომელიც ჩემს წინ დევს ახლა, ანტიკვარული შინაარსი- საა. ხელში თურმე შეუდარებელი მიხეილ მეს- ხის ნაქონი ბუცები გიჭირავთ. საკმაოდ სოლი- დური შემოუთავაზებია ვიღაც ფანს, მაგრამ რელ- იკვიებს თქვენ ასე იოლად არ ელევით. ისიც ვიცი, ბატონო როლანდ, რომ დღეს ფრიად ამაღ- ლებული დღე გაქვთ, თქვენი საგვარეულოს თავყრილობაა. სულ რამდენ კაცს მოითვლის თქვენი გვარი?

— მეექვსე თუ მეშვიდეა სამეგრელოში. მაქაცარიები 6000-მდე ვართ.

— არც სიჭინავეებია ცოტა.

— გვერდი გვერდ ვდგავართ. მაქაცარიაობა 23 ნოემბერს, გიორგობის დღეს დავამთხვიეთ. ყულიშ- კარის ეკლესიაში ვზეიმობთ. ეს ის ეკლესიაა, როგორც მამა მალხაზმა მითხრა, ილორის შემდეგ ყველაზე დიდი ძალა რომ ჰქონია. სავალალო მდგომარეობაში იყო, მაგრამ გამოჩნდა ღვთისნიერი ადამიანი, ქალბატონი ინეზა ფიფია, სამი კილომეტრის გზა გააკეთა, ხიდეები, განათება, სანიაღვრეები მოაწყო. ახლა ეკლესიის მსახურთ სახლს უშენებს. ეკლესიაში 100 000 დოლიარიან ჭაღს ჰკიდებს. ღირსია! იმისთანა ძალა ჰქონია მადლიანსო. აქაურ ეკლესიაში წირვის შემდეგ საქმეები კარგად წაუვიდა და ახლა საკადრის პატივს მიაგებს. აბა, იეღოველებს ხომ არ ვაპარპაშებთ?! ბატონი ზვიად გამსახურდია იტყოდა, ,,მხედრიონი'' რომ შემოდიოდა, ჩვენი ეროვნული გვარდია იმდენი ვიყავით, ათჯერ მოვუგრეხდით კისერს, მაგრამ გვი- თხრა: ეს ჩვენი შეცდენილი შვილები არიან და არ ესროლოთ, ესენიც ქართველები არიანო.

— ჩვენი ჟურნალი ბატონო როლანდ, ასერგას- დღეულია (150), ე. ი. წელიწადში ორი ნომერი გამოდის. ერთი კაცის შემოქმედებაა სულ. საკმა- ოდ ვრცელია, ფერადი. სხვათა შორის წლების წინათ ფანჯარა გვიწოდეს XXI საუკუნეში. მეორე ნომრის გამოცემას ცაიტნოტში ვახერხებთ. დიდი ტირაჟითაც ვერ დავიკვეხნით, სამაგიეროდ ამიე- რიდან მთლიანად სამეგრელოს სივრცეს მივაჩერ- დებით, რადგანაც მთავარი იმპულსი აქედან უნდა წამოვიდეს. ეს პროცესი უკვე დაწყებულია. ამი- სი უტყუარი გარანტია ბატონ ზვიად სიჭინავას ფენომენი და შეუდარებელი „ბაიაა“.

— ბატონო გური, მე მინდა ყველა მოაზროვნე ადამიანის სახელით მადლობა მოგიხადოთ იმ ამაგი- სათვის, რასაც თქვენ ეწევით წლების მანძილზე. ასეთ გაჭირვების ჟამს ზოგჯერ ფეხითაც დაიარებით.

— ჯანმრთელობისთვისაა თურმე კარგი, განსა კუთრებით გული თუ შეგტკივა ბედკრულ სამ- შობლოზე. აქ ცოტათი ტაიმ-აუტი ავიღოთ, თორემ ჰერ ცანკერთან და ბატონ ზვიადთან სალა- პარაკო მგონი არაფერი დამრჩება, ყველაფერს თქვენ ამოწურავთ.

იცინის.

— ბატონო გური, მადლობას გიხდით იმისთვის, რომ კარდაკარ აგროვებთ მასალებს და ხალხს არ უკარგავთ ჩვენი ქვეყნის ისტორიას. მარტო კაკა ჟვანიას და გვანჯი ჩიქვანის გაცოცხლება რად ღირს! ამას მიუმატეთ ბატონები: საშა ეგუტია, ჯოტო გუგუჩია, კირილე გოგოხია, ოთარ ფაცაცია, კიდევ რამდენი კოლორიტული ზუგდიდელი. თქვენ ზუგდი- დის მემატიანე ბრძანდებით. ამას ხალხი ხედავს, ხალხი ამჩნევს და ყველაფერი დალაგებულად ითქმება ადრე თუ გვიან. ჩვენ თითოეულს ჩვენი მისია გვაკისრია. ზოგი ფუფუნებაში ხედავს თავის მოწოდებას, იქ იფლანგება. სხვები გაჭირვებაში მყოფი კაცის გვერ- დით დგომას მიიჩნევს უმთავრეს საქმედ, აქ იდგამს წელებზე ფეხს. ეს საქმე ანიჭებს ბედნიერებას და უხანგრძლივებს სიცოცხლეს. ამ უკანასკნელთა რიგში მეგულება ბატონი ზვიად სიჭინავა, თქვენც, თქვენც ბატონო გური და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

— ბატონო ჰერბერტ, ჰერ ცანკერ,

ქართულ-გერმანულ ურთიერთობებს დიდი ფესვები აქვს. ჯერ კიდევ გასული XIX-XX საუკუნეებიდან მოყოლებული, ჩვენი ნაღები ინტელიგენცია დიდის ძალისხმევით აწყდებოდა გოთების ქვეყანას განსასწავლებლად. იქ ეზიარნენ გერმანულ სულიერებას ჩვენი კლასიკოსი მწერლები გრიგ- ოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია... ჩემი რომან-

ტრიადა „სიცოცხლემისჯილების“ გმირი ჟინი ანთარიც გერმანიაში განსწავლული პიროვნებაა. არანაკლები ლტოლვა ახასიათებთ თავად გერმანელებსაც საქართველოსკენ. ზუგდიდში გვყავდა ჩვენ ჩინებული ინჟინერი ლუდვიგ გაბანი. იყვნენ ფეტერები, რომლებიც ფეტრის ქუდებს აწარმოებდნენ და სპირტის ქარხანა ჰქონდათ სალხინოში. მაგრამ ეს ისტორიის ფურცლებია, ჩვენ კი დღევანდელობით ვცხოვრობთ და ფრიად სასიამოვნოა ჩემთვის ზუგდიდ-ქალაქში თქვენი ჩამოფუძნება. გვაინტერესებს საიდან ბრძანდებით ძირით, როგორია თქვენი ოჯახური გარემოცვა?

— წარმოშობით ბავარიელი ვარ.

— იქ დიდებული ღვინო იცის რამდენადაც გამიგია.

— დიახ, დიახ, ჩვენთან სოფლის მეურნეობის კულტია. ჩემი მშობლიური ქალაქი ინგოლშტატი ზუგდიდივით პატარაა, სულ 120 ათას მაცხოვრებელს მოითვლის, მდინარე დონაუს ნაპირასაა გაშენებული. ჩვენთან აწარმოებენ მსოფლიოში დიდი პრესტიჟით გამორჩეულ „აუდის“. ჩემი გატაცება საქართველოთი, მისადმი სიყვარული, იქ არსებულმა მუსიკალურმა ორკესტრმა განაპირობა. იგი ძალიან პოპულარულია გერმანიაში. მას ხელმძღვანელობს ფრაუ ლიანა ისაკაძე. მე ახლო კავშირი მქონდა ამ კოლექტივთან და მერე როგორც უფალმა ინება, საქართველოშიც მათი წყალობით მოვხვდი. მე მყავს დედა მარია და მამა კონრადი. მყავს ორი ძმა, რომელებიც მთლიანობაში ხუთ შვილს ზრდიან, ოთხ ასულს და ერთს კიდევ ვაჟკაცს. თავად 44 წლის გამოუსწორებელი მარტოხელა ვარ.

— ჩვენებურად ბერბიჭას იტყვიან, მარტოხელა ზღვის მგელსაც. მაგრამ ამისთანა წარმოსადეგ ადამიანს გამოგიჩნდებათ ვინმე თვალწარმტაცი მეგრელი ქალიშვილი.

იცინის. გადაფიჩინდება.

— ვნახოთ, ვნახოთ, ყველაფერი იღბალზეა.

— ბატონო ჰერბერტ, ჰერ ცანკერ, მე გერმანისტი ვარ თითქმის. თავის დროზე „ფაუსტი“ ორიგინალში წამიკითხავს. ახლა მიმავიწყდა ყველაფერი. ერთ ანდაზას გეტყვით: გელდ ფერლორენ — ნიხტს ფერლორენ, ლიბენ ფერლორენ — ფილ ფერლორენ, ცაით ფერლორენ — ალეს ფერლორენ.

იცინის. იცინის.

— გამიმეორეთ ღმერთი თუ გწამთ.

მე ვუმეორებ ანდაზას.

— არა, აქ ნამდვილი გერმანული ხასიათია ჩადებული. დრო უმაღლესი კატეგორიაა ადამიანისათვის. საქვეყნოდ ცნობილია იმანუელ კანტის პუნქტუალიზმი. დროის შეგრძნება პიროვნებად აყალიბებს ადამიანს.

— ქართველებს გვაქვს ამისთანა ფრაზა, „დროის მოკვლა.“ ამაზე დიდი საშინელება რა უნდა იყოს?! „არა კაც კლაო,“ ჩაგვინერგავს ბიბლია, მაგრამ დროის მოკვლის გამო თითქოს არავინ განგვსჯის, არც უფალი და მით უფრო — ადამიანი. ჩემთვის საინტერესოა, როგორ, რანაირად უხამებთ ერთმანეთს კარდინალურად განსხვავებულ ფენომენებს — გერმანულ მოწესრიგებულობას და ქართულ დარდიმანობას? აქვე მობოდიშება მინდა იმ კურიოზის გამოც, ამას წინათ რომ დამეშართა. ოფისს ვიღებდი მაშინ, ფოტო-აპარატს ვაჩხაკუნებდი და თქვენც მოჰყევით კადრში. თქვენი ელეთ-მელეთი არ მავიწყდება. დაცვის ბიჭი შემოვარდა, სამსახურიდან მომხსნიან,

ჩემს ცოდვაში ნუ ჩადგებით, უნებართვოდ რატომ შემოუშვით. თქვენ არაფრით მოისვენეთ, სანამ ის კადრი არ წამაშლევინეთ ფოტო-აპარატიდან. ცხადია, მე დავარღვიე ეტიკეტი, და ამისთვის გებოდიშებით.

იცინის. ახლა ნამდვილად იცინის,

გულიანად. ზუგდიდელებს ბედმა გაუღიმათ, ასეთი წარმოსადეგი სასიძო რომ მოუვლინათ ზეციერმა. დახვეწილი მანერებისაა. ყველას მკაცრი რომ ჰგონია თავისი მომთხოვნელობით, სინამდვილეში უზომოდ გულთბილია. საუბარი გაიტაცებს. შეპირებული ნახევარი საათი ჯერ ორმოც წუთამდე გაიწელება, მერე, აგერ, ლამის საათსაც მიუკაკუნოს.

— ჟარნალისტებს ბევრად არ ვწყალობ. მაგრამ თქვენ შემთხვევა სხვაა, მწერალი ყოფილხართ, სიტყვის კაცი. აქ მუშაობაა, სქემები. ახლა სხვა ამბავია, შეთანხმებულია ინტერვიუ. მეც მოწესრიგებული ვარ. სააბისოდ დროც გამომინახავს. ჰა, როგორ თქვით, ცაიტ ფერლორენ ალეს ფერლორენო, არა. ნამდვილად ასეა, დროს თუ დაკარგავ,

ყველაფერი დაკარგულია. მე ვახსენე ზემოთ ჩემი ქართული მუსიკით გატაცება. დიახაც, ამ მომენტმა გადმომისროლა საქართველოში. ორი წელიწადი საქართველოს ფეხბუთის ფედერაციაში ვიმუშავე. მანამდეც დიდი გამოცდილება დამიგროვდა — მთელი ჩვიდმეტი წელიწადი ვემსახურე დიდ ფეხბურთს. დისციპლინის, მომთხოვნელობის გარეშე ყოველი საქმე ფუჭია. ქამარმოშვებული ცხოვრება და სპორტი შეუთავსებელია. ამას ბედანტიზმსაც ეძახიან, მაგრამ ფანატიზმის გარეშე ნებისმიერი, თუნდაც ჩინებული წამოწყება, ქარის წისქვილებთან შერკინებაა. ჩვენი მთავარი ამოცანა „ბაიაში“ ქართული ფეთქებადი ხასიათის გონივრული დამორჩილებაა. ამას მოახერხებს გერმანული დიდი საფეხბურთო ტრადიციები. ამ მიმართებით ბევრს ვმუშაობთ მწვრთნელებთანაც. უწინარესად ეს რგოლია დასარეგულირებელი. ნებისმიერი გუნდი ერთი ორგანიზმი თუ ვერ გახდა, იქ სერიოზულ წარმატებებს ნუ ელი. ფეხბურთს აქვს თავისებური მუსიკალური ენერგია. ფეხბურთს დიდი პოტენცია გააჩნია ახალგაზრდობის ფორმირებაში. სულ დილეტანტების მოგონილია „ფეხებით აზროვნება.“ ფეხბურთი წინმსწრაფველი, მიზანსწრაფული სპორტია, და რაც უფრო დახვეწილია იგი, გასაოცარ სპექტაკლს ემსგავსება. ამიტომაც ვუკავშირებ მე მას გასაოცარ წარმოდგენას, ენით აუწერელ ბალეტს, რაც კაცობრიულ სპორტს შეუქმნია. სპორტის ნებისმიერი სახეობის ელემენტია მასში დასინთეზებული. „ბაიას“ უახლოეს ხანებში ექნება ამისი დემონსტრირების საშუალება, რადგანაც დღითი დღე საამისო პირობებიც ფრთებს შლის.

— ალბათ, ბატონ ზვიად სიჭინავას ძალისხმევას გულისხმობთ?

— რა თქმა უნდა, რასაკვირველია, ნამდვილი ფეხბურთისათვის თავდადებულ ამისთანა ადამიანს მე ჯერ არ შევხვედრივარ. ეს არის იღბალი, ბედი, არა მარტო „ბაიასთვის“ ან სამეგრელოსათვის, — სრულიად საქართველოსათვისაც. ის იძლევა ძალიან კარგ მაგალითს, საქართველოს მომავლისათვის. აქ მხოლოდ ფეხბურთს არ ვგულისხმობ. ფეხბურთი დიდი ხანია გაცდა ტყავის სფეროს თამაშის ვიწრო გაგებას. აკი ვახსენე ეს დიდი ორკესტრია-მეთქი, ანუ მთელი საზოგადოება, სადაც ტრიბუნები გუგუნებენ. არის ვნებათაღელვა. არის მუსლებზე გასრიალება გატანილი გოლის შემდეგ და არის ცრემლები ხელიდან გაშვებული მომენტის გამო. ბატონ ზვიადთან თანამშრომლობა ბედნიერებაა. ის ღია ბუნების ადამიანია და ამავდროულად მომთხოვნიც. კომუნიკაბელობა მისი სტიქიაა, მაგრამ ყველზე მთავარი მის პიროვნებაში პატრიოტული მომენტია. სიგიჟემდე უყვარს არა მარტო თავისი ქვეყანა — სიცოცხლე საერთოდ, ჰარმონია სამყაროში, ურთიერთპატივისცემა ერებს შორის და მაინც საქართველოთი სულდგმულობს. არა, ის შეუდარებელი პატრიოტია, ნამდვილი პატრიოტი!

P. S.

„ბაიელებზე“ საგა დასასრულს უახლოვდება. ზურგს უკან დარჩა შეუპოვარი მარტჩი მარტვილის „მერანთან“, რომელიც 2:2-ზე დამთავრდა, და ერთგვარი ვნებათაღელვაც ააგორა, მაგრამ ჩემთვის უფრო მთავარი იყო შეჯიბრის წინანდელი წუთები, როცა ბატონ ზვიად სიჭინავამ დაგვათვალიერებინა მოზარდებისათვის განკუთვნილი ლამის გასრულებული სასტუმრო. აქ ყოველგვარი პირობებია სრულყოფილი ცხოვრებისათვის. ბიზნესმენი ფრიდონ ინჯია გაოცებული დარჩა მასპინძლის ინიციატივებით. ბატონ ზვიადს არ დაუმალავს მხარის ერთიანი საფეხბურთო სივრცის შექმნის აუცილებლობა. მეტიც, გარკვეული ინვესტიციების ჩადებაც ახსენა ამ კუთხით. გაივლის ასერგასი დღეც და ბედნიერი ვიქნები კიდევ შვიდ დიდ პიროვნებას თუ აღმოვაჩენ სამეგრელოში ბატონ ზვიად სიჭინავას თანამდგომელს. სამეული ნაპოვნია — ჩვენი ნარკვევის გმირი, თუ ბატონები: ექსპრემიერი ოთარ ფაცაცია და ვიც-ესპიკერი ფრიდონ თოდუა.

სანსეი

ოკინავას გოძიუ-რეიუ ,,კარატე-დო''-ს საერთაშორისო ფედერაცია დაფუძნდა 1979 წლის ივლისში, ინგლისის ქალაქ პულში პირველ საერთაშორისო პულის დროს. იმ ხანად სანსეი **მორიო ჰიგუანას** მოსწავლეთა რიცხვი უცხოეთში სწრაფად იზრდებოდა. **I.O.G. K. F.** ფორმირება მოხდა ბატონ კენა მიანგის მხარდაჭერითა და მონაწილეობით. (გოძიუ-რეიუს დამაარსებლის ჩოჯუნა მიანგის მეოთხე ვაჟიშვილი). ამ მიმდინარეობის ფორმირებას ზურგს უმაგრებდა არიჩი მიანგის — ჩოჯუნა მიანგის

ოფიციალური მემკვიდრის ხელდასხმა, აგრეთვე სანსეი ჩოჯუნა მიანგის უფროსი მოსწავლეების თანადგომა, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში მეცადინეობდნენ მასთან — კიეი ტამოიშე, შუშინა ფურუგენა, ჯიტსეი იოგი, შუიჩი არაგაკი და სეიჯი ნაკამოტო. ამასთან შეკრების ორგანიზებაში მონაწილეობდნენ სანსეი ხიგაონას უფროსი მოსწავლეები — ჯეიმს რუსო, ეტიენ გეტცი, ბეზიკი ლაუშბერი, ტერუიჩინენი, რიუიჩი ონაგა, ხირომი სუძუკი, პიტერ ხარმსი, ჯონ ლამბერტი, ჯეიმს ფლანიგენი და პერვეზ მაისტრი. **I.O.G. K. F.** ჩამოყალიბებული იყო ოკინავასეული გოძიუ რეიუ „კარატე-დო"-ს შენარჩუნებისა და პროპაგანდის მიზნით, რომელიც მთელს მსოფლიოს წარედგინა დიდი ოსტატის ჩოჯუნი მიანგის მიერ. საორგანიზაციო შეკრებაზე გადაწყდა ყველა ქვეყანაში ეროვნული ასოციაციების შექმნა, რათა ფედერაცია გაძლიერებულიყო მთლიანობაში. ამასთან მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის მიხედვით ფედერაციაში შემავალ თითოეულ ქვეყანაში ჩატარდებოდა სავარჯიშო სემინარები, მეგობრობისა და თანამშრომლობის გაძლიერების, აგრეთვე ტექნიკური დაოსტატების ამაღლების მიზნით, ვინც კი ოკინავასეულ გოძიუ რეიუს აირჩევდა აღმოსავლური ორთაბრძოლების იარაღად. დამტკიცდა ისიც, რომ ფედერაციაში შემავალ რომელიმე ქვეყანაში ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდებოდა საერთაშორისო გაშუკუ (სემინარები). ფედერაციის პირველი გაშუკუ ჩატარდა 1979 წელს ინგლისის პატარა ქალაქ პულში. მეორე წარიმართა ქალაქ ნახაში ოკინავას კუნძულზე, დიდოსტატ ჩოჯუნა მიაგის სამშობლოში. ეს გახლდათ ხუთდღიანი სავარჯიშო სემინარები, რომელიც დასრულდა საერთაშორისო შეჯიბრებით კარატეში, რომლის მსგავსი ოკინავას არ ახსოვს. მისი არნახული წარმატების უმთავრესი მიზეზი გახლდათ ფედერაციის თითოეული წევრის თავგადაკლული ძალისხმევა და აგრეთვე ქალაქ ნახას მცხოვრებლების გასაოცარი თანადგომა. მესამე საერთაშორისო გაშუკუ ჩატარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1983 წელს. იმ ხანად მსოფლიო განიცდიდა მძიმე ეკონომიკურ დეპრესიას და ახალ ზელანდიაში 1987 წელს ჩატარებული მეოთხე გაშუკუ აღმოჩნდა უკანასკნელი. ამჟამად **I.O.G. K. F.** გაერთიანებულია 50 ქვეყანა. საქართველო ამ თანამეგობრობაში გაწევრიანებულია 2003 წელს. ამჟამად „კარატე- დო"-ს მთელს მსოფლიოში 200 000-ზე მეტი ადამიანი მისდევს

XXI საუკუნეში კარატეს როლის გათვალისწინებით საზოგადოების ფორმირებაში, ახალგაზრდობის სულიერ-ფიზიკური წრთობის შეუდარებელ სკოლად გვევლინება — იგი დაინტერესებულ პირებს ჩამოუყალიბებს ზოგადკაცობრიული ფასეულობების ესთეტიკურ და მორალურ პირინციპებს. ახალგაზრდულ ენერგიას მოაქცევს პიროვნებისათვის აუცილებელ კალაპოტში, ასწავლის ენერგიის დაოკების უნარს. ხანდაზმულებს შეჰმატებს ძალ-ღონეს, სუსტებს მისცემს შესაძლებლობას უმტკივნეულოდ დაიცვას თავი თავხედური შემოტევებისაგან. იგი სასარგებლოა ყველა ადამიანისათვის, მიუხედავად ნაციონალური სხვადასხვაობისა. „კარატე-დო" არ ცნობს ასაკსა და სქესს, ძლიერსა და სუსტს, მშვენიერსა და უკეთურს, იგი ყველას ანიჭებს სრულყოფილებას, ოღონდაც მოინდომე,

ოღონდაც თავად მიანდე სული მისი უშეღავათო წვრთნების პროცესს. ორგანიზაციის მთავარი მიზანია — აღზარდოს განათლებული, ტექნიკურად კარგად მომზადებული ინსტრუქტორები, რომლებიც შეძლებენ არა მხოლოდ ტექნიკური ტრადიციის გადაცემას, არამედ ახალგაზრდებს მიანიჭებენ აუცილებელ მორალურ ფასეულობებს, დაეხმარებიან მათ შეიძინონ ქედუხრელი სულისკვეთება, რომელიც ფაქტობრივად ყოველი ცხოვრებისეული წინაღობის გადალახვის უტყუარი გარანტიაა

— **ჩვენ რამდენიმე კვირა ვაკვირდებოდით კონტაქტური გოჯური კარეტეს მეცადინეობებს ზუგდიდში. ისინი ახალდაბრუნებულები იყვნენ თურქეთიდან. ფრიად პრესტიჟული მედლები ჩამოიტანეს შშობლიურ ქალაქში. ანკარაში სამი დღე მიდიოდა მსოფლიო ჩემპიონატი კონგ-ბოქსში და წარმატებაც სრულიად მოულოდელი იყო, მაგრამ უმჯობესია ამის თაობაზე თავად ზუგ- დიდის „კარატე-დო"-ს ხელმძღვანელმა, ბატონმა ლაშა შელიამ ისაუბროს.**

— მიმდინარე წლის ექვს აგვისტოს საქართველოს ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ჩემპიონატში თურქეთის დედაქალაქ ანკარაში — კინგ-ბოქ- სში. ამ ტურნირში მონაწილეობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უძლიერესი სპორტსმენები — სულ თორმეტი ქვეყანა. ცნობისთვის, როცა ტურ- ნირში 7-ზე მეტი ქვვეყანა მონაწილეობს, მსოფლიო ჩემპიონატად მიიჩნევა. ნაკრების წევრები განვთავ- სდით სასტუმრო „ბასკოში", რომელიც აღჭურვილია სპორტული ბაზებით — საცურაო აუზი, სპორტი- ული დარბაზები და ასე შემდეგ. ტურნირი დაიწყო მომდევნო დღეს. ზუგდიდან მონაწილეობა მიიღო კლუბ „პატრიოტის" აღზრდილმა სამმა სპორტსმენმა — 12 წლის ჯახუ

ჯინჯოლავამ, 13 წლის დემურ ქირ- იამ და 17 წლის სპარტაკ მამფორიამ. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის ჩემპიონატი მიჩნე- ულია ძალიან ტენდენციურ არენად. ამერიკასა და იაპონიაში გამარჯვება გაცილებით იოლია, ვინემ თურქეთში, ვინაიდან მსაჯების კორპუსი გასაოცრი მიკერძოებით გამოირჩევა და მწვრთნელებს კბილ- ებით გვიჭერავს სული, რომ არ ავარდე ტატამზე ყბების დასალეწად. დამერწმუნეთ, ჩემმა ბავშვებმა გადამარჩინეს ამ ჭირის ოფლის მომწურავ საქმეს, ღირსეულად გაართვეს თავი მათზე მონდობილი იმე- დებს და მოწინააღმდეგენი ფეხზე არავინ დააყენეს. ტენდენციური მწვრთნელებლი რას გააწყობდნენ. უკვე სუფთა ნოკაუტებს ვერაფერს უზამდნენ. გახ- სოვთ ,,ბაში-აჩუკიდან'', აწი გინდა შეიტანე და გინდა გამოიტანეო. მე გოგლი-მოგლის ბეჭებს კი არ ვზრდი, არამედ — შარდენ-ქირებს. კარატისტს თვალებში ეტყობა რა ჯურისაა. შესაძლოა მან თავიდან ვერც კი აუღოს ალოღო ამ თვალსაჩინო საომარ ხელოვნებას, მაგრამ მთვარზე მთავარი მაინც უდრეკელი სულია. მოშიშარი, გნებავთ ყველა კატას ფლობდეს, ერთხელ უცილობლად წაიფორხლებს და ეს წაფორხლება შეიძლება მომაკვდინებელი გამოდგეს. აკი ამბობს მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი კონტაქტურ გოჯურ კარა ტეში, ბატონი სენსეი (მწვრთნელი) მორიო ჰიბუანა: **დიდგვაროვანია თუ არა წარ- მოშობით ადამიანი, მას აქვს საბაბი სირ- ცხვილისა, თუ სიცოცხლე ერთხელ მაინც არ შეუგდია სასწორზე. ლითონი ცეცხლით მოწ- მდება, ადამიანი კი რითაც ის ლაპარაკობს. ჯილდო დამსახურების გარეშე უსარგებლო საჩუქარია, რომელსაც უბედურება მოაქვს. შეკარდენი შიმშილისაგან რომც კვდებოდეს ბურის მარცვალს არ მიეკარება. ოქროს მარ- ცვალი ძალიან, ძვირფასია, მაგრამ თუ თვალში ჩაგივარდა, ეგრევე თვალთ დაგიბნელდება. შეუძლებელია გახდე ნამდვილი მეომარი თუ განათლებული არ ხარ. მეომარს ბატივს სცემენ პირველ რიგში დახვეწილი მანერებისათვის, გან- სწავლულობა და საბრძოლო ხელოვნება, ურმის ორ ბორბალს ჰ გავს. თუ ერთ-ერთი აკლია, ურემი გადაყირავდება. არსებობს სხვაობა დაბნეულ გონებასა და გონებადაბნეულობას შორის, ამ ცვალებად სამყაროში სამურაიმ დისციპლინის გზაზე უნდა იაროს.**

— ბატონო ლაშა, იმისთანა მშვენიერი ციტატა მოიშველიეთ ბატონ მორიო ჰიგაუნას თქმული, რომ ლამის მიმავიწყდეს თურქეთის ტურნირი. ამას მოგვიანებითაც მოვუბრუნდებით, მაგრამ ჯერ მთავარი თემა ამოვწურო. მაინც როგორ მოხდა თქვენი ბიჭების ასეთი წარმატება, რამ განაპირობა ყოველივე, პიროვნულმა მონაცემებმა თუ დაუღალავმა მეცადინეობამ?

— ბატონო, გური, ჩვენ სამი თვე ვემზადებოდით ამ ტურნესთვის. შეკრებაზე ვიყავით სქურში გასული, სადაც დღეში სამჯერ ვატარებდით 2-2 საათიან ვარჯიშებს. დარბოდნენ სუფთა ჰაერზე. მუშაობდნენ წყვილებზე. გაგონილი გვქონდა, რომ აქაურობას ერთი ღვთისნიერი პატრონი გამოუჩნდა, ბატონ გურამ დადუანის სახით, მაგრამ ჩვენ ამისთანა ბედნიერაბას ვერ ველირსეთ იმ დღეებში. გაგონილი გვქონდა, რომ ბატონი გურამი მარნეულის რაიონში კვარცეტისაგან ამზადებს ტყვიაგაუმტარ ჟილეტებს, მაგრამ ჩვენ არ გვჭირდება ამისთანა ფუფუნება, ჩვენი ყაჩაღები კბილით იჭერენ ტყვიას. აგრეთვე სქურში ბიჭები ატარებდნენ ორთაბრძოლებს, სანამ ერთ-ერთი არ გაითიშებოდა. ზოგიერთს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ჩემი მიდგომები საკმაოდ მკაცრია, მაგრამ მე ვახსენე, მეომარი კაცი უნდა იზრდებოდეს რეალური ასპარეზისათვის და არა — ტაშ- ფანდურასთვის. გვახსენდება ჩინებული ფილმები: ,,ძიუდოს გენია'', ,,კრასნაია ბარადა'', სადაც ტოსირო მიფუნე დაუნდობელია თავისი შეგიდებისადმი. ეს სპარტანული აღზრდა ქართულ ლიტერატურაშიც არის აღწერილი, ,,სიბრძნე სიცრუისაში'' ჯუმბერს მისი მასწავლებელი ფეხშიშველას დაარბენინებს ქვა-ღორღზე. ამნაირ მიდგომებთან შედარებით ჩემი სტილი თურქული კანფეტებია. რა თქმა უნდა, საქართველოში არსებობს კარტეს სხვა მიმართულებებიც, მაგრამ ჩვენი კონტაქტურია, ზუსტად ისეთი, როგორიც ცხოვრება. **ნახატე** ნიშნავს შიშველ მუშტს. ძველი ოსტატების თქმით, თუ ხელს გირტყამს ადამიანი, ის ხელი უნდა მოამტვრიო. თუ ფეხს გიქნევს, ის ფეხი უნდა მოამსხვრიო. უძველეს დროში ამ მეთოდებით ვარჯიშობდნენ ოსტატები. ისინი მახვილით აღჭურვილ მეფის ჯარისკაცებს — სამურაებს, შიშველი მუშტით ხვდებოდნენ და წარმოიდგინეთ ხშირშემთხვეთვაში ჯაბნიდნენ კიდეც. საქმე ის არის, რომ გლეხებს არ ჰქონდათ იარაღის ტარების უფლება. ამიტომაც დაწინაურდა ჩინეთსა და იაპონიაში, კერძოდ — კუნძულ ოკინავაზე, ეს გასაოცარი საბრძოლო ხელოვნება. ჩვენმა ბიჭებმა თურქეთის ჩემპიონატში მართლაც რომ გვასახელეს: ოქრო — **ჯახუ ჯინჯოლავა,** ვერცხლი — **დემურ ქირია** და ბრინჯაო — **სპარტაკ მამფორია.**

— იყო საქართველოს დროშა, ჰიმნი, ან სხვა რამ ფულადი ჯილდო?!

— დროშის აღმართვა და ჰიმნის დაკვრა ამისთანა რანგის ტურნირისათვის აუცილებელი

პირობაა. რაც შეეხება ფულად ანაზღაურებას ამ მხრივ ხელმოცარულები ვართ. ალბათ, გვექნება საშუალება მეტი ყურადღება მივაქციოთ სამეგრელოში, კერძოდ ზუგდიდში კარატის განვითარების პერსპექტივებს, მაგრამ აქვე შემიძლია აღვნიშნო, რომ რეგიონის გუბერნატორის, ბატონ **ზაზა გოროზიას** ხელშეწყობითა და სახალხო ბანკის ზუგდიდის ფილიალის (მმართველი **ჯიმშერ შეროზია**) გარეშე ამ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას საერთოდ ვერ მივიღებდით. რასაც აქ ხედავთ: გაშლილი დარბაზი, სპორტული ინვენტარები, საშხაპე და მისთანანი, ჩვენი თავგადაკლული მონდომების შედეგია და არავითარი სხვისი დახმარება. გვყოლოდა გვარდით ბატონი გურამ დადუანისმაგვარი ხალხი, ვინ იცის, რევებს ჩავიდენდით. ეს მომავლის საქმეა. შეუძლებელია წარმატებამ გულშემატკივრები არ გაგვიჩინოს. მე კარატეს მარტო სპორტულ მიზნებს როდი ვუქვემდებარებ. ჩვენ ბევრი რამ დავთმეთ ჯოჯოხეთურ ორას წელიწადში. დავთმეთ არა მხოლოდ ფიზიტური და სულიერი წრთობა, რომელთა წყალობით გადავრჩით ათასწლეულების მანძილზე, არამედ ზედმეტმა წონამ ლამის ფეხზე მოსიარულე მძორებად გვაქცია. ჩემთვის კარეტე უმთავრესად სულიერი და ფიზიტკური წონასწორობაა. ამის თაობაზე ბევრი გვისაუბრია, და მიხარია, რომ ესოდენ ღრმად ხართ ჩახედული ადამიანის ანთროპოლოგიურ აღნაგობაში. აკი, თქვენივე თქმით პლანეტაზე პირველად ქართველ ქურუმებს გაუწონასწორებიათ ,,ჰომო საპიესი'', როცა პოლიფონიური საგალობლებით აამღერს და ეს ჰარმონიულობა ცეკვაში წრიული მოძრაობებით დაამაგრეს გენეტიკურად.

— ამბობენ, რომ ჩინეთის დიდი საქარავნო გზა, მხოლროდ აღებ-მიცემობას, ვაჭრობას როდი ემსახურებოდა. აქ უმთავრესი ფაქტორი გახლდათ ინფორმაციის მოპოვება. ჩინეთის „დიდი აბრეშუმის გზა" მაგნიტივით იზიდავდა წინ შემოხვედრილ ეროვნულ ფასეულობებს, ამიტომაც არაფრია გასაკვირი, თუ თავად ჩინეთი გვევლინებოდეს ნებისმიერი კულტურის შემკრებ სახელმწიფოდ. იქ ქართული ცეკვის ელემენტები საბრძლო ხელოვნების ენით ამეტყველდა.

— ეს ყველაფერი ეთნოგრაფების საქმეა, ალბათ. მე თავად კარატეს ჩამოყალიბებულ სკოლასთან მიხდება ურთიერთობა, რომელსაც გაჩანია თავისი ილეთების უნიკალური კომპლექტი.

ამიტომაც გახლავთ ,,კარატე-დო'' გაცილებით ტევადი დანარჩენთან შედარებით. არა, ჩვენ ჩრდილას არავის ვაყენებთ, ერთი ავსებს მეორეს, მაგრამ ,,კარატე-დო'' ეს — სრულყოფილება.

— შენიშნული მაქვს, აღსაზრდელებს თქვენ უცხოური ტერმინებით მიმართავთ ხოლმე. წარსულში ქართული და თავისუფალი ჭიდაობით გატაცებულს, სპორტის ნებისმიერი სახეობა გულთან მიმიტანია. ამასთან მე უამრავი ფილმი მიხილავს ძიუდოსა და კარტეს ურთიერთმიმართებაზე. იქ, წარმოიდგინეთ, ძიუდო, როგორც თავდაცის იარაღი, თრუნავს კარეტეს, ნინცას და კიდევ სხვა მიმართულებებს.

— ეს, ალბათ, სამოციანი წლების იდეოლოგიის ნაყოფია, როცა ადამიანებს ზერელე ჰუმანიზმს ჩრიდნენ ყანყრატოში. არადა, გაირკვა, რომ ცხოვრება გაცილებით სუსხიანია, ვიდრე ეს ფერადი სათვალეებიდან ჩანს. დღესდღეობით არ არსებობს საბრძოლო ხელოვნებაში უფრო დახვეწილი სპორტი, ვინემ — ,,კარატე-დო''. საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო ათწლეულში მან ზედმიწევნით აითვისა სხვა მიმდინარეობების არსებითი მოძრაობები, გააცოცხლა მივიწყებული ტრადიციები, გამოავლინა ფარული ნახაზები და მარტივად თუ ვიტყვით, შეაჯამა ყველა სკოლა. ამიტომაც ჩემთან მოსულებს ნუ გაუკვირდებათ, ბავშვებს ზედმეტი სიმკაცრით თუ ვეპყრობი. თავის მოტყუებისთვის ქართველს, საქართველოს ნამდვილად არ სცალია! განსაკუთრებით, როცა გარშემო ლამის საგანგებო ვითარებაა. მე დიდი სიამოვნებით ვწვრთინიდი რეგიონის შინაგან საქმეთა სამინისტროს სწრაფი რეაგირების ბიჭებს, სრულიად უსასყიდლოდ, ვინაიდან ხიფათიან მოლიპულ გზაზე გასული ადამიანი ადეკვატურად უნდა იყოს ფიზიკურ ფორმაში. წინაადმდეგ შემხვევაში შეიძლება უკულმართად მოქნეული დანის წერა გაახდე. ბუნება არ გაპატიებს მოჩვენებითობას! ბუნებას სათანადო რეაგირება უყვარს ნებისმიერ სიტუაციაში! წყალში ჩავარდნილს ოვაციები ვერ უშველის, ხელ-ფეხის გატოკებაა საჭირო, თორემ დაიხრჩობი. ასევეა კარეტეშიც, რომელიც მკაცრი ბუნების ანალოგიაა, ასლი, სუსტი დამარცხებულია.

დიდი ხანია ლაშა შელიას მწვრთნელურ სტილს ვაკვირდები. მთავარი არგუმენტი ამ სპორტში თურმე დგომა და მუცლის მდგომარეობაა. მუცელი გამოგდებული უნდა ჰქონდეს სპორტსმენის ასპარეზისას. ჩვენ ვიცით ბიოლოგიიდან ფილტვების როლი ადამიანის ფორმირების პროცესში; რომ იგი სამჯერ ნაკლებ ჟანგბადს მოიხმარს არასწორი სუნთქვის გამო; რომ ფილტვის აორტა სავსეა ნახშიროჟანგით და საჭიროსთან შედარებით მესამედი ჟანგბადი მიეწოდება ტვინის უჯრედებს. არსებობს ამ ნაკლის გამოსწორების

პროფილაქტიკა — კედელთან ფეხშიშველა დგომა, მთელი სხეულით მასზე მიწებება, ხელები გონიოს მდგომარეობაში და 3-5 წუთის განმავლობაში ღრმა ჩასუნთქვები ორგანიზმიდან ნახშიროჟანგის გამოსაძევებლად. ეს ყველაფერი კარატისტს გაუცნობიერებლად მიეწოდება ვარჯიშის დროს. მეორეც, ლაშა შელია დაუნდობელია შეგირდებთან. ღიმილის მომგვრელია მისი სავარჯიშო ლექსიკა, თუკი დათვის ტორებიც არ მიაყოლა საბუდნიეროდ აღსაზრდელს.

— ხვალიდან შენ ჩემთან არ ივლი ჭირიმე! უთხარით მშობლებს, რომ პანტომიმაზე გადაგიყვანონ, ან ჭადრაკის სექციაზე იარეთ ნონას კლუბში. კარატე ვაჟკაცების სპორტია და არა — ქეთინოების. შენ წყაროზია ვერასდროს გახდები. ბიჭო, ხომ ხედავ ჰექტარი არ გყოფნის ორთაბრძოლისას. ახლა შენს გამო ამ დარბაზს სტადიონად ვერ გადავაკეთებ. ან რომც იყოს მაგისი ნებართვები, ფულს საიდან მოვუყრი თავს თქვენი გადამკიდე?! წრე შეკარით ბიჭებო და ვნახოთ როდემდე გაექცევა მოწინააღმდეგეს. — კედელს აწყდებიან ეგრევე, — ეგ ჩინ-მედლები არ ჩამომიყარა კინაღამ სტენდიდან?! ჰო-მეთქი, შეჰკარით წრე! ლახტი ხომ გითამაშიათ ბავშვობაში?! აზუზუნებენ ბიჭები ძაღლის ენასავით გადმოგდებულ ქამრებს და ისუსხება წვივები. აწი, მაინც სად გაექცევი ტატამს?! შენი სტიქია მუშტი კი არა ბამბაა, რომელიც არ ჩხრიალებს სავალალოდ. ვის ვანახრო ბიჭო, შენი თავი, ენგურჰესელ ალფეზ შელიას თუ ბატონ გურამ დადუანს, ტყვიაგაუმტარ ჟილეტებს რომ ამზადებს საქართველოსათვის?! რაც ჩემპიონი გახდა, ჩვენი წყაროზიაც, თავს გავიდა.

მართალია, ევროპის ჩემპიონატში ჩემმა ბიჭებმა სამი ოქროს მედალი მოიპოვეს: დემურ ქირიამ რომელიც 45 კილოგრამს იწონის და 13 წლისაა, ჯახუ ჯინჯოლავამ, ეგი ოცდათხუთმეტი კილოგრამია, 12 წლის და ამ მორიალე დათო წყაროზიამ, ცხრა წლისაა და მამალი ინდაურის წონა — 27 კილო. მთელი კვირა გამიცდინა, კაცო! ხედავთ, როგორ გაზანტდა ერგეტელების ზაქივით. ბიჭო, გადააბი ერთმანეთს მოძრაობები! სამზე ნუ ჩერდები! ხომ ხედავ დაღლილია შენი მოწინააღმდეგე. შენ 27 კილოგრამი ხარ, ის სამჯერ მეტი, მაგრამ იმისგან კარატისტი ვერასდროს დადგება, გინდა კიდევ ოცი წელიადი იაროს აქ თავის მოსაწონებლად, აქაოდა, კარატისტი ვარო. მისცხე ბიჭო, მაგას, არ დაინდო! ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა. ერთი ამგვარი შეტევა და კამეჩის ფუნასავით

დაედღლიზება იატაკზე.

„კარატე-დო“-ს აღსაზრდელები „შიშველ იატაკზე“ მეცადინეობენ ჯერ-ჯერობით. ამას წიენათ ევროპის ჩემპიონატიდან სამი ოქროს მედლით დაბრუნებულებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ საპატიო ჯილდოები. დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ: ზუგდიდის რაიონის გამგებელი, ბატონი ალექსანდრე ქობალია, სამეგრელოს ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელი ლაშა დამენია, განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ბატალიონის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი დიმიტრი კორძაძე, ბიზნესმენი, ბავშვთა სარეაბილიტაციო კომპლექსის პროექტ-„აკვაპარკის“ სულისჩამდგმელი, ქალბატონი მანანა მიქავა, სახალხო ბანკის ზუგდიდის ფილიალის მმარ- თველი, ბატონი ჯიმშერ შერო- ზია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნი- ვერსიტეტის ზუგდიდის ფილი- ალის დირექტორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ- ესორი გიორგი ფარულავა და სხვები. მოწვეულმა სტუმრებმა საზეიმო ვითარებაში გადასცეს თურქეთის მსოფლიო და თბი- ლისის ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებულებს 4 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედ- ლები. „კარატე-დო“-ს სკოლის ინსტრუქტორმა მადლობა მოუ- ხადა საპატიო სტუმრებს. მან განსაკუთრებული მადლიერე- ბით მოიხსენია სახალხო ბანკის ზუგდიდის ფილიალის მესვეუ- რის, ბატონ ჯიმშერ შეროზიას თანადგომა. „რომ არა თქვენი უშურველი მხარდაჭერა, ჩვენ ამ ჯილდოებს ვერაფრით ჩამოვიტ- ანდით სამშობლოში, — **აღნიშნა ლაშა შელიამ,** — არ აღიმართე- ბოდა ოთხგზის ჩვენი მზეთუნახავი დროშა, არ შესრულდებოდა ოთხ- ჯერ ჩვენი საყვარელი ჰიმნი. იატ- აკამდე თავს გიხრით ამ ბედნი- ერების მონიჭებისათვის. ჩვენი ბავშვები შიშველ იატაკზე მეცა- დინეობენ. ტატამი ჩვენთვის დიდი ფუფუნებაა, — **მწარე სინანულით აღნიშნა მან. რეგიონის ნაციონ- ალური მოძრაობის თავმჯდო- მარემ, ბატონმა ლაშა დაიმენი- ამ პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა აღუთქვა მათ,** — არა ძმაო, — **დასძინა ღიმილით,** — შიშველ იატაკზე ვარჯიშით გამო- წრთობილი ბავშვები საშიშია ფუმ- ფმფულა ლეიბებზე გდებას მიჩვეული მსოფლიო კარატისტების- ათვის. იმათ ცოდვაში ვერ ჩავდგე- ბით, ამიტომაც ერთი ტატამი ჩემზე იყოს. მთლად ასიათასიანს ნუ მომ- თხოვთ, მაგრამ რაღაც შუალე- დურს უსათუოდ გამოგიძებნით. დავახოცინოთ, აბა, ამ ფოცხვე- რებს და ავაზებს სენდვიჩებით გამოსუქებული მსოფლიო?!

ასე მიმართავდნენ საომრად მიმავალი ლეგიონერები რომის იმპერატორს იულიუს კეისარს, რომელმაც თვალის დაუხამხამებლად დაარღვია საშინელი ფიცი და აკრძალული საზღვარი — რუბიკონი გადალახა — სენატს, ხელისუფლებას მახვილით დაეუფლა. უშიში ვითარცა უხორცოთ, იტყოდნენ ხოლმე ჩვენს მეფეებზე. დაახლოებით იგივე ითქმის ამ ცხრა წლის ბიჭუნაზე — დათო წყაროზიაზეც.

ამიერიდან ცეზარი მისი მეტსახელია, ნათლიმამად წავადექი.

დათო წყაროზია 9 წლისაა. შავი ქამარი ავანსად მივანიჭეთ, ჯერხანობით ლურჯის მფლობელია და მრავალი ბარიერი უნდა გადალახოს, სანამ უმაღლეს კვარცხლბეკზე შედგებოდეს „კარატე დო“-ში.

ამ კოკროჭინა ბაღანამ მოხიბლა ჩემი სული. სიყმაწვილის წლებში მეც ვიყავი გატაცებული აქტიური სპორტით — კრივი, ქართული ჭიდაობა, ძიუდო, შედეგებიც თვალშისაცემი მქონდა, მაგრამ ხელოვნების ტრფიალმა ყველაფერი გადაფარა და

პატარა დათოს მხილველს უნებურად წამცდა: დაიხსომეთ ეს ბავშვი-მეთქი.

აკი გამიმართლა ვარაუდმა — რამდენიმე თვის მანძილზე ჩვენმა ჯილა დათომ არნახული შედეგები აჩვენა.

თავად დარწმუნდით: მან თბილისში საქართველოს ჩემპიონატში 2008 წელს კონტაქტურ „სეიზუ კაი“-ში ტოლი არავის დაუდო, ფეხზე არავინ დააყენა.

ამავე წელს მარტში ბირწმინდად მოიგო ევროპის ჩემპიონატი კინგ-ბოქსში თბილისში დეკადეს სპორტულ დარბაზში 9-10-11 წლიანებში. უფრო მაღალი ასაკის ბავშვებისკენაც მიუწევდა გული, მაგრამ ამისი ნება არ დართეს მსაჯებმა.

კვლავაც წლეულს, მაისის თვეში, თბილისში გამართულ კინგ-ბოქსის ჩემპიონატზე შეუდარებელი იყო, როგორც ტექნიკით ისე ბრძოლისუნარიანობით.

მისი მთავარი კოზირი დახვეწილი ტექნიკაა და ლაშის დაუჯერებელი შრომისმოყვარეობა. ჩვენთვის ნათელია, რომ ნებისმიერ სარბიელზე უმთავრესი ფაქტორი პასუხისმგებლობის გრძნობაა. სანსეი ლაშა შელიას თქმით ჩვენთო ამისი მაგალითია. მისი ყოველი რიგითი ვარჯიში არაფრით ჩამოუვარდება ტატამზე ორთაბრძოლას. მისთვის არ არსებობს მეორეხარისხოვანი პაექ- რობა. მთელი ნერვებით, მთელი კუნთებითაა ჩართული ნების მიერ მოძრაობაში. საკუთარი შესაძლებლობის მისხალი, გრამი არ ეკარგება. ამიტომაც არის რომ უშიშრად დგას 2-3-4 წლით უფროსების წინაშე და სეტყვასავით დააყრის მუშტებს.

ლაშა შელიასგან დამოუკიდებლად დათოს მე დავავალე 3-5 წუთი ესუნთქა ფილტვებით, მთელი სხეულით კედელს აკრულს. ეს პროცედურა ფილტვების მოცულობის გაზრდას ეძღვნება, რათა ტვინის უჯრედებს მეტი ჟანგბადი მიეწოდოს. ამასთან ვთხოვე ყოველ დღე ხუთი ინგლისური სიტყვა ესწავლა ლესქიკის მარაგის შესაქმნელად. ერთი წლის შემდეგ, როცა მოზარდს 1800 სიტყვა ეცოდინება მათი გრამატიზაციის სწავლა ძნელი საქმე არ არის. ინგლისური ენის ცოდნა მას დიდად პოპულარულს გახდის მთელს მსოფლიოში. უკვე თარჯიმანის მოუშველიებლად შეეძლება დათოს მას-მედიას აუწყოს თავისი კოლეგების გასაჭირი — თუ შიშველ იატაკზე რანაირი დაუნდობლობით აგდებენ ერთმანეთს. შებირ- ებული ტატამი არა და არ ჩანს. ამგვარმა დამოკიდებულებამ შეუძლებელია დიდი გასაქანი არ მისცეს „კარატე-დოს“ განვითარებას ზუგდიდ-ქალაქში.

დათოს გულში აქვს ჩაჩნეული ჩემგან ჩამორთმეული ლათინური სენტენცია — CAVA GUTTA LAPIDEM — წვეთი ხვრეტს ქვას, თანამიმდევრული სიჯიუტე აშარცხებს გრანდიოზულ სტიქიას. მითქვამს და ვიმეორებ, მე წინასწარ, ინტუიციით ვუწოდე მას „ცეზარ“ — გვარში წყაროზია ხომ ერთგვარად ინახება ამ მეტსახელის გამოძახილი?!

ვნახოთ, რანაირად გააამართლებს იგი მშობლების, გური ოტობაიას თუ სანსეი ლაშა შელიას იმედებს. აღდგომა და ხვალეო.

— ხალხური მედიცინა და კოლხეთი განუყოფელი ცნებებია. მარტო ჰეკატეს ბაღი რად ღირს და თავად მედეას ფენომენი. მაგრამ ეუ ეინდა საკითხს უფრო შორიდან შემოვუაროთ.

უფალი სამყაროს ექვს დღე-ღამეში ქმნიდა. მან ფლორა და ფაუნა უფრო ადრე გააშენა დედამიწაზე, ვიდრე ადამიანს გააჩენდა, ანუ შეამზადა მისი უსაფრთხო მოსვლის ფონი, შეამზადა ჟანგბადი. ამასთან სავარაუდოა, რომ ამ ბიოცენოზის სახით ცაბაოთმა ადამიანს აფთიაქი დაახვედრა. სამოთხეში ადამიანი დახარბდა ხე ცნობადის ნაყოფს, მაგრამ მან ვერ მოახერხა სიცოცხლის ხის ნაყოფის დაგემოვნება და ამიტომაც მიისწრაფის გამუდმებით უფლისეული წალკოტისკენ. ჩვენ ნახევარ ზღაპრად მივიჩნევთ ამ პასაჟებს, სინამდვილეში კი მაცხოვარი კონგენიალურია. ადამიანს შეუქმნა ნებისმიერი სნეულების მოსარჩენი მცენარე, ოღონდ შენ ამოიცანი და შეუწონასწორე შენს ფიზიკურ-სულიერ ვითარებას.

აი, დაახლოებით ის სურათი, რომელიც ადამიანს ებოძა უფლისაგან მატერიალურად. თანამედროვე ადამიანი კი ფარმაკო-ინდუსტრიის ბოძებულით იჭყიპება...

თავად თქვენ როგორ უყურებთ იატროგენულ მოვლენებს? რამდენად მართებული გგონიათ ყოველივე? აკი, უფალი სნეულებს ზღვის პირას ჩაიყვანდა ხოლმე შებინდების ჟამს და ათავისუფლებდა ავადმყოფობისაგან. თან ამისთანა ფრაზასაც დასძენდა აუცილებლად: „რწმენამან შენმან განგკურნა შენო.“ მაგრამ, მოდით, თანამიმდევრობით მივყვეთ: მაინც რას წარმოადგენს ადამიანი თავის გარემომცველ სამყაროში, ჯერ პლანეტა დედამიწის და შემდეგ კოსმოსის მასშტაბით?

მ. ბ. : — ადამიანად ყოფნის ძირეულ საკითხებზე კაცობრიობა დასაბამიდან ფიქრობს. ამ ტრანსცენდენტალურ ცოდნაში ქართულ გონსაც უდევს თავისი წვლილი. შევეცდები ამ ურთულეს საკითხებზე, უბრალო და გასაგები ტერმინებით გადმოგცეთ ჩემი მოსაზრებები.

სამყარო ერთიანია, მის ხილულ და უხილავ საგნებსა და მოვლენებს შორის არსებობს იმდენად მკაცრად განსაზღვრული კავშირ-მიმართებები, რომ შეუძლებელია, ის ვინმეს, ანუ უნივერსალური გონების ჩაურევლად, თავისთავად შექმნილიყო. ადამიანი უფლის ქმნილებაა და მისი დანიშნულება დედამიწის მოვლა-პატრონობაა. იმისთვის რომ უპატრონო რაიმეს ან ვინმეს, საჭიროა თავადაც მუდმივი განახლების პროცესში იყო. ამის გამოც, მთელი სამყაროს კანონზომიერება მიკრო მასშტა- ბით ჩვენშია მოცემული.

ადამიანი დროითი არსებაა. უმაღლეს ფასეულებას — სიცოცხლეს იგი ინარჩუნებს მხოლოდ მუდმივად განახლებულ მემკვიდრეობაში. ამიტომაც, ყოველი ადამიანი არსება- შივე იძულებულია გაიაროს ფიზიკური, მატერიალური და სულიერი თვითგანახლება. ფიზი- კურ განახლებას უცილებლად სჭირდება საგნობრივ-მატერიალური ყოფიერება. სწორედ ამიტომაა ცხოვრება მუდმივი ხასიათის ბრძოლა მატერიალური კეთილდღეობისათვის. ანუ ნებისმიერი ადამიანის არსებობის შინაარსი მოპოვებაა, ხოლო საზრისი — სიცოცხლის მიზ- ანი — კულტურშემოქმედება.

კულტურშემოქმედების დამკვეთია სოციუმი, საზოგადოება, ერი, ხოლო შემსრუ- ლებელი, მოქმედი სუბიექტი, პიროვნებაა. სხვადასხვა ეპოქაში, რომელიმე ეთნოსი, ხალხი, საზოგადოება, ერი, დედამიწის გარკვეულ რეგიონში კონკრეტულ ცივილიზაციებს ქმნიდა და ამით თავის ძირითად ფუნქციას ასრულებდა, ე.ი. უვლიდა და პატრონობდა დედამიწის კონკრეტულ ადგილს („ადგილის დედას“).

— დროთა ხანიერებაში ერები და ცივილიზაციები იცვლებიან, ზოგჯერ ქრებიან კიდეც.

მ. ბ.: — მაგრამ შედარებით მუდმივი რჩება სიცოცხლე დედამიწაზე პერიოდად განახლებულ სახელმწიფოებში. ადამიანის დანიშნულება, ცხოვრების შინაარსი და ყოფნის საზრისი მუდმივ აქტივობასა და ბრძოლის პროცესში მიმდინარეობს. თვით სიციცხლე, სასიცოცხლო სისტემების, შეთანხმებული და განუწყვეტელი ერთიანობაა ინდივიდუალურ და განუმეორებელ მთელში. ამ ერთიანობას განსაზღვრავს ნერვიული და ენდოკრინული სისტემების შეთანხმებული მოქმედებები, რომლებსაც აკონტროლებს, არეგულირებს და მართავს ფსიქიკა.

ადამიანი, სადაც უნდა იყოს ის, მისგან დამოუკიდებლად თან სდევს დანიშნულება, მოქმედების შინაარსი, საზრისი და მიზანი. ამდენად ადამიანი მოტივების, ანუ მოქმედების ფასეული მიზეზების მატარებელი არსებაა. მას, როგორც ინდივიდს გააჩნია ასახვის ორგანო — ფსიქიკა. მისი მატერიალიზებული ფორმა არის ტვინი. ადამიანი ყოველთვის რომელიმე სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი, ასევე მისი ინტერესების მატარებელი და დამცველია. მას, როგორც პიროვნებას აქვს ცხოვრების გამოცდილება, იგი ატარებს გარკვეული ზომოს ცოდნას და აუცილებლად არის რომელიღაცა კულტურის პროდუქტი. იგი უნებურად ჩართულია სამყაროს მუდმივ განახლებაში. განახლება ბრძოლაა, სადაც ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას, როგორც ფიზიკური, ასევე კოსმოსური სინამდვილიდან. ჯანმრთელი სიცოცხლე ორგანიზმის მიერ მიღებულ ინფორმაციაზე დროული რეაგირება, ადეკვატური ფორმით ადაპტირება და მათ საფუძველზე სასიცოცხლო პროცესების ორგანიზმისათვის საჭირო ერთიან რეჟიმში იძულებითი მოქცევა და მართვაა.

კონკრეტულად ნებისმიერი მოქმედი სუბიექტი ერთდროულად იღებს უამრავ ინფორმაციას ჩვენს გარშემო არსებულ საგნებსა და მოვლენებს შორის მიმდინარე პროცესებზე და მათ მიმართებებზე. მაგრამ, როგორც წესი, ყოველი ადამიანი ინფორმაციას იღებს გარკვეული ათვლის სიტემიდან, ანუ ყველა თავისი ფანჯრიდან იყურება. იგი ყოველთვის გარკვეული ასაკის, გამოცდილების, სოციალური ჯგუფის წევრი, მისი ინტერესების და ფასეულობათა მატარებელი და დამცველია ადამიანს მოვლენათა ცვალებადობის მიმართ აქვს გარკვეული წინასწარი მზაობები — განწყობები და დამოკიდებულებები, ამიტომაც ერთი და იგივე ინფორმაცია, მოვლენა, ან ფაქტი აღქმის სხვადასხვა სუბიექტში განსხვავებულ განცდათა სპექტრს, ანუ განსხვავებულ ემოციურ დატვირთვას იწვევს.

ადამიანი არ მარტო ბიოლოგიური არსებაა. იგი ამავდროულად პიროვნებაცაა. რაც იმას ნიშნავს, რომ მას გააჩნია ღირებულებები. მოვლენები იცვლება არა მარტო მატერიალურ სამყაროში, არამედ ოჯახში, მცირე სოციალურ ჯგუფებში, იქსადაც ადამიანი მოღვაწეობს, საზოგადოებაში, შენს ქვეყანაში, რომელიც შენთვის მარტო სახელმწიფო კი არაა, არამედ სამშობლოცაა, ის ცვლილებები, რომელიც ეწინააღმდეგება შენი ცხოვრების წეს-ჩვეულებებს, ძირითად ფასეულობებს, იწვევს ადამიანში უსიამოვნო, ანუ უარყოფითი შინაარსის განცდებს, რაც ბუმერანგივით გვიბრუნდება უკან და ახდენს ჩვენში ზოგადი ხასიათის სასიცოცხლო პროცესების მოშლილობას. ამ გზით ვღებულობთ მასობრივი ხასიათის ნევროზებს და ვყალიბდებით, როგორც ნევროტული საზოგადოება. ამიტომაცაა რომ დღეს ძალიან ძნელია შეხვდე ჩვენს პირობებში ჯანმრთელ ადამიანს საზოგადოების, როგორც მქონებელ, ასევე უარსებოდ დარჩენილ ფენათა შორის.

ადამიანი ერთდროულად განუწყვეტლივ იბრძვის, როგორც თვითშენახვისათვის, ასევე თვითგანმტკიცებისათვის. ცხოვრება წინააღმდეგობრივი ბუნებისაა. ინტერესთა კონფლიქტი, განსხვავებული პიროვნული თვისებები, დამკვეთის მოთხოვნათა სირთულე, არაადეკვატური მიმართებები, პერმანენტული წარუმატებლობები, იწვევს ემოციური ფონის, ანუ განცდათა ბუნებრივი ჯანსაღი სპექტრის რღვევას. ასეთი ადამიანი ხდება აგრესიული, მას ეუფლება დარდი, სევდა, ზოგჯერ პანიკა, ხანგრძლივი ხასიათის შფოთვა, ძლიერი ფსიქიკური დაძაბულობა — სტრესი. თუ იგი დროულად ვერ გამოვა ამ სიტუა- ციიდან, დროთა განმავლობაში ჩამოუყალიბდება ნეირო, ანუ ფსიქოემოციური ტრავმა. რაც პირველ რიგში გაფრთხილების სახით ადამიანში იწვევს ფუნქციონალურ მოშლილობებს — ავადმყოფობას. თუ კი პაციენტს დროულად არ ეშველა ასეთ შემთხვევაში, იგი გადავა უფრო მძიმე ხასიათის ფორმაში, ორგანულ ცვლილებებში, ანუ დაავადებაში.

სიცოცხლე ღია თვითრეგულირებადი სისტემაა. ორგანიზმში მარეგულირებელი ფუნქციები ძირითადად დადებით ემოციებს უკავია. ღმერთი ჩვენშია, ანუ ის სიყვარულია, მიგვანიშნებს იმაზე, რომ სასიცოცხლო ფუნქციების სრულყოფილი მიმდინარეობა ჩვენში განსაზღვრულია დადებითი ემოციური სპექტრის მეშვეობით. ,,ბოროტსა სძლია კეთილმან...'' ანუ კეთილი ადამიანი დიდხანს ძლებს, იმიტომ რომ ის ჯანმრთელია, რადგან მასში ემოციური ფონი, ანუ განცდათა სპექტრი არაა დარღვეული. ადამიანის ჯანმრთელობა პირველ რიგში, საკუთარ თავთან ჰარმონიაზეა დამოკიდებული. თუ არ ეწინააღმდეგება საკუთარ ,,მეს'' ე.ი. თუ შენს გრძნობებსა და გონებას შორის კონფლიქტი არ არის, მაშინ შენს ორგანიზმში არ ხდება სულიერი და ფიზიკური საფუძვლების რღვევა და შედეგში აღარც ავადმყოფობა იარსებებს.

სწორედ ამ შინაარსის სიღრმისეული ანალიზი აქვს მოცემული ი.ჭავჭავაძეს ტარიელისა და ავთანდილის ფსიქოტიპების შედარებისას პუბლიკაციაში ,,აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი''(1887): ,,გულისთქმა, რომელსაც ვეც ხორცი უძლებს და ვერც სული და რომელიც ჭკუას

გონებას მთლად იმორჩილებს, როგორც ზარი, ელდა, მეხი, რაკი კაცს ჭკუა და გონება გამოეცლება ის მკვდარია საქმისათვის და მოქმედებისათვის... ამისთანა კაცი სუსტია, უღონოა, უქმია, ერთი სიტყვით სნეულია.''

— საკუთარი ემოციების მართვის, წონასწორობის აუცილებლობას ქადაგებს არა ერთი ძველქართული, კოლხური, თუ აღმოსავლური არაკი, მითი. ამის თაობაზე უამრავი ფილოსოფიური სკოლა მიუთითებს ბუდიზმიდან მოყოლებული: კონფუცი, ზოროასტრიზმი, მართლმადიდებლობა... დეზორიენტაციას მეგრულში აბორჯება ჰქვია, დროის შეგრძნება დაკარგული, დაბნეული, შხარაცვლილი. . ესე იგი ადამიანი რაღაც ელექტრული აღნაგობის ბალანსია. კოორდინატთა სისტემის იქს ღერძზე დადებითისკენ ერთის მიმატება იწვევს უარყოფითის ერთით ნაკლულობას და მარჯვენა მხარეს უკვე ორი ერთეულით მეტი აღმოაჩნდება ვიდრე მარცხენას, მაგრამ, დიახაც, ამ ორით ნაკლულობაა ადამიანის დეზორიენტაციის საფუძველთა საფუძველი. ჰოდა. აბორჯებული ადამიანი ცდომილ გადაწყვეტილებებს იღებს ყოველ ნაბიჯზე და ბუნებრივიცაა მისი მიზანი გაცუდებულია, ყველა შედეგი ზადიანია.

მ. ბ.: — ელექტრლ ბალანსზე ოდნავ ქვემოთ აუცილებლად ვისაუბრებთ, ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე კვლავ მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო: ემოციების მართვე ის აუცილებელი უნარ-ჩვევაა, რომელსაც ადამიანი ჯანმრთელობის შენარჩუნებით ცხოვრების პირადი მიზნის მიღწევამდე მიჰყავს; ვინც საკუთარი ემოციების მართვას ვერ ახერხებს, მას არამც თუ მიზნის მიღწევა არ შეუძლია, არამედ ჯერ ფიზიკურად უძლურდება და მერე აუცილებლად ავადდება.

აღზრდა და თვითაღზრდა საკუთარი ემოციების მართვის წესების დაუფლებაა. სწორედაც რომ საზოგადოებრივი აღზრდის მაიძულებელი წესებია ზოგადად მოცემული ყველა ხალხის ტრადიციულ წეს-ჩვეულებებში. დღეს ჩვენ ძალიან აქტიურად ვებრძვით ვსპობთ მათ, რის სავალალო შედეგებსაც ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში უკვე ვიმკით.

ადამიანები ყოველთვის საკუთარი ცოდვების გამო ვისჯებით, რადგან ის ყოველთვის ბუმერანგივით გვიბრუნდება უკან. მართალია, ჩვენ ყველანი ცოდვილები ვართ, მაგრამ მაქსიმალ-ურად უნდა ვეცადოთ, რომ დავიმორჩილოთ გულისთქმა და მოვერიდოთ ადამიანისათვის მომაკვდინებელი ძირითადი ცოდვების ჩადენას. კერძოდ: ამპარტავნობას, მუცელღორობას, ავხორცობას, შურს, აგრესიას, უსასოობას, თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ დარჩენილი სიცოცხლე ჯოჯოხეთად არ გვექცეს.

სწორი ცხოვრების წესი, კეთილი მიზანი, და სიცოცხლის სურვილ განსაზღვრავს ამ ქვეყნად ბედნიერ და ხანიერ სიცოცხლეს. ამიტომ გინდა თუ არა ეს შენ, ვალდებული ხარ აიძულო საკუთარი თავი გახდე კეთილგონიერი და ზნეკეთილი ადამიანი. ჩემის აზრით ესაა ადამიანის ჯანმრთელობისა და მისი შენარჩუნების ყველაზე კარგი პრევენციული ზომა. რა პირობებში შეიძლება ამ შინაარსის საზოგადოებრივი გაჯანსაღების დონის მიღწევა. ალბათ, მხოლოდ მაშინ, როცა ქვეყანაში დაცული იქნება ადამიანის ყველა ძირითადი უფლება.ამიტომ სჭირდება ნებისმიერ ხალხს სახელმწიფოებრივი მოწყობა, დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ვინაიდან პიროვნების თავისუფლების გზა მხოლოდ ერის თავისუფლების გზაზე გადის.

— მოვუბრუნდეთ ელექტრულ ბალანსს და მის მარეგულირებელ სისტემას ორგანიზმში.

მ. ბ.: — ადამიანის ანატომიის შესწავლას გაცილებით უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვიდრე ფსიქიკის კანონზომიერებისას. რთულია ამ ფორმატში დეტალიზირება. ამჯერად მოგახსენებთ მხოლოდ უდაო ცნობილ ფაქტებს. ნერვიული სისტემა უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოა. თითოეულ ორგანოს, ქსოვილს თუ უჯრედს თავისი ზედამხედველი ნერვი ჰყავს. ის არა მარტო აკონტროლებს თითოეული მათგანის მუშაობას, არამედ აიძულებს მათ იმუშაონ სხეულისათვის საჭირო აუცილებელ საერთო რეჟიმში. ამით ის არეგულირებს ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებს, ანუ ინარჩუნებს მათ სიცოცხლისუნარიანობას. გასაგებია, რა ხდება ორგანიზმში, როდესაც სიცოცხლისუნარიანობაზე პასუხისმგებელი დუნდება, ზიანდება და მიუხედავად ორგანიზმის თვითორგანიზების, ფუნქციონალური ცვალებადობის, რეზერვების დუბლირების საოცარი უნარისა, ნერვიული სისტემის დაზიანებულ ნაწილს დაქვემდებარებული უბანი ,,ეთიშება'' სხეულის სხვა ნაწილებს და დროთა განმავლობაში ეს აუცილებლად რომელიმე ორგანოს დაავადებით მთავრდება. ამ მაკონტროლებელი სისტემის ელექტრული ბუნებაც საკმაოდაა შესწავლილი ბიოფიზიკაში, ფიზიოლოგიაში. სხვათა შორის სულაც არაა შემთხვევითი მატყლის აქტიური გამოყენება სხვადასხვა დაავადებების დროს. მისი სწორედ ელექტრიზაციით განსაკუთრე-ბული თვისების გამო ძველ საფრანგეთში გალვანო აბაზანებს იყენებდნენ სიცოცხლის

გახანგრძლივებისათვის.

ნერვიული სისტემის მოქმედებას ისე არაფერი აფერხებს, როგორც სტრესი და მოულოდნელი ხასიათის დიდი ძალისხმევის ემოციები. მე პირადად გამიჭირდება ისეთი სომატური დაავადების დასახელება, რომ მის მიზეზებს შორის მთავარი ადგილი სტრესს და ფსიქოემოციურ ტრამვას არ ეკავოს. აღნიშნული მოვლენებისადმი ყველაზე მგრძნობიარეა, მოგეხსენებათ სიცოცხლის კვლავწაომოების ინსტრუმენტი, ანუ სქესობრივი ორგანოები.

— სწორედაც რომ ამ ყველაფერს აქვს გარკვეული საფუძვლები ადამიანის ანატომიიდან. ჯერ ერთი, როცა იგი ფეხზე წამოდგა, ან უფრო სწორედ ორ ფეხზე წამომდგარი ამყარებდა სქესობქრივ კავშირს თავის პარტნიორთან, რაც თანდათან ჩვეულებად გადაიზარდა. ამიტომაც ეწოდა მას „ჰომო ერექტუს“. მაგრამ ამ გამართულმა სიარულმა ცნობიერ ტვინთან ერთად ადამიანს ერთი სუსტი ადგილიც დაუტოვა — წინა ჯირკვალი, პროსტატა. როდესაც იგი ცხოველურ, დაოთხილ მდგომარეობაში იყო, ეს წინა ჯირკვალი მოფარებულში იმყოფებოდა სხეულის სიღრმეში, მაგრამ გაიმარათა ადამიანი და მოშიშვლდა ისიც . ანუ ყველაზე მეტი დარტყმა მან მიიღო ბუნებისაგან: სიცივე, სიცხე, რადიაციული ფონი და ა.შ. შალის თასმების შემოხვევას წელზე დღესაც მისდევენ მაღალ სვანეთში. ამას უწინარესად პროსტატას დამცავი ფუნქცია გააჩნია. მაგრამ ჩვენმა წინაპრებმა უფრო თამამი ნაბიჯები გადადგეს და მათ დაიწყეს დისჰარმონიული ადამიანის გაწონასწორება.

ხელის თითების მიხედვით ადამიანის ცენტრი შუა თითზე გადის. ხოლო ფეხის კიდურების შესატყვისად კლასიკურ შემთხვევაში, ბერძნული ტერფი რომ ჰქვია, ცერის მომდევნო თითზე. როგორც წესი კლასიკურ ტერფს ეს თითი აქვს დაწინაურებული. სხვა ფორმები ყველა არასრულფასოვანია. ჰოდა, გადაწყვიტეს მისი გაწონასწორება სიმღერისა და ქორეოგრაფიის მეშვეობით, ანუ მიხვდნენ რომ წინა ჯირკვალი პირდაპირ კავშირშია ხორხთან და ამ უკანასკნელის ჰარმონიზაციით მოახერხეს ქართველი ერის არამარტო ფიზიკური გაჯანსაღება, არამედ — გაწონასწორებაც. ამ მომენტმა გასაოცრად გარდაქმნა ჩვენი წინაპრის თავის ქალა და მისმა მოცულობითმა პარამეტრებმა საგრძგობლად გაუსწრო დანარჩენი რასის მონაცემებს. ეს ყოველივე შეუმჩნეველი არ დარჩენია ფილოსოფიას, კერძოლ, გეორგ ჰეგელს როცა აღნიშნავს, ევროპეიდული რასა ქართველებიდან იწყებაო.

წინა ჯირკვალისა და ხორხის ურთიერთკავშირი უეჭველია. გვაინტერესებს თქვენეული დამოკიდებულება ამ მიიმართებით. თქვენ ხომ ფილტვებს ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად მიიჩნევთ ნებისმიერი ავადმყოფობის მორჩენის გზაზე, ვინაიდან აღიარებთ, რომ ადამიანი შესაძლებლობის მესამედით სუნთქავს და შესაბამისად ამდენივე ჟანგბადი მიეწოდება ტვინის უჯრედებს. ანუ ჩვენ არასწორი სუნთქვის გამო შესაძლნებლობის მესამედით ვაზროვნებთ.

მ. ბ.: — არა ერთხელ მითქვამს, რომ გაჯანსაღების, სუნთქვითი ვარჯიშების (მედიტაციაზე რომ არაფერი ვთქვათ) უალტერნატივო, საუკეთესო საშუალება ქართული ხალხური სიმღერა და საგალობელია (კახურ ბანსა და გურულ კრიმანჭულს იოგების რომ ელი ვარჯიში შეედრება).

— და მაინც, მკურნალობის მეთოდზე რომ გადავიდეთ, მოვუბრუნდეთ ჰარმონიას, წონასწორობას, ბალანსს.

მ. ბ.: — აზრთა განსხვავებულ მრავალფეროვნებაში, სიცოცხლისა და ცხოვრების კანონთა ერთი შეხედვით შეუთავსებელთა თავსობადობაშია მთლიანი სამყაროს აგებულების, მისი ერთიანობისა და არსებობის ძირითადი პირობა. ამ რაობისაა სამყაროს ჰარმონია, სადაც ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. მაკრო სამყაროს ამ მოდელში გვინდა თუ არა ეს ჩვენ, მგელმა და ცხვარმაც ერთად უნდა ძოვონ. ჰარმონიის ამ უნივერსალური მოდელიდან ამოვარდნაა ავადმყოფობა. მკურნალის მოწოდებაც პაციენტის სამყაროს სრული ჰარმონიისკენ მიბრუნებაა. ეს ის კერძო მდგომარეობაა, სადაც ,,მეს'' შეგრძნებასა და გონებას არა აქვთ ერთმანეთთან კონფლიქტი.

ჩვენი სამშობლო საქართველო კოლხეთის ცივილიზაციის მესაკუთრე და იბერთა სახელმწიფოს მემკვიდრეა. ძველ ქართულ მედიცინაში, ბუნებრივია, მრავლადაა შემორ- ჩენილი კოლხური საიდუმლო სამკურნალო ზოგადი საშუალებები. უფრო მეტიც, საბოველთაოდ ცნობილია, რომ ტიბეტური მედიცინის ცოდნის დიდი ნაწილი ისტორიულად კოლხეთიდანაა გატანილი.

ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის მიზანი ადამიანის განკურნებაა. ამ ორი განსხვავებული საწყისისაგან ამოსულ სამკურნალო მიმართულებას საფუძველში არაფერი აქვთ

ერთმანეთთან საწინააღმდეგო. პრობლემა აქ ჩემის აზრით მკურნალის პროფესიო- ნალიზმშია. როგორც ერთი, ისე მ ეორე მხარის წარმომადგენელს შეუძლია ადამიანისათვის როგორც ზიანის, ასევე სიკეთის მოტანა. პირველ რიგში აქ არჩევანი უნდა გაკეთდეს პაციენტის მდგომარეობის მიხედვით: თუ პაციენტს აღენიშნება მწვავე კლინიკური მდგომარეობა, აქ ერთმნიშვნელოვნად საქმე სამეცნიერო მედიცინის პრეროგატივაა, ვინაიდან უფრო მეტი ალბათობით შეუძლია ისხნას, გადაარჩინოს პაციენტი მოსალიდნელი საშიშროებისაგან. ხოლო, თუ ვინმეს აწუხებს რაიმე სახის ქრონიკული დაავადება, აქ არჩევანი თვით პაციენტმა უნდა გააკეთოს. გვერდითი მოვლენები შეიძლება გამოიწვიოს, როორც ფარმაკო ინდუსტრიის მიერ შექმნილმა პრეპარატებმა, ასევე თითქმის ერთი შეხედვით უწყინარმა ფიტო და აპითერაპიულმა პროდუქტმაც.

მკურნალობა ყველა შემთხვევაში ხელოვნებაა. მკურნალი უნდა იყოს პირველ რიგში ადამიანთმცოდნე, რაღაც ზომით ფსიქოლოგიც, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში პაციერტი, ანუ ადამიანია ავადმყოფი და არა რომელიმე ორგანო. უნდა დაადგინო რა აწუხებს მას. რამ მიიყვანა ის ამ მდგომარეობამდე, ამოფარებულია თუ არა იგი თავის ავადმყოფობას. უნდა თუ არა მას მკურნალობა, რამდენად მზად არის ის საამისოდ. რამდენად მართვადია ის (პაციენტს ხომ ყოველთვის სასიცოცხლო პროცესის თვითმართვის უნარი აქვს მოშლილი), და ა.შ.

მკურნალმა უნდა დააჯეროს პაციენტი საკუთარ შესაძლებლობებში, უნდა გაუჩინოს განკურნებისი სურვილი, ჩაუნერგოს მორჩენის იმედი, რომ მოუხსნას მას პანიკა, დააძლევინოს შიში, სევდა, რომ მისცეს მას რწმენა, რომელიც მკურნალს აუცილებლად ხელს შეუწყობს პაციენტის სასიცოცხლო ძალების მობილიზებაში. ბოლოს კი საჭიროა ადეკვატური სამკურნალო საშუალებების მიწოდება, რომელიც აუცილებლად გამოიღებს შედეგს — რწმენამან შენმა გადაგარჩინა შენ. ერთი სიტყვით მკურნალობა თვით მკურნალისა და პაციენტის რთული და ღრმა ადამიანური შრომატევადი თანამშრომლობაა, სადაც განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს მკურნალის პროფესიული, პიროვნული და ადამიანური თვისებები.

ჩემს მიერ შემუშავებული მკურნალობის ფსიქო-აპი-ფიტო, ანტისტრესული მეთოდი ამ პრინციპების გათვალისწინებითაა აგებული.

— რუსთაველის იმპერატიული დასკვნა: თხა და მგელი ერთად ძოვდესო, ქართველთა და ალბათ, არა მარტო ქართველთა ოცნებაა დასაბამიდან... აი, ურთულესი დილემა კაცობრიობის თავზე. აქ ნაკლებად გამოგვადგება პროკრუსტესეული ხელოვნური დაჭიმვები და დამოკლებანი. პროკრუსტეს სარეცელი, დიახაც, დღეაბნდნელი ცდომილი მედიუმის სმბოლო უფროა. ხოლო შენეული დამოკიდებულება მე უფლისეულ მიმართებად მიმაჩნია ადამიანური დეპრესიების ასალაგმავად.

საინტერესოა მაინც რა კატეგორიის პაციენტებთან გიხდებათ უფრო ურთიერთობა? როგორია მათი ზოგადი სახე? და რამდენ ხანს გრძელდება თქვენი ურთიერთობა? როგორია შედეგები? მე სასწაულების აუცილებლად მჯერა, თუკი ამ სასწაულების მოსახდენად ნოყიერი ნიადაგია შემზადებული. ზღაპრებს, სენსაციებს ჰყავთ თავიანთი მომხმარებლები.

მ.ბ.: — ჩემს პაციენტებში ყველაზე მეტი დაავადებები ზემოთ აღნიშნული ასპექტით აღენიშნებათ. ცხადია, იგი ვლინდება სხვადასხვა ფორმით: ნერვიული და ფსიქიკური მოშლილობები; იმპოტენცია, პროსტატიტი, სექსომანია, ფრიგიდულობა, ორიენტაციის შეცვლა და ზოგიერთი კერძო ხასიათის სექსოპათოლოგიური დარღვევები — ალოპეცია, ჭარბი ცხიმიანობა — სებორეა, ეგზემა, ფსორიაზი, მარილების დაგროვება, კუჭ-ნაწლავის მოშლილობა, ჰემაროი, რევმატიზმი, გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიები, თმის მამაკაცური ცვენა, ქერტლი და სხვადასხვა სახის სოკოვანი დაავადებები.

სოციალურ ფაქტორებთან ერთად ფსიქოემოციურ ტრავმაში უნდა ვეძებოთ აგრეთვე დღევანდელ დროში მოზღვავებული პროსტიტუციის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის ფარული მიზეზებიც. რამეთუ ტრამვირებული ფსიქიკა დროულად ვერ ხსნის სტრესს, რაც იწვევს აუტანელ დისკომფორტს და ბუნებრივია, ადამიანი იძულებული ხდება მიიღოს ანტიდეპრესანტები. მოგ,ეხსენებათ, მისი ხშირი მიღებისას ყალიბდება ადამიანში ფსიქოფიზიკური დამოკიდებულება. არა ყოველთვის, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, დიახაც, ასე ხდება, უკვე ახალი მეორადი დაავადების ჩამოყალიბება, მისი ფიქსირება და ქრონიკულ ფორმაში გადასვლა, რომელიც მის მატარებელ პაციენტს დროთა განმავლობაში აუცილებლად შესძენს გასაგები მიზეზების გამო კრიმინოგენურ მენტალიტეტს. სამწუხაროდ, ამ მიზეზებით ძალაუნებურად ხდება ის სოციალურად საშიში პიროვნება. ერთი სიტყვით, კრიმინოგენური მენტალიტეტის მიზეზი დევს სიცოცხლის როგორც ფსიქიკურ, ასევე სომატურ და ყოფის სოციალურ-ეკონომიკურ საფუძვლებში. დანაშაული ყველა

სახელმწიფოში, ყველგან და ყოველთვის ისჯება, მაგრამ მისი პროფილაქტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების წესის გაჯანსაღებით უნდა იწყებოდეს და არა ჩაკეტილი ციხეებში ქურდულ გაგებასთან სასტიკი მეთოდებით ბრძოლაში. რადგან იქ, ბნელ ოთახში კატას ტყუილად ვეძებთ. ძაღლის თავი სინამდვილეში სულ სხვაგანაა დამარხული. და ბუნებრივია, იმ დიდი ძალისხმევის და სურვილის მიუხედავად ორმხრივი მსხვერპლის გარდა შედეგს ვერანაირს მივიღებთ.

— გვინდა მეტი გვესაუბროთთქვენს პაციენტებზე. „თერაპიის სახლის“ მომავალი თქვენეულმა პრაქტიკამ განჭვრიტა. მათაც უამრავი გამოცდილება დაუგროვდათ. არის იქ ერთი ქალბატონი, ლალი ანდრიაშვილი, რომელიც ბრონქიალური ასთმის პრობლემებზე მუშაობს. ვახსენე ჩვენი ოჯახის სამკურნალფორმო საშუალების შესახებ და სკეპტიკურად მოეკიდა ჩემს განცხადებას. არადა ათწლეულების მანძილზე დედაჩემ კლარა გელენახეს ათასობით ადამიანი მოურჩენია ბავშვიდან მოყოლებული მიხრწნილი მოხუცით დამთავრებული. საამისოდ კი 500 მილიგრამიდან ორ ლიტრამდე წამლის ხსნარია საჭირო. ამისთანა უამრავი სამკურნალო საშუალება გააჩნია კელხეთს საქართველოსთან ერთად.

მ. გ.: — ვინც უნდა იყო შენ, გენიალური ადამიანიდან რიგით მოკვდავამდე, შეუძლებელია ცხოვრებაში არ შეხვდე სხვა ადამიანს, რომელიც რაიმე ნიშნით შენზე აღმატებულიმ არ იყოს. ასევე არ არსებობს განსხვავებული აზრი, გნებავთ სრულიად მიუღებელი, რომელიც არ შეიცავდეს რაიმე საგულისხმოს და დამაფიქრებელს. ცხადია, ასევე არ შეიძლება არსებობდეს რაიმე სახის ისეთი უნივერსალური მეთოდი, რომელიც ერთნაირად იმუშავებდა ყველგან და ყოველთვის ნებისმიერ პაციერტთან. მიმაჩნია რომ ყოველნაირ სიახლეს, თუკი ის არ არის მიმართული ადამიანისა და ადამიანურობის წინააღმდეგ, ფრთხილი, მაგრამ გულისხმიერი მოპყრობა სჭირდება. მით უფრო, რომ მას, როგორც წესი, ხშირ შემთხვევაში დროის მოთხოვნები განაპირობებენ.

ჰარმონიიდან მოწყვეტას პირველ რიგში განაპირობებს არასწორი ცხოვრების წესი, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ აუცილებლად მიგვიყვანს ამა თუ იმ დაავადებამდე, რომლის წინასწარი პროგნოზირებაც ადვილად შეიძლება. ჭკვიანი და დაკვირვებული მკურნალი აუცილებლად უნდა სწავლობდეს პაციენტის დაავადების წარომავლობას. ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ დაავადებათა თითქმის 50 პროცენტი მეორადია. ბოლომდე კი ამ შედეგს დღემდე არსებული ვერანაირი წამალი ვერ განკურნავს თუ პარალელურად არ ვიზრუნეთ დაავადების გამომწვევი ფაქტორების მიზანმიმართულ პროფილაქტიკაზე.

მეორე არსებითი მიზეზი დაბინძურებული გარემო პირობებში ცხოვრება და საქმიანობაა. დედამიწის ყველა რეგიონში ჭარბად აღინიშნება, როგორც ლოკალური, ასევე დიდმაშტაბიანი ეკოდაბინძურებები. სამწუხაროდ დღევანდელ პირობებში ყოველივე ეს შედეგია თანამედროვე ცივილიზაციის, ასევე ხშირ შემთხვევაში ადამიანთა უმეცრებისა და დაუდევრობისა. ჩვენი ასეთი წინდაუხედაობა იწვევს, როგორც სხვადასხვა სახის დაავადებათა კონკრეტულ შემთხვევებს, ასევე კაცობრიობას უქმნის ეპიდემიისა და პანდემიის საშიშროებებს. მაგალითად, ჩვენს დღევანდელობაში ქათმის გრიპი და ა.შ.

— მართალს ბრძანებით. ეკოსისტემა დაირღვა. ბუნებაში დისბალანსია. ჟანგბადი გაიშვიათდა. რადიაციული ფონი გაზრდილია. ვაფეთქებთ ატომურ ბომბებს მიწის თუ წყლის ქვეშ სემიპალატინსკსა და ნევადაში. ადამიანი გულმოდგინედ ჭრის იმ ტოტს , რომელზეც არხეინად იჯდა აქამდე. დედამიწაზე მომხდარი კატასტროფა დინოზავრების გაუმაძღარი მადის შედეგი ჰგონიათ მეცნიერებს. არაფერი ჰყოფნიდა მათ ღორმუცლობას და მცენარეული საფარველი პირწმინდად მოაშიშვლეს. ხელო შემდგომ, როცა გამყინვარების უეცური დატრიალდა დედამიწაზე, კი მიაშურეს გამოქვაბულებს კვერცხების დასადებად და დადეს კიდეც ეს კვერცხები, მაგრამ ყინვამ იქაც მოაასარგალა მათი სახსენებელი. ასე რომ, კლონირებასღა თუ შეუძლია დინოზავრის აღდგენა დღეს ან მათი მონათესავე პოპულაციების — ხვლიკების გენეტიკური კოდის გარდაქმნას რადიაციული ზემოქმედებით. იგივე სიტუაციაშია გვიმრის ბალახი და ხეები, ხე-გვიმრები. ადამიანი ამჩნევს თავის გარშემო არსებული ბიოსამყაროს კატასტროფულ ვითარებას და კოსმოსიკენ მიისწრაფის ახალი დედამიწის აღმოჩენის იმედით. მაგრამ მზის სისტემაში ჯერჯერობივთ ვერსად ფიქსირდება სიცოცხლისთვის ხელსაყრელი პლანეტა. შეგიძლიათ მიზეზთა ჩამოთვლა?!

მ. ბ.: — მესამე მიზეზი ჭარბი მგრჟნობიარობაა. ეს უქმნის ჩვენი დროის მედიცინას ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემებს. კერძოდ, ესაა სტრესის ჯანმრთელობაზე ზემოქმედება. ამ კატეგორიის

ფსიქოტიპებს უჭირთ ძირითადი ფასეულობის მეორე ხარისხოვნისგან გარჩევა, რის გამოც ვღებულობთ გაუგებრობებს, ქაოსს, უარყოფითი ვალენტობის ძლიერ შეგრძნებებს. ასეთი ადამიანი განიცდიან ნამდვილი შეგრძნებების ნაკლებობას. ჩვენი ნერვიული სისქტემა ბოჭკოებისგან შემდგარი ფიზიკური სხეულია. ჩვენს სულს გარკვეული ადგილი უჭირავს სივრცეში და ის ჩვენშია მოქცეული. არ შეიძლება მას განუწყვეტლივ თრგუნავდე და არ დაისაჯო. რადგან ადამიანის არსებობის საფუძველი კეთილშობილური მიზანი და სიცოცხლის წყურვილია. ყოველ დაავადებას თან სდევს შიში, სასოწარკვეთა, პანიკა, რომელიც, როგორც წესი, ამცირებს პიროვნების გამოჯანმრთელების შანსს, ან სრულიად სპობს მას. ,,სასიცოცხლო ძალა'' ქვეყნად ყველაზე იდუმალი ძალაა. მას შეუძლია გამოჯანმრთელების იმედი რეალურ ბიოქიმიურ ცვლილებებად აქციოს.

ორგანიზმში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებზე არასასურველ ცვლილებებს იწვევს უარყოფითი ემოციები. დადებითი ემოციები კი პირიქით სასიკეთოდ მოქმედებენ მასზე. ე.ი. ჯანმრთელობის მომანიჭებელი ემოციებია. როგორც თქვენ ბრძანეთ, ,,თერაპიის სახლში'', ალბათ, ამ ფაქტორის გათვალისწინება ხდება მკურნალობის პროცესში. პროფესიონალმა მკურნალმა, ცხადია, მეტნაკლებად უნდა იცოდეს, როგორ გამოიწვიოს ფსიქიკური მართვის უნიკალური უნარი, დარაზმოს ,,სასიცოცხლო ძალა'' ავადმყოფობასთან საბრძოლველად.

დაავადების მიზეზების დადგენა, სწორი დიაგნოზი, ჯანმრთელი ცხოვრების წესისკენ შემობრუნება, ,,სასიცოცხლო ძალების'' მობილიზება და გააქტიურება, განკურნების ადეკვატური საშუალებების მიღება, მორჩენის რწმენა, მკურნალისადმი ნდობა, მოთმინება და შრომა (მკურნალობა ადამიანის აქტიური მოქმედება-შრომაა), ერთიანობაში განაპირობებს პაციენტის დროულ გამოჯანმრთელებას.

ნებისმიერ საზოგადოებაში გარდა დაავადებისა, არსებობს მოხუცებულობის პრობლემები. რაში ვლინდება ძირითადად იგი? ცხადია, სასიცოცხლო უნარების დაქვე- ითებაში. რა იწვევს მას ასაკობრივ ცვლილებებთან ერთად?! ძირითადად — მარილების დაგროვება, რევმატული დაავადებები და გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიები. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ხალხური მედიცინის საგანძურში მე მივაგენი გენიალურ ცოდნას, რომლის მეშვეობით **ორ-სამთვიანი მკურნალობის** შემთხვევაში **ადამიანი** თვალსაჩინოდ გამოჯანმრთელდება და რამდენიმე წლითაც გაახალგაზრდავდება კიდეც. ჩემს პრაქტიკაში მე ამის მრავალი შემთხვევა მაქვს დაფიქსირებული. თუმცა ვაღიარებ, რომ მათთან მუშაობა, როგორც ფსიქოლოგიური, ისე სხვა თვალსაზრისითაც ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ჩვეულებრივ პაციენტთან.

ჩემი პაციენტების მნიშვნელოვან ნაწილს ალოპეციით, თმის მასობრივი ცვენის სხვადასხვა ფორმით დაავადებულები წარმოადგენენ. საგულისხმოა, რომ აშშ-ში ყოველწლიურად ალოპეციის პრობლემების სამეცნიერო კვლევაზე 250 000 დოლარზე მეტი იხარჯება. სადღეისოდ ამ დაავადების სხვადასხვა ფორმების სამკურნალოდ გაერთიანებული ძალებით იბრძვიან საფრანგეთის, გერმანიის და შვეიცარიის ექიმ-მეცნიერები. მათ ერთობლივი ძალებით შექმნეს ხბოს ფარისებრი ჯირკვლისაგან დამზადებული ჰორმონალური პრეპარატი, რითაც 19 თვეში ამოჰყავთ თმა.

დაბეჯითებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ ამ დაუდგენელი ეტიოლოგიის დაავადების გენეზისიც ფსიქოემოციური ტრავმაა, რომელსაც იწვევს სტრესი, ანუ ძლიერი ფსიქიკური დაძაბულობა, რომლის შედეგად ირღვევა ორგანიზმში ნერვიულ და ენდოკრინულ სისტემათა შეთანხმებული მოქმედება. რის შედეგად იშლება სხეულში კორტიკოსტეროიდების ბუნებრივი ბალანსი. ყალიბდება ორგანიზმში თმის ტოტალური ცვენა, პოტენციის დაქვეითება და ხშირ შემთხვევაში უშვილობა. საზოგადოება ნაკლებქადაა ინფორმირებული ამ დაავადების შესახებ. ერევათ იგი (მძოვარაში), თმის ბუდობრივ ცვენაში, რომელსაც იწვევს თმის სოკო, ე.წ. კრეჭია სებორეა. მედიცინაში დღესაც საკამათოა ალოპეციის გამომწვევი მიზეზები, რაც პაციენტებში დამატებით შიშს, პანიკას და დეპრესიას იწვევს. ის შეუქცევადი შედეგები, რომლებიც მე ამ ტიპის პაციენტებთან მაქვს, დაავადების პირველ, მეორე და მესამე სტადიაში სწორედ რომ ფსიქო, აპი, ფიტო მეთოდების ერთდროული გამოყენების შედეგია.

რადგანაც თმის ცვენა, ქერტლი, ჭარბი ცხიმიანობა არ იწვევს უშუალოდ ადამიანის სიკვდილს, ერთი შეხედვით საზოგადოებრივად ნაკლებად აქტუალურია. რა არის თმა და რა იწვევს თმის ცვენას? თმა ორგანიზმის ბიოლოგიური ანტენაა. მისი მეშვეობით ორგანიზმი იღებს ინფორმაციას, როგორც ფიზიკური, ასევე კოსმოსური სინამდვილიდან. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ხდება სასიცოცხლო ფუნქციების შეთანხმებული მართვა და ოროგანიზმის გარემოსთან შეგუება. ე.ი. თმა გარკვეული გაგებით ორგანიზმისათვის სიცოცხლის თვითშენახვის ინსტრუმენტია. დადგენილია, რომ თმიანი ადამიანები შედარებით უფრო დიდხანს ცხოვრობენ, ვიდრე უთმო, მელოტი ადამიანები.

გარდა თვითშენახვისა, ჩვენ უკვე ვიცით რომ ადამიანი განუწყვეტლივ იბრძვისი თვითგან-მტკიცებისათვის. თმა აქაც გარკვეულ აქტიურ როლს ასრულებს. ვინაიდან კარგი თმა ეს ესთეტიკაა. მშვენიერი ადამიანი საზოგადოებისათვის უფრო მისაღებია და ის (კარგი გაგებით) გარკვეულწილად საშვია ადრესატისათვის საზოგადოებაში საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად. ნებისმიერ ადამიანს გარდა საქმიანობისა, საკუთარი ,,მეს'' რეალიზაციისათვის აუცილებლდად სჭირდება საპირისპირო სქესის განმამტკიცებელი. თმიანი ადამიანი ნაკლები სასიცოცხლო ენერგიის ძალისხმევით ახერხებს სასურველი შედეგის მიღწევას. ის ნაკლებალდ კომპლექსდება და საზოგადოებაში აღწევს ,,მეს'' სრულ თვითრეალიზაციას. ანუ ის ხდება წარმატებული, რომელიც პირველ რიგში აუცილებელი პირობაა ადამიანური ბედნიერებისათვის. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თმის ცვენას იწვევს ძლიერი სტრესით გამოწვეული ფსიქო- ემოციური ტრავმა, რომელთა დროსაც ადგილი აქვს ხერხემლის მალებიდან თირკმელზედა ჯირკვალზე და ფილტვებზე მიმავალი ნერვიული ძარღვების ქრონიკულ შეკავებას, მოდუნებას, რის გამო ირღვევა ენდოკრინული და ნერვიული სისტემებს შორის ბუნებრივი კავშირი, არ გამოიყოფა საჭირო რაოდენობის კორტიკოსტეროიდები და ბუნებრივია, ფილტვები და თირკმელზედა ჯირკვლები ნელ-ნელა კარგავენ კანსა და თმის მდგომარეობაზე ორგანიზმის მიერ მინდობილი მაკონტროლებელ ფუნქციას.

მეორე ძირითადი მიზეზი თმის ცვენისა არის სოკოვანი ინფექციები. თანამედროვე მედიცინაში დადგენილია, რომ არსებობს ადამიანის პარაზიტი სოკოები: კანის, ლორწოვანი გარსის რა რქოვანას (თმისა და ფრჩხილების) განსხვავებული სახეობები. უფრო მეტიც, თითოეულ მათგანს როგორც თმაზე, ისე მის განსაზღვრულ ადგილებში ჰყავს მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი სოკოები და ბაქტერიები. **როგორ დაუჯერებელადაც არ მოგეჩვენოთ, ქართულ ხალხურ მედიცინას აქვს სოკოს, როოგრც პროფილაქტიკის, ისე მისგან სრული განკურნების საშუალებები. მე პირადად მაქვს ფიტო-პროდუქტი, რომლითაც შემიძლია მოვარჩინო ნებისმიერი ადამიანი,ი ნებისმიერ ასაკში თმის სოკოსაგან და დავიცვა ყოველი მათგანი გამელოტებისაგან.**

— თუ შეიძლება დააკონკრეტეთ თქვენი მკურნალობის ეფექტურობის საფუძვლები.

მ. ბ.: — მკურნალობის ანტისტრესული მეთოდის საფუძვლებია:ფსიქოთერაპია დაფუძ- ნებული დ. უზნაძის განწყობის თეორიასა და კლასიკურ ფსიქოანალიზზე ;

აციენტებთან მუშაობის დროს ჩვენ საუბარში ერთად ვაცნობიერებთ დაავადების პირველ მიზეზებს. თანდათან ვადგენთ რომელია მათ შორის წამყვანი. შემდგომ ეტაპზე ჩვენ ვიწყებთ პაციენტის აზრის დასუფთავებას. არასწორი მსოფლმხედველობა და ჭუჭყიანი აზრი ზოგჯერ თვითონაა დაავადების გამომწვევი დამატებითი ფაქტორი. მკურნალობის პროცეს- ში ეს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. ვინაიდან ხშირ შემთხვევაში პაციენტს თვითონ აქვს ჩართული მისთვის გაუცნობიერებლად თვითგანადგურების პროგრამა. ერთად ვაყალიბებთ ჯერ სწორ აზრს. შესაბამისად ვცდილობთ ერთობლივად შევიმუშაოთ სწორი აზრის ადეკვატური ქცევები. ამით ჩვენ ვახერხებთ შევცვალოთ მისი განწყობები, ზოგადად კი პაციენტის დამოკიდებულება, როგორც სტრესორის, ასევე სინამდვილის დანარჩენი ხილულ საგნებისა და მოვლენების მიმართ.

სტრესორისადმი მიმართების კორექცია. ზოგჯერ სტრესორი პაციენტისათვის იმდენად ახლობელია, რომ მისგან მომდინარე სტრესი თითოეულისათვის ლამის გარკვე- ული ბედისწერაა. (ნარკომანი შვილი, შვილმკვდარიმ დედა და ა.შ.) ასეთ შემთხვევაში საჭიროა სტრესორისადმი პაციენტის დამოკიდებულების შეცვლა. იგი მას მკურნალისაგან დამოუკიდებლად ვერ მოახერხებს. აქ ძალიან ფრთხილი და ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო;

მკურნალობის ვადების სიმცირე. განსაკუთრებული შემთხვევების გარდა ჩვენთან გამოჯანმრთელებისათვის საკმარისი დროა ერთიდან სამ თვემდე;

ძირითადი სასიცოცხლო სისტემების გაწმენდა აპი და ფიტო პროდუქტებით;

ეკოლოგიურად სუფთა, გარანტირებული ხარისხის აპი და ფიტო პროდუქცია.

სულისა და სულის ტაძრის (ორგანიზმის) ერთდროული მკურნალობა.

— რამდენადაც ვიცი განათლებით ფსიქოლოგი ხართ. რა მიზეზებმა განსაზღვრა თქვენს მიერ ძველი ქართული მედიცინის საიდუმლოებების დაუფლება?

მ.ბ.: — ყველა ადამიანი თავისი ბავშვობიდან მოდის. ის ისტორიული არსებაა და მა აქვს გამოვლილი რაღაც თავგადასავლები. კაცობრიობის ისტორიაც ომების, თავგადას- ავლების ისტორიაა. უძველეს კოლხურ სახელმწიფოს გააჩნდა ენის ორი განშტოება მეგრული და ლაზური. ჩემი გვარი გაბრა ლაზური წარმოშობისაა და როდესაც შორეულ ისტორიულ წარსულში

ბიზანტიამ მიისაკუთრა დასავლეთ კოლხეთის დიდი ნაწილი, ჩემი გვარის ერთი შტო სამშობლოს იქით დარჩა .(სამწუხაროდ ეს პროცესი პერმანენტულად მიმდინარეობს დღევანდელ აფხ-ლაზეთში). ისინი საუკუნეების განმავლობაში იბრძოდნენ ტრაპიზუნტის სამთავროს მმართველობისათვის. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია მიხაელ გავრასი 1365 წ. და ჩემი გვარის ბევრი სხვა წინაპარი იმ ძველ ხანაში ბიზანტიის იმპერიის ცნობილი ექიმები იყვნენ. მათი ისტორია დაკარგული გაბერძნებული შთამომავლები დღესაც გავრასების (გავრა გაბრას წინარე გვარია), გვარით ენერგიულად იბრძვიან დღევანდელი თურქეთის იმპერიაში თვითდამკვიდრებისათვის.

პაციენტისადმი ემპათია (თანაგანცდა) ძნელია თუ იმავე მდგომარეობაში თავად არ ყოფილხარ, ან არა ხარ . სწორედ იმის გამო, რომ თავად მე ახალგაზრდობაში (19 წლის ასაკში) მოულოდნელად გავხდი ავად (ქრ. ჰეპატიტით), საოცარი სიზუსტით ვგრძნობ პაციენტის ფსიქოემოციურ მდგომარეობას. ჩემთვის ძალიან ახლობელია მორჩენილი პაციენტების მკურნალისადმი მადლი- ერებით აღსავსე გრძნობაც. თავის დროზე ჩემს გამოჯანმრთელებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ცნობილმა პროფესიონალებმა: **ვახტანგ ბოჭორიშვილმა, გურამ რცხილაძემ, ავთანდილ სამადაშვილმა, ვლადიმერ ჭავჭანიძემ და უშუალოდ ჩემმა მკურნალმა — უანგარო და გულისხმიერმა ექიმმა ლია შარტავამ. მახსოვს მე იმ პერიოდში თითქოს თავიდან დავუიბადე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მზრდიდნენ და მასწავლიდნენ, ამ სიტყვის ყველაზე კარგი გაგებით, ცნობილი პროფესორ-მასწავლებლები: რევაზ ნათაძე, ნინო ადამაშვილი, ლევან ნათაძე, ვენორი ქვაჩახია, შოთა ნადირაშვილი, კოკი გრიგოლავა, ოთარ ტაბიძე, გოგი მჭედლიშვილი, რუსუდან ახობაძე, გოგი კეჩხუაშვილი, აკაკი ბაინდურაშვილი, რეზო ქვარცხავა, ვაჟა გოროზია, ზურაბ კაკაბაძე, გურამ თევზაძე, მედეა შენგელაია, დალი ფარჯანაძე, გივი ქირია, ოთარ გაბიძაშვილი, აკაკი ჩხარტიშვილი, ანზორ ტყემალაძე, ვახტანგ გოგუაძე, ნიკო ჭავჭავაძე, ვლადიმერ ჭავჭანიძე** და სხვ. შემდგომში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე მათთან ერთად ვიმუშავე სრული 23 წელი, მაგრამ წუთისოფელი ბოლომდე ვის გაახარებ?! თავი დროზე მეც მოვყევი ჩვენს სამშობლოზე გარედან თავსმოხვეულ ამა ქვეყნის დიდ გაუგებრობაში, ვნანობ რომ პიროვნული წყენა ვერ დავძლიე და ვერ ვიბრძოლე სათანადოდ საკუთარი უფლებების დასაცავად. მაგრამ ზღაპრის მსგავსად ზოგჯერ ცხოვრებაშიცაა კეთილი ბოლო. მე შევძელი მომეძია და შემევსო თითქმის ყველა ძირითად დაავადებაზე საქართველოს მასშტაბით გაბნეული საიდუმლო სამკურნალო ცოდნა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ეს გასაიდუმლოებული, გათითოკაცებული და სამწუხაროდ მიმოფანტული სამკურნალო ცოდნა ისეთივე უნიკალური და გენიალურია, როგორც— ჩვენი პოლიფონია, ჩვენი ფოლკლორი.

XX სასრულისა და XXI დამდეგის საქართველოს ახლოით განჩხრეკა

პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა,

და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგით, აცხადებს იოანე და ამითგამჟღავნებულია უფლის ექვსდღიანი მუშაკობის უმთავრესი ენერგიის სიტყვაში აკუმულაცია. ძე-ხორციელი ცაბაოთის ხატად და სახედ შექმნილი განზომილება თუა, სიტყვა — მაცხოვართან მყოფი, მეტიც — თავად არსთაგამრიგეა, ნაღები, პირველმოხდილი არაყი ზავოტობისას, იგივე ნადუდა მარგალური გაგებით, ხეგრძნეული, ხე მყოფადისა და ცნობადისა, კეთილ-ბოროტის ვარჯი, მაგრამ — არა უკვდავების გენია. სვეტი ცხოველი, საძოთხეში ეულად დარჩენილი უკვდავების სათავე

მეორე ხეა, რომელსაც თვით გილგამეშიც ამაოდ ეპოტინება საძოთხიდან

ევა-უნასიანად გამოძევებული ადამის ნაშიერითურთ

ქართული მისტერია იდეალური მოდელის შექმნის გზაზე აჯვარებს, აჯვარედინებს ორ ურთიერთგამოშრიცხავ მიმართულებას. ძე და ხე ამისი ნათელი მაგალითია. როგორც ასომთავრულში ასონიშან „ანის“ შებრუნებული წაკითხვაა „ცანი“. „ძ“ ბლუს ჰე-მე-მ-ე და „ხ“ ბლუს ჰე-მე-მ-ე ყველა საიდუმლოს გასაღებია. ანუ მდედრი — მამრის სარკისებური წაკითხვა სანამ მოწყენილ ადამს მიაძინებდნენ, ნეკნს ამოაცლიდნენ საკუთარი მეობის ბოლარული ანარეკლით დასატკბობად.

ეს იგივე მოჩვენებითი ნარცისიზმია. მაგრამ ქართულ ცნობიერებაში ჭყონდიდი იტვირთავს მიწიერ-ზეციურის ერთიანობის მისიას, რაც განხორციელდება კიდეც კაცობრიობის ისტორიაში დაუმარცხებელი ერთადერთი მეფის, დავით აღმაშენებლის აღსაზევებლად. ჭყონდიდი ხორციელ-სულიერის ერთიანობის ქართველური სიმბოლოა. იგივეა, რაც სკისათვის დედა-ფუტკარი. კირბისი უფრო შორს გაიჭრება სიტყვის საქმედ გადაქცევის გზაზე — კირბების, სამკუთხა დაფებზე აღმართული კანონებით აწესრიგებენ კოლხები ცხოვრებას. ეტალონი კი ორი ტოლგვერდა სამკუთხედის ურთიერთგაჭოლვით მიიღწევა. ანუ მდედრისა და მამრის ერთიანობით. ამისი დასტური დავითის ვარსკვლავია. ხოლო წვეროებით ურთიერთშეკავშირებული აშნაირი აღნაგობა ქმნის სიქსტოგრამას — ხელდასხმულის ქმედების ეტალონს, იგივე გონიოს ნაცადი ხუროსათვის. კირბისი ყველა კანონის ქინძისთავის წვერზე დამტევი განზომილებაა.

ენგიდუნია

ვინემ თავად სამყაროს ფენომენს ჩავღრმავებივართ ექსისტენციდან მოყოლებულს, იქნებ ბელეტრისტული მატიანეს საგუმბათოდ მოშველიებული ხიპერშეჯამების დედაარსში გავერკვეთ რამდენადმე,, რამეთუ საქართველოს მატერიალურ-სულიერი ფასეულობანი საკაცობრიო იდეალების საქანდაკოდ ამოუშიშვლებია შენს გურუს — გური ოტობაიას და თუ მეცნიერული გონებადაუნჯებითაც დაწდევდება მისი ცხოვრების ორმესამედ აღმართზე, ესეც ერთგვარი წიწამურია.

მიზანი გრანდიოზული, ლამის მიუწვდომელი დავისახეთ თითქოს, მაგრამ ნურც სამასლაათოდ მომართულის სადაურობას დავივიწყებთ წამით, გულისხმიერო მოწაფევ, და იმასაც, რამდენი შრომა გაგვიწევია ოქროს საწმისის, იგივე ბიბლიური ხესაზრისის თუ ხეცხოველის, გნებავთ კირბისების თუ ,,დაწუნებული ლოდის'' იდუმალი არეების სარესტავრაციოდ.

და ვინაიდან გამეორებას ცოდნის დედამფარველად დასახავენ ხოლმე ცხებულნი, ნუ დამზარდები აწგავლილი ორწოხების რეტროსპექტულ ანალიზს ძეხორციელთათვის ,,ხელიხრისუმ'' — უკვდავა მცენარის, იგივე ნეგოს, სვარნას, მესხური ლაწუნას თუ მეგრული ვაღურიას პერიპეტიებით.

ბიბლიიდან დავიწყოთ, დაბადებიდან.

მოზელილია ტალახიდან ადამი.

შთაბერილია მისთვის ღვთიური სული.

მირთმეულია ფიანდაზად სამოთხის სრული წალკოტეული ოთხად განტოტვილი მდინარით — ფიშონით, გისონით, ხიდიკელითა და ფერათი რწყული.

ამოცლილია უფლის პირველქმნილისაგან ძილქუშში ნეკნი და გამოძერწილია მისგან ხატად მიჩნეული კაცის მოწყენათა განსაქარვებლად ევა — ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი.

ცაბაოთის ექვსდღიანი გართობა სამყაროს აკინძვის გზაზე დასასრულს მიახლოვებია თითქოს, მაგრამ დიახაც ამიერიდან იწყება ზეციერის მარათონული ჭაპანწყვეტა; მეშვიდე დღე თვალის წამიერი მოტყუებისათვის გადაინაცისფრება, გადაიძილქუშებს უფალთუფალი და მის სავარაუდო აუმღვრევლობას აღსრულება ჭინჭრები მისჩენია — მარადიული სიფხიზლე მოუხვეჭავს წინადუხედავი მუშაკობის საწინდრად — პოტენციური დამამხობელი გამოუჩეკავს, თუმცა რიგისობით ყოველი.

მოხელთებულია უკვდავების გუჯრები, ოღონდაც მტილოვანის შუაგულში აშრიალებული წყვილეული ხის ნაყოფს მოერიდონ — კეთილ-ბოროტისა და სიცოცხლის ხეთა საკრალურ ნაყოფს.

კატეგორიულობა: აკრძალულია, არეგების, ვაშინერს, ტაბუ აქვს დადებული, განსაკუთრებით ხეცნობადის მისამართითაა აფხიანებული, ხეცხოველი რატომღაც თავიდანვე იგნორირებულია.

ხოდა, დაიქოქება კიდეც დანარცხებული ანგელოზის — სათანაელის განსხეულება უნასი. აქამდე ველარაფრით მორევია მაცხოვრის ყოფლისმომცველობას, უბადრუკი მზვაობრობით გატოლებია ცაბაოთს და ამბოხების გამო დაუქვესკნელებია კიდეც ყველგანმსუფევს.

წეწავს კონფლიქტს სათანაელი: განა რამე დაშავდება ღმერთის ხატად და სახედ გაჩენილები, ადამევას კავშირით დაუპირისპიროს ცაბაოთს?

სიცოცხლის ხის ნაყოფი აგემოს ორზურგა ცხოველს — თავდაპირველ მამრსა და მდედრს, ვერაფერი ინტრიგაა. აქამდეც უკვდავნი არიან ისინი, იხილავენ ხეცხოველის სიმსუყოვნეს და მერე რა, ღმერთი განიკითხავს ორივეს, თუნდაც გააძევოს სამოთხის არემიდამოდან, ბრმებივით იხეტიალებენ ენგიდუნიაზე ჭიაყლათა სადარნი მიწყივ და იქნებ მამაბატონი გახარებულიც დარჩეს მათი უმეცარი უსიკვდილო სუფევით?!

არა, არა, სათანაელს ხეცხოველის ნაყოფი არაფერში სჭირია, უმჯობესია კეთილ-ბოროტის ახოვან ვარჯს ააწაპნოს გონებისაგან ნისლეულების გადამფანტველი „მალუს პუმილა“.

უმჯობესია გონიერება შეიძინონ დროებით გარდაცვალების ფასად, უკვდავებას ისედაც ეზიარებიან ადრე თუ გვიან სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი ნაზარეთელისაგან და დაიძრება კიდეც საშოდან საკაცობრიო ტანჯვათა ლეგიონები.

მას აქეთაა ადამიანის ნაშიერი პირზე გადმომდინარე ოფლით რომ მოიპოვებს პურს თავის არსობისას.

ჭირთათმენით აჩენინებს დედაკაცს შთამომავლობას, მზვაობრობს მასზე. ხოლო თვითონ გრძელთმიანობით თავმომწონე ევას საუფლო, ქუსლით გაუჭეჭყავს თავს აქა-იქ ბარდებიდან ამოყლეყლავებულ უხსენებლის დასს და მიუხედავად ქრისტეს გახეული კრეტსაბმელისა, ველარაფრით იძებნება სამოთხისაკენ მისაბრუნებელი ბილიკების საწყისი გორდიას მენცარული ნასკვის დარად.

ღვთიური ათი მცნება შეავგაროზებია მის სარბიელს. პუნქტობრივად, მუხლიდან მუხლ შეუსისხლხორცებია ზენაარული ევფემისტური ორანი, მაგრამ მათი აღსრულების ჟამს ისევ ცხოველური — არიმანულ-ლუციფერული ჟინიანობით ჩამოშვებულა მწვერვალიდან საწუთისოფლო საფლობში და ქერუბიმებისაგან მკვიდრად მოზღუდული სიცოცხლის ხე — ხეცხოველი, მიუწვდომელია მისთვის ჩეროიან-ნაყოფიანა.

უკვდავების პერსპექტივა დაიხშო თითქოს ადამიანთათვის სამოთხის კარიბჭეთა დახურვით უფლის ჩხირკედელა მემკვიდრეობისათვის; მხოლოდ განსპეტაკებულნი, მიწიერ ცოდვათაგან აბსოლუტურად დაწვდევებულნი ეზიარებიან მას უსხეულო სუფევის პირობებში და აქ ხორცის ცხოველმყოფელი აღტკინება მარადიული სასუფევლის დაუფლების გზაზე ნულოვანი შედეგის გაბრძოლებაა, მარცხისთვის წინასწარ განწირული კოლექტიური მოლაშქრეობა.

ცხოვრების დიალექტიკაც ორ თარიღს დაუწესებს ძეხორციელის სანგვინიკურ დაუდგრომლობას — დაბადება-სიკვდილის უშეღავათო ნაპირებში მკვიდრად მოიმწყვდევა ეგზისტენცი.

და ჩვენ მართლაც დონკიხოტური განზომილების პრობლემას შევჭიდებივართ როგორი მუხტითაც აღჭურვო სხეულებრივი ინდივიდუალობა — ადამიანი, პლანეტა... — საშენი აგური კოსმოსისა — სასაცილო არ არის განა, უსიკვდილობის წყაროში ასხმარტალო უდასასრულოდ?!

განა სხვა რამე აგოდებს გილგამეშს მითოსური შუამდინარეთიდან?!

სადღა არიან ენლილი და ენქიდუ? ნებისმიერი ფალავანი აქილევსის მესვეურობით, თუ თავად მათი შემოქმედი ბრმა აედი, ხომეროსად სახელდებული კაცობრიობისაგან, რომელ განზომილებაში გარდასხეულებულან?

რომელს ვიწროვებია ნაპოლეონივით სამარე: არისტოტელეს, ბუდას თუ თავად ქრისტე ნაზარეთელს, მარიამისგან მხოლოდშობილ ძეს?!

რანაირი კიბეებით მიისვლება მათ საბუდრამდე?

თეოლოგია კი გვიდასტურებს მათ უსხეულო მარადისობას, მაგრამ აქეთ მატერიალიზმიც რომ გვაჭანჭყარებს დანარცხებული ანგელოზის სიფიცხით და მიზეზთა მიზეზს გვაჩხრეკინებს სულის უახლოესი ღველფიდან?!

ასტრონომიას დავუგდოთ ყური: მარსზე გალარული არხები, ოდესღაც წყლით უნდა ყოფილიყო სავსეო, ივარაუდება. ესე იგი აქაც უბობოქრია ცხოვრებას და არავინ უწყის როგორი ცივილიზაცია ნამდუღარება მის წიაღში თავისი პოეტებით, მეცნიერებით თუ ფილოსოფოსებითო?

სიკვდილ-სიცოცხლის არსზე საჭირბოროტო პრობლემა ნურასდროს მოგვიმრავლდება, შეგირდო ჩემო. მისი შარბათ-სამსალიანი ჩაკონვები უსაწყისო და უსასრულოა ამავდროულად თუნდაც ბოლოდროინდელი დაკვირვებებით, მაგრამ რა ჯანდაბა მოვუხერხოთ უკვდავების ძველკოლხურ მაძიებლობას — თავბოლოშენასკვულ ხორუმებს, ბორჯღალის შესადარ წრებრუნვებს საკუთარ მეობასა და სამყაროს გარშემო?

როგორ, რანაირად წავუყრუოთ სულში ეკალივით ჩარჩენილ ფრაზას მეგრული ფოლკლორიდან:

— ღურუშ წამალ ოლაფარეს ელაჩანდ, ვოუჩქუდეს ვარავა?!

ესე იგი სენტენციის კიდე-ზღვარს თუკი მივეახლებით, უსიკვდილობა თავად ადამიანის კორპუსში მოქცეულა, ამაოდ ვეპოტინებით მალამო-ნექტართა აურაცხელ გარშემოწერილობას, შიდაარსშია მთავარი საუნჯე.

ან რაფერ დავუხუჭოთ თვალი ჩვენს ყოველდღიურობას მდინარესავით აჩემებული შეგონებით:

— რამაც მოგკლა, მანვე მოგარჩინოს?!

იქნებ ავიცენას მიხვედრილობაც ამ ზეგონიერების მცირედი ანასხლეტია მხოლოდ — ოქროს საწმისის, კირბების — ნამარხი სხეულის ფრჩხილისხელა გამოელვება:

— უდაბნოში თუ გინდა გადარჩე, მიირთვი წყარო საკუთარ აუზიდანო.

დიახ, მოაწრედიანა ქართველმა სულში ნათუხთუხარი სიბრძნის მართუები და ოქროს საწმისის, კირბების მტკაველციდა არეებში მიუჩინა სამარადისო ბინა, საუკუნეების მიღმა მავანთაგან წაგვრილს, მაგრამ ხომ დაგვრჩენია უკვდავების ამბროზიის შედუღაბების უმაგალითო გამოცდილებაც, რომელიც ათასწლეულია მოითხოვს საშვილიშვილო ძალისხმევას და განუმეორებელი იროდი სართანიას მხარდამხარ ვეკამათები კიდეც საწუთროს ოთხმოციანი წლების გარიჟრაჟიდან.

და მაინც, ყველაფერი იწყება და მთავრდება იმით, რომ არსებობს კი საერთოდ უკვდავება, როგორც ასეთი, და რანაირ კანონზომიერებებს ექვემდებარება იგი? ალბათ, გასაზიარებელია შეხედულება, რომ უკვდავება აბსურდია ინდივიდისათვის, გნაბავთ ოლიმპოს მთის მკვიდრი ნახევარღმერთების, ღმერთკაცების დასტიდან ყოფილა იგი, თუმცა კანონზომიერია საზოგადოებისათვის, სამყაროსათვის საერთოდ.

თუკი ჩვენ დავუშვებთ ირგლივეთის რომელიმე განზომილების, ვთქვათ და: მატერიის, სივრცის ან დროის უკვდავებას, მაშინ ეს აზრი მთელს შემადგენელ ნაწილებზე გავრცელდება. ასევე, თუკი ვაღიარებთ, მაგალითისთვის, ადამიანის სხეულებრივ აღნაგობაში გულის უკვდავებას, გამოდის რომ სხვა დანარჩენი ორგანოებიც უკვდავია, ვინაიდან გარდაცვალების, გარდასახვის შემთხვევაში გული მარადიული რჩება და მასთან ერთად თვიდ ადამიანის მთლიანობის მაორგანიზებელი ყველა შემადგენელი კომპონენტი.

ამ სილოგიზმის გათვალისწინებით საქართველოს უკვდავება სულაც არ ნიშნავს ეგოისტურ შოვინიზმს, ნაციონალისტურ გამორჩევითობას, რამეთუ საქართველო უდასასრულო სამყაროს მშენებელი უმცირესი ნაწილია მხოლოდ და აქედან გამომდინარე იგი ბაწარაღებით რუდუნებს სრულიად ცივილიზაციის მარადისობისათვის. ამას ამაგრებს აქამდისაც მრავალგზის განჩხრეკილი ენერგიის შენახვის თეორია სამყაროში არსებული ნებისმიერი მოვლენის უდანაკარგობის თაობაზე.

უფრო შორს მიმავალია ბორის ბოლოტოვის სანტ-პეტერბურგში გამოცემული მონოგრაფია ,,შაგი კ დოლგოლეტიუ'', რომლის 68-ე გვერდზე მოხმობილია შემდეგი შეხედულება:

„ადამიანზე ზემოქმედების წყაროდ, არხად გვევლინება ინფორმაციათა ზემოქმედება. ინფორმაციის მცნებაში მე ვგულისხმობ ინფორმაციის ნებისმიერ მატარებელს. ინფორმაცია გადაიტანება ხმოვანი მატარებლებით, განსხვავებული წყაროებით, ოპტიკური მატარებლებით, როგორც ხედვით სპექტრში, ასევე სიხშირის მიხედვით; ასევე ინფორმაციებს

დიაპაზონის თვალსაზრისით, ანუ ულტრაიისფერ, რენტგენულ, გამა კვანტური დიაპაზონით, ელექტრომაგნიტური ტალღებით, გრავიტაციულს და ასე შემდეგ. ინფორმაცია აღიქმება ინფორმაციული გრძნობათა ორგანოებით. ისინი ადამიანს გააჩნია რვა:

I — სმენის ორგანო;
II — მხედველობის ორგანო;
III — შეხების ორგანო;
IV — გემოვნების ორგანო;
V — ყნოსვის ორგანო
VI — შემეცნების ორგანო;
V — ბიოველის აღქმის ორგანო;
VI — ზმანებათა, სიზმრისმხედველობის ორგანო;
VIII — ასტრალურობის,
ვარსკვლავთმჭვრეტელობის ორგანო;

გრძნობათა ყველა ეს 8 ორგანო, ჯერარსია აღიქვას ბუნება, როგორც უნდა იყოს იგი. ინფორმაცია არსებობს სრულიად მარტივი, როგორცაა მაგალითად მოკლე სიგნალები ანუ იმპულსები, მაგრამ აქვე გვევლინება შედარებით რთული, რომლებიც წარმოდგენილია სახეთა აღნაგობით, კონფიგურაციით. ადამიანი მზადაა ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად და გარდასაქმნელად ხატის კვალობაზე".

გეხსომება, შეგირდო ჩემო, ოსტატის ვარაუდები ადამიანის განზომილების თვალთახედვით. მისი ფიზიკური აღნაგობა ხუთ მახასიათებელ ნიშანს გამოარჩევს-მეთქი: მხედველობას, სმენას, ყნოსვას, გემოვნებას და შეხებას. ამათი ერთობლიობით, ჩვენ გამოვკვეთეთ აზროვნება და ბოლოს მეშვიდე — გონების თვალი, ზესრულყოფილება.

ბოლოტკოვის ხიპოთეზა ადამიანის რვაგანზომილებიანობის თაობაზე მატერიალისტურია და ამავდროულად იგი ხომო საპიენსს ჩუბინიძის უფლისეულ სუფევას უახლოვებს.

ადამიანის ტვინის უჯრედების კოლოსალური ოდენობის გათვალისწინებით ადვილდასაშვებია არამარტო მის ღვთიურ შესაძლებლობათა, არამედ თავად სამყაროს პარამეტრების დადგენაც, ოდეს შინაგან თუ გარშემოარსებულს წარმოვასახავთ მაკროს და მიკროს ურღვევ თანამშრომლობად. მაგრამ სანამ ძეხორციელის განზომილებებზე დაწვრილებით გვისაუბრია, იქნებ თავად სამყაროს აგებულებისათვის გაგვესწორებინა თვალი სადღეისო მონაცემებით.

ადამიანი ერთადერთი ინტელექტუალური კუნძულია სამყაროში, რომელსაც ზედმიწევნით შესწევს უნარი საკუთარ მეობაში პროექცირებული გარშემოფენილობის გონების თვალით განჭვრეტაა. მატერიალურ ვრცეულობაში სფერულია ყოველივე — ალფადან — ომეგამდე. მხოლოდ სიტყვაა წრფესავით, სინათლის სხივის იდენტური; ამიტომაც გვესაბურება კოსმოსური განზომილებებზე ჩვენი კონგენიალური ასომთავრული სფეროებისა და სწორხაზების ენით, სხეულისა და იდეის თანამშომლობით და თუ აქსონებისა და დენდრიტებისაგან შედგენილი ჩვენი გონების მუშაობისათვის 25 ვატის ენერგია მაინცაა საჭირო, ჩვენ უნდა დავუშვათ ხომოდეუსის ფიქრისმიერი ძალისხმევის განსხივება ათვლის წერტილიდან უსასრულობის გავლით საკუთარ ნავსაყუდლამდე: ადამიანი ხომ შუალედურია ატომსა და ვარსკვლავს შორის?!

ირმის ნახტომის გალაქტიკაში, რომელიც მელიავასეულ მითოსურ ბასეფ-ოულსაც მოიცავს უცილობლად, სადღეისო ობსერვატორიულ ხედვადში 21 გალაქტიკაა თავმოყრილი.

პროტინი ბირთვია, ნებისმიერი განსხვავებული მატერიის მსგავსად, დადებითმუხტიანი. ელექტრონი უარყოფითმუხტიანია, მის საპირისპირო ძალაზე 1000-ჯერ მცირე და კიდევ— ნეიტრონი, მათი დამბალანსებელი, მომრიგებელი. პროტონს თამამად შეიძლება სამყაროს რჩეული, გმირი ეწოდოს.

ფოტონი ნულოვანი მასისაა.

ელექტრონული ნაწილაკების უცვლელ ბრუნვას ,,სპინს'' უწოდებენ, ხოლო თავად ნულოვან ბრუნვას ბიზონებს ეძახიან.

საშუალო სიჩქარისანი ფერმინებია.

450 ნანომეტრი ცისფრის შეგრძნებას იწვევს, 650-700 ნანომეტრი— წითლისას, მათ შორის კი მოთავსებულია ნარინჯისფერი.

10-400 ნანომეტრის გამოსხივებას უწოდებენ ულტრაიისფერს, უფრო მოკლე ტალღებს — $0{,}001^{-10}$ ნანომეტრამდე რენტგენულ გამოსხივებად მივიჩნევთ. მაგრამ მოგვეპოვება სამყაროში ტალღები,

რომლებიც თვით 0.001 ნანომეტრზეც მცირეა და გამმა-გამოსხივებად წარმოვსახავთ.

ინფრაწითელი 700-03 განზომილებისაა. რაც შეეხება ელექტრო-მაგნიტურ ტალღებს, იგი მილიმეტრიდან მრავალ კილომეტრამდე იჭინთება, რადიოგამოსხივების სახელდებით და რომ ჩავუკვირდეთ კოსმოსს — ადამიანის გარსის ბუნებას, დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მათ შორის თესლისა და ნაყოფის შესაშური დამოკიდებულებაა; ანუ ადამიანიდან სრულიად შესაძლებელია კოსმოსის აღმოცენება და განვრცობა. მეტიც ადამიანი თავისი აგებულებით, თავისი შინაარსით პირწავარდნილი მენავეა, მხედარი, მესაჭე, სამყაროის კოსმონავტი. დიახაც მან უნდა წარმართოს ყოველივე არსეუბლის დაკონსერვებული ფასეულობანი. ადამიანი ხომ მამაღმერთის ხატად და სახედ შექმნილა?!

ფოტონს არ შეუძლია გაჩერება, იგი მარადიულ მოძრაობაშია, ერთგვაროვანი სიჩქარით ხეტიალობს ვაკუუმში, უხაერო სივრცეში, წამში 300 000 კილომეტრის სიჩქარით, და ეს განზომილებაც წრუწუნას კუდისხელაა მხოლოდ, შეგირდო ჩემო.

ფოტონის სიჩქარე წამში დედამიწის 7-ჯერ გარშემოვლის ეკვივალენტურია, მაგრამ განსხვავებულ მატერიებში, ხაერში, წყალსა თუ სხვა სხეულებში, მისი მოძრაობა გამორჩეულია, იგი გარდაიქმნება ერთი სახეობიდან მეორეში. და უამრავი ფორმულის მხარაქცევით შეგვახსენებ ს უმთავრესს — მყნ!სყ ვიცი, ამისი გაშიფრვა არ მჭირდება შენთან, გულისხმიერო მოწაფევ. დანარჩენი ყუმისათვის კი სულაც არ ვაპირებ კედელზე ცერცვის შეყრას.

მჯერა ჩინებულად შეგითვისებია მაღალი ტონების, გამა-ფოტონების შესაბამისობა პოკოლოსთან. ვიოლინოს ხმიანობა სინათლის ფოტონებს რომ ესატყვისება, ისიც — კონტრაბასის დაბალი ხმოვანება — რადიოტალღებს.

ანტინაწილაკები, ანტისხეულები, შეგირდო ჩემო, უდიდესი მნიშვნელობისაა სამყაროს ფორმირების საქმეშიო, გვასწავლიან მოგვნი. ადამიანში ჩვენ ამ ენერგიას რატომღაც უარყოფითს, ლუციფერულს, მეფისტოფელურს ვუწოდებთ, რომელსაც ჯვაროსნული შემართებით გმობს შუასაუკუნეების პაპის კათოლიკური ეკლესია თუ სულაც დღევანდელი სამართლმადიდებლო, რასელის ეკლიანი გვირგვინით კეფადაღრღნილი, მაგრამ ბიოლოგიური და ამდენად, სამყაროისეული თვალსაზრისით, იგი აუცილებელი მომენტია. სხვაგვარად ფეხს ვერ აიდგამ, ვერ დაილუღლუღებ, ფუნჯის კვალსა და დაღილინებაზე ოცნება ხომ მიუწვდომელი სიამოვნებაა მთლად.

სამყაროს ძირითად მამოძრავებელ ძალთაგან ოთხს გამოარჩევენ ცხებულნი, შეგირდო ჩემო: გრავიტონს — გრავიტაციულ ზეგავლენებს; სუსტი ზემოქმედების მძიმე ბოზონებს; ფოტონს — ელექტრომაგნიტურ ზემოქმედებებს და ძლიერი ზეგავლენის მეზონს.

ვარსკვლავები გიგანტური ბირთვული რეაქტორებია. ისინი წარმოშობით მზისმაგვარი სხეულებია, ერთმანეთს ენათესავებიან სფერული ფორმით და წყალბადის ხელიუმად გარდასახვის თვისებით.

ელექტრული ძალა კრავს ატომებს ერთმანეთთან, რომლებიც შემდგომ ქმნიან მოლეკულებს და მერმე მათგან წარმოიშვება კრისტალები, მტვერი, წყლის წვეთები, ცოცხალი ორგანიზმები უმარტივესით დაწყებული ადამიანით დამთავრებული; და ყოველივე არსებული, ქიმიურ-ფიზიკური განსხვავებულობანი, საგანთა სიმყიფე-სიგლუვე, გამჭვირვალობა-სიწკვარამე, ნერვიული აგზნებულობა-შეკავება, თავის ტვინის თუ სხვა ორგანოთა მუშაობა როგორც კოსმოსურ, ისე დედამიწისეულ პროცესებში, გამოწვეულია ელექტრონული ძალების — ელექტრონისა და პროტონის უდასასრულო თანამშრომლობით, ისე რომ ელექტრული მუხტის ჯამი უცვლელი, მარადიული რჩება.

გრავიტაცია ისწრაფვის სხეულს მიანიჭოს ფორმა. გრავიტაციის გამორიცხვით ცეცხლი არ გაჩაღდება.

ხე იზრდება ვერტიკალურად მეოტროპიზმის გათვალისწინებით.

დედამიწა რომ არ ბრუნავდეს, მაშინ გრავიტაციული ძალა და მიზიდულობა დაემთხვეოდა ერთმანეთს. ე.ი. გრავიტაცია უმთავრესია კოსმოსში. მისი მეშვეობით უფორმო აერისებრი ღრუბლებისაგან შეიქმნა გალაქტიკები, ვარსკვლავები, პლანეტები. იგი გვანიჭებს ჩვენ სადაგ ფორმას — დედის საშოში ბირთვივით შეკრული ჩვილი გაილარება ხომო საპიენსად ფორმირების პროცესში და გარკვეულწილად მარაზმულ ხანაში უბრუნდება კიდეც თავდაპირველ სახეს. აქვე გრავიტაციას თანამედროვე ქურუმები, შეგირდო ჩემო, განიხილავენ როგორც სივრცის სიმრუდეს სხეულთა გარშემო. ამასთან გრავიტაცია უმთავრესია ევოლუციურ პროცესშიც.

,,მზე ამას ახერხებს უფრო სუფთად, სიცოცხლის გადარჩენის თუ გამოვლინების სახელით და არა მისი განადგურებისათვის''. ეს პოზიცია აბსურდია კრიშნაიზმთან ერთად იაღოველთა ლაშქარითურთ: ენერგიის მიღების გზა უამრავია — ელექტრომაგნიტურისაგან მიიღება მთელის 0,0000001 სიდიდე, გახლეჩით — 0,01, სინთეზით — 0,9, გრავიტაციული ენერგიით — 50 და მხოლოდ ანიგილაციით მიიღ-

წევა სამყაროის 100 პროცენტიანი ძალა, იგივე ნაწილ-ანტინაწილების, U!რმ, პროტონითა და ელექტ-
რონით, ანტიპროტონისა და პროზიტრონის □ანტიელექტრონთან) შეხვედრისას ქრებიან თითქოს, თით-
ქოს ორივე გარდაიქმნება გამა-ფოტონად და აქ წამოტივტივდება:ძტშრშდძ- ის გაგება, ედგარ ალან
პოს ლექსის სენტენცია: ,,ნევერმორე'' — არა არასდროს აღსდგება მკვდარი! მაგრამ ანიგილაცია სუ-
ლაც არ ნიშნავს გაქრობას, განადგურებას, არამედ იწყება გარდასახვა, ქართული საკრალური ,,გარ-
დაცვალება'', გარდაქცევა;

მატერიალიზაციაა საფუძვლიანებს კოსმოსური გამოსხივების თავსხმას, ნიაღვარს: პროტონები და
ნეიტრონები მომარაგებულია თერმობირთული ენერგიით, პროტონები და ელექტრონები — ელექტ-
რულით.

ვარსკვლავი, მზე, მანათობელი ზოგადად, ეგვიპტური ამონ რადან მოყოლებული, აფსუური ამრა-
თი (ჩვენი ამირანიც მათი რიგისაა) და მელუავას ადალაიდათი დამთავრებული, უშველებელი პლაზ-
მური სფეროებია უკლებლივ, იგივე მასულდგმულებელი დედა, მეგრული ლექსისა არ იყოს.

უკეთ რომ ვთქვათ, ზეუკიდურეს ტემპერატურაზე მატერია შედარებით მარტივდება. არ არის გა-
მორიცხული, რომ დედამიწაზე წყლის არსებობა გამოწვეული იყოს გიგანტური ასტეროიდის დაცე-
მით, რომელიც ყინულის კოლოსალურ მასას წარმოადგენს აისბერგივით ,,ტიტანიკისთვის'', მაგრამ
განსხვავებით არა მის დასაღუპავად მომართულს, სიცოცხლის მიმნიჭებელს, მასულდგმულებელს, იგივე
ღმერთის, ექვსდღიანი შესაქმეს მტვირთველს.

ყოველივე ბოლოდროინდელი ობსერვატორული მონაცემებითაც ივარაუდება: პლუტონის თა-
ნამგზავრზე ოკეანეს აღმოჩენა; მარსზე წყალნავალი არხების არსებობა.

ასტრონომიულ ერთეულად, გისწავლია, შეგირდო ჩემო, მიჩნეულია მანძილი დედამიწიდან მზემ-
დე — 150, უკეთ 149,6 მილიონი კილომეტრი.

მზის სისტემის რადიუსი 100 ასტრონომიული ერთეულია, რომლის იქით ეკარგება ზეგავლენები
ჩვენს მანათობელს.

,,გალაქტიკის სახელოს'' მოძრაობა ცენტრის მიმართ 35 კმ3 წამია, დაახლოებით ისეთივე სიდიდე,
როგორც დედამიწის სიჩქარეა — 30 კმ3წმ.

ფორმისდა მიხედვით განარჩევენ ელიფსურ, სპირალურ და არასწორ, ელიპტიკურ გალაქტიკებს.

უახლესი მონაცემებით გალაქტიკები ერთმანეთს 55 კილომეტრ3 წამის სიჩქარით შორდებიან, და
უმწეობაზე დამყნობილი ჭეშმარიტებაა უცილობლად ჩვენი ბედ-იღბალის, ტემპერამენტის თორმეტ
ზოდიაქოში მომწყვდევა.

კოსმოსის მესაჭე ადამიანი, მისი განვრცობის, მისი გამაგრძელებელი ნაწილების გამუდმებული
ჩარევების შედეგია დასტურ ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ როგორც კი მოიპოვებს
ამ საგანძურს, შემეცნების უნარ-სუჭურჭლეს, თანდათან თავისუფლდება იგი თავდაპირველი ზეგავ-
ლენებისაგან და სრულიად კანონზომიერად გვევლინება, როგორც სამყაროს კეთილი მწყემსი, მისი
მრავალფეროვანი პროცესის უბადლო დირიჟორი.

30 მილიარდი წლის შემდეგ სამყაროს გაფართოვება შეჩერდებაო, მიუთითებენ ხელდასხმულნი,
შეგირდო ჩემო, ანუ 10 მილიარდი წლის წინ მომხდარი ზესიმძლავრის აფეთქების კვალდაკვალ ჩვენი
სამყარო თავისი გასავლელი ასაკის მხოლოდ მეოთხედს მოითვლის, ანუ ყმაწვილია, კრონოსის უშეღა-
ვათო გადასარბენზე კვლავაც რომ ელოდება ჭაბუკობაც, სიჭარმაგეცა და მიმხცოვნებაც, მაგრამ
როდესაც 0 წერტილს გაუტოლდება, რა ძალა მოატრიალებს ამ ილაჯგაწყვეტილ გაფართოებას შე-
კუმშვისაკენ, კოლოსალური ერთმთლიანობისაკენ, თუ არა ისევ სამყაროს მწყემსი და მესაჭე ღმერთკა-
ცი — ხომოდეუსი, გიგანტური შევიწროვებისაკენ, გრანდიოზული ერთდაქცევისაკენ და ისევ თავი-
დან ხეტიალისკენ სივრცეში 40 მილიარდი წელიწადით, იგივე კანონზომიერებით, როგორი პულსა-
ციაც ახასიათებს ჩვენს მაჯას ან სულაც ძეხორციელის ფილტვებს, ამოსუნთქვიდან ჩასუნთქვამდე.

მოვაქციეთ ვითომ სამყარო რაღაც ზღვარდებულ კიდობანში, შეგირდო ჩემო?

ალბათ, მოვბოჭეთ, მაგრამ ამას იქით თავად შენს გურუსაც უჭირს მოვლენებისათვის თვალის
მიდევნება. მე მარტოოდენ ვირგილიუს მარონის მისიასღა ვასრულებ მომვალი დანტეს წინაშე —
სალხინობლის კარიბჭემდე მიგაცილებ გულთმისან მოწაფეს. მერე და მერე არ მოაკლდებიან შენს უც-
თომელ გონებას ლოცმან-წინამძღოლები ქრისტეს სასუფევლამდე, მაგრამ არა ისეთი ნაზარეთელისა,
ხორცი და უკვდავი სული რომ ასხია ერთდროულად ნართაული ბიბლიის მიხედვით, არამედ სამყაროს
კანონზომიერების წიგნის ბადალად, იგივე ოქროს საწმისის ადეკვატურად, იგივე ,,დაწუნებული ლო-
დის'' იდენტურად, სადაც ყოველი სიტყვის, ფრაზის მიღმა ეჭმიუტანელი რეალობა კაშკაშებს ჩვენი
მოძილქუშებული ყოფირებისათვის ,,თალესების'' ადამიანის სახეცვლილების 48 ფორმაცია. ირაცი-
ონალური დაშვების დოგმა უფროა, ვინემ ჭეშმარიტი რაობა, ვინაიდან 12 წყვილი ნეკნი ხომო საპიენ-

სის ფიზიონომიაში, ვეჭვობ ჩვენი არსების განვლილი ეტაპების მამხილებელ საბუთად გამოდგეს სამომავლოდ, რამეთუ ადამიანის აღნაგობამ აზროვნებამდე მოღწევის სტადიამდე უამრავ ნეკნს დაკარგავდა ევას შესაქმელად ამოცლილითურთ. ამიტომაც თუ მაინცდამაინც ძეხორციელის სხეულს დავიდებთ წინ სასინჯ ქვად, ახლახან დმანისში აღმოჩენილი ცოლ-ქმრის მილიონნახევრიანი ჭურჭლის კვალობაზე, უპრიანია გენეზისის საფეხურებად, როგორც შრეები გადაბელილ ნოეს საკიდობანო ურთხელზე, ხერხემლის მალები მივიჩნიოთ, და არა — ნეკნები, ამ მალებიდან წამონაზარდი ფრთები, ადამიანის შიგთავსის დამცავი მექანიზმი, ძვლოვანი ბადია.

ამგვარი მიდგომებით ადამიანს ოცდათორმეტი დამოუკიდებელი ნასვრეტიანი მალა აკინძვია ზურგისტვინზე კრიალოსანის დარად.

დღევანდელობის ტომოგრაშა

საქართველოს პოლიტიკური ვითარება უდაბნოს ხგავს, სადაც ხვატით გათანგული ცხოველები გვერდიგვერდ იმწყურვალებენ თავს, მაგრამ საკმარისია წყურვილის სინდრომი მოიხსნას, რომ მსწრაფლ აღსდგება ჯუნგლების კანონი:

უზენაესელების ხელისუფლებისადმი ნოსტალგიის რეიტინგი წელში გადატეხილა, ეროვნული იდეა დათრგუნულია შიმშილის ფაქტორით.

მრგვალმაგიდელების გაუთავებელი ურთიერთდაბეზღებანი, დაუსრულებელი შინააშლილობა ხალხში ნერგავს მათდამი სიცივეს, უწინარესად ურთიერგაუტანლობისა და ურთიერთჩაქოლვის გამო, მაგრამ გამორიცხული არ არის საზოგადოებაში მიძინებული პოტენციის მისაკუთრება სხვა პოლიტიკური ძალის მიერ, რასაც გეგმაზომიერად მიმართავენ ლეიბორისტები, სოციალისტები, სახალხოები თუ ედეპეელები.

უნუგეშობაში ჩავარდნილი მოსახლების ბებერაზე ფეხის დაჭერა, ანუ სოციალური პრობლემებით სპეკულაცია, დღეს მთავარი კოზირია ნებისმიერი ფსევდოოპოზიციური პოლიტდაჯგუფებისათვის. ამასთან შეინიშნება ფარული კავშირები ამ ძალებს შორის, თუმცა ყოველივე გარეგნულად აისბერგს ხგავს, რომლის მხოლოდ ერთი მესამედია ზედაპირზე ამოშვერილი, ხოლო დანარჩენი წყლით დაფარულა გარკვეული დროის სასარგებლოდ.

ედეპეელებს, ხალხოსნებს მრავალი მხარდამჭერი ხყავთ საქართველოში, მაგრამ, რადგანაც იმათ კანონიერი ხელისუფლების დამხობის ნაპერწკალად მონათლავს ქორონიკონი, ამ მიმართებით სიოს იოტისოდენად დაქროლებაც კი მყისვე ნეშომპალას ააცრჩოლებს ნესტოების ასაბზუებლად და წყალში ჩაყრის მათი საპნის ბუშტებით წარმოსახულ პროგრამებს.

ამ ასპარეზზე თითქოს მეტი შანსი გააჩნიათ სოციალისტებს, ტრადიციონალისტებს თუ ლეიბორისტებს, როგორც ნაკლებად კორუმპირებულთა მოძრაობებს, თუმცა ესეც მოჩვენებითობაა, ვინაიდან აქლემისა და ნემისის ქურდი თანაბრად წარწყმედილა თემიდას სასწორით და ეს უკანასკნელნი დღეს ღვთისმოსაობით თუ გამოიყურებიან, მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ ხელისუფლების სათავეში არ მოსულან.

როგორც აღინიშნა, მოსალოდნელია ამ ხუთი ნაკადის შეკავშირების აშკარა რეალობა, რაც პრინციპში მისასალმებელია ორიენტაციათა გამსხვილების თვალსაწიერიო; ესეც რომ არა, დანაწევრებული, უმნიშვნელო სხვაობის პოლიტპლატფორმების მასებზე ზემოქმედების ძალა ფრიად უფერულად გვესახება.

სავალალოა თავად მმართველი პარტიის ვითარებაც. ხალხმა შინაგანად ზურგი შეაქცია მას, არა იმიტომ — მოქალაქეთა პროგრამა უინტერესო ან უმოქმედოა: ადგილებზე გეგმაზომიერად მიმდინარეობს ოპოზიციური პარტიების მიერ ამ უკანასაკნელის არცთუ უსაფუძვლო დისკრედიტაცია. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ უახლოეს პერიოდში დაპირისპირება გადასცილდება ნორმით დაშვებულ ზღვრებს და გზა გაეხსნება გაურკვეველი შედეგების ისტერიკებს.

გამოსავალი არის — მხილება კორუმპირებულთა, მაქსიმალური შემჭიდროება ლიდერის კონცეფციასთან, რაც საგრძნობლად დაგვიანებულია, მაგრამ — მოსწრებადი.

საკმარისია მოქალაქეებმა უახლოეს ორ თვეში ვერ მოახერხონ გადამჭრელი ღონისძიებების გატარება დასახელებული მიმართულებით, რომ მატარებელი გაასწრებთ და საქართველოს რეალური თავისუფლების მზე შესაძლოა ათწლეულობით ჩაესვენოს.

თავად ბიუჯეტის დეფიციტიც ამ ფონს რამდენადმე ამუქებს. საფრთხე ემუქრება ,,ნავთობსადენის'' გავლას ჩვენს ტერიტორიაზე, რაც ქვეყნისთვის საბოლოო აფავების საწინდარია ,, დიდი აბრეშუმის გზის'' რეანიმაციის მხარდამხარ, ვინაიდან ჩვენ ამ ღონისძიებებს არ უნდა შევხედოთ ცალმხრი-

ვად, როგორც მხოლოდ რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის შემოსავლის წყაროს ყოველწლიურად, არამედ უნდა აღვიქვათ, როგორც საქართველოს ინფრასტრუქტურის სწრაფი რეორგანიზაციის წინაპირობა.

მართლაც, მშენებლობა, რომელიც მილიარდებს მოიზიდავს და უთვალავი ბიზნესმენის სასიცოცხლო ენერგიით დაიმუხტება, ომის საშიშროებით ვერც ჩრდილოეთიდან შეიმოსება და ვეღარც — სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

სამაგალითოდ კუვეიტის რეალობაც იკმარებს.

ნავთობსადენ-აბრეშუმის გზა საქართველოსთვის იგივეა დღეს, რაც თავის დროზე იუგოსლავიისათვის დრინის ხიდის აგება, ან ერეკლე მეფის გადაწყვეტილება — გეორგევსკის ტრაქტატი, რამაც ფაქტობრივად დღემდე მოაღწევინა ჩვენს ეროვნულ ცნობიერებას, ცხადია, დანაკარგებით, საგრძნობლად შერყვნილის სახითაც, მაგრამ მაინც მთლიანს, ალაგ და ალაგ ტერიტორიული ხელყოფის მიუხედავად შინაგანად გაუთიშველს.

ნავთობსადენ-აბრეშუმის გზა დღეს იგივეა ჩვენთვის, რაც თავის დროზე ლაზი ხალხის გადაწყვეტილება, როცა გუბაზ მეფის მკვლელობის შემდეგ ორიენტაციადაკარგული საზოგადოება სპარსეთთან ეძებს კავშირებს, წეს-ჩვეულებით განსხვავებულთან, სინამდვილეში კი ბიზანტიასთან შეხიდებაა საზრიანი და ასეც გადაწყდება. მსგავსთან არის ასიმილაციის საშიშროება, ხოლო განსხვავებულთან — სრული განადგურების პერსპექტივა. უნდა ამოირჩიო ნაკლები ბოროტება ორი შესაძლო ვარიანტიდან, რასაც ალტერნატივასაც ვეძახით ხოლმე.

დღეს საქართველოს ხსნა ნავთობსადენ-აბრეშუმის გზაა — ქვეყნის ეკონომიკურად, სოციალურად, პოლიტიკურად აღმშენებლობის გარანტი.

საქართველოს მოსახლეობის ყოფითობა სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ის სიმბოლური ხელფასი და პენსია, თვეობით რომ უგვიანდება მოსახლეობას, ბუმერანგივით მოუბრუნდება მმართველ პარტიას თუ ქვეყნის პრეზიდენტს. განუკითხაობის სინდრომი ბოლოს და ბოლოს მკაცრი თვითკონტროლისა თუ სხვა ბერკეტების აუმოქმედებლად საქართველოს კვლავაც გაუღვივებს რუსოფილურ გრძნობებს. ათწლიანი სიდუხჭირე კორუფციული აღვირახსნილობის შედეგია, თორემ ჭეშმარიტი ლიდერის პირობებში აქ ვითარება უსწრაფესად გადაიჭრება.

განსაკუთრებული რეზევებია ჩრდილოვან ეკონომიკაში, რომლის ოცი პროცენტი ძლივს მონაწილეობს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში და თუ მონაწილეობს ისიც ნახევრად ან მესამედით.

მიმდინარეობს დიდძალი სახსრების გადაქაჩვა უცხოეთის ბანკებში, ან ნედლეულის სახით — ხეტყე, თხილი — სამეგრელოს კორომებიდან, ბორჯომის ხეობიდან, რაჭიდან, მთა-თუშეთიდან, გაედინება და ყოველგვარი საბაჟო გადასახადისაგან თავისუფალი იქვე რჩება სამუდამოდ.

პრივატიზებული ობიექტები თვლემენ. ინარჩუნებენ სავარძლებს მათი „რეალური" მფლობელები, თუმცა კი ისინი კარგა ხანია უნდა ამოქმედებულიყვნენ, ხან ნაწილობრივად და ხანაც სრული სიმძლავრით, სინამდვილეში კი რწმუნებულების გარშემო დარაზმული ეს კასტები კარნახობენ პირობებს უნიათო გუბერნატორებს — ისინი კურდღლებივით ფრთხილობენ და საშველი არსაიდან ჩანს, ჩანაგდება უწინარესად საქართველოს სულიერი ბაზა, ითესება ანტაგონიზმი საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენას შორის.

მაგალითისთვის ანაკლიის კომპლექსის შეჩერება სუფსის ტერმინალის სასარგებლოდ იზოლაციაში აქცევს საქართველოს ხერხემლად წოდებულ კუთხეს და რამდენიმე ათწლეულით ამუხრუჭებს მისი დაწინაურების პერსპექტივებს. თუმცა, ჩანს, ზოგი ჭირი მარგებელია, ვინაიდან ამ უარაფრობის ჟამს, დასახელებული მშენებლობის დაკონსერვება პროგრესულია, რამეთუ ღატაკი მხარის მატერიალური სიმდიდრე ხელაღებით გაიძარცვებოდა; ხოლო როდესაც ეკონომიკურად რამდენადმე მოვღონიერდებით, უმთავრესად შინაგანი რეზერვების ამოქმედებით და ნაწილობრივ უცხოური კაპიტალის ეფექტური შემოშველიებით, უფრო ხელსაყრელი პარტნიორის არჩევის საშუალება მოგვეცემა; დღევანდელ ვითარებაში კი მზად ვართ სამოწყალო თეთრებად გავასხვისოთ ჩვენი საშვილიშვილო სიმდიდრენი.

გამოსავალი არის, როგორც სოციალურად, ისე — ეკონომიკურადაც, რომლებიც საბოლოოდ ქმნიან თვით პოლიტიკურ კლიმატსაც და არა — პირიქით; ვგულისხმობ ენდემური ჯიშების დაუხანებელ აღორძინებას, ტრადიციული დარგების მიზანმიმართულ ამოქმედებას. ამასთან ერთად უმნიშვნელოვანესია ჩრდილოვანი ეკონომიკის სათანადო, მართებული აღრიცხვა და კონტროლი, სახელმწიფოს წინაშე დავალდებულება მათი ტვირთბრუნვის მოცულობის თუ ავტორიტეტიანი მესაკუთრის მიუხედავად.

აი, გადარჩენის ერთადერთი გზა, რომელიც პირდაპირ კავშირშია საუკუნის ნავთობსადენ-

აბრეშუმის მაგისტრალის იდეასთან, რაც სამშობლოს ეკონომიკის კარებს ფართოდ კი არ გაუღრიალებს ყველა ჯურის კომერსანტს, არამედ მომჭირნეობით შესძლებს თავისი სასიცოცხლო ენერგიის შემონახვას უფრო პერსპექტიული დღეებისათვის.

ამისთანა პირობებში ვინ შეძლებს რეგიონებში ლიდერობას, ანუ ვინ გადაჭრის მხარეების მეშვეობით თუნდაც აფხაზურ-ქართული კონფლიქტს მშვიდობიანი გზით? ჩვენ ვერ დავადგებით აფსუა-სეპარატისტთა გენოციდურ გამოცდილებას, მაგრამ ეკონომიკურ-სოციალური მიდგმოებით ამ კონფლიქტის მოგვარება თეორიულად შესაძლებელი რომ გახლავთ, შემდეგი დაკვირვებიდანაც ილანდება:

სამურზაყანოს მოსახლეობის ხელმეორედ გამოძევება სოხუმსა და უფრო შორს, შექმნის მათთან შიმშილს მიახლოებულ სიტუაციას. გალის რაიონი დიახაც ხგავს აფხაზებისთვის იმ დონორს, რომელიც უსასყიდლოდ გასცემს მათთვის სასიცოცხლო ენერგიას. ახლა კი ილამბება ლამის კაპიტულანტური პროცესი:

— მობრძანდით აფხაზეთში, მიიღეთ აფხაზური პასპორტები. არავინ შეგეხებათ, ოღონაც ჩაეწერეთ მეგრელებადო, — გაიძახიან. ისინი ცოტა ხანში იმ პასპორტებში მოსახლეობის ქართველებად ჩაწერაზეც დათანხმდებიან, იმ პირობით, თუკი შეიქმნება მზამზარეული და მუქთა პროდუქცია.

სამეგრელოს როლი ამისთანა ვითარებაში განუზომელია. სამეგრელოს სივრცემ უნდა შეძლოს ლტოლვილ მოსახლეობასთან კავშირში რეგიონის სწრაფი გარდაქმნა, სიცოცხლისუნარიანობის გამომჟღავნება, ცხადია, სრულიად საქართველოსთან ხელიხელჩაკიდებით. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მომავალ გაზაფხულამდე მოსახლეობას, ვგულისხმობ დევნილებს, მასობრივად დავურიგოთ მიწის ფართობები დროებით სარგებლობისთვის და ყოველნაირად შევეცადოთ მატერიალური დოვლათის შექმნას ადგილებზე.

თუ კი ამას დაემატება სახელმწიფოს ნების მაბლოკირებელი, მიზანმიმართულად უმოქმედო ობიექტების ამუშავება, პლუს ჩრდილოვანი ეკონომიკის გამოვლინებაში რკინის ნებისყოფის გამოჩენა, სავარაუდებელია რომ აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი ვერ გაუძლებს საკუთარი ეთნოსის რისხვას, მისივე ხელებით მოიშთობა იგი, როგორც უწინარესად მშობელი ხალხისათვის მავნე და საზიანო.

თბილისის განახლებამ, მის ქუჩებში მოჩვენებითი სიმშვიდისა და მიმზიდველობის შექმნამ, განაპირობა ფაქტობრივად ინვესტიციების ნაკადის მოძალება, რომელიც დანგრეულ-გაპარტახებულ და გაურკვეველ ვითარებაში მყოფი აფხაზებისთვის პირდაპირ ფუფუნებაა.

მაშ, გზა მონახულია, ანუ ნავთობსადენ-აბრეშუმის მაგისტრალები, რომლებიც ათწილად გაუმჯობესებენ ჩვენი ქვეყნის გარეგნულ აქსექსუარებს, ცხადია, მოგვიანებით შინაგანშიც გადაიზრდება, ანუ ამაღლდება დროის ყაირათიანად მოხმარებისა და საწარმოო საშუალებათა მამულიშვილური ამოქმედების შეგნება. სხვა მხრივ, ფუჭი სიტყვებით მკერდში მჯიღების ბაგუნი, დემაგოგიაა უმეცრებასთან ერთად.

ვინ შეიძლება მივიჩნიოთ ამისთანა საგუბერნიო საქართველოს საიმედო ხერხემლის მშენებელ პოლიტიკურ მოღვაწედ?

დღევანდელ გუბერნატორთა მეტი წილი ცარიელი ადგილია, ვინაიდან ისინი გარკვეული ჯგუფის მიერ, (ჩრდილოვანი ეკონომიკის მესვეურებს ვგულისხმობ), ზედმიწევნით მართვადნი არიან და ამდენად — საცოდავნიც.

სხვას, სხვას კი ვხედავ არენაზე, მაგრამ მათში ამბიციების თქეშია და კიდევ — უნდობლობის ფაქტორი თავად მმართველობითი პულტიდან.

კანდიდატების ნაწილი მესშჩანია: მაკაგონის ხით ალაპლაპებენ კედლებს, როცა ხალხი შიმშილით მისავათებულა. ისინი ჭეშმარიტი პოლიტიკოსები რომ იყვნენ ზოგიერთსავით უკანასკნელ გროშებს გახარჯავდნენ მოსახლეობის ნდობის მოსაპოვებლად.

კაცი, რომელიც დღეს მთელის მონდომებით არ ცდილობს „ნალის შეჭამადის" გმირსავით, თუნდაც საკუთარ სოფელში ავტორიტეტის ამაღლებას; ადამიანი, რომელიც მხოლოდ მიითვისებს მაგნიტის ბუნებით და არაფერს გასცემს; პიროვნება, რომელიც ნიადაგ არ დასტრიალებს თუნდაც თავისი სამოხიოს თემშარას, (რათა სხვებმაც მოისადაგონ სოფლის ნამდვილი შვილის იერსახე), განწირულია გულგრილობისთვის. ხოდა, სხვანაირი მესვეურის მოვლინებას არ ვურჩევ დღევანდელ მთავრობას, ვინაიდან უმეტესის ზურგს უკან კორუმპირებულობის უშველებელი ბალასტი დაზვინულა, ხალხის მეხსიერების სკივრში მყარად შენახული და როდესაც თუნდაც პატარა უჯრედისთვის — მშობლიური კუთხისთვის — თავდადებულ ადამიანებს მიანდობენ შედარებით მასშტა-

ბიან სივრცეს, იქ საქმე არნახული ტემპით დაწინაურდება მოსახლეობის სასარგებლოდ. საზოგადოება გახყვება ამისთანა ლიდერს, ვინაიდან რწმენის ფაქტორი უმთავრესია სახელმწიფო აღმშენებლობის თეორია-პრაქტიკაში.

თუკი გულანთებული მამულიშვილები უახლოეს ხანში არ შეეშველებიან რეგიონებს უმაღლეს ეშელონებიდან, დაირღვევა ჯაჭვური რეაქციის პრინციპი, ანუ ვერ აღორძინდება „საქართველოს ხერხემელი" და მასთან ერთად სრულიად სამშობლო ჩვენი.

აქედან გამომდინარე ჩაფლავდება აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტა, რისი ძალისხმევით მოსახლეობას ვერ შევუქმნით ქვეყნის მასშტაბით არსებობის მინიმალურ გარანტიებს და ბუნებრივია, არჩევნებისას კოვზი ნაცარში ჩაგვივარდება; ხოლო რაჟამს ადგილობრივ არჩევნებში გაკოტრდები, ნიადაგი მოუმზადდება სხვა ძალას, პრორუსულს, ვისთვისაც სრულიად ზედმეტი ბარგია აბრეშუმის გზა თუ საუკუნის ნავთობსადენი და საქართველო გვარიანად წამოჩიტდება რუსეთის იმპერიის მესამე, ნებაყოფლობითი ანექსიის ობიექტად.

გაივლის ათეული წელიწადი და აქ დღევანდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ანალიზი

06.11.98 წ.

საზოგადოებრივი
წონასწორობა ეროვნულ ბურჯებზე

ასეთია პრეისტორიული თუ სადღეისო კოლხეთისა და მის ჩონჩხზე აღმოცენებული საქართველოს ბედისწერა სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით. იგი ჯვარზე გაეკვრება საკუთარი სიბრძნისა და ხუმანურობის გამო. ჯერ ინდოევროპული ტალღა სისხლ-ტვინს გამოსწოვს ძარღვებიდან თუ სახსრებიდან: გაიხსენეთ კავკასიონის მთებზე მიჯაჭვული პრომეთე-ამირანი, რომელსაც ღვიძლს უკორტნის ზევსის არწივი. მითოსური ხედვა რეალობის ენაზე უზუსტესად ასახავს ქართლოსიანთა განუხრელ დაკნინებას ნებისმიერი პარამეტრით.

ესეც რომ არა, გამართლება ეძებნება ერთი ულტრანაციონალისტი მეგობრის წყრომას, რომელიც ზურგს შემაქცევს შუაქუჩაში და მოგვიანებით დედის სამძიმარზე მისულს ხელსაც არ ჩამომართმევს. რანაირად გინდა დაუმტკიცო ამ ათასებს, რომ მათებურად „თანამშრომლობა", ჩემებურად — შუაკაცობა, მედიატორობა თანაქმედება ორ ურთიერთგამომრიცხავ ძალას შორის, როდი ნიშნავს ამა თუ იმ ფენის ინტერესების დაცვას, არც საკუთარი პრინციპებისგან გადახვევას. ცაბაოთის უმადური შრომაა იგი, სულმოკლე ადამიანები ყოველთვის სპეკულატურად რომ ჩამოგართმევენ და მაინც ყოველივეს მიუხედავად, მერამდენედ ვქაქანებ სმენამახვილთათვის:

— ჩვენ ხერაკლეს ნაფოტები ვართ უკლებლივ და არაფრით ვთაკილობთ ავგიას თავლების გაწმენდას, გნებავთ ეს ქმედება კოლაბორაციონალისტობაში ჩამოგვართვას მავანმა და რადგანაც მედიუმად, შემაერთებელ რგოლად, ზესიმძლავრის წებოდ თუ მაგნიტურ ველად შეგვირაცხავს თავი, რომელიც უარყოფითს და დადებითს საერთო ინტერესებს უქვემდებარებს, ქვეყნის სამსახურში მოაქცევს ვასაკას ყიყინსა და უხსენებლის სისინს, შეუთავსებლის შეთავსებით აპურდიადებს ახალ რეალობას და ვინაიდან ტრიადის ხასიათზე ზემორე საკმარისზე მეტად გვისაუბრია, ვამჯობინებთ თანამიმდევრულად მივყვეთ წარმოდგენილი მასალის მინიატურულ შეფასებას და ამის ფონზე ვცადოთ უფრო ზოგადი, უფრო შესახები და თვალსაჩინო არგუმენტების მოშველიება სამშობლოს სუფევის გასაცნობიერებლად.

ატომგულის გახლეჩაზე, იგივე სემიპალატინსკისა და ნევადას დამანგრეველ აფეთქებებზე, მათი მომსახურე პერსონალისა და ამ ღონისძიების დამგეგმავი სამხედრო კომპლექსის მესვეურებზე ნარკვევის შეთხზვა თუ განგვიზრახავს, ლექსიკონებით, საგაზეთო სტატიებითა და სხვა ინფორმაციული ხასიათის მასალით შეკოწიწებული, უსუსური გამოგივა, მაგრამ ერის წყლული წყლულად თუ გაჩნევია, მსგავსი სულიერი შეჭირვებულობის მემკვიდრედ გამოგიცხადებია შენი არსებობა, კეთილი ინებე და მიიღე რადიაცია, გნებავთ — მომაკვდინებელი დოზით!

ამას მოითხოვს ქვეყნის გადარჩენისათვის საპოვნელი გზების ძახილი!

მიდი ზვარაკად უმართავ სტიქიასთან!

ესაა ერთგვარი ბერთევდორეობა, ცოტნეობა, ჟორდანიობა თუ აბესაძეობა, მიდი, მაგრამ მრავალი კატეგორიის ნიღბის ჩამოფარება დაგჭირდება სახეზე, რათა სამუშაოს შესრულების პროცესში ჭეშმარიტი ზრახვანი არ გაგიმჟღავნდეს;

შენ ხომ ამ შემთხვევაში ,,მობილეინ მობილეს'' მსგავსად მსტოვარი ხარ საკუთარ მამულში ქვეყნის მერმისის დასაფიქსირებლად და აქედან გამომდინარე, მართებული დასკვნების გამოსატანად, რათა მომავალ თაობებს გაუადვილდეთ გამრუდებულ წუთისოფელში შემობრუნება, იგივე ორაგულების დარად თავგანწირული აღმასვლებით რომ დაყრიან ქვირითს მდინარეთა სათავეებში და კიდეც სავსებით დაიხოცებიან, რომ მერმე ახალდაჩეკილ ლიფსიტებს სწორი ინფორმაცია დაუტოვონ ოკეანის მოძრაობის კანონებზე, საკვებადაც გამოადგნენ და ასე, მიუბო- ძონ მომძლავრების საშუალება, ვინემ ზიგზა- გებით თავად გაიცნობიერებენ ბიპოლარულ ყოფიერებას.

აქვე არაფერი დაშავდება თუ ქრისტეს მორალსაც დავესესხებით და განვაცხადებთ: გალაღებულთა, უზადოთა თუ მორჭმულთა მეხოტბეებად კი არ მოვევლინეთ კაცობრიობას, არამედ ხელმისაშველებელთა სულების დასახსნელად შემოვეხეტით ცისქვეშეთში და ვინაიდან დაღეჭილი ლუკმის დონეზე დაგვიფიქსირებია ჩვენი მიზნების ძირითადი შტრიხები, ერთხელაც გადავავლოთ თვალი ისედაც გაჭირდიდებულ საუბარს:

წარღვნის წინარე სიტუაციისა და სურათების დახატვა ჩვენს ძალისხმევას აღემატება, რადგანაც დედამიწაზე არსებული ხელშესახები მასალა მწირია მის გასაანალიზებლად.

თავად ბიბლია, რომელიც ცაბაოთისგან ექვს დღე-ღამეში შექმნილად მიიჩნევს სამყაროს, საუკეთესო შემთხვევაშიც კი მხოლოდ სიმბოლიკად გამოგვადგება, ანუ სამოც საუკუნოვან ციკლად, როცა დღე იგი წელია ვითარცა ათასი. და თუ არგუელისის ცოლკინის შესაბამისად ცოცხალი არსებანი რეზონანსული ხასიათისაა, გარეგანი ცივილიზაციიდან შემოტანილი, წინააღმდეგობა მაინც არ მოიხსნება, ვინაიდან ჩუბინიძისეული ღვთიური მდგომარეობის ადამიანი, ვინაც გლობალური კატასტროფის შედეგად დედამიწაზე დაება, დროთა ვითარებაში უნიკალური აპარატურა წართმეული საზოგადოების ნამუსრევი, მწვერვალებს შეეფარება და ენის მეშვეობით შეინარჩუნებს კიდეც სამყაროისეულ ცოდნას, მაგრამ შემდეგ კასტური მიმართების გამო დაკნინდება, ლამის განადგურდება მისი ნიშანწყალი.

ამას დაემატება რელიგიური მძვინვარება, განსაკუთრებით ქრისტიანული აგრესია ყოველგვარი წარმართულისადმი.

აქვე გიგანტური ფორმების არსებობა დედამიწის სინამდვილეში: დინოზავრები, იქტიოზავრები და ბრონტოზავრები... სავარაუდებელია — სწორედ კატასტროფის შედეგი უფროა, ვინემ ცოცხალი ორგანიზმის ევოლუციის ნაყოფი, რომელიც მიაწყდება ყრუ კედელს და მის იქით განვითარებას ვერ ხპოვებს, თუმცა ხვლიკისა და დინოზავრის, კატისა და ლომის სხეულებრივ ნაირგვარობას საკვების სიუხვე თუ აღაზევებს და აკნინებს განსხვავებულ ფორმებად, ეს სურათი არ ეწინააღმდეგება ბიოლოგიურ კანონებს. ამასთან დასაშვებია მაია - I კოსმოსისკენ მიბრუნება რაღაც მოსალოდნელი საფრთხის წინასწარმეტყველებით და მაია - II დაბმა დედამიწაზე. არ არის გამორიცხული კატასტროფა სწორედ ადგილობრივი მნიშვნელობისაა, რამაც გამოიწვია მუტაციები ბიოლოგიურ არსებებს შორის და რადგანაც მხოლოდ ადამიანს მინიჭებია გარემოსთან ბრძოლის განსაკუთრებული უნარი: ორი განსხვავებული განზომილების შეთავსებით ახალი რეალობის შექმნა — დიახაც ბოლომდე გაუძლებს გლობალურ კატასტროფას.

მორგანის მოძღვრებაზე დაყრდნობით შექმნილი ენგელსის თეორია შრომის როლის შესახებ მაიმუნის გაადამიანურების საქმეში, უამრავ წინააღმდეგობას აწყდება, თუმცა კი აისბერგივით ცხრა მეათედით დაფარული ადამიანის გენეზისის გაშიფრვა სფინქსის გამოცანაზე ნაკლებ თავსატეხი როდია.

ჩვენი ცივილიზაცია ჯერ-ჯერობით 13 კილომეტრჰწამში სისწრაფით მიიჩქარის კოსმოსისკენ, როცა საჭიროა ოციათასჯერ მეტი მსწრაფველობა, რომ მზის სისტემიდან გავაღწიოთ და უცხო გალაქტიკებში შინაურად ვიგრძნოთ თავი. საამისოდ კი ჯერ-ჯერობით არანაირი წინაპირობაა, არც ფრენის სწორხაზოვნება თუ ტრაექტორიულობა, არც გუვე შტრიფანდერის ნახაზია ამოცნობილი □ცხადია, ირონიის ნაკადით) და აღარც ცოლკინის არსში გავრკვეულვართ სრულყოფილად, ვინაიდან 260 ელემენტისგან შემდგარი მატრიცა, კანონზომიერად რომ მეორდება ხუთის მიმართებაში, მევარაუდება, ისევ ადამიანის პარამეტრებს უფრო შეესატყვისება, რამეთუ ,,5'' ადამიანის უტყუარი სიმბოლოა გრძნობათა ორგანოების რაოდენობრიობით. ამას უმეტესი ცოცხალი არსების კიდურების ხუთი განშტოებით დაბოლოებაც ადასტურებს და ერთხელაც გვიმოწმებს მათ პრეისტორიულ გენეტიკურ მთლიანობას.

დედამიწა შეუძლებელია უნიკუმი იყოს, რადგანაც სამყაროს გამონაკლისები საერთოდ არ სჩვევია. აქ ირ.აბაშიძის ლექსი მხოლოდ პოეტური ფორმაა, როცა წარმართული ქურუმის ,,გონებადაუნჯებით'' აცხადებს: სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზეო; ასეთი მიდგომები აბსურდულია, ვინაი-

დან მთელი სამყარო სიცოცხლეა და ურთიერთგადაჯაჭვული ყოველი წახნაგით: ზებგერითი თუ ქვებგერითი სიხშირეებით, რომელიც ადამიანისათვის არ აღიქმება, მაგრამ მახლობელია შედარებით დაბალი თუ მაღალი ფორმებისთვის; სამყარო სავსეა უთვალავზე უთვალავი სხივისა და ბგერის ბადით; ისინი მოძრაობენ და გადადიან ერთმანეთში, წარმოქმნიან კოლოსალურ კონფიგურაციებს, და რაც უფრო გაფართოვდება მოაზროვნე ცხოველის ცოდნა სამყაროს აგებულებაზე, მაგალითისთვის ქვერქვუს კოლხიკუს — კოლხური მუხა გამოემიჯნება თავის სადღეისო აღნაგობას, პრიმიტიულს და შეიძენს დამატებით იმ გამოსხივების შტრიხებს, რომლითაც გარემოსილია მთელი მისი საარსებო არეალი.

ასევე ადამიანიც მის ყირმიზ თუ გიშერ სახეს შემოვლებული ველებით და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი პარამეტრით.

ჯერ კი ჩვენ რატომღაც არ ვუღრმავდებით თავად ადამიანის აგებულებას, მის თვალწინმდებარე აქსიომას, რომ იგი ხუთგანზომილებიანია, პენტაგრამასმაგვარი ბიოლოგიური არსება, რომლის ხუთივე შემადგენელი ნაწილი უკიდურესად განვითარებულია, და ემსახურება ერთადერთ მისიას — აზროვნების სწრაფ დაწინაურებას. ეს მომენტი ირიბად შესაძლებელია უკავშირდებოდეს კიდეც ადამიანის შრომითი ჩვევების გამომუშავებას, წინა კიდურების გამონთავისუფლებას, და აქედან გამომდინარე, ორ ფეხზე წამოდგომას.

ჟამიჟამ დათვიც ზე აღიმართება ხოლმე, ხოლო ადამიანის კორპუსი ლამის მისი სიცოცხლის ნახევარი შვეულმავალია და ამდენად, უპირატესობა მიმნიჭებია წინა კიდურებისთვის, რამაც ცხადია, ჩამოაყალიბებს მასში მეტყველ და მოაზროვნე ინდივიდიუუმს, თუმცა ძნელი სათქმელია რა ფორმას შეიძენს ადამიანი, როცა მისი ფეხისგულთა რეცეპტორებიც მსგავსად გავარჯიშდება, ამოქმედდება, ანუ იმპულსირდება და შესაბამისად არაფერია საგანგაშო თუკი განვაცხადებთ:

შრომამ შექმნა ადამიანიო, რამეთუ მისდა უნებურად გამუდმებული გაღიზიანების შედეგად დაწინაურდება ადამიანის გრძნობათა მთელი ხუთკლავიშიანი ოქტავა, რაც გამოიწვევს ამ ოქტავის გაზრდას ერთი კლავიშით, ანუ ცნობიერების ჩართვით და ახლა ამ ცნობიერების გეგმაზომიერი წარმართვით შესაძლებელია ადამიანის, როგორც ზეციური არსების, უკიდურესობამდე რაფინირება, და აქ ადამიანი უცილობლად შვიდგანზომილებიან სიდიდეს მიუახლოვდება, ანუ მუსიკის ენაზე თუ ვიტყვით დოდან დომდე ამაღლება: მხედველობის-სმენის- შეხების-გემოვნების-მეტყველების ნიადაგზე ცნობიერების ჩამოყალიბებით, დაბოლოს, რაციოს გონივრული წარმართვით გაუტოლდება კიდეც ღმერთკაცს, ანუ აბსოლუტური ჭეშმარიტების შემცნობელს, რომელიც დასძლევს სინათლის სიჩქარის მიახლოებითობას და ოდესღაც კავკასიონის მთებზე მიჯაჭვული ამირანიც მოუშინაურდება, გახედნის სამყაროს.

დედამიწის ბიოგრაფიის შემეცნება გეოლოგიური, ასტრონომიული მონაცემებით მწირია. ძნელია დადგინდეს მისი სრულყოფილი ისტორია, ვინაიდან დღემდე აღმოჩენილი ელემენტები და კიდევ მრავალი, მისი ბუნებრივი პირობების გამო, შეუძლებელია სრულყოფილად წინ გვედოს, რამეთუ დედამიწაზე, მის ეპიცენტრს თუ არ ჩავაგდებთ სათვალავში, შეუძლებელია ზეტემპერატურების ჟამს ახლებურად არ გარდაიქმნებოდეს ნებისმიერი გამოცალკევებული ელემენტი განსხვავებული ტემპერატურისა და შენაკადობის პირობებში.

აქ კი თავიანთი კუთრი წონის სიდიდის უკუპროპორციულად განლაგდებიან ისინი დედამიწის ვერტიკალურ ჭრილში, ვინაიდან ყველაზე მძიმე ბირთვისკენ მიისწრაფვის ხოლო, მჩატენი — ტივტივებენ ლითოსფეროსა და მანტიაზე, თუმცა არც ეს გახლავთ არსებითი დედამიწის შესაცნობად. მაინც რა, რა განაპირობებს მისი მოძრაობის ბალანსს არსებული წეს-წყობილებით? რა განსაზღვრავს მისი დღე-ღამის ხანგრძლივობას, გეოგრაფიულ სარტყელების სფეროებს მის გარემომცველობაში, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ეს ყველაფერი თქვენი თაობებისთვის ანბანურ ჭეშმარიტებად წარმოჩინდება, შეგირდო, ჩემო; რაც ახლა თავსატეხია, ხვალ სასაცილოდაც არ გეყოფათ ოცდამეერთე საუკუნის მიწურულის მესიაკონებს, მაგრამ უფრო გონისეულად თუ მივუდგებით საკითხს, აღმოჩნდება, რომ ადამიანი — სოციუმი, ჯერაც გაურკვეველია, როგორც სამყაროს შემადგენელი ნაწილი.

მართალია, მას კვლავაც ეძახიან საზოგადოებრივ ცხოველს, იარაღის მკეთებელ ცხოველს, მაგრამ ხატოვნად თუ გამოვთქვამთ მის ზუსტ შესატყვისობას, ღვთიურ-ცხოველურის სინთეზის შედეგი უფროა და ადმიანის მოწოდება, საარსებო სივრცის რენტაბელურად გამოყენებით უკუმიაფენს მხეცის ინსტინქტს არსებობისთვის ბრძოლაში; დაიმორჩილებს, დაიქვემდებარებს უარყოფით ემოციებს, ჭირთათმენით შეუთავსებს შეუთავსებელს და ჯადოსნური სიმრავლით მოგვევლინებიან ხომეროსები, ფიდიასები, ბეთჰოვენები, აინშტაინები.

ღვთაებრივის გამარჯვება ადამიანის ინდივიდუუმში სხვა არაფერია თუ არა ცხოველური ენერგიის მოთოკვა უფლისეულის სასარგებლოდ. მაგრამ ვფიქრობ, ქვიშის მსგავსად გაგვირბის სათქმელი მოჭერილი თითებიდან.

მსოფლიო ცივილიზაციის ფორმირებაში კოლხურ ბაზისობას ნაზიარები ქართული ფენომენი თამამად შეიძლება ვაღიაროთ ცივილიზაციის ხაზის უწყვეტობად. მარტოკა იმის გააზრება რად ღირს, რომ ბიბლიური ტრადიციებით ჩვენი ეთნოსი იაფეტის მოდგმისაა, სემიანელებისა და ქამიანელების მხარდამხარ.

ბიბლია, რომელსაც სამართლიანად მიიჩნევენ შუამდინარული მითოლოგიის ანარეკლად ბაბილონურის მეშვეობით, როგორც ჩანს, ასახავს რაღაც გლობალური სინამდვილის მისტიფიციურ სურათს.

კოლხური კირბები — რკინის, ვერცხლის თუ ოქროს ქიმიის მეშვეობით საიდუმლოებანი, ეჭვგარეშეა, მშობლიურ სივრცეს აღავსებს ძლიერების შარავანდედით და ოდეს ლაზარეს მესიანური ძეგლით ენის მიძინებაზეა საუბარი, სავარაუდებელია კვლავაც კირბების ეზოტერიკასთან გვქონდეს საქმე, იგივე ტროანოს კოდექსის თუ ცოლკინის მსგავსად, თუმცა აქაც თავს იჩენს ინდოევროპული ტომების მიერ წინარექართულის შევიწროვების რეალობა.

ბებერი კოლხეთი — მემკვიდრე უფრორე მხცოვანი შუამდინარული თუ ეგვიპტური ცივილიზაციებისა, ცხადია, მედიუმია, ხიდი ქართული ცნობიერების ჩამოყალიბების გზაზე. აქ ქუჯის შორსგამიზნული პოლიტიკა — სამეფო რეგალიების ნებაყოფლობით უარყოფა ფარნავაზის სასარგებლოდ, ანუ ახალი ტალღის აღსაზევებლად, დიახაც ნიშნავს იაფეტიანელთა შთამომავლობის სინთეზური ასპარეზისკენ დაგეზისებას და ბუნებრივია, ქართის ტომს, ოდესღაც ქართული ხეცნობიერებისგან აღმოცენებულს, დაეთმობა ასპარეზი ლაზარე-კოლხეთისგან და ლამის თორმეტი საუკუნე დასჭირდება ზოგადეროვნული სამეტყველო ტრადიციის დასინთეზებას.

ამიტომაც არის ძველი ქართული და თანამედროვე კოლხური — მეგრულ-ჭანურ-ლაზური, შედარებით ნაკლები დაშორების. ეს დასტურდება მამანტი ძაძამიას თუ ედემ იზორიას ენათმეცნიერული წიაღსვლებითაც, სადაც მიკვლეულია დასაბამისეული ენის სათავეები: რომ თავდაპირველი საზოგადოება, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, მეტყველებდა წყლის ხმიანებასთან მიახლოებული ბგერებითა და ბგერათ კომპლექსებით, რომელთა ვოკალიზაცია ხდებოდა ნახევარხმოვანი 2- ს მონაწილეობით. ასეთ ბგერათკომპლექსებად დასახელებულია წყ, ჩხ, ცხ, რაც ბუნებრივია, ექვემდებარება ოპონენტურ აზროვნებას, და ვიმოწმებთ საკითხის დასმის წესით.

განსჯის მოდელით დიახაც არაფერში ვამჟღავნებთ უკიდურესობას, პოლარულობას, რადგანაც ჩვენეული ცნობიერების პროდუქტი სწორედ რომ უკიდურესობათა სინთეზური შეხამების შედეგია, როგორც ადამიანს ვეძახით ღვთიურისა და ცხოველურის ერთობლიობას უფლისეულის სასარგებლოდ, მონობაზისური მეტყველების სათავეებთან პროტოქართული, იგივე კოლხურში გადმოსული და განვითარებული დღევანდელ ქართულში, გვევლინება შემდგომი დასაბუთებისა და განზოგადების საგნად.

აქვე მეათასედაა გაცხადებული ქართული მეტყველების სინთეზური გარემოს შესაქმნელად არაფრით წაიწევა წინ ამ ენათა — საკუთრივ ქართლურის, როგორც საბაზისო ერთეულის გარშემო მეგრულ-ლაზურ-ჭანურისა და სვანურის შემოშენების გამორიცხვით, ცხადია, დიალექტების მთელი არსენალით. ქართველურ ენათა სინთეზური ლექსიკონის შექმნა მიგვაჩნია ერთხორცი ეთნოსის სინთეზური ჩამოძერწვის პირველ ნაბიჯად, რომლის გადასაჭრელად ყველა წინაპირობა გამზადებულია: უკვე ჩვენს ხელთაა თითოეული ენისა და დიალექტის ლექსიკონი □საბედნიეროდ ახლახან პოეტ შუკო ჯიქიას თაოსნობით გამოიცემა ქართველურ ენათა ბოლო აკორდი — პ.ჭარაიას ,,მეგრულ-ქართული ლექსიკონი'' და ბატონ გივი ელიავას ამავე ხასიათის წიგნი), და თუკი ამ მიმართებით ბ-ნ მამანტი ძაძამიას გამოკვლევას გავიზიარებთ, ქართველური ენების დასინთეზებული ლექსიკონი, ანუ ოცდამეერთე საუკუნის ქართული ენა, თავისთავში გააცოცხლებს 9 მილიონ სიტყვიერ ერთეულს.

საქართველოს, ტროასჟამინდელი ეპოქიდან მოყოლებული, სულ ოტებულის როლში უწევს არსებობა: გააფთრებით იბრძვის თავისი ჯიშ-ჯილაგის გადასარჩენად. მართალია, ამ გზაზე დიდია დანაკარგები, სანტიაგოს თევზისა არ იყოს, მხოლოდ ჩონჩხიღა მოგვყვება ოცდამეერთე საუკუნის პარმაღთან, ანუ შაგრენის ტყავივით განუხრელი კუმშვადობა გაუთანგავს მამულს ჩვენსა, მაგრამ კოლხურ ბურჯებზე შემდგარი შესძლებს ერთიანი ფსიქიკის, ტერიტორიისა და ცნობიერების მოხვეჭას დროთა ვითარებაში.

ინდოევროპული ტომებისგან პროტოქართულ-კოლხური ფენომენის შევიწროვება ხელშესახებად

აისახება პრომეთე-ამირანის მითში: ზევსის ფრინველის, არწივის, ხერაკლეს მიერ მოკვდინების სცენაში; ოქროს საწმისის, დაწუნებული ლოდის, კირბების ანუ მსოფლიო სიბრძნის წიგნის წართმევის, იგივე რეგალიათა წაგვრის პასაჟებში. აქედან გამომდინარე ტროას ომში ზღვის ხალხი, ანუ წინარე ბერძნული, პელაზგური, პროტოქართულის ტომობრივი სიჭრელე საბოლოოდ ნადგურდება. ოქროს საწმისის წართმევით, ამირანის მიჯაჭვის ხიპერბოლური სცენის მნიშვნელობანი საბოლოოდ გაფორმდება ხექტორის დამარცხებითა და პრიამოსის მრავალრიცხოვანი ოჯახის იავარქმნით.

ოდიოსისა და ეპისტროფოსის ილიონში წაყვანილი მცირე რაზმი, რომელიც სავარაუდოდ მჭედლების ფუნქციას ასრულებენ, განადგურდება ახლახან გრეკის, ინდოევროპული ტომების ზეწოლისგან. ალბათ, ამისი ნათელი დასტურია დღევანდელ სომხურში კოლხიზმების არსებობა, ვინაიდან ინდოევროპული წარმოშობის ეს ხალხი ზედმიწევნით აითვისებს, გადახარშავს კოლხურს (დააკვირდით: აია — ხაია-სტან) და მის ჩონჩხზე აღმოაცენებს კიდეც ახალ სახელმწიფოებრიობას.

სომხეთისგან განსხვავებით ქართის ტომს არ დასჭირვებია კოლხურის მოსრვა, ვინაიდან მათ შორის განსხვავებულობა მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული ქრისტემდე უმნიშვნელოა; რაც შეეხება დღევანდელ დიფერენციებს მეგრულ-სვანურში, სახელმწიფო მშენებლობის გარეთ დარჩენილ ენათა ბედ-იღბლის თვალსაჩინოებაა.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა დიახაც გახლდათ მიზეზი მისი ჯვარცმისა და უკვდავებისა ერთდროულად. ის სჭირდებათ კიდეც, ვითარცა კატალიზატორი და ხელს უშლით აგრეთვე, როგორც ქრისტიანული რელიგიის პლაცდარმი. რელიგიური მსოფლგანცდა უეჭველად უმთავრესი ბარიერია თურქეთ-ირანის მიმართებაში ნორმალური თანაარსებობის მანძილზე.

მუხამედ წინასწარმეტყველი გარკვეულ რევიზიას ჩაუტარებს ნაზარეველის მოძღვრებას. იგი უკუაგდო ქრისტეს ღვთიურ წარმომალობას, უარყოფს სულიწმინდისგან მარიამის წიაღში უფლის მემკვიდრის ჩასახვას და აგრეთვე — მის ცად ამაღლებას. მარტივად რომ ვთქვათ, მუსულმანის თვალში ქრისტიანული დოქტრინა აგებულია ილუზიურად, ქარაგმების ენაზე; ქრისტე აღქმულია როგორც უკანონო შვილი, რომელსაც მესიანისტური უნარები მომრავლებია და წინასწარმეტყველის ზეგარდმო ნიჭიერებითაა ცხებული.

ადრე სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობებს სოციალური თუ პოლიტიკური ბარიერი ქმნიდა: მიწა, სიმდიდრე.

ამას ახლა რელიგიური განსხვავებულობაც დაემატება, და უკიდურესად დაიძაბება ვითარება ისედაც ღვიძლდაკორტნილი საქართველოს გარშემო. ამის ნათელ დასტურად გამოდგება მეხუთე საუკუნის ლაზიკის მეფის მოკვდინება რომაელი მხედართმთავრების მიერ, რომელთაც საამისოდ ნაკლები მიზეზი გააჩნიათ, უკეთ თავიანთი სამხედრო უსუსურობის გაბათილებას გუბაზის ღალატის ინსცენირებით შეეცდებიან, თუმცა ქართული ორატორია, ჩვენდა სასახელოდ, შეძლებს საკუთარი ღირსების დაცვას და სწორუპოვარი მეფის ვერაგულად დამლახვრელ სარდლობას თავებს გადაბალთავენ.

საქართველო დარჩება ქრისტიანული ორიენტაციის ქვეყნად და იქიდან მოყოლებული იგი იესოს რჯულს არასდროს უღალატებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ერეკლე მეფე არაფრით გააფორმებდა რუსეთთან ვასალური შტრიხების შემცველ ხელშეკრულებას, რასაც ქართული საზოგადოება მაინც შედარებით უმტკივნეულოდ აღიქვა, ვინემ მუსულმანური სამყაროს მიერ ჩაყლაპვას და სრულ ასიმილაციას ან ფიზიკურ განადგურებას.

საბუთად ფერეიდანელი ქართველობა და თურქეთის მუსულმანური ლაზეთი გამოდგება, რომლებიც მზად არიან საქართველოს მისაღებად, ოღონდ თავიანთ მთლიანობაში.

ამ სივრცეში მოქცეულ ქართველობას მუსულმანური ფანატიკურია და შუასაუკუნეობრივი დოგმები სავსებით წაართმევს სამშობლოს შეგრძნებას. როგორც სინამდვილე დაგვანახებს, ერის სულიერი წონასწორობისათვის სარწმუნოება მეტი მუხტისაა, ვინემ ენობრივი ფენომენის შენარჩუნება, ვინაიდან იდეოლოგია, რწმენა სავსებით შეცვლის ოდესღაც ალტრუისტი ქართველის ბუნებას.

აქედან გამომდინარე, ალბათ, მართებულად გაცხადდება თხუთმეტი საუკუნის წინ ფარტაზის ორიენტაცია ერთმორწმუნე ბიზანტიელებისკენ, თუმცა არც ეს უკანასკნელნი უდაფნავენ შუბლს ქართველებს, განუკითხავად ძარცვავენ მათ მატერიალურ თუ სულიერ საგანძურებს, ზუსტად იმ არწივის მსგავსად, ამირანის ღვიძლს რომ კორტნის სიმბოლურად.

საქართველოს სხვა ალტერნატივა არ გააჩნია. ასე გაგრძელდება მისი მოლერწმეობა მომდევნო საუკუნეებშიც: ერეკლე მეფის თუ ცხრაასოცდაერთის ანექსიის პასაჟებით თვალნათლივ დავინახავთ

ჩვენს ზურგს უკან ქართული რენეგატი წრეების ხელშეწყობით საქართველოს რუსეთის ფრთებქვეშ „შეყუჟვის“ საძაგელ სურათს.

კავკასიაში დამკვიდრება რუსეთს ასწილ და ათასწილ ემცხეთება, ვინემ შორეული ციმბირის ათვისება ერმაკ-არსენიევ-პრჟევალსკის ექსპედიციებით. იქ, შორეულ ტუნდრასა და ციმბირში მხოლოდ ეროვნული დროშის აღმართვაღა თუ კმარა ტერიტორიების მისასაკუთრებლად და ზიზილ-პიპილებით ნახევრად ველური ტომების მოსყიდვით შესაძლებელი ხდება თვალუწვდენელი ტრამალების მიტაცება. კავკასიის თავმოყვარეობა კი სრული ორი საუკუნე ებრძვის რუსეთის ასიმილაციურ პოლიტიკას, რამდენადმე განსხვავებულს ინგლისურ-ესპანურისგან, რომლებიც ტომობრივ ეგზემპლარამდე დაიყვანენ აბორიგენი ინდიელი მოსახლეობის დიდი უმრავლესობას. ამასთან ცეცხლითა და მახვილით გაუსწორდებიან მათ სულიერ საგანძურებს. კოცონებზე განადგურდება ცოლკინის მსგავსი ათასობით მატრიცა და უამრავზე უამრავი ძეგლი. კავკასიაში იმპერიის სრულფასოვანი დამკვიდრების დომინირებული ცდები მომავალშიც გაგრძელდება. ეს ყველაფერი სოციალისტურ რესპუბლიკებს, ავტონომიებს შორის მოჩვენებით ძმობისა და მეგობრობის შინაარსით შეიღებება, სინამდვილეში კი ნაციონალური კულტურები საბჭოეთის სივრციდან რუსული იმიჯით, რუსული იარლიყით გავა, რაც სულს უწიწკნის პატარა ერებს, მაგრამ თვითმპყრობელობის შორსგამიზნული პოლიტიკა არანაკლებ ქმედითუნარიანი გამოდგება მათ მოსათოკად, ვინაიდან ჩვენი ეკონომიკა საბჭოთა კავშირის ენერგომატარებლებზე ზედმიწევნითაა მიერთებული და მეოცე საუკუნის მიწურულს დესოციალიზაციის შედეგად მივიღებთ გადაფატრული ნერვიული სისტემის ურთიერთმოძულე ეკონომიკურ სივრცეს.

რუსეთის ინტერესები კავკასიაში კოლოსალურზე დიდი რომ არის ამას შეუიარაღებელი თვალითაც ვაფიქსირებთ. ჯერ კიდევ ცხრაასოციან წლებში რუსეთის ახალგაზრდა რესპუბლიკა ყველაფერს ეცდება ამიერკავკასიის რესპუბლიკების საკუთარ ჭკუაზე მოსაქცევად. საბჭოთა აზერბაიჯანისა და სომხეთის გვერდით მენშევიკური საქართველო ტრომბის რეალობას ქმნის რუსული სახელმწიფოებრიობის არტერიისათვის. საიდუმლო მიმოწერის არეალიდან თვალნათლივ ჩანს საბჭოთა რუსეთის ლიდერების ფრთხილი პოლიტიკა საქართველოში შექმნილ ვითარებაზე, როცა თავად ბოლშევიკი ქართველობა ორჯონიკიძეების თუ სხვათა მეთაურობით თვითდამხობისაკენ სულსწრაფობენ. რეალურად დახატული სურათიდან აშკარად იკითხება, რომ ხალხის განწყობილება დემოკრატიული საქართველოსადმი პოზიტიურია. აქ შინაგან აფეთქებაზე, მით უფრო გადატრიალების მაგვარ მცდელობაზე, საუბარიც ზედმეტია. საჭიროა გარეგანი ჩარევა, თუმცა XI არმია საამისოდ ძალზე სუსტია. ათასნაირადაა გაზომილი საქართველოს სტრატეგიული როლი ამიერკავკასიის შენარჩუნების საქმეში; უსაქართველოდ რუსეთს ეკარგება ბაქოს ნავთობი, სომხეთი იზოლაციაშია მოქცეული, საქართველო კონტრრევოლუციური ქმედებების იმპულსი ხდება ჩრდილოეთ კავკასიაში, სტავროპოლში, იკარგება შავი ზღვა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ხოდა, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, დასტური მიცემულია — თბილისზე საიერიშოდ გამოეშურება ძალადობის ფაქტორი, რათა „აჯანყებულ ხალხს“ ამოუდგნენ მხარში, მაგრამ სად არიან ეს მეამბოხე-შფოთისთავები?! ისინი ხომ თითებზე ჩამოსათვლელადღა იმალებიან სოროებში და ისტორიული სინამდვილის ფალსიფიკაციით მივიღებთ დახმარებისთვის გამოწვდილ ძალას ანექსია სანაცვლოდ.

აქ ჩამობანილია ინტერვენტის სამარცხვინო გრიმასი, მაგრამ ამავე საუკუნის მიწურულის ქმედებანი საქართველოში აისბერგის აბსტრაქტული ძალისხმევით შეიმეცნება ჯერხანობით. ამ მასალებსაც ეღირსება ოდესმე დღის ნათელი: არარაი დარჩება დაფარულ-გაუცხადებელი, ჩვენ კი, როდესაც იმპერიის მზაკვრული ნაბიჯების და მისი ქმედებების ზედმიწევნით შემსრულებელი პროორუსული ქართველობის მოღალატური პოლიტიკა ხელთა გვაქვს, დასკვნებისთვის დიდი ტვინისჭყლეტა არ გვჭირდება.

ქართული პუტჩი, რომელიც ნიკოლოზისდროინდელი ქვემეხებით მუფარებს რუსთაველზე, ცნობილი ხელწერით წარმართავს ყოველივეს. კვლავაც გათამაშდება დემოკრატიული საქართველოს ანექსიის მორიგი ფარსი. ეროვნულ მრწამსს კვლავ ჩაეჩრება პირში ქვა, კვლავ დადუმდება თავისუფლებისთვის მებრძოლი სულისკვეთება. საქართველოს მოსახლეობა არაფერს დაიშურებს ფენიქსივით ფერფლიდან წამომდგარი რესპუბლიკის დასაცავად, მაგრამ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით არჩეული მთავრობის უნიათობის წყალობით ჩვენი ეროვნული მეობა ქვიშაში თავჩარგულ სირაქლემას დაემსგავსება.

ამჯერად ეს თავი ბუნკერს შეეხიზნება უდაბნოს ნაცვლად და ორკვირიანი ღლაბუცის შემდეგ ოტებული აღმოჩნდება. არ ეყოფა თავისუფლებას ჩვენსას გამბედაობის ნატამალი: იმპერიასთან აშ-

კარა დაპირისპირებას მოერიდება, ვინაიდან დიახაც მოეხსენება მისი სიძლიერისა და მზაკვრობის შესახებ.

დანარჩენი მოვლენები ხომ წინასწარ დაწერილი სცენარით წარიმართება.

ეროვნული სულისკვეთება ჯერაც ბოგინებს პერიფერიებში, მთიულეთში ჯერაც არ დამცხრალა ვნებათაღელვა და შამილის, მანსურისა თუ დუდაევის ერის თავგანწირული ამბოხი უთანასწორო ბრძოლაში დასრულდება იჩქერიის გაპარტახებით.

მართალია, ამ შეტაკებაში რუსეთი სრულ უსუსურობას გამოავლენს სამხედრო მომზადების თვალსაზრისით, მაგრამ ძალა აღმართს ხნავს და კავკასიური გათიშულობების ფონზე საომარი ლელო კვლავაც იმპერიას დარჩება, ოღონდ ვაინახური სულისკვეთების ფორსირებული გამარჯვების ნიშნით.

ამჟამად არის საუბარი კავკასიურ ოჯახზე, რომ ოცდაათმილიონიანი კავკასია კვლავაც იბრძოლებს საკუთარი სუვერენიტეტისთვის, მაგრამ ამ პათოსის გასანეიტრალებლად რუსეთი ყურსაც არ იბერტყავს. მას გარკვეული დროით მოხვეჭილი აქვს ამერიკის დუმილის საზღაური ყოველგვარ ქმედებაზე მისთვის წინდაწინვე სანავარდო არეალში. ამერიკა რუსეთისგან გაინაღდებს სოციალისტური სისტემის დემონტაჟს; იგი უმთავრეს მეტოქეს წამოაჩოქებს, ჩამოიცილებს სარბიელიდან და კავკასიისხელა ლიფსიტა ცალყბად ენანება სატყუარას წამოგებული „წითური ვეშაპისთვის“.

მოკლედ, თავისუფლებისმოყვარე მცირე ერების შინაგანი ხმა, ძახილი, გასრესილია ფეხით. ოცდამეერთე საუკუნე, ცხადია, დროის შესაფერის კორექტივებს შეიტანს, ალბათ, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ახლა, ამჯერად, მთელ პლანეტაზე რესტავრირებულია ძალადობის ფაქტორი დაქირავებულ შრომასა და კაპიტალს შორის. დღეს მთელი დედამიწა საბაზრო ეკონომიკის პრინციპით ხრიალებს. სოციალისტური იდეალები დავიწყებას მიცემია ან ნოსტალგიასავით თავს წამოხყოფს აქა-იქ, ცხოვრებისგან შეჭირვებული ადამიანების ცნობიერებაში: ჯანდაცვა-განათლება-საპენსიო გარანტიების ზმანებებით.

ფედერალური წყობის პრინციპები, სამხარეო მოწყობის პროცესი, ხალხში ჯერ-ჯერობით ფეხს საფუძვლიანად ვერაფრით იკიდებს.

მართალია, დედაქალაქში არსებული ნებისმიერი სამსახურის შესატყვისი სტრუქტურა კი შექმნილა რეგიონებში, თუმცა ეს პროცესი კვლავაც ცალმხრივია, ფორმალური შინაარსის, უუკუგებო.

ჯერაც არ მომხდარა სამინისტროების დეცენტრალიზაცია. ამჟამად საქართველო უცნურ სიტუაციაშია: არსებობს უნიტარული სტრუქტურების ფონზე შენარჩუნებული ფედერალური წყობის მთელი არსენალი და როგორც სინამდვილე ადასტურებს, ჯერ კიდევ არალეგიტიმური სამხარეო მმართველობითი რგოლი ფიქტიური ხასიათისაა. პრეზიდენტი ნიშნავს რწმუნებულებს, უმჯობესია ვთქვათ გუბერნატორებს. მათი წარდგინებით კვლავ პრეზიდენტივე ასაფუძვლიანებს მერებს და გამგებლებს. გუბერნატორის როლი ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების შევსების მეთვალყურეობით ამოიწურება უმთავრესად და კიდევ ჩვენთვის ცნობილი მამონას მოყვარეობის ინდივიდუალური ხელწერით. ასე რომ, სიტყვისთვის, კოლხეთი ფოთითურთ ხგავს სამ ძიძას შორის მომწყდეულ ბაღანას, ვინაიდან ამ ყრმას თანაბრად ეპოტინება ცენტრი, რეგიონი თუ ადგილობრივი მმართველობა. მხარე უნარმოკლებულია ადგილზე გადაწყვიტოს მისთვის სასიცოცხლო პრობლემები; გაჩერებულია ქარხნები, ფაბრიკები, ენგურქაღალდკომბინატი, ფოთის გემთმშენებელი, მაუდკამვოლი, მეტალურგი, საკონსერვოები. ინვესტიციებს ელიან მათი მფლობელი ყოფილი დირექტორები. არადა, ზემოდან უთვლიან:

— ხომ მოგეცით წელან ამდენი ათასი ლარი? კიდევ ფულს ითხოვთ, თქვე ბემურაზებოო!

ეს თანხები კი ბამბის, თხილის და ამისთანათა საჩხრიალებლად ამოქმედებულა არსებითად და პირში ჩალაგამოვლებული სააქციო საზოგადოებების ამაგდარნი ამაოდ ხარჯავენ ენერგიას და გროშებს პარლამენტსა და სამინისტროებში სიარულით.

თავად სამინისტროების მოზიდული სუბსიდიები სხვადასხვა დარგში გვარიანი ხანია ორ მილიარდ დოლარს გადასცილებულა. ცხოვრების დონე კი კვლავაც მამაძაღლურია. იუმორის თემასავით დადის შემდეგი ხასიათის რეალობა: წავა ფრიად ენერგიული მინისტრი ინვესტიციის ჩამოსატანად, ვთქვათ, გერმანიაში. მოიხელთებს საკმაოდ საიმედო სახსრებს ერთობ შთამბეჭდავი პროგრამის ასაღორძინებლად. გახარებული მოაშურებს მამულს და აქ, ზედ ტრაპზე დახვდებიან უფრო „გავლენიანი“ პირები, წაავლებენ პორტფელზე ხელს და იმ ათასებს, წესით ღორების ღრუტუნისთვის თუ ქათმების კრიახისთვის განკუთვნილს, და ღმერთმა უწყის, საით გააქანებენ. ხალხი კი სამ ძიძას შორის მომწყდეულა, და ძნელია დაადგინო, რომელი გააყოლებს ნაბან წყალს ტაშტთან ერთად.

მაღალ ეშელონებში, პარლამენტში დამკვიდრებულია სულისკვეთება: ჩამოიტანეთ, ბატონებო, რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია ჩვენი მომავლის სისხლის ფასად, ვინაიდან სულ ერთია უცხოეთი ჩამოგვაწერს იმ თანხებსო. ხოდა, ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისთვის დაძრული ფულით, აი, როგორ იჩეკებიან საქართველოში პირველი მილიონერი — ,,ახალი ქართველები''.

არა, ახალი ისინი სულაც არ გახლავან, მათ პროსაბჭოურ სინამდვილეშიც უხვად იშოვეს ,,ფულები'', ოღონდ ხან მიწაში მარხავდნენ დემნა შენგელაიას ,,განძის'' გმირის მსგავსად, ხანაც ჭაში ძირავდნენ პირში წყლის დასაგუბებლად და რახან დროება შეცვლილია, ფულის გადამალვის საშიშროება მოხსნილა დღის წესრიგიდან, ახლა უმთავრესი საზრუნავი გარეცხვაა, რათა გაკეთილშობილდეს მისი საგვარეულო წარმომავლობის გაკეთილშობილება.

მომდევნო პერიოდში აფხაზეთის მკვებავ არტერიად გალის ბაზარი რომ გადაიქცევა, აშკარა რეალობაა. მაშ, არ გავუმართოთ ხელი, იქ აფხაზების მძევლებად გადასროლილ ჩვენს მოძმეებს! ეს ხომ მკრეხელობაა?! ჩვენ ხომ მშვიდობიანი პროცესებით გვინდა ჩვენი ქანაანის დაბრუნება? ხაი, დედასა! ამჟამად აფხაზეთში ნაკლები ტვირთი შედის ზღვით რუსეთის მხრიდან. გალის ბაზარი დუღს და გადმოდუღს. ამიტომაც მოულოდნელი არ არის, რომ შამგონელი ათეული კონტრაბანდისტი გალის მილიციამ დააკავა სამურზაყანოს ტერიტორიაზე თხილით აჩხრიალებული ტომრებით. ხოდა, რაღა გასაკვირია იქ მოხელეთებულ კონტრაბადისტებს საკუთარი გავის წონადობად დაუფასდეთ ტანისა და კისრის მთლიანობა?!

მყვანან პერსონაჟები ტიპიური ახალი ქართველებისა. მათზე წამოყენებული ბრალდებებიც ჩვეულებრივი ხასიათისაა: ქაფავდნენ და ქაფავენ. აქ არსებითი ის გახლავთ, რომ კონტრრევოლუციის მეორე თუ მესამე მთავრობა დიახაც ენერგიულ ხალხს შემოიკრებს გარშემო, რომელთა ინტელექტის დონე კოკადან ცეცხლიანი წყალივით მოწანწკარებს. ზოგი მათგანი პოლიტიკურ სარბიელს ჩამოშორებულა დღეს ფუნქციაშესრულებული მოხელის იმიჯით და ამჟამად პირწავარდნილი ევმეოსია, ბარნაბა საგანელიძე, ან კიდევ კანონშემოქმედთა პედესტალამდე მიღწეულა, მაგრამ ჯონი ფიფიას და თემურ თოდუას, კატეგორიის პიროვნებებით სრულიად საქართველოს ნათელი პერსპექტივა ელოდება.

პირველი ჭეშმარიტად ტიპიური ფერმერია, კოლხური ინდივიდუალიზმით შეკმაზული. მისთვის ნაკლები მნიშვნელობისაა ვის ჩამოართმევს ხელს სიჭაბუკესა თუ სიჭარმაგეში: შევარდნაძეს, პატიაშვილს, გამსახურდიას თუ კვლავ შევარდნაძეს. მისთვის უმთავრესი კრიტერიუმია: საქმე, საქმე და საქმე. ფულს დღეს უამრავი აჩალიჩებს. ახალი ქართველის გამგებლობაშია ამჟამად ეროვნული შემოსავლის 65 პროცენტი. დიახ, ერის მეხუთედის ხელშია მთელი უძრავ-მოძრავი ქონების ორი მესამედი, როცა უკიდურესად შეჭირვებული ხალხი პლანტატორული ეპოქების პირობებში სულდგმულობს. ის კი არა საარსებო მინიმუმის გარანტიების უქონლობის გამო უკვე დაიწყო ფართომასშტაბიან ამნისტიებზე საუბარიც. ხოლო სამხედრო სამსახურში გაწვეულ ახალგაზრდებს თვეობითაც კი შინ გაისტუმრებენ ხოლმე, ოღონდ სამი-ოთხი თანამოსაგრის წაძღოლიებაზე დაყაბულდეს. ჯერ ერთი, მათი გამოსაკვები პროდუქტი მარცხნივ მიიზიდება ხელუკუღმართი ზემდეგების მიერ, მერე ყოველი წვევამდელი ხომ ინტენსიური შემოსავლის წყაროა კომისარიატებისათვის თუ მის ლოკომოტივს გამობმული აურაცხელი ეშელონისთვის?!

მსჯელობამ გატაცება იცის. დავუბრუნდეთ პირველ ,,სარაჯიშვილ-ხოშტარია'' ქართველებს, მაგრამ იმ დარდიმანდი მემკვიდრის მსგავსად, მამა ღადარში რომ ჩაუყრის დედისგან ჩუმჩუმელად მიცემულ ფულს საშოვრიდან დაბრუნებულს; ისინი უმეტესწილად განწირულნი არიან ბიზნესის ეკლიან გზაზე, ვინაიდან მათ სიმწრის ოფლით როდი შეუძენიათ ეს მილიონები. მათ ხომ იარაღის, მაროდიორობის ან გამრუდებული საბანკო ოპერაციების მეოხებით მოუხელთებიათ ყოველივე და არავინ უწყის, როდის წახვეტავს ქარი მისგანვე მონაგარს.

დიახ, კუდით დაჭერილი თევზივით მალე გაუსხლტებათ ხელიდან ის ,,ფულები'' ქართველ სანტიაგოებს. ამას მოწმობს რუსთაველის პროსპექტსა თუ პრესტიჟულ ადგილებში გახსნილი საფირმო მაღაზიები, სადაც ვთქვათ და იტალიური კოსტუმი 700 ლარი ღირს, როცა ზუსტად იგივე მეწარმის, იგივე პიჯაკი ლილოს გამთენიურ ბაზრობაზე 100-80 ლარი ფასობს, თუმცა დარდიმანდი ,,ახალი ქართველი'' იქ წასვლით თავს არაფრით შეიწუხებს. ,,მერსედეს ბენცით'' თუ ძიძცძ-თი მისრიალდება ფეშენებლურ მაღაზიაში. დიდის თავაზიანობით გამოისტუმრებენ გუშინ გამოჩეკილი კლერკი ქართველი ასულები თუ ყმაწვილები, და ილხინე სულო!

,,ახალ ქართველს'' კი ის თანხა სარფიან საქმეებში არ დაუბანდებია ჯერეთ და მიწაში დამარხულივით გაქვავებული სიმდიდრეა, უმალ რომ გამოუვა წირვა, ვინაიდან ოდესღაც კომბინატორმა შენახვა მაინც იცოდა, უკეთ, გამოჩინებას ეკრძალვოდა, ეს ბედოვლათნი კი ამ საშიშროებისაგან

ხელგახსნილნი არიან და მიდი — მოვდივარ, იგრიალე.

ამასობაში იცვლება თაობა. ეს ის ფენაა, რომელიც მეტროპოლიტენის ლაბირინთებში იდგამს ფეხს და იქვე ისწორებს ფრთებს ჯურღმულებიდან ამოსაფრენად. ესენი 10-12 წლის ბიჭუნები და გოგონებია. მათ შიმშილის საშიშროება, მშობლები თუ სხვა რამ მანკიერი წრე უბიძგებს სირცხვილის გრძნობის დაურვებისკენ. ახლა ისინი გულისამრევი ექვსთეთრიანი გაზეთების („ოცდახუთი საათი", „საკაიფო კროსვორდები", „მასხარა", ვულგარული „ანეგდოტები") და სამთეთრიანი პოლიეთილენის პარკების ათ-ათ თეთრად გაყიდვით აკოწიწებენ კაპიკებს სხეულის დაუდევარ ექსპლუატაციასთან ერთად; მაგრამ მოვა დრო და საქართველოს ძირითადი საწარმოო საშუალებანი მათ ხელში აღმოჩნდება ადრე თუ გვიან, როგორც ამას გენიალურად გვიხატავს „ერთხელ ამერიკაში".

იქ ლაფშები და მისთანანი გადაგდებულები აღმოჩნდებიან ისევ საკუთარი ძმაკაცებისგან, მაგრამ დიახაც დაიბრუნებენ კუთვნილი თანხის ნამცეცებს, ოღონდ მხოლოდ მერე, როცა ნახევარი მსოფლიო მათ მუხლთან დაიჩოქებს. 20-25 წელიწადიც არ დასჭირდება ამ მუტაციას, ხოლო ის ფენა, რომელიც დღეს პომპეზურობს, ოქროს ჯვრების სიმძიმით კისერდამძიმებული, იჭინთება უკლებლივ ჭონიასავით შეიჭმევა.

ასეთ ვითარებაში ორი ნათელი პიროვნებას მოვიგულვებ ჩვენს ნაოხრებ კოლხეთში — ჯონი ფიფიას და თემურ თოდუას მესვეურობით.ისინი იმდენად კოლორიტულები არიან, გარკვეულ მხატვრულ სამოსელს მომთხოვს თითოეული.

ჯონი ფიფიასთვის გარინდება სიკვდილია. იგი ფულს წამითაც არ იჩერებს უბეში. მყისვე უძრავ ქონებად გადააქცევს. ამიტომაც მის ფარეხში მანქანების ტევა არ არის. რამდენიმე ათეული კარმიდამო შეუძენია და ასე შემდეგ. ამ ხელმომჭირნეობას და ყაირათიანობას საფუძვლად უდევს სიმწრით გამოვლილი წუთისოფელი: ობლობა, სიდუხჭირე, უამრავი და-ძმის ხელგამართვა და მაინც უმადურობა ყველასგან, ვინაიდან გაღებული ლუკმით აშენებული კაცი ჯერეთ არავის უნახავს.

ბოლოს და ბოლოს იგი ხელს ჩაიქნევს, და აწ ყურდახშულია თითოეულის გასაჭირის მიმართ. მართლაც, სადაც ნემსს მიაბნევს, იქიდან ნაჯახის მოხსნას თუ ვერა, მათრახის აზუზუნებას მაინც ვარაუდობს. მაგრამ ყველაფერი იქით იყოს და მთავარი ის არის, რომ ჯონი ფიფია კოლხი ფერმერის ტიპიური სახეა ჩვენი ყოფიერებიდან. ის არ გახლავთ სუროგატი, მიმბაძველი. მას ნიადაგი მყარი დახვედრია — ტრადიციით მოსდგამს მეჯოგეობის სიყვარული და სისხლის ყივილის ხმიანებით გადაემყნობა საბაზრო ეკონომიკის იმპორტის ყლორტები. ხიბრიდიც მშვენიერია მოსალოდნელი მორიგ გამყინვარებამდე. ამ კატეგორიის ხალხის ადგილიდან დაძვრა არაფერს შეუძლია, ვინაიდან ისინი ინვესტიციების მოიმედობით როდი რუდუნებენ, საკუთარი ინტუიციის წყალობით აუღებენ ალღოს ცხოვრებას და მომავლის გარკვეულ ულუფასაც მოითლიან ეჩოთი, იმ მეტროში მოფუთფუთე ბიჭუნა-გოგონებისა არ იყოს.

ხოლო „ნალის შეჭამანდის" კატეგორიის პიროვნებები თემურ თოდუას მეთაურობით სინთეზური აზროვნებისანი გახლავან. ასეთი ტიპები ყველგან გაიკვალავენ გზას, რადგანაც მათი წარმატების ქვაკუთხედი კომუნიკაბელურობაა, ნაცნობობის ფართო სპექტრი და პრინციპი: ხელი ხელს ბანს. ყოველი ქველმოქმედება ორგანულადაა მიერთებული რუსთველისეულ სახელის მოხვეჭასთან. ამ ფენას დღეს მნიშვნელოვნად ეღობება წინ სავარძლებში ნიჩბით დასმული ხელმძღვანელობა, მაგრამ ნალის შეჭამანდის გმირების ადგილებზე მისვლას არაფერი უდგას წინ. ჯერ კი ისინი სახიფათო კონკურენტები არიან მხოლოდ, და ვინაიდან თავიანთი კლანის ტიპაჟად აქამდე არავის ჩაუგდია, გარიყულან თამაშიდან დროებით, რამეთუ მათი მოსვლა ოაზისში ამღვრეულ წყალს დააწდევებს; რადგანაც მათი მართვა თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან ისინი თავს არაფრით დაუკანტურებენ ყოველ დაძახილზე პირველის ნების აღმსრულებელ გუბერნატორებს, არც ქვეყნის აღორძინებისთვის გამოხმობილი სესხით ააჩხრიალებენ ბამბა-თხილს — ფაიფურის ქარხანას ორასიათასს უწილადებენ, ამდენივეს მექაღალდეებს, და სამამულო კონსერვის საწარმოებლად ასიათასიც მორჩებათ. საერთო ჯამში კი რეგიონის მოსახლეობის გარკვეული ფენა ამოისუნთქავდა, საყველპურო ხელფასი გაუჩნდებოდა ათასებს; ბიუჯეტიც შესრულდებოდა, საპენსიო გარანტიებიც დროულად ჩამოირიცხებოდა. მოკლედ, მდინარე თავის პირვანდელ კალაპოტს მიაგნებდა და გზაც ძველ ორდინარს დაიბრუნებდა.

ყოველივე ამას უფრო მასშტაბურად და გამოწვლილვით აყურადებს ადრე პრაქტიკოსი, აწ თეორიული ცოდნითაც დახუნძლული, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. მისი თხზულებანი კონდიცირებულად გადმოსცემენ აბორჯებული მსოფლიოს თუ დაშოკილი საქართველოს სულისკვეთებას. ამიტომაც სწორად ჭითანავასეულ კონცეფციას ვანიჭებთ უპირატესობას უამრავ ეკონომიკურ მოძ-

ღვრებას შორის, ვინაიდან შედარებით მასთან ვიხილავთ სინთეზური აზროვნების ნებას და კიდევ უმთავრესს — საქართველო მზამზარეული რეცეპტების მსხვერპლად არ უნდა იქცეს, რამეთუ ყოველ ცოცხალ ორგანიზმს საკუთარი სხეულიდან გამოწურული მალამო მოარჩენს მხოლოდ.

— პროკომუნისტურიაო, — მეტყვიან ერთგან მის მოძღვრებაზე, მაგრამ მე როგორც სინთეზური აზროვნების პიროვნებას, აღარ ძალმიძს თვალი დავუხუჭო ჩვენს წინ არსებულ რეალობას: დიხაც სოციალისტურისა და კაპიტალისტური ცხოვრების წესების ნაჯვარი მოდელი გამეფებულია დღეს მთელს დედამიწაზე და ეს არ არის სათბურის უსუსურობა, არამედ დროის გამოჯანდაკებული სინამდვილეა. ბატონი ნოდარის კონცეფცია რამდენიმე სიტყვით შემდეგნაირად გამოიხატება: **საზოგადოებრივი წონასწორობა ეროვნულ ბურჯებზე**. თავად კი უფრო ხატოვნად ასე გამოძერწავს ფრაზას: **„დედით სოციალისტური, მამით კაპიტალისტური და წარმომავლობით ქართული“.** აი, როგორია ბ-ნ ნ.ჭითანავასეული მოდელის ფიგურალური არსი.

შესაშურია მკვლევარის აზროვნების დიაპაზონი დასახელებული თემის გადმოცემისას. განსაკუთრებით თვალშისაცემია საუბრის აკადემიური ტონი, აუმღვრეველობა. არა წამოძახილები და იაფფასიანი ტრიუკები, არამედ მამულის ჭეშმარიტი ჭირისუფლის ქვითინგარეული ხმიანობა. ეს ნაშრომები ერთი ამოსუნთქვით იკითხება, გიშინა- ურდება როგორც მხატვრული ტილო შენი სამშობლოს უკულმართ რეალობაზე, სახიფათო მიმართულებით რომ მიექანება, და დროზე თუ არ გამოჩნდება მესაჭე, შესაძლოა ხომალდი რიფებს მიეფშვნას, მიენაფოტოს.

განხორციელებულა ფართომასშტაბიანი მსოფლიო შეთქმულება სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ. ამერიკული იდეოლოგია და ბიზნესმა ბოლოს და ბოლოს მოისყიდის სნობიზმით შეპყრობილ საბჭოეთის ლიდერების პირზე ნერწყვმომდგარ მადას და კაპიტალიზმი აღსდგება მთლიანობაში პლანეტის მასშტაბით. კუბისა თუ ჩინეთის შერეული სოციალიზმი რწყილებია დევების წინააღმდეგ სსრკ-ს დაშლის შემდეგ.

საქართველოს ეროვნული მოძრაობა კატალიზატორი გამოდგება ამ დუღილისა. იგი ნებსით თუ უნებლიეთ ამ პროცესების წისქვილზე დაასხამს წყალს.

ჩეჩნეთი ვერ გაარღვევს რუსულ ბლოკადას, ვერ მოახერხებს აფხაზური ბორნით შავ ზღვაზე გალაჯუნებას, მაგრამ იჩქერია შეძლებს სხვა მთავარს, იგი უფრო მაღალ რეგისტრში აიტაცებს სამშობლოსათვის თავდადების ღვთიურ მრწამსს, როცა სამმაგ ალყაში გააღწევს დანაღმული ბილიკით და რაჟამს თითქოსდა უსამშობლო ქურდების ასეული ექვსი თვითმსხვერპლი ვაინახელი კამიკაძის წყალობით გააბიჯებს დანაღმულ ველში, ამას აქეთ ჩეჩნეთისთვის გადაულახავი სივრცე არ არსებობს. იგი დარჩება პატროფილურობის განსახიერებად, ეტალონად.

აფხაზეთიდან მოსკოვში ლტოლვილებს, ბიზნესს, უკეთ ჭინჭების ფრიალს გამოდევნებულებს, ჩეჩნები რიხიანად ეუბნებიან:

— აქ რას აკეთებთ, ნუთუ ღირსების გრძნობა დაკარგეთ საერთოდ? ჩვენი დედაკაცები და თორმეტი წლის ბიჭუნები ჩვენს მხარდამხარ იბრძვიან დღესაცა, — და ამ სიტყვების შემდეგ, ძნელია ალბათ, უმადური ლუკმის ლოღნა. ამ სინდრომს ჩვენ ერთხელაც მოვუბრუნდებით, ახლა კი იმას გაუწყებთ, რომ შამილის, მანსურის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, კოსტავას, გამსახურდიას, დუდაევის ძალისხმევის უწყვეტი ჯაჭვი ბურლაკებივით მიუძღვის მთელი კავკასიის ხომალდს შავი ზღვისკენ და მჯერა ადრე თუ გვიან გააღწევს იგი ამ სანატრელ ოაზისში, მაგრამ გააღწევს საქართველოსთან ძმურ კავშირში და ცხადია, აფხაზეთის ქართულ სახელმწიფოებრიობაში მოქცევის პირობებში.

პრეზიდენტი გამსახურდია ამ მომქანცველ და მარათონულ გზაზე ზედმეტი პიროვნება აღმოჩნდება პოკერის მაგიდასთან. მას ჩაქოლავენ სადღაც ჭაქვინჯის (ჭისფსკერი) მისადგომებთან. აცდუნებენ მრავალგზის, ჯერ სამეგრელოს ამბოხებაში ჩაირთავენ მოხერხებული დაპირებებით, მერე სამურზაყანოს მოსახლეობის ევაკუაციის ოპერაციას ჩააშლევინებენ გამამხნევებელი მიტინგით, რომ აფხაზები ღალიძგას არ აფრისდიდებით გადმოლახავენ, რათა რუს ბოევიკებს ერთობ სოლიდური ნადავლი ხელიდან არ გამოცლოდათ.

აქ უპრიანი იქნება ერთი დეტალის მოხმობაც: ცხონებული დედაჩემს ვალია ჯახაიას, ვერაფრით გამოატევენ შინიდან აბარგებული ნათესავები თურმე. იცოცხება ვალია ბებია:

— წამოდი, წამოდიო, — ყაყანებს გაგრის საშინელებების წარმოდგენით სულშეძრული ჯილაგი. ის კი დაფუსფუსებს ნამგალივით წელში მოხრილი, მოიცოცხება და მოიცოცხება.

— დაუგველი სახლი დავტოვოთ? — ფრუტუნებს, — არ იტყვიან, როგორი ბინძურები ყოფილანო, ხომ მოგვეჭრება თავიო? — ხოდა, ასეთი დაკრიალებულ-დაწკრიალებულ ეზო-სახლს ჩავაბარებთ მოშურნეთ.

მმართველობის ამჟამინდელი კატეგორიამ, ,,ახალი ქართველების'' სახელით რომ შემოსულა ჩვენს

ცნობიერებაში, კისერს მოუგრეხს „მხედრიონს“, ვინაიდან ქურდული ფსიქოლოგიის კლანი ნაკლები გამოცდილებისა აღმოჩნდება არქიკომუნისტურთან შედარებით, რომელიც ერთი ცხოველისა არ იყოს მოხერხებულად იცვლის იერსახეს და მთელი ელასტიურობით წარდგა ხალხის წინაშე.აი, როგორია ჩვენი სინამდვილე; აი, რით შემიძლია დაგანუგეშოთ; აი, რით შემიძლია გაგახაროთ.

ას წელიწადში ისლით გადახურული ჩვენი ფაცხები და ჯარგვალიები ოდა-სახლებით შეცვლილა. ჭრაქს და კვარს ელექტრონი შენაცვლებია სანათად, მაგრამ გადახდის უუნარობის გამო მთავრობას ვეღარაფრით ამოუღია მომხმარებლისგან მისი საფასური და ბჟუტავს გრაფიკის შესატყვისად თითოორი საათი დილ-დილაობით და ორჯერ მეტით — საღამოობით.

ალბათ, საგინესოა ჩვენი მოსამსახურეების ხელფასი, ჩვენი საპენსიო გარანტიები, რომელიც შვიდიდან ოც ლარამდე მერყეობს, ანუ დაახლოებით 3-10 ამერიკულ დოლარამდე. ამ თანხით ბატონ ნოდარ ჭითანავას ანალიზით ნახევარი თვის სამყოფ პურსღა თუ შეიძენს მოქალაქე და დანარჩენი დეკადა ქრისტეს სასწაულის მოლოდინით თუ ისულდგმულებს, თორემ სხვამხრივ განწირულია შიმშილით სიკვდილისათვის.

მოშლილია ტრადიციული დარგები: მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მევენახეობა. ალტერნატივა ვერ ეძებნება სოფლის მეურნეობის სტრატეგიულ დარგს ჩაის კულტურას, რომლის უპრეტენზიო ბაზარი რუსეთის კოლონიებისა და სამხედრო შენაერთების სახით მოგჭამა ჭირი. ნახერხად წოდებული ქართული ჩაი დღეს მიზერული დონით იწარმოება, ისიც გერმანული ფირმა „მარტინ ბაუერის“ დაფინანსებით, თუმცა ხარისხს არც „ბაუერელები“ დაგიდევენ. მუშახელს ათ თეთრს უხდიან ყოველ მოკრეფილ კილოგრამში, მაგრამ თუ ხარისხიან ნედლეულს მოვთხოვთ მათ, გამოდის, ორი-სამი ლარისთვის ჩვენმა სადიაცომ ქანცი უნდა გაიწყვიტოს კვლავაც მონური შრომით.

სიმინდი კვლავაც რჩება მეგრელი კაცის რაციონად. ქელეხებში ლობიოს შეჭამადს გვერდს უმშვენებს დალოცვილი კომბოსტოს მწნილი და იშვიათად კარტოფილის სოუსი თუ ქიშმიშიანი ფლავი. უსახსრობის გამო ჩვეულებრივია სიტუაციები, როცა გადასახური ფული ნისიით იწერება საჭირისუფლო რვეულში. ეხ, სად არის კლდიაშვილი თორემ იცხონებდა მამის სულს!

გაძარცული ქარხანა-ფაბრიკების მეტი წილი პრივატიზებულია, როგორც ფიგურალურად დამკვიდრდა ხალხში, პრიხვატიზებული, რადგანაც უღმრთოდ დარღვეულია კოლექტივის ინტერესები. თავის დროზე სახალხო საკუთრებას მათი ხელმძღვანელები ჩალის ფასად ჩაიგდებენ ხელში და მოიპოვებენ რა იურიდიულ უფლებამოსილებას, იოტისოდენადაც არ დაინტერესებთ მათი ამოქმედება. ისინი აწარმოებენ ზუსტად იმდენს, რამდენიც მათი ოჯახების უზრუნველყოფისთვისაა საჭირო.

ამასთან, იუმორის თემაა თავად პრივატიზაციის მონაწილე საქართველოს მოქალაქის კუთრი წონა, მათ დაურიგებ ოცდაათი დოლარის ეკვივალენტურ ვაუჩერებს. თურმე ჩვენი მოქალაქე მთელი სოციალისტური საუკუნე ოცდაათი დოლარის ფასად იტყავებს ხელ-ფეხს. ესეც რომ არა, აღარსაიდან ფაჩუნობს ინვესტიციები, შეღავათპროცენტიანი სესხები, ან თუ დაიკნავლებს სადმე ქვეყნის აღორძინებისთვის გამოხმობილი კრედიტები, ვეღარაფრით გამოცდება თბილისის კომერციული ბანკების ცეცხლგამძლე სეიფებს. წლიურად 10-12 პროცენტიანი სესხი ამ დაწესებულებათა მესვეურების ხარბი მადის წყალობით 30 და კიდევ მეტისა შექმნილა და დამეთანხმეთ, მსგავს ჯოჯოხეთურ პირობებს სამჭკუაშვილების გარდა რომელი წამოეგება?! და თუ არიან საქმის ენთუზიასტები, რისკიანი ხალხი, წლიურ 30 პროცენტთან ერთად მათ ყოველი 100 ათასი ლარისთვის 30 ათასი ხელზე აქვთ მისაცემი ბანკირებისთვის ქრთამის სახით „გაჭირვებიდან გამოყვანისათვის“. ამისთანა ხალხი თვალსა და ხელს შუა კარგავს უძრავ-მოძრავ ქონებას. ბანკები მუქთად დაახროვებენ უამრავ ბინას, ეზო-მამულს, მანქანებს, ოქრო-ვერცხლს, ბრილიანტს.

ნათესავ-მეგობრებისთვის შედარებით შეღავათიანია კომერციული ბანკების დამოკიდებულება. მათ საშუალება ეძლევათ გამოიტანონ დიდძალი თანხა, ოღონდაც ეს სახსრები ქვეყნის აღმშენებლობას კი არა, პრივატიზაციის სიაში შეტანილი ობიექტების ჩალის ფასად პრიხვატიზაციას ხმარდება. ხუთი წელიწადია საქართველო-თურქეთის საბაჟო თვალდახუჭული არონიებს ფერადი ლითონის ბუმით შეპყრობილ, ერთიანად ამტყდარ დედაკაცების ამალას. ასე რომ, საქართველოს, დიდთურქობის სახელით ცნობილი ომიანობის ჟამს, ალბათ, მეტად არ უზარალია, როგორც მატერიალურად, ისე — მორალურადაც. მაშინ ქე მაინც მომხდურს მიხქონდა სპილენძის, ვერცხლის თუ თითბრის ტაშტი. ახლა კი საკმაოდ შელახული რეპუტაციის „გასტროლიორები“, თავად მიაქანებენ თურქეთისკენ უთოს და ელექტრო-მოწყობილობებს... გამოშიგნულია გენერატორები სპილენძის მავთულდახვეული კოჭა-გულანებისაგან. ჩამოხსნილია წარმოება-დაწესებულებათა ალუმინის

კარ-ფანჯრები. ფოთის ნავსადგურიდან ჯართის სახითაა გატანილი ათასობით მანქანა-დანადგარი, ზოგჯერ ცინცხალი, აქა-იქ ამორტიზებულიც, მაგრამ ჯერაც გაუცვეთელი, როგორც ფიზიკურად, ისე — მორალურად. სამაგიეროდ ბაწარაღებით შემოდის სუროგატი: საღეჭი რეზინი და დაპატენტებული სიგარეტი; ხმარებისთვის უვარგისი, ერთჯერადი, იტალიური წარმოების უღიმღამო ასლი, მდარე გემოვნებით შესრულებული თურქული ნაწარმი, ჭრელა-ჭრელა და ფეთხუმი; შემოდის დაუსრულებლად. ბათუმიდან დილაუთენია ჩამომდგარი ავტობუსიდან, ზუგდიდის თუ სენაკის ბაზრების სიახლოვეს ფუსფუსებენ იმპორტული, დადაღული ყუთების გროვასთან გასაცოდავებული ჩვენი დები და დედები, რომელთათვის ოდესღაც წმინდა სახელი წაუგვრია წუთისოფელს და ახლა თურქეთში ქართველი ქალის ხსენებაზე მხოლოდ ირონიული ღიმილი გამოესახება ჩვენს ჯიშს და ჯილაგს — ლაზს, ოდეს ნიშნისმოგებით ეუბნებიან თურქები:

— ესეც თქვენი გურჯი ხანუმებიო.

შეფერხებები ნაკლებია პურითა და პურპროდუქტებით მომარაგების მხრივ. ხორბლის შემოზიდვა კომერციულ სტრუქტურებს გადააბარებს სახელმწიფო, ასე რომ, მისი განცხადებით, მარაგი საიმედოდაა შენახული. ხორბლის შემოზიდვა განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისგან, რაც რამდენადმე ასტიმულებს კერძო ინიციატივებს, ვინაიდან, როგორც წყაროებიდან ირკვევა, გარიგებების წყალობით ხშირად შემოდის უვარგისი პურეულობა, თანაც სტანდარტის მესამედის ღირებულებისა, და მიუხედავად ყოველივესი, ხორბლის შემოზიდვა დღეს ნომერ პირველი ბიზნესია ნავთობპროდუქტებთან ერთად.

კვლავინდებურად გაწამაწიაა ელექტროენერგიის საფასურის ამოღების საქმეში. ჭირს თითოეული კომლისგან თვეში 5 ლარის გადახდევინება, ხოლო ხარკის ამკრეფი ელქსელის მესვეურნი, მღვრიე წყალში თევზის ჭერის პრინციპიდან გამომდინარე, მოსახლეობის დაბალი გადახდისუნარიანობით ხელებს ასავსავებენ და ხშირ შემთხვევაში გულარხეინად ისაკუთრებენ პირწმინდად ამოღე- ბულ თანხას. გადასახადების იგნორირებით მოსახლეობა რამდენადმე ახერხებს სიმბოლური ხელფასის კომპენსაციას. ვეღარაფერს შველის ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარება, რადგანაც მთავრობას სოციალური აფეთქებების ეშინია და ამ ოღროჩოღრო გზებზე ,,ხელიხელჩაკიდებულია'' ხალხი და ხელისუფლება, ხელისუფლება და ხალხი.

განსაკუთრებით ამაზრზენია აფხაზეთიდან ლტოლვილი მოსახლეობის ყოფიერება. 100 ათასზე მეტი ოტებელი ადამიანია თავმოყრილი სამეგრელოში და ზოგი მათგანი ჩვენდა სასირცხვილოდ ბოსლებისა თუ ფერმების გამოშიგნულ შენობებში ცხოვრობს დღესაც, თუმცა რა, თავად მაცხოვარი ჩვენი, იესო, ბაგაში არ შობილა განა?! იქნებ ამ ნაძალადევმა მდგომარეობამ კვლავ წამოატივტივოს ჩვენი სინამდვილიდან ქვეყნის რეალური მესაჭე, ჩვენი დაქუცმაცებული სამშობლოს ჭეშმარიტი მესია?

აქაურობას ჭილყვავივით მოსდებია იეღოველები. ეკლესია ვერ ანეიტრალებს მათ მასონურ საქმიანობას და იშვიათი გამოცემებით თვალებაჭრელებული მართლმადიდებელი მრევლის ნაწილი ზურგს შეაქცევს ქრისტეს რჯულს. სოკოებივით მომრავლებულა რეგიონში იეჰოვას მოწმეთა სექტები, ხშირად თავად ამ მოძღვრებისთვის მიუღებელი ელფერით და როგორც ჩვენს ყურთასმენამდე აღწევს, იმისთანა სექსუალური შტრიხები შეუძენია, ექსტაზში შესული პარტნიორები და-ძმის სახელდებით ეხმატკბილებიან თურმე ერთმანეთს კოიტუსის ამწვერვალების ჟამს.

მხარის სამართლებრივი აღმსრულებელი პრეზიდენტის რწმუნებულია, რომელიც ჩვენი მაგალითის კვალობაზე, ისეთი ობედია, ასი ურემი შეშაც შეუნთო, ცეცხლს მისგან ვეღარაფრით დააგზნებ.

— წყნარად, წყნარადო, — ადინჯებს იგი გაუთავებელ თათბირებზე საქმის გულშემატკივარ ტიპებს. ჩვენი პერსონაჟი რწმუნებულის ძალაუფ- ლება რამდენადმე უახლოვდება ასი წლის წინანდელი სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის უფლებამოსილებას, იმ განსხვავებით, რომ წინამორ- ბედი იქით აკითხავს მრევლს ჭირ-ვარამის შესატყობად, თუნდაც ტრაპეზეზის გადაშლის თვალსაზრისით. ამჟამად კი უსასრულო ყბედობის სინდრომი მძიმე ტვირთად აწევს ისედაც გაჯახირებული ჩვენი გზების გამტარუნარიანობას.

დევალვირებულია განათლების წმიდათაწმიდა საქმე. დევალვირებულია უმეტესი მატერიალური და სულიერი ფასეულობა. ნაგავს მისეული ქოფაკები ღრენენ ღამღამობით ქალაქის ცენტრში. ოჩოფეხებითა და აერწინაღებითღა თუ შეისვლება სველ წერტილებში. ფერადი სათვალეებიც კი ვერ შველის ამ ამაზრზენი სურათის მოკეთილშობილებას.

ჩაფლავებულია კოლხეთის აღორძინების პროგრამა, ვინაიდან ჭურიის მისადგომების ეროვნულ ნაკრძალად გამოცხადება ქვეტექსტური შეტევაა მისი მესვეურების გასაჩუმებლად. აკი, აუყაყანდ-

ებიან გაზეთები ოდესღაც მორჭმულ პრემიერს 7 მილიონი დოლარის თუ ლარის მითვისების თაობაზე. მუქარა შედეგს გამოიღებს და ეფექტურად წამუხრუჭდება კომპლექსის სამუშაოები სუფსის ტერმინალის ფორსირებული მშენებლობის სასარგებლოდ. არის გარკვეული პოზიტიური ძვრებიც, როგორც ამას ბატონი ნოდარ ჭითანავა აანალიზებს: ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, კრიმინოგენური ვითარების მოწესრიგება. ალაგმულია სამეგრელოს რამდენიმეგზის დამლაშქრავი ,,მხედრიონი'', თუმცა მათ ფუნქციებს მეტნაკლები ოსტატობით ისისხლხორცებენ საგზაო პოლიცია თუ საგადასახადო ინსპექციები.

— გააღწიე ამ ჭაობიდან და შენს შემოქმედებას მიხედეო, — კივის ტლაპოში ჩარჩენილი ხელოვანის სული, — წადი, წადი შორს, თუნდაც მოუსავლეთში! ერთი კოსტუმით ჩამოქვეითებულხარ დედულეთში და იგივე გახუნებულით ბრუნდები უკან. წადი, განერიდე აქაურობას, დაეხსენ! დროზე, დროზე მოაშორე შენი თვალხატულა შვილები ამ დარდუბალასო, — კივის მისი ნაგვემი არსებობა, მაგრამ ისევ მხნეობას იკრებს მერამდენედ. თავს ამაყად სწევს მომავლისაკენ, ქვეყნის დამანგრეველ უჩინარ ქარიშხალს უშიშრად მიაგებებს სხეულს და გადაჭრით დაასკვნის:

— არც ერთი ნაბიჯი მშობლიური მიწა-წყლიდან! არც ერთი ნაბიჯი სათაყვანებელი კოლხეთიდან! არც ერთი ნაბიჯი საფიცარი საქართველოდან! როგორც ხვლიკი ნიანგის წვეთია ლორკასებურად, ჩვენც ხერაკლეს ნაფოტები ვართ უკლებლივ, შეგირდო, ჩემო და არაფრით მოვერიდებით წუთისოფლის წუმპეებს! არაფრით შევაქცევთ ზურგს დაბეჩავებული ჩვენი დედების ცრემლით და სიმწრის ოფლით სველ თავსასთუმლებს, თუნდაც სიცოცხლის ფასად დაგვეიღბლოს სითამამე ესე! ჩვენ ხომ ატომგულის გახლეჩასთან მისვლით გარკვეულწილად მიგვიღია რენტგენული დასხივება, შესაძლოა სისხლის გამთეთრებელი ოდენობითაც, ლეიკოციტების საზეიმოდ, მაგრამ მომავლის წინაშე თავაწეულად რომ ესიარულებოდეს ჩვენს ნაშიერს, ,,**ამინ უკვდავება შენი დროსა და სივცეში, დედა საქართველოვ-მეთქი**'', ვჩურჩულებ გულში და სეტყვის მომლოდინე ლოდივით მივეცემი გარინდებას.

1997 წ.

თევზების ზოდიაქოს ნიშნისანი

შემთხვევით არ უწოდებია კამიუს ადამიანისათვის ,,მეამბოხე''. დიახ, ადამიანი შფოთისთავი, სეპარატისტია თავისი ნატურით; არსებული წესრიგის წინააღმდეგ ჩახმახივით შემართული ნიადაგ. ბიბლიური შესაქმედან მოყოლებული ადამიანი ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, გააზრებულად თუ ინსტინქტისმიერად ამხედრებია საკუთარ შემოქმედს, და ხე ცნობადის ნაყოფის ხილება, ჯერ დანარცხებული სატანის, იგივე უხსენებელის სიმბოლიკით ევაში, მარადქალურში, თხიერში შემოსვლა ამ სულისკვეთებისა და შემდგომ მარადმამრულში, მყიფეში, კრავს მსოფლიო კანონზომიერებას ხომო საპიენსის თვალსაწიერით.

ჩვენ ამ ინდივიდუუმს, ფენომენს სამ თვისებრივ განზომილებად წარმოვსახავთ:

M — მასკულინუმ, ,,მუჟჩინა'', ,,მან'' ,,მენ'' — მამაკაცი;

W — ფემინინუმ, ,,ჟენშჩინა'', ,,ფრაუ'', ,,ვუმენ''— დედაკაცი;

და საშუალო სქესი რომელსაც საზოგადოებაში ვერაფრით მოუპოვებია არსებობის უფლება, იგივე საღთვო დოგმებისაგან თუ ბიოლოგიური მდგომარეობისაგან გადახრების გამო, რომელი კრებითობა მსოფლიო მოსახლეობის მეოთხედზე მეტს შეადგენს უცილობლად და ჩვენ წამოვსახავთ 2 ოქსის — XX სიმბოლიკით, როგორც ორგზის გამოუცნობს სოციალოგიური თუ ფილოსოფიური განზომილებებით.

სიკვდილმისჯილებს დასჯამდე გამოჯანმრთელებას დააცლიან, სიცხიანებს ტემპერატურას დაუგდებენ, და მხოლოდ მერმე გააყოფინებენ ყულფში თავს, ან დაადებინებენ კისერს საჯალათო კუნძზე და დაასკუპებენ თვალაკრულს ელექტრო-სკამსა თუ მოშვერილი ლულის წინაშე.

საზოგადოებისგან ნორმალურია ასეთი თერაპია.

გიჟს, შეურაცხადს, სულით ავადმყოფს ყვითელი სახლის სიმყუდროვეში განამწესებენ, თუნდაც ხიროსიმა-ნაგასაკის ცოდვა-ბრალი ატვირთებოდეს, გაიმეტებენ მორჩილების ხალათისათვის, მაგრამ, აი, გენეტიკურად გადახრილებს — ნურას უკაცრავად, ისინი მარადიული ქირქილისა და განკიცხვის ობიექტებად ქცეულან ჩვენივე უმეცრებით, ჩვენივე სულისმოკლეობით, ჩვენივე დანაშაულებრივი კანონებით. **M**-ს ნიშნის თვალსაზრისით ბიოლოგიაში შეესატყვისება — იეროგლიფი;

W-ს—, ხოლო საშუალო სქესისას — XX — ანუ გადახრებს, რომლის რეცესიულად მატარებელი ნე-

ბისმიერი ინდივიდი, თუმცა გარეგნული მორჭმულობა ფარავს ხშირად სულიერ დეპრესიებს, მაგრამ ძირითადში მაინც ნაცარქექიათა საუფლოა: ქოსების, მყივანახმიანების, კლაინფელტერის სინდრომიანთა, — 9 +6 და ამით გამოიკვეთება ხერმეს-აფროდიტეს მემკვიდრის, იგივე ხერმაფროდიტის, ნიადაგ განქიქებული ორბუნებიანობა, ორსქესიანობა, გამჭოლხასიათობა, მავანთაგან საპამპალვაქო, რომელსაც გაჩენის აქტით, ბუნების წიაღში შემობიჯებით დაურღვევია თითქოს სამყაროსეული წონასწორობა, მაგრამ თუკი დავაკვირდებით თავად უფლის ბუნებას, აქ ყველაფერი გასაგებია, ყველაფერი ხელისგულზეა მობოჭილი, რამეთუ მაცხოვარი საკუთარ თავში აერთიანებს ,,+'' — პლუსს და ,,—'' — მინუსს, როგორც სამყაროს მამოძრავებელ ბიპოლარულობას, ანუ ურთიერთგამომრიცხავ, სარკისებურ ანარეკლებს აწრედიანებს; აცხოველსულიერებს ადამს ტალახისგან თუ ბიოლოგიური მასალისაგან და მხოლოდ შემდგომ გამოაცალკევებს ამ საღვთო ქმნილებისგან ქალურს ნეკნის სახით.

იგი პირწავარდნილი ნეიტრონია, პროტონ-ელექტრონის დამზავებელი ფიზიკის ენით. ამიტომაც ღვთიურის მიბაძვა, ხატი-ადამიანი, შეუძლებელია იყოს ცალკერძ მამრი ან ცალკერძ მდედრი, არამედ აბსტრაქტიული სიდიდეა, უსქესო, იგივე ,,კაცი'' ზოგადად, რომელიც ქართულში დაკონკრეტებულია თავისი სქესობრივი რეკვიზიტების მიხედვით: მამრს მამაკაცი ეწოდება, მდედრს — დედაკაცი და ამით მოწესრიგებულია თითქოსდა ყოველივე, თუმცა, უფლისეული განზომილებიდან მათი სრულყოფილება — ერთობლიობაა, კოიტუსებით მიღწეული, იგივე ბავშვში განსხეულებულა, სანამ მის ხასიათში სქესი გამოიკვეთებოდეს. ამისთვისაც ესმით მეტადრე ცაბაოთის მცნებების ნორჩებს, პატარებს, ანცებს და ონავრებს ერთის მხრივ და ამავდროულად; მცენარეთა თუ ცხოველთა სამყარო მათი სულიერი ტკბობის უმეტოქო ობიექტია. ამიტომაც შედის უფალში და მერე მისით — ბავშვი სამოთხეში ათასწილ იოლად, ვინემ კონკრეტული პიროვნებანი, ზეწმინდანებია ისინი თუ სულაც ზეგანსპეტაკებულნი.

ხერმეს-აფროდიტეს ნაშიერის მდგომარეობა ავადმყოფურია ცხოვრებისეული სინამდვილიდან. იგი დაცინვის თუ გაკილვის საგანია კაცურ-ქალური პოზიციიდან: თითქოს თავად ამ ინდივიდებს მიუძღოდეთ რაიმე წვლილი გაორებულ ბიოსახედ ჩამოყალიბებაში. მაგრამ განა მაცხოვნისეული სიტყვებით ადამიანს ძალუძს კი თმის უბრალო ღრის შეცვლა საკუთარ აღნაგობაში? თუმცა ზეცნობიერი გურუს მიმტევებელი თვალი იდაყვით გააჩოჩებს საწერი მაგიდიდან უბედრუკი წიგნების წყებას ლეთას მორევის დასაპურებლად და ხმამაღლა განაცხადებს უმეცართა ლეგიონის გამოსაფხიზლებლად:

სიცოცხლის ხის ძირას ნებისმიერი ინდივიდი თანაბარუფლებიანია არსებობისათვის, ბიოლოგიური თვალთახედვით, მაგრამ ცხოვრება აუპირატესოებს ზეციერის დაწესებულ საზღვრებს. რაც შეეხება შუალედურ ფორმებს, აქ ზედმიწევნით მოხდენილია ღმერთის მოდულაცია: უამრავი ბოტანიკური სუბსტრატისათვის დამახასიათებელი, ორბუნებოვნება, ორსქესიანობა რის გამოც სრულებით აღარ ძრწოლავენ და კანკალებენ ისინი არასრულფასოვნების ცივილური კომპლექსით და უფრო ამაზრზენი — არ მისდევენ გაუკულმართებებს სოდუმური ცოდვებით, არამედ ეზიარებიან ზესთა განზომილებებს დალაილამათა ბედისწერით და ტკბობით; თუმცა ოდესმე სქესის პრობლემებს განსხვავებული მიდგომებით გააცნობიერებს ჭეშმარიტების მაძიებელი ამბოხებული ადამიანი და აქ სავსებით სამართლიანად მიხვდება ერთ შეურყეველ დებულებას:

მისი სხეულის ნაწილებს შორის, წელს ქვევითა მყეს-ნაკვთია იგი თუ წელსზევითა, ნებისმიერი თანასწორუფლებიანია.

ეს ეჭვმიუტანელი აქსიომა ერთადერთ ქართველ მწერალს შეუნიშნავს ჩემი მამულიდან — კონსტანტინე გამსახურდიას, რომ ფალიკური რეგალიები არაფრითაა უპირატესი დანარჩენი ორგანოებისაგან და პირიქით, როგორც ეს ბიბლიიდან შთაეგონება ძეხორციელს ლეღვის ფოთლის დაფარვით.

დიახ, სამოსელი ფარსია ყოველი ჭურჭლი- სათვის. არ არსებობს ცისქვეშეთში ქსოვილი, რომელსაც სხეულებრივი ზადის დაფარვა ძალედვას უფლის წინაშე და უპოვარია ხორცი ძვლის თანხლებით, რომელიც თუნდაც იოტისოდენად მიამყუდროებდეს სულის ბიწიერებას ცაბაოთის თვალწინ, იგივე ჭეშმარიტების არენაზე, ვინაიდან თავდაპირველად იყო სიტყვა— სიცხადე-სინათლე, სიტყვა იყო ღმერთთან — იგივე სრულყოფილებასთან, სავსებასთან და — სიტყვა იგი იყო ღმერთი, იგივე მარადისობასთან, ჯოხის შეერთებულ ბოლოებთან; ანუ ,,სიტყვა'' ხეგელისებურად თუ განვსჯით, გაივლის ტრიადის სრულ ფაზას: თეზა-ანტითეზა-სინთეზის — განვითარების სრულყოფილ სტადიას, სადაც პირველ რეალობას უარყოფს მეორე, მესამე დაწინაურებულის სასარგებლოდ; სადაც ,,სიტყვა'' ეზიარება ღვთიურ სამოსელს და ამგვარად ამაღლებული შემოენაკადება უფლის ხატს — ადამიანს, როგორც მიზანი, როგორც არსებობის წესი.

ასე რომ, შემთხვევით როდი მიუთითებენ გენიოსები: სქესის მოუთოკავად მშვენიერ-ამაღლებულ-

ტრაგიკულ-კომიკურთან ზიარება ყოვლად გამორიცხულიაო. შესაძლოა სიჭაბუკის წლებში მოცარტივით ჩინებულად გევილიონება, დიდებულად გეფერწერება გოიასავით, ან გასაოცრად გეპოეზიება რემბოსავით, მაგრამ ვერაფრით განასრულებ ღვთაებრივ ხომერულ თუ გოეთესმიერ საქმეთ.

იქ, სადაც აზრის სიანკარეა საჭირო, ინდივიდი განთავისუფლებული უნდა იყოს სექსუალურ თვალთახედვისაგან, უნდა დაწდევდეს ჭარბი ემოციურობისაგან, უკეთ სექსი უნდა იქცეს მისი ბიოლოგიური წონასწორობის საშუალებად და არა— მიზნად.

წინდებული ნაწარმოები, შესაძლოა აღარ მოითხოვდეს საკითხის ამგვარი მიმართებით წარმოჩენას, მაგრამ ვინაიდან ამ პრობლემებზე ადრე თუ გვიან დაუნჯებულად გავესაუბრები ჩემს გულისხმიერ შეგირდს, შეჯამების დამაგვირგვინებელ მონაკვეთში, იქნებ პრელუდიად, წინათქმად ჩამომერთვას, გნებავთ — თავად ქართველი კაცის გააზრებად, კვლავაც ხეგელის სიტყვებისვე მოშველიებით:

„მხოლოდ კავკასიის ხალხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ მთლიანობას, ერთიანობას საკუთარ თავთან, აბსოლუტურ დამოუკიდებლობას... აღწევს თვითგამორკვევას და ამით წინ მიხყავს მსოფლიოს ისტორია“.

ახლა დააკვირდით, რომელ ცივილიზაციას, რომელ კატეგორიასაა რომ ამხედრებია წარღვნიდან მოყოლებული ინდოევროპული ტალღა; რომელ ამირანს აჯაჭვავს კავკასიონის მთებზე და რომელ ეთნოსსაა გულ-ღვიძლს უკორტნის ზევსის არწივი?!

მართალია, ყოველივე მითების საბურველიდან იმზირება, როგორც პატარძალი სანთიობოდან და ჩვენთვის მირაჟის მიმსგავსებით გაცხადებულა გამონათება ესე, მაგრამ თავად წარმოდგენილი მასალის გარკვეული ანალიზი ერთხელაც დაგვანახებს, რომ ჭეშმარიტება საკრალურის მიღმა ფეთქავს საძილე არტერიასავით და მარადიულობის მთაგრეხილებს აღმოაცენებს ზღაპარში მოსროლილი ფილთაქვის დარად:

„მეიროხანი“ საქართველოს ყოფითობას თუკი მოიაზრებს ბორჯალების, დრო-ჟამის მიმართებაში, როგორც სცილა-ქარიბდას შორის მომწყდეულ განზომილებას, ანუ „ხოსა“ და „არას“ საზღვრებში მოქცეულ არჩევანს, უფრო ზუსტად კი „ქრისტიანულ“ და „მუსულმანურ“ სივრცეებში მობოჭილ ეთნოსად, „შურობუმუ“, „პალიასტომი“, თუ „ფადაასობა“ დააკონკრეტებს ამ მერყეობათა გუნება-ხასიათს და მიუხედავად ზეგავლენათა მიჯნების განვრცობისა, სიტუაცია არსებითად იგივეობირივია:

ქართველი კაცი კვლავინდებურად ალტერნატივის წინაშეა;

ვისთან? რუსეთთან თუ ამერიკასთან?

რომელთან? სოციალისტური რეჟიმის ნანგრევების მემკვიდრე ჩრდილოეთთან თუ ფორსირებული კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის „ტიტანიკთან“, რომელიც თავადაც იძირება დანაშაულებრივი ასპარეზის წყალობით ეროვნულ ფასეულობათა იავარქმნის გზაზე; ჰონორით მიერეკება მსოფლიო ხალხებს მასონური ერთსახოვნებისაკენ, სადაც დოლარის თიმთიმა ნაღველა გადანთხევია მთელს ცივილიზაციას და მეამბოხე ადამიანის მერმისი გაცდება საქართველოს ჩარჩოებს და ამიერიდან მიჯაჭული ამირანი მთელი კაცობრიობაა.

ჩასვენებულია გარკვეული ჟამიერობით მარადიული იდეალების — ძმობა-ერთობა-თავისუფლება—მზე, სანამ მესამედაც არ შეუტევდეს ძალმომრეობის საპლანეტათშორისო ინსტიტუტს რობესპიერების და ულიანოვების დიქტატი; მაგრამ ჩვენთვის მთავარი და არსებითი სხვა სფეროა, ნაკლებ მასშტაბური ამ შემთხვევისათვის, ერთგვარი რაკურსით — საყოფითო.

ნაპო ხუფენია პირველი დისიდენტია ჩემს ცხოვრებაში, რომლის ანტიმთავრობულ მსჯელობებს, ანტისოციალისტურ პროპაგანდას სიმინდის გარჩევისას შევესწრები ოტობაიას მთვარიანში.

პროკრსუტეს სარეცლის პრინციპებით როდი მოვუხმობ ფაქტებს, არამედ ყოველივე ფოტოგრაფიული სიზუსტითაა დაფიქსირებული; მართალია, რამდენადმე გაუბედავია ეთერ დეის თანამეცხედრეს ამბოხი სოციალიზმის ფსკერიდან, პროვინციის ჯურღმულიდან, ამ განცდას ოცდაჩვიდმეტი წლის სუსხი აზრობს რამდენადმე და იქ გაცხადებული მსწრაფველობა საოჯახო თუ სახელმწიფოებრივი ახალი წესრიგისაკენ, განსაკუთრებით ჩემს ძუძუმტეს დააჩნდება წარუშლელ დამღად, ვინაიდან სოციალისტური ეტნადან ამონთხეული ინდივიდი შეუძლებელია განწირული არ იყო კაპიტალის ატლანტიდაში დასანთქავად.

აკი, განაცხადებს კიდეც ჩემი ძუძუმტე:

— ყველაზე საცოდავი თევზი ყოფილა, თურმე, ვინაიდან პირი წყლით ამოვსებიაო.

ეს თავად ჩემი ძუძუმტეს ეგზისტენცის საფანელია, სახსარი, საშუალება, ღონე, ვინაიდან მისი არსება გაჟღენთილია ამ ოკეანეს ტალღათა გრაგნილებით, რომელიც ათიათასი მდუღარებით ახშობს ყოველგვარ თამამ განცხადებას, რამეთუ ამ კატეგორიის თაობა სოციალისტურ-

კაპიტალისტურის იშვიათი ხიბრიდია — ბიურგერულ-რევოლუციური: ცალი ხელი საბაზრო ეკონომიკისკენ გაურბის, როცა მეორეთი სანდო თასმებით მკვიდრად მოუბოჭავს თავი ქისათათვის, თანაც ბოლოდროინდელი სოციალური მიდგომებით, სიტუაციებით, მოხერხებულადაა შეცურებული ფარსის ავანსცენაზე;

განტევების ვაცისათვის ხელი შეუხოცავს მეფედან მოყოლებული პაიკით დამთავრებულს — აქლემის კიკუსი ნემსის კიკუსს თვალში გაჩხერილ დირეს წააყვედრის და თითქოს გასწორდება სამამულო კუზი კოზაკის ქედზე, თუმცა სამი თვე ისე გაჯახირდება, სახელმწიფო მანქანას ვერაფრით მოუძებნია ჩვენი ემხას სავარძლის სადაგი გვამი.

პროფესიონალების დეფიციტის პირობებში, ცხადია, ვინმე შემთხვევითს ვერ წამოასკუპებენ ორღობეთა საქილიკოდ და განიყოფა ხუფენიას თანამდებობა ორ ტოლძალოვან ნაწილად — განმკარგულებლად სმაკელი ნაცარქექიაა დანიშნული და აღმასრულებლად რომელიღაცა ყანთელი. მოკლედ ყოველივეს საღიერად რომ განჭვრეტ, გიჭირს განსაზღვრო, რომელია ძუძუმტეს წელს ზევითა და რომელი — წელს ქვემორე; თუმცა ესეც ანბანური ჭეშმარიტებაა — იანუსობისათვის უამრავი ხარკია გასაღები, თანაც — სულის უზალთუნებით.

ალბათ, ესეც ერთ-ერთი უტყუარი ფენომენია აფხაზეთიდან ჩვენი მასობრივი აყრისა, უკეთ გამობუნძურებისა და მიუხედავად ერთგვარი ბუხხალტრული ცდომილებაა ნადარეიშვილ- ვაშაკიძის დევნილთა სიებსა და ოთხმოცდარვა წლის აღწერის მონაცემებს შორის, სურათი ნათელზე უცხადესია:

რუსები ქართველების ორსაუკუნოვანი პროტექტორობის პერიოდში იმდენს მაინც მოახერხებენ, რომ მებრძოლი სულისკვეთების ჩვენს მოსახლეობას მამონასმოყვარე ბრბოდ გადააქციონ.

როდესაც ჩრდილოელი დამპყრობი მიხვდება, რომ დიადი ფასეულობების მატარებელ ქართველობას, კავკასიური რასის ფუძეს და მწვერვალს, იარაღით ვეღარაფრით დაამხობს, ან უნდა გაეჟუჟოს ქრისტიანმა ქრისტიანი და ამით პირსისხლიანის სახელი დაიმკვიდროს სამისდღემშიოდ კაცობრიობის ცნობიერებაში, ქრისტეს მეექვსე მცნების დამამხობელი, ან თორიას კასრ-მეთოდი უნდა მოემარჯვებინა სიმაძღრის სინდრომი, ქრთამის, კორუფციის, მოთნეობი-ქვეძრომობის სამკაულების ცვენა.

ხოდა, ქამარმოხალვათებული ჩვენი საზოგადოება დაეწაფება და მიეხარბება ფარისევლურად შემოგდებულ სალაფავს ზესიმაძღრემდე, მუცლის გვრემები რომ მოსდევს შიგადაშიგ; დაუშვებს მანანების წვიმა ციდან, უზრუნველობის ილუზიებით მოაბოშებს ოდესღაც ამაყ, თავისთავადობისათვის ნიადაგ შემართულ და მსწრაფველ ჩვენი სულებს; მეფისტოფელური სიცბიერით მოიხელთებს და აღარც ქრისტე ჩანს სადმე ფაუსტის მეობის გადამრჩენლად.

მიაღწევს თითქოს მიზანს, შამილის ერისგან განსხვავებით, ჩვენი საზოგადოება საკუთარი ყროლის თავსასთუმალზე მინებივრებულა არხეინად, ხოდა, მიდი— მოვდივარ.

აფხაზეთის დაკარგვის უამრავ ვერსიას შორის კვარაცხელია-გოგუაძეს ტანდემურობა ამერიკის ინტერესებს ასახელებს, ანუ აფხაზეთის კონფლიქტს შტატებისგან ინსპირირებულად მიიჩნევს და აქ გამორიცხული არაფერია ცეერუს საცავებში ჩაუხედავისათვის, მაგრამ საით მიჩინდრიკებ თავად შენ, ჩემო მიტუა ბენტერავ, მიხოვ ტიალო, საძაგელო ჭიჭიკიავ თუ ძუკუ ნაძირალავ?!

ვინ ოხერტიალისკენ?

მოგწყენია შენი სივერანეს ბარაქიანი შეყნოსვა? თუმცა როდის იყო საკუთარი სიავე ინდივიდს ზარავდა? პირიქით, იმ გოგირდასა და კუპრში ყურყუმელაობა ებედნიერება სამგელს.

ამიტომაც და მხოლოდ ამიტომ ემტერებიან ჭავჭავაძეებს მეტის გააფთრებით წიგნთფარეშები;

ამიტომაც და მხოლოდ ამიტომ აუწიწკნით ქონით გაგლესილ ძარღვებს მისი საშვილიშვილო აბაბანება სამსჯავროს პირუთვნელი კათედრიდან;

ამიტომაც და მხოლოდ ამიტომ შესწკავწკავებენ მისი ფეხსაცმლის ლანჩებს ერის ცნობიერების პოსტამენტზე აღმართული მონუმენტიდან ვიეთნი, თუმცა ესეც ერთგვარი ფანდია, ისევ ჩრდილოეთის მიერ დაგებული კაკანათის მსგავსად, გნებავთ დემოკრატიის ფსევდობაირახტარისა, რომელსაც არაფრისდიდებით უნდა შეეხო კეთროვანსავით, თორემ ერთხელ და სამუდამოდ ჩაგითრევს მრეში ჭაობივით, შეგირდო, ჩემო, ჩაგითრევს და დაგნთქავს თავის უსაზღვრო ამაზრზენობაში.

და როდესაც ბესიკ მესხია საყოველთაო ბრალდებით სამარცხვინო ბოძზე გააკრავს ნებისმიერი მეოტის გადაგვარებულ მომხვეჭელობას, მათ უშინაარსო-უპერსპექტივო ვალალს, მათი სულების გაცამტვერებას უნიათო მომხვეჭელობით, პატროფილური ხერხემლის გასაღუნად, პატრიოტული სულისკვეთების დასამხობად, მამულისშვილური მისიის აღსახოცად, ბაგეს დაიმდუმარა დიდი თუ პატარა, სალოსი თუ ბრძენი, მამაცი თუ ლაჩარმა, რადგანაც მართალი კაცი ქვაზე მაგარია;

ესენი ვის ჩაუგდია სათვალავში, როცა თავად ყელგამოღადრულები და მუცელგამოფატრულებიც კი მოკუმავენ შეძრწუნებული თვალების მეზობლობაში დაფჩენილ პირებს;

სიმართლე, მკვეთრი სიმართლე შემუსრავს ერთიანად ათასების უზომოდ დასამკაულებულ ფიტულებს და არა შევარდნაძე-ნადარეიშვილის ომისა და მშვიდობის ხამლეტური ყოფნა-არყოფნის მედიტაცია.

მხოლოდ ორმოცწლიან უდაბნოეთში განწმენდილებს ებოძებათ ქანაანში შესვლის შანსი, მაგრამ ეს გზა საკენის მისაბრუნებლით დღეს სულდგმულისათვის ოცნების საგანია მარტოოდენ, და რომც მოახერხოს იგი ფიზიკურად, რომც დაიბრუნოს იავარქმნილი ფუძეები ათასერთგზის დარწმუნებული ვარ, მამონასმოფარეს აღარ მოეპოვება სამშობლოს მკერდით დაცვის შესატფისი შემართულება, ლაბრას თუ გუმისთას პაზიციებთან ჩახოცილი ბიჭების რკინის გულის ნატამალი და მერამდენე გამობუნძურებისთვისაა განწირული მორიგი აჩოჩქოლების ჟამს.

მაგრამ ეშმაკის გაკვანჭულს უფალი აწესრიგებს სასიკეთოდ, და რადგანაც დასახულია განწმენდის სამშვინველი — გადარჩენის ქვაკუთხედად, ვალიკო მესხიას შეგონებანიც უკმარია ჩვენი აცუნცრუკებული სულების თუ ყოველდღიური ტირუტარუს გასაანალიზებლად; რათა ერთხელაც განშორდეს წარმავალ წყალს ფასეული ქვიშა, და ყოველივეს გათვალისწინებით, ვეღარც აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის სახელდახელო კრებითობა წაადგება საბედიანოს მომავლის ხსნას სახსარ-საშუალებად, ვინაიდან ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ჩაფარცხვისთანავე ჩაცხრება მისი პათეტიკური ხმიანება, ოდესღაც გაზეთ ,,კავკასიონში'' წამოსროლილი მოწოდების მსაგვსად, სადაც ანშლაგით აწყობილი ,,გახსოვდეს აფხაზეთი'' შაგრენის ტყავის თილისმური კანონზომიერებით ნიანგიდან ჯერ ვარანად გადაიქცევა — უდაბნოს შუალედურ ქვეწარმავალად, შემდეგ— ცეროდენა ხვლიკად სალ კლდეზე რომ მიფიცხებია მზეს.

ესეც რომ არა, ჩემთვის შინაგანად მიუღებელია აფხაზეთიდან გამოძევებული მოსახლეობისაგან პოლიტიკური პარტიის შექმნა, რაღაც საპარლამენტო მოთხოვნილებათა მასალა, არამედ მიზანმიმართულად მეჩვენება რაღაც მოძრაობა ამ სიმრავლისაგან, რაღაც მსვლელობა ერთი შენაარსით, ერთი დედააზრით, მოგვიანებით ,,ფადაასობად'' გაცნობიერებული ჩემში.

მართლაც რაში უნდა წაგვდგომოდა ადრეც დაგმობილი ექვსწლიანი პრაქტიკა — როცა დიდის სერიოზულობით ფინანსდება აფხაზეთის სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ტრანსპორტის სამინისტროები, უმიწიწყლო ხალხისათვის, უტერიტორიო ჩინოვნიკებისათვის?

ამგვარი ბუტაფორიული შინაარსით აფხაზეთის რეალურ დაბრუნებაზე საუბარი რომ იუმორის თემაა, დამეთანხმები, გულისხმიერო, შეგირდო.

სტრუქტურების შენარჩუნება სავარძლებისათვის უმაქნის ღონისძიებად მესახება კაზანბათა თავგადადებული პრაქტიციზმის ფონზე. უტერიტორიო, დევნილ ხელისუფლებას მე არაერთგზის მივანიშნე ინფორმაციული ომის გააქტიურობისკენ; რომ ყოველი ბერკეტი, ყოველი მოსაქცევ-მოსაბრუნებელი და შესაძლებლობა ინფორმაციული ფრონტისკენაა მისამართი და აქ ინდივიდუალური მიდგომები, სოლო გალაშქრებანი იმპერიალიზმის გიგანტურ მანქანასთან, მის მასმედიასთან, რწყილის და სპილოს პროპორციებია; რომ საშინაო გაკვეთილის დონისაა ნებისმიერი პუბლიკაცია, ნებისმიერი გაპაექრება, თავად გამახარიების, მიბჩუანების, გასვიანების, ოტობაიათა, ნადარეიშვილების თუ სხვათა, ვინაიდან უნიათო გამოხდომის ხასიათისაა თითოეული; არ გააჩნია ორგანიზებულობის მუხტი, მასშტაბი და დიაპაზონი; იგივე ძაღლის დაწკმუტუნებაა ლაფაროსთან, რაჟამს წიხლის შექნევის შემდეგ კუდამოძუებული დაეყუნცება საცხოვრისის მოშორებით.

მითქვამს და ვიმეორებ, სანამ ინფორმაციული ომს არ სახელმწიფოებრივი მინიჭებია, მნიშვნელობა; სანამ ინფორმაციულ ფრონტს არ ააქარიშხლებს სრულიად დევნილთა ძალისხმევა, ოღონდ პარტიის კი არა, მოძრაობის, მსვლელობის, ლაშქრობის შინაარსით გაჯერებულს; თანაც ხაერში გამოკიდებული უმიწაწყლო სამინისტროებისათვის გახარჯული ლარების ასი პროცენტი ვიდრე ანიდან ხოემდე ინფორმაციულ ომს არ დაესაგზლება, აფხაზეთის სრულფასოვან დაბრუნებაზე ფიქრიც ზედმეტია, ცერცვისა და კედლის ტრივიალური ტანდემია, მოხერხებული მწყემსის სატყუარაა — გუდაში ჩასმული კატა ცხვრის ფარის შესაქცევად. მეტიც, ინფორმაციული ომით წაგებული, ვერასდროს შეიქნევ მახვილს ღირსეულად, ვერასდროს აუხირდები დუშმანს გააფთრებით, ვინაიდან უკვე ღმერთთან გათანაბრებული სიტყვით ხარ დაბასრული.

იქნებ გაგვახსენდეს, ხომეროსის გმირები სანამ ხელჩართულ ბრძოლაში ერთურთს, ეკვეთებოდნენ, ჯერ სიტყვიერ არსენალს ამობერკეტავენ გულიდან — ქადილით, მუქარით შეარყევენ მოწინააღმდეგის ვაჟკაცობის ბალავრებს და მხოლოდ მერმე დასცხებენ ერთმანეთს აბჯარის ჟღარუნით.

ეს ყოველივე ფსიქოლოგიური ფაქტორია.

განა უსაშინლეს უხსენებელსაც მაგიური სიტყვით არ ამოიყვანს ხვრელით სულმნათი რუსთველი?

მაშ, რა ჯანდაბა დაგვტაკებია ამ ეჭვმიუტანელი სიბრძნის მფლობელებს, თუ ცთომილი ტაქტიკა განგებ მოგვიმარჯვებია სრული დამარცხების გააზრებულ წინაპირობად?

მომავალი ყველაფერს გააცხადისმიერებსო, იტყვიან შუბლზე სალოკი თითის სოკრატესეული მიბჯენით. ეს ყოველივე სანაგვეში გადასაყრელი ერთხელ აღმოჩენილი ამერიკაა, ვინაიდან მშვენივრად მემარჯვება თესლიდან სარგებლიანი ნაყოფის წარმოსახვა.

უფალიც სწორედ იმისთვის მოუწოდებს მრევლს იფქლისგან ღვარძლის გამოსახშირად, რამეთუ სარეველას გამარგვლას შესაძლოა უებარიც ევნოს; მხოლოდ დათავთავების, დაპურების შემდეგ მიუჩენენ თითოეულს განკუთვნილ ადგილს.

ეს ყველაფერი ცაბაოთის ხატი — ადამიანისთვისაა დაწესებული, და არა თავად მაცხოვრისათვის, თუ მის მიერ ცხებულთათვის. ასე რომ, მომავლის მწვერვალების შესაგრძნობად, სადღეისო ეკალჯაგიც საკმარისია. მათგან გვირგვინების დაწნვამდე ხომ ერთი მოზომილი გადაბიჯებაა.

ხოდა, ვისკენ აიღიროს თავი კავკასიონზე მიჯაჭვულმა საქართველოს სხეულმა?!

— რუსეთისკენო? — დავყოყმანდებით ჩვენ.

— ამერიკისკენო? — მივიდრეკებით ლერწამსავით.

მე კი ვამბობდი და ვიმეორებ, შეგირდო, ჩემო:

— საკუთარი აღნაგობისკენ - მეთქი;

საკუთარი მთვლემარე ენერგიისაკენ, ვითომცდა დასადგურებული უმწეობიდან;

საკუთარი უჩინარი სიმაღლეებისაკენ, რომელიც სადღეისო ჭაობის მთვლემარებით დაყურსულა, მაგრამ მარგია რამეს მარტოდმარტომ რომც გამიგო ქარაგმა ესეა ათორმეტთაგანსავით?! რა დიდი ბედენაა ყოველივე ოდეს მილეთი ხალხი ვერ შეიგრძნობს ნათელ დღემომავალს აისის გაუბედავი თითებით, თანაც უძინარით სავალალოდ?

რანაირად შეძლებს დაგრეხილი თხმელებისგან ჯერ გარანდული ფიცრების და მერმე მათით აწვართული ოდა- სახლების წარმოდგენას, როცა დარწმუნებულია მურყანი მალეფუჭადი ძელქვასგან განსხვავებით, თუმცა სამი წლით წყალში დაძირულს, ნებისმიერ მერქანზე მეტი გამძლეობა მოსდევს ხოლმე, უმეცრებისა რა ვთქვათ თორემ?!

ან კიდევ როგორ ძალედვას თელას ნაბზარში გაჩრილ სოლივით სულგაჭირდიდებულ საქართველოს იმ ნაპრალიდან საკუთარი ძალისხმევით ამოხტომა? ეს ხომ ობივატელის უნაყოფო ოცნებაა, იგივე ქონებიერი კაცის, ცათა სასუფეველში თითივით გალოკილის შესვლა საკუთარი ნებით, ვინაიდან ქონებიერი მორჭმულ მდგომარეობას უკეთესად შეელევა, ვიდრე აქლემი— ნემსის ყუნწში ხეტიალს;

და რადგანაც ამაოა მსგავს ვიწრობში გაღწევის პრაქტიკული შესაძლებლობანი, პირში წყალდაგუბებული თევზის ზოდიაქოს პატიმარი სახელმწიფო მოხელენი, ველარაფრით გაექცევიან საბას მიერ ოქროდ მიჩნეულ დუმილს.

აქ ისევ სხვა მასალა-ნედლეული აღიმაღლებს ხმას, დედის წიაღიდან მუხად, ძელქვადვე შობილნი, ან უკიდურეს შემთხვევაში ვითარებისგან თხმელასავით წყალში დაყოვნებით გაძელქვებულნი, გახეკორძებულნი, სხვა როკთაგან ნათალ-ნაჩორკნი, მესამშობლო გენისანი სიტყვით და საქმით და არავითარ შემთხვევაში — ცალ-ცალკე, განკერძოებით, იგივე ჯემალ გამახარიანი თუ გოგი გაჩეჩილაძეები, გამოუსწორებელი მოციქულნი მარადიული მეამბოხე სულის მატარებელი პატროფილიისა — მამულის ბედისა და უბედობის ჭირისუფლებად რომ შეგვირაცხავს თევდორე ბერივით, ქეთევან დედოფალსავით, ცოტნე დადიანივით, თხის რძით სულის შემონახულ საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესსავით, თავისუფლების გზაზე უკანასკნელი მსხვერპლის მაძიებელ გია აბესაძესავით, თუ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მსგავსად, ასერგასი დღით წარღვნილი სულებს ჯოჯოხეთისგან რომ გამოიტაცებს, სამოთხისეული განზომილებების სასარგებლოდ ისევ და ისევ.

საქართველოს სახელმწიფო კონცეფცია

,,საქართველოს გაერთიანებამდე ჯერ ქართული მწერლობა უნდა გავაერთიანოთო''. — ბრძანებს ბატონი თამაზ წივწივაძე სამეგრელოში ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმზე და ამ სიტყვების ცხოვრებაში დაუხანებელი განხორციელება მთელი სიმძაფრით წარმოჩინდება ბოლოდროინდელი ,,ლიტერატურული'' ბატალიების შემდეგ.

დიახ, საქართველოს გაერთიანებას წინ უნდა უსწრებდეს მწერლობის გაერთიანება, ვიანიდან როდესაც ღმერთთან გაიგივებული სიტყვა შუაზეა გაყოფილი, ყოველგვარი მერმინდელი თერაპია

თუ კოსმეტიკა წყლის ამაო ნაყვაა ჩვენი გახლეჩილი ცნობიერების შესაკავშირებლად. მაგრამ საქმე უფრო რთულად არის, როგორც ეს ერთი შეხედვით მოჩანს. პრობლემა აისბერგულია და მის მკვლევარს თავბრუდამხვევ მორევში გვარიანი ჩაყვინთვა ხმართებს განსასჯელი საგნის კონტურების სრულყოფილი მოხელთებისათვის.

დავიწყოთ ილიას ფორმულით: მამული, ენა, სარწმუნოება (და კირბისები). თუ მოვიშველიებთ მათემატიკური ანალიზის მეთოდს, ეს დებულება შემდეგნაირად გამოისახება: ფ!ი!ს!ვ!თ, სადაც პირობითად A — მამულია, ი — ენა, ს — სარწმუნოება და ვ— გონივრული მოძრაობაა, იგივე შეუთავსებლის შეთავსების მიზანსწრაფუ- ლობით სიარული. ხოლო მათი სინთეზური შედუღაბებით მიღებულია თ - ი — საქართველოს სახელმწიფოებრიობა, ნაწილისა და მთელის გამაერთიანებელი სიდიდე მეორე ათასწლეულის მიწურულს 43-42 კვადრატში გეოგრაფიული პარამეტრებით და ამავდროულად მთელი კაცობრიობის უზადო სხეულის მშენებელი ერთი უჯრედი. (უჯრედით შესაძლებელი ხდება უკვე პიროვნების აღდგენა, რასაც კლონირებასაც ეძახიან.)

ახლა განვიხილოთ ტოლობის ორივე ნაწილი ცალ-ცალკე თუ რას წარმოადგენს თითოეული, რა სიდიდეების შემცველია:

A — მამული = ქართლს + კახეთი + სამცხეჯავახეთი+ ფშავ-ხევსურეთი+სვანეთი + სამეგრელო + იმერეთი + გურია + რაჭა-ლეჩხუმი+ სამაჩაბლო + აფხაზეთი + აჭარა, ანუ დღევანდელ ჩარჩოებში მოქცეული ტერიტორია საერთაშორისო აღიარებით, მიუხედავად სეპარატისტული განდგომებისა. **A** — მამული ვერ იქნება სრულყოფილი, თუკი რომელიმე კომპონენტი ამოვარდება ამ წესრიგიდან.

B — ენა ქართული = ქართლურს + სვანური + მეგრული + ყველა კილოკავი: კახურ-გურულ-იმერულ-მესხურ-ჯავახურ-ლეჩხუმურ-ფშავ-ხევსურულ-თუშური: მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძენს ენა ზოგადქართულ ხასიათს, ანუ იმას, რისი ამსახველიცაა სახელდებითაც — ქართული — ყველაფრის შემკონავი, შემწონავი, შემდუღაბებელი ახალი განზომილების პოზიციიდან.

C — სარწმუნოება = წარმართობას + ქრისტიანობა + მუსულმანიზმი + მატერიალიზმი.

ქრისტიანობამ საჭირო დონეზე აითვისა წარმართული კულტურის მონაპოვრები: პოლიფონია, არქიტექტურა, დამწერლობა.

ქრისტიანობა შეავიწროვა და ლამის ჯვარს აცვა კომუნისტურმა მსოფლმხედველობამ ეკლესია-მონასტრების ხატთა წარყვნით თუ ზართამლეწაობით;

მახმადიანიზმი ხომ მთლად ცეცხლითა და მახვილით სდევნიდა ქვეყნის კიდით კიდემდე.

D — თეზა-ანტითეზა-სინთეზის მეთოდის მოშველიებით ორი განსხვავებული რეალობისგან ახლის, შედარებით პროგრესულის და ცხოველმყოფლის შექმნა.

აი, რისი მთლიანობის, რისი დასინთეზების შედეგია **S** — საქართველო, ბარე 10-12 საუკუნე.

A + B არ უდრის S-ს
B + C არ უდრის S-ს
A + C არ უდრის S-ს
A + D არ უდრის S-ს
B + D არ უდრის S-ს
C + D არ უდრის S-ს

ამ გაგებას მხოლოდ ერთადერთი ტოლობა აკმაყოფილებს:

A + B + C + D = S-ს

მაგრამ, როგორც შევნიშნეთ, შესაკრებთა თითოეულ წევრს წართმევია იდეალური პოზიცია, ხელყოფილია მათი სრულფასოვანი შინაარსი და აქედან გამომდინარე, ნაკლული წევრების ჯამი ვერასდროს მოგვცემს ეტალონურ საქართველოს:

A — მამული, იგივე ტერიტორია, ხელყოფილია ლეგიტიმურად რუსეთის მიერ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. აქვე ფარული პროცესები მიმდინარეობს მესხეთსა და ქვემო ქართლში, რომელიც ვინ უწყის, რუსეთის იმპერიის ხელშეწყობით როდის იბარტყებს? აქ საქართველოს მთავრობას რეფორმების გზით რაიმე ქმედითი ძვრების მოხდენა არანაირად ძალუძს მძლავრი მოკავშირის — „ნატოს“ დაუყრდნობლად. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და მეოცე საუკუნის ფეოდალური აზროვნების ალაგმვა რეგიონებში ნამდვილად აღემატება ჩვენი ხელისუფლების ძალისხმევას. არის ცდები ორიენტაციით, პოლიტიკური სვლებით პლაცდარმის, პროტექტორის მოპოვებისა — აბრეშუმის

გზა, ნავთობსადენი ამისი ღია მცდელობაა საქართველოს სხეულებრივი რედუქციისათვის.

C — სარწმუნოება, იგივე სულიერი მიმართება უზენაესთან, საგნებთან და მოვლენებთან კი არის ფესვმოკიდებული მართლმადიდებლური მრწამსით, მაგრამ ზოგადეროვნულ თეოლოგიურ ოაზისს თანდათან წრეტენ და ამღვრევენ იგივე მომძლავრებული სექტანტური მოძრაობები — იეღოვიზმი, მასონიზმი, კომუნისტური მორალის ნოსტალგია და მაინც, ქრისტეს რჯულის აპოლოგიის ზენიტის შემთხვევაში ჩვენ ირანსა და თურქეთში 6 მილიონამდე თანამემამულე გვრჩება განთესილ თვისტომად, რომელსაც დიახაც, რელიგიური სხვადასხვაობა უნელებს სამშობლოსკენ მსწრაფველობის ჟინსურვილს.

აქ ქართული სასინჯია მერმინდელი ათასწლეულის თვალსაწიერიდან, მაგრამ ახლა, ამ შემთხვევაში, სახელმწიფო და ღვთისმსახურობა მზად ვერ არიან თუნდაც დავით აღმაშენებლისმაგვარი რეფორმების გასატარებლად და არც ჩვენი საზოგადოებაა მწიფე რელიგიური აღმსარებლობისათვის ფართო სპექტრით. ამ გზით ქვეყნის ფსიქოლოგიურ გამთლიანებაზე საუბარი ხუმუსსმოკლებულია.

გვრჩება ერთადერთი განზომილება — ენა, რომელიც შეიძლება დავსახოთ საქართველოს შემაკავშირებელ გენიად ორიათასწლეულის მიწურულის პერიოდისათვის და მის იქითაც.

B — ენა ქართული, როგორც ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ, სამი ძირითადი შენაკადის ქართლურ-მეგრულ-სვანურის შესინთეზებითაა მიღებული 10-12 საუკუნის წინ. მაგრამ მერე და მერე აქაც თავს იჩენს დაშლის, განცალკევების პროცესი. ათასი წლის მიღმა სახელმწიფო სამეტყველო ენა მისაღები თუა საქართველოში მცხოვრები თითოეული ტომისთვის და ხალხისთვის, დროთა ვითარებაში მოხდება პერიფერიული და სახელმწიფო ენის გამიჯვნა. დამწერლობის კულტურა მერნის სისწრაფით გააქროლებს სალიტერატურო ენას, როცა ამ პროცესს საგრძნობლად ჩამორჩებიან სვანური და მეგრული და ახლა საქართველოში თვალშისაცემია სამი დამოუკიდებელი ენის არსებობა, რომელიც დისკომფორტს იწვევს ნაწილსა და მთელს შორის; ამ შემთხვევაში — ზოგადქართულსა და მეგრულ-სვანურს შორის.

ენის ფენომენზე უხვად უწერიათ ჩვენამდეც. სახელმწიფო ენას სიმბოლურად ზღვას თუ შევადა-

რებთ, მაშინ მისი განშტოებანი, კილო-კავები შემავსებელ წყაროებად, მდინარეებად მიიჩნევა და რამდენადაც ორმხრივკავშირიანია თანამშრომლობის პროცესი, აქ იმდენად მოშლილია განსხვავებულობა ნაწილს — კუთხეებსა და მთელს — სახელმწიფოს შორის. თუმცა ვიდრე უშუალოდ მესამე ათასწლეულის სინთეზური ენის, როგორც საქართველოს სულიერების გადამრჩენელ უმთავრეს ფენომენზე ვისაუბრებდეთ, ერთი ფრიად ანგარიშგასაწევი პრობლემის — გვარნაცვალი „ქართველის განხილვაც მოგვიწევს".

რუსეთის იმპერიას ხელს აძლევდა საქართველოს დაქუცმაცება ილიას ფორმულის საზიანოდ სამივე პრიზმით, და ეს პროცესი მეტი დაჩქარებით რომ წარმართოს, ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის ფრიად მომაკვდინებელ ტენდენციას დაუდებს სათავეს.

ქართველი კაცი გვარით აზროვნებს. „ქართველიშვილის" ინდივიდუუმი მისთვის ქართლელთან და კახელთანაა გაიგივებული.

„ქართველაძეს" ჩვენი ცნობიერება იმერლად აღიქვამს, გურულად, აჭარლად, თუნდაც მესხელ-ჯავახელად;

„ქართველიანი" დიდი სვანეთის წარმომადგენელია საერთო წარმოდგენით, „ქართველაური"— ხევსურეთისა, ხოლო „ქართველავა", „ქართველუა" თუ „ქართველაია", მეგრელის ფენომენს შეესატყვისება.

ჩინებულად იცის ეს საქართველოს ფორსირებული ასიმილაციისათვის ჩასაფრებულმა იმპერიამ და დაიწყება კიდეც ჩვენი ეთნოსისა გეგმაზომიერი დაჯაშუშიანება. ადრე გარუსების ძალმომრეობით პოლიტიკას კოვზი ნაცარში რომ ჩავარდნია, ნაძალადევი ღონისძიებები სასურველ შედეგს რომ ვერ გამოიღებს, „ქართველოვებად" გადანათლული ქართველები შინაგანად მამულის მეციხოვნეებად დარჩებიან უმეტესწილად და რადგანაც იმპერიული ძალების გეგმები გაიწელება ჩვენი გადაშენების გზაზე, ახალ შტრიხს შემოგვიგდებენ ყოფიერებაში — გვარნაცვალობა.

დაიწყება გამალებული მსვლელობა უცხო თესლის, უცხოტომელის გაქართველებისა და ამ გზით ჩვენი პატროფილური გრძნობების დევალვირებისა. დღევანდელ პასპორტში ეროვნების რეკვიზიტის ამოღებაც ამ გვარნაცვალი ხალხის აბსოლუტურ გაუსაფრთხოებას ემსახურება, ზედმიწევნით „გაქართველებას", რომელიც მთელი არსებით მოწადინებულია საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასამხობად, ქართველი ერის მოსასპობად დროსა და სივრცეში.

ამისი დამამტკიცებელი უამრავი მაგალითის მოშველიება შეიძლება ჩვენი ისტორიული საუნჯეების უსირცხვილო მისაკუთრების კვალდაკვალ საერთაშორისო დიაპაზონით თუ ლოკალური ქმედებებით; როდესაც ჩვენი ეკლესია-მონასტრების ჩუქურთმებს, წარწერებს ჩიჩქნიან; ფრესკებს ფხეკენ და თავიანთ სამემკვიდრეოდ განამწესებენ. იბეჭდება რუკები სასკოლო სახელმძღვანელოებისათვის თუ პოლიტიკური მიდრეკილების კონტურებით, სადაც საქართველო, ქართული ეთნოსი არ ჭაჭანებს.

მერე და ვისი? ერის, ქვეყნის, რომელსაც ბიბლიურ წარღვნის აქეთ ტოლისდამდები არ მოეპოვება დროსა და სივრცეში.

გვარნაცვალი „ქართველი" მსტოვრების მსგავსად ბაცილასავით შემოპარულა საქართველოს სახელმწიფოებრივ ქსოვილში და დღედაღამ ღრღნის მის მთლიანობას.

უამრავი ანტიქართული ქმედება, აურაცხელი ანტიქართული ღონისძიება მათი ჯაშუშური აზროვნების შედეგია.

მეხუთე კოლონა დღევანდელ საქართველოში შეუფერხებლად მოქმედებს. დიახაც, მზვაობრობს და აქცევს ჩვენს მთლიანობას, ათასწლეულების ჯაფით მოპოვებულ კავშირებს.

კუთხეებისადმი ამრეზით ყურება, პერიფერიისადმი მტრული, დამამხობელი იმიჯის დამკვიდრება მმართველ წრეებში, მათ შორის დედაქალაქის ინტელიგენციის გარკვეულ ფენაში, სწორედაც გვარნაცვალი „ქართველის" დამსახურებაა.

„მეგრელოფობია", „მეგრელების საქმე" თუ „მეგრელების ორგულობა" ეჭვმიუტანლად ამ კატეგორიის ხალხისგანაა აგორებული.

მეგრულის და სვანურის უკურიდება სალიტერატურო ქართულიდან, მეგრულისა და სვანურისთვის სადინარის ჩახშობა დედაქართულისკენ გვარნაცვალი ხალხის სტრატეგიაა, მათი ტაქტიკა, ფარული, უჩუმარი ომის გზაზე საქართველოს დასამხობად. ამისი დანახვა ბრმასაც არ გაუჭირდება.

თბილის-ქალაქის გადაქცევა მონსტრად, ურჩხულად, რომელიც მილიონი არაფრისმქმნელი, უსაქმური პირით იკვებება კუთხეების ხარჯზე, მოლოქივით ისრუტავს გუთნისდედას, მევენახეს, მწყემსსა თუ მეფუტკრეს, გვარნაცვალი „ქართველის" სანუკვარი ოცნების ახდომაა, ვინაიდან გამოცარიელებული სოფლების დაუფლება გაცილებით იოლია ქართველების იქ არყოფნის პირობებში; ხოლო ფრთაშეკრეჭილი ქართველი, რომელიც დედაქალაქის ბეტონის ყბებში მოექცევა თანდათანი ჩაყლაპ-

ვისათვის, ადვილმოსანელებელია მომავლის თვალსაწიერით.

სოფლის დაცარიელება, ქალაქის გაბერვა, საქართველოს დამხობის იმპერიალისტური ხვანჯებია გვარნაცვალი ,,ქართველების'' ფეხისხმას აყოლილი მთავრობა-ხელისუფლებისათვის.

ამ მუხანათურად დაგებულ ფაცერებს და სახუნდარებს ზედმიწევნით ეშველება ოდითგანვე ცნობილი ჭყონდიდისეული გონიერების მოხმობით, რომლის მხრებზე იდგა სწორედ კაცობრიობის ისტორიაში ერთადერთი უძლეველი მეფე — დავით აღმაშენებელი, საკადრისი მეხოტბის უყოლობის გამო ვერ გატოლებული აქილევსს.

საქართველოს ხსნის გზა აღმოჩენილია მრავალი ჩემი წინამორბედი კალმოსნის მიერ, ილია ჭავჭავაძეა ეს, აკაკი წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია თუ გრიგოლ რობაქიძე, როცა ისინი ქართული ენის გაძლიერებას მოითხოვენ მეგრულ-სვანურიდან ამოკრეფილი ცინცხალი სიტყვებით — ,,მარგალიტებით'', მაგრამ კონცეფციად, მოქმედების სტრატეგიად ჩვენთან ჩამოყალიბებულია და ამ ათი წლის მანძილზე ფორმულასავით უთვალავჯერ გაცხადებულის ერთხელაც მოშველიებით, ვფიქრობ, აქა-იქ თავწამოყოფილ უთანხმოებებს ნაწილსა და მთელს შორის, ნიადაგი გამოეცლება:

B — სალიტერატურო ქართული ენა, ქართლურ-მეგრულ-სვანურისა და კილო-კავების ლექსიკური ერთეულების მიზანმიმართული ერთიანობით რომ მიიღწევა, განგვიცხადებია.

ამჟამად, სამეტყველო-სამწერლობო დედაქართულის მაჩუბის მშენებლობის პროცესს მეგრულ-სვანური არსებითად ჩამოშორებულია გვარნაცვალი ,,ქართველის'' მეოხებით, მაგრამ ყოველ უარყოფით მოვლენას მოეძევება გამანეიტრალებელი ღონისძიება, ყოველ იარას ეძებნება მალამო — ასეთ უებარ საშუალებად კი ,,ქართული ენის განმარტებითი, სინთეზური ლექსიკონის'' შექმნა მიგვაჩნია.

გვარნაცვალი ,,ქართველის'' რატრატით გონებადაბინდული ობივატელი იკითხავს:

კი, მაგრამ, რა უნდა შეეძლოს წიგნს, მით უფრო ლექსიკონს, როცა სამშობლო თავზე გვექცევა ათასი პარამეტრითო. ხელიდან გვეცლება ტერიტორიულად, ღრმავდება ფიზიკური გათიშულობა, მძაფრდება სოციალური დაპირისპირებანიო.

ჯერ ერთი, ყველას უნდა გვახსოვდეს ოანეს სახარების საწყისი წინადადება: პირველითგან იყო სიტყუა Á, სიტყუა Á იგი, იყო ღმერთისა თანა, და სიტყუა **Á** იგი, იყო ღმერთი ანუ — ყველაფრის თავი და თავი, იგივე სრულიად სამყარო, რომელიც მოიცავს ამ გრანდიოზულ ვრცეულობაში მტვრის მემილიარდედ საქართველოსაც;

და თუ სიტყვა ყოველივე განზომილების მშთანთქავი სიდიდეა, ნებისმიერი პარამეტრის თუ სიხშირის ნემსის წვერზე დამტევი თავისთავადობა, აქ ეჭვ-ყოყმანისათვის დრო უადგილოა.

მეტიც, სიტყვა ნებისმიერ წინაღობათა მკურნალია თვით სიკვდილის მომთვინიერებელიც, რომლისთვის თვით გილგამეშმაც მოუხრია ქედი მითიური შუამდინარეთიდან.

მარტივია ჩემეული ფორმულა:

ერის გაუცხოვებას იწვევს ნაწილისა და მთელის უთანხმოება, შეუთავსებლობა, როცა ნებისმიერი დილემის მოგვარება ისევ სიტყვითაა შესაძლებელი.

რამაც მოგკლა, მანვე მოგარჩინოსო, თქმულა. ჩვენი ხელოვნური გათიშილობის მთავარ წინაპირობად აშკარად თუ შეფარვით სალიტერატურო ქართულის დიფერენციაციას ასახელებენ, საკუთრივ ქართულად და შემდგომ — მეგრულ-სვანურად.

თუ ქოფაკის ნაკბენს ქოფაკისვე ბალნით არჩენენ, აქ სამკურნალო საშუალების ძებნა შორს არ წაგვიყვანს, ლაფაროსთან, ყურისძირას ხარობს იგი, მახლობელს, თვალწინმდებარეს შენდობა რომ ხქონდეს ქრისტეს თქმულებისამებრ, ანუ იგივე სიტყვის რეფორმა-რეორგანიზაციით შესაძლებელია საქართველოს მონოლითურ სახელმწიფოდ გადაქცევა დროის უახლოეს მონაკვეთში.

მეგრულ-სვანური სიმღერები მიუხედავად მათი ტექსტის აბსოლუტურად უცოდინრობისა გამაღიზიანებელ ემოციებს არ იწვევს დანარჩენი საქართველოსათვის,, პირიქით, მშვენიერის, ამაღლებულის კატეგორიებს უკავშირდება. რატომ? რის წყალობით? რის გამო? დანარჩენმა საქარველომ ხომ მელოდიის გარდა ვერაფერი გაიგო ,,ლილეოდან'', ,,კვირიადან'', ,,გაულ გავხედან'', ,,ოდოიადან'', ,,კუჩხიბედინერიდან'', ,,ჩელადან''? რა განზომილებასთან გვაქვს საქმე? აქ პასუხის გაცემა ადვილია. სწორედ, სიმღერის ფენომენი ხსნის საქართველოს ტერიტორიის ავტოქტონური მაცხოვრებლის ფიზიკურ მთლიანობას, რომ ბგერის დამორჩილების პოლიფონიური ინსტრუმენტი ნიშანდობლივია თითოეული კუთხისათვის, საერთოა, მისაღები და მუსიკალური თრთოლვის ძალისხმევით გამოისყიდება ვერბალური გაუგებრობანი. მაგრამ, როდესაც საკუთრივ სიტყვა გამოდის ასპარეზზე ყოველგვარი ხანგის გამოხშირვით, პოეზიის სამკაულების ანაბარად დარჩენილი ტექსტი იწვევს აშლილობებს და მთელი წინააღმდეგობანიც ამ მომენტიდან ჩაერთვება გარეგნულად განსხვავებულ, თორემ შინაგანად ერთგვაროვან ეთნოსს შორის.

მოფიქრებულ მკვლელობაზე მეტია მეგრელს, გნებავთ სვანს, განუცხადო რუსთაველის პროსპექტიდან: „ქართულთან თქვენს ენას ხმა არ ამოეღებაო“, ან „ქართულთან თქვენს ენას ხმის ამოღების უფლება არა აქვსო“, ვინაიდან ამ აქტით ჩვენ ლახვარი ჩავეცით მათ ინდივიდუალიზმს, მათ თვითმყოფადობას, რომლითაც ათასწლეულები სიცოცხლეს ინარჩუნებდნენ ისინი უდასასრულო ომების წიაღ. მიახლი პირში და კიდევ რამდენიმე ნაბიჯით დააშორებ ზოგადეროვნულს, მთელის სავანეს; თითქოს გამოფხიზლება გწადდა, თითქოს მამულიშვილურ ღონეს მოიხმარდი, შემოსაკავშირებლად მოუხმობდი მდინარეს ზღვისკენ და პირიქით გამოგივიდა: ასეთია დიალექტიკის უცოდინართა ქმედებანი არა მხოლოდ ენათმეცნიერების განხრით; ვინაც მრავალერთიანობის კანონისა არა უწყის რა; ვისაც შეუთავსებლის შეთავსების ხელოვნება არ დააბერტყა არსთა-გამრიგემ; ვინაც გამეცნიერებული გლეხი იროდი სართანია ვერ არის და სტრიქონების მიჯღარკმოჯღარკვით ირჩენს თავს, სიოს მთესველი ქარიშხალს მოიმკის ოდესმე.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ჩიქობავასეული რვატომეული დაახლოებით 114 ათას სიტყვას მოიცავს. ეს სიმრავლე მიღწეულია ენის ძირითადი სიტყვების გრამატიზაციის მეშვეობით.

ქართული ენა თავის ბუნებაში ინახავს ლექსიკის გამოუვლენელ მარაგში არსებულზე სამოთხჯერ მეტ ერთეულს, ჰოდა სინთეზური აზროვნების პირობებში ჩვენი სათაყვანებელი ქართული მოგვევლინება თვით ინგლისური ენისთვის მიუწვდომლად, რომლის ახალი ლექსიკონი მილიონზე მეტ სიტყვას მოიცავს.

თუკი ჩვენ შეთანხმებული ვართ ერთ ეჭვმიუტანელ აქსიომაში, რომ საქართველო ეს იგივე ქართლის, კახეთის, იმერეთის, გურიის, სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ფშავ-ხევსურეთის, მესხეთ-ჯავახეთის, აჭარა-აფხაზეთის ჯამია ილიას ფორმულის კვალობაზე, მაშინ დაგვერწმუნებით, რომ მეგრულ-სვანურს ამ ერთიანობაში ყოფნის არათუ სამართლიანი უფლება მოეპოვება, არამედ დანაშაულებრივია მათი გამოთიშვა ამ პროცესებიდან, გვარნაცვალი „ქართველების“ კარნახით ბრმად რომ მოვიმოქმედებთ ხოლმე; და თუ ეს ყველაფერი გასაზიარებელია ზოგადეროვნული პოზიციიდან, მაშინ სინთეზური ლექსიკონის შექმნასაც წესით არაფერი უნდა აფერხებდეს.

თუკი მისაღებია ზოგადეროვნულისთვის სვანეთი-სამეგრელოს ტერიტორიები; თუკი მშობლიურია მისთვის სვანურ-მეგრული სიმღერები, ეთნოგრაფია, ცხოვრების წესი და ნირი, ანთროპოლოგია და გენეტიკა, მაშინ საკითხავია: რა დააშავა ენამ? განა ენა სხვა ატრიბუტების მხარდამხარ ამ კუთხეების მახასიათებელი კოლორიტი არ გახლავს, რომლის წიაღში, როგორც ნაცარში გახვეული ნაღვერდალი, შენახულია უთვალავი ფორმა თვით სალიტერატურო ქართულის ასახსნელად?

მაგალითისათვის მეგრულის შემოუშველებლად ვერაფრით იშიფრება „წყნეთის“ ეტიმოლოგია, რომელიც დღევანდელი ქართულით მუხნარს ნიშნავს. ამ სიტყვამ კი გენეზისი შემდეგნაირად გაიარა: ჭყონეთიჰ ჭყონიეთი ჰ ჭყანიეთიჰ წყანეთიჰ წყნეთი ანუ მუხნარი.

სინთეზური აზროვნების შედეგად მოსალოდნელ ქართულში, რომლის სიტყვათა რაოდენობა რამდენიმე მილიონს გადააჭარბებს, ოკეანე მასალის მოშველიება შეიძლება, მაგრამ დავჯერდები ყველაზე თვალსაჩინოს, ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის ყველაზე ნიშანდობლივს:

ცნობილი რეალობაა: ჩიქობავასეული განმარტებითი ლექსიკონით, წინაპართა საძვალე ალაგს, მშობლებისა და ნათესავების სამყოფელ ადგილს „სამშობლოს“ ვეძახით, „მამულს“ და მორჩა. ამ ორად ორი სიტყვით ამოვწურავთ მის დიაპაზონი, როდესაც ენათმშენებლობაში გათვალისწინებული არ არის სვანური, ლაზური და მეგრული. არადა, ამ ღვიძლ ქართველურ მეტყველებათა შემოკავშირებით ჩვენი ორწევრა ცნება უცებ შვიდწევრიანად გადაიქცევა: „სამშობლოს“, „მამულს“ სვანები „ლარდას“ ეძახიან, ლაზები „დობადონას“ ხოლო მეგრელები — „ობადიშს“, „ოდაბადეს“ და „შურობუმუს“.

სინთეზური ლექსიკონის ჩვენეული ვერსია შემდეგ სახეს მიიღებს ჩიქობავასეულზე დაყრდნობით:

სამშობლო — მამული; ლარდა □სვ.), დობადონა □ლაზ.). ობადიში, ოდაბადე, შურობუმუ □მეგრ.) — ქვეყანა, მხარე, სადაც დაიბადა ადამიანი და რომლის მოქალაქეა.

აი, საქართველოს უკვდავების ფორმულა მესამე ათასწლეულში და მის იქითაც.

ჯერ ერთი, ამ სახელმწიფოებრივი რეფორმით ჩვენ ქართულ ენას ზოგადკაცობრიულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამოურწყავი სიტყვიერი მარაგის თვალსაზრისით.

მეორე, ჩვენ ხელის ერთი მოსმით მოვსპობთ ენობრივ დაშორებებს, ოდეს სალიტერატურო ქართულის სინონიმად მოვათავსებთ სვანურს თუ მეგრულ-ლაზურს; ჩვენ საშუალებას მივცემთ ნებისმიერ ქართველს ჩაუღრმავდეს ამ ენათა ბუნებას, მათ ურთიერთკავშირებს, ურ-

თიერთწარმმართველ პროცესებს.

მესამე, სინთეზური ლექსიკონი აღძრავს საქართველოში მამულიშვილურ, პატრიოტულ სულისკვეთებას, რომელიც ესოდენ მინავლულია რუსეთის იმპერიასთან უთანასწორო ომში დამარცხებით; ეს ქმედება შინაგანი ძალების კონცენტრაციის მასტიმულებელ ფენომენად მოგვევლინება უამრავი სპექტრით: ტერიტორიული მთლიანობისთვის თავდადებაა ეს თუ რელიგიური აღმსარებლობა, რომელი აქტითაც 6 მილიონამდე ფერეიდნელი და ლაზი 180 გრადუსით შემოტრიალდება ოდესღაც სანუკვარი საქართველოსკენ, აწ ათასი ხერხითა და მანქანით მათში კომპრომეტირებულისკენ პატროფილური გრძნობების დასაჩლუნგებლად.

მეოთხე და მთავარი, ,,ქართული ენის გამარტებითი, სინთეზური ლექსიკონის'' გამოცემა განუზომელი მნიშვნელობისაა თავად ქართველი ერის ფსიქიკური გამთლიანებისათვის, ვინაიდან ოფიციალური თბილისისგან თუ გვარნაცვალი ,,ქართველებისგან'' შესისინებით გონებამოწამლულ ობივატელთაგან მრავალგზის ნაჯიჯგნი სამეგრელო, მისი მოსახლეობა გულიდან მოიშორებს საუკუნოვან ტვირთს, ოდეს მისი სულის, მისი არსებობის ერთადერთ უტყუარ ნიშანს, თვითმყოფადობას თავისას საიმედოდ დაბინავებულს იხილავს ზოგადეროვნულ ლექსიკონში;

ყველა გაუცხოება, ყველა გაორება, ნებისმიერი კომპლექსი დიახაც ამ მომენტიდან მოეხსნება, როგორც პერიფერიას, ისე — ცენტრს, ვინაიდან ამ უკანასკნელს უკვე აზრადაც არ მოუვა კოლხეთის შუკა-ორღობეში გამხეცებულის ხმით ღრიალ-ღმუილი: ,,ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდაო''; ვინაიდან მეგრული, სვანური, ლაზური, თუშური თუ სხვა, დედაქართულში გათავისდება, ახალ საფეხურზე აიტყორცნება მისი ფორმა-შინაარსი, გამომსახველობითი საშუალებანი და: აღარც ამ კუთხის ,,მარტივი გლეხები'' შეალევდნენ ხოლმე ენერგიას სიზიფეს შრომას — ,,ვეფხისტყაოსნის'' მეგრულად ,,მიჯღარკ-მოჯღარკვას''; აი, როგორ მოიხსნება პრობლემა ორმხრივად. გვარნაცვალი ქართველის გარდა ამ მამულიშვილურ წინადადებაზე ხელისკვრა არავის მოაფიქრდება.

დაბოლოს, მთავარი: რა ზეგავლენას იქონიებს ეს რეფორმა თავად სალიტერატურო ქართულისთვის? შერყვნის, გადაასხვაფერებს მის ბუნებას, თუ პირიქით, ახალ რეგისტრში აიტაცებს მის ქმედითუნარიანობას?

ქართულში უამრავი სიტყვაა შემოსული ბერძნულიდან, ლათინურიდან, სპარსულიდან, თურქულიდან, სომხურიდან, არაბულიდან, რუსულიდან; ახლა თვალსაჩინოების მოშველიების დრო და სივრცე არ გვრჩება, მხოლოდ შეიძლება ითქვას, რომ მათ ისე გადახარშავს ქართულის ბუნება-ხასიათს, კონტექსტში თავად იმ ენათა ჭირისუფლებს უძნელდებათ მერმე ოდესღაც მათთვის მშობლიურის ამოცნობა.

ქართული, როცა ასეთნაირად ,,არჯულებს'' უცხოს, მშობლიურის შეთვისება, გაუძნელდება განა? მერედა, ენის ბუნებისთვის მთავარი ლექსიკური მარაგი კი არ არის, არამედ — მისი გრამატიზაცია, ის კანონზომიერებანი, რომელიც სიტყვებს უჩინარი მორფოლოგიურ-სინტაქსური ძაფებით აგვირისტებს.

მწერალს, ვისაც სამშობლოს თემაზე უხდება ფურცლების გავსება, მხოლოდ ,,სამშობლოსა'' და ,,მამულის'' ამარა ტავტოლოგიის საშიშროება ეღობება მათი ხშირი ხმარების გამო, მაგრამ როცა აქა-იქ ,,ლარდა'', ,,დობადონა'', ,,მემლექეთი'', ,,ობადიში'', ,,ოდაბადე'', ,,შურობუმუ'' შემოეშველება სინონიმებად, თვალსაწიერიც საგრძნობლად გაფართოვდება.

ამასთან, ერთხელაც აღვნიშნავ ხაზგასმით, ენის წარმმართველი სიტყვების სადაურობა კი არა, გრამატიზაციაა, ის პრინციპები, რომელთა მეოხებით ყალიბდება აზროვნების მოდელი. აქედან გამომდინარე, მოსაუბრეს თუ მკითხველს დისკომფორტს არაფრისდიდებით შეუქმნის ამდაგვარი წინადადება:

,,ჩემს ოდაბადეში სრული განუკითხაობაა;''

ან:

,,ეღირსება კი აღდგომა სამშობლოს ჩემსას, სრულიად დობადონას?!''

ან სხვაფრივ:

,,კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი შესჭამონ საქართველოს მტრისანი, ჩვენი მამულის ამაოხრებლების ჯავრი; ჩვენი თვალნათელი შურობუმუს მომავლის დამაბრუნებელი ორლესული მათ უნორჩეს მკლავებზე თვინიერად ასვენია.''

ალბათ, დამეთანხმებით, აქ ნაუცბადევად მოტანილ წინადადებებში ,,სამშობლოს'', ,,მამულის'' სინონიმი ,,ოდაბადე'', ,,დობადონა'', თუ ,,შურო- ბუმუ'', არსად ყვირის, არსად ქმნის გაუგებრობას და რაც მთავარია, მთელი სიმძაფრით ემსახურება ზოგადეროვნული ფსიქიკის მშენებლობას, თა-

ვისთავად, ძალდაუტანებლად. ამისი დაუნახაობა გვარნაცვალი „ქართველის“ გარდა თუ ვინმეს ძალუძს, ან შეურაცხადია, ან კიდევ უსამშობლო მანქურთი ჩინგიზ აითმათოვის გახმაურებული რომანიდან; მაგრამ იმედია, ჩვენი მწერლობა, ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ბურჯი ბელეტრისტიკა სწორედ ამ სინთეზური აზროვნების ლექსიკონის ერთობლივი შექმნის პროცესში ხპოვებს საშვილიშვილო საქმეს და პოლიტიკური ნიშნით გათიშულობანი, უკუდგება, უამურ ზმანებასავით დავიწყების ქარტეხილებს.

ოცდამეერთე საუკუნეში გვარნაცვალი „ქართველის“ დამამხობელი და გამანეიტრალებელი ძალა, დიახაც, სრულიად საქართველოს ინტელექტუალური პოტენციის შემკონავი სინთეზური აზროვნების ლექსიკონის გარშემო დარაზმვაა.

„ახალგაზრდა ივერიელი“,
№9, 3-9 ივლისი, 1999 წ.

13 მცნება

მცნება პირველი:

— **მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე,** — ასე იტყვის ცაბაოთი, არსთაგამრიგე ჩვენი, რომელსაც თავად ქრისტეც კი მამა-მშობელს ეძახის, ცხადია, სულიერი მამის გაგებით, მაგრამ აქვე ჩასაფრებული მაცილი, დაწდეებულ წყლებს რომ უმღვრევს ადამიანს, ამნაირად გვერატრატება:

— ვერავინ იქმნას უფალ ღმერთად შენდა უმეტეს შენითვე, იყოლიე მრავლად ღმერთნი უცხონი, ნუცა გარეშეი ჩემსაო, — ამას ეჩიჩინება ბელზებელი და გაორებული ძე ხორციელიც ბურიდანის ვირივით გახირულა „ხოსა“ და „არას“ შუა. მე კი მეღიმილება, შეგირდო ჩემო, ვინაიდან სამყაროს აგებულება ორი ურთიერთგამომრიცხავი სიდიდის ერთიანობაა, რომელიც ყოველთვის ახალ განზომილებას წარმოშობს მათი თანამშრომლობის პირობებში. დიახ, ახალ რეალობას წარმოქმნის, და ასე — დაუსაბამოდ. ხოლო მეგასიდიდეების უსასრულობა-ვრცეულობა და ამასთან მაკრო განზომილებათა უსაწყისობა, ხშირად საგონებელში ჩაგვავგდებს ხოლმე კანტისნაირად, რამეთუ ჩვენი, მეზოსნაირთა არსებობა გასრესილია ამ გასაოცარი დილემით.

ანკი როგორი დასაჯერებელია ყოველივე — იზრდებოდე უსასრულოდ და ამავდროულად კლებულობდე კიდეც?! ხერაკლიტეს მოსწრებული განმარტება რამდენადმე გვიმსუბუქებს ვითარებას, ოდეს სამყაროს განსაზღვრავს მარადიულ ცეცხლად, გეგმაზომიერად რომ ინთება და ქრება.

მაშ, სად არის ადამიანის, მისი სულის, მისი ცნობიერების ადგილი ამ შეკუმშვა-გაფართოების გზაზე?! შენ ხომ თურმე თხემით ტერფამდე დამოკიდებული ყოფილხარ რაღაც აკვიატებულ კანონზომიერებაზე: გამოჩნდები და ისევ მიეფარები თვალს, თუმცა ნუთუ ეს დააოკებს ვილანდის მიერ საჩხირკედელაოდ შემართულ ადამიანს, იგივე დროის, სივრცის და მატერიის თანაქმედების შედეგის სწრაფვას საკუთარი თუ გარემომცველი სამყაროს შესამეცნებლად?

შენ უფლება გენიჭება, შეგირდო, ჩემო, პოეტური წარმოსახვის წყალობით, ღმერთად მონათლო ეს რეალობა, და ოდეს ოცდამეერთე საუკუნე მზის სისტემას რამდენადმე მოუშინაურდება, ახალი არგუმენტებიც გამოგიჩნდება თავად უზესთაესის ცნების შესავიწროვებლად. სამყაროს მრავალფეროვნების შხეფები დედამიწაზე არსებული ბიოსამყაროს გონივრული ანალიზიდანაც დასტურდება, ვინაიდან ხუთივე კონტინენტზე უამრავი ენდემური ჯიში დაფიქსირებულა, რომელიც თითქმის ან სრულებით არ მოიპოვება ერთ-ერთში, ან თუ მოიპოვება — გასაოცარი სახეცვლილებით: მუტაციები გარდასახავენ გარეგნობას შეფერილობის თუ აღნაგობის მიმართულებით, და ამასთან, გენეტიკური კოდითაც იზოლირდებიან დროთა ვითარებაში.

კატისა და ვეფხვის, ხვლიკისა და ნიანგის, გნებავთ — სხვათა ერთ ოჯახში სუფევა, მიუთითებს გარემომცველი პირობების ზეგავლენებს ბიოსამყაროზე; და თუ ამ რეალობას გავითვალისწინებთ, კოსმოსის უდასასრულო ვრცეულობაში აურაცხელი ფორმა-შინაარსის გონიერი არსებაა სავარაუდებელი, მაგრამ გონიერებას ბუნდოვანება არ ახასიათებს, ვინაიდან ყოველივე გენიალური უბრალოებაშია, □და არა სიმარტივეში, პრიმიტიულობაში) და აქედან გამომდინარე, შემმეცნებელი ხომოსნაირი გამორიცხულია ხუმანიზმის ქურაში არ ნაწრთობიყოს. გამორიცხულია მისი არსება ეგოიზმმა დაიურვოს ალტრუიზმის, ტოლერანტობის საზიანოდ. ასე რომ, ვიდრე ამ კანონებს შეისწავლიდე, შენი სამოქმედო სივრცე, გულისხმიერო, მოწაფევ, ცხოვრებაში გაბატონებული წეს-

ჩვეულებათა რკალში მომწყვდეულა, სადაც სუსტის სიფერმკრთალე დაჩრდილულია ძლიერის სიზვიადით; მაგრამ რადგანაც ზედმეტი ღირებულების თეორიის მსოფლიო აქცენტირებულია საზოგადოებრივი სამართლიანობისკენ და აქ ეროვნული ფასეულობანი ბურჯებია ოდენ ზოგადკაცობრიულის გამოსავლენად, მოსალოდნელია ყოველი საზღვრის გაქრობა, და ამის კვალდაკვალ, მებაჟენი გზებზე არ ჩაუსხდებიან ნავთობის მაგისტრალებს, საბოლოო პროდუქტს თუ აზრს ზოგადად. ამ მიმართებით მსოფლიოს მსწრაფლ შეეხსნება ხელ-ფეხი უაზრო დაბეგვრებისგან, რომლითაც ჭკუანაკლულ ამა თუ იმ ქვეყანას თავისი ეკონომიკის გაჯანსაღება განუზრახავს, მაგრამ ნავთობი, ჩრდილოეთში რომ ამოიქაჩება, თანაბრად არ ეკუთვნის განა სამხრეთს თუ აღმოსავლეთ-დასავლეთს?

ხომ არავის ეღიმება დღეს ფრაზის გამო: „ის მაინც ბრუნავსო“?! ხოდა, შეგირდო ჩემო, ენდე ოსტატის გუმანს, რომ მომავალი კაცობრიობა უცილობლად ივლის დასახელებული თემშარით, ისევ და ისევ საკუთარი მერმისის უკეთ წარმართვის მიზნით; და რაოდენ გულსატკენადაც მოგეჩვენოს, ეს მიმართულება მრავალ განსხვავებულობას მოშლის ადამიანის პიგმენტაციით დაწყებული, ქონებრივი და ენობრივი დიფერენციაციით დამთავრებულს.

აქ უცებ წყალში ჩაყრილად ნუ ჩამომართმევ მრავალგვერდიან მსჯელობებს „მამულზე“ (ლარდა, ობადიში, ოდაბადე, დობადონა, სამშობლო), ლინგვისტიკაზე, მისთვის დამახასიათებელ ეთნოსურ პარამეტრებზე, ვინაიდან დედამიწის ნებისმიერი კვადრატის მოქალაქე, მიუხედავად ანთროპოლოგიური ნაირგვარობისა, დიახაც გუვე შტრეფანდერის „ადა უზუს“ — დედამიწის ნამდვილ მემკვიდრედ იგრძნობს თავს და არაფრით გამოაბინძურებს სამხრეთი ჩრდილოეთისთვის მავნე არიებს თუ ნარჩენებს, ვინაიდან ჩვენს პლანეტას თუ განვიხილავთ, როგორც ერთმთლიან, სრულყოფილი ორგანიზმის — კოსმოსის მაშენებელ ნაწილს, მაშინ აღმოჩნდება, რომ მას თანაბრად სტკივა მარჯვენა, მარცხენა, დაბლითა-მაღლითა თუ გარეგან-შინაგანი; მოკლედ, შენი უფალი ღმერთი შენი სინდისია, გულისხმიერო შეგირდო, დროსა და სივრცეში შეგორებული, შენი ცნობიერება, რომელსაც შორ გზაზე დამდგარი ვეღარსად გაექცევი მივანების ჟამს.

მცნება მეორე:

— **არა ჰქმნე თავისა შენსა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა-ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა ქვეშე ქვეყანასა: არა თაყვანი-სცე მათ და არცა მსახურობდე მათ** — გვმოძღვრავს უფალთუფალი, მაგრამ ჩასაფრებული მეფისტოფელი ამგვარი სისინით გვიშხამავს გუნებას:

— დიაღაც შეხქმენ თავსა შენსა კერპი, გარნა ყოვლადვე მსგავსნი რაოდენი არს ცათა შინა ზე და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე და რაოდენი არს წყალთა შინა ქვეშე ქვეყანასა: განადიდე ისინი ბრწყინვალებითა სრულითა და დიაღაც ემსახურეი მათთაო. — ჭეშმარიტად, შეგირდო ჩემო, კერპი, ფეტიში, სამკაული, ბრჭყვიალა ნივთები... ღრღნიდა და ღრღნის ჩვენს სულებს, ვინაიდან უმეცრებიდან მოდის ყოველი უსულოს — მზის, მთვარის, მოლოქის... გაღვთიურება, რამეთუ საკუთარი ძალები უკუგდებულია ამ პროცესში.

ადამიანის ტკივილები და სიხარული, შენი სალოცავი, შეგირდო ჩემო. ცივილიზაცია, მართალია, კუს ნაბიჯებით, მაგრამ ოდესმე უთუოდ მივა ამ შეგნებამდე. უბრალოდ მას სხვა გზა არა აქვს. ეს ყოველივე, სიცოცხლის, ცხოვრების ფილოსოფიიდან, სამყაროს ლოგიკიდან გამოსჭვივის, რამეთუ აბსტრაქტული წყლულისთვის კი არა, დასნებოვნებული ადამიანისთვის იქმნება წამალი, მალამო. ასეთია უზენაესი მიზნის სილუეტი და დიალექტიკიდან გამომდინარე მსოფლიომ რამდენიც უნდა გადაუხვიოს ანბანურ ჭეშმარიტებას, ადრე თუ გვიან, უცილობლად უარყოფს თვის სამარცხვინო უმეცრებას.

გაქანებული უაზრობაა თავსა ზედა კერპის შექმნა, რადგანაც მათი აღზევებით საკუთარ უნარებს აქვესკნელებ, შენ კი მედიუმი ხარ ცხოველურსა და ღვთაებრივს შორის, ანუ უმეცრებასა და მენცარობას შიგან. შენ ხომ შეუთავსებლის შემთავსებელი გქვია?! შენ ნაბიჯ-ნაბიჯ გადაადგილდები ბნელიდან ნათელისკენ, შენივე ძალების რწმენა-ამოქმედების მეოხებით და რადგანაც ადამიანის უკეთესი ხვალინდლობისთვის აგიღერია თავი, და რადგანაც ზოგადკაცობრიულის წინსვლისთვის შემართულხარ ნიადაგ, ვერავინ წამოგაძახებს: ადამიანი გაუხდია კერპადო, და რომც წამოგაყრანტალონ უფლის თუ მაცილის სახელით მსგავსი საყვედური, შენ მოყვასის სიყვარულისთვის დაფერფლვა გაგამართელებს, რამეთუ სხვანიც მსგავსადვე ინაცრებიან, და საბოლოო ჯამში ურთიერთტრფიალისთვის მოღვაწეთა საზოგადოება თავად ღმერთს დაეტოლება, როგორც სიყ-

ვარულის და თანადგომის ძარღვებით მოქსოვილი განუყოფელი მთელი.

მცნება მესამე:

— არა მოიღო სახელი უფლისა შენისა ამაოსა ზედაო, — ბრძანებს ზეციერი, რათა ფუჭი ფასეულობების მძებნელს ცაბაოთის შეწუხებით სინდისი არ დაგიმშვიდდეს, მით უფრო რაჟამს, ეშმაკეული ჩვეული ცბიერებით სასთუმალთან მისჩოჩებია შენს მშფოთვარე ძილს ხელ-ფეხის მოსაკრუნჩხად:

— მოიღე სახელი შენი უფლისა შენისა ამაოსა ზედაო, — და აქ უცილებელია უდასასრულო გენიის ჭეშმარიტება, ვინაიდან შავის თეთრად გასაღება, ან ხენეშის სახიერად წარმოსახვა — ზურგში დანის ჩაცემაა საშვილიშვილო საქმეთათვის და მეტიც, ოდეს მრუდი მონათლულია მართებულად; ოდეს გონჯი ხელდასხმულია მზეთუნახავად; ოდეს მეიროხანი გვარგვასებს ჩვენს სულებში, ოჯახებში, ქალაქებსა და სახელმწიფოებში; ოდეს ძნელდება გარჩევა მართლისა და მტყუვანისა, ოდეს კეთილი და ბოროტი ერთ საბუდარში მკვიდრობენ და რომაელების ორსახოვანი ღმერთი იანუსი ცალპირაა, ორი ბუნების მნიღბავი; ოდეს მდედრი და მამრი აღრეულია ერთმანეთში; ოდეს თეოლოგიური არტახები გაიგივებულია ჭეშმარიტების მაძიებელ ცნობიერებასთან და დამცხრალი პლანეტა უფრო მეტად ელვარებს, ვიდრე ირმის ნახტომის დედაფუტკარი მნათობი — რა; ოდეს მეიროხანი ანამცეცებს მამულიშვილისა და ორგულის, მსოფლიო მოქალაქისა და მიზანტროპის ფორმა-შინაარსს, თავი ამაყად ასწიე ჭეშმარიტების დასადგენად და მედიატორად, შუაკაცად შობილო ძეო, ყველა დაბრკოლება უკუდგება შენის სულის საკაშკაშოდ.

მცნება მეოთხე:

— მოიხსენიე დღე იგი შაბათი და წმინდა ჰყავ იგი: ექვს დღეს იქმოდე და ჰქმენ მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე — შაბათი — არს უფლისა ღმისა შენისა, — გვიჭედებს გონებაში მეუფე ჩვენი, ხოლო წინკართანვე ჩასაფრებული ლუციფერი, იქედნურად იღიმის და ჭიანაჭამ კბილებში ამნაირად გამოსცრის:

— დაივიწყე დღე იგი შაბათი და წახბილწე ეს დღე მცონარობითა სრულითა შენითა, უგულებელყოფითა ყოველთა შენთა საქმეთა, ხოლო დღე იგი მეშვიდე შაბათი □ამჟამად კვირად რომ მოიხსენიება, გ.ო.) დღეი მაცილისა შენისა, დაშრიტე ჭეშმარიტთა შენთა საქმეთათვისო, — შენ კი ამ ორ შეგონებას შორის გახირულს, ყოველთვის, უნდა გახსოვდეს დროის ფასი, რომელიც არასდროს შეჩერდება, თუნდაც ერთი წუთით, და ყოველთვის მზად უნდა იყო განუწყვეტელი ქმედება-გარინდებისთვის, რომ მუშაობა და მოსვენება დღე-ღამესავით ენაცვლებოდეს ერთმანეთს შენი ბიორიტმების ნორმალური ფუნქციონირებისთვის, მოძრაობა და შეყოვნება, მსვლელობა და დავანება უწყვეტ ჯაჭვად უნდა სდევდეს შენი არსებობის სტილს.

მცნება მეხუთე:

— პატივი-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედაო, — გვამზიანებს ქვეყნის შემოქმედი, ხოლო ციდან ჩამონარცხებული სათანაელი — სატანა კვლავაც მაცდურობით შემოგვჩენია:

— პატივი ახყარე მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედაო, — და ადამიანიც თითქოს ამ უკანასკნელის მიმდევრობაშია მთელი შეგნებული ცხოვრება. აკი არსთაგამრიგე, ცალსახად მიგვანიშნებს ჩვენს უმადურ ბუნებას, როცა აცხადებს: ადამიანთა ნაშიერს შვილების პატრონობა კი ვასწავლე, მაგრამ, აი, მშობლებისა — ვერაფრითო. ჩვენ გოდრებს ვწნავთ მოხუცი დედ-მამისთვის, როცა ვარდისფერ ჩვილებს გულში ვიხუტებთ და მათი ჭინჭების სურნელით გაბრუებულებს გვავიწყდება რამდენიმე ათეული წლის წინ ასე ხარობდნენ ჩვენითაც. ხოლო სამართლიანობა მოითხოვს ნაოჭმრავალ და მუხლმოსუსტებულ მშობლებს მეტი პატივი მივაგოთ, უფრო სულგრძელები ვიყოთ მათი ახირებულობების თუ მარაზმული გონებასისუსტის მიმართ, როგორი სულგრძელობითაც მივუტევებთ ხოლმე ონავრებს დაუსრულებელ ანცობებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ცხოვრება კარგავს მიზანს ანუ დაგვიბრუნებს იმავეს, რასაც ვთესავთ.

მშობლისთვის გაღებული სიკეთე-მადლით დაჯავშნე შენი უზრუნველი სიბერე, შეგირდო, ჩემო,

ასეთია სამართლიანობის გადასახედი;

აისსა და დაისს შორის, განთიადსა და საღამოს შორის, ჩვილსა და მხცოვანს შორის მოქცეული შენი დამაშვრალი სული თანაბრად მიიტანე ორ სალოცავთან — შვილთან და მშობელთან და შენც უკიდეგანო უკვდავებას ეზიარები.

მცნება მეექვსე:

— **არა კაც-ჰკლა,** — კატეგორიულია უფლის ნება, თუმცა თხისჩლიქება მაესტრო ძველებურად ქირქილებს:

— ხკალ კაცი უსაზმოდ და მისი ასავალ-დასავალი დანაცრე მრავალგზისო, — იღმინჭება და კაცობრიობა დღემდე ცივილიზებული კანიბალის ჯიშისაა: რუსეთში — ცხრა გრამი ტყვია, საფრანგეთში — გილიოტინა, ამერიკაში — ელექტრონული სკამი, სხვაგან — გასანთლული თოკი და უფრო შორეული წარსულიდან — ძელზე გასმა ანდრიჩის რადისავსავით თუ ბამბუკის ამონაყარზე წამოსკუპება ამომავალი მზის ქვეყანაში.

მეოცე საუკუნის საქართველოს კანონშემოქმედებას თითიც რომ არ გაენძრია, ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის ლიკვიდაცია ეროვნული სულიერების ზეიმად შეიძლება გაცხადდეს. ადამიანის ცხოვრების ლოგიკური ფინალი მარაზმული სიკვდილისკენ სწრაფვაა, სადაც იგი თავისი განვლილი წუთისოფლის რეტროსპექტივით საბოლოოდ მსჯავრდებულხყოფს საკუთარ ცთომილებებს და ამდენად განწმენდილი უბრუნდება სამყაროს საშოს, როგორც შეურყვნელი განზომილება; ხოლო ეგრეთ წოდებული დასჯითი მეთოდით ეს პროცესი აბსოლუტურად იგნორირებულია:

ჯერ ერთი, ჩვენ კოლექტიური ბოროტება ჩავიდინეთ გაბაწრული მსხვერპლის წინაშე, დანაშაულის ხარისხს ბომონად შევსწირეთ მისი ფიზიონომია, მისი კისრისა და ტანის ერთობა. უმეცრებით გონებამოწამლულს არ დავუტოვეთ მონანიების შანსი. ადამიანის სიცოცხლის წართმევით ინდივიდისაგან მოდის ეს თუ საზოგადოებისაგან, ჩვენ უზენაესის წინააღმდეგ აღვმართავთ ხელს, რადგანაც ერთი კაცის მოკვდინებით ვანადგურებთ მილიონებს მისი შთამომავლების სახით.

არა კაც ხკლა, ეს უმთავრესი პოსტულატია ათ საკრალურ მცნებად დანაწილებულ ღვთიურ პროგრამაში, როგორც სრულყოფილების საწყაოში ჩასხმული ზედაშე, რადგანაც ყველა შეგონება ამ უმთავრესი ღერძის გარშემო ტრიალებს, ვინაიდან არსებობს ადამიანის სრული და ნაწილობრივი განადგურება; სრული მისი ფიზიკური გაქრობაა. ხოლო ნაწილობრივ ათასნაირად კვდება იგი წვეთ-წვეთად: შურით, სიძვით, ცილისწამებით, ბოროტებით. ავმოსაქმე ადამიანი დაავადებულია მხეცის იმპულსით. დამნაშავის იზოლირება, მისი სულიერი განკურნების შემდეგ მონანიება და განწმენდა გაცილებით მეტი სასჯელია, ვინემ — გილიოტინა, ეშაფოტი თუ კოცონი.

მცნება მეშვიდე:

— **არა იმრუშო,** — შეუვალია უფლის განგება, როცა სათანაელი პირიქით:

— იმრუშე აღვირახსნით და აღივსე ბიწიერებითაო, — გვექვეშქვეშება.

მეოცე საუკუნე კი სექსის კულტს გამოაცხადებს უმთავრეს ფასეულობად. ფალიკური ბუმი მუსრავს დედამიწისეულ ცივილიზაციას. უფალთუფალმა სოდომს და გომორს ქვესკნელში დანთქავს გაუკუღმართებული ცხოვრების წესის გამო. ხოლო მუჰამედ წინასწარმეტყველს თუ ვერწმუნებით, ქალს უზენაესი გვიბოძებს ჩვენთა საცმელად, როგორც მამაკაცი — მდედრს, მაგრამ გაუცხოვება, საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტვა და ტოლერანტული ბუნების იავარქმნა აიძულებს შიდსის გენმატარებელ მამათმავლურ კასტას ანგარიში გაუწიოს თვით პარლამენტმაც კი პრეზიდენტ ქლინთონის დასტურ-ლამალით და იურიდიული არსებობა მიუბოძოს, რომელთან შედარებით ეგვიპტური, ძველათენური თუ რომაული უზნეობანი ზღვაში წვეთია.

დღეს „ცისფერის“ ხმამაღალი ხსენება რაღაც ფემინინურს, რაღაც მდედრულს დაკავშირებია საკუთარი საწყისების უარმყოფელი კაცობრიობის ნაწილისგან და სავალალოდ მელოდრამული კინოლენტებიც კი ეძღვნება ასეთი ტიპების ცხოვრებაში დამკვიდრებას.

ჩვენ კი ვაღიარებთ, შეგირდო ჩემო, არაფერია უფრო ამაზრზენი, ვინემ საკუთარი ბუნების ღალატი. ერთადერთი ადამიანის სქესის გარკვევისასა ვერ გამოგვდგომია „აურეა მედიოკრიტას“ — ოქროს შუალედი, ვინაიდან საშუალო სქესი დაცინვაა ღმერთის მიერ საკუთარ ხატად და სახედ შექმნილი ადამიანის მომავლისადმი.

მშვენიერია ქალი — ზღვის ქაფიდან შობილი აფროდიტას მეთაურობით და დიდებულია ნემე-

ის ლომების მომშთობი, ავგიას თავლების გამნსპეტაკებელი ხერაკლე, რომელიც ორმოც ქალწულს დაასაჩუქრებს დღე-ღამეში დეფლორმაციით.

საკუთარი ბუნების მაქსიმალური შენარჩუნება მარაზმამდე, ასეთია ჭეშმარიტი მამრისა და მდედრის ხვედრი ცისქვეშეთში, ხოლო თავად ამ ორი ფენომენის ურთიერთობას ოდეს უზენაესი სიყვარულის ფთილა წარმართავს, ადამიანის არსებობაც სწორად მოერგება მშობლიური კოსმოსის წიაღს.

მცნება მერვე:

— **არა იპარო,** — გვიყიჟინებს მესია, და იქვე შურით და გესლით დატენილი არიმანი ინკორნაციისას შემდეგი პრიზმით წარმოაჩენს შემოქმედის შეგონებას:

— იპარე განუკითხავად და იმძლავრე თვისტომ ქვრივ-ობოლთა ზედაო,

ჩვენ კი კუკუსის პროფესიის მრავალსახეობა, კლეპტომანური ჩვეულებანი გულს რომ გვიღადრავს ჯიბეში ძრომიალიდან დაწყებული იდეის მიმთვისებლობით დამთავრებული, დამამხობელია ყველა მიმართულებით, ვინაიდან მოპარვა, საკუთარი ძალების იგნორირებაა, როგორც კერპის თაყვანისცემაა. სხვისი აზრის ავტომატური გადმოტანა თავის მოტყუებასთან ერთად მკრეხელობაცაა, მაგრამ თუ ეს აზრი ახალ სინამდვილეს წარმოქმნის შენს სულიერებაში, დიალექტიკურია. ყველაზე უმძლავრეს კომპიუტერს თუ კოსმოსურ ხომალდს ბორბლის აღმომჩენი კაცის გენია მიასწრაფებს შორეთში. ეს ყოველივე უწყვეტი ჯაჭვის რგოლია, ანიდან ხოემდე, დოდან დომდე. ამიტომაც სიწრფელის, სიმართლის წინაშე, რომელიც ჭეშმარიტების უმრწემესი დაიაა.

მცნება მეცხრე:

— **არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა აღურიცხველად წამებითა ცრუთათაო.** —კატეგორიულია ზენაარი, არიმანი კი ტუჩებზე დუქმორეული ბორგავს, და სუსტი ნებისყოფის ადამიანიც თვალს უხუჭავს მოძმის გულქართლობას, გულშავიაო აცხადებს ურცხვად;

პატროფილობა, მსოფლიო მოქალაქეობის მკვებავი მუხტი რომ გახლავთ, პროვინციული ფაშიზმია მავანის მეტყველებით. უფრო მეტიც, თხის კუდი ძროხისად საღდება და პირიქით, კუდა ხარები დაჭედილი გომბეშოებივით ჩვენც ნახირ-ნახირო, წიქარების კვალდაკვალ განუზრახავთ ღოღიალი; მაგრამ დიდია უფლის განგება, იგივე საკუთარი სინდისის კარნახი და სამართლიანობის მხურვალე ქომაგი ოდესმე დაგმობს ნიღაბახდილ პირმრუდობას: თუმცა ცხოვრების მატარებელი გაასწრებს საბრალოს, და თავად გენიოსის გვირგვინიც მონომახის გარშემოწერილობისა აღმოჩნდება მისთვის. ხოდა, გულისხმიერო შეგირდო ჩემო, არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუთათა, უფრორე იმიტომ — უწინარესად შენში არ დამკვიდრდეს სხვისთვის განწრფელებული ის შხამი და სამსალა!

მცნება მეათე:

— **არა გული გეთქვიდეს ცოლისთვის მოყვასისა შენისა, არა გული გეთქვიდეს სახლისა მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისია, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვრისისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიც იყოს მოყვასისა შენისაო,** — აღგვანთებს ტოლერანტული სულისკვეთებით მაცხოვარი ჩვენი და იქვე ყველა დაბრკოლების მამა, დიამეტრალურად შეატრიალებს ამ მოძღვრებას:

— დიაღაც გეთქმიდეს გული ცოლისთვის მოყვასისა შენისა, დიაღაც გეთქმიდეს გული სახლისთვის მოყვასისა შენისა, დიაღაც ყანისა მისისა, დიაღაც მონისა მისისა, დიაღაც მხევლისა მისისა, დიაღაც ხარისა მისისა, დიაღაც კარაულისა მისისა, დიაღაც ყოვლისა მისისა, რაიც არს მოყვასისა შენისა და უკმარ იქმნას შენთვის ათკეცი ბჭენი წალკოტთანი სამოთხისანიო, — გვექარქატება ბორგნეული ხიხინით.

ჩვენ კი უნდა მივყვეთ სამყაროის ალტერანატიულ გაგებას, რათა საკუთარი ეკლების და ბუძგების ამოძირკვით მშვენიერების ოაზისი დავგუბოთ სხვათა საუკვდავოდ, და შეგირდო ჩემო, ოდეს პირადულს რამდენადმე მობოჭავ თვისტომის ასამაღლებლად, ორგზის უფროს ფრიალოზე აიჭრები თავად, და განა მეტი მზიანობა უწერია ძე ხორციელის სულს ცისქვეშეთში, ვინემ საკუთარი

სურვილების მოთოკვის ხარჯზე მოყვასის აცამზევება -აზეითებაა?! ეს ყველაფერი ძველი აღთქმის ნესტიანი ტალანებიდან, თუმცა რუდოლფ შტაინერის ანთროპოსფიაში უკუგდებულია სიკეთე-ბოროტებისა ტრადიციული გაგება. იგი ადამიანს საკუთარი ბუნების შეცნობისას ორ დამანგრეველ ძალის რკალში მოაქცევს:

პირველი ლუციფერული ცდომილებაა, რომელიც ინდივიდუუმის რაციოს, გონებას, პიროვნებული სრულქმნადობისკენ, უბიძგებს. რასაც, ცხადია ეწირება სიკეთის ფორმულაში □ათი მცნების) დაკანონებული შინაარსი.

მეორე გახლავთ არიმანული ანუ იმპულსური მიდრეკილებანი, რომელიც კვალვინდებურად მუსრავს ძეხორციელის ღვთიურ მიზანსწრაფულობას, ქვენა გრძნობებით გადააცდენს ჭეშმარიტების გზიდან.

შტაინერის დოქტრინა ამიტომაც ესაფუძვლება ამ ორი დამნაცრავი ძალის გონისეულ-იმპულსიეულის გაწონასწორებას. ქრისტიანული მორალით გოლგოთას მისტერია ამ დილემის გასაღებია. ქრისტეს ჯვარი აღმართულია ლუციფერულ-არიმანული შეცოდებების შუაში. ზოგადკაცობრიულისათვის პიროვნული თავდადებით ერთადერთი იესოღა აეხსნება ჯვრისგან: ქრისტე წონასწორობაა ორ მომშთობ სტიქიას შორის.

დიახ, მშვენიერია მოყვასის სიყვარული, მაგრამ ზენაარული ბუნებისაა მტერშიც კი პოტენციური კეთილისმყოფლის დანახვა.

მცნება მეთერთმეტე

მედიატორი

ჩვენი გული, გონება, სული, გაჯერებულია დიდი რუსთველის შიგონებით: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

მოვყვეთ ჩვენი ისტორიის რეტროსპექტივას.

ცოტნე დადიანი გადმოხტება თუ არა ცხენიდან, მაშინვე მზეზე დაყრილ კოხტასთაველ თანამზრახველებს მიაშურებს, განიშიშვლებს სხეულს წელსზევით და თაფლწასმული უსიტყვოდ ჩაჯდება მეგობრებში. ეს უხმო ქმედებანი საძმოსთან ერთად საჯალათო კუნძზე თავის დადებას ნიშნავს და ერიც სრულიად სამართლიანად შერაცხავს გმირად.

გმირია ბერი თევდორე, მამულის ასაოხრებლად წამოლაშქრებულ მტერს გზა-კვალს რომ აუბნევს და საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანით უბედურებას გაანარიდებს სამშობლოს.

გმირია ქართული საგანძურის მეჭურჭლეთუხუცესი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც მილიონებს განაგობს და თხის რძით შეინახავს სულს შიმშილით სიკვდილისაგან.

გმირია პროფესორი იოსებ ჟორდანია, რომელიც ლაინერის ორას მგზავრთაგან ერთადერთს დაუთმობს გადარჩენის მცირე შანსისმაგვარ მაშველს რგოლს — ჟილეტს უბილეთო ზანგ გოგონას და უკვდავებაში შესცურავს საკუთარი ნებით. მაგრამ ზეგმირია გია აბესაძე, ოდეს ერთმანეთის გასაწეწად ფაფარაშლილ თანამემამულეებს თავდადების უმაგალითო ძალისხმევას ანახებს, ბენზინი გადაისხამს ტანზე და მზესავით აბრიალდება შუა რუსთაველზე სიტყვებით: დაე, მე ვიყო უკანასკნელი მსხვერპლი საქართველოს თავისუფლების გზაზეო.

შუაკაცის, მედიატორის, შემრიგებლის ინსტიტუტი სავალალოდ დღემდე ვერ ჩამოყალიბებულა ჩვენს მრავალტანჯულ და მრავალნაწამებ მამულში, მაგრამ ბოლოდროინდელი მოვლენები ცხადყოფენ ჩემი მარათონული ბრძოლის აუცილებლობას კონსენსუსისკენ, აღმსარებლობისკენ, თანალმობისკენ, და რადგანაც მოახლოებულია დიადი შერიგების, დიადი მიტევების ჟამი, ისევ და ისევ საქართველოს მერმისის სასიკეთოდ, ჩემს ადრეულ კონცეფციას ერთხელაც გაგიზიარებთ:

წიგნიერი კაცისთვის ტრივიალურ ამბავს ვყვები:

კაენმი მოკლავს აბელს. ჩადენილია სამყაროისეული ცოდვა. დანთხეულია პირველი სისხლი, რომელიც ღმერთს შესჩუხჩუხებს და რა ჩამომრისხანდება ციდან არსთაგამრიგეს ხმა, კაენი ინდაურის კუჭისხელად იქცევა გაცნობიერებული დანაშაულის გამო, მაგრამ ცაბაოთი მაინც არ დასჯის სიკვდილით, რადგანაც ამ აქტით იგი ვითომცდა კი დაუწესდებს შთამომალობას სამართალს, თვალის წილ კი თვალს მიაგებდა საკუთარ სულს, თუმცა მაშინ რაიმე განსხვავებულს მოიმოქმედებს განა მის- მიერვე შექმნილისგან?

სამაგიეროდ არსთაგამრიგე კაენის ნაშიერთ მძიმე ტვირთად დაუტოვებს ცოდვიანობის დამღას, რათა დღედაღამ ამ საკირეთში იხარშებოდეს მათი თესლი და ეძებდნენ გზებს კათარზისკენ,

განწმენდისკენ.ამისთანა გზას კი ქრისტე დაანახებს კაცობრიობას, საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანით ადამიანურ ცოდვათათვის.

რიგითი ფერშალია პაპაჩემი ბიქტორ ფეტელავა. ცხრა შვილის მამა. ფაფარშეკრეჭილი შავრათი დადის კარდაკარ და თანასოფლელებს ათასი სენისგან კურნავს, მაგრამ მისი ნამდვილი — ადამიანური მოწადინება — უფრო მედიატორობაა: ორი ჯიუტი ყოჩის შერიგება, ორი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული, ოჯახის დაზავება.

ხშირად მსმენია ნეტარხსენებულისგან:

— ბაბაგე, გური, იმისთანა არაკაცებისთვის მომიხრია მუხლი, სათოკედ ვარგოდნენ, მაგრამ სხვანაირად სოფელი აირეოდა; ერთი ბოროტება ახალს აღმოაცენებდა და მოისრებოდა მშვიდობიანობაო. მათი ხელჩამორთმევა, მათი დალაპარაკება ანაზღაურებდა ჩემში უნებლიე მუხლისმოხრასო.

არადა, როგორი სანახავია: დაზარალებულთან ოცი ასაკმოყრილი ადამიანი გადააბიჯებს ჭიშკარს. ეს უკანასკნელი გამეხებულია ვინმე მოძალადის ვერდაჯაბნვის შურით, აივნიდანაც არ იძვრის. მხცოვანი ხალხი კი ჯიუტად მოიწევს შენი საცხოვრისისკენ და უცებ დათქმულივით მთელი გუნდი გაზუნზლულ ტალახში მოიყრის მუხლს. მიდი და ნუ ჩამოეტევი კიბეებზე, ნუ დაუგდებ ყურს მათ ნათქვამს, ზურგი შეაქციე მათ გულისძახილს?!

შერიგების უამრავი მეთოდი ხქონია დამუშავებული ცხონებულ პაპაჩემს. თურმე იმდროინდელ სამურზაყანოში, შესარიგებლად მოსულ კაცს დაზარალებული თუ დაელაპარაკება, ან სადილის სამზადისი გაიმართება, ეს უნებლიე თანხმობას ნიშნავს. ხოდა, რადგანაც იციან დუმილის ფასი, ერთმანეთის გამძლეობას გამოცდიან.

ერთხელ სისხამ დილით სწვევია შურისძიებით გულანთებულ რომელიღაც თანასოფლელს პაპაჩემი ბიქტორი.

აკაციის სვეტზე ფაფარშეკრეჭილი ცხენი მიუბამს. უსალმოდ შეულაჯებია ჯარგვალში. მასპინძლის დაუკითხავად მიჯდომია კერიას, ნაცარი გამოუქექავს, გაუმართავს ყალიონი და უცდის როდის წამოიშლებიან სახლეულები:

ყველანი აქ არიან, ამ უბადრუკ ყოფიერებაში,. მჭვარტლსა და კვამლში ამოხრჩობილნი. კედლის გაყოლებაზე სიგრძივ ფიცარნაგი უწევთ საწოლის მაგივრობას.

ოჯახის უფროსი იხამუშებს ერთ ჭერქვეშ უცხო კაცის თანდასწრებით ლოგინში კოტრიალს, მაგრამ რა ქნას, წამოდგომა და შეხმიანება უნებლიე თანხმობის ნიშანია. ამისთვის გაჩუმებულა. დიასახლისიც გასუსულია. პატარებიც არ ჟრიამულობენ ჩვეული ჟინიანობით:

ქათმები რა ხანია ჩამობარგებულან ქანდარიდან. ბაკში ზმუიან მოსაწველი ფურკამეჩები და ძროხები. ღორები დინგით ანგრევენ ძელურს. ამასობაში ბავშვებსაც ნელ-ნელა გაუჯდათ მუცელში ცივი მჭადისა და ლობიოს სიშორე. ჯერ უმცროსები აღნავლდებიან. უკვე ნაშუადღევისთვის მოზრდილებიც აუბანებენ და მაშინ მეტს ვეღარ გაუძლებს ოჯახის უფროსი:

— დაადგი, ქალო, ღომი! მეტის მოთმენა აღარ შემიძლიაო!

იუმორით შეფერილი ეს სტრიქონები სრული სერიოზულობით გაგვიცხადებია აწ, რომ შემრიგებლის მანტია რვა წელიწადია მოვისხამ მხრებზე. თუმცა მე იგი უფრო ადრე მებოძება ანდერძით სულკურთხეული პაპაჩემისგან, ბიქტორ ფეტელავასგან.

დღეს ქართველი მედიატორის წინაშე ურთულესი პრობლემებია თავმოყრილი:

დიალექტიკური მატერიალიზმის მემკვიდრე თაობაზე გადამყნობილია საბაზრო ეკონომიკის რეალობა. ადამიანის წარმოშობის ევოლუციური გაგება გაქარწყლებულია უფლის რესტავრირებული ძალისხმევით. მატერიის პრიმატის პირველადობას ფორსირებულად შენაცვლებია სულის უმთავრესობა და აქ ყოველგვარი წინააღმდეგობა იგნორირებულია. საქართველო პატარა მიშიკოსავითაა ჩაყენებული კავკასიური ცარცის წრეში და დედინაცვალ-დედის მაგივრად ახლა მის დასაკუთრებას ერგასი პოლიტიკური ძალა ჩემულობს, როდესაც ეს განგებდაქსაქსული ჩვენი ინტელექტუალური ენერგია ორ ძირითად პლატფორმამდე დაიყვანება: ურთიერთდაპირისპირებულ პატროფილურ მსოფლგანცდამდე, □რომლის უმთავრესი ენერგია უგულებელყოფილია ქვეყნის მშენებლობის ფერხულში) და პროკომუნისტურ, კონსოლიდირებულ ალიანსამდე, მიუხედავად რეგალიების სრული მფლობელობისა, ქვეყნის სასიცოცხლო პრობლემების მოგვარება ვერაფრით რომ განუხორციელებია ფარული თუ აშკარა კონფრონტაციის პირობებში.

ახლა ათიოდე წლით უკან დავწიოთ დროის მანქანა და ერთხელაც გადავავლოთ თვალი ჩვენი სამშობლოს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას.

ეროვნული ძალების ფორსირებულ გამოღვიძებას გორბაჩოვისეული პერესტროიკა-გლასტნოსტი

მწვანე შუქს რომ აუნთებს, შეუიარაღებელი თვალითაც დასტურდება, თორემ გუშინ და გუშინწინ აზვირთებული ნაციონალისტური ფასეულობანი ოთხმოციანი წლების საწიერიდან იატაქვეშეთის მოღვაწეობაა ოდენ.

სოციალისტურ-კაპიტალისტური სისტემების აშკარა დაჯახების საშიშროება წარმოშობს კონსენსუსის შეგრძნებას, ვინაიდან მთელი ცივილიზაცია აშკარა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება გამალებული შეირაღებისა და ურთიერთდაპირისპირების პირობებში. კიდევ ერთი დაძაბულობა და მესამე მსოფლიო ომის რეალობა ნაცარტუტად აქცევს სიცოცხლის მატარებელ უმშვენიერეს პლანეტას ირმის ნახტომის გალაქტიკაში.

მიზნების ერთი მიმართულებით დაგეზიანება მოხსნის კოლოსალური თვითლიკვიდაციის საფრთხეს მსოფლიო მასშტაბით.

ამასწინათ საინტერესო ინტერვიუს შემოგვთავაზებს გაზეთი „კვირის პალიტრა", სადაც ბატონი გიორგი გაჩეჩილაძე, გულწრფელად აღიარებს გამსახურდია-შევარდნაძეს შორის შესაძლო ალიანსს, რომ ეროვნული მოძრაობის უმტკივნეულო გამარჯვება მრავალპარტიულ არჩევნებში სავარაუდებელია სანქცირებულიცაა უფრო მაღალი ეშელონებიდანო.

აქვე გაცხადებულია ფრიად საგულისხმო კონცეფცია: ბატონი გიორგის თქმით, საქართველოში ეროვნული ძალების გამარჯვების შემდეგ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთვის აჯობებდა გზა დაეთმო ბატონ ედუარდ შევარდნაძისათვის, თავად კი დარჩენილიყო, როგორც ერის სულიერი მოძღვარი, განდის პროფილით, მაგრამ რადგანაც მსგავსი რამ ჩვენს სინამდვილეში არ განხორციელებულა და საქართველოს ბედ-იღბალი ყოფნა-არყოფნის სასწორზეა შეგდებული კვლავაც, გასაკვირი არაფერია, რომ დღეს ჩვენი სიცოცხლის საარსებო გარანტიები სიკვდილის ზღვარს დაბლითა განზომილებისაა.

ჩვენ ახლა წინააღმდეგობის უმთავრესი ქვაკუთხედს ვეძებთ, საიდანაც უფრო ხელშესახებად გამოჩნდება საერთო ძალისხმევით გადასალახი დილემა.

პატროფილური მთავარობა იმთავითვე კურსს აიღებს საბაზრო ეკონომიკისკენ, მწვანე შუქი აუნთებს პიროვნულ ინიციატივებს და აქედან გამომდინერე, ცხადია, ქვეყნის მატერიალური ფასეულობანი ეროვნული იდეალების სახელით მოსულთა ხელში აღმოჩნდებოდა ნებსით თუ უნებლიეთ. გვნებავდა თუ არა ოცდამეერთე საუკუნის სარაჯიშვილები, ზუბა- ლაშვილები, ხოშტარიანი სწორედ ისინი იქნებოდნენ. რაც ბუნებრივია, ნიადაგს გამოაცლიდა ათწლეულობით პრივილეგიებს შეჩვეულ პარტოკრატიას. უთანხმოება დიახაც მერკანტილური ხასიათისა გახლდათ. ვინ უნდა დაპატრონებოდა ქვეყნის საწარმოო ძალებს, პატროფილია თუ პარტოკრატია?! და რადგანაც პოლიტიკური ბრძოლის მაკიავისეული მეთოდები ამ უკანასნელს ტრადიციულად უკეთ მოსდგამდა, მის „გამარჯვებას" წინ ვეღარაფერი აღუდგა.

ახლა სურათი ფაქტობრივად დასრულებულია. მამულის საწარმოო ძალებს, პრივატიზაციის ღიმილისმომგვრელი ფარსით, არსებითად ეს უკანასკნელი დაუფლებია, ეროვნული სულისკვეთების ფენა კი უარაფრო მწუხარე სახის რაინდია, კვლავაც რომ იბრძვის საარსებო დროისა და სივრცისათვის.

სად არის გამოსავალი?

ხსნა ყველგან არის ილიას განდეგილისებურად თუ ვიტყვით, მაგრამ, რადგანაც გზა სხნისა ასეთი გვერგება ჩვენ უბედურთ, ეროვნულ თანმხობას, ქვეყნის გამთლიანებას ჩვენ ვერასდროს მივაღწევთ თუ პატროფილურ ხაზს თანაბარ პირობებს არ შევუქმნით მომავალ არჩევნებში, ამთავითვე გარკვეულ კორექტივებს არ შევიტანთ საარჩევნო კანონში, სადაც მაქსიმალურად აღზევდება ხალხის ნება მიუკერძოებელი ორიენტაციისათვის.

მოსალოდნელი რევანშიზმი უნდა გამორიცხოს ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, ვინაიდან სიკვდილ-სიცოცხლეს შორის მობარბაცე საშუალო ფენის სტომაქს არსებული სოციალური სიდუხჭირის მეტის თრევა აღარ ძალუძს.

„ზვიადიზმი", „პროვინციული ფაშიზმი", ბეკეკასეულად გასაღებულ ძროხის კუდს მოხგავს.

ჩვენ აქედანვე უნდა შევძლოთ პატრიოტულისა და კოსმოპოლიტურის საზღვრების დაზუსტება, რადგანაც საუკეთესო ფასეულობანი ამ ორი მსოფლგაგებიდან ავსებენ ერთმანეთს და თანამშრომლობის ახალ სივრცეს ქმნიან.

ასჯერ გამხელილი სინთეზის მეთოდის გამორიცხვით შეუძლებელია ეროვნული კონსენსუსის მიღწევა.

გარდახდილია პატროფილური, მოუხეშავი სანგვინიკური პათოსი.

გარდაიხდება პრატოკრატიული მოქნილი ფლეგმატური მრწამსი.

მომავალი კი ამ ორი პლასტის ურთიერთშეხამებისა და ურთიერთშერწყმის უკუგდებით სიზიფეს მომქანცველი და უშედეგო შრომაა.

საქართველოს მერმისს ერთადერთი, თანასწორუფლებიანი არჩევნების გარანტიებიღა გადაარჩენს, სადაც ყოველ პოლიტკურ პლატფორმას თანაბრად შეეძლება საკუთარი პოტენციის გამოვლენა ერის სასიკეთოდ. ეს ზეეროვნული მისია დღევანდელი კანონშემოქმედების დაუხანებელი საზრუნავია; უწინარესად კი — დეკომკრატიის სრულფასოვანი გამარჯვებისთვის თავგამოდებული ქვეყნის პრეზიდენტისა და ვფიქრობ, ვიწროპარტიულ, მერკანტილურ ინტერესებს კვლავაც გადასჯაბნის ქვეყნის ბედ-იღბალისთვის დაუნჯებელი ჩაფიქრდება.

მაშ, გელით, ჩემო გულანთებულო ქართველებო, ვისაც პოლიტიკური ცალმხრივობით სული არ შეგიბოჭავთ, მიუმხრობლობის, ამაღლებულის პოზიციიდან აფასებთ მარჯვენას და მარცხენას, დავდგეთ ერთად შუაკაცის, მედიატორის ინსტიტუტის ჩამოსაყალიბებლად. დაე, ჩვენი მუხლები ნუ შეუშინდება გზადაგზა მომრავლებულ ტლაპოებს, და ნურც ჩვენი გულ-მკერდი — ზენარი გია აბესაძისეულ ხელადა ბენზინს ასაბრიალებლად სიტყვებით: დაე, ჩვენ ვიყოთ უკანასკნელი მსხვერპლნი საქართველოს გამთლიანების გზაზე..

მცნება მეცამმეტე

ქრისტიანული მორალის სოციალური ასპექტი

□ქრისტოლოგიის სექციის მორიგი 95-ე ლექცია)

გოლგოთაზე აღიმართა სამი ჯვარი. ამ სამ ჯვარში ჩვენ ვხედავთ მთელი კაცობრიობის ბედს — ლუციფერულ, არიმანულ და ღვთაებრივ მისტერიას. ეს ლუციფერულ-არიმანული ჩვენშია; მთელი ტკივილი, რაც ლუციფერულ-არიმანულ ქმედებას მოხყვა, კაცობრიობაზე გადანაწილდა. ამიტომაც, როდესაც მეორე ადამიანის უგვან საქციელს უყურებ, ნუ ფიქრობ, რომ ეს მისი საკუთარი საქციელია, მისი ცოდვაა, რამეთუ არ არსებობს საკუთარი ცოდვა, არ არსებობს საკუთარი დანაშაული — არამედ ერთიანი კაცობრიობის ბედი. შესაძლოა მდგომარეობა ისეთნაირად შეტრიალებულიყო, რომ ის ბოროტება, მთელის სისასტიკით თავს რომ დაგატყდა, არის თავისუფლება, პირადული ნება, მან არა იცოდა რა ,,მეობის'' შესახებ. მაგრამ რომელ ადამიანს ეწოდა ,,ქმნადობის გვირგვინი''? არა იმას, ვინც ღვთაებრივ წიაღში, ღვთის საფარველქვეშ, მთლიანად კეთილი იყო, არამედ იმ ადამიანს, რომელმაც ზეარსთა ნებით მიატოვა თავისი სამყოფელი და სიკეთისა და ბოროტების შემეცნების გზას დაადგა, ანუ თავის არსში ბოროტებაც მიიღო, რათა ამჯერად უკვე სრულიად მარტოსულს, დამოუკიდებლად, თავისი ნებითა და არჩევანით, წვითა და დაგვით, ცრემლისა და სისხლის ფასად, კვლავ ეპოვნა თავისი ნამდვილი სამშობლო. □ამაზე მიგვანიშნებს ლუკას სახარებისეული იგავი — მე-15 თავი — უძღებ შვილზე).

,,ადამიანო, შეიმეცნე თავი შენი!'' — მოგვიწოდებს აპოლონი. იგივეს ქადაგებს სახარებაც: ,,შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებს თქვენ'' □იოანე 8-32). ჭეშმარიტების შემეცნებაში უფალი არ მიჯნავს სიკეთესა და ბოროტებას. სახარებაში ეს ორი ცნება თითქოსდა ტოლძალია. და სწორედ აქ, ერთი იდუმალი, ალქიმიური პროცესის პირისპირ ვდგავართ.

ჩვენ ვიცით, რომ ბოროტებას სუბსტანცია არ გააჩნია. ბოროტების მაინსპირირებელ ძალებს არსებული სუბსტანციის მხოლოდ და მხოლოდ დროში გადაადგილება ძალუძთ. ამა წესრიგიდან, განსაზღვრავს რა ბოროტებას, **დიდი ზარატუსტრა მას უდროო სიკეთეს უწოდებს.** ეს უაღრესად რთული აზრი შემდგომ გავრცობას საჭიროებს.

საქმე ის გახლავთ, რომ ყოველივე განისაზღვრება საბოლოო შედეგით — მთავარია ნაყოფი □,,ხე ნაყოფით შეიცნობა''. მათე 12-33). როდესაც სიკეთეს ვიმეცნებთ, ამ შემეცნების ნაყოფი, რა თქმა უნდა სიკეთეა, ანუ კეთილს კეთილი ნაყოფი მოაქვს; მაგრამ როდესაც ბოროტებას ქრისტიანულად ვიმეცნებთ — მე ხაზგასმით ვამბობ — როდესაც ბოროტებას ჭეშმარიტად ქრისტიანულ ცნობიერებას ვუპირისპირებთ, შემეცნების ნაყოფი აქაც კვლავ სიკეთეა. მართალია ადამიანის ნებისმიერი ფიზიკურ-მშვინვიერი ტკივილი, თავისთავად, გარდაცვალების შემდეგ, სულიერ სამყაროში ერთგვარ მეტამორფოზას განიცდის და ახალ მიწიერ ცხოვრებაში მშვინვიერ ძალად ბრუნდება, მაგრამ აქ ლაპარაკია შემეცნებაზე — ისეთ შემეცნებაზე, როდესაც ადამიანი თავის დღის ცნობიერებაში, ანუ ცხადიერ შეგნებაში ხილულხყოფს იმას, რაც ჩვეულებისამებრ, ადამიანის არსების სიღრმეებში, მისი ცნობიერი თანამონაწილეობის გარეშე, ანუ არაცნობიერად ხორციელდება. და

სწორედ ამგვარი შემეცნების პროცესში ბოროტება ინმქვრევა და ადამიანის შემეცნების ერთგვარ, მშვინვიერ ძალად, მშვინვიერი გამოცდილების კეთილ ძალად გარდისახება. ამას ნიშნავს გოეთესეული მეფისტოფელის აღიარება — ,,მე იმ ძალის ნაწილი ვარ, რომელსაც მუდამ ბოროტება სურს და მუდამ სიკეთეს იქმს''. აი, ეს გახლავთ ქრისტიანული შემეცნების ალქიმია.

ამიტომ ნურვის გავიცხავთ, რომ ის ასეთი ,,ცუდია''. უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი სულიერ სამყაროში თავადვე აწესრიგებს თავის მომავალ მიწიერ კარმას და როგორც სულიერ სამყაროში, სულიერ ზეარსთა წიაღში იგეგმება ის, რომ ადამიანმა უნდა იწვნიოს მეგობრის ღალატი, ასევე სულიერ სამყაროში, ზეარსთა წიაღში, იგეგმება ისიც, რომ ადამიანმა, ერთგვარი გარდუვალობის ძალით, მეგობარი უნდა გაწიროს. ასე ერთიანდება, ასე გადაიკვეთება ორი ადამიანის ბედი. როდესაც ამ ჭრილში განვჭვრეტთ ადამიანთა ურთიერთმიმართებას, ჩვენ ვიმეცნებთ მთელი კაცობრიობის სხეულს, როგორც ერთ მთლიანს. და მხოლოდ მაშინ, ჩვენს შეგნებაში მთელის სიცხადით ჩამოიქნება მნიშვნელობა სიტყვებისა — ,,მე ვარ ვაზი და თქვენ ყველანი ლერწები''. ამ ,,ლერწებში'' უფალი არავის გამოარჩევს. მისთვის არ არსებობს არც ეროვნება, არც აღმსარებლობა და არც სხვა რაიმე განმასხვავებელი ნიშანი.

ჩვენ მთელი ჩვენი შეგნებით უნდა ვაღიაროთ, რომ ქრისტიანული მორალი, ჭეშმარიტად ქრისტიანული ეთიკა იწყება იმ წერტილიდან, საიდანაც მთელი კაცობრიობის ბედში ვიხედებით და გვწამს, რომ ყოველი ჩვენგანი ამ ბედის თანაზიარია და რომ ამ ზოგადსაკაცობრიო კარმიდან ყველანი ჩვენ ჩვენს კუთვნილ ტვირთს ვეზიდებით. მე ისიც მესმის, რომ არათუ ,,გიყვარდეს მტერი შენი'', არამედ ,,გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორც თავი შენი'', ასე ვთქვათ, ქადაგებით ვერ მიიღწევა, რამეთუ ეს ის სიტყვებია, ადამიანთა ურთიერთმიმართების საბოლოო იდეალს რომ ეხმიანება, მაგრამ ის მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ გზაზე, რომელსაც ამ იდეალისაკენ მივყავართ, ბოროტებას თავისი მისია აკისრია — ამასვე მოწმობს სახარებაც: ,,ცთუნებები უნდა მოვიდეს, მაგრამ ვაი იმ კაცს, ვისგანაც მოდის ცთუნება'' □მათე 18-7).

სივრცესა და დროში გამომწყდეული ადამიანის მიწიერ გონებას ამის გაგება არ ძალუძს. ადამიანში ზეცნობიერმა არსებამ უნდა გაიღვიძოს. ადამიანმა თანდათან უნდა ისწავლოს, უნდა მიეჩვიოს არამიწიერ, სამოთხისეულ აზროვნებას, თუკი მას ჭეშმარიტების წვდომა სურს.

ქართული ენის გენიამ დაუვიწყარხყო კაცთა მოდგმის ერთიანი წარმომავლობის ფაქტი სიტყვაში — ადამიანი; და თუკი ამ სიტყვას მთელის სერიოზულობით ჩავუღრმავდებით, მასში ამოვიკითხავთ — ,,გიყვარდეს მტერი...'' რამეთუ, ის მტერიც ადამის ძეა, ღვთით განურჩეველი.

დედამიწაზე არსებული რელიგიები გარკვეულ ეთნიკურ-ეროვნულ-რასობრივ ჩარჩოებშია მოქცეული. ბრამა, კრიშნა, იახვე, ალახი, რასობრივ-ეროვნული ღმერთებია. ისლამიც მოუწოდებს ერთიანობისაკენ, მაგრამ ვის? — ალახის აღმსარებელთ. დაქსაქსული საქრისტიანო მისი ზრუნვის არეალში არ შემოდის. მოსეს რჯულში სიყვარული მხოლოდ მოყვასისათვისაა განსაზღვრული; ბუდიზმში მთლიანად უგულვებელყოფილია სოციალური მომენტი — ინდოელი თავის სულიერ მისწრაფებებში მხოლოდ საკუთარი თავითაა დაკავებული და უარს ამბობს რა საკუთარ მეობაზე, ინდივიდუალობაზე, ნირვანაში მარილის თოჯინასავით ჩადნობას ლამობს.

მტრის სიყვარულის მცნება შეეძლო ჩამოეტანა მხოლოდ დიფერენ ცირებულის მიღმიერი სფეროდან, ღვთაებრივი იერარქიების მიღმიერი სფეროდან, სამების სფეროდან დაშვებულ, ერთიანი სამყაროს, ერთიანი ღმერთის ძეს, რომლისთვისაც მთელი კაცობრიობა, მთელი კაცთა მოდგმა ერთი განუყოფელი სხეულია. რომელიც ერთი ადამიანის ტკივილს მთელი კაცობრიობის ტკივილად შეიგრძნობს და მთელი კაცობრიობის სატკივარს ერთ ადამიანში განჭვრეტს. მხოლოდ ერთარსობრივის წარმომადგენელს ხელეწიფებოდა ეთქვა: ,,გიყვარდეს მტერი შენი''. ქრისტეს გადასახედიდან მტერი არ არსებობს — არ არსებობენ კარგები და ცუდები, ჭკვიანები და ბრიყვები, ცოდვილნი და ზნეკეთილნი, ქრისტიანები და არაქრისტიანები, რამეთუ ისინი ყველა — მთელი კაცობრიობა — თავის საფუძველთა საფუძველში ატარებს იმ ერთიან და მრთელ ადამიანს, რომელიც ქრისტემ ქმნადობის სათავეში თავისი არსიდან ამოთქვა.

და კიდევ ერთიც: შესაძლოა ნიშნისმოგებით გვითხრან: აი, ჩამოვიდა თქვენი ღმერთი დედამიწაზე და ჩამოიტანა ისეთი მცნებები, რომელთა არათუ განხორციელება, არამედ გაგებაც კი უჭირს ადამიანსო. ე.ი. შეიძლება აღიძრას ეჭვი, რომ ღმერთმა თავისი ღვთაებრივი წესრიგები მოგვახვია

თავს ისე, რომ არც განსაზღვრა ადამიანის შესაძლებლობები. იყო კი დედამიწაზე ვინმე, თუნდაც ერთი ადამიანი, ვინც სახარებაში ჩაბეჭდილი მორალი განახორციელა? დიახ! ეს იყო უფალი ჩვენი, ქრისტე — ძე ღვთისა და ძე კაცისა, რომელმაც იესო ნაზარეველის ფიზიკურ სხეულში იცხოვრა და ყველა მცნება თავად აღასრულა — ყველა სათნოება გამოავლინა, ადამიანური კეთილზნეობა და სიქველე ნათელხყო, უსაყვედუროდ მიიღო იუდას ამბორი, წინ არ აღუდგა ღალატს, მორჩილად აიტანა ყველა დამცირება და გვემა, აღასრულა ყოველივე, რაც კი მასზე იყო ნაწინასწარმეტყველები და უცოდველი გავიდა ჯვარზე.

ქრისტე გახლდათ ადამიანი, რომელმაც პირველმა განახორციელა ,,ქადაგება მთაზე'' (მათე 5,6,7). ამრიგად, მან შეიმეცნა ის, რამაც ადამიანი, საკუთრივ ადამიანი, ანუ თავისუფალი ადამიანი გახადა — მან შეიმეცნა პირველცოდვის ფესვებზე ამოზრდილი ბოროტება, რომელიც ღმერთმა შეიმეცნა სიკვდილი და ამით ჩვენც გადმოგვცა სიკვდილის შემეცნების და ამდენად, სიკვდილისმიღმიერი ყოფიერების ცნობიერ-მშვინვიერი შემეცნების იმპულსი და კიდევ უფრო მეტიც: ,,მისცა ადამიანებს ხელმწიფება ღვთის შვილებად გახდომისა'' (იოანე 1-12) რამეთუ, ის, რაც დედამიწაზე ერთი ადამიანის მიერ ხორციელდება, მთელი კაცობრიობის კუთვნილებაში გადადის.

მაშასადამე, დედამიწაზე ჩამოსულმა ღმერთმა არ განირიდა არათუ ცოდვა და ბოროტება, არამედ თვით სიკვდილიც. ასე შეიმეცნა მან მიწიერი ადამიანის ბედი. ასე მოგვიწოდებს იგი ჩვენც შევიმეცნოთ, ამიერიდან, უკვე ქრისტეში შევიმეცნოთ ადამიანი და მთელი ჩვენი შეგნებით, ცნობიერი სამშვინველის სიღრმეებიდან ამოვთქვათ:

კაცობრიობა ერთი სხეულია და ამ სხეულს ხქვია ქრისტე!

ამ შეგნებით მივიწევთ წინ და ნაბიჯ-ნაბიჯ, ვახორციელებთ მოციქულ პავლეს სიტყვებს, რომელიც მთელი ეპოქების გამჭოლ ჟღერს:

,,არა მე, არამედ ქრისტე ჩემში!''

სულიკო ავჟანდაძე,
1996 წლის 22 ნოემბერი.

მცნება მეცამეტე

სამყარო ანუ
შეუთავსებელთა შეთავსება

ყოველთვის გაიხსოვნე, შეგირდო, ჩემო, შენი გურუს სიტყვები:

სინდიყივით დანაწევრებული მარგალიტი უაზრობაა. ის მშვენიერის და ამაღლებულის დაცინვაა, მაგრამ ბრილიანტი წახნაგებით ფასობს, როგორც ლითონთა მჭრელი ალმასი, და რაც მეტი სიფხიანე ამკობს მის კუთხეებს, მით უფრო ელვარეა იგი და ფასეული. სამშობლოც ამნაირი უნდა აშენო, შეგირდო, ჩემო, არა მობლაგვებული, გამრთლიანებულ სინდიყსავით თუ მარგალიტისავით, ასეთი სამშობლო ერთგანზომილებიანი ამოცანაა, როგორსაც ელტვიან იმპერიები, რაჟამს ასიმილაციით, გადაჯიშებით ემუქრებიან პატარა ერებს. შენ კი პირიქით ბრილიანტის სიმახვილე დროშასავით უნდა აიტაცო შენი ერდო-კუნჭულების განუმეორებლობის ქვაკუთხედად, მაგრამ — ცენტრისკენ გამოქანებული საგანძურეთით ზოგადეროვნულის ჩამოსაქანდაკებლად.

სამშობლო შენი, შეგირდო ჩემო, სადღაც უნდა ხგავდეს კიდეც მინიატურულ დედამიწას, რაღა თქმა უნდა ცნებითი მწვერვალებით: ევერესტებით, ჯომოლუნგმებით, მყინვარწვერებითა და თეთნულდებით წამობასრული, რომელსაც კუმამანიჩის ღრმულიც ამშვენებს და მზის დასალიერთან, ოდესღაც იროდი სართანიას საუფლოსთან ცქროებით თუ ჩალამებით გაბევრებული ჭურრიის სანახებიც ამკობს მეტადრე; მაგრამ დედამიწას, ამ განუმეორებელი გეოიდის სხეულში, რომელსაც გარეგნულად ხან კარტოფილს მიამსგავსებენ ხოლმე, ხანაც — მსხალსა და ბოთლის ვიწრობში გაძვრენილ კვერცხს ძმრით დარბილებული ნაჭუჭით, ყველაფერი ცენტრისკენ მსწრაფველობს;

გარეგნულად რამდენადაც მსხმოიარეა დედამიწის ბიოსფერო ათასფერადი ფაუნითა და ფლორით, იმდენად მყიფდება იგი საუკუნეებში მილიმეტრობით მოძრავ მანტიასთან მიმართებაში და ბირთვში ხომ მარადიული დუღილია ყოველივე გარეგანის, ყოველივე წახნაგის, აქ, ჩვენთან კუთხურობით გამოხატულის; ასე რომ, სათვალსაჩინოდ წამოსროლილი ფრაზა: ,,ქართლ-კახეთი-იმერეთი-გურია და სამეგრელო''... შეგირდო ჩემო, შენი ბრილიანტ-ალმასის წახნაგებია,, ხოლო შემდგომი სიტყვა ,,ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო'',

დედამიწის ბირთვი, მარად მოთუხთუხე, ნაწილისა და მთელის შესინთეზება, შემადუღაბებელი, და აქ პარალელის გავლება დედაქალაქსა და კუთხეებს შორის უხერხულიცაა უგვანობასთან ერთად, ვინაიდან სათვისტომო ორღობეში კოლხურად, იგივე მეგრულად, სვანურად, ლაზურად, თუშურად თუ უამრავი წახნაგის კილო-კავით მომასლაათე დიახაც ვალდებული ხარ ვაჟა-ფშაველას პროზის ენით უბნობდე სულისდგმა დედაქალაქში, შენი ერთიანობის შენივთების ბირთვ-სიმბოლოში ეპიცენტრის მნიშვნელობით.

აქ ყოველგვარი განსხვავებულობა უკუდგება; აქ ოთხს კედელს შორის მოსახმარია ლამის ყოყლოჩინობის დონეზე აკვიატებული დიადი წარსულით ტკბობა; აქ უმთავრესი დღევანდელობაა, ამწუთიერი ბრწყინვალება; ამიტომაც სამუზეუმო ოქროს საწმისებსა და კირბებს, იგივე კერიათა თავქვებს, რომლებზეც უამრავი ასონიშანი ამოტვიფრულა ჩვენი ნაცარქექია-მოშუმერეს მჩხიბაობით, სიამაყის არანაირი საგანია, ზოგადქართული ცნობიერების თაროებზე შემოლაგებული სამუზეუმო ინვენტარია და აქ, ამ ლომისფერ ქალაქში ჩამოფუძნებულს, დიახაც გმართებს დღევანდელობით სუნთქვა, ამჟამიერობით რონინი, ოდეს სამოქმედო საშუალებად გადახაზულია ზმნის დრო ,,წარსული'' და მარტოკა ახლამყოფიერით, ნამდვილარსობისა და ფუტურუმების პერსპექტივით მიკვალავდე ბილიკებს.

ეს დაუწერელი კანონი გულთან მიიხუტე, შეგირდო ჩემო. და ისიც, რაჟამს შენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გახვალ, როგორც კოსმოსური ხომალდი დედამიწის მიზიდულობის არედან — უსივრცობაში, იგივე მსოფლიო ცივილიზაციის ოკეანეში, იქ არაფრისმაქნისია ბრილიანტის წახნაგის მწვერვალების დალაშქრა, ეს არ არის უკვე ,,კომუნიზმის პიკების'' დაურვების ტოლფასი; შენ აწ რომელი წახნაგიდანაც უნდა ეშვებოდე თავაწყვეტილ ენგურსავით, დონის და მტკვრის სიდინჯე გმართებს მსოფლიოს წინაშე, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა პროპორცია ნაწილსა და მთელს შორის, როგორც საცივში ინდაურის, ნიგვზისა და სანელებლის ჰარმონია.

ეს ყველაფერი იქითკენ მიბიძგებს, შეგირდო ჩემო, ერთხელაც გავუმეორე მაგნიტივით შენს სიტყვათმიზიდულობას:

წინ ენდემური ჯიშებისკენ-მეთქი; როცა დედ-მამა გეყვარება, პატივს მიაგებ მათ უზრუნველ, უღრუბლო სიბერეს; როცა მოკლე ჩართვებით, იგივე სისხლის აღრევებით, ინბრედული დეპრესიებით შენს ანთროპოლოგიურ უზადობას არ ხელყოფ; როცა წარსულის მონაპოვრები ობივატელის ტკბობის საგანი კი არა, სამომავლო მოსაქმეობის ბიძგი და გამოცდილებაა; როცა პოლიფონური საგალობლების ღვთაებრივი წესრიგით განალაგებ შენს გარშემო ქალაქებსა და სოფლებს, ხასიათებს და ტემპერამენტებს, თანამდებობებსა და ჯილდოებს, მრავალხმიანობის უკვდავი წონასწორობით; როცა იოტისოდენაც არ გზარავას გერმანული ზმნა ,,გეშტარბენ'', აღარც — ტერენტი გრანელისათვის მარადმსუსხავი ,,მემენტო მორი'', არამედ მყარად გაგიცნობიერებია განვითარების დიალექტიკა, რომ ყოველივე არსებულის ბედისწერა გარდაცვალებაა, გარდაქმნა და გარდასახვა მარტივიდან რთულისაკენ, პრიმიტიულიდან ამაღლებულისაკენ როცა ლერწამს დრეკადობაში აღარ დაენათესავები ,,ხოსა'' და ,,არას'' შორის ყოყმანისას; რიგითი აღმსრულებლიდან მოიპოვებ შენს მეობას, რომლის დაკარგვას უმაღლეს უბედურებად გვიხასიათებს უფალთუფალი, და გაცისკროვნებული სახით შეუდგები საკუთარი სულის ერთადერთ ნათელი ტაძრის, სხვათა სალოცავად აღმართვას შენივე ხელით; და წარგეხოცება სრულიად სასინანულო თუ საქენჯნელო არარსებული ცდომილებების გამო, ვინაიდან უფლის ხატი ცაბაოთში განვითარდები, აზრისა და

სარჩევი

„ეშმლმ ეშხასა“ აფხაზეთისათვის — 005

ქართველი სამურაის აღსარება — **047**

თაკარ! — 051

პალიასტომი — 062

გაუნათი, ერგუჯარუ,
წიფურია, თაგილონი...
6-საათიანი ინტერვიუს ფრაგმენტები
ბატონ რამინ აბლოთიასთან
„გვიმარას“ ხელმეორედ დაბადება—016
მხარზე ამბორის მისტერია — 023
ცოტნე დადიანის საუფლოში — 040
ოჩიგავას ყულუვი და ტერმინალი — 047
მერაბ ქარდავას ძველი გემი — 054
ვინ აღჩნდეს გმირი — 054
ვაკის პარკის არჩევნების კარუსელი — 071
ხიდები საქართველოს აღდგომისათვის — 084
ლიანდაგზე დადებული თავი — 088
ხმელეთზე ჩაძირული ფლოტი — 092
მონოპოლურ ნაკეთობათა საწარმო ღია ცის ქვეშ — 104
ვისი სულის გსურს — 105
„დიდი აბრეშუმის გზის“
ქარავანი წინასაარჩევნო ღავღავში — 105
ეროვნული მოყრაობის მეორე ფორპოსტი — 106
რეპორტაჟი მიკროავტობუსიდან
ბელეტრისტული ინტერვიუს სანაცვლოდ — 119
საქართველოს გზა თავისუფლებისაკენ — 124

ახალი აზროვნების ეპოპეა — 201

არც ისა ვარგა... — 267

სილაშვარდე — 304

òðî éêà áî ðçàÿ áåæèò — **066**
ქართულ-რუსული ეკონომიკური ფორუმის
ჯვარისებრი კონცეფცია — **075**
ჯვარისებრი კონცეფციის კომენტარები — **078**
ბურჯანაძე — დემოკრატიის მარკიზა, გნებავთ —
სახელმწიფოს ბურჯი

გენური შეჭიდულობა
სჯობს, აანთო ერთი სანთელი, ვიდრე განუწყვეტლივ
წყევლო სიბნელე
მარაო და კარუსელი
დათმობა ძლიერთა ხვედრია
ლირიკული ინტერმენცო საორნოემბრო არჩევნების
ბატალიებზე წივწივაძისებურად — **098**
საპარალმენტო არჩევნების წრიული ცეცხლი **102**

ბილბორდი თუ პოლიტიკური ბრძოლის ვარდისფერი ტატამი 110
ბუშ-უმცროსის უსტარი რჩეული შვილის მოთარგმანებით 116
ხუთჯვრიანი დროშების ალყაში 126
Poli, poli, egzitpole 130
პოლიტიკური ბრიჯი კრწანისი სამთავრობო რეზიდენციაში 145
,,ვარდების რევოლუციის'' შავ-თეთრი კოორდინატები 148
აღსაყდრება — ინაუგურაცია 211
,,გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსათვის'' 216
ეროვნული თანხმობის დეკლარაცია
,,დუმს ბაგე'' 238

„ვარდების რევოლუცია“
სულზე მოუსწრებს „ენგურჰესს“ — 252
ენერგეტიკული სახრჩობელა
ბანკების გილიოტინათა სივილში — 403
ღვთაება გრანტის შვილები — 005
ქართული ენერგეტიკის დედაბოძი — 028
SOS: ენგურჰესი მზადაა...კატასტროფისათვის — 033
ზავი ენგუხესის ძალისხმევით — 040
ნაჟირუა ჯიმალეფი — ტყუპისცალი ძმები
ტაიმ-აუტი ენერგოქაოსის გათრევამდე

სამეგრელო სულზე მოუსწრებს
„ვარდების რევოლუციას“ — 429
ლეგენდა კეთილშობილ დაფნაზე — 416
მესიჯები უბატონო ნარაზენიდან 268
ხარჩილავების სანერგეები — 273
მთავარია სახელმწიფოებრივი აზროვნება (2) 283
მაჟორიტარული საქართველოს აპოლოგია (2) 295
სამასი არაგველი დღევანდლობიდან 304
მოძღვარი ნოდარ ტაბიძე 313
რექტორი 335
ბაია და ბაიელები 360
შავი ქამარი ავანსად 383
ახლოით განჩხრეკა — 469

გური ოტოგბაია

ენგიდუნია

ბელეტრისტული
მატიანე

II

რედაქტორი — **ნანა ხუფენია**
კომპიუტერული მომსახურება — **კოკა ფეტელავა**
კორექტურა — **მარი ფეტელავა**
პოლიგრაფიული უზრუნველყოფა —
საგამომცემლო სახლი **„ინოვაცია,“**
თბილისი, ძმები კაკაბაძეების 22.
ტირაჟი — 500
ფასი — 17 ლარი

თბილისი
2010
528